ანთროპოლოგია



ქეროლ რ. ემბერი • მელვინ ემბერი • პიტერ ნ. პერეგრინი

ანთროპოლოგია

ქეროლ რ. ემბერი

მელვინ ემბერი

პიტერ ნ. პერეგრინი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2009

ანთროპოლოგია. ქეროლ რ. ემბერი, მელვინ ემბერი, პიტერ ნ. პერეგრინი.
Anthropology, Carol R. Ember, Melvin Ember, Peter N. Peregrine.

ეს მრავალმხრივი და მეცნიერული შესავალი ანთროპოლოგიაში სტუდენტებს დაეხმარება გაიგონ ადამიანთა არსი მთელი თავისი სირთულით და ამ სირთულეთა მიზეზებით. გამოცემაში ხაზგასმულია მიგრაცია და იმიგრაცია გლობალიზაციის კონტექსტში.

Authorized translation from the English language edition, entitled ANTHROPOLOGY, 12th Edition, ISBN 0132277530, by EMBER, CAROL R; EMBER, MELVIN; and PEREGRINE, PETER N., published by Pearson Education, Inc, publishing as Prentice Hall, Copyright © 2007

All rights reserved. No part of this book may be reproduced or transmitted in any form or by any means, electronic or mechanical, including photocopying, recording or by any information storage retrieved system, without permission from Pearson Education, Inc. GEORGIAN language edition published by ILIA CHAVCHAVADZE STATE UNIVERSITY, Copyright © 2007.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია Pearson Education, Inc.-ის ნებართვის გარეშე წიგნის რომელიმე ნაწილის ნებისმიერი ფორმით გამოყენება. ქართულ ენაზე გამოიცა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, საავტორო უფლება © 2007.

წიგნის თარგმანი დაფინანსდა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პროგრამით — „საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების განვითარება“. წიგნი გამოსაცემად მომზადდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

პირველი ქართული გამოცემა
© ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-9116-1-3

რეკვიზიტები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

Ilia State University Publishing
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

შესავალი 6
ავტორთა შესახებ 13
რა არის ანთროპოლოგია? 14
ანთროპოლოგიის საგანი 15
ერთიანი მიდგომა....15
ანთროპოლოგიური ცნობისმოყვარეობა 16
ანთროპოლოგიის სფეროები....16
გამოყენებითი ანთროპოლოგია 20
ანთროპოლოგიის აქტუალურობა 23
როგორ ვეძებთ წარსულს 26
წარსულის კვალი....27
ნივთიერი საბუთების აღმოჩენა 28
მასალის ანალიზი....30
მასალის დათარიღება 36
არქეოლოგიური კვლევის შედეგები 42
გენეტიკა და ევოლუცია....42
ევოლუციის ევოლუცია....43
ბუნებრივი გადარჩევის პრინციპები....45
მემკვიდრეობითობა....47
ცვალებადობის მიზეზები 51
სახეობათა წარმოშობა....55
ქცევითი ნიშნების ბუნებრივი გადარჩევა 56
თანამედროვე პრიმატები 59
პრიმატების საერთო ნიშან-თვისებები....60
პრიმატების კლასიფიკაცია....63
სხვადასხვა პრიმატები....64
ჰომინიდების განმასხვავებელი ნიშან-თვისებები 72
პრიმატების ცვალებადი ადაპტაციის განმარტება....75
პრიმატების ევოლუცია: ადრეული პრიმატებიდან ჰომინოიდებამდე 78
პრიმატების წარმოშობა....80
ანთროპოიდების წარმოშობა 85
მიოცენის პერიოდის ანთროპოიდები: მაიმუნები, ადამიანის მსგავსი მაიმუნები და ჰომინიდები 87
ჰომინიდების სხვა ჰომინოიდებისგან გამოყოფა 92
პირველი ჰომინიდები 95
ორ ფეხზე გადაადგილების ევოლუცია....96
ჰომინოიდებიდან ჰომინიდებზე გადასვლა 100
ავსტრალოპითეკი: პირველი აშკარად გამოხატული ჰომინიდი 101
ადამიანის ევოლუციის ერთი მოდელი....109
კულტურის საწყისები და ჰომოს წარმოშობა 111
ადრეული ჰომინიდების იარაღი....113
ადრეული ჰომინიდების ცხოვრების წესი....114
ჰომინიდების ევოლუციის მიმართულებები 118
ადრეული ჰომო 120
ომო ერექტუს....122
ქვედა პალეოლითის კულტურები 126
HOMO SAPIENS-ის წარმოშობა....131
Homo erectus-დან Hhomo sapienს-ზე გადასვლა 132
შუა პალეოლითის კულტურები 137
თანამედროვე ადამიანის წარმოშობა 141

რა დაემართათ ნეანდერტალელებს? 143
ზედა პალეოლითის სამყარო 145
ბოლო გამყინვარების ხანა 146
ზედა პალეოლითის ევროპა 147
აფრიკისა და აზიის ზედა პალეოლითის კულტურები 151
უადრესი ადამიანები და მათი კულტურები ახალ სამყაროში 152
ზედა პალეოლითის დასასრული 157
საკვების წარმოებისა და დასახლებული ცხოვრების დასაწყისი 159
წინასამეურნეო განვითარება 161
მცენარეთა და ცხოველთა მოშინაურება 166
რატომ განვითარდა საჭმლის წარმოება? 172
საკვების წარმოების შედეგები 174
ქალაქებისა და სახელმწიფოების წარმოშობა 178
არქეოლოგიური დასკვნები ცივილიზაციის შესახებ 179
ქალაქები და სახელმწიფოები სამხრეთ ერაყში 180
თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ 186
სახელმწიფოს ფორმირების შედეგები 188
სახელმწიფოთა შემცირება და დაშლა: 188
ადამიანთა ვარიაცია და ადაპტაცია 192
ადამიანის ვარიაციისა და ადაპტაციის პროცესები 193
ფიზიკური ვარიაციები მოსახლეობაში 194
რასა და რასიზმი 201
ადამიანის მომავალი 205
კულტურის არსი 207
კულტურათა შესწავლის ხელისშემშლელი შეხედულებები 210
კულტურული რელატივიზმი 211
კულტურის აღწერა 212
რამდენიმე ვარაუდი კულტურის შესახებ 216
კულტურული ანთროპოლოგიისთეორია და მტკიცებულებები 221
თეორიული მიმართულებები 222
ახსნა 225
რა მიზეზით არის შეუძლებელი თეორიის დამტკიცება? 227
თეორიების შექმნა 228
მტკიცებულება: ახსნათა შემოწმება 229
კულტურული ანთროპოლოგიის კვლევის ტიპები 231
კომუნიკაცია და ენა 237
კომუნიკაცია 238
ენის წარმომავლობა 241
აღწერითი ლინგვისტიკა 243
ისტორიული ლინგვისტიკა 246
ლინგვისტური დივერგენციის /გადახრის პროცესები 249
კავშირი ენასა და კულტურას შორის 250
მეტყველების ეთნოგრაფია 252
საკვების მოპოვება 257
საკვების შეგროვება 258
საკვების წარმოება 261
გარემო პირობებით გამოწვეული შეზღუდვები საკვების მოპოვებისას 268
საკვების წარმოების წარმოშობა, გავრცელება და ინტენსიფიკაცია 270
ეკონომიკური სისტემები 272
რესურსების ადგილმდებარეობა 273
რესურსების გადამუშავება 277
რესურსებისა და მომსახურების განაწილება 282

სოციალური ფენები: ეთნოსი და რასიზმი 291
განსხვავებები სოციალური უთანასწორობის ხარისხებს შორის 292
ეგალიტარული საზოგადოებები....293
რანგობრივი საზოგადოებები 294
კლასობრივი საზოგადოებები....295
რასიზმი და უთანასწორობა 302
ეთნიკურობა და უთანაბრობა 303
სოციალურ ფენათა წარმოშობა....305
სქესი, გენდერი და კულტურა 308
აღნაგობა და ფსიქოლოგია 309
გენდერული როლები....309
შედარებითი თანამონაწილეობა....311
პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ომი 313
ქალის შედარებითი სტატუსი....315
პიროვნული განსხვავებები 317
სექსუალობა....320
ქორწინება და ოჯახი 324
ქორწინება....325
რატომ არის ქორწინება უნივერსალური მოვლენა....326
როგორ ქორწინდებიან ადამიანები 327
ქორწინების შეზღუდვა: ინცესტის ტაბუ....330
ვისზე უდნა დავქორწინდეთ?....333
რამდენ ქორწინებაში უნდა იყოს ადამიანი? 336
ოჯახი....338
ცოლ-ქმრის საცხოვრებელი და სანათესაო 342
ცოლ-ქმრის საცხოვრებლის მახასიათებლები 343
საცხოვრებლის მიხედვით არსებული განსხვავებების ახსნა 344
სანათესაოს სტრუქტურა 347
ბილატერალური ნათესაობა....348
უნილინეარული შთამომავლობა....349
ამბილინეარული სისტემები 356
ნათესაობის ამსახველი ტერმინოლოგია....356
გაერთიანებები და ინტერესთა ჯგუფები....360
არანებაყოფლობითი გაერთიანებები 361
ნებაყოფლობითი გაერთიანებები....365
გაერთიანებათა შორის არსებული სხვაობების ახსნა 372
პოლიტიკური ცხოვრება: საზოგადოებრივი წესრიგი და უწესრიგობა....374
პოლიტიკური ოგანიზაციის ტიპების ვარიაციები 375
სახელმწიფოებრივი საზოგადოებებისგავრცელება....382
ცვლილება პოლიტიკურ პროცესში....383
კონფლიქტის გადაწყვეტა 385
ფსიქოლოგია და კულტურა....394
ფსიქოლოგიური განვითარების უნივერსალობა....395
კროსკულტურული ვარიაციები ფსიქოლოგიურ მახასიათებლებში 397
კულტურული ვარიაციების ფსიქოლოგიური ახსნა....407
რელიგია და მაგია 411
რელიგიის უნივერსალურობა....412
ვარიაციები რელიგიურ აღმსარებლობაში....414
პრაქტიკული რელიგიის ვარიაციები 417
რელიგია და ადაპტაცია 420
ხელოვნება 425
სხეულის დეკორაციები და მორთულობა....426

ხელოვნებაში ვარიაციების ახსნა 427
სხვა კულტურების ხელოვნების მიმოხილვა 435
ხელოვნების ცვლილება და კულტურების ურთიერთობა 436
კულტურის ცვლილება და გლობალიზაცია 438
როგორ და რატომ იცვლება კულტურები 439
კულტურის ცვლილება და ადაპტაცია 445
კულტურის ცვლილების ტიპები თანამედროვე მსოფლიოში 447
გლობალიზაცია: პრობლემები და შესაძლებლობები 452
ეთნოგენეზისი: ახალ კულტურათა წარმოშობა 453
კულტურათა მრავალფეროვნება მომავალში 455
გამოყენებითი და პრაქტიკული ანთროპოლოგია 458
ანთროპოლოგიის გამოყენებისა და პრაქტიკის მოტივები 461
გამოყენების ისტორია და ტიპები 461
გამოყენებითი ანთროპოლოგიის ეთიკა 462
დაგეგმილი ცვლილების ეფექტთა შეფასება 463
სირთულეები დაგეგმილი ცვლილების დანერგვაში 464
კულტურული რესურსების მენეჯმენტი 467
სასამართლო ანთროპოლოგია 468
გამოყენებითი და პრაქტიკული ანთროპოლოგია 470
ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის კულტურული გაგება 471
დაავადებათა მკურნალობა 473
ჯანმრთელობაზე პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა 476
ჯამრთელობის მდგომარეობა და დაავადებები 477
გლობალური სოციალური პრობლემები თავის შინაარსი 484
ბუნებრივი კატასტროფები და შიმშილი 485
არაადეკვატური საცხოვრებელი და უსახლკარობა 486
ოჯახური ძალადობა და დამცირება 489
დანაშაული 491
ომი 492
ტერორიზმი 495
მსოფლიოს გაუმჯობესების გზაზე 497

შესავალი

„ანთროპოლოგიის“ წინამდებარე გამოცემაში, ძველი გამოცემებისაგან განსხვავებით, დავამატეთ ჩარჩოში მოთავსებული სტატიების ახალი ციკლი „ანთროპოლოგიური პირველწყაროები“. წიგნის თითოეულ თავს დაერთვის სპეციალურად სტუდენტებისთვის გამიზნული თითო ორიგინალური სტატია. მათი უმეტესობა ამოღებულია სერიიდან “კულტურათა პორტრეტები — ეთნოგრაფიის პირველწყაროები“. გვსურს, სტუდენტებმა დაინახონ არა მხოლოდ ის, თუ როგორ იცვლებიან კულტურები, არამედ ისიც, თუ როგორ იცვლებიან თავად ეთნოგრაფები. სერიების მეორე რიგი, „ანთროპოლოგიური კვლევის საზღვრები მოგვითხრობს, როგორ იკვლევდნენ ანთროპოლოგები სხვადასხვა პრობლემას. ბოლო სერია „კულტურათა შედარებითი კვლევა სოციოლოგიაში“, კულტურულ ერთეულებსა და მათ ცვალებადობას ეხება.

ადამიანის ევოლუციისადმი მიძღვნილ თავში საუბარია აღმოსავლეთ ევროპაში ნაპოვნი ადრეული ჰომინიდებისა და ევრაზიაში აღმოჩენილი ადამიანთა შედარებით გვიანდელი წინაპრების შესახებ. დამატებულია, აგრეთვე, ახალი ქვეთავები მიტოქონდრიული დნმ-ის გამოკვლევებისა და ქრომოსომის ცვალებადობის თაობაზე. კულტურასთან დაკავშირებულ თავებში შეტანილ ცვლილებათა უმეტესობა ვრცლად განიხილავს გლობალიზაციას და მის შედეგებს (იხ. თავი 27, “კულტურათა ცვალებადობა და გლობალიზაცია“). შესულია ასევე ახალი ქვეთავი ტერორიზმთან დაკავშირებით, რომელიც შეტანილია თავში გლობალური სოციალური პრობლემების შესახებ. წიგნში შეტანილი სხვა ცვლილებები განხილულია ქვემოთ, თითოეული თავის მოკლე აღწერაში.

წიგნის განახლებისას, როგორც ყოველთვის, შევეცადეთ უბრალო აღწერილობაზე მეტი გაგვეკეთებინა. ჩვენ არა მხოლოდ ის გვაინტერესებს, რას წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ ადამიანები, არამედ ისიც, თუ რატომ გახდნენ ისეთები, როგორებიც დღეს არიან, მათი მრავალფეროვნების გათვალისწინებით. როდესაც განსხვავებული მოსაზრებები გვხვდება, ვცდილობთ ლოგიკურად შევაფასოთ ისინი არსებული მონაცემების საფუძველზე. ამ წიგნის საშუალებით ვეცადეთ გვეთქვა, რომ არავითარი აზრი, თუნდაც სახელმძღვანელოებში მოცემული, არ შეიძლება გავიზიაროთ ექსპერიმენტის გარეშე, რომელმაც შეიძლება სრულიად განსხვავებული შედეგი მოგვცეს.

თავების მიმოხილვა

ნაწილი I: შესავალი

თავი I: რა არის ანთროპოლოგია?

I თავი სტუდენტებს აცნობს ანთროპოლოგიის საფუძვლებს. ჩვენ განვიხილავთ ჩვენს მოსაზრებებს როგორც ზოგადად ანთროპოლოგიის, ასევე მისი თითოეული სფეროს შესახებ. გიჩვენებთ, როგორ უკავშირდება ისინი ისეთ სამეცნიერო დარგებს, როგორიცაა ბიოლოგია, ფსიქოლოგია და სოციოლოგია; მივმართავთ თქვენს ყურადღებას პრაქტიკული ანთროპოლოგიის მზარდი მნიშვნელობისკენ. თავში არის ოთხი ჩარჩო: პირველ სამში გაეცნობით ანთროპოლოგის რომელიმე ნაშრომს; მეოთხეში კი - სტატიებს ახალი ციკლიდან “ანთროპოლოგიური პირველწყაროები“.

თავი 2: როგორ ვპოულობთ წარსულს

ამ თავში მიმოხილულია არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური გამოკვლევები. განვიხილავთ აღმოჩენილი მასალის სხვადასხვა ტიპს, რომელთაც არქეოლოგები და პალეონტოლოგები წარსულის აღსადგენად იყენებენ მეთოდებს, რომლებითაც ისინი ამ მასალას მოიპოვებენ, აანალიზებენ და განმარტავენ. აქვე აღვწერთ უამრავ ტექნოლოგიას. მათი საშუალებით არქეოლოგები და პალეონტოლოგები განსაზღვრავენ არქეოლოგიურ მონაპოვართა და ბიოლოგიურ განმარხებულ სახეობათა ასაკს. სამი ტიპის ჩარჩოთაგან პირველში განხილულია კულტურული ევოლუციის სწორხაზოვანი მიმართულების დამადასტურებელი ნიმუშები; მეორეში განმარტებულია, როგორ იძიებენ სქესს არქეოლოგები, ახალ ჩარჩოში კი მოთავსებულია ინფორმაცია არქეოლოგების მიერ უძველესი ხალხების რწმენის შესწავლის თაობაზე.

ნაწილი II: ადამიანის ევოლუცია: ბიოლოგიური და კულტურული

თავი 3: გენეტიკა და ევოლუცია

ამ თავში განხილულია ევოლუციის თეორია და მისი როლი ყოველი ცოცხალი ორგანიზმის განვითარებაში (ადამიანის ჩათვლით). გენეტიკისა და ევოლუციის პროცესის ვრცელი მიმოხილვის შემდეგ (ბუნებრივი გადარჩევის ჩათვლით) განვიხილავთ, როგორ მოქმედებს ბუნებრივი გადარჩევა ინდივიდების ქცევაზე და რით განსხვავდება კულტურული ევოლუცია ბიოლოგიურისაგან. გავითვალისწინეთ ეთიკური პრობლემებიც, რომელთაც გენური ინჟინერიის შესაძლებლობები წარმოშობდა. პირველ ჩარჩოში საუბარია მაგალითებზე, რომლებიც ადასტურებს, რომ ევოლუცია მიმდინარეობს უფრო წყვეტილად (ნახტომისებურად), ვიდრე ნელა და თანაბრად. მეორე ჩარჩოში ვმსჯელობთ, წარმოადგენს თუ არა საფრთხეს გენური ინჟინერია, ხოლო მესამე, ახალ ჩარჩოში დასმულია ორგანიზმებსა და სახეობებში გენეტიკური ცვლილებების ფენოტიპურ ცვლილებებთან კავშირის პრობლემა.

თავი 4: თანამედროვე პრიმატები

ამ თავში განხილულია თანამედროვე პრიმატები (ადამიანის გარდა) და მათი ცვალებადი ადაპტაცია, როგორც საფუძველი ზოგადად პრიმატებისა და კერძოდ, ადამიანის ევოლუციის გააზრებისთვის. მას შემდეგ, რაც დავამთავრებთ პრიმატების სახეობათა აღწერას, განვიხილავთ,

როგორ განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან სხეულისა და ტვინის ზომით, სოციალური ჯგუფების სიდიდით და მდედრი პრიმატების სექსუალობით. ვიმსჯელებთ, აგრეთვე, იმ ნიშნებზე, რომლებიც განასხვავებს ადამიანებს სხვა პრიმატებისგან. პირველ ჩარჩოში საუბარია იმაზე, თუ როგორ და რატომ ემუქრება გაქრობა მრავალ პრიმატს და როგორ შეიძლება მათი დაცვა. მეორე ჩარჩოში მოთხრობილია მეცნიერი პრიმატოლოგისა და მისი ნაშრომების შესახებ. ახალ, მესამე ჩარჩოში წარმოდგენილია, რატომ არიან პრიმატები ასეთი ჭკვიანები სხვა ცხოველებთან შედარებით.

თავი 5: პრიმატების ევოლუცია: ადრეული პრიმატებიდან ჰომინიდებამდე

ეს თავი იწყება ადრეული პრიმატების გამოჩენიდან და მთავრდება ჩვენთვის ცნობილი ინფორმაციით მიოცენის ადამიანის მსგავსი მაიმუნების შესახებ, რომელთაგან ერთ-ერთი, სავარაუდოდ, ორფეხა ჰომინიდის წინაპარი უნდა ყოფილიყო. პრიმატის განვითარების ძირითად ტენდენციებს ჩვენ მასშტაბურ ეკოლოგიურ ცვლილებებს ვუკავშირებთ, რომლებმაც სავარაუდოდ, ბუნებრივი გადარჩევის პროცესში ახალი ნიშან-თვისებების ჩამოყალიბებამ გამოიწვია. იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ, როგორ ხდება თეორიის წარმოშობა და გადამოწმება, პირველ ჩარჩოში ნაჩვენებია, თუ როგორ გადაამოწმა ერთმა პალეონტოლოგმა საკუთარი თეორია პრიმატების წარმოშობის შესახებ. მეორე ჩარჩოში აღწერილია პირველი ადამიანის თანამედროვე გიგანტური ადამიანის მსგავსი მაიმუნები და მათი გადაშენების მიზეზები. მესამე, ახალ ჩარჩოში მოცემულია მიოცენური ადამიანის მსგავსი მაიმუნების თანამედროვე გამოკვლევა.

თავი 6: პირველი ჰომინიდები

ამ თავში მოთხრობილია ორ ფეხზე გადაადგილება, რაც იმ ჯგუფის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია, რომელსაც მივეკუთვნებით როგორც ჩვენ, ასევე ჩვენი პირდაპირი წინაპრები – ავსტრალოპითეკები. ამ გამოცემაში შეტანილია ახალი მონაცემები რამდენიმე სახეობის ანუ ტაქსონის შესახებ, რომლებიც გამოვლინდა ჩვენი ბოლო გამოცემის გამოქვეყნების შემდეგ. ამ ახალმა აღმოჩენებმა, შეიძლება, მთლიანად შეცვალოს ჩვენი წარმოდგენა ადამიანის ევოლუციის ადრეული პერიოდის შესახებ. ჩვენ განვიხილავთ, აგრეთვე ავსტრალოპითეკების კარგად ცნობილ ტიპებს და მათი ევოლუციის საკითხს. ამ თავში ოთხი ჩარჩოა. პირველ ორში მოცემულია ავსტრალოპითეკების ახალი აღმოჩენები და ის, თუ როგორ შეესაბამება ეს აღმოჩენები ადამიანის ევოლუციის შესახებ თანამედროვე წარმოდგენას. მესამე ჩარჩოში აღწერილია ტექნიკური და კლადისტური ანალიზები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება პალეონტოლოგების მიერ ევოლუციური ურთიერთობების რუკის შესადგენად. მეოთხე, ახალი ჩარჩო განიხილავს Australopithecus afarensis-ს და მის ადგილს ადამიანის ევოლუციაში.

თავი 7: კულტურის საწყისები და Homo-ს წარმოშობა

ამ თავში მოთხრობილია კულტურული საქმიანობის პირველი თვალსაჩინო მაგალითების – ქვის იარაღებისა და სხვა საგნების შესახებ, რომლებიც მოწმობს, რომ ადრეულმა ჰომინიდებმა კულტურული განვითარება დაახლოებით 2-ნახევარი მილიონი წლის წინ დაიწყეს. ჩვენ ვიმსჯელებთ კულტურის რაობასა და მის განვითარებაზე. შემდეგ ვისაუბრებთ ჰომინიდებზე – ჩვენი სახეობის პირველ წარმომადგენლებზე, Homo-ზე – რომელსაც მიაწერენ კულტურული საქმიანობის ადრეულ ნიშნებს, განვიხილავთ Homo erectus-ს (წელგამართულ ადამიანს) - პირველ ჰომინიდს, რომელმაც დატოვა აფრიკა და პირველმა გამოავლინა რთული კულტურული ქცევა. ამ გამოცემაში ვრცლად ვმსჯელობთ იმის შესახებ, თუ როდის და რატომ დატოვა აფრიკა Homo erectus-მა. პირველ ჩარჩოში განმარტებულია, როგორ განასხვავებენ არქეოლოგები ქვის იარაღებს უბრალო ქვებისგან. მეორე ჩარჩოში განიხილება ტვინის ევოლუცია და ის ფიზიკური ცვლილებები ადამიანის ორგანიზმში, რომლებიც ტვინს გაზრდის საშუალებას აძლევს. მესამე ჩარჩოში მოცემული გამოკვლევა ამტკიცებს, რომ Homo erectus ორ სახეობად უნდა დაიყოს. მეოთხე, ახალ ჩარჩოში განიხილება თანამედროვე შიმპანზეების ნადირობა, როგორც ადრეული ადამიანების ნადირობის მოდელი.

თავი III: თანამედროვე ადამიანები

თავი 8: Homo sapiens-ის წარმოშობა

ამ თავში განხილულია Homo ereqtus — წელგამართული ადამიანის გარდაქმნა Homo sapiens (გონიერ ადამიანად) და თანამედროვე ფიზიკური ტიპის ადამიანის წარმოშობა. ჩვენი გლობალური ორიენტაციის შესაბამისად, განვიხილავთ როგორც პალეონტოლოგიურ, ისე არქეოლოგიურ მასალას არა მხოლოდ ევროპიდან და ახლო აღმოსავლეთიდან, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილიდან. განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ნეანდერტალელ ადამიანს და მის დამოკიდებულებას თანამედროვე ადამიანთან.

ამ გამოცემაში ვმსჯელობთ ქრომოსომების კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შესახებ. გამოკვლევის მიხედვით (ისევე როგორც მიტოქონდრიული დნმ-ის მონაცემების შესახებ კვლევის შემთხვევაში), ვვარაუდობთ, რომ ნეანდერტალელები არ იყვნენ ჩვენი წინაპრები. განვიხილავთ, აგრეთვე ნეანდერტალელთა რიტუალურ ქცევებს, რომლებიც მათი ადამიანურობის შესახებ ეჭვს ბადებს, თუმცა მათ ჩვენს პირდაპირ წინაპრებად არ მივიჩნევთ. ერთ ჩარჩოში განხილულია ნეანდერტალელთა ზრდისა და განვითარების კანონზომიერება, მათი ჩვილობის პერიოდის ხანგრძლივობის დადგენის მიზნით. მეორე, ახალ ჩარჩოში, აღწერილია, როგორ შეიძლება თანამედროვე ადამიანის „აფრიკული“ წარმომავლობის თეორიის შემოწმება.

თავი 9: სამყარო ზედა პალეოლითის პერიოდში

ამ თავში განხილულია თანამედროვე ადამიანის კულტურული საქმიანობა მიწათმოქმედების განვითარებამდე – დაახლოებით 40000-10000 წლის წინ. შევისწავლით მათ იარაღს, მეურნეობასა და ხელოვნებას – ადამიანის შემოქმედების პირველ ნიმუშებს. გარდა ამისა, ვიმსჯელებთ ადამიანის მიერ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტების კოლონიზაციასა და იმ გავლენაზე, რომელიც მათ ახალ გარემო პირობებზე მოახდინეს. პირველ ჩარჩოში მოთხრობილია, როგორ გამოსახავდნენ ქალს ზედა პალეოლითის პერიოდში. მეორე ჩარჩო შეისწავლის სავარაუდო გზებს, რომლებითაც შესაძლოა, ადამიანები ამერიკაში მოხვედრილიყვნენ. მესამე, ახალ ჩარჩოში,

აღწერილია, თუ რა შეიტყვეს არქეოლოგებმა ქვის იარაღების შესწავლის შედეგად.

თავი 10: საკვების დამზადებისა და ერთ ადგილას დამკვიდრების დაწყება

ამ თავში მოთხრობილია მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში შემგროვებლობისა და ერთ ადგილას დამკვიდრების, ადამიანის მიერ მცენარეების გაშენებისა და ცხოველების მოშინაურების შესახებ. ჩვენი მსჯელობის მთავარი საგანი იქნება ამ მოვლენების განვითარების მიზეზები და შედეგები მეზოამერიკასა და ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ განვიხილავთ, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, აფრიკას, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკასა და ევროპას. პირველ ჩარჩოში აღწერილია ძაღლებისა და კატების მოშინაურება, მეორეში – ახალი გამოკვლევები უძველესი ადამიანის კვების რაციონის შესახებ, რომელიც ძვლებისა და კბილების ქიმიურ ანალიზს ემყარება. მესამე, ახალი ჩარჩო, იკვლევს ადამიანის ჯანმრთელობაში მომხდარ ცვლილებებს, რაც, შესაძლოა, სოფლის მეურნეობის შემოღებით იყო გამოწვეული.

თავი 11: ქალაქებისა და სახელმწიფოების წარმოშობა

ამ თავში საუბარია მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ცივილიზაციის განვითარებასა და იმ თეორიებზე, რომლებიც განმარტავენ სახელმწიფოს ტიპის პოლიტიკური სისტემების წარმოშობას. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ქალაქებისა და სახელმწიფოების ევოლუციაზე მეზოამერიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ჩინეთსა და აფრიკაში. ვმსჯელობთ იმაზე, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენენ სახელმწიფოები იქ მცხოვრებ ადამიანებსა და მათ გარემომცველ ბუნებაზე. დასასრულ, მოგითხრობთ სახელმწოფოების დაცემასა და განადგურებაზე. ერთ ჩარჩოში მოთხრობილია უძველესი იმპერიალიზმის ზემოქმედება ქალთა მდგომარეობაზე. მეორე ჩარჩო არკვევს კავშირს იმპერიალიზმს, კოლონიალიზმსა და სახელმწიფოს შორის; მესამე კი განიხილავს ურბანიზაციას და მის მნიშვნელობას.

თავი 12: ადამიანთა ცვალებადობა და ადაპტაცია

ამ თავში განხილულია ადამიანის ბიოლოგიური და კულტურული ევოლუცია დღემდე, მიმდინარე ცვლილებები თანამედროვე ადამიანთა პოპულაციებში და ის, თუ როგორ შეისწავლიან და ხსნიან ანთროპოლოგები ასეთ ცვლილებებს. ვნახავთ, რა გავლენას ახდენს მატერიალური და კულტურული გარემო ადამიანის ფიზიკურ ცვლილებებზე. ქვეთავში რასებისა და რასიზმის შესახებ გაგაცნობთ, რატომ თვლის მრავალი ანთროპოლოგი, რომ „რასობრივი“ კონცეფცია ადამიანებთან მიმართებაში მეცნიერულად გამართლებული არ არის. ვიმსჯელებთ მითზე რასიზმის შესახებ და იმაზე, რომ ადამიანებში „რასა“, უწინარესად, სოციალური ცნებაა. პირველი ჩარჩო ეხება ბიოლოგიურ ფაქტორებს — ისინი ზემოქმედებენ შთამომავლობის რაოდენობაზე. მეორე ჩარჩოში მოთავსებულია სხვაობები საშუალო I მონაცემებს შორის და მათი მნიშვნელობა. მესამე, ახალ ჩარჩოში განსაზღვრულია სიმაღლეს სხვადასხვაობის განმაპირობებელი ფაქტორები.

ნაწილი IV: კულტურული ცვლილებები

შემდგომი თავების უმეტესობაში ეთნოგრაფიული მაგალითების მეშვეობით შევეცდებით წარმოვადგინოთ კულტურული ცვლილებები მსოფლიოს მასშტაბით; სადაც შესაძლებელია, ავხსნათ, რატომ ემსგავსება ან განსხვავდება ერთმანეთისგან სხვადასხვა საზოგადოება კულტურის ზოგიერთ ასპექტში.

თავი 13: კულტურის არსი

ეს თავი გაგვაცნობს კულტურის არსს. ქვეთავი კულტურული რელატივიზმის შესახებ კულტურის კონცეფციას ისტორიულ კონტექსტში ათავსებს და განიხილავს უახლეს მოსაზრებებს ამ საკითხზე. ჩვენ ვიმსჯელებთ იმაზე, რომ ინდივიდის ქცევა ყველა საზოგადოებაში ცვალებადია და რომ ამან შეიძლება ახალი კულტურული კანონზომიერებების პროტოტიპებს ჩაუყაროს საფუძველი. პირველი, ახალი ჩარჩო, აღწერს ერთ-ერთი ეთნოგრაფის თავდაპირველ შოკს, როდესაც აღმოაჩინა, რომ ერთი სქესის ადამიანების ერთმანეთის მიმართ ლტოლვას მის გამოსაკვლევ ტერიტორიაზე სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ჩრდილო ამერიკაში. მეორე ჩარჩოში ვმსჯელობთ, არიან თუ არა დასავლური ქვეყნები ეთნოცენტრისტულები (ნაციონალისტურები) ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებში. მესამე ჩარჩოში მოცემულია პრაქტიკოსი ანთროპოლოგის აზრი, თუ რატომ ვერ ეგუებიან ბედუინები ერთ ადგილას ცხოვრებას.

თავი 14: კულტურული ანთროპოლოგიის თეორია და მტკიცებულებები

ამ თავში, უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ იმ თეორიულ მიმართულებებს, რომლებიც კვლავ პოპულარულია კულტურულ ანთროპოლოგიაში. მიმოვიხილავთ კულტურული ანთროპოლოგიის ძირითად დარგებს: ეთნოგრაფიას, ეთნოისტორიას და შიდა-კულტურულ, რეგიონულ თუ მსოფლიოს სხადასხვა კულტურათა შედარებებს. მოგაწვდით ვრცელ გამოკვლევას საველე სამუშაოების შესახებ და წარმოგიდგენთ, როგორ არჩევს ეთნოგრაფი ინფორმაციის წყაროებს კულტურაში უფრო ღრმად ჩასაწვდომად. პირველი ჩარჩო იკვლევს განსხვავებებს მეცნიერულსა და ჰუმანისტურ წარმოდგენებს შორის და გვიჩვენებს, რომ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა სინამდვილეში მათ შეუთავსებლობას არ ნიშნავს. მეორე ჩარჩოში ახალი გვინეის აბელამების გამოკვლევის საგანი იმის საილუსტრაციოდ არის გამოყენებული, რომ განსხვავებული თეორიული მიმართულებები განსხვავებულ პასუხებს მოითხოვენ. მესამე ჩარჩოს ორი მიზანი აქვს: ერთია, შექმნას საველე მუშაობის შთაბეჭდილება, მეორე – გამოიყენოს მიდ-ფრიმენის დისკუსია, კამათი, თუ როგორ შევამოწმოთ ეთნოგრაფის დაკვირვების სიზუსტე. უკანასკნელი, ახალი ჩარჩო აღწერს, თუ როგორ ატარებდა ერთ-ერთი ეთნოგრაფი ისტორიულ გამოკვლევას ნიკარაგუას მისკიტოზე.

თავი 15: კომუნიკაცია და ენა

თავი იწყება ადამიანებისა და სხვა ცხოველების კომუნიკაციის განხილვით. ადამიანთა შორის არავერბალურ კომუნიკაციაზე საუბრის შემდეგ აღვწერთ აზრთა სხვადასხვაობას ადამიანებისა და პრიმატების განსხვავებ-

ული ენობრივი შესაძლებლობების შესახებ. ვიმსჯელებთ ენების წარმოშობისა და იმის თაობაზე, თუ როგორ შეუძლია დაგვეხმაროს კრეოლებისა და ბავშვების ლაპარაკის შესწავლაზე დაკვირვება ენების წარმოშობის გაგებაში. შემდეგ გადავინაცვლებთ აღწერილობით ლინგვისტიკასა და ლინგვისტური დივერგენციის პროცესზე. ენისა და კულტურის სხვა ასპექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების განხილვის შემდეგ, დასკვნით ნაწილში განვიხილავთ საუბრის ეთნოგრაფიას და სტატუსით, სქესითა და ეთნიკური ნიშნით განპირობებულ განსხვავებას მეტყველებაში. ვრცლად ვსაუბრობთ ეთნოსთაშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის შესახებ და გიჩვენებთ, როგორ შეუძლიათ ლინგვისტებს დაეხმარონ ადამიანებს კულტურათაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებაში. პირველი, ახალი ჩარჩო, ჰაიტელ კრეოლებს ეხება. მეორე წარმოაჩენს ენების გაქრობის პრობლემას. აზროვნებაზე ენის შესაძლო ზეგავლენის გამოსაკვლევად, მესამე ჩარჩოში დასმულია კითხვა, უწყობს თუ არა ხელს ინგლისური ენა ქალთმოძულეობის იდეას.

თავი 16: საკვების მოპოვება

მე-16 თავში აღწერილია, თუ როგორ იცვლება საზოგადოება საკვების მოპოვების თვალსაზრისით, როგორ შეიცვალა იგი დროთა განმავლობაში და როგორ მოქმედებს ეს ცვლილებები კულტურული ცვლილებების სხვა ტიპებზე, როგორიცაა, მაგალითად, ეკონომიკური სისტემის ცვლილება, სოციალური ფენები და პოლიტიკური ცხოვრება. აქ ვმსჯელობთ, აგრეთვე "ბაზრის მეფურაჟეებზე" (საკვების მომპოვებელი), რათა გამოიკვეთოს, რომ ადამიანთა უმრავლესობა, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თავად არ ქმნის საკვებ პროდუქციას. პირველ ჩარჩოში განხილულია ცვლილება, რომელიც მოხდა "მონადირე მამაკაციდან" "შემგროვებელ ქალზე" გადასვლისას.

საყოველთაოდ მიღებული აზრით, გარემომცველ ბუნებაში მომხდარი ცვლილებები ინდუსტრიალიზაციით არის გამოწვეული, მაგრამ გარემოს ბევრი რამ დაუშავდა წინაინდუსტრიულ ხანაში ირიგაციისგან, საქონლის უსისტემო ძოვისა და უზომო ნადირობისგან. ამის შესახებ საუბარია თავის მეორე ნაწილში. ჩვენს მესამე, ახალ ჩარჩოში განხილულია, როგორ მოხდა ჰანშუის ჩინელების შეგუება გარემო პირობებთან უფრო მშრალ ტერიტორიებზე გადასვლით, სადაც მესაქონლეობისათვის უკეთესი პირობები იყო.

თავი 17: ეკონომიკური სისტემები

მე-17 თავში განხილულია, როგორ იცვლებიან საზოგადოებები რესურსების განაწილების თვალსაზრისით (რა არის "საკუთრება" და რას ნიშნავს ,,მფლობელობა''), როგორ გარდაქმნიან შრომის შედეგად რესურსებს საჭირო საქონლად, როგორ ანაწილებენ შრომას. ჩვენ განვავრცეთ და განვაახლეთ მესაქონლეთა მიერ მიწის გამოყენების თემა, განვიხილეთ პოლიტიკური სისტემების (კოლონიალიზმის ჩათვლით) გავლენა მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, განვავრცეთ საკვების განაწილების თემაც. ვმსჯელობთ, თუ რატომ ხდება, რომ ზოგიერთ მეფურაჟე საზოგადოებაში ბავშვთა შრომა უფრო მეტად გამოიყენება, ვიდრე სხვაგან. პირველ ჩარჩოში განიხილება ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები იმის შესახებ, იწვევს თუ არა საზოგადოებრივი საკუთრება ეკონომიკურ კრიზისს. მეორე, ახალ ჩარჩოში მოთხრობილია შრომის განაწილების შესახებ იანომამოთა შორის. ამაზონის აუზში ტყის განადგურების მაგალითით მესამე ჩარჩო გვიჩვენებს მსოფლიო სისტემის გავლენას ლოკალურ ეკონომიკებზე.

თავი 18: სოციალური ფენები: კლასი, ეთნოსი და რასიზმი

ამ თავში განიხილება ცვლილებები სოციალურ ფენებში და სოციალური უთანასწორობის სხვადასხვა ფორმების განვითარება. მოგითხრობთ, რა არის რასიზმი, ეთნიკური კუთვნილება და როგორ უკავშირდება ისინი ხშირად რესურსების უსამართლო გადანაწილებას. ამ თავში დავამატეთ ახალი მასალა იმის საჩვენებლად, თუ რა სამუშაოს ატარებენ თანასწორობისთვის მებრძოლი საზოგადოებები დომინირების შესაჩერებლად და პირიქით, არის თუ არა მესაქონლე საზოგადოებები, სადაც პირუტყვზე პირადი საკუთრება თანაბარია, თანასწორუფლებიანობის მომხრე. ყურადღებით შევამოწმეთ ჩარჩოებიც და ტექსტიც, რათა უახლესი ინფორმაცია მოგვეწოდებინა არსებული უთანასწორობის შესახებ როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე მთელ მსოფლიოში. პირველ, ახალ ჩარჩოში, მოთხრობილია სოციალური ფენების შესახებ ფურაჟულ (შემგროვებლურ) საზოგადოებაში – ტლინგიტებში, სამხრეთ ალასკაზე. მეორე ჩარჩოში აღწერილია სოციალური ფენების წარმოშობა გლობალური მასშტაბით – როგორ იზრდება უფსკრული მდიდარსა და ღარიბ ქვეყნებს შორის და რა უწყობს ხელს ამ ტენდენციას. მესამე ჩარჩოში განხილულია ის შესაძლო მიზეზები, რომლებიც იწვევს რაოდენობრივ განსხვავებას ავადმყოფობით სიკვდილიანობაში აფრიკელ ამერიკელებსა და ევროპელ ამერიკელებს შორის.

თავი 19: სქესობრივი ურთიერთობა, სქესი და კულტურა

მე-19 თავის პირველ ნაწილში, სხვადასხვა კულტურათა შედარებების საფუძველზე, ვიმსჯელეთ სქესობრივ ურთიერთობებსა და სქესთა შორის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ცვალებადობის მიზეზებზე, მეორე ნაწილში კი ცვლილებებზე სექსუალურ ურთიერთობათა მიმართ დამოკიდებულებასა და წეს-ჩვეულებებზე. ავხსენით, რომ შეხედულება სქესზე ყოველთვის ორ სქესს არ გულისხმობს. გამოვყავით შრომის პროცესში ქალის მონაწილეობის ყველა ასპექტი და აღვნიშნეთ, როგორ განისაზღვრება სქესის მიხედვით "შრომაში" შეტანილი წვლილი. შევიტანეთ ახალი მასალა ქალთა მონადირეობისა და მისი გავლენის შესახებ შრომის განაწილების თეორიაზე. პირველ ჩარჩოში სხვადასხვა კულტურათა მაგალითზე განვიხილეთ, რატომ აძლევენ ზოგიერთ საზოგადოებაში ქალებს ბრძოლაში მონაწილეობის უფლებას. მეორე ჩარჩოში მოთხრობილია ვაშინგტონის შტატისა და ბრიტანული კოლუმბიის ზოგიერთ საზოგადოებრივ გაერთიანებაში ქალთა პოლიტიკური აქტივობის ზრდა საბჭოების არჩევის შემდეგ. ახალი ჩარჩო აღწერს ანდებში მცხოვრები მეტისების წარმოდგენას იმის შესახებ, რომ გოგონების ხანგრძლივად კვება ძუძუთი მავნებელია. სხვათა შორის, ითვლება, რომ ძუძუთი ხანგრძლივად კვება ზრდის სექსუალობას, ხოლო ხანმოკლე კვებას სხვა შედეგები მოჰყვება, მაგალითად, მაღალი სიკვდილიანობა ჩვილებში.

თავი 20: ქორწინება და ოჯახი

მას შემდეგ, რაც განვიხილავთ სხვადასხვა თეორიას იმის შესახებ, რატომ არის ქორწინება საყოველთაოდ

მიღებული, გადავინაცვლებთ ქორწინებების განსხვავებულ წეს-ჩვეულებებზე, აკრძალვებზე, მეუღლის არჩევასა და მეუღლეთა რაოდენობაზე. თავი ოჯახის სხვადასხვა ფორმათა მიმოხილვით მთავრდება. ახალი გამოკვლევა ეხება იმას, თუ რატომ არის საცოლეთა ფასი განსხვავებული, რა კავშირია მოსახლეობის სიმჭიდროვესა და მანძილს დასაქორწინებელ პირებს შორის. ქალთა მდგომარეობიდან გამომდინარე, გავაშუქეთ მრავალცოლიანობის საკითხი. ახალი ჩარჩო მიკრონეზიელ იაპებს ეხება და მათ მაგალითზე გადმოგვცემს ზოგიერთი საზოგადოების თვალსაზრისს ქორწინების ცერემონიის უსარგებლობაზე. მეორე, განახლებული ჩარჩო იკვლევს ცოლ-ქმრის ურთიერთობას: აღწერს განსხვავებებს სიყვარულში, ინტიმურობასა და სექსუალური ეჭვიანობის ფორმებში. მესამე ჩარჩოში, რომელიც ოჯახის ორგანიზებას ეხება, განხილულია საკითხი, თუ რატომ იზრდება ისეთ ქვეყნებში, როგორიც ჩვენია (ამერიკა), ერთმშობლიანი ოჯახების რაოდენობა.

თავი 21: ოჯახის საცხოვრებელი და ნათესაობა

ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაში ჩასაწვდომად განსაკუთრებული მნიშვნელობა მათ საცხოვრებელს ენიჭება. ერთ-ერთ ჩარჩოში მოცემულია მსჯელობა ახალმოსახლეობასა და მოზარდთა წინააღმდეგობას შორის შესაძლო კავშირის არსებობის შესახებ. მეორე ჩარჩო ეხება იმას, თუ როგორ მოქმედებს საცხოვრებელი ადგილისა და ნათესაობის გამოცვლა ქალების ცხოვრებაზე. მესამე, ახალი ჩარჩო გვაცნობს დედის ძმის როლს ჩეროკის ინდიელებში, რომლებიც აშშ-ს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ.

თავი 22: ასოციაციები და საერთო ინტერესთა მქონე ჯგუფები

აქ ვმსჯელობთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ასოციაციების, კერძოდ, ნებაყოფლობითი ასოციაციების შესახებ, რომელთა რიცხვი განუხრელად იზრდება. ერთი ქვეთავი ეხება პერიოდულ საკრედიტო ასოციაციებს და მათი მუშაობის პრინციპს — როგორ აწვდიან ისინი დიდ თანხას გარკვეულ პირებს, როგორი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამას ქალებისთვის და რამდენად უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ ისინი საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას. პირველი ჩარჩო პასუხობს კითხვას, თუ რამდენად ახერხებს ქალთა ორგანიზაციები მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას და ძალაუფლების ზრდას. მეორე ჩარჩოში მოცემულია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ წარმოიშვა ქუჩის ბანდები და რატომ მიმართავენ ისინი ზოგჯერ ძალადობას. ბოლო, ახალი ჩარჩო განიხილავს ეთნიკური ასოციაციების როლს ჩრდილოეთ ამერიკის ჩაინათაუნებში (ჩინურ უბნებში).

თავი 23: პოლიტიკური ცხოვრება: სოციალური წესრიგი და უწესრიგობა

ჩვენ ვაკვირდებით, რამდენად განსხვავდებიან საზოგადოებები ერთმანეთისგან პოლიტიკური ორგანიზაციის დონით, იმ გზებს, რომელთა საშუალებითაც ადამიანები ლიდერები ხდებიან, იმას, თუ რამდენად მონაწილეობენ ისინი პოლიტიკურ პროცესებში და როგორ წყვეტენ კონფლიქტურ სიტუაციებს, მშვიდობიანად თუ ძალადობის გამოყენებით. ვმსჯელობთ იმაზე, თუ როგორ შეცვალა კოლონიზაციამ სამართლებრივი სისტემა და გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები, როგორ შეიძლება კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება და როგორ ბადებს კულტურათაშორისი გამოკვლევა ეჭვს, რომ ომების მიზეზი არადასავლურ სამყაროში, უმთავრესად, ქალები არიან. დავამატეთ ახალი მასალა პოპულარულ პოლიტიკურ მიმართულებებში გაერთიანების მიზეზებზე. ახალი ჩარჩო მოგვითხრობს იროკეზების კონფედერაციაზე. მეორე ჩარჩო ეხება ეროვნებათაშორის და კულტურათაშორის ურთიერთობებს ეკონომიკის განვითარებასა და დემოკრატიაში. მესამე ჩარჩოში მოცემულია მასალა იმის შესახებ, რომ ახალი გვინეის აბელამის ტომში ადგილობრივი სასამართლო უფლებას აძლევს ქალებს, გაასაჩივრონ სექსუალური ძალადობა.

თავი 24: ფსიქოლოგია და კულტურა

ამ თავში განხილულია ფსიქოლოგიური განვითარების ზოგიერთი უნივერსალური მაგალითი, ფსიქოლოგიური განსხვავებები საზოგადოებათა შორის და მათი მიზეზები, პიროვნების განსხვავებული აღქმა სხვადასხვა საზოგადოების ადამიანების მიერ (მაგ. საკუთარი პიროვნების აღქმა), როგორ შეიძლება ფსიქოლოგიური პროცესების ცოდნა დაგვეხმაროს კულტურული სხვადასხვაობის გაგებაში. ზოგიერთი დიდი პროცესის გამოსაყოფად, რომლებიც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს პიროვნებაზე, ორი ახალი ქვეთავი დავამატეთ. პირველი შეეხება ბავშვის გარემომცველი პირობების მნიშვნელობას, მეორე კი იმ ზემოქმედებას, რომელსაც ბავშვზე სხვადასხვა კულტურისათვის დამახასიათებელი "მშობლიური თეორიები" (ეთნოთეორიები) ახდენს. პირველ, ახალ ჩარჩოში განხილულია, რამდენად მნიშვნელოვანია მოზარდების ცნება მაროკოში. მეორე ჩარჩოში შედარებულია დაწყებითი სკოლები იაპონიაში, ჩინეთსა და აშშ-ში და განიხილება, რამდენად შეუძლიათ სკოლებს ცნობიერად თუ ქვეცნობიერად გადასცენ ბავშვებს ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი ფასეულობანი. მესამე ჩარჩოში გადმოცემულია აზრი, ქალებსა და მამაკაცებს საკუთარი თავის განსხვავებული აღქმა, რის გამოც მათი მორალიც განსხვავებულია.

თავი 25: რელიგია და მაგია

მას შემდეგ, რაც ვიმსჯელებთ იმაზე, თუ რატომ არის რელიგია მსოფლიოს ყველა კულტურისთვის დამახასიათებელი, დავაკვირდებით განსხვავებულ კონფესიებს. ვნახავთ, როგორ ცდილობენ ადამიანები მიცვალებულთა გაცოცხლებას, აგრეთვე ამოუცნობი მოვლენების ასახსნელად მათთვის ადამიანური თვისებების მინიჭებას. შევეცადეთ გაგვეგო, რატომ ვარდებიან ქალები ექსტაზში უფრო ხშირად, ვიდრე მამაკაცები. პირველი ჩარჩო მოგვითხრობს ნიუ ინგლენდის მეთევზეებზე, რომელთაც სხვადასხვაგვარი ტაბუ ან „უბედურების აცილების" რიტუალები შიშის გრძნობას უქარვებდა. მეორე, ახალი ჩარჩო აღწერს შამანიზმს მექსიკის „სიერა ოტომის" ტომში. ბოლო ჩარჩოში მოთხრობილია ახალი რელიგიების წარმოშობის შესახებ და მიუთითებს, რომ მსოფლიოში თითქმის ყველა რელიგია მცირე სექტებიდან და კულტებიდან წარმოიშვა.

26: ხელოვნება

მას შემდეგ, რაც ვიმსჯელებთ ხელოვნების არსზე, განვიხილავთ სახვითი ხელოვნების, მუსიკისა და ფოლკლორის განსხვავებულ ტიპებს და შევეცდებით ზოგიერთი მათგანის ახსნას. დროთა განმავლობაში ხელოვნების ცვლილებასთან დაკავშირებით ვიმსჯელებთ მცდარ წარ-

მოდგენაზე, თითქოს "პრიმიტიული" ხალხების ხელოვნება დროს არ ექვემდებარება; აგრეთვე, ევროპასთან კონტაქტის შემდეგ ხელოვნებაში მომხდარ ცვლილებებზე. ვნახავთ, რა ადგილი უკავია ხელოვნებაში ეთნოცენტრიზმს და როგორ განიხილავენ დასავლური მუზეუმები და ხელოვნებათმცოდნეები სახვით ხელოვნებას ნაკლებად განვითარებულ კულტურებში. ერთი ჩარჩო აღწერს, როგორ ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა პოლიტიკური სისტემა ხელოვნებაზე. მეორე ჩარჩო განიხილავს სიმბოლიზმს მსოფლიო ხელოვნებაში და მოგვითხრობს ნიღბებზე ასახული ემოციების შესახებ ბოლოდროინდელ გამოკვლევებზე. ბოლო, ახალი ჩარჩო აღწერს ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ნიმპკიშის ტომის ცეკვების გამომსახველობას.

თავი 27: კულტურათა ცვლილებები და გლობალიზაცია

ეს თავი მნიშვნელოვნად არის განახლებული და შეიცავს ახალ ქვეთავს გლობალიზაციის შესახებ. ჩვენ დავამატეთ ახალი გამოკვლევა იმ საზოგადოებებზე, რომელთაც დროთა განმავლობაში მრავალი ინოვაცია შეითვისეს და ნებაყოფლობით განიცადეს კულტურული ცვლილებები. გამოვიკვლიეთ, აგრეთვე, რა შეიძლება მოჰყვეს ჩრდილოეთ ამერიკაში ემიგრანტთა კულტურული დონის ზრდას და ეთნოგენეზისს ან ახალ კულტურულ წარმონაქმნებს. კულტურული ცვლილებების წყაროებზე – აღმოჩენასა და ინოვაციაზე — მსჯელობის შემდეგ განვიხილავთ ზოგიერთ გარემოებას, რომლებიც ინოვაციის მიღებას განაპირობებს. ვნახავთ ამით გამოწვეულ ხარჯებსა და მოგებას, გარეშე და შიდა პირობებს, რომლებიც კულტურულ ცვლილებას იწვევს და აგრეთვე, კულტურული მრავალფეროვნების ზრდის შესაძლებლობებს მომავალში. პირველ, ახალ ჩარჩოში ნაჩვენებია კულტურული ცვლილებების შერჩევითი ხასიათი ალიასკის ესკიმოსებში. იმის საჩვენებლად, რომ კულტურულ ცვლილებებს ხშირად ბიოლოგიური შედეგი მოჰყვება, მეორე თავში განიხილება სიმსუქნე, ჰიპერტენზია და დიაბეტი, როგორც მოდერნიზაციის შედეგები. მესამე ჩარჩო შეისწავლის კულტურულ ცვლილებებს კომუნისტურ ჩინეთში – რა შეიცვალა და რა გადარჩა კულტურულ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შედეგად.

თავი V: ანთროპოლოგიის გამოყენება

თავი 28: გამოყენებითი და პრაქტიკული ანთროპოლოგია

ამ თავში განიხილება ანთროპოლოგთა საქმიანობა აკადემიის გარეთ, გამოყენებითი ანთროპოლოგიის ისტორია და ტიპები აშშ-ში, ეთნიკური საკითხების გათვალისწინება ადამიანთა ყოფის გასაუმჯობესებლად, სიძნელეები, რომლებიც წარმოიშვა ამა თუ იმ პრობლემის შეფასებისას და გზები დაგეგმილი ცვლილებების განსახორციელებლად. ვაჩვენებთ, როგორ ასრულებენ სულ უფრო მზარდ როლს გამოყენებითი ანთროპოლოგიის წარმომადგენლები გამომდინარე ცვლილებათა პროგრამების დაგეგმვაში და არა მხოლოდ პროგრამების ადგილებზე შესაცვლელად კონსულტაციების წარმართვაში. სასამართლო ანთროპოლოგიის ქვეთავში განვრცობილად არის განხილული კულტურული ანთროპოლოგიის მონაწილეობის საკითხი. პირველ ორ ჩარჩოში დახასიათებულია ანთროპოლოგთა დახმარების შესაძლებლობები ბიზნესისა და ტყეების გაჩეხვის საკითხებში. ბოლო, ახალ ჩარჩოში აღწერილია, როგორ აღუდგა წინ გარკვეულ ცვლილებებს ახალი მექსიკის ტაოს ტომი.

თავი 29: სამედიცინო ანთროპოლოგია

ამ თავში განხილულია ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის, მათი მკურნალობის (უფრო ბიოკულტურული, ვიდრე ბიოსამედიცინო თვალსაზრისით) კულტურული კონცეფცია, პოლიტიკისა და ეკონომიკის გავლენა ჯანმრთელობაზე და სამედიცინო ანთროპოლოგიის წვლილი, როგორც ჯანმრთელობის სხვადასხვა მდგომარეობის, ასევე დაავადებათა გამომწვევი სხვადასხვა გარემოების შესწავლაში. ეს გარემოებები და დაავადებები მოიცავენ შიდსს, ფსიქიკურ და ემოციურ აშლილობებს, გავრცელებულ დაავადებას სახელად "სუსტო", დეპრესიას და ორგანიზმის არასაკმარისი კვებით გამოწვეულ გამოფიტვას. პირველ, ახალ ჩარჩოში აღწერილია ეკვადორის თემის – სარაგუროსის რწმენა იმისადმი, რომ განცდები და ემოციები ისევე იწვევს დასნეულებას, როგორც გადამდები დაავადებები და ინფექციები. მეორე ჩარჩო ეხება დარღვევებს საკვების მიღებაში და სხვადასხვა კულტურათა შეხედულებას "სილამაზეზე".

თავი 30: გლობალური სოციალური პრობლემები

ეს თავი ეხება დამოკიდებულებას ძირითად და გამოყენებით კვლევებს შორის, თუ რა სახის შედეგები შეიძლება გამოიღოს სხვადასხვა გლობალური სოციალური პრობლემების კვლევამ ისეთ საკითხებში, როგორიცაა სტიქიური უბედურებები და შიმშილობა, უსახლკარობა, დანაშაული, ოჯახური ძალადობა და ომი. ახალი ქვეთავი განიხილავს ტერორიზმს. ქვეთავები ოჯახური ძალადობისა და ომის შესახებ განახლებულია. სამი ჩარჩოდან ერთი ახალია: პირველი ეხება გლობალურ დათბობას და ჩვენს დამოკიდებულებას ნავთობზე; მეორე – ეთნიკურ კონფლიქტებს (რამდენად გარდაუვალია ისინი), მესამე, ბოლო ჩარჩოში აღწერილია რა საფრთხე შეუქმნა ომმა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში მდებარე აფხაზეთის კულტურას.

აღწერილობა

რუკა

რუკები. იმისათვის, რომ შეგვექმნა დამხმარე საშუალება, რომელიც ტექსტში მოცემულ სტატიებს გააშუქებდა, განვაახლეთ ის რუკები, რომელთა ორიგინალური ვერსია დორლინგ ქინდერსლიმ მოგვაწოდა. ჩვენი მიზანი იყო, ამ 7 რუკის საშუალებით სრული წარმოდგენა შეგვექმნა ისეთ მრავალფეროვან საკითხებზე, როგორიცაა ჰომინიდების წინაპრები, პალეოლითის ხელოვნება, მიწათმოქმედების გავრცელება და ა.შ.

თანდართული ჩარჩოები

თანამედროვე გამოკვლევები და დასკვნები. ჩარჩოებში მოთავსებულია თანამედროვე გამოკვლევები ისეთ თემებზე, რომელთა შესახებ სტუდენტებს შეიძლება გაგონილი ჰქონდეთ ახალ ამბებში ან კამათს იწვევს ანთროპოლოგიაში. თანამედროვე გამოკვლევების საგანია, მაგალითად, შემდეგი საკითხები: სწორხაზოვანი მიმართულებების არსებობა კულტურულ ევოლუციაში; ნამარხი ჰომინიდების ახალი აღმოჩენები; ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში არსებული განსხვავებები ისეთ

საკითხებში, როგორიცაა სიყვარული, ინტიმურობა და ეჭვიანობა; ერთმშობლიანი ოჯახების რაოდენობის ზრდა; ნიღბებზე ასახული ემოციების უნივერსალურობა. ახალ ამბებში გაშუქებულია ისეთი პრობლემები, როგორიცაა, მაგალითად, იყვნენ თუ არა ნეანდერტალელი ადამიანები თანამედროვე ადამიანთა წინაპრები; იზრდება თუ არა უთანასწორობა ქვეყნებს შორის; არის თუ არა ეთნოკონფლიქტები უძველესი დროიდან შემორჩენილი სიძულვილის შედეგი და ა.შ. პროფესიონალთა ამჟამინდელი კამათის საგანია შემდეგი საკითხები: ერთი თუ მეტი სახეობის განვითარების შედეგია Homo erectus; — წელგამართული ადამიანი მეცნიერება ჰუმანურობის წინააღმდეგ; ადამიანის უფლებები კულტურული ფარდობითობის წინააღმდეგ.

სქესის კვლევის ახალი პერსპექტივები. აქ შესული საკითხები სქესსა და სქესობრივ ურთიერთობებს ეხება როგორც ანთროპოლოგიის, ისე ყოველდღიური ცხოვრების თვალსაზრისით (მაგ: სექსიზმი ენაში; ქალთა საზოგადოებები და ქალის სტატუსი და ძალუფლება; ქალისა და კაცის მორალის დაპირისპირება; ცვლილებები, რომლებიც განიცადა ქალის როლმა პრეისტორიულ საზოგადოებებში).

ანთროპოლოგიური პირველწყაროები: ამ გამოცემაში სტუდენტებისთვის გასაცნობად შემოტანილი სიახლეა ჩარჩოები, რომლებიც შეიცავს ნაწყვეტებს სხვადასხვა მეცნიერთა ორიგინალური სტატიებიდან.

საინტერესო საკითხავი: ჩვენმა კოლექტივმა დიდი სიამოვნება მიიღო საინტერესო გამოკვლევების და აღმოჩენების აღწერისას, თანაც იმ სახით, რომ დამწყები სტუდენტებისთვის ადვილი გასაგები ყოფილიყო. შეეცადეთ შეგვემცირებინა ტექნიკური ჟარგონი და მხოლოდ ის ტერმინოლოგია გამოგვეყენებინა, რომლის ცოდნაც სტუდენტისთვის აუცილებელია ანთროპოლოგიის მიღწევების შესაფასებლად და შემდგომი, უფრო რთული კურსების ჩასაწვდომად. ჩვენი აზრით, აუცილებელია, წიგნი თავისუფლად იკითხებოდეს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველმა გაიგოს, რაზეა საუბარი, არამედ იმიტომაც, რომ ანთროპოლოგიის შესწავლის პროცესი უფრო საინტერესო გახდეს. ახალი ტერმინები, რომელთა შემოტანა ზოგჯერ გარდაუვალია, ტექსტში მუქი შრიფტით არის გამოყოფილი (ასევეა წიგნის ბოლოს არსებულ ლექსიკონში).

ტერმინების ლექსიკონი: ყოველი თავის ბოლოს ჩამოთვლილია ტექსტში შესული ახალი ტერმინები, რომლებიც მუქი შრიფტით არის გამოყოფილი. თავის ბოლოს შეგნებულად არ ვიმეორებთ ტერმინების განმარტებებს, რათა სტუდენტებს საკუთარი თავის შემოწმების საშუალება მივცეთ, მით უმეტეს, რომ განმარტებები მოცემულია წიგნის ბოლოს მოთავსებულ ლექსიკონში.

უმნიშვნელოვანესი კითხვები. თითოეული თავის ბოლოს მოცემულია ოთხი კითხვა, რომლებიც მოითხოვს სტუდენტების აზროვნების გააქტიურებას თავში განხილულ მასალასთან დაკავშირებით. კითხვები არ მოითხოვს ტექსტში მოცემული მასალის გამეორებას. გვინდა, რომ ავამოქმედოთ სტუდენტების წარმოსახვის უნარი, რათა იმაზე შორს წავიდნენ, რაც უკვე ცნობილია ან გვგონია, რომ ცნობილია.

შეჯამებები და შემოთავაზებული ლიტერატურა. ყოველი თავის ბოლოს მოცემულია დეტალური შეჯამება, რომელიც სტუდენტს დაეხმარება, გადახედოს განხილული აღმოჩენების ძირითად კონცეფციებს. შემოთავაზებული ლიტერატურა მოიცავს ზოგად ან უფრო ვრცელ ინფორმაციას თავში განხილული საკითხების შესახებ.

წიგნის ბოლოს მოთავსებული სრული ლექსიკონი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველი თავის ბოლოს მოთავსებულია ტერმინების ჩამონათვალი (განმარტების გარეშე). ამ ლექსიკონის საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ სწრაფად შეაფასონ საკუთარი თავი. სრული ლექსიკონი მოცემულია წიგნის ბოლოს, რათა სტუდენტებმა შეძლონ ამ ტერმინების მნიშვნელობის მოძებნა წიგნშივე.

წიგნის ბოლოს მოთავსებული შენიშვნები. მტკიცედ გვჯერა, რომ დოკუმენტური დასაბუთება ძალიან მნიშვნელოვანია მკითხველისთვის, რათა იცოდეს, თუ რა მასალას ემყარება წიგნში გაკეთებული დასკვნები. ასეთი მასალის საფუძველი ყოველთვის გამოქვეყნებული გამოკვლევებია. შესაბამისი მასალის მითითებები მოცემულია წიგნის ბოლოს მოთავსებულ შენიშვნებში (თავების მიხედვით).

წიგნის ბოლოს მოთავსებული ბიბლიოგრაფი. სქოლიოებში აღნიშნული ლიტერატურა შეკრებილი და მოთავსებულია წიგნის ბოლოს.

დანართები

ინსტრუქტორისათვის (პედაგოგისათვის)

ინსტრუქტორისათვის საჭირო წყაროები და მასალები ტესტირებისათვის. ინსტრუქტორისათვის საჭირო მასალა შეიცავს თავების მოკლე მიმოხილვას, წყაროებსა და სადისკუსიო საკითხებს, თემებსა და საკვლევ პროექტებს, ინტერნეტ-წყაროებს, სასწავლო ფილმებს, დაახლოებით 1600 კითხვას შესარჩევი პასუხებით და სწორია/არასწორია შეფასებით, ნარკვევებს და ა.შ. ყოველ ტესტ-კითხვას მითითებული აქვს შესაბამისი გვერდი ნიგნში.

ტესტ-გენერატორი. ეს პროგრამა აადვილებს ტესტების შექმნას და გვთავაზობს სხვადასხვა არჩევანს მათი ორგანიზებისა და ტესტის ბანკებისა და ტესტების წარმოსადგენად. ამ პროგრამით გათვალისწინებული შემთხვევითი ნუმერაცია და ტექსტის გენერატორი იდეალურ გამოსაყენებელს ხდის მას ტესტების სხვადასხვა ვარიანტის შესაქმნელად. ძიებისა და დახარისხების ძლიერი ფუნქცია აადვილებს კითხვების ლოკალიზაციას და მათ განლაგებას თქვენი სურვილის მიხედვით.

რიგი IV, ანთროპოლოგიური დიაპოზიტივები. 50 დიაპოზიტივი გადაღებულია ტექსტში მოცემული გრაფიკებიდან, დიაგრამებიდან და ტაბულებიდან და ხელს უწყობს სტუდენტის მიერ სალექციო თემების უკეთ აღქმას.

ვიდეომასალა. პრენტის ჰოლი გთავაზობთ ორ ახალ ვიდეო სერიას. „ამერიკელი ინდიელების შეცვლა ამერიკის შეცვლასთან ერთად: ამერიკელი ინდიელი ხალხების ვიდეოისტორია“ და „რიტუალები: აფრიკის ტრადიციული მოსახლეობის ვიდეოისტორია“. გარდა ამისა, მაღალი ხარისხის, სხვადასხვა ჯილდოებით აღნიშნული ვიდეოფილმები „ფილმმეიქერს ლაიბრერის“ კოლექციიდან. გთხოვთ, დაუკავშირდეთ „პრენტის ჰოლის“ წარმომადგენელს დამატებითი ინფორმაციისთვის.

Anthropology Central: ხელმისაწვდომია მხოლოდ “ანთროპოლოგიის“ მეთერთმეტე გამოცემის მყიდველთათვის. პაროლით დაცული ეს ინტერნეტ–წყარო საშუალებას აძლევს ინსტრუქტორებს ჩამოტვირთონ “ინსტრუქტორის სახელმძღვანელოს“ სრული ვერსია, ლექციები და ნახაზები, Power Point-ის სლაიდები, ასევე “ანთროპოლოგიის სწავლების სტრატეგია“. დაუკავშირდით „პრენტის ჰოლის“ წარმომადგენელს დამატებითი ინფორმაციისთვის.

ქეროლ რ. ემბერი ანტიოქიის კოლეჯში თავდაპირვე-

ავტორთა შესახებ

ლად ქიმიის სპეციალობაზე სწავლობდა, მას შემდეგ კი, რაც პედაგოგების მოთხოვნის შესაბამისად, სოციოლოგიის ლექციებზე დასწრება დაიწყო, ამ საგნით ძალიან დაინტერესდა. მეცნიერების ამ დარგში მრავალი უპასუხო კითხვა ჩნდებოდა, რამაც მომავალ მეცნიერს სოციოლოგიაში კვლევითი მუშაობის სურვილი გაუჩინა. მან ერთი წელი კორნელის ასპირანტურაში გაატარა და სოციოლოგიას სწავლობდა ჰარვარდში გადასვლამდე, სადაც ჯონ და ბეატრის უაითინგებთან ანთროპოლოგიის შესწავლა დაიწყო.

სადოქტორო დისერტაციაზე ქეროლ რ. ემბერი კენიაში, ლუოს ტომის გარემოცვაში მუშაობდა. იქ ცხოვრებისას შენიშნა, რომ ბევრ ბიჭს „გოგოს საქმის“ კეთებას ავალებდნენ. მათ ბავშვების მიხედვა და ყოველდღიური საოჯახო საქმის კეთება იმის გამო უხდებოდათ, რომ დედებს (რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი) სახლში საკმარისი რაოდენობის დამხმარე გოგონები არ ჰყავდათ). ემბერმა გადაწყვიტა, შეესწავლა შრომის ამგვარი განაწილების შესაძლო შედეგები ბიჭების სოციალურ ქცევაზე. სისტემატური დაკვირვების შედეგად მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ ქალის საქმით ზედმეტად დატვირთული ბიჭები, დანარჩენ ბიჭებსა და გოგონებთან შედარებით, სოციალური ქცევის მრავალ ასპექტში საშუალო მონაცემებს ავლენდნენ. მოგვიანებით მან ჩაატარა კროსკულტურული გამოკვლევა ქორწინების, ოჯახების, მემკვიდრული ჯგუფების, ომისა და მშვიდობის სხვადასხვა ფორმის შესასწავლად. ამ გამოკვლევებს იგი ძირითადად, მელვინ ემბერთან ერთად ატარებდა, რომელთანაც 1970 წელს იქორწინა. ასეთი კროსკულტურული გამოკვლევები იძლეოდა იმ თეორიების გადამოწმების საშუალებას, რომლებიც მსოფლიოში არსებული საზოგადოებების შესახებ არსებობს.

1970-1996 წლებში იგი ასწავლიდა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ჰანტერ კოლეჯში, აგრეთვე, იყო კროსკულტურული კვლევების საზოგადოების პრეზიდენტი და სამერ კოლეჯის ერთ-ერთი დირექტორი შედარებითი ანთროპოლოგიის, რომელსაც მეცნიერების ნაციონალური ფონდი აფინანსებდა. ამჟამად მუშაობს იელის უნივერსიტეტის არაკომერციულ კვლევით სააგენტოში „ჰიუმენ რილეიშენზ ერია ფაილზ“.

კოლუმბიის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მელვინ ემბერი სადოქტორო დისერტაციის დასაცავად იელის უნივერსიტეტში გადავიდა. იელში მისი მასწავლებელი იყო ანთროპოლოგი პიტერ მერდოკი, უმნიშვნელოვანესი ფიგურა კულტურათაშორისი კვლევებისა და მსოფლიო კულტურათა ფართომასშტაბიან მონაცემთა ბაზის შექმნაში. მისი კვლევითი მუშაობის მიზანი იყო კულტურათაშორისი ჰიპოთეზის შემოწმება. მონაცემთა ეს ბაზა ცნობილი გახდა, როგორც „ჰიუმენ რილეიშენზ ეარია ფაილზი“, იმის გამო, რომ თავდაპირველად იელის ადამიანთა ურთიერთობების ინსტიტუტმა დააფინანსა. „ჰიუმენ რილეიშენზ ეარია ფაილზის“ მონაცემთა ბაზა ყოველწლიურად იზრდება და ახლა უკვე ელექტრონული ფაილების სახით ვრცელდება. ამჟამად მისი გამოკვლევები მოიცავს მსოფლიოს 385 ძველსა და ახალ კულტურას.

საველე სამუშაოები დისერტაციისათვის მელვინ ემბერმა ამერიკულ სამოაში ჩაატარა. მან სამი სოფელი შეადარა ერთმანეთს პოლიტიკურ ცხოვრებაზე კომერციალიზაციის გავლენის შესასწავლად. გარდა ამისა, გამოიკვლია მემკვიდრული ჯგუფები და მათი ცვლილება ყიდვა-გაყიდვის განვითარების შესაბამისად. მის მიერ ჩატარებული კულტურათაშორისი გამოკვლევები თავიდან დაქორწინებულთა საცხოვრებელსა და შთამომავლობით ჯგუფებს ეხებოდა. იგი აგრეთვე შეეხო დამოკიდებულებას ეკონომიკურსა და პოლიტიკურ განვითარებას შორის, ინცესტზე ტაბუს წარმოშობასა და განვითარებას, მრავალცოლიანობის მიზეზებს და იმას, თუ როგორ გვეხმარება სოციალური წეს-ჩვეულებების არქეოლოგიური კორელატები წარსულის შესწავლაში.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ნაციონალურ ინსტიტუტში ჩატარებული ოთხწლიანი კვლევითი მუშაობის შემდეგ, იგი პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ჯერ ანტიოქიის კოლეჯში, შემდეგ კი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ჰანტერ კოლეჯში; იყო კულტურათაშორისი გამოკვლევების საზოგადოების პრეზიდენტი, ხოლო 1987 წლიდან იელის უნივერსიტეტის არაკომერციული კვლევითი სააგენტოს „ჰიუმენ რილეიშენზ ეარია ფაილზის“ პრეზიდენტი.

პიტერ ნ. პერეგრინი ანთროპოლოგიით ინგლისურ ენაში დიპლომის დაცვის შემდეგ დაინტერესდა. მან ადამიანთა შესასწავლად ანთროპოლოგიის სოციოლოგიური მიდგომა უფრო მისაღებად ჩათვალა, ვიდრე ჰუმანისტური, რომელიც შეისწავლა როგორც ინგლისური ენის სპეციალისტმა.

მაგისტრის ხარისხის დასაცავად ეთნოისტორიული თვალსაზრისით იეზუიტი მისიონერებისა და აბორიგენი ამერიკელების ურთიერთდამოკიდებულება გამოიკვლია და მიხვდა, რომ აბორიგენი ამერიკელების იეზუიტებთან კონტაქტამდე არსებული კულტურული ურთიერთობების შესასწავლად არქეოლოგიის შესწავლა დასჭირდებოდა.

პერდიუს უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობისას პიტერ პერეგრინმა შეისწავლა სამხრეთ აშშ-ს — მისისიპის პრეისტორიული კულტურები და აღმოაჩინა, რომ ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობანი აბორიგენი ამერიკელების კულტურას საუკუნეების მანძილზე აყალიბებდა. მათ იეზუიტებთან ისევე მარტივად დაამყარეს კონტაქტი, როგორც სხვა დანარჩენებთან ამყარებდნენ კულტურათაშორისი ურთიერთობების მთელ პერიოდში. ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ აბორიგენი ამერიკელების ურთიერთობებზე ნაკლები კვლევა იყო ჩატარებული და გადაწყვიტა შედარებითი გამოკვლევის ჩატარება. 1990 წელს მონაწილეობა მიიღო შედარებით ანთროპოლოგიურ კვლევაში, რომელიც სამერ ინსტიტუტმა ჩაატარა. აქ შეხვდა ქეროლ რ. ემბერსა და მელვინ ემბერს.

პიტერ პერეგრინი ასწავლიდა ხუანიტას კოლეჯში, ამჟამად კი ლოურენსის უნივერსიტეტის (ეპლტონი, ვისკონსინი) ასოცირებული პროფესორი და ანთროპოლოგიის განყოფილების თავმჯდომარეა. არის, აგრეთვე, „ჰიუმენ რილეიშენზ ეარია ფაილზის“ არქეოლოგიური კომისიის მეცნიერ-თანამშრომელი და მელვინ ემბერთან ერთად გამოცემული ნაშრომის „პრეისტორიული ენციკლოპედიის“ თანაავტორი; აგრძელებს არქეოლოგიურ კვლევას და ახლახან აღნიშნა ანთროპოლოგიისა და არქეოლოგიის დარგებში პედაგოგიური მოღვაწეობის 10 წლისთავი.

1

რა არის ანთროპოლოგია?

თავების შინაარსი

- ანთროპოლოგიის საგანი
- ერთიანი მიდგომა
- ანთროპოლოგიური ცნობისმოყვარეობა
- ანთროპოლოგიის სფეროები
- გამოყენებითი ანთროპოლოგია
- ანთროპოლოგიის აქტუალურობა



ანთროპოლოგია არის დისციპლინა, რომელიც ადამიანური ყოფის შესახებ დაუსრულებელი ცნობისმოყვარეობით გამოირჩევა. თვით ტერმინი წარმოდგება ბერძნული სიტყვა anthropos-ისგან (რაც "ადამიანს" ნიშნავს) და logos-ისაგან (რომელიც აღნიშნავს „მოძღვრებას"). ანთროპოლოგები ცდილობენ, პასუხი გასცენ უამრავ კითხვას: როდის, სად და რატომ წარმოიშვნენ ადამიანები დედამიწაზე; როგორ და რატომ შეიცვალნენ მას შემდეგ, და როგორ და რატომ იცვლება თანამედროვე ადამიანის ესა თუ ის ნიშან-თვისება. ანთროპოლოგებს აინტერესებთ, აგრეთვე, როგორ და რატომ იცვლებოდა და იცვლება ადამიანთა წეს-ჩვეულებები და ქცევა. არსებობს ანთროპოლოგიის პრაქტიკული მხარეც. ყოფითი პრობლემების გადასაწყვეტად, გამოყენებითი ანუ პრაქტიკოსი ანთროპოლოგები ერთდროულად იყენებენ ანთროპოლოგიურ მეთოდებს, ინფორმაციასა და მიღწეულ შედეგებს.

ანთროპოლოგიის, როგორც მხოლოდ ადამიანთა შემსწავლელი მეცნიერების განსაზღვრა, სრული არ იქნებოდა, რადგანაც იგი მოიცავს ისეთ დისციპლინებს, როგორიცაა: სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტიკა, ეკონომიკა, ისტორია, ადამიანის ბიოლოგია და ისეთ ჰუმანიტარულ მეცნიერებებსაც, როგორიცაა ფილოსოფია და ლიტერატურა. საჭირო არ არის იმის აღნიშვნა, რომ ადამიანთან დაკავშირებული მრავალი სხვა დისციპლინის წარმომადგენელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა, თუკი მის დარგს ანთროპოლოგიის ნაწილად წარმოადგენდნენ. მით უმეტეს, რომ ამ დისციპლინათა უმეტესობა ანთროპოლოგიაზე მეტ ხანს არსებობდა და თითოეულ მათგანს მეცნიერებაში გარკვეული ადგილიც უკავია. აქედან გამომდინარე, ანთროპოლოგია თავისებურად უნიკალური დარგია და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ იგი დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბდა და უკვე 100 წელიწადზე მეტია განსაკუთრებულ მდგომარეობას ინარჩუნებს.

ანთროპოლოგიის საგანი

ანთროპოლოგების შესახებ, ძირითადად, ისეთი წარმოდგენა არსებობს, თითქოს ისინი დედამიწის ნაკლებად ცნობილ კუთხეებში მოგზაურობენ ეგზოტიკური ხალხების შესასწავლად ან თხრიან მიწას ნამარხი ცოცხალი ორგანიზმების და დიდი ხნის წინ მცხოვრები ადამიანების იარაღისა და ჭურჭლის აღმოსაჩენად. ეს შეხედულებები მათი სტერეოტიპულობის მიუხედავად, ნათლად აჩვენებს, როგორ განსხვავდება ანთროპოლოგია სხვა დისციპლინებისგან. მას უფრო ფართო მასშტაბი აქვს როგორც გეოგრაფიული, ისე ისტორიული თვალსაზრისით. ანთროპოლოგიის ინტერესის სფეროს ყველა პერიოდის ადამიანები წარმოადგენენ, დაწყებული ადამიანის შორეული წინაპრებიდან, რომლებიც რამდენიმე მილიონი წლის წინ ცხოვრობდნენ, თანამედროვე ადამიანამდე; მისი ინტერესის საგანი კი დედამიწის ყოველი ნაწილია, სადაც კი ადამიანს ოდესმე უცხოვრია.

ანთროპოლოგები ყოველთვის ისე გლობალურად და მრავალმხრივად არ განიხილავდნენ პრობლემებს, როგორც დღეს. ტრადიციულად, ისინი მეტ ყურადღებას არადასავლურ კულტურებს უთმობდნენ და დასავლური ცივილიზაციების ისტორიას სხვა დისციპლინებს უტოვებდნენ შესასწავლად. თუმცა, უკანასკნელი წლების მანძილზე დისციპლინათა შორის „შრომის ასეთმა განაწილებამ" გაქრობა დაიწყო. ამჟამად ანთროპოლოგები შეისწავლიან როგორც საკუთარ, ისე სხვა რთულ საზოგადოებებს.

რატომ აირჩიეს ანთროპოლოებმა შესასწავლად ასეთი ვრცელი საგანი? ნაწილობრივ, ამის მიზეზი ის იყო, რომ ყველა შემოთავაზებული განზოგადებული აზრი ადამიანის კულტურული და ბიოლოგიური არსებობის შესახებ მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშან-თვისებით, მრავალჯერ უნდა ყოფილიყო დადასტურებული მთელი მისი არსებობის მანძილზე დედამიწის სხვადასხვა ნაწილში. თუ ამგვარი განზოგადების ან ახსნის დადასტურება შეუძლებელი იქნება, მაშინ სრული უფლება გვექნება და ვალდებულიც კი ვიქნებით, მასში ეჭვი შევიტანოთ. სანდო დამამტკიცებელი საბუთების არარსებობის შემთხვევაში გაჩენილი სკეპტიკური დამოკიდებულება ხელს შეუშლის ადამიანების შესახებ არასწორი მოსაზრებების გაზიარებას.

მაგალითად, 1960-იან წლებში ამერიკელმა პედაგოგებმა აღმოაჩინეს, რომ აფრო-ამერიკელი მოსწავლეები იშვიათად სვამდნენ რძეს. ეს ფულის ნაკლებობას ან გაუნათლებლობას მიაწერეს, მაგრამ ანთროპოლოგიური მონაცემების საფუძველზე, ამ პრობლემას სულ სხვაგვარი ახსნა მოეძებნა; მსოფლიოს ბევრ ნაწილში, ძირითადად იქ, სადაც მეწველი შინაური ცხოველები ჰყავთ, ადამიანები რძეს არ სვამენ. ისინი რძეს ამჟავებენ ან მისგან ყველს ამზადებენ. ამის მიზეზი ახლა უკვე ცნობილია. ბევრი ადამიანი განიცდის ფერმენტ ლაქტაზის ნაკლებობას, რომელიც აუცილებელია ლაქტოზის (რძეში არსებული შაქრის) დასაშლელად. რძე ხელს უშლის საკვების მონელებას. ფერხდება არა მხოლოდ ლაქტოზის, არამედ სხვა საკვების გადამუშავებაც. ხშირ შემთხვევაში, რძის დალევა იწვევს კრუნჩხვებს, გაზების დაგროვებას, დიარეასა და გულისრევას. გამოკვლევამ უჩვენა, რომ რძესთან შეუთავსებლობა მსოფლიოს მრავალ ნაწილშია გამოვლენილი. ასეთი მდგომარეობა აღინიშნება მოზრდილ აზიელებში, სამხრეთ ევროპელებში, არაბებსა და ებრაელებში, დასავლეთ აფრიკელებში, ინუიტებში (ესკიმოსებში) და ჩრდ. და სამხ. ამერიკის ინდიელებში, ასევე აფრო-ამერიკელებში. იმის გამო, რომ ანთროპოლოგები კარგად იცნობენ ადამიანთა ცხოვრებას როგორც გეოგრაფიული, ასევე ისტორიული თვალსაზრისით, მათ შეუძლიათ საფუძველი შეურყიონ არასწორ შეხედულებას ადამიანთა განსხვავებულ ჯგუფებზე.

ერთიანი მიდგომა

გარდა იმისა, რომ ანთროპოლოგია მოიცავს ადამიანის განვითარებას როგორც გეოგრაფიული, ისე ისტორიული თვალსაზრისით, მას ახასიათებს, აგრეთვე, ადამიანის შესწავლისადმი **ერთიანი**, მრავალმხრივი მიდგომა. ანთროპოლოგები შეისწავლიან არა მხოლოდ განსხვავებული ტიპის ადამიანებს, არამედ მათი გამოცდილების სხვადასხვა ასპექტსაც. მაგალითად, ადამიანთა ჯგუფის აღწერისას ანთროპოლოგი ითვალისწინებს იმ ადგილის ისტორიას, სადაც ისინი ცხოვრობენ, ბუნებრივ პირობებს, ოჯახური ცხოვრების ორგანიზაციას, ენის ძირითად თვისებებს, დასახლების ტიპებს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, რელიგიას, ხელოვნების სტილსა და ტანსაცმელს.

წარსულში ცალკეული ანთროპოლოგები ცდილობდნენ სხვადასხვა საკითხის ერთდროულად განხილვას. დღეს კი, ისევე, როგორც მრავალ სხვა დისციპლინაში, იმდენად დიდი ინფორმაცია დაგროვდა, რომ ანთროპოლოგებში გაჩნდა ტენდენცია ერთ ვიწრო თემაზე ან სფეროში იმუშაონ. ასე რომ, ერთმა ანთროპოლოგმა შეიძლება გამოიკვლიოს ზოგიერთი პრეისტორიული წინაპრის ფიზიკური ნიშნები, მეორემ – გარემოს გავლენა მოსახლეობის განვითარებაზე ხანგრძლივი დროის მანძილზე, მესამემ კი — ადამიანთა გარკვეული ჯგუფის წეს-ჩვეულებები. ამგვარი სპეციალიზაციის მიუხედავად, ანთროპოლოგია მაინც ერთიან ორიენტაციას ინარჩუნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მრავალი განსხვავებული დარგის საშუალებით ერთობლივად შეისწავლის ადამიანის არსებობის სხვადასხვა ასპექტს წარსულსა და აწმყოში.

ანთროპოლოგიური ცნობისმოყვარეობა

ჩვენ ანთროპოლოგია დავახასიათეთ, როგორც ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით უფრო ფართო სპექტრის მქონე დისციპლინა, რომელიც სხვადასხვა საკითხის შესწავლის მიმართ უფრო ერთიანი მიდგომით ხასიათდება, ვიდრე ადამიანის შესწავლასთან დაკავშირებული სხვა დისციპლინები. მაგრამ ეს განცხადება გულისხმობს იმას, რომ ანთროპოლოგია არის ყოვლისმომცველი მეცნიერება ადამიანის შესახებ. მაშ, რით განსხვავდება ანთროპოლოგია სხვა, დანარჩენი მეცნიერებებისგან? ალბათ ცნობისმოყვარეობით, რომელსაც ის იწვევს.

ანთროპოლოგებს მრავალი კითხვა უჩნდებათ. მაგალითად: სად წარმოიშვა პირველად ქალაქური ცხოვრება? რატომ აქვს ზოგიერთს უფრო მუქი ფერის კანი, ვიდრე სხვებს? რატომ შეიცავს ზოგიერთი ენა ფერის აღმნიშვნელ მეტ სიტყვას, ვიდრე სხვა ენები? რატომ აქვთ ამა თუ იმ საზოგადოებაში ქალებს მეტი ხმა პოლიტიკაში? რატომ აქვს სხვადასხვა საზოგადოებას განსხვავებული დამოკიდებულება შობადობის კონტროლის მიმართ? მართალია, ყველა ეს საკითხი ადამიანის არსებობის განსხვავებულ ასპექტებს განიხილავს, მაგრამ მათ ერთი საერთო ნიშანი აქვთ: ყოველი მათგანი რომელიმე მოსახლეობისთვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ ნიშანს (თვისებას, წეს-ჩვეულებას) იკვლევს. ეს შეიძლება იყოს კანის შედარებით მუქი ფერი, ენა, რომელშიც ფერის აღმნიშვნელი ბევრი ტერმინია, ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში ან შობადობაზე კონტროლის დაწესება. ანთროპოლოგიის განსხვავებულობის მთავარი მიზეზი ალბათ სხვადასხვა ხალხისთვის დამახასიათებელი ნიშნების მიმართ მისი დაინტერესება უნდა იყოს. მაგალითად, მაშინ, როდესაც ეკონომისტები სამონეტო სისტემას ჩვეულებრივად აღიქვამენ და მის მოქმედებას შეისწავლიან, ანთროპოლოგებს აინტერესებთ, რატომ დაიწყო ზოგიერთმა საზოგადოებამ ბოლო ათასწლეულებში ფულის გამოყენება. ანთროპოლოგებს აინტერესებთ ადამიანთა საზოგადოებების ტიპური დამახასიათებელი ნიშნები და ის, თუ როგორ იცვლებოდა ისინი საუკუნეთა მანძილზე.

ანთროპოლოგიის სფეროები

სხვადასხვა ანთროპოლოგები საზოგადოებათა სხვადასხვა დამახასიათებელ ნიშნებს შეისწავლიან. ზოგ მათგანს ადამიანთა საზოგადოებების ბიოლოგიური ან ფიზიკური ნიშან-თვისებების შესწავლა აინტერესებს, სხვებს — კულტურულისა; ამგვარად, არსებობს ანთროპოლოგიის საგნის ორი ძირითადი მიმართულება: **ბიოლოგიური (ფიზიკური) ანთროპოლოგია** და **კულტურული ანთროპოლოგია.** ეს უკანასკნელი სამ ძირითად ნაწილად იყოფა: არქეოლოგია, ლინგვისტიკა და ეთნოლოგია. ეთნოლოგია შეისწავლის უახლეს კულტურებს და ბოლო დროს მოიხსენიება, როგორც კულტურული ანთროპოლოგია (იხ. სურ. 1-1). ამ ოთხ სფეროს აერთიანებს მეხუთე – **გამოყენებითი, ანუ პრაქტიკული ანთროპოლოგია. -**



სურათი 1-1 ანთროპოლოგიის შემადგენელი ნაწილები

ანთროპოლოგიის ოთხი მთავარი შემადგენელი ნაწილის (აღნიშნულია მუქი შრიფტით) კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს სფეროს (ბიოლოგიური ან კულტურული) და თითოეული მათგანის პერიოდის (ახლო წარსული ან აწმყო) მიხედვით. აქ წარმოდგენილია ანთროპოლოგიის ოთხივე ქვედისციპლინის გამოყენების სქემა.

ბიოლოგიური ანთროპოლოგიის სპეციალისტი ნადინ პიკოკი, ზაირის ეფეს ტომში რეპროდუქციისა და ჯანმრთელობის საკითხებზე მუშაობის პროცესში.

ბიოლოგიური ანთროპოლოგი.

ბიოლოგიური (ფიზიკური) ანთროპოლოგია ეძებს პასუხებს კითხვათა ორ განსხვავებულ ჯგუფზე: პირველი ჯგუფი შეიცავს კითხვებს ადამიანთა წარმოშობის და მათი შემდგომი ევოლუციის შესახებ (ამ სფეროს ეწოდება **ადამიანთა პალეონტოლოგია**, ანუ **პალეოანთროპოლოგია**). მეორე ჯგუფში შემავალი კითხვები ეხება თანამედროვე ადამიანთა შორის მიმდინარე ბიოლოგიურ ცვლილებებს და მათ მიზეზებს (ამ სფეროს **ადამიანთა ცვალებადობა** ეწოდება).

ადამიანთა ევოლუციის რეკონსტრუქციისათვის პალეონტოლოგები ეძებენ **ნამარხ** ადამიანთა ან მათ წინაპართა და მათთან დაკავშირებულ ცხოველთა უძველეს ნაშთებს ან მათ ანაბეჭდებს. მაგალითად, აღმოსავლეთ აფრიკაში მუშაობისას პალეოანთროპოლოგებმა აღმოაჩინეს დაახლოებით 4 მილიონი წლის წინ მცხოვრები ადამიანის მსგავსი არსებების ნაშთები. ამ აღმოჩენის საშუალებით შესაძლებელი გახდა ჩვენი წინაპრების ორ ფეხზე სიარულის, ხელების უკეთ გამოყენებისა და ტვინის ზომის მატების მიახლოებითი თარიღების დადგენა.

ევოლუციისდროინდელი ურთიერთობების დასადგენად ანთროპოლოგები იყენებენ არა მხოლოდ განამარხებულ ნაშთებსა და ქვის მასალას, არამედ გეოლოგიურ ინფორმაციასაც კლიმატისა და გარემოს, ასევე მცენარეთა და ცხოველთა პოპულაციების შესახებ; უფრო მეტიც, ადამიანთა წარსულის რეკონსტრუქციისათვის პალეონტოლოგები იკვლევენ ძუძუმწოვართა შორის ჩვენი უახლოესი ნათესავების – ადამიანის მსგავსი მაიმუნებისა და სხვა სახეობის მაიმუნების ქცევასაც, რომლებიც ჩვენსავით **პრიმატების** ჯგუფს მიეკუთვნებიან. პრიმატების შემსწავლელ ანთროპოლოგებს, ფსიქოლოგებსა და ბიოლოგებს **პრიმატოლოგები** ეწოდებათ. ისინი აკვირდებიან სხვადასხვა სახეობის პრიმატებს როგორც ბუნებრივ, ისე ლაბორატორიულ პირობებში. შესწავლის განსაკუთრებული საგანია შიმპანზე, რომელიც ძალიან ჰგავს ადამიანს ფიზიკურად თუ ქცევით, მის სისხლს აქვს ადამიანის სისხლის მსგავსი ქიმიური შემადგენლობა და ისინი ერთი და იმავე სენით ავადდებიან. უახლესმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ შიმპანზესა და ადამიანის გენების 99 პროცენტი იდენტურია.

პრიმატების შესწავლისას ანთროპოლოგები ცდილობენ, აღმოაჩინონ ის ნიშან-თვისებები, რომლებსაც აშკარა ადამიანური ხასიათი აქვთ და განასხვავონ იმ თვისებებისგან, რომლებიც მათ პრიმატულ ფესვებს უკავშირდება. ამ ინფორმაციის საშუალებით ისინი შეძლებენ დაადგინონ, როგორები იყვნენ ჩვენი წინაპრები. პრიმატების შესწავლით მიღებულ დასკვნებს არქეოლოგიურ მასალას ადარებენ ანუ ნაწილ-ნაწილ შეგროვილ მასალას ჩვენს უახლოეს ნათესავებზე მეცნიერული დაკვირვებების შედეგებს უკავშირებენ. მოკლედ, ბიოლოგიური ანთროპოლოგები აგროვებენ სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას და ქმნიან თეორიებს, რომლებიც გვაძლევს განამარხებულ ორგანიზმებში არსებული ცვლილებების ახსნას, შემდეგ კი ამ თეორიებს ამოწმებენ სხვადასხვა დამამტკიცებელი საბუთის ერთმანეთთან შედარების გზით. ამგვარად, ადამიანის ანთროპოლოგია მოიცავს ისეთ დისციპლინებს, როგორებიცაა: გეოლოგია, ხერხემლიანების (კერძოდ, პრიმატების) პალეონტოლოგია, შედარებითი ანატომია და პრიმატების ქცევის შედარებითი კვლევა.

ბიოლოგიური ანთროპოლოგიის მეორე ძირითადი მიმართულებაა ადამიანთა ცვალებადობის (ნაირსახეობის) შესწავლა. ეს მიმართულება იკვლევს ადამიანთა თანამედროვე პოპულაციებს შორის არსებულ განსხვავებებს ბიოლოგიურ ანუ ფიზიკურ თავისებურებებში. ყველა თანამედროვე ადამიანი მიეკუთვნება ერთ სახეობას – **Homo sapiens**-ს, რადგან შეუძლიათ ერთმანეთთან შეჯვარება. მაგრამ ამასთანავე, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც არსებობს. ადამიანთა შორის არსებული განსხვავებების გამოკვლევისას მეცნიერებს უჩნდებათ კითხვა: რატომ არის ზოგიერთი ხალხი სხვებზე მაღალი? როგორ შეეგუა ზოგი პოპულაცია თავის საარსებო გარემოს? აქვს თუ არა ზოგ ხალხს, მაგალითად, ინუიტებს (ესკიმოსებს), ისეთი დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ხელს უწყობს მათ უკეთ შეგუებას სიცივესთან? უკეთ იცავს თუ არა ტროპიკული მზისგან ზოგიერთი ხალხის კანის მუქი პიგმენტაცია?

თანამედროვე ადამიანთა შორის არსებული ბიოლოგიური განსხვავებების უკეთ გაგებისათვის ბიოლოგი-

ური ანთროპოლოგები იყენებენ სამი სხვა დისციპლინის პრინციპებს, კონცეფციებსა და ტექნოლოგიებს. ეს დისციპლინებია: ადამიანის გენეტიკა (მეცნიერება იმ დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა შესახებ, რომლებიც შთამომავლობით გადაეცემა), პოპულაციების ბიოლოგია (მეცნიერება, რომელიც შეისწავლის გარემო პირობების ზემოქმედებას ამა თუ იმ პოპულაციის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე) და ეპიდემიოლოგია (მეცნიერება, რომელიც შეისწავლის, როგორ და რატომ მოქმედებს დაავადებები სხვადასხვანაირად განსხვავებულ პოპულაციებზე). ადამიანთა შორის არსებულ განსხვავებათა კვლევა მოიცავს მეცნიერების სხვა სფეროებსაც, თუმცა ბიოლოგიური ანთროპოლოგების კვლევის უმთავრეს საგანს ადამიანთა პოპულაციები და მათი ბიოლოგიური ცვალებადობა წარმოადგენს.

კულტურული ანთროპოლოგია

კულტურული ანთროპოლოგიის საგანია პოპულაციებისა და საზოგადოებების ცვალებადობის ნიშნების შესწავლა. რა არის კულტურა? იმის გამო, რომ კულტურის არსს ანთროპოლოგებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ საკითხს მთელ თავს ვუთმობთ. ანთროპოლოგებისთვის ტერმინი **კულტურა** აღნიშნავს აზროვნებისა და ქცევის განსაკუთრებულ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრულ პოპულაციას ან საზოგადოებას ახასიათებს. სოციალური ჯგუფის კულტურა მოიცავს მის ენას, რელიგიურ რწმენას, სქესთა როლს, ბავშვების აღზრდას, სახლების მშენებლობას და სხვადასხვა იდეასა და ქცევის ნორმას, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული და მიღებული ამ ჯგუფში. კულტურული ანთროპოლოგიის სამი ძირითადი მიმართულებაა **არქეოლოგია** (მეცნიერება, რომელიც შეისწავლის წარსულ კულტურებს, ძირითადად, მათი მატერიალური ნაშთების საფუძველზე), **ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა** (ანთროპოლოგიურად შეისწავლის ენებს) და **ეთნოლოგია** (შეისწავლის თანამედროვე და ახლო წარსულის კულტურებს), რომელსაც ამჟამად კულტურულ ანთროპოლოგიას უწოდებენ.

არქეოლოგია. არქეოლოგები არა მხოლოდ წარსულში მცხოვრებ ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებისა და წეს-ჩვეულებების აღდგენას ცდილობენ, არამედ იკვლევენ კულტურულ ცვლილებებსაც და ცდილობენ ამ ცვლილებების ახსნას. ეს სფერო თითქოს ისტორიკოსების საქმიანობის მსგავსია, მაგრამ არქეოლოგებს უფრო შორეულ წარსულთან შეხების საშუალება აქვთ. ისტორიკოსებს უფრო ხშირად საქმე აქვთ იმ საზოგადოებებთან, რომლებმაც წერილობითი წყაროები დატოვეს და მათი კვლევა ადამიანის ისტორიის დაახლოებით 5000 წლით შემოიფარგლება. ადამიანთა საზოგადოებები კი, როგორც ცნობილია, მილიონ წელზე მეტია, რაც არსებობენ და მხოლოდ ბოლო 5000 წლის მანძილზე შემოიღეს დამწერლობა. ყველა იმ საზოგადოების კვლევისთვის, რომელთაც დამწერლობა არ გააჩნდათ, არქეოლოგები ისტორიკოსების როლს ასრულებენ. წერილობითი წყაროების არარსებობის გამო, არქეოლოგები ისტორიის აღდგენას ადამიანის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლის საფუძველზე ცდილობენ. ზოგიერთი ძეგლი ისეთი გრანდიოზულია, როგორც მაიას კულტურის ტაძრები, რომლებიც ჩიჩენ იცაში (იუკატანი, მექსიკა) აღმოჩნდა, უფრო ხშირად კი ეს ჩვეულებრივი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ქვის იარაღები ან ნაგვის გროვებია. არქეოლოგების უმრავლესობა იკვლევს **პრეისტორიულ** ხანას, როდესაც დამწერლობა არ არსებობდა. მაგრამ არსებობს არქეოლოგიის დარგი, რომელსაც **ისტორიული არქეოლოგია** ეწოდება და იგი იკვლევს ახლო წარსულის ადამიანებს, რომელთაც წერილობითი წყაროები დატოვეს. ეს სპეციალობა იყენებს როგორც არქეოლოგების, ისე ისტორიკოსების მუშაობის მეთოდებს.

იმისათვის, რომ ჩასწვდნენ, რა და როგორ იწვევდა ცვლილებებს ხანგრძლივი დროის მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში, არქეოლოგები აგროვებენ სხვადასხვა მასალას ადამიანთა საცხოვრებელი ადგილებიდან. ჩვეულებრივ, ეს ადგილები გათხრას საჭიროებს. გათხრიდან ამოღებული ან შეგროვილი მასალის საფუძველზე ჩნდება კითხვები, თუ სად, როდის და რატომ გაჩნდა პირველად იარაღის დამზადების მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისება? სად, როდის და რატომ განვითარდა პირველად მინათმოქმედება? სად, როდის და რატომ დაიწყეს ადამიანებმა პირველად ქალაქებში ცხოვრება?

ამგვარ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემების შესაგროვებლად არქეოლოგები იყენებენ სხვა მეცნიერებებისგან აღებულ ტექნოლოგიებსა და აღმოჩენებს, ისევე, როგორც იყენებენ თანამედროვე და ახლო წარსულის კულტურების ანთროპოლოგიური შესწავლის შედეგებს. მაგალითად, იმის გამოსაცნობად, თუ რა ადგილი უნდა გაითხაროს ადრეული იარაღის დამზადების კერის საპოვნელად, არქეოლოგები უკავშირდებიან გეოლოგებს, რათა მათ მიუთითონ, სად უფრო მოსალოდნელია ადრეული ადამიანის საქმიანობის კერის პოვნა მიწის ეროზიისა და აწევის გათვალისწინებით, მის ზედაპირთან ახლოს. იმისთვის, რომ დაადგინონ, სად განვითარდა პირველად მინათმოქმედება, არქეოლოგები შესაბამის გათხრიდან ამოღებულ მასალას ქიმიკოსების მიერ აღმოჩენილი მეთოდით იკვლევენ. იმის გასაგებად კი, რატომ გაჩნდა თავდაპირველად ქალაქები, არქეოლოგებმა შეიძლება გამოიყენონ ინფორმაცია, რომელსაც ისტორიკოსები, გეოგრაფები და სხვა მეცნიერები მიაწვდიან იმის შესახებ, თუ რა სახის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები აქვთ თანამედროვე და ახლო წარსულის ქალაქებს თავიანთ შიდა რაიონებთან. იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ გავიგოთ, რა აერთიანებთ თანამედროვე და ახლო წარსულის ქალაქებს, შევძლებთ იმ მიზეზის დადგენასაც, რამაც მათი წარმოშობა გამოიწვია. ამგვარად, არქეოლოგები არსებულ ინფორმაციას თანამედროვეობისა და ახლო წარსულის შესახებ შორეული წარსულის ამოსახსნელად იყენებენ.

ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა. ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა კულტურული ანთროპოლოგიის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს. ლინგვისტიკა ანუ ენების შესწავლა, არქეოლოგიაზე ძველი მეცნიერებაა, მაგრამ მისი ადრეული ფორმები კონცენტრირებული იყო მხოლოდ არსებული ენების ძველი წერილობითი ფორმების შესწავლაზე. ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის სპეციალისტებმა საველე სამუშაოები ისეთ ადგილებში დაიწყეს, სადაც დამწერლობა არ არსებობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ არ ჰქონდათ საშუალება, გამოეყენებინათ ლექსიკონი ან გრამატიკის სახელმძღვანელო. პირიქით, მათ პირველებს უნდა შეექმნათ ლექსიკონიც და გრამატიკაც და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებდნენ ენის სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლას.

ბიოლოგიური ანთროპოლოგების მსგავსად, ლინგვისტები შეისწავლიან ხანგრძლივი დროის მანძილზე მომხდარ ცვლილებებს და მათ თანამედროვე ვარიანტებს. ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის ზოგიერთი წარმომადგენელი დაინტერესებულია ენების წარმოშობით და ათასობით წლის მანძილზე მათ შორის წარმოშობილი განსხვავებებით. დროთა განმავლობაში ენების ცვალებადობისა და მათი ურთიერთკავშირის შემსწავლელ მეცნიერებას **ისტორიული ლინგვისტიკა** ეწოდება. ანთროპოლოგიური ლინგვისტების ინტერესის საგანია, აგრეთვე, განსხვავებანი თანამედროვე ენებს შორის, განსაკუთრებით კი ის განსხვავებანი, რომლებიც მათ კონსტრუქციაში არსებობს. ლინგვისტიკის ამ სფეროს, ზოგადად, **აღწერილობითი** ანუ **სტრუქტურული ლინგვისტიკა** ეწოდება. მეცნიერებას, რომელიც სოციალურ კონტექსტში ენის გამოყენებას შეისწავლის, სოციოლინგვისტიკა ჰქვია.

სქესის კვლევის ახალი პერსპექტივები

ელიზაბეთ მ. ბრამფილი

ალბიონის კოლეჯის ანთროპოლოგიის პროფესორი ელიზაბეთ მ. ბრამფილი სოციალური უთანასწორობის პრობლემით უკანასკნელ კურსზე სწავლისას დაინტერესდა. არქეოლოგების აზრით, გვარებს შორის მნიშვნელოვანი სოციალური უთანასწორობა მხოლოდ ახლახან (არქეოლოგების ენაზე რომ ვთქვათ) გაჩნდა, ანუ დაახლოებით 6000 წლის წინ. ამის არქეოლოგიური ნიშნები სავსებით გასაგებია – რთული კონსტრუქციის სამარხები ძვირფასი შიგთავსით ზოგიერთი გვარის წარმომადგენელთათვის და დიდი სხვაობა სახლებსა და ქონებას შორის. მაგრამ ამ უთანასწორობის გაჩენის მიზეზი ცნობილი არ იყო. როდესაც მომავალი მეცნიერი მიჩიგანის უნივერსიტეტის დიპლომირებულ სპეციალისტთა სკოლაში სწავლობდა, მას არ აკმაყოფილებდა ამ საკითხის საყოველთაოდ მიღებული ახსნა, თითქოს უთანასწორობა სასარგებლო იყო საზოგადოებისათვის (მაგალითად, ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრების დონე გაუმჯობესდებოდა წინამძღოლების გამდიდრებასთან ერთად). შემდგომში, ცენტრალურ მექსიკაში სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობისას მან დაიწყო ამ თეორიის გადამოწმება ტერიტორიაზე, რომელიც თავდაპირველად პოლიტიკურად დამოუკიდებელი იყო, შემდეგ კი აცტეკთა იმპერიის ნაწილად იქცა. შეისწავლა

ზედაპირული მასალა და ისტორიული დოკუმენტები, შედგენილი როგორც ევროპელების, ისე აცტეკი დიდებულების მიერ. მეცნიერის აღმოჩენები ეწინააღმდეგებოდა სოციალური უთანასწორობის „სასარგებლოობის“ იდეას; მან აღმოაჩინა, რომ მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორია აცტეკთა იმპერიამ შეიერთა, მოსახლეობის ცხოვრების დონე მხოლოდ უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა.

ბრამფილის კვლევის მეორე, მნიშვნელოვანი საგანი იყო ქალების ცხოვრების შესწავლა. როგორ იმოქმედა მათზე აცტეკების იმპერიის ექსპანსიამ? შეიცვალა თუ არა მათი სამუშაო? როგორ აისახებოდნენ ქალები ხელოვნებაში? აცტეკების დედაქალაქ ტენოჩტიტლანის ხელოვნებაში მეომართა და მამაკაცთა თემა იმპერიის ზრდასთან ერთად პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენდა. სკულპტურებში ასახულია ქალთა დამოკიდებული მდგომარეობა (მაგალითად, დაჩოქილ პოზაში ასახვა). მაგრამ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ბრამფილის კვლევა მოიცავდა, ქალთა გამოსახულებები შინაარსობრივად არ შეცვლილა. მაგალითად, სკულპტურების უმეტესობა აცტეკების გამარჯვების შემდეგაც ქალს ფეხზე დამდგარს და არა დაჩოქილს გამოსახავდა.

მრავალი ანთროპოლოგის მსგავსად, ბრამფილი საკუთარ თავს ეკითხებოდა, როგორ შეეძლო დახმარების გაწევა იმ საზოგადოებისათვის, სადაც ცხოვრობდა საველე სამუშაოების პერიოდში. მან გადაწყვიტა, მოეწყო გამოფენა, რათა ამ ადგილას 1200 წლის მანძილზე მცხოვრები ხალხის წარმატებები წარმოეჩინა. გამოფენა ქსალტოჩანის მკვიდრებს იმ აღმოჩენების შესახებ მოუთხრობდა, რაც მეცნიერმა მათ მიწაზე გააკეთა. ბრამფილი აგრძელებს კვლევას ქალთა მდგომარეობაში უთანასწორობის წარმოშობის შესახებ და იმედი აქვს, ადამიანები მიხვდებიან, რომ იგი „წინ აღუდგა იმას, რასაც არასწორად მიიჩნევდა და მთელ ცხოვრებას დაუთმობს არქეოლოგიურ კვლევას, რათა კითხვებზე საკუთარი პასუხები იპოვოს“.

ადამიანთა შემსწავლელი პალეონტოლოგებისა და არქეოლოგებისგან განსხვავებით, რომელთაც ხელთ აქვთ მატერიალური მასალა წარსულის აღდგენაში დასახმარებლად, ისტორიულ ლინგვისტებს საქმე აქვთ მხოლოდ ენებთან – და თანაც, ხშირად ისეთთან, რომელთაც დამწერლობა არ გააჩნიათ (გავიხსენოთ, რომ დამწერლობა მხოლოდ 5000 წლისაა, ბევრ ენას კი დღესაც არ გააჩნია დამწერლობა). დამწერლობის არმქონე ენების შესწავლა განსაკუთრებით რთულია, რადგან შეუძლებელია იმ ენის კვალის აღდგენა, რომელზე მოლაპარაკე ხალხიც აღარ არსებობს. ლინგვისტებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მათი ისტორიით, მუშაობა უნდა დაიწყონ თანამედროვე ენების ერთმანეთთან შედარებით. ამ ენების შედარების საფუძველზე ისინი გამოიტანენ დასკვნებს ცვლილებათა შესახებ, რომლებიც შეიძლება წარსულში მომხდარიყო და გამოეწვიათ ის ერთგვაროვნებანი თუ განსხვავებანი, რომლებიც ამჟამადაც გვხვდება. ისტორიკოს ლინგვისტებს, ძირითადად, შემდეგი ტიპის კითხვები უჩნდებათ: შეიძლებოდა თუ არა მომხდარიყო ორი ან მეტი თანამედროვე ენის წარმოშობა ერთ წინაპარ ენაში მომხდარ ცვლილებათა საფუძველზე? ხოლო თუ ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან, როდის და რამდენი ხნის წინ დაიწყო მათში განსხვავებების გაჩენა?

ისტორიკოსი ლინგვისტებისგან განსხვავებით, აღწერილობითი ანუ სტრუქტურული ლინგვისტები, ძირითადად, იმ პრინციპების აღმოჩენითა და ჩაწერით არიან დაინტერესებულნი, რომლებიც განაპირობებს ენაში ბგერებისა და სიტყვების ერთიანობას. მაგალითად, ერთი განსაზღვრული ენის სტრუქტურულმა აღწერილობამ შეიძლება მოგვცეს ინფორმაცია იმაზე, რომ ბგერები ტ და კ შეიძლება უთიერთშემცვლელი იყოს სიტყვაში მისი მნიშვნელობის შეცვლის გარეშე. ამერიკულ სამოაში ყველაზე დიდ კუნძულს შეიძლება უწოდონ როგორც ტუტუილა, ასევე კუკუილა და ახლად ჩასული ანთროპოლოგის გარდა, ალბათ, ყველა მიხვდება, რომ საუბარია ერთსა და იმავე კუნძულზე.

სოციოლინგვისტის ინტერესის სფეროს ენის სოციალური ასპექტები წარმოადგენს: რაზე საუბრობენ ადამიანები და როგორი ურთიერთობა აქვთ საუბრისას, მათი დამოკიდებულება სხვა ენებსა და დიალექტებზე მოლაპარაკე ადამიანების მიმართ, აგრეთვე, განსხვავება სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა საუბრის მანერაში. ინგლისში შეხვედრისას ყველა ადამიანს ერთნაირად არ მივმართავთ, მაგალითად ისე, როგორც მეგობარს მივმართავთ ხოლმე. ალბათ უხერხული იქნება შეხვედრისას ექიმს სახელით მივმართოთ. მას, ჩვეულებრივ, შემდეგნაირად მიმართავენ: „დილა მშვიდობისა, ექიმო ბრაუნ“. ენის გამოყენების ასეთი ვარიანტები, განპირობებული იმ პიროვნების სოციალური სტატუსით, რომელსაც მიმართავენ, სოციოლინგვისტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ეთნოლოგია (კულტურული ანთროპოლოგია). ეთნოლოგები ცდილობენ, ჩასწვდნენ, რით და რატომ განსხვავდებიან ახლო წარსულში მცხოვრები და თანამედროვე ადამიანები ერთმანეთისგან აზროვნებით და ქცევით. ეთნოლოგია, რომელსაც ჩვეულებრივ, მოიხსენიებენ როგორც კულტურულ ანთროპოლოგიას, შეისწავლის ადამიანების აზროვნებისა და ქცევის ისეთ ფორმებს, როგორიცაა ქორწინების ადათ-წესები, ნათესაობის სტრუქტურა, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, რელიგია, ფოლკლორი და მუსიკა, შემდეგ კი ამ ძველ ფორმებს თანამედროვეს ადარებენ. ეთნოლოგები შეისწავლიან, აგრეთვე კულტურის დინამიკას ანუ მის განვითარებასა და ცვლილებას დროში. გარდა ამისა, მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენს თითოეული კულტურისათვის დამახასიათებელი დამოკიდებულება რწმენასა და რიტუალებს შორის. ამგვარად, ეთნოლოგებს თითქმის იგივე მიზანი აქვთ, რაც არქეოლოგებს, თუმცა ეთნოლოგები, ძირითადად, თანამედროვე ადამიანებზე დაკვირვებისა და მათი გამოკითხვის მეთოდებს იყენებენ, არქეოლოგები კი წარსულ კულტურათა მატერიალურ ძეგლებს შეისწავლიან და დასკვნები პრეისტორიული ადამიანების წეს-ჩვეულებების შესახებ ამ მონაცემების საფუძველზე გამოაქვთ.

ეთნოლოგების ერთი ნაწილი – **ეთნოგრაფები,** თითქმის მთელი წლის განმავლობაში ცხოვრობენ, ესაუბრებიან და აკვირდებიან იმ ხალხს, რომლის წეს-ჩვეულებებსაც შეისწავლიან. ამგვარი საველე მუშაობის შედეგად ისინი აგროვებენ მონაცემებს და შემდეგ ამ ხალხის წეს-ჩვეულებებისა და აზროვნების დეტალური აღწერისათვის (**ეთნოგრაფიისათვის**) იყენებენ. ეთნოგრაფებს შორის არსებობს ზოგიერთი განსხვავება მათი ობიექტის კულტურული და სოციალური შესწავლის მრავალმხრივობის თვალსაზრისით. ადრე ისინი ამა თუ იმ ხალხის არსებობის ყველა ასპექტის ერთობლივად შესწავლას ცდილობდნენ, თანამედროვე ეთნოგრაფები კი უფრო ვიწრო სპეციალიზაციას, ერთ კონკრეტულ მიმართულებას ირჩევენ, მაგალითად, რიტუალურ მკურნალობას, გარემოსთან ურთიერთობას, მოდერნიზაციისა და გლობალიზაციის გავლენას ან სქესთან დაკავშირებულ საკითხებს. ეთნოგრაფები ხშირად მხოლოდ აღწერით არ კმაყოფილდებიან და კულტურის ზოგიერთი ასპექტის ასახსნელად თანამედროვე ანთროპოლოგიურ გამოცემებს მიმართავენ ხოლმე.

იმის გამო, რომ მრავალმა კულტურამ უახლოეს წარსულში სერიოზული ცვლილებები განიცადა, ძალზე მნიშვნელოვანია ეთნოლოგიის კიდევ ერთი დარგი – **ეთნოისტორია**. ეთნოისტორიკოსები შეისწავლიან, როგორ იცვლება დროთა განმავლობაში ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის ცხოვრება. ისინი შეისწავლიან წერილობით დოკუმენტებს და შეიძლება მრავალი წელი დაუთმონ ისეთი დოკუმენტების შესწავლას, როგორიცაა მისიონერთა, ვაჭართა და მკვლევართა ჩანაწერები, სამთავრობო დოკუმენტები და შეეცადონ იმ კულტურული ცვლილებების აღდგენას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაჩნდა. განსხვავებით ეთნოგრაფებისგან, რომლებიც ძირითადად, საკუთარ დაკვირვებებს ეყრდნობიან, ეთნოისტორიკოსები კვლევას სხვების მიერ დატოვებული ან მოწოდებული ცნობების მიხედვით აწარმოებენ. მათ ხშირად გაფანტული და აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება უხდებათ. ამგვარად, ეთნოისტორიკოსის სამუშაო ძალიან ემსგავსება ისტორიკოსისას იმ განსხვავებით, რომ ეთნოისტორიკოსი, ჩვეულებრივ, იმ ადამიანთა ისტორიას იკვლევს, რომელთაც წერილობითი დოკუმენტები თავად არ დაუტოვებიათ. ისინი ცდილობენ ხალხების უახლესი ისტორიის აღდგენას და იმ ცვლილებათა შესწავლას, რომლებიც ამ ხალხების ცხოვრების წესმა განიცადა.

კროსკულტურული კვლევა (**cross-cultural research**) იყენებს ეთნოგრაფებისა და ეთნოისტორიკოსების მიერ დამუშავებულ მონაცემებს. ამ დარგის მკვლევართა მიზანია კულტურულ ნიშან-თვისებათა ძირითადი სახეების დადგენა – რომელი მათგანია უნივერსალური, რომელი განიცდის ცვლილებებს, რა იწვევს მათ და ამ ცვლილებების შედეგები. რატომ არის, მაგალითად, ზოგიერთ საზოგადოებაში სქესთა შორის მეტი უთანასწორობა, ვიდრე სხვა საზოგადოებებში? დამოკიდებულია თუ არა ოჯახური ძალადობა ცხოვრების სხვა სფეროებში არსებულ აგრესიასთან? რა გავლენას ახდენს მოულოდნელობებით აღსავსე გარემო პირობები ადამიანთა ცხოვრებაზე? ამგვარ კითხვებზე პასუხების გასაცემად, კროსკულტურული მკვლევარები იყენებენ ზოგიერთი კულტურისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ნიმუშებს. კროსკულტურული შედეგები მნიშვნელოვანია არქეოლოგებისთვისაც, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც მათ აღმოჩენებში ცვლილებების გარკვეული მატერიალური დადასტურება აღინიშნება.

იმის გამო, რომ ეთნოლოგები ადამიანთა წეს-ჩვეულებებისა და ქცევის მრავალი სფეროთი არიან დაინტერესებულნი – დაწყებული პოლიტიკური და ეკონომიკურით, დამთავრებული ხელოვნებით, მუსიკითა და რელიგიით – ეს საგანი ბევრ ისეთ დისციპლინას მოიცავს, რომელიც ადამიანის არსებობის სხვადასხვა ასპექტს ეხება, მაგალითად, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ეკონომიკა, პოლიტიკა, ხელოვნება, მუსიკა და შედარებითი რელიგია. კულტურული ანთროპოლოგიის დამახასიათებელი ნიშანია, დაადგინოს, როგორ იცვლებოდა ადამიანთა არსებობის ყველა ეს სფერო საზოგადოებიდან საზოგადოებამდე ყველა ისტორიულ პერიოდში და მსოფლიოს ყველა ნაწილში.

გამოყენებითი ანთროპოლოგია

ყოველგვარი სახის ცოდნა საჭიროა და გამოსადეგი. ფიზიკასა და ბიოლოგიაში კარგად არის ცნობილი, რომ ისეთი დიდი აღმოჩენები, როგორიცაა დნმ-ის სპლაისინგი, კოსმოსური ხომალდების კოსმოსში შეპირაპირება, კომპიუტერული მინისკულარული მიკროსქემების შექმნა, არ მოხდებოდა ფიზიკისა და ბიოლოგიის სამყაროში ჩატარებული ფართომასშტაბიანი გამოკვლევების გარეშე. ფუნდამენტური პრინციპების ჩაწვდომის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა იმ ტექნოლოგიური აღმოჩენების გაკეთება, რომლებითაც კაცობრიობა ასე ამაყობს. მკვლევრებს ზოგჯერ უბრალო ცნობისმოყვარეობა ამოძრავებთ და არ ფიქრობენ იმაზე, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ისინი დაწყებულმა კვლევამ. სწორედ ამიტომ, ამგვარ კვლევას ძირითადი კვლევა ეწოდება. იგივე შეიძლება ითქვას სოციალურ მეცნიერებებზე. თუ მეცნიერი აღმოაჩენს, რომ საზოგადოებები, რომელთაც საბრძოლო სპორტის მეტი სახეობა აქვთ, მეტად არიან მიდრეკილი ომისკენ, ეს გამოიწვევს კიდევ უფრო მეტ კითხვას, აგრესიის სხვადასხვა ტიპებს შორის არსებული კავშირების შესახებ. მიღებული ცოდნა საბოლოოდ იმ გზების აღმოჩენამდე მიგვიყვანს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, გამოვასწოროთ ისეთი სოციალური პრობლემები, როგორიც არის ოჯახური ძალადობა და ომი.

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

მკვლევარი მუშაობის პროცესში: ტერენს ე. ჰეისი

წიგნებსა და სტატიებში ხშირად პრობლემის პირდაპირი გადმოცემა ხდება: მოცემულია პრობლემა, მოცემულია პასუხი – ეს არის და ეს. როგორც მრავალი მეცნიერისთვის საკუთარი გამოცდილებით არის ცნობილი, ცოდნა ყოველთვის პირდაპირი გზით არ მოიპოვება. როდ აილენდის კოლეჯის პროფესორი ტერენს ჰეისი მოგვითხრობს თავისი საველე მუშაობის იმ დახლართული გზების შესახებ, რომელთა გავლაც ახალი გვინეის აღმოსავლეთ მაღალმთიან პროვინციებში ნდამბას ტომში ცხოვრებისას მოუხდა. თავიდან მისი შესწავლის საგანი იყო არსებული განსხვავება ადამიანთა სხვადასხვა ტიპებს შორის (მაგალითად, კაცების და ქალების) მცენარეების შესახებ არსებულ ცოდნაში და განსხვავებულად ახდენდნენ თუ არა ისინი მცენარეთა კლასიფიკაციას (დაინტერესება მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციით, ეთნობიოლოგია, მჭიდროდ არის დაკავშირებული ლინგვისტურ კვლევასთან). 1972 წელს, თავისი პირველი საველე მუშაობის პერიოდში იგი დაესწრო 10-12 წლის ბიჭების ინიციაციის ცერემონიას. ეს იყო დრამატული და ტრავმატული „გადასავლის“ რიტუალი, რომელიც მამაკაცობაში გადასვლას უკავშირდებოდა. იგი შეიცავდა ფიზიკურ ტრავმას - ცხვირიდან სისხლდენას, ასევე სოციალურ ტრავმას - “თავდასხმას“ ქალების მხრიდან და ტყეში განმარტოებით დატოვებას. ცერემონიას ჰქონდა სიმბოლური დატვირთვა, რომელიც გულისხმობდა იმას, რომ სხვადასხვა სქესის წარმომადგენლები ერთმანეთს უნდა მორიდებოდნენ. სანამ მეცნიერი აგროვებდა თქმულებებსა და მითებს ეთნობიოლოგიაში თავისი გამოკვლევისთვის, პარალელურად ეცნობოდა ისტორიებს იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მამაკაცებს ქალებთან ურთიერთობისას ემუქრებოდათ.

ამ ცერემონიებმა და მითებმა ჰეისის ცნობისმოყვარეობა გაამძაფრა. რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მითებს კულტურული მოვლენების არსებობის გახანგრძლივებაში? არის თუ არა სხვა საზოგადოებებშიც, რომელთაც მამაკაცებისთვის ცალკე სახლები აქვთ, მსგავსი მითები? საველე სამუშაოებიდან სახლში დაბრუნების შემდეგ იგი მიხვდა, რომ სხვადასხვა საზოგადოებას შეიძლება ერთმანეთის მსგავსი გადმოცემა და მითი ჰქონდეს. უკავშირდება თუ არა ზოგადად ეს გადმოცემები ინიციაციის რიტუალებს და სქესთა იზოლაციას? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელი იყო შედარება. ამიტომ მან დაიწყო მითებისა და თქმულებების შეგროვება კოლეგებს შორის, რომლებიც ახალი გვინეის მაღალმთიანი რეგიონების სხვა საზოგადოებებთან მუშაობდნენ. შესადარებელი მასალის შეგროვების პროცესში მეცნიერი მიხვდა, რომ არ გააჩნდა საჭირო ეთნოგრაფიული ინფორმაცია, რომლის მოსაპოვებლადაც ველზე დაბრუნდა. ჰეისი აღნიშნავდა: „როგორც ეთნოგრაფს, ყოველთვის მიჩნდებოდა კითხვა: საიდან იცი, რომ ეს მოსაზრება სწორია? და თუ დიდი წვალების შემდეგ მივიდოდი გარკვეულ დასკვნამდე ნდამბას ტომის შესახებ, ჩნდებოდა მეორე კითხვა: საიდან იცი, რომ ეს სწორია, შედარების გარეშე?“

მაშინ, როდესაც ბაზისურმა კვლევამ საბოლოოდ შეიძლება მხოლოდ დახმარება გაგვიწიოს პრაქტიკული პრობლემის გადაწყვეტაში, გამოყენებითი კვლევა პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო თვალსაჩინოა. დღეს პროფესიონალ ანთროპოლოგთა ნახევარი გამოყენებითი ანუ პრაქტიკული ანთროპოლოგიის მიმდევარია. გამოყენებითი ანუ პრაქტიკული ანთროპოლოგია ცდილობს, ანთროპოლოგიური ცოდნა უფრო ადვილად გამოსაყენებელი გახადოს. ამ დარგის წარმომადგენლებს შეუძლიათ პრაქტიკა ანთროპოლოგიის ნებისმიერ ან ყველა სფეროში მიიღონ. ბაზისური ანთროპოლოგიის მკვლევრებისგან განსხვავებით, რომელთაგან თითქმის ყველა კოლეჯებში, უნივერსიტეტებსა და მუზეუმებშია დაკავებული, გამოყენებითი ანთროპოლოგიის მიმართულების წარმომადგენლები, უმთავრესად, ტრადიციული აკადემიის გარეთ მოღვაწეობენ სამთავრობო და საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციების, კერძო საკონსულტაციო ფირმების, სხვადასხვა ბიზნესის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სამედიცინო სასწავლებლების, სამართლებრივი ოფისების და საზოგადოების განვითარებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების ჩათვლით.

ბიოლოგი ანთროპოლოგი შეიძლება გამოიძახონ სასამართლოში ჩვენების მისაცემად, მან შეიძლება იმუშაოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ან შექმნას ადამიანის ანატომიისთვის შესაფერისი ტანსაცმელი თუ აპარატურა. არქეოლოგებმა შეიძლება დააკონსერვონ და მუზეუმებში გამოფინონ ექსპონატები, შეიძლება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულონ, რათა აღმოაჩინონ და დაიცვან არქეოლოგიური ძეგლები ისეთ ადგილებში, სადაც მათ მშენებლობის ან სხვა

გამოყენებითი ანთროპოლოგია

განვითარების პროგრამების შექმნა სოფლის მეურნეობაში ქალთა წვლილის აღსანიშნავად

როდესაც 1970-იან წლებში ანიტა სპრინგი პირველად ატარებდა საველე სამუშაოებს ზამბიაში, მას სოფლის მეურნეობის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი არ ჰქონდა. მისი ინტერესის სფეროს სამედიცინო ანთროპოლოგია წარმოადგენდა, სამუშაო კი სამკურნალო წეს-ჩვეულებების შესწავლით შემოიფარგლებოდა, რომელშიც, ძირითადად, ქალები და ბავშვები იყვნენ ჩართული. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა წლის ბოლოს მასთან ქალების დელეგაცია მივიდა და განუცხადა, რომ მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ნიშნავდა „ყოფილიყო ქალი“. „ქალობა ფერმერობას ნიშნავს“, — უთხრეს მათ. მეცნიერი აღიარებს, რომ იქამდე დიდ ყურადღებას არ აქცევდა ქალებს, როგორც ფერმერებს, ამის შემდეგ კი მათთვის ტექნიკური დახმარების გაწევა დაიწყო. ქალების განვითარებით დაინტერესებული სხვა მრავალი პირის მსგავსად, სპრინგიც მიხვდა, რომ განვითარების აგენტები ხშირად არასაკმარის ყურადღებას უთმობდნენ ქალთა წვლილს სოფლის მეურნეობაში.

როგორ უნდა შეიცვალოს მამაკაცზე კონცენტრირებული დამოკიდებულებები და მეთოდები? ერთი საშუალებაა, დოკუმენტურად დაფიქსირდეს, თუ ფაქტობრივად რა წვლილი მიუძღვით ქალებს სოფლის მეურნეობაში. ესთერ ბოსერაპის მნიშვნელოვანი წიგნის „ქალის როლი ეკონომიკურ განვითარებაში“ (1970) გამოცემის შემდეგ, მეცნიერებმა დაიწყეს ამ საკითხის შესახებ მონაცემების გამოქვეყნება. გაირკვა, რომ აფრიკაში, საჰარის უდაბნოს სამხრეთით, კარიბის ზღვის სანაპიროზე, ასევე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ქალები მთავარი ფერმერები და სოფლის მეურნეობის მუშაკები იყვნენ, უფრო მეტიც, სოფლის მეურნეობის გართულებასთან ერთად მინდორში მუშაობა მეტ დროს მოითხოვდა, რის გამოც, ქალების როლი კიდევ უფრო გაიზარდა. გარდა ამისა, მამაკაცების უმრავლესობა სამუშაოდ სხვაგან წავიდა, ამან კი გამოიწვია ის, რომ ფერმაში კაცის გასაკეთებელი საქმეც ქალებს დააწვათ მხრებზე.

1980-იან წლებში მალავიში სპრინგმა შექმნა და სათავეში ჩაუდგა პროექტს „ქალები სოფლის მეურნეობის განვითარებაში“, რომელსაც „შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან“ არსებული ორგანიზაცია „ქალთა ოფისი“ აფინანსებდა. პროექტის მუშაობა არა მხოლოდ ქალთა საკითხებზე იყო კონცენტრირებული, არამედ აგროვებდა მონაცემებს სოფლის მეურნეობაში როგორც ქალების, ისე მამაკაცების როლისა და მათთან განვითარების აგენტების ურთიერთობის შესახებ. პროექტმა ბევრად მეტი გააკეთა, ვიდრე მხოლოდ ინფორმაციის შეგროვება იყო. შეიქმნა მინი-პროექტები, რომელთა საშუალებით ხდებოდა განვითარების აგენტების მომზადების ტექნოლოგიების გადაცემა სხვა რეგიონებშიც. სპრინგი აღნიშნავს, რომ პროგრამის წარმატება მხოლოდ პროექტის დამსახურება არ ყოფილა. წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღოდა თავად მალავის მოსახლეობას, რომელიც ცვლილებისკენ ისწრაფვოდა. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე გაეროს და სხვა დონორი ორგანიზაციების მზარდი ყურადღება ქალების პრობლემების მიმართ. ნებისმიერ საქმეში ცვლილების შეტანა მრავალი ადამიანის ძალისხმევას მოითხოვს. გამოყენებითი ანთროპოლოგიის სულ უფრო მეტი წარმომადგენელი, ისეთი, როგორიც ანიტა სპრინგია, თავდაუზოგავად მუშაობს თავიდან ბოლომდე – პროექტის შექმნის ეტაპიდან მის განხორციელებამდე და შეფასებამდე.

მიზეზით დაზიანება ემუქრებათ. ლინგვისტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ორენოვან საგანმანათლებლო ტრენინგებში ან იმუშაონ ურთიერთობათა გასაუმჯობესებლად. ეთნოლოგებმა შეიძლება იმუშაონ სხვადასხვა სახის გამოყენებით პროექტში, რომლებიც ეხება: საზოგადოების განვითარებას, ქალაქის დაგეგმარებას, ჯანდაცვას, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას, მოსამსახურე პერსონალისა და ორგანიზაციის მენეჯმენტს, ასევე გაცვლითი პროგრამების ადამიანთა ცხოვრებაზე ზეგავლენას. გამოყენებით ანთროპოლოგიაზე უფრო ვრცლად ვიმსჯელებთ თავში „ანთროპოლოგიის გამოყენება“.

სპეციალიზაცია

დისციპლინების ზრდასთან ერთად ხდება მათ მიერ სხვადასხვა სპეციალობასთან დაკავშირება. ეს ტენდენცია, როგორც ჩანს, გარდაუვალია, რადგან ცოდნის დაგროვებასთან და მეთოდების წინსვლასთან ერთად ჩნდება ზღვარი, რომლამდეც ერთ პიროვნებას შეუძლია მუშაობის გაგრძელება. ამიტომ, გარდა ადრე მიმოხილული ძირითადი მიმართულებებისა, ცალკეული ანთროპოლოგები ცდილობენ სხვადასხვა სპეციალობის შეძენას. მაგალითად, ანთროპოლოგებისთვის ჩვეულებრივი ამბავია სპეციალიზაცია გეოგრაფიაში, რომელიც შეიძლება იყოს ისე ვრცელი, როგორც ახალი ან ძველი სამყარო, ან იმდენად ვიწრო, როგორც სამხრეთ-დასავლეთი აშშ. მეცნიერებისთვის, რომლებიც წარსულს შეისწავლიან (არქეოლოგები ან ადამიანის შემსწავლელი პალეონტოლოგები), მისაღებია სპეციალიზაცია დროის სხვა პერიოდებში. ეთნოლოგები, ერთ ან ორ კულტურულ სფეროში მუშაობის გარდა, ხშირად იძენენ დამატებით სპეციალობას კიდევ უფრო სპეციფიკურ დარგებში. ამ წიგნის თავების უმეტესობა სხვადასხვა სპეციალობას ეხება. ზოგი ეთნოლოგი წარმოგვიდგება, როგორც ეკონომისტ-ანთროპოლოგი, პოლიტიკოს-ანთროპოლოგი ან ფსიქოლოგ-ანთროპოლოგი. სხვები იცვლიან თეორიულ ორიენტაციას და წარმოგვიდგებიან, როგორც კულტურული-ეკოლოგები, რომელთა ინტერესის სფერო მოიცავს ერთიერთობას კულტურასა და როგორც ფიზიკურ, ისე სოციალურ გარემოთა შორის; თუმცა, ეს სპეციალობები ერთმანეთს არ გამორიცხავს. კულტურულ-ეკოლოგს, მაგალითად, შეიძლება აინტერესებდეს გარემო პირობების ზეგავლენა ეკონომიკურ ან პოლიტიკურ ქცევაზე ან თუნდაც ბავშვების აღზრდაზე. იწვევს თუ არა სპეციალიზაცია ანთროპოლოგის იზოლაციას სხვა სახის კვლევისგან? ყოველთვის არა. ზოგი სპეციალობა ინფორმაციის, როგორც ანთროპოლოგიის შიგნით, ასევე მის გარეთ არსებული სხვადასხვა სფეროდან მოზიდვას მოითხოვს. მაგალითად, ექიმი-ანთროპოლოგები შეისწავლიან ადამიანის ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის კულტურულსა და ბიოლო-

გიურ კონტექსტებს. ამგვარად, ისინი უნდა იცნობდნენ ეკონომიკას, კვების რაციონს, სოციალური ურთიერთობების მოდელებს, ასევე დამოკიდებულებებს და წარმოდგენებს ავადმყოფობასა და ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, მათ სჭირდებათ გამოკვლევების ჩატარება ადამიანთა გენეტიკის დარგში, საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და მედიცინაში.

ანთროპოლოგიის აქტუალურობა

ანთროპოლოგია შედარებით ახალგაზრდა დისციპლინა. ანთროპოლოგებმა მხოლოდ 1800-იანი წლების მიწურულს დაიწყეს ცხოვრება შორეულ ტერიტორიებზე მოსახლე ხალხებთან მათი შესწავლის მიზნით. ბუნების ფიზიკური კანონების ცოდნასთან შედარებით, ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ ადამიანებს, მათი ქცევის ნორმების წარმოშობასა და განსხვავებებს. ანთროპოლოგიისა და ადამიანის შესწავლასთან დაკავშირებული სხვა მეცნიერებების შედარებით გვიანი წარმოშობა არ არის საკმარისი მიზეზი ამ სფეროში ჩვენი ცოდნის დაბალი დონის ასახსნელად. სხვა სფეროების მიმართ ცნობისწადილის მიუხედავად, რატომ ვიცდიდით ამდენ ხანს, რომ დაგვეწყო საკუთარი თავის შესწავლა? ლესლი უაითის აზრით, ამ ფენომენის შესწავლა, მიუხედავად მისი შორეული ფესვებისა და თითქოსდა ნაკლები მნიშვნელობისა, პირველ რიგში უნდა მოხდეს. ის მიიჩნევს, რომ ადამიანები საკუთარ თავს თავისუფალი ნების ციტადელად წარმოიდგენენ, რომელიც ბუნების კანონებს არ ემორჩილება და ფიქრობენ, რომ სწორედ ამიტომ არ არის საჭირო ჩვენს თავს, როგორც შესასწავლ ობიექტებს, ისე შევხედოთ.

მიზეზები, რომელთა გამოც, მეცნიერთა აზრით, შეუძლებელია ადამიანის ქცევის მეცნიერული ახსნა, შემდეგია: ჩვენი ქცევები და წარმოდგენები ძალზე ინდივიდუალისტური და რთულია და ადამიანის გაგება მხოლოდ "იმ ქვეყნად" იქნება შესაძლებელი. ეს ერთმანეთის შემავსებელი დებულებებია. ჩვენ ვერასოდეს ვიპოვით თეორიებს, რომლებიც ადამიანის ქცევას ახსნის, თუ არ ვირწმუნებთ მათ არსებობას ან თავს არ შევიწუხებთ მათ მოსაძებნად. შედეგი თავიდანვე გარანტირებულია. ადამიანებს, რომელთაც არ სჯერათ ასეთი მეთოდების არსებობისა, კიდევ უფრო განუმტკიცდებათ მათი არარსებობის რწმენა, როდესაც ვერაფერს იპოვნიან, მაგრამ თუ გვინდა ადამიანის არსს ჩავწვდეთ, უნდა დავიჯეროთ, რომ ეს შესაძლებელია.

თუ ჩვენი მიზანია ადამიანის არსის გაგება, აუცილებელია მათი შესწავლა ყველგან და ყოველთვის. უნდა შევისწავლოთ როგორც უძველესი, ასევე თანამედროვე ადამიანები; უნდა შევისწავლოთ მათი კულტურა და ბიოლოგია. სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ სიმართლე ზოგადად ადამიანების შესახებ, როგორ უნდა გავიგოთ, რამდენად ექვემდებარებიან ისინი ცვლილებებს? თუ მხოლოდ ჩვენს საზოგადოებას შევისწავლით, მივიღებთ ჩვენი კულტურით შემოსაზღვრულ და არა ზოგად შედეგებს, რომლებიც ადამიანთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელი არ იქნება. ანთროპოლოგია მხოლოდ მაშინ არის მნიშვნელოვანი, როდესაც გვეხმარება ზოგადად ადამიანების არსის გაგებაში.

ამასთან, ანთროპოლოგია აქტუალურია, რადგან იგი ხელს უწყობს ხალხთა შორის გაუგებრობათა თავიდან აცილებას. თუ გვეცოდინება, რატომ განსხვავდება ხალხთა ზოგიერთი ჯგუფი ჩვენგან, ნაკლები მიზეზი გვექნება განვსაჯოთ ისინი ჩვენთვის გაუგებარი საქციელის გამო. გარდა ამისა, მივხვდებით, რომ მრავალი განსხვავება ადამიანთა შორის გამოწვეულია მათი სხვადასხვა გარემო პირობებთან შეგუებით.

მაგალითად, კალაჰარის უდაბნოში მცხოვრები კუნგის ტომის წევრები, ერთი შეხედვით, ვინმეს შეიძლება ველურებად მოეჩვენოს, რადგან მათი სხეული ნაკლებად არის შემოსილი, ქონება თითქმის არ გააჩნიათ, ცხოვრობენ ღარიბულ ქოხებში და არ სარგებლობენ არავითარი ტექნიკით. მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, როგორ მოიქცეოდა ნებისმიერი ჩრდილო-ამერიკული საზოგადოება ერთ მშვენიერ დღეს იმავე პირობებში რომ გაღვიძებოდა, როგორშიც კუნგის ტომი ცხოვრობს, ნახავდა, რომ ურწყავი მიწა შეუძლებელს ხდის როგორც სოფლის მეურნეობას, ისე მეცხოველეობას და იძულებული გახდებოდა, მომთაბარეობაზე ეფიქრა. ამის შემდეგ თავიდან მოიშორებდა ქონების უმეტეს ნაწილს, რათა უფრო ადვილად ემოგზაურა და წყლისა და საკვების მარაგის ტარების საშუალება ჰქონოდა. აუტანელი სიცხისა და სარეცხისათვის წყლის ნაკლებობის გამო კი, შეიძლება შიშვლად სიარული უფრო პრაქტიკულად ჩაეთვალათ, ვიდრე ტანსაცმლის ტარება. უეჭველად, მოუხერხებლად ჩათვლიდნენ, აგრეთვე, რთული კონსტრუქციის სახლების მშენებლობასაც. საზოგადოების უსაფრთხოებისათვის შეიძლება დაეწყოთ მოტანილი საკვების განაწილება. ამგვარად, ჩრდილო-ამერიკელები თუ საერთოდ გადარჩებოდნენ, ალბათ ბოლოს ისევე მოიქცეოდნენ, როგორც კუნგის ტომის წარმომადგენლები და არა როგორც ტიპიური ჩრდილო-ამერიკელები.

არქეოლოგები მუშაობენ ნიუ იორკ სითის ისტორიულ მხარეში. ორი ადამიანი ცრის ნიადაგს პატარა საგნების აღმოსაჩენად.

სანამ გამოჩნდებოდა მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მეცნიერება, ხალხს მთელი სამყაროდან აღმოჩენილი ჰქონდა, თუ როგორ შეიძლებოდა გამოყენებულიყო მცენარე როგორც ეფექტური სამედიცინო საშუალება. აქ არის ზოგი სამედიცინო მცენარე, რომელიც გამოიყენება ადგილობრივ ამერიკელებსა და არიზონაში.

როგორც ჩანს, ფიზიკური განსხვავებებიც სხვადასხვა გარემოსთან შეგუების შედეგია. მაგალითად, ჩვენს საზოგადოებაში მოწონებით სარგებლობენ მაღალი და გამხდარი ადამიანები. თუ ასეთი გარეგნობის ადამიანები იძულებულნი გახდებოდნენ არქტიკულ ზონაში ეცხოვრათ, ისინი სიამოვნებით გაცვლიდნენ თავიანთ მაღალ და გამხდარ სხეულებს დაბალსა და მკვრივზე, რადგან ამგვარი ტიპის სხეული სითბოს უკეთ ინარჩუნებს და მეტად არის შეგუებული ცივ კლიმატურ პირობებს.

ანთროპოლოგიამ შეიძლება ახსნას ზოგიერთი გაუგებრობა, რომელიც მცირე მიზეზების გამო, სხვადასხვა კულტურული ჯგუფების წარმომადგენელთა შორის ქვეცნობიერ დონეზე წარმოიშობა. მაგალითად, სხვადასხვა კულტურას აქვს ჟესტებისა და ადამიანებს შორის დისტანციის არსებობის სხვადასხვა ნორმები სხვადასხვა სიტუაციაში. არაბებისთვის მისაღებია იმდენად ახლოს დადგნენ სხვა ადამიანებთან, რომ მათი სუნის შეგრძნება შეეძლოთ. როგორც ამერიკაში დეოდორანტების პოპულარობა გვიჩვენებს, ამერიკელები პირიქით, ადამიანთა ურთიერთობაში ყნოსვით განზომილებას გამორიცხავენ. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ადამიანი, რომელიც ძალიან ახლოს მოდის ჩვენთან, ზედმეტად ინტიმური ხდება. ამ დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მას ასეთი საქციელი შეიძლება, თავისი კულტურული შეხედულებების გამო, ამ სიტუაციაში მიზანშეწონილად მიაჩნია. თუ სხვათა მიმართ ჩვენი შეუწყნარებლობის მიზეზი, ნაწილობრივ, იმის ბრალია, რომ არ ვიცით, რატომ განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისგან, ანთროპოლოგების მიერ დაგროვილი ცოდნა დაგვეხმარება მის შემცირებაში.

წარსულის ცოდნა დაგვეხმარება თავმდაბლობისა და სრულყოფილების გრძნობების შეძენაში. თუ გადავწყვეტთ მსოფლიო პრობლემების მოგვარებას, ჯერ საკუთარი სუსტი წერტილები უნდა გავაცნობიეროთ და არ უნდა გვეგონოს, რომ ჩვენი პრობლემები თავისთავად გადაწყდება. ამასთან, საკუთარ მიღწევებზეც უნდა ვიფიქროთ და გვწამდეს, რომ აუცილებლად მივაგნებთ საკუთარი პრობლემების გადაწყვეტის გზას. უსიამოვნებათა უმეტესობა, რომლებიც თავს გვატყდება, გამოწვეულია საკუთარი მნიშვნელობის გადამეტებული შეფასებით და იმით, რომ ჩვენი თავი ზედმეტად დაცული გვგონია – მოკლედ რომ ვთქვათ, თავმდაბლობა გვაკლია. ჩვენი ევოლუციისდროინდელი წარსულის ცოდნა დახმარებას გაგვიწევს, ვიპოვოთ ჩვენი ადგილი ბიოლოგიურ სამყაროში. ისევე, როგორც ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს, არც ერთ კონკრეტულ ხალხს ან თუნდაც მთელ კაცობრიობას, არა აქვს იმის გარანტია, რომ შეძლებს უკვდავებას მიაღწიოს. დედამიწა იცვლება, იცვლება გარემომცველი ბუნება და იცვლებიან თავად ადამიანები და ის, რაც შეიძლება გადარჩეს და ყვაოდეს დღეს, მომავალში შეიძლება დაიღუპოს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენმა დღევანდელმა დაუცველობამ თავი უსუსურად გვაგრძნობინოს. მრავალი მიზეზი არსებობს იმისთვის, რომ მომავლის რწმენა გვქონდეს. წარმოიდგინეთ, რას მივაღწიეთ დღემდე. ქვისა და ხის იარაღებით ვნადირობდით ჩვენზე ბევრად დიდსა და ძლიერ ცხოველებზე, ვისწავლეთ ცეცხლის დანთება, სითბოს შენარჩუნება და საკვების მომზადება. მცენარეთა გაშენებით და ცხოველთა მოშინაურებით საკვების მომარაგებაზე მეტი კონტროლი მოვიპოვეთ და შევქმენით მყარი საცხოვრებელი სახლები; მაღაროებში სხვადასხვა ლითონების მოპოვებისა და მათი შენადნობების შექმნის შემდეგ უფრო მაგარი და გამძლე იარაღების დამზადება დავიწყეთ. ავაშენეთ ქალაქები და სარწყავი სისტემები, არქიტექტურული ძეგლები და ხომალდები; შესაძლებელი გავხადეთ ერთ დღეში ერთი კონტინენტიდან მეორეზე გადაადგილება. დავამარცხეთ ბევრი ავადმყოფობა და გავზარდეთ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა.

მოკლედ, ადამიანები და მათი კულტურა ისტორიის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. მოსახლეობა ხშირად ახერხებდა ცვალებად პირობებთან შეგუებას, ამიტომ, იმედი ვიქონიოთ, რომ ამას აწმყოსა და მომავალშიც შევძლებთ.

ანთროპოლოგიური პირველწყაროები

ყოველ შემდგომ თავს დაერთვის ნაწყვეტები ამ წიგნის ავტორთა სტატიებიდან. ორიგინალური სტატიების მიზანია, წარმოგვიდგინონ, რას ფიქრობს ესა თუ ის ანთროპოლოგი თავის მუშაობაზე. ამ სტატიათა ერთობლიობა აშუქებს ანთროპოლოგიური კვლევის მრავალფეროვნებას. თავებში, რომლებიც ფიზიკურ ანთროპოლოგიასა და არქეოლოგიას ეხება, მოწვეული ავტორები განსხვავებული ქვედისციპლინების საზღვრებზე მსჯელობენ. კულტურული ანთროპოლოგიისადმი მიძღვნილ თავებში ადამიანთა კულტურის მრავალფეროვნებას აშუქებენ. მრავალი მეცნიერული პორტრეტი გადმოგვცემს ეთნოგრაფების ველზე მუშაობის პირად გამოცდილებას. ეს ჩვენი განსაკუთრებული მიზანი იყო. გვინდა სტუდენტებს დავანახოთ განსხვავება არა მხოლოდ ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდებს, არამედ თვით ანთროპოლოგებს შორისაც. ამგვარად, ჩარჩოებში „ანთროპოლოგიური პირველწყაროები“, რომლებიც შემდგომ თავებში შეგხვდებათ, გადმოცემულია თანამედროვე ანთროპოლოგიური აზროვნებისა და კვლევის მთელი სიმდიდრე და მასშტაბი.

შეჯამება

1. ანთროპოლოგია, ძირითადად, ადამიანს შეისწავლის. ის ადამიანის შემსწავლელი სხვა დისციპლინებისგან იმით განსხვავდება, რომ უფრო ფართო თვალსაწიერი აქვს. იგი მოიცავს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ ხალხებს (არა მხოლოდ ჩვენთან ახლოს მცხოვრებთ) და თვალს ადევნებს ადამიანთა ევოლუციასა და კულტურულ განვითარებას მილიონი წლის წინანდელი დროიდან მოყოლებული დღემდე.
2. ანთროპოლოგიის მეორე დამახასიათებელი ნიშანია ადამიანის შესწავლის მიმართ ერთიანი (ჰოლისტერიული) მიდგომა. ანთროპოლოგები შეისწავლიან არა მხოლოდ ადამიანთა ყველა სახესხვაობას, არამედ ამ ადამიანთა გამოცდილების ყველა ასპექტსაც.
3. ანთროპოლოგების კვლევის საგანია გარკვეული მოსახლეობის ტიპური დამახასიათებელი ნიშნების (თვისებები, წეს-ჩვეულებები) იდენტიფიცირება და ახსნა.
4. ბიოლოგიური ანუ ფიზიკური ანთროპოლოგია ამ დისციპლინის ძირითადი ნაწილებია. ბიოლოგიური ანთროპოლოგია ადამიანის წარმოშობასა და მის შემდგომ ფიზიკურ ევოლუციას შეისწავლის (ამ მიმართულებას ადამიანთა პალეონტოლოგია ეწოდება). იგი ასევე შეისწავლის, როგორ და რატომ იცვლებიან თანამედროვე ადამიანთა პოპულაციები (ამ მიმართულებას ადამიანთა ცვალებადობა ეწოდება).
5. ანთროპოლოგიის ერთ-ერთი დარგია კულტურული ანთროპოლოგია. მას სამი განხრა აქვს: არქეოლოგია, ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა და ეთნოლოგია (რომელსაც ახლა ხშირად კულტურული ანთროპოლოგიის სახელით მოიხსენიებენ). თითოეული მათგანი შეისწავლის ადამიანთა კულტურას ანუ ამა თუ იმ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ აზროვნებას და მათი ქცევის წესებს.
6. არქეოლოგები ცდილობენ აღადგინონ ისტორიამდელ ადამიანთა არა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრება და წეს-ჩვეულებები, არამედ თვალი გაადევნონ კულტურულ ცვლილებებსაც და ახსნან მათი მიზეზები. მაშასადამე, არქეოლოგები აღადგენენ ისტორიას სხვადასხვა კულტურათა მატერიალური ნაშთების მიხედვით.
7. ანთროპოლოგი ლინგვისტები ენების წარმოშობით და დროთა განმავლობაში მათ შორის განსხვავებათა წარმოქმნის კვლევით არიან დაკავებულნი (ამ საგანს ისტორიული ლინგვისტიკა ეწოდება). ისინი შეისწავლიან აგრეთვე განსხვავებებს თანამედროვე ენებს შორის, როგორც კონსტრუქციული თვალსაზრისით (აღწერილობითი, ანუ სტრუქტურული ლინგვისტიკა), ისე მეტყველებაში (სოციოლინგვისტიკა).
8. ეთნოლოგები (ამჟამად მოიხსენიებიან, როგორც, უბრალოდ, კულტურული ანთროპოლოგები) შეისწავლიან, როგორ და რატომ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ახლო წარსულისა და თანამედროვე ადამიანები აზროვნებითა და ქცევით. ეთნოლოგთა ერთი მიმართულება – ეთნოგრაფები, ჩვეულებრივ, თითქმის მთელ წელს რომელიმე განსაზღრული ხალხის წრეში ატარებენ, მათთან საუბრისა და წეს-ჩვეულებების შესწავლის მიზნით. მოგვიანებით, ისინი ამ ხალხის კულტურული და სოციალური ცხოვრების მრავალ ასპექტს დეტალურად აღწერენ. ეთნოლოგთა მეორე ტიპი, ეთნოისტორიკოსები, იკვლევენ წერილობით წყაროებსა და დოკუმენტებს იმის გასარკვევად, თუ როგორ იცვლებოდა ხალხის გარკვეული ჯგუფი დროთა განმავლობაში. ეთნოლოგთა მესამე ტიპი – კროს-კულტურული მკვლევარები, შეისწავლიან ეთნოგრაფებისა და ეთნოისტორიკოსების მიერ შეკრებილ მონაცემებს და ცდილობენ, ჩასწვდნენ, გარკვეულ წეს-ჩვეულებათა რომელი განმარტება გამოადგებათ განზოგადებისათვის.
9. ანთროპოლოგიის ოთხ ქვედისციპლინას შორის ერთ-ერთია გამოყენებითი ანთროპოლოგია. ამ დარგის წარმომადგენლები ანთროპოლოგიურ ცოდნას პრაქტიკული მიზნების მისაღწევად უმთავრესად ტრადიციულ, აკადემიურ ფარგლებს გარეთ იყენებენ.
10. ანთროპოლოგია ადამიანებს მეტი ტოლერანტობის მიღწევაში ეხმარება. მისი საშუალებით ვიგებთ, რატომ არიან სხვა ადამიანები ისეთები, როგორებიც არიან კულტურული თუ ფიზიკური თვალსაზრისით. ზოგი წეს-ჩვეულება და ქცევა, რომელიც იქნებ უჩვეულოდ და შეურაცხმყოფელადაც მოგვეჩვენოს, შეიძლება მათი განსაკუთრებულ გარემო ან სოციალურ პირობებთან შეგუებით იყოს გამოწვეული.
11. წარსულის ცოდნამ შეიძლება მეტი თავმდაბლობა და თანაც, საკუთარი სრულყოფილების შეგრძნება მოგვცეს. როგორც სხვა რომელიმე ცოცხალ ორგანიზმს, არც ჩვენ გვაქვს იმის გარანტია, რომ ადამიანთა რომელიმე გარკვეული პოპულაცია სამუდამო უკვდავებას მოიპოვებს. თუმცა, წარსულის ცოდნა გვანიჭებს საკუთარი თავის რწმენას მომავლის პრობლემების გადაწყვეტაში.

გამოყენებული ტერმინოლოგია:

ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა
ანთროპოლოგია
გამოყენებითი (პრაქტიკული) ლინგვისტიკა
არქეოლოგია
ბიოლოგიური (ფიზიკური) ანთროპოლოგია
კროს-კულტურული მკვლევარი
კულტურული ანთროპოლოგია
კულტურა
აღწერილობითი (სტრუქტურული ლინგვისტიკა)
ეთნოგრაფი
ეთნოგრაფია
ეთნოისტორიკოსი
ეთნოლოგია
გათხრისას აღმოჩენილი ცხოველები და ადამიანები ან მათი ანაბეჭდები
ისტორიული არქეოლოგია
ისტორიული ლინგვისტიკა
ერთიანი მიდგომა (ჰოლისტური მიდგომა)
Homo sapiens
ადამიანის პალეონტოლოგია
ადამიანთა ნაირგვარობა
პალეოანთროპოლოგია
პრეისტორია
პრიმატები
პრიმატოლოგები
სოციოლინგვისტები

ძირითადი კითხვები:

1. რას შეისწავლის ანთროპოლოგია?
2. რით განსხვავდებიან ანთროპოლოგები თქვენთვის ცნობილი სხვა მეცნიერებისაგან?
3. რას ფიქრობთ იმაზე, რომ ანთროპოლოგია ადამიანის შემსწავლელი უმთავრესი დისციპლინაა?

2 როგორ ვეძებთ წარსულს

თავების შინაარსი

- წარსულის ნივთიერი საბუთები (ძეგლები)
- წარსულის ნივთიერი საბუთების ძიება
- მასალის შესწავლა
- მასალის დათარიღება
- არქეოლოგიური კვლევის შედეგები

როგორ იგებენ არქეოლოგები და **პალეოანთროპოლოგები** იმის შესახებ, რა ხდებოდა ათასობით და მილიონობით წლის წინ? არ არსებობს ამ პერიოდების შესახებ რაიმე წერილობითი წყარო, საიდანაც ინფორმაციის მიღება იქნება შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვაქვს წარსულის ამსახველი სხვა მტკიცებულებანი და მათი "წაკითხვის" საშუალება და საკმაოდ დიდ ინფორმაციას ვიღებთ ჩვენი წინაპრების ევოლუციისა და ცხოვრების შესახებ.

წარსულის კვალი

არქეოლოგები და პალეოანთროპოლოგები წარსულის შესასწავლად ოთხი ტიპის ფაქტებს ეყრდნობიან: არტეფაქტებს, ეკოფაქტებს, ადამიანთა და ცხოველთა ნაშთებს და კომპონენტებს. როგორც ვნახავთ, თითოეული მათგანი იძლევა უნიკალურ ცნობებს წარსულის შესახებ. ყველა ერთად კი გვაძლევს დეტალურ ინფორმაციას ადამიანის ხანგრძლივი ცხოვრების განვლილ ეტაპებზე. თუმცა, ამგვარი მონაცემების "წასაკითხად" ცოდნა და გამოცდილებაა საჭირო.

არტეფაქტები

ყველაფერს, რაც ადამიანის მიერ არის შექმნილი ან სახეშეცვლილი, **არტეფაქტები** ეწოდება. წიგნი, რომელსაც ახლა კითხულობთ, სკამი, რომელზეც ზიხართ, კალამი, რომელიც რამის ჩასაწერად გიჭირავთ, არტეფაქტები. ფაქტობრივად, ჩვენ არტეფაქტების გარემოცვაში ვართ, რომელთა უმეტესობასაც ვკარგავთ ან ვყრით. ამგვარად ხვდება ნივთები არქეოლოგიურ ნუსხაში. დაფიქრდით, რამდენ ნაგავს ქმნით დღის განმავლობაში? რამდენი სახის ნივთს ყრით ნაგავში? უმეტესად ქაღალდს, მაგრამ ალბათ ხესაც (მაგალითად, ლანჩზე მირთმეული ნაყინის ჯოხს), პლასტმასს (კალამს, რომელშიც წინა საღამოს მელანი გათავდა) და იქნებ ლითონსაც (დაბლაგვებული სამართებელი თქვენს საპარსში). ნაგვიდან ეს ნივთები ნაგავსაყრელში, შემდეგ კი მიწაში ხვდება. შესაფერის პირობებში ამ ნივთების უმეტესობა გადარჩება, რათა მომავალში არქეოლოგებმა იპოვონ. ნივთების უმეტესობა, რომელთაც არქეოლოგები შეისწავლიან, სწორედ ნაგავია – ყოველდღიური ცხოვრების შედეგად დაგროვილი და გადაყრილი, რომელსაც შემდეგ არქეოლოგები პოულობენ და შეისწავლიან წარსულის ყოველდღიური ცხოვრების აღსადგენად.

შორეული წარსულის აქამდე აღმოჩენილი არტეფაქტების უმეტესობა ქვის იარაღებია და მათ არქეოლოგები **ლითოსებს** (lithics) უწოდებენ. ლითოსები ერთადერთი სახეობის არტეფაქტებია, რომლებიც ადამიანის ისტორიის 99 პროცენტისთვის არის დამახასიათებელი. ადამიანებმა ქვის იარაღის გამოყენება პირველად ორნახევარი მილიონი წლის წინ დაიწყეს და ზოგიერთი მათგანი დღესაც გამოიყენება (მაგალითად, საფქვავი და საპრიალებელი ქვები). ქვა გამოიყენებოდა ნებისმიერი დანიშნულებით, რისი მოფიქრებაც კი შეიძლება, საჭრელი იარაღებით დაწყებული და ზეთის ლამპრებით დამთავრებული. თუმცა, ისინი ჩვეულებრივ, ნადირობისას, საყასბო საქმესა და ტყავის დამზადებაში გამოიყენებოდა. არტეფაქტების მეორე, გავრცელებულ ტიპს **კერამიკა** წარმოადგენს (გამომწვარი თიხისგან დამზადებული ჯამები და სხვა ჭურჭელი). მისი წარმოება ადამიანებმა პირველად დაახლოებით 10000 წლის წინ დაიწყეს. კერამიკული ნაკეთობანი, საკვების შესანახი და დასამზადებელი ჭურჭელი, ფართოდ გამოიყენებოდა. იმის გამო, რომ თიხის ჭურჭელი ერთდროულად მსხვრევადიცაა და ადვილად დასამზადებელიც, ხშირად აღმოჩნდებოდა ნაგავში და არქეოლოგიური შესწავლის საგანი ხდებოდა. ხისა და ძვლის არტეფაქტებიც საკმაოდ გავრცელებული იყო და გამოიყენებოდა ტყავის დამუშავებაში, სამზარეულოში, ნადირობასა და საყასბო საქმეშიც კი. ხისა და ძვლის იარაღებიც ისევე დიდი ხანია გამოიყენება, როგორც ქვის, მაგრამ მათგან განსხვავებით, ისე კარგად არ არის შემონახული არქეოლოგიური შესწავლისათვის. ზოგ ადგილას ხშირად გვხვდება ლითონისა და მინის არტეფაქტები. ისინი კარგად ინახება და ამიტომ შემორჩენილია თითქმის ყველგან, სადაც კი გამოიყენებოდა.

ეკოფაქტები

ეკოფაქტები არის ბუნებრივი საგნები, რომლებსაც იყენებდნენ ადამიანები ან ადამიანების ზემოქმედების კვალს ატარებენ. ამის კარგი მაგალითია ცხოველების ძვლები, რომლებიც ჩვენს წინაპრებს ჭამის შემდეგ რჩებოდათ. ეს ძვლები ერთი შეხედვით რაღაცით არტეფაქტებს ჰგავს, მაგრამ ისინი არ არის ადამიანის მიერ დამზადებული ან სახეცვლილი, უბრალოდ, მათგან გამოყენებული და გადაგდებულია. სხვა მაგალითია არქეოლოგიურ უბნებზე აღმოჩენილი მცენარეთა მტვერი. იმის გამო, რომ ადამიანებს სხვადასხვა მცენარე სახლში მიჰქონდათ, არქეოლოგები ხშირად პოულობენ მათ მტვერს. ის ყოველთვის ერთი და იმავე ადგილიდან მოტანილ მცენარეებს არ ეკუთვნოდა და ერთად იმიტომ მოხვდა, რომ ადამიანებს სხვადასხვა ადგილიდან ერთგან მიჰქონდათ. ადამიანთა საცხოვრებლებთან ხშირად პოულობენ აგრეთვე ისეთი მწერებისა და მავნებლების ნაშთებს, როგორიცაა ტარაკანები და თაგვები. მათ ნაშთებს ადამიანის საცხოვრებლებთან ახლოს იმიტომ პოულობენ, რომ ისინი ადამიანთა მიერ შექმნილი პირობებით სარგებლობდნენ. მათი არსებობა ადამიანთა არსებობით არის გამოწვეული, ამიტომ ისინიც ეკოფაქტებად ითვლება.

ნამარხები

ნამარხები (ცოცხალ ორგანიზმთა ნაშთები) უფრო იშვიათად გვხვდება, მაგრამ ადამიანთა ბიოლოგიური ევოლუციის შესწავლისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ რიგს მიეკუთვნება ტალახიან ზედაპირზე მწერის ან ფოთლის გაქვავებული ანაბეჭდებიც. განამარხებულ ბიოსს მიეკუთვნება აგრეთვე ცხოველის გაქვავებული ჩონჩხებიც. ცხოველის სიკვდილის შემდეგ



კერამიკული თასი ჩინეთიდან. თარიღდება ამ ტერიტორიაზე მიწათმოქმედების ჩამოყალიბების პერიოდით — დაახლოებით 6000 წლის წინ.

ორგანული ქსოვილები, რომელთაგანაც მისი სხეული შედგება, ნადგურდება. კბილები და ჩონჩხი, უმთავრესად, არაორგანული მინერალური მარილებისგან შედგება და ამიტომ დაღუპული ცხოველებისგან ეს რჩება. ხშირია შემთხვევები, როდესაც გარემო პირობების ზეგავლენით ეს ნაწილებიც ნადგურდება. ზოგჯერ, ათასში ერთხელ, ხდება ისე, რომ ამ ნაწილების დასაკონსერვებლად შესაფერისი პირობები იქმნება – მაგალითად, როცა ვულკანური ფერფლი, კირქვა ან მინერალური მარილებით გაჯერებული გრუნტის წყლები კბილის ან ძვლის სტრუქტურას უერთდება და მათ გამაგრებას იწვევს, რაც მათ განადგურებას ხელს უშლის.

მაგრამ ჩვენ არ გვაქვს წარსულში არსებული ყველა ცოცხალი ორგანიზმის გაქვავებული ნაშთები. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ მხოლოდ მცირე რაოდენობის ინდივიდების შემორჩენილი ფრაგმენტებია. ამ სახის მასალის ნუსხა არასრულია. რობერტ მარტინის აზრით, დედამიწაზე პრიმატების დაახლოებით 6000 სახეობა არსებობდა, ნაპოვნი კი ამ რაოდენობის მხოლოდ 3% ნაშთია. ამიტომ, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ პალეონტოლოგებს ძალიან უჭირთ ევოლუციური კავშირების დადგენა მათი პრიმატების ადრეულსა და გვიანდელ ფორმებს შორის. ეს ძალიან ძნელი ამოცანაა მცირე ზომის ძუძუმწოვრებთან მიმართებაშიც, რომელთა ნაშთები გაქვავებული სახით უფრო ნაკლებად არის შემონახული.

კომპონენტები

კომპონენტები არტეფაქტების მსგავსი ცნებაა და მათგან იმით განსხვავდება, რომ არქეოლოგიური უბნიდან მათი ადვილად გადაადგილება შეუძლებელია. ამის კარგი მაგალითია კერები. როდესაც კერა პირდაპირ შიშველ მიწაზე მდებარეობს, მიწა თბება და იცვლება – მის შემცველობაში არსებული მთელი წყალი შრება, მიწის კრისტალური სტრუქტურა იშლება და ფორმას იცვლის: ხდება მყარი, მოწითალო და ოდნავ დამაგნიტებულიც კი (ამაზე შემდგომ ვისაუბრებთ). როდესაც არქეოლოგები კერას პოულობენ, ხედავენ გამაგრებულ, მოწითალო ნიადაგს, რომელიც ნახშირითა და ნაცრით არის გარშემორტყმული. ეს არტეფაქტია – ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტი. მაგრამ ძალიან ძნელი, შეუძლებელიც კი იქნება არქეოლოგისთვის, ქვის იარაღის ან კერამიკის მსგავსად, მისი მიწიდან ამოღება და ლაბორატორიაში გადატანა გამოსაკვლევად. კერა არქეოლოგიური უბნის განუყოფელი ნაწილია და სწორედ ამიტომ მიეკუთვნება „კომპონენტთა“ ჯგუფს.

კერები გავრცელებული პარამეტრებია, მაგრამ კიდევ უფრო გავრცელებულია ე.წ. ორმოები. ორმოები ადამიანების მიერ არის ამოთხრილი, შემდგომ პერიოდებში კი ისინი ნაგვითა და ეროზირებული ნიადაგით ივსება. მათი ამოცნობა ადვილია, რადგან ნაგავი და ნიადაგი, რომლებითაც არის ისინი ამოვსებული, ფერითაც და ფაქტურითაც განსხვავდებიან იმ ნიადაგისგან, რომელშიც არის ამოთხრილი. კომპონენტების სხვა ტიპს წარმოადგენს საცხოვრებლის იატაკები. ეს ის ადგილია, სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ და შრომობდნენ. აქ ნიადაგი ადამიანების მიერ არის დატკეპნილი და სავსეა მათი საქმიანობის ამსახველი ნარჩენებით, როგორიცაა, მაგალითად: მცენარეთა თესლები, ქვის პატარა ნატეხები, მძივები და ა.შ. ასეთი ნამტვრევების და ნარჩენების ყველაზე დიდი რაოდენობა ნაგავსაყრელებზე გვხვდება. უფრო ხშირად ეს ნაგავსაყრელები გამოქვაბულებია, რომლებიც ამ მიზნით დიდი ხნის განმავლობაში მრავალჯერადად გამოიყენებოდა. დაბოლოს, არქეოლოგიურ უბნებზე ყველაზე მეტად გავრცელებული კომპონენტებია შენობები. მათ რიცხვს მიეკუთვნება როგორც ქვის წრეები, რომლებიც ოდესღაც კარვების კედლებს აკავებდა, ისე ერთმანეთზე კარგად მორგებული ნათალი ქვებისგან ნაგები სასახლეები. გარემო პირობების წყალობით, ზოგან ხის შენობები ან მათი ნაწილებიც კი არის შემორჩენილი. კომპონენტები მოიცავს დიდი რაოდენობის მრავალფეროვან მასალას, რომელიც უამრავ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის წარსულის შესახებ.

კემბრიული პერიოდის ტრილობიტის 500000 წლის წინანდელი ანაბეჭდი ქვაზე.

ნივთიერი საგუთების აღმოჩენა

წარსულის ამსახველი ნივთიერი მასალა ყველგან არის ჩვენს გარშემო, მაგრამ მათი აღმოჩენა ყოველთვის ადვილი არ არის. არქეოლოგები და პალეონტოლოგები, ჩვეულებრივ, კრძალავენ ასეთი ადგილების მოძიებას. ეს ისეთი **ადგილებია**, სადაც არსებობს ან ეჭვი აქვთ, რომ შეიძლება არსებობდეს ძველი დროის ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის კვალი. შეიძლება აქ ადამიანები მხოლოდ ერთი დღით იყვნენ დაბანაკებულნი ან მრავალი ასეული წელი ცხოვრობდნენ. მიუხედავად თავიანთი ზომისა და კონსტრუქციის სირთულისა, ამ ადგილებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს წარსული ცხოვრების აღდგენისთვის.

როგორ იქმნება ძეგლები?

ძეგლები იქმნება, როდესაც ადამიანის საქმიანობის ნარჩენები რაიმე ბუნებრივი პროცესების გამო, იფარება ან იმარხება. ყველაზე დრამატული მოვლენაა ვულკანური ამოფრქვევა — სულ რაღაც წამების განმავლობაში სრულიად იმარხებიან ადამიანები მათი ქცევისა და საქმიანობის ამსახველ პირობებში. ამის ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითია ძვ. წ. 79 წელს მომხდარი ვულკან ვეზუვის ამოფრქვევა, რომლის დროსაც დაიმარხა ქალაქი პომპეი. თანამედროვე არქეოლოგებს გათხრების დროს უძველესი ქალაქი ზუსტად იმ მდგომარეობაში დახვდათ, როგორშიც ამოფრქვევის მომენტში იყო. ნაკლებად დრამატულია ადამიანთა არსებობის ამსახველი ძეგლების დამარხვა ბუნებრივი პირობების – ნაგვის დაგროვების ან ეროზიის გამო. წყლისა და ქარის ზემოქმედების წყალობით, მიწამ და ნაგავმა შეიძლება უბანი დაფაროს სწრაფად (წყალდიდობა) ან ძალიან ნელა და ხელშეუხებლად შემოინახოს ადამიანის მიერ დატოვებული არტეფაქტები, ეკოფაქტები და პარამეტრები. დაბოლოს, თავად ნიადაგის წარმოქმნის პროცესმაც შეიძლება გამოიწვიოს არტეფაქტების, ეკოფაქტების, ცხოველთა/მცენარეთა ნაშთებისა და მახასიათებლების დამარხვა იმგვარად, რომ არქეოლოგებმა შეძლონ შემდგომში მათი აღმოჩენა. მაგალითად, ტყეებში ჩამოცვენილი ფოთლები ფარავს ადამიანების სადგომს. დროთა განმავლობაში ეს ფოთლები ლპება და იქცევა



„ძეგლი“ არის ადგილი, სადაც არქეოლოგიური მასალა ჩნდება თავის კონტექსტში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძეგლი ისეთი დიდი ზომისაა, როგორც ამ სურათზე ასახული ქალაქი პომპეი, ის შეიძლება დაიმარხოს და ასეთ მდგომარეობაში შემოინახოს.

ნიადაგად, რომელიც ამ ადგილს თანდათანობით, წლების მანძილზე მთლიანად ფარავს.

იმის გამო, რომ ცხოვრებისა და მუშაობისთვის მოსახერხებელი ადგილმდებარეობა ადამიანის მიერ რამდენჯერმე გამოიყენება, მრავალი ძეგლი ადამიანთა რამდენიმე სხვადასხვა დასახლების ამსახველ მასალას შეიცავს. არქეოლოგებისათვის და პალეოანთროპოლოგებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ძეგლები, რომელთა დაფარვის პროცესი სწრაფად ხდებოდა ისე, რომ ძეგლის ყოველი ახალი დასახლება მკვეთრად გამოიყოფოდა წინასგან. ასეთ ძეგლებს **სტრატიგრაფიული** ძეგლები ეწოდება. ყოველი ფენა – stratum – ერთმანეთისგან ისეა გამოყოფილი, როგორც ნამცხვრის ფენები. სტრატიგრაფიული ძეგლები არა მხოლოდ უადვილებს არქეოლოგებსა და პალეოანთროპოლოგებს გამოყონ დასახლებების თანმიმდევრობა, არამედ იძლევა თითოეული ფენის მიახლოებითი დათარიღების საშუალებას – უფრო ადრინდელი ფენები დანარჩენების ქვეშ არის მოქცეული.

ტაპონომია

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ თავად ძეგლების შექმნის პროცესმა შეიძლება მათი დაზიანება ან განადგურება გამოიწვიოს. ზოგი არქეოლოგი და პალეოანთროპოლოგი ამტკიცებს, რომ ისეთი ბუნებრივი პროცესები, როგორიც ქარი და წყლის ეროზიაა, არა მხოლოდ მარხავს ადამიანების მიერ დატოვებულ მასალას, არამედ მათზე ისე მოქმედებს, რომ შემდეგ ძალიან დიდი სიფრთხილე სჭირდება გარკვევას, თუ რა ნივთია აღმოჩენილი ასეთ ძეგლზე. მაგალითად, ჰაროლდ დიბლი და მისი კოლეგები ამტკიცებდნენ, რომ საფრანგეთში გათხრილი ქვედა პალეოლითის ძეგლი ქაგნი-ლ'ეპინეტი (Cagny-L'Épinette) სინამდვილეში არ შეიცავდა ქვედა პალეოლითის ადამიანების ცხოვრების დამადასტურებელ ფენას, როგორც ამას წინასწარი გათხრების მიხედვით ვარაუდობდნენ; მეტიც, დიბლი და მისი კოლეგები ამტკიცებდნენ, რომ ის, რაც ადამიანის საქმიანობის კვალის შემცველ სტრატიგრაფიულ ფენად მიაჩნდათ, სინამდვილეში იყო წყლის კვალი, რომელიც ძეგლს კვეთდა და არტეფაქტებს უფრო ქვემოთ მდებარე ადგილას აგროვებდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი ძეგლებიდან არავითარი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, უბრალოდ, საჭიროა, არქეოლოგებმა და პალეოანთროპოლოგებმა განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ წარსულის ინტერპრეტაციის დროს.

როგორ ხდება ძეგლების აღმოჩენა?

ძეგლების აღმოჩენის რაიმე ერთი, განსაკუთრებული მეთოდი არ არსებობს. უამრავი ძეგლი შემთხვევით არის აღმოჩენილი. მრავალი არტეფაქტის ან ზოგჯერ კომპონენტის აღმოჩენა შემთხვევით, მიწის თხრის დროს ხდება. არქეოლოგებისა და პალეოანთროპოლოგების მიერ ძეგლების სპეციალური ძებნა – დაზვერვა — ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით ხორციელდება: 1. ადგილის ფეხით შემოვლა 2. შორიდან დაკვირვება.

ადგილის ფეხით შემოვლა (დაზვერვა) ნიშნავს იმას, რასაც სახელი გვეუბნება – ფეხით სიარულს და ძეგლების ძებნას. მაგრამ არსებობს მრავალი მეთოდი, რომელსაც არქეოლოგები და პალეოანთროპოლოგები მეტი ეფექტურობისთვის იყენებენ. ესენია ნიმუშების შეგროვებისა და სისტემატიზაციის მეთოდები. მათ ფეხით გასავლელი მანძილის შესამცირებლად იყენებენ. მეორე მეთოდი, რომლის გამოყენებითაც არქეოლოგებს დასაზვერი ფართობის შემცირება შეუძლიათ, არის მათი ძებნის ფოკუსირება ისეთ ადგილებზე, რომლებიც ადამიანის ბინადრობის ადგილებს წააგავს. პალეოანთროპოლოგები, ჩვეულებრივ, მხოლოდ ისეთ ადგილებზე ამახვილებენ ყურადღებას, სადაც ჩანს ნამარხის კვალი, ისინი იმავე პერიოდით თარიღდება, რომლითაც მათი ძებნის საგანი — პრეისტორიული ადამიანი ან მაიმუნი. ადგილის ფეხით შემოვლა, მართალია, დაბალტექნოლოგიური, მაგრამ ძეგლების მოძიებისთვის ძალიან ეფექტური მეთოდია.

შორიდან დაკვირვება ძეგლების აღმოჩენის უფრო მაღალტექნოლოგიური მეთოდია. მისთვის დამახასიათებელია ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც საშუალებას აძლევს არქეოლოგებსა და პალეოანთროპოლოგებს არქეოლოგიური ძეგლების არსებობა შორი მანძილიდან, მიწის საფარის ქვეშ დაადგინონ. ზოგჯერ მინერალების ან ნავთობის დეპოზიტების გამოსავლენ უფრო ძლიერ, მგრძნობიარე აპარატურას გეოლოგებისგან თხოულობენ. დედამიწის მაგნიტური ანუ მიზიდულობის ველის, ელექტრული დენის ცვლილებების დასადგენად ან დედამიწის ცენტრისკენ მიმართული ენერგიის პულსის გასაზომად, ჩვეულებრივ, იყენებენ წუთობრივ ცვლილებათა აზომვის მეთოდს. როდესაც ამ მცირე ცვლილებების ანუ ანომალიების ლოკალიზაცია მოხდება, შესაძლებელი იქნება მათი უფრო დაწვრილებით დატანა რუკაზე მიწის სიღრმეში მდებარე არქეოლოგიური დეპოზიტების სიღრმისა და ფართობის გათვალისწინებით.

არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენის ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგიური მეთოდია გეომაგნიტური მეთოდი. იგი ემყარება ფაქტს, რომ დედამიწას ძლიერი მაგნიტური ველი აქვს, რომელიც იმის მიხედვით იცვლება, თუ რა არის მიწაში ჩამარხული. ისეთი კომპონენტები, როგორიცაა კერები, ქვის კედლები და ორგანული ნარჩენებით სავსე ორმოები, ისევე, როგორც ლითონისა და კერამიკის არტეფაქტები, დედამიწის მაგნიტურ ველს ცვლის. დედამიწის მაგნიტური ველის ყურადღებით გაზომვის შედეგად არქეოლოგს შეუძლია ამ ნივთების აღმოჩენა. არქეოლოგები იყენებენ მაღალი მგრძნობელობის მქონე ინსტრუმენტს – მაგნიტომეტრს, რათა რუკაზე დაიტანონ დედამიწის მაგნიტური ველის მონაცემები დიდ ფართობზე. როდესაც რუკაზე მუშაობა დამთავრდება, ანომალიურად მაღალი ან დაბალი მაჩვენებლების მქონე

პუნქტები მიუთითებს კომპონენტების ან არტეფაქტების მდებარეობას. ხშირ შემთხვევაში, ეს ანომალიები ყალიბდება კანონზომიერებად, რომელთა ამოცნობა ადვილი ხდება. გეომაგნიტურ მეთოდს ხშირად „პასიურ“ მეთოდს უწოდებენ იმის გამო, რომ არქეოლოგი, უბრალოდ, არსებულ გეომაგნიტურ ველს ზომავს. არსებობს შორიდან დაკვირვების „აქტიური“ ტექნოლოგიები, რომლებიც ითვალისწინებს ენერგიის პულსის მიწის სიღრმეში გაგზავნას და დამარხული ობიექტის მიერ გადმოცემული სიგნალის ჩაწერას. ერთ-ერთი ტექნოლოგია, რომელიც განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება, არის ნიადაგის რადარი (soil interface radar SIR). ამ მოწყობილობის მოქმედების პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ რადგან სხვადასხვა სახის ნიადაგი რადარის ენერგიაზე სხვადასხვანაირად რეაგირებს, რადარის პულსის ნიადაგში გაშვებისას და რადარების რეაგირების ჩაწერისას არქეოლოგებს შეუძლიათ რუკაზე დაიტანონ მიწის საფარის ქვეშ სხვადასხვაგვარი ნიადაგის არსებობა. რაც მთავარია, მათ საშუალება ეძლევათ რუკაზე მიუთითონ მიწის ქვეშ არსებული ისეთი კომპონენტების არსებობა, როგორიცაა, მაგალითად, ქვის კედელი. რადარული კვლევისათვის არქეოლოგი მიწაში ამაგრებს ანტენას, რომლის ზომა დამოკიდებულია გასათხრელი ობიექტის სიღრმეზე. ანტენა აგზავნის და იღებს რადარის პულსს, რადარის მიერ მიღებული სიგნალები კი ქაღალდის ლენტზე ან კომპიუტერის ფაილში იწერება. ეს ჩანაწერები არქეოლოგს მიწის ქვეშ არსებული სურათის წარმოდგენის საშუალებას აძლევს.

როგორ ხდება არტეფაქტების, ეკოფაქტებისა და კომპონენტების მიწიდან ამოღება?

მიუხედავად იმისა, როგორ იქნება აღმოჩენილი არქეოლოგიური დეპოზიტი — ადგილის ფეხით შემოვლის თუ შორიდან დაკვირვების გზით — მიწიდან მათი ამოღების ერთადერთი საშუალება გათხრებია. გათხრები, თავისთავად, რთული პროცესია, მას ორი მიზანი აქვს: 1. ძეგლის (ან სტატისტიკური აღნუსხვისთვის ვარგისი ნიმუშის) ყოველი ნატეხის პოვნა 2. აღმოჩენილი ნივთის ჰორიზონტალური ან ვერტიკალური მდებარეობის ზუსტი ჩაწერა. არქეოლოგებმა და პალეოანთროპოლოგებმა თავიანთი მიზნების მისაღწევად გათხრების მრავალი სტრატეგია და ტექნოლოგია შეიმუშავეს და ყოველი მათგანი არქეოლოგიური დეპოზიტების, არტეფაქტების, ეკოფაქტების, განამარხებული ნაშთებისა და კომპონენტების მიწიდან ფრთხილ ამოთხრას და მათი მდებარეობის

პალეოანთროპოლოგები თხრიან უძველეს ადამიანს ჩრდილოდასავლეთ კენიაში. წარმოდგენილი ნამარხი ეკუთვნის სპილოს, რომელიც შესალებელია ადამიანებმა მოკლეს.

დეტალურ ჩაწერას ითვალისწინებს.

გათხრები ორმოების უბრალო ამოთხრა არ არის, თუნდაც მათ სწორი კვადრატების ფორმა ჰქონდეთ. იმის გამო, რომ მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის ძეგლის გათხრაა შესაძლებელი მთლიანად (მოითხოვს ძალიან დიდ ხარჯებს, ამიტომ არქეოლოგთა უმრავლესობა ამჯობინებს ზოგიერთი არქეოლოგიური დეპოზიტის ხელუხლებლად შენახვას იმ დრომდე, როდესაც შესაძლებელი გახდება ახალი ტექნოლოგიების გამოყენება), არქეოლოგიური გათხრები დიდი ყურადღებით უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ გამოყენებულ იქნას ნიმუშების შეგროვების მეთოდი. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა შეგროვდეს ყველა სახის არქეოლოგიური მასალის ნიმუშები მთლიანი ძეგლის გათხრის გარეშე. ამისთვის არქეოლოგმა ზუსტად უნდა დაგეგმოს ძეგლის გათხრა ისე, რომ მისი ყველა ნაწილი თანაბრად შემოწმდეს.

დღემდე ვერ ავინ შეძლო მოეფიქრებინ ა არტეფაქტების, ეკოფაქტების, განამარხებული მასალისა და კომპონენტების გათხრის ისეთი გზა, რომელიც ძეგლის დაზიანებას არ გამოიწვევდა. ეს არქეოლოგიური კვლევისთვის დამახასიათებელი უცნაური ირონიაა. მოკლედ რომ ვთქვათ, გათხრების დროს ირღვევა ურთიერთკავშირი განათხარ ობიექტებს შორის. ამიტომ პროფესიონალი არქეოლოგები გათხრების უმეტესობას იმ ობიექტებზე ატარებენ, რომელთაც განადგურება ემუქრებათ, თანაც მხოლოდ მაღალპროფესიული თანამშრომლებისა და უმაღლესი დონის ტექნიკის გამოყენებით.

არქეოლოგები და პალეოანთროპოლოგები მონაცემებს თითქმის ერთნაირი მეთოდებით აგროვებენ, მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით: არქეოლოგების ინტერესის სფეროს მეტწილად დაუზიანებელი ნივთების მოპოვება წარმოადგენს, პალეოანთროპოლოგებისას კი — დაუზიანებელი გაქვავებული ცხოველებისა და მცენარეების ნაშთების აღმოჩენა. ამას მივყავართ ზოგიერთ განსხვავებამდე, როგორც მონაცემთა შეგროვებაში, ასევე მათი მოძიების ადგილებშიც.

არქეოლოგები ეძებენ ხელუხლებელ ძეგლებს, სადაც დაუზიანებელი მასალის მოპოვება შეიძლება. პალეოანთროპოლოგები კი — იმ პერიოდით დათარიღებულ ძეგლებს, რომელშიც მათთვის საინტერესო სახეობები ცხოვრობდნენ და შესაძლოა, გაქვავებულიყვნენ. ხშირ შემთხვევაში, დაზიანებული ძეგლების პოვნა მომგებიანიც კი არის პალეოანთროპოლოგებისთვის, რადგან ასეთ ძეგლებზე უფრო ადვილია გაქვავებილი ნაშთების პოვნა, რადგან ეროზიის გამო, ისინი შეიძლება მიწის ზედაპირზე გამოჩნდნენ და გათხრების ჩატარება საჭირო აღარ გახდეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არქეოლოგები არასოდეს თხრიან დაზიანებულ ძეგლებს. ასევე, პალეოანთროპოლოგებიც მნიშვნელოვან აღმოჩენებს ზოგჯერ დაზიანებული ძეგლების გათხრისას აკეთებენ.

მასალის ანალიზი

მას შემდეგ, რაც არქეოლოგები და პალეოანთროპოლოგები აღმოაჩენენ ძეგლს და ამოთხრიან არტეფაქტებს და სხვა მასალას, იწყებენ მის „წაკითხვას“ წარსულის შესასწავლად. არქეოლოგიური ჩანაწერების ასეთ „წაკითხვას“ ანალიზი ეწოდება. გათხრების მსგავსად, არქეოლოგიური ანალიზი მრავალფეროვანი და რთული პროცესია, რომელსაც აქ მოკლედ შევეხებით. არქეოლოგიური ნუსხების შესახებ საუბრისას აღვნიშნეთ, რომ ბევრი რამ, რასაც კარგავენ ან ყრიან ადამიანები, ნადგურდება; აგრეთვე, ბევრი რამ, რაც გადარჩება, ჩვენამდე ფრაგმენტულად ან დაზიანებული აღწევს. ამიტომ, ანალიზის გაკეთებამდე არქეოლოგები მონაპოვარ მასალას აკონსერვებენ და აღადგენენ.

კონსერვაცია და რეკონსტრუქცია

კონსერვაცია არის არტეფაქტების, ეკოფაქტების და ზოგჯერ კომპონენტების დამუშავება იმგვარად, რომ შეაჩეროს მათი დაშლა, ლპობა ან თუ შესაძლებელია, გამოიწვიოს განადგურების უკუპროცესიც კი. კონსერვაციის ზოგიერთი სახე ძალიან მარტივია და მხოლოდ საგნის გაწმენდას და გაშრობას ითვალისწინებს. არსებობს კონსერვაციის ძალიან რთული სახეები, რომლებიც ხანგრძლივ ქიმიურ დამუშავებას და ზოგჯერ განსაკუთრებულ პირობებში მოთავსებასაც კი მოითხოვს.

ანთროპოლოგიური პირველწყაროები

წინაპართა თაყვანისცემა დაბლობში მცხოვრებ მაიას ტომში

რელიგიური რწმენა-წარმოდგენების კვლევა არქეოლოგიური სამუშაოს ერთ-ერთი ურთულესი ნაწილია. თუ ადამიანთა არსებობისა და სოციალური ყოფის დამადასტურებელი მასალა არქეოლოგიურ ანგარიშებში ადვილი ამოსაცნობია, რწმენა-წარმოდგენების ამსახველ მასალასთან დაკავშირებით პირიქით ხდება. ამიტომ პრეისტორიული ადამიანების რწმენა-წარმოდგენათა სისტემებში გასარკვევად და მათ შესასწავლად მეცნიერებს ბევრი შრომა უხდებათ. პატრისია მაკენანმა აღმოაჩინა, რომ იმის გასაგებად, თუ როგორ იყენებდნენ მინას მაიას უძველეს ტომში, ჯერ უნდა გარკვეულიყო, როგორი დამოკიდებულება არსებობდა ადამიანებს, მათ წინაპრებსა და მიწის გამოყენებას შორის. მაგრამ როგორ უნდა მოეხერხებინა ყოველივე ეს, როდესაც საქმე 1000 წლის წინანდელ კულტურასთან ჰქონდა? მაკენანი ამტკიცებს, რომ პრეისტორიული ადამიანის რელიგიური რწმენა-წარმოდგენების დადგენა შესაძლებელია, თუ მკვლევარს ექნება გამოკვეთილი შეხედულება, რომელიც ეთნოგრაფიულ ან ისტორიულ კანონზომიერებებზე იქნება დამყარებული.

არქეოლოგები არ აგროვებენ მასალას უძველესი ადამიანების ქცევის შესახებ, ისინი აგროვებენ მატერიალურ მასალას. არქეოლოგიის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა, ფაქტობრივად, იმ აზრიდან გამომდინარეობს, რომ არქეოლოგები ფიზიკურ მასალას (დამტვრეულ კერამიკას, ნაგებობათა ნანგრევებს და .შ.) იმ მიზნით შეისწავლიან, რომ წარსულის შესახებ აბსტრაქტული წარმოდგენა (მაგალითად, რატომ და როგორ წარმოიშვა წინაპართა თაყვანისცემის სოციალური ინსტიტუტი) შეაფასონ. ჩემთვის უფრო ადვილია ადამიანთა ქცევის შესახებ მეცნიერული კითხვების დასმა და სხვადასხვა ტიპის არქეოლოგიური ნიმუშების წარმოსახვა, რაც შეიძლება პირველივე ეთნოგრაფიული წიგნების წაკითხვის შემდეგ დასრულდეს. მაიას სახელმწიფო, რომელიც იუკატანის ნახევარკუნძულზე და მექსიკაში, ჩიაპასის ზეგანზე და ასევე, გვატემალაში მდებარეობს, საფუძვლიანად არის შესწავლილი, განსაკუთრებით მათი კოსმოლოგია და რიტუალები – ორი მთავარი თემა, რომელიც განსაკუთრებით კარგად მიესადაგება წინაპართა თაყვანისცემის საკითხზე არქეოლოგიურ კვლევას. მაიას შესწავლის მეორე მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც უშუალოდ წარსულიდან მოდის, არის მისი იეროგლიფური დამწერლობა და ელიტური იკონოგრაფია (მმართველი წრის წარმომადგენელთა გამოსახულებები).

მას შემდეგ, რაც მკვლევრების საგანგაშოდ აღმოჩნდა, რომ 1993 წელს იტალიის ალპებში აღმოჩენილი დაახლოებით 5000 წლის წინანდელმა ეგრეთ წოდებულმა „თოვლის კაცმა“ გათბობის შემდეგ ობით დაფარვა დაიწყო, ის მუდმივი გამყინვარების მსგავს პირობებში მოათავსეს. არქეოლოგებმა მას ობი მოაცილეს და გადაწყვიტეს, რომ იმავე პირობებში უნდა შეენახათ, რომელთა წყალობითაც ჩვენამდე მოაღწია. ამიტომ, შეიმუშავეს რთული მოწყობილობა, რომელშიც ყინულოვანი გარემო შექმნეს.

რეკონსტრუქცია თავსატეხის აწყობასავით ძნელი საქმეა. ჩვეულებრივისგან განსხვავებით, ეს სამგანზომილებიანი თავსატეხია და არ იცი, რომელი ნატეხები ეკუთვნის აღსადგენ საგანს და ყველა ნატეხი არის თუ არა ადგილზე. თავდაპირველად, უნდა მოხდეს მასალის მსგავს ტიპებად დახარისხება. მაგალითად, ერთ ძეგლზე მოპოვებული კერამიკის აღსადგენად უნდა მოხდეს ნატეხების დახარისხება ერთნაირი ფერის, დეკორაციისა და ფორმის მიხედვით. შემდეგ ერთნაირი ნატეხების შედარებით უნდა დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა, ისინი ერთსა და იმავე ჭურჭელს ეკუთვნოდეს. მას შემდეგ, რაც შეგროვდება ერთი ჭურჭლის სავარაუდო ნატეხები, უნდა მოხდეს ჭურჭლის აწყობა. რეკონსტრუქცია ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომელიც ზოგჯერ წლებსაც კი მოითხოვს.

რას ვსწავლობთ არტეფაქტებისგან?

რეკონსტრუქციისა და კონსერვაციის შემდეგ არქეოლოგი და პალეოანთროპოლოგი იწყებენ არტეფაქტების შესწავლას. არქეოლოგებს შემუშავებული აქვთ არტეფაქტების ანალიზის მრავალი სპეციფიკური და ხშირად უნიკალური მეთოდი. ქვის იარაღი კერამიკისგან განსხვავებულად შეისწავლება, ორივე მათგანი კი — ძვლისგან განსხვავებულად. მიუხედავად იმისა, თუ რა მასალისგან არის არტეფაქტები დამზადებული, მაინც არსებობს დახარისხების მრავალი მსგავსი მეთოდი.

ტიპოლოგიის პირველი მეთოდია არტეფაქტების დახარისხება ფორმის მიხედვით. ყველაზე გავრცელებული არტეფაქტების ფორმები, როგორიც არის ლითონის ან კერამიკის ნაწარმი, საკმაოდ კარგად არის შესწავლილი იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს მათი ტიპების მიხედვით დაჯგუფება. არტეფაქტების გარკვეულ ტიპებად დახარისხება ფორმული ანალიზის ძირითადი მიზანია. **ტიპოლოგია** საშუალებას აძლევს არქეოლოგებს, გარკვეული არტეფაქტი იმავე კონტექსტში განიხილონ, როგორც სხვა, მსგავსი არტეფაქტები, რომლებიც სხვა ძეგლზე ან ზოგ შემთხვევაში, სხვა ძეგლებზეა აღმოჩენილი. ტიპოლოგია ხშირად არტეფაქტების შესახებ დიდ ინფორმაციას იძლევა, მაგალითად, თარიღის, კულტურის ტიპის, რომელსაც იგი განეკუთვნება და ზოგჯერ იმის შესახებაც, თუ როგორ დამზადდა, გამოიყენებოდა ან რაზე იცვლებოდა ეს ნივთი წარსულში. მაგალითად, სურ. 2-1 გამოსახულია ტენესიში მდებარე ძეგლზე ნაპოვნი ისრის პირების ტიპოლოგია, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. 7300-5000 წლებს მოიცავდა. დროთა განმავლობაში ისრის პირების ფორმები შეიცვალა. (ფ) და (გ) ისრის პირების ფუძეები განსხვავდება (ც),(დ) და (ე)-ს ფუძეებისგან, ყველა მათგანი კი განსხვავდება (ა) ისრის პირის ფუძისგან. ასეთი ტიპოლოგიის დახმარებით არქეოლოგს შეუძლია გამოითვალოს ისრის პირის მიახლოებითი თარიღი მხ-

შემნახველი იყენებს დამცველს ალასკის ხრწნადი მორისთვის.

ოლოდ მისი ფუძის ფორმის მიხედვით.

მეორე მეთოდია არტეფაქტების ზომების მიხედვით დახარისხება. არქეოლოგები მათ ზომავენ და მონაცემებს მკაცრად განსაზღვრული წესების მიხედვით იწერენ. ამგვარი მეტრული ანალიზი, ფორმული ანალიზის მსგავსად, არტეფაქტების ტიპოლოგიური ჯგუფების მიხედვით დასახარისხებლად გამოიყენება. სურ. 2-2 გვიჩვენებს, როგორ ხდება ისრის პირებიდან სტანდარტული ზომების აღება. ამ ზომებით მეცნიერს შეუძლია იმუშაოს ტიპოლოგიაზე იმგვარად, როგორც ნაჩვენებია სურ. 2-1-ზე. ამჯერად, მეცნიერი ყურადღებას აქცევს ისრის პირის არა ფორმას, არამედ ზომას. მართლაც, ისრის პირების (ა), (დ) და (ფ) ფუძეების სიგანე სურათზე 2-1 განსხვავდება ისევე, როგორც განსხვავდება მათი ფორმები. მეტრული ანალიზის ძირითადი მნიშვნელობა ის არის, რომ მასზე დამყარებული ტიპოლოგია ნაკლებად სუბიექტურია, ვიდრე ფორმებზე დამყარებული. გარდა ამისა, ზომების აღება შეიძლება მოხდეს გატეხილი არტეფაქტებიდან ან მათი ნაწილებიდან, რომელთა კლასიფიცირება ფორმული ანალიზის საშუალებით შეუძლებელია.

მესამე მეთოდია ტექნოლოგიური ანალიზი. არქეოლოგებს ხშირად აინტერესებთ, როგორ არის არტეფაქტი დამზადებული. მისი დამზადებისას გამოყენებული მასალისა და მისი დამუშავების წესის მიხედვით, არქეოლოგებს შეუძლიათ გაიგონ მისი დამამზადებელი ხალხის ტექნოლოგიის, ეკონომიკისა და გაცვლა-გამოცვლის სისტემების შესახებ. მაგალითად, თუ რაიმე მასალა იმ ადგილას ხელმისაწვდომი არ არის, ნიშნავს იმას, რომ ის ვაჭრობის შედეგად არის იქ მიტანილი. არქეოლოგები ზოგჯერ აკვირდებიან, როგორ ამზადებენ იმავე არტეფაქტებს თანამედროვე ადამიანები და მათ მაგალითზე იგებენ უძველესი არტეფაქტების დამზადების ტექნოლოგიას. ენ ანდერჰილი დაინტერესებული იყო ლონგშანის პერიოდის ჩინური კერამიკის (ჩინელები თხელკედლიანი, ნატიფი ჭურჭლით იყვნენ ცნობილნი) დამზადების ტექნოლოგიით. ანდერჰილი, გარდა იმისა, რომ შეისწავლიდა ლონგშანის კერამიკას და ათვალიერებდა ძეგლებს, რომლებზეც იგი აღმოჩნდა, აკვირდებოდა აგრეთვე მსგავსი კერამიკის მწარმოებელ თანამედროვე მეთუნეებს. მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ კერამიკას ამზადებენ მეთუნეები, რომლებიც ამ საქმიანობას მთელ დღეს უთმობენ და ასევე ისინიც, რომლებიც ნახევარ დღეს მუშაობენ. მაგრამ ასე იყო თუ არა წარსულშიც? ანდერჰილმა აზომა ამ მეთუნეების მიერ დამზადებული კერამიკა და ჩაატარა მისი მეტრული ანალიზი. თავისდა გასაკვირად, აღმოაჩინა, რომ ის მეთუნეები, რომლებიც ამ საქმიანობას მთელ დღეს უთმობენ და ისინიც, რომლებიც ნახევარ დღეს მუშაობენ, თანაბრად ხარისხიან და მსგავს ჭურჭელს ამზადებენ.



სურათი 2-1 ნაწილთა ქრონოლოგია ყინულიდან ოთომ საიტიდან ტენესში.

დაბოლოს, არქეოლოგები ცდილობენ, გაარკვიონ, როგორ გამოიყენებოდა არტეფაქტი. ამის ცოდნა არქეოლოგს უხსნის სარკმელს უძველესი ცხოვრებისკენ. იმის გამო, რომ ეს ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია, არტეფაქტების დანიშნულების გასარკვევად შეიქმნა ურთულესი მეთოდების მთელი რიგი. ქვის, ძვლისა და ხის იარაღებისთვის არსებობს მეთოდი, რომელსაც ცვეთის ანალიზი ეწოდება. მისი საშუალებით, ყურადღებით შეისწავლიან იარაღის კიდეების გაცვეთილობას, რათა დაადგინონ, რა დანიშნულებით ხდებოდა ამ საგნების გამოყენება. ამ მეთოდზე შემდგომ თავებში შევჩერდებით. კერამიკული ჭურჭლის დანიშნულების გასარკვევად იკვლევენ მასში ჩარჩენილ ნარჩენებს, რათა გაიგონ, რა იყო მასში მოთავსებული. მაგალითად, არქეოლოგმა პატრიკ მაკგოვერნმა და ქიმიკოსმა რუდოლფ მიტჩელმა გააკეთეს თურქეთში, გროდინ თეფეზე აღმოჩენილ თიხის ჭურჭელში ჩარჩენილი ღია ყვითელი ნივთიერების ანალიზი. აღმოჩნდა, რომ ეს იყო ქერის ლუდის ნარჩენები, რამაც ლუდის წარმოების უძველესი კერის დადგენის საშუალება მოგვცა (ეს ჭურჭელი ძვ.წ. 3500-3100 წლებით თარიღდება).

მაგრამ რას აძლევს რეალურად არქეოლოგებს მასალის ტიპოლოგია მათი ფორმისა და ზომის ანალიზის საშუალებით ან იმის ცოდნა, თუ როგორ მზადდებოდა და რაში გამოიყენებოდა არტეფაქტები? — ძალიან ბევრს. ტიპოლოგია არქეოლოგებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შედარებითი დათარიღება (რაზეც მოგვიანებით ვისაუ-



სურათი 2-2 ქვის იარაღის სტანდარტული აზომვა

ბრებთ) მათი სხვა, უკვე დათარიღებული არტეფაქტების რიგში მოთავსებით. ტიპოლოგია ეხმარება არქეოლოგებს, გაიგონ, რომელი ჯგუფები უკავშირდებოდნენ ერთმანეთს წარსულში, როგორ ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა ამ ჯგუფებს შორის, ზოგჯერ კი სოციალური ურთიერთობების ამსახველ ინფორმაციასაც კი იძლევა (შრომის ორგანიზაცია, ვინ ვისთან ვაჭრობდა და .შ.).

მაგალითად, კარლა სინოპოლი სამხრეთ ინდოეთში მდებარე რკინის ხანის ძეგლის — ვიჯაიანაგარას — კერამიკას შეისწავლიდა. ადრე ჩატარებულმა გათხრებმა ამ ძეგლის ტერიტორიაზე ადრეული სამოსახლოების მკაფიოდ გამოხატული ადგილები გამოავლინა. მათ შორის იყო „წარჩინებულთა კვარტალი“, რომელიც მაღალი კასტის წარმომადგენელი ინდოელების საცხოვრებლებისგან შედგებოდა, „აღმოსავლეთის ველი“, რომელიც დაბალი კასტის ინდოელთა სახლებისგან შედგებოდა და „ისლამური კვარტალი“, სადაც, როგორც ფიქრობენ, მუსლიმანი ვაჭრები ცხოვრობდნენ. როდესაც სინოპოლიმ სამივე უბნის კერამიკა ერთმანეთს შეადარა, მნიშვნელოვანი განსხვავებები აღმოაჩინა: მაგალითად, „ისლამური კვარტლის“ კერამიკაში ბევრად მეტი სუფრის ჭურჭელი იყო, ვიდრე დანარჩენ ორში. ეს განსხვავება სინოპოლიმ ახსნა, როგორც თიხის ჭურჭელში საკვების შენახვის აკრძალვის ინდუსთა წესის ზემოქმედება. ჰინდუს ზოგიერთი ტომი კრძალავს საკვების შესანახად თიხის ჭურჭლის ხელმეორედ გამოყენებას, რის გამოც, ჭურჭელს ხშირად ერთჯერადი მასალისგან (მაგ. ფოთლები) ამზადებდნენ. კერამიკას არქეოლოგისთვის არა მხოლოდ სოციალური ორგანიზაციის შესახებ შეუძლია ინფორმაციის მოცემა, არამედ რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და სქესთა როლების შესახებაც.

იმის ცოდნა, თუ როგორ არის დამზადებული არტეფაქტი, არქეოლოგს საშუალებას აძლევს, გაიგოს უძველესი ადამიანების ტექნოლოგიური შესაძლებლობები. მაგალითად, თომას უინმა გააანალიზა Homo Erectus-ის მიერ 300000 წლის წინ დამზადებული ქვის იარაღის როგორც საბოლოო ფორმები, ასევე მათი დამზადების ადრეული უხეში მეთოდები და აღმოაჩინა, რომ ამ იარაღის შექმნა მრავალეტაპიანი პროცესი იყო, რომელიც რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებულ საფეხურს და ტექნოლოგიას აერთიანებდა. მოპოვებული ინფორმაცია მეცნიერმა შეაფასა ჟან პიაჟეს მიერ შექმნილი ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობების თეორიის მიხედვით და დაასკვნა, რომ ამ იარაღის შემქმნელ ადამიანებს ისეთივე ორგანიზაციული შესაძლებლობები უნდა ჰქონოდათ, როგორიც თანამედროვე ადამიანებს.

გენდერული კვლევის ახალი პერსპექტივები

ქალები “Shell Mound Archaic”-ის კულტურაში (“ნიჟარის ყრილის არქაული“ კულტურა)

არქეოლოგების ინტერესის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს გენდერული საკითხი: როგორ უნდა გამოვიკვლიოთ პრეისტორიულ ხანაში არსებული გენდერული ურთიერთობები? არქეოლოგიურ კონტექსტში სქესთა შორის ურთიერთობების გამოკვლევა, ერთი შეხედვით, შეუძლებელიც შეიძლება მოგვეჩვენოს. რა ინფორმაცია არსებობს სქესთა შესახებ არქეოლოგიურ ანგარიშებში? როგორ შეიძლება ინფორმაციის მოპოვება სქესთა როლების შესახებ? ამგვარი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ სქესთა რომელიმე გარკვეულ როლთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალის ცვლილებას დროთა განმავლობაში. არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ ამგვარი ცოდნა დაგვეხმარება არა მხოლოდ სქესის ცნების რაობის განსაზღვრაში, როგორც ეს პრეისტორიულ ხანაში ესმოდათ, არამედ ზოგადად პრეისტორიული კულტურის უკეთ გაგებაში.

ამისი კარგი მაგალითია შერილ კლაასენის შრომა, რომელიც ეხება მდ. ტენესის დაბლობზე მდებარე “Shell Mound Archaic“-ის (ნიჟარის ყრილის არქაულ) კულტურას. ეს ძეგლი ეკუთვნით ადამიანებს, რომლებიც ამ ტერიტორიაზე დაახლოებით 5,500-3000 წლის წინ ცხოვრობდნენ. ისინი, ძირითადად, მონადირეობას და შემგროვებლობას ეწეოდნენ, პატარა სოფლებში ცხოვრობდნენ და როგორც ჩანს, სეზონურად იცვლიდნენ ადგილ—სამყოფელს. ამ კულტურის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ თავიანთ მიცვალებულებს მოლუსკების ნიჟარების მაღალი გროვების ქვეშ მარხავდნენ. ასეთი გორაკების ასაშენებლად, ათიათასობით ნიჟარა გამოიყენებოდა. მაგრამ დაახლოებით 3000 წლის წინ მოლუსკების მოპოვება და მათგან სამარხი გორაკების აგება უეცრად შეწყდა. კლაასენი ამისმა მიზეზმა დაინტერესა.

გაჩნდა რამდენიმე მოსაზრება: კლიმატის შეცვლა, მოლუსკების გადამეტებული მოპოვება და მოლუსკების მომპოვებელი ხალხის ემიგრაცია; მაგრამ ამ მოსაზრებათაგან სავსებით დამაკმაყოფილებელი არც ერთი არ

აღმოჩნდა. თანამედროვე კულტურებში მოლუსკების მოპოვება, ძირითადად, ქალებისა და ბავშვების საქმეა. კლაასენს აინტერესებდა, შეიძლებოდა თუ არა ეს საქმიანობა, რომელიც როლების გენდერულ განაწილებას ითვალისწინებდა, უფრო მეტად ნაყოფიერი ყოფილიყო. მან გადაწყვიტა ეს პრობლემა ქალთა დატვირთვის თვალსაზრისით განეხილა, თუნდაც ისინი სულაც არ ყოფილიყვნენ მოლუსკების შეგროვებით დაკავებულნი. მოლუსკების შეგროვების შეწყვეტა ნიშნავდა იმას, რომ ქალებს მეტი დრო გაუთავისუფლდებოდათ სხვა საქმიანობისათვის. რას შეიძლებოდა გამოეწვია ის, რომ ქალებს მოლუსკების შეგროვება შეეწყვიტათ? რა უნდა ყოფილიყო ისეთი მნიშვნელოვანი, რაც ქალების შრომას მეტად მოითხოვდა?

ქალების შრომა შეიძლება მარცვლეულის მოყვანის მიმართულებით შეცვლილიყო. არსებობს დაახლოებით 3000 წლის წინანდელი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ ამ დროისათვის გავრცელდა რამდენიმე უხვმოსავლიანი, მაგრამ ამავე დროს ძალიან შრომატევადი კულტურა. მაგალითად, chenopodium, ერთ-ერთი ყველაზე უხვმოსავლიანი და სასარგებლო კულტურა, რომელსაც წვრილი მარცვალი აქვს და რომლის აღება, გასუფთავება და დამუშავება მძიმე შრომას მოითხოვს. როგორც ჩანს, ეს შრომა ქალებს დააწვათ მხრებზე. მათ არა მარტო მოსავალი უნდა აეღოთ, არამედ უნდა დაემუშავებინათ, შემდეგ კი მისგან საკვები მოემზადებინათ. ამგვარად, მიწათმოქმედების დამკვიდრებამ ქალებისგან საკვების წარმოებასა და დამუშავებაში ახალი სამუშაოს ათვისება და ძველის მიტოვება მოითხოვა.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობამ ცვლილებები შეიტანა რიტუალებსა და ცერემონიებშიც. ნიჟარებიდან აგებული სამარხი გორაკები (ყორღანები) Shell Mound Archaic-ის (ნიჟარის ყრილის არქაულის) დაკრძალვის რიტუალის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო, რომელიც მნიშვნელოვან შრომას მოითხოვდა ნიჟარების შეგროვებისა და გორაკის აგების თვალსაზრისით, რასაც ძირითადად, ქალები ასრულებდნენ. უფრო გვიანდელი საზოგადოებები თავიანთ მიცვალებულებს უკვე მიწაყრილების ქვეშ კრძალავდნენ. შეიძლებოდა, რომ ეს სოფლის მეურნეობაში მიწის მზარდი მნიშვნელობის გამომხატველი ყოფილიყო? თუ ასეა, რა როლს ასრულებდნენ ქალები გარდაცვალებისა და დაკრძალვის რიტუალებში? შეიძლებოდა თუ არა მათი სტატუსი საზოგადოებაში შემცირებულიყო იმის გამო, რომ დასამარხად საჭირო ნედლეულის მომწოდებლები აღარ იყვნენ?

ჩვენთვის ზუსტად არ არის ცნობილი როდის გაქრა Shell Mound Archaic ("ნიჟარის ყრილის არქაული" კულტურა) ან რამდენად შეიცვალა ქალის შრომა და საზოგადოებაში მისი როლი, მაგრამ, როგორც კლაასენი აღნიშნავს, გენდერული საკითხებისთვის ყურადღების მიდევნება გვაძლევს ახალ მიმართულებებს, რათა ვუპასუხოთ გაჩენილ კითხვებს.

დაბოლოს, იმის ცოდნა, თუ როგორ არის არტეფაქტი დამზადებული, არქეოლოგს საშუალებას აძლევს გაერკვეს უძველესი ადამიანების საქმიანობასა და ქცევებში. ლორენს ქილიმ ჩაატარა აჩეულის ხელცულების ცვეთის დეტალური ანალიზი, რომლებიც Homo erectus-ის მიერ იყო დამზადებული და აღმოაჩინა, რომ ისინი სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა. ზოგი მათგანი აშკარად ხორცის საჭრელად გამოიყენებოდა, ზოგი — ხის საჭრელად, ზოგი კი — მიწის სათხრელად (როგორც ჩანს, საჭმელად ვარგისი ფესვების ამოსათხრელად). ზოგიერთი ხელცულის ერთი მხარე ერთი საქმიანობისთვის გამოიყენებოდა, მეორეს კი სხვა დანიშნულება ჰქონდა. ხელცული Homo erectus-ების წინაპრებისთვის მრავალდანიშნულებიანი იარაღი იყო, როგორც შვიცარიული არმიის დანა, რომელსაც მუდამ თან ატარებდნენ. ამგვარი ცოდნა იმდროინდელი ადამიანების საინტერესო სურათს გვიხატავს: ისინი ფლობდნენ საკმაოდ რთულ ტექნიკას მრავალდანიშნულებიანი იარაღის დასამზადებლად, რომელსაც თან ატარებდნენ და სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ. ეს ჩვენი უძველესი წინაპრების ქცევის ამსახველი სურათია, რომლის აღდგენაც შეუძლებელი იქნებოდა რომელიმე სხვა წყაროდან.

რა შეგვიძლია შევიტყოთ ეკოფაქტებიდან და განამარხებული მასალიდან?

ეკოფაქტები მრავალფეროვანია ისევე, როგორც ის ინფორმაცია, რომლის მიღებაც შეუძლიათ მათგან არქეოლოგებსა და პალეონტოლოგებს. ამ თავში განმარხებულ მასალაზე შევჩერდებით, შემდეგ თავში კი, რომელიც ზედა პალეოლითის სამყაროს ეძღვნება, ვნახავთ, როგორ იყენებენ არქეოლოგები ეკოფაქტებს უძველესი ბუნებრივი პირობების აღსადგენად; ქვემოთ, თავში, რომელიც კულტურული მცენარეებისა და ცხოველების მოშენებას ეხება, გავიგებთ, როგორ იყენებენ ეკოფაქტებს არქეოლოგები გარეული და შინაური მცენარეებისა და ცხოველების გასარჩევად და იმის გასარკვევად, თუ როგორ მოხდა მათი მოშინაურება.

პალეონტოლოგებს (რომლებიც შეისწავლიან ადამიანებსა და სხვა სახეობებს) ბევრი რამის მოყოლა შეუძლიათ გადაშენებული ცხოველების შესახებ მათი განამარხებული ძვლებისა და კბილების მიხედვით, მაგრამ ეს ცოდნა მხოლოდ მათ აღწერილობაზე როდია დაფუძნებული. ჩონჩხის დაკარგული ნაწილებისა და ძვალზე მიმაგრებული ქსოვილების აღსადგენად, პალეონტოლოგები შედარებით ანატომიას ემყარებიან. ახალი ტექნოლოგიები, როგორიცაა ელექტრონული მიკროსკოპია, კომპიუტერული ტომოგრაფია და კომპიუტერული ბიომექანიკური მოდელირება, გვაწვდის ინფორმაციას ორგანიზმის მოძრაობის, ძვლისა და კბილის მიკროსტრუქტურისა და ორგანიზმის

აჩეულის ხელცული. ლორენს ქილიმ შეისწავლა მისი პირების ცვეთა, რათა გაეგო, როგორ იყენებდნენ მათ.

განვითარების შესახებ. განამარხებული ძვლის ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს, რით იკვებებოდა ცხოველი. პალეონტოლოგები დაინტერესებულნი არიან, აგრეთვე განამარხებულ ორგანიზმთა საარსებო გარემოთი. გეოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში შემუშავებული მეთოდებით ორგანიზმის სიკვდილის დროის დასადგენად იკვლევენ გარემომცველ ქვებს. გარდა ამისა, ორგანიზმთან დაკავშირებული ფლორისა და ფაუნის შესწავლის საფუძველზე იკვლევენ უძველეს გარემომცველ ბუნებრივ პირობებს.

პრიმატების ევოლუციის ამსახველი მასალის უმეტესობას წარმოადგენს კბილები. სხეულის ნაწილებიდან სწორედ იგი არის უმეტესად შემონახული (ყბებთან ერთად). ცხოველები ერთმანეთისგან განსხვავდებიან დენტიციით – კბილების რაოდენობით, ტიპით, ზომითა და განლაგებით. დენტიცია გვაძლევს ევოლუციური დამოკიდებულების გასაღებს, რადგან ერთნაირი ევოლუციური ისტორიის მქონე ცხოველებს ხშირად კბილების მსგავსი სტრუქტურა აქვთ. მაგალითად, არც ერთ მაიმუნს, თანამედროვესა თუ გადაშენებულს, არა აქვს ორ საჭრელ კბილზე მეტი ყბის თითოეულ მეოთხედში. ეს ნიშანი, სხვებთან ერთად, განასხვავებს პრიმატებს დანარჩენი ძუძუმწოვრებისგან, რომელთაც ყბის თითოეულ მეოთხედში სამი საჭრელი კბილი აქვთ. დენტიცია ინფორმაციას გვაძლევს აგრეთვე ცხოველის ზომასა და იმაზე, თუ რით იკვებებოდა იგი. მაგალითად, თანამედროვე პრიმატების ერთმანეთთან შედარება გვეუბნება, რომ ხილის მჭამელ პრიმატებს კბილის ბრტყელი და მომრგვალებული გვირგვინები აქვთ, განსხვავებით ფოთლისა და მწერის მჭამელთაგან, რომელთა კბილები უფრო წაწვეტებულია. ტომოგრაფია ეხმარება პალეონტოლოგებს კბილის სტრუქტურის (სისქე და მინანქარი) აღდგენაში. ამგვარი გამოკვლევა ცხოველთა საკვების დადგენის საშუალებასაც იძლევა: (თესლებისა და თხილის მჭამელ ცხოველებს უფრო სქელი მინანქარი აქვთ). ელექტრონული მიკროსკოპია ძვლის ზრდის კანონზომიერებათა დადგენის საშუალებას იძლევა: სხვადასხვა სახეობას ძვლის ზრდის განსხვავებული კანონზომიერება ახასიათებს.

პალეონტოლოგებს შეუძლიათ ბევრი რამ გვითხრან ცხოველის დგომის მანერისა და გადაადგილების შესახებ მათი ჩონჩხების ფრაგმენტების მიხედვით. ხეზე მცხოვრებ ოთხფეხებს წინა და უკანა ფეხები დაახლოებით ერთი სიგრძისა აქვთ. შედარებით მოკლე ფეხების გამო, მათი სიმძიმის ცენტრი ახლოს მდებარეობს იმ ტოტებთან, რომლებზეც გადაადგილდებიან. ამასთან, მათ გრძელი, მჭიდე თითები აქვთ როგორც წინა, ისე უკანა ფეხებზე. მიწაზე მოსიარულე ცხოველები მეტად არიან შეგუებულნი სწრაფ გადაადგილებას. ამიტომ მათ უფრო გრძელი ფეხები და მოკლე თითები აქვთ როგორც წინა, ისე უკანა ფეხებზე. არაპროპორციული კიდურები უფრო ვერტიკალურად მცოცავი, მხტომელი და ტოტებზე მოქანავე ცხოველებისთვის არის დამახასიათებელი. ვერტიკალურად მცოცავსა და მხტომელ სახეობებს უფრო გრძელი და ძლიერი წინა კიდურები აქვთ, ტოტებზე მოქანავე სახეობებს კი — გრძელი უკანა კიდურები. მართალია, რბილი ქსოვილები ჩვენამდე ვერ აღწევს, მაგრამ განამარხებული მასალიდან მაინც შეიძლება მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება. მაგალითად, ხშირად ძვალს ემჩნევა კუნთის მიმაგრების ადგილი. თავის ქალის შიდა ნაწილი გვაძლევს ინფორმაციას ტვინის პროპორციების ანუ იმ ნაწილების ზომების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია მხედველობის, ყნოსვის ან მეხსიერებისათვის. თავის ქალა ხშირად ინფორმაციას ყნოსვისა და მხედველობის ხარისხის შესახებაც იძლევა. მაგალითად, იმ ცხოველებს, რომელთათვისაც ყნოსვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მხედველობა, უფრო დიდი ნესტოები აქვთ, ღამის ცხოველებს კი — თვალის მოზრდილი ბუდეები.

რა შეგვიძლია გავიგოთ კომპონენტებისგან?

კომპონენტების ანალიზი ოდნავ განსხვავდება არტეფაქტების, ეკოფაქტების და განამარხებული მასალის ანალიზისგან, რადგან შეუძლებელია ლაბორატორიებში მათი გადატანა (იხ. ჩვენ მიერ ადრე განხილული კერების შემთხვევა). ამიტომ მათ ისეთივე ანალიზს ვერ ჩავუტარებთ, როგორსაც არტეფაქტებს, ეკოფაქტებსა და განამარხებულ მასალას. მიუხედავად ამისა, არქეოლოგებმა შეიმუშავეს მთელი რიგი საშუალებებისა, რომლებიც მათ უფლებას აძლევს კომპონენტები საველე პირობებში შეისწავლონ. მათ შორის უპირველესია რუკაზე დეტალური დატანა, რაც, ჩვეულებრივ, ტოპოგრაფის ადგილზე მიყვანის საშუალებით ხდება. თითოეული კომპონენტის შესახებ კეთდება უამრავი ჩანაწერი, რომლებიც ასახავს არა მარტო იმას, თუ რას წარმოადგენს კომპონენტი, არამედ იმასაც, თუ მასთან დაკავშირებული რა არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა მის ირგვლივ. ეს ინფორმაცია იკრიბება გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემებს მეშვეობით (GIS), რომელიც საშუალებას აძლევს არქეოლოგებს შეადგინონ ძეგლზე არსებული კომპონენტების რუკა და გააერთიანონ იქვე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალასთან. ამ სახის ინფორმაციის გაერთიანების შედეგად არქეოლოგიურ ოქმებში შეიძლება გამოაშკარავდეს ის კანონზომიერებები, რომლებიც მოგვითხრობს წარსულში ადამიანთა საქმიანობაზე.

იმის თვალსაჩინო მაგალითი, თუ როგორ შეუძლია კომპონენტებში აღმოჩენილ კანონზომიერებებს მოგვითხროს უძველესი ადამიანის საქმიანობაზე, არის რეინჯ სითი დასავლეთ-ცენტრალურ ილინოისში. ადამიანები იქ, ათას წელზე მეტია, ცხოვრობენ და ამ ხნის განმავლობაში მათი დასახლების ტიპი მნიშვნელოვნად შეიცვალა. დაახლოებით 2300 წლის წინ ისინი ცხოვრობდნენ პატარა სახლებში, რომლებიც მრგვალი შიდა ეზოს ირგვლივ იყო აშენებული. ეს კანონზომიერება რთულდებოდა და თითქმის 700 წელი არსებობდა. შიდა ეზო საზოგადოებრივი საქმიანობის ცენტრს წარმოადგენდა და შეიძლება სარიტუალო დანიშნულებისაც იყო. დაახლოებით 1000 წლის წინ ეს კანონზომიერება დაირღვა. სახლები უფრო მყარი გახდა და უკვე სწორ ხაზზე, რიგებად იყო განლაგებული. ეს გულისხმობს რადიკალურ ცვლილებას ადამიანთა სოციალურ ორგანიზაციაში. კულტურათაშორისი კვლევიდან (შედარებითი კვლევა ეთნოგრაფიული მონაცემების გამოყენებით) ჩვენთვის ცნობილია, რომ იქ, სადაც მრგვალი სამოსახლოებია აღმოჩენილი, საზოგადოება მოქმედებს როგორც ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზმი, ხოლო სადაც ისინი სწორხაზოვნად არის განლაგებული, ხშირად პირიქით ხდება. რეინჯ სითიში მომხდარი ცვლილებები ასახავს ძირითადი სოციალური და ეკონომიკური ღერძის დასუსტებას და საზოგადოებრივი გაერთიანებიდან ინდივიდუალურ მეურნეობაზე გადასვლას. ეს ცვლილება, როგორც ჩანს, ქაჰოკიაში, რომელიც რეინჯ სითიდან 15 კმ. მანძილზე მდებარეობდა, დიდი, ცენტრალიზებული საზოგადოებრივი ერთეულის წარმოქმნას უკავშირდებოდა. ამ გაერთიანების გავლენას რეინჯ სითის მსგავს საზოგადოებებზე შეიძლება დრამატულიც დაერქვას, რადგან შედეგად თითქმის ათასწლიანი ისტორიის მქონე სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურის გარდაქმნა მოჰყვა.

ინფორმაციის კონტექსტში მოთავსება

ჩვენი მსჯელობის შემდეგ, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, თითქოს არქეოლოგები და პალეოანთროპოლოგები არტეფაქტებს, ეკოფაქტებს, განამარხებულ მასალას და კომპონენტებს ისე შეისწავლიან, როგორც ინდივიდუალურ და ერთმანეთთან კავ-

შირის არქმონე, განყენებულ ობიექტებს. ეს ძალიან შორს არის სიმართლისგან. სინამდვილეში რეინჯ სითის აღწერა უფრო ტიპური არქეოლოგიური ანალიზის მსგავსია. ის დროის პარალელურად აერთიანებს ინფორმაციას კომპონენტების შესახებ და მიდის განზოგადებამდე, თუ როგორ შეიცვალა იქ მცხოვრები საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურა. ჩვენ ამას მასალის კონტექსტში მოთავსებას ვუწოდებთ. **კონტექსტი** არის მიმართებები არტეფაქტებსა და სხვა მასალას შორის. კონტექსტის ანალიზი არის ის, რაზეც არქეოლოგები და პალეოანთროპოლოგები მუშაობენ. არტეფაქტები, ეკოფაქტები, განამარხებული მასალა და კომპონენტები ცალ-ცალკე, თავისთავად, შეიძლება ძალიან ლამაზი და საინტერესო იყოს, მაგრამ მათი "წაკითხვა" ისტორიის აღსადგენად მხოლოდ მათი სხვა მასალებთან კონტექსტში მოთავსებით ხდება შესაძლებელი.

ამის საილუსტრაციოდ წარმოვიდგინოთ, რომ მოცემული გვაქვს ცალკეული ასოების ნაკრები: აბევილმნნოშ. ეს ასოები აქ ანბანური თანმიმდევრობით არის განლაგებული ისევე, როგორც მშვენიერი არტეფაქტები შეიძლება განლაგდეს ვიტრინაში – წონისა და რიგის მიხედვით. მაგრამ ეს განლაგება რამეს გვეუბნება? — არაფერს. სამაგიეროდ, რა მოხდება, თუ გვეცოდინება რაიმე ზოგიერთ ამ ასოს შორის მიმართების შესახებ – მათი კონტექსტი? რა მოხდება, მაგალითად, თუ გვეტყვიან, რომ პირველი ასო, რომელიც ვიპოვეთ, არის მ, რომ შემდეგ იპოვეს ი და ნ, მაგრამ უკუღმა თანმიმდევრობით, რომ ო იპოვეს ლ-სა და ბ-ს შორის და რომ ი ნ-სა და შ-ს შორის იყო? იმის ცოდნა, თუ რა კონტექსტში იყო ნაპოვნი თითოეული ასო, გვკარნახობს, რომ ასოები უნდა განლაგდეს შემდეგნაირად: მნიშვნელობა. სწორედ მნიშვნელობას ანიჭებს კონტექსტი არტეფაქტებს, ეკოფაქტებს, განამარხებულ მასალას და კომპონენტებს.

მასალის დათარიღება

არტეფაქტებისა და სხვა მასალის კონტექსტში ჩადების უმნიშვნელოვანესი ნაწილია მათი სწორ ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოთავსება. მაგალითად, პრიმატების ევოლუციის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის აუცილებელია პრიმატების განამარხებული ნაშთების ასაკის ცოდნა. ადრე დათარიღების ერთადერთ მეთოდს **შედარებითი დათარიღება** წარმოადგენდა. უკანასკნელი 45 წლის განმავლობაში დაიწყო მნიშვნელოვანი წინსვლა აბსოლუტურ დათარიღებაში, რაც პრიმატების ევოლუციის ადრეული ფაზების მასალის დათარიღებისათვის საჭირო ტექნოლოგიების განვითარებას მოჰყვა. შედარებითი დახასიათება აღნიშნავს ცალკეული ნივთის ან მასალის დათარიღებას სხვა ნივთებთან ან მასალასთან შედარების გზით. **აბსოლუტური** ანუ ქრონომეტრული დათარიღება გამოიყენება ცალკეული ნივთის ან მასალის რეალური ასაკის დასადგენად.

შედარებითი დათარიღების მეთოდები

დათარიღების ყველაზე ადრეული და ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდია შედარებითი დათარიღება, რომელიც **სტრატიგრაფიაზეა** დამყარებული. სტრატიგრაფია შეისწავლის სხვადასხვა კლდოვანი ან ნიადაგოვანი ფენის განლაგების თანმიმდევრობას (იხ. სურ. 2-3). უფრო ძველი ფენები, საზოგადოდ, შედარებით ახალ ფენებზე ღრმად ანუ უფრო დაბლაა განლაგებული. სტრატიგრაფიული თანმიმდევრობის დასადგენად და ახალ აღმოჩენათა შედარებითი დათარიღებისთვის **ინდიკატორი არტეფაქტები ან ეკოფაქტები** გამოიყენება. ინდიკატორი არტეფაქტები ან ეკოფაქტები წარმოადგენს ადამიანის მიერ დამზადებულ ნივთებს ან ადამიანის მიერ დატოვებულ ცხოველურ ან მცენარეულ ნარჩენებს, რომლებიც დროის მოკლე პერიოდებში ფართოდ გავრცელდა ან რომლებიც სწრაფად გაქრა ან სწრაფად შეიცვალა. მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში შედარებითი დათარიღებისთვის ინდიკატორებად სხვადასხვა არტეფაქტი და ეკოფაქტი გამოიყენება. მაგალითად, აფრიკაში სტრატიგრაფიული თანმიმდევრობის აღსადგენად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპილოებს, ღორებსა და ცხენებს. სურ. 2-3 ასახავს ოლდუვაის ხეობის სტრატიგრაფიულ ჭრილს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლია, სადაც ადრეული ადამიანის განამარხებული ნაშთები აღმოჩნდა. ამ ძეგლზე სტრატიგრაფიული თანმიმდევრობა, ნაწილობრივ, განამარხებული ღორების მონაცემების მიხედვით დადგინდა. ყოველ მომდევნო ფენაში ღორის განსხვავებული სახეობა დასტურდებოდა, რამაც არქეოლოგებსა და პალეოანთროპოლოგებს საშუალება მისცა მოეხდინათ ფენების დიფერენციაცია. მას შემდეგ, რაც ადგილის სტრატიგრაფია დადგინდება, უნდა მოხდეს ორი სხვადასხვა განამარხებული ბიოსის ან კომპონენტის შედარებითი დათარიღება იმავე ან სხვა ძეგლზე აღმოჩენილი მასთან დაკავშირებული ინდიკატორი არტეფაქტების ან ეკოფაქტების საშუალებით. მთავარი გადასვლები არტეფაქტებისა და ეკოფაქტების ინდიკატორებში განსაზღვრავენ ეპოქებს და გეოლოგიური დროის დიდ მონაკვეთებს.

დროის ამ მონაკვეთების საზღვრების გამოთვლა ხდება აბსულუტური დათარიღების საშუალებით, რომელსაც შემდეგ სექციაში აღვწერთ.

იმ შემთხვევაში, თუ ძეგლი დაზიანებულია, სრტატიგრაფიის მიხედვით მისი დათარიღება მიზანშეწონილი არ იქნება, რადგან შესაძლოა, სხვადასხვა პერიოდის მასალა ერთმანეთში იყოს არეული წყლის ნაკადების ან ქარის გამო ან შესაძლოა, მეწყერმა ზემოდან უფრო გვიანდელი ფენა მოაქციოს. დაზიანებულ ძეგლზე ერთმანეთში არეული განამარხებული მასალის დასათარიღებლად შესაძლებელია ქიმიური მეთოდის გამოყენება.

განამარხებული ცხოველების ძვლების დასათარიღებლად გამოიყენება სამი სახის ქიმიური მეთოდი: ფტორის, ურანისა და აზოტის. ეს მეთოდები ზოგჯერ საერთო სახელით **„F-U-N ტრიო"** მოიხსენიება. სამივე მეთოდი ერთ ძირითად პრინციპზეა დაფუძნებული: ძვლები და კბილები მიწაში ყოფნის პერიოდში, ქიმიური შემადგენლობის თვალსაზრისით, მცირე ცვლილებას განიცდის, რაც იმ ადგილის გრუნტის წყლების მინერალების შემცველობაში გამოიხატება, სადაც ეს ცხოველები არიან დამარხულნი. გრუნტის წყალი ფტორს შეიცავს და ამიტომ, რაც უფრო ძველია განამარხებული ორგანიზმი, ფტორის მით უფრო მეტი შემცველობა ექნება. ფტორის მსგავსად, გრუნტის წყლის შემადგენლობაში ურანიც შედის და ამ შემთხვევაშიც, რაც უფრო ძველია განამარხება, მით უფრო მეტ ურანს შეიცავს იგი. აზოტის შემთხვევაში, პირიქით ხდება: რაც უფრო ძველია განამარხება, მით ნაკლებ აზოტს შეიცავს იგი. აქედან გამომდინარე, უფრო ძველი ძვლები მეტ ფტორსა და ურანს და ნაკლებ აზოტს შეიცავს, ვიდრე შედარებით ახლები.

მაგრამ F-U-N ტესტთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიქმნას პრობლემა იმის გამო, რომ ძვლები ასახავს ჩამარხვის ადგილების გრუნტის წყლების მინერალური შედგენილობის სურათს. მინერალების მაღალი შემცველობის ადგილზე აღმოჩენილ 30 მილიონი წლის წინანდელ ძვლებს შეიძლება ფტორის იგივე შემადგენლობა აღმოაჩნდეს, რაც მინერალების დაბალი შემცველობის ადგილზე აღმოჩენილ 50 მილიონი წლის წინანდელს. ამიტომ, ქიმიური შედარებითი დათარიღების მეთოდების გამოყენება ერთმანეთისგან დიდი მანძილით დაშორებული ძეგლებისთვის მისაღები არ არის. F-U-N ტესტირება შემოიფარგლება მხოლოდ ერთი და იმავე ან მეზობელ ძეგლებზე მოპოვებული მასალის დასათარიღებლად.

ქიმიური შედარებითი დათარიღების ყოველი მეთოდი ცალკე გამოყენებისას მხოლოდ ცალმხრივ შედეგს იძლ-



სურათი 2-3 ოლდუვაის მთავარი ხეობის I-IV სტრატიგრაფიული ფენები

ყურადღება მიაქციეთ სტრატიგრაფიული ფენების რთულ შემადგენლობას – თითოეული მათგანი ქვისა და მიწის რამდენიმე ფენას შეიცავს. ინდექსურმა განამარხებულმა მასალამ (ღორები), კალიუმ-არგონის დათარიღებასთან ერთად მეცნიერებს საშუალება მისცა, გამოეყოთ ძეგლის ოთხი სტრატიგრაფიული ფენა, რომლებიც ადამიანის ამ ადგილზე არსებობის ოთხ პერიოდს შეესაბამება.

ევა, სამივე მათგანის ერთად, შეთანხმებულად გამოყენება კი ძალზე ეფექტურია. ცალკე ყველაზე სარწმუნო ურანის ტესტია. იგი არ მიეკუთვნება მხოლოდ შედარებითი დათარიღების მეთოდებს. სხვადასხვა დეპოზიტში აღმოჩენილ ძვლებშიც კი დაძველებასთან ერთად რადიაქტიურობა გარკვეული თანმიმდევრობით იზრდება. იმის გამო, რომ ურანი რადიაქტიური ელემენტია, ტესტირებისას მისი გაზომვა არ მოითხოვს ნიმუშის დაზიანებას. ამიტომ ამგვარ ტესტს, სხვებთან შედარებით, გარკვეული უპირატესობა აქვს.

დათარიღების აბსოლუტური ანუ ქრონომეტრული მეთოდები

აბსოლუტური დათარიღების მრავალი მეთოდი რადიაქტიური იზოტოპის დაშლაზეა დამყარებული. იმის გამო, რომ დაშლის სიჩქარე ცნობილია, ხდება ნიმუშის თარიღის დადგენა შესაძლო ცდომილების გათვალისწინებით.

რადიონახშირბადის მეშვეობით დათარიღება. რადიონახშირბადის, ანუ **ნახშირბად14** (^{14}C) მეთოდი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია აბსოლუტური დათარიღების სხვა მეთოდებს შორის. იგი დაფუძნებულია პრინციპზე, რომ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი შეიცავს რადიაქტიური ნახშირბადის (ნახშირბად14 ^{14}C) გარკვეულ რაოდენობას. რადიაქტიური ნახშირბადი წარმოიქმნება აზოტ-14-ის კოსმოსურ სხივებთან ურთიერთქმედების შედეგად, ჰაერიდან მცენარეების მიერ შეიწოვება და აქედან ცხოველთა ორგანიზმში ხვდება (იხ. სურ. 2-4). სიკვდილის შემდეგ, ორგანიზმში მეტი რადიაქტიური ნახშირბადი აღარ ხვდება, არსებული რაოდენობა კი იშლება ნელა, მაგრამ თანაბარი სისწრაფით და კვლავ აზოტ-14-ად გარდაიქმნება (დაშლაში ვგულისხმობთ, რომ ^{14}C გასცემს ბეტა რადიაციის განსაზღვრულ რაოდენობას წუთში). ნახშირბადის დაშლის სისწრაფე — მისი დაშლის **პერიოდის ნახევარი** ცნობილია – 5730 წელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ორგანულ სხეულში ^{14}C -ის თავდაპირველი რაოდენობის ნახევრის დაშლა ხდება მისი სიკვდილიდან 5730 წლის გასვლის შემდეგ. მეორე ნახევრის დაშლას კიდევ 5730 წელი სჭირდება და ა.შ. დაახლოებით 50000 წლის შემდეგ ორგანიზმში დარჩენილი ^{14}C იმდენად მცირე რაოდენობის იქნება, რომ მის მიხედვით დათარიღება შეუძლებელი გახდება. რომ გავიგოთ, რამდენი ხნის მკვდარია ორგანიზმი ანუ განვსაზღვროთ, რამდენი C14 დარჩა ორგანიზმში და აქედან გამომდინარე, რამდენად ძველია იგი, ან უნდა გამოვთვალოთ გაცემული ბეტა რადიაციის რაოდენობა შეფარდებით გრამი/წუთში ან შესასწავლ ნიმუშში ^{14}C -ის რაოდენობის გასაზომად ნაწილაკების ამაჩქარებელი გამოვიყენოთ. თანამედროვე ^{14}C ერთ გრამ მასალაზე ერთ წუთში დაახლოებით 15 ბეტა რადიაციას გამოყოფს, ანუ 5730 წლის ასაკის მასალა გამოყოფს ამ რაოდენობის მხოლოდ ნახევარ (^{14}C -ის დაშლის პერიოდის ნახევარი) რაოდენობას ერთი გრამი მასალიდან ერთ წუთში. ასე რომ, თუ რომელიმე ორგანიზმის ნიმუში გამოყოფს 7,5 რადიაციას ერთი გრამიდან ერთ წუთში, რაც თანამედროვე ^{14}C-ის ნახევარია, ამ ორგანიზმის ასაკი 5730 წელი უნდა იყოს. ასევე, იმის გამო, რომ ნიმუშში ^{14}C-ის რაოდენობა დროთა განმავლობაში კლებულობს, მისი ატომები შეიძლება გატარდეს ნაწილაკების ამაჩქარებელი წონის მიხედვით გასაცალკევებლად (შედარებით მსუბუქი C12 აქსელერაციას უფრო სწრაფად განიცდის, ვიდრე უფრო მძიმე C14) და თითოეული მათგანის რაოდენობა გაიზომოს. ამ მეთოდს AMS (აქსელერატორის მასის სპექტრომეტრია) ეწოდება და უფრო ზუსტია, ვიდრე ბეტა რადიაციის მეთოდი და ამასთან, მასალის ძალიან პატარა ნიმუშს საჭიროებს და შეუძლია 80000 წლამდე ასაკის ნიმუშების დათარიღება.

არქეოლოგები ათვალიერებენ გასათხრელ კედელს ნიპურში, ერაყი. კედელში ჩაყოლებული სქელი თეთრი ზოლი შენობის ბათქაშიანი იატაკის ფენა. იატაკზე აღმოჩენილი ნივთები იმავე დროით თარიღდება, მის ქვეშ ნაპოვნი ნივთები კი უფრო ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება. წარმოდგენილი მაგალითი სტრატიგრაფიის საშუალებით დათარიღების თვალსაჩინო ნიმუშია

რადიონახშირბადული მეთოდის სიზუსტე შემოწმდა მკვდარი ზღვის ნიჟარებსა და ეგვიპტური სამარხის ხის ნაწილებზე, რომელთა თარიღები წინასწარ იყო ცნობილი. ანალიზის შედეგები სავსებით დაემთხვა ისტორიულ ინფორმაციას.

თერმოლუმინესცენტური დათარიღება ბევრი მინერალი გათბობისას სინათლეს გამოსცემს (თერმოლუმინესცენცია) ზოგჯერ მანამდეც, სანამ ძალიან გაცხელდება. ეს ცივი სინათლე მოდის გათბობის დროს „გარეშე“ ელექტრონების გათავისუფლების შედეგად, რომლებიც მინერალების კრისტალურ სტრუქტურაში იყო მომწყვდეული. **თერმოლუმინესცენტური დათარიღება** იყენებს შემდეგ პრინციპს: თუ ობიექტს მაღალი ტემპერატურის რომელიმე წარტილამდე გავათბობთ, მაგალითად, თიხის ქოთნის გამოწვისას, ხდება ყველა დამწყვდეული ელექტრონის გათავისუფლება, რომელსაც იგი ადრე შეიცავდა. დროთა განმავლობაში საგანი კვლავ გააგრძე-



სურათი 2-4 ნახშირბად ^{14}C ციკლი

ლებს გარემომცველი რადიაქტიული ელემენტებიდან ელექტრონების მიერთებას (კალიუმი, თორიუმი, ურანიუმი). ტესტირებისას ობიექტიდან გამოყოფილი თერმოლუმინესცენციის რაოდენობა მეცნიერებს საშუალებას აძლევს, გამოითვალონ მისი ასაკი იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია, რა სახის რადიაციას იღებდა იგი გარემოდან (მაგალითად, ნიადაგი თიხის ქოთნის პოვნის ადგილას).

თერმოლუმინესცენტური დათარიღება ეფექტურია უძველესი კერამიკის, აგურის, კრამიტის, ტერაკოტისა და მაღალ ტემპერატურაზე დამზადებული სხვა ობიექტების დათარიღებისას. ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება, აგრეთვე გამომწვარი კაჟის იარაღის, კერის ქვების, ლავისა და ლავით დაფარული საგნების, მეტეორიტებისა და მეტეორის კრატერების დასათარიღებლად.

დათარიღება ელექტრონული სპინური რეზონანსის საშუალებით. ელექტრონული სპინური რეზონანსი ისევე, როგორც თერმოლუმინესცენტური დათარიღება, აღრიცხავს გარემომცველი რადიაქტიური გარემოდან მიერთებული ელექტრონების რაოდენობას, მაგრამ თავად მეთოდი განსხვავებულია. დასათარიღებელ მასალას გაატარებენ ცვალებად მაგნიტურ ველში და პოულობენ საცდელი მასალის მიერ შთანთქმული მიკროტალღების სპექტრს. ელექტრონული სპინური რეზონანსის მეთოდი განსაკუთრებით მოსახერხებელია ორგანული მასალის (ძვალი, ნიჟარა) დასათარიღებლად, რადგან არ საჭიროებს გათბობას, რაც მასალისთვის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.

პალეომაგნიტური დათარიღება. ნებისმიერი მთის ქანის ფორმირება მიწის უძველეს მაგნიტურ ველზე კვალს ტოვებს. თუ ამ ინფორმაციას დავამატებთ იმასაც, რომ დედამიწის მაგნიტური ველი ბევრჯერ შეიცვალა, მივხვდებით, რომ კლდეებზე შემორჩენილი გეომაგნიტური ველის დიაგრამების დახმარებით შესაძლებელია კლდეებში არსებული განამარხებული მასალის დათარიღება. **პალეომაგნიტური დათარიღება** კლდეების ასაკს მათში არსებული გეომაგნიტური ველის დიაგრამების თანმიმდევრობის მიხედვით ადგენს. პალეომაგნიტური მეთოდი აბსოლუტური დათარიღების მეთოდი არ არის, მაგრამ დროის გეომაგნიტური პერიოდები აბსოლუტურად არის დათარიღებული ქვემოთ აღწერილ (კალიუმ-არგონის) დათარიღებასთან დაკავშირებით. პალეომაგნიტური დათარიღების საშუალებით შესაძლებელი გახდა პრიმატების ნაშთების დათარიღება ეოცენიდან მოყოლებული მიოცენამდე, რომელთა ასაკია 55 მილიონი წლიდან 5 მილიარდ წლამდე.

დედამიწის მაგნიტური ველი არა მარტო იცვლება, არამედ მისი პოლუსებიც მუდმივად (თუმცა ნელა) იცვლის მდებარეობას. დადგენილია ჩრდილო პოლუსის გადაადგ-

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

არსებობს თუ არა ევოლუციაში სწორხაზოვანი მიმართულებები?

1800-იანი წლების ბოლოს, ანთროპოლოგიის განვითარების ადრეულ საფეხურზე, ედუარდ ტაილორისა და ჰენრი მორგანის მსგავს თეორეტიკოსებს შორის გავრცელებული იყო შეხედულება, რომ კულტურა ვითარდება ერთგვაროვანი, პროგრესული მეთოდით. ითვლებოდა, თითქოს საზოგადოებათა უმეტესობა განვითარების ერთნაირ საფეხურებს გადიოდა და საბოლოოდ მსგავს შედეგს აღწევდა. ადრე ევოლუციის მკვლევრებს ეგონათ, რომ ევროპელი და ევროპული წარმოშობის კულტურის ქვეყნები ევოლუციის უმაღლეს საფეხურზე, სხვა დანარჩენი კულტურები კი უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ. ისტორიული პარტიკულარიზმის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი ფრანც ბოასი უარყოფდა აზრს, რომ ადამიანთა კულტურებს უნივერსალური კანონები მართავდა. ისტორიული პარტიკულარიზმის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ კულტურული ნიშან-თვისებები იმ განსაზღვრული საზოგადოების კონტექსტში უნდა შესწავლილიყო, რომელშიც წარმოიშვნენ. ბოასი ხაზს უსვამდა, რომ აუცილებელი იყო, რაც შეიძლება, მეტი მონაცემის შეგროვება ცალკეული საზოგადოებების შესახებ, რაც ანთროპოლოგიური საქმიანობის მთავარ მიზნად იქცა. თუმცა, ევოლუციონიზმი ადრეულ ევოლუციონისტებთან ერთად არ მომკვდარა. მაგალითად, 1960-იან წლებში მარშალ სალინსი და ელმან სერვისი გამოყოფდნენ ევოლუციური პროცესის ორ ტიპს: სპეციფიკური ევოლუციას, რომელიც განსაზღვრულ საზოგადოებაში მიმდინარე განსაზღვრულ ცვლილებებს ეხებოდა და ზოგად ევოლუციას. ზოგადი ევოლუცია ეხება „უმაღლესი“ ფორმების მთავარ ტენდენციას – გადაასწროს უფრო „დაბალ“ ფორმებს, მაგრამ არ გულისხმობს იმას, რომ ყველა საზოგადოება „უმაღლესი“ ფორმებისკენ მოძრაობის პროცესში ზუსტად ერთსა და იმავე საფეხურებს გადის. მიუხედავად ამისა, ანთროპოლოგები დიდად არ იზიარებენ სწორხაზოვანი ევოლუციის იდეას, იქნებ — იმის გამო, რომ ეს იდეა ჯერ კიდევ ასოცირდება ევროპელების უპირატესობის თეორიასთან, რომელსაც ადრეული ევოლუციონისტები ამტკიცებდნენ. მაგრამ თუ კაცობრიობის ისტორიას თვალს გავადევნებთ, დავინახავთ, რომ ზოგი რამ მყარი თანმიმდევრობით იცვლება. მაგალითად, მოსახლეობა გაიზარდა, ტექნოლოგია გართულდა და ადამიანთა უმრავლესობა სახელმწიფო საზოგადოებებში ცხოვრობს. აშკარაა, რომ არსებობს კულტურული ევოლუციის გარკვეული სწორხაზოვანი მიმართულებები. ასეა თუ არა? როგორ გავარკვიოთ?

ამ სახელმძღვანელოს მესამე ავტორი (პიტერ პერეგრინი) ამ საკითხს კროსკულტურული კვლევის კუთხით მიუდგა. მან გადაწყვიტა, დაედგინა, საყოველთაოდ განვითარდა თუ არა დროთა განმავლობაში კულტურა. ამისთვის მას სჭირდებოდა კულტურათა ჯგუფი, რომელიც ასახავდა დედამიწაზე არსებული ყველა კულტურის განვითარებას ხანგრძლივი დროის მანძილზე. საბედნიეროდ, ორივე მათგანი არსებობდა. კულტურის განვითარების დონის საზომი შემუშავებული იყო ანთროპოლოგ ჯორჯ პიტერ მერდოკის მიერ იმ განსხვავებათა შესასწავლად, რომლებიც ცნობილი ეთნოგრაფიული კულტურების განვითარებაში არსებობდა. საზომი ემყარება კულტურის ათ სხვადასხვა დამახასიათებელ ნიშანს. მათ შორის არის: ტექნოლოგია, ეკონომიკა, პოლიტიკური სისტემა, მოსახლეობის სიმჭიდროვე და ა.შ. პერეგრინმა ამოცანა გაამარტივა, რომ უფრო მოსახერხებელი გამხდარიყო არქეოლოგებისთვის ცნობილი კულტურებისათვის გამოსაყენებლად და შემოიფარგლა ძველი სამყაროს იმ კულტურებით, რომლებიც “არქეოლოგიური ტრადიციების მიმოხილვის“ მიხედვით თხუთმეტი ათას წელზე მეტის არ იყო. მან გაზომა კულტურათა განვითარების დონე “პრეისტორიის ენციკლოპედიაში“ მოცემული ინფორმაციის მიხედვით.

პერეგრინმა მოიპოვა იმისი ძლიერი მტკიცებულება, რომ კულტურათა რეგულარული განვითარება დაიწყო თხუთმეტი ათასზე მეტი წლის წინ. ამ ჩარჩოში მოთავსებულ სურათზე ეს ტენდენცია გრაფიკულად არის გადმოცემული. ჰორიზონტალურ სკალაზე აღნიშნულია კულტურათა თარიღები, დაწყებული ჩვენი დროიდან (მარცხნივ), ხოლო მარჯვნივ გადაადგილებისას მივდივართ წარსულისაკენ. ვერტიკალურ სკალაზე მოთავსებულია კულტურის სირთულის მაჩვენებელი ქულები. სურათიდან აშკარად ჩანს, რომ დროის მსვლელობასთან ერთად კულტურის სირთულის ქულები მატულობს. რა თქმა უნდა, ასეთ მატებას სტატისტიკურად დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ისიც გასაგებია, რომ ეს ზრდა არ შეიძლება საყოველთაო იყოს. ზოგ კულტურას ქულების დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა წარსულში, ზოგს კი დაბალი მაჩვენებელი დღეს აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა კულტურა ერთნაირად არ იცვლება. მაგრამ ციფრები გვიჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში კაცობრიობის კულტურას ზოგადად განვითარების ტენდენცია აქვს. რატომ? ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს შესანიშნავი კითხვაა, რომელზე დაფიქრებაც ნამდვილად ღირს ამ წიგნის ბოლომდე წაკითხვის შემდეგ.



დამოკიდებულება კულტურის განვითარებასა და დროს შორის. განვითარების სკალა

თარიღები წლების მიხედვით დღემდე. კულტურათა განვითარების მასშტაბი დროთა განმავლობაში გაიზარდა.

ილება უახლოეს წარსულში, რაც არქეოლოგებს ზოგიერთი არქეოლოგიური კომპონენტის დათარიღების საშუალებას აძლევს. როდესაც მიწა, ქვა ან ლითონი მაღალ ტემპერატურამდე ცხელდება, ის დნება და მისი შემადგენელი მოლეკულები დადამიწის მაგნიტური ველისკენ მიემართება. გაცივების შემდეგ მოლეკულები ამ მდგომარეობაში რჩება, რის შედეგადაც ჩნდება დედამიწის მაგნიტური პოლუსებისკენ მიმართული ისრისმაგვარი წარმონაქმნები. როდესაც არქეოლოგი პოულობს კერას, სამეთუნეო ღუმელს, ლითონის სახელოსნოს ან სხვა ადგილს, სადაც მიწა, ქვა ან ლითონი დნობის წერტილამდე ხურდებოდა და შემდეგ იქვე ცივდებოდა, შეუძლია ამ მასალის ნიმუში აიღოს, ზუსტად ჩაიწეროს მისი მდებარეობა დედამიწის დღევანდელი მაგნიტური ველის მდგომარეობის გათვალისწინებით და შემდეგ გაზომოს მისი მაგნიტური ველი ლაბორატორიაში. განსხვავება დედამიწის თანამედროვე მაგნიტური ველის მიმართულებასა და მასალაში დაცულ მონაცემებს შორის გამოიყენება მასალის დნობისა და გაცივების დროის ამოსაცნობად.

კალიუმ-არგონისა და არგონ-არგონის დათარიღების მეთოდები კალიუმ - 40 (^{40}K) წარმოადგენს კალიუმის რადიაქტიურ ფორმას, იშლება დადგენილი სისწრაფით და წარმოქმნის არგონ - 40(^{40}Ar)-ს. ^{40}K-ს დაშლის პერიოდის ნახევარი ცნობილი სიდიდეა, ამიტომ შესაძლებელია კალიუმის შემცველი მასალის დათარიღება იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის 40Ar-ს შეიცავს ^{40}K-ს გარკვეული რაოდენობა. კალიუმ ^{40}K-ს დაშლის პერიოდის ნახევარი ძალიან გრძელია – 1330 მილიონი წელი. ეს ნიშნავს, რომ **კალიუმ-არგონის (K-Ar) დათარიღება** 5000 წლიდან 3 მილიარდ წლამდე ასაკის ნიმუშების დათარიღებისთვის გამოდგება.

K-Ar მეთოდი გამოიყენება კალიუმით მდიდარი კლდოვანი მინერალების დასათარიღებლად, მაგრამ არ გამოდგება ამ კლდეში ნაპოვნი განამარხებული ბიოსისთვის. ძალიან მაღალი ტემპერატურა, როგორიც არის ვულკანის ამოფრქვევის დროს, მასალიდან არსებული არგონის სრულ გამოდევნას იწვევს. ამიტომ, არგონის მთელი რაოდენობა, რომელიც რადიაქტიული კალიუმის დაშლის შემდეგ გროვდება, პირდაპირ არის დაკავშირებული დროის იმ რაოდენობასთან, რომელიც ვულკანური ამოფრქვევის შემდეგ გავიდა. ამგვარი დათარიღება ძალზე მოსახერხებელი იყო აღმოსავლეთ აფრიკაში, სადაც ვულკანური ამოფრქვევები ხშირად ხდებოდა მიოცენის შემდეგ, რომელიც 24 მილიონი წლის წინ დაიწყო. თუ დასათარიღებელი მასალა კალიუმით მდიდარი არ არის, ან გარემოს მაღალი ტემპერატურის გამომწვევი მოვლენები არ შეხებია, დათარიღების სხვა მეთოდები გამოიყენება.

ერთ-ერთი სირთულე, რაც K-Ar მეთოდს სდევს თან, არის ის, რომ კალიუმისა და არგონის რაოდენობების გაზომვა სხვადასხვა კლდოვანი მასალიდან უნდა მოხდეს. მკვლევრებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კალიუმი და არგონი ერთი და იმავე ფენის ყველა ნიმუშში ერთნაირი შემცველობით არის მოცემული. მეცნიერებმა შეძლეს ამ პრობლემის გვერდის ავლა დათარიღების ახალი მეთოდის — 40Ar-39Ar-ის შექმნით. 40Ar რაოდენობის გაზომვის შემდეგ ბირთვული რეაქტორის საშუალებით ხდება არგონის მეორე ტიპის — 39Ar-ის კალიუმად გარდაქმნ. ასე, რომ კალიუმ-არგონის შეფარდების დადგენა უკვე ერთი და იმავე ნიმუშით ხდება შესაძლებელი.

ურანის რიგის დათარიღება ორი ტიპის ურანის – ^{235}U და ^{238}U-ს სხვა იზოტოპებად (როგორიცაა ^{230}Th, თორიუმი) დაშლა წარმატებით გამოიყენება ისეთ ძეგლებზე, სადაც ომო შაპიენს (თანამედროვე ადამიანი) აღმოჩნდა, განსაკუთრებით კი ისეთ გამოქვაბულებში, სადაც სტალაგმიტები და კალციტის სხვა ფორმები წარმოიქმნება. იმის გამო, რომ გამოქვაბულებში მჟონავი წყალი, ჩვეულებრივ, შეიცავს ურანს და არა თორიუმს, კალციტის წარმონაქმნები ითვისებენ ურანს. ურანი სხვა იზოტოპებად (როგორიცაა თორიუმ-^{230}, ^{230}Th) დაშლას ცნობილი სისწრაფით იწყებს. სწორედ ამ იზოტოპების რაოდენობის ურანის იზოტოპებთან შეფარდებას იყენებენ განვლილი დროის დასადგენად. თორიუმ-ურანის შეფარდება გამოიყენება ისეთი ძეგლების დათარიღებისას, როგორიც 300 ათასი წლის წინანდელი გამოქვეხულებია, მათში კალიუმ-არგონის მეთოდით დათარიღებისთვის აუცილებელი ვულკანური ქანები დაფიქსირებული არ არის. ევროპული გამოქვაბულების (გერმანია, უნგრეთი და უელსი) ბინადარი Homo sapiens-ის დათარიღება სწორედ ამ მეთოდით მოხდა. არსებობს ურანიუმით დათარიღების სხვადასხვა ტიპი, რაც განსაზღვრული იზოტოპების რაოდენობების შეფარდებას უკავშირდება.

ურანის გახლეჩის მეთოდი ურანის გახლეჩის მეთოდი განამარხებული ბიოსის აბსოლუტური ასაკის დადგენის კიდევ ერთი საშუალებაა. K-Ar მეთოდის მსგავსად, ეს მეთოდიც განამარხებული ბიოსის შემცველი დეპოზიტის თანადროულ მინერალებს ათარიღებს და წარსულში მაღალი ტემპერატურის წარმომშობი მოვლენის (მაგ. ვულკანის ამოფრქვევა) არსებობას მოითხოვს. მაგრამ დასათარიღებელ ნიმუშთა ტიპები, როგორიცაა, მაგალითად, ბროლი, მინა და ურანით მდიდარი მრავალი მინერალი, უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ამ მეთოდის გამოყენებით არის შესაძლებელი. ასაკობრივი დიაპაზონი, რომელსაც ეს მეთოდი, K-Ar მეთოდის მსგავსად, მოიცავს, ძალზე ვრცელია — 20-დან 5 მილიარდ წლამდე.

რას გულისხმობს ურანიუმის გახლეჩის მეთოდი? ის ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდებს შორის უმარტივესია და გულისხმობს იმ ხაზების ანუ ბზარების რაოდენობას, რომლებიც ნიმუშზე ურანიუმის ატომების აფეთქების მსგავსი გახლეჩის შედეგად ჩნდება. მეცნიერებისთვის ცნობილია, რომ ^{238}U, ურანის ყველაზე გავრცელებული იზოტოპი, იშლება ნელა, მაგრამ მუდმივი სიჩქარით. ამგვარ დაშლას სპონტანური გახლეჩის ფორმა აქვს და ყოველი ამგვარი გახლეჩის შემდეგ ნიმუშზე ჩნდება იმდენად პატარა ბზარები, რომელთა დანახვა სათანადო ქიმიური დამუშავების შემდეგ მხოლოდ მიკროსკოპით არის შესაძლებელი. ნიმუშის ასაკის დასადგენად უნდა მოხდეს ბზარების რაოდენობის დათვლა და მათი შეფარდება ნიმუშის ურანის შემცველობასთან.

ამ მეთოდის გამოყენება მოხდა სამხრეთ აფრიკაში, ტანზანიაში მდებარე ოლდუვაის ხეობის I შრის დათარიღებისას, სადაც ადამიანთა წინაპრების ადრეული ნაშთები აღმოჩნდა. ამ მეთოდმა დაადასტურა K-Ar მეთოდით მიღებული ადრინდელი გამოთვლები, რომლებიც ძეგლის ასაკს დაახლოებით 2 მილიონი წლით განსაზღვრავდა. ის, რომ ურანის გახლეჩისა და K-Ar მეთოდები სხვადასხვა ტექნოლოგიას იყენებენ და შეცდომის სხვადასხვა ხარისხი აქვთ, მათ მიერ ერთმანეთის შემოწმების საშუალებას იძლევა. როდესაც ორი მეთოდი ერთი მიზნით მოქმედებს, შედეგად სანდო ინფორმაციას ვიღებთ.

სხვა მეთოდები დათარიღების ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები არქეოლოგიასა და ანთროპოლოგიაში ყველაზე გავრცელებულთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ არსებობს მრავალი სხვა მეთოდიც. ამასთან, ყოველდღიურად ახალი მეთოდები იქმნება. მაგალითად, ობსიდიანის ქვის იარაღის დათარიღება ზოგ შემთხვევაში ქვის თხელი ფენის (ჰიდრაციული ფენის) მიხედვით ხდება, რომელიც დროთა განმავლობაში ზედაპირზე მდებარე და ჰაერის ზემოქმედების ქვეშ არსებულ ობსიდიანს ფარავს. შესაბამისად, უძველესი ადამიანის კედლის მხატვრობაც (კლდეზე შესრულებული) და კლდეზე ნაკვეთი ან ნაკაწრი ფიგურებიც, ხშირად პატინით იფარება. ძვლების დათარიღება ზოგჯერ დნმ-ის დაშლის სიჩქარის (რომელიც, როგორც რადიაქტიული იზოტოპების დაშლა, ტემპერატურისა და ტენიანობის სტაბილურ პირობებში დადგენილი წესით მიმდინარეობს) გაზომვის საფუძველზე ხდება. ეს და მრავალი სხვა მეთოდი არქეოლოგებსა და პალეოანთროპოლოგებს დათარიღებისთვის საჭირო იარაღის არჩევანის დიდ საშუალებას აძლევს.

არქეოლოგიური კვლევის შედეგები

რა უნდა გააკეთონ არქეოლოგებმა და პალეოანთროპოლოგებმა კვლევის პროცესის დასრულების შემდეგ? რა არის არქეოლოგების მთავარი მიზანი? ქვემოთ მოცემულია რამდენიმე პასუხი ამ კითხვებზე.

არქეოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მიზანია, მოგვცეს წარსულის აღწერილობა ან სცადოს მისი რეკონსტრუქცია. ამ წიგნში განხილული საკითხების უმეტესობა სწორედ ამ მიზანს ემსახურება. არქეოლოგები ცდილობენ, აღადგინონ, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები გარკვეულ დროს, თუ ადგილას და როგორ იცვლებოდა მათი ცხოვრების სტილი. მათი ინტერესის საგანია, აგრეთვე, მოცემულ ადგილზე სხვა კულტურების შემოსვლა და არსებული კულტურების გადაადგილება. სხვადასხვა კულტურათა ისტორიის ჩამოყალიბებას და დროთა განმავლობაში მათში მომხდარ ცვლილებებს კულტურის ისტორია ეწოდება. 1950-იან წლებამდე სწორედ კულტურის ისტორიის შესწავლა იყო არქეოლოგების ძირითადი მიზანი.

არქეოლოგიური კვლევის მეორე ძირითადი მიზანი, განსაკუთრებით კი 1950-იანი წლების შემდეგ, ადამიანის ევოლუციისა და საქმიანობის შესახებ სხვადასხვა თეორიის შესწავლა და გადამოწმება გახდა. არქეოლოგების ინტერესის სფეროში მომხდარი ეს ცვლილება, ნაწილობრივ, გამოიწვია წარსულის შესახებ ცოდნის გაფართოებამ – მოხდა კულტურის ისტორიის შესწავლა მრავალ სხვადასხვა ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ეს ცვლილება ანთროპოლოგიის წინსვლამაც განაპირობა. 1950-იან წლებამდე ამერიკულ ანთროპოლოგიაში დომინირებდა მიმდინარეობა "ისტორიული პარტიკულარიზმი", რომელიც ადამიანთა შორის კულტურულ სხვადასხვაობას განსაზღვრულ კულტურებში მომხდარი სპეციფიკური ისტორიული მოვლენებით ხსნიდა. ისტორიული პარტიკულარიზმის მსგავსად, კულტურის ისტორიის მიზანიც ისტორიული მოვლენების შესწავლა იყო.

1950-იანი წლების შემდეგ ანთროპოლოგიაში გაჩნდა ახალი მიმდინარეობები, რომელთა უმეტესობა იზიარებდა აზრს, რომ კულტურათა სხვადასხვაობის მთავარი მიზეზია გარემო პირობები და ადამიანის მიერ მათი გამოყენება. არქეოლოგია გახდა გასაღები იმის გასაგებად, თუ როგორ მოქმედებდა ცვლილებები ადამიანზე. ჰიპოთეზათა გადამოწმებისა და გარემო პირობების გამოყენების შესწავლის ერთ-ერთი მიმართულება იყო გამოკვლევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოშობის შესახებ, რომელსაც განვიხილავთ კვების პროდუქტების წარმოებისა და ერთ ადგილას დამკვიდრებისადმი მიძღვნილ თავში. მეორე მიმართულება იყო ქალაქებისა და სახელმწიფოების წარმოშობის შესწავლა. მათმა წარმოშობამ რადიკალურად შეცვალა ადამიანის მიერ გარემოს გამოყენების ადრე არსებული წესი. ამ საკითხს წიგნში ცალკე თავი ეძღვნება.

ჰიპოთეზების გადამოწმების გარდა, არქეოლოგიას განსაკუთრებული როლი აქვს — ადამიანის კულტურული და ბილოგიური ევოლუციის ძირითადი მიმართულებებისა და კანონზომიერებების იდენტიფიცირება და ახსნა. როგორც წინა თავში ვიმსჯელეთ, კულტურათაშორისი გამოკვლევის მიზანიც ეს არის. მაგრამ მხოლოდ არქეოლოგიას შეუძლია დროის განჭვრეტა და ევოლუციური მიმდინარეობების უშუალოდ შემოწმება. ჩარჩოში "არსებობს თუ არა ევოლუციაში სწორხაზოვანი მიმართულებები?" გადმოცემულია მოსაზრება, რომ არსებობს ერთადერთი გზა, რომლითაც არქეოლოგიას ამგვარი ხანგრძლივი ტენდენციებისთვის შუქის მოფენა შეუძლია. ამ წიგნის მომდევნო თავებში თვალს მივადევნებთ ადამიანისა და კულტურათა ევოლუციის პროცესს მათი სათავეებიდან მოყოლებული. როგორც დავინახავთ, პალეოანთროპოლოგია აქცენტს სწორედ ხანგრძლივ ტენდენციებსა და კანონზომიერებებზე აკეთებს, რათა დაგვეხმაროს იმის გარკვევაში, როგორ და რატომ გავხდით ისეთები, როგორებიც დღეს ვართ. ამ მიზნით არქეოლოგია და პალეოანთროპოლოგია ერთობლივად ცდილობენ, უპასუხონ ანთროპოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას: რას ნიშნავს იყო ადამიანი?

შეჯამება

1. წარსულს მასალის ოთხი ძირითადი წყაროს საშუალებით შეისწავლიან. ესენია: არტეფაქტები, ეკოფაქტები, განამარხებული ბიოსი და კომპონენტები.
2. ძეგლები არის ადგილები, სადაც წარსულის ნაშთებია აღმოჩენილი და დაცული. ძეგლების აღმოჩენა ხდება ადგილის ფეხით შემოვლის და შორიდან დაკვირვების მეთოდებით. არტეფაქტების, ეკოფაქტების, განამარხებული ბიოსისა და კომპონენტების მიწიდან ამოღება ხდება გათხრების საშუალებით.
3. წარსულის შესახებ ინფორმაცია მოიპოვება ძეგლებზე არსებული მასალის ანალიზით. მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებენ აღმოჩენილი ნივთის ზომის, ფორმისა და შემადგენლობის შესწავლის შედეგად. თავად მასალის მოპოვება შესწავლის თვითმიზანი არ არის. მნიშვნელოვანია ის კონტექსტი, რომელიც არსებობს არტეფაქტებს, ეკოფაქტებს, განამარხებულ ბიოსსა და კომპონენტებს შორის და რომელიც არქეოლოგებსა და პალეოანთროპოლოგებს საშუალებას აძლევს, წარსულს შუქი მოჰფინონ.
4. არქეოლოგიური მასალის კონტექსტში მოთავსება ხელს უწყობს მის ზუსტ დათარიღებას. ამ მიზნით გამოიყენება დათარიღების უამრავი მეთოდი. შედარებითი დათარიღება ითვალისწინებს არქეოლოგიური მასალის დათარიღებას მსგავს, უკვე დათარიღებულ მასალასთან შედარებით. აბსოლუტური დათარიღების მეთოდები არქეოლოგიური დეპოზიტების ან მასალის დამოუკიდებელ დათარიღებას ითვალისწინებს.
5. არქეოლოგია ითვალისწინებს, რომ კულტურის ისტორია ჯერ კიდევ შესასწავლია და ცდილობს, გადაამოწმოს არსებული ჰიპოთეზები კულტურული ცვლილებების შესახებ. მისი მთავარი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და კულტურული ევოლუციის შესწავლა – რაც ამ წიგნის მთავარი მიზანიცაა.

საკონტროლო კითხვები:

1. რატომ არის კონტექსტი ასე მნიშვნელოვანი არქეოლოგიურ კვლევაში?
2. რა სახის ინფორმაციის მიღება შეიძლება ქვის ისრის პირებიდან?
3. რა ფაქტორების გათვალისწინება უნდა მოხდეს დათარიღების მეთოდის შერჩევისას?

გენეტიკა და ევოლუცია

3



თავების შინაარსი

- ევოლუციის ევოლუცია
- ბუნებრივი გადარჩევის პრინციპები
- მემკვიდრულობა
- ცვალებადობის მიზეზები
- სახეობათა წარმოქმნა
- ბუნებრივი გადარჩევა და ქცევის თავისებურებები

ასტრონომების გამოთვლით, სამყარო დაახლოებით 15 მილიარდი წელია, რაც არსებობს, პლიუს-მინუს რამდენიმე მილიარდი. ეს შთამბეჭდავი ისტორია უფრო გასაგები რომ გაეხადა, კარლ საგანმა შექმნა კალენდარი, რომელიც მთელ ამ პერიოდს ერთ წელიწადში ატევს. მან გამოიყენა სკალა, რომელზეც აღნიშნული ყოველი 24 დღე ერთ მილიარდ წელს აღნიშნავს, ხოლო 1 წამი — 475 დღეს. საგანის კალენდარი იწყება 1 იანვარს „დიდი აფეთქებით“ ანუ სამყაროს შექმნით და გრძელდება 1 მაისს „ირმის ნახტომის“ წარმოქმნით; 9 სექტემბერი მზის სისტემის ჩამოყალიბებას აღნიშნავს, 25 სექტემბერი კი დედამიწის შექმნას. 31 დეკემბერს 22:30 წუთზე ჩნდება პირველი ადამიანის მსგავსი მაიმუნი. საგანის შეკუმშული ისტორია საშუალებას გვაძლევს, ადამიანის არსებობის მოკლე მონაკვეთი სამყაროს არსებობის უზარმაზარ პერიოდს შევადაროთ. ადამიანის მსგავსი არსებები ამ 12-თვიანი პერიოდიდან, სულ რაღაც 90 წუთია, რაც არსებობენ! წინამდებარე წიგნში განვიხილავთ „საგანის წლის“ მხოლოდ ბოლო რამდენიმე საათში მომხდარ მოვლენებს.

პირველი პრიმატები დაახლოებით 55-65 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ. ისინი იყვნენ ყველა თანამედროვე პრიმატის წინაპრები: მაიმუნების, ადამიანის მსგავსი მაიმუნებისა და ადამიანის. ადრეულ პრიმატებს, მიუხედავად იმისა, ხეებზე ცხოვრობდნენ თუ არა, ძალიან მოქნილი თითები ჰქონდათ და საგნებისთვის ხელის ჩაჭიდება შეეძლოთ. მოგვიანებით, დაახლოებით 35 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ პირველი მაიმუნები და ადამიანის მსგავსი მაიმუნები. 15 მილიონი წლის წინ, ადამიანის მსგავსი მაიმუნის გაჩენიდან 20 მილიონი წლის შემდეგ გაჩნდნენ ადამიანის უშუალო წინაპრები. დაახლოებით 4 მილიონი წლის წინ კი გაჩნდნენ ადამიანის მსგავსი პირველი არსებები. თანამედროვე ადამიანები კი დაახლოებით ასი ათასი წლის წინ გაჩნდნენ.

როგორ შეიძლება აიხსნას ადამიანთა ბიოლოგიური და კულტურული განვითარება? პრიმატების წარმოშობის და ადამიანისა და მისი კულტურის ევოლუციის ისტორიის დეტალები შესაბამის თავებშია გაშუქებული, ამ თავში კი ყურადღებას ევოლუციის თანამედროვე თეორიის წარმოშობაზე გავამახვილებთ და იმაზეც ვიმსჯელებთ, როგორ ხსნის ეს თეორია დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს.

ევოლუციის ევოლუცია

ცოცხალი არსებების შესახებ ტრადიციული დასავლური წარმოდგენები ძირეულად განსხვავდებოდა ჩარლზ დარვინის ევოლუციის თეორიისგან, რომელიც სხვადასხვა სახეობის დროის ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში ერთიმეორისგან წარმოქმნას ვარაუდობდა. ძვ. წ. მეხუთე ათასწლეულში ბერძენ ფილოსოფოსებს პლატონსა და არისტოტელეს სჯეროდათ, რომ ცხოველები და მცენარეები წარმოადგენენ საფეხურებად დაყოფილ ერთ მთლიან ჯგუფს, რომელიც მეტად სრულყოფილი ფორმებიდან ნაკლებ სრულყოფილი ფორმებისკენ მიემართება. ადამიანები, რა თქმა უნდა, ამ კიბის თავში იგულისხმებოდნენ. მოგვიანებით, სხვა ბერძენმა ფილოსოფოსებმა ეს აზრი განავრცეს და დასძინეს, რომ შემოქმედმა პირველად ადამიანებს მისცა სიცოცხლე ანუ „ბრწყინვალება“, რომლის ნაწილიც ყოველი შემდგომი ქმნილების შექმნასთან ერთად იკარგებოდა. პლოტინის ნააზრევის შეჯამებისას, მაკრობიუსმა გამოიყენა ადრე არსებული წარმოდგენა იმაზე, რომ არსებობდა „ცოცხალ არსებათა ჯაჭვი“: „დაკვირვებული ადამიანი შენიშნავს, რომ არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწილების უწყვეტი ჯაჭვი, რომლის თავშიც დგას უმაღლესი ღვთაება და რომელიც მოდის ქვემოთ, უმდაბლესი არსებებისკენ. ეს არის ჰომეროსის ოქროს ჯაჭვი, რომლითაც ღმერთმა ციდან დედამიწაზე ხელი გამოგვიწოდა“.

წარმოდგენას ასეთი ჯაჭვის არსებობის შესახებ თან ახლდა რწმენა, რომ ცხოველთა და მცენარეთა სახეობები არ ქრება, რადგან ჯაჭვის შემადგენელი ყველა რგოლი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ყოველი მათგანი აუცილებელია. უფრო მეტიც, გაქრობის ცნება შეარყევდა ადამიანთა რელიგიურ რწმენას: ღმერთის მიერ შექმნილ არსებათა მთელი ჯგუფის უბრალოდ გაქრობა წარმოუდგენელი იქნებოდა.

ცოცხალ არსებათა ჯაჭვის თეორია წლების მანძილზე არსებობდა, მაგრამ ფილოსოფოსთა, მეცნიერთა და პოეტთა მსჯელობის საგნად მხოლოდ XVIII საუკუნიდან იქცა. ამგვარმა მსჯელობამ მოამზადა ნიადაგი ევოლუციის თეორიისათვის. საინტერესოა, რომ ცოცხალ არსებათა ჯაჭვის თეორია ევოლუციას არ გულისხმობს, მაგრამ თავად იმ აზრმა, რომ ბუნებაში გარკვეული რიგითობა არსებობდა, გამოიწვია მეცნიერთა მეტი ინტერესი ბუნებისმეტყველებისა და შედარებითი ანატომიის შესწავლის მიმართ, ამან კი, თავის მხრივ, ევოლუციის იდეის წარმოშობას შეუწყო ხელი. ადამიანები დაინტერესდნენ ადრე უცნობი სახეობებით და უფრო მეტიც, დიდად არ გაჰკვირვებიათ მეცნიერთა აზრი, რომ ადამიანები განვითარებით მაიმუნებთან ახლოს დგანან. ეს იდეა კარგად მიესადაგებოდა ცოცხალ არსებათა ჯაჭვის თეორიას: ფიქრობდნენ, რომ მაიმუნები, უბრალოდ, ნაკლებად სრულყოფილ არსებებად იყვნენ შექმნილნი.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ცნობილმა მეცნიერმა კარლ ლინემ (1707-1778) მოახდინა მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაცია შრომაში Systema naturae, სადაც ადამიანები, მაიმუნები და ადამიანის მსგავსი მაიმუნები (პრიმატები) ერთ ჯგუფში გააერთიანა. ლინე არ ვარაუდობდა ევოლუციურ კავშირებს ადამიანებსა და პრიმატებს შორის. ის იმ აზრს ემხრობოდა, რომ ყველა სახეობა ღმერთის შექმნილი იყო გარკვეული, დადგენილი ფორმით. ამიტომ, საკვირველი არ არის, რომ ლინეს ხშირად ანტი-ევოლუციონისტად თვლიან. მაგრამ მისმა იერარქიული კლასიფიკაციის დაღმავალმა სქემამ, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს, კლასებს, სოციალურ ჯგუფებს, გვარებს და სახეობებს, მოგვცა ჩარჩო იდეისა, რომ ადამიანს, ადამიანის მსგავს მაიმუნსა და მაიმუნს საერთო წინაპარი ჰყავდათ. იხ. სურ. 3-1.



სურათი 3-1

აზრი, რომ შიმპანზეებსა და ადამიანებს საერთო წინაპარი ჰყავდათ, გამომდინარეობს მათ შორის არსებული ანატომიური მსგავსებიდან, რაც კარგად ჩანს მათი წინა კიდურების შედარებისას. შიმპანზეს წინა კიდურის ჩონჩხი (მარცხნივ); ადამიანის წინა კიდურის ჩონჩხი (მარჯვნივ).

ზოგ მეცნიერს არ სჯეროდა, რომ სახეობათა ფორმები უცვლელი იყო. ჟან ბატისტ ლამარკის (1744-1829) მიხედვით, შესაძლებელია შეძენილი თვისებების მემკვიდრეობით გადაცემა, ე.ი. შესაძლებელია სახეობათა ევოლუცია. ინდივიდებს, რომლებმაც სიცოცხლის მანძილზე გადარჩენისთვის აუცილებელი ნიშან-თვისებები შეიძინეს, მათი მემკვიდრეობით გადაცემა შეუძლიათ, რაც შესაბამისად, მომავალი თაობის ფიზიკური ნიშნების შეცვლას გამოიწვევს. მაგალითად, ლამარკმა ჟირაფის გრძელი კისრის წარმომავლობა იმით ახსნა, რომ მისი წინაპრები თაობების მანძილზე იძულებულნი იყვნენ, ხეზე მაღლა მდებარე ფოთლების მისაწვდომად კისრები წაეგრძელებინათ. კისრის გაწელილი კუნთები და ძვლები რაღაც გზით გადაეცა იმ ჟირაფების შემდეგ თაობას, რომელთაც გაწელილი კისრები ჰქონდათ და საბოლოოდ, ყველა ჟირაფი გრძელკისრიანი გახდა. მაგრამ ვინაიდან ლამარკს და მისი თაობის ბიოლოგებს არ შეეძლოთ იმის დამამტკიცებელი საბუთის წარმოდგენა, რომ შესაძლებელი იყო შეძენილი ნიშან-თვისებების მომდევნო თაობებისთვის გადაცემა, ევოლუციური განვითარების ეს თეორია დავიწყებას მიეცა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისთვის ზოგიერთი მოაზროვნე ეთანხმებოდა ევოლუციის თეორიას, ზოგი კი უარყოფდა. მაგალითად, ჟორჟ კიუვიე (1769-1832) ევოლუციური თეორიის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე იყო. მის მიერ შემუშავებული კატასტროფიზმის თეორია ამტკიცებდა, რომ დედამიწაზე მომხდარი ცვლილებების მიზეზი ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით მომხდარი კატასტროფები იყო. ისეთი კატაკლიზმები და სტიქიური უბედურებები, როგორიც მაგალითად, ნოეს დროინდელი წყალდიდობა იყო, იწვევდა იმ დროისათვის არსებული ცოცხალი არსებების განადგურებას, რომელთა ადგილსაც შემდგომში სხვები იკავებდნენ.

მეცხრამეტე საუკუნეში გეოლოგიის დარგში მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნება. მანამდე, გეოლოგმა ჯეიმს ჰატონმა (1726) ეჭვქვეშ დააყენა კატასტროფიზმის თეორია, მაგრამ მაშინ მის ნაშრომს ყურადღება არ მიაქციეს. პირიქით მოხდა სერ ჩარლზ ლაიელის (1797-1875) შემთხვევაში — მისმა „გეოლოგიის პრინციპების“ ტომებმა, რომლებიც ჯეიმს ჰატონის წიგნს ემყარებოდა, მაშინვე ჰპოვა აღიარება. მასში მოცემული „უნიტარიანიზმის“ კონცეფცია ვარაუდობდა, რომ ბუნებრივი ძალების ზემოქმედებით დედამიწა დიდი ხნის მანძილზე მუდმივად იცვლის ფორმას. ლეიელმა თავის შრომაში განიხილა აგრეთვე გეოლოგიური ფენების ფორმირებისა და პალეონტოლოგიის საკითხებიც. სხვადასხვა გეოლოგიური ეპოქის დასადგენად, ის განამარხებულ ფაუნას იყენებდა. დარვინი „ბიგლით“ მოგზაურობამდე და მის დროსაც ამ შრომებს დიდი ყურადღებით ეცნობოდა. შესაბამისად, ეს ორი მეცნიერი საბოლოოდ დამეგობრდა.

მცენარეების, განამარხებული ცხოველებისა და შინაური და გარეული მტრედების შესწავლის საფუძველზე, დარვინმა (1809-1882) უარყო თეორია, რომ ყოველი სახეობა ერთდროულად, დადგენილი სახით წარმოიშვა. მისი აზრით, მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ სახეობების ევოლუცია ბუნებრივი გადარჩევის შედეგი იყო. ამ საკითხისადმი მიძღვნილ წიგნზე მუშაობის დასრულებისას ლეიელმა მას ალფრედ რასელ უოლესის (1823-1913) ხელნაწერი გაუგზავნა. ეს ბუნებისმეტყველი სახეობათა ევოლუციის საკითხში დარვინის მსგავს დასკვნებამდე დამოუკიდებლად მივიდა. 1858 წელს ამ ორმა მეცნიერმა ლონდონის „ლინეს საზოგადოების“ შეკრებაზე კოლეგებს ბუნებრივი გადარჩევის შესახებ გამაოგნებელი თეორია წარუდგინა.

1859 წელს შრომაში „სახეობების წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის შედეგად“, დარვინი წერდა: „ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უცვლელი სახეობები არ არსებობს, უბრალოდ, ის სახეობები, რომლებიც ერთსა და იმავე გვარს მიეკუთვნება, რომელიღაც სხვა, გადაშენებული სახეობების პირდაპირი შთამომავლები არიან ისევე, როგორც რომელიმე სხვა, საყოველთაოდ აღიარებული სახეობა. მეცნიერის ამგვარმა დასკვნებმა სიცოცხლის წარმოშობის ბიბლიური შეხედულების მომხრეთა რისხვა და მწვავე დაპირისპირება გამოიწვია, რაც დღემდე არ განელებულა.

1871 წლამდე, როდესაც დარვინის „ადამიანის წარმოშობა“ გამოქვეყნდა, ავტორი ერიდებოდა კატეგორიული განცხადების გაკეთებას იმის თაობაზე, რომ ადამიანები არა ადამიანური, არამედ სხვა ფორმებიდან წარმოიშვნენ, მაგრამ მისი თეორიის ფარული აზრი მაინც ნათელი იყო. მაშინვე დაიწყო მასთან დაპირისპირება. 1860 წლის ივნისში „მეცნიერების განვითარების ბრიტანული ასოციაციის“ ყოველწლიურ შეხვედრაზე ეპისკოპოს უილბერფორსს მიეცა დარვინისტებზე თავდასხმის ხელსაყრელი შესაძლებლობა. თავისი გამოსვლის დასკვნით ნაწილში მან თვალი გაუსწორა დარვინისტების ერთ-ერთ მთავარ დამცველს — თომას ჰაქსლის და ჰკითხა, საკუთარი ბებიისა და პაპის მიხედვით ხომ არ ამტკიცებდა ადამიანის მაიმუნისგან წარმოშობას. ჰაქსლიმ უპასუხა: „თუ დამისვამდნენ შეკითხვას, რომელი მირჩევნია, პაპაჩემი საცოდავი მაიმუნი ყოფილიყო თუ ბუნებისგან უხვად დაჯილდოვებული ადამიანი, რომელსაც ყოველგვარი საშუალება და დიდი გავლენა აქვს და რომელიც ამ მონაცემებსა და გავლენას სერიოზული სამეცნიერო მსჯელობის დასაცინად იყენებს, მე აუცილებლად მაიმუნს მივცემდი უპირატესობას“.

XIX საუკუნის კარიკატურაზე გამოსახულია ჩარლზ დარვინი მაიმუნის ტანით, რაც მაიმუნისა და ადამიანის ფიზიკურ მსგავსებაზე მიუთითებს.

ბუნებრივი გადარჩევის პრინციპები

დარვინი პირველი არ იყო, ვინც ახალი სახეობების წარმოშობა ევოლუციის კონტექსტში განიხილა, მაგრამ მან პირველმა მოუძებნა მრავალმხრივი, კარგად დასაბუთებული ახსნა იმას, რომ ბუნებრივი გადარჩევა სწორედ ის გზა იყო, რომლითაც ევოლუცია წარიმართა. ბუნებრივი გადარჩევა მთავარი პროცესია, რომელიც ზრდის ადაპტაციის უნარის მატარებელი თვისებების სიხშირეს დროში. ბუნებრივი გადრჩევის მოქმედება სამ პირობას ან პრინციპს მოიცავს. პირველი: ყოველი სახეობა შედგება დიდი რაოდენობით ინდივიდების ერთობლიობისგან, რომელთაგან ზოგიერთი უკეთ არის შეგუებული გარემო პირობებთან, ვიდრე სხვები. ასეთი განსხვავებების არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია. ამის გარეშე ბუნებრივი გადარჩევა ვერ იმოქმედებდა; განსხვავებების გარეშე, ერთი ტიპის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები სხვა ტიპისაზე უპირატესობას ვერ მოიპოვებდნენ. ბუნებრივი გადარჩევის მეორე პრინციპია მემკვიდრეობითობა. შთამომავალი დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს გარკვეული სახითა და ხარისხით თავისი მშობლებისგან იღებს. ბუნებრივი გადარჩევის მესამე პრინციპია რეპროდუქტიულობის განსხვავებული უნარი. საერთოდ, უკეთ ადაპტირებული ინდივიდები თაობების მანძილზე უფრო მეტ შთამომავალს ტოვებენ, ვიდრე ნაკლებ ადაპტირებულები. ადაპტაციის უნარის მატარებელი ნიშან-თვისებების სიხშირე მომავალ თაობებში თანდათანობით იზრდება. ახალი სახეობების წარმოშობა ხდება მაშინ, როდესაც ინდივიდის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებში ცვლილებები ან გეოგრაფიული ბარიერების შექმნა პოპულაციის რეპროდუქტიულ იზოლაციას იწვევს.

როდესაც ვამბობთ, რომ გარკვეული ნიშან-თვისებები შეგუების საშუალებას იძლევა ან სასარგებლოა, ვგულისხმობთ, რომ ისინი ხელს უწყობს გარკვეულ გარემო პირობებში მეტი შთამომავლობის დატოვებას. ფრაზა „გარკვეული გარემო პირობები“ ძალზე მნიშვნელოვანია. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთი სახეობა დიდი ხნის განმავლობაში ეგუება გარკვეულ გარემო პირობებს, არ შეიძლება ითქვას, რომ ის „უკეთესია“ მეორე სახეობაზე, რომელიც განსხვავებულ გარემო პირობებს ეგუება. მაგალითად, შეიძლება ჩვენი თავი სხვა ცხოველებზე „უკეთესად“ მიგვაჩნდეს, თუმცა ადამიანები თევზებზე ნაკლებად არიან შეგუებულნი წყალქვეშ ცხოვრებას, ღამურებზე ცუდად ეგუებიან მფრინავ მწერებზე ნადირობას ან თუნდაც, ენოტებზე ნაკლებად — გარეუბნის ნაგავსაყრელზე ცხოვრებას.

ბუნებრივი გადარჩევის მეთოდი არახელსაყრელი ნიშან-თვისებების სიხშირის თანდათანობით შემცირებას და საბოლოოდ მათ გაქრობას გულისხმობს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ყოველთვის ასე ხდება. სახეობები წარმოიშობა მათი წინარე ფორმებიდან, რომელთაც გარკვეული სტრუქტურა ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, ყველაფერი არ შეიძლეა შეიცვალოს. ზოგი ნიშან-თვისება დამოკიდებულია სხვა, ისეთ ნიშან-თვისებაზე, რომელიც შესაძლოა, უფრო საჭირო იყოს. მაგალითად, სასულეში გადაცდენა შეიძლება ძალზე სახიფათო იყოს ნებისმიერი ცხოველისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ყველა ხერხემლიან ცხოველს ახასიათებს, რადგან მათი საჭმლის მომნელებელი და სასუნთქი სისტემები ყელში იკვეთება. ეს მემკვიდრეობითი ნიშანია, რომელიც ალბათ, იმ დროიდან არის შემორჩენილი, როდესაც სასუნთქი სისტემა რომელიღაც წინაპარი ცხოველის ორგანიზმში საჭმლის მომნელებელი სისტემის ქსოვილიდან განვითარდა. როგორც ჩანს, მიდრეკილება გადაცდენისადმი ევოლუციურად გამოსწორებადი არ იყო.

ცვლილებები სახეობებში შეიძლება გარემო პირობების შეცვლასთან ან ამ სახეობების ზოგიერთი წარმომადგენლის ახალ გარემო პირობებში გადასვლასთან ერთად მოხდეს. გარემო პირობების შეცვლასთან ერთად, სახეობის ზოგიერთი ნიშან-თვისება ადაპტაციის შესაძლებლობის საშუალებას იძლევა. სახეობათა ის ფორმები, რომლებსაც უფრო მეტი რაოდენობის ამგვარი ნიშან-თვისება აქვთ, მრავლდებიან, ხოლო ის ფორმები, რომელთა დამახასიათებელი ნიშან-თვისებები მათ ხანგრძლივ არსებობას ახალ გარემოში ართულებს ან შეუძლებელს ხდის, საბოლოოდ გადაშენდებიან.

განვიხილოთ, როგორ ახსნის ბუნებრივი გადარჩევის თეორია იმას, თუ რატომ განუვითარდათ ჟირაფებს გრძელი კისრები. თავდაპირველად ჟირაფების კისრის სიგრძე სხვადასხვაგვარი იყო საკვების სიმცირის დროს გრძელკისრიან ჟირაფებს, რომლებიც ხის უფრო მაღლა მდებარე ფოთლებს სწვდებოდნენ, გადარჩენის მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ და უკეთ კვებავდნენ რძით თავიანთ შთამომავლობას. ამგვარად, ისინი მეტ შთამომავლობას ტოვებდნენ, ვიდრე მოკლეკისრიანი ჟირაფები. მემკვიდრეობითობის გათვალისწინებით, გრძელკისრიანი ჟირაფების შთამომავალთაც გრძელი კისრები უნდა ჰქონოდათ. საბოლოოდ, მოკლეკისრიანი ჟირაფების რაოდენობა უნდა შემცირებულიყო გრძელკისრიანებისა კი გაზრდილიყო.

ბუნებრივი გადარჩევა ვერ ხსნის დამახასიათებელ ნიშანთა სიხშირის ცვალებადობას, მათ შორის — ვერც ნეიტრალური ნიშნების სიხშირის ცვალებადობას (რომელსაც არ მოაქვს რაიმე სარგებლობა ან პირიქით, ზიანი მათი მატარებლებისთვის). ნეიტრალური ნიშნების სიხშირის ცვალებადობა შეიძლება გამოიწვიოს როგორც შემთხვევითმა პროცესებმა, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ გენების სიხშირეზე იზოლირებულ პოპულაციაში („გენეტიკური დრეიფი“), ასევე შეჯვარებამ პოპულაციებს შორის („გენების ნაკადი“). სხვა პროცესებს განვიხილავთ ქვემოთ, ამავე თავში.

დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ევოლუციის მაგალითები

ევოლუციის პროცესი მოიცავს თითქმის შეუმჩნეველ გრადაციას თაობათა მანძილზე. ამიტომ მასზე უშუალო დაკვირვება ძნელია. თუმცა, ზოგიერთი ცოცხალი ორგანიზმი სწრაფად მრავლდება, რამაც შესაძლებელი გახადა მათ ბუნებრივ გადარჩევაზე დაკვირვება, ცვალებად გარემოში და შედარებით ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში.

მეცნიერები აკვირდებოდნენ ბუნებრივი გადარჩევის მიმდინარეობას ბრიტანულ პეპლებზე. 1850 წელს მანჩესტერში პირველად შენიშნეს თითქმის მთლიანად შავი ფერის პეპლები. ეს ძალიან უჩვეულო იყო, რადგან პეპლათა უმეტესობას რუხი ფერის წინწკლები ჰქონდა. ერთი საუკუნის შემდეგ, ბრიტანეთის სამრეწველო რეგიონებში პეპლების 95% შავი იყო; მხოლოდ აგრარულ რაიონებში აღინიშნებოდა პეპლების უმეტესობაში რუხი ფერი. როგორ შეიძლებოდა ამის ახსნა? როგორც ჩანს, აგრარულ რაიონებში მტაცებელი ფრინველებისთვის, ხის ქერქზე ამოსული ლიქენის ფონზე, რუხი ფერის პეპლების შემჩნევა უფრო ძნელია. რაც შეეხება სამრეწველო რეგიონებს, გარემოს დაბინძურების გამო, ლიქენები განადგურებულია. რუხი ფერის წინწკლებიანი პეპლები, რომლებიც ადრე უკეთესად ერწყმოდნენ ბუნებას, უკვე კარგად გამოჩნდნენ ლიქენგადაცლილ ხეებზე და ფრინველთათვის ადვილად შესამჩნევ მსხვერპლად იქცნენ. შავ პეპლებს, რომლებიც ადრე უკეთ შეინიშნებოდნენ ხის ღია ფერის ქერქზე, მუქი ფერი უპირატესობას აძლევდა, რის გამოც, უფრო მუქი ფერის პეპლების სახეობა მეტად გავრცელდა სამრეწველო რეგიონებში.

როგორ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ბუნებრივი გადარჩევა სწორედ ის მექანიზმი იყო, რომელმაც ზემოთ აღნიშ-



ჟირაფის გრძელი კისერი მოსახერხებელია ხეზე მაღლა მდებარე ფოთლების მისაწვდომად. გრძელკისრიანი ჟირაფები მეტი რაოდენობის საკვებს მოიპოვებენ და უკეთ მრავლდებიან, ვიდრე მოკლეკისრიანები. ასეთ გარემო პირობებში ბუნებრივი გადარჩევის დროს გრძელკისრიანი ჟირაფები უპირატესობით სარგებლობენ.

ცვლილებები, რომლებიც ხდება პეპლების პოპულაციაში ინგლისის სხვადასხვა რეგიონში, ბუნებრივი გადარჩევის თვალსაჩინო მაგალითია. ინდუსტრიალიზაციამდე ხის ვარჯები უფრო ღია ფერის იყო და ღია ფერის პეპლები დომინირებდნენ (დღესაც, აგრარულ რაიონებში, სადაც ჰაერი ნაკლებად ან სულ არ არის დაბინძურებული, უფრო მეტად ღია ფერის პეპლებია გავრცელებული). გარემოს ინდუსტრიული დაბინძურების შედეგად ხის ვარჯების გამუქებასთან ერთად ღია ფერის პეპლები მტაცებელი ფრინველებისთვის უკეთ შესამჩნევი გახდნენ. ახალ, ინდუსტრიულ გარემოში მუქი ფერის პეპლების რაოდენობა სწრაფად გაიზარდა.

ნული ცვლილება გამოიწვია? მეცნიერ ჰ.ბ.დ. ქეთლუელის ექსპერიმენტი. ქეთლუელის მიერ წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულება ემყარებოდა ექსპერიმენტების სერიას. მან მონიშნა და თავისუფლად გაუშვა შავი და რუხი ფერის პეპლები ინგლისის ორ რეგიონში: სამრეწველოსა და აგრარულში, შემდეგ კი მათ დასაჭერად „სინათლის ხაფანგი“ გამოიყენა. ქეთლუელმა აღმოაჩინა, რომ სამრეწველო რეგიონებში მეტი შავი ფერის პეპელა გადარჩა. პირიქით მოხდა აგრარულ რაიონებში. ბოლო დროს გაჩნდა ეჭვი სწორად ქეთლუელის ექსპერიმენტის სისწორესთან დაკავშირებით, მაგრამ მისი საბოლოო დასკვნა გაიმეორა შემდგომმა ექსპერიმენტებმა. იმავე სახის ტრანსფორმაცია — ფერის გამუქება – გამოვლინდა პეპლების სხვა სამოცდაათ სახეობაშიც, ასევე — ხოჭოებსა და მრავალფეხებშიც. გარდა ამისა, ასეთი ტრანსფორმაცია გამოვლინდა არა მარტო ბრიტანეთში, არამედ სხვა ძალზე დაბინძურებულ რეგიონებშიც, გერმანიის რურის რეგიონისა და აშშ-ს პიტსბურგის შტატის ჩათვლით; უფრო მეტიც, პიტსბურგის რეგიონში ანტიპოლუციური ზომების მიღების შემდეგ ბოლო 50 წლის მანძილზე შავი ფერის პეპლების რაოდენობა ორჯერ შემცირდა..

ბუნებრივი გადარჩევის იმ ტიპს, რომელიც პეპლების მაგალითზე იყო ნაჩვენები, **“მიმართული გადარჩევა“** ეწოდება. ამ შემთხვევაში განსაზღვრული ნიშანი დადებითად მიიღება და მისი საშუალო მნიშვნელობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში იცვლება ადაპტირებადი ნიშნის ჩამოყალიბებამდე. არსებობს აგრეთვე **„მასტაბილიზებელი გადარჩევა“**. გადარჩევის ამ ტიპის დროს საშუალო მნიშვნელობა არ იცვლება, ხოლო ბუნებრივი გადარჩევის შედეგად ისპობა საწინააღმდეგო ნიშნები. ამის თვალსაჩინო მაგალითია ახალშობილთა წონა. როგორც ძალიან დაბალი, ისე ძალიან მაღალი წონა მიუღებელია და უნდა მოხდეს ამის საწინააღმდეგო გადარჩევა. როგორც “მიმართული“, ასევე „მასტაბილიზებელი გადარჩევა გულისხმობს, რომ ბუნებრივი გადარჩევა ან მიიღებს ან უარყოფს გარკვეულ გენებს, მაგრამ არსებობს მესამე — **„გამაწონასწორებელი გადარჩევა“**. იგი მაშინ გვხვდება, როდესაც ალელების (გენების) ჰეტეროზიგოტური (შერეული) კომბინაცია დადებითად მიიღება მაშინ, როცა ჰომოზიგოტური (გენების ერთნაირი წყვილი) კომბინაცია უარყოფითია. თავში, ადამიანთა ცვალებადობის შესახებ, ვიმსჯელებთ გამაწონასწორებელ გადარჩევასთან დაკავშირებულ ნიშანზე — ნამგლისებურ ანემიაზე, რომელიც დასავლეთ აფრიკული წარმოშობის მოსახლეობაში გამოვლინდა.

ბუნებრივი გადარჩევის მეორე, კარგად ცნობილი მაგალითია სახლის ბუზების გამომუშავებული მედეგობა ინსექტიციდ DDT-ის მიმართ. 1940-იან წლებში, როდესაც მწერების გასანადგურებლად ეს ინსექტიციდი პირველად გამოიყენეს, გაჩნდა სახლის ბუზის რამდენიმე ახალი, DDT-ის წინააღმდეგ მედეგი ჯიში. ამ საწამლავის გამოყენების დასაწყისში ბევრი ბუზი განადგურდა, მაგრამ ის რაოდენობა, რომელიც გადარჩა, შემდგომში გამრავლდა და მათი მედეგობის მატარებელი თვისებები სახლის ბუზების პოპულაციისთვის საერთო გახდა. პრაქტიკოსი ექიმებისთვის სამწუხაროდ, მსგავსი მედეგობა განვითარდა ბაქტერიებშიც. ესა თუ ის ანტიბიოტიკი კარგავდა ეფექტურობას მას შემდეგ, რაც მისი ფართოდ გამოყენება იწყებოდა, რადგან ჩნდებოდა ბაქტერიათა ახალი, მედეგი კულტურები. ბუნებრივი გადარჩევის გამო, ეს ახალი კულტურები უფრო ფართოდ ვრცელდებოდა, ვიდრე მათი წინამორბედები. ამჟამად, აშშ-ში არსებობს რამდენიმე კულტურა, რომელიც არსებული ანტიბიოტიკების მიმართ მედეგობას ამჟღავნებს, რაც პრაქტიკოსი ექიმების დიდ შეშფოთებას იწვევს. ერთადერთი გამოსავალი ამ პრობლემის მოსაგვარებლად არის ანტიბიოტიკების მოხმარების რამდენიმე წლით შეწყვეტა. ამ გზით შესაძლე-

ბელია ანტიბიოტიკების მიმართ მედეგობის შეჩერება ან შესუსტება.

ბუნებრივი გადარჩევის თეორია მრავალ კითხვას პასუხობს, მაგრამ ამასთანავე წარმოშობს ერთ, ისეთ კითხვას, რომელსაც დარვინიც და სხვა მეცნიერებიც თავს არიდებდნენ: თუ სასარგებლო თვისების წარმოქმნა ხელს უწყობს ორგანიზმის გადარჩენას, რა ხდება მაშინ, როდესაც ეს ორგანიზმი მრავლდება ასეთი სასარგებლო თვისების არმქონე ორგანიზმთან შეჯვარებით? ხომ შეიძლება ეს სასარგებლო თვისება თანდათანობით გაქრეს მომავალ თაობებში ისეთ ინდივიდებთან შეჯვარებისას, რომლებსაც ეს თვისება არ გააჩნია? დარვინმა იცოდა, რომ ცვალებადობა გენეტიკურად გადაეცემოდა, მაგრამ მას არ ჰქონდა მემკვიდრეობითობის მეთოდის ნათელი ნიმუში. ასეთი ნიმუში გენეტიკის დარგში პირველად გრეგორ მენდელმა აღმოაჩინა, მაგრამ ამის შესახებ ცნობილი მხოლოდ 1900 წელს გახდა.

მემკვიდრეობითობა

გრეგორ მენდელის ცდები

გრეგორ მენდელი (1822-1884) იყო ბერი და მოყვარული ბოტანიკოსი. იგი ამჟამინდელი ჩეხეთის რესპუბლიკაში ცხოვრობდა. მან გამოიყვანა ბარდის რამდენიმე ჯიში და დეტალურად აკვირდებოდა მათ ამონაზარდებს. მენდელმა შესაჯვარებლად შეარჩია ისეთი მცენარეები, რომელთაც მხოლოდ ერთი, შესამჩნევი განმასხვავებელი ნიშანი ჰქონდათ. მაღალი მცენარეები შეაჯვარა დაბლებთან, ყვითლები კი მწვანეებთან. მაგალითად: როდესაც ყვითელი ბარდის მცენარის მტვერი გადაიტანა მწვანეზე, მენდელმა საინტერესო რამ შეამჩნია: პირველი თაობის ყველა მცენარეს ყვითელი ფერის ნაყოფი ესხა. ისე ჩანდა, თითქოს მწვანე ნიშანი გაქრა. როდესაც მოხდა პირველი თაობის მცენარეთა თესლების შეჯვარება, მიღებულ მცენარეებს შორის იყო როგორც მწვანე, ისე ყვითელი ბარდის მცენარეები, შეფარდებით სამი ყვითელი - ერთი მწვანე (იხ. სურ. 3-2). მენდელმა დაასკვნა, რომ მწვანე ნიშანი არ დაკარგულა და არც შეცვლილა, უბრალოდ, ყვითელი **დომინანტური** იყო, მწვანე – **რეცესიული.** მენდელმა მსგავსი შედეგი სხვა ნიშნებზე დაკვირვებების დროსაც მიიღო. სიმაღლე დომინირებდა სიდაბლეზე, ხოლო გლუვკანიანობის ფაქტორი — დანაოჭებულ კანზე. თითოეული შეჯვარების დროს, მეორე თაობაში შეფარდება იყო 3/1-თან. განსხვავებული შედეგები მოჰყვებოდა თვითგანაყოფიერებას. მწვანე ბარდის მოსავალი ყოველთვის მწვანე იყო, ხოლო ყვითლისა — ყვითელი.

ამ რიცხობრივი მონაცემებიდან მენდელმა დაასკვნა, რომ ყვითელი ბარდის ზოგიერთი მცენარე იყო სუფთა (ჰომოზიგოტური) მაშინ, როდესაც სხვები შეიცავდნენ მწვანე ფაქტორსაც (ჰეტეროზიგოტური). ესე იგი, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ორივე მცენარეს ესხას ყვითელი ბარდა, ერთ-ერთმა მათგანმა შესაძლებელია წარმოშვას მწვანე მცენარე. ასეთ შემთხვევებში გენეტიკური შემადგენლობა – **გენოტიპი** განსხვავდება გარეგნული შესახედაობისგან – **ფენოტიპისგან**.



გრეგორ მენდელი.



სურათი 3-2

როდესაც მენდელმა ყვითელი ბარდის ორი გენის (YY) მქონე მცენარე მწვანე ბარდის ორი გენის (yy) მქონესთან შეაჯვარა, აღმოჩნდა, რომ ყოველი მცენარე იყო ყვითელი, მაგრამ ატარებდა როგორც ყვითელი, ისე მწვანე ბარდის თითო გენს (Yy). ბარდა ყვითელი იმიტომ იყო, რომ ყვითელი გენი დომინანტური აღმოჩნდა, მწვანე კი რეცესიული. პირველი თაობის შეჯვარების შედეგად ყვითელი ბარდის ყოველ სამ მცენარეზე მწვანე ბარდის ერთი მცენარე მოდიოდა.

გენები: მემკვიდრეობითი ნიშნის გადამცემები

მენდელის მემკვიდრეობითობის მატარებელ ნაწილაკებს დღეს გენებს ვუწოდებთ. მან დაასკვნა, რომ ეს ნაწილაკები არსებობენ წყვილად თითოეული ნიშნისთვის და შთამომავალი თითოეული მშობლისგან იღებს ამ წყვილიდან ერთ-ერთს. გენის თითოეული წყვილის ანუ ჯგუფის თითოეულ ელემენტს ალელი ეწოდება. თუ თითოეული ნიშნის მატარებელი ორი გენი ან **ალელი** ერთნაირია, ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმი ჰომოზიგოტურია ამ ნიშნის მიმართ; ხოლო თუ ერთმანეთისგან განსხვავდება, მაშინ ამ ნიშნის მიმართ **ჰეტეროზიგოტურია**. ყვითელი ბარდის მცენარე, დომინანტური ყვითელი და რეცესიული მწვანე გენით, თუმცა ფენოტიპურად ყვითელია, მას **ჰეტეროზიგოტური** გენოტიპი აქვს. როგორც მენდელმა გვიჩვენა, რეცესიული მწვანე გენი შეიძლება შემდგომ თაობებში კვლავ წარმოჩნდეს. მაგრამ მან არაფერი იცოდა გენების შემადგენლობის ან იმ პროცესის შესახებ, რომელიც მშობლიდან შთამომავლობას გადასცემს მათ. მრავალწლიანმა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ ამ საკითხებში ინფორმაციული ვაკუუმი შეავსო.

უმაღლესი ორგანიზმების (ბაქტერიებისა და პრიმიტიული მცენარეების გარდა – როგორებიცაა მომწვანო-მოლურჯო წყალმცენარეები) გენები მდებარეობს ორგანიზმის ყოველ უჯრედში მოთავსებულ თოკისმაგვარ სხეულებზე, რომელთაც **ქრომოსომები** ეწოდებათ. ჩვეულებრივ, ქრომოსომები, გენების მსგავსად, წყვილებად გვხვდებიან. მოცემული თვისების მატარებელი ყოველი ალელი იდენტურ პოზიციაში გადაიტანება შესაბამის ქრომოსომაზე. მენდელის ბარდის ფერის განმსაზღვრელი ორი გენი, მაგალითად, ქრომოსომის წყვილზე ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა.

მიტოზი და მეიოზი ყოველი მცენარის ან ცხოველის უჯრედებს აქვს ქრომოსომების წყვილთა მხოლოდ ამ სახეობისათვის დამახასიათებელი რაოდენობა. ადამიანებს აქვთ 23 წყვილი ქრომოსომა ანუ საერთო ჯამში — 46, რომელთაგან თითოეული უამრავი გენის მატარებელია. ყოველი ახალი ორგანიზმის უჯრედი ქრომოსომების ამ რაოდენობას იღებს უჯრედული რეპროდუქციის (გამრავლების) ანუ **მიტოზის** პერიოდში, რადგან ქრომოსომების თითოეული წყვილი თავის მსგავს წყვილს წარმოშობს.

რა ხდება, როდესაც სპერმატოზოიდი და კვერცხუჯრედი ერწყმის ერთმანეთს ახალი ორგანიზმის წარმოსაქმნელად? რა უშლის ხელს ბავშვს იმაში, რომ მიიღოს ქრომოსომების გაორმაგებული რაოდენობა – 23 წყვილი სპერმიდან და 23 წყვილი კვერცხუჯრედიდან? პროცესი, რომლის შედეგადაც ხდება სასქესო უჯრედების ფორმირება ანუ მეიოზი, უზრუნველყოფს, რომ ეს არ მოხდეს (იხ. ტაბ. 3-3). ყოველი სასქესო უჯრედი შეიცავს სახეობისთვის დამახასიათებელი ქრომოსომების რაოდენობის ნახევარს. ყოველი სპერმატოზოიდის ან კვერცხუჯრედის მიერ ქრომოსომების თითოეული წყვილის მხოლოდ ერთი წევრი გადაიტანება. განაყოფიერების დროს ადამიანის ემბრიონი, ჩვეულებრივ, იღებს 23 ცალ ქრომოსომას დედისგან და იმდენივეს მამისგან, რაც საერთო ჯამში 23 წყვილს ქმნის.

დნმ. როგორც უკვე ვთქვით, გენები ქრომოსომებში მდებარეობს. თითოეული გენის ქიმიურ სტრუქტურაში ჩადებულია ინსტრუქციების კოდირებული კომპლექტი. სწორედ ამ კოდირებული ინფორმაციის საშუალებით ხდება უჯრედის მიერ დანარჩენი შემადგენელი ნაწილებისა და ქიმიური მექანიზმების წარმოქმნა. როგორც ჩანს, ცოცხალ ორგანიზმთა უმეტესობაში მემკვიდრულობას იგივე ქიმიური ნივთიერება –დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა — აკონტროლებს. დნმ-ის შესასწავლად უამრავი გამოკვლევაა ჩატარებული: მისი შემადგენლობის, გამრავლების დროს გაორმაგების და სრულყოფილი ორგანიზმის შექმნისას ინფორმაციის ან ინსტრუქციის გადაცემის შესწავლის მიზნით.

ადამიანის განვითარებისა და გენეტიკის არსში ჩასაწვდომად უმნიშვნელოვანესი საკითხია დნმ-ის სტრუქტურისა და ფუნქციის შესწავლა. 1953 წელს ამერიკელმა ბიოლოგმა ჯეიმს უოტსონმა ბრიტანელ მოლეკულური ბიოლოგიის შემსწავლელ მეცნიერთან – ფრენსის კრიკთან ერთად, გამოთქვა ვარაუდი, რომ დნმ არის გრძელი, ორი ჯაჭვისგან შემდგარი ორმაგი სპირალის ფორმის მქონე მოლეკულა (იხ. სურ. 3-4). გენეტიკური ინფორმაცია დაცულია ფუძეების სწორხაზოვან თანმიმდევრობაში. განსხვავებულ სახეობებს განსხვავებული თანმიმდევრობა აქვთ. ყოველი ინდივიდი ძალზე განსხვავდება სხვებისგან. ყურადღება მიაქციეთ, რომ დნმ-ის მოლეკულაში თითოეულ ფუძეს თავისი საწინააღმდეგო ფუძე აქვს: ცალკე - ადენინსა და თიმინს და ცალკე – ციტოზინსა და გუანინს. ამ მატრიცის მნიშვნელობა ის არის, რომ ორი ჯაჭვი ერთი და იმავე ინფორმაციის მატარებელია. როდესაც ორმაგი სპირალი გაიშლება, მის თითოეულ ჯაჭვს დამატებითი ფუძის ახალი ჯაჭვისათვის მატრიცის შექმნა შეეძლება. იმის გამო, რომ დნმ ინახავს ორგანიზმის ახალი უჯრედების შექმნისათვის საჭირო ინფორმაციას, მას სიცოცხლის ენას უწოდებენ. როგორც ჯორჯ და მიურიელ ბიდლებმა თქვეს: „დნმ-ის კოდის გაშიფვრამ მოგვცა ენა, რომელიც იეროგლიფებზე ბევრად უფრო ძველია, ისევე ძველია, როგორც თავად სიცოცხლე, ენა, რომელიც ყველა ენაზე უფრო თანამედროვეა – მიუხედავად იმისა, რომ მისი ასოები უხილავია, ხოლო მისი სიტყვები ჩვენი სხე-



მიტოზის მიმდინარეობა მცენარის უჯრედში. მარცხენა სურათზე გამოსახულია მეტაფაზის სტადია. ყურადღება მიაქციეთ ქრომოსომების (აღნიშნულია წითლად) თანაბარ განლაგებას. მარჯვენა სურათზე მოცემულია ანაფაზის სტადია, როდესაც ხდება ქრომოსომების გაყოფა და უჯრედიც გასაყოფად ემზადება.



სურათი 3-3 **მეიოზი (სქესობრივი უჯრედები)**



სურათი 3-3 **დნმ**

ქრომოსომები დნმ-ისაგან შედგება. (A). ისინი შედგებიან ორი შაქარფოსფატის სპირალისგან (B), რომლებიც ერთმანეთთან აზოტოვანი ფუძით: ადენინით, გუანინით, თიმინითა და ციტოზინით არის დაკავშირებული (C). როდესაც ხდება დნმ-ის მოლეკულის რეპლიკაცია, აზოტოვანი ფუძე იხლიჩება და სპირალის ძაფები იშლება (D). ადენინს მხოლოდ თიმინთან შეუძლია დაკავშირება, ხოლო ციტოზინს მხოლოდ გუანინთან, ამიტომ სპირალის ყოველი საწყისი ძაფი მატრიცის როლს ასრულებს, რომლის გასწვრივაც ახალი, დამატებითი ჯაჭვი იქმნება.

ულის უჯრედების სიღრმეშია დამალულია.“

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ გენები დნმ-იდან წარმოიშობა, ერთიანი ძალისხმევით დაიწყო დნმ-ის თანმიმდევრობისა და სხვადასხვა ორგანიზმში ქრომოსომებზე მათი განლაგების სქემების შექმნა. ადამიანთა სრული გენეტიკური რუკის შესაქმნელად გაკეთდა „ადამიანის გენომური პროექტი“. 2000 წლის ივლისში ამ პროექტის საწყისი საფეხური დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ წინ კიდევ ბევრი სამუშაოა, ეს მნიშვნელოვანი მიღწევა მეცნიერებას ნამდვილად მიიყვანს გენეტიკური კოდის მუშაობის პრინციპის გაგებამდე. მაგალითად, მკვლევრებმა ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს ორი გენი, რომლებიც ნაწილობრივ მალარიის წინააღმდეგ მდგრადობას უზრუნველყოფს, თანაც ისე, რომ არ ცვლის ნამგლისებური ერითროციტის გენის ზემოქმედებას. ეს ევოლუცია გენებმა, როგორც ჩანს, შედარებით ცოტა ხნის – რამდენიმე ათასი წლის წინ განიცადეს. თუ მკვლევრები აღმოაჩენენ, როგორ შეიძლება მათი გამოყენება ამ გენების მატარებელთა მალარიისგან დასაცავად, დიდ დახმარებას გაუწევენ მედიცინას ამ დაავადების პრევენციასა და მკურნალობაში.

საინფორმაციო რნმ დნმ ინახავს ინფორმაციას უჯრედების შესაქმნელად, მაგრამ უჯრედების შექმნაზე ზემოქმედებას არ ახდენს. რიბონუკლეინის მჟავის (რნმ) ერთი ფორმა — **საინფორმაციო რნმ (სრნმ)** — კოპირებულია დნმ-ის ნაწილიდან და უჯრედის ბირთვიდან გარეთ, ცილების შესაქმნელად მიემართება. ცილებს იმდენად ბევრი ფუნქცია აკისრიათ, რომ ადამიანის ორგანიზმის უმეტეს ნიშან—თვისებებზე არიან პასუხისმგებელნი. ისინი კატალიზატორის როლს ასრულებენ დნმ-ისა და რნმ-ის სინთეზში და უჯრედის ცხოველმყოფელობაში. საინფორმაციო რნმ დნმ-ს იმით ემსგავსება, რომ მასაც იგივე სტრუქტურა აქვს, როგორც დნმ-ის ჯაჭვს, თუმცა ქიმიურად განსხვავდება. ერთი განსხვავებაა ის, რომ საინფორმაციო რნმ-ს აქვს ურაცილის ფუძე ნაცვლად თიმინისა. საინფორმაციო დნმ-ის აქვს აგრეთვე განსხვავებული შაქარ-ფოსფატური ღერძი და ორის ნაცვლად ერთი ჯაჭვი. საინფორმაციო რნმ მაშინ იქმნება, როდესაც ორჯაჭვიანი დნმ-ის მოლეკულა გაიშლება და ქმნის მატრიცას საინფორმაციო რნმ-ისთვის. მას შემდეგ, რაც დნმ-ის ნაწილის კოპირება მოხდება, სრნმ თავისუფლდება დნმ-ისგან, ბირთვიდან გადის და დნმ-ის ორმაგი სპირალი თავიდან იქმნება.

ცილების სინთეზი როგორც კი სრნმ დნმ-სგან გათავისუფლდება, გამოდის უჯრედის ბირთვიდან, თავად უჯრედში გადადის და იქ არსებულ სტრუქტურას – **რიბოსომას** მიემაგრება. რიბოსომა სრნმ-ისგან მიღებულ ინფორმაციას ცილების შესაქმნელად იყენებს. რიბოსომა, ფაქტობრივად, „კითხულობს“ სრნმ-ის ქიმიური ბაზის ბრძანებას, რომელსაც გარკვეული ამინომჟავები გადასცემენ იმის შესახებ, რომ ცილის შესაქმნელად გაერთიანდნენ. (იხ. სურ. 3-5). მაგალითად, სრნმ-ის თანმიმდევრობა ადენინი, ადენინი, გუანინი რიბოსომას გადასცემს, რომ მოათავსოს ამინომჟავა ლეიცინი. იმ ადგილას, სადაც არსებობს თანმიმდევრობა ადენინი, ადენინი, ციტოზინი (AAC) მოათავსოს ამინომჟავა ჰისტიდინი. არსებობს აგრეთვე სრნმ-ს ისეთი ბრძანებები, რომლებიც გადასცემს რიბოსომას ინფორმაციას, როდის დაიწყოს ან დაამთავროს ცილების შენება. ამგვარად, დნმ-ის კოდი, რომლის ასლიც სრნმ-ზე გადაიტანება, აწვდის რიბოსომებისთვის აუცილებელ ყოველგვარ ინფორმაციას ცილების ასაშენებლად, რომლებიც თავის მხრივ, ორგანიზმის სტრუქტურის მთავარი შემადგენელი ნაწილი და ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესების მამოძრავებელი ძალაა.



სურათი 3-5 **ტრანსლაცია და ცილის სინთეზი**

სრნმ უჯრედული დნმ-ს ასლია და „კითხულობს“ რიბოსომისგან რომელთანაც დაკავშირებულია ამინომჟავა ტრნმ-სთან ერთად. რომელიც ზრდის ამინომჟავების ჯაჭვს. (პოლიპეპტიდური ჯაჭვი ეწოდება რადგან ამინომჟავები ერთმამეთთან დაკავეშირებულია პეპტიდური ბმებით). 100-ს ამინომჟავისგან მეტ შემდგარ ჯაჭვს ცილა ეწოდება.

ანთროპოლოგიური პირველწყაროები

გენები, ინდივიდები და სახეობები

გენების, როგორც მემკვიდრეობითი თვისებების, იდენტიფიკაციამ მეცნიერების ისტორიაში წყალგამყოფის როლი შეასრულა. გენების არსისა და მათი ფუნქციონირების გარკვევით მეცნიერებს საშუალება მიეცათ, ჩასწვდომოდნენ ევოლუციის მოქმედების პრინციპს. თუმცა ჯონათან მარქსის თქმით, გენების ევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალად აღიარებამ მეცნიერები სხვადასხვა დონეზე (ინდივიდი, პოპულაცია, სახეობები) მოქმედი ევოლუციური პროცესის იგნორირებამდე მიიყვანა და თანდათანობით უფრო გააძნელა გენებს, ინდივიდებსა და სახეობებს შორის კავშირების დადგენა. დღეს მეცნიერები გენეტიკის შესასწავლად ახალ მეთოდებსა და გზებს იყენებენ, რათა უკეთ დაინახონ კავშირი გენებს, ორგანიზმებსა და სახეობებს შორის.

გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი ერთეულები ადრეული ოციანი წლებიდან გენების სახელით იწოდება. 1930-იან წლებში პოპულაციური გენეტიკის განვითარებამ ევოლუციის პროცესს მისცა მათემატიკურ ენაზე დამყარებული ძლიერი თეორიული მოდელი. გენოფონდი — პოპულაციის ყველა მემკვიდრული ელემენტის შეჯამება.

გენოფონდზე კონცენტრირების საშუალებით პოპულაციურ გენეტიკაში ევოლუციის გააზრების ფუნდამენტური მიმართულება ჩამოყალიბდა, რომელიც თავს არიდებდა ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ ბიოლოგიურ ცნებებს, როგორიცაა უჯრედი და ორგანიზმი. პოპულაციური გენეტიკა ევოლუციას განიხილავდა, როგორც ცვლილებებს გენოფონდში, რომელშიც ორგანიზმები, უბრალოდ, გენოტიპებით იყვნენ წარმოდგენილები. გენოტიპი არის გენების დროებითი წყვილი და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა გენოფონდისაზე ნაკლებია

ცვალებადობის მიზეზები

ბუნებრივი გადარჩევა მხოლოდ მაშინ მიმდინარეობს, როდესაც პოპულაციის შემადგენელი ინდივიდების ცვალებადობა ხდება. ამის ორი წყარო არსებობს: გენეტიკური რეკომბინაცია და მუტაცია.

გენეტიკური რეკომბინაცია

დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადაცემა შთამომავლობისთვის სხვადასხვანაირად ხდება. დები და ძმები ზუსტად ერთნაირად არ გამოიყურებიან. არც ისე ხდება, რომ ერთი ბავშვი 50%-ით დედას ჰგავდეს და 50%-ით მამას. ამ განსხვავებებს ის განაპირობებს, რომ როდესაც სპერმატოზოიდი ან კვერცხუჯრედი ჩამოყალიბდება, ქრომოსომათა თითოეული წყვილის ცალკეულ წევრს იგი შემთხვევით იღებს. ყოველი სასქესო უჯრედი ქრომოსომების შემთხვევითი ნაკრებისა და მათი შესაბამისი გენების მატარებელია. განაყოფიერების დროს კვერცხუჯრედი და სპერმატოზოიდი, რომლებიც ერთდებიან, განსხვავდებიან მშობლების ორგანიზმში არსებული ყველა სხვა კვერცხუჯრედისგან თუ სპერმატოზოიდისგან. ამგვარად, დედ-მამის გენების შერევის ერთ-ერთი მიზეზი არის მეიოზის დროს ქრომოსომების შემთხვევითი **სეგრეგაცია** ანუ დათიშვა. ამდენად, შესაძლებელია ინდივიდმა დედის ან მამის მხრიდან ქრომოსომების ნებისმიერი შესაძლო ნაკრები მიიღოს. მშობლების გენების შერევის მეორე მიზეზია **კროსინგოვერი**, ანუ ქრომოსომების უბნების გაცვლა ორ ქრომოსომას შორის (სურ. 3-6). ამგვარად, მეიოზის შემდეგ კვერცხუჯრედი და სპერმატოზოიდი დედისა და მამისაგან არ იღებენ შემთხვევითი მთლიანი ქრომოსომების ნაზავს. კროსინგოვერის გამო, ისინი ისეთ ქრომოსომებსაც იღებენ, რომლებშიც ზოგი უბანი შეიძლება შეცვლილი იყოს.

ნებისმიერი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები დომინანტური და რეცესიული გენების უბრალო კომბინაციას არ წარმოადგენენ. ადამიანებში ნიშან-თვისებათა უმეტესობა მრავალი გენის მოქმედების შედეგია. მაგალითად, კანის ფერი დამოკიდებულია რამდენიმე შთამომავლობით დამახასიათებელ ნიშანზე. მოყავისფრო ფერს განაპირობებს პიგმენტი მელანინი; სიმუქის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული არსებული მელანინის რაოდენობაზე და კანქვეშ მის განაწილე-



სურათი 3-6 **კროსინგოვერი**

ბაზე. კანის ფერის განმსაზღვრელი მეორე ფაქტორია სისხლი, რომელიც კანის ზედა ფენების ქვეშ მდებარე სისხლძარღვებში მიედინება. ადამიანებს აქვთ მელანინის გამომუშავების სულ ცოტა, ხუთი სხვადასხვა გენი და მრავალი სხვა გენი კანის სხვა კომპონენტებისათვის. ფაქტობრივად, ადამიანის ყველა ფიზიკური ნიშან-თვისება გენების ერთობლივი მოქმედების შედეგია. ზოგი ნიშან-თვისება სქესზეა დამოკიდებული. X ქრომოსომა, რომელიც ქრომოსომის არსებობასთან ან არარსებობასთან ერთად სქესს განსაზღვრავს, შეიძლება ამასთანავე, ჰემოფილიის ან აქრომაზიის გენის მატარებელიც იყოს. ამ ორი მახასიათებლის გამოვლინება ორგანიზმის სქესზეა დამოკიდებული. გენეტიკური რეკომბინაცია ქმნის იმ მრავალფეროვნებას, რომელიც აუცილებელია ბუნებრივი გადარჩევისათვის. ცვალებადობის მთავარი მიზეზი მაინც მუტაციაა. იგი ანახლებს ცვალებადობის მარაგს, რომელიც მუდმივად მცირდება ნაკლებად შეგუებული ვარიანტების განადგურების გამო. მუტაციაა ქმნის მრავალფეროვნებას აგრეთვე ისეთ ორგანიზმებში, რომლებიც უსქესოდ მრავლდებიან.

მუტაცია

მუტაცია არის ცვლილება დნმ-ის თანმიმდევრობაში. ასეთი ცვლილება წარმოშობს სახეცვლილ გენს. ფიქრობენ, რომ მუტაციების უმეტესობა წარმოიშობა დნმ-ის შემადგენელი ქიმიური ფუძეების შემთხვევითი შეერთებით. მბეჭდავმაც კი შეიძლება ხელნაწერის კოპირებისას შეცდომა დაუშვას, ასევე დნმ-ს, საკუთარი თავის კოპირებისას შეიძლება შემთხვევით კოდი შეეცვალოს. მუტაცია სწორედ ასეთი შეცდომის შედეგია. ზოგ მუტაციას უფრო მძიმე შედეგი მოსდევს, ვიდრე სხვას. წარმოიდგინეთ, რომ შეცდომა დნმ-ის ერთ-ერთი ჯაჭვის ფუძეზეა. შედეგი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რას მართავს დნმ-ის ეს ნაწილი. თუ პროდუქტს ორგანიზმზე უმნიშვნელო ზემოქმედება აქვს, შედეგი შეიძლება მინიმალური იყოს. მეორე მხრივ, თუ ცვლილება ისეთ ადგილას აღმოჩნდება, სადაც დნმ სხვადასხვა ცილების წარმოშობას არეგულირებს, ორგანიზმისთვის ამას შეიძლება სერიოზული შედეგი მოჰყვეს.

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

უნდა გვეშინოდეს თუ არა გენური ინჟინერიის?

მოლეკულურ გენეტიკაზე უკვე იმდენი რამ არის ცნობილი, რომ ცალკეული გენებისა და მთლიანი ორგანიზმების შეცვლაც კი შესაძლებელი ხდება. რევოლუცია ამ სფეროში ძალიან სწრაფად მოხდა მას შემდეგ, რაც 1953 წელს ჯეიმს უოტსონმა და ფრენსის კრიკმა დნმ-ის სტრუქტურა გამოიკვლიეს. ცალკეული გენეტიკური თვისებები დნმ-ის ინფორმაციების თანმიმდევრობას დაუკავშირდა. 1970 წელს რეკომბინაციული დნმ-ის მეთოდის შემუშავებამ შესაძლებელი გახადა ერთი ორგანიზმის დნმ-ის ნაწილების მეორე ორგანიზმის დნმ-ის ზუსტად დადგენილ ადგილზე მიერთება. მეცნიერებმა ისწავლეს რეკომბინირებული ჯაჭვების კოპირება ისეთი ბაქტერიების ორგანიზმში მოთავსებით, რომლებიც კლონირებით მრავლდებიან. ამ ტექნიკას გამოყენების უამრავი სფერო აქვს. ბიოტექნოლოგიური კომპანიები უკვე ახორციელებენ გენურ ინჟინერიას სამედიცინო პრეპარატების დასამზადებლად (როგორიცაა, მაგალითად, ინსულინი და ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა) და უფრო მეტად სასურველი მცენარეული და ცხოველური პროდუქციის მისაღებად (მაგალითად, პომიდვრისა, რომლის მწიფე ნაყოფის ტრანსპორტირებაც დაზიანების რისკის გარეშე იქნება შესაძლებელი). გრძელდება მუშაობა გენეტიკური დეფექტების გამოსასწორებლად ორგანიზმში შეცვლილი უჯრედების დაბრუნების თაობაზე. ამ დროისათვის ცნობილია ადამიანის 4000-მდე დაავადება, რომელიც რამდენიმე გენის დეფექტით არის გამოწვეული. თეორიულად, მათი გამოსწორება ოდესმე შესაძლებელი გახდება გენური ინჟინერიის საშუალებით. რაც მეტი გვეცოდინება გენების ზუსტ მდებარეობაზე და დნმ-ის თანმიმდევრობაზე, რომლებსაც გარკვეული ინფორმაცია გადააქვთ, მით უფრო განვითარდება გენური ინჟინერია. ბევრს სჯერა, რომ გენეტიკური თერაპია, საბოლოოდ, სიმსივნის სხვადასხვა სახეობას და გულის დაავადებებს განკურნავს.

შეიძლება თუ არა, ასეთი გამოგონებები რაიმე რისკთან იყოს დაკავშირებული? ზოგს ეშინია, რომ რეკომბინაციულ დნმ ინჟინერიას სახიფათო შედეგები მოჰყვება. არსებობს თუ არა საშიშროება, მოხდეს სახიფათო ბაქტერიების ან ვირუსის გაუკონტროლებელი სახეობის ლაბორატორიის პირობებში გამოყვანა? შეიძლება თუ არა ფრანკენშტეინის მაგვარი არსების შექმნა? შესაძლებელია თუ არა, რომელიმე უპრინციპო მთავრობამ გარკვეული სახის გენური ცვლილებები განახორციელოს? გვაქვს ასეთი შიშის საბაბი?

აუცილებელია გავიხსენოთ, რომ მართალია, დნმ-ის შეცვლა რეკომბინაციული მეთოდით ახალი დარგია, მაგრამ თავად გენეტიკური ინჟინერია არ არის ახალი მეცნიერება. ადამიანები ათასწლეულების მანძილზე ცვლიდნენ გენეტიკურად ცხოველებსა და მცენარეებს. ჩვეულებრივ, ამას არა გენურ ინჟინერიას, არამედ აგრონომიას და მეცხოველეობას ვუწოდებთ. მართალია, ტრადიციული გენური ინჟინერიის მეთოდი – სელექციური შეჯვარება – დნმ-ის შეერთებისგან განსხვავდება, მაგრამ შედეგი მაინც გენეტიკური ცვლილებაა. სასურველი თვისებების მისაღებად შეჯვარებით, ადამიანები ილებენ ცხენების, ძაღლების, საქონლის, სიმინდისა და ლობიოს და მრავალი სხვა ცხოველისა და მცენარის ახალ სახეობას, ყოველი მათგანი ძალიან განსხვავდება თავიანთი ველური წინამორბედისგან. ადამიანებმა მიკროორგანიზმებიც „მოიშინაურეს“. ამის კარგი მაგალითია საფუარი. ათასობით წელია, რაც მას პურის საცხობად და ლუდის მოსახარშად იყენებენ. შედარებით ნაკლები ხანია, რაც ობის გამოყენება დაიწყეს პენიცილინის დასამზადებლად, ხოლო ცოცხალი ვაქცინები, სპეციალურად დასუსტებული ვირუსები (მაგ. პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინა), დიდი ხანია, ამა თუ იმ ავადმყოფობასთან საბრძოლველად გამოიყენება.

რას გვეუბნება წარსულის გენური ინჟინერია მომავალ ინჟინერიასთან დაკავშირებული რისკის შესახებ? წარსული ვარაუდობს, რომ მოშინაურებას არავითარი სერიოზული ზიანი არ შეიძლება მოჰყვეს. შინაური ცხოველები და მცენარეები უარესად იგრძნობენ თავს, თუ

ველურ პირობებს დავუბრუნებთ, ვიდრე მათი ველური ბიძაშვილები. მათ, ჩვეულებრივ, ადამიანის დახმარება სჭირდებათ კვებაშიც, სტიქიისგან თავის დასაცავადაც და შთამომავლობის მოვლის საკითხშიც. აბა, რატომ უნდა იყოს გენური ინჟინერია განსხვავებული? მას იგივე მთავარი მიზანი აქვს – სელექციური შეჯვარება. ადამიანს უნდა, რომ დიდი, პატარა თუ მიკროსკოპული ორგანიზმი მისთვის გამოსადეგი გახადოს. დღემდე ჩვენს ხელთ არსებული მასალა გვიჩვენებს, რომ ის ორგანიზმები, რომლებიც ადამიანმა თავის სასიკეთოდ გენეტიკურად შეცვალა, მისთვის საფრთხეს არ წამოადგენს, რადგან ადამიანის დახმარების გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. რა თქმა უნდა, ეს აზრი არ უარყოფს რისკის ფაქტორის გამოსარიცხად ტესტირების ჩატარების აუცილებლობას. იმედის მომცემია ისიც, რომ ბუნებრივ პირობებშიც კი დნმ-ს ერთი ორგანიზმიდან მეორეში გადასვლა შეუძლია და ამგვარი ბუნებრივი გენეტიკური ცვალებადობა ჩვენთვის სახიფათო არ არის. ადამიანებს უმეტესად იმის ეშინიათ, რომ მიკრობებმა შეიძლება შემთხვევით ლაბორატორიიდან გარეთ გამოაღწიონ და გაუკონტროლებლად გამრავლდნენ. მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, საეჭვოა, რომ რომელიმე მათგანი ან ახალი გენეტიკური ფორმა იმაზე საშიში აღმოჩნდეს, ვიდრე მათი გარეული ნათესავები არიან. თუ ბაქტერიები შემთხვევით გარეთ გააღწევენ, ისეთ ცარიელ და სტერილურ გარემოში არ მოხვდებიან როგორიც „პეტრის ფინჯანია“. ბუნებრივი გარემო უკვე სავსეა ბაქტერიებითა (რომელთა უმეტესობა ადამიანისთვის სასარგებლოა) და ორგანიზმებით, რომლებიც ლაბორატორიიდან გამოღწეულ ბაქტერიებზე იერიშს მიიტანენ. სახიფათო ბაქტერიის გამოყვანა არც ისეთი ადვილი საქმეა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადამიანები ფრთხილად არ უნდა იყვნენ. ახალი პროდუქტების სერტიფიცირებისთვის ფუნქციონირებს სახელმწიფო დაწესებულებები, შემუშავებულია საცდელი პროცედურების ჩასატარებელი სპეციალური წესები და მოქმედებენ სამეთვალყურეო ორგანოები. დნმ-ის რეკომბინაციის შედეგად მიღებული ახალი პროდუქტი მის ფართო გამოყენებამდე ჯერ აუცილებლად უნდა დამტკიცდეს.

შეიძლება თუ არა ადამიანმა ამგვარი ტექნოლოგია ევგენიკის მიზნით გამოიყენოს, მაგალითად, შექმნას სუპერადამიანი ან ბიოლოგიური იარაღი? ალბათ, შეიძლება. მთავარი პრობლემა დნმ-ის რეკომბინაციულ მეთოდში არ მდგომარეობს. ამგვარი იარაღის არარსებობას არ შეუჩერებია გენოციდი, ეთნიკური წმენდა, სტერილიზაცია და ძალადობა. მის არარსებობას არ შეუჩერებია ბუნებრივი ბიოლოგიური იარაღის (ყვავილის ვირუსით დასნებოვნებული საბნების დარიგება ჩრდ. ამერიკელი ინდიელებისთვის XIX ს-ში) გამოყენება ან I მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ მომწამვლელი გაზის გამოყენება. ბოროტების სათავე, ტექნოლოგიის არსებობა და არარსებობა კი არა, სულ სხვა რამეა. თუ ადამიანის მიერ ძალადობის შემცირება გვინდა, ჯერ მისი მიზეზი უნდა დავადგინოთ. უფრო მეტმა კვლევა-ძიებამ თავი შეიძლება უფრო დაცულად გვაგრძნობინოს.

მართალია, მუტაციის პროპორციების დადებითი თუ უარყოფითი შედეგები ძალიან ძნელი გამოსათვლელია, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ ზოგიერთ მუტაციას შეიძლება ლეტალური შედეგი მოჰყვეს. გენის თვისებებზე საუბარი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ მის ფიზიკურ, კულტურულ და გენეტიკურ გარემო პირობებს. გალაქტოზემიას, მაგალითად, იწვევს რეცესიული მუტანტი გენი. ამ დაავადებას, ჩვეულებრივ, გონებრივი ჩამორჩენილობა და სიბრმავე ახასიათებს, მაგრამ მისი პრევენცია შეიძლება დიეტური შეზღუდვებით, რომელიც ადრეული ასაკიდანვე უნდა დანესდეს. ამ შემთხვევაში ადამიანის კულტურა ერევა და ზემოქმედებას ახდენს მუტანტ გენზე და ნორმალური ცხოვრების საშუალებას აძლევს ინდივიდს. ამგვარად, კულტურის ზოგიერთ ფაქტორს შეუძლია ბუნებრივი გადარჩევის ზემოქმედების შეცვლა მუტანტი გენის გაუვნებელყოფით. გალაქტოზემიის ნიშნის მატარებელ ადამიანებს ეძლევათ ნორმალურად ცხოვრების, გამრავლების და შთამომავლობისათვის ერთი-ერთი რეცესიული გენის გადაცემის საშუალება. კულტურული ჩარევის გარეშე, ბუნებრივი გადარჩევა ასეთ რეპროდუქციას არ დაუშვებდა. ბუნებრივი გადარჩევა ინარჩუნებს მხოლოდ იმ მუტაციებს, რომლებიც ორგანიზმის გადარჩენას უწყობს ხელს.

თუმცა, ბევრი მუტაცია შეიძლება ადაპტური არ იყოს, მაგრამ ადაპტური მუტაციები ხელს უწყობს პოპულაციის შედარებით სწრაფ გამრავლებას ბუნებრივი გადარჩევის დახმარებით. როგორც თეოდორ დობჟანსკი ვარაუდობდა:

სასარგებლო მუტაციები ისევე ცოტაა, როგორც ნემსი ზიანის მომტანი მუტაციების ზვინში. ნემსის პოვნა თივის ზვინში ძალიან ძნელია მაშინაც კი, როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილად იქ არის. თუ ნემსი ძვირფასია, მისი ძებნის გაადვილება შეიძლება ზვინის დაწვით და ნემსის ნაცარში ძებნით. ბიოლოგიურ ევოლუციაში ცეცხლის როლს ბუნებრივი გადარჩევა თამაშობს.

შავი პეპელა, რომელიც 1850 წელს მანჩესტერში შენიშნეს, როგორც ჩანს, მუტაციის შედეგი იყო. ხის ვარჯები ღია შეფერილობის რომ ყოფილიყო, ეს პეპლები ან მათი შთამომავლობა აუცილებლად განადგურდებოდა. მაგრამ ინდუსტრიალიზაციის ზრდასთან ერთად ხის ვარჯების ფერი გამუქდა და რაც ადრე ცუდად ადაპტირებადი იყო, უკვე ადაპტირებადი გახდა.

გენეტიკური რეკომბინაცია და მუტაცია ახალი ვარიანტების შექმნის წყაროა, მაგრამ ევოლუციურმა ბიოლოგებმა კიდევ ორი სხვა პროცესის იდენტიფიკაცია შეძლეს. ეს პროცესები მნიშვნელოვანია ამ ვარიანტების პოპულაციაში გავრცელებისათვის. ესენია გენეტიკური დრეიფი და გენების ნაკადი.

გენეტიკური დრეიფი

ტერმინი **„გენეტიკური დრეიფი“** ეხება სხვადასხვა შემთხვევით პროცესს, გავლენას ახდენს გენთა სიხშირეებზე პატარა, შედარებით იზოლირებულ პოპულაციებში. იგი ცნობილია ასევე „რაიტის ეფექტის“ სახელით გენეტიკოს სიუოლ რაიტის პატივსაცემად, რომელმაც პირველმა მიაპყრო ყურადღება ამ მოვლენას. დროთა განმავლობაში მცირერიცხოვან პოპულაციებში „გენეტიკურმა დრეიფმა“ შეიძლება ნეიტრალური ან თითქმის ნეიტრალური გენის მეტ-ნაკლები გაიშვიათება გამოიწვიოს.

„გენეტიკური დრეიფის“ ერთი სახესხვაობა, „დამაარსებლის ეფექტი“ მაშინ ჩნდება, როდესაც ორგანიზმთა დიდი პოპულაციიდან აღმოცენებული პატარა ჯგუფი შედარებით იზოლირებული ადგილისკენ მიგრირებს. თუ რომელიმე განსაზღვრული გენი მიგრირებულ ჯგუფს რატომღაც აკლია, ეს გენი არც მათ შთამომავლებს ექნებათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ისევ იზოლირებულად იცხოვრებენ. თუ ჯგუფის ყველა წარმომადგენელი რომელიმე განსაზღვრული გენის მატარებელი იქნებოდა, იგი შთამომავლებსაც გადაეცემოდა. იზოლაცია ბევრი მიზეზის გამო შეიძლება მოხდეს — მაგალითად, თუ ჯგუფი დაუსახლებელ ადგილზე გადაინაცვლებს და უკან

აღარ დაბრუნდება. პოპულაციები, რომლებიც ბერინგის მიწის ხიდით გადადიოდნენ აზიიდან ჩრდ. ამერიკაში, ზოგჯერ, წყლის დონის აწევის გამო, მაშინვე უკან ვეღარ ბრუნდებოდნენ. ამით შეიძლება აიხსნას ის, თუ რატომ არის ჩრდილო ამერიკელ ინდიელებში 0 ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანთა პროპორციულად უფრო დიდი რაოდენობა, ვიდრე სხვა პოპულაციებში – პირველ მიგრანტებში, ალბათ შემთხვევით სისხლის 0 ჯგუფის მქონე ადამიანები ჭარბობდნენ.

იზოლაცია შეიძლება სოციალური მიზეზითაც მოხდეს. ადრეულ 1700-იან წლებში გერმანიიდან აშშ-ში დანკერების რელიგიური სექტა გადასახლდა. ამ 50 ოჯახის იზოლირებული ცხოვრებით ალბათ შეიძლება აიხსნას, თუ რატომ განსხვავდებოდა მათი გენების სიხშირე როგორც გერმანელი, ისე სხვა ამერიკული პოპულაციებისგან.

გენების ნაკადი

გენების ნაკადი ეწოდება პროცესს, როდესაც გენები ერთი პოლულაციისგან გადაეცემა მეორეს შეჯვარების შედეგად. ბუნებრივი გადარჩევისა და გენების დრეიფის სხვა პროცესებისგან განსხვავებით, გენების ნაკადი პოპულაციებს შორის განსხვავებებს ამცირებს.

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

როგორ მიმდინარეობს ევოლუცია – ნელა და თანაბრად, თუ სწრაფად და მკვეთრად?

დარვინის ევოლუციური თეორია შეიცავს ვარაუდს, რომ ახალი სახეობების წარმოშობა თანდათან და ეტაპობრივად ხდება. ბუნებრივი გადარჩევის პროცესში ნიშან-თვისებები ნელ-ნელა იცვლება და საბოლოოდ ახალი სახეობები ჩნდება. მაგრამ დარვინს არ აუხსნია, რატომ ხდება ამდენი სხვადასხვა სახეობის წარმოშობა. თუ თვისებები მხოლოდ ეტაპობრივად იცვლება, ხომ არ მისცემდა ეს შთამომავლობით პოპულაციებს საშუალებას, შეენარჩუნებინათ ერთმანეთში შეჯვარების უნარი და იმავე სახეობებად დარჩენილიყვნენ?

1930-იან და 1940-იან წლებში ბიოლოგებმა და გენეტიკოსებმა წარმატებას მიაღწიეს იმ საკითხის კვლევაში, რომელსაც ევოლუციის თეორიაში „თანამედროვე სინთეზი“ ეწოდა. მუტაცია და გენების რეკომბინაცია ახლა გენეტიკურ მრავალფეროვნებას უზრუნველყოფდა. ცვალებადობის მამოძრავებელ ძალად კვლავ ბუნებრივი გადარჩევის გზით გარემოსთან შეგუება ითვლებოდა. პოპულაციაში გენების სიხშირეები, როგორც ჩანს, ნელა იცვლებოდა, რადგან შეგუებადი გენების (არსებული გენების ან მუტაციების გამო) რაოდენობა გაიზარდა და არაშეგუებადი გენებისა კი შემცირდა. ახალი სახეობების წარმოშობა და დივერგენცია ევოლუციის თანამედროვე სინთეზური თეორიის მიხედვით ჩნდება მაშინ, როდესაც სუბპოპულაცია იზოლაციაში ექცევა გეოგრაფიული ბარიერების გამო ან როდესაც სხვადასხვა სუბპოპულაციები განსხვავებულ კლიმატურ პირობებში ხვდებიან ან ახალ ეკოლოგიურ ნიშაში გადაინაცვლებენ. გარემოსგან იზოლაციის ამგვარი პროცესი საბოლოოდ შედეგად იღებს რეპროდუქციულ იზოლაციას, აქედან გამომდინარე კი — ახალ სახეობებს. ევოლუციაზე ამგვარ გრადუალურ (ეტაპობრივ) შეხედულებაში ეჭვი შეიტანეს ნილ ელდრიჯმა და სტივენ ჯეი გულდმა. ევოლუციის ალტერნიულ მოდელად მათ წყვეტილი წონასწორობა (ევოლუციის ტიპი, რომლის დროსაც წონასწორობის ხანგრძლივ პერიოდს დროდადრო აქტიური გავნითარების ხანმოკლე პერიოდი არღვევს) მიიღეს. მართალია, ეს მეცნიერებიც მიიჩნევდნენ, რომ ბუნებრივი გადარჩევა ევულუციურ ცვლილებათა გამომწვევი მთავარი მექანიზმია, მაგრამ მისი მიმდინარეობის ტემპს სხვანაირად აღიქვამდნენ. მათი აზრით, ახალი სახეობები სწრაფად ევოლუციონირებენ, მაგრამ როგორც კი წარმატებული სახეობა გაჩნდება, მისი დამახასიათებელი ნიშნები ძალიან ნელა იცვლება. ამგვარად, თანამედორრვე სინთეზის თეორიისგან განსხვავებით, ელდრიჯი და გულდი არ ფიქრობდნენ, რომ შემდგომი შთამომავლობის ეტაპობრივი ცვლილება დამახასიათებელი იყო მსოფლიოში არსებული ყველა სახეობისათვის. პირიქით, მათი აზრით, სახეობების გაჩენა მეტ-ნაკლებად წყვეტილ ხასიათს ატარებს, შემდეგ ისინი დიდად არ იცვლებიან, ბოლოს კი ქრებიან. ამის მაგალითად ელდრიჯს და გულდს მოჰყავდათ ჩრდ. ამერიკული ტრილობიტები და ბერმუდის ხმელეთის ლოკოკინები. ერთი შეხედვით, ორივე ამ ჯგუფის ცხოველებში თითქოს დიდი ხნის მანძილზე არავითარი ცვლილება არ ხდება, ზოგი სახეობისთვის მილიონი წლის განმავლობაში, მაგრამ შემდგომში ზოგი მათგანი სწრაფად იცვლება მსგავსი სახეობებით ახლომდებარე რაიონებიდან. ელდრიჯისა და გულდის აზრით, სახეობათა თანმიმდევრობითი ჩანაცვლება გარედან უფრო სარწმუნოა, ვიდრე დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებების გამო.

ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, კლიმატის ზოგიერთმა, შედარებით სწრაფმა ცვლილებამ დედამიწის ისტორიაში გამოიწვია სახეობათა და სახეობათა ოჯახების



თანდათანობითი (გრადუალური) და წყვეტილი წონასწორობის ევოლუციური ცვალებადობის გრაფიკული გამოსახულება.

მასობრივი გადაშენება და შესაბამისი რაოდენობის ახალი გვარების წარმოშობა. მაგალითად, არსებობს სარწმუნო მაგალითი იმისა, რომ დაახლოებით 65 მილიონი წლის წინ, ცარცის გეოლოგიურ პერიოდში დედამიწას დიდი მეტეორიტი შეეჯახა. ლუის ალვარესი და მისი კოლეგები ვარაუდობდნენ, რომ ამას ატმოსფეროში მტვრის იმდენად დიდი რაოდენობის გაგზავნა მოჰყვა, რომ დედამიწა თვეების ან უფრო მეტი ხნის მანძილზე წყვდიადმა მოიცვა. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევრის აზრით, მეტეორიტის ჩამოვარდნას შეეძლო ვულკანების გააქტიურება ყველგან, დედამიწის საწინააღმდეგო მხარეზეც კი, რაც მზის რადიაციის ზემოქმედებას შეამცირებდა. 65 მილიონის წლის წინ გადაშენდნენ არა მარტო დინოზავრები, არამედ ზღვის ბინადარი მრავალი ცხოველი და მცენარეც. ამის შემდეგ დედამიწაზე გამრავლდა ცხოველთა და მცენარეთა მრავალი ახალი სახეობა: თევზები, ხვლიკები, ფრინველები, ძუძუმწოვრები და აგრეთვე ხეები. როგორც პრიმატების ევოლუციის შესახებ თავში დავინახავთ, ჩვენი საკუთარი ბიოლოგიური რიგი, პრიმატებიც, ამ დროისათვის უნდა წარმოშობილიყო.

პიტერ გრანტმა შეისწავლა გალაპაგოსის კუნძულებზე ბინადარი სკვინჩები, რომლებიც ნაწილობრივ, დარვინის თეორიის შთამაგონებლები იყვენენ. დარვინისგან განსხვავებით, გრანტს ბუნებრივი გადარჩევის პროცესზე უშუალოდ დაკვირვების საშუალება ჰქონდა. მან დაინახა, რომ იგი საოცრად სწრაფად მიმდინარეობდა. ამ პროექტისთვის თითოეულ სკვინჩას შორი მანძილიდან შესამჩნევად ფერადი ბაფთა მიაბეს. 1977 წელს, პროექტის შუაგულში, როდესაც ფრინველების ნახევარს ბაფთა უკვე შებმული ჰქონდა, სერიოზული გვალვა დაიწყო. კუნძულის ბინადარი სკვინჩების ორი მთავარი სახეობიდან (კაქტუსის სკვინჩა და საშუალო სკვინჩა) გამრავლებას მხოლოდ კაქტუსის სკვინჩა ახერხებდა, მაგრამ შთამომავლობა ელუპებოდა. შემდეგი 18 თვის განმავლობაში საშუალო სკვინჩების მოზრდილ ინდივიდთა 85 % გაქრა, ხოლო გადარჩენილთა შორის უფრო დიდი ზომისა და დიდნისკარტიანი ინდივიდები ჭარბობდნენ. რამ გამოიწვია ეს? სკვინჩების ორივე სახეობა მარცვლეულით და თესლებით იკვებებოდა, მაგრამ ბალახისა და სხვა მცენარეების მცირე ზომის თესლები გვალვის დროს უფრო ნაკლები რაოდენობით გვხვდება, ვიდრე დიდი ზომისა. გვალვის პირობებში მიმდინარე ბუნებრივი გადარჩევის გამო, უფრო დიდნისკარტიანი ინდივიდები გადარჩნენ, რადგან დიდი ნისკარტი მოსახერხებელი იყო მსხვილი მარცვლების გარსის გასატეხად.

გვალვიანი წლების შუალედებში ტენიანი წლები რომ არ ყოფილიყო, რაც მცირე ზომის სკვინჩებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, სკვინჩების ახალი სახეობა უფრო სწრაფად განვითარდებოდა. გამოთვლილია, რომ ოცწლიანი გვალვა საკმარისი იქნებოდა სკვინჩების ახალი სახეობის ჩამოსაყალიბებლად. დარვინისა (და გრანტის) სკვინჩები წყვეტილი წონასწორობის ნამდვილ სურათს არ იძლევა (არ მომხდარა გარედან ჩანაცვლება), მაგრამ საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ევოლუცია შეიძლება იმაზე ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობდეს, ვიდრე ეს დარვინს წარმოედგინა.

როგორ მიმდინარეობს ევოლუცია, ნელა და თანაბრად, თუ სწრაფად და წყვეტილად, ამაზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები არსებობს. ბევრი მეცნიერი, გულდის ჩათვლით, აღნიშნავს, რომ ამ შეხედულებების დაპირისპირება საჭირო არ არის. განსხვავებულ შემთხვევებში შეიძლება ორივე მათგანი სწორი აღმოჩნდეს. ამ თეორიების შესაფასებლად აუცილებელია ევოლუციური თანმიმდევრობის ბევრად უფრო საფუძვლიანი შესწავლა.

ადამიანებში მკვეთრად გამოხატული გენეტიკური მახასიათებლების უმეტესობას აქვს თანდათანობითი ანუ კლინარულად ცვალებადი სიხშირეები მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლების შესაბამისად. ერთმანეთის მეზობლად მდებარე რეგიონებში მეტი გენური სიხშირე აღინიშნება, ვიდრე დაშორებულ რეგიონებში. მაგრამ ეს კლინარული ნიშნები ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა, რაც ადამიანებთან მიმართებაში წარმოშობს „რასის“ კონცეფციას. იგი ადამიანთა შორის არსებულ ბიოლოგიურ განსხვავებებში გასარკვევად დიდად გამოსადეგი არ არის. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ თავში, რომელიც ადამიანთა სხვადასხვაობას ეხება.

გენების ნაკადი შეიძლება გაჩნდეს როგორც ერთმანეთისგან დაშორებულ, ისე ახლო მდებარე პოპულაციებს შორის. ადამიანთა გადაადგილებამ ვაჭრობის, თავდასხმის ან გადასახლების მიზნით, შეიძლება გენების ნაკადი გამოიწვიოს. მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება.

სახეობათა წარმოშობა

დარვინის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო ვარაუდი იყო ის, რომ ერთ სახეობას დროთა განმავლობაში ევოლუციის შედეგად მეორე სახეობად გარდაქმნა შეეძლო. **სახეობა** არის ორგანიზმთა ჯგუფი, რომელთაც ერთმანეთთან შეჯვარება და ჯანსაღი და ნაყოფიერი შთამომავლობის წარმოშობა შეუძლიათ. საზოგადოდ, ერთი სახეობის ინდივიდებს არ შეუძლიათ სხვებთან წარმატებით შეჯვარება გენეტიკური და ქცევითი განსხვავების გამო. ასეთი შეჯვარებისას კვერცხუჯრედის განაყოფიერება არ მოხდება, თუ მოხდება, ემბრიონი იღუპება. თუ ნაყოფი გადარჩება და დაიბადება ან მალევე დაიღუპება ან შემდგომში უნაყოფო იქნება. მაშინ როგორ ხდება ერთი სახეობის მეორე სახეობად გარდაქმნა? როგორ შეიძლება ერთი ჯგუფის ორგანიზმებს იმდენად მოესპოს მსგავსება მეორესთან, რომელთანაც საერთო წინაპრები აკავშირებდა, რომ ბოლოს ახალი სახეობა შეიქმნას?

სახეობათა წარმოქმნა ანუ ახალი სახეობების განვითარება შეიძლება მოხდეს ერთ რომელიმე ქვესახეობაში, თუ იგი რადიკალურად განსხვავებულ გარემო პირობებში მოხვდება. ახალ, განსხვავებულ გარემო პირობებთან ადაპტაციამ ორი პოპულაცია შეიძლება გენეტიკურად იმდენად დააშოროს ერთმანეთს, რომ ურთიერთობის განახლებისას მათ შორის შეჯვარება შეუძლებელიც კი გახდეს. გენების გაცვლას ხელი შეიძლება უამრავმა ფაქტორმა შეუშალოს: შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრები ორი, განსხვავებული სახეობა წელიწადის სხვადასხვა დროს მრავლდებოდეს ან ამ დროს მათი ქცევა — არშიყობის რიტუალი – სრულიად განსხვავებული იყოს. ხელისშემშლელი პირობაა აგრეთვე სხეულის გამრავლებასთან დაკავშირებული სტრუქტურის შეუთავსებლობა. სახეობათა შორის შეჯვარებას ალბათ ყველაზე მეტად ხელს გეოგრაფიული ბარიერები უშლის.

მას შემდეგ, რაც სახეობათა შორის დიფერენციაცია იწყება, ევოლუციური პროცესის უკან შემობრუნება შეუძლებელი ხდება. ახალ სახეობებს აღარ შეუძლიათ მშობლიური (მონათესავე) სახეობის წარმომადგენლებთან შეჯვარება და გამრავლება. მაგალითად, ადამიანებსა და შიმპანზეებს დაახლოებით 5 მილიონი წლის წინ საერთო წინაპარი ჰყავდათ, მაგრამ მას შემდეგ მათი ევოლუცი-

ური გზები შეუქცევადად გაიყო.

რა ტემპით ხდება ახალი სახეობების დაშორება თავიანთი წინაპრებისგან? ანთროპოლოგები ამ საკითხზე ვერ თანხმდებიან. ტრადიციული აზრის თანახმად, ევოლუცია ძალიან ხანგრძლივად მიმდინარეობს და ახალი სახეობები თანდათანობით ჩნდება. ანთროპოლოგთა სხვა ჯგუფი, „პუნქტუაციური წონასწორობის“ მიმდევარნი თვლიან, რომ სახეობები დიდი ხნის მანძილზე სტაბილურად ვითარდებიან, მაგრამ თუ გადახრა ჩნდება, ეს პროცესი ძალიან სწრაფად მიმდინარეობს (იხ. ჩარჩო "როგორ მიმდინარეობს ევოლუცია – ნელა და თანაბრად თუ სწრაფად და წყვეტილად?").

სახეობები წარმოშობის წინააღმდეგ

„მეცნიერ-კრეაციონისტები“ ამტკიცებენ, რომ მართალია, ბუნებრივ გადარჩევას შეუძლია გამოიწვიოს ცვალებადობა სახეობათა შორის (მიკროევოლუცია), მაგრამ მას არ შეუძლია ახალ სახეობათა შექმნა (მაკროევოლუცია). ისინი ამბობენ, რომ ყველა ცოცხალი არსება ღმერთის შექმნილია, ევოლუციამ მხოლოდ მცირედ შეცვალა ისინი, ახალი სახეობები არ შეუქმნია. კრეაციონისტულ შეხედულებასთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა ის არის, რომ არსებობს სერიოზული ემპირიული დადასტურება სახეობების წარმოშობასთან დაკავშირებით. უილიამ რაისმა და ჯორჯ სოლტმა დაამტკიცეს, რომ თუ ხილის ბუზებს (დროზოფილა) მათი საარსებო პირობების მიხედვით დაახარისხებდნენ (მკვეთრი სინათლე და ტემპერატურა), შემდეგ კი ამ ჯგუფებს ცალ-ცალკე გაამრავლებდნენ, მომავალში ისეთ ბუზებს მიიღებდნენ, რომლებსაც ჯიშთაშორისი შეჯვარების უნარი აღარ ექნებოდათ (ანუ სხვადასხვა სახეობებს მიიღებდნენ), სულ ცოტა, 35 თაობის განმავლობაში. განამარხებული ფაუნის აღმოჩენის ანგარიშები როგორც სახეობათა შექმნის მრავალ მაგალითს, ასევე სრულიად ახალი ტიპის შექმნის ფაქტებსაც შეიცავს. ფრინველების წარმოშობა ხმელეთის ცხოველებისგან განამარხებული ფაუნის მრავალი მაგალითით მტკიცდება. კრეაციონისტები ცდილობენ შეამცირონ სახეობათა წარმოქმნის მტკიცებულებათა მნიშვნელობა, მაგრამ რიცხვი უზარმაზარია და მათი ნახვა მსოფლიოს ყველა მუზეუმშია შესაძლებელი.

ქცევითი ნიშნების ბუნებრივი გადარჩევა

ბუნებრივი გადარჩევა მოქმედებს ფიზიკური ნიშნების ცვლილებაზე, როგორიცაა, მაგ. პეპლების ფერი ან ჟირაფის კისრის სიგრძე, მაგრამ ბუნებრივი გადარჩევა ზეგავლენას ახდენს აგრეთვე პოპულაციების ქცევით თვისებებზეც. მართალია, ეს აზრი ახალი არ არის, მაგრამ ბოლო დროს სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. მეცნიერების ამ **მიმართულებას სოცბიოლოგია, ქცევის ეკოლოგია** და **ევოლუციური ფსიქოლოგია** ეწოდება და ითვალისწინებს ევოლუციის პრინციპების გამოყენებას ცხოველებისა და ადამიანების ქცევის შესასწავლად. ქცევის ეკოლოგია შეისწავლის, როგორ უკავშირდება ესა თუ ის ქცევა გარემომცველ პირობებს. სოცბიოლოგია დაინტერესებულია სოციალური ორგანიზაციისა და სოციალური ქცევის საკითხებით. ევოლუციური ფსიქოლოგია კი შეისწავლის, როგორ იქმნება ევოლუციის საშუალებით ადამიანის ქცევის, ურთიერთობისა და სამყაროს აღქმის ხანგრძლივად მოქმედი მოდელები. ითვლება, რომ სახეობათა ტიპური ქცევები ბუნებრივი გადარჩევის გზით არის განვითარებული. რატომ ავლენენ მონათესავე სახეობები განსხვავებულ სოციალურ ქცევას მაშინაც კი, თუ საერთო წინაპრებისგან არიან წარმოშობილნი?

შევადაროთ ლომი კატისებრთა სხვა წარმომადგენლებს. მაშინ, როდესაც ამ ოჯახის სხვა წარმომადგენლები, ჩვეულებრივ, მარტო ცხოვრობენ ლომები ცხოვრობენ ჯგუფებად, რომელთაც პრაიდი ეწოდება. რატომ ხდება ასე? ჯორჯ შალერის ვარაუდით, იმიტომ, რომ ჯგუფური ნადირობა ღია ადგილებში უფრო მოსახერხებელია. მისი დაკვირვებით, ლომების ჯგუფი არა მარტო მარტოხელა ლომზე უფრო წარმატებულად ნადირობს, არამედ ადვილადაც უმკლავდება ისეთ დიდ ნადავლს, როგორიც ჟირაფია. ბოკვერებიც სოციალური ჯგუფის გარემოცვაში უკეთ არიან დაცულნი სხვა მტაცებლებისგან, ვიდრე მხოლოდ დედასთან ყოფნისას. აქედან გამომდინარე, ლომების სოციალური ქცევა, პირველ რიგში, ამგვარად შეიძლება იმიტომ განვითარდა, რომ ბუნებრივი გადარჩევის თვალსაზრისით, მეტ უპირატესობას იძლეოდა ლომების ღია სივრცეში არსებობის პირობებში.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ბუნებრივი გადარჩევა მოქმედებს გამოხატულ ნიშან-თვისებებზე ანუ ინდივიდის ფენოტიპზე. პეპლების მაგალითიდან ვხედავთ, რომ მათი ფერი — ფენოტიპის ნაწილი — ბუნებრივ გადარჩევას ექვემდებარება. ქცევაც გამოხატული ნიშან-თვისებაა. თუ ჯგუფური ნადირობა (ქცევის ნიშანი) მეტი საკვების მოპოვების საშუალებას იძლევა, ჯგუფებად მონადირე ინდივიდები, უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბუნებრივი გადარჩევა ნიშან-თვისებათა შთამომავლობითობას მოითხოვს. შეიძლება თუ არა შთამომავლობითობის კონცეფციის გამოყენება ქცევის შეძენილი და არა გენეტიკურად მიღებული თვისებების შესწავლისას? მეტიც, თუ შთამომავლობითობის კონცეფცია შესწავლილ ქცევებსაც მოიცავს, შეიძლება თუ არა, რომ კულტურული აღზრდასაც მოიცავდეს? შინაურ ძაღლებზე ბოლოდროინდელი დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ შეიძლება. როგორც ჩანს, შინაურ ძაღლებს შთამომავლობით გადაეცემათ ადამიანების მიერ მათთან ურთიერთობისას გამოყენებულ ზოგიერთ სოციალურ ნიშანზე (როგორიცაა, მაგ. მითითება) რეაგირების უნარი, რაც მგლებს არ გააჩნიათ. ამ აღმოჩენიდან გამომდინარე, ცხოველებში კულტურული სწავლების ზოგიერთი ნიშნის მემკვიდრეობით გადაცემა დასაშვებია.

ადრეულ წლებში სოცბიოლოგია და ქცევის ეკოლოგია აქცენტს ქცევის გენეტიკურ კომპონენტზე აკეთებდნენ. ედუარდ ო. უილსონი წიგნში "სოცბიოლოგია" ამ დარგს განსაზღვრავდა, როგორც "ქცევის ბიოლოგიური მიზეზების სისტემატურ შესწავლას". მაგრამ ბობი ლოუ ფიქრობს, რომ მართალია, ტერმინი "ბიოლოგიური" შეიძლება გავიგოთ, როგორც "გენეტიკურის" ინტერპრეტაცია, მაგრამ ბიოლოგთა უმრავლესობას კარგად ესმის, რომ გამოხატული დამახასიათებელი ნიშნები ჩნდება გენების, გარემო პირობების, ცხოვრების ისტორიისა და ურთიერთობების შედეგად. ქცევა ზემოთ ჩამოთვლილი სამივე პირობის ზეგავლენის შედეგია. თუ ვიტყვით, რომ ზოგიერთი მათგანი შთამომავლობით გადაეცემა, საფიქრებელია, რომ ბავშვის ქცევა უფრო მშობლებისას უნდა იმეორებდეს, ვიდრე სხვა ადამიანებისას ანუ მსგავსება მემკვიდრულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის მთლიანად ნასწავლი ანუ გადმოღებულია მშობლებისგან.

სოცბიოლოგიურმა მიდგომამ ანთროპოლოგიაში დიდი დაპირისპირება გამოიწვია, იქნებ იმის გამო, რომ ამ მეცნიერებას აქცენტი გენებსა და გენეტიკაზე უფრო ჰქონდა, ვიდრე გამოცდილებასა და სწავლაზე, როგორც ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ კრიტერიუმებზე. ანთროპოლოგები ამტკიცებენ, რომ სოციალური ჩვევები შეიძლება მეტნაკლებად ადაპტირებადი იყოს, რადგან რეპროდუქციული შედეგები კულტურული ქცევებსაც მოჰყვება. მაგრამ ინდივიდის მხოლოდ და მხოლოდ ქცევა არ განსაზღვრავს რეპროდუქციულ შედეგებს. მონაწილეობს თუ არა კულტურულ ევოლუციაში ბუნებრივი გადარჩევა? ბიოლოგთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ არა. მათი აზრით, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ბიოლოგიურსა და კულტურულ ევოლუციებს შორის. როგორ შეიძლება ამ ორი

ლომების უპირატესობა ის არის, რომ ბინადრობენ ღია სივრცეში და მეტი წარმატებით იჭერენ დიდი ზომის ცხოველებს. ეს სოციალური ქცევა შეიძლება დაკავშირებული იყოს გადარჩევასთან ღია გარემოში.

ევოლუციის შედარება? ამ კითხვებზე საპასუხოდ უნდა გვახსოვდეს, რომ ბუნებრივი გადარჩევის მოქმედებისათვის საჭიროა სამი პირობის არსებობა — ცვალებადობა, მემკვიდრულობა (ანუ იმ მექანიზმების არსებობა, რომლებიც მომავალ თაობაში მშობლების ნიშან-თვისებების გამეორებას უზრუნველყოფს) და მემკვიდრული განსხვავებებით გამოწვეული შთამომავლობის დატოვების განსხვავებული უნარი. შეიძლება თუ არა ამ სამი პირობის მისადაგება კულტურული ქცევებისათვის?

ბიოლოგიური ევოლუციის დროს ცვალებადობას გენეტიკური რეკომბინაცია და მუტაცია იწვევს, კულტურულ ევოლუციაში კი შესწავლილი ქცევების რეკომბინაცია და ახლის გამოგონება. კულტურები ისევე ჩაკეტილი ანუ რეპროდუქციულად იზოლირებულნი არ არიან, როგორც სახეობები. სახეობებს არ შეუძლიათ გენეტიკური ნიშან-თვისებების "სესხება", კულტურას კი ძალუძს ახალი ჩვევებისა და ქცევების სხვა კულტურებიდან გადაღება. მაგალითად, სიმინდის მოყვანა, რომელიც ახალი სამყაროდან ბევრ სხვა ადგილას გავრცელდა, ამ ფენომენის კარგი მაგალითია. რაც შეეხება მემკვიდრულობას, მართალია, ნასწავლი დამახასიათებელი ნიშნები წმინდა გენეტიკური გზით აშკარად არ გადაეცემა შთამომავლობას, მაგრამ ამგვარ ადაპტირებად ნიშან-თვისებათა მატარებელი მშობლები "იმეორებენ" მათ თავიანთ შვილებში ანუ ბავშვები ამ ნიშნებს მათგან იმიტაციის ან დარიგების საშუალებით იღებენ. ბავშვებმა და მოზარდებმა შეიძლება აგრეთვე ესა თუ ის თვისება გადაიღონ ადამიანებისგან, რომლებიც მათი ოჯახის წევრები არ არიან. დაბოლოს, რაც შეეხება შთამომავლობის დატოვების განსხვავებულ უნარს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ასეთი დამახასიათებელი თვისება გენეტიკურია, ნასწავლი თუ ერთდროულად ორივე. როგორც ჰენრი ნისენი აღნიშნავდა,

მთის ლომები ბინადრობენ ტყიან გარემოში და ინდივიდუალურად ნადირობენ. აქ ჩანს თუ როგორ მოკლა ერთ-ერთმა ლომმა ცხენ-ირემი დასავლეთ მონტანაში.

ქცევით არაკომპეტენტურობას სახეობა გაქრობამდე მიჰყავს ისევე, როგორც მორფოლოგიურ დისპროპორციას ან რომელიმე სასიცოცხლო ორგანოს არქონას. ქცევა ისევე ექვემდებარება გადარჩევას, როგორც სხეულის ზომა ან ავადმყოფობისადმი მედეგობა.

მრავალი თეორეტიკოსი აღიარებს, რომ კულტურულ ევოლუციასთან მიმართებაში მისაღებია ბუნებრივი გადარჩევის თეორიის გამოყენება, სხვები კი ისეთ ნიშან-თვისებებთან დაკავშირებით, რომლებიც წმინდა გენეტიკური გზით არ გადაეცემა, განსხვავებული ტერმინოლოგიის გამოყენებას ამჯობინებენ. მაგალითად, რობერტ ბოიდი და პიტერ რიჩერსონი ადამიანთა ქცევას "ორმაგ მემკვიდრულობას" უკავშირებენ. ისინი გამოყოფენ კულტურის გადაცემას (სწავლისა და იმიტაციის საშუალებით) გენეტიკური გადაცემისგან, მაგრამ ხაზს უსვამენ ორივეს მნიშვნელობასა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების არსებობას. უილიამ დარჰემიც კულტურის გადაცემის საკითხს ცალკე განიხილავს და კულტურული ანალოგიის ერთეულად იყენებს ტერმინს "მიმი" (meme, gene-ის ანალოგიით). მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს გენებსა და კულტურას შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომელსაც "კოევოლუციას" უწოდებს და წარმოგვიდგენს იმის მაგალითებს, თუ როგორ იწვევენ გენეტიკური და კულტურული ევოლუციები ცვლილებებს ერთმანეთში, როგორ აძლიერებენ ან პირიქით, უპირისპირდებიან ერთმანეთს.

ადამიანებში ბიოლოგიური და კულტურული ევოლუცია ერთმანეთისგან გამოყოფილი პროცესები არ არის. როგორც ვნახავთ, ადამიანის ზოგი მნიშვნელოვანი ბიოლოგიური ნიშანი — მაგალითად, ტვინის შედარებით დიდი ზომა – ბუნებრივი გადარჩევის გზით შეიძლება იმიტომ განვითარდა, რომ ჩვენი წინაპრები იარაღებს ამზადებდნენ, ეს კი კულტურული ნიშან-თვისებაა. პირიქით, არაფორმალური და ფორმალური განათლების კულტურული ნიშან-თვისება ბუნებრივი გადარჩევის მიერ შეიძლება მიღებულ იქნას, რადგან ადამიანებს მანამდე ძალიან დიდხანს ჰქონდათ განუვითარებლობის პერიოდი, რაც ბიოლოგიური ნიშანია.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ადამიანთა სახეობა იარსებებს და მისი სოციალური და ფიზიკური გარემო შეიცვლება, ალბათ ბიოლოგიური და კულტურული ნიშან-თვისებების ბუნებრივი გადარჩევაც გაგრძელდება. თუმცა, რაც მეტს იგებენ ადამიანები გენეტიკის შესახებ, მეტი შესაძლებლობა ექნებათ უმკურნალონ გენეტიკით გამოწვეულ დარღვევებს და იქნებ ევოლუციის მიმდინარეობის წესიც შეცვალონ. დღეს უკვე მეცნიერ გენეტიკოსებს განვითარების პროცესში მყოფ ნაყოფშიც კი შეუძლიათ დარღვევების აღმოჩენა. მალე გენური ინჟინერია საშუალებას მისცემს ადამიანებს, გამოასწორონ დეფექტები და „გააუმჯობესონ" მზარდი ნაყოფის გენეტიკური კოდი. როგორ და რამდენად შეძლებს ადამიანი გენების შეცვლას, მომავალი გვიჩვენებს. ეს აუცილებლად იმოქმედებს კაცობრიობის ბიოლოგიურ და კულტურულ განვითარებაზე.

შეჯამება

1. თუ სამყაროს არსებობის პერიოდს წარმოვიდგენთ როგორც 12 თვეს, ადამიანის მსგავსი მაიმუნების არსებობის პერიოდი ამ დროიდან მხოლოდ 1,5C საათს დაიკავებს. სამყარო დაახლოებით 15 მილიარდი წლისაა. თანამედროვე ადამიანი კი მხოლოდ 100 ათასის.
2. ევოლუციის შესახებ აზრი, დიდი ხანია, რაც ფარულად არსებობს იმის გამო, რომ ადამიანის წარმოშობის შესახებ ბიბლიურ წარმოდგენას ეწინააღმდეგებოდა. სახეობებს განიხილავდნენ შემოქმედის მიერ სამუდამოდ დადგენილი ფორმით შექმნილად. მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მიჯნაზე აღმოჩნდა მასალა, რომელიც ევოლუციის თეორიის სიცოცხლისუნარიანობას ამტკიცებდა. მაგალითად, გეოლოგიაში უნიფორმიტარიანიზმის კონცეფცია ვარაუდობდა, რომ ბუნებრივი ძალების ზემოქმედებით დროის უზარმაზარი მონაკვეთების განმავლობაში დედამიწა მუდმივად იცვლიდა ფორმას. ამ პერიოდში უამრავმა მეცნიერმა დაიწყო ევოლუციის კვლევა-ძიება.
3. ჩარლზ დარვინმა და ალფრედ უოლესმა სახეობათა ევოლუციის მამოძრავებელ ძალად ბუნებრივი გადარჩევა მიიჩნიეს. ბუნებრივი გადარჩევის მთავარი პრინციპებია: 1. ყოველი სახეობა შედგება მრავალფეროვან ინდივიდთაგან, რომელთაგან ზოგი სხვებზე უკეთ არის შეგუებული გარემო პირობებს; 2. შთამომავლობას მემკვიდრეობით გადაეცემა მშობლების ნიშან-თვისებები გარკვეული ხარისხითა და რაოდენობით; 3. იმის გამო, რომ უკეთ ადაპტირებული ინდივიდები თაობათა მანძილზე მეტ შთამომავლობას ტოვებენ, ვიდრე ცუდად შეგუებულნი, ადაპტური ნიშნების სიხშირე შემდგომ თაობებში მატულობს. ამგვარად, ბუნებრივი გადარჩევის შედეგად იზრდება სასარგებლო ნიშან-თვისებათა მქონე ინდივიდების რაოდენობა.
4. მენდელისა და შემდგომმა კვლევამ გენეტიკის დარგში, აგრეთვე, დნმ-ისა და სრნმ-ის სტრუქტურებისა და ფუნქციების შესწავლამ საშუალება მოგვცა ჩავწვდომოდით იმ ბიოლოგიურ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ნიშან-თვისებათა ერთი თაობიდან მეორისთვის გადაცემა.
5. ბუნებრივი გადარჩევა დამოკიდებულია პოპულაციის შიგნით არსებულ სხვადასხვაობაზე. ბიოლოგიური სხვადასხვაობის შექმნის ოთხი წყარო არსებობს: გენეტიკური რეკომბინაცია, მუტაცია, გენების დრეიფი და გენების ნაკადი.
6. სახეობათა წარმოქმნა მაშინ ხდება, როდესაც ერთი ქვეჯგუფი სხვებს გამოეყოფა. ამ სუბპოპულაციებმა განსხვავებულ გარემო პირობებთან შეგუებისას შეიძლება ისეთი გენეტიკური ცვლილებები განიცადონ, რომლებიც პირველად პოპულაციასთან ურთიერთობის განახლებისას ხელს შეუშლის გამრავლებაში. გენეტიკური დიფერენციაციის გამოვლინების შემდეგ ევოლუციური პროცესის უკან დაბრუნება შეუძლებელია.
7. ბუნებრივი გადარჩევა პოპულაციის ბიჰევიორულ (ქცევით) დამახასიათებელ თვისებებზეც მოქმედებს. სოციობიოლოგია და ქცევის ეკოლოგია განიხილავენ ევოლუციის პრინციპების გამოყენებას ცხოველების ქცევასთან მიმართებაში. რამდენადაა შესაძლებელი ბუნებრივი გადარჩევის თეორიის მისადაგება ადამიანის ქცევასთან, უფრო ზუსტად, კულტურულ ქცევასთან, ამის თაობაზე მრავალი საპირისპირო მოსაზრება არსებობს. ერთ საკითხში კი ყველა თანხმდება — ბიოლოგიური და კულტურული ევოლუციები ერთმანეთზე ზემოქმედებას ახდენენ.

საკონტროლო კითხვები

1. შეესაბამება თუ არა, თქვენი აზრით, ბუნებრივი გადარჩევის თეორია რელიგიურ თვალსაზრისს? დაასაბუთეთ.
2. რა სახით შეიძლება იმოქმედოს მომავალ ევოლუციაზე გენეტიკური მკურნალობის მეთოდებმა და გენურმა ინჟინერიამ?
3. რატომ ფიქრობთ, რომ ადამიანები ერთ სახეობად დარჩნენ?

თანამედროვე პრიმატები

4

თავების შინაარსი

- პრიმატების საერთო ნიშნები
- პრიმატების კლასიფიკაცია
- სხვადასხვა პრიმატები
- ჰომინიდის განმასხვავებელი ნიშნები
- პრიმატების ცვალებადი ადაპტაციის განმარტება



პრიმატოლოგიის (პრიმატების შემსწავლელი მეცნიერება) მიზანია, გაარკვიოს როგორ შეეგუენ სხვადასხვა პრიმატები გარემო პირობებს როგორც ანატომიური, ისე ქცევითი თვალსაზრისით. ამგვარი შესწავლის შედეგები შეიძლება დაგვეხმაროს ადამიანის და სხვა პრიმატების ქცევისა და ევოლუციის საკითხების უკეთ გაგებაში.

როგორ შეუძლიათ ისეთ პრიმატებს, როგორიცაა, მაგალითად, თანამედროვე შიმპანზე, მოგვცენ საჭირო ინფორმაცია ადამიანის ან იმ პრიმატების შესახებ, რომლებიც ჩვენს წინაპრებად ითვლებიან? ცნობილია, რომ პრიმატების თანამედროვე სახეობებს უძველეს წინაპართა ფორმებიდან ევოლუციური განვითარების საკუთარი ისტორია აქვთ. თითოეული მათგანი, ადამიანის ჩათვლით, ევოლუციურად განვითარდა ადრეული პრიმატებისგან, რომლებიც დიდი ხანია, გადაშენდნენ. მიუხედავად ამისა, ადამიანებსა და სხვა პრიმატებს შორის არსებულ განსხვავებებსა და მსგავსებებზე დაკვირვებით ალბათ შევძლებთ გავიგოთ, როგორ და რატომ გამოეყვნენ ისინი ერთმანეთს.

თანამედროვე პრიმატების და განამარხებული მასალის ანატომიის და ქცევის ერთდროულმა შესწავლამ და შედარებებმა შეიძლება დახმარება გაგვიწიოს ადრეული პრიმატების გარეგნული ნიშნების აღდგენაში. თუ გვეცოდინება იმ თანამედროვე პრიმატების მხრის ძვლის სტრუქტურა, რომლებიც ხეებზე ქანაობენ, შევძლებთ დავადგინოთ, რომ მსგავსი განამარხებული ძვალი ეკუთვნოდა ცხოველს, რომელიც აგრეთვე ხეზე ქანაობდა. თანამედროვე პრიმატების განსხვავებული ადაპტაციების შესწავლა წარმოდგენას შეგვიქმნის, რა სახის გადახრებს ჰქონდა ადგილი პრიმატების ევოლუციის პროცესში. როდესაც გვეცოდინება, თუ რომელი ნიშან-თვისებები ეკუთვნით მხოლოდ ადამიანებს, შევძლებთ გავიგოთ, თუ რატომ გადაიხარა ის ხაზი, რომელიც ადამიანებამდე მიდიოდა, შიმპანზეებსა და გორილებამდე მიმავალი ხაზისგან.

ამ თავში ჯერ თანამედროვე პრიმატების საერთო ნიშან-თვისებებს განვიხილავთ, შემდეგ გაგაცნობთ პრიმატთა რიგის სხვადასხვა ცხოველებს, განსაკუთრებულად შევჩერდებით თითოეული მთავარი ტიპის განმასხვავებელ ნიშნებზე. ამის შემდეგ ვიმსჯელებთ ცვალებადი ადაპტაციის მაგალითებზე, რომლებიც პრიმატების ზოგიერთ სახეობაში აღინიშნება. ბოლოს განვიხილავთ იმ ნიშან-თვისებებს, რითაც ადამიანები სხვა დანარჩენი პრიმატებისგან განსხვავდებიან. ამ თავის მიზანია მეტი გავიგოთ ადამიანების შესახებ. სწორედ ამიტომ, გაგაცნობთ პრიმატების ანატომიისა და ქცევის იმ დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებსაც ალბათ, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის განვითარებაში.

პრიმატების საერთო ნიშან-თვისებები

ყველა პრიმატი ძუძუმწოვართა კლასს მიეკუთვნება და მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ახასიათებს. ადამიანის გარდა, ყველა მათგანის სხეული ხშირი თმით, ბეწვით არის დაფარული, რომელიც იზოლაციას ქმნის და ორგანიზმს სითბოს შენარჩუნებაში ეხმარება. თმა ზოგიერთ ადგილას ადამიანსაც ეზრდება, მაგრამ ყოველთვის იზოლაციის მიზნით არა. ძუძუმწოვრები თბილსისხლიანები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი სხეულის ტემპერატურა (მეტ-ნაკლებად) მუდმივად შედარებით მაღალია და ჩვეულებრივ, მათი გარემომცველი ჰაერის ტემპერატურას აღემატება. თითქმის ყველა ძუძუმწოვრის ნაშიერი დედის ორგანიზმის შიგნით გარკვეული ზომის მიღწევის შემდეგ იბადება და დედის სარძევე ჯირკვლებიდან რძის წოვით იკვებება. ნაშიერები დაბადების შემდეგ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში მშობლებზე არიან დამოკიდებულნი. ეს პერიოდი ეთმობა აგრეთვე სწავლას, რადგან მოზარდი ძუძუმწოვრის ქცევების უმეტესობა უფრო დასწავლილია, ვიდრე ინსტინქტური. თამაში არის სწავლის მნიშვნელოვანი მეთოდი, რომელიც ძუძუმწოვართა ნაშიერებს ახასიათებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრიმატებისთვის, რასაც ჩვენ ამ თავში მოგვიანებით დავინახავთ.

ფიზიკური ნიშნები

პრიმატებს აქვთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფიზიკური და სოციალური ნიშან-თვისებების კომპლექსი. ამასთან, არც ერთი მათგანი უნიკალური არ არის და ამა თუ იმ კომბინაციით გვხვდება სხვა ძუძუმწოვრებში.

პრიმატების ჩონჩხის აგებულება ამ ცხოველების ხეზე ცხოვრების **ნირზე** მიუთითებს. მათი უკანა კიდურები ისეა აგებული, რომ საყრდენი წარმოქმნას. ამავე დროს ტერფებით საგნების დაკავება შეუძლიათ (იხ. სურ. 1-4). ზოგ პრიმატს, მაგალითად ორანგუტანგს, უკანა კიდურებზე ჩამოკიდების უნარიც აქვს. წინა კიდურები განსაკუთრებით მოქნილია და ისეთი აგებულება აქვთ, რომ მიწოლაც და მოქაჩვაც თანაბრად ეხერხებათ. როგორც წინა, ისე უკანა კიდურებს აქვთ თითო ძვალი ზედა ნაწილში და ორი ძვალი ქვედა ნაწილში (გარდა გრძელტერფებისა. გვ. Tarsius –ის წარმომადგენელი პრიმატები). პრიმატების უძველესი წინაპრების დროიდან ეს ნიშანი უმნიშვნელოდ შეიცვალა და თანამედროვე პრიმატებშიც არის შენარჩუნებული (თუმცა ბევრ ძუძუმწოვარს უკვე დაკარგული აქვს), რადგან ორმაგი ძვლები ხელებსა და ფეხებს მეტ მოქნილობას ანიჭებს წრიული მოძრაობების შესრულებისას.

პრიმატის აგებულების მეორე დამახასიათებელი ნიშანია ლავიწის ძვალი. იგი მათ მოძრაობის მეტ თავისუფლებას ანიჭებს, რაც მხრების როგორც წინ და უკან, ასევე ზემოთ და ქვემოთ მოძრაობის საშუალებას აძლევს. მართალია, ადამიანები ამგვარ მოქნილობას ხეებზე სამოძრაოდ არ იყენებენ, მაგრამ სხვა სახის საქმიანობაში ძალიან გამოსადეგია. ლავიწის ძვლის გარეშე, ვერ შევძლებდით ისრის სროლას ან ბურთის გადაგდებას, ხოლო ბრუნვადი წინამხრის ძვლების გარეშე, ვერ შევძლებდით ვერც მცირე ზომის ინსტრუმენტების დამზადებას და ვერც კარის სახელურის მობრუნებას.

პრიმატები, საერთოდ, **ყველაფრის მჭამელი** ცხოველები არიან. ე.ი. ისინი ჭამენ ყველაფერს, დაწყებული მწერებიდან და მცირე ზომის ცხოველებიდან და დამთავრებული თესლებით, ფოთლებითა და ფესვებით. მათი კვების თავისებურება კბილების აგებულებიდანაც ჩანს. **უკანა** და **წინა** საღეჭ კბილებს სპეციფიკური ფორმა არ აქვთ, განსხვავებით იმ ძუძუმწოვართაგან, რომელთაც ბალახის ძოვა უხდებათ. წინა „**საჭრელი**“ კბილები და **ეშვები** ხშირად ძალზე თავისებურია, განსაკუთრებით — დაბალი კლასის პრიმატებში. მაგალითად, ნახევრად მაიმუნებს (Prosimians) თხელი, ახლოს მიჯრილი ქვედა საჭრელი კბილები და ეშვები „სავარცხლისებურად“ აქვთ განლაგებული ბეწვის გასასუფთავებლად ან ხის ქერქიდან გამაგრებული ფისის (რომლითაც იკვებებიან) უკეთ მოსაღრღნელად.

პრიმატების ხელის მტევნები არაჩვეულებრივად მოქნილია. ყველა მათგანის ხელს ნივთის ჩასაჭიდებლად ძალიან მოსახერხებელი აგებულება აქვს. პრიმატებს როგორც ხელებზე, ასევე ფეხებზე ხუთ-ხუთი თითი აქვთ (ზოგ შემთხვევაში ფეხის ცერი შეიძლება შემცირებული იყოს გამონაზარდის ზომამდე). მათი ფრჩხილები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ბრტყელი და განიერია და არა ბრჭყალისებური. ასეთი აგებულება პრიმატებს საშუალებას აძლევს, ჩაებღაუჭონ საგნებს. ამაში უთმო და მგრძნობიარე ხელისა და ფეხის გულებიც ეხმარებათ. პრიმატების უმრავლესობას **ცერა თითები** დანარჩენის საწინააღმდეგო მხარეს აქვთ მოთავსებული ეს ეხმარება მათ საგნისთვის უფრო ზუსტად და მაგრად ჩაჭიდებაში.

მხედველობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრიმატების ცხოვრებაში. განსხვავებით სხვა ძუძუმწოვრებისგან,



სურათი 4-1

პრიმატების ზოგიერთი საერთო თვისება

ტვინის ის ნაწილი, რომელიც მხედველობას აკონტროლებს, პრიმატებს უფრო დიდი აქვთ, ვიდრე ის, რომელიც ყნოსვას განაგებს. პრიმატებს სტერეოსკოპული ანუ სიღრმისეული მხედველობა ახასიათებთ. მათი თვალები უფრო წინ არის მიმართული და არა გვერდებზე, როგორც ეს ცხოველებისთვის არის დამახასიათებელი. ეს თვისება საშუალებას აძლევს მათ, ორივე თვალის ფოკუსირება ერთ ობიექტზე (მანძილზე არსებულ მწერზე ან საკვებზე) ერთდროულად მოახდინონ. პრიმატების უმეტესობას ფერადი მხედველობა აქვს, რაც ხელს უწყობს მათ მწიფე ნაყოფის ამოცნობაში.

პრიმატების მეორე მნიშვნელოვანი ნიშანია ტვინის დიდი მოცულობა, სხეულთან შედარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ, ჩვეულებრივ, უფრო დიდი ზომის ტვინი აქვთ, ვიდრე მათივე ზომის სხვა ცხოველებს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ გადარჩენისთვის ძალიან ბევრი რამის სწავლა სჭირდებათ, რაზეც მოგვიანებით შევჩერდებით. დიდი მოცულობის ტვინის მქონე ცხოველები უფრო ნელა ვითარდებიან და უფრო მეტხანს ცოცხლობენ, ვიდრე პატარა მოცულობის ტვინის მქონე. რაც უფრო ნელა ვითარდება ცხოველი და რაც უფრო მეტ ხანს ცოცხლობს, სწავლის მეტი შესაძლებლობა აქვს.

დაბოლოს, პრიმატების რეპროდუქციული (გამრავლების) სისტემა მათ დანარჩენ ძუძუმწოვრებისგან მკვეთრად განასხვავებს. პრიმატების უმეტესობის მამრებს პენისის ჩამოკიდებული ფორმა აქვთ, რომელიც მუცლის ქვედა ნაწილს კანით არ უკავშირდება. ამგვარი ნიშანი ძალიან ცოტა ცხოველს ახასიათებს, ღამურებისა და დათვების ჩათვლით. პრიმატების სახეობათა უმეტესობის მდედრებს მკერდზე ორი დვრილი აქვთ (ზოგიერთ პროსიმიანს ორზე მეტიც აღენიშნება). საშვილოსნო, ჩვეულებრივ, ერთი ნაყოფისთვის არის გათვალისწინებული (ტყუპებს უფრო ხშირად, მხოლოდ მარმოზეტები და ტამარინები შობენ) და არა რამდენიმესთვის, როგორც ცხოველების უმეტესობას ახასიათებს. ამგვარი რეპროდუქციული სისტემა ხაზს უსვამს ხარისხის და არა რაოდენობის უპირატესობას – ეს ადაპტაცია ალბათ, ხეზე ცხოვრებასთან და იქიდან ჩამოვარდნის რისკთან არის დაკავშირებული. პრიმატების ნაშიერები დაბადებისას შედარებით უკეთ არიან განვითარებულნი, თუმცა ადამიანის, ადამიანის მსგავს მაიმუნთა და ზოგიერთ მაიმუნთა ახალშობილები ძალზე უმწეონი არიან. ჩვილი პრიმატების უმეტესობას (ადამიანთა გარდა) დაბადებისთანავე შეუძლია დედაზე ჩაჭიდება. როგორც წესი, პრიმატებს განვითარებისთვის დიდი დრო სჭირდებათ. მაგალითად, მაკაკა რეზუსი სქესობრივად 3 წლის ასაკამდე არ მწიფდება, შიმპანზე კი — 9 წლამდე.

სოციალური ნიშან-თვისებები

პრიმატები უმეტესწილად სოციალური ცხოველები არიან. გარდა ისეთი ფიზიკური ნიშნებისა, როგორიცაა ჩაჭიდების უნარის მქონე ხელები და სტერეოსკოპური მხედველობა, რაც გარემო პირობებთან შეგუებით განვითარდათ, მათ ჩამოუყალიბდათ აგრეთვე სოციალურ ქცევათა გარკვეული მოდელები. პრიმატების უმეტესობისთვის, განსაკუთრებით კი **დღის** სახეობებისთვის (ანუ მათთვის, ვინც აქტიურ ცხოვრებას დღისით ეწევა), ცხოვრების ჯგუფური წესი გადარჩენისთვის გადამწყვეტია. ამ საკითხზე ამავე თავში ცოტა მოგვიანებით ვიმსჯელებთ.

დამოკიდებულება და განვითარება სოციალურ კონტექსტში პრიმატების სოციალური ურთიერთობა დედასთან და სხვა მოზრდილებთან დამოკიდებულების საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში იწყება და საკმაოდ დიდხანს გრძელდება (პრიმატების დამოკიდებულების პერიოდის ფაზების: ჩვილობისა და მოზარდობის შედარებისათვის იხ. სურ. 4-2). დამოკიდებული მდგომარეობის ხანგრძლივი პერიოდი საშუალებას აძლევს



სურათი 4-2

პრიმატთა ნაშიერების მშობლებზე დამოკიდებულების პერიოდების შედარება.

პრიმატებს, უფრო დიდხანს დააკვირდნენ მოზრდილებს და ისწავლონ მათი ჩვევები, რაც აუცილებელია მომავალში მათი გადარჩენისათვის.

დედასთან და სხვა ინდივიდებთან თბილი, სოციალური ურთიერთობების გარეშე პრიმატები ვერ გამოიმუშავებენ სოციალური ურთიერთობების უნარ-ჩვევებს. მაკაკა რეზუსზე ჩატარებული კლასიკური ექსპერიმენტების საფუძველზე, ჰარი ჰარლოუმ გამოიკვლია დედის უყურადღებობისა და იზოლაციის შედეგები ნაშიერებზე. მან დაინახა, რომ დედის არაადეკვატურმა ქცევამ და თანატოლებისგან იზოლაციამ ზოგიერთ მაიმუნს მოუსპო ნორმალური სოციალური განვითარების საშუალება. მათ ახასიათებდათ გაუკუღმართებული სექსუალური ქცევები და შეიძლება მცირეწლოვან „დამნაშავეებადაც“ ჩამოყალიბდნენ. ჰარლოუმ შეაჯვარა სოციალურად იზოლირებული მდედრი მაიმუნი ნორმალურ მამრთან. ნაშიერის გაჩენის შემდეგ, ასეთი მდედრების შვილთან დამოკიდებულება დედობრივი არ იყო. ისინი ხშირად უარს ამბობდნენ თავიანთ ნაშიერებზე. ამგვარი არანორმალური დამოკიდებულების შედეგად გამოჩნდა, რომ დედობრივი გრძნობა არა მხოლოდ ინსტინქტზეა დამოკიდებული. ჰარლოუს ცდებმა გამოააშკარავა, რომ დედობრივი მზრუნველობა აუცილებელია მაიმუნებისთვის და აქედან გამომდინარე — ადამიანებისთვისაც.

პრიმატთა მრავალი სახეობისთვის დედა ის ერთადერთი უფროსი არ არის, რომელიც დამოკიდებულ ასაკში მყოფ თაობაზე ზრუნავს. რუხ ლანგურებში ჩვილზე ზრუნვასა და მის შემდგომ მოვლაში ჯგუფის ყველა მდედრი მონაწილეობს. ზოგი სახეობის პრიმატებში ნაშიერებს დედაზე არანაკლებ ყურადღებას უთმობს მამაც.

პრიმატები თამაშის პროცესში ჰარლოუს გამოკვლევებმა ახალგაზრდა პრიმატების სოციალური დასწავლის შესახებ სხვა ინფორმაციაც მოგვცა. ექსპერიმენტებმა გამოავლინა, რომ პრიმატების ნორმალურ განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა თამაშს ენიჭება, განსაკუთრებით დამოკიდებულების პერიოდში. როგორც დედის მზრუნველობის გარეშე გაზრდილი პრიმატები ავლენენ უჩვეულო ქცევებს, ასევე უჩვეულოდ იქცევიან დედასთან გაზრდილი, მაგრამ ტოლებთან თამაშსა და ურთიერთობას მოკლებული პრიმატები.

ზოგიერთი მაიმუნი, რომელიც დედის გარეშე იზრდებოდა, მაგრამ თანატოლებთან რეგულარული თამაშის

პრიმატებს შეუძლიათ უშუალო მითითებით ისწავლონ, მაგრამ უფრო ხშირად ისინი მიბაძვითა და ცდებისა და შეცდომების მეთოდით სწავლობენ.

საშუალება ჰქონდა, შედარებით ნორმალურად იქცეოდა. შემდგომმა მუშაობამ ჰარლოუს აღმოჩენები კიდევ უფრო გაამყარა.

თამაში აუცილებელია სწავლისათვის. ის აყალიბებს მოზრდილობაში გამოსადეგ და აუცილებელ ჩვევებს. მაგალითად, ახალგაზრდა მაიმუნების ხეებზე სირბილი მათ იმ აუცილებელ ფიზიკურ უნარებს უვითარებს, რომლებიც მომავალში მტაცებელ ცხოველთაგან თავის დაღწევაში დაეხმარებათ. თამაში აუცილებელია სოციალური ჩვევების გამომუშავებისთვისაც, კერძოდ, თავისივე ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისთვის. ერთგვარი დომინანტური ურთიერთობების ჩამოყალიბება ხდება კინკლაობისა და ჩხუბის დროს, სადაც გამარჯვება დამოკიდებულია ზომაზე, ძალასა და ასაკზე. ამ თვისებებმა ან მათმა ნაკლებობამ შეიძლება განსაზღვროს ინდივიდის სტატუსი მომავალ ცხოვრებაში (ინდივიდის სტატუსს სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავს. მაგალითად, როგორც ვნახეთ, დედის სტატუსი ზოგიერთი პრიმატისთვის ძალიან მნიშვნელოვანია).

სხვებისგან სწავლა როგორც ადამიანის მსგავსი, ისე სხვა სახეობის პრიმატები ბევრ რამეს სოციალურ ჯგუფებში სწავლობენ. ბავშვები ხშირად ბაძავენ სხვებს, რასაც ხშირად, მშობლები ხელს შეგნებულად უწყობენ. ინგლისურად ვამბობთ: „ნახეთ, რა კარგად ბაძავს (apes - ანუ მაიმუნივით იმეორებს მის მოქმედებებს) ტომი მამამისს“. მაგრამ, ადამიანის მსგავსი მაიმუნები (და მაიმუნები) ბაძავენ, თუ უბრალოდ სწავლობენ იმავე მოქმედებებს, რომლებსაც მათი დაკვირვების ობიექტები ასრულებენ? ამ საკითხის შესახებ მეცნიერებში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. კიდევ უფრო მეტ კამათს იწვევს პრიმატებში (ადამიანის გარდა) შეგნებული სწავლების საკითხი.

საველე სამუშაოების ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, წარმოიშვა ვარაუდი, რომ შიმპანზეებს იმიტაციის საშუალებით იარაღის ხმარების ათვისება შეუძლიათ. მაგალითად, ჯეინ გუდოლი შეესწრო შემთხვევას, როდესაც მდედრმა შიმპანზემ, რომელსაც დიარეა აწუხებდა, უკანა ტანის გასაწმენდად ერთი ბღუჯა ფოთოლი გამოიყენა. შიმპანზეს ორი წლის ნაშიერმა, რომელიც ამ სცენას უყურებდა, ასევე, მოგლიჯა ერთი ბღუჯა ფოთოლი და დედის მოქმედება ორჯერ გაიმეორა. შიმპანზეების მიერ იარაღის გამოყენების საუკეთესო მაგალითია ბალახის ღეროს გამოყენება მიწაყრილიდან ტერმიტების გამოსადევნად. მაგრამ ზოგი მკვლევრის აზრით, ამგვარი მაგალითები იმიტაციის ან სწავლების არსებობას საკმარისად არ ასაბუთებს. მაშინაც კი, როდესაც დედა უფლებას აძლევს შვილს, რომ დაიკავოს ბალახის ღერო ტერმიტებზე „სათევზაოდ“, შვილი ამ ქმედებას ასრულებს მასთან ერთად და არა დამოუკიდებლად მას შემდეგ, რაც დედის მოქმედებას დააკვირდება.

პრიმატების კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია მსგავსი ბიოლოგიური ნიშნების მქონე სახეობათა ჯგუფების განსაზღვრის ძალზე მოსახერხებელი გზაა. ზოგჯერ კლასიფიკაციის სქემები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის გამო, რომ ყურადღება მსგავსებათა ან განსხვავებათა სხვადასხვა ასპექტს ექცევა. მაგალითად, კლასიფიკაციის ერთი ტიპი აქცენტს იმ ევოლუციურ შტოებზე აკეთებს, რომლებმაც თანამედროვე პრიმატებამდე მოგვიყვანა; მეორე ტიპი ყურადღებას ერთნაირი თვისებების რაოდენობაზე ამახვილებს; მესამე – ითვალისწინებს ევოლუციურ ხაზებს (გვარებს) ისევე, როგორც დამახასიათებელ ნიშანთა მსგავსება-განსხვავებას. მაგრამ ყველა ამ ნიშანს თანაბარი ღირებულება არა აქვს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკეთ „განვითარებულ“ და სპეციფიკურ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, რომლებიც ევოლუციის პროცესში განვითარდა. სურ. 4-3 გამოსახულია სწორედ ამ უკანასკნელი პრინციპით შედგენილი კლასიფიკაციის სქემა.

მიუხედავად განსხვავებული მეთოდების არსებობისა, პრიმატების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით აზრთა მხოლოდ მცირე სხვადასხვაობა არსებობს. ეს, მეტწილად, როგორც სხვადასხვა პრიმატების შესწავლისას დავინახ-



სურათი 4-3

ამჟამად მცხოვრები პრიმატების გამარტივებული კლასიფიკაცია

ავთ, ეხება ტარსიერებისა და ადამიანების კლასიფიკაციას.

პრიმატების კლასი ხშირად ორ ქვეკლასად იყოფა: ნახევრად მაიმუნები (**Prosimians**) უფრო ზუსტად, მაიმუნის წინაპრები, და **ანთროპოიდები** (Anthropoids). ნახევრად მაიმუნები არიან: ლემური, ლორი და გრძელტერფები. ანთროპოიდების ქვეკლასში შედიან ახალი სამყაროს მაიმუნები, ძველი სამყაროს მაიმუნები, მცირე ზომის ადამიანის მსგავსი მაიმუნები (გიბონები, სიამანგები) და დიდი ზომის ადამიანის მსგავსი მაიმუნები (ორანგუტანგები, გორილები, შიმპანზეები), აგრეთვე — ადამიანები.

სხვადასხვა პრიმატები

პრიმატების საერთო ნიშნების მიმოხილვის შემდეგ ვნახოთ, რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან თანამედროვე პრიმატები.

ნახევრად მაიმუნები

ნახევრადმაიმუნები უფრო მეტად ჰგვანან დანარჩენ ძუძუმწოვრებს, ვიდრე ანთროპოიდი პრიმატები. პირველნი უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი ინფორმაციის მისაღებად ყნოსვაზე, ვიდრე ანთროპოიდები. მათგან განსხვავებით, ნახევრად მაიმუნებს, ჩვეულებრივ, უფრო მოძრავი ყურები, ულვაშები და გრძელი ცხვირი აქვთ, სახის გამომეტყველებაც უფრო სტატიკურია (ნაკლებად ცვალებადი), ახასიათებთ პრიმატებისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც, მათ შორის ჩაჭიდების უნარის მქონე ხელები, სტერეოსკოპული მხედველობა და მხედველობის მოზრდილი ცენტრები ტვინში.

ლემურის მსგავსი ფორმები (ლემურისებრნი) ლემურები და მათი ნათესავები, ინდრი და აი-აი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის მხოლოდ ორ კუნძულზე – მადაგასკარსა და კომოროზე — ბინადრობენ. ამ პრიმატების ზომები თაგვისხელა ლემურიდან 4 ფუტის (122 სმ) სიგრძის ინდრიმდე მერყეობს. ლემურების ჯგუფის წარმომადგენლები, ჩვეულებრივ, ერთ პირმშოს შობენ, თუმცა ამ ჯგუფის ზოგიერთი სახეობისთვის ორი ან სამი ტყუპის დაბადებაც ხშირია. ლემურების ჯგუფის ზოგიერთი სახეობას **კვადროპედური** მოძრაობის უნარი აქვს (ოთხ ფეხზე გადაადგილდება). ისინი ოთხი ფეხით მოძრაობენ როგორც ხეებზე, ისე მიწაზე. ზოგი სახეობა, მაგალითად ინდრი, უკანა ფეხებს საყრდენად და ვერტიკალურად გადასაადგილებლად იყენებს, რასაც **ვერტიკალური ცოცვა** და **ხტომა** ეწოდება. ლემურები მეტწილად ვეგეტარიანელები არიან, ჭამენ ხილს, ფოთლებს, ხის ქერქსა და ყვავილებს. ლემურების სახეობები ზომებით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მრავალი სახეობა, განსაკუთრებით **ღამის** სახეობები, სიფხიზლის საათებში განმარტოებულ ცხოვრებას ეწევიან. დანარჩენი სახეობები უფრო მეტად ცხოვრობენ ჯგუფებად, რომელთაგან ზოგი მცირერიცხოვანია, ზოგის წევრთა რაოდენობა კი სამოცსაც აღწევს. ლემურისებრთა განმასხვავებელი ნიშანია მდედრთა დომინირება, განსაკუთრებით საკვების ხელში ჩაგდებისას. პრიმატების უმრავლესობაში, ისევე, როგორც სხვა ძუძუმწოვრებში, მდედრთა დომინირება იშვიათად შეინიშნება.

ლორის მსგავსი ფორმები (ლორისებრნი) ლორის ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც გვხვდებიან როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ისე საჰარაში (აფრიკა), ღამის ცხოვრებას ეწევიან და ხეებზე ცხოვრობენ. ისინი ხილით, ხის ფისით და მწერებით იკვებებიან. ჩვეულებრივ, შობენ თითო ნაშიერს; იყოფიან ორ მთავარ ქვეჯახად: ლორი და გალაგო. ერთმანეთისგან ქცევით ძალიან განსხვავდებიან. გალაგოები ძალიან სწრაფი და აქტიური ცხოველები არიან. ისინი ხტიან ხეებსა და ხის ტოტებს შორის ვერტიკალური ცოცვისა და ხტომის წესით, მიწაზე კი — კენგურუსებურად. ლორისებრნი ტოტებს შორის ოთხივე ფეხით, ნელა გადაადგილდებიან.

თანამედროვე ტექნიკის დახმარებით, რომელიც ღამე დაკვირვების საშუალებას იძლევა, მეცნიერებმა ბევრი რამ შეიტყვეს ამ ცხოველების შესახებ; მაგალითად, აღმოჩნდა, რომ მდედრი გალაგოები, ყოველთვის პატარა ჯგუფებად იკრიბებიან მაშინ, როდესაც მამრები არემარეში იფანტებიან. ახალდაბადებულ და ჩვილ გალაგოებს ბუდეებში ან ფუღუროებში (რომლებიც შეიძლება საზიარო იყოს მათთან დაკავშირებული მდედრებისთვის) ათავსებენ, სადაც დედები რეგულარულად აკითხავენ და უვლიან მათ. დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ დედას უკვე შეუძლია შვილის პირით გადაყვანა მახლობელ ხეებთან, სადაც მათ ტოვებს მანამ, სანამ თვითონ იკვებება.

გრძელტერფები ღამის ცხოვრების ნირის მქონე, ხეზე მცხოვრები პრიმატები, ამჟამად მხოლოდ ფილიპინებსა და ინდონეზიაში გვხვდებიან. პრიმატებიდან მარტო ისინი იკვებებიან ცხოველური საკვებით. ჩვეულებრივ — მწერებს, ხოლო ზოგჯერ პატარა ცხოველებსაც იჭერენ და მიირთმევენ. მათი მხედველობის სისტემა ღამის ხედვისთვის შესაფერისად არის მოწყობილი: უზარმაზარი თვალები არაჩვეულებრივი მხედველობით გამოირჩევა, ხოლო ტვინი დიდი მოცულობისაა, განვითარებული მხედველობის ცენტრებით.

გრძელტერფებმა ეს სახელი გრძელი წინატერფის (tarsus) გამო მიიღეს, რომელიც გრძელი ნახტომის შესრულების დროს ბერკეტის როლს ასრულებს. გრძელტერფები ძალიან დახელოვნებულნი არიან ვერტიკალურ ცოცვასა და ხტომაში. ისინი ოჯახურ ჯგუფებად ცხოვრობენ, რომელიც გამრავლებაში მონაწილე წყვილისა და მათი ნაშიერისგან შედგება. ისევე, როგორც უმაღლესი პრიმატები, მამრი და მდედრი გრძელტერფა ყოველ საღამოს ერთად გამოსცემენ გარკვეულ ხმამაღალ ბგერებს (მღერიან) თავიანთი ტერიტორიის შემოსასაზღვრად.

დედა ლემური და მასზე მიკრული ნაშიერი. ამგვარი ნახევრად მაიმუნები უფრო მეტად არიან დამოკიდებული ყნოსვაზე, ვიდრე ანთროპოიდები. ნახევრად მაიმუნებს აქვთ აგრეთვე მოძრავი ყურები, ულვაშები, გრძელი დრუნჩი და სახის სტატიკური (უცვლელი, უმოძრაო) გამომეტყველება..

გრძელტერფების კლასიფიკაცია ძალზე საკამათო საკითხია. იმის ნაცვლად, რომ ჩვენსავით ნახევრადმაიმუნებს მიაკუთვნონ, ზოგი მეცნიერი მათ ანთროპოიდების ჯგუფში ათავსებს. კლასიფიკაციის ამ მეორე სქემაში პრიმატების ქვერიგებს ჰქვიათ strepsirhines (რომელშიც შედიან ლემურები და ლორები) და haplorhines (რომელშიც შედიან გრძელტერფები და ანთროპოიდები). გრძელტერფებს ქრომოსომების ისეთივე ნაკრები აქვთ, როგორიც სხვა ნახევრადმაიმუნებს; თითებზე მათ აქვთ კლანჭები, ბეწვის მოსავლელად, მკერდზე ორ დვრილზე მეტი აქვთ, ხოლო მათი საშვილოსნო ისეთივე ფორმისაა, როგორც ნახევრად მაიმუნების (ორრქიანი). ისევე, როგორც გალაგოები, გტძელტერფები ვერტიკალურად ცოცავენ და ხტიან. სხვა დანარჩენით გრძელტერფები უფრო მეტად ანთროპოიდებს ემსგავსებიან. ისინი ნაკლებად არიან დამოკიდებულნი ყნოსვაზე და არა მარტო პატარა ცხვირები აქვთ, არამედ მათ ძაღლის მსგავს დრუნჩებს სისველეც აკლიათ. ანთროპოიდების მსგავსად, თვალები უფრო ახლო-ახლო აქვთ განლაგებული და ძვლოვანი ბუდეებით დაცული. გრძელტერფებს, ანთროპოიდების მსგავსად, აქვთ პლაცენტა, რომელიც დედისა და ნაყოფის სისხლს ერთმანეთთან აკავშირებს.

ანთროპოიდები

ანთროპოიდების ქვერიგი მოიცავს ადამიანებს, ადამიანის მსგავს მაიმუნებსა და მაიმუნებს. ანთროპოიდების უმეტესობას აქვს რამდენიმე, მეტ-ნაკლებად განვითარებული მსგავსი ნიშან-თვისებება: მომრგვალებული ფორმის ტვინის კოლოფი, პატარა, უძრავი ყურები და შედარებით პატარა, ბრტყელი სახეები დრუნჩების ნაცვლად. მათი რეპროდუქციული (გამრავლების) სისტემა მეტად ეფექტურია, აქვთ ძალზე მოქნილი ხელები. ანთროპოიდთა ქვერიგი ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: **platyrrhines** (ახალი სამყაროს მაიმუნები ანუ ბრტყელცხვირა მაიმუნები) და **catarrhines** (ძველი სამყაროს მაიმუნები ანუ ვიწროცხვირა მაიმუნები) (იხ. სურ. 4-4). ამ ჯგუფების სახელები მათი ცხვირის ფორმასთან არის დაკავშირებული, მაგრამ როგორც შემდგომ დავინახავთ, მათ სხვა განმასხვავებელი ნიშნებიც ახასიათებთ. ბრტყელცხვირა მაიმუნებს აქვთ ფართო, ბრტყელძგიდიანი ცხვირი გარეთ მიმართული ნესტოებით. ეს მაიმუნები მხოლოდ ახალ სამყაროში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ბინადრობენ. ვიწროცხვირებს კი ვიწრო ცხვირი და ქვემოთ მიმართული ნესტოები აქვთ. ვიწროცხვირა მაიმუნებს მიეკუთვნებიან ძველი სამყაროს მაიმუნები (რომლებიც აფრიკაში, აზიასა და ევროპაში ბინადრობენ), აგრეთვე ადამიანის მსგავსი მაიმუნები და ადამიანები.

ახალი სამყაროს მაიმუნები ცხვირისა და ნესტოების ფორმის გარდა, ახალი სამყაროს მაიმუნებს ვიწროცხვირა ანთროპოიდებისგან სხვა ანატომიური ნიშნებიც განასხვავებს. ახალი სამყაროს სახეობებს აქვთ სამი წინა საღეჭი კბილი (პრემოლარი), ძველი სამყაროს სახეობებს კი — ორი. ახალი სამყაროს ზოგიერთ სახეობას აქვს ძალზე მოქნილი (მოსაჭიდებელი) კუდი, ძველი სამყაროსას კი — არა.

ახალი სამყაროს მაიმუნები მთლიანად ხეზე მცხოვრებთ მიეკუთვნებიან. ისინი ერთმანეთისგან ჯგუფის ზომებით და კვების თავისებურებებით განსხვავდებიან. შეექცევიან სხვადასხვა მწერებს, ნექტარს და ხილისა და ფოთლების წვენს.

ახალი სამყაროს მაიმუნები ტრადიციულად ორ ძირითად ოჯახად იყოფიან. ერთი ოჯახი, callitrichidae მარმოზეტებსა და ტამარინებს აერთიანებს; მეორე ოჯახი, cebidae კი ახალი სამყაროს მაიმუნების ყველა დანარჩენ



სურათი 4-4

ბრტყელცხვირა და ვიწროცხვირა მაიმუნების დამახასიათებელი ნიშნები

გალაგო მცირე ზომის ხის ნახევრად მაიმუნია, რომელიც ხილით და მწერებით იკვებება. ეს ენერგიული ღამის ცხოველი ვერტიკალური ცოცვითა და ხტომით გადაადგილდება.

სახეობას. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები ასეთი დაყოფის გამო პრობლემებსაც აწყდებიან, მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი სამყაროს მაიმუნებზე საერთო წარმოდგენის შესაქმნელად. კალიტრიქიდები ძალიან მცირე ზომისანი არიან, ფრჩხილების ნაცვლად აქვთ ბრჭყალები და შობენ ტყუპებს, რომლებიც ზრდასრულები დაახლოებით ორ წლისთვის ხდებიან. იმის გამო, რომ ტყუპების დაბადება, ჩვეულებრივ, ხშირია და ნაშიერების ტარება მხოლოდ დედას არ შეუძლია, მამები და უფროსი და-ძმა ხშირად ეხმარებიან მას. მამრებს უკეთ შეუძლიათ

ფილიპინების ბინადარი ხეზე მცხოვრები ღამის გრძელერტერფა პრიმატების იმ ერთადერთ სახეობას მიეკუთვნება, რომელიც მხოლოდ ცხოველური საკვებით იკვებება. მისი უზარმაზარი თვალები ისეა მოწყობილი, რომ ადვილად შეუძლია სიბნელეში მწერებისა და სხვა მსხვერპლის დანახვა. დიდი ზომის ტერფის ძვლები ხელს უწყობს ვერტიკალურ ცოცვასა და ხტომაში.

ბავშვის ტარება, ვიდრე მდედრებს. კალიტრიქიდებს ახასიათებთ როგორც მონოგამია (წყვილი იქმნება ხანგრძლივი პერიოდის ან მთელი ცხოვრების განმავლობაში), ისე პოლიანდრია (ერთი მდედრი ერთზე მეტ მამრს უწყვილდება). კალიტრიქიდები ჭამენ ბევრ ხილს და ხის წვენს, მაგრამ ბევრი ძალიან პატარა ზომის პრიმატის მსგავსად, ცილის მოთხოვნილებას მწერების ჭამით იკმაყოფილებენ.

ცებიდები, უფრო ხშირად ზომით კალიტრიქიდებს აღემატებიან, მათზე თითქმის ორჯერ მეტი დრო სჭირდებათ გასაზრდელად და ერთდროულად მხოლოდ ერთი ნაშიერის გაჩენა შეუძლიათ. ცებიდები ძალიან განსხვავდებიან ზომებით, ჯგუფის შემადგენლობითა და საკვებით. მაგალითად, ციყვისებური მაიმუნები 2 გირვანქამდე (900 გრ.) იწონიან, ხოლო ობობისმაგვარი მაიმუნების წონა 16 გირვანქას (7კგ-მდე.) აღემატება. ოჯახის ზოგი წარმომადგენელი პატარა ჯგუფებად ცხოვრობს, რომლებიც მხოლოდ მდედრისა და მამრისგან შედგება, ზოგში კი 50 ინდივიდამდეა გაერთიანებული. ყველაზე მცირე ზომის ცებიდების ზოგიერთი სახეობა იკვებება ფოთლებით, მწერებითა და ყვავილებით, სხვები უფრო ხილს ეტანებიან და ნაკლებად თესლებს, ფოთლებსა და მწერებს.

ძველი სამყაროს მაიმუნები ძველი სამყაროს მაიმუნები ანუ ცერკოპიტეკოიდები (**cercopithecoidea**) უფრო ახლოს არიან ადამიანებთან, ვიდრე ახალი სამყაროს მაიმუნები. მათ აქვთ კბილების იგივე რაოდენობა, რაც ადამიანის მსგავს მაიმუნებსა და ადამიანებს. ძველი სამყაროს მაიმუნები არ არიან ისეთი მრავალფეროვანნი, როგორიც მათი ახალი სამყაროს ნათესავები, მაგრამ მრავალფეროვანია მათი საარსებო გარემო: ზოგი როგორც ხეებზე, ასევე **მიწაზე** ცხოვრობს, სხვები კი, მაგალითად ბაბუინი გელადა, მხოლოდ მიწაზე ცხოვრობენ. მაკაკები ცხოვრობენ ჯუნგლებშიც და თოვლით დაფარულ მთებზეც. ისინი გავრცელებულნი არიან გიბრალტარიდან აფრიკის, ჩრდილო ინდოეთის, პაკისტანის და იაპონიის ჩათვლით. ძველი სამყაროს მაიმუნები ორ ძირითად ქვეოჯახად იყოფიან:

ქვეოჯახი Colobinae. ამ ჯგუფში შედიან აზიური ლანგურები, აფრიკული მაიმუნები – კოლობუსები და სხვა რამდენიმე სახეობა. ეს მაიმუნები, ძირითადად, ხეებზე ბინადრობენ და ფოთლებითა და თესლებით იკვებებიან. მათი საჭმლის მომნელებელი სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ცელულოზის მაღალი შემცველობის საკვებიდან რაც შეიძლება მეტი საჭირო ნივთიერება მიიღონ. აქვთ დიდი, ტომრისებური კუჭები მცენარეული საკვების გადასამუშავებლად და გრძელი და კარგად დიფერენცირებული ნაწლავები.

Colobinae-ს ყველაზე შესამჩნევი დამახასიათებელი ნიშანია ახალდაბადებულ ნაშიერთა კაშკაშა ფერები. მაგალითად, ერთი სახეობის Colobinae- ს რუხი ფერის დედებს კაშკაშა ნარინჯისფერი ახალშობილები უჩნდებათ. როგორც დაკვირვების შემდეგ აღმოჩნდა, კოლობინები სხვა პრიმატებისგან იმითაც განსხვავდებიან, რომ ადამიანების მსგავსად უფლებას აძლევენ ჯგუფის სხვა წევრებს დაბადებიდან მალევე იზრუნონ მათ ნაშიერებზე. ის მამრები, რომლებიც ახალშობილების ჯგუფის წევრები არ არიან, მათთვის საფრთხეს წარმოადგენენ. ასეთი მამრები, რომლებიც ცდილობენ ჯგუფში შეაღწიონ, შემჩნეულნი არიან ახალშობილების მკვლელობაში. მართალია, ამ აღწერილობის შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ ჯგუფებში ერთი სქესმწიფე მამრია, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ასე არაა. როდესაც ეს სახეობა სხვადასხვა ტერიტორიაზე შეისწავლეს, აღმოაჩინეს როგორც ერთმამრიანი, ისე რამდენიმემამრიანი ჯგუფები. ქვეოჯახი Cercopithecinae

ქვეოჯახი Cercopithecinae მოიცავს მიწაზე მოსიარულე სახეობათა მეტ რაოდენობას, ვიდრე ძველი სამყაროს მაიმუნთა რომელიმე სხვა ოჯახი. ამ სახეობათა უმრავლესობისთვის დამახასიათებელია **სქესობრივი დიმორფიზმი**, რაც ნიშნავს, რომ საწინააღმდეგო სქესთა

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

სამუშაოს მკვლევარი: კეტრინ მილტონი

კეტრინ მილტონი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ბერკლიში, დიდად არის დაინტერესებული მაიმუნების შესწავლით. მიზნის მისაღწევად მას დიდი ხნის მუშაობა დასჭირდა. კეტრინ მილტონი დაიბადა ალაბამაში, სასწავლებლად კი ვირჯინიაში, სუიტ ბრიარის კოლეჯში შევიდა. ის ინგლისური ენის სპეციალობაზე სწავლობდა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის დიპლომიც აიოვას უნივერსიტეტში ამ განხრით მიიღო. მოგვიანებით, არგენტინაში ცხოვრებისას იგი მიხვდა, რომ ცხოველების, განსაკუთრებით კი პრიმატების ქცევით იყო დაინტერესებული.

ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის წოდების მიღების შემდეგ დისერტაციისთვის, რომლის თემაც იყო პანამის ღრიალა მაიმუნების „მეურნეობა“, ბედმა გაუღიმა და მოახერხა, შეესწავლა ობობისმაგვარი ხშირბეწვა მაიმუნი – მაიმუნების ნაკლებად ცნობილი სახეობა, რომელიც ბრაზილიის სამხრეთ-აღმოსავლეთში ბინადრობს და გაქრობა ემუქრება. იმის გამო, რომ ამ მაიმუნების შესახებ ძალზე ცოტა რამ იყო ცნობილი, მეცნიერმა მათი კვებისა და ქცევის შესწავლა დაიწყო. ობობისმაგვარი ხშირბეწვა მაიმუნები ჰგვანან ობობისმაგვარ მაიმუნებს, ამიტომ ფიქრობდნენ, რომ ისინიც ხილით იკვებებოდნენ. მაგრამ მილტონმა ერთწლიანი სისტემატური დაკვირვების შედეგად აღმოაჩინა ამ შეხედულების მცდარობა. მან თქვა, რომ „ჯერ არავის დაუკავშირებია ტყვეობაში მყოფი ობობისმაგვარი ხშირბეწვა მაიმუნების სიცოცხლის შედარებით მოკლე პერიოდი მათ არასწორ კვებასთან. ზოოპარკებო! ყურადღებით მისმინეთ! თუ ოდესმე წილად გხვდებათ ერთი ან ორი ობობისმაგვარი ხშირბეწვა მაიმუნის ყოლის ბედნიერება, აუცილებლად ფოთლებით მდიდარი საკვები აჭამეთ და არა მწიფე და ტკბილი ხილი“.

მილტონის კვლევის დიდი ნაწილი მიეძღვნა სნორი კვების მნიშვნელობას როგორც ადამიანების, ისე სხვა პრიმატების ჯანმრთელობისათვის. ხილის მჭამელ პრიმატებთან შედარებით, ფოთლისმჭამელები უფრო დიდი ზომისანი არიან, ნაკლები ფართობი სჭირდებათ საკვების მოსაძებნად და შედარებით პატარა ზომის ტვინი აქვთ. რატომ? მილტონის ვარაუდით, მიუხედავად ენერგიის მეტი დანახარჯისა, რასაც უფრო დიდი ზომის ტვინი მოითხოვს, გაფანტული მაღალი ხარისხის საკვების (მაგალითად, ხილის, რომელიც უფრო მაღალკალორიულია, ვიდრე ფოთლები) ადგილმდებარეობის დამახსოვრებამ ასეთი პრიმატების ტვინის უკეთესი განვითარება გამოიწვია.

წარმომადგენლები ძალზე განსხვავებულად გამოიყურებიან. მამრები ზომით უფრო დიდები არიან, აქვთ უფრო გრძელი ეშვები და მეტი აგრესიულობით გამოირჩევიან, ვიდრე მდედრები. Cercopithecinae –ს წარმომადგენლები მეტად ეტანებიან ხილს, ვიდრე Colobinae-ბი ამასთან, უკეთ ეგუებიან ურწყავ მშრალ გარემოს და სეზონურ ცვლილებებს. ლოყის შიგნით არსებული ჯიბეები საშუალებას აძლევს მათ, საკვები შემდგომი ჭამისა და მონელებისათვის შეინახონ. ამ მაიმუნებისათვის დამახასიათებელი უჩვეულო ფიზიკური ნიშანია შესქელებული და გაუხეშებული კანი საჯდომზე, საჯდომი კოჟრები, რაც მათ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხეებზე ან მიწაზე მოხერხებულად ჯდომის საშუალებას აძლევს.

ბაბუინებისა და მაკაკების შესწავლამ გამოავლინა, რომ მათი ჯგუფის ან გუნდის ბირთვს ერთმანეთთან მონათესავე მდედრები წარმოადგენს. დიდ ჯგუფებში, როგორიც, ჩვეულებრივ, მამაკა რეზუსებს ახასიათებთ, სოციალური ქცევის მრავალი ფორმა ბიოლოგიური ნათესაობის ხარისხით განისაზღვრება. მაგალითად, ინდივიდი ახლოს უჯდება, ბალანს უსუფთავებს და ეხმარება სხვა ინდივიდს, რომელიც მასთან ახლო ნათესაურ კავშირშია დედის მხრიდან. უფრო მეტიც, დიდი ჯგუფების დაყოფისას მონათესავე ქვეჯგუფი ცალკე გამოიყოფა ხოლმე.

ზეოჯახი Hominoidea : ადამიანის მსგავსი მაიმუნები და ადამიანები

ჰომინოიდების ჯგუფი სამი ოჯახისგან შედგება: მცირე ზომის ადამიანის მსგავსი მაიმუნები ანუ ოჯ. **hylobatidae** (გიბონები და სიამანგები), დიდი, ადამიანის მსგავსი მაიმუნები, **pongidae** (ორანგუტანგები, გორილები და შიმპანზეები) და ადამიანები, ანუ **hominidae**. ჰომინოიდებს სხვა დანარჩენი პრიმატებისგან რამდენიმე ნიშანი განასხვავებს.

მათი ტვინი, განსაკუთრებით კი ტვინის ქერქის ის ნაწილები, რომლებიც მონაცემების ინტეგრირებას უკავშირდება, შედარებით დიდი მოცულობისაა. ყველა ჰომინოიდს აქვს გრძელი ხელები, მოკლე, ფართო სხეული და არ გააჩნია კუდი. ჰომინოიდების მაჯის, იდაყვისა და მხრის სახსრები ბევრად უფრო მოძრავია, ვიდრე სხვა პრიმატებისა, ხელებიც უფრო გრძელი და ღონიერი აქვთ.

ჩონჩხის ეს დამახასიათებელი ნიშნები, როგორც ჩანს, ჰომინოიდების ხელებზე ჩამოკიდებით გადაადგილების უნიკალურ უნართან ერთად ვითარდებოდა. სხვა ანთროპოიდებისგან განსხვავებით, რომლებიც მიწის ზედაპირზე ან ხეების ტოტებზე ოთხი ფეხით გადაადგილდებიან, ჰომინოიდები ხშირად ხის ტოტებზე ეკიდებიან ან ქანაობენ და ხელების მონაცვლეობით გადადიან ტოტიდან ტოტზე.

ჩამოკიდებული გადაადგილების მსგავსი ვერტიკალური პოზა მიწაზე გადაადგილების დროსაც გამოიყენება. ყველა ჰომინიდი, დროდადრო მაინც, ორ ფეხზე მოძრაობს, რაზეც უფრო დეტალურად პირველი ჰომინიდებისთვის მიძღვნილ თავებში შევჩერდებით.

ჰომინოიდების კბილების წყობას რამდენიმე განსაკუთრებული ნიშანი ახასიათებს (იხ. სურ 4-5). სხვა ანთროპოიდებთან შედარებით მათი საღეჭი (ძირითადი) კბილები ბრტყელი და მომრგვალებულია, ხოლო მათ ქვედა საღეჭ კბილებს აქვს ე.წ. **„Y-5“ ფორმა**, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ქვედა საღეჭი კბილების გვირგვინებს გააჩნია ფორმის ღარი, რომელიც ლოყისკენ არის მიმართული და მათ შორისაც ლოყის ნაწილი თავსდება. სხვა ანთროპოიდებს აქვთ **ბილოფოდონტური** კბილები ანუ მათ საღეჭ კბილებს აქვთ ორი მაღალი, გრძელი „ქედი“, რომლებიც მსხვილი ნაწილებისგან შედგება და ლოყების

ციყვისებური მაიმუნი, სხვა Plathyrrhinae-ს მსგავსად, თითქმის არასდროს ჩამოდის ხიდან. ის კარგად არის შეგუებული ხეზე ცხოვრებას; მიაქციეთ ყურადღება, როგორ იყენებს ორივე ხელს და ფეხს ხის ტოტებზე ჩასაჭიდებლად.

კენიაში მცხოვრები ბაბუინების ჯგუფი დროის უმეტეს ნაწილს მიწაზე ატარებს.

პარალელურად არის განლაგებული. ადამიანის გარდა, ყველა ჰომინოიდს აქვს გრძელი ეშვები, რომლებიც სხვა კბილებზე გრძელია და ამიტომ ქვედა ყბაზე არის შესაბამისი სივრცე (**დიასტემა**), რომელშიც ეშვი თავსდება, როდესაც პირი დახურულია. ზედა ეშვისა და ქვედა მესამე საღეჭი კბილის (პრემოლარის) კონტაქტი ქმნის სამართებელივით მჭრელ ეფექტს, ნაწილობრივ წინა საღეჭი კბილის წყალობით, რომელიც წაგრძელებული ფორმას იღებს, რათა ეშვი უკეთ მოთავსდეს. კბილების ამგვარი წყობა ჰომინოიდების საკვების თავისებურებით არის განპირობებული. ისინი იკვებებიან ბოჭკოვანი მცენარეებით, რომელთა დაღეჭვა შესაძლებელია მჭრელი ეშვებისა და გრძელი წინა საღეჭი კბილების საშუალებით, ასევე რბილი

ბეწვის გასუფთავება ძველი სამყაროს პრიმატებისთვის მნიშვნელოვანი საქმიანობაა. სურათზე ორი მაკაკა ერთმანეთს ბეწვს უსუფთავებს.

ამ ლანგურს, სხვა Catarrhinae-ის მსგავსად, აქვს შედარებით ვიწრო ცხვირი ქვეოჯახის სახეობის აზიელი წარმომადგენლები არიან და ძირითადად ფოთლებით იკვებებიან.



სურათი 4-5

განსხვავება ძველი სამყაროს მაიმუნისა (მარცხნივ) და ადამიანის მსგავსი მაიმუნის (მარჯვნივ) კბილების აგებულებას შორის. ძველი სამყაროს მაიმუნების ქვედა საღეჭი კბილების გვირგვინები ორ პარალელურ „ქედს“ ქმნის; ადამიანის მსგავს მაიმუნებში ხუთი გვირგვინი ქმნის Y-ის მსგავს ფორმას. ადამიანის მსგავს მაიმუნებს ქვედა ეშვსა და პირველ საღეჭ კბილს (ცრუ ძირითად კბილს) შორის აქვთ ნაპრალი, რომელსაც დიასტემა ეწოდება.

ხილით, რომლებიც განიერი და ბრტყელი საღეჭი კბილებით მოხერხებულად იღეჭება. ჰომინოიდების ჩონჩხებისა და კბილების საერთო დამახასიათებელი ნიშნები ცხადყოფს, რომ მათ საერთო წინაპარი ჰყავდათ. მრავალი მსგავსება არსებობს მათი სისხლის შემადგენელ ცილებშიც. სისხლის გარკვეული მახასიათებლების მსგავსება განსაკუთრებით იგრძნობა შიმპანზეებს, გორილებსა და ადამიანებს შორის. სწორედ ამიტომ აყენებენ პრიმატოლოგები შიმპანზეებსა და გორილებს ადამიანებთან ევოლუციურად უფრო ახლოს, ვიდრე უფრო მცირე ზომის ადამიანის მსგავს მაიმუნებს და ორანგუტანგებს და ფიქრობენ, რომ მათი შტო უფრო ადრე დაშორდა ადამიანებისას. შემდეგ თავში განვიხილავთ განამარხებულ მასალას, რომელიც ორანგუტანგების ადრეულ გამოყოფას ამტკიცებს.

გიბონები და სიამანგები სწრაფი გიბონები და მათი ახლო ნათესავები სიამანგები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ჯუნგლებში ცხოვრობენ. გიბონები მცირე ზომისანი არიან და დაახლოებით 11-15 გირვანქას (4 994 გრ – 6 810 გრ) იწონიან. არც უფრო მოზრდილი სიამანგები იწონიან 25 გირვანქაზე (11 350 გრ) მეტს. ორივე სახეობა, ძირითადად, ხილით იკვებება, თუმცა, ფოთლებსა და მწერებსაც მიირთმევენ. ისინი ხელების საშუალებით გადაადგილდებიან: გრძელი ხელები და თითები საშუალებას აძლევს მათ ჩამოკიდებულები, ხელების მონაცვლეობით გადავიდნენ ტოტიდან ტოტზე. გიბონს ერთი გაქანებით 30 ფუტის დაფარვა შეუძლია.

გიბონები და სიამანგები მომცრო ოჯახურ ჯგუფებად ცხოვრობენ, რომლებიც ერთი ზრდასრული წყვილისგან და ერთი ან ორი ახალგაზრდა ნაშიერისგან შედგება. მას შემდეგ, რაც ნაშიერები გაიზრდებიან, უფროსები მათ სახლიდან აგდებენ. ამ სახეობებს უმნიშვნელო სქესობრივი დიმორფიზმი ახასიათებთ: მამრები და მდედრები დიდად არ განსხვავდებიან ზომით ან გარეგნობით, მათ შორის სქესის მიხედვით დომინირებაც არ შეიმჩნევა. მცირე ზომის ადამიანის მსგავსი მაიმუნებიც დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთ ტერიტორიას; მოზრდილი წყვილი თავის ადგილზე უფლებას განსაკუთრებული ბგერებით — „სიმღერით“ იმკვიდრებს და მიტაცებისგან იცავს მას.

ორანგუტანგები ორანგუტანგები მხოლოდ ბორნეოსა და სუმატრის კუნძულებზე შემორჩნენ. გიბონებისა და სიამანგებისგან განსხვავებით, მათ შორის მდედრებისა და მამრების გამორჩევა ადვილია. მამრები მდედრებზე არა მარტო ორჯერ მეტს იწონიან (200 გირვანქამდე (90800გრ) არამედ მათ ახასიათებთ ლოყის დიდი ბალიშები, ყელის პარკი, წვერი და გრძელი თმა. გიბონებისა და სიამანგების მსგავსად, ორანგუტანები ხილის მჭამელი და ხეზე მცხოვრები ცხოველები არიან. ხეზე მცხოვრებ პრიმატებს შორის ისინი ყველაზე მეტს იწონიან და ალბათ, სწორედ ამის გამო ხეებზე ნელა და დინჯად გადაადგილდებიან. ორანგუტანები უმაღლესი პრიმატებისგან იმით განსხვავდებიან, რომ დედების გარდა (რომლებიც თავიანთ ნაშიერებთან ერთად არიან), სხვა უფროსები მეტ დროს განმარტოებით ატარებენ. თუმცა, ზოგმა მკვლევარმა ჯგუფური ურთიერთობის მაგალითებიც ნახა. ორანგუტანგების ერთი საველე კვლევის დროს ნახეს, როგორ იკვებებოდა ათიოდე მოზრდილი ორანგუტანგი ერთდროულად ერთ ხეზე. როდესაც მეცნიერებმა შეაჯამეს ორანგუტანგების ქცევის შესახებ კვლევის შედეგები, აღმოჩნდა, რომ არსებობდა რეგიონული განსხვავებანი, რაც ორანგუტანგთა განსხვავებული ლოკალური კულტურების არსებობაზე მიუთითებდა. კულტურული სხ-

თეთრხელა გიბონი ავლენს თავის ბრაქიატორულ შესაძლებლობას.

ვაობები სხვადასხვა ჯგუფების არსებობის გარეშე ვერ ჩამოყალიბდებოდა.

ბორნეოს მთიან რეგიონებში მცხოვრებ ორანგუტანგთა ცხოვრების განმარტოებული წესის შესახებ მეცნიერთა შორის განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ერთი მოსაზრების მიხედვით, შეიძლება ერთ ხეზე ან ერთი საცხოვრებელი ადგილის გარშემო საკმარისი საზრდო არ ყოფილიყო ერთზე მეტი ორანგუტანგისთვის, რომელიც საკმაოდ მოზრდილი ცხოველია. ყოველდღიურად, თანაც შორს წაუსვლელად საკმარისი საკვების მოსაპოვებლად, ორანგუტანგებს, ალბათ, უფრო განმარტოებული ცხოვრება ერჩივნათ. სხვების აზრით, ცხოველები ჯგუფად მტაცებელთაგან თავის დასაცავად ცხოვრობენ, ხოლო ორანგუტანგებს დიდი ზომა ამ საშიშროებისგან იცავს. ამდენად, განმარტოებული ცხოვრება გამართლებული იქნებოდა. მესამე მოსაზრებით განმარტოებული ცხოვრება შეიძლებოდა ადამიანის მხრიდან მტაცებლობის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული. თოფით შეიარღებულ ადამიანთა წინააღმდეგ თავდაცვის საუკეთესო საშუალება ხეებში მარტოდმარტო დამალვაა.

გორილები გორილები ეკვატორული აფრიკის დასავლეთ ნაწილის დაბლობებსა და კონგოს, უგანდისა და რუანდის მთიან რეგიონებში ბინადრობენ. ადამიანის მსგავსი სხვა მაიმუნებისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად ხილით იკვებებიან, გორილების საკვებს უფრო მეტად მცენარეთა სხვადასხვა ნაწილი შეადგენს: ღეროები, ყლორტები (ბამბუკის), რბილობი, ფოთლები, ფესვები და ყვავილები. სხვადასხვა პოპულაცია ხილის სხვადასხვა რაოდენობას ჭამს. ზოგიერთი ხილით იშვიათად იკვებება, სხვებისთვის კი ხილი საკვების ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ჩვენამდე მოღწეულ ადამიანის მსგავს მაიმუნთა შორის, გორილა უდიდესია. ზრდასრული მამრების წონა ბუნებრივ პირობებში 450 გირვანქას (204 კგ) აღწევს, მდედრებისა კი 250 გირვანქას (114 კგ). მასიური გულმკერდის წონის გასანეიტრალებლად, გორილები მიწაზე ძირითადად ოთხი ფეხით გადაადგილდებიან და ხელის თითების შუა ფალანგებს ეყრდნობიან, რომლებზეც ტყავი გასქელებული აქვთ. გადაადგილების ასეთ წესს სახსრებზე დაყრდნობით სიარული (**knuckle walking)** ეწოდება. გორილების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ხელები და ფეხები კარგადაა შეგუებული ცოცვას. ზრდასრული გორილების მძიმე სხეულისთვის ცოცვა საკმაოდ სახიფათოა. მათ სძინავთ მიწაზე მოწყობილ აბაზანის მსგავს ბუდეებში, რომლებსაც ყოველი დაძინების წინ უნაყოფო მცენარეებისგან იწყობენ.

გორილები ჯგუფებად ცხოვრობენ, რომლებიც წინამძღოლი მამრებისგან (ვერცხლზურგა მამრები), დანარჩენი ზრდასრული მამრებისგან, ზრდასრული მდედრისა და ნაშიერთაგან შედგება. მომწიფების ასაკში შესვლის შემდეგ როგორც მამრი, ისე მდედრი გორილები ტოვებენ მშობლიურ ჯგუფებს და სხვა ჯგუფებს უერთდებიან. წინამძღოლი მამრი ყურადღების ცენტრშია, ჯგუფის მთავარი დამცველის როლს ასრულებს და შემდგომი გადაადგილების მიმართულებას ერთპიროვნულად ირჩევს.

შიმპანზეები შეიძლება თავიანთი კომუნიკაბელური ხასიათის ან იმის გამო, რომ მათი ნახვა შედარებით უფრო ადვილია, შიმპანზეები უკეთ არიან შესწავლილი, ვიდრე გორილები. ისინი აფრიკის ტყიან რეგიონებში ცხოვრობენ, დაწყებული სიერა ლეონედან, დასავლეთით და ტანზანიამდე – აღმოსავლეთით.

არსებობს შიმპანზეების ორი განსხვავებული სახეობა: ჩვეულებრივი შიმპანზე – (Pan troglodytes) და ბონობო ანუ ჯუჯა შიმპანზე – (Pan paniscus). მიუხედავად მრავალი საერთო თვისებისა (1929 წლამდე მათ ვერ ასხვავებდნენ), მათ შორის არსებობს უამრავი განსხვავება. მაგალითად, ბონობოები უფრო მომცრო ზომის არიან, ვიდრე ჩვეულებრივი შიმპანზეები, მათ უფრო გრძელი კიდურები და თითები, უფრო პატარა თავები, მუქი სახეები და შუაზე

ახალგაზრდა გორილა, რომელიც დადის სახსრებზე დაყრდნობით, უკანა ფეხები ბრტყლად არის მიწაზე და მხოლოდ „ხელების“ სახსრები ეხება მიწას.

გაყოფილი თმა აქვთ. ჩვეულებრივი შიმპანზეებისგან განსხვავებით, კბილებისა და ჩონჩხის სტრუქტურაში სქესობრივი დიმორფიზმი არ ახასიათებთ. მეტი განსხვავება მათ სოციალურ ქცევებს შორის არსებობს. ბონობოები უფრო კონტაქტურები არიან, ვიდრე ჩვეულებრივი შიმპანზეები და ჯგუფებიც უფრო სტაბილურია. ისინი უპირატესად მდედრების ირგვლივ არიან გაერთიანებულნი. სოციალურ ქცევებს შორის არსებულმა ამგვარმა სხვაობებმა ზოგიერთ მეცნიერს აფიქრებინა, რომ ბონობოები მეტად ენათესავებიან ადამიანს, ვიდრე ჩვეულებრივი შიმპანზეები. თუმცა ამ მოსაზრებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს.

მართალია, შიმპანზეები ძირითადად ხილის მჭამელები არიან, მათ ბევრი საერთო აქვთ თავიანთ ახლო ნათესავებთან – გორილებთან. ორივე სახეობა ხეზეც და მიწაზეც ერთნაირად ცხოვრობს. გორილების მსგავსად, ისინიც კარგად ცოცავენ, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში და ხეებზე მრავალ საათს ატარებენ, თუმცა, მიწაზე უკეთ დადიან. დიდი მანძილის დასაფარად მიწაზე ჩამოდიან და სახსრებზე დაყრდნობილნი სწრაფად გადაადგილდებიან, დროდადრო ნელში იმართებიან და გამართული აგრძელებენ სიარულს. ეს უპირატესად მაშინ ხდება, როდესაც მაღალი ბალახი მხედველობას ხელს უშლის, მათ კი შორს გახედვა უნდათ. შიმპანზეებს სძინავთ ხეზე მოწყობილ ბუდეებში, რომლებსაც ყოველი დაძინების წინ აშენებენ, ხოლო ბალიშად მოგლეჯილი ფოთლების ბღუჯებს იყენებენ.

შიმპანზეებს (ბონობოების ჩათვლით) სქესობრივი დიმორფიზმი ნაკლებად ახასიათებთ, ვიდრე სხვა, დიდი

ზომის ადამიანის მსგავს მაიმუნებს. მამრების წონა, საშუალოდ, 100 გირვანქას (45კგ) შეადგენს, მდედრებისა კი — ცოტა ნაკლებს, მაგრამ მამრებს უფრო გრძელი ეშვები აქვთ.

ერთხანს ეგონათ, რომ შიმპანზეები მხოლოდ მცენარეული საკვებით იკვებებოდნენ. მართალია, მათი საკვები ძირითადად ვეგეტარიანულია, მეგრამ ჩვეულებრივი შიმპანზეების რაციონის მნიშვნელოვან ნაწილს ხორცი შეადგენს. გომბეს პარკში (ტანზანია) ჩატარებული ოცდაათწლიანი დაკვირვების და სხვაგან ჩატარებული გამოკვლევების შემდეგ, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჩვეულებრივი შიმპანზეები არა მარტო მწერებს, პატარა ხვლიკებს და ფრინველებს ჭამენ, არამედ უფრო დიდ ცხოველებზეც ნადირობენ. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ მცირე ზომის ცხოველების გარდა, ისინი ნადირობენ და ჭამენ მაიმუნებს, ახალგაზრდა ბაბუინებს და ბუშბოკებს (ტყის ანტილოპა).

გომბეს პარკში დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ წითელი კოლობუსები ყველაზე ხშირად ხდებიან ნადირობის მსხვერპლნი. ასე რომ, მხოლოდ ადამიანები არ წარმოადგენენ საფრთხეს სხვა პრიმატებისთვის (იხ. ჩარჩო „გადაშენების პირას მყოფი პრიმატები“). წითელი კოლობუსების სახეობის მაიმუნების პოპულაცია ძალიან არის შემცირებული. ნადირობა განსაკუთრებით ხშირი მშრალ სეზონზეა, როდესაც საკვები ძნელად მოიპოვება. მსხვერპლს უმეტესწილად ხელში იგდებენ მამრები, რომლებიც ან მარტო ან პატარა ჯგუფებად ნადირობენ. ნადავლის გაყოფა, უფრო სწორად, „თხოვნის შედეგად განაწილება“ ხდება დაახლოებით 15 შიმპანზესთვის მეგობრული შეკრების განმავლობაში, რომელიც ზოგჯერ 9 საათსაც კი გრძელდება.

მიუხედევად იმისა, რომ შიმპანზეები დროის უმეტეს ნაწილს ხეებზე ატარებენ, მიწაზეც სწრაფად გადაადგილდებიან.

დედა ბონობო ნაშიერთან ერთად. მისი თხელი კიდურები, მუქი სახე და შუაზე გაყოფილი ბეწვი ის ნიშნებია, რომლებიც ბონობოებს ჩვეულებრივი შიმპანზეებისგან განასხვავებს.

მიუხედავად დაკვირვებებისა, შიმპანზეთა სოციალური ჯგუფების ორგანიზაცია ჯერ კიდევ გარკვეული არ არის. შიმპანზეთა ჯგუფები, ჩვეულებრივ, რამდენიმე მდედრისა და რამდენიმე მამრისგან შედგება, მაგრამ წევრთა რაოდენობა მერყეობს რამდენიმე წევრიდან 100-მდე. გომბეს პარკში მამრები სიცოცხლის ბოლომდე მშობლიურ ჯგუფში რჩებიან, მდედრები კი ხშირად მეზობელ ჯგუფებში გადადიან. გვინეის ტერიტორიაზე ბინადარი მამრები, პირიქით, მშობლიურ ჯგუფში ნაკლებად რჩებიან. როგორც ჩანს, შიმპანზეების ჯგუფების შეერთება და დაშლა ისეთ გარემოებებზეა დამოკიდებული, როგორიც არის საკვებისა და მტაცებლების რისკის არსებობა. ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა ერთმანეთს შეადარეს შიმპანზეებზე ცხრა გრძელვადიანი დაკვირვების შედეგები. შედარების შედეგად გაირკვა, რომ არსებობს ისეთი ქცევები, რომლებიც შიმპანზეთა მხოლოდ გარკვეულ ჯგუფებს ახასიათებს. მათ შორის არის იარაღების გამოყენება, ბეწვის გასუფთავება და შეწყვილების რიტუალი, რაც როგორც ჩანს, გარემო პირობების ზეგავლენით არ ყალიბდება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამ ტიპის ქცევები შეიძლება კულტურულ ქცევებს მიეკუთვნებოდეს.

გამოყენებითი ანთროპოლოგია

გადაშენების პირას მყოფი პრიმატები

ადამიანთა იმ პოპულაციებისგან განსხვავებით, რომლებიც ზედმეტად მრავალრიცხოვანნი არიან შეზღუდული რესურსების პირობებში, პრიმატების მრავალ სახეობას გადაშენება სწორედ თავისი მცირერიცხოვნობის გამო ემუქრება. ორი პრობლემა – ადამიანთა გადაჭარბებული რაოდენობა და პრიმატების გადაშენება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. დედამიწის მრავალ რეგიონში ადამიანების ექსპანსია რომ არა, იქ მცხოვრებ პრიმატებს გადაშენების საფრთხე არ დაემუქრებოდათ. ყველაზე მეტად გაქრობა ემუქრებათ მადაგასკარის ბინადარ სხვადასხვა სახეობის ლემურებს და სხვა ნახევრად მაიმუნებს, აფრიკის მთის გორილას და წითელ კოლობუსებს, აგრეთვე, ბრაზილიურ ლომისებრ ტამარინებს.

მთავარი ფაქტორი, რაც დღეისათვის სერიოზულ საფრთხეს უქმნის პრიმატების (ადამიანის გარდა) არსებობას, არის ადამიანის საქმიანობა, დაკავშირებული ურბანიზაციასთან, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან, ტყეების გაჩეხვასთან და ა.შ. სწრაფ მოგებაზე ორიენტირებულმა, ხშირ შემთხვევაში გაუაზრებელმა ქმედებებმა განადგურების პირამდე მიიყვანა ტროპიკული წვიმის ტყეები — პრიმატების ძირითადი ადგილ-სამყოფელი. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ რეგიონში პრიმატებზე ნადირობენ და საკვებადაც კი იყენებენ. როგორც ჩანს, მსოფლიო ბაზრის მოთხოვნები უფრო „მნიშვნელოვანია“. სწრაფი კვების რესტორნებში სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება „ამერიკულ“ ჰამბურგერებზე აჩქარებს ახალი ადგილების ათვისებას მსხვილფეხა საქონლის უფრო იაფად გასაზრდელად. გარდა ამისა, ძალიან დიდი მოთხოვნილებაა ტროპიკული ხეების მერქანზე. იაპონიის იმპორტის ნახევარი სწორედ ტროპიკულ მერქანზე მოდის, რომლისგანაც ამზადებენ ფირფიცარს, მუყაოს, ქაღალდსა და ავეჯს.

ზოგი მეცნიერის მტკიცებით, აუცილებელია ყველა სახეობის შენარჩუნება. პრიმატოლოგები გვახსენებენ, რომ საჭიროა პრიმატების მრავალფეროვნების გაფრთხილება. მეცნიერებას ეს პოპულაციები იმის დასადგენად სჭირდება, თუ რამდენად გვანან და განსხვავდებიან ისინი ადამიანებისგან და რატომ ჩამოყალიბდნენ ისეთებად, როგორებიც დღეს არიან. პრიმატები (გარდა ადამიანისა) საჭირონი არიან ბიომედიცინის თვალსაზრისით ადამიანთა დაავადებების გამოსაკვლევად. ცნობილია, რომ ჩვენ მრავალი საერთო დაავადება და ერთნაირი გენები გვაკავშირებს (როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, შიმპანზეებს და ადამიანებს გენების 99% ერთნაირი აქვთ). ფილმი „მაიმუნების პლანეტა“, სადაც ადამიანები ადამიანის მსგავს მაიმუნებს ემორჩილებიან, გვეუბნება, რომ პრიმატები, რომლებიც ზოოპარკებში არიან, შეიძლება ჩვენ ვყოფილიყავით.

ოქროსფერფაფრიანი თამარინი

როგორ შეიძლება ჩვენგან დავიცვათ პრიმატები? ამისთვის ორი მთავარი გზა არსებობს: ან მრავალ ადგილას ადამიანთა პოპულაციების ზრდა უნდა შეიკვეცოს ან პრიმატთა მნიშვნელოვანი პოპულაციები დაცულ პარკებსა და ზოოპარკებში უნდა მოვათავსოთ. ორივე გზა რთულია, მაგრამ — შესაძლებელი.

ჰომინიდები ჩვენ მიერ გამოყენებული კლასიფიკაციის მიხედვით, ჰომინოიდების ზეოჯახში შემავალი ჰომინიდების ოჯახის გვარი Homo მხოლოდ ერთი სახეობით არიან წარმოდგენილნი. ეს სახეობა თანამედროვე ადამიანი. (დანარჩენი ადამიანისმაგვარ მაიმუნები შეჰყავთ ოჯახ Pongidae-ში) ადამიანებს სხვა ანთროპოიდებისა თუ ჰომინოიდებისგან მრავალი ნიშანი განასხვავებს, რის გამოც, მათ პონგიდებისგან ცალკე კატეგორიად გამოყოფენ (ეს ნიშან-თვისებები ქვემოთ იქნება განხილული). თუმცა, ზოგი მეცნიერის აზრით, ეს განსხვავებები იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ ადამიანების სახეობა ჰომინიდებისგან ცალკე კატეგორიად გამოიყოს. მაგალითად, ადამიანებს, შიმპანზეებსა და გორილებს დნმ-ში ცილების თითქმის ერთნაირი შემადგენლობა აქვთ. საყოველთაოდ აღიარებულია აზრი, რომ ადამიანებს, შიმპანზეებსა და გორილებს ერთი საერთო წინაპარი ჰყავდათ, რომლისგანაც 5-6 მილიონი წლის წინ სხვადასხვა გზით განვითარდნენ. მნიშვნელოვანი არის არა ის, მივანიჭებთ თუ არა დიდ მნიშვნელობას ადამიანებსა და ადამიანის მსგავს მაიმუნებს შორის არსებულ განსხვავებებს, მნიშვნელოვანია ის, რომ ჩავწვდეთ ამ მსგავსება-განსხვავებათა წარმოშობის მიზეზებს.

ჰომინიდების განმასხვავებელი ნიშან-თვისებები

ახლა დავუბრუნდეთ ზოგიერთ ნიშან-თვისებას, რომელიც განგვასხვავებს დანარჩენი პრიმატებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თავი უნიკალურად მიგვაჩნია, უამრავი ნიშან-თვისება უწყვეტად მოდის ნახევრად მაიმუნებისგან ადამიანის მსგავს მაიმუნებამდე.

ფიზიკური დამახასიათებელი ნიშნები

ორ ფეხზე გამართული გადაადგილება ყველა პრიმატიდან მხოლოდ ჰომინიდებს შეუძლიათ. გიბონებს, შიმპანზეებს (განსაკუთრებით ბონობოებს) და გორილებს (აგრეთვე, ზოგიერთ სხვა მაიმუნს) შეუძლიათ ფეხზე დგომა და სიარული, ოღონდ ძალიან ცოტა ხნით. ყველა დანარჩენ პრიმატს დიდი მოცულობის, ძლიერი მუსკულატურა სჭირდება იმისთვის, რომ თავი აწეული ეჭიროს. ჰომინიდებს ამგვარი სტრუქტურა არ ესაჭიროებათ,

რადგან ჩვენს თავს ხერხემლის ზედა ნაწილში მეტ-ნაკლებად განონასწორებული მდგომარეობა აქვს. თეფშისებური ფორმის მენჯი (ჰომინიდებისთვის დამახასიათებელი), წელის რკალი ხერხემალზე, სწორი ქვედა კიდურები და თაღისებური, ჩასაჭიდად გამოუსადეგარი ტერფები, **ორ ფეხზე** გადაადგილებასთან არის დაკავშირებული. იმის გამო, რომ ჰომინიდები მხოლოდ ორფეხები ვართ, ისე შეგვიძლია საგნების ტარება, რომ გადაადგილება არ გვიჭირს.

ყველა პრიმატს ცერა თითი დანარჩენის საწინააღმდეგო მხარეს აქვს განთავსებული. მისი მეტი სიგრძე და მოქნილობა საშუალებას გვაძლევს უფრო მოხერხებულად დავიკავოთ საგნები. ჩვენ შეგვიძლია როგორც მძიმე და დიდი საგნების ღონივრად, ასევე ხელში მცირე ზომისა და ნაზი ნივთების ფრთხილად დაჭერა ისე, რომ არ დაგვვარდეს ან არ გაგვიტყდეს. გვახასიათებს აგრეთვე, განსაკუთრებული კოორდინაცია ხელსა და თვალს შორის, აგრეთვე — ბევრად რთული აგებულების ტვინი.

ჰომინიდების ტვინი დიდია და რთული აგებულების. განსაკუთრებით ეს თავის **ტვინის ქერქს**, ლაპარაკისა და გონივრული აქტივობის სხვა ცენტრებს ეხება. მოზრდილის ტვინის ზომა საშუალოდ 1300 კუბური სანტიმეტრია, ყველაზე დიდი ზომის ტვინის მქონე პრიმატის გორილასი — კი 525 კუბური სანტიმეტრი. ჰომინიდს ტვინის წინა (შუბლის) მხარეებიც უფრო დიდი აქვთ, ვიდრე სხვა პრიმატებს, ასე რომ, ჰომინიდებს უფრო წინ გამოწეული შუბლები აქვთ, ვიდრე მაიმუნებსა და გორილებს. ჰომინიდების ტვინის განსაზღვრული ნაწილები მეტყველებასა და ენას აკონტროლებს. ჰომინიდის დიდი ტვინი ძალზე დიდი რაოდენობის სისხლს მოითხოვს, ამიტომ უნიკალურია ტვინისკენ და ტვინიდან სისხლის ცირკულაციის სისტემაც. ჰომინიდების ტვინისა და მისი ევოლუციის შესახებ დაწვრილებით შევჩერდებით თავში, რომელიც Homo-ს გვარის წარმოშობას ეძღვნება.

ჰომინიდის კბილების სტრუქტურიდან ჩანს, რომ მას ყოველგვარი საკვების ჭამა შეუძლია. ადამიანის კბილების არასპეციფიკური აგებულება მიუთითებს, რომ საკვების მოსამზადებლად სხვადასხვა იარაღს ვიყენებთ. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სხვა ჰომინოიდებს აქვთ გრძელი ეშვები და დიასტემა, ხოლო ჰომინიდების ეშვები სხვა კბილების ზემოთ ამოშვერილი არ არის. ასეთი წყობა საშუალებას აძლევთ ღეჭვის დროს ამოძრაონ ყბები ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად. სხვა ჰომინოიდებს ეშვები ყბების ჰორიზონტალურ მოძრაობაში ხელს შეუშლიდა. ჰომინიდების საღეჭ კბილებს მინანქრის უფრო სქელი ფენა ფარავს. ყბების ჰორიზონტალური მოძრაობა და მინანქრის სქელი ფენა მეტყველებს იმაზე, რომ მათ საკვებში მარცვლეულისა და მცენარეული თესლების ღეჭვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შესახებ ჰომინიდებთან დაკავშირებულ მომდევნო თავებში ვისაუბრებთ. ჰომინიდების ყბას უფრო პარაბოლური თაღის ფორმა აქვს, ვიდრე U-ს ფორმა, როგორც ადამიანის მსგავს მაიმუნებს ახასიათებთ და შედარებით თხელი ძვლებისგან და თხელი კუნთებისგან შედგება. თანამედროვე ადამიანებს აქვთ ნიკაპი, რომელიც სხვა პრიმატებს არ გააჩნიათ.

ჰომინიდების კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია მდედრების სექსუალობა. მათ სქესობრივი ურთიერთობა წელიწადის ნებისმიერ დროს შეუძლიათ. სხვა პრიმატების მდედრი წარმომადგენლები სქესობრივ ურთიერთობაში მხოლოდ პერიოდულად შედიან, დაახლოებით იმ დროს, როდესაც დაფეხმძიმება შეუძლიათ. ჰომინიდები მამრისა და მდედრის ურთიერთდამოკიდებულებითაც განსხვავდებიან. ადრე ფიქრობდნენ, რომ მათი კავშირის მიზეზი შეიძლება მდედრის მეტ-ნაკლებად უწყვეტი სექსუალობა ყოფილიყო, მაგრამ ძუძუმწოვრებსა და ფრინველებზე ჩატარებულმა შედარებითმა გამოკვლევამ ეს აზრი უარყო. აღმოჩნდა, რომ იმ ძუძუმწოვრებსა და ფრინველებს, რომელთაც სქესობრივი ურთიერთობა უფრო ხშირად ჰქონდათ, მამრისა და მდედრის მდგრადი ურთიერთკავშირი არ აღენიშნებოდათ.

რით განსხვავდება მდედრი ჰომინიდის სექსუალობა დანარჩენი პრიმატების იმავე თვისებისგან? არსებობს ვარაუდი, რომ მდედრის მეტ-ნაკლებად უწყვეტი სექსუალობა ბუნებრივი გადარჩევის პროცესში მომგებიან ნიშნად იქცა ჰომინიდებში მას შემდეგ, რაც მდედრისა და მამრის ურთიერთობები განვითარდა ადგილობრივ ჯგუფებთან თანაარსებობის პირობებში, რომლებიც სულ ცოტა, რამდენიმე ზრდასრული მამრისა და მდედრისგან შედგებოდა. უფრო ზუსტად, ჯგუფური ცხოვრებისა და მამრისა და მდედრის ურთიერთკავშირის კომბინაცია სხვა პრიმატებს შორის მხოლოდ ჰომინიდებს ახასიათებთ, რამაც, როგორც ჩანს, უმაღლესი პრიმატებისთვის დამახასიათებელი მდედრების პერიოდული სექსუალობიდან მდედრთა მეტ-ნაკლებად უწყვეტ სექსუალობაზე გადართვა გამოიწვია. ამგვარი გადართვა ბუნებრივი გადარჩევის პირობებში, ალბათ უფრო გამართლებული იყო, რადგან პერიოდული სექსუალობის შედეგად მდედრისა და მამრის ურთიერთობები ნაკლებად მყარი იქნებოდა მრავალმდედრიან და მრავალმამრიან ჯგუფებში.

სხვა პრიმატებში (ადამიანების გარდა) ჩატარებული საველე კვლევების შედეგებმა მეცნიერებს სერიოზული საფუძველი მისცა, ევარაუდათ, რომ მამრები მზად იყვნენ შეწყვილებისთვის ნებისმიერ მდედრთან, რომელიც ამისთვის მზად იქნებოდა. თუ მდედრი (ან მდედრები), რომელთანაც მამრს ურთიერთკავშირი ჰქონდა, ზოგჯერ სექსის მიმართ ინტერესს არ გამოხატავდა, მამრი მზად იყო სხვა მდედრებთან შეჯვარებისთვის. ხშირ „ქორწინების გარეშე ურთიერთობებს“ შეიძლება დაერღვია მამრისა და მდედრის ურთიერთკავშირი და ამდენად, შეემცირებინა მათი რეპროდუქციული წარმატებები. ამგვარად, ბუნებრივ გადარჩევას შეიძლება ხელი შეეწყო მეტ-ნაკლებად უწყვეტი სექსუალობისთვის ჰომინიდ მდედრებში, თუ ჰომინიდებს უკვე ექნებოდათ ჯგუფური ცხოვრებისა (და „ქორწინების გარეშე ურთიერთობების“ შესაძლებლობა) და ერთად არსებობის გამოცდილება. წყვილს ცალკე რომ ეცხოვრა, როგორც გიბონებშია მიღებული, მდედრთა პერიოდული სექსუალობა ამ ურთიერთკავშირს არ დაემუქრებოდა, რადგან „ქორწინებისგარეშე“ სექსის საშუალება ნაკლებად იქნებოდა. ასევე, სეზონური შეჯვარებაც ნაკლებ საშიშროებას შეუქმნიდა მამრისა და მდედრის ურთიერთკავშირს, რადგან ყველა მდედრი მეტ-ნაკლებად ერთსა და იმავე დროს იქნებოდა სექსუალურად აქტიური. ამგვარად, ჯგუფური ცხოვრებისა და მამრისა და მდედრის ურთიერთკავშირის კომბინაციამ, რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ ჰომინიდებში, შეიძლება ახსნას, თუ რატომ განუვითარდათ ჰომინიდ მდედრებს უწყვეტი სექსუალობა. ჯუჯა შიმპანზე ბონობოს მდედრები სექსუალურ ურთიერთობაში მთელი წლის განმავლობაში შედიან, მაგრამ მათ არ აქვთ მამრისა და მდედრის შედარებით მუდმივი წყვილიდა მდედრებიც ისე ხშირად არ ინტერესდებიან სექსით, როგორც მდედრი ჰომინიდები.

ქცევითი შესაძლებლობა

ჰომინიდების ქცევათა უდიდესი ნაწილი ნასწავლია ან გადაღებულია მიბაძვის შედეგად. ისევე, როგორც სხვა მრავალი ფიზიკური ნიშან-თვისების შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ პრიმატების სწავლის შესაძლებლობებს. დიდი ზომის ადამიანის მსგავსი მაიმუნების: ორანგუტანგების, გორილებისა და შიმპანზეების შესაძლებლობები თითქმის თანაბარია. ძველი და ახალი სამყაროს მაიმუნებს სასწავლო ტესტების შესრულებაში ნაკლები წარმატება აქვთ და საკვირველია, რომ გიბონები თითქმის ყველა მაიმუნს ჩამორჩებიან.

იარაღის დამზადება

განვითარების ასეთივე პროცესი გაიარა გამომგონე-

ბლობამ და იარაღების დამზადებამ. არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ადამიანის გარდა რომელიმე პრიმატს, გარდა ადამიანის მსგავსი დიდი მაიმუნებისა, იარაღი გამოეყენებინა. თუმცა, მაიმუნების რამდენიმე სახეობა იყენებს „იარაღს“ – ისვრის ტოტებს, ქვებსა და ჩამოყრილ ხილს მტაცებლების მოსაგერიებლად. შიმპანზეები ველურ პირობებში იარაღს ამზადებენ და იყენებენ კიდეც. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ისინი ტოტებს ფოთლებისგან ათავისუფლებენ, შემდეგ კი იყენებენ ტერმიტებზე „სათევზაოდ“ ანუ მათ ამოსაყვანად გორაკის ტიპის ბუდეებიდან. ისინი იყენებენ ფოთლებს ტერმიტებისგან გასათავისუფლებლად; ღრუბლის ნაცვლად, წყლით დასაბანად და გასამშრალებლადაც. მართლაც, შიმპანზეები ერთსა და იმავე იარაღს სხვადასხვანაირად იყენებენ. პრიმატოლოგ კრისტოფ ბეშის აზრით, შიმპანზეთა ადგილობრივ ჯგუფებშიც კი არსებობს კულტურული სხვადასხვაობა იარაღის გამოყენებაში.

შიმპანზეების მიერ იარაღის გამოყენების ერთი მაგალითი წინასწარ დაგეგმვას ითვალისწინებს. დასავლეთ აფრიკაში, გვინეაში, აკვირდებოდნენ რამდენიმე შიმპანზეს, როგორ ტეხდნენ ისინი ზეთის პალმის კაკალს ორი ქვის დახმარებით. ქვედა ქვას („პლატფორმა“) ღრმული ჰქონდა, მეორე ქვა კი დასარტყმელად გამოიყენებოდა. დამკვირვებლებმა ჩათვალეს, რომ ისინი შიმპანზეებმა შორიდან მოიტანეს, იმიტომ რომ ახლომახლო ასეთი ქვები არ იყო. დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ შიმპანზეები დასარტყამ ქვას ან ზემოდან ადებდნენ ან გვერდზე მიუდებდნენ „პლატფორმას“ და ასე ტოვებდნენ. იგივე შენიშნეს დამკვირვებლებმა დასავლეთ აფრიკაში, სადაც შიმპანზეები თხილის გასატეხად ქვებს იყენებდნენ. ლიბერიაში ერთმა მდედრმა ახალი სახის საქმიანობა დაიწყო; რამდენიმე თვის მანძილზე სხვა ცამეტმა მდედრმაც იმავეს კეთება დაიწყო, თუმცა თავიდან თითქოს ამ საქმიანობის მიმართ არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ.

შიმპანზეები იარაღს ტყვეობაშიც ინტენსიურად ამზადებენ. ერთი დედა შიმპანზე ყურადღებით ათვალიერებდა და ასუფთავებდა შვილის კბილებს ხის პატარა ტოტით. ბოლოს მან შვილს ამოუღო კბილი, რომელიც მას როგორც ჩანს, ერყეოდა.

ადრე ეგონათ, რომ იარაღის დამზადება მხოლოდ ჰომინიდებს შეეძლოთ, მაგრამ დაკვირვებებმა ამ შეხედულების გადახედვა მოითხოვა. თუ იარაღის დამზადებას ბუნებაში არსებული საგნების გარკვეული მიზნით გამოყენებას დავარქმევთ, გამოვა, რომ იარაღის დამზადება ზოგიერთ ადამიანის მსგავს დიდ მაიმუნსაც შეუძლია; უფრო ზუსტად, ჰომინიდი არის ერთადერთი ცხოველი, რომელსაც იარაღის დამზადება სჩვევია, ზუსტად ისევე, როგორც ვიტყოდით, რომ ჰომინიდი ერთადერთი ცხოველია, რომელიც ორ ფეხზე გადაადგილდებიან, თუმცა, სხვა ჰომინოიდებიც გადაადგილდება ორ ფეხზე, მაგრამ მხოლოდ ხანდახან. რამდენადაც ცნობილია, მხოლოდ ჰომინიდებს შეუძლიათ ერთი იარაღის საშუალებით მეორის დამზადება.

ველურ პირობებში შიმპანზეები იყენებენ იარაღს, ამ შემთხვევაში – ქვას პალმის კაკლის გასატეხად. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ისინი, იარაღს სხვა იარაღის დასამზადებლად არ იყენებენ.

ენა მხოლოდ თანამედროვე ადამიანებს აქვთ სალაპარაკო, სიმბოლური ენა. მაგრამ განსხვავება ადამიანის ენასა და სხვა პრიმატების კომუნიკაციას შორის არც ისე მკვეთრია, როგორც ადრე მიიჩნევდნენ. ველურ პირობებში მწვანე მაიმუნები (განგაშის ნიშნად, ერთმანეთს სხვადასხვა მტაცებლის გამოჩენისას სხვადასხვაგვარად ეძახიან. როდესაც დამკვირვებლები მაიმუნებს ამ ძახილის ჩანაწერს ურთავდნენ, აღმოაჩინეს, რომ ისინი, ძახილის შესაბამისად, სხვადასხვანაირ პასუხს იძლეოდნენ. თუ „არწივის“ შესაბამისი ძახილი ესმოდათ, ზემოთ იყურებოდნენ, თუ „ლეოპარდის“ შესაბამისი, ზემოთ, ხის კენწეროებისკენ გარბოდნენ.

ჩვეულებრივი შიმპანზეებიც ძალიან კომუნიკაბელურები არიან და ველურ პირობებში ჟესტებსა და სხვადასხვა ვოკალიზაციას იყენებენ. მკვლევრებმა მათი „ბუნებრივი ნიჭი“ მათთვის საცდელ გარემოში სიმბოლოების ენის შესასწავლად გამოიყენეს. თავიანთი პირველი ცდისთვის ბეატრის ტ. გარდნერმა და რ. ალენ გარდნერმა გაზარდეს მდედრი შიმპანზე, სახელად ვეიშო და დიდი წარმატებით ასწავლეს ურთიერთობა „ამერიკული ჟესტების ენით“. ერთწლიანი წვრთნის შემდეგ მაიმუნს უკვე შეეძლო ჟესტების გარკვეულ ქმედებებთან დაკავშირება. მაგალითად, სიტყვისთვის „მწყურია“ ვეიშოს უნდა გაეკეთებინა ნიშანი „მომეცი“, შემდეგ კი ნიშანი „დალევა“. სწავლის პროცესში ინსტრუქციები უფრო დეტალური ხდებოდა. თუ წყლის დალევა უნდოდა, უნდა ენიშნებინა მხოლოდ „დალევა“, ხოლო თუ გაზიანი წყლის დალევა უნდოდა, დალევის ნიშნისთვის „ტკბილის“ ნიშანიც უნდა დაემატებინა — სწრაფად უნდა შეხებოდა ენას თითებით. მოგვიანებით გარდნერებმა კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს: კიდევ ოთხი ჩვეულებრივი შიმპანზე გაწვრთნეს „ამერიკული ჟესტების ენის“ ყრუ, მაგრამ მოლაპარაკე მცოდნეების დახმარებით.

ბონობოებმა დაამტკიცეს, რომ უმარტივესი გრამატიკული წესების შესწავლა დაახლოებით 2 წლის ბავშვების დონეზე შეუძლიათ. სხვადასხვა საგნის ამსახველი ნახატების ჩვენების დროს მას შეეძლო სიმბოლოების თანმიმდევრობის დადგენა. მაგალითად, ის უჩვენებდა სიტყვა „მოკბეჩის“ სიმბოლოს, შემდეგ კი მიუთითებდა საგნის სიმბოლოს, მაგალითად „ბურთი“, „ბალი“ ან „საჭმელი“.

ჰომინიდების სხვა ნიშან-თვისებები ბევრი პრიმატი ყველაფრის მჭამელია, მცენარეების გარდა მწერებით, მცირე ზომის რეპტილიებით და ზოგჯერ პატარა ძუძუმწოვრებითაც იკვებებიან. მხოლოდ ჰომინიდები ნადირობენ დიდ ცხოველებზე. ამასთან, სხვა რამდენიმე სახეობის პრიმატის მსგავსად, ისინი მხოლოდ მიწაზე გადაადგილდებიან. სხვა, მიწაზე მობინადრე პრიმატებისგან განსხვავებით, ჩვენ ხეებზე არ გვძინავს. იქნებ ჩვენმა წინაპრებმა თავიანთი ქანდარები ხეებზე მაშინ დაკარგეს, როდესაც ტყეები გამეჩხერდა და უკან დაიხია ან იქნებ კულტურულმა წინსვლამ, რამაც მოიტანა იარაღი და ცეცხლის გამოყენება, მოსპო ღამის თავშესაფრის ხეზე ძებნის აუცილებლობა. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი დამოკიდებული მდგომარეობის პერიოდი დანარჩენი პრიმატებისაზე უფრო ხანგრძლივია და მშობელთა მხრიდან ზრუნვას თითქმის 20 წლის ასაკამდე მოითხოვს.

ანთროპოლოგიური პირველწყაროები

რატომ არიან პრიმატები ასეთი ჭკვიანები?

ის ფაქტი, რომ ახლა ამ წინადადებას კითხულობთ, არის ერთ-ერთი უნიკალური ასპექტი იმისა, რომ თქვენ თანამედროვე ადამიანი ხართ. არც ერთ სხვა ცხოველს არ შეუძლია ამაზე ბევრად უფრო მარტივ ენაზე დაწერილი ტექსტის წაკითხვაც კი. მკვლევრები იმაშიც კი არ არიან დარწმუნებულნი, რომ სხვა ცხოველებს თვითრეფლექსური მეთოდით აზროვნება შეუძლიათ, რომელიც საშუალებას გაძლევთ დაფიქრდეთ, რამდენად უნიკალურია კითხვის თქვენთვის დამახასიათებელი უნარი. ჩვენ, ადამიანებს უნიკალური ინტელექტუალური შესაძლებლობები გვაქვს. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ჩვენს უახლოეს ნათესავებს – პრიმატებს დავაკვირდებით და მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ჩვენსას შევადარებთ. ასე გააკეთეს ჯოან სილკმა და რობერტ ბოიდმა და მათი შედარებითი სამუშაოს განმავლობაში, როდესაც პრიმატების ინტელექტუალურ შესაძლებლობებს აკვირდებოდნენ, სცადეს გაეცათ პასუხი კითხვაზე: „რატომ არიან პრიმატები ასეთი ჭკვიანები?“

პრიმატები გამოირჩევიან უჩვეულო, შეიძლება ითქვას, უნიკალური თვისებებით. მათ ახასიათებთ შედარებით დიდი ზომის ტვინი და რთული სოციალური ქცევა. მაიმუნებს, თავიანთ წონასთან შედარებით, ბევრად დიდი ზომის ტვინი აქვთ, ვიდრე რომელიმე სხვა ტაქსონომიურ ჯგუფს, გარდა კბილებიანი ვეშაპისა და დელფინებისა. ადამიანებში კი ეს ევოლუციური ტენდენციები კიდევ უფრო განვითარებულია.

ადამიანთა ევოლუციის ცენტრალური კითხვაა: „რატომ გახდა ადამიანი ევოლუციის შედეგად ასეთი ჭკვიანი?“ ადამიანის უახლოესი ნათესავების, თანამედროვე პრიმატების შემეცნებითი შესაძლებლობების ბუნებისა და მიზეზების შესწავლა ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება. ამჟამად დიდ დისკუსიას იწვევს იმ პირველადი ფაქტორების დადგენა, რომლებმაც პრიმატებში შედარებით დიდი ზომის ტვინისა და შემეცნებითი შესაძლებლობების ევოლუციური განვითარება განაპირობეს. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ შემეცნებითი ჩვევების გამომუშავება და ტვინის ზომის ზრდა გამოწვეულია ეკოლოგიური ფაქტორებით, რომლებიც ძნელად მისაწვდომი საკვების მოძებნასთან და დამუშავებასთან არის დაკავშირებული. სხვების ვარაუდით, პირველადი სელექციური ძალა, რამაც ხელი შეუწყო პრიმატებში რთული შემეცნებითი თვისებებისა და ინტელექტის განვითარებას, იყო სოციალური მოთხოვნები, რომლებიც დიდ და სტაბილურ ჯგუფებად ცხოვრებას უკავშირდებოდა. ჩვენ ცალ-ცალკე გავეცნობით ამ პოზიციებს, შემდეგ კი განვიხილავთ იმ ემპირიულ მონაცემებს, რომლებსაც თითოეული მათგანი ეყრდნობა.

დაბოლოს, ჰომინიდები განსხვავდებიან თითქმის ყველა პრიმატისგან იმით, რომ მათში არსებობს შრომის განაწილება სქესის მიხედვით როგორც საკვების მოპოვებაში, ასევე მოზრდილობის პერიოდში მის განაწილებაში. ადამიანის გარდა — ყველა სახეობის პრიმატები, მამრებიც და ის მდედრებიც წამოზრდისთანავე იწყებენ სარჩოზე ზრუნვას. ჰომინიდებში სქესის მიხედვით სპეციალიზაცია შეიმჩნევა, ალბათ იმის გამო, რომ მამრები, ჩვილებისა და ბავშვების მოვლისგან გათავისუფლებულნი, უფრო მეტ დროს ნადირობასა და დიდი ცხოველების დევნას უთმობდნენ.

პრიმატების ცვალებადი ადაპტაციის განმარტება

აქამდე ვეცნობოდით დღემდე შემორჩენილ პრიმატებს და მათთვის დამახასიათებელ საერთო ნიშან-თვისებებს. ახლა კი შევეცდებით განვიხილოთ კვლევა-ძიების შედეგად შემოთავაზებული ზოგიერთი ახსნა-განმარტება პრიმატების გადარჩენილ სახეობებს შორის არსებული განსხვავებების შესახებ.

სხეულის ზომა

თანამედროვე პრიმატები ერთმანეთისგან სხეულის ზომით ძალიან განსხვავდებიან — დაწყებული საშუალო ზომის რუხი თაგვისებური ლემურიდან, რომელიც 2 უნციას (28,3 გრ) იწონის და დამთავრებული გორილით, რომლის წონა დაახლოებით 350 გირვანქას (453,6 კგ.) უდრის. რამ გამოიწვია ასეთი დიდი სხვაობა წონაში? სხეულის ზომას სამი მთავარი ფაქტორი განაპირობებს: ცხოველის დღის აქტიური მონაკვეთი (დღე, ღამე), მათი აქტიურობის ადგილი (ხეზე, მიწაზე) და საკვები. ღამის ყველა ცხოველი პატარა ზომისაა, ხოლო დღისით აქტიური ცხოველებიდან ხეზე მცხოვრები სახეობები უფრო მცირე ზომისანი არიან, ვიდრე მიწაზე მცხოვრებნი. დაბოლოს, სახეობები, რომლებიც ფოთლებით იკვებებიან, ხილისა და მარცვლეულის მჭამელებთან შედარებით უფრო მცირე ზომისანი არიან.

რატომ განსაზღვრავს ეს ფაქტორები ცხოველთა ზომას? ძუძუმწოვართათვის ძალიან მნიშვნელოვანია შეფარდება მათი სხეულის წონასა და ენერგიის მოთხოვნილებას შორის. საზოგადოდ, უფრო დიდი ზომის ცხოველებს მეტი აბსოლუტური ენერგია სჭირდებათ, მაგრამ უფრო მცირე ზომის ცხოველები გაცილებით მეტ ენერგიას საჭიროებენ თავიანთი წონასთან შედარებით. ამიტომ, მცირე ზომის ცხოველებს ენერგეტიკულად უფრო მდიდარი საკვები სჭირდებათ. მწერები, ხილი, ხის ფისი და წვენი სავსეა კალორიებით და ძალიან მნიშვნელოვანი საკვებია პატარა პრიმატებისთვის. ფოთლები ენერგეტიკულად უფრო ღარიბია, ამდენად, ფოთლის მჭამელი პრიმატები იძულებულნი არიან, საჭირო ენერგიის მისაღებად მეტი რაოდენობის საკვები მოიხმარონ. ამასთან, მათ დიდი ზომის კუჭი და საჭმლის მომნელებელი სისტემა სჭირდებათ, რაც დიდი ზომის ჩონჩხისა და სხეულის არსებობას განაპირობებს. მცირე ზომის პრიმატები, ძირითადად, მწერებით და სხვა მაღალკალორიული საკვებით იკვებე-



სურათი 4-6

როგორც ამ გრაფიკზეა წარმოდგენილი, უფრო დიდ ცხოველებს, ჩვეულებრივ, უფრო დიდი ტვინი აქვთ. პრიმატებს, ჩვეულებრივ, იმაზე დიდი ზომის ტვინი აქვთ, ვიდრე მოსალოდნელია მათი სხეულის ზომიდან გამომდინარე. ყურადღება მიაქციეთ, რომ პრიმატების უმრავლესობა (აღნიშნულია ფერადი რგოლებით) იმ ხაზის ზემოთ არის მოქცეული, რომელიც უჩვენებს ტვინისა და სხეულის ზომებს შორის დამოკიდებულებას. პრიმატების ტვინის წონა სხეულის იმავე წონის მქონე არაპრიმატი ძუძუმწოვრებისას ორჯერ აღემატება.

ბიან და ჩიტებზე ცოტას მიირთმევენ. ყველაზე პატარა ზომისანი ღამის პრიმატები არიან. ტყეში მობინადრე ფრინველების უმეტესობა დღისით აქტიურობს. ამიტომ, საკვების მხრივ მცირე ზომის პრიმატებსა და ფრინველებს შორის კონკურენცია მცირეა.

ხეზე მობინადრე პრიმატების მცირე ზომა სწორედ ენერგიის მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული. ხეების ტოტებს შორის გადაადგილება როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად მოძრაობას მოითხოვს. ვერტიკალური ცოცვისათვის საჭირო ენერგია წონის პროპორციულია, ამდენად, უფრო დიდი ზომის ცხოველებს ცოცვისთვის მეტი ენერგია სჭირდებათ. მაგრამ ჰორიზონტალური მოძრაობისთვის, ისევე, როგორც მიწაზე გადაადგილებისთვის საჭირო ენერგია წონის პროპორციული არ არის. ამდენად, უფრო დიდი ზომის ცხოველები ენერგიას მიწაზე უფრო რაციონალურად ხარჯავენ, ვიდრე ხეებზე. არსებობს განსხვავებული აზრიც, რომ ტოტები, რომლებზეც ჩვეულებრივ, ხილი იზრდება, წვრილია და მძიმე წონის ცხოველებს ვერ გაუძლებს. პატარა ცხოველებისთვის კი ასეთ ტოტებზე გადაადგილება ბევრად უსაფრთხოა. გარდა ამისა, მიწაზე მობინადრე ცხოველებისთვის დიდი ზომა უფრო ხელსაყრელია მტაცებლებისგან თავის დასაცავად.

ტვინის შედარებითი ზომა

დიდი ზომის პრიმატებს, ჩვეულებრივ, უფრო დიდი ზომის ტვინი აქვთ. ზოგადად, დიდი ზომის ყველანაირ ცხოველს აქვს უფრო დიდი ზომის ტვინი (იხ. სურ. 4-6). ამიტომ, პრიმატოლოგებს უფრო მეტად ტვინის შედარებითი ზომა აინტერესებთ. (ტვინის ზომა სხეულის ზომასთან შეფარდებით).

რადგან ჰომინიდ პრიმატებს, ყველა სხვა პრიმატთან შედარებით, უფრო დიდი ზომის ტვინი აქვთ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დიდი ზომის ტვინი „უკეთესია“. თუმცა მას „ხარჯებიც“ ახლავს. ენერგიის თვალსაზრისით, დიდი მოცულობის ტვინის განვითარება მეტაბოლური ენერგიის დიდ დანახარჯებს მოითხოვს. ამიტომ ის უარყოფილი იქნებოდა ბუნებრივი გადარჩევის მიერ, რომ არა ის უპირატესობები, რომლებიც „ხარჯებს“ გადაწონიდა.

ხილის მჭამელ პრიმატებს შედარებით უფრო დიდი მოცულობის ტვინი აქვთ, ვიდრე ფოთლის მჭამელებს. ამ უკანასკნელთ დიდი ზომის ტვინი იქნებ იმიტომ არ სჭირდებათ, რომ მათი საკვები ყველგან და ყოველთვის მოიპოვება, რის გამოც, მოპოვების ადგილების დამახსოვრება არ სჭირდებათ. სხვანაირად არის საქმე ხილის მჭამელ პრიმატებთან დაკავშირებით: მათ უკეთესი მეხსიერება და მეტი მოცულობის ტვინი ესაჭიროებათ, რადგან მათი საკვები – ხილი, სხვადასხვა დროს მწიფდება და მოიპოვება სხვადასხვა ადგილას, რომელთა დამახსოვრებაც აუცილებელია. როგორც ცნობილია, ტვინისთვის დიდი რაოდენობით ჟანგბადი და გლუკოზაა აუცილებელი. იმის გამო, რომ ფოთლების მჭამელი პრიმატების საკვები იმდენივე გლუკოზას არ შეიცავს, რამდენსაც ხილის მჭამელებისა, მათ არ ჰყოფნით ენერგია შედარებით დიდი მოცულობის ტვინის ფუნქციონირებისათვის.

ჯგუფების ზომები

პრიმატების ჯგუფები სხვადასხვა რაოდენობის წევრისგან შედგება. ზოგ ჯგუფში მხოლოდ ერთი წყვილი და მათი შთამომავლობაა გაერთიანებული (მდედრი, მამრი და მათი ნაშიერები - ორანგუტანგებში), ზოგში - რამდენიმე ახალგაზრდა ინდივიდი და მათი შთამომავლობა (გიბონებში), ზოგი კი 100-ზე მეტი ინდივიდისგან შედგება (ძველი სამყაროს მაიმუნთა ჯგუფები). რა ფაქტორები განსაზღვრავს ამგვარ სხვადასხვაობას?

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც პრიმატების სხეულისა და ჯგუფის ზომის სიმცირეს განაპირობებს, არის ამ ცხოველების ღამის აქტივობა, ეს ღამის ცხოველები აქტიურ ცხოვრებას ღამის განმავლობაში ეწევიან. ღამის პრიმატები განმარტოებით ან წყვილებად იკვებებიან. როგორც ჯონ ტერბორგმა აღნიშნა, ღამის მტაცებელთა უმეტესობა ხმაურის მიხედვით ნადირობს. ასე რომ, მათი თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა სიჩუმე. ჯგუფები, ჩვეულებრივ, უფრო ხმაურიანები არიან, ამიტომ ღამის ცხოველების გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება განმარტოებით ან წყვილად ცხოვრებაა.

მეორე მხრივ, ჯგუფური ცხოვრება დღისით უფრო ხელსაყრელია. რაც მეტი თვალი, ყური და ცხვირი ექნება ჯგუფს, მით უფრო ადვილი იქნება პოტენციური მტაცებლის შემჩნევა და თავდასხმის თავიდან აცილება. გარდა ამისა, დიდ ჯგუფს მეტი კბილი და მეტი ღონე აქვს მტაცებელთა შესაშინებლად და მათთან გასამკლავებლად. ამ სახის დასაბუთებამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ დღის ცხოველები აუცილებლად დიდ ჯგუფებად უნდა ცხოვრობდნენ. სინამდვილეში ასე არ არის და ამას სხვა ფაქტორები განაპირობებს. ერთი მაგალითი საკვების რაოდენობა და მისი მოპოვების ადგილთა განლაგების სიმჭიდროვეა. როდესაც საკვები ცოტაა და მისი მოპოვება, მხოლოდ ერთმანეთისგან დაშორებულ ადგილებშია შესაძლებელი, მხოლოდ მცირე ზომის ჯგუფები შეძლებენ საკმარისი რაოდენობით საკვების მოპოვებას. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საკვები დიდი რაოდენობითაა, იგი დიდ ჯგუფებსაც დააკმაყოფილებს. კიდევ ერთი ფაქტორია კონკურენცია საკვების რესურსების განაწილებისთვის. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ჯგუფები იბრძვიან საკვებით მდიდარი ადგილებისთვის, აქ გამარჯვებას დიდი ჯგუფები უკეთ ახერხებენ.

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ ჩვენთვის დამახასიათებელი ნიშნები ანუ ის ნიშან-თვისებები, რომლებიც სხვა პრიმატებთან გვაერთიანებს და აგრეთვე, პრიმატებს შორის არსებულ განსხვავებათა შესაძლო მიზეზები, გვიჩნდება კითხვა: ბუნებრივი გადარჩევის რა ძალებს შეეძლოთ ხელის შენყობა პრიმატების წარმოშობისათვის, რა ძალებს შეეძლოთ პრიმატების პირველ ჰომინიდებად ჩამოყალიბება და რა ძალებმა განაპირობეს ჰომოს გვარის წარმოშობა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას მომდევნო სამ თავში შევეცდებით.

შეჯამება

1. მართალია, თანამედროვე პრიმატებს ადამიანთა უშუალო წინაპრებად ვერ ჩავთვალით, მაგრამ მათთან საერთო ევოლუციური ისტორია გვაკავშირებს. ჩვენი თანამედროვე უახლოესი ნათესავების ქცევისა და ანატომიის შესწავლა პრიმატების განვითარების კვლევაში დაგვეხმარება. ადამიანებისთვის დამახასიათებელი ნიშნების შესწავლა იმის გარკვევასაც შეუწყობს ხელს, თუ რატომ გამოეყო ადამიანების განვითარებისკენ მიმართული ხაზი შიმპანზეებისა და გორილების განვითარების მიმართულებას.
2. პრიმატებს არა რაიმე ერთი უნიკალური ნიშანი, არამედ მრავალი საერთო მახასიათებელი აქვთ: ორ-ორი ძვალი წვივსა და წინამხარში, ლავიწის ძვალი, მოქნილი, "ჩამჭიდი" ხელები, სტერეოსკოპული მხედველობა, შედარებით დიდი მოცულობის ტვინი, ერთ ჯერზე მხოლოდ ერთი (იშვიათად ორი) ნაშიერის გაჩენის შესაძლებლობა, ნაშიერთა მომწიფების ხანგრძლივი პერიოდი, სოციალური ურთიერთობებსა და სწავლაზე ძლიერი დამოკიდებულება.
3. პრიმატების რიგი ორ ქვერიგად იყოფა: ნახევრად მაიმუნები და ანთროპოიდები. ანთროპოიდებისგან განსხვავებით, ნახევრდ მაიმუნები ყნოსვაზე უფრო მეტად არიან დამოკიდებულები. მათ აქვთ მოძრავი ყურები, ულვაშები, მოგრძო ფორმის დინგები და სახის სტატიკური გამომეტყველება. ანთროპოიდებს აქვთ მომრგვალებული თავის ქალა, მცირე ზომის უძრავი ყურები, დინგების ნაცვლად კი შედარებით მომცრო, ბრტყელი სახეები და მოქნილი ხელები.
4. ანთროპოიდების რიგი ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: პლატირინები (ახალი სამყაროს მაიმუნები) და კატარინები. კატარინები, თავის მხრივ, სერკოპითეკოიდებად (ძველი სამყაროს მაიმუნები) და ჰომინოიდებად (ადამიანის მსგავსი მაიმუნები და ადამიანები) იყოფიან. ანთროპოიდი ადამიანის მსგავსი მაიმუნები შედგებიან ჰილობატების ანუ შედარებით მცირე ზომის მაიმუნებისგან (გიბონები და სიამანგები) და პონგიდების ანუ დიდი ზომის ადამიანის მსგავსი მაიმუნებისგან (ორანგუტანგი, გორილა და შიმპანზე).
5. შიმპანზეებისა და გორილების ცილებისა და დნმ-ის შემადგენლობა, ისევე, როგორც მათი ანატომია და ქცევა, ძალიან ჰგავს ადამიანისას. ველური შიმპანზეები ამზადებენ და იყენებენ სხვადასხვა იარაღს და ბუნებრივ საგნებს თავიანთი მიზნების შესაბამისად უცვლიან სახეს. ნიშანთა ენის შესწავლისას შიმპანზეებიცა და გორილებიც აბსტრაქტული აზროვნების გასაოცარ უნარს ავლენენ.
6. ჰომინიდებსა და სხვა ანთროპოიდებს შორის არსებული განსხვავებები ნათლად გვიჩვენებს, თუ რომელი თვისებები განასხვავებს ადამიანებს, როგორც სახეობას. ჰომინიდები ორ ფეხზე გადაადგილდებიან და სიარულის დროს ხელების დახმარება არ სჭირდებათ. მათი ტვინი, განსაკუთრებით კი ქერქი, უდიდესი და ყველაზე რთული აგებულებისაა. სხვა დანარჩენი პრიმატების მდედრებისგან განსხვავებით, ჰომინიდი მდედრები წლის ნებისმიერ დროს ამყარებენ სქესობრივ კავშირს. ჰომინიდების ნაშიერებს სხვებზე დამოკიდებულების შედარებით გრძელი პერიოდი აქვთ. სხვა პრიმატებისგან განსხვავებით, ჰომინიდების ქცევა ნასწავლია ან მიბაძვის შედეგად ჩამოყალიბებული. სალაპარაკო, სიმბოლური ენა და ერთი იარაღის სხვა იარაღის დასამზადებლად გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე ადამიანისთვის არის დამახასიათებელი. ჩვეულებრივ, ჰომინიდებსაც ახასიათებთ საკვების მოპოვებაში შრომის განაწილება და აგრეთვე საკვების განაწილება მოზრდილობის ასაკში.
7. გარემო პირობების ცვალებადობამ, ასევე განსხვავებამ საქმიანობის ტიპებსა და კვების რაციონში, შეიძლება ახსნას ის განსხვავებული ნიშან-თვისებები, რომლებიც პრიმატებს ახასიათებთ. ღამის პრიმატები უფრო მომცრო ზომის არიან და ცალ-ცალკე ან ძალიან მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ. დღის პრიმატებს შორის ხეზე მცხოვრები სახეობები უფრო პატარები არიან და მიწაზე მცხოვრებ პრიმატებზე მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ. ხილის მჭამელ პრიმატებს შედარებით უფრო დიდი მოცულობის ტვინი აქვთ, ვიდრე ფოთლის მჭამელებს.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორ შეგიძლიათ დაასაბუთოთ, რომ პრიმატები, რომელთა განამარხებული ნაშთები აღმოჩნდა, ხეებზე ცხოვრობდნენ?
2. რატომ არიან პრიმატები ასეთი ჭკვიანები?
3. რა გარემოებები უწყობს ხელს ურთიერთობის უნარის ადაპტურობას?
4. რატომ არის ადამიანთა მოუმწიფებლობის პერიოდი ასეთი ხანგრძლივი?

პრიმატების ევოლუცია: ადრეული პრიმატებიდან ჰომინოიდებამდე

5

თავების შინაარსი

- პრიმატების წარმოშობა
- ანთროპოიდების წარმოშობა
- მიოცენური ანთროპოიდები: მაიმუნები, ადამიანის მსგავსი მაიმუნები და ჰომინიდები
- ჰომინიდების გამოყოფა დანარჩენი ჰომინიდებისგან



პრიმატების ევოლუცია პრიმატოლოგი პალეონტოლოგებისა და პალეოანთროპოლოგების განსაკუთრებული ინტერესის სფეროა. რამდენი ხნის წინ გაჩნდნენ პირველი პრიმატები? როგორ გამოიყურებოდნენ? როგორი პირობები იყო მათთვის ხელსაყრელი? როგორ განვითარდნენ ადრეული პრიმატები ამ პერიოდის შემდეგ? რა ადგილი უკავიათ სხვადასხვა სახეობის პრიმატებს? მართალია, ჩვენი, როგორც ანთროპოლოგების, ინტერესის სფეროს ადამიანების და იმ პრიმატების წარმოშობის კვლევა წარმოადგენს, რომელთა შთამომავლობით ხაზს ადამიანებამდე მივყავართ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ევოლუცია რაღაც გარკვეული მიზნით ან რომელიმე ერთი სახეობის შესაქმნელად კი არ მიმდინარეობს, არამედ ეს არის ორგანიზმების შეგუება ან ვერშეგუება გარკვეულ გარემოსთან. ამგვარად, პრიმატების აღმოჩენილი განამარხებული ნაშთები მრავალფეროვანია, მათ შორის არის უკვე გადაშენებული ჯიშების ჩონჩხიც. შესაძლოა, რომ პრიმატების ზოგიერთ შტოს საერთოდ არ დაეტოვებინა შთამომავლობა.

პრიმატების ევოლუციის სურათის რეკონსტრუქცია განამარხებული ნაშთების მოპოვებაზეა დამოკიდებული. მართალია, მრავალი ნაშთი უკვე აღმოჩენილია და ახლების აღმოჩენა კვლავ მიმდინარეობს, მაგრამ მოპოვებული მასალა სრული მაინც არ არის. პალეოანთროპოლოგები მიწიდან ვერ ამოიღებენ განამარხებულ ნაშთებს თუ გეოლოგიური ფენები აწეული, ეროზიით დაზიანებული ან მასალა რაიმე სხვა მიზეზის გამო ხელმისაწვდომი არ იქნება. აღმოჩენილი განამარხებული მასალა უფრო ხშირად ფრაგმენტული და დაზიანებულია, შეიძლება, ორგანიზმის აგებულებაზე მსჯელობა მოპოვებულ მხოლოდ ერთ ან ორ ნაწილზე იყოს დამოკიდებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ თავში „როგორ ვპოულობთ წარსულს“, პრიმატების ევოლუციის ისტორიის შესწავლა ბევრად უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე განამარხებული



სურათი 5-1 **პრიმატების ევოლუცია**

ნაშთების უბრალო ამოთხრაა. თანამედროვე სახეობათა ანატომიური აგებულების ცოდნა საშუალებას გვაძლევს, დასკვნები გამოვიტანოთ განამარხებული სახეობების ფიზიკური აგებულებისა და ქცევის შესახებ. გეოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში შემუშავებული დათარიღების მეთოდები განამარხებული ნაშთების (იხ. სურ. 5-1) მიახლოებითი დათარიღების საშუალებას იძლევა. უძველესი მცენარეებისა და ცხოველების, გეოგრაფიისა და კლიმატის შესწავლა კი უძველესი პრიმატების გარემომცველი სამყაროს აღდგენის საშუალებას გვაძლევს.

მართალია, პრიმატების ევოლუციის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის ცნობილი, ბევრი კი საკამათოა, მაგრამ ის, რაც ვიცით, არც ისე ცოტაა. ვიცით, მაგალითად, რომ ეოცენის ეპოქაში, რომელიც დაახლოებით 55 მილიონი წლის წინ დაიწყო, პრიმატები უკვე არსებობდნენ. მაიმუნისა და ადამიანის მსგავსი მაიმუნის ნიშნების მატარებელი პრიმატები ოლიგოცენის ეპოქაში დაახლოებით 34 მილიონი წლის წინ გამოჩნდნენ, ხოლო მიოცენის ეპოქაში, რომელიც 24 მილიონი წლის წინ დაიწყო, ადამიანის მსგავსი მაიმუნების რამდენიმე სახეობა არსებობდა. როგორც განამარხებული მასალის საშუალებით გავიგეთ, უძველეს პრიმატებს თანამედროვე პრიმატებისათვის დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდათ, მაგრამ ზუსტად ისე არც ერთი მათგანი არ გამოიყურებოდა.

ამ და შემდეგ თავებში მოგაწვდით მონაცემებს პრიმატების ევოლუციის თანამედროვე თეორიისა და მისი დამამტკიცებელი მასალის შესახებ პრიმატების წარმოშობიდან და თანამედროვე ადამიანებამდე. უშუალოდ ამ თავში კი გავეცნობით პერიოდს ორ ფეხზე მოსიარულე ჰომინიდების წარმოშობამდე. ჩვენ მიერ ამ თავში განხილული პერიოდი მოიცავს 65 მილიონ წელს – მიოცენის ბოლომდე, რომელიც 5 მილიონ წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინ დასრულდა (იხ. სურ. 5-1).

პრიმატების წარმოშობა

როდის გამოჩნდნენ პირველად პრიმატები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენს ხელთ არსებული განამარხებული მასალის საფუძველზე საკმაოდ ძნელია. ზოგი პალეოანთროპოლოგის აზრით, განამარხებული ნაშთები, რომელიც **პალეოცენის** (დაიწყო დაახლოებით 65 მილიონი წლის წინ) ეპოქას მიეკუთვნება, არქაულ პრიმატებს ეკუთვნით. ეს ნაშთები პლეზიადაპიფორმებია და აღმოჩენილია როგორც ევროპაში, ისე ჩრდილოეთ ამერიკაში, რომლებიც მაშინ ერთიან, განუყოფელ ხმელეთს წარმოადგენდა. პლეზიადაპიფორმებიდან ყველაზე უკეთ ცნობილია **პლეზიადიპები**. ისინი ციყვის მსგავსი ცხოველები იყვნენ, დიდი დინგითა და დიდი ეშვებით; აგრეთვე მათ ჰქონდათ დიდი ზომის ცხვირის ღრუ და თავის ქალის სხვადასხვა მხარეს მოთავსებული თვალის ბუდეები, რაც განვითარებულ ყნოსვასა და სტერეოსკოპული მხედველობის (სიღრმის აღქმა) სისუსტეზე ან არარსებობაზე მეტყველებდა. პლეზიადიპებს თითებზე ბრჭყალები ჰქონდათ, თუმცა მათი ხელისა და ფეხის თითები საკმარისად მოქნილი არ იყო ჩასაჭიდებლად. ეს ნიშან-თვისებები იმაზე მეტყველებს, რომ პლეზიადიპები პრიმატებს არ მიეკუთვნებოდნენ. თუმცა იდაყვისა და ქუსლის სახსრები მათ დიდ მობილურობაზე მიგვანიშნებს, კბილები და ეშვები კი მათ ყველაფრის ჭამის საშუალებას აძლევდათ. მათი შიდა ყურის აგებულებაც თანამედროვე პრიმატების მსგავსია. სწორედ იმის გამო, რომ ამ ცხოველებს პრიმატების მსგავსი ნიშნები ჰქონდათ, ზოგიერთი მეცნიერი მათ არქაულ პრიმატებად მიიჩნევს.

პალეოანთროპოლოგთა მეორე ჯგუფს მიაჩნია, რომ პლეზიადაპიფორმებსა და გვიანდელ, აშკარა პრიმატებს შორის იმდენად მცირე მსგავსებაა, რომ მათი პრიმატთა რიგში მოთავსება მიზანშეწონილი არ არის. თუმცა 55 მილიონი წლის წინანდელი **ეოცენის** პერიოდით დათარიღებული განამარხებული ნაშთების თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს. ეს ადრეული პრიმატები პროსიმიანების ორი მთავარი ჯგუფისგან – ადაპიდებისა და ომომიდებისგან შედგება. პრიმატების ეს ორი სახეობა ერთმანეთისგან სერიოზულად განსხვავდება, თუმცა იმის გამო, რომ მათი გამოჩენა პალეოცენისა და ეოცენის პერიოდების საზღვარზე მოხდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ საერთო წინაპარი ჰყავდათ. ვარაუდობენ, რომ ეს თაგვის ზომის, ხეზე მობინადრე არსება Carpolestes simpsoni უნდა ყოფილიყო, რომლის ნაშთი ვაიომინგში აღმოჩნდა და ის 56 მილიონი წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება. **Carpolestes** ატარებს როგორც პრიმატების, ისე არაპრიმატების ნიშნებს, სწორედ ამიტომ, ეს ორგანიზმი ძალიან საინტერესოა. მართალია, მას არ აქვს სტერეოსკოპული მხედველობა, მაგრამ ქვედა კიდურების დიდ თითებზე კლანჭების ნაცვლად, ფრჩხილები აქვს. აზრს, რომ კარპოლესტები პრიმატების საერთო წინაპრები არიან, ყველა მეცნიერი არ ეთანხმება. სურათზე 5-2 შემოხაზული მიუთითებს ადგილს, სადაც პალეონტოლოგმა რობერტ მარტინმა პრიმატების საერთო წინაპრები მოათავსა: გვიან ცარცულ პერიოდში.

ახლა დავუბრუნდეთ იმ პირობებს, რომლებმაც პრიმატების წარმოშობას შეუწყო ხელი.

გარემო პირობები

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ადრეული პრიმატები დაახლოებით 65 მილიონი წლის წინ, პალეოცენის პერიოდში ან უფრო ადრე, ცარცულ პერიოდში გამოჩნდნენ. როგორი იყო გარემო იმ დროს? პალეოცენის დასაწყისი დიდი გეოლოგიური ცვლილებების ხანა იყო. ამ პერიოდში მოხდა მეზოზოური ერიდან კაინოზოურზე გადასვლა. კაინოზოური ერის ბოლო პერიოდში გავრცელებული ყველა ცხოველური და მცენარეული სახეობის 75% ადრეულ პალეოცენში გაქრა. სახეობათა ამგვარი გაქრობიდან ყველაზე ცნობილია დინოზავრთა გადაშენება.

ცარცული პერიოდის კლიმატი ზოგადად რბილი და ნოტიო იყო, მაგრამ ბოლო პერიოდში ტემპერატურამ კლება დაიწყო. პალეოცენის ეპოქის დასაწყისისთვის დაიწყო

Carpolestes simpsonis რეკონსტრუქცია. გვიანი პალეოცენის პერიოდში ხეზე მობინადრე ეს ცხოველი შეიძლება პრიმატების საერთო წინაპარი იყოს.



სურათი 5-2

ევოლუციური დამოკიდებულება ადრეულ პრიმატებსა და თანამედროვე პრიმატებს შორის რ. დ. მარტინის თეორიის მიხედვით. პრიმატების ხაზები, რომლებიც დღემდე არ მოდის, სავარაუდოდ, გამქრალ სახეობებს ეკუთვნის. მთავარი ღეროდან გამოსული განშტოებები საერთო წინაპრის ხაზიდან გადახრის მაჩვენებელია. აღნიშნავს ყველა პრიმატის უცნობ, საერთო წინაპარს.

ტემპერატურის ცვალებადობა როგორც სეზონური, ისე გეოგრაფიული თვალსაზრისით. მრავალ ადგილას უფრო მშრალი კლიმატი ჩამოყალიბდა, რასაც ჭაობების მასობრივი დაშრობა მოჰყვა. კლიმატი პალეოცენში ზოგადად უფრო გრილი იყო, ვიდრე გვიანდელ ცარცულ პერიოდში, მაგრამ არა ცივი. საკმაოდ მაღალ ადგილებშიც კი გაჩნდა ტყეები. სუბტროპიკული კლიმატი იყო გავრცელებული 62-ე განედამდე, სადაც ალიასკა მდებარეობს.

შორეულ წარსულში განსხვავებული კლიმატების არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი **კონტინენტების დრეიფი** იყო (სურ. 5—3). ადრეულ ცარცულ პერიოდში (135 მილიონი წლის წინ) კონტინენტები ძირითადად ორ სუპერკონტინენტად იყო გაერთიანებული – ლაურაზიად, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკასა და ევრაზიას მოიცავდა და გონდუანალენდად, რომელიც აფრიკას, სამხრეთ ამერიკას, ინდოეთს, ავსტრალიასა და ანტარქტიდას აერთიანებდა. პალეოცენის დასაწყისისთვის (დაახლოებით 65 მილიონი წლის წინ) გონდუანალენდი ორ ნაწილად გაიყო: სამხრეთ ამერიკა აფრიკისგან დასავლეთით მოექცა, ინდოეთი აღმოსავლეთით, ავსტრალია და ანტარქტიდა კი — სამხრეთით. მდებარეობის შეცვლის შემდეგ, კონტინენტები განსხვავებულ კლიმატურ პირობებში მოხვდნენ. აღსანიშნავია, რომ თავად კონტინენტების მოძრაობაც ახდენდა კლიმატზე ზემოქმედებას, ზოგჯერ გლობალური მასშტაბითაც კი.

ქარი და ამინდი ხმელეთის დიდ მასივებზე სხვანაირად მოქმედებს, ვიდრე პატარებზე. ამიტომ, ამინდი ლევრაზიის მთლიან, დიდ კონტინენტზე განსხვავებული იქნებოდა, სანამ იგი ცალკეულ კონტინენტებად დაიშლებოდა. კონტინენტების შეჯახებისას წარმოიქმნება მთები, რომლებიც თავის მხრივ, ამინდზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ. მთის ჯაჭვები ღრუბლების ტენიანობას ამცირებენ, ამიტომ ის მხარე, რომელსაც ამინდის ზემოქმედება ნაკლებად ეხება, უფრო მშრალია (პირობა, რომელსაც წვიმის ჩრდილს უწოდებენ), საწინააღმდეგო მხარე (ქარის მიმა რთულებით მდებარე) კი უფრო ტენიანი. როდესაც კონტინენტების მდებარეობა ხელს უშლის ოკეანის დინებების მოძრაობას ტროპიკებიდან პოლუსებისაკენ, დადამიწის კლიმატი უფრო ცივი ხდება. კონტინენტების დრეიფმა და კლიმატურმა ცვლილებებმა უდიდესი გავლენა მოახდინა პრიმატების ევოლუციაზე.

კლიმატურ ცვლილებებს მცენარეული საფარის ცვლილებაც მოჰყვა. პირველი ფოთლოვანი ხეები და ყვავილოვანი ანუ ფარულთესლოვანი მცენარეები (Angiosperma) ცარცულ პერიოდში გაჩნდნენ, უფრო დიდი ზომის ხეები კი, რომლებიც დიდი ზომის ხილს ისხამდა და შესაბამისად, უფრო დიდი ზომის კურკები ჰქონდა, უკვე მოგვიანებით, პალეოცენისა და ადრეული ეოცენის პერიოდებში გავრცელდა.

კლიმატისა და გარემო პირობების შეცვლასთან ერთად ევოლუციის შედეგად ცხოველთა მრავალი სახეობა წარმოიშვა. მართალია, ზოგი ძუძუმწოვარი ცარცული პერიოდიდან არსებობს, მაგრამ პალეოცენის დროს ევოლუციას მათი მრავალი ახალი სახეობის, აგრეთვე მრავალფეროვანი ფოთლოვანი და ყვავილოვანი ხეების წარმოქმნა და გავრცელება მოჰყვა, რამაც როგორც ჩანს, დიდად შეუწყო ხელი ძუძუმწოვართა სხვადასხვა სახეობის წარმოშობასა და გავრცელებას. პრიმატოლოგი პალეონტოლოგების აზრით, პრიმატები ძუძუმწოვართა ერთ-ერთი შტოდან, უფრო ზუსტად კი, **მწერიჭამია**



სურათი 5-3

კონტინენტების დრეიფი. სუპერკონტინენტი პანგეას გაყოფა ლაურაზიად და გონდაუნალენდად 135 მილიონი წლის წინ მოხდა. მოგვიანებით ეს კონტინენტები ჩვენთვის ცნობილ კონტინენტებად დაიყო. მილიონი წლის წინ (მწწ).

ძუძუმწოვართა რომელიღაც განშტოებიდან ან სახესხვაობიდან წარმოიშვნენ, უფრო კი მწერიჭამია ძუძუმწოვრებისგან, რომელთა რიგებშიც თანამედროვე ბიგა და თხუნელებიც შედიოდნენ, რომლებიც ახლად შექმნილ ფოთლოვან და ყვავილოვან მცენარეებში არსებული მწერებით იკვებებოდნენ.

მარტივად რომ ვთქვათ, მცენარეთა ახლად წარმოშობილმა ფორმებმა ცხოველთა ახალ ფორმებს კვებისა და დაცვის დამატებითი წყაროები შეუქმნა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ახალი მცენარეების წარმოშობასთან ერთად, მწერებისთვის საკვების დამატებითი წყაროები შეიქმნა, რის შედეგადაც გაიზარდა მწერების როგორც რაოდენობა, ისე მათი სახეობები. ამან კი, თავის მხრივ, იმ ძუძუმწოვართა რაოდენობის ზრდა გამოიწვია, რომლებიც მწერებით იკვებებოდნენ. ეს ძუძუმწოვრები გარემოს ადვილად ეგუებოდნენ და თითქმის ყველგან შეეძლოთ ბინადრობა: მინის ქვეშ, წყალსა და მინის ზედაპირზე. ისინი ბინადრობდნენ ტყის პირობებშიც: ბუჩქებში, ხვიარა მცენარეებსა და ხეებზე. პრიმატების ევოლუციაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მიწის ზემოთ ბინადრობას. უფრო ადრეულ პერიოდებში ტყე იმდენად ათვისებული არ იყო. შემდგომში მცირე ზომის ცხოველთა ზოგიერთმა სახეობამ, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება უძველესი პრიმატიც ყოფილიყო, თანდათანობით ტყის ათვისება დაიწყო.

კერძოდ რამ შეუწყო ხელი პრიმატების წარმოშობას?

პრიმატების წარმოშობის ტრადიციული ახსნა არის ე.წ. არბორეალური ანუ „ხეზე ცხოვრების თეორია“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პრიმატები წარმოიშვნენ მწერის მჭამელი ძუძუმწოვრებისგან, რომლებმაც ხეებზე ბინადრობა დაიწყეს. ანთროპოლოგები ხეზე ბინადრობისბის დაწყებას სხვადასხვა სახის ადაპტაციით ხსნიან. 1912 წელს გ. ელიოტ სმიტმა ივარაუდა, რომ ხეზე ცხოვრების დაწყებამ მხედველობის განვითარებას შეუწყო ხელი. საკვების ყნოსვით მოძიება და მგრძნობიარე დინგი მიწაზე მობინადრე მწერის მჭამელი ცხოველებისთვის რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ხეზე მობინადრე ცხოველებისთვის ტოტების ლაბირინთში საკვების მოსაძებნად მხედველობა ბევრად უფრო საჭიროა. დინგების დაპატარავებასთან და ყნოსვის მნიშვნელობის შემცირებასთან ერთად, ადრეული პრიმატების თვალები წინ უნდა ყოფილიყო მიმართული. 1916 წელს ფრედერიკ ვუდ ჯონსმა ხაზი გაუსვა ადრეული პრიმატების ხელებსა და ფეხებზე მომხდარ ცვლილებებს. მისი აზრით, ხეებზე ცოცვას ხელი უნდა შეეწყო ჩამჭიდი ხელებისა და ფეხების განვითარებისთვის, ხოლო უკანა ფეხებს წინ მიმართული მოძრაობისას საყრდენის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. 1921 წელს ტრიჩერ კოლინზმა ივარაუდა, რომ ადრეული პრიმატების თვალებმა წინ იმიტომ კი არ გადაინაცვლა, რომ დინგები დაუპატარავდათ, არამედ იმიტომ, რომ განუვითარდათ ტოტიდან ტოტზე ხტომისას აუცილებელი, სამგანზომილებიანი მხედველობა, რომელიც აუცილებელი იყო ნახტომის სიზუსტის დასაცავად. 1968 წელს ფრედერიკ შალაიმ გამოთქვა აზრი, რომ ცვლილება კვების რაციონში – მწერებიდან მარცვლებზე, ხილსა და ფოთლებზე გადასვლა, ძალზე მნიშვნელოვანი იყო პრიმატების მწერის მჭამელებისგან დიფერენციაციისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მეტ კარტმილმა არბორეალური თეორიის სუსტი მხარეები გააშუქა, ამ თეორიას ჯერ კიდევ ჰყავს მომხრეები. მისი აზრით, ხეზე ბინადრობა ვერ ხსნის პრიმატების მრავალ დამახასიათებელ ნიშანს, რადგან ხეზე სხვა ძუძუმწოვრებიც ბინადრობენ, მაგრამ მშვენივრად გრძნობენ თავს პრიმატებისათვის დამახა-

სიათებელი ნიშან-თვისებების გარეშეც. ამის საუკეთესო მაგალითია ხეზე მობინადრე ციყვი. მისი თვალები პირდაპირ არ არის მიმართული, ყნოსვითი მონაცემები სხვა მღრღნელებთან შედარებით, შემცირებული არ არის, აქვს კლანჭები და არა ფრჩხილები და არ აქვს განზე გაწეული ცერა თითები. მიუხედავად ყოველივე ამისა, ციყვები ხეებზე თავს ძალიან მოხერხებულად გრძნობენ. მათ შეუძლიათ ხიდან ხეზე ზუსტად ხტომა, შეუფერხებელი გადაადგილება პატარა ტოტებსა და ვერტიკალურ ზედაპირებზე აღმა-დაღმა სირბილი. ისინი უკანა ფეხებითაც კი ეკიდებიან დაბლა საკვების მისაწვდომად. გარდა ამისა, პრიმატებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები მრავალ სხვა ცხოველსაც აქვს, მაგრამ ისინი ხეებზე არ ბინადრობენ და ტოტებზეც ისე არ გადაადგილდებიან, როგორც პრიმატები. მაგალითად, ხორცის მჭამელ ცხოველებს, როგორებიცაა კატა, ქორი და ბუ, თვალები წინ აქვთ მიმართული, ხოლო ქამელეონს (რეპტილია) და ზოგიერთ ავსტრალიურ ჩანთოსან ძუძუმწოვარს, რომელიც ბუჩქებსა და ბარდებში მწერებზე ნადირობს, ჩამჭიდი ხელები და ფეხები აქვთ.

კარტმილის აზრით, ხეებზე მოძრაობის გარდა, არსებობს სხვა ფაქტორი, რომელმაც პრიმატების წარმოშობა განაპირობა. მისი ვარაუდით, ადრეული პრიმატები ძირითადად, მწერის მჭამელები იყვნენ, ხოლო სამგანზომილებიანი მხედველობა, ჩამჭიდი ხელები, ფეხები და დაპატარავებული კლანჭები სელექციურად იყო გამართლებული ვაზის ნაზ ტოტებსა და ტროპიკული ტყეების ხეებზე საკვების მოსაპოვებლად. სამგანზომილებიანი მხედველობა საშუალებას აძლევდა მონადირეს, მსხვერპლამდე მანძილი ზუსტად განესაზღვრა. ჩამჭიდი ფეხები საშუალებას მისცემდა მტაცებელს მსხვერპლის დასაჭერად უფრო

ციყვები არბორეალურები არიან, მაგრამ პრიმატების ბერვი ნიშან-თვისება აკლიათ. მეტ კარტმილის მიხედვით, პრიმატების ნიშან-თვისებები ადაპტირებულია ხეების ტოტებზე დამაგრებასთან, მაშინ, როდესაც ციყვების ნიშან-თვისებები ადაპტირებულია ხის მრავალ განშტოებასთან.

მშვიდად გადაადგილებულიყო ვიწრო საყრდენზე, შემდეგ კი ხელი ეტაცა მისთვის. კარტმილის აზრით, კლანჭები ხელის შემშლელი იქნებოდა პატარა ტოტებისთვის ხელის ჩაჭიდების დროს, ხოლო ყნოსვის შეგრძნება იმიტომ კი არ შესუსტდა, რომ საჭირო აღარ იყო, არამედ იმიტომ, რომ თვალების სახის წინა მხარეს გადმონაცვლებამ დინგისთვის განკუთვნილი ადგილი შეამცირა (იხ. ჩარჩო "მეტ კარტმილი საკუთარ თეორიას ამოწმებს").

რობერტ სუსმანის თეორია აგებულია კარტმილის „ვიზუალური მტაცებლობის თეორიასა" და შალაის კვების რაციონის ცვლილების თეორიებზე. სუსმანი ეთანხმება კარტმილის შეხედულებას, რომ ადრეული პრიმატები ციყვებისგან განსხვავებით, ძირითადათ პატარა ხეებზე მოიპოვებდნენ საკვებს. ამ შემთხვევაში, ჩამჭიდი ხელები, ფეხები და პატარა ფრჩხილები, კლანჭების (ციყვისნაირი) ნაცვლად, მათთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა. სუსმანი ეთანხმება აგრეთვე შალაის მოსაზრებას, რომ ადრეული პრიმატები, როგორც ჩანს, ახალი სახის მცენარეული საკვებით იკვებებოდნენ (ყვავილებით, კურკებითა და ხილით), რომელთა რაოდენობა ყვავილოვანი ხეების გავრცელებასთან ერთად სულ უფრო იზრდებოდა. მაგრამ სუსმანს უჩნდება მნიშვნელოვანი კითხვა: თუ ადრეული პრიმატების ძირითად საკვებს მცენარეული საკვები და არა სწრაფად მოძრავი მწერები წარმოადგენდა, რატომ ეყრდნობოდნენ ისინი უფრო მეტად მხედველობას და არა ყნოსვას? სუსმანი ვარაუდობს, რომ ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ როგორც ჩანს, ადრეული პრიმატები ღამის ცხოველები იყვნენ (ისევე, როგორც მრავალი თანამედროვე პროსიმიანი): გაუმჯობესებული მხედველობა მათ იმ შემთხვევაში დასჭირდებოდათ, თუ საკვების ძებნა სიბნელეში ან არასაკმარისი განათების დროს მოუხდებოდათ.

ადრეული პრიმატების განამარხებული ნაშთების ძალიან მცირე რაოდენობაა აღმოჩენილი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ევოლუცია პირველად ჩამჭიდმა ხელებმა და ფეხებმა დაახლოებით, ალბათ, გვიანი პალეოცენის დროს განიცადეს, ხოლო სტერეოსკოპულმა მხედველობამ ევოლუცია კიდევ უფრო გვიან განიცადა. როდესაც მეტი განამარხებული მასალა გვექნება, ალბათ, უფრო მეტი საშუალება იქნება იმისათვის, რომ უკეთ შევაფასოთ სხვადასხვა თეორია, რომელიც პრიმატების წარმოშობის შესახებ არსებობს.

როგორები იყვნენ ადრეული პრიმატები

ადრეული, აშკარად გამოხატული პრიმატები, რომლებიც ეოცენის ეპოქაში ცხოვრობდნენ, თანამედროვე ჩრდილო ამერიკის, ევროპისა და აზიის ტერიტორიებზე დაახლოებით 55 მილიონი წლის წინ გამოჩნდნენ. იმ დროისათვის ლაურაზია, სუპერკონტინენტი, რომელიც ჩრდილო ამერიკისა და ევრაზიისგან შედგებოდა (მათ გრელანდია აკავშირებდათ), ერთიან ხმელეთს წარმოადგენდა, რომელიც შემადგენელ ნაწილებად შუა ეოცენში დაიშალა. მაშინ აფრიკა და ინდოეთი ევრაზიასთან დაკავშირებულები ჯერ კიდევ არ იყვნენ. მათი დაკავშირება ოლიგოცენის ბოლოს მოხდა და ამან სერიოზული კლიმატური ცვლილებები გამოიწვია, რომლებზეც მოგვიანებით შევჩერდებით. ეოცენის დასაწყისი უფრო თბილი და ნაკლებ სეზონური იყო, ვიდრე პალეოცენი და ტროპიკული ტყეების სიჭარბით ხასიათდებოდა.

ეოცენური პრიმატების მრავალფეროვანი ანატომია გვაფიქრებინებს, რომ იმ დროისათვის მათ უკვე ახასიათებდათ თანამედროვე პრიმატების ნიშან-თვისებები: ფრჩხილები ბრჭყალების ნაცვლად, ჩამჭიდი, საწინააღმდეგო მხარეს მდებარე ცერი და თვალის ძვლოვანი ბუდეები. ვერტიკალური ცოცვა და ხტომა გადაადგილების მათთვის ჩვეული ფორმა იყო. ეოცენური პროსიმიანები არა მხოლოდ მოძრაობით ემსგავსებიან თანამედროვე პროსიმიანებს, არამედ მათი ჩონჩხებიც იდენტურია.

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

მეტ კარტმილი თავიდან ამოწმებს საკუთარ თეორიას პრიმატების წარმოშობის შესახებ

მეტ კარტმილმა თავისი "მტაცებლობის ვიზუალური თეორია" თავდაპირველად პრიმატების წარმოშობის ასახსნელად ჩამოაყალიბა, რადგანაც ფიქრობდა, რომ „ხეზე ცხოვრების თეორია" ამ საკითხს საკმარისად დამაჯერებლად ვერ ხსნიდა. რატომ გრძნობენ სხვა ცხოველები, მაგალითად, ციყვები, ხეებზე თავს ძალიან კარგად მიუხედავად იმისა, რომ პრიმატებისთვის დამახასითებელი ნიშან-თვისებები არ აქვთ? კარტმილის თეორიამ საკმაო კრიტიკა გამოიწვია. ვნახოთ, როგორ უპასუხა მან კრიტიკოსებს.

ერთმა კრიტიკოსმა, ჯ. ოლმანმა გამოთქვა აზრი, რომ თუ მხედველობაზე დამყარებული მტაცებლობა აუცილებლად მოითხოვს წინ მიმართული თვალების არსებობას, მაშინ რატომ არ აქვთ ასეთი თვალები ზოგიერთ სხვა მტაცებლებს? კატებსა და ბუებს წინ მიმართული თვალები აქვთ, მაგრამ მანგუსტებსა და გულწითელა ჩიტებს არ აქვთ. მეორე კრიტიკოსის, პოლ გარბერის აზრით, თუ კლანჭები მოუხერხებელი იყო პატარა ტოტებზე გადასაადგილებლად, მაშინ რატომ იკვებება მცირე ზომის პრიმატი – პანამური ტამარინი – ვაზის წვრილ ტოტებზე მობინადრე მწერებით და ამავე დროს ხუთი თითიდან — ოთხზე კლანჭები აქვს? რობერტ სუსმანმა კი მიუთითა, რომ მცირე ზომის ღამის პროსიმიანები ხილს მეტს ჭამენ, ვიდრე მწერებს. მისი ვარაუდით, თითებით ზუსტი მანიპულაციის უნარი, რომელიც პატარა ტოტების ბოლოებიდან მცირე ზომის ხილის მოსაწყვეტადაა საჭირო, თანაც იმ მომენტში, როდესაც პრიმატი უკანა ფეხებით არის ჩამოკიდებული, ადასტურებს როგორც უკლანჭო თითების, ასევე "ჩამჭიდი" კიდურების არსებობის აუცილებლობას.

კარტმილმა გაიაზრა ეს პრობლემები და კრიტიკოსებს თავისი თეორიის გადამოწმებით უპასუხა. მან წარმოადგინა, თუ როგორ შეიძლებოდა მისი თეორიის შედეგად მიღებული ზოგიერთი დასკვნის გადამოწმება.

წინ მიმართული თვალების პრობლემასთან დაკავშირებით, კარტმილი ამბობს, რომ თავად ოლმანის გამოკვლევა ხსნის ამას: ასეთი თვალები წინ მდებარე საგნებს არასაკმარისი განათების დროს უკეთ ხედავენ. დღის მტაცებლების თვალის გუგები წინ მდებარე საგნის უკეთ დანახვის მცდელობისას ვიწროვდება, ამდენად, წინ მიმართული თვალების არსებობა დღის მტაცებლებისთვის აუცილებელი არ არის. ღამის მტაცებლებს კი, რომლებიც მხედველობაზე უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი, როგორც ჩანს, წინ მიმართული თვალები იმის გამო ჰქონდათ, რომ შორ მანძილზე ყურებისას გუგების დავიწროვება მათთვის ღამით ხელსაყრელი არ იქნებოდა. ამგვარად, კარტმილი დარწმუნდა, რომ ადრეული პრიმატები ღამის ცხოველები იყვნენ. იგი დარწმუნდა იმაშიც, რომ მწერების გარდა, ისინი ხილითაც იკვებებოდნენ, რადგან როგორც სუსმანი ფიქრობს, ასე იკვებება თანამედროვე პრიმატების უმეტესობა. თუ ისინი ხილსა და მწერებს პატარა ტოტებზე გადაადგილების დროს ჭამენ, კლანჭები მათთვის ხელისშემშლელი უნდა იყოს. პანამის ტამარინები ამ აზრს არ ეწინააღმდეგებიან: მათ კლანჭები აქვთ, იკვებებიან ხის ფისით, რომლის მოსაპოვებლად ხის ვარჯს ციყვივით კლანჭებით ებღაუჭებიან.

კარტმილი ფიქრობს, რომ მისი მოდიფიცირებული თეორია უკეთ ხსნის პრიმატების მხედველობაში მომხდარ ცვლილებებს, ვიდრე სუსმანისა. როგორ შეიძლება სტერეოსკოპული, წინ მიმართული მხედველობის არსებობა ახსნა ადრეულ პრიმატებში? კარტმილი მიუთითებს, რომ სტერეოსკოპული და წინ მიმართული მხედველობა აუცილებელი არ იყო პრიმატებისთვის, რომლებიც უძრავი ხილით იკვებებოდნენ და პირიქით, ასეთი თვალები აუცილებელი იქნებოდა სწრაფად მოძრავი მწერების დასაჭერად.

კარტმილი ვარაუდობს, რომ ხეზე მობინადრე სხვა ძუძუმწოვრებთან დაკავშირებული მომავალი კვლევა პრიმატების წარმოშობის შესახებ დარჩენილ კითხვებსაც გასცემს პასუხს. ხეზე მობინადრე ჩანთოსნების თვალებიც კონვერგენტულია (რა თქმა უნდა, არა იმ ხარისხით, როგორც პრიმატებს ახასიათებთ). ჩანთოსნების ერთ გვარს, მაგალითად, სამხრეთ ამერიკულ ოპოსუმს პრიმატებისათვის დამახასიათებელი მრავალი დამატებითი ნიშანი აქვს, მათ შორის, შედარებით დიდი მოცულობის ტვინი, უფრო წინ მიმართული თვალები, მოკლე დინგი და ერთდროულად ერთი ან ორი შვილის გაჩენის უნარი. ტაბ რასმუსენის გამოკვლევების მიხედვით, ოპოსუმის მაგალითი ადასტურებს როგორც კარმილის, ისე სუსმანის თეორიებს, რადგან იგი იკვებება ხილით, რომელიც იზრდება ტოტების ბოლოებზე და ხელებით იჭერს მწერებს. დამატებითი საველე გამოკვლევები ჩანთოსნებსა და პრიმატებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მქონე სხვა ცხოველებზე, ასევე ახალი განამარხებული მასალის აღმოჩენა მეტ ინფორმაციას მოგვცემს.

ადრეული ეოცენის პრიმატები: ომომიდები და ადაპიდები

ადრეული ეოცენის პერიოდში ნახევრად მაიმუნთა ორი ჯგუფი ჩნდება: ერთ ჯგუფს, **ომომიდებს**, გრძელტერფებისათვის დამახასიათებელი მრავალი ნიშანი ჰქონდა, მეორე ჯგუფს, **ადაპიდებს** კი ლემურისებრთა მსგავსი ნიშნები ახასიათებდა. ომომიდები ძალიან პატარები იყვნენ, მათი ზომა ციყვისას არ აღემატებოდა, ადაპიდების ზომა კი — კატის კნუტისას.

ომომიდებს გრძელტერფებს იმიტომ ამსგავსებენ, რომ ისეთივე დიდი თვალები, კოჭის ძვლები და მცირე ზომის სხეული აქვთ. დიდი თვალები სავარაუდოდ, იმიტომ ჰქონდათ, რომ ღამე კარგად დაენახათ (ღამის ცხოველები იყვნენ); ითვლება, რომ მცირე ზომის ომომიდები მწერის მჭამელები იყვნენ, უფრო დიდი ზომისანი კი - ხილის მჭამელები. ომომიდების უმეტესობას კბილების ისეთივე აგებულება ჰქონდა, როგორიც თანამედროვე ნახევრადმაიმუნებს ახასიათებთ: ორი წინა საჭრელი კბილი და ოთხი წინა საღეჭი კბილი ქვედა ყბის ორივე მხარეს და არა სამი წინა საჭრელი კბილი და ოთხი წინა საღეჭი, როგორც ადრეულ ძუძუმწოვრებს ჰქონდათ. ეოცენის დროინდელი ომომიდის – ტეტონიუსის განამარხებული თავის ქალიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად დიდი როლი ენიჭებოდა მხედველობას. თავის ქალაზე დატოვებული ანაბეჭდის მიხედვით შეიძლება მისი კეფისა და საფეთქლის ტვინის დიდ მოცულობაზე ვიმსჯელოთ. ტვინის ეს ნაწილები აღქმასა და მხედველობით მეხსიერებასთან არიან დაკავშირებული.

ლემურის მსგავსი ადაპიდები დღისით უფრო აქტიურები იყვნენ და მათ საკვებსაც უმეტესად ფოთლები და ხილი წარმოადგენდა. ომომიდებისგან განსხვავებით, ადაპიდების ნაშთებში მნიშვნელოვანი სქესობრივი დიმორფიზმი შეინიშნება, რაც მათი ეშვების აგებულებაში გამოიხატება. მათ შენარჩუნებული აქვთ ოთხი წინა საღეჭი კბილი, ადრეული ძუძუმწოვრების მსგავსად (თუმცა ნაკლები რაოდენობის საჭრელი კბილებით). ერთ-ერთი სახეობის ადაპიდი, რომლის საკმაოდ ბევრი ნაშთია აღმოჩენილი, არის ნოთარქტუსი. მას ჰქონდა პატარა, ბრტყელი სახე, სტერეოსკოპული მხედველობა და შედარებით პატარა ზომის დინგი. როგორც ჩანს, ეს ცხოველები ტყეში ბინადრობდნენ და ჰქონდათ ძლიერი უკანა ფეხები ხიდან ხეზე სახტუნაოდ.

ეოცენის ეპოქის ძუძუმწოვრები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ. მათგან გამონაკლისს არც პრიმატები წარმოდგენდნენ. როგორც ჩანს, იმ წლებში ევოლუცია ძალიან სწრაფად მიმდინარეობდა; როგორც ომომიდებს, ისე ადაპიდებს, ჰქონდათ რამდენიმე ნიშანი, რომლებიც ამტკიცებს, რომ მათ და შედარებით გვიანდელ, ოლიგოცენის ეპოქაში გამოჩენილ ანთროპოიდებს შორის გარკვეული კავშირი არსებობდა, მაგრამ იმის შესახებ, რომ ანთროპოიდები რომელიმე ამ ჯგუფიდან განვითარდნენ, საერთო აზრი არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ომომიდებს გარკვეული მსგავსება აქვთ თანამედროვე გრძელტერფებთან, ხოლო ადაპიდებს — ლემურებთან და ლორისებთან, პალეოანთროპოლოგები დაბეჯითებით ვერ ამტკიცებენ, რომ რომელიმე ეს ჯგუფი თანამედროვე ნახევრად მაიმუნების წინაპარი იყო. არსებობს საერთო აზრი, რომ ლემურებისა და ლორისების წინაპარი პოპულაციები, ისევე, როგორც ტარსიერებისა, ჯერ კიდევ ეოცენის ეპოქაში ან კიდევ უფრო ადრე, გვიანი პალეოცენის ეპოქაში გაჩნდნენ.

ანთროპოიდების წარმოშობა

თანამედროვე ანთროპოიდები — მაიმუნები, ადამიანის მსგავსი მაიმუნები და ადამიანები — ანუ თანამედროვე

პრიმატები, 150-ზე მეტ სახეობას აერთიანებენ. სამწუხაროდ, მოპოვებული განამარხებული მასალა, რომელიც ანთროპოიდების წარმოშობას უკავშირდება, საკმარისი არ არის. ხოლო მონაცემები ძველი სამყაროს პრიმატების ფორმების (ვიწროცხვირა მაიმუნები) განამარხებული მასალის შესახებ იმ ორ ძირითად რეგიონში, სადაც ამჟამად მათი დიდი პოპულაციებია (აფრიკაში, სუბ-საჰარის ტროპიკულ ტყეებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში), ძალიან ბუნდოვანია. ზოგიერთი პალეოანთროპოლოგის აზრით, ჩინეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ალჟირში ბოლო დროს აღმოჩენილი ეოცენის პრიმატების ჩონჩხები რაღაცით ანთროპოიდების მსგავსია, მაგრამ მათი ევოლუციური სტატუსის შესახებ შეთანხმება მიღწეული არ არის.

ადრეული, ნამდვილი ანთროპოიდების ნაშთები, რომლებიც შედარებით გვიანდელი პერიოდით, გვიანი ეოცენითა და ადრეული ოლიგოცენით ანუ 34 მილიონი წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება, აღმოჩენილია ეგვიპტეში, ქაიროს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რეგიონში – ფაიუმში. ფაიუმში აღმოჩენილი ერთ-ერთი უძველესი პრიმატის, კატოპითეკის, ნაშთები დაახლოებით 35 მლნ. წლის წინანდელია. რამდენიმე ახალი აღმოჩენის შედეგად ამ სახეობის პრიმატი გვიანი ეოცენის პრიმატებს შორის ყველაზე ცნობილი გახდა. კატოპითეკი დაახლოებით თანამედროვე მარმოზეტების ანუ ციყვისებური მაიმუნის ზომის იყო. მისი კბილების სტრუქტურა მიუთითებს, რომ იგი მწერებით და ხილით იკვებებოდა. მას ჰქონდა პატარა თვალები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დღის ცხოველი იყო. კატოპითეკის ჩონჩხის ნაშთების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო სწრაფი, ხეებზე მობინადრე ცხოველი, რომელიც ოთხ ფეხზე გადაადგილდებოდა და შეიძლება საუკეთესო კანდიდატურა ყოფილიყო ადრეული ანთროპოიდობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მისი კავშირი სხვა პრიმატებთან კვლავ საკამათოა.

ოლიგოცენის პერიოდის ანთროპოიდები

ფაიუმში უდაბნოს ტიპის უნაყოფო და მწირი მიწებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იქ ანთროპოიდების მრავალი განამარხებული ნაშთია გამოვლენილი. **ოლიგოცენის** პერიოდში ანუ დაახლოებით 34 - 24 მილიონი წლის წინ, ფაიუმი ტროპიკული ტყეების ზონა იყო და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან ძალიან ახლოს მდებარეობდა. აქ ზომიერი ჰავა, ბევრი მდინარე და ტბა იყო. ფაქტობრივად, ფაიუმში ბევრად უკეთესი საცხოვრებელი პირობები იყო, ვიდრე ჩრდილოეთ კონტინენტებზე, რადგან როგორც ჩრდილო ამერიკაში, ისე ევრაზიაში, ოლიგოცენის პერიოდში უკვე სიცივე იწყებოდა. როგორც ჩანს, აცივებამ ზოგადად პრიმატების ფაქტობრივი გაქრობა გამოიწვია (დროებითი გაქრობა მაინც).

ფაიუმის ოლიგოცენის პერიოდის ანთროპოიდები ორ ჯგუფად იყოფიან: მაიმუნის მსგავსი **პარაპითეკიდები** და ადამიანის მსგავსი მაიმუნისებრი **პროპლიოპითეკიდები**. ორივე სახეობა 35-31 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა და საკმარისი ნიშან-თვისება ჰქონდათ იმისათვის, რომ ანთროპოიდებად ჩაითვალონ.

პარაპითეკიდები. მაიმუნის მსგავს პარაპითეკიდებს, ისევე, როგორც ნახევრად მაიმუნების უმეტესობასა და ახალი სამყაროს მაიმუნებს, სამი წინა საღეჭი კბილი ჰქონდათ (ყბის თითო მეოთხედში). ისინი თანამედროვე ანთროპოიდებს მთელი რიგი ნიშნებით ემსგავსებიან: აქვთ ძვლოვანი ტიხარი თვალის ბუდეების უკან, განიერი საჭრელი კბილები, გამოშვერილი ეშვები და საღეჭი კბილების დაბალი, მომრგვალებული გვირგვინები. მაგრამ მათ აქვთ ნახევრად მაიმუნების მსგავსი წინა საღეჭი კბილები და შედარებით მცირე მოცულობის ტვინი. პარაპითეკიდები ზომით ძალიან პატარა (3 ფუნტამდე) ცხოველები იყვნენ და მოგვაგონებდნენ ციყვისებურ მაიმუნებს, რომლებიც ამჟამად სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში ცხოვრობენ. მათი თვალის შედარებით პატარა ბუდეები გვაფიქრებინებს, რომ ისინი ღამის ცხოველები არ უნდა ყოფილიყვნენ. მათი კბილების მიხედვით ჩანს, რომ უმეტესად ხილითა და ამ ხილის კურკებით იკვებებოდნენ. მათი გადაადგილების შესახებ მონაცემები ერთ-ერთი პარაპითეკიდის, აპიდიუმის აღმოჩენის შემდეგ გახდა ცნობილი. როგორც ჩანს, ეს ცხოველი ოთხ ფეხზე გადაადგილდებოდა და საკმაოდ ხშირად ხტოდა. პარაპითეკიდები ანთროპოიდთა უძველესი ჯგუფია და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს საერთო აზრი პალეოანთროპოლოგებს შორის, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ანთროპოიდების წარმოშობა წინ უძღოდა ახალი სამყაროს ბრტყელცხვირა და ძველი სამყაროს ვიწროცხვირა მაიმუნების (ერთმანეთისგან გამოყოფას).

ახალი სამყაროს მაიმუნების (პლატირინების) წინაპრად პარაპიტეკიდების აღიარება პრიმატების ევოლუციაში დიდ თავსატეხს ქმნის, ეს თავსატეხი ახალი სამყაროს მაიმუნების წარმოშობას ეხება. ისეთი ანთროპოიდი პრიმატები, როგორიცაა დოლიქოცებუსი, პატარა, ხილის მჭამელი მაიმუნი, რომელიც თანამედროვე, ციყვისებური მაიმუნის მსგავსია, მოულოდნელად, ყოველგვარი წინაპრების გარეშე ჩნდება სამხრეთ ამერიკაში დაახლოებით 25 მლნ. წლის წინ. რადგან პარაპიტეკიდები სამხრეთ ამერიკაში უფრო ადრე გამოჩნდნენ, ვიდრე ანთროპოიდები და თანაც მათ მრავალი ნიშნით ემსგავსებიან, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება მათი მიჩნევა ახალი სამყაროს მაიმუნების წინაპართა ნაწილად.

საინტერესოა, როგორ მოხვდნენ ანთროპოიდული პრიმატები აფრიკიდან სამხრეთ ამერიკაში? მიუხედავად იმისა, რომ გვიანი ოლიგოცენის პერიოდში კონტინენტები ერთმანეთთან შედარებით ახლოს მდებარეობდნენ, სამხრეთ ამერიკას აფრიკასთან სულ ცოტა, 3000 კილომეტრი აშორებდა. განიერი კონტინენტური შელფი და გვიანი ოლიგოცენის დროს ზღვის დაბალი დონის გამო წარმოშობილი კუნძულები შეიძლება იმის საშუალებას იძლეოდა, რომ კუნძულიდან კუნძულამდე ხტომით მიეღწიათ აფრიკიდან სამხრეთ ამერიკამდე (200 კილომეტრიანი მონაკვეთებით), მაგრამ ხეზე მცხოვრები პრიმატებისთვის ეს ძალიან დიდი მანძილი იქნებოდა.

წარმოუდგენელი იქნებოდა აფრიკიდან სამხრეთ ამერიკაში ევროპის (ეს კონტინენტები ოლიგოცენის პერიოდში ჯერ კიდევ დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან) გავლით მოხვედრაც. ჩრდილოეთი და სამხრეთ ამერიკის კონტინენტები ერთმანეთს მხოლოდ 5 მლნ. წლის წინ დაუკავშირდნენ. ამიტომ, თუ ახალი სამყაროს მაიმუნების წინაპრები ჩრდილოეთ ამერიკამდე მიაღწევდნენ, სამხრეთ ამერიკამდე მისაღწევად კიდევ დიდი მანძილი უნდა გაევლოთ, თანაც ოკეანე უნდა გადაეკვეთათ. არსებობს ერთი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ შეეძლოთ ახალი სამყაროს მაიმუნებს ატლანტის ოკეანის გადაკვეთა. ამ მოსაზრების თანახმად, ოკეანის გადაკვეთა მოხდა ტივების საშუალებით, რომლებიც დატკეპნილი მცენარეების, ფესვებისა და მიწისგან შედგებოდა. ამგვარი "ტივების" ფუნქციას მოწყვეტილი მიწა შეასრულებდა, ის კი დიდი მდინარეების შესართავებთან შეიძლება საკმაოდ დიდი ზომისაც ყოფილიყო. ამის წარმოდგენა ალბათ ძნელია, მაგრამ მრავალი მეცნიერი თვლის, რომ ამ გზით ანთროპოიდები შესაძლებელია სამხრეთ ამერიკაში მოხვედრილიყვნენ.

პროპლიოპითეკიდები ფაიუმში აღმოჩენილი ანთროპოიდების მეორე სახეობაა პროპლიოპითეკიდები. მათი კბილების აგებულება თანამედროვე ვიწროცხვირა მაიმუნების მსგავსია და ამ ნიშნის გამო Catarrhines (ვიწროცხვირა მაიმუნებს)-ს მიეკუთვნებიან. პარაპითეკიდებისგან განსხვავებით, რომელთაც სამი წინა საღეჭი კბილი აქვთ, პროპლიოპითეკიდებს, თანამედროვე ადამიანის მსგავსი მაიმუნების, ადამიანებისა და ძველი სამყაროს მაიმუნებივით, მხოლოდ ორი ასეთი კბილი აღენიშნებათ. პროპლიოპითეკიდებს, პარაპითეკიდების მსგავსად, ანთროპოიდებისათვის დამახასიათებელი აგებულების კბილები აქვთ: განიერი ქვედა საჭრელი კბილები, წინ წამოწეული ეშვები და ქვედა საღეჭი კბილების მომრგვალებული, დაბალი გვირგვინები. გარდა ამისა, პროპლიოპითეკიდებს, როგორც პარაპითეკიდებს, თვალის ბუდეების უკან ძვლოვანი ტიხარი აღენიშნებათ.

ეგიპტოპითეკუსი, ყველაზე უკეთ ცნობილი პროპლიოპითეკიდი, როგორც ჩანს, ხეებზე ოთხი ფეხით გადაადგილდებოდა, ხოლო წონა 13 გირვანქას (5897 გრ) უდრიდა. მისი დაბალი საღეჭი კბილები მომრგვალებული გვირგვინებით და საკმაოდ დიდი საჭრელი კბილები გვაფიქრებინებს, რომ ეგიპტოპითეკუსი ძირითადად ხილით



მიუხედავად იმისა, რომ ფაიუმის დაბლობი დღეს უდაბნოა, ოლიგოცენის პერიოდში იქ ტროპიკული ტყეები იყო. ამ ტერიტორიაზე მრავლად მოიპოვება ტროპიკული მცენარეებისა და ცხოველების გაქვავებული ანაბეჭდები პრიმატების ჩათვლით.



რეკონსტრუქცია იმისა, თუ როგორ გამოიყურებოდნენ ოლიგოცენის პერიოდის პრიმატები. წინა პლანზე გამოსახულია ეგიპტოპითეკების ჯგუფი; უკანა პლანზე - აპიდიუმის ორი ინდივიდი. ნაჩვენებია ასევე იმდროინდელი ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენელი.



ეგვიპტოპითეკის თავის ქალა (ფაიუმიდან). მისი კბილების აგებულება, თვალის პატარა ძვლოვანი ბუდეები და შედარებით დიდი მოცულობის ტვინი ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ეს ცხოველი ძველი სამყაროს მაიმუნებისა და ადამიანის მსგავსი მაიმუნების წინაპარი იყო.

იკვებებოდა. მისი შედარებით მცირე ზომის თვალების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის დღის ცხოველი იყო. მას მოგრძო დინგი და შედარებით პატარა მოცულობის ტვინი ჰქონდა. თავის ქალის ენდოკასტების (ქალის შიდა აგებულების თავისებურებების) მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეგიპტოპითეკუსის ტვინის საკმაოდ დიდი ნაწილი მხედველობის ფუნქციას ეთმობოდა, ხოლო შედარებით უფრო პატარა — ყნოსვისას. ეგიპტოპითეკუსის თავის ქალა მნიშვნელოვან სქესობრივ დიმორფიზმზე მეტყველებს. გარდა ამისა, ასაკის მატებასთან ერთად, ისინი ძალიან იცვლებოდნენ. ასაკის მატებასთან ერთად თანამედროვე დიდი მაიმუნების მსგავსად, თავის ქალის ზედა და უკანა მხარეს ძვლოვანი ძგიდე უჩნდებოდათ. მართალია, ეგიპტოპითეკუსებს კბილები, ყბები და თავის ქალის ზოგიერთი ნიშანი ადამიანის მსგავსი მაიმუნისმაგვარი ჰქონდათ, მაგრამ მათი ჩონჩხი უფრო მაიმუნებისას ჰგავს, რის გამოც მეცნიერთა უმრავლესობა მათ პრიმიტიულ ვიწროცხვირა მაიმუნებს მიაკუთვნებს. იმის გამო, რომ პროპლიოპითეკიდებს არ გააჩნიათ თანამედროვე ძველი სამყაროს მაიმუნებისა და ადამიანის მსგავსი მაიმუნებისთვის (ვიწროცხვირა მაიმუნებ - Catarrhines) დამახასიათებელი განსაკუთრებული ნიშნები, მაგრამ აქვთ ვიწროცხვირა მაიმუნებისთვის დამახასიათებელი კბილების აგებულება, ზოგიერთი პალეოანთროპოლოგი ფიქრობს, რომ პროპლიოპითეკიდები, როგორც ძველი სამყაროს მაიმუნების, ასევე ჰომინიდების წინაპრებს წარმოადგენდნენ.

მიოცენის პერიოდის ანთროპოიდები: მაიმუნები, ადამიანის მსგავსი მაიმუნები და ჰომინიდები

24 - 5.2 მილიონი წლის წინ, **მიოცენის** პერიოდში მაიმუნებისა და ადამიანის მსგავსი მაიმუნების გარეგნობაში აშკარა დივერგენცია მოხდა. ევროპაში, აზიასა და აფრიკაში მრავალი სხვადასხვა ტიპის ადამიანის მსგავსი მაიმუნი გაჩნდა. ადრეული მიოცენის ეპოქაში ტემპერატურა ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ოლიგოცენში. ადრეულიდან — გვიან მიოცენამდე, ჰავა უფრო მშრალი გახდა, კერძოდ, აღმოსავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე. ეს კონტინენტების გადაადგილებასთან იყო დაკავშირებული. დაახლოებით 18 მილიონი წლის წინ აფრიკა ევრაზიას დაუკავშირდა, რითაც ბოლო მოეღო შემარბილებელ ეფექტს, რომელსაც ამ კონტინენტების ჰავას მათი გამყოფი ტეთისის ზღვა ანიჭებდა. აფრიკისა და უფრო მეტად ინდოეთის ევრაზიის კონტინენტთან მიერთებას მოჰყვა მთების წარმოქმნა, რამაც ამ ტერიტორიისათვის ჩვეული ამინდის შეცვლა გამოიწვია. სამხრეთი ევრაზიასა და აღმოსავლეთ აფრიკაში ადრინდელზე ბევრად უფრო მშრალი ჰავა ჩამოყალიბდა. ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პრიმატების ევოლუციაზე.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე ადამიანის წინაპარი – პირველი ჰომინიდი, დაახლოებით 8 – 5 მილიონი წლის წინ, გვიან მიოცენში, აფრიკაში წარმოიშვა. ვარაუდი იმის შესახებ, თუ სად წარმოიშვნენ პირველი ჰომინიდები, ემყარება ფაქტს, რომ ნამდვილი ჰომინიდები აღმოსავლეთ აფრიკაში დაახლოებით 5 მილიონზე ნაკლები წლის წინათ ცხოვრობდნენ. ეს ვარაუდი კი ამ ჰომინიდების განამარხებულ ნაშთებზე მეტად, თანამედროვე ადამიანის მსგავსი მაიმუნებისა და ადამიანების შედარებითი მოლეკულური და ბიოქიმიური ანალიზების შედეგებს ემყარება. როგორც შემდეგ თავებში დავინახავთ, შედარებით უფრო მშრალი ჰავის გავლენამ, რის გამოც მეტი თავისუფალი, ბალახიანი ადგილი გაჩნდა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჰომინიდების ევოლუციას.

ადამიანის მსგავსი, რომელიღაც მიოცენის დროინდელი მაიმუნი ჰომინიდების წინაპარი იყო. ჩვენი შემდგომი მსჯელობაც ადამიანის მსგავსი მაიმუნების წინამორბედებს ანუ ანთროპოიდებს შეეხება, რომელთაც ადამიანის მსგავსი მაიმუნისათვის დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდათ და ადრეულ მიოცენში ცხოვრობდნენ. შევეხებით ასევე შუა და გვიანი მიოცენის ადამიანის მსგავს მაიმუნებსაც. სანამ ადამიანის მსგავს მაიმუნებზე გადავიდოდეთ, გვინდა, მიოცენის პერიოდის მაიმუნებსა

ქის მაიმუნთა განამარხებული ნაშთები ძალზე იშვიათად გვხვდება. ახალ სამყაროში მათ შესახებ მონაცემები თითქმის არ არსებობს, მხოლოდ ძალიან მწირი მასალაა აღმოჩენილი არგენტინასა და კოლუმბიაში. ამ მასალიდან ჩანს მსგავსება თანამედროვე სამხრეთ ამერიკულ სახეობებთან. ადრეული მიოცენის მაიმუნთა განამარხებული მასალა მხოლოდ ჩრდილოეთ აფრიკაშია აღმოჩენილი. სხვა მდგომარეობაა შუა და გვიანი მიოცენის მასალასთან დაკავშირებით: ძველი სამყაროს მაიმუნების ნაშთები შედარებით უფრო ბევრია აღმოჩენილი, ვიდრე ადამიანის მსგავსი მაიმუნებისა. რაც შეეხება პროსიმიანებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მიოცენური განამარხებული ნაშთები ძალიან ცოტაა ნაპოვნი, ჩვენთვის ცნობილია, რომ გადარჩა შუა მიოცენის რამდენიმე ადაპიდი ინდოეთში, გვიანი მიოცენისა კი — ჩინეთში. მიოცენის პერიოდში ზოგიერთი ლორისისმაგვარი პროსიმიანი აღმოსავლეთ აფრიკაში, პაკისტანსა და ინდოეთში ჩნდება.

ადრეული მიოცენის პერიოდის ადამიანის მსგავსი მაიმუნის წინამორბედები

ადრეული მიოცენის პერიოდის განამარხებული ნაშთების უმეტესობა ადამიანის მსგავსი მაიმუნის წინამორბედებს ეკუთვნის. ისინი ძირითადად აფრიკაშია აღმოჩენილი. მათ შორის ყველაზე ცნობილი გვარია **პროკონსული** (Genus Proconsul), რომელიც კენიასა და უგანდაშია აღმოჩენილი და დაახლოებით 20 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა.

პროკონსულის დღემდე აღმოჩენილი ყველა სახეობა ოლიგოცენის ანთროპოიდებზე დიდი ზომისაა. მათი ზომა გიბონის ზომიდან მდედრი გორილის ზომამდე მერყეობს. პროკონსულებს არ ჰქონდათ კუდი, რაც ჰომინოიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია. პალეოანთროპოლოგების უმრავლესობა აღიარებს, რომ პროკონსული ნამდვილად ჰომინოიდი იყო, მაგრამ ამასთანავე ძალიან განსხვავდებოდა თანამედროვე ადამიანის მსგავსი მაიმუნებისგან. თანამედროვე ადამიანის მსგავს მაიმუნებს აქვთ მრავალი დამახასიათებელი ანატომიური ნიშანი, მაგალითად მხარი, იდაყვი, მაჯები და თითები, რომლებიც ხელებზე ჩამოკიდებით გადაადგილებისთვის (ბრაქიაციისთვის) იყო ადაპტირებული. აშკარაა, რომ პროკონსულები ასე არ მოძრაობდნენ. მათი მხრები, იდაყვები, მაჯები და თითები შეიძლება იძლეოდნენ კიდევაც ბრაქიაციის საშუალებას, მაგრამ სხვა ოლიგოცენური ანთროპოიდების მსგავსად, პროკუნსულები ხეებზე ოთხი ფეხით გადაადგილდებოდნენ (იხ. სურ. 5-4). შესაძლებელია, ზოგიერთი უფრო დიდი ზომის სახეობა ზოგჯერ მინაზეც დადიოდა. კბილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ცხოველები უმეტესად ხილის მჭამელები იყვნენ, თუმცა ზოგიერთი უფრო დიდი ზომის სახეობა შეიძლება ფოთლებითაც იკვებებოდა.

მართალია, პროკონსულები ჰომინოიდური ნიშნების მატარებელი მიოცენური პრიმატების მრავალ სახეობას შორის ყველაზე უკეთ არიან ცნობილნი, მაგრამ, როგორც აღმოსავლეთ აფრიკაში მომხდარმა ბოლოდროინდელმა აღმოჩენებმა გამოავლინეს, იმ დროს ადამიანის მსგავსი მაიმუნის წინამორბედების სხვა ტიპებიც გვხვდებოდა. მაგრამ ეს აღმოჩენები ძალზე ფრაგმენტულია და ზუსტ კლასიფიკაციას არ ექვემდებარება. პროკონსული შეიძლება ყოფილიყო გვიანდელი ადამიანის მსგავსი მაიმუნებისა და ადამიანების წინაპარი, შეიძლება არც ყოფილიყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მასში გაერთიანებული ადამიანის მსგავსი მაიმუნებისა და ადამიანებისთვის დამ-



სურათი 5-4

აფრიკული პროკონსული (როცონსულ აფრიცანუს), რომელიც 20 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა. მისი წინა და უკანა კიდურები დაახლოებით ერთი სიგრძისაა და გვაფიქრებინებს, რომ იგი ხის ტოტების ბოლოებზე ოთხი ფეხით გადაადგილდებოდა. აფრიკული პროკონსული ამ სახეობის ყველაზე პატარა ზომის წარმომადგენელია და 22-26 გირვანქას იწონის.

ახასიათებელ ნიშნებს, ის ალბათ მათი საერთო წინაპრის მსგავსი უნდა ყოფილიყო.

შუა მიოცენის ადამიანის მსგავსი მაიმუნები

ადამიანის მსგავსი პირველი მაიმუნების ნაშთები სამხრეთ აფრიკაში აღმოჩნდა და შუა მიოცენით, 16-10 მლნ. წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება. მაბოკოს კუნძულსა და მის ახლომდებარე ადგილებში აღმოჩენილი განამარხებული მასალა რამდენიმე სახეობის პრიმატებს ეკუთვნის: ნახევრადმაიმუნებს, ძველი სამყაროს მაიმუნების რამდენიმე სახეობასა და აშკარად გამოხატულ ჰომინოიდს — **კენიაპითეკს**.

კენიაპითეკს პროკუნსულისათვის დამახასიათებელი მრავალი ნიშანი ჰქონდა, მაგრამ მისი საღეჭი კბილები თანამედროვე ჰომინოიდებისას გვაგონებს. პროკონსულებისგან განსხვავებით, კენიაპითეკი მეტად ჰგავს მიწაზე მოსიარულეს. მისი კბილებიც მინანქრის სქელი ფენით იყო დაფარული, ხოლო ყბები იმდენად ძლიერი ჰქონდა, რომ როგორც ჩანს, უმთავრესად მაგარი საკვებით იკვებებოდა. შესაძლოა, ამის მიზეზი ქვიშის მსხვილი მარცვლებიც ყოფილიყო, რომლებიც საკვებთან ერთად ხვდებოდა, რადგან იგი ძირითადად მიწაზე ცხოვრობდა. კენიაპითეკის მსგავსი აღმოჩენები დაფიქსირდა ევროპასა და თურქეთშიც. არის თუ არა კენიაპითეკი ადამიანის მსგავსი მაიმუნებისა და ადამიანების წინაპარი, ჯერ კიდევ საკითხავია. მისი საღეჭი კბილები უფრო თანამედროვეა, მაგრამ კიდურების აგებულებიდან არ ჩანს, რომ მას ბრაქიაციული გადაადგილება შეეძლო, რაც ადამიანის მსგავსი გვიანდელი პერიოდის მაიმუნების დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

მეორე მხრივ, იქნებ სწორია სიუ სევიჯ-რუმბოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანის მსგავსი მაიმუნებისა და ადამიანების საერთო წინაპარი ორფეხა უნდა ყოფილიყო. მისი არგუმენტის თანახმად, თითების ფალანგებზე დაყრდნობით გადაადგილება, როგორც მიწაზე სიარულის საშუალება, ადამიანის მსგავს უფრო გვიანდელ მაიმუნებში განვითარდა. თუმცა თითების ფალანგებზე დაყრდნობით გადაადგილდებისას მაიმუნები საკვების ხელში აღებას ვეღარ ახერხებენ (მაჯის სახსრის მოძრაობა), ეს მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ. სწორედ ეს უნარი, იმ სხვა მრავლთან ერთად, რაც ხელების საშუალებით შეიძლება, თუ ისინი გადაადგილებით არ არიან დაკავებული, ალბათ, გადამწყვეტი იქნებოდა იმისთვის, რომ ადრეულ ადამიანებში ორ ფეხზე გადაადგილება ადაპტურ ნიშნად ჩამოყალიბებულიყო. ამ საკითხებზე შემდეგ თავში გვექნება საუბარი.

ანთროპოლოგიური პირველწყაროები

ადამიანის მსგავსი მიოცენის ეპოქის მაიმუნები

პრიმატების განამარხებული ნაშთების აღმოჩენა ადვილი საქმე არ არის. ყოველი აღმოჩენა დაკავშირებულია თვეების ან წლების დაუღალავ საველე და ლაბორატორიულ სამუშაოებთან. პრიმატების ნაშთები ძალზე ძნელი აღმოსაჩენია იმის გამო, რომ მათი უმეტესობა ძირითადად ტყეებში ცხოვრობდა. ტყეებში, როგორც წესი, არ იქმნება ნაშთების "ფოსილიზაციისთვის" (გაქვავებისთვის) ხელსაყრელი პირობები. ამდენად, მკვლევარებს, რომლებიც პრიმატების განამარხებულ (გაქვავებულ) ნაშთებს ეძებენ, საქმე ორმაგად ურთულდებათ. ერთია, რომ განმარხებული ნაშთების აღმოჩენა თავისთავად ძალიან ძნელია; მეორე სირთულე კი ისაა, რომ აღმოჩენილი მასალა უფრო ხშირად ცუდად არის შემონახული. მიუხედავად ამისა, მეცნიერებმა მაინც შეძლეს მრავალი პრიმატის აღმოჩენა, მათ ნუსხაში შესული ზოგიერთი სეგმენტი საკმაოდ მდიდარ მასალას შეიცავს. დევიდ ბეგამი ადამიანის მსგავსი მიოცენური მაიმუნების აღმოჩენის ერთ განსაკუთრებით საინტერესო შემთხვევას აღწერს:

ივლისი საუკეთესო პერიოდია კატალონიაში (ჩრდილო-აღმოსავლეთი ესპანეთი), თუ ზღვის ნაპირას ხარ, მაგრამ გაუსაძლისია, თუ არაკონდიცირებულ შენობაში იმყოფები, არავითარი საქმე არ გაქვს და მხოლოდ შვიდი წლის ხარ. სწორედ ასე გრძნობდა თავს ჩემი შვილი, ანდრე 1991 წლის ზაფხულში. ის მოთმინებით ელოდა, როდის დავამთავრებდი გეგმის შედგენას 1991 წლის საველე სამუშაოებისთვის, რომლებიც ბარსელონადან 20 კილომეტრში, კან ლობატერესის მიოცენური ადამიანის სადგომზე უნდა გვეწარმოებინა. როდესაც გვიან ნაშუადღევს ძეგლზე წასვლა შევთავაზე, ანდრე ძალიან აღელდა. ძეგლისკენ მანქანით გავემგზავრეთ, რათა გარემოც დაგვეთვალიერებინა. მინდოდა, ანდრეს ცოტა გაესეირნა და წერაქვი გავატანე მიწის მოსაჩიჩქნად, თავად კი ისეთ შრეებს ვეძებდი, რომლებიც, როგორც წინა გამოცდილებიდან ვიცოდი, შეიძლებოდა განამარხებული მასალის შემცველი ყოფილიყო. კან ლობატერესის მომწვანო ფერის თიხნარი ნიადაგი, როგორც ცნობილია, ამგვარი მასალით ძალიან მდიდარია და ამ ქანებში ახალი შრის პოვნა მინდოდა. ანდრეს და მე ბევრი დრო გვქონდა მიწაში საჩიჩქნად, სადაც საკმაოდ იმედის მომცემი მოწვანო ფერის ფენა აღმოვაჩინე. მეორე დღეს საველე მუშაობის სეზონი ოფიციალურად დაიწყო. ჩემს ესპანელ კოლეგასთან, ანდრესთან და მუშების ჯგუფთან ერთად, დილიდანვე მივედით ადგილზე, რომელსაც მეტად იმედისმომცემად ვთვლიდი. ზედა ფენის მოსაშორებლად ყველამ ერთდროულად ავწიეთ წერაქვები. როგორც კი იარაღი ჩემ მიერ მონიშნული საზღვრების ორივე მხარეს დაეშვა, პირველი კბილი მაშინვე ამოხტა. ჩემი კოლეგის წერაქვი პირდაპირ ზედა ყბას მოხვდა და პირველი საღეჭი კბილი მოატეხა. კბილი დაღმართზე დაგორდა და იმ წუთში მივხვდით, რომ სერიოზული აღმოჩენა გავაკეთეთ.

გვიანი მიოცენის ადამიანის მსგავსი მაიმუნები

შუა მიოცენის ბოლოდან გვიან მიოცენამდე პერიოდში ადამიანის მსგავსი მაიმუნების მრავალი სახეობა წარმოიშვა და მრავალ ადგილას გავრცელდა. მეტი ნაშთია აღმოჩენილი ევროპასა და აზიაში, ნაკლები – აფრიკაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანის მსგავსი მაიმუნები სხვა მაიმუნებზე მეტნი იყვნენ. განამარხებული მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მაიმუნების რაოდენობა ძველ სამყაროში უფრო მეტად იზრდებოდა, ვიდრე ადამიანის მგავსი მაიმუნებისა მიოცენის პერიოდის ბოლოსკენ და ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. მართლაც, ამჟამად მაიმუნების სახეობათა რაოდენობა ბევრად აღემატება ადა-

ჰელიოპითეტის რეკონსტრუქცია ახლო კავშირშია კენიოპიტექთან და შეიძლება ასეთი ყოფილიყო.

მიანის მსგავსი მაიმუნებისას. მიოცენში ჰავა სულ უფრო გრილი და მშრალი ხდებოდა, რამაც ხელი შეუწყო მეტი გვალვაგამძლე მცენარის გავრცელებას, რომლებსაც უჯრედის უფრო სქელი გარსი ჰქონდათ. თანამედროვე მაიმუნები ადამიანის მსგავს მაიმუნებზე უფრო ადაპტურები არიან, რადგან ფოთლებით იკვებებიან. აქედან გამომდინარე, ალბათ, მაშინდელ მაიმუნებსაც ჰქონდათ ამგვარი უპირატესობა, როგორც მიოცენის ბოლო პერიოდის ცვალებად გარემოში, ისე შემდეგაც.

მიოცენის ეპოქაში ადამიანის მსგავსი ევროპაში მცხოვრები ერთ-ერთი კარგად ცნობილი მაიმუნია ორეოპითეკი, რომელიც დაახლოებით 8 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა. ეს საკმაოდ საინტერესო ინდივიდია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრია განამარხებული მასალა, რომელიც თითქმის სრულად არის შემონახული ქვანახშირის ბუდეებში, მისი კლასიფიკაცია მაინც საკმაოდ რთულია. აშკარაა, რომ ორეოპითეკი კარგად იყო შეგუებული უღრანი ტყით დაფარულ ჭაობიან ადგილებში ცხოვრებას. მას ძალიან გრძელი მკლავები და ხელები ჰქონდა, მოქნილი სახსრებით და როგორც ჩანს, საკმაოდ სწრაფი ბრაქიატორი იყო. ორეოპითეკის კბილების აგებულება იმაზე მეტყველებს, რომ ძირითადად ფოთლებით იკვებებოდა. თუმცა მისი კბილების აგებულებისა და თავის ქალის ზოგიერთი ნიშანი ძველი სამყაროს მაიმუნებთან სიახლოვეზეც მეტყველებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ორეოპითეკებს ადამიანის მსგავსი მაიმუნის ტანი და მაიმუნის მსგავსი თავი ჰქონდათ. ხელებზე ჩამოკიდებული გადაადგილებისა და ადამიანის მსგავსი მაიმუნისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშან-თვისებების გამო, მეცნიერთა აუმრავლესობა მას ადრეულ, თუმცა განსაკუთრებულ პირობებს შეგუებულ, ადამიანის მსგავს მაიმუნად მიიჩნევს.

ანთროპოლოგთა უმრავლესობა ადამიანის მსგავს გვიანი მიოცენის ეპოქის მაიმუნებს ორ ძირითად ჯგუფად ჰყოფს: სივაპითეკიდებად, რომლებიც სივაპითეკების გვარით არიან წარმოდგენილნი (აღმოჩენილია დასავლეთ და სამხრეთ აზიაში) და დრიოპითეკიდებად, რომლებიც დრიოპითეკების გვარით არიან წარმოდგენილნი (აღმოჩენილია ევროპაში).

სივაპითეკიდები. ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ სივაპითეკები, რომლებიც 13-8 მილიონი წლის წინ ცხოვრობდნენ, ჰომინიდების წინაპრები იყვნენ. მათ ჰქონდათ ბრტყელი და მინანქრის სქელი ფენით დაფარული საღეჭი კბილები, შედარებით პატარა ზომის ეშვები და ნაკლებად ახასიათებდათ სქესობრივი დიმორფიზმი, ვიდრე ადამიანის მსგავს მიოცენის პერიოდის სხვა მაიმუნებს. ზოგიერთი რეკონსტრუქციის მიხედვით (რომლებიც ამჟამად მცდარად არის მიჩნეული), მათ ახასიათებდათ პარაბოლური დენტალური თაღი ანუ ჰომინიდებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. სივაპითეკები შერეულ: ტყიან და ბალახიან გარემოში ცხოვრობდნენ. კბილების მიხედვით დადგინდა, რომ მათი ძირითადი საკვები უხეში ბალახი და თესლები იყო, რაც ძალიან ჰგავს უფრო გვიანდელი პერიოდის ადრეული ჰომინიდების საკვებს (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სივაპითეკების საკვებს უფრო მსხვილკურკიანი ხილი წარმოადგენდა, ვიდრე ბალახი და თესლები). თუმცა, რაც უფრო მეტი განამარხებული მასალა ჩნდებოდა, მეცნიერთა აზრი იქით იხრებოდა, რომ სივაპითეკი სახით მნიშვნელოვნად ჰგავ-

დრიოპითეკის აღდგენილი თავის ქალა ძლიერ ემსგავსება თანამედროვე აფრიკულ ადამიანის მსგავს მაიმუნს.

და თანამედროვე ორანგუტანგს, რის გამოც, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ის ორანგუტანგის წინაპარი იყო.

სივაპითეკთან ახლოს მდგომი გიგანტოპითეკი კბილების აგებულებით მას ძალიან ჰგავდა, მაგრამ როგორც მისი სახელიდან ჩანს, ძალიან დიდი ზომისა იყო, მისი სიმაღლე დაახლოებით 10 ფუტს უტოლდებოდა. ზოგი პალეოანთროპოლოგი ვარაუდობს, რომ მისი წონა 600 გირვანქამდე იყო და არსებობის მანძილზე (10 მლნ. წელი) კიდევ უნდა გაზრდილიყო. (იხ. ჩარჩო "რა მოუვიდა გიგანტოპითეკს?"). მათი საცხოვრებელი ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტყეებით შემოიფარგლებოდა, ხოლო საკვებს ძირითადად ბამბუკი წარმოადგენდა.

დრიოპითეკიდები. დრიოპითეკი, რომელიც დაახლოებით 15 მილიონი წლის წინ ჩნდება, ადამიანის მსგავსი შიმპანზეს ზომის მაიმუნი იყო, რომელიც ევრაზიის ტყეებში ბინადრობდა. ის ძირითადად ხეებზე ცხოვრობდა და აშკარაა, რომ ყველაფრის მჭამელი იყო. დრიოპითეკს სივაპითეკისზე ბევრად უფრო თხელი კბილის მინანქარი ჰქონდა, ყბები უფრო პატარა და კბილის წაწვეტებული გვირგვინები ახასიათებდა. სასის, ყბისა და სახის შუა საწილის ფორმით დრიოპითეკები ადამიანის მსგავს აფრიკულ მაიმუნებსა და ადამიანებს ჰგავდნენ. თუმცა, გვიანდელი ჰომინოიდებისგან განსხვავებით, დრიოპითეკებს უფრო მოკლე სახე და წარბების შედარებით უფრო დაბალი ხაზი ჰქონდათ.

დრიოპითეკებისა და სივაპითეკების თითები და იდაყვები გვაფიქრებინებენ, რომ მათ უკეთ შეეძლოთ ჩამოკიდება, ვიდრე ადრეულ ჰომინოიდებს. შეიძლება სივაპითეკები მეტ დროს ატარებდნენ მიწაზე, ვიდრე დრიოპითეკები, მაგრამ ორივე სახეობა ძირითადად ხეზე მცხოვრები იყო; მართლაც, ბოლო დროს აღმოჩენილი დრიოპითეკების მკლავების, ხელების, მხრებისა და ფეხის ძვლების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ ძალიან კარგად შეეძლოთ ხელებზე ჩამოკიდებული გადაადგილება და როგორც ჩანს, ხეებზე ისევე მოძრაობდნენ, როგორც თანამედროვე ორანგუტანგები.

ჯერ კიდევ ძალიან ძნელია ადამიანის მსგავსი მიოცენური მაიმუნიდან თანამედროვე ადამიანის მსგავს მაიმუნებამდე და ადამიანებამდე მიმავალი ცალკეული ევოლუციური ხაზების დადგენა. ადამიანის მსგავსი გვიანი მიოცენის მაიმუნის გვართან, კერძოდ კი სივაპითეკთან, ჯერ მხოლოდ ორანგუტანგებს აკავშირებენ, ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ხაზი დღემდე გრძელდება. განამარხებული ნაშთების ნუსხიდან დრიოპითეკები დაახლოებით 10 მილიონი წლის წინანდელი პერიოდიდან ისე ქრებიან, რომ მემკვიდრეობას არ ტოვებენ, ამის მიზეზი შეიძლება წვიმების შემცირება და მეტი სეზონურობა ყოფილიყო, რამაც შეამცირა მათი საცხოვრებელი ტყეები.

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

რა მოუვიდა გიგანტოპითეკს?

ადამიანის ევოლუციის შესწავლისას, განსაკუთრებულ ყურადღებას პრიმატების იმ გვარებს ვაქცევთ, რომლებიც თანამედროვე ადამიანებისა და ჩვენი უახლოესი მონათესავე პრიმატების წინაპრებად მიგვაჩნია. თუმცა არსებობდნენ პრიმატების სხვა გვარებიც, რომელთაც აშკარად გამოხატული ნიშნების მატარებელი შთამომავლობა არ დაუტოვებიათ, მაგრამ მათი უპირატესობა ის იყო, რომ მილიონობით წლების განმავლობაში აგრძელებდნენ არსებობას. პირველი აშკარად გამოხატული პრიმატები, ომომიდები და ადაპიდები, ეოცენის პერიოდში გამოჩნდნენ და არსებობას 20 მილიონი წლის განმავლობაში აგრძელებდნენ, ბევრად უფრო მეტ ხანს, ვიდრე ორფეხა ჰომინიდები არსებობდნენ. ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რატომ ცხოვრობდნენ ზოგიერთი პრიმატები ასე ხანგრძლივად. ასეთივე მნიშვნელოვანია მათი გადაშენების საკითხიც. იმისთვის, რომ ევოლუციაში კარგად გავერკვეთ, საჭიროა, შევისწავლოთ არა მხოლოდ ის, თუ რატომ და რამდენ ხანს არსებობდნენ ზოგიერთი სახეობები, არამედ ისიც, რა იწვევდა მათ გადაშენებას. მაგალითად, საინტერესოა, რა მოუვიდა უდიდეს პრიმატს - გიგანტოპითეკს?

პალეოანთროპოლოგი რასელ ჩიოჩონი და არქეოლოგი ჯონ ოლსენი ეძებდნენ „გიგანტოს" (როგორც ისინი უწოდებდნენ) გადაშენების მიზეზს. როგორც ჩანს, ამ პრიმატს ჩვენს თანამედროვე სამყაროში მცხოვრები, აშკარად გამოხატული შთამომავლობა არ დაუტოვებია. ჩიოჩონისა და ოლსენის აზრით, გიგანტოპითეკთაგან უდიდესი, გ. ბლექი, არსებობას დაახლოებით 5 მილიონ წელიწადს აგრძელებდა და მხოლოდ 250,000 წლის წინ გადაშენდა. ადრეული გიგანტოპითეკების ჩათვლით, ამ გვარმა ალბათ 10 მილიონი წელი იარსება. ჩიოჩონი და ოლსენი თვლიდნენ, რომ შესაძლებელია, გიგანტო და ჰომო ერექტუსი- ჰომინიდი, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავდა თანამედროვე ადამიანს, ერთმანეთს დაახლოებით 25 მილიონი წლის წინ შეხვედროდნენ აზიის, სულ ცოტა, ორ ნაწილში მაინც: ჩინეთსა და ვიეტნამში. მათი აზრით, შესაძლებელია, ამ ორ სახეობას შორის კონტაქტს გიგანტოს გადაშენებისთვსი შეეწყო ხელი.

როგორ გამოიყურებოდა გიგანტო? რეკონსტრუქციას ცოტა ფანტაზიის გამოყენებასაც მოითხოვს, რადგან ჩვენს ხელთ მხოლოდ კბილები და ყბის ფრაგმენტებია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია მისი აგებულების ზოგიერთი ნიშნისა და ზომის წარმოდგენა თანამედროვე ადამიანის მსგავსი მაიმუნებისა და გადაშენებული ინდივიდების განამარხებული სხეულის პროპორციების გათვალისწინებით. ამგვარად გამოითვალეს, რომ გიგანტო დაახლოებით 10 ფუტის სიმაღლე იყო და 600 გირვანქაზე (272კგ-ზე) მეტს იწონიდა.

სინტერესოა, რით იკვებებოდა ეს პრიმატი. ჩიოჩონის აზრით, გიგანტო ძირითადად იკვებებოდა ბამბუკით, რომელიც ბამბუკის ტყეებში მრავლად მოიპოვებოდა. მისი ყბების ზომითა და კბილებზე ცვეთის კვალით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ბამბუკი სწორედ შესაფერისი საკვები იქნებოდა მათთვის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ პრიმატები ძირითადად ცელულოზით მდიდარ საკვებს იღებდნენ. ერთ-ერთმა სტუდენტმა ჩიოჩონს ურჩია, გიგანტოს კბილებზე პიტოლითების კვალი მოეძებნა. პიტოლითები სილიკონის ორჟანგის მიკროსკოპული გრანულებია, რომლებიც მცენარის უჯრედებში შედის და მათ ფორმას იღებს. მცენარის დაშლის შემდეგ პიტოლითები რჩება. სხვადასხვა მცენარეს სხვადასხვა ფორმის პიტოლითები ახასიათებს.

ამგვარად, მეცნიერებმა მიკროსკოპით დაათვალიერეს განამარხებული გიგანტოს კბილები და აღმოაჩინეს ბალახოვანი მცენარის ოჯახისა და რომელიღაც ხილის მსგავსი პიტოლითები. ბამბუკი ბალახის სახესხვაობაა. ამგვარად, აღ-

მოჩნდა, რომ გიგანტოები როგორც ბამბუკით, ისე ხილით იკვებებოდნენ. კბილების შესწავლამ გამოავლინა აგრეთვე, რომ ზოგ ნიმუშს მინანქარი დაზიანებული ჰქონდა (ჰიპოპლაზია), რაც იმას ნიშნავდა, რომ გიგანტო პერიოდულად არასრულყოფილად იკვებებოდა.

ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ბამბუკის ტყეები თითქმის ყველგან გვხვდება, მაგრამ ჯერ უცნობი მიზეზის გამო, ისინი ყოველ 20 წელიწადში მცირდება. იმ შემთხვევაში, თუ გიგანტოების საკვები მხოლოდ ბამბუკი იქნებოდა, მათ კვების პრობლემა საკმაოდ ხშირად შეექმნებოდათ, რაც თავის მხრივ, ჰიპოპლაზიას გამოიწვევდა. შეიძლებოდა თუ არა, რომ გიგანტოების გადაშენება ბამბუკის ტყეების შემცირებასთან ყოფილიყო დაკავშირებული? შესაძლოა. გიგანტური პანდებიც, რომლებიც აგრეთვე ბამბუკის ინტენსიური მჭამელები არიან, გადაშენების პირას იმიტომ არიან მისულნი, რომ ჩინეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია ადამიანმა აითვისა? ბამბუკს ადამიანი მრავალი მიზნით იყენებს: სახლებისა და ნავების ასაგებად, ხოლო მის ყლორტებს — საკვებად. ამის გამო, ბამბუკის ტყეები კატასტროფულად შემცირდა. თავის დროზე იქნებ ჰომო ერექტუსის მიზეზითაც შემცირდა ბამბუკის ტყეები, რამაც გიგანტოების გადაშენება გამოიწვია. შესაძლოა, ჰომო ერექტუსი გიგანტოებზე ნადირობდა კიდეც. ეს მოსაზრება ძალზე თეორიულია, მაგრამ არც თუ ისე დიდი ხნის წინ ადამიანები პრიმატებზე ნადირობდნენ და მათ საკვებადაც იყენებდნენ; მით უმეტეს, რომ გიგანტოები, გიგანტური პანდის მსგავსად, როგორც სხვა დიდი ზომის ბალახის მჭამელი ცხოველები, ძალიან ნელა გადაადგილდებოდნენ, რის გამოც, მათზე ნადირობა საკმაოდ ადვილი იყო.

სხვადასხვა ადგილებში ადამიანები ხშირად ყვებიან ისტორიებს უზარმაზარ, ადამიანის მსგავს ბალნიან არსებებზე, რომელთაც ჩრდილოეთ ამერიკაში „ბიგფუტს“ ან „სასკუაჩს“ ეძახიან, ჰიმალაებში კი – „იეტის“. შესაძლებელია თუ არა, რომ გიგანტო კვლავ ჩვენს გვერდით ცხოვრობდეს? ჩიოჩონი და ოლსენი ამტკიცებენ, რომ გიგანტოს შედარებით ახალი ძვლები ნაპოვნი არ არის, ამდენად მათი ჩვენს დროში არსებობა დამაჯერებლობას მოკლებულია. მაგრამ იქნებ ადამიანებს მათი არსებობა ჯერ კიდევ იმიტომ სჯერათ, რომ არც თუ ისე შორეულ წარსულში ხვდებოდნენ? მაგალითად, ავსტრალიელი აბორიგენები ისეთი მოვლენების შესახებ ყვებიან, რომლებიც 30000 წლის წინ ხდებოდა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ გიგანტოპითეკები ძალიან დიდხანს, ადამიანების გამოჩენამდე არსებობდნენ. მეცნიერებმა მათი არსებობის შესახებ მათი ფრაგმენტული ნაშთებიდან გაიგეს. თუ მომავალში

როგორც ჩანს, გიგანტოპითეკი უმეტესად ბამბუკებში ცხოვრობდა. ის ჩვენთვის ცნობილი უდიდესი პირმატია. მისმა გვარმა თითქმის 10 მილიონ წელიწადს იარსება და დაახლოებით 250,000 წლის წინ გადაშენდა. სურათზე გამოსახულია ბილ მანსი გიგანტოს მოდელთან ერთად, რომელიც მან და რასელ ჩიოჩონმა აღადგინეს.

მეტ ნაშთს ვიპოვით, იმედია, ადამიანის მსგავსი მაიმუნის ამ სახეობაზეც მეტს შევიტყობთ.

ჰომინიდების სხვა ჰომინოიდებისგან გამოყოფა

ადამიანის მსგავსი გვიანი მიოცენის ხანის მაიმუნები უფრო აფრიკასა და აზიაში გვხვდებიან. ბოლო დრომდე აფრიკაში თითქმის არ გვხვდებოდა ადამიანის მსგავსი მაიმუნების 13,5 – 5 მილიონი წლის წინანდელი განამარხებული ნაშთები. უკანასკნელ ხანებში კი გამოვლინდა მათი ორი სახეობა: ორორინ ტუგენენსისი კენიიდან, რომელიც 6 მლნ. წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება და Sahelanthropus tchadensis ჩადიდან, რომელიც დაახლოებით 7 მლნ. წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება. ამ აღმოჩენებმა ნაწილობრივ შუქი მოჰფინა ჰომინოიდების ევოლუციას იმ პერიოდში, რომელზეც შემდეგ თავში ვისაუბრებთ. დღემდე განამარხებული მასალის ნაკლებობის გამო, ადამიანის ევოლუციის 13 - 5 მილიონი წლის წინანდელი პერიოდი ბურუსით არის მოცული. მას ემატება ისიც, რომ მკვეთრად გამოხატული ორფეხა პრიმატები (ჰომინიდები) აფრიკაში მხოლოდ პლიოცენში, 5 მილიონი წლის შემდეგ ჩნდებიან. იმისთვის, რომ გავიაზროთ ევოლუციური კავშირები ადამიანის მსგავს მიოცენის მაიმუნებსა და აფრიკულ ჰომინიდებს შორის, აუცილებლად გვჭირდება მიოცენის პერიოდის მეტი განამარხებული ნაშთების პოვნა აფრიკაში.

თუმცა გარკვეული წარმოდგენა ჰომინიდების გარდაქმნის შესახებ განამარხებული მასალის გარეშეც შეგვიძლია შევიქმნათ. მრავალფეროვანი თანამედროვე პრიმატების გამოკვლევა მოლეკულური ბიოლოგიის საშუალებით გვეხმარება იმის დადგენაში, თუ როდის ცხოვრობდნენ ადამიანებისა და ჩვენი უახლოესი ნათესავების – შიმპანზეების – საერთო წინაპრები.

მოლეკულური საათი

1996 წელს სხვადასხვა თანამედროვე პრიმატის სისხლის ცილების შედარებითი ანალიზის შედეგად, ვინსენტ სარიჩმა და ალან უილსონმა დაადგინეს, რომ გიბონები სხვა ჰომინოიდებს დაახლოებით 12 მილიონი წლის წინ გამოეყვნენ, ორანგუტანები — 10 მილიონი წლის წინ, ხოლო ადამიანის მსგავსი სხვა დანარჩენი მაიმუნები (გორილები და შიმპანზეები) — ჰომინიდებს მხოლოდ 4 ან 4-ნახევარი მილიონი წლის წინ. ეს გამოთვლები ემყარება აზრს, რომ რაც უფრო ერთგაროვანია სხვადასხვა პრიმატის სისხლის ცილების ქიმიური შემადგენლობა (მაგალითად, შიმპანზეებისა და ადამიანების), მით უფრო ახლოს არიან ისინი ევოლუციური დროის თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტი მსგავსებაა სხვადასხვა სახეობების სისხლის ცილებში, მით უფრო ნაკლები ხნის წინ დაშორდნენ ისინი ერთმანეთს.

მაგრამ იმის ცოდნა, რომ გარკვეული სახეობები ერთმანეთთან მოლეკულურად ახლოს დგანან, ევოლუციური დროის განსაზღვრაში ვერ დაგვეხმარება, თუ რა თქმა უნდა, მოლეკულური ცვლილებების მიმდინარეობის

ტემპი არ გვეცოდინება. იგულისხმება, რომ "მოლეკულური საათი" დროის სხვადასხვა პერიოდებში ერთნაირად მუშაობს, იგი არც უნდა შენელდეს და არც აჩქარდეს. იმისათვის, რომ გაიზარდოს მუდმივი ნორმით მიმდინარე მოლეკულური ცვლილებების ალბათობა, მეცნიერები იკვლევენ მოლეკულათა იმ თავისებურებებს, რომლებიც ადაპტაციის პირობებში ნეიტრალურად ითვლება. (ბუნებრივ გადარჩევას იმ შემთხვევაში შეუძლია მოლეკულური ცვლილებების ტემპის დაჩქარება, თუ მოლეკულათა თავისებურებები ორგანიზმისთვის ან ძალიან ხელსაყრელია, ან პირიქით, ძალიან არახელსაყრელი).

ნეიტრალური თავისებურებების შემთხვევაში, ცვლილებების ტემპისა და სიხშირის გამოთვლა ხდება აბსოლუტურად დათარიღებული გადახრის დროიდან. მაგალითად, თუ ჩვენთვის ცნობილია, რომ ორი სახეობა ერთმანეთს 20 მილიონი წლის წინ დაშორდა და ვიცით მათ თანამედროვე წარმომადგენლებს შორის არსებული მულეკულური განსხვავებანი, შეგვიძლია გამოვთვალოთ ცვლილებების ინტენსიურობა, რომელმაც ეს სხვადასხვაობა გამოიწვია. როდესაც უკვე ცნობილია ცვლილებების (განსაკუთრებული თავისებურების შემთხვევაში) ტემპი, შესაძლებელი ხდება განვლილი დროის გამოთვლა, როდესაც ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა სახეობათა წყვილები ერთმანეთს შორდებოდნენ.

თანამედროვე პრიმატების შემდგომ შედარებით კვლევაში გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდი: ამინომჟავის თანმიმდევრობის შედარების, ქრომოსომული სტრუქტურებისა და სხვადასხვა სახეობის დნმ-ის ჯაჭვების ურთიერთშეთანხმების ხარისხის განსაზღვრის ჩათვლით. ასეთი შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ჰომინიდები შიმპანზეებსა და გორილებს შედარებით გვიან გაემიჯნა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მეთოდით ჩატარებული კვლევა ოდნავ განსხვავებულ პასუხებს იძლევა, შედეგები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება. ბოლო დროინდელი შედარებების უმეტესობის მიხედვით, გამიჯნვა იმაზე ოდნავ უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე სარიჩი და უილსონი ვარაუდობდნენ. გამოთვლების თანახმად, შიმპანზეებისა და ჰომონიდების საერთო წინაპარი დაახლოებით 5-6 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა, ხოლო გორილებისა და ჰომინიდის საერთო წინაპარი კი — ოდნავ უფრო ადრე.

რას გვეუბნება განამარხებული მასალა პირველი ჰომინიდების წარმოშობის დროის შესახებ? SahelanTropus tchadensis და Orrorin tugenensis მოლეკულურ მონაცემებს ადასტურებენ. ორივე სახეობა ავლენს როგორც ჰომინიდების, ისე ჰომინოიდებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, ორივე მათგანი წარმოშობით აფრიკიდანაა და ორივე 6-7 მილიონის წლის წინ ცხოვრობდა. ადრეულ ჰომინიდებს შემდეგ თავში დავუბრუნდებით.

შეჯამება

1. ზუსტი მონაცემები პრიმატების ევოლუციის შესახებ ჯერ არ გაგვაჩნია, მაგრამ განამარხებული მასალა, იმდროინდელი ბუნებრივი პირობების ცოდნა და შედარებითი ანატომიისა და ქცევების შესწავლა საკმაო მასალას იძლევა იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას სად, როგორ და როდის შეიქმნენ და გაემიჯნენ ერთმანეთს პრიმატები.
2. ითვლება, რომ შემორჩენილი პრიმატებ,ი ნახევრად მაიმუნები, ახალი და ძველი სამყაროს მაიმუნები, ადამიანის მსგავსი მაიმუნები და ადამიანები — წარმოადგენენ მცირე ზომის, თავდაპირველად ხეზე მცხოვრებ, მწერიჭამია ცხოველების შთამომავალთ (რომლებიც ძუძუმწოვართა რიგს მიეკუთვნებოდნენ და მათ შორის იყვნენ თანამედროვე თხუნელები, რომლებიც მწერებით იკვებებიან). თუმცა, ზუსტად რომელი მათგანი იყო საერთო წინაპარი და როდის წარმოიშვა, ჯერ ცნობილი არ არის.
3. განამარხებული ნაშთები, რომლებიც ადრეული ეოცენით თარიღდება და დაახლოებით 55 მილიონი წლისაა, აშკარად პრიმატებს ეკუთვნის. ეს მასალა ნახევრად მაიმუნების ორ ძირითად ჯგუფს: ადაპიდებსა და ომომიდებს ეკუთვნის. პრიმატების ეს ორი ჯგუფი ერთმანეთისგან ძირეულად განსხვავდება და ორივე მათგანი მოულოდნელად გამოჩნდა პალეოცენისა და ეოცენის საზღვარზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი საერთო წინაპარი უფრო ადრე, პალეოცენში უნდა გამოჩენილიყო.
4. რა პირობებმა შეუწყო ხელი პრიმატების წარმოშობას? მწერების რაოდენობის სწრაფმა ზრდამ, თავის მხრივ, მწერის მჭამელი ცხოველების რაოდენობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ამ ცხოველებს ნაწილი დედამიწის ზემოთ, ბუჩქებში, ხვიარა მცენარეთა და ხის ტოტებში ცხოვრობდნენ და ძირითადად მწერებით იკვებებოდნენ. საბოლოოდ, ევოლუციის გზით ყვავილოვანი ხეები და ხეხილი განვითარდა. ტყის რესურსების ექსპლუატაცია ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ადაპტაცია იყო პრიმატების ევოლუციურ განვითარებაში.
5. პრიმატების ევოლუციის შესახებ ტრადიციული შეხედულება იმაში მდგომარეობდა, რომ ხეზე ცხოვრებამ ხელი შეუწყო პრიმატებისათვის დამახასიათებელი ისეთი საერთო ნიშნების განვითარებას, როგორიცაა: კბილების განსხვავებული ფორმა, მხედველობის უპირატესობა ყნოსვასთან შედარებით, სამგანზომილებიანი, ბინოკულარული მხედველობა და "ჩამჭიდი" ხელები და ფეხები. მეორე თეორიის თანახმად, პრიმატების ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი შერჩევითად ხელს უწყობდა მწერებზე ნადირობას წვრილ ტოტებსა და ხვიარა მცენარეებზე, რომლებიც მრავლად იყო ახალგაზრდა ტყეებში. მესამე თეორია ვარაუდობს, რომ პრიმატების განმასხვავებელ ნიშნებს (მხედველობის უპირატესობა ყნოსვასთან შედარებით) ხელი შეუწყო იმან, რომ ადრეული პრიმატები უმეტესწილად ღამის ცხოველები იყვნენ და ყვავილებით, ხილითა და თესლებით იკვებებოდნენ, რომლებიც არასაკმარისი განათების პირობებში უნდა დაენახათ.
6. ეგვიპტეში აღმოჩენილი აშკარად გამოხატული ანთროპოიდების ნაშთები ადრეული ოლიგოცენის ეპოქით თარიღდება (34 მილიონი წლის წინ). ისინი შეიცავენ, როგორც მაიმუნის მსგავსი პარაპიტეკიდების, ასევე ადამიანის მსგავსი მაიმუნის კბილებისმაგვარ პროპლიოპითეციდებსაც.
7. მიოცენის ეპოქის განმავლობაში (24 მლნ-დან 5 მლნ წლის წინ) მაიმუნებსა და ადამიანის მსგავს მაიმუნებს შორის გამოიკვეთა აშკარა გარეგნული განსხვავებები. ევროპაში, აზიასა და აფრიკაში გაჩნდა ადამიანის მსგავსი მაიმუნების მრავალი სახეობა. ადრეული მიოცენის პერიოდის განამარხებული ნაშთების უმეტესობას ახასიათებენ, როგორც მაიმუნების წინაპრები. შუა მიოცენის ბოლოდან მოყოლებული გვიან მიოცენამდე გაჩნდა ადამიანის მსგავსი მაიმუნების მრავალი სახეობა. ისინი გეოგრაფიულად ძალიან გავრცელდნენ. პალეოანთროპოლოგების უმეტესობა ადამიანის მს-

გავს გვიანი მიოცენის მაიმუნებს ორ მთავარ ჯგუფად ჰყოფს: დრიოპითეკიდებად, რომლებიც ძირითადად ევროპაშია აღმოჩენილი და სივაპითეკიდებად, რომლებიც უფრო დასავლეთსა და სამხრეთ აზიაში გვხვდებიან.

8. განამარხებული მასალა პირველი ჰომინიდების შესახებ ბევრს არაფერს გვეუბნება, მაგრამ თანამედროვე ადამიანის მსგავსი მაიმუნებისა და ადამიანების ბიოქიმიური და გენეტიკური ანალიზების შედეგად ჩნდება ვარაუდი, რომ გამიჯნვა ჰომინიდებსა და ადამიანის მსგავს მაიმუნებს შორის დაახლოებით გვიან მიოცენში უნდა მომხდარიყო (6 მილიონი წლის წინ). იმის გამო, რომ აშკარად გამოხატული ჰომინიდები 6 მილიონი წლის წინ აღმოსავლეთ აფრიკაში ცხოვრობდნენ, ვარაუდობენ, რომ პირველი ჰომინიდები აფრიკაში წარმოიშვნენ.

საკონტროლო კითხვები:

1. ცხოველის ჩონჩხის მიხედვით შეიძლება დავადგინოთ, თუ რით იკვებებოდა იგი და როგორ მოიპოვებდა საკვებს. მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები პრიმატების ევოლუციიდან.
2. რატომ თვლით, რომ მაიმუნების მეტი სახეობა არსებობს, ვიდრე ადამიანის მსგავსი მაიმუნებისა?
3. ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ადამიანთა გვარი ბიოლოგიური თვალსაზრისით უნიკალურია, რაც რა თქმა უნდა, სინამდვილეს შეესაბამება (ისევე, რგორც სხვა, დანარჩენი ევოლუციური გვარები), მაგრამ ზოგი პალეოანთროპოლოგის აზრით, ადამიანები, შიმპანზეები და გორილები იმდენად გვანან ერთმანეთს, რომ სამივე მათგანი ჰომინიდების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

პირველი ჰომინიდები

6



თავების შინაარსი

- ორ ფეხზე გადაადგილების ევოლუცია
- ჰომინოიდებიდან ჰომინიდებზე გადასვლა
- ავსტრალოპითეკი: პირველი აშკარად გამოხატული ჰომინიდი
- ადამიანის ევოლუციის ერთ-ერთი მოდელი

როგორც წინა თავში განვიხილეთ, ორ ფეხზე გადაადგილება ჰომინიდებისათვის დამახასიათებელი ნიშანია. აშკარად გამოხატული ორფეხა ჰომინიდები აღმოსავლეთ აფრიკაში დაახლოებით 4 მილიონი წლის წინ ცხოვრობდნენ (იხ. სურ. 6-1). ეს ჰომინიდები და ზოგი სხვა ჰომინიდი, რომლებიც აფრიკის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში შედარებით გვიან არსებობდნენ, ზოგადად **ავსტრალოპითეკების** გვარში არიან გაერთიანებულნი. ამ თავში ვიმსჯელებთ ჰომინოიდებიდან ჰომინიდებზე გადასვლის შესახებ, ავსტრალოპითეკინების წარმოშობა და მათ დამოკიდებულებაზე უფრო გვიანდელ ჰომონიდებთან, ჩვენი ჩათვლით.

ორ ფეხზე გადაადგილების ევოლუცია

ადრეული ჰომინიდების განვითარებაში ყველაზე დიდი მნიშნელობა აქვს ორ ფეხზე გადაადგილების — ანუ ორ ფეხზე სიარულის განვითარებას. განამარხებული მასალის შესწავლიდან ცნობილი გახდა, რომ სხვა ფიზიკური ცვლილებები, მაგალითად, ტვინის მოცულობის ზრდა, მდედრების მენჯის განვითარება იმგვარად, რომ უფრო დიდი მოცულობის ტვინის მქონე ბავშვის დაბადება შეძლებოდათ, სახის, კბილებისა და ყბების ზომების შემცირება მოხდა ორ ფეხზე გადაადგილების დაწყებიდან დაახლოებით 2 მილიონი წლის განმავლობაში.



სურათი 6-1 **ავსტრალოპითეკინების ევოლუცია**

ადამიანებისათვის დამახასიათებელი სხვა თვისებებიც, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვების დამოკიდებულების ხანგრძლივი პერიოდი და ხორცის საკვებად მოხმარების ზრდა, დაახლოებით ამავე პერიოდს უკავშირდება.

ჩვენთვის ზუსტად ცნობილი არ არის ორ ფეხზე გადაადგილება თანდათანობით ჩამოყალიბდა, თუ ერთიანად. რადგან განამარხებული მასალა 8 მილიონიდან 4 მილიონ წლამდე ძალიან მწირია. ჩონჩხის ანატომიიდან გამომდინარე, ჩვენთვის ცნობილია, რომ მიოცენის პერიოდის მრავალ ჰომინიდს გამართული დგომა შეეძლო. მაგალითად, ბრაქიაცია ანუ ხის ტოტებზე ჩამოკიდებული გადაადგილება, ცხოველს გამართული მდგომარეობის მიღებას აიძულებს. ეს ხდება "ჩამჭიდი" ხელებისა და ფეხების დახმარებით ზემოთ-ქვემოთ ცოცვის პროცესში.

როგორც ჩანს, პროტოჰომინიდები დროდადრო ორ ფეხზეც დადიოდნენ ისევე, როგორც ზოგიერთი თანამედროვე მაიმუნი და ადამიანის მსგავსი მაიმუნი.

როგორც უკანასკნელი თავის ბოლოს აღვნიშნეთ, აშკარად გამოხატული ორფეხა ჰომინიდები პირველად აფრიკაში გაჩნდნენ. აფრიკის ბუნებრივი პირობები სხვადასხვაგვარი იყო. აქ იყო როგორც ვრცელი ტროპიკული ტყეები, ისე ტყის უფრო მცირე მონაკვეთები და ღია სივრცეები. 16-11 მილიონი წლის წინ თანდათანობით მშრალმა ჰავამ დაიწყო გაბატონება, ეს ტენდენცია პლიოცენამდე გაგრძელდა. ნელ-ნელა აფრიკული ტროპიკული ტყეები, რომლებსაც ტენი და წვიმა მოაკლდათ, შემცირდა და მეტი ადგილი **სავანამ** (ბალახით დაფარული ტერიტორია) და ერთმანეთისგან მოშორებით მდებარე ფოთლოვანმა ტყეებმა დაიკავა. ხეზე მცხოვრებმა პრიმატებმა თავიანთი საცხოვრებელი გარემო მთლიანად არ დაკარგეს, რადგან ზოგან, უფრო ტენიან ადგილებში, ტროპიკული ტყეები ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი, ბუნებრივი გადარჩევა კი ხელს ისეთ ცხოველებს უწყობდა, რომლებიც ამგვარ ტყეებში ბინადრობას უკეთ იყო შეგუებული. მაგრამ ახალი, ღია სივრცეების გაჩენამ, როგორც პრიმატებში, ისე სხვა ცხოველებში, მიწაზე ბინადრობასთან შეგუებისთვის საჭირო ნიშან—თვისებების განვითარებასაც შეუწყო ხელი. ადამიანებისკენ მიმავალ ევოლუციურ ადაპტაციათა რიგში ალბათ ბიპედალიზმიც (ორ ფეხზე სიარული) შედიოდა.

ბიპედალიზმის ევოლუციის თეორიები

რას შეეძლო გამოეწვია ბიპედალური (ორ ფეხზე მოსიარულე) ჰომინიდების წარმოშობა? ამ მოვლენის რამდენიმე ახსნა არსებობს. ერთის მიხედვით, ბიპედალიზმი ადაპტური იყო მაღალ ბალახსა და სავანაში ცხოვრებისათვის იმის გამო, რომ გამართული სირულის დროს უფრო ადვილი იყო როგორც მიწაზე მოსიარულე მტაცებლების, ისე ნადავლის შემჩნევა. თუმცა ეს თეორია საკმარისად ვერ ხსნის ბიპედალიზმის წარმოშობის მიზეზს. ბაბუინები და ძველი სამყაროს სხვა მაიმუნებიც სავანის პირობებში ცხოვრობდნენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გამართული დგომა შეეძლოთ და ხშირად ფეხზე დგებოდნენ კიდეც, მათ სრულად მაინც არ განუვითარდათ ორ ფეხზე გადაადგილების ჩვევა; თანაც, ბოლოდროინდელმა აღმოჩენებმა ნათელყო, რომ აღმოსავლეთ აფრიკის ის ტერიტორიები, სადაც ადრეული ჰომინიდები ცხოვრობდნენ, სულაც არ ეკავა მეტწილად სავანას, არამედ, როგორც ჩანს, ტყით დაფარული ადგილებისა და ღია ტერიტორიების მონაცვლეობას წარმოადგენდა.

სხვა თეორიები ხელების გათავისუფლების მნიშვნელობას ემყარება. თუ ხელების მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცხოველის მოძრაობის დროს, გადარჩევას შეიძლება ხელი შეეწყო ბიპედალიზმისთვის იმის გამო, რომ ამ დროს თავისუფლდებოდა ხელები, რომელთა საშუალებით სიარულის დროს სხვა რამის კეთებას შეძლებდნენ. რისი კეთება შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი მნიშვნელოვანი?

გორდონ ჰიუზმა ივარაუდა, რომ ასეთ მნიშვნელოვან საქმეს საკვების ტარება წარმოადგენდა. თუ აუცილებელი იქნებოდა საკვების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა, მხოლოდ უკანა ფეხებით გადაადგილება ადაპტური ნიშანი გახდებოდა. ჰიუზი ხაზს უსვამდა ნანადირევის ან ლეშის ტარების მნიშვნელობას, მაგრამ ამჟამად მრავალ პალეოანთროპოლოგს უჩნდება კითხვა, ადრეული ჰომინიდები ნადირობდნენ, თუ ლეშით იკვებებოდნენ? ყველა შემთხვევაში, როგორც უნდა ყოფილიყო, მტაცებლის მიერ საკვების დაცულ ადგილამდე მიტანის შესაძლებლობა, ორ ფეხზე სიარული ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა იყო. ს. ოუენ ლავჯოიმ ივარაუდა, რომ საკვების გადატანას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. თუ მამრებს ექნებოდათ საშუალება, რომ მდედრები საკვებით მოემარაგებინათ, მდედრებს მეტი ნაშიერის გაჩენისა და მოვლისათვის დრო და ენერგია ექნებოდათ. ამგვარად, რაც უნდა ყოფილიყო საკვების გადატანის მიზეზი, რაც უფრო მეტად განავითარებდა პროტოჰომინიდი ორ ფეხზე სიარულის ჩვევას, მით უკეთ გამრავლდებოდა იგი.

მაგრამ ოჯახების სარჩენად საკვების გადატანა ერთადერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არ იყო, რისთვისაც თავისუფალი ხელების გამოყენება იქნებოდა აუცილებელი. საკუთარი თავის გამოკვება არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საზრუნავი იყო. კლიფორდ ჯოლის აზრით, ორ ფეხზე გადაადგილება საშუალებას აძლევდა ადრეულ ჰომინიდებს, მეტი წარმატებით მოეკრიფათ პატარა მარცვლები, თხილი და პირისკენ წაეღოთ, რადგან ამ პროცესში ორივე ხელი მიიღებდა მონაწილეობას. ბუნებრივი გადარჩევა ორ ფეხზე სიარულს არა მხოლოდ გადაადგილების გაადვილებისთვის შეუწყობდა ხელს, არამედ უფრო მნიშვნელოვანი მიზნის — საკვების შეგროვებისთვის. აღმოსავლეთ აფრიკის ცვალებად გარემო პირობებში, სადაც ტყეები, ღია სივრცეები და სავანა ერთმანეთს ენაცვლებოდა, საკვების მომარაგებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა გადარჩენისთვის.

ბუნებრივმა გადარჩევამ ორ ფეხზე გადაადგილებას იქნებ იმიტომაც შეუწყო ხელი, რომ ამ დროს ხელები თავისუფალი იყო იარაღის გამოყენების, დამზადებისა და თან ტარებისათვის. წარმოიდგინეთ, რამდენად საჭირო იყო ამგვარი იარაღების გამოყენება. შერვუდ ვოშბურნმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი თანამედროვე პრიმატი საკვებად მიწიდან ამოთხრილ ფესვებს იყენებს, "მათ რომ სათხრელად ქვის ან ხის გამოყენება შეეძლოთ, მოპოვებული საკვების რაოდენობა გაორმაგდებოდა". დევიდ პილბიმი ვარაუდობს, რომ იარაღის გამოყენება მნიშვნელოვნად გაზრდიდა უფრო ღია ადგილებში მცხოვრები პრიმატების მიერ საკვებად გამოსაყენებელ მცენარეთა მრავალფეროვნებას და რაოდენობას: იმისათვის, რომ შეეჭამათ, ბალახოვან გარემოში არსებული მცენარეების ნაყოფი, იარაღის საშუალებით ჯერ უნდა გაეტეხათ ან დაეჩეხათ. იარაღი აუცილებელი იყო ცხოველების მოსაკლავად ან ნანადირევის დასამუშავებლად. იარაღის გარეშე, პრიმატები ფიზიკურად სათანადოდ აღჭურვილნი არ იყვნენ რეგულარული ნადირობის ან ლეშის მოპოვებისათვის. მათი კბილები და ყბები საკმარისად ბასრი და ძლიერი

არ იყო, ფეხითაც იმდენად სწრაფად ვერ დარბოდნენ. ამდენად, იარაღის გამოყენება სანადიროდ და ნანადირევის დასამუშავებლად ბევრად გაზრდიდა საკვების მომარაგების შესაძლებლობას.

დაბოლოს, იარაღი შეიძლება მტაცებელი ცხოველების წინააღმდეგ გამოეყენებინათ, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ მიწაზე მცხოვრებ, შედარებით დაუცველ პროტო-ჰომინიდებს. მილფორდ უოლჰოფის აზრით, სწორედ იარაღის მუდმივად ტარებამ გამოიწვია ორ ფეხზე დროდადრო გადაადგილების მუდმივ წესად ქცევა. სიუ სევიჯ-რუმბომ კი ივარაუდა, რომ "ხელის ტაცების" უნარმა და მაჯის მოქნილი მოძრაობის შესაძლებლობამ ადრეულ ადამიანებს იმის საშუალება მისცა, რომ "შეესრულებინათ, როგორც სროლითი, ისე დარტყმითი (ქვის დასამუშავებლად) მოძრაობები და საბოლოოდ სროლა გადაექციათ მტაცებელთაგან თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებად, რომლის გამოყენებასაც ადამიანის მსგავსი მაიმუნები ვერასდროს მოახერხებდნენ".

თუმცა ზოგი ანთროპოლოგი ეჭვქვეშ აყენებს აზრს, რომ ორ ფეხზე სიარულის განვითარებას იარაღის გამოყენებამ შეუწყო ხელი. ისინი აღნიშნავენ, რომ იარაღის გამოყენების პირველი აშკარა მტკიცებულებანი ორ ფეხზე სიარულის დაწყებიდან 2 მილიონზე მეტი წლის შემდეგ გაჩნდა. ამგვარად, როგორ გამოიწვევდა ის ორ ფეხზე სიარულის დაწყებას? უოლპოფი პასუხობს, თუმცა ჩანს, რომ თითქოს ორ ფეხზე სიარულის ჩვევა იარაღის გამოყენების დაწყებამდე 2 მლნ. წლით ადრე გაჩნდა, სინამდვილეში ასე არ არის. მისი აზრით, პროტოჰომინიდები თავიდან ხისა და ძვლის იარაღს იყენებდნენ, რომლებიც არქეოლოგიურ ნუსხაში იმის გამო ვერ შევიდა, რომ უბრალოდ არ



სურათი 6-2 **ბიპედალიზმისთვის დამახასიათებელი ჩონჩხის ნიშნები**

იმის გამო, რომ ადამიანები მხოლოდ ორ ფეხზე დადიან, მათი ჩონჩხი ანთროპოიდების ჩონჩხისგან საკმაოდ განსხვავდება. ადამიანთა თავს ხერხემალზე მეტ-ნაკლებად დაბალანსებული მდგომარეობა უკავია (იხ. სურათზე გამოსახულება 3). კისრის უკანა მხარეს დიდი კუნთების არსებობა, როგორიც ანთროპოიდს აქვს, საჭირო აღარ არის. ადამიანის ხერხემალი (იხ. გამოსახულება 4) კისრისა და ზურგის ქვედა ნაწილში წინ არის გამოზნექილი. ეს ორი დამატებითი რკალი ზურგის შუა ნაწილში მდებარე რკალთან ერთად ხერხემალს საშუალებას აძლევს, ზამბარისებურად იმოქმედოს, რაც ძალიან მოსახერხებელია, იმისთვის, რომ ფეხებს მთელი სიმძიმე არ დაანგვეს და თანაც ყოველი ნაბიჯის დროს ცალ ფეხზე ბალანსირების საშუალება ჰქონდეთ. ორ ფეხზე სიარულმა ადამიანის მენჯის ცვლილება გამოიწვია. ანთროპოიდისგან განსხვავებით (იხ. სურ. 1), ადამიანის მენჯი უფრო დაბალია და განიერი. გარდა ამისა, ადამიანის ფეხები ხელებზე უფრო გრძელია და ადამიანის პროპორციულად მისი სხეულის წონის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს. ეს ცვლილება ქვემოთ ნევს სიმძიმის ცენტრს და ხელს უწყობს ორ ფეხზე გადაადგილებას. ყველაზე თვალშისაცემია ადაპტაცია ადამიანის ტერფებთან მიმართებაში (იხ. სურ. 5): როგორც სხვა პრიმატების შემთხვევაში, ცერი, სხვა თითების საწინააღმდეგო მხარეს არ არის მიმართული და ტერფით რაიმეს აღება უკვე შეუძლებელია. როდესაც დავდივართ, ცერი უკანასკნელი წერტილია, რომელიც მიწას ეხება, სანამ ფეხს წინ გადავდგამთ. სწორედ ამით აიხსნება, რატომ გაუთანასწორდა ცერი დანარჩენ თითებს.

შემოინახა ისე, როგორც შემოინახა ქვის იარაღი. გარდა ამისა, დაუმუშავებელი ქვის იარაღი იქნებ იარაღს ვერც კი მიამსგავსეს.

ზოგმა მეცნიერმა ორ ფეხზე გადაადგილების მექანიზმი უფრო დაწვრილებით შეისწავლა, რათა ენახა, თუ რამდენად მოსახერხებელი იყო ის სავანისა და ტყიანი ადგილების პირობებში. როგორც ჩანს, პრიმატებისთვის, მაგალითად შიმპანზეებისთვის, დამახასიათებელ ოთხ ფეხზე გადაადგილებასთან შედარებით, ორ ფეხზე სიარული ბევრად უფრო მოსახერხებელი იყო, როდესაც შორ მანძილზე წასვლა იყო საჭირო. მაგრამ რისთვის სჭირდებოდათ შორ მანძილზე წასვლა? თუ ადამიანების წინაპრებს ექნებოდათ თანამედროვე შიმპანზეებისათვის დამახასიათებელი მანიპულაციის უნარი და იარაღის გამოყენების შესაძლებლობა (მაგალითად, კაკლის გასატეხად ქვის გამოყენება) და ამ წინაპრებს უფრო ღია სივრცეში გადაადგილება დასჭირვებოდათ, ის ინდივიდები უკეთეს საარსებო პირობებს შეიქმნიდნენ, რომლებიც ახალი რესურსების აღმოსაჩენად უფრო შორ მანძილზე მოახერხებდნენ წასვლას.

დაბოლოს, ორ ფეხზე სიარულს ბუნებრივმა გადარჩევამ ალბათ უფრო მეტად იმიტომ შეუწყო ხელი, რომ გამართულ მდგომარეობაში სხეულის ტემპერატურა უკეთ რეგულირდება, მით უმეტეს, ისეთ მშრალ და ცხელ გარემოში, როგორიც მიოცენის ბოლოსა და პლიოცენის დასაწყისში აღმოსავლეთ აფრიკაში იყო. პიტერ უილერი ამტკიცებდა, რომ ორ ფეხზე გამართული სიარული ამცირებს სხეულის ფართობს, რომელსაც მზე უშუალოდ ეცემა, განსაკუთრებით კი შუადღისას, როდესაც მზე განსაკუთრებით ცხელია. ორ ფეხზე სიარული ხელს უწყობს აგრეთვე სითბოს დაკარგვას იმით, რომ საშუალებას აძლევს სითბოს, მაღლა ავიდეს და არ დაგროვდეს სხეულის ქვეშ, როგორც ეს ოთხ ფეხზე გადაადგილებისას ხდება. (თავიდან ჩვენ დიდი რაოდენობის სხეულის სითბოს ვასხივებთ). ოფლის გამოყოფით გაგრილებაც ორ ფეხზე გამართული სიარულისას უფრო გაადვილებულია, რადგან ასეთ მდგომარეობაში გრილი ნიავი სხეულის მეტ ფართობს ხვდება. ამგვარად, ბუნებრივმა გადარჩევამ ორ ფეხეზე სიარულს იმიტომაც შეუყწყო ხელი, რომ ამცირებდა ორგანიზმზე აღმოსავლეთ აფრიკის ცხელი კლიმატის ზემოქმედებას.

ორ ფეხზე გადაადგილების ყველა თეორია ჰიპოთეტურია, რადგან ჯერჯერობით არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულება, რომ ის ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთაგან რომელიმემ გამოიწვია. დასაშვებია, რომ ორ ფეხზე ხანდახან მოსიარულე პროტოჰომინიდის "ორფეხა" ჰომინიდად გადაქცევა, რომელიმე ან ყველა ფაქტორის ზემოქმედებით მოხდა.

ბიპედალიზმის „უარყოფითი" მხარეები

უნდა გვახსოვდეს, რომ ბიპედალიზმს თავისი „უკუჩვენებებიც" ახლავს. ასეთ დროს, სისხლს უფრო უძნელდება დადამიწის მიზიდულობის დაძლევა ტვინის მოსამარაგებლად, ხოლო სხეულის წონა მენჯებს ზემოთ და ქვემოთ (ქვედა კიდურები) დიდ დატვირთვას უქმნის თეძოებს, ზურგის ქვედა ნაწილს, მუხლებსა და ტერფებს. როგორც ედრიენ ზილმანი მიუთითებს, დატვირთვა, რომელიც სხეულის ქვედა ნაწილზე მოდის, ზოგჯერ მდედრებში უფრო მეტია. მდედრებმა ზედმეტი წონა უნდა ზიდონ როგორც ფეხმძიმობის, ასევე ჩვილების ტარების დროსაც. თუმცა, რამდენი უარყოფითი მხარეც უნდა ჰქონოდა ორ ფეხზე სიარულს, ალბათ, დადებითი მხარე მეტი ექნებოდა; სხვა შემთხვევაში ჩვენი წინაპრები ვერასოდეს გახდებოდნენ ორ ფეხზე მოსიარულენი.

უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ ბიპედალიზმის ევოლუცია ადამიანის მსგავსი მაიმუნის ჩონჩხის აგებულებაში დიდ ცვლილებებთან იყო დაკავშირებული. მართალია, თანამედროვე ადამიანის მსგავს მაიმუნებს შეუძლიათ იარონ და დადიან კიდევაც ორ ფეხზე, მაგრამ არა დიდი ხნის განმავლობაში. იმისათვის, რომ მუდმივად ორ ფეხზე სიარული შესძლებოდათ, ადრეული ჰომინიდების ჩონჩხში ისეთი სერიოზული ცვლილებები უნდა მომხდარიყო, როგორიც მოხდა პირველ რიგში თავის ქალის, მენჯის, მუხლებისა და ტერფების აგებულებაში. ცალკე განვიხილოთ თითოეული ცვლილება.

როგორც უძველესი, ისე ადამიანის მსგავს თანამედროვე მაიმუნებში, ხერხემალი თავის ქალას ზურგის მხრიდან უერთდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ადამიანის მსგავსი მაიმუნები ჩვეულებრივ ოთხ ფეხზე მოძრაობენ და მათი ზურგი მიწის თითქმის პარალელურია. ორფეხა ჰომინიდებში ხერხემალი თავს ქვემოდან უერთდება, ხვრელით, რომელსაც კეფის ხვრელი (**foramen magnum**) ეწოდება. ამგვარად, როდესაც ჰომინიდებმა ორ ფეხზე გადაადგილება დაიწყეს, თავის ქალამ თანდათანობით ხერხემლის ზედა ბოლოში გადაინაცვლა.

უძველესი და ადამიანის მსგავსი თანამედროვე მაიმუნების მენჯის ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდება ორფეხა ჰომინიდის მენჯის ფორმისგან. ადამიანის მსგავსი მაიმუნის მენჯი უფრო გრძელი და ბრტყელია და ზურგის ქვედა ნაწილში ქმნის ძვლოვან თეფშს, რომელზეც ფეხის კუნთებია მიმაგრებული. ორფეხა ჰომინიდებში მენჯს მომრგვალებული ფორმა აქვს, შინაგანი ორგანოების საყრდენს ქმნის და ამასთან ქვემოთ სწევს სხეულის სიმძიმის ცენტრს, რითაც ფეხებზე უკეთესი ბალანსირების საშუალებას იძლევა. ჰომინიდების მენჯი შეიცავს აგრეთვე კუნთების დამატებათა მრავალფეროვან ნაკრებს და ანაცვლებს თეძოს ძვლების ორიენტაციას მენჯიდან პირდაპირი მიმართულებით. ეს ცვლილებები საშუალებას აძლევს ჰომინიდებს, ორ ფეხზე სიარულისას ფეხები წინ გადაადგან და ბურთზე ფეხის დარტყმის მსგავსი მოძრაობა გააკეთონ. ადამიანის მსგავსი მაიმუნები კი — პირიქით, ორ ფეხზე სიარულისას ფეხებს წინ დგამენ მენჯის აქეთ-იქით გადანაცვლებით და არა ჩვენსავით ფეხების მონაცვლეობით წინ გადადგმით.

მეორე ცვლილება, დაკავშირებული ჰომინიდების ფეხის წინ გადადგმის უნართან, არის ჩვენი მუხლის სახსრების X-ის მაგვარი დეფორმაცია. ადამიანის მსგავსი მაიმუნების ფეხები მენჯიდან პირდაპირ ქვემოთაა ჩამოკიდებული. ორფეხა ჰომინიდების ფეხები კი ერთმანეთისკენაა შებრუნებული და ერთგვარ კუთხეს ქმნის. ამგვარი კონფიგურაცია არა მარტო ფეხების წინ გადადგმაში გვეხმარება, არამედ, საშუალებას გვაძლევს სხეულის შუაგულში შევინარჩუნოთ სიმძიმის ცენტრი იმგვარად, რომ სიარულისას ან სირბილისას მდებარეობას არ იცვლიდეს.

დასასრულ, ორფეხა ჰომინიდების ფეხებს ადამიანის მსგავსი მაიმუნების ფეხებისგან ორი მთავარი რამ განასხვავებს: პირველი არის ის, რომ ჰომინიდების ფეხებს მუხლის ძვლების მეტი რაოდენობა აქვთ, რომლებიც მაგარ ბორცვს ქმნიან და გამომდინარე ორ ფეხზე სიარულიდან, შეუძლიათ საკმაოდ დიდ დატვირთვას გაუძლონ. მეორე, ჰომინიდების ტერფებს აქვთ თაღი, რომელიც აგრეთვე ორ ფეხზე ხანგრძლივი სიარულის დროს ამცირებს მათზე დატვირთვას. ჩვენთვის ცნობილია, თუ რამდენად

დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თაღს, რადგან იმ ადამიანებს, რომელთაც ის განუვითარებელი აქვთ, („ბრტყელტერფიანებს“) ყოველთვის ექმნებათ ფეხებთან, მუხლებთან ან ზურგთან დაკავშირებული პრობლემები.

როდის მოხდა ეს ცვლილებები? ზუსტი პასუხი ჩვენთვის ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ განამარხებული მასალა აღმოსავლეთ აფრიკიდან – ეთიოპიიდან, ტანზანიიდან და კენიიდან – აშკარად მიუთითებს, რომ ორფეხა ჰომინიდები იქ 4-5 მილიონი წლის წინ და იქნებ უფრო ადრეც ცხოვრობდნენ.

ჰომინოიდეებიდან ჰომინიდეებზე გადასვლა

მართალია, დასავლეთ ჩადის ხრიოკი უდაბნოები ნაკლებად ჰგავს ისეთ ადგილებს, სადაც ადამიანის მსგავსი მაიმუნების ან ჰომინიდების განამარხებული ნაშთების პოვნა შეიძლება, მაგრამ პალეოანთროპოლოგი რიჩარდ ბრუნე სხვანაირად ფიქრობდა. დასავლეთი ჩადი უძველეს დროს ტბით იყო დაფარული და რამდენიმე მილიონი წლის განმავლობაში იქ ტყეში მცხოვრები ძუძუმწოვრები, პრიმატების ჩათვლით, იკრიბებოდნენ. დაახლოებით 7 მილიონი წლის წინ ამ ტბის სანაპიროზე ცხოვრობდა პრიმატი **Sahelanthropus tchadensis**, სადაც ბრუნემ მისი განამარხებული ძვლები იპოვა კიდეც 2001 წელს. აღმოჩნდა Sahelanthropus-ის თითქმის დაუზიანებელი თავის ქალა, რომელსაც ჰქონდა როგორც ჰომინოიდის, ისე ჰომინიდისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მართალია, მის თავის ქალას ჰომინოიდებისათვის დამახასიათებელი ნიშნები: პატარა მოცულობის ტვინი, წარბების დიდი რკალები და ფართო სახე ჰქონდა, მაგრამ მისი კბილების აგებულება უფრო ჰომინიდების მსგავსი იყო, განსაკუთრებით ეშვები, რომლებიც კბილების რიგის ზემოდან არ იყო გამოშვერილი. სამწუხაროდ, იმის მტკიცებულება, რომ Sahelanthropus ორ ფეხზე გადაადგილდებოდა, არ არსებობს და ამის გასაგებად ახალ აღმოჩენას უნდა ველოდეთ.

სამაგიეროდ არსებობს საინტერესო მასალა, რომელიც ამტკიცებს, რომ მეორე ადრეული ჰომინიდი, **Orrorin tugenensis,** ნამდვილად ორ ფეხზე გადაადგილდებოდა. ეს მასალა 1998 წელს დასავლეთ კენიაში ბრიჯიტ სენუტმა და მისმა კოლეგებმა აღმოაჩინეს. Orrorin tugenensis-ის ნაშთები შედგებოდა ყბის, კბილების, თითების, მკლავისა და ფეხების ძვლების 19 ნაწილისგან, თეძოს ძვლის ზედა ნაწილის ჩათვლით. სენუტის აზრით, ორორინის თეძოს ძვალს ბიპედალიზმის ადაპტაციის ნიშნები ახასიათებს, რადგანაც აქვს გრძელი, კუთხისებური ზედა ნაწილი. სხვა მეცნიერები ამდენად დარწმუნებულები არ არიან. ორორინი დაახლოებით 5,8-6 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა და ამდენად, თუ შემდგომი გამოკვლევა მის ბიპედალიზმს დაადასტურებს, შეიძლება ყველაზე ადრეულ ჰომინიდად ჩაითვალოს.

1992 წელს მკვლევართა ჯგუფი ანთროპოლოგ ტიმ უაითის ხელმძღვანელობით შეუდგა 4 მილიონი წლის წინანდელი განამარხებული ნაშთების ადგილსამყოფელის გათხრას ეთიოპიაში, ავაშის რეგიონის შუაგულში, ადგილ არამისში. ამ ადგილას მათ ყველაზე ადრეული ჰომინიდის 17 ნაშთი იპოვეს (მას შემდეგ კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდა, რომელთაგან ზოგი 5,8 მლნ. წლის წინანდელია). მართალია, თავიდან ფიქრობდნენ, რომ ეს ავსტრალოპითეკის ახალი სახეობებია, მაგრამ უაითმა და მისმა კოლეგებმა დაადგინეს, რომ Ramidus (ასე დაარქვეს ახალ აღმოჩენას) ძალიან განსხვავდებოდა ავსტრალოპითეკებისგან და ამიტომ ახალი გვარი — Ardipithekus შეიქმნა.

Ardipithecus ramidus-ის უნიკალურობას განაპირობებდა ის, რომ მას ჰქონდა ადამიანის მსგავსი მაიმუნისათვის დამახასიათებელი კბილების აგებულება და ორ ფეხზე გადაადგილების დამადასტურებელი ნიშნები, ასევე ჰომინიდების მსგავსი მთლიანი ჩონჩხი. ადამიანის მსგავსი მაიმუნებივით არდიპითეკუსს შედარებით პატარა თხელმინანქრიანი საღეჭი კბილები და შედარებით დიდი ეშვები ჰქონდა. მისი მკლავის ძვლები ჰომინიდების მსგავსია, ხოლო თავის ქალის ფუძიდან ჩანს, რომ კეფის ხვრელი ანუ ხერხემლის მიერთების ადგილი თავის ქალის ქვეშ იყო მოთავსებული ზუსტად ისევე, როგორც აშკარად გამოხატულ ორფეხა ჰომინიდებს ჰქონდათ. არდიპითეკის ტერფებიც ორ ფეხზე სიარულთან შეგუების ნიშნებს ატარებს. მართალია, დასარწმუნებლად მეტი მტკიცებულებაა საჭირო, მაგრამ არდიპითეკი, შესაძლოა, აქამდე აღმოჩენილი უადრესი ჰომინიდი იყოს.

ანთროპოლოგიური პირველწყაროები

Australopithecus afarensis და ადამიანის ევოლუცია

სად და როდის გაჩნდნენ პირველი ჰომინიდები? ეს არის ამ თავის, ისევე, როგორც ფიზიკური ანთროპოლოგიის მკვლევართა თაობების უმთავრესი კითხვა. ბოლო 30 წლის აღმოჩენების გამო, ფიზიკური ანთროპოლოგიის მკვლევარები ფიქრობენ, რომ პასუხი ახლოსაა. სკოტ სიმპსონი მიმოიხილავს გამოკვლევას, რომელშიც მოცემულია პასუხი ჰომინიდების წარმოშობის შესახებ კითხვაზე და მსჯელობს პირველი ჰომინიდის სახელის მოპოვების ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ კანდიდატზე - Australopithecus afarensis-ზე. ერთ-ერთი კითხვა, რომელსაც სიმპსონი სვამს: ეკუთვნის თუ არა ჰადარში, ტანზანიაში, ეთიოპიასა და ლაეტოლიში აღმოჩენილი განამარხებული ნაშთები ერთსა და იმავე სახეობას?

დავიწყოთ იმ სახეობებით, რომელთა ნაშთებიც აღმოჩნდა ჰადარსა და ლაეტოლიში. მართალია, იოჰანსონმა და უაითმა დაასკვნეს, რომ ეს მასალა ერთ სახეობას ეკუთვნოდა, მკვლევართა მეორე ნაწილი ვარაუდობდა, რომ მორფოლოგიური სხვადასხვაობა ამ კოლექციაში ერთი სახეობისთვის ძალიან დიდი იყო და აქ ორი ან ორზე მეტი თანადროული სახეობის ნაშთები უნდა ყოფილიყო. როგორ გადავჭრათ ეს პრობლემა? უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ, თუ რატომ იყო ცვალებადობა ევოლუციის აუცილებელი წინაპირობა. მეორე, უნდა ვიცნობდეთ იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს მრავალფეროვნების წარმოქმნას ადამიანის მსგავსი მაიმუნების როგორც თანამე-

დროვე, ისე განამარხებულ სახეობებში.

ფორმისა და ქცევის ცვალებადობა ევოლუციის უმთავრესი ელემენტია. ჩვენ ანატომიური ცვალებადობის პირობებში ვცხოვრობთ. სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებთან ლექციის ჩატარებისას, ყოველთვის ერთსა და იმავე პრობლემას ვაწყდები. გაკვეთისას ისინი ყოველთვის ჩივიან, რომ გვამის კუნთები, არტერიები და ნერვები ძალიან განსხვავდება ანატომიის სახელმძღვანელოში მოცემული სურათებისა და აღწერილობებისგან. რატომ? იმიტომ, რომ არ არსებობს ორი, მორფოლოგიურად სრულიად იდენტური ადამიანი. ჩვენ ერთი, საერთო თემის ვარიაციები ვართ. ყველა ადამიანს აქვს ერთი და იგივე ძვლები, კუნთები, ნერვები, ორგანოები, მაგრამ მათი ფორმა, ზომა და დამოკიდებულება განსხვავებულია. სხვადასხვაობათა უმეტესობა ორგანიზმთა სქესობრივი გამრავლების ბუნებრივი შედეგია. სხვადასხვაობის გარეშე ბუნებრივი გადარჩევის საშუალებით მიმდინარე ევოლუცია არ იარსებებდა. პოპულაციებში არსებულ ცვალებადობას სხვა ფაქტორებიც უწყობს ხელს, მაგალითად, ასაკობრივი შემადგენლობა. მართლაც, დღეს სხვანაირად გამოვიყურებით, ვიდრე ბავშვობაში ან 20 წლის ასაკში რომ ვიყავით. განამარხებული ნაშთების კოლექცია, რომელშიც სხვადასხვა ასაკის ინდივიდები იქნება გაერთიანებული, ჰეტეროგენური Australopithecus: აღმოჩნდება.

ავსტრალოპითეკი: პირველი აშკარად გამოხატული ჰომინიდი

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არის გარკვეული ეჭვი, მიეკუთვნება თუ არა არდიპითეკი ჰომინიდების გვარს, ავსტრალოპითეკინების (ავსტრალოპითეკების გვარის წარმომადგენლები) შესახებ ასეთი ეჭვი აღარ არსებობს. (სურ. 6-3-ზე გამოსახულია ავსტრალოპითეკების აღმოჩენის ადგილები). მათი კბილები ჰომინიდებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს: პატარა ეშვები, ბრტყელი და სქელმინანქრიანი საღეჭი კბილები და პარაბოლური დენტალური თაღი. მაგრამ ყველაზე უტყუარი მტკიცებულება ის არის, რომ ავსტრალოპითეკინები აბსოლუტურად ბიპედალურები იყვნენ ანუ მხოლოდ ორ ფეხზე გადაადგილდებოდნენ. ამას ამტკიცებს არა მხოლოდ მათი ჩონჩხები, არამედ ლაეტოლიში აღმოჩენილი ფეხის 50-ზე მეტი გაქვავებული ანაბეჭდი, რომელთა ასაკი დაახლოებით 3,6 მილიონი წელია. ავსტრალოპითეკინების ბიპედალიზმი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მთელ დროს მხოლოდ მიწაზე ატარებდნენ. ყველა ავსტრალოპითეკი, გვიანდელი სახეობების ჩათვლით, როგორც ჩანს, კარგად ცოცავდა და გადაადგილდებოდა ხეებზე, რასაც ადასტურებს, როგორც მათი ხელების სიგრძე, ისე ჩონჩხის დამახასიათებელი სხვა ნიშნებიც.

ავსტრალოპითეკებს შორის გარკვეული სხვადასხვაობა არსებობს, რის მიხედვითაც, პალეოანთროპოლოგები



სურათი 6-3 **ავსტრალოპითეკების აღმოჩენის ადგილები**

1. დიურაბის უდაბნო, ჩადი.
2. ომოეთიოპია.
3. ფეჯეჯი, ეთიოპია.
4. ჰადარი, ეთიოპია.
5. ბელოდელი (შუა ავაში), ეთიოპია.
6. დასავლეთ ტურკანა, კენია.
7. ლოთაგამი, კენია.
8. აღმოსავლეთ ტურკანა (კოობი ფორა), კენია.
9. კანაპოი, კენია, ტაბარინი, კენია.
10. პენინჯი (ნატრონის ტბა), კენია.
11. ოლდუვაი, ტანზანია.
12. ლაეტოლი, ტანზანია.
13. მალავი.
14. მაკაპანსგატი, სამხრეთ აფრიკა.
15. სტერკფონტეინი, სამხ. აფრიკა, სვარტკრანსი, სამხ. აფრიკა.
16. კრომდრაააი, სამხ. აფრიკა.
17. ტუნგი, სამხრეთ აფრიკა.

მათ, სულ ცოტა ექვს სახეობად ყოფენ, მაგრამ შეიძლება, მეტიც ყოფილიყო. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბოლოდროინდელი აღმოჩენების საფუძველზე, შესაძლოა, კიდევ ორი ახალი სახეობა: A. bahrelghazali და A. gahri დაემატოს, ასევე — ერთი მონათესავე ჰომინიდი Kenianthropus platyops , რომელიც ასევე ავსტრალოპითეკების სახეობას მიეკუთვნება (იხ. ჩარჩო „ახალი, გასაოცარი ავსტრალოპითეკინები“).

მეცნიერთა უმრავლესობა ავსტრალოპითეკინების სხვადასხვა სახეობას ორ ჯგუფად: თხელი აღნაგობის და მასიური აღნაგობის ავსტრალოპითეკინებად ყოფენ. თხელი ავსტრალოპითეკინები მოიცავენ A. anamensis, A. afarensis და A. africanus. ყველა მათგანს უფრო მომცრო ზომის კბილები და სახის შედარებით მსუბუქი კუნთები ჰქონდა, ვიდრე მასიურ ავსტრალოპითეკინებს. ავსტრალოპითეკი **Australopithecus anamensis**, რომელიც შეიძლება 4,2 მლნ. წლის იყოს, მხოლოდ ჩრდილოეთ კენიაში აღმოჩნდა. სხვა ჰომინიდები, რომლებიც აღმ. აფრიკაში აღმოჩნდნენ, მხოლოდ 4-3 მლნ. წლის წინ ცხოვრობდნენ, პალეოანთროპოლოგების უმეტესობის მიერ კლასიფიცირებულები არიან, როგორც **Australopithecus afarensis.** მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის ანთროპოლოგები არ იზიარებენ აზრს, რომ ეს ჰომინიდები განსხვავებულ სახეობებს უნდა მიეკუთვნონ იმის გამო, რომ გვანან ჰომინიდების უგვიანეს სახეობას - **Australopithecus africanus** რომელიც 3-2 მილიონი წლის წინ უმეტესად სამხრეთ აფიკაში ცხოვრობდა. მაგრამ ამ ფორმებს შორის დროსა და სივრცეში არსებული განსხვავებები მრავალ პალეოანთროპოლოგს აფიქრებინებს, რომ ისინი განსხვავებულ სახეობებს წარმოადგენდნენ.

მასიური ავსტრალოპითეკინები თხელებთან შედარებით, უფრო დიდი კბილებით, მასიური სახეებითა და ყბებით ხასიათდებიან. ზოგ ინდივიდს თხემზე აქვს ძვლოვანი ისრისებური გამონაზარდი, რომელსაც ქედი (**sagittal crest**) ეწოდება და რომელიც ამაგრებს კბილებისა და ყბების მძიმე კუნთებს. მასიური ავსტრალოპითეკინების ყველაზე ადრეული სახეობა, რომელიც აფრიკაში 2,7-2,3 მლნ. წლის წინ ცხოვრობდა, არის **Australopithecus aethiopicus**. პალეოანთროპოლოგთა უმრავლესობის აზრით, ყველაზე გვიანდელი მასიური ავსტრალოპითეკინები, რომლებიც 2,3-1 მლნ. წლის წინ ცხოვრობდნენ, ორი სახეობისანი არიან. ესენია: აღმოსავლეთ აფრიკული სახეობა **Australopithecus boisei** და სამხრეთ აფრიკული სახეობა **Australopithecus robustus**.

ავსტრალოპითეკინების ეს მოკლე მიმოხილვა მათი მრავალფეროვნების სურათს ქმნის. როგორც ჩანს, ავსტრალოპითეკინების მრავალი სახეობა არსებობდა. გარდა ამისა, მრავალფეროვნება თავად სახეობების შიგნითაც შეიმჩნევა. ყველა მათგანი აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობდა, მაგრამ ზოგი ადგილი უფრო მრავალფეროვანი და ცვალებადი იყო. ტყეებსა და მინდვრებს თავისუფალი ტერიტორიები ენაცვლებოდა, აღმოსავლეთ აფრიკაში ჩნდებოდა დიდი ტბები, რომლებიც ვულკანური ამოფრქვევების შედეგად ნაწილებად იშლებოდა. გარდა ამისა, **პლიოცენის** შუახანებამდე, დაახლოებით 1,6 მილიონი წლის წინ, ჰავა სულ უფრო და უფრო ცხელი ხდებოდა.

ავსტრალოპითეკინების აშკარა მრავალფეროვნება შეიძლება ბიპედალური ჰომინიდების ასეთი დინამიკური მრავალფეროვნებით გამოწვეულ ადაპტურ რადიაციას (გაფანტვას და გადახრას) გამოხატავდეს. მეორე მხრივ, ტიმ უაითის აზრით, ჩვენ ნამდვილად არ გაგვაჩნია საკმარისი ინფორმაცია ავსტრალოპითეკინების შესახებ, რათა ვიმსჯელოთ მათი სახეობების რაოდენობაზე. ის ვარაუდობს, რომ ზოგიერთი განსხვავება შეიძლება თავად ფოსილიზაციის პროცესის გამო ჩნდებოდეს. რაც უნდა იყოს მიზეზი, ავსტრალოპითეკინების შესახებ მსჯელობისას, უმნიშვნელოვანესი თემა ალბათ სწორედ მათი მრავალფეროვნებაა. მოდით, ჯერ გრაციალური, ხოლო შემდეგ რობასტული ავსტრალოპითეკის სახეობებს გადავხედოთ.

თხელი ავსტრალოპითეკინები

Australopithecus anamensis ყველაზე ადრეული სახეობაა. იგი ჩრდილოეთ კენიაში რამდენიმე ადგილას აღმოჩნდა. ის 3,9-4,2 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა. მართალია, მისი ზოგიერთი ნიმუშის შესახებ აზრთა გარკვეული დაპირისპირება არსებობს, ზოგადი სურათი მაინც იქმნება: ეს იყო მცირე ზომის, ორ ფეხზე მოსიარულე ჰომინიდი, რომელსაც Australopithecus afarensis-ის კბილების მსგავსი კბილები ჰქონდა. კიდევ უფრო მეტ კამათს იწვევენ ის სახეობები, რომელთაც გრძელი ძვლები ჰქონდათ. ეს ძვლები ორ ფეხზე კარგად მოსიარულე სახეობებისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, მაგრამ მათი იდაყვისა და მუხლის სახსრები უფრო მეტად გვიანდელი Homo-ს გვარის წარმომადგენლებისთვის იყო ნიშანდობლივი, ვიდრე ავსტრალოპითეკის რომელიმე სახეობისთვის. გამოითქვა მოსაზრება, რომ Australopithecus anamensis „კისრიდან ზევით უფრო მეტად Australopithecus afarensis-ს ჰგავს, ხოლო კისრიდან ქვევით Homo-ს“.

Australopithecus afarensis ანთროპითეკების ყველაზე კარგად გამოხატული სახეობაა. ლაეოტლიში (ტანზანია) ამ სახეობის თორმეტამდე ინდივიდის ნაშთი აღმოჩნდა. მართალია, ეს ნაშთები უმეტესად კბილები და ყბები იყო, მაგრამ მაინც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ორ ფეხზე გადაადგილდებოდნენ, რადგან განთქმული გაქვავებული ფეხის ანაბეჭდები სწორედ ლაეოტლიში აღმოჩნდა. 3,6 მილიონი წლის წინ ორმა ერთმანეთის გვერდით გამართულად მიმავალმა ჰომინიდმა მიწაზე თავისი ნაკვალევი დატოვა. მეორე ადგილას, ჰადარში (ეთიოპია), დაახლოებით 35 ინდივიდის ნაშთი აღმოჩნდა. ჰადარის აღმოჩენა იმით გამოირჩევა, რომ შედარებით სრულყოფილია. მაშინ, როდესაც პალეოანთროპოლოგები უმთავრესად თავის ქალის ან ყბების ნაწილებს პოულობენ, ჰადარში ჩონჩხის მრავალი ნაწილიც აღმოჩენდა. მაგალითად, პალეოანთროპოლოგმა დონალდ იოჰანსონმა მდედრი ჰომინიდის ჩონჩხის თითქმის 40% იპოვა. თავის აღმოჩენას მან ლუსი დაარქვა, ბითლზის სიმღერის Lucy in the Sky with Diamonds -ის მიხედვით.

მდედრი Australopithecus afarensis აღდგენილი ჩონჩხი. მიაქციეთ ყურადღება, ფეხებთან შედარებით, რამდენად უფრო გრძელი ხელები და თითები აქვს მას, რაც მის ნაწილობრივ ხეზე ცხოვრებაზე მიუთითებს.

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

ახალი, საოცარი ავსტრალოპითეკინები

ეთიოპიელმა პალეოანთროპოლოგმა ბერჰან ასფაუმ Australopithecus gahri-ს აღწერილობაში განმარტა, რომ სიტყვა გაჰრი ეთიოპიურ ენაზე "სიურპრიზს" ნიშნავს. ეს სახელი სწორედ შესაფერისია, რადგან არც თვითონ ავტორი, არც მისი კოლეგები და არც პალეონტოლოგიური საზოგადოება არ ელოდა ავსტრალოპითეკინების ახალი სახეობების აღმოჩენას 1996 წელს. 1992 წელს იმავე გუნდმა Ardipithecus ramidus აღმოაჩინა. შემდეგ წლებში — Australopithecus anamensis და Australopithecus bahrelghazali. Kenyanthropus platyops, რომელსაც მრავალი მეცნიერი უფრო ავსტრალოპითეკიდებთან აიგივებს, ვიდრე რომელიმე ახალ გვართან, 1998 წელს აღმოჩნდა. ათწლეულის მანძილზე 4-5 ახალი ჰომინოიდი აღმოაჩინეს, რამაც თითქმის გაორმაგა წინა 30 წლის განმავლობაში გაკეთებული აღმოჩენების რიცხვი.

გასაოცარი იყო აგრეთვე Australopithecus gahri-ს, რომელსაც კლდეში მიაკვლიეს და კბილებისათვის დამახასიათებელი ნიშნებიდან გამომდინარე, დაახლოებით 2,5 მილიონის წლისაა. ასფაუ და მისი კოლეგები მოელოდნენ, რომ ახალი აღმოჩენა ადრე ცნობილი რომელიმე ავსტრალოპითეცინის სახეობის მსგავსი იქნებოდა, მაგრამ ასე არ არის. ახალი აღმოჩენის კბილები ნამდვილად არც Homo-ს და არც A. afarensis-ს კბილებს არ ჰგავდა და არც ისეთივე დიდი მოცულობის ტვინი ჰქონდა, როგორც Homo-ს. მისი სახე და ყბები, მასიური ავსტრალოპითეკინებისგან განსხვავებით, დიდი ზომის არ იყო. კლდის იმავე ფენებში აღმოჩნდა კიდურების რამდენიმე ძვალი, რომლებიც A.afarensis-ის ძვლების მსგავსი იყო. ამგვარად, Australopithecus gahri, ალბათ, A.afarensis-ის მსგავსი არსება უნდა ყოფილიყო, თუმცა უფრო დიდი საღეჭი კბილებით.

ყველაზე საოცარი ის იყო, რომ დაკლული ცხოველების ნარჩენები იმავე ფენებში აღმოჩნდა, სადაც Australopithecus gahri. აქვე ნაპოვნი რამდენიმე ძვალი, როგორც ჩანს, ქვის იარაღით იყო დამტვრეული. სამწუხაროდ, იქვე ქვის იარაღი ვერ ნეხეს, მაგრამ ცხოველთა დაკვლისა და დამუშავების კვალი გვაფიქრებინებს, რომ ასეთი იარაღი ნამდვილად უნდა გამოეყენებინათ. იმის გამო, რომ ჰომინიდების სხვა რომელიმე სახეობის არსებობის კვალი იმ ადგილებში არ იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ Australopithecus gahri -ს შეეძლო იარაღის დამზადება და ცხოველების დაკვლა. აფშუმ და მისმა კოლეგებმა ივარაუდეს, რომ Australopithecus gahri-ს ყველა ფიზიკური და ქცევითი დამახასიათებელი ნიშანი ჰქონდა იმისათვის, რომ ადრეული Homo-ს უშუალო წინაპრად ჩაითვალოს.

ასევე გასაოცარია Australopithecus bahrelghazali, მაგრამ არა იმდენად ფიზიკური ნიშნებით, არამედ იმიტომ, რომ საკმაოდ მოშორებით, დასავლეთისკენ, ახლანდელი ცენტრალური ჩადის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. იგი პირველი ადრეული ჰომინიდია, რომელიც რიფტის ველის (აღმოსავლეთ აფრიკა) გარეთ ბინადრობდა, მის აღმოჩენამდე მხოლოდ რამდენიმე, როგორც ფიქრობენ, ადრეული ჰომინიდი იყო აღმოჩენილი. Australopithecus bahrelghazali 3 მლნ. წლის წინ ცხოვრობდა და ძალიან ჰგავს თავის თანამედროვე A. afarensis-ს, რომელიც რიფტის ველზე ბინადრობდა. ნაპოვნი მასალის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა რომ A. afarensis-გან მას განასხვავებს წინა საღეჭი კბილები, რომლებსაც უფრო თხელი მინანქარი და უკეთ გამოხატული ფესვები აქვთ. თუმცა უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ განსხვავებულ საცხოვრებელ გარემოში იყვნენ. მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ ადარეული ჰომინიდები განსაკუთრებით შეგუებულნი იყვნენ რიფტის ველის პირობებს. ამიტომ ადრეული ავსტრალოპითეკინის აღმოჩენამ ამ ადგილიდან 2500 კილომეტრით უფრო ჩრდილოეთით ეს აზრი ეჭვქვეშ დააყენა. Australopithecus bahrelghazali-ის ყბის ერთი ფრაგმენტი, ხოლო Australopithecus gahri-ის თავის ქალისა და კიდურების ერთი მუჭა ძვლები შეისწავლეს. მიუხედავად იმისა, რომ ფრაგმენტები დამაინტრიგებელია, ჩვენ ვერ გავიგებთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს სახეობები ან როგორ შეცვლიან ისინი ჩვენს წარმოდგენას ადრეული ჰომინიდების ევოლუციაზე, სანამ მათ დანარჩენ ნაწილებსაც არ ვიპოვით.

ბოლოს, დასავლეთ კენიაში 3 მლნ. წლის წინანდელი ადრეული ჰომინიდის — Kenyanthropus platyops-ის თითქმის დაუზიანებელი თავის ქალა აღმოჩნდა, რომლის დამახასიათებელი ნიშნების შესწავლისას მ. ლიქიმ და მისმა კოლეგებმა ის თავისი თანადროული ავსტრალოპითეკინებისგან გამოაცალკევეს. Kenyanthropus platyops-ის სახე უფრო მცირე ზომის და უფრო ბრტყელი იყო, ვიდრე ავსტრალოპითეკინებისა. ლიქის აზრით, Kenyanthropus შეიძლება უშუალოდ ყოფილიყო დაკავშირებული ჰომოსთან, მაგრამ სხვა მეცნიერები ამაში ასე დარწმუნებულნი არ არიან. მისი სახე დეფორმირებული იყო, ამიტომ მეცნიერები დარწმუნებულნი არ არიან, რომ მისი ნაკვთები ავსტრალოპითეკების ნაკვთებისგან ფორმითა და ზომით განსხვავდებოდა. 20 საუკუნის ბოლო ათწლეულის სიურპრიზების ფონზე საინტერესოა, რას მოგვიტანს ახალი საუკუნის პირველი ათწლეული.

პრიმატები, რომლებიც ეოცენის ეპოქაში ცხოვრობდნენ, თანამედროვე ჩრდილო ამერიკის, ევროპისა და აზიის ტერიტორიებზე დაახლოებით 55 მილიონი წლის წინ გამოჩნდნენ. იმ დროისათვის ლავრაზია, სუპერკონტინენტი, რომელიც ჩრდილო ამერიკისა და ევრაზიისგან შედგებოდა (მათ გრელანდია აკავშირებდათ), ერთიან ხმელეთს წარმოადგენდა, რომელიც შემადგენელ ნაწილებად შუა ეოცენში დაიშალა. მაშინ აფრიკა და ინდოეთი ევრაზიასთან დაკავშირებულები ჯერ კიდევ არ იყვნენ. მათი დაკავშირება ოლიგოცენის ბოლოს მოხდა და ამან სერიოზული კლიმატური ცვლილებები გამოიწვია, რომლებზეც მოგვიანებით შევჩერდებით. ეოცენის დასაწყისი უფრო თბილი და ნაკლებ სეზონური იყო, ვიდრე პალეოცენი, და ტროპიკული ტყეების სიჭარბით ხასიათდებოდა.

ეოცენური პრიმატების მრავალფეროვანი ანატომია გვაფიქრებინებს, რომ იმ დროისათვის მათ უკვე ახასიათებდათ თანამედროვე პრიმატების ნიშან-თვისებები: ფრჩხილები ბრჭყალების ნაცვლად, ჩამჭიდი, საწინააღმდეგო მხარეს მდებარე ცერი და თვალის ძვლოვანი ბუდეები. ვერტიკალური ცოცვა და ხტომა გადაადგილების მათთვის ჩვეული ფორმა იყო. ეოცენური ნახევრადმაიმუნებიარა მხოლოდ მოძრაობით ემსგავსებიან თანამედროვენახევრადმაიმუნებს, არამედ მათი ჩონჩხებიც იდენტურია.

მერი ლიკის ექპედიციამ ლეატოლში, ტანზანიაში აღმოაჩინა 70 იარდის სიგრძის 3. 6-მილიონი წლის წინ განამარხებული ნაფეხური. აქ ნაჩვენებია ერთ-ერთი მარცხენა ნაფეხური, რომელიც მოზრდილ ინდივიდს ეკუთვნის და ნათლად ჩანს, რომ იგი გამართული დადიოდა. ნაფეხური აჩვენებს კარად განვითარებულ თაღს და დიდ ტერფს.

ლაეტოლში აღმოჩენილი ჰომინიდების ნაშთების დათარიღება გვაფიქრებინებს, რომ ჰომინიდები ამ ტერიტორიაზე 3,8-3,6 მილიონი წლის წინ ცხოვრობდნენ. მართალია, ჰადარში აღმოჩენილი სხვა ჰომინიდები ერთ დროს ლაეტოლის ჰომინიდებივით ადრეულად ითვლებოდნენ, მაგრამ ბოლოდროინდელი დათარიღებით ისინი უფრო გვიანდელი პერიოდისანი — 3,2 მლნ. წლის აღმოჩნდნენ. ლუსი ალბათ 2.9 მლნ. წლის წინ ცხოვრობდა. მისი საცხოვრებელი გარემო ნახევრადურწყავი, მაღალი სავანა იყო, როგორც წვიმიანი, ისე გვალვიანი პერიოდებით.

განამარხებული მასალის ასეთი მდიდარი კოლექციის



Austalopithecus africanus-ის განამარხებული ჩონჩხი ზედმეტ სახელად „მისის პლესი“ აღმოჩენილი რობერტ ბრუმის მიერ სტერკფონტეინის გამოქვაბულში 1947 წელს.



Austalopithecus africanus-ის რეკონსტრუქცია; დედა და შვილი ხეზე კენკრას კრეფენ. *A. afarensis, A. afrikanus*-ის მსგავსად სავარაუდოდ დროს ხეებზე კვებაში და მტაცებლებისგან თავის არიდებაში ატარებდა.

არსებობამ პალეოანთროპოლოგებს დონალდ იოჰანსონსა და ტიმ უაითს ამ უძველესი ჰომინიდების სახეობების პორტრეტის შექმნის საშუალება მისცა. აფარენსის მცირე ზომის, მაგრამ თანამედროვე ადამიანის მსგავსი დიდი მაიმუნების მსგავსად, სქესობრივად დიმორფული იყო. მდედრები დაახლოებით 65 გირვანქას იწონიდნენ და გამართულ მდგომარეობაში დაახლოებით 3 ფუტის სიმაღლეს აღწევდნენ. მამრები 90 გირვანქას იწონიდნენ და გამართულ მდგომარეობაში მათი სიმაღლე დაახლოებით 5 ფუტი იყო.

A. afarensis-ს კბილები, მათი სხეულის ზომასთან შეფარდებით, დიდი და მინანქრის სქელი ფენით დაფარული ჰქონდა. ჰქონდა ასევე დიდი, ადამიანის მსგავსი მაიმუნისთვის დამახასიათებელი ეშვები, რომლებიც ზოგიერთ ინდივიდში გვერდითა კბილების წინ იყო გამოშვერილი. თუმცა უფრო გრძელი ეშვებიც კი არ ეხებოდა ქვედა კბილებს და არ ჩადიოდნენ დიასტემაში (კბილებს შორის ნაპრალში). ასე რომ, ხელს არ უშლიდნენ ქვედა ყბის აქეთ-იქით მოძრაობას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქვედა ყბის აქეთ-იქით მოძრაობა საშუალებას აძლევდა A. afarensis-ს, დაეღეჭა პატარა ზომის მარცვლები და თხილი. საღეჭ კბილებზე მინანქრის სქელი ფენა, ხოლო გვირგვინებზე ცვეთის კვალი გვაფიქრებინებს, რომ მათი რაციონის მნიშვნელოვან ნაწილს მცირე ზომის, პატარა საგნები შეადგენდა. A. afarensis-ის თავის ქალა მისი კბილების წყობას ასახავს. დიდი კბილებისა და ყბების გამო სახე წინ არის წამოწეული, ხოლო თავის ქალის ფუძე გაფართოებულია, რათა ზედ სქელი, კუნთიანი კისერი და მძიმე სახე მოთავსდეს. ტვინის მოცულობა მცირეა, დაახლოებით 400 სმ3, მაგრამ ამ ზომის სხვა ცხოველებისათვის მაინც დიდია.

A. afarensis-ის ხელები და ფეხები დაახლოებით ერთი

სიგრძის, ხელისა და ფეხის თითების ძვლები კი დაღარული ჰქონდა, რაც მათ ძლიერ კუნთებზე მიუთითებს. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, კიდურების ამგვარი პროპორციები, ძლიერი ხელები და ტერფები მათი ნაწილობრივ ხეზე ცხოვრების მაჩვენებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, A. afarensis საკმაოდ ბევრ დროს ატარებდა ხეზე, შეიძლება იქ იკვებებოდა, ეძინა და მტაცებელ ცხოველებს ემალებოდა. თუმცა მისი მენჯისა და ფეხების ძვლები მიუთითებს, რომ მიწაზე ყოფნისას ორ ფეხზე გადაადგილდებოდა. მენჯი განიერია და გაფართოებული, გვიანდელ ჰომინიდებში კი მას მომრგვალებული ფორმა აქვს. ფეხები შიგნითა მხარეს კუთხეს ქმნიან, ტერფები თაღისებური აქვთ, კოჭებით კი ძალიან ჰგვანან გვიანდელ ჰომინიდებს. ლაეტოლის ფეხის ანაბეჭდების დეტალური შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ A. afarensis, ალბათ უფრო მოკლე ნაბიჯებს ადგამდა, ვიდრე თანამედროვე ადამიანი. მართალია, A. afarensis ავსტრალოპითეკინების ყველაზე უკეთ განვითარებული სახეობაა, ის პირველი არ აღმოუჩენიათ. ამ საკითხთან დაკავშირებით განვიხილავთ Australopithecus africanus-ს.

Australopithecus africanus. 1925 წელს სამხრეთ აფრიკაში, იოჰანესბურგში მდებარე უიტუოტერსრენდის უნივერსიტეტის ანატომიის პროფესორმა რეიმონდ დარტმა წარმოადგინა პლიოცენის ეპოქაში მცხოვრები გამართულად მოსიარულე ორფეხა ჰომინიდის არსებობის დამადასტურებელი საბუთები. მას შემდეგ, რაც ძვლები კალაჰარის უდაბნოში მდებარე ტანუგის გამოქვაბულში ნაპოვნი სხვა მასალისგან განაცალკევა, დარტი მიხვდა, რომ იგი არა ადამიანის მსგავსი მაიმუნის ნაშთს, არამედ უფრო მეტს უყურებდა. მეცნიერი თავის განცდას ასე აღწერს:

23 დეკემბერს (1924 წ.) კლდე გაიპო და დავინახე სახე, რომლის მარჯვენა ნაწილი კვლავ მიწაში იყო. არსება, რომელსაც ასეთი დიდი ზომის ტვინი ჰქონდა, არ იყო გიგანტური ანთროპოიდი, როგორც გორილა. სახე ბავშვს ეკუთვნოდა, სარძევე კბილების მთელი კომპლექტით და მუდმივი კბილებით, რომლებიც ამოსვლას იწყებდნენ.

კბილების მიხედვით, დარტმა დაადგინა, რომ განამარხებული ნაშთი 5-7 წლის ბავშვს ეკუთვნოდა (შემდგომმა გამოკვლევამ, რომელიც ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით ჩატარდა, დაადგინა, რომ ბავშვი მხოლოდ სამნახევარი წლის იყო). მეცნიერმა აღმოჩენას Australopithecus africanus დაარქვა, რაც "სამხრეთ აფრიკის ადამიანის მსგავს მაიმუნს" ნიშნავს. დარტი დარწმუნებული იყო, რომ თავის ქალა ორ ფეხზე მოსიარულე ცხოველის უნდა ყოფილიყო. მისი დასკვნა ემყარებოდა ფაქტს, რომ მისი კეფის ხვრელი ქვემოთ იყურებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თავი უშუალოდ ხერხემლის ზემოთ ვერტიკალურად ეჭირათ; მეტიც, ტანუგის ბავშვის საჭრელი კბილები და ეშვები მოკლე, ადამიანის მსგავსი მაიმუნისა და ადამიანის კბილების მსგავსი იყო.

დარტის დასკვნას სკეპტიკურად და წინააღმდეგობით შეხვდნენ, რადგან იმ დროს მეცნიერებს ეგონათ, რომ ჰომინიდები აზიაში წარმოიშვნენ. გარდა ამისა, არსებობდა სხვა მიზეზებიც: დარტმა აღმოაჩინა მხოლოდ ერთი ინდივიდის ნაშთი, რომელიც ბავშვს ეკუთვნოდა და მანამდე აფრიკაში არც ერთი სხვა ჰომინიდის ნაშთი ნაპოვნი არ იყო. 1930 წლამდე, როდესაც რობერტ ბრუმმა იოჰანესბურგთან ახლოს, სტერკფონტეინის გამოქვაბულში რამდენიმე განამარხებული ნაშთი იპოვა, სხვა ავსტრალოპითეკინები ჯერ აღმოჩენილი არ იყვნენ. დარტისა და ბრუმის აზრი 1945 წლამდე არავის გაუზიარებია, სანამ ოქსფორდის უნივერსიტეტის ანატომიის პროფესორმა უილფრიდ ლე გროს ქლარკმა მათ აღმოჩენას ჰომინიდების სტატუსი არ მიანიჭა.

ტანუგის ბავშვის აღმოჩენიდან 80 წლის შემდეგ ასობით მსგავსი ავსტრალოპითეკინის ნაშთი გამოვლინდა სტერკფონტეინისა და მაკაპანსგატის გამოქვაბულებში (სამხრეთ აფრიკა). ამ ზღვა მასალის შესწავლის შედეგად შეიქმნა Australopithecus africanus-ის თითქმის სრული სურათი: "თავის ქალა მრგვალია, აქვს კარგად განვითარებული შუბლი. საკმაოდ წინ წამოწეულ სახეს საშუალო ზომის წარბების რკალები აგვირგვინებს". თავის ქალის საშუალო მოცულობა სხვადასხვა აღმოჩენებში 428-485 სმ3 შორის მერყეობს. A. afarensis-ის მსგავსად, A. africanus-იც ძალიან პატარა ზომის იყო. ზრდასრული ინდივიდების სიმაღლე 3,5-დან 5 ფუტამდე აღწევდა, წონა კი 60-90 გირვანქას უტოლდებოდა. ისინი სქესობრივად დიმორფულები იყვნენ. A. africanus-ს ახასიათებდა დიდი ზომის უნიკაპო ყბა, რომელიც A. afarensis-ისას ჰგავდა, მაგრამ მათი კბილების ზოგიერთი თავისებურება თანამედროვე ადამიანისას უფრო ჰგავს – ბრტყელი საჭრელი კბილები და პატარა, მოკლე ეშვები. მართალია, წინა და უკანა საღეჭი კბილები უფრო დიდი ჰქონდათ, ვიდრე ადამიანებს, მაგრამ მათი ფორმა ერთნაირი იყო.

სამხრეთ აფრიკის კირქვიან გამოქვაბულებში აღმოჩენილი ავსტრალოპითეკინების ასაკის დადგენა ძნელი იყო, რადგან ამ გარემოში შეუძლებელია ზუსტი დათარიღების მეთოდების გამოყენება. სამაგიეროდ, შესაძლებელია შედარებითი დათარიღება. იმავე ფენაში ნაპოვნი ფაუნის სხვა ადგილიდან აღებულ ფაუნასთან შედარების საფუძველზე დადგინდა, რომ სამხრეთ აფრიკელი A. africanus ცხოვრობდა 3-2 მილიონი წლის წინ. იმ დროინდელი ჰავა იმ ადგილებში დღევანდელისგან დიდად არ განსხვავდებოდა ანუ ნახევარ-უდაბნოს ტიპისა იყო.

მასიური ავსტრალოპითეკინები

რობასტული ავსტრალოპითეკინები აღმოსავლეთ აფრიკაში 2.7 მილიონი წლის წინ ცხოვრობდნენ. ისინი ძალიან განსხვავდებიან თხელი ავსტრალოპითეკინებისგან. მართლაც, ზოგიერთი პალეოანთროპოლოგის აზრით, ეს ნაშთები იმდენად განსხავებულია, რომ იმსახურებენ ცალკე გვარად გამოყოფას, რომელსაც Paranthropus ანუ "ადამიანებთან ახლოს მდგომი" ეწოდება. რობასრტული ავსტრალოპითეკინები თავდაპირველად სამხრეთ აფრიკის გამოქვაბულებში – კრომდარაისა და სვარტკრანსში აღმოაჩინეს, უფორ გვიან კი — აღმოსავლეთ აფრიკაში, ეთიოპიის მდინარე ომოს აუზში, ტურკანას ტბის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებსა და ტანზანიაში, ოლდუვაის ხეობაში. პალეოანთროპოლოგთა უმრავლესობის კლასიფიკაციით, სამხრეთ აფრიკულ მასიურ ავსტრალოპითეკინებს, რომლებიც 1,8-1 მლნ. წლის წინ ცხოვრობდნენ, A. robustus ეწოდებათ, ხოლო აღმოსავლურ აფრიკულ მასიურ ფორმებს, რომლებიც 2.3 – 1.3 მლნ წლის წინ ცხოვრობდნენ — A. boisei. მესამე სახეობა A. aethiopicus, რომელიც კიდევ უფრო ადრინდელია და 2,5 მლნ. წლის წინ ცხოვრობდა, შეიძლება A. boisei-ს წინაპარიც ყოფილიყო. (იხ. ჩარჩო "ადრეული მასიური ავსტრალოპითეკინების ახალი, საოცარი აღმოჩენები").

თხელი აღნაგობის ავსტრალოპითეკინებისგან განსხვავებით, რობასტულ ავსტრალოპიტეკინებს უფრო სქელი ყბები, დიდი საღეჭი კბილები და შედარებით პატარა საჭრელი კბილები აქვთ, მათი საღეჭი კუნთები უფრო მასიურია, ხოლო თავის ზედა ნაწილზე კარგად განვითარებული ისრისებური წანაზარდები — ღეჭვის პროცესს ხელს უწყობენ. გარდა ამისა, ორივე სახეობას ბევრად უფრო დიდი მოცულობის თავის ქალა აქვს (დაახლოებით 490-530 სმ3), ვიდრე სხვა თხელი აღნაგობის სახეობებს.

ადრე ფიქრობდნენ, რომ უხეში, მასიური ავსტრალოპითეკინები ბევრად უფრო დიდები იყვნენ, ვიდრე სხვა ავსტრალოპითეკინები. იმის გამო, რომ რობასტული ანუ დიდი, უხეში ერქვათ. მაგრამ ბოლოდროინდელმა გამოთვლებმა უჩვენა, რომ ეს სახეობა დიდად არ განსხვავდებოდა სხვა სახეობებისგან არც სიმაღლით და არც წონით. მასიურობა ანუ სიდიდე, თავის ქალისა და ყბის ზომაში, უფრო მეტად კი კბილების აგებულებაში გამოიხატებოდა. სხეულის ზომა უფრო დიდი რომ ყოფილიყო, მაშინ

მათი ტვინის დიდი მოცულობა გასაოცარი არ იქნებოდა, რადგან დიდი ზომის ცხოველებს დიდი მოცულობის ტვინიც ახასიათებთ. მიუხედავად იმისა, რომ მასიური ფორმები სხეულის მოყვანილობათა და ზომით A. africanus-ს ემსგავსებიან, ტვინი შედარებით უფრო დიდი მოცულობისა ჰქონდათ, ვიდრე A. africanus-ს.

სურ. სურ. Australopithecus boisei-ს სახის რეკონსტრუქცია.

Australopithecus Aethiopicus უადრესი და ასევე ყელაზე ნაკლებად ცნობილი ავსტრალოპითეცინია. A. aethiopicus განამარხებული ნაშთების პატარა ჯგუფით ჩრდილოეთ კენიასა და სამხრეთ ეთიოპიაში აღმოჩნდა და 2.7 მილიონი წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება. მათ შორის ერთი განსაკუთრებით საინტერესო ნიმუშია – 1985 წელს აღმოჩენილი თითქმის დაუზიანებელი თავის ქალა, რომელსაც მუქი ფერის გამო, "შავ თავის ქალას" უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რამდენიმე ნაშთი გვაქვს, აშკარაა, რომ A. aethiopicus სხვა ავსტრალოპითეკინებისგან საკმაოდ განსხვავდებოდა. თითქმის იმავე ტერიტორიაზე და იმავე პერიოდში მცხოვრები ცხოველებისაგან განსხვავდება უფრო დიდი კბილებით, საღეჭით და ლოყის დიდი ძვლებით, თეფშის ფორმის მრგვალი და ბრტყელი, წინ წამოწეული სახეებითა და დიდი საგიტალური ქედით. სხვა დანარჩენი ნიშნები მათ მსგავსი აქვთ. საერთო ჯამში, A. aethiopicus ემსგავსება A. afarensis-ს მასიური, "გაზრდილი" საღეჭი აპარატით.

Australopithecus Robustus. 1936 წელს რობერტ ბრუმმა, შემდგომში სამხრეთ აფრიკის ტრანსვაალის მუზეუმის ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის კურატორმა, მუზეუმისთვის განამარხებული ექსპონატების მოსაპოვებლად ქვის კარიერების (სამტეხლოების) დათვალიერება დაიწყო. მას განსაკუთრებით ჰომინიდების პოვნა აინტერესებდა, რათა განემტკიცებინა რეიმონდ დარტის "ტაუნგის ბავშვის" ადრინდელი აღმოჩენა. 1938 წელს კარიერის მენეჯერმა ბრუმს მისცა ჰომინიდის ყბა, რომელიც შორიახლოს მდებარე გამოქვაბულში, სახელად კრომდრააიში აღმოჩნდა. ბრუმმა დაუყოვნებლივ დაიწყო გათხრები გამოქვაბულში და სულ რამდენიმე დღეში შეძლო შეედგინა ავსტრალოპითეკის ახალი სახეობის — Australopithecus robustus - თავის ქალა.

Australopithecus robustus (SK46) 1949 წელს აღმოაჩინა რობერტ ბრუმმა სვარტკრანსის გამოქვაბულში. ყურადღება მიაქციეთ საგიტალურ ნაწიბურს, ლოყის მასიურ ძვლებსა და დიდ საღეჭ კბილებს.

Australopithecus boisei აღმოჩენილია ლუი და მერი ლიქის მიერ 1959 წელს. ყურადღება მიაქციეთ მის დიდ სახესა და კბილებს და მის საგიტალურ ნაწიბურს.

ბრუმი Australopithecus africanus-ის მეორე აღმოჩენას ელოდა (რადგან 1936 წელს მისი თავის ქალა ჰქონდა ნაპოვნი), მაგრამ ახლანდელი აღმოჩენა მისი მოლოდინისაგან განსხვავებული იყო. ახალ აღმოჩენილ ინდივიდს უფრო დიდი კბილები, უფრო მასიური ყბა და უფრო ბრტყელი სახე ჰქონდა, ვიდრე Australopithecus africanus-ს.



Australopithecus boisei-ს სახის რეკონსტრუქცია

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

ადრეული რობასტული ავსტრალოპითეკინების ახალი, საოცარი აღმოჩენები

ადამიანის ევოლუციური განვითარების რომელ პერიოდში შეიძლება მოვათავსოთ მასიური ავსტრალოპითეკინები მათი დიდი ყბებითა და თავის ქალის ძვლოვანი გამონაზარდებით? პალეოანთროპოლოგები თანხმდებიან, რომ მასიური ავსტრალოპითეკინები ადამიანის ევოლუციის გვერდით შტოს წარმოადგენენ. მაგრამ როდის მოსცილდნენ ისინი Homo-ს ხაზს? ზოგიერთი აღმოსავლეთ აფრიკაში აღმოჩრნილი მასიური ავსტრალოპითეკინის ნაშთების, ძალიან ადრეული პერიოდით დათარიღება, პალეოანთროპოლოგ ჰენრი მაკჰენრის აზრით, გამოცანას წარმოადგენს. ეს ნაშთები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც Australopithecus. aethiopicus, აშკარად ორი-ორნახევარი მილიონი წლის წინანდელია. თუ გვიანდელი მასიური ფორმები — Australopithecus robustus და Australopithecus boisei განვითარდნენ A. aethiopicus-ისგან და თუ Homo-სკენ მიმავალი ხაზი უკვე რომელიმე ადრეული ავსტრალოპითეკინისგან იყო გამოყოფილი (იხ. სურ. 6-4), მაშინ რატომ ჰგვანან უფრო მეტად გვიანდელი მასიური ავსტრალოპითეკინები Homo erectus-ს (წელგამართულ ადამიანს), ვიდრე იმ ავსტრალოპითეკინებს, რომლებიც მათი სავარაუდო წინაპრები არიან?

გვიანდელი რობასტული ავსტრალოპითეკინები Homo erectus-ს დიდი მოცულობის ტვინით (Australopithecus africanus-თან შედარებით), შემცირებული პროგნატიზმითა (ნაკლებად გამოწეული სახით) და ყბის ღრმა სახსრით ემსგავსებიან. ისინი რომ უფრო ცოტა ხნის წინ გამოყოფოდნენ Homo-ს ხაზს, მაშინ ეს მსგავსება საოცარი არ იქნებოდა. მაგრამ თუ რობასტული ხაზი უფრო ადრე გამოიყო, რასაც 2—7 მილიონი წლის წინანდელი A. aethiopicus გვაფიქრებინებს, მაშინ გვიანდელი მასიური ფორმები Homo-გან უფრო მეტად განსხვავებული უნდა იყვნენ. მართლაც, ორი ხაზი რაც უფრო დიდი ხნის წინ დაშორდება ერთმანეთს, მით უფრო უნდა განსხვავდებოდნენ მათი გვიანდელი შთამომავლები.

რით შეიძლება აიხსნას ზოგიერთი მსგავსება გვიანდელ მასიურ ავსტრალოპითეკინებსა და Homo-ს ხაზს შორის? მაკჰენრის აზრით, არსებობს ორი შესაძლო ახსნა და ორივე მათგანი კონვერგენციას გულისხმობს. მეცნიერი აღნიშნავს, რომ კონვერგენცია (შთამომავლობის განსხვავებულ ხაზებში მსგავსი სტრუქტურების დამოუკიდებელი გამოვლენა) ართულებს, დადგინდეს საერთო წინაპრის არსებობის დრო. ღამურებს, ფრინველებსა და პეპლებს — ყველას ახასიათებს ფრთები, მაგრამ ერთმანეთთან ახლო ნათესაური კავშირში არ აქვთ. მათი ევოლუციური წინაპარი ძალიან შორეულ წარსულში ცხოვრობდა. ასეთ მსგავსებათა არსებობას გვიანდელ რობასტულ ავსტრალოპითეკინებისა და Homo-ს ხაზს შორის მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: გვიანდელი მასიური ფორმები ადრეული მასიური ფორმებისგან წარმოიშვნენ, მაგრამ ჰომო ერექტუსს კონვერგენციის გამო დაემსგავსნენ. მეორე ვარაუდი შეიძლება ის ყოფილიყო, რომ ადრეულ მასიურ ფორმებსა და წელგამართულ ადამიანს (Homo ereqtus) საერთო წინაპარი ჰყავდათ, რომელიც ჯერ ნაპოვნი არ არის. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ადრეული მასიური ფორმები გვიანდელი მასიური ფორმების წინაპრები ვერ იქნებოდნენ. მაშასადამე, გვიანდელი და ადრეული მასიური ფორმების მსგავსება უნდა აიხსნას მხოლოდ კონვერგენციით და არა საერთო წინაპრის არსებობით.

მაკჰენრი უპირატესობას მეორე ახსნას ანიჭებს. დამახასიათებელი შტრიხების მსგავსების ანალიზის საფუძველზე, მაკჰენრი ფიქრობს, რომ მასიური ავსტრალოპითეკინების ორი გვიანდელი სახეობა (A. robustus და A. boisei) საერთო წინაპრისგან. aethiopicus–გან განვითარდა, რომელიც ადრეული მასიური ფორმის წარმომადგენელი არ ყოფილა. მრავალი ნიშნის მიხედვით გვიანდელი მასიური ფორმები A. aethiopicus-ს დიდად არ ჰგავდნენ. A. aethiopicus-ის საუკეთესო ნიმუშია თითქმის დაუზიანებელი ე.წ. "შავი თავის ქალა". უეჭველია, რომ ის მასიურ ფორმებს მიეკუთნება. მას აქვს დიდი წინა და უკანა საღეჭი კბილები და უზარმაზარი საგიტალური ქედი. მაგრამ სხვა დანარჩენი ნიშნებით ის A. afarensis-ს ემსგავსება: წინ წამოწეული დინგი, პატარა ყბის სახსარი და ასევე პატარა ტვინის კოლოფი. მაკჰენრის აზრით, მსგავსება ადრეულსა და გვიანდელ მასიურ ავსტრალოპითეკებს შორის კონვერგენტულმა ევოლუციამ წარმოშვა, ხოლო კონვერგენცია - ძლიერი ღეჭვის აუცილებლობამ. ძლიერი ღეჭვისათვის აუცილებელი ნიშნები განუვითარდათ სხვა პრიმატებსაც, რომელთა ევოლუციური ხაზი ძალიან შორს არის ადამიანის ხაზისგან. მაგალითად, გიგანტოპითეკი თავისი უზარმაზარი საღეჭი კბილებით ერთი მათგანია.

ტიმოთი ბრომიჯმა, რომელიც აღმოჩენილი განამარხებული ინდივიდების სახის ზრდას შეისწავლიდა და რენდალ სუსმანმა, რომელიც ჰომინიდების ცერებს შეისწავლიდა, მასიური ავსტრალოპითეკების შესახებ სხვა მოსაზრება გამოთქვეს. ბრომიჯმა ელექტრული სკანერული მიკროსკოპი გამოიყენა, რათა შეესწავლა, როგორ იზრდებოდა მათი სახე ბავშვობიდან ზრდასრულ ასაკამდე. ზრდის პროცესში სახე ფორმას იცვლის, ზოგ ადგილას ძვალი იზრდება, ზოგან კი საერთოდ ქრება. მაგალითად, ყბა უფრო წინ გამოწეული ხდება მაშინ, როდესად ძვალი იზრდება სახის წინა მხარეს და გაიწოვება ანუ ქრება მის უკანა მხარეს. სკანერულ ელექტრომიკროსკოპს შეუძლია გამოავლინოს ის ადგილები, სადაც ძვალი გაიზარდა ან გაიწოვა. ბრომიჯმა აღმოაჩინა განსხვავებები მასიურ ავსტრალოპითეკინებისა და A. africanus-ის ზრდის კანონზომიერებებში. A. africanus-ისა და ადრეული Homo-ს აღმოჩენილი ნიმუშებიც კი ზრდის კანონზომიერებებით უფრო ადამიანის მსგავს მაიმუნს ჰგვანან, ვიდრე მასიურ ავსტრალოპითეკინებს.

სუსმანმა შეისწავლა ცერის ძვლები და მასთან დაკავშირებული კუნთები, რათა ენახა, თუ რა დამახასიათებელი ნიშნები იყო საჭირო იარაღის დამზადებისათვის. თანამედროვე ადამიანებს უფრო გრძელი და მსხვილი ცერები აქვთ, ვიდრე ადამიანის მსგავს მაიმუნებს, რაც საშუალებას აძლევთ, უფრო მაგრად მოეჭიდონ საგანს. ჰქონდათ თუ არა იგივე თვისება ადრეულ ჰომინიდებს? სუსმანის აზრით, 2.5 მლნ. წლის წინანდელ ყველა ავსტრალოპითეკინს, მასიურების ჩათვლით, ხელების ისეთი აგებულება ჰქონდათ, რომ შეძლებდნენ იარაღის დამზადებას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი იარაღს ამზადებდნენ. მათ ეს უბრალოდ შეეძლოთ. მასიური ავსტრალოპითეკინები თავიანთი პატარა შუბლებით, ძალზე ბრტყელი ლოყებითა და უზარმაზარი ყბებით ალბათ ძალიან განსხვავდებოდნენ-ომოს ხაზის წარმომადგენლებისგან, მაგრამ შესაძლოა, ისინი იმაზე მეტად გვენათესავებიან, ვიდრე წარმოგვიდგენია.

მართლაც, შემდგომი კვლევის შედეგად ბრუმმა გადაწყვიტა, რომ განამარხებული მასალა ჰომინიდების ახალ გვარს, Paranthropus-ს ეკუთვნოდა. ბრუმის მიერ გვარის ასეთი განსაზღვრა მაშინ ყველამ არ მიიღო (მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ ეს ნიმუში ავსტრალოპითეკს უკუთვნოდა), მაგრამ როგორც ადრე აღვნიშნეთ, დღეს უკვე მრავალი მეცნიერი იზიარებს აზრს, რომ მასიური ავსტრალოპითეკინები იმდენად უნიკალურები არიან, რომ იმსახურებენ ცალკე კლასიფიკაციას, როგორც Paranthropus-ის გვარი.

1940-იანი წლების განმავლობაში ბრუმმა კიდევ მრავალი მასალა შეჰმატა ტრანსვაალის მუზეუმის A. robustus-ისა და A. africanus-ის კოლექციებს. მაგრამ მისმა აღმოჩენებმა ახალი პრობლემებიც გააჩინა. როგორ მოხდა ჰომინიდების ორი ამდენად განსხვავებული სახეობის ერთსა და იმავე გარემოში ჩამოყალიბება? 1954 წელს ჯონ ტ. რობინსონმა ივარაუდა, რომ A. africanus-სა და A. robustus-ს განსხვავებული კვებითი ადაპტაციები ჰქონდათ. A. africanus ყველაფერს ჭამდა (ანუ, იკვებებოდა როგორც ხილით, ისე მცენარეებით), ხოლო A. robustus ვეგეტარიანელი იყო, ამიტომ ძლიერი ყბები და კბილები სჭირდებოდა. რობინსონის აზრის ირგვლივ მრავალი წლის განმავლობაში მწვავე კამათი მიმდინარეობდა, თუმცა ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით მიღებულმა შედეგებმა მისი აზრი, რომ A. robustus ძირითადად მარცვლებით, თხილითა და ბოლქვებით იკვებებოდა, საბოლოოდ დაამტკიცა. მაგრამ ამ თვალსაზრისით რამდენად განსხვავდებოდა მისგან. A. africanus ბოლოდროინდელი კვლევა გვიჩვენებს, რომ მასაც ძლიერად ღეჭვა სჭირდებოდა.

აზრი, რომ A. robustus მხოლოდ ვეგეტარიანელი იყო, შემოწმდა შედარებით ახალი ქიმიური მეთოდით, რომელიც ამოწმებს სტრონციუმ-კალციუმის შემცველობას კბილებსა და ძვლებში და ამით ცხოველის საკვებში მცენარეული და ცხოველური საკვების პროპორციას ადგენს. ასეთმა ანალიზმა აჩვენა, რომ A. robustus-იც ყველაფრის მჭამელი იყო. ამგვარად, A. robustus-ს შეიძლება დიდი კბილები და ყბები მარცვლების, თხილისა და ბოლქვების საღეჭად სჭირდებოდა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ის სხვა სახის საკვებსაც ჭამდა.

იყო თუ არა A. robustus შეგუებული უფრო მშრალ, უფრო ღია გარემოს, ვიდრე A. africanus — შესაძლებელია, მაგრამ მასალა საპირისპიროს მტკიცების საშუალებასაც იძლევა. ნებისმიერ შემთხვევაში, პალეოანთროპოლოგების უმრავლესობის აზრით A. robustus დაახლოებით 1 მლნ. წლის წინ გაქრა და ის ჩვენი გვარის Homo-ს წინაპარი არ იყო.

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

კლადისტიკური ანალიზი

ადამიანის ევოლუციის ტრადიციულ მოდელებს ფილოგენეტიკური ხის ფორმა აქვთ (სურ. 6-4). ასეთი მოდელები ჩვეულებრივ, სხვადასხვა მასალაზეა დამყარებული, ესენია: სახეობის ასაკი, საცხოვრებელი ადგილი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის ნიშნები, რომლებიც საერთო აქვთ სხვა სახეობებთან. ფილოგენეტიკური ხეები მრავალი ნიშნით სუბიექტურია, რადგან იგი სხვადასხვა სახეობის იმ საერთო ნიშნების ქონა-არქონაზეა დამყარებული, რომელთაც ავტორი მიიჩნევს მნიშვნელოვნად. ბოლო წლებში, მრავალი პალეოანთროპოლოგის აზრით, კლადისტიკურ ანალიზს სახეობებს შორის ურთიერთობათა დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ჯერ ჩამოთვლიან ცვლილებებს, რომელიც ერთმა ნიშანმა განიცადა თითოეული სახეობის შემთხვევაში, შემდეგ ალაგებენ ასაკის მიხედვით სხვადასხვა სახეობას. საბოლოოდ იქმნება დიაგრამა, რომელიც ასახავს სახეობებს შორის დამოკიდებულებას ასაკისა და ცვლილების მიმართულების მიხედვით. შედეგად ვიღებთ ისეთ კლადოგრამას, როგორიც ნახატზეა გამოსახული და გვიჩვენებს სახეობებს შორის დამოკიდებულებას, რომელიც ერთი ნიშნის ცვლილებაზეა დამყარებული. ამ შემთხვევაში



მეტად შეკვეცილი კლადოგრამა

განხილულია ტვინის მოცულობის ცვლილებები. "ძირეული სახეობა" აღნიშნავს ყველაზე პრიმიტიულ ფორმას. მარცხნივ და მარჯვენივ მიმართულ დამრეც ხაზზე გვხვდება წერტლები, რომლებიც ტვინის მოცულობის ცვლილებას აღნიშნავენ. ამ სქემის მიხედვით A. robustus და ადრეული Homo, ამ კლადოგრამაზე აღნიშნულ სხვა სახეობებთან შედარებით, უფრო ჰგვანან ერთმანეთს. ადრეული Homo, A. robustus და A. boisei უფრო ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე რომელიმე სხვა სახეობა და ა..შ.

ამ მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ ის უკიდურესი სიზუსტით ტარდება: ვარაუდები მკაფიოდ უნდა გმოითქვას, ხოლო ანალიზისთვის გამოყენებული ნიშან-თვისებები მკაცრად უნდა განისაზღვროს. ეს განაპირობებს კლადისტიკური ანალიზის შედეგებზე დაუდასტურებელი კონცეფციების ნაკლებ ზეგავლენას, ვიდრე ეს ტრადიციული ფილოგენეტიკური ხეების შემთხვევაში ხდება. ზოგჯერ კლადისტიკური ანალიზი ტრადიციულისგან ძირეულად განსხვავებულ შედეგებს იძლევა.

მეორე ნახატზე გამოსახულია ადრეული ჰომინიდების სახეობების კლადოგრამა, რომელიც 77 დამახასიათებელ ნიშანზეა აგებული. ის გვიჩვენებს, რომ ადრეული A. robustus- და A. boisei ნიშნების მიხედვით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ჩანს, საერთო წინაპარი უნდა ჰყოლოდათ. ასევე სავარაუდოა, რომ ადრეულ ჰომოს, A. robustus-სა და A. boisei-ს საერთო წინაპარი ჰყავდათ, ხოლო ამ სამივე სახეობას A. africanus-თან. A. afarensis მათ ყველაზე ნაკლებად ჰგავს და საერთო ნიშნები დანარჩენებთანაც აკავშირებს. შეადარეთ ეს სურათი წინა სურათს და მრავალ საერთო ნიშანს აღმოაჩენთ, მაგრამ ახლო ნათესაური კავშირი რობასტულ ავსტრალოპითეკინებსა და ადრეულ ჰომო-ს შორის ტრადიციულ პილოგენიაში არ დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ვერასოდეს გავიგოთ სინამდვილეში როგორი ფილოგენეტიკური დამოკიდებულება არსებობდა ჩვენს უძველეს წინაპრებს შორის, მრავალ მეცნიერს მიაჩნია, რომ კლადისტიკური ანალიზი საუკეთესო შედეგებს გვთავაზობს.



ქალასშიდა მოცულობაზე დამყარებული კლადოგრამა.

Australopithecus boisei. 1931 წელს ლეგენდარულმა პალეოანთროპოლოგმა ლუის ლიქიმ ადამიანთა წინაპრების ძებნა დასავლეთ ტანზანიაში, ოლდუვაის ხეობაში დაიწყო. 1959 წლისთვის მისმა მცდელობამ შედეგი გამოიღო და მან Australopithekus boisei აღმოაჩინა (სახელი სპონსორის - ჩარლზ ბოისეს პატივსაცემად დაერქვა). ჩარლს ლიკისა და მისი ოჯახის — მეუღლის, მერი ლიკისა და მათი შვილების, რომელთა შორის ერთი პალეოანთროპოლოგი რიჩარდ ლიკი იყო — შრომას ტყუილად არ ჩაუვლია. მათ არაჰომინიდური განამარხებული მასალის მდიდარი კოლექცია შექმნეს და იმ რეგიონის უძველესი გარემო დეტალურად გამოიკვლიეს. როგორც შემდეგ თავში დავინახავთ, მათ შეადგინეს აგრეთვე უძველესი ქვის იარაღის მდიდარი კოლექციაც. ამგვარად, ივლისის ერთ დილას, როდესაც ავადმყოფი ლუისი ლოგინში იწვა და მერიმ მასთან მიირბინა იმის სათქმელად, რომ სწორედ ის ჰომინიდი აღმოაჩინა, რომელსაც ამდენი წელი ეძებდნენ, მათ უკვე ყველაფერი მზად ჰქონდათ მონაპოვარის, როგორც კულტურული, ისე გარემომცველი პირობების მიხედვით კონტექსტში მოსათავსებლად.

ბოისეის აღმოჩენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის გამო, რომ აღმოსავლეთ აფრიკაში ადრეული ჰომინიდების არსებობას ადასტურებდა. მანამდე ითვლებოდა, რომ მათი სამშობლო სამხრეთ აფრიკა იყო. მართლაც, ლიკიმ თავდაპირველად A. boisei-ს ახალ სახეობად ჩათვალა და აღმოჩენის ადგილის მიხედვით Zinjanthropus (Zinj არაბულად "აღმოსავლეთ აფრიკას" ნიშნავს) დაარქვა. დღეისთვის უკვე ცნობილია, რომ ყველაზე ადრეული ჰომინიდები სწორედ აღმოსავლეთ აფრიკაშია აღმოჩენილი, 1959 წელს კი ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. როგორ გამოიყურებოდა A. boisei? A. robustus-თან შედარებით, მას უფრო გამოკვეთილი საღეჭი აპარატი ჰქონდა: სიდიდით თითქმის ერთნაირი წინა და უკანა საღეჭი კბილები. დიდი, მასიური ყბა, ლოყის ძვლები და მეტად გამოკვეთილი საგიტალური წამონაზარდი. სწორედ ამ ზომების გამო. A.boisei-ს "ჰიპერ-რობასტულ ავსტრალოპითეკინს" ეძახდნენ.

ბოისეი 2,3-1,3 მლნ. წლებს შორის ცხოვრობდა. ბოისეი როგორც A. robustus, პალეოანთროპოლოგების უმრავლესობის აზრით, ჩვენი Homo-ს გვარის წინაპარი არ იყო. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, ამზადებდა თუ არა A. boisei ქვის იარაღებს, რომლებიც ლიქიმ ოლდუვაიში იპოვა, რადგან როგორც შემდეგი თავიდან გავიგებთ, იმ დროს ჰომინიდების კიდევ ორი სახეობა ცხოვრობდა — Homo habilis (ხელმარჯვე ადამიანი) და Homo erectus (წელგამართული ადამიანი) – რომლებსაც, როგორც ფიქრობენ, უფრო შეეძლოთ ამ იარაღის დამზადება.

ადამიანის ევოლუციის ერთი მოდელი

ამ ეტაპზე შეიძლება გაგიკვირდეთ, როგორ უკავშირდებოდა ყველა ეს სახეობა ერთმანეთს. სურ. 6-4-ზე ნაჩვენებია პალეოანთროპოლეგების მიერ შემუშავებული განამარხებული სახეობების ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი მოდელი. მეცნიერებში ყველაზე მეტ უთანხმოებას იწვევს საკითხი, თუ ავსტრალოპითეკის

რომელი სახეობიდან წამოვიდა თანამედროვე ადამიანებისკენ მიმავალი ხაზი. მაგალითად, სურ. 6-4 -ის მიხედვით, გამოდის, რომ A. africanus არ იყო Homo-ს წინაპარი და მხოლოდ მასიური ავსტრალოპითეკინების ერთ ხაზს ენათესავებოდა. ხოლო

A. afarensis როგორც მასიური ავსტრალოპითეკინების, ისე თანამედროვე ადამიანებისკან მიმავალი ხაზის წარმომადგენელთა წინაპარი იყო. მეცნიერები, რომლებიც ფიქრობენ, რომ A.afarensis სურ. 6-4-ზე გამოსახული ყველა ჰომინიდური ხაზის წინაპარია, ვარაუდობენ, რომ Homo-ს სახეობები 3 მლნ. წელზე მეტი ხნის წინ დაშორდნენ ერთმანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლავ გრძელდება დავა, თუ რომელი სახეობა იყო Homo-ს ხაზის წინაპარი, პალეოანთროპოლოგები ადრეული ჰომინიდების ევოლუციის ზოგიერთ ასპექტში შეთანხმებას მაინც აღწევენ: 1) 3-1 მილიონი წლის წინ ჰომინიდების, სულ ცოტა, ორი განსხვავებული ხაზი მაინც არსებობდა; 2) მასიური ავსტრალოპითეკინები თანამედროვე ადამიანებს არ ენათესავებოდნენ და თითქმის 1 მილიონი წლის წინ გადაშენდნენ; 3) Homo habilis — ხელმარჯვე ადამიანი (და ჰომოს შემდგომი სახეობები) თანამედროვე ადამიანის პირდაპირი წინაპარი იყო. ის Homo-ს გვარის პირველი წარმომადგენელია და შემდეგ თავში სწორედ მასზე ვისაუბრებთ.



სურათი 6-4 **ფილოგენეტიკური ხაზები**

შეჯამება

1. 16-11 მილიონი წლის წინ დაწყებულმა კლიმატის სიმშრალემ აფრიკული ტროპიკული ტყეების შემცირება, სავანის (ბალახოვანი) ველებისა და ფოთლოვანი ტყეების გაჩენა გამოიწვია. ხალხმა, უფრო ღია ტიპის გარემომ ხელი შეუწყო მიწაზე მცხოვრებ ზოგიერთ პრიმატში განსხვავებული, ადაპტური მახასიათებლების ჩამოყალიბებას. პრიმატებში, რომლებიც ადამიანებისკენ მიმავალ ევოლუციურ ხაზს ეკუთვნოდნენ, ერთ-ერთი ასეთი ნიშანი ბიპედალიზმი ანუ ორ ფეხზე სიარული იყო.
2. ადრეული ჰომინიდების ჩამოყალიბების გზაზე უმნიშვნელოვანესი ცვლილება ბიპედალიზმის განვითარება იყო. ამ მოვლენის ასახსნელად რამდენიმე თეორია არსებობს: სავანის მაღალ ბალახში გამართული სიარულისას მტაცებელი ცხოველებისა და პოტენციური მსხვერპლის უკეთ დანახვის შესაძლებლობა; ხელების გათავისუფლება რაიმეს, უფრო კი საკვების სატარებლად ანუ ერთი ადგილიდან მეორეზე გადასატანად; იარაღის გამოყენება, რომელიც თავისუფალ ხელებს მოითხოვდა; დაბოლოს, დიდ მანძილზე გადაადგილებისათვის ორ ფეხზე სიარულის ეფექტურობა.
3. როგორც ჩანს, Sahelanthropus, Orrorin და AArdipithecus პირველი ჰომინიდობისთვის ყველაზე უფრო შესაფერისი კანდიდატურები იყვნენ. ისინი 6 მილიონი წლის წინანდელ პერიოდში ცხოვრობდნენ და ფიქრობენ, რომ ორ ფეხზე გადაადგილდებოდნენ. ასევე 4 მილიონი წლის წინანდელი პერიოდით ათარიღებენ აღმოსავლეთ აფრიკაში აღმოჩენილი აშკარად გამოხატული ჰომინიდების ნარჩენებს, რომლებიც ნამდვილად ორ ფეხზე გადაადგილდებოდნენ და კლასიფიკაციის მიხედვით ავსტრალოპითეკებად მოიხსენიებიან.
4. იდენტიფიცირებულია ავსტრალოპითეკების სულ ცოტა, 6 სახეობა, რომლებიც ორ ძირითადად ტიპად: თხელ და მასიურ ტიპებად იყოფიან. თხელ ავსტრალოპითეკინებს შედარებით მცირე ზომის კბილები და ყბები აქვთ. ამ ტიპს მიეკუთვნებიან: A. anamensis, A. afarensis და A. africanus. მასიურ ავსტრალოპითეკინებს შედარებით უფრო დიდი კბილები, დიდი ყბები და უფრო განვითარებული კუნთები აქვთ, ვიდრე თხელ ავსტრალოპითეკინებს. მათში გაერთიანებულია: A. aethiopicus, A. robustus და A. boisei.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორ შეიძლებოდა, აღმოსავლეთ აფრიკაში ერთდროულად ჰომინიდების ერთზე მეტ სახეობას ეარსებნა?
2. რამ გადაარჩინა ავსტრალოპითეკინები მიწაზე მოსიარულე სხვადასხვაგვარი მტაცებლებისგან?
3. რომელმა ევოლუციურმა პროცესებმა გამოიწვიეს თქვენი აზრით, ავსტრალოპითეკის გვარის ორ ნაწილად: გრაციალურ და რობასტულ ავსტრალოპითეკად გაყოფა?

კულტურის საწყისები და ჰომოს წარმოშობა

7



თავების შინაარსი

- ადრეული ჰომინიდების იარაღი
- ადრეული ჰომინიდების ცხოვრება
- ჰომინიდების ევოლუციის მიმართულებები
- ადრეული *Homo*-ს განამარხებული ნაშთები
- *Homo erectus*
- ქვედა პალეოლითის კულტურები

ბოლო თავში ბიპედალიზმის ანუ ორ ფეხზე სიარულის — როგორც ჰომინიდების გადაადგილების ძირითადი წესის — წარმოშობასა და ავსტრალოპითეკინების მიერ მის შემდგომ დახვეწაზე ვისაუბრეთ. ამ თავში ჰომინიდების ევოლუციის სხვა, ისეთ მიმართულებებს განვიხილავთ, როგორიცაა, მაგალითად, გარკვეული მოდელის იარაღის გამოყენება, რაც კულტურის წარმოშობის ერთ-ერთ ნიშნად ითვლება. მეცნიერები ვარაუდობენ, მაგრამ ჯერ დაზუსტებით ვერ ამტკიცებენ, რომ ქვის დამუშავებული იარაღი ჩვენი, ადამიანების გვარის პირველი წევრების ანუ Homo-ს გვარის წარმომადგენლების მიერ იყო შექმნილი. ამ ვარაუდის საფუძველია სხეულის აგებულების ის ცვლილებები, რომლებიც მხოლოდ Homo-ს გვარის წარმომადგენლებში მოხდა სწორედ ქვის იარაღის დამზადების გამო: ტვინის მოცულობის ზრდა, მდედრის მენჯის ფორმის შეცვლა (გაფართოვება) დიდი მოცულობის ტვინიანი (თავიანი) ბავშვების გაჩენის ხელისშესაწყობად და კბილების, სახისა და ყბების ზომის შემცირება.

მართალია, აღმოსავლეთ აფრიკის სხვადასხვა ადგილას ქვის იარაღი ადრეული Homo-ს გამოჩენამდე დიდი ხნით ადრეა დაფიქსირებული, ანთროპოლოგთა უმრავლესობა თვლის, რომ ისინი არა ავსტრალოპითეკინების, არამედ Homo-ს დამზადებულია (იხ. სურ. 7-1). მართლაც, ადრეული Homo-ს ტვინის მოცულობა 3-ჯერ აღემატებოდა ავსტრალოპითეკინებისას, მაგრამ არ არსებობს ასეთი იარაღის ადრეულ Homo-თან კავშირის არც ერთი ფაქტი. ამდენად, ჯერ-ჯერობით უცნობია, თუ ვინ დაამზადა იგი. მოცემულ, რობასტულ ავსტრალოპითეცინებთან დაკავშირებულ წინა თავში მოცემულ ჩარჩოში აღვნიშნეთ, 2-ნახევარი მლნ. წლის წინ მცხოვრები ყველა ჰომინიდის ცერა თითის აღნაგობა იარაღის დამზადების საშუალებას იძლეოდა. ამდენად, ყველა მათგანს შეეძლო იარაღის დამზადება. ახლა დავუბრუნდეთ ამ უადრესი ქვის იარაღების შესახებ მსჯელობას და ვნახოთ, რას ფიქრობენ არქეოლოგები და პალეოანთროპოლოგები მათი შემქმნელების — ჰომინიდების (რომლებიც დაახლოებით 2 მლნ. წლის წინ არსებობდნენ) ცხოვრების წესზე.



სურათი 7-1 **ჰომოს გვარის ადრეული ევოლუცია**

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

როგორ ვხვდებით, რომ ეს იარაღია?

ადრეული ქვის იარაღის ფოტოების ან ნახატების დათვალიერებისას თუ გიფიქრიათ იმაზე, როგორ განასხვავებენ პალეოანთროპოლოგები მათ ჩვეულებრივი ქვებისგან? ეს ყოველთვის ადვილი საქმე როდია. პალეოანთროპოლოგები, ჩვეულებრივ, ანატკეჩ ქვებს ეძებენ. მაგრამ ქვა შემთხვევითაც შეიძლება აიტკიჩოს სხვა ქვაზე დარტყმით ან კლდეზე ჩამოგორებით. იმისათვის, რომ ბუნებრივად დაზიანებული ქვები ადამიანის მიერ დამზადებული იარაღისგან განასხვავონ, პალეოანთროპოლოგები სამ დამახასიათებელ ნიშანს აკვირდებიან:

პირველი: იარაღი დამზადებული უნდა იყოს სწორად შერჩეული ქვისგან, რომელიც ერთდროულად მყარიც უნდა იყოს და ატკეჩის უნარიც ჰქონდეს. ფიქალი შეიძლება აიტკიჩოს, მაგრამ ის მყარი და გამძლე არ არის და პირიქით, ბევრი მეტამორფული ქვა მყარია, მაგრამ მისი ატკეჩა შეუძლებელია იმის გამო, რომ ძალიან ბევრი ბზარი აქვს. ქვის იარაღის უმეტესობა დამზადებულია ობსიდიანის, კვარცის, კაჟისა და ფიქალისგან.

მეორე: პალეოანთროპოლოგები ეძებენ ორმხრივი ატკეჩის ნიშნებს, რომლებიც მჭრელი იარაღის დამზადებისას ჩნდება. ბუნებრივი პროცესების გამო, ქვა შეიძლება ცალი მხრიდან აიტკეჩოს, მაგრამ ძალიან იშვიათად შეიძლება მისი ატკეჩა მოხდეს ორი საპირისპირო მხრიდან.

მესამე: პალეოანთროპოლოგები ეძებენ რეტუშირების კვალს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგჯერ ქვის დაბლაგვებულ იარაღს აცლიან ზედმეტ ნაწილებს, რათა თავიდან "გალესონ" იგი. ცხადია, რომ ბუნებრივად ვერ შეიქმნება ქვის ისეთი ფორმა, რომელიც გალესილ პირს მოგვაგონებდეს.

პალეოანთროპოლოგები ანატკეჩებზე აშკარად გამოხატულ „დარტყმის მოედანს" ეძებენ. „დარტყმის მოედანი" არის ადგილი, სადაც განხორციელდა დარტყმა, რომლის შედეგადაც ანატკეჩის გულგულადან (ნუკლეუსიდან) ამტვრევა მოხდა. ადამიანის მიერ დამზადებულ ანატკეჩებზე „დარტყმის მოედანი" ხშირად წინა ანატკეჩის ჩამომტვრევის შედეგად შექმნილი ადგილია. ისევე, როგორც ორი მხრიდან ატკეჩვაა იშვიათი ბუნებაში, ასევე იშვიათია ატკეჩის შედეგად დატოვებული კვალი აშკარად გამოხატული „დარტყმის მოედნით".

ამ ნიშნების მიხედვით, პალეოანთროპოლოგები ახერხებენ ბუნებრივად ატკეჩილი ქვების ქვის იარაღისგან გამორჩევას. მაგრამ ზოგჯერ მათაც ეშლებათ. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შეცდომა მოუვიდა ლუის ლიქის, ერთ-ერთ პირველ პალეოანთროპოლოგს, რომელმაც ადრეული ჰომინიდების მიერ დამზადებული ქვის იარაღის იდენტიფიკაცია შეძლო. მან 1960-იანი წლების ბოლოს განაცხადა, რომ კალიფორნიის ერთ-ერთი ძეგლი, რომელსაც ქალიქო ჰილზი ერქვა, ადრეული ადამიანის მიერ დამზადებულ იარაღს შეიცავდა. ამ განცხადებას ეჭვით შეხვდნენ, რადგან მანამდე ჩრ. ამერიკაში ადრეული ადამიანის არავითარი კვალი აღმოჩენილი არ ყოფილა და როგორც ზედა პალეოლითის სამყაროს შესახებ თავში ვნახავთ, იმის დამამტკიცებელი მასალაც არსებობს, რომ ამ კონტინენტის პირველი მკვიდრნი თანამედროვე ადამიანები იყვნენ. მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ ამ განცხადების ავტორი თვით ლიქი იყო, მას სერიოზულად მოეკიდნენ. ლიქის თხოვნით, ძეგლის შესასწავლად ცნობილი პალეოანთროპოლოგების ჯგუფი შეიკრიბა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ქვები ბუნებრივი იყო და არა ადამიანის მიერ დამზადებული იარაღი.

ქალიქო ჰილზის ამბავი სერიოზული გაფრთხილებაა ამგვარი შეცდომების თავიდან ასაცილებლად. როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ნაპოვნი მასალა ქვის იარაღია? იარაღის ფიზიკური ნიშნების გარდა, პალეოანთროპოლოგებმა ის კონტექსტიც უნდა გაითვალისწინონ, რომელშიც ქვები აღმოჩნდა. როდესაც იარაღს პოულობენ იქ, სადაც ჰომინიდების კვალი არ არსებობს ან არ ჩანს ქვის იარაღის გამოყენების დამადასტურებელი რაიმე ნიშანი ისევე, როგორც ქალიქი ჰილზის შემთხვევაში მოხდა, პალეოანთროპოლოგები უნდა მიხვდნენ, რომ მათი იქ ყოფნა ზედმეტია.

ადრეული ჰომინიდების იარაღი

დღემდე ნაპოვნი ქვის იარაღი ძირითადად აღმოსავლეთ აფრიკაშია აღმოჩენილი და 2-ნახევარი მლნ. წლის წინ ან კიდევ უფრო ადრეული პერიოდით თარიღდება. უძველესი იარაღები, რომელთა რიცხვი 3000 აღწევს, აღმოჩნდა გონაში (ეთიოპია). მათ შორისაა როგორც ძალიან მცირე ზომის, ცერისხელა, ასევე მუჭის ზომის ქვის იარაღები ანუ ნუკლეუსები. ეს იარაღები ერთი ქვის მეორეზე დარტყმით იყო დამზადებული. ამ ტექნიკას დარტყმითი (**პერკუსიული**) ატკეჩვა ეწოდება.

რისთვის გამოიყენებოდა ადრეული ქვის იარაღი და რას გვეუბნება ადრეული ჰომინიდების ცხოვრების შესახებ? სამწუხაროდ, ადრეულ იარაღთან ერთად აღმოჩენილი მასალის სიმწირის გამო, ამაზე მსჯელობა ძნელია. სხვაგვარადაა საქმე ტანზანიაში მდებარე ოლდუვაის ხეობაში. აქ აღმოჩენილი იარაღი და სხვა მასალა მდიდარ კულტურულ ინფორმაციას გვაწვდის. ოლდუვაის ძეგლი 1911 წელს მოულოდნელად აღმოჩნდა: როდესაც გერმანელი ენტომოლოგი ამ ადგილებში პეპელას დასდევდა, შემთხვევით განამარხებულ ნაშთებს მიაგნო. როგორც წინა თავში ვთქვით, ლუი და მერი ლიქი 1930-იანი წლებიდან ამ ხეობაში ადამიანის ადრეული ევოლუციის გასაღებს ეძებდნენ. ლუი ლიქი წერდა: "ეს ადგილი პალეოანთროპოლოგის ოცნებაა, რადგან აქ 300 ფუტის სიღრმეზე ყოველი ფენა დედამიწის ისტორიას შეიცავს, როგორც უზარმაზარი ფენოვანი ნამცხვარი. ამ ადგილას უამრავი განამრხებული ნაშთი და არტეფაქტია დაცული, რომლებმაც მიუხედავად ქანების რღვევისა და ეროზიისა, ჩვენამდე მოაღწია".

ოლდუვაის უძველესი კულტურული მასალა (1 ფენა) ქვედა **პლეისტოცენით** თარიღდება (1 მლნ. წლის წინ). ეს არტეფაქტები ძირითადად ნუკლეუსებითა და მჭრელ-კიდეებიანი ანატკეჩ-ლამელებით არის წარმოდგენილი. ზოგადად მასალაში ანატკეჩების რაოდენობა ჭარბობს, ხოლო ნუკლეუსებში — ე.წ. საჩეხებისა. საჩეხები ისეთი ნუკლეუსებია, რომლებსაც ცალი მხრიდან ანატკეჩები ჩამოამტვრიეს და საჩეხად იყენებდნენ. სხვა ნუკლეუსებს, ცალი მხრიდან ჩამომტვრევის კვალითა და თხელი პირით, სახოკები ეწოდება. როდესაც ქვას ანატკეჩები ცალი

მხრიდან აქვს ჩამოტეხილი, მას „**ცალფერდა**“ იარაღი ეწოდება, ხოლო თუ ორივე მხრიდან - „**ორფერდა**“. მიუხედავად იმისა, რომ ქვის ადრეულ იარაღში „ორფერდა“ იარაღი გვხვდება, მისი რაოდენობა იმდენად დიდი არ არის და არც ისეთი მაღალი ტექნიკითაა დამუშავებული, როგორც უფრო გვანდელი პერიოდის ნიმუშები. იარაღის ტიპს, რომელიც პირველ ფენაში და გარკვეული რაოდენობით უფრო გვიანდელ, ზედა ფენებშიც არის აღმოჩენილი, **ოლდუვაური** ეწოდება. (იხ. სურ. 7-2).

ადრეული ჰომინიდების ცხოვრების წესი

არქეოლოგები ცდილობდნენ, ადრეული ჰომინიდების ცხოვრების წესში ოლდუვაისა და სხვა ძეგლებზე მოპოვებული მასალის მიხედვით გარკვეულიყვნენ. მათი დასკვნები ემყარებოდა იარაღის დანიშნულების გარკვევას, იარაღის ცვეთის ადგილებზე მიკროსკოპული დაკვირვების შედეგებსა და ძვლებზე იარაღის კვალის შესწავლას, აგრეთვე — იმ ინვენტარის ანალიზს, რომელიც იარაღთან ერთად იყო აღმოჩენილი.

არქეოლოგები ოლდუვაიში აღმოჩენილი იარაღის დანიშნულების დადგენას ცდების საშუალებით ცდილობდნენ. ანატკეჩები მრავალფეროვანი იყო. ზოგიერთი მათგანი ცხოველის გასატყავებლად ან დასანაწევრებლად გამოდგებოდა, ზოგი — ჯოხების გასათლელად და წვეტების გასაკეთებლად (ხის ისრებისთვის ან მიწის სათხრელად). ქვის უფრო დიდი ზომის იარაღები (საჩეხები და სახოკები) ტოტების მოსაჩეხად ან ნანადირევი ცხოველების მაგარი სახსრების გასაჩეხად ჰქონდათ. ისინი, ვინც დაამზადა და სცადა ასეთი იარაღის გამოყენება, იმდენად გაოცდნენ ანატკეჩების ბასრი პირით, რომ ეჭვი შეეპარათ, გამოიყენებოდა თუ არა იარაღად თავად ნუკლეუსები. მათი აზრით, ნუკლეუსების უმეტესობა ანატკეჩების ჩამოტეხვის შემდეგ დარჩენილი საწარმოო ნარჩენები იყო.

არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ბევრი ადრეული იარაღი ხისა და ძვლისგან იყო დამზადებული და ჩვენამდე ვერ მოაღწია. თანამედროვე პოპულაციები მიწიდან ფესვებისა და ბოლქვების ამოსათხრელად კვლავ იყენებენ ხის წაწვეტებულ ჯოხებს, ხოლო ქვის ანატკეჩები ძალიან მოსახერხებელია ხის გასათლელად და მისთვის ძალიან ბასრი წვეტის გასაკეთებლად.

საბრძოლო იარაღად ვერც ერთ ადრეულ იარაღს ვერ განვიხილავთ. ნადირობისა და თავდაცვისთვის ჰომინიდებს სასროლად ალბათ ხის ისრები, კეტები ან დაუმუშავებელი ქვები უნდა გამოეყენებინათ. ოლდუვაის გვიანდელ ფენებში აღმოჩენილი იარაღის კომპლექტებში მრავალი მომრგვალებული ფორმის დამუშავებული ქვაა დაფიქსირებული, რომლებიც ალბათ სასიკვდილო სასროლ იარაღს წარმოადგენდა.

ექსპერიმენტის საშუალებით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რისი გაკეთება იყო შესაძლებელი ქვის იარაღის საშუალებით, მაგრამ ვერ დავამტკიცებთ, სინამდვილეში რისთვის იყენებდნენ მას. სხვა მეთოდები, მაგალითად იარაღის ცვეთის მიკროსკოპული ანალიზი, მეტ ინფორმაციას იძლევა. ადრინდელი გამოკვლევების მიხედვით ფიქრობდნენ, რომ ქვის იარაღზე აღმოჩენილი მიკროსკოპული ნაკაწრები მათი სხვადასხვაგვარი გამოყენების შედეგი იყო. მაგალითად, იარაღის პირის პარალელური ნაკაწრები ხერხვის მსგავსი მოძრაობის დროს ჩნდება, პერპენდიკულარული კი — გათლისა და კაწვრის მსგავსი მოძრაობების შესრულების დროს. ლორენს კელიმ ექსპერიმენტული კვლევის დროს ძლიერი მიკროსკოპის გამოყენებით სხვადასხვა სახის “გაპრიალების” კვალი აღმოაჩინა. ქვისა და ხის იარაღის დასამუშავებლად გაპრიალების სხვადასხვა მეთოდი გამოიყენებოდა. ტურკანის ტბის აღმოსავლეთით მდებარე ერთი, ერთ-ნახევარი მილიონი წლის წინანდელ ძეგლზე აღმოჩენილი მასალის შესწავლის შემდეგ ქილიმ და მისმა კოლეგებმა დაასკვნეს, რომ ზოგიერთი მათგანი ხორცის დასაჭრელად, ზოგი – ხის საჩეხად ან სათლელად, ზოგი კი მცენარეთა ღეროების

ოლდუვაის ხეობა, ტანზანია. განამარხებული ფენების სტრატიგრაფია ნათლად არის გამოკვეთილი. პირველი ფენა, სადაც ადრეული ადამიანის კულტურული ცხოვრების შესახებ ინფორმაცია აღმოჩნდა, ხეობის ფსკერზეა მოთავსებული.

ანთროპოლოგიური პირველწყაროები

შიმპანზეების ნადირობასთან დაკავშირებული ქცევები და ადამიანთა ევოლუცია

პრიმატებისათვის მიძღვნილ თავში აღვნიშნეთ, რომ მხოლოდ ადამიანები არ წარმოადგენენ ხორცის მჭამელი პრიმატებს: ხორცს შიმპანზეებიც ჭამენ და ნადირობენ კიდეც. ქრეგ სტანფორდმა ჩვეულებრივი შიმპანზეების ნადირობასთან დაკავშირებული ქცევების შესასწავლად მათ გარემოში მრავალი წელი გაატარა, რის შემდეგაც დარწმუნებულია, რომ მიღებულმა გამოცდილებამ ადამიანის ევოლუციის შესახებ განსაკუთრებული წარმოდგენა შეუქმნა. შიმპანზეები განცალკევებით ნადირობენ და ამას გარკვეული გეგმითა და კოორდინაციით აკეთებდნენ. მსხვერპლის მოკვლის შემდეგ ხშირად ხორცის განაწილება ხდება. სტენფორდი ამტკიცებს, რომ ქცევის ასეთი ნიშნები ნათელს ჰფენს ჩვენი უძველესი წინაპრების ქცევას იმ პერიოდში, როდესაც მათ ნადირობა დაიწყეს.

"ადამიანთა ევოლუციის ორი უმთავრესი კითხვაა: როდის და რატომ გახდა ხორცი ჩვენი წინაპრების კვების რაციონის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ფიზიკური ანთროპოლოგები და არქეოლოგები ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სხვადასხვა მეთოდს იყენებენ. განამარხებულ მასალასთან ერთად ქვის პრიმიტიული იარაღის აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ 2-ნახევარი მილიონი წლის წინ ჰომინიდები ქვის იარაღს დიდი ცხოველების (რომლებიც მოკლეს ან რომელთა ლეშიც იპოვეს), ხორცის ძვლებისგან ასაჭრელად იყენებდნენ. შეისწავლეს ევროპასა და სხვა ადგილებში შედარებით ნაკლები ხნის წინ მცხოვრები ადამიანებისა (რაც არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საფუძველზე ხდებოდა) და აგრეთვე თანამედროვე შემგროვებლობით დაკავებული თანამედროვე ხალხების (ე.წ. მონადირე-შემგროვებლების) მიერ ხორცის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები.

ჩვენთვის ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი 2-ნახევარი მილიონი წლის წინ და კიდევ უფრო ადრე მცხოვრები ჰომინიდების საკვებისა და იმ როლის შესახებ, რომელსაც მათ კვებაში ხორცი ასრულებდა. ჩვენთვის ცნობილია, რომ უადრესმა გამართულად მოსიარულე (ბიპედური) ჰომინიდებმა, რომელთაც ამჟამად ავსტრალოპითეკინებს უწოდებენ, ევოლუცია 5 მლნ. წლის წინ აფრიკაში განიცადეს და იმ დროზე ცოტა უფრო ადრე შიმპანზეებთან საზიარო წინაპარი ჰყავდათ. თანამედროვე ადამიანებსა და შიმპანზეებს დნმ-ის თანმიმდევრობა 98.5% საერთო აქვთ, რის გამოც, ისინი ცხოველთა სხვა ჯიშებზე მეტად ენათესავებიან ერთმანეთს. ამდენად, შიმპანზეების ნადირობასთან დაკავშირებული ქცევებისა და ეკოლოგიის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, ბევრი რამ გავიგოთ ადრეული ჰომინიდების ქცევისა და ეკოლოგიის შესახებ.

1950-1960-იან წლებში ოლდუვაის ხეობაში სხვადასხვა იარაღთან ერთად, ცხოველთა მრავალი სახეობის დამტვრეული ძვლებისა და კბილების არსებობა დადასტურდა. მრავალი წლის წინ ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ ჰომინიდები მონადირეები იყვნენ, ხოლო სხვა ცხოველები — მათი ნადავლი. მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, (თავში — "როგორ ვპოულობთ წარსულს"), არქეოლოგებმა ეს მოსაზრება უნდა გადასინჯონ ტიპონომიის გათვალისწინებით, რომელიც ჩონჩხის ძვლების კომპლექტებში ცვლილებებისა და რღვევის გამომწვევ პროცესებს შეისწავლის. ასე მაგალითად, წყლის ნაკადს შეუძლია ერთად მიყაროს ძვლებიც და არტეფაქტებიც, რაც ალბათ ოლდუვაის ხეობაში 1,8 მილიონი წლის წინ ხდებოდა (იმ ადგილს, სადაც ახლა ხეობაა, ადრე ტბის ნაპირი ესაზღვრებოდა). გარდა ამისა, ისეთ ცხოველებს, როგორიცაა აფთარი, ჰომინიდების სხვა სადგომებშიც შეეძლოთ ცხოველების ჩონჩხების გადატანა. ტიპონომია არქეოლოგებისგან ყველა იმ შემთხვევის გათვალისწინებას მოითხოვს, რომელსაც სხვადასხვა საგნის ერთად შეგროვების გამოწვევა შეეძლო.

თითქმის ეჭვს გარეშეა, რომ უკვე 2 მლნ. წლის წინ ჰომინიდები ცხოველთა ჩონჩხს ხორცის მოსაშორებლად ანაწევრებდნენ. მიკროსკოპულმა ანალიზებმა გამოავლინა, რომ ცხოველთა ძვლებზე აღმოჩენილი ნაჭდევები ქვის ანატკეჩების კვალია. მიკროსკოპულმა ანალიზმა ასევე დაადასტურა ქვის იარაღის გამოყენება ხორცის დამუშავებაში. ჯერ ზუსტად ცნობილი არ არის ოლდუვაის ხეობის ჰომინიდები ხორცს ნადირობით მოიპოვებდნენ, თუ მხოლოდ ლეშს (მტაცებლების მიერ მოკლულ ცხოველებს) იყენებდნენ.

პატ შიპმანმა ოლდუვაის ხეობაში აღმოჩენილ ძვლებზე არსებული ნაჭდევების შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ 2-1.7 მილიონი წლის წინ იმ ადგილებში მცხოვრები ჰომინიდების ხორცის მოპოვების მთავარი წყარო არა ნადირობა, არამედ ლეშის შეგროვება იყო. ძვალზე არსებულ ქვის იარაღის ნაჭდევებს, ჩვეულებრივ (მაგრამ არა ყოველთვის), ზემოდან ხორცის მჭამელი ცხოველების კბილების კვალიც ემჩნეოდა. ეს გვაფიქრებინებს, რომ ჰომინიდები ხშირად არაჰომინიდი მტაცებელი ცხოველების მიერ მოკლული და ნაწილობრივ შეჭმული ცხოველების ხორცს აგროვებდნენ. თუმცა იმ ფაქტმა, რომ ძვლებზე იარაღით მიყენებული ნაჭდევები იყო გაკეთებული, შიპმანს აფიქრებინა, რომ ჰომინიდები ზოგჯერ ნადირობდნენ კიდეც. მეორე მხრივ, ეს შეიძლება იმასაც ნიშნავდა, რომ ჰომინიდები ლეშს აგროვებდნენ მანამ, სანამ მტაცებლები მათი მსხვერპლის ხელში ჩაგდებას მოახერხებდნენ.

ოლდუვაიში აღმოჩენილი არტეფაქტები და ცხოველთა ნარჩენები პირველი ფენიდან და მეორე ფენის ქვედა ნაწილიდან ამ ადგილებში მცხოვრები ჰომინიდების შესახებ სხვა ინფორმაციასაც გვაწვდის. პირველია ის, რომ როგორც ჩანს, ჰომინიდები წლის განმავლობაში ადგილს იცვლიდნენ ხოლმე. სხვადასხვა ცხოველის ძვლების ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, ახლანდელი ოლდუვაის ხეობის ძეგლების უმეტესობა, როგორც ჩანს, ჰომინიდების მიერ მხოლოდ მშრალ სეზონში გამოიყენებოდა. მეორე, მიუხედავად იმისა, ადრეული ჰომინიდები ლეშის შემგროვებლები იყვნენ თუ მონადირეები, ისინი მრავალი სახეობის ცხოველებით იკვებებოდნენ. მართალია, ძვლების უმეტესობა საშუალო ზომის ანტილოპებსა და გარეულ ღორებს ეკუთვნოდა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ისინი ისეთი დიდი ზომის ცხოველებსაც ჭამდნენ, როგორებიც იყვნენ სპილოები და ჟირაფები. აშკარაა, ოლდუვაის ჰომინიდები ლეშსაც აგროვებდნენ და ნადირობდნენ კიდეც, მაგრამ ჯერ დანამდვილებით არ არის ცნობილი, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხორცს მათი კვების რაციონში.



სურათი 7-2

მარტივი საჩეხი და მისი ანატკეჩები ოლდუვაიდ-ან.

ოლდუვაის ქვის ცულის ასლის გამოყენება ძვლიდან ნოყიერი ძვლის ტვინის გამოსაღებად. ძალიან მცირე რაოდენობის ცხოველებს აქვთ იმდენად ძლიერი ყბები, რომ დიდი ძუძუმწოვრების ძვლები დაამტვრიონ. ქვის იარაღი კი ამის საშუალებას იძლევა.

არ არსებობს საერთო აზრი ოლდუვაის ხეობის იმ ძეგლების შესახებ, რომლებიც ქვის იარაღისა და ძვლების მნიშვნელოვან რაოდენობას შეიცავს. 1970-იან წლებში ფიქრობდნენ, რომ ეს ადგილები იმ სახლების საძირკველს წარმოადგენდნენ, სადაც ჰომინიდებს (ალბათ, უფრო მამრებს) ხორცი სხვებისთვის გასანაწილებლად მიჰქონდათ (როგორც ჩანს, მდედრებისა და ბავშვებისათვის). მართლაც, მერი ლიქიმ აღმოაჩინა ორი ადგილი, სადაც მისი აზრით, ადრეულ ჰომინიდებს მარტივი ნაგებობები ჰქონდათ აშენებული (იხ. სურ. 7-3). ერთი მათგანი უბრალო, ქვის წრეს წარმოადგენდა, რომელიც ლიქის ვარაუდით, ბუჩქებისგან გაკეთებული, ქარისგან დამცავი პატარა ნაგებობის საძირკველი იყო; მეორე კი მჭიდროდ დაყრილი ქვის ნატეხებით შემოფარგლული წრის ფორმის სივრცე გახლდათ, რომელსაც გარს ერტყა სხვა შემოფარგლული სივრცე. მერი ლიქი ვარაუდობდა, ეს მეორე სივრცე ხშირი ბარდებისგან იყო გაკეთებული, მტაცებლებისგან თავის დასაცავად. დაახლოებით ასეთი საშუალებით იცავენ თავს იმ რეგიონში მცხოვრები თანამედროვე მწყემსებიც. მაგრამ არქეოლოგები რამდენიმე მიზეზის გამო არ ეთანხმებიან აზრს, რომ ეს ძეგლები საცხოვრებელ ბაზებს წარმოადგენდნენ. ერთია, რომ ხორცის მჭამელი სხვადასხვა ცხოველი ასეთ ძეგლებს ხშირად სტუმრობდა, რის გამოც, ხორციანი ძვლებით გარშემორტყმულ ადგილას ჰომინიდები მშვიდად ვერ იცხოვრებდნენ; მეორე მიზეზი ის არის, რომ ამ ძეგლებზე აღმოჩენილი ცხოველთა ნაშთები ყოველთვის ბოლომდე დანაწევრებული და დამუშავებული არ იყო. აქ რომ ჰომინიდების საცხოვრებელი ბაზები ყოფილიყო, ხორცი უფრო უკეთესად იქნებოდა დამუშავებული და ჩონჩხები დანაწევრებული. მესამე, ქვისა და კლდის ნატეხების წრიული განლაგების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო ბუნებრივი პროცესები, მაგალითად, წრიულად ამოსული ხეები, რომლებიც მერი ლიქიმ საცხოვრებელ ადგილად ჩათვალა. დამამტკიცებელი საბუთის არსებობის გარეშე, რომ ნამდვილად ადრეულმა ჰომინიდებმა ააშენეს ეს კონსტრუქციები, დარწმუნებით ვერავინ იტყვის, რომ ისინი ნამდვილად შენობებია. სახლების საძირკვლების გარდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ძეგლები? ზოგი არქეოლოგი უკვე ფიქრობს, რომ ამ ადგილებში ადრეული ჰომინიდები ხორცს მხოლოდ ამუშავებდნენ და აქ არ ცხოვრობდნენ. თუ ასეა, რატომ უბრუნდებოდნენ ისინი ერთსა და იმავე ადგილს? რიჩარდ პოტსი ერთ შესაძლო მიზეზს ასახელებს: ჰომინიდები ქვის იარაღს და იარაღის დასამზადებელ ქვებს გარკვეულ ადგილას მალავდნენ, რათა გაეადვილებინათ საკვების შეგროვებისა და დამუშავების პროცესი.

მომავალი კვლევა-ძიება ადრეული ჰომინიდების ცხოვრების შესახებ ალბათ მეტ ინფორმაციას მოგვცემს. ჰქონდათ თუ არა მათ საცხოვრებლები, თუ საკვების მოსაპოვებლად ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ? როგორ იცავდნენ თავს მტაცებლებისგან? მათ ჯერ არ იცოდნენ მტაცებლებისგან თავის დასაცავად ცეცხლის გამოყენება. იქნებ დასაძინებლად ხეებზე ადიოდნენ?

ქვის იარაღი და კულტურა

მიუხედავად იმისა, თუ როგორი პასუხები გაეცემა ამ კითხვებს, დამუშავებული ქვის იარაღის არსებობა უკვე იმის მაჩვენებელია, რომ ადრეულ ჰომინიდებში კულტურის ჩანასახები არსებობდა. არქეოლოგები თვლიან, რომ ისეთი კანონზომიერება ქცევაში, როგორიცაა იარაღის დამზადების გარკვეული წესი, რომელსაც იზიარებს და სწავლობს ინდივიდების გარკვეული ჯგუფი, კულტურული ქცევის ნიშანია. იარაღის დამზადება არ გულისხმობს, რომ ადრეული ადამიანების კულტურა დღევანდელი ადამიანების რთული კულტურის მსგავსი იყო. შიმპანზეებს აქვთ იარაღის გამოყენებისა და დამზადების ჩვევები, რომლებიც როგორც ჩანს, ნასწავლია, მაგრამ კულტურული ქცევების თვალსაზრისით მათი განვითარება ჩამორჩება.

კერძოდ, რა განასხვავებს ადამიანთა კულტურას ცხოველთა ქცევებისგან? ანთროპოლოგები უკვე საუკუნეზე მეტია, რაც ამ საკითხს შეისწავლიან, მაგრამ შეთანხმებას აქამდე ვერ მიაღწიეს. ერთი რამ აშკარაა: კულტურა



სურათი 7-3 **ოლდუვაის „ქოხი“.**

ოლდუვაის ხეობაში აღმოჩენილი ქვებისა და ძვლებისგან გაკეთებული რკალი, რომელიც მერი ლიქიმ უძველესი ქოხის ნაშთებად ჩათვალა.

არა განყენებული ცნება, არამედ ურთიერთდამოკიდებული პროცესების ერთობლიობაა. რომელი პროცესები ქმნიან კულტურას? განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ კულტურა შეიძლება იყოს როგორც ნასწავლი, ისე გაზიარებული. ეს არის ძირითადი განსხვავება კულტურასა და ცხოველთა ქცევების დანარჩენ ფორმათა უმეტესობას შორის. კულტურა არა თანდაყოლილი, არამედ ნასწავლი ქცევების ერთობლიობაა, რომლებსაც ინდივიდები ცხოვრების განმავლობაში იძენენ ჩამოყალიბებისა და სხვა ინდივიდებთან ურთიერთობის პროცესში. ამ შემთხვევაში ურთიერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან კულტურული ქცევების სწავლა ძირითადად სხვებთან ურთიერთობით, განათლების მიღებითა და გამოცდილების გაზიარებით ხდება. ამდენად, კულტურა არის სოციალური და არა ინდივიდუალურად თანდაყოლილი პროცესი, ის ქცევის გარდა, მოიცავს დამოკიდებულებებს, ფასეულობებსა და იდეალებს.

მეორე, კულტურა ზოგადად ადაპტურია. ეს ნიშნავს, რომ მისი შემადგენელი როგორც ნასწავლი, ისე გაზიარებული ქცევების უმეტესობა იმიტომ განვითარდა და გავრცელდა, რომ ადამიანების განსაზღვრულ ჯგუფს არსებულ გარემოში გადარჩენაში უწყობდა ხელს. ამგვარად, კულტურულ ქცევებს შეიძლება ისევე შეუწყოს ხელი ბუნებრივმა გადარჩევამ, როგორც გენებს. იმის შესახებ, თუ რამდენად წარმოადგენს ადამიანის კულტურა ბუნებრივი გადარჩევის შედეგს, ბევრს კამათობენ, მაგრამ ძალზე ცოტა ანთროპოლოგი თუ იტყვის, რომ კულტურა ადამიანის ადაპტაციის მთავარი ასპექტი არ არის. კულტურის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სხვა ცხოველთა ქცევითი სისტემებისგან არის ის, რომ იმის გამო, რომ კულტურა ნასწავლი და გაზიარებულია და არა თანდაყოლილი, ადამიანებს შედარებით ადვილად შეუძლიათ ახალი ქცევების სწრაფად სწავლა, განვითარება და ცვალებად გარემოსთან შეგუება. ამგვარად, ადაპტაცია კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია.

კულტურის მესამე, უმთავრესი პროცესია ცვლილება. კულტურათა ცვლილება მუდმივად ხდება იმის გამო, რომ ვითარდება და ვრცელდება ადაპტაციის ახალი, სასარგებლო ფორმები. მაგრამ ანთროპოლოგები იმასაც ხედავენ, რომ როდესაც ახალი ქცევები ან იდეები ჩნდება, ისინი მანამდე არსებულს უერთდებიან. ამდენად, ესა თუ ის ცვლილება ჩნდება მაშინ, როდესაც ახალი იდეები უკვე არსებულთან წინააღმდეგობაშია. მაგალითად, ადრეული ადამიანების ჯგუფს არ შეუძლია ერთდროულად ჭამოს ლეში და თან აკრძალოს ისეთი ცხოველის ხორცის ჭამა, რომელიც თავად არ მოუკლავს. ამგვარი სიტუაციის დროს იქმნება გარკვეული წინააღმდეგობა და საჭიროა რაღაცის შეცვლა. წინააღმდეგობა ახალ, მეტად სასარგებლო ქცევებსა და არსებულ, მაგრამ ნაკლებად სასარგებლო ქცევებს შორის არის სწორედ ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც იწვევს კულტურის სწრაფ ცვლილებას. კულტურის კონცეფციის შესახებ უფრო მეტს იმავე სახელწოდების თავიდან შეიტყობთ.

აშკარაა, რომ ადრეული ჰომინიდები, სხვა პრიმატების მსგავსად, კომუნიკაბელური არსებები იყვნენ. არქეოლოგიური მასალიდან ისიც აშკარად ჩანს, რომ ისინი რეგულარულად იყენებდნენ ქვის იარაღს. ქვის იარაღი ჩნდება როგორც ცალკე, ისე ცხოველთა ძვლებთან და ადამიანის საქმიანობის ამსახველ ნარჩენ სხვა მასალასთან. ამასთანავე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამგვარი ნარჩენები, შესაძლოა, მათი ბანაკები ან თავშესაფრებიც ყოფილიყო. სახლის მაგვარი ნაგებობები შეიძლება ადრეული ჰომინიდების კულტურის ნაწილს შეადგენდეს.

ცალკეულ ადგილებში აღმოჩენილია ცხოველების ძვლებისა და იარაღის დიდი რაოდენობა, რაც ასეთ ადგილებში ინდივიდთა ჯგუფების ხანგრძლივი დროის გატარებაზე მიუთითებს. ამგვარ სიტუაციაში საფიქრებელია, რომ საკვების ერთმანეთისთვის განაწილებაც ხდებოდა. დამაჯერებელი არ იქნებოდა აზრი, რომ ინ-

დივიდებს საერთო შეკრების ადგილზე საკვები მხოლოდ თავისთვის მიეტანათ. ლოგიკიდან გამომდინარე, ერთმანეთის ახლო მონათესავე ინდივიდები, მაგალითად, მშობლები, შვილები და და-ძმები, ერთმანეთს უფრო გაუნაწილებდნენ საკვებს, ვიდრე უფრო შორეულ ნათესავებს. ამ აზრის დამამტკიცებელია ისიც, რომ შიმპანზეებს შორის საკვების განაწილება ყოველთვის ახლო ნათესავებს შორის ხდება. ამგვარად, ადგილები, სადაც ადრეული ჰომინიდების სოციალური აქტივობის კვალს ვპოულობთ, შეიძლება ოჯახური ჯგუფების არსებობას ამტკიცებდნენ. როგორ ხდებოდა სოციალური ქცევის ასეთი სისტემის - ახლო ნათესავების შეკრებების, დასვენებისა და საკვების განაწილების ევოლუცია? განვიხილოთ ერთი მოდელი.

კულტურის ევოლუციის მოდელი

ადრეული ჰომო-ს ტვინის მოცულობა სამჯერ აღემატებოდა ავსტრალოპითეკინებისას. როგორც შემდგომში, ჰომინიდების ევოლუციის მიმართულებებისადმი მიძღვნილ თავში განვიხილავთ, ტვინის მოცულობის ზრდის ერთ-ერთ შესაძლო შედეგი ნაკლებად მომწიფებული ბავშვების დაბადება იყო. ასეთი ბავშვების არსებობა ნაწილობრივ ხსნის მათი სხვებზე დამოკიდებულების პერიოდის გახანგრძლივებასაც. სხვა ცხოველებთან შედარებით ჩვენ არა მხოლოდ ჩვენი ცხოვრების უმეტეს ნაწილს, არამედ ჩვენი აბსოლუტური დროის უმეტეს ნაწილს დამოკიდებულ მდგომარეობაში ვატარებთ. ბავშვთა ხანგრძლივ დამოკიდებულ მდგომარეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის ევოლუციაში. თეოდოსიუს დობჟანსკის მიხედვით:

"სწორედ უსუსურობა და მშობლებსა და სხვა პირებზე დამოკიდებულება უწყობს ხელს კომუნიკაბელურობისა და სწავლის პროცესს, რომელზეც მთლიანად არის დამოკიდებული კულტურის გადაცემა. ეს, ალბათ, ადამიანის ზრდის მოდელის უმნიშვნელოვანესი უპირატესობაა ევოლუციის პროცესში".

ადრე თვლიდნენ, რომ ავსტრალოპითეკინებსაც დამოკიდებულების ისეთივე ხანგრძლივი პერიოდი ჰქონდათ, როგორიც თანამედროვე ადამიანებს, მაგრამ მათი კბილების განვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ავსტრალოპითეკინები ადამიანის მსგავსი მაიმუნების განვითარების მოდელთან უფრო ახლოს იდგნენ. ამგვარად, მომწიფების გახანგრძლივებული პერიოდი შედარებით უფრო ახალია, მაგრამ რამდენად ახალი, ჯერ ვერ ვიტყვით.

მართალია, მიწის სათხრელად, თავდაცვის ან ლეშის დასამუშავებლად იარაღის გამოყენებამ ბიპედალიზმის განვითარებას შეუწყო ხელი, მაგრამ სრულმა ბიპედალიზმმა თავის მხრივ, იარაღის დამზადების უკეთესი საშუალება და აქედან გამომდინარე, საკვების მოპოვების ეფექტურობა გაზარდა. როგორც უკვე ვნახეთ, არსებობს არქეოლოგიური მასალა იმისა, რომ ადრეული ჰომინიდები ლეშს აგროვებდნენ და შეიძლება ნადირობდნენ კიდეც უკვე ადრეული პლიოცენის პერიოდში. მართლაც, არსებობს იმის დამამტკიცებელი საკმაო მასალა, რომ ადრეული ჰომინიდები ხოცავდნენ და ალბათ ჭამდნენ საკმაოდ დიდ ცხოველებს დაახლოებით 2 მილიონი წლის წინ.

როცა არ უნდა დაეწყოთ ჰომინიდებს ლეშის შეგროვება და რეგულარული ნადირობა, ლეშის შესაგროვებლად მათ საკმაოდ შორს უხდებოდათ წასვლა. ადრეული ჰომო-ს ჯგუფებში ჩვილობისა და ბავშვობის ხანგრძლივმა პერიოდმა ალბათ, პირველი საცხოვრებლების შექმნა დააჩქარა. მშობიარობისა და დაბადებული ბავშვის მოვლის დროს ახლად ნამშობიარები დედებისთვის ძნელი და შეუძლებელიც კი იქნებოდა შორ გზაზე სანადიროდ წასვლა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ბავშვის ზურგზე ჩამოკიდება, მაგრამ ეს, გარდა იმისა, რომ სახიფათო იყო, არც თუ ისე მოსახერხებელი იქნებოდა, რადგან ჭირვეული და ხმაურიანი ბავშვი ნადირობის დროს ხელს შეუშლიდათ. იმის გამო, რომ მამრებს (და ალბათ მდედრებსაც, რომლებსაც შვილები არ ჰყავდათ), სახლიდან შორს წასვლის მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ, ალბათ ლეშის შეგროვებასა და ნადირობასაც სწორედ ისინი შეძლებდნენ. პატარა ბავშვებიანი დედები კი ალბათ შემგროვებლობას (მცენარეებს აგროვებდნენ) ეწეოდნენ საცხოვრებელ ბაზებთან ან ადგილებთან ახლომდებარე მიდამოებში.

საცხოვრებელი ბაზების ან საცხოვრებელი ადგილების შექმნამ ჰომო-ებში საკვების განაწილების შესაძლებლობა გაზარდა. რადგან მცირეწლოვანი ბავშვების დედები იძულებულები იყვნენ, ახლომდებარე ადგილებში შემგროვებლობით შემოფარგლულიყვნენ, ერთადერთი გამოსავალი მათთვის აუცილებელი საკვების მისაწოდებლად შორიდან მოტანილი საკვების განაწილება იყო. ვისთვის შეიძლებოდა საკვები გაეანაწილებინათ? რა თქმა უნდა, ახლო ნათესავებისთვის. მათთვის საკვების განაწილება იმას ნიშნავდა, რომ მათი ნაშიერი გადარჩებოდა, რათა შთამომავლობა გაგრძელებულიყო. ამგვარად, თუ ადრეულ ჰომო-ს საცხოვრებელი ბაზები და ოჯახები ჰქონდათ, სწორედ ეს უნდა გამხდარიყო იმ ნასწავლი და გაზიარებული ქცევების განვითარების საწყისი, რომელსაც კულტურა ეწოდება.

სიმართლე რომ ვთქვათ, ეს "ზღაპარია", რომლის სიმართლესაც ვერასოდეს დავამტკიცებთ. თუმცა, ეს ზღაპარი არქეოლოგიურ მასალას შეესაბამება. სხვადასხვა მოდელის ქვის იარაღი მხოლოდ ადრეული ჰომო-ს გამოჩენასთან ერთად ჩნდება. ამავე დროს იწყება ჰომინიდების ანატომიური ევოლუციის რამდენიმე მიმართულება, რაც გარკვეული მოდელების ქვის იარაღის დამზადებასა და გამოყენებაში აისახება: ტვინის მოცულობის ზრდა, მდედრების მენჯის ფორმის ცვლილება იმგვარად, რომ უფრო დიდთავიანი ბავშვი მოთავსდეს და კბილების, სახისა და ყბების ზომის შემცირება.

ჰომინიდების ევოლუციის მიმართულებები

ტვინის მოცულობის ზრდა

ავსტრალოპითეკინებს შედარებით მცირე მოცულობის თავის ქალა აქვთ: დაახლოებით, 380-530 სმ^3, რაც დიდად არ აღემატება შიმპანზეებისას. 2.3 მლნ. წლის წინ, დაახლოებით იმ დროს, როდესაც სხვადასხვა მოდელის ქვის იარაღი პირველად გამოჩნდა, ზოგ ჰომინიდში ტვინის მოცულობის ზრდა შეიმჩნევა. ამ ჰომინიდების ანუ ადრეული ჰომო-ს თავის ქლის მოცულობა საშუალოდ 630-640 სმ^3-ის ტოლი იყო, რაც თანამედროვე ადამიანის თავის ქალის მოცულობის 50%-ს უდრის (დაახლოებით 1,300სმ^3). (იხ. სურ. 7-4). ჩვენი გვარის უფრო გვიანდელი წარმომადგენელის, ჰომო ერექტუსის, რომელიც პირველად დაახლოებით, 1,8 მლნ. წლის წინ გამოჩნდა, თავის ქალის მოცულობა 895-1,040 სმ^3 იყო, რაც თანამედროვე ადამიანის თავის ქალის მოცულობის 70%-ს უდრის.

ავსტრალოპითეკინები მცირე ზომისანი იყვნენ, როგორც ადრეული (ჰომო–ები), ამიტომ ფიქრობენ, რომ ტვინის მოცულობის ასეთი ზრდა ალბათ გვიანდელი ჰომინიდების სხეულის უფრო დიდი ზომის შედეგი უნდა ყოფილიყო. თუ სხეულის ზომას გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ 2 მილიონი წლის განმავლობაში ტვინის არა მხოლოდ აბსოლუტურმა, არამედ შეფარდებითმა ზომამაც მკვეთრად მოიმატა. ბოლო 2 მლნ. წლის მანძილზე ჰომინიდების ტვინის შეფარდებითი ზომა ორჯერ, აბსოლუტური ზომა კი სამჯერ გაიზარდა.

რა გარემოებამ შეუწყო ტვინის მოცულობის ზრდას ხელი? როგორც ადრე აღვნიშნეთ, მრავალი ანთროპოლოგის აზრით, ამგვარი ზრდა 2,5 მლნ. წლის წინ ქვის იარაღის დამზადების დაწყებასთანაა დაკავშირებული. ამ თეორ-

იას შემდეგნაირად ასაბუთებენ: ქვის იარაღის დამზადება მნიშვნელოვანი იყო ჩვენი წინაპრების გადარჩენისათვის, რის გამოც, ბუნებრივმა გადარჩევამ დიდი მოცულობის ტვინის მქონე ინდივიდები გამოარჩია, რადგან მათ ჰქონდათ იარაღის უკეთ დამზადებისათვის შესაფერისი როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი მონაცემები. ამ შეხედულების თანახმად, ტვინის მოცულობის ზრდა და უფრო რთული იარაღის დამზადება ერთდროულად ხდებოდა. ანთროპოლოგთა სხვა ჯგუფის აზრით, ტვინის ზრდისთვის შეიძლება სულ სხვა ფაქტორებს შეეწყო ხელი, მაგალითად ომს, ნადირობას, სიცოცხლის გახანგრძლივებასა და ენას. რომელ ფაქტორებსაც უნდა შეეწყოთ ხელი ტვინის მოცულობის ზრდისთვის, მათ ხელი კულტურული შესაძლებლობების ზრდასაც შეუწყეს. ამგვარად ბიპედალიზმთან ერთად, ტვინის მოცულობის ზრდა ერთგვარ წყალგამყოფს წარმოადგენს ადამიანის ევოლუციაში. (ზოგიერთი იმ ფიზიოლოგიური პრობლემის გასაცნობად, რომელიც ტვინის მოცულობის გაფართოებისათვის უნდა დაძლეულიყო, იხ. ჩარჩო "ტვინი და სისხლი").

ჰომინიდების ტვინის მოცულობის ზრდასთან ერთად, ბუნებრივმა გადარჩევამ ხელი შეუწყო მდედრების მენჯის გაფართოებას უფრო დიდთავიანი ნაყოფის მოსათავსებლად. მაგრამ ალბათ უნდა ყოფილიყო მდედრების მენჯის გაფართოების გარკვეული ზღვარი, რათა იმავე დროს ბიპედალიზმის ადაპტაციაც მომხდარიყო. რაღაც გამოსავალი უნდა გამოძებნილიყო და გამოიძებნა კიდეც. ეს არის ახალშობილის დრეკადი თავის ქალა, რომლის ძვლებიც მშობიარობის დროს ერთმანეთზე გადადის. იმის გამო, რომ თავის ქალის ძვლები მშობიარობამდე რბილია, ახალშობილს, რომელსაც შედარებით დიდი მოცულობის ტვინი აქვს, შეუძლია გამოეტიოს დედის მენჯიდან. ადამიანები განვითარების შედარებით ადრეულ ეტაპზე იბადებიან და მრავალი წლის განმავლობაში არიან დამოკიდებულნი მშობლებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ხანგრძლივი პერიოდი კულტურის ევოლუციის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სახის, კბილებისა და ყბების ზომის შემცირება

ტვინის მოცულობის ზრდის მსგავსად, ჰომინიდების ევოლუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები სახის, კბილებისა და ყბების მხრივ 2 მილიონი წლის წინანდელ პერიოდამდე არ აღინიშნებოდა. ყველა ავსტრალოპითეკინის საღეჭი კბილები — მათი სხეულის ზომასთან შეფარდებით, ძალიან დიდი ზომისაა ალბათ იმის გამო, რომ მათი საკვები ძირითადად მაღალ ხეებზე იზრდებოდა და პატარა კურკების, თხილისა და ბოლქვებისაგან შედგებოდა.

ავსტრალოპითეკინებს ჰქონდათ ყბის სქელი ძვლები, რაც ღეჭვასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მათ დიდი სახეები ჰქონდათ, რომელთა თვალების ქვემოთ მდებარე ნაწილი წინ იყო წამოწეული. Homo-ს სხვადასხვა ფორმებზე დაკვირვებისას ვხედავთ, რომ აღინიშნება სახის ზომის, საღეჭი კბილებისა და ყბების ზომის შემცირება (იხ. სურ. 7-5). როგორც ჩანს, ბუნებრივი გადარჩევის მიდრეკილება დიდი და ძლიერი საღეჭი აპარატის მიმართ შენელდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ Homo-ს გვარის წევრებმა უფრო ადვილად დასაღეჭი საკვების გამოყენება დაიწყეს. ამგვარი საკვები ალბათ შეიცავდა ფესვებს, ხილსა და ხორცს. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, თავისი როლი ალბათ იარაღისა და ცეცხლის გამოყენებამაც შეასრულა.

როდესაც საკვები ცეცხლზე მზადდებოდა და ადვილი დასაღეჭი იყო. ცალკეული ადამიანები (ინდივიდები), რომელთაც უფრო პატარა სახე, კბილები და ყბები ჰქონდათ, წამგებიან მდგომარეობაში აღარ იქნებოდნენ და ამიტომ, სახის, საღეჭი კბილებისა და ყბების ზომაც დროთა განმავლობაში შემცირდებოდა.

მეორე მხრივ, არსებობს ეჭვი, რომ ადამიანისათვის დამახასიათებელი სხვა შტრიხები მას შემდეგ განვითარდა, რაც ტვინის მოცულობამ ზრდა დაიწყო, ანუ ჰომო-ს გვარის ევოლუციის პერიოდში.

რით შეიძლება იმის დასაბუთება, რომ ცვლილებები გარეგნობასა და ქცევაში, რომლებზეც ვისაუბრეთ, ჰომოს გვარში მიმდინარე ევოლუციის პერიოდში მოხდა? ახლა განვიხილავთ ჰომო-ს განამარხებულ ძვლებს და ვნახავთ, თუ როგორ უკავშირდებიან ისინი ტვინის მოცულობის ზრდას და სახის, ყბებისა და კბილების ზომის შემცირებას.

ევოლუციის სხვა ნიშნები

ერთი, თვალსაჩინო ნამარხი, რომელზეც შემდგომ თავში ვიმსჯელებთ, ვნახავთ ჰომინიდებში ტვინის ზომის, კბილებისა და ყბების ცვლილებას. ჰომინიდების ევოლუციაში სხვა ცვლილებები არ შეიძლება დათარიღდეს კონკრეტული დროით განსაკუთრებით კი — ჰომინიდებში. მაგალითისთვის, ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე



სურათი 7-4 Australopithekus afrikanus, Homo ereqtus და Homo sapiens თავის ქალების დაახლოებითი მოცულობების შედარება, საიდანაც ჩანს ჰომინიდების ევოლუციაში ტვინის მოცულობის ზრდის ტენდენცია.

ადამიანები სხვა გადარჩენილ პრიმატებთან შედარებით უბეწვოები არიან. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როდის გახდნენ ჰომინიდები უბეწვოები, რადგან ნამარხი ძვლები არ იძლევიან ინფორმაციას, იყვნენ თუ არა მათი მფლობელები თმიანნი. სხვა მხრივ, ჩვენ გვაქვს ადამიანის განვითარების სხვა მრავალი ნიშანი მას შემდეგ, რაც ომო-ს გვარის ევოლუციაში ტვინმა შემცირება დაიწყო. არის ეს თვალსაჩინო ფიზიკური და ქცევითი ცვლილებები ომო-ს გვარში? ჩვენ განვიხილავთ ომო-ს ადრეულ ნამარხებს და იმას, როგორ არიან ასინი დაკავშირებული ტვინის გაფართოვებასა და სახის, ყბებისა და კბილების შემცირებასთან.

ადრეული ჰომო

ჰომინიდები, რომელთა ტვინის როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი ზომა ავსტრალოპითეკინებისას აღემატებოდა, დაახლოებით 2.3 მლნ. წლის წინ გაჩნდნენ. ეს ჰომინიდები, რომლებიც ჩვენს ანუ ჰომო-ს გვარს მიეკუთვნებიან, ორ სახეობად იყოფიან: **Homo habilis** და **Homo rudolfensis**. ორივე მათგანი უმთავრესად კენიისა და ტანზანიის დასავლეთით არის აღმოჩენილი, მაგრამ მათი კვალი აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის სხვა ნაწილებშიც, კერძოდ, ეთიოპიაში, ომოს აუზსა და სამხრეთ აფრიკაში, სტერკფონტეინის გამოქვაბულშიც აღმოჩნდა. ორივე სახეობა იმავე ადგილას და იმავე დროს ცხოვრობდა, როდესაც *Australopithecus boisei*; მეტიც, შეიძლება მოგვიანებით *Homo erectus*-ის დროსაც ეცხოვრა.

როგორც ჩანს, ჰომო ჰაბილის ამ ორ სახეობაზე ადრე არსებობდა, დაახლოებით 2.3 მლნ. წლის წინ. ავსტრალოპითეცინებთან შედარებით, მას ბევრად უფრო დიდი მოცულობის ტვინი, დაახლოებით 630-640 სმ3, შემცირებული ზომის საღეჭი და საჭრელი კბილები ჰქონდა. მისი



Homo habilis /rudolfensis (ER 1470), რომელიც რიჩარდ ლიქიმ 1972 წელს აღმოაჩინა. ყურადღება მიაქციეთ მის მაღალ შუბლსა და დიდ თავის ქალას.



სურათი 7-5 **A. africanus-ისა და H. habilis-ის შედარება**

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

ტვინი და სისხლი



ადამიანის ტვინი სხეულის ყველაზე რთული და ყველაზე სათუთი ნაწილია. ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ტვინს მუდმივად უნდა მიეწოდებოდეს ჟანგბადი და შაქარი, რაც დიდი რაოდენობის სისხლს მოითხოვს. გარდა ამისა, ტვინი წარმოქმნის სითბოს, თანაც ძალზე მგრძნობიარეა ტემპერატურული ცვლილებების მიმართ; ტემპერატურის რამდენიმე გრადუსით ანევამ შეიძლება ტვინის დაზიანება გამოიწვიოს. პალეოანთროპოლოგ დინ ფალკის მიხედვით, ეს ორი მოთხოვნა – სისხლით მომარაგება და ტემპერატურის კონტროლი — ტვინთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ფალკმა ადამიანის ტვინის ევოლუცია ენდოკასტების გამოყენებით შეისწავლა; კერძოდ, მან შეისწავლა ის სისხლძარღვები, რომლებსაც სისხლი ტვინთან მიჰქონდათ და ტვინიდან უკან აბრუნებდნენ. (იხ. ამ ჩარჩოსთან დართული სურათი). ეს სისხლძარღვები ენდოკასტებზე ორნაირად ჩანან: ისევე, როგორც ტვინის სხვა ნაწილები, ისინიც ტოვებენ ანაბეჭდს თავის ქალის შიდა ნაწილზე, მაგრამ ამასთანავე მათ შეუძლიათ გამოავლიონონ თავის ქალის ძვლებზე არსებული უმცირესი ნახვრეტები, რომლებშიც სისხლძარღვები გადის. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ფალკს საშუალება მიეცა, აღედგინა ადრეული ჰომინიდების ტვინში შემავალი და გამომავალი სისხლის მოძრაობის სქემა.

ფალკის გამოკვლევის მიხედვით, ბიპედალიზმი ჰომინიდების ტვინის ევოლუციის მთავარი დაბრკოლება იყო. თავის ზედა ნაწილში მოთავსებული ტვინის პირობებში, სისხლის მიმოქცევის სისტემას სისხლის მუდმივი დინება უნდა შეძლებოდა. ოთხ ფეხზე მოსიარულე ადამიანის მსგავს მაიმუნებში ტვინიდან გამომავალი სისხლი პირდაპირ იუგულარულ (კისრის) ვენას მიეწოდება. ფალკის აზრით, დედამიწის მიზიდულობის დამატებითი ძალა ადამიანებში სისხლს ისეთი ძალით მიაწოდებდა იუგულარულ (კისრის) ვენას, რომ შეიძლება მას ასეთი ზეწოლისთვის ვერ გაეძლო და გამსკდარიყო. ავსტრალოპითეკებმა ამ პრობლემისგან თავის დაღწევა ტვინის უკანა მხარეს მდებარე დიდი სინუსების განვითარებით შეძლეს, რომლებიც ამცირებდნენ სისხლის ნაკადის ძლიერ დაწოლას ცხოველის გამართულ მდგომარეობაში ყოფნისას. ადრეულ Homo-ს ტვინის მოთხოვნილებების ზრდასთან ერთად, საჭირო გახდა სისხლის მიმოქცევის უფრო ეფექტური სისტემის განვითარება.

ფალკი ამტკიცებს, რომ ადრეულ Homos ტვინიდან სისხლის გამოდინების ორი განსხვავებული სისტემა ჩამოუყალიბდა. ერთი იყო დიდ სისხლძარღვები, რომლებიც ავსტრალოპითეკინების სისხლძარღვების მსგავსი იყო და რომლებთაც სისხლი გამოდიოდა ტვინის ზედა ნაწილისა და გვერდების გავლით, შემდეგ კი იუგულარულ (კისრის) ვენას მიეწოდებოდა. თუმცა, ავსტრალოპითეკინებისგან განსხვავებით, Homo-ს გვარის წარმომადგენლები ამ სისტემას, როგორც პირველადს, მხოლოდ მწოლიარე მდგომარეობაში იყენებენ. ფალკის აზრით, ადრეულ Homo-ებში უფრო მცირე სისხლძარღვების მეორადი სისტემა, რომელსაც ემისარული სისტემა ეწოდება, განვითარდა ტვინიდან სისხლის გამოსაყვანად, იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდები ფეხზე იდგნენ. ფალკი ვარაუდობს, რომ სისხლის მიმოქცევის ორივე სისტემის განვითარება საშუალებას აძლევდა ადრეულ Homo-ს, შეენარჩუნებინა ტვინის სისხლით ნორმალური მომარაგება, როგორც ფეხზე დგომის, ისე წოლის დროს.

კიდევ უფრო საკამათოა ფალკის მოსაზრება ტვინის მიერ ტემპერატურის კონტროლირების შესახებ. მისი აზრით, სისხლძარღვების ემისარული სისტემა არა მხოლოდ ეხმარება სისხლს ტვინიდან გამოსვლაში, არამედ ტვინის გასაგრილებლად "რადიატორის" როლსაც ასრულებს. მეცნიერის აზრით, ეს პატარა სისხლძარღვები სახისა და სკალპის გავლისას გაგრილებულ სისხლს ტვინის ცენტრს აწვდიან, სადაც ის კვლავ თბება და ტვინიდან უკან წამოსვლისას მისი სითბო მიჰყვება. ამგვარად, ემისარული სისტემა არა მხოლოდ ტვინში სისხლის მიმოქცევას, არამედ ტვინის შიდა ტემპერატურის რეგულირებასაც უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, დადასტურდება თუ არა ფალკის მოსაზრებები მომავალი კვლევის შედეგად, მათ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ იმის გამო, რომ ტვინის მოცულობის ზრდას ადასტურებენ. ტვინის მოცულობის ზრდა ბიპედალურ ჰომინოიდებში საკმაოდ რთული პროცესი იყო და სულ ცოტა, ორი პრობლემის — სისხლის მიმოქცევისა და ტემპერატურის შენარჩუნების — გადაჭრას მოითხოვდა. როდესაც ჰომინიდების ევოლუციის ისეთ მიმართულებებზე ვფიქრობთ, როგორიცაა მაგალითად, ტვინის მოცულობის ზრდა, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს მიერ განხილულ ცვლილებებს თან მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური ცვლილებებიც დაერთვის. ადამიანის ტვინის მოცულობის გაზრდა უძველესი ჰომინიდის ტვინის არა მხოლოდ ზომაში ზრდას, არამედ ისეთ ანატომიურ ცვლილებებსაც გულისხმობს, რომლებიც უფრო დიდი მოცულობის ტვინის სისხლით მომარაგებასა და გაგრილებასაც უზრუნველყოფს.

ჩონჩხის დანარჩენი ნაწილები ავსტრალოპითეკინების მსგავსი იყო, ძლიერი ხელებისა და შედარებით გრძელი მკლავების ჩათვლით, რაც გვაფიქრებინებს, რომ *Homo habilis* ნაწილობრივ მაინც ხეზე ცხოვრობდა. დასაშვებია, რომ ისინი, ავსტრალოპითეკინების მსგავსად, სქესობრივად დიმორფულები იყვნენ, რადგან ინდივიდები ერთმანეთისგან ზომით ძალზე განსხვავდებოდნენ.

Homo rudolfensis დაახლოებით *Homo habilis*-ის თანამედროვეა და მათ ბევრ საერთო ნიშანი აქვთ. მრავალი პალეოანთროპოლოგი ამ ორ სახეობას შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს, ზოგჯერ ისინი ერთმანეთშიც კი ერევათ. მეცნიერები, რომლებიც ამ ორ სახეობას შორის განსხვავებას ხედავენ, ამტკიცებენ, რომ *Homo rudolfensis*-ის საღეჭი კბილები მინანქრის უფრო სქელი ფენით არის დაფარული, რომ მას უფრო პატარა და ბრტყელი სახე აქვს; მეტიც, მისი კიდურების პროპორციები უფრო ახლოა თანამედროვე ადამიანის კიდურებთან, ვიდრე *Homo habilis*-ის. მიუხედავად უფრო დიდი ზომის კბილებისა და განიერი სახისა, *Homo rudolfensis*-ის კბილების აპარატი უფრო შემცირებულია ავსტრალოპითეკებთან შედარებით, *Homo habilis*-ის ტვინის მოცულობა კი ავსტრალოპითეკებისას, სულ ცოტა, სამჯერ მაინც აღემატება.

იმის გამო, რომ *Homo*-ს სახეობების კეფის ნაწილები ძალიან მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი, ძნელია განისაზღვროს, თუ რამდენად შეიცვალა მდედრის მენჯის ფორმა. მაგრამ ტვინის გაზრდილი მოცულობიდან გამომდინარე, რომელიც თითქმის სამჯერ დიდია ავსტრალოპითეკინის ტვინთან შედარებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთი ცვლილება მოხდებოდა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო შედარებით დიდი თავის მქონე ბავშვების დაბადება. ჩვენთვის ცნობილია, რომ მდედრის მენჯის ზომაში მომხდარი ცვლილებები კარგად ჩანს *Homo erectus*-ის შემთხვევაში. ამის გამო, ახლა სწორედ მას განვიხილავთ.

Homo erectus

Homo erectus Homo habilis-ის შემდეგ ძალიან მალე –დაახლოებით 1,8 მლნ. წლის შემდეგ განვითარდა. ის პირველი ჰომინიდი იყო, რომელიც ძველ სამყაროში ფართოდ გავრცელდა. *Homo erectus*-ის ნაშთები პირველად იავაზე აღმოჩნდა, მოგვიანებით — ჩინეთში, კიდევ უფრო გვიან კი — აფრიკაში. პალეოანთროპოლოგების უმრავლესობა თვლის, რომ ადამიანის რომელიღაც წინაპარმა აფრიკიდან აზიაში გადაინაცვლა. ბოლო დრომდე ითვლებოდა, რომ სწორედ *Homo erectus* იყო ის სახეობა, რომელმაც გადაინაცვლა, რადგანაც სწორედ ის ცხოვრობდა აღმოსავლეთ აფრიკაში 1.6 მლნ. წლის წინ, ხოლო აზიაში ისინი გამოჩნდნენ არაუადრეს 1 მლნ. წლის წინანდელი პერიოდისა. ბოლოდროინდელი დათარიღების მიხედვით ვარაუდობენ, რომ იავაზე აღმოჩენილი *Homo erectus* შეიძლება კიდევ უფრო ძველი, 1,8 მილიონი წლის წინანდელი ყოფილიყო. *Homo erectus*-ის დმანისში (საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში) აღმოჩენილი განამარხებული მასალა კი დაახლოებით 1.7 მილიონი წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება. თუ ეს დათარიღება ზუსტია, გამოდის, რომ ადრეული ჰომინიდები აფრიკიდან კიდევ უფრო ადრე გამოსულან. მართლაც, 2001 წელს დმანისში აღმოჩენილი ერთი კარგად შემონახული თავის ქალის ზოგიერთი ნიშანი *Homo habilis*-ის (ხელმარჯვე ადამიანი) მსგავსია: ტვინის მოცულობა 600 სმ3-ს აღემატება, შედარებით დიდი ზომის ეშვები და წარბების დაბალი ხაზი. თუ ეს თავის ქალა მართლაც *Homo habilis*-ს მიეკუთვნება, საინტერესოა, რატომ ითვლება, რომ *Homo habilis* და გარდამავალი სახეობა — *H. habilis-erectus* აფრიკიდან წამოვიდნენ.

არსებობს მეორე კითხვაც: *Homo erectus*-ის მხოლოდ ერთი სახეობა არსებობდა თუ რამდენიმე? ზოგიერთი მეცნიერის აზრით, *Homo erectus*-ის აზიურ და აფრიკულ პოპულაციებს შორის საკმაოდ ბევრი განსხვავებაა იმისთვის, რომ ორ განსხვავებულ სახეობად ჩავთვალოთ: *Homo erectus* ჩავთვალოთ აფრიკულ პოპულაციად, ხოლო *Homo ergaster* — აზიურად. უფრო მეტიც, *Homo erectus*-ის (ანუ *Homo ergaster*-ის) განამარხებული ძვლები ევროპაშიც არის აღმოჩენილი, მაგრამ ზოგიერთი პალეოანთროპოლოგი თვლის, რომ ევროპაში აღმოჩენილი ძვლების მიხედვით, *Homo erectus Homo sapiens*-ის ადრეული წარმომადგენელია. სხვა მეცნიერების აზრით, ევროპული მასალა და მისი მსგავსი, სამხრეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში აღმოჩენილი მასალა განსხვავებულ სახეობას ეკუთვნის და მისი კლასიფიცირება უნდა მოხდეს *Homo heidelbergensis*-ის სახელწოდებით.

Homo erectus-ის აღმოჩენა

1891 წელს გერმანელმა მეცნიერმა ეჟენ დიუბუამ იავაზე გათხრების დროს აღმოაჩინა *Pithecanthropus erectus*, ეს სახელი მას თვითონ შეურჩია, რაც "ადამიანის მსგავს გამართულ მაიმუნს" ნიშნავს. (ჩვენ მას *Homo erectus*-ის სახელით მოვიხსენიებთ). ეს არ იყო ადამიანის მსგავსი ცხოველის ნაშთების პირველი აღმოჩენა. ნეანდერტალელი ადამიანი, რომელზეც შემდეგ თავში შევჩერდებით, უფრო ადრე იყო აღმოჩენილი. მაგრამ ვერც დიუბუა და ვერც სხვა ვინმე ვერ ამტკიცებდა, იავაზე აღმოჩენილი ნაშთი ადამიანის მსგავს მაიმუნს ეკუთვნოდა თუ ადამიანს.

აღმოჩენილი მასალა თავის ქალისა და თეძოს ძვლისგან შედგებოდა. მრავალი წლის განმავლობაში იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ ეს ძვლები ერთსა და იმავე ცხოველს არც კი ეკუთვნოდა. თავის ქალა ადამიანის მსგავს თანამედროვე მაიმუნის ქალაზე (500 სმ3) ბევრად დიდი იყო, მაგრამ ამავე დროს თანამედროვე ადამიანის ქალაზე (1300სმ3) უფრო პატარა. თეძოს ძვალი ადამიანისას ჰგავდა. ეკუთვნოდა თუ არა ეს ორივე ძვალი ერთსა და იმავე ინდივიდს? ამ კითხვას პასუხი მრავალი წლის შემდეგ ფტორის ანალიზის საშუალებით გაეცა. თუ ერთსა და იმავე ადგილას აღმოჩენილ ძვლებში ფტორის ერთნაირი შემცველობაა, ისინი თანადროულია. აღმოჩნდა, რომ დიუბუას მიერ აღმოჩენილ ძვლებში ფტორის ერთნაირი შემცველობა იყო, ე.ი. ისინი ერთი ასაკისა იყვნენ.

1930-იანი წლების შუა პერიოდში იავაზე გ.ჰ.რ. ფონ კენიგსვალდის აღმოჩენამ არა მხოლოდ დაადასტურა დიუბუას ადრინდელი მოსაზრება და გააღრმავა, ჩვენი ცოდნა *Homo erectus*-ის ფიზიკური აღნაგობის შესახებ, არამედ უკეთ განსაზღვრა ადრეული ადამიანების არსებობის პერიოდი. მას შემდეგ იავაზე *Homo erectus*-ის კიდევ ბევრი ნაშთი აღმოჩნდა. ფიქრობდნენ, რომ იავაზე აღმოჩენილი *Homo erectus*-ის ნაშთები 1 მლნ. წელიწადზე უფრო ძველი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ თანამედროვე არგონ-არგონის დათარიღების შედეგად მათმა ასაკმა 1,8 მლნ. წლით უკან გადაიწია.

დიუბუასა და ფონ კენიგსვალდის აღმოჩენებს შორის, კანადელმა პროფესორმა დევიდსონ ბლექმა, რომელიც პეკინის უნივერსიტეტში ასწავლიდა, დაიწყო ჩოუ კოუ დიანის მახლობლად მდებარე დიდი გამოქვაბულის გამოკვლევა, სადაც განამარხებული კბილები აღმოაჩინა. გადაწყვიტა რა, რომ კბილები ჰომინიდების ჯერ უცნობ გვარს ეკუთვნოდა, მეცნიერმა მოიძია სახსრები იმ მიდამოში გათხრების ჩასატარებლად. ორი წლის მუშაობის შემდეგ მან და მისმა კოლეგებმა კირქვის ფენაში აღმოაჩინეს თავის ქალა, რომელსაც "პეკინელი ადამიანი" დაარქვეს. 1934 წელს ბლექი გარდაიცვალა, მისი საქმე კი ფრანც ვიდენრეიხმა გააგრძელა.

დასავლეთ აფრიკაში *Homo erectus*-ის აღმოჩენა 1950-იან წლებში მოხდა (იხ. სურ. 7-6). მას შემდეგ ბევრი — აღმოჩენა გაკეთდა აღმოსავლეთ აფრიკაში, კერძოდ კი ორ ძეგლზე, ოლდუვაის ხეობაში, (ტანზანია) და მდინარე ტურკანას რაიონში (კენიაში). ნარიოკოტომეში, რომელიც

სურათი 7-6 **ძეგლები, სადაც *Homo erectus* აღმოჩნდა.**

ტურკანას ტბის დასავლეთით მდებარეობს, ბიჭის თითქმის დაუზიანებელი ჩონჩხი აღმოჩნდა, რომელიც 1.6 მლნ. წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება. ოლდუვაის აღმოჩენები კი დაახლოებით 1.2 მლნ. წლის წინანდელია.

Homo erectus-ის დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნები

Homo erectus-ის თავის ქალა ჩვეულებრივ მოგრძო



სურათი 7-7
Homo erectus-ის დამახასიათებელი ნიშნები.

ფორმის იყო, ბრტყელი წინა ნაწილითა და წარბების წინ წამოწეული რკალით. თავის ქალის უკანა ხედი ხუთკუთხა ფორმის იყო. ამგვარ ფორმას ნაწილობრივ **საგიტალური კილი** (გამონაზარდი, რომელიც თავის ქალის ზედა ნაწილს მთელ გაყოლებაზე გასდევდა), ნაწილობრივ კი თავის ქალის უკანა მხარეს ჰორიზონტალურად გაყოლებული ძვლოვანი გამონაზარდი, **occipital torus** (კეფის ტორუსი) – აძლევდა, რომელიც თავის ქალის მოგრძო ფორმას ემატებოდა (იხ. სურ. 7-7).

ადრეულ ჰომოსთან შედარებით, *Homo erectus*-ს უფრო მცირე ზომის კბილები ჰქონდა. *Homo erectus* პირველი ჰომინიდი იყო, რომელსაც თანამედროვე ადამიანივით მესამე საღეჭი კბილი უფრო პატარა ჰქონდა, ვიდრე პირველი და მეორე. მათ საღეჭ კბილებს უფრო დიდი ზომის პულპალური სივრცე ანუ **ტაუროდონტისმი** ჰქონდათ, რითაც ისინი უკეთ უძლებდნენ ცვეთას, ვიდრე თანამედროვე ადამიანის კბილები. მაგრამ *Homo erectus*-ის ყბა უფრო მსუბუქი და თხელი იყო, ვიდრე ადრეული ჰომო-ს ან ავსტრალოპითეკინებისა, ამასთან მათი სახე ზედა და ქვედა ყბების მიდამოებში ნაკლებად იყო წინ წაწეული (**prognathic**).

მათი ტვინის მოცულობა საშუალოდ 895-1,040 სმ3 შეადგენდა და უფრო დიდი ზომისა იყო, ვიდრე ნებისმიერი ავსტრალოპითეკინის ან ადრეული *Homo*-ს სახეობისა, მაგრამ უფრო მცირე, ვიდრე თანამედროვე ადამიანს. მათი ენდოკასტები (რომლებიც ტვინის ზედაპირის სურათს ქმნიან) გვაფიქრებინებს, რომ მათი ტვინი ისევე იყო მოწყობილი, როგორც ავსტრალოპითეკინებისა.

ავსტრალოპითეკინებისგან განსხვავებით, რომელთაც ბრტყელი, მიტკეპნილი ცხვირები ჰქონდათ, *Homo erectus*-ის ცხვირი წინ იყო წამოწეული. კისრიდან ქვემოთ *Homo erectus*-ის გარჩევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო *Homo sapiens*-ისგან. უფრო მცირე ზომის ავსტრალოპითეკინებისგან და ადრეული *Homo sapiens*-ისგან განსხვავებით, რომელიც აღმოსავლეთ აფრიკაში დაახლოებით იმავე დროს ცხოვრობდა, *Homo erectus* ზომით თანამედროვე ადამიანთან უფრო ახლოს იდგა. ნარიოკოტომეში აღმოჩენილი ბიჭის ჩონჩხის მიხედვით, რომელიც 5.5 ფუტის სიმაღლე

Homo erectus/ergaster -ის ქალა (ER-3733)
აღმოსავლეთ აფრიკიდან

იყო და დაახლოებით 11 წლის იქნებოდა, ზრდასრულ ასაკში მის სიმაღლეს დაახლოებით 6 ფუტისთვის უნდა მიეღწია. დაახლოებით 1.6 მლნ. წლის წინ ნარიოკოტომეს რაიონი ბალახით დაფარული ტერიტორია იყო, სადაც ხეები უმეტესად მდინარეების პირას იზრდებოდა. აღმოსავლეთ აფრიკაში მცხოვრები *Homo erectus* ზომით აფრიკის იმ თანამედროვე მცხოვრებთ უტოლდებოდა, რომლებიც დღესაც ისეთივე მშრალ და ღია ადგილებში ბინადრობენ. *Homo erectus*-ს ნაკლები სქესობრივი დიმორფიზმი ახასიათებს, ვიდრე ავსტრალოპითეკინებს ან ადრეულ *Homo*-ს. მისი სქესობრივი დიმორფიზმი დაახლოებით ისევე იყო გამოხატული, როგორც თანამედროვე ადამიანებშია.

ის მეცნიერები, რომლებიც აფრიკულ პოპულაციებს განსხვავებულ სახეობად — *Homo ergaster*-ად გამოყოფენ, მიუთითებენ რამდენიმე განსხვავებაზე მათსა და *Homo erectus*–ების დანარჩენ პოპულაციებს შორის: *Homo ergaster*-ის თავის ქალის პროპორციები განსხვავებულია: წარბების რკალი უფრო თხელია და თითოეული თვალის ბუდის თავზე თაღის ფორმა აქვს; თვალის ბუდეები უფრო მომრგვალებულია; თავის ქალის ქვემოთ სახე უფრო ვერტიკალურად არის ორიენტირებული და სხვა. მეორე მხრივ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, განსხვავება *Homo erectus*-სა და თანამედროვე ადამიანს შორის იმდენად დიდი არ არის, რომ სხვადასხვა სახეობად ჩავთვალოთ. ისინი ამტკიცებენ, რომ *Homo erectus*–ის პოპულაცია *Homo sapiens*-ის პოპულაციასთან უნდა გაერთიანდეს. ეს კამათი ალბათ მალე არ დასრულდება, ამიტომ ამ წიგნის ფარგლებში მხოლოდ ერთ ტაქსონზე — *Homo erectus*–ზე შევჩერდებით (იხ. ჩარჩო - „*Homo erectus*: ერთი თუ მეტი სახეობა“?).

Homo erectus-ის ევოლუცია

Homo erectus-ის ევოლუცია ასახავს იმ ზოგადი ევოლუციური ტენდენციების გაგრძელებას, რომლებზეც ადრე ვიმსჯელეთ. ტვინის მოცულობა კვლავ იზრდება და ადრეული ჰომოს ტვინის ზომას ერთი მესამედით აჭარბებს (ისევე, როგორც ადრეული ჰომოს ტვინის მოცულობამ, ავსტრალოპითეკინებისას ერთი მესამედით გადააჭარბა); სახის, კბილებისა და ყბების ზომა მცირდება და თითქმის თანამედროვეს უთანაბრდება. იარაღის მოხმარებისა და მრავალფეროვნების ზრდამ ტვინის შემდგომი განვითარება გამოიწვია. *Homo erectus* ჭამდა და ალბათ ამზადებდა კიდეც ხორცს (წვავდა), რაც მისი კბილებისა და ყბების ზომის შემცირებას იწვევდა.

Homo erectus-ის კიდევ ერთი ცვლილება თითქმის თანამედროვე დონემდე შემცირება იყო. გაიხსენეთ, რომ ავსტრალოპითეკინები და ადრეული ჰომოები მაღალი სქესობრივი დიმორფიზმით გამოირჩეოდნენ. *Homo erectus* ისეთივე სქესობრივი დიმორფიზმი არ ახასიათებდა. რას შეიძლებოდა გამოეწვია ასეთი ცვლილება? სხვა პრიმატებში სქესობრივი დიმორფიზმი, როგორც ჩანს, ისეთ სოციალურ სისტემებთან იყო დაკავშირებული, სადაც მამრები დომინირებდნენ და მრავალრიცხოვან მდედრებთან ურთიერთობას აკონტროლებდნენ. სქესობრივი დიმორფიზმის ნაკლებობა კი ისეთ ცხოველებში აღინიშნება, სადაც პირიქით, წყვილებს შორის ხანგრძლივი კავშირი არსებობს ანუ სადაც ერთ მამრსა და ერთ მდედრს შორის ხანგრძლივი ურთიერთობა ყალიბდება, რომელსაც შთამომავლობის გაჩენა მოსდევს. შესაძლებელია, რომ ასეთი ურთიერთობა *Homo erectus*–ებს შორისაც არსებულიყო? როგორც ჩანს, შესაძლებელია.

გაიხსენეთ ადამიანის კულტურისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები, რომლებიც ადრეულ ჰომოს ჰქონდა: საცხოვრებელი ბაზები, ოჯახური ჯგუფები და საკვების განაწილება ადამიანის კულტურის კიდევ ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია, რომელიც ყველა თანამედროვე კულტურას ახასიათებს, არის ქორწინება. ქორწინება არის ორ ინდივიდს შორის არსებული სოციალურად აღიარებული სქესობრივი და ეკონომიკური კავშირი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გაგრძელებისა და კანონიერი შთამომავლობის წარმოშობისათვის არის განსაზღვრული. ეს არის ერთი წყვილის კავშირი, რომელსაც ქცევების, იმედებისა და ურთიერთვალდებულებების ერთობლიობა ახასიათებს. ამგვარად, ქორწინების შემოღებით მამრების კონკურენცია მდედრების მოსაპოვებლად იკლებს, რაც თავის მხრივ, სქესობრივი დიმორფიზმის მნიშვნელობას ამცირებს. მაგრამ რატომ უნდა განვითარებულიყო ქორწინება *Homo erectus*–ებს შორის?

ცხოველთა იმ სახეობებში, რომელთა მდედრებსაც თავის თავისა და ახალშობილის დამოუკიდებლად გამოკვება შეეძლოთ, წყვილების კავშირი იშვიათია. იმ სახეობებში კი, რომელთა მდედრებსაც თავის თავისა და ახალშობილის დამოუკიდებლად გამოკვება არ შეეძლოთ, წყვილების კავშირი მიღებული იყო. რატომ ხდებოდა ასე? ჩვენი აზრით, წყვილის კავშირი აგვარებდა დედის კვებისა და ბავშვის მოვლის საკითხებს. მამრს შეეძლო საკვების მოტანა და ბავშვის მიხედვა, სანამ მდედრი იკვებებოდა. მაგრამ პრიმატთა უმეტესობაში წყვილების კავშირი არ არსებობდა. ამის მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ პრიმატების ნაშიერს დაბადებიდან მალევე შეეძლოთ დედის სხეულზე ჩაჭიდება, ამგვარად დედას ხელები თავისუფალი ჰქონდა და საკვებსაც დამოუკიდებლად მოიპოვებდა. ადამიანის შვილები ჩაჭიდების თანდაყოლილი უნარის ნარჩენ ფორმებს დაბადებიდან პირველი კვირების განმავლობაში ავლენენ. ამას მოროს რეფლექსი ეწოდება. თუ ბავშვი იგრძნობს, რომ უკან ვარდება, ის ხელებს წინ იშვერს და მუშტებს კრავს.

ჩვენთვის უცნობია, *Homo erectus*-ს, სხვა პრიმატების მსგავსად, ბეწვი ჰქონდა თუ არა, მაგრამ, ჩვენი აზრით, არ უნდა ჰქონოდა, რადგან, როგორც ქვემოთ აღვნიშნეთ,

ვთვლით, რომ მათ ტანსაცმელი ჰქონდათ. მისი ტვინის მოცულობაც, შესაძლოა, უკვე იმდენად იყო გაზრდილი, რომ მათ ნაშიერს, თანამედროვე ბავშვის მსგავსად, არ შეეძლო დამოუკიდებლად თავის დაჭერა მაშინაც კი, როდესაც დედაზე იყო ჩაჭიდებული. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ადრეულმა ჰომინიდებმა ნადირობა და ლეშის შეგროვება დაიწყეს საკვებისთვის (ტყავისთვის, რომელსაც ტანსაცმლად იყენებდნენ), მშობლებისთვის ნამდვილად რთული და სახიფათო იქნებოდა ამ საქმიანობის დროს თან ბავშვის ტარება. ქორწინება ამ პრობლემას ადვილად გადაწყვეტდა, რადგან ერთ-ერთ მშობელს ყოველთვის შეეძლო ბავშვის მიხედვა იმ დროს, როდესაც მეორე საკვებს შოულობდა. (ამ თეორიას დაწვრილებით განვიხილავთ თავში, რომელიც ქორწინებას ეძღვნება).

Homo erectus-ის ევოლუციის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია პოპულაციების აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკიდან გასვლა. რადგან სქესობრივი დიმორფიზმის შემცირებასთან ერთად სწორედ კულტურულმა ინოვაციებმა მისცა *Homo erectus*-ს საშუალება ახალ გარემო პირობებში გადაენაცვლებინა. რატომ? იმიტომ, რომ ახალ გარემოში მოხვედრის შემდეგ *Homo erectus* ახალ (და ალბათ, უფრო ცივ) კლიმატურ პირობებში მოხვდებოდა, იარაღის დასამზადებელი ნედლეულიც განსხვავებული დახვდებოდა და საკვებადაც ახალი, განსხვავებული მცენარეები და ცხოველები უნდა გამოეყენებინა. ყველა ცხოველი ამგვარ ცვლილებას ბუნებრივი გადარჩევის შედეგად ეგუება, მაგრამ ბუნებრივ გადარჩევას ჩვეულებრივ დიდი დრო სჭირდება და ადაპტირებად ორგანიზმთა ფიზიკურ ცვლილებებს მოითხოვს. *Homo erectus*–მა ახალ გარემოსთან სწრაფი შეგუება თვალშისაცემი ფიზიკური ცვლილებების გარეშე მოახერხა. ეს გვაფიქრებინებს, რომ მისი ადაპტაციის მთავარი მექანიზმი უფრო კულტურული იყო, ვიდრე ბიოლოგიური.

რა კულტურული ადაპტაცია შეიძლებოდა განეცადა *Homo erectus*-ს? ცივ კლიმატურ პირობებში ცეცხლის გამოყენება, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ადაპტაცია იქნებოდა. როგორც ქვემოთ აღვნიშნავთ, არსებობს *Homo erectus*-ის მიერ ცეცხლის გამოყენების უტყუარი საბუთები. მაგრამ ცეცხლს ადამიანის გათბობა მხოლოდ მაშინ შეეძლო, როდესაც ისინი ერთ ადგილას იყვნენ. საკვების საშოვრად გასულ ადამიანებს ის ვერ გაათბობდა. იმისათვის, რომ ცივ კლიმატში მობილურობა შეენარჩუნებინა, *Homo erectus*-ს ალბათ ცხოველების ბეწვიანი ტყავის სამოსად გამოყენება უხდებოდათ. *Homo erectus*-ის ზოგიერთი იარაღი ტყავის დასამუშავებელ იმ იარაღს წააგავს, რომელსაც შედარებით გვიან მცხოვრები ხალხები იყენებდნენ. შეუძლებელია, ისეთი ცივი კლიმატის პირობებში (აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში), სადაც მათი ნაშთებია აღმოჩენილი, ისინი რაიმე სახის ტანსაცმლის გარეშე გადარჩენილიყვნენ. ხოლო თუ *Homo erectus* ცხოველების ტყავებს ტანსაცმლად იყენებდა, ეს ნიშნავს, რომ მას უნდა ენადირათ კიდეც. ტყავების მოპოვებას ის მხოლოდ ლეშის შეგროვებით ვერ შეძლებდა, რადგან ცხოველის დანაწევრებისას მტაცებლები, პირველ რიგში, სწორედ ტყავს გლეჯენ. ამის გამო, *Homo erectus*-ს დაუზიანებელი ტყავის მოსაპოვებლად თვითონ

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

Homo erectus — ერთი თუ რამდენიმე სახეობა?

თანამედროვე პოპულაციებში ადვილი დასადგენია, რომელიმე ორი პრიმატი ერთსა და იმავე, თუ სხვადასხვა სახეობას მიეკუთვნება. ამის დადგენა მარტივად შეიძლება შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემით: შეუძლიათ თუ არა მათ შეჯვარება? ნაყოფიერნი იქნებიან თუ არა მათი შთამომავლები? იმ შემთხვევაში, თუ ამ კითხვებს უარყოფითი პასუხები გაეცემა, საქმე სხვადასხვა სახეობასთან გვაქვს. მაგრამ როგორ განვასხვავოთ სხვადასხვა სახეობა, თუ საქმე განამარხებულ მასალასთან გვაქვს? პალეოანთროპოლოგები ამას მათ შორის განსხვავებათა დადგენით ახრეხებენ. მას შემდეგ, რაც ორი პოპულაცია ერთმანეთთან შეჯვარებას წყვეტს, მათ დივერგენტული (გადახრითი) თვისებები უვითარდებათ. მაგრამ რამდენად განსხვავებულნი უნდა გახდნენ ისინი ჩვენი წარმოდგენით, რომ სხვადასხვა სახეობებად გამოვყოთ?

იმის გამო, რომ განამარხებულ მასალაში შეჯვარების კანონზომიერებანი არ ჩანს, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ პალეოანთროპოლოგებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იმის შესახებ, ერთსა და იმავე სახეობას მიეკუთვნება თუ არა ორი სხვადასხვა განამარხებული ნაშთი. პალეოანთროპოლოგებს შორის არსებობს გარკვეული მეცნიერული მიდრეკილებები: ზოგი მათგანი "დამყოფია" ანუ მეტ განსხვავებულ სახეობას ავლენს, ზოგი კი "გამაერთიანებელი" ანუ ავლენს ნაკლები რაოდენობის სახეობას. 1920-იან და 1930-იან წლებში "დაყოფა" უფრო ხშირად ხდებოდა. Homo erectus-ის თითქმის ყოველი ახალი აღმოჩენა ახალ სახეობად და ზოგჯერ ახალ გვარადაც (გენუს) კი ითვლებოდა. მაგალითად, Pithecanthropus erectus-ს დღეს ეწოდება Homo erectus იავადან, Sinantrophus pekinesis-ს — Homo erectus პეკინიდან. მათი გაერთიანება 1940-იან წლებში ფრანც ვიდენრეიხის იდეა იყო, რის შემდეგაც 1960-იან და 1970-იან წლებში კლასიფიკაცია ძირითადად ამ მიმართულებით ხდებოდა. მაგრამ 1980-იან წლებში პიტერ ენდრიუსმა განაცხადა, რომ აფრიკული და აზიური განამარხებული ნაშთები, რომლებიც ადრე Homo erectus-ის სახელით იყვნენ ცნობილნი, ერთმანეთისგან იმდენად განსხვავდებოდნენ, რომ ორ განსხვავებულ სახეობად: აზიურ Homo erectus–ად და აფრიკულ Homo erectus–ად უნდა გაყოფილიყვნენ. ასე რომ, ამ ნაშთების თაობაზე კიდევ ერთხელ შეიქმნა განსხვავებული აზრი. Homo erectus ერთი თუ მეტი სახეობაა?

იმის დასადგენად, თუ რომელი ჰიპოთეზა შეესაბამებოდა სიმართლეს, ენდრიუ კრამერმა შეისწავლა სხვადასხვა თავის ქალა, რომლებიც ეკუთვნოდათ აფრიკულ და აზიურ Homo erectus–ებს და ორ სხვა ჯგუფს: თანამედროვე ადამიანს, რომელიც როგორც უკვე ცნობილია, იმავე სახეობას მიეკუთვნება და ადრეული ჰომინიდების ნაშთებს, რომლებიც პირობითად სამ სვადასხვა სახეობას ეკუთვნოდა. კრამერმა დაასაბუთა, რომ თუ აფრიკული და აზიური Homo erectus–ები უფრო ცვალებადნი არ იყვნენ, ვიდრე თანამედროვე ადამიანები, ეს ნაშთები ერთ სახეობას ანუ Homo erectus-ს ეკუთვნოდა, ხოლო უძველესი ჰომინიდები, რომლებიც შერეული ნაშთებით იყვნენ წარმოდგენილნი, უფრო ცვალებადნი უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე თანამედროვე ადამიანები.

საჭირო მონაცემების მიღება მხოლოდ კრამერის მიერ ანალიზისთვის გამოყენებული 16 აფრიკული და აზიური თავის ქალიდან (რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ან არ მიეკუთვნებოდნენ ცალკე სახეობას — Homo erectus-ს) იყო შესა-

ძლებელი, რადგან მხოლოდ მათგან შეიძლებოდა საჭირო ზომების აღება. ისინი 1,8-0,5 მილიონი წლის წინანდელი პერიოდით იყო დათარიღებული. თანაბარი პირობების არსებობისას, დათარიღებაში ასეთი დიდი დიაპაზონის არსებობას მეტი ცვალებადობა უნდა გამოეწვია, ამიტომ უფრო მოსალოდნელი იყო, რომ 16 სავარაუდო Homo erectus-ის თავის ქალა მეტ ცვალებადობას გამოავლენდა, ვიდრე თანამედროვე ადამიანების თავის ქალები. კრამერს უნდოდა ამ 16 თავის ქალის თანამედროვე ადამიანის ამდენივე თავის ქალასთან შედარება. მაგრამ როგორ უნდა აერჩია ეს 16 თავის ქალა შერჩეული უამრავი რაოდენობიდან? (მას ჰქონდა 2,533 გაზომილი თავის ქალა). ნებისმიერი ერთი თავის ქალის შემოწმება საკმარისი არ იქნებოდა, რადგან დარწმუნებით ვერავინ იტყვის, რა რაოდენობის ინფორმაციის მოწოდებას შეძლებდა ამ 16-დან აღებული ნებისმიერი ნიმუში. ამიტომ, კრამერმა გამოიყენა 1000 სხვადასხვა შემთხვევითი ნიმუში 16-ის ასარჩევად.

როგორი იყო შედარებების შედეგები? 16 სავარაუდო Homo erectus-ის თავის ქალამ იმაზე მეტი ცვალებადობა არ უჩვენა, ვიდრე თანამედროვე ადამიანების თავის ქალების უმეტესობამ, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ისინი საერთო წინაპრიდან წარმოიშვნენ. ამ დასკვნის შესამოწმებლად კრამერმა თანამედროვე ნიმუშები უძველესი ჰომინიდების შერეულ ნიმუშებს შეადარა (ცდისთვის ისეთი თავის ქალები გამოიყენეს, რომლებიც საჭირო აზომვებისთვის გამოდგებოდა). იმის გამო, რომ უძველესი შერეული ნიმუშები, სავარაუდოდ, ერთზე მეტი სახეობისგან იყო წარმოშობილი, მას ცვალებადობის მეტი ნიშნები უნდა ჰქონოდა, ვიდრე თანამედროვე ადამიანისას. ასეც იყო. თანამედროვე ადამიანის თითქმის ყველა თავის ქალას ცვალებადობის ნაკლები ნიშნები ჰქონდა, ვიდრე უძველეს შერეულ ნიმუშებს.

ამდენად, კრამერის გამოკვლევამ აშკარად გვიჩვენა, რომ აზიასა და აფრიკაში 1,8-0.5 მლნ წელს შორის მცხოვრები ჰომინიდები Homo erectus-ები იყვნენ.

ამ მაიმუნს "დე ბრაზას" თავის შვილთან ერთად გადაადგილება არ უძნელდება, რადგან პატარას შეუძლია მის ბეწვს მაგრად ჩაეჭიდოს. Homo erectus-ების დედებს კი, როგორც ჩანს, ბეწვი არ ჰქონდათ, რის გამოც, ბავშვების ხელით ტარება უხდებოდათ.

საინტერესო იქნება, თუ წარმოვიდგენთ, რომ აღმოსავლეთ აფრიკაში *Homo erectus* ჰომინიდების ერთ-ერთ სახეობასთან მაინც (*A. boisei*), ან სამივესთან (*A. boisei, A. africanus,* და *H. habilis/rudolfensis*) თანაარსებობდა. რატომ გადარჩა და კარგად გრძნობდა თავს *Homo erectus* მაშინ, როდესაც ზემოთ აღნიშნული სამი სხვა სახეობა გადაშენდა? პასუხი კვლავ კულტურაში უნდა ვეძებოთ. როგორც ჩანს, *A. boisei* განსაკუთრებულად კარგად ბალახოვან ადგილებს იყო შეგუებული. დიდი კბილები და ძლიერი საღეჭი აპარატი საშუალებას აძლევდა მას ეჭამა მაგარი ბალახი, მარცვლეული და სხვა ისეთი უხეში საკვები, რომელსაც სხვა ჰომინიდები ვერ ღეჭავდნენ. თუმცა, მას კონკურენციას იმავე მცენარეების მჭამელი სხვა ცხოველები უწევდნენ, რომლებიც უფრო სწრაფადაც მრავლდებოდნენ და უფრო სწრაფებიც იყვნენ, რომ მტაცებლებისგან თავი დაეღწიათ. ადრეული ჰომო ნამდვილად იყენებდა იარაღებს და მათი საკვებიც, ნაწილობრივ მაინც, ლეშის შეგროვებასა და ნადირობაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ, *Homo erectus*–თან შედარებით, ადრეული ჰომო-ს იარაღის დამზადების ტექნოლოგია უხეში, ხოლო სოციალური ორგანიზაცია ნაკლებად რთული იყო.

Homo erectus, როგორც ჩანს, უკეთ იყო ორგანიზებული, როგორც ლეშის მოპოვების, ისე ნადირობისთვის და მტაცებელთაგან თავის დაცვისთვის. იქნებ სწორედ ეს განსხვავებები იყო *Homo erectus*-ის გადარჩენის მიზეზი.

ეს სცენარიც, ისევე, როგორც სცენარი ადრეული *Homo*-ს ევოლუციის შესახებ, უბრალოდ ზღაპარია, რომელიც ან შეესაბამება სიმართლეს ან — არა. მაგრამ, ის არ შეესაბამება ფაქტებს, რომლებიც ამჟამად *Homo erectus*-ისა და იმ გარემოს შესახებ არსებობს, რომელშიც იგი განვითარდა. მიუხედავად ამ "ზღაპრის" ცალკეული დეტალებისა, ეჭვი არ არის, რომ *Homo erectus*-ის ევოლუციაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურის დონის ამაღლებას.

ქვედა პალეოლითის კულტურები

Homo erectus-ის მიერ ქვის იარაღის დამზადების ტრადიციას **ქვედა პალეოლითური** ეწოდება. ეს ტრადიციები მოიცავს "ნუკლეუსების" დამზადების ტექნიკას, როდესაც ქვის "გულგულა" ანუ ნუკლეუსი უფრო მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს, ვიდრე ანატკეჩების, ქვის იარაღის დასამზადებელი მთავარი ნედლეულია (ქვედა პალეოლითის ქვის იარაღის ტექნოლოგიას მოგვიანებით განვიხილავთ).

იმის გამო, რომ ქვის იარაღი ქვედა პალეოლითში მცხოვრები უძველესი ადამიანის ყველაზე მეტად გავრცელებული კულტურული იარაღია, *Homo erectus*-ის მთელ კულტურას ხშირად ქვედა პალეოლითის კულტურას უწოდებენ.

ითვლება, რომ 1.5 მლნ. - 200,000 წლის წინანდელი არტეფაქტები და იარაღი *Homo erectus*-ის დამზადებულია. მაგრამ ჰომინიდების ნაშთები ამ მასალას ყოველთვის არ უკავშირდება. ამიტომ, შესაძლოა, რომ ამ პერიოდის ზოგიერთი იარაღი სხვა ჰომინიდების მიერაც იყოს დამზდებული. მაგალითად, ავსტრალოპითეკინების მიერ — უფრო ადრე, ან ჰომო საპიენსის მიერ — უფრო გვიან.

მაგრამ, ე.წ. აშელის პერიოდის იარაღის კომპლექტები, რომლებიც 1.5 მლნ.-დან 1 მლნ. წლის წინანდელ პერიოდს მიეკუთვნება, ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ხოლო *Homo erectus*-ის ერთადერთი ჰომინიდია, რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდა. ამდენად, პირობითად ითვლება, რომ სწორედ *Homo erectus* არის აშელის პერიოდის ქვის იარაღის დამამზადებელი. ამ იარაღს ქვემოთ აღვწერთ.

აშელის იარაღის დამზადების ტრადიცია

ქვის იარაღის დამზადების ტრადიციას სახელი დაერქვა ამ იარაღის პირველად პოვნის ადგილის, წმ. აშელის მიხედვით, ეს ადგილი საფრანგეთშია. მაგრამ ყველაზე ძველი აშელური იარაღი, რომელიც 1.5 მლნ. წლის წინ იყო დამზადებული, აღმოსავლეთ აფრიკაში, ტანზანიაში, მდინარე პენინჯის მახლობლად აღმოჩნდა. აშელური იარაღი ოლდუვანურისგან ზომით განსხვავდება და სტანდარტული ფორმისა და დიზაინის მიხედვით არის დამზადებული. ოლდუვანურ იარაღს მჭრელი პირები რამდენიმე დარტყმით აქვს გაკეთებული, აშელურ იარაღს კი — უფრო მეტი რაოდენობის ანატკეჩების ჩამომტვრევით. ამ იარაღის უმრავლესობა ძალიან დიდი ანატკეჩებისგან არის დამზადებული, რომლებიც ასევე დიდი ნუკლეუსებიდან ან ქვებიდან არის ჩამომტვრეული.

ყველაზე დამახასიათებელი და გვრცელებული აშელური იარაღია ქვის ორფერდა ხელცულები, რომელთაც ცრემლის ფორმა და გათხელებული, გალესილი წვერი აქვთ. დიდი ზომის სხვა იარაღი ქვის დანებს და წერაქვებს მოგვაგონებს. ნაპოვნია აგრეთვე მრავალი ანატკეჩი, რომლებიც ფართოპირიან საფხეკებს წარმოადგენს.

ადრეული აშელის იარაღი, როგორც ჩანს, მაგარი ქვის დარტყმით იყო დამზადებული. უფრო გვიანდელი იარაღი კი, რომელიც უფრო განიერი და ბრტყელია, ალბათ, ძვლის ან ირმის რქის უფრო რბილი ჩაქუჩით უნდა დაემზადებინათ. ქვის იარაღის რბილი ქვის ტექნიკით დამზადება მნიშვნელოვანი ინოვაცია იყო. მაგარი ჩაქუჩის ტექნიკით (ქვის ქვაზე დარტყმით) ქვის იარაღის დამზადების დროს ბასრი და სასურველი ფორმის იარაღის დამზადება ძალიან ძნელია, რადგან ქვის დარტყმით მხოლოდ დიდი და სქელი ანატკეჩების ჩამომტვრევაა შესაძლებელი (იმ გამონაკლისით, როდესაც ხელოსანი ძალიან დახელოვნებულია ან განსაკუთრებულ ქვასთან გვაქვს საქმე). რბილი ჩაქუჩის ტექნოლოგიით ჩამომტვრეული ანატკეჩები უფრო თხელი და გრძელია, ხელოსანსაც უკეთ შეუძლია მისი ზომისა და ფორმის გაკონტროლება. ანუ შესაძლებელია უფრო თხელი, მჭრელი და რთული ფორმის იარაღის დამზადება. ხელცულების დამზადება ორივე მეთოდით შეიძლებოდა, რადგან მათი ფორმა მარტივია, მაგრამ ის ხელცულები, რომლების უფრო თხელია და მჭრელი, ალბათ, რბილი ჩაქუჩით უნდა ყოფილიყო დამზადებული.

გამოიყენებოდა თუ არა ხელცულები ხის საჭრელად? ამის თქმა ძნელია, მაგრამ როგორც ცდის შედეგად აღმოჩნდა, ისინი ხის საჭრელად არ გამოდგებოდნენ. როგორც ჩანს, ამ ხელცულებს უფრო დიდი ზომის ცხოველების ხორცის დასამუშავებლად იყენებდნენ. ლორენს ქილიმ აშელის ხელცულების მიკროსკოპული შესწავლის შედეგად დაადასტურა, რომ მათი ცვეთის კვალი უფრო საყასბო საქმიანობის შესაბამისი იყო. შესაძლებელია მათ ხის დასამუშავებლადაც იყენებდნენ, მაგალითად — მის გასათლელად ან გასახვრეტად. ეს ცული გამოდგებოდა მიწის სათხრელადაც. უილიამ ქალვინმა გამოთქვა აზრი, რომ ცხოველებზე ნადირობისას ასეთი ხელცულის დისკოსებურად სროლაც შეიძლებოდა მათი დაჭრის ან მოკვლის მიზნით.

აშელის იარაღი დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი აფრიკაში, ევროპასა და დას. აზიაში, მაგრამ ორფერდა ქვის ცულები, დანები და წერაქვები აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შედარებით მცირე რაოდენობით აღმოჩნდა. იმის გამო, რომ *Homo erectus* ძველი სამყაროს ყველა რეგიონშია აღმოჩენილი, საინტერესოა, რატომ არის იარაღის დამზადების განსხვავებული ტრადიცია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ზოგი არქეოლოგის აზრით, დიდი ორფერდა იარაღი იმიტომ არის ნაკლებად გავრცელებული აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რომ აზიაში *Homo erectus*-ს იარაღის დასამზადებლად უკეთესი მასალა — ბამბუკი ჰქონდა. ბამბუკი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შემდეგაც მრავალი დანიშნულებით გამოიყენებოდა: ძალიან წვეტიანი ისრების, მიწის სათხრელი და საჭრელი იარაღის დასამზადებლად. ჯეფრი პოუპმა დაასკვნა, რომ ბამბუკი აზიის სწორედ იმ ადგილებში იზრდება, სადაც ხელცულებისა და დიდი ზომის ორფერდა იარაღის ნაკლებობა აღინიშნება.

დიდი ზომის ცხოველების ჭამა

ზოგ აშელურ ძეგლზე დიდი ზომის ცხოველებზე ნადირობისა და მათი ჭამის დამამტკიცებელი მასალა აღმოჩნდა. ფ. კლარკ ჰოუელმა, რომელმაც ესპანეთში ძეგლები: ტორალბა და ამბრონა გათხარა, დიდი რაოდენობის სპილოს ნაშთები და ადამიანის მიერ დამზადებული იარაღი აღმოაჩინა. ჰოუელის აზრით, ადამიანები სპილოების შესაშინებლად ცეცხლს იყენებდნენ, რათა ჭაობებისკენ გაერეკათ, საიდანაც თავს ვეღარ დააღწევდნენ. ამგვარი ნადირობისთვის ადამიანებს ერთობლივი გეგმა უნდა შეემუშავებინათ და დიდ ჯგუფებად გაერთიანებულიყვნენ.

მაგრამ ამტკიცებს თუ არა დიდი და საშუალო ცხოველების ძვლების ადამიანის მიერ დამზადებულ იარაღთან ერთად აღმოჩენა იმას, რომ ადამიანები ამ ცხოველებზე ნადირობდნენ? ზოგი მეცნიერის აზრით, რომელთაც ესპანეთში ძეგლები ტორალბა და ამბრონა შეისწავლეს, შესაძლებელი იყო ადამიანებს ამ ცხოველების მხოლოდ ლეშით ესარგებლათ. იმის გამო, რომ ძეგლები ტორალბა და ამბრონა უძველესი მდინარეების (ნაკადულების) დინებების მახლობლად მდებარეობდნენ, შესაძლოა, ბუნებრივი სიკვდილით დაღუპული სპილოების ძვლები დინებას გარკვეულ ადგილებში შეეგროვებინა. ერთი რამ აშკარაა, რომ ადამიანები გააზრებულად ანაწევრებდნენ სხვადასხვა ცხოველს, რადგან სხვადასხვა ცხოველის ძვლების მახლობლად სხვადასხვანაირი ქვის იარაღია აღმოჩენილი. ამგვარად, საკამათოა, ნადირობდნენ თუ არა ადამიანები დიდ ცხოველებზე ტორალბასა და ამბრონაში; ერთადერთი, რაშიც შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, არის ის, რომ დიდ ცხოველებს ჭამდნენ, ხოლო უფრო პატარა ცხოველებზე, ალბათ, ნადირობდნენ.

ცეცხლის გამოყენება

ნადირობის ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც Homo erectus იყენებდა, იყო ცეცხლით ნადირობა, რომელიც დღემდე გამოიყენება მონადირე ან შემგროვებელი ჯგუფების მიერ. ეს მეთოდი ძალიან ეფექტურია. ცეცხლით ცხოველებს გამოდევნიან ბუნაგებიდან ან სამალავებიდან და მიერეკებიან მონადირეებისკენ, რომლებიც ქარის მიმართულებით არიან ჩასაფრებულნი. ადამიანების უმეტესობა, რომლებიც ამ მეთოდს იყენებდნენ, ცეცხლს შეგნებულად ანთებდნენ, მაგრამ გამოიყენებოდა მეხის დაცემით გამოწვეული ცეცხლიც. ანთებდა თუ არა ცეცხლს *Homo erectus*? იმის გამო, რომ ის ერთადერთი ჰომინიდია, რომელიც ცივი ზამთრის პირობებში ცხოვრობდა, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ანთებდა და იყენებდა ცეცხლს, გათბობის მიზნით მაინც. ზოგიერთ ადრეულ ძეგლზე ცეცხლის გამოყენების აშკარა კვალია აღმოჩენილი, მაგრამ ცეცხლი ბუნებრივი გზითაც შეიძლებოდა გაჩენილიყო. ამდენად, ჯერ კიდევ ზუსტად ცნობილი არ არის, შეგნებულად აკონტროლებდა თუ არა ცეცხლს

Homo erectus.

ამის სავარაუდო, მაგრამ არა გადამწყვეტი მტკიცებულება, რომელიც 1.4 მილიონი წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება, კენიაში, აღმოსავლეთ აფრიკაში აღმოჩნდა. უფრო სარწმუნო, მაგრამ ასევე დაუზუსტებელი მტკიცებულება აღმოჩნდა ჩინეთში, ჩოუ კოუ დიანის გამოქვაბულში, სადაც *Homo erectus*-ის 500000 წლის წინანდელი პერიოდით დათარიღებული ძვლები იპოვეს. აქ ცხოველთა უამრავი დამსხვრეული და დანახშირებული ძვალია, რომლებიც, როგორც ჩანს, საკვების ნარჩენებად უნდა ჩავთვალოთ. აქვე აღმოჩნდა ნაცრის ფენებიც, რაც ადამიანის მიერ ცეცხლის გამოყენებაზე მიუთითებდა.

ამ აღმოჩენებთან დაკავშირებით მრავალი კითხვა გაჩნდა: საქმე ის არის, რომ ადამიანის ძვლები, იარაღი და ნაცარი ერთსა და იმავე ფენაში, ერთად იშვიათად ჩნდება. გარდა ამისა, ჩოუ კოუ დიანის ძეგლზე კერის ნაშთები აღმოჩენილი არ არის. იმ ადგილებში, სადაც დიდი რაოდენობით ორგანული ნივთიერება იყო დაგროვილი, ცეცხლი შეიძლება სპონტანურადაც გაჩენილიყო. ამდენად, ადამიანის მიერ ცეცხლის გაკონტროლების უტყუარი დადასტურება ამ ძეგლზეც არ მოხდა. ერთადერთი, რისი დაშვებაც შეიძლება, ის არის, რომ ადამიანებმა, შესაძლოა, ცხოველები გამოქვაბულში დასანაწევრებლად მიიტანეს, მაგრამ იმის გამო, რომ მთელ გამოქვაბულში გიენებისა და მგლების კვალი აღინიშნება, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, აქ სწორედ მათ შეაგროვეს ცხოველების ნაწილები და არა ადამიანებმა.

ცეცხლის შეგნებული გამოყენების დადასტურება უფრო გვიანდელ პერიოდში ევროპულ ძეგლებზეა შესაძლებელი. სამწუხაროდ, არც ამ ძეგლებზე ხეხრხდება ცეცხლის კონტროლის *Homo erectus*-ის განამარხებულ ნაშთებთან დაკავშირება. აშკარა დამამტკიცებელი მასალის არ არსებობა, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ *Homo erectus* ცეცხლს არ იყენებდა, რადგან ცნობილია, რომ მან უფრო ცივ კლიმატურ პირობებში გადაინაცვლა და წარმოუდგენელია, რომ იქ ცეცხლის შეგნებული გამოყენების გარეშე ეარსება. ეს მით უფრო წარმოუდგენლად გვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი სხეული ბეწვით დაფარული არ იყო და სიცივეში თბილი ტყავებითა და ბეწვით არ იმოსავდნენ სხეულს.

თბილი ტანსაცმელი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ცეცხლის გამოყენება, თანაც არა მხოლოდ გასათბობად. აუცილებელი იქნებოდა საკვების ცეცხლზე მომზადება. ცეცხლის გაკონტროლება უნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო ადამიანის მიერ ენერგიის გაკონტროლების თვალსაზრისით. ცეცხლის გამოყენებით დამზადებული ყველა სახის საკვები ბევრად უფრო უსაფრთხო, ადვილად მოსანელებელი და ადვილად შეთვისებადი იყო. ცეცხლი ადამიანებს მტაცებლებისაგანაც იცავდა, რაც მისი გამოყენების მრავალი უპირატესობიდან ერთ–ერთია.

ბანაკები

აშელური ძეგლები ჩვეულებრივ წყალთან ახლოს მდებარეობენ, ასეთ ადგილებში ბევრი მცენარე და ბალახის მჭამელი ბევრი ცხოველი იყო. ზოგიერთი ბანაკი გამოქვაბულში იყო მოთავსებული, მაგრამ მათი უმეტესობა გაშლილ ადგილებში ბინადრობდა, სადაც რუდიმენტული ფორტიფიკაციები და ბუნებრივი ქარსაცავები არსებობდა. აფრიკაში აღმოჩენილი ზოგიერთი ძეგლი გარშემორტყმული ქვაყრილით გამოირჩეოდა, რომელიც იქ *Homo erectus*-მა, ალბათ, ორი მიზნით: ქარისა და მოულოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად ააგო.

ე.წ. საბაზო ბანაკებში მრავალფეროვანი იარაღის აღმოჩენა მიგვანიშნებს იმაზე, რომ, ალბათ, აქ სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდნენ. ბანაკიდან მოშორებით შედარებით უფრო სპეციალიზებული ძეგლები აღმოჩნდა, სადაც უფრო ერთი ტიპის იარაღი დომინირებდა. მაგალითად, ტანზანიის ერთ-ერთ ძეგლზე, რომელიც "საყასბო" საქმისთვის დამახასიათებელი ინვენტარით გამოირჩეოდა, უამრავი დასარტყამი და საჭრელი იარაღი და ჰიპოპოტამის დანაწევრებული ჩონჩხი აღმოჩნდა. სპეციალიზებული ძეგლების კიდევ ერთი სახეობაა სახელოსნოები, რომლებიც საკმაოდ ხშირია. მათ ახასიათებთ იარაღის ნამტვრევების სიმრავლე, უმთავრესად ქვის მოპოვების ადგილთან ახლოს მდებარეობენ.

ერთ-ერთი ბანაკი საფრანგეთის რივიერაზე, ნიცასთან ახლოს, ადგილ ტერა ამატასთან აღმოჩნდა. ადამიანის გაქვავებულ ექსკრემენტებში აღმოჩენილი ყვავილის მტვრის მიხედვით, ადამიანები ამ ადგილს გვიან გაზაფხულზე ან ადრეულ ზაფხულში იკავებდნენ. გათხრების დროს ქვიშაში პალოს ჩასარჭობი ორმოები აღმოჩნდა, რომლებიც ერთმანეთთან ქვის ზოლებით იყო დაკავშირებული და ალბათ იმ ადგილებს აღნიშნავდნენ, სადაც ქოხები იყო აშენებული, რომელთა ფართობი დაახლოებით 15



Homo erectus ჭამდა და ალბათ ნადირობდა კიდევაც დიდ ცხოველებზე. სავარაუდოდ, მან ცეცხლის გამოყენებაც ისწავლა.



სურათი 7-8 **ტერა ამატაში აღმოჩენილი მრგვალი ქოხის რეკონსტრუქცია. მისი ზომა დაახლოებით 30 X 15 ფუტი უნდა ყოფილიყო.**

X 30 უნდა ყოფილიყო (სურ. 7-8). თითოეული ქოხის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი შუაში მოთავსებული კერა იყო, რომელსაც ორპირი ქარისგან ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ამოყვანილი დაბალი კედელი იცავდა. აღმოჩენილი მასალიდან გამომდინარე, ტერა-ამატას მცხოვრებნი აგროვებდნენ ზღვის მოლუსკებსა და მიდიებს, თევზაობდნენ და მახლობელ ტერიტორიაზე ნადირობდნენ. ცხოველური ნაშთებიდან ჩანს, რომ მათი ნადავლი იყო როგორც დიდი, ისე მცირე ზომის ცხოველები. მაგალითად: ირემი, სპილო, ტახი, მარტორქა და რქოსანი პირუტყვი. ზოგ ქოხში თვალსაჩინოა იარაღის ხელოსნის სამუშაო ადგილი, სადაც იარაღის ნამტვრევები ყრია. იმ ადგილს, ხშირად სადაც ხელოსანი იჯდა, ცხოველის ტყავის ანაბეჭდიც ეტყობა.

რელიგია და რიტუალები

აქამდე, ქვედა პალეოლითის ადამიანზე მსჯელობისას და ბოლო თავში, სადაც გვიანი პლიოცენის პერიოდის ადამიანზე ვმსჯელობდით, არ შევხებივართ მათი არსებობის ნაკლებად მატერიალურ მხარეს — რელიგიასა და რიტუალებს. როგორი წარმოდგენა ჰქონდა *Homo erectus*-ს გარემომცველი სამყაროს შესახებ? ატარებდნენ თუ არა ისინი რიტუალებს? ჰქონდა თუ არა *Homo erectus*-ს რელიგია? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო ინფორმაცია ძალიან ცოტაა, მაგრამ არსებობს ზოგიერთი მინიშნება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ რელიგია ქვედა პალეოლითის ადამიანების კულტურის ნაწილი იყო.

ქვედა პალეოლითის მთელ რიგ ძეგლებზე წითელი ჟანგმიწის (დაჟანგული თიხა) ნაშთებია აღმოჩენილი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მრავალ უფრო გვიანდელ და თანამედროვე კულტურებშიც კი სხვადასხვა ტიპის რიტუალი წითელი ჟანგმიწა სისხლის ან ზოგადად, სიცოცხლის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ოქროს განსაკუთრებული მნიშვნელობა დამკრძალავ რიტუალებში ენიჭებოდა. აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ნაშთები, რომელთაც ოქროს კვალი ეტყობათ და ქვედა პალეოლითის ანუ დაახლოებით 200,000 წლის წინანდელი პერიოდით თარიღდებიან. თუმცა არ არსებობს არავითარი მტკიცებულება, რომ Homo erectus-ები თავის მიცვალებულებს კრძალავდნენ ან რომ რიტუალებში ოქროს იყენებდნენ. ის შეიძლება სხეულის მოსართავად, ან მწერებისგან თავის დასაცავად გამოიყენებოდა.

უფრო მნიშვნელოვანი და იქნებ უფრო საკამათოა ჩოუ კოუ დიანის (ჩრდილოეთ ჩინეთი) შემსწავლელების ჰიპოთეზა, რომ Homo erectus-ის ზოგიერთ ნაშთს კანიბალიზმის რიტუალის კვალი ეტყობა. ზოგიერთი ინდივიდის თავის ქალის ქვედა ხვრელი შეგნებულად არის გადიდებული, ხოლო სახის ძვლები - ჩამსხვრეული. ამის მიზეზი შეიძლება ტვინის ამოღება ყოფილიყო, რასაც რიტუალი ითვალისწინებდა. არსებობს ცნობები რიტუალური კანიბალიზმის თანამედროვე ადამიანებში გავრცელების შესახებაც. ამდენად, უძველეს ადამიანებში მისი არსებობა დაუშვებელი არ უნდა იყოს. მაგრამ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თავის ქალის ის ნაწილები, რომლებიც თითქოს შეგნებულად არის ჩამსხვრეული, მის ყველაზე სუსტ ნაწილებს წარმოადგენს და გამორიცხული არ არის, რომ ლპობის ან სხვა რაიმე დაზიანების გამო იყოს დაშავებული. ამდენად, დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რომ რელიგია და რიტუალი პალეოლითური კულტურის ნაწილებს წარმოადგენდნენ.

შეჯამება

1. დღემდე ნაპოვნი ადრეული, აშკარად გამოხატული ქვის იარაღი ძირითადად აღმოსავლეთ აფრიკის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი და დაახლოებით, 2 მლნ. წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება. განსაკუთრებით ბევრია ქვის ანატკეჩები, მაგრამ მრავლადაა საჩეხებიც. საჩეხები ისეთი ნუკლეუსებია, რომლებსაც ცალი მხრიდან ანატკეჩები ჩამომტვრეული აქვთ. ამ ადრეულ ქვის იარაღს ოლდოვაური ეწოდება.
2. არქეოლოგებმა ოლდოვაური იარაღის გამოყენებაზე ცდები ჩაატარეს. აღმოჩნდა, რომ ანატკეჩების გამოყენება მრავალი დანიშნულებით შეიძლება, როგორიც არის, მაგალითად, ტყავის დამუშავება, ცხოველების დანაწევრება და ხის გათლა; საჩეხებით შეიძლება ტოტების მოჭრა და ცხოველების სახსრების დაჭრა-დაჩეხვა; დაახლოებით 2 მლნ. წლის წინანდელ პერიოდზე უფრო გვიან ჰომინიდები ჭრიდნენ ცხოველთა სხეულს.
3. არსებობს არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც დაახლოებით 2 მლნ. წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება და რომლებზეც დიდი რაოდენობით ქვის იარაღი და ცხოველთა ძვლებია აღმოჩენილი. ზოგი მეცნიერის აზრით, ეს ადრეული ჰომინიდების საცხოვრებელი ბაზებია, სხვების აზრით კი არა. თუ ეს ძეგლები საცხოვრებელი ბაზები არ იყო, რა შეიძლებოდა ყოფილიყო? ზოგი არქეოლოგი ფიქრობს, რომ ამ ადგილებზე ჰომინიდები საკვებს ამუშავებდნენ, მაგრამ იქ არ ცხოვრობდნენ.
4. ქვის იარაღისა და საცხოვრებელი ბაზების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ადრეულ ჰომინიდებს კულტურა ჰქონდათ. კულტურა არის ნასწავლი, გაზიარებული ქცევებისა და წარმოდგენების ერთობლიობა.
5. ადრეულ ჰომინიდებში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ფიზიკური ცვლილებები, რომლებმაც ჩვენი, *homo*-ს გენის ევოლუციამდე მიგვიყვანა, მოიცავდა ტვინის მოცულობის ზრდას, მდედრის მენჯის ფორმის ცვლილებას უფრო დიდი მოცულობის ტვინის მქონე ბავშვების გასაჩენად; აგრეთვე სახის, კბილებისა და ყბების ზომების შემცირებას. ეს ფიზიკური ცვლილებები აღინიშნება *Homo habilis*-ის და *Homo rudolfensis*-ის სახეობებში, რომლებიც დაახლოებით 2,3 მლნ. წლის წინ ცხოვრობდნენ.
6. *Homo erectus* დაახლოებით 1,8-1,6 მლნ. წლის წინ გამოჩნდა. მისი ტვინი უფრო დიდი მოცულობის იყო, ვიდრე *Homo habilis*-ისა, ხოლო მისი კეფის ძვლების აგებულება თანამედროვე ადამიანისას უახლოვდებოდა. *Homo erectus*-ის ჩონჩხი თანანმედროვე ადამიანების ჩონჩხისგან ყველაზე მეტად თავის ქალის ფორმით განსხვავდება, რომელიც წაგრძელებულია, დაბალი და წინ წამოწეული წარბის რკალები აქვს.
7. *Homo erectus* ჰომინიდების პირველი სახეობა იყო, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ძველ სამყაროში. ზოგიერთი ადგილი ევროპასა და აზიაში, სადაც *Homo erectus*-ი ცხოვრობდა, ცივი კლიმატით გამოირჩეოდა, მან შეძლო ასეთ ცივ პირობებთან შეგუება.
8. ქვედა პალეოლითის იარაღი და სხვა კულტურული არტეფაქტები 1,6-0,2 მლნ. წლის წინანდელ პერიოდამდე, სავარაუდოდ *Homo erectus*-ის დამზადებულია. სახელი „აშელური“ ამ პერიოდში იარაღის დამზადების ყველაზე ცნობილ ტრადიციას ეწოდა. აშელური იარაღი მოიცავს როგორც მცირე ზომის ანატკეჩებს, ისე დიდ იარაღებს, მაგრამ მისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ხელცულები და დიდი ზომის სხვა, ორფერდა იარაღები.
9. მართალია, ითვლება, რომ *Homo erectus*-ს ნასწავლი ჰქონდა, როგორ უნდა გადარჩენილიყო ზამთრის სიცივეში ცეცხლის დახმარებით, მაინც არ არსებობს მის მიერ ცეცხლზე კონტროლის პირდაპირი მტკიცებულებები. რამდენიმე ძეგლზე დიდი ცხოველების ჭამის დამადასტურებელი მასალაა აღმოჩენილი, მაგრამ საკამათოა, *Homo erectus* მათზე ნადირობდა თუ არა; ასევე, მცირე რაოდენობის მასალა აღმოჩნდა მათ შორის რიტუალური ქცევების არსებობის შესახებ.

საკონტროლო კითხვები:

1. რატომ დაიწყეს ადრეულმა ჰომინიდებმა ქვის იარაღის დამზადება? რატომ იყო ქვის იარაღი უფრო გამოსადეგი ვიდრე ხის ან ძვლისა?
2. როგორ უკავშირდება ადრეულ ჰომინიდებში გამოვლენილი ფიზიკური ცვლილებები მათ ქცევაში გაჩენილ აშკარა ცვლილებებს?
3. რით განსხვავდება *Homo erectus*-ის კულტურა ადრეული ჰომინიდების კულტურისგან?
4. ადრეულ ჰომინიდებთან შედარებით **Homo erectus**-ს უფრო დიდი მოცულობის ტვინი და უფრო მცირე ზომის კბილები აქვს. როგორ უკავშირდება ეს ფიზიკური ცვლილებები *Homo erectus*-ის ქცევაში მომხდარ აშკარა ცვლილებებს?
5. *Homo erectus* ძველი სამყაროს მრავალ კუთხეში ცხოვრობდა. რამ მისცა მათ ასეთ დიდ ტერიტორიაზე გავრცელების საშუალება?

HOMO SAPIENS-ის წარმოშობა

8

თავების შინაარსი

- Homo ereqtus-დან Homo sapiens-ზე გადასვლა
- შუა პალეოლითის კულტურები
- თანამედროვე ადამიანების წარმოშობა
- რა დაემართათ ნეანდერტალელებს?

პალეოანთროპოლოგები ფიქრობდნენ, რომ ჩვენი სახეობა — ჰომო საპიენსი ბოლო 50000 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, ამჟამად ჩვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი სახეობა ბევრად უფრო ადრე გაჩნდა (იხ. სურ. 8-1). თარიღი 50000 წელი — ევროპისთვის მისაღებია, მაგრამ სამხრეთ აფრიკასა და სხვაგან გაკეთებული ბოლოდროინდელი აღმოჩენების მიხედვით, ჰომო საპიენსის არსებობა დაახლოებით 100000 წლის წინაც დასტურდება. თანამედროვე ადამიანის გარეგნობის მქონე Homo sapiens sapiens 50000 წლის წინ გაჩნდა. პალეოანთროპოლოგის — ქრისტოფერ სტრინგერის აზრით, **Homo sapiens sapiens**-ს ჰქონდა „თაღისებური ფორმის თავის ქალა, ნიკაპი, პატარა წარბები, წარბების რკალები და საკმაოდ სუსტი ჩონჩხი“. ზოგ ჩვენგანს იქნებ არ მოეწონოს სუსტს თუ უწოდებენ, მაგრამ თუ არაფერს ვიტყვით ჩვენ დიდი მოცულობის ტვინზე, თანამედროვე ადამიანთა უმეტესობა, *Homo erectus*-თან და უფრო გვიანდელ *Homo sapiens*-თან შედარებითაც კი, ბევრად უფრო სუსტი აღნაგობის. ჩვენ შედარებით სუსტები რამდენიმე ასპექტში ვართ, როგორც ჩვენი უფრო თხელი და მსუბუქი ძვლების, ისე უფრო პატარა კბილებისა და ყბების თვალსაზრისით.

ამ თავში განვიხილავთ გათხრების შედეგად ნაპოვნ მასალას, ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს *homo erectus*-ის თანამედროვე ადამიანად გარდაქმნის შესახებ, რომელიც დაახლოებით 50000 წლის წინ უნდა დაწყებულიყო. ვისაუბრებთ იმის შესახებ, რაც არქეოლოგიური თვალსაზრისით არის ცნობილი შუა პალეოლითის 30000-40000 წლების წინანდელი პერიოდის კულტურების შესახებ.

Homo erectus-დან Hhomo sapienს-ზე გადასვლა

პალეოანთროპოლოგთა უმრავლესობის საერთო აზრით, *Homo erectus*-მა ევოლუცია განიცადა და *Homo sapiens*-ად ჩამოყალიბდა, მაგრამ ისინი ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ როგორ და სად მოხდა ეს გარდაქმნა. გარდა ამისა, მათ სხვადასხვა აზრი აქვთ 500000—2000000 წლის წინანდელი განამარხებული ნაშთების კლასიფიკაციაზე, რომელთაც *Homo erectus*-სა და *Homo sapiens*-ისათვის დამახასიათებელი შერეული ნიშან-თვისებები აქვთ.

სურათი8-1 **თანამედროვე ადამიანების გამოჩენის თარიღი***



რომელიმე განამარხებულ ინდივიდს ზოგიერთი ნიშან-თვისების გამო, შეიძლება *Homo erectus* ეწოდოს, ზოგის გამო კი — „არქაული“ Homo sapiens. როგორც დავინახავთ, ზოგი ანთროპოლოგი იმდენ საერთო ნიშანს ხედავს ამ ორ სახეობას შორის, რომ მათ სხვადასხვა სახეობად არ მიიჩნევს. ამ ანთროპოლოგთა აზრით, *Homo erectus* და *Homo sapiens* ერთი და იმავე სახეობის ადრეული და გვიანდელი ვარიანტებია და მათ საერთო სახელი — *Homo sapiens* უნდა ეწოდებოდეთ. (აქედან გამომდინარე, *Homo erectus*-ს — *Homo sapiens erectus* დაერქმევა).

Homo Heidelbergensis

ბოლო ხანებში მეცნიერებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ “ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚ” განამარხებულ ნაშთებს ბევრი საერთო ნიშანი აქვთ და შეიძლება არიან კიდევაც ცალკე სახეობა — **Homo Heidelbergensis**, რომელსაც ეს სახელი 1907 წელს გერმანიაში, ჰაიდელბერგის მახლობელ სოფელ მაუერში აღმოჩენილი ყბის მიხედვით დაერქვა. სხვა ნიმუშები, რომლებიც როგორც ვარაუდობენ, ამავე სახეობას ეკუთვნის, მსოფლიოს მრავალ კუთხეშია აღმოჩენილი: ბოდო, ჰოუპფილდი, ნდუტუ, ელანდსფაუნტინი და რაბათი — აფრიკაში; ბილცინგსლებენი, პეტრალონა, არაგო, სტეინჰეიმი და სვონსკომბი — ევროპაში; დალი და სოლო — აზიაში.

Homo Heidelbergensis Homo erectus-ისგან უფრო პატარა კბილებით, ყბებითა და უფრო დიდი მოცულობის ტვინით (დაახლოებით 1300 სმ3) განსხვავდება. გარდა ამისა, მის თავის ქალას არ გააჩნია საგიტალური კილი (წამონაზარდი) და კეფის ტორუსი, წარბების რკალი იყოფა ცალკეულ თაღებად თითოეული თვალის ზემოთ, ამასთან, მათი ჩონჩხი უფრო ძლიერია (იხ. სურ. 8-2). *Homo Heidelbergensis Homo sapiens*-ისგან იმით განსხვავდება, რომ შენარჩუნებული აქვს დიდი და პროგნატული სახე შედარებით დიდი კბილებითა და ყბებით, წარბების ხაზით, თავის ქალის გრძელი, დაბალი თაღით, დაქანებული შუბლითა და უფრო ძლიერი ჩონჩხით.

მეცნიერებს უჩნდებათ კითხვა: *Homo Heidelbergensis* შუა პლიოცენის ჰომინიდების ერთ ან რამდენიმე სახეობას წარმოადგენს, თუ მართლაც ცალკე სახეობაა? ალბათ, მრავალი მეცნიერი ჩათვლის, რომ *Homo Heidelbergensis* არქაულ *homo sapiens*-ად უნდა იქნას აღიარებული. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ზოგი მეცნიერი იმასაც ამტკიცებს, რომ *Homo erectus Homo sapiens*-ების სახეობას უნდა მიეკუთვნოს.

Homo Heidelbergensis-ის თავის ქალის რეკონსტრუქცია, რომელიც გაკეთებულია გერმანიაში, ჰაიდელბერგის მახლობელ სოფელ მაუერში აღმოჩენილი ქვედა ყბის მიხედვით. მართალია, ის Homo erectus-ს მოგვაგონებს, მაგრამ იმავდროულად, უფრო პატარა კბილები, ყბები და ტვინის უფრო დიდი მოცულობა აქვს.

ᲜᲔᲐᲜᲓᲔᲠᲗᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘ: *Homo sapiens* ᲗᲣ *Homo neandertalensis*?

მართალია, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ რომელ სახეობას მიეკუთვნებიან 500000—200000 წლის წინ მცხოვრები შერეული ნიშან-თვისებების მქონე განამარხებული ინდივიდები, მაგრამ არც თუ ისე დიდი ხნის წინ სერიოზული კამათი დაიწყო იმ განამარხებული ნაშთების შესახებ, რომელთა ასაკი 200000 წელია. ზოგი ანთროპოლოგის აზრით, ისინი ნამდვილად Homo sapiens-ს ეკუთვნის და Homo sapiens neandertalensis დაარქვეს (ჩვეულებრივ, მათ ნეანდერტალელებს უწოდებენ). მას შემდეგ, რაც 1856 წელს ამ სახეობის პირველი ნიმუში აღმოჩნდა, **ნეანდერტალელები** სერიოზულ დაბნეულობას იწვევენ. წლების განმავლობაში ეს სახეობა მულტფილმების გმირებთან გააიგივეს, სადაც ისინი ადამიანის მსგავს უფრო დიდი ზომის მაიმუნებად არიან წარმოდგენილნი, ვიდრე ადამიანებად. ფაქტობრივად, ისინი შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ მსოფლიოს თანამედროვე ადამიანთა პოპულაციების ჭრილში. წარმოადგენდნენ თუ არა ისინი ჩვენი სახეობის ნაწილს? თავიდან ამ კითხვას შეიძლება დადებითი პასუხი გაეცეს, მაგრამ უახლესი არქეოლოგიური და გენეტიკური მონაცემების ფონზე, მრავალი კითხვა გაჩნდა ნეანდერტალელებისა და თანამედროვე ადამიანების დამოკიდებულების შესახებ, რაც მათ ერთ სახეობაში გაერთიანებას ეწინააღმდეგება. გადავხედოთ ნეანდერტალელების კვლევის ისტორიას.

1856 წელს, დარვინის „სახეობათა წარმოშობის“ გამოქვეყნებამდე სამი წლით ადრე, გერმანიაში, დიუსელდორფთან ახლოს, ნეანდერის ველზე („ტალ“ გერმანულად ველს ნიშნავს) მდებარე გამოქვაბულში განამარხებული თავის ქალა და სხვა ძვლები აღმოჩნდა. ეს ძვლები მეცნიერებმა პირველ ჰომინიდებს მიაკუთვნეს (Homo erectus-ის განამარხებული ნაშთები მხოლოდ XIX ს-ის ბოლოს, ავსტრალოპითეკებისა კი XX საუკუნეში აღმოჩნდა). მას შემდეგ, რაც დარვინის რევოლუციური შრომა გამოქვეყნდა, ნეანდერტალელების გარშემო აზრთა სხვადასხვაობა დაიწყო. რამდენიმე ევოლუციონისტმა მეცნიერმა, როგორიც იყო თომას ჰაქსლი, გამოთქვა აზრი, რომ ნეანდერტალელი თანამედროვე ადამიანისგან არც ისე განსხვავდებოდა. სხვები პირიქით, ნეანდერტალელებს ადამიანის ევოლუციისგან შორს აყენებდნენ და ამბობდნენ, რომ ის პათოლოგიური სიმახინჯის ცალკეული ინდივიდი იყო. მას შემდეგ, რაც მსგავსი ძვლები აღმოჩნდა ბელგიაში, იუგოსლავიაში, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ადგილებშიც, გამოირკვა, რომ პირველად აღმოჩენილი ნეანდერტალელის უგულებელყოფა, როგორც ერთადერთი, განსხვავებული ინდივიდისა, არ შეიძლებოდა.

ნეანდერტალელთა პირველ და შემდგომ აღმოჩენებთან დაკავშირებით დომინირებდა აზრი, რომ ისინი ძალზე „ცხოველური“ და „პრიმიტიულები“ იყვნენ იმისათვის, რომ თანამედროვე ადამიანების ნინაპრები ყოფილიყვნენ. ეს შეხედულება მეცნიერებს შორის 1950-იან წლებამდე იყო გაბატონებული და მისი თავგამოდებული მხარდამჭერი იყო მარსელინ ბულე. 1908-1913 წლებში ის ამტკიცებდა, რომ ნეანდერტალელებს განვითარებული ბიპედალიზმი არ ახასიათებდათ. მის მიერ შესწავლილ ჩონჩხს მოღუნული ფეხები და ხერხემალი ჰქონდა, რამაც მეცნიერი შეცდომაში შეიყვანა: ჩვეულებრივ, ნეანდერტალელებს ასეთი ნიშნები არ აქვთ. ეს ინდივიდი კი, ალბათ, დაავადებული იყო. ამჟამად უკვე დამტკიცებულია, რომ ნეანდერტალელების ჩონჩხი სრულიად შეესაბამება ბიპედალიზმის მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ, როდესაც 1940-1950-იან წლებში ავსტრალოპითეკინისა და Homo erectus-ის ბევრად უფრო ძველი ნაშთები ჰომინიდებად ჩათვალეს, ანთროპოლოგები მიხვდნენ, რომ ნეანდერტალელები არც



სურათი 8-2 Homo Heidelbergensis-ის, Homo neandertalensis-ისა და Homo sapiens-ის თავის ქალების შედარება. ნაჩვენებია მნიშვნელოვანი განსხვავებანი.

იმდენად განსხვავდებოდნენ თანამედროვე ადამიანებისგან, მიუხედავად თავიანთი დაქანებული შუბლებისა, წარბების დიდი რკალისა, დაბრტყევლებული თავის ქალისა, დიდი ყბებისა და ძალიან პატარა ნიკაპისა (იხ. სურ. 8-2). რაც მთავარია, მათი ტვინის მოცულობა (საშუალოდ, 1450 სმ3) ადამიანისაზე (საშუალოდ 1,300 სმ3 აღემატება) უფრო დიდი იყო. ზოგი მეცნიერის აზრით, ნეანდერტალელების დიდი მოცულობის ტვინი მათ ადამიანისათვის დამახასიათებელი ქცევების მთელი დიაპაზონის გამოვლენის საშუალებას აძლევდა. მათი ჩონჩხები კი ადასტურებს, რომ თანამედროვე ადამიანებისგან განსხვავებით, ისინი ძალიან ენერგიულები იყვნენ.

დაახლოებით 100 წელი დასჭირდა, რომ მეცნიერებს ეღიარებინათ აზრი, რომლის მიხედვითაც, ნეანდერტალელები არც იმდენად განსხვავდებიან თანამედროვე ადამიანისგან და შესაძლოა, იმავე სახეობას მიეკუთვნებიან, რომელსაც *Homo sapiens neandertalensis*. მაგრამ უკანასკნელ წლებში წამოიჭრა კამათი იმის შესახებ, იყვნენ თუ არა დასავლეთ ევროპაში აღმოჩენილი ნეანდერტალელები იქვე 40000 წლის შემდეგ მცხოვრები ადამიანის წინაპრები. დასავლეთ ევროპის გარდა, ნეანდერტალელები სხვა ადგილებშიც ცხოვრობდნენ. განამარხებული ნაშთების დიდი რაოდენობა, რომელიც ცენტრალურ ევროპაში აღმოჩნდა, ძალიან ჰგავს დასავლეთ ევროპაში აღმოჩენილს. თუმცა ზოგი ნიშანი, მაგალითად, სახის წინ წამოწეული შუა ნაწილი, ნაკლებად არის გამოკვეთილი. ნეანდერტალელები აღმოჩენილია სამხრეთ-დასავლეთ აზიასა (ისრაელი, ერაყი) და ცენტრალურ აზიაში (უზბეკეთი). მათი ნაშთების უდიდესი კოლექცია ჩრდილო-აღმოსავლეთ ერაყის მთებში, შანიდარის გამოქვაბულშია აღმოჩენილი, სადაც რალფ სოლეცკიმ ცხრა ინდივიდის ჩონჩხი გათხარა (იხ. ძეგლი 31, სურ. 8-3).

საფრანგეთში, ლა შაპელ ო სენ-თან აღმოჩენილი Homo neandertalensis-ის აღდგენილი თავის ქალა.

რამ შეუცვალა მეცნიერებს ნეანდერტალელების შესახებ წარმოდგენა იმდენად, რომ მათ ჰომო საპიენსის ჯგუფის ჩვეულებრივ წარმომადგენლებად აღარ მიიჩნევენ?

1997 წელს აშშ-სა და გერმანიის მკვლევარებმა გამოაქვეყნეს აღმოჩენები, რომელთა გამოც, საჭირო გახდა ნეანდერტალელებისა და თანამედროვე ადამიანების დამოკიდებულების გადასინჯვა. ეს მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ მათ გამოიკვლიეს 1856 წელს აღმოჩენილი პირველი ნეანდერტალელისგან აღებული დნმ. აღმოჩნდა, რომ მათ მიერ აღებული დნმ არ იყო ბირთვეული დნმ-ის მასალა, რომლისგანაც არის შექმნილი ადამიანის გენომი; მეტიც, მას გამოიმუშავებდა უმცირესი ზომის სტრუქტურები, რომლებიც ყველა ეუკარიოტულ უჯრედში აღმოჩნდა (ანუ უჯრედებში, რომლებსაც მემბრანით დაკავშირებული ბირთვი და დნმ აქვთ ქრომოსომებში) და მიტოქონდრიები ეწოდებათ. მიტოქონდრიები გამოიმუშავებს ფერმენტებს, რომლებიც ენერგიის წარმოსაქმნელად არის აუცილებელი და მათ თავიანთი საკუთარი დნმ აქვთ, რომელიც რეპლიკაციას უჯრედის რეპლიკაციის დროს განიცდის, მაგრამ როგორც ფიქრობენ, არ განიცდის ბუნებრივი გადარჩევის არანაირ გავლენას.

მიტოქონდრიული დნმ-ის (ჩვეულებრივ, მოიხსენიებენ როგორც მტდნმ-ს) ცვლილების ერთადერთი წყაროა შემთხვევითი მუტაცია. მიტოქონდრიული დნმ ცხოველებში შთამომავლობით მხოლოდ დედისგან გადაეცემა. ის კვერცხუჯრედში სპერმის საშუალებით კი არ ხვდება, არამედ სპერმის კუდით კვერცხუჯრედის გარეთ ტოვებს. ამ უნიკალურმა თვისებებმა შესაძლებელი გახადა მტდნმ-ის გამოყენება არა მარტო ორ სახეობას შორის კავშირის



ბოულეს მიერ ჩიკაგოს საველე მუზეუმის გამოფენაზე 1929 წელს წარმოდგენილი ნეანდერტალელის რეკონსტრუქცია (მარცხნივ). ბოლოდროინდელი რეკონსტრუქციის მიხედვით (მარჯვნივ) ნეანდერტალელი მეტად ჰგავს თანამედროვე ადამიანს.

ხარისხის დასადგენად, არამედ იმის გამოსათვლელადაც, თუ რამდენი ხნის წინ მოხდა ამ სახეობებს შორის დივერგენცია. რაც უფრო დიდ ხანს იყო დაშორებული ორი სახეობა, მით მეტი განსხვავება იქნება მათ მტდნმ-ში, რომელიც როგორც ფიქრობენ, მუტაციას თანაბარი ტემპით — 2% მილიონ წელიწადში განიცდის. ამგვარად, ორი ორგანიზმის მტდნმ-ში აღმოჩენილ სხვაობათა რაოდენობა შეიძლება გარდაიქმნას წარსულის დაახლოებით თარიღად, როდესაც ეს ორგანიზმები აღარ იყვნენ ერთი და იმავე გვარის პოპულაციის წევრები. მაშინ, როდესაც კვლავ გრძელდება წინააღმდეგობა იმის შესახებ, თუ როგორ და რატომ განიცდის მუტაციას მტდნმ აგრეთვე დივერგენციის აბსოლუტური თარიღის სიზუსტეზე, მეცნიერთა უმრავლესობა ეთანხმება აზრს, რომ ეს ძალიან ძლიერი იარაღია სახეობათა შორის დამოკიდებულების დასადგენად.

რამდენად ჰგავს ნეანდერტალელის მტდნმ თანამედროვე ადამიანისას? არც იმდენად, როგორც ამას მრავა-

ნეანდერტალელს (მარცხნივ) წარბების უფრო დიდი რკალები და უფრო დაქანებული შუბლი აქვს, ვიდრე კრომანიონელს (მარჯვნივ). ნეანდერტალელებს ტვინის საშუალო მოცულობა კრომანიონელის ტვინის მოცულობაზე დიდი ჰქონდათ.



სურათი 8-3 ჰომო საპიენს-ის აღმოჩენის ადგილები

ლი მეცნიერი ელოდა. აშშ-სა და გერმანელ მეცნიერებთა გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ თანამედროვე ადამიანების ინდივიდებს შორის მტდნმ-ის თანმიმდევრობაში 5-დან 10-მდე განსხვავება შეინიშნება. თანამედროვე ადამიანთა და ნეანდერტალელთა ნიმუშებს შორის კი — დაახლოებით 25-მდე, რაც სამჯერ და მეტად აღემატება თანამედროვე ადამიანებს შორის არსებულ განსხვავებებს (იხ. სურ. 8-2). ამან მკვლევარებს უკარნახა, რომ თანამედროვე ადამიანთა წინაპრები და ნეანდერტალელები ერთმანეთს დაახლოებით 600000 წლის წინ დაშორებიან. თუ ჩვენი და ნეანდერტალელების უკანასკნელი საერთო წინაპარი ამდენი ხნის წინ ცხოვრობდა, ნეანდერტალელი ჩვენი უფრო შორეული ნათესავი გამოდის, ვიდრე ადრე გვეგონა. ეს გამოკვლევა სხვა ნეანდერტალელის განამარხებული ნაშთის მტ დნმ-ზე გაიმეორეს.

ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში გაკეთებულმა ახალმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმაც დაადასტურა, რომ ნეანდერტალელი და თანამედროვე ადამიანი სხვადასხვა სახეობს წარმოადგენენ. უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ცნობილია, რომ თანამედროვე ადამიანისა და ნეანდერტალელის ძვლები ლევანტის (აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი) სხვადასხვა ნაწილში ერთსა და იმავე ადგილებში არის აღმოჩენილი, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიებმა და ახლად აღმოჩენილმა განამარხებულმა ნაშთებმა კიდევ ერთხელ, აშკარად დაამტკიცა, რომ ჰომინიდის ეს ორი სახეობა თანაარსებობდა. ისრაელის მაუნთ კარმელის რეგიონის რამდენიმე გამოქვაბულში აღმოჩენილია, როგორც თანამედროვე ადამიანის, ისე ნეანდერტალელის არსებობის კვალი. ის ფაქტი, რომ ეს ორი სახეობა ახლო აღმოსავლეთში დაახლოებით 30000 წლის განმავლობაში თანაარსებობდა, მაგრამ ერთმანეთში არ შეჯვარებულან და დიდად არ გაუზიარებიათ ერთმანეთის იარაღის დამზადების ტექნოლოგია, მეტყველებს, რომ ისინი სხვადასხვა სახეობას მიეკუთვნება. ნეანდერტალელებისათვის დამახასიათებელი იარაღის შემცველი ძეგლები მთელ ევროპაში ნელ-ნელა ქრებოდა და თანამედროვე ადამიანებისათვის დამახასიათებელი იარაღის შემცველი ძეგლები ჩნდებოდა.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპის ნაწილი (იბერია), რომლის კოლონიზაცია თანამედროვე ადამიანების მიერ ბოლოს მოხდა, შეიცავს ნეანდერტალელების ყველაზე გვიანდელ ნაშთებს, რომლების 30000 წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება.

მიუხედავად ამდენი მტკიცებულებისა იმის შესახებ, რომ ნეანდერტალელები თანამედროვე ადამიანის სახეობას არ წარმოადგენენ, რატომ გრძელდება მეცნიერებს შორის გაუნელებელი კამათი? ნაწილობრივ ეს შეიძლება იმის ბრალი იყოს, რომ არც ერთი დასკვნა საბოლოო არ არის, მეორე მხრივ კი, ყოველი მათგანის ახსნა ალტერნატიული გზით შეიძლება. არსებობს მასალა, რომელიც



სურათი 8-4 ადამიანებს, ნეანდერტალელებსა და შიმპანზეებს შორის არსებული განსხვავება მტდნმ-ის თანმიმდევრობაში.

X-ღერძი უჩვენებს განსხვავებათა რაოდენობას თანმიმდევრობაში; Y-ღერძი უჩვენებს იმ ინდივიდთა პროცენტულ რაოდენობას, რომელთაც თანმიმდევრობის განსხვავებათა საერთო რიცხვი აქვთ.

გვიჩვენებს, რომ ნეანდერტალელები ფიზიკურად არც იმდენად განსხვავდებოდნენ თანამედროვე ადამიანებისგან (იხ. ჩარჩო: "ნეანდერტალელის ზრდა და განვითარება"). შეიძლება, უფრო დიდი მნიშვნელობა ნეანდერტალელების კულტურას ჰქონდა, რომელსაც ქვის იარაღის დომინირების გამო, "შუა პალეოლითის" კულტურას უწოდებენ და რომელიც ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ადრეული თანამედროვე ადამიანის კულტურას ემსგავსება.

შუა პალეოლითის კულტურები

კულტურის ისტორიის იმ პერიოდს, რომელიც ნეანდერტალელებს უკავშირდება, ჩვეულებრივ, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში **შუა პალეოლითი** ეწოდება და დაახლოებით 300000-40000 წლის წინანდელ პერიოდს მოიცავს. აფრიკისთვის „შუა პალეოლითის" ნაცვლად, ტერმინი „შუა ქვის ხანა" გამოიყენება. ამ პერიოდის იარაღს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში მუსტიერული, ხოლო აფრიკაში პოსტ-აშელური ეწოდება.

იარაღი

მუსტიერული ტიპის იარაღი. მუსტიერული იარაღი პირველად სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში, დორდნის რეგიონში, ადგილ ლე მოუსტიერ სთან მდებარე კლდის საფარში აღმოჩნდა. აშელური ტიპის იარაღთან შედარებით, მუსტიერული ტიპის იარაღი გამოირჩევა დიდი ნუკლეუსების, როგორიცაა ხელცულები და დანები, უფრო მცირე პროპორციებით, ხოლო მცირე ზომის ანატკეჩების, მაგალითად, სახოკები, შედარებით დიდი პროპორციებით. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ანატკეჩი, რომელიც ნუკლეუსს ჩამოამტვრიეს, დაუმუშავებლად იყო გამოყენებული, მუსტიერულ იარაღში ბევრია დამუშავებული და რეტუშირებული. (იხ. სურ. 8-5). საფხეკებზე ცვეთის კვალის შესწავლამ გამოავლინა, რომ მრავალი მათგანით ტყავს ან ხეს ამუშავებდნენ. ფაქტი, რომ ზოგი იარაღი, კერძოდ კი ისრები, ცალი მხრიდან იყო გათხელებული და წაწვეტებული, გვაფიქრებინებს, რომ მათ ტარები ან სახელურები უნდა ჰქონოდათ.

აშელის პერიოდის ბოლოსკენ ისეთი ტექნოლოგია განვითარდა, რომელიც იარაღის ხელოსანს საშუალებას მისცემდა, ნუკლეუსიდან უბრალოდ ჩამომტვრეული არასწორი ანატკეჩების ნაცვლად, წინასწარ განსაზღვრული ზომისა და ფორმის ანატკეჩები დაემზადებინა. ამგვარი, **ლევალუაზიური მეთოდით** მუშაობისას ხელოსანი ჯერ (გულგულას) წინასწარ განსაზღვრული და სტანდარტული ზომის ნუკლეუსს აძლევს ფორმას და მის ერთ ბოლოში "დარტყმის მოედანს" ამზადებს. ასეთ შემთხვევაში უკვე შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული და სტანდარტული ზომის ანატკეჩების ჩამომსხვრევა. მართალია, ლევალუალური პერიოდის ზოგიერთი ანატკეჩი თითქმის 400000 წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება, მაგრამ უფრო ხშირად ასეთი იარაღი მუსტიერულ ნაკრებებში გვხვდება.

ცალკეულ ძეგლზე აღმოჩენილი იარაღის ანსამბლები (ნაკრებები) შეიძლება დახასიათდეს როგორც მუსტიერული. ზოგ ძეგლზე შეიძლება მეტი ან ნაკლები რაოდენობის სახოკი, საფხეკი, ისარია და ა.შ. არის აღმოჩენილი, ვიდრე სხვაზე. ზოგმა არქეოლოგმა ივარაუდა ის შესაძლო მიზეზები, რომელსაც ამგვარი სხვადასხვაობის გამოწვევა შეეძლო. სალი ბინფორდი და ლიუის ბინფორდი თვლიან, მაგალითად, რომ სხვადასხვა ძეგლზე ადამიანები სხვადასხვა საქმიანობას მისდევდნენ. ზოგ ძეგლზე საყასბო საქმის კვალია, ზოგი კი საბაზო ბანაკად გამოიყენებოდა. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ძეგლზე აღმოჩენილი იარაღი სხვადასხვაგვარია. პოლ ფიშის აზრით, ზოგ ძეგლზე ლევალუაზური ტექნიკით დამზადებული იარაღი



სურათი 8-5 ტიპური მუსტიერული იარაღი.

განსაკუთრებით ბევრი იყო ცალმხრივი სახოკები (1-4), საჭრისები (5), ისრის პირები (6) და ხერხისებრ ილებიანი დენტიკულატები (7). როგორ გამოიყენებოდა სინამდვილეში ეს იარაღი, ცნობილი არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ისრის პირები ხის ჯოხებზე იყო მიმაგრებული, ხოლო დენტიკულატები ალბათ ხის დასამუშავებლად გამოიყენებოდა. სურათზე გამოსახული იარაღი დასავლეთ ევროპის მუსტიერულ ძეგლებშია აღმოჩენილი.

ჭარბობს იმის გამო, რომ იმ ადგილებში კაჟის დიდი ნატეხები მოიპოვებოდა.

პოსტ-აშელური იარაღი აფრიკაში მუსტიერული იარაღის მსგავსად, პოსტ-აშელური იარაღის დიდი ნაწილიც ლევალუაზური წესით, წინასწარ მომზადებული გულებიდან იყო ჩამომტვრეული. იარაღი ძირითადად სხვადასხვა ტიპის ანატკეჩებისგან შედგებოდა. ამგვარი იარაღის კარგად გამოხატული თანმიმდევრობა აღმოჩენილია მდინარე კლასიეს შესართავთან სამხრეთ აფრიკის სამხრეთ სანაპიროზე. ეს ადგილი მდიდარია კლდის საფარებითა და მცირე ზომის გამოქვაბულებით, რომლებშიც ადრეული და გვიანდელი *Homo sapiens* ცხოვრობდა. ერთ-ერთ გამოქვაბულში აღმოჩენილი უძველესი კულტურული ნაშთები 120000 წლის წინანდელია. ეს უძველესი იარაღი შედგება პარალელურგვერდებიანი ანატკეჩების (რომლებიც ალბათ დანებად გამოიყენებოდა), წვეტიანი ანატკეჩების (სავარაუდოდ, ისრის პირების), საკვეთებისა (საჭრისების მსგავსი იარაღი) და სახოკებისგან. სამხრეთ აფრიკაში, ბორდერის გამოქვაბულში აღმოჩენილი მსგავსი იარაღი ალბათ 200000 წლის წინ გამოიყენებოდა.

სადგომები

ევროპასა და ახლო აღოსავლეთში აღმოჩენილი შუა პალეოლითის სადგომების უმეტესობა გამოქვაბულებსა და კლდის საფარებში მდებარეობდა. იგივე შეიძლება ითქვას შუა ქვის ხანის სადგომებზე, რომლებიც აფრიკის სუბ-საჰარაშია ნაპოვნი. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნეანდერტალელები, ისევე, როგორც მრავალი ადრეული ხანის ადამიანი, უმეტესწილად გამოქვაბულებსა და კლდის საფარებში ცხოვრობდა. მაგრამ ეს დასკვნა შეიძლება არასწორი იყოს, რადგან გამოქვაბულები და კლდის საფარები არქეოლოგიურ ნუსხებში იქნებ ასეთი დიდი რაოდენობით იმიტომ ჩნდება, რომ უკეთესად არიან შემონახულნი, ვიდრე ღია ადგილებში მდებარე სადგომები, რომლებიც ათასობით წლის განმავლობაში ნალექით, მრავალი მეტრის მტვრის საფარით, ნაგვითა და ნეშომპალით დაიფარა. როდესაც ავეჯიდან მტვერს ვწმენდთ და იატაკს მტვერსასრუტით ვალაგებთ, მათ სწორედ ამ ნალექს ვაშორებთ.

მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ ნეანდერტალელთა დიდი ნაწილი წელიწადის გარკვეულ დროს გამოქვაბულებში ატარებდა. ასე ხდებოდა საფრანგეთში, მდინარე დორდონის ნაპირების გასწვრივ. მდინარე მიმდებარე ქვიან ტერიტორიაზე მინდვრებს ტბორავდა. დამრეცი კლდეების ქვეშ იყო კლდის საფარები და გამოქვაბულები, სადაც შუა პალეოლოთის დროს ადამიანები ცხოვრობდნენ. შეიძლება იქ მთელი წლის განმავლობაში არ ჩერდებოდნენ, მაგრამ უდავოა, რომ ეს გამოქვაბულები წლიდან წლამდე დაკავებული იყო. როგორც ჩანს, შუა პალეოლითის ადამიანები მეტად სარგებლობდნენ ცეცხ-

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

ნეანდერტალელთა ზრდა და განვითარება

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ნეანდერტალელებს თანამედროვე ადამიანებისგან განსხვავებულ სახეობად თვლიდნენ, არის ის, რომ მათი მატერიალური კულტურა ადრეული ადამიანის კულტურასთან შედარებით პრიმიტიული იყო. ცნობილია, რომ თანამედროვე ადამიანის ქცევა დამოკიდებულია სწავლაზე, სწავლას კი ბავშვობაში ძალიან დიდი დრო ეთმობა, როდესაც ადამიანი სხვაზეა დამოკიდებული. შესაძლებელია თუ არა, რომ ნეანდერტალელებს მომწიფების პერიოდი უფრო ხანმოკლე ჰქონოდათ, ვიდრე თანამედროვე ადამიანებს აქვთ და ამის გამო მათი კულტურული ქცევების შესასწავლად საჭირო დროც უფრო მოკლე ყოფილიყო?

პალეოანთროპოლოგმა ნენსი მაინუგ-პურვისმა გადაწყვიტა, ეს მოსაზრება ნეანდერტალელის თავის ქალისა და სახის განვითარების შესწავლის საფუძველზე შეემოწმებინა. მას გამოკვლევის ჩატარება არ გაუჭირდებოდა, რადგან ნეანდერტალელები თავიანთ მიცვალებულებს მარხავდნენ. დამარხული ჩონჩხი კი უფრო დაუზიანებლად იყო შემონახული, რაც ჩვილებისა და მოზარდების ჩონჩხებზე დაკვირვების საშუალებას მისცემდა მეცნიერს. მართლაც, მაინუგ-პურვისმა ნეანდერტალელთა ასზე მეტი ჩონჩხი აღმოაჩინა, რომელთა ასაკობრივი დიაპაზონი ახალდაბადებულობიდან ზრდასრულ ინდივიდებამდე იყო. იმისათვის, რომ შეექმნა ბავშვობიდან ზრდასრულ ასაკამდე ნეანდერტალელების სახისა და თავის ქალის ზრდის სქემა, მეცნიერმა ძვლები სტანდარტული ანთროპომეტრული ინდექსების (რომლებიც ფიზიკურ ანთროპოლოგიაში ძვლების ზომისა და ფორმის შესადარებლად ფართოდ გამოიყენება) შესაბამისად აზომა და აღმოაჩინა, რომ ახლად დაბადებული ნეანდერტალელები და ახლად დაბადებული თანამედროვე ადამიანები თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მხოლოდ ნეანდერტალელთა თავის ქალის ძვლები უფრო სქელია და ალბათ, მათი კუნთებიც უფრო მძიმე იქნებოდა. ზრდასრულ ნეანდერტალელთათვის დამახასიათებელი მრავალი გარეგნული ნიშანი: დიდი სახე წინ წამონეული ცხვირით, წარბის რკალები და გრძელი თავის ქალა, ჩვილებისთვის დამახასიათებელი არ არის, თუმცა გამოვლენას ბავშვობის ასაკში იწყებს. მაგალითად, 4 წლის ნეანდერტალელს, რომელიც ბელგიაში მდებარე ძეგლ ენგისზეა აღმოჩენილი, წარბის რკალები უკვე ჰქონდა. საფრანგეთში, ძეგლ ა ვინტა-ზე აღმოჩენილ 7 წლის ბავშვს კი წარბის რკალებთან ერთად წინ წამოწეული დიდი ცხვირი, სახე და დიდი ზომის თავის ქალა აღმოაჩნდა. ბოლოს, უზბეკეთში, ტეშიკ-ტაშის გამოქვაბულში აღმოჩენილ 10 წლის ბიჭის ჩონჩხს ზრდასრული ნეანდერტალელისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი ჰონდა (ზომის გარდა).

მოკლედ რომ ვთქვათ, ნეანდერტალელები დაბადებისას თანამედროვე ადამიანის მსგავსნი არიან და მხოლოდ 10 წლის ასაკისათვის უვითარდებათ ის მკვეთრი განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც თანამედროვე ადამიანებისგან განასხვავებთ. რას გვეუბნება ეს ფაქტი ნეანდერტალელების ზრდისა და განვითარების შესახებ? მაინუგ-პურვისის აზრით, ნეანდერტალელის ზრდა და განვითარება ძალიან ჰგავს ადამიანისას. მეცნიერი ამტკიცებს, რომ ნეანდერტალელისა და ადამიანის სახეებსა და თავის ქალებს შორის არსებული ფიზიკური განსხვავება გენეტიკური არ არის, ის ქცევების სხვადასხვაობამ გამოიწვია. ნეანდერტალელთა კბილებზე არსებული ცვეთის კვალი გვიჩვენებს, რომ კბილებით იგი იკავებდა საგანს, როცა ხელები დაკავებული ჰქონდა. ეს კბილებსა და ყბებს ძალიან ტვირთავდა. მაინუგ-პურვისის აზრით, პროგნატული სახე (წინ წამონეული ყბით) და ძლიერი კუნთები კბილებისა და ყბების ბავშვობის ასაკიდანვე ამგვარი გამოყენებამ გამოიწვია და არა ნეანდერტალელებისა და თანამედროვე ადამიანების განვითარებაში არსებულმა განსხვავებებმა.

თუმცა, ნეანდერტალელებსა და თანამედროვე ადამიანებს შორის ისეთი განსხვავებებიც არსებობს, რომელთა ახსნა მხოლოდ ქცევით შეუძლებელია. მაინუგ-პურვისის მიერ შექმნილი მთლიანი სურათის მიხედვით ირკვევა, რომ ნეანდერტალელები მართლაც ოდნავ უფრო სწრაფად გადიან მომწიფების პერიოდს, ვიდრე თანამედროვე ადამიანები. მაგრამ ნუთუ ზრდის პროცესი იმდენად სწრაფი იყო, რომ ნეანდერტალელების კულტურული ჩამორჩენილობა აეხსნა? მაინუგ-პურვისის აზრით, მომწიფების პერიოდი რაიმეს დასამტკიცებლად არ გამოდგება. უნდა მოიძებნოს სხვა ფაქტორები, რომლებითაც შესაძლებელი გახდება ნეანდერტალელებისა და თანამედროვე ადამიანების კულტურულ დონეებს შორის განსხვავების ახსნა.

ლით, ვიდრე ადრეული ადამიანები. კლდის მრავალ საფარსა და ამოქვაბულში ნაცრის სქელი ფენაა აღმოჩენილი. გარდა ამისა, აღმოჩნდა კერაც, რომელზეც ცეცხლს ანთებდნენ.

ღია ადგილებში ნეანდერტალების სადგომების ძალზე მცირე რაოდენობაა აღმოჩენილი. აფრიკაში ასეთი სადგომები მდინარის აუზებში, ტბების ან წყაროების პირას იყო. ღია ადგილებში მდებარე რამდენიმე სადგომი ევროპაშიც, განსაკუთრებით კი სამხრეთ ევროპაში არის აღმოჩენილი. მოლდოვაში მდებარე კარგად ცნობილი ძეგლის ბინადარნი

დასავლეთ რუსეთში მდინარის დაბლობზე ცხოვრობდნენ ქოხებში, რომლებიც ხის ჩარჩოებზე გადაკრული ტყავით იყო აგებული. კერის ნანგრევების ირგვლივ მამონტების, ამჟამად გადაშენებული დიდი სპილოების ძვლები ჰქონდათ დაწყობილი. ამ ძვლებს, როგორც ჩანს, ცხოველთა ტყავების დასამაგრებლად იყენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მყინვარის მახლობელი ადგილები იმ დროისათვის საკმაოდ ცივი იყო, მაინც იყვნენ ცხოველები, რომლებზე ნადირობაც შეიძლებოდა. მათთვის საკვებად გამოსადეგ მცენარეებს თოვლის სქელი ფენა ფარავდა.

ზაფხულში მონადირეები ალბათ მდინარის მიმდებარე უფრო მაღალ ადგილებში გადადიოდნენ. როგორც ჩანს, ეს ადგილები საძოვრები იყო ცხოველთა დიდი ჯოგებისთვის, რომლებზეც ნადირობდნენ იქაურები. ზამთრის ძეგლებზე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მგლის, არქტიკუ-

ლი მელასა და კურდღლის ჩონჩხები, რომელთაც თათები აკლდათ. როგორც ჩანს, ეს ცხოველები გაუტყავებიათ და მათი ტყავისგან ტანსაცმელი დაუმზადებიათ.

საკვების მოპოვება

ნეანდერტალელების მიერ საკვების მოპოვება გარემომცველ პირობებზე იყო დამოკიდებული. აფრიკაში, მაგალითად, ისინი სავანასა და ნახევრადგვალვიან უდაბნოებში ცხოვრობდნენ, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში კი სიცივესთან შეგუება უხდებოდათ. ძლიერი გამყინვარების დროს მათი გარემოს უდიდესი ნაწილი ბალახოვანი სტეპი და ტუნდრა იყო.

იმ დროისათვის ევროპის ბუნება ბევრად უფრო მდიდარი იყო ცხოველებით, ვიდრე დღევანდელი ჩრდილოეთის ქვეყნების ტუნდრა. მართლაც, ნეანდერტალელებით დასახლებულ ევროპაში ბევრი იყო როგორც დიდი, ისე პატარა ცხოველები. ტუნდრისა და ალპური ზონის ცხოველებში ჭარბობდნენ ჩრდილოეთის ირემი, ბიზონი, გარეული რქოსანი პირუტყვი, ცხენი, მამონტი, მარტორქა, ირემი, დათვი, მგელი და მელა. ზოგიერთ ევროპულ ძეგლზე ფრინველებისა და თევზის ნაშთებიც აღმოჩნდა. მაგალითად, ჩრდილოეთ გერმანიაში ზაფხულის ბანაკებში ადამიანები ნამდვილად ნადირობდნენ გედებსა და იხვებზე, თევზაობდნენ ქორჭილასა და ქარიყლაპიაზე. ცოტა რამ არის ცნობილი იმ მცენარეულ საკვებზე, რომლითაც ნეანდერტალელები იკვებებოდნენ, რადგან მცენარეთა ნაშთები ტენიან პირობებში ათასწლეულების მანძილზე ვერ შემოინახებოდა.

ასევე აფრიკის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრები *homo sapiens* საკვებს სხვადასხვანაირად მოიპოვებდა. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია, რომ ადამიანები, რომლებიც სამხრეთ აფრიკაში, მდინარე კლასიეს შესართავთან ცხოვრობდნენ, იკვებებოდნენ როგორც მოლუსკებით, ისე დიდი, ბალახისჭამელი ცხოველებით, როგორებიცაა: ანტილოპა კანა და კამეჩები. მაგრამ მეცნიერები ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ როგორ მოიპოვებდნენ ადამიანები ხორცს იმ პერიოდში, როდესაც მდინარე კლასიეს მახლობლად მდებარე გამოქვაბულებში დასახლება დაიწყეს.

რიჩარდ კლაინის აზრით, ისინი ნადირობდნენ როგორც დიდ, ისე მცირე ზომის ცხოველებზე, რადგან მდინარე კლასიეს მახლობლად მდებარე პირველ გამოქვაბულში სხვადასხვა ასაკის ანტილოპა კანას ნაშთები აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ადამიანები მათ ბაკებში ან სხვა ამგვარ ადგილებში ამწყვდევდნენ, სადაც ყველა ასაკის ცხოველის მოკვლა იქნებოდა შესაძლებელი. კლაინის აზრით, კამეჩებზე სხვადასხვა ხერხით ნადირობდნენ. კამეჩები თავს ესხმოდნენ მონადირეებს, რაც მათ ბაკებში შერეკვას ართულებდა. კლაინის აზრით, რადგან გამოქვაბულში ნაპოვნი ძვლები ძირითადად ან ძალიან ახალგაზრდა ან ძალიან ბებრ კამეჩებს ეკუთვნოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მონადირეებს მხოლოდ ყველაზე სუსტი ცხოველების დახოცვა შეეძლოთ.

ლიუის ბინფორდის აზრით, მდინარე კლასიეს მიდამოებში მცხოვრები ხალხი მხოლოდ მცირე ზომის ცხოველებზე ნადირობდა და დიდი ზომის მტაცებლების მიერ დახოცილი ანტილოპისა და კამეჩის ლეშს აგროვებდა. მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს ძეგლები ნადირობისას დახოცილი ცხოველების ყველა ან თითქმის ყველა ძვალს უნდა შეიცავდეს, ხოლო რადგან აღმოჩენილი მეტ-ნაკლებად სრული ჩონჩხები ძირითადად მცირე ზომის ცხოველებს ეკუთვნის, ამიტომ, სავარაუდოდ, კლასიეს მდინარის მკვიდრნი ყველა იმ ცხოველზე არ ნადირობდნენ, რომლითაც იკვებებოდნენ.

მაგრამ ახალმა აღმოჩენებმა ცხადყვეს, რომ ადამიანები დიდი ზომის ცხოველებზე ჯერ კიდევ 400000 წლის წინ ნადირობდნენ. სწორედ ამ პერიოდით დათარიღებული ხის ისრები აღმოჩნდა გერმანიაში ქვის იარაღსა და 10-ზე მეტი დაკლული გარეული ცხენის ნაშთთან ერთად. მძიმე ისრები თანამედროვე აეროდინამიკულ შუბს მოგვაგონებს, რომლებსაც ალბათ ისეთ დიდ ცხოველებს ესროდნენ, როგორიც ცხენია. ამ მასალის მიხედვით, სავარაუდოა, რომ არა მხოლოდ ლეშის შეგროვება, არამედ, ნადირობაც იმაზე ძველი დარგია, ვიდრე არქეოლოგები ერთ დროს ფიქრობდნენ.

დაკრძალვა და სხვა რიტუალები?

როგორც ჩანს, ზოგი ნეანდერტალელი შეგნებულად არის დაკრძალული. ადგილ ლე მუსტიეში აღმოჩენილი 15 წლის ბიჭის ჩონჩხის გვერდით, ხელის გვერდით მშვენიერი ხელცული იდო. ლა ფერასისთან აღმოჩნდა 5 ბავშვისა და ორი მოზრდილის საოჯახო სამარხი. აღნიშნული აღმოჩენები და ერაყში, გამოქვაბულ შანიდარში აღმოჩენილი სამარხები გვაფიქრებინებენ, რომ იმ დროისათვის დაკრძალვის რიტუალი უკვე არსებობდა.

შანიდარის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენაა ადამიანის სხეულზე და მის ირგვლივ დაყრილი ყვავილის მტვერი, რომლის ექსპერტიზამაც უჩვენა, რომ ის თანამედროვე grape hyacinth-ის, გვიმრის (bachelor's buttons), ალთეს (hollyhock) და ყვითელი groundsel-ის წინაპარ მცენარეებს ეკუთვნოდა. ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით, ჯონ პფაიფერმა მაშინდელი მოვლენები ასე აღადგინა:

სასიკვდილოდ თავგატეხილი კაცი გამოქვაბულში განსაკუთრებული ცერემონიების დაცვით დაკრძალეს. 60000 წლის წინ, გაზაფხულის ერთ დღეს მისი ოჯახის წევრები გავიდნენ მინდორში, დაკრიფეს უამრავი ველური ყვავილი, მიწაზე დააფინეს და თავიანთ მიცვალებულს მოსასვენებელი გაუკეთეს. დანარჩენი ყვავილები ალბათ საფლავზე დაალაგეს, ზოგი მათგანი კი ნაძვის მსგავსი ბუჩქების ტოტებთან ერთად გვირგვინებად დაწნეს".

ეს რეკონსტრუქცია ასახავს ნეანდერტალელს, რომელიც შეიძლება იყო პირველი ადამიანი, ვინც მარხავდა გარდაცვლილს.

შეიძლებოდა ასე ყოფილიყო? შესაძლოა. დარწმუნებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ყვავილის მტვერი ეყარა როგორც თავად მიცვალებულზე, ასევე მის ირგვლივ. მტვერი იქ შეიძლება იმიტომ მოხვედრილიყო, რომ საფლავზე ყვავილები დადეს, თუმცა შემთხვევითობასაც ვერ გამოვრიცხავთ. ზოგიერთი მენციერი ამტკიცებდა, რომ შანიდარის სხვა სამარხებში ის ადამიანები

არიან დაფლულნი, რომლებიც გამოქვაბულის ჩამონგრევის დროს კლდის ქვეშ მოყვნენ და დაიღუპნენ. ანუ ისინი შეგნებულად დაკრძალულნი კი არ იყვნენ, არამედ შემთხვევით დაიმარხნენ.

გამორიცხული არ არის, რომ ნეანდერტალელები სხვა რიტუალებშიც მონაწილეობდნენ, მაგრამ დაკრძალვის რიტუალების მსგავსად, მასალა ორაზროვანია. შვეიცარიის ალპებში მდებარე დრახენლოხის გამოქვაბულში აღმოჩნდა ნეანდერტალელთა საცხოვრებელთან დაკავშირებული ქვით მოპირკეთებული ორმო, რომელშიც გამოქვაბულის დათვის შვიდი თავის ქალა ეყარა. რისთვის ინახავდნენ ამ თავის ქალებს? პასუხი შეიძლება ერთი იყოს: დათვების დასამორჩილებლად. გამოქვაბულის დათვები ძალზე დიდი ზომის იყვნენ — ზოგიერთი მათგანის სიმაღლე ცხრა ფუტსაც კი აღწევდა. ისინი გამოქვაბულების დაპატრონებაში კონკურენციას უწევდნენ ნეანდერტალელებს. იქნებ ნეანდერტალელები იმიტომ ინახავდნენ დახოცილი დათვების თავის ქალებს, რომ პატივი ეცათ ან დათვებისათვის ან მათი სულებისათვის. მაგრამ, რაც შეეხება დაკრძალვის რიტუალს, მასალა დიდად სარწმუნო არ არის. ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში შეიძლება ვინმემ კედელზე ირმის ან ცხენ-ირემის თავი მასთან დაკავშირებული რაიმე გარკვეული რიტუალის გარეშე ჩამოკიდოს. დღესდღეობით ძნელი სათქმელია, ასრულებდნენ თუ არა ნეანდერტალელები რიტუალებს.

თანამედროვე ადამიანის წარმოშობა

კრომანიონელი ადამიანი, რომელიც დასავლეთ ევროპაში დაახლოებით 35000 წლის წინ გამოჩნდა, წინათ ადრეული ადამიანის პირველი სახობა ანუ *omo sapiens sapiens* ეგონათ. (კრომანიონელებმა სახელი საფრანგეთში მდებარე კლდის საფარის მიხედვით მიიღეს, სადაც 1868 წელს პირველად აღმოჩნდნენ). მაგრამ ამჟამად უკვე ცნობილი გახდა, რომ თანამედროვე ადამიანები დიდი ხნით ადრე აღმოსავლეთ ევროპის გარეთ გაჩნდნენ. ცნობილია აგრეთვე, რომ *homo sapiens* აფრიკიდან გამოვიდა. ამ განამარხებული მასალის ნაწილი, რომელიც კლასიეს მდინარის შესართავთან მდებარე გამოქვაბულბში იპოვეს, 100000 წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება. *homo sapiens*-ის სხვა, დაახლოებით იმავე პერიოდით დათარიღებული ნაშთები სამხრეთ აფრიკაში, ბორდერის გამოქვაბულში აღმოჩნდა. ხოლო ეთიოპიაში, ომოში აღმოჩენილი ნაშთები, ალბათ, *homo sapiens*-ვით ადრეულია. თანამედროვე ადამიანების *Homo sapiens sapiens*-ის ნაშთები აღმოჩენილია ისრაელის ორ ძეგლზე სხულსა და ქაფზეჰში, რომლებიც, როგორც ადრე ფიქრობდნენ, 40-50 ათასი წლის წინანდელი იყო, ახლა ფიქრობენ, რომ 90000 წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება. ანატომიურად თანამედროვე ადამიანების აღმოჩენა მოხდა ბორნეოში, ნიაჰში, რომლებიც 40000 წლის წინანდელი პერიოდით თარიღდებიან და ავსტრალიაში, მუნგოს ტბასთან, რომელიც 30000 წლის ასაკის უნდა იყოს.

ეს თანამედროვე გარეგნობის ადამიანები ნეანდერტალელებისა და სხვა, ადრეული *homo sapiens*-ებისგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ ჰქონდათ უფრო მაღალი და გამობურცული შუბლი, უფრო თხელი და მსუბუქი ძვლები, პატარა სახეები და ყბები, აგრეთვე ნიკაპები (ძვლოვანი წამონაზარდები, რომლებიც წინ წამოწეული სახეების გაქრობის შემდეგ დარჩა) და ოდნავ გამობურცული წარბების რკალი.

თანამედროვე ადამიანის წარმოშობის თეორიები

ადამიანის წარმოშობის შესახებ არსებული ორი თეორია ანთროპოლოგებს შორის კვლავ საკამათოდ რჩება. ერთი თეორია, რომელსაც შეიძლება „ერთგან წარმოშობის თეორია“ ეწოდოს, ამტკიცებს, რომ თანამედროვე ადამიანები სამყაროს მხოლოდ ერთ ნაწილში წარმოიშვნენ და იქიდან სხვა ნაწილებში გავრცელდნენ და ნეანდერტალელები ჩაანაცვლეს. (ფიქრობენ, რომ თანამედროვე ადამიანების წარმოშობის ადგილი აფრიკაა). მეორე თეორიის თანახმად, რომელსაც „მულტირეგიონული თეორია ეწოდება“, თანამედროვე ადამიანები ძველი სამყაროს სხვადასხვა ნაწილში წარმოიშვნენ მას შემდეგ, რაც *Homo erectus* აფრიკიდან გამოვიდა.

ერთგან წარმოშობის თეორია ამ თეორიის მიხედვით, თანამედროვე ადამიანები ნეანდერტალელებისგან არ განვითარებულან; მეტიც, ნეანდერტალელები 35000 წლის წინ იმის გამო გადაშენდნენ, რომ თანამედროვე ადამიანები ჩაენაცვლნენ. პირველი თანამედროვე ადამიანის წარმოშობის ადგილი ახალ აღმოჩენებთან ერთად იცვლებოდა. 1950-იან წლებში ეგონათ, რომ ახლო აღმოსავლეთში პოპულაციის პირველწყარო ნეანდერტალელები იყვნენ. მათ მოიხსენიებდნენ “განზოგადოებულ” ანუ “პროგრესულ” ნეანდერტალელებად. მოგვიანებით, როდესაც აფრიკაში გვიანდელი *homo sapiens* აღმოჩნდა, პალეოანთროპოლოგებმა დაადგინეს, რომ თანამედროვე ადამიანი პირველად აფრიკაში გაჩნდა და შემდეგ გადაინაცვლა ახლო აღმოსავლეთში, იქიდან კი — ევროპასა და აზიაში. ერთგან წარმოშობის თეორიის მიმდევარნი ფიქრობენ, რომ *homo sapiens*-ის პირველ მცირე პოპულაციას ჰქონდა რაღაც ბიოლოგიური და კულტურული უპირატესობა ან ორივე ერთად, რამაც საშუალება მისცა, ფართოდ გავრცელებულიყვნენ და ნეანდერტალელები ჩაენაცვლებინათ.

ერთგან წარმოშობის თეორიის ყველაზე უტყუარი მტკიცებულება თანამედროვე ადამიანების მტდნმ-ს უკავშირდება. 1987 წელს რებეკა კანმა და მისმა კოლეგებმა დაამტკიცეს, რომ აშშ-ში, ახალ გვინეაში, აფრიკასა და აღმოსავლეთ აზიაში მცხოვრები ადამიანების მტდნმ განსხვავებულია, რადგან მათი საერთო წინაპარი მხოლოდ 200000 წლის წინ ცხოვრობდა. კენი და მისი კოლეგები შემდგომ ამტკიცებდნენ, რომ, რადგან ინდივიდთა შორის სხვადასხვაობა აფრიკის პოპულაციებს შორის ყველაზე მაღალი იყო, ყველა მათგანის საერთო წინაპარს აფრიკაში უნდა ეცხოვრა. (სწორედ ამის გამოა, რომ თავის სამშობლოში მცხოვრები ადამიანები მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ვიდრე ემიგრანტების შთამომავალი პოპულაციები). ასე დაიბადა, როგორც მედიამ დაარქვა, “მიტოქონდრიული ევა” და “ევას ჰიპოთეზა” თანამედროვე ადამიანების წარმოშობის შესახებ. რა თქმა უნდა, არსებობდა რამდენიმე ევა ერთ თაობაში, რომელთაც ერთნაირი დნმ უნდა ჰქონოდათ.

მტდნმ-ის შესწავლის ადრეულ საფეხურზე მრავალი პრობლემა წარმოიშვა, მაგრამ წლების განმავლობაში ისინი დარეგულირდა და ჩატარდა მტდნმ-ის ახალი და უფრო უკეთესი ანალიზი. ამჟამად მრავალი მეცნიერი მივიდა დასკვნამდე, რომ თანამედროვე ადამიანის მტდნმ-ს განსხვავებულობის ძალიან დაბალი მაჩვენებელი აქვს (შიმპანზეების პოპულაციათა უმეტესობაში აღმოჩენილი განსხვავებების ნახევარზე ნაკლები), რაც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ ყველას არც თუ ისე დიდი ხნის წინ საერთო წინაპარი გვყავდა. თანამედროვე ადამიანებში ჩატარებულმა მტდნმ-ის სხვადასხვაობის დეტალურმა ანალიზმა მეცნიერებს საშუალება მისცა, რომ მსოფლიოს თანამედროვე პოპულაციების საერთო წინაპართა ფესვები დაედგინათ. ეს ანალიზი მიუთითებს, აგრეთვე თანამედროვე ადამიანების აფრიკულ წარმოშობასა და ამ რეგიონიდან მათ შემდგომ გავრცელებაზე.

თანამედროვე ადამიანთა აღმოსავლურ აფრიკულ წარმოშობისა და იქიდან მათი შემდგომი გავრცელების მტკიცებულება Y ქრომოსომის ვარიაციების შესწავლის შედეგად მიიღეს. Y ქრომოსომა განსაზღვრავს ინდივიდის მამრობით სქესს. მდედრობითი სქესის ინდივიდი X ქრომოსომას იღებს, როგორც დედისგან, ისე მამრისგან მაშინ,

როდესაც მამრი ქრომოსომას მხოლოდ მამისგან იღებს. Y ქრომოსომა მხოლოდ მამრებს აქვთ და იმის გამო, რომ ერთ მოცემულ კაცს მხოლოდ ერთი ასლი აქვს, Y ქრომოსომა არის ერთადერთი ბირთვული ქრომოსომა, რომელიც, მტდნმ-ს მსგავსად, არ განიცდის რეკომბინაციას. მიუხედავად იმისა, რომ Y ქრომოსომაზე შეიძლება ბუნებრივმა გადარჩევამ იმოქმედოს, ითვლება, რომ Y ქრომოსომის ცვალებადობათა უმეტესობა, ისევე, როგორც მტდნმ-ში, შემთხვევითი მუტაციებით არის გამოწვეული.

Y ქრომოსომის ცვალებადობის კვლევის შედეგები თითქმის ზუსტად იმეორებენ მტდნმ-ს ცვალებადობის სურათს. ეს შედეგები მიუთითებს აფრიკისკენ, როგორც თანამედროვე ადამიანის წარმოშობის ადგილისკენ და მათ იქიდან გამოსვლაზე მეტყველებს. მტდნმ-სა და Y ქრომოსომის შესწავლას შორის მთავარი განსხვავება საერთო, ყველაზე გვიანდელი წინაპრის დათარიღებაშია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მტდნმ-ის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ ყველაზე გვიანდელი საერთი წინაპარი დაახლოებით 200000 წლის წინ ცხოვრობდა, Y ქრომოსომის შესწავლა კი გვეუბნება, რომ ეს 100000 წლის წინ იყო. დამატებითი გამოკვლევა, რომელიც ბირთვული დნმ-ს კვლევის ახალ მეთოდებს იყენებს, ალბათ, ამ განსხვავების მიზეზის დადგენაში დაგვეხმარებ. ამ დროისათვის აშკარაა, რომ თანამედროვე ადამიანების გენოფონდი არც ისე დიდი ხნის წინ აფრიკაში წარმოიშვა.

ნეანდერტალელებზე ჩატარებული მტდნმ-ს ანალიზი და არქეოლოგიური მასალა, რომელთა შედეგადაც ვარაუდობენ, რომ ნეანდერტალელები და თანამედროვე ადამიანები ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ურთიერთშეხების გარეშე ცხოვრობდნენ, ასევე მხარს უჭერენ ერთგან წარმოშობის თეორის. თუმცა *homo sapiens*-ის (რომელიც 150000-200000 წლის წინ ცხოვრობდა) ჩონჩხების უქონლობა შეუძლებელს ხდის ამ თეორიის განამარხებული მასალის საფუძველზე დასაბუთებას. ასეთი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაშიც კი, აუცილებელი არ იქნებოდა, ეჭვი შეგვეტანა ადამიანის წარმოშობის მულტირეგიონული თეორიის მართებულებაში.

მულტირეგიონული თეორია მულტირეგიონული თეორიის თანახმად, ძველი სამყაროს *Homo erectus*-ის პოპულაციები თანდათანობითი ევოლუციის პროცესში ანატომიურად თანამედროვე ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. ამ თეორიის მიმდევრები ფიქრობენ, რომ „გარდამავალი“ ან „არქაული“ *homo sapiens* და ნეანდერტალელები შედარებით უფრო თანამედროვე ანატომიური ნიშნების განვითარების ეტაპებს წარმოადგენენ. მართლაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთი თეორეტიკოსი *Homo erectus*-სა და თანამედროვე ადამიანს შორის ისეთ მსგავსებასა და უწყვეტ კავშირს ხედავს, რომ *Homo erectus*-ს *Homo sapiens erectus*-საც კი უწოდებს.

უწყვეტობა, მულტირეგიონული თეორეტიკოსების მთავარი მტკიცებულებაა თავისი პოზიციების განსამტკიცებლად. დედამიწის რამდენიმე ადგილას ეს უწყვეტობა აშკარად ჩანს *Homo erectus*-ისა და *Homo sapiens*-ის ჩონჩხების ზოგიერთ მახასიათებელში. ჩინეთში აღმოჩენილი *Homo erectus*-ის განამარხებული ნაშთებისთვის, მაგალითად, უფრო განიერი სახე და უფრო ჰორიზონტალური ღაწვის ძვლებია დამახასიათებელი, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე კუთხის პოპულაციებისთვის. ეს დამახასიათებელი შტრიხი თანამედროვე ჩინელებსაც ახასიათებთ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მულტირეგიონული თეორიის მხარდამჭერი კიდევ უფრო დამაჯერებელი მასალა აღმოჩნდა. ამ ადგილებში აღმოჩენილ თავის ქალებს *Homo erectus*-იდან მოყოლებული თანამედროვე ადამიანამდე, ერთი და იგივე ნიშნები გასდევთ: თავის ქალის შედარებით სქელი ძვლები, დამრეცი შუბლი, წარბების ერთიანი ძგიდე, მოგრძო სახე, შედარებით დიდი ზომის ღაწვის ძვლები და დიდი საღეჭი კბილები (ის. სურ. 8-6). სხვა მეცნიერები თვლიან, რომ ეს შტრიხები საკმარისი არ არის უწყვეტობის დასადგენად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რადგან იგივე შტრიხები თანამედროვე ადამიანებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით არის აღმოჩენილი. მეცნიერების კიდევ ერთი ჯგუფი კი ამტკიცებს, რომ დამახასიათებელ შტრიხებს შორის არც იმდენი მსგავსებაა, როგორც მულტირეგიონალური თეორიის მიმდევარნი ამტკიცებენ.



სურათი 8-6 რეგიონული უწყვეტობის დამამტკიცებელი მასალა.

უწყვეტობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ავსტრალიის პოპულაციებში. თავის ქალები: (ა) ჰომო ერექტუსი, (ბ) ადრეული ჰომო საპიენსი, (დ) თანამედროვე ჰომო საპიენსი. ყველა ქალა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან და ავსტრალიიდანაა, აქვთ ერთნაირი შუბლის, წარბების ძგიდის, კეფისა და სახის ფორმა განსხვავებით აქვე გამოსახული (ც) ადრეული ჰომო საპიენსის აფრიკული თავის ქალებისგან, რომელთაც განსხვავებული ფორმები ახასიათებთ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ავსტრალიის პოპულაციების ერთგვარობა 500000 წლის მანძილზე რეგიონულ უწყვეტობას უფრო ადასტურებს, ვიდრე ჩანაცვლებას.

თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მულტირეგიონული თეორიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ მტდნმ-სა და Y ქრომოსომის შემცველი მასალა მულტირეგიონულ თეორიას უფრო მეტად უჭერს მხარს, ვიდრე ერთგან-წარმოშობის თეორიას. გარდა ამისა, თანამედროვე ადამიანთა გენეტიკური ცვალებადობა *Homo erectus*-ის აფრიკიდან ემიგრაციას უფრო ასახავს, ვიდრე *Homo sapiens*-სას. ამგვარი ინტერპრეტაცია იმას ნიშნავს, რომ მუტაციით მიღებული სიხშირე, როგორც მტდნმ-ში ისე Y ქრომოსომებში, მცდარია და რომ ორივე შემთხვევაში მუტაცია უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ამჟამად მიაჩნიათ. თუმცა, ამგვარ ინტერპრეტაციას ეწინააღმდეგება არსებული ადრე დადგენილი მტდნმ-ის განსხვავებანი ადამიანთა იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ახალ გვინეასა და ავსტრალიაში დასახლდნენ და მუტაციის მიღებულ სიხშირეს მოერგნენ. ამ აზრს ეწინააღმდეგება აგრეთვე ადამიანებსა და ადამიანის მსგავს მაიმუნებს შორის არსებული დივერგენცია, რომლის თარიღი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მტდნმ-ს

მუტაციის მიღებულ, გაზრდილ სიხშირესთან.

იმის ასახსნელად, თუ რატომ მიმდინარეობს ადამიანის ევოლუცია ეტაპობრივად, თანაც ძველი სამყაროს ყველა ადგილას ერთი და იმავე მიმართულებით, მულტირეგიონული თეორიის მიმდევრები მიუთითებენ კულტურულ წინსვლაზე იარაღის დამზადებასა და საკვების მომზადებაში, რომელიც მთელ დედამიწაზე მოხდა. ამ კულტურულმა წინსვლამ ალბათ შეამსუბუქა ბუნებრივი გადარჩევის თავდაპირველი მოთხოვნილება თავის ქალის სქელ ძვლებსა და ძლიერ კუნთებზე. არგუმენტი ის არის, რომ თუ ბევრი მცენარეული და ცხოველური საკვები წვრილად არ დაიჭრებოდა და თერმულად არ დამუშავდებოდა,

ანთროპოლოგიური პირველწყაროები

თეორიებისა და ჰიპოთეზების შემოწმება თანამედროვე ადამიანის წარმოშობის შესახებ

რატომ არის ადამიანის ევოლუციის შესწავლა ასეთი საკამათო? ნაწილობრივ შეიძლება იმიტომ, რომ მოპოვებული მასალა ფრაგმენტულია. მაგრამ დევიდ ფრეიერის აზრით, ამ კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ იმაში მდგომარეობს, რომ მკვლევარებს ჯერ საბოლოოდ არ აქვთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები, რომ ალტერნატიული თეორიების ერთმანეთთან შეადარება მოხერხდეს.

ადამიანის ევოლუციის შესწავლა ყოველთვის საკამათო საგნად ითვლებოდა. ადამიანის ევოლუციის ზოგად კურსთან, ევოლუციის პროცესთან, განამარხებული ნაშთების უტყუარობასთან, დათარიღების ჭეშმარიტებასა და მასალის ევოლუციური პროცესის შეასაბამისობასთან დაკავშირებულ კამათს დიდი ხნის ისტორია აქვს. ზოგიერთი ასპექტით პალეოანთროპოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები არა ნაკლები სიმწვავით ხასიათდება, ვიდრე გამოკვლევა ჭრიჭინებზე ან შავ ხვრელებზე. მაგრამ პალეოანთროპოლოგიასთან დაკავშირებული სამეცნიერო დებატები პოპულარულ ლიტერატურაში უფრო ხშირად შუქდება და ისე ჩანს, თითქოს იდეებსა და თეორიებს შორის გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობს. მეორე მხრივ, "ძვლების ომი", როგორც ერთმა ჟურნალისტმა დაარქვა, ხშირად უფრო ხანგძლივია, რადგან არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია. ამიტომ პალეოანთროპოლოგებს კიდეც რომ მოენდომებინათ, რომ ზოგიერთ საკითხში თანხმობისთვის მიეღწიათ, არასრული განამარხებული მასალა მაინც სხვადასხვანაირად განიმარტებოდა, ამიტომ აზრთა სხვადასხვაობა გარდაუალი იქნებოდა. უთანხმოების კიდევ ერთი მიზეზია ის, რომ შეუძლებელია ჰიპოთეზების იმგვარად ჩამოყალიბება, რომ ცდების ჩატარების შედეგად ერთმნიშვნელოვანი პასუხები მიიღონ და მცდარი მოსაზრებები უარყონ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მეცნიერული უთანხმოებების გადაწყვეტის უპირველესი მექანიზმი არსებული მონაცემების საფუძველზე მცდარი ჰიპოთეზების უარყოფაა.

რა დაემართათ ნეანდერტალელებს?

მიუხედავად იმისა, თუ რომელი თეორია შეესაბამება სიმართლეს (ერთგან წარმოშობის, მულტირეგიონალური თუ შუალედური), აშკარაა, რომ ნეანდერტალელები და თანამედროვე ადამიანები (*Homo sapiens*) ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში დაახლოებით 20000 წლის განმავლობაში ან იქნებ 60000 წლის განმავლობაშიც, თანაარსებობდნენ. რა დაემართათ ნეანდერტალელებს? ამ საკითხზე სამი მოსაზრება არსებობს, პირველი: თანამედროვე ადამიანებთან ჯვარდებოდნენ და ამის გამო ნეანდერტალელთათვის დამახასიათებელი ნიშნები თანდათანობით გაუქრათ; მეორე: თანამედროვე ადამიანებმა დახოცეს; და მესამე: თანამედროვე ადამიანებთან კონკურენციას ვერ გაუძლეს. განვიხილოთ თოთოეული მოსაზრება ცალ-ცალკე:

შეჯვარება. შეჯვარების თეორია უფრო დამაჯერებელი ჩანს, თუმცა დამამტკიცებელი მასალა ძალიან მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი. თუ თანამედროვე ადამიანები და ნეანდერტალელები ერთმანეთთან ჯვარდებოდნენ, აუცილებლად უნდა აღმოეჩინათ "ჰიბრიდული" ინდივიდების ნაშთები. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ პორტუგალიაში აღმოჩენილი ზედა პალეოლითის ხანის ჩონჩხს, თანამედროვე ადამიანისა და ნეანდერტალელისთვის დამახასიათებელი ნიშნები კომბინირებულად აქვს. ეს აღმოჩენა კვლავ კამათს იწვევს, ჩონჩხი 4 წლის ბავშვს ეკუთვნის, ზოგიერთი მეცნიერი მასში ნეანდერტალელისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ვერ ხედავს. უფრო მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ თუ შეჯვარების ჰიპოთეზა სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ გამოდის, რომ მტდნმ-ის ანალიზი, რომელიც ამ თავში რამდენჯერმე განვიხილეთ, მცდარი უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, ნეანდერტალელთა იარაღის ბოლოდროინდელმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ნეანდერტალელთა ზოგმა ჯგუფმა იარაღის დამზადების ის ახალი ტექნოლოგიები შეითვისა, რომლებიც მეცნიერთა აზრით, მხოლოდ თანამედროვე ადამიანებს უკავშირდება (ამ საკითხს უფრო დეტალურად შემედეგ თავში განვიხილავთ). თუ ნეანდერტალელები თანამედროვე ადამიანებისგან სწავლობდნენ, მაშინ მათი ურთიერთშეჯვარების აზრიც უფრო სარწმუნოა და მათი თანამედროვე ადამიანთა პოპულაციაში გათქვეფაც უფრო დამაჯერებელი იქნება.

გენოციდი. გენოციდის თეორია, რომლის მიხედვითაც, ნეანდერტალელები თანამედროვე ადამიანებმა დახოცეს, სენსაციურ მოთხრობას ჰგავს, მაგრამ ამის ძალზე მცირე დამადასტურებელი ფაქტი არსებობს. აქამდე არც ერთი "მოკლული" ნეანდერტალელი არ არის აღმოჩენილი, ისიც გასარკვევია, ძლიერ ნეანდერტალელებსა და უფრო სუსტ თანამედროვე ადამიანებს შორის ომში ვინ ვის აჯობებდა.

გადაშენება. ბოლო, გადაშენების თეორიას, რომლის მიხედვითაც, ნეანდერტალელებმა უბრალოდ ვერ გაუძლეს თანამედროვე ადამიანებთან კონკურენციას, ყველაზე მეტი არქეოლოგიური მტკიცებულება აქვს. როგორც ადრე აღვნიშნეთ, იბერიაში დაახლოებით 30000 წლის წინ "ლტოლვილების" სახით ნეანდერტალელთა პოპულაციები უკვე არსებობდნენ. ახლო აღმოსავლეთიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან და დასავლეთ ევროპიდან ნეანდერტალელთა "უკან დახევა" თანამედროვე ადამიანთა მიერ ამ ადგილების დაკავებასთან ერთად "ლტოლვი-

ლობის” თეორიას ამტკიცებს. მნიშვნელოვანია ფიზიკური ანთროპოლოგის — ერიკ ტრინკაუსის აზრი, რომელიც როგორც ნეანდერტალელთა ფიზიკურ აგებულებას, ისე მათ ქცევით კანონზომიერებებს ეყრდნობოდა და ამბობდა, რომ ნეანდერტალელები ნაკლებად დახელოვნებული მონადირეები და შემგროვებლები იყვნენ, ვიდრე თანამედროვე ადამიანები. თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, თანამედროვე ადამიანები უკეთ შეძლებდნენ, ეცხოვრათ და გამრავლებულიყვნენ იმავე ტერიტორიაზე, სადაც ნეანდერტალელები ცხოვრობდნენ, ეს კი ნეანდერტალელთა წასვლას გამოიწვევდა. იმ შემთხვევაში კი, თუ სხვაგან წასასვლელი ტერიტორია არ იქნებოდა, ნეანდერტალელები უნდა გადაშენებულიყვნენ, რასაც არქეოლოგიური მასალა ადასტურებს.

მაგრამ იყო თუ არა ეს ნამდვილად ასე? ჰქონდათ თუ არა იმ დროისათვის ადამიანებს მართლაც მაღალი კულტურა? როგორც შემდეგ თავში დავინახავთ, ზედა პალეოლითი წყალგამყოფს ქმნის ადამიანის კულტურის ევოლუციაში და საშუალებას აძლევს ადამიანებს თავისი ფიზიკური ჰორიზონტი მსოფლიოს მასშტაბით გააფართოვონ, ხოლო ინტელექტუალური შესაძლებლობები ხელოვნებასა და რიტუალებში გაშალონ.

შეჯამება

1. ანთროპოლოგთა უმრავლესობა თვლის, რომ *Homo erectus*-ის ევოლუცია *Homo sapiens*-ად დაახლოებით 500000 წლის წინ დაიწყო. მაგრამ ვერ შეთანხმდნენ ერთ საკითხში, თუ სად და როდის მოხდა გარდაქმნა. შუალედური განამარხებული ნაშთები ხასიათდებიან თავის ქალის დიდი მოცულობით (თითქმის თანამედროვე ადამიანის თავის ქალის მოცულობის ტოლი), დაბალი შუბლითა და წარბის დიდი რკალებით, რომლებიც *Homo erectus*-ის ნიმუშებისთვის არის დამახასიათებელი. აშკარად გამოხატული უადრესი ნიმუში, რომელიც თანამედროვე ადამიანს ბოლომდე არ ჰგავდა, დაახლოებით 100000 წლის წინ გაჩნდა.
2. *Homo sapiens*-ის ნაშთები ძველი სამყაროს მრავალ ნაწილში: აზიაში, აფრიკასა და ევროპაშია აღმოჩენილი. მათი ნაწილი შეიძლება ევროპაში მცხოვრებ ნეანდერტალელებზე ადრე ცხოვრობდა. ჯერ კიდევ კამათობენ იმაზე, დასავლეთ ევროპაში მცხოვრები ნეანდერტალელები გადაშენდნენ თუ გადარჩნენ და იმ თანამედროვე ადამიანების წინაპრებად იქცნენ, რომლებიც დასავლეთ ევროპაში 40000 წლის წინ ცხოვრობდნენ.
3. კულტურის ისტორიის იმ ნაწილს, რომელიც ნეანდერტალელებთან არის დაკავშირებული, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში შუა პალეოლითი ეწოდება და დაახლოებით 300000-40000 წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება. აფრიკისთვის ტერმინი “შუა ქვის ხანა” გამოიყენება. ევროპასა და შუა აღმოსავლეთში აღმოჩენილ ანატკეჩების კომპლექტებს, რომელიც ამ პერიოდის იარაღი იყო, მუსტიერულს, ხოლო აფრიკაში აღმოჩენილს — პოსტ აშელურს უწოდებენ. აშელურ იარაღთან შედარებით, მუსტიერული იარაღის კომპლექტებში შემავალი ქვის დიდი ხელცულები და დანები უფრო მცირე ზომისაა, ხოლო პატარა სახოკები უფრო დიდი ზომის. ზოგიერთ მუსტიერულ ძეგლზე მიცვალებულთა შეგნებული დაკრძალვის ნიშნებია აღმოჩენილი.
4. აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, აზიაში, ავსტრალიასა და ევროპაში თანამედროვე გარეგნობის ადამიანის — *Homo sapiens sapiens*-ის განამარხებული ნაშთები აღმოჩნდა. ამ ნაშთებიდან უძველესი სამხრეთ აფრიკაშია აღმოჩენილი და დაახლოებით 50000-100000 წლის წინანდელ პერიოდს მიეკუთვნება.
5. ანთროპოლოგთა შორის გრძელდება დავა თანამედროვე ადამიანის წარმოშობის ორი ძირითადი თეორიის ირგვლივ. პირველი, “ერთგან წარმოშობის” თეორიის მიხედვით, თანამედროვე ადამიანები ძველი სამყაროს მხოლოდ ერთ ადგილას — ახლო აღმოსავლეთში, უფრო გვიანდელი თეორიის მიხედვით კი, — აფრიკაში წარმოიშვნენ, საიდანაც ძველი სამყაროს სხვადასხვა ნაწილში გავრცელდნენ და ნეანდერტალელები ჩაანაცვლეს; მეორე, “მულტირეგიონული” თეორიის მიხედვით, თანამედროვე ადამიანები ძველი სამყაროს სხვადასხვა ნაწილში წარმოიშვნენ და დედამიწის დღევანდელ მრავალფეროვან მოსახლეობას დაუდეს სათავე.

საკონტროლო კითხვები

1. თუ “ერთგან წარმოშობის” თეორია სწორია, როგორ შეძლებდა *Homo sapiens Homo erectus*-ისა და *Homo neandertalensis*-ის პოპულაციების ჩანაცვლება?
2. თუ თანამედროვე ადამიანებისთვის დამახასიათებელი ნიშნები *Homo erectus*-ის პოპულაციებში სხვადასხვა ადგილას და თითქმის ერთდროულად გაჩნდა, რა მექანიზმებს შეიძლებოდა გამოეწვია სხვადასხვა რეგიონში ერთი და იმავე ნიშნების ჩამოყალიბება?
3. რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან შუა და ქვედა პალეოლითის კულტურები?

ზედა პალეოლითის სამყარო

9

თავების შინაარსი

- ბოლო გამყინვარების ხანა
- ზედა პალეოლითის ევროპა
- აფრიკისა და აზიის ზედა პალეოლითის კულტურები
- უადრესი ადამიანები და მათი კულტურები ახალ სამყაროში
- ზედა პალეოლითის დასასრული

ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის კულტურის ისტორია, რომელიც 40000 წლის წინანდელი პერიოდიდან ნეოლითურ პერიოდამდე (დაიწყო დაახლოებით 10000 წლის წინ) გრძელდება, **ზედა პალეოლითის** სახელით არის ცნობილი (იხ. სურ. 9-1). აფრიკაში, კულტურის თვალსაზრისით, იმავე პერიოდს გვიანი ქვის ხანა ეწოდება და ბევრად უფრო ადრეა დაწყებული. ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში ეს პერიოდი ადამიანების ახალ სამყაროში პირველი შესვლით იწყება, (დაახლოებით 12000 წლის წინ), (ეს კოლონიზატორები პალეო-ინდიელების სახელწოდებით არიან ცნობილნი) და გრძელდება ე.წ. არქაული ტრადიციების წარმოშობით, (დაახლოებით 10000 წლის წინ). ტერმინოლოგიის გასამარტივებლად, ამ პერიოდის ძველი სამყაროს კულტურაზე საუბრისას ვიყენებთ ტერმინს ზედა პალეოლითი.

მრავალი ასპექტით ზედა პალეოლითის ადამიანთა ცხოვრების წესი ძველის მსგავსი იყო. ადამიანები ძირითადად კვლავ მონადიროებას, შემგროვებლობასა და მეთევზეობას მისდევდნენ და მცირე ზომის მობილურ ჯგუფებად ცხოვრობდნენ. ისინი ან ღია ადგილას მოწყობილ ბანაკებში, ტყავით გადახურულ ქოხებში ცხოვრობდნენ ან გამოქვაბულებსა და კლდის საფარებში. მათ მიერ დამზადებული ქვის იარაღი სულ უფრო და უფრო მცირე ზომისა და დახვეწილ ფორმას იღებდა.

ზედა პალეოლითი ახალი, მრავალფეროვანი მოვლენებითაც ხასიათდება. მათგან ერთ-ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანია ხელოვნების განვითარება, რაც გამოქვაბულების კედლებისა და ქვის დიდი ლოდების მოხატვაში, იარაღის მოპირკეთებაში, ძვლისგან, ირმის რქისგან, ნიჟარებისა და ქვისგან დეკორატიული საგნების დამზადებაში გამოიხატებოდა (იქნებ სწორედ ამ ან სხვა მიზნით, ადამიანებმა საჭირო მასალის შორიდან მოტანა დაიწყეს). იმის გამო, რომ ზედა პალეოლითით დათარიღებული ძეგლები სხვა, უფრო ადრეულ ძეგლებთან შედარებით დიდი ზომისა იყო, არქეოლოგები ფიქრობენ, რომ ზედა პალეოლითის პერიოდში ადამიანთა პოპულაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. ახალი გამოგონებები, როგორიც არის მშვილდ-ისარი, ისრის სატყორცნი და ტარზე მოსარგები პატარა, მჭრელი პირები, პირველად ამ დროისათვის ჩნდება.

ბოლო გამყინვარების ხანა

ზედა პალეოლითის ბუნება დღევანდელისგან ძალიან განსხვავდებოდა. დედამიწას ჯერ კიდევ ბოლო გამყინვარების შედეგები ეტყობოდა: ევროპა, თითქმის ბერლინამდე და ვარშავამდე, ხოლო ამერიკა ჩიკაგომდე, ყინულით იყო დაფარული. გამყინვარებული ტერიტორიები სამხრეთით ევროპაში ალპებამდე, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში ოზარკამდე, აპალაჩის მთებსა და დიდ ველებამდე ვრცელდებოდა (იხ. სურ. 9-2). ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით, ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა დღევანდელ ციმბირსა და ჩრდილოეთ კანადას მოგვაგონებდა. მსოფლიოს სხვა ნაწილებში ბუნებრივი პირობები ამდენად ექსტრემალური არ იყო, მაგრამ დღევანდელისგან განსხვავდებოდა.

ერთი მხრივ, ჰავა განსხვავებული იყო. საშუალო წლიური ტემპერატურა დღევანდელზე 100 ცელსიუსით უფრო დაბალი იყო, ხოლო ოკეანის დინებების გამო, ალბათ, ტემპერატურული კონტრასტები (განსხვავება ზამთრისა და ზაფხულის თვეებს შორის) უფრო საგრძნობი იქნებოდა. ოკეანის დინებების ცვალებადობა ალბათ ამინდის კანონზომიერებათა ცვალებადობას იწვევდა, რასაც ევროპაში ყოველ წელს დიდთოვლიანობა მოჰყვებოდა. სიცივე მთელს მსოფლიოში არ აღინიშნებოდა, მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთში არსებული ყინულის ძლიერი საფარი მსოფლიოს ჰავაზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა. ჩრდილოეთ აფრიკაში, მაგალითად, ჰავა უფრო ტენიანი



სურათი 9-1 **ზედა პალეოლითის ძეგლები და მოვლენები**



სურათი 9-2 **გამყინვარება ზედა პალეოლითში**

იყო, ვიდრე ამჟამად არის, სამხრეთ აზიაში კი — შედარებით მშრალი. ზოგადად, ჰავა მთელ მსოფლიოში ძალიან ცვალებადი იყო.

ზედა პალეოლითის მცენარეები და ცხოველები ამ ექსტრემალურ პირობებს შეგუებულნი იყვნენ. მათ შორის იყვნენ ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი სანადირო ცხოველები, რომელთა კოლექტიური სახელია პლეისტოცენური მეგაფაუნა. ეს ცხოველები, როგორც მათი სახელიდან ჩანს, ზომით ბევრად აღემატებოდნენ თავიანთ ამჟამინდელ შთამომავლებს. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში მიწაზე მცხოვრები გიგანტური ზარმაცების სიმაღლე 8-10 ფუტი იყო, მათი წონა კი რამდენიმე ათას გირვანქას უდრიდა. ციმბირული მამონტები ოდესმე არსებული ყველაზე დიდი ზომის ცხოველები იყვნენ და ზოგი მათგანის სიმაღლე 14 ფუტსაც აღწევდა. აღმოსავლეთ აზიაში ისეთი სახეობები ცხოვრობდნენ, როგორიც იყო ბალნიანი მარტორქა და გიგანტური ირემი.

ზედა პალეოლითის ევროპა

მეგაფაუნის წარმომადგენელთა წყალობით დიდი რაოდენობის ხორცის მოპოვება ადვილი იყო, რის გამოც, საკვირველი არ არის, რომ ზოგადად, ზედა პალეოლითის კულტურაში, კერძოდ კი, ევროპაში, ნადირობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ევროპელების ცხოვრების წესი ძველი სამყაროს ცხოვრების წესის მსგავსი იყო. მას შემდეგ, რაც ადამიანებმა თავიანთი გარემომცველი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების გამოყენება დაიწყეს,

ზედა პალეოლითის ადამიანთა ჯგუფების უმეტესობამ, ძველი მსოფლიოს მასშტაბით, თავის წინაპრებთან შედარებით, უფრო ბინადარი ცხოვრება დაიწყეს. მათ ხელი მიჰყვეს ასევე, მეზობელ ჯგუფებთან ვაჭრობასაც, რათა ის რესურსები მოეპოვებინათ, რომლებიც მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს არ მოიძებნებოდა.

ისევე, როგორც შუა პალეოლითის ძეგლები ვნახეთ, ზედა პალეოლითის ძეგლებიც უმეტესად გამოქვაბულებსა და კლდის საფარებში მდებარეობდნენ. სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში აღმოჩენილ ძეგლებზე ზოგი გამოქვაბულის იატაკის ნაწილზე ქვა იყო დაგებული. ზოგ გამოქვაბულში, როგორც ჩანს, სითბოს შესაკავებლად კარვები იყო მოწყობილი. გაითხარა აგრეთვე ღია ადგილზე მოთავსებული ძეგლებიც.

ძეგლი დოლნი ვესტონიჩე, რომელიც ამჟამინდელი ჩეხეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, დაახლოებით 25000 წლის წინანდელი პწერიოდით თარიღდება. ის ერთი პირველთაგანია, რომელსაც ერთიანი გეგმა აქვს. როგორც ჩანს, სამოსახლო შედგებოდა ოთხი კარვისმაგვარი ნაგებობისგან, რომლებიც ცხოველთა ტყავებისგან იყო გაკეთებული და რომელთა ცენტრში დიდი, ღია კერა მდებარეობდა. გარეთა მხრიდან, ქოხების ირგვლივ, მამონტების ძვლები ეყარა, რომელთაგან ზოგი მიწაში იყო ჩარჭობილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქოხები კედლით იყო გარშემორტყმული. მთლიანობაში იქ ალბათ ასამდე მამონტის ძვალი ეყარა. სავარაუდოდ, თითოეულ ქოხში მონათესავე ოჯახების ჯგუფები ცხოვრობდნენ, რომლებიც დაახლოებით 20-25 ადამიანისგან შედგებოდა. (თითოეული ქოხის ზომა 27 X 45 ფუტი იყო. თითოეულ მათგანში ხუთი კერა თავსდებოდა — თითო კერა თითო ოჯახისათვის). თუ თითოეულ ქოხში 20-25 ადამიანს ვიანგარიშებთ, სამოსახლოში, მთლიანობაში ალბათ 100-125 ადამიანს უნდა ეცხოვრა.

სამოსახლოს ზემოთ, გორაკზე კიდევ ერთი განსხვავებული ქოხი იდგა. მიწაში ამოთხრილი, რომელშიც მოთავსებული იყო ღუმელი, მასში ცხოველთა მცირე ზომის გამოსახულების 2300 ცალი გამომწვარი ფრაგმენტი აღმოჩნდა. აქვე აღმოჩნდა რამდენიმე გამოფულრული ძვალი, რომლებიც როგორც ფიქრობენ, შეიძლებოდა მუსიკალური ინსტრუმენტები ყოფილიყო. ამ სამოსახლოს კიდევ ერთი საინტერესო შტრიხია სამარხი, რომელში დაკრძალულ ქალს სახე განადგურებული ჰქონდა და რომელიც, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი პიროვნება იყო, რადგან მისი სახე სამოსახლოს ცენტრალურ კერასთან აღმოჩენილ სპილოს ძვლის ფირფიტაზეა ამოკვეთილი.

ზედა პალეოლითის იარაღი

ზედა პალეოლითის იარაღის დამზადების ტექნიკის ფესვები, როგორც ჩანს, მუსტიერული და პოსტ-აშელური პერიოდებიდან მოდის. ამაზე ის ანატკეჩებიც მეტყველებს, რომლებიც ზედა პალეოლითურ ძეგლებზეა აღმოჩენილი. მაგრამ ზედა პალეოლითის ძეგლებზე მეტი რაოდენობით ბასრი პირებია აღმოჩენილი, გვხვდება საჭრისებიც, ძვლისა და ირმის რქის იარაღებიც, მიკროლითებიც. გაჩნდა იარაღის დამუშავების ორი ახალი მეთოდი: არაპირდაპირი დარტყმა (პერკუსია) და წნევით ატკეჩვა. ბასრი პირები შუა პალეოლითის პერიოდის ძეგლებზეც ჩნდებოდა, მაგრამ ზედა პალეოლითამდე ასე ფართოდ არ გამოიყენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბასრი პირების დამზადება სხვადასხვა მეთოდით შეიძლებოდა, ზედა პალეოლითში ჩაქუჩის **არაპირდაპირი დარტყმის** მეთოდი უფრო მიღებული იყო. ნუკლეუსისათვის ცილინდრული ან პირამიდული ფორმის მიცემის შემდეგ ხელოსანი ირმის რქას, ხეს ან რაიმე მყარი მასალის "კომპოსტერს" საჭირო მდგომარეობაში იჭერდა და ჩაქუჩს ურტყამდა. იმის გამო, რომ ძალა სწორად იყო მიმართული, ხელოსანი ამზადებდა სასურველი ფორმის **ბასრ** პირებს, რომელთა სიგრძე სიგანეს ორჯერ აღემატებოდა (იხ. სურ. 9-3).

ზედა პალეოლითი ხასიათდება აგრეთვე ძვლის, ირმის რქისა და სპილოს ძვლის იარაღის სიმრავლით. პირველად ჩნდება ძვლისგან დამზადებული ისეთი იარაღები, როგორებიცაა ნემსები, მახათები და **ბარჯები**. ამგვარი საგნების დამზადება ბევრად გააადვილა საჭრისების შექმნამ. საჭრისები შუა პალეოლითშიც გვხვდებოდა, მაგრამ ზედა პალეოლითის ძეგლებზე ისინი ძალიან დიდი რაოდენობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევიან.

წნევით ატკეჩების მეთოდიც ზედა პალეოლითში განვითარდა. არაპირდაპირი დარტყმის მეთოდისგან განსხვავებით, წნევით ატკეჩების მეთოდი გულისხმობს ძვლის, ხის ან ირმის რქის იარაღზე წნევის ზემოქმედებით (დაწოლით) დასამუშავებელი იარაღიდან მცირე ანატკეჩების ჩამომტვრევას. წნევით ატკეჩვა ჩვეულებრივ იარაღის რეტუშირების საბოლოო სტადიაზე გამოიყენებოდა.

დროთა განმავლობაში ბასრპირიანი იარაღი იხვეწებოდა. ყველაზე პატარა პირებს, რომელთაც **მიკროლითები** ეწოდება, ხშირად სახელურები უკეთდებოდა. ერთ სახელურში ერთი ან რამდენიმე ბასრი პირი იყო ჩასმული და შუბად, ხის სათლელად, დანად ან ნამგლად გამოიყენე-

სურათი 9-3 ნუკლეუსიდან ანატკეჩების ჩამომტვრევის ერთ-ერთი მეთოდია არაპირდაპირი დარტყმა (პერკუსია), ხოლო ობიექტი, რომელსაც ურტყამენ არის ძვლისგან ან რქისგან დამზადებული "კომპოსტერი".



ზედა პალეოლითის იარაღი. ამ ხანის ადამიანები ბევრად უფრო მრავალფეროვან იარაღს ამზადებდნენ, ვიდრე მათი წინამორბედები.

ბოდა. სახელურში ჩასასმელად მჭრელი პირი ისე უნდა დამუშავებულიყო, რომ მისი მეორე ბოლო ბლაგვი ყოფილიყო, რათა სახელური არ დაეზიანებინა. გარდა ამისა, იარაღის ბლაგვი მეორე ბოლო უტარო იარაღის გამოყენებისას ადამიანსაც არ დააზიანებდა.

ზოგი არქეოლოგის აზრით, ბასრი პირების დამზადების ტექნიკა იმიტომ განვითარდა, რომ კაჟი უფრო ეკონომიურად გამოეყენებინათ. ანდრე ლერუა-გურანის (პარიზის ადამიანის მუზეუმი) გამოთვლით, ძველი აშელური ტექნიკის გამოყენებით ორი ხელცულის დასამზადებლად, რომელთა პირის სიგრძე 16 დუიმი იქნებოდა, 2 გირვანქა კაჟის ნედლეული უნდა დაეხარჯათ. უფრო განვითარებული, მუსტიერული ტექნიკის გამოყენებით, იმავე რაოდენობის ნედლეულიდან 2 იარდის სიგრძის პირი გამოვიდოდა, ხოლო ზედა პალეოლითის არაპირდაპირი დარტყმის მეთოდით — 25 იარდი. მასალის იმავე რაოდენობიდან ბევრად უფრო დიდი რაოდენობის იარაღის მიღება შეიძლებოდა. ძვირფასი მასალიდან რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მიღება ძალზე მნიშვნელოვანი იყო ისეთ ადგილებში, სადაც კაჟის დიდი მარაგი არ აღინიშნებოდა. მოსახლეობის ზრდის პირობებში კი, თავისთავად ცხადია, რომ ბევრად მეტი რაოდენობის იარაღი იქნებოდა საჭირო.

ჟაკ ბორდას აზრით, იარაღის დამზადების ტექნოლოგიის მნიშვნელოვან განვითარებას, რომელიც კაჟის ერთი ნატეხიდან ბასრი პირების მაქსიმალური რაოდენობით დამზადებაში მდგომარეობდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ადამიანთა უმრავლესობა ისეთ ადგილებში ცხოვრობდა, სადაც კაჟი არ მოიპოვებოდა. ბასრპირიანი იარაღის დამზადების ტექნიკის განვითარების კიდევ ერთი მიზეზი ის იყო, რომ ის აადვილებდა იარაღის მსუბუქ შეკეთებას. მაგალითად, თუ რომელიმე იარაღის საჭრელი პირი სამართებლის მსგავსი რამდენიმე პირისგან შედგებოდა, რომლებიც ხის ერთ ნაჭერში იყო ჩასმული, ხოლო ერთ-ერთი ამ პირთაგანი გატყდებოდა, იარაღის გამოყენება შეუძლებელი ხდებოდა. მაგრამ თუ იარაღის პატრონს თან ექნებოდა კაჟის ნაჭერი, რომლისგანაც იდენტური ზომის ისეთივე პირის დამზადება შეიძლებოდა, დაზიანებული პირის გამოცვლას და იარაღის შეკეთებას ადვილად შეძლებდა. ასევე ადვილად შეიძლებოდა შუბისპირის გამოცვლა ან შეკეთებაც. ამგვარად, ბასრი პირების დამზადების ტექნიკის ადაპტაციის მიზეზი შეიძლება არა მარტო კაჟის ეკონომიური გამოყენება, არამედ დაზიანებული პირების გამოცვლაც ყოფილიყო.

როგორ გამოიყენებოდა იარაღი? იდეალურ შემთხვევაში, იარაღის შესწავლამ არა მარტო მისი დამზადების ტექნოლოგია, არამედ მისი დანიშნულებაც უნდა გამოავლინოს. იარაღის დანიშნულების დადგენის ერთ-ერთი საშუალებაა იმის გაგება, თუ როგორ გამოიყენებოდა და გამოიყენება ამგვარი იარაღი ახლო წარსულში ან თანამედროვე ადამიანების მიერ, რომლებიც მსგავს საქმიანობას ეწევიან და ისეთივე ბუნებრივ პირობებში ცხოვრობენ. შესწავლის ამ მეთოდს **ეთნოგრაფიული ანალოგიების** საშუალებით დასაბუთება ეწოდება. ასეთი დასაბუთების პრობლემა აშკარაა: დარწმუნებით ვერავინ იტყვის, რომ ამგვარი იარაღი წარსულშიც იმავე დანიშნულებით გამოიყენებოდა, როგორც, აწმყოში. ახლო წარსულის ან თანამედროვე ისეთი კულტურების შერჩევისას, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ, ინფორმაციული და ზუსტი შედარებები გავაკეთოთ, უნდა ვეცადოთ ამოვარჩიოთ ის კულტურები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო უძველესი კულტურიდან წარმოიშვნენ. თუ შესადარებელი კულტურები ისტორიულად ერთმანეთს უკავშირდებიან, მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთ აშშ-ში მდებარე პუებლოს პრეისტორიული და ახალი კულტურები, უფრო დარწმუნებით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ეს ორი ჯგუფი იარაღის გარკვეულ სახეობას ერთი და იმავე დანიშნულებით იყენებდა.

მეორე გზა იმის დასადგენად, თუ რისთვის გამოიყენებოდა ესა თუ ის იარაღი, არის უძველეს იარაღზე არსებული ცვეთის, როგორც თვალით შესამჩნევი, ისე მიკროსკოპული კვალის შედარება თანამედროვე იარაღზე გაჩენილ ისეთივე კვალთან, რომელიც თანამედროვე მეცნიერების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად დარჩა. ამგვარი გამოკვლევის მთავარი აზრი ისაა, რომ სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენება იარაღზე სხვადასხვანაირ კვალს ტოვებს. ამგვარი კვლევების ჩატარება პირველად ამ საქმის პიონერს. ს. სემიონოვს მოუვიდა აზრად, რომელმაც პრეისტორიული იარაღი შექმნა და სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდა, რათა მათზე ცვეთის კვალი შეესწავლა. მაგალითად, ქვის იარაღით ხორცის დაჭრისას იარაღი ისევე გაპრიალდა, როგორც ციმბირში ნაპოვნი პრეისტორიული "სამართებლები" პრიალებდა. ამ აღმოჩენამ სემიონოვი მიიყვანა დასკვნამდე, რომ აღმოჩენილი პირებიც ხორცის დასაჭრელად გამოიყენებოდა.

ზედა პალეოლითის ადამიანების მიერ დამზადებული იარაღი გვაფიქრებინებს, რომ ისინი ბევრად უფრო უკეთესი მონადირეები და მეთევზეები იყვნენ, ვიდრე მათი წინამორბედები. ზედა პალეოლითის განმავლობაში, როგორც ჩანს, შუბს ხელის მაგივრად შუბის სატყორცნით ისროდნენ. ეს იმით მტკიცდება, რომ ზოგიერთ ძეგლზე ძვლისა და ირმის რქისგან დამზადებული **ატლატლები** (აცტეკურ ენაზე "შუბის სატყორცნს" ნიშნავს) აღმოჩნდა.

გოფრირებული ფიცრიდან გასროლილი შუბი ჰაერში მეტი ძალით და უფრო შორს მიფრინავდა და სამიზნესაც უფრო ძლიერად ერჭობოდა, თანაც მსროლელის ძალა არ იყო საჭირო. ზედა პალეოლითში მშვილდ-ისარიც ბევრ ადგილას გამოიყენებოდა. იმ დროისათვის სათევზაოდ და ჩრდილოეთის ირემზე სანადიროდ უკვე ბარჯების გამოყენებაც დაიწყეს.

ახალი სანადირო და სათევზაო იარაღის გამოგონება ლეშის შეგროვებას არ გამორიცხავდა. ოლგა სოფერის აზრით, ზედა პალეოლითის ადამიანები თავიანთ საცხოვრებლებს ისეთ ადგილების მახლობლად აწყობდნენ, სადაც ბევრი მამონტი ბუნებრივი სიკვდილით იხოცებოდა, რათა მათი ძვლები სამშენებლო მასალად გამოეყენებინათ (იხ. სურ. 9-4). მაგალითად, მორავიაში მამონტები კალციტის, მაგნიუმისა და კალციუმის საბადოსთან ასალოკად განსაკუთრებით ხშირად გვიან გაზაფხულზე და ადრე ზაფხულში მიდიოდნენ, როდესაც რესურსები ცოტა იყო და სიკვდილიანობა მაღალი. იმ აზრს, რომ ადამიანები ამდენ უზარმაზარ მამონტს ვერ დახოცავდა, შეესაბამება ფაქტიც, რომ ზოგ ადგილას აღმოჩენილია მამონტების ძალიან მცირე რაოდენობის ძვლები, რომელსაც ადამიანებისგან მიყენებული ჭრილობები ემჩნევათ. მაგალითად, ძეგლ დოლნი ვესტონიჩეში, სადაც 100 მამონტის ძვალია აღმოჩენილი, მხოლოდ რამდენიმე ძვალს ეტყობა ადამიანის მიერ საყასბო მიზნით დამუშავების კვალი, რამდენიმე ძვალი კი ქოხებში აღმოჩნდა. მამონტების ძვლებისგან განსხვავებით, ძეგლი სავსეა ბიზონების, ცხენებისა და ჩრდილოეთის ირმების ძვლებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ცხოველები ადამიანებმა შეგნებულად დახოცეს. თუ ადამიანებს ამდენი მამონტის დახოცვა და შეჭმა შეეძლოთ, რისთვის დახოცავდნენ კიდევ სხვა ცხოველებს?

ანთროპოლოგიური პირველწყაროები

ქვის იარაღის (ლითოსების) ანალიზი

ზედა პალეოლითის ადამიანებითა და კულტურით პალეოანთროპოლოგებზე მეტად არქეოლოგები არიან დაინტერესებულნი. ამის მიზეზი არის არა მხოლოდ ის, რომ ზედა პალეოლითის ადამიანები უკვე თანამედროვე ადამიანებს წარმოადგენენ, არამედ ისიც, რომ უამრავი ნივთიერი მასალა დატოვეს მათი ყოველდღიური ცხოვრების შესასწავლად. ზედა პალეოლითის ადამიანების მატერიალური კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს ქვის იარაღი წარმოადგენს. რობერტ კელი მოკლედ განმარტავს, თუ რა ინფორმაციის მოცემა შეუძლია ქვის იარაღის შესწავლას.

"წარმოიდგინეთ მონადირე-შემგროვებელთა ოჯახი, რომელმაც ზაფხულის ნაწილი კლდის საფარში გაატარა. მათ მოიტანეს ისრის პირები, რომლებიც განსაკუთრებული, წითელი კაჟისებური კირქვისგან იყო დამზადებული. ამ ისრის პირებს სანადიროდ იყენებდნენ, თუმცა მათი საშუალებით ხორცსაც ჭრიდნენ. გატეხილი ისრის პირებით კი ტყავებს ამუშავებდნენ. თუ კალათების დასაწნავად ტირიფის ტოტების მოტანა იყო საჭირო, ქალს ახლომდებარე ნაკადულიდან კვარციტის პატარა კენჭები მოჰქონდა და არაპირდაპირი დარტყმით ანატკეჩებს ამზადებდა. ზოგი კენჭი პატარა იყო და ქალი მათ ორივე პოლუსიდან ამცირებდა. ამ ანატკეჩებს ქალი ერთი დღის განმავლობაში ინახავდა, შემდეგ ყრიდა. ამასობაში კაცების სხვა ადგილზე სანადიროდ გადასასვლელად შუბის პირები შემოელეოდათ და ქვის კარიერზე მიდიოდნენ, რომელიც ორი დღის სავალზე მდებარეობდა. ადგილზე მისვლის შემდეგ, ყავისფერი კაჟისებური კირქვის დიდ ნატეხებს ამსხვრევდნენ, მინარევებისგან ასუფთავებდნენ (შინ რომ ნაგავი არ მიეტანათ) და უკან, სადგომში ბრუნდებოდნენ, სადაც მოტანილი მასალა უნდა დაემუშავებინათ. ზოგ მოტანილ ნატეხს კერის ცეცხლში აგდებდნენ, რადგან იცოდნენ, რომ გაცხელების შემდეგ ანატკეჩების ჩამომტვრევა უფრო ადვილი იქნებოდა. ერთი თვის შემდეგ ოჯახი საცხოვრებელს იცვლიდა. ქარი კლდის საფარს ავსებდა მტვრით, რომელიც მიტოვებულ იარაღსა და ნამტვრევებს ფარავდა. ასეთ ადგილებს იკვლევენ არქეოლოგები.

ზედა პალეოლითის ხელოვნება

ზედა პალეოლითის ხანის ხელოვნების პირველი აღმოჩენილი ნიმუშები იყო მძივები და ამოჭრილი ორნამენტები, შემდეგ კი ნახატები. მოსალოდნელი იყო, რომ ადრეული ხელოვნების ნიმუშები უხეში იქნებოდა, მაგრამ ესპანეთისა და საფრანგეთის გამოქვაბულის მხატვრობაში დახელოვნების გარკვეული ხარისხი აღინიშნება. იგივე შეიძლება ითქვას ლოდებზე დახატულ ნატურალისტურ გამოსახულებებზე, რომლებიც სამხრეთ აფრიკაშია აღმოჩენილი. როგორც ჩანს, ზოგიერთი ასეთი ლოდი დაახლოებით 28000 წლის წინანდელია, რაც გვაფიქრებინებს, რომ აფრიკული მხატვრობა ევროპულის ტოლია. მაგრამ მხატვრობის ამაზე ძველი ნიმუშებიც არსებობს. ადრეული ავსტრალიელები კლდის საფარების კედლებზე და კლდეებზე, სულ ცოტა, 30000 წლის და იქნებ 60000 წლის წინაც ხატავდნენ. სამხრეთ აფრიკაში, ბლომბოსის გამოქვაბულში წითელი საღებავით შესრულებული ნახატები 77000 წლის წინანდელ პერიოდს მიეკუთვნება.

პიტერ უკომ და ანდრე როზენფილდმა დასავლეთ ევროპაში გამოქვაბულის მხატვრობის ნიმუშები სამ კატეგორიად დაყვეს. (1) დასახლებული კლდის საფარებსა და გამოქვაბულების შესასვლელებში — ხელოვნება, როგორც დეკორი ანუ "ხელოვნება ხელოვნებისათვის"; (2) "გალერეები", დასახლებული ადგილებისა და გამოქვაბულების ახლოს, და (3) გამოქვაბულების სიღრმეში, მიუწვდომელ ადგილებში, რაც ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მათ მაგიურ-რიტუალურ დანიშნულებაზე მეტყველებდა.

გამოსახულებათა ძირითადი პერსონაჟები ცხოველები არიან. ნახატები ყოველგვარი ფონის გარეშე, შიშველ კედლებზეა შესრულებული. შესაძლოა, ზოგიერთი თანამედროვე ხალხების მსგავსად, ზედა პალეოლითის ადამიანებს სწამდათ, რომ ადამიანის გამოსახვას მისთვის ზიანის მიყენება შეეძლო. თუ მათ მართლა ასე სწამდათ, მაშინ შესაძლოა, ამით აიხსნას ის, რომ გამოქვაბულების კედლებზე ადამიანებს ძალიან იშვიათად ხატავდნენ. ამის ახსნა სხვაგვარადაც შეიძლება: იმის გამო, რომ იმდროინდელი ადამიანი ძირითადად ნადირობით იყო დაკავებული,



სურათი 9-4 სურათზე გამოსახულია დაახლოებით 15000 წლის წინ აღმოსავლეთ ევროპის დაბლობზე აღმოჩენილი მამონტის ძვლებისგან აგებული ქოხები. მამონტის თავის ქალები ხშირად მათივე ეშვებისა და გრძელი ძვლების ან ხის ჩარჩოების საყრდენის ნაწილად გამოიყენებოდა. ქოხი ცხოველთა ტყავებით იყო გადახურული. კედლების ნაძვისებური წყობისთვის დაახლოებით 95 მამონტის ქვედა ყბა იყო გამოყენებული. ამგვარი ქოხის აგება, რომლის ფართობი 258 კვადრატული ფუტი იყო და 46000 გირვანქა ძვალი სჭირდებოდა, 10 კაცსა და ქალს 6 დღის განმავლობაში შეეძლოთ.

იქნებ ნახატებით იღბლის გამოსწორებას ცდილობდნენ. ამ თეორიას ამყარებს ნახატებზე აღმოჩენილი ისრის ნაკვალევები. მაგრამ თუ ნახატები მაგიური დანიშნულების მატარებელი იყო, ძნელი ასახსნელია, რატომ არის ისრის კვალი მხოლოდ ზოგიერთზე. სავარაუდოა, ნახატებს იმისთვის აკეთებდნენ, რომ მათი წარმოდგენით, ეს მხეცების რაოდენობას გაზრდიდა. ფაქტია, რომ გამოქვაბულის მხატვრობამ უმაღლეს მწვერვალს ზედა პალეოლითის ბოლოს მიაღწია, როდესაც ცხოველების რაოდენობამ შემცირება დაიწყო.

სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის გამოქვაბულების მხატვრობის განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა პატრისია რაისისა და ენ პეტერსონის სტატისტიკური გამოკვლევის შედეგებით გამოიკვეთა. გამოკვლევის მონაცემების მიხედვით გაირკვა, რომ კედლებზე ძირითადად ის ცხოველები იყვნენ გამოსახულნი, რომლებიც ხორცისა და ტყავისთვის გამოიყენებოდნენ. მაგალითად, გარეული მსხვილი რქოსანი პირუტყვისა და ცხენების გამოსახულებები უფრო ხშირია ალბათ იმიტომ, რომ უფრო დიდი ზომისანი იყვნენ და მეტ ხორცს იძლეოდნენ, ვიდრე იქ მცხოვრები სხვა ცხოველები. გარდა ამისა, ხშირად ხატავდნენ ისეთ ცხოველებს, რომლისაც ეშინოდათ მათი ზომის, სისწრაფის, ბუნებრივი იარაღისა (ეშვების, რქების) და გაუთვალისწინებელი ქცევების გამო: მაგალითად, მამონტებს, ხარებსა და ცხენებს უფრო ხშირად ხატავდნენ, ვიდრე ირემსა და შველს. ამგვარად, ეს ნახატები ადასტურებს აზრს, რომ "ხელოვნება დაკავშირებულია ნადირობის მნიშვნელობასთან ზედა პალეოლითის ადამიანების ეკონომიკაში". მკვლევარები თვლიან, რომ ზედა პალეოლითის შემდგომ პერიოდში ხელოვნება ასახავდა ადამიანის მიერ საკვების მოპოვების პროცესს, მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც დიდი ზომის ცხოველების შემცირების გამო, ადამიანები საკვებად მათ ნაკლებად იყენებდნენ და შესაბამისად ნაკლებად ხატავდნენ.

ზედა პალეოლითის ხელოვნება მხოლოდ გამოქვაბულის მხატვრობით არ შემოიფარგლებოდა. მრავალი შუბის ტარი და მსგავსი საგანი ცხოველთა გამოსახულებებით იყო დამშვენებული. ალექსანდრ მარშაკმა ზედა პალეოლითის ზოგიერთი ნიმუშის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა: მისი აზრით, დაახლოებით 30000 წლის წინ მონადირეები მთვარის ფაზების აღსანიშნავად ქვაზე ან ძვალზე გამოსახულ პირობით ნიშნებს იყენებდნენ. თუ ეს სიმართლეა, გამოდის, რომ ზედა პალეოლითის ადამიანები საკმაოდ რთულად აზროვნებდნენ და გარემომცველ სამყაროს კარგად იცნობდნენ. გარდა ამისა, ზედა პალეოლითის ძეგლებზე აღმოჩენილია ქალის სტილიზებული გამოსახულებანი ჰიპერტროფირებული ფორმებით, რომელთაც "ვენერებს" უწოდებენ. ამ გამოსახულებებს დიდი მკერდი, თეძოები და მუცლები აქვთ. რის სიმბოლოებს წარმოადგენდნენ ეს ვენერები, ჯერ კიდევ საკამათოა. ზოგი მეცნიერის აზრით, ისინი ნაყოფიერების ქალღმერთის სიმბოლოები იყვნენ, მაგრამ მათ ბევრი არ ეთანხმება. მაგალითად, ლერუა მაკდერმოტი ამტკიცებს, რომ ვენერას გამოსახულებებს სიმბოლური დანიშნულება არ გააჩნიათ და ფეხმძიმე ქალების ავტოპორტრეტებად უნდა ჩავთვალოთ. მათი გადიდებული მკერდი, თეძოები და მუცლები ისეთი კუთხით არის დანახული, როგორითაც ფეხმძიმე ქალი ზემოდან დაინახავდა თავის თავს და რის გამოც ბევრ გამოსახულებას სახის ნაკვთები არ გააჩნია. სხვა თვალსაზრისით, ფიგურები ადრეული ეროტიკის ნიმუშებია და მამაკაცების მიერ თავიანთი სექსუალური სიამოვნებისთვის ან განათლებისთვის არის დამზადებული. არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ეს ქანდაკებები ქალების მიერ არის დამზადებული ახალგაზრდა ქალებისთვის ფეხმძიმობისა და მშობიარობის შესახებ ინფორმაციის მისაცემად.

არქეოლოგებს შორის ვენერას ფიგურებთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა, არქეოლოგიის მთავარ პრობლემაზე მეტყველებს: მასალის სიმცირე ან არარსებობა ხშირად არქეოლოგებს არ აძლევს დასკვნის ან რაიმეს უარყოფის საშუალებას. (იხ. ჩარჩო "ქალთა გამოსახულება ზედა პალეოლითის ხელოვნებაში"); მეტიც, ხშირად საჭიროა მონაცემებისა და მათი ინტერპრეტაციის დაბალანსება, მაგრამ ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ მიღებული დასკვნა ახალი მონაცემების აღმოჩენამ შეიძლება შეცვალოს.

აფრიკისა და აზიის ზედა პალეოლითის კულტურები

ევროპა არ იყო ერთადერთი ადგილი, სადაც ზედა პალეოლითის ადამიანები ცხოვრობდნენ. ისინი ცხოვ-

სამგანზომილებიანი ხელოვნების ნიმუში საფრანგეთიდან. ბიზონის გამოსახულება, რომელიც სხეულს ილოკავს, შესრულების სიზუსტითა და სინატიფით გამოირჩევა და ზედა პალეოლითის მხატვართა დახელოვნებაზე მეტყველებს.

რობდნენ ჩრდილოეთ აფრიკაშიც, აქ იმ პერიოდში უამრავი ცხოველი ბინადრობდა, რომლებზეც ნადირობდნენ აქაურები. ისინი ძირითადად პატარა ჯგუფებად ცხოვრობდნენ ისეთ ადგილებში, რომლებიც წყალთან და სხვა აუცილებელ რესურსებთან ახლოს მდებარეობდა და მუდმივად იცვლიდნენ ადგილს, როგორც ჩანს, ცხოველთა ჯოგების გადაადგილების მიხედვით. ადგილობრივი ჯგუფები ვაჭრობდნენ იარაღის დასამზადებელ საუკეთესო მასალაზე. აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში ჩამოყალიბდა ცხოვრების წესი, რომელსაც გვიანი ქვის ხანა ეწოდება და რომელიც ზოგიერთ ადგილას ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი. ადამიანთა პატარა, ჯგუფები აქ ნადირობასთან ერთად მრავალფეროვან მცენარეებსაც აგროვებდნენ. მათ ერთმანეთთან ურთიერთობა ჰქონდათ. მეტიც, ხშირად მათი შთამომავლები ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადიოდნენ.

ვენერა ვილენდორფიდან. ვენერას ერთ-ერთი ყველაზე განთქმული გამოსახულება

სამხრეთ აფრიკაში წყალუხვი მდინარეების ნაპირზე ზედა პალეოლითის მოსახლეობა უფრო და უფრო გადადიოდა ცხოვრების დამკვიდრებულ წესზე. ისინი სეზონურად ნადირობდნენ, თევზაობდნენ და აგროვებდნენ მცენარეულ საკვებს, ადგილს იცვლიდნენ იმის მიხედვით, სადაც მათთვის აუცილებელი რესურსები იყო. აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ოკეანის რესურსებს სანაპიროზე მცხოვრები ხალხებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა მაშინ, როდესაც სანაპიროდან მოშორებულ რეგიონებში ადამიანები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ და ნადირობასა და შემგროვებლობას ეწეოდნენ. ამ ძეგლთაგან მრავალზე ადამიანები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ, ამიტომ აქ ბინადარი ცხოვრების კვალი შეიმჩნევა. ზედა პალეოლითში აზიიდან გამოსულმა ადამიანებმა ავსტრალიის, ახალი გვინეისა და დასავლეთ მალაიზიის ზოგიერთი სხვა კუნძულის პოპულაცია შექმნეს, ეს კი მათი საზღვაო გზით გადაადგილების შესაძლებლობაზე და ზღვის რესურსების გამოყენებაზე მეტყველებს.

უადრესი ადამიანები და მათი კულტურები ახალ სამყაროში

ამ თავში აქამდე ძველ სამყაროზე – აფრიკაზე, ევროპასა და აზიაზე ვსჯელობდით, მაგრამ რა არის ცნობილი ახალ სამყაროზე — ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაზე? რამდენი ხანია, რაც იქ ადამიანები ცხოვრობენ და როგორია მათი კულტურა?

იმის გამო, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში მხოლოდ *Homo sapiens sapiens*-ის განამარხებული ნაშთებია აღმოჩენილი, აშკარაა, რომ ახალ სამყაროში ადამიანთა მიგრაცია მათი წარმოშობის შემდეგ მოხდა. მაგრამ ზუსტად რა დროს მოხდა მათი გადასვლა, კერძოდ კი ადამიანთა ალიასკის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე დასახლება, ჯერ კიდევ საკამათოა. ბიოლოგიური დამახასიათებელი შტრიხების, როგორიცაა კბილების ფორმა და სისხლი, აგრეთვე, ლინგვისტური მსგავსების მიხედვით, ანთროპოლოგები ასკვნიან, რომ ძირეულ ამერიკელებს აზიური ფესვები აქვთ. ტ რადიციულად ითვლება, რომ ისინი ამერიკაში ციმბირიდან მოხვდნენ სახმელეთო ხიდის გავლით (ბერინგია), რომელიც ამჟამად წყლით არის დაფარული (ბერინგის სრუტე) და ციმბირსა და ალიასკას შორის მდებარეობს. ყინულის პერანგი და ყინულის მთები, რომლითაც მსოფლიოს მაღალი წერტილები პერიოდულად იფარებოდა, იმდენ წყალს შეიცავდა (მათი სისქე ზოგიერთ ადგილას ათასობით ფუტს აღწევდა), რომ ბერინგია წლის სხვადასხვა მონაკვეთში ხმელეთს წარმოადგენდა (იხ. სურ. 9-5). მაგალითად, დაახლოებით 10000 წლის წინ იქ სახმელეთო ხიდი იყო. მას შემდეგ ყინული მეტწილად დადნა და ბერინგის “ხიდი” ზღვის დონემდე წყლით დაიფარა.

სქესის კვლევის ახალი პერსპექტივები

ქალთა გამოსახულებენი ზედა პალეოლითის ხელოვნებაში

ოთხი ქალის გამოსახულება გონერსდორფის გამოქვაბულიდან.

გავრცელებული შეხედულება, რომ ზედა პალეოლითში ქალთა გამოსახულებანი მხოლოდ ვენერას ქანდაკებებით შემოიფარგლება, მცდარია. პირიქით, არსებობს ადამიანთა, როგორც ქალების, ისე კაცების მრავალი გამოსახულება, რომლებზეც ისინი ბავშვობის ასაკიდან სიბერემდე არიან ასახულნი. რაც შეეხება ქალებს, ისეთი გამოსახულებანი, სადაც ისინი მსუქან ან ფეხმძიმე მდგომარეობაში არიან, საერთო სურათის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს. მთელი რიგი გამოსახულებები კი მათ ნატურალისტურად და არა სტილიზებულად ასახავს.

ჟან-პიერ დიუარმა ზედა პალეოლითის ხანის ხელოვნების გამოკვლევისას აღმოაჩინა, რომ წარმოდგენილი იყო ყველა ზომის, ფორმისა და ასაკის ქალის გამოსახულება. ერთ ამოკაწრულ ფიგურაზე გონერსდორფის გამოქვაბულიდან (მდინარე რეინთან), ოთხი ქალია გამოსახული, რომელთაგან სამი ერთი ზომისაა, ერთი კი უფრო პატარაა და უფრო პატარა მკერდი აქვს (ალბათ, მოზარდია). სამი უფრო დიდი ქალიდან ერთს, როგორც ჩანს, ზურგზე ბავშვი ჰყავს მიბმული და დიდი მკერდი აქვს, დანარჩენი ორის მკერდი კი უფრო მცირე ზომისაა. დიუარის აზრით, ეს ოთხი ქალი ნატურალისტური გამოსახულებაა, რომელთაგან ერთს ჩვილი ბავშვი ჰყავდა.

დიუარის ვარაუდით, ზედა პალეოლითის ხანის ხელოვნებაში მამაკაცებისა და ბავშვების გამოსახულება ქალების გამოსახულებებზე ნაკლები იყო. მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს ზედა პალეოლითში ქალების სოციალური სტატუსით არის გამონვეული. გამოსახულებათა უმეტესობა ქალს დედობასთან დაკავშირებულ: ფეხმძიმობის, მშობიარობის ან ბავშვის ტარების (ან მოზრდილ ბავშვთან ერთად სეირნობის) მომენტებში წარმოაჩენს.

დიუარის აზრით, ქალებს დედობის როლმა ზედა პალეოლითის პერიოდში პრივილეგირებული მდგომარეობა დაუმკვიდრა, რის გამოც, ამ პერიოდში მათ სწორედ დედობის ამსახველ მდგომარეობაში გამოსახავდნენ. ასევე ფიქრობს პარტისია რაისი, რომელიც ამტკიცებს, რომ ვენერას ფიგურები ზუსტად ასახავენ ქალთა მნიშვნელობას ზედა პალეოლითის პერიოდის საზოგადოებაში. მეცნიერის აზრით, ვენერას ფიგურებში ყველა ასაკისა და სხეულის ფორმის ქალის გამოსახვა იმაზე მიუთითებს, რომ ზედა პალეოლითის ხანის საზოგადოებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა თავად "ქალის", და არა "ფეხმძიმე ქალის" როლს.

ოლგა სოფერმა შეისწავლა ვენერას ზოგიერთი გამოსახულების ტანსაცმელი და დაასკვნა, რომ განსაკუთრებით ხშირად ნაქსოვი ტანსაცმელია გამოსახული. იმის გამო, რომ ზედა პალეოლითის პერიოდში ნაქსოვი ტანსაცმელი, ალბათ, დიდად ფასობდა. მათი არსებობა ზოგიერთი ვენერას ტანზე ალბათ მათ გამორჩეულ სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებდა.

უკანასკნელ პერიოდამდე გავრცელებული იყო აზრი, რომ სამხრეთ ალიასკაში ადამიანები მხოლოდ 11500 წლის წინ გაჩნდნენ. მაგრამ, როგორც მონტე-ვერდეს ძეგლიდან (ჩილე) აღმოჩნდა, თანამედროვე ადამიანები სამხრეთ აფრიკაში, სულ ცოტა, 12500 წლის წინ, ან შეიძლება 33000 წლის წინ ჩასულან. მონტე-ვერდეს ძეგლი 700-მდე ქვის იარაღს, ტყავით გადახურული ქოხების ნაშთებსა და კერასთან აღმოჩენილ ბავშვის ფეხის ანაბეჭდს შეიცავდა. ძეგლის მასალის მიხედვით, საფიქრებელია, რომ აქ ახალ სამყაროში 11500 წლის წინანდელ პერიოდამდე ფეხით ან ნავებით ჩამოსულ ადამიანთა ერთი ტალღა მაინც მოხვდა. მაშინაც კი, როდესაც ყინულის ბოლო ფენები ჯერ კიდევ დამდნარი არ იყო, არსებობდა ვიწრო, ყინულისგან თავისუფალი დერეფანი, რომლითაც ადამიანებს გასვლა შეეძლოთ. ასეთი დერეფნები უფრო ადრეც არსებობდა.

გეოლოგიური თვალსაზრისით, სხვადსხვა დროს ახალ სამყაროში, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზით გადასვლა შესაძლებელი იყო (იხ. ჩარჩო "ახალ სამყაროში ჩასვლის ალტერნატიული გზები"). ბერინგის სახმელეთო ხიდის ნაწილები უკვე 60000-25000 წლების წინ ჩანდა ზედაპირზე. 20000-18000 წლების წინ კი სახმელეთო ხიდი კარგად ჩანდა. როდის გაქრა ის საბოლოოდ? საყოველთაოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, სახმელეთო ხიდი დაახლოებით 14000 წლის წინ დაიტბორა, მაგრამ ბოლოდროინდელი გამოკვლევების თანხმად, 10000 წლის წინ მასზე გადასვლა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. ყინულისგან თავისუფალი დერეფანი ლორენტაიდისა და კორდილერის ყინულის საფარებს შორის 25000 წლის წინანდელ პერიოდში ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ ის დიდი მასის ცხოველებს ვერ გაუძლებდა, რაც ადამიანებს მათზე

ნადირობის საშუალებას აძლევდა 14000 წლის წინადელ პერიოდამდე. ამგვარად, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ყინულისგან თავისუფალი დერეფნის გავლით ამჟამინდელი სამხრეთ კანადის ტერიტორიაზე მოხვედრა მანამდე შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

იმ ტერიტორიაზე ადამიანები შეიძლება ნადირობდნენ დიდ ცხოველებზე, შეიძლება არა, მაგრამ ფაქტია, რომ არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ ამჟამინდელი ბრაზილიის ტერიტორიაზე მდებარე ამაზონის ჯუნგლების ბინადარნი ნამდვილად არ ნადირობდნენ მამონტებსა და სხვა დიდ ცხოველებზე, როგორც ამას ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები მათი თანამედროვე ქლოვისის ტომის წარმომადგენლები აკეთებდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ჩანს, ახალი სამყაროს ისეთი ქვეყნების ადრეული ხალხების კულტურები, როგორიცაა ჩილე, ბრაზილია და ჩრდილოეთ ამერიკა, ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. მდინარე ამაზონზე მცხოვრები ადამიანები აგროვებდნენ ხილსა და თხილს, თევზაობდნენ და მცირე ზომის ცხოველებზე ნადირობდნენ. ისინი მოხატულკედლებიან გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ და იარაღის: შუბების, ბარჯებისა და ისრების დამზადების შემდეგ 30000-მდე ქვის ნამტვრევი დატოვეს.

იმის თაობაზე, რომ ადამიანები კანადის სამხრეთით 11000 წლის წინ ცხოვრობდნენ, საწინააღმდეგო მოსაზრება არ არსებობს. ქლოვისის ადამიანებმა (დაერქვათ ნიუ-მექსიკოსთან, ადგილ ქლოვისთან ახლომდებარე ძეგლის მიხედვით) ჩრდილოეთ ამერიკის ბევრ ადგილას შესანიშნავი ფორმის შუბისპირები დატოვეს. გარდა ამისა, აღმოჩენილია დაახლოებით 11000 წლის წინანდელი პერიოდის ჩონჩხები. მას შემდეგ, რაც ზუსტად დაათარიღეს მონტე-ვერდეს ძეგლი, უკვე ვიცით, რომ კანადის სამხრეთით ადამიანები მანამდეც ცხოვრობდნენ, სანამ ქლოვისის ადამიანები ნიუ-მექსიკოში დასახლდებოდნენ. მართალია, გამოვლენილია ქლოვისამდელ დასახლებაზე უფრო ადრეული ძეგლები, ბევრი არქეოლოგი მაინც არ ეთანხმება იმას, რომ ამ ძეგლებზე აღმოჩენილი იარაღები ადამიანთა მიერ არის დამზადებული (მათი აზრით ეს იარაღები შეიძლებოდა ბუნებრივი პირობებით ყოფილიყო შექმნილი) და რომ ამ ძეგლების დათარიღება ზუსტია. ერთ-ერთი ძეგლი, რომელიც შეიძლება კიდევ ერთ პრე-

არქეოლოგიურმა კომისიამ ჩილეში, მაუნტ-ვერდეს ძეგლის მონახულებისას დაადასტურა, რომ თანამედროვე ადამიანები სამხრეთ ამერიკაში, სულ ცოტა, 12000 წლის წინ ჩავიდნენ.

ქლოვისურ ძეგლად ჩაითვალოს, არის მედოუკროფტის კლდის საფარი დასავლეთ პენსილვანიაში.

მედოუკროფტის ძეგლის მესამე ფენის ძირზე, რომელიც დაახლოებით 19600-8000 წლის წინანდელი პერიოდით არის დათარიღებული, ადამიანის არსებობის აშკარა კვალი აღინიშნება: აღმოჩენილია ადამიანის ძვლის პატარა ნატეხი, შუბისპირი, დამტვრეული დანები და სახოკები. იმ შემთხვევაში, თუ დათარიღება ზუსტია, ეს იარაღი 12800 წლის წინანდელი უნდა იყოს. უილიამ პერის აზრით, საჭიროა ძეგლზე აღმოჩენილი ძვლის დათარიღებაც. თუ აღმოჩნდება, რომ ის 12000 წლის წინანდელია, ეჭვი აღარ იქნება, რომ ადამიანები მედოუკროფტში უფრო ადრე ცხოვრობდნენ, ვიდრე ქლოვისში.

შედარებითი ლინგვისტიკის მეცნიერების — ჯოზეფ გრინისა და მერით რულენის მოსაზრების თანახმად, ახალ სამყაროში მიგრაციის სამი ტალღა აღინიშნებოდა. მეცნიერებმა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში ასობით ენა შედარეს და სამ ძირითად ენობრივ ოჯახად დაყვეს. იმის გამო, რომ თითოეულ ამ ენობრივ ოჯახს მეტი მსგავსება აზიური ენის ჯგუფებთან ჰქონდა, ვიდრე ახალი სამყაროს სხვა ენობრივ ოჯახებთან, აღმოჩნდა, რომ აზიიდან სამი სხვადასხვა ჯგუფი შემოსულა. პირველი ნაკადი იმ ენაზე ლაპარაკობდა, რომელიც შემდგომში დივერგენციის შედეგად ახალ სამყაროში არსებულ ენათა უმეტესობად ჩამოყალიბდა — ამერინდულ ენათა ოჯახი; ამ მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ადამიანები დასახლდნენ სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში და აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკის უდიდეს ნაწილში. შემდეგ იმ ადამიანთა წინაპრები ჩამოვიდნენ, რომლებიც ნა-დენეს ენობრივი ოჯახის ენებზე ლაპარაკობდნენ. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ნავახოსა და აპაჩების ენები სამხრეთ-დასავლეთ აშშ-ში და ათაპასკანის ენები ჩრდილო კალიფორნიაში, ორეგონის სანაპირო ზოლში, ჩრდილო-დასავლეთ კანადასა და ალიასკაში.



სურათი 9-5 **ბერინგია და ყინულის საფარები**

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

ახალ სამყაროში ჩასვლის ალტერნატიული გზები

წინამდებარე წიგნში ახალ სამყაროში თანამედროვე ადამიანთა ჩასვლის საყოველთაოდ აღიარებული მოდელია განხილული: უკანასკნელი გამყინვარების პერიოდში, როდესაც ზღვის დონე დღევანდელზე დაბალი იყო, მათ ფეხით გადაკვეთეს ბერინგია, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკასა და აზიას აკავშირებდა. არსებობს ამ მოდელის მხარდამჭერი როგორც არქეოლოგიური, ისე გეოლოგიური მასალა, მაგრამ არსებობს აგრეთვე ზოგიერთი პრობლემაც.

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა ისაა, რომ როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ამერიკაში აღმოჩენილია ძეგლები, რომლებიც უფრო ადრეული პერიოდით არის დათარიღებული, ვიდრე ყინული უკან დაიხევდა და ადამიანებს ჩრდილოეთ ამერიკაში გადასვლის საშუალებას მისცემდა. გარდა ამისა, სამხრეთ ამერიკაში აღმოჩენილი რამდენიმე ძეგლი ჩრდილო ამერიკის უძველეს ძეგლებზე უფრო ძველია, რაც ასევე ეწინააღმდეგება აზრს, რომ ადამიანები ამერიკაში ჩასვლის შემდეგ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მოძრაობდნენ. არსებობს რამდენიმე ალტერნატიული მოდელი, რომლებიც ბერინგის გზით შემოსვლის ჰიპოთეზით წამოჭრილ პრობლემებს წყვეტენ.

ერთი მათგანი, რომელსაც მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ისაა, რომ ახალ სამყაროში ადამიანები აზიიდან ნავებით შევიდნენ. ამ ადამიანებს ყინულის გასწვრივ, ზღვის ნაპირზე უნდა ემოძრავათ და თევზითა და ზღვის ძუძუმწოვრებით უნდა გამოკვებილიყვნენ. მას შემდეგ, რაც ყინულის საფარს გასცდებოდნენ, მოძრაობა ან კვლავ ნაპირის გასწვრივ, სამხრეთ ამერიკის თითქმის ბოლომდე უნდა გაეგრძელებინათ, ან ჩრდილოეთ ამერიკის მატერიკის სიღრმეში უნდა შესულიყვნენ. ადამიანთა მცირე ჯგუფები ამგვარად იქნებ მოგზაურობდნენ კიდეც, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუქმნია ისეთი დასახლება, რომელიც რამდენიმე თაობაზე მეტ ხანს იარსებებდა.

ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ რამდენიმე ძალიან ადრეული არქეოლოგიური ძეგლი შეიძლება სწორედ ამ ადრეული ვიზიტების შედეგად დარჩა. ადამიანთა მცირე რაოდენობა ასევე მცირე რაოდენობის ძეგლებს დატოვებდა, ამდენად, საკვირველი არ არის, რომ მეტი მასალა ვერ აღმოაჩინეს. ის ფაქტიც, რომ ადრინდელი სამოსახლოები შემდგომებისგან მიწის ისეთი ფენით არის გამოყოფილი, რომელიც ადამიანის არსებობის ნიშნებს არ შეიცავს, ადასტურებს, რომ ადრე ჩასულ ადამიანებს იქ უცხოვრიათ, მაგრამ ამომწყდარან. მიგრაციის ამ მოდელის კიდევ ერთი მტკიცებულებაა არქეოლოგების მიერ სანაპირო რაიონებში, რომლებიც უკანასკნელი გამყინვარების პერიოდში სანაპირო ზოლს წარმოადგენდნენ და რომლებიც ამჟამად ბერინგის ზღვის ფსკერზეა მოქცეული, ქვის იარაღის აღმოჩენა.

მეორე, უფრო საკამათო მოდელია ის, რომ ადამიანებმა ახალ სამყაროში ევროპიდან ნავებით ჩააღწიეს. მათ მსგავსად, ვინც ახალ სამყაროში აზიიდან ჩავიდა, ევროპელებსაც ზღვა კი არ უნდა გადაეკვეთათ, არამედ ყინულის ფრონტის გასწვრივ უნდა ემოძრავათ. მოგზაურობის პერიოდში, რომელიც ალბათ რამდენიმე თაობის განმავლობაში გრძელდებოდა, ისინი სავარაუდოდ თევზით და ზღვის ძუძუმწოვრებით იკვებებოდნენ. ამ მოდელის პირდაპირი მტკიცებულებაა ქლოვისის ტიპის ქვის იარაღი, რომელსაც პალეო-ინდიელები ამზადებდნენ. არქეოლოგები და ქვის იარაღის ექსპერტები: ბრიუს ბრედლი და დენის სტენფორდი ამტკიცებენ, რომ ქლოვისის იარაღის დამზადების ტექნოლოგია ძალიან ნაკლებად ჰგავს აღმოსავლეთ აზიის მცხოვრებთა მიერ დამზადებულ ნაკეთობებს და ევროპაში მცხოვრები სოლუტრული ხალხების ნაკეთობათა იდენტურია. ამ მოდელთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა ისაა, რომ სოლუტრული პერიოდი დაახლოებით 17000 წლის წინ დასრულდა, ხოლო სოლუტრულის მსგავსი იარაღი ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე მხოლოდ 12000 წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება.

ადამიანთა ახალ სამყაროში შესვლის ორივე მოდელს ძალიან ცოტა არქეოლოგიური მასალა ადასტურებს და ძალიან ადრეული ძეგლების არსებობის ახსნას საჭიროებს. საბოლოოდ, როგორც ფიქრობენ, ადამიანთა დიდმასშტაბიანი მიგრაცია აზიიდან დაახლოებით 12,500 წლის წინ დაიწყო და ეს სწორედ ის ადამიანები იყვნენ, რომელთაც ახალი სამყაროს წარმატებული კოლონიზაცია შეძლეს.

ბოლოს, დაახლოებით 40000 წლის წინ, ჩავიდნენ ინუიტები (ესკიმოსები) და ალეუტები (რომლებმაც ალიასკის სამხრეთ-დასავლეთ მდებარე კუნძულები და ახლომდებარე ტერიტორია დაიკავეს), რომლებიც ინუიტურ-ალეუტურ ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან.

ქრისტი ტერნერმა შეისწავლა ახალი სამყაროს დროინდელი ჩონჩხის კბილები, რამაც კიდევ უფრო გაამყარა გრინბერგისა და რულენის აზრი მიგრაციის სამი სხვადასხვა ტალღის არსებობის შესახებ. ტერნერმა ახალი სამყაროს პოპულაციებში ნიჩბისებური ფორმის კბილების (ტიპიური აზიური შტრიხი) შეისწავლა. ცვალებადი პროპორციები სამ ძირითად ჯგუფად ჩამოყალიბდა, ანუ იმავე ჯგუფებად, რაც ლინგვისტებმა გამოყვეს (იხ. სურ. 9-6). მაგრამ ბოლოდროინდელმა გენეტიკურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ინუიტურ-ალეუტური ჯგუფი ალბათ ნა-დენეს ჯგუფს გამოეყო უკვე ახალ სამყაროში ცხოვრების პერიოდში. ახალი სამყაროს მოსახლეობა შეიძლება კიდევ უფრო რთული იყოს. შეიძლება, ძველი სამყაროს, აზიის სხვადასხვა რეგიონიდან მიგრაციის ოთხი სხვადასხვა ტალღაც კი არსებობდა.

პალეო-ინდიელები

ახალი სამყაროს მონადირეების — პალეო-ინდიელების არქეოლოგიური ნაშთები აღმოჩენილია აშშ-ში, მექსიკასა და კანადაში. უკანასკნელი გამყინვარების ყველაზე შორეული ადგილების სამხრეთით, როქის აღმოსავლეთით, მდებარეობდა ჰაი ფლეინის სახელით ცნობილი ადგილი, სადაც მრავლად იყვნენ მამონტები, ბიზონები, გარეული აქლემები და გარეული ცხენები. დახოცილ მამონტებთან ახლოს აღმოჩენილი იარაღი ქოლვისის კომპლექსის სახელით არის ცნობილი და შეიცავს ქოლვისის შუბისპირებს, ქვის სახოკებს, დანებსა და ძვლის იარაღს. ქლოვისის შუბისპირები დიდი ზომისაა და ფოთლის ფორმა აქვს, დამუშავებულია ორივე მხრიდან. მათ შუაში ნახვრეტი აქვთ გაკეთებული, როგორც ჩანს, ტარის ჩასარჭობად. იმის გამო, რომ აღმოჩენილია მამონტი, რომელსაც ქოლვისის შუბისპირი ჰქონდა ჩარჭობილი, აშკარაა, რომ ქოლვისის ხალხი დიდ ცხოველებზე ნადირობდა. ბოლოდროინდელი დათარიღების მიხედვით, ქოლვისის ძეგლების უმეტესო-



სურათი 9-6 ინუიტები (ესკიმოსები) და ალეუტები, ნა-დენეს ენაზე მოლაპარაკე ხალხები და ამერიკელი ხალხების სხვა ადგილობრივი ენობრივი ჯგუფები ერთმანეთისგან ნიჩბისებური ფორმის საჭრელი კბილების სიხშირით განსხვავდებიან. ეს გენეტიკური სხვადასხვაობა, როგორც ჩანს, ნათელს ფენს ახალ სამყაროში მიგრაციის სამი ნაკადის არსებობას.

ბა 11200-10900 წლის წინანდელ პერიოდს მიეკუთვნება.

მამონტები დაახლოებით 10000 წლის წინ გადაშენდნენ და ყველაზე დიდი ცხოველი ამის შემდეგ ამჟამად გადაშენებული, დიდი სწორრქიანი ბიზონი გახდა. მონადირეები მის მოსაკლავად იყენებდნენ სასროლ შუბს, რომელსაც ფოლსომურ შუბს უწოდებენ, ის ქოლვისის შუბზე ბევრად პატარა იყო. სხვადასხვა იარაღი აღმოჩნდა მრავალფეროვანი ცხოველების: მგლების, მელიების, ირმების, აქლემების და ა.შ ნაშთებთან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბიზონზე მონადირეები ამ იარაღზეც იყვნენ დამოკიდებულნი.

რიო გრანდეს ველზე ფოლსომელ იარაღის ხელოსნები საბაზო სადგომებს დაბალი დიუნების თავზე ანყობდნენ, საიდანაც, როგორც დიდ ტბას, ისე ფართო საძოვრებს უყურებდნენ. თუ ჩავთვლით, რომ ტბა ცხოველთა ჯოგებისთვის სასმელი წყლის წყაროს ნარმოადგენდა, გამოდის, რომ სადგომში მცხოვრებ ადამიანებს კარგად შეეძლოთ ცხოველთა ჯოგებისათვის ეთვალთვალათ.

მას შემდეგ, რაც თანამედროვე ამერიკის სამხრეთ-დასავლეთით ჰავა უფრო მშრალი გახდა, ცხოველები და კულტურული ადაპტაცია რამდენადმე შეიცვალა. დაახლოებით 9900 წლის წინ დიდი, სწორრქიანი ბიზონი ჩაანაცვლა უფრო პატარა ზომის, თანამედროვე ბიზონმა. საბაზო სადგომები ტბებიდან და საძოვრებიდან უფრო მოშორებით და წყაროებთან უფრო ახლოს იმართებოდა. იმის გამო, რომ მშრალი ჰავის პირობებში ტბები წყლის საიმედო წყაროს უკვე აღარ წარმოადგენდა, ცხოველებიც ნაკლებად აკითხავდნენ მათ, რითაც აიხსნება ალბათ მათი საბაზო სადგომების მდებარეობის შეცვლა. ძალიან მცირე ინფორმაცია არსებობს იმის შესახებ, თუ რა მცენარეებს იყენებდნენ საკვებად პალეო-ინდიელები, მაგრამ უდაბნოს მიმდებარე ტერიტორიაზე მცენარეთა შემგროვებლობას ალბათ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. არქეოლოგებმა ნევადასა და იუტაში აღმოაჩინეს საფქვავი ქვები და სხვა არტეფაქტები, რომლებიც მცენარეული საკვების დამუშავებისთვის გამოიყენებოდა.

ოლსენ-ჩუბუკის ძეგლზე, კოლორადოში აღმოჩენილი სამარხი თვალსაჩინოს ხდის ბიზონზე ნადირობის სამზადისს. ღრმა ხევში, რომელიც ძვ. წ. 6500 წლით თარიღდება, 200 ბიზონის ნაშთი აღმოჩნდა. მის ძირზე მთლიანი ჩონჩხები ეყარა, მის თავზე კი — დანაწევრებული ცხოველები. ეს აღმოჩენა გვიჩვენებს, რომ პალეო-ინდიელი მონადირეები ცხოველებს შეგნებულად მიერეკებოდნენ ბუნებრივი ხაფანგისკენ – დამშრალი ხევისკენ ანუ დამრეცფერდებიანი თხრილისკენ. წინა ცხოველები უკან მომავალთა დაწოლას ვერ უძლებდნენ და ხევში ცვივდებოდნენ. ჯო ბენ უიტმა გამოითვალა, რომ მონადირეები მხოლოდ ამ ერთი ნადირობის დროს 55000 გირვანქა ხორცს მოიპოვებდნენ. თუ XIX საუკუნის დაბლობზე მცხოვრები ინდიელების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელთაც ისე შეეძლოთ ბიზონის ხორცის დამუშავება, რომ ერთი თვე გაეძლო და თითოეულ ადამიანზე დღეში ერთ გირვანქა ხორცს ვივარაუდებთ, ოლსენ-ჩუბუკზე აღმოჩენილი ბიზონების რაოდენობა დაახლოებით 1800 ადამიანს ერთი თვის განმავლობაში უნდა ყოფნოდა (ალბათ მთელი წლის განმავლობაში ყველანი ერთად არ ცხოვრობდნენ). მონადირეები ზედმიწევნით ორგანიზებულები უნდა ყოფილიყვნენ არა მხოლოდ გარეკვის, არამედ ხორცის დანაწევრების (ყასბობის) თვალსაზრისითაც. ალბათ საჭირო იქნებოდა ცხოველთა უზარმაზარი სხეულების სწორ ადგილზე გადატანა დასამუშავებლად. გარდა ამისა, ბანაკში უნდა წაეღოთ 55000 გირვანქა ხორცი და ტყავი.

მართალია, დიდ ცხოველებს მაღალ ველებზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ, მაგრამ სხვა ადგილებში სხვაგვარი ადაპტაციები აღინიშნებოდა, პალეო-ინდიელები, რომლებიც ტყიან ადგილებში — ანუ თანამედროვე აშშ-ს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, უფრო მეტად მცენარეულ საკვებსა და შედარებით მცირე ცხოველებზე იყვნენ დამოკიდებულნი. ზოგიერთ ტყიან რეგიონში თევზი და მოლუსკები კვების რაციონის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა. მაგალითად, წყნარი ოკეანის სანაპირზე, მდინარე ილინოისის ვაკეზე, პალეო-ინდიელები ცხოველებითა და გარეული ბოსტნეულით იკვებებოდნენ და იმდენად დიდი რაოდენობით მოიპოვებდნენ ამ

ქლოვისის საჭრელები.

პროდუქტებს, რომ მუდმივად ეცხოვრათ სოფლებში, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა 100-150 ადამიანს შეადგენდა.

მას შემდეგ, რაც ადამიანებმა ამერიკის კონტინენტების კოლონიზაცია დაამთავრეს, მათ აქ ზედა პალეოლითში მცხოვრები ნათესავების მსგავსად დაიწყეს ცხოვრება. ისინი ძირითადად დიდ ცხოველებზე ნადირობდნენ. დროთა განმავლობაში კი ბინადარი ცხოვრების წესი ყალიბდებოდა, ჯგუფებად მცხოვრებ ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულება იზრდებოდა.

ზედა პალეოლითის დასასრული

დაახლოებით 10000 წლის წინანდელი პერიოდის შემდეგ ყინულის ფენამ გაქრობა დაიწყო, რასაც ბუნებრივი პირობების შეცვლა მოჰყვა. ყინულის დნობამ ოკეანეების დონის აწევა გამოიწვია. მას შემდეგ, რაც ზღვებმა ხმელეთის შუაგულისაკენ გადაინაცვლეს, სანაპიროებთან საუკეთესო მდებარე საძოვრების ნაწილი წყლით დაიფარა და წარმოიქმნა კუნძულები, ყურეები და უბეები. სამაგიეროდ ყინულის უკან დახევისა და ტემპერატურის აწევის შემდეგ სხვა ადგილები გათავისუფლდა, სადაც ცივი, შიშველი ტერიტორიები ხშირმა ბერეულმა ტყეებმა დაიკავა (სადაც იზრდებოდა: ალვის ხე, მუხა და ფიჭვი), პლეისტოცენური მეგაფაუნა კი გადაშენდა. თბილი დინებები თევზითა და წყლის სხვა რესურსებით ივსებოდა.

არქეოლოგები თვლიან, რომ ბუნებრივი გარემოს ამგვარმა ცვლილებებმა ზოგიერთ პოპულაციას საკვების მოპოვების სტრატეგიის შეცვლისკენ უბიძგა. ტუნდრებისა და ბალახოვანი ველების გაქრობის შემდეგ მონადირეებს უკვე აღარ შეეძლოთ დიდი რაოდენობით ხორცის მოპოვება ცხოველთა დიდ ჯოგებთან ახლოს ყოფნით, როგორც ამას ზედა პალეოლითის დროს აკეთებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ირემი და სხვა ცხოველები ბევრი იყო, მათი რიცხვი კვადრატულ მილზე (სიმჭიდროვე) შემცირდა, ამასთანავე გართულდა ხშირ ტყეში დამალულ ცხოველებთან მიპარვა და მათი დახოცვა. ამგვარად, ბევრგან ადამიანი იძულებული გახდა, შეემცირებინა დიდ ცხოველებზე ნადირობა და გადასულიყო გარეული მცენარეების, მოლუსკების, თევზისა და პატარა ცხოველების ჭამაზე, რათა დიდი ცხოველების ნაკლებობის კომპენსაცია მოეხდინათ.

ჩრდილოეთ ევროპის მაგლემოზური კულტურა

შეცვლილი გარემო პირობებისადმი შეგუება შეინიშნება ჩრდილოეთ ევროპის მოსახლეობის კულტურულ მემკვიდრეობაში, მათ არქეოლოგებმა მაგლემოზელები დაარქვეს. ეს სახელი წარმოიშვა ტორფის ჭაობებიდან („მაგლე მოზე“ დანიურად დიდ ჭაობს ნიშნავს), სადაც ამ ხალხის ნაკვალევია აღმოჩენილი.

იმისათვის, რომ შეგუებოდნენ უცხო, ტყიან გარემოს, მაგლემოზელებმა ხეების საჩეხად და მათგან სხვადასხვა საგნის დასამზადებლად ქვის ცულებისა და საჩეხების დამზადება დაიწყეს. დიდი ხეები იჩეხებოდა და იჭრებოდა სახლების ასაშენებლად; ხის გულისაგან კანოეებს, ხოლო ხის უფრო მცირე ზომის ნაჭრებისგან ნიჩბებს აკეთებდნენ. კანოეები, სავარაუდოდ, სამოგზაუროდ და იქნებ მდინარეებსა და ტბებზე სათევზაოდაც გამოიყენებოდა. ასეთი ადგილები კი გამყინვარების შემდგომ პერიოდში ბევრი იყო.

“ძვლების მდინარე” ოლსენ-ჩუბუკის ძეგლზე, გამოსახულია პალეო-ინდიელების მიერ ხევისკენ გარეკილი და გადაჩეხლი ბიზონების ძვლები.

ჩვენთვის ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რა რაოდენობის მცენარეულ საკვებს მოიხმარდნენ მაგლემოზელები, მაგრამ ეს საკვები მრავალფეროვანი იყო. სამაგიეროდ, ჩვენთვის ბევრი რამ არის ცნობილი მათი ცხოვრების წესის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ თევზაობა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რაც კარგად ჩანს ქარიყლაპიისა და სხვა თევზების დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ძვლების და ანკესების მიხედვით, ეს ადამიანები, როგორც ჩანს, ძირითადად მაინც ნადირობით ირჩენდნენ თავს. ნადირობდნენ ცხენ-ირემზე, გარეულ ხარზე, შველსა და გარეულ ღორზე. გარდა უამრავი სათევზაო მოწყობილობისა, ხელცულებისა და საჩეხებისა, მაგლემოზელების იარაღში მშვილდ-ისარიც შედიოდა. ზოგიერთი იარაღი ამოტვიფრული ორნამენტებით იყო დამშვენებული. ორნამენტები აღმოჩენილია ქარვისა და ქვის გულსაკიდებზეც და პატარა ფიგურებზეც, მაგალითად, ცხენ-ირემის თავზე.

მაგლემოზურის მსგავსად, ზედა პალეოლითის შემდგომი პერიოდის მრავალი ევროპული დასახლება მდინარის, ტბის ან ოკეანის პირას მდებარეობდა. მაგრამ როგორც ჩანს, ამ ადგილებში მთელი წლის განმავლობაში არ ცხოვრობდნენ. ზოგიერთი ჯგუფი სეზონურად გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, როგორც ჩანს, სანაპიროსა და შიდა ტერიტორიებზე. სამზარეულოს ნარჩენები (ნიჟარების გროვები), სადაც პოსტ-ზედა პალეოლითური პერიოდის ადამიანები ნაგავს ყრიდნენ, ს ათევზაო მოწყობილობები, კანოეები და ნავები გვიჩვენებს, რომ ეს ადა-

ქვის არქაული იარაღის ზოგიერთი ნიმუში. ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთიდან. ესენია ცულები (ზემოთ მარცხნივ), საჩეხი (ქვემოთ მარცხნივ), ატლატლი (ქვემოთ მარჯვნივ), ჩაქუჩი და თხილის სატეხი ქვა (ზემოთ მარჯვნივ).

მიანები უფრო მეტად იყვნენ დამოკიდებულნი თევზაობაზე, ვიდრე მათი წინაპრები ზედა პალეოლითიდან.

ჩრდილო ამერიკის აღმოსავლეთის არქაული კულტურები

შეცვლილ გარემო პირობებთან ადაპტაციის დაახლოებით ისეთივე ფორმას განიცდიდნენ გამყინვარების დადასრულს ჩრდილო ამერიკის აღმოსავლეთით მცხოვრები ადამიანები. ჰავის დათბობასა და სიმშრალის ზრდასთან ერთად ჩრდილოეთ ამერიკის ფლორა და ფაუნაც შეიცვალა. როგორც მსოფლიოს სხვა ნაწილებში, მეგაფაუნა გადაშენდა და მათი ადგილი შედარებით მცირე ზომის ძუძუმწოვრებმა, კერძოდ კი ირმებმა დაიკავეს. ხორცის მოპოვება ძალიან გაძნელდა — სახლში დაბრუნებული მონადირეების ნადავლი უკვე არა ტონას, არამედ გირვანქებს შეადგენდა. სიცივეს შეგუებული მცენარეების ადგილი დაიკავეს სითბოს შეგუებულმა მცენარეებმა, რომლებსაც საკვებად იყენებდნენ. როგორც საკვებს, სითბოს შეგუებულ მცენარეებს უპირატესობა ჰქონდათ, ვიდრე სიცივეს შეგუებულ მცენარეებს, რადგან ისინი მეტი რაოდენობით მოიპოვებოდა. ამგვარად, ძველი დროის ადამიანმა მრავალი მცენარისა და ცხოველის საკვებად გამოყენება დაიწყო.

ისევე, როგორც ევროპული მაგლემოზური ხალხები, ჩრდილოეთ ამერიკის ადამიანებიც ცხოვრების დამკვიდრებულ წესზე გადადიოდნენ. იმ დროისათვის დამახასიათებელი იყო სამოსახლოს ორი ძირითადი ფორმა. ერთი იყო საცხოვრებელი ბანაკი, სადაც სეზონურად ცხოვრობდა რამდენიმე, სავარაუდოდ, მონათესავე ოჯახი; მეორე კი სპეციალური დანიშნულების ბანაკი, რომელიც რაიმე რესურსის არსებობის ადგილას მდებარეობდა და სადაც ალბათ მონადირეთა ჯგუფები ჩერდებოდნენ ხოლმე. მაგალითად, ატლანტიკის სანაპიროზე ცალკეული ჯგუფები გადაადგილდებოდნენ მთავარი მდინარეების გასწვრივ, სადაც მთის ძირას ზაფხულის ბანაკებს აშენებდნენ, ხოლო სანაპიროზე — ზამთრისას. განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკები მთელი წლის განმავლობაში იქმნებოდა, რადგან ჯგუფები მთავარი ბანაკიდან სანადიროდ ან რამის, მაგალითად, იარაღისთვის საჭირო ქვის შესაგროვებლად მუდმივად გადიოდნენ ხოლმე.

აღნიშნული ხანის ადამიანების ერთ-ერთი გამოგონება იყო საფქვავი, თხილის სამტვრევი და საჩეხი ქვის იარაღი. ცულები, საჩეხები და მარცვლეულის საფქვავი იარაღი სულ უფრო მეტად ვრცელდებოდა. ეს ალბათ ტყიანი ზონების ზრდით იყო გამოწვეული. მას შემდეგ, რაც ყინულმა ჩრდილოეთ ამერიკიდან უკან დაიხია, გაიზარდა ტყის პროდუქტებსა და ხე-ტყის მასალაზე დამოკიდებულება. ამასთანავე, ამ ტერიტორიაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თევზსა და ზღვის პროდუქტებს, რაც ასევე იმ ცვლილებას ასახავდა, რომელიც ადამიანებმა განიცადეს გამყინვარების ბოლო პერიოდში.

ყველაზე დიდი მნიშვნელობა, როგორც ძველი, ისე ახალი სამყაროს ბინადართათვის, მცენარეების მოშენებასა და ცხოველების მოშინაურებას ენიჭებოდა. მსოფლიოს ორივე ნაწილში გამყინვარების ბოლო პერიოდის დასასრულს ადამიანებმა მცენარეებზე ცდების ჩატარება დაიწყეს. დაახლოებით 14000 წლის წინ ძველ სამყაროში, ხოლო 10000 წლის წინ ახალ სამყაროში ზოგიერთი კულტურის მოყვანა დაიწყეს. საკვების მოპოვებაში ფუნდამენტური ცვლილება — მინათმოქმედება, სწორედ ის საკითხია, რომელსაც შემდეგ თავში განვიხილავთ.

შეჯამება

1. კულტურის ისტორიის პერიოდი, რომელიც ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში — ზედა პალეოლითის სახელით, ხოლო აფრიკაში გვიანი ქვის ხანით არის ცნობილი, თარიღდება 40000 წლის წინანდელი პერიოდიდან 14000-10000 წლის წინანდელ პერიოდამდე. ამ დროის განმავლობაში მსოფლიო ყინულით იყო დაფარული, ყინული ფარავდა ჩრდილოეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის უდიდეს ნაწილს და საშუალო წლიური ტემპერატურა დღევანდელზე 100 ცელსიუსით ნაკლები იყო.
2. ზედა პალეოლითის იარაღისთვის დამახასიათებელი იყო ბასრი პირების სიმრავლე. მრავლად იყო საკვეთები, ძვლისა და ირმის რქის იარაღი და მიკროლითები (მოგვიანებით). ცხოვრების წესი მრავალი ასპექტით ადრინდელის მსგავსი იყო. ხალხების უმეტესობა უაღრესად მობილურ ჯგუფებად ცხოვრობდა და ნადირობასა და შემგროვებლობას მისდევდა. ისინი სადგომებს აშენებდნენ როგორც ღია ადგილებში, ისე გამოქვაბულებსა და კლდის საფარებში.
3. ზედა პალეოლითში მრავალი ახალი მოვლენა აღინიშნება: იარაღის დამზადების ახალი ტექნოლოგია, ხელოვნების წარმოშობა, მოსახლეობის ზრდა, ახალი გამოგონებები, როგორიც იყო მშვილდ-ისარი, შუბის სატყორცნი (ატლატლი) და ბარჯი.
4. ახალ სამყაროში მხოლოდ *Homo sapiens sapiens*-ის ნაშთებია აღმოჩენილი. გაბატონებული აზრის მიხედვით, ადამიანები ახალ სამყაროში სახმელეთო ხიდით გადავიდნენ, რომელიც ციმბირსა და ალიასკას შორის იმ ადგილას მდებარეობდა, სადაც ამჟამად ბერინგის სრუტეა. ბოლო დრომდე ითვლებოდა, რომ ადამიანები ალიასკას სამხრეთ ტერიტორიებზე 11500 წლის წინანდელ პერიოდამდე არ მისულან. არქეოლოგიური ძეგლის - მონტე-ვერდეს (ჩილე) გათხრების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ თანამედროვე ადამიანები სამხრეთ ამერიკის სამხრეთში, სულ ცოტა, 12000 და იქნებ 33000 წლის წინ მისულან.
5. გამყინვარების პერიოდის ბოლოს, დაახლოებით 14000 წლის წინ, ჰავამ დათბობა დაიწყო. მრავალი დიდი ცხოველი, რომელზეც ზედა პალეოლითის ადამიანები იყვნენ დამოკიდებულნი, გადაშენდა. ამავე დროს გაჩნდა ახალი, სითბოს უკეთ შეგუებული მცენარეები, რომლებიც საკვების ახალ, მდიდარ წყაროდ იქცნენ. მთელ მსოფლიოში ადამიანებმა მეტი მცენარეული საკვებისა და სხვა რესურსების გამოყენება დაიწყეს. მსოფლიოს მრავალ ადგილას ადამიანებმა მცენარეების მოშენებასა და ცხოველების მოშინაურებას მიჰყვეს ხელი.

საკონტროლო კითხვები

1. რით განსხვავდება ზედა პალეოლითის იარაღი შუა პალეოლითის იარაღისგან? როგორია ამ განსხვავებათა მნიშვნელობა ადამიანის კულტურისთვის?
2. ზედა პალეოლითის გამოქვაბულების მხატვრობამ ჩვენი ცნობისმოყვარეობა გააღვივა. წიგნში აღწერილია ზოგიერთი გამოკვლევა ამ ნახატების შინაარსის შესახებ. შეგიძლიათ თუ არა, მოძებნოთ სხვა გზები გამოქვაბულის ხელოვნების მნიშვნელობის გასაგებად?
3. რა ფაქტორებმა აიძულეს ადამიანები, რომ საცხოვრებლად ახალ სამყაროში გადასულიყვნენ?

საკვების წარმოებისა და დასახლებული ცხოვრების დასაწყისი

10



თავების შინაარსი

- წინასამეურნეო განვითარება
- მცენარეთა და ცხოველთა მოშინაურება
- რატომ განვითარდა საჭმლის წარმოება
- საკვების წარმოების შედეგები

ზედა პალეოლითის დასასრულისთვის ადამიანები საკვებს უკვე გარეულ საქონელზე, ანტილოპაზე, ბიზონსა და მამონტზე ნადირობით მოიპოვებდნენ. მონადირე-შემგროვებლები, სავარაუდოდ, მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ ამ ცხოველთა მიგრაციის გამო. დაახლოებით 14 ათასი წლის წინ ზოგიერთ რეგიონში მოსახლეობა სულ უფრო ნაკლებად ხდებოდა ნადირობაზე დამოკიდებული და მეტად — უძრავ საკვებზე (თევზი, მოლუსკი, წვრილ-ფეხა საქონელი და ველური მცენარეები) (იხ. სურ. 10-1). ზოგიერთ ტერიტორიაზე, ძირითადად ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, ადგილობრივი, შედარებით სტაბილური საკვების გამოყენებამ დამკვიდრებული ცხოვრების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. კულტურულ პერიოდს, რომელშიც ეს ცვლილებები მოხდა, ახლო აღმოსავლეთში **ეპიპალეოლითს**, ევროპაში კი **მეზოლითს** უწოდებენ. მსოფლიოს სხვა კუთხეებშიც მოხდა ფართო სპექტრის საკვების შემგროვებლობაზე გადასვლა, მაგრამ მზარდი დასახლებები არ შეინიშნებოდა, როგორც მაგალითად, მეზოამერიკაში, სადაც ეს პერიოდი **არქაულად** იწოდება.

ახლო აღმოსავლეთში ძვ.წ. 8000 წელს ჩვენ ვხედავთ **საკვების მოპოვებაზე** გადასვლის ნათელ მაგალითებს — მცენარეებისა და ცხოველების მოშენება და მოშინაურება. ეს ცვლილება, რომელსაც არქეოლოგი ვ. გორდონი ნეოლითურ რევოლუციას უწოდებს, განხორციელდა დამოუკიდებლად ძველი და ახალი სამყაროს სხვა რეგიონებში მომდევნო რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში. ძველ სამყაროში მოშინაურების დამოუკიდებელი ცენტრები იყო ჩინეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა (დღევანდელი მალაიზია, ტაილანდი, კამბოჯა და ვიეტნამი) და აფრიკაში ძვ.წ. 6000.2 ახალ სამყაროში კულტივიზაციის ცენტრები განლაგებული იყო მეზოამერიკის მაღლობებში (ძვ.წ. 7000), ცენტრალურ ანდებში პერუს მახლობლად (ძვ.წ. 7000) და ჩრდილო ამერიკის აღმოსავლეთ ტყეებში (ძვ.წ. 2000 და უფრო ადრეც).3 მცენარეთა და ცხოველთა უმეტესობა მოშინაურებული გახლდათ ძვ.წ. 2000 წელს. ამ დროისათვის უკვე განვითარებული იყო ხვნა, თესვა, მიწის დამუშავება და ირიგაცია. სურ. 10-2 გვიჩვენებს იმ რეგიონებს, სადაც მოსავლის ძირითადი ნაწილი იყო მოშენებული.

ამ თავში განვიხილავთ საკვების მოპოვებისა და დამკვიდრებული ცხოვრების სავარაუდო დასაწყისს — **სედენტარიზმს**, მცენარეთა და ცხოველთა მოშინაურების, პერმანენტული დასახლებების წარმოქმნის მიზეზებს. **მეურნეობა** (აქ: მესაქონლეობა) და მობინადრეობა ერთად არ ჩამოყალიბებულა. ზოგიერთ რეგიონში ადამიანები მცენარეების დათესვამდე და ცხოველების მოშენებამდე დასახლდნენ, ზოგში კი, პირიქით — დასახლებას წინ უძღოდა მოსავლის დათესვა. ჩვენ ძირითადად განვიხილავთ ახლო აღმოსავლეთსა და მეზოამერიკას — ტერიტორიებს, რომლებშიც ამგვარი განვითარება არქეოლოგიურად უკეთ არის შესწავლილი. შეძლებისდაგვარად, სხვა რეგიონის შესახებ მონაცემებსაც მივუთითებთ შედარებისთვის.



სურათი 10 -1 ცხოველთა მოშინაურების თარიღები, ჯულიეტ კლატონ-ბროკის „ცხოველთა მოშინაურება“, სტივენ ჯონსის, რობერტ მარტინისა და დევიდ პილბიმის რედაქტორობით, ადამიანის ევოლუციის კემბრიჯის ენციკლოპედია (ნიუ-იორკი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა, 1992), გვ. 384. საავტორო უფლებები დაცულია. 1992. დაბეჭდილია კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობის ნებართვით.



სურათი 10 -2 **მსოფლიოს ძირითადი მოსავლის თავდაპირველი ადგილმდებარეობა.**
მსოფლიოს მარცვლეულის ძირითადი ნაწილი სხვადასხვა რეგიონში იყო მოშინაურებული

ფრენკ ჰოული, "მეურნეობის სათავეები", სტივენ ჯონსის, რობერტ მარტინისა და დევიდ პილბიმის გამოცემა, ადამიანის ევოლუციის კემბრიჯის ენციკლოპედია (ნიუ-იორკი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა, 1992), გვ. 376. საავტორო უფლებები დაცული. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა. ადაპტირებული და გამოყენებულია კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობის ნებართვით.

წინასამეურნეო განვითარება

ახლო აღმოსავლეთი

ახლო აღმოსავლეთში მსხვილი ნადირობიდან ბუნებრივი რესურსების ფართო სპექტრზე გადასვლა ევროპაში განვითარებული იმავე პროცესის იდენტური იყო.[5] დამოწმებულია, რომ ადამიანები თავს ირჩენდნენ სხვადასხვა რესურსით, მათ შორის, თევზით, მოლუსკებით და წყლის სხვა ცხოველებით, გარეული ირმებით, ცხვრებით, თხებით, გარეული მარცვლეულით, თხილით და თესლოვანი მცენარეებით.[6] ისეთი სტაბილური საკვების მზარდი გამოყენება, როგორიცაა ველური მარცვლეული, ხსნის ადამიანების მიერ დასახლებულ ცხოვრებაზე გადასვლას ეპიპალეოლითის ხანაში.

დღესაც ანატოლიის ზეგანზე შენიშნავთ გარეული ხორბლისა და ქერის ყანებს, რომლებიც ისე ხშირია, თითქოს ვიღაცას მოეშენებინოს.[7] ეპიპალეოლითის ადამიანები ფლობდნენ პრიმიტიულ ნამგლებს და შეეძლოთ ასეთი ყანიდან საკმაოდ უხვი მოსავალი აეღოთ. ამ რესურსების ნაყოფიერების საჩვენებლად ჩატარდა საველე ექსპერიმენტი პრეისტორიული პირობების დაცვით. ეპიპალეოლითური პრიმიტიულპირიანი ნამგლის გამოყენებით მკვლევრებმა 1 სთ-ში 1 გირვანქა ველური მარცვლეულის მოპოვება შეძლეს. ოთხსულიანი ოჯახი რამდენიმე კვირაში წელიწადზე მეტი ხნის სამყოფ მოსავალს აიღებდა.[8]

ექსპერიმენტისას მოპოვებულმა ხორბალმა კენტ ფლენერი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: „მოსავლის ასეთი რაოდენობა აუცილებლად განაპირობებდა სედანტარიზმს. თუნდაც იმიტომ, რომ რამდენიმე ტონა სუფთა ხორბლით გადაადგილება გაძნელდებოდა."[9] ამასთან, ქვისგან დამზადებული საფქვავი მონყობილობა მეტისმეტად მოუხერხებელი იქნებოდა სატარებლად. მოსავლის ნაწილს, სავარაუდოდ, დაუყოვნებელი მოხმარებისთვის, დასაფლველად ან შემდეგში შესაწვავად და მოსახარშად გადადებდნენ, დანარჩენს კი მომდევნო წლისთვის ინახავდნენ. მარცვლეულის მასობრივი მოხმარება გახდა ალბათ ერთგვარი ქურების, საფქვავებისა და შესანახი ჭურჭლის შექმნის საფუძველი. წარმოიქმნა მყარი, პერმანენტული სამოსახლოები. სოფლის აშენების შემდეგ, ხალხს, სავარაუდოდ, მისი მიტოვება არც უნდოდა. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ბუნებრივად მდიდარ რეგიონებში ის ადრეული წინასამეურნეო დასახლებები, რომელთა შესახებ არქეოლოგიური კვლევებიც მოწმობს.

ახლო აღმოსავლეთის ნატუფიანები. 11 ათასი წლის წინ აქ მცხოვრები ნატუფიანები ბინადრობდნენ გამოქვაბულებსა და კლდის თავშესაფრებში და სოფლებს ისრაელის ტერიტორიაზე, კარმელის მთის ფერდობებზე აშენებდნენ. მათ კლდეში ამოკვეთეს აუზის ფორმის შესანახი ქვაბები, სავარაუდოდ, მარაგის შესანახად. ნატუფიანების სოფლების მაგალითები შეინიშნება ეინანის მხარესაც.

ეინანის ტერიტორიაზე განლაგებულია ზედიზედ სამი ისტორიული სოფლის ნარჩენები. თითოეული მათგანი შედგება 50 წრიული ორმოსებრი სახლისგან. სახლის იატაკი რამდენიმე ფუტით მიწაში იყო. ასე რომ, კედლის ერთი ნაწილი მიწის, ხოლო მეორე, მიწისზედა, ქვის ჰქონდა. ამ სახლებს, მიწისზედა სახლებისგან განსხვავებით, სითბოს დიდი ხნით შენარჩუნების უნარი ჰქონდა. როგორც ჩანს, სოფლებში ქვით მოკირწყლული ბილიკები იყო გაყვანილი და ჰქონდათ ასევე ქვის წრიული კერიები, ხოლო გარ-

დაცვლილებს სოფლის სასაფლაოზე კრძალავდნენ.

აღმოჩენილი ხელსაწყოები მოწმობს, რომ ნატუფიანები ველური მარცვლეულის ინტენსიურ შეგროვებას ეწეოდნენ. მათი სოფლებიდან აღდგენილ ნამგლებს სპეციფიკური ბზინვარება ახასიათებთ, რაც ბალახის ღეროების მომკით უნდა იყოს გამოწვეული. ნატუფიანებმა ეპიპალეოლითის პერიოდში პირველებმა დაიწყეს ჭარბი მოსავლის შენახვა. ქვის სახლების იატაკზე მათ გამოიყვანეს შელესილი ორმოები მარაგისთვის. ველური მარცვლეულის გარდა, ისინი უამრავ სხვა რესურსსაც იყენებდნენ.[10] მათ ნამოსახლარზე ნაპოვნია გარეული ცხოველების ნაშთები. როგორც ჩანს, ნატუფიანები ძირითადად ნადირობდნენ ქურციკზე, მთელი ჯოგის გარშემოტყმის შემდეგ.[11]

ნატუფიანები იმ დროს სხვა რეგიონებში მცხოვრები შემგროვებლებისაგან საკმაოდ განსხვავდებიან. ისინი არა მხოლოდ ბუნებრივი რესურსებით იკვებებოდნენ, არამედ მზარდი სოციალური სირთულისაც იყვნენ. ნატუფიანთა სამოსახლოები, საშუალოდ, 5-ჯერ აღემატებოდა წინაპრებისას. თემები ახლა უკვე დაახლოებით 1 წელიწადს არსებობდა. საფლავის ნიმუშები ადამიანთა შორის სოციალურ განსხვავებებზეც მიგვითითებენ. მიუხედავად იმისა, რომ ხორბლეულის მოპოვებამ საშუალება მისცა ნატუფიანებს პერმანენტულ სოფლებში ეცხოვრათ, მათი კვების რეჟიმი საკმაოდ ცუდი იყო, რადგან მათი კბილის ემალი საკვების უკმარისობაზე მიგვითითებს, ხოლო სტრუქტურა დღითი-დღე უარესდება.[13]

მეზოამერიკა

ფართომასშტაბიან ნადირობასა და შემგროვებლობაზე გადასვლა მოხდა აგრეთვე ახალ სამყაროში პალეოინდიური პერიოდის დასასრულს, დაახლოებით 10 ათასი წლის წინ. კლიმატური ცვლილებები, ისევე როგორც ძველ სამყაროში, აქაც სასიცოცხლო იყო. პოლარული ყინულის უკან დახევა ჩრდილოეთ ამერიკიდან და ზოგადად უფრო თბილმა და ნოტიო კლიმატმა განაპირობა დრამატული ცვლილებები მცენარეებსა და ცხოველებში ჩრდილო ამერიკისა და მეზოამერიკის მასშტაბით. Pleistocene მეგაფაუნა — მამონტები, მასტოდონები, მარტორქები, გიგანტური ზარმაცები და სხვა შედარებით წვრილფეხა საქონელი, მაგალითად ცხენი, მოკლე დროში გადაშენდა.[14] ნადირობდნენ უკვე ისეთ ცხოველებზე, როგორიცაა ირემი, ანტილოპა, ბიზონი და მცირე ძუძუმწოვრები. ამავე დროს ფოთლოვანი ტყით დაფარული ადგილები და მინდვრები გაფართოვდა და გაიზარდა ახალ მცენარეთა რაოდენობა. გამოჩნდა ხეზე სამუშო იარაღები. ზოგიერთ რეგიონში აქტიურად დაიწყეს მოლუსკების გამოყენება. ჩრდილოეთ ამერიკასა და მეზოამერიკაში მოაშენეს ის მცენარეები და ცხოველები, რომლებზეც უკვე დამოკიდებულნი იყვნენ.[15]

მეზოამერიკის ზეგნის არქაული ხალხები მსხვილფეხა საქონელზე ნადირობიდან რესურსების უფრო ფართო გამოყენებაზე გადასვლა აღინიშნა მეზოამერიკის ზეგანზე, ცენტრალური და სამხრეთ მექსიკის მთიან რეგიონებში, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო დღევანდელის მსგავსი კლიმატური ცვლილებებით. სიმაღლე მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა ნადირობასა და შემგროვებლობაში, რადგან სიმაღლესთან ერთად იცვლება მცენარეთა და ცხოველთა რესურსებიც. ველებს ახასიათებს მეჩხერი, ბალახოვანი მცენარეები, ხოლო მთის ძირებსა და მთებს — კაქტუსის "ეკლოვანი" ტყეები, რომლებიც სიმაღლისა და შესაბამისად, ტენის მატებასთან ერთად იცვლება მუხისა და ფიჭვის ტყეებით. ზონების ვერტიკალური წარმოდგენისას ნათელი ხდება, რომ მცირე ტერიტორიაზე გავრცელებული იყო მცენარეთა და ცხოველთა ფართო სპექტრი და არქაულ ხალხებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მეტი რესურსით ესარგებლათ.[16]

8 ათასი წლის წინ მეზოამერიკის არქაულ მოსახლეობაში შეინიშნებოდა თემებს შორის სეზონური მიგრაცია ორი სხვადასხვა მასშტაბით: 15-30 კაციანი ბანაკები (მაკროჯგუფები) და 2-5-კაციანი ბანაკები (მიკროჯგუფები). მაკრო ჯგუფები დაბანაკებული იყვნენ სეზონური რესურსების მახლობლად, მაგალითად, რკოს ან მესკიტის სეზონზე რამდენიმე ოჯახი იყრიდა თავს, რომ მისით ესარგებლათ და მოსავალი ერთად აეღოთ, სანამ ნაყოფი ბლომად იყო, ჩაეტარებინათ სხვადასხვა რიტუალი ან უბრალოდ დასახლებულიყვნენ. მიკრო ჯგუფებიც სეზონურად სახლდებოდნენ, როცა ჯგუფები არ ერთიანდებოდნენ მაკროჯგუფებად. ასეთი მიკროჯგუფების ნარჩენები ნაპოვნია მღვიმეებსა და კლდის გამოქვაბულებში, სადაც ბანაკის ზემოთ ან ქვემოთ სხვადასხვა სახის გარემოს გამოყენება იყო შესაძლებელი.[17]



ჰეიონიმი, ერთ-ერთი გამოქვაბული, სადაც ნატუფიანების შედარებთ პერმანენტული დასახლება მდებარეობდა. ამ ტერიტორიას არქეოლოგები ჯერაც იკვლევენ.

ახლო აღმოსავლეთის ნატუფიანებისგან განსხვავებით, არქაულ მოსახლეობაში სოციალური განსხვავებები არ შეინიშნება. ყველაზე დიდი სოციალური ერთეული, მაკროჯგუფის ბანაკი ნათესაურად დაკავშირებული ოჯახებისგან შედგებოდა და ლიდერობა ამ ჯგუფებში სავარაუდოდ არაფორმალური იყო. არც რიტუალის ნიშნები შეინიშნება, გარდა ცერემონიული საცეკვაო მოედნისა ერთ-ერთი მაკროჯგუფის ბანაკში, გეო-შიჰში, ოქსაკას ხეობაში. ამრიგად, ცხოვრების სტილი პალეოინდოელების სტილივით მარტივი და სადა იყო, მიუხედავად საკვების შეგროვების ფართო სტრატეგიაზე გადასვლისა.

სხვა ტერიტორიები

სხვა ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანებიც მსხვილფეხა საქონელზე ნადირობიდან მეურნეობის დაწყებამდე სხვადასხვაგვარი საკვების შეგროვებაზე გადავიდნენ. იშვიათი არქეოლოგიური ჩანაწერი ამტკიცებს, რომ ასეთი ცვლილება მოხდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც სავარაუდოდ, განლაგებული იყო მცენარეთა და ცხოველთა მოშინაურების მნიშვნელოვანი ცენტრები. შიდა ტერიტორიებში აღმოჩენილი საკვების ნაშთი მოწმობს, რომ ერთი და იმავე ბანაკების მიერ გამოყენებული იყო საკვების უამრავი განსხვავებული სახეობა. მაგალითად, ყოფილ ბანაკებში ჩვენ ვპოულობთ მაღალმთიანი რაიონების, დაბლობის მდინარეების, ცხოველების, ფრინველებისა და ტყის პრიმიტივების, გამოქვაბულის ღამურებისა და თევზების ნარჩენებს. რამდენიმე სანაპირო გვიჩვენებს, რომ აქ აგროვებდნენ სხვადასხვა სახის თევზსა და მოლუსკებს და ნადირობდნენ ისეთ ცხოველებზე, როგორიცაა ირემი, ველური საქონელი და მარტორქა.[18] სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში წინასამეურნეო განვითარება, სავარაუდოდ, განპირობებული იყო კლიმატისა და გარემოს ცვლილებებით — დათბობით, ტენიანობის მომატებითა და ზღვის დონით აწევით.[19]

აფრიკაშიც წინასამეურნეო პერიოდი ხასიათდებოდა უფრო თბილი და სველი კლიმატით. მომრავლებული ტბები, მდინარეები და სხვა წყალსაცავები თევზით, მოლუსკებითა და სხვა რესურსებით იყო მდიდარი, რაც ხალხს საშუალებას აძლევდა, უფრო კომპაქტურად დასახლებულიყო. მაგალითად, დღევანდელი სამხრეთ და ცენტრალური საჰარის ტერიტორიაზე მრავლად იყო ტბები, სადაც თევზაობდნენ და ჰიპოპოტამებსა და ნიანგებზე ნადირობდნენ.[20] ერთ-ერთი რეგიონი, რომელიც გაზრდილ სედენტიზმზე მიგვითითებს, არის დაკლეჰოს ოაზისი ეგვიპტის დასავლეთ უდაბნოში. დაახლოებით 8-9 ათასი წლის წინ ხალხი მდინარეებისა და ტბების მახლობლად ქვის წრიულ ქოხებში ცხოვრობდა. ნილოსის ხეობიდან დასავლეთით დღევანდელ მალიმდე ნაპოვნია ძვლის ჰარპუნები და თიხის ჭურჭელი. სამხრეთ და ცენტრალურ საჰარაში თევზაობა ხალხს შესაძლებლობას აძლევდა, წლის უმეტესი დროის მანძილზე ტბებსა და მდინარეებთან დარჩენილიყვნენ.[21]

რატომ ჩამოყალიბდა ფართო სპექტრის შემგროვებლობა?

ნათელია, რომ წინასამეურნეო გადართვა ფართო სპექტრის შემგროვებლობაზე მსოფლიო მასშტაბის იყო. კლიმატური ცვლილებები, სულ მცირე, ნაწილობრივ განსაზღვრავდა საკვების ახალი რესურსების ათვისებას. ყინულის გალღობით გამოწვეული წყლის დონის მატება, თავის მხრივ, აიოლებდა თევზისა და მოლუსკების მოპოვებას. კლიმატურ ცვლილებებს გარკვეულწილად უნდა გამოეწვია მსხვილფეხა საქონლის შემცირებაც. სავარაუდოა, აგრეთვე, რომ ეს შემცირება განპირობებული ყოფილიყო ადამიანების მიერ ამ ცხოველების ამოხოცვით.[22] ამით აიხსნება, რომ სწორედ ამ პერიოდში (გადასახლება ბერინგის ყურიდან სამხრეთ ამერიკისკენ) გადაშენდნენ ისეთი დიდი ცხოველები, როგორიცაა მამონტი.[23]

ამოხოცვა სახელდება როგორც ძუძუმწოვართა, ისე ფრინველთა გადაშენების მიზეზად ახალ სამყაროში. ფრინველთა უამრავი სახეობა გადაშენდა ჩრდილო ამერიკის პლეიტოსცენის უკანასკნელ ათასწლეულებში და ძნელი დასაჯერებელია, რომ ნადირობა ამის უმთავრესი მიზეზი იყო. იმის გამო, რომ ფრინველთა და ძუძუმწოვართა სახეობების გადაშენება თითქმის ერთდროულად მოხდა, უფრო სავარაუდოა, ეს განპირობებული ყოფილიყო კლიმატური და გარემო ცვლილებებით.[24] თვალსაჩინოა ერთგვარი ახალზელანდიური ცხოველი, რომელიც გადაშენდა, როგორც კი ადამიანებმა დაიპყრეს კუნძულები. ისინი ძნელად მრავლდებიან, ამიტომ დასაშვებია, რომ ნადირობამ მათი გადაშენება გამოიწვია.[25]

მსხვილფეხა საქონლის რაოდენობის შემცირებამ ადამიანები აიძულა საკვების ახალი რესურსები აეთვისებინათ, მაგრამ ფართო სპექტრის რესურსების გამოყენებას სხვა მიზეზი უნდა ჰქონოდა — მოსახლეობის ზრდა (სურ. 10-3). როგორც მარკ კოენი აღნიშნავს, უამრავი იყო "მონადირე-შემგროვებელი" და მათ უნდა მოეძიებინათ საკვების ახალი, ნაკლებ სასურველი წყარო.[26] (ჩვენ მოლუსკს მამონტზე უფრო სასურველად მხოლოდ იმიტომ მივიჩნევთ, რომ მის მოსაპოვებლად არ გვიშრომია. საჭირო იყო უამრვი მოლუსკის შეგროვება, დამუშავება და მომზადება, რომ ერთი მოზრდილი ცხოველის ცილები მიეღოთ). სწორედ მსოფლიოს "გადავსება" იყო ალბათ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ 30 ათასი წლის წინ მონადირე-შემგროვებლებმა ისეთი დაუსახლებელი ადგილების ათვისება დაიწყეს, როგორიცაა ავსტრალია და ახალი მსოფლიო.[27]

ფართო სპექტრის შემგროვებლობა იქნებ გულისხმობდა კიდეც საკვების ახალი წყაროების ექსპლუატაციას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხალხი უკეთ იკვებებოდა. სიმაღლის შემცირება კვების ცუდ რეჟიმზე მიგვითითებს. წინასამეურნეო პერიოდში ძველი მსოფლიოს უმეტეს ნაწილში საშუალო სიმაღლე დაახლოებით 2 დიუმით შემცირდა (საბერძნეთი, ისრაელი, ინდოეთი, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპა)[28]. ეს, შესაძლებელია, განპირობებული ყოფილიყო ცუდი კვებით ან ბუნებრივი გადარჩევით — მსხვილფეხა საქონლის შემცირების გამო, არცთუ ხშირად უწევდათ შუბების სროლა (კიდურის ძვლის სიგრძე და სიმაღლე ხელს უწყობდა მონადირეს შუბი უფრო ძლიერ და შორს ესროლა).[29] მსოფლიოს სხვა რეგიონებში, როგორიცაა მაგალითად, ავსტრალია და დღევანდელი შეერთებული შტატების ცენტრალური დასავლეთი ნაწილი, ძვლების ანალიზი ჯანმრთელობის გაუარესებაზე მიგვითითებს.[30]

ფართო სპექტრის შემგროვებლობა და სედენტარიზმი

შეიძლება თუ არა წინასამეურნეო ადამიანების დამკვიდრებული ცხოვრების წესი ფართო სპექტრის შემგროვებლობით აიხსნას? პასუხი დადებითიცაა და უარყოფითიც. მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში — ევროპის ზოგიერთ ნაწილში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და პერუში — დასახლებებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო, მაგრამ სხვაგან, მაგალითად, მეზოამერიკის ნახევრად მშრალ მაღლობებზე, ფართო სპექტრის შემგროვებლობაზე გადასვლა არ იყო დაკავშირებული სედენტარიზმის გაზრდასთან. აქ მცენარეთა მოშინაურების შემდეგაც კი არ წარმოქმნილა პერმანენტული სოფლები.[31] — რატომ?

როგორც ჩანს, ფართო სპექტრის შემგროვებლობაზე გადასვლა სულაც არ არის გადამწყვეტი ფაქტორი სედენტარიზმისთვის; პირიქით, პერუს სანაპიროს დასახლებათა ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ პერმანენტული დასახლებები უფრო ახლოს (3,5 მილი) იყო განლაგებული საკვებ რესურსებთან, ვიდრე დროებითი დასახლებები.

თანამედროვე გამოკვლევები და პრობლემები

ის ხარ, რასაც ჭამ: ძვლებისა და კბილების ქიმიური ანალიზი

არქეოლოგები უძველეს კვების რეჟიმს უამრავი, მეტწილად არაპირდაპირი გზით სწავლობენ. საჭმლის აღდგენილი ნარჩენებიდან მათ შეუძლიათ გაიგონ, რით იკვებებოდნენ უძველესი ადამიანები. მაგალითად, აღმოჩენილი სიმინდის მარცვალი მიგვითითებს იმაზე, რომ ხალხი მას დიდი რაოდენობით მიირთმევდა. მცენარეული და ცხოველური საკვები ამოიცნობა ქვებზე აღმოჩენილი ნამწვავითა და (თუკი შემონახულია) ფეკალიებით. ამგვარი დასკვნები უმეტესად იხრება თესლეულის, თხილისა და მარცვლის სასარგებლოდ (რადგან სწორედ ისინი ინახება უკეთ), იშვიათად პოულობენ ისეთი ნაზი მცენარეების ნარჩენებს, როგორიცაა ბანანი ან ბოლქვიანები. არქეოლოგები კვების რაციონის შესახებ დასკვნებს იმ ნაკეთობის მიხედვითაც აკეთებენ, რომლებიც საკვების შესანახად ან გადასამუშავებლად გამოიყენებოდა. მაგალითად, თუ ვიპოვით ბრტყელი ან ჩაზნექილი ზედაპირის ქვას, რომელსაც მარცვლეულის დასაფქვავად იყენებდნენ, სავარაუდოა, რომ ადამიანები საკვებად დაფქულ მარცვალს (ან თესლეულს) იყენებდნენ, მაგრამ მცენარის ნარჩენები და გადასამუშავებელი ინსტრუმენტები ვერაფერს გვეტყვიან იმაზე, თუ რამდენად იყვნენ ადამიანები დამოკიდებული ამა თუ იმ საკვებზე.

არსებობს კვების რეჟიმის შესწავლის პირდაპირი გზაც. ანთროპოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ "ის ხარ, რასაც ჭამ." ძირითადად, გათხრებისას აღმოჩენილი ძვლებისა და კბილების ანალიზს მივყავართ იმ საკვების კვალთან, რომელიც მეტაბოლურად მიდიოდა ძვლებსა და კბილებში.

ერთი სახის ქიმიური ანალიზი გვაძლევს ძვალში სტრონციუმისა და კალციუმის თანაფარდობას და გვიჩვენებს მცენარეული და ცხოველური საკვების თანაფარდობას. მაგალითად, სტრონციუმის ანალიზიდან ვიგებთ, რომ ახლო აღმოსავლეთში ბურღულის მეურნეობის განვითარებამდე ადამიანები ძირითადად მცენარეული საკვებით, ველური ბურღულეულით იკვებებოდნენ. იყო პერიოდი, როცა მისი მოპოვება შეფერხდა. პრობლემა აღნიშნული მცენარის მოშენებითა და მოშინაურებით გადაიჭრა.

ნახშირბადის იზოტოპის თანაფარდობა გვიჩვენებს, რა სახის მცენარეებით იკვებებოდნენ ადამიანები. ხეების, ბუჩქებისა და საშუალო სიმაღლის ბალახების (მაგალითად, ბრინჯი) ნახშირბადის იზოტოპის თანაფარდობა განსხვავდება ტროპიკული და სუბტროპიკული ბალახებისგან (მაგალითად, ფეტვი და მარცვლეული). ჩინეთში 7-8 ათასი წლის წინ ძირითადად ბურღულეულით იკვებებოდნენ, მაგრამ იგივე არ ხდებოდა ჩრდილოეთსა და სამხრეთში. ჩვენი მოლოდინის საპირისპიროდ, ნახშირბადის იზოტოპები მიგვითითებენ საშუალო ზონის ბურღულეულზე (ბრინჯი), როგორც ძირითად საკვებზე სამხრეთ ჩინეთში, ხოლო ჩრდილოეთში დომინირებდა ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეები. ჩრდილოეთში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ფეტვს. დადგენილია, რომ ძვ.წ. 5000-500წწ საკვების 50-80% ფეტვზე მოდიოდა.

ახალ სამყაროში თესლოვანი მცენარეები, როგორიცაა მზესუმზირა და ბოლოტი, უფრო ადრე მოიშინაურეს ჩრდილოეთ ამერიკაში, ვიდრე მარცვლეული შემოვიდოდა მექსიკიდან. ეს ცნობილია ნაწილობრივ არქეოლოგიიდანაც: თესლოვან მცენარეთა ნარჩენები უფრო ძველია, ვიდრე მარცვლეულის. მარცვლის შემადგენლობაში შემავალი კარბონის იზოტოპის ფარდობა განსხვავდება უფრო ადრეული, საშუალო ზონის თესლოვანი მცენარეებისაგან. ამრიგად, ახ.წ. 800-900 წწ კარბონის იზოტოპის ფარდობაში მომხდარი ცვლილებები მიგვითითებს იმაზე, რომ აქ მარცვლეული ძირითადი გახდა.

ძვლებისა და კბილების არაქიმიური ანალიზი გამოიყენებოდა ფიზიკოსი არქეოლოგების მიერ, სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში მცხოვრებ ხალხს, ახლანდელ მოსახლეობასა და მათ წინაპრებს, ადამიანებსა და პრიმიტივებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების შესასწავლად. კვლევისას გამოიყენებოდა ზედაპირის ძირითადად, თავის ქალის გაზომვები (შიგნიდან და გარედან). უკანასკნელ წლებში ანთროპოლოგებმა და არქეოლოგებმა დაიწყეს ძვლებისა და კბილების „შინაგანი" შესწავლა. აქ მოყვანილი ახალი ქიმიური ანალიზი სწორედ ასეთი კვლევის ნაწილი. ნ.ჯ. ვან დერ მერვის სიტყვებით, „ადამიანის ევოლუციის კვლევამ მუცლის შესწავლაზე გადაინაცვლა."

თემი, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ ჰქონდა, მეტად იყო დამოკიდებული ფართოდ გავრცელებულ რესურსებზე. სედენტარიზმს კი, სავარაუდოდ, ხელს უნდა უწყობდეს უფრო ფართო სპექტრის რესურსების სიახლოვე[32] და ხელმისაწვდომობა[33], ვიდრე თვითონ ეს რესურსები.

სედენტარიზმი და მოსახლეობის ზრდა

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ისტორიის იმ ფაზაში, რომელიც ხასიათდება ნადირობითა და შემგროვებლობით, აღინიშნებოდა მოსახლეობის მატება, ანთროპოლოგთა მტკიცებით, მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა დამკვიდრებული ცხოვრების სტილის შემოღების შემდეგ. ეს დასკვნა მომდინარეობს კუნგის მომთაბარე და დასახლებული ტომების შედარებიდან.

მომთაბარე ჯგუფის დასახლებამ, სავარაუდოდ, შეამცირა შობადობის ინტერვალი.[34] მომთაბარე კუნგების შვილების ასაკში, საშუალოდ, 4 წელი იყო შუალედი, ხოლო ახლად დასახლებულ კუნგებში — 3 წელი. არსებობს რამდენიმე ვერსია.

ბავშვებს შორის ასაკობრივ სხვაობას, შესაძლოა სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს. პირველ რიგში, ეს არის (ეფექტური კონტრაცეფციის არარსებობის პირობებში) ხანგრძლივი სექსუალური თავშეკავება ბავშვის გაჩენის შემდეგ, რაც საზოგადოებაში საკმაოდ გავრცელებულია. მეორეც, ეს შეიძლება იყოს ორსულობის შეწყვეტა ანუ აბორტი.[35] მომთაბარე ჯგუფებს მეტი მოტივაცია ჰქონდათ ბავშვებს შორის ასაკობრივი ინტერვალის ზრდისთვის, რადგან ჩვილი ბავშვით გადაადგილება დიდ პრობლემას შექმნიდა. ერთი ჩვილის ტარება საკმაოდ რთული იყო, ორისა კი — მეტისმეტად მძიმე. ამრიგად, დასახლებულ ჯგუფებს შეეძლოთ ასაკობრივი ინტერვალი შეემცირებინათ, რადგან არ იყო ბავშვების ხელით ტარების აუცილებლობა.

აღნიშნული მიზეზები ბოლომდე მაინც ვერ ხსნის შობადობის ინტერვალს მომთაბარე კუნგებში. სხვაგვარი

მოლუსკების შეგროვება ფართო სპექტრის შემგროვებლობის ნაწილი იყო. სამხრეთ აფრიკელები ნაპირზე გამორიყულ მოლუსკებს აგროვებენ.

ახსნა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ბავშვთა კვების პრობლემასთან. ნენსი ჰაუელისა და რიჩარდ ლის აზრით, დასახლებულ კუნგებში ინტერვალის შემცირება გამოწვეული იყო დედის რძესთან ერთად ბავშვთა სხვა საკვების გავრცელებით. ცნობილია, რაც უფრო დიდხანს კვებავს დედა ბავშვს დამატებითი საკვების გარეშე, მით უფრო დიდი ხნის შემდეგ გახდება შესაძლებელი დაფეხმძიმება. მომთაბარე კუნგებს არ ჰქონდათ საშუალება, ბავშვები იოლად მოსანელებელი საკვებით გამოეკვებათ, ამიტომ პატარები 2-3 წლის განმავლობაში დედის რძეზე იყვნენ დამოკიდებულნი. მათგან განსხვავებით, დასახლებულ კუნგებს შეეძლოთ ბავშვები ბურღულითა (მოშენებული მარცვლით) და მოშინაურებული ცხოველების რძით გამოეკვებათ. ასეთი ცლილებები კი საბოლოოო ჯამში იწვევს შობადობის ინტერვალის შემცირებას. წინასამეურნეო თემებში შესაძლებელია იგივე შედეგი ჰქონდეს მარცვლეულისგან დამზადებულ ბავშვთა საკვებს. მხოლოდ ამ მიზეზით შეიძლებოდა მოსახლეობის ზრდა აღნიშნულიყო მანამ, სანამ თემებმა ფერმერობა და მენახირეობა დაიწყეს.

კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ დასახლებულ კუნგებს მეტი შვილი ჰყავთ, ვიდრე მომთაბარეებს, არის სხეულის ცხიმისა და წონის ფარდობა. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ განაყოფიერებისთვის საჭიროა სხეულში ცხიმის გარკვეული მინიმუმის არსებობა. დასახლებული (ანუ ბინადარი) კუნგი ქალის ქსოვილი უფრო ცხიმიანია, ვიდრე მომთაბარისა, რომელიც ველური მცენარის საკვების საშოვნელად ყოველდღე რამდენიმე მილს გადის, ხშირად ბავშვით ხელში. ამრიგად, დასახლებული კუნგების ბავშვებს შორის ასაკობრივი სხვაობა ნაკლებია. ოვულაციისათვის საჭირო კრიტიკული რაოდენობის ცხიმის ფაქტორით აიხსნება ის, რომ ისეთი ქალების, როგორიცაა მარათონის მორბენალები, ტანმოვარჯიშეები და ბალერინები, ოვულაცია რეგულარული არაა.

მიკროლითური ტექნოლოგია

წინა სამეურნეო კულტურა, ტექნოლოგიურად, რადიკალურად არ განსხვავდება ზედა პალეოლითის კულტურებისგან.[38] ზომით უფრო მცირე და მსუბუქი ხელსაწყოების გამოყენების ტენდენცია გრძელდება. მიკროლითები, გვიან ზედა პალეოლითში შექმნილი 1-დან 2 დიუმამდე სიგრძის მჭრელი პირები ახლა უკვე ფართოდ გამოიყენებოდა. ერთი მასალისგან დამზადებული უხეში ხელსაწყოების ნაცვლად, ევროპის, აზიისა და აფრიკის ხალხები უკვე შერეული მასალისგან დამზადებულ ხელსაწყოებს იყენებდნენ. მიკროლითებს, რომლებიც ცალკე გამოსაყენებლად მეტისმეტად პატარა იყო, ათავსებდნენ ძვლის ჭდეში და ამგვარად ამზადებდნენ ისრებს, ჰარპუნებს, სატევრებსა და ნამგლებს. მაგალითად, ნამგლის გასაკეთებლად რამდენიმე მიკროლითს ათავსებდნენ ხის ან ქვის ხელსაკიდის ჭდეში, პირებს კი ფისით ამაგრებდნენ. შესაძლებელი იყო გატეხილი მიკროლითის გამოცვლაც, როგორც თანამედროვე სამართებლის პირისა. გარდა სხვადასხვა დანიშნულებისა, მიკროლითს ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ მისი დამზადება შესაძლებელი იყო თითქმის ყოველგვარი ქვისგან, რამდენადაც უკვე აღარ იყო მსხვილი კვანძების გამოყენება საჭირო დიდი და მსუბუქი ხელსაწყოების დასამზადებლად. ადამიანები მიკროლითის საშუალებით მცირე კვანძებთან მუშაობდნენ უფრო მცირე



სურათი 10-3 **მსოფლიო მოსახლეობის ზრდისა და მოძრაობის რეკონსტრუქცია პლეისტოცინის პერიოდში. მოსახლეობის ზრდამ ადამიანების საზღვრისპირა ტერიტორიებზე გადასახლება აიძულა, კიდევ უფრო გაზრდამ კი ფართო სპექტრის შემგროვებლობისაკენ უბიძგა.**

სურათი ადაპტირებულია ფ.. ჰასანის დემოგრაფიული არქეოლოგიიდან. საავტორო უფლებები დაცული. 1981 წ. აკადემიური პრეს. ვრცელდება გამომცემლის ნებართვით.

მცენარეთა და ცხოველთა მოშინაურება

„ნეოლითი“ ნიშნავს „ახალ ქვის ხანას“ და დაკავშირებულია კულტურული განვითარების იმ ეტაპთან, როცა ადამიანებმა გამოიგონეს თიხის ჭურჭელი და საფქვავი ქვის ხელსაწყოები. დღეს არქეოლოგები ამ ტერმინს მცენარეთა და ცხოველთა მოშინაურებასაც უკავშირებენ. კაცობრიობა საკვების შეგროვებიდან მის დამზადებაზე გადავიდა.

საკვების შეგროვებასა და დამზადებას შორის ზღვარი მაშინ გაივლო, როცა ადამიანებმა მცენარეების შესანახად დარგვა და ცხოველების მოშენება დაიწყეს. როდიდან შეინიშნება ეს პროცესი? არქეოლოგიურად ჩვენ ვხედავთ საკვების დაზადების ეტაპის დასაწყისს. ამის ნიშნები შეიმჩნევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღმოვაჩენთ განსხვავებებს მცენარეებსა და ცხოველებში მათ ველურ სახეობებთან შედარებით. როცა ადამიანები მოსავალს თესავენ, საქმე გვაქვს მოშენებასთან, ხოლო როცა მოშენებული მცენარეები და ცხოველები იცვლებიან, საუბარია უკვე **მოშინაურებაზე**.

როგორც ვიცით, მოშინაურებული სახეობები განსხვავდება ველურისაგან (სურ. 10-4). მაგალითად, ველურ ქერს აქვს სუსტი, ადვილად დაშლადი **თავთავი**, ასევე სქელი გარსი თესლის დასაცავად, მოშინაურებული ქერი კი პირიქით — ძლიერი ღეროთი და მყიფე გარსით ხასიათდება, რაც აიოლებს მის დაფქვას.

რატომ აღინიშნება ასეთი განსხვავებები? აუცილებელი იყო ბუნებრივი თუ ადამიანური, განზრახული თუ შემთხვევითი გადარჩევა. გავიხსენოთ განსხვავებები ხორბლისა და ქერის სახეობებს შორის. როგორც აღვნიშნეთ, როცა ველური თავთავი მწიფდება, ის იოლად იშლება და თესლი იბნევა. ველურ პირობებში ეს თვისება სელექციურია. ასე ბუნება არეგულირებს სახეობებს. მცენარეები ძლიერი ღეროთი ნაკლებად მრავლდებიან, მაგრამ მათი მოშენება უფრო სასურველია. როდესაც ადამიანებმა მოსავლის აღება დაიწყეს ნამგლით, მომკილ თავთავებში სქელღეროიანი მუტანტები ჭარბობდა, რადგან მხოლოდ მათ შეძლეს უხეში მკის პროცესში გადარჩენა. დათესვის შემთხვევაში, ისინი წარმოშობდნენ ასევე ძლიერღეროიან მცენარეებს. ასეთი თესლების განვითარების შემთხვევაში, თავთავების ეს სახეობა დომინირებული გახდებოდა.[40]

განსხვავებები აღინიშნება ცხოველთა გარეულ და მოშინაურებულ სახეობებს შორისაც. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის გარეული თხების რქები სხვა ფორმისაა,[41] მაგრამ მოშინაურების ნიშნებად არ შეიძლება მხოლოდ გარეგნული განსხვავებები მივიჩნიოთ. ამაზე მიგვითითებს აგრეთვე ცხოველთა ნაშთების სქესობრივი და ასაკობრივი თანაფარდობის დისბალანსი. მაგალითად, ერაყში, ზავი ჩემი სანიდარში (Zawi Chemishanidar), კრავებისა და მოზრდილი ცხვრების ნაშთების თანაფარდობა აჭარბებს იმავე თანაფარდობას ველურ ფარაში. ერთადერთი შესაძლო დასკვნა აქედან შეიძლება იყოს ის, რომ ცხოველების მოშინაურებისას უფრო ინახავდნენ მოზრდილ ცხვარს (მოსაშენებლად), ხოლო კრავებს საკვებად იყენებდნენ (ეს ვარაუდი იმის ახსნის საშუალებასაც იძლევა, თუ რატომ არის აღმოჩენილი ძვლების უმეტესობა პატარა ასაკისა.[42])

მოშინაურება ახლო აღმოსავლეთში

დიდი ხნის განმავლობაში არქეოლოგებს მიაჩნდათ, რომ მოშინაურების უძველესი კერა იყო ისრაელიდან იორდანიის მინდვრებამდე, სამხრეთ თურქეთისა და ირანში ზაგროსის მთის დასავლეთ ფერდობების გავლით

კუნგების მოძრავი ბანაკი. მონადირეები და შემგროვებლებს გადაადგილებისას, თან საკუთარი შვილებისა და ნივთების წაღება უწევდათ. ბავშვებს შორის 4 წლიანი ინტერვალი იმის გარანტია იყო, რომ ქალს ერთდროულად ორი ბავშვის ტარება არ მოუწევდა.

(იხ.სურ. 10-5). ცნობილია, რომ ძვ.წ. 8000 წელს აქ იზრდებოდა მოშინაურებული მარცვლეულის ისეთი სახეობები, როგორიცაა ოსპი, ქერი, ფეტვი, ბარდა, ასევე სხვადასხვა სახის ხილი და თხილი (მსხალი, ბროწეული, ლელვი, ზეთისხილი, ქაცვი).43 როგორც ჩანს, ცხოველები ახლო აღმოსავლეთში მოაშინაურეს. ძაღლები პირველად მეურნეობის განვითარებამდე მოიშინაურეს, დაახლოებით ძვ.წ. 10 ათასი წ. (იხ. ჩარჩო „ძაღლები და კატები თავისით მოშინაურდნენ?“), თხები და ცხვრები დახლოებით ძვ.წ.7000, ხოლო ცხოველები და ღორები — ძვ.წ. 6000 წლებში.44

განვიხილოთ ორი ნეოლითური პერიოდის მხარე ახლო აღმოსავლეთში და ვნახოთ, როგორ შეიცვალა ადამიანების ცხოვრება მას შემდეგ, რაც მათ ცხოველები და მცენარეები მოიშინაურეს.

(Ali Kosh). სამხრეთ-დასავლეთ ირანის მრავალფენიან მხარეში — ალი კოშში (იხ.სურ. 10-5), ჩვენ ვხედავთ ძვ.წ. 7500 წლის დროინდელი თემის ნარჩენებს, იქ ძირითადად იკვებებოდნენ ველური მცენარეებითა და გარეული ცხოველებით. მომდევნო 2000 წლის მანძილზე მეურნეობა და მენახირეობა მზარდ მნიშვნელობას იძენდა. ძვ.წ. 5500 წლიდან აღინიშნება ორი სიახლე — ირიგაცია და მეცხოველეობა, რამაც იმ ათასწლეულში მოსახლეობის მცირე ზრდას შეუწყვეს ხელი.

ძვ.წ. 7500-6750 წლებში ალი კოშში ადამიანები დაუმუშავებელი თიხის ფილებს კვეთდნენ მიწაში, რომ მრავალოთახიანი სტრუქტურა მიეღოთ. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ოთახები 7-10 ფუტი სიმაღლისაა, მაგრამ არაფერი მეტყველებს იმაზე, რომ აქ ადამიანები ცხოვრობდნენ ან ეძინათ. ისინი ალბათ უფრო მარაგის შესანახად გამოიყენებოდა. მეორე მხრივ, უფრო პატარა ზომის ოთახები მსოფლიოს სხვა რეგიონებშიცაა აღმოჩენილი და არაა გამორიცხული, რომ მათ საცხოვრებლადაც იყენებდნენ. სავარაუდოდ, ალი კოშის მოსახლეობა ზაფხულობით რამდენიმე დღის სავალზე მდებარე მდელოთი დაფარული მთისკენ ინაცვლებდა (თხებთან ერთად).

მათი საკვები იყო ძირითადად ხორბალი და ერთგვარი ქერი, ასევე — მოშინაურებული თხები. თხების მოშინაურების შესახებ ცნობილია იქიდან, რომ ამ კუთხეში არ ბინადრობდნენ გარეული თხები. ნაპოვნი ძვლებიდან არც ერთი არაა მოზრდილი თხისა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათ ძირითადად მოსაშენებლად იყენებდნენ. ნაკლებად კლავდნენ აგრეთვე დედალ თხას. ამ ნიშნებთან ერთად ნაპოვნი ათობით ათასი თესლი იმაზე მიგვითითებს, რომ ალი კოშის მოსახლეობა ძირითადად ველური მცენარეებითა (პარკოსნები და ბალახეული) და გარეული ცხოველებით (ქურციკი, გარეული ხარები და ღორები) ირჩენდა თავს. ისინი იკვებებოდნენ თევზით (კობრი, მოლუსკები, ორსაგდულიანი ნიჟარები) და წყლის ფრინველებით, რომლებიც წლის განმავლობაში ხშირად სტუმრობდნენ ამ მხარეს.

ალი კოშში ფართოდ იყო გავრცელებული პრიმიტიული იარღების მრავალსახეობა. ამ პერიოდის აღმოჩენებში მრავლადაა პრიმიტიული საჭრელები, ზოგიერთი დაახლოებით 1მმ სისქის. არქეოლოგების მიერ ნაპოვნი ქვის ნამსხვრევების 1% ვულკანური მინაა, რომელიც აღმოსავლეთ თურქეთიდან (დაახლოებით რამდენიმე ასეული მილის მოშორებით) მოდიოდა. აქედან გამომდინარე, ალი კოშის მოსახლეობას, სავარაუდოდ, კავშირი ჰქონდა სხვა ხალხებთან. ამას ისიც ადასტურებს, რომ მათ მიერ მოშინაურებულ ხორბალს ამ ტერიტორიაზე ველური ანალოგი არ ჰყავს.

ძვ.წ. 6750-6000 წლებში გაიზარდა მოშინაურებული მცენარეების მოხმარება. კერიებში აღმოჩენილი მარცვლის 40% ხორბალი და ქერია. ველური მცენარეებისგან დამზადებული საჭმლის ხვედრითი წილი შემცირდა, რადგან მის პარალელურად, იმავე ნიადაგზე იზრდებოდა მოშინაურებული მცენარეებიც. ამაში თავისი წვლილი შეიტანა თხებისა და ცხვრების ბალახისმჭამელობამაც. სოფელი ხან იზრდებოდა, ხან — არა, მაგრამ უწყვეტი ტენდენციით იზრდებოდა მრავალოთახიანი სახლები. ოთახების ფართი უკვე 10 კვადრატულ ფუტს აჭარბებდა, კედლები უფრო სქელი იყო, ხოლო თიხის აგურები ტალახით დუღაბდებოდა. ასეთი სახლის იატაკი ლერწმით იყო დაფარული (მათზე ნაპოვნია ნაფეხურები). შიდა ეზოში

მიკროლითებისგან დამზადებული ნამგალი.

იყო მრგვალსახურავიანი აგურის ღუმელები და შესაწვავი ორმოები. ამ მხარისთვის დამახასიათებელი ზაფხულის სიცხის გამო გასაგებია, თუ რატომ არ იყო არც ერთი ასეთი ღუმელი სახლის შიგნით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სოფლების მოსახლეობა 100-ს არ აღემატებოდა, ისინი ვაჭრობაშიც იყვნენ ჩაბმულნი. ზღვის ნიჟარები, სავარაუდოდ, სამხრეთიდან, სპარსეთის ყურიდან მოჰქონდათ, სპილენძი — დღევანდელი ცენტრალური ირანიდან, ვულკანური მინა – აღმოსავლეთ თურქეთიდან, ფირუზი — თანამედროვე ირანისა და ავღანეთის საზღვრიდან. ამ მასალებიდან ზოგიერთს სამკაულად გამოიყენებდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები. ამას სახლის იატაკქვეშ დამარხული ნეშთებიც ადასტურებს.

ძვ.წ. 500 წ-დან ალი კოშის მოსახლეობა იზრდება, სავარაუდოდ — განვითარებული მეურნეობის, ირიგაციისა და მოშინაურებული საქონლის მომრავლების გამო. შემდეგ ათასწლეულში, ძვ.წ.4500წ-მდე ამ ტერიტორიის მოსახლეობა სამმაგდება. ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო იმ კულტურული განვითარებით, რომელმაც კულმინაციას მიაღწია ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციის აღმავლობისას.45 ამას ჩვენ მომდევნო თავშიც ვნახავთ.

მოსახლეობის ზრდა აღინიშნებოდა ალი კოშსა და მის შემოგარენში, მაგრამ არა ახლო აღმოსავლეთის ყველა რეგიონში. მაგალითად, ადრეულ სოფლებს შორის ყველაზე უდიდესში — აინ გაზალში (დღევანდელი ამმანი, იორდანია) — მოსახლეობა შემცირდა, იქნებ იმიტომაც, რომ გარემო ხელს არ უწყობდა.46

ჩათალ ჰუიუკი. სამხრეთ თურქეთის მთიანი რეგიონის ქარიან პლატოზე შემორჩენილია აგურით ნაგები ქალაქი ჩათალ ჰუიუკი (იხ.სურ. 10-5). ჰუიუკი ერთმანეთზე დაშენებულ დასახლებებს ნიშნავს.

ძვ.წ. 5600წ ჩათალ ჰუიუკი გამომწვარი ტალახისგან ნაგები ქალაქი იყო. აღმოჩენილი 200 შენობა ერთმანეთს პუებლოს სტილით უკავშირდებოდა (თითოეულ ბრტყელსახურავიან შენობაში რამდენიმე ოჯახი სახლობდა).

სურათი 10-3 **ველური და კულტურული ხორბლის თავთავები. მოშინაურებულ ხორბალს ახასიათებს უფრო ბევრი და მოზრდილი მარცვალი.**

გამოცემიდან წარსული პერსპექტივაში, მეორე გამოცემა, კ. ფედერი. საავტორო უფლებები დაცული. 2000. მეიფილდის საგამომცემლო კომპანი. დაბეჭდილია მაკგროუ-ჰილის წიგნის კომპანიის ნებართვით.

მაცხოვრებლები სახლის კედლებს წარმოსახვითი ფრესკებითა და კერპების სიმბოლური ქანდაკებებით რთავდნენ. ფრესკები რელიგიურ სცენებსა და ყოველდღიურ მოვლენებს ასახავდა. მათი გადაფხეკისას კიდევ ერთი ფენა აღმოაჩინეს. როგორც ჩანს, ახალი ფრესკის დასახატად ძველს შლიდნენ. რამდენიმე ოთახი სარიტუალოსაც კი ჰგავს, ხარის დიდი გამოსახულებებითა და კედელზე საქონლის თავის ფიტულებით. სხვა ოთახებში შავი და წითელი საღებავით დახატული ფრესკები ცხოვრებისა და სიკვდილის სცენებს ასახავს. ასეთივე ოთახებში იპოვეს ხარზე შემომსხდარი ფეხმძიმე ქალისა და წვეროსანი მამაკაცის თიხის ქანდაკებები.

ჩათალ ჰუიუკში განვითარებული იყო ფერმერობაც. ჭარბად მოდიოდა ოსპი, ხორბალი, ქერი და ბარდა. არქეოლოგები გაოცებას ვერ მალავენ ნაპოვნი ხელნაკეთობების, ლამაზად გამოთლილი ხის თასების და ყუთების გამო. აქ მოსახლეობას ვულკანური მინისა და პრიმიტიული სატევრები, შუბის თავები, საფხეკები, სადგისები და ნამგლის პირებიც ჰქონდათ. თასები, ნიჩბები, დანები, კოვზები და ჩამჩები ძვლისგან იყო გამოთლილი. სახლებში ნაპოვნია ძვლის მაქმანები ქამრისთვის, ღილები და ქინძისთავები. დადასტურებულია, რომ მამაკაცები და ქალები ატარებდნენ ძვლის, ზღვის ნიჟარებსა და სპილენძის სამკაულებს და იყენებდნენ ვულკანური მინის სარკეებს.47

იმის გამო, რომ ჩათალ ჰუიუკი მდებარეობს ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ ღარიბ რეგიონში, ის სავარაუდოდ სხვა ტერიტორიის მოსახლეობასთან გაცვლას აწარმოებდა: ნიჟარები ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან შემოდიოდა, ხე-ტყე — მთებიდან, ვულკანური მინა — 50 მილის მანძილიდან და მარმარილო — დასავლეთ თურქეთიდან.

მოშინაურება მეზოამერიკაში

აქ მოშინაურების სხვა მოდელი აღინიშნება: ნახევრად მომთაბარე არქაული ნადირობა და შემგროვებლობა მცენარეთა მოშინაურების შემდეგაც არსებობდა.48 როგორ მოხდა ეს? შესაძლებელი იყო მოშინაურებულ მცენარეებზე ზრუნვა მათთან ახლოს ცხოვრების გარეშე? შეწყდა თუ არა ველური მცენარეების შეგროვება? პასუხი უარყოფითია. მეზოამერიკაში ადამიანები მრავალი სახის მცენარეს თესავდნენ, მაგრამ შემდეგ კვლავ ნადირობასა და შემგროვებლობას ეწეოდნენ, მოსავლის აღების სეზონზე უკან ბრუნდებოდნენ დათესილის მოსამკელად. ადრეული კულტურების უმრავლესობა, დიდი სურვილის მიუხედავად, არ იყო სუბსისტენციური. არქაული ადამიანები მოშინაურების გზით სასურველ მცენარეებს ამრავლებდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი მოშინაურებული მცენარე იყო ერთგვარი გოგრა, რომელიც საკვებად არ ვარგოდა, მაგრამ მოსახერხებელი იყო წყლის სატარებლად. ჯოის მარკუსისა და კენტ ფლენერის ვარაუდით, ხალხი მას გამიზნულად აშენებდა ისეთ ადგილებში, სადაც ბუნებრივად არ ხარობდა.49

გოგრა მეზოამერიკის მაღლობზე მოშინაურებულ მრავალ მცენარეთაგან ერთ-ერთია. აქ ასევე მოჰყავდათ პომიდორი, ბამბა, ცერცვი, გოგრა და სიმინდი (მარცვალი). მიუხედავად იმისა, რომ სიმინდის წარმოშობა სადავოა, მისი მოშინაურებული ანალოგი ნაპოვნია ტეჰუაკანში, მექსიკაში და თარიღდება ძვ.წ. 5000 წლით. 1970 წლამდე მიიჩნეოდა, რომ სიმინდი მოიშინაურეს უკვე გადაშენებული "ველური სიმინდიდან", რომელსაც პატარა მაგარი ტარო და ასევე მცირე ფოჩები ჰქონდა. ახლა კი ვარაუდობენ, რომ მისი "წინაპარი" ტეოზინტი იყო — მექსიკაში ფართოდ გავრცელებული მაღალი ველური ბალახი ან შესაძლოა, სიმინდი ტეოზინტისა და ველური მარცვლის ნაჯვარიც იყოს (სურ.10-6).50

ტეოზინტი და სიმინდი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის მცირე განსხვავებაც არის. ტეოზინტში არის „ზოლი", სადაც ერთ მწკრივად განლაგებულია 7-12



სურათი 10-5 **ადრეული სამეურნეო დასახლებები ახლო აღმოსავლეთში**

თანამედროვე ქალაქები აღნიშნულია წერტილით, ძველი დასახლებები კი – კვადრატით. ყვითელი ფერით აღნიშნულია ე.წ. „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ ტერიტორი.

თესლი, ხოლო სიმინდის ტაროში თესლები რამდენიმე მწკრივადაა. ტეოზინტის თითოეულ თესლს აქვს საკუთარი მყიფე გარსი მაშინ, როცა სიმინდის ტარო მთლიანად არის დაფარული სქელი ჩენჩოთი. განსხვავებებია ადრეულ და თანამედროვე სიმინდებს შორისაც. 7000 წლის წინანდელი სიმინდის ტაროები პატარა, 1 დიუმის სიგრძისა იყო, თესლები კი 6 რიგად ჰქონდა ჩამწკრივებული. ძველი და ახალი სიმინდები ადამიანებისგან დამოუკიდებლად ვერ მრავლდება — მყიფე გარსიდან სქელჩენჩოიან ტაროებზე გადასვლა იმაზე მიგვითითებს, რომ ჩენჩოს ვიღაც ფრთხილად აცლიდა თესლს, რათა შესაძლებელი გაეხადა მისი გამრავლება.[51]

სიმინდისა და გოგრის მსგავსად, პარკოსნებისა და ხაპის ველური სახეობები მარტივი მანიპულაციით მოიშინაურეს. მაგალითად, ცერცვი ბუნებრივად კლდის გამოქვაბულებთან ახლოს, ფერდობის ნიადაგზე ხარობს. იოლი მისახვედრია, რომ არქაული მოსახლეობა სწორედ ამ ცერცვით იკვებებოდა (მათი ფესვები პატარა და საკვებად გამოუსადეგარია) და თესავდა კიდეც სასურველი ხარისხის, მოზრდილ თესლიან ვარიანტსაც. ანალოგიურად, ველური ხაპის მხოლოდ თესლი იჭმებოდა, დანარჩენს კი არასასიამოვნო სუნი და გემო ჰქონდა, მათი მუტანტები პირიქით — უფრო გემრიელი და დიდთესლიანი იყო.[52]

მეზოამერიკის, მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის მოსახლეობას მიაწერენ ერთსა და იმავე ნიადაგზე სიმინდის, ცერცვისა და გოგრის დათესვას, რასაც თავისი უპირატესობა აქვს. სიმინდს ნიადაგიდან ნიტროგენი გამოჰყავს, ცერცვი კი, როგორც ყველა პარკოსანი, პირიქით, ნიტროგენით ამდიდრებს მას. სიმინდის ტაროს ირგვლივ ცერცვი იგრიხება, ძირში კი ხაპი. ლობიო, სიმინდისგან განსხვავებით, შეიცავს ამინომჟავის ლიზინს. ამრიგად, ცერცვი და სიმინდი ადამიანებს ყველა საჭირო ამინომჟავით უზრუნველყოფდა. იყო ტეოზინტი სიმინდის წინაპარი თუ არა, ის ამ უნიკალური კომბინაციის მოდელია, რადგან ველური ცერცვი და ხაპი მის მახლობლად ხარობს.[53]

გუილა ნაკიტზი. 1960-იან წლებში კენტ ფლინერის მიერ აღმოჩენილი გუილა ნაკიტზის გამოქვაბული მეზოამერიკის მაღლობებში გავრცელებული მოშინაურების ნათელ სურათს გვიხატავს. აქ ადამიანთა პატარა ჯგუფები (სავარაუდოდ, მხოლოდ ერთი ოჯახი) სახლდებოდა ხანგამოშვებით (და სეზონურად) 2000 წლის განმავლობაში (ძვ.წ.8900-6700). სწორედ ამ პერიოდში მოაშინ-

მიმდინარე კვლევები და გამოცემები

ძაღლები (და კატები) თავისთავად მოშინაურდნენ?

ძაღლებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობებზე პირველი ნიშნები აღმოჩენილია ჩრდილოეთ ისრაელში და თარიღდება 12 ათასი წლის წინანდელი პერიოდით. აქ ნაპოვნია ხანში შესული ქალის საფლავი. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე წევს, ფეხები მოკეცილი აქვს და მარცხენა ხელქვეშ ძაღლი ჰყავს. ემბერების ძაღლს მათი სახლში მოსვლა ახარებდა, შეეძლო ყნოსვით გაეგნო გზა, ჭამდა ყველაფერს, რაც იატაკზე ვარდებოდა. არის თუ არა ეს საკმარისი მიზეზი, ვამტკიცოთ, რომ ადამიანებმა მგლის შთამომავლობა 10-15 ათასი წლის წინ მოიშინაურეს?

ახლო აღმოსავლეთში მცენარეების, ცხვრებისა და თხების მოშინაურებამდე ათასობით წლით ადრე მოიშინაურეს ძაღლი. მას შემდეგ, რაც ნახევრად პერმანენტული დასახლებები წარმოიქმნა, ადამიანები უკვე მსხვილფეხა საქონელზე კი არა, კარბოჰიდრატებით, ცილებითა და ზეთით მდიდარ მცენარეებზე იყვნენ დამოკიდებულნი.

რატომ უნდა მოენდომებინათ ადამიანებს მგლების გაწვრთნა? ერთი ვერსიით, წვრილფეხა საქონელზე გადასვლის გამო, ისინი ძაღლებს იყენებდნენ დაჭრილი ცხოველის სადევნად და მოკლულის საპოვნელად. ასევე, მტაცებლების დასაფრთხობად და ტერიტორიის ნაგვისგან გასაწმენდად.

ეს უკანასკნელი დანიშნულება კიდევ ერთ თეორიას ედება საფუძვლად: შესაძლოა, ადამიანებმა კი არ მოიშინაურეს ძაღლები, ისინი თვითონ მოშინაურდნენ ბანაკის ირგვლივ ხეტიალისას. რატომ დაინტერესდნენ მგლები ადამიანთა დასახლებებით? ამის მიზეზი მათი შეჭმა არ უნდა ყოფილიყო, რადგან ეს მხოლოდ მილიონობით წლით ადრე იყო შესაძლებელი. ალბათ, არსებობდა სხვა რამ, რაც მგლებს ასე იზიდავდა ადრეულ დასახლებებში. ისტორიაში პირველად, ადამიანებს უკვე შეეძლოთ ერთ ადგილზე დიდხანს გაჩერება და მოსავლითა თუ სხვა რესურსებით თავის გატანა. მნიშვნელობა არ აქვს, წლობით დაყოვნდებოდნენ იქ თუ სეზონურად, ადრე თუ გვიან ჩნდებოდა ნაგვის პრობლემა. ეს ძირითადად ეხებოდა საჭმლის ნარჩენებს — ისინი არა მხლოდ უსიამოვნო სუნს იწვევდა, ასევე ავრცელებდა სხვადასხვა დაავადებას. როგორ მოგვარდებოდა ეს პრობლემა? როგორც დღეს ვიცით, საჭირო იყო მიწაში დაფლვა ისე, რომ არასასურველი სტუმრები არ მოეზიდა, მაგრამ საბოლოოდ დასახლების ახლოს ადგილის უკმარისობა იჩენდა თავს. რა თქმა უნდა, შეეძლოთ ბანაკი სხვაგან გადაეტანათ, მაგრამ შესაძლოა, ეს არც სურდათ, მათ ხომ უზარმაზარი დრო დახარჯეს იმ სახლების აშენებაზე, რომლებიც ზამთარში თბილი იყო, წვიმაში — მშრალი და იქ უამრავ ნივთს ინახავდნენ. რის გაკეთება შეიძლებოდა?

იქნებ, არც არაფერს აკეთებდნენ და ამ პრობლემას შორიახლოს მოხეტიალე მგლები ჭრიდნენ. როგორ? დასუფთავებით, რაც ძაღლებისთვის (განსაკუთრებით ისეთი დიდები, როგორებიც მაშინ იყვნენ) ჩვეულებრივი იყო აკეთებდნენ. ასე რომ, მხლოდ რამდენიმე გაწვრთნილი მგელი და მოშინაურებული ძაღლი კმაროდა ნაგვის პრობლემის მოსაგვარებლად, ხოლო ხალხს არ უწევდა ნაგვის გამო გადასახლება და დაცული იყო სუნის, მწერებისა და დაავადებებისგან. სავარაუდოდ, თავისით მოშინაურდნენ ძაღლები, რადგან ეს მათთვისაც და ადამიანებისთვისაც სასარგებლო იყო.

მსგავსი თეორიაა კატების შესახებაც, რომლებიც თაგვებს იჭერენ და კლავენ. თაგვის ძვლები (სახლის თაგვის) ნაპოვნია ახლო აღმოსავლეთის ნასახლარებში მეურნეობის განვითარების შემდეგ. შესაძლოა, ადამიანებმა კატები მათ წინააღმდეგ მოიშინაურეს, მაგრამ უფრო სავარაუდოა, კატები შეეჩვივნენ ბეღელისა და მარაგის სარდაფებს. რასაკვირველია, მოშინაურების პროცესს ადამიანებმაც შეუწყვეს ხელი შედარებით აგრესიული ველური კატების დახოცვით. ეს ვრცელდება ახლოს მოსულ ველურ მგლებზეც. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთ ცხოველებს არ „ეფერებოდნენ“, არავის სურდა მათთან კონფლიქტი. მგლებს დომინანტურ-დაქვემდებარებული იერარქია ახასიათებთ. ისინი, სავარაუდოდ, შეეგუენ ადამიანის ბატონობას. ის, ვინც ამას ვერ ახერხებდა, ალბათ, იკვლებოდა.

როგორ უნდა შემოწმდეს ეს თეორიები? თუ ძაღლები მართლაც დასუფთავების მიზნით მოიშინაურეს, ამის ნიშნები (მაგ.: ცვლილება ანატომიაში) უნდა იყოს იქ, სადაც წლის ნაყოფიერ სეზონზე ადამიანები სახლობდნენ, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში თუ იქნებოდა ნაგვის პრობლემა. ანალოგიურად, კატის მოშინაურების ნიშნები უნდა ვეძიოთ იმ ტერიტორიებზე, სადაც სავარაუდოდ, მარცვლეული ინახებოდა. მხოლოდ აქ იქნებოდა (მღრღნელებისგან თავის დასაცავად) — ვიმედოვნებთ, არქეოლოგები ამ თეორიებს მომავალში შეამოწმებენ.

აურეს მცენარეები. საკუთრივ გამოქვაბული მდებარეობს ზედა პიედმონტის ეკლოვან ტყეში, ოაქსაკას ხეობის ზემოთ. გუილა ნაკიტზის მოსახლეობა შუბებით ნადირობდა ირმებსა და ველური ღორის მსგავს ცხოველებზე, პატარა ცხოველებისათვის კი მახეს აგებდა. ისინი აგროვებდნენ, აგრეთვე, მცენარეებს, ძირითადად ეკლიან მსხალს, ბალს, რკოს, თხილს ტყიდან, აგავას, ხახვს და სხვა მცენარეებს ეკლოვანი ტყიდან.54

გუილა ნაკიტზში ნაპოვნია სხვა მცენარეების ნარჩენებიც, მათ შორის — გოგრისებრთა ოჯახის მცენარეები. როგორ მოაღწია ყოველივე ამან გამოქვაბულამდე? ხომ არ აშენებდა „მოშენება“ დღევანდელი გაგებით, მაშინ — არა. გოგრა ფართოდ იყო გავრცელებული მეზოამერიკის მაღლობზე და ხარობდა ისეთ გაფხვიერებულ ნიადაგზეც კი, როგორიცაა გამოქვაბულის მიმდებარე ტერიტორია. შესაძლოა, ამის შესახებ გუილა ნაკიტზის მოსახლეობამაც იცოდა. ამიტომ თესავდნენ უფრო იმ გოგრას, რომელსაც უკეთესი გემო ან დიდი თესლი ექნებოდა.55 მოშინაურება ან მოშინაურებული მცენარეების გამოყენება საკმაოდ არაფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან კვების რეჟიმი ისედაც მდიდარი იყო ცხოველური და მცენარეული საკვებით. სიტუაცია აქ სრულიად განსხვავებულია ალი კოშისა და ჩათალ ჰუიუკისაგან, რადგან მოშინაურება განპირობებულია მონადირეებისა და შემგროვებლების მიერ ზოგიერთი მცენარის საკვებად გამოყენებით (მაგ. გემრიელი გოგრის). აქ არ მომხდარა „რევოლუცია“, რომელიც ადამიანებს აიძულებდა, ერთბაშად გადასულიყო მოშინაურებული მცენარეების გამოყენებაზე.

პუებლოს სტილის სტრუქტურების ნარჩენები ნეოლითური კატალ ჰუიუკიდან.

მოშინაურება მსოფლიოს სხვა რეგიონებში

სამხრეთ ამერიკა და აღმოსავლეთ აშშ. მეზოამერიკის გარეთ მცენარეთა მოშინაურება აღინიშნებოდა ახალი სამყაროს, სულ მცირე, ორ წერტილში: სამხრეთ ამერიკასა და აღმოსავლეთ აშშ. პირველი მოშინაურებული მცენარე იყო გოგრისებრთა ოჯახიდან — ძვ.წ.7500 წლის შემდეგ. მოშინაურებული მცენარეების გარდა, სამხრეთ ამერიკის ანდებში აღინიშნება კიდევ 200 სხვა მცენარე, მათ შორის, კარტოფილი, ლიმას ლობიო, მიწის თხილი, ამარანტი და კვინო. პირველად მოიშინაურეს გოგრისებრები, დაახლოებით ძვ.წ. 8000 წ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ანდებში მოშინაურება მეზოამერიკის პარალელურად და ცოტა ადრეც კი დაიწყეს.[56] სადავოა მანიოკისა და ტკბილი კარტოფილის წარმომავლობა, მაგრამ ისინი, სავარაუდოდ, ხარობდა სამხრეთ ამერიკის დაბლობის ტყიან რეგიონებში.[57]

ჩრდილოეთ ამერიკაში მოყვანილი მცენარეების უმეტესობა — მარცვლეული, ცერცვი და გოგრა — მეზოამერიკიდან იყო შემოტანილი, მაგრამ მზესუმზირა და ბოლოტი, სავარაუდოდ, აქ უფრო ადრე მოიშინაურეს. ისინი მდიდარია ცილებით, ცხიმით და საკმაოდ ნოყიერია, ხოლო ხურტკმელი დიდი რაოდენობით სახამებელს შეიცავს და საკვები ღირებულებით ხორბალს უტოლდება.[58] ბოლოტი კალციუმის შემცველობით მხოლოდ მწვანილეულს, ნიჟარასა და ძვალს ჩამოუვარდება. ის დიდი რაოდენობით შეიცავს რკინასაც (უფრო მეტს, ვიდრე ხბოს ღვიძლი) და თეამინსაც.[59] ეს მცენარეები, სავარაუდოდ, კენტუკის, ტენესისა და სამხრეთ ილინოისის ტერიტორიაზე მოიშინურეს დაახლოებით ძვ.წ. 2000 წელს (ხორბალი შემოიტანეს ახ.წ. დაახლოებით 200 წელს).

ხორბლამდე არსებული ყველა მცენარე საკვები ღირებულებით აღემატებოდა მას. რატომ გადაერთვნენ ჩრდილოეთ ამერიკის მეურნეები მის მოხმარებაზე უკანასკნელი 1000 წლის განმავლობაში?60 არქეოლოგ ბრიუს სმიტის სიტყვებით,[61] „ხორბლის მოსავალი მნიშვნელოვანწილად აჭარბებდა მცენარისაგან აღებულ მოსავალს და გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა მოსავლის რაოდენობა და დახარჯული ძალისხმევა. ხურტკმელი, მაგალითად, საკვები ღირებულებით ხორბალს უტოლდებოდა, მაგრამ მის მოსაწევად და შესანახად დიდი შრომა იყო საჭირო და თანაც აუცილებლად შემოდგომის იმ დროს, როცა შესაძლებელი იყო ირმებზე ნადირობა. ამიტომ ხორბალზე გადასვლა, შესაძლოა, იმანაც გამოიწვია, რომ მოსავლის აღება და ნადირობის სეზონი ერთმანეთს დაემთხვა, ხოლო ხორბლის მოშენება ნაკლებ შრომატევადი იყო.[62]

მთლიანობაში, ახალ სამყაროში ცხოველები ეკონომიკურად ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. ჩრდილოეთ ამერიკაში ესპანელების შემოსვლამდე ძაღლები და ინდაურები ძირითადად მოშინაურებული ცხოველები იყვნენ. ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ძაღლები ჩრდილოეთ ამერიკის მგლებისგან წარმოიშვნენ და მათი მოშინაურება ადრე მოხდა. ახ. წ. 500 წლიდან მოშინაურებული ინდაურები ნაპოვნია სამხრეთ-დასავლეთ ამერიკის პუებლოებში.[63] მათი ბუმბულები გამოიყენებოდა ისრებისთვის, სამკაულისა და ქსოვისთვის, ძვლები კი — ხელსაწყოებისთვის, თუმცა თვითონ ხორცს იშვიათად იყენებდნენ საკვებად, განსხვავებით მექსიკისა და ცენტრალური ამერიკისგან, სადაც ის ძირითადი საკვები იყო, ხოლო მოშინაურება კი დამოუკიდებლად მოხდა. 1519 წელს, როცა კორტესი მექსიკაში მოვიდა, მოშინაურებული ინდაურები აქ უკვე დიდი რაოდენობით იყო.[64]

ახალ სამყაროში ცენტრალური ანდები ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ცხოველები ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. ლამა და ალპაკა (აქლემის ოჯახის წარმომადგენლები) აქ ძვ.წ. 5000 წელს მოიშინაურეს და იყენებდნენ საკვებად, ტრანსპორტირებისთვის. გამოიყენებოდა მათი ბეწვიც.[65] გვინეური ღორები (სახელი სრულიად შეუფერებელია, რადგან ეს არც ღორია და არც გვინეიდან) — მღრღნელები — ანდებში ცოტა ადრე მოაშინაურეს. მანამდე ისინი საკვების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდნენ და ადამიანების სადგომებში ცხოვრობდნენ.[66]

მოშინაურების პროცესი განსხვავებული იყო ახალ და ძველ სამყაროში, რადგან თვითონ ველური ცხოველები განსხვავდებიან ორ ნახევარსფეროზე. ძველი სამყაროს ვაკეებსა და ტყეებში საქონლის, ცხვრის, თხების, ღორებისა და ცხენების ველური წინაპრები ბინადრობდნენ. ახალ სამყაროში კი ცხენების, მასტოდენტების, მამონტებისა და სხვა დიდი ცხოველების ველური ნახირები უკვე გადაშენებული იყო და მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა, სხვა ცხოველები მოეშინაურებინა.

აღმოსავლეთ აზია. არქეოლოგიური კვლევები გვიჩვენებს, რომ თესლოვანი მცენარეების მოშინაურება უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ვიდრე სხვა უფრო "რბილი" მცენარეებისა, რადგან ეს უკანასკნელი არცთუ

სურათი 10-6 **ტეოზინტის მცენარე, ეკალი და თესლები. სიმინდის მცენარე, ტარო და შიგთავსი. რამდენად აღემატება მოშინაურებული სიმინდის ტარო და მარცვალი ველურისას.**

წარსული პერსპექტივაში, კ. ფედერი. საავტორო უფლებები დაცული. 2000. მეიფილდის საგამომცემლო კომპანია. იბეჭდება გამომცემლის ნებართვით.

კარგად ინახებოდა. ბურღულის მოშინაურების ადრეული ნიშნები, ახლო აღმოსავლეთის გარდა, აღინიშნებოდა ჩინეთშიც. ძვ.წ. მე-6 ათასწლეულის ბოლოს ჩრდილოეთ ჩინეთის ზოგიერთ რაიონში მოშინაურეს იტალიური ფეტვი. მარაგისთვის განკუთვნილი ორმოები და ქვაბები და დიდი რაოდენობით საფქვავი ქვები ადასტურებს, რომ ფეტვს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კვების რაციონში. ნაპოვნი ველური ცხოველის ძვლები და სანადირო და სათევზაო ხელსაწყოები მიგვითითებს, რომ ნადირობა და თევზაობა შინაური ღორების (და ძაღლების) გამოჩენის შემდეგაც არ შეწყვეტილა. სამხრეთ ჩინეთში არქეოლოგებმა დაახლოებით იმავე პერიოდის სოფელი იპოვეს პატარა ტბის მახლობლად, სადაც ხალხს ბრინჯი, გოგრა, წაბლი და ფინიკისმაგვარი ხილი მოჰყავდა — ჟოჟობა. სამხრეთ ჩინეთის მცხოვრებლებმა აგრეთვე მოაშენეს წყლის კამეჩი, ღორები და ძაღლები და ისევე, როგორც ჩრდილოეთ ჩინეთში, აქაც საკვების ძირითადი ნაწილს ნანადირევი და თევზი წარმოადგენდა.[68]

ახლო აღმოსავლეთის პარალელურად, მოშინაურება მიმდინარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ბუნდოვანია ამ პროცესის დაწყების თარიღი. მოშინაურების უძველესი ცენტრი — სპირიტის გამოქვაბულთან — ჩრდილოდასავლეთ ტაილანდში დათარიღებულია ძვ.წ. 9500-5500 წწ. აქ აღმოჩენილი მცენარეები ძალიან არ განსხვავდება ველური ანალოგებისაგან, მაგრამ გოგრა, ხვიარა თხილი, ხვიარას ფოთლები და წაბლი, სავარაუდოდ, მოშინაურებული იყო.[69]

მოშინაურების პროცესი, უმეტესად, აღმოსავლეთ აზიაში ვაკეებსა და მდინარის დაბალ კალაპოტებთან მიმდინარეობდა, თუმცა აქ ძირითადი საკვები მაინც თევზი და მოლუსკი იყო. ახლო აღმოსავლეთისგან განსხვავებით, პირველად ბურღული არ მოუშინაურებიათ, ხოლო ზოგიერთი მცენარით სულაც არ იკვებებოდნენ. მაგალითად, ბამბუკს იყენებდნენ ხელსაწყოების დასამზადებლად და სამშენებლო მიზნებისთვის, ხოლო გოგრას — კონტეინერად ან ჯამად. უცნობია ზუსტად, თუ როდის მოიშინაურეს ბრინჯი, მაგრამ მისი კვალი ნაპოვნია ტაილანდში და თარიღდება ძვ.წ. 4000 წლით. საკვებად გამოსადეგი სხვა მცენარეები, ბოლქვოვანები, ტაროიანები, იამსი, პურის ხის ნაყოფი, ქოქოსი და ბანანი მოიშინაურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.[70]

აფრიკა. ზოგიერთი მცენარე და ცხოველი პირველად აფრიკაში მოიშინაურეს, სავანას ტყის ფართო ზოლში საჰარას სამხრეთითა და ეკვატორის ჩრდილოეთით. პირველი მოშინაურებული მცენარე, მარცვლეულთან ერთად, იყო სორგო ამ ტერიტორიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო ტროკის ფეტვი და ერთგვარი ბრინჯი (განსხვავებით აზიური ბრინჯისგან) – დასავლეთ ნაწილში და ეევზია — აღმოსავლეთში. მიწის თხილი და იამსი პირველად მოიშინაურეს დასავლეთ აფრიკაში.[71] ცნობილია, რომ საკვები მცენარეულობა პირველად საჰარის აფრიკაში მოიშინაურეს, რადგან ველური სახეობები სწორედ იქ ხარობს.[72] დღეს აფრიკაში არსებული ცხოველების უმეტესობა, განსაკუთრებით ცხვრები და თხები, პირველად მოიშინაურეს ძველ სამყაროში, მაგრამ სახედარი და გვინეური ქათამი — აფრიკაში.[73]

რატომ განვითარდა საჭმლის წარმოება?

ვიცით, რომ ცხოველებისა და მცენარეების მოშინაურებასთან ერთად ეკონომიკურ გარდაქმნა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში 10 ათასი წლის წინ მოხდა. მაგრამ

რამ განაპირობა მოშინაურების პროცესის დაწყება? და რატომ დაიწყო ის სხვადასხვა რეგიონში რამდენიმე ათასწლეულის შუალედით? თუ გავითალისწინებთ, რომ ადამიანები მილიონობით წლის განმავლობაში დამოკიდებულნი იყვნენ მხოლოდ ველურ მცენარეებსა და ცხოველებზე, ეს შუალედი მცირედ მოგვეჩვენება. მოშინაურებული მცენარეები ძველ სამყაროში უფრო სწრაფად ვრცელდებოდა, ვიდრე ახალში. იქნებ იმიტომაც, რომ მაშინ ის უფრო აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძის გასწვრივ ვრცელდებოდა (გამონაკლისია საჰარა), ხოლო ახალ სამყაროში — ჩრდილო-სამხრეთ ღერძის გასწვრივ, ეს კი, კლიმატის, დღის ხანგძლივობისა და დაავადებების ცვლილებების გამო, მეტ დროს მოითხოვდა.74

საკვების წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით უამრავი თეორია არსებობს. უმეტესობა ცდილობს, ახსნას ნაყოფიერ ნახევარმთვარის ტერიტორიაზე მოშინაურება. გორდონ ჩაილდის თეორიის მიხედვით, რომელიც პოპულარული იყო 1950-იან წლებში, ახლო აღმოსავლეთში მოშინაურების დაწყება გამოიწვია კლიმატში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა,75 ჩაილდის მიხედვით, გამყინვარების შემდგომ პერიოდში ზაფხულის ნალექმა იკლო ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. წვიმების შემცირების გამო, ადამიანები იძულებული იყვნენ გახიზნულიყვნენ ნოტიო ტერიტორიებზე და უდაბნოთი გარშემორტყმულ, საკვებით მდიდარ ოაზისებში. ჩაილდის თქმით, სწორედ ველური რესურსების შემცირებამ აიძულა ადამიანი, მცენარეები და ცხოველები მოეშინაურებინა.

რობერტ ბრეიდვუდმა ჩაილდის თეორია ორი მიზეზის გამო გააკრიტიკა: პირველი, ბრეიდვუდს სწამდა, რომ კლიმატური ცვლილებები არც ისე დრამატული იყო, ხოლო „ოაზისის ბიძგი“ საერთოდ არ არსებობდა. ანალოგიური ცვლილებები ადრეც ხდებოდა, მაგრამ მსგავსი რევოლუცია საკვების წარმოებაში მანამდე არ ყოფილა. გარდა ამისა, ბრედვუდის მტკიცებით, ადამიანის მიერ საკვების დამზადებას უფრო სარწმუნო ახსნა უნდა ჰქონოდა, ვიდრე უბრალოდ კლიმატური ცვლილებები.76

ბრედვუდი და გორდონ უილი ამტკიცებენ, რომ ადამიანმა მანამ არ მიჰყო ხელი მოშინაურებას, სანამ უკეთ არ შეისწავლა გარემო და მისი კულტურა სათანადო დონეზე არ განვითარდ. „რატომ არ დაიწყო უძველესმა ხალხმა საჭმლის წარმოება უფრო ადრე? ამჟამად ჩვენი ერთადერთი პასუხი ისაა, რომ მისი კულტურა ამისათვის მზად არ იყო.“77

ახლა არქეოლოგები უფრო კონკრეტულ ახსნას ეძებენ, ლუის ბინფორდი და კონტ ფლენერი მიიჩნევდნენ, რომ საკვების წარმოებაზე გადასვლა გარემოებათა ცვლილებებს უნდა გამოეწვია.78 როგორც ფლენერი აღნიშნავს, არაფერი მიუთითებს მძლავრ ეკონომიკურ ბიძგზე, რომელიც მონადირე-შემგროვებლებს საკვების მწარმოებლებად აქცევდა. სინამდვილეში, ზოგიერთი მონადირე ნაკლები შრომის შემთხვევაშიც კი, ისევე ნოყიერად იკვებება, როგორც ბევრი მეურნე. მაშინ რამ აიძულა საკვების შემგროვებლები მწარმოებლები გამხდარიყვნენ?

ბინფორდისა და ფლენერის თქმით, ცხოველებისა და მცენარეების მოშინაურებისათვის ბიძგი უნდა ყოფილიყო ომის წარმოების სურვილი (რაც შედარებით იშვიათი იყო უხვ სანადირო ადგილებში). მოსახლეობის ზრდის გამო, ადამიანები ახლომდებარე ადგილებში გადადიოდნენ, სადაც შედარებით მცირე იყო ველური რესურსები. სწორედ ასეთ ადგილებში მცხოვრებმა ადამიანებმა მოისაზრეს პირველად საკვების წარმოება, რათა უზრუნველყოფილნი ყოფილიყვნენ იმით, რაც ადრე საკმარისად ჰქონდათ.

ბინფორდ-ფლენერის მოდელი შესაბამისობაშია არქეოლოგიური გათხრისას აღმოჩენილ იმ ნიშნებთან, რომლებიც ამტკიცებს, რომ ლევანტში, ნაყოფიერ ნახევარმთვარის სამხრეთ-დასავლეთ მოსახლეობის ზრდა წინ უსწრებდა მოშინაურების დაწყებას79, მაგრამ როგორც თავად ფლენერიც აღიარებს, ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთ ირანში, ოპტიმალურ სანადირო ადგილებში მოსახლეობის ზრდა მოშინაურებამდე არ არსებობდა.80

ბინფორდ-ფლენერის მოდელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსახლეობის ზრდას, როგორც საკვების წარმოების ხელშემწყობ ფაქტორს. მარკ კოენის თეორიის მიხედვით, ადამიანებმა ხელი მიჰყვეს მეურნეობას რამდენიმე ათასწლეულის შუალედით მოსახლეობის გლობალური ზრდის გამო.81 ის ამტკიცებს, რომ დაახლოებით 10 ათასი წლის წინ მონადირე-შემგროვებლების რაოდენობა მთელ მსოფლიოში თანდათან იზრდებოდა. ამრიგად, ადამიანები მოსახლეობის ზრდას უკვე ვეღარ უმკლავდებოდნენ აუთვისებელ ადგილებში გადასახლებით. ისინი იძულებულნი იყვნენ, უფრო გავრცელებული და შეიძლება ნაკლებ სასურველი ველური საკვების ექსპლუატაცია დაეწყოთ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი გადავიდნენ ფართო სპექტრის შემგროვებლობაზე ან გაეზარდათ არსებული ველური მცენარეებისგან აღებული მოსავალი მათი გამრავლების, ველური ცხოველებისგან დაცვის გზით. შესაძლოა, ზოგიერთ მათგანს თესავდნენ კიდეც.

კარტოფილი – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკვები მცენარე მსოფლიოში, ანდებში მოიშინაურეს.

კოენი მიიჩნევს, რომ მათ, სავარაუდოდ, ყველანაირი სტრატეგია სცადეს, მაგრამ საბოლოოდ მოშენება დაიწყეს, რადგან მხოლოდ ასე შეიძლებოდა ერთ ადგილზე მეტს ეცხოვრა.

ბოლო პერიოდში ზოგიერთი არქეოლოგი კვლავ კლიმატური ცვლილებების თეორიას დაუბრუნდა (არა იმ უკიდურეს ვარიანტს, რომელიც ჩაილდმა წამოაყენა) და მიიჩნევს, რომ ამან თავისი როლი ითამაშა მეურნეობის განვითარებაში. კვლევები ცხადყოფს, რომ დაახლოებით 13000-12000 წლის წინ კლიმატი ახლო აღმოსავლეთში უფრო სეზონური გახდა: ზაფხული – ცხელი და მშრალი, ზამთარი — ცივი. ამ ცვლილებებმა ხელი შეუწყო ველური მარცვლეულის ერთწლიანი სახეობის წარმოშობას, რომელიც, როგორც არქეოლოგიურად ჩანს, საკმაოდ მომრავლდა ახლო აღმოსავლეთში.[82] მოსახლეობა, მაგალითად, ნატუფიანები, ინტენსიურად იყენებდა სეზონურ მარცვლეულს, მათვე შეიმუშავეს მისი შენახვისა და დამუშვების ტექნოლოგია და ამით საბოლოოდ დაუსვეს წერტილი მომთაბარე ცხოვრებას. მეურნეობაზე გადასვლა, შესაძლოა, იმითაც ყოფილიყო განპირობებული, რომ მომთაბარეები ვერ მოიპოვებდნენ საკმარის სარჩოს. დამკვიდრებულმა ცხოვრებამ და მოსახლეობის ზრდამ საბოლოოდ რესურსების სიმცირე გამოიწვია,[83] ზოგან კი ადგილობრივი ველური რესურსები ამოიწურა სოფლების წარმოქმნის შემდეგ.[84] ისრაელისა და იორდანიის ტერიტორიაზე, სადაც ნატუფიანები ცხოვრობდნენ, ადამიანებმა მეურნეობას ხელი მიჰყვეს მარცვლეულის მარაგის გასაზრდელად, ხოლო სხვები იმავე მიზეზით შემგროვებლობას დაუბრუნდნენ.[85]

კლიმატის ცვალებადობას შეეძლო გარკვეული სახის საკვების სიმცირე გამოეწვია. მშრალ სეზონზე ზოგიერთი მათგანი ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა. მაგალითად, ბალახის მჭამელი ცხოველების ხორცი ბალახის სიმცირისას მჭლე იქნებოდა და არასაკმარისი მშრალ სეზონზე. საოცარია, მაგრამ მხოლოდ მჭლე ხორცზე დამოკიდებული მონადირე-შემგროვებლები დღესაც კი შიმშილობენ. კრიზისული პერიოდის დაძლევას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდნენ, თუ როგორმე აინაზღაურებდნენ კარბოჰიდრატისა და ცხიმის დანაკლისს.[86] ასე რომ, შესაძლოა, პირველად სწორედ მონადირე-შემგროვებლებმა მოაშენეს მცენარეები, რომ მშრალ სეზონზე, როცა ნადირობა, თევზაობა და შემგროვებლობა არასაკმარისი იყო, შიმშილობა თავიდან აეცილებინათ.

სხვაგვარი სურათია მეზოამერიკაში, რადგან აქ ადრეული მოშინაურებული მცენარეები არაარსებითი იყო. თეორიები მოსახლეობის ზრდასა და საკვების სიმცირეზე ამ შემთხვევაში არ გამოდგება. თუმცა ხშირად აკლდათ სასურველი მცენარე — მაგალითად, გოგრა და ადამიანებმა ამ მცენარეების დათესვა დაიწყეს. განსხვავება ზემოაღწერილი მოდელისგან ისაა, რომ აქ კლიმატური ცვლილება და მოსახლეობის ზრდა არ აღნიშნულა, მაგრამ ადამიანებმა აქტიურად დაიწყეს მოშინაურება, რათა სასარგებლო და სასურველი მცენარეები მეტი რაოდენობით ჰქონოდათ. საინტერესოა სიმინდის შემთხვევა, რომელიც ძირითადი საკვები მოშინაურებიდან მხოლოდ 2500 წლის შემდეგ გახდა. რატომ გახდა ის ძირითადი? ალბათ იმიტომ, რომ მისი გამოყენება მოსახერხებელი იყო (განსაკუთრებით როცა ლობიოსთან და გოგრასთან ერთად აშენებდნენ, როგორც ზემოთ განვიხილეთ). ის მოსწონდათ და ამის გამო ფართოდ იყო გავრცელებული. დროთა განმავლობაში, იქნებ კონფლიქტის, მოსახლეობის ზრდის ან მოშინაურების გამომწვევი სხვა მიზეზების გამო მოსახლეობამ მასობრივად დაიწყო სიმინდის გამოყენება.

საკვების წარმოების შედეგები

როგორც ვიცით, ინტენსიური მეურნეობა, სავარაუდოდ, მოსახლეობის ზრდის შედეგად განვითარდა, მაგრამ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ იგივე მიზეზი ჰქონდა ცხოველთა და მცენარეთა მოშინაურებასაც. მოსახლეობის ზრდამ, რა თქმა უნდა, ბიძგი მისცა საკვების წარმოებას (სურ. 10-7), მაგრამ არსებობდა სხვა გარემოებებიც. პარადოქსულია, მაგრამ აღინიშნა ჯანმრთელობის შერყევა, გართულდა საკუთრებრივი ურთიერთობები.

მოსახლეობის ზრდა

როგორც ვნახეთ, დასახლებამ (თუნდაც საკვების წარმოებამდე) ხელი შეუწყო მოსახლეობის ზრდას. მაგრამ ეს ზრდა უფრო ინტენსიური გახდა ფერმერობის, მენახირეობის განვითარების შემდეგ, რადგან შემცირდა ასაკობრივი ინტერვალი ბავშვებში და გაიზარდა ნაყოფიერება (ბავშვების რაოდენობა 1 ქალზე). გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ნაყოფიერება უფრო მაღალია, როცა ბავშვებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ეკონომიკაში.[87]

საუბარი არაა მხოლოდ იმაზე, რომ შვილები მშობლებს მუშაობაში ეხმარებიან; დედების დატვირთვა სამუშაოთი ამცირებს ასაკობრივ შუალედს. რაც უფრო დაკავებულია დედა, მით ნაკლები დრო აქვს ბავშვის მოსავლელად და პატარაც დამატებით საკვებს იღებს მომვლელებისგან.[88] როდესაც დედა ბავშვს ხელოვნურ საკვებს აძლევს, მას საშუალება აქვს, მომდევნო ბავშვი ნაკლები ინტერვალის შემდეგ გააჩინოს (ფერმერები და მენახირეები ბავშვს უფრო ცხოველური რძითა და ბურღულით კვებავდნენ). აქედან გამომდინარე, დედის სამუშაოს ზრდასთან ერთად იზრდებოდა მისი ნაყოფიერებაც.

ჯანმრთელობის გაუარესება

საკვების წარმოებაზე გადასვლასთან ერთად უარესდებოდა ჯანმრთელობა. იქნებ პარადოქსულადაც კი

სორგოს მოსავლის აღება ბურკინა ფასოში. სორგო ერთ-ერთი მცენარეა, რომელიც აფრიკაში მოიშინაურეს.

ჟღერდეს, მაგრამ მოსახლეობის ზრდა იმ შემთხვევაშიც აღინიშნება, როცა ქალი ბევრ შვილს აჩენს, მაგრამ მათი უმეტესობა ცუდი კვების გამო კვდება.

ჯანმრთელობის გაუარესება დასტურდება ძვლებისა და კბილების გამოკვლევითაც. კვებით და ჯანმრთელობის დარღვევებზე მიგვითითებს კბილის მინანქრის არასრული ფორმაცია, ძვლის დაზიანება (ჩამოუყალიბებლობა), სიმაღლეში კლება, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება, რაც კვლევებმაც დაადასტურა. ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზები უცნობია. ცუდ კვებას, შესაძლოა, ის განაპირობებდა, რომ ადამიანები რამდენიმე ძირითად საკვებს იყენებდნენ და გარკვეული ნივთიერებების დაფიციტს განიცდიდნენ. შიმშილს მოსავალზე ზედმეტი დამოკიდებულებაც იწვევდა, რადგან თვითონ მოსავალი ამინდზე იყო დამოკიდებული. კვებითი პრობლემების უმეტესობას იწვევდა სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები — სოციალურ-ეკონომიკური კლასების გაჩენა.[91]

როგორც მომდევნო თავში ვნახავთ, სოციალური სტრატიფიკაცია და სოციალურ-ეკონომიკური არათანაბრობა სწორედ საკვების წარმოების დაწყების შემდეგ წარმოიშვა. ამას ახ.წ. 950-1300 წწ. ილინოისის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ძვლებიც ადასტურებს. სწორედ ამ პერიოდში მოხდა მკვეთრი გადასვლა ნადირობა-შემგროვებლობიდან მეურნეობაზე. დიკსონის მაღლობზე მცხოვრები მეურნეები (რომელსაც სახელი მისი მკვლევრის პატივსაცემად დაერქვა) ჯანმრთელობა ბევრად ჩამოუვარდებოდა წინაპრებისას. არქეოლოგების თქმით, ისინი ნადირობასა და თევზაობასაც ეწეოდნენ. ბალანსირებული კვების რეჟიმი შესაძლებელი იყო, მაგრამ ვინ იღებდა მას? სავარაუდოდ, მხოლოდ კაჰოკია – 110 მილით დაშორებული ადგილი, სადაც 15000-დან 30000-მდე ადამიანი ცხოვრობდა. სწორედ მათზე მოდიოდა ხორცისა და თევზის უმეტესი ნაწილი. დიკსონის მაღლობზე დაკრძალულ ადამიანთაგან ბევრს იქნებ ნიჟარის ყელსაბამის ტარების ფუფუნებაც კი ჰქონდა, მაგრამ უმეტესობა კაჰოკიასთან ურთიერთობით სარგებელს ვერ იღებდა.[92]

საკუთრების განვითარება

დაახლოებით 10000 წლის წინ საკვებისა წარმოების ზრდის შემდეგ წარმოქმნილ პერმანენტულ სოფლებში სახლები უფრო დახვეწილი და კომფორტული იყო, კონსტრუქციული მეთოდები — გაუმჯობესებული. გამოყენებული მასალა დამოკიდებული იყო ხე-ტყისა და ქვის ხელმისაწვდომობაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად აშრობდა მზე ტალახის აგურებს. თანამედროვე არქიტექტორების გასაოცრად უნდა ითქვას, რომ მრგვალი ფორმის სახლები ფართოდ იყო გავრცელებული ნეოლითის პერიოდის კვიპროსზე. ქალაქ ხიროკიტიაში ადამიანები დიდ გუმბათიან წრიულ სახლებში ცხოვრობდნენ, ქვის საძირკვლითა და ტალახის აგურის კედლებით. ხშირად, მეტი სივრცისთვის, ინტერიერი ჰორიზონტალურად იყოფოდა და კირქვის ბოძზე დაყრდნობით, მეორე სართულს აგებდნენ.

ევროპაში, მდინარე დანუბის ნაპირებზე და ალპური ტბების ირგვლივ მყარად აშენებული და სამკუთხა სახურავიანი სახლებისგან მნიშვნელოვანი სოფლები იყო გაშენებული.[93] დანუბის რეგიონში არსებული სახლების უმეტესობას გრძელი ოთხკუთხა კონსტრუქცია ჰქონდა და მასში რამდენიმე ოჯახი სახლობდა. ნეოლითურ პერიოდში ასეთ სახლში იყო კარი, საწოლები, მაგიდები, ავეჯი და სხვა საჭირო მოწყობილობები. ამას ადასტურებს ავეჯის მინიატურული თიხის მოდელებიც. ზოგიერთი სკამი და ტახტი, სავარაუდოდ, ხისჩარჩოიანი რბილი და გადაკ-



სურათი 10-7 **მოსახლეობის ზრდა 10000 წლის წინ**

მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელმა იმატა ფერმერობისა და მენახირეობის განვითარებასთან ერთად 10 000 წლის წინ. მაჩვენებელი კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო პერიოდში.

ადაპტირებულია ენსლი ჯ. კოუელის კაცობრიობის ისტორიიდან. საავტორო უფლებები დაცული. 1974. კორპორაცია მეცნიერული ამერიკა. ყველა უფლება დაცული.

რული ავეჯის მოდელი იყო, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ნეოლითური პერიოდის ევროპელი ხელოსნები საკმაოდ თანამედროვე ნაკეთობებს ქმნიდნენ.[94] ეს კი განვითარებული ტექნოლოგიით იყო გამოწვეული. დასახლების გამო, ადამიანებს მეტი დრო ჰქონდათ ავეჯის დასამზადებლად.

პირველად გამოჩნდა ნაქსოვი ტანსაცმელი. ეს არ იყო მარტო სელის, ბამბისა და ცხვრის მოშინაურების შედეგი. მხოლოდ ბოჭკოების არსებობდა ქსოვილს ვერ შექმნიდა. ნეოლითურ საზოგადოებაში შეიქმნა აგრეთვე თითისტარი და სართავ-საქსოვი მოწყობილობა. მართალია, ქსოვილის შექმნა, დაზგის გარეშე, ხელითაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს მეტისმეტად გრძელი და შრომატევადი პროცესი იყო.

ადრეულ ნეოლითურ პერიოდში წინასამეურნეო ჯგუფები ჭურჭელს მარტივი გამომწვარი თიხისგან ამზადებდნენ. იქმნებოდა დიდი ზომის ურნები მარცვლის შესანახად, ტოლჩები, სამზარეულოს ქვაბები და თეფშები. ახლო აღმოსავლეთის მექოთნეები ალბათ პირველები იყვნენ, ვინც სითხის შენარჩუნების მიზნით, ჭურჭლის ნასვრეტებიანი ზედაპირის შელესვა დაიწყო. მოგვიანებით კერამიკა უფრო დაიხვენა. დიზაინერები თიხას უკვე სხვადასხვა ფორმას აძლევდნენ და მათ ფერადი ნაყშებით აფორმებდნენ.

აღნიშნული არქიტექტორული და ტექნოლოგიური ინოვაციებიდან არც ერთი არ იქნებოდა, სანამ ადამიანები საბოლოოდ არ გადავიდოდნენ დასახლებულ ცხოვრებაზე. მომთაბარე მონადირე-შემგროვებლები ვერ შეძლებდნენ დიდი რაოდენობით მატერიალური საქონლის, განსაკუთრებით მსხვრევადი ქოთნების ტარებას.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს შორ მანძილზე ვაჭრობის ნიშნებიც. სამხრეთ თურქეთიდან ვულკანური მინა გაჰქონდათ ირანში, ზაგროსის მთებში, დღევანდელ ისრაელში, იორდანიასა და ლევანტში, სირიაში. ვულკანური მიდა გადაიზიდებოდა დაახლოებით 190 მილის მანძილზეც, სადაც ხელსაწყოების 80% სწორედ ამ მასალისგან მზადდებოდა.[95] მარმარილო გადაჰქონდათ დასავლეთიდან აღმოსავლეთ თურქეთში, ნიჟარები — სანაპიროდან შიდა რეგიონებში.

ძვ.წ. 3500 წ. ახლო აღმოსავლეთში პირველად გაჩნდა ქალაქები, სადაც იყვნენ პოლიტიკური საბჭოები, მეფეები, მწერლები და სპეციალიზებული სახელოსნოები. ფერმერები ნაწარმს სოფლებიდან საქალაქო ცენტრში აგზავნიდნენ. მკვეთრი ცვლილებები აღინიშნა დროის მოკლე მონაკვეთში. ადამიანები არა მარტო დასახლდნენ, არამედ ცივილიზებულნი და ურბანიზებულნი (ცივილიზებული სიტყვასიტყვით „ქალაქში მცხოვრებს“ ნიშნავს96) გახდნენ. ქალაქის საზოგადოებები პირველად ახლო აღმოსავლეთში გაჩნდა, მოგვიანებით — აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში, ინდუსის მინდვრებზე, ჩრდილოეთ ჩინეთში, მექსიკასა და პერუში. შემდეგ თავში ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით პირველყოფილ ცივილიზაციებს.

ანთროპოლოგიური ორიგინალები

იყვნენ თუ არა შემგროვებლები ადრეულ მეურნეებზე უფრო ჯანმრთელები?

საკვების წყაროების დასაწყისთან დაკავშირებით ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული თეორიის ავტორია მაიკ ნათან კოენი. მისი აზრით, მოსახლეობის ზრდამ რესურსების სიმცირე გამოიწვია, რამაც აიძულა ადამიანი საკვები ეწარმოებინა. კოენის თქმით, საკვების წარმოებამ არა მხოლოდ შეარბილა რესურსების უკმარისობა, არამედ გავლენა იქონია კვების რაციონზეც.

საინტერესო შედეგებს გვაძლევს პრეისტორიული ფერმერების შედარება მონადირე-შემგროვებელ წინაპრებთან. ფერმერები უმეტესად დიდ დასახლებულ თემებთან ცხოვრობდნენ და მათ ძვლებში (შემონახულ ქსოვილებსა და ნეშტებში) ინფექცია უფრო შეინიშნება. კერძოდ, პეროსტიტები, ძვლის დაავადება სტაფილოკოკებითა და სტრეპტოკოკებით გამოხატული და გამოწვეული სედანტარული ფერმერობით. პერუში ნაპოვნ მუმიებთან შედარებისას ჩანს, რომ გაიზარდა კუჭნაწლავის ინფექცია. იგივე დასკვნა გამოგვაქვს სამხრეთ-დასავლეთ ამერიკის სხვადასხვა პრეისტორიული ნეშტების ურთიერთშედარებისას. ფართოდ გავრცელებული იყო აგრეთვე ტრეპომენალური ინფექცია (მისი ვეერიული ფორმა, სიფილისი, უფრო გვიან გავრცელდა და იშვიათად შეინიშნებოდა კოლუმბამდელ ჯგუფებში). ტუბერკულოზიც გვიან შემოვიდა, ურბანიზაციის შემდეგ და არ აღინიშნებოდა მეურნეობის განვითარებამდე.



როგორც რეკონსტრუქციიდან ჩანს, მარცვლის ფქვილად ქცევა ყოველდღიურად ხდებოდა, რაც იწვევდა ზურგის ქვედა ნაწილისა და მუხლების დატვირთვას. ნეოლითური პერიოდის ძვლების შესწავლა გვიჩვენებს ზეწოლისა და ართრიტის ნიშნებს, სავარაუდოდ, საფქვავთან ხანგრძლივი მუშაობის გამო.

მობათქაშებული ქანდაკება ნეოლითური სოფლიდან ეინ გაზალიდან იორდანიაში. მხოლოდ ეს ქანდაკებები არ გამოსახავენ მასალის დამუშავების შესაძლებლობას, რაც მოხდა მრავალ ადგილზე საკვების წარმოების აღმოცენების შემდეგ, მაგრამ ისინი მიანიშნებენ რელიგიური რიტუალებისა და რწმენის დამუშავებაზეც.

შეჯამება

1. მცენარეთა და ცხოველთა მოშინაურება მსოფლიოს უმეტეს რეგიონებში აღინიშნებოდა მსხვილფეხა საქონელზე ნადირობიდან ე.წ. ფართო სპექტრის შემგროვებლობაზე გადასვლით. რესურსების ფართო სპექტრი მოიცავდა როგორც წყლის რესურსებს — თევზს, მოლუსკს, ასევე ველურ მცენარეთა ნაირსახეობებს, ირემსა და სხვა ცხოველებს. ასეთ შემგროვებლობაზე გადასვლას, ნაწილობრივ კლიმატური ცვლილებებიც განაპირობებდა.
2. ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და პერუს ზოგიერთ ნაწილში ფართო სპექტრის შემგროვებლობაზე გადასვლა პერმანენტული თემების ჩამოყალიბებას უკავშირდება. სხვა რეგიონებში კი, მაგალითად, მეზოამერიკის ნახევრად მშრალ მაღლობებზე პერმანენტული დასახლებები მხოლოდ მოშინაურების შემდეგ გამოჩნდა.
3. მცენარეთა და ცხოველთა მოშინაურება-მოშენებას ნეოლითურ რევოლუციად მოიხსენიებენ და ის სხვადასხვა რეგიონში, ფაქტობრივად, დამოუკიდებლად დაიწყო. მოშინაურების პირველი კერები აღინიშნება ახლო აღმოსავლეთში ძვ.წ. 8000 წ ძველი მსოფლიოს სხვა რეგიონებისათვის ეს თარიღი დაზუსტებული არაა, მაგრამ აღმოჩენილი მოშინაურებული მარცვლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დამოუკიდებელი ცენტრები იყო ჩინეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (დღევანდელი მალაიზია, ტაილანდი, კამპუჩია და ვიეტნამი) და აფრიკაში დაახლოებით 6000 წ ახალ სამყაროშიც არსებობდა მოშინაურება-მოშენების ადრეული ცენტრები: მეზოამერიკის მაღლობები (ძვ.წ. 7000 წ.), ცენტრალური ანდები პერუს მახლობლად (იმავე პერიოდში, შესაძლოა, უფრო ადრეც) და ჩრდილოეთ ამერიკის ტყეები (ძვ.წ. 2000 წ.).
4. საკვების წარმოების შესახებ სხვადასხვა თეორია არსებობს, მაგრამ არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ შემგროვებლობიდან წარმოებაზე გადასვლა ადამიანებს გარკვეულმა პირობებმა აიძულა. შესაძლო ფაქტორებია: 1. ველური რესურსებით მდიდარ რეგიონებში მოსახლეობის ზრდა (რამაც ადამიანს უბიძგა განაპირა ტერიტორიებზე გადასულიყო). 2. მოსახლეობის გლობალური ზრდა (სიმჭიდროვემ დასახლებულ რეგიონებში აიძულა ხალხი მოშინაურებინა მცენარეები და ცხოველები). 3. ცხელი ზაფხული და ცივი ზამთარი (რამაც ხელი შეუწყო ველური მარცვლეულის ყანებთან ახლოს დასახლებას. გაზრდილი მოასახლეობა თავის გამოსაკვებად იძულებული იყო, დაეთესა მარცვალი და მოეშენებინა ცხოველები).
5. მიუხედავად გამომწვევი მიზეზებისა, საკვების წარმოებამ მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა ადამიანის ცხოვრებაში და ცხოველთა მოშინაურების შემდეგ მნიშვნელოვანწილად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს მიღწეული არ იყო სრული სედანტარიზმი, თანდათანობით იზრდებოდა მეურნეობაზე დამოკიდებულება. პარადოქსულია, მაგრამ მოსახლეობის ჯანმრთელობა საკმაოდ გაუარესდა. პერმანენტულ სოფლებში საკვების წარმოებასთან ერთად დაიხვენა სახლები და ავეჯი, ადამიანებმა დაიწყეს ქსოვილების დამზადება და ჭურჭლის მოხატვა.

საკონტროლო კითხვები

1. რამ აიძულა ადამიანი, საკვების მოსაპოვებლად მეტი ეშრომა?
2. როგორ უნდა მოეშინაურებინა ადამიანს ცხვარი, თხა და საქონელი?
3. ხსნის თუ არა თეორიები საკვების წარმოების შესახებ იმას, რომ მოშინაურება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ათასწლეულების ინტერვალით მოხდა?

ქალაქებისა და სახელმწიფოების წარმოშობა

11



თავების შინაარსი

- არეოლოგიური დასკვნები ცივილიზაციის შესახებ
- ქალაქები და სახელმწიფოები სამხრეთ ერაყში
- ქალაქები და სახელმწიფოები მეზოამერიკაში
- პირველი ქალაქები და სახელმწიფოები სხვა ტერიტორიაზე
- თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ
- სახელმწიფოს ფორმირების შედეგები
- სახელმწიფოთა შემცირება და დაშლა

მეურნეობის განვითარებამდე, ძვ.წ. 6000 წლამდე ახლო აღმოსავლეთის ხალხი პატარა სოფლებში ცხოვრობდა. განსხვავება ქონებასა და სტატუსში უმნიშვნელო იყო, არ არსებობდა მთავრობა. არაფერი მიუთითებს საზოგადოებრივი შენობების და ნაკეთობების სპეციალისტების არსებობის ან იმის შესახებ, რომ რომელიმე თემი სიდიდით აღემატებოდა დანარჩენებს. არ არსებობდა ცივილიზაციის არც ერთი ნიშანი.

დაახლოებით ძვ.წ. 6000 წ. ახლო აღმოსავლეთში და მოგვიანებით უკვე სხვა ადგილებში ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. პირველად აღინიშნა ცვლილებები ოჯახების სტატუსში. მაგალითად, ზოგერთი მათგანი უფრო დიდი იყო. თემები ერთმანეთისაგან ზომითა და სპეციალიზაციით განსხვავდებოდნენ. აღინიშნებოდა აგრეთვე სხვადასხვა პოლიტიკური ოფიციალური პირის მიერ რამდენიმე თემში ავტორიტეტის მოპოვება, რასაც არქეოლოგები "უფროსობას" უწოდებენ.

მოგვიანებით, ძვ.წ. 3500 წლისათვის გავრცელებული იყო **ცივილიზაციის** თითქმის ყველა ნიშანი: პირველი ხელნაწერები, ქალაქები, ხელნაკეთობის სპეციალისტები, მონუმენტური არქიტექტურა, განსხვავებები ქონებრივ მდგომარეობასა და სტატუსში, ძლიერი, იერარქიული ცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემა, რომელსაც **სახელმწიფოს** ვუწოდებთ (სურ. 11-1).

მსგავსი ცვლილებები კაცობრიობის ისტორიაში სხვადასხვა ადგილას ბევრჯერ აღინიშნა. უძველესი ცივილიზაციები წარმოიშვა ახლო აღმოსავლეთში ძვ.წ. 3500 წელს, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში ძვ.წ. 2500 წლიდან, ჩრდილოეთ ჩინეთში ძვ.წ. 1750 წელს, ახალ სამყაროში (მექსიკა და პერუ) ქრისტეშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე და მოგვიანებით ტროპიკულ აფრიკაშიც.[1] ამ ცივილიზაციათაგან ზოგიერთი სხვებისგან დამოუკიდებლად განვითარდა. რატომ? რა გარემოებებმა შეუწყო ხელი ცენტრალიზებულ, სახლმწიფოსმაგვარ პოლიტიკურ სისტემებს? რა გარემოებებმა შეუწყო ხელი ქალაქების წარმოქმნას? ეს კითხვები ცალ-ცალკე ისმის, რადგან არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, ყველა უძველეს სახელმწიფოს არ ჰქონოდა ქალაქები. ჩვენი დისკუსია ფოკუსირდება პირველ რიგში ახლო აღმოსავლეთსა და მექსიკაზე, რადგან ამ ადგილებში მიმდინარე კულტურულ განვითარებაზე არქეოლოგიურად მეტია ცნობილი.

არქეოლოგიური დასკვნები ცივილიზაციის შესახებ

უძველესი ცივილიზაციები უფრო არქეოლოგების შესწავლის საგანია, ვიდრე ისტორიკოსების, რადგან ეს ცივილიზაციები დამწერლობამდე განვითარდა. საიდან მომდინარეობს დასკვნები, რომ დამწერლობამდელ წარსულში საზოგადოებაში არსებობდა სოციალური კლასები, ქალაქები ან ცენტრალიზებული მთავრობა?

როგორც აღვნიშნეთ, ადრეული ნეოლითური საზოგადოებები თანასწორი იყო, არ არსებობდა განსხვავებები ადამიანებს შორის ქონებრივი მდგომარეობის, პრესტიჟის ან ძალაუფლების მიხედვით. ნამარხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სოციალური უთანასწორობა უფრო გვიანდელ საზოგადოებებში აღინიშნებოდა. ასე რომ, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ამ დროისთვის არსებობდა განსხვავებები სტატუსში, რადგან ზოგიერთი ადამიანი განსაკუთრებულ ნივთებთან და ქოთნებთან ერთად იმარხებოდა. ეს სტატუსი კი უფრო თანდაყოლილი უნდა ყოფილიყო, ვიდრე შემდგომში შეძენილი. ასეთივე განსხვავებებია ბავშვების სამარხებშიც. მაგალითად, ზოგიერთ (მაგრამ არა ყველა) სამარხში ძვ.წ. 5500-5000წწ ტელ ეს-სავანში, ერაყში და ძვ.წ. 8000 წლიდან ლა ვენტაში, მექსიკაში ნაპოვნია ქან-



სურათი 11-1 ცივილიზაციის გამოჩენა

დაკებები და სამკაულები, რაც ამ ბავშვების მაღალ სტატუსზე მიგვითითებს.[2] თუმცა ეს განსხვავებები სულაც არ ნიშნავს ისეთსავე განსხვავებებს ქონებრივ მდგომარეობაში. მხოლოდ სახლისა და ავეჯის აღმოჩენის შემდეგ ხდება ნათელი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური კლასების არსებობა.

ზოგიერთი არქეოლოგი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოები პირველად ძვ.წ. 3500წ მესოპოტამიაში წამოიქმნა, დღევანდელი სამხრეთ ერაყისა და სამხრეთ-დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე. არ არსებობს ერთიანი აზრი იმაზე, თუ რატომ ვუწოდებთ ამ წარმონაქმნებს სახელმწიფოს, მაგრამ გადაწყვეტილების იერარქიული და ცენტრალიზებული მიღება და ამით მოსახლეობაზე ზეგავლენა მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს. პირველყოფილ სახელმწიფოებში შეინიშნებოდა კიდევ სხვა მახასიათებლებიც. არსებობდა ქალაქები, სადაც მოსახლეობა უშუალოდ არ მონაწილეობდა საკვების შეგროვებასა თუ წარმოებაში (რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი სხვებზე იყვნენ დამოკიდებულნი); არსებობდნენ აგრეთვე რელიგიის წარმომადგენლები და ხელოსნები, ჰქონდათ საზოგადოებრივი შენობები და ხელოვნების ოფიციალური სტილი. იერარქიული სოციალური სტრუქტურის სათავეში იყო ელიტური კლასი, საიდანაც ლიდერები მოდიოდნენ. მთავრობა ცდილობდა, ძალის გამოყენებაზე მონოპოლია დაეწესებინა (ჩვენი საკუთარი სახელმწიფო საზოგადოება ამბობს, რომ მოქალაქეებს არა აქვთ უფლება "სამართლის სადავეები ხელში აიღონ"). სახელმწიფო იყენებდა ძალას ან მუქარას გადასახადების ასაკრეფად და ხალხის ომში და სამუშაოდ წასაყვანად.[3]

როგორ ასკვნიან არქეოლოგები არსებული ინფორმაციიდან, რომ ეს იყო სახელმწიფო? ეს, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს კრიტერიუმებზეა დამოკიდებული. მაგალითად, ჰენრი რაიტი და გრეგორი ჯონსონი სახელმწიფოს უწოდებენ ცენტრალიზებულ პოლიტიკურ იერარქიას, სულ მცირე 3 ადმინისტრაციული დონით.[4] საიდან ასკვნიან, რომ ამ პერიოდში აღნიშნული იერარქია არსებობდა? ადმინისტრაციული დონეების ერთ-ერთი მაჩვენებელია განსხვავებები დასახლებათა სიდიდეში.

ადრეული ურუკის პერიოდის განმავლობაში (ძვ.წ. 3500 წლამდე) დღევანდელი სამხრეთ-დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე არსებული 50 დასახლება ზომის მიხედვით 3 ჯგუფად იყოფა.[5] იყო 45 პატარა სოფელი, 3-4 მომცრო ქალაქი და ერთი დიდი ცენტრი, სუსტ. დასახლების ეს 3 ტიპი ადმინისტრაციული იერარქიის 3 დონე უნდა ყოფილიყო, რადგან პატარა სოფლები სუსასთან სავაჭრო ურთიერთობებს ვერ აწარმოებდნენ საშუალო დასახლებების გავლის გარეშე. ამ ნიშნის გამო, რაიტი და ჯონსონი მიიჩნევენ, რომ ურუკის პერიოდში სახელმწიფო არსებობდა.

შუა ურუკის პერიოდში სახელმწიფოები უფრო ნათლად იკვეთება. უკვე შეინიშნება თიხის ლუქები, რომლებიც ვაჭრობაში გამოიყენებოდა.[6] სასაქონლო ლუქი მოიხმარებოდა საქონლის გადაზიდვასა და დანიშნულების ადგილამდე დახურულად მიტანისთვის, წერილის ლუქი — მიღებული და გაგზავნილი საქონლის აღსანუსხად. სუსაში იპოვეს უამრავი წერილის ლუქი და ბეჭედი, თიხის კონტეინერები მიღებული საქონლისათვის. სოფლებში კი მხოლოდ რამდენიმე წერილის ლუქი და ბეჭედი აღმოჩნდა. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ სუსა მართავდა საქონლის რეგიონალურ მოძრაობას და იყო სახელმწიფოს დედაქალაქი.

ახლა კი დავუბრუნდეთ კულტურის იმ ძირითად თვისებებს, რომლებსაც სამხრეთ ერაყში პირველი სახელმწიფოების წარმოქმნამდე მივყავართ.

ქალაქები და სახელმწიფოები სამხრეთ ერაყში

სამხრეთ ერაყში, ე.წ. შუმერში პირველ სახელმწიფოებამდე ფერმერული თემები არ შეინიშნებოდა (სურ. 11-2). შესაძლოა, კვალი ტიგროსისა და ევფრატის ლამმაც დაფარა ან როგორც ვარაუდობენ, შუმერში მეურნეები დრენირებისა და ირიგაციის განვითარებამდე არ სახლობდნენ, რადგან აქ ნიადაგი ან მეტისმეტად ნოტიო იყო ან მეტისმეტად მშრალი. ნებისმიერ შემთხვევაში, მეურნე თემები შუმერის მთაგორიან ადგილებში ადრეულ ნეოლითში დასახლდნენ. მოგვიანებით, ძვ.წ. 6000 წლისთვის ამ ტერიტორიაზე შერეული მენახირე-ფერმერული ეკონომიკა განვითარდა.

ფორმაციული ერა

ძვ.წ. 5000-3500 წლებს ელმან სერვისი ფორმაციულ ერას უწოდებს, რადგან ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქალაქებისა და სახელმწიფოების განვითარებაში. სერვისი მიიჩნევს, რომ მცირე მასშტაბის ირიგაციის განვითარებასთან ერთად, ადამიანებმა მდინარის განაპირა დაბლობები აითვისეს. მდინარე არა მხოლოდ ირიგაციის წყარო იყო, არამედ მოსახლეობას უზრუნველყოფდა მოლუსკებით, თევზითა და წყლის ფრინველებით. ამ გზით მოძრაობდა საიმპორტო ნედლეული, ხე-ტყე, რაც შუმერში დეფიციტური იყო.

ამ პერიოდის ცვლილებები სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების სირთულეზე მიუთითებს. სტატუსში არსებული განსხვავებები აისახებოდა ბავშვთა ნამარხში აღმოჩენილ ქანდაკებებსა და ორნამენტებზე. სხვადასხვა სოფლები სხვადასხვა საქონლის — ჭურჭლის, სპილენძისა და ქვის ხელსაწყოების წარმოებაში ხელოვნდებოდნენ.[7] ტაძრებს აგებდნენ რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრებში;[8] მეტიც, არქეოლოგები, სავარაუდოდ, სწორედ ამ პერიოდს უკავშირებენ რამდენიმე სოფლის გაბატონებას.[9]

შუმერული ცივილიზაცია

დაახლოებით ძვ.წ. 3500 წლისთვის შუმერის ტერიტორიაზე რამდენიმე ქალაქი იყო, უმეტესობა, გალავნით გარშემორტყმული. ძვ.წ. 3000 წელს შუმერები ერთი მთავრობის ქვეშ გაერთიანდნენ. იმ დროიდან შუმერი იმპერია

ნამარხის რეკონსტრუქცია მაიადან, ტიკალიდან. ეს ადამიანი, გარშემორტყმული იაგუარისა და ავაზის ტყავით დაკრძალული იყო სპეციალურ სამარხში, სხეული კი შემკული ჰქონდა დაალოებით 16 გირვანქა ნეფრიტის ორნამენტით, მათ შორის მასიური ყელსაბამით, თავსამკაულით, საყურით. არქეოლოგები ირწმუნებიან, რომ ეს მის განსაკუთრებულ სტატუსზე მიუთითებს.



სურათი 11-2 **ექვსი ადრეული ცივილიზაცია.**

ელბამ რ. სერვისის წიგნის „სახელმწიფოსა და ცივილიზაციის დასაბამის“ მიხედვით. საავტორო უფლებები დაცული. 1975. უ.უ. ნორტონი და კომპანია. გამოყენებულია კომპანიის ნებართვით.

გახდა. აქ იყო დიდი ურბანული ცენტრები, ქალაქებში დომინირებდა ხელოვნურ მიწაყრილებზე აღმართული ტაძრები. ქალაქ ვარკაში ასეთი მიწაყრილის სიმაღლე 50 ფუტს აღწევდა. იმპერია რთული იყო და მოიცავდა სამართლის ადმინისტრაციის რთულ სისტემას, კანონებს, სამთავრობო ოფიციალურ პირებს, პროფესიონალურ არმიას და ქალაქის საკანალიზაციო სისტემასაც კი. ხელობებს შორის იყო აგურების, ჭურჭლეულის, სამკაულების დამზადება დურგლობა, მეტალურგია, ქვაზე კვეთა, მოქანდაკეობა. შუმერებმა ააწყვეს და გამოიგონეს ბორბლიანი ვაგონები, ნავები, მისაბმელიანი ეტლები, შუბები, ხმლები, ბრინჯაოს აბჯარი.10

ეკონომიკურ სპეციალიზაციასთან ერთად, გაღრმავდა სოციალური სტრატიფიკაციაც. შუმერულ დოკუმენტებში აღწერილია სოციალური კლასები: კეთილშობილები, ქურუმები, ვაჭრები, ხელოსნები, მეტალურგები, ბიუროკრატები, ჯარისკაცები, ფერმერები, თავისუფალი მოქალაქეები და მონები. მონები საკმაოდ გავრცელებული იყო შუმერში.

დამწერლობის პირველი კვალი დათარიღებლია ძვ.წ. 3000 წლით. უძველესი შუმერული დამწერლობა ნაპოვნია დავთრებში, სადაც აღნუსხული იყო მოწყობილობები, ცოცხალი საქონელი და სხვა ნივთები, რომლებსაც განაგებდა ტაძარი. ნაწერები იყო სოლისებრი ანუ **ლურსმნული** და მზადდებოდა სოლის სველ თიხის ფირფიტაზე დაკვრით. ხელშეკრულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტებისათვის ფირფიტას გამოწვავდნენ, რათა ნაწერი დიდხანს შენახულიყო. იმავე პერიოდით თარიღდება ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობაც. **იეროგლიფები**, რომლებიც პაპირუსის ღეროსაგან დამზადებულ ეტრატებზე იწერებოდა. სწორედ აქედან მომდინარეობს ინგლისური სიტყვა “პაპერ“ (პაპერ -ფეიფე)

ქალაქები და სახელმწიფოები მეზოამერიკაში

მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში ქალაქები და სახელმწიფოები უფრო გვიან გაჩნდა, ვიდრე ახლო აღმოსავლეთში. ცივილიზაციის ასეთი გვიანი გაჩენა შეიძლება უკავშირდებოდეს ახალ სამყაროში მეურნეობის მოგვიანებით განვითარებას, როგორც წინა თავში განვიხილეთ და დიდი, მოშინაურებული ცხოველების (მაგ.: საქონელი და ცხენი) სიმცირეს. ჩვენ ძირითადად აქცენტს ვაკეთებთ განვითარების იმ მიმართულებებზე, რომელთაც ქალაქებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბებამდე მივყავართ ქრისტეშობიდან მოკლე პერიოდში. ტეოტიჰუაკანი ამავე სახელწოდების ხეობაში მდებარეობდა, მექსიკის მინდვრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

ფორმაციული პერიოდი

ფორმაციული პერიოდი (ძვ.წ. 1000-302წწ.) ხასიათდებოდა ძირითადად მცირე, მეჩხერი სოფლებით ტეოტიჰუაკანის მინდვრის სამხრეთით, მთაგორიან ფერდობებზე. თითოეულ სოფელში რამდენიმე ასეული ადამიანი იყო, მაგრამ პოლიტიკურად ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენდა. ძვ.წ. 500 წლის შემდეგ, სავარაუდოდ, ირიგაციის გამო, შეინიშნებოდა მიგრაცია მინდვრისკენ. ძვ.წ. 300-200წწ. აქ წარმოიქმნა მცირე „ელიტური“ ცენტრები, ქვის ან მიწის პლატფორმაზე. ამ პლატფორმებზე, ჩვეულებრივ, რეზიდენციები, სვეტოვანი ან ჩალით დახურული ტაძრები იყო აღმართული. ის, რომ ზოგიერთი მოქალაქე (სავარაუდოდ, ელიტის წარმომადგენელი) დაკრძალული



დედამიწაზე უძველესი დამწერლობის ნიმუშები. მარცხნივ — ლურსმული ფირფიტა, მარჯვნივ – იეროგლიფური პანელის ნაწილი.

იყო ორნამენტებიან თავსამკაულებთან, თლილ თასებთან და საკვებთან ერთად, სოციალურ უთანასწორობაზე მიგვითითებს.12 სხვადასხვა ელიტური ცენტრის არსებობა კი გაბატონების მაჩვენებელია.

ტეოტიჰუაკანის ქალაქი და სახელმწიფო

ქრისტეშობამდე 150 წლით ადრე ტეოტიჰუაკანის მინდორზე მოფენილი სოფლებში მხოლოდ რამდენიმე ათასი ადამიანი ცხოვრობდა. ახ.წ. 100 წელს აქ უკვე არსებობდა 80000-იანი ქალაქი. ახ.წ. 500 წელს მოსახლეობა 100000-ს ბევრად აღემატებოდა და მთელი ველის მოსახლეობის 90%-ს შეადგენდა.13

ტეოტიჰუაკანის ქალაქის გარშემოწერილობა, რომელიც არაჩვეულებრივი დაგეგმარებისაა, იმაზე მიგვითითებს, რომ ეს ველი დასაწყისშივე პოლიტიკურად უნიფიცირებული იყო და წარმოადგენდა ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. ქუჩებისა და შენობების უმეტესობა ბადისებურადაა განლაგებული 57 კვადრატულ მეტრიანი მოდელის მიხედვით. რეზიდენციული სტრუქტურები ამ ზომის კვადრატებია. ბევრი ქუჩა მთავარი ერთეულის შესაბამისადაა დაშორებული. ამ ქალაქში გამავალი ქუჩაც საერთო მოხაზულობას შეესაბამებოდა. ყველაზე ცნობილი თვისება მისი მაინც კოლოსალური მასშტაბის არქიტექტურა იყო. მეტროპოლისში დომინირებდა ორი პირამიდა — მთვარის და მზის. ამ უკანასკნელის საძირკველი ხეოფსის პირამიდასაც კი უტოლდებოდა ფართობით.

ახ.წ. 300 წლიდან აგებული საცხოვრებელი სტრუქტურები სტანდარტული იყო. უფანჯრო კედლებიან, ერთსართულიან შენობებს ვიწრო ქუჩები ჰყოფდა. შიდა ეზოებში ჩირაღდნები სინათლეს უზრუნველყოფდნენ. ოთახების განლაგებით თუ ვიმსჯელებთ, ერთ შენობაში რამდენიმე ბინა უნდა ყოფილიყო, მთლიანობაში კი აქ 100-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა. არსებობდა სხვადასხვა ზომის ოთახები, ინტერიერის სხვადასხვა რთული დიზაინი, რაც ალბათ ქონებრივი განსხვავებით იყო გამოწვეული.14

არსებობის პიკზე (ახ.წ. 200-500წწ.) ტეოტიჰუაკანი ტერიტორიით იმპერიულ რომს უტოლდებოდა15 და გავლენის ქვეშ ჰყავდა მეზოამერიკის უდიდესი ნაწილი. ამის არქეოლოგიური დასტურია ტეოტიჰუაკანის სტილის ჭურჭლისა და არქიტექტურული ელემენტების გავრცელება. მოსახლეობა, სავარაუდოდ, ჩართული იყო წარმოებასა და შორ მანძილზე ვაჭრობაში, 25% ხელოსნობაში, საცეცხლე წერტილების აღჭურვაში, ვულკანური მინის დამზადებაში ოსტატდებოდა. ტეოტიჰუაკანი ვულკანური მინის ძირითად საბადოებთან ახლოს მდებარეობდა, ამ მასალაზე კი უზარმაზარი მოთხოვნა იყო მეზოამერიკაში. ნამარხებში ნაპოვნი ნივთები იმაზე მეტყველებს, რომ ქალაქში დიდი რაოდენობით შემოდიოდა უცხოური საქონელი — ძვირფასი ქვები, ტროპიკული ფერადი ფრინველის ბუმბული, ბამბა.16

მონტე ალბანის ქალაქი

ტეოტიჰუაკანი მეზოამერიკის პირველი ქალაქ-სახელმწიფო არ ყოფილა. პოლიტიკური უნიფიკაცია უფრო ადრე, ძვ.წ. 500 წელს აღინიშნებოდა, ოაქსაკას ხეობაში, სამხრეთ მექსიკაში. მისი ცენტრი იყო ქალაქი მონტე ალბანი, ტეოტიჰუაკანის საინტერესო კონტრასტი. ეს უკანასკნელი მთელ ხეობაში დომინირებდა და მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მოიცავდა, მონტე ალბანი კი — არა. ოაქსაკაში მდებარე სოფლებში სხვადასხვა ხელობის მქონე ოსტატები იყვნენ და მონტე ალბანი არ ფლობდა მონოპოლიას ხელოსნობაში. ველის პოლიტიკური უნიფიკაციის შემდეგ, სხვა ქალაქებმაც შეინარჩუნეს მნიშვნელობა, მონტე ალბანის მოსახლეობა კი მხოლოდ 30 000-მდე გაიზარდა. ტეოტიჰუაკანისგან განსხვავებით, ის არ იყო მნიშვნელოვანი კომერციული თუ საბაზრო ცენტრი, არ იყო გაშენებული ბადისებრი წყობით, არქიტექტურით კი სხვა დასახლებებისაგან არ გამოირჩეოდა.

მონტე ალბანს არ ჰქონდა ტეოტიჰუაკანის მსგავსი რესურსები. ის მდებარეობდა ხეობის შუაგულში, მთის წვერზე, ნაყოფიერი მიწისგან მოშორებით, წყალი ირიგაციისთვის საკმარისი არ იყო. დეფიციტს წარმოადგენდა სასმელი წყალიც კი. არ იყო ბუნებრივი რესურსები ვაჭრობისთვის და ქალაქი, როგორც ჩანს, არც საცერემონიო ცენტრად გამოიყენებოდა. ციცაბო მთაზე მდებარეობის გამო, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მონტე ალბანი მნიშვნელოვანი სავაჭრო წერტილი ყოფილიყო.

მაშინ რატომ გახდა მონტე ალბანი მეზოამერიკული ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი ცენტრი? რიჩარდ

ანთროპოლოგიური ორიგინალები

ურბანიზმი და ურბანიზაცია

ანთროპლოგებს მუდამ აინტერესებდათ ქალაქები, რადგან აქ სოციალური სისტემები იმ პრობლემებს უპირისპირდებოდა, რომლებიც მრავალი ადამიანის ერთად ცხოვრებისას წარმოიშობოდა. ზენერი და გმელხი გვთავაზობენ არქეოლოგი რშეხედულებას ქალაქების, მათი წარმოშობისა და იქ მცხოვრები ადამიანების შესახებ.

დაფაზე რომ გავავლოთ ხაზი ადამიანის ევოლუციის ასასახავად, პირველი ქალაქები კიდიდან 1 დიუმზე განლაგდებოდა. ადამიანების აგლომერაცია დიდ დასახლებებში მხოლოდ 7000 წლის წინ დაიწყო.

პირველი ქალაქები მესოპოტამიაში გაჩნდა, მდინარე ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებთან, თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე. დღევანდელი სტანდარტებით მათი მოსახლეობა, რა თქმა უნდა, ძალზე მცირე – 30000 კაცი იყო. ისინი საკმაოდ პატარა ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, რადგან ქალაქები გალავნით იყო გარშემორტყმული. მოსახლეობის სიმჭიდროვით ეს ქალაქები (10000 მოსახლე კვადრატულ მილზე) დღევანდელ პატარა ამერიკულ ქალაქებს უტოლდება. სიმჭიდროვე და გადატვირთულობა პირველყოფილი ქალაქების ძირითადი მახასიათებელი იყო.

აღინიშნებოდა სხვა ურბანული ნიშნებიც: მონუმენტური, რელიგიური და სამთავრობო შენობები, შეიარაღებული ძალები, გადასახადები, მოდა, კლასობრივი განსხვავებები, ხელოსნები, ვაჭრები, ოფიციალური პირები, ქურუმები — ადამიანები, ვინც უშუალოდ არ იყვნენ ჩართული საკვების წარმოებაში.

ულა ადამიანი საკვები ეწარმოებინ. კოენის თქმით საკვების წარმოებამ არა მხოლოდ შეარბილა რესურსების უკმარისობა, არამედ გავლენა იქონია კვების რაციონზეც.

საინტერესო შედეგებს გვაძლევს პრეისტორიული ფერმერების შედარება მონადირე-შემგროვებელ წინაპრებთან. ფერმერები უმეტესად დიდ დასახლებულ თემებთან ცხოვრობდნენ და მათ ძვლებში (შემონახულ ქსოვილებსა და ნეშტებში) ინფექცია უფრო შეინიშნება. კერძოდ, პეროსტიტები, ძვლის დაავადება სტაფილოკოკებითა და სტრეპტოკოკებით გამოხატული და გამოწვეული სედანტარული ფერმერობით. პერუში ნაპოვნ მუმიებთან შედარებისას ჩანს, რომ გაიზარდა კუჭ-ნაწლავის ინფექცი. იგივე დასკვნა გამოგვაქვს სამხრეთ-დასავლეთ ამერიკის სხვადასხვა პრეისტორიული ნეშტების ურთიერთშედარებისას. ფართოდ გავრცელებული იყო აგრეთვე ტრეპომენალური ინფექცია (მისი ვეერიული ფორმა, სიფილისი, უფრო გვიან გავრცელდა და იშვიათად შეინიშნებოდა კოლუმბამდელ ჯგუფებში). ტუბერკულოზიც გვიან შემოვიდა, ურბანიზაციის შემდეგ და არ აღინიშნებოდა მეურნეობის განვითარებამდე.

ბლატონი მიიჩნევს, რომ ის დაარსდა ფორმაციული პერიოდის ბოლოს (ძვ.წ. 500-400წწ.) როგორც ნეიტრალური ადგილი, სადაც სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებს შეეძლოთ ცხოვრება და მთელი ხეობის საქმიანობის კოორდინაცია. ამრიგად, მონტე ალბანი, შესაძლოა, ბრაზილიის, ვაშინგტონისა და ათენის მსგავსად, რომლებიც თავდაპირველად „ნეიტრალური“ არამწარმოებელი ქალაქები იყო. რესურსებს მოკლებული სახელმწიფო მეზობელი პოლიტიკური ერთეულებისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს არ წარმოადგენდა. რეგიონის დომინანტ

ტეოტიჰუაკანის ქალაქი. განვითარების პიკს ახ.წ. 500 წელს მიაღწია. იგი უჯრული წყობით იყო ნაგები. ცენტრში მდებარეობდა მზის პირამიდა, რომელიც ფოტოს მარცხნივ ჩანს.

სქესის კვლევის ახალი პერსპექტივები

იმპერიალიზმის ეფექტი ზეგავლენები ქალის სტატუსზე

ქალმა არქეოლოგებმა ყურადღება მიაქციეს არქეოლოგიური მასალების გენდერულ ასპექტს. გვაძლევს თუ არა სახლების გათხრებისას აღმოჩენილი ნივთები სრულ ინფორმაციას იმაზე, თუ რითი იყვნენ დაკავებულნი ქალები და მამაკაცები და სად ცხოვრობდნენ ისინი? რა ინფორმაციას გვაძლევს ის ქალსა და მამაკაცს შორის შრომის განაწილებაზე? შეუძლია თუ არა არქეოლოგიას, მოგვაწოდოს ცნობები ქალის სტატუსსა და დროთა განმავლობაში ამ სტატუსის ცვლილებაზე? უახლესი კვლევები ადასტურებს, რომ შესაძლებელია მსგავსი ინფორმაციის მიღება. როგორც უახლესი წიგნის სათაური გვიჩვენებს, არქეოლოგია შეიძლება „გენდერული“ გახდეს. მაგალითად, არქეოლოგმა ქეთი კოსტინმა შეისწავლა ინკების იმპერიალიზმის ზეგავლენა ქალის სტატუსზე დაპყრობილ ტერიტორიაზე. კოსტინმა მონაწილეობა მიიღო პროექტში, რომელიც სწავლობდა პერუს მაღლობზე იანამარკას ხეობის კულტურის ცვლილებებს. პროექტი იკვლევდა ბატონობის ჩამოყალიბებას ვანკას მკვიდრ ეთნიკურ ჯგუფში ახ.წ. 1300-1470წწ. და ინკების მიერ მათ დაპყრობის გავლენაზე აღნიშნული პერიოდის ბოლოს. არქეოლოგების მტკიცებით, ინკების მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობამდე მოსახლეობის უმეტესობა ფერმერობას ხოლო ზოგიერთი საოჯახო მეურნეობა ჭურჭლის, ქვის იარაღებისა და ქსოვილების დამზადებას ეწეოდა. ესპანელების შემოსვლამდე დაწერილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ვანკაში ბატონობა ძვ.წ. 1300 წ. განვითარება, სავარაუდოდ, სხვადასხვა თემებთან ინტენსიური ომიანობის გამო. კონფლიქტურობის მაღალ დონეზე მიუთითებს დასახლებათა განლაგება: ადამიანების უმეტესობა გამაგრებულ (გალავნით გარშემორტყმულ) თემებში ცხოვრობდა გორებზე. დოკუმენტური წყაროების მიხედვით, ვანკას მმართველებმა თანამდებობა ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის მიიღეს.

დოკუმენტებიდან ვიცით აგრეთვე, რომ იმპერატორ პაჩაკუტის (ახ.წ. 1470) მმართველობისას ვანკას რეგიონი ინკების იმპერიის პროვინცია გახდა. დედაქალაქ კუზკოდან ბიუროკრატები ვანკას სამართავად ჩამოვიდნენ. ინკების დამპყრობლები, მათ შორის შეიარაღებული ძალები, უმაღლეს კლასს შეადგენდნენ. ვანკას მეთაურები ინკების სახელმწიფოს ვასალები გახდნენ და მას ბაძავდნენ ჭურჭლისა და მსგავსი სტილის კონსტრუქციის გამოყენებით. ინკების საჭიროებებიდან გამომდინარე, ხეობის ეკონომიკა უფრო სპეციალიზებული გახდა. ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა კვლავ ფერმერობას მისდევდა, სხვაგან კი ითვისებდნენ ჭურჭლის, ქვის იარაღებისა და სხვა ნაკეთობების დამზადებას. ნეშტების ანალიზი მოწმობს, რომ ინკების გაბატონების შემდეგ, ადამიანები უფრო ჯანმრთელები გახდნენ და უფრო დიდხანს ცოცხლობდნენ.

რა გავლენა იქონია ინკების დაპყრობამ ქალის სტატუსზე? გათხრებისას აღმოჩენილია ათასობით მრგვალი კერამიკული ობიექტი, რომლებიც რთვის დროს გამოიყენებოდა. ლამასა და ალპაკას ბეწვის ძაფით რთავდნენ ქსოვილს, რომელიც გადახდის ძირითადი ფორმა იყო ინკების გაბატონების შემდეგ. თითოეულ სოფელს უნდა დაემზადებინა გარკვეული რაოდენობის ქსოვილი გადასახადების ამკრეფთათვის. შეგროვილი ქსოვილი არმიის და მთავრობის შესანახად გამოიყენებოდა. მრთველები და მქსოველები კი, როგორც პოსტესპანური დოკუმენტებიდან ჩანს, უმეტესად ქალები იყვნენ.

ინკების გაბატონებამდე თითოეულ ოჯახში იყო თითისტარი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალები ქსოვილს ყველა ოჯახში ამზადებდნენ. უფრო მეტი თითისტარია ნაპოვნი მაღლა მთაში, სადაც ლამასა და ალპაკას აშენებდნენ, ეს მოწმობს, რომ აქაური ქალები, დაბლობის მცხოვრებისაგან განსხვავებით, უფრო ხშირად ქსოვდნენ. ლოგიკურად, თითქოს ნაკლები უნდა ემუშავათ დაწინაურებული ოჯახის ქალებს, მაგრამ თუ იქ აღმოჩენილი თითისტარების მიხედვით ვიმსჯელებთ, ელიტურ ოჯახებში მეტი ქსოვილი მზადდებოდა.

ინკების გაბატონების შემდეგ გაორმაგდა დამზადებული ქსოვილის (აღმოჩენილი თითისტარების) რაოდენობა. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ქალები სხვა სამუშაოსგან გათავისუფლდნენ. ქსოვილის უმეტესობა სოფლებიდან დედაქალაქში ინკების საწყობებში მიჰქონდათ და იქიდან ანაწილებდნენ.

ინკების გაბატონების შემდეგ ქალები არა მხოლოდ მეტს მუშაობდნენ, უარესადაც იკვებებოდნენ. კრისტიან ჰასტორფის მიერ ჩატარებული ძვლების ქიმიური ანალიზი ინკების პერიოდის სამარხებიდან მოწმობს, რომ ქალები კაცებთან შედარებით ნაკლებ სიმინდის მარცვალს მოიხმარდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ კაცები უფრო სახლს გარეთ ნაყრდებოდნენ. სიმინდი ჩიჩას ლუდის შემადგენლობაში შედიოდა, ეს ლუდი კი უმთავრესი სასმელი იყო სახელმწიფო ნადიმებზე, რომელსაც უმეტესად კაცები ესწრებოდნენ. კაცები მსახურობდნენ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ სამეურნეო და საწარმოო პროექტებში, სადაც სავარაუდოდ, ხორცით, სიმინდითა და ჩიჩათი ასაჩუქრებდნენ სამსახურისთვის.

ამრიგად, ინკების ბატონობისას ვანკას ქალები აწარმოებდნენ მეტს და იღებდნენ ნაკლებს. ხომ არ არის ეს იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი ეფექტი? და თუ არის, რატომ?

მეტროპოლისად ის, ალბათ, მოგვიანებით იქცა, რადგან მონტე ალბანი ოაქსაკას ხეობასაც გადასცდა.[18]

მეზოამერიკული ცივილიზაციის სხვა ცენტრები

ტეოტიჰუაკანსა და ოაქსაკას გარდა, მოგვიანებით ჩამოყალიბდა სხვა მეზოამერიკული სახელმწიფო საზოგადოებებიც, არსებობდა მონუმენტური არქიტექტურის უამრავი ცენტრი, სავარაუდოდ, მაიას ენაზე მოსაუბრე მოსახლეობისგან შემდგარი, დღევანდელ გვატემალასა და იუკატას ნახევარკუნძულის მაღლობებსა და დაბლობებში. ზედაპირის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაიას ცენტრები არ უნდა ყოფილიყო ისე მჭიდროდ დასახლებული, როგორც ტეოტიჰუკანი ან მონტე ალბანი, მაგრამ

„დანზანტის დარბაზი“ მონტე ალბანში. სტუმრები ქალაქის ცენტრში მისასვლელად ამ ტერეტორიას გადიოდნენ. მიიჩნევენ, რომ სწორედ „დანზანტებში“ უსწორდებოდნენ მონტე ალბანის სახელმწიფოს მტრებს.

აშკარაა, მოსახლეობა ინტენსიურ მეურნეობას მისდევდა[19]. მაიას წარწერების თარგმანი მიუთითებს, რომ მათ დამწერლობა უფრო განვითარებული ჰქონდათ, ვიდრე გვეგონა. ცხადია, ბოლომდე არ არის გამოვლენილი მაიას ურბანიზაცია და კულტურული სირთულე იმ მასიური ტყის გამო, რომელიც ამ ტერიტორიის უმეტეს ნაწილს ფარავს.

პირველი ქალაქები და სახელმწიფოები სხვა ტერიტორიაზე

ჩვენ უკვე განვიხილეთ მაღალგანვითარებული ქალაქები და სახელმწიფოები სამხრეთ ერაყსა და მეზოამერიკაში. სახელმწიფო საზოგადოებები მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად განვითარდნენ მსოფლიოს სხვა რეგიონებში (სურ. 11-2). ჩვენ ვამბობთ „დამოუკიდებლად“, რადგან ეს სახელმწიფოები წარმოიქმნა კოლონიზაციისა და სხვა სახელმწიფოების მიერ დაპყრობის გარეშე.

თითქმის შუმერული იმპერიის პარალელურად, ეგვიპტეში, ნილოსის სანაპიროზე დიდი დინასტიური ერა იწყებოდა. ძველი სამეფო ანუ ადრე დინასტიური პერიოდი დაიწყო ძვ. წ. 3100 წელს და მისი დედაქალაქი იყო მემფისი. ადრეულ საუკუნეებზე არქეოლოგიური ცნობები ძალიან ცოტაა. მაგრამ, როგორც ჩანს, მოსახლეობა საკმაოდ მდიდარ სოფლებში ცხოვრობდა. დიდი პირამიდებისა და სასახლეების უმეტესობა აშენდა დაახლოებით ძვ. წ. 2500 წ.[21]

სახელმწიფოები აფრიკის სხვა რეგიონებშიც წარმოიქმნა. ძვ. წ. I ათასწლეულში დღევანდელი ეთიოპიის ტერიტორიაზე აქსუმის სახელმწიფო წარმოიშვა და აფრიკასა და არაბეთის ნახევარკუნძულს შორის ვაჭრობისა და კომერციის ცენტრი გახდა. აქსუმის უნიკალურ მიღწევებს შორის არის მრავალ სართულიანი ქვის საცხოვრებლები. სავარაუდოდ, აქსუმი იყო პირველი ქრისტიანული სახელმწიფო მსოფლიოში.[22]

საჰარის აფრიკაში ძვ. წ. 800 წლისთვის სავანასა და დასავლეთ აფრიკის ტყიან ზონებში ქალაქ-სახელმწიფოები წარმოიქმნა. ერთ-ერთი მათგანი იყო განა, რომელიც ხმელთაშუაზღვისპირეთისათვის ოქროს მთავარი მიმწოდებელი გახდა (როგორც სხვა სახელმწიფოები ე. წ. „ოქროს სანაპიროდან“).[23] მდინარე კონგოს აუზში ძვ.წ. 1200 წ. განვითარდა მძლავრი სამეფო, რომელსაც ჰქონდა ხალხმრავალი ქალაქები და ჰყავდა მეფე, რომელიც პორტუგალიის მეფის ტოლად იყო აღიარებული 1500-იან წლებში.[24] შორეულ სამხრეთში სახელმწიფოები წარმოიქმნა ძვ.წ. მეორე ათასწლეულის დასაწყისში. ერთ-ერთ ასეთ სახელმწიფოს მიაწერენ ქვის უზარმაზარ წრიულ სტრუქტურებს, რომლებიც დღეს ცნობილია, როგორც დიდი ზიმბაბვე.[25]

ინდის ხეობაში ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში ძვ.წ. 2300 წ. მოზრდილი სახელმწიფო საზოგადოება ჩამოყალიბდა. ამ ჰარაპანულ ცივილიზაციაში მონუმენტური არქიტექტურა (პირამიდები, სასახლეები) არ განვითარებულა. სახელმწიფო აკონტროლებდა უზარმაზარ ტერიტორიას, მილიონობით კვადრატულ კილომეტრს. იყო რამდენიმე მთავარი ქალაქი, თითოეული ერთმანეთის მსგავსი გეგმით, წყლისა და დრენაჟული მუნიციპალური სისტემით.[26]

შენგის დინასტია ჩრდილოეთ ჩინეთში (ძვ.წ. 1750 წ.) დიდხანს მიიჩნეოდა ახლო აღმოსავლეთში პირველ სახელმწიფოდ, მაგრამ უკანასკნელი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ არსებობდა უფრო ადრეული სახელმწიფო, ქსიას

მემფისი, ეგვიპტის ძველი სამეფოს დედაქალაქი.

ინდის ხეობაში ჰარაპანული ცივილიზაციის ერთ-ერთი ქალაქი იყო მოჰენჯოდარო. სურათზე გამოსახული გათხრებისას ნაპოვნი აბანოები მრგვალი ოთახებით. აუზი სვეტებით იყო გარშემორტყმული. (თანამედროვე შენობები უკანა პლანზეა). სხვა ადრეული ცივილიზაციებისგან განსხვავებით, ეს ნაკლებ გრანდიოზული. ყველა ჰარაპანული ქალაქი ერთი გეგმით იყო ნაგები.

დინასტია, რომელიც იმავე ტერიტორიაზე წარმოიქმნა ძვ.წ. 2200 წ.[27] ნებისმიერ შემთხვევაში, შენგის დინასტიას სახელმწიფოს ყველა ნიშანი ჰქონდა: სპეციალიზებული საზოგადოება, რელიგიური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული უნიფიკაცია და ხელოვნების გამორჩეული სტილი.[28]

სახრეთ ამერიკაში სახელმწიფო საზოგადოებების ჯგუფი წარმოიქმნა ძვ.წ. 200 წ. დღევანდელი პერუს ტერიტორიაზე.[29] (ანდებიდან ზღვამდე ყველა მდინარის სანაპირო სამეურნეო სისტემაში ირიგაციის მნიშვნელობაზე მეტყველებს). განცალკევებულ, მაგრამ მსგავს სახელმწიფოებს ერთნაირი რელიგიურ სიმბოლოები და სარწმუნოება ჰქონდათ. სხვადასხვა სახელმწიფოს შორის იყო პორტრეტული კერამიკით განთქმული მოჩე, აგრეთვე ნაზკა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი რელიეფური პეიზაჟებით მყარ უდაბურ მიწაზე. ძვ.წ. 700 წ. ეს რეგიონული სახელმწიფოები გაერთიანდნენ მოზრდილ მილიტარისტულ იმპერიად – ვარი (ჰური).[30]

ჩრდილოეთ ამერიკაში დღევანდელი სენტ ლუისის ტერიტორიაზე ძვ.წ. I ათასწლეულში უზარმაზარი დასახლება გაჩნდა, რომელიც 100-ზე მეტ მიწაყრილს მოიცავდა (ერთ-ერთი მათგანი – გონკის მიწაყრილი, კოლუმბამდელი ჩრდილოეთ მექსიკის უდიდესი სტრუქტურა იყო) და ფარავდა 13 კვ.კმ.-ზე მეტ ტერიტორიას. მას კაჰოკია ეწოდებოდა და ამ მხარის მძლავრი და უდიდესი ცენტრი იყო. სადავოა, ამ დასახლებამ სახელმწიფო დონეს მიაღწია თუ არა. დადასტურებულია, რომ არსებობდნენ სასულიერო პირები, იყვნენ ხელოსნები და შეინიშნეოდა სოციალური სტრატიფიკაცია, მაგრამ უცნობია, იყვნენ თუ არ ისეთი ლიდერები, რომლებიც შეძლებდნენ სახელმწიფოს დონის გაერთიანების მართვას.[31]

თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

როგორც ვნახეთ, სახელმწიფოები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში წარმოიქმნენ. რატომ და სად განვითარდნენ ისინი? ამის შესახებ უამრავი თეორია არსებობს. ვისაუბროთ არქეოლოგების მიერ განხილულ რამდენიმე მათგანზე.[32]

იმ ადგილთა უმეტესობაში, სადაც ეს სახელმწიფოები წარმოიქმნენ, განვითარებული იყო ირიგაცია, რამაც მეზოამერიკა, სამხრეთ ერაყი, ნილოსის ხეობა, ჩინეთი და სამხრეთ ამერიკა საცხოვრებლად ვარგის, ნაყოფიერ ადგილებად აქცია. სავარაუდოდ, ირიგაციული სისტემისთვის საჭირო შრომამ და მენეჯმენტმა პოლიტიკური ელიტის, სახელმწიფოებრივი ფორმირება გამოიწვია, რომელიც საბოლოოდ საზოგადოების მმართველი გახდა.[33] ამ თეორიის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ცივილიზაცია სწორედ ირიგაციული სისტემის ადმინისტრაციული მოთხოვნების ზედნაშენია.

კრიტიკოსების აზრით, ეს თეორია ყველა ქალაქსა და სახელმწიფოზე არ ვრცელდება. მაგალითად, სამხრეთ ერაყში, ქალაქებს მცირე ირიგაციული სისტემები ემსახურებოდა, რომლებიც განსაკუთრებულ შრომასა და

ერუს უძველესი ქალაქის, ჩავინ ჰუანტარის ნანგრევები. ქალაქ პერუს სახელმწიფოების საერთო რელიგიური სიმბოლოებისა და რწმენის დასაბამად მიიჩნეოდ.

მენეჯმენტს არ საჭიროებდნენ. ფართო მასშტაბის სისტემები არც ქალაქების ჩამოყალიბების შემდეგ განვითარებულა.[34] ამრიგად, ირიგაცია ქალაქის ევოლუციის მიზეზი ვერ იქნებოდა. ჩინეთშიც კი, რომლისთვისაც სპეციალურად იყო ეს თეორია შემუშავებული, არაფერი მეტყველებს შანგის პერიოდის ფართო მასშტაბიან ირიგაციაზე.[35]

ფართო მასშტაბიანი ირიგაცია ყოველთვის არ უსწრებდა წინ ქალაქებისა და სახელმწიფოების განვითარებას, მცირე მასშტაბიანი სისტემა კი, შესაძლოა, ნაყოფიერი მიწის არათანაბარი ხელმისაწვდომობისა და შესაბამისად სოციალური სტრატიფიკაციის მიზეზი ყოფილიყო.[36] ამასთან, ირიგაციის გამო მიმდინარეობდა საზღვართან და სხვა საკითხთან დაკავშირებული დავები მეზობელ ჯგუფებს შორის, რაც ხალხს თავდაცვის, შეიარაღებისა და პოლიტიკური კონტროლის გაძლიერებისკენ უბიძგებდა.[37] საბოლოოდ კი, რობერტ ადამსისა და ელმან სერვისის აზრით, ირიგაციამ (მცირე თუ ფართო მსაშტაბიანმა) წარმოების ინტენსიფიკაცია გამოიწვია, ეს კი, თავის მხრივ, არაპირდაპირი სტიმული იყო ხელოსნობის, ვაჭრობისა და ადმინისტრაციული ბიუროკრატიის განვითარებისთვის.[38]

მოსახლეობის ზრდა, შეზღუდვები და ომი

რობერტ კარნეირო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოები პატარა ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის გამო წარმოიქმნენ. კონკურენციასა და ომიანობას ასეთ სიტუაციაში, შესაძლოა, დამარცხებული ჯგუფის სუბორდინაცია გამოეწვია და აეძულებინა, ის უფრო ძლიერი ჯგუფს დამორჩილებოდა და ხარკი გადაეხადა.[39] კარნეირომ თავისი თეორიის მაგალითად პერუს ჩრდილოეთში წარმოქმნილი სახელმწიფოები მოიყვანა.

სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების დაწყების შემდეგ, მოსახლეობა ნელი ტემპით იზრდებოდა. თანდათანობით ყალიბდებოდა ახალი სოფლები, მაგრამ იმ ვიწრო სანაპირო ზოლში, რომელიც ერთი მხრიდან მაღალი მთებით იყო ჩაკეტილი, მეორე მხრიდან — ზღვითა და უდაბნოთი იყო გარშემორტყმული, ეს პროცესი განუსაზღვრელად ვერ გაგრძელდებოდა. კარნეირო მიიჩნევს, რომ ამის შედეგი იყო სწორედ მიწის დეფიციტი და სოფლებს შორის ომიანობა. დამარცხებული ყოველი მხრიდან ჩაკეტილი იყო, ამიტომ პოლიტიკურ ბატონობას უნდა დამორჩილებოდა. სავარაუდოდ, ასე იქცა ბატონობა მეფობად, როცა ყველაზე გავლენიანმა სოფლებმა მთელი ტერიტორიის გაკონტროლება დაიწყეს. ბატონის ძალაუფლების გავრცელება კი იმპერიების ჩამოყალიბების წინაპირობა იყო.

კარნეიროს აზრით, სახელმწიფოების განვითარებისას ბუნებრივი გარემო პირობებით შეზღუდვა ერთადერთი ბარიერი არ ყოფილა. მნიშვნელოვანი იყო დემოგრაფიული სიტუაციაც. მოსახლეობა ძალიან მჭიდროდ ცხოვრობდა და სხვა ასეთივე მჭიდრო დასახლებებით იყო გარშემორტყმული.

მარვინ ჰარისი განსხვავებულ თეორიას გვთავაზობს. ის ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები წარმოიქმნებოდა მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც განვითარებული იყო მარცვლეულის მეურნეობა (საკვების წარმოება) და გარშემორტყმული იყო ისეთი ტერიტორიით, სადაც მეურნეობა არ ჰქონდათ. ამის გამო, მოსახლეობა იძულებული იყო, გადასვლის შემთხვევაში ცხოვრების სტანდარტების მნიშვნელოვანი შეცვლა აეტანა.[40]

კარნეიროს აზრით, მისი თეორია ვრცელდება ბევრ ტერიტორიაზე, მათ შორის სამხრეთ ერაყზე, ინდსისა და ნილოსის ხეობებზე, გარდა პერუს სამხრეთ ნაწილისა. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ ჩინეთსა და იუკატანის ნახევარკუნძულზე, მაიას დაბლობში, ასეთი გეოგრაფიული ბარიერები არ არსებობდა, სახელმწიფოების წარმოქმნა აქაც სოციალურ შეზღუდვებს უკავშირდება. კარნეიროს თეორია კარგად ერგება სამხრეთ ირანს. სადაც მოსახლეობის ზრდა, შეზღუდვები და ომიანობა არქეოლოგიური გათხრებით მტკიცდება.[41] მოსახლეობის ზრდა აღინიშნება სახელმწიფოს წარმოქმნამდე ტეოტიჰუაკანში.[42]

მაგრამ მოსახლეობის ზრდა ყოველთვის არ ნიშნავს შეზღუდულობას. მაგალითად, ტეოტიჰუაკანსა და ოაქსაკაში ის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე გაიზარდა, მაგრამ არაფერი მიუთითებს რესურსების შეზღუდულობაზე. ორივეგან უფრო მეტი ხალხის ცხოვრება იყო შესაძლებელი.[43] მოსახლეობის ზრდა ყველა რეგიონში როდი იწვევდა სახელმწიფოების წარმოქმნას. მაგალითად, რაიტისა და ჯონსონის მტკიცებით, სამხრეთ-დასავლეთ ირანში მოსახლეობის ზრდა სახელმწფოს განვითარებამდე დიდი ხნით ადრე აღინიშნებოდა, სახელმწიფოს განვითარებას კი, მოსახლეობის მკვეთრი შემცირება მოჰყვა.

ამასთან, კარნეიროს თეორია კიდევ ერთ ლოგიკურ კითხვას ვერ სცემს პასუხს: რატომ ტოვებდნენ ბრძოლებში გამარჯვებულები დამარცხებულებს ხელუხლებლებს და მხოლოდ ხარკს აკისრებდნენ, თუკი მათ პირველ რიგში მიწა სურდათ? რა უშლიდათ ხელს დამარცხებულების განადგურებასა და მათი მიწის დაპყრობაში, როგორც ეს არა ერთხელ ყოფილა ისტორიაში?

ადგილობრივი და შორ მანძილზე ვაჭრობა:

სახელმწიფოების წარმოქმნის ერთ-ერთ ფაქტორად ვაჭრობა სახელდება.[45] რაიტი და ჯონსონი მიიჩნევენ, რომ საქონლის წარმოების, იმპორტის განაწილებისა და სავაჭრო მხარეების დაცვის ორგანიზაციულმა მოთხოვნებმა ხელი შეუწყო სახელმწიფოების ფორმირებას.[40] დასტურდება თუ არა ეს არქეოლოგიურად?

სამხრეთ ერაყსა და მაიას დაბლობებში შორ მანძილზე ვაჭრობას, შესაძლოა, ბიურიკრატიული ზრდა გამოეწვია. სამხრეთ ერაყის დაბლობებში, როგორც ვიცით, ხალხს ხე და ქვა სჭირდებოდა მშენებლობისთვის, რასაც მაღლობში მცხოვრებ ხალხთან ვაჭრობით შოულობდნენ. მაიას დაბლობებში შორ მანძილზე ვაჭრობა წინ უსწრებდა ცივილიზაციის განვითარებას. ამ რეგიონის ფერმერები მარილის, სამართებლისთვის საჭირო მინისა და საფქვავი ხელსაწყოების საჭირო ქვისთვის სავაჭრო ურთიერთობებს ამყარებდნენ შორეულ რეგიონებთან.[47] სამხრეთ-დასავლეთ ირანში შორ მანძილზე ვაჭრობა მნიშვნელოვანი არ ყოფილა სუზას სახელმწიფო საზოგადოების ცენტრად ქცევამდე, მაგრამ ახლო მანძილზე ვაჭრობა, სავარაუდოდ, გარკვეულ როლს თამაშობდა სახელმწიფოების წარმოქმნაში. ჩინეთში სახელმწიფოების წარმოშობის შესახებ მსგავსი თეორია წამოაყენა კვანგ-ჩი ჩანგმა. მისი აზრით, ყვითელი მდინარის ხეობის ნეოლითურმა საზოადოებებმა ძვ.წ. 4000წ. შორ მანძილზე ვაჭრობის ქსელი ჩამოაყალიბეს, რომელსაც მან "ინტერაქტიული სფერო" უწოდა. ვაჭრობამ ხელი შეუწყო კულტურული ელემენტების გავრცელებას და საბოლოოდ საერთო ელემენტების არსებობას (ნახ.11-3). დროთა განმავლობაში ეს საზოგადოებები ერთმანეთისათვის პარტნიორები გახდნენ ვაჭრობასა და კულტურულ სფეროში. ძვ.წ. კი 2000 წლისათვის ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანდნენ შენგის დინასტიის ქვეშ.[48] ამრიგად, ჩენგი ჩინეთში პოლიტიკურ უნიფიკაციას სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების ზედნაშენად მიიჩნევს.

სხვადასხვა თეორია: შეფასება

რატომ ჩამოყალიბდნენ სახელმწიფოები? არც ერთი წარმოდგენილი თეორია არ ერგება ყველა სიტუაციას.

შეიძლება ამის მიზეზი ისაა, რომ სხვადასხვა რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების წარმოქმნისათვის სხვადასხვა პირობა არსებობდა. სახელმწიფოც, დეფინიციის მიხედვით, გულისხმობს დიდი მოსახლეობის საერთო მიზნისათვის ორგანიზებას. ზოგიერთ რეგიონში მიზანი შეიძლება ყოფილიყო ადგილობრივი ან შორ მანძილზე ვაჭრობა. სხვაგან სახელმწიფოების — დამარცხებული მოსახლეობის კონტროლი, დანარჩენ შემთხვევებში პოლიტიკური სისტემის განვითარება, სავარაუდოდ, ფაქტორების კომბინაციამ გამოიწვია.

სახელმწიფოს ფორმირების შედეგები

ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე ადგილი, სადაც პირველი სახელმწიფოები წარმოიქმნა, აგრეთვე — სხვადასხვა თეორია მათი წარმოშობის შესახებ. მაგრამ რა შედეგები მოიტანა მან იქ მცხოვრები ადამიანებისთვის? შედეგები შესაძლოა, საკმაოდ დრამატული ყოფილიყო.

ერთ-ერთი ცვლილება, რაც სახელმწიფოს წარმოქმნამ შეიტანა ადამიანის ცხოვრებაში, არის უფრო დიდი რაოდენობის და მჭიდროდ მცხოვრები მოსახლეობის არსებობის შესაძლებლობა.[50] როგორც უკვე ვნახეთ, მეურნეობა ქმნის მოსახლეობის ზრდის პოტენციას, სახელმწიფო კი უფრო აღრმავებს მას. რატომ? სახელმწიფოს შეუძლია ააშენოს ინფრასტრუქტურა — ირიგაციული სისტემები, გზები, ბაზრები და ამით უზრუნველყოს სამეურნეო პროდუქციის უკეთესი წარმოება და განაწილება. სახელმწიფოს შეუძლია ინფორმაციის კოორდინაცია, მისი გამოყენება პროდუქციის ციკლის სამართავად და გვალვების, განადგურებისა და სხვა სტიქიური უბედურებების თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფო აკონტროლებს მიწის ხელმისაწვდომობას (კანონებითა და შეიარაღებით) და შეუძლია არა მხოლოდ დაასახლოს ფერმერები მიწაზე, არამედ დაიცვას ისინი საკუთრების ხელყოფისაგან.

სამეურნეო პროდუქციის გაუმჯობესებული წარმოებისა და განაწილების პირობებში, სახელმწიფოს უკვე შეეძლო მოსახლეობის (ხშირად უმეტესი) ნაწილი



სურათი 11-3 **რეგიონული ნეოლითური კულტურების ექსპანსია ჩინეთში ძვ.წ. 4000-3000 წწ.**

უძველესი ჩინეთის არქეოლოგია, მე-4 გამოცემა, კ.ჩ. ჩანგის. საავტორო უფლებები დაცული. 1986. იბეჭდება იელის უნივერსიტეტის ნებართვით.

საკვების წაროებისაგან გაეთავისუფლებინა. ესენი იყვნენ ძირითადად ხელოსნები, ვაჭრები, ხელოვანები, აგრეთვე ბიუროკრატები, ჯარისკაცები და პოლიტიკური ლიდერები. მოსახლეობის ნაწილი სასოფლო-სამეურნეო ადგილებისაგან მოშორებით ცხოვრობდა და ამის გამო სიმჭიდროვე იყო ქალაქებში. ქალაქები წარმოქმნილი იყო მეურნეობისათვის არახელსაყრელ, მაგრამ ვაჭრობისათვის (მაგალითად, სამხრეთ მესოპოტამიის მდინარეებზე) და თავდაცვისათვის (მონტე ალბანის შემთხვევაში, მთის წვერზე) ხელსაყრელ ადგილებში. სახელმწიფოს განვითარებისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის აღზევება, საერთო რელიგია. ამრიგად, ცივილიზაციის ყველა ნიშანი სახელმწიფოს განვითარებასაც ახასიათებს.[51]

სახელმწიფოების განვითარებას უარყოფითი შედეგებიც ჰქონდა. ადამიანები სახელმწიფო ძალით იზღუდებიან და იძულებულნი არიან, დაემორჩილონ დადგენილ წესებს, თუნდაც მათთვის არახელსაყრელი იყოს.[52] სახელმწიფოს კლასობრივი სტრატიფიკაცია რესურსების ხელმისაწვდომობაში განსხვავებებს გულისხმობს და ქმნის ღარიბი, გაუნათლებელი და ხშირად არაჯანმრთელი ადამიანების ფენას. ჯანმრთელობის პრობლემები ქალაქში შეიძლება გაუარესებულიყო ხალხის სიმრავლით, რადგან იქ ეპიდემიური დაავადებების გავრცელება იყო შესაძლებელი.[53] საკვების სიმცირის ან მიუწვდომლობის გამო, ქალაქში მცხოვრებლები ცუდი კვების ან სულაც შიმშილობის საფრთხის წინაშე იდგნენ, წარმოებისა და განაწილების სისტემა კი ყოველთვის სათანადოდ არ მუშაობდა.[54]

როგორც ჩანს, ყველა სახელმწიფო დამპყრობელი იყო. ომიანობა და დაპყრობითი ბრძოლები მისი განვითარების ყველაზე ნეგატიური შედეგი. ადამიანური გაჭირვება შესაძლებელია უფრო სახელმწიფოს ექსპანსიას დავუკავშიროთ, ვიდრე სხვა რომელიმე ფაქტორს. რატომ ახდენს სახელმწიფო ექსპანსიას? ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ძალუძს ამის გაკეთება (იხ. "იმპერიალიზმი, კოლონიალიზმი და სახელმწიფო). სახელმწიფოს ჰყავს არმია, რომელიც მუდამ მზადაა საბრძოლოდ და მტრის დასაპყრობად. კიდევ ერთი მიზეზი დაკავშირებულია შიმშილისა და ავადმყოფობის საფრთხესთან, რომელიც მეურნეობის განვითარებასთან ერთად უფრო რეალური ხდება.[55] ამ ტექსტის ავტორმა კვლევის შედეგად დაადგინა, რომ რესურსების არაპროგნოზირებულობა დაკავშირებულია ხშირ ომიანობასთან, რადგან სახელმწიფო, იმის გამო, რომ თავი აარიდოს რესურსების დეფიციტს, ომს იწყებს უფრო მეტი რესურსების მოსაპოვლებად (ან რესურსების სტაბილიზაციისთვის).[56] მესამე მიზეზი ის არის, რომ ომიანობა სახელმწიფოს თვისებაა. ზოგიერთი მათგანისთვის შეიარაღებული ძალის დემონსტრირება სასიცოცხლოდ აუცილებელია.[57] მიუხედავად ყველაფრისა, ომი და დაპყრობითი მოქმედებები სახელმწიფოს ფორმირების ერთ-ერთი შედეგია, დამარცხება კი — ბედისწერა.

სახელმწიფოთა შემცირება და დაშლა:

თუკი თვალს გადავავლებთ ამ თავში განხილულ სახელმწიფოებს — მონტე ალბანს, ტეოტიჰუაკანს, შუმერს, ფარაონების ეგვიპტეს, შევნიშნავთ, რომ მათ ერთი საერთო აქვთ. ყველა მათგანი საბოლოოდ დაიშალა. რატომ? ეს მნიშვნელოვანი კითხვაა, რადგან იგივე ბედი ეწევა ჩვენს სახელმწიფოსაც. იქნებ შესაძლებელი იყოს ამის თავიდან აცილება, თუ გვეცოდინება დაშლის მიზეზები.

სახელმწიფოთა შემცირებისა და დაშლის ერთ-ერთი ახსნა გარემოს დეგრადაციაა. თუკი წარმოიქმნენ ინტენსიური მეურნეობისათვის საჭირო გარემოში, რომელიც უზრუნველყოფდა სოციალურ სტრატიფიკაციას, პოლიტიკური ოფიციალურობისა და სახელმწიფოსათვის საკმარის მოსავალს, შესაძლოა, გარემოს დეგრადაციას — მიწის ნაყოფიერების შემცირებას, გვალვებს, ძველი სახელმწიფოების დაშლა გამოეწვია. არქეოლოგი ჰარვი

მიმდინარე კვლევები და გამოცემები

იმპერიალიზმი, კოლონიალიზმი და სახელმწიფო

პირველი ქალაქი-სახელმწიფოები ურუქის პერიოდში ძვ.წ. IV ათასწლეულში სამხრეთ მესოპოტამიის მდინარეებთან, დღევანდელი სამხრეთ ერაყის ტერიტორიაზე წარმოიქმნენ. დასაწყისიდანვე მათ ახასიათებთ საზღვარგარეთ ვაჭრობა, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მდინარისპირა ტერიტორია საკმაოდ ნაყოფიერი იყო, მაინც განიცდიდა ისეთი ნედლეულის ნაკლებობას, როგორიცაა ქვა და ტყე. ვაჭრობა სხვა თანაბარი რესურსის მქონე რეგიონებთან მშვიდობიანი და ბალანსირებული იყო. ერთ-ერთს ჰქონდა ის მასალა, რაც მეორეს სჭირდებოდა და პირიქით, ორივე რეგიონის ადამიანებს შეეძლოთ შეთანხმება და მოლაპარაკება ერთმანეთის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ დამწერლობამდელი ურუკის პერიოდის არქეოლოგიური კველევა და დოკუმენტური წყაროები გვიჩვენებს, რომ მესოპოტამიის ქალაქი-სახელმწიფოები თავიდანვე იმპერიალისტურ-კოლონიალისტური ნიშნებით ხასიათდებოდნენ.

ისევე, როგორც ჩრდილოეთ ამერიკაში ჩამოსული პირველი ბრიტანელები და ფრანგები ცდილობდნენ თავიანთი დასახლებებისა და ვაჭრობის ობიექტების დაცვას, ურუქის პერიოდის სახელმწიფოებიც ცდილობდნენ გავლენის მოპოვებას პერიფერიულ და ნაკლებად განვითარებულ სავაჭრო „პარტნიორებზე“. მაგალითად, ძვ.წ. 3000 წლამდე ჩრდილოეთ მესოპოტამიაში მდინარეთა შესართავებთან არსებობდა გამაგრებული ქალაქები ურუქის სტილის ჭურჭლითა და ადმინიტრაციული ობიექტებით. რატომ მიდიოდა იქ ურუქის ხალხი? შესაძლებელია, ისინი განგებ აშენებდნენ ავანპოსტებს ისეთი საქონლის მოსაპოვებლად, როგორიცაა ცხვრის ტყავი და მშრალი ხორცი.

იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმში ცალკეული სახელმწიფოები არ იყო ჩართული. სამხრეთ მესოპოტამია (შუმერეთი) პოლიტიკურად უნიფიცირებული არ ყოფილა ძვ.წ. 3000 წლამდე; მეტიც, ურუქის პერიოდის ტიგროსისა და ევფრატის სახელმწიფოები ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ. ქალაქების გალავანი გვიჩვენებს, რომ ისინი მტრის თავდასხმის ხშირი ობიექტები იყვნენ. სურათი თუკიდიტეს მიერ აღწერილი ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს გვაგონებს, ან სამხრეთ მექსიკის მაიას ქალაქ-სახელმწიფოების იეროგლიფურ წარწერებში აღწერილ სურათებს (ძვ.წ. 300-800), რომლებშიც ისტორიისა და პროპაგანდის ნაზავით ამა თუ იმ სახელმწიფოს ტრიუმფია გადმოცემული. რა თქმა უნდა, ყველამ ვიცით დაპირისპირება ბრიტანეთს, ესპანეთს, ჰოლანდიასა და საფრანგეთს შორის ახალი სამყაროს აღმოჩენამდე.

ისტორიულად დადასტურებულია, რომ ბერძნული ქალაქი-სახელმწიფოები იმპერიალისტური კოლონიზატორები იყვნენ. ბერძნულად მოსაუბრე ადამიანები კოლონიებს ქმნიდნენ მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში – სირაკუზი სიცილიაში და მარსელი საფრანგეთში. რაც შეეხება ურუქის ქალაქ-სახელმწიფოებს, რატომ მივიჩნევთ მათ იმპერიალისტურ კოლონიზატორებად? არქეოლოგმა გილერმო ალგასემ ახლახან შემდეგი თეორია განიხილა. თავდაპირველად კოლონიზაცია დაიწყო სამხრეთ-დასავლეთ ირანის ვაკეებზე, ამ ადგილამდე სამხრეთ მესოპოტამიიდან 7-10 დღის სავალია ფეხით, სახედრით ან ქარავნით. შემდეგ, შესაძლოა, ურუქის ქალაქებმა შექმნეს ავანპოსტები ან დაიპყრეს არსებული დასახლებები ჩრდილოეთით და სამხრეთით (დღევანდელი ჩრდილოეთ ირანისა და სირიის ვაკეები). ეს უკანასკნელი დასახლებები, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი სამდინარო და სახმელეთო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდნენ.

ალგასეს თქმით, ურუქის დასახლებები და ავანპოსტები სამხრეთ მესოპოტამიის გარეთ ძალიან ჰგავს იმას, რასაც ფილიპ კურტინი სავაჭრო დიასპორას უწოდებს. ის მიიჩნევს, რომ ასეთი მოძრაობა მხოლოდ ქალაქებისა და მათი სუსტი მოსახლეობის წარმოქმნის შემდეგ შეიძლებოდა დაწყებულიყო (ქალაქის მოსახლეობა ძალიან სუსტია, რადგან დამოკიდებულია სოფლელების მიერ მოწოდებულ საკვებზე). დიასპორას ბევრი ფორმა ჰქონდა და თითოეული მათგანი რეგიონებს შორის სხვადასხვა დამატებითი რესურსების გაცვლის საშუალება იყო. ერთი მხრივ, ვაჭრები მცირე ჯგუფებად სწყდებოდნენ საკუთარ საზოგადოებებს და სხვა ტერიტორიებზე გადადიოდნენ. მეორე მხრივ კი, მათი აშენებული ავანპოსტები სახელმწიფოს გაფართოებას უწყობდნენ ხელს.

ალგასე მიიჩნევს, რომ სამხრეთ ურუქის ექსპანსიის მიზეზი იყო სამხრეთ მესოპოტამიაში რესურსების სიმცირე. მაგრამ არის კი ეს ახსნა სრული? მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც აღინიშნებოდა რესურსების ნაკლებობა, მაგრამ ისინი კოლონიზატორები არ გამხდარან. კიდევ რა შეიძლებოდა გამხდარიყო ექსპანსიის ან საბოლოოდ მისი შეწყვეტის მიზეზი? ალგასე აღნიშნავს, რომ როცა სამხრეთ-დასავლეთ ირანში შესულ ურუქის მოსახლეობას მინიმალური ნინააღმდეგობა შეხვდა, რადგან ეს ტერიტორია მჭიდროდ დასახლებული არ იყო.

წლების წინ ანთროპოლოგი სტენლი დაიმონდი ამტკიცებდა, რომ “იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი სახელმწიფოს ხნის იყვნენ”. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ სახელმწიფოები მუდამ კოლონისტურ და იმპერიალისტურ პოლიტიკას ატარებდნენ, როცა კი შეეძლოთ? თუ ამისათვის მხოლოდ გარკვეული პირობები იყო საჭირო? რამდენად მჭიდროდაა იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი დაკავშირებული სახელმწიფოს ორგანიზაციასთან? შესაძლებელია კი, სახელმწიფო იყოს ჰუმანური? ამ კითხვებზე მომავალი კულტურული და ისტორიული კვლევები გაგვცემენ პასუხს.

ვაისი ვარაუდობს, რომ მუდმივმა გვალვებმა დააჩქარეს ძველი აქადური იმპერიის დაცემა ახლო აღმოსავლეთში. ძვ. წ. 2300 წლისათვის აქადელებმა დააარსეს იმპერია, რომელიც გადაჭიმული იყო სპარსეთის ყურედან (დღევანდელი ერაყი) მდინარე ევფრატის სათავეებამდე (დღევანდელი თურქეთი). მაგრამ ერთი საუკუნის შემდეგ ეს იმპერია დაინგრა. ვაისი მისი და მისი მეზობელი ცივილიზაციების დაშლის მიზეზად გვალვებს მიიჩნევს. ბევრი არქეოლოგი ამ მოსაზრებას ეჭვქვეშ აყენებს, თუმცა კვლევები ამტკიცებს, რომ ბოლო 10000 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი გვალვა სწორედ აქადის სამეფოს დაშლას დაემთხვა.[58] გვალვის ერთ-ერთი ნიშანია სპარსეთის ყურის ფსკერზე ნაპოვნი მტვერი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მშრალი სეზონი 300 წელიწადს გრძელდებოდა. სხვა გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით, გვალვა მთელ მსოფლიოში იყო.[59] გარემოს დეგრადაცია გახდა, სავარაუდოდ, მაიას ცივილიზაციის მოსპობის მიზეზიც.[60]

გარემოს დეგრადაციას შეიძლება, ბუნებრივი მოვ-

სახელმწიფოების წარმოქმნა მჭიდროდ დასახლებული ქალაქების განვითარებას გულისხმობდა და ამასთან, თავს იჩენდა მოსახლეობასა და ქალაქებთან დაკავშირებული პრობლემები.

ლენის გარდა, სხვა მიზეზიც ჰქონდეს, მაგალითად, ადამიანთა ქცევა. გავიხსენოთ თუნდაც კაჰოკიის მაგალითი — ქალაქისა, რომელიც სულ მცირე 15000 ადამიანისგან შედგებოდა და მდებარეობდა მისურისა და მისისიპის შესართავთან. ძვ.წ. მე-12 საუკუნეში კაჰოკიას ჰქონდა უზარმაზარი საზოგადოებრივი ცენტრები, 20000 მორისგან აგებული გალავანი, მასიური მიწაყრილები, მაგრამ 300 წელიწადში მხოლოდ მიწაყრილები დარჩა. წყალდიდობისას მოტანილმა ლამმა დასახლებული ადგილები და ყანები მთლიანად დაფარა. ტყის გაჩეხვამ სათბობად, მშენებლობისა და თავდაცვისთვის საბოლოოდ წყალდიდობა და მოსავლის სიმცირე გამოიწვია, რამაც თავის მხრივ — კაჰოკიის გაუდაბურება. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში მშენებლობისთვის საჭირო ხე-ტყის ხარისხი ისეთი მაღალი აღარ იყო, სავარაუდოდ, ამ მასალის შემცირების გამო.[63]

კაჰოკია ადამიანის ქცევით გამოწვეული დეგრადაციის ერთ-ერთი მაგალითია. კიდევ ერთი მაგალითია მარილიანობის შემცირება იმ ადგილებში, სადაც ფართოდ გამოიყენებოდა ირიგაცია (სამხრეთ ერაყი), აორთქლების გამო.

ცივილიზაციები ხშირად იმიტომაც ქრებოდა, რომ ადამიანის ქცევა დაავადებებს ზრდიდა. მაგალითად, მაიას დაბლობში ქალაქები გაუდაბურდა ძვ.წ 800-1000 წწ. მოსახლეობის მეტისმეტად ზრდის ან რესურსების ნაკლებობის გამო. კიდევ ერთი ფაქტორი, შესაძლოა, ყვითელი ცხელება იყო. ტყეების გაჩეხვამ და ამის გამო მოსკიტების გამრავლებამ ხელი შეუწყო დაავადებების გავრცელებას ცენტრალურ ამერიკაში. ზოგან მოსახლეობის მიერ განსაკუთრებული ჯიშის ხეების დარგვამ გამოიწვია დაავადებული მაიმუნების მომრავლება (ხოლო კოღოები ამ დაავადებას მაიმუნებისგან ადამიანებს გადასცემდნენ).[62]

სახელმწიფოების დაშლის კიდევ ერთი მიზეზი მათი მეტისმეტი გაფართოება იყო. მიიჩნევენ, რომ სწორედ ამის გამო დაიშალა რომის იმპერია. მისი დაცემის პერიოდში, ახ.წ. II საუკუნეში იმპერია გადაჭიმული იყო ხმელთაშუაზღვისპირას ჩრდილო-დასავლეთ ევროპამდე. ამ მასშტაბის ტერიტორია კი სამართავად რთული იყო. იმპერიის პერიფერიებზე განხორციელებული თავდასხმები უყურადღებოდ რჩებოდა, რადგან შორეული საზღვრების გამაგრება მეტისმეტად ძნელი და ძვირი იყო. ახ.წ. 476 წ. რომის იმპერია ფაქტობრივად არარაობად იქცა.[63]

საბოლოოდ დაშლის მიზეზად ცუდი მმართველობა ან ექსპლუატაცია დაასახელეს. მაგალითად, პიტერ ჩარნესი მიიჩნევს, რომ ბიზანტიის იმპერია (რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნახევარი) იმიტომ დაიშალა, რომ ძლიერ მემამულეებს შეეძლოთ, სუსტი მემამულეებისთვის მიწა წაერთმიათ და გადასახადები დაეკისრებინათ. როცა ამ მემამულეებმა იმპერატორისგან ძალაუფლების მოთხოვნა დაიწყეს, სამოქალაქო ომები დაიწყო, რამაც საბოლოოდ იმპერიის ბრძოლისუნარიანობა შეინირა.[64]

დაშლას სხვა უამრავი თეორიით ხსნიდნენ, დაწყებული კატასტროფებით და თითქმის მისტიკური ფაქტორებით (მაგალითად, სოციალური დაკნინება) დამთავრებული, მაგრამ როგორც სახელმწიფოს წარმოშობის შემთხვევაში, აქაც არც ერთი თეორია არ ხსნიდა ყველა სიტუაციას. რამდენადაც ჯერ კიდევ უცნობია ცივილიზაციათა ცენტრებში სახელმწიფოების წარმოქმნისა და დაშლის რეალური მიზეზები, ამის გარკვევა მკვლევართა უმთავრესი მიზანი. იმედია, მომავალში დამაკმაყოფილებელი პასუხები გაეცემა არსებულ კითხვებს.



მხატვრის რეკონსტრუქცია — კაჰოკია აღზევების პერიოდში.

დასავლეთ თურქეთის ქალაქის ეფესოს (ყოფილი ქალაქი ნანგრევებად ქცეული, რომელიც დღეს დასავლეთ თურქეთშია) ისტორია სახელმწიფოების აღზევებისა და დაცემის ნათელი მაგალითი. ძვ.წ. 1000-100 წწ. მას მართავდნენ ბერძნები, ლიდიელები, სპარსები, მაკედონელები და რომაელები.

შეჯამება

1. არქეოლოგები ჯერაც ვერ თანხმდებიან სახელმწიფოს განსაზღვრებაზე, მაგრამ ერთხმად აღიარებენ მის ძირითად კრიტერიუმს — გადაწყვეტილების მიღების იერარქიულობა და ცენტრალიზებულობა და ამ გზით მოსახლეობაზე ზემოქმედება. სახელმწიფოთა უმრავლესობას აქვს საჯარო შენობები, ხელოსნებისა და რელიგიური მსახურების ფენა, ხელოვნება, იერარქიული სოციალური სისტემა, რომლის თავში არის ელიტა და რომლიდანაც ლიდერები გამოდიან. სახელმწიფოები ძალაუფლებას ახორციელებენ ძალის გამოყენებით. ძალა და მუქარა გამოიყენება გადასახადების ასაკრეფად. ხალხის სამუშაოდ და საომრად წასაყვანად.
2. პირველი სახელმწიფო საზოგადოებები გამოჩნდა ახლო აღმოსავლეთში, დღევანდელ სამხრეთ ერაყსა და სამხრეთ-დასავლეთ ირანში. სამხრეთ ერაყი ანუ შუმერი, გაერთიანდა ძვ.წ. 3000 წ. მათ ჰქონდათ დამწერლობა, დიდი ურბანული ცენტრები, ტაძრები, კოდიფიცირებული კანონები, ჯარი, ფართო სავაჭრო ქსელი, რთული ირიგაციული სისტემა და სპეციალიზაციის მაღალი ხარისხი.
3. პირველი ქალაქი-სახელმწიფოები მეზოამერიკაში ჩამოყალიბდა, სავარაუდოდ, ძვ.წ. 500 წ. ოაქსაკას ხეობაში და მისი დედაქალაქი იყო მონტე ალბანი. მოგვიანებით მექსიკის ველის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განვითარდა ტეოტიჰუაკანი. არსებობის პიკისას (ჩვ.წ. 200-500 წწ.) ტეოტიჰუაკანის გავლენის ქვეშ იყო მეზო ამერიკის უმეტესი ნაწილი.
4. ადრე წარმოიქმნენ სახელმწიფოები მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებში: გვატემალაში, მექსიკაში, იუკატანის ნახევარკუნძულზე, პერუში, სავარაუდოდ — სენტ ლუისის მახლობლად. ძველ სამყაროში სახელმწიფოები წარმოიქმნენ აფრიკაში, ინდოეთში, ინდის ხეობასა და ჩრდილოეთ ჩინეთში.
5. სახელმწიფოს წარმოშობაზე უამრავი თეორია არსებობს. ირიგაციის თეორიის მიხედვით, მასობრივი ირიგაციის ადმინისტრაციულ მოთხოვნებს შეეძლო ბიძგი მიეცა სახელმწიფოს წარმოქმნისთვის. შეზღუდვის თეორიის მიხედვით, სახელმწიფოები აღმოცენდნენ, როცა დაპირისპირებამ და ომიანობამ დამარცხებული ჯგუფების სუბორდინაცია გამოიწვია და ისინი იძულებულნი იყვნენ, გამარჯვებულს დამორჩილებოდნენ. სავაჭრო თეორიის მიხედვით კი, სახელმწიფოს ფორმირება საექსპორტო საქონლის შექმნის, განაწილებისა და სავაჭრო მხარის დაცვის ორგანიზაციულმა მოთხოვნებმა გამოიწვია. რომელია მართებული? ჯერჯერობით ვერც ერთი თეორია ვერ ხსნის ყველა სახელმწიფოს წარმოშობას. შესაძლოა, ცენტრალიზებულ ხელისუფლებას სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა.
6. სახელმწიფოს წარმოქმნას დრამატული შედეგები ახლავს. იზრდება მოსახლეობა და კონცენტრირდება ქალაქებში; ვითარდება სოფლის მეურნეობა და მოსახლეობის ნაწილი თავისუფლდება საკვების წარმოებისაგან; სახელმწიფოში აღინიშნება ცივილიზაციის პირველი ნიშნები — ხელოვნება, მუსიკა, ლიტერატურა, საერთო რელიგია, მაგრამ იქმნება აგრეთვე ხელსაყრელი პირობები ომისა და პოლიტიკური ტერორისთვის. სოციალური დიფერენციაციის შედეგად იქმნება ღარიბი და ხშირად დაავადებული ადამიანების ფენა. აღინიშნება დაავადებათა მატება და შიმშილიანობა.

საკონტროლო კითხვები

1. ქალაქები და სახელმწიფოები არ შეინიშნება საკვების წარმოებამდე. რატომ არის საკვების წარმოება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი სახელმწიფოს განვითარებისთვის?
2. საკვების წარმოების მსგავსად, პირველი ქალაქები და სახელმწიფოები რამდენიმე ათასი წლის ინტერვალით წარმოიქმნენ. რა იყო ამის მიზეზი?
3. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ სამყარო, სახელმწიფოების გარეშე? რა პირობებმა შეიძლება განაპირობოს მსგავსი სიტუაცია?

ადამიანთა ვარიაცია და ადაპტაცია

12

თავების შინაარსი

- ადამიანის ვარიაციისა და ადაპ-ტაციის პროცესები
- ფიზიკური ვარიაციები მო-სახლეობაში
- რასა და რასიზმი
- ადამიანის მომავალი

წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ ჩვენი მსგავსი ადამიანების განვითარება. როგორც მათი კულტურა განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ასევე ჩვენი კულტურებიც განსხვავებულია. ანთროპოლოგები დაინტერესებულები არიან ამ მსგავსებებითა და განსხვავებებით, მათი გამომწვევი მიზეზებით.

ნებისმიერ მოსახლეობაში ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გარეგნობით: კანის ფერით, სიმაღლით და ა. შ. ან შინაგანი თვისებებით — სისხლის ტიპით, დაავადებებისადმი მედეგობით. თუ ამ თვისებათა სიხშირეს გავზომავთ, აღმოვაჩენთ ტიპურ განსხვავებებს ამა თუ იმ ტერიტორიის მოსახლეობათა შორის. მაგალითად, ზოგიერთ ჯგუფს უფრო მუქი ფერის კანი აქვს, ვიდრე სხვას.

რატომ აღინიშნება ეს განსხვებები? ეს მნიშვნელოვანწილად გენებში არსებული განსხვავებებითაა განპირობებული ან კონკრეტულ ფიზიკურ თუ კულტურულ გარემოში განვითარებით, შესაძლოა, მიზეზი ორივე ფაქტორი იყოს.

ჩვენ განვიხილავთ პირველ რიგში იმ პროცესებს, რომლებიც, ერთად თუ ცალ-ცალკე, სხვადასხვა მოსახლეობაში ამა თუ იმ ფიზიკურ თვისებას იწვევენ. შემდეგ განვიხილავთ გარეგან და შინაგან განსხვავებებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს. ბოლოს კი ვისაუბრებთ რასების კლასიფიკაციასა და იმაზე, გვეხმარება თუ არა ის ადამიანთა ვარიაციის შესწავლაში.

ადამიანის ვარიაციისა და ადაპტაციის პროცესები

მუტაცია — გენის სტრუქტურული ცვლილებები — ყველა სახის გენური ვარიაციის ძირითადი წყაროა. იმის გამო, რომ გენი განსაზღვრავს გადარჩენისა და გამრავლების შესაძლებლობას, ბუნებრივი გადარჩევის გზით შეირჩევა ის გენები, რომლებიც უფრო ჯანსაღია. ჩვენ ამ პროცესს **ადაპტაციას** ვუწოდებთ. ადაპტაცია არის გენეტიკური ცვლილება, რომელიც მის მატარებელს გადარჩენის უკეთეს შესაძლებლობას აძლევს იმათთან შედარებით, ვინც იმავე გარემოში ცხოვრობს, მაგრამ ეს ცვლილებები არ აღენიშნება. სწორედ გარემო განსაზღვრავს საუკეთესო ცვლილებების გავრცელებას.

გენის ან დამახასიათებელი ნიშნის ადაპტაციის უნარი, როგორ არის დამოკიდებული გარემოზე. ის, რაც ადაპტირებადია ერთ გარემოში, შეიძლება არ იყოს ადაპტირებადი მეორეში. მაგალითად, გენეტიკისა და ევოლუციის შესახებ თავში ჩვენ განვიხილეთ შავი ჩრჩილის უპირატესობა თეთრთან შედარებით, როცა ინგლისის ნაწილში ინდუსტრიალიზაცია მოხდა. მტაცებლები მუქი ხის ფონზე შავ ჩრჩილს ვეღარ ამჩნევდნენ და ამ უკანასკნელის რაოდენობამ თეთრისას გადააჭარბა. ანალოგიურად, ადამიანები სხვადასხვა პირობებში ცხოვრობენ, ასე რომ, ბუნებრივი გადარჩევა ხელს უწყობს ამა თუ იმ გენს ან თვისებას. როგორც ქვემოთ ვნახავთ, კანის ფერისა და სხეულის აგებულებაში განსხვავებები ნაწილობრივ მაინც ბუნებრივი გადარჩევითაა განპირობებული.

ბუნებრივი გადარჩევის გზით ადაპტაციაზე არ არის დამოკიდებული ნეიტრალური ნიშნები — ანუ ნიშნები, რომლებიც არ განსაზღვრავენ ადამიანის უპირატესობასა თუ ნაკლს. ზოგჯერ განსხვავეული და ზოგჯერ მსგავსი თვისებები გენური მსვლელობით ან გენური მიმდინარეობით არის განპირობებული. როგორც გენეტიკისა და ევოლუციის შესახებ თავში ვისაუბრეთ, მოსახლეობის ვარიაცია ხდება გარკვეული პროცესების ხელშეწყობით. მაგალითად, იზოლაცია ("დამაარსებლის ეფექტი"), დაწყვილების მოდელი, მეიოზის დროს ქრომოსომების სეგრეგაცია. გენეტიკური მსვლელობა გულისხმობს მოსახლეობებს შორის გენების ცვლილებას. არც ერთი ეს პროცესი ადაპტაციური არ ყოფილა, მაგრამ განსხვავებები გამოიწვიეს. გენური მიმდინარეობა საპირისპირო მიმართულებით მოქმედებს — ის ადამიანებს შორის განსხვავებებს ამცირებს.

აკლიმატიზაცია

ბუნებრივმა გადარჩევამ შეიძლება ხელი შეუწყოს გარკვეული სახის გენს, ფიზიკური გარემო პირობების გამო, როგორც ეს ვნახეთ ინგლისში ჩრჩილების შემთხვევის განხილვისას. მაგრამ ფიზიკურმა გარემომ, შესაძლოა ვარიაცია მოგვცეს გენეტიკური ცვლილებების გარეშე. ქვემოთ ვნახავთ, რომ კლიმატი დიდ ზეგავლენას ახდენს სხეულის ზრდასა და განვითარებაზე და აქედან გამომდინარე, ადამიანთა შორის ვარიაციები გარემო ვარიაციით აიხსნება. ამ პროცესს აკლიმატიზაცია ეწოდება და გულისხმობს ადამიანის ფიზიოლოგიურ შეთავსებას გარემო პირობებთან. აკლიმატიზაციის მიღმა შეიძლება გენეტიკური ფაქტორიც იდგეს, მაგრამ ის გენეტიკურ ხასიათს მაინც არ ატარებს. ეს ადამიანის შეძენილი თვისებაა, და არა თანდაყოლილი.

ხშირ შემთხვევაში, აკლიმატიზაცია სხეულის ფიზიოლოგიური ცვლილებაა, რომელიც თავს იჩენს, ან ქრება გარემოს ცვლიელბების მიხედვით. მაგალითად, სიცივეში ჩვენი სხეული კუნთების ამუშავების გზით სითბოს გამოყოფს – ეს არის საპასუხო რეაქცია და ჩვენ მას კანკალს ვუწოდებთ. თუ ცივი ამინდი დიდხანს გრძელდება, ჩეენს სხეულში მეტაბოლური მაჩვენებლები და შინაგანი სითბოს გამოყოფა იზრდება. ორივე ფიზიოლოგიური ცვლილება აკლიმატიზაციაა: ხანმოკლე (კანკალი) და ხანგრძლივი (გაზრდილი მეტაბოლიზმი).

როგორც ქვევით განვიხილავთ, ძნელია ხანმოკლე აკლიმატიზაცია ადაპტაციისგან გავარჩიოთ, რადგან ის ჩვეულებრივ პროცესად ყალიბდება და შეიძლება განსხვავებულ გარემოში გადასვლამდეც. ხშირად აკლიმატიზაცია ახლოს დგას გენეტიკურ ადაპტაციასთან. მაგალითად, გარუჯვა ღია ფერის კანის ადამიანების ადაპტაცია მაღალ რადიაციასთან დაკავშირებულია იმასთან, რომ ღია ფერის კანი შეგუებულია დაბალ ტემპერატურას.

კულტურული გარემოს გავლენა

ადაპტაციისა და აკლიმატიზაციისას ადამიანი არა მხოლოდ გარემოს ზეგავლენის ქვეშ ექცევა, არამედ როგორც წინა თავებში ვნახეთ, თვითონაც ზემოქმედებს გარემოზე. კულტურა, მას გარემოს შეცვლის შესაძლებლობას აძლევს, რაც გენეტიკური ადაპტაციისა და ფიზიოლოგიური აკლიმატიზაციის შესაძლებლობებს ამცირებს. მაგალითად, სიცივის დაძლევა შეიძლება სახლებში ცხოვრებით, გასათბობი საშუალების მოძებნით, შემოსვით. ამ გზით, ჩვენ "მიკროგარემოს" ვცვლით. რკინის ნაკლებობა გადაიჭრება რკინის ქვაბებში საჭმლის მომზადებით. თუ ფიზიკურ გარემოში რომელიმე ნივთიერების ნაკლებობაა, ჩვენ მას ვაჭრობის გზით მოვიპოვებთ. მსოფლიო ისტორიაში გავრცელებულია მარილით ვაჭრობა. კულტურა გავლენას ახდენს აგრეთე ბუნებრივი გადარჩევის მიმართულებაზე. როგორც შემდგომში ვნახავთ, რძის პროდუქტების გავრცელებამ გაზარდა იმ გენების სიხშირე, რომლებიც ადამიანს რძის მონელებაში ეხმარება.[1]

ამასთან, ინდივიდუალური კულტურა ხშირად სხვადასხვა კულტურებს შორის ქცევის განსხვავებას უწყობს ხელს. მაგალითად, ანდების მაღლობებში საზოგადოების (მაგალითად, ინკების) ელიტაში მიღებული იყო თავის შეხვევა. ელიტურ ბავშვებს თავს მჭიდროდ უხვევდნენ. ამის გამო, მათი თავის ქალა წაგრძელებულ, თითქმის კონუსისებრ ფორმას იღებდა. კულტურულმა ჩვეულებამ განაპირობა ელიტური ჯგუფის განმასხვავებელი თავისებურებები.[2] ასეთი მცდელობა ყველა კულტურაში შეიმჩნეოდა. მაგალითად, ებრაული ბიბლია გვიამბობს, რომ ღმერთმა აბრაამს თავისი შთამომავლების წინადაცვეთა უბრძანა აღთქმის ნიშნად.[3] ამრიგად, აბრაამის ყველა შთამომავალი იზიარებს კულტურით განპირობებულ ფიზიკურ ვარიაციას, რაც მათ უნიკალურობას განაპირობებს.

მომდევნო სექციაში ჩვენ განვიხილავთ ადამიანის (ფიზიკური) ვარიაციის ზოგიერთ ასპექტს, რომლებიც ზემოთ აღწერილი პროცესით აიხსნება.

ფიზიკური ვარიაციები მოსახლეობაში

ყველაზე შესამჩნევი ვარიაციები, რაღა თქმა უნდა, გარეგნულია — სხეულის აგებულება, სახის ნაკვთები, კანის ფერი და სიმაღლე. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია შინაგანი განსხვავებები — დაავადებისადმი მედეგობა და სხვადასხვა ნივთიერების გამომუშავების შესაძლებლობა.

სხეულის აგებულება და სახის წყობა

მეცნიერების აზრით, მრავალი ფრინველისა და ძუძუმწოვრის სხეულის აგებულება გარემოს ტემპერატურაზეა დამოკიდებული. მე-19 საუკუნის ორმა ნატურალისტმა — ბერგმანმა და ალენმა ჩამოაყალიბეს ზოგადი წესები ცხოველებისათვის, მაგრამ მხოლოდ 1950-იან წლებში შეამოწმეს, იგივე წესები ვრცელდებოდა თუ არა ადამიანებზე.[4] **ბერგმანის წესი** განსაზღვრავს ჩვეულებრივ დამოკიდებულებას სხეულის ზომასა და ტემპრეატურას შორის. გამხდარი მოსახლეობა ძირითადად თბილ ტერიტორიებზე ცხოვრობს და პირიქით, შედარებით მსუქანი მოსახლობა — გრილ ტერიტორიებზე.

დ.ფ. რობერტსის მიერ იმ ადამიანების წონის გამოკვლევამ, რომლებიც განსხვავებული ტემპერატურის პირობებში ცხოვრობენ, ბერგმანის მოსაზრება გაამყარა.[5] რობერტსმა აღმოაჩინა, რომ მცირე წონის ადამიანები იმ ტერიტორიებზე სახლობდნენ, სადაც მაღალი იყო საშუალო წლიური ტემპერატურა და პირიქით. სურ. 12-1 გვიჩვენებს დამოკიდებულებას მამაკაცის სხეულის წონასა და ოთხი სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილის საშუალო ტემპერატურას შორის. მიუხედავად იმისა, რომ დამოკიდებულების მრუდი ოდნავ განსხვავებულია, ტენდენცია უცვლელია — რაც უფრო დაბალია ტემპერატურა, მით მეტია წონა. ზოგად ტენდენციას რომ დავაკვირდეთ (მრუდი "მთლიანი"), ვნახავთ, რომ დაბალი ტემპერატურის პირობებში (00 C; 320) მამაკაცის საშუალო წონა 65კგ-ია (143 გირვანქა). მაღალი ტემპერატურის პირობებში კი (250 C, 770) – 50 კგ (110 გირვანქა).

ალენის წესი ფრინველებისა და ძუძუმწოვრების სხეულის აგებულებების ვარიაციას ეხება: სხეულის გამოყოფილი ნაწილები (მაგალითად, კიდურები) შედარებით მოკლეა გრილ ადგილებში, ვიდრე თბილ ადგილებში. ადამიანის შესახებ კვლევები ალენის წესს ადასტურებს.[6]



თავის ქალა სიკასიკადან, ბოლივიიდან, აშკარაა თავის შეხვევის შედეგი, შუბლიც მაღალი და ბრტყელი.

ამ თეორიის მიხედვით, გრძელკიდურიანი გამხდარი სხეული, რომელიც ეკვატორის მახლობელ რეგიონებშია გავრცელებული, უზრუნველყოფს სითბოს იოლად გაცემას, ხოლო მოკლეკიდურებიანი ადამიანის სხეული ამ სითბოს ინარჩუნებს. ბერგმანისა და ალენის წესების მაგალითია ესკიმოსების აგებულება. მათი მოზრდილი სხეული და მოკლე ფეხები ხელს უწყობს ცივ ტემპერატურასთან ადაპტაციას.

უცნობია, ადამიანების სხეულის აგებულებაში განსხვავებები მხოლოდ სხვადასხვა გენის ბუნებრივი გადარჩევის შედეგია თუ არა. ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, აკლიმატიზაციის გამო შეძენილი იყოს.[7] ალფონს რიზერფილდმა ექსპერიმენტის გზით დაამტკიცა, რომ სხეულის ზრდისა და განვითარების დროს დიდი გავლენა აქვს კლიმატს. ცივ პირობებში გაზრდილ ვირთხებს დაახლოებით იგივე ცვლილებები აღენიშნებოდათ, რაც ცივ გარემოში მცხვოვრებ ადამიანებს — მაგალითად, ძვლების დამოკლება (ალენის წესი).[8]

გარემო ზემოქმედებს სახის აგებულებაზეც. რიზენფილდის ექსპერიმენტით დამტკიცდა, რომ ვირთხების სახის სიგანე ცივ პირობებში იზრდებოდა, ნესტოები კი ვიწროვდებოდა.[9] რამდენადაც სიცივეში და სითბოში გაზრდილი ვირთხები გენეტიკურად იდენტურები იყვნენ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ცვლილებები გარემომ განაპირობა და არა გენებმა. უცნობია, რამდენად ზემოქმედებს გარემო ადამიანის სახის აგებულებაზე, თუმცა ერთმანეთს ვუკავშირებთ კლიმატის ვარიაციასა და სახის ვარიაციას. მაგალითად, ნოტიო ტროპიკებში მცხოვრებ ადამიანებს აქვთ მოკლე, ფართო და ბრტყელი ცხვირი, ხოლო ნაკლებად ნოტიო (მშრალი ან ცივი ტემპერატურის) ტერიტორიაზე მცხოვრებლებს — გრძელი, თხელი ცხვირი. ვიწრო ცხვირი კი უფრო მშრალ ჰავაზე მიუთითებს.[10]

კანის ფერი

ადამიანები ერთმანეთისაგან კანის ფერითაც განსხვავდებიან. ბევრი კანის ფერს რასის ძირითად მაჩვენებლად მიიჩნევს და ამის საფუძველზე მისი მატარებლისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენს. ანთროპოლოგები არა მხოლოდ კრიტიკულად უყურებენ ამ მოსაზრებას, არამედ იმასაც აღნიშნავენ, რომ კანის ფერი წარმოშობის ძირითადი მაჩვენებელი სულაც არაა. მაგალითად, ძალიან მუქი ფერის კანი გავრცელებულია აფრიკაში, თუმცა სამხრეთ ინდოეთის ზოგიერთ ადგილობრივ მაცხოვრებელს შეიძლება უფრო მუქი კანიც კი ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, რომ არც გენეტიკურად და არც ისტორიულად აფრიკას არ უკავშირდება.

რითი აიხსნება კანის ფერის ასეთი მრავალფეროვნება მსოფლიოში? ის დამოკიდებულია როგორც მუქ პიგმენტზე (მელანინზე), ასევე კანის მცირე კაპილარებში სისხლის რაოდენობაზე.[11] მიუხედავად იმისა, რომ კანის ფერის გენეტიკა ბოლომდე შესწავლილი არაა, ჩვენ რამდენიმე თეორიის განხილვა მაინც შეგვიძლია.

კანში მელანინის რაოდენობა უკავშირდება გარემოს, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. გლოგერის წესის მიხედვით, თბილ კლიმატში მცხოვრებ ფრინველებსა და ძუძუმწოვრებს უფრო მეტი მელანინი და შესაბამისად მუქი კანი ან ბუმბული აქვთ, ცივ ტერიტორიზე მცხოვრებლებთან შედარებით. მთლიანობაში, კლიმატთან კავშირი ისევე ვრცელდება ადამიანებზე, როგორც ფრინველებსა და ძუძუმწოვრებზე.

მუქკანიანი მოსახლეობა უფრო თბილი და მზიანი კლიმატის პირობებში ცხოვრობს (სურ. 12-2). მუქი პიგმენტაცია ასეთ შემთხვევებში ერთგვარი უპირატესობაა. მელანინი იცავს კანის შიდა მგრძნობიარე შრეებს მზის მავნე ულტრაიისფერი სხივებისაგან, შესაბამისად, მზიან



სურათი 12-1 **დამოკიდებულება მამაკაცების სხეულის წონასა და საშუალო წლიურ ტემპერატურას შორის მოსახლეობის ოთხი ძირითადი ჯგუფის მიხედვით.**

დ.ფ. რობერტსი, "სხეულის წონა, რასა და კლიმატი", ანთროპოლოგიის ამერიკული ჟურნალი, 11 (1953): სურ. 2. წარმოდგენილია სტივენ ჯონსის, რობერტ მარტინისა და დევიდ პილბიმის გამოცემაში. კემბრიჯის ადამიანის ევოლუციის ენციკლოპედია. საავტორო უფლებები დაცულია. 1992. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა. იბეჭდება კემბრიჯის უნივერსიტეტის ნებართვით.

ეს ინუიტი მამა-შვილი ალენის წესის მაგალითი. მათ აქვთ მოზრდილი სხეული და მოკლე კიდურები, რაც ეხმარება მათ სითბოს შენარჩუნებაში.



მაზაის მწყემსები ბერგმანის წესის ნათელი მაგალითი. მათ აქვთ გრძელი კიდურები, გამხდარი ტანი, რომელიც ეკვატორის მოსახლეობისთვის არის დამახასიათებელი. სხეულის ასეთი ტიპი უზრუნველყოფს სითბოს გაცემას.

ტერიტორიაზე მცხოვრები მუქკანიანი ადამიანები უფრო დაცული არიან დამწვრობისა და კანის კიბოსგან, ვიდრე თეთრკანიანები. კანის მუქ ფერს კიდევ ერთი უპირატესობა აქვს — ტროპიკული დაავადებებისადმი გამძლეობის უნარი.[12]

მაშინ რა არის ღია ფერის კანის უპირატესობა? სავარაუდოდ, ის უნდა არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველას მუქი კანი გვექნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ღია ფერის კანი უფრო მგრძნობიარეა დამწვრობისა და კანის კიბოსადმი, მის მიერ შთანთქმული ულტრაიისფერი რადიაცია ხელს უწყობს ორგანიზმში D ვიტამინის გამოყოფას, რომელიც თავის მხრივ, კალციუმს უზრუნველყოფს, რაც ძვლების ზრდისა და გამაგრებისთვის აუცილებელია. თუმცა D ვიტამინის სიჭარბე ხშირად დაავადებასაც იწვევს. ამრიგად, ღია ფერის კანი ულტრაიისფერი დასხივების მაქსიმუმს იღებს და ამით უზრუნველყოფს D ვიტამინის საჭირო რაოდენობას მაშინ, როცა მუქი კანი პირიქით, ულტრაიისფერი სხივებისადმი უფრო მედეგია და ზღუდავს ვიტამინს.[13] ღია ფერის კანს კიდევ ერთი უპირატესობა აქვს — უფრო ყინვაგამძლე.[14]

ახლა ჩვენ უკვე ნათლად ვხედავთ კავშირს მზის რადიაციასა და კანის პიგმენტაციას შორის. ანთროპოლოგებმა, ნინა ჯაბლონსკიმ და ჯორჯ ჩაპლინმა ნასას სატელიტური მონაცემები გამოიყენეს იმის დასადგენად, თუ საშუალოდ რა რაოდენობის ულტრაიისფერ რადიაციას იღებენ ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, შემდგომ კი ეს შეადარეს კანის არეკლვის უარიანობას (რაც უფრო ღია ფერისაა კანი, მით მეტ სინათლეს ირეკლავს) და აღმოაჩინეს, რომ იმ ადგილებში, სადაც რადიაცია ინტენსიურია, უფრო გავრცელებულია მუქი კანი. საინტერესოა ერთი გამონაკლისი: მკვიდრ ამერიკელებს უფრო ღია ფერის კანი აქვთ, ვიდრე ნავარაუდევი იყო. ჯაბლონსკი და ჩაპლინი ამას იმით ხსნიან, რომ ახალი სამყაროს მიგრან-

ტების კანმა ვერ მოასწრო რადიაციასთან ადაპტაცია ისევე, როგორც ევროპელი კოლონისტების კანმა.[15]

ადაპტაცია სიმაღლესთან

ზღვის დონის ჰაერში ჟანგბადის ხვედრითი წილი დაახლოებით 21%-ია. ის არ იცვლება სიმაღლის მატებასთან ერთად, მაგრამ დაბალი ბარომეტრული წნევის გამო, ნაკლებ ჟანგბადს ვისუნთქავთ.[16] სუნთქვა და გულისცემა ხშირდება და ნებისმიერი საქმის კეთება რთულდება. შედეგად ვგრძნობთ დისკომფორტს და ვითარდება **ჰიპოქსია** — ჟანგბადის უკმარისობა.

თუკი სიმაღლე ასეთ გართულებას იწვევს, მაშინ როგორღა ცხოვრობს მილიონობით ადამიანი 6, 12, 17 ათასი ფუტის სიმაღლეზე? ჰიმალაისა და ანდების მოსახლეობაში აღინიშნება ადაპტაცია გარემოსთან ისე, რომ ისინი არ ეჩეხებიან ამგვარ გართულებებს; მეტიც, ისინი შეეჩვივნენ უკიდურეს სიცივეს, დეფიციტურ კვებას, ძლიერ ქარებს, უხეშ გარემოსა და მზის ინტენსიურ რადიაციას.[17]

ანდის მოსახლეობის ადრეული შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ისინი ფიზიკურად რამდენადმე განსხვავდებოდნენ ბარის მოსახლეობისაგან: ჰქონდათ ფართო გულმკერდი და დიდი მოცულობის ფილტვები, ასევე ფილტვის ფართო კაპილარები (რომლებიც სისხლში ჟანგბადის გადაცემას უზრუნველყოფენ).[18] მკვლევარებს მიაჩნდათ, რომ გენეტიკური ცვლილებები ანდების მოსახლეობას დაბალი ბარომეტრული წნევის პირობებში მეტი ჟანგბადის მიღების შესაძლებლობას აძლევდა. თუმცა უახლესმა გამოკვლევებმა ეს დასკვნა ეჭვქვეშ დააყენა. როგორც ჩანს, მაღალ რეგიონებში მცხოვრებ ყველა მოსახლეს როდი ახასიათებს იგივე ნიშნები. მაგალითად, ჰიმალაის ბარსა და მთაში მაცხოვრებლები გულმკერდის ან ფილტვების ზომით არ განსხვავდებიან და ფილტვების ფუნქციონირებაც იდენტური აქვთ.[19]

ამრიგად, უკანასკნელი გამოკვლევის თანახმად, მაღალ რეგიონებში ცხოვრება გენეტიკურად განპირობებულ ბიოლოგიურ ადაპტაციას არ ითხოვს. როგორც ჩანს, მაღალმთიან გარემოსთან და ჰიპოქსიასთან ადაპტაციას ადამიანი ახერხებს. მაგალითად, პერუელებს, რომლებიც ზღვის დონეზე დაიბადნენ, მაგრამ მაღალ ადგილებში გაიზარდნენ, იგივე მოცულობის ფილტვები აქვთ, რაც მთაში დაბადებულ გაზრდილ სხვა ადამიანებს.[20] გარემოს გამო, იმავე მოსახლეობის ახალ თაობას, რომელიც დაბალმთიან რეგიონებში გაიზარდა, არ ახასიათებს ისეთივე გულმკერდი. რაც ადრე გენეტიკურ ადაპტაციად მიიჩნეოდა, აკლიმატიზაცია აღმოჩნდა, რომელიც ადრეულ ბავშვობაში ყალიბდება. როგორც სხვა თვისებების შესწავლა გვიჩვენებს, ცხოვრების წესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზრდაზეც.

სიმაღლე

იდენტური ტყუპების შესწავლა, მშობლებისა და შვილების სიმაღლეთა შედარება გვიჩვენებს, რომ სიმაღლის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მემკვიდრეობა.[21] ასე რომ, გენეტიკური განსხვავებები ნაწილობრივ მაინც განაპირობებენ განსხვავებებს მოსახლეობის საშუალო სიმაღლეში, მაგრამ თუ საშუალო სიმაღლე შეიძლება რამდენიმე დეკადის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდოს, როგორც იაპონიაში 1950-1980 წწ. და უამრავ სხვა ქვეყანაში, მაშინ გამოდის, რომ გარემოც გარკვეულ გავლენას ახდენს.

საშუალო სიმაღლის ვარიაცია შეიძლება გარკვეულწილად ტემპერატურის განსხვავებითაც აიხსნას. ევ-



სურათი 12-1 **კანის ფერის ვარიაცია**

ეშლი ჰ. რობინსის ადამიანის პიგმენტაციის ბიოლოგიური პერსპექტივები. საავტორო უფლებები დაცული. 1991. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა. იბეჭდება კემბრიჯის უნივერსიტეტის ნებართვით.

როპაში ჰოლანდიელები მსოფლიოში ყველაზე მაღალ მოსახლეობად ითვლება, როგორც მბუტი, ზირში ცენტრალურ აფრიკაში — ყველაზე დაბლად.23 როგორც ვიცით, საშუალო წლიური ტემპერატურა გავლენას ახდენს წონაზე (ბერგმანის წესი). წონა კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია სიმაღლესთან (მაღალი ხალხი მეტი წონისაა). ასე რომ, რადგან მაღალი (მძიმე) ჰოლანდიელები უფრო გრილ კლიმატში ცხოვრობენ, სიმაღლის ვარიაცია შეიძლება სიცხისა და სიცივის შეგუებასთან იყოს დაკავშირებული.24 სიცხესა და სიცივესთან ერთად, შესაძლოა, სხვა ფაქტორებიც მოქმედებდნენ, რადგან მაღალი და დაბალი ადამიანები მსოფლიოს ყველა კუთხეში არიან.

ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ წონისა და სიმაღლის შემცირება ცუდ კვებასა და დაავადებებს უკავშირდება. მსოფიოს ბევრ რეგიონში მაღალი სოციალური კლასის ბავშვები საშუალოდ უფრო მაღლები არიან, ვიდრე დაბალი სოციალური კლასის25 და ეს განსხვავებები ღარიბ ქვეყნებში უფრო თვალსაჩინოა, სოციალურ კლასებს შორის ქონებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის უფრო ღრმა დიფერენციაციის გამო. ომიანობისა და ცუდი კვების პირობებში მცირდება ბავშვების სიმაღლე. მაგალითად, II მსოფლიო ომის განმავლობაში 7-17 წლის გერმანელი ბავშვები სიმაღლეში უფრო დაბლები იყვნენ ნინა პერიოდის ბავშვებთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად სიმაღლე იზრდებოდა.27

ცუდი კვებისა და ავადმყოფობის გავლენა უფრო ცხადდება ერთი და იგივე ადამიანების ხანგრძლივი შესწავლისას. მაგალითად, რეინალდო მარტორელმა აღმოაჩინა, რომ გვატემალელი ბავშვები, რომლებიც დიარეით იყვნენ დაავადებულები, საშუალოდ 1 დიუმით დაბლები იყვნენ, ვიდრე ჯანმრთელები.28 მიუხედავად იმისა, რომ ცუდად გამოკვებილი და დაავადებული ბავშვები ნორმალურად იზრდებიან, გვატემალელი ბავშვების გამოკვლევა ცხადყოფს, რომ თუ დაავადება 3 წლამდე იჩენს თავს, 18 წლის ასაკში სიმაღლე შემცირდება.29

საპირისპირო ხასიათის კვლევები უკავშირდება გარემოს სხვადასხვა ფაქტორს. განიხილება ფიზიკური და ემოციური სტრესი ბავშვობაში.30 როგორც აღმოჩნდა, ყველა სტრესი როდია მავნე, ზოგიერთი სიმაღლის ზარდასაც კი იწვევს. სტრესის ზეგავლენა შეისწავლეს ვირთხებზე ექსპერიმენტის ჩატარებით. შედეგად კი აღმოჩნდა, რომ ის ვირთხები უფრო გრძელი და მძიმე წონისა იყვნენ, რომლებზეც ექსპერიმენტი ტარდებოდა. მკვლევარები თავდაპირველად მიიჩნევდნენ, რომ ეს მზრუნველობისა და განებივრების შედეგი იყო, მაგრამ შემდეგ შენიშნეს, რომ ისინი შეშინებულები ჩანდნენ (ისაქმებდნენ მიალერსებისას), რამაც უკარნახათ, რომ მზრუნველობა მათთვის სტრესი იყო. შემდგომი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ უფრო დიდი სტრესი — ელექტროშოკი, ვიბრაცია და უკიდურესი ტემპერატურები ძვლების გაზრდის მიზეზი ხდებოდა.

ტომას ლენდაუერი და ჯონ უაიტინგი მიიჩნევდნენ, რომ ბავშვობის დროინდელი სტრესები იწვევდნენ სიმაღლის ზრდას მოზრდილობისას. მრავალ კულტურაში აღინიშნება ბავშვების ფიზიკურ სტრესქვეშ მოქცევა: შეზღუდვით, კანის ბასრი ობიექტებით დასერვით, ცხვირის, ყურებისა და ტუჩების გახვრეტით ორნამენტების ჩასასმელად, თავისა და კიდურების შეხვევითა და გაწელვით კოსმეტიკური მიზნებისთვის, ვაქცინაცია. ამასთან, გუნდერსი და უაიტინგი მიიჩნევენ, რომ კიდევ ერთი სტრესია ბავშვის დედასთან ადრეული დაშორება. მათ მიერ გაკეთებული კულტურული შედარებისას31 აღმოჩნდა, რომ ფიზიკური სტრესისა და დედა-შვილის დაშორებით გამოწვეული სტრესი 2 წლამდე ასაკში ზრდის სიმაღლეს: მამაკაცები არიან საშუალოდ 2 დიუმით მაღლები (აღსანიშნავის, რომ ეს სტრესი უნდა იყოს მოკლე და ერთჯერადი და არა გაგრძელებული, რასაც საპირისპირო შედეგი მოაქვს).

იმის გამო, რომ კულტურული ნიშნები ასოციაციურია და არა ექსპერიმენტული, შესაძლებელია შედეგები განპირობებული იყოს სტრესთან დაკავშირებული სხვა ფაქტორებით. შესაძლებელია საზოგადოებებს, სადაც შეინიშნებოდა ბავშვთა სტრესები, ახასიათებთ უკეთესი კვება ან სიმაღლის ხელშემწყობი კლიმატი. უახლესი კულტურული შედარებების გამოყენებით პატრიკ გრეიმ და ლინდა ვოლფმა სცადეს, განესაზღვრათ სიმაღლეში არსებული განსხვავებების მიზეზი. ერთმანეთს შეადარეს საკვები, კლიმატის, გეორგაფიული ფაქტორები, აგრეთვე ფიზიკური სტრესი. ანალიზმა აჩვენა, თუ რომელი ფაქტორი განსაზღვრავდა სიმაღლეს დანარჩენებისგან დამოუკიდებლად. აღმოჩნდა, რომ ასეთი ფაქტორები იყო გეოგრაფიული რეგიონი, კლიმატური ზონა და საბავშვო სტრესის თავისებურებანი.32 შედეგები აჩვენებს, რომ ამ უკანასკნელის უგულებელყოფა არ შეიძლება.

სტრესის ჰიპოთეზას ადასტურებს კენიაში ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევა.33 ლენდაუერმა და უაიტინგმა 2 წლამდე ბავშვები ორ ჯგუფად დაყვეს – პირველს

მაღალმთიანი ანდების მოსახლეობას აქვს ფართო გულ-მკერდი და ფილტვების უფრო დიდი მოცულობა. ეს განსხვავებები სიმაღლესა და ჟანგბადის ნაკლებობასთან აკლიმატიზაციად მიიჩნევა.

ვაქცინაცია 2 წლამდე გაუკეთეს, მეორეს კი – 2 წლის შემდეგ. რამდენიმე წლის მერე შეადარეს მათი სიმაღლეები. აღმნოჩნდა, რომ 2 წლამდე ვაქცინირებულები უფრო მაღლები იყვნენ. რამდენადაც ბავშვები წინასწარ არ ყოფილან შერჩეულნი, გამოირიცხება კვებისა თუ სხვა ფაქტორის ზემოქმედება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიოს რამდენიმე რეგიონში ადამიანების საშუალო სიმაღლე სულ უფრო იზრდებოდა. რა განაპირობებს ამ ტენდენციას? აქაც შეიძლება რამდენიმე ფაქტორი იყოს ჩართული. ზოგიერთი მკვლევარი მიზაზად კვების გაუმჯობესებასა და ინფექციური დაავადებების იშვიათობას ასახლებს.[34] გარდა ამისა, გაიზარდა სტრესი ბავშვებში, რადგან ისინი ძირითადათ საავადმყოფოებში ჩნდებიან, შესაბამისად, დედისგან შორს მცირე ხანს არიან, უტარდებათ სამედიცინო ტესტები, მათ შორის სისხლის ანალიზი. გახშირდა სხვადასხვა სახის საბავშვო ვაქცინაციაც.[35]

ამრიგად, განსხვავებებს სიმაღლეში კვებისა და სტრესის ფაქტორებთან ერთად განაპირობებს როგორც ადაპტაცია, ისე აკლიმატიზაცია. ადამიანებს შორის განსხვავებები ხშირად რამდენიმე, არა მხოლოდ გენეტიკური, ფაქტორის შედეგი.

ინფექციური დაავადებებისადმი გამძლეობა

ზოგიერთ ხალხს მემკვიდრეობით აქვს ინფექციური დაავადებებისადმი მიდრეკილება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს, რომლებიც წარსულში ხშირად იყვნენ დაავადებული ამა თუ იმ ინფექციური დაავადებით, გამოუმუშავდათ გენეტიკური თავისებურებები, რაც ამ დაავადებათა მავნე გავლენას ამცირებს. როგორც არნო მოტულსკი აღნიშნავს, თუ არსებობს გენები, რომლებიც ადამიანებს სიკვდილისგან იცავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს გენები უფრო გავრცელებული იქნება მომდევნო თაობებში.[36]



ბოლო პერიოდში აღინიშნება მნიშვნელოვანი ზრდა საშუალო სიმაღლეში, რაც გარემო ფაქტორებით უნდა იყოს განპირობებული. სურათზე ვხედავთ ჩინელ ამერიკელ გოგონას, რომელიც დედაზე დიდი, თითქმის მამის სიმაღლე აქვს.

ამ თეორიას ამტკიცებს კურდღლების მიქსომატოზის საველე კვლევაც. როცა ამ დაავადების გამომწვევი ვირუსი ავსტრალიაში პირველად გამოჩნდა, ცხოველების 95% დაიღუპა, მაგრამ ყოველი მომდევნო თაობა სულ უფრო მეტად უძლებდა ეპიდემიას და დაღუპულთა რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდებოდა. ამრიგად, აღმოჩნდა, რომ კურდღლებს განუვითარდათ მიქსომატოზიის მიმართ გარკვეული გენეტიკური გამძლეობა.[37]

იმავე სურათს ვხედებით ადამიანებშიც. ტუბერკულოზი ფატალურია იმ მოსახლეობისთვის, რომელსაც მასთან ადრე შეხება არ ჰქონია. მაგრამ ზოგიერთს აქვს მემკვიდრეობით მიღებული გამძლეობა ტუბერკულოზის მიმართ. მაგალითად, აშკენაზი ებრაელები (რომელთა წინაპრები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპიდან იყვნენ) ერთ-ერთი იშვიათი ჯგუფია, რომელთა წინაპრებმაც ტუბერკულოზის ეპიდემიას გაუძლეს ევროპის გადატვირთულ დასახლებებში ცხოვრებისას. მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზით დაავადებულ ადამიანთა წილობრივი მაჩვენებელი ამერიკელ ებრაელებსა და არაებრაელებში ტოლია, სიკვდილიანობა არაებრაელებში უფრო ხშირი.[38] ამ თემასთან დაკავშირებით სხვა მონაცემების შესწავლის შემდეგ მოტულსკიმ დაასკვნა, რომ „დასავლელი მოსახლეობის გამძლეობა ამ დაავადებისადმი მასთან ხანგრძლივი კონტაქტისა და ბუნებრივი გადარჩევის შედეგია.“[39]

ხშირად წითელას ბავშვების დაავადებად მივიჩნევთ, რომელიც სიკვდილს არ იწვევს, რადგან ახლა მის წინააღმდეგ ვაქცინაციას მივმართავთ, მაგრამ როცა ის პირველად გავრცელდა, დიდი მსხვერპლი ახლდა. 1949წ ბრაზილიის ტუპარის ინდიელებში 200 ადამიანი დაიღუპა. 1955 წლისთვის ამ დაავადებამ ტუპარის 2/3 შეიწირა მაშინ ეს დაავადება რეზინის შემგროვებელი ტომის მიერ იყო შემოტანილი.[40] დიდი მსხვერპლი იყო ფაერის კუნძულებზე 1846 წელს, ჰავაიზე — 1848 წ. ფიჯის კუნძულებზე – 1874 წ. ახლახან — კანადის ინუიტში. შესაძლებელია იქ, სადაც წითელასაგან სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაბალია, ადამიანებს განვითარებული ჰქონდეთ გენეტიკური გამძლეობა.[41]

მაგრამ რა გაბაპირობებს დაავადებისადმი მიდრეკილებას? ეპიდემიოლოგი ფრენსის ბლეკი მიიიჩნევს, რომ “გამძლეობის გენების ნაკლებობა ერთადერთი მიზეზი არაა. დაავადებისადმი მგრძნობიარობა შეიძლება მოსახლეობის გენეტიკურმა ჰომოგენურობამ განაპირობოს.[42] ერთ მატარებელში განვითარებული ვირუსი ადაპტაციას ახდენს გენეტიკურად იდენტურ ახალ მატარებელთან და უფრო საშიში ხდება. მაგალიათად, წითელას ვირუსი ადაპტაციას ახდენს ადამიანთან და ის ნაწილი, რომელსაც ორგანიზმი ვერ ერევა, გამრავლებას განაგრძობს. ახალ მატარებელში ვირუსი უფრო ძლიერი ხდება, მაგრამ თუ მატარებელი გენეტიკურად განსხვავებულია, ადაპტაციის პროცესი თავიდან იწყება. თავდაპირველად, ვირუსი არც ისე საშიშია, რადგან ორგანიზმს მისი დაძლევა შეუძლია.

ახლად დასახლებული ადამიანების პატარა ჯგუფს (პირველი ადგილობრივი ამერიკელები და კოლონიზატორები, რომლებიც წყნარი ოკეანის ნაპირზე სახლობდნენ) ახასიათებდა გენეტიკური ჰომოგენურობის მაღალი ხარისხი. ევროპელების მიერ შემოტანილი დაავადებები (მაგალიათდ, წითელა) აქ სასიკვდილო იქნებოდა პირველ წლებში. დადგენილია, რომ ახალ სამყაროში ევროპელებთან კონტაქტის შემდეგ დაახლოებით 56 მლნ. ადამიანი დაიღუპა ისეთი დაავადებების გამო, როგორიცაა ყვავილი და წითელა. იმავე მიზეზით მოსახლეობა შემცირდა წყნარი ოკეანი მთელ ზოლში.[43]

ანთროპოლოგიური ორიგინალები

რა არის მოსახლეობის ვარიაციის მიზეზი?

ადამიანების ვარიაციის შესწავლა რამდენიმე მეთოდით ხორციელდება. ამ თავში განხილული გენეტიკის ლაბორატორიული მეთოდებისა და მოსახლეობის საველე კვლევის გარდა, არსებობს უამრავი სხვა მეთოდი. ჯ. პატრიკ გრეი და ლინდა ვოლფი აღწერენ კულტურული მეთოდების გამოყენებას სიმაღლის ვარიაციის შესწავლისას. მათ, 132 სხვადასხვა კულტურის შედარების საფუძველზე, შექმნეს უზარმაზარი საინფორმაციო ბაზა. აღმოაჩინეს, რომ მისაღებია ტრადიციული ეკოლოგიური განმარტებები (მაგალითად, ბერგმანისა და ალენის წესები), ხოლო კულტურულ განსხვავებებზე ორიენტირებული განმარტებები ძირითადად ინფორმაციული ხასიათისაა.

მოზარდთა სიმაღლის საფუძველზე შედგენილი რუკა ქაოსურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ერთმანეთის მეზობლად რადიკალურად განსხვავებული სიმაღლის მოსახლეობა არსებობდა. ქალისა და მამაკაცის სიმაღლის შეფარდებაში განსხვავებაზე ქორწინების სისტემის ზემოქმედების შესწავლისას დავინტერესდით მისი განაწილებითაც. ანთროპოლოგიის შესავალი ტექსტების უმრავლესობაში განიხილება ორი საყოველთაოდ მიღებული განმარტება: თერმორეგულარული და კვებითი. მესამე განმარტება — სტრესის ჰიპოთეზა, იშვიათად განიხილება, მაგრამ საკმაოდ ემპირიული საფუძველი აქვს. ჩვენ გადავწყვიტეთ ამ ჰიპოთეზის განვრცობა. საბოლოო მიზანი კი აღნიშნული სამი განმარტების შედარება იყო.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ დაავადებებისადმი გამძლეობას არაგენეტიკური ფაქტორებიც განაპირობებს. მაგალითად, კულტურული საქმიანობით შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას იანომამოს ინდიელებში (ვენესუელა და ბრაზილია) წითელას ეპიდემია. იანომამოს ადამიანები ხშირად სტუმრობდნენ სხვა სოფლებს, ამით ხელს უწყობდნენ წითელას გავრცელებას. იმის გამო, რომ დაავადებულთა რიცხვი დიდი იყო, აღარ იყვნენ მომვლელები; მეტიც, წითელას მატარებელ დედებს შვილების მოვლა არ შეეძლოთ. ამრიგად, კულტურულმა ფაქტორებმა შეიძლება დაავადების გავრცელება და მოსახლეობაზე მისი შედეგების გაუარესება განაპირობოს.[44]

ინფექციური დაავადების ეპიდემია მხოლოდ მაშინ ვრცელდება, თუ ბევრი ადამიანი ერთად ცხოვრობს. საკვების შემგროვებლებს, რომლებიც ძირითადად პატარა, გაფანტულ ჯგუფებად დადიოდნენ, მეზობლად მოსახლეობა არ ჰყავდათ, ხოლო ასეთ პირობებში დაავადების მატარებელი მიკროორგანიზმები იღუპება. მეურნეებს კი პირიქით, გარს თემი ეხვეოდა და ადვილი იყო დაავადების გავრცელება. პერმანენტული დასახლებების, განსაკუთრებით ქალაქის ტიპის დასახლებებისათვის, დამახასიათებელია ცუდი სანიტარული პირობები და დაბინძურებული წყალი.[45] ტუბეკულოზი საკმაოდ ძველი დაავადებაა, მაგრამ მას მსხვერპლი მხოლოდ დასახლების, მოზრდილი თემების წარმოქმნის შემდეგ მოჰყვა.[46]

ნამგლისებრი ანემია

კიდევ ერთი ბიოლოგიური ვარიაცია სისხლის წითელი უჯრედების დარღვევაა, ე.წ. **ნამგლისებრი უჯრედის ანემია** (ნამგლისებრი ანემია — ეს არის სიტუაცია, როცა სისხლის ნორმალური წითელი დისკოს ფორმის უჯრედები ჟანგბადის ნაკლებობისას ნამგლისებრ ფორმას იღებენ). ნამგლისებრი უჯრედები ძარღვებში ისე იოლად ვერ გადაადგილდებიან და იწვევენ კიდევ უფრო მწვავე უკმარისობას, ამასთან ასეთი უჯრედები სწრაფად იხოცებიან და ანემია უარესდება.[47]

ანემიის ეს სახე გამოწვეულია ჰემოგლობინის გენეტიკური ფუნქციებით — მიაწოდოს ჟანგბადი სისხლის წითელ უჯრედებს.[48] დაავადებულებს მემკვიდრეობით აღენიშნებათ იგივე (HbS) ორივე მშობლისგან და შესაბამისად არიან ამ გენის მიმართ ჰომოზიგოტები. თუ მხოლოდ ერთი მშობლისგან — ჰეტეროზიგოტები, მათ აქვთ ერთი (Hbs) ნორმალური ჰემოგლობინისგან (HBA). ჰეტეროზიგოტები აღნიშნული დაავადების ყველა ნიშანს არ ამჟღავნებენ, მაგრამ ხშირად ანემიის მსუბუქი ფორმა აღენიშნებათ. ასეთ ადამიანებში არსებობს 50% შესაძლებლობა, რომ დაავადება ბავშვს გადაეცემა. თუ ბავშვიც ამ დაავადების მატარებელთან დაწყვილდება, მათ შთამომავალს შეიძლება ნამგლისებრი ანემია განუვითარდეს. საჭირო სამედიცინო მეთვალყურეობის გარეშე ადამიანები ორი HbS–თი დიდხანს ვერ ცოცხლობენ.[49]

რატომ არსებობს ნამგლისებრი უჯრედი სხვადასხვა მოსახლეობაში, თუკი დაავადებულები ჩვეულებრივ არ მრავლდებიან? უნდა აღინიშნებოდეს თუ არა HbS-ის შემცირება 0-მდე ნორმალიზებული გადარჩევის პირობებში. მაგრამ ეს დაავადება აღინიშნება სპეციფიკურ ადგილებში — ძირითადად აფრიკის ნოტიო ტროპიკულ სარტყელში, სადაც სიხშირე 20-30% იყო, საბერძნეთში, სიცილიასა და სამხრეთ ინდოეთში.50

1940-იან და 1950-იან წლებში მკვლევარებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ ამ დაავადების ადგილებში ანემია მოსალოდნელზე მეტადაა გავრცელებული. ჰეტეროზიგოტური ადამიანები უფრო მრავლდებოდნენ მალარიულ გარემოში[51]. თუკი ჰეტეროზიგოტები უფრო უკეთ უმკლავდებოდნენ მალარიას, ვიდრე ჰომოზიგოტები ნორმალური ჰემოგლობინით (რომლებიც HbS- ს ორივე მშობლისგან იღებდნენ), ჰეტეროზიგოტების გადარჩენისა და გამრავლების მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ და ამგვარად, მოსახლეობაში უფრო გახშირდებოდა HbS. ასეთი შედეგი ბალანსირებული გადარჩევის მაგალითია.[52]

მალარიის თეორიას უამრავი რამ ადასტურებს. პირველი, გეოგრაფიული შედარებები გვიჩვენებს, რომ ნამგლისებრი უჯრედი გავრცელებულია იმ ადგილებში, სადაც ხშირია მალარია (სურ. 12-3). მეორე, რამდენადაც ტროპიკები კარგია ბრინჯისა და იამსის მეურნეობისათვის, აღნიშნული დაავადება ძალზე გავრცელებულია. უკანასკნელი კვლევები ადასტურებს ამ რეგიონებში მალარიისა და მეურნეობის პარალელურ განვითარებას.[53] მიზეზი მალარიაა, რომელიც ძირითადად გადააქვს მწერს Anopheles gmbiae. ანოფელესი ტროპიკული ტყის მინდვრებით ჩანაცვლების შემდეგ უფრო ხშირია. ის ბუდობს თბილ, მზით განათებულ ჭაობებში. რასაკვირველია, ნამგლისებრი ანემიის შემთხვევები იზრდება ნალექისა და

მიმდინარე კვლევები და გამოცემები

ნაყოფიერებაზე მოქმედი ფაქტორები

ნაყოფიერება — შვილების რაოდენობა, განსხვავებულია სხვადასხვა მოსახლეობაში. არის ადგილები, სადაც ჩვეულებრივია, ქალს ჰყავდეს 10 ან მეტი შვილი; და ადგილები, სადაც ნორმაა 2 ან ნაკლები შვილის ყოლაა. ახლახან მიიჩნეოდა, რომ ვარიაციაზე გავლენას ახდენდა სოციალური და კულტურული ფაქტორები: რაც უფრო დიდია დაქორწინების ასაკი, დაბალია ინტიმური ურთიერთობის სიხშირე; ასევე, რაც უფრო ხშირად მიმართავენ კონტრაცეფციას, მით უფრო ნაკლები ბავშვი იბადება. ადამიანები შეზღუდულები რომ არ ყოფილიყვნენ, ნაყოფიერება უფრო მაღალი იქნებოდა. ახლა მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ნაყოფიერებაზე დიდ გავლენას ახდენს ფიზიოლოგიური ფაქტორები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის ნაყოფიერება — შვილების ყოლის ფიზიოლოგიური უნარი — განსხვავდება მოსახლეობის მიხედვითაც.

საკვების წარმოების შესახებ თავში ჩვენ განვიხილეთ, თუ რა გავლენას ახდენს ძუძუთი კვება ნაყოფიერებაზე. ბოლომდე შესწავლილი არაა ფიზიოლოგიური მექანიზმები, მაგრამ ვიცით, რომ ბავშვის მოვლა აფერხებს ხელახალ განაყოფიერებას და შესაბამისად, ზრდის ბავშვებს შორის ასაკობრივ ინტერვალსაც. შეისწავლეს კვებისა და საქმიანობის გავლენა როგორც თითოეულ ადამიანში, ისე მთელ მოსახლეობაში. როგორც ჩანს, კალორიების არასაკმარისი რაოდენობა, საკვების მკვეთრად შემცირება მაშინ, როცა სამუშაო ბევრია, ხოლო კვების რეჟიმი — უვცლელი, აფერხებს დაფეხმძიმებასა და ნორმალურ მშობიარობას. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? გამრავლება ითხოვს დამატებით ენერგიას და თუ დედა ნაყოფის გამო ბევრ კალორიასა და ნივთიერებას კარგავს, ვერ ვითარდება ნორმალური ფეხმძიმობა, შედეგად ვერ სრულდება ნორმალური მშობიარობით. თუ დედისა და ნაყოფის ან ორივეს გადარჩენის შესაძლებლობა მცირეა, ბუნებრივი გადარჩევა ხელს შეუშლის გამრავლებას.

კვებისა და საქმიანობის ნაყოფიერებაზე გავლენის შესასწავლად მკვლევარებმა უნდა გაზომონ გამრავლების პოტენცია (ნორმალური ფეხმძიმობის შესაძლებლობა). მენსტრუალური ციკლის შეწყვეტა, როცა ქალი ფეხმძიმედ არ არის, ყველაზე კარგი ნიშანია იმისა, რომ ნაყოფიერება დაბალია. თუმცა ფეხმძიმობისათვის ნორმალური მენსტრუალური ციკლი არასაკმარისია. უფრო სარწმუნო მაჩვენებელია პროგესტერონის მაღალი დონე მენსტრუალური ციკლის მეორე ნახევარში: რაც უფრო იზრდება პროგესტერონი განაყოფიერების შემდეგ, მით უფრო სავარაუდოდა, რომ განაყოფიერებული კვერცხუჯრედი გადარჩება. წარსულში მკვლევარები მხოლოდ სისხლის ძვირადღირებულ და პირდაპირ ანალიზს იყენებდნენ პროგესტერონის დონის გასაზომად, მაგრამ ახლა გამოიყენება ანალიზი, რომელიც პროგესტერონის დონეს ნერწყვის ნიმუშებიდან საზღვრავს.

ინდუსტრიულ საზოგადოებებში იმ ქალთა გამოკვლევამ, რომლებიც სერიოზული სავარჯიშოებით არიან დაკავებულები (ათლეტები და ბალერინები), გვიჩვენა, რომ მათ მენსტრუალური ციკლი დარღვეული აქვთ, შესაბამისად, განაყოფიერებაც ნაკლებადაა შესაძლებელი. ნერწყვის ტესტებით მკვლევარებს შეუძლიათ დაადგინონ ვარჯიშის და დიეტის გავლენა გამრავლების პოტენციაზე, თუნდაც იმ ქალებში, რომელთაც ციკლი აქვთ. მაგალითად, მათ დაადგინეს, რომ ნორმალური წონის ადამიანებს, რომლებიც დარბიან ან ჩვეულებრივ დიეტაზე არიან, აღენიშნებათ პროგესტერონის უფრო დაბალი დონე იმ ქალებთან შედარებით, რომლებიც არც ვარჯიშობენ და არც დიეტაზე არიან. შესაბამისად, ისინი ხშირად ნორმალურად ვერ მშობიარობენ.

შეისწავლეს განაყოფიერების ფუნქცია არაინდუსტრიულ საზოგადოებებშიც. კატრინ პენტერ-ბროკის, დებორა ლოტშტაინისა და პიტერ ელისონის მიერ ნეპალის ტამანგების კვლევა ამტკიცებს, რომ მუსონოს სეზონის განმავლობაში, როცა ქალები ბევრს მუშაობენ, აღინიშნება წონის შემცირება და გამრავლების ფუნქციის დაქვეითება. ნადინ პიკოკმა და რობერტ ბეილიმ აღმოაჩინეს, რომ ზაირის ლესეს ტომის ქალები წონაში იკლებენ ძირითადად "შიმშილობის სეზონის" განმავლობაში (აპრილი, მაისი და ივნისი), სანამ ახალ მოსავალს აიღებენ. შობადობის მაჩვენებელი კი „შიმშილობის სეზონიდან" 9 თვის შემდეგ შემცირდა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ შესაძლებელია, ეს განპირობებული ყოფილიყო ქცევაში მომხდარი ცვლილებებით (სექსუალური თავშეკავება), მაგრამ ელისონმა შეისწავლა პროგესტერონის დონე და დაამტკიცა, რომ გამრავლების ფუნქციაზე სწორედ კვების რეჟიმმა იქონია გავლენა: ლესეს ქალების 80% განაყოფიერდა აპრილში (ნაკლები შიმშილობის თვეში), მაგრამ მხოლოდ 65% - ივნისში (შედარებით მეტი შიმშილისას).

ბევრი რამ კიდევ შესასწავლია, მაგრამ მიმდინარე კვლევები ცხადყოფს, რომ გამრავლება კარგად არის შეთავსებული ბავშვის მოვლის საჭიროებასა და დედის კალორიებით უზრუნველყოფასთან. ნებაყოფილობითი ქცევა, მაგალითად, თავშეკავება ან კონტრაცეფცია ამცირებს განაყოფიერებას, მაგრამ ნაყოფიერება მცირდება მხოლოდ ცვლილებებით ძუძუთი კვების, ვარჯიშისა და საკვების უკმარისობის დროს. ეს პირობები განსხვავდება ადამიანებისა და მოსახლეობის მიხედვით, ისევე, როგორც გამრავლების ფუნქცია და ნაყოფიერება.

წყლის მატებასთან ერთად. მესამე, ჰეტეროზიგული ბავშვების სხეულში მალარიული პარაზიტი ნაკლებია, ვიდრე ჰომოზიგურ ადამიანებში და ამრიგად, ბავშვებს გადარჩენის მეტი შანსი აქვთ.[54] ნამგლისებრი უჯრედის სინდრომი არ იცავს ადამიანს მალარიისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად ამცირებს ამ დაავადებით სიკვდილს.[55] მეოთხე, თუ ბალანსირებული გადარჩევა შეწყდება, რადგან აღარ აღინიშნება მალარია, სახეზე უნდა იყოს ნამგლისებრი ანემიის შემთხვევები. ასეთ სურათს ვხედავთ აფრიკული წამროშობის მოსახლეობაში. მალარიისგან თავისუფალ ზონებში მცხოვრებ ადამიანებში ნამგლისებრი ანემია უფრო იშვიათია, ვიდრე ახალი სამყაროს მალარიულ ტერიტორიაზე მცხოვრებებში.[56]

HbS ჰემოგლობინის ერთადერთი დაავადება არაა, რომელიც მალარიასთან არის დაკავშირებული. არსებობს კიდევ ჰემოგლობინის დარღვევის უამრავი შემთხვევა, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული იმის გამო, რომ შეუძლია ამ დაავადების დაძლევა. მაგალითად, Hb-

პერმანენტული დასახლებები და მოსახლეობის სიმჭიდროვე ხელს უწყობს ეპიდემიის სწრაფად გავრცელებას. აქ წარმოდგენილია ჩინელები, რომლებიც სუპერმარკეტში დოლბანდებით დადიან, რათა თავიდან აიცილონ დაავადებების გავრცელება.

გავრცელებულია ინდოეთის მოსახლეობაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ახალ გვინეაში, სადაც აღინიშნება მალარია, მაგრამ არა HbS . რატომ ძლევს HbE- ჰეტეროზიგოტი მალარიას? ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მალარიული პარაზიტები ვერ ცხოვრობენ იმ ადამიანის სისხლში, რომელსაც აქვს როგორც ნორმალური, ისე დარღვეული ჰემოგლობინი. ეს უკანასკნელი სწრაფად კვდება, ამიტომ ვერ უწყობს ხელს პარაზიტებს.[57]

ლაქტაზის უკმარისობა

როცა ამერიკელებმა აღმოაჩინეს, რომ აფრიკელი მოზარდები რძეს ხშირად არ სვამდნენ, ამის მიზეზად ფულისა და განათლების ნაკლებობა მიიჩნიეს და მთელი ქვეყნის მასშტაბით სპეციალური პროგრამა შექმნეს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ბავშვობის შემდეგ ადამიანები განიცდიან ნივთიერება ლაქტაზის ნაკლებობას, რომელიც აუცილებელია რძის მცირე ნაწილებად დასაშლელად და სისხლში გასახსნელად.[58] ამრიგად, ლაქტაზის გარეშე ადამიანი რძეს კარგად ვერ ინელებს და შედეგად ვითარდება შებერილობა, გვრემა, გაზები და დიარეა. ბალტიმორში გამოიკვლიეს 312 აფრიკელი ამერიკელი და 321 ევროპელი ამერიკელი ბავშვი ორ სკოლაში, I-დან VI-კლასამდე, აღმოჩნდა, რომ აფრიკელების 85% და ევროპელების 17% რძეს ცუდად ეგუებოდა.[59]

კვლევებით დადასტურდა, რომ ლაქტაზის ნაკლებობა მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მცხოვრებ ადამიანებს აღენიშნებოდათ. 60 ეს ვრცელდება აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე, ინდოეთზე, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკელებზე. ეს გასაკვირი ალბათ არც უნდა იყოს, რადგან ძუძუმწოვრები ბავშვობის შემდეგ ლაქტაზის გამომუშავებას წყვეტენ.[61]

თუკი ლაქტაზის ნაკლებობა ნორმალურია, როგორ აიხსნება ის, რომ ზოგიერთ ხალხს ახასიათებს ლაქტაზის გამომუშავება მოზრდილობაშიც. რატომ უნდა შეეწყო ამ გენეტიკური შესაძლებლობისათვის ხელი გადარჩევას მხოლოდ ზოგიერთებში. 1960-იანი წლების ბოლოს ფ.ჯ. სიმუნსმა და რობერტ მაკრეკენმა შეისწავლეს ლაქტაზის შეთვისებასა და მესაქონლეობას შორის კავშირი. ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ძროხების მოშენებასთან ერთად, იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ლაქტაზს გამოიმუშავებენ მოზრდილობაშიც და შესაბამისად, იმ ადამიანთა რიცხვიც, რომელთა ორგანიზმსაც ლაქტაზის დაშლა შეუძლი.[62]

მაგრამ „მესაქონლე“ მოსახლეობაშიც აღინიშნებიან ისეთები, რომლებიც ლაქტაზს არ გამოიმუშავებენ მოზრდილობაში. მათ შეიმუშავეს ამ პრობლემის კულტურული გადაწყვეტა — ისინი რძეს ყველად, იოგურტად და არაჟნად აქცევენ, რომლებშიც ლაქტაზის დაბალი შემცველობაა. ამ პროდუქტების დასამზადებლად ისინი ლაქტაზით მდიდარ მასას აცალკევებენ ხაჭოსგან ან რძეს ბაქტერიუმით (ლაქტობაცილუსით) ამუშავებენ, რაც ლაქტაზას შლის და რძის ნაწარმს იოლად მოსანელებელს ხდის.[63]

მაშინ რატომ უწყობს ხელს ბუნებრივი გადარჩევა ზოგან ბიოლოგიურ გადაწყვეტას (მოზრდილობაში ლაქტაზის გამოყოფა), ზოგან კი კულტურულს. უილიამ დიურჰემმა შეკრიბა ყველა ის მიზეზი, რასაც შეეძლო ბიოლოგიური გადაწყვეტის ხელშეწყობა ეკვატორისგან მოშორებით დასახლებულ საზოგადოებებში. ამ თეორიის მიხედვით, ლაქტაზა ბიოქიმიურად ვიტამინივით მოქმედებს, ითვისებს კალციუმს მაგრამ მხოლოდ იმ ადამიანებში, რომლებიც ლაქტაზს გამოყოფენ. იმ ადგილებში მცხოვრებ ადამიანებში, სადაც იშვიათია მზიანი დღეები, აღინიშნება ნაკლები ვიტამინი და ბუნებრივი გადარჩევა ხელს უწყობს კალციუმის შეთვისებას ლაქტაზის გამოყოფის გზით.[64] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუნებრივი გადარჩევა ლაქტაზის გამოყოფას ისევე უწყობს ხელს, როგორც ღია ფერის კანს მაღალმთიან რეგიონებში (სადაც ნაკლები მზის შუქია).

ეს არის იმის მაგალითი, თუ როგორ გავლენას ახდენდა კულტურა ბუნებრივი გადარჩევის მიერ ზოგიერთი გენის ხელშეწყობაზე. მერძევეობის არსებობის გარეშე ლაქტაზის გამოყოფა შესაძლებელია, არც მომხდარიყო. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, გენები, გარემო და კულტურა როგორ ზემოქმედებენ ადამიანის ვარიაციებზე.

რასა და რასიზმი

საბედნიეროდ, ასეთი შინაგანი ვარიაციები, როგორიცაა ლაქტაზის უკმარისობა, არასოდეს გამხდარა ჯგუფებს შორის დაპირისპირების მიზეზი, იქნებ იმიტომ, რომ ეს განსხვავებები ისეთი აშკარა არაა. საუბედუროდ, იგივე არ ითქმის უფრო გარეგნულ განსხვავებებზე, მაგალითად, კანის ფერზე.

როგორც გვახსოვს, ჯგუფებს, ე.წ. „რასებს“ შორის დაპირისპირებას უამრავი აგრესიული მოქმედება: ხელჩართული, დიდი ბრძოლები და სამოქალაქო ომები გამოუწვევია. „რასა“ იმდენად გავრცელებული ტერმინი გახდა, რომ აღარ ვინტერესდებით იმით, თუ რას გულისხმობს ან არ გულისხმობს ის. „ადამიანთა რასაზე“ ხშირად ისე ვსაუბრობთ, თითქოს ყველანი ერთ მოსახლეობას მივეკუთვნებით, მაგრამ ამავე დროს ხშირად გვიწევს საკუთარი რასის მითითება. ჩვენ ჯერ განვიხილავთ ბიოლოგების მიერ ამ ტერმინის გამოყენებას, შემდეგ კი დავუბრუნდებით იმას, თუ რატომ მიიჩნევენ ბიოლოგი ანთროპოლოგები, რომ ცნებას „რასა“ ადამიანები ხშირად ბოროტად იყენებენ. განვიხილავთ რასობრივი კლასიფიკაციის ფართო სოციალურ კონსტრუქციებს, რომლებიც დისკრიმინაციის, ექსპლუატაციისა და ადამიანების გაუცხოების საფუძველი გამხდარა.

რასა — როგორც ბიოლოგიის შემადგენელი ნაწილი

ბიოლოგიური ვარიაცია ყველა სახეობაზე სტანდარტულად არ ვრცელდება. ხშირად ხდება სხვადასხვა სახეობის შეჯვარება. წყვილების უმეტესობა მცირე ჯგუფსა თუ მოსახლეობის მცირე ნაწილს მიეკუთვნება. ბუნებრივი გადარჩევისა და გენეტიკური ცვლილების გამო, სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში მცხოვრები ადამიანები სხვადასხვა ბიოლოგიურ თვისებებს ავლენენ. როცა ეს განსხვავებები შესამჩნევი ხდება, ბიოლოგები მოსახლეო-



სურათი 12-3 **ნამგლისებრი ანემიისა და მალარიის გავრცელების შედარებითი რუკა.**

ჯონ ბუტნერ-იანუში, ფიზიკური ანთროპოლოგია: პერსპექტივა. საავტორო უფლებები დაცულია. 1973. კომპანია უილი და ვაჟიშვილები.

ბას სახეობებად ანუ **რასებად** ყოფენ. თუ „რასა“ მხოლოდ კლასიფიკაციის ნიშანია, რომლითაც ბიოლოგები ერთ ჯგუფს მეორისგან გამოყოფენ, ეს ტერმინი სადავო არ უნდა იყოს. საუბედუროდ, ადამიანებთან მიმართებაში ასეთი კლასიფიკაცია ხშირად **რასიზმის** მიზეზი გამხდარა — მიზეზი რწმენისა, თითქოს რომელიმე „რასა“ დანარჩენებს რამე თვისებით ჩამოუვარდება. ამ ტერმინის არასწორმა გაგებამ და გამოყენებამ და მის რასიზმთან დაკავშირებამ ბიოლოგი ანთროპოლოგები აიძულა, „რასა“ ბიოლოგიური განსხვავებების აღსანიშნავად აღარ გამოეყენებინათ.

მეორე მიზეზი, რის გამოც რასისტული კლასიფიკაცია არ გამოიყენება ადამიანების მიმართ, არის ის, რომ აღრევის გამო გართულდა მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებად დაყოფა, ბუნდოვანია ბიოლოგიური თვისებებიც. შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ „რასა“ უსარგებლო ტერმინი გახდა ბიოლოგიური ვარიაციის გამოსახატავად. რასების მიხედვით კლასიფიკაციის მთავარი სირთულე მათი სიმრავლეა. ამ მხრივ, ადამიანების კატეგორიები 3-დან 37-მდე გაიზარდ.[66]

როგორ უნდა დაიყოს ადამიანები რასებად, თუ ყველაზე ადაპტაციურ ბიოლოგიურ თვისებებში აღინიშნება ასიმილაცია და თანდათანობითი ცვლილებები რეგიონების მიხედვით.[67] კანის ფერი ასეთი ვარიაციის საუკეთესო მაგალითია. ეგვიპტის ირგვლივ კანის ფერი იცვლება ჩრდილოეთიდან სამხრეთით ნილოსის ხეობისკენ. ეკვატორთან მიახლოებასთან ერთად, კანის ფერი მუქდება, ხმელთაშუაზღვისპირეთთან მიახლოვებისას კი — ღიავდება. სხვა თვისებები არ იცვლება, რადგან გარემო პირობები სხვაგვარადაა განაწილებული. ცხვირის ფორმა დამოკიდებულია სინოტივეზე, მაგრამ სინოტივის მიხედვით ვარიაცია არაა დაკავშირებული ნახევარსფეროების მიხედვით ვარიაციასთან. ამრიგად, კანის ფერის ცვლილება ცხვირის ფორმის ცვლილებას არ ემთხვევა. იმის გამო, რომ ადაპტაციური თვისებები გამოკვეთილად არაა განაწილებული, შეუძლებელია, რუკაზე ხაზი გავავლოთ „თეთრ“ და „შავ“ ადამიანებს შორის ან „თეთრებსა“ და „აზიელებს“ შორის.[68] მხოლოდ ბუნებრივი გადარჩევის მიხედვით ნეიტრალური ნიშნების (გენეტიკური მსვლელობის გამო) დაჯგუფება შეიძლება მოხერხდეს.[69]

რასობრივი კლასიფიკაცია იმიტომაცაა პრობლემური, რომ ხშირად არსებობს ფიზიკური, ფიზიოლოგიური და გენეტიკური განსხვავებები ამა თუ იმ გეოგრაფიული ჯგუფის ან ე.წ. „რასის“ შიგნით (მაგალითად, აფრიკელები). აფრიკელთა რასის შიგნით უფრო მეტი განსხვავებაა, ვიდრე სხვა რომელიმე ჯგუფის შიგნით.[70] მოსახლეობათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ გენეტიკური ცვალებადობის 93-95% განპირობებულია ადამიანებში არსებული ინდივიდუალური განსხვავებებით.[71] „რასა“ სოციალური კატეგორიაა და არა მეცნიერული.

მითები რასიზმზე

რასა და ცივილიზაცია. უამრავი რასისტული მსოფლმხედველობის ადამიანი მიიჩნევს, რომ ამა თუ იმ ჯგუფის („რასის“) ბიოლოგიური ჩამორჩენილობა დაკავშირებულია მათი კულტურის „პრიმიტიულობასთან“. მათ მიაჩნიათ, რომ „განვითარებული“ ერები თეთრკანიანები არიან, „ნაკლებ განვითარებული“ კი — შავკანიანი. (ტერმინი „თეთრები“ ბრჭყალებში ჩავსვათ, რათა მივუთითოთ კატეგორიების პრობლემურ ხასიათზე). ასეთი დასკვნა ისტორიის უგულებელყოფაა. დღევანდელი ე.წ. „განვითარებელი“ ერების უმეტესობას პირველ რიგში აზიაში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში, გაცილებით ადრე, ვიდრე ევროპელი ერები წარმოიშვებოდნენ და გაძლიერდებოდნენ, რთული განვითარებული ცივილიზაცია ჰქონდათ. „არათეთრების“ მიერ დაარსდა და განვითარდა ჩინეთის ჩანგის დინასტიისა და აფრიკაში განას იმპერიის

ზევით: ძროხის წველა ბარნსტეტლში, მასაჩუსეტში. ბუნებრივმა გადარჩევამ ხელი შეუწყო ლაქტაზის გამოყოფას და უზრუნველყო ეკვატორისგან დაშორებული მოსახლეობის მიერ რძის მონელების გენეტიკური გზა.
ქვევით: მასაის ქალი ძროხას წველის კენიაში. ბუნებრივმა გადარჩევამ ხელი შეუწყო რძის შედეგებას, ეკვატორის მოსახლეობის მიერ რძის მონელების კულტურულ გზას.

მაღალგანვითარებული საზოგადოებები.

ძვ.წ. 1523-1028 წწ. ჩინეთში არსებობდა რთული სამთავრობო სისტემა, ჯარი, მეტალის ხელსაწყოები და იარაღები, აწარმოებდნენ და ინახავდნენ დიდი რაოდენობით მარცვლეულს. ადრეულ ჩინურ ცივილიზაციაში არსებობდა დამწერლობა და რთული რელიგიური რიტუალები.[72] ახ.წ. 300-900 წწ. მაიას სამეფოს საკმაოდ განვითარებული ეკონომიკა ჰქონდა. ისინი აშენებდნენ უზარმაზარ ქალაქებს ცენტრში პირამიდებითა და მდიდრული სასახლეებით.[73] ლეგენდის მიხედვით, განას დასავლეთ აფრიკული ცივილიზაცია ახ.წ. II საუკუნეში აღმოცენდა. 770 წლისთვის სონიკის მმართველობის დროს განაში იყო ორი მთავარი ქალაქი — მუსულმანური და არამუსულმანური. თითოული თავისი მმართველითა და განას ოქროს ბაზრით გამაგრებულია.[74]

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროპაში სულ ახლახან ჩამოყალიბდა ქალაქები და ცენტრალური მთავრობა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ „თეთრები“ მათ ისტორიულ მიღწევებს ეჭვქვეშ აყენებდნენ ან ბიოლოგიური თვისებების მიხედვით აფასებდნენ ცივილიზაციას. მაგრამ რასისტები, „თეთრებიც“ და „არათეთრებიც,“ უგულებელყოფენ ცივილიზაციის ისტორიას. რაც მთავარია, მათ არ სურთ დაიჯერონ, რომ სხვა ჯგუფის მიღწევათა აღიარება საკუთარის დაკნინების გარეშეც შეიძლება.

რასა, დაპყრობა და ინფექციური დაავადებების როლი

ბევრი მიჩნევს, რომ ევროპელების უპირატესობამ განაპირობა ბოლო რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში მათ მიერ კოლონიზაციის პოლიტიკის გატარება. როგორც აღმოჩნდა, ევროპელების დომინირება გამოწვეული იყო უფრო იმით, რომ ადგილობრივები მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ შემოტანილი დაავადებების მიმართ.[75] ჩვენ უკვე განვიხილეთ, როგორ შეუძლია ისეთი დაავადებების ეპიდემიას, როგორიცაა ჭლექი და წითელა, გამოიწვიოს მომავალ თაობაში ამ დაავადებით სიკვდილიანობის შემცირება. ყვავილს გრძელი ისტორია ჰქონდა ევროპასა და აფრიკაში, გენეტიკურმა გამძლეობამ ის იოლად მოსახდელ საბავშვო დაავადებად აქცია. განსხვავებული ისტორია იყო ახალ სამყაროში. კორტესსა და სხვა დამპყრობლებს მექსიკის აცტეკების დამარცხებაში სწორედ ყვავილი დაეხმარათ. დაავადება სწრაფად ვრცელდებოდა და კლავდა მოსახლეობის სულ მცირე 50%-ს, ასე რომ ესპანელებს აცტეკებთან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ.[76]

ყვავილის ეპიდემიურმა აფეთქებებმა ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიწირა. XIX საუკუნის დასაწყისში კი მასაჩუსეტსისა და ნარაგანსეტის ინდიელების 30000-იანი და 9000-იანი მოსახლეობა რამდენიმე ასეულამდე შეამცირა. სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი შეინიშნებოდა კროუს, ბლექფუტისა და სხვა ადგილობრივ ამერიკულ ჯგუფებშიც. ამ ეპიდემიებს მხოლოდ ბაქტერიის თეორია ვერ ახსნის. ევროპელებს, შესაძლოა, განზრახ გაევრცელებინათ ეს დაავადებები ინფიცირებული საბნების დარიგებით. მოტულსკი მიიჩნევს, რომ ყვავილის გავრცელება „ბიოლოგიური ომის“ პირველი მაგალითია.[77]

რასა და ქცევა ზოგიერთმა მეცნიერმა სცადა ეჩვენებინა განსხვავებები სხვადსხვა რასის ხალხთა ქცევებს შორის. ყველაზე აქტიური იყო ჯ. ფილიპ რაშტონი, რომლის 1995 წლის წიგნმა „რასა, ევოლუცია და ქცევა“ აჩვენა ქცევითი განსხვავებები „ნეგროიდულ“, „კავკასიურ“ და „მონგოლოიუდურ“ რასებს შორის სექსუალური, აღმზრდელობითი, სოციალური და საოჯახო ასპექტით.

რაშტონი ამტკიცებს, რომ ამ ქცევებს, ამა თუ იმ გარემოსთან ადაპტაციიდან გამომდინარე გენეტიკური საფუძველი აქვთ. მისი აზრით, „ნეგროიდები“ ადაპტირებულნი არიან აღმოსავლეთ აფრიკის თბილი გარემოსადმი (საიდანაც ადამიანები წამოვიდნენ) და მათი გამრავლების სტრატეგია გულისხმობს ბევრი შვილის ყოლას და ცოტა დროსა და ენერგიას მათ აღსაზრდელად. ასეთი სტრატეგია ევოლუციურ თეორიაში ცნობილია როგორც R და შეინიშნება თევზებში, რეპტილიებსა და ზოგიერთ ძუძუმწოვარში (მაგალითად, კურდღლებში).[78] აფრიკის დატოვების შემდეგ კი, ადამიანები შეეგუენ აზიის უფრო ცივ კლიმატს და გამრავლების სტრატეგიაც შეიცვალა K, რაც გულისხმობდა ცოტა შვილს, მაგრამ დიდ დროს აღსაზრდელად. ეს სტრატეგია შეინიშნება ცხოველებშიც და საინტერესოა, რომ ყველაზე მეტად შიმპანზეებში.[79]

დიდი ზიმბაბვეს მასიური ქვის კედლები სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში, რომლებიც XII-XV საუკუნითაა დათარიღებული და მოწმობენ რთულ კულტურაზე მაშინ, როცა ევროპაში ჯერ კიდევ ბნელი ერა იყო.

თავისი თეორიის არგუმენტირებისთვის რაშტონს მოჰყავს მონაცემები თითქმის ყველა თანამედროვე ერიდან, (მაგალითად, სამხრეთ აფრიკა, იაპონია და აშშ), მაგრამ თუ მათ აღენიშნებათ გენეტიკური განსხვავებები ქცევაში, რომლებიც სათავეს იღებს აფრიკიდან დაახლოებით 100000 წლის წინ, მაშინ იგივე განსხვავებები უნდა იყოს კულტურებს შორისაც: „ნეგროიდული“ კულტურები ერთგვაროვანი უნდა იყოს და განსხვავდებოდეს „კავკასიურისგან“, ანალოგიურად „კავკასიური“ — „მონღოლოიდურისგან“ და .შ. აღინიშნება თუ არა ეს განსხვავებები?

ამ ტექსტის ავტორებმა 186 კულტურის შესახებ ინტერკულტურული ინფორმაცია გამოიყენეს რაშტონის თეორიის შესამოწმებლად.[80] შეისწავლეს 26 ცალკეული ქცევა, რომლებიც რაშტონის აზრით, განსხვავებული უნდა იყოს. ჩვენდა გასაოცრად აღმოჩნდა, რომ რასებში განსხვავებები თითქმის არ იყო. გამოვლინდა მხოლოდ ერთი სხვაობა (რაშტონი მიიჩნევდა, რომ ჰომიციდი უფრო მაღალი იყო „ნეგროიდებში“ და დაბალი „მონღოლოიდებში“, რაც დადასტურდა), მაგრამ 5-მდე თვისებამ (სექსუალური შეზღუდვები, ძალადობის მიღება, პოლოტიკური ინტეგრაციის ხარისხი, სოციალური სტრატიფიკაციის დონე, ტექნოლოგიური სტრატიფიკაციის დონე) სრულიად საპირისპირო სურათი დახატა. ასე რომ, რაშტონის მეირ კაცობრიობის რასებად დაყოფა მათ ქცევით დაყოფას არ გულისხმობს. ეს იდეები უბრალოდ მცდარი აღმოჩნდა და გამოდის, რომ არ არსებობს საფუძველი, ადამიანები „რასებად“ დავყოთ.[81]

რასა და გონებრივი განვითარება. დიდი ხანია, ამტკიცებენ, რომ რასები გონებრივი განვითარებითაც განსხვავდებიან. ამაზეა ლაპარაკი 1994 წ. ჩარლზ მიურეისა და რიჩარდ ერნატნის წიგნში „ზარის მრუდი“, (იხ. „განსხვავებები საშუალო ინტელექტის კოეფიციენტში“).

მე-19 საუკუნეში ევროპელმა თეთრმა სუპრემაცისტებმა სცადეს მოეძიებინათ მეცნიერული დასტური იმისა, თითქოს „შავები“ გონებრივად მათზე დაბლა იდგნენ. ამისთვის მათ გაზომეს თავის ქალები: რაც მეტია ქალის ღრუ, მით უფრო დიდია (და უკეთესი) ტვინი. მიუხედავად იმისა, რომ „გაზომვის მანია“ სწრაფად ჩაცხრა და მას უკვე აღარავინ აღიქვამს სერიოზულად, „თეთრების“ გონებრივი აღმატებულობა შეიძლება სხვა „ფაქტებითაც“ ვაჩვენოთ — მაგალითად, ინტელექტუალური ტესტის სტატისტიკით.

პირველი ფართომასშტაბიანი ინტელექტუალური ტესტი აშშ-ში I მსოფლიო ომისას ჩატარდა. ათასობით ახალწვეულს მისცეს ე.წ. „ალფა“ და „ბეტა“ ტესტები მათი შესაძლებლობების შესამოწმებლად. მოგვიანებით, ფსიქოლოგებმა შედეგები „თეთრისა“ და „შავის“ მიხედვით დაახარისხეს. როგორც მოსალოდნელი იყო, „შავებმა“ შედარებით დაბალი შედეგი აჩვენეს. ეს გამოიყენეს მათი ინტელექტუალური ჩამორჩენილობის მეცნიერულ მტკიცებულებად და შესაბამისად, არმიაში და არმიის გარეთ მათი დისკრიმინაციის კიდევ ერთ მიზეზად.[82]

ინტელექტუალური ტესტების შედეგების ოტო კლინბერგისეული სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩრდილოეთ შტატების „შავებს“ უფრო მაღალი შედეგი აქვთ, ვიდრე სამხრეთისას. მიუხედავად იმისა, რომ რასისტმა ექსტრემისტებმა ეს შედარებით გონიერი ზანგების ჩრდილოეთისკენ მიგრაციით ახსნეს, აკადემიური ახსნა ისაა, რომ ჩრდილოეთში უკეთესი განათლება და სტიმულის მიმცემი გარემოა. თეორია უფრო გამყარდა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ ჩრდილოელი „შავები“ სამხრეთელ „თეთრებზე“ უფრო გონიერები იყვნენ, მაგრამ ნაცისტებმა შედეგი იმით ახსნეს, თითქოს მოხდა გონიერი „თეთრების“ ჩრდილოეთისკენ მიგრაცია.

დასკვნების კიდევ ერთხელ შესამოწმებლად კლინბერგმა ტესტი ჩაუტარა მოზრდილ შავკანიან გოგონებს, რომლებიც ნაწილობრივ სამხრეთში აღიზარდნენ, მაგრამ სხვადასხვა დრო ჰქონდათ გატარებული ნიუ-იორკში. მან აღმოაჩინა, რომ რაც უფრო მეტ ხანს ცხოვრობდნენ ისინი ჩრდილოეთში, მით მაღალი შედეგები აჩვენეს. ამან არა მხოლოდ დაამტკიცა ის, რომ „შავები“ „თეთრებზე“ ნაკლებად განვითარებულები არ არიან, არამედ განსაზღვრა ის კულტურული ფაქტორები, რომლებიც ინტელექტუალურ კოეფიციენტზე ახდენენ გავლენას და რომ ეს კოეფიციენტი ფიქსირებული არაა.

რასასა და გონიერების შესახებ კამათი ისევ გამოაცოცხლა არტურ ჯენსენმა.[83] მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „შავების“ ინტელექტუალური კოეფიციენტი აღემატებოდა „თეთრებისას“, საშუალო შედეგი შავებს 15 ქულით ნაკლები ჰქონდათ. ინტელექტუალური კოეფიციენტი დიდწილად დამოკიდებულია გენეტიკაზე, ამიტომ ჯენსენი ასკვნიდა, რომ „შავები“ გონებრივი განვითაებით ჩამორჩებოდნენ „თეთრებს“, თუმცა ბევრი ჯენსენის, მიურეისა და ერნშტეინის დასკვნებს არ ეთანხმება.

გენეტიკური ინტერპრეტაციის მოწინააღმდეგეები ხაზს უსვამენ 2 პრობლემას. პირველი, ინტელექტუალური ტესტები ინტელექტის ზუსტი საზომი არაა, რადგან ისინი სავარაუდოდ ავტორის სუბკულტურის სასარგებლოდაა შედგენილი, რაც იმას გულისხმობს, რომ ტესტი ეხება ისეთ საკითხებს, რომელიც საშუალო ფენის თეთრი ბავშვებისთვის ნაცნობია და მათ ამ მხრივ უპირატესობას აძლევს.[84] ჯერ არავის შეუდგენია სრულიად სამართლიანი ტესტი. ტესტი უკვე აღარ მიიჩნევა ინტელექტის საუკეთესო საზომად. ის უბრალოდ მიგვითითებს, რამდენად შეიძლება ბავშვმა მიაღწიოს სამეცნიერო წარმატებას „თეთრების“ სასკოლო სიტემაში.[85]

მიმდინარე კვლევები და გამოცემები

რას ნიშნავს განსხვავებები ინტელექტის კოეფიციენტებს შორის?

1994 წლის ბოლოს რასისა და ინტელექტის შესახებ დავა ახალმა წიგნმა გამოაცოცხლა. ისევ გაჩნდა მოსაზრება, თითქოს აფრიკელი ადამიანები „ჩამორჩენილები“ იყვნენ და ისევ წარმოიშვა პრობლემები ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით. ეს იყო რიჩარდ ერნშტეინისა და ჩარლზ მიურეის წიგნი „ზარის მრუდი“. წიგნის მიხედვით, ადამიანის გონიერება მემკვიდრეობითი იყო და სიცოცხლის განმავლობაში არ იცვლებოდა, ხოლო წარმატება სწორედ გონიერებაზე იყო დამოკიდებული. თითქოს აფრიკელი ამერიკელები საზოგადოების ფსკერზე იმის გამო იყვნენ, რომ ევროპელ ამერიკელებთან შედარებით ნაკლებ გონიერები იყვნენ. თავისი პოზიციის დასამტკიცებლად, ერნშტეინი და მიურეი უამრავ კვლევას იშველიებდნენ, თუმცა ის მაინც ვერ დადასტურდა.

თუ ინტელექტუალური ტესტების შედეგებს გადავხედავთ, რასისტების მსგავსად, შეიძლება ჩვენც დავასკვნათ, რომ აფრიკელი ამერიკელები ევროპელ ამერიკელებთან შედარებით ნაკლებ გონიერები არიან. საშუალო ქულები ორი ძირითადი ჯგუფის მიხედვით განსხვავდება. აფრიკელ ამერიკელებს ჩვეულებრივ ნაკლები შედეგი აქვთ. რას ნიშნავს ეს განსხვავება? ერნშტეინი და მიურეი, სხვა წინამორბედთა მსგავსად, ვერ ასხვავებენ ერთამნეთისაგან საზომსა (ტესტს) და გასაზომს (ინტელექტს). თუ ტესტი იდეალურად ვერ ზომავს გასაზომ სიდიდეს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ დაბალი შედეგი მხოლოდ ამ კონკრეტული ტესტიდან გამომდინარეობს და არ ნიშნავს ინტელექტის დაბალ დონეს. ჭკვიანი ადამიანებიც კი რამდენიმე მიზეზის გამო დაბალ შედეგს აჩვენებენ. მაგალითად, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორაა ტესტი შედგენილი და რამდენად აქვს კავშირი ფორმატთან/სავარჯიშოებთან და ობიექტთან. ტესტი ვერ ზომავს გონიერების რამდენიმე სახეს — სოციალურსა და შემოქმედებითს.

თუ აფრიკელი ამერიკელები მართლაც ნაკლებ ჭკვიანები არიან, განსხვავებები მხოლოდ საშუალო ქულებში არ უნდა იყოს. მათი შედეგები ინდივიდუალურადაც დაბალი უნდა იყოს, ნაკლები გენიოსი და უფრო ჩამორჩენილი ინდივიდები უნდა ჰყავდეთ. ზარის ფორმის მრუდში, რომელიც გვიჩვენებს მათი შედეგების ცვლილებას ევროპელების მრუდის ქვემოთ, შკალის დასასრულს უფრო დაბალი შედეგები უნდა იყოს. მაგრამ არცერთი ვარაუდი არ მართლდება. ჰენრი გრუბის კვლევის შედეგად ვხედავთ, რომ მრუდის ყველაზე დაბალი წერტილი დიდად არ განსხვავდება ევროპელების მრუდის დაბალი წერტილისგან. გრუბისა და ანდრეა ბარტველის კვლევებით დგინდება, რომ „მენსას“ (მაღალინტელექტუალური საზოგადოება) შედგენილ ტესტებში აფრიკელ ამერიკელთა ყველაზე დაბალი შედეგი დიდად არ განსხვავდება ევროპელ ამერიკელთა დაბალი შედეგისაგან. ასე რომ, როგორც ჩანს, აფრიკელ ამერიკელებს აქვთ დაბალი საშუალო ქულები, მაგრამ ასევე ბევრი მაღალი და ცოტა დაბალი შედეგი. მაშინ რატომ არის საშუალო ქულები დაბალი?

რუბი და ბარტველი აღნიშნავენ, რომ საშუალო ქულები ყველა ტესტში როდია დაბალი. ერთი ტესტი, რომელიც განსხვავებებს არ გვიჩვენებს, არის დასურათებული ტესტის დროში შეუზღუდავი ვერსია. ეს ტესტი ორგვარია — შეზღუდული და შეუზღუდავი ანუ ტესტის დასრულება უნდა მოხდეს განსაზღვრულ დროში ან დრო შეუზღუდავი. აფრიკელ ამერიკელებს დაბალი შედეგი (მაგრამ არც ისეთი დაბალი, როგორც სხვა ტესტებში) შეზღუდულ ტესტში აქვთ, ხოლო შეუზღუდავის დროს კი — არა. ეს ამტკიცებს, რომ ტესტის შედეგზე ინტელექტის გარდა დროის ფაქტორიც მოქმედებს. კიდევ რა შეიძლება ახდენდეს გავლენას დროში შეზღუდულ ტესტზე?

გავლენა შეიძლება იქონიოს ფორმატისა და შინაარსის ცოდნამ. ეს სისწრაფეს გაზრდიდა. მიუხედავად იმისა, რომ არ იციან აფრიკელი ამერიკელების დამოკიდებულება სისწრაფესთან, გრუბი და ბარტველი ასკვნიან, რომ სწორედ ამ ფაქტორმა განსაზღვრა შედეგი. ლიბლიხისა და ს. კუგელმასის მიერ ჩატარებული კვლევისას ერთმანეთს შეადარეს ებრაელი და არაბი ბავშვები ისრაელში. ვეხლერის სტანდარტულ ტესტზე არაბებმა დაბალი შედეგი აჩვენეს, როცა დრო შეზღუდული იყო, ხოლო როცა დრო არ იყო შეზღუდული, შედეგი უფრო მაღალი იყო. ლიბლიხმა და კუგელმასმა დაასკვნეს, რომ დაბალი შედეგები დროისა და სისწრაფის ფაქტორმა განაპირობა. „დრო ეშმაკეულია“ — ამბობს არაბული ანდაზ. შესაბამისად, თუ შედეგებზე გავლენას ახდენს სისწრაფეც, მაშინ ტესტი მხოლოდ ინტელექტის საზომი არ ყოფილა.

კრიტიკოსებმა მოინიშნეს კიდევ რამდენიმე პრობლემა, რომლებიც კარგად არის ასახული „ზარის მრუდში“. მაგრამ მთავარი პრობლემა არის მცდელობა იმისა, რომ ტესტის შედეგები განზოგადდეს და იმით შეფასდეს ამა თუ იმ ჯგუფის ინტელექტი. ასეთი ტესტები ზუსტად არ ზომავენ ინტელექტს. თუ ეს ასეა (და ამის უამრავი მტკიცებულება ასრებობს), მეცნიერულად და მორალურად გაუმართლებელია იმის მტკიცება, თითქოს შედეგები გენეტიკით იყოს განპირობებული.

მეორე ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ინტელექტუალური ტესტის შედეგებზე სოციალური გარემოც ახდენს გავლენას. ეკონომიკურად შეჭირვებული ბავშვები, „შავი“ თუ „თათრი“, ნაკლებ შედეგს აჩვენებენ, ვიდრე განებივრებულები. დაბალი შედეგის მქონეთა ტრეინინგი სიტუაციას აუმჯობესებს.[86] უფრო დრამატულ დასკვნას აკეთებენ სანდრა სკარი და მისი კოლეგები. შეძლებული „თეთრი“ ოჯახის მიერ ნაშვილები „შავი“ ბავშვები საშუალოზე მაღალ შედეგს აჩვენებენ, ხოლო ევროპული წარმოშობის „შავები“ ცუდ შედეგს აჩვენებენ, ასე რომ, ინტელექტუალობის კოეფიციენტი არ შეიძლება გენეტიკური განსხვავებების მტკიცებულებად გამოვიყენოთ. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ 15 ქულიანი განსხვავება შეიძლება მთლიანად განპირობებული იყოს გარემოთი.

გენეტიკის მკვლევარმა თეოდოსიუს დობჟანსკიმ შეგვახსენა, რომ ტესტის შედეგებიდან დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, სანამ ყველა ადამიანს საკუთარი პოტენციის განვითარების თანაბარი შესაძლებლობა არ ექნება. მან ხაზი გაუსვა ღია საზოგადოების დემოკრატიული იდეალის ქვეშ გაერთიანების საჭიროებას, სადაც ყველას თავისი ნიჭისა და უნარის სასურველი მიმართულებით განვითარების შესაზლებლობა ექნება.[88]

ადამიანის მომავალი

ლაბორატორული განაყოფიერება ემბრიონის შემდგომი ტრანსპლანტაციით ტარდება როგორც ადამიან-

ებზე, ისე ცხოველებზე. კლონირება — ინდივიდუალური უჯრედული ქსოვილის ზუსტი გამრავლება — განხორციელდა ბაყაყებსა და ცხვრებში. გენური ინჟინერია — ზოგიერთი გენის ჩანაცვლება — ფართოდ გამოიყენება. ამ თავში ჩვენ განვიხილეთ გენეტიკა და ევოლუცია, უნდა აღინიშნოს, რომ გენური ინჟინერია ინერგება ადამიანებში ზოგიერთი იმ დარღვევის აღმოსაფხვრელად, რომელიც განპირობებულია დეფექტური გენით. რა მომავალი ელის ადამიანების გენეტიკას? შესაძლებელი გახდება ოდესმე ჩვენი სახეობის გენეტიკური კომპენსაცია? დადებითი შედეგი ექნება ამას თუ უარყოფითი?

საინტერესოა „იდეალური ადამიანის“ განვითარებით სპეკულირება. სერიოზული ეთიკური კითხვის გარდა, ვინ გადაწყვეტს, როგორია იდეალური, საინტერესოა ამგვარი ბიოლოგიური განვითარება რა გავლენას მოახდენს ადამიანებზე, რადგან ის, რაც ერთ გარემოს ერგება, მეორეს ვერ მოერგებ. 21-ე საუკუნისათვის იდეალური ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური მახასიათებლები შესაძლოა 22-ე საუკუნეში განსხვავებული იყოს.[89] როგორც ვნახეთ, ნამგლისებრ ანემიასაც კი აქვს თავისი უპირატესობები.

გრძელვადიან პერიოდში გენეტიკური ვარიაციების გაგრძელება უფრო ხელსაყრელიც კია, ვიდრე სტანდარტული „იდეალური“ არსების შექმნა. სამყაროს ცვალებადობის პირობებში სავალალო შეიძლება გახდეს აბსოლუტური სტანდარტულობა და ახალი გენეტიკური და კულტურული ვარიაციის წარმოქმნის გარეშე დაღუპვაც კი გამოიწვიოს. ჩვენი მხრივ, ალბათ, საუკეთესო გზა ადამიანის ბიოლოგიური და კულტურული ვარიაციის მიღება და აღიარებ.[90]

შეჯამება

1. ფიზიკური ვარიაცია — ფიზიკური თვისებების ვარიაცია მოსახლეო ბიდან მოსახლეობამდე შემდეგი ფაქტორების შედეგი შეიძლება იყოს: ადაპტაცია, აკლიმატიზაცია და სოციალური თუ კულტურული გარემოს გავლენა.
2. ზოგიერთი ვარიაცია გენეტიკური ხასიათისაა; სხვები (სხეულის აგებულება, სახის კონსტრუქცია, კანის ფერი) — კლიმატთანაა ადაპტირებული. დანარჩენები (მაგ.: ლაქტაზის გამოყოფა) კი — კულტურული გარემოს ვარიაციაზეა დამოკიდებული.
3. ბიოლოგი ანთროპოლოგების უმეტესობა თანხმდება, რომ „რასა“ ბიოლოგიური ვარიაციის აღსანიშნავად არ გამოგვადგება, რადგან კაცობრიობა არ იყოფა ზუსტი ბიოლოგიური თვისებების მიხედვით. თვისებათა მსგავსება „რასებად“ დაყოფას უშლის ხელს, ამიტომ ითვლება, რომ ეს უფრო სოციალური კატეგორი.
4. რასობრივი დისკრიმინაციის ყველაზე სადავო ასპექტი, ალბათ, კატეგორიებს შორის ურთიერთობაა. ტესტებითა და სხვა საშუალებებით სცადეს, ეჩვენებინათ რასების ინტელექტს შორის განსხვავებები. თუმცა საეჭვოა, ტესტი ინტლექტის ზუსტი საზომი იყოს, რადგან სავარაუდოდ შედეგებზე გავლენას ახდენს გენები და გარემო, ისინი კი ვერ განზოგადდება, სანამ ყველა ადამიანს თავის პოტენციალის განვითარების თანაბარი შესაძლებლობა არ მიეცემა.

სანამ ადამიანებს არ მიეცემათ განათლებისა და წინსვლის თანაბარი შესაძლებლობა, ვერ ვისაუბრებთ მათ შორის ინტელქტუალურ განსხვავებებზე.

კულტურის არსი

13

თავების შინაარსი

- კულტურის მახასიათებლების განსაზღვრა
- კულტურათა შესწავლის ხელის შემშლელი შეხედულებები
- კულტურული რელატივიზმი
- კულტურის აღწერა
- რამდენიმე ვარაუდი კულტურის შესახებ



საკუთარ თავს თითოეული განუმეორებელ არსებად მიიჩნევს, რომელიც სხვებისაგან გამოირჩევა პიროვნული შეხედულებებით, მიდრეკილებებით, ჩვევებითა და კაპრიზებით. მართლაც, ყველა ჩვენგანი განსხვავებულია, თუმცა ადამიანთა უმეტესობას აქვს საერთო მოსაზრებები, მაგალითად, იმის შესახებ, რომ ძაღლების ჭამა მიუღებელია, ბაქტერიები და ვირუსები ავადმყოფობებს იწვევს, ასევე, უმეტესობას აქვს ლოგინში ძილის ჩვევა. მრავალი ამდაგვარი ჩვევა, რწმენა თუ მოსაზრება გვაკავშირებს ჩვენ საზოგადოებაში მცხოვრებ სხვა ადამიანებთან. როგორც წესი, ამ საერთო იდეებისა და ტრადიციების შესახებ იშვიათად ვფიქრობთ, მაგრამ სწორედ ესენი შეადგენს იმას, რასაც ანთროპოლოგია "ჩრდილოამერიკული კულტურის" სახელით იცნობს.

ნაკლებს ვფიქრობთ ჩვენი კულტურის შესახებ, რადგანაც იგი იმდენად გვაქვს გამჯდარი და შესისხლხორცებული, რომ მას ვიღებთ ისე, როგორც რაღაც თავისთავად ცხადს. მაგრამ როდესაც ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ სხვა ადამიანებს, შესაძლოა, ჰქონდეთ განსხვავებული გრძნობები, რწმენა თუ ადათ-წესები, ვიწყებთ ფიქრს იმაზე, როგორ ვიზიარებთ ჩვენ კონკრეტულ იდეებსა და ტრადიციებს. ალბათ არც არასოდეს დავფიქრდებოდით ძაღლების ჭამის შესაძლებლობაზე, თუ არ შევიტყობდით, რომ ზოგი სხვა საზოგადოების წევრები ხშირად მიირთმევენ ძაღლის ხორცს. არ გვეცოდინებოდა, რომ სწორედ კულტურიდან გამომდინარეობს ჩვენი ცოდნა დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების შესახებ და რომ ზოგ სხვა საზოგადოებაში ავადმყოფობის მიზეზად ჯადოქრობასა და ბოროტ სულებს მიიჩნევენ. ჩვენთვის არ იქნებოდა ცნობილი, რომ სწორედ ჩვენ გვახასიათებს ლოგინში ძილი და რომ სხვა საზოგადოებებში ადამიანებს ხშირად სძინავთ იატაკზე ან მიწაზე. კულტურულ მსგავსებათა და განსხვავებათა შესახებ ცნობილი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვიწყებთ საკუთარი თავის შედარებას სხვა ადამიანებთან. სწორედ აქედან იწყება ანთროპოლოგიაც. როდესაც ევროპელებმა შორეული მხარეების აღმოჩენა დაიწყეს, ისინი კულტურული განსხვავებებით განპირობებული მრავალი, ხშირად შოკისმომგვრელი ფაქტის წინაშე დადგნენ.

კულტურის მახასიათებლების განსაზღვრა

ყოველდღიურობაში კულტურას ვიყენებთ იმის აღსანიშნავად, თუ რა სიხშირით ვეწვევით სხვადასხვა თეატრალურ წარმოდგენას ან კონცერტს, ხელოვნების მუზეუმს ან გალერეას. ანთროპოლოგისათვის ამ სიტყვას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ეს რალფ ლინთონის ახსნაშია მოცემული:

"კულტურა არის ნებისმიერი საზოგადოების ერთიანი ცხოვრებისეული გზა და არა ამ გზის მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც საზოგადოებას მიაჩნია უფრო მაღალგანვითარებულად თუ სასურველად. ამრიგად, კულტურას არ აქვს საერთო ჩვენს პირად ცხოვრებასთან, ფორტეპიანოზე დაკვრასა და ბრაუნინგის კითხვასთან. სოციალურ მეცნიერებათათვის ამგვარი საქმიანობა მთლიანი კულტურის მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილი გახლავთ. ეს მთლიანობა თავის თავში მოიცავს, აგრეთვე, ისეთ ყოველდღიურ საქმიანობებს, როგორიცაა ჭურჭლის რეცხვა ან ავტომობილის ტარება. კულტურულ მეცნიერებათათვის ისინი იგივეა, რაც ე.წ. დახვეწილი საქმიანობები. აქედან გამომდინარე, სოციალურ მეცნიერებათათვის არ არსებობენ უკულტურო საზოგადოებები და პიროვნებები. ყველა საზოგადოებას აქვს კულტურა, იმის მიუხედავად, რამდენად რთული თუ მარტივია იგი და ყველა ადამიანი კულტურულია, რადგანაც იგი საზოგადოების კულტურის ერთ-ერთი თანამონაწილე გახლავთ."

კულტურა ცხოვრების უამრავ ასპექტს ასახავს. ზოგიერთი ანთროპოლოგის მოსაზრებით, კულტურა ქცევების უკან მდგარი იდეებისა და წესების ერთობლიობაა. ანთროპოლოგთა უმეტესობა კულტურას განსაზღვრავს როგორც შეთვისებული ქცევების, რწმენების, ღირებულებებისა და იდეალების ერთობლიობას, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული საზოგადოებისა და პოპულაციისათვის.

როდესაც ერთი პიროვნება ფიქრობს ან აკეთებს რაღაცას, ეს ფიქრი ან მოქმედება პიროვნულ თვისებებს ასახავს და არა კულტურის მოდელს. რადგანაც აზრი და მოქმედება კულტურის ნაწილად მოიაზრება, მას უნდა იზიარებდეს მოსახლეობის რაღაც ნაწილი ან პიროვნებათა ჯგუფი. მაშინაც კი, თუ რამე ქცევა არ არის საზოგადოდ გავრცელებული, იგი კულტურულია, თუკი ადამიანთა უმეტესობა მას სწორად მიიჩნევს. მაგალითად, ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მოსაზრება, რომ ქორწინებაში ერთი მამაკაცი და ერთი ქალი უნდა იმყოფებოდნენ. ჩრდილოამერიკელთა უმეტესობა იზიარებს ამ მოსაზრებას და შესაბამისად იქცევა. პრემიერ-მინისტრის ან პრეზიდენტის ქცევა არ გახლავთ საზოგადოდ გაზიარებული და გავრცელებული — ბოლოს დაბოლოს, ერთდროულად მხოლოდ ერთი პრეზიდენტი შეიძლება ჰყავდეს ქვეყანას — მაგრამ მათი როლი კულტურულია, რადგან ქვეყნის მცხოვრებთა უმეტესობა ამ თანამდებობების არსებობას საჭიროდ თვლის, ხოლო ამ თანამდებობაზე მყოფებისაგან გარკვეულ ქცევებს მოელის. ჩვენ, ჩვეულებრივ, ვიზიარებთ მრავალ ღირებულებას, რწმენასა და ქცევებს ჩვენი ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ერთად (თუმცა, ანთროპოლოგებს არ გააჩნიათ საერთო ჩამოყალიბებული მოსაზრება კულტურული ჯგუფის ამ ტიპთან დაკავშირებით). ჩვენ, ზოგადად, გვაქვს საერთო კულტურული მახასიათებლები საზოგადოების იმ ნაწილთან, რომლებიც გვემსგავსებიან ეთნიკური, რეგიონული, რელიგიური ან პროფესიული ნიშნით. ჩვენ ჩრდილოამერიკელთა უმრავლესობის მსგავსი ჩვევებით, რწმენებით და აღქმით გამოვირჩევით, გვაქვს საერთო ცალკეული მახასიათებლები საზოგადოების მსგავსი ინტერესების (მაგალითად, საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებები) ან საერთო წარმოშობის მქონე წარმომადგენლებთან, როგორც, მაგალითად, ზოგ ინგლისურენოვან ერს.

როდესაც ვლაპარაკობთ საზოგადოებაში გავრცელებულ ტრადიციებზე, რომლებიც კულტურული ანთროპოლოგიის ღერძს შეადგენს, ჩვენ საქმე გვაქვს კულტურასთან. თუკი ვსაუბრობთ საზოგადოების რომელიმე ჯგუფში გავრცელებულ ადათ-წესებზე, რომლებიც წარმოადგენს სოციოლოგიის მთავარ ღერძს, საქმე გვაქვს **სუბკულტურასთან** და თუკი ვსწავლობთ რამდენიმე საზოგადოებისათვის საზიარო ადათ-წესებს, აქ უკვე საქმე გვაქვს ისეთ ფენომენთან, რომელიც ერთი სიტყვით არ გამოიხატება — მაგალითად, როდესაც ვსაუბრობთ "დასავლური კულტურის" (ევროპულ საზოგადოებათა კულტურული მახასიათებლების) ან "სილატაკის კულტურის" (მსოფლიოში მცხოვრებ ღარიბ ადამიანთა სავარაუდო კულტურული მახასიათებლების) შესახებ.

უნდა გვახსოვდეს: როდესაც ანთროპოლოგი რაღაცას მოიხსენიებს, როგორც "კულტურულს", ყოველთვის არის ინდივიდუალური ვარიაციები, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების რომელიმე წევრი, შესაძლოა, არ იზიარებდეს ამა თუ იმ მახასიათებელს. მაგალითად, ჩრდილოამერიკული კულტურისათვის დამახასიათებელია ზრდასრული ადამიანის მშობლებისაგან განცალკევებით ცხოვრება, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ყველა ზრდასრული როდი იქცევა ასე. ეს ჩვევა კულტურულად იმიტომ ხასიათდება, რომ უმეტესობა იქცევა ამგვარად. როგორც 1930-იან წლებში ედუარდ საფირმა შენიშნა, ანთროპოლოგების მიერ შესწავლილ ყველა საზოგადოებაში — უმარტივესებშიც და ურთულესებშიც — პიროვნებათა ქცევა და აზროვნება ერთნაირი არ გახლავთ. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, პიროვნული ვარიაციები ახალი კულტურის წარმოშობის საფუძველია.

კულტურა ისწავლება

საზოგადოებაში არსებული ყველა ქცევა თუ ტრადიცია, არ არის კულტურული. მაგალითად, საზოგადოების წევრთა უმეტესობის ქერათმიანობა არ არის კულტურის შემადგენელი ნაწილი, ისევე, როგორც, დავუშვათ, ჭამა. იმისთვის, რომ რაიმე მოიაზრებოდეს როგორც კულტურის ნიშანი, იგი, გავრცელებულთან ერთად, უნდა შეისწავლებოდეს კიდეც. ტიპური ქერა თმა არ არის კულტურის ნიშანი, რადგანაც იგი გენეტიკით არის განპირობებული. ადამიანები ჭამენ, ვინაიდან მათ ეს სჭირდებათ. მაგრამ რა, როდის და როგორ ჭამონ, ეს უკვე სწავლის შედეგად მოდის და სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვანაირად ხდება. ჩრდილოამერიკელთა უმეტესობა არ მიიჩნევს ძაღლის ხორცს საჭმლად, მეტიც, ეს აზრი მათთვის შემაძრწუნებელიც კი შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ ჩინეთში, ისევე როგორც ზოგ სხვა საზოგადოებაში, ძაღლის ხორცი დელიკატესად ითვლება. ჩვენთვის ნორმალურია შემწვარი გოჭის გამოტანა საახალწლო სუფრაზე მაშინ, როდესაც ახლო აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ეგვიპტესა და ისრაელში, ღორის ხორცის ჭამა წმინდა წიგნებით არის აკრძალული.

გარკვეულწილად ყველა ცხოველი ავლენს შესწავლილ ქცევებს, რომელთაგან ზოგიერთი, შესაძლოა, პოპულაციის წარმომადგენელთა უმეტესობის მიერ იყოს გაზიარებული და შესაბამისად, იგი შეიძლება მივიჩნიოთ კულტურულად. მაგრამ ცხოველთა ქცევა განსხვავდება იმით, ნასწავლია, თუ ინსტინქტური. მაგალითად, ჭიანჭველები, რომლებსაც აშკარად მწყობრი სოციალური ქცევა ახასიათებთ, თავიანთ მოქმედებებში, შრომის განაწილებაში, ბუდეების შენებაში, სალაშქრო კოლონების დაწყობასა და მიცვალებულებზე ზრუნვაში, არ ავლენენ არანაირ ნიშნებს იმისა, რომ ეს მოქმედებები მათ სხვა ჭიანჭველებისაგან აქვთ ნასწავლი. განსხვავებით ადამიანებისაგან, რომელთა ქცევა კულტურის საფუძველზეა აგებული.

სულ უფრო ხშირია აღმოჩენები, რომლებიც ადასტურებს, რომ ჩვენი უახლოესი ბიოლოგიური ნათესავები, მაიმუნები, ჩვევებს იძენენ არა მხოლოდ საკუთარი გამოცდილების ხარჯზე, არამედ ერთმანეთისგანაც. ზოგი შეძენილი ჩვევა ისეთივე ძირითადია, როგორც დედობრივი ზრუნვა. სხვები შედარებით ფრივოლურია, როგორც მაგალითად, ტკბილეულის დაგემოვნება. ფრანს დე ვაალმა ჩაატარა შვიდი გრძელვადიანი გამოკვლევა შიმპანზეების შესახებ და გამოავლინა, სულ მცირე, ოცდაცხრამეტი სახის ქცევა, რომლებიც უდავოდ სხვებისაგან იყო შესწავლილი. როდესაც ქცევა სხვებთან არის გაზიარებული და სოციალურად ათვისებული, იგი უკვე შეიძლება ჩაითვალოს კულტურულად. მაგალითად გამოდგება მაიმუნ ვერვეტის ქცევა, რომელსაც უფრო დეტალურად ენებისა და კომუნიკაციის თავში განვიხილავთ. ეს მაიმუნები იყენებენ განსაკუთრებულ ბგერებს ცაში არწივების გამოჩენის აღსანიშნავად. არწივები მაიმუნებზე ნადირობენ. ეს ბგერები შეძახილის მსგავსია და როგორც ჩანს, დაახლოებით ნიშნავს "ფრთხილად, არწივები ახლოს არიან!" ეს მნიშვნელობა გაზიარებული და ათვისებულია ჯგუფის მიერ, რადგანაც ერთ-ერთი წევრის შეძახილზე ყველა მსგავსად რეაგირებს — მაიმუნები ცისკენ ყურებას იწყებენ.

ბავშვების მიერ კულტურის ათვისება მშობლებისა და სხვა როლური მოდელების მიბაძვით ხდება.

ცხოველის ბავშვობის პერიოდი ასახავს თუ რამდენად არის მისი მომავალი სიცოცხლე და გადარჩენა დამოკიდებული ათვისებადი ქცევების შესწავლაზე. მაიმუნებს, სხვებთან შედარებით, ხანგრძლივი ბავშვობა აქვთ, ადამიანებს კი — ყველაზე ხანგრძლივი. ეს მაჩვენებელია იმისა, თუ რა ძლიერ ვართ დამოკიდებული შესწავლილ ქცევებზე. თუმცა, ადამიანებს შეუძლიათ ბევრი რამ ისწავლონ მიბაძვითა და იმიტაციებით, როგორც ამას მაიმუნები აკეთებენ, მაგრამ უმთავრესი მის სწავლაში მაინც მეტყველება, სიმბოლური ენა გახლავთ.

ენა ანთროპოლოგიისათვის ცნობილი ყველა ხალხი, მიუხედავად საზოგადოებრივი წყობისა, ფლობს მეტყველების კომპლექსურ სისტემას, სიმბოლური კომუნიკაციის საშუალებას, რომელიც ცნობილია ენის სახელით. სიმბოლური მას ეწოდება იმიტომ, რომ წინადადებაში გამოყენებული სიტყვები, შესაძლოა, ასახავდნენ ისეთ რამეს, რაც არ არსებობს მოცემულ მომენტსა და ადგილზე.

ენის ამგვარი სიმბოლურობა უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია კულტურის გადაცემისათვის. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია, თავის შვილს აუხსნას, მაგალითად, რომ გველი სახიფათოა და მას უნდა მოერიდოს. მშობელს შეუძლია დაწვრილებით აღუწეროს შვილს გველის გარეგნობა, შეუძლია გააფრთხილოს, რა ადგილებში შეიძლება შეხვდეს გველს და როგორ უნდა აიცილოს თავიდან მასთან შეჯახება, დაუძახოს მშობელს და შეატყობინოს მას შესაბამისი სიმბოლური სიტყვის მეშვეობით, რომელიც გველის აღმნიშვნელია და ამგვარად აირიდოს საფრთხე. სიმბოლური ენის არარსებობის შემთხვევაში, მშობელი იძულებული იქნებოდა, დალოდებოდა გველთან შეხვედრის შემთხვევას და შემდეგ პირადი მაგალითის საფუძველზე აეხსნა, როგორ მოქცეულიყო. ენის გარეშე, ალბათ, არ გვექნებოდა ინფორმაციის ესოდენ სწრაფად და ხარისხიანად მიღებისა და გადაცემის საშუალება და აქედან გამომდინარე, ვერ გავხდებოდით ესოდენ მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურის მემკვიდრეები.

საბოლოოდ, შეგვიძლია ნათქვამი შემდეგნაირად შევაჯამოთ: თუკი რამეს კულტურულს ვუწოდებთ, იგი უნდა იყოს ნასწავლი ქცევა, რწმენა, განწყობა, ღირებულება ან იდეალი, რომელიც ჯგუფის წევრების მიერ არის მიღებული და გაზიარებული. ტრადიციულად, ანთროპოლოგები მსჯელობენ **საზოგადოების** კულტურულ მახასიათებლებზე, საზოგადოებაში კი გულისხმობენ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაზღვრულ, მეზობელი ხალხებისათვის გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა ჯგუფს. ამ განსაზღვრებით, არ არის აუცილებელი, რომ საზოგადოებები მთლიანად შეესაბამებოდეს ერს ან სახელმწიფოს. არსებობს მრავალი ქვეყანა, განსაკუთრებით ეს ეხება ახალ ქვეყნებს, სადაც ცხოვრობენ ხალხები, რომლებიც ერთმანეთისათვის უცხო ენებზე ლაპარაკობენ. საზოგადოების ჩვენეული განსაზღვრებით, ამგვარი ქვეყნები მრავალი სხვადასხვა საზოგადოებისა და კულტურისაგან შედგება. ამას გარდა, ზოგი საზოგადოება, შესაძლოა, მოიცავდეს, აგრეთვე არა მხოლოდ ერთ ქვეყანას ან ერს, არამედ რამდენიმეს. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ კანადა და აშშ, რომლებიც, ფაქტობრივად, ერთ საზოგადოებას წარმოადგენენ, რადგან ლაპარაკობენ ერთ ენაზე, აერთიანებთ საერთო რწმენა, მრავალი ღირებულება და საქმიანობა. სწორედ ამიტომ ვლაპარაკობთ ამ თავში

"ჩრდილოამერიკულ კულტურაზე". ბევრი არ დაგვეთანხმება აშშ-სა და კანადის ერთ საზოგადოებად მიჩნევაში. ზოგს, შესაძლოა, ურჩევნია აშშ და კანადა ორ სხვადასხვა საზოგადოებად წარმოადგინოს, რადგანაც ისინი ცალკე სახელმწიფოები არიან.

ითვლება, რომ საზოგადოება გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ და საერთო ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა ჯგუფს წარმოადგენს. და როდესაც ანთროპოლოგი მსჯელობს საზოგადოების კულტურაზე, იგი გულისხმობს იმ საერთო და ათვისებადი ქცევების, რწმენების და ღირებულებების ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია ამ საზოგადოებისათვის.

კულტურათა შესწავლის ხელისშემშლელი შეხედულებები

მრავალი ევროპელი, რომელმაც შორეულ მხარეებში იმოგზაურა, გაკვირვებული ან შოკირებული დარჩა მოგზაურობისას ნანახი ადათ-წესებით. ამგვარი რეაქცია გასაკვირი არ გახლავთ. ადამიანებს, ზოგადად, ახასიათებთ, ეგონოთ, რომ სწორედ მათი ქცევა და პოზიცია გახლავთ სწორი, ხოლო ისინი, ვინც სხვანაირად ფიქრობენ, ან ამორალურნი არიან, ან „დაბალი დონისანი". პიროვნებას, რომელიც სხვა კულტურებს საკუთარი კულტურის გადასახედიდან აფასებს, **ეთნოცენტრისტი** ჰქვია, ამგვარ მიდგომას კი — **ეთნოცენტრიზმი**. ჩრდილოამერიკელთა უმეტესობისათვის ძაღლის ხორცი ან მწერების ჭამა მიუღებელია მაშინ, როდესაც ისინი ვერაფერს ცუდს ვერ ხედავენ, მაგალითად, საქონლის ხორცის ჭამაში. მსგავსი უარყოფითი რეაქცია ექნებოდა მათ უმეტესობას ბავშვობის ასაკში დანიშვნაზე ან თუნდაც, მიცვალებულთა ძვლების ამოთხრაზე.

ჩვენი ადათ-წესები, თავის მხრივ, უცნაური ან ბარბაროსული შეიძლება მოეჩვენოს სხვა კულტურის წარმომადგენელს. ძროხის ხორცის ჭამის ჩვენეული ჩვევა ინდუსისათვის პრიმიტიულიც იქნება და საზიზღარიც. მათ კულტურაში ძროხა წმინდა ცხოველია და მისი დაკვლა საკვებად გამოყენების მიზნით არ შეიძლება. მრავალ ქვეყანაში ბავშვები მუდამ ვიღაცის ზრუნვის ქვეშ იმყოფებიან, უფროსების მუხლებზე სხედან, სხვებთან ერთად სძინავთ. ამგვარი საზოგადოებისათვის ბავშვის დიდხანს მარტო დატოვება (თუნდაც მანეჟში) სასტიკი და ბარბაროსული ჩვეულება იქნებოდა. ჩვენი ყველაზე უფრო ჩვეულებრივი და ყოველდღიური ქცევებიც კი, შესაძლოა, აბსურდად მოეჩვენოს სხვა კულტურის წარმომადგენელს. ჩვენს საზოგადოებაზე დაკვირვებისას, მან, შესაძლოა, უცნაურად მიიჩნიოს ჩვენთვის სრულიად ჩვეულებრივი ქცევები. მაგალითად, ასე:

"ყოველდღიური სხეულის რიტუალი, რომელსაც ყველა ახორციელებს, შეიცავს პირის რიტუალსაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი ესოდენ ზრუნავს პირზე, აღნიშნული რიტუალი მოიცავს ქცევებს, რომლებიც გაუთვითცნობიერებელი მხილველისათვის გამაოგნებელია. მე გავიგე, რომ რიტუალი შედგება პირში ღორის ჯაგრის შეკვრის ჩადებისა და მისი სწრაფი და დაჟინებული მოძრაობებისაგან. პირადი რიტუალის გარდა, ეს ადამიანები წელიწადში ორჯერ მიდიან წმინდა პირის კაცთან. ეს უკანასკნელნი ფლობენ განსაკუთრებული მოწყობილობების შთამბეჭდავ რაოდენობას, როგორიცაა სხვადასხვა ბურღები, ქლიბები, მარწუხები და სახვრეტები. ამ საგნების გამოყენება პირიდან ბოროტი ძალების გამოდევნის დროს იწვევს ადამიანის წარმოუდგენელ ტანჯვას. პირის წმინდა კაცის მუშტრები პირს აღებენ და იგი მათ კბილებში ავადმყოფობისაგან წარმოქმნილ ნახვრეტებს ამ მოწყობილობათა საშუალებით კიდევ უფრო აფართოებს. შემდეგ ამ ხვრელებში ჯადოსნური მასალები იდება. თუკი კბილებზე არ არსებობს ბუნებრივად გაჩენილი ხვრელები, მაშინ ხდება ერთი ან რამდენიმე კბილის მოზრდილი ნაწილის გამომტვრევა ზებუნებრივი ნივთიერებების ჩასადებად. მუშტრების აზრით, ამ მკურნალობის მიზანი ავადმყოფობის შეჩერება და მეგობრებთან დაახლოებაა. ამ რიტუალის ძალზე წმინდა და ტრადიციული ხასიათი ნათელია იქიდანაც, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები კვლავ და კვლავ აგრძელებენ წმინდა პირის კაცთან სიარულს, წლიდან წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ მათი კბილები ხრწნას აგრძელებს."

ჩვენ ალბათ გავაპროტესტებთ ამგვარ მიდგომას და ვიტყვით, რომ თუკი გვსურს გავიგოთ კონკრეტული საზოგადოების (ამ შემთხვევაში ჩვენი) ქცევა, ამისათვის საჭიროა, ვიცოდეთ ამ საზოგადოების წევრთა აზრი ამ ქცევასთან დაკავშირებით. მოყვანილ მაგალითში დამკვირვებელს შეეძლო გაეგო, რომ "წმინდა პირის კაცთან" დროგამოშვებით სტუმრობა სამედიცინო შინაარსისა არის და არა რელიგიურის. მართლაც, დამკვირვებელს, გარკვეული გამოკითხვების შემდეგ, შეეძლო მიმხვდარიყო, რომ "პირის რიტუალები" არანაირ ჯადოსნურ ან რელიგიურ ხასიათს არ ატარებს. ეთნოცენტრიზმი გვიშლის ხელს უცხო კულტურების გაგებასა და ამავე დროს, საკუთარი კულტურის გაგებაშიც. თუკი ვფიქრობთ, რომ რასაც ვაკეთებთ, ყველაფერი საუკეთესოა, ნაკლებად ვუფიქრდებით იმას, თუ რატომ ვაკეთებთ იმას, რასაც ვაკეთებთ ან "ისინი" რატომ იქცევიან ისე, როგორც იქცევიან.

ეთნოცენტრიზმი ზოგადი მოვლენაა, მაგრამ ყოველთვის შეიძლება არ ვაქებდეთ ჩვენს კულტურას. დასაშვებია, რომ ცხოვრების სხვა გზები ხშირად ჩვენთვის უფრო მოსაწონი იყოს. ცივილიზაციის სირთულეებით გარემოცულთ, შესაძლოა, უფრო მარტივი ცხოვრება და "ბუნებასთან სიახლოვე" გვსურდეს. მაგალითად, ახალგაზრდა ჩრდილოამერიკელისათვის, რომლის მშობლებიც ორ ან სამ სამუშაოზე მუშაობენ, რათა აუცილებელით უზრუნველყონ ოჯახი, შესაძლოა, მიმზიდველი იყოს კალაჰარის უდაბნოში მცხოვრები კუნგის ტომის ცხოვრების წესი. ამ ტომის წევრები ერთმანეთს უნაწილებენ თავიანთ მონაპოვარს და ხშირად რჩებათ დასვენების დრო დღის განმავლობაში. მამაკაცები ნადირობენ, ქალები კი შემგროვებლობას ეწევიან. მათ არ გააჩნიათ პროდუქტის გაყინვის საშუალებები, ამიტომაც ნანადირევი ხორცის თანატომელთათვის განაწილება უფრო ხელსაყრელია, ვიდრე შენახვა და გაფუჭება. უფრო მეტიც, განაწილება უზრუნველყოფს ტომის წევრებს სოციალური დაცვის სისტემის მსგავსი ფენომენით. თუკი რომელიმე მონადირემ ვერ შეძლო ცხოველის მოკვლა, მას შეუძლია წარმატებული თანატომელისაგან აიღოს საკვები თავისთვის და ოჯახისათვის, მომავალში კი თავად გაუზიარებს ნანადირევს სხვა ხელმოცარულ მონადირეს. განაწილების ამგვარი სისტემა საკვებით უზრუნველყოფს მოხუცებსა და მცირეწლოვანთ, რომლებსაც არ შეუძლიათ თანატომელთა დახმარება საკვების მოპოვებაში.

შეგვიძლია თუ არა, მივბაძოთ კუნგის ტომს? შესაძლოა, ზოგიერთ რამეში მათი ცხოვრების წესი ჩვენთვის მისაღები იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი ცხოვრების წესი განვადიდოთ და ვიფიქროთ, თითქოს შეიძლებოდეს კუნგის ტომის ყველა ქცევის და წეს-ჩვეულების იოლად დანერგვა ჩვენს საზოგადოებაში. კუნგების ცხოვრების სხვა მომენტები ალბათ ნაკლებად მიმზიდველი იქნებოდა ჩრდილოამერიკელთა უმეტესობისათვის. მაგალითად, როდესაც მომთაბარე კუნგები თავიანთი დასახლებების გადაადგილებას გადაწყვეტენ, მათ თან მიაქვთ მთელი ქონება, ოჯახური ნივთები, წყლისა და საკვების აუცილებელი რაოდენობა და მიჰყავთ 4-5 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვები. ეს ყველაფერი მოზრდილ ტვირთს შეადგენს ნებისმიერ მანძილზე გადასატანად, კუნგები კი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 1500 მილს გადიან. აქედან გამომდინარე, მათთვის მომთაბარეობა მრავალ რამეზე ნიშნავს უარის თქმას. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ჩრდილოამერიკელთა უმეტესობისათვის კუნგების ცხოვრების

ანთროპოლოგიური საწყისები

კენიელი ნანდები

შეხება ყოველთვის სექსუალური ხასიათის მატარებელი არ გახლავთ. ანთროპოლოგები ვალდებულნი არიან, არ შეაფასონ უცხო კულტურის წარმომადგენელთა ქცევა საკუთარი კულტურის გადასახედიდან. რეჯინა ობოლერი და მისი ქმარი ლეონი თავიდან მეტად დააბნია კენიაში გავრცელებულმა ერთი სქესის ადამიანებს შორის შეხების სიხშირემ. თუმცა, ისინი მალე მიხვდნენ, რომ ის, რაც ჩვენ ინტიმურად შეიძლება გვეჩვენოს, არ არის აუცილებელი იყოს ასეთი. პირიქით, მას შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობა ჰქონდეს.

"კენიაში ჩასვლიდან მცირე ხნის შემდეგ, ჩვენი კვლევითი ჯგუფის წევრებმა სადილად დაგვპატიჟეს. სასმელის შემოტანის მერე, მე [რეჯინა] ჯორჯასთან ერთად დავჯექი გრძელ სკამზე, ხოლო ლეონი [რეჯინას ქმარი] ჯონთან ერთად მეორე სკამზე იჯდა. "კიდევ მიირთვი", თქვა ჯორჯამ ღიმილით და ხელი მხარზე გადამხვია, მკლავზე შემეხო, ჩემი ჭიქის შესავსებად ჩემთან ახლოს მოიწია. მაგიდის მეორე მხარეზე კი შევნიშნე, რომ ჯონის ხელი ლეონის ფერდს ეხებოდა მისი საყვარელი მასნავლებლების შესახებ საუბრის დროს. ჩვენს თანამემამულეებს, ალბათ, სვინგერები ვეგონებოდით, მაგრამ კენიაში ჟესტების ენა სულ სხვა მნიშვნელობისაა და ევროპისაგან განსხვავებით, სწორედ ამგვარი ქცევა ნიშნავს იმას, რომ ადამიანისადმი არანაირი სექსუალური ლტოლვა არ გაგაჩნიათ. გულუბრყვილო ამერიკელს ნაირობი, ალბათ, გეების სამოთხედ მოეჩვენებოდა ამდენი ხელიხელგადახვეული ერთსქესიანი წყვილის შემხედვარე, მაგრამ ეს იქნებოდა სასტიკი შეცდომა. კენიელები ბევრად უფრო შეუწყნარებელნი არიან ჰომოსექსუალიზმისადმი, ვიდრე ჩრდილოამერიკელები. ხელის მოკიდება ან შეხება საზოგადოებაში სწორედ რომ სექსუალური ლტოლვის არარსებობის გამომხატველად ითვლება. თუკი კენიელ ადამიანებს ერთმანეთი აინტერესებთ, ისინი საზოგადოების თვალწინ ერთმანეთის შეხებისგან თავს იკავებენ. ვერასოდეს იხილავთ საზოგადოებაში ცოლ-ქმარს, რომლებიც ერთმანეთს ეხებიან.

წესის ყველა ასპექტი იყოს მისაღები და სასურველი.

ორივე უკიდურესობა, ეთნოცენტრიზმი და სხვა კულტურების განდიდება, ხელს უშლის ანთროპოლოგიის ეფექტიან მუშაობას.

კულტურული რელატივიზმი

1870-იან წლებში, ადრეული ანთროპოლოგიის ხანაში, გაბატონებული იყო ე.წ. **ადრეული ევოლუციონიზმის** თეორია, რომლის მიხედვითაც კულტურები ერთნაირი და პროგრესირებადი გზით ვითარდებიან. მაგალითად, ლუის ჰენრი მორგანმა ჩამოაყალიბა პოსტულატი, რომლის მიხედვითაც, ოჯახის განვითარება ექვსი საფეხურისაგან შედგება. პირველი საფეხურია "გარყვნილებაში მცხოვრები ურდო", ხოლო ბოლო, უმაღლესი საფეხურად მონოგამიური ოჯახი გახლდათ გამოცხადებული. მორგანისა და სხვა ადრეული ევოლუციონისტების ყველა მოსაზრება და დასავლური კულტურის მახასიათებლები მიჩნეული იყო საუკეთესოდ და პროგრესულად, ხოლო სხვა კულტურები — ევოლუციის უფრო დაბალ საფეხურებზე მდგომად. ეს იდეები არ იყო მხოლოდ ეთნოგრაფიის მეტად მწირი ცოდნის შედეგი (მაგალითად, ქორწინების უნივერსალური ჩვეულებისა), მათში დიდი წვლილი მიუძღოდა ავტორთა ეთნოცენტრიზმსაც.

ევოლუციონიზმის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე მეოცე საუკუნის დასაწყისში გახლდათ ფრანც ბოასი. იგი და მისი მოწაფეები რუთ ბენედიქტი, მელვილ ჰერსკოვიცი და მარგარეტ მიდი ამტკიცებდნენ, რომ ადრეული ევოლუციონიზმის მიმდევრები არასაკმარისად იყვნენ გათვითნცობიერებულნი იმ კულტურებში, რომელთა შესახებაც აგებდნენ თეორიებს და არც ამ კულტურების თავისებურებათა წარმოქმნის კონტექსტი ესმოდათ. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მოსაზრებას, რომ დასავლური კულტურები უდავოდ მოწინავენი იყვნენ.

ანთროპოლოგიის მიმდინარეობა, რომელიც მიიჩნევს, რომ საზოგადოების წეს-ჩვეულებებისა და იდეების აღწერა უნდა მოხდეს ობიექტურად და გაგებულ იქნას საზოგადოებაში არსებული პრობლემებისა და წინააღმდეგობების კონტექსტში, ცნობილია **კულტურული რელატივიზმის** სახელით. მოითხოვს თუ არა კულტურული რელატივიზმი, რომ სხვა ან ჩვენი საზოგადოების ქცევები არ იქნას განსჯილი? ობიექტურობისადმი სწრაფვა ნიშნავს თუ არა იმას, რომ თავი შევიკავოთ იმ კულტურული ფენომენის მორალური შეფასებისაგან, რომელსაც ვაკვირდებით და რომლის ახსნასაც ვცდილობთ? უნდა ეცადონ ანთროპოლოგები ცვლილებათა შეტანას თუ არა? არ არის აუცილებელი. სანამ კულტურული რელატივიზმის კონცეფცია თავის მნიშვნელობას შეინარჩუნებს ანთროპოლოგიაში, მეცნიერები განსხვავებული აზრისანი იქნებიან კულტურული რელატივიზმის პრინციპების ინტერპრეტირებაში.

ამჟამად მრავალი ანთროპოლოგი არ ეთანხმება კულტურული რელატივიზმის მკაცრ ფორმებს, რომლებიც ბენედიქტმა და ჰერსკოვიცმა შემოგვთავაზეს 1930-1940-იან წლებში. ამ ფორმის თანახმად, მორალი იცვლება საზოგადოების მიხედვით და კულტურის ყველა დეტალი თანაბარუფლებიანია. როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოებაში მიღებულია მონობა, წამება და გენოციდი? მკაცრად რომ მივყვეთ რელატივიზმის დოქტრინას, გამოვა, თითქოს ამგვარი კულტურული თავისებურებები არ უნდა გავკიცხოთ და არც მათ აღმოფხვრას ვეცადოთ. კულტურული რელატივიზმის უფრო ლმობიერი ფორმის მიხედვით, ანთროპოლოგებმა უნდა დაიცვან ობიექტურობა ერის აღწერისას და მათი კულტურული ქცევების შესწავლისა და გაგების პროცესში. ისინი უნდა ერიდონ ნაჩქარევ და ზედაპირულ დასკვნებს, ტოლერანტულობა უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი მომენტი შეფასებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს რეალურად სერიოზული მიზეზები მკაცრი განსჯისათვის. კულტურული რელატივიზმის ეს შედარებით ლმობიერი ფორმა არ ზღუდავს ანთროპოლოგებს შეფასებებსა და მათი აზრით მიუღებელი მოვლენების აღმოფხვრის მცდელობებში. მაგრამ განსჯა არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი ფაქტორი მოვლენათა ობიექტურ შეფასებებში, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გასაკიცხია ან არ არის გასაკიცხი ის მოვლენა.

ახლა, როდესაც დავადგინეთ, რას ნიშნავს "კულტურული", უნდა დავსვათ შემდეგი შეკითხვაც: როგორ განსაზღვრავს ანთროპოლოგი თუ რომელი კონკრეტული



იმის გამო, რომ მრავალ საკითხში ეთნოცენტრულები ვართ, ხშირად გვიჭირს საკუთრი წეს-ჩვეულებების გაკრიტიკება, რომლებიც შეიძლება სხვა კულტურის წარმომადგენელთათვის შოკის მომგვრელი იყოს. მაგალითად, ამერიკელი ხანდაზმულობისას ხშირად მარტო რჩება, იაპონიაში კი მოხუცები სამი თაობისაგან შემდგარ ოჯახში ცხოვრობენ.

ქცევა, ღირებულება ან რწმენა გახლავთ კულტურული?

კულტურის აღწერა

ინდივიდუალური ვარიაციები

რომელიმე ცალკეული კულტურის აღწერა, ერთი შეხედვით, შესაძლოა, იოლ საქმედ მოგეჩვენოთ — თქვენ ხომ უბრალოდ საზოგადოებას დააკვირდებით და შეისწავლით მათ ქცევას. თუმცა საქმე ცოტა რთულად არის. გასათვალისწინებელია ის სირთულეები, რომლებიც ამ პროცესში შეიძლება შეგვხვდეს. მაგალითად, რა გზით განსაზღვრავთ დაკვირვების ობიექტს? და რა დასკვნას გამოიტანთ, თუკი თქვენს მიერ შესწავლილი პირველი ათი ადამიანიდან ერთსა და იმავე სიტუაციაში ათივე სხვადასხვანაირად მოიქცევა? სავარაუდოდ, ქცევის ასეთი ექსტრემალური განსხვავებები არ შეგხვდებათ, მაგრამ აუცილებლად წააწყდებით საერთო ტენდენციებიდან მრავალ ინდივიდუალურ გადახრას, მაშინაც კი, როდესაც პიროვნებების ქცევა გამოწვეულია ერთი ზოგადი სიტუაციით.

ქცევითი განსხვავებების ანთროპოლოგისეული შესწავლის უკეთ გაგებისთვის, მაგალითად მოვიყვანოთ საფეხბურთო მატჩი. ჰიმნის მოსმენის დროს, საზოგადოების სხვადასხვა წევრი სხვადასხვაგვარად იქცევა. როდესაც დგანან და ისმენენ, ზოგ მათგანს ქუდი აქვს მოხდილი, ბავშვები პოპკორნს ღეჭავენ, შეიარაღებული ძალების ვეტერანები გაჯგიმულები დგანან, თინეიჯერები ხალხში მეგობრებს ეძებენ, მწვრთნელები სარგებლობენ და საბოლოო მითითებებს აძლევენ გუნდს. მაგრამ, მიუხედავად განსხვავებებისა, ადამიანთა უმეტესობა მსგავსად იქცევა: ისინი დგანან ჩუმად, სახით დროშისაკენ. უფრო მეტიც, თუკი თქვენ რამდენიმე მატჩს დაესწრებით, დარწმუნდებით, რომ ამ მოვლენის მრავალი ასპექტი აბსოლუტურად ერთნაირია. მიუხედავად იმისა, რომ თამაშები სხვადასხვაა, წესები არ იცვლება. თუმცა მოთამაშეთა ფორმები განსხვავებული ფერისაა, ისინი მაინც ერთნაირადაა შეკერილი და გუნდები მოედანზე საცურაო კოსტუმებში არავითარ შემთხვევაში არ გამოვლენ.

მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურ ქცევათა მრავალფეროვნება თეორიულად უსასრულოა, რეალობაში ეს განსხვავებები საკმაოდ ადვილად ჯდება განსაზღვრულ ფარგლებში. ბავშვი, ჰიმნის მოსმენისას, შესაძლოა, პოპკორნს ჭამდეს, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ცეკვა დაიწყოს. პრაქტიკულად გამორიცხულია, ჰიმნის მოსმენისას მწვრთნელი მინდორზე გავარდეს და მომღერალს ჩაეხუტოს. ქცევის ვარიაციები განსაზღვრულია საზოგადოებაში დაშვებული ნორმებით და სწორედ ეს გახლავთ ანთროპოლოგის ერთ-ერთი მიზანიც: დაადგინოს, რას წარმოადგენს ეს ნორმები. მაგალითად, თუკი ვინმე ხელს შეუშლის თამაშის მსვლელობას და მინდორზე დაიწყებს სიარულს, მას აუცილებლად მოსთხოვენ მინდვრის დატოვებას. სხვა შეზღუდვები სრულიად ტრადიციულია. ჩვენს საზოგადოებაში ჩვეულებრივი რამ არის სიცხეში ზედა ტანსაცმლის გახდა, თუმცა შარვლის გახდა, სიცხის მიუხედავად, არ ჩაითვლება მისაღებ საქციელად. ამგვარი დეტალების შესწავლით ანთროპოლოგი ადგენს იმ საზღვრებს, რომლებიც მოქმედებს აღნიშნულ საზოგადოებაში და რომლებიც ახასიათებს ამ საზოგადოების ქცევას.

ინდივიდუალური ვარიაციების შესწავლაზე დაყრდნობით დადგენილი ჩვეულებრივი ქცევების მეშვეობით, ანთროპოლოგს შეუძლია ჯგუფის კულტურული თა-

მიმდინარე საკითხები და კვლევები

ადამიანის უფლებები და კულტურული რელატივიზმი

ახალ ამბებში სულ უფრო ხშირად გვესმის იმის შესახებ, რომ მთელ მსოფლიოში ირღვევა ადამიანთა უფლებები. შემთხვევები უამრავია, დაწყებული პოლიტიკური შეხედულებების გამო დაპატიმრებით და დამთავრებული ეთნიკური წმენდით. თუმცა, დასავლეთის კრიტიკულ დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი მსოფლიოს სხვა ქვეყნები უარყოფითად ხვდებიან და აცხადებენ, რომ დასავლეთმა უნდა შეწყვიტოს სხვათათვის ადამიანის უფლებებზე თავისი სუბიექტური მოსაზრებების თავს მოხვევა. მართლაც, მრავალი ქვეყანა აცხადებს, რომ მათ ეთიკის საკუთარი კოდექსი აქვთ. იქნებ ჩვენ, დასავლეთის საზოგადოება, მართლაც თავს ვახვევთ ამ ქვეყნებს ჩვენს მოსაზრებებს? იქნებ კულტურული რელატივიზმის მკაცრი ფორმა უნდა გავითავისოთ, რომელიც ყველა კულტურას თანაბრად განიხილავს? თუ ასე მოვიქცევით, შეუძლებელი გახდება ადამიანის უფლებების უნივერსალური სტანდარტების შემუშავება.

ვიცით, რომ ყველა კულტურას თავისი ეთიკური სტანდარტები აქვს, მაგრამ ეს სტანდარტები ერთნაირ ღირებულებებს არ ეყრდნობა და არ გამოხატავს. ზოგი კულტურა, მაგალითად, შესაძლოა, უპირატესობას ინდივიდუალურ პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებდეს, ზოგი კი — პოლიტიკურ წესრიგს; ზოგი, შესაძლოა, კერძო საკუთრების უფლებას იცავდეს, სხვები კი დოვლათის თანასწორ განაწილებას. აშშ-ში, მაგალითად, ადამიანებს აქვთ განსხვავებული აზრის ქონის უფლება და მათი საკუთრება ხელშეუხებელია, მაგრამ თუკი საკმარის ფულს ვერ იშოვიან, ისინი სამედიცინო დაზღვევისა და საჭმლის გარეშე შეიძლება დარჩნენ. კულტურები შესამჩნევად განსხვავდება უმცირესობათა და ქალთა უფლებების მიხედვით. ზოგიერთ საზოგადოებაში ქალებს კლავენ, როდესაც ქმარი გარდაიცვლება ან თუკი მათ მამისადმი ან ძმისადმი დაუმორჩილებლობა გამოავლინეს.

კულტურულ რელატივიზმს მწვავედ უპირისპირდება ელიზაბეტ ზექენტერი. იგი აღნიშნავს შემდეგ მომენტს: რელატივისტები ამტკიცებენ, რომ არ არსებობს მორალის უნივერსალური პრინციპები, მაგრამ ითხოვენ ტოლერანტულობას ყველა შემთხვევაში. თუკი ტოლერანტულობა არის უნივერსალური პრინციპი, რატომ არ შეიძლება არსებობდეს სხვა მსგავსი უნივერსალური პრინციპებიც? იგი აგრეთვე, აღნიშნავს, რომ კულტურული რელატივიზმი გამამართლებელ საბუთად უმეტესწილად დომინირებადი ჯგუფების მიერ გამოიყენება. ზექენტერი ყურადღებას ამახვილებს 1996 წელს ალჟირში მომხდარ შემთხვევაზე, როდესაც სასკოლო ასაკის ორი გოგონა გააუპატიურეს და მოკლეს იმის გამო, რომ მათ დაარღვიეს ფუნდამენტალისტების მიერ დადგენილი სასკოლო განრიგი. ნუთუ ეს გოგონები უფრო ნაკლებად იყვნენ კულტურის შემადგენელი ნაწილი, ვიდრე ფუნდამენტალისტები? ზექენტერი არ ეთანხმება პოზიციას, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორიცაა მაგალითად, შეთანხმება ადამიანის უფლებათა შესახებ, კულტურულ განსხვავებათა წაშლას ითხოვს და კულტურებს თავიანთ სახეს აკარგვინებს. მისი აზრით, ამგვარი შეთანხმებები უბრალოდ ზღვარს უდებენ ცალკეულ კულტურებს, რომლის ქვემოთაც მათ აღარ შეუძლიათ დაეცნენ.

შესაძლებელია თუ არა კულტურული რელატივიზმისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო კოდექსის შეთანხმება? შესაძლოა, ოღონდ არა სრულად. პოლ როზენბალტი ხედავს პრობლემას, მაგრამ მაინც თვლის, რომ საჭიროა მოქმედება წამებათა და ეთნიკურ წმენდათა წინააღმდეგ. „...თუკი დავადგენთ, რომ შედარებით ადვილია მათი დარწმუნება, ვისი შეხედულებები და ღირებულებებიც გასაგებია ვინმესთვის, კულტურული რელატივიზმი შეიძლება გახდეს იარაღი ცვლილებების მისაღწევად... რელატივისტის მიერ ღირებულებებისა და ელიტის გაგება აადვილებს იმის დადგენას, თუ რა არგუმენტები იქნება უფრო ეფექტური (მაგალითად, საზოგადოებაში, სადაც ჯგუფი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პიროვნება, უფრო ეფექტური არგუმენტი შეიძლება იყოს იმის ჩვენება, თუ რა სასარგებლოა ჯგუფისთვის მის წევრთა უფლებების დაცვა)". თქვენ როგორ ფიქრობთ?

ვისებურებების აღწერა. მაგალითად, ანთროპოლოგი, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა ჩვენს საზოგადოებაში არსებული სქესთაშორისი ურთიერთობებითა და ქორწინებით, დასაწყისშივე წააწყდებოდა საკმაოდ განსხვავებულ ქცევებს. აღმოჩნდებოდა, რომ ერთი წყვილი პირველ შეხვედრაზე კინოში წასვლას ამჯობინებს, ხოლო მეორე — ბოულინგის კლუბში. ზოგი წყვილი დიდი ხნის მანძილზე არის ერთად, ზოგი კი არა. ზოგნი ქორწინებისას რელიგიურ რიტუალებს ატარებენ, სხვები სამოქალაქო პროცედურებით კმაყოფილდებიან და ა.შ. მიუხედავად ამ სხვაობებისა, შემდგომი დაკვირვებების საფუძველზე ანთროპოლოგი აღმოაჩენს, რომ ურთიერთობებში გარკვეული კანონზომიერებები შეინიშნება. თუმცა წყვილები მრავალ განსხვავებულ ქმედებას ჩადიან თავიანთი პირველი და შემდგომი შეხვედრებისას, ისინი ყოველთვის თავად აგვარებენ შეხვედრების ორგანიზაციულ მხარეს, ცდილობენ არ დაისწრონ მშობლები, ხშირად რჩებიან მარტო შეხვედრის შემდეგ, ხშირად კოცნიან ერთმანეთს... რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, შესაძლოა, წყვილმა გადაწყვიტოს უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება ერთმანეთთან და გამოაცხადონ ამის შესახებ. ეს შეიძლება მოხდეს სიტყვიერი განცხადებით ან უბრალოდ ერთად ცხოვრებით. ბოლოს კი, თუკი ეს ორი ადამინი გადაწყვეტს დაქორწინებას, მათ თავიანთი კავშირი უნდა დაადასტურონ სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებში გარკვეული პროცესების გავლით.

ჩვენს საზოგადოებაში დაქორწინების მოსურნე პირი იძულებულია, დაემორჩილოს შესაბამის წესებს. მამაკაცს მოწონებული ქალის ცოლად შესართავად თითქოს უფრო მარტივადაც შეუძლია მოქცევა, ვიდრე ეს ჩვეულებრივი გაცნობისა და შემდგომი ურთიერთობების დროს ხდება ხოლმე. მას შეუძლია უბრალოდ ცხენით მიეჭრას ქალს, სტაცოს ხელი, შემოისვას ზურგსუკან და გააქროლოს. სიცილიაში, მაგალითად, სულ რაღაც რამდენიმე ათწლეულის წინ ეს ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა და წყვილი კანონიერ ცოლ-ქმრად მიიჩნეოდა მაშინაც კი, თუ ერთმანეთი იმ დღემდე არ ჰყავდათ ნანახი. ჩვენს საზოგადოებაში ამგვარი ქცევა მიუღებელია. მამაკაცი, რომელიც მსგავსად მოიქცევა, დაპატიმრებული იქნება მოტაცების ბრალდებით და მას საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება მოუწევს. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური ქცევები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს,

კულტურული ქცევის განსასაზღვრად, ანთროპოლოგები ზოგად მოვლენებს ეძებენ, თუმცა ყოველთვის არსებობს ინდივიდუალური ვარიაციები. აქ, საფეხბურთო მატჩის დაწყების წინ ეროვნული ჰიმნის მოსმენის დროს ხალხის უმეტესი ნაწილი წინ იყურება და ხელი გულზე უდებს.

კულტურული შეზღუდვები

ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ემილ დიურკჰეიმი ამტკიცებს, რომ კულტურა არის რაღაც გარეგანი ფაქტორი, რომელიც ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ჩვენზე. ამ ზეწოლას ყოველთვის ვერ ვგრძნობთ, რადგან ჩვეულებრივ, ვეთანხმებით იმ მოთხოვნებს, რომლებსაც კულტურა უყენებს ჩვენს ფიქრებს. მისაღები ქცევის სტანდარტები და წესები საზოგადოებრივ მეცნიერებებში **ნორმებად** იწოდება. ნორმების მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მძიმეა პასუხისმგებლობა მათი დარღვევის შემთხვევაში.

კულტურული შეზღუდვები ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. ბუნებრივია, პირდაპირი შეზღუდვები უფრო აშკარაა. მაგალითად, თუკი თქვენ ქორწილში შორტებს ჩაიცვამთ, უბრალოდ სიტყვიერად გაიკიცხებით, მაგრამ თუკი შიშველი გამოცხადდებით ცერემონიაზე, დაგაპატიმრებენ უზნეო ქცევის ბრალდებით. მიუხედავად იმისა, რომ კულტურულ შეზღუდვათა არაპირდაპირი ფორმები ნაკლებად აშკარაა, ეს მათ ეფექტურობას სულაც არ ამცირებს. დიურკჰეიმი შემდეგნაირად გამოთქვამს თავის მოსაზრებას: „არ ვარ ვალდებული ელაპარაკო მეგობრებს ფრანგულად ან ვაწარმოო ანგარიშსწორება კანონიერი ფულადი ერთეულით, მაგრამ სხვაგვარად უბრალოდ ვერ მოვიქცევი. რომც ვეცადო, სრულ მარცხს ვიწვნევ“. სხვაგვარად, თუკი დურკჰეიმი შეეცდებოდა, სერბულ-ხორვატულად ელაპარაკა ფრანგებთან, არავინ დაუშლიდა მას ამას, თუმცა ვერც ვერავინ გაიგებდა მის ნალაპარაკებს და შესაბამისად, პასუხსაც არ გასცემდნენ. მიუხედავად იმისა, რომ არავინ დაუშლიდა მას მაღაზიაში გამყიდველისათვის ისლანდიური ფულის შეთავაზებას, საეჭვოა, რაიმეს ყიდვა მოეხერხებინა. ექსპერიმენტების შედეგად, სოლომონ ესხმა აჩვენა, თუ რაოდენ ძლიერი შეიძლება იყოს კულტურული იძულება. ესხის დარიგებით, მისი თანაშემწე სტუდენტების ჯგუფი ვიზუალური სტიმულების შემცველ კითხვებზე წინასწარგანზრახულ არასწორ პასუხებს იძლეოდა. ექსპერიმენტის ობიექტი გახლდათ ერთი სტუდენტი, რომელმაც არ იცოდა, რომ ეს მცდარი პასუხები წინასწარ იყო დაგეგმილი. ესხის ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ ექსპერიმენტირებულთა მესამედი თანმიმდევრულად ეთანხმებოდა ჯგუფის მიერ გაცემულ აშკარად მცდარ პასუხებს და უარყოფდა საკუთარ სწორ პასუხს. დაახლოებით 40% კი ხანდახან ეთანხმებოდა ჯგუფს.

სოციალური და კულტურული იძულების არსებობა, მიუხედავად ყველაფრისა, არ ეწინააღმდეგება ინდივიდუალურობას. კულტურული იძულებები, როგორც წესი, ყველაზე ძლიერად საქციელთა მისაღებობის ზღვარზე ვლინდება. ამრიგად, არსებობს ფართო სპექტრი ქცევებისა, რომელთა საზღვრებს შიგნით პიროვნებებს თავისუფლად შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი ინდივიდუალობა და პიროვნებები ყოველთვის არ ემორჩილებიან უმრავლესობის სურვილებს. ესხის ექსპერიმენტებში ცდის პირების დაახლოებით მეოთხედი მუდმივად იცავდა თავის აზრს და არ შეუცვლია იგი ჯგუფთან სრული უთანხმოების პირობებში.

იდეალი აქტუალური კულტურული მაგალითის წინააღმდეგ

ყოველ საზოგადოებას აქვს მოსაზრებები (ღირებულებათა და ნორმათა სახით) იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცეს და რა უნდა იგრძნოს ადამიანმა კერძო შემთხვევაში. ყოველდღიურობაში ჩვენ ამ მოსაზრებებს იდეალებად მოვიხსენიებთ, ხოლო ანთროპოლოგიაში ისინი ცნობილია იდეალური კულტურული მაგალითების სახელით. ეს მაგალითები, როგორც წესი, მხარდაჭერას კულტურული იძულებების მხრიდანაც ღებულობს. მაგრამ ცნობილია, რომ ადამიანები ყოველთვის არ იქცევიან იმ სტანდარტების შესაბამისად, რომელთა მატარებლებიც არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, კულტურული იძულებაც აღარ იარსებებდა. ჩვენი იდეალური მაგალითებიდან ზოგიერთი განსხვავდება აქტუალური ქცევებისაგან, რადგან იდეალი ყავლგასულია. ეს არის ის, რასაც ემყარებოდა საზოგადოება წარსულში (როგორც, მაგალითად, თავისუფალი მეწარმეობის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო მინიმალურად უნდა ერეოდეს მრეწველობაში). სხვა იდეალური მაგალითები, შესაძლოა, არც არასოდეს ყოფილა მაგალითები, არამედ ისინი უბრალოდ წარმოადგენდა იმ სასურველ წესებს, რომელთა მიხედვითაც უნდა იცხოვრონ ადამიანებმა.

იდეალურ და აქტუალურ კულტურებს შორის არსებული სხვაობის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც ერთ-ერთი ჩრდილოამერიკული იდეალი, რომელიც გვამცნობს, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია და რომ პასუხისმგებლობა ყველას თანაბრად უნდა დაეკისროს. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ჩვენ ვიცით, რომ მდიდრებს შეუძლიათ უფრო ნაკლებად აგონ პასუხი, პატიმრობის ნაკლები ვადა მიიღონ, შეიძლება მოახერხონ გაანაწილონ უკეთესი პირობების მქონე ციხეებში და ასე შემდეგ. მიუხედავად ამისა, ეს იდეალი ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია და უმრავლესობა კვლავაც დარწმუნებულია იმაში, რომ კანონი ყველაზე თანაბრად ვრცელდება.

როგორ განვსაზღვროთ კულტურული მოდელები

არსებობს ორი ძირითადი მეთოდი, რომლითაც ანთროპოლოგს შეუძლია განსაზღვროს კულტურული მოდელები. როდესაც საქმე გვაქვს ადათებთან — მაგალითად, ჩვენთან არსებული წესი ბავშვების სკოლაში გაშვებისა — დამკვირვებელს მისი განსაზღვრა უბრალოდ პირდაპირი დაკვირვებისა და ცნობილი ხალხის (თუ რას ნიშნავს ცნობილი ხალხი, ამას მომდევნო თავში განვიხილავთ)

გამოკითხვით შეუძლია. როდესაც ვეხებით ქცევის კერძო სახეებს, რომელთაც მრავალი ინდივიდუალური ვარიაცია ახასიათებთ, ანთროპოლოგმა კულტურული მაგალითის დასადგენად ინფორმაცია სამაგალითო პიროვნებათაგან უნდა შეაგროვოს.

ერთ-ერთი მაგალითი იმისა, რომ ადამიანები, შესაძლოა, არც კი დაფიქრდნენ მათზე მოქმედ კულტურულ ჩვევებზე, გახლავთ საუბრის დროს მოსაუბრეთა სიახლოვე ერთმანეთთან. არსებობს საკმაო მიზეზები იმის სათქმელად, რომ ამგვარ ქცევას სწორედ გაუცნობიერებელი კულტურული მოდელები მართავენ. ეს წესები თავს ავლენს, როდესაც ჩვენ უცხო კულტურის წარმომადგენლებს ველაპარაკებით. ამ დროს, შესაძლოა, დისკომფორტი განვიცადოთ მოსაუბრის ზედმეტი სიახლოვით (რაც ინტიმურობის ნიშანია) ან ზედმეტი სიშორით (რაც ინდიფერენტულობად აღიქმება). ედუარდ ჰოლის მოხსენების თანახმად, არაბები, როგორც წესი, საუბრის დროს იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ შეუძლიათ ერთმანეთის სუნი იგრძნონ. ჩრდილოამერიკელსა და არაბს შორის საუბრის დროს არაბი ცდილობს მიუახლოვდეს მოსაუბრეს მაშინ, როდესაც ამერიკელი პირიქით, ცდილობს უკან დაიხიოს და დისტანცია დაიცვას.

თუკი გვსურს გავარკვიოთ სასაუბრო მანძილის წესები საზოგადოებაში, შეგვიძლია შევისწავლოთ სამაგალითო პიროვნებები და ჩამოვაყალიბოთ ე.წ. ფორმალური რეაქციები ანუ ფორმები. ფორმა არის სტატისტიკური ტერმინი, რომელიც ასახავს ყველაზე უფრო ხშირად მიღებულ პასუხს სხვა პასუხებს შორის. ამრიგად, ჩრდილოამერიკული საშუალო სასაუბრო მანძილი შეგვიძლია დავადგინოთ მრავალი სხვადასხვა წყვილის საუბრის დროს. ზოგისთვის ეს დისტანცია დაახლოებით სამოცი სანტიმეტრია, ზოგისთვის — სამოცდათხუთმეტი, ხოლო ზოგისათვის — ას ოცი. თუკი გამოვთვლით იმ დროს, რომლის განმავლობაშიც ადგილი აქვს თითოეულ დისტანციას, მივიღებთ ე.წ. სიხშირის განაწილებას. მანძილი, რომელიც ყველაზე ხშირად ფიქსირდება, არის სწორედ ფორმალური მაგალითი. ძალიან ხშირად, სიხშირის განაწილების გრაფიკული გამოხატულება ზარის ფორმის მრუდის სახეს იღებს, როგორც ეს ნაჩვენებია 13-1-ე სურათზე (გვ 229). ჰორიზონტალურ ღერძზე კვლევის მიზანია მოცემული (ამ შემთხვევაში ეს არის მანძილი მოსაუბრეთა შორის), ხოლო ვერტიკალურზე — დრო. თუკი გამოვიკვლევთ ჩრდილოამერიკელის ქცევას, მივიღებთ ზარის ფორმის მრუდს, რომლის კენწეროც დაახლოებით 90 სანტიმეტრის ნიშნულზე იქნება. ამის შემდეგ, ალბათ, აღარ არის გასაკვირი, რომ ჩვენ ე.წ. „გაწვდილი მკლავის მანძილზე" ვდგავართ სხვა ადამიანებისაგან.

სიხშირის განაწილების შესასწავლად შესაძლებელია საზოგადოების ყველა წევრის გამოკვლევა, თუმცა ეს, როგორც წესი, არ არის საჭირო. საზოგადოებრივი მეცნიერებების მუშაკები ხშირად არჩევენ მეორე მეთოდს ანუ სამაგალითო პირების არჩევას საზოგადოებიდან, ისეთების, რომლებიც ამ საზოგადოების უმრავლესობის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. საუკეთესო საშუალება საიმისოდ, რომ დარწმუნებული ვიყოთ არჩევანის სისწორეში, ამ არჩევანის **შემთხვევითობა** გახლავთ. ეს საზოგადოების ყველა წევრს აძლევს თანაბარ შესაძლებლობას, რათა იგი არჩეულ იქნას როგორც მაგალითი. თუკი სამაგალითო პიროვნება შემთხვევითია, იგი, სავარაუდოდ, დაახლოებით იმავე დოზით იქნება მატარებელი ყველა იმ ვარიაციისა და განსხვავებისა, რომელიც და როგორი დოზითაც არსებობს ამ საზოგადოებაში.

იმის გამო, რომ შედარებით ადვილია განზოგადება კულტურის ისეთი საზოგადოებრივი ასპექტებისა, როგორიც არის, მაგალითად, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებები აშშ-ში ან ფართოდ გავრცელებული ნორმები და ქცევები, რომლებიც ყველას მიერ სწორად არის აღქმული, ხშირად შემთხვევითი მაგალითების გამოყენება არც არის საჭირო. მაგრამ როდესაც საქმე გვაქვს უფრო კერძო, სიტყვიერად შედარებით რთულად გადმოსაცემ ან გაუცნობირებელ ასპექტებთან, მკვლევარი შესაძლოა, დადგეს შემთხვევითი პირების გამოკითხვის აუცილებლობის წინაშე, რათა შეძლოს ზუსტად განსაზღვრა, აქვს თუ არა საქმე კულტურულ მაგალითთან. მიზეზი ის გახლავთ, რომ ადამიანთა უმეტესობამ არ იცის სხვათა პირადი ქცევებისა და ფიქრების შესახებ, როგორიცაა მაგალითად სქესობრივი მიდრეკილებები და ქცევები, აგრეთვე არ იციან გაუცნობიერებელი კულტურული მაგალითების შესახებ, როგორიცაა იგივე სასაუბრო მანძილი. ის, რომ რაღაც ქცევა, შესაძლოა, ნაკლებად ვლინდებოდეს სახალხოდ, არ ნიშნავს იმას, რომ ეს ქცევა ნაკლებად იქნება გაზიარებული. თუმცა კულტურის ამ ასპექტების გამოვლენა უფრო რთულია.

დაკვირვებებისა და გამოკითხვების საფუძველზე, შეგვიძლია, დავადგინოთ, არის თუ არა რომელიმე ჩვეულება გავრცელებული საზოგადოებაში, მაგრამ გაგვიჭირდება იმის განსაზღვრა, არის თუ არა იგი შესწავლილი და შესაბამისად, კულტურული. ამის დადგენა ხშირად საკმაოდ რთულია. ბავშვები თავიანთი აღმზრდელების თვალწინ იზრდებიან. ამიტომ მათი გენეტიკური მემკვიდრეობის გამომხატველი ქცევები მკვეთრად არ არის გამოყოფილი სხვებისგან ნასწავლი ქცევებისაგან. მიიჩნევა, რომ ქცევა ნასწავლია, თუკი იგი იცვლება საზოგადოებიდან საზოგადოებაში, ხოლო მთლიანად გენეტიკით განპირობებულად ითვლება ჩვევა, რომელიც ერთნაირია ყველა საზოგადოებაში. მაგალითად (როგორც ამას ენებისადმი მიძღვნილ თავში გავიგებთ), მთელ მსოფლიოში ბავშვები დაახლოებით ერთსა და იმავე ასაკში სწავლობენ ენებს და მათ მიერ ადრეულ ასაკში გამოცემული ბგერებიც მსგავსია. ეს ფაქტები საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბავშვები თანდაყოლილი გრამატიკული ნიჭით იბადებიან. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების ენა მსგავსია მთელ მსოფლიოში, მოზრდილთა ენა სხვადასხვა საზოგადოებაში საგრძნობლად განსხვავდება. ეს განსხვავება გვაფიქრებინებს, რომ კონკრეტული ენები უკვე შესწავლილ ჩვევებს წარმოადგენს; ასევე, თუკი ქორწინების წეს-ჩვეულებები განსხვავებულია მსოფლიოს სხვადასხვა საზოგადოებისათვის, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს წეს-ჩვეულებები ნასწავლია და აქედან გამომდინარე, კულტურულია.



სურათი 13-1 **გადახრის სიხშირე**

ერთმანეთთან მოსაუბრე ადამიანებს შორის მანძილი კულტურების მიხედვით იცვლება. მარცხენა ფოტოზე ასახული ინდოელი რაჯპუტი მამაკაცების სახეები საუბრის დროს ბევრად ახლოსაა ერთმანეთთან, ვიდრე მარჯვენა სურათზე ასახული ამერიკელი ქალბატონებისა.

რამდენიმე ვარაუდი კულტურის შესახებ

კულტურა ზოგადად ადაპტირებადია

არსებობს ისეთი კულტურული ქცევებიც, რომელთა მკაცრი დაცვა ამცირებს საზოგადოების გადარჩენის შანსს. მაგალითად, ახალი გვინეის ზოგიერთი ტომი ქალებს იმთავითვე უწმინდურ და სახიფათო პირებად მიიჩნევს, რომლებთან ფიზიკური კონტაქტი მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს. ამ საზოგადოების მამაკაცებმა მკაცრად რომ დაიცვან ეს შეხედულება და მართლაც სრულად მოერიდონ ქალთან ყველანაირ კონტაქტს (მათ შორის სქესობრივსაც), ეს საზოგადოება მცირე ხნის შემდეგ შეწყვეტს არსებობას. თუმცა ეს მაგალითი უკიდურესობად შეიძლება მოგეჩვენოთ, იგი მაჩვენებელია იმისა, რომ საზოგადოების კვდომის ხელშემწყობი ჩვეულებები ნაკლებად მკაცრად არის ხოლმე დაცული. თუკი ამგვარ **ჩვეულებებს** საზოგადოება მკაცრად დაიცავს, იგი უბრალოდ შეწყვეტს არსებობას და ამ ჩვეულებებსაც თან წაიღებს ან წესები უბრალოდ შეიცვლება, რათა ადამიანებს გადარჩენის საშუალება მიეცეთ. ამრიგად, არაშემგუებლური ჩვევები არის ისეთი ჩვევები, რომლებიც ამცირებს საზოგადოების გადარჩენის შანსს და ისინი ხასიათდება გაქრობის ტენდენციით. ხოლო ჩვევები, რომლებიც პირიქით, ეხმარება საზოგადოებას გადარჩენასა და გაძლიერებაში, ცნობილია შემგუებლური ჩვევების სახელით. შესაბამისად, ვასკვნით: თუკი საზოგადოებამ საკმაოდ დიდხანს გაძლო საიმისოდ, რომ მოხვედრილიყო ანთროპოლოგთა ანალებში („ეთნოგრაფიული ჩანაწერები"), ესე იგი, მისი კულტურული რეპერტუარის უმეტესი ნაწილი **ადაპტირებადია** ან იყო ასეთი ერთ დროს.

როდესაც ვამბობთ, რომ ჩვეულება შემგუებლურია, ჩვეულებრივ, ვგულისხმობთ, რომ იგი შემგუებლურია რაღაც სპეციფიურ ასპექტში, ფიზიკური თუ სოციალური გარემოს თვალსაზრისით. რაც შემგუებლური იქნება ერთი გარემოსთვის, მეორეში შეიძლება არ იყოს ასეთი. აქედან გამომდინარე, როდესაც ვკითხულობთ, რატომ აქვს საზოგადოებას ესა თუ ის ჩვეულება, ჩვენ სინამდვილეში ვკითხულობთ იმას, აქვს თუ არა ამ ჩვეულების არსებობას აზრი საზოგადოების გადარჩენისათვის.

მრავალი კულტურული ქცევა, რომელიც სხვა შემთხვევებში მიუღებლად შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა, შესაძლოა, უფრო გასაგები გახდეს, თუკი მას განვიხილავთ როგორც საზოგადოების პასუხს გარემო პირობებისადმი. მაგალითად, შეიძლება გაგვაკვირვოს ზოგიერთ საზოგადოებაში გავრცელებულმა მშობიარობის შემდგომ პერიოდში სქესობრივი კავშირის აკრძალვამ. სანამ შვილი 2 წლის არ გახდება და ძუძუს წოვას თავს არ დაანებებს, ქალებს ეკრძალებათ სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცებთან. სავარაუდოდ, ესაა საზოგადოების პასუხი არახელსაყრელი გარემო პირობებისადმი. ამგვარი აკრძალვის არარსებობის შემთხვევაში, დედას შესაძლოა, შეეძინოს მეორე შვილიც, სანამ პირველი შეწყვეტს ძუძუს წოვას. დედის რძის გარეშე კი აღნიშნულ რეგიონებში ბავშვებს დაავადება კვაშიორკორი ანუ ცილის მკვეთრი ნაკლებობა ემუქრებათ. ეს აკრძალვა, შესაბამისად, ადაპტური ჩვეულებაა. არატროპიკულ მხარეებში ამგვარი დაავადების რისკი არ დგას. თავისთავად, არ დგას არც მშობიარობის შემდგომი სექსის აკრძალვის საკითხიც.

კულტურა ისევე შეიძლება რეაგირებდეს სოციალურ გარემოზე, როგორც ფიზიკურ გარემოსა და ბიოლოგიურ მოთხოვნებზე. ამის მაგალითია ჰოპის ტომის ინდიელთა დასახლებები არიზონაში, რომლებიც ძირითადად გორაკების თავზეა განლაგებული. ჰოპიებს მნიშვნელოვანი მიზეზი უნდა ჰქონოდათ თავიანთი საცხოვრებლის ესოდენ მოუხერხებელ ადგილებში გამართვის, სადაც სასმელი წყალიც კი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ამის ახსნა იმით შეიძლება, რომ ჰოპის მეზობლად მცხოვრებმა ატაპასკური ენობრივი ჯგუფის ინდიელებმა, კერძოდ კი აპაჩესა და ნავაჰოს ტომებმა, ჰოპის ტერიტორიაზე დაიწყეს შეჭრა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰოპიებმა თავიანთი საცხოვრებელი ადგილები სოციალური გარემოს შესაბამისად მოაწყვეს.

მოცემული ჩვევა ასახავს საზოგადოების ადაპტაციას გარემო პირობებისადმი, მაგრამ იგი არ ასახავს ადაპტაციის ყველა შესაძლო ვარიანტს. სხვადასხვა საზოგადოებამ შესაძლოა ადაპტაციის სხვადასხვა გზა აირჩიოს. სამხრეთ ამერიკელი ინდიელების ზოგიერთ საზოგადოებაში, სადაც კვების რაციონში ნაკლები ცილაა, მოქმედებს არა მშობიარობის შემდგომი აკრძალვა სქესობრივ კავშირზე, არამედ მშობიარობის შეწყვეტის ჩვეულება. ეს პრაქტიკა იმავე მიზნებს ემსახურება, რასაც სქესობრივ კავშირზე დადებული ტაბუ. იგი ათავისუფლებს სასიცოცხლო სივრცეს ბავშვისათვის. ჰოპის ტომის ინდიელებმა, მტრისაგან თავის დასაცავად, საცხოვრებელი მაღლობებზე გამართეს. მათ შეეძლოთ სხვა მეთოდებისათვის მიემარ-

თათ — მაგალითად, შეექმნათ ჯარი.

რატომ მიმართავს საზოგადოება ამა თუ იმ მეთოდს გადარჩენისთვის, ეს ახსნას მოითხოვს. არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, რომელი საშუალება უფრო მისაწვდომია საზოგადოებისათვის მოცემული კულტურული რეპერტუარის პირობებში. მაგალითად, ჰოპის ინდიელების შემთხვევაში, მოქმედი არმია ვერ იქნებოდა შესაძლო პასუხი შექმნილ ვითარებაზე იმის გამო, რომ ამ ხალხის ეკონომიკა, უბრალოდ, ვერ უზრუნველყოფდა ჯარის არსებობას. როგორც საკვების მოპოვებისადმი მიძღვნილ თავში ვნახავთ, სრული დატვირთვით მომუშავე სპეციალისტები, როგორებიც არიან თუნდაც ჯარისკაცები, მეტ საკვებს საჭიროებენ, ვიდრე ისინი, ვინც ამ საკვების მოპოვებაშია ჩართული. წარმოების ამგვარი დონე კი ჰოპის ტომს არ გააჩნდა, შესაბამისად, მათთვის საუკეთესო გამოსავალი საცხოვრებლის გორაკებზე გამართვა აღმოჩნდა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საზოგადოება, რომელმაც საკმარისად დიდხანს გაძლო საიმისოდ, რათა იგი აღეწერათ, ხასიათდება უფრო მეტი შემგუებლური ჩვეულებით, ვიდრე არაშემგუებლური. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ყველა ჩვეულება დაკავშირებულია შეგუებასთან. ზოგიერთი და ხშირად საკმაოდ ბევრი ჩვევა საზოგადოებაში სრულიად ნეიტრალურია ადაპტაციის თვალსაზრისით. მათ, შესაძლოა, არ ჰქონდეთ პირდაპირი კავშირი რეპროდუქციულ წარმატებასთან. მაგალითად გამოდგება წესები, რომლებსაც ვიცავთ ქორწილში ჩასაცმელი ტანსაცმლის შერჩევისას, სუფრასთან ჯდომისას ან სხვა ადამიანებთან დისტანციის დაცვის დროს. შესაძლოა, ვინმემ შენიშნოს გადარჩენასა და რეპროდუქციასთან დაკავშირებით ამ ჩვეულებათა შედეგები, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ისინი ამ მხრივ სრულიად ნეიტრალურები აღმოჩნდნენ. ამგვარი ნეიტრალური მახასიათებლები, შესაძლოა, ოდესღაც დაკავშირებულნი იყვნენ გადარჩენასთან. შესაძლოა ისიც, რომ მათ მსგავსი მხარე არც არასოდეს გააჩნდათ.

უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოებას არავინ აძალებს საკუთარი კულტურის შეცვლას გარემო პირობების ცვლილების შემთხვევაში. შეცვლილი გარემოებების შემთხვევებშიც კი, ადამიანებმა, შესაძლოა, ძველი გზით სიარული არჩიონ. მაგალითად, ცენტრალურ ბრაზილიაში მცხოვრები ტარიპარეს ტომი ამოწყვეტის პირას მივიდა იმის გამო, რომ მათ არ შეცვალეს თავიანთი ცხოვრების წესი გარემოს შეცვლასთან ერთად. ამ ტომში მოქმედებდა მშობიარობის რიცხვის შეზღუდვის წესები, რომლებიც უცვლელი დარჩა მას შემდეგაც, რაც ტომმა თავისი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაკარგა ევროპელებთან და მათ მიერ შემოტანილ დაავადებებთან შეხების შედეგად. ტარიპარეს მოსახლეობა დაახლოებით 1000 ადამიანიდან 100-მდე შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ გადაშენების აშკარა საფრთხის წინაშე იყვნენ, ისინი მაინც აგრძელებდნენ ოჯახების სიმცირის დაცვას. მათ არა მხოლოდ სჯეროდათ, რომ ქალს სამ შვილზე მეტი არ უნდა ჰყავდეს, არამედ ამ მიზნის მისაღწევად სპეციფიკური მეთოდებითაც მოქმედებდნენ: ისინი ხოცავდნენ ბავშვებს, თუკი ტყუპები დაიბადებოდნენ ან თუ მესამე ბავშვი პირველის სქესისა აღმოჩნდებოდა ანდა თუკი მამებმა დაარღვიეს გარკვეული აკრძალვები ორსულობის ან ბავშვის ჩვილობის დროს.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია აგრეთვე, რომ ადამიანების ქცევა არაშემგუებლური იყოს მაშინაც კი, თუ ისინი შეეცდებიან შეცვალონ იგი. ადამიანები ხომ შეიძლება შეცდნენ და ის, რაც მათი აზრით, მათთვის სასარგებლო იქნება, სინამდვილეში, შესაძლოა, სულაც არ აღმოჩნდეს ასეთი.

კულტურა უმეტესწილად ერთიანია

როდესაც გვესმის განსხვავებული კულტურული მაგალითის შესახებ, ბუნებრივი რეაქციაა იმის წარმოდგენა, თუ როგორ იმუშავებდა ეს მაგალითი ჩვენს საზოგადოებაში. რა მოხდებოდა, ჩრდილოამერიკულმა საზოგადოებამ მშობიარობის შემდგომ სქესობრივი კავშირი რომ აკრძალოს, დავუშვათ, ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში. ამგვარი რამ საკმაოდ უჩვეულოდ მოგვეჩვენებოდა. ერთი კულტურის მაგალითების მეორე კულტურისათვის მისადაგება ხშირად ძალიან რთულია. სეხსის ხანგრძლივი აკრძალვა ნიშნავს, რომ საზოგადოება განიცდის საშუალებათა ნაკლებობას შობადობის გასაკონტროლებლად, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას ეს პრობლემა არ აწუხებს. უფრო მეტიც, ამგვარი აკრძალვა იმოქმედებდა ჩვენი კულტურის სხვა მნიშვნელოვან ასპექტებზე. მაგალითად, ჩვენ ვთვლით, რომ ცოლ-ქმარი სექსის გარეშე ბედნიერი ვერ იქნება. ამგვარი აკრძალვის დამკვიდრება ნიშნავს, რომ ჩვენი კულტურა აღარ იქნებოდა ის, რაც მანამდე იყო, რადგან საჭირო გახდებოდა ქცევის ახალი ნორმების მოძებნა. ეს ყოველივე იმის შედეგია, რომ ჩვენი კულტურა ერთიანია.

როდესაც ვამბობთ, კულტურები უმეტესწილად ერთიანიაო, ვგულისხმობთ, რომ ამ კულტურის ელემენტები და თავისებურებები არ არის უბრალოდ წეს-ჩვეულებებისა და ადათების გროვა, არამედ ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ანთროპოლოგები კულტურის ერთიანობაზე საუბრობენ, გახლავთ მისი შემგუებლობა. თუკი გარკვეული ადათები უფრო შემგუებლურია რაიმე განსაკუთრებულ ვითარებაში, მაშინ თავისებურებათა ამგვარი „შეკვრები" თავს ერთად, ერთ პირობებში მოიყრიან. მაგალითად კუნგის ტომი ავიღოთ. ისინი არსებობენ ნადირობითა და შემგროვებლობით, არიან მომთაბარეები, ცხოვრობენ მცირე საზოგადოებებად, აქვთ მცირე მატერიალური დოვლათი და ტომის წევრები საკვებს ერთმანეთს უნაწილებენ. როგორც დავინახავთ, ეს კულტურული თავისებურებები, როგორც წესი, ერთად იყრის ხოლმე თავს იმ საზოგადოებებში, სადაც ადამიანები ნადირობასა და შემგროვებლობაზე არიან დამოკიდებულნი.

კულტურა, შესაძლოა, ერთიანობით ხასიათდებოდეს ფსიქოლოგიური მიზეზების გამო. კულტურის თავისებურებანი — დამოკიდებულებები, ღირებულებები, იდეალები და ქცევის წესები — ადამიანებს შორის გროვდება და წესრიგდება. სოციალური ფსიქოლოგია ასკვნის, რომ ადამიანები მიდრეკილნი არიან შეცვალონ ის რწმენები და ქცევები, რომლებიც შემეცნებით და კონცეპტუალურ თანხმობაში არ მოდის სხვა ინფორმაციებთან. ჩვენ არ ვამბობთ, თითქოს კულტურები სრულიად ერთიანი და მონოლითური იყოს, ისევე, როგორც არ ველით ინდივიდებისაგან იმას, რომ ისინი სრულიად ეთანხმებოდნენ ყველაფერს. მაგრამ თუკი ადამიანებში აღმოჩენილია შემეცნებითი თანხმობისაკენ მიდრეკილება, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კულტურის ზოგიერთი ასპექტი მაინც ერთიანობისაკენ იქნება მიმართული.

ამ შეთანხმების მექანიზმის მუშაობა არ არის რთული აღსაქმელი. მაგალითად, გამოდგებიან ბავშვები. ისინი ძალიან კარგად იმახსოვრებენ ყველაფერს, რასაც მათ მშობლები ეუბნებიან. პატარები ხშირად ითხოვენ ხოლმე რაღაცას და უარის შემთხვევაში შეუძლიათ იკითხონ: „გუშინ ხომ თქვი, — კიო?". ამ წნეხმა, შესაძლოა, მშობლებს გადაწყვეტილებაც კი შეაცვლევინოს. რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც ვინმეს მოესურვება, ვერ იქნება შესაბამისობაში დანარჩენების სურვილებთან, მაგრამ ეს უდავოდ გარკვეულ ზეწოლას მოახდენს სხვებზე.

ადამიანებს აგრეთვე შეუძლიათ რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება. ისინი ხშირად ამჩნევენ, რომ რაღაცის გაკეთება შესაძლოა, გართულდეს მათივე სხვა მოქმედებების გამო. მაგალითად, თუკი საზოგადოებაში მიღებულია მშობიარობის შემდგომ პერიოდში სქესობრივი კავშირის ხანგრძლივი აკრძალვა, მოსალოდნელია, რომ ადამიანთა უმეტესობამ დაასკვნას, უფრო ადვილი იქნება ამ აკრძალვის შესრულების კონტროლი იმ შემთხვევაში,

გამოყენებითი ანთროპოლოგია

რატომ არ სურთ ბედუინებს დაუძნებულად ცხოვრება

მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობა განვითარებას ესწრაფვის. მათ სურთ თავიანთი მარცვლეულის მოსავლის გაზრდა, ექსპორტის განვითარება, გზებისა და საირიგაციო პროექტების აშენება და ინდუსტრიალიზაცია. განვითარების პროცესებით დაინტერესებული ანთროპოლოგები აღნიშნავენ, რომ განვითარების ბევრი სქემა აღმოჩნდა უსარგებლო იმის გამო, რომ ისინი არ ითვალისწინებდნენ იმ საზოგადოების კულტურას, რომელშიც უნდა დანერგილიყვნენ. ამიტომაც, საერთაშორისო ორგანიზაციები სულ უფრო ხშირად მიმართავენ რჩევებისათვის ანთროპოლოგებს განვითარების პროექტების შემუშავებისა და შეფასების მიზნით.

მთავრობები ცხოვრების ტრადიციულ წესს ხშირად უარყოფითად მიიჩნევენ და იმას არ ითვალისწინებენ, რომ ეს ძველი წესები, შესაძლოა, შემგუებლური იყოს. იმის გამო, რომ კულტურები ერთიანია, ადამიანებისაგან ნაკლებად მოსალოდნელია მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კულტურული ასპექტების ცვლილება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ არ სურთ ცვლილებები, მაგრამ ეს ცვლილებები არასასურველი იქნება, თუკი შესაბამისობაში არ მოვა მათი ცხოვრების სხვა ასპექტებთან.

ახლო აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში მთავრობები ცდილობდნენ ადგილობრივი მომთაბარე მოსახლეობის, მესაქონლეობით დაკავებული ბედუინების ცხოვრების წესზე გადაყვანას. სახელმწიფოს მხრიდან ადგილი ჰქონდა როგორც დაყვავებასა და წაქეზებას, ისე ძალისმიერი მეთოდების გამოყენებასაც, მაგრამ ყველა ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. რეტროსპექტივაში ეს არც არის გასაკვირი. ბედუინები აგრძელებდნენ მესაქონლეობას და თავიანთ ფარებს ამჯერად მკვიდრი დასახლების ირგვლივ აძოვებდნენ, მაგრამ ამგვარი მეურნეობა დასახლების ირგვლივ მიწების გაუდაბურებას იწვევდა და ბედუინები იძულებულნი ხდებოდნენ, დაეტოვებინათ იგი. ამ ხალხის ტრადიციული ცხოვრების წესი დამოკიდებული იყო მობილურობაზე. როდესაც საქონელი ამა თუ იმ კონკრეტულ ადგილას ბალახს მოძოვდა, ხალხი სხვა ადგილისაკენ უნდა დაძრულიყო. ნიადაგის გამოშრობასთან ერთად, ფარა ახალ ადგილზე უნდა იქნას გადაყვანილი. დასახლების ირგვლივ დიდი ხნით ჯოგების მოძრაობა კი ნახევრად უდაბნო რეგიონისათვის დამღუპველია, რადგან აძლიერებს ეროზიას და ხელს უწყობს მცენარეული საფარის გაქრობას. მრავალი წარუმატებელი ცდის შემდგომ მთავრობები, შესაძლოა, იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ბედუინებს ნება მისცენ, ტრადიციული წესით გააგრძელონ ცხოვრება.

ბედუინები თავად სულაც არ არიან ცვლილებების წინააღმდეგნი. მრავალი მათგანი ხვდება მზადყოფნით აქლემების, როგორც სატრანსპორტო საშუალების, შეცვლას ავტომობილებით. სატვირთო მანქანები ბედუინებს საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ მობილურობა. ადამიანებს მათი მეშვეობით შეუძლიათ წყალი უფრო შორ მანძილზე გადაიტანონ და საქონელი დაარწყულონ. ბედუინების ცხოვრებაში სატვირთო მანქანების შესვლამ სხვა ცვლილებებიც გამოიწვი. შედარებით პატარა ცხოველები მანქანებით უფრო იოლად გადასაყვანია ახალ ადგილზე, ამიტომაც, მრავალი ბედუინი აქლემების მოშენებიდან ცხვრებისა და თხების მოშენებაზე გადაერთო. მანქანისა და შემდგომ მისი გამართვისა და შეკეთებისათვის აუცილებელი ფულის საშოვნელად მრავალი მათგანი მიდის დროებით სამუშაოზე.

1980-იან წლებში ომანის მთავრობამ დახმარება სთხოვა ანთროპოლოგ დაუნ ჩატის, ომანელი ბედუინებისათვის ძირითადი სიციალური მომსახურებების დანერგვის პროექტის შემუშავებაში. ამ პროექტს უნდა შეეტანა ახალი მომსახურებები ბედუინთა ცხოვრებაში ისე, რომ არ დაერღვია მათი ტრადიციული ყოფა. საკმაოდ იშვიათად ხდება, როდესაც სახელმწიფო აფინანსებს კვლევებს იმის დასადგენად, თუ რა სჭირდება მის ხალხს, მაგრამ ჩატიმ დაარწმუნა ომანის ხელისუფლება, რომ ამგვარი კვლევები აუცილებელი პირველი ნაბიჯი იყო პროექტის წარმატებისათვის. გაერო-ს ფინანსური მხარდაჭერით, ჩატიმ დაიწყო ხალხის გამოკითხვა მათი საჭიროებების შესაფასებლად. სახელმწიფოს სურდა, გარკვეული მოქმედებები მაშინვე დაწყებულიყო, ამიტომ პროექტში მალე გაჩნდა ჯანდაცვის მობილური ქვედანაყოფი, რომელსაც შეეძლო მუშაობის დაწყება პირველადი დახმარებისა და აცრების განხრით. შეფასების პერიოდის შემდეგ, პროექტის გუნდმა სახელმწიფოს ურჩია, ყოველწლიურად გაეცა კარვები მოსახლეობაზე, აეშენებინა საერთო საცხოვრებლები, სადაც იცხოვრებდნენ სკოლის მოსწავლეები, გაემართა წყლით უზრუნველყოფის ახალი სისტემა, შეექმნა სავაჭრო და ვეტერინარული სამსახურები.

სამწუხაროდ, განვითარების გეგმების დასრულების შემდეგ, ხშირად არანაირი გარანტია არ რჩება იმისა, რომ ჯანმრთელობისა და სხვა სამსახურები გააგრძელებენ მუშაობას. ჩატისთვის ნათელი გახდა, რომ გრძელვადიანი პერიოდის ცვლილებები არც ისე ადვილი განსახორციელებელია, როგორც მოკლევადიანი პერიოდის. სხვა ანთროპოლოგებთან ერთად, იგი აგრძელებს ბრძოლას იმისთვის, რასაც მაიკლ სერენამ „ადამიანი უპირველეს ყოვლისა" უწოდ.

როდესაც ცოლსა და ქმარს ერთად არ ეძინებათ. ან თუკი საზოგადოებაში მარცხენა საავტომობილო მოძრაობაა, როგორც, მაგალითად, ეს ხდება ინგლისში, მაშინ უფრო ადვილი და უხიფათო იქნება მარჯვენასაჭიანი მანქანით მგზავრობა. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთესად ვაკონტროლოთ ავტომობილი და შევაფასოთ მოპირდაპირე მიმართულებით მოძრავი მანქანების ადგილმდებარეობა.

კულტურის თავისებურებათა შეთანხმებულობა და ინტეგრაცია, შესაძლოა, შედარებით გაუცნობიერებელი ფსიქოლოგიური პროცესების შედეგიც იყოს. როგორც ფსიქოლოგიისა და კულტურის, ხელოვნების, რელიგიისა და მაგიისადმი მიძღვნილ თავებში განვიხილეთ, ადამიანებს შეუძლიათ განაზოგადონ თავიანთი გამოცდილება და გადაიტანონ იგი საკუთარი ცხოვრების ერთი სფეროდან

მეორეში. მაგალითად, ბავშვებისათვის იმის ახსნა, რომ ოჯახის წევრებისა და ახლობლებისადმი აგრესიის გამოვლენა ცუდია, აისახება საზოგადოების ფოლკლორსა და ზღაპრებში. ბავშვებისათვის მოყოლილ ამბებში აგრესია ყოველთვის უცხო ადამიანებისაკენ არის მიმართული და არა ოჯახისა და მეგობრებისაკენ. როგორც ჩანს, აგრესია უარყოფით და არაშემგუებლურ რამედ მიიჩნევა, რისი გამოხატვაც ოჯახში არ უნდა მოხდეს, თვით ზღაპრებშიც კი.

კულტურის მიდრეკილება ერთიანობისაკენ შეიძლება გაძლიერებულ იქნას როგორც შემეცნებითად და ემოციურად, ისევე ადაპტაციურადაც.

კულტურა ცვალებადია

აშკარაა, რომ კულტურა იცვლება დროთა განმავლობაში. გავრცელებული ქცევები, რწმენები და ღირებულებები თანდათანობით იცვლება. ჩრდილოამერიკულ საზოგადოებაში მხოლოდ სქესობრივ ურთიერთობებსა და ქორწინებასთან დაკავშირებულ ქცევებს უნდა შევეხოთ იმის განსახილველად, თუ როგორ შეიცვალა ჩვენი კულტურა უკანასკნელ პერიოდში. ცვლილებათა მამოძრავებელი ძალა, შესაძლოა, საზოგადოების შიგნიდანაც მომდინარეობდეს და გარედანაც. შინაგანი, გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი წნეხი თანხმობაზე იმ შემთხვევაში გამოიწვევს კულტურულ ცვლილებას, თუკი ბევრი ადამიანი დაიწყებს ძველი წესების ახალ აზროვნებასთან შეთანხმებას. ცვლილებები, შესაძლოა, მოხდეს მაშინ, როდესაც ადამიანები ცდილობენ უკეთესი სამოქმედო გზების მოძებნას. მაიკლ ჩიბნიკის დასკვნით, ხალხი, რომელიც ახალ პრობლემებს ხვდება, ექსპერიმენტებს ატარებს იმის დასადგენად, როგორ უნდა მოიქცეს. ამ ექსპერიმენტებმა, შესაძლოა, საფუძველი დაუდოს ახალ კულტურულ თავისებურებებს.

კულტურული ცვლილებები ხშირად ხდება გარემო პირობების ცვლილების შედეგად. მაგალითად, თუკი ხალხი მშრალ მხარეში გადადის საცხოვრებლად, ის დგება არჩევანის წინაშე: თავი დაანებოს მიწათმოქმედებას ან განავითაროს ირიგაცია. თანამედროვე მსოფლიოში სოციალური გარემოს ცვლილება უფრო ხშირია ხოლმე, ვიდრე ბუნებრივის. მაგალითად, მრავალი ჩრდილოამერიკელისთვის 1973-1947 წლებში ნავთობის მიწოდების შეზღუდვამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი ელექტროენერგიისა და ენერგომატარებლების ეკონომიურად ხარჯვის შესახებ. სხვადასხვა საზოგადოებები ხშირად ახდენენ გავლენას ერთმანეთზე და მნიშვნელოვანი წილი სწრაფი და რადიკალური კულტურული ცვლილებებისა სწორედ ამ ფაქტორით არის განპირობებული. უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის მანძილზე დასავლური ცივილიზაციის მიერ განხორციელებული მსოფლიო კოლონიზაციის პროცესმა დიდი ცვლილებები შეიტანა მსოფლიოს სხვა საზოგადოებათა ცხოვრებაში. მკვიდრი ამერიკელები იძულებულნი გახდნენ, მკვეთრად შეეცვალათ თავიანთი ცხოვრების წესი, როდესაც ისინი აყარეს თავიანთი მიწებიდან და რეზერვაციებში შეასახლეს. კულტურული ცვლილებებისა და გლობალიზაციისადმი მიძღვნილ თავში განვიხილავთ თანამედროვე მსოფლიოში კულტურული ცვლილებების მთავარ მაგალითებს და ვნახავთ, რომ მათი უმეტესობა დასავლური ექსპანსიის შედეგი.

თუკი დავუშვებთ, რომ კულტურა მეტია, ვიდრე ქცევათა, რწმენათა და ღირებულებათა შემთხვევითი ნაკრები, რომ კულტურა ავლენს მიდრეკილებას შემგუებლობისაკენ, ერთიანობისა და ცვალებადობისაკენ, მაშინ კულტურათა შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების შესწავლა შესაძლებელი გახდება და ადვილად გასაგები იქნება. ამრიგად, მოსალოდნელია, რომ კულტურებში და მათ გარეთ არსებული მსგავსი ვითარებები მსგავს შედეგებს გამოიწვევენ. მიუხედავად იმისა, რომ შეგვიძლია დავასკვნათ კულტურული ვარიაციების აღქმადობა, რთულ საკითხად რჩება იმის გარკვევა, თუ რომელი კერძო ვითარება რომელ კერძო მაგალითს უწყობს ხელს. შემდგომ თავებში ჩვენ გავიგებთ, თუ რას ფიქრობენ ანთროპოლოგები თავიანთ ცოდნაზე კულტურული ვარიაციების ასპექტებთან დაკავშირებით. საილუსტრაციოდ, ჩვენ ხშირად აღვწერთ ხოლმე რომელიმე კონკრეტულ კულტურას, მაგრამ ამავე დროს, მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ აღწერილი კულტურა, სავარაუდოდ, დღეს იგივე აღარ არის, რაც ადრე, ის წყაროები, რომლებსაც ჩვენ ვეყრდნობით, ხშირად ხომ საკმაოდ დიდი დროის წინ არის მოპოვებული. 1990-იანი წლების კუნგის ტომი აღარ არის ის, რასაც იგი 1950-იან წლებში წარმოადგენდა.

შეჯამება

1. მიუხედავად მკვეთრი ინდივიდუალური განსხვავებებისა, კონკრეტული საზოგადოების წევრები ერთმანეთის მსგავსად რეაგირებენ ცალკეულ მოვლენებზე, რადგანაც ისინი იზიარებენ საერთო რწმენებს, მიდგომებს, ღირებულებებს, იდეალებსა და ქცევებს. ეს ყველაფერი მათ კულტურას შეადგენს.
2. კულტურა შეიძლება განსაზღვრულ იქნას როგორც შესწავლილი ქცევების, რწმენების, მიდგომების ღირებულებებისა და იდეალების ერთობლიობა, რომლებსაც იზიარებენ ჯგუფის წევრები.
3. ჯგუფის სიდიდე, რომელშიც ვრცელდება კულტურული თავისებურებები, შესაძლოა, მერყეობდეს კერძო საზოგადოებიდან ან საზოგადოების სეგმენტიდან ვიდრე ჯგუფამდე, რომელიც ეროვნულობის საზღვრებს სცილდება. როდესაც ანთროპოლოგები მსჯელობენ კულტურაზე, ისინი, როგორც წესი, საუბრობენ იმ საზოგადოებაში არსებულ კულტურულ მაგალითებზე, რომლის წევრები კონკრეტულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და მეტყველებენ ენაზე, რომელიც მეზობელი საზოგადოებებისათვის გაუგებარი.
4. კულტურა განისაზღვრება როგორც რაღაც ნასწავლი. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველებსაც ახასიათებთ გარკვეული კულტურული ქცევა, ადამიანები გამოირჩევიან ნასწავლი მაგალითების რაოდენობითა და კომპლექსურობით, რომლებსაც ისინი გადასცემენ ახალგაზრდა ინდივიდებს და ადამიანებს აქვთ კულტურის გადაცემის უნიკალური გზა — ენა — სიმბოლური მეტყველება.
5. ეთნოცენტრიზმი და მისი საწინააღმდეგო მიმართულება, უცხო კულტურების განდიდება, ართულებენ ანთროპოლოგიურ კვლევას. ანთროპოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოქტრინაა კულტურული რელატივიზმის პრინციპი, რომლის მიხედვითაც საზოგადოებაში გავრცელებული ადათ-წესები და ქცევები უნდა იქნას შესწავლილი ობიექტურად და მოცემული საზოგადოების კულტურის კონტექსტში. მაგრამ როდესაც საქმე გვაქვს ისეთ კულტურულ ჩვეულებებთან, როგორიცაა წამება, გენოციდი, მონობა და ა.შ. ანთროპოლოგთა უმეტესობა უარს ამბობს კულტურული რელატივიზმის მკაცრ ფორმებზე, რომელიც აცხადებს, რომ ყველა კულტურის ყველა გამოვლინებას არსებობის თანაბარი უფლება აქვს.
6. ანთროპოლოგები ცდილობენ, დაადგინონ ჩვეულებები და მისაღები ქცევის საზღვრები, რომლებიც შეადგენს საკვლევი საზოგადოების კულტურას. ამ დროს ისინი ყურადღებას უფრო ზოგად ან გავრცელებულ ქცევით მაგალითებზე ამახვილებენ, ვიდრე ინდივიდუალურ ვარიაციებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება კულტურის მკვეთრად გამოხატულ გამოვლინებებს ან რწმენებს, რომლებიც ფაქტობრივად ერთსულოვნად არის მიღებული, მკვლევარს შეუძლია დაკვირვებით ან ცნობილი პიროვნებების გამოკითხვით შემოიფარ-

გლოს. ნაკლებად თვალსაჩინო ქცევებისა და მიდგომების შემთხვევაში, ანთროპოლოგს სჭირდება ინფორმაციის შეგროვება შემთხვევითი პირებისაგან. კულტურული მაგალითის ასახვის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას სიხშირის განაწილების მეთოდი.

7. ყოველი საზოგადოება გამოიმუშავებს იდეალური კულტურული მაგალითების კრებულს, რომლებიც ასახავს იმას, როგორი უნდა იყოს, საზოგადოების წევრთა აზრით, მათი ქცევა ამა თუ იმ სიტუაციაში. თუმცა იდეალური კულტურული მაგალითები ყოველთვის არ შეესაბამება რეალურს.
8. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ზღუდავს ინდივიდუალური ვარიაციების რაოდენობას, გახლავთ თავად კულტურა, რომელიც მოქმედებს როგორც იძულებითი ძალა საზოგადოების წევრთა ქცევაზე. თუმცა კულტურული ზენოლა არ გამორიცხავს ინდივიდუალურობას.
9. კულტურის შესახებ ხშირად გამოითქმის რამდენიმე ვარაუდი. პირველ რიგში, კულტურა არის ადაპტირებადი ფენომენი, მას აქვს კონკრეტულ პირობებთან ადაპტაციის უნარი. ეს ეხება როგორც ფიზიკურ, ისე სოციალურ გარემო პირობებს. ის, რაც შეიძლება შემგუებლური იყოს ერთი გარემოსთვის, მეორე გარემოში, შესაძლოა, არ იყოს ასეთი. ზოგიერთი კულტურული თავისებურება, დასაშვებია, ნეიტრალური იყოს ადაპტაციის თვალსაზრისით. ზოგი მაგალითი, შესაძლოა, შემგუებლური იყო წარსულში, ზოგიერთი კი — არა. ამას გარდა, კულტურა ერთიანია და მისი შემადგენელი ელემენტები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. დაბოლოს, კულტურა ცვალებადია.

საკონტროლო კითხვები

1. იქნება თუ არა საზოგადოებისათვის შემგუებლური მის წევრთა მიერ კულტურული ნორმების მკაცრი დაცვა?
2. რატომ იცვლება კულტურა ამა თუ იმ საზოგადოებაში სხვებზე სწრაფად?
3. ხელს უწყობს თუ არა კულტურული რელატივიზმი საერთაშორისო ურთიერთგაგებას? თუ პირიქით, ხელს უშლის საერთაშორისო შეთანხმების მიღწევას — მაგალითად, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით?

კულტურული ანთროპოლოგიის: თეორია და მტკიცებულებები

14



თავების შინაარსი

- თეორიული მიმართულებები
- განმარტება
- რა მიზეზით იქნება შეუძლებელი თეორიის დამტკიცება
- თეორიების შექმნა
- მტკიცებულება: ახსნათა შემოწმება
- კულტურული ანთროპოლოგიის კვლევის ტიპები

ანთროპოლოგები, უკვე დაახლოებით ასი წელიწადია, რაც სხვადასხვა საზოგადოებას შეისწავლიან. დასაწყისში იყო მხოლოდ რამდენიმე ენთუზიასტი, მაგრამ მათი რიცხვი დროთა განმავლობაში გაიზარდა, რადგან სულ უფრო მეტ პიროვნებას აინტერესებდა, რამდენად შეძლებდა სხვა გარემოში ცხოვრებას, ჩვეული კომფორტისა და პირობების გარეშე, სახლიდან მოშორებითა და უცხო ხალხის შესწავლით დაკავებული. ეს კეთდებოდა, რათა ოდესმე შეგვძლებოდა იმის გაგება, რატომ არის ადამიანთა კულტურები ესოდენ განსხვავებული და ამავდროულად ესოდენ მსგავსი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

ამ დროისათვის შესწავლილი და აღწერილია თითქმის 20 000 საზოგადოება. ინფორმაციის ეს უზომო რაოდენობა შეადგენს სწორედ კულტურული ვარიაციების მონაცემთა ბაზას. თუმცა, თუ გვინდა გავარკვიოთ რატომ განსხვავდებიან კულტურები ან ჰგვანან ერთმანეთს, არაა საკმარისი ინფორმაციის ზერელედ გადახედვა. საჭიროა იმის გააზრება, რა შედეგის მიღება გვსურს. როგორც ფოტოგრაფს სჭირდება ობიექტის შერჩევა და ფოკუსის დაყენება, ასევე ანთროპოლოგმა კონცენტრირება უნდა მოახდინოს კულტურის კონკრეტული ასპექტის აღწერისა და ახსნისათვის მნიშვნელოვან მომენტებზე. ყველაზე სრულყოფილი დაკვირვების დროსაც კი, შესაძლოა, წარმოიშვას აუცილებლობა ზოგ ასპექტზე მეტი ყურადღების გამახვილების, ხოლო ზოგის — იგნორირებისა.

რომელ ასპექტებზე გაამახვილებს ყურადღებას ანთროპოლოგი, დამოკიდებულია მის თეორიულ ორიენტაციაზე, ინტერესის საგანზე ან კვლევის მეთოდზე. თეორიული ორიენტაცია ანუ თეორიული მიმართულება არის ზოგადი მიდგომა კულტურული ფენომენის ახსნისადმი. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ზოგიერთ მთავარ თეორიულ მიმართულებას, რომლებიც სადღეისოდ პოპულარულია ანთროპოლოგთა შორის, შემდეგ გადავალთ იმაზე, თუ რას ნიშნავს „ახსნა„ და რა სახის მტკიცებულებებია საჭირო მისი ჩამოყალიბებისათვის. ბოლოს კი განვიხილავთ კვლევის ცალკეულ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება კულტურულ ანთროპოლოგიაში, ეთნოგრაფიიდან და ეთნოისტორიიდან მოყოლებული კულტურათაშორის შედარებებამდე.

თეორიული მიმართულებები

ანთროპოლოგიაში, როგორც სხვა მრავალ მეცნიერებაში, ხშირად იცვლება კვლევის თეორიული მიმართულებები და იდეები. კონკრეტული თეორიული მიმართულება წარმოქმნის შემდეგ ნელ-ნელა ძალას იკრებს, სანამ არ გაჩნდება მისი საწინააღმდეგო სხვა რომელიმე მიმართულება. ხშირად ისე ხდება, რომ ახალი მიმართულება სწორედ იმ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებსაც წინამორბედი ყურადღებას არ აქცევდა ან ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნევდა. მიმართულებათა განხილვისას დავადგენთ იმასაც, რა სახის ინფორმაციაზე ხდება ფოკუსირება კულტურული ფენომენის ახსნისას.

კულტურული ეკოლოგია

ზოგი ანთროპოლოგი დაინტერესებულია მხოლოდ კულტურაზე გარემო პირობების გავლენის კვლევით. კულტურასა და გარემოს შორის არსებული დამოკიდებულების ანალიზს **კულტურული ეკოლოგია** ეწოდება. მისი ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ ჯულიან სტიუარდი. იგი ფიქრობდა, რომ კულტურული ვარიაციების ზოგიერთი ასპექტის ახსნა საზოგადოებათა შემგუებლობით აიხსნებოდა. მაგრამ სტიუარდს არ სურდა, უბრალოდ ემსჯელა იმის შესახებ, განაპირობებს თუ არა გარემო კულტურულ ვარიაციებს. მას უნდოდა ემპირიულად გადაეწყვიტა ეს საკითხი და გამოკვლევის შედეგად შეეფასებინა საკუთარი თვალთახედვის სისწორე.

სტიუარდის აზრით, კულტურული ეკოლოგია ბიოლოგიურისაგან (რომელიც ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთობას შეისწავლის) განცალკევებულად უნდა იდგეს.

კულტურული ეკოლოგიის გვიანდელი პერიოდის წარმომადგენლები, ენდრიუ ვაიდა და როი რაპაპორტი მიიჩნევენ, რომ საჭიროა ბიოლოგიური ეკოლოგიის გარკვეული პრინციპების გამოყენება კულტურულშიც, რათა შეიქმნას ერთიანი მეცნიერება ეკოლოგიის შესახებ. მათი აზრით, კულტურული და ბიოლოგიური თავისებურებები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც შემგუებლური და არაშემგუებლური. კულტურის ეკოლოგები თვლიან, რომ კულტურული შეგუება მოიცავს ბუნებრივი გადარჩევის მექანიზმსაც, რომელიც უზრუნველყოფს გადარჩენასა და რეპროდუქციას შეგუებულობის ხარისხის შესაბამისად. გარემო, ფიზიკურისა და სოციალურის ჩათვლით, გავლენას ახდენს კულტურულ თავისებურებათა წარმოქმნაზე, „ინდივიდუუმებსა და პოპულაციებს, რომლებიც განსხვავებული ქცევით ხასიათდებიან, აქვთ წარმატების განსხვავებული ხარისხი გადარჩენისა და რეპროდუქციის მხრივ და საბოლოო ჯამში, თავიანთი ქცევის მომავალ თაობათათვის გადაცემაშიც''.

კულტურაზე გარემოს ზეგავლენის კონკრეტულ მაგალითად განვიხილოთ ახალგვინეელი ცემბაგას ტომის ცხოვრება. ეს ტომი მიწათმოქმედებას ეწევა, მათი საკვები ძირითადად ბოსტნეულისაგან შედგება. ჰყავთ ღორებიც, მაგრამ ღორის ხორცით ცემბაგას ტომის წარმომადგენლები იშვიათად იკვებებიან. ამ ცხოველებს ისინი სხვა მიზნით იყენებენ: ღორები ჭამენ ნაგავს და ამით ხელს უწყობენ ადამიანებს სისუფთავის შენარჩუნებაში. ამასთან ერთად, ისინი მიწას ჩიჩქნიან და ამით ადამიანებს მიწის დამუშავებაშიც ეხმარებიან. ღორების მცირე რაოდენობა ადვილი შესანახია. ისინი მთელი დღის მანძილზე თავისუფლად დადიან და საღამოს ბრუნდებიან, რათა შეჭამონ დღის განმავლობაში კარ-მიდამოში დაგროვილი ნარჩენები. ამრიგად, ღორები, რომლებიც მინიმალურ მოვლას საჭიროებენ, პატრონთათვის ერთდროულად ნიადაგის კულტივატორისა და დამლაგებლის როლს ასრულებენ.

სირთულეები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ღორები მრავლდებიან. ხშირად ხდება ისე, რომ მცენარეული საკვები აღარ არის საკმარისი და მაშინ ადამიანებმა ღორები თავიანთი საკვებით უნდა კვებონ. ამას გარდა, თუკი ღორების მცირე რაოდენობა კარ-მიდამოს ასუფთავებს და ნიადაგს აფხვიერებს, ბევრმა ღორმა, შესაძლოა, ბოსტნები დააზიანოს. უფრო მეტიც, მას შეუძლია ადამიანებიც კი გადაჰკიდოს ერთმანეთს: თუკი ცხოველი სხვის ბოსტანში შეიჭრა და დააზიანა, ბოსტნის პატრონი ხშირად კლავს მას. ამის საპასუხოდ კი ღორის პატრონმა, შესაძლოა, ბოსტნის პატრონი, მისი ცოლი ან ღორი მოკლას. ამგვარ დაპირისპირებათა რიცხვის ზრდასთან ერთად, ადამიანები ცდილობენ, მაქსიმალურად მოარიდონ თავიანთი ღორები სხვა ადამიანთა ბოსტნებს.

რაპაპორტი თვლის, რომ სწორედ ღორების დიდი რაოდენობის პრობლემის გადაწყვეტა უდევს საფუძვლად ცემბაგას ტომის რთული რიტუალების ერთობლიობას, რომელიც შეიცავს ღორების დიდი რაოდენობით დაკვლას. ამ შემთხვევაში ე.წ. ღორების ნადიმის ჩვეულება, შესაძლოა, გარემო პირობებთან შეგუებას წარმოადგენდეს, მაგრამ რთულია იმის მტკიცება, რომ ეს დღესასწაულები უფრო ეფექტურია ადაპტაციის თვალსაზრისით, ვიდრე სხვა გზები, მაგალითად, პერიოდული დაკვლითა და ჭამით ღორების საჭირო რაოდენობის შენარჩუნება. თუ კულტურის ეკოლოგს არ გააჩნია ალტერნატიული გზების შესაძლო შედეგებზე ნათელი წარმოდგენა, მისთვის რთულია იმის დადგენა, რატომ აირჩია საზოგადოებამ ესა თუ ის გზა, მაშინ, როდესაც მსოფლიოს სხვა ადგილებში საკითხი, შესაძლოა, სხვაგვარად იყო გადაწყვეტილი.

შედარებით ახლო წარსულში ეკოლოგიური ანთროპოლოგიის წარმომადგენლები თავიანთ წინამორბედებს ვიწრო თვალთახედვისთვის აკრიტიკებდნენ, რადგან

ხანდახან, შესაძლოა, ღორების ზედმეტი რაოდენობა გყავდეთ. ღორების დღესასწაული წყვეტს ამ პრობლემას და ამყარებს კავშირს ჯგუფებს შორის. ამ ფოტოზე ჩვენ ვხედავთ, როგორ ემზადებიან დღესასწაულისათვის ახალი ჰებრიდების არქიპელაგზე კუნძულ ტანას მცხოვრებლები.

ისინი კულტურას იზოლირებულ გარემოში განიხილავდნენ. ახალი მიმართულების მომხრეები კი გარემოს უფრო გლობალურად განიხილავენ და მის საზღვრებს ლოკალური ეკოსისტემიდან ეროვნულ და ხშირად საერთაშორისო დონეებამდე აფართოებენ. მცირე ხანში ჩვენ თავად დავრწმუნდებით, რაოდენ რთულია ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც არ იქნება პოლიტიკური, სოციალური და გარემო ფაქტორების გავლენის ქვეშ.

პოლიტიკური ეკონომიკა: მსოფლიო სისტემის თეორია

კულტურული ეკოლოგიის მსგავსად, **პოლიტიკური ეკონომიკის** სახელით ცნობილი სკოლაც მიიჩნევს, რომ საზოგადოების ადაპტაცია და მასში მომხდარი ცვლილებები გარე ფაქტორების გავლენას განიცდიან. პოლიტიკური ეკონომიკისათვის მთავარი არც ბუნებრივი გარემოა და არც სოციალური. მისთვის მთავარია ის სოციალური და პოლიტიკური ზეგავლენა, რომელიც XV საუკუნიდან მოყოლებული მოახდინეს ევროპის ძლიერმა ქვეყნებმა (ძირითადად ესენი არიან ინგლისი, ესპანეთი, პორტუგალია და საფრანგეთი) დანარჩენ მსოფლიოზე. ამ ქვეყნებმა იმპერიალიზმისა და კოლონიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად გარდაქმნეს დანარჩენი სამყარო და დასაბამი მისცეს მსოფლიო სისტემის შექმნას. მკვლევართა აზრით, იმპერიალიზმი, როგორც ასეთი, დაახლოებით 5000 წლის არის და კულტურათა უმეტესობა (თუ ყველა არა) იმპერიალისტურია. ძლიერი ქვეყნების იმპერიალისტური ექსპანსია კომერციის განვითარებასთან იყო დაკავშირებული და დღეს მთელი მსოფლიო სწორედ კომერციული კავშირებით არის შეკრული.

ანთროპოლოგიაში პოლიტიკური ეკონომიკის მიდგომებით გამოთქმული პირველი მოსაზრებები კოლუმბიის უნივერისტეტში შემუშავდა, სადაც ჯულიან სტიუარდი პროფესორი გახლდათ. მისი სტუდენტები თვლიდნენ, რომ სტიუარდის კულტურული ეკოლოგია არასაკმარის ყურადღებას უთმობდა ახალი მსოფლიოს ისტორიას. მაგალითად, ერიკ ვოლფი და სიდნეი მინცი აცხადებდნენ, რომ მათ მიერ შესწავლილი საზოგადოებები პუერტო რიკოში აგებული იყო კოლონიალიზმისა და პლანტაციური მეურნეობების გავლენით იმგვარად, რომ უზრუნველეყოთ შაქრისა და ყავის მიწოდება აშშ-სა და ევროპისათვის. ლაბრადორელი ნასკაპის ტომის ინდიელების შემსწავლელი ელინორ ლიკოკის დასკვნით, სანადირო ტერიტორიების ოჯახებს შორის დანაწილება ახალი, ევროპელებთან ურთიერთობის დაწყების შემდეგ წარმოქმნილი, წესი იყო, რომელიც ბეწვეულით ვაჭრობაში ინდიელთა ჩართვამ განაპირობა.

პოლიტიკური ეკონომიკის ინტელექტუალური ჩამოყალიბების პროცესში ცენტრალური ადგილი უკავია 1960-1970-იან წლებში ორი სოციოლოგის, ანდინდერ ფრანკისა და იმანუელ ვალერშტეინის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს. ფრანკის აზრით, რეგიონის (მაგალითად ევროპის) განვითარება განპირობებულია სხვა რეგიონების (ახალი სამყარო, აფრიკა) განვითარება-განუვითარებლობით. იგი აცხადებს, რომ თუ გვსურს, გავიგოთ, რატომ დარჩა ქვეყანა განუვითარებელი, ამისათვის უნდა გავარკვიოთ, როგორ იყენებენ ამ ფაქტს და რა სარგებელს ნახულობენ ამით განვითარებული ქვეყნები. ფრანკი თავის მოსაზრებებში ძირითადად მსჯელობს განუვითარებელი მსოფლიოს შესახებ. ვალერშტეინი კი უფრო მეტად განიხილავს კაპიტალიზმის განვითარებას ძლიერ ქვეყნებში და მათი ექსპანსიონისტური მოთხოვნილებებით განპირობებული მსოფლიო სისტემის წარმოშობას.

მსოფლიო სისტემის თეორიამ მრავალ ანთროპოლოგს უბიძგა მსოფლიო ისტორიისა და განვითარებად სამყაროში გარეპოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების მიერ ლოკალურ მოვლენებსა და კულტურებზე მოხდენილი გავლენის უფრო გულმოდგინედ შესწავლისაკენ. თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ანთროპოლოგები ფიქრობდნენ, რომ კულტურები, რომლებსაც ისინი იკვლევდნენ, მეტ-ნაკ-

შანხაის ერთ-ერთი ფაბრიკის ჩინელი მუშაკი ემზადება აშშ-ს დროშის შესაკერად.

ლებად იზოლირებული და დაცული იყო გარე ძალების გავლენისაგან. თანამედროვე მსოფლიოში ამგვარი იზოლაციის შენარჩუნება ძალიან რთულია. პოლიტიკური ეკონომიკა მუდმივად გვახსენებს, რომ მსოფლიოს ყველა ნაწილი დაკავშირებულია სხვებთან, იმის მიუხედავად, კარგია ეს თუ ცუდი.

სოციობიოლოგია და ქცევითი ეკოლოგია

მოსაზრებას, რომ ბუნებრივი გადარჩევა მოქმედებს პოპულაციების ქცევით ან სოციალურ მახასიათებლებზე და არა მხოლოდ მათ ფიზიკურ თავისებურებებზე, კულტურული ეკოლოგიის გარდა, იზიარებს მეორე, შედარებით ახალი თეორიული მიმართულებაც. იგი **ქცევითი ეკოლოგიის** ან სხვაგვარად, **სოციობიოლოგიის** სახელით არის ცნობილი. ეს მიმართულება ძირითადად სოციალური მწერების შესწავლით დაკავებული ბიოლოგების მიერ არის შემუშავებული. სოციობიოლოგია მოიცავს ბიოლოგიური ევოლუციის პრინციპების ცხოველთა (ადამიანის ჩათვლით) სოციალური ქცევისათვის მისადაგებას. ამ მიმართულებას ზოგი ანთროპოლოგი კულტურული ვარიაციების ასახსნელადაც იყენებს.

რით განსხვავდება ქცევითი ეკოლოგია კულტურულისაგან? მიუხედავად იმისა, რომ ორივე მიმართულება აღიარებს ბუნებრივი გადარჩევის მნიშვნელობას კულტურულ ევოლუციაში, ისინი განსხვავებულად შეისწავლიან მას. კულტურული ეკოლოგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფენომენზე, რასაც ბიოლოგები **ჯგუფურ შერჩევას** უწოდებენ. კულტურის ეკოლოგები ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ ქცევით ან სოციალურ თავისებურებას ჯგუფის ან საზოგადოებისათვის. ქცევითი ეკოლოგია კი ყურადღებას ამახვილებს **ინდივიდუალურ შერჩევაზე**. სოციობიოლოგები არსებითად იკვლევენ რამდენად ადაპტაციურია ცალკეული მახასიათებელი ინდივიდუუმისთვის მოცემულ გარემოში. ადაპტაციურში იგულისხმება ინდივიდის უნარი, რომელიც ეხმარება მას გადასცეს გენები მომავალ თაობებს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ აღნიშნული თვალსაზრისით ქცევა გენების მეშვეობით გადაიცემა? სოციობიოლოგები ამას უარყოფენ. საქმე ისაა, რომ ქცევა არის მემკვიდრეობითი, გადაეცემა ან გენებით ან სწავლით იმ პირს (როგორც წესი, შვილს), რომელიც იზიარებს გადამცემის გენებს. თუკი გარკვეული ქცევა ინდივიდისთვის მოცემულ გარემოში ადაპტაციურია, იგი უფრო გავრცელებულიც უნდა იყოს მომავალ თაობებში, რადგან ამ ქცევის მატარებელთა რიცხვი გაიზრდება.

კულტურის ეკოლოგები — რაპოპორტი და სხვანი თვლიან, რომ ღორების დღესასწაულები ცემბაგას ტომისთვის მთლიანობაში ადაპტაციურია, ხოლო ქცევითი ეკოლოგიის წარმომადგენლები ამ ჩვეულების ადაპტაციურობაზე სასაუბროდ საჭიროდ მიიჩნევენ წინასწარ გაარკვიონ, რამდენად ადაპტაციურია იგი ინდივიდებისათვის. სოციობიოლოგებს შეუძლიათ, მაგალითად, დასვან საკითხი იმის შესახებ, ჰყავთ თუ არა მეტი შვილი მათ, ვინც ამგვარ დღესასწაულებს აწყობს. თუ გაირკვევა, რომ ეს მართლაც ასეა, მაშინ სოციობიოლოგი დაასკვნის, რომ ეს ჩვეულება ადაპტაციურია რეპროდუქციის თვალსაზრისით.

შეინიშნება თუ არა ტენდენცია იმისა, რომ მეტი ღორის მფლებელებს უფრო ხშირად კლავენ იმ მიზეზით, რომ მათმა ღორებმა სხვების ნაკვეთები დააზიანეს? თუ ეს ასეა, მაშინ ღორების რიცხვის შემცირება უდავოდ ზრდის ადამიანის გადარჩენის შანსს და შესაბამისად, მის რეპროდუქციულ წარმატებასაც. არ გვაქვს ზუსტი შედარება სოციობიოლოგიისა და კულტურული ეკოლოგიის წინასწარმეტყველებებისა, მაგრამ ეს მაგალითი საკმაოდ ნათლად ასახავს, თუ როგორ უდგება საკითხს ქცევის ეკოლოგია.

საერთო ჯამში, ქცევითი ეკოლოგიის მიხედვით, რაიმე სიკეთე შეიძლება გადაიზარდოს სოციალურ სიკეთეში მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი ინდივიდუალური სიკეთე გახდება. მაგალითად, შეიძლება ავიღოთ ბუნებრივი რესურსების დაზოგვის იდეა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში სხვებისთვისაც სასარგებლოა. თუკი პიროვნებები და ოჯახები ცდილობენ თავიანთი სარგებლის მაქსიმიზაციას, სოციობიოლოგი ნაკლებად ივარაუდებს ამგვარი დაზოგვის იდეის წარმატებას, სანამ თავად ოჯახები არ იგრძნობენ მოკლევადიან ნეგატიურ ეფექტებს რესურსების განადგურების გამო. მართლაც, როგორც ეს ბობი ლოუს კვლევებმა დაადასტურა, კულტურებში იშვიათად აქვს წარმატება მსგავს იდეებს და ახასიათებს გამოკვლეულ საზოგადოებათა დაახლოებით 5%-ს.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქცევითი ეკოლოგია ვერ ხს-

ნის ალტრუიზმის ზოგიერთ სახეს. ალტრუიზმი სხვა ადამიანებისათვის აშკარად გაკეთებული სიკეთეა. ნათესავის შვილზე ზრუნვა, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს პიროვნების გენებისთვის. საკვების განაწილებამ, მოსალოდნელია, მომავალში გაზარდოს იმის შანსი, რომ ეს პიროვნება თავადაც მიიღებს საკვებს სხვისაგან. სამაგიეროდ, ქცევითი ეკოლოგია სირთულეებს აწყდება იმ ქცევების ახსნისას, რომლებიც სრულიად ალტრუისტულია და მათი მატარებლისათვის არანაირი სარგებელი არ მოაქვს. როგორ ავხსნით იმას, რომ ამდენ ადამიანს სჯერა აშშ-სა და სხვა ქვეყნებში რესურსების დაზოგვის იდეის? და რა იყო იმის მიზეზი, რომ ნაცისტურ გერმანიაში ადამიანები უდიდესი რისკის ფასად მალავდნენ ხალხს ნაცისტებისაგან?

„ინტერპრეტაციული“ მიდგომა

1960-იანი წლებიდან მოყოლებული ლიტერატურული კრიტიკოსების ზეგავლენით კულტურულ ანთროპოლოგიაში წარმოიქმნა ე.წ. „ინტერპრეტაციული„ მიდგომა. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ეთნოგრაფიაზე. მისი ერთ-ერთი პოპულარიზატორი იყო კლიფორდ გირცი. იგი ამბობდა, რომ კულტურა ლიტერატურულ ნაწარმოებს წააგავს, რომელიც შეიძლება გაანალიზდეს აზრობრივად, ეთნოგრაფის მიერ. გირცის მიხედვით, ეთნოგრაფები ირჩევენ იმგვარი ინტერპრეტაცია მისცენ თავიანთი კვლევის საგანს, როგორადაც ისინი ამას თავად ხედავენ. შემდგომ ცდილობენ, შეუსაბამონ დასკვნები თავიანთივე კულტურის წარმომადგენლებს. ამრიგად, გირცის თქმით, ეთნოგრაფი გარკვეულწილად კულტურათაშორისი თარჯიმნის როლს ასრულებს.

ზოგი ანთროპოლოგი თვლის, რომ ინტერპრეტაცია კულტურული ანთროპოლოგიის ერთადერთი რეალური მიზანია, რადგან მათი აზრით, შეუძლებელია კულტურულ ფენომენთა ობიექტური და მიუკერძოებელი აღწერა და შეფასება. თუმცა ამ მოსაზრებას მრავალი მოწინააღმდეგეც ჰყავს. არ არის საჭირო, გვჯეროდეს ყველაფრისა, რასაც ინტერპრეტაცია გვამცნობს, მიუხედავად იმისა, რამდენად კარგად არის იგი ჩამოყალიბებული (რაც იშვიათად ხდება ხოლმე). მეცნიერული კვლევის მომხრეებმა სუბიექტურობის მინიმიზაციის მრავალი ხერხი შეიმუშავეს. ამრიგად, ინტერპრეტაციული ანთროპოლოგიის იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც უარყოფენ ადამიანთა ქცევისა და ფიქრების მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობას, შესაძლოა, არ იცოდნენ, რამდენად შორს წავიდა კულტურულ ფენომენთა მეცნიერული კვლევა. ყოველივე ამის შესახებ მომდევნო თავებში ვისაუბრებთ.

როგორც დენ სპერბერი აცხადებს, კულტურულ ანთროპოლოგიაში ინტერპრეტაციას სრულიად სხვა როლი აკისრია, ვიდრე ახსნას. ინტერპრეტაციის მიზანი არის კერძო კულტურებში ადამიანთა გამოცდილების ინტუიციურად (ინტუიციური არის გრძნობა, რომელიც არ მოითხოვს გაცნობიერებულ და სისტემატურ მსჯელობას) შესწავლა. ამრიგად, ინტერპრეტატორი ეთნოგრაფი მწერალს ან ლიტერატურულ კრიტიკოსს მოგვაგონებს. განხვავებით მისგან, განმარტების მიზანია კულტურის ფენომენის მიზეზობრივი და ზოგადი შემეცნების საფუძველზე მოცემული ახსნა. მიზეზობრივი იმ მექანიზმებთან დაკავშირებით, რომლებიც განაპირობებენ კულტურული ფენომენის გავრცელებას პოპულაციაში და ზოგადი იმ მხრივ, რომ ხდება მსგავსი შემთხვევების განზოგადება.

გამორიცხავს ან ეწინააღმდეგება თუ არა ერთმანეთს ეს ორი მიზანი: ინტერპრეტაცია და ახსნა? ალბათ, არა. ჩვენ ვიზიარებთ სპერბერის პოზიციას. ინტერპრეტაცია და განმარტება არ არის წინააღმდეგობრივი მიზნები. ისინი, უბრალოდ, შემეცნების სხვადასხვა სახეებია. მართლაც, ინტუიციური ინტერპრეტაცია, მიზეზობრივი და ზოგადი აღწერის შემდეგ, მეცნიერული კვლევების შედეგად, შესაძლოა, მოგვევლინოს მძლავრ განმარტებად.

ახსნა

თავიანთ კვლევებში ანთროპოლოგები ცდილობენ, ზუსტი პასუხები გასცენ აღწერილობით კითხვებს. როგორ ახდენენ ადამიანები შრომის ორგანიზებას, როგორ ქორწინდებიან, რომელი ღმერთების სჯერათ და ასე შემდეგ. მაგრამ რა დიდი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს ზუსტ აღწერას, ანთროპოლოგიის მთავარი მიზანი გახლავთ გაიგოს, რატომ აქვთ ადამიანებს ეს ჩვევა თუ რწმენა. რა რთულიც უნდა იყოს კითხვები „როგორ“ და „რა“ კითხვა „რატომ“ კიდევ უფრო რთულია. ამ უკანასკნელს ესაჭიროება ახსნა, რომელიც რთული შესამუშავებელი და შესაფასებელია. მეცნიერებაში შემეცნება და ახსნა ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. შესაბამისად, მეცნიერების მთავარი მიზანია საფუძვლიანი და სანდო ახსნების შემუშავება.

მრავალი ანთროპოლოგისთვის ახსნის სანდოობა და სიმართლის იდენტურობა არ არის საკმარისი მიზეზი მის მისაღებად. ახსნა უნდა გამოიცადოს და მიღებულ იქნას. თუმცა, სკეპტიციზმის საფუძველი მაშინაც შეიძლება დარჩეს, როდესაც იგი უკვე მიღებულია. მეცნიერული მიმართულების თანახმად, ყველანაირი ცოდნა ეჭვის ქვეშ დგას და შესაბამისად, ახალი კვლევების შედეგად იცვლება ნდობაც მისდამი. თუ ეს პოზიცია ჭეშმარიტია – და ამის გაცნობიერება, შესაძლოა, არც თუ ისე სასიამოვნო იყოს — მაშინ გამოდის, რომ სიმართლეს ვერც ვერასოდეს გავიგებთ. მეორე მხრივ, ჩვენ შევძლებთ უფრო საიმედო და მყარი ცოდნის მოპოვებას, თუკი განვაგრძობთ ჩვენი თეორიების მუდმივ გამოცდასა და შემოწმებას.

„რატომ“ კითხვის პასუხი არის **ახსნა**. არსებობს ახსნის მრავალი სახე. ზოგი მათგანი მეტად დამაკმაყოფილებელია, ზოგი კი — ნაკლებად. მაგალითად, დავუშვათ, ვარკვევთ, თუ რატომ არის მიღებული საზოგადოებაში მშობიარობის შემდეგ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სქესობრივი კავშირის აკრძალვა. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ საზოგადოებაში ადამიანებს სურთ შეიკავონ თავი სექსისაგან ბავშვის გაჩენიდან 1 წლის ან მეტის განმავლობაში. არის თუ არა ეს ახსნა? დიახ, არის, რადგანაც იგი იძლევა მოსაზრებას, რომ ადამიანებს აქვთ მიზანი დაიცვან ეს ჩვეულება. თუმცა, კითხვას „რატომ“ იგი მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს. ამგვარი ახსნა არ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი, რადგან არ იძლევა პასუხს კითხვაზე: რა მიზნით იცავენ ადამიანები ამ ჩვეულებას. იქნებ ამ ჩვეულებას საფუძვლად ტრადიციები უდევს? ესეც ახსნა იქნებოდა, მაგრამ ასევე არასრული, ოღონდ სხვა მიზეზის გამო. კერძოდ კი იმის გამო, რომ ეს ტავტოლოგიაა. ანუ აკრძალვის არსებობა მისივე არსებობით აიხსნება. რაღაცის ტრადიციებით ახსნა ნიშნავს იმის თქმას, რომ ადამიანები ამ რაღაცას აკეთებენ იმიტომ, რომ ისინი ამას აკეთებდნენ. ეს კი ნაკლებად ინფორმაციული პასუხია. მაშ, როგორი ახსნა იქნება უფრო დამაკმაყოფილებელი? მეცნიერებაში არსებობს ორი სახის ახსნა, რომელიც მკვლევარმა შეიძლება მიიღოს. ესენია ასოციაციები და თეორიები.

ასოციაციები ანუ დამოკიდებულებები

ერთ-ერთი გზა რაიმეს ახსნისა, იქნება ეს დაკვირვება, მოქმედება, ჩვეულება თუ სხვა, არის იმის თქმა, როგორ ეთანხმება იგი ურთიერთობის ზოგად პრინციპებს. ამრიგად, იმის ასახსნელად, თუ რატომ იყინება წყალი გარეთ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღამით ყინვა იყო, წყალი კი 0 გრადუს ტემპერატურაზე იყინება. ის, რომ წყალი 0 გრადუსზე იყინება, არის დამოკიდებულება ორ **ცვლადს**, საგნებსა და როდენობას შორის. ამ შემთხვევაში, წყლის მდგომარეობის ცვლილება (თხევადი-მყარი) დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა-

მიმდინარე კვლევები და საკითხები

მეცნიერება და ჰუმანიზმი

ეს თავი ძირითადად ეძღვნება შემეცნების მეცნიერულ გზას, მაგრამ არიან ანთროპოლოგები, რომლებიც სვამენ კითხვას: არის თუ არა მეცნიერული მიდგომა ყოველთვის გამართლებული. ისინი ხშირად ამბობენ, რომ არიან ჰუმანისტები, რომლებიც შემეცნების პროცესში იყენებენ ადამიანურ თვისებებსა და უნარებს, როგორიცაა მაგალითად, ინტუიცია, თანაგრძნობა, მოწოდება, ინტერპრეტაცია და შთაგონება. ეს მიმართულება გვთავაზობს მეცნიერულისაგან სრულიად განსხვავებულ მიდგომას, რადგან არ ეყრდნობა ობიექტურობას და არ მოითხოვს ემპირიული ტესტების გამჭრიახობასა და შორსმჭვრეტელობას. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მეცნიერები არ მიმართავენ ინტუიციას და საკუთარი ინტერპრეტაციები არ გააჩნიათ. თეორიების აგებისას მათი წარმოსახვა ხშირად აკეთებს თავბრუდამხვევ ნახტომებს და მეცნიერები, ისევე, როგორც ყველა სხვა ადამიანი, შეიძლება მჭიდრო კავშირში იყვნენ თანამოაზრეებთან. მაგრამ არსებობს განსხვავებაც მეცნიერულ და ჰუმანისტურ მიდგომებს შორის. ჰუმანისტისთვის მიზანი გახლავთ მოწოდება ან ინტერპრეტაცია, ხოლო მეცნიერისათვის — ინტერპრეტაციის სისწორის შემოწმება.

არის თუ არა ობიექტურობა შესაძლებელი საერთოდ? იქნებ, იმის გამო, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და სხვა ადამიანებს ვაკვირდებით, მხოლოდ სუბიექტურად დარჩენა შეგვიძლია? ობიექტურობა მოითხოვს სიმართლეს დამკვირვებლის სუბიექტივიზმის მიუხედავად. არის თუ არა ეს შესაძლებელი? არსებობს თუ არა ადამიანი, რომელიც შეიძლება იყოს აბსოლუტურად მიუკერძოებელი? მთლიანობაში ალბათ არ არსებობს ამგვარი ადამიანი, მაგრამ მეცნიერება სუბიექტურობასთან ბრძოლის გზებს ფლობს. არ არის აუცილებელი, რომ ყველა ადამიანი სრულიად მიუკერძოებელი იყოს. მაგალითისთვის ავიღოთ ორი მეცნიერი, რომლებიც რაღაც დაკვირვებას აწარმოებენ. გამომთვლელი ინსტრუმენტის ციფერბლატს ისინი სხვადასხვა ადგილიდან უმზერენ. როდესაც ისარი რომელიმე რიცხვზე გაჩერდება, ორივე მეცნიერი ისარს სხვადასხვანაირად დაინახავს, რადგან მათი დაკვირვების კუთხე განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, მათი დაკვირვებების საშუალო მნიშვნელობა საკმაოდ ახლოს იდგება ჭეშმარიტებასთან.

საკითხავია, აღვიქვამთ თუ არა ობიექტურად სხვა ადამიანებს. ეჭვგარეშეა, რომ ზოგ რამეში ადამიანების შეცნობა უფრო ადვილია, ხოლო ზოგში – რთული. ადვილია იმის გარკვევა, რომ ცოლ-ქმარი ერთად სადილობს, მაგრამ რთულია იმის გარკვევა, თუ რას გრძნობენ ისინი ერთმანეთის მიმართ. დავუშვათ, თქვენ იმყოფებით საზოგადოებაში, რომელიც ადრე არ გინახავთ და სადაც არასოდეს შეგიმჩნევიათ ცოლ-ქმრის ქცევაში ერთმანეთისადმი გამოხატული ლტოლვა. თავიდან შესაძლოა დაასკვნათ, რომ ამ ადამიანებს ერთმანეთი არ ადარდებთ. ამგვარი მსჯელობა შეიძლება მიკერძოებული და არაობიექტური აღმოჩნდეს, თუკი გაირკვევა, რომ წყვილები ამ საზოგადოებაში მხოლოდ განმარტოებით ერთად ყოფნისას გამოხატავენ გრძნობებს ერთმანეთის მიმართ. ან შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ ამ ადამიანებს კომუნიკაციის თქვენთვის შეუმჩნეველი გზები აქვთ. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ საბოლოო ჯამში ვერ შეძლებთ ამის გარკვევას. სქესთაშორისი ურთიერთობების შესწავლის დროს თქვენ შეგიძლიათ ახლო კონტაქტი დაამყაროთ ოჯახებთან. შეგიძლიათ სთხოვოთ მათ, გიამბონ თავიანთი ცოლ-ქმრული ურთიერთობების შესახებ და მონათხრობის შესაბამისად გამოიტანოთ დასკვნები. მოკლედ რომ ვთქვათ, ჰუმანისტურმა მიდგომამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი დახმარება გაგიწიოთ წყვილების ერთმანეთის მიმართ გრძნობების გარკვევაში. თუმცა, ექსპერიმენტული დასკვნების მისაღებად იმავე გზის გავლა შეუძლია მეცნიერსაც.

როგორც ეს მაგალითი გვიჩვენებს, ჰუმანისტური და მეცნიერული მიდგომები სრულებითაც არ არის შეუთავსებელი. ორივე მიმართულებას სჭირდება შეთანხმება იმაზე, როგორია კულტურა, მაგალითად, სქესთაშორისი ურთიერთობების მხრივ. თუმცა მეცნიერი უფრო მეტს მოითხოვს. პირველ რიგში, იგი ეცდება გაარკვიოს (შესაძლოა, სისტემატური გამოკითხვების გზით), რამდენად გავრცელებულია კულტურაში ეს გრძნობები. შემდეგ იგი მოისურვებს გაარკვიოს, რატომ არის ეს გრძნობები გავრცელებული ზოგ კულტურაში და ზოგში კი არა. იგი ჩამოაყალიბებს თეორიას, რომელიც ახსნის აღნიშნულ ვარიაციებს და შეაგროვებს მტკიცებულებებს მისი სამართლიანობის შესამოწმებლად.

თუკი ადამიანები ყოველთვის მიკერძოებული დამკვირვებლები არიან, როგორ ხდება ჰუმანისტთა შეთანხმება სხვა კულტურებთან დაკავშირებულ საკითხებზე? განა ჰუმანისტები არ ცდილობენ ჭეშმარიტების დადგენას? პოეტი ქალი მარიან მური ამბობდა, რომ პოეზია გვჩუქნის „წარმოსახვის ბაღებს, რომლებშიც რეალური გომბეშოები ბუდობენ.“ მაშ, განა შეიძლება, რომ წარმოსახვა, გნებავთ ჰუმანისტური და თუნდაც მეცნიერული, რამედ ღირდეს რამდენიმე ნამდვილი გომბეშოს გარეშე?

ზე. ამ დამოკიდებულების ჭეშმარიტება დადასტურებულია მრავალგზის განმეორებადი დაკვირვებით. ფიზიკაში ამგვარი დამოკიდებულება **კანონის** სახელს ატარებს. ასეთ ახსნას ჩვენ დამაკმაყოფილებლად ვიღებთ, რადგან იგი საშუალებას გვაძლევს, ვინინასწარმეტყველოთ, რა მოხდება მომავალში ან ავხსნათ, რა მოხდა წარსულში.

სოციალურ მეცნიერებებში ასოციაციები, ჩვეულებრივ, ალბათურად წესდება. ანუ ვამბობთ, რომ ორი ან მეტი ცვლადი ამჟღავნებს მიდრეკილებას ურთიერთდამოკიდებულებისაკენ. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია გარკვეული გამონაკლისის არსებობაც. მაგალითად, იმის ასახსნელად, რატომ შეიძლება არსებობდეს საზოგადოებაში ხანგრძლივი აკრძალვა სექსზე მშობიარობის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია მოვიშველიოთ ასოციაცია (ან კორელაცია), რომელიც ჯონ უაითინგმა აღმოაჩინა მთელ მსოფლიოში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით: საზოგადოებებს, სადაც კვებითი რაციონი ცილების სიმცირით გამოირჩევა, ასიათებთ მშობიარობის შემდგომ პერიოდში სქესობრივ კავშირებზე აკრძალვები. ამგვარ დამოკიდებულებას ჩვენ **სტატისტიკურ დამოკიდებ-**

თეორიები

მართალია, კანონები და სტატისტიკური ასოციაციები ბევრ რამეს ხსნიან, მაგრამ ჩვენ გვსურს, ვიცოდეთ მეტი: რატომ არსებობენ ეს კანონები და ასოციაციები; რატომ იყინება წყალი ნულ გრადუსზე; რატომ აქვთ ნაკლებ ცილოვანი რაციონის მქონე საზოგადოებებს მშობიარობის შემდგომ სქესობრივ კავშირებზე აკრძალვა? აქედან გამომდინარე, მეცნიერები ცდილობენ, ჩამოაყალიბონ თეორიები, რომლებიც ახსნიან არსებულ დამოკიდებულებებს (კანონებსა და სტატისტიკურ ასოციაციებს).

თეორიები – კანონთა და სტატისტიკურ ასოციაციათა ახსნები — უფრო რთული რამ გახლავთ, ვიდრე ის დამოკიდებულებები, რომლებიც მათი მეშვეობით უნდა აიხსნას. საკმაოდ რთულია, განისაზღვროს, რა არის თეორია. თვალსაჩინოებისათვის დავუბრუნდეთ მშობიარობის შემდგომი სექსის აკრძალვის მაგალითს. ვიცით, რომ ამის ახსნა სტატისტიკური ასოციაციით არის შესაძლებელი. ნაკლებ ცილოვანი რაციონის მქონე საზოგადოებებში ზოგადად (მაგრამ არა ყოველთვის) შეინიშნება ამგვარი ტიპის აკრძალვები. მაგრამ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რატომ იწვევს ნაკლებ ცილოვანი რაციონი ამგვარი აკრძალვის არსებობას? როგორ მიდის საზოგადოება ამგვარი ჩვეულების შემუშავებამდე, რა მექანიზმები მუშაობს ამ დროს? ამ კითხვებს სწორედ თეორიამ უნდა გასცეს პასუხი.

კულტურის კონცეფციისადმი მიძღვნილ თავში ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ჯონ უაითინგის თეორია იმის შესახებ, რომ მშობიარობის შემდგომ პერიოდში სექსის აკრძალვა, შესაძლოა, გარემოსთან შეგუების ერთ-ერთი ელემენტი იყოს. ტროპიკებში ძირითად საკვებ პროდუქტში ცილის ნაკლებობის გამო ბავშვებს დაავადება კვაშიორკორი ემუქრებათ. დედის რძით ხანგრძლივად კვების შემთხვევაში, ბავშვის გადარჩენის შანსი მკვეთრად იზრდება. ამრიგად, აღნიშნული აკრძალვა, შესაძლოა, ადაპტაციური იყოს, რადგან იგი ზრდის ბავშვის გადარჩენის შანსს. ამრიგად, დედა გარკვეული პერიოდის მანძილზე მეორე შვილის ჩასახვისაგან თავის შეკავებით პირველს მეტ ხანს კვებავს თავისი რძით. უაითინგის თეორიით, მშობლები აცნობიერებენ ან გაუცნობიერებლად გრძნობენ, რომ მეორე ბავშვის დაბადება მკვეთრად ამცირებს უფროსის გადარჩენის შანსებს და ღებულობენ გადაწყვეტილებას, რომ უმჯობესია თავის შეკავება სქესობრივი კავშირისაგან მშობიარობის შემდეგი წლის განმავლობაში.

აღნიშნული ვარიანტი გვიჩვენებს, რა განსხვავებაა თეორიასა და ასოციაციას შორის. თეორია უფრო რთულია და მტკიცებათა სერიებისაგან შედგება. ასოციაცია კი უბრალო დამოკიდებულების არსებობას უსვამს ხაზს. კიდევ ერთი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ თეორია ისეთ ელემენტებთან ერთად, რომლებზე დაკვირვებაც შესაძლებელია (მაგალითად ზემოთ განხილული აკრძალვა), შეიცავს ისეთებსაც, რომლებზე დაკვირვება შეუძლებელია პირდაპირი გზით. მაგალითად ავიღოთ უაითინგის თეორია. საკმაოდ რთული იქნებოდა იმის დადგენა, რომ ადამიანებმა ძალდატანებით თუ გაუცნობიერებლად დაიწყეს სექსზე აკრძალვის დაცვა, რადგან მიხვდნენ, რომ ამით ბავშვების გადარჩენის შანსი გაიზრდებოდა. რთული შესამოწმებელია ადაპტაციის კონცეფციის რეალურობაც (რომ ზოგი მახასიათებელი მეტად უწყობს ხელს ადაპტაციას). ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ძნელი დასადგენია, რამდენად გამომდინარეობს ადაპტაციურად მიჩნეული ჩვეულების დაცვიდან ინდივიდის ან ჯგუფის რეპროდუქციული მაჩვენებელი. ამრიგად, ზოგიერთი თეორიული კონცეფცია და დასკვნა ხშირად მიუწვდომელია დაკვირვებისათვის (ჯერჯერობით მაინც). სტატისტიკური ასოციაციები კი მთლიანად დაკვირვებებს ეფუძნება.

რა მიზეზით არის შეუძლებელი თეორიის დამტკიცება?

ბევრი თვლის, რომ მათ მიერ ფიზიკასა და ქიმიაში შესწავლილი თეორიები სრულიად დამტკიცებულია. ამგვარი შთაბეჭდილება იმის შედეგია, რომ სტუდენტებს მასწავლებლები ამ თეორიებს ავტორიტეტული მანერით აცნობენ. ამჟამად მეცნიერთა და ფილოსოფოსთა მიერ აღიარებულია, რომ არ არსებობს აბსოლუტური სიზუსტით დამტკიცებული თეორია, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მათგანი საკმაოდ მყარ მტკიცებულებებს შეიძლება ემყარებოდეს. ეს ხდება იმის გამო, რომ თეორიების ზოგი მხარე არ ექვემდებარება პირდაპირ დაკვირვებასა და შემოწმებას. მაგალითად, მეცნიერებს შეუძლიათ ახსნან სინათლის ქცევა ფოტონის პოსტულატის შემოტანით, მაგრამ ეს ნაწილაკი მხოლოდ თეორიულია, იგი არ ექვემდებარება დაკვირვებას. ამრიგად, შეუძლებელია დანამდვილებით ითქვას, როგორ გამოიყურება ფოტონი. მისი არსებობა და მოქმედებაც თეორიის კუთვნილებად რჩება. ფოტონი არის **თეორიული ნაწილაკი**, რომელზეც პირდაპირი დაკვირვება შეუძლებელია. იმის გამო, რომ ყველა თეორია მოიცავს ამგვარ კონსტრუქტებს, მათი დამტკიცება აბსოლუტური სიზუსტით წარმოუდგენელია.

ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა, საერთოდ რატომ უნდა შევიწუხოთ თავი მათი დამტკიცებით? თეორიის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ იგი წარმოადგენს ახსნის სახეს, რომელმაც შეიძლება ახალი ცოდნა შეგვძინოს. მაგალითად ავიღოთ ისევ უაითინგის თეორია მშობიარობის შემდგომი პერიოდის სქესობრივი კავშირის აკრძალვის შესახებ. ამ თეორიას აქვს მხარეები, რომლებიც შეიძლება გამოკვლეულ იქნან მკვლევართა მიერ. იმის გამო, რომ თეორია მსჯელობს აღნიშნული აკრძალვის ადაპტაციურობის შესახებ, სავარაუდოა, რომ გარკვეული ცვლილებები აკრძალვის გაქრობას გამოიწვევს. მაგალითად, დავუშვათ ადამიანებმა დაიწყეს ჩასახვის საწინააღმდეგო მექანიკური საშუალებების გამოყენება ან გაზარდეს ცილის შემცველობა რაციონში. ორივე ამ შემთხვევაში მოსალოდნელია აკრძალვის წესის გაქრობა, რადგან ოჯახი შეძლებს შობადობის გაკონტროლებას სექსისაგან თავის შეკავების გარეშე ან ბავშვებს აღარ დაემუქრებათ ცილის დეფიციტისაგან გამოწვეული დაავადება. უაითინგის იდეებმა, შესაძლოა, მკვლევრებს იმის გარკვევისკენაც უბიძგოს, რამდენად აქვთ გაცნობიერებული მშობლებს ეს პრობლემა ცილით ღარიბ რეგიონებში.

თეორიების დამტკიცება შეუძლებელია, მაგრამ სამაგიეროდ შესაძლებელია მათი უარყოფა. **ფალსიფიკაციის** მეთოდი, რომელიც გვიჩვენებს, რომ თეორია მცდარია, არის მთავარი გზა თეორიების უარსაყოფად. მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებებსა და ვარაუდებს, რომლებიც ჭეშმარიტია იმ შემთხვევაში, თუ თეორია სწორია. მაგალითად, ვარაუდი, რომ მშობიარობის შემდგომ პერიოდში სექსის აკრძალვა ძირითადად ტროპიკებში შეიძლება შეგვხვდეს და აგრეთვე, რომ ამ აკრძალვის მქონე საზოგადოებების რაციონი პროტეინის დეფიციტით ხასიათდება. ვარაუდები იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მოხდეს, **ჰიპოთეზების** სახელით არის ცნობილი. თუკი ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა, მკვლევარი იძულებულია, დაასკვნას, რომ რაღაც შეცდომა დაუშვა ან თეორიაში ან მის დამტკიცებაში. თეორია, რომელიც არ არის ფალსიფიცირებული, დროთა განმავლობაში მიიღება როგორც სწორი, რადგან ნათელი ხდება, რომ იგი რეალობას ასახავს. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ნათელი და მყარია თეორიის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიტყვით, რომ ეს თეორია აბსოლუტურად ზუსტია. ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ მას რაღაც დაემატოს ან მასზე დაყრდნობით გამოითქვას ჰიპოთეზა, რომელიც მომავალში არ დადასტურდება როგორც ჭეშმარიტი.

მიმდინარე კვლევები და საკითხები

ალტერნატიული თეორიების შეფასება

ახალგვინეელი აბელამების ტომთან მუშაობის დროს რიჩარდ სკალიონი დაინტერესდა, რატომ ახმარენ ამდენ ძალასა და დროს ამ ტომის წევრები გიგანტური სარიტუალო იამსის მოყვანას, რომლის სიგრძე ხანდახან სამ მეტრს აღწევს; რატომ იკავებენ თავს სქესობრივი კავშირისაგან 6 თვის მანძილზე, სანამ ზრდიან ამ მცენარეს? ამაში გასარკვევად საჭირო იყო მეტი ცოდნა აბელამების შესახებ. სკალიონმა შეისწავლა ისინი. მათთან ერთად ცხოვრობდა, ესაუბრებოდა მათ, მაგრამ პასუხი კითხვაზე „რატომ?“ სულაც არ მიუღია იოლად. პასუხები, ყოველ შემთხვევაში მათი სამუშაო ვარიანტები მაინც, ხშირად იმ თეორიული მიმართულებებისაგან მოდის, რომლებიც გვირჩევენ, სად და როგორ მოვიძიოთ ისინი. სკალიონი რამდენიმე ვარიანტს განიხილავს. როგორც მეზობელი ჯგუფის, ველის არაპეშებისთვის იქნა დაშვებული დონალდ ტუზინის მიერ, იამსი შეიძლება იყოს გარკვეული კულტურული ასპექტების სიმბოლო (სიმბოლოთა მნიშვნელობის ძიება ინტერპრეტაციული მიდგომის ერთ-ერთი სახე გახლავთ). აბელამების აზრით, იამსის სულს სიმშვიდე უყვარს. იამსი, აგრეთვე, ოჯახის სიმბოლოც არის. ქორწილის დროს ოჯახების გაერთიანების აღსანიშნავად ერთი და იმავე ბოსტანში სხვადასხვა იამსს რგავენ. ამ მცენარის ზრდის პერიოდში (გავიხსენოთ, იამსს სიმშვიდე უყვარს), სისხლისმღვრელი ომებისა და კონფლიქტების ნაცვლად, სპორტული შეჯიბრები ტარდება. ამრიგად, იამსის ზრდა, შესაძლოა, ჰარმონიის შენარჩუნებას ემსახურებოდეს.

ამას გარდა, სავარაუდოა, რომ სარიტუალო იამსის მოყვანა ადაპტაციური შედეგებითაც ხასიათდებოდეს. ცემბაგას ტომის ღორების დღესასწაულები ემსახურება ადამიანთა რიცხვისა და რესურსების წონასწორობის დაცვას. სკალიონის აზრით, იგივე ფუნქცია აკისრია იამსის მოყვანასაც: ზედმეტად გამრავლებული ღორების პოპულაცია აზიანებს ბოსტნებს და წარმოქმნის კონფლიქტებს, მაგრამ იამსის მოყვანის ცერემონიული შეჯიბრის განმავლობაში ხდება ღორების გაჩუქება, რაც ამცირებს მათ რაოდენობას. გარეული ცხოველები, რომლებზეც ნადირობენ აბელამები, აგრეთვე სარგებლობენ ამ პროცესით, რადგანაც იამსის ზრდის პერიოდში ნადირობა აბელამებში ნაკლებად მისაღებია.

როგორც სკალიონის მსჯელობა გვიჩვენებს, თეორიული მიმართულებები გვეხმარება ახსნათა ჩამოყალიბებაში. ეს ახსნები არაა დაპირისპირებული და კონკურენტული იმ მხრივ, რომ ერთია სწორი და დანარჩენები კი — მცდარი. ზოგიერთი ფენომენის ახსნისას, შესაძლოა, რამდენიმე თეორია გამოგვადგეს. თუმცა, თეორიის მოჩვენებითი დამაჯერებლობის მიუხედავად, არ შეიძლება ითქვას, რომ იგი აუცილებლად სწორია და დაგვეხმარება კითხვებზე პასუხის გაცემაში. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ შესაფასებლად საჭიროა, ვიპოვნოთ თეორიის რეალურობის შემოწმების გზები. სანამ ამას არ მოვახერხებთ, არ გვეცოდინება, რამდენი თეორია იქნება სასარგებლო ჩვენთვის საინტერესო საკითხის გადასაჭრელად.

თეორიების შექმნა

თავის დასაწყისში განვიხილეთ კულტურულ ანთროპოლოგიაში სადღეისოდ გავრცელებული და პოპულარული თეორიული მიმართულებები. მიმართულებათა უმეტესობა მხოლოდ იმას გვიჩვენებს, სად ვეძებოთ პასუხები. თავად პასუხებს კი, ცალკეულ კულტურულ ფენომენთან დაკავშირებით, ისინი არ გვაძლევენ. თეორიის უშუალოდ თეორიული მიმართულებიდან შექმნა შეუძლებელია. მაგალითად, სოციობიოლოგი იტყვის, რომ ესა თუ ის ჩვეულება არსებობს იმის გამო, რომ იგი ადაპტაციურია, მაგრამ კერძოდ, როგორ და რა კუთხით, ჯერ კიდევ დასადგენი იქნება. ადაპტაციურობის (შემგუებლობის) მექანიზმის დადგენა არ ხდება თეორიული მიმართულების მიერ. უაითინგის თეორია მშობიარობის შემდეგ სექსისაგან თავშეკავების შესახებ, იხილავს გარკვეულ პირობებს, რომლებშიც აღნიშნული აკრძალვა ადაპტაციური. თეორია ამბობს არა მხოლოდ იმას, რომ ეს აკრძალვა არის ადაპტაციური. ანუ როგორ ხსნის ანთროპოლოგი თეორიას გარკვეული კულტურული ფენომენისათვის?

რთულია ისეთი პროცედურის შემუშავება, რომელიც გარანტირებულად მოგვცემდა მზა თეორიებს. მიზეზი ისაა, რომ თეორიის ჩამოყალიბება შემოქმედებით წარმოსახვას მოითხოვს, აღმოჩენის პროცესი კი ყოველთვის არ აღძრავს ამგვარ შემოქმედებითობას. ერთ რომელიმე თეორიულ მიმდინარეობაზე ყურადღების ზედმეტად გამახვილება სახიფათოა, რადგან მან შეიძლება მკვლევარს ალტერნატიული გზების ძიებაში ხელი შეუშალოს. თეორიის შექმნის პროცესში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია მკვლევრის რწმენა. პიროვნება, რომელსაც სჯერა, რომ რაღაც შეიძლება აიხსნას, უფრო შესაფერისი იქნება ფაქტების გასაანალიზებლად, შესაძლო მსჯელობათა შესაკავშირებლად და საბოლოო ჯამში, ახსნის მისაღებად.

აღინიშნება ორი ტიპის პროცედურა, რომლებიც ანთროპოლოგებს კულტურული ფენომენების ახსნების შემუშავებაში ეხმარება: კერძო შემთხვევათა ანალიზი და შედარებითი შესწავლა. კერძო შემთხვევათა ანალიზის დროს ანთროპოლოგი დაინტერესებულია კონკრეტული ჩვეულებით. მუშაობის პროცესში მას შეუძლია გამოჰკითხოს ინფორმანტები, რატომ იცავენ ისინი (ან თვლიან, რომ იცავენ) აღნიშნულ ჩვეულებას. ხანდახან ამგვარი ძიება შეიძლება საყურადღებო ახსნითაც კი დასრულდეს, მაგრამ უფრო ხშირად ინფორმანტები იძლევიან ზედაპირულ პასუხს, როგორიც არის „ჩვენ ყოველთვის ასე ვიქცეოდით“. მკვლევარს შეუძლია საზოგადოების ან მისი გარემოს სხვა მხარეები გამოიკვლიოს, რომლებიც შესაძლოა, დაკავშირებულნი იყვნენ საკვლევ ჩვეულებასთან. ანთროპოლოგი შეეცდება ვითარების ისტორიული თვალსაზრისით შესწავლას, რათა გაიგოს, როდის გაჩნდა ეს ჩვეულება და რა პირობები უძღოდა წინ მის გაჩენას.

ანთროპოლოგს შეუძლია, განსხვავებული საზოგადოებების შედარების საფუძველზე, რომელთა საერთო ნიშანიც გახლავთ ეს ჩვეულება, განსაზღვროს, თუ რა პირობებში გაჩნდა ის. გასათვალისწინებელი იქნება საზოგადოებებიც, სადაც მსგავსი ჩვეულება არ არსებობს, რადგანაც მათში არ უნდა არსებობდეს ისეთი პირობები, რომლებიც საკვლევი ჩვეულების გაჩენას უწყობენ ხელს. თუკი გაირკვევა, რომ სხვადასხვა საზოგადოებაში ჩვეულება სტაბილურად ჩნდება მსგავსი პირობების შემთხვევაში, მაშინ ჩნდება საფუძველი ვიფიქროთ, რომ სავარაუდოდ, სწორედ ეს პირობები განაპირობებს

აღნიშნული ჩვეულების ჩამოყალიბებას. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ მკვლევარი კომპიუტერი არ გახლავთ და არ არის აუცილებელი საზოგადოებათა შორის არსებული ყველა საერთო ნიშნის გამოკვლევა. მკვლევარი, როგორც წესი, მხოლოდ იმ თავისებურებებს აკვირდება, რომელთა ერთმანეთთან კავშირი სიმართლესთან ახლოს მდგომად აღიქმება. სწორედ აქ გამოდის წინა ხაზზე პიროვნების თეორიული ორიენტაცია, რადგანაც სწორედ იგი მიუთითებს ფაქტორთა რომელიმე ერთობლიობის მნიშვნელობაზე სხვებთან შედარებით.

მტკიცებულება: ახსნათა შემოწმება

თეორიები უხვად შეიძლება ვნახოთ ნებისმიერ საკვლევ სფეროში, რადგან ადამიანები ცდილობენ, შეიმეცნონ სამყარო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. შესაბამისად, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ ავარჩიოთ თეორიების ამ სიმრავლიდან ისეთები, რომლებიც რეალობის ამსახველნი იქნებიან. „მუტაციების მსგავსად, თეორიებიც ბუნებრივი გზით ჩნდება და როგორც ყველა მუტაცია არ გახლავთ სასარგებლო, ასევე ყველა თეორია არ გახლავთ სწორი. თუკი პროგრესი სახეზეა, ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ თეორიათა სიმრავლე და მათი გადარჩევის მექანიზმი“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახსნის ან თეორიის შემუშავება არ გახლავთ საკმარისი. საჭიროა, აგრეთვე, რაიმე სარწმუნო მეთოდის შემუშავებაც, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ რამდენად ჭეშმარიტია თეორია. არასწორმა ინტერპრეტაციამ, შესაძლოა, ძალიან შეაფერხოს კვლევა, წაიყვანოს იგი მცდარი მიმართულებით და დაარწმუნოს მკვლევარი, რომ პასუხი უკვე ნაპოვნია.

ნებისმიერი ცდისას სტრატეგია იმის ვარაუდში მდგომარეობს, რა იქნება მოსალოდნელი რომელიმე კონკრეტული ინტერპრეტაციის სისწორის შემთხვევაში. შემდეგ ტარდება კვლევა, რომელიც ამოწმებს, რამდენად შეესაბამება გამოთქმული ვარაუდი არსებულ მონაცემებს. თუკი ვარაუდი არ დადასტურდა, მკვლევარი იძულებული ხდება, აღიაროს, რომ ინტერპრეტაცია მცდარია. ხოლო თუკი ვარაუდი დადასტურდა, ასეთ შემთხვევაში მკვლევარს შეუძლია თქვას, რომ მტკიცებულებები თეორიის დამადასტურებელნი აღმოჩდნენ. ამრიგად, კვლევა შედგება თეორიიდან გამომდინარე ვარაუდების შემოწმებისგან, რაც საშუალებას აძლევს მკვლევარს არჩევანი გააკეთოს შესაძლო ინტერპრეტაციებს შორის.

ოპერაციონალიზაცია და საზომი

თეორიის სისწორის დადგენის მიზნით მოწმდება მასზე აგებული ვარაუდები, რათა გავიგოთ, თუ რამდენად შეესაბამება იგი რეალობაში არსებულ მოვლენებსა და პირობებს. თეორია და მის საფუძველზე გამოთქმული ვარაუდები უსარგებლოა, თუ არ არსებობს საშუალება შეფასდეს მოვლენები, რომლებსაც ის ეხება. თუკი არ არსებობს თეორიისა და რეალობის დაკავშირების შესაძლებლობა, მაშინ არ აქვს მნიშვნელობა იმას, რამდენად დამაჯერებლად ჟღერს თეორია, რადგან იგი სასარგებლო მეცნიერული თეორია ვერ გახდება. ვარაუდის დადასტურებულ მტკიცებად გარდასაქმნელად, მკვლევარმა უნდა ჩამოაყალიბოს **საოპერაციო განსაზღვრება** ვარაუდის ყოველი ცვლადის ან ცნებისათვის. საოპერაციო განსაზღვრება არის ცვლადის გაზომვის შემდგომი პროცედურის აღწერა.

უაითინგმა გამოთქვა ვარაუდი, რომ საზოგადოებები, რომელთა რაციონი ცილის ნაკლებობას განიცდის, იცავენ სექსის მშობიარობის შემდგომი აკრძალვის წესს. დიეტაში ცილის შემცველობა ცვლადი მაჩვენებელი. ზოგ საზოგადოებაში ის მეტია, ზოგში — ნაკლები. ცვლადია ასევე, აკრძალვის ვადაც. ზოგან იგი უფრო ხანგრძლივია,

ბრაზილიელი იანომამოს ინდიელები ძირითადად მცენარეთა ბოლქვებით იკვებებიან, კენიაში მცხოვრები მეჯოგე მასაები კი თავიანთი პირუტყვის რძითა და სხვა პროდუქტებით.

ზოგან კი შედარებით მცირე ხანს გრძელდება. უაითინგმა საოპერაციო განსაზღვრება მისცა პირველ ცვლადს, პროტეინის შემცველობას. მაგალითად, თუ საზოგადოება, ძირითადად, დამოკიდებულია ბოლქვებსა და ხის ნაყოფზე (კასავა, ბანანი), მაშინ, უაითინგის შეფასებით, რაციონი ცილის მცირე რაოდენობას შეიცავს. თუკი საზოგადოება, არსებითად მარცვლეულით იკვებება (ხორბალი, ქერი, ჭვავი), მაშინ რაციონი ცილის საშუალო რაოდენობით ხასიათდება, რადგან ეს საკვები უფრო მეტ ცილას შეიცავს. ხოლო თუ საზოგადოება ძირითადად დამოკიდებულია ნადირობაზე, მეთევზეობაზე ან მეჯოგეობაზე, მაშინ რაციონი ცილის მაღალი შემცველობით ხასიათდება. უაითინგის ვარაუდის მეორე ცვლადს (აკრძალვის ვადა) შემდეგი საოპერაციო განსაზღვრება მიეცა: საზოგადოებები, სადაც თავშეკავების ვადა წელიწადზე მეტი იყო, მიჩნეულ იქნა ხანგრძლივი აკრძალვის მქონედ, ხოლო წელიწადზე ნაკლები ვადის შემთხვევაში — ხანმოკლე აკრძალვის მქონედ.

საოპერაციო განსაზღვრების მიკუთვნება ყველა ცვლადისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მკვლევარს შედეგების შემოწმების საშუალებას აძლევს. მეცნიერება დამოკიდებულია რეპლიკაციაზე ანუ შედეგების გამეორებაზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც მრავალჯერ მოხდება კერძო ასოციაციის დაფიქსირება, ჩვენ შევძლებთ ვთქვათ, რომ ეს დამოკიდებულება კანონია. საოპერაციო განსაზღვრებების მინიჭება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც,

რომ იგი საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ გაზომვის სისწორე. მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია დანამდვილებით ითქვას, რამდენად სწორად იქნა გაიზომა ესა თუ ის ელემენტი, შევძლებთ ვიმსჯელოთ გაზომვების შედეგების რეალურობის ხარისხზე. ცვლადების შეფასების მექანიზმის ღიად მითითების გარეშე, რაც მეტად მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის, ეჭვის ქვეშ დგება ნებისმიერი დასკვნა და მოსაზრება. **

ადამიანებს ხშირად ჰგონიათ, რომ საზომი ხელსაწყოები მხოლოდ ფიზიკური ფორმისაა, მაგალითად, სასწორი ან სახაზავი, მაგრამ არსებობს არამატერიალური ინსტრუმენტებიც. მაგალითად, **გაზომვის** ამგვარი ტიპის ერთ-ერთი სახეა კლასიფიკაცია. როდესაც ადამიანებს ვყოფთ ქალებად და კაცებად, დასაქმებულებად და უმუშევრებად, მათ ვყოფთ ერთობლიობებად. იმის განსაზღვრა, რომელ ერთობლიობას მიეკუთვნება ადამიანი, გაზომვის ერთ-ერთი სახე გახლავთ. გაზომვა შესაძლებელია ობიექტის შემცველობისა და რაოდენობის განსაზღვრითაც (მაგალითისათვის: რა ოდენობით შეიცავს პროტეინებს დიეტა). ფიზიკაში გამოყენებული საზომები, როგორც წესი, სკალურობის პრინციპით არის აწყობილი, რაც საშუალებას გვაძლევს, თითოეულ შემთხვევას თავისი რიცხვი მივანიჭოთ. სიმაღლეს ვზომავთ მეტრებში, წონას — გრამებში და ა.შ. ცვლადების გაზომვის შესაძლებლობა ნიშნავს ჰიპოთეზების რელურობის შემოწმებას დროის უმეტესი ნაწილის განმავლობაში.

ამორჩევა

მას შემდეგ, რაც მკვლევარი განსაზღვრავს, როგორ შეაფასოს ვარაუდში გამოყენებული ცვლადები, მან უნდა გადაწყვიტოს, აგრეთვე, რა შემთხვევები გამოიკვლიოს თავისი ვარაუდის სისწორის დასადგენად. თუკი საკითხი ეხება ადამიანების ქცევას, გასარკვევი იქნება, რომელი ადამიანები უნდა აირჩნენ. თუკი ვმსჯელობთ სოციალურ ჩვევებზე, მაშინ ამოსარჩევი იქნება საზოგადოებები. მკვლევარმა უნდა გადაწყვიტოს არა მარტო ის, თუ რომელი შემთხვევები ამოირჩიოს, არამედ ისიც, რამდენი ამოირჩიოს. არავის არ შეუძლია ყველა ვარიანტისა და შემთხვევის შესწავლა, ასე რომ, არჩევანი აუცილებლად უნდა გაკეთდეს. ზოგი არჩევანი უფრო შედეგიანი იქნება, სხვები კი — ნაკლებად. კულტურის კონცეფციისადმი მიძღვნილ თავში განვიხილეთ შემთხვევითი ამორჩევის მეთოდის უპირატესობები. შემთხვევითის დროს ყველა არჩევანი თანაბარუფლებიანია და ნებისმიერს აქვს შანსი, რომ სწორედ მას აირჩევენ. თითქმის ყველა სტატისტიკური ცდა, რომელიც კვლევების შესაფასებლად გამოიყენება, შემთხვევით ამორჩევას საჭიროებს, რადგან მხოლოდ მასზე დამყარებული შედეგი შეიძლება იყოს რეალობასთან ახლოს ჩვენს სამყაროში, რომელიც სავსეა უამრავი სხვადასხვა შემთხვევითობით.

არჩევანის გაკეთებამდე მკვლევარმა უნდა განსაზღვროს ამოსარჩევი სიმრავლე (**ამორჩევის სამყარო**). დავუშვათ, ანთროპოლოგი მუშაობს რომელიმე საზოგადოებაში. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს საზოგადოება ძალზე მცირეა, როგორც წესი, მისი ამორჩევის სამყაროდ გამოყენება არაპრაქტიკულია. იმის გამო, რომ მკვლევართა უმეტესობა დიდ დროს ატარებს საკვლევ საზოგადოებაში, მათთვის სწორედ ეს საზოგადოება ხდება ამგვარი ამორჩევის სიმრავლე. თუკი კულტურათაშორისი კავშირების მკვლევარი რომელიმე ახსნის შემოწმებას მოისურვებს, მან უნდა ამორჩიოს მსოფლიოს საზოგადოებებიდან. მაგრამ ჩვენ არ გაგვაჩნია მსოფლიოში არსებული ყველა საზოგადოების, მათი წარსულისა და აწმყოს აღწერა. ამიტომ არჩევა, როგორც წესი, ხდება ხოლმე აღწერილი საზოგადოებების სიიდან, რომლებიც კლასიფიცირებულია სტანდარტული კულტურული ვარიაციების მიხედვით. ინფორმაციის კიდევ ერთი წყაროა უმან ღელატიონს რეა ილეს (R) Collection of Ethnography. ეს გახლავთ ინდექსირებული და ყოველწლიურად განახლებადი კოლექცია ეთნოგრაფიული ლიტერატურისა, რომელშიც აღწერილია მსოფლიოს 370-ზე მეტი საზოგადოება, როგორც ამჟამინდელი, ისე ძველი დროის.

ანთროპოლოგიაში შემთხვევითი ამორჩევა ხშირად გამოიყენება, მაგრამ არაშემთხვევითი მაგალითებიც, შესაძლოა, საკმაოდ ინფორმაციული და რეპრეზენტატიული აღმოჩდეს, თუკი მკვლევარმა განგებ არ მიუსადაგა ფაქტები თეორიას. განსაკუთრებით საეჭვოა ის მაგალითები, რომლებიც მკვლევრის კერძო მოსაზრებებს ადასტურებს. მაგალითად, მკვლევარი მხოლოდ მასთან დაახლოებული პირებისაგან იღებს ინფორმაციას; საზოგადოებებს იმის მიხედვით ირჩევს, რომელი მათგანის პოვნა შეუძლია საკუთარ ბიბლიოთეკაში. ამორჩევის პროცედურა მიუკერძოებელი უნდა იყოს. თუკი გვსურს, რომ ღირებული მაგალითები მივიღოთ, შემთხვევითი ამორჩევის მეთოდს უნდა მივმართოთ. ამ შემთხვევაში ჩვენ პირობითად განვსაზღვრავთ შემთხვევათა რაოდენობას ამორჩევის სამყაროში და ვიყენებთ შემთხვევით რიცხვთა ცხრილს ჩვენი სამაგალითო შემთხვევების დასახაზად.

სტატისტიკური შეფასება

როდესაც მკვლევარი ზომავს ცვლადს ყველა სამაგალითო შემთხვევისათვის, მას შეუძლია განსაზღვროს გამოთქმული ვარაუდის რეალურობა. უნდა გვახსოვდეს, რომ შედეგები ხშირად, შესაძლოა, არ დაემთხვეს თეორიას. ხანდახან მკვლევრები აგებენ შემთხვევითობის ცხრილებს, რომლის მაგალითია 14-1 ცხრილი.

ამ ცხრილის მეშვეობით ირკვევა, რამდენად შეესაბამება სავარაუდო დამოკიდებულება სინამდვილეს. უაითინგის მაგალითში მოცემულია 172 საზოგადოება, თითოეული შემთხვევა განაწილებულია შესაბამის უჯრებსა და სვეტებში, იმის მიხედვით, თუ რამდენი საზოგადოება როგორ იზომება არსებული ცვლადებით. მაგალითად, ხანგრძლივი აკრძალვისა და ცილის დაბალი შემცველობის რაციონის მქონე საზოგადოებები მოთავსებულნი არიან ხანგრძლივი აკრძალვის სვეტის ყველაზე ქვედა უჯრაში (უაითინგის მაგალითში 27 ამგვარი საზოგადოებაა). საზოგადოება ხანმოკლე აკრძალვითა და ცილის დაბალი მაჩვენებლით მოთავსებულია ხანმოკლე აკრძალვის სვეტის ქვედა უჯრაში. სტატისტიკური კითხვა შემდეგია: ადასტურებს თუ არა უაითინგის თეორიას შემთხვევათა განლაგება ცხრილში? თუკი მხოლოდ ცხრილს შევხედავთ, პასუხის გაცემა გაგვიჭირდება. ბევრი შემთხვევა მოსალოდნელ ადგილებზეა განაწილებული, მაგალითად,

რაციონში ცილის შემცველობასა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში სქესობრივი კავშირის აკრძალვის ხანგრძლივობას შორის არსებული დამოკიდებულება

ცილის შემცველობა	სქესობრივი კავშირის აკრძალვის ხანგრძლივობა		
	ხანმოკლე (0-1 წელი)	ხანგრძლივი (1წელზე მეტი)	სულ
მაღალი	47	15	62
საშუალო	38	25	63
დაბალი	20	27	47
სულ	105	67	172

პროტეინის მაღალი შემცველობის მქონე საზოგადოებები თავმოყრილია ხანმოკლე აკრძალვების ჯგუფში, ხოლო ცილის დაბალი შემცველობისანი — ხანგრძლივი აკრძალვის ჯგუფში. თუმცა არის გამონაკლისებიც. მაგალითად, 20 საზოგადოება, რომლის დიეტაც ცილის სიმცირით ხასიათდება, ხანმოკლე აკრძალვების მქონე ჯგუფშია მოხვედრილი. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი შემთხვევა ვარაუდისამებრ არის განლაგებული, არსებობს გამონაკლისიც. უარყოფს თუ არა ვარაუდს ამგვარი გამონაკლისების არსებობა? რამდენი გამონაკლისის არსებობაა საჭირო იმისთვის, რომ ჰიპოთეზა უარყოფილ იქნას? სწორედ აქ დგება საკითხი მნიშვნელობის სტისტიკური ცდების საჭიროების შესახებ.

სტატისტიკოსებმა შეიმუშავეს მრავალი ხერხი მიღებული კვლევის შედეგების „სრულყოფილების“ შესამოწმებლად. ვთვლით, რომ ცვლადებს შორის არსებობს დამოკიდებულება, თუ ერთი მათგანი ზოგადად განაპირობებს მეორეს. საბოლოოდ, ნებისმიერი სტატისტიკური შედეგი ერთი და იმავე ობიექტური გზით ფასდება. ისმის კითხვა: რამდენად არის შესაძლებელი, რომ კვლევის შედეგი მთლიანად შემთხვევითი იყოს? მიუხედავად ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არსებული მათემატიკური მეთოდის სირთულისა, პასუხი ყოველთვის მოიცავს ალბათობის მაჩვენებელს (ანუ p-მაჩვენებელს) — შესაძლებლობა იმისა, რომ მიღებული შედეგი შემთხვევით იქნას მიღებული. უაითინგის მიერ გამოყენებული სტატისტიკური ტესტები გვაძლევს p-მაჩვენებლის მნიშვნელობას 0,01-ზე ნაკლებს. ეს მეტად მცირე ალბათობაა. სოციალურ მეცნიერთა უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ ნებისმიერი შედეგი, რომლის პ-მაჩვენებელი 0,05-ზე ნაკლებია, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ან ჭეშმარიტი შედეგია. შემდგომში ჩვენ მიერ ამ წიგნში აღწერილი ყველა დამოკიდებულება და ასოციაცია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იქნება.

რატომ უნდა ჰქონდეს თითქოსდა ჭეშმარიტ დამოკიდებულებას გამონაკლისები? თუკი თეორია სწორია, განა ყველა შემთხვევა არ უნდა ეთანხმებოდეს მას? მაგრამ არსებობს მრავალი მიზეზი, რომელთა გამოც შედეგები სრულყოფილი ვერ იქნება. ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ თეორია სწორია (მაგალითად, თეორია იმის შესახებ, რომ რაციონში ცილის ნაკლებობა ხელს უწყობს მშობიარობის შემდგომი პერიოდისთვის სქესობრივი კავშირის აკრძალვას), შეიძლება არსებობდეს მრავალი სხვა ფაქტორი, რომელიც არ არის გათვალისწინებული და გამოკვლეული. ზოგ საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს ხანგრძლივი აკრძალვა, მიუხედავად რაციონში ცილის მაღალი შემცველობისა. მაგალითად, თუ საზოგადოება მომთაბარეა და ნადირობით ირჩენს თავს, მას რაციონში ცილის ნაკლებობა არ ექნება, მაგრამ სამაგიეროდ წარმოექმნება სირთულე გადაადგილებისას ბავშვების გადაყვანასთან დაკავშირებით. ამგვარად, შესაძლებელია ამ საზოგადოებაში წარმოიქმნას აღნიშნული აკრძალვა, რათა გაადვილდეს საზოგადოების გადაადგილება.

გამონაკლისები შეიძლება წარმოიქმნას კულტურული ჩამორჩენის მიზეზითაც. შესაძლოა ისე მოხდეს, რომ რაციონის ცვლილების შედეგად საზოგადოებას აღარ აწუხებდეს ცილის ნაკლებობა, მაგრამ აკრძალვა მაინც ძალაში რჩება. ამგვარი საზოგადოება გამონაკლისი იქნებოდა თეორიიდან, მაგრამ კვლავ ჩაჯდებოდა მასში, თუკი რამდენიმე წელიწადში სექსზე აკრძალვა გაქრებოდა. გაზომვის შეცდომები გამონაკლისთა წარმოშობის კიდევ ერთი წყაროა. უაითინგის მიერ გაზომილი ცილის შემცველობა განსაკუთრებული სიზუსტით არ გამოირჩევა, რადგან საკვების მთავარ წყაროებზეა ორიენტირებული. უაითინგმა არ გაითვალისწინა, რომ საზოგადოება, რომელიც ძირითადად ხის ნაყოფით იკვებება, შესაძლოა ცილის დანაკლისს მეთევზეობით ან ღორების მოშენებით ივსებდეს. ამიტომ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საზოგადოება, რომელიც ცილის ნაკლებობას არ განიცდის, შეცდომით სხვა ჯგუფში მოხვდეს. ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ უაითინგის ცხრილში 20 საზოგადოება ნაკლებ ცილოვანი დიეტისა და ხანმოკლე აკრძალვის ჯგუფებში მოხვდა.

მნიშვნელოვანი სტატისტიკური ასოციაციები, რომლებიც თეორიაზე დაყრდნობით გამოითქმება, როგორც წესი, თავად ამ თეორიასვე უმყარებენ საფუძველს. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია საჭირო იმისთვის, რომ თეორია დამაჯერებლად გამოცხადდეს. გამოთქმული ვარაუდები რეპლიკაციის მეთოდით სხვა მკვლევართა მიერაც უნდა დადასტურდეს. აღნიშნული თეორიის საფუძველზე სხვა ვარაუდებიც უნდა გამოითქვას და შემოწმდეს. თეორია უნდა გამოიცადოს ალტერნატიულ მოსაზრებებთან შეჯახებისას. შესაძლოა, მოგვიწიოს თეორიის შეთანხმება ალტერნატიულ მოსაზრებებთან. მეცნიერებაში კვლევის პროცესი დროსა და მოთმინებას მოითხოვს და უმნიშვნელოვანესი რამ, რაც მკვლევარს მოეთხოვება, მოკრძალებაა. რაც უნდა მომხიბლავად გამოიყურებოდეს თეორია, უნდა გვესმოდეს, რომ იგი, შესაძლოა, მცდარი იყოს. თუ ამას ვერ გავითავისებთ, არ გვექნება ჩვენი თეორიების შემოწმების მოტივაცია და თუკი თეორიებს არ შევამოწმებთ, მაშინ არ გვეცოდინება რომელი მათგანია უკეთესი და რომელი — უარესი, შედეგად კი უცოდინრობას მივიღებთ. მეცნიერებაში ცოდნა ან შემეცნება სხვა არაფერია, თუ არა ახსნილი ვარიაცია. ამრიგად, თუ გვინდა მეტი ვიცოდეთ, მუდმივად უნდა ვამოწმოთ ჩვენი შეხედულებების ჭეშმარიტება ობიექტურ რეალობასთან მიმართებაში, რომლებიც ხშირად ჩვენი მოსაზრებების საწინააღმდეგონი არიან.

კულტურული ანთროპოლოგიის კვლევის ტიპები

კულტურის ანთროპოლოგი თავის კვლევებში რამდენიმე მეთოდს იყენებს. თითოეულ მათგანს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები ახსნების შემუშავებასა და შემოწმებაში. კვლევის ეს მეთოდები შეიძლება კლასიფიცირდეს ორი კრიტერიუმის მიხედვით. პირველი მათგანი არის სივრცული მეთოდი, რომელიც გულისხმობს ცალკეული, რეგიონული ან მსოფლიო საზოგადოებების ანალიზს, მეორე — დროითი მეთოდი, ისტორიული მეთოდი არაისტორიულის წინააღმდეგ. ამ კრიტერიუმების

კულტურული ანთროპოლოგიის კვლევის ტიპები

	არაისტორიული	ისტორიული
ცალკეული საზოგადოება	ეთნოგრაფია შიდაკულტურული შედარება	ეთნოისტორია შიდაკულტურული შედარება
რეგიონი	კონტროლირებადი შედარება	კონტროლირებადი შედარება
მსოფლიო მაგალითი	კულტურათაშორისი კვლევა	ისტორიული კვლევა

კომბინაციები ნაჩვენებია 14-2-ე ცხრილში.

ეთნოგრაფია

მეოცე საუკუნის დასაწყისში ანთროპოლოგები მიხვდნენ, რომ თუ რამე ღირებულის შექმნა უნდოდათ მეცნიერებაში, მაშინ თავიანთი საგანი უფრო ღრმად უნდა შეესწავლათ. კულტურათა უკეთ აღწერის მიზნით, მათ იმ საზოგადოებებში დაიწყეს ცხოვრება, რომლებსაც შეისწავლიდნენ. აკვირდებოდნენ საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებს და იკვლევდნენ ძველ ჩვეულებებს. ამგვარ მეთოდს **თანამონაწილეობითი დაკვირვება** ეწოდება. იგი ყოველთვის შეიცავს ე.წ. „**საველე სამუშაოებს**“. საველე სამუშაოები, შესაძლოა, სხვა მეთოდებსაც მოიცავდეს, როგორიც არის, მაგალითად, მონაცემთა მართვა და გამოკითხვა.

საველე სამუშაო თანამედროვე ანთროპოლოგიის ქვაკუთხედი გახლავთ. მიუხედავად სხვა შესაძლო მეთოდებისა, რომელთა გამოყენებაც შეუძლია ანთროპოლოგს, ფუნდამენტურად სწორედ თანამონაწილეობითი დაკვირვება ითვლება, რომელიც ჩვეულებრივ ერთი წლის ან მეტი ხნის მანძილზე გრძელდება. მოგზაურთა და თავგადასავლების მაძიებელთა შემთხთვევითი ჩანაწერებისაგან განსხვავებით, ანთროპოლოგი იწერს, აღწერს, აანალიზებს და საბოლოოდ აყალიბებს კულტურის ან მისი ნაწილის სურათს. საველე სამუშაოების ჩატარების შემდეგ ანთროპოლოგს შეუძლია ეთნოგრაფიისათვის მოემზადოს, რაც საზოგადოების აღწერასა და ანალიზს გულისხმობს.

ანთროპოლოგის გადაწყვეტილება ხანგრძლივი თანამონაწილეობითი დაკვირვების კარგად წარმოების შესახებ არც თუ ისე იოლი შესასრულებელი. ბევრი რამ არის დამოკიდებული თავად პიროვნებაზე, კულტურასა და მათ შორის დამოკიდებულებაზე. ეჭვგარეშეა, რომ სასურველია ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოცდილების ქონა. ძალიან დიდი პლუსია აგრეთვე ენის ცოდნა, მაგრამ ხშირად ენის სწავლა ადგილზე ჩასვლამდე ვერ ხერხდება და ანთროპოლოგთა უმეტესობას უწევს ურთიერთობა ადამიანებთან, რომლებისაც არ ესმის და თან იმაზე ფიქრი, როგორ მოიქცეს ამ დროს. თანამონაწილეობით დაკვირვებას თავისი სირთულეებიც ახლავს. თანამონაწილეობა გულისხმობს ისე ცხოვრებას, როგორც შესასწავლი საზოგადოება ცხოვრობს, რათა უფრო გასაგები გახდეს, თუ რას ფიქრობენ და გრძნობენ ისინი ან რატომ აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ. იმის გამო, რომ თანამონაწილეობითი დაკვირვება პირადი გამოცდილება გახლავთ, არ არის გასაკვირი, რომ ანთროპოლოგები მიხვდნენ: იმ ხალხის კულტურის გათავისება, რომელთაც სწავლობ, ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია.

უმნიშვნელოვანესი მომენტი თანამონაწილეობით დაკვირვებაში არის ისეთი ადამიანების პოვნა, რომლებსაც საკუთარი კულტურის შესახებ ცოდნას ფლობენ და რომლებიც თანახმანი არიან იმუშაონ თქვენთან ერთად. ანთროპოლოგები ასეთ ადამიანებს ინფორმანტებს ეძახიან. ისინი გვეხმარებიან, გავიგოთ დანახული მოვლენები და გვაწვდიან ინფორმაციას კულტურის სხვადასხვა ასპექტის შესახებ, რომლებიც მათ გარეშე ჩვენთვის მიუწვდომელი დარჩებოდა. მაგალითად, სოფელში, სადაც 200 ადამიანი ცხოვრობს, შეიძლება 2-3 წელინადი ისე გავიდეს, რომ ქორწილი არ იყოს. როგორ უნდა მოვიპოვოთ ამ მოვლენის შესახებ ინფორმაცია? სწორედ აქ გვეხმარებიან ინფორმანტები. თუმცა აქ დგას მეორე სირთულეც: როგორ ვიპოვოთ ინფორმანტი. როგორც წესი, მნიშვნელოვანია ისეთი ხალხის პოვნა, ვინც ადვილად შემოვა მეცნიერთან ურთიერთობაში და რომელსაც ესმის, თუ რა ინფორმაციაა საჭირო. ანთროპოლოგს არ შეუძლია, უბრალოდ ადგეს და დაასკვნას, რომ სწორედ იმ ხალხს აქვს ყველაზე მეტი ცოდნა, რომლებთანაც მას აქვს ურთიერთობა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცოდნა ხშირად სპეციალიზებული შეიძლება იყოს და სხვადასხვა საკითხის შესახებ სხვადასხვა ადამიანებმა მეტი იცოდნენ. ანთროპოლოგს სულ მცირე რამდენიმე ინფორმანტი სჭირდება მისთვის საინტერესო საკითხებზე დამაკმაყოფილებელი ინფორმაციის მისაღებად. სირთულეები წარმოიქმნება მიღებულ ინფორმაციებთან დაკავშირებითაც. რამდენად სწორი და საიმედოა ისინი? ან იქნებ ორი ინფორმანტი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობას გვაწვდის, რომელი მათგანია მართალი? საბედნიეროდ, არსებობს მეთოდები, რომლებიც გვეხმარება მართლაც მცოდნე და სასარგებლო ინფორმანტების შერჩევაში. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი ცნობილია „კულტურული კონსენსუსის მოდელის“ სახელით. ეს მეთოდი ემყარება პრინციპს, რომ ინფორმაცია, რომელსაც ეთანხმება ინფორმანტების უმრავლესობა, კულტურულია. იმის შემდეგ, რაც დადგინდება, თუ რა არის კულტურული, ადვილდება იმის დადგენაც, რომელი ინფორმანტი იძლევა სწორ პასუხებს ანუ ისეთ პასუხებს, რომლებიც ყველაზე ახლოს დგას კულტურულ კონსენსუსთან. ეს ადამიანები ანთროპოლოგისათვის საუკეთესო ვარიანტები არიან აღნიშნული საზოგადოების ყველაზე უფრო მცოდნე პირების წოდებისათვის. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, საუკეთესო ინფორმანტები სულაც არ არიან თავიანთი საზოგადოების ტიპური წარმომადგენლები. მრავალი ანთროპოლოგი აღნიშნავს, რომ ძირითადი ინფორმანტები, როგორც წესი, გრძნობენ თავიანთი კულტურის უკიდურესობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არ გაუჩნდებოდათ ანთროპოლოგთან ხანგრძლივი საუბრების სურვილი.

მარგარეტ მიდი კუნძულ ბალიზე

თანამონაწილეობითი დაკვირვება მნიშვნელოვანია კულტურის ზოგი ასპექტის შესწავლისას, განსაკუთრებით, თუ ეს ასპექტები უფრო საზოგადოებრივია, მათზე თავისუფლად ლაპარაკობენ და ძირითადად ეთანხმებიან კიდეც. მაგრამ არსებობს უფრო სისტემატური მეთოდებიც: რუკების შექმნა, კარდაკარ სიარული ცნობების მოსაპოვებლად, ქცევაზე დაკვირვებები (მაგალითად, როგორ ატარებენ ადამიანები დროს), ისევე, როგორც ამორჩეულ ინფორმანტებთან წარმოებული ფოკუსირებული ინტერვიუები. მოცემული საზოგადოების შესადარებლად მსოფლიოს სხვა საზოგადოებებთან, ანთროპოლოგს მრავალი საზოგადოების შესახებ სჭირდება ეთნოგრაფიული მონაცემები. თეორიის შექმნის პროცესში ეთნოგრაფია მისი ღრმა, პირველადი და ხანგრძლივი დაკვირვებებით უზრუნველყოფს აღწერილობითი მასალების საჭირო რაოდენობას, რომლებიც კულტურის მრავალ ასპექტს მოიცავს. მას შუძლია ბიძგი მისცეს ახალ ინტერპრეტაციებს, რომლებიც დააკავშირებენ კულტურის განსხვავებულ ასპექტებს ერთმანეთთან და გარე ფაქტორებთან. ეთნოგრაფს შეუძლია რამე ჩვეულების შესახებ თავად ამ ჩვეულების მატარებელი ადამიანებისაგან მიიღოს ინფორმაცია და დააკვირდეს იმ მომენტებს, რომლებიც თან ახლავს ამ ჩვევებს. ამასთან ერთად, ეთ-

მიმდინარე კვლევები და საკითხები

საველე სამუშაოები: როგორ გავიგოთ სიმართლე

ანთროპოლოგები იშვიათად დავობენ საველე მუშაობის მნიშვნელობის შესახებ, რადგან იგი ბევრს იძლევა როგორც სხვათა კულტურების გაგების, ასევე საკუთარის უკეთ შეცნობის მხრივაც. შესაძლოა, ამის მიზეზი გარემოს შეცვლ. უცხო ხალხთან დიდი ხნის მანძილზე ცხოვრების (თანამონაწილეობითი დაკვირვება) შემდეგ ბევრ რამეს სხვანაირად ვხედავთ. ამავე დროს ვხვდებით, რამდენად უჩვეულო შეიძლება იყოს უცხო თვალისთვის სრულიად ჩვეულებრივი ქცევები, რომლებიც თქვენს საზოგადოებაში გახასიათებდათ. მუშაობა იწყება კულტურული შოკით, რადგან ანთროპოლოგი ხვდება მისთვის სრულიად უცხო და გაუგებარ უამრავ მომენტს. მუშაობა სრულდება ასევე კულტურული შოკით, ამჯერად საკუთარ საზოგადოებაში დაბრუნების შედეგად. ახლა უკვე აქაურობა შეიძლება მოგეჩვენოთ უცნაურობებით სავსედ. მართლაც, ეს გამოცდილება იმდენად ღრმაა, რომ ანთროპოლოგების აზრით, საველე სამუშაოები იძლევა ყველაზე ღრმა და ნამდვილ ცოდნას.

არის შემთხვევები, თუმცა იშვიათად, როცა ეჭვქვეშ დგება საველე სამუშაოების სანდოობა. მაგალითად გამოდგება წინააღმდეგობა ორ საველე სამუშაოს შორის, რომელიც მარგარეტ მიდსა და დერეკ ფრიმანს შორის მოხდა. მარგარეტ მიდი 1920-იან წლებში ამერიკის სამოას არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე ცხოვრობდა და აღწერა ადგილობრივი მოზარდების სექსუალური თავისუფლება თავის წიგნში „დაბერება სამოას კუნძულებზე“. დერეკ ფრიმანი კი 1960-იან წლებში მუშაობდა დასავლეთ სამოას კუნძულებზე. მან თავის წიგნში „მარგარეტ მიდი და სამოა: ანთროპოლოგიური მითის შექმნა და გაბათილება“ მკაცრად გააკრიტიკა მიდის შეხედულებები. ფრიმანის განცხადებით, სამოას მკვიდრნი, პირიქით, პურიტანიზმით გამოირჩეოდნენ სქესობრივ საკითხებში და მიდი ცდებოდა მათ შეფასებაში. ორივე ამ მკვლევარმა საველე სამუშაო ჩაატარა და თუ საველე სამუშაო ნამდვილ და ღრმა ცოდნას გვაძლევს, ორივე მართალი უნდა იყოს. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია. იქნებ ერთმა კარგად იმუშავა, მეორემ კი — ცუდად? როგორ დავადგინოთ სიმართლე ამ შემთხვევაში?

პოლ შენკმანის აზრით, ორივე მკვლევარი მართალი გამოდის, თუ გავითვალისწინებთ რამდენიმე დეტალს. უპირველეს ყოვლისა, სექსუალური თავისუფლების შესახებ საუბარი მხოლოდ შეფარდებითი ცნებებით შეიძლება. გასათვალისწინებელია, რომ მიდი თავის კვლევას ატარებდა იმ დროს, როდესაც ამერიკაში ქორწინებამდელი სექსი არ იყო მიღებული. დროსთან ერთად შეხედულებებიც შეიცვალა. ამრიგად, მიდის ეპოქის სამოელი გოგონები, შესაძლოა, მართლაც უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ, ვიდრე ამერიკელები. ამას გარდა, შეიცვალა თავად სამოაც მისიონიზაციის, კოლონიზაციის, მეორე მსოფლიო ომისა და კომერციალიზაციის შედეგად. მესამე ფაქტორი – მიდი მუშაობდა ამერიკის სამოაში, ფრიმანი კი — დასავლეთ სამოაში. სახეზეა ცხოვრების ურბანული და სოფლის სტილების დაპირისპირება. ამრიგად, ამ ორი მკვლევრის მიერ დანახული სამოა ძალზე განსხვავებული იქნებოდა ერთმანეთისგან და შესაბამისად, ორივე მათგანი შეიძლება მართალი იყოს. შენკმანის აზრით, თუ გვერდზე გადავდებთ მიდისა და ფრიმანის მოსაზრებებს სექსუალური თავისუფლების შესახებ და აქტუალურ მონაცემებს დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ აღნიშნული ორი მკვლევარი არცთუ ძალიან განსხვავებულ რაიმეს გვამცნობს: სამოელები ქორწინებამდელი სექსუალური თავისუფლების მხრივ მსოფლიოს კულტურათა რიგში საშუალო ადგილს იკავებენ.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ამ წინააღმდეგობიდან? ანთროპოლოგთა განცხადებით, საჭიროა იმ გავლენის გათვალისწინება, რომელსაც საველე სამუშაო თავად მკვლევარზე ახდენს, უნდა გავითვალისწინოთ თავად მკვლევრის პიროვნული თავისებურებები და მიღებულ დასკვნათა შესამოწმებლად გამოყენებული მეთოდები. მეცნიერები ამბობენ, რომ ინფორმაციული ასახვა უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არა საკმარისი. თუ გვსურს მეტი ვიცოდეთ საზოგადოების შესახებ, საამისოდ მხოლოდ ტრადიციული საველე სამუშაოები (თანამონაწილეობითი დაკვირვება ან ამორჩეული პიროვნებების გამოკითხვა) საკმარისი არ გახლავთ. იმ ქცევებთან დაკავშირებით, რომლებიც პირადულია, შედარებით ცვალებადია ან იოლად გამოსათქმელი არ გახლავთ, ანთროპოლოგებმა უნდა გამოკითხონ ხალხის წარმომადგენლობითი რაოდენობა და შემდეგ მიღებული მონაცემები შეადარონ ინფორმანტების ნათქვამს.

ნოგრაფი, რომელიც აყალიბებს შესაძლო ახსნას რომელიმე ჩვევასთან დაკავშირებით, ადგილზევე აგროვებს ინფორმაციას თავისი ვარაუდების შესამოწმებლად. ამ მხრივ ეთნოგრაფი წააგავს მკურნალს, რომელიც ცდილობს გაიგოს, რატომ აქვს მის პაციენტს ავადმყოფობის ესა თუ ის ნიშანი.

მიუხედვად იმისა, რომ ეთნოგრაფია ძალზე მნიშვნელოვანია ახსნების შემუშავების პროცესში, მხოლოდ ცალმხრივი საველე სამუშაოები არ იძლევა საკმარის ინფორმაციას ჰიპოთეზათა შესამოწმებლად. მაგალითად, ეთნოგრაფი, რომელსაც საქმე აქვს საზოგადოებასთან, სადაც ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცებისას, შესაძლოა, მივიდეს დასკვნამდე, რომ ამ საზოგადოებაში მიღებულია პოლიგინია ანუ მრავალცოლიანობა. მაგრამ ეთნოგრაფი ვერ იქნება დარწმუნებული თავისი დასკვნის სისწორეში, სანამ არ ექნება შედარებითი კვლევის მასალები მსოფლიოს სხვა საზოგადოებების შესახებ, რომლებიც დაადასტურებენ, რომ პოლიგინიურ საზოგადოებათა უმეტესობაში ქალების რაოდენობა სჭარბობს მამაკაცებისას. ბოლოს დაბოლოს, ის, რომ საზოგადოებას ორივე ეს მახასიათებელი აქვს, შესაძლოა, უბრალოდ ისტორიული შემთხვევითობა იყოს და არა ამ ორ გარემოებას შორის არსებული კანონზომიერება.

შიდაკულტურული შედარებები

ეთნოგრაფს შეუძლია თეორიის შემოწმება საზოგადოების შიგნით, თუკი გადაწყვეტს პიროვნებების, ოჯახების, საოჯახო მეურნეობების, ერთობების ან უბნების შედარებას. შედარებისათვის, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ბუნებრივად არსებული ცვალებადობა. დავუშვათ, გვსურს გავარკვიოთ, რამდენად რეალურია უათინგის დასკვნა იმის შესახებ, რომ სქესობრივი კავშირის აკრძალვა მშობიარობის შემდგომი პერიოდისთვის

ცილის დაბალი შემცველობის რაციონის მქონე საზოგადოებებში მართლაც ზრდის ბავშვთა გადარჩენის შანსებს. ამ აკრძალვას წყვილების უმეტესობა იცავს, რადგანაც ეს არის საზოგადოებაში დამკვიდრებული წესი. ზოგ წყვილს აკრძალვის გასვლის შემდეგ, შესაძლოა, დიდხანს არ გაუჩნდეს ბავშვი. ამრიგად, უნდა ველოდოთ გარკვეულ ვარიაციებს იმ დროით ინტერვალებში, რომლებშიც იბადებიან ბავშვები. თუ დედებისგან შევაგროვებთ ინფორმაციას მშობიარობებისა და ბავშვების გადარჩენის შესახებ, შეგვეძლება შევადაროთ გადარჩენის ხარისხი ბოლო ორსულობიდან მცირე და დიდი ხნის შემდეგ გაჩენილ ბავშვთა ჯგუფებისათვის. თუ ბოლო მშობიარობიდან მეტი ხნის შემდეგ დაბადებული ბავშვების გადარჩენის შემთხვევები ბევრად მეტი იქნებოდა, ეს საშუალებას მოგვცემდა გვეთქვა, რომ უაითინგის თეორია სწორი. რა მოხდება, თუ საზოგადოების ზოგი ჯგუფი მეტი ცილის მიღებას შეძლებს? თუკი უაითინგის თეორია სწორია, მაშინ ეს ჯგუფები ბავშვთა გადარჩენის უფრო მაღალი მაჩვენებლით უნდა ხასიათდებოდნენ. თუ არსებობს ვარიაციები მშობიარობის შემდგომი სექსის აკრძალვის ვადის ხანგრძლივობაზე, მაშინ ამგვარ ჯგუფებს შედარებით მოკლეხნიანი აკრძალვა უნდა ახასიათებდეს.

კულტურათაშორისი ცდების ჩატარება დამოკიდებულია იმაზე, გვაქვს თუ არა ჩვენი ჰიპოთეზის ცვლადების საკმარისი ცვალებადობა. როგორც წესი, ეს პირობა დაცულია და საშუალება გვეძლევა გამოვიყენოთ ეს ცვალებადობა ჩვენი ჰიპოთეზის შესამოწმებლად. რეგიონული კონტროლირებადი შედარებები

რეგიონულ კონტროლირებად შედარებებში

ანთროპოლოგები ადარებენ ეთნოგრაფიულ ინფორმაციებს, რომლებიც მოპოვებულია კონკრეტული რეგიონში, სადაც საზოგადოებებს მსგავსი ისტორია და გარემო აქვთ. ანთროპოლოგს, რომელიც ამგვარ შედარებას ახდენს, საშუალება აქვს შეისწავლოს ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი გარკვეული კულტურული მაგალითების ერთობლიობები. ეს მაგალითები მას, შესაძლოა, შესასწავლი ფენომენის შინაარსის უკეთ გაგებაში დაეხმაროს. ანთროპოლოგის ცოდნა შესასწავლი რეგიონის შესახებ არ არის ისეთი სრული, როგორიც ეთნოგრაფის ცოდნა მის მიერ შესწავლილი კერძო საზოგადოების შესახებ. ანთროპოლოგის ცოდნა ლოკალური დეტალების შესახებ უფრო სრულია რეგიონულში, ვიდრე მსოფლიო შედარებაში. ამ უკანასკნელის საზღვრები იმდენად ფართოა, რომ მკვლევარი, შესაძლოა, შესადარებელი საზოგადოებების უმეტესობას არც კი იცნობდეს.

რეგიონული კონტროლირებადი შედარება სასარგებლოა როგორც ახსნების შემუშავების თვალსაზრისით, ისე მათი შემოწმების თვალსაზრისითაც. იმის გამო, რომ შესადარებელ საზოგადოებათა ზოგი მახასიათებელი ახსნილი იქნება, ზოგი კი არა, ანთროპოლოგს აღნიშნული რეგიონისთვის მაინც შეუძლია განსაზღვროს რომელი გარემოებებია ერთმანეთთან დაკავშირებული და რომელი — არა. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ორი ან მეტი გარემოება, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს იმ მიზეზით, რომელიც მხოლოდ ამ რეგიონს ახასიათებს. აქედან გამომდინარე, ამ კავშირებზე დაფუძნებული ახსნა, შეიძლება, სხვა რეგიონისათვის უსარგებლო აღმოჩნდეს.

კულტურათაშორისი (კროს-კულტურული) კვლევა

ანთროპოლოგები ინტერპრეტაციებს აყალიბებენ გარკვეული კულტურული მახასიათებლის მქონე ან არმქონე საზოგადოებებს შორის განსხვავებათა ძიებით მსოფლიო შედარებების საფუძველზე. მაგრამ მსოფლიო შედარებებს ძირითადად ახსნათა შემოწმებისას იყენებენ. კულტურათაშორისი მკვლევარი, პირველ რიგში, იმ პირობების იდენტიფიკაციას ახდენს, რომლებიც თეორიის სისწორის შემთხვევაში, ერთმანეთთან დამოკიდებულებაში უნდა იყოს. შემდეგ ანთროპოლოგი ეძებს მსოფლიო საზოგადოებათა შორის მაგალითებს, რათა გაარკვიოს, რამდენად რეალურია ნავარაუდევი დამოკიდებულება. კულტურათაშორისი კვლევის უპირატესობა ის გახლავთ, რომ მის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები სამართლიანი იქნება საზოგადოებათა უმეტესობისათვის, თუ ტესტირებისათვის გამოყენებული მაგალითი შემთხვევითი წესით იქნა შერჩეული და შესაბამისად, წარმომადგენლობითი ხასიათისაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეგიონული შედარებისაგან განსხვავებით, რომელიც შესაძლოა, სხვა რეგიონებისათვის უსარგებლო აღმოჩნდეს, კულტურათაშორისი კვლევის შედეგები გამოსადეგი იქნება რეგიონებისა და კულტურების უმეტესობასთან სამუშაოდ.

როგორც აღვნიშნეთ, რაც უფრო დიდია გამოკვლეულ საზოგადოებათა რაოდენობა, მით მეტია შესაძლებლობა იმისა, რომ მკვლევარი დეტალურად ერკვეოდეს ყველა საკვლევი საზოგადოების კულტურაში. ამრიგად, თუ კულტურათაშორისი ტესტი არ ადასტურებს კონკრეტულ ახსნას, მკვლევარმა შეიძლება არ იცოდეს, როგორ გარდაქმნას ინტერპრეტაცია ვითარების შესაბამისად. ამგვარ სიტუაციაში ანთროპოლოგმა თავიდან უნდა შეამოწმოს ერთი ან მეტი საზოგადოების შესახებ არსებული ინფორმაციული დეტალები, რათა ჩამოაყალიბოს ახლებური ხედვა საკითხთან მიმართებაში. კულტურათაშორისი კვლევის, როგორც ახსნების გენერაციისა და ტესტირების საშუალების კიდევ ერთი შეზღუდვა ის არის, რომ მხოლოდ ის ახსნები შეიძლება შემოწმდეს, რომელთა შესახებ ზოგადად არსებობს ინფორმაცია. მკვლევარი, რომელიც დაინტერესებულია ისეთი ფენომენის ახსნით, რომლის შესახებაც ინფორმაცია ნაკლებად მოიპოვება, იძულებულია, ინფორმაციის მოპოვების სხვა ხერხებს მიმართოს.

ისტორიული კვლევა

ეთნოისტორია არის საზოგადოების შესახებ დროის სხვადასხვა მომენტში არსებული მდგომარეობის ამსახველ აღწერილობით მასალაზე დაფუძნებული სწავლება. იგი გვაძლევს ყველა ტიპის ისტორიულ სწავლებათათვის აუცილებელ მონაცემებს ისევე, როგორც ეთნოგრაფია გვაძლევს მასალას არაისტორიული ტიპის კვლევებისათვის. ეთნოისტორიული მონაცემები, შესაძლოა, განსხვავებულ წყაროებს ეყრდნობოდეს და არა ანთროპოლოგების მიერ გამოყენებულ წყაროებს (მოგზაურთა, მისიონერთა, ვაჭართა და სახელმწიფო მოხელეთა ჩათვლით). ეთნოისტორიკოსები, ისევე როგორც ისტორიკოსები, არ კმაყოფილდებიან ნებისმიერი ხელმისაწვდომი დოკუმენტის შეკრებითა და აღწერით. ეს ჩანაწერები, შესაძლოა, დაწერილი იყოს სრულად განსხვავებული ადამიანების მიერ, რომელთაც აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები ჰქონდათ. ამრიგად, საჭიროა გაირკვეს, თუ რა არის ფაქტი და რა — სუბიექტური ინტერპრეტაცია. ჰიპოთეზების შემოწმების საკითხებში, ერთი საზოგადოების რაღაც პერიოდის განმავლობაში შესწავლა იმავე შეზღუდვებს ექვემდებარება, რასაც საზოგადოების შესწავლა დროის ერთი კონკრეტული მომენტისათვის. სწავლებები, რომლებიც ერთი საზოგადოების შესწავლაზე ფოკუსირდება დროის გარკვეული პერიოდებისათვის, თავის წიაღში ბევრ ჰიპოთეზას ქმნის, მაგრამ არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საკმარისი სანდოობით დადგინდეს, რომელია ამ ჰიპოთეზებიდან რეალობის ამსახველი. კულტურათაშორისი ისტორიული სწავლებები (ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე მაგალითი ვიცით) საწინააღმდეგო

ანთროპოლოგიური საწყისები

ნიკარაგუელი მისკიტოები

ეთნოისტორიკოსი დეტექტივს ემსგავსება საველე სამუშაოების ჩატარებისას. უკანასკნელი ასწლეულების მანძილზე, საზოგადოების ევოლუციის სურათის აღდგენისას, როცა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მხოლოდ მცირე რაოდენობით ჩანაწერები დატოვეს ან საერთოდ არ დატოვეს, იძულებული ხართ დაეყრდნოთ მოგზაურთა ჩანაწერებს. მერი ჰელმსს დაახლოებით ამგვარი სამუშაოს შესრულება მოუწია, როდესაც გადაწყვიტა ნიკარაგუაში მცხოვრები მისკიტოს ტომის შესწავლა და მათ მიწაზე საველე სამუშაოების ჩატარება. მას აინტერესებდა, როგორ შეიცვალა მისკიტოების ცხოვრება ევროპული კოლონიალიზმის პირობებში. ჰელმსს განსაკუთრებით აინტერესებდა, როგორ მოახერხა ტომმა პოლიტიკური დამოუკიდებლობის ნაწილობრივ შენარჩუნება.

მისკიტოს ტომი არის იმის მაგალითი, რასაც ჩვენ „კოლონიურ ტომს“ ვუწოდებთ. ამაში იგულისხმება ეთნიკური პოპულაცია, რომლის ჯგუფური იდენტურობის გრძნობა და მრავალი ჩვეულება ევროპის ან მის მიერ შექმნილ ძალებთან კონტაქტის შედეგია. სავარაუდოა, რომ სახელი „მისკიტო“, ისევე როგორც „მოსკიტოს (კოღოების) სანაპირო“, მეთექვსმეტე საუკუნის ესპანური, ფრანგული და ინგლისური სიტყვებიდან არის წარმოქმნილი. ამ სანაპიროს შესახებ არსებულ ადრეულ ჩანაწერებში სახელი, რომლითაც იგი მოიხსენიება (ოსქუიტო, ოსქუეტო, უსკეტო, უსტიქუე), წააგავს შესაბამის ევროპულ ენებში მუშკეტის აღმნიშვნელ სიტყვებს (მოსქუეტე, მოუსქუეტ, მუსკეტ). როგორც ჩანს, ცეცხლსასროლი იარაღის მოპოვებამ მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში მისკიტოს ინდიელები სანაპიროს უძლიერეს პოპულაციად აქცია.

ევროპელთა გამოჩენამდე სანაპირო დასახლებული იყო მრავალი სხვადასხვა მცირე ტომით, რომლებიც თავს ნადირობით, თევზაობითა და პრიმიტიული მიწათმოქმედებით ირჩენდნენ. მსოფლიოს სხვა მრავალი კუთხისაგან გასხვავებით, ევროპულ ცივილიზაციასთან კონტაქტმა არ გამოიწვია მისკიტოს ტომის წინაპართა კულტურული ასიმილაცია და ცხოვრების წესის შეცვლა. ადგილობრივი მცხოვრებლები არასოდეს დამორჩილებიან კოლონიურ ხელისუფლებას, არ გადაუხდიათ გადასახადები, არ ჩაბმულან იძულებით სამსახურში, მაგალითად, არმიაში. ამ ხალხმა სასტიკი ბრძოლები გადაიტანა თავისი ინტერესების დასაცავად. მიუხედავად ევროპული ცივილიზაციის ძლიერი გავლენისა, უკანასკნელი სამასი წლის მანძილზე მისკიტოს ინდიელებმა მოახერხეს და შეინარჩუნეს საგრძნობი სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ავტონომია.

შეზღუდვით ხასიათდება. არსებობს ჰიპოთეზათა შემოწმების მრავალი მეთოდი, მაგრამ მეორეული ინფორმაციით მუშაობის აუცილებლობის გამო, კულტურათაშორისი ისტორიული სწავლებები მკაცრად არის შეზღუდული არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით ჰიპოთეზების გენერაციაში.

თუმცა არსებობს ერთი უპირატესობა, რომელიც ყველა სახის ისტორიულ სწავლებას. კულტურული ანთროპოლოგიის მიზანია კულტურული მაგალითების ცვალებადობათა ახსნა და იმის დადგენა, რა გარემოებები უწყობს ხელს კულტურული მაგალითის არსებობას. ამგვარი სპეციფიკა იმ ნავარაუდევი მიზეზობრივი ან ხელშემწყობი პირობების ახსნას მოითხოვს, რომლებიც წინ უძღოდა აღნიშნულ კულტურულ მაგალითს. თეორიები და ახსნები დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებების თანმიმდევრობას შეიცავს, რაც უკვე ისტორიკოსთა კვლევის სფეროქა. აქედან გამომდინარე, თუ გვსურს, უკეთ გავიგოთ და შევისწავლოთ კულტურულ ვარიაციათა განმაპირობებელი მიზეზები, უნდა შევისწავლოთ ისტორიული თანმიმდევრობაც. ეს დაგვეხმარება განვსაზღვროთ, რამდენად უსწრებდა ნავარაუდევი პირობების წარმოქმნა კულტურული ფენომენის წარმოქმნას. ამის შემდეგ შეგვეძლება უფრო დარწმუნებით ჩავთვალოთ, რომ ეს ფენომენი მართლაც აღნიშნულმა მიზეზებმა გამოიწვია. ისტორიული თანმიმდევრობის შესწავლის შემთხვევაში შევძლებთ დავრწმუნდეთ იმაში, რომ ურემი ხარებს წინიდან არ ჩავუბით.

ისტორიული კვლევის მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი გახლავთ წყაროთა სიმწირე და არააქტუალობა. ისტორიულ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, განსაკუთრებით, როდესაც წყაროები მოგზაურთა, მისიონერთა და ვაჭართა ჩანაწერებია, ხშირად ნაკლებად გამოსადეგია. შესაძლოა, უფრო ეფექტიანი გზა ასეთ შემთხვევაში ახსნათა არაისტორიული მეთოდებით შემოწმება აღმოჩნდეს, რათა გარკვეული ინტერპრეტაციები გამოირიცხოს. შემდეგ კი, როდესაც სახეზე გვექნება ინტერპრეტაცია, რომელმაც შემოწმებას გაუძლო, უკვე შეგვიძლია ვეძებოთ ისტორიული წყაროები.

შემდეგ თავში ჩვენ განვიხილავთ არა მხოლოდ იმას, რასაც კულტურულ ვარიაციათა შესახებ ვვარაუდობთ, არამედ იმასაც, რაზეც ჯერჯერობით მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს. ჩვენ ვიმსჯელებთ იმაზე, რაც ჯერ არ ვიცით და არც ყოფილა ჰიპოთეზათა და თეორიათა კვლევის საგანი, რათა შევთანხმდეთ იმ შესაძლო აღმოჩენებზე, რომელთაც მომავალში გააკეთებს ანთროპოლოგი.

შეჯამება

1. ანთროპოლოგის მიერ ცხოვრების რომელიმე ასპექტის კვლევის ობიექტად არჩევა ასახავს მის თეორიულ ორიენტაციას, ინტერესის საგანს ან კვლევის იმ მეთოდს, რომელსაც იგი ანიჭებს უპირატესობას. იტერპრეტაცია და ახსნა არ არის დაპირისპირებული მიზნები, ისინი მხოლოდ შემეცნების სხვადასხვა სახეებია.
2. მეცნიერები ცდილობენ, მიიღონ ორი სახის ახსნა — ასოციაციები (ორ ან მეტ ცვლადს შორის შემჩნეული დამოკიდებულება) და თეორიები (ასოციაციათა ახსნა).
3. თეორია უფრო რთულია, ვიდრე ასოციაცია. თეორიის ზოგი ელემენტი არ ექვემდებარება დაკვირვებას. ასოციაციები მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებას.
4. შეუძლებელია თეორიების აბსოლუტური სიზუსტით დამტკიცებ. ყოველთვის იქმნება ალბათობა იმისა, რომ რაღაც ელემენტი ან თეორიიდან გამომდინარე ჰიპოთეზა არ აღმოჩნდება თანხმობაში მომავალ კვ-

ლევებთან.

5. თეორიის უარყოფა შეიძლება ფალსიფიკაციის გზით. მეცნიერები გამოთქვამენ ვარაუდებს, რომლებიც თეორიის სისწორის შემთხვევაში უნდა გამართლდეს. თუ ვარაუდები არ გამართლდა, მეცნიერები იძულებულნი იქნებიან დაასკვნან, რომ თეორიაში ყველაფერი რიგზე ვერ არის.
6. დამაკმაყოფილებლობის ტესტის ჩასატარებლად საჭიროა ოპერატიულად განვსაზღვროთ ნავარაუდევ დამოკიდებულებაში ჩართული ცვლადის გაზომვის გზა, რათა სხვა მკვლევრებმა შეძლონ ჩვენ მიერ მიღებული შედეგების გამეორება ან რეპლიკაცია.
7. ვარაუდების შემოწმება უნდა შეიცავდეს წარმომადგენლობით მაგალითებს. ამგვარი მაგალითების მოპოვების ყველაზე ობიექტური საშუალება მათი შემთხვევითი ნესით არჩევაა.
8. შემოწმების შედეგები ფასდება სტატისტიკური მეთოდებით, რომლებიც განსაზღვრავს კონკრეტული შედეგების მიღების ალბათობას. ეს ალბათობა საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ რომელი შედეგი არის შემთხვევითი და რომელი რეალური.
9. კულტურის ანთროპოლოგები კვლევებს რამდენიმე მეთოდით აწარმოებენ. თითოეულ ამ მეთოდს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები ახსნათა შემოწმების თვალსაზრისით. კულტურული ანთროპოლოგიის კვლევის ტიპები შეიძლება დაიყოს ორი — სივრცული და დროითი — კრიტერიუმის მიხედვით. პირველი გულისხმობს საზოგადოებათა შესწავლას და ანალიზს სივრცეში, ლოკალური, რეგიონული და მსოფლიო მასშტაბით, მეორე კი გულისხმობს საზოგადოებათა შესწავლას ისტორიულ ასპექტში, ისტორიული და არაისტორიული სწავლებების დაპირისპირების გზით. ძირითადი კვლევის მეთოდებია: ეთნოგრაფია, ეთნოისტორია, ისტორიული და არაისტორიული რეგიონული კონტროლირებადი შედარებები და ისტორიული და არაისტორიული კულტურათაშორისი შედარებები.

საკონტროლო კითხვები

1. აუმჯობესებს თუ არა თეორიული მიმართულება მისი მატარებლის მიერ მსოფლიოს ხედვას თუ ხელს უშლის მას ალტერნატიული შესაძლებლობების დანახვაში?
2. შეიძლება თუ არა უნიკალური მოვლენის ახსნა?
3. როგორ ხდება დაკვირვებათა გაზომვა?
4. რატომ არის მეცნიერული აღქმა ყოველთვის საეჭვო?
5. თუკი ერთი კულტურის აღწერისას ორი სხვადასხვა ეთნოგრაფი საპირისპირო მოსაზრებებს გამოთქვამს, როგორ განვსაზღვროთ, რომელი მათგანის მხარეზეა სიმართლე?

15 კომუნიკაცია და ენა

თავების შინაარსი

- კომუნიკაცია
- ენის წარმომავლობა
- აღწერითი ლინგვისტიკა
- ისტორიული ლინგვისტიკა
- ლინგვისტური დივერგენციის/ გადახრის პროცესები
- კავშირი ენასა და კულტურას შორის
- მეტყველების ეთნოგრაფია



ცოტა ჩვენგანს თუ ახსოვს, პირველად როდის მიხვდა, რომ სიტყვები რაღაცას ნიშნავს. არადა, ეს გადამწყვეტი მომენტი იყო ჩვენთვის, რომელიც არა მარტო ენის დაუფლებას, არამედ რთულ, მრავალმხრივ ქცევასთან გაცნობას ნიშნავდა, რაც ჩვენი კულტურის შემადგენელი ნაწილია. ენის გარეშე რთული ტრადიციების გადაცემა შეუძლებელი იქნებოდა და თითოეული ადამიანი მხოლოდ საკუთარი შეგრძნებების სამყაროში გამოიკეტებოდა.

ჰელენ კელერი, რომელიც 19 თვის ასაკში გადატანილი ავადმყოფობის გამო დამუნჯდა და დაბრმავდა, ასე აღწერს მეორე ადამიანთან სიტყვების მეშვეობით ურთიერთობის დამყარების პირველ გამოცდილებას:

[ჩემმა მასწავლებელმა] ქუდი მომიტანა და მე ვიცოდი, რომ თბილ, მზიან ამინდში გავიდოდით. ამ აზრმა, თუ უსიტყვო შეგრძნებას შეიძლება აზრი ვუწოდოთ, სიამოვნებისგან ამაკუნტრუშა.

ბილიკს წყაროსკენ გავყევით, რომელსაც გზად ცხრატყავას სურნელი მოჰყვებოდა. ვიღაც წყალს აგროვებდა და მასწავლებელმა ხელი წყლის ნაკადს შემაშვერინა. როდესაც გრილი წყალი ჩემს ხელს შეეხო, მან მეორე ხელზე სიტყვა წყალი გამოხატა, ჯერ ნელა, შემდეგ კი სწრაფად. უეცრად ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს რაღაც დავიწყებულს ვიხსენებდი და ენის საიდუმლო გაიხსნა ჩემთვის. მე ვიცოდი, რომ სიტყვა წ-ყ-ა-ლ-ი საოცარ გრილ რაღაცას ნიშნავდა, რომელიც ჩემს ხელზე გადმოედინებოდა. ამ ცოცხალმა სიტყვამ ჩემი სული გამოაფხიზლა, სინათლე, იმედი და სიხარული მოჰფინა და გაათავისუფლა! მართალია, ჯერ კიდევ იყო ბარიერები, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი გადალახვაც შესაძლებელი გახდა.

წყარო სწავლაზე მოწყურებულმა დავტოვე. ყველაფერს სახელი ჰქონდა და თითოეული სახელი ახალ აზრს აღვიძებდა. სახლში რომ დავბრუნდით, თითოეული საგანი, რომელსაც ვეხებოდი, თითქოს თრთოდა, ცოცხლდებოდა. ეს იმიტომ, რომ ახლა ყველაფერს ახალი, უცნაური ხედვით აღვიქვამდი.

კომუნიკაცია

ყველაფრის მიუხედავად, ჰელენ კელერმა შეძლო გაეგო ენის უმნიშვნელოვანესი — კომუნიკაციის, ურთიერთობის დამყარების — ფუნქცია. სიტყვა „კომუნიკაცია“ მოდის ლათინური სიტყვიდან *communicare*, რაც ნიშნავს „გადაცემას“, „განაწილებას“, „საერთოს“. ჩვენ ვურთიერთობთ ცნობიერი თუ ქვეცნობიერი შეთანხმებით იმაზე, რომ საგანს, მოძრაობას ან განყენებულ კონცეფციას საერთო სახელს ვუწოდებთ. მაგალითად, ინგლისურად მოსაუბრენი შეთანხმდნენ, რომ ბალახის ფერს "მწვანე" უწოდონ, მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს საშუალება, ერთმანეთს შევადაროთ ორი ადამიანის მიერ ამ ფერის აღქმით გამოწვეული ზუსტი განცდა. სამაგიეროდ, ვიზიარებთ, რომ ანალოგიური შეგრძნებები მოვიხსენიოთ მწვანე ფერით. ნებისმიერი ენობრივი სისტემა შედგება საჯაროდ მიღებული სიმბოლოებისგან, რომლებითაც ინდივიდები ცდილობენ საკუთარი პირადი განცდების გაზიარებას.

არავერბალური ადამიანური კომუნიკაცია

ყველამ ვიცით გამოცდილებით, რომ წარმოთქმული სიტყვა სრულყოფილად ვერ გადმოსცემს ყველაფერს, რა (კონკრეტული) სოციალური სიტუაციის შესახებ ვუწყით. როგორც წესი, ვხვდებით, როდის არის მართალი ფრაზა „სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა“ და როდის არა. ჩვენ ვხვდებით, რომ ადამიანი ნაღვლიანია მისი ქცევიდან გამომდინარე, თუნდაც მაშინ, როდესაც ის კითხვაზე „როგორ ხარ?“ პასუხობს: „მე კარგად ვარ“.

აშკარაა, რომ ჩვენი ურთიერთობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ზეპირი მეტყველებით. ჩვენ ვურთიერთობთ ჟესტიკულაციით, ტანის მიხვრა-მოხვრით, მიმიკებით, ხმის ტონითა და არაპირდაპირი ნიშნებისა და სიმბოლოების სისტემებით, როგორიცაა წერა, ალგებრული განტოლებები, მუსიკალური ნოტები, ცეკვა, ხატვა, კოდური ალმები და საგზაო ნიშნები. როგორც ენტონი ვილდენმა აღნიშნა, „თითოეული ქმედება, თითოეული პაუზა, თითოეული მოძრაობა ცოცხალ და სოციალურ სისტემებში გზავნილს წარმოადგენს; დუმილიც კი ურთიერთობის ფორმაა; წარმოუდგენელია ცოცხალი არსება ურთიერთობის გარეშე“. როგორ შეიძლება დუმილი ურთიერთობის ფორმა იყოს? დუმილი შეიძლება გამოხატავდეს მეგობრულ ურთიერთობას, როდესაც ორი ადამიანი მხარდამხარ მუშაობს ერთ პროექტზე, მაგრამ შესაძლოა, ასევე, გამოხატავდეს მტრულ დამოკიდებულებასაც. ანთროპოლოგს შეუძლია ბევრი რამის გაგება იქიდან, თუ რაზე არ საუბრობენ ადამიანები (კონკრეტულ) საზოგადოებაში. მაგალითად, ინდოეთში არაა მიღებული სექსზე საუბარი. შიდსის ინფექცია ძალიან სწრაფად ვრცელდება ინდოეთში, ამიტომ ადამიანთა მიერ ამ თემის (სექსის) უგულებელყოფა სამედიცინო ანთროპოლოგებისა და ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის დაავადების გავრცელების ტემპებთან ბრძოლას საოცრად ართულებს. [3]

არავერბალური კომუნიკაციის ზოგიერთი ფორმა საერთოა ყველა ადამიანისთვის. მაგალითად, მთელ მსოფლიოში ადამიანები ერთნაირად იგებენ სახის გამომეტყველების მნიშვნელობას. მათ შეუძლიათ იცნონ ბედნიერი, სევდიანი, გაოცებული, გაბრაზებული, ზიზღნარევი ან შეშინებული სახე. სახის გამოხატვა ხელოვნებაში ბევრ სხვადასხვა კულტურაში ერთნაირ შეგრძნებებს იწვევს. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ხელოვნებისადმი მიძღვნილ თავში, ნიღბები, რომელთა მიზანი დაშინებაა, წვეტიანი, კუთხოვანი ნაკვთებითა და შიგნით, ქვემოთ მიმართული თვალებითა და წარბებით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, არავერბალური ურთიერთობა განსხვავებულია სხვადასხვა კულტურებისთვის. კულტურის კონცეფციის შესახებ თავში ჩვენ განვიხილეთ, თუ რამდენად განსხვავდება დისტანცია გვერდიგვერდ მდგომი ადამიანებისთვის სხვადასხვა კულტურაში. სახის გამომეტყველების შემთხვევაში, მათ სხვადასხვა წესები აქვთ იმ ემოციების თაობაზე, რომელთა გამოხატვაც მიზანშეწონილია. ერთ-ერთი კვლევა შეეხებოდა იაპონელებისა და ამერიკელების მიერ ემოციების გამოხატვას. ორივე ქვეყნის წარმომადგენლებს ვიდეოზე იღებდნენ, როდესაც მათ შიშისა და ზიზღის მომგვრელ ფილმს აჩვენებდნენ. როდესაც კვლევის მონაწილეებმა ფილმი დამსწრეთა გარეშე აჩვენეს, მათ ერთნაირად გამოხატეს შიშიცა და ზიზღიც. მაგრამ აქ იყო კულტურული ეფექტიც. როდესაც ჩაწერას ავტორიტეტული ფიგურა ესწრებოდა, კვლევის იაპონელი მონაწილეები, ამერიკელებისგან განსხვავებით, უფრო ხშირად ცდილობდნენ ღიმილის მეშვეობით თავიანთი ნეგატიური გრძნობების დამალვას.[4] ბევრი ჟესტი განსხვავებულია სხვადასხვა კულტურისთვის. ზოგიერთ კულტურაში თავის ზემოთ ქვემოთ მოძრაობა „კი“-ს ნიშნავს, ზოგში კი „არა“-ს.

მიუხედავად ჩვენს ხელთ არსებული კომუნიკაციის მრავალფეროვანი სისტემებისა, უნდა ვაღიაროთ ზეპირი მეტყველების, საუბრის დომინანტური მნიშვნელობა. ის კულტურის უდიდეს გადამცემს წარმოადგენს და საშუალებს გვაძლევს (სხვებს), გავუზიაროთ ან გადავცეთ დამოკიდებულებების, რწმენის ან ქცევის ჩვენეული რთული ნაზავი.

არაადამიანური კომუნიკაცია

კომუნიკაციის სხვა სისტემები, ისევე, როგორც ბგერითი კომუნიკაცია, მხოლოდ ადამიანისთვის არაა დამახასიათებელი. ცხოველებიც ძალიან მრავალფეროვანი

კვლევის მიხედვით, მთელ მსოფლიოში ადამიანები ემოციებს ერთნაირად გამოხატავენ. შეგიძლიათ, გამოიცნოთ, რა ემოციებია გამოხატული ამ სახეების მიერ?

გზებით ურთიერთობენ. ერთ-ერთი არის ხმა. ფრინველს შეუძლია კომუნიკაცია „დაძახებით“ „ეს ჩემი ტერიტორიაა“, ციყვმა შეიძლება წამოიტიროს და გააფრთხილოს სხვა ციყვები საფრთხის შესახებ. ცხოველთა კომუნიკაციის სხვა საშუალებას სუნი წარმოადგენს. სიკვდილისას ჭიანჭველა გამოყოფს ქიმიკატს, რათა მისმა თანამოძმეებმა კომპოსტის გროვისკენ წაიღონ მისი სხეული. როგორც ჩანს, კომუნიკაცია ძალიან ეფექტურია; ჯანსაღ ჭიანჭველას, რომელსაც სიკვდილის ქიმიკატი აქვს წასმული, ასევე მიათრევენ კომპოსტის გროვისკენ. კომუნიკაციის, ურთიერთობის კიდევ ერთი გზა სხეულის მოძრაობაა. ფუტკრები მას საკვების ადგილმდებარეობის მისანიშნებლად გამოიყენებენ. კარლ ფონ ფრიშმა აღმოაჩინა, რომ წრიული ცეკვით ნესტრის ქნევით ან მოკლე პირდაპირი გარბენით, ავსტრიულ შავ ფუტკარს შეუძლია გადმოსცეს არა მარტო მიმართულება საკვების წყაროსკენ, არამედ სკიდან მისი ზუსტი დაშორებაც. [5]

ერთ-ერთ ყველაზე დიდ სამეცნიერო დავას წარმოადგენს დავა იმაზე, თუ რამდენად განსხვავდებიან ცხოველები და განსაკუთრებით პრიმატები ადამიანებისგან თავიანთი ენობრივი უნარ-შესაძლებლობებით. ზოგიერთი მეცნიერი თანმიმდევრობის იმდენად დიდ რღვევას ხედავს, რომ აცხადებს, — ადამიანებმა (მუტაციის მეშვეობით) შეიძინეს გენეტიკური მიდრეკილება ენისკენო. სხვები უფრო მეტ საერთოს ხედავენ ადამიანებსა და დანარჩენ პრიმატებს შორის და აღნიშნავენ, რომ პრიმატების უნარი შეითვისონ ახალი, უფრო დიდია, ვიდრე აქამდე ითვლებოდა. ისინი, ასევე, აღნიშნავენ, რომ არათანმიმდევრულობის თეორიის მომხრეები მუდმივად აზვიადებენ ენისათვის საჭირო უნარების სტანდარტებს.[6] მაგალითად, წარსულში სიმბოლურად მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობა ითვლებოდა, მაგრამ უკანასკნელმა კვლევებმა ცხადყო, რომ ველურ ბუნებაში ზოგიერთი მაიმუნისა და პრიმატის ძახილი სიმბოლურ ხასიათს ატარებს.

როდესაც ვამბობთ, რომ კომუნიკაცია (დაძახება, სიტყვა, წინადადება) სიმბოლურია, ვგულისხმობთ, ყველაზე მცირე, ორ რამეს: პირველი, კომუნიკაციას მაშინაც კი აქვს აზრი, როდესაც მისი საგანი (რაზეც არ უნდა უთითებდეს კომუნიკაცია) არაა სახეზე. მეორე, მნიშვნელობა შემთხვევითია, გზავნილის მიმღები ვერ მიხვდება გზავნილის შინაარსს მხოლოდ ბგერებიდან გამომდინარე და არც ინსტინქტურად იცის ეს. სხვა სიტყვებით, სიმბოლოებს სწავლა სჭირდება. არ არსებობს გადაულახავი, “ბუნებრივი“ მიზეზი იმისა, რომ სიტყვა “ძაღლი“ ინგლისურში მიუთითებდეს პატარა, ოთხფეხა ცხოველზე, რომელიც წერილების დამტარებელთა რისხვას წარმოადგენს.

აფრიკული მწვანე მაიმუნი არაა იმდენად ახლოს ადამიანთან, როგორც აფრიკული პრიმატები. მიუხედავად ამისა, მეცნიერები, რომლებიც ამ მაიმუნებს ბუნებრივ პირობებში აკვირდებოდნენ, სულ მცირე, მათ სამ დაძახებას სიმბოლურად მიიჩნევენ, რადგან თითოეული მათგანი მიანიშნებს (მიუთითებს) სხვადასხვა მტაცებელზე — არწივზე, პითონზე ან ლეოპარდზე. სამივე დაძახებაზე მაიმუნები სხვადასხვანაირად რეაგირებენ. ექსპერიმენტისთვის, მისათითებელი საგნის არარსებობის პირობებში, მკვლევრებმა შეძლეს ძახილისადმი ტიპური/ნორმალური რეაქციის მიღება აუდიო ჩანაწერის მეშვეობით. კიდევ ერთი მინიშნება იმაზე, რომ მწვანე მაიმუნების ძახილი სიმბოლურია, არის ის, რომ პატარა მაიმუნებს გარკვეული დრო სჭირდებათ თითოეულ დაძახებაში გასარკვევად. პატარაობისას მაიმუნები ერთსა და იმავე ძახილს უფრო მეტ ცხოველს უსადაგებენ, ვიდრე მოზრდილი მაიმუნები. მაგალითად, პატარა მაიმუნები ძალიან ხშირად გამოსცემენ არწივის გამაფრთხილებელ ძახილს ნებისმიერი ფრინველის დანახვისას. როგორც ჩანს, მაიმუნები შესაფერის ძახილს უფროსების მიერ ძახილის სწორი გამეორების შედეგად სწავლობენ. ნებისმიერ შემთხვევაში, პატარა მაიმუნები დროთა განმავლობაში სწავლობენ, გამაფრთხილებელი ძახილი მხოლოდ არწივის მოახლოებისას გამოიყენონ. როგორც ჩანს, ეს პროცესი დიდად არ განსხვავდება იმისგან, თუ როგორ ცდილობს ინგლისურენოვან ოჯახში ჩრდილოამერიკელი ჩვილი ყველა ზრდასრულ მამრს უწოდოს დადა და დროთა განმავლობაში ამ სიტყვის გამოყენებას მხოლოდ ერთ ადამიანამდე ზღუდავს. [7]

ჩვენ მიერ აღწერილი ყველა არაადამიანური ხმოვანი სიგნალი საშუალებას აძლევს ცხოველებს, გადასცენ გზავნილები. გამგზავნი გადასცემს სიგნალს, რომელიც მიიღება და „დეკოდირდება“ მიმღების მიერ, ეს უკანასკნელი კი გარკვეული მოქმედებით ან პასუხით ეხმიანება. რით განსხვავდება ადამიანების ხმოვანი სიგნალი? თუ მაიმუნები და ზოგადად პრიმატები დროდადრო სიმბოლოებს იყენებენ, არაა მართებული ხაზი გავუსვათ სიმბოლურობას, როგორც ადამიანური ენის გამორჩეულ ნიშან-თვისებას. მიუხედავად ამისა, არსებობს მნიშვნელოვანი რაოდენობრივი სხვაობა ადამიანთა ენასა და სხვა პრიმატების

ხმოვან კომუნიკაციას შორის. ადამიანების ყველა ენა იყენებს სიმბოლოთა ბევრად დიდ ჯგუფებს.

მეორე სხვაობა ადამიანურ და არაადამიანურ ხმოვან სიგნალებს შორის ისაა, რომ დანარჩენი პრიმატების ხმოვანი სისტემები დახურულია — სხვადასხვა დაძახება/შეძახილი არ გამოიყენება ახალი, შინაარსის მქონე შეძახილის შესაქმენლად. ამის საპირისპიროდ, ადამიანთა ენები ღია სისტემებია, რთული წესებით იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ბგერებისა და ბგერათა ერთობლიობის შერწყმის მეშვეობით უსასრულოდ მრავალფეროვანი მნიშვნელობების შექმნა-წარმოება.[8] მაგალითად, ინგლისურად მოსაუბრეს შეუძლია შეაერთოს ორი სიტყვა *care* და *full (careful)* ერთი სიტყვის აღსანიშნავად, შემდეგ კი გამოიყენოს ორივე ცალ-ცალკე, განსხვავებული მნიშვნელობით. *Care* შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთ სიტყვების შესაქმნელად, როგორიცაა *carefree, careless, caretaker; full* შეიძლება გამოვიყენოთ *powerful* ან *wonderful* სიტყვების შესაქმნელად. და რადგანაც ენა საერთო სიმბოლოების სისტემაა, ის შეიძლება გადაკეთდეს უსასრულოდ მრავალფეროვან გამოთქმებად, რომლებსაც გაიგებს ყველა, ვინც ამ სიმბოლოებს იზიარებს. ამიტომ შეძლო თომას ელიოტმა, ჩამოეყალიბებინა მანამდე არარსებული წინადადება – "I*n the room the women come and go/talking of Michelangelo*" – და მისი წინადადების არსი, თუმცა, შესაძლოა, არა კერძო კონტექსტი, გასაგებია ინგლისურად მოსაუბრე ყველა ადამიანისთვის.

მაშინ, როდესაც არც ერთი პრიმატოლოგი არ დავობს ადამიანური ენების სირთულისა და ბგერების კომბინირების მრავალფეროვნების შესახებ, ღია და დახურული სისტემების დაპირისპირება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ტამარინების, ჯუჯა მარმოსეტების, კაპუცინებისა და რეზუს მაკაკების კვლევის შედეგად. აღნიშნული პრიმატები ნამდვილად თანმიმდევრულად იყენებენ შეძახილებს. [10]

მხოლოდ ადამიანებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თავისებურება არის წარსულ და მომავალ მოვლენებზე კომუნიკაციის უნარი. მაგრამ სიუ სევიჯ-რუმბო აკვირდებოდა ველურ შიმპანზეებს, რომლებიც სხვა შიმპანზეებს გზავნილის მაგვარ მინიშნებებს უტოვებდნენ, რათა ისინი კვალს გაჰყოლოდნენ. სადაც კვალი იყოფოდა, შიმპანზეები ამტვრევდნენ ტოტებს და საჭირო მიმართულებით ატრიალებდნენ.

შესაძლოა, ყველაზე დამაჯერებელი უკანასკნელი წარმატებული მცდელობაა, რომ პრიმატებს ადამიანებთან და ერთმანეთთან ურთიერთობა ადამიანის მიერ შექმნილი ნიშნების მეშვეობით ასწავლონ. ამ წარმატებამ ბევრი მეცნიერისთვის სადავო გახადა ის ფაქტი, რომ სხვაობა ადამიანებისა და სხვა ცხოველების კომუნიკაციას შორის უზარმაზარია. თუთიყუშსაც კი, რომელსაც პატარა ტვინი აქვს, ასწავლეს ადამიან-ტრენერთან ურთიერთობა ისე, როგორც ადრე წარმოუდგენელი ეგონათ. თუთიყუშ ალექსს შეუძლია სწორად გასცეს პასუხი შეკითხვებზე, რისგანაა საგნები დამზადებული, რამდენი კონკრეტული ტიპის საგანია და რა აქვს საერთო ან განსხვავებული ორ ობიექტს.[11] როდესაც ალექსს არ სურს გაკვეთილის გაგრძელება, ის ამბობს: "მაპატიეთ... უკან მინდა" (*I'm sorry… wanna go back*).[12] შიმპანზეებს ვოშოსა და ნიმს და გორილა კოკოს ასწავლეს ნიშნების ენა ამერიკული ნიშნების ენის საფუძველზე (რომელიც აშშ-ში სმენადაქვეითებულთა მიერ გამოიყენება). შიმპანზე სარას ურთიერთობა პლასტმასის სიმბოლოებით ასწავლეს. დროთა განმავლობაში ბევრ შიმპანზეს ურთიერთობა კომპიუტერთან მიერთებული სიმბოლური კლავიატურის მეშვეობით ასწავლეს. მაგალითად, შერმანმა და ოსტინმა ერთმანეთთან ურთიერთობა დაიწყეს იმ მოქმედებების შესახებ, რომელთა განხორციელებასაც აპირებდნენ. მაგალითად, რა ტიპის იარაღები ესაჭიროებოდათ ამა თუ იმ ამოცანის შესასრულებლად. და მათ შეძლეს ნივთების კატეგორიებად დაყოფა, როგორიცაა „საკვები" და „იარაღები". ლინგვისტური უნარის საუკეთესო მაგალითები შიმპანზე კანზიმ აჩვენა. სხვა პრიმატებისგან განსხვავებით, კანზიმ სიმბოლოები ისწავლა უბრალოდ დედაზე დაკვირვებით, რომელსაც ადამიანები ასწავლიდნენ და დროთა განმავლობაში თავად დაიწყო კომპიუტერული სიმბოლოების გამოყენება ადამიანებთან ურთიერთობისთვის და თავის სამომავლო მოქმედებებზეც კი მიანიშნებდა. კანზის არ სჭირდებოდა ჯილდო. ინგლისურად ნათქვამიდან საკმაოდ ბევრიც ესმოდა. მაგალითად, როდესაც 5 წლის იყო, კანზიმ გაიგონა ვიღაცის საუბარი ბურთის მდინარეში გადაგდების შესახებ, მოტრიალდა და ასეც მოიქცა. კანზი მიუახლოვდა პრიმიტიული ინგლისური გრამატიკის საწყისებს, როდესაც სიმბოლოების დაკავშირება ხდება.[13] თუ შიმპანზეებსა და სხვა პრიმატებს აქვთ უნარი გამოიყენონ არასასაუბრო ენა და გაიგონ სასაუბრო ენა, მაშინ განსხვავება ცხოველებსა და ადამიანებს შორის არც ისე დიდია, როგორც ადამიანებს ჰგონიათ.

მკვლევარი ჯოის ბატლერი შიმპანზე ნიმს ასწავლის ,, დალევის" ნიშანს.

ნუთუ მართლა იყენებენ პრიმატები ენას თუნდაც მინიმალურ დონეზე? მრავალი მკვლევარი თანხმდება ერთ საკითხზე – პრიმატებს (ადამიანების გარდა) შესწევთ უნარი სიმბოლოებით, შერჩევითი "ნიშნით" (ჟესტი ან ხმათა თანმიმდევრობა) მიუთითონ საგანზე (ან საგანთა კლასზე).[14] მაგალითად, გორილა კოკომ (375 ნიშნიანი რეპერტუარით) გააფართოვა ნიშან "საწრუპი"-ს გამოყენება პლასტმასის ტუბის, შლანგების, სიგარეტებისა და რადიო ანტენის აღსანიშნავად. ვოშომ ნიშანი "ჭუჭყიანი" თავდაპირველად ისწავლა სახეებისა და ნიადაგის აღსანიშნავად, ხოლო მას შემდეგ, რაც მისმა მწვრთნელმა, როჯერ ფოუტსმა, მისთვის სასურველი საგნები არ მისცა, გამოიყენა ეს ნიშანი შეურაცხმყოფელი "ჭუჭყიანი როჯერი"-ს მნიშვნელობით. პრიმატების მიერ დაშვებული შეცდომებიც კი მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ნიშნებს სიმბოლურად აღიქვამენ და იყენებენ, სასაუბრო ენაში სიტყვების გამოყენების ანალოგიურად. მაგალითად, ნიშანი "კატა" შეიძლება გამოყენებულ იქნას ძაღლის აღსანიშნავადაც, თუ ცხოველმა ჯერ ნიშანი "კატა" ისწავლა (ისევე, როგორც ემბერის ქალიშვილი ქეთი 18 თვის ასაკში ყველა ოთხფეხს, სპილოს ჩათვლით, "ძაღლს" ეძახდა).

როდესაც ამ თავში ჩვენ ბგერათა სტრუქტურას (ფონოლოგიას) განვიხილავთ, ვნახავთ, რომ თითოეულ ადამიანურ ენას აქვს სპეციფიკური გზები ბგერების კომბინირებისა და დაშლისთვის. პრიმატებს ამგვარი წესები დასაშვები და დაუშვებელი ბგერათა კომბინაციების შესახებ არ გააჩნიათ. ამასთან, ადამიანებს გადმოცემის მრავალი ფორმა აქვთ. ჩვენ შეგვიძლია სიის სახით ჩამოვწეროთ სათქმელი ან ჩამოვაყალიბოთ ოფიციალური მიმართვა, მოვყვეთ ისტორიებს, ვიკამათოთ ან პოეტური ნაწარმოები წავიკითხოთ. პრიმატებს ჩამოთვლილიდან არაფრის კეთება არ შეუძლიათ,[15] მაგრამ გარკვეული ენობრივი უნარი მაინც აქვთ. შესაბამისად, მათი უნარ-შესაძლებლობების შესწავლა დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ ადამიანის ენის ევოლუცია.

ენის წარმოშობა

უცნობია, რამდენი ხანია, რაც ზეპირი მეტყველება აქვთ ადამიანებს. ზოგის აზრით, ადრეულ ჰომო საპიენსს, შესაძლოა, 100 ათასი წლის წინ უკვე ჰქონოდა ჩანასახოვანი ენა/მეტყველება. სხვანი ფიქრობენ, რომ ენა მხოლოდ უკანასკნელი 40 ათასი წლის წინ განვითარდა თანამედროვე ადამიანების განვითარებასთან ერთად. რადგანაც ჩვენამდე მოღწეული უადრესი არაორაზროვანი ნაშთები ენისა ნაპოვნია ქვის დაფებზე და ძვ. წ. 5000 წლით თარიღდება, უადრესი ენების წარმოშობის ზუსტი თარიღის დადგენა ჰიპოთეტური რჩება. თეორიები ენა-მეტყველების წარმოშობის დროის შესახებ არალინგვისტურ ინფორმაციას ეყრდნობა, როგორიცაა, მაგალითად, თავის ქალის ზომის მნიშვნელოვანი ზრდა, კომპლექსური ტექნოლოგიისა და სიმბოლიზმის მქონე არტეფაქტების (როგორიცაა ხელოვნება) შექმნის დასაწყისი და თანამედროვე ადამიანის ანალოგიური ყელის ანატომიის აღმოჩენა გათხრებისას.

ალბათ მეცნიერთა უმეტესობას სწამს, რომ ზეპირი მეტყველება რადიკალურად განსხვავდებოდა კომუნიკაციის წინარე ეტაპისაგან. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ველურ ბუნებასა და ლაბორატორიაში პრიმატებზე (ადამიანების გარდა) დაკვირვების შედეგად, ბევრმა პრიმატოლოგმა კითხვის ნიშნის ქვეშ დასვა ადამიანთა და პრიმატთა შორის არსებული კომუნიკაციური უნარების სხვადასხვაობა. ფაქტობრივად, ზოგი ფიქრობს, რომ ტვინში ენა-მეტყველებისთვის საჭირო ყველა წანამძღვარი უკვე არსებობდა ადამიანთა და დანარჩენ პრიმატთა დაყოფამდეც კი და ზეპირმეტყველების განვითარებას ისინი უფრო რაოდენობრივ და არა ხარისხობრივ განსხვავებად აღიქვამენ.[17] ამ ორმა განსხვავებულმა აზრმა აქტიური დებატები გამოიწვია.

ნოამ ხომსკი და გრამატიკის სხვა თეორეტიკოსები თვლიან, რომ ადამიანის ტვინში არსებობს თანდაყოლილი მეტყველების დაუფლების აპარატი, ისეთივე თანდაყოლილი ადამიანისთვის, როგორც დაძახების სისტემებია სხვა ცხოველებისთვის.[18] თუ ადამიანები უნიკალურნი არიან მეტყველების თანდაყოლილი უნარის თვალსაზრისით, მაშინ მუტაციას ან მუტაციათა ჯაჭვს ჰქონია ადგილი მას შემდეგ, რაც ადამიანისა და სხვა პრიმატების განვითარების ხაზი გამოეყო ერთმანეთს. არსებობს თუ არა რეალურად ასეთი მექანიზმი, უცნობია. მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით, რომ ინდივიდუალური ენა-მეტყველების განვითარება არაა თავიდან ბოლომდე ბიოლოგიურად განპირობებული; თუ ასე იქნებოდა, ყველა ადამიანი ისაუბრებდა ერთნაირ, გონების მიერ გენერირებულ ენაზე. ამის საპირისპიროდ წარმოიშვა 4-5 ათასი ურთიერთგაუგებარი ენა. აქედან 2000-ზე მეტი უკანასკნელ დრომდე გამოიყენებდა უმეტესწილად დამწერლობის არმქონე ხალხების მიერ.

შეგვიძლია თუ არა რაიმეს გაგება ენის წარმოშობის შესახებ უდამწერლობო და ტექნოლოგიურად უფრო მარტივი საზოგადოებების ენების შესწავლით? პასუხი უარყოფითია, რადგან ეს ენები არაა უფრო ნაკლებ განვითარებული ან ჩვენს ენაზე უფრო მარტივი: ბგერითი სისტემები, ლექსიკონი და ტექნოლოგიურად უფრო მარტივი ხალხების გრამატიკა არაფრით ჩამოუვარდება უფრო რთული ტექნოლოგიების მქონე ხალხებისას.[19] რასაკვირველია, ზოგიერთ ადამიანს სხვა საზოგადოებებსა და რიგ შემთხვევებში ჩვენს საზოგადოებაშიც კი გაუჭირდებათ ჩვენს საზოგადოებაში გამოყენებული რთული მანქანა-დანადგარების დასახელება. მიუხედავად ამისა, ყველა ენას აქვს ამის პოტენციალი. როგორც მოგვიანებით ამ თავში ვნახავთ, ყველა ენას აქვს სიტყვათა ის მარაგი, რაც ამ ენაზე მოსაუბრეთ ესაჭიროებათ და ყველა ენა ვითარდება კულტურული ცვლილებების ადეკვატურად. ენას, რომელსაც აკლია ტერმინოლოგია ჩვენთვის ჩვეული კომფორტის აღსანიშნავად, შესაძლოა, გააჩნდეს უმდიდრესი ლექსიკა ბუნებრივი ფენომენისა და მოვლენის აღსაწერად, რომელიც კონკრეტულად ამ საზოგადოების ხალხისთვისაა მნიშვნელოვანი.

თუ არ არსებობს პრიმიტიული ენები და თუ უადრესმა ენებმა კვალი არ დატოვეს, რაც მათი აღდგენის საშუალებას მოგვცემდა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ენის საფუძვლებს ვერ მივაკვლევთ? ზოგიერთი ლინგვისტის აზრით, ბავშვების მიერ ენის სწავლის პროცესი, რომელსაც მოგვიანებით მოკლედ განვიხილავთ, დაგვეხმარება ენა-მეტყველების საწყისების გარკვევაში. ამას წინათ სხვა ლინგვისტებმა წამოაყენეს თეორია, რომ კრეოლური ენების განვითარების გაგებას შეუძლია ზოგი რამ აგვიხსნას ენა-მეტყველების წარმოშობის შესახებ.

კრეოლური ენები

ზოგიერთი ენა განვითარდა იქ, სადაც ევროპულმა კოლონიალურმა ძალებმა ჩამოაყალიბეს იმპორტირებულ მუშა ხელზე, კერძოდ კი, მონებზე დაფუძნებული კომერციული საწარმოები. ერთ ადგილას შეკრებილი მუშები, როგორც წესი, სხვადასხვა საზოგადოებიდან იყვნენ და თავიდან პატრონებსა და ერთმანეთს ე.წ. „ფიჯინ" ინგლისურით ესაუბრებოდნენ. ასეთ ენებს აკლიათ სრულყოფილი საზოგადოებების ენებისთვის დამახასიათებელი ბევრი შემადგენელი კომპონენტი, როგორიცაა წინდებული (*to, on* და სხვა ინგლისურში) და დამხმარე ზმნები (რომლებიც ინგლისურში გრამატიკული დროების საწარმოებლად გამოიყენება). ბევრი "ფიჯინ" (*pidgin*) (გამარტივებული) ენა მოგვიანებით კრეოლურმა ენებმა შეცვალა, რომელიც პატრონის ენის ლექსიკასა და მისგან და მუშათა მშობლიური ენებისგან განსხვავებულ გრამატიკას შეიცავს.[20]

დერეკ ბიკერტონი ამტკიცებს, რომ მთელ მსოფლიოში

კრეოლურ ენებს შორის განსაცვიფრებელი მსგავსება არსებობს. ეს მსგავსება შეესაბამება აზრს, რომ გრამატიკის ნაწილი ადამიანთა საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენს. შესაბამისად, კრეოლური ენები, შესაძლოა, ადრეულ ენებს ჰგავდეს. კითხვის დასმისას ყველა კრეოლი იყენებს ინტონაციას წინადადებაში სიტყვების გადაადგილების ნაცვლად. კრეოლური ეკვივალენტი კითხვისა „შეგიძლია (შენ) ამის შეკეთება? *Can you fix this*?“ არის „შენ შეგიძლია ამის შეკეთება? *ou can fix this*?“ კრეოლური ვარიანტი ინტონაციურ მახვილს ფრაზის ბოლოზე აკეთებს. ამის საპირისპიროდ, ინგლისურში არებითი სახელი და ზმნა ფრაზის ბოლოში ინტონაციის ცვლილების გარეშე იცვლის ადგილს. მომავალსა და წარსულს ყველა კრეოლი ერთნაირად გამოხატავს, არსებითსა და ზმნას შორის სუფიქსების გამოყენების მეშვეობით (როგორიცაა *shall* ინგლისურში) და ყველა ორმაგ უარყოფას იყენებს, როგორც, მაგალითად, გუანური ინგლისურის კრეოლურ ვარიანტში “*Nobody no like me*“.[21]

შესაძლებელია, რომ ენა-მეტყველებისთვის დამახასიათებელი ბევრი სხვა რამ საყოველთაოა და რომ ბევრი თვალსაზრისით მრავალი ენა ერთნაირია, იმის გამო, რომ ადამიანები ერთნაირად “დაპროგრამებული“ არიან ან იმიტომ, რომ ყველა საზოგადოებაში მსგავსი გამოცდილება აქვთ. მაგალითად, ბევრ ენაში ბაყაყის დასახელება შეიცავს ბგერა “რ“-ს, რადგან ბაყაყი ამ ბგერას გამოსცემს (*frog* ინგლისურად).[22]

ბავშვების მიერ ენის დაუფლება

როგორც ჩანს, ბავშვს დაბადებიდან აქვს უნარი გამოსცეს მსოფლიო ენების მიერ გამოყენებული ბგერები და შეისწავლოს გრამატიკის ნებისმიერი სისტემა. ენა, რომელსაც ბავშვი სწავლობს, ის ენაა, რომელზეც მისი მშობლები ან მეურვეები საუბრობენ.

ბავშვების მიერ ენა-მეტყველების სტრუქტურისა და შინაარსის სწავლა (ადამიანის ცხოვრებაში) ერთ-ერთ ყველაზე რთულ ინტელექტუალურ მიღწევად ითვლება. და თუ ეს მართალია, სასიამოვნოა, რომ ბავშვები მეტყველებას მარტივად და სიამოვნებით სწავლობენ. ბევრი ფიქრობს, რომ ეს “რთული ინტელექტუალური მიღწევა“ რეალურად შესაძლოა იყოს ბუნებრივი პასუხი ენობრივ უნარზე, რაც ადამიანის გენეტიკურ მახასიათებელს წარმოადგენს. მთელ მსოფლიოში ბავშვები ენა-მეტყველების სწავლას დაახლოებით ერთსა და იმავე ასაკში იწყებენ და არც ერთ კულტურაში ბავშვები 7-10 წლამდე არ იცდიან. 12 ან 13 თვის ასაკში ბავშვებს უკვე შეუძლიათ დაასახელონ ობიექტები ან მოქმედებები, ხოლო 18-დან 20-თვემდე მათ შეუძლიათ გამოიყენონ ერთი ძირითადი სიტყვა მთელი წინადადების მაგიერ “გარეთ!“, ნაცვლად წინადადებისა, „ამ წუთას გამიყვანე გარეთ სასეირნოდ“; „წვენი!“ როგორც „მე მინდა წვენი, ახლავე“. როგორც ფაქტებიდან გამომდინარეობს, ბავშვები სიტყვის კონცეფციას ერთიანობაში აღიქვამენ, სწავლობენ მახვილით გამოყოფილი ბგერების თანმიმდევრობას, ან სიტყვის ბოლოს არსებულ ბგერებს (მაგალითად, ინგლისურში „*raffe*“ „*giraffe*“-ს ნაცვლად). სმენადაქვეითებული ბავშვებიც კი ამერიკული ნიშნების ენის (ASL) შესწავლისას ნიშნებს ანალოგიურად სწავლობენ და იყენებენ.[23]

მთელ მსოფლიოში ბავშვები ორსიტყვიან წინადადებას 18-24 თვის ასაკში აყალიბებენ. თავის წინადადებებში საკუთარ თავს „სატელეგრაფო“ სტილით გამოხატავენ — იყენებენ არსებითი სახელებისა და ზმნების მაგვარ სიტყვებს და ტოვებენ ნაკლებად მნიშვნელოვან სიტყვებს. მაგალითად, ინგლისურში “*Shoes off*” აღნიშნავს “*Take my shoes off*“, ან “მორე მილკ“ შეიძლება ნიშნავდეს “*Give me more milk, please*“.[24] ბავშვები ამ სიტყვებს არათანმიმდევრულად არ წარმოთქვამენ, ანუ ხან ჯერ “*off*“-ს და ხან “*Shoes*”-ს. თუ ბავშვმა თქვა “*shoes off*”, მაშინ ის ანალოგიურად იტყვის “*clothes off*“ და “*hat off*“. როგორც ჩანს, ისინი ცდილობენ შეარჩიონ თანმიმდევრობა, რომელიც მოზრდილთა საუბარს ეთანადება ანუ უფრო მოსალოდნელია თქვან “*Daddy eat*“ ვიდრე “*Eat Daddy*“. სხვა სიტყვებით, მოქმედების სუბიექტს მოზრდილთა მსგავსად დააყენებენ ფრაზის პირველ ნაწილში. ანალოგიურად “*Mommy's coat*“ აღსანიშნავად უფრო იტყვიან “*Mommy coat*”, ვიდრე “*Coat mommy*“.[24] უფროსები არ წარმოთქვამენ “*Daddy eat*“ მსგავს წინადადებას, ასე რომ, საკმაოდ ბევრი იციან სიტყვათა დაჯგუფების შესახებ თავიანთი მეურვეების მხრიდან მათი სწავლების გარეშეც. წარმოიდგინეთ 5 წლის ბავშვი, რომელიც უცხო “*Gloria in Excelsis*“ გაგონებისას საკმაოდ ბედნიერი მღერის “*Gloria eats eggshells*”. სიტყვების ინგლისურ გრამატიკასთან შესაბამისობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საშობაო ინსცენირების სიტყვების მნიშვნელობის შესაბამისად გადმოცემა.

ანთროპოლოგიის საწყისები

კარიბის ზღვის ჰაიტელები

ყველა ენა სხვადასხვანაირად რთულია: ანთროპოლოგ-ლინგვისტებს ხშირად უწევთ ადამიანებისთვის იმის შეხსენება, რომ არც ერთი ენა პრიმიტიული ან მარტივი არაა. მაგალითად, კრეოლური ენები (როგორიცაა ჰაიტის კრეოლური) არ წარმოადგენს შემოღებული ენების დეგრადირებულ ფორმებს, რომელთაც მხოლოდ კოლონიალური საზოგადოების დაბალი ფენა იყენებს. ისინი არსებული ენების ანალოგიურია. ყველა რთულია; ყველამ განვითარების დიდი გზა განვლო იმის გამოსახატად, რისი გამოხატვაც ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანებს სურთ.

გარეშე დამკვირვებლები ჰაიტიზე ენობრივ მდგომარეობას, როგორც წესი, არასწორად აფასებენ. ხშირად ამბობენ, რომ ელიტა ფრანგულად საუბრობს, მასა კი ფრანგულის დამახინჯებულ დიალექტზე, რომელსაც კრეოლური ეწოდება. ასეთ თეორიებზე ანთროპოლოგ-ლიგვისტები გამწარებისგან ხელებს იგრეხენ, რადგან ყოველი ენა, რომელიც რამდენიმე თაობის მიერ გამოიყენებოდა, სტრუქტურულად და ფუნქციონალურად იმდენად რთულია, რომ შეუძლია თავი გაართვას და დააკმაყოფილოს ნებისმიერი აღწერითი, ემოციური ან შეგრძნებითი საჭიროება ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანებისა. ჰაიტის ენას ანუ ენას, რომელზეც ყველა ჰაიტელი საუბრობს, ჰაიტის კრეოლური ეწოდება. თუმცა ჰაიტის თანამედროვე ისტორიაში ხელისუფლების, ბიზნესისა და განათლების ოფიციალურ ენას ფრანგული წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ მცხოვრებთა მხოლოდ 8 პროცენტი საუბრობს ფრანგულად თავისუფლად. ფრანგულის ოფიციალურად გამოყენების ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ განათლებული ელიტა ამ გზით მასებს გზას უკეტავს სამთავრობო და ბიზნეს სტრუქტურებში სამუშაოზე მოსახვედრად.

თუ საბაზისო გრამატიკა ადამიანის ტვინშია ამოტვიფრული, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბავშვების ადრეული და გვიანდელი მეტყველების მახასიათებლები საერთოა სხვადასხვა ენისთვის. ასევე შეგვიძლია პარალელი გავავლოთ ბავშვების გვიანდელ მეტყველებასა და კრეოლური ენის სტრუქტურასთან. და ეს ასეცაა დერეკ ბიკერტონის მიხედვით.[26] „შეცდომები", რომლებსაც ბავშვები უშვებენ საუბრისას, კრეოლების გრამატიკას შეესაბამება. მაგალითად, ინგლისურად მოსაუბრე ბავშვები 3-4 წლის ასაკში კითხვას ინტონაციით სვამენ და ორმაგ უარყოფასაც იყენებენ, როგორიცაა „*I don't see no dog*", მიუხედავად იმისა, რომ უფროსები მათ გარშემო ასე არ საუბრობენ და ბავშვების ასეთ მეტყველებას „არასწორად" მიიჩნევენ.

მაგრამ ზოგიერთი ლინგვისტის აზრით, პოსტულატი თანდაყოლილი გრამატიკის შესახებ სუსტია, რადგან ბავშვები მსოფლიოს გარშემო ერთსა და იმავე ასაკში ერთნაირ გრამატიკულ ნიშან-თვისებებს არ ავითარებენ. მაგალითად, სიტყვათა თანმიმდევრობა ინგლისურში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თურქულში; სიტყვათა დაბოლოებები კი თურქულში უფრო მნიშვნელოვანია. ინგლისურის შემთხვევაში წინადადების დასაწყისში მოთავსებული სიტყვა უმეტესწილად არსებითი სუბიექტი იქნება. ხოლო თურქულში გარკვეული დაბოლოების მქონე სიტყვა იქნება სუბიექტი. ამ სხვაობის შესაბამისად, ინგლისურად მოსაუბრე ბავშვები უფრო ადრეულ ასაკში სწავლობენ სიტყვათა თანმიმდევრობას წინადადებაში, ვიდრე თურქი ბავშვები.

ბავშვების მიერ ენა-მეტყველების სწავლისა და კრეოლური ენების სტრუქტურის შესწავლამ მომავალში, შესაძლოა, უფრო ახლოს მიგვიყვანოს ადამინური ენა-მეტყველების წარმომავლობასთან. მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკის დიდი წილი საყოველთაოა, ჩვენ მაინც გვჭირდება იმის გაგება, თუ რატომ და როგორ განსხვავდება ათასობით ენა მსოფლიოს გარშემო, რასაც ლინგვისტების მიერ ენის შესწავლისათვის შემუშავებულ კონცეპტუალურ იარაღებამდე/მეთოდებამდე მივყავართ.

აღწერითი ლინგვისტიკა

თითოეულ საზოგადოებაში მეტყველების სასწავლად ბავშვებს "გრამატიკის" სწავლება არ სჭირდებათ. მშობლიური ენის ძირეულ სტრუქტურას ისინი საკმაოდ ადრეულ ასაკში ითვისებენ, პირდაპირი ინსტრუქტაჟის გარეშე. თუ ინგლისურად მოსაუბრე ბავშვს თქვენ ერთი "გორკის" (gork) სურათს ანახებთ, შემდეგ კი ორი ან სამი ანალოგიური ქმნილებისას, ბავშვი იტყვის, რომ სურათზე

ენის მრავალი ინსტრუქცია აჩვენებს და ამბობს, რა არის.

ორი "გორკია" (ინგლისურად one gork, two gorks). ბავშვებმა საიდანღაც იციან, რომ არსებითი სახელისთვის "s"-ის (ქართულში -ებ სუფიქსის) დამატებით ერთზე მეტს მიიღებენ. მაგრამ მათ ეს გაცნობიერებული არ აქვთ, ისევე როგორც ზოგიერთ უფროსს. ადამიანის მეტყველებისა და ენის ერთ-ერთ განსაცვიფრებელ ნიშანს ის წარმოადგენს, რომ მნიშვნელობის მქონე ბგერები და ბგერათა თანმიმდევრობა ისეთი წესების მიხედვით არის შეერთებული, რომელიც ცნობიერად მოსაუბრემაც კი არ იცის.

ეს წესები არ უნდა გაუტოლდეს "გრამატიკის წესებს", რომელთაც "სწორი" მეტყველებისთვის სკოლაში ასწავლიან. როდესაც ლინგვისტები წესების შესახებ ლაპარაკობენ, ისინი მიუთითებენ მეტყველების ნიშნებზე, რომელთა აღმოჩენაც რეალურ სასაუბრო მეტყველებაში არის შესაძლებელი. თავისთავად ცხადია, სასაუბრო მეტყველების წესებსა და სასკოლო მეტყველების წესებს შორის გარკვეული დამთხვევა არსებობს. მაგრამ არსებობს ისეთი წესები, რომელთა შესახებაც ბავშვებს სკოლაში არაფერი სმენიათ, რადგან მათი მასწავლებლები ლინგვისტები არ არიან და არ იციან ამ წესების შესახებ. როდესაც ლინგვისტები არ იყენებენ ტერმინ „გრამატიკას" ზეპირი მეტყველებისას ადამიანების მიერ დასაცავ წესებთან მიმართებაში. ლინგვისტისთვის „გრამატიკა" შედგება რეალური, ხშირად ქვეცნობიერი პრინციპებისგან, რომელიც პროგნოზირებს თუ როგორ მეტყველებს ადამიანთა უმეტესობაა. როგორც აღვნიშნეთ, პატარა ბავშვებს შეუძლიათ ორსიტყვიანი წინადადებების წარმოთქმა, რომელიც ლინგვისტურ წესს ეთანადება, მაგრამ მათი საუბარი ძნელად თუ ჩაითვლება „სწორად".

ენაში მოქმედი ყველაზე არაცნობიერი წესების აღმოჩენა-გამოაშკარავება ძალიან რთული ამოცანაა. ლინგვისტებს მოუხდათ სპეციალური კონცეფციებისა და ტრანსკრიფციის მეთოდების (ჩაწერის) შემუშავება, რაც მათ დაეხმარებოდა აღეწერათ: (1) წესები და პრინციპები, რომლებიც პროგნოზირებს თუ როგორ იქმნება და როგორ გამოიყენება ბგერები (ოდნავ განსხვავებული ბგერები ხშირად გამოიყენება სიტყვებში ურთიერთჩასანაცვლებლად შინაარსის ცვლილების გარეშე — ენის ამ ასპექტს **ფონოლოგია** ეწოდება); (2) თუ როგორ გადმოსცემს ბგერათა თანმიმდევრობა (და ხანდახან ცალკეულ ბგერებიც) შინაარსს და როგორ ხდება მათი დაჯგუფება სიტყვების შესაქმნელად (ამ ასპექტს **მორფოლოგია** ეწოდება); და (3) როგორ ხდება სიტყვების დაჯგუფება ფრაზებისა და წინადადებების ჩამოსაყალიბებლად (აღნიშნულ ასპექტს **სინტაქსი** ეწოდება).

სხვა ხალხის ენის გაგება ამ ხალხის კულტურის გაგების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ის, რასაც ადამიანები ამბობენ, მათ ქცევას ეწინააღმდეგება. ეჭვგარეშეა, რთულია ხალხის რწმენის, დამოკიდებულების, ფასეულობებისა და მსოფლმხედველობის აღქმა მათი ენისა და ენის გამოყენების ნიუანსების გაგების გარეშე. ქცევაც კი, რომლის გაგებაც თეორიულად ენის ცოდნის გარეშეა შესაძლებელი, როგორც წესი, თარგმნის, ინტერპრეტირების გარეშე მყისიერად ვერ აღიქმება. წარმოიდგინეთ, რომ ხედავთ, როგორ გადაუხვია ადამიანთა ჯგუფმა გზიდან ლოდისთვის გვერდის ასაქცევად. ჩავთვალოთ, რომ მათი აზრით, ამ ქვაში ბოროტი სული ცხოვრობს. საიდან გაიგებთ თქვენ ამას, მათთვის კითხვის დასმისა და პასუხის გარეშე?

ფონოლოგია

ჩვენს უმეტესობას, ალბათ უცდია, უცხო ენის შესწავლა და თავის თავზე გამოუცდია რა რთულია ზოგიერთი ბგერის (სწორად) გამოთქმა. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ადამიანის ხმოვან ტრაქტს უნარი შესწევს ძალიან ბევრი განსხვავებული ბგერის — **ფონემის** წარმოთქმისა, თითოეული ენა ამ ბგერებიდან მხოლოდ გარკვეულ ნაწილს იყენებს. ეს იმიტომ არ ხდება, რომ

არ შეგვიძლია ჩვენთვის უცხო ბგერების წარმოთქმა; უბრალოდ, არ გვაქვს ამ ბგერების წარმოთქმის ჩვევა. და სანამ ეს ბგერები ჩვევაში არ გადაგვივა, მათი წარმოთქმა რთული იქნება.

"უცხო" ენის სწავლებისას გარკვეული ბგერების წარმოთქმის სირთულე მხოლოდ ერთ-ერთი პრობლემაა. მეორე პრობლემა, შესაძლოა, იყოს გარკვეული ბგერების დაჯგუფება ან სიტყვაში კონკრეტული ბგერის მდებარეობა. ინგლისურად მოსაუბრეთათვის რთულია *z*-ს და *d*-ს კომბინაცია, რაც საკმაოდ ხშირია რუსულში ან სამოურად, სამხრეთ წყნარ-ოკეანურ ენაზე იმ სიტყვების წარმოთქმა, რომლებიც იწყება ბგერებით *ng* და ეს, მიუხედავად იმისა, რომ არ უჭირთ ამ ბგერათა შეთანხმებით წარმოთქმა სიტყვის ბოლოს, მაგალითად, როგორც სიტყვებში *sing* და *hitting*.

ბგერათა მოდელირების შესწავლის მიზნით, ფონოლოგიით დაინტერესებულ ლინგვისტებს მეტყველების ჩაწერა ბგერათა თანმიმდევრობით უწევთ. ეს ამოცანა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, ლინგვისტები მხოლოდ მშობლიური ანბანით რომ იყვნენ შემოფარგლულნი, რადგან სხვა ენები იყენებენ სხვა ბგერებს, რომელთა გამოხატვაც, მაგალითად, ინგლისური ანბანით რთულია ან იმიტომ, რომ ინგლისურ ანბანს კონკრეტული ბგერის რამდენიმე ასოთი გამოხატვა შეუძლია (ინგლისური ანბანი ბგერა *f*-ს წარმოადგენს როგორც *f*-ს სიტყვაში *food*, მაგრამ ასევე როგორც *gh*-ს სიტყვებში *tough* და *ph* სიტყვაში *phone*). ამასთან, ინგლისურში სხვადასხვა ბგერა შეიძლება ერთი და იმავე ასოთი იყოს წარმოდგენილი. ინგლისურში 26 ასოა და 40-ზე მეტი გამორჩეული ბგერა (ბგერები, რომლებსაც სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა შეუძლიათ).[28] ბგერათა ჩაწერისას ამ სირთულეთა გადასალახავად ლინგვისტებმა შეიმუშავეს სპეციალური ანბანით ტრანსკრიფციის ჩაწერის სისტემები, სადაც თითოეული სიმბოლო ერთ კონკრეტულ ბგერას ეთანადება.

მას შემდეგ, რაც ლინგვისტებმა დაადგინეს ენაში გამოყენებული ბგერები ანუ ფონემები, სცადეს გაერკვიათ, რომელი ბგერები ცვლიდა სიტყვის შინაარსს და რომლები — არა. ერთ-ერთი გზაა, ავიღოთ მარტივი სიტყვა, როგორიცაა "*lake*" (ტბა) და მისი პირველი ბგერა შევცვალოთ "*r*"-ით "*rake*" (ფოცხი). ლინგვისტი იკითხავს: არის თუ არა ახალი სიტყვა პირველის იდენტური სემანტიკურად? ინგლისურის მცოდნე კი უპასუხებს, რომ "*lake*" (ტბა) და "*rake*" (ფოცხი) აბსოლუტურად სხვადასხვა ცნებას აღნიშნავს. ეს მინიმალური კონტრასტები საშუალებას აძლევს ლინგვისტებს მოახდინონ ფონემის (ბგერა, ან ბგერათა ჯგუფი, რომელიც მოცემულ ენაში სიტყვის შინაარსის ცვლილებას იწვევს) იდენტიფიცირებაა.[29] ასე რომ, ბგერა *l* სიტყვაში "*lake*" ფონემურად განსხვავდება ბგერისგან *r* სიტყვაში "*rake*". ბგერათა ფონემებად დაჯგუფება განსხვავდება თითოეულ ენაში. ჩვენ იმდენად ვართ შეჩვეული ჩვენი ენის ფონემებს, რომ რთულად წარმოგვიდგენია, თუ ზოგიერთ ენაში *l*-სა და *r*-ს ჩანაცვლება შინაარსის ცვლილებას არ იწვევს. მაგალითად, სამოურ ენაში ორივე ბგერა ურთიერთჩანაცვლებადია სიტყვის შინაარსის ცვლილების გარეშე (შესაბამისად, ეს ორივე ბგერა სამოურში ერთსა და იმავე ფონემას განეკუთვნება). სამოურად შეუძლიათ მიმართონ "*Leupena*" ან "*Reupena*" ადამიანს, რომელსაც ინგლისურად "*Reuben*"-ს დავუძახებდით.

ინგლისურად მოსაუბრეებმა, შესაძლოა, გაიხუმრონ ენებზე, სადაც *l*-სა და *r*-ს "ურევენ", მაგრამ როგორც წესი, ისინი ვერ ხვდებიან, რომ ძალიან ხშირად სხვა ბგერათა შეთანხმებებს ისინიც ანალოგიურად ურევენ. მაგალითად, ინგლისურში სიტყვა "*and*", შესაძლოა, ძალიან განსხვავებულად იქნას წარმოთქმული ორი ადამიანის მიერ სიტყვის, შინაარსის ცვლილების გარეშე და არავინ ჩათვლის, რომ სხვა სიტყვა ითქვა. შეიძლება წარმოითქვას *a* სიტყვაში "*and*" როგორც სიტყვაში "*air*" ან როგორც სიტყვაში "*bat*". თუ ამ განსხვავებულ *a* ბგერებს და დავფიქრდებით იმაზე, თუ როგორ წარმოვთქვამთ მათ, მივხვდებით რომ ეს ორი სხვადასხვა ბგერაა. ინგლისურად მოსაუბრეებმა შესაძლოა, შეამჩნიონ განსხვავება ამ ბგერის წარმოთქმისას, მაგრამ ყურადღება არ მიაქციონ მას, რადგან ამით სიტყვის შინაარსი არ იცვლება. ახლა დავფიქრდეთ *l*-სა და *r*-ზე. თუ დააკვირდებით მათი წარმოთქმის სპეციფიკას, მიხვდებით, რომ ისინი ოდნავ განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დაშორებულია ენა ზედა კბილების კიდისგან. ენებს აქვთ ტენდენცია მახლობელი ბგერები ერთ ფონემას მიაკუთვნონ, მაგრამ რატომ ხდება ზოგიერთი ბგერის დაჯგუფება და ზოგის არა, ჯერ ბოლომდე გარკვეული არაა.

ზოგიერთი უკანასკნელი კვლევა ცხადყოფს, რომ ჩვილებს შეუძლიათ ისწავლონ მნიშვნელობის არმქონე ბგერების (ერთი ფონემის ბგერების) უგულებელყოფა იმ ენაზე, რომელიც სახლში ესმით. აღმოჩნდა, რომ უკვე 6 თვის ასაკში ჩვილები "უგულებელყოფენ" მშობლიური ენის ფონემების ფარგლებში ბგერათა ცვლილებას, მაგრამ სხვა ენის ბგერათა ცვლილება "ესმით". მკვლევრებმა დაზუსტებით არ იციან, როგორ ამჩნევენ ამ ცვლილებას ბავშვები, მაგრამ აშკარაა, მშობლიური ენის ფონოლოგიას ბავშვები ძალიან ადრეულ ეტაპზე ითვისებენ.[30]

მას შემდეგ, რაც ლინგვისტები გაარკვევენ რა ბგერებია ფონემებად დაჯგუფებული, მათ შეუძლიათ აღმოაჩინონ თანმიმდევრობა, რომელიც დასაშვებია ენაში და არაცნობიერი წესები, რომლებიც ასეთ თანმიმდევრობას სდევს წინ. მაგალითად, ინგლისურში სიტყვები იშვიათად იწყება სამი თანხმოვნით. მაგრამ როდესაც სამი თანხმოვანი მაინც გვხვდება, პირველი აუცილებლად არის *s*, როგორც სიტყვებში *strike* და *scratch*[31] (ზოგიერთი სხვა სიტყვაც, შესაძლოა, სამი თანხმოვნით იწყებოდეს, მაგრამ როგორც წესი, ისინი მხოლოდ ორ ბეგრას აღნიშნავენ, როგორც სიტყვაში *chrome*, სადაც *ch* აღნიშნავს ბეგრა *k*-ს). ბგერათა მოდელირების აღწერა სხვადასხვა ენაში (ფონოლოგია) საშუალებას აძლევს ლინგვისტებს, გაარკვიონ, რატომ განსხვავდება ენები ბგერათა წესებით.

რატომ ხდება ორი ან მეტი თანხმოვნის დაჯგუფება ზოგიერთ ენაში, როდესაც სხვა ენებში ხმოვნები თითქმის ყოველთვის თანხმოვნებს შორისაა მოთავსებული? სამოურ ენაში ინგლისურიდან აიღებს სიტყვა "*Christmas*" (შობა), მაგრამ ნათხოვარი სიტყვა შეიცვალა სამოური ენის წესების მიხედვით. ინგლისურში ორი თანხმოვანი სიტყვის დასაწყისშია: *k* და *r*, რომელიც იწერება როგორც *ch* და *r*, სამოურში კი არის კერისიმასი (წარმოითქმის როგორც *keh-ree-see-mah-see*). ამ სიტყვაში ყოველი თანხმოვნის შემდეგ ხმოვანია, ანუ ხუთი თანხმოვან-ხმოვნიანი მარცვალი გვაქვს.

რატომაა, რომ სამოური ენის მსგავსად ზოგიერთ ენაში ხდება თანხმოვნისა და ხმოვნის მონაცვლეობა? უკანაკნელ პერიოდში განხორციელებული კულტურათაშორისი კვლევა მიუთითებს ასეთი მრავალფეროვნების სამ მიზეზზე: ერთ-ერთი მიზეზი უფრო თბილი კლიმატია. იქ, სადაც ადამიანები თბილ კლიმატურ პირობებში ცხოვრობენ, ტიპური მარცვალი თანხმოვან-ხმოვანი მარცვალია. ლინგვისტებმა დაადგინეს, რომ ასეთი მარცვალი განსაკუთრებულ კონტრასტულობას სძენს ენას. შესაძლოა, როდესაც ადამიანები სახლის გარეთ, დიდ მანძილებზე ცდილობენ ურთიერთობას, საუბარს (რასაც უფრო ხშირად თბილი კლიმატის პირობებში აკეთებენ), მათ ბგერებს შორის მეტი კონტრასტულობა სჭირდებათ მოსაუბრისთვის აზრის გადასაცემად. მეორე პარამეტრი წერა-კითხვის უცოდინრობაა. იქ, სადაც ურთიერთობას წერილობითი სახე აქვს, შინაარსი უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული მეზობელი ბგერების კონტრასტულობაზე. მესამე (და ყველაზე მნიშვნელოვანი) პარამეტრი თანხმოვან-ხმოვნის მონაცვლეობისა არის სიხშირე, რომლითაც მოზრდილებს ჩვილები უჭირავთ ხელში. საზოგადოებები, სადაც ეს მაჩვენებელი მაღალია, ხასიათდებიან თანხმოვან-ხმოვნების მარცვლების სიმრავლით. მოგვიანებით, ხელოვნების შესახებ თავში, თქვენ

წაიკითხავთ კვლევას, რომელიც აკავშირებს ჩვილის ჭერას მუსიკაში რეგულარული რითმის გამოყენებასთან. აღნიშნული თეორიის მიხედვით, როდესაც ბავშვი ხელში უჭირავთ დღის უმეტესი ნაწილის განმავლობაში, ისინი რეგულარულ რითმს სასიამოვნო განცდებთან აიგივებენ. ჩვილი გრძნობს მომვლელის გულისცემას ან სამუშაოს რითმულობას, რაც მოზრდილ ასაკში გამოხატულებას ჰპოვებს რეგულარული რითმებისთვის უპირატესობის მინიჭებაში. ეს, როგორც ჩანს, თანხმოვნისა და ხმოვნის მონაცვლეობასაც მოიცავს. შეადარეთ სამოური *kerisimasi* ინგლისურ *Christams*-თან.

მორფოლოგია

როგორც წესი, ფონემა ენაში განყენებულად არაფერს აღნიშნავს. ფონემები ჯგუფდება შინაარსის მქონე ბგერათა თანმიმდევრობის მისაღებად. მორფოლოგია არის შინაარსის მქონე ბგერათა თანმიმდევრობის შესწავლა. ხშირად ეს შინაარსის მქონე ბგერები ერთიანდებიან სიტყვებში, მაგრამ სიტყვა, ასევე, შეიძლება შედგებოდეს უფრო მცირე შინაარსობლივი ერთეულისგანაც. ჩვენთვის სიტყვები იმდენად თავისთავადია, რომ ვერც კი ვაცნობიერებთ, რამდენად რთულია იმის თქმა, თუ რა არის სიტყვა. ჩვეულებრივ, ადამიანები არ აკეთებენ პაუზას საუბრისას; ჩვენ რომ საკუთარი ენა არ გვცოდნოდა, წინადადება ბგერების უწყვეტ ნაკადად მოგვეჩვენებოდა. ზუსტად ასე გვესმის უცხო ენა. მხოლოდ მაშინ, როდესაც გვესმის ენა და ვწერთ, რასაც ვამბობთ, გამოვყოფთ (შუალედებით) იმას, რასაც სიტყვებს ვეძახით. მაგრამ სიტყვა მხოლოდ შინაარსის მატარებელ ბგერათა ერთობლიობაა, რომელსაც ცალკე ვერ „გავიგებდით“, მოცემული ენა რომ არ გვცოდნოდა.

რადგანაც ტრადიციულად ანთროპოლოგი ლინგვისტები სწავლობდნენ დამწერლობის არმქონე ენებს, ზოგჯერ თარჯიმანთა გარეშეც, მათ უნდა დაედგინათ ბგერათა რომელი ერთობლიობა გადმოსცემდა არსს. და რადგანაც ბევრ ენაში სიტყვები შეიძლება დაიყოს უფრო მცირე შინაარსის მქონე ერთეულებად, ლინგვისტებს მოუხდათ სპეციალური სიტყვების შექმნა ასეთ ერთეულებზე მისათითებლად. ენაში შინაარსის მქონე უმცირეს ერთეულებს ლინგვისტები **მორფას** (*morph*) უწოდებენ. როგორც ფონემაში შესაძლოა იყოს ერთი ან რამდენიმე ბგერა, ერთი ან რამდენიმე მორფა ერთი და იმავე შინაარსით **მორფემას** წარმოქმნის. მაგალითად, პრეფიქსი *in*-სიტყვაში *indefinite*, და პრეფიქს *un*-სიტყვაში *unclear* წარმოადგენენ მორფემას, რომელიც აღნიშნავს არა-ს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სიტყვა ერთი მორფემისგან შედგება (მაგალითად ფორ და გირაფფე ინგლისურში), ბევრი სიტყვა წარმოადგენს მორფების კომბინაციას, ჩვეულებრივ პრეფიქსის, ფუძისა და სუფიქსების სახით. ამრიგად, *cow* (ძროხა) ერთი სიტყვაა, მაგრამ სიტყვა *cows* (ძროხები) ორი შინაარსობლივი ერთეულისგან შედგება – ფუძისა (*cow*) და სუფიქსისაგან (-*s*, რომელიც წარმოითქმის როგორც *z*), რომელიც ერთზე მეტს აღნიშნავს. ენის **ლექსიკონი** შედგება სიტყვების, მორფებისა და მათი მნიშვნელობებისგან.

როგორც ჩანს, ბავშვების მიერ მშობლიური ენის სტრუქტურის ინტუიციური აღქმა მორფოლოგიის აღქმასაც გულისხმობს. მას შემდეგ, რაც ბავშვები სწავლობენ, რომ მორფა /-*z*/-ის მიმატება არსებითი სახელის ტიპის სიტყვებისთვის ერთზე მეტზე აღნიშნავს, ისინი ყველა სიტყვას ასე აწარმოებენ (მანს, *childs*); მას შემდეგ, რაც ხვდებიან, რომ მორფემათა კლასი, რომელიც წამოითქმის როგორც /-*t*/ ან /-*d*/ ან /-*ed*/ ზმნაზე დამატებით მიუთითებს წარსულში განხორციელებულ მოქმედებაზე, ისინი ამ კონცეფციას იყენებენ ყველა ზმნაზე და ქმნიან სიტყვებს, როგორიცაა *runned, drinked, costed*. ისინი ხედავენ ბურთს, რომელიც უფრო და უფრო ახლოს მოგორავს (ინგლისურად *nearer*) და ამ პრინციპს იყენებენ, როდესაც ფრინველი ზემოთ მიფრინავს (ინგლისურად *upper and upper*). მათი შეცდომებიდან და წარმატებებიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ ბავშვებს ესმით მორფემათა ტიპური გამოყენება. 7 წლის ასაკისთვის ისინი უკვე ფლობენ მრავალ არაწესიერ ფორმასაც — მათ უკვე ესმით, რომელი მორფემა როდის გამოიყენება.

ბავშვის ინტუიტური აღქმა მორფემათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ შეესაბამება ლინგვისტის მიერ დამოუკიდებელი და შეზღუდული მორფემების აღქმას. დამოუკიდებელ მორფემას დამოუკიდებელი შინაარსი აქვს — ის შეიძლება დამოუკიდებელი სიტყვა იყოს. დამხმარე მორფემა შინაარსს იძენს მხოლოდ სხვა მორფემასთან შერწყმით. წარსული დროის აღმნიშვნელი მორფემის მორფა /-*t*/ ემატება სიტყვას წალკ და მის წარსულ დროს აწარმოებს (*walked*); მაგრამ თვითონ /-*t*/ ცალკე სიტყვას არ წარმოადგენს და არც დამოუკიდებელი შინაარსი გააჩნია.

ინგლისურში წინადადების აზრი (რომელიც მოიცავს სუბიექტს, ზმნას, ობიექტს და ა.შ.), ჩვეულებრივ, სიტყვათა თანმიმდევრობაზეა დამოკიდებული. “ძაღლმა უკბინა ბავშვს“ (“*The dog bit the child*”) შინაარსობრივად განსხვავდება ფრაზისგან “ბავშვმა უკბინა ძაღლს“ (“*The child bit the dog*”). მაგრამ ბევრ სხვა ენაში სიტყვიერი გამოხატულების მნიშვნელობა სრულიად არაა დამოკიდებული სიტყვათა წყობაზე. უფრო მეტად შინაარსი განისაზღვრება სიტყვაში მორფათა განლაგებით. მაგალითად, ლუო-ში, აღმოსავლურ-აფრიკულ ენაში, ერთი და იგივე შეზღუდული მორფემა შეიძლება აღნიშნავდეს მოქმედების როგორც სუბიეტს, ასევე ობიექტს. თუ მორფემა ზმნის პრეფიქსია, ის სუბიექტს აღნიშნავს, თუ სუფიქსია — ობიექტს. სხვა გზა გრამატიკული შინაარსის გადმოსაცემად არის შეზღუდული მორფემა იცვლება ან დაემატება სიტყვას, რითაც განისაზღვრება რომელი მეტყველების ნაწილია ეს სიტყვა. მაგალითად, რუსულში სიტყვა ფოსტა, როდესაც ის სუბიექტია წინადადებაში, წარმოითქმის როგორც „*почта*“. როდესაც ფოსტა ზმნის ობიექტად გამოიყენება, როგორც ფრაზაში “მე მას ფოსტა/წერილები გადავეცი“, სიტყვის დაბოლოება იცვლება შემდეგნაირად: „*почту*”. და თუ მე ვამბობ “რა იყო წერილში?“ სიტყვა იქნება ”*почте*.

ზოგიერთ ენაში იმდენად ბევრი შეზღუდული მორფემა არის, რომ მათ მიერ გამოხატული რთული სიტყვა ინგლისურად შეიძლება აღქმული იყოს, როგორც წინადადება. მაგალითად, ინგლისური წინადადება “*He will give it to you*“ („ის მას შენ მოგცემს“) ვიშრამის ჩინოოკანურ დიალექტზე, რომელზეც მდინარე კოლუმბიის ნაპირებზე ლაპარაკობდნენ, შეიძლება გადმოცემულ იქნას როგორც აციმლუდა (*a-c-i-m-l-ud-a*, სიტყვასიტყვით ინგლისურად “*will-he-him-thee-to-give-will*“). გაითვალისწინეთ, რომ ინგლისურში ნაცვალსახელს *it* (ის) სქესი არ აქვს, ხოლო ვიშრამზე სავალდებულოა მას სქესი მიენიჭოს და ამ შემთხვევაში ენიჭება მამრობითი სქესი “*him*”.[33]

გამოყენებითი ანთროპოლოგია

შესაძლოა ენის გაქრობისგან დაცვა?

საფრთხის ქვეშ არა მარტო ცხოველთა და მცენარეთა ჯიშები არიან; ხალხები და მათი ენებიც იზიარებენ ამ საფრთხეს. უკანასკნელი რამდენიმე ასწლეულის მანძილზე და ზოგიერთ ადგილას დღემდე დასავლურმა კოლონიალიზაციამ გამოიწვია ადგილობრივი საზოგადოებების გაქრობა-გადაშენება, ჩვეულებრივ, შემოტანილი დაავადებებისა და სამხედრო კამპანიების გამო. ამგვარად, ბევრი ენა მათ მატარებელ ხალხთან ერთად გაქრა. ავსტრალიაში ორასი აბორიგენული ენიდან ორმოცდაათი განადგურდა შედარებით მოკლე ხანში ჟლეტისა და დაავადებების გამო.

დღესდღეობით ენები საფრთხის ქვეშაა ძირითადად იმიტომ, რომ არ ხდება მათი გადაცემა მომდევნო თაობისთვის. დასავლური ენების მატარებელთა პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა უდავოდ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ამ პროცესში. ჯერ ერთი, სწავლება, როგორც წესი, დომინანტურ ენაზე მიმდინარეობს. მეორეც, სხვა კულტურის დომინირების პირობებში თავად ბავშვებმა შეიძლება გადაწყვიტონ, ილაპარაკონ იმ ენაზე, რომელიც უფრო პრესტიჟულია და რასაკვირველია, ხშირ შემთხვევაში მშობლები ამას ხელს უწყობენ. აბორიგენული ავსტრალიის თითქმის ყველა ენა ამჟამად გამქრალია. ეს მსოფლიო ტენდენციაა. მაიკლ კრაუსი, ლინგვისტი, რომელიც გაქრობადი ენების საკითხებზე მუშაობს, თვლის, რომ მსოფლიოს ენათა ოთხმოცდაათი პროცენტი საფრთხეშია. აი, კიდევ ერთი მაგალითი: ოცი ადგილობრივი ენიდან ალიასკაზე მხოლოდ ორს ასწავლიან ბავშვებს, რომლებიც შესაბამისად, მხოლოდ ინგლისურად საუბრობენ.

რისი გაკეთებაა შესაძლებელი? კრაუსი, რომელიც განსაკუთრებით ალიასკაზე არსებული ენებითაა დაინტერესებული, ამ პრობლემის მოგვარებას ცდილობს. ალიასკის სახელმწიფო ხელისუფლების დახმარებით, კრაუსი ადგილობრივი ენების მასალების დამუშავებითაა დაკავებული, რათა დაეხმაროს მასწავლებლებს, ხელი შეუწყონ ორენოვან განათლებას, როგორც ადგილობრივი ენის შენარჩუნების ერთ-ერთ გზას.

სრულიად განსხვავებული ხერხი აირჩია რასელ ბერნარდმა, რომელსაც სჯერა, რომ „ენის სიცოცხლისუნარიანობას ავტორები სჭირდება“. კომპიუტერული ტექნოლოგიის დახმარებით, რომელიც საშუალებას იძლევა, ისე შეიცვალოს კლავიატურა, რომ აწარმოოს სპეციალური ნიშნები ბგერებისთვის, ბერნარდმა ადგილობრივ ენაზე მოსაუბრეებს ასწავლა მათ მშობლიურ ენაზე წერა პირდაპირ კომპიუტერის მეშვეობით. ეს ტექსტები მოგვიანებით ლექსიკონების საფუძველი გახდება. გაქრობის საფრთხის ქვეშ არსებულ თორმეტ ენაზე მოსაუბრე ოთხმოც ადამიანზე მეტი უკვე გახდა ავტორი მექსიკასა და სამხრეთ ამერიკაში. თუმცა ეს ავტორები, შესაძლოა, არ იყენებდნენ ლინგვისტების სტანდარტულ ნიშნებს, ისინი ქმნიან “წერილობით“ მასალებს, რომლებიც სხვაგვარად, შეიძლება, სამუდამოდ დაკარგულიყო. ეს ტექსტები ენის შესახებ მშრალ ინფორმაციაზე მეტს გვაწვდის. თავის ნაშრომებში ავტორები გადმოსცემენ მოსაზრებებს დაავადებათა მკურნალობის, საკვების მოპოვების, ბავშვების აღზრდისა და კამათის გადაწყვეტის შესახებ. ჩვენ არ ვიცით, როდის განვითარდა ადამიანებში სამეტყველო ენა, მაგრამ არსებულ ლინგვისტურ მრავალფეროვნებას ჩვენს პლანეტაზე ბევრი დრო დასჭირდა განსავითარებლად. სამწუხაროდ, სულ ცოტა დროა საჭირო, რომ მრავლაფეროვნება წარსულს ჩაბარდეს.

სინტაქსი

რადგან ენა გახსნილი სისტემაა, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ შინაარსის მქონე ისეთი სიტყვიერი გამოხატულება, რომელიც მანამდე არასდროს გაგვიგია. ჩვენ მუდმივად ვქმნით ახალ ფრაზებსა და წინადადებებს. ისევე როგორც მორფოლოგიის შემთხვევაში, გარკვეულ ენაზე მოსაუბრეებს გააჩნიათ ინტუიტიური წვდომა სინტაქსისა — წესების, რომელთა თანახმადაც ფრაზებისა და წინადადების ჩამოყალიბება ხდება. ეს „წესები“, ნაწილობრივ, შესაძლოა, სკოლაში ისწავლებოდეს, მაგრამ ბავშვებმა ბევრი მათგანი სკოლამდელ ასაკშიც იციან. მოზრდილობისას ჩვენ მიერ მორფოლოგიისა და სინტაქსის გაგება იმდენად ინტუიტური ხდება, რომ შეგვიძლია ერთი შეხედვით უშინაარსო წინადადებების აღქმაც კი, როგორიცაა, მაგალითად, ლიუს კეროლის “სარკის მიღმა“ (“*through the looking glass*”).

‘Twas brilling, and the slithy toves
Did Gyre and gimble in the wabe

თუნდაც წინადადებაში სიტყვების თანმიმდევრობის მიხედვით, ჩვენ ვხვდებით მეტყველების რა ნაწილია ესა თუ ის სიტყვა და რა ფუნქცია აქვს წინადადებაში: *rilling* ზედსართავია, *slithy* ზედსართავია, *toves* — არსებითი სახელი და წინადადების სუბიექტი; *gyre* და *gimble* ზმნებია, ხოლო *wabe* — არსებითი სახელი და წინდებულიანი ფრაზის ობიექტი. რასაკვირველია, მორფოლოგიის ცოდნაც გვეხმარება. დაბოლოება *-y* სიტყვაში *slithy* მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი ზედსართავია, ხოლო დაბოლოება *-s* სიტყვაში ტოვეს გვეუბნება, რომ ამ არსებათა რაოდენობა ერთს აღემატება.

წინადადებათა უსასრულო მრავალფეროვნების შექმნისა და აღქმის გარდა, ერთ კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეთ შეუძლიათ ამოიცნონ „სწორი“ წინადადება გრამატიკის სახელმძღვანელოებში ჩახედვის გარეშე. მაგალითად, ინგლისურად მოსაუბრეთ შეუძლიათ გვითხრან, რომ წინადადება “*child the dog the hit*“ არასწორი წინადადებაა და მართებულია: “*The child hit the dog*“. შესაბამისად, უნდა არსებობდეს წესების კრებული იმის შესახებ, თუ როგორაა აწყობილი ფრაზები და წინადადები ენაში.[34] კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეებმა იციან სინტაქსის ეს წესები, თუმცა ვერ აცნობიერებენ მათ. ლინგვისტის მიერ ენის სინტაქსის აღწერა არის მცდელობა, აღნიშნული წესები აშკარა და ნათელი გახადოს.

ისტორიული ლინგვისტიკა

ისტორიული ლინგვისტიკის სფერო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ იცვლება ენები დროთა განმავლობაში. წერილობითი ნაშრომები საუკეთესო

მონაცემია ასეთი ცვლილების დასაფიქსირებლად. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი პასაჟი ჩოსერის „კენტერბერული მოთხრობებიდან“ დაწერილია მე-14 საუკუნის ინგლისში. ის შეიცავს ბევრ ნაცნობ დეტალს, მაგრამ საკმაოდ განსხვავებულია თანამედროვე ინგლისურისგან და თარგმნას საჭიროებს.

A Frere ther was, a wantowne and a merye,
A lymytour, a ful solempne man.
In alle the ordres foure is noon that kan
So muche of daliaunce and fair language.
He hadde maad ful many a mariage
Of young wommen at his owene cost.
Unto his ordre he was a noble post.
Ful wel biloued he was famulier was he
With frankeleyns ouer al in his contree,
And with worthy wommen of the toun;
For he hadde power of confessioun,
As seyde hymself, moore than a curat,
For of his ordre he was licenciat.
A Friar there was, waton and merry,
A limiter (a friar limited to certain districts) a full
solmen (very important mand
In all the orders four there is none that knows
So much od dalliance (flirting) and fair (engaging) lan
guage.
He had made (ararnged) many a marriage
Of young women at his own cost.
Unto his order he was a noble post (pillar)
Full well beloved and familiar was he
With franlins (wealthy landowners) all over country
And also with worthy women of the town;
For he had power of confession,
As he said himslef, more than a curate,
For of his order, he was licenciate (licensed by the
Pope).[35]

ამ მონაკვეთში რამდენიმე ცვლილება შეგვიძლია დავინახოთ: დღეს ბევრი სიტყვა სხვანაირად იწერება და ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსიც სხვაა. მაგალითისთვის: *Full* დღეს გადაითარგმნებოდა როგორც *very*. რაც ნაკლებად შესამჩნევია, არის ცვლილება სიტყვათა წარმოთქმაში. მაგალითად *g* სიტყვაში *mariage* (ქორწინება) წარმოითქმოდა როგორც *zh,* ფრანგულის მსგავსად, საიდანაც ეს სიტყვა გახლდათ ნასესხები, ახლა კი ის ისმის როგორც *g* სახელში *George*.

წარსულის ენები უკვალოდ იკარგება, თუ ისინი არაა ჩაწერილი. ანთროპოლოგიაში ცნობილი ბევრი ენა ჩაწერილი არ გახლავთ, ამიტომ თქვენ შეიძლება ჩათვალოთ, რომ ისტორიკოსი ლინგვისტები ლინგვისტიკის ცვლილებას მხოლოდ ჩაწერილი ენების მაგალითზე სწავლობენ. მაგრამ ეს ასე არაა. ენათმეცნიერებს შეუძლიათ წარსულში მომხდარი ცვლილებების რეკონსტრუქცია თანამედროვე, ერთმანეთის მსგავსი ენების შედარებით. ასეთ ენებს ახასიათებს მსგავსი ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლები, რადგან საერთო ფუძეენიდან განვითარდნენ. მაგალითად, რუმინული, იტალიური, ფრანგული, ესპანური და პორტუგალიური ენები ბევრი მსგავსებით ხასიათდება. ლინგვისტებს შეუძლიათ ფუძეენის აღდგენა და იმის გარკვევა, როგორ ტრანსფორმირდა ეს ენა ე.წ. რომანული ენების ჯგუფად. რასაკვირველია, ენის ამ რეკონსტრუქციის შემოწმება და დადასტურება ადვილია, რადგან ბევრი წერილობითი წყაროდან ვიცით, როგორი იყო თავდაპირველი ფუძეენა ანუ ლათინური და ასევე ვიცით, რა ცვლილებები განიცადა ლათინურმა რომის იმპერიის ექსპანსიის დროს. ამრიგად, ენის საერთო წარმომავლობა ხშირად ხდება იმის მიზეზი, რომ მეზობელ, რიგ შემთხვევებში კი დაშორებულ ენებს შორის მსგავსებას ვპოულობთ.

მაგრამ ენები, შესაძლოა, მსგავსი იყოს სხვა მიზეზების გამოც: კონტაქტის შედეგად თემებს შორის, როდესაც ერთი ჯგუფი მეორეზე დომინირებს, შესაძლოა ერთი ჯგუფიდან ენის სესხება მოხდეს. მაგალითად, ინგლისმა ფრანგული ლექსიკის დიდი ნაწილი აითვისა მას შემდეგ, რაც 1066 წელს მას ფრანგულად მოლაპარაკე ნორმანები შეესიენ. ენებს ხშირად აქვთ მსგავსი მახასიათებლები მაშინაც, თუ საერთო ფუძიდან არ მოდიან და მაშინაც, როდესაც ენის სესხება არ მომხდარა. ასეთი მსგავსებები ადამიანის კულტურის, ადამიანის ტვინის ან ორივეს ზოგადი, საყოველთაო თვისებებიდან გამომდინარეობს (როგორც ამ თავში ადრევე აღვნიშნეთ, კრეოლურ ენებში არსებული გრამატიკული მსგავსებები, შესაძლოა, გადმოსცემდეს იმას, თუ როგორაა “მოწყობილი“ ადამიანის ტვინი). და ბოლოს, ერთმანეთთან კავშირის არმქონე ენებშიც კი შეიძლება ვიპოვოთ მსგავსება კონვერგენციის ფენომენის გამო; მსგავსება შეიძლება განვითარდეს, რადგან ლინგვისტური პროცესის ზოგიერთ ცვლილებას მხოლოდ რამდენიმე შესაძლო შედეგი ჰქონდეს.

ენათა ოჯახები და კულტურის ისტორია

რომანული ენების ფუძე ენა ლათინურია. ჩვენ ეს წერილობითი წყაროებიდან ვიცით. მაგრამ თუ ანალოგიური ენების ჯგუფის ფუძე ენა არაა ცნობილი წერილობითი წყაროებიდან, ლინგვისტებს მაინც შეუძლიათ ამ ენის დამახასიათებელი ბევრი თავისებურების რეკონსტრუქცია მისგან განვითარებული ენების შედარების გზით (რეკონსტრუირებულ ენას **პროტო ენა** ეწოდება). ენების შედარებით, ლინგვისტებს შეუძლიათ გამოარკვიონ მათ შორის არსებული საერთო ნიშან-თვისებები, რომლებიც ასევე მათ ფუძეენას ახასიათებდა. ენებს, რომლებიც ერთი პროტო ენიდან არის განვითარებული, ენათა ოჯახი ეწოდება ამჟამად არსებულ ენათა უმეტესობა შეგვიძლია 30-მდე ენათა ოჯახში გავაერთიანოთ. ენათა ჯგუფს, რომელსაც ინგლისური ეკუთვნის, ინდო-ევროპული ეწოდება, რადგან ის მოიცავს ევროპაში არსებული ენების უმეტესობას და ინდოეთის ზოგიერთ ენას. მსოფლიოში მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი ანუ 4 მილიარდი ადამიანი საუბრობს ინდო-ევროპულ ენებზე.[36] მეორე ძალიან დიდი ენათა ჯგუფი, რომელზეც ამჟამად მილიარდი ადამიანი საუბრობს, არის სინო-ტიბეტური. იგი მოიცავს ჩრდილო და სამხრეთ ჩინეთის ენებსა და ტიბეტისა და ბირმის ენებს.

ისტორიული ლინგვისტიკა სათავეს იღებს 1786 წელს, როდესაც ინდოეთში მცხოვრებმა ბრიტანელმა მეცნიერმა, სერ უილიამ ჯონსმა, შეამჩნია მსგავსება სანსკრიტსა (ენა, რომელზეც უძველეს ინდოეთში საუბრობდნენ) და კლასიკურ ბერძნულს, ლათინურს და ახალ ევროპულ ენებს შორის.[37] 1822 წელს იაკობ გრიმმა, ძმები გრიმებიდან ერთ-ერთმა, ჩამოაყალიბა წესები ინდო-ევროპული ენების ერთმანეთისგან განცალკევება-განვითარებისას ბგერების ცვლილების შესახებ. ამრიგად, მაგალითად, ინგლისურსა და ინდო-ევროპული ენების გერმანული შტოს სხვა ენებში დროთა განმავლობაში *d* ჩაანაცვლა *t*-მ (შეადარეთ ერთმანეთს ინგლისური *two* და *ten* ლათინურ *duo* და *decem*-თან). მეცნიერები, ჩვეულებრივ, თანხმდებიან, რომ ინდო-ევროპული ენები განვითარდა ენიდან, რომელზეც ხუთი ან ექვსი ათასი წლის წინ საუბრობდნენ.[38] ამ ფუძეენას, რომლის ბევრი მახასიათებელი ახლა რეკონსტრუირებულია, პროტოინდო-ევროპული ეწოდება, შემოკლებით პიე *(PIE)*. სურათი 15-1 აჩვენებს ამ ენის განშტოებებსა და ზოგიერთ ამჟამად არსებულ ენას.

სად წარმოიშვა პიე? ზოგიერთი ლინგვისტის აზრით, პროტო ენის მიახლოებით წარმომავლობაზე მცენარეთა და ცხოველთა სახელები მიუთითებს. უფრო კონკრეტულად, ამ ენებს შორის კოგნიტური — ანუ ხმოვანებითა და

შინაარსით მახლობელი — სიტყვები თეორიულად აღნიშნავს იმ მცენარეებსა და ცხოველებს, რომლებიც ენის სამშობლოში არსებობდა. შესაბამისად, თუ ვიცით, სად არსებობდა ეს მცენარეები და ცხოველები 5-6 ათასი წლის წინ, შეგვიძლია გამოვიცნოთ, სად ცხოვრობდა პროტო-ინდო-ევროპული ენის მატარებელი ხალხი. ინდო-ევროპულ ენებში არსებულ ყველა **კოგნიტურ** სიტყვას შორის, რომლებიც ხეებს აღნიშნავს, პოლ ფრიდრიხმა აღმოაჩინა 18, რომლებიც მისი რწმენით, არსებობდა უკრაინის ტერიტორიაზე ძვ.წ. 3000 წელს. აქედან გამომდინარე, ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ აღმოსავლეთ უკრაინაა პიე-ს სამშობლოა.[39] ამ ჰიპოთეზას შეესაბამება ის ფაქტიც, რომ ინდო-ევროპული ენების ბალტიურ-სლავურ ქვე-ოჯახს, რომელიც მოიცავს ენათა უმეტესობას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მის ირგვლივ, აქვს ყველაზე მეტი ხის დასახელება (სხვა ქვე-ოჯახებთან შედარებით), რომლებიც ახლოა პროტოინდო-ევროპული ენის რეკონსტრუირებულ ფორმებთან.[40]

მარია გიმბუტას აზრით, პროტოინდო-ევროპელების არქეოლოგიურად ამოცნობაც კი შესაძლებელია. მას სჯერა, რომ პიე ხალხები ყორღანების კულტურის ხალხების მახლობელია (5000 – 2000 წელი ძვ. წ.). ეს კულტურა უკრაინიდან ძვ.წ. 3000 წლის შემდეგ გავრცელდა. ყორღანების ხალხები იყვნენ მწყემსები, დაკავებული ცხენების, საქონლის, ცხვრისა და ღორების მოშენებით; ასევე ნადირობდნენ და ხორბლეულიც მოჰყავდათ. სამარხებიდან გამომდინარე, არსებობდა სხვაობა სიმდიდრისა და სოციალური სტატუსის მიხედვით.[41] რატომ გავრცელდა ყორღანების და მსგავსი ხალხი მთელს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, ჯერჯერობით უცნობია. ზოგიერთის აზრით, ცხენებმა და ცხენის საზიდრებმა დიდი სამხედრო უპირატესობა მიანიჭა მათ.[42] ნებისმიერ შემთხვევაში, ნათელია, რომ ყორღანული კულტურის ბევრი ელემენტი ძველი მსოფლიოს უმეტეს ნაწილზე გავრცელდა ძვ.წ. 3000 წლის შემდეგ.

კოლინ რენფრიუ არ ეთანხმება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პროტოინდო-ევროპულის სამშობლო უკრაინაა. მისი აზრით, ეს ენა ყორღანების კულტურაზე 2-3 ათასი წლით უფროსია და ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი სრულიად სხვაგან სახლობდა. რენფრიუს აზრით, ენისა და ხალხის სამშობლო აღმოსავლეთ ანატოლიაა (ამჟამინდელი თურქეთი) და ენის განვითარება ევროპაში, ირანში, ავღანეთსა და ინდოეთში გამოიწვია ფერმერული მეურნეობის განვითარება-გავრცელებამ ამ ტერიტორიებზე.[43]

ისევე, როგორც ზოგიერთი ლინგვისტი აყალიბებს თეორიებს პიე-ს წარმომავლობისა და გავრცელების შესახებ, სხვა ლინგვისტები ანალოგიურ სამუშაოს სხვა ენათა ოჯახებზე ახორციელებენ. მაგალითად, ბანტუს ენები აფრიკაში (რომელზეც 100 მილიონამდე ადამიანი საუბრობს) წარმოადგენს უფრო დიდი ნიგერ-კონგოური ენის ქვე-ოჯახს. ბანტუს ენაზე მოსაუბრეები ამჟამად ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში სახლობენ. ბანტუს ყველა ენა ერთი პროტობანტუ ენიდან განვითარდა, მაგრამ სად იყო ამ ენის სამშობლო?

ისევე, როგორც პროტოინდო-ევროპულის შემთხვევაში, აქაც განსხვავებული თეორიები ჩამოყალიბდა. მაგრამ ისტორიკოს-ლინგვისტთა უმეტესობა დღეს-დღეობით ჯოზეფ გრინბერგს ეთანხმება, რომ პროტო-ბანტუ აღმოსავლეთ ნიგერიის შუა ბენიუ *(Benue)* ზონაში განვითარდა.[44] თეორიულად ენის სამშობლო ის ადგილია, სადაც მონათესავე ენებისა და **დიალექტების** (ერთი ენის განსხვავებული ფორმები) ყველაზე დიდი მრავალფეროვნებაა წარმოდგენილი; ითვლება, რომ წარმოშობის ადგილზე ენას ყველაზე მეტი დრო ჰქონდა ლინგვისტური მრავალფეროვნების გასავითარებლად, იმ ზონებთან შედარებით, რომელებიც მონათესავე ენის მიერ შედარებით მოგვიანებით იქნა დაკავებული. მაგალითად, ინგლისში უფრო მრავალფეროვანი დიალექტებია, ვიდრე ახალ ზელანდიასა ან ავსტრალიაში.

როგორ შეძლეს ბანტუს ენაზე მოსაუბრეებმა ამხელა ტერიტორიაზე გავრცელება ბოლო რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე? ანთროპოლოგები მხოლოდ ჰიპოთეზას გვთავაზობენ.[45] თავდაპირველად ბანტუს



სურათი 15-1 **ინდო-ევროპულ ენათა ოჯახის ძირითადი განშტოებები და ენები.**

ხალხები თხების მოშენებით იყვნენ დაკავებულნი და ასევე, გარკვეულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასაც ეწეოდნენ. შესაბამისად, მათ ჰქონდათ საშუალება მონადირე-შემგროვებლები ჩაენაცვლებინათ მახლობელ ტერიტორიებზე. ბანტუს ენაზე მოსაუბრეთა ექსპანსიასთან ერთად, ამ ხალხებმა დაიწყეს გარკვეული ტიპის მარცვლეულის მოყვანა და მესაქონლეობასაც მიჰყვეს ხელი. დაახლოებით ამავე პერიოდში ანუ ძვ.წ. 1000 წლის შემდეგ, მათ ასევე დაიწყეს რკინის იარაღების გაკეთება და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი უპირატესობა მისცათ. ნებისმიერ შემთხვევაში, 1500-2000 წლის წინ ბანტუს ენაზე მოლაპარაკე ხალხები მთელ ცენტრალურ აფრიკაში გავრცელდნენ. თუმცა, არა-ბანტუს ენაზე მოსაუბრე ხალხები ჯერ კიდევ სახლობენ აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში.

ლინგვისტური დივერგენციის /გადახრის პროცესები

ისტორიკოს-ლინგვისტს სურს, გააკეთოს უფრო მეტი, ვიდრე ლინგვისტური გადახრის აღნუსხვა და დათარიღებაა. ისევე, როგორც ფიზიკური ანთროპოლოგი შეეცდება განმარტოს ადამიანთა განსხვავებულობის მიზეზები, ლინგვისტიც ეძებს ლინგვისტური მრავალფეროვნების ახსნას. ზოგიერთი გადახრა-განსხვავება ეტაპობრივად იჩენს თავს. როდესაც ერთ ენაზე მოსაუბრე ადამიანთა ჯგუფი ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებას კარგავს სოციალური ან ფიზიკური დაშორების გამო, იწყება მცირე ცვლილებების აკუმულირება ფონოლოგიაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში (რაც ნებისმიერი ენის მახასიათებელია). დროთა განმავლობაში, თუ დაშორება გრძელვადიანია, ერთი ენის დიალექტები დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდება ანუ ურთიერთგაუგებარი გახდება, ინგლისურისა და გერმანულის მსგავსად.

გეოგრაფიული ბარიერები, როგორიცაა წყლის დიდი სივრცეები, უდაბნოები ან მთები, ხელს უწყობს ერთ ენაზე მოსაუბრეთა დაშორებას. მანძილს, როგორც ასეთს,



ჩრდილო ამერიკაში სიტყვას სუში იაპონური კვების სტილის აღსანიშნავად უჭირავს ადგილი.

ასევე შეუძლია ლინგვისტური გადახრის გამოწვევა. მაგალითად, ბრიტანეთის კუნძულების ინგლისურის შედარებისას ვნახავთ, რომ ერთმანეთს დაშორებული ტერიტორიები ლინგვისტურადაც განსხვავებულია (შეადარეთ ჩრდილოეთ შოტლანდია და ლონდონი).[46] ჩრდილოეთ ინდოეთში ასობით მოწყვეტილი სოფელია და შესაბამისად, რეგიონში ასობით დიალექტია. ამჟამად ერთი სოფლის მოსახლეობას თავისუფლად ესმის მეორე სოფლის მოსახლეობის დიალექტისა, თუმცა ოდნავ უჭირს მომდევნო წრის სოფლების დიალექტების აღქმა. დიალექტური ცვლილებები ემატება ერთმანეთს და შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ათასობით მილზე გადაჭიმული რეგიონის საპირისპირო წერტილებში სრულიად სხვადასხვა ენაზე საუბრობენ.[47]

იქაც კი, სადაც ფიზიკური მანძილი დიდი არაა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი განსხვავება სოციალურმა დაშორებამ გამოიწვიოს. ლინგვისტური ნიშნის განვითარება შეიძლება დააბრკოლოს რასობრივმა, რელიგიურმა ან სოციალურმა განსხვავებამ, რომლებიც ურთიერთობაზე ზემოქმედებს.[48] ჩრდილოეთ ინდოეთში, სოფელ ხალაპურში, ჯონ გუმპერზმა აღმოაჩინა მნიშვნელოვანი განსხვავება ე.წ. ხელშეუხებელთა და დანარჩენი მოსახლეობის საუბარს შორის. ხელშეუხებლებს სამუშაო კონტაქტები აქვთ სხვა ჯგუფებთან, მაგრამ არ მეგობრობენ მათთან.[49] მეგობრობისა და თავისუფალი ურთიერთობის გარეშე დიალექტური განსხვავება მარტივად ვითარდება.

თუ იზოლაცია ლინგვისტურ გადახრას იწვევს საზოგადოებებს შორის, კონტაქტი საპირისპირო შედეგს იძლევა. ეს ეფექტი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც ურთიერთგაუგებარი ენები ერთმანეთის სიტყვებს იყენებენ სხვა კულტურიდან შემოღებული ნივთის/მოვლენის აღსანიშნავად — ტომატი, კანოე, სუში და ა.შ. ერთი კულტურის საზოგადოების შიგნით ორენოვან ჯგუფებსაც შეუძლიათ უცხო სიტყვების შემოღება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძირითად ენას ზუსტი ეკვივალენტი არ გააჩნია. ასე შემოვიდა ინგლისურში *salsa* და *weekend* ფრანგულში.

დაპყრობის და კოლონიალიზაციის შედეგად ხშირია ლექსიკონის ფართო და სწრაფი გადმოღება, ზოგ შემთხვევაში კი ლინგვისტური ჩანაცვლებაც. ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობამ გამოიწვია ფრანგულის, როგორც არისტოკრატთა ენის შემოღება. მხოლოდ 300 წლის შემდეგ დაიწყეს განათლებულმა კლასებმა ინგლისურად წერა. ამ პერიოდის განმავლობაში ინგლისურმა ისესხა სიტყვები ფრანგულიდან და ლათინურიდან და ინგლისური და ფრანგული მეტად დაემსგავსა ერთმანეთს, ვიდრე მოსალოდნელი იქნებოდა სხვა შემთხვევაში. ინგლისური ლექსიკის დაახლოებით ნახევარი ფრანგულიდან მოდის. როგორც აქედან ჩანს, სხვადასხვა სოციალურმა კლასმა, შესაძლოა, განსხვავებული რეაქცია იქონიოს ენობრივ კონტაქტზე. მაგალითად, ინგლისელმა არისტოკრატებმა ხორცს უწოდეს "*pork*" და "*beef*" (ფრანგული ენიდან ნაწარმოები სიტყვებია), მაგრამ ადგილობრივი ხალხი, რომელიც მესაქონლეობით იყო დაკავებული, ამ ხორცს აღნიშნავდა სიტყვებით "*pig*" და "*bull*" (ორიგინალური ანგლო-საქსონური სიტყვები).

ამ აქტიური კონტაქტის სამასწლიან ხანაში ინგლისური ენის გრამატიკა მეტ-ნაკლებად სტაბილურად შენარჩუნდა. ინგლისურმა დაკარგა მოდულაციების უმეტესობა და ბრუნვის დაბოლოებები, მაგრამ ფრანგული გრამატიკიდან ცოტა რამ შეითვისა. ზოგადად სიტყვების გადმოღება, განსაკუთრებით კი თავისუფალი მორფემებისა[50] უფრო ხშირია, ვიდრე გრამატიკის წესების გადმოტანა.[51] როგორც მოსალოდნელია, ერთი ენიდან მეორეში სიტყვების გადმოღება-სესხება ამ ენას იმ ენებისგან უფრო მეტად ასხვავებს, რომლებთანაც ფუძე ენა აერთიანებდა. ნაწილობრივ ფრანგული ზეგავლენის გამო, ინგლისური ლექსიკონი საკმაოდ განსხვავებულად გამოიყურება იმ ენებთან შედარებით, რომლებთანაც ყველაზე ახლოსაა

ფონოლოგიისა და გრამატიკის თვალსაზრისით. ესენია გერმანული, ჰოლანდიური და სკანდინავიური ენები.

კავშირი ენასა და კულტურას შორის

ენების მრავალფეროვნების ახსნის ზოგიერთი მცდელობა ფოკუსირებულია ენებსა და კულტურის სხვა ასპექტებს შორის შესაძლო ურთიერთქმედებაზე. ერთი მხრივ, თუ ნაჩვენები იქნება, რომ კულტურას შეუძლია გავლენა მოახდინოს ენის სტრუქტურასა და შემადგენლობაზე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ლინგვისტური მრავალფეროვნება წარმოქმნილია, სულ მცირე, კულტურული მრავალფეროვნებისგან. მეორე მხრივ, კულტურისა და ენის ზემოქმედების მიმართულებამ, შესაძლოა, იმუშაოს საწინააღმდეგოდაც: ლინგვისტურმა მახასიათებლებმა და სტრუქტურებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს კულტურის სხვა ასპექტებზე.

კულტურული გავლენა ენაზე

ერთი გზა, რომლითაც საზოგადოების ენას შეუძლია აირეკლოს მისი შესაბამისი კულტურა, არის მისი **ლექსიკური შემადგენლობა** ან ლექსიკა. სადაც გამოცდილება, შემთხვევები ან საგნები გამოყოფილია და მოცემული სიტყვები, შესაძლოა, იყოს კულტურული მახასიათებლების შედეგები.

საბაზისო სიტყვები ფერების, მცენარეების და ცხოველების შესახებ. მეოცე საუკუნის დასაწყისში ბევრი ლინგვისტი მიუთითებდა ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების ლექსიკურ სფეროზე, რათა დაესაბუთებინათ ჰიპოთეტური ჭეშმარიტება თეზისა, რომ ენები იცვლება თვითნებურად ან შესამჩნევი მიზეზის გარეშე. სხვადასხვა ენას ჰქონდა არა მარტო ძირითადი ფერების აღმნიშვნელი სიტყვების სხვადასხვა რაოდენობა (დაახლოებით 2-დან 12-მდე; მაგალითად, სიტყვები წითელი, მწვანე და ცისფერი ინგლისურად), არამედ როგორც ფიქრობდნენ, არ ჰქონდა თანმიმდევრობა (ლოგიკურობა) სპექტრში ფერების კლასიფიცირების ან დაყოფის მიმართულებით. მაგრამ აღმოჩენებმა შედარებით ენათმეცნიერულ კვლევაში გააბათილა ეს ტრადიციული ჰიპოთეზები ძირითადი ფერების აღმნიშვნელი სიტყვების რაოდენობისა და მნიშვნელობის შესახებ. ბრენტ ბერლინმა და პოლ კეიმ, თავდაპირველად 20 და შემდგომში 100 ენის კვლევის საფუძველზე, აღმოაჩინეს, რომ ენებს არ აქვთ ფერთა თვითნებური, განუსაზღვრელი კოდირება[52].

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ენას აქვს ძირითადი ფერების აღმნიშვნელი სიტყვების სხვადასხვა რაოდენობა, ნებისმიერ ენაზე მოსაუბრეები მიუთითებენ ერთსა და იმავე ფერების ჩიპებზე,(*chip*) როგორც კონკრეტული ფერების საუკეთესო ნიმუშებზე. მაგალითად, ადამიანები მთელ მსოფლიოში თითქმის ერთსა და იმავე ფერს გულისხმობენ, როდესაც მათ „წითელი“ ფერის გამოყენებას სთხოვენ. უფრო მეტიც, ჩანს თითქმის უნივერსალური თანმიმდევრობა, რომლის მეშვეობითაც ძირითად ფერთა აღმნიშვნელი სიტყვები ემატება ენას.[53] თუ ენას აქვს მხოლოდ ორი ძირითადი ფერის სიტყვა, ამ ენაზე მოლაპარაკე ყოველთვის მიუთითებს „შავს“ (ან ბნელს) ტონს (ფერს) და „თეთრს“ (ან ღია) ფერს. თუ ენას აქვს სამი ძირითადი ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მესამე თითქმის ყოველთვის იქნება „წითელი“. შემდეგი კატეგორია არის ან „ყვითელი“ ან „მწვანე/ლურჯი“. ჩვენ, ჩვეულებრივ, ვერ ვხედავთ პროცესს, რომლის მეშვეობითაც ფერების აღმნიშვნელი სიტყვები დამატებულია ენაში, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ ჩვეულებრივი თანმიმდევრობა, რადგან, მაგალითად, თუ ენას აქვს სიტყვა „ყვითელი“, მას თითქმის ყოველთვის აქვს სიტყვა „წითელიც“, თუმცა, თუკი აქვს „წითელი“, ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ექნება სიტყვა „ყვითელი“.

ზუსტად რას წარმოადგენს ფერის აღმნიშვნელი საბაზისო სიტყვა? ყველა ენა, თუნდაც ისეთი, რომელსაც მხოლოდ ორი ძირითადი ფერის აღმნიშვნელი ტერმინი აქვს, აქვს ბევრი განსხვავებული გზაც ფერების ცვლილების გამოსახატავად. მაგალითად, ინგლისურში გვაქვს ისეთი სიტყვები, როგორებიცაა ფირუზისფერი, მოლურჯო-მწვანე, ალისფერი, ჟოლოსფერი და ცისფერი. ლინგვისტები არ განიხილავენ მათ როგორც ძირითადი ფერების აღმნიშვნელ სიტყვებს. ინგლისურში ძირითადი ფერთა სიტყვებია თეთრი, შავი, წითელი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი, ყავისფერი, ვარდისფერი, მეწამული-იისფერი, ნარინჯისფერი და ნაცრისფერი. ძირითადი ფერის ერთი მახასიათებელია ის, რომ ის შედგება ერთი მორფისგან; ის არ უნდა შეიცავდეს ორ ან მეტ ერთეულს ან მნიშვნელობას. ეს მახასიათებელი გამორიცხავს კომბინაციებს, როგორიცაა ლურჯი-მწვანე ან ცისფერი. მეორე მახასიათებელი ძირითადი ფერის სიტყვისა არის ის, რომ მის მიერ აღნიშნული ფერი, ჩვეულებრივ, არ შეიცავს მაღალორგანიზებული ფერის ტერმინს. მაგალითად, ალისფერი (კაშკაშა წითელი) და ჟოლოსფერი (მუქი წითელი) მოიაზრება წითლის ვარიანტებად, ფირუზისფერი ლურჯის ვარიანტია. მესამე მახასიათებელი ისაა, რომ ძირითადი ტერმინები იხრება პირველი სახელწოდებებისკენ, როცა ადამიანები კითხულობენ ფერის დასახელებას. დაბოლოს, იმისათვის, რომ სიტყვა ჩაითვალოს ძირითადი ფერის სიტყვად, ინდივიდები უნდა შეთანხმდნენ (ფერის სფექტრში) ამ სიტყვის 54 ცენტრალური მნიშვნელობის თაობაზე.

რატომაა ძირითად ფერთა ტერმინების განსხვავებული რაოდენობა სხვადასხვა საზოგადოებაში (ენაში)? ბერლინი და კეი თვლიან, რომ ძირითად ფერთა ტერმინები ენაში იზრდება ტექნოლოგიურ სპეციალიზაციასთან ერთად, ფერი გამოიყენება საგნების დასახასიათებლად და მათ განსასხვავებლად[55]. ძირითადი ფერების ტერმინების რაოდენობაში გადამკვეთი ლინგვისტური ცვლილება არ ნიშნავს, რომ ზოგიერთ ენას აქვს ფერთა უფრო მეტი დიფერენციაცია, ვიდრე სხვას. ყოველ ენას შეუძლია ჰქონდეს კონკრეტული დიფერენციაცია სიტყვების კომბინირებით (მაგალითად, "სალათისფერი" მწვანესთვის); ენა არ საჭიროებს განსაკუთრებულ ძირითად ტერმინს ამ ფერისთვის.

ძირითადი ფერის ტერმინები შეიძლება ასევე განპირობებული იყოს ბიოლოგიური ფაქტორებით.[56] ადამიანები უფრო მუქი (უფრო პიგმენტირებული) თვალებით უფრო რთულად აღიქვამენ სპექტრის მუქ (ლურჯი-მწვანე) ბოლოს, ვიდრე ღია ფერის თვალებიანი ადამიანები. მოსალოდნელია, რომ ეკვატორთან ახლოს მცხოვრებ ადამიანებს (ვისაც უფრო მუქი თვალები აქვს, შესაძლებელია მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებისგან დასაცავად) ძირითადი ფერების აღმნიშვნელი ნაკლები ტერმინი ჰქონდეს. და ასეც არის.[57] მეტიც, როგორც ჩანს, ორივე (კულტურული და ბიოლოგიური) ფაქტორი მოითხოვება ძირითადი ფერების აღმნიშვნელი ტერმინების რაოდენობის ენობრივი გადაკვეთის ცვლილებების გასათვალისწინებლად. საზოგადოებები, რომელთაც აქვთ ექვსი ან მეტი ასეთი ტერმინი (რომლებიც ასხვავებენ ლურჯ და მწვანე ფერებს), როგორც წესი, მოშორებულნი არიან ეკვატორს და მათი კულტურაც ტექნოლოგიურად უფრო განვითარებულია. როგორც მომდევნო თავებში ვნახავთ, ტექნოლოგიური სპეციალიზაცია ახასიათებს ცენტრალური ხელისუფლების მქონე დიდ საზოგადოებებს, უფრო დიდი სოციალური უთანასწორობითა და ვიწრო სპეციალიზაციით. ასეთ საზოგადოებებს შემოკლებით „რთულს“ უწოდებენ, რაც არ უნდა იქნას გაგებული როგორც „უკეთესი“.

ბერლინისა და კეის მიგნებებს ძირითადი ფერების ტერმინების მეტად ან ნაკლებად უნივერსალური თანმიმდევრობის შესახებ ეხმიანება სესილ ბრაუნის აღმოჩენა სხვა ლექსიკური სფეროებიდან განვითარებადი თანმიმდევრობების თაობაზე. ორი ასეთი ზონა არის ზოგადი ან ცოცხალი ფორმა, ტერმინები მცენარეებისთვის და

ცხოველებისთვის. ცოცხალი ფორმის ტერმინები არის მაღალორგანიზებული კლასიფიკაციები. ყველა ენას აქვს დაბალორგანიზებული ტერმინები კონკრეტული მცენარეებისა და ცხოველებისთვის. მაგალითად, ინგლისურშია ისეთი სიტყვები, როგორებიცაა მუხა და ფიჭვი, ბეღურა და ორაგული. ინგლისელები უფრო მეტადაც აკონკრეტებენ: *pin oak, white pine, white-throated sparrow, red salmon* (თეთრი ფიჭვი, თეთრყელიანი ბეღურა და წითელი ორაგული). მაგრამ რატომ არის ზოგ ენაში მეტი ზოგადი ტერმინი, როგორებიცაა ხე, ფრინველი და თევზი? როგორც ჩანს, ეს ზოგადი ტერმინები გვიჩვენებს უნივერსალურ განვითარებად თანმიმდევრობას. ტერმინ „მცენარეს“ მოჰყვება ტერმინი „ხე“ (პატარა, მწვანე, ფოთლოვანი მცენარე); შემდეგ “ბუჩქი“ (მცენარეებისთვის ხესა და *grerb*-ს შორის); შემდეგ “ბალახი“; შემდეგ “ვაზი“.[59] ცოცხალი ფორმები ცხოველებისთვის ასევე უნდა დაემატოს რიგს; “ცხოველის“ შემდეგ მოდის ტერმინი „თევზი“, „ფრინველი“, შემდეგ „გველი“, შემდეგ “*wug*“ (პატარა „მწერი“, მატლები), შემდეგ — „ძუძუმწოვრები“[60]

უფრო კომპლექსურ საზოგადოებებს ახასიათებთ უფრო მეტი რაოდენობის ზოგადი ან ცოცხალი ფორმების აღმნიშვნელი ტერმინები მცენარეებისა და ცხოველებისთვის, ვიდრე უფრო მარტივ საზოგადოებებს, ისევე როგორც მათ აქვთ ტენდენცია ჰქონდეთ ძირითადი ფერების ტერმინების მეტი ოდენობა. რატომ? იზრდება თუ არა ლექსიკის ყველა მიმართულება ან სფერო სოციალური კომპლექსურობის ზრდასთან ერთად? თუ ჩვენ ვაკვირდებით ენის მთელ ლექსიკურ მასალას (რაც შესაძლოა, დათვლილი იყოს ლექსიკონში), მეტად კომპლექსურ საზოგადოებებს უფრო დიდი ლექსიკონები ექნება.[61] მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ კომპლექსურ საზოგადოებას ჰყავს სხვადასხვა სახის სპეციალისტი, და **ლექსიკონები** უნდა მოიცავდეს ამ სპეციალისტების მიერ გამოყენებულ ტერმინებს. როგორც ჩანს, ყველა ენას აქვს დაახლოებით ერთი ძირითადი ზომის ლექსიკონი.[62] მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სფერო იზრდება სოციალურ კომპლექსურობასთან ერთად, ზოგიერთი რჩება იმავე დონეზე და ზოგიც მცირდება. უფრო პატარა ლექსიკის არე კომპლექსურ საზოგადოებაში არის მცენარეებისთვის კონკრეტული სახელები. ურბანულმა ჩრდილო ამერიკელებმა, შეიძლება, იცოდნენ მცენარეების ზოგადი სახელწოდებები, მაგრამ შედარებით ნაკლებად იციან კონკრეტული (სპეციფიკური) მცენარეების სახელწოდებები. მცირე (შეზღუდული) საზოგადოების ტიპურმა წარმომადგენელმა, შესაძლოა, იცოდეს 400-დან 800-მდე მცენარის დასახელება; ჩვენი საკუთარი და მსგავსი საზოგადოებების ტიპურმა წარმომადგენელმა, შეიძლება, დაასახელოს მხოლოდ 40-დან 80-მდე მცენარე. ცოცხალი ფორმების სახელწოდებები მეტია იმ საზოგადოებებში, რომლებშიც ჩვეულებრივმა ადამიანებმა ნაკლები იციან კონკრეტულ მცენარეებსა და ცხოველებზე.

ამჟამად ხელმისაწვდომი მონაცემები ამყარებს წარმოდგენას, რომ ენის ლექსიკა ასახავს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ყოველდღიურ დიფერენციაციებს. გარემოსა ან კულტურის უფრო დიდი მნიშვნელობის ასპექტები ენაშიც უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს.

გრამატიკა ჩვენ მიერ დაგროვილი მაგალითების მეტი ნაწილი გვიჩვენებს, რომ კულტურა გავლენას ახდენს მის ირგვლივ არსებულ საგნებზე. მონაცემები კულტურული ზეგავლენის შესახებ ენის გრამატიკულ სტრუქტურაზე ნაკლებად ექსტენსიურია. ჰარი ჰოიჯერმა ყურადღება მიაქცია ზმნის კატეგორიებს ნავაჰოს ენაში, ტრადიციულად მომთაბარე ხალხში. ეს კატეგორიები უმთავრესად გვხვდება შემთხვევების, მოვლენების აღწერისას. ჰოიჯერი შენიშნავს, რომ „მოქმედებების და შემთხვევევების აღწერისას დროს და დამოუკიდებელი იდეის გაგების (შესწავლის) დროს ნავაჰო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოძრაობას და აკონკრეტებს ბუნებას, მიმართულებას, ასეთი გადაადგილების სტატუსს დეტალების ერთობლიობაში.[63] მაგალითად, ნავაჰოს აქვს ერთი კატეგორია შემთხვევებისთვის მოძრაობაში და მეორე, შემთხვევებისთვის მოძრაობის შეჩერებისას. ჰოიჯერი ასკვნის, რომ აქცენტირება შემთხვევებზე პროცესში ასახავს ნავაჰოს საუკუნეების განმავლობაში დაგროვებულ მომთაბარე გამოცდილებას, რომელიც მათ მითებსა და ფოლკლორშია ასახული.

ლინგვისტური აქცენტირება შემთხვევებზე შესაძლებელია იყოს ან არ იყოს მომთაბარე ხალხების საერთო მახასიათებელი; რადგან ჯერ არავის გამოუკვლევია საკითხი სხვადასხვა კულტურებთან დაკავშირებით ან შედარებით. მაგრამ არის მაჩვენებლები, რომ სისტემატური შედარებითი კვლევა აამაღლებს სხვა გრამატიკულ თვისებებს, რომლებიც ეხება კულტურულ მახასიათებლებს. მაგალითად, ბევრ ენაში არ არის კუთვნილებითი ზმნა, როგორიცაა *”have” ”I have”*-ში. ამის მაგიერ ენაში შეიძლება ითქვას რაღაც მსგავსი *”it is to me“*-სი. სხვადასხვა კულტურის კვლევა იძლევა საშუალებას, რომ ენამ განავითაროს ზმნა “*have*“ მას შემდეგ, რაც ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები განავითარებენ კერძო საკუთრების ან რესურსების საკუთრებაში ფლობის სისტემებს.[66] როგორც მომდევნო თავში (იგი ეხება ეკონომიკური სისტემებს) დავინახავთ, კერძო საკუთრების კონცეფცია შორსაა უნივერსალურისგან და ვითარდება მხოლოდ კომპლექსურ საზოგადოებებში სოციალური უთანაბრობით. ამის საპირისპიროდ, მრავალ საზოგადოებას აქვს კომუნალური მფლობელობის სხვადასხვა ფორმა, იქნება ეს ოჯახური ჯგუფი თუ თემობა. როგორ ლაპარაკობენ ადამიანები საკუთრების შესახებ, აჩვენებს, როგორ ფლობენ ისინი; საზოგადოებებს კერძო საკუთრების კონცეფციის გარეშე, არა აქვთ ზმნა *”have”*.

ლინგვისტიკის გავლენა კულტურაზე: სეფირ-ვორფის ჰიპოთეზა

ზოგადად, არსებობს შეთანხმება, რომ კულტურა გავლენას ახდენს ენაზე. მაგრამ თანხმობა საწინააღმდეგო პოსტულატზე ანუ ენის გავლენაზე კულტურის სხვადასხვა ასპექტზე, ნაკლებად გვხვდება. ედვარდ სეფირმა და ბენჯამენ ლი ვორფმა წამოაყენეს მოსაზრება, რომ ენა არის დამოუკიდებელი ძალა, რომელიც ახდენს გავლენას იმაზე, როგორ აღიქვამენ და განიცდიან ადამიანები რეალობას საზოგადოებაში. ეს წარმოდგენა ცნობილია, როგორც სეფირ-ვორფის ჰიპოთეზა.[67] ჰოპის ინგლისურ ენასთან შედარებისას ვორფმა მიუთითა, რომ ინგლისური ენის კატეგორიები გამოხატავს დისკრეტულობას დროსა და სივრცესთან მიმართებაში, ჰოპი კი — არა. ინგლისურს აქვს დისკრეტული წარსული, აწმყო და მომავალი და მოვლენები განსაზღვრულ დროში ხდება. ჰოპი უფრო მეტად მოვლენებს გამოხატავს როგორც იდეას მოქმედ პროცესებში დროის დანაწევრების ფიქსირებული სეგმენტების გარეშე. რონალდ ვორდჰოს მიხედვით, ვორფს სჯერა, რომ ამ ენობრივ განსხვავებებს მიჰყავთ ჰოპი და ინგლისელები სამყაროს განსხვავებულ აღქმამდე. [68]

როგორი დამაინტრიგებელიც არ უნდა იყოს ეს იდეა, შესაფერისი მონაცემები არაერთგვაროვანია. დღეს ლინგვისტები ზოგადად არ იზიარებენ აზრს, რომ ენა აიძულებს ფიქრს, მაგრამ ზოგი ეჭვობს, რომ ენის განსაკუთრებული თვისებები, შესაძლოა, გავლენას ახდენს ფიქრის კონკრეტულ დინებებზე.[69] ეს ზეგავლენა შეიძლება უფრო ნათელი იყოს პოეზიასა და მეტაფორებში, სადაც სიტყვები და ფრაზები გამოყენებულია მათი ჩვეული მნიშვნელობისგან განსხვავებული კონტექსტით, როგორც ფრაზაში “*all the world’s a stage*“ (“მთელი მსოფლიო სცენაა“).[70] ერთი სერიოზული პრობლემა სეფირ-ვორფის ჰიპოთეზის შესამოწმებლად არის ის, რომ მკვლევრებს სჭირდებათ იმის გარკვევა, თუ როგორ განასხვავონ კულტურის სხვა ასპექტების ზემოქმედება ენობრივი ასპექტების ზემოქმედებისგან.

ერთი მიდგომა, რომელმაც შეიძლება გვაჩვენოს ენასა და კულტურას შორის გავლენის მიმართულება, არის იმის კვლევა, თუ როგორ ავითარებენ სხვადასხვა კულტურის წიაღში (სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე) ბავშვები იდეებს, ცნებებს, ზრდასთან ერთად. თუ ენა ახდენს გავლენას კონკრეტული იდეის ჩამოყალიბებაზე, უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვები ამ იდეას უფრო ადრე იმ საზოგადოებებში აითვისებენ, სადაც ენა გამოკვეთს ამ იდეას (კონცეფციას). მაგალითად, ზოგ ენაში მეტია გენდერული განსხვავებები სხვებთან შედარებით. უვითარდებათ თუ არა ასეთ ენებზე მოლაპარაკე ბავშვებს გენდერული იდენტურობის შეგრძნება უფრო ადრე? (ძალიან პატარა გოგონები და ბიჭები, როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ მათ შეუძლიათ შეიცვალონ სქესი, საპირისპირო სქესის ტანსაცმლის ჩაცმით, იმაზე ფიქრით, თითქოს მათში არაა განვითარებული სტაბილურად შეგრძნება, რომ ისინი არიან შეუცვლელი გოგონები ან ბიჭები.) ალექსანდრ გუიორამ და მისმა კოლეგებმა შეისწავლეს ბავშვები ჰებრევში — მეტყველების სახლში (ისრაელი), ინგლისური მეტყველების სახლში (აშშ-ში) და ფინური მეტყველების სახლში (ფინეთი). ჰებრევს აქვს მეტი გენდერული აქცენტი ამ სამ ენას შორის; ყველა არსებითი სახელი არის მამრობითი ან მდედრობითი სქესის და მეორე პირიც და მრავლობითი ნაცვალსახელებიც განსხვავდება გენდერულად. ინგლისურში გენდერული აქცენტი ნაკლებია, აქცენტირება ხდება მხოლოდ მესამე პირის მხოლობით რიცხვში. ფინურში გენდერული აქცენტი ყველაზე ნაკლებია; თუმცა ისეთი სიტყვები, როგორებიცაა მამაკაცი და ქალი, გულისხმობს სქესს, გენდერული დიფერენციაცია ენაში ძალინ მცირეა. იმ იდეის თანახმად, რომ ენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს აზროვნებაზე, ჰებრევის სკოლის ბავშვებმა ყველაზე ადრე აითვისეს სტაბილური გენდერული თვითგამოხატვის იდეა, ფინელმა ბავშვებმა — ყველაზე გვიან.[71]

მრავალ კულტურაში უცხოები შეხვედრისას ერთმანეთს ხელს ართმევენ; მეგობრები უფრო თბილად ეხებიან ერთმანეთს. ჩვენ სხვებს მეგობრობის კავშირის მიხედვით განსხვავებუად ვესაუბრებით.

მეორე მიდგომა არის პროგნოზირება ენობრივი განსხვავებიდან გამომდინარე, თუ როგორ ელოდნენ ადამიანები ექსპერიმენტებში მონაწილეობას. Yucatec მაიას ენისა და ინგლისურის შედარებისას, ჯონ ლუსიმ გააკეთა პროგნოზი, რომ ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანებს, შესაძლოა, ახსოვდეთ მეტი არსებული ნივთი, ვიდრე Yucatec მაიას ენაზე მოლაპარაკეებს. არსებითი სახელების უმეტესობისთვის ინგლისური მოითხოვს ლინგვისტურად ჩვენებას, ეს სახელი მხოლობითია, თუ მრავლობითი. თქვენ ვერ იტყვით "*I have dog*" (არაა ნაჩვენები რიცხვი), უნდა თქვათ "I have a dog","I have dogs" or "I have one (two, three... many) dogs". Yucatec მაიას, ინგლისურის მსგავსად, შეუძლია აჩვენოს მრავლობითი, მაგრამ უშვებს, რომ არსებითი სახელი ნეიტრალური იყოს რიცხვის მიმართ. მაგალითად, თარგმანი ფრაზისა *there-is-dog-over-there (ydan peek teelo)* ტოვებს გაურკვევლობას, ერთ ძაღლზეა საუბარი თუ მეტზე. ინგლისურში იგივე ორაზროვნება შეიძლება იყოს ფრაზაში "I saw deer over there", მაგრამ ინგლისური ხშირად არ იძლევა ორაზროვნების საშუალებას სულიერი და უსულო საგნების მიმართ.[72] მრავალ ექსპერიმენტში Yucatec მაია და ამერიკელი ინგლისელები თანაბრად ასახელებდნენ საგნებს სურათზე, მაგრამ ისინი განსხვავდებოდნენ იმით, რამდენად ხშირად არ წერდნენ ისინი კონკრეტული საგნების რიცხვს სურათზე. Yucatec მაიას ენაზე მოლაპარაკენი ამას ნაკლები სიხშირით აკეთებდნენ, მათი ენის შესაბამისად, რიცხვის ჩვენების აუცილებლობის გარეშე. ამდენად, რაოდენობრიობის წინ წამოწევა ექსპერიმენტში, როგორც ჩანს, იყო შედეგი, რამდენად იყო განსხვავებული ეს ენები. რასაკვირველია, შესაძლოა, რომ რიცხვის ეს გამოკვეთა გამომდინარეობდეს სხვა კულტურული ფენომენიდან, როგორიცაა, დამოკიდებულება ფულზე ეკონომიკაში.

მეტყველების ეთნოგრაფია

ტრადიციულად, ლინგვისტები ცდილობენ, გაიგონ ენის სტრუქტურა, ჩვეულებრივ, გაუთვითცნობიერებელი წესები, რომლებიც იძლევა პროგნოზირების საშუალებას, როგორ ლაპარაკობენ მოცემული საზოგადოების წევრები. ბოლო წლებში ბევრი ლინგვისტი სწავლობს როგორ ლაპარაკობენ ადამიანები საზოგადოებაში. ლინგვისტური კვლევის ეს ტიპი, სოციოლინგვისტიკა, უკავშირდება მეტყველების ეთნოგრაფიას — ეს არის მეტყველების კულტურული და სუბკულტურული დინებების განსხვავებები სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში[74]. სოციოლინგვისტს შეუძლია იკითხოს, მაგალითად, რა ტიპის საგნებზე ლაპარაკობს პიროვნება შემთხვევით საუბარში უცხოელთან. უცხოელმა, შესაძლოა, კარგად იცოდეს ინგლისური ენა და მისი გრამატიკა, მაგრამ შეიძლება არ იცოდეს, რომ მავანი საუბრობს მასთან ამინდის შესახებ ან საიდან მოვიდა და არა იმაზე, რა ჭამა დღეს ან რამდენ ფულს იღებს. უცხოელი შეიძლება იცნობდეს ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქურ კულტურას, მაგრამ თუ პიროვნება უყვება თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობასა და შეგრძნებებზე დაწვრილებით პირველივე შემხვედრს, რომელიც ამბობს "*ow are you?*", კიდევ ბევრი სწავლა სჭირდება, რომ ისწავლოს „სწორად ლაპარაკი".

ანალოგიურად, ჩრდილოამერიკელები უხერხულად გრძნობენ თავს იმ საზოგადოებებში, რომელთა მისალმება განსხვავდება ჩვენგან. "*Where are you going?*", *or "what are you cooking?*" ზოგ ამერიკელს შეუძლია იფიქროს, რომ ასეთი კითხვები უზრდელობაა; სხვები შეიძლება შეეცადონ უპასუხონ მომაბეზრებელ დეტალებში, რადგან ვერ იგებენ, რომ ამ დროს მოელიან მხოლოდ განუსაზღვრელ პასუხს, ისევე როგორც ჩვენ არ ველით რეალურად დეტალურ პასუხს კითხვაზე, როგორ არიან ისინი.

სოციალური სტატუსი და მეტყველება

ის, რომ უცხოელმა შეიძლება ცოტა რამ იცოდეს ჩვენი ჩვეულებრივი საუბრების შესახებ, არის ერთი მაგალითი სოციოლინგვისტური წესის. რას ვამბობთ და როგორ ვამბობთ, სრულად არ არის განსაზღვრული ჩვენი ენის წესებით. ვინ ვართ ჩვენ სოციალურად და ვის ვესაუბრებით, დიდ გავლენას ახდენს იმაზე, რას ვლაპარაკობთ და როგორ ვლაპარაკობთ.

ნიუ ინგლენდის ქალაქის ბავშვების ინტერვიუირების დროს ჯონ ფიშერმა შენიშნა, რომ ფორმალურ ინტერვიუებში ბავშვები გამოთქვმდნენ სიტყვების დაბოლოებებს "*singing*" , "*fishing*", მაგრამ არაფორმალური საუბრებისას ისინი ამბობენ "*fishin*", "*singin*". მეტიც, მან შენიშნა, რომ ეს ფენომენი ჩნდება აგრეთვე სოციალურ კლასთან დაკავშირებითაც; ბავშვები უფრო მაღალი სტატუსის მქონე ოჯახებიდან ნაკლებად ყლაპავენ დაბოლოებებს, ვიდრე ბავშვები დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ოჯახებიდან. ინგლისურად მოლაპარაკე ადგილების შემდგომმა კვლევებმა გაამყარა ფიშერის დაკვირვებები მეტყველების ამ მაგალითებზე. სხვა მაგალითები ასევე კარგად შეინიშნება. მაგალითად, ნორვიჩში, ინგლისში, დაბალი კლასის წარმომადგენლები ყლაპავენ (არ გამოთქვამენ) *h*-ს ისეთ სიტყვებში, როგორიცაა *hammer*, მაგრამ მაღალ კლასში *h*-ს ჩაყლაპვის ტენდენცია უფრო და უფრო მატულობს.[75]

კვლევამ აჩვენა, რომ მაღალი კლასის ინგლისელებს აქვთ უფრო ჰომოგენური მეტყველება, უფრო შესაფერისი აღიარებულ სტანდარტულ ინგლისურთან (ასეთი ტიპის მეტყველება ისმის რადიოდან და ტელევიზიიდან), იმ დროს, როცა ხალხს დაბალი კლასიდან აქვს ძალიან ჰეტეროგენული მეტყველება, განსხვავებული იმ ლოკალური თუ დიალექტური ადგილის მიხედვით, საიდანაც ისინი არიან.[76] ზოგ საზოგადოებაში სოციალური სტატუსის განსხვავება შეიძლება ასოცირებული იყოს სიტყვების უფრო მკვეთრ განსხვავებასთან. კლიფორდ გირცმა იავანური საზოგადოების კვლევისას აჩვენა, რომ იავანური საზოგადოების სამი მკვეთრად დაყოფილი ჯგუფის: გლეხების, ქალაქელების და არისტოკრატიის ლექსიკა ასახავს მათ სხვადასხვა პოზიციას. მაგალითად, ცნება "*now*" გამოხატულია სხვადასხვანაირად ამ სამ ჯგუფში. გლეხი ამბობს საიკი (იგულისხმება ამ სიტყვის ყველაზე დაბალი და უხეში ფორმა); ქალაქელი გამოთქვამს სანიკი (იგულისხმება უფრო დახვეწილი); და არისტოკრატი გამოთქვამს *samenika* (ყველაზე ელეგანტური და დახვეწილი ფორმა).[77]

ურთიერთობის სტატუსი ადამიანებს შორის ასევე ახდენს გავლენას იმაზე, როგორ ელაპარაკებიან ისინი ერთმანეთს. მიმართვის ტერმინები ამის კარგი მაგალითია. ინგლისურში მიმართვის ფორმები შედარებით მარტივია. პიროვნებას მიმართავენ სახელით ან ტიტულით (მაგალითად, ექიმი, პროფესორი, მისტერ, მისის), რომელსაც ახლავს გვარი. როჯერ ბრაუნის და მარგერიტ ფორდის კვლევამ აჩვენა, რომ მიმართვის ფორმები ინგლისში განსხვავდება მოსაუბრეთა ურთიერთდამოკიდებულების შესაბამისად.[78] ერთმანეთისთვის სახელებით მიმართვა ნიშანია არაფორმალური ან უფრო ინტიმური (ახლო) დამოკიდებულებისა ორ პიროვნებას შორის. ტიტულით და გვარით მიმართვა ორმხრივად, ნიშანია იმ პირთა უფრო ფორმალური ან საქმიანი ურთიერთობებისა, ვინც დაახლოებით ერთ დონეზე არიან სოციალური სტატუსით. არაორმხრივი მიმართვა სახელით და ტიტულებით ინგლისურში მიღებულია იმ მოსაუბრეთათვის, რომლებმაც იციან ერთმანეთის სტატუსის მკაფიო სხვაობა. ეს განსხვავება შეიძლება გამომდინარეობდეს ასაკიდან, როცა ბავშვი მიმართავს დედამისის ამხანაგს, როგორც მისის მილერ და ის, თავის მხრივ, უწოდებს მას სალის ან დაკავშირებულია მდგომარეობის იერარქიასთან, როცა მავანი მიმართავს თავის უფროსს მისტერ-ით და ეს უკანასკნელი მას მიმართავს სახელით. ზოგ შემთხვევაში, ჩვეულებრივ ბიჭებსა და მამაკაცებში გვარით მიმართვა ნიშნავს რაღაც საშუალოს ახლობლურ და ფორმალურ დამოკიდებულებას შორის.

გენდერული განსხვავება მეტყველებაში

ბევრ საზოგადოებაში მამაკაცების მეტყველება განსხვავდება ქალების მეტყველებისაგან. განსხვავება შეიძლება მცირე იყოს, როგორც ინგლისურში ან ძალიან აშკარა, როგორც ვესტინდოეთის მცირე ანტილების კარიბის ინდიელებში, სადაც მამაკაცები და ქალები სხვადასხვა სიტყვას იყენებენ ერთი და იგივე აზრის (იდეის) გამოსახატავად.[79] იაპონიაში მამაკაცები და ქალები საერთოდ სხვადასხვა სიტყვას ხმარობენ ბევრი რამის გამოსათქმელად (მაგალითად, მამაკაცი წყალს უწოდებს *mizu*, ქალის ვერსია არის *ohiya*) და ხშირად ქალები ამატებენ ზრდილობიან პრეფიქს *o*-ს (ქალები უფრო ხშირად უმატებენ საჭმელ ჯოხებს *ohasi*, მამაკაცები ხმარობენ *hasi*).[80] აშშ-სა და დასავლურ საზოგადოებებშიც არის განსხვავება ქალებისა და მამაკაცების მეტყველებაში, მაგრამ ეს არაა ისეთი მკვეთრი, როგორც კარიბის ინდიელების ან იაპონელების შემთხვევებში. მაგალითად, ადრე ჩვენ შევნიშნეთ ტენდენცია *g*-ს გაუქმებისა ისეთ სიტყვებში, როგორიცაა *singing*, როცა სიტუაცია არაფორმალურია და სოციალური კლასი დაბალია. მაგრამ არის აგრეთვე გენდერული განსხვავება. ქალები მამაკაცებზე უფრო ხშირად ამბობენ *g*-ს და იშვიათად გამოტოვებენ *h*-ს ისეთ სიტყვებში, როგორიცაა *happy*. მონრეალში ქალები ნაკლებად ყლაპავენ *l*-ს ისეთ ფრაზებში, როგორიცაა *il fait* (ის აკეთებს) ან იდიომაში *il y a ("there is/are")*.

გენდერულ განსხვავებას ადგილი აქვს როგორც ინტონაციაში, ასევე წინადადების წარმოთქმის დროსაც. რობინ ლაკოფმა შენიშნა, რომ ინგლისელი ქალები პასუხობენ კითხვას ბოლოში ტონის ამაღლებით ინტონაციის დაქვეითების ნაცვლად, რაც ასოცირებულია მკვეთრ პასუხთან. ქალები, ასევე, ამჟღავნებენ ტენდენციას თხრობით ინფორმაციას დაუმატონ კითხვითი. მაგალითად, "*They caught the robber last week, didn't they?*" [82]

გენდერული განსხვავების ერთი ახსნა, განსაკუთრებით ინტონაციასთან დაკავშირებით, არის ის, რომ ქალები ბევრ საზოგადოებაში უფრო დაინტერესებულნი არიან „კორექტურულობის, სისწორის" დაცვით, ვიდრე მამაკაცები[83] (არალინგვისტური გაგებით; მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ლინგვისტები არ თვლიან მეტყველების ერთ ფორმას სხვაზე უფრო სწორად, ისევე როგორც არ მიაჩნიათ ერთი დიალექტი სხვაზე უკეთესად. ყველას თანაბრად შეუძლია გამოთქვას განსხვავებული აზრი თუ იდეა). კლასობრივ საზოგადოებაში სწორი გრამატიკული ფორმა შეიძლება ასოცირდებოდეს მაღალ კლასთან. სხვა საზოგადოებაში, რაც უფრო ძველია, ის შეიძლება ჩაითვალოს უფრო სწორად. მაგალითად, ამერიკელი აბორიგენების კოასატის ენა, რომელზეც ლაპარაკობდნენ ლუიზიანაში, მამაკაცები და ქალები კონკრეტულ ზმნებს განსხვავებული დაბოლოებებით გამოთქვამდნენ. განსხვავებები თითქმის გამქრალი იყო 1930 წლისათვის, როცა ტარდებოდა კოასატის კვლევა. ახალგაზრდა გოგონებმა დაიწყეს ენის მამრობითი ფორმების გამოყენება და მხოლოდ ასაკოვანი ქალები იყენებდნენ ენის მდედრობით ფორმებს. კოასატის მამაკაცები ამბობდნენ, რომ ქალების მეტყველება მეტყველების „უკეთეს" ფორმას წარმოადგენდა[84]. გენდერული განსხვავებები მეტყველებაში შეიძლება ასახავდეს სოციალურ ქცევაში არსებულ განსხვავებებსაც (როგორც მე-6 თავში ვნახავთ, სექსზე, სქესსა და კულტურაზე): გოგონებს ბიჭებზე უფრო ხშირად ახასიათებთ მოზრდილთათვის მისაღები ქცევის ნორმები.

არ განხორციელებულა საკმარისი კვლევები იმის დასადგენად, თუ რამდენად ხშირია ქალების მიერ ლინგვისტური „კორექტულობის" დაცვა. ჩვენ ვიცით ის შემთხვევები,

სქესის კვლევის ახალი პერსპექტივები

უწყობს თუ არა ინგლისური ენა სექსიზმს ხელს?

უწყობს თუ არა ინგლისური სექსისტურ აზროვნებას ხელს, თუ უბრალოდ ასახავს უკვე არსებულ უთანასწორობას? მათთვის, ვისაც გენდერული უთანასწორობის ხელშეწყობა სურს, ამ კითხვებზე პასუხი მნიშვნელოვანია, რადგან თუ ენა აზროვნებაზე ზემოქმედებს (ედუარდ სეფირისა და ბენჯამინ ვორფის დაკვირვებები), მაშინ ლინგვისტური ცვლილება სავალდებულო იქნება გენდერულ კულტურაში ცვლილების შემოსატანად. თუ პირიქითაა საქმე ანუ თუ ენა ასახავას არსებულ უთანასწორობას, მაშინ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები უნდა მოხდეს, მანამ, სანამ მნიშვნელოვანი ლინგვისტური ცვლილება მოხდება.

დროებით რომ გადავდოთ საკითხი, რომელი იწვევს ცვლილებას, დავფიქრდეთ როგორ წარმოჩინდებაგენდერულიუთანასწორობა ინგლისურში. გაითვალისწინეთ ბენჯამენ ვორფის მიერ დაწერილი შემდეგი ფრაზა: "*Speech is the show man puts on... Language helps man in his thinking*". მაშინ, როდესაც მან ტექნიკურად ყველა ადამიანს გულისხმობს, ხოლო ნაცვალსახელი *his* ამ შემთხვევაში ორივე სქესის ინდივიდის ფიქრს განეკუთვნება, ამ სიტყვების ხშირი გამოყენება, შესაძლოა, გულისხმობდეს, რომ მამრები უფრო მნიშვნელოვანნი არიან. ანალოგიურად გულისხმობს თუ არა სიტყვები *chairman* (თავმჯდომარე), *policeman* (პოლიციელი) *businessman* (ბიზნესმენი), *salesman* (გამყიდველი), რომ მამრები უნდა იყვნენ ამ სამუშაოთი დაკავებული? რას ნიშნავს, როდესაც ერთ სიტყვას ორი სქესი აქვს როგორც სიტყვაში *actor* და *actress* ან *hero* და *heroine*? როგორც წესი, ფუძე სიტყვა მამრობითი სქესისაა და სუფიქსის დამატებით ხდება მდედრობითი ფორმის მიღება. ნიშნავს თუ არა სუფიქსის ეს ფორმა, რომ მდედრობითი ფორმა მოგვიანებითაა დამატებული და ნაკლებ მნიშვნელოვანია? არამარტო ენის სტრუქტურას შეუძლია გენდერული უთანასწორობის გადმოცემ. არსებობს მეტაფორული და გამოყენებითი განსხვავებებიც. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მდედრობითი და მამრობითი ფორმა იმ ადამიანის აღსანიშნავად, ვინც მეუღლე დაკარგა (წიდოწ და წიდოწერ), ბევრი ადამიანი იტყვის "სალი ჰენრის ქვრივია", მაგრამ არავინ იტყვის "ჰენრი სალის ქვრივია". რატომ? უფრო მნიშვნელოვნად ითვლება, რომ წარსულში ქალი მამაკაცთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ის, რომ მამაკაცი იყო ქალთან დაკავშირებული. ასეთი გამოყენებიდან გამომდინარე, არაა გასაკვირი, რომ პირველადი ფორმა არის მდედრობითი (*widow*), ხოლო მამრობითი ფორმა მისგან არის ნაწარმოები (*widower*).

ან როგორ მოხდა, რომ შემდეგ წყვილებში *sir/madam, master/mistress, wizard/witch* მდედრობითმა ფორმამ უარყოფითი კონოტაცია შეიძინა? რატომაა, რომ ქალთან ამდენი ცხოველის ხატება ასოცირდება? მათი აღწერა შეიძლება სიტყვებით *chicks, henpeckers, cows, dogs, bitches, kittens, birds.*

საწყის კითხვებს რომ დავუბრუნდეთ, საიდან უნდა გავიგოთ უწყობს ენა სექსიზმს ხელს თუ სექსიზმი ახდენს ენაზე ზეგავლენას? ერთადერთი გზა ამის გასაგებად არის ფატიმა ხოროშაშის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევების მსგავსი კვლევის განხორციელება.

როდესაც ეს ასე არაა. მაგალითად, მადაგასკარის საზოგადოებაში, სადაც ხალხი მერინას დიალექტზე საუბრობს (მალაგასის ენის დიალექტი), სოციალურად სწორ ქცევად ითვლება პირდაპირი დირექტივებისთვის თავის არიდება. ასე რომ, მოქმედების პირდაპირ მოთხოვნის ნაცვლად მერინაზე მოსაუბრე ეცდება ბრძანების არაპირდაპირ გადმოცემას. ასევე, ზრდილობიანად ითვლება უარყოფითი შენიშვნებისგან თავის არიდება — მაგალითად, ბრაზის გამოხატვა ვიღაცის მიმართ. მიუხედავად ამისა, ამ კონკრეტულ საზოგადოებაში ქალები და არა მამაკაცები არღვევენ ხშირად ამ წესს. ქალები უფრო პირდაპირ საუბრობენ და ხშირად გამოხატავენ სიბრაზეს.[85] შესაძლოა, ეს განსხვავება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ყიდვა-გაყიდვაში ქალები უფრო არიან ჩართულნი.

ზოგიერთი მკვლევარი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თეზას კორექტულობის პრობლემატურობის შესახებ. შესაძლოა, ჩვენ კორექტულობასთან, სისწორესთან კი არა, პრესტიჟისა და ძალაუფლების არათანაბარ გადანაწილებასთან გვქონდეს საქმე. ქალები შეიძლება შეეცადონ განამტკიცონ თავიანთი სტატუსი სტანდარტულ მეტყველებასთან დაპირისპირებით. როდესაც კითხვას აღმავალი ინტონაციით, მოდულაციით პასუხობენ, ამით, შესაძლოა, გაურკვევლობასა და ძალაუფლების ნაკლებობას გამოხატავდნენ. ამის საპირისპიროდ, შეიძლება, ქალებს სურთ, უფრო უკეთესი თანამოსაუბრენი იყვნენ და მეტყველების სტანდარტების დაცვის შემთხვევაში უფრო მარტივად აღქმულნი სხვების მიერ. კითხვაზე კითხვით პასუხი საუბრის გაგრძელებას იწვევს.[86]

მრავალენოვნება და კოდური კომუტაცია

ბევრი ადამიანისთვის უნარი, ისაუბროს ერთზე მეტ ენაზე, ყოველდღიურობის ჩვეულებრივი ნაწილია. შესაძლოა, ერთ ენაზე ოჯახში საუბრობდნენ, მეორე ენაზე — სკოლაში და მესამეზე — ბაზარში ან სამთავრობო სტრუქტურაში. ასევე, შესაძლოა ერთზე მეტ ენაზე საუბრობდნენ თვითონ ოჯახშიც კი, თუ ოჯახის წევრები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან. ზოგიერთი ქვეყანა აშკარად უჭერს მხარს მრავალენოვანებას. მაგალითად, სინგაპურს აქვს 4 სახელმწიფო ენა — ინგლისური, მანდარინი (ჩინურის დიალექტი), ტამილი და მალაი. ინგლისურს ვაჭრობისას იყენებენ, მანდარინს — ჩინეთის უმეტეს ნაწილთან საურთიერთოდ, მალაის — რეგიონთან ურთიერთობისას და ტამილს — მნიშვნელოვანი ეთნიკური ჯგუფის გამო. გარდა ამისა, მოსახლეობის უმეტესობა ფლობს ჰოკიურს, კიდევ ერთ ჩინურ დიალექტს. განათლება კი, ჩვეულებრივ, ინგლისურ ენასა და მანდარინის დიალექტზე მიმდინარეობს.

რა ხდება, როდესაც ორი ან მეტი ენის მცოდნე ადამიანები ურთიერთობენ? ძალიან ხშირად ადგილი აქვს ე.წ.

კოდურ კომუტაციას ანუ ერთზე მეტი ენის გამოყენებას დიალოგისას.[88] ასეთი „გადართვა“, შეიძლება, მოხდეს ესპანურ-ინგლისური დიალოგის დროს *"No van a bring it up in the meeting" (They are not going to bring it up in the meeting)*[89] ან ეს შეიძლება მოხდეს თემის საუბრის ცვლილებისას. რატომ ხდება ასეთი კომუტაცია (გადართვა) მიუხედავად იმისა, რომ ეს ბევრი სხვადასხვა მიზეზის გამო ხდება, აშკარაა, „გადართვას“ უცოდინრობა ან სიზარმაცე არ იწვევს. კოდური კომუტაცია გულისხმობს ორი ან მეტი ენის ცოდნას და იმის ცოდნასაც, რა ითვლება მისაღებად კონკრეტულ საზოგადოებაში და რა — არა. მაგალითად, ნიუ-იორკის პუერტო-რიკოელთა თემისთვის ერთი ენიდან მეორეზე „გადახტომა“ მეგობართა წრეში საუბრისას ჩვეული მოვლენაა, მაგრამ თუ უცნობი, ესპანურად მოლაპარაკე მოსაუბრე დაემატებათ, საუბარი თავიდან ბოლომდე ესპანურ ენაზე გადავა[90] (ეთნიკური კომუნიკაციის დეტალებს გამოყენებითი ანთროპოლოგიისადმი მიძღვნილ თავში განვიხილავთ).

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ თემს შეიძლება საკუთარი წესები ჰქონდეს ენიდან-ენაზე „გადართვა-გადახტომისთვის“, პრაქტიკის გასაგებად საჭიროა უფრო ფართო პოლიტიკური და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება. მაგალითად, გერმანულად მოსაუბრეები ტრანსილვანიაში, სადაც ადგილობრივ ენას რუმინული წარმოადგენს, ძალიან იშვიათად იყენებენ რუმინულს. შესაძლოა, ამის მიზეზი ისაა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე გერმანულად მოსაუბრენი პრივილეგირებულ კლასს წარმოადგენდნენ, რომლებიც ზემოდან უყურებდნენ უმიწო რუმინელებსა და მათ ენას. სოციალიზმის პირობებში გერმანელებმა დაკარგეს ეკონომიკური პრივილეგიები, მაგრამ ერთმანეთში გერმანულად საუბარი განაგრძეს. იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც რუმინული გერმანული საუბრისას გამოიყენება, ის დაბალ-რანგობრივ მეტყველებასთან არის გაიგივებული, როგორიცაა ვულგარული სიმღერების შესრულება. საპირისპირო მდგომარეობა შეინიშნება გერმანულად მოსაუბრე ავსტრიის უნგრულ რეგიონში. ამ სასოფლო-სამეურნეო რეგიონის ხალხი, რომლის ანექსიაც ავსტრიამ 1921 წელს მოახდინა, ღარიბი ფერმერი გლეხობა იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბიზნესის განვითარებამ მოიზიდა მუშახელი სასოფლო-სამეურნეო რეგიონებიდან. გერმანული ჩაითვალა უფრო მაღალი სტატუსის მქონე ენად და არაა გასაკვირი, რომ ახალგაზრდა თაობის საუბარში კოდური კომუტაცია გერმანულსა და უნგრულს შორის ხშირი მოვლენა გახდა. მესამე თაობაში კი გერმანული არჩევითია (გარდა უფროსებთან საუბრისა). უნგრულ-ავსტრიული ვითარება საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას ასახავს, როდესაც პოლიტიკურად დომინანტი ჯგუფის ენა დროთა განმავლობაში ლინგვისტურად დომინანტი ენა ხდება. ზოგირთი ინდივიდი ეკითხებოდა, როგორ იკითხებოდა მან და ჰე და ჰის ადამიანებს: სხვებს სთხოვეს წაეკითხათ ისეთი ფრაზები რომელშიც უფრო მეტად საშუალო სქესზე იქნებოდა ლაპარაკი. შემდეგ სთხოვეს, დაეხატათ ტექსტის შესაბამისი ნახატები. იმ პირებმა, რომლებიც მამრობითი სქესის ტერმინოლოგიით დატვირთული ტექსტი წაიკითხეს, დახატეს მამაკაცები, რაც მათი ვარაუდით, განპირობებული იყო იმით, რომ სიტყვები მან, ჰე და ჰის გულისხმობდა კაცებს და არა ქალებს. საჭიროა მსგავსი კვლევების ჩატარება, რათა დავსვათ გონივრული კითხვა, რომელი შეიქმნა პირველი, ლიგვისტური თუ არალინგვისტური კულტურა.

მნიშვნელოვანი იქნებოდა გაგვერკვია, მამრობით სქესზე ორიენტირებული ენის მქონე საზოგადოებაში უფრო დიდი როლი მამრობით სქესს ენიჭება, ვიდრე იმ საზოგადოებაში, რომელსაც არ გააჩნია მსგავსი თავისებურებანი. ჩვენ არ გვაქვს მსგავსი, შედარებითი კვლევა. მაგრამ რობერტ და რუთ მიუნროს ერთი კვლევა მიმოიხილავს მდედრობითი და მამრობითი სქესის არსებითი სახელების თანაფარდობას ათ ენაში (ექვსი ინდო-ევროპული, და ოთხი სხვა დანარჩენი), სადაც არსებით სახელებს აქვთ სქესის გაგება. მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთ ზემოთხსენებულ საზოგადოებას ვერ უწოდებ მდედრობით სქესზე ორიენტირებულს, მიუნრებმა შეძლეს, გაერკვიათ არსებობდა თუ არა, უფრო მაღალი თანაფარდობა მდედრობითი არსებითი სახელებისა, ვიდრე მამრობითი არსებითი სახელების, იმ საზოგადოებაში რომელსაც უფრო მამრობითი ელფერი დაჰკრავს სოციალური ადათწესებიდან გამომდინარე (მაგალითად ბავშვებს თანაბარი უფლებები აქვთ მემკვიდრეობის მისაღებად). ასუხი, როგორც ჩანს დადებითია. თუმცა ეს კვლევა არ გვიჩვენებს, რა იყო პირველად. მსგავსი კვლევები მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც გვსურს, გავარკვიოთ, რამდენადაა დაკავშირებული ენობრივი განსხვავებები კულტურის სხვა ასპექტებთან. თუ მამრობით სქესზე ორიენტირებული ენა არ გულისხმობს მამრის დომინანტობას, ნაკლებად სავარაუდო იქნებოდა, სექსისტური აზროვნება ენის გავლენად მიგვეჩნია.

თუ ვივარაუდებთ, რომ ენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს აზროვნებაზე, ბევრი ცდილობს, მოახდინოს ცვლილებები ინგლისური ენის გამოყენების შემთხვევებში. ძნელია ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები აიძულო ჰე საშუალო სქესის მხოლობითი ნაცვალსახელით ჩაანაცვლონ. მსგავსი ცვლილებების შეტანა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში სცადეს. მაგ ტეყ, ტჰონ, პერ და ს/ჰე. თუმცა, ამ მცდელობებმა არ გაამართლა. ისეთმა სიტყვებმა და ფრაზებმა, როგორიცაა: ცჰაირ(ან ცჰაირპერსონ), პოლიცე ოფფიცერ, სალეს ასსისტანტ(სალესპერსონ) ჩაანაცვლა მათი წინა ვერსიები მან-ის გამოყენებით. ახლა რომ უორფი წინადადებას წერდეს, ალბათ შემდეგი წინადადების მსგავს წინადადებას დაწერდა: საუბარი საუკეთესო წარმოდგენაა, რომელსაც ადამიანები დგამენ.....ენა ეხმარება ადამიანებს აზროვნებაში.

შეჯამება

1. ენის არსებითი ფუნქცია, რომელიც დიდ როლს თამაშობს ყველა საზოგადოებაში, კომუნიკაციაა. თუმცა ადამიანთა კომუნიკაცია არ არის შეზღუდული მხოლოდ სალაპარაკო ენით, ასეთი ენა არ გულისხმობს მის მნიშვნელობას, რადგან ის პირველადი მანქანაა, რომლის მეშვეობითაც კულტურის განაწილება და გადაგზავნა ხდება.
2. კომუნიკაციის სისტემები არ არის ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალება ადამიანებისათვის. ცხოველთა სხვადასხვა ჯიში უამრავი საშუალებით ურთიერთობს — ხმის, სუნის, სხეულის მოძრაობით და ა.შ. შიმპანზეებისა და გორილების უნარყ — ისწავლონ და გამოიყენონ მინიშნებითი ენა, გვაფიქრებინებს რომ სიმბოლური კომუნიკაცია მხოლოდ ადამიანებისათვის არ არის დამახასიათებელი. და მაინც, ადამიანთა ენა განსაკუთრებულია როგორც საკომუნიკაციო სისტემა, რადგან ის სალაპარაკოა და სიმბოლური დატვირთვა ნებას გვაძლევს, შევქმნათ კომბინაციებისა და შემდგომი კომბინაციების უსასრულო რაოდენობის მნიშვნელობები.
3. აღწერითი (ან სრუქტურული) ლინგვისტიკა ცდილობს, აღმოაჩინოს ფონოლოგიის წესები (ბგერების მოდელი), მორფოლოგია(ბგერითი მიმდევრობები და სიტყვები) და სინტაქსი(ფრაზებისა და წინადადებების მოდელები), რომელიც წინასწარ განსაზღრავს, როგორ იმეტყველებენ ადამიანები.
4. მონათესავე ენებისა და გრამატიკის ანალიზის მეშვეობით, ისტორიული ლინგვისტიკა ამოწმებს, რამდენად განსხვავდება გარკვეული ენები საზოგადო, სამემკვიდრეო ენისაგან ან პროტოენისაგან. მათი მიზანია, პროტოენების ფორმების რეკონსტრუქცია და იმის ხაზგასმა, თუ რამდენად გამოეყო შთამომავალი ენები პროტოენას ან ერთმანეთს, ასევე დაადგინონ მიახლოებითი დრო მსგავსი გამოყოფისა.
5. როდესაც ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხის

ჯგუფები წყვეტენ კავშირს იმიტომ, რომ ერთმანეთს ფიზიკურად ან სოციალურად გამოეყოფიან, ისინი იწყებენ პატარა ცვლილებების აკუმულირებას ფონოლოგიაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში. თუ მათი განცალკევება გაგრძელდება, ერთი ენის ორი ყოფილი დიალექტი, საბოლოოდ ცალკეულ ენებად იქცევა — ისინი ორმხრივად გაუგებარი გახდება.

6. მაშინ, როცა იზოლაცია იწვევს სამეტყველო თემებს შორის უთანხმოებას, მათი კონტაქტი მათივე მსგავსებაში უფრო შესამჩნევია. შედეგიდან უფრო აშკარა ხდება, როდესაც ორმხრივად გაუგებარი ენები წარმოადგენს ნასესხებ სიტყვებს, მათი უმრავლესობა ასახელებს ახალ ელემენტებს, რომელიც სხვა კულტურიდან არის ნასესხები.

7. ზოგიერთი მცდელობა ენების მრავალფეროვნების ახსნისა, ფოკუსირებულია ენების შესაძლებელ ინტერაქციაზე და კულტურების ასპექტებზე. მეორე მხრივ, შესაძლებელი რომ იყოს კულტურის გავლენის ჩვენება ენის სტრუქტურაზე და შინაარსზე, აღმოჩნდება, რომ ლინგვისტური მრავალფეროვნება წარმოიშვება კულტურული მრავალფეროვნებისგან. მეორე მხრივ, კულტურასა და ენას შორის არსებული გავლენის მიმართულებამ შეიძლება საპირისპირო შედეგი გამოიღოს: ლინგვისტურმა სტრუქტურამ შეიძლება კულტურის სხვა ასპექტებზე მოახდინოს გავლენა.

8. ბოლო წლებში ზოგიერმა ლინგვისტმა წამოიწყო იმ სახესხვაობების შესწავლა, რომელიც აჩვენებდა თუ როგორ იყენებდა ხალხი კონკრეტულ ენას მეტყველების დროს. ამ ტიპის ლიგვისტიკის კვლევას დაერქვა სოციოლინგვისტიკა, რომელიც დაკავშირებული იყო მეტყველების ეთნოგრაფიასთან, — ანუ კულტურული და სუბკულტურული მეტყველების მოდელებთან სხვადასხვა სოციალურ კონტექსტებში.

16 საკვების მოპოვება

თავების შინაარსი

- საკვების შეგროვება
- საკვების წარმოება
- გარემო პირობებით გამოწვეული შეზღუდვები საკვების მოპოვებისას
- საკვების წარმოების დასაწყისი, გავრცელება და ინტენსიფიკაცია

ჩვენი საზოგადოების წევრთა უმეტესობა საკვებს მაღაზიაში ყიდულობს. დაახლოებით ერთი საათში მთელი კვირის მარაგი შეგვიძლია შევიძინოთ. არა აქვს მნიშვნელობა სეზონს, ვიცით, რომ ჩავალთ მაღაზიაში და იქ დაგვხვდება ყველაფერი, რაც გვჭირდება. რა მოხდებოდა, თუკი მაღაზია საქონელს აღარ მიიღებდა? უბრალოდ, ვეღარ შევჭამდით საჭმელს და საკვების გარეშე, გარკვეული დროის შემდეგ დავიხოცებოდით. მიუხედავად ძველი აფორიზმისა, „ადამიანი მხოლოდ პურით არ ცოცხლობს," პურის (საკვების) გარეშე ადამიანი, უბრალოდ, ვერ იცოცხლებს. შესაბამისად, საკვების მოპოვება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ადამიანის საქმიანობათაგან. საკვებიდან მიღებული ენერგიის გარეშე არ იქნებოდა არც რეპროდუქცია, არც მომავალ თაობათათვის ცოდნის გადაცემა, სოციალური წესრიგი და არც გარე ძალებისაგან თავდაცვა. მაგრამ გადარჩენისათვის მხოლოდ ენერგია არ არის საკმარისი. საკვების მოპოვების სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს საკვებ ნივთიერებათა საკმარისი რაოდენობა სეზონური ცვლილებებისა და ბუნებრივი პირობების ცვალებადობის ფონზე. საკვების მოპოვებასთან დაკავშირებულ საქმიანობას უდიდესი გავლენა აქვს კულტურის სხვა ასპექტებზე, როგორიცაა მოსახლეობის რაოდენობა, დასახლებათა მუდმივობა, ეკონომიკის ტიპი, საზოგადოებრივი უთანასწორობა, პოლიტიკური სისტემა, თვით ხელოვნება და რელიგიური შეხედულებებიც კი.

თითქმის ყველა მოზრდილი ადამიანი ჩართული იყო საკვების მოპოვებაში. მილიონობით წლის განმავლობაში, საკვების მოპოვება ხდებოდა ნადირობის, შემგროვებლობისა და მეთევზეობის გზით. მიწათმოქმედება შედარებით ახალი ფენომენია, იგი დაახლოებით 10 000 წლის წინათ წარმოიქმნა. რაც შეეხება საწარმოო და მექანიზებულ სოფლის მეურნეობას, იგი სულ რაღაც ასიოდე წელიწადს მოითვლის. სახნავ-სათესი მანქანები შედარებით დიდი ხანია, რაც გამოიყენება, მაგრამ თვითმავალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მხოლოდ შიდაწვის ძრავებისა და ნავთობის მრეწველობის აღორძინების შედეგად გაჩნდა.

ამ თავში ჩვენ გავიგებთ, თუ რა გზებით მოიპოვებენ საკვებს სხვადასხვა საზოგადოებები. განვიხილავთ განსხვავებულ მაგალითებთან დაკავშირებულ დეტალებსა და თავისებურებებს. შევეცდებით გავარკვიოთ, თუ რატომ განსხვავდებიან საზოგადოებები საკვების მოპოვების სტრატეგიებში. ვნახავთ, რომ ფიზიკურ გარემოსთან დაკავშირებული შეზღუდვები მხოლოდ ნაწილია იმ შეზღუდვებისა, რომლებსაც საზოგადოება საკვების მოპოვებისას აწყდება.

საკვების შეგროვება

საკვების შეგროვება შეიძლება განსაზღვრულ იქნას, როგორც ყველა სახის არსებული ტექნოლოგია, რომლებშიც საკვების მოპოვება დამოკიდებულია ბუნებრივ რესურსებზე, ცხოველებსა და მცენარეთა ნაყოფებზე. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ გზით მოიპოვებდა ადამიანი საკვებს თავისი ისტორიის მეტი ნაწილის მანძილზე, ამჟამად საკვების შემგროვებლები, რომლებიც **ფურაჟერების** (მომპოვებლების) ან **მონადირე-შემგროვებელთა** სახელით არიან ცნობილნი, დედამიწის მხოლოდ მიყრუებულ და ე.წ. ზღვრულ მხარეებში ცხოვრობენ, უდაბნოებში, არქტიკულ ტუნდრასა და ტროპიკების ხშირ ტყეებში, ადგილებში, რომლებიც თითქმის არ ექვემდებარებიან სასოფლო-სამეურნეო დამუშავებას.

ანთროპოლოგები დაინტერესებული არიან იმ საზოგადოებებით, რომლებიც საკვების შემგროვებლობას ეწევიან და ჯერ კიდევ ექვემდებარებიან დაკვირვებას. მათი შესწავლა დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორი იყო ადამიანი წარსულში, როდესაც ყველა საზოგადოება ნადირობა-შემგროვებლობას ეწეოდა. თუმცა არსებობს მიზეზები, რომელთა გამოც დასკვნებისას სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. მომპოვებელი საზოგადოებები მეტად განსხვავებულ გარემო პირობებში ცხოვრობდნენ, ზოგი არქტიკულ და ტროპიკულ უდაბნოებში, ზოგი კი მეტად უხვ და ბუნებრივად მდიდარ ადგილებში[1]. ამრიგად, მათი გამოცდილება სრულიად განსხვავებული იქნება და ამ გამოცდილების განზოგადებითი დასკვნები რეალობისაგან შორს იქნება. მეორე მიზეზი გახლავთ ის, რომ თანამედროვე მომპოვებელი საზოგადოებები წარსულის გადმონაშთები არ არიან. ყველა სხვა თანამედროვე საზოგადოების მსგავსად, ისინი ვითარდებოდნენ და ახლაც ვითარდებიან. უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ საერთო წინაპრებისაგან წამოსული თანამედროვე შემგროვებელი საზოგადოებები შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეკონომიკური ქცევისა და სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისით. ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე მომპოვებლები რეაგირებენ გარემო პირობების ცვლილებებზე[2]. მესამე მიზეზი კი გახლავთ ის, რომ ახლო წარსულისა და თანამედროვე მომპოვებელი საზოგადოებები ურთიერთობენ საზგადოების იმ ტიპებთან (მიწათმოქმედ, მეჯოგე და ძლიერი სახელმწიფოს მქონე საზოგადოებებთან3), რომლებიც 10 000 წინათ არ არსებობდნენ. მრავალი მომპოვებელი სულ უფრო დამოკიდებული ხდება მიწათმოქმედებაზე, ვაჭრობაზე, კომერციაზე. ამრიგად, დღევანდელი სურათი საგრძნობლად განსხვავდება წარსულისაგან.

განვიხილოთ მსოფლიოს ორი, ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული რეგიონი, სადაც ცხოვრობენ თანამედროვე საკვების შემგროვებლები. ეს რეგიონებია ავსტრალია და ჩრდილოეთ ამერიკის არქტიკა.

ავსტრალიელი აბორიგენები

სანამ ავსტრალიის კონტინენტზე ევროპელები მივიდოდნენ, ყველა ადგილობრივი მცხოვრები საკვების შემგროვებლობით იყო დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ აბორიგენთა ცხოვრების წესი საკმაოდ შეიცვალა, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ გიბსონის უდაბნოს ბინადარი ნგატატჯარას ტომის ცხოვრება, რომელიც 1960-იან წლებში აღწერა რიჩარდ გოულდმა, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ნადირობითა და ველურ მცენარეთა ნაყოფის შეგროვებით ირჩენდნენ თავს[4]. მკითხველს ვთხოვთ, გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ მიუხედავად აწმყო დროში თხრობისა, როგორც ეს მიღებულია ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში, ჩვენ გაცნობთ 1960-იანი წლებში არსებულ ვითარებას.

ნგატატჯარას საცხოვრებელი ბუნებრივი გარემო გამოირჩევა სიმშრალითა და სიცხით. ნალექების წლიური რაოდენობა 8 დიუმს არ აღემატება, ხოლო ტემპერატურამ ზაფხულში, შესაძლოა, ფარენჰეიტით 118 გრადუსს მიაღწიოს. მცირერიცხოვანი მუდმივი ჭები ერთმანეთისაგან კვადრატული კილომეტრობით ქვიშით, ბუჩქნარითა და კლდეებით დაფარული სივრცით არის დაშორებული. ეს მხარე ევროპელთა გამოჩენამდეც მეჩხერად იყო დასახლებული, შემდეგ კი მოსახლეობამ კიდევ უფრო იკლო, რაშიც დიდი როლი შეასრულა შემოტანილმა დაავადებებმა და მტრობამ მოსულთა და ადგილობრივთა შორის.

ჩვეულებრივი დღის დასაწყისში ბანაკი იღვიძებს მზის ამოსვლამდე მცირე ხნით ადრე. ბავშვებს გზავნიან წყლის მოსატანად და ხალხი საუზმობს წინა დღეს მორჩენილი საკვებით. მოზრდილები საუბრობენ და გეგმავენ, სად წავიდნენ საჭმლის მოსაგროვებლად, გუშინდელ ადგილზე თუ ახალი ადგილი იპოვონ? ხანდახან, შესაძლოა, ვინმეს განსხვავებული აზრი გაუჩნდეს. მაგალითად, ქალებმა მოისურვონ რაღაც მცენარის ქერქი ფეხსაცმლის გასაკეთებლად. როდესაც ისინი გადაწყვეტენ, რომელ ადგილებში ეძებონ საჭირო მცენარეები, იღებენ მიწის სათხრელ ჯოხებს და ბანაკიდან გადიან. თავზე ხის ჭურ-

სქესთა ახალი პერსპექტივები

მონადირე მამაკაციდან შემგროვებელ ქალამდე და შემდგომ

ანთროპოლოგებმა იციან, რომ საკვების შეგროვება მნიშვნელოვანი რამ გახლავთ. ადამინთა ყველა საზოგადოება, უკანასკნელი 10 000 წლის გამოკლებით, საკვების მომპოვებელი გახლდათ. 1966 წელს ჩატარდა მნიშვნელოვანი კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ რიჩარდ ლი და ერვინ დევორი. ამ კონფერენციის მიზანი იყო დაედგინათ, თუ რა იცოდნენ ანთროპოლოგებმა მომპოვებელი საზოგადოების შესახებ. კონფერენციას და წიგნს, რომელმაც ასახა ამ კონფერენციის მსვლელობა და შედეგები, სახელად „მონადირე კაცი“ ეწოდა, იმის გამო, რომ სიტყვა „კაცი“ ხშირად გამოიყენება ზოგადად ადამიანის აღსანიშნავად. თუმცა, ამგვარი სახელით თითქოსდა უგულვებელყვეს ქალის როლი საზოგადოებაში, რადგანაც ქალები ნადირობაში ნაკლებად მონაწილეობენ. მეცნიერები არ ფიქრობდნენ ქალთა როლის იგნორირებას ზოგადად, ლი მიუთითებდა კიდეც, რომ ისეთი მომპოვებელი საზოგადოებები, როგორიც არის, მაგალითად, კუნგის ტომი, ძირითადად შემგროვებლობით მოპოვებული პროდუქტებით იკვებება. ამ საქმიანობას კი, არსებითად, ქალები ეწევიან. მიუხედავად ამისა, კონფერენციაც და წიგნიც აღიარებდნენ, რომ ძირითადი როლი მაინც ნადირობას ენიჭება.

აშშ-ში მიმდინარე ქალთა მოძრაობის ზრდასთან ერთად, ანთროპოლოგიაში გამყარებული ეს მოსაზრება შეიცვალა. დაისვა ახალი კითხვები: რას აკეთებდნენ ქალები? რამდენად იღებდნენ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში და მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობებში? რამდენ ხანს მუშაობენ? რამდენად თავისუფალნი არიან ისინი მეგობრის არჩევაში? რა სახის გადაწყვეტილებებს იღებენ? რა გავლენა აქვთ ქალებს?

1981 წელს გამოვიდა ფრენსის დალბერგის წიგნი, სათაურით „შემგროვებელი ქალი”. ავტორმა იცოდა, რომ შემგროვებლობა, როგორც წესი, არ გახლავთ საკვების მოპოვების ძირითადი გზა მომპოვებელ საზოგადოებებში. შესაძლოა, შემგროვებლობა მნიშვნელოვანია თანამედროვე მომპოვებლებისათვის, როგორებიც არიან კუნგის ტომი და ავსტრალიელი აბორიგენები, მაგრამ შედარებით ცივი კლიმატის მქონე რეგიონებში (სადაც თანამედროვე ეპოქაში მომპოვებელ საზოგადოებებს ნაკლებად შევხვდებით) შემგროვებლობა ძირითადი არ გახლავთ. თუ შევისწავლით ახლო წარსულის მომპოვებელ საზოგადოებებს, აღმოვაჩენთ, რომ მათი უმეტესობა, პირველ რიგში, დამოკიდებული იყო მეთევზეობაზე, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე შემგროვებლობა ან ნადირობაც კი. თევზეული მეტი კალორიით უზრუნველყოფს ადამიანს. ასეთ შემთხვევაში, რატომ — „შემგროვებელი ქალი?“ მიუხედავად იმისა, რომ ავტორს პირდაპირ არ განუცხადებია ამის შესახებ, ვფიქრობთ, სათაურის მიზანი ქალთა როლის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება გახლდათ. ჩვენ ვიცით, რომ საკვების მომპოვებელი საზოგადოებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან საკვების მოგროვების მეთოდებში, ასე რომ, არც „მონადირე კაცი“ და არც „შემგროვებელი ქალი“ არ ასახავს სწორად საქმის ვითარებას. უფრო ზუსტი იქნებოდა სათაური „საკვების შემგროვებელნი“ ან „მომპოვებელი ადამიანები“. მარათალია, ეს სათაურები ისეთი მჟღერი არაა, როგორც „მონადირე კაცი“ ან „შემგროვებელი ქალი“, მაგრამ სამაგიეროდ იგი უფრო სამართლიანი იქნებოდა გენდერული თვალსაზრისით.

ჭლები უდგათ, რომელშიც სასმელი წყალია. ბავშვები აქეთ-იქით დადიან ან მიწაზე კოტრიალობენ. ამასობაში კი, მამაკაცები წყვეტენ, თუ სად უნდა ინადირონ და სად ჩაუსაფრდნენ ემუს, სირაქლემას მსგავს დიდ ფრინველს, რომელიც ვერ დაფრინავს. მამაკაცები მიემართებიან ჩასაფრების ადგილისაკენ და ელოდებიან ნადავლის გამოჩენას. ისინი მოთმინებით წვანან მიწაზე და ცდილობენ, შეუმჩნეველნი დარჩნენ, რათა საშუალება მიეცეთ ემუ ან სულაც კენგურუ მოინადირონ. მონადირეებს მხოლოდ ერთი შესაძლებლობა ექნებათ, რადგან თუკი ნადირი დაფრთხა და შუბებმა მიზანს ვერ მიაღწია, ამ დღეს ცხოველები აღარ გამოჩნდებიან.

შუადღისათვის ქალები და მამაკაცები, როგორც წესი, ბანაკში ბრუნდებიან. ქალების ჭურჭლები ნაყოფებით არის სავსე. მამაკაცები უფრო ხშირად უმნიშვნელო ნადავლით ბრუნდებიან, მაგალითად, ხვლიკებითა და კურდღლებით. მამაკაცთა ნადავლი ნაკლებად საიმედოა, ვიდრე ქალებისა, ამიტომაც ნგატატჯარას ტომის რაციონი ძირითადად მცენარეული საკვებისაგან შედგება. დღის განმავლობაში მომზადებულ საჭმელს ტომის წევრები საღამომდე მიირთმევენ. ნაშუადღევის შემდეგ დღის დარჩენილი ნაწილი დასვენებას, საუბარს და იარაღების კეთება-შეკეთებას ეთმობა. აბორიგენები ძველთაგანვე მომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ. ბანაკები მხოლოდ მცირე რაოდენობის ხალხისაგან შედგებოდა ან რამდენიმე ჯგუფისგან, რომლებშიც ადამიანების რიცხვი 80-ს თუ აღწევდა. ბანაკები არასოდეს ეწყობოდა წყალთან ახლოს, რათა არ დაეფრთხოთ ნადავლი და არ გადაემტერებინათ მეზობელი ტომები, რომლებიც ასევე ნადირობდნენ წყალთან მისულ ცხოველებზე.

დღეს მრავალი აბორიგენი დაფუძნებულ ცხოვრებაზე გადავიდა და სოფლებში დაიდო ბინა. 1980-იან წლებში ვიქტორია ბერბანკი მუშაობდა ერთ-ერთ ასეთ სოფელში, რომელსაც „მონგროუ“ უწოდა. ეს სოფელი ავსტრალიის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე მდებარეობს. ოდესღაც მომთაბარე აბორიგენები ამჟამად ერთ ადგილზე ცხოვრობენ. სოფლის მოსახლეობა 600 სულს აღწევს. იგი პროტესტანტული მისიის ირგვლივ, 1950-იან წლებში დაარსდა. აბორიგენების სახლებში დგას ღუმელები, მაცივრები, არის ტუალეტები, სარეცხი მანქანები და ტელევიზორებიც კი. ბავშვები სკოლაში დადიან. სოფელს საკუთარი საავადმყოფოც აქვს. აბორიგენები ჯერ კიდევ ეწევიან გარკვეული სახის მომპოვებლობას, მაგრამ მათი დიდი ნაწილი საკვებს მაღაზიაში ყიდულობს. ზოგი მუშაობს და ხელფასიც აქვს, თუმცა მრავალი მათგანი მთავრობის მიერ გაცემული დახმარების ჩეკებს იღებს[5].

ინუიტები (ესკიმოსები)

ავსტრალიელი აბორიგენების დიეტა, ძირითადად, მცენარეთა ნაყოფებისაგან შედგება. მაგრამ ინუიტებისათვის, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ჩრდილ-

ოეთ ამერიკის არქტიკულ სივრცეებზე სახლობენ, მცენარეული საკვები მეტად იშვიათი ხილი გახლავთ საიმისოდ, რომ რაციონის ძირითადი ნაწილი შეადგინოს. გრენლანდიიდან და ლაბრადორიდან ალიასკამდე მცხოვრები ინუიტები ძირითადად ზღვის ძუძუმწოვრებითა და თევზით იკვებებიან. სახელი „ესკიმოსი“, რომელიც ფართოდ გამოიყენება დასავლურ კულტურაში, სინამდვილეში არც ერთი იმ ტომის ენაში, რომლებიც ამერიკის არქტიკაში ცხოვრობენ, არაფერს ნიშნავს. ამ ტომების უმეტესობა თავის თავს ინუიტს უწოდებს. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ალიასკელი ინუპიაქების ცხოვრებაზე, როგორც ისინი აღწერა ერნესტ ბერჩმა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში (მომავალში „ეთნოგრაფიული აწმყო“[6]). ჩრდილოეთ ალიასკა თავისი განედისათვის შედარებით თბილი კლიმატით გამოირჩევა, თუმცა ჩვენთვის, სამხრეთის მკვიდრთათვის, ამგვარი განსაზღვრება პირობითია. ამ მხარეში ტემპერატურა თვეების მანძილზე არ ადის ნულს ზემოთ, მდინარეები ოქტომბრიდან მაისამდე გაყინულია, გარკვეული ხნით თვით ოკეანეც კი იყინება.

ინუპიაქების საკვები სეზონზეა დამოკიდებული. მაგრამ ძირითადი რესურსი ამ მხრივ მაინც ზღვის ძუძუმწოვრები (სელაპიდან დაწყებული, ვეშაპებით დამთავრებული), თევზი და ირმები არიან. სელაპზე ნადირობა გულისხმობს მიასტან კაიაკით (ცხოველთა ტყავებისაგან დამზადებული ნავი) მიახლოვებასა და დაკბილულპირიანი კაპარჭის ტყორცნაში. მოძრავი ზღვის ძუძუმწოვრის მოკვლა ერთი გასროლით ძალიან რთულია, ამიტომ ჰარპუნს მიბმული აქვს თოკი, რომლის ბოლოში ტივტივაა დამაგრებული — ეს ტივტივა მონადირეს მიანიშნებს დაჭრილი ცხოველის ადგილსამყოფელს. ხანგრძლივი დევნის შემდეგ ცხოველი იღლება და ზედაპირზე ამოდის, რის შემდეგაც მონადირეს შეუძლია იგი ნიჩბით მოკლას. შედარებით მცირე ზომის ძუძუმწოვრებზე სანადიროდ ერთი მონადირეც კმარა, ვეშაპებზე კი დიდი ჯგუფები ნადირობენ. ზამთარში, როდესაც წყალი იყინება, ნადირობის სხვა მეთოდები გამოიყენება. მონადირე პოულობს ყინულჭრილს და ელოდება სელაპის ამოსვლას საათების, ხანდახან კი დღეების განმავლობაში. როდესაც სელაპი გამოჩნდება, მონადირე მზად უნდა იყოს ერთადერთი ზუსტი ტყორცნისათვის.

ქალები კი მოკლულ ცხოველებს ჭრიან და საკვებად და შესანახად ამზადებენ. ქალთა მოვალეობაა, აგრეთვე, ტყავის დამუშავება. ისინი მცირე ცხოველებზეც ნადირობენ და თევზაობენ. თევზაობისას იყენებენ ანკესებს, შუბებს, ბადეებს. სწორედ ქალები ამზადებენ ბადეებს და ამას დროის დიდი ნაწილი მიაქვს. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი არ გამოირჩევა მცენარეული საფარის სიმდიდრით, ქალები ეწევიან შემგროვებლობასაც და აგროვებენ

თანამედროვე ინუიტი მონადირე ატარებს ირმის ქურთუკს და ტყავის ჩექმას, რომელიც დასერვის საწინააღმდეგოდ მოქმედებს საფარი ქოლგის უკან ჯდომისას ელზმირის კუნძულზე

მცირერიცხოვანი მცენარეების ნაყოფებს.

ერთმანეთთან დაკავშირებული ოჯახები ერთად ცხოვრობენ და ერთად გადაადგილდებიან ნავებით ან მარხილებით, რათა უკეთესი ადგილები აარჩიონ სანადიროდ და სათევზაოდ. მაგალითად, კარიბუს ირმების მიგრაციის დროს ინუპიაქები აგებენ სპეციალურ სარეკებს იმ ადგილას, სადაც ელოდებიან ირმების ჯოგის გავლას. ურთიერთდაკავშირებული ოჯახების ქსელი ცხოვრობს და მოძრაობს დიდ ტერიტორიაზე, რომელიც ათასობით კვადრატულ კილომეტრს მოიცავს. ამ ტერიტორიის საზღვრებს ისინი მხოლოდ მაშინ სცდებიან, როდესაც ამის შესახებ მეზობელ ჯგუფებს შეუთანხმდებიან.

მას შემდეგ, რაც ინუპიაქები პირველად აღწერეს, ბევრი რამ შეიცვალა. ამჟამად ისინი თანამედროვე კულტურის მრავალი მიღწევით სავსე სოფლებსა და ქალაქებში ცხოვრობენ. მაგალითად, სოფელ კივალინაში, სახლებში არის ელექტროენერგია, ტელეფონი და ტელევიზია. ძაღლებშებმული მარხილები მოტორიანმა მარხილებმა და ყველგანმავლებმა შეცვალა. ტყავის ნავები კი თანამედროვე მძლავრმა ძრავიანმა ნავებმა. მამაკაცების და ქალების დიდი ნაწილი სრული გრაფიკით მუშაობს და ხელფასს იღებს. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არის დარჩენილი მიდრეკილება ტრადიციული საკვებისადმი, ასე რომ, შაბათ-კვირაობით ინუპიაქები ძველებურად ნადირობენ არქტიკის სივრცეებზე.

საკვების შემგროვებელთა ზოგადი თავისებურებები

მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, რომლებიც არსებობს მომპოვებელი საზოგადოებების საცხოვრებელ პირობებსა და საკვების მოპოვების მეთოდებს შორის, ავსტრალიელი აბორიგენებიც, ინუიტებიც და სხვა საზოგადოებებიც ხასიათდებიან რამდენიმე ზოგადი ნიშნით, რომლებიც საერთოა ყველა მომპოვებელი საზოგადოებისათვის (იხილეთ ცხრილი 16-1). უმეტესწილად, ამგვარი საზოგადოებები ცხოვრობენ მცირე ჯგუფებად მეჩხერად დასახლებულ ტერიტორიებზე, არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი. როგორც წესი, წარმოდგენა არ აქვთ მიწაზე კერძო საკუთრების უფლების შესახებ. მათ საზოგადოებებს არ ჰყავთ პოლიტიკური მმართველები[7], შრომის განაწილება საკვების მოპოვების მხრივ, ძირითადად, ასაკსა და სქესზეა დამოკიდებული: მამაკაცები ნადირობენ ზღვისა და ხმელეთის მსხვილ ცხოველებზე, თევზაობენ, ხოლო ქალები, როგორც წესი, მცენარეთა ნაყოფებს აგროვებენ[8].

როდესაც ვამბობთ, რომ საკვების შემგროვებლებს გარკვეული თავისებურებები ახასიათებთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს თავისებურებები ყველა მათგანს აქვს. მომპოვებელი საზოგადოებები შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგი მათგანი სხვებზე უფრო კომპლექსურია, გარკვეული პოლიტიკური იერარქია და საზოგადოებრივი უთანასწორობით გამოირჩევა. მომპოვებელი საზოგადოებები, რომლებიც ძირითადად თევზჭერაზე არიან დამოკიდებულნი (როგორც მაგალითად, ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს და ახალი გვინეის სამხრეთ სანაპიროს საზოგადოებები), როგორც წესი, უფრო მოზრდილი და პერმანენტული თემების არსებობითა და უფრო ღრმა საზოგადოებრივი დიფერენციაციით გამოირჩევიან, ვიდრე ისინი, რომლებიც ძირითადად ნადირობასა და მცენარეთა ნაყოფებზე არიან დამოკიდებულნი[9].

არის თუ არა რაიმე ნიშანი, რომელიც საერთო იქნება საკვების ყველა შემგროვებლისათვის? მრავალი ანთროპოლოგის აზრით, მომპოვებლები თავიანთი საკვების უფრო მნიშვნელოვან წილს შემგროვებლობიდან იღებენ და არა ნადირობიდან. შესაბამისად, ქალის როლი უფრო დიდია საკვების მოპოვებაში, ვიდრე მამაკაცის. მიუხედავად იმისა, რომ შემგროვებლობა მართლაც პირველ ადგილზე დგას თავისი მნიშვნელობით ისეთი ტომებისათვის,

	საკვების შემგროვებლები	**საკვების მწარმოებლები**		
	მომპოვებლები	**მებაღეები**	**მესაქონლეები**	**ინტენსიური მიწათმოქ. მიმდევრები**
მოსახლეობის სიმჭიდროვე	უმცირესი	მცირე ან საშუალო	მცირე	უმაღლესი
თემის მაქსიმალური ზომა	მცირე	მცირე ან საშუალი	მცირე	დიდი (ქალაქები)
მომთაბარეობა/ დასახლების მუდმივობა	ძირითადად მომთაბარე ან ნახევრად მომთაბარე	შედარებით დაფუძნებული დასახლება შესაძლოა, გაადაადგილდეს რამდენიმე წლის შემდეგ	ძირითადად მომთაბარე ან ნახევრად მომთაბარ	მუდმივი დასახლებები
საკვების უკმარისობა	იშვიათი	იშვიათი	ხშირი	ხშირი
ვაჭრობა	მინიმალური	მინიმალური	ძალზე მნიშვნელოვანი	ძალიან მნიშვნელოვანი
ხელოსნობა	არ შეინიშნება	არ შეინიშნება ან ძალიან მცირედ	გარკვეული დოზით	განვითარებული
პირადი ქონების მიხედვით განსხვავება	ძირითადად არ შეინიშნება	ძირითადად მინიმალური	საშუალო	შესამჩნევი
პოლიტიკური ხელმძღვანელობა	ინფორმაციული ხასიათის	გარკვეული პოლიტიკური ხელმძღვანელობა	სრული პოლიტიკური ხელმძღვანელობა	მრავალი პოლიტიკური მოღვაწე

როგორიც არიან კუნგი და ნგატატჯარა, გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ მომპოვებელი საზოგადოებების უმეტესობაში საქმე სხვაგვარად დგას. შემგროვებლობა პირველ ადგილზე დგას საზოგადოებათა 30%-ისათვის, ნადირობა — 25%-ისათვის, ხოლო 38%-თვის პირველ ადგილზე საკვების მოპოვებაში თავისი მნიშვნელობით, დგას მეთევზეობა (ალბათ, სამართლიანი იქნებოდა ახლო წარსულის მომპოვებელთათვის მეთევზე-შემგროვებელი-მონადირეები გვეწოდებინა). ყოველ შემთხვევაში, იმის გამო, რომ თევზაობა ძირითადად მამაკაცთა საქმიანობაა, გამოდის, რომ მთლიანობაში მამაკაცები მეტად მონაწილეობენ საკვების მოპოვებაში, ვიდრე ქალები.

იმის გამო, რომ საკვების შემგროვებელნი ხშირად გადააადგილებენ თავიანთ ბანაკებს და დიდ მანძილებზე გადადიან, შესაძლოა, მოგვეჩვენოს, რომ საკვების შემგროვებლობა ცხოვრების მეტად რთული გზა გახლავთ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს საკმაო ინფორმაცია შემგროვებელთათვის დამახასიათებელი ზოგადი ტენდენციის შესახებ, ვიცით, რომ ავსტრალიელი აბორიგენები და აფრიკელი კუნგები არც თუ ისე დიდ დროს ანდომებენ საკვების მოგროვებას. კუნგის ტომის წევრები კვირაში საშუალოდ 17 საათის მანძილზე აგროვებენ საკვებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამ დროს დავამატებთ კვირის განმავლობაში იარაღებზე მუშაობის 6 საათს და საოჯახო საქმეზე დახარჯულ 19 საათს, გამოდის, რომ კუნგებს დასასვენებლად მეტი დრო რჩებათ, ვიდრე მრავალ მიწათმოქმედს.

საკვების წარმოება

დაახლოებით 10 000 წლის წინათ კაცობრიობამ მსოფლიოს მრავალ რეგიონში მოახდინა რევოლუციური გადატრიალება საკვების მოპოვებაში: დაიწყო **საკვების წარმოება**. ადამიანები შეუდგნენ მცენარეთა მოყვანას და ცხოველთა მოშინაურებას. მოშინაურებული ცხოველები და მცენარეები განსხვავდებიან მათი წინაპარი ველური ფორმებისაგან. საკვების წყაროების მოშინაურების შედეგად, ადამიანებმა მოიპოვეს კონტროლი გარკვეულ ბუნებრივ პროცესებზე, როგორიც არის, მაგალითად, ცხოველთა გამრავლება და მცენარეთა დარგვა. სადღეისოდ, მსოფლიოს ადამიანთა უმეტესობა საკვების მხრივ დამოკიდებულია მოშინაურებულ ცხოველებსა და მცენარეებზე.

ზოგადად, ანთროპოლოგები საკვების წარმოების სამ სისტემას განასხვავებენ. ესენია: მებაღეობა, ინტენსიური მიწათმოქმედება და მეჯოგეობა.

მებაღეობა

სიტყვა **„მებაღის“** ხსენებისას მრავალს თვალწინ სათბურში მოფუსფუსე ადამიანი წარმოუდგება, რომელიც ყვავილების მორწყვით არის დაკავებული. ანთროპოლოგებისათვის კი ეს სიტყვა ნიშნავს შედარებით მარტივი იარაღებით მიწის დამუშავებასა და მოსავლის მოყვანას მუდმივად დამუშავებული მიწის ნაკვეთების არარსებობის პირობებში. იარაღები, როგორც წესი, მარტივია, როგორც, მაგალითად, მიწის საჩიჩქნი ჯოხი ან ძვალი. მიწის დამუშავებისას არ გამოიყენება განოყიერება, ირიგაცია და ნიადაგის ნოყიერების შენარჩუნების სხვა გზები.

არსებობს მებაღეობის ორი სახე. შედარებით უფრო გავრცელებული სახე დამოკიდებულია **ექსტენსიურ** ანუ **საახოე კულტივაციაზე.** ამ შემთხვევაში მიწა მუშავდება ხანმოკლე პერიოდების მანძილზე, შემდეგ კი, რამდენიმე წლის განმავლობაში, მას აღარ ამუშავებენ. ამ დროის მანძილზე ნაკვეთი მცენარეული საფარით იფარება და როდესაც მოგვიანებით ნაკვეთი კვლავ გაიჩეხება და გაჩეხილი მცენარეულობა დაიწვება, ნიადაგი მდიდრდება საკვები ნივთიერებებით. მებაღეობის მეორე სახე გულისხმობს მიწის დამუშავებას ხანგრძლივი პერიოდებით, ნელა მზარდი ხეების დარგვის გზით. ორივე ეს სახე, შესაძლოა, ერთი საზოგადოების შიგნითაც გვხვდებოდეს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ ხდება ნაკვეთის პერმანენტული დამუშავება.

მებაღე საზოგადოებათა უდიდესი ნაწილი საკვების მხრივ არ არის დამოკიდებული მხოლოდ მოსავალზე. მრავალი მათგანი ეწევა ნადირობასა და მეთევზეობას. ზოგი მათგანი წლის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მომთაბარეობს. მაგალითად, ბრაზილიის ჯუნგლებში მობი-

ნადრე კაიაპოს ტომი ტოვებს თავის სოფლებს სამ თვეზე მეტი ხნით და კვალში უდგას ცხოველებს, რომლებზეც ეს ტომი ნადირობს. დევნაში მთელი სოფელი მონაწილეობს. ტომის წევრებს თან მიაქვთ საკვები ნაყოფების დიდი რაოდენობა და თავიანთ ბანაკებს ყოველდღე გადააადგილებენ. სხვა მებაღეები შინაურ ცხოველებს ზრდიან, მაგალითად, აქლემებსა და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს. თუმცა, როგორც წესი, მებაღეთა მიერ მოშენებული ცხოველები შედარებით მცირე ზომისანი არიან, როგორც, მაგალითად, ღორები, ქათმები, თხები და ცხვრები.

გადავხედოთ ორი მებაღე საზოგადოების, ბრაზილია-ვენესუელის ტყეებში მობინადრე იანომამოებისა და წყნარი ოკეანის სამხრეთის მკვიდრი სამოელების ცხოვრებას.

იანომამო ამ ტომის საცხოვრებელი ტერიტორია მთლიანად ხშირი ტროპიკული ტყეებით არის დაფარული. მათი სოფელი ჰაერიდან ტყეში გაშლილ მინდორზე აგებულ წრიულ ფაცხას ჰგავს, რომლის შიდა მხარე ღიაა და შუა, გადაუხურავ მოედანზე გადის. ყველა ოჯახს თავისი მონაკვეთი აქვს საერთო ჭერქვეშ. ეს მონაკვეთი უკან კედლით ისაზღვრება, დანარჩენი მხარეები კი ღიაა როგორც ცენტრალური მოედნის, ისე მარცხენა და მარჯვენა მეზობლების მხარეებზე. იანომამოს ინდიელები კალორიების უმეტესობას მებაღეობის პროდუქტებით იღებენ, მაგრამ რეიმონდ ჰეიმსის თქმით, იანომამოს ტომი თავისი დროის უდიდეს ნაწილს მომპოვებლობას უთმობს.

სანამ მცენარეთა თესვას დაიწყებდნენ, ისინი ადგილს ასუფთავებენ ხეებისა და ბუჩქებისაგან. საახოე მიწათმოქმედების მიმდევართა მსგავსად, ისინი იყენებენ გაჩეხვისა და დაწვის მეთოდებს. 1950-იან წლებამდე მათ მხოლოდ



იანომამოელი ბიჭი თლის მანიოკას.

ქვის ნაჯახები ჰქონდათ, ამიტომ ხეების მოჭრა რთული საქმე იყო. ამჟამად იანომამოებს აქვთ რკინის მაჩეტები და ნაჯახები, რომლებიც მათ მისიონერებისაგან მიიღეს ან შეიძინეს.

იმის გამო, რომ ნაკვეთის გაწმენდა შრომატევადი საქმეა, იანომამოები არჩევენ ისეთ ადგილებს, სადაც შედარებით ნაკლებად არის ბუჩქები და დიდი ხეები. მიწის გაწმენდის შემდეგ ისინი თესავენ ისეთ კულტურებს, როგორიცაა ტკბილი კარტოფილი, მანიოკი, ტარო, აგრეთვე სამკურნალო მცენარეების ნაირსახეობებსა და იარაღებისათვის საჭირო მასალების მომცემ მცენარეებს. ბაღის გაწმენდის მძიმე სამუშაოებს მამაკაცები ასრულებენ და ქალებთან ერთად რგავენ მცენარეებს. ქალები, როგორც წესი, ყოველდღიურად სტუმრობენ ბაღებს, მარგლავენ მას და ნაყოფს აგროვებენ. ორი ან სამი წლის შემდეგ ნაკვეთის ნაყოფიერება იკლებს და ტყის მოძალებაც იწყება, რაც ნიადაგის დამუშავებას ართულებს და ნაკლებად მიმზიდველს ხდის. ამიტომ ინდიელები ტოვებენ მიწის ნაკვეთს და ახალი ადგილის დამუშავებას იწყებენ. თუკი ეს შესაძლებელია, ცდილობენ ნაკვეთი სოფელთან ახლოს იყოს. თუკი ახალი ბაღი სოფლიდან ძალიან შორს არის, ტომი საცხოვრებელ ადგილს ტოვებს და ახალ ბაღთან სიახლოვეს გადადის. საერთოდ, სოფლების გადაადგილება საშუალოდ 5 წელიწადში ერთხელ ხდება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ახალი მიწების დამუშავება, ისე სხვა ტომებთან ომი. ტომებს შორის თავდასხმები საკმაოდ ხშირია, ასე რომ ადამიანები ხშირად იძულებულნი ხდებიან, გადააადგილონ თავიანთი საცხოვრებელი.

ექსტენსიური დამუშავების წესი ბევრ მიწას მოითხოვს, რადგან ნაკვეთის ხელახლა გაწმენდა არ ხდება მანამ, სანამ ტყე ისევ არ დაფარავს მას. ხშირად გაუგებარია, რატომ არის მნიშვნელოვანი ბაღების გადაადგილება, გადამწვარ ველზე თესვაც უფრო ადვილია, ფერფლი კი ნოყიერებას უწყობს ხელს. თუკი მებაღეები დაუბრუნდებიან ისეთ ნაკვეთს, რომელიც ჯერ კიდევ მცირედ არის დაფარული მცენარეებით, ამ ნაკვეთიდან ნაკლებ მოსავალს აიღებენ.

იანომამოს მცენარეული რაციონი არ უზრუნველყოფს მათ ცილის აუცილებელი რაოდენობით, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია ნადირობა და თევზაობა. მამაკაცები მშვილდ-ისრით ნადირობენ ფრინველებზე, მაიმუნებზე, ტაპირებსა და პეკარიებზე. აგრეთვე, თევზაობენ ქალებთან და ბავშვებთან ერთად. თევზებს ხელით, მცირე მშვილდ-ისრებით ან მდინარის მოწამვლით იჭერენ. ყველა აგროვებს თაფლს, პალმის გულს, ბრაზილიურ თხილსა და ქეშუს კაკალს. მომპოვებლობას, ჩვეულებრივ, სოფლის მიმდებარე ადგილებში ეწევიან, თუმცა, კაიაპოს მსგავსად, იანომამოსაც შეუძლია დროდადრო ნადირის კვალდაკვალ მომთაბარეობა.

სამოელები 1839 წელს, როდესაც კუნძულებზე ევროპელი მისიონერები გამოჩნდნენ, სამოელთა რაოდენობა 56 000 სულს აღწევდა. სამოას კუნძულები, რომლებიც ჰავაის კუნძულებიდან 2300 მილის სამხრეთით მდებარეობს, ვულკანური წარმოშობისაა. მათი ცენტრალური ქედები და მწვერვალები ზღვის დონიდან 2000 მეტრს აღწევს. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა დაახლოებით 200 დუიმი (რაც ხუთჯერ აღემატება ნიუ-იორკის მაჩვენებელს), თუმცა ამგვარი მაღალი ნალექიანობა ადგილობრივ მცხოვრებთათვის სერიოზულ პრობლემებს არ ქმნის, რადგანაც თავსხმა წვიმები დიდხანს არ გრძელდება, წყალი კი სწრაფად იწოვება კუნძულების ფოროვან ვულკანურ ნიადაგში. ტემპერატურა შედარებით სტაბილურია და ფარენჰეიტით 70-80 გრადუსებს შორის მერყეობს. გამუდმებით ქრის ძლიერი პასატური ქარები, ძირითადად, აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ და სანაპიროზე გამუდმებით ისმის რიფებზე დამსხვრეული ოკეანის ტალღების გუგუნი.

სამოას მებაღეობა ემყარება სამ ძირითად ხე-მცენარეს, რომელთა მოვლის ყველაზე შრომატევადი ნაწილი

ნაყოფის კრეფაა. პურის ხე ნაყოფს დარგვიდან რამდენიმე წელიწადში ისხამს და შემდგომი ნახევარი საუკუნის მანძილზე წელიწადში ორ მოსავალს იძლევა. ქოქოსის ხე ას წლამდე აგრძელებს ნაყოფის მოსხმას, ბანანის ხე კი მუდმივად ახალ-ახალ ნაყოფს ისხამს ასევე მრავალი წლის განმავლობაში. მისი ერთი ღეროს მოჭრიდან მცირე ხანში ახალი ამოდის. ნაყოფს, ძირითადად, ჭაბუკები აგროვებენ. ქალები ხეებს რწყავენ, თუმცა იშვიათად.

სამოელები საახოე მიწათმოქმედებასაც ეწევიან. მამაკაცები დროდადრო მიწის მცირე ნაკვეთებს წმენდენ ტაროს დასათესად. ტაროს ნაკვეთები რამდენიმე მოსავალს იძლევა, სანამ ისევ ბუჩქნარით დაიფარება და ნიადაგს დასვენების საშუალება მიეცემა. ტაროს ბევრი მოვლა არ სჭირდება. თესვა არ მოითხოვს არაფერს, გარდა წვერწათლილი ყლორტის მიწაში ჩარჭობისა. თესვას და მოსავლის აღებას ძირითადად ახალგაზრდა მამაკაცები ეწევიან. ტაროს მორწყვა იშვიათად სჭირდება და ეს ქალთა მოვალეობაში შედის. მუშაობის ამგვარი მანერა გაკვირვებულს ტოვებდა ევროპელებს და აფიქრებინებდა მათ, რომ პოლინეზიელები ბუნებით ზარმაცი ხალხი იყო, როგორც ამას აგვიწერს კაპიტანი ბლაი თავის წიგნში „აჯანყება ბაუნტიზე“. ეს შეხედულება ეთნოცენტრული იყო. წყნარი ოკეანის სამხრეთ კუნძულებზე, როგორიცაა სამოა ან ტაიტი, შეუძლებელია ისე ხშირად მორწყვა, როგორც ეს ევროპაში ხდება, რადგან ეს ნიადაგის ეროზიას გამოიწვევს. ევროპისაგან განსხვავებით, სადაც დამუშავებული მიწები ძირითადად სწორ ადგილებზე მდებარეობს, პოლინეზიის კუნძულებზე უმეტესწილად დაქანებული რელიეფია. სამოელებისა და ტაიტელების მიერ კულტურულ მცენარეთა ველურ გარემოში დარგვა ნიადაგს ეროზიისაგან იცავს. მცენარეთა ფესვების ღრმა სისტემა ნიადაგს წვიმების შედეგად ზღვაში ჩარეცხვისაგან იცავს.

სამოელებს ჰყავთ, აგრეთვე, ღორები და ქათმები, რომელთა ხორცს იშვიათად მიირთმევენ. ცხოველური ცილის ძირითადი წყარო მათ რაციონში თევზია. სამოელები რიფის შიდა და გარე მხარეებში თევზაობენ. ჭაბუკები ღია ზღვაში მიცურავენ და თევზებს შუბებით იჭერენ. შედარებით ასაკოვანი მამაკაცები რიფზე დგანან და ოთხკბილა შუბებით თევზაობენ. სამოელები მრავალი წლის მანძილზე ყიდდნენ კოპრას, ქოქოსის ხის მზეზე გამომშრალ გულს, რომლიდანაც ქოქოსის ზეთს ხდიან. მამაკაცები კოპრას თავისით წაქცეული ხეებიდან აგროვებენ. მიღებული ფულით ყიდულობენ მნიშვნელოვან ნივთებს — მაჩეტებს, ნავთს და ფქვილს. სოფლების უმეტესობაში მოხმარებული საკვების მეტ ნაწილს თავადვე ამზადებენ, მაგრამ მრავალი ადამიანი მოზრდილ კუნძულებზე გაშენებულ ქალაქებში, ჰავაიზე ან კონტინენტურ შტატებში გადავიდა სამუშაოს მოსაძებნად.

მებაღე საზოგადოებათა საერთო ნიშნები მებაღე საზოგადოებათა უმეტესობაში მეურნეობის წარმოების მარტივი მეთოდები მეტ საკვებს უზრუნველყოფს, ვიდრე შემგროვებლობა. შედეგად, მებაღეობა საშუალებას იძლევა შეიქმნას უფრო მჭიდროდ დასახლებული და დიდი თემები. მებაღეები ნაკლებად გადაადგილდებიან, თუმცა, შესაძლოა რამდენიმე წელიწადში ერთხელ მათაც შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი. ზოგი მებაღე საზოგადოება საერთოდ დამკვიდრებულ ცხოვრებას ეწევა, რადგანაც ისინი დამოკიდებულნი არიან ხე-მცენარეებზე, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ისხამს ნაყოფს. ახლო წარსულის საკვების შემგროვებელი საზოგადოებებისაგან განსხვავებით, მებაღეებში შეიმჩნევა სოციალური დიფერენციაციის საწყისები. მაგალითად, ზოგი პიროვნება, შესაძლოა, ხელოსნების ან პოლიტიკური ხელმძღვანელობის მონაწილე იყოს და ერთი ჯგუფის ზოგ წარმომადგენელს სხვებზე მაღალი სოციალური სტატუსი ჰქონდეს საზოგადოებაში.

ინტენსიური მიწათმოქმედება

ინტენსიურ მიწათმოქმედებაში ჩართული ადამიანები მათ განკარგულებაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით ნიადაგს პერმანენტულად ამუშავებენ. საიმისოდ, რომ ნიადაგმა ნაყოფიერება შეინარჩუნოს, საჭიროა მისი განოყიერება სხვადასხვა სასუქი ნივთიერებებით, რომლებიც შეიძლება იყოს ორგანული წარმოშობის (ძირითადად, ესაა ადამიანისა და ცხოველთა ექსკრემენტები) ან არაორგანული ანუ ქიმიური სასუქი. თუმცა, არსებობს ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების სხვა ხერხებიც. კენიელი ლუოს ტოში, მაგალითად, სიმინდთან ერთად ლობიოს თესავენ. ამ უკანასკნელის ფესვებში წარმოქმნილი ბაქტერიები გამოყოფს აზოტს, სიმინდის ღერო კი ლობიოსათვის საყრდენის როლს ასრულებს. ზოგი საზოგადოება ირიგაციის მეშვეობით ხელოვნურად ანაწილებს წყალს მახლობელი მდინარეებიდან და წყალსატევებიდან დამუშავებული მიწებისაკენ. კულტურების მონაცვლეობით თესვა და მოსავლის აღებას გადარჩენილი ნამჯეულის ხვნის დროს მიწაში ჩაბრუნება, აგრეთვე, კვების წყაროს წარმოადგენს ნიადაგისათვის.

მთლიანობაში, ინტენსიურ მიწათმოქმედებაში გამოყენებული ტექნოლოგია ბევრად რთულია, ვიდრე მებაღეობაში გამოყენებული ინსტრუმენტები. ჯოხების ადგილი გუთანს უკავია. თუმცა, ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოებს შორის ტექნოლოგიების მხრივ უზარმაზ-

ამერიკის სამოას კუნძულებზე იშვიათია სწორი ადგილები, რომელთა დამუშავებაც შესაძლებელია. ნიადაგის ეროზიის თავიდან ასაცილებლად, კულტურული მცენარეები ველური მცენარეულობის გვერდით იზრდება. მიწის მთლიანად გასუფთავებისა და მონოკულტურული მეურნეობის წარმოების შემთხვევაში, ხშირი თავსხმა წვიმები სწრაფად ჩარეცხავდნენ ნიადაგს.

ვიეტნამის სოფლებს ინტენსიურად მოჰყავს ბრინჯი წყლიან მინდვრებში, წყლის ბუფალოსა და სათხრელების გამოყენებით.

არი განსხვავება შეიძლება არსებობდეს. თუკი ზოგ საზოგადოებაში მთავარი იარაღი ხარებშებმული გუთანია, აშშ-ში მინდვრებს დიდი ტრაქტორები ამუშავებენ, რომლებიც ერთდროულად ხნავენ, თესავენ და ნიადაგს ანოყიერებენ.

გადავხედოთ ინტენსიური მიწათმოქმედების ორ საზოგადოებას: სოფლებს საბერძნეთსა და ვიეტნამში.

აგრარული საბერძნეთი (ბერძნული სოფელი) rural Greece სოფელი ვასილისკა ბეოტიის ველზე, პარნასის მთის ძირშია განლაგებული. ერნესტინ ფრიდლის აღწერით, 1950-იან წლებში სოფელში დაახლოებით 220 ადამიანი ცხოვრობდა. ყურძენს და ხორბალს სოფლელები თავიანთი შიდა საჭიროებისათვის აშენებენ. სამინათმოქმედო წელიწადი იწყება მარტში, ვენახის სხვლითა და ნიადაგის გაფხვიერებით, რაც მამაკაცთა სამუშაოა. ღვინოს სექტემბერში წურავენ — მას შემდეგ, რაც პურის მოსავალს იღებენ, მამაკაცები, ქალები და ბავშვები ყურძენს კრეფენ და დიდ კალათებში აგროვებენ. ყურძენს მამაკაცები წურავენ. მაჭარი, საჭირო რაოდენობის შაქრის და სხვა ინგრედიენტების დამატების შემდეგ, ჭურჭლებში ნაწილდება და იხუფება. ადგილობრივები მაჭარში ამატებენ აგრეთვე ფისს, სპეციალური არომატისთვის.

სოფლელები მინდვრების მოსახნავად ცხენშებმულ გუთნებს იყენებენ. ხნავენ ოქტომბერში, ნოემბერში კი ხელით თესავენ ხორბალს. მარცვლის მოსავალი შემდეგ ზაფხულს მოიწევა. ამ საქმეს ძირითადად მანქანები ეწევიან. სოფლელთა რაციონის საფუძველს ხორბალი შეადგენს, რომლისგანაც ამზადებენ პურს, ბურღულეულს და ფაფებს. მას ხშირად ცვლიან სხვა პროდუქტშიც (თევზი, ზეთისხილის ზეთი და ყავა).

ძირითად კომერციულ კულტურებს აქ ბამბა და თამბაქო წარმოადგენს. მათ გასაყიდად აშენებენ. საბერძნეთი საკმაოდ მშრალი ქვეყანაა, ამიტომ ბამბის მოყვანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ირიგაციას. სოფლები იყენებენ დიზელზემომუშავე ძრავებით აღჭურვილ წყალსაქაჩებს. ბამბის მინდვრებში რთული სამუშაოები საგაზაფხულო ხვნათესვის შემდეგ იწყება, როდესაც ნორჩი ამონაყარი უნდა შეიფუთოს. ამ სამუშაოს ძირითადად ქალები ასრულებენ. ბამბის ზრდის სეზონი მათთვის განსაკუთრებით მძიმე და შრომატევადია, რადგან სახლში მუშაობის გარდა, ბამბის მინდვრებშიც უწევთ მუშაობა. მორწყვა ივლისში იწყება და მამაკაცთა სამუშაოს წარმოადგენს. ის სეზონის განმავლობაში, ჩვეულებრივ, სამჯერ ტარდება და არხების დასუფთავებასაც მოიცავს. ბამბას ოქტომბერში კრეფენ. ამ სამუშაოს ძირითადად ქალები ასრულებენ. ბამბის კრეფისას, თუკი ნაკვეთს 5 აკრზე მეტი ფართობი უჭირავს, პატრონი ქირაობს თანასოფლელ ქალებს სამუშაოსთვის. ხშირად სხვა, შორი-ახლო დასახლებებში მცხოვრებ ადამიანებსაც ქირაობენ. ბამბას კონტრაქტორები ამუშავებენ, რომლებიც მნიშვნელოვან ცენტრებში არიან განლაგებული და თავიანთ სამუშაოში გლეხის მიერ მიტანილი ბამბის 6%-ს იღებენ. დამუშავებისას მიღებული თესლი შემდეგი წლისათვის ინახება. ნარჩენები კოპტონის სახით მუშავდება, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ცხვრებს აჭმევენ. თამბაქო ბამბაზე უფრო შემოსავლიანია.

მეცხოველეობა სოფლის ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდ როლს არ ასრულებს. ყველა ფერმერს ჰყავს ცხენები მძიმე სამუშაოებისათვის, ჯორი ან ვირი, რამდენიმე ცხვარი და შინაური ფრინველი. ვასილისკელი ფერმერები მზად არიან თანამედროვე ტექნოლოგიების მისაღებად, განსაკუთრებით კი მექანიზაციის. თუკი საშუალება აქვთ, ტრაქტორებსაც ქირაობენ. სოფელში ხშირად იწვევენ სპეციალისტებს სამეურნეო საკითხებში. ბერძენი ფერმერები ნამდვილი ფერმერები არიან და ტექნიკურ საკითხებში, იქნება ეს წყლის საქაჩის შეკეთება თუ მოსავლის აღების ახალი ტექნოლოგია, ამჯობინებენ მცოდნეთა რჩევას მოუსმინონ.

აგრარული ვიეტნამი: მეკონგის დელტა (ვიეტნამური სოფელი) 1950 წელს, როდესაც მეკონგის დელტაში განლაგებული სოფელი ხან-ჰაუ ჯერალდ ჰიკიმ აღწერა, იქ 600 ოჯახი ცხოვრობდა. დელტის მხარე ტროპიკული კლიმატით ხასიათდება, სადაც წვიმების სეზონი მაისიდან ნოემბრამდე გრძელდება. მთლიანობაში ეს ადგილები მხოლოდ გაძლიერებული დრენაჟის შედეგად ხდება საცხოვრებლად ვარგისი. ბრინჯის მოყვანა ხან-ჰაუს მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა. ეს საქმიანობა წარმოადგენს კომპლექსურ სისტემას, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: 1.ირიგაციისა და წყლის დონის კონტროლი; 2.საგანგებო მოწყობილობები, გუთნების, წყლის წისქვილების, სატვირთო საშუალებებისა და საცერი მანქანების ჩათვლით; 3.სოციალურ-ეკონომიკური როლების მკვეთრად ჩამოყალიბებული სისტემა, დაწყებული მიწათმფლობელიდან და მოიჯარიდან, მუშებით დამთავრებული.

მშრალი სეზონის განმავლობაში ფერმერები წყვეტენ რომელი ბრინჯი დათესონ: ხანგრძლივი დამწიფების (120დღიანი) თუ ხანმოკლე დამწიფების (90დღიანი). არჩევანი დამოკიდებულია არენდის ვადაზე, სასუქების ფასზე, ბრინჯზე მოსალოდნელ მოთხოვნაზე და ა.შ. ნაკვეთები სათესად უკვე მაისში მზადდება, როდესაც ნიადაგი წვიმების შედეგად რბილდება. ნიადაგი 6-ჯერ იხვნება და ფხვიერდება 2-დღიანი ინტერვალებით, რომელთა განმავლობაშიც მიწა „ნიავდება“. ამ დროის მანძილზე ბრინჯის თესლები ლბება წყალში ორი დღით, რათა მათგან აღმონაცენი იქნას მიღებული. თესვამდე კიდევ ორჯერ ხნავენ და აფხვიერებენ მიწას. ხნულები ერთმანეთისადმი მართი კუთხით არის განლაგებული.

თესვა მეტად ფაქიზი საქმეა, რომელიც სწრაფად და წესების დაცვით უნდა ჩატარდეს. ამ საქმეს ძირითადად მამაკაცები ასრულებენ. თუმცა, კარგი მოსავლისთვის მხოლოდ სწორად თესვა არ კმარა. დიდი როლი ეკისრება სწორ განოყიერებასა და ირიგაციას. მორწყვისას საჭიროა ზუსტად იქნას დაცული წყლის დონე მინდვრებში. წყლის მიწოდება მექანიკური საქაჩებით, წყლის ბორბლებითა და არხებით ხდება. ბრინჯი სექტემბრის ბოლოდან მაისამდე მწიფდება და მოსავლის მოსაწევად მთელი ოჯახი მუშაობს. მას შემდეგ, რაც მოსავალი აღებულია, მას არჩევენ, ცრიან და აშრობენ. მიღებული ბრინჯი სამ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი ოჯახის საჭიროებათათვის ინახება, მეორე ნაწილი დაქირავებული შრომისა და სხვა გადასახადების (მაგალითად, ბანკების კრედიტის) გასტუმრების მიზნით, ხოლო მესამე ნაწილი — კი ბაზარზე გასაყიდად. ქალების შრომა, მოსავლის აღების გამოკლებით, ძირითადად სახლის სამუშაოებით შემოიფარგლება. თუმცა, მცირემიწიან ოჯახებში ახალგაზრდა გოგონები

მინდვრის სამუშაოებშიც მონაწილეობენ, უფროსები კი, შესაძლოა, ქირით მუშაობდნენ სხვა ნაკვეთებში.

ბრინჯთან ერთად სოფლელებს მოჰყავთ ბოსტნეული, ჰყავთ ღორები, ქათმები და ხშირად თევზაობენ. სოფლის ეკონომიკა, როგორც წესი, უზრუნველყოფს სამ-ოთხ ხელოსანსა და რამდენიმე დურგალს.

ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოებათა საერთო ნიშნები ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოებებში უფრო ხშირია ქალაქები და სხვა მსხვილი დასახლებული პუნქტები, ვიდრე მებაღეები. აგრეთვე, განვითარებულია ხელოსნობა და ხელოსნების დაოსტატება, აღინიშნება შესამჩნევი დიფერენციაცია უფლებებისა და ქონების მხრივ. კვლევები ადასტურებს, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოების წევრები მუშაობენ უფრო მეტს, ვიდრე მებაღეები. მამაკაცის საშუალო სამუშაო დრო დღის განმავლობაში 9 საათს გრძელდება, ხოლო ქალისა — 11 საათს. ქალთა შრომა ამგვარ საზოგადოებებში ძირითადად საკვების დამუშავებას უკავშირდება, თუმცა ისინი მინდორშიც მუშაობენ. ქალთა შრომასთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებს ჩვენ შემდეგ, სქესისა და კულტურის შესახებ საუბრისას დავუბრუნდებით.

ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოებები უფრო ხშირად დგანან საკვების უკმარისობის წინაშე, ვიდრე მებაღე-შემგროვებლები. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს: ინტენსიური მიწათმოქმედება ხომ უფრო მეტი საკვების გამომუშავების საშუალებას იძლევა, ვიდრე მებაღეობა. საქმე ისაა, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოებებში მიწათმოქმედებს მოსავალი ბაზარზე გასატანად მოჰყავთ, ეს კი მეურნეებს უბიძგებს ისეთი კულტურების შერჩევისაკენ, რომლებიც საუკეთესოდ გაიყიდება და არა ისეთის, რომელიც უფრო მედეგია კლიმატის უეცარი ცვლილებებისადმი ან ნაკლებ შრომასა და ნიადაგის დამუშავებას მოითხოვს. მოსავლის მრავალგვარობა ხშირად საკვების უკმარისობისაგან დამცავი მექანიზმის ფუნქციას ასრულებს. როდესაც მოსავალი მრავალფეროვანია, მას ნაკლები საფრთხე ემუქრება ისეთი ფაქტორებისაგან, როგორიცაა ამინდის ცვალებადობის, მცენარეთა დაავადებების, მავნე მწერების შემოსევისა და ა.შ. გასათვალისწინებელია აგრეთვე საბაზრო ფაქტორიც. თუკი მიწათმოქმედების პროდუქტზე საბაზრო ფასები მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ფერმერი თავისი ნაშრომის გაყიდვით დაგეგმილზე ნაკლებ ფულს მიიღებს და შესაბამისად, ვეღარ შეძლებს იმ პროდუქტების ყიდვას, რომლებიც მისთვის, შესაძლოა, მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

მიწათმოქმედების კომერციალიზაცია და მექანიზაცია ზოგი მიწათმოქმედი თავისი შრომის პროდუქტებს საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებს და არა გასაყიდად. მაგრამ მსოფლიოში არსებული ტენდენციით, მიწათმოქმედები სულ უფრო მეტად ხდებიან ბაზარზე ორიენტირებულნი. ამგვარ ტენდენციას **კომერციალიზაცია** ეწოდება. იგი, შესაძლოა, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში დაიწყოს და გულისხმობს ვაჭრობაზე მზარდ დამოკიდებულებას, რომელშიც გაცვლის ერთეულად ფული გვევლინება.

მზარდი კომერციალიზაცია რამდენიმე თანმხლები ტენდენციით ხასიათდება. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ფერმერული შრომის მექანიზაცია და ფიზიკური შრომის როლის სულ უფრო შემცირება. ამ ფაქტორს უკავშირდება სამუშაო ძალის გადინება სოფლის მეურნეობიდან წარმოების სხვა დარგებში. მეორე ტენდენცია გახლავთ აგრობიზნესის წარმოშობა. აგრობიზნესი არის მსხვილი, ხშირად ტრანსეროვნული კომპანიების მიერ მიწათმფლობელობა და მიწაზე დაქირავებული შრომის გამოყენება. მაგალითისთვის განვიხილოთ, როგორ შეიცვალა ბამბის მეურნეობა აშშ-ში მე-20 საუკუნეში. ოცდაათიან წლებში მიწების სახნავად გამოყენებული ცხენები და ჯორები ტრაქტორებმა შეცვალა. ამ ცვლილებამ მსხვილ მიწათმფლობელებს საშუალება მისცა, რომ უარი ეთქვათ მოიჯარეებთან თანამშრომლობაზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბამბის შემგროვებელმა მანქანებმა თითქმის მთლიანად შეცვალა ხელით შრომა. მრავალი ფერმერისათვის ძვირადღირებული ტექნიკის შეძენა რთული ან სულაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ ბევრი მათგანი სამუშაოს მოსაძებნად ჩრდილოეთის შტატებისაკენ გაეშურა, ხოლო სამხრეთის აგრარული სექტორი მსხვილი ბიზნესის არენად გადაიქცა. მესამე ტენდენცია, რომელიც დაკავშირებულია მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კომერციალიზაციასთან, გახლავთ ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის კლება. მაგალითად, დღევანდელ აშშ-ში ფერმებში მოსახლეობის მხოლოდ 2% მუშაობს.

შემდეგ თავებში ჩვენ უფრო სრულად განვიხილავთ იმ ცვლილებებს, რომლებიც მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკამ გამოიწვია.

„საბაზრო მომპოვებლობა" ინდუსტრიულ საზოგადოებებში ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ და კანადა, საკვებს აწარმოებენ ინტენსიური მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ბაზაზე. წარმოებაში მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ჩართული. საკვების მწარმოებლები თავიანთი პროდუქციის ბაზრებზე, დისტრიბუტორთათვის და საკვების გადამამუშავებელი ფირმებისათვის მიყიდვით ცხოვრობენ. საზოგადოების უმეტეს ნაწილს წარმოდგენა არ აქვს, როგორ უნდა მოიყვანოს ხორბალი ან მოაშენოს ცხოველები. საკვები იყიდება მაღაზიებში და ისინიც ჩვენი სიმშვიდის დაურღვევლად მარაგდება. დახლებზე დაწყობილი პროდუქცია შეფუთული და დახარისხებულია. იგი სრულიად სხვაგვარად გამოიყურება, ვიდრე დამუშავებამდე. ამრიგად, საზოგადოების უდიდესი ნაწილი „საბაზრო მომპოვებლები ვართ" ანუ ადამიანები, რომლებიც თავიანთ საკვებს დახლებიდან იღებენ. როგორც ამას ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილ თავში ვიხილავთ, ამ დროს ჩვენი ქცევა რაღაცით იმ მომპოვებელთა ქცევას წააგავს, რომლებიც უსიერ ტყეებში ცხოვრობენ და ველურ მცენარეთა ნაყოფებს აგროვებენ, თუმცა, რასაკვირველია, სხვაობაც დიდია. რომ არა უაღრესად განვითარებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ჩვენ არ გვექნებოდა დიდი ქალაქები, ათასობით განსხვავებული სპეციალობა, რომელთაგან იშვიათად თუ რომელიმე ეხება საკვების წარმოებას; არ გვეყოლებოდა ცენტრალიზებული ხელისუფლება და არ გვექნებოდა მრავალი ის მახასიათებელი, რომელიც ჩვენს კულტურას აქვს თანამედროვე ეტაპზე.

მესაქონლეობა

მიწათმოქმედი საზოგადოებების უმეტესობა ცხოველების მოშენებასაც ეწევა, მაგრამ ძირითად საქმიანობად მესაქონლეობა საზოგადოებების მხოლოდ მცირე ნაწილისათვის განიხილება. ამგვარი საზოგადოებები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი თავიანთი საქონლის ჯოგებზე, რომლებიც ბუნებრივ საძოვრებზე იკვებებიან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მესაქონლეები ცხოველებს საკვებად გამოყენების მიზნით აშენებენ, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. ისინი ცილის ძირითად ნაწილს თავიანთი ცხოველების რძიდან და ხანდახან სისხლიდანაც იღებენ, რომელსაც სხვა პროდუქტებში ურევენ. ჯოგები ხშირად არაპირდაპირი გზით უზრუნველყოფენ მესაქონლეებს საკვებით, რადგან მათ ცვლიან სხვა საკვებ პროდუქტებში. ძირითადად, ამგვარი გაცვლა მიწათმოქმედებთან ხდება ხოლმე და სწორედ ამ გაცვლიდან იღებენ მესაქონლეები თავიანთი საკვების მნიშვნელოვან ნაწილს. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის ზოგი მესაქონლე ჯგუფის ცხოვრება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ე.წ. „აღმოსავლური ხალიჩების" გაყიდვაზე, რომლებიც მათ მიერ მოშენებული ცხვრის მატყლისაგან მზადდება.

ქვემოთ განვიხილავთ ორ მესაქონლე საზოგადოებას: სკანდინავიელ ლაპებს ანუ საამებს და ირანში მცხოვრებ

საამის მკვიდრი კვებავს მის ორ ცხოველს.

ბასერის ტომს.

ბასერი ეს ტომი, რომელიც 1960-იან წლებში აღწერა ფრედერ ბარტმა, დაახლოებით 16000 ადამიანისაგან შედგება. ბასერები კარვებში მცხოვრები მომთაბარე ხალხია. ისინი ძირითადად ცხვრებისა და თხების მოშენებით არიან დაკავებულნი, თუმცა აქლემებსა და ვირებსაც აშენებენ, რომლებსაც ტრანსპორტად იყენებენ. შედარებით მდიდრებს ცხენებიც ჰყავთ. რეგიონი, რომელშიც ბასერის ტომი მომთაბარეობს, დაახლოებით 15000 კვადრატული მილის ფართობს მოიცავს და ნალექების რაოდენობა წელიწადში 10 დიუმის ტოლია. ბასერის ტომის მესაქონლეობა მუდმივ გადაადგილებას და საძოვრების ექსპლოატაციას ეფუძნება. ზამთარში, როდესაც ჩრდილოეთით მდებარე მთები თოვლით იფარება, სამხრეთის მინდვრები მშვენიერი არჩევანია საქონლის გამოსაკვებად. გაზაფხულის განმავლობაში უკეთესი საძოვრები ტერიტორიის ცენტრალურ ადგილებშია. ზაფხულში, როდესაც დაბლობების დიდი ნაწილი გამომშრალია, ცხვრის ფარების გამოკვება მთებში, ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარე საძოვრებზე შეიძლება.

ყოველწლიური მიგრაციები იმდენად მნიშვნელოვანია ბასერის ტომისა და სხვა მესაქონლე საზოგადოებებისათვის, რომ მათ საგანგებო გზების სისტემაც კი შეიმუშავეს, რომელსაც „ილ-რაჰ“ ანუ ტომთა გზა ეწოდება. მთავარ ტომებს, როგორიც არის, მაგალითად, ბასერი, თავიანთი ჩამოყალიბებული და ტრადიციული გზა და განრიგი აქვთ. ეს განრიგი შეიცავს მითითებებს, თუ რომელ ადგილას, როდის და რა თანამიმდევრობით უნდა მივიდეს მომთაბარე. გზა კომუნიკაციის ხაზებს მიუყვება. მოძრაობის განრიგი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როდის რომელ ადგილს უნდა ესტუმრონ, დამოკიდებულია საძოვრების სიმწიფესა და სხვა ტომების მოძრაობაზე. „ილ რაჰ“ განიხილება როგორც ტომის საკუთრება. ადგილობრივი მოსახლეობა და ხელისუფლები ცნობენ ტომის უფლებებს და ბასერებიც დაუბრკოლებლად აძოვებენ ფარებს საზოგადოებრივ მიწებზე, მოძრაობენ გზებზე, სარგებლობენ ბუნებრივი ჭებით.

ბასერები ცხვრებსა და თხებს ერთად მწყემსავენ. მწყემსები, როგორც წესი, ახალგაზრდა უცოლო მამაკაცები ან ჭაბუკები არიან და თითოეულ მათგანს 300-400 სულისაგან შემდგარი ფარა აბარია. ორივე სქესის ბავშვები კრავებსა და ციკნებზე არიან პასუხისმგებლები. ძირითადი მოხმარების პროდუქტი ბასერისთვის რძე და რძის ნაწარმი გახლავთ, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატყლსა და ტყავებსაც. ტომის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია ხორციც. ტყავი და მატყლი ვაჭრობის საგანიც არის და ტომის საჭიროებათათვისაც მეტად ინტენსიურად გამოიყენება. ბასერები, განსაკუთრებით ქალები, მეტად დახელოვნებული მქსოველები და მრთველები არიან და მათი დროის ძირითადი ნაწილი სწორედ ამ საქმიანობას მიაქვს. მათ მიერ გაკეთებული ჩანთები და ხურჯინები, ისევე, როგორც ხალიჩები, ქეჩები და ნაბდები, სპეციალურ, ხელით ნაკეთებ დაზგებზე იქსოვება. თხის მატყლისაგან გაკეთებული ქეჩები განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა, კარგად იკავებს სითბოს, არ ატარებს წყალს, ზაფხულში კი იცავს სიცხისაგან და ხელს არ უშლის ჰაერის ცირკულაციას. ძალზე სასარგებლოა აგრეთვე ტყავისაგან გაკეთებული გუდები, რომლებიც წყლის, რძისა და რძის ნაწარმის, ასევე სხვა სითხეების შესანახად გამოიყენება.

ბასერების უმეტესობა ვაჭრობით შოულობს ფულს იმ აუცილებელი ნივთებისა და ფუფუნების საგნების შესაძენად, რომლებსაც ტომი არ აწარმოებს. ბასერები ყიდიან კარაქს, მატყლს, ტყავებს, თოკებს და იშვიათად — ცოცხალ პირუტყვს.

ლაპები სკანდინავიელი ლაპები ანუ საამები ირმების მომშენებელი ტომია, რომელიც ფინეთის, ნორვეგიისა და შვედეთის სასაზღვრო მიწებზე მომთაბარეობენ. ეს ტიპური არქტიკული მხარეა, ცივი და ქარიანი. მზე წელიწადში ექვსი თვე არ ჩანს. ლაპების ცხოვრებაში ბოლო პერიოდში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა, თუმცა, განვიხილავთ ცხოვრების იმ წესს, რომელიც აქ 1950-იან წლებში არსებობდა. ეს წესი იან ვიტეკერმა და ტ.ი. იტკონენმა აღწერეს.

ლაპები თავიანთ ჯოგებს ორგვარად მწყემსავენ. ერთი გზა არის ინტენსიური მწყემსვა, ხოლო მეორე — ექსტენსიური. პირველის დროს ჯოგი მთელი წლის მანძილზე მწყემების მეთვალყურეობით მოძრაობს წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე. ამგვარი მესაქონლეობა ხელს უწყობს ირმებისა და სხვა ცხოველების ადამიანებთან შეჩვევას. აქედან გამომდინარე, ზაფხულში ჯოგების დაყოფა და მდედრების მამრებისაგან გამოცალკევება შედარებით გაადვილებულია. ექსტენსიური მეთოდის დროს ჯოგები მთელი წლის მანძილზე თავისუფლად მოძრაობენ და მათ მხოლოდ ორიოდე მწყემსი ადევნებს თვალს. სხვა ლაპები კი ჯოგთან მხოლოდ მაშინ რჩებიან, როდესაც საზაფხულო სადგომებზე წასვლის დრო დგება. ამგვარი მესაქონლეობის დროს ჯოგების დაცალკევება და თავმოყრა შედარებით გართულებულია, რადგან ცხოველები მიუჩვეველნი არიან ადამიანებთან ურთიერთობას.

თუმცა, თვით ექსტენსიური მეჯოგეობის დროსაც

ანთროპოლოგიური უცნაურობები

ჰანის ტომის ჩინელები, რომლებიც დიდი კედლის ჩრდილოეთით გადასახლდნენ

გარემო პირობები (როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე და კულტურული ადაპტაციისაკენ უბიძგებს მას. ამის მაგალითია ჩინური ჰანის ტომი, რომელიც მოსახლეობის სიჭარბის გამო, ჩინეთის დიდი კედლის ჩრდილოეთით გადასახლდა, მხარეში, სადაც ყოველთვის არ არის ისეთი პირობები, რომლებიც ამ ხალხისთვის დამახასიათებელი ინტენსიური მიწათმოქმედებისათვის იქნებოდა შესაფერისი. ამიტომ, მრავალი ჰანი უკან, თავის მიწაზე დაბრუნდა. ხოლო მათი ცხოვრება, ვინც ახალ მხარეში დარჩენა ამჯობინა, ნელ-ნელა იქვე მცხოვრები მონღოლების ცხოვრებას დაემსგავსა.

„1988-1990 წლების ზაფხულში ჩვენ შიდა მონღოლეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შევედით. მოვინახულეთ ორი საზოგადოება, რომელთა წინაპრები დასახლდნენ ადგილებში, სადაც გუთნის, თოხებისა და ჩრდილოეთ ჩინეთისათვის დამახასიათებელი სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით მიწათმოქმედების წარმოება შეიძლებოდა. როდესაც ჩინგანის მთები დასავლეთის მიმართულებით გადავლახეთ, გავედით უზარმაზარ ველზე, რომელიც გარე მონღოლეთისა და ციმბირისაკენ იშლება. აქ ჩვენ ჰანის ორი მესაქონლე საზოგადოების შესწავლა გადავწყვიტეთ.

. . . აქ დასახლებული ჰანები უფრო აქაურ მონღოლებს დაემსგავსნენ, თუ ჰანის ხალხის იმ ნაწილს, რომლებმაც საძოვრების საზღვრებზე დაიდეს ბინა და მიწათმოქმედებას მიჰყვეს ხელი? . . . როდესაც ჰანებმა პირველად დაიწყეს მესაქონლეობა, მერძევეობა მათი დაფუძნებული ცხოვრების გამომხატველი საქმიანობა გახლდათ. ქვიშიან გორაზე (ერთი საზოგადოების დასახლება) ანაზღაურებაში რძის პროდუქტებიც შედიოდა, დიდ საძოვარზე (მეორე საზოგადოების დასახლება) კი მრავალი მოსახლე ყიდდა თივას, აშენებდა ცხვრებს და თევზაობდა. მონღოლები, თავიანთი შედარებით მომთაბარე ცხოვრების გამო, ცხვრების მოშენებას არჩევდნენ. ისინი იშვიათად თიბავენ თივას და იშვიათად თევზაობენ, რადგან ეს ორი საქმიანობა ხელს უშლის მეცხვარეობას. მიწათმოქმედების მსგავსად, მესაქონლეობაც იწვევს გარკვეულ მსგავსებებს საზოგადოებებს შორის. მას შემდეგ, რაც ჰანებმა მეცხვარეობას მიჰყვეს ხელი, მონღოლებმა კი — მერძევეობას, მათი ადრინდელი განსხვავება შედარებით ნაკლებად თვალშისაცემი გახდა. ჰანმა მწყემსებმა იურთებში დაიწყეს ცხოვრება, ხოლო მონღოლმა მერძევეებმა მუდმივი საცხოვრებლები ააგეს ახლომდებარე ქალაქში, სკოლებისა და რძის ჩამბარებელი სადგურების მახლობლად. ოჯახების სიდიდე და სტრუქტურა მეცხვარეობისათვის მოხერხებული გახდა. ორივეგან გვიან ქორწინდებიან, წყვილები ხშირად გადადიან ცალკე საცხოვრებლად და უფრო მცირე ოჯახებს ქმნიან, ვიდრე მონღოლი და ჰანი მიწათმოქმედები. ამის გათვალისწინებით, მესაქონლე ჰანები მესაქონლე მონღოლებს უფრო ჰგვანან, ვიდრე მიწათმოქმედ ჰანებს ან მონღოლებს.

კი, რომელიც თეორიულად საშუალებას უნდა აძლევდეს ლაპებს, რომ საკვების მოპოვების სხვა საშუალებებსაც მიმართონ (მაგალითად ნადირობას ან თევზაობას), ირკვევა, რომ სწორედ მეჯოგეობა რჩება ამ ადამიანების კვების ძირითად (თუ ერთადერთ არა) წყაროდ. როგორც კვლევებმა აჩვენა, 4-5 მოზრდილი ადამიანისაგან შემდგარი ოჯახის გამოსაკვებად, სულ მცირე, 200 ირმისაგან შემდგარი ჯოგია საჭირო. ძირითადად ოჯახებს, დაახლოებით, 500 ირმისაგან შემდგარი ჯოგები ჰყავთ, თუმცა შესაძლებელია, რომ ოჯახს 1000 ირემიც ჰყავდეს. წარსულში, ინტენსიური მესაქონლეობის პირობებში, ქალებსაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება მწყემსვაში, მაგრამ ახლა, ექსტენსიური მეთოდის პირობებში, მწყემსობა მამაკაცთა საქმეა. საკვებად ხარირმების ხორცს იყენებენ. ირმების დაკვლა შემოდგომაზე, შეწყვილების პერიოდის შემდეგ დგება. ფურირმებს ლაპები გასამრავლებლად ტოვებენ. ხორცი და ტყავები გამოიყენება როგორც ოჯახის საჭიროებისათვის, ისე გასაყიდად. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა მწყემსობის საშუალებებიც. მარხილების ნაცვლად, ლაპები ახლა ყველგანმავლებით, მოტორიანი მარხილებითა და ვერტმფრენებითაც კი აკონტროლებენ თავიანთი ჯოგების მოძრაობას. ირმების ტრანსპორტირება ხდება დიდ მანძილებზე და მწყემსები ერთმანეთს მობილური ტელეფონებით ესაუბრებიან. სწრაფი ტრანსპორტის გამოჩენის შემდეგ ლაპებს საშუალება მიეცათ, ერთ ადგილზე დაფუძნებულად იცხოვრონ და რამდენიმე საათში აღმოჩნდნენ თავიანთი ჯოგის ადგილსამყოფელთან. ბავშვები დროის დიდ ნაწილს სკოლაში ატარებენ და ნაკლები დრო რჩებათ ირმების მოშენების შესასწავლად. ნორვეგიის მთავრობამ საერთოდ მესაქონლეობის რეგულირება დაიწყო. ირმების მოსაშენებლად ახლა ლიცენზიაა საჭირო და ჯოგის რიცხოვნობა კანონით არის განსაზღვრული და მრავალ ლაპის (ან, როგორც ისინი ამჯობინებენ, რომ იწოდებოდნენ, საამის) ირმები უკვე აღარ ჰყავს.

მესაქონლეობის საერთო ნიშნები ახლო წარსულში მესაქონლეობას ძირითადად სტეპებსა და სხვა ნახევრად უდაბნო ადგილებში მისევდნენ, რომლებიც საკმაოდ მოუხერხებელი იყო მიწათმოქმედებისათვის მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მხარდაჭერის, მაგალითად, ირიგაციის გარეშე. მესაქონლეთა უმეტესობა მომთაბარეა. ჯოგებისათვის ახალი საძოვრების ძიების გამო, მათი საცხოვრებელი ადგილები ხშირად იცვლება. თუმცა, ზოგი მესაქონლე საზოგადოება უფრო ბინადარ ცხოვრებას ეწევა. მათ, შესაძლოა, შეცვალონ საცხოვრებელი ადგილი წელიწადის დროების მიხედვით ან გამოყონ რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც ჯოგების მწყემსვა დაევალებათ. მესაქონლე საზოგადოებები, როგორც წესი, მცირერიცხოვანია და ერთმანეთან დაკავშირებული ოჯახებისაგან შედგება. პიროვნებებსა და ოჯახებს, შესაძლოა, საკუთარი ცხოველები ჰყავდეთ, მაგრამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ სად და როდის წაასხან ჯოგები, მთელი საზოგადოება იღებს.

როგორც ვიხილეთ, მიწათმოქმედებსა და მესაქონლეებს შორის მეტად მჭიდრო კავშირი არსებობს და ისინი მნიშვნელოვნად არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი. ისინი უფრო ხშირად განიცდიან საკვების უკმარისობას, ვიდრე მებაღეები და მომპოვებლები. მესაქონლეები, ძირითადად, გვალვიან რეგიონებში სახლობდნენ, თუმცა თანამედროვე მესაქონლეებს პოლიტიკური წნეხის

სადაც ადრე ბიზონები დანავარდობდნენ, ახლა ხორბალი იზრდება. კომბაინები ხორბლის მკის პროცესში. კანზასი, აშშ.

შედეგად სასიცოცხლო არეალი საკმაოდ შეუმცირდათ. მობილურობამ საძოვრების გამოფიტვის საფრთხე მნიშვნელოვნად შეამცირა, მაგრამ საძოვარი ტერიტორიების შემცირებამ მათი გამოფიტვისა და გაუდაბურების რისკი საგრძნობლად გაზარდა.

გარემო პირობებით გამოწვეული შეზღუდვები საკვების მოპოვებისას

რატომ აქვს სხვადასხვა საზოგადოებას საკვების მოპოვების სხვადასხვა წესი, ანთროპოლოგთა შორის უდიდეს ინტერესს იწვევს. არქეოლოგიური მტკიცებულებები მოწმობს, რომ საკვების მოპოვებაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები, როგორიცაა ცხოველთა და მცენარეთა მოშინაურება, მსოფლიოს რამდენიმე რეგიონში ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოხდა. მაგრამ მიუხედავად განვითარების მსგავსებისა და მათი მიგრაციისა და აღრევის შედეგად გავრცელებისა, კვლავ ნარჩუნდება მნიშვნელოვანი განსხვავებები ადამიანების მიერ საკვების მოპოვებაში.

რა გავლენას ახდენს გარემო საკვების მოპოვების წესზე? ანთროპოლოგების აზრით, გარემო იმდენად განმაპირობებელ როლს არ თამაშობს, რამდენადაც შეზღუდავს. თბილი სეზონის ხანმოკლეობის გამო, ცივ რეგიონებში თითქმის შეუძლებელია მცენარეთა მოყვანა. არქტიკის არც ერთი საზოგადოება არ ეწევა მიწათმოქმედებას. ისინი, საკვების მხრივ, მთლიანად ცხოველებზე არიან დამოკიდებულნი. როგორც ვნახეთ, ასეთ მხარეებში შესაძლებელია როგორც საკვების შემგროვებელი (ინუიტები), ისე საკვების მწარმოებელი (საამები) საზოგადოებების არსებობ. კულტურათაშორისი მსგავსებები ადასტურებს, რომ არც შემგროვებლობა და არც წარმოება არ არის დაკავშირებული გარემო პირობებთან.

ცნობილია, რომ ოდესღაც დედამიწის ყველა მხარეში ადამიანი საკვებს სწორედ შემგროვებლობით მოიპოვებდა. ფიზიკური გარემო გარკვეულ გავლენას, რასაკვირველია, ახდენს იმაზე, თუ რას აგროვებენ შემგროვებლები და შესაბამისად, რაზე იყვნენ დამოკიდებულნი, ცხოველებზე, თევზებსა თუ მცენარეთა ნაყოფზე. ეკვატორიდან მოშორებით შემგროვებლები ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი ნაყოფებზე და ბევრად მეტად – ცხოველებსა და თევზებზე. ლუის ბინფორდის აზრით, ჰავის გამკაცრებასთან ერთად, თევზაობის მნიშვნელობაც იზრდება, რადგან შემგროვებელ ადამიანებს ზამთრის ცივი პერიოდში მყარი, თბილი საცხოვრებელი სჭირდებათ, რომელიც მათ ყინვისაგან დაიცავს. აქედან გამომდინარე, მათ არ შეუძლიათ ნადირობის იმედად დარჩენა, რადგან ცხოველები, როგორც წესი, დიდ მანძილზე გადაადგილდებიან საკვების საპოვნელად. თევზაობა უფრო ლოკალიზებულია და შესაბამისად, საკვების შემგროვებლებს, რომლებიც მეთევზეობას ეწევიან, შეუძლიათ ზამთრის განმავლობაში დაფუძნებულ ცხოვრებას მისდიონ.

თუმცა, არსებობს ისეთი ბუნებრივი გარემოც, რომელიც ახლო წარსულამდე შემგროვებლობას გამორიცხავდა. რომ არა საკვების მწარმოებელთა, კერძოდ კი მიწათმოქმედთა სიახლოვე, ისეთი შემგროვებლები, როგორებიც იყვნენ ცენტრალურ აფრიკაში მოსახლე მბუტის ტომის ხალხი, ვერ შეძლებდა ტროპიკულ ტყეში, სადაც ისინი ამჟამად ცხოვრობენ, თავის რჩენას. ტროპიკული ტყეები მდიდარია მცენარეულობით, მაგრამ არა ადამიანისათვის ადვილად მოპოვებადი და საკვები ნაყოფით. აქ მრავლად სახლობენ ცხოველებიც, მაგრამ ისინი, როგორც წესი, გამხდრები არიან და არ უზრუნველყოფენ ადამიანის ორგანიზმს საკმარისი კარბოჰიდრატებითა და ცხიმით. მბუტის ტომის მსგავსად, რომლებიც ნადირობენ და ტყის ნაყოფებს აგროვებენ, ტროპიკების ბინადარი მრავალი შემგროვებელი ვაჭრობს მიწათმოქმედებთან საკვების მისაღებად. სხვა შემგროვებლები, ნადირობასა და შემგროვებლობასთან ერთად, პრიმიტიულ მიწათმოქმედებასაც ეწევიან. სავარაუდოა, რომ საკვების შემგროვებლები ვერ გადარჩებოდნენ ტროპიკულ ტყეებში იმ კარბოჰიდრატების გარეშე, რომლებსაც ისინი იღებენ მიწათმოქმედთაგან შეძენილი პროდუქტების წყალობით.

როდესაც ვსაუბრობთ მებაღეობისა და ინტენსიური მიწათმოქმედების შესახებ, ფიზიკური გარემო საშუალებას გვაძლევს, ავხსნათ ბევრი მომენტი. მარტივი მიწათმოქმედების ან მებაღეობის მიმდევარი საზოგადოებების დაახლოებით 80% ტროპიკულ რეგიონებშია დაფიქსირებული, მაშინ როდესაც ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოებათა 75% ტროპიკებს გარეთ არის განლაგებული. მიუხედავად იმისა, რომ ტროპიკები უხვი წვიმებითა და მდიდარი და მრავალფეროვანი მცენარეული საფარით ხასიათდება, ეს რეგიონები არცთუ ისე ხელსაყრელია ინტენსიური მიწათმოქმედების სასარგებლოდ. შესაძლოა, ხშირი წვიმების გამო ნიადაგიდან აუცილებელი ნივთიერებების გამორეცხვა ხდება, ხოლო უამრავი სარეველა მცენარისა და მწერის არსებობა დამატებით სირთულეებს ქმნის. ყოველივე აღნიშნულის გამო, ინტენსიური მიწათმოქმედება ტროპიკებში, ძირითადად, ნაკ-

გამოყენებითი ანთროპოლოგია

საკვების მოპოვების გავლენა გარემოზე

ამჟამად მრავალი ადამიანია შეშფოთებული გარემოს ინდუსტრიული დაბინძურების გამო. ნიადაგსა და წყალში მრეწველობის ნარჩენები ჩაედინება, ჰაერში ქარხნების მილებიდან ამოფრქვეული კვამლის სვეტები იფანტება. ამ აშკარა საფრთხის გვერდით კი შეუმჩნეველი რჩება ის დიდი და ხშირად მეტად უარყოფითი გავლენა, რომელსაც გარემოზე საკვების მოპოვება ახდენს. თუნდაც ირიგაცია ავიღოთ. წყლის განაწილებისა და გადატანის მრავალი გზა არსებობს. შეიძლება მდინარეების წყლის არხებში გადაგდება, წვიმის წყლის შეგროვება მიწის ხელოვნურ ტერასებზე. შესაძლებელია ძველ დროში მიწისქვეშ დაგროვილი წყალსაცავებიდან წყლის ამოქაჩვა და ასე შემდეგ. მაგრამ გამოყენებული წყალი მთლიანად მიწაში არ მიდის. მისი ნაწილი ორთქლდება და მიწაზე მარილებსა და მინერალებს ტოვებს. რაც უფრო ინტენსიურია ირიგაცია, მით მეტია აორთქლებაც და შესაბამისად, ნიადაგის დამარილებაც. საბოლო ჯამში, მიწა იმდენად მარილიანი ხდება, რომ მისი დამუშავება შეუძლებელია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სწორედ მსგავსი მოვლენა გახდა წარსული რამდენიმე საზოგადოების გაქრობის მიზეზი. მაგალითად, ნიადაგის გამარილიანება, შესაძლოა, ყოფილიყო შუამდინარეთის პირველი კულტურის, შუმერთა საზოგადოების, დაცემის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება, აგრეთვე, ჰოკოჰამის ტომის ინდიელთა ხვედრიც, რომლებიც არიზონაში ცხოვრობდნენ და დაახლოებით 150 მილის სიგრძისსაირიგაციოარხებსაგებდნენ. ზოგი ამ არხთაგანი ოთხ-ნახევარი მეტრის სიღრმისა და შვიდ-ნახევარი მეტრის სიგანისა იყო. ჰოკოჰამის საირიგაციო ქსელი თავისი მასშტაბებით აცტეკების საირიგაციო ნაგებობებს უტოლდებოდა. ამ ხალხმა თავისი საცხოვრებელი მხარე დააახლოებით ახ.წ. 1400 წლისათვის მიატოვა უცნობი მიზეზების გამო. შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ მარილიანი ნიადაგი მათ საკვებით ვეღარ უზრუნველყოფდა. ამ მიწებზე მოსავლის მოყვანა დღესაც კი ძალზე გართულებული.

მიუხედავად წარსულის გაკვეთილების სიმწარისა, ამ მიწების ათვისება, სამწუხაროდ, დღესაც ვერ ხერხდება. სან-ხოაკინის ველი კალიფორნიაში, რომელიც ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ადგილია მსოფლიოში, უკვე დგას გამარილიანების სერიოზული პრობლემის წინაშე. დიდი ამერიკული უდაბნოს რეგიონში ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა, შესაძლოა, მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენება იყოს. აქ გამყინვარების ეპოქის მიწისქვეშა წყლის უზარმაზარი ფენებია გადაშლილი. მაგალითად, ოგალალას მიწისქვეშა წყალსატევი, რომელიც ნებრასკის, კანზასის, ტექსასის, ოკლაჰომის, კოლორადოსა და ნიუ-მექსიკოს ტერიტორიების ნაწილს ფარავს. მაგრამ ეს გადაწყვეტა, თუკი იგი საერთოდ შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტად, მხოლოდ დროებითია, რადგან ოგალალას უზარმაზარი წყალსატევი, ამავე დროს, მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ტემპებით კლებადი წყალსატევია და მისი გაქრობა მხოლოდ დროის საკითხია.

აგრეთვე, ძალიან მავნებელი შეიძლება იყოს მიწის გარემოს უზომო ექსპლოატაცია მესაქონლეთა მიერ. ადვილი წარმოსადგენია, მოგების წყურვილით ანთებული ადამიანები როგორ აშენებენ უზომო რაოდენობით საქონელს, რომლის გამოკვებვა გარემოს არ შეუძლია. მაგალითად დიდი ამერიკული უდაბნოც გამოდგება, სადაც 300 წლის წინ ამწვანებული ველები იყო გადაშლილი. ამ ველებზე ბიზონების უზარმაზარი ჯოგები ბინადრობდნენ, რომლებიც შემდგომი 200 წლის მანძილზე მთლიანად გაწყვიტეს მონადირეებმა. ევროამერიკელი ახალმოსახლეები მოიხიბლნენ იმ შესაძლებლობებით, რომელსაც ეს მხარე მესაქონლეობისათვის იძლეოდა და იმდენად გულმოდგინედ შეუდგნენ საქონლის მოშენებას, რომ ჯოგებით გადატვირთულმა საძოვრებმა თანდათანობით უდაბნოდ გადაქცევა დაიწყო. მხოლოდ 1930-იანი წლების ქვიშიანმა ქარიშხლებმა გახადა ნათელი ამერიკელთათვის, რომ საძოვრების უზომო ექსპლოატაცია ისეთივე გამანდგურებელი შედეგებით შეიძლება დასრულდეს, როგორც ცუდად წარმართული მიწათმოქმედება. ეს პრობლემები სულაც არ არის ახალი. ნორვეგიელებმა ისლანდიისა და გრენლანდიის კოლონიზაცია დაახლოებით ახ.წ. 800 წელს მოახდინეს, მაგრამ საძოვრების ზედმეტმა გადატვირთვამ მიწის ეროზია გამოიწვია, რასაც ახ.წ 1500 წლისათვის კოლონიათა გაქრობა მოჰყვა.

საინტერესოა, გარემო პირობებზე მავნე გავლენა მხოლოდ საკვების წარმოებას ახასიათებს, თუ საკვების შემგროვებლობასაც შეუძლია გარემოს დაზიანება. მიუხედავად იმისა, რომ საკვების მწარმოებლები, შესაძლოა, უფრო მძიმედ აზიანებდნენ გარემოს, შემგროვებლებსაც საკმაოდ მავნე გავლენის მოხდენა შეუძლიათ ზედმეტი ნადირობის, თევზაობის ან შეგროვების შედეგად. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ მამონტების გაქრობის ძირითადი მიზეზი სწორედ ახალი სამყაროს ადამიანებით დასახლება გახდა. საუბედუროდ, ძველი დროის ადამიანები ნაკლებად გამოირჩეოდნენ შემწყნარებლობით. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ადამიანს არ შეუძლია ბუნების დაზოგვა. მან უბრალოდ უნდა მოინდომოს ეს.

ლებ პროდუქტულია.

თუმცა, სირთულე შეუძლებლობას სულაც არ ნიშნავს. არსებობს მხარეები, მაგალითად, მეკონგის დელტა ვიეტნამში, სადაც ინტენსიური დამუშავების შედეგად მიწა გათავისუფლდა ტყისაგან და მის ადგილზე ახლა ბრინჯის მინდვრებია. მრავალ მშრალ რეგიონში შესაბამისი მორწყვის შედეგად შესაძლებელი გახდა ინტენსიური მიწათმოქმედება. ამ მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე ოაზისებიც.

მესაქონლეთა მიერ მოშენებული ცხოველები ძირითადად ბალახისმჭამელები არიან. შესაბამისად, მესაქონლეობა ძირითადად იმ რეგიონებშია განვითარებული, სადაც საძოვრებია. ეს რეგიონები შეიძლება იყოს **სტეპები** (დაბალი ბალახით დაფარული მშრალი ველები), **პრერიები** (შედარებით მაღალი ბალახით დაფარული და ტე-

ნიანი ველები) და **სავანები** (ტროპიკული ველები). ამგვარ რეგიონებში, როგორც წესი, სანადირო ცხოველებიც უხვად სახლობენ, ასე რომ ველები ხელს უწყობს როგორც მესაქონლეობას, ასევე მონადირეობასაც. თუმცა, არის გამონაკლისებიც, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიური უზრუნველყოფის პირობებში, შესაძლებელი გახდა ველებზე ინტენსიური მიწათმოქმედების წარმოება, როგორც მაგალითად, აშშ-ში, კანადასა და უკრაინაში.

ერთსა და იმავე ტრიტორიაზე, სხვადასხვა დროს, შესაძლოა, კვების მოპოვების ძალზე განსხვავებული მეთოდები არსებობდეს. ამის თვალსაჩინო მაგალითია საიმპერიო ველი კალიფორნიაში, რომელიც ირიგაციის კომპლექსური სისტემის წყალობით მიწათმოქმედების უაღრესად პროდუქტიული რეგიონია, არადა, ადრე ეს იყო მშრალი სივრცე, რომელიც მასზე მცხოვრებ მცირერიცხოვან ჯგუფებს მხოლოდ ნადირობისა და ველური ნაყოფის შეგროვების საშუალებას აძლევდა. ეს მაგალითი ნათელყოფს, რომ ფიზიკური გარემო, თავისთავად, არ გახლავთ ცხოვრების წესისა და საკვების მოპოვების მეთოდის განმაპირობებელი ფაქტორი. თვით პოლარეთშიც კი შეიძლება ინტენსიური მიწათმოქმედება სასათბურე მეურნეობების პირობებში. უბრალოდ, ეს მეტად არახელსაყრელი საქმიანობა იქნებოდა იმის გათვალისწინებით, თუ რა რაოდენობის რესურსებია საჭირო ამისთვის. საიმპერიო ველზე ტექნოლოგიებმა, ირიგაციამ და შრომამ ინტენსიური მიწათმოქმედების საშუალება მოგვცა, მაგრამ ამგვარი მიწათმოქმედება მეტად მერყევი და არასაიმედოა, რადგან მთლიანად დამოკიდებულია არა ადგილობრივ, არამედ გარე რესურსებზე. ხანგრძლივი გვალვის პირობებში ამგვარი რეგიონის საწარმოო მხარდაჭერა ძალიან გართულდებოდა და გაძვირდებოდა. ბოსტნეულზე ფასების დაწევის შემთხვევაში, საიმპერიო ველის მიწათმოქმედები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ფინანსური თვალსაზრისით, რაც საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება თავად ველის მდგომარეობაზეც. ამრიგად, ირკვევა, რომ კვების მოპოვების მეთოდებზე სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ტექნოლოგიური პირობები უფრო მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე ბუნებრივი პირობები.

საკვების წარმოების წარმოშობა, გავრცელება და ინტენსიფიკაცია

იმის გასარკვევად, რატომ არის ადამიანთა უმრავლესობა საკვების მწარმოებელი და არა შემგროვებელი, საჭიროა დავადგინოთ, თუ რის გამო გამოვიდა ადამიანთათვის წინა პლანზე ცხოველთა და მცენარეთა მოშინაურება-მოშენების საკითხი. დაფუძნებული ცხოვრებისა და საკვების წარმოების წარმოშობისადმი მიძღვნილ თავში ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე თეორია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დაიწყეს ადამიანებმა საკვების წარმოება, იგი ხომ მეტ მუშაობას საჭიროებს და ამასთანავე, ახლავს შიმშილის უფრო დიდი რისკი, ვიდრე შემგროვებლობას. ამჟამად არსებული თეორიების უმეტესობის თანახმად, ადამიანები იძულებულნი იყვნენ, ეს ნაბიჯი გადაედგათ. შესაძლო მიზეზები შემდეგია:

1. ბუნებრივად უხვ რეგიონებში მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდის გამო, ადამიანთა ნაწილი იძულებული გახდა, ნაკლებად ბარაქიან ადგილებში გადასახლებულიყო, სადაც ისინი შეეცადნენ შეექმნათ ის პირობები, რომელთა დატოვებაც მოუხდათ.
2. მოსახლეობის ზრდამ აიძულა ადამიანები, ბუნებრივი რესურსების ახალი სახეების გამოყენება დაეწყოთ, რის შემდეგაც მათ ცხოველთა და მცენარეთა მოშენება დაიწყეს.
3. კლიმატის ცვლილებები – უფრო მკაცრი ზამთრისა და შედარებით ცხელი ზაფხულის პირობებში ხელსაყრელი გახდა სეზონური დასახლებების ველური ხორბლის მინდვრების სიახლოვეს განლაგება. მოსახლეობის შემდგომი ზრდის შედეგად კი ადამიანებმა მცენარეთა და ცხოველთა მოშენება დაიწყეს.

მიუხედავად იმისა, რომელმა მიზეზმა აიძულა ადამიანებს საკვების წარმოებაზე გადასვლა, საინტერესოა, თუ რატომ გახდა საკვების წარმოება წამყვანი ადამიანის ცხოვრებაში შემგროვებლობის ნაცვლად. ნაკლებად სავარაუდოა, რომ შემგროვებლები ავტომატურად გადავიდნენ მწარმოებლობაზე მას შემდეგ, რაც მათთვის ცნობილი გახდა მცენარეთა და ცხოველთა მოშინაურების შესაძლებლობის შესახებ. როგორც უკვე ვიცით, საკვების წარმოება მეტ დროს და შრომას მოითხოვს, ვიდრე შეგროვება, ამასთან, შიმშილობის რისკიც მეტია.

მინათმოქმედების გავრცელება, შესაძლოა, მოსახლეობის ზრდასთან იყოს დაკავშირებული. დაფუძნებული საზოგადოების ზრდასთან ერთად დღის წესრიგში ტერიტორიული ექსპანსიის საკითხიც დგება. მიწები, შესაძლოა, უკვე დაკავებული აღმოჩნდეს. სწორედ აქ იჩენს თავს სხვაობა შემგროვებლობასა და წარმოებას შორის. ეს უკანასკნელი, მიუხედავად მეტი სირთულისა, საბოლოო ჯამში, უფრო მწარმოებლურიც გახლავთ. მეტი მწარმოებლურობა კი მოცემულ რეგიონში მეტი მოსახლეობის არსებობას უზრუნველყოფს. ამრიგად, შემგროვებელთა და მწარმოებელთა შორის მიწისათვის გაჩაღებულ კონკურენციაში მწარმოებლებმა მნიშვნელოვანი უპირატესობა მიიღეს – ისინი მეტნი იყვნენ. შედეგად, შემგროვებლები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ ან ცხოვრების ახალი წესი მიეღოთ. ის შემგროვებლები, რომლებიც ცხოვრების ძველი წესის ერთგულნი დარჩნენ, ნელ-ნელა გააძევეს მწარმოებელთათვის ნაკლებად მიმზიდველ ადგილებში. როგორც ვნახეთ, შემგროვებელთა ჩვენამდე მოღწეული მცირერიცხოვანი საზოგადოებები ძირითადად ისეთ ადგილებში ცხოვრობენ, რომლებიც წარმოებისთვის ნაკლებად გამოსადეგია – უდაბნოებში, ტროპიკულ ჯუნგლებსა და პოლარულ მხარეებში.

თუკი ადრეულ პერიოდებში მოსახლეობის ზრდამ ცხოველთა და მცენარეთა მოშინაურების დაწყება განაპირობა, შემდგომი პერიოდის ზრდა მებაღეობიდან ინტენსიურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ანთროპოლოგი ესტერ ბოსერუპი თვლის, რომ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია, რაც კონკრეტული ფართობიდან მეტი პროდუქციის მიღების საშუალებას იძლევა, ბუნებრივად არ ხდება, რადგან იგი მეტ შრომას მოითხოვს. ადამიანები კი მეტ შრომას მხოლოდ მაშინ იწყებენ, როდესაც იძულებულნი არიან. ემიგრაციის შეუძლებლობის პირობებში ინტენსიფიკაციის განმაპირობებელი შეიძლება მოსახლეობის ზრდა გახდეს. ამგვარი ფაქტორის როლი, შესაძლოა, შეასრულოს აგრეთვე პოლიტიკური ხელისუფლებისათვის ხარკის გადახდის საჭიროებამ.

ბოსერუპის მოსაზრებას მრავალი მხარდამჭერი ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების გაზრდილი შრომატევადობის საკითხი ხშირად კამათის საგანია. რობერტ ჰანტის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მაგალითად, ბრინჯის შემთხვევაში, მისი მოყვანის ინტენსიური გზა (რომელიც ირიგიაციას მოითხოვს) არათუ უფრო შრომატევადია, ვიდრე ბრინჯის მოყვანის მებაღეების მიერ გამოყენებადი მეთოდები, არამედ პირიქით, ნაკლებ შრომას მოითხოვს. თუმცა, მოსახლეობის ზრდა ნამდვილად შეიძლება იყოს მეურნეობის ინტენსიფიკაციის მიზეზი, რადგან საჭიროა მეტი ხალხის უზრუნველყოფა საკვებით. ინტენსიური მინათმოქმედება მთელ მსოფლიოში არ გახლავთ გავრცელებული. ბევრ ტროპიკულ რეგიონში კვლავაც მებაღეობა რჩება სოფლის მეურნეობის წამყვან სახეობად, ზოგან კი მთავარი როლი მესაქონლეობას აკისრია. ხშირად გარემო, უბრალოდ, არახელსაყრელია ინტენსიური მინათმოქმედებისთვის. მაგალითად, ზოგ ტროპიკულ რეგიონში მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციისათვის აუცილებელი ფერტილიზაციისა და პესტი-

ციდების უზრუნველყოფის დანახარჯები, რომ არაფერი ვთქვათ შრომის რაოდენობაზე, ნაკლებად სასურველს ხდის ამ მხარეებში ინტენსიურ მიწათმოქმედებას. ასევე, უზომო დანახარჯები იქნება საჭირო მესაქონლეებითა და შემგროვებლებით დასახლებული ნახევარუდაბნოების წყლით მოსამარაგებლად.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, საკვების მოპოვების დღეს მსოფლიოში არსებული განსხვავებული მეთოდები ჯერ კიდევ ინარჩუნებს აქტუალობას.

შეჯამება

1. საკვების შეგროვება ანუ მომპოვებლობა — ნადირობა, თევზაობა და შემგროვებლობა — ველურ მცენარეებსა და ცხოველებზეა დამოკიდებული და საკვების მოპოვების უძველეს ტექნოლოგიად გვევლინება. საკვების მოპოვების მეთოდები დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების ყველა ასპექტზე. ახლო წარსულის მომპოვებლები ძირითადად თევზაობაზე იყვნენ დამოკიდებულნი. მნიშვნელობით შემდეგ საფეხურზე იდგა შემგროვებლობა, ხოლო ბოლოზე — ნადირობა. დღეს მომპოვებლობაზე საზოგადოებათა მხოლოდ მცირე რაოდენობაა დამოკიდებული და ისინი, როგოც წესი, მსოფლიოს მიყრუებულ მხარეებში ცხოვრობენ.
2. საკვების შემგროვებლები სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში გვხვდებიან. მათი უმეტესობა მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. მათი ტერიტორიები მეჩხერად არის დასახლებული. საზოგადოებები, როგორც წესი, ურთიერთდაკავშირებული ოჯახებისაგან შედგება. შრომის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით ხდება. პირადი მიდრეკილებები და სურვილები შეზღუდულია. მიწაზე კერძო საკუთრება იშვიათია. კლასობრივი დიფერენციაცია არ შეინიშნება.
3. დაახლოებით 10000 წლის წინათ დედამიწის სხვადასხვა ადგილას ადამიანებმა საკვების მოპოვების რევოლუციური ცვლილება განახორციელეს — დაიწყო მცენარეთა და ცხოველთა მოშინაურება მათი მოშენების გზით. ადამიანები საკვების შეგროვებიდან წარმოებაზე გადავიდნენ. დროთა განმავლობაში საკვების წარმოება ადამიანის არსებობის ძირითადი საქმიანობა გახდა.
4. მებაღე საზოგადოებები მიწათმოქმედებას მარტივი იარაღებისა და ინსტრუმენტების საშუალებით ეწევიან და მიწას მუდმივად არ ამუშავებენ. მათ მიერ წარმოებული საკვების რაოდენობა უზრუნველყოფს უფრო მრავალრიცხოვან დასახლებასა და მოსახლეობის მეტ სიმჭიდროვეს, ვიდრე შემგროვებლობა. მებაღეები ცხოვრების შედარებით დაფუძნებულ წესს მისდევენ, თუმცა, რამდენიმე წელიწადში ერთხელ, ახალი ნაკვეთების დასამუშავებლად, შესაძლოა, საცხოვრებელი ადგილიც შეიცვალონ.
5. ინტენსიური მიწათმოქმედების მახასიათებელი ნიშნებია ფერტილიზაცია და ირიგაცია, რომლებიც მიწების პერმანენტული დამუშავების საშუალებას იძლევა. მებაღეთაგან განსხვავებით, მიწათმოქმედებს მოზრდილი ქალაქები აქვთ, დაოსტატებულ ხელოსანთა დიდი რაოდენობა, ღრმა ქონებრივი და უფლებრივი დიფერენციაცია. თუმცა ისინი საკვების უკმარისობის უფრო დიდი რისკის წინაშეც დგანან. თანამედროვე სამყაროში ინტენსიური მიწათმოქმედება სულ უფრო ექვემდებარება მექანიზაციას და საბაზრო წარმოებაზე გადადის.
6. მესაქონლეობა გულისხმობს საკვების წარმოებაში ძირითადი როლის ცხოველთა დიდი ჯოგების მოშენებაზე დაკისრებას. მესაქონლეობა, ძირითადად, მცირეწვიმიან რეგიონებშია გავრცელებული. ამგვარი საზოგადოებები მცირერიცხოვანი, ურთიერთდაკავშირებული ოჯახებისაგან შემდგარი პოპულაციებია. ისინი მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი ვაჭრობაზე, რადგან ბევრ მათთვის საჭირო საგანს (მათ შორის, საკვების ზოგ სახეობასაც) თავად არ აწარმოებენ.
7. ანთროპოლოგები თანხმდებიან, რომ ბუნებრივი გარემო ადამიანთა საზოგადოებისათვის საკვების მოპოვებასთან მიმართებაში უფრო შემზღუდველი ფაქტორია, ვიდრე განმაპირობებელი. ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები.
8. საკვების წარმოებაზე გადასვლის თარიღად დაახლოებით ძვ.წ. 8000 წელი მიიჩნევა. ამ გადასვლის ამხსნელი თეორიები ხშირად წინააღმდეგობრივია. არქეოლოგთა აზრით, ადამიანები იძულებულნი გახდნენ, განეხორციელებინათ ეს ცვლილება. შესაძლო ფაქტორები, რომლებმაც ეს გადასვლა განაპირობეს, შემდეგია:

1. ბუნებრივად უხვ რეგიონებში მოსახლეობის მატების გამო, ადამიანთა ნაწილი იძულებული გახდა, ნაკლებად უხვ ადგილებში გადასახლებულიყო, სადაც ისინი შეეცადნენ შეექმნათ ის პირობები, რომელთა დატოვებაც მოუხდათ.
2. მოსახლეობის ზრდამ აიძულა ადამიანები ბუნებრივი რესურსების ახალი სახეების გამოყენება დაეწყოთ, რის შემდეგაც მათ ცხოველთა და მცენარეთა მოშენება დაიწყეს.
3. კლიმატის ცვლილებები – უფრო მკაცრი ზამთრისა და შედარებით ცხელი ზაფხულის პირობებში ხელსაყრელი გახდა სეზონური დასახლებების ველური ხორბლის მინდვრების სიახლოვეს განლაგება. მოსახლეობის შემდგომი ზრდის შედეგად კი ადამიანებმა მცენარეთა და ცხოველთა მოშენება დაიწყეს.
9. იმის გამო, რომ საკვების მწარმოებლებს საკვებით მეტი ადამიანის უზრუნველყოფა შეუძლიათ, ვიდრე მწარმოებლებს, მათ ტერიტორიებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში რაოდენობრივი უპირატესობა მოიპოვეს

საკონტროლო კითხვები

1. რატომ ღირს ხორცი ხილზე ძვირი?
2. რატომ ემუქრებათ შიმშილი მომპოვებლებს ინტენსიური მიწათმოქმედების მიმდევრებზე ნაკლებად?
3. რატომ ხდება საკვების ზოგიერთი სახეობა საზოგადოებისათვის ძირითადი?

ეკონომიკური სისტემები

17



თავების შინაარსი

- რესურსების ადგილმდებარეობა დედამიწაზე
- რესურსების გადამუშავება
- რესურსებისა და მომსახურების განაწილება

ეკონომიკაზე საუბრისას, როგორც წესი, თვალწინ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები წარმოგვიდგება ხოლმე. ვფიქრობთ იმ საქონლისა და მომსახურების ფასზე, რომლებსაც მოვიხმართ. ვფიქრობთ საკვებზე, ქირაზე, გადასახადებზე, თმის ვარცხნილობასა და ასე შემდეგ. შესაძლოა, ვიფიქროთ ქარხნებზე, ფერმებზე, რომლებიც აწარმოებენ ჩვენთვის საჭირო უამრავ საქონელს. ინდუსტრიულ საზოგადოებაში მუშები შეიძლება რვა საათის განმავლობაში ერთ ადგილზე იდგნენ და ერთ მოქმედებას ასრულებდნენ. ამაში ისინი იღებენ ქაღალდის ნაჭრებს, ფულს, რომლითაც შეუძლიათ შეიძინონ ყველაფერი, რაც სჭირდებათ. უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ საზოგადოებაში (უმეტეს მათგანში, რომელსაც ანთროპოლოგია იცნობს) ფული გაცვლის ან ანაზღაურების საშუალება არ არის. მიუხედავად ამისა, ამ საზოგადოებებს აქვს ეკონომიკა. ყველა საზოგადოებაში თავისებურად იყენებს ადამიანი ბუნებრივ რესურსებს, გადაამუშავებს მათ და იღებს სასურველ შედეგს. ასევე ანაწილებს და ცვლის საქონელსა და მომსახურებას.

როგორც ამ თავში ვნახავთ, სხვადსხვა კულტურაში საკვებს სხვადსხვა გზით მოიპოვებენ. კულტურის სხვა მახასიათებლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკურ სისტემაზე. ეს სხვა ფაქტორები, რომლებსაც ჩვენ მომდევნო თავებში დავუბრუნდებით, მოიცავენ ისეთი ასპექტების არსებობას ან არ არსებობას, როგორიცაა სოციალური (კლასობრივი და სქესობრივი) უთანასწორობა, გვარები, სანათესაო ჯგუფები და პოლიტიკური სისტემა.

რესურსების ადგილმდებარეობა

ბუნებრივი რესურსები: მიწა

ყველა საზოგადოებას აქვს ბუნებრივი რესურსები მიწის, წყლის, ცხოველების, მცენარეებისა და მინერალების სახით. ამავე დროს ყოველ საზოგადოებას ახასიათებს კულტურული ჩვევები, რომლებიც განსაზღვრავს იმას, თუ საზოგადოების რომელ წევრს რამდენად მიუწვდება ხელი რესურსებზე და როგორ იყენებს მათ: მაგალითად, აშშ-ს მსგავს საზოგადოებებში მიწა კერძო საკუთრებაა. მიწის შედარებით მცირე ნაკვეთები კერძო პირების კუთვნილებაა. ხოლო დიდ ნაკვეთებს, როგორც წესი, ადამიანთა ჯგუფები ფლობენ ხოლმე. მფლობელი, შესაძლოა, იყოს სახელმწიფო სააგენტოც, ისეთი, როგორიცაა ეროვნული პარკის, რომელიც მიწას მთელი აშშ-ს მოსახლეობის სახელით ფლობს ან კორპორაცია, კერძო გაერთაიანება, რომელიც აქციონერებისაგან შედგება. აშშ-ში მესაკუთრეობის უფლება გულისხმობს მფლობელის თითქის სრულ უფლებას, გამოიყენოს მიწა საკუთარი შეხედულებების მიხედვით, დართოს ან აუკრძლოს სხვა პირებს თავისი საკუთრების გამოყენების ნება. აშშ-ში საკუთრების უფლება ასევე გულისხმობს იმას, რომ მფლობელს შეუძლია „გაასხვისოს“ საკუთრება ანუ გაყიდოს, გააჩუქოს ან გაანადგუროს. საკუთრების ამგვარი ტიპი კერძო საკუთრების სისტემის სახით არის ცნობილი.

მიწაზე კერძო საკუთრების ცნება უცხოა საკვების შემგროვებელთა და მებაღეთა უმეტესობისათვის. მათ არ გააჩნიათ ინდივიდუალური ან ერთმანეთთან კავშირის არმქონე ადამიანების ჯგუფური მიწათმფლობელობა. თუკი ჯგუფური მფლობელობის საკითხი მაინც დგას, მაშინ ეს ყოველთვის ან ნათესაურად ან ტერიტორიულად დაკავშირებული ადამიანები არიან. მიწის ყიდვა-გაყიდვა არ ხდება.

ის, თუ რა იგულისხმება საკუთრებაში, რა უფლებებსა და მოვალეობებს აძლევს ადამიანებს ეს საკუთრება, დამოკიდებულია საზოგადოებაზე. მაგალითად, საფრანგეთმა თავისი პლაჟები მთლიანად საზოგადოებრივ საკუთრებად გამოაცხადა. ახლა საფრანგეთში ზღვის სანაპირო აღარ არის რესურსი, რომელიც ერთი პიროვნების, ან პიროვნებათა ჯგუფის საკუთრებაში შეიძლება აღმოჩნდეს. შედეგად, ყველა ის პიროვნება, თუ ორგანიზაცია, რომელსაც პლაჟებზე თავისი ტერიტორიები შემოღობილი ჰქონდა, იძულებული გახდნენ ღობეები მოეხსნათ. თვით კერძო საკუთრების ქვეყნებშიც კი, როგორიცაა აშშ, მფლობელს თავისი საკუთრების ბოლომდე თავისუფლად განკარგვა არ შეუძლია, ფედერალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება, კანონის ძალით კრძალავს ჰაერისა და წყლის დაბინძურებას სამრეწველო ნარჩენებით. ამგვარი რეგულირება შედარებით ახალი მოვლენაა, თუმცა საკუთრების უფლება აშშ-ში მანამდეც იზღუდებოდა. მაგალითად, მთავრობას შეუძლია მესაკუთრეს ჩამოართვას მინა ავტომაგისტრალის მშენებლობის მიზნით. კომპენსაცია, რა თქმა უნდა, გაიცემა, მაგრამ თავად აქტი ნებაყოფლობითი არ გახლავთ ანუ მესაკუთრეს არ შეუძლია უარის თქმა. მოქალაქეებს არ აქვთ უფლება, გადაწვან საკუთარი სახლები ან გამოიყენონ ისინი ბორდელებად, იარაღის საწყობებად. მოკლედ რომ ვთქვათ, საკუთრების უფლება სრული არ გახლავთ თვით საკუთრების ინდივიდუალისტურ სისტემებშიც კი.

საზოგადოებების განსხვავება რესურსებზე უფლებების განაწილებაში ნაწილობრივ დაკავშირებულია იმასთან, თუ რა გზებით მოიპოვებენ საკვებს. მოდით, გავაკრვიოთ, ამ მხრივ როგორ დგას საკითხი საკვების შემგროვებლებში, მებაღეობის, მესაქონლეობისა და ინტენსიური მიწათმოქმედების მიმდევრებში.

საკვების შემგროვებლები როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკვების შემგროვებელი საზოგადოებები მიწას, როგორც საკუთრების ობიექტს, არ განიხილავენ. მიზეზი, შესაძლოა, იყოს ის, რომ ამგვარი საზოგადოებისათვის მიწა ღირებულებას არ წარმოადგენს. მათთვის მნიშვნელოვანია ცხოველები და მცენარეული საკვები. თუკი ცხოველებმა და მცენარეულმა საკვებმა იკლო, მაშინ ტერიტორია შემგროვებელი საზოგადოებისათვის არაფერს ნიშნავს. ამრიგად, იმის გამო, რომ კონკრეტულ ადგილზე საკვების უეცარი კლების შესაძლებლობა საკმაოდ დიდია, საზოგადოებისათვის უფრო ხელსაყრელია მიწის საზოგადოებრივი ფლობა, ვიდრე მისი დაქუცმაცება და პიროვნებებისათვის გადაცემა. ტანზანიელი ჰადზას ხალხს საერთოდ ვერ წარმოუდგენია, რომ სანადირო მიწა მათი საკუთრება იყოს. ტომის ყველა წევრს შეუძლია ინადიროს იქ, სადაც მოისურვებს.

მიუხედავად იმისა, რომ საკვების შემგროვებლებს იშვიათად გააჩნიათ მიწაზე კერძო საკუთრების მსგავსი რამ, საზოგადოებრივ საკუთრებაში საკმაო განსხვავებები არსებობს. ზოგ საზოგადოებაში (მაგალითად ჰადზა) ჯგუფები არ ისაკუთრებენ ტერიტორიებს. ჰადზას ხალხი მათ ენაზე მოსაუბრე სხვა ტომის წარმომადგენლებსაც კი არ უშლის თავიანთ სანადირო ტერიტორიაზე ნადირობას. თუმცა, ამ ხმრივ ჰადზა გამონაკლისია. საკვების შემგროვებელ საზოგადოებებში უფრო ხშირად მიწას ჯგუფი ფლობს. ის ნათესავებისგან შედგება. ეს მფლობელობა არ ნიშნავს მიწაზე სხვების უფლების სრულად აღკვეთას. როგორც წესი, მიწით სარგებლობა მეზობელ ჯგუფებსაც შეუძლიათ.

თუმცა არსებობს სხვანაირი საზოგადოებებიც, რომლებიც ცდილობენ, თავიანთი საცხოვრებელი მიწა მხოლოდ მათ ეკუთვნოდეთ. ამის მაგალითია კალიფორნიაში მცხოვრები პაიუტები, ისინი მკვიდრი მოსახლეები იყვნენ. მათი სოფლები მდინარეების ნაპირებზე მდებარეობდა, ისინი მკაცრად იცავდნენ თავიანთ საზღვრებს ნებისმიერი სხვა, თუნდაც მონათესავე ტომის წარმომადგენლებისგან.

რატომ აქვთ სხვადასხვა დამოკიდებულება მიწასთან შემგროვებელ საზოგადოებებს? ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად პროგნოზირებადია საკვების მდებარეობა და მისაწვდომობა. რაც უფრო რთულია პროგნოზის გაკეთება, მით ნაკლებად

იცავს ტერიტორიას მასზე მოსახლე ადამიანთა ჯგუფი, ხოლო თუ ცნობილია, სად და რა რაოდენობით მოიპოვება საკვები აღნიშნულ მიწაზე, მაშინ მასზე მცხოვრები ადამიანთა ჯგუფი, როგორც წესი, ცდილობს, დაისაკუთროს ეს ტერიტორია და არ შემოუშვას უცხო ადამიანები. თუმცა, დაზუსტებით თქმა იმისა, თუ რის გამოა განსხვავებები შემგროვებელ საზოგადოებებში და რომელი ფაქტორი განაპირობებს მათ მიერ მიწის დაცვას, საკმაოდ რთულია.

მებაღეები შემგროვებელთა მსგავსად, მებაღეთა უმეტესობას არ გააჩნია მიწაზე კერძო ან საოჯახო საკუთრების უფლება. ეს შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ ნაკვეთები იფიტება და საჭიროა ახალი მიწის დამუშავება, შესაბამისად, იცვლება საკვების მოპოვების ადგილი. პიროვნებებსა და ოჯახებს არ გააჩნიათ სტიმული, რომ მიწა თავიანთ საკუთრებად გამოაცხადონ, ამგვარ პირობებში ხომ მიწის მუდმივად ფლობა უბრალოდ ზარალის მომტანია. მართალია, მებაღეები, შემგროვებლებისაგან განსხვავებით, გამოყოფენ ოჯახის ნაკვეთებს, რომლებიც რაღაც დროის მანძილზე ამ ოჯახს ეკუთვნის, მაგრამ ეს საკუთრება დროებითია და საკმაოდ შორს დგას საკუთრების ჩვენეული გაგებისაგან.

ბრაზილიაში მცხოვრები მუნდურუკუს ხალხში მიწის გამოყენებას თემი აკონტროლებს. საზოგადოების წევრებს შეუძლიათ ინადირონ ან ითევზაონ სადაც მოისურვებენ, მათ აქვთ უფლება, დაამუშავონ საბაღე ნაკვეთი ნებისმიერ თავისუფალ ადგილზე. ნაკვეთის დამუშავება ორი წლის მანძილზე შეიძლება. შემდეგ იგი კვლავ თემს უბრუნდება. მუნდურუკუს ხალხი ასხვავებს მინასა და მიწის დამუშავებას. ასე რომ, დამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები მათი მწარმოებლის საკუთრებაა ისევე, როგორც ნანადირევი მონადირის და არ აქვს მნიშვნელობა, თუ სად მოკლა მონადირემ ცხოველი. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საკვები საერთოა მთელი თემისთვის და იგი თანაბრად უნაწილდება ყველას, ამ საკუთრებას განსაკუთრებული დატვირთვა არ აქვს. მიწაზე საკუთრების უფლება მუნდურუკის ხალხში შედარებით მკვეთრად მას შედმეგ გამოიკვეთა, რაც ნაკვეთების მემკვიდრეობით გადაცემა დაიწყეს.

მესაქონლეები მომთაბარე მესაქონლეების ტერიტორია ბევრად აღემატება მებაღეებისას. არსებობის წესიდან გამომდინარე (ისინი დამოკიდებული არიან ჯოგებზე, საძოვრებზე, წყალზე), მეჯოგეებმა უნდა მიმართონ როგორც შემგროვებლებისათვის, ისე მებაღეებისათვის დამახასიათებელ ადაპტაციურ საშუალებებს. შემგროვებელთა მსგავსად, მათ უნდა იცოდნენ თავიანთ განკარგულებაში არსებული მიწის (რომელიც შესაძლოა, ათასობით კილომეტრს მოიცავდეს) რესურსები, რათა სწორად გათვალონ წყლისა და საძოვრების მარაგი. რესურსების ამოწურვის შემდეგ კი, მებაღეების მსგავსად, ახალ ადგილზე უნდა გადაინაცვლონ, სანამ ძველი ადგილი არ აღიდგენს თავის რესურსს (ამ შემთხვევაში, სანამ ბალახი ხელახლა არ დაფარავს საძოვრებს). ასევე, მებაღეების მსგავსად, მესაქონლეების არსებობაც დამოკიდებულია ბუნებრივი რესურსების მართვაზე. პირველ შემთხვევაში ეს რესურსი არის მიწა, რომელზეც იზრდება ბაღი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ესაა ცხოველები, რომლებიც შეადგენენ მესაქონლეების ჯოგებს.

იმის გამო, რომ მიწა მხოლოდ წყლისა და საძოვრების საკმარისობის პირობებშია სასარგებლო, მესაქონლისათვის საკმაოდ სახიფათოა კერძო საკუთრება. ამიტომ, შემგროვებლებისა და მებაღეების უმეტესობის მსგავსად, მესაქონლეები საძოვრებზე უფლებას არ ზღუდავენ. მიუხედავად მიწაზე საზოგადო საკუთრებისა, საქონელი კერძო საკუთრებაში ჰყავთ. ფრედერიკ ბართის აზრით, ცხოველთა საზოგადო საკუთრების შემთხვევაში საზოგადოების წევრები რთულ პერიოდებში თავიანთ ცხოველებს შეჭამდნენ და სასიცოცხლო კაპიტალის გარეშე დარჩებოდნენ. როდესაც ცხოველები კერძო საკუთრებაში ჰყავთ, ოჯახი, რომლის ჯოგიც გადარჩენისათვის საჭირო აუცილებელ რაოდენობას ჩამოცდება, ვეღარ შეძლებს მომთაბარე ცხოვრების გაგრძელებას (დროებით მაინც) და იძულებული გახდება, იმუშაოს დაფუძნებულ მიწათმოქმედ საზოგადოებებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი ოჯახის ამგვარი ბედი სხვა ოჯახთა ცხოვრე-

სურუის ტომის სოფელი (ამაზოსი, ბრაზილია). წინა პლანზე ბაღებად დამუშავებული გაწმენდილი მიწა, უკანა პლანზე ტროპიკული ჯუნგლები.

მიმდინარე კვლევები და საკითხები

იწვევს თუ არა საზოგადოებრივი საკუთრება ეკონომიკურ კატასტროფას?

დასავლურ ცივილიზაციაში გავრცელებულია აზრი, რომ მიწაზე ან სხვა რესურსებზე საზოგადოებრივი საკუთრება საბოლოო ჯამში სერიოზულ ზარალს იწვევს, რადგანაც პიროვნებები არ არიან დაინტერესებულნი ამ რესურსების დაცვით. გარეტ ჰარდინმა სტატიაში „თემის ტრაგედია“ თქვა, რომ ცხოველთა საერთო მიწებზე მწყემსვის შესაძლებლობა პატრონებს უბიძგებს იმისკენ, რომ რაც შეიძლება ბევრი თავისუფალი მიწა გამოიყენონ, რადგან ეს არანაირ დანახარჯთან არ არის დაკავშირებული. ჰარდინის მოსაზრების თანახმად, ტრაგედია ხდება იმის შედეგად, რომ ზედმეტი ექსპლუატაციის გამო, საძოვრები იფიტება და ნადგურდება. ამის მსგავსად, როდესაც მეთევზეები ოკეანეში თევზაობენ, რომელიც თითქოსდა არავისი საკუთრება არ გახლავთ, მათ არავინ უშლის ხელს, დაიჭირონ იმდენი თევზი, რამდენსაც მოისურვებენ და შედეგებზეც არ იდარდონ. ხოლო როდესაც რესურსები კერძო მფლობელობაშია, პატრონები ცდილობენ მათ დაცვას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში თავადვე იზარალებენ. ამ თეორიის მიხედვით, მოგების გაზრდის მიზნით, კერძო მფლობელი უფრთხილდება თავის რესურსებს, ზრუნავს მათზე და რაციონალურად იყენებს.

რა ხდება სინამდვილეში: იწვევს თუ არა საზოგადოებრივი საკუთრება რესურსების არარაციონალურ ხარჯვას და ეკონომიკურ ზარალს, ხოლო კერძო საკუთრება პირიქით, ხარჯვას რაციონალურს ხდის და უბიძგებს მესაკუთრეს რესურსების დაზოგვისაკენ? ჯერ-ჯერობით არ გვაქვს საკმაო ცნობები, რომ დარწმუნებული პასუხი გავცეთ ამ კითხვას, მაგრამ არსებობს მაგალითები, რომ ზოგ შემთხვევაში საზოგადოებრივი საკუთრება უფრო პროდუქტული შეიძლება იყოს, ვიდრე კერძო საკუთრება. ეთიოპიელი ბორანასები, რომლებიც საძოვრებს საზოგადოებრივად ფლობენ, თითო აკრზე მეტ ცხოველურ ცილას აწარმოებენ, ვიდრე ავსტრალიელი მესაქონლე ფერმერები, რომლებსაც მიწა კერძო საკუთრებაში აქვთ. არსებობს სხვა მაგალითებიც, კერძოდ კი ამერიკის დიდი უდაბნო, რომელიც უდაბნოდ სწორედ კერძო საკუთრების პირობებში გადაიქცა, მანამდე კი იქ საძოვრები იყო (ეს მაგალითი აღწერილია წინა თავის ქვეგანყოფილებაში: „საკვების მოპოვების გავლენა გარემოზე“).

უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოებრივი მფლობელობა არ ნიშნავს იმას, რომ ყველას შეუძლია საზოგადოებრივი საძოვრის საკუთრად გამოყენება. საზოგადოებები და ნათესაური ჯგუფები ხშირად აყალიბებენ საერთო მიწებზე საქონლის მწყემსვისა და თევზაობის განრიგს. როგორც უკანაკსნელ თავში ვნახეთ, მესაქონლეებს, როგორებიც არიან ირანელი ბასერები, თავიანთი მკაცრად დადგენილი გზები და განრიგი ჰქონდათ, რომელთა მიხედვითაც ხდება საქონლის გადაადგილება. მესაქონლეებისთვის ხომ გადაადგილების სისწრაფე და მობილურობა გადარჩენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ის საზოგადოებები, რომლებიც ძირითადათ მეთევზეობაზე არიან დამოკიდებული, ასევე ხშირად აყალიბებენ სათევზაო ადგილებზე თევზაობის წესებს, ბევრი მათგანი რესურსის დაზოგვას ითვალისწინებს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მიკრონეზიელი პალაუს ხალხი, რომელიც ახლომდებარე წყალსაცავში თევზაობის უფლებას მხოლოდ რამდენიმე სოფელს აძლევს. წესის მიხედვით, ადამიანები იჭერენ მხოლოდ იმდენ თევზს, რამდენის შეჭმაც შეუძლიათ. არსებობდნენ „კანონებიც“ რომლებიც არეგულირებდნენ იმას, თუ რომელი სახეობის თევზის დაჭერა შეიძლებოდა.

რესურსებზე უფლების შეზღუდვა, შესაძლოა, მესაქონლეების და მეთევზეებისათვის საკვები რესურსების დაცვის ერთ-ერთი გზა იყოს. ჩვენ არ ვიცით, რამდენ მესაქონლე და მეთევზე საზოგადოებას ჰქონდა ამგვარი წესები. მაგალითად, ახალგვინეელი პონამები თევზის რესურსის დაზოგვაზე არასოდეს დაფიქრებულან, მიუხედვად იმისა, რომ უცხოტომელებს თავიანთ ტერიტორიაზე თევზაობას უკრძალავდნენ. ეს ხალხი ძალზე აფასებდა ადამიანის გულუხვობას, აქედან გამომდინარე, ისინი იჭერდნენ მეტ თევზს, ვიდრე საკვებად სჭირდებოდათ და შემდეგ მას სხვებს ურიგებდნენ.

განვითარება და კომერციალიზაცია, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს რესურსების ზედმეტ ექსპლუატაციასთან მიმართებაში, ვიდრე საკუთრების ტიპი. პალაუს ხალხში, რომელსაც დაზოგვის ტრადიციები აქვს, რესურსების ზედმეტი ექსპლუატაცია სერიოზული პრობლემა გახდა მას შემდეგ, რაც იაპონიასთან თევზით ვაჭრობა დაიწყეს. მიღებული იაპონური საქონლიდან ზოგიერთმა (ძრავები და ბადეები) თევზაობა გააიოლა, თუმცა ამ ყველაფერმა საბოლოოდ ის გამოიწვია, რომ ოდესღაც უხვი სათევზაო ადგილები თევზისაგან დაიცალა და პალაუს ხალხს უკვე თევზეულის ყიდვაც იაპონელებისგან უწევდა. აფრიკაში, საჰელის რეგიონში, რომელიც თავისი სიმშრალით გამოირჩევა, განვითარებას შედეგად საძოვრების გაუდაბნოება მოჰყვა. განვითარების სააგენტოებმა სცადეს, პრობლემა ჭების ამოთხრით მოეგვარებინათ, მაგრამ შემდეგ ადამიანები ჭების საიხლოვეს დარჩენას ცდილობდნენ და ახლომდებარე მიწები მალე გამოიფიტა. ამას დაემატა ისიც, რომ მოსაზღვრე რეგიონში საირიგაციო მიწათმოქმედების განვითარებამ საძოვრები უფრო შეამცირა.

ამრიგად, რა უფრო უწყობს ხელს რესურსების დაზოგვასა და კონსერვაციას, საზოგადო საკუთრება თუ კერძო? ჩვენ ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არ გაგვაჩნია. ამისთვის კიდევ ბევრი კვლევა და სისტემატური შედარებაა საჭირო.

ბაზე გავლენას არ ახდენს. მეორე მხრივ, წარმატებული ოჯახების მიერ ჯოგების წარუმატებელი ოჯახებისათვის განაწილების შემთხვევაში, ყველა ოჯახი გაკოტრების პირას აღმოჩნდებოდა. აქედან გამომდინარე, ბართი ასკვნის, რომ ცხოველთა კერძო მფლობელობა მესაქონლეობისათვის ხელსაყრელია.

ამ მოსაზრებას ეჭვქვეშ აყენებს ჯონ დოულინგი. მისი თქმით, არა მხოლოდ მომთაბარე მესაქონლეები ინახავენ თავიანთი „მოსავლის“ ნაწილს შემდგომი წარმოებისათვის. მებაღეებიც ასევე იქცევიან. მაგრამ მათ, მესაქონლეებისაგან განსხვავებით, საწარმოო რესურსზე კერძო საკუთრება თითქმის არ აქვთ. დოულინგის აზრით, ამგვარი საკუთრება მხოლოდ იმ საზოგადოებებში ყალიბდება, რომლებიც არამესაქონლეებზე ყიდიან თავიანთ ნაწარმს. ამრიგად, მესაქონლეებში გავრცელებული საკუთრების უფლება ცხოველებზე და მომთაბარე ცხოვრების მიტოვება, შესაძლოა, ორივე ფაქტორით იხსნებოდეს, როგორც საკუთარი ნაწარმის, ასევე საკუთარი

ჩვეულებრივ, ღობე აღნიშნავს კერძო საკუთრებას.

შრომის გაყიდვის შესაძლებლობით.

ინტენსიური მიწათმოქმედება ამ სახის საზოგადოებებისათვის დამახასიათებელია მიწის რესურსებზე კერძო საკუთრება (რესურსის გამოყენებისა და განკარგვის უფლების). ამგვარი მფლობელობის განვითარება ნაწილობრივ გამოიწვია იმან, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში ერთი და იმავე მიწის ნაკვეთი წლების მანძილზე მუშავდებოდა. ეს კი მიწას ღირებულებას სძენდა. თუმცა მიწაზე კერძო საკუთრება ნაწილობრივ პოლიტიკური და სოციალური მიზეზებითაც იყო გამოწვეული. მაგალითად, სასაზღვრო მიწები აშშ-ში კანონის ძალით კერძო საკუთრებაში გადადიოდა. ე.წ. „ჰომსტედების აქტის“ საფუძველზე, ნებისმიერი პირი, რომელიც 160 აკრ. მიწას დაამუშავებდა ხუთი წლის განმავლობაში, ავტომატურად ხდებოდა ამ მიწის მფლობელი. ეს პრაქტიკა მსგავსია იმ წესებისა, რომელთა მიხედვითაც სანათესაო ჯგუფი, ბელადი ან საზოგადოება ვალდებულია, მიანიჭოს ნაკვეთი მას, ვისაც მისი დამუშავება სურს. განსხვავება ის არის, რომ ამერიკელ ფერმერს მიღებული მიწის გაყიდვა ან უბრალოდ სხვაზე გადაცემაც შეეძლო. როდესაც კერძო საკუთრება გამყარდა, მიწის მფლობელებს შეეძლოთ თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების განხორციელება მათთვის ხელსაყრელი კანონების მხარდაჭერის გზით. აშშ-ს ისტორიის ადრეულ ეტაპზე მხოლოდ საკუთრების მფლობელებს ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება.

ინდივიდუალური კერძო საკუთრება, როგორც წესი, ინტენსიურ მიწათმოქმედებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ არა ყოველთვის. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, საზოგადოებებში, რომლებიც ინტენსიურ მიწათმომქედებას ეწევიან, ჩვეულებრივ აღინიშნება ღრმა სოციალური და ქონებრივი დიფერენციაცია, ამიტომ მიწის განაწილების პრინციპების გასაგებად საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური წყობის შესწავლაა საჭირო. მაგალითად, შუა საუკუნეების ევროპაში, სადაც ფეოდალური და მემამულური სისტემა იყო გაბატონებული, მიწასა და უსაფრთხოებას შედარებით დაბალი რანგის არისტოკრატები (ვასალები) მაღალი რანგის არისტოკრატებისაგან იღებდნენ და სანაცვლოდ სამხედრო ან სხვა სამსახურს უწევდნენ. თუკი ვასალს მემკვიდრე არ რჩებოდა, მიწა უბრუნდებოდა მაღალი რანგის არისტოკრატს. მიწათმოქმედებას ახორციელებდნენ მოიჯარეები და ყმები. მოიჯარეები მიწათმფლობელისაგან იჯარით იღებდნენ მიწას და სანაცვლოდ აძლევდნენ მოსავლის ნაწილს, საჭიროების შემთხვევაში, მის შეიარაღებულ რაზმებშიც ეწერებოდნენ. მოიჯარეობა შეიძლებოდა მემკვიდრეობით გადაცემულიყო. ფორმალურად მოიჯარე თავისუფალი პიროვნება იყო და შეეძლო მიწის მიტოვება და სხვაგან წასვლა, თუმცა სინამდვილეში მიწის მიტოვება ადვილი საქმე სულაც არ გახლდათ. რაც შეეხებათ ყმებს, ისინი მიჯაჭვული იყვნენ მიწაზე და არ შეეძლოთ მისი მიტოვება. თუმცა მათთვის მიწის წართმევაც არ შეიძლებოდა. ყმების ვალდებულებები მოიჯარეების მსგავსი იყო.

ახლო წარსულში ზოგიერთმა კომუნისტურმა და სოციალისტურმა საზოგადოებამ, რომლებიც ინტენსიურ მიწათმოქმედებას ეწეოდა, კოლექტიური მეურნეობები ჩამოაყალიბა. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბულგარული სოფელი ზამფიროვო სასოფლო კოოპერატივად გარდაიქმნა. სოფლელების უმეტესობა იქ დაქირავებულ მუშაკად დასაქმდა, მაგრამ ყველა ოჯახს გამოეყო მცირე ნაკვეთი, სადაც მათ შეეძლოთ საკუთარი ხორბლის, ბოსტნეულისა და ყურძნის მოყვანა. ეს ნაკვეთები ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამ ნაკვეთების დასამუშავებლად საჭირო შრომას ძირითადად კოოპერატივი უზრუნველყოფდა, რაც ართულებს მათთვის კერძო საკუთრების სტატუსის მინიჭებას. 1989 წელს ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის გაუქმების შემდეგ კოოპერატივი დაიშალა და მიწა აუქციონის წესით გაიყიდა კერძო პირებზე.

კოლონიალიზმი, სახელმწიფო და უფლებები მიწაზე

თითქმის მთელ მსოფლიოში კოლონიალური დაპყრობების დროს დამპყრობლები და ახალმოსახლეები ადგილობრივ მოსახლეობას მიწას ართმევდნენ და ისაკუთრებდნენ. იმ შემთხვევებშიც კი, თუ ახალი მთავრობა აბორიგენებს სანაცვლოდ სხვა მიწას აძლევდა (როგორც ბრაზილიასა და აშშ-ში), ეს მიწა წართმეულთან შედარებით ნაკლებად ნაყოფიერი იყო (წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დამპყრობელი ახალმოსახლეები დაიკავებდნენ). ამასთან ერთად მთავრობები ხშირად ცდილობდნენ შეეცვალათ ადგილობრივების საკუთრების წესი. სახელმწიფო ჩვეულებრივ კერძო საკუთრების დანერგვას ცდილობდა, რადგან თუკი მიწას სანათესაო ან უფრო დიდი დაჯგუფება ფლობდა, მისი დაყოლიება მიწის გაყიდვაზე შედარებით რთული იყო, როგორც ვაჭრობის, ისე მუქარის გზით. ცალკეული მეურნეებისათვის მიწის წართმევა შედარებით ადვილი იქნებოდა.

ახალმოსულები, რომელთა სასარგებლოდაც ხდებოდა ეს ძალდატანებითი ცვლილებები, ყოველთვის ევროპელები არ იყვნენ. მართალია, მეთხუთმეტე საუკუნიდან მოყოლებული მთავარი კოლონიზატორი სწორედ ევროპა გახლდათ, მაგრამ მანამდე და მას შემდეგაც დამყრობლების როლში იყვნენ ინდოელები, ჩინელები, იაპონელები, არაბები, სკანდინავიელები, რუსები და სხვა ქვეყნები. ახალი სამყაროს მცხოვრებლებიც არ იყვნენ უცოდველები ამ მხრივ. მექსიკელი აცტეკები, დასავლეთ აფრიკული სამეფოები დაახლოებით 800 წლის წინათ და არაბები ისლამის მიღების შემდეგ იყვნენ ჩვეულებრივი ექსპანსიონისტური სახელმწიფოები, რომლებიც დასავლეთის აღორძინებამდე არსებობდნენ. ყველგან, სადაც „ცივილური“ (ქალაქური) საზოგადოებები ჩამოყალიბდა, ადგილი ჰქონდა იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმს.

ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისელები იმ მიწებს, რომლებსაც ხელისუფლება არ ფლობდა, ინდიელების სანადირო ტერიტორიად აცხადებდნენ. თუმცა ეს პრინციპი ჯერ ინგლისელთა, ხოლო შემდეგ აშშ-ეს მთავრობის მიერ მხოლოდ მანამდე იყო დაცული, სანამ ინდიელები საფრთხეს წარმოადგენდნენ. მაგალითად, პრეზიდენტმა ენდრიუ ჯეკსონმა დაახლოებით 90000-მდე ინდიელი

გადაასახლა მისისიპის დასავლეთით, რათა ისინი „მკვიდრად“ დაესახლებინა, თუმცა თეთრკანიანი ახალმოსახლეების დასავლეთისკენ გადაადგილებასთან ერთად ინდიელთა რაოდენობა სულ უფრო მცირდებოდა. სახელმწიფო აგენტები აცხადებდნენ, რომ საკუთრების საზოგადოებრივი ფორმები პროგრესს აფერხებდნენ და კანონის ძალით ცდილობდნენ, ინდიელებში კერძო საკუთრება დაენერგათ. კოლონიური აფრიკის უდიდეს ნაწილში მიწები ევროპულ კომპანიებს გადაეცათ სამართავად. ადგილობრივი მოსახლეობას ძალდატანებით ამუშავებდნენ ევროპელების პლანტაციებსა და მაღაროებში. კენიაში, ევროპელები, ისინი სადაც მოსახლეობის მხოლოდ 1%-ს შეადგენდნენ, აკონტროლებდნენ მიწის 20%-ს, ძირითადად ისეთ რეგიონებში, სადაც საუკეთესო პირობებია ჩაისა და ყავის კომერციული წარმოებისათვის.

სახელმწიფოს მიერ მიწაზე კონტროლის საკუთარ თავზე აღება არა მხოლოდ კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის დროს იყო. ადგილობრივი რევლოუციური მოძრაობების შედეგად ხდებოდა ან მიწების კოლექტივიზაცია, როგორც ეს მოხდა რუსეთში. ასევე — მსხვილი მიწათმფლობელური სისტემის რღვევა, როგორც მექსიკაში. როგორც წესი, ხელისუფლება ებრძვის მიწაზე საზოგადოებრივ საკუთრებას. განსაკუთრებით მიუღებელია მთავრობისათვის მესაქონლეთა ცხოვრების წესი, რადგან მათი კონტროლი ძალიან ძნელია. სახელმწიფო, როგორც წესი, ცდილობს, მესაქონლეები მკვიდრ ცხოვრებაზე გადაიყვანოს ან შეცვალოს საძოვრებზე საერთო საკუთრების წესი.

ტექნოლოგია

რესურსების საკვებად და სხვა დოვლათად გარდასაქმნელად, ადამიანები ტექნოლოგიებს იყენებენ, რომლებშიც შედის ხელსაწყოები, იარაღები, ნაგებობები (როგორიცაა თევზების ხაფანგი) და ცოდნა (მაგალითად, თევზის ხაფანგის დადგმის ცოდნა). საზოგადოებები შესამჩნევად განსხვავდებიან ტექნოლოგიების მხრივ. მაგალითად, საკვების მომპოვებლები და მესაქონლეები იძულებულები არიან, შეზღუდონ ტექნოლოგიები. მათ რაც შეიძლება ნაკლები ინსტრუმენტი უნდა ჰქონდეთ, რათა მაქსიმალურად ადვილად შეეძლოთ გადაადგილება. ტექნოლოგიების მისაწვდომობის მხრივ შემგროვებლები და მებაღეები დაახლოებთ მსგავს პირობებში იმყოფებიან, რადგანაც მათში სპეციალიზაცია თითქმის არ არსებობს და საზოგადოების ყველა წევრს შეუძლია გააკეთოს თავისთვის საჭირო იარაღები. რაც შეეხება ჩვენს მსგავს ინდუსტრიულ საზოგადოებას, აქ შეუძლებელია ყველა ტექნოლოგიის ფლობა, რადგან იგი უბრალოდ ძალიან ძვირი ან რთული შეიძლება იყოს. უმეტესობას შეუძლია ბურღის ან ჩაქუჩის ყიდვა, მაგრამ ქარხანას, რომელიც მათ აწარმოებს, ყველა ვერ იყიდის.

საკვების შემგროვებლებისათვის ყველაზე უფრო საჭირო სანადირო იარაღებია, სათხრელი ჯოხები და შემგროვებლობისათვის საჭირო ჭურჭელი. ადამიანის კუნძულების მცხოვრებლები სანადიროდ და სათევზაოდ მშვილდ-ისრებს იყენებენ. ავსტრალიელი აბორიგენები ორი ტიპის ბუმერანგებს ხმარობენ: მძიმეს, რომელიც ნადირის სატყორცნად და მის მოსაკლავად გამოიყენება და მსუბუქს, რომელიც გასროლის შემდეგ უკან ბრუნდება. ამ მსუბუქ ბუმერანგს სათამაშოდ და ფრინველების დასაფრთხობად ხმარობენ. მალაელი სემანგები მოწამლული შუბებით ნადირობენ, კონგოში მცხოვრები მბუტის ტომი დღესაც მახეებით იჭერს სპილოებსა და კამეჩებს. შემგროვგებლებს შორის, ალბათ, ყველაზე უფრო რთული ინსტრუმენტები ინუიტებს აქვთ, მაგალითად: ჰარპუნები, ასაწყობი მშვილდები და ძვლის ანკესები. მათ აქვთ აგრეთვე ყველაზე უფრო სტაბილური საცხოვრებლები, ჰყავთ შედარებით სწრაფი ტრანსპორტი ძაღლებშებმული მარხილების სახით. საკვების შემგროვებელ ტომში იარაღები და ხელსაწყოები გამკეთებელს ეკუთნის, თუმცა ამით ისინი სხვებზე უპირატესი არ არიან, რადგანაც ყველას შეუძლია იარაღების გაკეთება და საჭირო მასალაც უხვადაა. ამასთან ერთად, როგორც წესი, ხელსაწყოებიც ისევე ნაწილდება, როგორც საკვები. ელიზაბედ ტომასი კუნგების აღწერისას ამბობს: „ის მცირერიცხოვანი ქონება, რომელიც ბუშმენებს აქვთ, მუდმივად გადადის ხელიდან ხელში ჯგუფის წევრებს შორის.“

საკვების შემგროვებლების მსგავსად, მცირე ქონებით ხასიათდებიან მესაქონლეები, რადგან ისინიც მომთაბარეები არიან. თუმცა მესაქონლეებს თავიანთი ცხოველების საშუალებით მეტი ქონების გადატანა შეუძლიათ. თითოეულ ოჯახს აქვს პირადი ხელსაწყოები, ქსოვილები, შესაძლოა კარავიც. და რა თქმა უნდა, პირუტყვი. ცხოველები ხშირად სხვა საჭირო საქონლის წყაროა, რადგანაც მესაქონლეებისათვის გაცვლის საშუალებას წარმოადგენენ.

მებაღეებს მესაქონლეებთან შედარებით ნაკლები ქონება აქვთ. მცენარეების საჭრელი დანა და მიწის სათხრელი ჯოხი — სულ ესაა, რაც მათ სჭირდებათ. იარაღები აქაც გამკეთებლის საკუთრებაა, მაგრამ მათ თხოვებაზე უარს არ არიან. მაგალითად, ჩუუკების საზოგადოებაში კანოე მისი გამკეთებლისაა, მაგრამ თუ იგი ახლო ნათესავს დასჭირდა და მან ნავი უქმად დაინახა, შეუძლია უნებართვოდ აიღოს და გამოიყენოს. შორეული ნათესავი ან მეზობელი აუცილებლად ითხოვს ნებართვას და პატრონი უარს ვერ ეტყვის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მას აითვალწუნებენ და როდესაც თავად დასჭირდება დახმარება, აღარ დაეხმარებიან.

ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოებებში იარაღებსა და ხელსაწყოებს სპეციალისტები ამზადებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი იყიდება კიდეც. იმის გამო, რომ რთული ხელსაწყოები საკმაოდ ძვირი ღირს, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ პატრონები ადვილად დათანხმდნენ მათ განათხოვრებას. თუ ვინმე შეიძენს დიზელის ძრავიან კომბაინს, რაც საკმაოდ ძვირია, იგი შეეცდება, შენაძენიდან მაქსიმალური შემოსავალი მიიღოს. მფლობელს შეუძლია გააქირავოს იგი და ამით დამატებითი შემოსავალი მიიღოს.

მიუხედავად ამისა, ძვირი ინსტრუმენტები ყოველთვის ინდივიდუალურ მფლობელობაში არ არის, თვით კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი შესაძლებელია მანქანებს კოოპერატივები ან სამეზობლო ფლობდეს. ხშირად მთავრობის საკუთრებაა ძალიან ძვირი მოწყობილობები ან ქონება, რომლებსაც სარგებლობა მოაქვს არა მხოლოდ რომელიმე მწარმოებელი ჯგუფის, არამედ მთლიანად საზოგადოებისათვის. აეროპორტებით სარგებლობენ ავიაკომპანიები და მგზავრები, გზებით მძღოლები, მგზავრები და ა.შ. კაშხალი სარგებლობას აძლევს წყლის კომპანიებსა და მოსახლეობას. ამგვარი რესურსები მთელი საზოგადოების ერთობლივი საკუთრებაა. თუმცა გამოყენება დამოკიდებულია ქონების სახეზე. გზით სარგებლობა ყველას შეუძლია, მაგრამ კაშხლით დაგუბებული წყლის გამოყენება მხოლოდ სახელმწიფოს უფლებაა. სხვა საწარმოო რესურსები, როგორიცაა მაგალითად, ფაბრიკები, შეიძლება სააქციო საზოგადოების საკუთრება იყოს, რომლის აქციონერები საზოგადოებაში ჩადებული წილის სანაცვლოდ მოგების ნაწილს იღებენ. სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ტექნოლოგიებისა და საკუთრების მოცულობა აგრეთვე დამოკიდებულია პოლიტიკურ სისტემაზე. სოციალისტურ და კომუნისტურ ქვეყნებში ეს წილი უფრო მეტია, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

რესურსების გადამუშავება

საზოგადოებები მათ განკარგულებაში არსებული რესურსების გადამუშავების შედეგად იღებენ იმ საქონელს, რაც მათ სჭირდებათ არსებობისათვის, იქნება ეს

სამხრეთ აფრიკის საავტომობილო ქარხნებში ადამიანები რობოტებმა შეცვალეს

საკვები, ხელსაწყოები თუ სხვა რამ. ამგვარ საქმიანობათა ერთობლიობა ეკონომისტები წარმოებას ეძახიან. წინა განყოფილებაში ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ წარმოების სხვადასხვა ტიპი. ამ განყოფილებაში კი განვიხილავთ, თუ რა აიძულებს ადამიანებს, იმუშაონ, როგორ ანაწილებს საზოგადოება შრომას თავის წევრებს შორის და როგორ ხდება შრომის ორგანიზება. ჩვენ ვნახავთ, რომ ბუნებრივი რესურსების გადამუშავების ზოგი ასპექტი კულტურულად უნივერსალურია, მაგრამ არსებობს უამრავი ისეთი ასპექტიც, რომელიც ძალიან ცვალებადია სხვადასხვა კულტურაში.

ეკონომიკური მეურნეობის ტიპები

ანთროპოლოგისათვის ცნობილი საზოგადოებების უმეტესობა შინაურ მეურნეობას მისდევდა. ადამიანები მუშაობდნენ თავიანთი ოჯახისა და ნათესაური ჯგუფის გამოსაკვებად. ოჯახებს, როგორც წესი, საზოგადოებრივი რესურსების გამოყენებისა და საკუთარი ნაშრომის განკარგვის უფლება ჰქონდათ. ისეთი ხელობის ხალხსაც კი, როგორებიც არიან მეთუნეები, შეეძლოთ თავის გატანა ისე, რომ თავიანთი ხელობა არ გამოეყენებინათ.

საწინააღმდეგო მდგომარეობაა ინდუსტრიულ საზოგადოებებში, სადაც შრომის უდიდესი ნაწილი მექანიზებულია თვით სოფლის მეურნეობაშიც კი. მექანიზმების უმრავლესობა ძალიან ძვირია, შესაბამისად, მათი შეძენა მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს (კაპიტალისტებს), კორპორაციებსა და სახელმწიფოს შეუძლია. შედეგად, ადამიანები ასეთ საზოგადოებაში თავისი შრომის გაქირავებით ცხოვრობენ. ხელფასით შესაძლებელია საცოცხლო მოთხოვნების დაკმაყოფილება. უმუშევრები ამას ვერ ახერხებენ, თუ მათზე სახელმწიფომ არ იზრუნა.

მეურნეობის კიდევ ერთი სახეა ტრიბუტარული მეურნეობა. მის მაგალითად გამოდგება შუა საუკუნეების ფეოდალური ევროპა ან ცარისტული რუსეთი ბატონ-ყმობის დროს. ამგვარ მეურნეობაში ადამიანები ჯერ კიდევ თავად აწარმოებენ საკუთარ საკვებს, მაგრამ მათი შრომის შედეგის ნაწილს საზოგადოების მაღალი ფენა, არისტოკრატია ითვისებს.

დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ჩვენი საზოგადოება ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულ საფეხურზე გადადის. კომპიუტერის გამოჩენამ რადიკალურად შეცვალა ეკონომიკის მრავალი სფერო. ახლა სწორედ კომპიუტერები მართავენ საწარმოო რობოტებს და ხელით შრომა უმეტესად მექანიკური შრომით არის ჩანაცვლებული. ბიზნესი უფრო მეტად გახდა ცოდნასა და მომსახურებაზე ორიენტირებული. ძალიან დიდი ცვლილებები შემოიტანა აგრეთვე ტელეკომუნიკაციამ, რომელმაც გადატრიალება მოახდინა ინფორმაციის გაცვლის მხრივ. ჩვენს ლექსიკონში გაჩნდა სიტყვა ტელეკომუტაცია, რომელიც სახლში მუშაობის აღმნიშვნელია. ამ ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც სამუშაო ადგილზე, ისე სახლში ცხოვრებაზეც. იაფი პერსონალური კომპიუტერების წყალობით, სულ უფრო მეტი ადამიანი მუშაობს სახლში. ამასთან ერთად, როდესაც კაპიტალზე მეტი მნიშვნელობა ცოდნასა და ინფორმაციას ენიჭება, ამან შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოების ახალ, განვითარების უფრო დემოკრატიულ საფეხურზე გადასასვლელად.

შრომის სტიმულები

რატომ მუშაობენ ადამიანები? ალბათ, ყველა ჩვენგანს გასჩენია მსგავსი კითხვა. შეიძლება ჩვენი ფიქრები ეხება არა სხვებს, არამედ თვითონ ჩვენ. რატომ უნდა ვიმუშაოთ? პასუხი თითქოს ნათელია: შრომა აუცილებელია გადარჩენისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ზრდასრული შრომისუნარიანი პირები არ მუშაობენ და სხვის ხარჯზე ცხოვრობენ, ადამიანთა უმეტესობა სხვანაირად იქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება უბრალოდ დაინგრეოდა. საზოგადოების უმეტესობა ახერხებს იმას, რომ ადამიანებმა ისურვონ მუშაობა და უფრო მეტიც, უხაროდეთ კიდეც, რომ მუშაობენ. აქვს თუ არა შრომის სტიმულები ყველა საზოგადოებას? ანთროპოლოგების აზრით, პასუხი შეიძლება იყოს როგორც „ჰო“, ისე „არაც“. შრომის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს ის, რომ ადამიანები ვალდებულები არიან, იმუშაონ. მაგრამ რატომ ხდება, რომ ზოგ საზოგადოებაში ადამიანები მუშაობენ მეტს, ვიდრე ვალდებულნი არიან?

დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოგების სურვილი სულაც არ გახლავთ უნივერსალური და ყოველთვის დომინანტური სტიმული. როდესაც ადამიანები თავიანთი პირადი მოხმარებისათვის მოიპოვებენ საკვებსა და სხვა დოვლათს, მათ არ გააჩნიათ მოგების სტიმული. ეს ეხებათ როგორც შემგროვებლებს, ისე მებაღეთა უმეტესობას და ზოგიერთ ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოებასაც კი. ამგვარი საზოგადოებების ეკონომიკას ჩვენ საარსებო ეკონომიკას ვუწოდებთ, განსხვავებით ფულადი ან კომერციული ეკონომიკისაგან. ანთროპოლოგებმა შენიშნეს, რომ ასეთი ეკონომიკის პირობებში ადამიანები ხშირად ნაკლებს შრომობენ, ვიდრე კომერციული ეკონომიკის პირობებში მცხოვრები ადამიანები. საკვების შემგროვებლებს ბევრი თავისუფალი დრო აქვთ ისევე, როგორც მებაღეებს. დადგენილია, რომ ცენტრალურ ბრაზილიაში მცხოვრები კუიკურუს ტომის ადამიანები დღეში დაახლოებით სამ საათ-ნახევარს მუშაობენ და ეს საკმარისია მათი არსებობის უზრუნველსაყოფად. მათ რომ ნახევარი საათით მეტი იმუშაონ ყოველდღიურად, მანიოკის მოსავალს, რომელიც მათი ძირითადი საკვებია, საგრძნობლად გაზრდიან. მაგრამ ისინი ამას არ აკეთებენ. მათ უბრალოდ არ სჭირდებათ მანიოკის მოსავლის ზრდა. ნამეტს ვერ გაყიდიან, ვერ შეინახავენ და არ აქვთ პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც ამ ნამეტს გარკვეული მიზნით შეაგროვებდა. მიუხედავად გავრცელებული მოსაზრებისა, რომ „მეტი ჯობია“, საკვების შემგროვებლებისთვის ამგვარი მიდგომა დამღუპველი შეიძლება აღმოჩნდეს. საჭიროზე მეტი ცხოველის მონადირება სავალალო შედეგს გამოიწვევს. მებაღეებს შეუძლიათ მცირე ნამატისათვის იშრომონ, მაგრამ დიდი ნამატი მათთვის დროისა და შრომის უსარგებლო ხარჯვა იქნებოდა.

არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანები მით მეტს მუშაობენ, რაც უფრო მეტი მომხმარებელია მათ ოჯახში. როდესაც შრომისუნარიანი წევრების რაოდენობა მცირეა, ხოლო მომხმარებელთა რაოდენობა შედარებით დიდი (ბავშვებისა და მოხუცების გამო), მომუშავეებმა მეტი უნდა იმუშაონ. როდესაც შრომისუნარიანი წევრების რა-

ოდენობა იზრდება მომხმარებელთა საერთო რაოდენობასთან შედარებით, მაშინ თითოეულ მომუშავეს ნაკლები შრომა სჭირდება. ეს დამოკიდებულება ცნობილია ჩაიანოვის კანონის სახელით. იგი დაადგინა რუსმა მეცნიერმა, ალექსანდრ ჩაიანოვმა, რევოლუციამდელი რუსული სოფლის გამოკვლევის შედეგად. მაიკლ ჩიბნიკი თვლის, რომ ჩაიანოვის ეს დაკსვნა უნივერსალურია და იგი სამართლიანია ყველა ტიპის საზოგადოებისათვის. ამის დასამტკიცებლად, ჩიბნიკმა გამოიკვლია თორმეტი სხვადასხვა საზოგადოება მსოფლიოს ხუთ ნაწილში, დაწყებული ახალგვინეელი მებაღეებით და დამთავრებული შვეიცარიელი ფერმერებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩაიანოვნმა თავისი თეორია გლეხებზე დაკვირვებით მიიღო, რომლებიც ძირითადად საკუთარი საკვების წარმოებით იყვნენ დაკავებული და მუშებს არ ქირაობდნენ, ჩიბნიკი თვლის, რომ ჩაიანოვის კანონი დაქირავებულ შრომაზეც ვრცელდება.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არსებობენ საზოგადოებები, მათ შორის საარსებო ეკონომიკის საზოგადოებები, რომლებშიც ადამიანები მუშობენ მეტს, ვიდრე ეს აუცილებელია მათი და მათი ოჯახების არსებობისათვის. რა მოტივები განაპირობებს მათ ამგვარ ქცევას? გამოდის, რომ საარსებო ეკონომიკის საზოგადოებები არა მხოლოდ შიდა მოხმარებაზე არიან ორიენტირებულნი. როგორც ქვემოთ ვნახავთ, საკვებისა და დოვლათის განაწილება ხშირად ოჯახის საზღვრებს სცილდება და მთელ საზოგადოებას ან საზოგადოებათა ჯგუფსაც კი მოიცავს. ამგვარ საზოგადოებებში სოციალური ჯილდოები და კეთილგანწყობა გულუხვ ადამიანებს ერგებათ. ამრიგად, ადამიანები უფრო მეტს მუშაობენ, რათა აიმაღლონ თვითშეფასება ან დაიმსახურონ სხვების პატივისცემა. შემდეგ თავებში ვნახავთ, რომ მრავალ საზოგადოებაში დამატებითი საკვები ან დოვლათი საგანგებო შემთხვევებისა და მოვლენების დროს არის საჭირო. ეს შეიძლება იყოს ქორწილის, სხვადასხვა ცერემონიებისა და რიტუალების (მათ შორის ისეთების, რომლებსაც ჩვენ სპორტულ ღონისძიებებს ვეძახით) ჩასატარებლად, კავშირების გასამყარებლად და ა.შ. ამრიგად, შრომა არა მარტო საარსებო აუცილებლობით არის განპირობებული.

ჩვენი მსგავსი კომერციული ეკონომიკის საზოგადოებებში, სადაც საკვები და დოვლათი ყიდვა-გაყიდვის საგანია, ადამიანებს სურთ მეტი შემოსავალი ჰქონდეთ საკუთარი და ოჯახის საჭიროებისათვის. დამატებითი შემოსავალი უფრო დიდი სახლებით, უფრო ძვირი ავეჯითა და „ცხოვრების მაღალი სტანდარტის“ სხვა მაჩვენებლებით აისახება. თუმცა არსებობს სხვა სტიმულებიც, რაც კომერციულ საზოგადოებაში ადამიანების დამატებით შრომას განაპირობებს. ეს, შესაძლოა, იყოს რაღაც მიზნების მიღწევის სურვილი ან უბრალოდ შეიძლება, რომ ადამიანს სიამოვნებდეს შრომის პროცესი. ამასთან ერთად, არაკომერციული საზოგადოებების მსგავსად, შესაძლებელია ზედმეტი შრომა ქველმოქმედების სურვილით იყოს გამოწვეული. ჩვენი საზოგადოება პატივს სცემს და მიესალმება ფილანთროპიის გამოვლინებებს, ახალისებს მათ გარკვეული საგადასახადო შეღავათებით და ა.შ. მიუხედავად ამისა, კომერციულ საზოგადოებაში გაცემა შედარებით ნაკლებ როლს თამაშობს. გარკვეულ გულმოწყალებას კომერციული საზოგადოება უდავოდ მიესალმება, მაგრამ თუკი ქველმოქმედებამ ქველმოქმედს სერიოზული ქონებრივი ზარალი მიაყენა, მას უბრალოდ სულელად ჩათვლიან.

ძალდატანებითი შრომა

აქამდე ჩვენ განვიხილავდით ნებაყოფლობით შრომას ანუ ისეთ შრომას, რომელიც არ არის საზოგადოებაში არსებული რომელიმე ორგანიზაციის მიერ ადამიანების იძულების შედეგი. სოციალური სწავლება და სოციალური იძულება სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ ადამიანების უმრავლესობა რამე სასარგებლო საქმით იყოს

ჩინეთის დიდი კედელი უძველესი საზოგადოებების მრავალი ძეგლის მსგავსად, აშენებული იყო ღობით.

დაკავებული. საკვების შემგროვებლებისა და მებაღეების საზოგადოებებში ისინი, ვინც არ მუშაობენ, ხუმრობის ობიექტები ხდებიან და სხვები მათ სიზარმაცეს დასცინიან, მაგრამ სასჯელსა და ძალდატანებაზე არავინ ლაპარაკობს, პირიქით, მათ საკვებს ისევე უნაწილებენ, როგორც სხვებს. როგორც წესი, ერთეულების სიზარმაცეს ნაკლები ყურადღება ექცევა. საზოგადოება არ სჯის ასეთ პირებს.

უფრო რთულ საზოგადეოებებში ადამიანის იძულების მრავალი სახე არსებობს. ადამიანთა იძულება ხდება ხელისუფლების მიერ, რომლის მეთაური შეიძლება იყოს მეფე ან პრეზიდენტი. იძულების არაპირდაპირი ფორმაა გადასახადები, რომლებიც მაგალითად აშშ შემოსავლის საშუალოდ 33%-ს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ წელიწადში დაახლოებით ოთხი თვე ადამიანები სახელმწიფოსათვის მუშაობენ. თუ პიროვნება უარს იტყვის გადასახადის გადახდაზე, მას ციხეში ჩასვამენ ან ძალით გადაახდევინებენ.

კომერციულ საზოგადოებებში ფული გადახდის საშუალებაა. არაკომერციულ საზოგადოებებში, რომლებსაც რთული სოციალური წყობა აქვთ, გადასახადებს სხვა გზებით იხდიან. ეს შეიძლება იყოს წარმოებული პროგუქციის ნაწილის გაცემა ან შრომითი ბეგარა, რომელიც ავალდებულებს საზოგადოების წევრებს, გარკვეული დრო სხვისთვის იმუშაონ. მაგალითისათვის გამოდგება ინკების იმპერიაში არსებული შრომითი ბეგარა, რომელიც ცნობილია *corvee*-ს სახელით. ყოველი მეთემე მამაკაცი ვალდებული იყო, სამი ნაკვეთი დაემუშავებინა: საკუთარი, სატაძრო და სამეფო. საკვების მარაგი, რომელიც გროვდებოდა სახელმწიფო საცავებში, გამოიყენებოდა არმიის, არსიტოკრატიის, ხელოსნებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეების გამოსაკვებად. იმის მიუხედავად, თუ რამდენად ნაყოფიერი იყო შრომა, ადამიანებს მაინც აიძულებდნენ ემუშავათ. შემორჩა გადმოცემა, რომ ერთ-ერთმა მმართველმა გორაკის გადაადგილება ბრძანა, რათა ადამიანები უქმად არ დარჩენილიყვნენ. სახელმწიფო სამუშაოების გარდა, ინკა მეთემეები ვალდებულები იყვნენ ეტვირთათ სამხედრო და დიდგვაროვანთა სამსახური. არმიაში გაწვევა *corvee*-ს ერთ-ერთი სახეა. მას თავისი ვადა აქვს და მისგან თავის არიდების მცდელობა საზოგადოებიდან გაძევებით ან ციხით ისჯება. ჩინეთში იმპერატორები მოსახლეობას არმიაში ტერიტორიების დასაცავად და სახელმწიფო სამუშაოების შესასრულებლად იწვევდნენ. სწორედ ასე აშენდა ჩინეთის დიდი კედელი, რომლის საერთო სიგრძე 1500 მილს აღემატება.

მის მშენებლობაზე ათასობით ადამიანი გაიწვიეს.

ძალდატანებითი შრომის უკიდურესი ფორმაა მონობა, რადგან მონა არ აკონტროლებს თავისი შორმის შედეგებს. იმის გამო, რომ მონები მრავალ საზოგადოებაში ცალკე კლასია, მონობას უფრო დაწვრილებით სოციალური უთანასწორობისადმი მიძღვნილ თავში განვიხილავთ.

შრომის დანაწილება

ყველა საზოგადოებაში არსებობს შრომის დანაწილება, რაც გარკვეული სახის საქმიანობის გარკვეული ადამიანებისათვის დავალებას ნიშნავს. ქალები და მამაკაცები ისევე, როგორც მოზრდილები და ბავშვები, არ არიან ხოლმე ერთი და იმავე საქმით დაკავებული. ამის გამო სამუშაოს სქესობრივი და ასაკობრივი დანაწილება შრომის უნივერსალური დანაწილების რიცხვს მიეკუთვნება. ანთროპოლოგებისათვის ცნობილ მრავალ საზოგადოებაში საქმის მხოლოდ ამ ორი ნიშნით დანაწილება აღინიშნება. თუმცა არსებობს უფრო კომპლექსური სპეციალიზაციის საზოგადოებებიც.

დანაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით შრომის დანაწილებისას ყველა საზოგადოებაში ითვალისწინებენ სქესს. მას ჩვენ უფრო დაწვრილებით სქესის, სექსისა და კულტურის თავში განვიხილავთ.

მეორე უნივერსალური ბაზისი შრომის დანაწილებისთვის გახლავთ ასაკი. ბავშვებს არ შეუძლიათ ისეთი სამუშაოების შესრულება, რომლებიც დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვს. სამაგიეროდ, არსებობს მრავალი სხვა საქმე, რომლებიც თავისუფლად შეიძლება ბავშვმა შეასრულოს. ეს შეიძლება იყოს მწყემსვა, რწყვა, მოსავლის აღება, წყლისა და შეშის შეგროვება, სახლის დალაგება და საჭმლის მომზადება. სპილოს ძვლის სანაპიროს მიწათმოქმედ საზოგადოებებში ბავშვის სამუშაო იგივეა, რაც იმავე სქესის მოზრდილის სამუშაო (იხილეთ ნახაზი 17-1). ზოგ საზოგადოებაში 6 წლის ბავშვი საკმარისად მოზრდილად ითვლება საიმისოდ, რომ ყურადღება მიაქციოს უმცროს და-ძმას. ხშირად ბავშვებს ცხოველებისათვის თვალყურის დევნებაც ევალებათ. ზოგ საზოგადოებაში ბავშვები უფრო მეტ დროს ხარჯავენ ამ საქმიანობაში, ვიდრე მოზრდილები.

რატომ მუშაობენ ბავშვები ამდენს ზოგ საზოგადოებაში? თუ მოზრდილი, კერძოდ კი დედა, ძალიან დატვირთულია, ხოლო ბავშვები ფიზიკურად და გონებრივად შრომისუნარიანები არიან, სამუშაოს ნაწილი მათზე გადავა. როგორც ვნახეთ, საკვების მწარმოებლები უფრო მეტს მუშაობენ, ვიდრე საკვების შემგროვებლები. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ამ უკანასკნელთა შვილებიც უფრო მეტს იმუშავებენ. პარტიცია დრაპერმა და ელიზაბეთ კაშდანმა საგრძნობი განსხვავება დააფიქსირეს მომთაბარე და დამკვიდრებულ ცხოვრებაზე გადასულ კუნგთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ მკვიდრ ცხოვრებაზე ცოტა ხნის წინ გადასული კუნგები ნაწილობრივ ჯერ კიდევ შემგროვებლებად რჩებოდნენ, ბავშვების ყოფა, როგორც მოზრდილების, შესამჩნევად შეიცვალა. მომთაბარე კუნგების შვილები არ მუშაობდნენ, საკვების მოპოვება მთლიანად მოზრდილების საქმე იყო. ხოლო დამკვიდრებულ კუნგებში ბავშვებს მრავალი საქმე ებარათ, დაწყებული საქონლის მწყემსვიდან და საკვების მოგროვებით დამთავრებული.

თუმცა ზემოთქმული არ ეხება ყველა მომპოვებელ საზოგადოებას. მაგალითად, ტანზანიელი ჰადზას ხალხის ბავშვები 5-10 წლის ასაკში თავადვე მოიპოვებენ კალორიების მესამედიდან ნახევრამდე რაოდენობას, რადგან დედებთან ერთად მონაწილეობენ შემგროვებლობაში. ჰადზელებს მეტი ბავშვები ჰყავთ, ვიდრე კუნგებს. არის თუ არა კავშირი ბავშვების შრომასა და შობადობას შორის? როდესაც მოზარდების შრომა მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, მშობლებს, შესაძლოა, მეტი ბავშვის ყოლა სურდეთ. ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოებებში მაღალი შობადობაა, არადა ასეთ საზოგადოებებში ადამიანებს ბევრი სამუშაო აქვთ.

ზოგ საზოგადოებაში შრომის დანაწილება ფორმ-

ანთროპოლოგიური ორიგინალები

იანომამოს ტომი ბრაზილია-ვენესუელას ჯუნგლებიდან

რაიმე საქმიანობის მუშაობად ჩასათვლელად, არ არის აუცილებელი, რომ მასში ფულს გვიხდიდნენ. ჩვენს საზოგადოებაში განმტკიცებულია აზრი, რომ რაშიც ფულს გვიხდიან, ეს სამუშაოა და რომ სამუშაო სახლის გარეთ სრულდება. მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს საარსებო ეკონომიკის საზოგადოებებთან? მათ არ გააჩნიათ ფული. მათ არ აქვთ სამუშაო ადგილები. მათ არავინ არაფერს უხდის. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ისინი არ მუშაობენ? რა თქმა უნდა — არა. ყველა საზოგადოებას გადარჩენისა და ცხოვრების საკუთარი გზა აქვს. ყველაფერი ის, რასაც ადამიანები ცოცხლად დარჩენის მიზნით აკეთებენ, სამუშაოა. ჩნდება კითხვა, ვინ ასრულებს მას.

კითხვაზე, ქალები უფრო მეტს მუშაობენ, თუ კაცები, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დარწმუნებული პასუხის გაცემა, თუ ზუსტად განვსაზღვრავთ, რას ვგულიხმობთ მუშაობაში. ეკონომიკის ანთროპოლოგების აზრით, მუშაობა მოიცავს ყველა იმ საქმიანობას, რომლებიც პირდაპირ არის მიმართული გადარჩენისა და რეპროდუქციის გაუმჯობესებისკენ. ამაში შეიძლება შედიოდეს ჩვეულებრივი საქმიანობა, როგორიცაა საჭმლის მომზადება, მშენებლობა, ხელსაწყოების შეკეთება და საწვავის (იანომამოს შემთხვევაში – შეშის) შეგროვება და მოვლა. თუკი შრომის ამგვარ დეფინიციას გამოვიყენებთ, გამოვა, რომ იანომამოს ქალები დღეში საშუალოდ 12 წუთით მეტს მუშაობენ, ვიდრე მამაკაცები, თუმცა ეს განსხვავება არ გახლავთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ეს აღმოჩენა საინტერესოა იმ მხრივ, რომ მებაღე საზოგადოებების უმეტესობაში, რომლებისთვისაც ჩვენ სისტემატური მონაცემები მოგვეპოვება, ქალები შესამჩნევად მეტს მუშაობენ, ვიდრე მამაკაცები. საზოგადოებები, სადაც მამაკაცები უფრო მეტს მუშაობენ, ვიდრე ქალები, მონადირეები და შემგროვებლები არიან. ის, რომ იანომამოს მამაკაცები და ქალები დაახლოებით თანაბარი რაოდენობის დროს ხარჯავენ, ეთანხმება ზევით გაკეთებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ იანომამო შეიძლება დახასიათდეს, როგორც მომპოვებელი მებაღე საზოგადოება. მუშაობის დროის განსაზღვრისას არ უნდა გამოგვრჩეს ბავშვის მოვლა, ეს კი სურათს ცვლის. ამ ფაქტორის გათვალისწინება ქალების მუშაობის დროს ორმოცდასამი წუთით ზრდის, მაშინ, როდესაც კაცებისას — მხოლოდ 9 წუთით. ამრიგად, თუ მუშაობაში ბავშვის მოვლასაც ჩავთვლით, იანომამოს ქალები უფრო მეტს მუშაობენ, ვიდრე მამაკაცები.



სურათი 17-1 მოზრდილთა და ბავშვთა მიერ შესრულებული სამუშაოების პროპორციული დანაწილების შედარება

ალურადაც ასაკობრივ საფუძველზე ხდება. სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში მცხოვრები ნიაკიუსას საზოგადოებაში ქონების ძირითადი ნაწილი ჯოგი ნახევარწრის ბოლოები წრედ იკვრება. დაჭერილი თევზი კალათებში გროვდება და ნაპირზე გადააქვთ. უფრო დიდი თევზაობა მთელი სოფლის ან რამდენიმე სოფლის მონაწილეობით ეწყობა შობის პერიოდში. თევზაობის წინა დღეს 100-ზე მეტი ადამიანი წნავს უზარმაზარ ბადეს, რომლის სიგრძე 1600 იარდს აღწევს და შემდეგ მთელი მოსახლეობა ერთად იჭერს ათასობით თევზს ამ ბადით.

ნათესაური კავშირები მნიშვნელოვანი მომენტია შრომის ორგანიზებაში. ეს განსაკუთრებით არაინდუსტრიულ საზოგადოებებს ეხებათ. დასავლეთ ახალ გვინეაში მცხოვრები კაპაუკუს მებაღე ტომი, რომლის ყველა მამაკაცი ერთმანეთის ნათესავია, ერთად მუშაობს თხრილების დრენაჟზე, დიდი ორმოების ამოთხრასა და ხიდების გადებაზე. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, სულ უფრო ხშირია ფორმალურად ორგანიზებული ჯგუფები. თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში ორგანიზაციის საფუძველი არის კონტრაქტი — შეთანხმება დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის, რომლითაც შრომის გარკვეული რაოდენობის საფასურად მუშაკი იღებს გარკვეულ თანხას, ხელფასს. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება ნებაყოფლობითი შეიძლება იყოს, კანონები და სახელმწიფო ხშირად ავალდებულებს ჯგუფებს, რომ მათ ამგვარი კონტრაქტები იქონიონ.

გადაწყვეტილების მიღება შრომის შესახებ

საკვების შემგროვებლები ირგვლივ არსებული ცხოველებისა და მცენარეების მრავალფეროვნებიდან ერთ ან რამდენიმე სახეობას ირჩევენ ხოლმე და მთელ ყურადრებას საკვების მოპოვებისას სწორედ მათზე ამახვილებენ. რატომ ხდება ასე? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზოგი ცხოველის მოკვლა აკრძალულია, ხოლო ზოგი კი უფრო გემრიელია. მაგრამ საიდან მოდის ამგვარი რწმენა? არის თუ არა ის ადაპტაციური? და თუ არ არსებობს ტრადიციებიდან გამომდინარე არჩევითობა, მაშინ რით აიხსნება ის მოვლენა, რომ საკვების შემგროვებლები გარკვეული სახეობის ცხოველებსა და მცენარეებს გამოარჩევენ სხვებისაგან? ასევე მუდმივი არჩევანის წინაშე დგას საკვების მწარმოებელიც. ფერმერმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რა დათესოს, როდის დათესოს, რამდენი დათესოს, როდის მოიწიოს მოსავალი, რამდენი შეინახოს, რამდენი გაყიდოს. მკვლევარები ცდილობენ ახსნან, თუ რატომ გადადის ზოგი ეკონომიკური გადაწყვეტილება ჩვეულების რიგში და რატომ იღებენ ადამიანები ყოველდღიურად ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს.

არჩევანის შესახებ იდეათა ძირითადი წყაროა **თეორია ოპტიმალური მოპოვების** შესახებ, რომელიც თავდაპირველად ცხოველთა ქცევის საფუძველზე ჩამოყალიბდა, შემდეგ კი ამ თეორიით შემგროვებელი ადამიანების ქცევაც ახსნეს. ოპტიმალური მოპოვების თეორიის თანახმად, პიროვნება ცდილობს, თავისი შრომიდან მაქსიმალური მოგება მიიღოს საკვები ნივთიერებისა და კალორიების სახით და ამიტომ აკეთებს არჩევანს ცალკეულ ცხოველებსა ან მცენარეებზე. სხვადასხვა შემგროვებელ საზოგადოებაში ჩატარებული კვლევები ადასტურებს ამ თეორიის სამართლიანობას. მაგალითად, პარაგვაელი აჩეს ინდიელები ამჯობინებენ ინადირონ პეკარიებზე და არა ჯავშნოსნებზე, მიუხედავად იმისა, რომ ჯავშნოსნები უფრო ბევრი და ადვილი მოსანადირებლები არიან. საქმე ისაა, რომ პეკარიებზე ნადირობაში გატარებული წარმატებ ს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 1800 კალორიას უდრის. არსებობენ სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, საკვები რესურსების პროგნოზირებადობა. კალაჰარიში მცხოვრები კუნგები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული მონგონგოს კაკალზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნაკლებად კალორიულია, ვიდრე ხორცი. სამაგიეროდ, წელიწად ის იმ დროს, როდესაც მონგონგო შემოდის, მწიფე ნაყოფების პოვნა ძალიან იოლია და საკვების მზა წყაროც მათ წინაა. ასეთ დროს ისინი ნაკლებად ნადირობენ, რადგან არ იციან, მოახერხებენ თუ არა ნალი მიიღოს და რამდენი შრომა დახარჯოს მის მოსაწევად. ქრისტინა გლედვინი და სხვა მეცნიერები თვლიან, რომ ფერმერები გადაწყვეტილებებს ნაბიჯ-ნაბიჯ იღებენ, სადაც ყოველი ნაბიჯი შეიცავს დადებით და უარყოფით პასუხს. გვატემალის მთიან რეგიონებში, სადაც ფერმერებს რვა სხვადასხვა მოსავლის მიღება შეუძლიათ, მათ უნდა აირჩიონ რომელი კულტურა მოიწიონ, რომელი კულტურები დარგონ ერთად (მაგალითად, სიმინდი და ლობიო, რომლებიც ერთად კარგად იზრდება). ფერმერი უარყოფითი პასუხის შემთხვევაში განსახილველ შესაძლებლობას გამორიცხავს და სხვებს განიხილავს. დადებითი პასუხის შემთხვევაში კი შემდეგ კითხვაზე გადადის. ეს კითხვები შეიძლება იყოს, მაგალითად, შევძლებ თუ არა თესლებისა და სასუქების შოვნას? შევძლებ თუ არა კარგად მორწყვას? ზედმეტად მაღალმთიანი ხომ არ არის რეგიონი ამ მცენარისთვის? ამრიგად, ყველა უარყოფითი ვარიანტის გამორიცხვის შემდეგ ფერმერი იღებს გადაწყვეტილებას.

ადამიანები, შესაძლოა, ყოველთვის ვერ აცნობიერებდნენ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიზეზს, არც შედეგების განსაზღვრა შეეძლოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანების ეკონომიკური არჩევანის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. მაგალითად, მაიკლ ჩიბნიკმა აღმოაჩინა, რომ ბელიზის ორ სოფელში მცხოვრები მამაკაცები ვერ ხსნიდნენ, თუ რატომ უთმობდნენ თავიანთ დროს დაქირავებულ მუშაობას ან მი-

წათმოქმედებას. მაგრამ მათი ქცევის განსაზღვრა შესაძლებელი იყო. სოფლებში, სადაც ცხოვრება ძვირი ღირდა, მამაკაცები ხელფასზე მუშაობას ამჯობინებდნენ.

რესურსებისა და მომსახურების განაწილება

მიუხედავად გარკვეული სახეცვლილებისა, საზოგადოებებში საქონელი და მომსახურება ძირითადად სამი ტიპის სისტემით ნაწილდება: თანამშრომლობით, გადანაწილებით და კომერციული ბაზრის სისტემებით. ხშირად ერთ საზოგადოებაში სამივე სისტემა არსებობს, მაგრამ მთავარი როლი ერთ-ერთს აკისრია იმის მიხედვით საზოგადოებაში საკვების მოპოვების როგორი წესი არსებობს, ეკონომიკის განვითარების რა დონეა.

ურთიერთთანამშრომლობა

ურთიერთთანამშრომლობა გულისხმობს გაცემასა და მიღებას ფულის მონაწილეობის გარეშე. იგი ძირითადად საჩუქრების გაცემის ან ზოგადი ურთიერთთანამშრომლობის სახით გვხვდება. არსებობს აგრეთვე თანაბარ ღირებულებაზე დამყარებული (სავაჭრო) ან გაწონასწორებული ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც ასევე არ მოითხოვს ფულის მონაწილეობას.

ზოგადი ურთიერთთანამშრომლობა როდესაც საქონელი ან მომსახურება ერთმანეთში ყოველგვარი მოსალოდნელი უკუგების გარეშე ნაწილდება, ჩვენ ამას **ზოგად ურთიერთთანამშრომლობას** ვუწოდებთ. ყველა საზოგადოებაში ოჯახები სწორედ ზოგად ურთიერთთანამშრომლობას ეფუძნება. მშობლები ანგარების გარეშე უვლიან შვილებს, აჭმევენ მათ, აძლევენ ტანსაცმელს და ა.შ. მშობლებს ეს სურთ ან შესაძლოა ვალდებულადაც გრძნობენ თავს. თუმცა არ ანგარიშობენ იმას, თუ როგორ გადაუხდიან შვილები წლების შემდეგ. ამ მხრივ ყველა საზოგადოებას აქვს ზოგადი ურთიერთთანამშრომლობა. მაგრამ ზოგი საზოგადოება თითქმის მთლიანად არის მასზე დამოკიდებული საქონლისა და მომსახურების განაწილების დროს.

ლორნა მარშალმა აღწერა, თუ როგორც გაანაწილეს კუნგმა მონადირეებმა მათ მიერ მოკლული ანტილოპა კუნგების ხუთ ჯგუფსა და რამდენიმე უცხოელ სტუმარს შორის. ამ დროს ბანაკში 100 ადამიანზე მეტი იყო. ხორცის მფლობელად გამოცხადდა მონადირე, რომელმაც პირველი ისარი მოარტყა ანტილოპას. მან თავდაპირველად იმ ორ მონადირეს დაუნაწილა ხორცი, რომლებიც მას ცხოველის მოკვლაში დაეხმარნენ. მათ კი, თავის მხრივ, თავიანთ ნათესავებს დაურიგეს. თითოეულმა მონადირემ ხორცი დაურიგა თავისი ცოლის მშობლებს, ცოლებს, ბავშვებს, მშობლებს, და-ძმებს, რომლებიც, თავის მხრივ, თავიანთ ნათესავებს უნაწილებდნენ. მკვლევარებმა სამოცდასამი ძღვენი დათვალეს. დანაწილება შემდეგაც გაგრძელდა და საჭმლის მომზადებაც დაიწყო. კუნგების მიერ ნადავლის განაწილება — ზოგადი ურთიერთთანამშრომლობა — ჩვეულებრივია მომპოვებელი საზოგადოებებისათვისაც და გაცემის ობიექტი მხოლოდ ნანადირევი არ გახლავთ. მეტიც, ლორნა მარშალმა 1951 წელს, როდესაც აფრიკას ტოვებდა, კუნგებს ყელსაბამების გასაკეთებლად კაურის ნიჟარები დაუტოვა. როდესაც იგი ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ ჯგუფის წევრებს ნიჟარები თითქმის არ ჰქონდათ, სამაგიეროდ მეზობელი ჯგუფების წევრებს თითქმის ყველას ჰქონდა სამკაულში ჩატანებული ნიჟარა.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ურთიერთთანამშრომლობა, შესაძლოა, ალტრუისტულად და უანგაროდ მოგვეჩვენოს, მკვლევარები ფიქრობენ, რომ გულუხვობა საბოლოოდ მაინც სასარგებლოა. მშობლები, რომლებიც მზრუნველობით ზრდიდან ბავშვებს, გარდა იმისა, რომ თავიანთ გენებს გადარჩენაში ეხმარებიან (ბიოლოგიური სარგებელი), როგორც წესი, მოხუცებულობისას მათგან ზრუნვასა და სიყვარულს იღებენ. ხოლო მშობლები, რომლებიც ნაკლებად უვლიან თავიანთ შვილებს, როგორც წესი, მათგან პასუხადაც იმავეს იღებენ. ამრიგად, მოკლევადიან თუ გრძელვადიან პერსპექტივაში, გულუხვობას როგორც ეკონომიკური, ისე ფსიქოლოგიური სარგებლის მოტანა შეუძლია, რომ აღარაფერი ვთქვათ რეპროდუქტიულ სარგებელზე.

მშობლების გულუხვობა ბავშვებისადმი ადვილი გასაგებია, მაგრამ როდესაც გაცემა ოჯახის ფარგლებს სცილდება, მეცნიერებს უჭირთ განმაპირობებელი მიზეზების ზუსტად ჩამოყალიბება. რატომ არის ზოგი საზოგადოება დამოკიდებული ზოგად ურთიერთთანამშრომლობაზე უფრო მეტად, ვიდრე სხვა საზოგადოებები? თან ეს ურთიერთანამშრომლობა სცილდება ოჯახის ფარგლებს. განაწილების შესაძლო მიზეზი საკვების მოპოვებაში დაურწმუნებლობა შეიძლება იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განაწილება უფრო მოსალოდნელია იქ, სადაც რთულია საკვებისა და წყლის მოპოვების პროგნოზირება. კუნგების ჯგუფს შეუძლია წყალი გაუნაწილოს სხვა ჯგუფებს, რადგანაც მომავალში მათ თავად შეიძლება დასჭირდეთ ამგვარი დახმარების მიღება. კალაჰარიში მცხოვრები სხვა ტომი, განა, ნაკლებად ხასიათდება ამგვარი გულუხვობით. განას ხალხისთვის რესურსები შედარებით ადვილად პროგნოზირებადია, რადგან მათ ნადირობასა და შემგროვებლობასთან ერთად საკვები მცენარეები მოჰყავთ და თხებსაც აშენებენ. ნესვის მოყვანით, რომელიც წყალს შეიცავს, ისინი შედარებით დაცულნი არიან წყლის ნაკლებობისაგან, ხოლო თხების მოშენება კი მათ უზრუნველყოფს საკვებით ნადავლის არარსებობის პირობებში. ამრიგად, თუ კუნგები ხორცს ცხოველის მოკვლისთანავე ანაწილებენ, განას ხალხი ხორცს აშრობს და ინახავს.

მოსაზრება, რომ საკვების მოპოვების პროგნოზირების სირთულე ხელს უწყობს განაწილებას, გარკვეულწილად ხსნის იმ ფაქტსაც, რომ საკვების ზოგი სახეობა უფრო მეტად ექვემდებარება განაწილებას, ვიდრე სხვები. გარეული ცხოველი, როგორც წესი, რთულად პროგნოზირებადი მონაპოვარია. ნადირობის დასაწყისში მონადირემ არ იცის, ხელცარიელი დაბრუნდება, თუ ნადავლს მოიტანს. ველური ნაყოფი შედარებით იოლად პროგნოზირებადი პროდუქტი. შემგროვებლებმა იციან, თუ სად ეძებონ ისინი და რაღაც რაოდენობას მაინც შეაგროვებენ. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ცხოველის ხორცის განაწილება ბევრად უფრო ხშირია საკვების მომპოვებელთა შორის, ვიდრე ველური ნაყოფების. თვით ისეთ საზოგადოებებშიც კი, რომლებიც მებაღეობაზე არიან დამოკიდებულნი, როგორც მაგალითად იანომამოს ტომი, საკვები, რომლის მოპოვება რთულად პროგნოზირებადი გახლავთ (ცხოველები, თევზი), ბევრად უფრო ხშირად ნაწილდება, ვიდრე ბაღიდან მოწეული საკვები. თუმცა მაშინ, როდესაც ნანადირევი ხორცი ველურ ნაყოფებზე უფრო ხშირად ნაწილდება, შეგროვებული ან მოყვანილი ნაყოფებიც ასევე ხშირად ნაწილდება მებაღეებს შორის. რა არის ამის მიზეზი? მცენარეული საკვების განაწილება შესაძლოა სასარგებლო იყოს იმ მებაღეებისათვის, რომლებიც თავიანთი ბაღებიდან მოშორებით ცხოვრობენ და ხშირად ვერ ახერხებენ საკვების მოსატანად წასვლას. განაწილება ამყარებს სოციალურ ურთიერთობებს და როდესაც გულუხვ ადამიანს ძნელბედობის ჟამი დაუდგება, მას სხვები დაეხმარებიან. აუმჯობესებს თუ არა საკვების განაწილება ცალკეული პიროვნების საკვებით უზრუნველყოფას? აღმოსავლეთ პარაგვაიში მცხოვრები აჩეს ტომი საკვებს ძირითადად სანადირო ლაშქრობების დროს მოიპოვებს. მათთან ჩატარებული გამოკვლევების შედეგად გამოთვალეს, რომ ჯგუფის წევრები საშუალოდ მეტ საკვებს იღებენ, როდესაც ინანილებენ. თვით მამაკაცებიც კი, რომლებიც ნადირობენ, მეტ საკვებს იღებენ. თუმცა გა-

განაწილებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სოციალური უთანასწორობის მქონე საზოგადოებებშიც. ამ სურათზე ჩვენ ვხედავთ ჩინური სოფლის მცხოვრებლებს, რომლებიც ხორცის ნაჭერს 72 ნაწილად ჰყოფენ, რათა სოფლის ოჯახებს დაურიგონ.

ნაწილებიდან ყველაზე უფრო მოგებულები ქალები და ბავშვები რჩებიან. მათემატიკურად გამოთვლილია, რომ ცალკეული შემგროვებლისათვის წარუმატებლობის შემთხვევაში შიმშილის საფრთხე საგრძნობლად კლებულობს, თუკი ჯგუფში 6-8 შემგროვებელია, რომლებიც თავიანთ მონაპოვარს სხვებს უნაწილებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგ საზოგადოებაში მიღებულია ნივთების სხვებისათვის მიცემა, ყველამ, შესაძლოა, არ მოისურვოს ასე მოქცევა გარკვეული სოციალური ზეწოლის გარეშე. კუნგები მათ, ვინც საჩუქრებს არ გასცემს, გულცივებს ეძახიან და მათდამი უარყოფით განწყობას ღიად გამოხატავენ. თავიანთ ჯგუფსა და კუნგების სხვა ჯგუფებს შორის დაძაბულობის შესამცირებლად, ბრაზისა და შურის ასაცილებლად და მშვიდობის შესანარჩუნებლად, კუნგები მეგობრობისა და ვალდებულებების ფართო ქსელს ქმნიან. ამ ურთიერთობების საფუძველი საჩუქრებია. შეიძლება ითქვას, რომ გაცემული სიკეთის სანაცვლოდ ადამიანები პრესტიჟსა და „სოციალურ კრედიტს“ იღებენ, მაგრამ ეს გულუხვობა მოსალოდნელ სარგებელს არ ემყარება. კუნგებსა და სხვა მომპოვებლებს შორის პირი, რომელიც არ ნადირობს, სხვების მსგავსად მიიღებს ნანადირევის ნაწილს.

საკვების მოპოვების ყოველდღიურ სირთულესთან ერთად, არსებობს უფრო ხანგრძლივი უკმარისობის შემთხვევებიც. რა ხდება ზოგადი ურთიერთთანამშრომლობის საზოგადოებებში გვალვის ან სხვა მოვლენის შემთხვევაში, რომელიც ხანგრძლივად ამცირებს საკვების მოპოვების შესაძლებლობებს? როგორც კვლევები გვიჩვენებს, ასეთ დროს განაწილების მასშტაბები კიდევ უფრო იზრდება. ინუიტების აღწერისას ასენ ბალიკცი წერს, რომ სანამ ნადავლი უხვად იყო, ხორცს მხოლოდ ნათესავებს უნაწილებდნენ, ნადავლის სიმცირის პირობებში კი კარიბუს ხორცი მთელ ბანაკს უნაწილდებოდა. საკვების უკმარისობის დროს განაწილების მასშტაბები შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ უკიდურესი გაჭირვების ჟამს ზოგადი ურთიერთთანამშრომლობა შეიძლება შესუსტდეს. ეთნოგრაფებმა აღწერეს ძლიერი შიმშილობის შემთხვევები, როდესაც ხალხი იხოცებოდა, საკვების განაწილება კი ოჯახებით შემოიფარგლებოდა.

მკვლევარებს უჭირთ განაწილების პრინციპის ახსნა, ვინაიდან ზოგადად ადამიანი მესაკუთრე და ანგარებიანია. განაწილების შესახებ გამოთქმული მოსაზრებების უმეტესობა ძირითადად ემყარება იმ ვარაუდს, რომ გულუხვობა საბოლოო ჯამში გარკვეულ პირობებში სასარგებლოა პიროვნებებისათვის და სწორედ ამ პირობებში არსებული საზოგადოებები აცხადებენ განაწილებას მორალის საკითხად ან სხვა გზებით ცდილობენ განაწილებით უკმაყოფილოთა გაკიცხვას. თუმცა ახლო წარსულში ჩატარებული საინტერესო კვლევები ცხადჰყოფენ, რომ თანამშრომლობას სიამოვნების გამოწვევა შეუძლია. მკვლევარებმა შეისწავლეს ქალთა ტვინის მოქმედება თანამშრომლობის მომენტებში და აღმოაჩინეს, რომ ამ დროს აქტიურდება ტვინის ის ნაწილები, რომლებიც ჩვეულებრივ სიამოვნებასთან არიან დაკავშირებული. თუკი ეს აღმოჩენა სხვა პირობებშიც სამართლიანია, მაშინ თანამშრომლობა, შესაძლოა, უფრო „ბუნებრივი““ აღმოჩნდეს, ვიდრე ჩვენ გვგონია.

განონასწორებული ურთიერთთანამშრომლობა

ურთიერთთანამშრომლობის ამ სახეს ახასიათებს სარგებლის მოლოდინი ან მყისიერად ან მოკლევადიან პერიოდში. მაგალითად, კუნგები ვაჭრობენ ბანტუს ცვანას ტომთან. აძლევენ მათ ტყავებსა და სირაქლემას კვერცხებს, სანაცვლოდ კი დანებს, შუბებსა და თამბაქოს იღებენ. მეჩვიდმეტე საუკუნეში იროკეზებს ევროპელებთან ჰქონდათ გაცვლა–გამოცვლა, ირმის ტყავში ცვლიდნენ რკინის ნაკეთობებს, იარაღსა და ქსოვილებს. კუნგები და იროკეზები სავაჭრო საქონელს განონასწორებული ურთიერთთანამშრომლობით მოიპოვებდნენ, მაგრამ ამგვარი გაცვლა მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არ იყო.

არიან საზოგადოებები, რომლებიც ძალიან არიან დამოკიდებული ამგვარ თანამშრომლობაზე. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ცენტრალური აფრიკის მცხოვრები იტურის ხალხი, რომლებიც თავიანთი საკვების ძირითად ნაწილს მეორე ტომის, მიწათმოქმედი ლესეს საზოგადოებისაგან იღებს. იტურიები ლესეს ბაღებში მუშაობენ და სანაცვლოდ მოსავლის ნაწილსა და სხვა საქონელს იღებენ, როგორიცაა ლითონის ჭურჭელი და შუბები. მესაქონლეებიც იშვიათად ახერხებენ გაცვლისათვის თავის არიდებას, რადგან ბევრ საჭირო ნივთს თავად არ ამზადებენ. შესაბამისად მათ უწევთ ვაჭრობა მებაღეებთან და მიწათმოქმედებთან. განონასწორებული ურთიერთთანამშრომლობა, შესაძლოა, შრომასაც მოიცავდეს. კოოპერატიული შრომის ჯგუფები ცვლიან ან აწონასწორებენ შრომის პროდუქტებს. კოოპერატიული შრომის ჯგუფი ანუ კუუ, რომელიც ლიბერიელი კპელეს ტომში იკრიბება, 6-40 ადამიანისაგან შედგება, ისინი ძირითადად ერთმანეთის ნათესავები ან მეგობრები არიან. ამგვარი ჯგუფის მონაწილეს თავადაც შეუძლია ჰქონდეს იმედი, რომ საჭიროების დროს თვითონაც შეკრებს ამგვარ ჯგუფს. ამასთან ერთად რთული სამუშაო დღის შემდეგ შეიძლება ლხინიც გაიმართოს.

როდესაც ვამბობთ, რომ გაცვლა განონასწორებულია, აქ არ ვგულისხმობთ, რომ გაცვლილი საქონელი თანაბარი ღირებულებისაა ან გაცვლა წმინდა ეკონომიკური ხასიათისაა. ფულის არარსებობის პირობებში, როდესაც

არ არის შეფასების თვალსაჩინო სტანდარტი, შეუძლებელია ღირებულებათა ობიექტური შეფასება. მთავარი ის არის, რომ გაცვლის მონაწილეები ერთმანეთს ნებაყოფლობით უცვლიან საქონელს და ორივე მხარე იღებს იმას, რაც სურს. ძალდატანება არ ხდება და არც ერთი მხარე არ თვლის, რომ შეთანხმება უთანასწოროა. შეფასებებს, შესაძლოა, ეკონომიკური მოტივები არც ჰქონდეს საფუძვლად. გაცვლა, შესაძლოა, სახალისო და საინტერესო იყოს. ბოლოს და ბოლოს, მას შუძლია სოციალური კავშირების განმტკიცება.

იმის გამო, რომ გაცვლა სხვადასხვა მოტივით შეიძლება ხდებოდეს, მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. ზოგი ანთროპოლოგი ასხვავებს საჩუქრების გაცვლასა და საჭირო საქონლის გაცვლას. საჩუქრების გაცვლა პიროვნულია და ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს შორის მყარი კეთილგანწყობის შექმნას ემსახურება. ჩვენს საზოგადოებაში ახლობლების სადილად დაპატიჟება შობის დღეებში სოციალური მოსაზრებებით არის განპირობებული. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს არა მხოლოდ საკვები და შესაძლო საჩუქრები, არამედ ადამიანური ურთიერთობები. როგორც ქვევით ნახავთ, ზოგ გაცვლას, რომელიც ცნობილ კულას წრეში წარმოებს, სავაჭრო ურთიერთობათა განმტკიცების სურვილი უდევს საფუძვლად. საჩუქრების გაცვლისაგან განსხვავებით, საჭირო საქონლის გაცვლა, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ფულის არარსებობის დროს, სწორედ მიღებულ საქონელსა და მომსახურებაზეა ორიენტირებული. ამ შემთხვევაში, მოტივად თავად გაცვლა გვევლინება. მას შემდეგ, რაც გაცვლა შედგება, მხარეებს შორის ურთიერთობა წყდება.

კულას წრე ახალი გვინეის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მდებარე ტრობრიანდის კუნძულების მცხოვრებლებმა, რომლებიც მებაღეები არიან, ახლომდებარე კუნძულებთან სავაჭრო გაცვლისთვის დეტალურად დაამუშავეს სქემა. ამ მხარეში ვაჭრობა აუცილებელია, რადგან ზოგი კუნძული მეტად მცირე და კლდოვანია, რის გამოც არ შეუძლია თავისი მცხოვრებლების გამოკვება. ამიტომ, ამ კუნძულების მოსახლეობა ნავების მშენებლობითაა დაკავებული, იციან ასევე მეთუნეობა და სხვა ხელოსნობა. შედარებით დიდ კუნძულზე მცხოვრები ხალხი აწარმოებს უფრო მეტს საკვებს, ვიდრე სჭირდებათ. უბეროის თანახმად, აუცილებელი საქონლით ვაჭრობა განმტკიცებულია ძვირადღირებული ნიჟარებისაგან დამზადებული სამკაულების რიტუალური გაცვლით, რომელიც ცნობილია კულას სახელით. მისი კლასიკური აღწერა ბრონისლავ მალინოვსკის ეკუთვნის.

რიტუალურ გაცვლაში ორი ტიპის სამკაულები ფიგურირებს: თეთრი ნიჟარებისაგან გაკეთებული სამაჯურები, რომელსაც მვალი ეწოდება და წითელი ნიჟარებისაგან დამზადებული ყელსაბამები, რომლებიც სოულავას სახელით არის ცნობილი. ერთი ან მეტი ამგვარი სამკაულის მფლობელს სხვა კუნძულზე სავაჭრო ექსპედიციის ორგანიზება შეუძლია. ექსპედიციის მთავარი მომენტია კულას სამკაულების ცერემონიული გაცვლა. ექსპედიციის თითოეული წევრი იღებს სამკაულს თავისი სავაჭრო პარტნიორისაგან და ორი-სამი დღის განმავლობაში რჩება კუნძულზე როგორც სტუმარი. ამ დროის მანძილზე მიმდინარეობს ვაჭრობა. ზოგიერთი გაცვლა, შესაძლოა, სავაჭრო პარტნიორებს შორის საჩუქრების გაცვლაშიც გამოიხატოს. ხშირია ბარტერი როგორც ესქსპედიციის წევრებს შორის, ისე ადგილობრივ მოსახლეობასთანაც. როდესაც სტუმრები მიდიან, მათ მთელი წლის სავაჭრო საქმეები აქვთ მოგვარებული.

კულას წრის პრაქტიკული სარგებელი არა მხოლოდ საქონლის გაცვლაში გამოიხატება. იგი შეიძლება წმინდა სოციალურ ხასიათს ატარებდეს. სავაჭრო ექსპედიციას ბიზნესზე უფრო მეტად თავგადასავლის ელფერი დაკრავს. კუნძულებზე მრავალი ტრადიციაა შემონახული, მითები, ლეგენდები, რიტუალები და ისტორია, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული კულას სამკაულებთან. განსაკუთრებით ეს ეხება შედარებით დიდ და ლამაზ სამკაულებს, რომლებიც მთელ მხარეში ცნობილია და საგვარეულო ფასეულობებს მიეკუთვნება. კულას წრე საშუალებას აძლევს ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომ სიცოცხლის განმავლობაში მრავალი ძვირფასი ნივთი ჰქონდეთ, თითოეული მათგანი დაახლოებით ერთი წლის მანძილზე. თითოეული ნივთი, რომელიც ერთი წლით არის მიღებული, უფრო მეტ სიხარულსა და ენთუზიაზმს იწვევს, ვიდრე ის, რომელიც მთელი ცხოვრება ერთი პატრონის ხელში დარჩება.

მეცნიერების აზრით, კულას წრე დაახლოებით 2000 წლისაა და რაც უდნა იყოს მისი წარმოქმნის მიზეზი, იგი დღესაც ინარჩუნებს უდიდეს მნიშვნელობას რეგიონში. მას შემდეგ, რაც ახალი გვინეა დამოუკიდებელი ქვეყ-



სურათი 17-2 კულას წრეში წითელი ყელსაბამები (სოულავა) კუნძულების რგოლში საათის ისრის მიმართულებით მოძრაობენ, ხოლო თეთრი სამაჯურები (მვალი) კი - საათის ისრის საპირისპიროდ. მსხვილი ხაზები გვიჩვენებს საზღვაო ვაჭრობის გზებს. წყვეტილი წრეები გვიჩვენებს კულას საზოგადოებებს, წყვეტილი მართკუთხედებით კი აღნიშნულია მხარეები, რომლებიც კულას არაპირდაპირი გავლენის ქვეშ არიან.

ანა გახდა, კულას წრეში აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვნად ეხმარებოდა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს.

ტრობრიანდის კუნძულებზე კულა გაცვლის ერთადერთი გზა არ გახლავთ. აღსანიშნავია გაცვლა დაკრძალვის დროს. ამ დროს გარდაცვლილის ნათესავები მათ, ვინც გარდაცვლილის მოვლაში მიიღო მონაწილეობა, ვინც დაკრძალვის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა და ვინც მიცვალებულის დასატირებლად მივიდა, იამსს და ტაროს ურიგებენ. ამ საწყისი გაცვლის შემდეგ სოფელი გლოვას იწყებს. სხვა სოფლიდან მოსულ ქალებს მგლოვიარეებისთვის საკვები მოაქვთ. მგლოვიარე ქალები კი ბანანის ბოჭკოსაგან სამოსის დამზადებას იწყებენ მათი მოგვიანებით განაწილების მიზნით. ქმრები თავიანთ ცოლებს დამატებითი ბანანის საყიდლად საჭირო საქონლის მოგროვებაში ეხმარებიან. რის შემდეგაც იწყება ქალთა გლოვა. იგი ძალზე კონკრენტულია. თითოეული ქალი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი შეკვრა და სამოსი გაანაწილოს. ერთ დღეში მგლოვაირე ქალმა, შესაძლებელია, 5000-მდე ბანანის შეკვრა და 30-მდე სამოსი გაანაწილოს. ეს გაწონასწორებული ურთიერთთანამშრომლობის ამსახველი მოვლენაა, რადგან გამცემი ამას აკეთებს იმის სანაცვლოდ, რაც თვითონ აქვს მიღებული წარსულში. ქალების ძმები მათ იამსსა და ტაროს მთელი წლის განმავლობაში უგზავნიან. იგი კი ძმების ცოლებს ბანანების შეკვრებსა და სამოსს აძლევს. განაწილება ხდება მათზეც, ვინც საგანგებო სამგლოვიარო სამოსის დამზადებაში იღებდა მონაწილეობას და მათზე, ვინც გლოვის დროს საჭმელი მოიტანა ან მოამზადა.

ზღვარი ზოგად და გაწონასწორებული ურთიერთთანამშრომლობებს შორის ხშირად არცთუ ისე მკვეთრია. განვიხილოთ ჩვენს საზოგადოებაში არსებული საშობაო საჩუქრების გაცვლის წესი. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი საჩუქრების გაცემა ზოგად ხასიათს შეიძლება ატარებდეს, არსებობს წონასწორობის მყარი მოლოდინიც. ორი მეგობარი ან ნათესავი შეეცდება ერთმანეთს თანაბარი ღირებულების საჩუქრები გადასცენ. თუკი პიროვნებამ, რომელმაც 25 დოლარის ღირებულების საჩუქარი გასცა, სანაცვლოდ 5 დოლარის ღირებულების მიიღო, იგი უკმაყოფილო დარჩება და შესაძლოა გაბრაზდეს კიდეც, 500 დოლარის ღირებულების საჩუქრის მიღების შემთხვევაში კი შესაძლოა უხერხულობაც იგრძნოს.

ნათესაობა და ურთიერთთანამშრომლობის ტიპები

საკვების შემგროვებელი და მებაღე საზოგადოებების უმეტესობა დამოკიდებულია ურთიერთთანამშრომლობაზე საქონლისა და მომსახურებათა განაწილების დროს. მარშალ სალინსის აზრით, ურთიერთთანამშრომლობის ფორმა დამოკიდებულია ნათესაურ კავშირებზე. ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს შორის ზოგად ურთიერთთანამშრომლობას აქვს ადგილი, ხოლო ერთმანეთთან შედარებით ნაკლებად დაკავშირებული ადამიანები წონასწორობით თანამშრომლობას მიმართავენ. პირები, რომლებიც შეუფერებლად ჩათვლიან საკუთარი ოჯახის წევრებთან ვაჭრობას, მეზობლებთან ივაჭრებენ. მთლიანობაში, ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობა ეწინააღმდეგება ეკონომიკურ განვითარებას. ინტენსიური მიწათმოქმედებისა და ინდუსტრიულ საზოგადოებებში ურთიერთთანამშრომლობაზე წარმოებული საქონლისა და მომსახურების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოდის.

ურთიერთთანამშრომლობა, როგორც ურთიერთობათა მარეგულირებელი საშუალება

საჩუქრების გაცემა ხშირად არეგულირებს საქონლის განაწილებას საზოგადოებებს შორის.

ახალი გვინეის მრავალ მელანეზიურ საზოგადოებაში არსებობს ღორების დღესასწაულის ტრადიცია, როდესაც ერთბაშად, შესაძლოა, 2000-მდე ღორი დაიკლას. ენდრიუ ვაიდა, ენტონი ლიდსი და დევიდ სმიტი თვლიან, რომ ეს დღესასწაულები, ერთი შეხედვით ასეთი უანგარიშო, სინამდვილეში ძალიან საჭირო კულტურული თავისებურებების შედეგია. ამ საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანებს არ შეუძლიათ იმის განსაზღვრა, თუ როგორი მოსავალი ექნებათ შემდეგ წელს ამინდის ცვალებადობის გამო. ერთ წელს თუ კარგი მოსავალი მოვა, შემდეგ წელს შესაძლოა ცუდი მოსავალი მოვიდეს. ასეთ შემთხვევაში გამოსავლი შეიძლება იყოს მცენარელი კულტურების დიდი რაოდენობით დათესვა. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ამას ხელსაყრელი ამინდიც დაემთხვა, მოსავალი ძალიან დიდი იქნება. ამ დამატებით საკვებს, როგორც წესი, ღორებს აჭმევენ, რადგან იამსი და ტარო დიდი ხნის მანძილზე არ ინახება. ამრიგად, ღორები საკვების შემნახველის როლში გვევლინებიან, რადგან საჭიროების შემთხვევაში თავად არიან საკვები. მაგრამ თუ მოსავლიანი წლები ერთმანეთს გადაება, მაშინ ღორები მრავლდებიან და სარგებლობის ნაცვლად ზიანი მოაქვთ. ისინი აზიანებენ იამსისა და ტაროს ნაკვეთებს. როდესაც ღორების რიცხვი შემაშფოთებელი ხდება, სოფელი პატიჟებს სხვა სოფლებს და აწყობს დღესასწაულს, რომლის შედეგად ცხოველების რიცხვი მკვეთრად მცირდება. წლების განმავლობაში ღორების დღესასწაულები ადამიანების მიერ მიღებული საკვების განაწილებას ემსახურება ყველა იმ სოფლისათვის, რომელიც მონაწილეობს დღესასწაულში. ამრიგად, აღნიშნული ადათი სოფლებისათვის საკვების ნამატის სხვა სოფლებში განხორციელებულ ხელსაყრელ სოციალურ დაბანდებად გარდაქმნას უწყობს ხელს. დღესასწაულში მონაწილე სხვა სოფლები ამ კრედიტს მომავალში დააბრუნებენ.

ზოგ მელანეზიურ საზოგადოებაში ღორების დღესასწაული მის მომწყობთა შორის კონკურენციასაც კი აღძრავს. „დიდი კაცი“ ეცდება, საკუთარი სახელისა და

სამხრეთ-დასავლეთ ალიასკის მცხოვრები “პოტლატჩის ქუდით” რომელიც აღნიშნავს, თუ რამდენი პოტლატჩი მოაწყო პიროვნებამ.

სტატუსის ასამაღლებლად უფრო დიდი დღესასწაული მოაწყოს. რეპუტაცია იზრდება არა ქონებით, არამედ მისი გაცემის ხარისხით. მსგავსი სიტუაციაა ჩრდილო-დასავლეთ ამერიკის რიგ ტომებში, სადაც ბელადმა საკუთარი სტატუსის გასამყარებლად შეიძლება **პოტლატჩი** მოაწყოს. პოტლატჩის დროს ბელადი და მისი ჯგუფი სტუმრებს საჩუქრად ურიგებენ კანოეებს, საკვების დიდ რაოდენობას, სპილენძის ნაჭრებს, მოსასხამებს და ასე შემდეგ. მასპინძელ ბელადს და მის ხალხს შემდგომში სხვები დაპატიჟებენ თავიანთ პოტლატჩებზე.

ამ ჩვეულებაში კონკურენციული ელემენტი ევროპელთა გამოჩენის შემდეგ გაჩნდა. ბეწვეულით ვაჭრობის შედეგად გაიზარდა გაცვლის პროდუქტების რაოდენობა და შესაძლებელი გახდა უფრო მრავალფეროვანი და მეტი საჩუქრის გაცემა. თავისი როლი ითამაშა ევროპელების შემოტანილმა დაავადადებებმა, რომლებმაც საგრძნობლად შეამცირა ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა. უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი ბელადების ნათესავები პოტლატჩებით ცდილობდნენ ძალაუფლების მოპოვებას. დაცარიელებული სოფლების ბელადებიც სწორედ საჩუქრების გაცემით იზიდავდნენ ხალხს თავიანთ სოფლებში, ხოლო შემცირებული საზოგადოებები კი ერთიანდებოდნენ, რათა პოტლატჩების გამართვა შეძლებოდათ. ამრიგად, პოტლატჩების სისტემა კონკურენტულ ჯგუფებს შორის საქონლის განაწილების მარეგულირებელ საშუალებას წარმოადგენდა.

კალიფორნიაში მცხოვრებ პომოს ინდიელებს გულუხვობის გამოვლენის სხვა გზა ჰქონდათ. სოფელი, რომელსაც ბევრი საკვები აქვს, დღესასწაულს მართავს და მეზობელ სოფელს ეპატიჟება. სტუმრები მასპინძლებს მძივებს გადასცემენ. სანამ სტუმრად წავიდოდნენ, დაპატიჟებული სოფლის ბელადი, თავისი ტომის წევრებისაგან მძივებს აგროვებს. მათი რაოდენობა რაც შეიძლება მეტი უდნა იყოს. მასპინძელ სოფელში შემდეგ ბელადი მიღებული საკვების სანაცვლოდ, მასპინძლებს თავის მძივებს გადასცემს. სტუმარ სოფლელებს ყველას თანაბარი რაოდენობის საკვები უდნა გადაეცეს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი მძივი დადო თითოეულმა მათგანმა. სოფელს მხოლოდ მაშინ დაპატიჟებენ, თუ მას მძივები აქვს. მძივებისთვის ამ სოფელმაც უნდა მიიღოს სტუმრები. ამრიგად, საკვებისა და მძივების გაცვლა გარკვეული სოციალური კრედიტის დაგროვებას ემსახურება, რომელსაც ძნელბედობის დროს გამოიყენებენ. თუკი მასპინძელ სოფელში საკვების ნაკლებობა დაიწყო, მათ შეულძიათ იმ სოფელს ესტუმრონ, რომელსაც ექნება საკვების ნამეტი. დღესასწაულთა ამგვარი გაცვლა ხელს უწყობს რესურსების განაწილებას არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ საზოგადოებებს შორის, თუნდაც საკმაოდ დიდ ფართობზე.

მელანეზიური ღორების დღესასწაული, ალიასკური პოტლატჩები და პომოს სტუმრობათა გაცვლა საზოგადოებებსა და სოფლებს შორის ურთიერთთანამშრომლობითი გაცვლის ნიმუში. საქონლის ამგვარ განაწილებას ანთროპოლოგები გადანაწილებას უწოდებენ.

გადანაწილება

გადანაწილება არის პიროვნების მი ერ საქონლის ან შრომის აკუმულაცია, მისი შემდგომი განაწილების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ გადანაწილება ყველა საზოგადოებაში შეინიშნება, იგი მნიშვნელოვან მექანიზმად მხოლოდ იქ გვევლინება, სადაც პოლიტიკური იერარქიაა ჩამოყალიბებული, ჰყავთ ბელადი ან სხვა ხელისუფალი. გადანაწილება გარკვეულწილად, ოჯახებში მაინც, ყველა საზოგადოებაში არსებობს, ვინაიდან ოჯახის წევრები თავიანთ წარმოებულ პროდუქციას ერთად აგროვებენ და შემდეგ ერთმანეთს უნაწილებენ. თუმცა მრავალ საზოგადოებაში ოჯახის გარეთ გადანაწილება ან არ ხდება ან უმნიშვნელო მასშტაბით ხორციელდება. როგორც წესი, ტერიტორიულ საფუძველზე გადანაწილება თავს იჩენს იქ, სადაც ცენტრალიზებული პოლიტიკური ხელისუფლება ჩნდება, რომელიც მართავს შრომისა და საქონლის რესურსებს გარკვეული მიზნების მისაღწევად.

უგანდაში არსებულ ბუნიოროს სამეფოში მეფე (მუკამა) ხალხის მიერ წარმოებული დოვლათის დიდ ნაწილს ითვისებს და შემდეგ ნათესავებს უნაწილებს. მიწა მუკამას საკუთრებაა და იგი ამ მიწას თავის დიდგვაროვან ბელადებს ურიგებს, რომლებიც, თავის მხრივ, მიწას ხალხს უნაწილებენ. სანაცვლოდ, ყველა ვალდებულია, მუკამას მისცეს დიდი რაოდენობით საკვები, ნაკეთობები და იმუშაონ მისთვის, როცა ეს საჭიროა. შემდეგ კი მუკამა, თეორიულად მაინც, ვალდებულია, ეს დოვლთი სამართლიანად გაუნაწილოს თავის ხალხს. მისი ტიტულები სწორედ გულუხვობას უკავშირდება (აგუტამბა – „ტკივილის მომრჩენი“ და მვებინგვა ანუ „ის, ვისაც დახმარებას სთხოვენ“). თუმცა რეალური სურათი სხვანაირია. გადანაწილების შედეგად ძირითადად მეფის ნათესავები და ახლობლები სარგებლობენ.

გადანაწილების სხვა სისტემები შედარებით თანასწორია. მელანეზიელი ბუნიების ბელადი, მკვლევართა აღწერით, არაფრით განსხვავდება თანამემამულეებისაგან. სახლიც სხვების მსგავსი აქვს და სამოსიც. მიუხედავად იმისა, რომ ბელადს ყველაზე მეტი ღორი ჰყავს, დოვლათის გადანაწილებისას ყველა თანაბარია. ზოგადად რომ ვთქვათ, იქ, სადაც გადანაწილებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია, გადანაწილებით მდიდრები უფრო ხეირობენ, ვიდრე ღარიბები.

რატომ ჩნდება გადანაწილება? ელმან სერვისის აზრით, იგი მიწათმოქმედ საზოგადოებებშია, რომლის სხვადასხვა ნაწილებში სხვადასხვა სახის მოსავალი მოჰყავთ. საკვების შემგროვებლებს შეუძლიათ, გადაადგილდნენ და ყველა რეგიონის რესურსები გამოიყენონ. მიწათმოქმედებს კი ეს არ შეუძლიათ. მათ შემთხვევაში, უმჯობესია, თუ თავად რესურსების გადაადგილება მოხდება. თუკი მოთხოვნა განსხვავებულ რესურსზე ან პროდუქტზე ძალიან დიდია, პიროვნებათა შორის ურთიერთთანამშრომლობა მოუქნელი ხდება და რთულდება. გამოსავალი შეიძლება იყოს ხელისუფლების ჩარევა გაცვლის პროცესში. როგორც პომოს ტომის შემთხვევაში ვიხილეთ, მიუხედავდ იმისა, რომ გაცვლაში მთელი საზოგადოებაა ჩაბმული, ფორმალურ მხარეს ბელადი ახორციელებს.

მარვინ ჰარისი ეთანხმება იმას, რომ გადანაწილება უფრო მიწათმოქმედების შედეგია, მაგრამ სხვა მიზეზის გამო, იგი ამტკიცებს, რომ ახალგვინეური დღესასწაულების მსგავსი ადათები ადაპტაციურია, რადგან აიძულებს ადამიანებს იმუშაონ უფრო მეტი, ვიდრე ეს მათ სჭირდებათ. რატომ არის ეს ჩვევა ადაპტაციური? ჰარისის აზრით, მიწათმოქმედებს სჭირდებათ ზედმეტი პროდუქცია, რათა თავი დაიცვან საკვების შესაძლო უკმარისობისაგან. ჯგუფები, რომლებიც დღესასწაულებს მართავენ, არაპირდაპირი გზით იმის გარანტიას იღებენ, რომ კრიზისულ პერიოდებში მათ სხვა სოფლები დაეხმარებიან.

კომერციული გაცვლის ბაზარი

ბაზარზე საუბრისას, ჩვენ აჭრელებულ და ხმაურიან ადგილზე ვფიქრობთ, სად წესი, ფულს ეყრდნობა. ჩვენს საზოგადოებაში გავქვს სუპერმარკეტები, მაღაზიები, საყწობები და ასე შემდეგ. ხოლ ო ეკონომისტები და ეკონომიკის ანთროპოლოგები **ბაზარსა** და **კომერციულ გაცვლაში** ისეთ გაცვლას გულისხმობენ, სადაც ფასი მოთხოვნა-მიწოდების საგანია, მიუხედავად იმისა, გაცვლა საკუთრივ სავაჭრო ადგილზე მოხდა თუ არა. საბაზრო გაცვლა მოიცავს არა მარტო გადაცვლას (ყიდვასა და გაყიდვას), არამედ შრომის, მიწის, რენტისა და კრედიტის მოძრაობასაც.

ზედაპირული მიმოხილვისას, მრავალი საბაზრო გაცვ-

ლა წონასწორობით ურთიერთთანამშრომლობას წააგავს. ერთი პიროვნება აძლევს მეორეს რამე ფასეულობას და მისგან იღებს იმას, რაც თავად სურს. მაშ, რა განსხვავებაა საბაზრო გაცვლასა და უკუგებით ურთიერთთანამშრომლობას შორის? იმ შემთხვევაში, როდესაც გაცვლაში ფული მონაწილეობს, პასუხი მარტივია. მაგრამ საბაზრო გაცვლა, შესაძლოა, ყოველთვის ფულს არ მოითხოვდეს. მაგალითად, როდესაც მიწათმფლობელი მოიჯარეს მიწის ნაკვეთს აძლევს და მისგან მოსავლის ნაწილს იღებს. იმისთვის, რომ ეს გაცვლა საბაზროდ მივიჩნიოთ, უნდა ვიცოდეთ, განსაზღვრავს თუ არა ფასს მოთხოვნა-მიწოდება. თუკი მოიჯარე მხოლოდ მცირეოდენ ძღვენს მისცემს მიწათმფლობელს, ამას საბაზრო გაცვლად ვერ მივიჩნევთ, როგორც მაგალითად, შობას, მასწავლებლისათვის მიძღვნილი საჩუქარი სწავლის საფასური არ გახლავთ. მაგრამ თუკი მოიჯარეები თავიანთი მოსავლის დიდ ნაწილს იხდიან, როდესაც მიწა შეზღუდულია ან თუკი მიწათმფლობელი ნაკლებ წილს ითხოვს, თუკი მიწაზე მოთხოვნა ნაკლებია, მაშინ ამგვარ გაცვლას შეიძლება საბაზრო გაცვლა ეწოდოს.

ფულის სახეები მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო გაცვლაში ყოველთვის არ მონაწილეობს ფული, კომერციული ოპერაციების უმეტესობა, განსაკუთრებით ჩვენს დროში, სწორედ ფულზეა დამოკიდებული. ზოგი ანთროპოლოგი ფულს, მისი **ზოგადი დანიშნულების მიხედვით** განსაზღვრავს, დღეს ფულზე იცვლება ყველა საქონელი და მომსახურება. ამ განსაზღვრების თანახმად ფული ასრულებს გაცვლის შუამავლის, ღირებულების საზომისა და დაგროვების ფუნქციებს. გაცვლის შუამავალის როლში იგი საქონლის ობიექტურად შეფასების საშუალებას იძლევა. ფული მალე არ გაფუჭდება, შესაბამისად მისი შენახვა და დაგროვებაც შეიძლება. ფული იოლად გადასატანი და ადვილად დასაშლელია, ასე რომ, შესაძლებელია განსხვავებული ღირებულების საქონლის ყიდვა-გაყიდვა.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად ფული, შესაძლოა, ნებისმიერი რამისგან დამზადდეს, ამისათვის უძველეს დროშიც იშვიათ ლითონებს, ოქროსა და ვერცხლს იყენებდნენ. ეს ლითონები შედარებით რბილია და შესაძლებელია მათი დაჭრა და სასურველი ფორმის მიცემა. პირველი სტანდარტიზებული მონეტები, რომლებიც ჩვენთვისაა ცნობილი, ძვ.წ. მეშვიდე საუკუნეში ლიდიასა და ჩინეთში მოიჭრა. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ფულს თავისთავად ღირებულება არ გააჩნია, მის ღირებულებას საზოგადოება განსაზღვრავს, დღევანდელ აშშ-ში, თამასუქები, საბანკო ჩეკები, საკრედიტო ბარათები ფულის ფუნქციას ასრულებს. სულ უფრო იზრდება ფულის ელექტრონული მიმოქცევის მოცულობა.

ზოგადი დანიშნულების ფული გამოიყენება როგორც კომერციული ოპერაციებისათვის (ყიდვა და გაყიდვა), ისე არაკომერციული ოპერაციებისათვის (გადასახადების გადახდა, საჩუქრები, რელიგიური შესაწირავები და ა.შ.) ზოგადი დანიშნულების ფული დოვლათის კონდენსაციის საშუალებას იძლევა. ოქროს ზოდები უფრო ადვილი სატარებელია, ვიდრე ხორბლის კალათები და ქაღალდის ფული უფრო მოხერხებულია, ვიდრე ცხვრის ფარა.

ბევრ საზოგადოებაში ფული გაცვლის ყველა შემთხვევის შუამავალი არ გახლავთ. მრავალ ადამიანს, რომლის მიერ გამომუშავებული საკვები არ არის საკმარისი გამოსაკვებად, **სპეციალური დანიშნულების ფული** აქვს. იგი მოიცავს იმ ფასეულობებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ ზოგიერთი საქონლის მყისიერი ან წონასწორობითი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე წარმოებული გაცვლისათვის. მელანეზიის ზოგ ნაწილში ღორები ძაფზე ასხმული ნიჟარების შეკვრებით ფასდებიან, თითოეული შეკვრა დაახლოებით მამაკაცის გაშვერილი ხელის სიგრძეა. ღორის ზომიდან გამოდინარე, მისი ფასი ათეულობით ამგვარი შეკვრა შეიძლება იყოს. მაგრამ ამ ნიჟარების ფულით არ შეიძლება ადამიანისათვის საჭირო სხვა მრავალი საქონლის ყიდვა. ამის მსგავსად, ამერიკის ჩრდილო დასავლეთ სანაპიროს მცხოვრებლები საკვებს ხშირად ცვლიან „მდიდრულ საჩუქრებზე“, როგორიც არის მაგალითად საბანი, მაგრამ სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების შესაძენად საბნები არ გამოდგება.

კომერციალიზაციის დონეები იმ დროისათვის, როდესაც ჩვენთვის ცნობილი საზოგადოგადოებები ანთროპოლოგებმა აღწერეს, მათი უმეტესობა კომერციალიზაციის არავითარ ნიშნებს არ ატარებდა. ისინი არ იყვნენ ბაზარზე დამოკიდებული საქონლისა და მომსახურების განაწილებისას. თანამედროვე მსოფლიოში კი, ბაზარი განაწილების დომინანტური ფორმაა მთელ მსოფლიოში. ვაჭრობა სახელმწიფოთა საზღვრებს უკვე გაცილებულია. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო ერთ დიდ მრავალეროვნულ ბაზრად არის ქცეული.

თუმცა საზოგადოებები საბაზრო გაცვლაზე დამოკიდებულების ხარისხით ჯერაც საგრძნობლად განსხვავდებიან. ზოგი მათგანი მიწას ამჟამადაც გაყიდვის გარეშე ჰყოფს, საქონელს ურთიერთთანამონაწილეობის პრინციპებით ანაწილებს და საბაზრო გაცვლაში მხოლოდ უმნიშვნელოდ მონაწილეობს. ეს საზოგადოებები გარდამავალ ეტაპზე იმყოფებიან. მათი ტრადიციული საარსებო ეკონომიკა ნელ-ნელა განიცდის კომერციალიზაციას. კენიელი ლუოს ტომის ხალხში ოჯახები კვლავაც იმ მიწას ამუშავებენ, რომლებიც მათ ნათესაურმა ჯგუფმა გამოუყო. თავიანთ საკვებს ისინი ძირითადად თავადვე ამზადებენ, თუმცა მამაკაცები ხშირად ხელფასზეც მუშაობენ, ზოგი ახლოს, ზოგი კი შორეულ ქალაქებში, სადაც წლობით შეიძლება იცხოვრონ. ეს ფული სახელმწიფო გადასახადებისა და ბავშვთა სწავლის საფასურის გადასახდელად, აგრეთვე სხვადასხვა კომერციული საქონლის შესაძენად გამოიყენება, როგორიცაა ქსოვილები, ნავთის ლამპრები, რადიოები, თევზი, ჩაი, ყავა, შაქარი და ა.შ. შიგადაშიგ, ოჯახი ყიდის ზედმეტ მოსავალს ან საკუთარ ნაწარმს, მაგალითად, ლერწმის ჭილობებს. ლუოს მსგავსი საზოგადოებების ეკონომიკა ჯერ კიდევ არ არის სრულად კომერციული, მაგრამ შესაძლოა, მომავალში გახდეს ასეთი. ამ გარდაქმნას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით, როდესაც კულტურული ცვლილებებისა და გლობალიზაციისადმი მიძღვნილ თავში მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე ეკონომიკის კომერციალიზაციის რიგ ასპექტებსა და ეფექტებს განვიხილავთ.

შედარებით უფრო კომერციულ ხასიათს ატარებს ეკონომიკის ტიპი, რომელსაც ანთროპოლოგები გლეხური ეკონომიკის სახელით მოიხსენიებენ. **გლეხები** საკუთარ საკვებს ძირითადად თავად აწარმოებენ, ნამატს (მოსავლის, სხვა საქონლის ან შრომის სახით) ისინი ხშირად ყიდიან, მიწა ერთ-ერთი იმ საქონელთაგანია, რომელსაც ყიდულობენ, ყიდიან, ქირაობენ ან აქირავებენ. მაგრამ მიუხედავად გარკვეული კომერციალიზაციისა, გლეხები ჯერ კიდევ განსხვავდებიან ინდუსტრიული საზოგადეობის ფერმერისაგან, რომელიც თითქმის მთლიანად ბაზარზეა დამოკიდებული, სადაც ყიდის მთელ მოსავალს და მიღებული ფულით იძენს ყველ საჭირო საქონელს.

მთლიანად კომერციალიზებულ საზოგადოებაში, როგორიც არის ჩვენი საზოგადოება, კომერციული გაცვლა ეკონომიკის საფუძველია. ფასებსა და ხელფასებს არეგულირებს ან განაპირობებს მოთხოვნა-მიწოდებას. თანამედროვე ინდუსტრიული ან პოსტინდუსტრიული ეკონომიკა შეიძლება მოიცავდეს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ბაზრებს, სადაც ყველაფერს თავისი, ღირებულების საერთო სტანდარტით, ფულით გამოხატული ფასი აქვს. ურთიერთთანამშრომლობა ოჯახური და საახლობლო წრით შემოიფარგლება. მნიშვნელოვან მექანიზმად რჩება გადანაწილებაც. გადასახადები სწორედ მისი ერთ-ერთი სახეა, ისევე, როგორც საზოგადოებრივი შემოსავლის მცირეშემოსავლიანთა დახმარებაზე მიმართვა სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაზღვევის და სხვა

გამოყენებითი ანთროპოლოგია

მსოფლიო სისტემის გავლენა – ამაზონის ტყეების გაჩეხვა

როდესაც ეკონომიკურ სისტემაზე ვმსჯელობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ თითქმის არც ერთი საზოგადოება არ ყოფილა მთლიანად იზოლირებული გარე ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ ბუნებრივი მოვლენებისაგან. თანამედროვე მსოფლიოში გლობალური საბაზრო ეკონომიკის ზრდის პირობებში თვით ყველაზე უფრო კარჩაკეტილ ჯგუფებსაც კი არ შეუძლიათ თავი აარიდონ დანარჩენ სამყაროსთან კავშირსა და მის შედეგებს.

განვიხილოთ ამაზონის უზარმაზარი ტროპიკული ტყე, რომელიც მდინარე ამაზონისა და მისი შენაკადებით ირწყვება. იგი თითქმის მილიარდი აკრის ფართობზეა გადაჭიმული. აქ მრავალი თვითმყოფადი კულტურის მატარებელი საზოგადობა ცხოვრობს. ტყეებში კი მსოფლიოში აღწერილი ცხოველებისა და მცენარეების სახეობების დაახლოებით 50% ბინადრობს. ეს ტყეები, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ტროპიკული ტყეები, გაძლიერებული ექსპულატაციის შედეგად შემაშფოთებელი სისწრაფით ქრებიან. ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ამაში დამნაშავეა მსოფლიოს მზარდი მოთხოვნა ხეზე, ჰამბურგერებსა და ოქროზე.

სხვა ტროპიკული ტყეების მსგავსად, ამაზონში მაგარმერქნიანი ხეების მრავალი ჯიში იზრდება. აფრიკისა და აზიის ტყეები ამ მხრივ უკვე საკმაოდ გამოფიტულია. შესაბამისად, ამაზონზე სულ უფრო მეტად მახვილდება ყურადღება. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრაზილიაში ამაზონის განვითარების სამსახური სხვადასხვა გზით ახალისებს ტყეების გაჩეხვასა და საქონლის მოშენებას, რაც ხორცის წარმოების განვითარებას შეუწყობს ხელს. თუმცა არავინ ფიქრობს იმას, რომ გაჩეხვის შედეგად მიღებული საძოვრების რამდენიმეწლიანი ექსპლუატაციის შემდეგ ამ ადგილებში ბალახიც კი აღარ ამოდის.

ადგილობრივი მოსახლეობა სულ უფრო ხშირად განიცდის ტერიტორიულ შეზღუდვებს მაღაროელების, ხის მჭრელებისა და მესაქონლეების მხრიდან, რომლებიც ხშირად იჭრებიან მათ ტერიტორიებზე. მიწის ფართობის ნაკლებობის პირობებში რთულდება საკვების შეგროვების ტრადიციული წესის შენარჩუნება. თუმცა გულუბრყვილობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არაა დაინტერესებული ცხოვრების ახალი წესით. ისინი ხშირად ეგუებიან ეკონომიკურ დილემას: იკარგება მიწა, რომელსაც მაღაროელებსა და ტყისმჭრელებს უთმობენ, სანაცვლოდ ფულს იღებენ, რომლითაც საჭირო და სასურველი მრავალი საქონლის შეძენა შეუძლიათ. განვითარების ექსპერტები და პრაქტიკოსი ანთროპლოგები გულმოდგინედ ეძებენ განვითარების იმ გზებს, რომლებიც არ დააზიანებენ გარემოს. ამისთვის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ბრაზილიური თხილის შეგროვებასა და გაყიდვას უწყობენ ხელს. ეს რესურსი კვლავ აღდგება ბუნებაში. სხვები ლატექსსა და პალმის გულებს აგროვებენ. იყენებენ ასევე სამედიცინო დანიშნულების მცენარეებსაც, რომლებზეც დიდი მოთხოვნა აქვთ ფარმაცევტულ და ბიოტექნოლოგიურ კომპანიებს. ამ უკანასკნელთათვის ნათელი გახდა, რომ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება მათთვისაც ისევე ხელსაყრელი და მომგებიანია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისა და მეცნიერებისათვის, რომლებსაც ამ მრავალფეროვნების შესწავლა სურთ.

შესაძლებელია თუ არა, რომ განვითარება გარემოს განადგურების გარეშე წარიმართოს? არის თუ არა რესურსები (მაგალითად, მაგარმერქნიანი ხეები) აღდგენადი, რათა დაცული იყოს ბუნებრივი წონასწორობა და ეკონომიკური პროდუქტიულობაც? იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამგვარი რამ შესაძლებელია, მისი ორგანიზაცია ყველა მონაწილისა და გადაწყვეტილების მიმღების თავდადებასა და შრომას მოითხოვს. მოგვწონს ეს თუ არა, ეკონომიკური განვითარება და მისკენ სწრაფვა გარდაუვალი ფაქტორებია, მაგრამ ჩვენ გვმართებს მეტი, ვიდრე უბრალოდ ტაშის დაკვრა, ან გლოვა. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ცალკეული ცვლილებების გავლენა გარემოზე, ადამიანებზე, ცხოველებსა და მცენარეებზე. ყველაზე მეტად უნდა ვიზრუნოთ ადამიანთა უფლებებზე, რომლებიც ამ ადგილებში ცხოვრობენ და ვის ცხოვრებაზეც ეს ცვლილებები დიდ გავლენას ახდენს. უნდა მოვუსმინოთ და გავიგოთ, თუ რა სჭირდებათ მათ.

სახით. თუმცა საქონლისა და მომსახურების განაწილების მთავარი საშუალება კვლავაც კომერციული გაცვლა რჩება.

რატომ წარმოიქმნება ფული და საბაზრო გაცვლა

ეკონომისტების უმეტესობა თვლის, რომ ფული წარმოიქმნება ან მეზობელი საზოგადოებიდან გადმოდის მაშინ, როდესაც ვაჭრობა ვითარდება და ბარტერული გაცვლა უკვე აღარ არის საკმარისად ეფექტური. რაც უფრო ხშირია ან მნიშვნელოვანია ვაჭრობა, მით უფრო რთულია ისეთი ვინმეს პოვნა, ვისაც სურს თავისი საქონელი სწორედ შენს საქონელში გაცვალოს. ფული ჭრის ამ პრობლემას. იგი არის ღირებულების საზომი და შეიძლება გაიცვალოს ნებისმიერ საქონელზე. იგი გახლავთ გაცვლის შუამავალი.

ეკონომისტებისაგან განსხვავებით, ანთროპოლოგთა უმეტესობა არ აღიარებს ვაჭრობის როლს ფულის წარმოშობის საკითხში. ისინი თვლიან, რომ ფულის წარმოქმნის საფუძველია სხვადასხვა „არაკომერციული გადასახადების“ არსებობა, როგორიცაა კულას სამკაულები, პომოს მძივები და პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის გადასახდელი გადასახადები. ფულის შესახებ არსებული ყველა ახსნიდან ჩანს, რომ ფულის წარმოშობა ხდება ძირითადად ისეთ საზოგადოებებში, რომლებსაც განვითარებული ეკონომიკა აქვთ. ეს მართლაც ასეა. როდესაც შედარებით განუვითარებელი საზოგადოება ფულს ეცნობა, ეს, როგორც წესი, რომელიმე განვითარებული საზოგადოების დამსახურებაა.

ფულის განვითარებისა და საბაზრო გაცვლის თეორიათა უმეტესობა თვლის, რომ მწარმოებლებს აქვთ რეგულარული ნამეტი, რომელსაც ისინი ყიდიან. ჩნდება კითხვა, რატომ აწარმოებენ ადამიანები მეტს, ვიდრე სჭირდებათ? შესაძლოა, მათ რაღაცის შეძენა სურთ, რომლის მწარმოებელიც შორს ცხოვრობს, უცნობია და შესაბამისად ურთიერთთანამშრომლობა ნაკლებად სავარაუდოა. ამრიგად, ზოგი თეორიის მიიხედვით, საბაზრო გაცვლა უცხო ადამიანებთან იწყება და არა ახლობლებთან. შესაბამისად,

სავაჭრო მოლაპარაკებები და მათგან გამომდინარე საბაზრო გაცვლა თავისთავად ხდება. ზოგი მკვლევარი კი ფიქრობს, რომ როდესაც საზოგადოება იზრდება, ადამიანთა დამაკავშირებელი სოციალური კავშირები ნაკლებად ნათესაური და მეგობრული ხდება. კლებულობს ურთიერთთანამშრომლობაც. შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზის გამო არიან განვითარებად მხარეებში ვაჭრები ან უცხოელები ან მცირე ხნის წინ ჩასახლებულები.

ფრედერიკ პრიორის ჩატარებული კვლევა ადასტურებს იმას, რომ საბაზრო გაცვლის ყველა სახე საქონლის, შრომის, მიწისა და კრედიტის გაცვლა, მხოლოდ ეკონომიკური განვითარების მაღალ საფეხურზე არსებობს. ეს კვლევა ცხადყოფს აგრეთვე იმასაც, რომ საქონლის საბაზრო გაცვლა უფრო ადრე ჩნდება, ვიდრე შრომისა და კრედიტის. მიწის საბაზრო გაცვლა, შესაძლოა, იმის გამო, რომ კერძო საკუთრებასთან არის დაკავშირებული, უმეტესად მწარმოებლობის განვითარების უმაღლეს საფეხურებზე ჩნდება. შესაძლოა, გასაკვირი იყოს, მაგრამ შედარებით მცირე საზოგადოებები სხვა საზოგადოებებთან წარმოებული საბაზრო გაცვლის უფრო მაღალი ინტენსივობით ხასიათდებიან. უფრო მოზრდილ საზოგადოებებს, როგორც ჩანს, შეუძლიათ თავად აწარმოონ მათთვის საჭირო საქონლის დიდი ნაწილი. მაგალითად, ჩინეთი შედარებით ნაკლები საგარეო ვაჭრობით გამოირჩეოდა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე.

კომერციული ეკონომიკის შესაძლო გამთანაბრებლები როგორც შემდეგ თავში ვიხილავთ, ისეთ საზოგადოებებში, რომლებიც სასიცოცხლოდ არიან დამოკიდებული ბაზარსა და კომერციულ გაცვლაზე, ადამიანები ქონებით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, არსებობს მექანიზმები, რომლებიც შედარებით ამცირებენ ამ სხვაობას და გამთანაბრებელ ფაქტორებად გვევლინებიან. ზოგი ანთროპოლოგის აზრით, ამგვარი მექანიზმის მაგალითია ლათინური ამერიკის მთიან რეგიონებში მცხოვრები ინდიელების ფიესტები. ამ გლეხებით დასახლებულ სოფლებში ყოველწლიურად სოფლისათვის მნიშვნელოვანი წმინდანის დღეს იმართება დღესასწაული, ფიესტა. მისი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურებაა დანახარჯების უჩვეულო რაოდენობა, რომელსაც ფიესტის სპონსორი ოჯახი იღებს თავის თავზე. ამ ოჯახმა უნდა დაიქირავოს მუსიკოსები, მოცეკვავეები, შეიძინოს ტანისამოსი, შეუკვეთოს საეკლესიო მსახურება, სანოვაგე და სასმელები მთელი საზოგადოებისათვის. ეს ხარჯები ხშირად მთელი წლის ხელფასის რაოდენობას უტოლდება.

ანთროპოლოგების ნაწილი თვლის, რომ მიუხედავად მდიდარი ინდიელების (ფიესტის სპონსორი ოჯახების) მიერ დოვლათის მოზრდილი ნაწილის ღარიბებისათვის განაწილებისა, ფიესტები რეალურად ნაკლებად ათანაბრებენ ქონებრივ განსხვავებას. ეკონომიკური გათანაბრება პირველ რიგში გამოიწვევდა მნიშვნელოვანი რესურსების (მიწა, პირუტყვი) გადანაწილებას. ფიესტა კი მხოლოდ დროებით ზრდის საერთო მოხმარებას. ამასთან, სპონსორების მიერ დახარჯული თანხები, როგორც წესი, მათი ზედმეტი დანაზოგია, რომელიც საგანგებოდ ფიესტისათვის გროვდება. სწორედ ამ მიზეზის გამოა, რომ სპონსორები წინასწარ არიან ცნობილი. და ბოლოს, უმნიშვნელოვანესი ფიესტა არ ცვლის ქონებრივ განსხვავებებს სოფლის მოსახლეობაში.

შეიძლება თუ არა, რომ ჩვენი მსგავსი საზოგადოებების შემთხვევაში, გამთანაბრებელ მექანიზმებად ჩაითვალოს საშემოსავლო გადასახადი და სოციალური დახმარების პროგრამები, როგორიცაა მაგალითად სოციალური უზრუნველყოფა და კატასტროფების მსხვერპლთა დახმარება? თეორიულად ჩვენი საგადასახადო სისტემა ამგვარ მექანიზმად უნდა ჩაითვალოს, რადგან მეტი შემოსავალი უფრო მაღალი განაკვეთებით იბეგრება. თუმცა ჩვენ ვიცით, რომ სინამდვილეში საქმე სხვაგვარად არის. მაღალშემოსავლიან პირებს ხშირად შეუძლიათ ქაღალდზე შეამცირონ თავიანთი დასაბეგრი ქონების ღირებულება და ნაკლები თანხა გადაიხადონ. ჩვენი საგადასახადო სისტემა, მართალია, ეხმარება ადამიანებს უკიდურესი გაჭირვებიდან თავის დაღწევაში, მაგრამ ფიესტების მსგავსად, იგი ვერ შლის საზოგადოებაში არსებულ შესამჩნევ ქონებრივ

ფიესტის სპონსორები დიდ თანხებს ხარჯავენ საჭმელ-სასმელზე, მუსიკოსებსა და მოცეკვავეებზე. ამ სურათზე ჩვენ ვხედავთ მეხიკოში, ოქსაკას უბანში გამართულ ფიესტას

განსხვავებებს.

შეჯამება

1. ყველა საზოგადოებას აქვს ეკონომიკური სისტემა, მიუხედავად იმისა, მოიცავს თუ არა ეს სისტემა ფულს. ყველა საზოგადოებას აქვს ბუნებრივი რესურსების მოპოვების საკუთარი წესები, რესურსების შრომის მეშვეობით გარდაქმნის ტრადიციული გზები, საქონლისა და მომსახურების განაწილებისა და გადაცვლის ტრადიცია.
2. ბუნებრივი რესურსების მისაწვდომობის რეგულირება ყველა ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მიწის ინდივიდუალური ან კერძო საკუთრების კონცეფცია, მისი გამოყენებისა და განკარგვის უფლებით გავრცელებულია ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოებებში. მათგან განსხვავებით, საკვების შემგროვებლები, მებაღეები და მესაქონლეები მიწის კერძო საკუთრებას არ იცნობენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მომთაბარე მესაქონლეებს ცხოველები კერძო საკუთრებაში ჰყავთ და მათ სხვებს არ უნაწილებენ.
3. ყველა საზოგადოება იყენებს ტექნოლოგიას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა იარაღს, ხელსაწყოს, ნაგებობებსა და მათი შექმნისა და გამოყენებისათვის საჭირო ცოდნას. მიუხედავად იმისა, რომ შემგროვებლებსა და მებაღეებში იარაღები და ხელსაწყოები გამკეთებლის საკუთრებად ითვლება, თხოვება იმდენად გავრცელებული და ხშირია, რომ „საკუთრება“ მხოლოდ ცარიელ სიტყვად რჩება. ინტენსიური მიწათმოქმედების მიმდევრებს შორის იარაღების კეთება სპეციალიზებული შრომა. იარაღების სხვებთან განაწილება და თხოვება არ ხდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რამე ხელსაწყო რამდენიმე პიროვნების მიერ ერთობლივად არის შეძენილი.
4. შრომის სტიმულები სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია. მრავალი საზოგადოება მხოლოდ საოჯახო მოხმარებისათვის აწარმოებს საქონელს. რაც მეტია მომხმარებელი, მით მეტი მუშაობა უწევს მწარმოებელს. ზოგ საზოგადოებაში ადამიანები მეტს მუშაობენ, რათა სოციალური ჯილდოები მიიღონ იმ გულუხვობის სანაცვლოდ, რომელსაც სხვებისადმი გამოიჩენენ.
5. შრომის დანაწილება სქესის მიხედვით უნივერსალურ დანაწილებად გვევლინება. მრავალ არაინდუსტრიულ საზოგადოებაში რთული ამოცანების გადასაწყვეტად ადამიანები ნათესავებთან ერთად აყალიბებენ ჯგუფს. ინდუსტრიულ საზოგადოებებში ამგვარი თანამშრომლობა ნაკლებად არის გავრცელებული. ზოგადად, რაც უფრო განვითარებულია ტექნოლოგიები, მით მეტ საკვებს აწარმოებენ და მეტად სპეციალიზებულია შრომაც.
6. შრომის ორგანიზაცია პიკს რთულ საზოგადოებებში აღწევს. სამუშაო ჯგუფები ფორმალურად არის ორგანიზებული და ხანდახან მათში მონაწილეობა ძალდატანებითია. საკვების შემგროვებლებსა და მებაღეებს შორის შრომის ფორმალური ორგანიზაცია იშვიათია.
7. საქონლისა და მომსახურების განაწილება ყველა საზოგადოებაში სამი ძირითადი სისტემით ხდება. ესენია: უკუგების, გადანაწილებისა და საბაზრო გაცვლის სისტემები. უკუგება გულისხმობს მიღებასა და გაცემას ფულის მონაწილეობის გარეშე და თავის მხრივ ორი სახისაა, ზოგადი და წონასწორობითი. ზოგადი ურთიერთთანამშრომლობა გულისხმობს გაცემას რამე დაუყოვნებელი ან დაგეგმილი მოგების გარეშე. წონასწორობითი უკუგების შემთხვევაში, საქონლისა და მომსახურების გაცვლა ხდება მაშინვევე ან შეთანხმებიდან მოკლე დროის განმავლობაში საგებლის მიღების პირობით.
8. გადანაწილება არის საქონლის ანდა შრომის შეგროვება ერთი პიროვნების მიერ ან ერთ ადგილზე მათი შემდგომი განაწილების მიზნით. გადანაწილება მნიშვნელოვანი მექანიზმი ხდება მხოლოდ პოლიტიკური იერარქიის მქონე საზოგადოებებში.
9. ბაზარი ან კომერციული გაცვლა, სადაც ფასი დამოკიდებულია მოთხოვნა-მიწოდებაზე, ძირითადად ეკონომიკური განვითარების მაღალ საფეხურებზე ჩნდება. საბაზრო გაცვლა გაცვლის უნივერსალურ საშუალებას — ფულს შეიცავს. დღეს კომერციალიზებულია საზოგადოებების უდიდესი ნაწილი. მსოფლიო ერთიან საბაზრო სისტემად ყალიბდება.

საკონტროლო კითხვები

1. რა პირობებში შეგვიძლია მივაღწიოთ რესურსების განახლებასა და აღდგენას?
2. რა შესაძლო შედეგს მოიტანს პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაში ის ფაქტი, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს იოლად მიუწვდება ხელი კომპიუტერებსა და ინფორმაციაზე.
3. ელით თუ არა კერძო საკუთრებაში არსებული ქონების მოცულობის საგრძნობ ცვლილებას მომავალში? ჩამოაყალიბეთ მიზეზები.

სოციალური ფენები: კლასი, ეთნოსი და რასიზმი

18



თავების შინაარსი

- განსხვავებები სოციალური უთანაბრობის ხარისხებს შორის
- ეგალიტარული საზოგადოებები
- რანგობრივი საზოგადოებები
- კლასობრივი საზოგადოებები
- რასიზმი და უთანასწორობა
- სოციალურ ფენათა წარმოშობა

აშშ-ში დიდი ხნის წინ დამკვიდრდა რწმენა, რომ „ადამიანები თანასწორნი არიან“. დამოუკიდებლობის დეკლარაციის ეს ცნობილი სიტყვები არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები თანასწორი არიან სტატუსის ან ქონების მიხედვით. აქ იგულისხმება, რომ ყველა მოქალაქე (ქალებიც) კანონის წინაშე თანასწორი უნდა იყოს. ეს რწმენა იდეალურია, მაგრამ როგორც ვიცით, იდეალური ყოველთვის არ ემთხვევა რეალურ ცხოვრებას. ადამიანები ბევრი კუთხით არიან არათანაბარ მდგომარეობაში. ეს ჩანს როგორც კანონის, ასევე ეკონომიკური მდგომარეობის მხრივ. ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოებები, ჩვენი დროის თუ ახლო წარსულის, ყველა, გამონაკლისის გარეშე, სოციალურ ფენებად დაყოფილი საზოგადოება გახლავთ. თითოეული ფენა შეიცავს სოციალურ ჯგუფებს, როგორიცაა ოჯახები, კლასები, ეთნიკური ჯგუფები. სხვადასხვა ფენის ადამიანისათვის თანაბრად მისაწვდომი არ არის სიმდიდრე, ძალაუფლება, პრესტიჟი და ა. შ.

ყოველთვის არსებობდა თუ არა ასეთი უთანაბრობა? ანთროპოლოგთა აზრი, რომელიც ადრეული საზოგადოებების შესწავლას ეყრდნობა, უარყოფითია. რა თქმა უნდა, ტექნოლოგიური თვალსაზრისით უმარტივესი საზოგადოებებიც კი ხასიათდებიან გარკვეული უთანაბრობით, გარკვეული განსხვავებითა და უპირატესობებით, ეს ბუნებრივია, რადგან უთანაბრობა ასაკიდან, სქესიდან და უნარებიდან გამომდინარეობს. მოზრდილებს უფრო მაღალი სტატუსი აქვთ, ვიდრე ბავშვებს, უნარიანი წევრები უფრო დიდი პატივისცემით სარგებლობენ, ვიდრე უუნაროები, მამაკაცები უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ქალები (გენდერულ დაყოფას შემდეგ თავში განვიხილავთ). ანთროპოლოგები შეგვედავებიან, რომ ეგალიტარული (თანასწორი) საზოგადოებები არსებობენ იქ, სადაც სოციალურ ჯგუფებს (მაგალითად ოჯახებს) ერთნაირი უფლებები და უპირატესობები აქვთ. როგორც წინა თავში ვიხილეთ, საკვების შემგროვებელი და მებაღე საზოგადოებების ეკონომიკური სისტემა ბუნებრივ რესურსებზე თანაბარ უფლებებს თემის ყველა ოჯახისათვის უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, ამგვარი საზოგადოებებში საკვებსა და სხვა დოვლათს ინაწილებენ. რაც კიდევ უფრო ამცირებს ისედაც მცირე განსხვავებას ოჯახებს შორის. დაახლოებით ათი ათასი წლის წინანდელ პერიოდამდე ადამიანთა ყველა საზოგადოება ნადირობაზე, თევზაობასა და შემგროვებლობაზე იყო დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა მაშინდელი საზოგადოება ეგალიტარული გახლდათ. ამ მოსაზრებას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრებიც. მნიშვნელოვანი უთანასწორობა დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაჩნდა დაფუძნებული დასახლებები, ცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბება და ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარება. ეს სწორედ ის კულტურული თავისებურებებია, რომლებიც დაახლოებით 10000 წლის წინათ წარმოიშვა ადამიანთა საზოგადოებებში. თანამედროვე ეპოქაში ეგალიტარული საზოგადოებები ფაქტობრივად აღარ არსებობენ ორი მიზეზის: კომერციული გაცვლის საყოველთაობისა და დიდ პოლიტიკურ სისტემებში უამრავი ადამიანის ნებით ან ძალდატანებით ჩართვის გამო. თანამედროვე საზოგადოებებში ზოგ სოციალურ ჯგუფს სხვა ჯგუფებთან შედარებით მეტი უპირატესობა აქვს. ეს ჯგუფები, შესაძლოა, ეთნიკური ნიშნითაც გამოირჩეოდნენ. თანამედროვე საზოგადოებებში ეთნიკური განსხვავებები თითქმის ყოველთვის ნიშნავს განსხვავებულ უფლებებსა და მდგომარეობას. როდესაც ეთნიკური განსხვავება კანის ფერს ან მსგავს გარეგნულ მახასიათებელს უკავშირდება, სოციალური დაყოფა, შესაძლოა, რასიზმსაც მოიცავდეს. რასიზმი არის რწმენა, რომ ზოგი რასობრივი ჯგუფი განვითარების სხვებზე უფრო დაბალ საფეხურზე დგას.

სოციალური დაყოფის სისტემა მჭიდროდ უკავშირდება იმ ტრადიციულ წესებს, რომელთა მიხედვითაც ხდება საზოგადოებაში რესურსების მოპოვება, განაწილება და გარდაქმნა. ამრიგად, ნაკლებად მოსალოდნელია არსებობა იმ საზოგადოებებში, სადაც ამ მხრივ ადამიანები თანაბარნი არიან. თუმცა, დაყოფის მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში განხილვა მიზანშეწონილი არ არის. არსებობს სხვა მრავალი სიკეთე, მაგალითად: პრესტიჟი და ძალაუფლება, რომლებიც აგრეთვე შეიძლება არათანაბრად იყოს განაწილებული. პირველ რიგში ჩვენ განვიხილავთ, თუ რა განსხვავებებია საზოგადოებებს შორის მათი დაყოფის სისტემების მიხედვით, შემდეგ კი შევეცდებით იმის ახსნას, თუ საიდან მოდის ეს განსხვავებები.

განსხვავებები სოციალური უთანასწოროობის ხარისხებს შორის

საზოგადოებები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რა უფლებები აქვთ მნიშვნელოვან რესურსებზე სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა და პიროვნებებს. შორის უფლებების მხრივ. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ განსხვავებებს სამი ძირითადი უპირატესობის — ეკონომიკური რესურსების, ძალაუფლებისა და პრესტიჟის მხრივ. როგორც წინა თავში ვნახეთ, ეკონომიკური რესურსები შეიძლება მოიცავდეს მრავალ რამეს, ნადირობიდან დაწყებული დასამუშავებელი მინითა და ფულით დამთავრებული. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს ამ რესურსებზე, შესაძლოა, ხელი სხვადასხვა ხარისხით მიუწვდებოდეთ. მეორე მნიშვნელოვანი რესურსია ძალაუფლება, რაც გულისხმობს უნარს, გავაკეთებინოთ სხვებს ის, რისი გაკეთებაც მათ არ სურთ. ძალაუფლება შიშსა და ძალაზე დამყარებული გავლენა გახლავთ. როდესაც საზოგადოებაში არსებულ ჯგუფებს განსხვავებული უფლებები აქვთ ეკონომიკურ რესურსებზე, ისინი ძალაუფლების ხარისხშიც განსხვავდებიან. მაგალითად, როდესაც ვსაუბრობთ აშშ-ში არსებულ “კომპანიის ქალაქზე”, ვგულისხმობთ, რომ კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობის სამუშაოს, ამ ქალაქში საგრძნობ გავლენასაც ფლობს. და ბოლოს, მესამე მთავარი უპირატესობა გახლავთ პრესტიჟი. როდესაც ვსაუბრობთ პრესტიჟის შესახებ, მხედველობაში გვყავს პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი, რომელიც გარკვეულ პატივისცემას იმსახურებს საზოგადოებაში. მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ აბსოლუტურად ყველა საზოგადოებაში არის განსხვავებები პრესტიჟის მხრივ პიროვნებებს შორის (ასაკში, სქესსა და შესაძლებლობებში განსხვავებების გამო), შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნოგრაფია იცნობს საზოგადოებებს, სადაც სოციალურ ჯგუფებს შორის ამგვარი განსხვავებები არ არსებობს.

ამრიგად, ანთროპოლოგებმა საბოლოო ჯამში სოციალურ განსხვავებათა მხრივ საზოგადოებათა სამი ძირითადი ტიპი ჩამოაყალიბეს (იხილეთ ცხრილი 18-1): ეგალიტარული, რანგობრივი და კლასობრივი საზოგადოებები. ეთნოგრაფთათვის ცნობილი ზოგიერთი საზოგადოება იოლად არ ექვემდებარება ამ კლასიფიკაციას. ისევე, როგორც ყველა კლსაიფიკაციის სისტემაში, აქაც არის გამონაკლისები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა[1].

ეგალიტარულ საზოგადოებებში არ არსებობენ ეკონომიკური რესურსების ფლობით, ძალაუფლებითა და პრესტიჟის მიხედვით განსხვავებული უფლებების მქონე სოციალური ჯგუფები. **რანგობრივ საზოგადოებებში** ნაკლებია განსხვავება ეკონომიკური რესურსების ფლობისა და ძალაუფლების მხრივ, მაგრამ შესამჩნევი განსხვავებებია პრესტიჟის მხრივ. ამრიგად, რანგობრივი საზოგადოებები ნაწილობრივ არიან დაყოფილნი. რაც შეეხება **კლასობრივ საზოგადოებებს**, მათში სოციალურ ჯგუფებს განსხვავებულად მიუწვდებათ ხელი სამივე ძირითად უპირატესობაზე: სიმდიდრეზე, ძალაუფლებასა და პრესტიჟზე.

სოციალური დაყოფა საზოგადოების სხვადასხვა ტიპებში

განსხვავება სოციალურ ჯგუფებს შორის

საზოგადოების ტიპი	**ეკონომიკური რესურსები**	**ძალაუფლება**	**პრესტიჟი**	**მაგალითები**
ეგალიტარული	არა	არა	არა	კუნგები, მბუტი, ავსტრალიელი აბორიგენები, ინუიტები, აჩე, იანომამო
რანგობრივი	არა	არა	კი	სამოელები, ტაიტელები, ტრობრიანდის კუნძულები, იფალუკები
კლასობრივი/კასტობრივი	კი	კი	კი	აშშ, კანადა, საბერძნეთი, ინდოეთი, ინკები

ეგალიტარული საზოგადოებები

ეგალიტარული საზოგადოებები შეიძლება არსებობდნენ არა მხოლოდ საკვების მომპოვებელ ადამიანებში, როგორც მაგალითად კუნგები, მბუტი, ავსტრალიელი აბორიგენები, ინუიტები და აჩეს ხალხია, არამედ მებაღეებსა და მესაქონლეებს შორისაც, როგორებიც არიან, მაგალითად: იანომამოს ინდიელები და სკანდინავიელი ლაპები. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ამგვარ საზოგადოებებში ადამიანები ერთნაირები სულაც არ არიან. ყოველთვის არსებობს პიროვნული განსხვავებები ასაკში, სქესსა და ისეთ უნარ-ჩვევებში, როგორიცაა ნადირობა, ფიზიკური ძლიერება, კრეატიულობა, ჯანმრთელობა, ყურადღებიანობა, გონებამახვილობა და ა.შ

მორტონ ფრიდის მიხედვით, ეგალიტარულ საზოგადოებაში პრესტიჟი სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნის მიხედვით იმ რაოდენობით არსებობს, რა რაოდენობის ადამიანებსაც მისი მიღება შეუძლიათ. მაგალითად, თუკი პატივისცემის დამსახურება პიროვნებებს კარგი შუბების გაკეთებით შეუძლიათ, მაშინ პატივისცემას იმსახურებს ყველა, ვინც მსგავს შუბებს აკეთებს. თუკი მაღალი სტატუსის მოპოვება ძვლის სამკაულების გამოთლით არის შესაძლებელი და მხოლოდ სამ პიროვნებას შეუძლია ეს საქმე აკეთოს, მაშინ პრესტიჟი ამ სამს ერგება. შემდეგ თაობაში კი, შესაძლოა, მდგომარეობა შეიცვალოს და ოცი სამკაულის მკეთებელი და რვა შუბის მთლელი გაიზარდოს, პრესტიჟის მხრივ იგივე მდგომარეობა შენარჩუნდება. ეგალიტარულ საზოგადოებაში პრესტიჟული პოზიციების რიცხვი კვალიფიცირებულ კანდიდატთა რიცხვს შეესაბამება. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარი საზოგადოება სოციალურად დაყოფილი არ გახლავთ.

რა თქმა უნდა, არსებობენ გამონაკლისებიც, როდესაც რაღაც უნარ-ჩვევების გამო ვინმე განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს, თვით ეგალიტარულ საზოგადოებებშიც კი. მაგრამ მაშინაც კი, თუკი რომელიმე წევრი ცნობილია, როგორც სხვებზე უფრო დახელოვნებული მონადირე, პრესტიჟი კვლავაც ყველასათვის თანაბარად მისაწვდომ უპირატესობად რჩება. პიროვნებას ამ სტატუსის არც სხვისთვის გადაცემა შეუძლია და არც მემკვიდრეობით დატოვება. თუკი პიროვნება დახელოვნებული მონადირეა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი შვილებიც კარგი მონადირეები იქნებიან. შეიძლება არსებობდნენ პიროვნებები, რომლებსაც მოცემულ საზოგადოებაში სხვებზე მეტი გავლენა აქვთ, მაგრამ ეს გავლენა მემკვიდრეობით არ გადადის და საზოგადოებაში არ არსებობენ ჯგუფები, რომელთაც სხვებზე მეტი გავლენა ექნებოდათ. ეგალიტარული საზოგადოება უთანაბრობის მინიმალურ დონეზეა.

ეგალიტარულ საზოგადოებაში არსებული განსხვავებები არ გამომდინარეობენ ეკონომიკური ფაქტორიდან. ამ ტიპის საზოგადოებები სასიცოცხლოდ არიან დამოკიდებულნი გაზიარებაზე, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური რესურსების თანაბარ მისაწვდომობას საზოგადოების ყველა წევრისათვის. მაგალითად, ზოგ ეგალიტარულ საზოგადოებაში მაღალი სტატუსის მოპოვება შეუძლია კარგ მონადირეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნადავლის განაწილების წესები და რიგი ჯერ კიდევ ნადირობამდეა ცნობილი. ამას საზოგადოებაში არსებული ადათ-წესები არეგულირებს და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მოკლავს ცხოველს. ამრიგად, კულტურა განსაზღვრავს წევრთა სტატუსს და ქონებაზე უფლებას (ამ შემთხვევაში მოკლულ ცხოველზე უფლებას).

ეგალიტარულ საზოგადოებებში არც ძალაუფლებრივი დიფერენციაცია არსებობს. როგორც მოგვიანებით პოლიტიკური ორგანიზაციისათვის მიძღვნილ თავში ვიხილავთ, სოციალურ ჯგუფები ძალაუფლების მიხედვით მხოლოდ სახელმწიფოებრივ საზოგადოებებში განსხვავდებიან, სადაც არსებობენ დასაქმებული პოლიტიკური მოხელეები, არსებობს ისევე შესამჩნევი ქონებრივი განსხვავებები პიროვნებებსა და ჯგუფებს შორის. ეგალიტარული საზოგადოებები სხვადასხვა წესით ებრძვიან ლიდერთა მიერ სხვებზე ბატონობას. ამ მხრივ ხშირად ძალიან ეფექტურ საშუალებად გვევლინება ეჭვი და კრიტიკა. მბუტის ტომში ზედმეტად აგრესიული და მომთხოვნი ლიდერი კარგავს თავის მდგომარეობას. როდესაც ჰადზას ტომში ვინმე მოისურვებს, სხვები თავის სასარგებლოდ ამუშაოს, იგი უბრალოდ დაცინვის საგანი ხდება. სხვა შესაძლო სტრატეგიაა დაუმორჩილებლობა. თუკი ლიდერი მბრძანებლობას ცდილობს, სხვები ამას უბრალოდ ყურადღებას არ აქცევენ. ექსტრემალურ შემთხვევებში, როდესაც ლიდერი განსაკუთრებულად ისწრაფვის უფროსობისაკენ, იგი უბრალოდ შეიძლება მოკლან საზოგადოების სხვა წევრებმა. ამგვარი შემთხვევები დაფიქსირებულია კუნგისა და ჰადზას ტომებში. და ბოლოს, განსაკუთრებით მომთაბარე ჯგუფებში, ადამიანები უბრალოდ ტოვებენ ისეთ საზოგადოებას, სადაც ლიდერი არ მოსწონთ. ეგალიტარულ საზოგადოების წესებმა, რომლებიც თრგუნავენ აღზევებისაკენ სწრაფვას, ქრისტოფერ ბოემი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ დომინირება ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა. ეგალიტარული საზოგადოებები მტკიცედ ებრძვიან ამ თვისებას. მბუტის ხალხი თითქმის სრულიად თანასწორი საზოგადოების მაგალითად გვევლინება. „არც ცერემონიების, არც ნადირობის, არც ნათესაურ და არც ჯგუფთაშორის ურთიერთობებში არ ვლინდება რამე შესამჩნევი უთანასწორობა ადამიანებს შორის.“ მათ მონადირე ჯგუფებს მეთაური არ ჰყავთ და ნადავლის განაწილება ერთ პირზე არის მინდობილი. ეკონომიკური რესურსები, როგორიცაა მაგალითად საკვები, ყველასთვის ნაწილდება, ხოლო იარაღები და ხელსაწყოები ხშირად გადადის ხელიდან ხელში. უფლებებისა და პრივილეგიების დიფერენციაცია მხოლოდ ოჯახის შიგნით ხდება.

რესურსების ექსტენსიური განაწილების მქონე მომპოვებელ საზოგადოებებს შეიძლება უფრო ვუწოდოდ ეგალიტარული საზოგადოება, ვიდრე მესაქონლეთა თემებს, რომლებიც ეკონომიკური რესურსების, კერძოდ კი, საქონლის რაოდენობის მიხედვით განსხვავდებიან. უნდა ჩაითვალონ თუ არა მესაქონლეები ეგალიტარულ საზოგადოებებად ამ პირობებში? აქ გარკვეულ წინააღ-



ველის ინდიელთა ბანაკები ძირითადად ისეთი საზოგადოების მაგალითია, სადაც სოციალური დაყოფა მინიმალურია.

მდეგობას ვაწყდებით. მნიშვნელოვანია რამდენ ხანს გრძელდება ეს უთანასწორობა ანუ არის თუ არა იგი მემკვიდრეობითი. გავლენას ახდენს ქონებრივი განსხვავება ძალაუფლებასა და პრესტიჟის მხრივ არსებულ განსხვავებებზე. თუკი სიმდიდრე არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ამ ფაქტორებზე და არ არის დაკავშირებული მეტ პრესტიჟსა და ძალაუფლებასთან, მაშინ ამგვარი საზოგადოება, ანთროპოლოგების აზრით, ეგალიტარულია. საკმაოდ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გარდაიქმნება ქონებრივი განსხვავებების მქონე ეგალიტარული საზოგადოება რანგობრივ ან კლასობრივ საზოგადოებად. საჭიროა მხოლოდ მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ცალკეული ოჯახების მიერ სხვებთან შედარებით მეტი სიმდიდრის მოხვეჭას.

რანგობრივი საზოგადოებები

რანგობრივ საზოგადოებათა უმეტესობა მიწათმოქმედებით ან მესაქონლეობით არის დაკავებული, თუმცა ყველა მესაქონლე და მიწათმოქმედი საზოგადოება არ არის რანგობრივი. რანგებად დაყოფა დამახასიათებელია იმ საზოგადოებებისათვის, სადაც განსხვავებულია პიროვნებათა მიერ მოპოვებული პრესტიჟი, მაგრამ სიმდიდრისა და ძალაუფლების მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებები არ შეინიშნება. პრესტიჟის მხრივ უთანაბრობა ხშირად ტომის ბელადის არსებობით გამოიხატება. ბელადობა მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ჯგუფის წევრებს შეუძლიათ.

რანგობრივ საზოგადოებათა შორის უჩვეულო მაგალითად გვევლინება მეცხრამეტე საუკუნის ამერიკელ ინდიელთა ტომები, რომლებიც აშშ-ს ჩრდილო-დასავლეთ და კანადის სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლზე ცხოვრობდნენ. მაგალითად, კვაკიუტლების ჯგუფში შემავალი ნიმპკიშის ტომი. ამ საზოგადოებათა უჩვეულობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი საკვების შემგროვებლები იყვნენ, მათ მიერ დაჭრილი ლოქოს უზარმაზარი რაოდენობა, რომელიც მთელი წლის მანძილზე ნაწილდებოდა, დიდი და მუდმივი სოფლების გაშენების საშუალებას იძლეოდა. ეს საზოგადოებები ბერვ რამეში საკვების მწარმოებელ საზოგადოებებს წააგავდნენ, მაგრამ არა სოციალური სტრუქტურის მხრივ. ამ ტომთა ბელადები წმინდა დღეებში პოტლატჩის სახელით ცნობილ დიდ ლხინს მართავდნენ და ყველა სტუმარს გულუხვად ასაჩუქრებდნენ.

რანგობრივ საზოგადოებებში ბელადის წოდება ნაწილობრივ მემკვიდრეობითია. ბევრ პოლინეზიურ საზოგადოებაში ბელადის რანგი მემკვიდრეობით გადაეცემოდა. როგორც წესი, მემკვიდრედ ითვლებოდა ბელადის უფროსი ვაჟი. ბელადის ოჯახის ნათესავები სხვადასხვა სტატუსით სარგებლობდნენ იმის მიხედვით, ვინ უფრო ახლოს იყო ბელადთან. რანგობრივ საზოგადოებებში ბელადებს დიდ პატივს სცემდნენ. აღოჩენილი მასალით მტკიცდება, რომ ტრობრიანდის კუნძულებზე, მელანეზიაში დაბალი რანგის ადამიანები ზემდგომებს მოწიწებით ეპყრობოდნენ, მაგალითად, ბელადის წინაშე მეთემეები თავდახრილები იდგნენ. თუკი მეთემეებს მჯდომარე ბელადის გვერდით ჩავლა მოუწევდათ, ეს უკანასკნელი ფეხზე დგებოდა, მეთემეები კი, თავს უკრავდნენ. თუმცა, შესაძლოა ბელადს ადგომა არ მოესურვებინა და მაშინ მეთემეებს ჩაცუცქულებს უნდა გაევლოთ.

მიუხეავად იმისა, რომ ბელადის სტატუსი რანგობრივ საზოგადოებებში მის განსაკუთრებულ პრესტიჟს უზრუნველყოფს, სადავოდ რჩება საკითხი, რამდენად მოქმედებს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მდგომარეობა მის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ბელადები ხშირად, შესაძლოა, სხვებზე მდიდრები ყოფილიყვნენ და მათი საკუჭნაოები დიდი და უხვი ყოფილიყო იმის გამო, რომ ისინი ხშირად იღებენ საჩუქრებს მეთემეებისაგან. ზოგ შემთხვევაში, ბელადი მიწის მფლობელადაც კი ითვლება. მიუხედავად ამისა, მარშალ სალინსი თვლის, რომ ბელადის საკუჭნაოები მხოლოდ და მხოლოდ დღესასწაულების გამართვისათვის საჭირო საწყობები იყო. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ბელადი მიწის „მფლობელადაც“ კი შეიძლება ითვლებოდეს, თემის წევრებს ამ მიწის გამოყენების უფლება აქვთ. უფრო მეტიც, სალინსი თვლის, რომ რანგობრივ საზოგადოებებში ბელადს არ აქვს საკმარისი ძალაუფლება, რადგან მას არ შეუძლია მეთემეთაგან ძალდატანებით მიიღოს საჩუქრები ან მათი ნების გარეშე ამუშაოს ისინი. ხშირად ბელადს ხალხის შეგულიანება მხოლოდ საკუთარი მძიმე შრომის მაგალითით თუ შეუძლია.

რანგობრივ საზოგადეობებში არსებული ამგვარი ეკონომიკური თანასწორობა ხშირად ეჭვის ქვეშ დგას. ლაურა ბეტციგმა შეისწავლა იფალუკების საზოგადოებაში საკვების განაწილების თავისებურებები. ეს საზოგადოება დასავლეთ კაროლინის ერთ-ერთი მცირე კუნძულზე

რანგობრივ და კლასობრივ საზოგადოებებში ბელადების მიმართ, როგორც წესი, მოწიწებას გამოხატავენ. ფოტოზე ხედავთ კამერუნის დაბლობზე მცხოვრები ტომის ბელადისა და უბრალო მეთემის შეხვედრას.

ცხოვრობდა. ბელადის წოდება მემკვიდრეობით, დედის ხაზით გადაეცემოდა, თუმცა ბელადთა უმეტესობა მამაკაცები იყვნენ(სქესისა და კულტურისადმი მიძღვილ თავში ჩვენ განვიხილავთ, თუ რატომ არიან პოლიტიკური ლიდერები ძირითადად მამაკაცები, იმ საზოგადოებებშიც კი, რომლებშიც ძირითად როლს ქალი ასრულებს). როგორც სხვა მსგავს საზოგადოებებში, იფალუკების ბელადებიც დიდებულებით გამოირჩეოდნენ. მაგალითად, როდესაც მთელი საზოგადოების ქალები ერთობლივად ამზადებენ საკვებს ტომისათვის, პირველ რიგში ბელადს ემსახურებოდნენ და მოწიწებას ქედმოხრით გამოხატავდნენ. იფალუკების ბელადები სათევზაო ადგილების მფლობელებად ითვლებოდნენ. თანაბრად ნაწილდება თუ არა რესურსები ამ საზოგადოებაში? ბეტციგის შეფასებით, მეთემეები თანაბარ წილს იღებდნენ მაშინ, როდესაც ბელადს მათზე თითქმის ორჯერ მეტი წილი ერგებოდა. იქნებ, ეს ზედმეტი წილი ბელადს იმიტომ გადაეცემოდა, რომ მომავალში გაეცა?

თეორიულიად სწორედ ასეც არის და ბელადმა მიღებული ზედმეტი საკვები შემდგომში ტომის წევრებს უდნა დაურიგოს გულუხვობის ნიშნად, მაგრამ ბეტციგმა ნახა, რომ შემდგომში ბელადის მიერ გაცემული საჩუქრების ოდენობა არ იყო მიღებული ზედმეტი წილის ტოლი. უფრო მეტიც, ბელადი ძირითადად თავის ნათესავებს ასაჩუქრებდა. იფალუკების ბელადები სხვებზე მეტს არ მუშაობდნენ. პირიქით, როგორც კვლევებმა აჩვენა, ისინი ნაკლებს შრომობდნენ. როგორ არის საქმე ამ მხრივ სხვა საზოგადოებებში, რომლებიც პირობითად რანგობრივებად მიიჩნევიან? ზუსტი პასუხი ამაზე ჯერ არ გვაქვს. მიუხედავად ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბელადების ცხოვრება სხვებისგან ძალიან გამორჩეული არ გახლდათ. თუკი მას ეყოლებოდა მსახურები, იცხოვრებდა სასახლეში, ექნებოდა ცერემონიული ტრაპეზები ან საგანგებო ტანსაცმელი და სამკაულები, მაშინ თამამად ვიტყოდით, რომ ბელადები ეკონომიკური მდგომარეობით გამოირჩეოდნენ. ამრიგად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რანგობრივი საზოგადოებები ხასაითდებოდნენ ეკონომიკური უთანასწორობით.

კლასობრივი საზოგადოებები

კლასობრივ საზოგადოებებში, რანგობრივთა მსგავსად, არსებობს განსხვავებები მდგომარეობის მხრივ. მაგრამ ამავე დროს, კლასობრივ საზოგადოებებში არსებობენ ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც სხვებზე მეტად მიუწვდებათ ხელი ეკონომიკურ რესურსებსა და ძალაუფლებაზე; ანუ საზოგადოების ყველა წევრს არ აქვს თანაბარი შესაძლებლობა მიწის, ცხოველების, ფულის ან სხვა სიმდიდრის მისაღებად და აგრეთვე არ გააჩნია შესაძლებლობა, მიიღოოს იგივე ძალაუფლება, რაც სხვა ჯგუფს ან პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს. კლასობრივი საზოგადოება შეიძლება იყოს როგორც საკმაოდ ღია (სადაც ფენებს შორის არ არის მკვეთრი ზღვარი), ისე სრულიად კარჩაკეტილი, ე.წ. კასტური სტრუქტურის მქონე სისტემა.

ღია კლასობრივი სისტემები

კლასი არის ადამიანების კატეგორია, რომლის წევრებსაც ეკონომიკურ რესურსებზე, ძალაუფლებასა და

ანთროპოლოგიური უჩვეულობები

სამხრეთ ალიასკელი ტლინგიტები

თითქმის ყველა თანამედროვე საზოგადოებაში არსებობენ კლასები, მათშიც კი, რომლებიც ადრე ეგალიტარულნი იყვნენ. ბევრი საზოგადოება, რომელიც საკვების შემგროვებლობას ეწეოდა, არ ხასიათდებოდა სოციალური უთანაბრობით. ახლა კი თითქმის ყველა მათგანი სოციალურ ფენებად არის დაყოფილი. მათ აქვთ კლასები — ოჯახები და ეთნიკური ჯგუფები — რომლებსაც ერთნაირად არ მიუწვდებათ ხელი სიმდიდრესა და ძალაუფლებაზე. როგორც წესი, კლასებს საკუთარი სახელები აქვთ ისევე, როგორც ჩვენ ვყოფთ საზოგადოებას მაღალ, საშუალო და მუშათა ფენად.

სამხრეთალასკაშიმცხოვრები ტლინგიტის ხალხი ევროპელებთან დაახლოებამდე თევზაობით, ნადირობითა და შემგროვებლობით ირჩენდა თავს. მეცხრამეტე საუკუნიდან კი ინტენსიურად ჩაებნენ ევროპელებთან ვაჭრობაში. შედეგად მათ საზოგადოებაში სოციალური რანგები და კლასები წარმოიქმნა.

„პიროვნებები განსხვავდებოდნენ არა მხოლოდ ოჯახის ან ტომის მიხედვით, არამედ კლასების მიხედვითაც. კლასობრივი სისტემა წარმოიქმნა მას შემდეგ, რაც ზოგმა ოჯახმა მეტი ქონება მოიპოვა. ტლინგიტები ოთხ კლასად დაიყვნენ. უმაღლეს კლასს ერქვა ანიადი, საშუალო კლასს — კანაჩიდე, დაბალ კლასს — ნიტკაკაკუ და ბოლოს მოდიოდა მეოთხე, მონების კლასი — გუქსი. კლასობრივი კუთნილება მნიშვნელოვანი იყო, რადგან იგი განსაზღვრავდა, თუ ვისთან უნდა ეთამაშათ ბავშვებს, ვისთან უნდა ექორწინათ ახალგაზრდებს და ვისთვის გაეგზავნათ პოტლატჩებზე მოსაწვევები მოზრდილებს. მაღალი და დაბალი კლასების ბავშვებს ეკრძალებოდათ ერთად თამაში, რადგან ითვლებოდა, რომ დაბალი კლასის ბავშვს შეეძლო რამე დაეშავებინა მაღალი კლასის ბავშვისათვის და ღარიბი მშობლები ვერ შეძლებდნენ მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას. მდგომარეობის გასამყარებლად და კეთილდღეობის მიზნით ქორწინებები, მხოლოდ კლასს შიგნით ხდებოდა. სხვა სოფლების პოტლატჩებზეც მხოლოდ მაღალი კლასის პირებს ინვევდნენ, რადგან მათ ძვირფასი საჩუქრების მიტანა შეეძლოთ.

პრესტიჟზე ხელი დაახლოებით თანაბრად მიუწვდებათ. სხვადასხვა კლასი ძირითად უპირატესობებს სხვადასხვა ხარისხით ფლობენ. კლასობრივ სისტემას ვარქმევთ ღიას, თუკი პიროვნებას ერთი კლასიდან მეორეში გადასვლა შეუძლია. 1920-იანი წლებიდან აშშ-ს ქალაქებში მრავალი კვლევა ჩატარდა. მკვლევარებმა ჩამოაყალიბეს განსხვავებული დასახლებების რამდენიმე სახე: იანკი სითი, მიდლთაუნი, ჯოუნსვილი და ოლდ სითი. ეს დაყოფა გულისხმობს, რომ აშშ-ში არსებობენ განსხვავებული, თუმცა გარკვეულწილად ღია კლასები. ლოიდ უორნერისა და პოლ ლუნცის ნაშრომში „იანკი სითი“ ისევე, როგორც რობერტ და ჰელენ ლინდის „მიდლთაუნში“, ნათქვამია, რომ აშშ-ში ოჯახის პრესტიჟი ძირითადად ოჯახის უფროსის საქმიანობასა და სიმდიდრესთან არის დაკავშირებული. კლასობრივი სისტემა მხოლოდ აშშ-სთვის დამახასიათებელი მოვლენა არ გახლავთ, კლასები თანამედროვე მსოფლიოს ყველა ერში არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ ღია კლასობრივ საზოგადოებებში ერთი კლასიდან მეორეში გადასვლა შეიძლება, როგორც წესი, ადამიანთა უმეტესობა სწორედ იმ კლასში რჩება და ატარებს სიცოცხლეს, რომლის წევრადაც იგი დაიბადა. მეუღლედაც თავისივე კლასის წარმომადგენელს ირჩევენ. კლასები თავიანთი თავის არსებობას სიმდიდრის მემკვიდრეობით გადაცემის გზით უზრუნველყოფენ. ჯონ ბრიტანის აზრით, აშშ-ში მომავალი თაობის სიმდიდრის დიდი ნაწილი წინა თაობის მიერ დატოვებული ქონებაა. როგორც მოსალოდნელია, მემკვიდრეობის მნიშვნელობა მით უფრო იზრდება, რაც უფრო დიდია ქონება.

კლასის არსებობის სხვა მექანიზმები შედარებით ბუნდოვანია ხოლმე, მაგრამ არანაკლებ ძლიერი. აშშ-ში არსებობს მრავალი დაწესებულება, რომელიც თავისი შინაარსით კლასობრივია. მაგალითად: კერძო სკოლები, სადაც ერთი კლასის ბავშვები ერთად იზრდებიან და ძირითადად ერთმანეთთან აქვთ ურთიერთობა. ამ სკოლებში სწავლა, როგორც წესი, უფრო პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების წინაპირობაა. დახურული წვეულებები და შეკრებებიც იმავე ხასიათისაა, აქაც ერთი ფენის ახალგაზრდები ეცნობიან ერთმანეთს. ასევე დახურული და კერძო კლუბები და ა.შ. ერთი კლასის ადამიანები ძირითადათ მეზობლად ცხოვრობენ ხოლმე. 1948 წლამდე აშშ-ში არსებობდა აშკარა შეზღუდვები, რომლებიც გარკვეული კატეგორიის ხალხს გარკვეულ ადგილებში დასახლებას უკრძალავდა. აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს მიერ ამ შეზღუდვების არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, სხვა ნაკლებად აშკარა მეთოდები გამოიყენება. მაგალითად, ზონური შეზღუდვა, რომელიც ეხება ზოგ რაიონში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობას და განსაზღვრულ ფართობზე ნაკლებ ნაკვეთებს.

საქმიანობის, ქონებისა და პრესტიჟის მხრივ არსებულ განსხვავებებთან ერთად, კლასები მრავალი სხვა ნიშნითაც განსხვავდებიან. ეს შეიძლება იყოს რელიგიური კუთვნილება, ნათესაური კავშირების სიმჭიდროვე, ბავშვის აღზრდა, სასურველი სამუშაო, თავისუფალი დროის გატარების გზები, ავეჯისა და სამოსის სტილი და როგორც ენისა და კომუნიკაციებისადმი მიძღვნილ თავში აღვნიშნეთ, თვით მეტყველების მანერაც. ადამიანები, როგორც წესი, თავს თავიანთი კლასის სრულუფლებიან წევრებად გრძნობენ. ისინი ერთმანეთის მსგავსად მეტყველებენ, მსგავსი ინტერესები და მსგავსი გემოვნება აქვთ.

კლასის საზღვრები (თუნდაც ბუნდოვანი) ადათებითა და ტრადიციებით მტკიცდება. ამ საზღვრებს ხშირად ქვეყანაში მოქმედი კანონებიც ამყარებს. ჩვენი ქვეყნის მრავალი კანონი, მაგალითად საკუთრების დაცვისა და სხვა, საშუალოზე მაღალი ფენისათვის გახლავთ ხელსაყრელი. ღარიბები ნაკლებად სარგებლობენ ჩვენი საკანონმდებლო სისტემით. დანაშაულს ყველაზე ხშირად სწორედ ისინი ჩადიან და ამას სასამართლო ხელისუფლება დაუნდობლად ებრძვის. მათ იშვიათად აქვთ ფული ადვოკატის დასაქირავებლად და ა. შ.

ღია კლასობრივ სისტემაში ხშირად რთულია იმის განსაზღვრა, რეალურად რამდენი კლასი არსებობს საზოგადოებაში. სტენლი ბარეტი ნაშრომში „სამოთხე“ აღწერს ონტარიოში წარმოებულ კვლევას, რომელმაც აჩვენა, რომ სხვადასხვა ადამიანს ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდა. ზოგი თვლიდა, რომ არსებობდა მხოლოდ ორი კლასი, „ხელისუფლება და ჩვენ“. სხვები თვლიდნენ, რომ არსებობდა სამი კლასი: „ფულიანი ხალხი, საშუალო ხალხი და უპოვარნი“. მრავალი ადამიანის აზრით, ოთხი კლასი არსებობს: „მდიდარი ბიზნესმენები, საშუალო კლასი, ლურჯსაყელოიანი მუშები და ხალხი,

კერძო სკოლა-ინტერნატი ნიუ-ჯერსიში. ამ სკოლის მოსწავლეთა უმეტესობა მდიდარი ოჯახის შვილი.

რომელიც უბრალოდ არსებობს". რამდენიმემ განაცხადა, რომ ხუთი კლასი არსებობდა. ძველი, მკაცრი კლასობრივი სისტემის რღვევის შემდეგ, მრავალი ადამიანი გახდა „საშუალო". ამჟამად აშშ-ში საკმაოდ გავრცელებულია „უკლასობის" კონცეფცია და ადამიანთა უმეტესობა საკუთარ თავს საშუალო ფენას აკუთვნებს. თუმცა ობიექტური რეალობა კვლავაც ადასტურებს განსხვავებული კლასების არსებობას საზოგადოებაში.

კლასების გახსნილობის ხარისხი ზოგიერთი კლასობრივი სისტემა სხვებზე უფრო გახსნილია. ეს ნიშვნავს, რომ შედარებით გაადვილებულია კლასიდან კლასში გადასვლა. მეცნიერები საზოგადოების მობილურობის შესასწავლად პიროვნების კლასს ადარებენ მისი მშობლების კლასებთან. აღმასვლასთან ერთად, საზოგადოებრივი მობილურობა შესაძლო დაღმასვლასაც გულისხმობს. განათლება, განსაკუთრებით კი საუნივერსიტეტო განათლების მიღება, აღმასვლის საუკეთესო საშუალებაა. მაგალითად, აშშ-ში უმაღლესი განათლების მქონეთა შემოსავალი საშუალოდ 60%-ით აღემატება მათ შემოსავალს, ვისაც უმაღლესი განათლება არ გააჩნია. ფაქტია, რომ მრავალ ქვეყანაში ადამიანის კლასობრივ კუთვნილებას განათლება უფრო მეტად განაპირობებს, ვიდრე მშობლების საქმიანობა და სტატუსი.

როგორი მდგომარეობაა მობილურობის მხრივ აშშ-სა და კანადაში? რამდენად მაღალი ან დაბალია იგი სხვა ქვეყნებთან შედარებით? შვედეთსა და კანადაში ამ მხრივ საზოგადოება უფრო მობილურია, ვიდრე აშშ-ში. იაპონია და იტალია ნაკლებად მობილურები არიან. თუკი ყურადღებას უმაღლეს კლასში შეღწევის სირთულეზე გავამახვილებთ, მაშინ ვნახავთ, რომ იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიასა და იაპონიაში ამის მიღწევა უფრო ძნელია, ვიდრე აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში.

კლასების გახსნილობის ხარისხი დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს კიდეც. თავის ნაშრომში „სამოთხე", ბარეტმა დაადგინა, რომ 1950-იანი წლების ხისტი და კარჩაკეტილი საზოგადოება ბევრად გაიხსნა მას შემდეგ, რაც რეგიონში მრავალი ახალი მაცხოვრებელი მივიდა. წარსულში არავინ დავობდა იმაზე, თუ ვინ იყო ადგილობრივი ელიტა. როგორც წესი, ესენი იყვნენ ინგლისური წარმოშობის ოჯახები, რომლებიც დიდ სახლებში ცხოვრობდნენ, ახალი მანქანები ჰყავდათ და შვებულებას ფლორიდაში ატარებდნენ. უფრო მეტიც, მათ ხელში იყო ქალაქის პოლიტიკური ხელისუფლებაც. 1980-იან წლებში კი მდგომარეობა შეიცვალა. ლიდერთა უმეტესობა საშუალო და მუშათა კლასის წარმომადგენლები იყვნენ.

უთანასწორობის ხარისხი კლასობრივი მობილურობისაგან გასხვავებული მოვლენაა ეკონომიკური უთანასწორობა. მაგალითად, იაპონიას, გერმანიას, იტალიას ნაკლებად მობილური საზოგადოება ჰყავთ, მაგრამ ამავე დროს, ისინი ნაკლები ეკონომიკური უთანასწორობით ხასიათდებიან (დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ). ეკონომიკური უთანასწორობის ხარისხიც შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში. აშშ-ში ყველაზე ღრმა დიფერენციაცია 1929 წლის ეკონომიკურ კრახამდე იყო, როდესაც მოსახლეობის უმდიდრესი 1%-ის ხელში ქვეყნის სიმდიდრის 42.6% იყო მოქცეული. ყველაზე ნაკლები უთანასწორობა 1970-იან წლებში დაფიქსირდა. ამ დროს უმდიდრესი 1%-ის ხელში სიმდიდრის 17.6% იყო.

დროთა განმავლობაში ეკონომიკური უთანასწორობის ცვლილება შესაძლოა, ეკონომიკური მიზეზებით იყოს განპირობებული, თუმცა შეიძლება პოლიტიკური საფუძველი ჰქონდეს. მაგალითად, 1929 წლის ეკონომიკური კრიზისის შედეგად მდიდრებს ქონება შეუმცირდათ. 1930-იანი წლების ახალი პოლიტიკური გეზის, საგადასახადო ცვლილებებისა და შრომითი პროგრამების წყალობით, სიმდიდრის ნაწილმა ჩვეულებრივი ადამიანებისკენ გადაინაცვლა. 1980-იანი წლების საგადასახადო ცვლილებებმა, როდესაც მდიდრებს გადასახადები შეუმცირდათ, ამ უკანასკნლეთა კიდევ უფრო გამდიდრება განაპირობა. მდიდრების კიდევ უფრო გამდიდრებისა და ღარიბთა კიდევ უფრო გაღარიბების პროცესი 1990-იან წლებშიც გაგრძელდა. ეკონომიკური უთანასწორობის გამოთვლის ერთ-ერთი გზა მოსახლეობის უმდიდრესი მეხუთედისა და უღარიბესი მეხუთედის შეფარდება გახლავთ. შედარების შედეგად ირკვევა, რომ აშშ-ში ეს შეფარდება 9/1-ს შეადგენს (ცხრილი 18—1) და ჩვენთან ამ მხრივ მეტი უთანასწორობაა, ვიდრე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აშშ-ს მოსახლეობის უმდიდრესი მეხუთედი ცხრაჯერ მეტ ქონებას ფლობს, ვიდრე უღარიბესი. ნორვეგიაში მსგავსი მაჩვენებელი 3,5%-ს შეადგენს. გერმანიაში — 4,5%. აშშ-ს უთანასწორობის ხარისხი მეტია, ვიდრე ინდოეთში, სადაც იგი 5,5%-ს შეადგენ. ბრაზილია და სამხრეთ აფრიკა მსოფლიოს ყველაზე უთანასწორო ქვეყნებია მაჩვენებლებით: 22/1 და 24/1.

კასტური სისტემები

ზოგიერთ საზოგადოებაში კლასები სრულიად დახურულია. ასეთ სისტემას **კასტური** სისტემა ჰქვია. კასტა არის მკაცრად შეკრული ჯგუფი, რომლის წევრობაც დაბადებით განისაზღვრება და ამ სტატუსის შეცვლა შეუძლებელია. კასტის წევრებს მხოლოდ ერთმანეთზე

დაქორწინების უფლება აქვთ, შესაბამისად, მათი შვილებიც იმავე კასტის წევრები იქნებიან. ინდოეთში, მაგალითად, რამდენიმე ათასამდე კასტაა. მიუხდავად იმისა, რომ ამ სიმრავლის მკვეთრი გამიჯვნა რთულია, მთლიანობაში გამოკვეთილია იერარქიის ოთხი ძირითადი დონე. ამ კასტებს ხშირად გარკვეულ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვლენებად მიიჩნევენ, მაგრამ მთლად ასეც არ არის. ინდოელთა უმეტესობა სოფელში ცხოვრობს და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაშია ჩაბმული, მაგრამ მათი კასტები ძალიან განსხვავებულია ხოლმე.

კასტური სისტემა, შესაძლოა, შედარებით ღია კლასობრივი სისტემის გვერდითაც არსებობდეს. მართლაც, თანამედროვე ინდოეთში დაბალი კასტების წარმომადგენლებს, რომელთაც ანაზღაურებადი სამუშაო აქვთ, შეუძლიათ თავიანთი სოციალური მდგომარეობა გააუმჯობესონ იმავე საშუალებებით, როგორც ეს ღია კლასობრივ საზოგადოებებში ხდება, მაგრამ მათ კვლავაც არ აქვთ უფლება მაღალი კასტის წარმომადგენელთან იქორწინონ. ამრიგად, კასტური სისტემა კვლავაც აგრძელებს არსებობას.

უთანასწორო საზოგადოებებისათვის მთავარი კითხვა მეცხრამეტე საუკუნის ბრიტანელმა მწერალმა ჯონ რასკინმა დასვა: „ვინ შეასრულებს ყველაზე ბინძურ და მძიმე სამუშაოს და რა ფასად? ან ვინ და რა ფასად შეასრულებს ყველაზე სასიამოვნო და ადვილ სამუშაოს?“ ინდოეთში ამ კითხვებზე პასუხს კასტური სისტემა გასცემს. სწორედ იგი განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს საქონლისა და მომსახურებათა განაწილება. განსაკუთრებით სოფელში. ყველაზე მძიმე და ბინძური სამუშაოს შემსრულებლები დადგენილია. ესენი არიან იერარქიის ფსკერზე მყოფი კასტების დიდი ჯგუფი, რომლებსაც მიუკარებლები ეწოდებათ. მიუკარებელთა შორის სხვადასხვა სუბკასტები არსებობს, მაგალითად კამარები, რომელთა საქმიანობა დამლაგებლობაა ან ბჰანგისები, რომლებიც ძირითადად მხვეტავები არიან. იერარქიის მწვერვალზე ბრაჰმანები დგანან, რომლებსაც ქურუმობა აკისრიათ. ამ ორ უკიდურესობას შორის ათასობით სხვადასხვა კასტა და სუბკასტაა განლაგებული. ჩვეულებრივ, ინდურ სოფელში მეთუნე აკეთებს ჭურჭელს სოფლელებისათვის, ხოლო სანაცვლოდ მიწათმფლობელისაგან იღებს საცხოვრებელ ადგილსა და ხორბალს წელიწადში ორჯერ. ასევეა სხვა შემთხვევაში: დალაქი თმას ჭრის, მხვეტავი ხვეტავს, ქურუმი (ბრაჰმანი) საკუთარი შვილების ქორწილს ატარებს და ა.შ. დალაქი ემსახურება ყველა კასტას მიუკარებლების გარდა და სანაცვლოდ სოფლელებისაგანაც იღებს სხვადასხვა სამსახურს. მას მემკვიდრეობით ერგო ოჯახები, რომელსაც უნდა მოემსახუროს. დამატებითი ანაზღაურების შეთხვევაში, კასტის ყველა წარმომადგენელი ეხმარება ერთმანეთს ქორწილისა და მოსავლის აღების დროს. ეს დამატებითი ანაზღაურება შეიძლება ფულიც იყოს.

თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს აღწერა ინდოეთის კასტური სისტემის იდეალიზებული სურათი გახლავთ. რეალურად კი სისტემა მაღალი და მიწათმფლობელი კასტების სასარგებლოდ მუშაობს. ეს შეიძლება იყონ ბრაჰმანები ან სხვა რომელიმე კლასი. ისიც უნდა ითქვას, რომ კასტურ სისტემაში ხშირია დაძაბულობა და მტრული დამოკიდებულება მმართველი კლასის მიმართ, მიუკარებლებისა და სხვა დაბალი კასტების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ პროტესტი გამოითქმება არა კასტური სისტემის, როგორც ასეთის წინააღმდეგ, არამედ საკუთარი დაბალი მდგომარეობის გამო. ჩაგრულ კასტებს სურთ, უკეთესი მდგომარეობა მოიპოვონ და სხვებთან გათანაბრდნენ. მაგალითად, კამარების ტრადიციულ საქმიანობაში შედის დასახლების გაწმენდა მკვდარი პირუტყვის გვამებისაგან. სამაგიეროდ, მათ შეუძლიათ შეჭამონ მისი ხორცი და გამოიყენონ ტყავი. იმის გამო, რომ მკვდარი ცხოველის შეხება და საქონლის ხორცის ჭამა ინდოეთში უწმინდურ საქმიანობად ითვლება, ერთ-ერთ სოფელში კამარებმა უარი განაცხადეს ამ საქმის კეთებაზე. ამით მათ დაკარგეს უფასო ტყავისა და საკვების წყარო, მაგრამ ამაოდ, სოფლის თვალში მათ კვლავაც უწმინდურთა სტატუსი დარჩათ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კასტური სისტემის ეკონომიკური საფუძველი მნიშვნელოვნად შეარყია ფულადი ბრუნვის გაფართოებამ და მომსახურების ფულით ანაზღაურებამ. მაგალითად, დალაქის შვილი შეიძლება კვირის განმავლობაში მასწავლებლად მუშაობდეს და ხელფასს იღებდეს, დალაქი კი მხოლოდ დასვენების დღეებში იყოს. მაგრამ იგი კვლავაც დალაქთა კასტაში (ნაი) რჩება და მხოლოდ ამ კასტის წარმომადგენელზე ქორწინების უფლება აქვს.

კასტური სისტემის არსებობას ხელს უწყობენ იერარქიის სათავეში მდგომი კასტები, რომლებიც ამ სისტე-

სურათი 18-1 შეფარდება მოსახლეობის უმდიდრესი და უღარიბესი მეხუთედების ქონებათა შორის ქვეყნების მიხედვით. შავი ფერით აღნიშნულია უღარიბესი 20% ღია ფერით აღნიშნულია უმდიდრესი 20%

მის წყალობით სამ მთავარ პრივილეგიას: სიმდიდრეს, პრესტიჟსა და სექსუალურ უპირატესობას იღებენ. ეკონომიკური სარგებელი ყველაზე აშკარაა. იაფი შრომისა და უფასო მომსახურების მიღება ხშირად სასჯელის შიშით ხდება. დაბალი კასტების წევრებს სამსახურის გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში შეიძლება სოფლის ჭით სარგებლობა ან სოფლის საძოვრების გამოყენება აუკრძალონ ან სულაც სოფლიდან გააძევონ. მაღალი კლასები ხშირად პრივილეგიასაც ძალით მოიპოვებენ. ისინი დაბალი კლასებისაგან მოწიწებასა და მორჩილებას მოითხოვენ. სექსუალური სარგებლობა შედარებით ნაკლებად აშკარაა, მაგრამ მნიშვნელობით არანაკლებია. მაღალი კასტის მამაკაცს შეუძლია ურთიერთობა იქონიოს როგორც თავისი კასტის, ისე დაბალი კასტის ქალთან. ითვლება, რომ მაღალი კასტის წარმომადგენელი ქალები დაცული უნდა იყონ დაბალი კასტის მამაკაცთა „ბილწი“ შეხებისაგან, რადგან ამ უკანასკნელთ მხოლოდ დაბალი კასტის ქალებთან აქვთ ურთიერთობის უფლება. ამას გარდა, არსებობს მრავალი რიტუალი, რომელიც დაბალ კასტებს თავიანთ „უწმინდურობასა“ და „ადგილს“ ახსენებს. მაღალი კლასის წარმომადგენლები არ სვამენ მიუკარებელთა მიერ მიწოდებულ წყალს, არ დასხდებიან მათ გვერდით და არ შეჭამენ საჭმელს იმ მაგიდასთან, სადაც მიუკარებელი ზის.

იაპონიის კლასობრივ საზოგადოებაშიც არსებობდა კასტა, რომელიც ამჟამად ბურაკუმინის (ადრინდელი დამამცირებელი ეტას ნაცვლად) სახელით არის ცნობილი. ამ კასტის მოვალეობად ითვლებოდა ის სამუშაოები, რომლებიც იაპონიაში ტრადიციულად უწმინდურად მიიჩნეოდა. ინდოეთის მიუკარებელთა მსგავსად, ამ კასტის წევრობა მემკვიდრეობითი და ენდოგამური (ქორწინების უფლება მხოლოდ კასტის წევრებზე ჰქონდათ) იყო. ისინი დაკავებულები იყვნენ გლეხების ჩვეულებრივი სამუშაოებით. მათი ცხოვრების დონე ძალიან დაბალი იყო. გარეგნულად ბურაკუმინები არაფრით განსხვავდებიან სხვა იაპონელებისაგან. ბურაკუმინების დისკრიმინაცია ოფიციალურად 1871 წელს, იაპონიის მთავრობის მიერ გამოცემული კანონით შეწყდა, თუმცა რეალური ცვლილებები მათ ცხოვრებაში მხოლოდ მეოცე საუკუნეში დაიწყო. ეს ცვლილებები იაპონიის მთავრობის მიერ სიღარიბისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების შედეგია. 1995 წლისათვის ბურაკუმინების 73% არაბურაკუმინებზე იყო დაქორწინებული. საზოგადოებრივ გამოკითხვებში ბურაკუმინთა ორი მესამედი აცხადებს, რომ მათ მიმართ დისკრიმინაცია არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მათი უმეტესობა ჯერ კიდევ ცალკე რაიონებში ცხოვრობს, სადაც უმუშევრობა, დანაშაულება და ალკოჰოლიზმი კვლავაც მაღალ დონეზეა.

არსებობს დისკრიმინაციისა და კასტური სისტემების ისეთი სახეებიც, რომლებიც გარეგნულ განსხვავებებზეა დამყარებული. აფრიკის ქვეყანა რუანდაში დიდი ხნის მანძილზე გაბატონებული კასტური სისტემა 1959-1960 წლებში ჯერ არჩევნებისა და შემდეგ რევოლუციის შედეგად დაემხო. ქვეყანაში არსებული სამი კასტა ერთმანეთისგან გარეგნულ მახასიათებლებითა და საქმიანობით განსხვავდებოდა. ითვლება, რომ ეს სამი კასტა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხების ჯგუფებისაგან წარმოიქმნა, რომლებიც სხვადასხვა დროს მოვიდნენ უგანდაში მიგრაციებისა და დაპყრობების შედეგად. დროთა განმავლობაში ისინი საერთო ენაზე ალაპარაკდნენ, მაგრამ ენდოგამიურობისა და საქმიანობის მიხედვით დაყოფა შეინარჩუნეს. შედარებით ტანმაღალი და ხმელი აღნაგობის მქონე მმართველი კასტა, ტუტსი, რომელიც მოსახლეობის დაახლოებით 15%-ს შეადგენდა, მიწათმფლობელებისა და მწყემსები (რაც პრესტიჟულ საქმიანობად ითვლებოდა) შედგებოდა. უფრო ტანდაბალი და ჩაფსკვნილი აღნაგობის მქონე მიწათმოქმედი კასტა, ჰუტუ, მოსახლეობის დაახლოებით 85%-ს შეადგენდა. როგორც ტუტსის მოიჯარე, ჰუტუ აწარმოებდა თითქმის მთელ საკვებს ქვეყანაში. მესამე კასტის, ტვას, წარმომადგენლები, სიდაბლით გამოირჩეოდნენ და ტყეებში შემგროვებლობას ეწეოდნენ. ისინი მოსახლეობის 1%-ზე ნაკლებს შეადგენდნენ.

რუანდის კასტური სისტემის არსებობას და ტუტსის ძალაუფლებას ხელს უწყობდა ჯერ გერმანელთა, ხოლო შემდეგ კი ბელგიელთა კოლონიური მმართველობა. 1959 წელს ჰუტუ თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაერთიანდა და მეფეს ტუტსის მრავალ წარმომადგენელთან ერთად ქვეყნის დატოვება მოუწია. ჰუტუმ ქვეყანაში რესპუბლიკა დაამყარა და 1962 წელს ბელგიისაგან დამოუკიდებლობაც გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, ახალმა მთავრობამ ტვას კასტას მოქალაქეობის უფლება არ მიანიჭა. 1990 წელს ქვეყანაში უგანდიდან ტუტსის რაზმები შეიჭრნენ. იყო კოალიციური მრავალპარტიული მთავრობის ჩამოყალიბების ცდები, მაგრამ ისინი უშედეგოდ დასრულდა და ქვეყანა სამოქალაქო ომში გაეხვია, რის შედეგადაც 1994 წელს დაიღუპა მილიონზე მეტი ადამიანი, ძირითადათ ტუტსი. მიუხედავად ამისა, საბოლოო გამარჯვება სწორედ ამ უკანასკნელებმა მოიპოვეს და ახ-



კასტების როლი ინდოეთში ჯერ კიდევ დიდია, თუმცა კომერციალიზაციის და ახალი ტექნოლოგიების გავრცელებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნის სოციალური მობილურობის ხარისხი.

ალი მთავრობა შექმნეს. შედეგად ორ მილიონამდე ჰუტუს ლტოლვილი იძულებეული გახდა, ზაირში გაქცეულიყო.

აშშ-ში კასტისმაგვარ წარმონაქმნს წარმოდგენდნენ აფროამერიკელებიც. ეს ნაწილობრივ მათი გარეგნულობითაც იყო განპირობებული. ახლო წარსულამდე ზოგ შტატში არსებული კანონები პირდაპირ უკრძალავდა აფროამერიკელს ევროამერიკელზე ქორწინებას. სხვადასხვა რასის წარმომადგენლების ქორწინების შედეგად, დაბადებული ბავშვების სტატუსი უფრო დაბალი იყო, ვიდრე თეთრკანიანების, მიუხედავდ იმისა, რომ ბავშვს, შესაძლოა, თეთრი კანი და ქერა თმა ჰქონოდა. სამხრეთ შტატებში, სადაც აფროამერიკელების დისკრიმინაცია ყველაზე ძლიერი იყო, ევროამერიკელები უარს აცხადებდნენ მათ სიახლოვეზე, მათ გვერდით სადილობასა და სკოლაში მათთან ერთად სიარულზე. თეთრებისა და შავშვებისათვის ცალ-ცალკე იყო სასმელი წყლის შადრევნები და ტუალეტები. ეს თითქოს შავკანიანთა უწმინდურობას უსვამდა ხაზს.

შემდეგ ნაწილებში, სადაც მონობასა და რასიზმს განვიხილავთ, აფროამერიკელთა სტატუსზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

მონობა

მონები არიან პირები, რომლებიც საკუთარ შრომასა და მის ნაყოფს ვერ ფლობენ. ისინი ცალკე კლასს ქმნიან. ჩვენ შეგვიძლია მონობა რამდენიმე ქვეყანას: ეგვიპტეს, საბრეძნეთს, რომს ან თუნდაც აშშ-ს დავუკავშიროთ, მაგრამ იგი სხვადასხვა დროს რაღაც დოზით თითქმის ყველა სახელმწიფოში არსებობდა, როგორც შედარებით მარტივ, ისე რთულ საზოგადოებებში. მონები იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც იტაცებდნენ, ომში ტყვედ აჰყავდათ ან ხარკის სახით გადასცემდნენ დამპყრობლებს. ხშირად მონებით ვაჭრობდნენ კიდეც. მონობა შეიძლება ყოფილიყო ვალის გადაუხდელობის შედეგი, დანაშაულისათვის მიღებული სასჯელი ან თუნდაც სიღარიბის ალტერნატივა, როდესაც ადამიანი ნებაყოფლობით ყიდდა საკუთარ თავს მონად. მონათმფლობელური საზოგადოებები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან იმით, თუ რამდენად იოლი იყო მონობისაგან თავის დაღწევა. ზოგი მათგანი კასტური სისტემა იყო, ზოგი კი — შედარებით ღია კლასობრივი საზოგადოება. მონათმფლობელურ საზოგადოებებში მონებს განსხვავებული უფლებები ჰქონდათ, თუმცა ზოგიერთი ნიშანი ყველა საზოგადოებას ახასიათებდა.

ძველ საბერძნეთში მონები ხშირად ტყვედ ჩავარდნილი მტრები იყვნენ. ქალაქ-სახელმწიფოებს შორის წარმოებული გამუდმებული ომების გამო საზოგადოების არც ერთი წევრი არ იყო მონობისაგან დაზღვეული. ამ მხრივ ნიშანდობლივია ტროას ომის შედეგად მონადქცეული დედოფლის, ჰეკუბას სიტყვები: „სიკვდილამდე ნურავის უწოდებთ ბედნიერს, რაც უნდა იღბლიანი იყოს იგი.“ თუმცა საბერძნეთში მონები ჩვეულებრივ ადამიანებად ითვლებოდნენ და გათავისუფლების შემთხვევაში მაღალი საზოგადოებრივი სტატუსის მიღწევაც შეეძლოთ. ჰეკუბას რძალი, ანდრომაქე ერთ-ერთი ბერძენი მხედართმთავრის მიერ მხევლად იქნა აყვანილი და როდესაც ამ მხედართმთავრის ცოლი უშვილო აღმოჩნდა, ტახტის მემკვიდრე სწორედ ანდრომაქესთან გაჩენილი ვაჟი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მონებს უფლებები არ გააჩნდათ, განთავისუფლების შემთხვევაში, რაც შეიძლებოდა პატრონის ნებით ან გამოსყიდვით მომხდარიყო, ყოფილ მონასა და მის მემკვიდრეებს ჩვეულებრივად შეეძლოთ საზოგადოებაში გარევა და მაღალი სტატუსის მოპოვება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბერძნეთში მონები არ ითვლებოდნენ დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანებად. მონობა უბრალოდ ბედის უკუღმართობად ითვლებოდა, რომლის შედეგადაც ადამიანი შეიძლებდა საზოგადოების დაბალ კლასში აღმოჩენილიყო.

ცენტრალურ ნიგერიაში არსებულ ნუპეს საზოგადოებაში მონობას სრულიად განსხვავებული სახე ჰქონდა. მონების მოპოვების მეთოდები — ომი და ვაჭრობა — იგივე იყო, რაც ევროპაში, მაგრამ განსხვავებული იყო მონების საზოგადოებრივი მდგომარეობა. ჩაგვრა იშვიათი იყო. მონა მამაკაცეებს ფულის შოვნის ისეთივე საშუალებები და უფლებები ჰქონდათ, როგორც ოჯახის სხვა დაქვემდებარებულ მამაკაცებს, მაგალითად მცირეწლოვან ვაჟებს ან უმცროს ძმებსა და ნათესავებს. მონას ხშირად აძლევდნენ მიწის ნაკვეთს, რომელსაც იგი საკუთრად ამუშავებდა. იმ შემთხვევაში, თუ ბატონი ვაჭარი ან ხელოსანი იყო, მონა გარკვეულ ანაზღაურებას იღებდა მუშაობისათვის. მონებს ქონებისა და საკუთრების მოპოვების გარდა, საკუთარი მონების ყოლაც შეეძლოთ. თუმცა, მთელი ეს ქონება მონის სიკვდილის შემთხვევაში პატრონის საკუთრებაში გადადიოდა.

ნუპეს საზოგადოებაში არსებობდა აზატობა ანუ მონის გათავისუფლება. თუკი მონა მამაკაცი შეძლებდა თავისუფალ ქალთან დაქორწინებისათვის საჭირო გადასახადის გასტუმრებას, მათი შვილები თავისუფლები იბადებოდნენ. თავისუფალი რჩებოდა ქალიც, თუმცა მამაკაცი კვლავაც მონად ითვლებოდა. მონა ქალისათვის გათავისუფლების ყველაზე მარტივი გზა აგრეთვე ქორწინება ან მხევლობა იყო. ბატონისაგან შვილის გაჩენის შემთხვევაში, დედაც და ბავშვიც თავისუფლად ითვლებოდნენ. თუმცა, დედის თავისუფლება მხოლოდ ფორმალური იყო. მხევლობის შემთხვევაში, იგი მხევლადვე რჩებოდა. მდიდარი და დიდგვაროვანი ოჯახების საგვარეულო ხეები უხვად შეიცავდა ტოტებს, რომელთა დედები მხევალი მონა ქალები იყვნენ.

ნუპეს საზოგადოების მონებს შორის ყველაზე კარგ მდგომარეობაში სახლის მონები იყვნენ. მათ სახლის მოურავობა და ზედამხედველობაც შეეძლოთ და კანონის განხორციელების უფლებებიც ჰქონდათ (გავიხსენოთ იოსების ამბავი, რომელიც ძმებმა მონად გაყიდეს. იგი ფარაონის სახლის მონა გახდა და საკუთარი ჭკუისა და მოხერხებულობის წყალობით, ფარაონის შემდგომ ქვეყნის მეორე პირის მდგომარეობასაც მიაღწია). არსებობდა მონების გარკვეული ჯგუფი, რომლებიც საკუთარ ტიტულს ატარებდნენ. მათ სასამართლოს მონები ერქვათ და მეფისა და მისი ელიტის წევრთა ნდობით აღჭურვილი ოფიცრები იყვნენ. თუმცა, მთლიანობაში მონის წოდება ადამიანს საზოგადოებრივი იერარქიის დაბალ საფეხურზე აყენებდა. მიუხედავად ამისა, ნუპეს საზოგადოებაში იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე მონამ (ძირითადათ თავიანთი საზოგადოებების უფლისწულებმა) დიდგვაროვანი ჯგუფის წევრობასაც მიაღწია.

აშშ-ში მონობა იაფი შრომის მიღების საფუძველზე წარმოიშვა, მაგრამ მალე იმის გამო, რომ მონები აფრიკელები და შავკანიანები იყვნენ, ჩამოყალიბდა რწმენა, რომ მათი დაბალი მდგომარეობა მათივე არასრულფასოვნებიდან გამომდინარეობდა და ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ადამიანები იყვნენ. იმის გამო, რომ მონები აფრიკიდან იყვნენ და ევროპელთაგან კანის ფერით განსხვავდებოდნენ, ევროამერიკელებში გაჩნდა აზრი, რომ შავკანიანები დაბალი განვითარების ადამიანები იყვნენ. ამ რწმენის გასამართლებლად მოჰყავდათ ბიბლიის კონტექსტიდან ამოღებული ფრაზები („დაე დაჩეხონ შეშა და მოიტანონ წყალი“). მონებს არ შეეძლოთ დაქორწინება ან რამე სხვა შეთანხმების დადება. მათ არ ჰქონდათ საკუთრების უფლება. მათი ბავშვებიც აგრეთვე მონები იყვნენ. თეთრკანიან ბატონებს მონა ქალებზე სექსუალური უფლებები ჰქონდათ. იმის გამო, რომ აშშ-ში მონობას დაბადება განსაზღვრავდა, მონები კასტად ჩამოყალიბდნენ. მიუხედავად ამისა, აშშ-ში ორივე არსებობდა, კასტური და ღია კლასობრივი სისტემაც. თუმცა თვით მონობის გაუქმების შემდეგაც კი, აშშ-ს რიგ რეგიონებს გარკვეული კასტური ნიშნები შემორჩათ.

რატომ წარმოიქმნა მონობა? კულტურათაშორისი კვ-

მიმდინარე კვლევები და საკითხები

იზრდება თუ არა გლობალური უთანასწორობა

როდესაც ადამიანები საკუთარი შეგროვებული და წარმოებული პროდუქციით ცხოვრობენ, როგორც ეს რამდენიმე ათასი წლის წინათ მთელ მსოფლიოში ხდებოდა, მათი ცხოვრების დონის შედარება ძნელია, რადგან არ არსებობს საზომი, რომლითაც თითოეულის ქონება განისაზღვრებოდა. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ადამიანების სიმდიდრის შეფასება, თუ ისინი ნაწილობრივ მაინც არიან ჩართულნი საერთაშორისო საბაზრო ეკონომიკაში. დღეს რთულია ადამიანის პოვნა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში არ იყოს ჩართული, შესაბამისად, აღნიშნული შედარების გაკეთება თითქმის მთელი მსოფლიოსათვის შეგვიძლია. საზოგადოებათა უმეტესობაში ადამიანები ყიდვა-გაყიდვაზე არიან დამოკიდებულები. რაც მეტი ხალხია საერთაშორისო ეკონომიკაში ჩართული, მით უფრო იოლია მათი ცხოვრების დონის შედარება ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. დღეს ამგვარი მაჩვენებლები მსოფლიოს თითქმის ყველა საზოგადოებისთვის არსებობს. მათი შესწავლა აჩვენებს, რომ მსოფლიოში ეკონომიკური უთანასწორობა მყარი არ არის, დროთა განმავლობაში იზრდება.

გლობალურ უთანასწორობაზე წარმოდგენას გვიქმნის ბრანკო მილანოვიჩის მიერ მსოფლიოს 91 ქვეყანაში ჩატარებული კვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის უმდიდრეს 1%-ს ისეთივე შემოსავალი აქვს, როგორც მსოფლიოს უღარიბეს 57%-ს. მსოფლიოში მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს დღეში 1 დოლარზე ნაკლები შემოსავლის პირობებში. უნდა ითქვას ისიც, რომ უთანასწორობის გლობალური დონე ქვეყნებში არსებულ უთანასწორობას აღემატება. განსხვავებები არა მხოლოდ შემოსავლის მიხედვით არსებობს. დიდია სხვაობა წერა-კითხვის ცოდნის, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობისა და სხვადასხვა დაავადების გამო სიკვდილიანობის მიხედვით.

გლობალური უთანასწორობა მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე, ცვლილებების შესაფასებლად, შეგვიძლია, შევადაროთ მსოფლიოს უმდიდრესი და უღარიბესი მეხუთედების მაჩვენებლები. 1997 წელს ეს შეფარდება 70,4% იყო 1%-თან. 1970-იან წლებში ეს მაჩვენებელი 33,7%-ს შეადგენდა. თუმცა უთანასწორობის ზრდა არ ნიშნავს იმას, რომ ღარიბების მდგომარეობა გაუარესდა. შესაძლებელია, უბრალოდ მდიდრები უფრო გამდიდრდნენ, თუმცა საბოლოო სურათი ერთი შეხედვით სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდნენ, ხოლო ღარიბები კიდევ უფრო გაღარიბდნენ. 1988-1993 წლებში მილანოვიჩმა გამოთვალა, რომ უღარიბესი 5%-ის შემოსავალი აღნიშნულ პერიოდში 25%-ით დაეცა მაშინ, როდესაც უმდიდრესი 20%-ის შემოსავალი 12%-ით გაიზარდა.

ჩნდება კითხვა, თუ ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარებას მთელ მსოფლიოში ხდება, რატომ იზრდება უთანასწორობა? როგორც მოგვიანებით კულტურული ცვლილებებისა და გლობალიზაციისადმი მიძღვნილ თავში ვიხილავთ, საზოგადოებაში ტექნოლოგიური პროგრესის ნაყოფს ძირითადათ სწორედ მდიდრები იმკიან (თავიდან მაინც), რადგან მხოლოდ მათ აქვთ საკმარისი ფინასური რესურსები საამისოდ. იმავეს თქმა შეიძლება საზოგადოებებზეც. ისინი, რომლებსაც უკვე გააჩნიათ კაპიტალი, ღარიბ ერებზე უფრო ადრე მიიღებენ სარგებელს ახალი ტექნოლოგიებიდან და ეკონომიკური განვითარებიდან. ამასთან ერთად, ღარიბი ქვეყნები, როგორც წესი, შობადობისა და მოსახლეობის ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან, რამაც შეიძლება კიდევ უფრო შეამციროს ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე არსებული კაპიტალი. ეკონომისტები გვამცნობენ, რომ განვითარებად ქვეყნებში განვითარების საწყის ეტაპებზე არსებული უთანასწორობა კიდევ უფრო ღრმავდება. თუმცა, დროთა განმავლობაში ეს მაჩვენებელი იკლებს ხოლმე. გაგრძელდება თუ არა გლობალური უთანასწორობის ზრდა მსოფლიო ეკონომიკის შემდგომ განვითარებასთან ერთად?

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა უიმედო არ გახლავთ. მართალია, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არსებული უთანასწორობა გაიზარდა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ეკონომიკა მთლიანობაში მაინც დადებითად ვითარდება. გაერო-ს მიერ შემუშავებულ „ჰუმანიტარული განვითარების ინდექსში“, რომელიც სიცოცხლის ხანგრძლივობის, განათლებისა და თითოეულ მოსახლეზე მოსული მსყიდველობითი კაპიტალის მაჩვენებლებს მოიცავს, გამოთვალეს მსოფლიოს 114 ქვეყნის მაჩვენებელი. გამოთვლებმა აჩვენა, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე, ზამბიის გარდა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აღინიშნა რაღაც დონის განვითარება და მრავალ მათგანში საკმაოდ მნიშვნელოვანიც. სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 8 წლით გაიზარდა. წერა-კითხვის ცოდნის მაჩვენებელი 1970-იანი წლების 47%-დან 1999 წელს 73%-მდე გაიზარდა. ყველაზე შესამჩნევი პროგრესი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში დაფიქსირდა. ყველაზე ნაკლებად სუბსაჰარული აფრიკის ქვეყნები განვითარდნენ. გაერო-ს ათასწლეულის დეკლარაციაში, მსოფლიოს სახელმწიფოთა მეთაურების მიერ გაკეთებული განცხადების მიხედვით, 2015 წლისათვის დასახულ მიზნებში ამ რეგიონის განვითარებაც შედის. დაგეგმილია უკიდურესი გაჭირვების პირობებში მცხოვრები ადამიანების რიცხვისა და მოშიმშილეთა რაოდენობის განახევრება. ამ მიზნების განხორციელების შემთხვევაშიც კი, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისთვის, რომ მსოფლიო იმაზე უფრო თანასწორი გახდეს, ვიდრე ახლა არის.

ლევები ამაზე ჯერჯერობით გარკვეულ პასუხს ვერ სცემენ. ცნობილია, რომ მონობა ეკონომიკური განვითარების გარდაუვალი საფეხური არ გახლავთ. თუმცა ზოგი მეცნიერი საპირისპიროს ამტკიცებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მონობა არ არის დაკავშირებული ეკონომიკის რომელიმე ტიპთან, მაგალითად მიწათმოქმედებასთან. სამოქალაქო ომამდელ აშშ-სგან განსხვავებით, მონობას ადგილი არ ჰქონია ინტენსიური მიწათმოქმედების მრავალ საზოგადოებაში. კულტურათაშორისმა კვლევებმა არ დააადასტურა არც ის მოსაზრება, რომ მონობა წარმოიქმნება იმ უხვრესურსიან რეგიონებში, სადაც მუშახელის ნაკლებობაა. ერთადერთი, რისი თქმაც დარწმუნებით შეგვიძლია, ის არის, რომ მონობა არ შეიმჩნევა განვითარებულ ან ინდუსტრიულ საზოგადოებაში. აქ იგი ან არასოდეს არსებულა ან გაქრა ინდუსტრიალიზაციასთან ერთად.

რასიზმი და უთანასწორობა

რასიზმი არის რწმენა, რომ ზოგი „რასა“ სხვებთან შედარებით განვითარების დაბალ საფეხურზე დგას. საზოგადოებაში, რომელიც შესამჩნევი გარეგნული განსხვავებების მქონე ადამიანებისაგან შედგება, რასიზმი დაკავშირებულია სოციალურ დაყოფასთან. დაბალ საფეხურზე მყოფი „რასები“, როგორც წესი, დაბალ კლასებსა და კასტებში არიან გაერთიანებული. შედარებით ღია კლასობრივ სისტემებშიც კი, სადაც შესაძლებელია სოციალური სტატუსის ამაღლება, „რასობრივი“ კუთნილების გამო ხშირია პიროვნებების დისკრიმინაცია, მათ სხვებზე ხშირად აჩერებს პოლიცია და ა.შ.

ზოგ საზოგადოებაში, როგორიცაა მაგალითად აშშ, მოსაზრება, რომ ადამიანები „რასებად“ იყოფიან, იმდენად არის ფესვგადგმული, რომ აღწერის დროს ადამიანებს მათ „რასობრივ“ კუთნილებას ეკითხებიან. ამერიკელთა უმეტესობა, შესაძლოა თვლის, რომ „რასა“ რეალური და მნიშვნელოვანი ბიოლოგიური განსხვავების ამსახველი კატეგორიაა. მაგრამ სინამდვილეში ასე სულაც არ გახლავთ. ალბათ, შენიშნეთ, რომ სიტყვა „რასა“ ბრჭყალებშია მოქცეული. ჩვენ იძულებულები ვართ, ასე მოვიქცეთ, რადგან ანთროპოლოგთა უმეტესობის აზრით, „რასა“ აზრსმოკლებული ცნებაა ადამიანებთან მიმართებაში. იმის გასაგებად, თუ რატომ თვლიან მეცნიერები ასე, საჭიროა გავიგოთ, თუ რა მნიშვნელობის მატარებელია სიტყვა „რასა“ ბიოლოგიაში.

რასა, როგორც ბიოლოგიური წარმონაქმნი

მიუხედავად იმისა, რომ სახეობის ყველა წვერს აქვს შესაძლებლობა, შეუწყვილდეს ამავე სახეობის საწინააღმდეგო სქესის ნებისმიერ ინდივიდს, რეპროდუქცია ძირითადად მცირე პოპულაციებსა და ჯგუფებში მიმდინარეობს. დროთა განმავლობაში სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში მცხოვრებმა პოპულაციებმა, შესაძლოა, გარკვეული ფიზიკური თავისებურებები შეიძინონ. სწორედ ამ განსხვავებაზე დაყრდნობით განასხვავებენ ბიოლოგები **რასებს**. თუკი რასას უბრალო კლასიფიკატორად მივიჩნევთ, რომლის მეშვეობითაც ბიოლოგები ერთი სახეობის სხვადასხვა პოპულაციებს შორის არსებულ განსხვავებებს გამოხატავენ, მაშინ რასის კონცეფცია წინააღმდეგობებს არ შეიცავს. მაგრამ ადამიანებთან მიმართებაში რასობრივი კლასიფიკაცია ხშირად წარმოშობს მოსაზრებას, რომ ზოგი „რასა“ სხვებთან შედარებით დაბალ საფეხურზე დგას.

მიზეზი იმისა, რომ ანთროპოლოგთა უმეტესობა ერიდება ამ ტერმინის გამოყენებას და თვლის, რომ ეს ხელს შეუშლის ადამიანთა შორის ბიოლოგიური განსხვავებების ახსნას, გახლავთ თავად ამ ტერმინის მცდარი გაგება და გამოყენება ისევე, როგორც მისი კავშირი რასისტულ აზროვნებასთან. ყოველ შემთხვევაში, რასობრივი კლასიფიკაცია სასარგებლო არ არის ანთროპოლოგიური კვლევისათვის, ვინაიდან განსხვავებული პოპულაციების მკვეთრი გამიჯვნა რაიმე ბიოლოგიური თავისებურებების მიხედვით ფაქტობრივად შეუძლებელია. თუ დავუშვებთ, რომ გვყავს ორი პოპულაცია A და B, შესაძლოა მოხდეს ისე, რომ X ნიშანი უფრო დამახასიათებელი იყოს A-თვის, ხოლო ნიშანი Y კი, B-თვის, მაგრამ Z ნიშნის მიხედვით განსხვავებები არ დაფიქსირდეს. ბიოლოგიური თავისებურებები ადამიანთა პოპულაციებს შორის არაკორელაციურად იცვლება. ეს ყველაფერი კი რასობრივ კლასიფიკაციას მეტად სუბიექტურს ხდის. სწორედ ამის შედეგია დღეს მეცნიერებს შორის რასების რიცხვთან დაკავშირებული უთანხმოება. ზოგი მიიჩნევს, რომ რასა სამია, ხოლო სხვები თვლიან, რომ რასების რიცხვი მეტია. ზოგი კლასიფიკაციის მიხედვით კი ეს რიცხვი 37-ს აჭარბებს.

როგორ უნდა მოხდეს მკვეთრი გამიჯვნა, როდესაც ადაპტაციური ბიოლოგიური თავისებურებების უმეტესობა ერთი რეგიონიდან მეორისაკენ თანმიმდევრობით, მაგრამ არა ყოველთვის, კორელაციურ სხვაობას უჩვენებენ? კარგი მაგალითია კანის ფერი. მუქი კანი უკეთ იცავს ორგანიზმს მზის ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან, შესაბამისად ბუნებრივი გადარჩევის შედეგად ცხელ მხარეებში ადამიანები მუქი ფერის კანით ხასიათდებიან. ეგვიპტის რეგიონში, ნილოსის დინების გასწვრივ, სამხრეთისაკენ მოძრაობისას ვხედავთ, რომ ადამიანთა კანის ფერი თანდათან მუქდება. რაც უფრო ვუახლოვდებით ეკვატორს, მით უფრო მუქი ფერისაა ადამიანთა კანიც და პირიქით, ხმელთაშუა ზღვისაკენ ადამიანები უფრო ღია ფერის არიან. სხვა ადაპტაციურ თავისებურებებს, შესაძლოა, არ ახასიათებდეთ ჩრდილოეთ-სამხრეთის გრადაცია. ცხვირის ფორმა, მაგალითად, ჰაერის ტენიანობასთან არის დაკავშირებული, ამ უკანასკნელის ცვლილება კი განედის ცვლას არ უკავშირდება. შესაბამისად, ცხვირის ფორმა და კანის ფერი განსხვავებული მიმდევრობით იცვლება.

იმის გამო, რომ ადაპტაციური თავისებურებები ცვლადი სიხშირის გრადაციებით (cline) ვრცელდება, შეუძლებელია რუკაზე ხაზის ზუსტად გავლება და თქმა, რომ აი აქ ცხოვრობენ „თერთრები“, ხოლო აი აქ კი — „შავები“ ან „აზიელები“. ზოგ რეგიონში ერთდროულად შეიძლება თავი მოიყაროს მხოლოდ იმ ნიშნებმა, რომლებიც ადაპტაციური თვალსაზრისით ნეიტრალურები არიან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომ ჩვენს მიერ ნახსენები ნიშნები ზედაპირული ხასიათისაა. ადამიანთა პოპულაციები ბიოლოგიურად მრავალი ნიშნით განსხვავდებიან, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ამ ნიშნებიდან ძალიან ცოტას აქვს ერთმანეთთან კორელაციური კავშირი.

რასა — როგორც სოციალური კატეგორია

თუკი, როგორც ანთროპოლოგები თვლიან, რასობრივ კლასიფიკაციას მეცნიერული კვლევისათვის სარგებლობა ნაკლებად მოაქვს, როგორ მოხდა, რომ ეს თეორია ასე გავრცელდა მსოფლიოს მრავალ საზოგადოებაში? ანთროპოლოგები თვლიან, რომ მიზეზები სოციალური ხასიათისაა. რასობრივი კლასიფიკაცია იძლევა სოციალურ კატეგორიებს, რომლებიც ადამიანებს საშუალებას აძლევს, განასხვავონ „ჩვენები“ და „სხვები“. როგორც ვიცით, ადამიანები ეთნოცენტრულები არიან და თვლიან, რომ მათი კულტურა საუკეთესოა. რასობრივი კლასიფიკაცია იმავე ტენდენციის ამსახველი შეიძლება იყოს და „ჩვენსას“ „მათგან“ ასხვავებდეს, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებები ბიოლოგიური ხასიათისაა. თითქმის ყოველთვის „ისინი“ უფრო დაბალ საფეხურზე მდგომებად ითვლებიან, ვიდრე „ჩვენ“.

ცნობილია, რომ რასობრივი კლასიფიკაცია ხშირად იყო და ამჟამადაც არის დისკრიმინაციისა და გენოციდის გამამართლებელი არგუმენტი. მაგალითად, „არიული რასის“ წარმომადგენლები, მაღალი, ქერათმიანი და ცისფერთვალა ხალხი უნდა ყოფილიყო, რომლებსაც ადოლფ ჰიტლერის აზრით, მსოფლიო უნდა ემართათ. ამ იდეის განსახორციელებლად, იგი და მისი თანამოაზრეები ებრაული „რასის“ განადგურებას ცდილობდნენ (დადგენილია, რომ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მთლიანი რიცხვი 6 მილიონამდე აღწევს და ამ რიცხვში ებრაელებთან ერთად, სხვა ეროვნების წარმოამდგენლებიც არიან). მაგრამ ვინ არიან არიელები? არიელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც რომელიმე ინდოევროპულ ენაზე მეტყველებს, მათ შორის ჰიტლერის გერმანიაში მცხოვრები გერმანულენოვანი ებრაელიც. ინდოევროპულ ენათა ჯგუფი მოიცავს ისეთ განსხვავებულ ენებს, როგორიცაა ბერძნული, ესპანური, ჰინდი, პოლონური, ფრანგული, ისლანდიური, გერმანული და ინგლისური. ამ ენებზე მოლაპარაკე მრავალ არიელს არც ცისფერი თვა-

,,რასა" არის სოციალური და არა ბიოლოგიური კარეგორია. ,,შავად" წოდებული ინდივიდები დიდად იცვლებიან ფიზიკური თვისებებით. აქ მეტია მრავალფეროვნება ,,რასის" შიგნით, ვიდრე ,,რასის" გარეთ.

ლები აქვს და არც ქერა თმა. ამის მსგავსად ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს ებრაელი, იმის მიუხედავად, მისი წინაპრები ძველ პალესტინაში ცხოვრობდნენ და ივრითზე საუბრობდნენ თუ არა. არსებობენ ღია ფერის დანიელი ებრაელები და მუქი ფერის ებრაელი არაბები. ებრაელთა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ორთოდოქსული ჯგუფი, რომელიც ნიუ-იორკში ცხოვრობს, მთლიანად აფროამერიკელებისაგან შედგება.

რასობრივი კლასიფიკაციების შემთხვევითი და სოციალური ხასიათი აშკარა ხდება მას შემდეგ, რაც შევადარებთ სხვადასხვა საზოგადოებათა რასისტულ შეხედულებებს. სამხრეთ აფრიკაში, მაგალითად, სადაც აპარტეიდის დისკრიმინაციული სისტემა მოქმედებდა, ადამიანების რასობრივ კუთნილებას განსხვავებულად განსაზღვრავდნენ. შერეული სისხლის მქონეებს „ფერადკანიანებს" უწოდებდნენ. მიუხედავად ამისა, თუკი ქვეყანაში ჩამოდიოდა მნიშვნელოვანი სტუმარი (სხვა ქვეყნის წარმომადგენელი), რომელსაც შერეული სისხლი ჰქონდა, იგი განიხილებოდა როგორც „თეთრკანიანი". ჩინელები „აზიელებად" ითვლებოდნენ, ხოლო იაპონელები კი, რომლებიც სამხრეთ აფრიკის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან, „თეთრკანიანებად". აშშ-ს ზოგ ნაწილში რასათშორისი ქორწინებების ამკრძალავი კანონები 1960-იან წლებამდე იყო ძალაში. ადამიანი ითვლებოდა „ნიგროდ", თუკი სისხლის მერვედი ან მეტი აფრიკული ჰქონდა (ანუ ადამიანის დიდი ბებიებისა და დიდი ბაბუებიდან ერთ-ერთი მაინც იყო „ნეგრო"). ამრიგად „ნეგრო" წინაპარი, თუნდაც ერთი ან ორი, საკმარისი იყო იმისთვის, რომ ადამიანი თავადაც „ნიგროდ" ჩათვლილიყო. ასეთივე მცირე რაოდენობის „თეთრი" სისხლი კი არ გახლდათ საკმარისი იმისთვის, რომ ადამიანი „თეთრად" მიეჩნიათ. ბიოლოგიური თვალსაზრისით, ეს ყველაფერი აბსოლუტურად უმნიშვნელოა, სოციალური თვალსაზრისით კი, სრულიად განსხვავებული მდგომარეობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა „რასის" წარმომადგენლები დაბალ საფეხურზე მდგომებად ითვლებიან, სოციალურად დაყოფილ საზოგადოებაში ისინი იერარქიის ფსკერზე აღმოჩნდებიან. დისკრიმინაცია ხელს შეუშლის მათ უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახურის მოძებნასა და სოციალური სტატუსის გაუმჯობესებაში. ჩანართში „სიკვდილში უთანასწორონი", გავიგებთ, რომ დისკრიმინირებული „რასების" წარმომადგენლებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარისხი დაბალია და პრობლემები აქვთ ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

ეთნიკურობა და უთანაბრობა

თუ „რასა" მეცნიერულად უსარგებლო კატეგორიაა, რომლის მეშვეობითაც შეუძლებელია ადამიანთა მკვეთრი დაყოფა გარეგნული ნიშნების მიხედვით, მაშინ იქნებ უკეთესი იყოს ადამიანთა დაყოფა ეთნიკურობის მიხედვით? სხვაგვარად როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ამჟამად „თეთრებად" მიჩნეული ჯგუფები აშშ-ში გარკვეულ დრომდე დაბალ „რასებად" ითვლებოდნენ. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ირლანდიელ ემიგრანტებს „ირლანდიურ რასას" უწოდებდნენ. ებრაელები მეორე მსოფლიო ომამდე ითვლებოდნენ „ებრაულ რასად" და მხოლოდ შემდეგ გახდნენ „თეთრები". აშკარაა, რომ ირლანდიელთა და ებრაელთა „რასობრივ" სტატუსში ცვლილება მას მერე მოხდა, რაც ეს ჯგუფები დანარჩენი საზოგადოებისთვის უფრო მისაღები გახდნენ.

აშკარაა, რომ ეთნიკური ჯგუფები და ეთნიკური კუთვნილება გარკვეულწილად სოციალური და პოლიტიკური პროცესების შედეგად ყალიბდება. **ეთნიკურ** ჯგუფში იგულისხმებიან ადამიანები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო წარმოშობით, საერთო ენით, ისტორიითა და კულტურით ან რელიგიით. ეთნიკურ ჯგუფებს გამოყოფენ ხშირად რომელიმე ერთის წარმომადგენლები (ინსაიდერები) ან გარეშე პირები (აუთსაიდერები). ქვეყანაში, სადაც უმრავლესობას რომელიმე ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები შეადგენენ, ისინი საკუთარ თავს ეთნიკურ ჯგუფად არ აღიქვამენ ხოლმე. ისინი, როგორც წესი, ასეთად უმცირესობებს მიიჩნევენ. მაგალითად აშშ-ს უმეტესობა არ ეძახის თავის თავს ევროამერიკელს, სამაგიეროდ სხვა ჯგუფები ხშირად მოიხსენიებიან როგორც აფროამერიკელები, აზიელი ამერიკელები ან მკვიდრი ამერიკელები. უმცირესობები, თავის მხრივ, სხვაგვარად აღიქვამენ მდგომარეობას. მაგალითად, აზიელი ამერიკელები საკუთარ თავს იაპონელ ამერიკელებად, ჩინელ ამერიკელებად, კორეელ ამერიკელებად და ჰმონგებად მოიხსენიებენ. უმრავლესობა უმცირესობათა წარმომადგენლებს ხშირად დამამცირებელ მეტსახელს არქმევს ხოლმე. აღსანიშნავია უმრავლესობის მიდრეკილება, უმცირესობები ერთად მოიაზროს. ჯგუფებისათვის სახელის მინიჭება ხელს უწყობს საზღვრების გავლებას ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

ეთნიკური კუთნილებით მანიპულირება შეუძლიათ როგორც ინსაიდერებს, ისე აუთსაიდერებსაც. განსაკუთრებით ეს ეხებათ რეპრესიულ რეჟიმებს, რომლებიც ნაციონალისტურ ხასიათს ატარებენ და ხშირად არა მარტო უარყოფენ ეთნიკურ მოთხოვნათა სამართლიანობას, არამედ ხშირად ხელს უშლიან ისეთი მცირე ჯგუფების ურთიერთობას, რომლებიც შეიძლება ერთ ეთნიკურ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ. შედარებით დემოკრატიული რეჟიმები ნაკლებად ზღუდავენ ეთნიკურ განსხვავებათა გამოვლენას და ხშირად ხელსაც უწყობენ მათ. თუმცა, ეთნიკურობით მანიპულირება ყოველთვის მთავრობიდან არ მოდის. ამგვარი ქმედება, შესაძლოა, სასარგებლო იყოს უმცირესობებისთვისაც. მაგალითად, როდესაც უმრავლესობასთან უფლებირვი გათანაბრების მიზნით უმცირესობები პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებენ. აღსანიშნავია,რომ აშშ-ში ბევრად უფრო ეფექტური იქნება ისეთი მოთხოვნების წამოყენება აზიელი ამერიკელების სახელით და არა მხოლოდ კორეელი ამერიკელების სახელით. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მკვიდრ ამერიკელთა ასობით ეთნიკური ჯგუფი არსებობს, მათთვის

გამოყენებითი ანთროპოლოგია

სიკვდილში უთანასწორონი: აფროამერიკელთა და ევროამერიკელთა შედარება

სასიკვდილო დაავადება ნებისმიერ ადამიანს შეიძლება შეეყაროს. მიუხედავად ამისა, თუკი გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს გამოვიკვლევთ, რომელიც სიკვდილიანობის მიზეზთა შორის პირველ ადგილზე დგას აშშ-ში, ვნახავთ, რომ აფროამერიკელები უფრო ხშირად კვდებიან აღნიშნული დაავადებებით, ვიდრე ევროამერიკელები. იგივე შეინიშნება ყველა სახის სხვა დაავადებების მხრივაც, იქნება ეს კიბო, ღვიძლის დაშლა, დიაბეტი, ჭრილობები, ახალშობილთა სიკვდილიანობა და სხვა. თვითმკვლელობაც ევროამერიკელებთან შედარებით აფროამერიკელებში უფრო ჭარბობს. მედიცინის ანთროპოლოგები და ჯანდაცვის პოლიტიკის მკვლევარები ცდლობენ, გაიგონ, თუ რა მიზეზით ხდება ეს. მიზეზების დადგენის გარეშე ხომ შეუძლებელია უთანასწორობის აღმოფხვრა.

ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ არსებობს ძნელად შესამჩნევი დისკრიმინაცია თავად სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების მხრიდან. მაგალითად, მკერდის არეში ტკივილის შემთხვევაში, აფროამერიკელი ნაკლები ალბათობით იღებს ანგიოგრამას (პროცედურას, რომელიც სისხლის მიმოქცევის დარღვევათა დაფიქსირების საშუალებას იძლევა), ვიდრე ევროამერიკელი და გულის დაავადების დადგენის შემთხვევაში შესაბამისი ქირურგიული ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობაც უფრო ნაკლები აქვს. ამრიგად გულსისხლძარღვთა დაავადებების გამო სიკვდილიანობის მიზეზი, შესაძლოა, არათანაბარი სამედიცინო მომსახურება იყოს.

თუმცა ეს საერთო სურათის მხოლოდ ერთი დეტალი შეიძლება იყოს. აფროამერიკელთა უფრო ძლიერი მიდრეკილება გულსისხლძარღვთა დაავადებებისაკენ, შესაძლოა, მათი მაღალი არტერიული წვნევის შედეგი იყოს. აფროამერიკელებს, ევროამერიკელებთან შედარებით, თითქმის ორჯერ ხშირად აწუხებთ მაღალი წნევა. რა იწვევს ამ განსხვავებას? სამეცნიერო ლიტერატურაში სამი ძირითადი პასუხი იკვეთება. ესენია: გენეტიკური განსხვავება, ცხოვრების წესი და კლასობრივი სხვაობა. ამერიკაში გადმოსახლებულ აფრიკელთა უმეტესობა, ახალ ქვეყანაში XVI-XIX საუკუნეებს შორის მოხვდა. ისინი ძირითადად დასავლეთ აფრიკიდან იყვნენ. მაღალი წნევის მიზეზების შემსწავლელი ერთი ნაშრომის მიხედვით, აფროამერიკელებს გაცილებით მაღალი წნევა აქვთ, ვიდრე ნიგერიელებს. ცხოვრების წესებიც მეტად განსხვავებულია. დასავლეთ აფრიკელები ბევრს მოძრაობენ, ხმელი აღნაგობა აქვთ, მათი საკვები მცირე რაოდენობით შეიცავს ქონსა და მარილს. შესაძლო გენეტიკური განსხვავებები მნიშვნელოვნად არ მიიჩნიეს. ჯარედ დაიმონდი თვლის, რომ ის პიროვნებები, რომელთა ორგანიზმი უკეთ ინარჩუნებდა მარილს, უფრო ხშირად ახერხებდნენ გადარჩენას მონათმფლობელთა გემების საშინელ პირობებში, რომლებითაც გადაყავდათ აფროამერიკელები ამერიკაში. ამ გემებზე ბევრი სწორედ დიარეითა და დეჰიდრაციით (მარილის დეფიციტის გამომწვევი) იღუპებოდნენ. შესაბამისად, ორგანიზმის მიერ მარილის შენარჩუნება ამგვარ პირობებში უპირატესობის მომტანი იყო. აშშ-ს პირობებში კი, სადაც საკვები ქონისა და მარილის მაღალი შემცველობით ხასიათდება, ამგვარი გენეტიკური თავისებურება უკვე საფრთხეს ქმნის. ამ თეორიის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მონათა გადაყვანისას სიკვდილიანობის მთავარი მიზეზები დიარეა და დეჰიდრაცია კი არ იყო, არამედ ძალადობა და ტუბერკულოზი; მეტიც, კრიტიკოსების თქმით, თუ ამ თეორიას დავუჯერებთ, აფროამერიკელთა შორის სისხლის წნევის მხრივ დიდი მსგავსება უდნა ყოფილიყო. სინამდვილეში კი, ამ ნიშნის მიხედვით აფროამერიკელები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მაღალი წნევა, შესაძლოა, ცხოვრების წესს უკავშირდებოდეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფროამერიკელები ბევრად უფრო ღარიბები არიან, კვლევები კი გვიჩვენებენ, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესი მაღალ სოციალურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული; უფრო მეტიც, უფრო მაღალი სოციალური მდგომარეობის მქონე ადამიანებს, როგორც წესი, ჯანმრთელობის დაზღვევაც აქვთ და საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ უფრო მაღალი დონის საავადმყოფოებს მიმართონ. და მაინც, ისეთი ფაქტორების კორექციის შემდეგაც კი, როგორიც არის სიმსუქნე, ფიზიკური აქტივობა და სოციალური კლასი, ჯანმრთელობაში განსხვავება მაინც არის — აფროამერიკელები უფრო ხშირად იღუპებიან მაღალი წნევით, ვიდრე ევროამერიკელები.

უილიამ დრესლერი თვლის, რომ ამის შესაძლო მიზეზი სტრესია. საზოგადოების მზარდი ეკონომიკური მობილურობის მიუხედავად, აფროამერიკელები კვლავაც რჩებიან სტერეოტიპებისა და უარყოფითი დამოკიდებულების მსხვერპლად. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაღალი შემოსავლები აქვთ. სტრესი სისხლის მაღალ წნევას ინვევს. დავუშვათ, რომელიმე მდიდარ უბანში პოლიციამ შავკანიანი შენიშნა, მას, როგორც წესი, აჩერებენ, რადგან ფიქრობენ, რომ იგი ამ უბანში არ ცხოვრობს. თუკი დრესლერის მოსაზრება სწორია, მაშინ მაღალი საზოგადოებრივი სტატუსის მქონე აფროამერიკელებს უფრო მაღალი წნევა უნდა ჰქონდეთ, ვიდრე ეს მათი საზოგადოებრივი მდგომარეობიდან, განათლებიდან, წონიდან ან ასაკიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. ეს ასეც არის. რასიზმმა შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას.

პოლიტიკურად ხელსაყრელი იქნება ერთიანი ფრონტით გამოსვლა და საკუთარი თავის იდენტიფიცირება მკვიდრ ამერიკელებად.

ბევრ მრავალეროვნულ საზოგადოებაში ეთნიკურობა და განსხვავებულობა სიამაყის საგანია. საერთო ეთნიკური კუთვნილება ხშირად უწყობს ხელს ადამიანთა დაახლოებასა და მათ შორის ურთიერთობას. იგი მათ ერთიანობის ძლიერ გრძნობას ანიჭებთ. და მაინც, მრავალეროვნულ საზოგადოებებში ეთნიკური განსხვავებები ხშირად არის დაკავშირებული სიმდიდრის, ძალაუფლებისა და პრესტიჟის მხრივ არსებულ განსხვავებებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეთნიკურობა სოციალური დაყო-

ფის სიტემის შემადგენელი ნაწილია.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ადამიანისთვის საზოგადოებრივი უთანასწორობა სამართლიანი მოვლენაა, ეთნიკური დაპირისპირებების, სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციის საფუძველს წარსულში მომხდარი ის პოლიტიკური მოვლენები წარმოადგენს, რომლებმაც სათავე დაუდეს რომელიმე ჯგუფის დომინირებას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მე-17 საუკუნეში ჩრდილოეთ ამერიკაში დასახლებულ ინგლისელებს ადგილობრივები დიდ დახმარებას უწევდნენ, ამ უკანასკნელთა მიმართ მაინც უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ინგლისელები დამპყრობლები იყვნენ და მათ თავიანთი ქმედებებისათვის გასამართლებელი საბუთი სჭირდებოდათ. ისინი ხომ ინდიელებს მიწასა და სიცოცხლეს ართმევდნენ. მილტონ იანგერის სიტყვებით: „გეგონებათ, სწორედ ინდიელები შეიჭრნენ ევროპაში, გააძევეს იქაურები საკუთარი მიწიდან, ამოწყვიტეს მათი ორი მესამედი, ცალმხრივად დააარღვიეს ხელშეკრულებები და ცეცხლის იარაღისა და ცეცხლის წყლის საეჭვო დიდება შეიტანეს მხარეში“.

მსგავსი მდგომარეობა იყო აფროამერიკელთა შემთხვევაშიც. მონებისადმი არაადამიანურ მოპყრობას იმით ამართლებდნენ, რომ ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ. სამწუხაროდ, სტერეოტიპები თვითაღსრულებად წინასწარმეტყველებებად შეიძლება გარდაიქმნას ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, თუკი მისი მათაც სჯერათ, ვინც ამ სტერეოტიპების გამო იჩაგრება. თუკი გავრცელებულია აზრი, რომ კონკრეტული ჯგუფის წევრები განუვითარებლები არიან, ამავე დროს ამ ჯგუფის წევრებს არ გააჩნიათ განვითარების საშუალება, როგორიცაა მაგალითად სკოლები, მაშინ მისი წევრები, როგორც წესი, ნაკლებს სწავლობენ, ნაკლებად ითვისებენ და მართლაც განუვითარებლები რჩებიან. შედეგად ჩაკეტილ წრეს ვიღებთ, საიდანაც გამოსვლა რთულია.

მიუხედავად ამისა, მდგომარეობა მთლად უიმედო არ არის. ეთნიკური კუთვნლებით გამყარებულმა ერთიანობის გრძნობამ შეიძლება პოლიტიკური აქტივობა გამოიწვიოს, ისეთი, როგორიც იყო აშშ-ში 1960-იან წლებში მიმდინარე მოძრაობა სამოქალაქო უფლებათა მოთხოვნებით. ამ აქტიურობამ საფუძველი დაუდო იმ კანონთა რღვევას, რომლებიც რასობრივ სეგრეგაციას იცავდნენ.

აშშ-ში არსებული ტრადიციული დაბრკოლებები უკანასკნელ პერიოდში თითქმის მთლიანად მოისპო, მაგრამ „ფერის ხაზი“ ჯერ კიდევ არ გამქრალა. აფროამერიკელებს ამჟამად ყველა სოციალურ კლასში შეხვდებით, მაგრამ მათი რიცხვი უმდიდრეს ჯგუფში ჯერ კიდევ ცოტაა, ხოლო უღარიბეს ჯგუფში სწორედ აფროამერიკელები შეადგენენ უმრავლესობას. დისკრიმინაცია შემცირდა, მაგრამ არ გამქრალა. ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ჯერ კიდევ არის აფროამერიკელთა დისკრიმინაცია სამუშაოზე მიღებისა და ბინების გაქირავების დროს. ამრიგად, აფროამერიკელებს კვლავაც სჭირდებათ სხვებზე უკეთ წარმოაჩინონ საკუთარი თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვებმა შეიძლება იფიქრონ, რომ იგი დაიქირავეს ან დააწინაურეს მხოლოდ იმიტომ, რომ აფროამერიკელია. ევროამერიკელები აფროამერიკელებს ხშირად როგორც „ელჩებს“ ისე უყურებენ და თვლიან, რომ მათი ცოდნა შემოიფარგლება იმ სიტუაციების გადაწყვეტის უნარით, რომელშიც სხვა აფროამერიკელები არიან ჩართულნი. აფროამერიკელი შეიძლება სხვებთან ერთად მუშაობდეს, მაგრამ სახლში თავის აფროამერიკელ მეგობრებთან ერთად წავა. იგი შეიძლება შერეულ სამეზობლოში ცხოვრებდეს და გარიყული იყოს მეზობლებისაგან. აფროამერიკელთა მხოლოდ მცირე ნაწილს თუ შეუძლია მთლიანად აიცილოს თავიდან რასიზმის სიმძიმე.

სოციალურ ფენათა წარმოშობა

ანთროპოლოგებს არ გააჩნიათ მკაფიო პასუხი იმაზე, თუ რატომ წარმოიქმნა სოციალური ფენები. მიუხედავად ამისა, ისინი დარწმუნებულები არიან, რომ სოციალური დაყოფის მაღალი ხარისხი კაცობრიობის ისტორიის შედარებით ახლო წარსულში წარმოიქმნ. არქეოლოგთა მიერ გათხრილი დასახლებები დაახლოებით 8000 წლის წინათ და უფრო ადრეული პერიოდისათვის ჯერ კიდევ არ ადასტურებენ მკვეთრ უთანასწორობას. სახლები და დასახლებები ერთმანეთის მსგავსია. უთანასწორობის ნიშნები პირველად ახლო აღმოსავლეთში შეიმჩნევა. მიწათმოქმედების წარმოქმნიდან დაახლოებით 2000 წლის გასვლის შემდგომ. უთანაბრობა სამარხებში ვლინდება. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ბავშვთა სამარხებზე. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ბავშვებს მაღალი საზოგადოებრივი სტატუსის მოპოვება შეძლებოდათ. ამიტომ, როდესაც არქეოლოგებმა ნაკეთობები და სამკაულები მხოლოდ ზოგი ბავშვის სმარხში აღმოაჩინეს, დაასკვნეს, რომ ეს ბავშვები მაღალი კლასის ოჯახის შვილები იყვნენ.

სოციალური დაყოფის სიახლის კიდევ ერთი მანიშნებელია ის, რომ მასთან დაკავშირებული კულტურული თავისებურებებიც შედარებით მცირე ხნის წინ წარმოიქმნა. მაგალითად, იმ საზოგადოებათა უმეტესობაში, სადაც მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო განვითარებული, სოციალური ფენებიც არსებობდა. მიწათმოქმედება და მესაქონლეობა კი დაახლოებით 10000 წლის წინათ დაიწყო. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მანამდე საკვების შემგროვებელი საზოგადოებები არ იყო სოციალურ ფენებად დაყოფილი. სხვა მსგავს და შედარებით ახალ კულტურულ თავისებურებებს მიეკუთნება აგრეთვე მკვიდრი დასახლებები, პოლიტიკური ინტეგრაცია, გაცვლის საშუალებად ფულის გამოყენება და გარკვეული რაოდენობის დასაქმებულ სპეციალისტთა არსებობა.

1966 წელს შედარებითი სოციოლოგიის წარმომადგენელმა გერჰარდ ლენსკიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ 8000 წლის წინათ დაწყებული უთანასწორობის ზრდა შეჩერდა და ახლა უკუპროცესი მიმდინარეობს. მისი თქმით, ინდუსტრიულ საზოგადოებებში პოლიტიკური ძალაუფლებისა და შემოსავლის განაწილების მხრივ არსებული სხვაობა ნაკლებია, ვიდრე რთულ პრეინდუსტრიულ საზოგადოებებში. ინდუსტრიულ საზოგადოებაში ტექნოლოგიები იმდენად რთულია, რომ ძალაუფლების მფლობელები სისტემის ქმედუნარიანობის შესანარჩუნებლად იძულებულები გახნდენ, ამ ძალაუფლების გარკვეული დელეგირება და განაწილება მოეხდინათ. ამასთან ერთად, შობადობის კლებამ, კვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად, მუშათა ხელფასი მნიშვნელოვნად გაზარდა. შედეგად კი შემოსავლის განაწილებაში არსებული უთანაბრობა შემცირდა. და ბოლოს, ლენსკი თვლის, რომ დემოკრატიული იდეების გავრცელებამ, განსაკუთრებით მმართველ წრეებში, მნიშვნელოვნად გაფართოვა დაბალი კლასების პოლიტიკური უფლებები და შესაძლებლობები. ლენსკის ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩატარებულმა კვლევებმა მთლიანობაში დაადასტურეს, რომ ინდუსტრიალიზაციასთან ერთად უთანასწორობაც შემცირდა. საერთოდ ქვეყნები, სადაც ინდუსტრიალიზაცია მაღალია, უთანაბრობის ნაკლები ხარისხით ხასიათდებიან, ვიდრე შედარებით ნაკლებად ინდუსტრიული ქვეყნები. თუმცა, როგორც ვნახეთ, თვით ყველაზე ინდუსტრიულ საზოგადოებებშიც კი შეიძლება არსებობდეს მეტად მნიშვნელოვანი უთანასწორობა.

რატომ გაჩნდა სოციალური უთანაბრობა ადამიანთა შორის? პოლინეზიური საზოგადოებების შესწავლის საფუძველზე, მარშალ სალინსმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სოციალური უთანაბრობის წარმოქმნას მიწათმოქმედების პროდუქტიულობის ზრდა განაპირობებს. სალინსის მიხედვით, დაყოფის ხარისხი დამოკიდებულია ეფექტური ტექნოლოგიური საშუალებებით მიღებული მოსავლის ოდენობაზე. რაც უფრო მაღალია პროდუქტიულობა და დიდია მოსავალი მით ფართო და რთულია გა-

არგენტინა, ბუენოს-აირესის ცენტრი: ბარაკების უბანი ქალაქის უმდიდრესი რაიონის მეზობლად.

ნაწილების სისტემა. წარმოიქმნება ბელადის ინსტიტუტი, რომელიც განაწილების რეგულატორის როლს ასრულებს. სალინსის აზრით, მწარმოებელსა და გამანაწილებელს შორის არსებული სხვაობა აუცილებლად წარმოქმნის განსხვავებებს ცხოვრების სხვა ასპექტებშიც.

„პირველ რიგში, ადგილი ექნებოდა წარმოებაზე გავლენის მოხდენის მცდლობის ტენდენციას რეგულატორის მხრიდან. განსაკუთრებით ეს ეხებაისეთ მწარმოებელ საქმიანობებს, რომლებიც სუბსიდირებას მოითხოვენ. წარმოების კონტროლი რესურსების გამოყენებაზე კონტროლს ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთრების აღმატებულ უფლებასაც მოიცავს. ამ ეკონომიკური პროცესების რეგულირება კი, თავის მხრივ, აუცილებელს ხდის ძალაუფლების გამოყენებას პიროვნებათა მიმართ. იწყება საზოგადოებაში განსხვავებების გაჩენა.“

სალინსმა ეს იდეა მოგვიანებით თავადვე უარყო და ჩამოაყალიბა მეორე თეორია, რომლის მიხედვითაც მოვლენები უკუთანმიმდევრობით ხორციელდებოდა. ანუ ლიდერები ხელს უწყობდნენ წარმოებას, რათა გაეზარდათ საკუთარი პრესტიჟი დღესასწაულების, პოტლატჩებისა და სხვა გადანაწილებითი ღონისძიებების მეშვეობით.

არც ერთი ეს მიმართულება გამორიცხული არ არის.

სალინსის თეორიის მსგავსია ლენსკის თეორია. ეს უკანასკნელიც თვლიდა, რომ წარმოების განვითარება სოციალური დაყოფის განმაპირობებელია, მაგრამ ლენსკი ყურადღებას იმ კონფლიქტზე ამახვილებდა, რომელიც წარმოებული პროდუქტის გასაკონტროლებლად წარმოიქმნებოდა. ლენკსის აზრით, განაწილება ძალას ემყარებოდ. ამრიგად, ძალაუფლების მხრივ განსხვავება იწვევს ეკონომიკურ რესურსებზე განსხვავებულ უფლებას და ხელს უწყობს უთანასწორობის გაჩენას პრივილეგიებისა და პრესტიჟის მხრივ.

სალინსისა და ლენსკის ეს თეორიები პასუხს არ სცემენ მთავარ კითხვას, რატომ უნდა მოსურვებოდათ გადამანაწილებლებს ან ლიდერებს რესურსებზე კონტროლის გაზრდა ან რა გზებით აღწევდნენ ამას. ცნობილია, რომ მრავალ რანგობრივ საზოგადოებაში ბელადები თითქმის არაფრით გამოირჩევიან საზოგადოების სხვა წევრებისაგან. მათი ქონება სხვებისას არ აღემატება და ეს მდგომარეობა ადათ-წესებით არის გამყარებული. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, სანამ საზოგადოების წევრები მობილურობას ინარჩუნებენ, მათ შეუძლიათ იმ ბელადის მიტოვება, რომელიც არ მოეწონებათ. მაგრამ როდესაც ადამიანები უფრო პერმანენტული „ინვესტირების“ განხორციელებას იწყებენ მიწასა და ტექნოლოგიებში (მაგალითად, საირიგაციო სისტემა ან სათევზაო კაშხლები), იზრდება ალბათობა იმისა, რომ ადამიანები შეეგუებიან ბელადის გავლენის ზრდას, დაცულობის სანაცვლოდ. მეორე მოსაზრების თანახმად კი, ეკონომიკურ რესურსებზე კონკურენცია იწყება მაშინ, როდესაც რანგობრივ საზოგადოებებში მოსახლეობა გარკვეულ რაოდენობას გადააჭარბებს. შესაძლოა, სწორედ რაოდენობრივი წნეხის შედეგად უჩნდებათ სურვილი გადამანაწილებლებს, რომ მიწის საუკეთესო ნაკვეთები თავიანთი და ნათესავთა ოჯახებისათვის დაისაკუთრონ.

ს.კ. მიიკმა მაგალითის სახით წარმოადგინა ჩრდილოეთ ნიგერია, სადაც მოსახლეობის ზრდის შედეგად საზოგადოებაში სოციალური უთანასწორობა წარმოიქმნა. ძველ დროს ტომის წევრს შეეძლო ბელადისაგან ნებართვა აეღო მიწის ნაკვეთის დამუშავებაზე და სანაცვლოდ მას მცირე ძღვენს მიართმევდა ხოლმე. 1921 წლისათვის კი თავისუფალი მიწის ფართობის მკვეთრი შემცირების გამო მიწის მსურველები დიდ ძღვენს აძლევდნენ ბელადს, რათა ამ უკანასკნელს სწორედ მათი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. ამ გზით მიღებული მიწა კი პირად საკუთრებად ცხადდებოდა და ამგვარ, საკუთრების განსხვავებული მისაწვდომობა უკვე დაკანონებული იყო.

არქეოლოგების, სოციოლოგების, ისტორიკოსებისა და ანთროპოლოგების მიერ ჩატარებულმა შემდგომმა კვლევამ მეტი ცოდნა უდნა მოგვცეს სოციალური დაყოფის წარმოშობისა და იმის შესახებ, თუ როგორ და რატომ განსხვავდებიან ადამიანთა საზოგადოებები ამ მხრივ ერთმანეთისაგან.

შეჯამება

1. ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოებები, ჩვენი დროის თუ ახლო წარსულის, ყველა, გამონაკლისის გარეშე, სოციალურ ფენებად დაყოფილი საზოგადოება გახლავთ. ისინი შეიცავენ სოციალურ ჯგუფებს, როგორიცაა ოჯახები, კლასები, ეთნიკური ჯგუფები და მათი წევრებისათვის მნიშვნელოვანი რესურსები (სიმდიდრე, ძალაუფლება, პრესტიჟი) განსხვავებული მისაწვდომობით ხასიათდება. ანთროპოლოგები, ჩატარებული კვლევების საფუძველზე თვლიან, რომ მათ მიერ შესწავლილ საზოგადოებებში ამგვარი უთანაბრობა ყოველთვის არ არსებობდა. რა თქმა უნდა, ტექნოლოგიური თვალსაზრისით უმარტივეს საზოგადოებებშიც არის გარკვეული უთანაბრობა, გარკვეული განსხვავებები და უპირატესობები, რომლებიც ასაკიდან, სქესიდან და უნარებიდან გამომდინარეობს. მოზრდილებს უფრო მაღალი სტატუსი აქვთ, ვიდრე ბავშვებს, უნარიანი წევრები უფრო დიდი პატივისცემით სარგებლობენ, ვიდრე უუნაროები, მამაკაცები უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ქალები (გენდერულ დაყოფას შემდეგ თავში განვიხილავთ). ანთროპოლოგები შეგვედავებიან, რომ ეგალიტარული (თანასწორი) საზოგადოებები არსებობენ იქ, სადაც სოციალურ ჯგუფებს (მაგალითად ოჯახებს) ერთნაირი უფლებები და უპირატესობები აქვთ.
2. ადათ-წესების არსებობა ან არარსებობა, რომლებიც

საზოგადოების ცალკეული ჯგუფებისათვის ეკონომიკური რესურსების, ძალაუფლებისა და პრესტიჟის განსხვავებულ მისაწვდომობას განაპირობებს, საშუალებას გვაძლევს, განვასხვავოთ საზოგადოებათა სამი ტიპი. ეგალიტარულ საზოგადოებებში არ არსებობენ ეკონომიკური რესურსების ფლობის, ძალაუფლებისა და პრესტიჟის მიხედვით განსხვავებული უფლებების მქონე სოციალური ჯგუფები. ამრიგად, ეგალიტარული საზოგადოება არ არის დაყოფილი. რანგობრივ საზოგადოებებში ნაკლებია განსხვავება ეკონომიკური რესურსების ფლობისა და ძალაუფლების მხრივ, მაგრამ შესამჩნევი განსხვავებებია პრესტიჟის მხრივ. ამრიგად, რანგობრივი საზოგადოებები ნაწილობრივ არიან დაყოფილნი. რაც შეეხება კლასობრივ საზოგადოებებს, მათში სოციალურ ჯგუფებს განსხვავებულად მიუწვდებათ ხელი სამივე ძირითად უპირატესობაზე: სიმდიდრეზე, ძალაუფლებასა და პრესტიჟზე. კლასობრივი საზოგადოებებში სოციალური დაყოფა უფრო რთულია, ვიდრე რანგობრივში.

3. სოციალური დაყოფის საზოგადოებები შეიძლება იყონ შედარებით ღია კლასობრივი სისტემები და დახურული, ე.წ. კასტური სისტემები.
4. მონა არის პირი, რომელიც არ ფლობს საკუთარ შრომასა და მის შედეგს. შესაბამისად, მონები ცალკე კლასს და ხანდახან კასტასაც კი წარმოადგენენ. მონობა სხვადახვა ფორმით მრავალ ეპოქასა და ადგილზე არსებობდა, მიუხედავად „რასისა“ და კულტურისა. მონობა ზოგჯერ ჩაკეტილი, კასტური სისტემა იყო, ზოგჯერ კი შედარებით ღია, კლასობრივი სისტემა.
5. საზოგადოებაში, რომელიც გარეგნულად და შინაგანად განსხვავებული ხალხისაგან შედგება, რასიზმი თითქმის გარდაუვალია, ის დაკავშირებულია სოციალურ ფენებად დაყოფასთან. „რასები“, რომლებიც დაბალ საფეხურზე მდგომებად მიიჩნევიან, როგორც წესი, საზოგადოებრივი იერარქიის ფსკერზე მდგომ კლასებსა და კასტებს შეადგენენ. მრავალი ბიოლოგიანთროპოლოგის აზრით, ცნება „რასა“ მეცნიერებისათვის უსარგებლოა, რადგან მისი მეშვეობით ადამიანთა კლასიფიკაცია შეუძლებელია. „რასობრივი“ კლასიფიკაციები უნდა განიხილონ იმ თვალსაზრისით, რა თვალსაზრისითაც ისინი გამოიყენებიან, კერძოდ კი ბიოლოგიური თავისებურებების საფუძველზე განხორციელებული სოციალური დიფერენციაციის თვალსაზრისით.
6. მრავალეროვნულ საზოგადოებებში ეთნიკური განსხვავებები, როგორც წესი, დაკავშირებულია სიმდირის, ძალაუფლებისა და პრესტიჟის მხრივ არსებულ უთანასწორობასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეთნიკურობა სოციალური დაყოფის სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.
7. სოციალური დაყოფა ადამიანთა საზოგადოებებში დაახლოებით 8000 წლის წინ დაიწყო. ეს დასკვნა ემყარება არქოლოგიურ გათხრებსა და იმ ფაქტს, რომ სოციალურ დაყოფასთან დაკავშირებული კულტურული თავისებურებები სწორედ ამ პერიოდში გაჩდა.
8. ერთი თეორიის მიხედვით, სოციალური დაყოფა დაიწყო მას შემდეგ, რაც გაიზარდა წარმოება და წარმოებული პროდუქცია. მეორე თეორიის თანახმად, სოციალური დაყოფა დაიწყო მაშინ, როდესაც ადმიანებმა მნიშვნელოვანი „ინვესტიციების“ ჩადება დაიწყეს მიწასა და ტექნოლოგიებში და შესაბამისად გართულდა იმ ბელადის მიტოვება, რომელიც მათ არ მოსწონდათ. მესამე თეორიის თანახმად კი, სოციალურ დაყოფას მაშინ დაედო სათავე, როდესაც რანგობრივ საზოგადოებებში მოსახლეობის ზრდის შედეგად რესურსებზე კონკურენცია დაიწყო.

საკონტროლო კითხვები

1. რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს საზოგადოებაში არსებულ დიდ ქონებრივ განსხვავებებს?
2. გამორიცხავს თუ არა ინდუსტრიული ან განვითარებული ეკონომიკა განაწილების ეგალიტარულ მეთოდებს?
3. მრავალეროვან საზოგადოებაში ეთნიკურობა ხელს უშლის სოციალურ თანასწორობას, თუ ხელს უწყობს მას?
4. რატომ ფიქრობთ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ზოგიერთ ქვეყანაში უთანაბრობის ხარისხმა იკლო?

სქესი, გენდერი და კულტურა

19

თავების შინაარსი

- აღნაგობა და ფსიქოლოგია
- გენდერული როლები
- შედარებითი თანამონაწილეობა
- პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ომი
- ქალის შედარებითი სტატუსი
- პიროვნული განსხვავებები
- სექსუალობა

დედამიწაზე ადამიანის ორი სახესხვაობა არსებობს, ქალები და მამაკაცები. მათ შორის არსებული განსხვავება ცხოველთა საერთო თვისებებიდან ერთ-ერთია. თუმცა რეპროდუქციის ორგანოების სხვადასხვაობა არ ხსნის დანარჩენ ფიზიკურ განსხვავებებს. ხომ არსებობენ ცხოველები, რომელთა მდედრი და მამრი ინდივიდები ერთმანეთისაგან გარეგნულად თითქმის არ განსხვავდებიან. ამრიგად, სქესის სხვაობა არ ხსნის თუ რატომ არის ქალი და კაცი განსხვავებული ფიზიკურად. ის, რომ ადამიანები სქესობრივი გზით მრავლდებიან, არ ხსნის, რატომ განსხვავდება ქალისა და მამაკაცის ქცევა და რატომ აღიქვამს მათ საზოგადოება განსხვავებულად. ჩვენთვის ცნობილი არც ერთი საზოგადოება არ აღიქვამს ქალსა და მამაკაცს ერთნაირად. ქალებს, როგორც წესი, ნაკლები უპირატესობა აქვთ მამაკაცებთან შედარებით. სწორედ ამიტომ ვფრთხილობდით წინა თავში, როდესაც ვმსჯელობდით ეგალიტარულ საზოგადოებებში არსებულ სოციალურ თანასწორობაზე, სადაც ხაზი გავუსვით, რომ მათში არ არიან ჯგუფები, რომლებსაც სხვებისაგან განსხვავებული უფლებები ექნებოდათ. მაგრამ თავად ჯგუფებს შიგნით (მაგალითად, ოჯახებში) მამაკაცს, როგორც წესი, მეტად მიუწვდება ხელი ეკონომიკურ რესურსებზე, ძალაუფლებასა და პრესტიჟზე.

იმის გამო, რომ სქესობრივი განსხვავება ხშირად კულტურულ მოლოდინსა და გამოცდილებას შეიძლება ასახავდეს, მრავალი მკვლევარი ამჯობინებს, ილაპარაკოს **გენდერულ განსხვავებებზე**, ხოლო ტერმინი **სქესობრივი** კი წმინდა ბიოლოგიური განსხვავებებისათვის გადადოს. სამწუხაროდ, ბიოლოგიური და კულტურული გავლენების გამიჯვნა ყოველთვის არ ხერხდება, ამიტომ ხშირად რთული გადასაწყვეტია, რომელი ტერმინი გამოვიყენოთ. იმის გამო, რომ საზოგადოება ქალსა და მამაკაცს განსხვავებულად აღიქვამს, ხშირად, შესაძლოა, ვერც შევძლოთ ბიოლოგიური და კულტურული ეფექტების განსხვავება. ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგი კულტურა გენდერულ საკითხებს მხოლოდ ორ სქესთან მიმართებაში არ განიხილავს. არის შემთხვევები, როდესაც მამაკაცურობა და ქალურობა სამყაროს ორ საწინააღმდეგო საწყისად მოიაზრება, მაგრამ არის კულტურები, სადაც გენდერის სამი ან მეტი კატეგორია არსებობს: „ქალი“, „მამაკაცი“ და „სხვა“.

ამ თავში განვიხილავთ, თუ რა კულტურათაშორისი (კროსკულტურული) ცოდნა გვაქვს ქალისა და მამაკაცის ფიზიკური, გენდერული და პიროვნული განსხვავებების შესახებ. ამას გარდა, განვიხილავთ იმასაც, თუ რატომ იცვლება სექსუალური ქცევა და სექსის აღქმა სხვადასხვა კულტურებში.

აღნაგობა და ფსიქოლოგია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხოველების მრავალ სახეობაში მდედრის მამრისაგან გამორჩევა გარეგნულად საკმაოდ რთულია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავდებიან ქრომოსომული წყობითა და რეპროდუქციის ორგანოებით. მათგან განსხვავებით, ადამიანები **სქესობრივად დიმორფულები** არიან ანუ მამაკაცები და ქალები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ზომისა და გარეგნობის მიხედვით. ქალებს შედარებით ფართო თეძოები აქვთ, კაცები კი სიმაღლითა და მძიმე ძვლებით გამოირჩევიან, ქალების სხეულის წონაში ქონის რაოდენობის წილი მეტია, ხოლო მამკაცთა წონაში კი — კუნთების წილი. კაცები უფრო დიდი ფიზიკური ძალით ხასიათდებიან, აქვთ შედარებით დიდი მოცულობის გული და ფილტვები. შესაბამისად, ინტენსიური ფიზიკური დატვირთვის დროს მეტი ჟანგბადის მოხმარება შეუძლიათ.

ჩვენს საზოგადოებაში არსებული შეხედულებით მაღალი და დაკუნთული მამაკაცი მეტი მოწონებით სარგებლობს. შესაძლოა, ეს თავისებურებები ბუნებრივი გადარჩევის შედეგად ჩამოყალიბდა. ქალებში იმავე ფაქტორის ზემოქმედებით სხვა თვისებები განვითარდა. მაგალითად, ბუნებრივ გადარჩევას, შესაძლოა, ხელი შეეწყო ზრდის ადრეული შეჩერებისათვის, რათა ორსულობის დროს ნაყოფის კვებისათვის ქალის მზარდი ორგანიზმის საჭიროებებს არ შეეშალა ხელი. აქედან გამომდინარე, ქალების სიმაღლე ნაკლებია (გოგონები მაქსიმალურ სიმაღლეს სქესობრივი მომწიფებიდან მოკლე ხანში აღწევენ, ვაჟებმა კი მომწიფების შემდეგაც რამდენიმე წლის მანძილზე შეიძლება გააგრძელონ სიმაღლეში ზრდა). ქალის ორგანიზმი იშვიათად იფიტება, რაც შეიძლება ორგანიზმში ქონის მეტი შემცველობითა და სხეულის ნაკლები გაბარიტებით აიხსნას. ბუნებრივ გადარჩევას შეეძლო ამ თვისებებისათვის ხელის შეწყობა, რადგან ისინი რეპროდუქციულ წარმატებას განაპირობებენ.

ორივე სქესის ათლეტებს შეუძლიათ განივითარონ ფიზიკური ძალა და შესაძლებლობები ვარჯიშით. კულტურულმა ფაქტორებმა, რომლებიც ქალსა და მამაკაცს ნებას რთავს და საშუალებას აძლევს თანაბარი ფიზიკური დატვირთვა მიიღონ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს სქესორივ განსხვავებებზე კუნთოვანი მასისა და აერობიკული შესაძლებლობების მხრივ. წვრთნის შედეგად განსხვავებები მცირდება. ამის მაგალითია ქალების მონაწილეობა სპორტის გარკვეულ სახეობებში (მარათონული სირბილი, ცურვა და სხვა). ამრიგად, მაშინაც კი, როდესაც საქმე ქალისა და მამაკაცის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განსხვავებებს ეხება, საჭიროა იმის გარკვევა, თუ რისი შედეგია ეს განსხვავებები, კულტურული ფაქტორების თუ გენეტიკის.

გენდერული როლები

მწარმოებლური და საოჯახო საქმიანობა

როგორც ეკონომიკური სიტემებისადმი მიძღვნილ თავში აღვნიშნეთ, ყველა საზოგადოებაში არსებობს შრომის დაყოფა სქესის მიხედვით. იმის გამო, რომ როლების განაწილება წმინდა კულტურული ხასიათის მოვლენაა, ჩვენ მათ **გენდერულ როლებს** ვუწოდებთ. ამჯერად ინტერესის საგანია არა თავად განსხვავებების არსებობა, არამედ ის, თუ რატომ არის ეს განსხვავებები მსგავსი სხვადასხვა საზოგადოებაში. ამრიგად, საკითხი არის ის, თუ რატომ არსებობენ უნივერსალური და არაუნივერსალური შემთხვევები ამგვარ განაწილებაში.

მსოფლიოში არსებული მაგალითები შეჯამებულია ცხრილში 19-1. მასში ნაჩვენებია, თუ რომელი სქესი რა საქმიანობით არის დაკავებული მსოფლიოს თითქმის ყველა საზოგადოებაში. ნაჩვენებია როგორც სქესთა სპეციფიკური საქმიანობები, ისე აქტივობათა ის სახეებიც, რომელსაც ორივე სქესის წარმომადგენლები ახორციელებენ. იძლევა თუ არა ცხრილში მოცემული განაწილება დასკვნების გაკეთების საშუალებას იმის თაობაზე, თუ რატომ არიან მამაკაცები და ქალები განსხვავებული საქმიანობით დაკავებული?

ერთ-ერთი თეორია, რომელიც ამ დანაწილებას ხსნის, ცნობილია **ძალის თეორიის** სახელით. მამაკაცებს მეტი ფიზიკური ძალა და ამ ძალის სწრაფი კონცენტრაციის უნარი (გაზრდილი აერობიკული შესაძლებლობების შედეგი) ხშირად მიიჩნევა შრომის დანაწილების საფუძვლად. მართლაც, ისეთ საქმეს, რომელიც მძიმე საგნების აწევას მოითხოვს (დიდ ცხოველებზე ნადირობა, ხორცის დანაწილება, მიწის გაწმენდა, ქვებთან, ლითონებთან და შეშასთან მუშაობა), აგრეთვე — იარაღების ტყორცნასა და სწრაფ სირბილს (ნადირობა), როგორც წესი, მამაკაცები ასრულებენ. ხოლო ქალების სამუშაოებიდან თითქმის არც ერთი არ მოითხოვს განსაკუთრებულ ფიზიკურ ძალას. მაგრამ ეს თეორია ვერ ხსნის რიგ მომენტებს, მაგ-



ვარჯიშს შეულძია გაზარდოს კუნთების ძალა და აერობიკული შესაძლებლობები

ალითად იმას, თუ რატომ აკათებენ მამაკაცები ხშირად ისეთ საქმესაც, რომელიც არ მოითხოვს დიდ ფიზიკურ ძლასა და სისწრაფეს, მაგალითად, იჭერენ პატარა ცხოველებს, აგროვებენ ველურ თაფლს ან აკეთებენ მუსიკალურ საკრავებს.

მეორე თეორია, რომელიც ცდილობს ახსნას შრომის დანაწილება, გახლავთ **ბავშვის მოვლასთან შეთავსებადობის თეორია**. მის მიხედვით, ქალები ასრულებენ უფრო იმ სამუშაოებს, რომლებიც ბავშვის მოვლასთან ერთად შეიძლება შეძლოს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის მოვლა მამაკაცებსაც შეუძლიათ, საზოგადოებების უმეტესობაში დედები ბავშვებს ძუძთი კვებავენ. ეს კი მამაკაცებს არ შეუძლიათ (როგორც წესი, ბავშვის ძუძუთი კვება ორი წლის ასაკამდე გრძელდება). ამ თეორიის თანახმად, ქალების აქტივობა იმ საქმიანობით შემოიფარგლება, რომელიც სახლიდან შორს სიარულს და ბავშვების დიდი ხნით მიტოვებას არ მოითხოვს ან ბავშვისათვის სახიფათო არ არის.

თავსებადობის თეორიას შეუძლია ახსნას, თუ რატომ არ არის 19-1 ცხრილის უკიდურეს მარჯვენა სვეტში ბავშვის მოვლის გარდა, არც ერთი სხვა საქმიანობა. იქნებ, ამის მიზეზი სწორედ ის გახლავთ, რომ ქალის დროის ძირითადი ნაწილი სწორედ ბავშვების მოვლას მიაქვს. ამავე თეორიით იხსნება ისიც, თუ რატომ არის ნადირობა, ცხოველების დაჭერა, თევზაობა, თაფლის მოგროვება, შეშის ჩეხვა და მსგავსი სამუშაოები მამაკაცის საქმე. ეს აქტივობები ხშირად ძალიან სახიფათოა და ბავშვის სიახლოვის შემთხვევაში მათი დაცვის საჭიროების გამო კიდევ უფრო გართულდებოდა.

და ბოლოს, თავსებადობის თეორიით იხსნება ისიც, თუ სრულად დაკავებული სპეციალისტების უმეტესობა რატომ არის მამაკაცი. მიუხედავად იმისა, რომ 19-1 ცხრილში დაყოფა არ არის ნაჩვენები, ისეთი ხელობები, როგორიც არის კალათების კეთება, მეთუნეობა და ჭილობების ქსოვა არაკომერციულ საზოგადოებებში, როგორც წესი, ქალის საქმეა. მაგრამ როგორც კი საზოგადოება სრულად დაკავებული სპეციალისტების საჭიროების წინაშე დგება, წინა პლანზე მამაკაცები გამოდიან. მსგავსი მდგომარეობაა მზარეულობისა და მკერავობის მხრივაც. სანამ ეს საქმიანობა კომერციული გახდება, იგი ქალების მოვალეობაა, ხოლო როგორც კი კომერციულ ხასიათს იღებს, მამაკაცები იწყებენ მის საკუთარ თავზე აღებას. რატომ ხდება ასე? თავსებადობის თეორიას თუ მოვიშველიებთ, ნათელი გახდება, რომ წარმოებაში სრულად დასაქმება ვერ შეუთავსდება ბავშვია მოვლას. ქალი შეიძლება მშვენიერი მზარეული იყოს და სახლში საჭმელსაც ძირითადად იგი აკეთებდეს, მგრამ ხაბაზები და შეფ-მზარეულები, როგორც წესი, კაცები არიან. ქალები სრულად დასაქმებული სპეციალისტები ხდებიან მაშინ, როდესაც შვილის სანდო პირისათვის დატოვება შეუძლიათ.

მაგრამ თავსებადობის თეორია ვერ ხსნის იმას, თუ რატომ არის კაცების საქმე მიწის დამუშავება ან ხის, ძვლისა და ნიჟარების ნაკეთობების ჭრა. ეს საქმიანობები არ არის დაკავშირებული ხიფათთან და არც ბავშვთან დაშორებას მოითხოვს. მაშ, რატომ არიან ამ საქმიანობით დაკავებული ძირითადად მამაკაცები? ამ კითხვებს პასუხს **მცდელობის ეკონომიის თეორია** გასცემს. მაგალითად, მამაკაცისათვის მუსიკალური ინსტრუმენტების კეთება უფრო იოლი და მოხერხებული იქნება იმის გამო, რომ იგი ხშირად დადის ტყეში (მაგალითად, შეშის ჭრისას) და საჭირო მასალების შეგროვება უწევს. იმის გამო, რომ მუსიკალური ინსტრუმენეტებისათვის საჭირო მასალებთან ურთიერთობა ძირითადად სწორედ მამაკაცებს აქვთ, მათ უკეთ იციან, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ამ მასალებს. შესაბამისად, მათთვის უფრო ადვილია ამ მასალების გამოყენება. ამ თეორიიდან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ ქალთათვის უფრო მოხერხებული და ხელსაყრელია იმ სამუშაოების კეთება, რომლებიც ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებული არ არის. ამრიგად, თუკი ქალი სახლში იმყოფება და ბავშვს უვლის, მისთვის ეკონომიური და გამართლებული იქნება იმ სამუშაოების შესრულება, რომელიც სახლთან არის დაკავშირებული ან მის სიახლოვეს შეიძლება გაკეთდეს.

შრომის სქესთაშორისი დაყოფის ამხსნელი მეოთხე თეორია ცნობილია **აღუდგენლობის თეორიის** სახელით. მის მიხედვით, მამაკაცები იმის გამო ასრულებენ უფრო ხშირად მძიმე და სახიფათო საქმეს, რომ ისინი უფრო „მოხმარებად“ რესურსს წარმოადგენენ საზოგადოებისათვის. მამაკაცის დაღუპვა პოპულაციის რეპროდუქციისათვის ნაკლები დანაკარგია, ვიდრე ქალის დაღუპვა. თუკი რომელიმე მამაკაცი ნადირობის, თევზაობის ან სხვა საქმიანობის დროს დაიღუპება, საზოგადოების რეპროდუქციაზე ეს განსაკუთრებულ გავლენას არ მოახდენს, რაგდან ქალებს შეუძლიათ სხვა მამაკაცი იპოვნონ. საკითხავია, მოისურვებს კი ვინმე, ქალი თუ კაცი, სახიფათო საქმის კეთებას? ალბათ, მხოლოდ მაშინ, თუ საზოგადოება ამას პრესტიჟულად მიიჩნევს და პატივს მიაგებს მათ, ვინც ამ საქმიანობით იქნება დაკავებული.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა თეორია (ცალკე ან ერთობლივად) შრომის დანაწილების საკითხების ძირითად ნაწილზე პასუხის გაცემას ახერხებს, არსებობს კითხვები, რემლებზეც ჯერ კიდევ არ არსებობს პასუხები. მაგალითად, ზოგ საზოგადოებაში ქალები ძალიან მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებენ. თუკი ამ საზოგადოებებში ქალებს შუეძლიათ საკმარისი ფიზიკური ძალის განვითარება, მაშინ იქნებ ეს უკანასკნელი უფრო მეტად არის ვარჯიშზე დამოკიდებული, ვიდრე ჩვენ გვგონია?

თავსებადობის თეორიასაც აქვს თავისი სირთულეები.

მსოფლიოში შრომის გენდერული დანაწილების მაგალითები

საქმიანობის ტიპი	ასრულებენ თითქმის მთლიანად მამაკაცები	ასრულებენ როგორც წესი მამაკაცები	ასრულებენ ქალები და მამაკაცები თანაბრად	ასრულებენ როგორც წესი ქალები	ასრულებენ თითქმის ყოველთვის ქალები
პირველადი საარსებო საქმიანობები	ნადირობა და ცხოველთა დაჭერა	თევზაობა, მსხვილი ცხოველების მწყემსობა, ველური თაფლის შეგროვება, მიწის გასუფთავება და მისი დასამუშავებლად მომზადება	მოლუსკების შეგროვება, ნვრილი ცხოველების მოვლა, ნათესების თესვა, მოვლა და მოსავლის აღება, წველა	ველური ნაყოფების შეგროვება	
მეორადი საარსებო და საოჯახო აქტივობა საქმიანობები		ცხოველთა დაკვლა	ხორცისა და თევზის დამუშავება	ბავშვების მოვლა, მზარეულობა, რეცხვა, წყლის მოტანა, საწვავის შეგროვება,	ბავშვების მოვლა
სხვა	შეშის დამზადება, მადნის მოპოვება, ნავების, მუსიკალური ინსტრუმენტები, ძვალი, ნიუარებისი და რქები. ბრძოლაში გამოსაყენებლად	სახლების შენება, ბადეებისა და თოკების დაწვნა, პოლიტიკური ხელმძღვანელობის განხორციელება	ტყავების დამუშავება ტყავის ნაკეთობების, კალათების, ჭილობების, სამოსისა და ჭურჭლის დამზადება	მატყლის ჩეჩვა	

მაგალითად, ქალები, რომლებიც დაკავებულნი არიან მიწათმოქმედებით, ნაკლებად ჯდებიან ამ თეორიის ფარგლებში. ისინი, როგორც წესი, ამ დროის განმავლობაში მოწყვეტილნი არიან ბავშვების მოვლას. ამის მაგალითები არსებობს ნეპალის მთიანეთში, მიწასთან დაკავშირებული სამუშაოები არ არის თავსებადი ბავშვის მოვლასთან, ნაკვეთების სახლებიდან დიდ მანძილზე დაშორებისა და თავად სამუშაოს სიმძიმის გამო. როდესაც ქალები მუშაობენ, მათ ბავშვებს ამ დროს სხვები უვლიან.

უფრო მეტიც, არსებობენ საზოგადოებები, სადაც ქალები მამაკაცების მსგავსად ნადირობენ. მაგალითად, ფილიპინებზე მცხოვრები აგთას ტომის ქალები. ისინი ან ცალკე ან დიდ ჯგუფებად ნადირობენ ისეთ ცხოველებზე, როგორიცაა გარეული ღორი და ირემი. ამ ტომში მონადირებული ნადავლის დაახლოებით 30% ქალზე მოდის. ამასთან, ისინი ახერხებენ ერთმანეთს შეუთავსონ ნადირობა და ბავშვის მოვლა. აგთას ტომელ ქალებს ნადირობისას ბავშვები თან დაჰყავთ და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი რეპროდუქციის მხრივ არაფრით განსხვავდებიან იმ ქალებისაგან, რომლებიც არ ნადირობენ. ამგვარი რამ შეიძლება იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ სანადირო ადგილები ძალიან ახლოს არის საცხოვრებელთან, ქალებს ნადირობის დროს ახლავს ძაღლების ხროვა, რომელიც იცავს და ეხმარება მათ. ამასთან, ქალები დიდ ჯგუფებად ნადირობენ ხოლმე და ერთმანეთს ბავშვების მიხედვაში ისევე ეხმარებიან, როგორც ნადავლის გადატანაში. ქალების ნადირობა საკმაოდ გავრცელებულია ცენტრალური აფრიკის შემგროვებელ ტომებს შორისაც. აკას ტომის ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ტომის მიერ ბადეებით მოწყობილ ნადირობაში, როდესაც ცხოველებს წინასწარ დაგებულ მახეებში ერეკებიან და იჭერენ. ამ საქმიანობას აკას ტომის ქალები თავიანთი დროის დაახლოებით 18%-ს უთმობენ, რაც მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე მეტია.

როგორც ეს შემთხვევები გვიჩვენებს, საჭიროა მეტი ცოდნის მოპოვება შრომის დანაწილებაზე, უფრო გულდასმით უნდა შევისწავლოთ, თუ რა ძალაა საჭირო სხვადახვა საქმიანობის განსახორციელებლად, რამდენად სახიფათოა ეს საქმიანობები და რა შემთხვევაში წყვეტს პიროვნება მუშაობას ბავშვის მოვლის აუცილებლობის გამო. ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ჰიპოთეზების დონეზე შეგვიძლია მსჯელობა. როდესაც მტკიცებულებები უფრო მყარი და სისტემატიზებული იქნება, საშუალება მოგვეცემა, გადავხედოთ ჩვენს ხელთ არსებულ თეორიებს და დავხვეწოთ ისინი. ნათელია, რომ ვერც ერთი თეორია ბოლომდე ვერ ხსნის 19-1 ცხრილში მოცემულ დანაწილების სქემას. ამავე დროს, ცნობილია, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებაში, სადაც ადამიანის შრომას მანქანები ცვლიან და სადაც ქალს ბავშვის სხვისთვის მიბარება შეუძლია, შრომის გენდერული დანაწილების სიმკვეთრე თანდათან კლებულობს.

შედარებითი თანამონაწილეობა

ჩვენს საზოგადოებაში არსებობს სტერეოტიპი, რომ ქმარი ოჯახის მარჩენალი უნდა იყოს, ცოლი კი ბავშვების მომვლელი და საოჯახო მეურნეობის მმართველი. რო-

მასაის ტომის ქალები ერთდროულად ძიძებიც არიან და სახლების მშენებლებიც.

გორც ვიცით, სტერეოტიპი უფრო გამონაგონია ხოლმე, ვიდრე რეალობა. თანამედროვე ეპოქაში მარტოხელა დედებთან ერთად სახლის გარეთ მრავალი (50%-ზე მეტი) გათხოვილი ქალი მუშაობს. დაოჯახებულ ქალებს შორის, რომლესაც 6-17 წლის ასაკის შვილები ჰყავთ, დასაქმებულია 70%-ზე მეტი. „მარჩენალის" კონცეფცია ქმნის ოჯახში საკვების ან მის შესაძენად საჭირო ფულის გარედან შემომტანი პირის (როგორც წესი, მამაკაცის) სახეს. ამ კონცეფციის მიხედვით, თანამონაწილეობის მხრივ შეგვიძლია ნაკლებმნიშვნელოვნად მივიჩნიოთ ის პიროვნება, რომელიც უშუალოდ სახლში მუშაობს.

როგორ უნდა გავარკვიოთ, თუ ვის უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არსებობაში? ანთროპოლოგთა უმეტესობა ასხვავებს **პირველად და მეორად საარსებო საქმიანობებს** (იხ. ცხრილი 19-1). პირველადი საქმიანობები ძირითადად საკვების მომპოვებელი საქმიანობებია, მაგალითად: ნადირობა, თევზაობა, შემგროვებლობა, მწყემსობა და მიწათმოქმედება. მეორადი საქმიანობებიდან მრავალი დაკავშირებულია უფრო საკვების დამუშავებასა და შენახვასთან. ჩვენი ცოდნა იმის შესახებ, რამდენად თანამონაწილეობენ ქალები და მამაკაცები მეორად საარსებო საქმიანობებში, არ არის სრული, რადგან მკვლევარების ყურადღება ძირითადად პირველადი საქმიანობებისაკენ იყო ხოლმე მიპყრობილი. შრომის ხარისხი შეიძლება მოპოვებული სარჩოს მიხედვით განისაზღვროს ან იმ დროის მიხედვით, რასაც ადამიანი ამა თუ იმ საქმეს უთმობს. თუმცა ამგვარმა გამოთვლებმა შეიძლება განსხვავებული შედეგები მოგვცეს. როგორც საკვების მოპოვებისათვის მიძღვნილ თავში ვიხილეთ, იანომამოს ინდიელები ნადირობაში მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე მებაღეობაში, მაგრამ თავს ძირითადად სწორედ მებაღეობით ირჩენენ.

ზოგ საზოგადოებაში კი თანამონაწილეობის ხარისხით ქალები აღემატებიან მამაკაცებს. მაგალითად, ახალ გვინეელი ტჩამბულის ტომის ქალები მეთევზეობას თავად ეწევიან. ისინი დილით ადრე მიდიან ნავებით თევზების ხაფანგებამდე და შუადღისათვის ბრუნდებიან. დაჭერილი თევზის ნაწილს სახამებელსა და შაქრის ლერწამში ცვლიან და სავაჭრო ექსპედიციებსაც სწორედ ქალები აწყობენ.

ჩვენს საზოგადოებაში ნელ-ნელა საფუძველი ეცლება სტერეოტიპს, რომ ოჯახის მარჩენალი მამაკაცი უნდა იყოს, მაგრამ ეს სტერეოტიპი ჯერ კიდევ მტკიცეა ინდოეთის ტოდას საზოგადოებაში. ეს ადამიანები თითქმის მთლიანად არიან დამოკიდებული კამეჩის რძის პროდუქტებზე. ნაწილს საკვებად და ხორბალში გასაცვლელად იყენებენ. ტოდას საზოგადოებაში მთელი სამუშაო, რაც კამეჩების მოვლას შეეხება, კაცების საქმეა. ქალებს კამეჩების მოწველა აკრძალული აქვთ, სამაგიეროდ მათი მოვალეობაა საოჯახო მეურნეობის დანარჩენი მხარეების მოგვარება და მართვა. ისინი ამზადებენ საჭმელს შეძენილი ხორბლისაგან, ალაგებენ სახლს და ქარგავენ ტანსაცმელს.

მრავალი საზოგადოების წევრების გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ საკვების მომპოვებელ პირველად საქმიანობაში ჩართული არიან როგორც ქალები, ისე მამაკაცები, მაგრამ მამაკაცების თანამონაწილეობა რაციონში შეტანილი კალორიების მიხედვით უფრო დიდია. ქალები თითქმის ყოველთვის ბავშვის მოვლით არიან დაკავებული. ამიტომაც გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ პირველადი საკვების მომპოვებელი საქმიანობის (რომელიც, როგორც წესი, სახლიდან მოშორებით ხორციელდება) ძირითადი ნაწილი სწორედ მამაკაცებზე მოდის.

საზოგადოებებში, რომლებიც ძირითადად ნადირობაზე, თევზაობასა და მწყემსობაზე არიან დამოკიდებული, მამაკაცები მეტს შრომობენ, ვიდრე ქალები. მაგალითად, ინუიტებისა და ტოდას საზოგადოებები. მაგრამ საკვების მოპოვების გზები სულაც არ განსაზღვრავს იმას, თუ ვინ მეტად მონაწილეობს მათში. ტჩამბულის ტომში, სადაც ძირითადი საკვები თევზია, მეთევზეები ქალები არიან. შემგროვებლობაზე დამოკიდებულ საზოგადოებებშიც, როგორც წესი, ქალებს აკისრიათ წამყვანი როლი. ამის მაგალითია კუნგების ტომი. მაგრამ ანთროპოლოგებისათვის ცნობილ საზოგადოებების უმეტესობა მიწათმოქმედებაზეა დამოკიდებული. მიწათმოქმედებაში კი ნაკვეთის გაწმენდისა და დასამუშავებლად მომზადების გამოკლებით, ქალებიც იღებენ მონაწილეობას და მამაკაცებიც (იხილეთ ცხრილი 19-1). ამრიგად, საჭიროა იმის ახსნა, რატომ მოდის ზოგ საზოგადოებაში ქალებზე სამიწათმოქმედო სამუშაოების უფრო დიდი წილი და ზოგში კი კაცებზე. მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში განსხვავებული მდგომარეობაა, სამხრეთ აფრიკაში სამიწათმოქმედო სამუშაოების დიდი ნაწილი ქალებზე მოდის. აზიის უმეტეს ნაწილსა და ევროპაში კი პირიქით, ძირითადი დატვირთვა მამაკაცებზეა. ზოგ საზოგადოებაში საკვებით უზრუნველყოფაში ქალების თანამონაწილეობა აღემატება მამაკაცებისას.

მრავალი მწერალი აღნიშნავდა, რომ ინტენსიურ მიწათმოქმედებაში, კერძოდ მის იმ სახეებში, სადაც მიწას გუთნით ხნავენ, მამაკაცების როლი აღემატება ქალებისას. მებაღე საზოგადოებებში კი პირიქით, ქალების როლი აღემატება მამაკაცებისას. ქალების თანამონაწილეობა შრომაში მაქსიმუმს აღწევს ბოლქვიანი მცენარეებისა და ხეების მოშენების დროს, ასევე მიწის საახოე წესით დამუშავებისას. ესთერ ბოსერუპის თქმით, როდესაც მოსახლეობა იზრდება და ჩნდება მიწის უფრო ინტენსიური დამუშავების სტიმული, ადამიანები გუთნისა და ირიგაციის გამოყენებას იწყებენ. შედეგად იზრდება მამაკაცების როლიც. თუმცა ყველაფერი ასე ნათელი და იოლი არ არის ხოლმე.

ჩნდება კითხვა, რატომ არ უნდა მონაწილეობდნენ ქალები მიწათმოქმედებაში, მხოლოდ იმიტომ, რომ მიწის მოსახნავად გუთანს იყენებენ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მკვლევარები ფიქრობენ იმაზე, თუ რა დროს ხარჯავენ მამაკაცები და ქალები სამიწათმოქმედო სამუშაოებში. კვლევის ეს მიმართულება ენაცვლება უკვე ცნობილი კალორიული თანამონაწილეობის მიმართულე-

ბას. ამ გადასვლის მიზეზი ის გახლავთ, რომ მიწათმოქმედებაში მისი ციკლის სხვადასხვა ეტაპზე ქალისა და მამაკაცას თანამონაწილეობის ხარისხი, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეიცვალოს. წარმოიდგინეთ, რომ მამაკაცები ხნავენ და მიწას ასუფთავებენ, ქალები თესავენ და რწყავენ, ორივე ერთად კი მოსავალს იღებს და ამის შემდეგ უნდა შევაფასოთ, თუ რომელმა მეტი შრომა გაწია მოსავლის მისაღებად.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, მამაკაცების თანამონაწილეობა გუთნის მიწათმოქმედებაში იმიტომ არის ძირითადი, რომ იგი მძიმე შრომას მოითხოვს. ამაში იგულისხმება ნიადაგის გაწმენდა და დასამუშავებლად მომზადება. მამაკაცები ჩვეულებრივ ყოველთვის ასუფთავებენ მიწას, მაგრამ ინტენსიური მიწათმოქმედების შემთხვევაში, ამას ბევრად მეტი დრო მიაქვს. მაგალითად, ნიგერიის ერთ-ერთ რეგიონში გამოთვალეს, რომ ყამირი მიწის ტრაქტორით დამუშავებისათვის მომზადებასა და გაწმენდას 100 დღე სჭირდება, ჩვეულებრივი ადგილის დამუშავებისა და მომზადებისათვის კი 20 დღეც კმარა. ქალებს წვლილი მორწყვაში შეაქვს, რადგან ამ საქმიანობის ბავშვის მოვლასთან შეთავსება შეიძლება. თუმცა ის ფაქტი, რომ გუთნით მამაკაცები ხნავენ, არ ხსნის ქალების შედარებით მცირე მოვალეობებს მიწათმოქმედებაში.

ინტენსიურ მიწათმოქმედებაში ქალის შედარებით მცირე როლის მეორე ახსნა ისაა, რომ ამგვარ საზოგადოებებში იზრდება საოჯახო მეურნეობა. შედეგად, ქალებს მინდორში სამუშაოდ ბევრი დრო აღარ რჩებათ. ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოება, როგორც წესი, ძალიან დამოკიდებულია ხორბლის მოსავალზე. მისი საკვებად მომზადება კი ბევრ შრომას მოითხოვს. მარცვლოვანი კულტურები (ხორბალი, ქერი, სიმინდი, ჭვავი და ა.შ.) ჯერ შრება და მერე ინახება და მათგან საკვების მომზადება ბევრ დროს მოითხოვს. მას მეტი წყალი და შეშა სჭირდება თუ ისინი დაქუცმაცებული რჩება. მათი მოგროვებაც ძირითადად ქალების საქმე. საკვების მომზადების დროს ამცირებს ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიც არის დალბობა, დაფქვა, დაღერღვა და ასე შემდეგ. ამათგან ყველაზე ეფექტურია დაფქვა, მაგრამ ყველაზე შრომატევადი. და ბოლოს, საოჯახო საქმის მოცულობა შესაძლოა მნიშვნელოვნად გაიზარდოს იმის გამო, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოებებში ქალები მეტ შვილს აჩენენ, ვიდრე მებაღეების საზოგადოებებში. ამრიგად, საოჯახო მეურნეობაში არსებული სამუშაოების მოცულობის ზრდა გასაგებს ხდის, თუ რატომ არ შეუძლია ქალს ინტენსიურ მიწათმოქმედებაში მამაკაცზე მეტი მონაწილეობის მიღება. მიუხედავად ამისა, ქალის თანამონაწილეობა მაინც მნიშვნელოვანია. ისინი დღეში საშუალოდ ოთხნახევარ საათს მუშაობენ სახლის გარეთ.

ჯერ კიდევ არ არის ნათელი, თუ რატომ არის ქალის მონაწილეობა მებაღეობაში ასეთი მნიშვნელოვანი. მათ, შესაძლოა, ნაკლები სამუშაო აქვთ სახლში, ვიდრე ინტენსიური მიწათმოქმედების მიმდევარ საზოგადოებებში აქვს ქალს. მაგრამ იგივე ეხებათ მამაკაცებსაც. მაშ, რატომ არ არის მამაკაცი მებაღე საზოგადოებებში წამყვანი თანამონაწილე? ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მებაღეების საზოგადოებებში მამაკაცები ხშირად მოცილებული არიან მიწათმოქმედებას და ძირითადად სხვა საქმეებით არიან დაკავებული. მაშინ, როდესაც კაცები ომში არიან, მათ საქმეს ქალები აკეთებენ. მამაკაცები ასევე სცილდებიან პირველად საარსებო საქმიანობას, თუ შორეულ სავაჭრო მოგზაურობაში ან ქალაქებსა და დასახლებებში მიდიან ხელფაზე სამუშაოდ.

როდესაც ქლები აქტიურად მონაწილეობენ პირველად საარსებო საქმიანობაში, ეს აისახება შვი მათ დამოკიდებულებაზე შვილებთან. მსგავსი საზოგადოებების კვლევის შედეგებმა ეს ვარაუდი დაადასტურა. საზოგადოებებში, სადაც ქალების თანამონაწილეობა პირველად საარსებო საქმიანობებში საკმაოდ მნიშვნელოვანია, ბავშვები მყარი საჭმლის ჭამას შედარებით ადრეულ ასაკში იწყებენ. ამრიგად, დედის არყოფნის დროს, მათი კვება სხვებსაც შეუძლიათ. ამავე დროს, გოგონები ბიჭებზე მეტად არიან ჩაბმულები შრომაში (შესაძლოა, დედების დასახმარებლად) და საბოლოოდ მებაღეებისთვის მდედრობითი სქესის ბავშვების გაჩენა უფრო სასურველია ხოლმე.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საარსებო საქმიანობებში გენდერული თანამონაწილეობის შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვიხილავთ მას. აქამდე ყურადღება ძირითადად პირველად საარსებო საქმიანობებზე იყო გამახვილებული. თუკი მიდგომას შევცვლით და ყველა სახის შრომას გავითვალისწინებთ, განსხვავებულ სურათს მივიღებთ. თუკი მუშაობაში გატარებულ მთლიან დროს დავთვლით, როგორც სახლის გარეთ (ძირითადად საკვების მომპოვებელი საქმიანობები), ისე სახლში (ძირითადად საჭმლის მომზადება) მუშაობის ჩათვლით, აღმოჩნდება, რომ ქალები შრომას მეტ დროს უთმობენ, ვიდრე კაცები, როგორც მებაღე, ისე ინტესიური მიწათმოქმედების საზოგადოებებში.

პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ომი

თითქმის ყველა ცნობილ საზოგადოებაში პოლიტიკაში წამყვანი ადგილი მამაკაცებს უკავიათ. კულტურათაშორის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკვლეული საზოგადოებების 85%-ში ლიდერები მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. საზოგადოებებში, სადაც ხელმძღვანელი პირები ქალებიც იყვნენ, მათი რიცხვი ან ძალიან მცირე იყო ან ნაკლები ძალაუფლება ჰქონდათ. თუ შევხედავთ არა კულტურებს, არამედ ქვეყნებს, ვნახავთ, რომ ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოებში ქალები მთლიანი შემადგენლობის დაახლოებით 10% არიან. იმის მიუხედავად, ჩავთვლით თუ არა ომს პოლიტიკური ცხოვრების ნაწილად, იგი მთლიანად მამაკაცების საქმეა. მსოფლიოს საზოგადოებათა 87%-ში ქალები ომში აქტიურად არასოდეს მონაწილეობენ (დანარჩენი 13%-თვის იხილეთ ჩანართი „რატომ აძლევს ზოგი საზოგადოება ქალებს ბრძოლის უფლებას?“). თვით მატრილინეარულ საზოგადოებებშიც კი, სადაც ქალი წამყვან როლს თამაშობს (იხილეთ თავი ცოლ-ქმრის საცხოვრებლისა და სანათესაოს შესახებ), პოლიტიკას, როგორც წესი, მამაკაცები წარმართავენ.

სიმინდის დაფქვა ძალიან შრომატევადი საქმეა და დიდ დროს მოითხოვს. პერუში, ტიტიკაკას ტბის ნაპირებზე, ქალები სიმინდს ორი დიდი ქვის მეშვეობით ფქვავენ.

მაგალითად, დღევანდელი ნიუ-იორკის შტატში მცხოვრებ ირიკეზებში ქალებს საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ და რესურსებსაც სწორედ ისინი აკონტროლებდნენ, მაგრამ პოლიტიკა მამაკაცების საქმე იყო. ირიკეზთა ხუთი ტომის კავშირის მმართველობა 50 ბელადისაგან შემდგარ საბჭოს ეკავა. მიუხედავად იმისა, რომ ქალებს საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ, მათ შეეძლოთ მამაკაცი წარმომადგენლების წარდგენა, არჩევა და მათი გაკიცხვაც კი. ქალებს უფლება ჰქონდათ, გადაეწყვიტათ ტყვეების ბედი, აეკრძალათ ომში წასვლა თავიანთი ოჯახების მამაკაცებისათვის და ჩარეულიყვნენ სამშვიდობო მოლაპარაკებებში.

რატომ ხდება ისე, რომ მამაკაცები თითქმის ყოველთვის დომინირებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში? ზოგი მეცნიერი თვლის, რომ მამაკაცების როლი ომში განაპირობებს მათ უპირატესობას პოლიტიკაში. ამასთან, ისინი ფლობენ ისეთ მნიშვნელოვან რესურსს, როგორიც არის იარაღი. მაგრამ ცნობილია, რომ ძალა იშვიათად გამოიყენება ლიდერობის მოსაპოვებლად. სხვებზე აღმატებული ძლიერება გადამწყვეტი ფაქტორი არ გახლავთ. ომი და პოლიტიკური ხელმძღვანელობა, შესაძლოა, სხვა მხრივ იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან. ომი გადარჩენის საშუალებაა ხშირად. აქედან გამომდინარე, საზოგადოებების უმეტესობაში ომთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა. ამიტომ ასეთ გადაწყვეტილებას იღებენ პირები, რომლებმაც ომის შესახებ სხვებზე მეტი იციან.

იმის ასახსნელად, თუ რატომ ითვლება ომი მამაკაცის საქმედ, განვიხილოთ სამი ახსნა, რომლებიც შრომის გენდერული დანაწილების გავრცელებულ პრაქტიკას ეყრდნობა. ომი, ნადირობის მსგავსად, მოითხოვს ძალას (იარაღის სატყორცნად) და ენერგიულ მოქმედებებს (მაგალითად, სირბილის დროს). ეჭვგარეშეა, რომ ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო საქმეა და მისი შედარება ბავშვის მოვლასთან აზრადაც არავის მოუვა. ამას გარდა, უშვილო ქალებიც შორს არიან ომისგან, რადგან მათ აქვთ უმთავრესი ფუნქცია: დედობისა და სიცოცხლის გამგრძელების. ამრიგად, ომში მამაკაცების დომინირება შეიძლება აიხსნას როგორც ძალის, ისე საქმიანობის თავსებადობისა და ე.წ. „ცვეთადობის“ თეორიებით.

პოლიტიკაში მამაკაცების წამყვან როლს კიდევ ორი ფაქტორი შეიძლება განაპირობებდეს. პირველი მათგანი ფიზიკური მონაცემებია. ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ მაღალი მამაკაცები უფრო ხშირად არიან ლიდერები. მეორე კი არის ის, რომ მამაკაცები უკეთ იცნობენ გარე სამყაროს, ვიდრე ქალები. მათ ხშირად უწევთ სახლიდან დიდ მანძილზე სიარული და მათი თვალსაწიერი უფრო ფართოა, ვიდრე ქალებისა, რომლებიც ძირითადად სახლში ტრიალებენ. ამ მოსაზრების დასადასტურებლად, პატრიცია დრაპერს კუნგების მაგალითი მოჰყავს. იმ კუნგებში, რომლებიც დამკვიდრებულ ცხოვრებაზე გადავიდნენ, ქალები აღარ მონაწილეობდნენ საკვების მოპოვებაში და მათი მონაწილეობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაშიც მკვეთრად შემცირდა. ამგვარი ცვლილება შეიძლება განაპირობოს ბავშვების მოვლამაც. დენის ვერნერმა ტომთა სოფლების მმართველობა გამოიკვლია. მის მიერ შესწავლილ ბრაზილიელ კაიაპოების ტომში აღმოჩნდა, რომ ქალები, რომელებიც ბავშვების მოვლით სხვებზე მეტად იყვნენ დატვირთულები, ნაკლებ გავლენას ფლობდნენ ტომში, ვიდრე ის ქალები, რომლებიც არ უვლიდნენ ბავშვებს.

ეს მოსაზრებები ხსნიან, თუ რატომ არიან უმეტესად

სელიშების საზოგადოებებში ქალები მამაკაცების თანაბრად იღებენ მონაწილეობას პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში. სურათზე ვხედავთ ბელადთა საბჭოს ფიცის მიღების ცერემონიის დროს. სარდისი, ბრიტანეთის კოლუმბი.

ახალი გენდერული პერსპექტივები

რატომ აქვთ ქალებს ზოგ საზოგადოებაში ბრძოლაში მონაწილეობის უფლება?

ამერიკელ ქალებს სამხედრო სამსახურის უფლება აქვთ, მაგრამ ბრძოლაში ჩართვა არ შეუძლიათ. ზოგი ქალის აზრით, ამგვარი შეზღუდვა უსამართლოა და მათი წინსვლის შესაძლებლობას ამცირებს. სხვები კი (მათ შორის ქალებიც) თვლიან, რომ ეს შეამცირებს სამხედრო ძალების ეფექტურობას, ეს საქმე შეუფერებელია ქალთათვის.

მაშ რატომ ხდება, რომ რიგ საზოგადოებებში ქალი მეომრებიც არსებობენ? ფსიქოლოგმა დევიდ ადამსმა გამოიკვლია 70-მდე საზოგადოება, რათა ამ კითხვაზე პასუხი გაეცა. აღმოჩნდა, რომ საზოგადოებების უმეტესობა გამორიცხავდა ქალებს ომიდან, მაგრამ მათ 13%-ში მაინც არსებობდნენ მეომარი ქალები. ზოგან გამონაკლისი შემთხვევების სახით. ჩრდილოეთ ამერიკაში ამგვარი საზოგადოებები იყვნენ კომანჩეს, ქროუს, დელავერის, ფოქსის, გროს ვენტრესა და ნავახოს ტომები. წყნარ ოკეანეში აქტიური მეომარი ქალები ჰყავდათ ახალზელანდიელ მაორებს, მარშალის კუნძულების ატოლ მაჯუროს მცხოვრებლებსა და ახალგვინეელ ოროკაივას ტომს. მეომრობა არც ერთ ამ საზოგადოებაში არ იყო ქალების ჩვეულებრივი საქმე, მაგრამ მათი სურვილის შემთხვევაში, ქალებს უფლება ჰქონდათ, ბრძოლაში ჩართულიყვნენ.

რით განსხვავდებიან ეს საზოგადოებები იმათგან, რომლებშიც ქალები არ იბრძვიან? აღმოჩნდა, რომ განსხვავება ორგვარი შეიძლება იყოს. საზოგადოებებში, სადაც მეომარი ქალები არიან, ომი წარმოებს მხოლოდ საზოგადოების გარეთ („სრულიად გარეშე მტერთან ომი“) ან ქორწინება დაშვებულია მხოლოდ საზოგადოების შიგნით. ადამსის აზრით, ეს ორი პირობა, რომლებიც საყოველთაოდ გავრცელებული არ არის, გამორიცხავს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს ცოლებსა და ქმრებს შორის და შესაბამისად ქალები შეიძლება იყვნენ ბრძოლაში. ამ შემთხვევაში, ცოლ–ქმრის ინტერესი ემთხვევა. იმის გამო, რომ ქორწინებები მხოლოდ საზოგადოების შიგნით ხდება, გარეშე მტერთან ომის შემთხვევაში ცოლების ერთგულება ეჭვქვეშ არ დგას, რადგან ისინი ერთ საზოგადოებაში გაიზარდნენ. მაგრამ როგორც წესი, უმეტესად არ არის გამორიცხული საზოგადოების შიგნით არსებულ ჯგუფებს შორის ომი (შინაომი) და სხვა საზოგადოებების წევრებთან ქორწინებებიც ხშირია ხოლმე. ასეთ შემთხვევაში კი, მეომარ ქალს, შესაძლოა, თავისი მამის, ძმების ან ნათესავების წინააღმდეგ მოუწიოს ბრძოლა. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ქალმა უღალატოს ქმრის მხარეს და თავის ნათესავებს დაეხმაროს. როგორც ჩანს, სწორედ ამგვარი ღალატის შიში უბიძგებს მამაკაცებს, აუკრძალონ ქალებს იარაღის ფლობა ან სამხედრო გეგმების განხილვაზე დასწრება.

არსებობს აღნიშნულთან დაკავშირებული კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, მაგალითად: ზრდის თუ არა ქალების სამხედრო ძალებში მონაწილეობა მათი პოლიტიკაში მონაწილეობის ხარისხს? რამდენად დიდია ეს გავლენა? ცვლის თუ არა ომის ბუნებას პოლიტიკაში ან სამხედრო ძალებში ქალთა მონაწილეობა? ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხი ჯერ კიდევ გასაცემია.

მამაკაცები პოლიტიკაში, მაგრამ ჯერ კიდევ ასახსნელია, თუ რატომ განსხვავდებიან საზოგადოებები პოლიტიკაში ქალების მონაწილეობის ხარისხით. ამ საკითხთან დაკავშირებით, მარკ როსმა ერთმანეთისგან ქალების როლების მიხედვით 90 განსხვავებულ საზოგადოებაში კულტურათაშორისი კვლევა ჩაატარა. თუ სიერა-ლეონელ მენდეს ტომში ქალები რეგულარულად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, ზაირელი აზანდეს ტომის ქალები არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც როგორც ჩანს, განაპირობებს ქალების აპოლიტიკურობას, გახლავთ საზოგადოების მამაკაცების ირგვლივ ორგანიზება. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ქორწინებისას, ქალი, როგორც წესი ტოვებს მშობლების სახლს და ქმრის სახლში მიდის. იქ იგი „უცხოს“ როლშია, შესაბამისად, პოლიტიკური უპირატესობა მამაკაცის მხარესაა, რადგან ის უკეთ იცნობს საზოგადოების წევრებსა და წარსულს.

ქალის შედარებითი სტატუსი

როდესაც ვსაუბრობთ სტატუსზე, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მას იმდენივე მნიშვნელობა აქვს, რამდენი მკვლევარიც იკვლევს ამ საკითხის. ზოგისათვის შედარებითი სტატუსი გულისხმობს იმ მნიშვნელობას, რასაც საზოგადოება ქალსა და მამაკაცს ანიჭებს. სხვებისათვის სტატუსი ძალაუფლების ან უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით განსხვავებას ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, მრავალი მეცნიერი სვამს კითხვას, თუ რატომ განსხვავდება ქალების სტატუსი სხვადასხვა საზოგადოებაში. რატომ აქვთ ქალებს მცირე უფლებები და გავლენა ერთ საზოგადოებაში და რატომ აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა და უფლებები სხვა საზოგადოებებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რატომ არის განსხვავებები **გენდერული სტრატიფიკაციის** მხრივ.

პატარა ერაყულ ქალაქ დაგარაში ქალები და მამაკაცები განცალკევებულად ცხოვრობენ. ქალის სტატუსი ძირითადად ძალიან დაბალია. ისლამური სამყაროს დიდი ნაწილის მსგავსად, დაგარელი ქალები კარჩაკეტილად ცხოვრობენ და დროის ძირითად ნაწილს თავიანთ სახლებსა და ეზოებში ატარებენ. სახლის გარეთ გასვლა მხოლოდ მამაკაცის ნებართვით შეიძლება და ამ შემთხვევაშიც ქალმა სახე და სხეული გრძელი შავი მოსასხამით უნდა დაიფაროს. ეს მოსასხამები სავალდებულოა სახლშიც, თუ უცხო სტუმარი ჰყავთ. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალები საერთოდ არ მონაწილეობენ. კანონის თანახმად, ისინი თავიანთი მამებისა და ქმრების ძალაუფლების ქვეშ ცხოვრობენ. კონტროლდება მათი სექსუალობაც კი. ქალებს მკაცრად მოეთხოვებათ ქლწულობის დაცვა ქორწინებამდე. იმის გამო, რომ მათ აკრძალული აქვთ უბრალო საუბარიც კი უცნობ მამაკაცთან, ქორწინებისგარე ან ქორწინებამდელი კავშირების შესაძლებლობა მცირეა. სამაგიეროდ, მამაკაცებს სქესობრივი ურთიერთობების მხრივ არანაირი შეზღუდვები არ გააჩნიათ.

სხვა საზოგადოებებში, მაგალითად, მბუტის ტომი, ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი უფლებები და მდგომარეობა აქვთ. საკვების შემგროვებელი საზოგადოებების უმეტესობის მსგავსად, მბუტის ტომს არ გააჩნია

პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მიიღებდა გადაწყვეტილებებს. მნიშვნელოვანი საკითხების გარჩევაში ქალები მამაკაცების მსგავსად მონაწილეობენ და მათი აზრი ხშირად გადამწყვეტია. თვით ცოლ-ქმარს შორის მომხდარი კონფლიქტების დროსაც კი, ფიზიკური აგრესიის შემთხვევაში, ტომის წევრები მყისვე ერევიან ჩხუბში და მოჩხუბართა გაშველებას ცდილობენ, იმის მიუხედავად, თუ ვინ წამოიწყო ჩხუბი: ქალმა თუ კაცმა. ქალები აკონტროლებენ საცხოვრებელ ადგილებს და აქვთ თანაბარი უფლებები ისეთ საკითხებში, როგორიცაა საზოგადოების მიერ მოპოვებული რესურსების განაწილება, შვილების გაზრდა და მათი ქორწინება. ერთ-ერთი ნიშანი, რომელიც მამაკაცების უპირატესობას გამოხატავს, არის ქორწინებისგარე სქესობრივი კავშირისადმი დამოკიდებულება, რაშიც მამაკაცები უფრო თავისუფლები არიან, ვიდრე ქალები.

ქალების შედარებითი სტატუსის ამხსნელი მრავალი თეორია არსებობს. მათგან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მოსაზრება, რომ ქალის სტატუსი დამოკიდებულია საარსებო საქმიანობებში მისი მონაწილეობის ხარისხზე. ამ თეორიის მიხედვით, ქალების სტატუსი დაბალია იმ საზოგადოებებში, რომლებშიც საკვების მოპოვება დამოკიდებულია ნადირობაზე, მწყემსობაზე ან ინტენსიურ მიწათმოქმედებაზე. მეორე თეორიის მიხედვით, მამაკაცები უფრო დაფასებული და ღირებული არიან იქ, სადაც ომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მესამე თეორიის მიხედვით, მამაკაცებს უფრო მაღალი სტატუსი პოლიტიკური იერარქიის მქონე საზოგადოებებში აქვთ. მიზეზები იგივეა, რაც ომის თეორიაში: მამაკაცები ჩვეულებრივ წამყვან როლს თამაშობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამიტომ იქ, სადაც პოლიტიკური ქცევა მნიშვნელოვანი ან ხშირია, მათი სტატუსიც უფრო მაღალი იქნება. და ბოლოს, არსებობს ისეთი თეორიაც, რომ ქალები უფრო მაღალ სტატუსს ფლობენ იმ საზოგადოებებში, სადაც ნათესაური ჯგუფები და წყვილების ქორწინებისშემდგომი საცხოვრებელი ქალების ირგვლივ არის ორგანიზებული.

ამ თეორიების შეფასების მთავარი პრობლემა არის იმის განსაზღვრა, თუ რას ვგულისხმობთ სტატუსში. ღირებულებას, უფლებებს, თუ გავლენას? ან სტატუსის ყველა ეს ასპექტი თანაბრად იცვლება თუ არა? მარტინ უაიტის კვლევის შედეგები მოწმობენ, რომ არა. თავის კვლევაში უაიტმა 52 სხვადახვა ნიშანი ჩართო, ისეთები, რომლებიც ქალისა და კაცის შედარებითი სტატუსების განსასაზღვრად გამოდგებოდა. მაგალითად, რომელი სქესის შთამომავალი იღებს მემკვიდრეობას, ვის აქვს დაუქორწინებელი შვილების განათლების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება და რა სქესის არიან საზოგადოების ღმერთები: მდედრობითი, მამრობითი თუ ორივე. შედეგად, გამოვლინდა, რომ ეს ნიშნები ერთმანეთთან უმნიშვნელოდ არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, უაიტმა დაასკვნა, რომ არ შეიძლება სტატუსზე, როგორც ერთ კონკრეტულ ცნებაზე საუბარი. მისი აზრით, უფრო სწორი იქნება, თუ ვისაუბრებთ ქალების შედარებით სტატუსზე საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში.

მიუხედავად იმისა, რომ უაიტმა ვერ აღმოაჩინა აუცილებელი კავშირი სტატუსის ასპექტებს შორის, მან გადაწყვიტა, შეემოწმებინა, თუ რამდენად ზუსტად გამოყოფენ არსებული თეორიები საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროებს, სადაც ქალებს მაღალი სტატუსი აქვთ. ჯერ განვიხილოთ ის იდეები, რომლებიც არ დადასტურდა კვლევების შედეგად. მოსაზრება, რომ სტატუსი საკვების მოგროვებაში მონაწილეობაზეა დამოკიდებული, არ დადასტურდა. ინტენსიური მიწათმოქმედების საზოგადოებებში ქალები (ვინც ნაკლებად მონაწილეობს პირველად საქმიანობებში) დაბალი სტატუსის მატარებლები არიან ცხოვრების მრავალ ასპექტში (გავიხსენოთ ზევით აღწერილი ერაყის მაგალითიც). სამაგიეროდ, მონადირე საზოგადოებებში (სადაც ქალები ასევე ნაკლებად მონაწილეობენ პირველად საარსებო საქმიანობაში) მათ გაცილებით მაღალი სტატუსი აქვთ. ეს კი თეორიას ეწინააღმდეგება. ასევე, არ მტკიცდება ის მოსაზრებაც, რომ ქალის სტატუსს ხშირი ომები ამცირებს.

რა განაპირობებს ქალის სტატუსის გაუმჯობესებას? მიუხედავად იმისა, რომ უაიტის კვლევის შედეგები ზუსტი პასუხის გაცემის საშუალებას არ იძლევა, საკმაო მტკიცებულებები არსებობს საიმისოდ, რომ ვთქვათ, ქალის სტატუსი უფრო მაღალია იმ საზოგადოებებში, სადაც ნათესაური ჯგუფები და დაქორწინებული წყვილების საცხოვრებელი ადგილები ქალთა ირგვლივ არის ორგანიზებული (ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით შესაბამის თავში ვისაუბრებთ). ამის მაგალითად იროკეზთა საზოგადოება შეიძლება მოვიყვანოთ. იროკეზთა ქალები, მართალია, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ ეწეოდნენ, მაგრამ საგრძნობი გავლენა ჰქონდათ ოჯახსა და მის გარეთ. ნათესავი ქალები ერთ დიდ სახლში ცხოვრობდნენ თავიანთ ქმრებთან ერთად და შეეძლოთ, არასასურველი მამაკაცისათვის სახლის დატოვება მოეთხოვათ. ქალები აკონტროლებდნენ გაკეთებული საკვების განაწილებას, რითაც საგრძნობ გავლენას ახდენდნენ ომის მსვლელობაზე, რადგან მამაკაცებს საკვების მარაგის გარეშე სალაშქროდ წასვლა არ შეეძლოთ. ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ ქურუმების არჩევაში, თვითონ ქალიც ხშირად ხდებოდა ქურუმი. თვით პოლიტიკაშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოზე სიტყვის უფლება არ გააჩნდათ, ქალები დიდ როლს თამაშობდნენ. კერძოდ, საბჭოს წევრების არჩევასა და მათ გადაყენებაში იღებდენ მონაწილეობას.

ქალების დაბალი სტატუსი ზოგადად ისეთ საზოგადოებებში შეინიშნება, სადაც პოლიტიკური იერარქია არსებობს. თუმცა ეს ხშირად ისეთ მომენტებთანაც არის დაკავშირებული, როგორიცაა სოციალური დაყოფა, გუთნისა და ირიგაციული მიწათმოქმედება, დიდი დასახლებები, კერძო საკუთრება და სპეციალიზებული ხელოსნობა. კულტურის კომპლექსურობის შედეგად, ქალების გავლენის ზრდა, შესაძლოა, არაფორმალური იყოს, მაგრამ როგორც უაიტმა აღნიშნა, არაფორმალური გავლენა, შესაძლებელია, რეალურ გავლენაშიც გადაიზარდოს. ჯერ-ჯერობით დაუდგენელია, რატომ არის კულტურის კომპლექსურობა დაკავშირებული ისეთ მომენტებთან, როგორიცაა ქალის მოკრძალებული მდგომარეობა ოჯახში, საკუთრებაზე უფლებათა სიმცირე და შედარებით შეზღუდული სქესობრივი ცხოვრება.

ქალების სტატუსისათვის საზიანო აღმოჩნდა დასავლური კოლონიზაციაც, რადგან ევროპელები მიჩვეული იყვნენ მამაკაცების წამყვან როლს და სწორედ მამაკაცებთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. არსებობს მრავალი მაგალითი იმისა, რომ ევროპელებმა ამ მხრივ ადგილობრივი საზოგადოებები გარდაქმნეს. ხდებოდა მიწათმფლობელობის მამაკაცის ირგვლივ ორგანიზება, მამაკაცებს ასწავლიდნენ თანამედროვე სამიწათმოქმედო მეთოდებს თვით ისეთ საზოგადოებებშიც, სადაც ტრადიციულად ქალები იყვნენ მიწათმოქმედები. ამასთან ერთად, მამაკაცებს უფრო შეეძლოთ ხელფასზე მუშაობა და ევროპელებთან ვაჭრობაში (მაგალითად ბეწვეულით) მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ქალების და მამაკაცების შედარებითი სტატუსები ევროპელების გამოჩენამდე თანაბარი იყო, შემდგომ იგი მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ნელ–ნელა იკვეთება ის პირობები, რომლებსაც შეუძლიათ ქალების სტატუსის ცალკეული ასპექტების ზრდა ან შემცირება. თუ გავარკვევთ, რომელი მათგანია ყველაზე მნიშვნელოვანი, შევძლებთ, დავსახოთ გზები, რომლითაც საზოგადოება გენდერული უთანასწორობის შემცირებას შეძლებს.

ახალი გენდერული პერსპექტივები

ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროს ქალების საარჩევნო წარმატება

მკვიდრი ამერიკელების ცხოვრება ძალიან შეიცვალა მას შემდეგ, რაც მათ პირველი ევროპელი იხილეს. გამონაკლისი არც სანაპიროს სალიშები ყოფილან, ინდიელთა ტომები, ჯგუფი, რომლებიც ვაშინგტონის შტატსა და ბრიტანეთის კოლუმბიაში ცხოვრობენ. აშშ-სა და კანადის მთავრობის მხარდაჭერით, სალიშები თავიანთ ხელმძღვანელობას თავად ირჩევენ ბელადთა საბჭოს სახით. ვის ირჩევენ სალიშები ამ საბჭოებში? მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად ქალებს პოლიტიკაში განსაკუთრებული როლი არ ჰქონიათ, ამჟამად ისინი სალიშების თვითმმართველობის აქტიური წევრები არიან და არცთუ მცირე რაოდენობით არიან საბჭოებში. 1960-1980-იან წლებში ვაშინგტონში არსებული 12 საბჭოს შემადგენლობის 40%-ს ქალები შეადგენდნენ. 1990-იან წლებში კი ბრიტანეთის კოლუმბიის 50 ჯგუფში ქალების წარმომადგენლობამ 28% შეადგინა. ცალკეულ საბჭოებში ქალების რაოდენობის ხვედრითი წილი 6-დან (ტულალიპების ტომი) 62 პროცენტამდე (სტილაგუამიშების ტომი) მერყეობდა. რა არის ასეთი საარჩევნო წარმატების მიზეზი? და რატომ იცვლება ამ წარმატების ხარისხი ტომებს შორის, რომლებიც ერთი კულტურის წარმომადგენლები არიან?

სალიშებში ქალების პოლიტიკური წარმატების საკითხები ბრიუს მილერმა გამოიკვლია. მისი აზრით, ქალების როლის ზრდა გამოიწვია იმან, რომ ახალმა ეკონომიკურმა შესაძლებლობებმა, რომელიც ქალებს გაუჩნდათ, მათ საშუალება მისცა, მეტი მონაწილეობა მიეღოთ ოჯახის უზრუნველყოფაში. მაგრამ რატომ განსხვავდება მათი წარმატება ტომების მიხედვით? მილერმა აღმოაჩინა, რომ ქალების რიცხვი იზრდებოდა მცირერიცხოვანი და ეკონომიკურად შედარებით სუსტი ტომის საბჭოებში. რატომ განაპირობებს შედარებით დაბალი შემოსავალი ქალების საარჩევნო წარმატებას? მილერის აზრით, საქმე იმდენად შემოსავლის ოდენობაში არ არის, რამდენადაც ამ შემოსავალში ქალის თანამონაწილეობის ხარისხში. ეკონომიკურად გაჭირვებულ ჯგუფებში ქალების სამუშაო სასიცოცხლო როლს თამაშობს ოჯახის ცხოვრებაში. ისინი იღებენ ფედერალური მთავრობის დახმარებას ისეთი პროგრამების მეშვეობით, როგორიცაა სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამა. ამავდროულად, მამაკაცეცები ხშირად კარგავენ სამუშაოს. მათი ძირითადი სამუშაო თევზაობა და მეტყეობა იყო.

თევზჭერიდან მიღებული შემოსავალი მამაკაცების ძალაუფლებას უწყობს ხელს. ოჯახებს, რომელებსაც ნავები ჰყავთ და თევზს დიდი ბადეებით იჭერდნენ, წელიწადში რამდენიმე ასეული ათასი დოლარის შემოსავალი აქვთ. ამგვარი წარმატებული მეთევზეობა მამაკაცების საქმიანობაა. სადაც თევზჭერიდან მიღებული შემოსავალი დიდია, იქ საბჭოებში მამაკაცები დომინირებენ. მიუხედავად იმისა, რომ ქალებსაც შეუძლიათ ჰქონდეთ სამუშაო, მათი შემოსავალი მიანც ნაკლებია, ვიდრე წარმატებული მეთევზის შემოსავალი.

რატომ არიან ქალები უფრო წარმატებულები პატარა საზოგადოებებში? მილერი თვლის, რომ ქალებს უფრო მეტი შანსი აქვთ, პირადად იცნობდნენ ასეთი საზოგადოების ყველა წვერს. მაშინაც კი, თუ ისინი მუშაობენ და ნაკლები დრო აქვთ მეზობლებთან ურთიერთობისათვის, ტომის ცერემონიებსა და სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

ხსნის თუ არა შემოსავალი და საზოგადოების ზომა ქალების შედარებით პოლიტიკურ წარმატებას მსოფლიოს სხვა მხარეებში? ჯერჯერობით მყარი პასუხი ამაზე არ გაგვაჩნია, მაგრამ შემდგომმა კვლევებმა, შესაძლოა, ნათელი მოჰფინოს ამ კითხვას.

პიროვნული განსხვავებები

ახალი გვინეის სამი საზოგადოების შესწავლის შემდეგ, მარგარეტ მიდი წერდა: „იმ პიროვნული თავისებურებების უმეტესობა, რომლებსაც ჩვენ მასკულინურის ან ფემინურის სახელით ვიცნობთ, სქესთან იმდენად არის დაკავშირებული, რამდენადაც მოცემული პერიოდისათვის საზოგადოების მიერ სქესთათვის განსაზღვრული და მიკუთვნებული ტანსაცმელი, მანერები და თავსაბურავის ფორმა.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიდის აზრით, არ არსებობს სქესთა უნივერსალური ან თითქმის უნივერსალური თავისებურებები, რომლებიც ქალებსა და მამაკაცებს ერთმანეთისაგან განასხვავებს. საზოგადოებები არ განაპირობებენ ამგვარი თავისებურებების წარმოქმნას. მიდის მიერ განხილული სამი საზოგადოებიდან არაპეშებში ქალებიცა და კაცებიც თანაბრად ზრდილობიანი, მზრუნველი და კეთილმოსურნენი იყვნენ. მეორე, მუნდუგუმორების საზოგადოებაში ორივე სქესი აგრესიით გამოირჩეოდა. და ბოლოს, ტჩამბულის საზოგადოებაში ქალების და მამაკაცებს შორის ტემპერამენტში საგრძნობი განსხვავება იყო, მაგრამ არა იმ მხრივ, რა მხრივაც შეიძლებოდა გვეფიქრა. ამ ტომის ქალები მბრძანებლური, პრაქტიკული და უსულგულო იყვნენ. ისინი ასრულებდნენ მთავარ როლს ეკონომიკაში. ტომის მამაკაცები კი უფრო მგრძნობიარე იყვნენ. ისინი თავიანთი დროის ძირითად ნაწილს გარეგნობაზე ზრუნვასა და ხელოვნებასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე ხარჯავდნენ.

თუმცა, უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა კვლევებმა არ დაადასტურა მიდის მოსაზრება სქესთა განმასხვავებელ უნივერსალურ თავისებურებათა არარსებობის შესახებ. პირიქით, გარკვეული თავისებურებები საერთო აღმოჩნდა ყველა საზოგადოებისათვის. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მიდი ცდებოდა სამი ახალგვინეური საზოგადოების შესახებ გაკეთებულ დასკვნებში. შესაძლოა, ეს სამი საზოგადოება უჩვეულო გამონაკლისი იყო. ნენსი მაკდაუელმა შეისწავლა მუნდუგუმორების მიდისეული აღწერა და გამოიკვლია მათ მეზობლად მცხოვრები მონათესავე საზოგადოებები. მისმა კვლევებმა დაადასტურეს მიდისეული დასკვნები ქალების და მამაკაცების ტემპერამენტის მსგავსების შესახებ. შესაძლებელია ისიც, რომ დაკვირვების ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში, მიდს სხვა თავისებურებებიც აღმოეჩინა. ეს ახალი მეთოდები მოიცავენ ქალებისა და მამაკაცების ქცევის სისტემატურ, წუთობრივ აღრიცხვას მოზრდილ ჯგუფებზე დაკვირვებისას. როდესაც დგას საკითხი აგრესიაში განსხვავებულობის შესახებ, დასკვნები კეთდება

2001 წლის ნოემბერში, თალიბანის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ავღანელი ქალები აღარ არიან ვალდებული, ჩადრი ატარონ.

დაკვირვების პერიოდის განმავლობაში ინდივიდების მიერ სხვებისათვის ზიანის მიყენების მცდელობათა რაოდენობაზე დაყრდნობით. ყველა ეს განსხვავება რთულად შესამჩნევია როგორც ქალებში, ისე კაცებში.

რა პიროვნული გასხვავებები დაფიქსირდა ამ კვლევების შედეგად? მათი უმეტესობა სხვადასხვა კულტურის ბავშვებს იკვლევდა. ყველაზე თვალშისაცემი და მყარი განსხვავება აგრესიის მხრივ აღინიშნა. ბიჭები უფრო მეტად ცდილობენ სხვებისათვის ზიანის მიყენებას, ვიდრე გოგონები. ბავშვების ქცევის მრავალმხრივი შედარებითი შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული განსხვავება თავს 3-6 წლის ასაკში იჩენს. შეისწავლეს ექვსი სხვადასხვა კულტურა. შედარებით ახალმა კულტურათაშორისმა შედარებებმა, რომლებიც 4 სხვადასხვა კულტურის ფარგლებში განხორციელდა, დაადასტურა აგრესიაში განსხვავება. აშშ-ში ჩატარებული კვლევაც ადასტურებს ამ მოსაზრებას. მრავალი დაკვირვებისა და ექსპერიმენტის შედეგად, აშკარაა, რომ ბიჭები მეტ აგრესიას გამოხატავენ, ვიდრე გოგონები.

შესამჩნევი სიხშირით დაფიქსირდა სხვა განსხვავებებიც, მაგრამ მათ შედარებით ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, რადგანაც ისინი არც დოკუმენტურად არის დადასტურებული და არც გამონაკლისების რაოდენობაა დიდი. საერთო ტენდენციის მიხედვით, გოგონებს უფრო მეტად პასუხისმგებლობის შემცველ ქცევები, მათ შორის მზრუნველობა ახასიათებთ (ცდილობენ, რომ სხვებს დაეხმარონ). ამასთან ისინი უფრო ემორჩილებიან მოზრდილთა ნება-სურვილს, და ბრძანებას. ბიჭები კი საკუთარი თავის დასამკვიდრებლად უფრო მეტად სხვებზე ბატონობისაკენ მისწრაფებას ამჟღავნებენ. თამაშს ბიჭებიც და გოგონებიც საკუთარ სქესთან ამჯობინებენ. ბიჭები უფრო მოზრდილ ჯგუფებად თამაშობენ, გოგონები კი შედარებით მცირე ჯგუფებად. როგორც წესი, ბიჭები ერთმანეთს შორის მეტ დისტანციას იცავენ, ვიდრე გოგონები.

დავუშვათ, რომ ეს განსხვავებები მართლაც საერთოა კულტურებს შორის. ასეთ შემთხვევაში, როგორ შეიძლება მათი ახსნა? მრავლი მკვლევარის აზრით, ეს განსხვავებები, შესაძლოა, ბიოლოგიური ხასიათისაა. თუნდაც აგრესიის მხრივ, რომელიც ადრეული ასაკიდან მჟღავნდება. მაგრამ არსებობს ალტერნატიული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ამ განსხვავების მიზეზი ის როლებია, რომლებსაც საზოგადოება ქალებსა და მამაკაცებს აკისრებს. თუ საზოგადოებათა უმეტესობა ბიჭებს მეომრებად განიხილავს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მათში აგრესიის წაქეზებაც ხდება. ხოლო, თუ გოგონები მომავალ დედებად აღიქმებიან, მათში მზრუნველობის გამომხატველი გრძნობების განვითარება ბუნებრივია.

მკვლევარები, როგორც წესი, ან ბიოლოგიურ ვარიანტს ეთანხმებიან, ან სოციალურს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ განსხვავებების ახსნისათვის ორივე სასარგებლო იყოს. მაგალითად, შეიძლება მოხდეს მცირე გენეტიკური განსხვავების დიდ გენდერულ განსხვავებად გარდაქმნა აღზრდის გზით.

გენეტიკისა და სხვა ბიოლოგიური პირობების გავლენისა და სოციალური გავლენის გარჩევა საკმაოდ რთულია. არსებობს მკვლევრების მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ მშობლები დაბადების მომენტიდანვე განსხვავებულად აღიქვამენ ქალ და ვაჟ ახალშობილებს. მეცნიერებისაგან განსხვავებით, რომლებსაც უჭირთ სქესთაშორის არსებული ძირითადი პიროვნული განსხვავებების დანახვა, მშობლები აცხადებენ, რომ ისინი ხედავენ ამ განსხვავებას. თუმცა შესაძლებელია ისიც, რომ მშობლებს უბრალოდ სურთ ამ განასხვავებების დანახვა და ისინი თავად ცდილობენ მათ გაღვივებას ბავშვებში. ამრიგად, ადრეულ ასაკში გაჩენილი განსხვავებებიც კი შეიძლება ნასწავლი აღმოჩნდეს და არა გენეტიკური. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მკვლევარებს არ შეუძლიათ ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარება. მათ არ შეუძლიათ მშობლებით მანიპულირება და ბავშვის აღზრდის კვლევისათვის საჭირო მიმართულებით წარმართვა.

სამაგიეროდ, არსებობს კვლევები, რომლებიც ცხოველებზე განხორციელდა. ამ ექსპერიმენტებში ცხოველებში შეიყვანეს ჰორმონი ანდროგენი, რომელიც აგრესიას იწვევს. მდედრი ცხოველები, რომლებსაც ანდროგენის ინექცია იმ დროს გაუკეთდათ, როდესაც სქესობრივი ორგანოები ყალიბდება (დაბადებამდე ან მის შემდეგ მოკლე პერიოდში), უფრო აგრესიულები გაიზარდნენ, ვიდრე ის მდედრები, რომლებსაც ინექცია არ გაუკეთდათ. ეს შედეგები, შესაძლოა, მიესადაგოს ადამიანს ან არა, მაგრამ ზოგმა მეცნიერმა გამოიკვლია ის ქალებიც, რომლებმაც ანდროგენი დედის მუცელში ყოფნის დროს მიიღეს. საქმე ისაა, რომ ამ ადამიანთა დედები მუცლის მოშლის თავიდან ასაცილებლად, სვამდნენ პრეპარატებს, რომლებიც ანდროგენსაც შეიცავენ. ამ კვლევამაც მსგავსი შედეგი აჩვენა: ანდროგენიზებული ქალები მეტი აგრესიულობით ხასიათდებოდნენ. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ეს შედეგები ქალსა და მამაკაცს შორის არსებული განსხვავების ბიოლოგიური ახსნის დამადასტურებელია. მაგრამ სხვები თვლიან, რომ ამგვარი დაკვნა ნაჩქარევია, რადგან ანდროგენიზებულ ქალებს მეტაბოლური სისტემის დარღვევები ახასიათებთ, რაც ისედაც

ზრდის აგრესიას. ამავე დროს, ანდროგენიზებული ქალები შეიძლება გარეგნულად უფრო მამაკაცურები იყვნენ და მამაკაცების მსგავსად იქნან აღქმულები.

არის თუ არა დამტკიცებული ის, რომ სოციალური ფაქტორი განაპირობებს აგრესიაში განსხვავებას? 101 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მართალია, ბიჭებში უფრო ხშირად ხდება აგრესიის გაღვივება, მაგრამ საზოგადოებათა უმეტესობაში გოგონებისა და ბიჭების აღზრდაში აგრესიის გაღვივების განსხვავებული ხარისხი არ შეიმჩნევა. კულტურების ის მცირე რიცხვი, სადაც მართლაც მიზანმიმართული განსხვავებები არსებობს აღზრდისას აგრესიის გაღვივებაში, საერთო სურათს ნამდვილად არ ქმნის. თუმცა ეს კვლევა არ ნიშნავს იმას, რომ ბიჭებისა და გოგონების აღზრდაში მყარი განსხვავებები არ არსებობს. ერთადერთი, რასაც ეს კვლევა გვიჩვენებს, არის ის, რომ განსხვავებები ნათლად არის გამოხატული. ჩვენ უბრალოდ ვიცით, რომ აგრესიისა და სხვა „მასკულინური“ თვისებების აღზრდა ბიჭებში შეიძლება შედარებით ნაკლებად აშკარა სოციალურმა ფაქტორებმა გამოიწვიოს.

ამგვარი ფარული ფაქტორების ერთ-ერთი შესაძლო ტიპი შეიძლება იყოს ის სამუშაოები, რომლებიც ბავშვებს ევალებათ. შესაძლებელია, ბავშვების ქცევა იმის გამო განსხვავდება, რომ მშობლები მათ სხვადახვა სამუშაოს შესრულებას სთხოვენ. ბეატრის და ჯონ უაითინგებმა, რომლებიც ექვსი კულტურის პროექტში მონაწილეობდნენ, აღმოაჩინეს, რომ იმ საზოგადოებებში, სადაც ბავშვები ბევრს მუშაობენ, როგორც წესი, ისინი მეტი პასუხისმგებლობითა და მზრუნველობით გამოირჩევიან. შესაძლოა, სწორედ იმის გამო, რომ გოგონებს თითქმის ყოველთვის მეტი სამუშაო აქვთ, ვიდრე ბიჭებს, ისინი უფრო მზრუნველები იზრდებიან ხოლმე. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ბიჭები, რომლებსაც გოგონების მსგავს სამუშაოებს ავალებენ, ხასიათით გოგონებს უნდა დაემსგავსონ.

ამ მოსაზრებას ადასტურებს კენიელი ლუოს ტომის ბავშვების გამოკვლევა, ამ ტომში გოგონებს ხშირად ავალებდნენ მცირეწლოვანი ბავშვების მოვლას, სახლის დალაგებას, წყლისა და შეშის მოტანასა და ა.შ. ბიჭები კი საქონელს მწყემსავდნენ ხოლმე. შესასწავლ საზოგადოებებში ოჯახების უმეტესობას ცოტა პირუტყვი ჰყავდა. მოხდა ისე, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე ამ საზოგადოებებში ახალშობილთა შორის მნიშვნელოვნად ჭარბობდნენ ბიჭები. შედეგად, მშობლები მათგან ხშირად ითხოვდნენ იმ სამუშაოს შესრულებას, რომელსაც როგორც წესი, გოგონები ასრულებდნენ. ქცევების სისტემატურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ ეს ბიჭები ქცევის მიხედვით გოგონებსა და ჩვეულებრივ ბიჭებს შორის იყვნენ. ისინი ნაკლებად აგრესიული, ნაკლებად მბრძანებლური, მეტი პასუხისმგებლობის მქონე იყვნენ სხვა ბიჭებთან შედარებით მაშინაც კი, როცა სამუშაო არ ჰქონდათ. ამრიგად, შესაძლებელია, რომ დავალებების განაწილება მნიშვნელოვან როლს ასრულებს გოგონებისა და ბიჭების ქცევებში არსებული განსხვავებების ჩამოყალიბებაში. საჭიროა კიდევ უფრო ღრმად და დეტალურად გამოვიკვლიოთ ეს საკითხი.

„ეს მამაკაცური ამბავია“

განსხვავებული ქცევების შესახებ არსებული არასწორი წარმოდგენები

ქცევაში არსებულ განსხვავებებზე საუბრის ბოლოს უნდა აღვნიშნოთ ის რამდენიმე მცდარი მოსაზრება, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული. ერთ-ერთია რწმენა იმის შესახებ, რომ გოგონები ბიჭებზე მეტად არიან სხვებზე დამოკიდებულები და გამოირჩევიან პასიურობით. ამასთან, არიან მეტად მეგობრულები. ექვსი კულტურის პროექტმა ეს მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენა. ჯერ ერთი, თუკი დამოკიდებულებაში სხვებისაგან დახმარებისა და მხარდაჭერის მოლოდინს ვიგულისხმებთ, ამ მხრივ გოგონები ნაკლებად განსხვავდებიან ვაჟებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ ბიჭებსა და გოგონებს განსხვავებული სახის დამოკიდებულება ახასიათებთ. გოგონები უფრო დახმარებასა და ურთიერთობას ეძებენ, ბიჭები კი ყურადღებასა და თანხმობას. რაც შეეხება მეგობრულობას, აქ ექვსი კულტურის პროექტის შედეგებით შესამჩნევი განსხვავებები არ დაფიქსირდა. ფაქტია, რომ არის გარკვეული სხვაობა იმის გამო, რომ ბიჭები უფრო დიდ ჯგუფებად თამაშობენ ხოლმე, ვიდრე გოგონები. კვლევებმა არც ის მოსაზრება დაადასტურა რომ გოგონები ბიჭებთან შედარებით პასიურები არიან. ექვსი კულტურის პროექტში შესწავლილი გოგონები სულაც არ გაურბოდნენ მათ მიმართ შესაძლო აგრესიას და ბრმად არ ემორჩილებოდნენ სხვების მოთხოვნებს. ერთადერთი განსხვავება, რაც სქესთა შორის დაფიქსირდა, იყო ის, რომ გოგონები აგრესიას აგრესიით ბიჭებზე ნაკლებად პასუხობდნენ. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ გოგონები ზოგადად არიან ნაკლებად აგრესიულები, ეს პასიურობის ნიშნად ვერ ჩაითვლება.

ამრიგად, ქალსა და მამაკაცს შორის არსებული განსხვავებების შესახებ არსებული ზოგი წარმოდგენა უსაფუძვლო აღმოჩნდა. ზოგი მათგანი, კერძოდ კი აგრესიასა და პასუხისმგებლობის გრძნობასთან დაკავშირებული მოსაზრებები, ჯერ-ჯერობით არ დასტურდება და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსხვავებული აგრესიულობა არ ნიშნავს იმას, რომ მამაკაცები ზოგადად არიან ქალებზე უფრო აგრესიულები. იმის გამო, რომ მამაკაცების აგრესიულობა უფრო შესამჩნევია, შესწავლის ობიექტი ძირითადად სწორედ იგი იყო ხოლმე და ქალების აგრესიის შესწავლას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ვიქტორია ბერბენქმა სწორედ ქალების აგრესია შეისწავლა ავსტრალიის აბორიგენთა დასახლებაში, რომელსაც მან მონგროუვი უწოდა. იქ ყოფნის 18 თვის მანძილზე ბერბენქი თითქმის ყოველდღე ხდებოდა აგრესიის მოწმე.

ანთროპოლოგიური უჩვეულობები

ანდელი მესტიზოსები

გენდერული უთანასწორობის გამოვლინებაყველაფერშიშეიძლება ძუძუთი კვების ხანგრძლივობაშიც კი. ანდების მთებში მცხოვრები მესტიზოსის ხალხში, გოგონების ძუძუთი კვების იდეალურ დროდ 8 თვე ითვლება, ბიჭებისა — 24 თვე. მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეალურ დროს ყოველთვის არ იცავენ, ზოგადად გოგონებს ძუძუს 10 თვით უფრო ადრე აშორებდნენ, ვიდრე ბიჭებს. ადგილობრივების აზრით, იმ შემთხვევაში, თუ გოგონას დიდხანს აწოვებენ ძუძუს, იგი ზედმეტად სექსუალური და ვნებიანი გაიზრდება, რაც არასასურველად ითვლება. ამგვარ განსხვავებას შედეგიც აქვს ერთიდან სამ წლამდე გოგონებში მაღალი სიკვდილიანობის სახით.

„გოგონას ძუძუთი კვების შეწყვეტის დროს, ცოლ-ქმარი ორ კულტურულ სცენარს ითვალისწინებს, რომლებიც ამ ბავშვის მომავალს შეეხება. ძუძუთი ზედმეტად კვების შემთხვევაში, იგი უფრო სექსუალური და ვნებიანი გაიზრდება, რაც მას მშობლების წინააღმდეგ აჯანყებისაკენ უბიძგებს და ის ქორწინებამდე იპოვნის სქესობრივ პარტნიორს. ეს კი მესტიზოსებისათვის მიუღებელია, რადგან, მათი აზრით, გოგონა გათხოვებამდე ქალწულად უდნა დარჩეს. ამგვარი რწმენა მესტიზოსებში ესპანელებმა შეიტანეს, რომლებსაც თავიანთი წარმოდგენები ჰქონდათ ქალების პატიოსნებაზე.

მეორე სცენარის მიხედვით კი, გოგონა უფრო სექსუალური გაიზრდება და მას მეტი ორსულობის გადატანა მოუწევს. ორივე ეს ფაქტი მესტიზოსებში უარყოფითად მოიაზრება, ამიტომ ოჯახი ცდილობს, თავიანთ შვილს აარიდოს ის უარყოფითი მოვლენები, რაც მას ზრდასრულობისას შეიძლება შეემთხვეს.

რატომ არის დაკავშირებული ძუძუთი კვება ბავშვების სიკვდილიანობასთან? მთებში ამის ძირითადი მიზეზი რესპირატორული და კუჭ-ნაწლავის დაავადებებია. ამასთან, სოფლებში პარაზიტული ინფიცირების დიდი ალბათობაა, რაც სუფთა წყლის დეფიციტითა და ანტისანიტარიით არის გამოწვეული. დედის რძე კი ლაქტაციის ყველა ეტაპზე შეიცავს იმუნოგლობულინებსა და სხვა ანტიმიკრობულ ნივთიერებებს, რომლებიც ეფექტურია სწორედ რესპირატორული და კუჭ-ნაწლავის დაავადებების ასაცილებლად. იმუნიტეტის გაძლიერება მნიშვნელოვანია ჩვილისთვის, სხვა საკვებზე ადრეულ გადასვლას, შეუძლია, გაზარდოს იმის ალბათობა, რომ ჩვილი ვერ გაუძლებს დაავადებას.

კულტურათაშორის კვლევების შედეგების მსგავსად, აქაც მამაკაცები უფრო ხშირად იყვნენ აგრესიის წამომწყებები, მაგრამ ქალების მიერ ინიცირებული აგრესიის შემთხვევებმა საერთო რაოდენობის 43% შეადგინა. მონგროუველი ქალები თითქმის ისევე გამოხატავდნენ თავიანთ უარყოფით განწყობას, როგორც მამაკაცები და მათ მსგავსად ებმებოდნენ ხელჩართულ ჩხუბში, მაგრამ ქალების მხრიდან მკვლელობის რიცხვი ნაკლები იყო. სასიკვდილო იარაღებს, როგორც წესი, მამაკაცები იყენებდნენ. ქალები, ჩხუბის დროს, შუბებისა და დანების ნაცვლად, ჯოხებს იღებდნენ. ბერბენქი მიუთითებდა, რომ დასავლური კულტურებისაგან განსხვავებით, ავსტრალიელ აბორიგენებში ქალების აგრესია არ განიხილებოდა როგორც რაღაც არაბუნებრივი და მიუღებელი. იგი უბრალოდ ბრაზის ღია გამოხატვად აღიქმებოდა.

სექსუალობა

ადამიანი სქესობრივი გზით მრავლდება. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ სექსუალობა ჩვენი ბუნების ნაწილია. მაგრამ ჩვენთვის ცნობილი საზოგადოებები აღნიშნულ საკითხში ბუნებას ნაკლებად ენდობიან და ცდილობენ, თავად მოაწესრიგონ იგი. საზოგადოებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება ისეთ ასპექტებში, როგორიცაა სქესობრივი აქტივობა ქორწინებამდე და თვით დაოქწინებულ ადამიანებს შორის. ცალკე თემაა ჰომოსექსუალიზმი.

სექსუალობის კულტურული რეგულატორები: პერმისია და რესტრიქცია

ყველა საზოგადოება ცდილობს, გარკვეული ხარისხით გააკონტროლოს ადამიანების სქესობრივი აქტივობა. ამ მხრივ, კულტურებს შორის მრავალი განსხვავება აღინიშნება. ზოგი საზოგადოება თავის წევრებს ნებას რთავს, რომ ჰქონდეთ ქორწინებამდელი სექსი. სხვები ამას კრძალავენ. თუმცა საზოგადოებები იცვლებიან და სექსუალური თავისუფლების ხარისხიც ბევრ მათგანში იზრდება.

ქორწინებამდელი სექსი ქორწინებამდელი სექსის ნებადართულობისა თუ აკრძალულობის ხარისხი სხვადასხვა საზოგადოებისათვის სხვადასხვაა. ტრობრიანდის კუნძულებზე მოზარდების სქესობრივი აქტივობა წახალისებულია უფროსების მიერ, რადგან ეს მიიჩნევა სასარგებლოდ და მნიშვნელოვნად მომავალში წარმატებული ქორწინებისათვის. მოზარდებს სქესობრივი ცხოვრების შესახებ სრულ ინფორმაციას ფიზიკური მოწიფებისთანავე აწვდიან და ხელსაყრელ პირობებს უქმნიან ინტიმური ცხოვრების დასაწყებად. ზოგი საზოგადოება არა მხოლოდ მისაღებად მიიჩნევს ქორწინებამდელ სქესობრივ ურთიერთობებს, არამედ უშვებს მოზარდებს შორის საცდელ ქორწინებებს. ცენტრალურ აფრიკაში მცხოვრებ ილას ენაზე მოლაპარაკე ტომებში მოსავლის აღების პერიოდში, გოგონებს ეთმობათ სახლები, სადაც მათ შეუძლიათ მათ მიერვე ამორჩეულ ვაჟებთან ერთად ისე იცხოვრონ, როგორც ცოლ-ქმარმა. მიჩნეულია, რომ ამ ტომებში ქალწულობა დაახლოებით 10 წლის შემდეგ აღარ გვხვდება.

თუმცა არსებობენ საზოგადოებები, სადაც ქორწინებამდელი სქესობრივი აქტივობა მიუღებელია. მაგალითად, მექსიკელი ტეპოცტლანების საზოგადოებაში პირველი მენსტრუაციის შემდეგ, გოგონების ცხოვრება კარჩაკეტილი და შეზღუდული ხდებოდა. მათ არ შეეძლოთ ვაჟებთან საუბარი. ამგვარი ქცევა უწესობად და სიგიჟის ნიშნად ითვლებოდა. დედებს თავიანთი ქალიშვილების უმანკოებაზე ზრუნვა ეკისრებოდათ. ერთ-ერთი დედის სიტყვებით, მას სურდა მისი 15 წლის ქალიშვილი მალე გათხოვილიყო, რადგან მისთვის გამუდმებით ყურადღების მიქცევა რთული საქმე გახლდათ. მრავალ მუსულმანურ საზოგადოებაში ქალიშვილის უმანკოება მისი ქორწინების შემდეგ მოწმდებოდა და ქორწილის მეორე დილით პატარძლის უმანკოების დასტურად სახლის წინ სისხლით დასვრილი ზეწარი გამოიფინებოდა.

დროსთან ერთად, იცვლება ქცევები და ჩვევები. მაგ-

ალითად, აშშ-ში, ადრე, ქორწინებამდელი სექსი მიუღებლად ითვლებოდა, 1990-იან წლებში კი ამერიკელების უმეტესობისათვის ეს სავსებით მისაღები და სასურველიც კი იყო.

ქორწინებისგარე სექსი საზოგადოებების უმეტესობისათვის ქორწინებისგარე სექსი უჩვეულო რამ ნამდვილად არ გახლავთ. მამაკაცებს ასეთი სქესობრივი ურთიერთობები აქვთ საზოგადოებების 69%-ში, ქალებს კი - 57%-ში. ეს ძალიან დიდი მაჩვენებელია, რადგან საზოგადოებების მხოლოდ 54%-ში ითვლება მისაღებად მამაკაცის ქორწინებისგარე სქესობრივი კავშირები და მხოლოდ 11% მიიჩნევს ამას ქალებისათვის დასაშვებად.

არსებობენ საზოგადოებები, სადაც რესტრიქტულ შეხედულებებსა და რეალურ ცხოვრებას შორის საგრძნობი განსხვავებაა. ნავახოს ტომში 1940-იანი წლებისათვის ადულტერი აკრძალული იყო, მაგრამ 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ცოლიან მამაკაცებს თავიანთი ჰეტეროსექსუალური კავშირების 27% ქორწინების გარეთ ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ 1970-იან წლებში ამერიკელები თითქმის ერთხმად გმობდნენ ქორწინებისგარე სექსს, დაოჯახებული მამაკაცების დაახლოებით 41%-ს და ქალების დაახლოებით 18%-ს ქორწინებისგარე სქესობრივი კავშირები მაინც ჰქონდათ. 1990-იან წლებში კიდევ უფრო მეტი ადამიანი აცხადებდა, რომ მეუღლის ერთგული იყო. კულტურათა უმეტესობაში არსებობს ორმაგი სტანდარტები, რომლებიც ქალებს უფრო მეტად ზღუდავს, ვიდრე მამაკაცებს. ზოგან ქორწინებისგარე სექსი მიღებულია. მაგალითად, ციმბირელ ჩუქჩებში, რომლებსაც ხშირად უწევთ დიდ მანძილზე მოგზაურობა, მიღებულია ცოლიანი მამაკაცისა და მისი მასპინძლის მეუღლეს შორის სქესობრივი კავშირი, რადგან ეს თანადგომის ნიშანია და როდესაც მასპინძელს მოუწევს სტუმრობა, მის მიმართაც იმავე პატივისცემას გამოამჟღავნებენ.

სექსი დაქორწინებულებს შორის მსოფლიოში კოიტუსის განხორციელების იმდენივე გზა არსებობს, რამდენიც ზოგადად სექსუალური ქცევა. თითქმის უნივერსალური პირობაა განმარტოება. მაგრამ თუკი ჩრდილო-ამერიკელები განმარტოებას საძინებელ ოთახში ახერხებენ, სხვები შეიძლება ამისთვის ბუჩქებს იყენებენ. ბოლივიაში მცხოვრები სირიონოს ტომის ინდიელებს თავიანთ ქოხებში 50-მდე ჰამაკი შეიძლება ჰქონდეთ, რომლებიც ერთმანეთისაგან სამიოდე მეტრით იყოს დაშორებული. ზოგ კულტურაში კოიტუსი ხშირად სხვა ადამიანთა თანდასწრებით ხდება, რომლებსაც შეიძლება უბრალოდ ეძინოთ ან თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებულები და სხვა მხარეს იყურებოდნენ.

განსხვავებულია კოიტუსის დრო და სიხშირე. ძირითადად უპირატესობა ღამეს ენიჭება, მაგრამ ზოგი საზოგადოება მაგალითად, ბრაზილიელი რუკუუვენები და კაროლინას კუნძულებზე მცხოვრები იაპესები, დღეს ამჯობინებენ. ინდოელი ჩენჩუები თვლიან, რომ ღამით ჩასახული ბავშვი, შესაძლოა, ბრმა დაიბადოს. საზოგადოებების უმეტესობაში ადამიანები სქესობრივი კავშირისაგან თავს მენსტრუაციის, ორსულობის პერიოდის გარკვეული ნაწილისა და მშობიარობის შემდგომ გარკვეული დროის მანძილზე იკავებენ. ახალი გვინეის მახლობლად მდებარე კუნძულ ახალ ირლანდიაზე მცხოვრები ლეპსუს ტომში მიუღებლად ითვლება სქესობრივი კავშირი ტომის წევრის სიკვდილიდან მის დაკრძალვამდე. ზოგ საზოგადოებაში სქესობრივი კავშირი აკრძალულია გარკვეული სახის საქმიანობის განხორციელების წინ. ამგვარი შეიძლება იყოს ნადირობა, თევზაობა, თესვა, ლუდის გამოხდა და რკინის გადადნობა. ჩვენი საზოგადოება ერთ-ერთი ყველაზე შემწყნარებელია ამ მხრივ. ცოლ-ქმარს შორის სქესობრივ კავშირზე უმნიშვნელო შეზღუდვები შეიძლება იყოს მხოლოდ გლოვის, მენსტრუაციისა და ორსულობის დროს.

ჰომოსექსუალიზმი სხვა სექსუალური აქტივობების მსგავსად, ჰომოსექსუალური ურთიერთობების ნებადართულობისა თუ შეზღუდულობის ხარისხიც არ არის ერთნაირი. ჰიმალაელი ლეპჩას ხალხის რწმენის თანახმად, მამაკაცი ჰომოსექსუალი ხდებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაუკოდავი ღორის ხორცს შეჭამდა. მაგრამ ლეპჩების განცხადებით, მათთვის ჰომოსექსუალიზმის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. იმის გამო, რომ მრავალი საზოგადოება უარყოფს ჰომოსექსუალიზმის არსებობას, რესტრიქტულ საზოგადოებებში არსებული ჰომოსექსუალიზმის შესახებ საუბარი ცოტა რთულია. შედარებით თავისუფალ საზოგადოებებში ჰომოსექსუალიზმი სხვადახვა ხარისხით არის დაშვებული. ზოგან კი, იგი ნებადართული მხოლოდ გარკვეულ პირთათვის და გარკვეულ დროს არის. მაგალითად, აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთში მცხოვრები პაპაგოს საზოგადოება აწყობდა ე.წ. „სატურნალიის ღამეებს“, სადაც დაშვებული იყო ჰომოსექსუალური მიდრეკილებების გამოხატვა. პაპაგოებს შორის მრავალი ტრანსვესტიტი (ადამიანი, რომელიც საწინააღმდეგო სქესის ტანისამოსს იცვამს) მამაკაცი იყო, რომლებიც ქალების საქმეს ასრულებდნენ და თუ დაოჯახებულები არ იყვნენ, მამაკაცების სტუმრად მიღებაც შეეძლოთ. ქალებს იგივე თავისუფლება არ ჰქონდათ. მათ

ზოგი კულტურა სექსუალობის მხრივ უფრო თავისუფალია, ვიდრე სხვები. აისახება თუ არა ეს საზოგადოებრივ ადგილებში მდგარ ქანდაკებებზე? სურათზე ხედავთ ნორვეგიაში, ოსლოში მდებარე პარკს, რომელიც გუსტავ ვიგელანდის სკულპტურებისადმი არის მიძღვნილი

სატურნალიაში მონაწილეობა მხოლოდ ქმრის ნებართვით შეეძლოთ და ტრანსვესტიტებიც არ ჰყავდათ.

ჰომოსექსუალიზმი კიდევ უფრო ფართოდ არის გავრცელებული სხვა საზოგადოებებში. ჩრდილოაფრიკელი სივანების ტომის ყველა მამაკაცს ჰქონდა ჰომოსექსუალური ურთიერთობა. მამები თავიანთ დაუქორწინებელ ვაჟებს მოზრდილ მამაკაცებს აბარებდნენ, რათა მათ ჰომოსექსუალური გამოცდილება მიეღოთ. წესის მიხედვით, ერთი მამაკაცისათვის მხოლოდ ერთი ბიჭის მიბარება შეიძლებოდა. სახელმწიფო სანქციების შიშით ეს პრაქტიკა 1909 წლიდან საიდუმლო გახდა, მაგრამ მანამდე ტომის ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. თითქმის ყველა მამაკაცი ყვებოდა, რომ ყმაწვილობის ასაკში ჰომოსექსუალური კავშირი ჰქონდა. 16-20 წლის ასაკში კი მათ ცოლები მოჰყავდათ და ოჯახურ ცხოვრებას იწყებდნენ. უკიდურესად ჰომოსექსუალურ საზოგადოებებს შორის აღსანიშნავია ახალგვინეელი ეტოროს ტომი, რომლის წევრებიც ჰომოსექსუალიზმს ჰეტერეოსექსუალიზმზე მაღლა აყენებდნენ. წელიწადის 260 დღის მანძილზე ჰეტეროსექსუალური კავშირი სახლისა და ბაღების სიახლოვეს აკრძალული იყო. ჰომოსექსუალიზმი კი პირიქით, არ იკრძალებოდა და ითვლებოდა, რომ მოსავლის სიუხვესა და ვაჟების ძლიერებას უწყობდა ხელს.

რესტრიქტულობის მიზეზები

სანამ გადავიდოდეთ შეკითხვაზე, თუ რატომ განსხვავდებიან საზოგადოებები რესტრიქტულობის მიხედვით, საჭიროა გავარკვიოთ, თუ რამდენად დაკავშირებულია ერთმანეთთან რესტრიქტულობის ფორმების ცვლილებები. კვლევებმა ცხადყო, რომ თუ საზოგადოება რესტრიქტულია ჰეტეროსექსუალობის რომელიმე ასპექტის მიმართ, მაშინ იგი რესტრიქტული იქნება სხვა ასპექტების მიმართაც. ამრიგად, საზოგადოება, სადაც მიუღებელია მოზარდების სქესობრივი აქტივობა, მკაცრი იქნება ქორწინებამდელი და ქორწინებისგარე სექსის მიმართაც. ამასთანავე, ამგვარ საზოგადოებებში მკვეთრად არის გამოხატული ტანისამოსის მოკრძალებულობის ტენდენცია და სექსზე საუბარი ცუდ ტონად ითვლება. მაგრამ საზოგადოება, რომელიც ზოგადად რესტრიქტულია ჰეტროსექსუალიზმის მიმართ, არ არის აუცილებელი, რომ რესტრიქტული იყოს ჰომოსექსუალიზმის მიმართაც. ქორწინებამდელი სექსისადმი უარყოფითად განწყობილი საზოგადოებები უფრო ხშირად შემწყნარებლურად უყურებენ ჰომოსექსუალურ კავშირებს. ქორწინებისგარე სექსის შემთხვევაში, საქმე ცოტა სხვანაირად არის. საზოგადოებები, სადაც მამაკაცების ჰომოსექსუალიზმი გავრცელებულია, უარყოფითად არიან განწყობილი ქორწინებისგარე ჰეტეროსექსუალურ კავშირებზე. ამრიგად, თუ რესტრიქტულობის ახსნა გვსურს, მაშინ ჰეტეროსექსუალიზმი და ჰომოსექსუალიზმი ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

ჯერ ჰომოსექსუალიზმისადმი რესტრიქტულობა გავაანალიზოთ. რატომ არის ზოგ საზოგადოებაში ამგვარი კავშირები უფრო ხშირი და რატომ არიან სხვები შეუწყნარებლები ამგვარი ურთიერთობების მიმართ? არსებობს მრავალი ფსიქოლოგიური ახსნა იმისა, რატომ უჩნდებათ ადამიანებს ამგვარი კავშირის სურვილი. ჯერ-ჯერობით ზუსტი პასუხი ამ კითხვაზე მეცნიერებას არ გააჩნია, მაგრამ მამაკაცების ჰომოსექსუალობის შესახებ გამოთქმული ვარაუდები საკმაოდ დამაინტრიგებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

ერთ-ერთი ამგვარი აღმოჩენა ისაა, რომ საზოგადოებები, სადაც მიუღებელია ორსულობის შეწყვეტა და გათხოვილი ქალის მიერ ჩვილის მკვლელობა (უკანონო ორსულობის შემთხვევაში საზოგადოებების უმეტესობა ამას დასაშვებად მიიჩნევს), როგორც წესი, ჰომოსექსუალიზმის მიმართ ტოლერანტობით არ გამოირჩევა. ეს და სხვა დასკვნები ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ საზოგადოება, სადაც მოსახლეობის ზრდა სასურველად მიიჩნევა, ჰომოსექსუალიზმს უარყოფითად აფასებს. ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ ფაქტორს, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მოსახლეობის ზრდას. ჰომოსექსუალიზმი კი სწორედ ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ჰომოსექსუალური კავშირების სიხშირე ჰეტეროსექსუალურ კავშირებს უშლის ხელს. მეორე ნიშანი იმისა, რომ რესტრიქტულობა შეიძლება მოსახლეობის ზრდაზე იყოს დამოკიდებული, არის ის, რომ საზოგადოებებში, სადაც ხშირია შიმშილი და საკვების უკმარისობა, ჰომოსექსუალიზმი ნაკლებად მიუღებელია, რადგან აქ მოსახლეობის რაოდენობის შემამცირებელი ქმედებები შესაძლოა მისაღები და სასურველიც კი იყოს.

შეიძლება საბჭოთა კავშირის მაგალითიც მოვიყვანო: 1917 წელს, როდესაც ქვეყანაში რევოლუცია მოხდა, გაუქმდა აბორტისა და ჰომოსექსუალიზმის საწინააღმდეგო კანონები და გამრავლება შედარებით ნაკლებად სასურველი გახდა. მაგრამ 1934-1936 წლებში პოლიტიკა შეიცვალა. აბორტი და ჰომოსექსუალიზმი დანაშაულად გამოცხადდა და ჰომოსექსუალისტები დააპატიმრეს. მრავალშვილიან დედებს ჯილდოები დაუწესდათ. რა თქმა უნდა, მოსახლეობის რაოდენობით არ აიხსნება, თუ რატომ იწყებენ ადამიანები ამგვარ ურთიერთობებს. იგი უბრალოდ, შესაძლოა, ხსნიდეს იმას, თუ რატომ აღიქვამს საზოგადოება ამ მოვლენას დადებითად ან უარყოფითად.

გადავიდეთ ჰეტეროსექსუალურ ქცევაზე. რა სახის საზოგადოებები არიან სხვებზე უფრო შემწყნარებლები ამ მხრივ? მიუხედავად იმისა, რომ მიზეზები ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ არის, ცნობილია, რომ ქორწინებამდელი სექსის მიმართ შედარებით უარყოფითი დამოკიდებულება რთულ საზოგადოებებში შეინიშნება იქ, სადაც არსებობს პოლიტიკური და საზოგადოებრივი იერარქია. შესაძლოა, სხვადასხვა ჯგუფს შორის ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავებასთან ერთად მშობლები უფრო მეტად ცდილობენ, რომ შვილები მათი ნების საწინააღმდეგოდ არ დაქორწინდნენ. ქორწინებამდელი სექსისადმი უარყოფითიდამოკიდეულებაშესაძლოაგანპირობებულია იმის შიშით, რომ ახალგაზრდა ადამიანი ისეთ პარტნიორს შეხვდება, რომელიც სასურველ მეუღლედ არ განიხილება. ოჯახის აზრით, მსგავსი კავშირი შეიძლება არასასურველი ორსულობით დასრულდეს, რაც მეტად გაართულებს მომავალში „კარგად“ დაქორწინებას. ამრიგად, ურთიერთობების კონტროლი ქონების კონტროლის საშუალებაა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის აღმოჩენაც, რომ ქალწულობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისეთ რანგობრივ და კლასობრივ საზოგადოებებში იძენს, სადაც ოჯახები ფულსა და საქონელს დაგეგმილი ქორწინებების შესაბამისად ცვლიან.

ფაქტი, რომ ადამიანები სქესობრივი გზით მრავლდებიან, არ ხსნის არც ქალების და მამაკაცებს შორის სხვადასხვა კულტურაში არსებულ განსხვავებებს და არც იმას, თუ როგორ აღიქვამს და მართავს საზოგადოება ქალისა და მამაკაცის როლს. ამ საკითხების შესწავლა მხოლოდ ახლა იწყება. რაც მეტი გვეცოდინება ქალისა და მამაკაცის განსხვავებების მიზეზების შესახებ, როლების, პიროვნულობისა და სექსუალობის მხრივ, მით უკეთ შეგვეძლება შეძენილი ცოდნის ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად გამოყენება.

შეჯამება

1. ადამიანების სქესობრივი გზით გამრავლება არ ხსნის ქალსა და მამაკაცს შორის გარეგნულ და საზოგადოების მხრიდან მათი აღქმის მხრივ არსებულ განსხვავებებს.
2. ქალსა და მამაკაცს განსხვავებული როლები აკისრიათ მსოფლიოს თითქმის ყველა საზოგადოებაში. შრომის გენდერული დანაწილების ეს საყოველთაოდ

გავრცელებული ნიშნები, შეიძლება აიხსნას სქესთა განსხვავებული ფიზიკური ძალით, სამუშაოს ბავშვის აღზრდასთან ერთად შეთავსებით ან მცდელობის ეკონომიის კონცეფციით ანდა მამაკაცების „ცვეთადობით“.

3. შესაძლოა, იმის გამო, რომ ქალებს თითქმის ყოველთვის ბავშვის აღზრდა ევალებათ, მამაკაცები მეტ მონაწილეობას იღებენ პირველად საარსებო საქმიანობებში. ქალების როლი ასეთ საქმიანობაში მნიშვნელოვანია მებაღე და შემგროვებელ საზოგადოებებში და იქ, სადაც ომის გამო მამაკაცები ველარ მუშაობენ. თუ პირველადი და მეორადი საქმიანობებისთვის დახარჯულ დროს შევკრებთ, მივიღებთ, რომ ქალები უფრო მეტს მუშაობენ, ვიდრე მამაკაცები. საზოგადოებების უმეტესობაში პოლიტიკური ლიდერები მამაკაცები არიან. ომიც თითქმის მთლიანად სწორედ მამაკაცების საქმეა.
4. ქალის სტატუსი მამაკაცებთან შედარებით ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებში სხვადასხვაა. ქალის მიერ ერთ სფეროში მოპოვებული მაღალი სტატუსი არ ნიშნავს იმას, რომ მას სხვა სფეროებშიც მაღალი სტატუსი ექნება. შედარებით მარტივ საზოგადოებებში ქალებისა და მამაკაცებს შორის ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში შედარებითი თანასწორობაა.
5. უკანასკნელმა კვლევებმა ცხადყო, რომ ქალების და მამაკაცების შორის გარკვეული პიროვნული განსხვავებები არსებობს: ბიჭები უფრო აგრესიულები არიან, ხოლო გოგონები კი უფრო მზრუნველები და მეტი პასუხისმგებლობის მქონენი.
6. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საზოგადოება ახდენს სქესობრივი აქტივობის რეგულაციას, შესამჩნევი განსხვავებებია იმაში, თუ რამდენად ნებადართულია სექსუალობის ესა თუ ის გამოვლინება. ზოგ საზოგადოებაში მისაღებია ბავშვებს შორის სექსუალური თამაშები და მასტურბაცია, ზოგში კი ამგვარი ქცევა მიუღებელია. ზოგ საზოგადოებაში მიღებულია ქორწინებამდელი სექსი, ზოგში კი არა. ზოგან გარკვეულ პირობებში ქორწინებისგარე სექსიც დასაშვებია, ზოგ საზოგადოებაში კი ამგვარი ქმედება ზოგადად არის აკრძალული.
7. საზოგადოებები, რომლებიც რესტრიქტული არიან ჰეტეროსექსუალიზმის რომელიმე ასპექტისადმი, როგორც წესი, რესტრიქტულნი არიან მისი სხვა ასპექტების მიმართაც. შედარებით რთული საზოგადოებებისათვის, ქორწინებამდელი სექსი უფრო მიუღებელია, ვიდრე მარტივი საზოგადოებებისათვის.
8. საზოგადოების დამოკიდებულება ჰომოსექსუალიზმისადმი ყოველთვის არ ემთხვევა ჰეტეროსექსუალიზმისადმი არსებულ დამოკიდებულებას. ჰომოსექსუალიზმისადმი არსებული ტოლერანტობა დაკავშირებულია აბორტისა და ჩვილთა მკვლელობის მიმართ არსებულ დამოკიდებულებასთან, აგრეთვე საკვების უკმარისობასთან და შიმშილობებთან.

საკონტროლო კითხვები

1. ივარაუდებთ თუ არა ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული პიროვნული განსხვავებების გაქრობას ისეთ საზოგადოებაში, სადაც სქესთა შორის სრული თანასწორობა იქნება?
2. რა პირობებში ივარაუდებთ ქალსა და მამაკაცს შორის ათლეტიზმში არსებული განსხვავებების გაქრობას?

ქორწინება და ოჯახი

20



თავების შინაარსი

- ქორწინება
- რატომ არის ქორწინება უნივერსალური მოვლენა
- როგორ ქორწინდებიან ადამიანები
- ქორწინების შეზღუდვა: ინცესტის ტაბუ
- ვისზე უნდა დავქორწინდეთ?
- რამდენ ქორწინებაში უნდა იყოს ადამიანი?
- ოჯახი

როგორიც უნდა იყოს საზოგადოების დამოკიდებულება ქალისა და მამაკაცის ურთიერთობისადმი, ამ ურთიერთობის ერთ-ერთი სახე, ქორწინება, ყველა კულტურაში არსებობს. რატომ არის ქორწინება დამახასიათებელი ყველა საზოგადოებისათვის, ეს ძველი და რთული კითხვაა. ამ თავში შევეცდებით, პასუხი გავცეთ მას.

ქორწინების უნივერსალურობა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა საზოგადოების ყველა წევრი აუცილებლად დაქორწინდება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანების უმეტესობა ცხოვრებაში ერთხელ მაინც ქორწინდება. ამასთან ერთად, როდესაც ვამბობთ, რომ ქორწინება უნივერსალურია, არ ვგულისხმობთ იმას, რომ ქორწინებისა და ოჯახის წესები ყველა საზოგადოებისთვის ერთნაირია. პირიქით, საზოგადოებებს შორის არსებოს მრავალი და მნიშვნელოვანი განსხვავება იმის მიხედვით, თუ როგორ ქორწინდებიან, ვისზე ქორწინდებიან და ერთდროულად რამდენ ქორწინებაში შეუძლიათ ყოფნა ადამიანებს. ერთადერთი საყოველთაოდ გავრცელებული წესი ქორწინებაში ის არის, რომ არ შეიძლება დაქორწინება ოჯახის წევრებზე, მშობლებსა და და-ძმაზე.

სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავდებიან ოჯახებიც. ყველა კულტურაში არსებობენ მშობლებისა და შვილების სოციალური ჯგუფები, მიუხედავად ოჯახის ზომისა. ზოგ საზოგადოებას ჰყავს დიდი ოჯახები, სადაც ორი ან მეტი ნათესაური ჯგუფია გაერთიანებული, სხვაგან კი მცირე, დამოუკიდებელი ოჯახებია გავრცელებული. დღეს ქორწინება აღარ არის ოჯახის არსებობის საფუძველი. ოჯახები, სადაც მხოლოდ ერთი მშობელია, ჩვენსა და ჩვენს მსგავს საზოგადოებებში ძალიან გავრცელებულია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქორწინება გაქრა, პირიქით, იგი კვლავაც რჩება ურთიერთობის გაბატონებულ ფორმად, მაგრამ სულ უფრო მეტი პიროვნება არჩევს ბავშვის გაზრდას დაქორწინების გარეშე.

ქორწინება

ქორწინებაზე საუბრისას ანთროპოლოგები არ გულისხმობენ, რომ წყვილებმა რაღაც მოწმობა უნდა აიღონ თავიანთი თანაცხოვრების გასაფორმებლად და საამისოდ გარკვეული ცერემონიები ჩაატარონ. **ქორწინებაში** იგულისხმება საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი სქესობრივი და ეკონომიკური კავშირი, დამყარებული, ქალსა და მამაკაცს შორის. იგულისხმება, რომ ეს კავშირი რამდენადმე პერმანენტულია და მის მონაწილეებს ორმხრივი უფლებები და მოვალეობები აკისრიათ როგორც ერთამნეთის, ასევე თავიანთი შვილების მიმართაც.

დიდგვაროვანთა ქორწილი კამბოჯის დედაქალაქ პნომ პენში. წყვილი მიაბიჯებს ხალიჩაზე, რომელზეც ფულია დაყრილი.

ქორწინება სოციალურად მხარდაჭერილი სექსობრივი კავშირია, რომლის მონაწილეებსაც არ ერიდებათ თავიანთი კავშირის სახალხოდ დემონსტრირება. ქალს უშიშრად შეუძლია თქვას: „გაიცანით, ეს ჩემი ქმარია“ მაშინ, როდესაც საზოგადოებების უმეტესობაში მას ცუდი თვალით შეხედავდნენ, თუ იგი იტყოდა „გაიცანით, ეს ჩემი საყვარელია“. მიუხედავად იმისა, რომ დროთა გამნმავლობაში ეს კავშირი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება დაიშალოს კიდეც, დასაწყისში ორივე მხარე მას მუდმივად მოიაზრებს. თავისთავად იგულისხმება ორმხრივი უფლება-მოვალეობები, რომლებიც მეუღლეებს გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ. ეს უფლება-მოვალეობები შეიძლება იყოს ქონებრივი, ფინანსური, ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული, და სხვა.

ქორწინება მოიცავს როგორც სქესობრივ, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობებს. პროფესორი პიტერ მერდოკი წერდა: „სქესობრივი ურთიერთობები შეიძლება ეკონომიკური საფუძვლის გარეშე წარმოიქმნას. ასევე შესაძლებელია თანამშრომლობა სექსის გარეშე. ქორწინება კი მოიცავს ორივეს, როგორც სქესობრივ, ისე ეკონომიკურ ურთიერთობებს“.

როგორც ქვევით ვნახავთ, ქორწინების დაწყების აღმნიშვნელი მოვლენები სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებულია. ვინებაგოს ინდიელთა ტომში, მაგალითად, პატარძალი უბრალოდ მიდის თავისი საქმროს მშობლებთან, იხდის „საქორწინო“ სამოსს და მას დედამთილს აძლევს, მისგან კი სანაცვლოდ ჩვეულებრივ ტანსაცმელს იღებს. ეს არის და ეს.

ნაიარები „გამონაკლისი“

მსოფლიოში არსებული საზოგადოებებიდან არის ერთი, რომელსაც ანთროპოლოგების დაკვირვებით, არ გააჩნია ქორწინების ინსტიტუტი იმ სახით, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. ეს არის სამხრეთ ინდოეთში მცხოვრები ნაიართა კასტა. მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც აღწერეს ისინი, სქესობრივ და ეკონომიკურ ურთიერთობებს ქორწინებისგან დამოუკიდებლად განიხილავდნენ. მომწიფების ასაკში ნაიარი გოგონები რიტუალურ ქმრებს იძენდნენ. კავშირი სახალხოდ იკვრებოდა და ცერემონიის დროს საქმრო თავის საცოლეს კისერზე ოქროს ყელსაბამს ჰკიდებდა. თუმცა მათი ურთიერთობა ქორწილით შემოიფარგლებოდა. ცოლ-ქმარს ერთმანეთის მიმართ არანაირი უფლება-მოვალეობები არ გააჩნდა და ხშირად ქორწილის შემდეგ აღარასოდეს ნახულობდნენ ერთმანეთს.

პატარძალი ნათესავებთან ერთად დიდ სახლში აგრძელებდა ცხოვრებას, სადაც შემდგომი წლების მანძილზე შეეძლო სტუმრად მიეღო ნებისმიერი მამაკაცი, რომელიც არ იყო მისი ნათესავი და კასტურ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. ისინი მის „ქმრებად“ ითვლებოდნენ. ეს შეიძლება ყოფილიყო როგორც შემთხვევითი გამვლელი, ისე რეგულარული სტუმარიც. ისინი მოდიოდნენ საღამოს და მეორე დილით კვლავ მიდიოდნენ. თუ მამაკაცი რეგულარულად სტუმრობდა ქალთან, მისგან საჩუქრებსაც მოელოდნენ. ხოლო თუ ბავშვის მამა ან სავარაუდო მამებიდან ერთ-ერთი გახლდათ, სამეანო ხარჯებსაც სწორედ იგი ფარავდა. თუმცა ბავშვის აღზრდაში არ მონაწილეობდა და არც არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნდა მის წინაშე. როგორც წესი, ქალს ამ მხრივ თავისი ნათესავები ეხმარებოდნენ.

პასუხი იმაზე, ჰქონდათ თუ არა ნაიარებს ქორწინების წესი, დამოკიდებულია თავად ქორწინების განსაზღვრებაზე. ქორწინება იმ გაგებით, როგორც ჩვენ გვესმის, რეგულარული სქესობრივი და ეკონომიკური თანაცხოვრებისა და ურთიერთვალდებულებებისა და უფლებების არსებობის მხრივ, ნაიარებს არ გააჩნდათ. მაგრამ ისინი ცალკე საზოგადოებად არ ითვლებიან. ეს იყო ინდოეთის ერთ-ერთი კასტა, რომლის მამაკაცებიც მეომრები იყვნენ. ნათელია, რომ ხანგრძლივი სამხედრო სამსახური

ამცირებდა მამაკაცების რაოდენობას, რომლებიც ქმრის როლს შეასრულებდნენ. თუმცა ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა. მეომრობა აღარ არის ნაიარი მამაკაცების მთავარი საქმიანობა, ისინი დამკვიდრებულ ცხოვრებაზე გადავიდნენ და ამჟამად მათ შორის ნორმად სტაბილური და მუდმივი ურთიერთობები ითვლება. იმის გამო, რომ ნაიარები არ იყვნენ ცალკე საზოგადოება, ისინი ვერც ნამდვილ გამონაკლისებად ჩაითვლებიან. ამრიგად, შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ ქორწინება საერთო დამახასიათებელი ნიშანია ყველა საზოგადოებისათვის.

ქორწინების იშვიათი სახეები

ქალისა და მამაკაცის ჩვეულებრივი კავშირის გარდა, ზოგ საზოგადოებაში არსებობდა და არსებობს ერთსქესიანი ქორწინებებიც. თუმცა ამგვარი ქორწინებები არც ერთ საზოგადოებაში არ არის მყარი, არც ჩვეულებრივი ქორწინების მსგავსია. მიუხედავად ამისა, ისინი არსებობს ჩვეულებრივი ქორწინებების გვერდით. ერთსქესიანი ქორწინებაც გულისხმობს ურთიერთვალდებულებებსა და მოვალეობებს. ურთიერთობებში ხშირად ხდება განსაზღვრა იმისა, თუ ვინ არის „კაცი“ და ვინ „ქალი“. მაგალითად, ჩეიენის ინდიელთა შორის მიღებული იყო მამაკაცის მიერ მეორე ცოლად **ბერდაჩეს** ანუ ტრანსვესტიტი მამაკაცის ყოლა (ამჟამად ბერდაჩეს ნაცვლად უფრო ხშირად ტერმინი ორი სული გამოიყენება).

თუ რამდენად მოიცავდა ბერდაჩესთან ურთიერთობა სქესობრივ კავშირს, ნათელი არ არის, მაგრამ გვაქვს სხვა მაგალითებიც, კერძოდ სუდანელი აზანდეს ტომი. ინგლისელების მიერ სუდანის დაპყრობამდე, აზანდეს მეომრებს, რომლებსაც ცოლის შერთვის საშუალება არ ჰქონდათ, შეეძლოთ „ბიჭი ცოლის“ მოყვანა სქესობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. როგორც ჩვეულებრივი ქორწინების დროს, „ქმარი“ „ცოლის“ მშობლებს საჩუქრებს გადასცემდა, თუმცა არც იმდენად ძვირს, როგორც ეს ქალთან ქორწინების შემთხვევაში ხდებოდა. „ქმარი“ ჩვეულებრივად ემსახურებოდა „ცოლის“ მშობლებს და პარტნიორის მიერ საყვარლის გაჩენის შემთხვევაში, ღალატის გამო, სასამართლოში ჩივილი შეეძლო. ბიჭი ცოლები, სქესობრივის გარდა, ცოლისთვის დაკისრებულ სხვა საქმეებსაც ასრულებდნენ „ქმრებისათვის“.

ქალების ქორწინებები მრავალ აფრიკულ საზოგადოებაშია დაფიქსირებული, მაგრამ „მეუღლეებს“ შორის სქესობრივი კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გაგვაჩნია. ასეთი ქორწინებები საზოგადოების მიერ მიღებული და გამართლებული გახლდათ და ქალს საშუალებას აძლევდა, ქმრისა და მამის ოფიციალური სტატუსი მიეღო. ამის მაგალითია კენიელი ნანდის ტომი, სადაც ქალების ქორწინება ჩვეულებრივი ქორწინების შედეგად ვაჟიშვილის არყოლის პრობლემის მოსაგვარებელ საშუალებად ითვლებოდა. ქალი, რომელსაც ვაჟი არ უჩნდებოდა მაშინაც კი, თუ მისი ქმარი ცოცხალი იყო, თხოულობდა უმცროსი ასაკის ქალს „ცოლად“ და ითვლებოდა მის მიერ გაჩენილი ვაჟების მამად. ქორწინება სრულდებოდა ყველა არსებული წესის დაცვით და „ქმარი“ ქალი ვალდებული იყო „ცოლისათვის“ ქმრობა გაეწია. მიუხედავად იმისა, რომ ამ „მეუღლეებს“ შორის სქესობრივი კავშირი არ იყო (ისევე, როგორც „ქმარსა“ და მის ნამდვილ ქმარს შორის), ქალი-ქმარი ითვლებოდა იმ ბავშვების მამად, რომლებსაც ახალი ცოლი გააჩენდა. ეს ბავშვებიც თავიანთ მამად სწორედ ქალ-ქმარს თვლიდნენ.

რატომ არის ქორწინება უნივერსალური მოვლენა

იქიდან გამომდინარე, რომ ქორწინება ყველა საზოგადოებაში არსებობს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ადაპტაციურია. იმის ახსნას, თუ რატომ არის ქორწინება ადაპტაციური, რამდენიმე თეორია ცდილობს. თითოეული მათგანი თვლის, რომ ქორწინება წყვეტს იმ პრობლემებს, რომლებიც ყველა საზოგადოების წინაშე დგას: შრომის გენდერული დანაწილების პრობლემას, ბავშვების აღზრდის პრობლემას, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე არიან მშობლებზე დამოკიდებულები და სქესობრივი კონკურენციის პრობლემას. ამ ინტერპრეტაციების შესაფასებლად საჭიროა, დავადგინოთ, რამდენად ოპტიმალური ან ერთადერთია ქორწინება თითოეული ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ჩვენ ხომ უნივერსალური ჩვეულების ახსნას ვცდილობთ. გარკვეული დახმარება შეიძლება გაგვიწიოს იმ ცხოველების შედარებითმა ანალიზმა, რომლებსაც ქორწინების მაგვარი რამ ახასიათებთ.

შრომის გენდერული დანაწილება

წინა თავში აღვნიშნეთ, რომ ყველა საზოგადოებაში არსებობს შრომის გენდერული დანაწილება. ქალები და მამაკაცები განსხვავებული საქმიანობით არიან დაკავებულები. ამგვარი დაყოფა ხშირად მიიჩნევა ქორწინების მიზეზად. არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ საზოგადოებას ქორწინების სახით უჩნდება შრომის პროდუქტების განაწილებისა და გაზიარების ეფექტური მეთოდი. მაგრამ ქორწინება არ გახლავთ ერთადერთი გზა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

ბავშვების ხანგრძლივი დამოკიდებულება მშობლებზე

ადამიანები ჩვილობის ასაკში პრიმატებს შორის ყველაზე დიდხანს არიან დამოკიდებულები მშობლებზე. ბავშვის ხანგრძლივი დამოკიდებულება დედას უმძიმეს ტვირთად აწევს. ეს მას მრავალ საქმიანობაში უშლის ხელს. ამრიგად, ქალს, შესაძლოა, მამაკაცის დახმარება დასჭირვებოდა საიმისოდ, რომ გადარჩენილიყო. მამაკაცი ასრულებს ისეთ სამუშაოს, რაც შეუთავსებელია ბავშვის მოვლასთან. ამრიგად, ბავშვის ხანგრძლივი დამოკიდებულების გამო, შესაძლოა, დადგა საკითხი ქალისა და მამაკაცის სტაბილური კავშირის შესახებ. მაგრამ ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ საკმაოდ მნიშვნელოვანი არგუმენტები არსებობს. საზოგადოებას, მაგალითად მონადირე-შემგროვებლების ჯგუფს, არაფერი უშლიდა ხელს იმაში, რომ ქორწინების გარეშე ეთანამშრომლათ ერთმანეთში და შვილიან დედას დახმარებოდნენ ისევე, როგორც ზოგადად ეხმარებიან ჯგუფის ნებისმიერ წევრს.

სქესობრივი კონკურენცია

სხვა მდედრი პრიმატებისაგან განსხვავებით, ქალს მთელი წლის მანძილზე შეუძლია სქესობრივი კავშირის დამყარება და დაორსულება. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ეს ფაქტორი განაპირობებდა გამძაფრებული სქესობრივი კონკურენციის წარმოქმნას მამაკაცებს შორის და შესაბამისად, საზოგადოებამ ქორწინების სახით იპოვნა გამოსავალი ამ სიტუაციიდან. ამ მოსაზრების თანახმად, ქორწინება დაწესდა იმისთვის, რომ ერთმანეთი არ დაეხოცათ ქალების გულისთვის და ამით საზოგადოების რეპროდუქცია საფრთხის ქვეშ არ დაეყენებინათ.

ამ მოსაზრებასაც აქვს თავისი სუსტი მხარეები. ჯერ ერთი, საკმაოდ რთული ასახსნელია თუ რატომ უნდა გამძაფრებულიყო კონკურენცია მამაკაცებს შორის. არსებობს სხვა მოსაზრებებიც, რომელთა მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ქალები ნაკლებად დაინტერესებული იქნებოდნენ სექსით, გამძაფრდებოდა კონკურენცია შეზღუდულ რესურსებზე; მეორეც, ცნობილია, რომ ცხოველების მრავალი სახეობის მამრები, თვით იმ სახეობებისაც კი, რომელთა მდედრი ინდივიდები მომატებული სექსუალობით გამოირჩევიან (როგორც მაიმუნების მრავალი სახე-

ობა), ამ უკანასკნელთა მიმართ აგრესიულები არ არიან. მესამე, რატომ არ შეიძლებოდა კონკურენციის არსებობის შემთხვევაში მისი ქორწინებისაგან განსხვავებული კულტურული რეგულირება? მაგალითად, შესაძლებელი იყო რაღაც თანმიმდევრობის დადგენა, რომლის მიხედვითაც, შეიცვლებოდნენ პარტნიორები. ამგვარი სისტემა გადაწყვეტდა სქესობრივი კონკურენციის პრობლემას, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა, გაჩენილიყო პრობლემები ცალკეული პიროვნებების შემთხვევაში, თუ ისინი არ მოისურვებდნენ დადგენილი წესის მიხედვით შეეცვალათ პარტნიორი. ეჭვიანობას კიდევ უფრო მეტი კონკურენცია შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

სხვა ძუძუმწოვრები და ფრინველები: მშობიარობის შემდგომი მოთხოვნები

ზევით ჩამოთვლილი თეორიებიდან, არც ერთი არ ხსნის ბოლომდე იმას, თუ რატომ არის ქორწინება საუკეთესო გამოსავალი კონკრეტული პრობლემის მოგვარებისთვის. ამასთან ერთად, ჩვენ გვაქვს ძუძუმწოვრებსა და ფრინველებზე დაკვირვების შედეგები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ჩამოთვლილ თეორიებს. საქმე ისაა, რომ ცხოველების მრავალ სახეობაში შეინიშნება ხანგრძლივი და მყარი მეგობრობა საპირისპირო სქესის ინდივიდებს შორის. მათზე დაკვირვებით შეგვიძლია, გარკვეული დასკვნების გამოტანა იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები განაპირობებენ ამგვარ ურთიერთობებს. ფრინველთა სახეობების უმეტესობას და ძუძუმწოვართა ზოგ სახეობას, მაგალითად, მგლებსა და თახვებს, „ქორწინების“ მსგავსი ურთიერთობა აქვთ. გამოკვლეული ცხოველებისა და ფრინველების 40-მდე სახეობაში სქესთაშორის კავშირს არც ერთი ჩამოთვლილი ფაქტორი არ განაპირობებდა. ცხოველებში არ შეინიშნება შრომის გენდერული დანაწილება, ხოლო რაც მეტია ნაშიერის დედაზე დამოკიდებულების დრო და რაც უფრო მეტი სექსუალობით ხასიათდებიან მდედრები, მით ხშირია პარტნიორების ცვლაც. მაგრამ მიუხედავად შრომის დანაწილების არარსებობისა, ნაშიერის დედაზე დამოკიდებულების ხანმოკლეობისა და მდედრთა არცთუ მაღალი სექსუალობის პირობებშიც კი ცხოველებსა და ფრინველებში ადგილი აქვს ინდივიდებს შორის საკმაოდ მყარ და ხანგრძლივ კავშირს, რომელიც ადამიანების ქორწინებას ჰგავს.

ფაქტორი, რომელიც ხსნის ცხოველებს შორის არსებულ ურთიერთობებს და შესაძლოა, ადამიანების ქორწინების უნივერსალობასაც, გახლავთ მშობიარობის შემდგომი პერიოდის მოთხოვნილებები. ცხოველების იმ სახეობებში, სადაც მდედრი შვილის გაჩენიდან მალევე ახერხებს საკვების მოპოვებას, მდედრი და მამრი ინდივიდების ხანგრძლივი მეგობრობა იშვიათია. ხოლო სახეობებში, სადაც დედას ნაშიერის გაჩენიდან გარკვეული დროის მანძილზე არ შეუძლია საკვების მოპოვება, როგორც წესი, სტაბილური სქესთაშორისი ურთიერთობები აღინიშნება. მაგალითად, ფრინველებში დედისათვის საკვების საშოვნელად წასვლა და ბარტყების ბუდეში მარტო მიტოვება მათ საფრთხეში ჩაგდებას ნიშნავს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მას ჰყავს მეგობარი მამრი, რომელიც საკვებს მოიტანს ან საჭიროების შემთხვევაში თავად დარჩება ბუდეში, მდგომარეობა უმჯობესდება და ბარტყების გადარჩენის შესაძლებლობაც იზრდება. იმ ცხოველებში, რომელთა ნაშიერს დაბადებიდან რამდენიმე წუთში თავისუფლად შეუძლია დედასთან ერთად გადაადგილება (მაგალითად, ანტილოპები და ცხენები) ან რომლებშიც დედებს თავად გადაჰყავთ შილები (მაგალითად, კენგურუ და ბაბუინი), არ შეინიშნება მყარი ურთიერთობები. ვფიქრობთ, რომ ადამიანებშიც სწორედ მშობიარობის შემდგომი პერიოდის ფაქტორმა იჩინა თავი. ქალს არ შეეძლო ბავშვის ტარება, რადგან სხეულის ბალნიანი საფარველის ძირითადი ნაწილი დაკარგული ჰქონდა და ბავშვი მას ვეღარ მოეჭიდებოდა. ხოლო იმის გამო, რომ ადამიანები დამოკიდებული იყვნენ საკვების მოპოვების ხშირად საკმაოდ სახიფათო მეთოდებზე, დედებს ნაკლებად შეეძლოთ ამ პერიოდში საკვების მოპოვება.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ ქალებს ჩვილისა და საკუთარი თავის გამოკვების პრობლემა ჰქონდათ, ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რომ ის საუკეთესო გამოსავალია. ჩვენ ვთვლით, რომ ეს ასეა, რადგან სხვა შესაძლო ვარიანტები ნაკლებად ეფექტურია. მაგალითად, თუ დედა სხვა ქალთან შეთანხმდებოდა ურთიერთდახმარების შესახებ, ვერც ერთი ვერ შეძლებდა საკმარისი საკვების მოპოვებას თავისთვის, ამხანაგისთვის და ორივეს შვილებისათვის. დედას და მამას კი შეუძლიათ გაუზიარონ ერთმანეთს მოპოვებული პროდუქტი და ბავშვიც გამოკვებონ. მეორე შესაძლო გადაწყვეტა შეიძლება ყოფილიყო ადამიანების ჯგუფი, სადაც მამაკაცები და ქალები ერთმანეთს დაეხმარებოდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაში დედას, შესაძლოა, ყოველთვის ვერ ეპოვნა მამაკაცი, რომელიც მის შვილს მიხედავდა იმ დროის განმავლობაში, როცა საკვების მოსაპოვებლად იქნებოდა წასული ან თავად მოუტანდა საკვებს დედა-შვილს. ამრიგად, როგორც ჩანს, სწორედ მშობიარობის შემდგომი პერიოდის ფაქტორი არის ის, რაც განაპირობებს ცხოველებსა და ადამიანებში შედარებით მყარი სქესთაშორისი კავშირების არსებობას. ბევრს შეიძლება საეჭვოდ მოეჩვენოს ცხოველებზე დაკვირვების შედეგების ადამიანებზე განზოგადება, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ ამ შემთხვევაში ეს სწორი გადაწყვეტილებაა.

როგორ ქორწინდებიან ადამიანები

როდესაც ვამბობთ, რომ ქორწინება სოციალურად მიღებული და მხარდაჭერილი სქესობრივი და ეკონომიკური კავშირია, ვგულისხმობთ, რომ ყველა საზოგადოებას ქორწინების გზა აქვს, თუმცა ეს გზებიც ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებულია. მიზეზების გამო, რომლებიც ჩვენთვის ჯერჯერობით ბოლომდე ნათელი არ არის, ზოგ კულტურაში ქორწინება დეტალურად დახვეწილი რიტუალებითა და ცერემონიებითა აღინიშნება, ზოგში კი ეს ამბავი ბევრად უფრო არაფორმალურ სახეს ატარებს. საზოგადოებების უმეტესობაში ქორწინებას ახლავს გარკვეული ეკონომიკური ტრანზაქციებიც, ზოგჯერ ქორწინებამდე, ზოგჯერ ქორწინების დროს, ხოლო ზოგჯერ — ქორწინების შემდეგ.

ნიშნობა



,,მე შენ მიყვარხარ. მაგრამ ბოლომდე პატიოსანი რომ ვიყო, შევიყვარებდი ნეიბისმიერ საყვარელ ფრინველს, რომელიც გამოჩნდებოდა.”

დანიშვნის ცერემონია მრავალ საზოგადოებაში აღინიშნება. თუმცა არიან ისეთებიც, მაგალითად, ტარამიუტის ტომის ინუიტები, ტრობრიანდის კუნძულელები და ახლაგვინეელი კვომას საზოგადოება, რომლებიც განსხვავებულ სოციალურ სიგნალებს იყენებენ იმის მანიშნებლად, რომ ქორწინება შედგა. ინუიტ ტარამიუტებს შორის დანიშვნა ძალიან მნიშვნელოვან რამედ ითვლება. ამის შესახებ მომავალი ცოლ-ქმრის მშობლები თანხმდებიან შვილების სქესობრივი მომწიფების ან უფრო ადრეულ პერიოდში. როდესაც ახალგაზრდები შესაბამის ასაკს მიაღწევენ, ვაჟი თავისი დანიშნულის ოჯახში მიდის და გამოსაცდელი ვადით ცხოვრობს მათთან. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა ანუ გოგონა დაორსულდა დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, მაშინ წყვილი დაქორწინებულად ითვლება. ამის შემდეგ, ცოლი და ქმარი ვაჟის ბანაკში ბრუნდებიან საცხოვრებლად.

ტრობრიანდის კუნძულების მცხოვრებლები, მათთვის დამახასიათებელი სექსუალური თავისუფლების შესაბამისად, წყვილის ურთიერთობასა და ქორწინების სურვილს ერთად ცხოვრებით გამოხატავენ. მათ ერთად სძინავთ, საზოგადოებაში ერთად ჩნდებიან და საერთოდ დიდ დროს უთმობენ ერთმანეთს. როდესაც ქალი ვაჟისაგან საჩუქრის მიღებას თანხმდება, ეს მისი მშობლების დასტურის ნიშანიც არის. ამის შემდეგ, წყვილი ვაჟის სახლში გადადის, სადაც ქალი საკვებს იღებს და მთელი დღის მანძილზე დაჰყვება ქმარს. შედეგად ვრცელდება ხმა, რომ ეს ორი ადამიანი ცოლ-ქმარია.

ახალგვინეელ კვომას საზოგადოებაში მიღებულია ქორწინების საცდელი ვადა. გარკვეული დროის განმავლობაში საცოლე საქმროს სახლში ცხოვრობს და ამ პერიოდში საკვებს მხოლოდ თავისთვის ამზადებს. საქმრო ძველებურად დედ-მამისა და ნათესავი ქალების მომზადებულ საკვებს მიირთმევს. და აი, დგება დღე, როდესაც სადედამთილო დაასკვნის, რომ ეს გოგონა მისთვის სასურველი სარძლოა და შვილისათვის კი სასურველი საცოლე, რის შემდეგაც სადედამთილო სარძლოს უფლებას აძლევს, მის შვილს სადილი მოუმზადოს. ეს ხდება მაშინ, როდესაც შვილი სახლში არ იმყოფება. როდესაც იგი სახლში ბრუნდება, მას საცოლის მიერ გაკეთებულ სადილს მიართმევენ. ჭამის დროს დედა შვილს ამცნობს, რომ ეს საჭმელი მისი ცოლის გაკეთებულია. საქმრო გადის ეზოში, იფურთხება და ხმამაღლა გამოხატავს უკმაყოფილებას საჭმლის უგემურობის გამო. ამის შემდეგ, ქალ-ვაჟი დაქორწინებულად ითვლება.

იმ საზოგადოებებში, სადაც დანიშვნა ცერემონიების თანხლებით ხდება, ლხინის მოწყობა ამ ცერემონიების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ხოლმე. ამით ორი ოჯახის კავშირი საყოველთაოდ ცხადდება. ციმბირელ ტუნგუსთა ტომებში ქორწილის დღეს ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ნიშნავენ. ამ დღეს მთელი სანათესაო იკრიბება. ორი ოჯახის წარმომადგენლები ცალ-ცალკე შლიან თავიანთ კარავს. მეფის მიერ პატარძლის ოჯახისათვის საჩუქრების გადაცემის შემდეგ მზითვებით ირემს ტვირთავენ და საქმროს კარვისაკენ მიაქვთ. აქ ცერემონიის მთავარი ნაწილი იწყება: პატარძალი იკავებს თავის ადგილს საქმროს მარჯვნივ და მასთან ერთად ჩამოუვლის სტუმრებს, რომლებიც კარავში დიდ წრეზე სხედან. ესალმებიან თითოეულ სტუმარს, სტუმარი პატარძალს პირზე და ხელებზე კოცნით პასუხობს. საბოლოოდ, ის ადამიანები, რომლებიც ქორწილის დღის დანიშვნის მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ, პატარძალს სამჯერ აფურთხებენ ხელზე, წყვილი ცოლ-ქმრად ცხადდება და ლხინი გრძელდება.

მრავალ საზოგადოებაში ქორწინება მტრობის რიტუალურ გამოხატვას შეიცავს. ამგვარი ცერემონიის ერთ-ერთი სახეა ოჯახებს შორის შეურაცხმყოფელი შეძახილების გაცვლა. ამის მაგალითს პოლინეზიის კუნძულ პაკაპუკაზე ვხვდებით. ამგვარი დამცინავი შაირობა ბევრ საზოგადოებაში ხდება ხოლმე. არის შემთხვევები, როდესაც მტრული განწყობა სრულიად გულახდილად გამოიხატება. მაგალითად, კენიელი გუსიიების ტომში.

„სიძის ხუთი ახალგაზრდა თანმხლები პირი მიდის პატარძლის სახლში მის წასაყვანად. ორი მათგანი დაუყოვნებლივ პოულობს ქალს და მის გვერდით დგება სადარაჯოდ. დანარჩენი სამი კი, მშობლებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. შეთანხმების შემდეგ, საცოლე სახლის ბოძებს ეჭიდება და უარს აცხადებს წასვლაზე. იგი ძალით გაჰყავთ სახლიდან და მიჰყავთ საქმროს სახლში. გზაზე პატარძალი ხმამაღლა ტირის და მწუხარების ნიშნად თავში ხელებს იცემს“.

მაგრამ ბრძოლა ამით არ მთავრდება. ორმხრივი ანტაგონიზმი საქორწინო სარეცელზეც გრძელდება, თვით კოიტუსის დროსაც კი. ნეფე ვალდებულია, თავისი მამაკაცურობა და ვაჟკაცობა გამოავლინოს, პატარძალმა კი მისი ეს თვისებები უნდა გამოსცადოს. როგორც რობერტ და ბარბარა ლევინები აღნიშნავდნენ, „პატარძლისათვის უმჯობესად ითვლება, რაც მეტ ხანს შეუნარჩუნებს ვნებას თავის მამაკაცს. ამ უკანასკნელს აქვს სტიმული. თუ ქალმა მეორე დღეს სიარული ვერ შეძლო, მას „ნამდვილი მამაკაცის“ სახელი გაუვარდება“ მტრობის ამგვარი გამოხატულებები, როგორც წესი, იმ საზოგადოებებში ჩნდება, სადაც ქალ-ვაჟის ნათესავები ან პოტენციური მტრები არიან ან უკვე მტრობენ ერთმანეთს. „მტრული“ სოფლების წევრებზე დაქორწინება ბევრ საზოგადოებაშია გავრცელებული.

როგორც ეს მაგალითი მიუთითებს, საქორწინო ცერემონიებში ხშირად არის სიმბოლიზებული კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტები. თუ გუსიიების ცერემონია ორ ოჯახს შორის არსებული მტრობის ამსახველი შეიძლება იყოს, სხვა საზოგადოებაში პირიქით, ცერემონია, შესაძლოა, ოჯახებს შორის ჰარმონიის გამომხატველი და წამახალისებელი იყოს. მაგალითად, პოლინეზიურ კუნძულ როტუმაზე საქორწინო ცერემონიის მნიშვნელოვანი ნაწილია ქალი კლოუნები. მათ ცერემონიის გამხიარულება და სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნა ევალებათ, რაც აადვილებს ორ მხარეს შორის ურთიერთობას.

ქორწინების ეკონომიკური ასპექტები

„ქალი და კაცი კი არ ქორწინდებიან, არამედ ყანები, ვენახები და პირუტყვი“. აი, ასე მიწიერად გამოხატავდნენ გერმანელი გლეხები იმ ფაქტს, რომ მრავალ საზოგადოებაში ქორწინება მნიშვნელოვანი ეკონომიკური შინაარსის მოვლენაა. ჩვენს საზოგადოებაში ამგვარი რამ შეიძლება გამოვლინდეს ან არ გამოვლინდეს. ცნობილი კულტურების 75%-ში ქორწინებასთან დაკავშირებით ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური გაცვლა ხდება, რომელიც ან ქორწინებამდეა ან ქორწინებისას ან მის შემდეგ. ეს გაცვლები სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს: საცოლის ფასი, საცოლის სამსახური, საჩუქრების გაცვლა, მზითევი და არაპირდაპირი მზითევი. კულტურათა შორის ამ ფორმების გავრცელება იხილეთ ნახაზზე 20-1.

საცოლის ფასი საცოლის ფასი, ანუ **საცოლის ქონება.** არის გადასახადი ან საჩუქარი, რომელსაც მამაკაცი უხდის საცოლის ოჯახს ქალზე უფლების მოსაპოვებლად. ტრანსაქციის ეს ფორმა ყველაზე მეტად არის გავრცელებული. იგი ეკონომიკური ტრანსაქციების მქონე საზოგადოებების 44%-ში არის მიღებული. თითქმის ყველა ამ საზოგადოებაში საცოლის ფასი საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით ხშირად აფრიკისა და ოკეანეთის საზოგადოებებში გვხვდება. გადახდის სხვადასხვა გზა შეიძლება იყოს. პირუტყვი და საკვები ყველაზე უფრო გავრცელებულია. კომერციული გაცვლის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, გაიზარდა ფულის როლიც. ნანდის ტომში პატარძლის ფასი 5-7 სული პირუტყვის, 1-2 ცხვარის ან თხის, კაურის ნიჟარებისა და ერთი ძროხის საფასურ ფულად თანხას შეადგენს. თვით ქალის ქალთან ქორწინების შემთხვევაშიც კი, ქალი ქმარი ვალდებულია

გადაიხადოს ეს გადასახადი.

ფილიპინებზე მცხოვრები სუბანუნები საცოლის „სიძვირით“ გამოირჩევიან. იგი საქმროს რამდენიმე წლის შემოსავალს უდრის, რასაც 3-5 წლის მანძილზე საცოლის სამსახური (ამ სახეს შემდეგ ქვეთავში აღვწერთ) ემატება. საადმირალოს კუნძულებზე მცხოვრები მანუს საზოგადოებაში მამაკაცს ეკონომიკური მხარდამჭერი (როგორც წესი, უფროსი ძმა ან ბიძა) სჭირდება, რომელიც დაეხმარება მას ვალების გასტუმრებაში. ეს შეიძლება მოხდეს ქორწილის დღესვე ან წლების განმავლობაში გაიწელოს, გააჩნია ფასის რაოდენობას.

იმ ქვეტექსტების მიუხედავად, რასაც ჩვენი ხედვით შეიძლება ატარებდეს საცოლის ფასი, იგი სულაც არ განაპირობებს ქალის მაღალ სტატუსს. პირიქით, ჩვენ ვნახავთ, რომ ეს მოვლენა ქალის შედარებით დაბალ სტატუსთან არის დაკავშირებული. საცოლის ფასი, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს ქალისა და მისი ოჯახისათვის, რადგან იგი გარკვეულ შემთხვევაში დაზღვევის როლს თამაშობს. თუ ქორწინება დაირღვა და ამაში ქალს ბრალი არ მიუძღვის, მის ოჯახს უფლება აქვს, არ დააბრუნოს მიღებული საფასური. მეორე მხრივ, ქალის მხარე შეიძლება მიღებული საფასურის გამო ზეწოლის ქვეშ მოექცეს და დაეძალოს ქალს არასასურველ ქმართან დარჩენა, რათა თანხის დაბრუნება არ მოუწიოს. რაც მეტია საცოლის ფასი, მით რთულია შემდგომში დაშორება.

საცოლის ფასი უფრო მეტად იმ საზოგადოებებშია გავრცელებული, რომლებიც მებაღეობას მისდევენ და სოციალური დაყოფა არ გააჩნიათ. საცოლის ფასი არსებობს იქ, სადაც ქალის როლი მეურნეობაში მეტად მნიშვნელოვანია და იგი აქტიურად მონაწილეობს პირველად საარსებო საქმიანობებში. მიუხედავად ამისა, ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ ამ საზოგადოებებში ქალს მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა უჭირავს. ამ საზოგადოებებში ოჯახში გადაწყვეტილებების უმეტესობას მამაკაცი იღებს. ეს კი ქალების დაბალი სტატუსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

საცოლის სამსახური შემდეგი ქორწინებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ტრანსაქციების ყველაზე გავრცელებული ფორმა საცოლის სამსახური გახლავთ. იგი აღნიშნული ტრანსაქციების მქონე საზოგადოებების დაახლოებით 19%-შია გავრცელებული. საცოლის სამსახური საქმროს მიერ ქალის ოჯახისათვის მუშაობას გულისხმობს. ხანდახან ქორწინებამდე, ხანდახან ქორწინების დროს და ხანდახან ქორწინების შემდეგ. მისი ხანგრძლივობა სხვადასხვა შეიძლება იყოს. ზოგ საზოგადოებაში იგი რამდენიმე თვეს გრძელდება, სხვებში კი რამდენიმე წელიწადს. ჩრდილო ალიასკელი ესკიმოსებში ქმარი ცოლის ოჯახში ქორწინების დაგეგმვის შემდეგ მიდის. თავისი ვალდებულებების შესასრულებლად მას უბრალოდ შეუძლია სელაპი მოკლას და იგი საცოლის ოჯახში მიიტანოს. ქორწინება აღსრულებულად შეიძლება ჩაითვალოს სამსახურის ნებისმიერ მომენტში. ხანდახან ისეც ხდება, რომ საცოლის სამსახური საცოლის ფასის შემამცირებელი ფაქტორის როლში გამოდის. ჩრდილო და სამხრეთ ამერიკელ ინდიელთა მრავალ საზოგადოებაში, ძირითადად სწორედ საცოლის სამსახური იყო გავრცელებული.

ქალების გაცვლა განსახილველი საზოგადოებების დაახლოებით 6%-ში გავრცელებულია ეკონომიკური ტრანსაქციის თავისებური სახე, ქალების გაცვლა. იგი გულისხმობს იმას, რომ ცოლის მოყვანის შემთხვევაში, მამაკაცი ვალდებულია, თავისი და ან ნათესავი ქალი გაუშვას იმ საზოგადოებაში, საიდანაც მისი მეუღლე წამოვიდა. ამგვარ საზოგადოებათა შორის არიან დასავლეთ აფრიკაში ტივის, ბრაზილიასა და ვენესუელაში იანომამოს ტომები. ისინი მებაღეები არიან, ეგალიტარული წყობით ცხოვრობენ და ქალები მათ პირველად საარსებო საქმიანობაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

საჩუქრების გაცვლა საზოგადოებების დაახლოებით



სურათი 20-1 ქორწინების ეკონომიკური ტრანსაქციის ფორმების გავრცელება ამგვარი ტრანსაქციების მქონე საზოგადოებებს შორის.

აღსანიშნავია, რომ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში არიან საზოგადოებები (25%), სადაც ქორწინებას არავითარი ეკონომიკური ტრანსაქციები არ უკავშირდება.

11%-ში გავრცელებულია ქორწინების დროს საჩუქრების გაცვლა. საჩუქრები თანაბარი ღირებულების უნდა იყოს. მაგალითად, ანდამანის კუნძულების მცხოვრებლებს შორის მას შემდეგ, რაც ქალ-ვაჟი დაქორწინების სურვილს გამოთქვამს, მათი ოჯახები წყვეტენ ერთმანეთთან ურთიერთობას და იწყებენ საკვებისა და სხვა ნივთების საჩუქრად გაგზავნას ერთმანეთისათვის მესამე პირის მეშვეობით. ეს გაცვლა გრძელდება მანამდე, ვიდრე ქორწინება აღსრულებულად არ მიიჩნევა და ორი ოჯახი ნათესაური კავშირით არ შეიკვრება.

მზითვები ეს არის გარკვეული ღირებულების ქონება, რომელსაც პატარძალს ოჯახი აძლევს. მზითვს საზოგადოებების 8%-შია გავრცელებული. აქამდე განხილული ტრანსაქციებისაგან განსხვავებით, მზითვები არ იცვლება ოჯახებს შორის. ქალის ოჯახი მზითევს შვილს აძლევს და სანაცვლოდ არაფერს იღებს. ეს ტრადიცია გავრცელებული იყო შუა საუკუნეებისა და რენესანსის ევროპაში, აქ მზითვის ღირებულებით ირჩევდნენ სასურველ საპატარძლოს. ეს ჩვეულება დღესაც შემორჩენილია აღმოსავლეთ ევროპის ნაწილში, საფრანგეთისა და იტალიის სამხრეთში, სადაც მზითვის როლში ხშირად მინა გამოდის; ასევე ინდოეთის რიგ მხარეებში.

ასეთ საზოგადოებებში ქალები იშვიათად მონაწილეობდნენ პირველად საარსებო საქმიანობაში. აქ შეინიშნება სოციალური დიფერენციაციის მაღალი ხარისხი და მამაკაცს ერთდროულად ერთზე მეტი ცოლის ყოლის უფლება არ აქვს. როგორ წარმოიშვა ამგვარ საზოგადოებებში მზითვების ტრადიცია? ერთი თეორიის თანახმად, მზითვი ქალისა და მისი შვილების სამომავლო უზრუნველყოფის გარანტიაა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქალი პირველად საარსებო საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს არ შეასრულებს. მეორე თეორიის მიხედვით, მზითევი საუკეთესო სასიძოს მოსაზიდად არის საჭირო ისეთ მონოგამიურ საზოგადოებაში, სადაც სოციალური დიფერენციაციის მაღალი ხარისხია. ითვლება, რომ უკეთესი

ანთროპოლოგიური უჩვეულობები

მიკრონეზიელი იაპები

ქორწინება ყველგან ერთნაირი არ გახლავთ. ორი ადამიანს „დაქორწინებულად“ სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულად აღიქვამენ. განსხვავებებია თვით კულტურების შიგნითაც. რაც შეეხება ჩრდილოეთ ამერიკას, აქ ქორწინების შესახებ შეიძლება დარწმუნებით ითქვას ერთი რამ: საზოგადოებაში არსებობს ცოდნა იმის შესახებ, რომ ორი ადამიანი დაქორწინებულია. მრავალ საზოგადოებაში ქორწინება ყოველგვარი ფორმალური ცერემონიებისა და სხვების ჩარევის გარეშე ხდება. დაახლოებით ისევე, როგორც ჩვენში საკმაოდ გავრცელებული „თანაცხოვრების“ დროს. ამის მაგალითია მიკრონეზიაში მცხოვრები იაპების ტომი.

„უფროსი ასაკის იაპები ყვებიან, რომ მათ რამდენიმე გატაცება ჰქონდათ, სანამ ისეთ ქალს იპოვნიდნენ, რომელიც მათთვის სასურველი აღმოჩნდებოდა. როდესაც გრძნობა ცივდებოდა, ორივე ახალი პარტნიორის ძებნას იწყებდა. ძალიან სასიამოვნო იყო ურთიერთობის დაწყების პროცესი, ადამიანები 25-30 წლამდე ნაკლებად ქორწინდებოდნენ.

ქორწინება ორი მთავარი მიზეზით ხდებოდა: ერთად ყოფნის სურვილით გამოწვეული ხანგრძლივი და მტკიცე ურთიერთობების აუცილებლობის გრძნობითა და ბავშვის ყოლის სურვილით. როდესაც წყვილის ურთიერთობა სტაბილური ხდებოდა, ისინი ქორწინებაზე საუბარს იწყებდნენ. ქალები ხშირად უფრო წინააღმდეგები იყვნენ ქორწიებისა, ვიდრე მამაკაცები, რადგან ცოლის მძიმე მოვალეობები ნაკლებად ეხალისებოდათ. თუმცა ბოლოს მაინც თანხმდებოდნენ. მამაკაცს თავისი ქალი სახლში მიჰყავდა და მამას უცხადებდა, რომ მათ ქორწინება სურდათ. მამები, როგორც წესი, წინააღმდეგობას არ უწევდნენ. საქმრო და მამამისი მიდიოდნენ ქალის ოჯახში და საცოლის მამას ნიჟარის ფულს სთავაზობდნენ, რათა მისგან ქორწინების ნებართვა მიეღოთ. ქალის მამის მიერ ნიჟარების მიღების შემდეგ ქორწინება აღსრულებულად ითვლებოდა და წყვილი ვაჟის სახლში იდებდა ბინას.

მზითვის მქონე ქალს უფრო მაღალი სტატუსის მქონე მამაკაცზე დაქორწინების შესაძლებლობა აქვს. იგულისხმება, რომ მზითვი ზრდის ქალისა და მისი შვილების რეპროდუქტიული წარმატების შესაძლებლობებს. ორივე თეორია დადასტურებულია კროსკულტურული კვლევებით. ითვლება, რომ მეორე თეორია უკეთ ხსნის მზითვის წარმოშობას. მრავალ დიფერენცირებულ საზოგადოებაში (მათ შორის ჩვენშიც), სადაც ქალსა და მამაკაცს ერთი მეუღლე ჰყავთ, ეს ტრადიცია აღარ არის. რატომ ხდება ასე, ჯერ კიდევ გამოსაკვლევია.

არაპირდაპირი მზითვი ზოგიერთ საზოგადოებაში პატარძლის მზითვი სიძის ოჯახიდან მოდის. საქმროს მამა საჩუქრებს პატარძლის მამას გადასცემს, ეს უკანასკნელი კი მათ თავის შვილს აძლევს. ამას **არაპირდაპირი მზითვი** ეწოდება. იგი საქორწინო ტრანსაქციების მქონე საზოგადოებათა დაახლოებით 12%-ს ახასიათებს. მათ შორის არიან ირანელი ბასერები, სადაც სასიძოს მამა წყვილისათვის ახალ საცხოვრებელს აშენებს. იგი ფულს პატარძლის მამას გადასცემს, ეს უკანასკნელი კი ამ ფულით, ან მისი ნაწილით მაინც, შვილის საცხოვრებლისათვის საჭირო ჭურჭლებს, საბნებსა და ხალიჩებს ყიდულობს.

ქორწინების შეზღუდვა: ინცესტის ტაბუ

ჰოლივუდური ფილმების საწინააღმდეგოდ, ქორწინება მხოლოდ ორმხრივი და თავისუფალი ნებით გამოხატული სიყვარულის შედეგი არ არის. იგი არ არის დაფუძნებული არც მხოლოდ ქონებასა და სექსზე, თვით მაშინაც კი, როდესაც სიყვარული, სექსი და ეკონომიკური ფაქტორები ხელს უწყობს ქორწინებას, შესაძლებელია, არსებობდეს შემაფერხებელი ფაქტორებიც. ერთ-ერთი, რომელიც მსოფლიოს ყველა კულტურაში არსებობს, არის ინცესტის ტაბუ. იგი კრძალავს სქესობრივ კავშირსა და ქორწინებას ახლო ნათესავებს შორის.

ინცესტის ტაბუს უნივერსალური ასპექტებია სქესობრივი ურთიერთობებისა და ქორწინების აკრძალვა მშობლებსა და შვილებს, ასევე და-ძმას შორის. ახლო წარსულის არც ერთ საზოგადოებაში არ არის ნებადართული ამგვარი კავშირები. თუმცა უფრო ახლო პერიოდში ინცესტი ნებადართული იყო სამეფო და არისტოკრატული ოჯახების წევრებს შორის. ხოლო მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისათვის კი აკრძალული გახლდათ. მაგალითად, ინკებისა და ჰავაის სამეფო ოჯახებში ოჯახის შიგნით ხდებოდა ქორწინებები. მსოფლიო ისტორიაში ინცესტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი მაგალითი ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა გახლავთ.

ნათელია, თუ რატომ იყო ძველი ეგვიპტის ფარაონთა ოჯახში ნებადართული მამისა და ქალიშვილის ან და-ძმის ქორწინება. კლეოპატრა სხვადასხვა დროს თავისი ორი სხვადასხვა ძმის ცოლი იყო. მიზეზი, ნაწილობრივ რელიგიური და ნაწილობრივ ეკონომიკური გახლდათ. რელიგიური იმ მხრივ, რომ ფარაონი ღმერთად ითვლებოდა და ჩვეულებრივ ადამიანთან დაქორწინება მისთვის მიუღებელი იყო. ეკონომიკური კი იმ მხრივ, რომ სამეფო ოჯახის ქონება ოჯახის გარეთ არ გასულიყო. ეგვიპტის შემთხვევაში უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძვ. წ. 30 წლიდან ახ.წ. 324 წლამდე ინცესტი ნებადართული იყო არა მხოლოდ სამეფო ოჯახში. ქორწინებათა დაახლოებით 8%-ს ჩვეულებრივ ხალხშიც კი ძმისა და დის ქორწინება წარმოადგენდა.

დღეს არც ერთ კულტურაში არ არსებობს ნებართვა ინცესტზე. რა არის ამის მიზეზი. რატომ გახდა ინცესტის ტაბუ უნივერსალური ფაქტორი? არსებობს რამდენიმე თეორია, რომელიც ცდილობს, ახსნას ეს მოვლენა.

ბავშვობის მეგობრობის თეორია

ეს თეორია 1920-იან წლებში ედუარდ ვესტერმარკმა გაავრცელა. მის მიხედვით, ადრეული ბავშვობიდან ერთად გაზრდილი ადამიანები, მაგალითად, და-ძმები, არ არიან ერთმანეთით სქესობრივად დაინტერესებულნი და არც ქორწინდებიან. ეს თეორია შემდგომში უარყვეს იმის გამო, რომ კვლევების შედეგად, ზოგ ბავშვში შეამჩნიეს სქესობრივი ინტერესი მშობლების ან და-ძმების მიმართ. თუმცა, მეცნიერთა აზრით, ვესტერმარკის თეორია ბოლომდე მცდარი არ იყო.

იონინა ტალმონმა გამოიკვლია სამი კიბუცის (დაბის ტიპის დასახლება ისრაელში) მოსახლეობის მეორე თაობა. კიბუცებში ბავშვები მშობლებისაგან განცალკევებით, თანატოლების დიდ ჯგუფებში იზრდებიან. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ 125 წყვილიდან არც ერთი არ იყო ისეთი, რომელიც ერთი ჯგუფის წევრებმა შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები ცდილობდნენ, მათ შვილებს

მათივე ჯგუფის წევრებთან ჰქონოდათ ურთიერთობა. ერთად გაზრდილი ბავშვები არა მხოლოდ არ ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე, მათ არანაირი სქესობრივი ურთიერთობა არ ჰქონდათ.

ტალმონმა დაადგინა, რომ ერთად გაზრდა და მუდმივი სიახლოვე ერთმანეთისადმი ინტერესს აქრობს. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ტალმონს უთხრა: „ჩვენ ერთმანეთისათვის გადაშლილი წიგნებივით ვართ. ჩვენ წაკითხული გვაქვს მთელი წიგნი და ყველაფერი ვიცით ერთმანეთზე“. ტალმონის მერ მიღებული შედეგები ცხადჰყოფდნენ, რომ თუ ერთი ტომის ახალგაზრდებში არ იყო ინტერესი, სამაგიეროდ ეს იყო უცხოთა მიმართ, რისი მიზეზიც მათი „იდუმალება“ გახლდათ.

არტურ ვოლფის მიერ ჩრდილოეთ ტაივანში ჩატარებული კვლევის შედეგები ადასტურებს მოსაზრებას, რომ ერთად გაზრდა ადამიანებს შორის სქესობრივი ინტერესის გაქრობას იწვევს. ტაივანში ჯერ კიდევ არსებობს ძველი ჩინური ტრადიცია ტუნგ-იანგ-ჰსი ანუ „ბავშვობიდან აღზრდილი რძალი“.

„როდესაც ღარიბ ოჯახში გოგონა იბადება . . . მას ორ წლის ასაკში ხშირად ყიდიან ან აშვილებენ მეგობრის ან ნათესავის ოჯახში, სადაც იგი ოჯახის ვაჟის მომავალ ცოლად მოიაზრებ. გოგონას „პატარა ჩიტს“ ეძახიან და თავის მომავალ ქმართან ერთად ზრდიან“.

ვოლფის კვლევამ აჩვენა, რომ ამგვარი დაგეგმვა მნიშვნელოვან სირთულეებს იწვევდა ქორწინების შემდეგ. ცოლ-ქმარს შორის ნაკლები ლტოლვა და ინტერესი იყო. შედეგად მათ ცოტა შვილი უჩნდებოდათ, ვიდრე იმ წყვილებს, რომლებიც ერთმანეთისაგან მოშორებით გაიზარდნენ. ამგვარად დაგეგმილი ქორწინებები შედარებით ხშირად ირღვეოდა.

ამრიგად, ტალმონისა და ვოლფის შრომებმა დაადასტურა, რომ ერთად გაზრდილ ბავშვებს ერთმანეთისადმი სქესობრივი ლტოლვა ნაკლებად ჰქონდათ. ეს დასკვნა დამაჯერებლობას მატებს ვესტერმარკის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ინცესტის ტაბუ ახლონათესაური კავშირის თავიდან აცილების მექანიზმი უფროა, ვიდრე აკრძალვის. ჰილდა და სეიმურ პარკერებმა გამოიკვლიეს ფსიქიატრიული საავადმყოფოების ის პაციენტი მამაკაცები, რომელთაც თავიანთ ქალიშვილებთან სქესობრივი კავშირი ჰქონდათ. აღმოჩნდა, რომ ამგვარი მამები თავიანთი ქალიშვილების აღზრდაში ფაქტობრივად არ მონაწილეობდნენ და იშვიათად ხედავდნენ მათ, რადგან დროის ძირითად ნაწილის ოჯახიდან შორს ატარებდნენ. ხოლო იმ მამებს, რომლებიც მონაწილეობდნენ შვილის აღზრდაში, მათ მიმართ სქესობრივი ლტოლვით არ ახასიათებთ. ეს კვლევაც, როგორც ვხედავთ, ეთანხმება ვესტერმარკის თეორიას.

ვესტერმარკი მსჯელობდა ადრეული ბავშვობიდან ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე, რომლებიც სქესობრივი ლტოლვის გაქრობას იწვევენ. სხვა მეცნიერებმა დასვეს კითხვა, თუ რატომ არ ზღუდავს ინცესტის ტაბუ ბიძაშვილების ქორწინებას. ძალიან ხშირად ბიძაშვილები ერთმანეთის სიახლოვეს იზრდებიან და ტაბუ მათზეც უნდა ვრცელდებოდეს, რადგან მათ ერთმანეთისადმი სქესობრივი ლტოლვა არ უნდა გაუჩნდეთ. მაგრამ ეს ასე არ ხდება. ბიძაშვილებს შორის ქორწინება მრავალ საზოგადოებაშია მიღებული.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვობის მეგობრობა მართლაც იწვევს სქესობრივი ინტერესის გაქრობას, კითხვა, თუ რატომ იკრძალება ის, რაც თავისთავად არ მოხდება, პასუხგაუცემელი რჩება. გაურკვეველია აგრეთვე ისიც, როგორ ხდება, რომ მრავალი წყვილი ინარჩუნებს ერთმანეთისადმი ინტერესს ქორწინების მრავალი წლის შემდეგაც.

ფროიდის ფსიქოანალიზის თეორია

ფროიდი თვლიდა, რომ ინცესტის ტაბუ არის ადამიანის ფსიქიკის რეაქცია მიუღებელ, ქვეცნობიერ სურვილებზე. მისი აზრით, ვაჟები დედისაკენ ილტვიან (ისევე, როგორც ქალები მამისაკენ) და მამისადმი მტრობასა და ეჭვიანობას გრძნობენ. მაგრამ ვაჟმა იცის, რომ ამ გრძნობების აყოლა არ შეიძლება, რადგან ამას მამის საპასუხო რეაქცია მოჰყვება. ამიტომ, ეს გრძნობები უნდა დაითრგუნოს. მათი განდევნა ქვეცნობიერში ხდება. მაგრამ დედის დაუფლების სურვილი კვლავაც აგრძელებს არსებობას და ფროიდის აზრით, ინცესტის შიში სწორედ მიუღებელი ქვეცნობიერი სურვილების წინააღმდეგ გამომუშავებული მექანიზმია.

ფროიდის თეორია, შესაძლოა, ხსნიდეს ინცესტისადმი ზიზღს, ან მისი იმ ნაწილისადმი მაინც, რომელიც მშობლებისა და შვილების ურთიერთობებს ეხება. მაგრამ იგი არ ხსნის დასა და ძმას შორის ინცესტის აკრძალვას. ამ თეორიას ეწინააღმდეგება ვესტერმარიკის ჰიპოთეზის დამადასტურებელი კვლევებიც.

ოჯახის ნგრევის თეორია

ეს თეორია ხშირად ბრონისლავ მალინოვსკის სახელთან არის დაკავშირებული. იგი შემდეგნაირად შეიძლე-

ერაყი, ბაღდადი. პატარძლის ძმა სიძეს მზითვებს აჩვენებს.

ბა ჩამოვაყალიბოთ: ოჯახის წევრებს შორის არსებული სქესობრივი კონკურენცია იმდენად ძაბავდა სიტუაციას, რომ ოჯახი ვერ იარსებებდა, როგორც ეფექტური ერთეული. იმის გამო, რომ ოჯახი საზოგადოების სიმყარეს განაპირობებს, საზოგადოებამ თვითონ აკრძალა ოჯახის შიგნით დაძაბულობისა და მტრობის გამომწვევი მიზეზი. ამრიგად, ამ თეორიის მიხედვით, ინცესტის ტაბუ ოჯახის სიმტკიცის მცველად გამოცხადდა.

თუმცა არსებობს ეჭვის საფუძველიც. საზოგადოებას შეეძლო, სხვა გზებიც გამოენახა ამ შესაძლო დაძაბულობის აღმოსაფხვრელად, მაგალითად, გარკვეული წესების შემუშავებით, რომელიც დაარეგულირებდა სქესობრივ ურთიერთობას თანმიმდევრობას და მოსპობდა კონკურენციას. საკითხავია ისიც, თუ რატომ უდნა ყოფილიყო და-ძმას შორის კავშირი ესოდენ დამანგრეველი? როგორც ვიცით, ძველ ეგვიპტეში არსებობდა მსგავსი პრაქტიკა. და-ძმას შორის ინცესტი არ დაარღვევდა მშობელების ძალაუფლებას, თუკი შვილები ზრდასრულ ასაკში ერთმანეთზე დაქორწინდებოდნენ. ამრიგად, ინცესტის ტაბუს ახსნას ვერც ოჯახის ნგრევის თეორია ახერხებს.

თანამშრომლობის თეორია

ეს თეორია წამოაყენა ადრეული პერიოდის ანთროპლოგმა ედუარდ ტაილორმა და შემდგომში დაამუშავეს ლესლი უაითმა და კლოდ ლევი სტროსმა. იგი ემყარება მოსაზრებას, რომ ინცესტის ტაბუ ხელს უწყობს სხვადასხვა ოჯახს შორის ქორწინებას, ამით ზრდის თანამშრომლობას და საბოლოო ჯამში გადარჩენის ხარისხს. ტაილორის აზრით, საზოგადოების კეთილდღეობისათვის აუცილებელი რიგი სამუშაოები მხოლოდ მრავალი ადამიანის თანამშრომლობით შეიძლება ჩატარდეს. ოჯახებს შორის მტრობისა და დაძაბულობის შესამცირებლად ადამიანებმა მიიღეს ინცესტის აკრძალვა, რათა მაქსიმალურად გაეზარდათ ოჯახებს შორის კავშირი და თანამშრომლობა. ამრიგად, ტაილორი ინცესტის ტაბუს განიხილავდა როგორც არჩევანს „ქორწინებასა და სიკვდილს“ შორის.

ეს მოსაზრება ერთი შეხედვით საკმაოდ მიმზიდველი ჩანს, მაგრამ არსებობს თუ არა მტკიცებულებები მის სასარგებლოდ? გავიხსენოთ თუნდაც გუსიიების მაგალითი, სადაც მტრულად განწყობილი ჯგუფების წარმომადგენლები ქორწინდებიან. აუმჯობესებს თუ არა ქორწინება თანამშრომლობის ხარისხს ოჯახებსა და ჯგუფებს შორის? იმის გამო, რომ თანამედროვე ადამიანები ოჯახს გარეთ ქორწინდებიან, რთულია იმის თქმა, თუ როგორი სიტუაცია იქნებოდა განსხვავებულ პირობებში. სამაგიეროდ, შეგვიძლია, გამოვიკვლიოთ, თუ რამდენად მოქმედებს ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ხარისხზე მათ წევრებს შორის ქორწინებები. ამ საკითხის გარშემო დაგროვილი ცოდნა ცხადჰყოფს, რომ ეს მოსაზრება არ დასტურდება. საზოგადოებებს შორის მათი წევრების ქორწინებების შემთხვევაში თანამშრომლობა და განწყობა დიდად არ განსხვავება იმ შემთხვევებისაგან, როდესაც საზოგადოების წევრები მხოლოდ ერთმანეთში ქორწინდებიან.

მაგრამ მაშინაც კი, თუ გარე ქორწინებები სხვა ჯგუფებთან თანამშრომლობას უზრუნველყოფდნენ, რა საჭირო იყო ოჯახის შიგნით განხორციელებული ქორწინებების აკრძალვა? ოჯახებს შეეძლოთ, თავიანთი წევრი ოჯახის გარეთ დაექორწინებინათ, თუკი ეს საჭირო იქნებოდა გადარჩენისათვის და თუ ამის საჭიროება არ იყო, ნება დაერთოთ ინცესტურ ქორწინებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ინცესტის ტაბუს შეუძლია გააძლიეროს კავშირები ოჯახებს შორის, თანამშრომლობის საჭიროება ბოლომდე ვერ ხსნის მის არსებობას. ამ საკითხის მოგვარება სხვაგვარადაც იქნებოდა შესაძლებელი; უფრო მეტიც, ეს თეორია არ ხსნის ტაბუს სქესობრივ მხარეს. საზოგადოებებს შეეძლოთ დაეშვათ ინცესტური სექსიც და ოჯახის გარე ქორწინებებიც.

ინბრიდინგის თეორია

ინცესტის ტაბუს ერთ-ერთი უძველესი ახსნა ინბრიდინგის თეორია გახლავთ, რომელიც ყურადღებას ინცესტის დამანგრეველ გენეტიკურ შედეგებზე ამახვილებს. ერთი ოჯახის წევრები ერთი და იმავე მავნებელი რეცესიული გენის მატარებელები არიან. როდესაც ადგილი აქვს ინბრიდინგს ანუ ახლონათესაურ კავშირს, იმის ალბათობა, რომ ბავშვი გენეტიკური დარღვევების გამო ჩვილობაშივე გარდაიცვლება, იზრდება. ეს თეორია დიდი ხნის მანძილზე უარყოფილი იყო, რადგან ძაღლების გადარჩევასა და ჯიშების გამოყვანის პრაქტიკაზე დაყრდნო-

ბავშვები ისრაელის კიბუტცში ერთად ისევე კარგად ცხოვრობენ, როგორც დადიან სკოლაში.

ბით, ინბრიდინგი ზიანის მომტანი არ იყო. თუმცა ამისთვის იმ არგუმენტის მოყვანა, რომ ინბრიდინგით ჩემპიონი ძაღლები ჰყავდათ გამოყვანილი, არასწორია. ძაღლებთან მომუშავეები არ ითვალისწინებდნენ იმ ლეკვებს, რომელებსაც ისინი უვარგისებად თვლიდნენ და ხოცავდნენ. ამჟამად უკვე საკმაო ინფორმაცია გვაქვს (როგორც ცხოველთა, ისე ადამიანთა შესახებ) საიმისოდ, რომ ვთქვათ, რაც უფრო ახლონათესაურია კავშირი, მით მაღალია სახიფათო გენეტიკური დარღვევების ალბათობა ამ კავშირის შედეგად დაბადებულ ბავშვებში.

გენეტიკური მუტაციები ხშირად იჩენს თავს. მიუხედავად იმისა, რომ ერთი რეცესიული გენის მატარებლებს ეს გენი საფრთხეს არ უქმნის, თუკი მისი მეუღლეც ამ გენის მატარებელი აღმოჩნდა, მათ ბავშვს ხშირად აქვს გენთა სახიფათო ან სასიკვდილო კომბინაცია. სისხლით ნათესავები უფრო ხშირად არიან ხოლმე ერთი და იმავე სახიფათო გენის მატარებლები, ამიტომ მათი კავშირის შედეგად დაბადებული ბავშვი უფრო ხშირად იღუპება.

ერთ-ერთი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ინცესტის შედეგად ბავშვების 40% სერიოზული დარღვევებით დაიბადა მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი კავშირების შედეგად დაბადებულ ბავშვებში ეს მაჩვენებელი 5%-ს შეადგენდა. სხვა ნათესავებთან კავშირიც სახიფათოა, მაგრამ არა იმდენად, როგორც ოჯახის წევრებს შორის. ეს მტკიცებულებები ადასტურებენ ინბრიდინგის თეორიის სამართლიანობას. ამ თეორიას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბიძასა და ძმისწულს ან დისწულს შორის კავშირის შედეგად დაბადებული ბავშვი ორჯერ უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგას გენეტიკური თვალსაზრისით, ვიდრე ბიძაშვილ-მამიდაშვილების კავშირის შედეგად დაბადებული.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების უმეტესობა ცნობს ინბრიდინგის დამანგრეველ ეფექტს, მაინც ჩნდება კითხვა, იცოდნენ კი ძველმა ადამიანებმა იმის შესახებ, რომ ახლონათესაური კავშირი სახიფათო იყო. უილიამ დურჰამის კულტურათაშორისმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მათ ეს იცოდნენ. ეთნოგრაფები ყოველთვის ვერ ახერხებდნენ ინფორმაციის მიღებას, მაგრამ დურჰამის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მოპასუხეთა 50%-მა შთამომავლობაზე მავნე გავლენა ახსენა. რეიმონდ ფირტი მოგვითხრობს წყნარი ოკეანის სამხრეთში მცხოვრები ტიკოპიას ხალხის შესახებ:

„ითვლება, რომ ახლო ნათესავებთან კავშირის მსურველები თავად იახლოვებენ საკუთარ დაღუპვას ანუ მარას . . . „მარას“ ზოგადად უნაყოფობას გულისხმობს . . . ინცესტური წყვილების უნაყოფობა უშვილობით კი არა, შვილების სისუსტითა და სიკვდილიანობით არის გამოწვეული. . . . ითვლება, რომ ახლო ნათესავების ქორწინების შედეგად გაჩენილი ბავშვი სუსტი იქნება და ადრე მოკვდება. ამ აზრს მყარად აქვს ხალხში ფესვი გადგმული და მისი დამადასტურებელი საბუთებიც მოიპოვება“.

ამრიგად, შესაძლოა, ადამიანებმა შენიშნეს ინბრიდინგიდან წამოსული საფრთხე და მის საწინააღმდეგოდ ინცესტის ტაბუ შეიმუშავეს. მაგრამ მიუხედავად იმისა, ადამიანებს გააზრებული ჰქონდათ თუ არა ინბრიდინგის მავნებლობა, დემოგრაფიული შედეგები უზრუნველყოფდა ტაბუს საყოველთაოობას, რადგან რეპროდუქციული და შესაბამისად ადაპტაციური უპირატესობა იმ ჯგუფების მხარეზე იქნებოდა, რომლებიც ტაბუს იცავდნენ. ამრიგად, თუ ინცესტის ტაბუ ოჯახის სიმტკიცის შენარჩუნებასა და თანამშრომლობაში გადამწყვეტ როლს თამაშობს, ინბრიდინგის პრობლემის გადასაწყვეტად ინცესტის ტაბუ ერთადერთი გზა აღმოჩნდა.

როგორც შემდეგ ქვეთავებში ვიხილავთ, საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს ან არ არსებობდეს ტაბუ პირველი რიგის ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის სქესობრივ და საქორწინო ურთიერთობაზე. ეს განსხვავებაც სრულად ჯდება ინბრიდინგის თეორიაში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ინცესტის ტაბუ შემოიღეს ან სხვა საზოგადოებებიდან გადმოიტანეს სწორედ ინბრიდინგის დამანგრეველი გავლენისაგან თავის დასაცავად.

ვისზე უდნა დაქორწინდეთ?

ალბათ, ჩვენი საზოგადოების ყველა ბავშვმა იცის ზღაპარი კონკიას შესახებ, სადაც ღარიბი გოგონა ხვდება უფლისწულს, მათ ერთმანეთი უყვარდებათ და ქორწინდებიან. ეს ლამაზი ზღაპარი რეალურ ცხოვრებაში არსებული მდგომარეობის ამსახველად არ გამოდგება. ადამიანთა საზოგადოებაში ინცესტის ტაბუს გარდა, არსებობს კიდევ სხვა შეზღუდვები, რაც ქორწინებას ამ ზღაპარივით იოლსა და თავისუფალს არ ხდის. საზოგადოებებში არსებობს მკვეთრად გამოხატული ტენდენციები და უპირატესობები, რომელთა მიხედვითაც ირჩევენ საუკეთესო პარტნიორს.

თვით ჩვენი საზოგადოების მსგავს თანამედროვე ურბანიზებულ საზოგადოებაშიც კი, სადაც მეუღლის არჩევა თითქოსდა თავისუფალია, ადამიანები უფრო მეტად საკუთარი კლასისა და გეოგრაფიული არის შიგნით ამჯობინებენ დაქორწინებას. აშშ-ში დადგენილია, რომ ადამიანები უფრო მეტად იმათზე ქორწინდებიან, ვინც შედარებით ახლოს ცხოვრობს. სამეზობლოში, როგორც წესი, ერთი კლასის წარმომადგენლები ცხოვრობენ, ასე რომ, ქორწინებათა უმეტესობა ნაკლებად ჰგავს კონკიას ზღაპარს.

დაგეგმილი ქორწინებები

მსოფლიოში არსებობს საკმაოდ ბევრი საზოგადოება, სადაც ქორწინებას გეგმავენ. არსებობენ შუამავლები ან უშუალოდ ოჯახებს შორის ხდება მოლაპარაკება. ხშირად შეთანხმების დადების მომენტისათვის მომავალი მეუღლეები ჯერ კიდევ ბავშვები არიან. ეს დამახასიათებელი იყო ჰინდის ინდოეთის დიდი ნაწილის, ჩინეთის, იაპონიის, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპისათვის. ქორწინებები იგეგმებოდა, რადგანაც ორი ოჯახის გაერთიანება და ახალი სოციალური ერთეულის გაჩენა მეტად მნიშვნელოვან საქმედ ითვლებოდა საიმისოდ, რომ იგი ისეთი შემთხვევითი და უმართავი რამისთვის მიენდოთ, როგორიც სიყვარულია.

დაგეგმილი ქორწინების მაგალითად კლელან ფორდის მიერ ბრიტანეთის კოლუმბიაში, კვაკიუტლის ტომის წარმომადგენლის ნაამბობიც გამოდგება. აი, რა მოყვა მან: „როდესაც 25 წლის გავხდი და ჩემი დაოჯახების დრო მოვიდა, ჩემმა ძმებმა მოძებნეს გოგო, რომელსაც იგივე სოციალური მდგომარეობა ეკავა საზოგადოებაში, რაც ჩვენ. ჩემთვის თანხმობაც არ უკითხავთ, ისე ამირჩიეს საცოლედ ლაგიუსის ქალიშვილი. მე სხვა გოგო მომწონდა, რომელიც უფრო ლამაზი იყო, მაგრამ ჩვენზე უფრო დაბალი სოციალური მდგომარეობის ოჯახიდან იყო და ჩემი ძმები არ მომცემდნენ მასზე დაქორწინების უფლებას“.

დაგეგმილი ქორწინებები ნელ-ნელა ქრება და წყვილებს მეტი თავისუფლება ეძლევათ პარტნიორის არჩევაში. 1960-იან წლებამდე წყნარი ოკეანის კუნძულ როტუმაზე ქორწინებები დაგეგმვით ხდებოდა და სიძეპატარძალი ხშირად ერთმანეთს პირველად საქორწილო ცერემონიალზე ხედავდა. მიუხედავდ იმისა, რომ ამჟამად მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა, ახალგაზრდებს „გარეთ გასვლისა“ და მომავალი მეუღლის ვინაობის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება აქვთ. მაროკოს მცირე ქალაქებში დაგეგმილი ქორწინება კვლავაც ჩვეულებრივი ამბავია და მიუხედავად იმისა, რომ ვაჟს შეუძლია დედას სთხოვოს სასურველი ქალის ოჯახისათვის ქორწინების შეთავაზება, მომავალ მეუღლეებს შეხვედრის უფლება არ გააჩნიათ, ასე რომ, ქორწინებამდე გაცნობა კვლავაც თითქმის შეუძლებელია.

ეგზოგამია და ენდოგამია

მიმდინარე კვლევები და საკითხები

ცოლქმრული ურთიერთობები: განსხვავებები სიყვარულში, ინტიმურობასა და სქესობრივ ეჭვიანობაში

ამერიკელები თვლიან, რომ ქორწინება სიყვარულზე უნდა იყოს დამყარებული. არის თუ არა ამგვარი იდეალი ყველა სხვა საზოგადოებაში? პასუხი ცნობილია – არა. მრავალ კულტურაში რომანტიკული სიყვარული არ ითვლება საკმარისად ქორწინებისათვის და ხშირად მას არასასურველადაც კი მიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, სიყვარული ყველა საზოგადოებაში შეიძლება გაჩნდეს. ახლო წარსულის კულტურათაშორის კვლევების თანახმად, მსოფლიოს საზოგადოებებს 88%-ში არსებობს რომანტიკული სიყვარულის ნიშნები პიროვნული მიზიდულობის გამოხატვის, სასიყვარულო სიმღერებისა და გრძნობების ფოლკლორში ასახვის სახით. ეთნოგრაფებმა ჩაიწერეს მრავალი მონათხრობი ვნებისა და სიყვარულის შესახებ. ამრიგად, თუ სიყვარული თითქმის უნივერსალური გრძნობაა, რატომ უგულვებელყოფენ მას ხშირად როგორც ქორწინების საფუძველს?

ამგვარ უგულებელყოფას, ძირითადად, სამი პირობა წარმოშობს. პირველი არის ის, რომ ცოლ-ქმარი შეიძლება დიდ ოჯახში ცხოვრობდეს, ამ სიტუაციაში უფრო მნიშვნელოვანია, რამდენად ეგუება ახალი წევრი უცხო ოჯახის დანარჩენ წევრებს. ხოლო ის, თუ რამდენად უყვართ ერთმანეთი მეუღლეებს, მეორეხარისხოვანი ხდება. მეორე პირობა ისაა, რომ ხშირად პირველადი საარსებო საქმიანობის ძირითად ნაწილს ერთი რომელიმე მეუღლე ასრულებს. და მესამე რომანტიკული სიყვარული ნაკლებად მოსალოდნელია, როდესაც მამაკაცს ქალზე მეტი სექსუალური თავისუფლება აქვს. ზოგადად რომ ვთქვათ, რომანტიკული სიყვარული უგულვებელყოფილია უთანასწორობის პირობებში, როდესაც ერთ-ერთი, მეუღლე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მეორეზე, ან



ვალენტინის დღესასწაული, როგორც ეს მე-19 საუკუნის ბრიტანული ბარათი, რომანტიკული სიყვარულის სიმბოლოა

როდესაც ქალს მამაკაცზე ნაკლები სექსუალური უფლებები აქვს.

ინტიმურობა რომანტიკული სიყვარულისგან განსხვავებული რამ გახლავთ. იგი ასახავს, თუ რამდენად ახლოს არის დაოჯახებული წყვილი ერთმანეთთან. ჭამენ თუ არა ერთად, ერთად სძინავთ თუ არა, თავისუფალ დროს ერთად ატარებენ თუ არა და რამდენად ხშირად აქვთ სექსი. ზოგ საზოგადოებაში წყვილები ერთად დიდ დროს ატარებენ. სხვა საზოგადოებებში მეუღლეები ერთად ცოტა ხანს არიან. მომპოვებელ საზოგადოებებში წყვილებს შორის მეტი ვნებაა, ვიდრე სხვა საზოგადოებებში, მაგრამ ამის მიზეზი ბოლომდე ნათელი არ არის. საზოგადოების მილიტარიზაციაც ხელს უშლის წყვილებს შორის სიახლოვეს.

როდესაც საქმე სქესობრივ ეჭვიანობას ეხება, მამაკაცები უფრო აგრესიულები არიან, ვიდრე ქალები. ბიოლოგიური ორიენტაციის მქონე ანთროპოლოგები აღნიშნავენ, რომ მამები ყოველთვის ფიქრობენ იმაზე, სად არიან მათი შვილები, ამ მიზეზის გამო, მამაკაცები მეტად ცდილობენ, კონკურენტებისაგან თავის დაცვას. ჩნდება კითხვა: როგორ უნდა აიხსნას ეჭვიანობის სხვადასხვა ხარისხი, რომელიც სხვადასხვა საზოგადოებაშია? ირკვევა, რომ, რაც უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებაში ქორწინებას, მით მეტად არის სქესობრივი ურთიერთობები შემოსაზღვრული ქორწინებით, მეტად ასახავს ქონებრივ ინტერესებს და მამაკაცებიც მეტად ეჭვიანები არიან.

რა კავშირში არიან ეს ასპექტები ერთმანეთთან? ახდენს თუ არა გავლენას რომანტიკული სიყვარული, როგორც ქორწინების საფუძველი, ეჭვიანობაზე? განაპირობებს თუ არა რომანტიკული სიყვარული ინტიმურობას, თუ იგი ნაკლებად ხშირი კონტაქტების თანმხლები მოვლენაა? ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ დაზუსტებული პასუხებისგან. ვიცით, მხოლოდ ის, რომ სიყვარული და ინტიმურობა არ გამორიცხავს ოჯახურ ძალადობასა და ოჯახურ უთანხმოებას.

ხშირად ქორწინების ერთ-ერთ მოთხოვნად მეუღლის ნათესაური წრის ან საზოგადოების გარეთ არჩევა გვევლინება. ამას **ეგზოგამიის** წესი ჰქვია. მას მრავალი ფორმა შეიძლება ჰქონდეს. იგი შეიძლევა გულისხმობდეს ან სანათესაოს გარეთ ან სოფლის ან სოფლების ჯგუფის გარეთ ქორწინებას. მეუღლეები ხშირად ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული ადგილებიდან არიან. მაგალითად, ინდოეთის სოფელ რანი ხერაში 200 სხვა სოფლიდან გამოთხოვილი 266 ქალი ცხოვრობს. ეს სოფლები რანი ხერას ირგვლივ 12-24 მილის დაშორებით არიან განლაგებული. ხოლო ამ სოფლიდან 220 ქალი კი ირგვლივ მდებარე 200 სოფელშია გათხოვილი. ეგსოგამიური ქორწინებების შედეგად რანი ხარა, რომელიც 150 ოჯახისაგან შედგება, ირგვლივ მდებარე 400 სოფელთან არის დაკავშირებული. ეგზოგამიური წესების მომქედების დროს ძალადობა საზიანოდ ითვლება. მიკრონეზიაში, იაპის კუნძულებზე, ის ადამიანები, რომლებიც ქალის ხაზით არიან დაკავშირებ-

ულები, „ერთი მუცლის ხალხად“ იწოდებიან. უხუცესები ამბობენ, რომ თუ ერთი სანათესაო ჯგუფის ორი წარმომადგენელი დაქორწინდება, მათ გოგოები არ გაუჩნდებათ და ჯგუფი ამოწყდება.

იმ საზოგადოებებში, სადაც მოსახლეობა მჭიდროდ არ არის დასახლებული, ადამიანებს მეუღლის საპოვნელად ხშირად საკმაო მანძილის გავლა უწევთ. მომპოვებლებისა და მებაღეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვე და ცოლ-ქმრის საზოგადოებებს შორის მანძილი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. რაც ნაკლებია მოსახლეობის სიმჭიდროვე, მით მეტია მანძილი. იმის გამო, რომ მომპოვებლები ნაკლებად მჭიდროდ ცხოვრობენ, ვიდრე მებაღეები, მათ მეუღლის მოსაძებნად უფრო შორს სიარული უწევთ. კუნგებს შორის მომავალი ცოლ-ქმრის ჯგუფები ერთმანეთისაგან, საშუალოდ, 65 კილომეტრით არიან დაშორებულები.

ენდოგამია კი პირიქით, ადამიანებს ავალდებულებს, რომ თავისი საზოგადოების ან ჯგუფის შიგნით იპოვნონ მეუღლე. ენდოგამიის მაგალითებია ინდოეთის კასტები. მაღალ კლასებს მიაჩნდათ, რომ დაბალ კასტებთან კავშირი მათთვის „წამბილწველია“ და შესაბამისად აკრძალული იყო. კასტური ენდოგამია აღინიშნება აფრიკის ზოგ ნაწილშიც. მაგალითად, აღმოსავლეთ აფრიკაში მცხოვრები მასაების ტომში მეომარი მჭედლის ქალიშვილს ცოლად არ მოიყვანს. რუანდაში, ტუტსის მმართველი კასტის წარმომადგენელი არასოდეს დაქორწინდება ტვას მონადირე კასტის წარმომადგენელზე და ა. შ.

ბიძაშვილ-მამიდაშვილების ქორწინება

აშშ-ში გავრცელებული ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია არ განასხვავებს ბიძაშვილებს, მამიდაშვილებსა და დეიდაშვილებს. ზოგიერთ სხვა საზოგადოებაში კი ეს განსხვავებები ძალიან მნიშვნელოვანია. საზოგადოებების უმეტესობა კრძალავს პირველი თაობის ბიძაშვილ-მამიდაშვილების ქორწინებას, თუმცა ზოგ საზოგადოებაში ეს დაშვებული და ხშირად სასურველიც კი არის.

ინგლისურში დედის მხრიდან ბიძაშვილები და მამიდაშვილები აღინიშნებიან ტერმინით **„კროს-კუზენი“** (cross-cousins), ხოლო **პარალელური კუზენები** (parallel cousins) ეწოდებათ დეიდაშვილებსა და მამის მხრიდან ბიძაშვილებს. სიმარტივისათვის ინგლისური ტერმინოლოგია გამოვიყენოთ. ჩიპევას ინდიელებში დაშვებული იყო როგორც ქორწინება, ისე თამამი ხუმრობები კროს-კუზენებს შორის, სამაგიეროდ, პარალელურ კუზენთან მიმართებაში განსაკუთრებული სერიოზულობა და პატივისცემა იყო საჭირო. შესაბამისად, ამ საზოგადოების მამაკაცები თამამად იყვნენ კროს-კუზენი ქალების მიმართ, სამაგიეროდ, მოკრძალებული და თავაზიანები იყვნენ პარალელური კუზენი ქალებისადმი. აშკარაა, რომ შეხუმრებული ურთიერთობები ქორწინების შესაძლებლობის მანიშნებელია მაშინ, როცა პატივისცემა ინცესტის ტაბუს არსებობას მიგვანიშნებს.

როგორც წესი, პირველი თაობის კუზენების ქორწინება კროს-კუზენებს შორის ხდება. პარალელური კუზენების ქორწინება საკმაოდ იშვიათია, თუმცა მუსულმანებში იგი სასურველადაც კი ითვლება. ქურთები, რომლების უმეტესობა სუნიტი მუსულმანია, ამჯობინებენ, რომ ახალგაზრდა მამაკაცმა ცოლად თავის მამის ძმის ქალიშვილი მოიყვანოს (ახალგაზრდა ქალისთვის, შესაბამისად, სასურველ საქმროდ მამის ძმის ვაჟი ჩაითვლება). მამა და მისი ძმა, როგორც წესი, ახლოს ცხოვრობენ და ქალი გათხოვების შემდეგ თავის ძველ ოჯახთან ახლოს იცხოვრებს. მეფე-პატარძალი ერთი ნათესაური ჯგუფის წარმომადგენლები არიან, ამიტომ ქორწინება ენდოგამურია.

რა ტიპის საზოგადოებებშია დაშვებული ან სასურველი პირველი თაობის კუზენების ქორწინება? კულტურათაშორის კვლევების შედეგად დგინდება, რომ ძირითადად ეს ისეთი საზოგადოებებია, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალია. შესაბამისად, ინბრიდინგის რისკიც მინიმუმადეა დასული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხშირად იგივე მდგომარეობაა მრავალ მცირე, მეჩხერად დასახლებულ საზოგადოებაშიც. აქედან გამომდინარე, ეჭვქვეშ დგება ის მოსაზრება, რომ პირველი თაობის კუზენების ქორწინება მიღებულია მჭიდროდ დასახლებულ საზოგადოებებში, სადაც ახლო ნათესავების გენები უფრო მრავალფეროვანია და ინბრიდინგის საფრთხეც ნაკლებია. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მეჩხერად დასახლებულმა საზოგადოებებმა, სადაც დაშვებულია პირველი თაობის კუზენებს შორის ქორწინება, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეპიდემიების შედეგად დაკარგეს. ეპიდემიები მსოფლიოს მრავალ მხარეში ევროპელებმა შეიტანეს. ადგილობრივებს კი იმუნიტეტი არ აღმოაჩნდათ. შემდეგ საზოგადოებებმა დაუშვეს კუზენებს შორის ქორწინება, რათა რეპროდუქცია უზრუნველეყოთ.

ლევირატი და სოროატი

მრავალ კულტურაში არსებობს წესი, რომელიც პიროვნებას გარდაცვლილი ნათესავის მეუღლესთან

ინდოეთის შტატ მადია პრადეშში ზოგიერთ დაგეგმილ ქორწინებაში ნეფე-დედოფალი ჯერ კიდევ ბავშვები არიან

ქორწინებას ავალდებულებს. **ლევირატი** ეწოდება წესს, რომლის მიხედვითაც, მამაკაცი ვალდებულია ცოლად შეირთოს გარდაცვლილი ძმის ქვრივი. **სორორატი** კი ეწოდება წესს, როდესაც ქალი ვალდებულია ცოლად გაჰყვეს გარდაცვლილი დის ქმარს. ორივე წესი გავრცელებულია მსოფლიოში და საზოგადოებების უმეტესობაში მეორე ქორწინების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს.

ციმბირელ ჩუქჩებს შორის ლევირატის მიხედვით, გარდაცვლილი ძმის ქვრივი ცოლად გარდაცვლილის უმცროსმა ძმამ უნდა შეირთოს. იგი ხდება გარდაცვლილი ძმის შვილებსა და ქვრივზე მზრუნველი და ძმის ჯოგს თავის ჯოგთან აერთიანებს. თუ გარდაცვლილს ძმა არ ჰყავდა, მაშინ ქვრივი ქმრის კუზენმა უნდა შეირთოს. ანუ — გარდაცვლილის ცოლზე, შვილებსა და ჯოგზე მზრუნველობა გარდაცვლილის უახლოესმა ნათესავმა უნდა აიღოს თავის თავზე. ჩუქჩების ეს წესი მოვალეობა უფროა, ვიდრე უფლება.

რამდენ ქორწინებაში უნდა იყოს ადამიანი?

ჩვენ მიჩვეულები ვართ, რომ ერთი მამაკაცი ერთ ქალთან უნდა იყოს დაქორწინებული. ჩვენი საზოგადოება **მონოგამურია**. მაგრამ მეცნიერებისთვის ცნობილი საზოგადოებების უმეტესობაში მამაკაცებს უფლება აქვთ, ერთდროულად რამდენიმე ცოლი ჰყავდეთ. ამას **პოლიგინია** ჰქვია. თუმცა პოლიგინიური საზოგადოებების უმეტესობაში მამაკაცების დიდი ნაწილი მონოგამიურ ქორწინებაში იმყოფება, რადგანაც ქალები უბრალოდ არ არიან იმდენი, რომ ყველა მამაკაცს ერთზე მეტი ცოლი ჰყავდეს. პოლიგინიის საწინააღმდეგო მოვლენაა, **პოლიანდრია**, ის გულისხმობს, რომ ქალს შეუძლია ერთდროულად ერთზე მეტი ქმარი ჰყავდეს. პოლიანდრიული საზოგადოებები ცოტაა. პოლიგინია და პოლიანდრია მრავლობითი ქორწინების ანუ **პოლიგამიის** სახეებია. **ჯგუფური ქორწინება**, რომლის დროსაც რამდენიმე მამაკაცი რამდენიმე ქალზეა დაქორწინებული, იშვიათია და არც ერთ ცნობილ საზოგადოებაში არ არის გავრცელებული. ქორწინების ოთხი შესაძლო სახე ნაჩვენებია ცხრილში 20-1.

პოლიგინია

ძველ აღთქმაში მრავალცოლიანობა ჩვეულებრი მოვლენაა. მაგალითად, მეფეები დავითისა და სოლომონის მსგავსად, ძველ აღთქმაში აღწერილი საზოგადოების, მრავალ სხვა პოლიგინიურ საზოგადოებაშიც, მრავალცოლიანობა მამაკაცის სიმდიდრისა და მაღალი სტატუსის მანიშნებელია. ამგვარ საზოგადოებაში მხოლოდ ზოგიერთს თუ შეუძლია და მოეთხოვება ერთზე მეტი ცოლის უზრუნველყოფა. ზოგიერთი მუსულმანური საზოგადოება, განსაკუთრებით არაბულ ენაზე მოლაპარაკენი, პოლიგინიას დღესაც ამ დამოკიდებულებით განიხილავენ. მაგრამ მამაკაცს ყოველთვის არ სჭირდება სიმდიდრე, რომ მრავალცოლიანი იყოს. ზოგ საზოგადოებაში ქალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკაში. ასეთ შემთხვევაში, მამაკაცი ცდილობს, ერთზე მეტი ცოლი ჰყავდეს, რადგან შედეგად სიმდიდრის ზრდას ელიან.

ქორწინების ოთხი ფორმა

ქორწინების სახე	მამაკაცები	ქალები
მონოგამია	მ	ქ
პოლიგამია:		
პოლიგინია	მ	ქ+ქ+
პოლიანდრია	მ+მ+	ქ
ჯგუფური ქორწინება	მ+მ+	ქ+ქ+

მ — მამაკაცი ქ — ქალი

სამხრეთ წყნარი ოკეანის რეგიონში მცხოვრები სივაის საზოგადოებაში პიროვნებების სტატუსი ლხინების მოწყობით განისაზღვრება. მთავარი საკვები ღორის ხორცია. ასე რომ, ღორების მოშენება პრესტიჟული საქმიანობაა. ეს საქმე ცოლებით დაინტერესებას იწვევს, რადგან ღორების საკვები მცენარეები ქალებს მოჰყავთ. ამრიგად, სივაის საზოგადოებაში მამაკაცის სტატუსს განაპირობებს არა ცოლების რაოდენობა, არამედ ღორებისა, რომლების რაოდენობა ცოლების რაოდენობაზეა დამოკიდებული.

მრავალცოლიანი სივაი მამაკაცები დიდი პატივით სარგებლობენ, მაგრამ ისინი ხშირად ჩივიან, რომ რამდენიმე ცოლის მოვლა რთულია. აი, რას ჰყვება ვინმე სინუ, სივაის ტომის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

„მრავალცოლიან ოჯახში სიმშვიდე დიდხანს ვერ იქნება. თუ ქმარს ერთი ღამე ერთ ცოლთან ეძინა, მეორე ცოლი მთელი შემდეგი დღის განმავლობაში დაბღვერილი დადის. თუ კაცი იმდენად სულელია, რომ ზედიზედ ორი ღამე გაატარა ერთ ცოლთან, მეორე ცოლი მას საკვებს აღარ მოუმზადებს და ეტყვის: „შენი ცოლი ხომ ისაა, საჭმელიც მან გაჭამოს. რადგან ჩემთან დაწოლა არ გეკადრება, არც ჩემი გაკეთებული საჭმელი იქნება შენი საკადრისი“. ხშირად ცოლები ერთმანეთს ეჩხუბებიან. ბიძაჩემს ადრე ხუთი ცოლი ჰყავდა და ყველაზე ახალგაზრდა გამუდმებით ეჩხუბებოდა დანარჩენებს. ერთხელაც მან ისე ძლიერად დაარტყა უფროს ცოლს, რომ გონება დააკარგვინა. შემდეგ იგი გაიქცა და მისი ძალით დაბრუნება მოგვიწია.“

ეჭვიანობა ხშირად შეინიშნება პოლიგინიურ საზოგადოებებში, მაგრამ არა ყველაში. მარგარეტ მიდის თქმით, ახალგვინეელი არაპეშების ქალები, რომლებიც პოლიგინიურ ქორწინებაში იმყოფებოდნენ, ისეთი მშვიდები და კმაყოფილები იყვნენ, თითქოს ეს ამბავი მათ სრულებითაც არ ეხებოდათ. ეჭვიანობის არარსებობა, შესაძლოა, **სორორული პოლიგინიით** იყოს განპირობებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მამაკაცმა ცოლად დები შეირთო. როგორც ჩანს, ერთად აღზრდილი დები ქორწინებაშიც აგრძელებენ თანამშრომლობას. ეჭვიანობის შემცირება შესაძლოა სხვა ჩვეულებებმაც განაპირობოს, კერძოდ კი:

1. ცოლების ცალ-ცალკე ცხოვრება. სორორულ პოლიგინიაში ცოლები, როგორც წესი, ერთად ცხოვრობენ. აფრიკაში, ტონგას საზოგადოებაში, სადაც არასორორული პოლიგინიაა გავრცელებული, ქმარი თავის პირად ქონებასა და ყურადღებას ანაწილებს ცოლებს შორის, რომლებიც სხვადასხვა სახლში ცხოვრობენ, თანასწორობის პრინციპის დაცვით. ქროუს ტომის ინდიელებში სორორული პოლიგინიაა გავრცელებული და ცოლები ერთად ცხოვრობდნენ.
2. ცოლებთან მკაცრად არის დაცული თანასწორობა როგორც სექსობრივ, ისე ეკონომიკურ და პიროვნულ საკითხებში. მაგალითად, მადაგასკარელ ტანალაებს შორის ქმარი ვალდებულია, თავის ყოველ ცოლთან თითო დღით დარჩეს. ამ წესის დარღვევა ცოლ-ქმრულ ღალატად ითვლება. უკმაყოფილო ქალს შეუძლია ქმარს უჩივლოს და ანაზღაურების სახით ქმრის ქონების მესამედი მოითხოვოს. ცოლებს შორის ასევე თანაბრად ნაწილდება მიწაც და ქმარი ვალდებულია, დაამუშავოს თავისი ცოლების ნაკვეთები.
3. უფროს ცოლებს ხშირად განსაკუთრებული მდგომარეობა უკავიათ. პოლინეზიაში მცხოვრებ ტონგას საზოგადოებაში პირველ ცოლს „მთავარი ცოლი“ ეწოდება. მისი სახლი ქმრის სახლის მარჯვნივ დგას და „მამის სახლად“ იწოდება. სხვა ცოლებს „პატარა ცოლები“ ჰქვიათ და მათი სახლები ქმრის სახლის მარცხნივაა. ქმარი რჩევას, პირველ რიგში, სწორედ უფროს

ცოლს ეკითხება. გამგზავრების წინ და მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ სწორედ მასთან ერთად სძინავს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩვევას თითქოსდა უმცროსი ცოლების ეჭვიანობა უნდა გამოეწვია, ისინი კმაყოფილები არიან, რადგან მათ სხვა უპირატესობა აქვთ: ახალგაზრდები და მიმზიდველები არიან. ამ წესის შედეგად უფროსი ცოლი, რომელმაც დაკარგა გარეგნული ეშხი, კომპენსაციის სახით პრესტიჟს იღებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მიუხედავად ეჭვიანობის სიხშირისა, პოლიგინიურ საზოგადოებებში, ადამიანები თვლიან, რომ მრავალცოლიანობას საგრძნობი უპირატესობები აქვს. ფილიპ და ჯენეტ კილბრაიდების მიერ კენიაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მამაკაცებიც და ქალებიც, რომლებიც პოლიგინიურ ქორწინებაში იმყოფებოდნენ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ უპირატესობებს ფლობდნენ. იმის გამო, რომ პოლიგინიური ოჯახები საკმაოდ დიდია, მათ სამუშაო ძალის დიდი რაოდენობა აქვთ და შეუძლიათ მეტი საქონელი აწარმოონ ბაზრისთვის. ამ ოჯახებს მეტი გავლენა აქვთ საზოგადოებებში და პოლიტიკაშიც მონაწილეებენ. კონი ანდერსონმა აღმოაჩინა, რომ სამხრეთ აფრიკაში ქალები პოლიგინიურ ქორწინებას იმ მოსაზრებით არჩევდნენ, რომ სხვა ცოლები მათ ბავშვისა და საცხოვრებლის მოვლაში დაეხმარებოდნენ. ზოგიერთი ქალის თქმით კი, პოლიგინიური ქორწინების მიზეზი მამაკაცების ნაკლებობა იყო.

რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ საზოგადოებების უმეტესობაში პოლიგინია დაშვებული და ხშირად სასურველიც კი არის. რალფ ლინტონის აზრით, პოლიგინიის მიზეზი გახლავთ მამაკაცების სურვილი, ჰყავდეთ მეტი ქალი. მაგრამ მაშინ რატომ არ არის გავრცელებული იგი ყველა საზოგადოებაში? სხვა ახსნებიდან გამოვყოფთ იმ რამდენიმეს, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებენ პოლიგინიას.

ერთ-ერთი თეორიის თანახმად, პოლიგინია მშობიარობის შემდგომ პერიოდში **სექსის აკრძალვის შედეგია**. ამგვარ საზოგადოებებში წყვილმა ქალის მშობიარობის შემდეგ გარკვეული ვადით (ერთი წლით მაინც) სქესობრივი კავშირისაგან თავი უნდა შეიკავოს. ჯონ უაითინგს მიაჩნია, რომ კავშირის შეწყვეტა ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვით არის განპირობებული. აი, რას გვამცნობს ჰასას ტომის ქალი:

„ქალი ქმართან არ უნდა იწვეს, სანამ ბავშვს ძუძუს აჭმევს. თუ იგი ასე მოიქცევა, ბავშვი სუსტი და გამხდარი გაიზრდება. მას შემდეგ, რაც ბავშვი ორი წლის გახდება, იგი უკვე მოღონიერებული იქნება და ცოლ-ქმარს ისევ შეუძლია ერთად ყოფნა. ორი წლის შემდეგ ბავშვის გაჩენა სირთულეს აღარ წარმოადგენს“.

ქალების მიერ აღწერილი სიმპტომები ე.წ. კვაშიორკორის ავადმყოფობის სახელით არის ცნობილი და ძირითადად ტროპიკულ მხარეებში გვხდება. იგი ორგანიზმის ცილისგან გამოფიტვას იწვევს. ეს ავადმყოფობა განსაკუთრებით ხშირად იმ ბავშვებში ვითარდება, რომლებსაც დიარეაც აღენიშნებათ. სექსისაგან თავშეკავების დროს დედა მთელ ყურადღებას ბავშვს უთმობს. ბავშვის მიერ დედის რძით მიღებული ცილა მნიშვნელოვნად ამცირებს კვაშიორკორის სიმპტომებს. როგორ მოქმედებს სქესობრივი კავშირისგან თავის შეკავება პოლიგინიურობაზე, ვნახოთ იორუბას ტომის ქალის მონათხრობიდან:

„როდესაც ჩვენ მშობიარობის შემდეგ ქმართან კავშირზე უარს ვაცხადებთ, ამას ბავშვების ჯანმრთელობის გამო ვაკეთებთ. ამასობაში კი ქმარი აუცილებლად იპოვნის სხვა ქალს. ჯობს ეს ქალიც ოჯახის კონტროლქვეშ იყოს, ვიდრე ქმარი თავის ფულს უცხოსთან ხარჯავდეს“.

თუმცა პოლიგინია ფეხმძიმობის დროს სექსის აკრძალვით ვერ აიხსნება.

მეორე ახსნის მიხედვით, პოლიგინია ქალებისა და მამაკაცების რაოდენობის შედეგია. სქესთაშორისი დისბალანსი, შესაძლოა, ომების გამო გაჩნდეს, რადგან ომში სწორედ მამაკაცები მონაწილეობენ და უფრო ხშირადაც იღუპებიან. თუ ცნობილია, რომ არაკომერციულ საზოგადოებებში თითქმის ყველა ადამიანი დაქორწინებულია, პოლიგინია, შესაძლოა, ქალების „ზედმეტი“ ნაწილისათვის მეუღლის მოძებნის ერთ-ერთი გზა იყოს. მართლაც, ცნობილია, რომ საზოგადოებები, სადაც მამაკაცები ცოტაა, ხშირადაც ომობენ და პოლიგამიითაც ხასიათდებიან. საზოგადოებები, სადაც ქალები და მამაკაცები თანაბარი რაოდენობითაა, შედარებით ნაკლებს ომობენ და მონოგამიას მისდევენ.

მესამე ახსნა ისაა, რომ პოლიგინია კაცს საშუალებას აძლევს, შედარებით გვიან დაქორწინდეს. ეს ახსნა რაოდენობრივი თეორიის მსგავსია. მამაკაცის ქორწინების დაგვიანება მეუღლის პოვნას გარკვეულწილად ართულებს, რადგან გასათხოვარი ქალების რაოდენობა მცირდება. რთული სათქმელია, რატომ გვიანდება მამაკაცის ქორწინება, მაგრამ ეს დაგვიანება პოლიგინიას უწყობს ხელს?

ამ თეორიებიდან სამივე — მშობიარობის შემდგომ პერიოდში სექსისასგან თავის შეკავება, ქალებისა და მამაკაცების დაუბალანსებელი რაოდენობა საზოგადოებაში და მამაკაცის ქორწინების დაგვიანება — თანაბარმნიშვნელოვანია პოლიგინიის კვლევაში, თუ რომელიმე მათგანი სხვებზე უკეთესია? ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს შორის ოპტიმალურის ასარჩევად შეიძლება გამოვიყენოთ სტატისტიკური კონტროლის ანალიზი. მისი მეშვეობით შეიძლება დავადგინოთ, თუ რომელი ფაქტორი გულისხმობს მოვლენას სხვა ფაქტორების მოცილების შემდეგ. ამ შემთხვევაში მშობიარობის შემდგომი პერიოდის სექსის აკრძალვა სქესთაშორისი ბალანსის ეფექტის მოცილების შემდეგ აღარ ვარაუდობს პოლიგინიას და ამიტომ, შესაძლოა არც არის პოლიგინიის მიზეზი. მაგრამ რაც შეეხება ქალების სიჭარბესა და მამაკაცების ქორწინების ასაკს, პოლიგინიის წარმოშობის განმაპირობებელ ფაქტორებად ორივე მათგანი შეიძლება მივიჩნიოთ. თუ ორივე ფაქტორი ერთად არსებობს საზოგადოებაში, პოლიგინიის არსებობა კიდევ უფრო მოსალოდნელია.

პოლიანდრია

ჯორჯ პიტერ მერდოკის „მსოფლიოს ეთნოგრაფიულ მაგალითებში“ ჩამოთვლილი კულტურებიდან პოლიანდრია მხოლოდ ოთხში (ანუ კულტურების რაოდენობის 1%-ზე ნაკლებში) აღინიშნება. პოლიანდრიას ორი სახე აქვს, **ფრატერნალური**, რომლის დროსაც ქმრები ერთმანეთის ძმები არიან და **არაფრატერნალური**. ფრატერნალური პოლიანდრია არსებობს ტიბეტში, ინდოეთში მცხოვრებ ტოდას ხალხსა და შრილანკელი სინჰალების საზოგადოებაში. ტიბეტელებს შორის, რომლებიც ფრატერნალურ პოლიანდრიას მისდევენ, ბავშვის ბიოლოგიური მშობლის ვინაობას არავინ ადგენს. მამებად ყველა ქმარი მოიაზრება, როგორც მოზრდილების ისე ბავშვების თვალშიც.

პოლიანდრიის შესაძლო მიზეზად შეიძლება დასახელდეს ქალების სიმცირე. ტოდას ხალხი მდედრობითი სქესის ახალშობილებს ხოცავდა. სინჰალებშიც იგივე ადათი არსებობდა, მაგრამ ქალების შემცირების შემდეგ მათ ამ წესზე უარი თქვეს. ქალების რაოდენობის სიმცირესა და პოლიანდრიას შორის კავშირი გასაგებს ხდის ამ უკანასკნელის იშვიათობას: იშვიათია საზოგადოებები, სადაც ქალები უფრო ცოტანი არიან, ვიდრე კაცები.

მეორე შესაძლო ახსნა ძლიერ შეზღუდული რესურსების პირობებში პოლიანდრიის ადაპტაციურობა შეიძლება იყოს. მელვინ გოლდსტეინმა შეისწავლა ტიბეტელების საზოგადოება, რომელიც ზღვის დონიდან 4000 მეტრის სიმაღლეზე ცხოვრობს. დასამუშავებელი მიწის რაოდენობა აქ ძალიან მცირეა და თითო ოჯახზე აკრზე ნაკლები ფართობის ნაკვეთი მოდის. ტიბეტელების თქმით, ფრატერნალური პოლიანდრია მათ საშუალებას აძლევს,

პოლიგიანია პრაქტიკაშია რამდენიმე ქვეყანაში, სანამ იგი აიკრძალება კანონით.

ოჯახის მიწა და საქონელი ოჯახშივე დარჩეს. მიუხედავად იმისა, რომ ტიბეტელები ამაზე არ ფიქრობენ, პოლიანდრია მოსახლეობის ზრდასაც ამცირებს. მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა დაახლოებით თანაბარია, მაგრამ ამ უკანასკნელთა დაახლოებით 30% გათხოვილი არ არის. მართალია, მათ შეიძლება ჰყავდეთ შვილები, მაგრამ ბევრად ნაკლები, ვიდრე გათხოვილებს. ტიბეტელები რომ მონოგამურები ყოფილიყვნენ, შობადობა უფრო მაღალი იქნებოდა და შეზღუდული რესურსების პირობებში გამოსაკვები პირების რიცხვი მოიმატებდა.

ოჯახი

ოჯახები ყველა საზოგადოებაში არსებობს. თუმცა სხვადასხვა საზოგადოებაში ოჯახები სხვადახვანაირია. **ოჯახი** არის საზოგადოებრივი და ეკონომიკური ერთეული, რომელიც მინიმუმ ერთი მშობლისა და შვილისაგან ან ცოლ-ქმრისაგან შედგება. ოჯახის წევრებს ერთმანეთის მიმართ ყოველთვის აქვთ გარკვეული უფლება-მოვალეობები, განსაკუთრებით — ეკონომიკური კუთხით. ოჯახის წევრები ერთ სახლში ცხოვრობენ, მაგრამ საერთო საცხოვრებელი განმსაზღვრელი ფაქტორი სულაც არ გახლავთ. მაგალითად, ჩვენს საზოგადოებაში სწავლის პერიოდში ბავშვებმა შეიძლება მშობლებისაგან მოშორებითაც იცხოვრონ. ზოგი წევრი კი შეიძლება იძულებული გახდეს, ცალკე იცხოვროს.

ოჯახი ბავშვისათვის სასწავლო გარემოა. ძუძუმწოვრების ზოგიერთ სახეობას გაჩენისთანავე შეუძლია დამოუკიდებლად ცხოვრება, მაგრამ არა ყველას. ადამიანის ნაშიერს დიდხანს სჭირდება მოვლა. ბავშვებს თითქმის არ გააჩნიათ თანდაყოლილი ჩვევები, რაც აუცილებელია გადარჩენისათვის. მათ ეს ყველაფერი უნდა ისწავლონ. ის ჩვევები და ქცევები, რომლებიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს, ძირითადად კულტურულია. ოჯახი ზრუნავს ბავშვზე და იცავს მას, სანამ იგი იმ კულტურულ ქცევებს, რწმენასა და ღირებულებებს აითვისებს, რომლებიც აუცილებელია მისი და მისი საზოგადოების გადარჩენისათვის.

ოჯახის სახეები

საზოგადოებების უმეტესობაში ოჯახში მხოლოდ ერთი მშობელია. (ასეთ ოჯახს **მატრიფოკალური ოჯახი** ეწოდება) ასეთი ოჯახები შეიძლება იყონ მონოგამურნი (ე.წ. **ბირთვული ოჯახი**) და პოლიგამურნი (ძირითადად პოლიგინიური). ანთროპოლოგიაში ცნობილი საზოგადოებების ნახევარზე მეტში ოჯახის გაბატონებული ფორმაა **გაფართოებული** (დიდი) **ოჯახი**. იგი შეიძლება მოიცავდეს ორ ან მეტ ერთმშობლიან, მონოგამურ ან პოლიგამურ ოჯახს, რომლებიც სისხლით ნათესაობით არიან დაკავშირებული. გაფართოებული ოჯახი შედგება მშობლებისა და მათი დაოჯახებული შვილებისაგან, რომლებიც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ. ბირთვული ოჯახები მშობლებისა და შვილების შორის კავშირით არიან შეკრული. თუმცა გაფართოებული ოჯახი ზოგჯერ დედმამიშვილებს შორის კავშირითაც არის გამაგრებული. ამგვარი ოჯახი შეიძლება შედგებოდეს ორი ძმისაგან, რომლებსაც თავიანთი ოჯახები ჰყავთ. გაფართოებული ოჯახი შეიძლება ძალიან დიდი იყოს და სამი-ოთხი თაობის ნათესავებისგან შედგებოდეს.

გაფართოებული (დიდი) ოჯახების საცხოვრებელი

ამგვარი ოჯახებისაგან შემდგარ საზოგადოებაში ქორწინება არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ცხოვრების წესში. ისე, როგორც ჩვენთან, სადაც წყვილი ცალკე გადადის საცხოვრებლად და ფაქტობრივად ახალ ოჯახს ქმნის. დიდ ოჯახებში ახლად დაქორწინებულები უკვე არსებულ ოჯახურ ერთეულში შედიან. მარგარეტ მიდი შემდეგნაირად აღწერს სამოაზე არსებულ სიტუაციას:

„ქორწინების შემდეგ ახალი საცხოვრებლის აშენება აუცილებელი სულაც არ არის. იცვლება ოჯახებს შორის დამოკიდებულება და ცოლი საცხოვრებლად ქმრის სახლში გადადის, ესაა და ეს. ახალი წყვილი იმავე სახლში აგრძელებს ცხოვრებას, უბრალოდ ბამბუკის სარებს, კოლოების ბადესა და ლოგინისათვის საჭირო მასალებს იღებენ. ცოლი სახლის სხვა ქალებთან ერთად მუშაობს და სხვებთან ერთად ელოდება კაცების მოსვლას. ქმარი ოჯახის სხვა მამაკაცებთან ერთად შრომობს. ამ წყვილს არავინ აღიქვამს ცალკე ოჯახად".

სამოაზე, ისევე როგორც გაფართოებული ოჯახის მქონე სხვა საზოგადოებებში, წყვილი ნაკლებ გავლენას ფლობს საოჯახო მეურნეობის მართვაზე. ხშირად ეს საქმე უფროს მამაკაცს აკისრია. ახალ ოჯახს არც საკუთარი ქონების შეგროვება და დამოუკიდებლობის მოპოვება შეუძლია, იგი დიდი კორპორატიული სტრუქტურის ნაწილია.

„ასე მიდის ახალგაზრდა ხალხის ცხოვრება. ბოლოს და ბოლოს, როდესაც უფროსები გარდაიცვლებიან, სახლის პატრონები ეს ცოლ-ქმარი გახდება და ახლა ისინი იქნებიან უფროსები. შემდეგ მათი შვილი მოიყვანს ცოლს, იცხოვრებს მათთან ერთად, იმუშავებს მათი ერთიანი ოჯახის საკეთილდღეოდ და მათ სიკვდილს დაელოდება, რათა თავად აიღოს ხელში მართვის სადავეები".

დიდი ოჯახი ბირთვულ ოჯახზე უფრო მყარია. დამოუკიდებელი ბირთვული ოჯახისაგან განსხვავებით, რომელიც იშლება უფროსი წევრების (მშობლების) სიკვდილთან ერთად, დიდი ოჯახი მუდმივად იმატებს უმცროს წევრებს, რომლებიც უფროსების სიკვდილის შემდგომ თავად ხდებიან უფროსები.

დიდი ოჯახის არსებობის შესაძლო მიზეზები

დიდი ოჯახები ძირითადად არსებობენ ისეთ საზოგადოებებში, სადაც განვითარებულია დაფუძნებული მიწათმოქმედური ეკონომიკა. ამრიგად, განმაპირობებელი როლი შეიძლება ეკონომიკურ ფაქტორებს ენიჭებოდეთ. მ.ფ. ნიმკოფმა და რასელ მიდლტონმა წამოაყენეს მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წაახალისოს მიწათმოქმედებამ დიდი ოჯახის შექმნა და არსებობა. ოჯახის ქონება ანუ მიწა არ უნდა დანაწილდეს, რადგან ეს ზარალის მომტანი იქნება ოჯახის წევრებისათვის. სპირისპირო მდგომარეობაა მონადირე-შემგროვებელების მობილურ საზოგადოებებში. მათთვის გაფართოებული ოჯახის შექმნა მოსახერხებელი არ არის; პირიქით, უმჯობესია, რომ საზოგადოება ბირთვულ ოჯახებად იყოს დაყოფილი, რათა უკეთ შეძლონ გადაადგილება.

მიმდინარე კვლევები და საკითხები

რატომ იმატა ბოლო წლებში ერთმშობლიანი ოჯახების რიცხვმა?

ქორწინების ჩვევა არა მხოლოდ ყველა კულტურაშია გავრცელებული, არამედ ადამიანების უმეტესობაშიც. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაქორწინებულები შორდებიან, შემდეგ სხვა ადამიანებთან ქორწინდებიან. ეს ნიშნავს, რომ ერთმშობლიანი ოჯახები გავრცელებული არ უნდა იყოს საზოგადოებების უმეტესობაში.

მიუხედავად ამისა, დასავლეთის საზოგადოებაში ბოლო ხანებში ამ მხრივ მნიშვნელოვნად შეიცვალა სიტუაცია. იმატა ერთმშობლიანი ოჯახების რიცხვმა, რომლების 90% მარტოხელა დედები არიან. თუ 1960-იანი წლებისათვის აშშ-ში ასეთი ოჯახები საერთო რაოდენობის 9%-ს შეადგენდა, 1980-იან წლებში მათი რაოდენობა 24%-მდე გაიზარდა. მანამდე დასავლეთის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ მხრივ შვედეთს ჰქონდა (13% 1970-იან წლებში), ახლა კი მას აშშ-მ გაუსწრო.

სანამ მიზეზების გარჩევაზე გადავიდოდეთ, უნდა გავითვალისწინოთ, რა გზებით შეიძლება წარმოიქმნას მსგავსი ოჯახი. პირველი მიზეზი არის მეუღლეების დაშორება. მეორე მიზეზი — ბავშვის ქორწინების გარეშე გაჩენა. ამას გარდა, მიზეზი შეიძლება იყოს ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილი და მეორე მიერ სხვა ქორწინებაზე უარის თქმა.

მრავალი მკვლევარის აზრით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დაშორების გაადვილებამ. ერთი შეხედვით ეს ახსნა დამაჯერებელია, მაგრამ უფრო გულდასმით შესწავლა გვიჩვენებს, რომ მოსაზრება მცდარია. 1960-1970-იან წლებში მრავალ ქვეყანაში მომხდარმა საკანონმდებლო ცვლილებებმა დაშორება გააადვილა და ერთმშობლიანი ოჯახების რიცხვმაც მას შემდეგ იმატა, მაგრამ რატომ მოხდა ისე, რომ ერთბაშად ამდენმა ქვეყანამ მიიღო მსგავსი ცვლილებები კანონმდებლობაში? იქნებ მანამდე ქორწინებისადმი მიდგომა შეიცვალა? დაშორების გამარტივება ერთმშობლიანი ოჯახების რაოდენობის ზრდას მხოლოდ იმ შემთხვევაში განაპირობებს, თუ შემდეგ ადამიანები მალე არ დაქორწინდებიან. აშშ-ში 1960-იანი წლების მერე დაშორების შემდგომმა ქორწინებებმა მკვეთრად იკლო. შესაძლოა, რომ სწორედ ეს მიზეზი განაპირობებდა ერთმშობლიანი ოჯახების რაოდენობის ზრდას. თუმცა უნდა ითქვას, რომ დაშორების მაჩვენებელმა ზრდა 1980-იან წლებში შეწყვიტა, მაგრამ ერთმშობლიანი ოჯახების რაოდენობა კვლავაც იზრდება. ამრიგად, დაშორების გაადვილება ბოლომდე არ ხსნის ერთმშობლიანი ოჯახების რაოდენობის ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მშობელი ამჯობინებს მარტო გაზარდოს ბავშვი, შესაფერისი მეუღლის გამოჩენის შემთხვევაში, მათი უმრავლესობა თანახმაა ქორწინებაზე. ზოგ ქვეყანასა და ზოგ ეთნიკურ ჯგუფში ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჭარბობს მამაკაცებისას, ზოგან ამ უკანასკნელთა უმეტესობის ეკონომიკური მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, სადაც მამაკაცების რიაოდენობაზე ომებმა, ალკოჰოლიზმმა და უბედურმა შემთხვევებმა იმოქმედა. აშშ-ში ამგვარი დისბალანსი ნაკლებია, თუმცა ზოგ ღარიბ რაიონში მამაკაცების სიკვდილიანობა მაღალია. თანაც მათ უმეტესობას სამუშაო არ გააჩნია. დენიელ ლიჩტერის გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ 21-28 წლის ასაკში ყოველ 100 აფროამერიკელ ქალზე 80 აფროამერიკელი მამაკაცი მოდის. ხოლო თუ დავთვლით მხოლოდ იმ მამაკაცებს, ვინც დასაქმებულია, მათი რიცხვი 50-მდე ჩამოვა. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთმშობლიანი ოჯახები ხშირია მაშინ, როდესაც მეუღლის პოვნა რთულია.

მეორე პოპულარული ახსნა ისაა, რომ წარსულისაგან გასხვავებით, ქალს შეუძლია მეუღლის გარეშე იცხოვროს, მოუაროს შვილს, რადგან მას ახლა სახელმწიფო ეხმარება. მაგალითად მოჰყავთ შვედეთი, სადაც სახელმწიფოს მხრიდან მარტოხელა დედას მრავალი შეღავათი და დახმარება ეკუთვნის, ფინანსური თუ სოციალური. მაგრამ ისლანდიის მაგალითს თუ ავიღებთ, სადაც სკანდინავიის ქვეყნებს შორის ქორწინების გარეშე მშობიარობის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია, ვნახავთ, რომ ამ ქვეყანაში სახელმწიფო სულაც არ გამოირჩევა მარტოხელა დედებზე ზრუნვით. ერთმშობლიანი ოჯახების რაოდენობის ზრდა ვერ მტკიცდება აშშ-ს მაგალითის მოშველიებითაც, სადაც მარტოხელა დედებს სახელმწიფო ეხმარება. თუ აღნიშნული თეორია სამართლიანია, მაშინ ამგვარი დახმარების ზრდა ერთმშობლიანი ოჯახების ზრდის რაოდენობას იწვევდეს. 1980-იან წლებში ეს დახმარება შემცირდა, მიუხედავად ამისა მარტოხელა დედების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ კარგი განათლებისა და მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შემთხვევაში, ქალები შეძლებენ გაუძღვნენ ოჯახს და შესაბამისად, რაც მეტი ქალი შევა შრომის ბაზარზე, მით უფრო გაიზრდება მარტოხელა დედების რიცხვი. სინამდვილეში კი ირკვევა, რომ ამგვარი ქალების უმეტესობა სულაც არ ირჩევს მარტო ცხოვრებას და თხოვდება.

თუმცა ეკონომიკის გავლენა ერთმშობლიანი ოჯახების არსებობაზე აშკარაა. არის თუ არა სიმართლე ის, რომ საარსებო ეკონომიკა ახალისებს ოჯახის შექმნას და კომერციული ეკონომიკა კი პირიქით, ნაკლებად მიმზიდველს ხდის მას? მიუხედავად იმისა, რომ ქორწინება ყოველთვის სიყვარულსა და თანამშრომლობაზე არ არის დამყარებული, იგი არაკომერციულ ეკონომიკაში მრავალი სახის ურთიერთდამოკიდებულებას იწვევს. საბაზრო ეკონომიკა კი სხვა შესაძლებლობებს იძლევა. აქ საქონელი და მომსახურეობა ყიდვა-გაყიდვის საგანია, სახელმწიფოს შეუძლია იმ ფუნქციების აღება, რასაც ნათესაობა და ოჯახი ასრულებს. ამრიგად, ერთმშობლიანი ოჯახი ასეთი ეკონომიკის პირობებში ბევრი ადამიანის არჩევანია.

თუმცა მიწათმოქმედება გაფართოებული ოჯახის არსებობის ყველა შემთხვევას არ ხსნის, ვინაიდან მრავალ მიწათმოქმედ საზოგადოებაში ამგვარი ოჯახები არ შეინიშნება. სამაგიეროდ, მათი ნახვა შეიძლება არამიწათმოქმედ საზოგადოებებში. ამიტომ გაჩნდა მეორე თეორია, რომელსაც „შეუთავსებელ საზოგადოებათა თეორია“ ჰქვია. ამ თეორიის თანახმად, დიდი ოჯახები წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებაში

ჩინელი ამერიკელების ოჯახის სამი თაობა ზეიმობს შვილიშვილის პირველ დაბადების დღეს

შეუთავსებელი საქმიანობები არსებობენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც დედას არ შეუძლია სახლის მიხედვა, რადგან ყანაში აქვს სამუშაო ან როდესაც მამა სალაშქროდ, სავაჭროდ არის წასული და ოჯახი უმამაკაცოდ რჩება. კროსკულტურული კვლევები ცხადყოფენ, რომ სწორედ ამგვარი საზოგადოებები ხასიათდებიან გაფართოებული ოჯახების არსებობით. ზოგი მათგანი მიწათმოქმედია, ზოგი კი — არა. კომერციულ საზოგადოებაში, რომელსაც შეუთავსებელი საქმიანობები ახასიათებს, დიდი ოჯახი შეიძლება არც კი არსებობდეს. ამ შემთხვევაში, ოჯახს შეუძლია შეიძინოს მომსახურება, რომელიც გადაჭრის მის პრობლემებს.

თუმცა მომსახურების შეძენა ყველას არ შეუძლია. კომერციულ საზოგადოებებშიც ბევრი დგება ოჯახის გაფართოების აუცილებლობის წინაშე, მით უმეტეს, თუ ეკონომიკა რთულ პერიოდს გადის. როგორც ერთ-ერთმა პოპულარულმა ჟურნალმა აღნიშნა:

"რა უნდა მოსვლოდა ამერიკულ ოჯახს, მყუდრო სახლში მცხოვრებ მამას, დედას, ორ შვილსა და სულელ ძაღლს? რა და — ეკონომიკური წნეხი: სამუშაოდან გათავისუფლებები, ახალგაზრდა ხალხისათვის ნაკლები სამუშაო, მეტი მომუშავე დედა, საცხოვრებლის ნაკლებობა და ცხოვრების ფასის ზრდა. ამ ფაქტორებმა, დაშორებათა რიცხვის ზრდასთან და ქორწინების დაგვიანების ტენდეციასთან ერთად, ათასობით ამერიკელი აიძულა, ეცხოვრა მრავალთაობიან ოჯახებში.

მრავალ საზოგადოებაში არსებობენ ნათესაური ჯგუფები, რომლებიც დიდ ოჯახებზე დიდები არიან. შემდეგ თავში ჩვენ სწორედ მათზე ვისაუბრებთ.

შეჯამება

1. ამჟამად ცნობილ ყველა საზოგადოებაში არსებობს ქორწინების ჩვეულება. ქორწინება არის საზოგადოებრივად მიღებული სქესობრივი და ეკონომიკური კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, მოიცავს ორმხრივ უფლება-მოვალეობებს მეუღლებსა და მათ შვილებს შორის.
2. ქორწინების გამოცხადება სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვანაირად ხდება. ზოგან ეს რთული ცერემონიაა, ზოგან კი ცერემონია საერთოდ არ არსებობს. ვარიაციები შეიძლება მოიცავდეს ბავშვების დანიშვნას, საცდელ საქორწინო პერიოდს, ლხინის მოწყობასა და ბავშვის დაბადებას.
3. საქორწინო შეთანხმებები შეიძლება ეკონომიკურ ელემენტებსაც შეიცავდნენ. ამგვარი შეთანხმების ყველაზე გავრცელებული სახე არის საცოლის ფასი — საქმროს მიერ საცოლის ოჯახისათვის გადახდილი ფული ან საქონელი. საცოლის სამსახურში იგულისხმება საქმროს მიერ საცოლის ოჯახისათვის გარკვეული პერიოდის მანძილზე გაწეული სამსახური. ზოგ საზოგადოებაში, საცოლის სანაცვლოდ, ოჯახს ქალს საქმროს ოჯახიდან აძლევდნენ. სხვა საზოგადოებებში ოჯახები ერთმანეთს საჩუქრებს უძღვნიან. მზითვი არის საცოლის ოჯახის მიერ გაღებული თანხა ან საქონელი. არსებობს არაპირდაპირი მზითვიც, რომელიც საქმროს ოჯახის მიერ გადაეცემა საცოლეს, ჩვეულებრივ საცოლის მამის ხელით.
4. არც ერთ საზოგადოებაში არ იყო და არ არის მიღებული სქესობრივი კავშირი ან ქორწინება და-ძმას, დედასა და ვაჟს, მამასა და ქალიშვილს შორის.
5. ყველა საზოგადოებაში არსებობს წესები, რომლებიც კარნახობენ ადამიანს, თუ ვისზე არ შეუძლიათ დაქორწინება, ვისზე შეუძლიათ და ხანდახან, თუ ვისზე უნდა დაქორწინდნენ. ზოგ საზოგადოებაში საქორწინო შეთანხმებას წყვილის ნათესავები დებენ. ბევრგან თვლიან, რომ ორი ოჯახის გაერთიანება მეტად მნიშვნელოვანი რამ არის იმისთვის, რომ იგი რომანტიკულ სიყვარულს მიანდონ. ზოგ საზოგადოებაში არსებობს ეგზოგამიის წესი, რაც საზოგადოების გარეთ დაქორწინებას უშვებს. ზოგან კი არასებობს ენდოგამიის წესი, რომელიც საზოგადოების შიგნით დაქორწინებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებების უმეტესობაში დაშვებულია პირველი თაობის ბიძაშვილების, მამიდაშვილებისა და დეიდაშვილების შეუღლება, ზოგან შეიძლება დაშვებული ან აკრძალული იყოს როგორც კროს-კუზენების, ისე პარალელური კუზენების ქორწინება. მრავალ საზოგადოებაში არსებობს ლევირატისა და სოროორატის წესები. ლევირატი გულისხმობს გარდაცვლილი კაცის ქვრივის მოყვანას გარდაცვლილის ძმის მიერ, ხოლო სოროორატი კი გულისხმობს გარდაცვლილი ქალის დის ქორწინებას გარდაცვლილის ქმართან.
6. ჩვენ ქორწინებას ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის კავშირად მივიჩნევთ. ამას მონოგამია ჰქვია, მაგრამ საზოგადოებების უმეტესობაში ნებადართულია მამაკაცის მიერ რამდენიმე ცოლის ყოლა (პოლიგინია). პოლიანდრია ეწოდება ქორწინებას, რომლის დროსაც ერთ ქალზე ორი ან მეტი მამაკაცია დაქორწინებული. ეს საკმაოდ იშვიათი მოვლენაა.
7. საზოგადოებების უმეტესობაში ოჯახის გაბატონებული სახეა გაფართოებული ოჯახი. იგი შედგება ორი ან მეტი ერთმშობლიანი, მონოგამური, პოლიგინიური ან

პოლიანდრიული ოჯახისაგან, რომლებსაც ერთმანეთთან სისხლით ნათესაობა აკავშირებთ.

საკონტროლო კითხვები

1. დარჩება თუ არა ჩვენს საზოგადოებაში ქორწინების ჩვევა? პასუხი ახსენით.
2. ფიქრობთ თუ არა, რომ გაფართოებული ოჯახები უფრო მომრავლდება ჩვენს საზოგადოებაში? რატომ?
3. რატომ არის პოლიანდრია ასე იშვიათი პოლიგინიასთან შედარებით?

ცოლ-ქმრის საცხოვრებელი და სანათესაო

21



თავების შინაარსი

- ცოლ-ქმრის საცხოვრებლის მახასიათებლები
- საცხოვრებლის მიხედვით არსებული განსხვავებების ახსნა
- სანათესაოს სტრუქტურა
- ბილატერალური ნათესაობა
- უნილინეარული შთამომავლობა
- ამბილინეარული სისტემები
- ნათესაობის ამსახველი ტერმინოლოგია

აშშ-სა და კანადაში, ისევე როგორც მრავალ სხვა ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ახალგაზრდა მამაკაცი და ქალი ქორწინების შემდეგ მშობლებისა და სხვა ნათესავებისაგან განცალკევებით სახლდებიან (თუ უკვე არ ცხოვრობდნენ ცალკე). ჩვენი საზოგადოება ცოლ-ქმრის საცხოვრებელი ადგილის მხრივ ნეოლოკალურია (ახალი ადგილია), რაც გულისხმობს, რომ დაქორწინებულები ახალ ადგილზე გადადიან საცხოვრებლად. ჩვენს საზოგადოებაში ეს წესია და იგი უჩვეულოდ არავის ეჩვენება. მრავალი მაღალშემოსავლიანი ოჯახი თავის შვილებს 13-14 წლის ასაკიდან უშვებს ცალკე საცხოვრებლად დასასვენებელ ბანაკებში. ყველა სოციალური ფენის ახალგაზრდები იწყებენ ცალკე ცხოვრებას, როდესაც კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში სწავლობენ. და ბოლოს, ქორწინების შემთხვევაში, ახალგაზრდა მთლიანად მიდის ოჯახიდან.

ნეოლოკალური საცხოვრებელი იმდენად ბუნებრივია ცნობიერებაში, რომ იგი საყოველთაოდ გავრცელებული გვგონია, არადა ჯორჯ პიტერ მერდოკის „მსოფლიო ეთნოგრაფიულ ცნობარში“ შესულ 565 საზოგადოებიდან მხოლოდ 5% მისდევს აღნიშნულ წესს. დაახლოებით 95%-ში კი დაქორწინებულები რომელიმე მეუღლის მშობლების ოჯახში ან მასთან ახლოს, სანათესაოში მკვიდრდებიან. იქ, სადაც დაქორწინებული წყვილი ნათესავებთან ერთად ან მათ სიახლოვეს ცხოვრობს, როგორც წესი, მნიშვნელოვანია ნათესაური კავშირები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცოლ-ქმრის საცხოვრებელი განაპირობებს ნათესაობის ტიპებსა და ნათესავებისადმი დამოკიდებულებას.

ჩვენ ვნახავთ, რომ სანათესაო შეიძლება მრავალი ოჯახისგან შედგებოდეს, რაც ასობით ან ათასობით ადამიანის ერთობას გულისხმობს. ასეთი სანათესაოები მრავალ საზოგადოებაში არსებობენ და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფეროს საფუძვლად გვევლინებიან. სანათესაოს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური ფუნქცია.

ცოლ-ქმრის საცხოვრებლის მახასიათებლები

საზოგადოებებში, სადაც ახალდაქორწინებული წყვილი ნათესავებთან ერთად ან მათ სიახლოვეს ცხოვრობს, საცხოვრებლის რამდენიმე მოდელი შეინიშნება. ახალგაზრდები ყველა საზოგადოებაში ბირთვული ოჯახის გარეთ უნდა დაქორწინდნენ. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა საზოგადოებაში ცოლ-ქმარი ერთად ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, ზოგმა ახალგაზრდამ ქორწინებასთან ერთად თავისი მშობლების სახლი უნდა დატოვოს. ვინ ტოვებს მშობლების სახლს და ვინ არა? საზოგადოებები ამ მხრივ დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევიან. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ოთხნაირი საზოგადოება შეიძლება არსებობდეს:

1. **პატრილოკალური საცხოვრებელი** — მშობლების სახლში რჩება ვაჟი. მეუღლეები ქმრის მშობლებთან ერთად ან მათ სიახლოვეს ცხოვრობენ (საზოგადოებების 67%).
2. **მატრილოკალური საცხოვრებელი** — მშობლების სახლში რჩება ქალი, ხოლო ვაჟი ტოვებს მას. მეუღლეები ცხოვრობენ ცოლის მშობლებთან ან მათ სიახლოვეს (საზოგადოებების 15%).
3. **ბილოკალური საცხოვრებელი** — მშობლების სახლი შეიძლება დატოვოს როგორც ქალმა, ისე ვაჟმაც. შესაბამისად, მეუღლეები შეიძლება დასახლდნენ როგორც ცოლის, ისე ქმრის მშობლებთან ან მათ სიახლოვეს (საზოგადოებების 7%).
4. **ავუნკულოკალური საცხოვრებელი** — მშობლების სახლს ტოვებენ როგორც ქალები, ისე ვაჟები. მეუღლეები ქმრის დედის ძმასთან ან მის სიახლოვეს სახლდებიან.

ამ განმარტებებში მითითებულია, რომ მეუღლეები ცხოვრობენ რომელიმე მათგანის მშობლებთან ან მათ სიახლოვეს, როდესაც წყვილი რომელიმე მეუღლის ნათესავებთან ერთად ან მათ სიახლოვეს ცხოვრობს, ეს შეიძლება გულისხმობდეს მათთან ერთად, ერთ ჭერქვეშ (გაფართოვებულ ოჯახში) ან ცალკე, მაგრამ ნათესავების სახლებთან ახლოს ცხოვრებას.

მეხუთე ვარიანტი არის ნეოლოკალური საცხოვრებელი. ამ შემთხვევაში, ცოლ-ქმარი ნათესავებთან ერთად არ ცხოვრობს.

5. **ნეოლოკალური საცხოვრებელი** — მშობლების სახლს ტოვებს როგორც ვაჟი, ისე ქალი. მეუღლეები ორივე მათგანის ნათესავებისაგან მოშორებით ცხოვრობენ. (საზოგადოებების 5%).

ნახაზი 21-1 გრაფიკულად გვიჩვენებს ეთნოგრაფიულ წყაროებში არსებული საზოგადოებების პროცენტულ დანაწილებას საცხოვრებლის ხუთი სახის მიხედვით.

რა გავლენას ახდენს საცხოვრებელი ადგილი წყვილის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე? საცხოვრებლის სახე განსაზღვრავს, თუ ვის მეზობლად იცხოვრებს წყვილი, ვისთან ექნება ურთიერთობა და ვისზე იქნება დამოკიდებული. თუ მეუღლეები ქმრის ნათესავებს შორის ცხოვრობენ, მაშინ ისინი წყვილის მომავალზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ. იქიდან, თუ რომელი მეუღლის ნათესავებთან ერთად ან მათ სიახლოვეს იცხოვრებს წყვილი, შეიძლება გამომდინარეობდეს ცოლის ან ქმრის სტატუსიც. თუ დაქორწინებულების საცხოვრებელი პატრილოკალურია, მაშინ ქალი უცხოს სტატუსის მატარებელი იქნება ერთად გაზრდილი მამაკაცების ჯგუფში. გაუცხოება განსაკუთრებით ძლიერია იმ შემთხვევაში, როდესაც პატრილოკალური ოჯახები ამავდროულად გაფართოებული ოჯახებიც არიან.

ცენტრალურ ნიგერიაში მცხოვრებ ტივის საზოგადოებაში პატრილოკალური გაფართოებული ოჯახი შედგება „დიდი მამისაგან“ ანუ ოჯახის უფროსასგან, მისი უმცროსი ძმებისგან, მისი ვაჟებისაგან, უმცროსი ძმების



სურათი 21-1 ეთნოგრაფიულ წყაროებში მოხსენიებულ საზოგადოებებში გავრცელებული ცოლ-ქმრის საცხოვრებლის სახეები (მოდელები). პროცენტული განაწილება.

ვაჟებისაგან. ოჯახში ითვლებიან აგრეთვე რძლები, დაუქორწინებელი ახალგაზრდები და ბავშვები (დები და ქალიშვილები საცხოვრებლად თავიანთ ქმრებთან უნდა წავიდნენ). ძალაუფლება მამაკაცების ხაზით გადაეცემა, სახელდობრ კი ასაკით უფროს მამაკაცს, რომელიც იღებს საცოლის ფასს, აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილებები და შეუძლია დასაჯოს ოჯახის წევრი.

განსხვავებული მდგომარეობაა, თუ წყვილი ცოლის ნათესავებთან ერთად ან მათ სიახლოვეს გადადის საცხოვრებლად. ასეთ შემთხვევაში უკვე ქმარი გამოდის უცხოს როლში. მიუხედავად ამისა, საცხოვრებლის მატრილოკალური და პატრილოკალური სახეები ერთმანეთის სარკული ანარეკლები არ არიან. ხშირად ქმრის სანათესაოც საკმაოდ ახლოს ცხოვრობს, ხოლო ქალს კი ხშირად ნაკლებად ეკითხება რამე გადაწყვეტილების მიღებისას, რადგან ამ გადაწყვეტილებებს მისი ძმები იღებენ.

თუ წყვილი არც ერთის მშობლებთან ან ნათესავებთან არ ცხოვრობს, მდგომარეობა იცვლება. რა გასაკვირია უნდა იყოს, რომ ნელოკალური საცხოვრებლის შემთხვევაში, სანათესაო იმდენად დიდ როლს აღარ თამაშობს წყვილის ცხოვრებაში.

საცხოვრებლის მიხედვით არსებული განსხვავებების ახსნა

საცხოვრებლის სახეების ირგვლივ მრავალი კითხვა არსებობს. თუ საზოგადოებების უმეტესობაში წყვილები ან ცოლის ან ქმრის ხალხთან ერთად ცხოვრობს, როგორც ეს პატრილოკალურ, მატრილოკალურ, ბილოკალურ და ავუნკულოკალურ საზოგადოებებშია, ჩვენსა და ჩვენს მსგავს საზოგადოებებში რატომ არ ხდება ასე? ან იმ საზოგადებებს შორის, სადაც ცოლ-ქმარი რომელიმე მათგანის ნათესავებთან ცხოვრობს, უმეტესობა რატომ ირჩევს ქმრის ნათესავებთან ცხოვრებას (პატრილოკალური საცხოვრებელი), ხოლო ზოგი კი ცოლის ნათესავებთან (მატრილოკალური საცხოვრებელი)? რატომ ხდება ისე, რომ ზოგ არანეოლოკალურ საზოგადოებაში დაშვებულია როგორც ცოლის, ისე ქმრის ნათესავებთან ერთად ან მათ სიახლოვეს ცხოვრება (ბილოკალური საცხოვრებელი)? რატომ სხვა საზოგადოებებში არ არის მიღებული ამგვარი პრაქტიკა?

იმის გამო, რომ საცხოვრებლის მატრილოკალური, პატრილოკალური და ავუნკულოკალური სახეების დროს მკაცრად არის განსაზღვრული, თუ სად უნდა იცხოვროს წყვილმა, მათ არაარჩევითი ანუ **უნილოკალური საცხოვრებელი** ეწოდებათ.

ნეოლოკალური საცხოვრებელი

მრავალი ანთროპოლოგის აზრით, ნეოლოკალური საცხოვრებლის არსებობა გარკვეულწილად ფულისა და კომერციული ეკონომიკის არსებობასთან არის დაკავშირებული. მათი აზრით, როდესაც ადამიანებს თავიანთი შრომის ფულზე გაყიდვა შეუძლიათ, ისინი ამ ფულით საჭირო საქონელსა და მომსახურებას იძენენ და სანათესაოზე დამოკიდებულები აღარ არიან. იმის გამო, რომ ფული, მოსავლისა და სხვა საკვებისაგან განსხვავებით, მალფუჭებადი არ არის, მისი დიდი ხნით შენახვა შეიძლება. შესაბამისად, ფული შეიძლება შეგროვდეს და რაღაც დროის შემდეგ დაიხარჯოს. ფულადი შემოსავლის მქონე ოჯახს შეუძლია დანაზოგის გაკეთება ძნელბედობის დროს გამოსაყენებლად. ამასთან ერთად, მას შეუძლია ჰქონდეს სახელმწიფოს დახმარების იმედიც, როგორც, მაგალითად, ჩვენს საზოგადოებაში. ამგვარი რამ შეუ-

ანთროპოლოგებისთვის ცნობილი საზოგადოებების უმეტესობაში გათხოვილი ქალი ტოვებს სახლს და საცხოვრებლად თავის ქმართან ერთად ქმრის მშობლებთან ან მათ სიახლოვეს გადადის. კორეაში, პატარძალი ქმრის სახლში, ტრადიციის მიხედვით, ტახტრევანით გადაჰყავთ.

ძლებელია იქ, სადაც ადამიანებს ფულადი შემოსავალი არ აქვთ. ისინი საკვებისა და სხვა საჭირო რესურსების მოპოვებისას ნათესავებზე არიან დამოკიდებული.

აღნიშნულ ინტერპრეტაციას კროსკულტურული კვლევები მონაცემებიც ადასტურებენ. ნეოლოკალური საცხოვრებელი იმ საზოგადოებებში წარმოიქმნება, სადაც მონეტარული და კომერციული გაცვლა არსებობს. მაშინ, როდესაც საზოგადოებებში, სადაც ფული არ არსებობს, დაქორწინებული წყვილი ძირითადად ნათესავებთან ერთად, ან მათ სიახლოვეს სახლდება. ამრიგად, ფულის არსებობა ნეოლოკალურ საცხოვრებელთან არის დაკავშირებული, ფული საშუალებას აძლევს წყვილებს, საკუთარ ნებაზე იცხოვრონ. თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია, თუ რატომ ამჯობინებენ ისინი ამას.

შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი ის იყოს, რომ წყვილები ცალკე უკეთ აღწევენ სოციალური და ფიზიკური მობილურობის იმ დონეს, რაც აუცილებელია სამუშაოს მისაღებად. ან შეიძლება მეუღლეებს სურთ, თავიდან აიცილონ პიროვნული დაძაბულობა და კონფლიქტები ნათესავებთან. თუმცა ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ რატომ ამჯობინებენ ცალკე ცხოვრებას სწორედ იმ საზოგადოებების წყვილები, სადაც არსებობს ფული.

მატრილოკალური და პატრილოკალური საცხოვრებლები

ტრადიციულად, ითვლება, რომ საზოგადოებებში, სადაც დაქორწინებული წყვილი ქორწინების შემდეგ ნათესავებთნ ერთად ან მათ სიახლოვეს სახლდება, საცხოვრებლის სახე დამოკიდებულია მამაკაცისა და ქალის როლზე. თუ მამაკაცებს უფრო მეტი წვლილი შეაქვთ ეკონომიკაში, მაშინ საცხოვრებელი პატრილოკალური იქნება. ხოლო თუ ქალები უფრო მეტს აკეთებენ საზოგადოებისათვის, მაშინ — მატრილოკალური. თუმცა ეს მოსაზრება კროსკულტურული კვლევების მონაცემებით არ დასტურდება. იმ საზოგადოებებში, სადაც მამაკაცების წვლილი მეტია, ყოველთვის პატრილოკალური საცხოვრებელი არ არის. და პირიქით, იქ, სადაც ქალების წვლილი მამაკაცების წვლილის თანაბარი ან მეტია, სულაც არ არის აუცილებელი, რომ საცხოვრებელი მატრილოკალური იყოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შრომის მთლიანი დროის (როგორც სახლის, ისე სახლის გარე სამუშაოების) შეკრების შემთხვევაში ქალები მამაკაცებზე მეტს შრომობენ, საზოგადოებების უმეტესობა მატრილოკალური ურდა იყოს. რეალობა კი სხვანაირია, საზოგადოებების უმეტესობა პატრილოკალურია.

საცხოვრებლის სახეების გარჩევა შესაძლებელია საზოგადოების მიერ წარმოებული ომების ტიპის მიხედვით. ანთროპოლოგებისათვის ცნობილ საზოგადოებებში მეზობელი ოლქები და დასახლებები, როგორც წესი, ერთმანეთის მტრები არიან. თუ ისინი ამავე დროს ერთ ენაზეც ლაპარაკობენ, მაშინ მათ შორის ომს შინაომი ეწოდება. თუმცა არიან საზოგადოებები, რომლებიც მხოლოდ სხვა ენაზე მოსაუბრე ხალხთან ომობენ. ომის ამ ტიპს გარე ომი ეწოდება. კროსკულტურული კვლევების მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საზოგადოებები, სადაც ხანდახან მაინც ხდება შინაომები, თითქმის ყოველთვის პატრილოკალური საცხოვრებლით ხასიათდებიან. ხოლო ის საზოგადოებები, სადაც საცხოვრებლები ძირითადად მატრილოკალურია, მხოლოდ გარეშე მტერთან ომობენ.

როგორ შეიძლება აიხსნას ეს დამოკიდებულება საცხოვრებლისა და ომის სახეებს შორის? ერთი თეორიის მიხედვით, შინაომების საზოგადოება პატრილოკალურია იმიტომ, რომ ვაჟებს ერთმანეთისა და მამის სიახლოვეს ინარჩუნებს, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ადვილია სამხედრო ძალის მობილიზება. თუ ომი გარეშე მტერთან წარმოებს, მაშინ ვაჟების ოჯახის სიახლოვეს ყოფნა იმდენად აუცილებელი არ არის, რადგან ადამიანებს ახლომდებარე ოლქებიდან მოულოდნელი თავდასხმის შიში არ აქვთ.

გარეშე ომების წარმმართველი საზოგადოებებისთვის საცხოვრებელი ადგილი შეიძლება სხვა მოსაზრებებმაც განსაზღვროს. ხშირად ეს არის ეკონომიკური ფაქტორები. მაგალითად, ქალებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პირველად საარსებო საქმიანობაში, მაშინ ოჯახებს შეიძლება ქალიშვილების თავიანთ სიახლოვეს დატოვება ერჩიოთ. ასეთ შემთხვევაში, წყვილის საცხოვრებელს მატრილოკალური სახე ექნება. თუ პირიქით, მამაკაცები უფრო მეტს შრომობენ და მეტი შემოსავალი აქვთ, მაშინ საცხოვრებელი პარტრილოკალური იქნება. ამრიგად, შინაომების საზოგადოებაში მამაკაცების ოჯახში შენარჩუნების საჭიროება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შრომის განაწილებაზე დამყარებული მოსაზრებები. ქალთა მიერ დომინირებად ეკონომიკაში მატრილოკალური საცხოვრებლის გავრცელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება მხოლოდ გარე ომებს აწარმოებს.

მატრილოკალური საცხოვრებლის გაჩენის წინაპირობა შეიძლება იყოს მამაკაცების დიდი ხნის მანძილზე ოჯახიდან წასვლა, მაგალითად, სავაჭრო მოგზურობების, ან დაქირავებულ მუშებად მუშაობის პერიოდებში. ეს ფაქტორი თვით ომის ტიპზე უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს. მაგალითად, ცენტრალური ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები მისკიტოს ინდიელებისათვის მატრილოკალური საცხოვრებელი გადარჩენისათვის აუცილებელია, რადგან მათი მამაკაცები ხანგრძლივი ვადით ტოვებენ სახლებს, რათა ტყისმჭრელებად, მაღაროელებად და სამდინარო ტრანსპორტზე იმუშაონ. ეს სამუშაო ადგილები ყოველთვის არ იშოვება, ხოლო როდესაც მამაკაცები შოულობენ ასეთ სამუშაოს, ისინი ფულის საშოვნელად დიდი ხნით ტოვებენ სახლებს. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცების გარკვეული რაოდენობა ყოველთვის სხვაგან იქნება, მისკიტოს ხალხი საკვებს ჩვეული გზით, მიწის დამუშავებითა (ძირითადად ქალების მიერ) და ნადირობა-თევზაობით (რაც ძირითადად კაცების საქმეა) აგროვებს.

ბილოკალური საცხოვრებელი

საზოგადოებებში, სადაც ბილოკალური საცხოვრებლის ტიპია გავრცელებული, დაქორწინებული წყვილი ქმრის ან ცოლის ნათესავებთან მიდის საცხოვრებლად. შეიძლება ვიფიქროთ, რომ წყვილს საცხოვრებლის არჩევა თავისუფად შეუძლია, მაგრამ თეორია და კვლევები ცხადჰყოფენ, რომ საცხოვრებელი ადგილის არჩევა აუცილებლობა განაპირობებს. ელმან სერვისის აზრით, ბილოკალური საცხოვრებელი ჩნდება იმ საზოგადოებებში, რომლებშიც ეპიდემიების გამო მოსახლეობა მკვეთრად და უეცარად შემცირდა. უკანასკნელი 400 წლის მანძილზე მსოფლიოს მრავალი კუთხის მცხოვრებლებმა განიცადეს მოსახლეობის ამგვარი კლება ევროპელებთან კონტაქტისა და ევროპული დაავადებების შედეგად. თუ არაკომერციულ საზოგადოებაში წყვილმა რომელიმე მათგანის ნათესავებთან ერთად უნდა იცხოვროს, საცხოვრებელი წესის მიხედვით განისაზღვრება, ხოლო თუ ამგვარ საზოგადოებაში მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა, წყვილი, შესაძლოა, იძულებული გახდეს იცხოვროს იმ მეუღლის ნათესავებთან, რომლებიც ცოცხლები გადარჩნენ. ეს მოსაზრება კროსკულტურული მონაცემებითაც არის გამყარებული. საზოგადოებები, რომლებმაც მოსახლეობის მკვეთრი კლება განიცადეს, უნილოკალურიდან ხშირად გადადიან ბილოკალურ საცხოვრებელზე მაშინ, როდესაც საზოგადოებები, სადაც მოსახლეობის შემცირება არ მომხდარა, კვლავაც უნილოკალურად რჩებიან.

მონადირე-შემგროვებელი საზოგადოებებისათვის არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ ბილოკალურობას. ეს ფაქტორებია ჯგუფების უკიდურესი სიმცირე და რეგიონის არაპროგნოზირებადი

მიმდინარე კვლევები და საკითხები

ნეოლოკალურობა და ყმაწვილთა ჯანყი: რა კავშირია მათ შორის?

ჩვენს საზოგადოებაში ნორმად ითვლება თინეიჯერების დაპირისპირება საზოგადოებასა და მშობლებთან. პედაგოგები, მშობლები და თავად თინეიჯერებიც ცდილობენ, იპოვნონ გზა ამ დაძაბულობის შესაცმირებლად, მაგრამ ცოტა თუ კითხულობს იმას, თუ რატომ წარმოიქმნება ეს კონფლიქტი. ბუნებრივია თუ არა მოზარდების ამგვარი ქცევა? რა ხდება სხვა კულტურებში ამ მხრივ და რატომ არსებობს ეს კონფლიქტი ჩვენს საზოგადოებაში?

ეს საკითხი პირველად მარგარეტ მიდმა წამოჭრა თავის ნაშრომში „ასაკში შესვლა სამოაზე", რომელიც 1928 წელს გამოიცა. მისი თქმით, სამოაზე მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტი მინიმალური იყო. შემდგომში ზოგმა მკვლევარმა ეს განცხადება მწვავედ გააკრიტიკა (იხილეთ ფსიქოლოგიისა და კულტურის თავი), მაგრამ მრავალი საველე და შედარებითი კვლევის შედეგებით დადასტურებულია, რომ მოზარდობის პერიოდი ყველა კულტურაში ერთნაირი არ გახლავთ. მაგალითად, სისტემატური კულტურათაშორისი კვლევის საფუძველზე, ელის შლეგელი და ჰერბერტ ბერი ასკვნიან, რომ ყმაწვილებსა და მათ ოჯახებს შორის ურთიერთობა საზოგადოებების უმეტესობაში ძირითადად საკმაოდ ჰარმონიულია. მათი აზრით, როდესაც ოჯახის წევრებს გათვითცნობიერებული აქვთ ერთმანეთის საჭიროება მთელი ცხოვრების მანძილზე, დამოუკიდებლობის იმგვარი გამოხატვა, როგორიც მოზარდების წინააღმდეგობასა და ჯანყს ახასიათებს, მიზანშეუწონელი იქნებოდა. და მართლაც, შლეგელისა და ბერის კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ მოზარდები იმ საზოგადოებაში არიან დაუმორჩილებლები, სადაც საცხოვრებელი ნეოლოკალური ხასიათისაა და სამსახურეობრივი და გეოგრაფიული მობილურობა აღინიშნება.

რატომ ხდება ასე? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყმაწვილების ჯანყი წინასწარგამიზნული ფსიქოდრამაა, რომელიც მშობლებსა და შვილებს დამორებისათვის ამზადებს. შვილები თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს მშობლებთან ერთად, მათი მზრუნველობის ქვეშ ატარებენ. ერთი მხრივ, დამოკიდებულება კარგი რამ არის, ყოველ შემთხვევაში ამან შეიძლება ცხოვრება გააადვილოს (მაგალითად, საჭმელს შენ ნაცვლად სხვა აკეთებს), მაგრამ იგი შეუფერებელია „დიდი" ადამიანისთვის. მაშ, რა უბიძგებს შვილს წასვლისკენ? შესაძლოა თავად კონფლიქტი წარმოშობს ასეთ სურვლს. თინეიჯერები ითხოვენ იმას, რაც სურთ, მაგრამ მათ იციან ისიც, რომ მშობლები ყველაფერს არ შეუსრულებენ და რაღაცაზე შეიძლება უარი უთხრან. მშობლები, როგორც წესი, სწორედ ასე იქცევიან, რაც თინეიჯერებში ბრაზს იწვევს და უღვივებს მათ სურვილს, თავად იყონ საკუთარი თავის პატრონები. მშობლების ქცევაც ამბივალენტურია. მათ სურთ, რომ შვილები გაიზარდონ, მაგრამ ისინი წასვლის შემდეგ ენატრებათ. მას შემდეგ, რაც მშობლები და შვილები ცალ-ცალკე იწყებენ ცხოვრებას, კონფლიქტები და უთანხმოება მთავრდება.

რა მოხდებოდა, ჩვენი საზოგადოების სოციალური სტრუქტურა რომ სხვანაირი იყოს? თუ მშობლებსა და შვილებს ეცოდინებათ, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთად უნდა იყონ? ან როდესაც ადამიანებმა იციან, რომ ქორწინების შემდეგ მთელი ცხოვრება ან საკუთარ, ან მეუღლის ნათესავებთან ერთად უნდა გაატარონ? დაუშვებდნენ თუ არა მოზარდები მშობლებთან სერიოზულ კონფლიქტს არანეოლოკალურ საზოგადოებაში? დაუშვებდნენ თუ არა მშობლები უთანხმოებას შვილებთან, რომლებმაც მათთან ერთად უნდა იცხოვრონ ქორწინების შემდეგ? ვფიქრობთ, რომ — არა. ჩვენი აზრით, ყმაწვილების კონფლიქტურობა ძალიან არახელსაყრელი იქნებოდა არანეოლოკალური საზოგადოებისათვის, აქედან გამომდინარე, სავარაუდოა მისი შემცირება ან გაქრობა.

კიდევ ერთი რამ, რის გამოც მოზარდების დაუმორჩილებლობა ნეოლოკალიზმთან არის დაკავშირებული, გახლავთ ის, რომ ეს უკანასკნელი კომერციალიზაციის შედეგად წარმოიქმნება. თანამედროვე მსოფლიოში კომერციული საზოგადოებები მრავალი სახის საქმიანობასა და განსხვავებულ ღირებულებებს შეიცავენ. ბავშვები სწრაფად ცვალებად კულტურებში იზრდებიან და შესაძლოა, უამრავი არჩევანის წინაშე დგანან. განვიხილოთ თუნდაც სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიების გავლენა. თუ ბავშვებმა იციან მრავალი ისეთი რამ და აკეთებენ მრავალ ისეთ რამეს, რაზედაც მათ მშობლებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, როგორ შეიძლება ველოდოთ, რომ ისინი უფროსების კვალზე ივლიან?

თუმცა უნდა ვთქვათ ისიც, რომ სწრაფი კულტურული ცვლილებები მშობლებისა და შვილების დაპირისპირებისთვის საკმარისი და აუცილებელი პირობა არ არის. სხვა ფაქტორებიც მნიშვნელოვანია. ამ მხრივ საინტერესოა მაროკოში მდებარე რომელიმე პატარა ქალაქის მაგალითი. სიუზენ და დუგლას დევისებმა თავიანთი შედარებითი კვლევის ფარგლებში, რომელიც მოზარდების ქცევას ეძღვნებოდა, მაროკოს პატარა ქალაქის მოსახლეობას გამოჰკითხეს. აქ კულტურა უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად შეიცვალა. მშობლები უმეტესად მიწათმოქმედებას ეწეოდნენ, შვილები კი, თეთრსაყელოიან სამუშაო ადგილებს ეტანებიან. ბებიებსა და ბაბუებს ავტომობილები იშვიათად უნახავთ, ხოლო ახალგაზრდები — დედაქალაქში მატარებლით მიდიან. მშობლების მხოლოდ მცირე ნაწილი სწავლობდა სკოლაში, თინეიჯერების უმეტესობა კი, სკოლაში სწავლობს. მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, თაობათაშორის კონფლიქტები ძალიან იშვიათია. მაგალითად, თინეიჯერების 40%-ის თქმით, ისინი არასოდეს ეურჩებიან მშობლებს. როგორც ჩანს, კულტურის სხვა მხარეებისა და ასპექტების გათვალისწინებაც აუცილებელია. მაგალითად ის, რომ მაროკო ავტორიტარული მონარქიაა და ქვეყანაში ინსტიტუტების მკვეთრი იერარქია აღინიშნება. შესაძლოა, მშობლებისა და შვილების კონფლიქტი ნაკლებად მოსალოდნელიც იყოს ასეთ სისტემაში, რომელიც მორჩილებაზეა დამყარებული. მეორე შესაძლო მიზეზი, სავარაუდოდ, ჯგუფური ცხოვრების ინდივიდუალურზე უფრო წინ დაყენება უნდა იყოს. ოჯახი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ჯგუფია და მას არ შეუძლია დაუშვას ყმაწვილების დაუმორჩილებლობა. მესამე შესაძლო მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ მოზრდილების ვალდებულება, თავიდან აიცილონ ამგვარი სახის კონფლიქტები. დევისების კვლევიდან გამომდინარეობს, რომ მოზარდების დაუმორჩილებლობა აქტუალურია აშშ-ს მსგავს

საზოგადოებებში, სადაც ადამიანის ინდივიდუალობა, პიროვნული თავისუფლება და პირადი მიღწევები მნიშვნელოვანი ფასეულობები.

ჩვენ გვჭირდება ისეთი კვლევა, რომელიც გამოავლენს სხვადასხვა მიზეზობრივ შესაძლებლობას. ჩამოთვლილი ფაქტორების შესაძლო ეფექტების დასადგენად საჭიროა, გამოვიკვლიოთ ის კულტურები, რომლებსაც ამ ფაქტორებიდან რამდენიმე ახასიათებს. შესაძლებელია, რომ თითოეულ ფაქტორს ჰქონდეს დიდი გავლენა, ან ზოგი მათგანი სხვებზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს. თუმცა რა აღმოჩენებიც არ უნდა გაკეთდეს მომავალში მოზარდების წინააღმდეგობის მიზეზების ასახსნელად, ცნობილია ერთი რამ, რომ მოზარდების დაუმორჩილებლობა არც ბუნებრივია და არც გარდაუვალი. როგორც ეს მარგარეტ მიდმა გვამცნო მრავალი წლის წინ, იგი კულტურულ განსხვავებებთან არის დაკავშირებული.

ან მცირე ნალექიანობა. ამ შემთხვევებში საცხოვრებლის არჩევა, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ სად ექნება წყვილს გადარჩენისა და ახლო ნათესავების პოვნის მეტი შესაძლებლობა. 21-2 ნახაზზე ნაჩვენებია ცოლ-ქმრის საცხოვრებელი ადგილის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები.

სანათესაოს სტრუქტურა

არაკომერციულ საზოგადოებაში ნათესაური კავშირები საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფეროს საფუძველს წარმოადგენს, დაწყებული იმით, რამდენად მიუწვდება პიროვნებას ხელი რესურსებზე და დამთავრებული პოლიტიკური ალიანსებით, რომლებიც სხვადასხვა დასახლებასა და ადამიანების ჯგუფებს შორის მყარდება. ზოგ საზოგადოებაში ნათესაური კავშირები თვით სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებზეც კი ახდენს გავლენას.

გავიხსენოთ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, აქ აღწერილი სოციალური სიტემა. კაპულეტები და მონტეგები ორი დაპირისპირებული სანათესაო იყო, რომლებიც ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადამტერებული. რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულის საბედისწერო დასასრული ამ მტრობის შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ეს საზოგადოება კომერციული იყო (ოღონდ არა ინდუსტრიული), პოლიტიკური სისტემა ჯერ კიდევ ნათესაურ კავშირებზე იყო დამყარებული. თანასწორი სოციალური მდგომარეობის ადამიანები ერთად ცხოვრობდნენ და ცდილობდნენ, სხვა ჯგუფებთან კონკურენციისა და ხშირად ბრძოლის პირობებშიც მოეპოვებინათ პოლიტიკურ იერარქიაში გაბატონებული თუ არა, მყარი მდგომარეობა მაინც.

თუ პრეინდუსტრიულ კომერციულ საზოგადოებაშიც კი ესოდენ დიდი იყო ნათესაური კავშირების როლი, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობა იქნებოდა არაკომერციულ საზოგადოებებში, რომლებსაც არ გააჩნდათ ისეთი მექანიზმები, როგორიც არის დიდებულების საბჭოები და მმართველები, რომლებიც დაარეგულირებდნენ მდგომარეობას, შეინარჩუნებდნენ მშვიდობას და გაუძღვებოდნენ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეებს. გასაკვირი არ არის, რომ ანთროპოლოგები ნათესაურ კავშირებს ხშირად არაკომერციული საზოგადოებების სოციალური სტრუქტურის მთავარ საშენ მასალად მიიჩნევენ.

ნათესაობის მნიშვნელობასთან ერთად გასარკვევია ისიც, თუ ნათესავების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება პიროვნება. ყველა ნათესავის გათვალისწინება უბრალოდ შეუძლებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში სანათესაო წარმოუდგენლად დიდი იქნებოდა. შედეგად, იმ საზოგადოებების უმეტესობაში, სადაც ნათესაური კავშირები საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორია, არსებობს წესები, რომლებიც განსაზღვრავს ნათესაური ხაზის გაგრძელებას.

შთამომავლობის კანონები

იმ წესებს, რომლებიც ნათესავების ჯგუფისადმი პიროვნების კუთვნილებას მისი წინაპრების მიხედვით განსაზღვრავს, **შთამომავლობის კანონები** ეწოდება. საზოგადოებაში მოქმედი კონკრეტული შთამომავლობის კანონის მიხედვით, პიროვნებას შეუძლია განსაზღვროს თავისი ნათესაური კუთვნილება და ის ხალხი, ვისაც დახმარებისა და თანადგომისათვის მიმართავს.

არსებობს შთამომავლობის სამი ცნობილი კანონი, რომლებიც პიროვნებას სხვადასხვა ჯგუფს აკუთვნებენ.



სურათი 21-2 ცოლ-ქმრის საცხოვრებლის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები



სურათი 21-3 პატრილინეარული შთამომავლობა

პიროვნებები 4 და 5, რომლებიც არიან 1-ს და 2-ის შვილები, ეკუთვნიან მამის პატრილინეარულ სანათესაო ჯგუფს, რომელიც აღნიშნულია წითელი ფერით. შემდეგ თაობაში, ბავშვები 3 და 4 აგრეთვე მიეკუთვნებიან წითელ ჯგუფს, რადგან ისინი შთამომავლობას მამის ხაზით აგრძელებენ. ბავშვები 5 და 6 არ ეკუთვნიან ამ პატრილინეარულ ჯგუფს, რადგანაც თავიანთი მამის გვარს ეკუთვნიან, რომელიც სხვა პატრილინეარული გვარის წარმომადგენელია. მიუხედავად იმისა, რომ 12 და 14 ბავშვების დედა წითელ პატრილინეარულ ჯგუფს ეკუთვნის, მას არ შეუძლია გვარი გადასცეს მათ და იმის გამო, რომ მისი ქმარი (6) არ ეკუთვნის მის მამის გვარს, მათი შვილები (12 და 14) მამის ჯგუფს ეკუთვნიან. მეოთხე თაობაში მხოლოდ 15 და 16 ეკუთვნიან წითელ პატრილინეარულ გვარს, რადგან მათი მამა ამ ჯგუფის ერთადერთი წარმოამდგენელია. ამ ნახაზზე 1,4,5,8,10,15 და 16 არიან პატრილინეარული შთამომავლობის წევრები. ყველა სხვა პიროვნება სხვა პატრილინეარულ ჯგუფს ეკუთნის.



სურათი 21-4 მატრილინეარული შთამომავლობა

პიროვნებები 4 და 5, რომლებიც 1-ს და 2-ის შვილები არიან, დედის სანათესაო ჯგუფს ეკუთვნიან, რომელიც მწვანე ფერით არის აღნიშნული. შემდეგ თაობაში მწვანე ჯგუფს ეკუთნიან 5 და 6, რადგანაც ისინი გვარს დედის ხაზით იღებენ, რომელიც ამ ჯგუფის წევრია. 3 და 4 არ ეკუთვნიან მწვანე მატრილინეარულ გვარს, რადგანაც დედა სხვა მატრილინეარული გვარის წარმომადგენელია. მამას კი მათთვის თავისი გვარის გადაცემა არ შეუძლია. მეოთხე თაობაში მხოლოდ 21 და 22 არიან მწვანე მატრილინეარული ჯგუფის წევრები, რადგან მათი დედა ამ ჯგუფის ერთადერთი წარმომადგენელია. ამრიგად, 2,4,5,12,21 და 22 ერთი მატრილინეარული ჯგუფის წარმომადგენლები არიან.

1. **პატრილინეარული შთამომავლობა**. ეს არის ნათესაობის განსაზღვრის ყველაზე გავრცელებული წესი. მის დროს პიროვნებების გვარზე მიკუთვნება მხოლოდ მამაკაცის ხაზით ხდება. როგორც 21-3 ნახაზზე ვხედავთ, პატრილინეარულ სისტემებში ბავშვები მამების გვარს მიეკუთვნებიან. მამები, თავის მხრივ, თავიანთი მამების გვარს და ასე შემდეგ.
2. **მატრილინეარული შთამომავლობა**. ამ წესის მიხედვით, ნათესაობა ქალის ხაზით გრძელდება. ბავშვები დედის გვარს მიეკუთვნებიან (იხილეთ ნახაზი 21-4).
3. **ამბილინეარული შთამომავლობა**. გვარის მიკუთვნება ხდება ან ქალის, ან მამაკაცის ხაზით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ჯგუფში ზოგი პიროვნება მამის სანათესაოს ეკუთვნის, ზოგი კი — დედისას. შედეგად, შთამომავლობით ჯგუფებში გენეალოგია ითვლება როგორც ქალის, ისე მამაკაცის ხაზითაც, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზში 21-5.

ეს კანონები, როგორც წესი, ექსკლუზიურია, მაგრამ არა ყოველთვის. საზოგადოებების უმეტესობაში მხოლოდ ერთი კანონი მოქმედებს. თუმცა შეიძლება მოქმედებდეს ორიც. თითოეული პიროვნებას რაღაც ნიშნით სხვადასხვა სანათესაოს აკუთვნებს. ამრიგად, არსებობენ საზოგადოებები, რომელშიც ე.წ. **ორმაგი შთამომავლობა** ან **ორმაგი უნილინეარული შთამომავლობა** აქვთ. ამ საზოგადოებებში პიროვნება გარკვეული მიზნებით შეიძლება მატრილინეარულ სანათესაოს ეკუთვნოდეს, ხოლო გარკვეული მიზნებისათვის კი — პატრილინეარულს. ამრიგად, ერთდროულად მოქმედებს შთამომავლობის ორი კანონი და ორივე თავისი წესით აგრძელებს გვარის გადაცემას. მაგალითად, თუ ეს ორი სისტემა პატრილინეარული და მატრილინეარული სისტემებია, პიროვნება დაბადებიდან ორ ჯგუფს მიეკუთვნება. შევაერთოთ 21-3 და 21-4 ნახაზები. მე-4 და მე-5 პიროვნებები მიეკუთვნებიან როგორც პატრილინეარულ (წითლები 21-3 ნახაზში) ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნის მამა, ისე მატრილინეარულ (მწვანეები 21-4 ნახაზში) ჯგუფს, რომელსაც დედა მიეკუთვნება.

მეთოდი, რომლითაც საზოგადოება სახელებს ანაწილებს, აუცილებელი არ არის, რომ შთამომავლობის კანონს ასახავდეს. ჩრდილოამერიკული საზოგადოებისათვის ჩვეულებრივია, რომ ბავშვს ჰქონდეს გვარი, როგორც წესი, ეს არის მამის გვარი. ერთი გვარის მქონე ყველა ადამიანი თავს ერთმანეთის ნათესავებად არ მიიჩნევენ. მათი ქცევაც შესაბამისია. მრავალ საზოგადოებაში, თვით ისეთებშიც, სადაც შთამომავლობის კანონები მოქმედებს, პიროვნებები არ ატარებენ სანათესაო ჯგუფის სახელს. მაგალითად, კენიაში მცხოვრები ლუოს პატრილინეარული ტომის წევრებს, როგორც წესი, დაბადების ვითარების ამსახველი სახელები ჰქვიათ (მაგალითად „დილით დაბადებული“). სახელში არ შედის არც მამის, არც სანათესაო ჯგუფის სახელი. მხოლოდ ბრიტანელების მიერ კენიის დაპყრობისა და მოგვიანებით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიიღეს ლუოს ტომის წევრებმა გვარები.

ბილატერალური ნათესაობა

მრავალ საზოგადოებაში, მათ შორის ჩვენშიც, არ არსებობენ ლინეარული, ანუ ხაზური (პატრილინეარული, მატრილინეარული ან ამბილინეარული) შთამომავლობის ჯგუფები — სანათესაო, რომელსაც სჯერა, რომ საერთო წინაპრისგან წარმოიშვა. ასეთ საზოგადოებებს **ბილატერალური სანათესაოს** მქონე საზოგადოებები ჰქვიათ. ბილატერალური ორმხრივს ნიშნავს. იგულისხმება, რომ პიროვნების ნათესავები როგორც მამის, ისე დედის მხრიდან თანაბრად მნიშვნელოვანი, ან თანაბრად უმნიშვნელონი არიან. ბილატერალურ საზოგადოებაში არსებული ნათესაობა უფრო ჰორიზონტალურია, ვიდრე ვერტი-

კალური. იგი ფართოვდება ჰორიზონტალურად, ახლოდან შორი ნათესავებისაკენ და არა ზევით, საერთო წინაპრის მიმართულებით (იხილეთ ნახაზი 21-6).

ტერმინი **სისხლით ნათესავი** აღწერს პიროვნების ბილატერალური სანათესაოს იმ წევრებს, რომლებსაც ადამიანები გარკვეულ შემთხვევებში ეპატიჟებიან. ჩვენს საზოგადოებაში სისხლით ნათესავად ითვლება ის ხალხი, ვისაც ვპატიჟებთ ქორწილებზე, დაკრძალვებსა ან სხვა ცერემონიებზე. თუმცა სისხლით ნათესავი არ არის რომელიმე განსაზღვრული ჯგუფის წარმომადგენელი. ვისაც ქორწილის ორგანიზებაში მიუღია მონაწილეობა, იცის, თუ რა რთულია ხანდახან დასაპატიჟებელი ახლობლების სიის შედგენა. ბილატერალური სანათესაოს მქონე საზოგადოებები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, თუ რამდენ თაობას მოიცავს სისხლით ნათესაობა და სად წყდება იმ პირების სია, რომლებიც აუცილებლად უნდა მოინვიონ დღესასწაულებსა თუ მნიშვნელოვან წვეულებაზე. ჩვენს მსგავს საზოგადოებებში, სადაც ნათესაობა შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანია, სისხლით ნათესავად ცოტა ითვლება. სხვა ბილატერალურ საზოგადოებაში, სადაც ნათესაური კავშირები შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, სისხლით ნათესავთა რაოდენობაც მეტი იქნება.

ბილატერალური ნათესაობის განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ ძმებისა და დების გარდა, არც ერთი სხვა ორი პიროვნება არ ეკუთვნის ერთსა და იმავე ჯგუფს. ადამიანის სისხლით ნათესავები არიან ის პიროვნებები, რომლებიც მას მამის და დედის მხრიდან ენათესავებიან. ამრიგად, სისხლით ნათესავები ეგოცენტრულ ჯგუფს წარმოადგენენ. სწორედ ამის გამო, ჭირს მისი პერმანენტულ და მყარ ერთობად აღქმა. ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელია, რომ მასში არის ერთი პიროვნება, რომლის გარშემოც არიან დანარჩენები შეკრებილები. სისხლით ნათესავთა ჯგუფს, როგორც წესი, არ გააჩნია არც სახელი, არც საერთო დანიშნულება და იგი მხოლოდ დროებით, განსაკუთრებულ შემთხვევებთან დაკავშირებით იკრიბება.



სურათი 21-5 ამბილინეარული შთამომავლობა

ჰიპოთეტური ამბილინეარული სანათესაო აღნიშნულია ლურჯი ფერით. წევრები 4 და 5 ჯგუფს მამის (1) ხაზით ეკუთვნიან. წევრები 12 და 14 კი — დედის (5) ხაზით. წევრები 19 და 20 ეკუთვნიან კვლავ მამის (12) ხაზით. ეს მაგალითი ჰიპოთეტურია, რადგან ამბილინეარულ ჯგუფში ნებისმიერი კომბინაციაა შესაძლებელი.

უნილინეარული შთამომავლობა

შთამომავლობის მატრილინეარული და პატრილინეარული კანონები **უნილინეარულ კანონებში** ერთიანდებიან. ეს გულისხმობს, რომ პიროვნება მიეკუთვნება მხოლოდ ერთი რომელიმე მშობლის გვარს, დედის ან მამის. უნილინეარული კანონები ახდენს პიროვნების გვარისადმი მიკუთვნებას წარსულიდან მომავალში. ამ შთამომავლობის ხაზის წყალობით, სულერთია, გვარის გადამცემი მამაკაცია თუ ქალი, ადამიანის საკმაოდ ახლო ნათესავები გამოირიცხებიან მისი გვარიდან. მაგალითად, თუ თქვენ პატრილინეარულ სისტემაში ხართ, დედათქვენის დედა და მამა არ მიეკუთვნებიან თქვენს პატრილინეარულ ჯგუფს, მამის დედ-მამა კი მიეკუთვნება. თქვენს თაობაში გამოირიცხება ზოგიერთი კუზენი, ხოლო თქვენი შვილების თაობაში კი — თქვენი დისშვილები.

მიუხედავად იმისა, რომ უნილინეარული კანონების შედეგად პიროვნების გვარში არ ხვდება მისი ზოგი ნათესავი (პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჩვენს საზოგადოებაში ხდება სანათესაოს შეზღუდვა), არამოგვარე ნათესავები სულაც არ არიან დავიწყებულები და იგნორირებულები. მრავალ უნილინეარულ საზოგადოებაში შეიძლება ასეთი ნათესავი იყოს პიროვნებისათვის მეტად ახლობელი და ნდობით აღჭურვილი პირი. მაგალითად, როდესაც პატრილინეარულ საზოგადოებაში ადამიანი კვდება, მისი დედის პატრილინეარული ჯგუფის წევრები, შესაძლოა, დაკრძალვაზე გარდაცვლილის პატრილინეარული ჯგუფის წევრების გვერდით იდგნენ და მათ მსგავსად მიიღონ მონაწილეობა რიტუალში.

ბილატერალური სანათესაოსგან გასხვავებით, უნილინეარულ კანონებს მკვეთრად შემოსაზღვრული და განსაზღვრული სანათესაოს შექმნა შეუძლია. ამ სანათესაოს ცალკე ერთეულად მოქმდება მისი ზოგი წევრის გარდაცვალების შემთხვევაშიც შეუძლია. თუ დავუბრუნდებით 21-3 და 21-4 ნახაზებს, ვნახავთ, რომ ღია ფერებით აღნიშნული პირები ერთსა და იმავე პატრილინეარულ ან მატრილინეარულ გვარს მიეკუთვნებიან. მეოთხე თაობის პიროვნებაც ისევე მიეკუთვნება გვარს, როგორც პირველი თაობის პიროვნება. თუ პატრილინეარული გვარი შევარდნების სახელს ატარებს, მისმა წარმომადგენელმა იცის, რომ იგი შევარდენია. თუ პიროვნება შევარდენი არ არის, ესე იგი, ის სხვა გვარს ეკუთვნის, რადგანაც ყოველი პიროვნება მხოლოდ ერთ გვარს შეიძლება ეკუთვნოდეს.

ეს ფაქტი მნიშვნელოვანია, თუ გვარები ცალკე ერთეულებად მოქმედებენ და ერთმანეთში არ ირევიან. ადამიანებისთვის საჭიროა გაარკვიონ, თუ ვისთან ერთად უნდა იმოქმედონ და ვინ უნდა იმოქმედოს ერთად. თანამშრომლობა უფრო ადვილია მაშინ, როდესაც ყოველი ადამიანი რომელიმე გვარს ეკუთვნის. გავიხსენოთ ბილატერალური სისტემა, სადაც ხშირად რთულია განსაზღვრა, სად გადის ნათესაობის ზღვარი და სადაც პიროვნება ერთბაშად რამდენიმე ნათესაურ ჯგუფს შეიძლება ეკუთვნოდეს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ სანათესაო მხოლოდ დროებით, სხვადასხვა ცერემონიალთან დაკავშირებით იკრიბება.

უნილინეარული შთამომავლობის ჯგუფების სახეები

უნილინეარულ საზოგადოებაში ადამიანები, როგორც წესი, საკუთარ თავს რომელიმე უნილინეარული ჯგუფის ან რამდენიმე ჯგუფის წევრებად მიიჩნევენ, რადგანაც თვლიან, რომ საერთო წინაპრები ჰყავთ, პატრილინეარული ან მატრილინეარული ხაზით. ეს ადამიანები ქმნიან უნილინეარული შთამომავლობის ჯგუფს. მისი სახეებია: გვარი, კლანები, ფრატრიები და მოიეტიები.

გვარი არის ნათესავთა ჯგუფი, რომელიც საერთო წინაპრისგან წარმოიშვა. იმ საზოგადოებაში არსებული წესები განაპირობებს მამის თუ დედის ხაზით. გვარი ხშირად



სურათი 21-6 ბილატერალური ნათესაობა

ბილატერალურ სისტემებში ნათესაობა ეგოცენტრულია. ამიტომ იგი შეხების განსხვავებული წერტილებით ხასიათდება (დებისა და ძმების გამოკლებით). ნებისმიერ ბილატერალურ საზოგადოებაში ნათესაობა (შემოხაზულია უწყვეტი ხაზით) მოიცავს მინიმუმ მშობლებს, ბებია-ბაბუებს, დეიდებს, მამიდებს, ბიძებსა და პირველი თაობის კუზენებს. თუკი გადავხედავთ და-ძმის (20; 21) სანათესაოს, ვნახავთ, რომ იგი შედგება მათი მშობლებისაგან (9; 10), დეიდა-მამიდებისა და ბიძებისაგან (7; 8; 11; 12), დედებისა და ბაბუებისაგან (1; 2; 3; 4) და პირველი თაობის კუზენებისაგან (16-19; 22-25). ხოლო 24-ე და 25-ე ნომრებით აღნიშნული და-ძმის სანათესაო (შემოხაზულია წყვეტილი ხაზით) წინა სანათესაოს მხოლოდ ზოგიერთ წევრს (3; 4; 10-12; 20-23) მოიცავს. თუმცა იგი ასევე მოიცავს პიროვნებებს, რომლებიც მე-20 და 21-ე ნომრებით აღნიშნული და-ძმის სანათესაოში არ შედიან (5; 6; 13-15; 26-29).

საერთო წინაპრის სახელს ატარებს. ზოგიერთ საზოგადოებაში ადამიანები გვარების იერარქიას მიეკუთნებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები თავიანთ გენეალოგიაში ჯერ ითვლიან უმცროსი გვარის წინაპარს, შემდეგ შედარებით უფრო დიდი ჯგუფის (რომელშიც შედის ეს უმცროსი სანათესაო) წინაპარს და ასე შემდეგ.

კლანები არიან ნათესაური ჯგუფები, გვარები, რომლის წევრებიც თვლიან, რომ საერთო წინაპრისაგან წარმოიშვნენ, თუმცა ამ წინაპრისაკენ მიმავალი გენეალოგიური კავშირები ბოლომდე ნათელი არ არის. ხშირად ამ საერთო წინაპარზე არავითარი ინფორმაცია არ არის შემონახული. კლანები იყოფიან **პატრიკლანებად** და **მატრიკლანებად**, იმის მიხედვით, თუ ვისი ხაზით გადაეცემა გვარი: მამის თუ დედის. კლანები ხშირად რომელიმე მცენარის ან ცხოველის სახელს ატარებენ, რომელსაც **ტოტემი** ჰქვია. მას კლანისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. ან შეიძლება უბრალოდ კუთვნილების დამადასტურებელი ნიშანი იყოს. ამიტომ, როდესაც ვინმე იტყვის, რომ იგი დათვის, მგლის ან კუს კლანის წარმომადგენელია, სხვებმა ზუსტად იციან მისი ვინაობა და კლანობრივი კუთვნილება. სიტყვა ტოტემი წარმოდგება ოჯიბვას ტომის ინდიელთა ტერმინის ოტოტემანისაგან, რაც „ჩემს ნათესავს“ ნიშნავს. ზოგ საზოგადოებაში ტოტემ ცხოველებთან დაკავშირებით გარკვეული ტაბუები არსებობს. მაგალითად, შეიძლება აკრძალული იყოს ტოტემის მოკვლა ან ჭამა.

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ცხოველებისა და მცენარეების სახელების დარქმევა ჩვენს საზოგადოებაშიც საკმაოდ გავრცელებულია. სხვადასხვა სპორტულ კლუბს, მოხალისეთა ასოციაციებს, ხშირად ცხოველთა სახელები ჰქვიათ. ცხოველი ან მცენარე, ხშირად მთელი ერის სიმბოლოც კი შეიძლება იყოს, გავიხსენოთ თუნდაც ამერიკის სიმბოლო არწივი და ინგლისის სიმბოლო — ლომი. თუ რატომ ირჩევენ ადამიანები ასე ხშირად ცხოველებს თავიანთი ჯგუფის სახედ, ძალიან საინტერესო საკითხია და იგი ცალკე კვლევას საჭიროებს.

ფრატრიები რამდენიმე ნათესაური კლანის ან სიბისგან შემდგარი უნილინეარული ჯგუფია. როგორც კლანში, ფრატრიაშიც შთამომავლობის ხაზი ხშირად საკმაოდ ბუნდოვანია.

მოიეტიები. როდესაც საზოგადოება დაყოფილია ორ უნილინეარულ ჯგუფად, ამ ჯგუფებს მოიეტიები ეწოდებათ. ეს სიტყვა ფრანგული წარმოშობისაა და „ნახევარს“ ნიშნავს. მოიეტის წევრები თავს საერთო წინაპრის შთამომავლებად თვლიან, თუმცა გენეალოგიური ხაზები არც აქ არის ნათელი. მოიეტიების საზოგადოებები მცირერიცხოვანი მოსახლეობით გამოირჩევიან (9000-ზე ნაკლები ადამიანი). ფრატრიებისა და კლანების საზოგადოებები უფრო მრავალფეროვანნი არიან ხოლმე.

შერეული საზოგადოებები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ რამდენიმე ტიპის უნილინეარული ჯგუფი განვსაზღვრეთ, ეს არ ნიშნავს, რომ უნილინეარულ საზოგადოებებში მხოლოდ ერთი ტიპის მემკვიდრული ჯგუფები არსებობენ. ბევრგან შეიძლება შეგვხვდეს ორი ან მეტი ტიპის ჯგუფიც. მაგალითად, ზოგ საზოგადოებაში არიან როგორც გვარები, ისე კლანები. სხვაგან შეიძლება არსებობდნენ ფრატრიები, მაგრამ არ იყვნენ გვარები. ზოგან კი შეიძლება არსებობდნენ კლანები და მოიეტიები, მაგრამ არ არსებობდნენ ფრატრიები და გვარები. გარდა იმისა, რომ საზოგადოებაში, სადაც არსებობს ფრატრიები, იქნებიან კლანებიც (ფრატრიები ხომ კლანების ჯგუფებია), შეიძლება არსებობდეს ნებისმიერი სხვა უნილინეარული ემკვიდრული ჯგუფიც. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საზოგადოებაში ორი ან მეტი სხვადასხვა ტიპის უნილინეარული ჯგუფი არსებობს, მაგალითად, კლანები და გვარები, ძნელი გასარკვევი არ არის, რომელი ჯგუფის წევრია პიროვნება. მცირე ჯგუფები უფრო დიდი ჯგუფების შემადგენელი ნაწილები არიან, ხოლო ამ დიდ ჯგუფებს შეადგენენ ადამიანები, რომელთა უნილინეარული კავშირი უფრო შორეული წარსულიდან მოდის.

პატრილინეარული წყობა

მემკვიდრული სისტემის მოწყობის ყველაზე გავრცელებული სახე პატრილინეარული სისტემაა. ახალი გვინეის ცენტრალურ მთიანეთში მცხოვრები კაპაუკუს

ახალი გენდერული პერსპექტივები

საცხოვრებელი ადგილი და სანათესაო: განსხვავება ქალის თვალთახედვით

რა იგულისხმება, როდესაც ვამბობთ, რომ საცხოვრებელ ადგილსა და სანათესაოს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე? შეიძლება ვთქვათ, რომ ქალისათვის რთულია ახალ გარემოსთან შეგუება. იქ მის ქმარს მრავალი ნათესავი ჰყავს, თავად კი არც ერთი. მაგრამ გვაქვს თუ არა მტკიცებულებები ამგვარი განცხადებისათვის? ეთნოგრაფების უმეტესობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს ადამიანების გრძნობებს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ამ მხირვ გამონაკლისია. მათ შორის არის ლეი მინტურნი, რომელმაც გაგვაცნო ერთ-ერთი რაჯპუტი პატარძლის (სოფელ ხალაპურში დაბადებულისა და გაზრდილის) წერილი დედამისისადმი, სადაც მოთხრობილი იყო, როგორ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა იგი ქმრის ოჯახში. ეს ახალგაზრდა ქალი ექვსი კვირის გათხოვილი იყო და მშობლებს სახლში დაბრუნებას ევედრებოდა. თავს გალიაში გამომწყვდეულ თუთიყუშს ამგვანებდა და უჩიოდა თავის დედამთილსა და მამათილს. თუმცა დედა ამ წერილს დიდად არ შეუშფოთებია, რადგან მან იცოდა, რომ ამგვარი წუხილი ჩვეულებრივი ამბავი იყო და განმარტოების გრძნობით იყო გამოწვეული. შვიდი წლის შემდეგ, როდესაც მინტურნი ინდოეთში დაბრუნდა, მომჩივანი პატარძლის დედამ მას უთხრა, რომ მისი შვილი ბედნიერად ცხოვრობდა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ არსებობდა უფრო მძიმე შემთხვევებიც, როდესაც ახლად დაქორწინებულ ქალებს ჰალუცინაციები ეწყებოდათ, 24-36 საათიან კომაში იყვნენ, სერიოზული დეპრესია ჰქონდათ, ხშირად თავს იკლავდნენ. სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია მონაცემები იმის შესახებ, თუ სად უფრო ხშირია ამგვარი მოვლენები, პატრილოკალურ და პატრილინეარულ, თუ სხვა, კერძოდ კი მატრილოკალურ და მატრილინეარულ საზოგადოებებში. განიცდიან თუ არა მამაკაცები მატრილოკალურ და მატრილინეარულ საზოგადოებაში იმას, რაც პატრილოკალურში მათთვის უცხოა?

რისი თქმა შეიძლება ქალების სტატუსზე. კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მატრილოკალურობა და მატრილინეარულობა გარკვეულ ასპექტებში დადებითად მოქმედებს ქალების მდგომარეობაზე, მაგრამ არც იმდენად, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს. თვით მატრილინეარულ საზოგადოებაშიც კი პოლიტიკური საქმიანობა მამაკაცების ხელშია. მატრილოკალურობისა და მატრილინეარულობის მთავარი შედეგი არის ის, რომ ქალს აქვს საკუთრების კონტროლის უფლება, ამასთან ერთად ოჯახში ისინი მეტი ავტორიტეტით სარგებლობენ, თანასწორები არიან მამაკაცებთან სექსუალურ საკითხებთან დაკავშირებით და საერთოდ, მათი სიცოცხლე უფრო მეტად არის დაფასებული. ელის შლეგელი აღნიშნავს, რომ მატრილინეალურ საზოგადოებაში ქალის სტატუსი ყოველთვის მაღალი არ არის, მასზე ხშირად ქმარი ბატონობს, ან ძმა (რადგანაც ძმა მნიშვნელოვან როლს თამაშობს გვაროვნულ ჯგუფში). ქალს მხოლოდ მაშინ უჩნდება საკუთარი ცხოვრების მართვის რეალური შესაძლებლობა და უფლებები, როდესაც იგი თავისუფალია ქმრისა და ძმების მბრძანებლობისაგან. ეჭვგარეშეა, რომ მატრილოკალურობისა და მატრილინეარულობისერთობლიობა უკეთეს მდგომარეობაში აყენებს ქალს, ვიდრე პატრილოკალურობა და პატრილინეარულობა. მატრილოკალურობა და მატრილინეარულობა შეიძლება არ აუმჯობესებდეს ქალის მდგომარეობას, თუ მასზე მამრობითი სქესის მატრილინეარული ნათესავები მბრძანებლობენ, მაგრამ პატრილოკალურ და პატრილინეარულ საზოგადოებებში ქალის მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდია. ნორმა დაიმონდმა დაადგინა, რომ კომუნისტური რევოლუციის შემდეგაც კი, რომელმაც ჩინეთში მამის გვარებზე დამყარებული მიწათმფლობელობის სისტემა მოსპო და ქალებს საშუალება მისცა, განათლება მიეღოთ და სახლის გარეთ ემუშავათ, შენარჩუნდა მამაკაცების მბრძანებლობა საზოგადოებაში. წარმოებისა და შრომის სისტემა შეიცვალა, პატრილოკალურობა კი არა. ქალები ისევ ოჯახში შემოსულ უცხოებად დარჩნენ, ხოლო მამისგვარების წევრები კოლექტიური მეურნეობების მუშათა ჯგუფებად გადაიქცნენ. დაიმონდი აღნიშნავდა, რომ ის ქალები, რომლებმაც მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში ხელმძღვანელების სტატუსი მოიპოვეს, ატიპურ ქორწინებებში იმყოფებოდნენ, რადგან საკუთარ სოფელშივე იყვნენ გათხოვილები. (ასეთი ქალების რაოდენობა ძალიან ცოტა იყო).

საცხოვრებელი ადგილი და შთამომავლობა გავლენას ახდენს რეპროდუქციის კონტროლზეც. სიუზენ ფრეიზერის მონაცემების თანახმად, პატრილინეარულ საზოგადოებებს რამდენიმე სქესობრივი და რეპროდუქციული თავსატეხი აქვთ გადასაწყვეტი. პირველი წინააღმდეგობა ისაა, რომ სანათესაოში მამაკაცებს გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ, რეპროდუქციაში კი ქალების როლი უფრო მნიშვნელოვანია. თუ პატრილინეარული საზოგადოება ზედმეტად დაამცირებს ქალებს, მათ შეუძლიათ შეაფერხონ საზოგადოების რეპროდუქცია. თუ პირიქით, განადიდებს მათ, მაშინ საფრთხის ქვეშ დგება თავად მამაკაცების მნიშვნელობის საკითხი. მეორე თავსატეხი მამობის დადგენა. ბავშვის ჯგუფის წევრად იდენტიფიკაციისათვის აუცილებელია მისი მამის ვინაობის ცოდნა. მატრილინეარულ საზოგადოებაში ეს პრობლემა არ დგას, რადგან დედა ყოველთვის ზუსტად არის ცნობილი. პატრილინეარულ საზოგადოებაში ნათესაობა მამის ხაზით გრძელდება. ამიტომ, ფრეიზერის აზრით, საზოგადოება ცდილობს უზრუნველყოს, რომ გათხოვილი ქალის ბავშვის მამა მისი ქმარი იყოს და არა სხვა ვინმე. აქედან გამომდინარე საზოგადოებები ზღუდავენ ქალის სექსუალურ თავისუფლებას. და მართლაც, კროსკულტურული კვლევების მონაცემები ადასტურებენ ამ მოსაზრებას. პატრილინეარული საზოგადოებები სხვებთან შედარებით უფრო მეტად კრძალავენ ქალის ქორწინებამდელ და ქორწინებისგარე სქესობრივ კავშირებს და ართულებენ ქალისთვის ქმართან განშორების პროცედურას.

ტომის პაპუასები შთამომავლობის მრავალი ჯგუფის მქონე პატრილინეარული საზოგადოების მაგალითია. ჯგუფების იერარქია, რომლის წევრებიც კაპაუკუს ტომის წევრები არიან, მათ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. თითოეული კაპაუკუ მიეკუთვნება პატრიკლანს, რომელიც შეიცავს მის გვარს და შედის მის პატრიფრატრიაში.

პატრიგვარის წევრი ყველა მამაკაცი, რომელსაც შეუძლია თავისი კუთვნილების დადასტურება, მამის ხაზით შეადგენენ ცალკე სოფლის ან რამდენიმე სოფლის მამრობითი სქესის მოსახლეობას. ანუ გვარი ტერიტორიული ერთეულია. გვარის წევრი მამაკაცები საცხოვრებლის პატრილოკალურობისა და მოწყობის ზუსტად განსაზღვრული წესების წყალობით ერთად ცხოვრობენ. ვაჟები თავიანთი მშობლების ახლოს სახლდებიან, ხოლო ქალები კი ქმრებთან მიდიან საცხოვრებლად. დიდი გვარები შეიძლება ქვეგვარებად დაიყონ. ეს ქვეგვარები შედგება იმ ხალხისაგან, რომლებიც გვარის წინაპრის რომელიმე ვაჟის შთამომავლები არიან. ქვეგვარის მამაკაცები გვარის ტერიტორიაზე გვერდიგვერდ ცხოვრობენ.

ერთი პატრიგვარის წევრები ერთმანეთს სიყვარულითა და პატივისცემით ექცევიან. ჯგუფში კანონსა და წესრიგს გვარის მეთაური იცავს. გვარის შიგნით მკვლელობა ძალიან მძიმე დანაშაულად ითვლება. ამიტომ კონფლიქტის შემთხვევაში მოჩხუბრები ჯოხებით იბრძვიან და არა შუბებით. ქვეგვარის მეთაური წარმოქმნილი უთანხმოების რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ გადაწყვეტას ცდილობს. თუ ქვეგვარის წარმოამდგენელი გარეშე პირებისათვის ცდილობს ზიანის მიყენებას, პასუხისმგებლობა ქვეგვარის ყველა წევრს ეკისრება და ზარალის ანაზღაურება მთელი ქვეგვარის ქონებით ხდება. უცხოს მოკვლის შემთხვევაში კი, მოკლულის ნათესავებმა შურისძიების მიზნით ქვეგვარის ნებისმიერი მამაკაცი შეიძლება მოკლან.

კაპაუკუები, გვარის გარდა, უფრო მსხვილ პატრილინეარულ ჯგუფებსაც მიეკუთვნებიან, კერძოდ კლანებს, რომლებიც თავის მხრივ, ფრატრიებში ერთიანდებიან. ერთი კლანის წარმომადგენლები თავს საერთო წინაპრის შთამომავლებად თვლიან, თუმცა როგორი შთამომავლები არიან, ამის ზუსტად თქმა არ შეუძლიათ. თუ კლანის წევრი შეჭამს ან მოკლავს ტოტემს, რწმენის მიხედვით, იგი დაყრუვდება. კაპაუკუებს აკრძალული აქვთ კლანის შიგნით ქორწინებაც. ანუ კაპაუკუს კლანი ეგზოგამური საზოგადოება.

ამრიგად, გვარი არის ყველაზე მსხვილი ჯგუფი, რომლის წევრებიც ერთად ცხოვრობენ. გვარი არის აგრეთვე უმსხვილესი ჯგუფი, რომლის წვერები ერთი პოლიტიკით მოქმედებენ. კლანის წევრებს შორის არ არსებობს სადავო საკითხების გადამწყვეტი მექანიზმი, ასე რომ, ერთი პატრიკლანის ორ სხვადასხვა გვარში შეიძლება ომიც კი ატყდეს.

უმსხვილესი პატრილინეარული მემკვიდრული ჯგუფი კაპაუკუს ხალხში ფრატრია გახლავთ, რომელიც ორი ან მეტი კლანისგან შეიძლება შედგებოდეს. კაპაუკუს ტომში არსებობს მოსაზრება, რომ ფრატრიები თავიდან კლანს წარმოადგენდნენ, მაგრამ შემდეგ დამაარსებელ ოჯახში წარმოქმნილი დავის გამო უმცროსი ძმა მათ გამოეყო და ცალკე კლანს ჩაუყარა საფუძველი. ეს ორი კლანი ერთმანეთთან პატრილინეარულ ნათესაობაში მყოფებად ითვლებიან, რადგან მათი დამაარსებლები ძმები იყვნენ.

ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ინდიელების მრავალ ტომს წესად აქვს დიდი ბოძების აღმართვა, რომლებიც კლანის ადამიან წინაპრებსა და ტოტემს გამოსახავენ. სურათზე ხედავთ ბრიტანეთის კოლუმბიის შტატში მდებარე ტოტემის ბოძსა და ინდიელების რეკონსტრუირებულ სახლს.



ფრატრიის წევრები ყველა წესს იცავენ იმ კლანის ტოტემების, რომლებიც ფრატრიის შემადგენლობაში შედიან. ერთი კლანის წევრებს შორის ქორწინება აკრძალულია, მაგრამ ერთი ფრატრიის წევრი ორი სხვადასხვა კლანის წარმომადგენლებს შორის ქორწინება დასაშვებია.

ამრიგად, კაპაუკუს ტომი შეიძლება მივიჩნიოთ შთამომავლობის მრავალი ტიპის ჯგუფებისაგან შემდგარ უნილინეარულ საზოგადოებად. მას აქვს გვარები, სადაც მემკვიდრული ხაზის დადგენა ადვილია და ორი უფრო მსხვილი ჯგუფი (კლანი და ფრატრია), სადაც ემკვიდრული ხაზისათვის წარსულისაკენ თვალის მიყოლება შეუძლებელია.

მატრილინეარული წყობა

მიუხედავად იმისა, რომ მატრილინეარული საზოგადოება ბევრ რამეში პატრილინეარულის სარკულ ანარეკლად შეიძლება მოგვეჩვენოს, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც არსებობს. პატრილინეარულ სისტემებში სანათესაოსადმი კუთნილება მამის ხაზით გრძელდება და ძალაუფლების მატარებლებიც კაცები არიან. ანუ ძალაუფლებისა და შთამომავლობის ხაზები ერთმანეთს ემთხვევა. მატრილინეარულ სისტემაში კი პირიქით, ნათესაური კუთნილება დედის ხაზით განისაზღვრება, მაგრამ ქალები ძალაუფლებას იშვიათად ფლობენ. ამრიგად, აქ ძალაუფლებისა და შთამომავლობის ხაზები ერთმანეთს არ ემთხვევა. ანთროპოლოგები ჯერ ვერ გარკვეულან იმაში, რატომ ხდება ასე. ყოველ შემთხვევაში, იმის გამო, რომ სანათესაოში ძალაუფლება მამაკაცების ხელშია, დედის ძმა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, რადგანაც იგი უახლოესი მამრობითი სქესის ნათესავია გვარში. მამა შვილის გვარს არ ეკუთვნის და მისი სიტყვა გვარის საქმეებში ნაკლებმნიშვნელოვანია.

ძალაუფლებისა და შთამომავლობის დაშორება გავლენას ახდენს საზოგადოების ორგანიზაციაზე და ქორწინებაზე, მატრილინეარული საზოგადოებების უმეტესობა მატრილოკალური საცხოვრებლით ხასიათდება. ქალები ქორწინების შემდეგ სახლში რჩებიან და ქმრები იქ მოჰყავთ. ვაჟები კი სახლიდან მიდიან თავიანთი ცოლების ოჯახში საცხოვრებლად. მაგრამ ვაჟები ამავე დროს სანათესაოში ძალაუფლების მატარებლები არიან. ამ მიზეზის გამო, მატრილინეარულ საზოგადოებებში მამაკაცები თავიანთი სანათესაოდან ახლოს მცხოვრებ ქალებზე ქორწინდებიან. როგორც წესი, ცოლ-ქმარი ერთი სოფლის მცხოვრებელია ხოლმე. ამრიგად, მატრილინეარული საზოგადოებები ლოკალურად ეგზოგამურები არ არიან, ხშირად ქორწინდებიან თავიანთი სოფლის მცხოვრებლებზე, პატრილინეარული საზოგადოებები კი ლოკალური ეგზოგამიით ხასიათდებიან.

მატრილინეარული საზოგადოების ნიმუშად შეიძლება ჩავთვალოთ ჩუუკების საზოგადოება, რომელიც წყნარი ოკეანის კუნძულებზე ცხოვრობს. ჩუუკებს აქვთ როგორც მატრიკლანები, ისე დედისგვარები. დედისგვარი არის საკუთრების მფლობელი ჯგუფი, რომელშიც ნათესაობა დედის ხაზით გრძელდება. ამ ჯგუფის ქალი წევრები და მათი ქმრები გვარის მიწაზე ცხოვრობენ. გვარის ქონებას მართავს ჯგუფში ყველაზე ასაკოვანი ძმა. იგი ანაწილებს თავის მატრიგვარის ქონებას და მართავს გვარის წევრების შრომას. იგი არის გვარის წარმომადგენელი ოლქის ბელადთან და სხვა უცხოტომელებთან წარმართული მოლაპარაკებებში. ყველა საკითხში, რასაც სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ჯგუფისთვის, სწორედ მისი სიტყვაა გადამწყვეტი. გვარში უფროსის სტატუსი ქალსაც აქვს. ის ფლობს გარკვეულ ძალაუფლებას, მაგრამ უფრო მეტად იმ საკითხებში, რაც საკუთრივ ქალების საქმიანობას ეხება. მას შეუძლია ზედამხედველობა გაუწიოს ქალების ერთობლივ შრომას (ისინი მამაკაცებისგან განცალკევებულად მუშაობენ) და მართოს საოჯახო მეურნეობა.

ბირთვულ ოჯახში ბავშვის აღზრდაზე მთავარი პასუხისმგებლები დედ-მამაა . როდესაც ბავშვი სქესობრივად მომწიფდება, მამის უფლებები უცვლელი რჩება, ხოლო დედის უფლებებს კი მისი ძმის უფლებები შეიძლება ჩაენაცვლოს. ადრეულ ასაკში დედის ძმა იშვიათად ერევა ბავშვის აღზრდაში, მაგრამ სქესობრივი სიმწიფის შემდეგ მისი სიტყვა მნიშვნელოვანი ხდება, რადგან იგი ბავშვის უახლოესი მოგვარე ნათესავია. ჩუუკებში მამაკაცები იშვიათად მიდიან შორს იმ ადგილიდან, სადაც დაიბადნენ. როგორც უორდ გუდინაფი აღნიშნავს, „იმის გამო, რომ მატრილოკალური საცხოვრებელი მამაკაცებს თავიანთ გვარს აშორებს, მათი უმრავლესობა ქორწინდება ქალებზე, რომლებიც მათგან რამდენიმე წუთის სავალზე ცხოვრობენ“.

მიუხედავად იმისა, რომ პატრილინეარულ და მატრილინეარულ სისტემებს შორის ბევრი განსხვავებაა, არის ბევრი მსგავსებაც. ორივე საზოგადოებაში შეიძლება არსებობდნენ ფრატრიები, კლანები, გვარები და მოიეტიები, როგორც ცალკე, ისე ერთდროულად. ამ ჯგუფებმა ორივე საზოგადოებაში შეიძლება შეასრულონ სხვადასხვა ფუნქცია, როგორიცაა ქორწინებების რეგულირება, ერთმანეთისთვის ეკონომიკური, პოლიტიკური დახმარების გაწევა და ცერემონიებში ერთობლივი მონაწილეობა.

ახლა, როდესაც გავერკვიეთ მატრილინეალურ სისტემაში, უფრო გასაგები ხდება საცხოვრებლის ავუნკულოკალური ტიპი. ეს ტიპი საკმაოდ იშვიათად გვხვდება, ისიც მხოლოდ მატრილინეარულ საზოგადოებაში. როგორც ვნახეთ, დედის ძმის როლი მატრილინეარულ საზოგადოებებში საკმაოდ დიდია. საკუთარი ძმების შემდეგ პიროვნების უახლოესი მატრილინეარული ნათესავი სწორედ ის გახლავთ. ამრიგად, როდესაც მამაკაცი საცხოვრებლად დედის ძმასთან მიდის, ამით გვარის მამაკაცები იკრიბებიან. რა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს საცხოვრებლის ამგვარი ტიპის წარმოქმნას? ამაზე პასუხს სცემს ომის ტიპი, რომელსაც აწარმოებს ეს საზოგადოება.

ავუნკულოკალური საზოგადოებები, მატრილოკალურებისაგან განსხვავებით, შინაომებს აწარმოებენ. როგორც პატრილოკალურობა უზრუნველყოფს პატრილინეარული ნათესობით დაკავშირებული მამაკაცების ოჯახში ყოფნას ქორწინების შემდეგ, ასევე ავუნკულოკალურობა უზრუნველყოფს მატრილინეარულ ნათესავ მამაკაცთა ერთად ყოფნასა და უეცარი თავდასხმის შემთხვევაში, მათ სწრაფ მობილიზაციას. ამრიგად, მატრილინეარულმა საზოგადოებებმა შინაომებისა და მამაკაცების მაღალი სიკვდილიანობის პირობებში (რაც ართულებს გვარის მამის ხაზით გადაცემას) შესაძლოა, პატრილინეარულ სისტემაზე გადასვლას ავუნკულოკალურზე გადასვლა არჩიონ.

უნილინეარული მემკვიდრული ჯგუფის ფუნქციები

უნილინეარული მემკვიდრული ჯგუფები საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე არსებობენ. თუმცა, აშკარაა, რომ ისინი ყველაზე გავრცელებული არაკომერციულ, საკვების მწარმოებელ საზგადოებებში არიან. უნილინეარული შთამომავლობის ჯგუფები ხშირად ხასიათდებიან მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური ფუნქციებით.

ქორწინების რეგულირება უნილინეარულ საზოგადოებებში პიროვნებებს არ აქვთ უფლება, თავიანთი უნილინეარული მემკვიდრული ჯგუფის შიგნით იქორწინონ. შიდა ქორწინება შეიძლება დაუშვან შედარებით მსხვილ ჯგუფებში. რაც ნაკლებად შესაძლებელია შედარებით მცირე ჯგუფებში. ზოგ საზოგადოებაში კი ნათესაური ჯგუფის შიგნით ქორწინება სასურველიც გახლავთ.

უნილინეარულ საზოგადოებაში ინცესტის ტაბუ ყვე-

ანთროპოლოგიური უჩვეულობები

ჩეროკის ტომი აშშ-ს სახმრეთ-აღმოსავლეთიდან

მატრილინეარულ საზოგადოებაში მამა შეიძლება თავის შვილებთან ცხოვრობდეს, მაგრამ მათთვის მნიშვნელოვანი არ იყოს. მატრილინეარულ ჯგუფში (კლანში) პიროვნებისთვის მამაზე უფრო მნიშვნელოვანი ავტორიტეტი დედის ძმა გახლავთ. ამის მიზეზი ის არის, რომ მამა სხვა შთამომავლობით ჯგუფს მიეკუთნება. ასეთ საზოგადოებაში ადამიანის უახლოესი მამრობითი სქესის ნათესავი არის დედის ძმა. საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ჯგუფი კი კლანია.

„მატრილინეარულ სისტემაში პიროვნება თავის სანათესაოს დედის ხაზით ითვლის და დედამისის კლანს ეკუთვნის. ჩეროკის საზოგადოებაში შვიდი კლანი არსებობდა: მგლის, ირმის, ფრინველის, ხატვის, გრძელთმიანების, ანუ ცრუპენტელების, ბრმა ველისა და ბაძგარის. კლანის წევრობა გადაეცემოდა დედის ხაზით, ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი ნათესავები იყვნენ დედა, დედის დედა (ბებია), დედის და-ძმები და პიროვნების და-ძმები. მამა სხვა (თავისი დედის) კლანის წევრი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანიგადაწყვეტილებების შესახებ, როგორიცაა ქორწილი, მას ყოველთვის აუწყებდნენ ხოლმე, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას არაფერს ეკითხებოდნენ, რადგან იგი თავისი შვილის კლანის წევრი არ იყო. ბავშვის აღზრდაში მამაკაცის მონაწილეობა დედის ძმის საქმე გახლდათ. სწორედ მის მოვალეობაში შედიოდა ჭაბუკისთვის ნადირობის სწავლება და ომში წასვლის ასაკის განსაზღვრა.

შვიდივე კლანს ჰყავდა თავისი წარმომადგენლები ჩეროკის ტომის ყველა ქალაქში და ყოველი კლანი პასუხისმგებელი იყო სამ მთავარ საკითხზე: 1) კლანი იყო მიწათმფლობელი ჯგუფი, რომელიც ანაწილებდა მიწებს გაფართოებული ოჯახებისთვის; 2) კლანი აწესებდა ქორწინების წესებს, თუ რომელი კლანის წარმომადგენელთან შეეძლო დაქორწინება პიროვნებას და რა იყო საჭირო ქორწილის მოსამზადებლად; 3) კლანი პრობლემებს მბრძანებლური წესით აგვარებდა. რადგანაც კლანი უზრუნველყოფდა როგორც პიროვნების დაცვას, ისე ზარალის ანაზღაურებასაც, ცალკე კანონის დამცველი ორგანიზაციის არსებობა აუცილებელი აღარ იყო.

ლა უნილინეარულ ნათესავზე ვრცელდება. მაგალითად, ჩუუკების საზოგადოებაში, რომელსაც მატრიგვარები და მატრიკლანები აქვთ, მატრიკლანის წევრებს შორის ქორწინება აკრძალულია . მატრილკლანები მოიცავს მატრიგვარებსაც, ამიტომ ამ უკანასკნელებს მემკვიდრული ჯგუფის ეგზოგამიაც ეხებათ. კაპაუკუს საზოგადოებაში, სადაც პატრიფრატრიები, პატრიკლანები და პატრიგვარები არსებობენ, უმსხვილესი ეგზოგამური ჯგუფი პატრიკლანი გახლავთ. შესაძლოა, ოდესღაც ფრატრიაც ეგზოგამური იყო, მაგრამ ამჟამად იგი ასეთი არ არის. ანთროპოლოგები ფიქრობენ, რომ მემკვიდრული ჯგუფების ეგზოგამია, შესაძლოა, იმან განაპირობა, რომ უნილინეარული საზოგადოებების უმეტესობის ცხოვრების პირობებში ასეთი ქორწინება სასარგებლო იყო.

ტრობრიანდის კუნძულებზე შთამომავლობა მატრილინეარულია, ხოლო საცხოვრებელი კი ავუნკულოკალური.

ეკონომიკური ფუქნცია კლანის წევრები ხშირად ვალდებული არიან, თანაკლანელის წინააღმდეგ აღძრულ სასამართლოში მას მხარი დაუჭირონ, დაეხმარონ მყარი ეკონომიკური მდგომარეობის მიღწევაში, მონაწილეობა მიიღონ საცოლის ფასის გადახდაში და მხარში დაუდგნენ მას ცხოვრების მძიმე წუთებში. ორმხრივი ურთიერთდახმარება ხშირად რეგულარული ხდება. უნილინეარული შთამომავლობის ჯგუფი შეიძლება მიწათმფლობელობის მხრივ კორპორატიული ერთეულის მსგავსად იქცეოდეს. მაგალითად, სახლის ადგილები და მიწის ნაკვეთები კაპაუკუებსა და ჩუუკებს შორის გვარის საკუთრებაშია. სანათესაოს წევრები შეიძლება ერთმანეთს დაეხმარონ ისეთ საქმეებში, როგორიცაა მიწის ნაკვეთების ტყისა და ბუჩქნარისგან გაწმენდა და დღესასწაულებისთვის, პოტლატჩების, სამკურნალო ადათებისა და სხვადასხვა ცერემონიისთვის (მაგ: ბავშვის დაბადება, ინიციაცია, ქორწინება და დაკრძალვა) საკვებისა და სხვა საჭირო საქონლის მომარაგება.

ჯგუფის წევრების მიერ მოპოვებული ფული — მოსავლის გაყიდვით, ან ხელფასზე მუშაობით — ხშირად მთლიანად ჯგუფის საკუთრებად ითვლება. თუმცა უკანასკნელ ხანებში ახალგაზრდები ხანდახან თავიანთი ფულის სხვებისთვის განაწილებაზე უარსაც ამბობენ.

პოლიტიკური ფუნქცია სიტყვა ,,პოლიტიკის" გაგება, რომელიც ინდუსტრიულ საზოგადოებაში არსებობს, საკმაოდ განსხვავდება იმ ბუნდოვანი ძალაუფლებისგან, რომელიც შეიძლება მიკუთვნებული ჰქონდეთ გვარის ან კლანის მეთაურებსა თუ უხუცესებს. მათ შეიძლება ჰქონდეთ მიწის განაწილების უფლება ჯგუფის წევრებს შორის, შეიძლება დაეკისროთ მომრიგებლის ფუნქცია კლანის ან გვარის წევრებს შორის წარმოქმნილ დავაში, თუმცა არ ფლობენ საკმარის ძალაუფლებას საიმისოდ, რომ მოდავე მხარეებს რამე დააძალონ. მათ შეიძლება ჰქონდეთ შუამავლის ფუნქცია იმ შემთხვევებშიც, როდესაც მათი ჯგუ-



ზოგ კულტურაში ადამიანები წინაპრების სულებს ეთაყვანებიან და საჩუქრებს უძღვნიან, მაგალითად ჩინეთში.

ფის წევრს სხვა ჯგუფის წარმომადგენელთან აქვს დავა.

უნილინეარული ჯგუფების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფუნქცია უდავოდ გახლავთ მათი როლი ომებში, რაც გამოიხატება სადავო საკითხების სისხლისღვრის გარეშე გადაწყვეტის მცდელობაში. ქალაქებისა და დაბების არმქონე საზოგადოებებში ამგვარი შეტაკებების ორგანიზება ხშირად მემკვიდრული ჯგუფების ხელში. ცენტრალური ნიგერიის მცხოვრები ტივების საზოგადოებაში ყოველთვის ცნობილია, რომელ გვარებს შორის მოხდება შეტაკება, რომელი გვარი რომელ მხარეს მიემხრობა, ვინ ვის უნდა შეუტიოს მხოლოდ ჯოხებით და ვინ ვის უნდა შეუტიოს მშვილდ-ისრებით.

რელიგიური ფუნქცია კლანსა და გვარს შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი რელიგიური რწმენა და ადათი, ჰყავდეთ საკუთარი ღმერთები, ქალღმერთები და წინაპართა სულები. დასავლეთ აფრიკაში მცხოვრები ტალენსის ტომში წინაპრების სულებს სცემენ პატივს და მათი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობენ. ისინი ცხოვრებას ჩვენგან განსხვავებნულად განიხილავენ და თვლიან, რომ სიცოცხლე დაბადებამდე იწყება და სიკვდილის შემდეგაც გრძელდება. ტალენსის ხალხს სჯერა, რომ მათმა წინაპრებმა სახე იცვალეს, მაგრამ შეინარჩუნეს ინტერესი იმის მიმართ, რაც დედამიწაზე, ადამიანებს შორის ხდება. მათ შეუძლიათ თავიანთი უკმაყოფილების გამოხატვა სხვადასხვა უბედურების გამოგზავნით, კეთილგანწყობას კი იმით გამოხატავენ, რომ ეხმარებიან ტომის წევრებს მიზნის მიღწევაში. ტალენსის ხალხმა არ იცის, რა შემთხვევაში იქნებიან წინპრების სულები უკმაყოფილოები და რა შემთხვევაში კმაყოფილნი. მათი ქცევის განჭვრეტა შეუძლებელია. ამრიგად, ტალენსიები უცაბედად მომხდარ ამბებს წინაპების სულებს მიაწერენ. წინაპრების არსებობის რწმენა ამ ხალხს დაცულობის გრძნობასაც აძლევს, რადგან თუ წინაპარი გადაურჩა სიკვდილს, გადაურჩება ცოცხალი ადამიანიც. ტალენსიების რელიგია მემკვიდრული ჯგუფის რელიგია. ისინი არ ინტერესდებიან სხვა ადამიანების წინაპრებით. მათ სჯერათ, რომ პიროვნებას მხოლოდ მისი საკუთარი წინაპარი იცავს და განსაცდელსაც ის უვლენს.

უნილინეარული სისტემების განვითარება

უნილინეარული ჯგუფები მრავალი საზოგადოების ცხოვრებაში თამაშობენ მნიშვნელოვან როლს. მაგრამ ასეთი ჯგუფები ყველა საზოგადოებაში არ აღინიშნება. იქ, სადაც რთული საზოგადოებრივი სისტემები მოქმედებს, სახელმწიფოს ბევრ რამეში შეუძლია, შეცვალოს სანათესაო, თუნდაც შრომის ორგანიზაცია და ომი ავიღოთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ უნილინეარული ჯგუფები ყველა რთული სტრუქტურის არმქონე საზოგადოებაში არ გვხვდება. რა მიზეზით არის ზოგ საზოგადოებაში ამგვარი ჯგუფები და ზოგში კი არა?

ზოგადად ითვლება, რომ უნილინეარული ჯგუფების წარმოქმნისათვის აუცილებელია უნილოკალური საცხოვრებელი, ან მატრილოკალური, ან პატრილოკალური. თუ საზოგადოებაში რაღაც პერიოდი პატრილოკალ-

ური საცხოვრებელია გავრცელებული, გარკვეული დროის შემდეგ პატრილინეარული ჯგუფები წარმოიქმნება და პირიქით, მატრილოკალური საცხოვრებლის შემთხვევაში ნელ-ნელა მატრილინეარულ საზოგადოებას მივიღებთ. ამ შემთხვევაში გასაკვირი აღარ იქნება ის ფაქტი, რომ კროსკულტურული მონაცემებით, მატრილოკალური და პატრილოკალური საზოგადოებები მატრილინეარული და პატრილინეარული ჯგუფების არსებობით ხასიათდებიან.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უნილოკალური საცხოვრებლის არსებობა შეიძლება აუცილებელი იყოს უნილინეარული მემკვიდრული ჯგუფის წარმოქმნისათვის, იგი არ არის საკმარისი პირობა საამისოდ. არსებობს ბევრი ისეთი უნილოკალური საზოგადოება, სადაც უნილინეარულობა არ აღინიშნება. ამას გარდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ნათესავი მამაკაცები და ქალები უნილოკალური საცხოვრებლის გამო ერთად ცხოვრობენ, ისინი ერთმანეთს საერთო შთამომავლობის ჯგუფად არ განიხილავენ. ამრიგად, აშკარაა, რომ უნილინეარული ჯგუფების წარმოქმნას სხვა პირობებიც სჭირდება.

ნათელია ერთი რამ, უნილოკალური საზოგადოებები, რომლებიც ომებს აწარმოებენ, უფრო მეტად ხასიათდებიან უნილინეარული ჯგუფების არსებობით, ვიდრე ისინი, რომლებიც ომებს არ აწარმოებენ. შესაძლოა, რომ უნილინეარული მემკვიდრული ჯგუფების წარმოქმნას ბიძგი ბრძოლის აუცილებლობამ და საჭიროებამ მისცა იმ საზოგადოებებში, სადაც არ არსებობს რთული პოლიტიკური სისტემები. უნილინეარულ ჯგუფებში პიროვნება ცხოვრობს ადამიანების ჯგუფში, ყველასთან ერთადაც იბრძვის და იქ მასში ეჭვი არავის ეპარება. გარკვეულია პიროვნების ჯგუფისადმი კუთვნილების საკითხი. ეს განაპირობებს იმას, რომ ომის დროს უნილინეარულ ჯგუფებს შეუძლიათ ცალკე, დამოუკიდებელი ერთეულის სახით გამოსვლა.

განსხვავებით უნილინეარულისაგან, ბილატერალური სისტემები ეგოცენტრულია. ნათესავები მცირედ თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გამონაკლისია დაძმა. შედეგად, ბილატერალურ საზოგადოებებში ხშირად გაურკვეველია, თუ ვის უნდა მიმართოს ადამიანმა დახმარებისა და თანადგომისთვის.

ამბილინეარული სისტემები

ამბილინეარული საზოგადოებების რაოდენობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე უნილინეარულის. თუმცა, ისინი ბევრ რამეში ჰგვანან ერთმანეთს. მაგალითად, ამბილინეარული მემკვიდრული ჯგუფის წევრები, უნილინეარულის მსგავსად, თვლიან, რომ ისინი საერთო წინაპრისაგან წარმოიშვნენ, თუმცა გენეალოგიურ კავშირებს ხშირად ვერ ამტკიცებენ. ჯგუფი ხშირად ატარებს რომელიმე ცხოველის ან მცენარის სახელს და შეიძლება ტოტემიც ჰქონდეს, მიწა და სხვა საწარმოო რესურსები მემკვიდრული ჯგუფის საკუთრება შეიძლება იყოს, ხოლო მითები და ლეგენდები ჯგუფის წარსულს უკავშირდებოდეს. ქორწინება ხშირად რეგულირდება ჯგუფის წევრობით, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფური ეგზოგამია ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე უნილინეარულ საზოგადოებებში. ამასთან ერთად, ამბილინეარულ საზოგადოებებს აქვთ სხვადასხვა დონის მემკვიდრული ჯგუფები, ამ ჯგუფებში შეიძლება იყოს გვარები, რომელთა წინაპრების გენეალოგია ხშირად საკმაოდ ბუნდოვანია.

ამბილინეარული საზოგადოების მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ სამოას საზოგადოება. სამოაზე ორი ტიპის ამბილინეარული ჯგუფია, რომლებიც უნილინეარული საზოგადოების კლანებისა და ქვეკლანების ეკვივალენტებად შეიძლება ჩავთვალოთ. ორივე ჯგუფი ეგზოგამური. ყოველ ამბილინეარულ კლანს თავისი ბელადი ჰყავს. ჯგუფები მთავარი ბელადის სახელს ატარებენ, სუბკლანები კი უმცროსი ბელადების სახელს.

სამოას ამბილინეარული სისტემა უნილინეარული სისტემებისგან იმით გამოირჩევა, რომ პიროვნება ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს როგორც მამის, ისე დედის ხაზითაც (ამავე დროს, მშობლები თავიანთი მშობლების ჯგუფებს ეკუთვნიან). ამრიგად, პიროვნება ერთბაშად რამდენიმე სანათესაო ჯგუფის წევრია. უპირველეს ყოვლისა, სამოელი მთლიანად სამოას მემკვიდრული ჯგუფის წევრად ითვლება და თეორიულად იგი შეიძლება ნებისმიერი ჯგუფის წევრად ჩაითვალოს, რომელთანაც რამე ნათესაობა აკავშირებს. თუმცა სინამდვილეში პიროვნება ერთი ჯგუფის წარმომადგენელია ხოლმე, კერძოდ კი იმ ჯგუფის, რომლის მიწაზეც ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, ეს პიროვნება შეიძლება სხვა ჯგუფების საქმიანობაშიც (მაგალითად, სახლების შენება) მონაწილეობდეს. იმის გამო, რომ ადამიანი შეიძლება ერთზე მეტ ამბილინეარულ ჯგუფს მიეკუთვნებოდეს, საზოგადოება არ არის დაყოფილი გვარებად, როგორც ეს უნილინეარულ სისტემებში ხდება. აქედან გამომდინარე, ამბილინეარული ჯგუფის წევრები ერთად ვერ იცხოვრებენ, რადგან თითოეული სხვადასხვა ჯგუფს ეკუთვნის.

სამოელთა მსგავსი მრავლობითი შთამომავლობის სისტემა ყველა ამბილინეარულ საზოგადოებაში არ აღინიშნება. ისეთი საზოგადოება, სადაც პიროვნება მხოლოდ ერთი ჯგუფის წევრია, შეიძლება ცალკეულ სანათესაო ჯგუფებად დაიყოს.

რატომ წარმოიქმნება ამბილინეარული მემკვიდრული ჯგუფები? მიუხედავად იმისა, რომ არსებული მონაცემები ბოლომდე ნათელი არ არის, შეიძლება უნილინეარული ჯგუფები განსაკუთრებული პირობების გავლენით ამბილინეარულად გარდაიქმნან, განსაკუთრებით მაშინ, თუ საზოგადოების მოსახლეობა მცირდება. უკვე აღვნიშნეთ, რომ მოსახლეობის კლების შედეგად შესაძლებელია უნილოკალური საზოგადოების ბილოკალურად გადაქცევა. თუ საზოგადოება იყო პატრილინეარული და პატრილოკალური, მაგრამ ზოგიერთი წყვილი საცხოვრებლის მატრილოკალურ ფორმაზე გადავიდა, ამ უკანასკნელთა შვილები დედის ხაზით მისი პატრილინეარული ჯგუფის წევრები გახდებიან. თუ მსგავსი შემთხვევები გახშირდება, ადვილი შესაძლებელია, რომ უნილინეარული პრინციპი ამბილინეარულმა შეცვალოს. ამბილინეარული სისტემების ჩამოყალიბების მიზეზი ევროპელების მიერ გავრცელებული დაავადებების შედეგად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის მკვეთრი კლებაც შეიძლება ყოფილიყო.

ნათესაობის ამსახველი ტერმინოლოგია

ჩვენს საზოგადოებაში, ისევე როგორც სხვებში, არსებობს **ტერმინები**, რომლებითაც ნათესავებს აღვნიშნავთ. შესაძლოა, ხშირად გვიფიქრია კიდეც, რატომ ვეძახით ჩვენს ნათესავებს იმას, რასაც ვეძახით. მაგალითად, დედის ძმა და მამის ძმა (ხშირად კი დედის დის ქმარი და მამის დის ქმარიც) ჩვენთვის აღინიშნება ტერმინით ბიძა. ამის მიზეზი არ არის ის, რომ ჩვენ ვერ ვასხვავებთ ერთმანეთისგან მამის ძმას და დედის დის ქმარს, ან არ ვიცით, თუ რა განსხვავებაა **კონსანგვილინეარულ** (სისხლით) ნათესაობასა და **აფინალურ** (ქორწინებით) და ნათესავებას შორის. უბრალოდ, როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოება არ მიიჩნევს საჭიროდ აღნიშნული ნათესავების ერთმანეთისგან განცალკევებას.

შესაძლოა, ჩვენს საზოგადოებაში არსებული სისტემა ბუნებრივად გვეჩვენება, მაგრამ საველე კვლევების შემდეგ დადგინდა, რომ საზოგადოებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ნათესავთა დაჯგუფების მხრივ. საზოგადოებაში არსებული ნათესაური ტერმინოლოგია ასახავს ოჯახის ტიპს, საცხოვრებლის ტიპს, შთამომავლობის

კანონებსა და სხვა სოციალურ ასპექტებს. ეს ტერმინოლოგია შეიძლება დაგვეხმაროს სოციალური სისტემის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრაში, რადგან, როგორც ანთროპოლოგები ფიქრობენ, აღნიშნული ტერმინოლოგია მდგრადია და ცვლილებებს ძნელად ექვემდებარება. ნათესაური ტერმინოლოგიის ძირითადი სისტემებია ომაჰას, ქროუს, იროკეზული, სუდანური, ჰავაური და ინუიტური (ესკიმოსური) სისტემები.

დავიწყოთ ჩვენი და ჩვენი მსგავსი საზოგადოებების ნათესაური ტერმინოლოგიის სისტემებით. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს სიტემა სულაც არ არის მხოლოდ კომერციული საზოგადოებებისთვის დამახასიათებელი. იგივე სისტემა მომქმედებს ინუიტების საზოგადოებებშიც.

ინუიტების, ანუ ესკიმოსების სისტემა

აღნიშნული სისტემის (ნახაზი 21-7) განმასხვავებელი ნიშანი გახლავთ ის, რომ მშობლების და-ძმები, დეიდები, მამიდები და ბიძები, ერთი სახელით აღინიშნებიან. 21-7 ნახაზზე და მომდევნო ნახაზებზე ერთი და იმავე ტერმინით მოხსენიებული ნათესავები მსგავსი ნიშნებით გამოიხატება. მაგალითად, ინუიტების სისტემაში მე-2 (მამის ძმა) და მე-6 (დედის ძმა) ნათესავები ერთი სახელით მოიხსენიებიან, რომლის ჩვენებური შესატყვისი არის „ბიძა“. აღსანიშნავია, რომ ამ სისტემაში, განსხვავებით იმათგან, რომლებსაც ქვევით განვიხილავთ, არც ერთი სხვა ნათესავი არ მოიხსენიება ძირეული ოჯახის წევრების (დედა, მამა, და და-ძმა) აღმნიშვნელი სახელებით.

ინუიტების სისტემა არ არის გავრცელებული უნილინეარულ და ამბილინეარულ სისტემებში. იგი ძირითადად ბილატერალურ საზოგადოებებში გვხვდება. როგორც ვიცით, ბილატერალური სისტემა ეგოცენტრული სისტემაა. მიუხედავად იმისა, რომ დედისა და მამის მხრის ნათესავები თანაბრად მნიშვნელოვანნი არიან, უმთავრეს ნათესავებად ისინი მოიაზრებიან, ვინც ზოგადად ყველაზე ახლოს არის პიროვნებასთან, ეს განსაკუთრებით ეხება ჩვენს საზოგადოებას, სადაც ბირთვული ოჯახი მარტო, ნათესავებისგან განცალკევებით ცხოვრობს და ნაკლებად აქვს ურთიერთობა მათთან. ოჯახს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო ნათესავები ორივე, როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან თანაბარმნიშვნელოვნად ითვლებიან. ამიტომ ოჯახის წარმომადგენლების აღმნიშვნელი ტერმინები განცალკევებით დგანან, ხოლო დედისა და მამის მხრის ნათესავები (ბიძები, დეიდები, მამიდები და კუზენები) ერთი ტერმინით აღინიშნებიან.

შენიშვნა: ზოგ ინუიტურ სისტემაში კუზენების აღმნიშვნელი ტერმინები შეიძლება იცვლებოდეს სქესის მიხედვით. ნათესავები, რომლებიც ერთი ტერმინით მოიხსენიებიან, მსგავსი ნიშნებით არიან აღნიშნული.



სურათი 21-7 ინუიტების (ესკიმოსების) ტერმინოლოგიური სისტემა.

ომაჰას სისტემა

ტერმინოლოგიის ეს სისტემა ჩრდილოეთ ამერიკელი ომაჰას ინდიელების ტომის სახელს ატარებს, მაგრამ იგი მსოფლიოს მრავალ კუთხეში გვხვდება. 21-8 ნახაზზე ვხედავთ, თუ რომელი ნათესავები არიან გაერთიანებული ერთი და იგივე ტერმინების ქვეშ. ამ სისტემაში მამა და მამის ძმა (2 და 3) ერთი სახელით აღინიშნებიან. კლასიფიკაციის ეს სისტემა მკვეთრად განსხვავდება ჩვენი სისტემისგან, სადაც ძირითადი ოჯახის წევრების აღმნიშვნელი ტერმინები არც ერთ სხვა ნათესავს არ აერთიანებს. რა მიმზეზით ხდება აღნიშნული გაერთიანება ომაჰას სისტემაში? ერთ-ერთი ინტერპრეტაციის თანახმად, მიზეზი ის არის, რომ ეს სისტემა ძირითადად პატრილინეარულ საზოგადოებებშია გავრცელებული. მამა და მამის ძმა კი პიროვნებისთვის მშობლების თაობის პატრილინეარული ხაზით ნათესავები არიან და მათ მსგავსად აღიქვამენ. პიროვნების მამის ძმა მასთან ახლოს ცხოვრობს, რადგან პატრილინეარული გვარები პატრილოკალური საცხოვრებლით ხასიათდებიან. ამრიგად, ტერმინი, რომელიც აერთიანებს მამასა და მამის ძმას, შეიძლება ითარგმნოს, როგორც „პიროვნების მშობლების თაობის მამრობითი სქესის პატრილინეარული ნათესავი“.

მეორე აღსანიშნავი განსხვავებაა დედისა (4) და დედის დის (5) ერთი ტერმინის ქვეშ გაერთიანება, რაც კიდევ უფრო მოულოდნელია, იმავე ტერმინით აღინიშნება დედის ძმის ქალიშვილიც (16). ვფიქრობთ, რომ ტერმინის მნიშვნელობა არის „დედის პატრილინეარული გვარის ნებისმიერი თაობის ქალი წევრი“. ამ აზრის შესაბამისად, დედის პატრილინეარული გვარის ნებისმიერი თაობის მამაკაცი (დედის ძმა 6; დედის ძმის შვილი 15) აგრეთვე ერთი ტერმინით აღინიშნება.

აშკარაა, რომ ამ სისტემაში ნათესავები დედისა და მამის მხრიდან განსხვავებულად ჯგუფდებიან. დედის პატრილინეარული გვარის წარმომადგენელი ნათესავები, რომელი თაობისაც არ უნდა იყვნენ, სქესის მიხედვით ერთი სახელით ჯგუფდებიან. მამის პატრილინეარული ჯგუფის ნათესავებში კი თაობების მიხედვით სხვადასხვა სახელით აღინიშნებიან. ჯორჯ პიტერ მერდოკი თვლის, რომ საზოგადოება ნათესავებს იმ შემთხვევაში აჯგუფებს, თუ მათ შორის უფრო მეტი მსგავსებაა, ვიდრე განსხვავება.

ამ პრინციპის გამოყენებით და იმის გათვალისწინებით, რომ ომაჰას სისტემის მქონე საზოგადოებები პატრილინეარულები არიან, პიროვნებას შეუძლია, განსაზღვროს, თუ რომელ ჯგუფს ეკუთვნის იგი და სად აქვს უფლებები და მოვალეობები. ამ საზოგადოებაში მამის მხრის ნათესავებია მნიშვნელოვანი. უფროსი თაობის წარმომადგენლებს გარკვეული ძალაუფლება აქვთ და მათ მიმართ პატივისცემის გამოჩენაა საჭირო, ხოლო ერთი თაობის პატრილინეარული ნათესავები კი ერთად იზრდებიან და მეგობრები ხდებიან. რაც შეეხება დედის მხარეს, ეს ნათესავები შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი არიან



სურათი 21-8 ომაჰას ნათესაური ტერმინოლოგიის სისტემა

(რადგანაც გვარის გადაცემა მამის ხაზით ხდება).

ამრიგად, ომაჰას სისტემაში პიროვნების მიერ მამრობითი სქესის პარალელური კუზენები (მამის ძმის შვილი 9; დეიდაშვილი 13) აღიქმება როგორც ძმები (11). მდედრობითი სქესის პარალელური **კუზენები** (მამის ძმის ქალიშვილი 10; დეიდაშვილი 14) აღიქმებიან როგორც დები (12) იმის გათვალისწინებით, რომ მამის ძმა და დედის და იმავე ტერმინებით აღინიშნებიან, რომლებითაც მამა და დედა, მათი შვილებიც გაიგივებული იქნებიან დედისა და მამის სხვა შვილებთან, ანუ დებთან და ძმებთან.

ქროუს სისტემა

ეს სისტემა, რომელიც კიდევ ერთი ჩრდილოამერიკული კულტურის სახელს ატარებს, ომაჰას სისტემის შებრუნებულ ვარიანტს წარმოადგენს, იმ განსხვავებით, რომ ქროუს საზოგადოება მატრილინეარული იყო. აქ განსხვავებული ტერმინებით მოიხსენიებენ დედის მხარის ნათესავების სხვადასხვა თაობას, ხოლო მამის მხარის ნათესავები კი ერთი სახელით აღინიშნებიან. 21-9 და 21-8 ნახაზების შედარებისას ვხედავთ, რომ თაობების გაერთიანება ერთნაირად ხდება, უბრალოდ ომაჰას სისტემაში იგი დედის მხარეს ეხება, ქროუს სისტემაში კი — მამის მხარეს. ქროუს საზოგადოებაში ერთი ტერმინით აღინიშნებიან დედა და დეიდა (რადგანაც ისინი დედის მატრილინეარული გვარის მშობლების თაობის წარმომადგენლები არიან), მამა, მამის ძმა და მამის დის ვაჟიშვილი (მამის მატრილინეარული გვარის ყველა თაობის მამაკაცები), მამიდა და მდედრობითი სქესის მამიდაშვილი (მამის მატრილინეარული გვარის ქალი წარმომდგენლები); ხოლო პარალელური კუზენები კი იმავე ტერმინით მოიხსენიებიან, რითაც და-ძმა.

იროკეზული სისტემა

ამ სისტემამ თავისი სახელი ჩრდილოამერიკელი ინდიელების ტომის, იროკეზებისგან მიიღო. იგი ომაჰას და ქროუს სისტემებს ჰგავს მშობლების თაობის დაჯგუფების მხრივ, სამაგიეროდ განსხვავებულია პიროვნების თაობის ტერმინოლოგიის მხრივ (ცხრილი 21-9). ერთი ტერმინით აღინიშნებიან მამა და მამის ძმა, ასევე დედა და დეიდა. მაგრამ როდესაც საქმე ეხება თავად პიროვნების თაობას, აქ მდგომარეობა განსხვავებულია. ომაჰასა და ქროუს სიტემაში კროს-კუზენები წინა თაობებთან არიან გაერთიანებული. იროკეზების სისტემაში კი კროს-კუზენების ორივე წყება (დედის ძმის შვილები 15 და 16; მამიდაშვილები 7 და 8) ერთი ტერმინით აღინიშნება, ოღონდ სქესობრივი განსხვავების აღნიშვნით. დედის ძმისა და მამიდის ქალიშვილებს ერთი სახელი ჰქვიათ, როგორც დედის ძმისა და მამიდის ვაჟებს. პარალელური კუზენების აღმნიშვნელი ტერმინები განსხვავებულია კროს-კუზენებისგან. ხანდახან მათი აღნიშვნა იმავე ტერმინებით ხდება, რომლითაც და-ძმა აღინიშნება.

ომაჰას და ქროუს სისტემის მსგავსად, იროკეზების სისტემას განსხვავებული ტერმინები აქვს დედისა და მამის მხარის ნათესავებისთვის. ამგვარი დიფერენციაცია უნილინეარულობასთან არის დაკავშირებული, რაც მოსალოდნელია, რადგან იგი მოიცავს კუთვნილებას ან მამის, ან დედის გვარისადმი. რატომ წარმოიქმნება იროკეზების სისტემის მსგავსი ტერმინოლოგია უნილინეარულ საზოგადოებაში უფრო მეტად, ვიდრე ქროუსა და ომაჰას სისტემები, ჯერ კიდევ ასახსნელია. ერთი პასუხი შეიძლება ის იყოს, რომ ომაჰა და ქროუს სისტემები უკვე ჩამოყალიბებულ და ძლიერ უნილინეარულ საზოგადოებებში ჩნდება. ან შესაძლოა, იროკეზული ტერმინოლოგია წარმოიქმნება იმ საზოგადოებებში, სადაც სასურველად ითვლება ქორწინება ორივე კროს-კუზენთან, რომლებიც იროკეზულ სისტემაში ცალკე ტერმინით აღინიშნებიან.



სურათი 21-9 ქროუს ნათესაური ტერმინოლოგიის სისტემა

სუდანური სისტემა

ომაჰას, ქროუსა და იროკეზების სისტემებისგან განსხვავებით, სუდანური სისტემა არ აჯგუფებს სხვადასხვა ნათესავს პიროვნებისა და მშობლების თაობებში. სუდანური სისტემა **აღწერითი** სისტემაა, რომელშიც ყოველი ნათესავის აღნიშნვისთვის ცალკე ტერმინი არსებობს. ეს სისტემა ასახულია ცხრილში 21-11. რა სახის საზოგადოებებში წარმოიქმნება მსგავსი ტერმინები? მიუხედავად იმისა, რომ სუდანური ტერმინოლოგიის მქონე საზოგადოებები პატრილინეარულები არიან, ისინი განსხვავდებიან ომაჰასა და იროკეზთა სისტემის მქონე საზოგადოებებისგან. სუდანური ტერმინოლოგიის არსებობა დაკავშირებულია ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა რთული პოლიტიკური სისტემა, კლასობრივი დაყოფა და საქმიანობითი სპეციალიზაცია. ამ პირობებში სანათესაოს შეიძლება თავისი წევრების შედარებით უფრო დეტალური კლასიფიკაცია დასჭირდეს, რათა დაადგინოს, თუ რომელ წევრს რა უფლებები და შესაძლებლობები აქვს კლასობრივ სისტემაში.

ომაჰას, ქროუს, იროკეზული და სუდანური სისტემები, მიუხედავად განსხვავებებისა და გამომწვევი მიზეზების სხვაობისა, ერთი საერთო ნიშნით ხასიათდებიან — მამისა და დედის მხარეების აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინები განსხვავებულია ერთმანეთისგან. ინუიტების სისტემაში, როგორც ვიცით, მამისა და დედის მხრის ნათესავები ერთი და იმავე ტერმინებით აღინიშნებიან. ეს ნიშნავს, რომ ორივე მხარე თანაბრად მნიშვნელოვანი ან თანაბრად უმნიშვნელოა. დედისა და მამის მხარე საერთო ტერმინებით აღინიშნება ჰავაურ სისტემაშიც, მაგრამ აქ შედარებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძირითად ოჯახს.



სურათი 21-10 ჰავაური ნათესაური ტერმინოლოგიის სისტემა



სურათი 21-11 სუდანური ნათესაური ტერმინოლოგიის სისტემა

ჰავაური სისტემა

ჰავაური სისტემა სხვა სისტემებს შორის უმარტივესია და ყველაზე ნაკლები ტერმინისგან შედგება. აქ ერთი თაობისა და ერთი სქესის ყველა ნათესავი ერთი სახელით აღინიშნება. ყველა მდედრობითი სქესის კუზენს ერთი სახელი აქვს, ამავე სახელით აღინიშნება და. ასევე ყველა მამრობითი სქესის კუზენი აღინიშნება იმავე ტერმინით, რომლითაც — ძმა. მშობლების თაობაში ორივე მხარის ყველა მამაკაცი ნათესავი აღინიშნება იმ ტერმინით, რომ-



სურათი 21-12 ჰავაური ნათესაური ტერმინოლოგიის სისტემა

ლითაც — მამა, ხოლო ქალები კი იმავე სახელით, რომლითაც — დედა.

ტერმინოლოგიის ამგვარ სისტემას ხსნის ის ფაქტი, რომ ჰავაური მოდელის საზოგადოებები არ არიან უნილინეარულები. რატომ გამოიყენება ბირთვული ოჯახის წევრების აღმნიშვნელი ტერმინები სხვა ნათესავების აღსანიშნავადაც? შესაძლოა იმიტომ, რომ ჰავაური სისტემის მქონე საზოგადოებებში დიდი ოჯახებია, რომელთაც 21-12 ნახაზში ნაჩვენები ყველა ნათესავი შეიძლება მიეკუთვნებოდეს ალტერნატიული (ბილოკალური) საცხოვრებლის არსებობის გამო. ამრიგად, ჩვენი საზოგადოებისგან განსხვავებით, ნათესავები ხშირად ძალიან მნიშვნელოვანნი არიან, რაც აისახება მათთვის იმავე სახელების მინიჭებაში, რაც ბირთვული ოჯახის წარმომადგენლებს აქვთ.

შეჯამება

1. ჩვენს საზოგადოებაში, ისევე როგორც მრავალ სხვა ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ახალდაქორწინებული წყვილი ახალ ადგილზე გადადის საცხოვრებლად. ამას საცხოვრებლის ნეოლოკალური ტიპი ეწოდება. მაგრამ ცნობილი საზოგადოებების 95%-ში დაქორწინებული წყვილი სხვაგვარად იქცევა და სახლდება ან რომელიმე მათგანის მშობლებთან და ნათესავებთან ერთად, ან მათ სიახლოვეს.
2. ცოლ-ქმრის საცხოვრებლის ოთხი ძირითადი ტიპია:
   ა)პატრილოკალური საცხოვრებელი: წყვილი ცხოვრობს ქმრის მშობლებთან ერთად ან მათ სიახლოვეს (საზოგადოებების 67%)
   ბ)მატრილოკალური საცხოვრებელი: წყვილი ცხოვრობს ცოლის მშობლებთან ერთად ან მათ სიახლოვეს (საზოგადოებების 15%)
   გ)ბილოკალური საცხოვრებელი: წყვილი ცხოვრობს რომელიმე მათგანის მშობლებთან ერთად ან მათ სიახლოვეს (საზოგადოებების 7%).
   დ)ავუნკულოკალური საცხოვრებელი: წყვილი ცხოვრობს ქმრის დედის ძმის სახლში ან მის სიახლოვეს (საზოგადოებების 4%).
3. იმ საზოგადოებების უმრავლესობაში, სადაც ნათესაური კავშირები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, არსებობს წესები, რომლებიც მიაკუთვნებენ პიროვნების ამა თუ იმ ნათესაურ ჯგუფს. ეს წესები ცნობილია შთამომავლობის კანონების სახელით.
4. შთამომავლობის კანონები მიაკუთვნებენ პიროვნებას ნათესაურ ჯგუფს. არსებობს შთამომავლობის კანონების სამი სახე:
   ა) პატრილინეარულიშთამომავლობა,რომელიცპიროვნებას ნათესაურ ჯგუფს მიკუთვნებს მამის ხაზით. ბავშვები ეკუთვნიან იმ ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნის მამა.
   ბ) მატრილინეარული შთამომავლობა, რომელიც პიროვნებას ნათესაურ ჯგუფს მიაკუთვნებს დედის ხაზით. ბავშვები ეკუთვნიან იმ ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნის დედა.
   გ) ამბილინეარული შთამომავლობა, რომელიც პიროვნებას ნათესაურ ჯგუფს მიაკუთვნებს ან მამის ან დედის ხაზით. შედეგად, ჯგუფებში გენეალოგია შეიძლება არსებობდეს როგორც ქალის, ისე მამაკაცის ხაზითაც.
5. საზოგადოებს, სადაც ლინეარული შთამომავლობის წესები არ მოქმედებს, ბილატერალური საზოგადოებები ეწოდებათ. ნათესავები დედისა და მამის მხრიდან თანაბრად მნიშვნელოვანი ან უფრო ხშირად, თანაბრად უმნიშვნელონი არიან. სანათესაოები ნათესავების ეგოცენტრული ჯგუფებია, რომლებიც შეიძლება დროებით შეიკრიბონ ხოლმე რაღაც მიზეზების გამო.
6. უნილინეარული შთამომავლობის საზოგადოებებში, როგორც პატრილინეარულში, ისე მატრილინეარულში, ადამიანები თავიანთ თავს რომელიმე უნილინეარულ ჯგუფს აკუთვნებენ, რომელსაც საერთო წინაპარი ჰყავდა ან ქალის, ან მამაკაცის ხაზით. ადამიანები ქმნიან უნილინეალური შთამომავლობის ჯგუფებს. არსებობს ამ ჯგუფების შემდეგი სახეები:
   ა) გვარი — ნათესაური ჯგუფი, რომელსაც ერთი საერთო წინაპარი ჰყავდა. ამ წინაპრისაკენ მიმავალი გენეალოგიური ხაზები ზუსტად არის ცნობილი.
   ბ)კლანი — ნათესაური ჯგუფი, რომლის წევრები თვლიან, რომ მათ საერთო წინაპარი ჰყავდათ, თუმცა ამ წინაპრისკენ მიმავალი გენეალოგიური ხაზები ზუსტად არ არის ცნობილი.
   გ) ფრატრია — ორი ან მეტი მონათესავე კლანის კავშირი.
   დ) მოიეტი — ნათესაური ჯგუფის ეს სახე არის მაშინ, როდესაც საზოგადოება დაყოფილია ორ უნილინეარულ შთამომავლობით ჯგუფად, რომლებსაც ჰყავთ საერთო წინაპრები, თუმცა მათკენ მიმავალი გენეალოგიური ხაზების დადგენა არ ხერხდება.
7. უნილინეარული მემკვიდრული ჯგუფები ყველაზე უფრო გავრცელებულია საშუალო სირთულის კულტურების მქონე საზოგადოებებში. ძირითადად ესაა არაკომერციული საკვების მწარმოებელი საზოგადოებები. ამგვარ საზოგადოებებში უნილინეარული მემკვიდრული ჯგუფები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებაში.
8. საზოგადოებები განსხვავდებიან ნათესავების აღმნიშვნელი ტერმინოლოგიური სისტემის მიხედვით. ძირითადი ტერმინოლოგიური სისტემებია ინუიტური (ესკიმოსური), ომაჰას, ქროუს, იროკეზული, სუდანური და ჰავაური სისტემები.

22

გაერთიანებები და ინტერესთა ჯგუფები



თავების შინაარსი

- არანებაყოფლობითი გაერთიანებები
- ნებაყოფლობითი გაერთიანებები
- გაერთიანებათა შორის არსებული სხვაობების ახსნა

მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელ მწერალს სემუელ ჯონსონს ერთხელ სთხოვეს, დაეხასიათებინა მისი კომპანიონი და ბიოგრაფი ჯეიმს ბოსველი. „ბოსველი კლუბის კაცია“, — იყო პასუხი. ჯონსონმა ის იგულისხმა, რომ ბოსველს სხვადასხვა კლუბი და გაერთიანება აინტერესებდა. ამ ინტერესს მისი მრავალი თანამედროვე იზიარებდა. მე-18 საუკუნის ინგლისში კლუბებისა და გაერთიანებების ჩამოყალიბება უჩვეულო სულაც არ გახლდათ.

თავად კლუბის იდეა, შეიძლება, რაღაც არასავალდებულო და არცთუ დიდად მნიშვნელოვან რამედ მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში გაერთიანებები ძალზე დიდ როლს თამაშობს მრავალი საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ თავში მიმოვიხილავთ სხვადასხვა საზოგადოებაში წარმოქმნილ სხვადასხვა სახის გაერთიანებას, მათი ფუნქციონირების მექანიზმებსა და მიზნებს. როდესაც ვსაუბრობთ **გაერთიანებათა** შესახებ, ვგულისხმობთ სხვადასხვა ჯგუფს, რომელთა წევრებიც არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული არც ნათესაური და არც ტერიტორიული ნიშნით. მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებებისა, გაერთიანებებს აქვთ საერთო ნიშნებიც: (1) ფორმალური ინსტიტუციური სტრუქტურა; (2) გარკვეული პიროვნებების გამორიცხვა; (3) წევრთა საერთო ინტერესები და მიზნები; (4) წევრთა შესამჩნევი სიამაყე და გაერთიანებისადმი კუთვნილების გრძნობა. თანამედროვე ამერიკაში, პოლიტიკურ მეცნიერებათა ტერმინოლოგიას რომ მივმართოთ, მრავალი საერთო ინტერესთა ჯგუფი არსებობს, რომლებიც ამ ზოგადი ნიშნებით ხასიათდება. ამგვარი ჯგუფები შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც მასშტაბებით, ისე მნიშვნელობით. მათ შორის შეიძლება იყვნენ ეროვნული ორგანიზაციები, როგორიცაა, მაგალითად, დემოკრატიული ან რესპუბლიკური პარტიები ან კოლეჯებში არსებული თანამეგობრობების მსგავსი, შედარებით მცირე გაერთიანებები.

საზოგადოებები მნიშვნელოვნად განსხვავავდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად არის მათში გავრცელებული გაერთიანებები და რა სახის გაერთიანებებია გავრცელებული. საქმე რომ გავიადვილოთ, მოდით, ყურადღება გავამახვილოთ ორ ძირითად განზომილებაზე, რომელთა მიხედვითაც საზოგადოებები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. პირველი მათგანი გახლავთ გაერთიანებებში მონაწილეობის ნებაყოფლობითობა. აშშ-ში, მაგალითად, გარდა სახელმწიფოს უფლებისა, გაიწვიოს ადამიანები სამხედრო სამსახურში, ფაქტობრივად, ყველა გაერთიანება ნებაყოფლობითია: ადამიანებს შეუძლიათ თავად აირჩიონ, შეუერთდნენ გაერთიანებას თუ არა. მაგრამ მრავალ სხვა საზოგადოებაში, განსაკუთრებით ეს ეხება ეგალიტარულ საზოგადოებებს, წევრობა ხშირად არანებაყოფლობითია, ანუ ყველა ვალდებულია, მიიღოს მონაწილეობა გაერთიანებაში.

მეორე განზომილება გახლავთ გაერთიანებისადმი პიროვნების მიკუთვნების წესი. არსებობს მიკუთვნებისთვის ორი შესაძლო კვალიფიკაცია: ის, რაც მიიღწევა და ის რაც უწერია. **მიღწეული თვისებებია**, რაც ცხოვრების განმავლობაში მიიღწევა. ეს შეიძლება იყო განვითარებული უნარი სპორტში ან უნარი, იყო, ვთქვათ, ელექტრიკოსი. „დაწერილი“ თვისებაა, ის, რაც ადამიანს ეწერება დაბადებისას, გამომდინარე მისი სქესიდან და ოჯახის მდგომარეობიდან (ეთნიკური კუთვნილება, დაბადების ადგილი, რელიგია, სოციალური კლასი). ვარჩევთ ორი სახის „დაწერილ“ **თვისებას უნივერსალურებს** და **ცვლადად**. პირველში შედის ასაკი და სქესი, მეორეში კი შედარებით სპეციფიკური მახასიათებლები, როგორიცაა ეთნიკური, რელიგიური ან სოციალური განსხვავებები.

განსხვავებათა განზომილებები მოცემულია 22-1 ცხრილში, რომელშიც ნაჩვენებია როგორც ნებაყოფლობითობა, ისე წევრობის კრიტერიუმები. თუმცა, ზოგი საზოგადოება ზუსტად არ ჯდება მოცემულ კლასიფიკაციაში. მაგალითად, გოგონა სკაუტების გაერთიანების

გაერთიანებათა მაგალითები

წევრობის კრიტერიუმი	**წევა**	
	ნებაყოფლობითი	**არანებაყოფლობითი**
უნივერსალურად მიწერადი		ასაკობრივი გაერთიანებები, ერთსქესიანი გაერთიანებების უმეტესობა
ცვალებადად მიწერადი	ეთნიკური და რეგიონული გაერთიანებები,	სავალდებულო ჯარის სამსახური
მიღწევადი	საქმიანობითი გაერთიანებები, პოლიტიკური პარტიები, სპეციალურ ინტერესთა ჯგუფები	

წევრობისთვის საჭირო როგორც წევრობის სურვილი, ასევე მიღწეული ხარისხი, ბიოლოგიური სქესი და მიწერილი მახასიათებლები.

არანებაყოფლობითი გაერთიანებები

მიუხედავად იმისა, რომ არანებაყოფლობითი გაერთიანებები რთული სოციალური სისტემების მქონე საზოგადოებებშიც შეიძლება არსებობდეს, ისინი უფრო ეგალიტარული საზოგადოებებისთვის არის დამახასიათებელი. შედარებით ნაკლებად დიფერენცირებულ საზოგადოებებში გაერთიანებები უნივერსალურად „დაწერილი“/მოცემული ნიშნებით ხასიათდებიან, მათი წევრობის საფუძველი გახლავთ ასაკი და სქესი. ამგვარი გაერთიანებები შეიძლება იყოს ორგვარი: ასაკობრივი და ერთსქესიანი, (მხოლოდ ქალთა ან მხოლოდ მამაკაცთა) გაერთიანებები.

ასაკობრივი გაერთიანებები

ყველა საზოგადოებაში არსებობს ტერმინები, რომლებიც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების აღსანიშნავად გამოიყენება. ისევე, როგორც არსებობს ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები — ძმა, ბიძა, ბიძაშვილი, ასევე განვასხვავებთ ასაკობრივ ჯგუფებსაც და ვყოფთ მათ მცირეწლოვნებად, მოზარდებად და მოზრდილებად. ეს ჯგუფები დამოკიდებულია ასაკობრივ განსხვავებებზე და მათი წევრები არიან ადამიანები, რომლებსაც შესაფერისი ასაკი აქვთ. შესაძლებელია, მაგალითად, რომელიმე საზოაგდოებაში შესაბამისი ასაკის ყმაწვილების ჯგუფის ერთდროული ინიციაცია მათი „კაცებად“ გადასაქცევად, როცა მათ შესაბამისი ასაკი შეუსრულდებათ. შემდეგ, ცხოვრების მანძილზე ეს ჯგუფი შეიძლება იქცეს „უხუცესებად”, ხოლო კიდევ რაღაც დროის გასვლის შემდეგ — „გადამდგარ უხუცესებად“. ასაკობრივ ჯგუფებში შესვლა არანებაყოფლობითია და დამყარებულია უნივერსალურ ასაკობრივ და სქესობრივ კუთვნილებაზე.

არაკომერციულ საზოგადოებათა უმეტესობაში სოციალური წყობის საფუძველს ნათესაური კავშირები წარმოადგენს, თუმცა ზოგან საკმაო მნიშვნელობა ენიჭება ასაკობრივ ჯგუფებსაც, რომლებიც სანათესაოს გარდა, დამატებით კავშირებს ქმნიან საზოგადოების წვერთა შორის. ამგვარი საზოგადოებების მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ აღმოსავლეთ აფრიკელი კარიმოჯონგები და ბრაზილიელი შავანტეები.

კარიმოჯონგების ასაკობრივი ჯგუფები კარიმოჯონგების რიცხვი დაახლოებით 60000-ს აღწევს. მათი ძირითადი საქმიანობა პირუტყვის მოშენებაა. ამ ნახ-



კენიელი ნანდების ტომის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ასაკობრივი ჯგუფები კვლავაც ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას. სურათზე ვხედავთ, თუ როგორ მიმართავს ახალგაზრდა ნანდის (კოსტუმში) ტომის ქურუმი (ტყავის მოსასხამში): „ადრე, როდესაც ჩვენი ახალგაზრდა მეომრები პირველად მიდიოდნენ სალაშქროდ, ჩვენ მათ შუბებსა და ფარებს ვაძლევდით და ვეუბნებოდით, რომ ტომისთვის კეთილდღეობა მოეტანათ. იმავეს გეუბნებით შენც დღეს, ოღონდ კალამს და ფურცელს გაძლევთ.“

ევრად დამკვიდრებული ცხოვრების მიმდევარ საზოგადოებას უგანდის ჩრდილო აღმოსავლეთში დაახლოებით 4000 აკრი უჭირავს. ამ საზოგადოებას განსაკუთრებით საინტერესოდ მისი ასაკობრივი ჯგუფებისა და თაობათა ჯგუფების კომბინაცია ხდის. ეს დაჯგუფებები წარმოადგენს როგორც პოლიტიკური ძალაუფლების, ისე ამ ძალაუფლების სფეროს განმსაზღვრელ ფაქტორებს. ****

კარიმოჯონგების ასაკობრივი ჯგუფი შედგება მამაკაცებისგან, რომლებიც „კაცებად“ ერთ, დაახლოებით 5-6 წლიან პერიოდში ხდებიან ინიციაციის გავლის გზით. თაობის ჯგუფი ხუთ ამგვარ ასაკობრივ ჯგუფს მოიცავს და შესაბამისად, 25-30 წელიწადს ფარავს. ყოველი თაობა შემდეგის „მშობლად“ მიიჩნევა. ნებისმიერ დროს არსებობს თაობათა ორი ჯგუფი: უფროსი, რომლის წევრები ახორციელებენ ადმინისტრაციულ, სასამართლო და სასულიერო ფუნქციებს, დახურულია. მისი მომდევნო, უმცროსი ჯგუფი, რომლის წევრებიც მეომრებისა და პოლიციელების როლს ასრულებენ, ჯერ კიდევ იმატებს წევრებს. როდესაც უმცროსი ჯგუფის ხუთივე ასაკობრივი ჯგუფი შეივსება, უმცროსი თაობა მზად არის (და როგორც წესი, მოუთმენლად ელის), მიიღოს უფროსი თაობის სტატუსი. მოქმედ უფროს თაობას ეს ნაკლებად უხარია, მაგრამ რეალობასთან შეგუებულია. შესაბამისად, საჭირო ცერემონიების შემდეგ თავის სტატუსს უმცროს ჯგუფს აბარებს და თავად, ასე ვთქვათ, პენსიაზე გადის.

კაცად ქცეული ინიციაციის გავლის შემდეგ, კარიმოჯონგების საზოგადოებაში ყმაწვილი ზრდასრულ მამაკაცად იქცევა, რომელსაც ნათლად განსაზღვრული სტატუსი აქვს და თავისი ჯგუფის წევრებთან ერთად უფლებათა სრული გამოყენება შეუძლია. კარიმოჯონგებში მამაკაცებს კაცად ქცევამდე დაქორწინება არ შეუძლიათ. კურთხევის ცერემონიალში ასახულია ასაკობრივი სისტემის ძირითადი პოლიტიკური და სოციალური მახასიათებლები. უხუცესთა დასტურის გარეშე ცერემონია დასრულებულად ვერ ჩაითვლება. მათი ძალაუფლება მთელ ცერემონიაში იკვეთება. ხდება მამათა და შვილთა ურთიერთობის ასახვა — მამები აკურთხებენ თავიანთ შვილებს.

ამრიგად, კარიმოჯონგების სისტემა მოიცავს ოთხი თაობის თანმიმდევრულ ცვლას წინასწარგანსაზღვრული წესითა და რიგით. გადამდგარი თაობა შედგება უხუცესთაგან, რომლებმაც ძალაუფლება მოიხსნეს, რადგანაც ამ თაობის ხუთივე ასაკობრივი ჯგუფი საგრძნობლად შეთხელებული ან სრულიად ამომწყდარია. უფროსი თაობა შედგება ხუთი ასაკობრივი ჯგუფისგან, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ თავიანთ ძალაუფლებას. უმცროსი თაობის ხუთი ასაკობრივი ჯგუფი კვლავაც აგრძელებს ახალი წევრების მიღებას და მიუხედავად იმისა, რომ ემორჩილება უხუცესებს, გარკვეულ ძალაუფლებას თავადაც ფლობს. და ბოლოს, მოდის ყველაზე უმცროსი თაობა, რომლის წევრთა კურთხევა ჯერ არ მომხდარა. კარიმოჯონგების ასაკობრივი სისტემა ასახულია 22-1 სურათზე.

შავანტეს ასაკობრივი ჯგუფები შავანტეს ტომის ინდიელები ბრაზილიაში, მატუ გროსუს მხარეში ცხოვრობენ. 1950-იან წლებამდე ისინი სასტიკად ემტერებოდნენ ევროპული წარმოშობის ადამიანებს, რომლებიც მათ ტერიტორიაზე შეღწევას ცდილობდნენ. პირველი მასშტაბური მშვიდობიანი კონტაქტი შავანტებთან 1950-იან წლებში მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტომი მებაღეობას ეწევა, მათი საკვების ძირითადი წყარო მაინც შემგროვებლობა. შავანტებს აქვთ სოფლებიც, თუმცა ერთ ადგილზე რამდენიმე კვირაზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში არ ჩერდებიან. ისინი ხშირად ახორციელებენ 6-24 კვირიან სანადირო და შემგროვებლურ ლაშქრობებს.



სურათი 22-1 კარიმოჯონგების ასაკობრივი სისტემა ოთხი თაობისგან (სურათზე აღნიშნულნი არიან როგორც ა; ბ; გ; დ;) შედგება, რომლებიც დროთა განმავლობაში ერთმანეთს ცვლიან. ყოველი თაობა, თავის მხრივ, ხუთ ასაკობრივ ჯგუფად ან პოტენციურ ასაკობრივ ჯგუფად იყოფა. უფროსი თაობა (ა) ძალაუფლების მფლობელია. უმცროსი თაობა (ბ) — მეომრებისა და პოლიციელთა ფუნქციის შემსრულებელი, ჯერ კიდევ წევრებს იკრებს. თაობა (გ) გადამდგარ უხუცესთა თაობა. ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ბიჭები კი პოტენციურ ასაკობრივ ჯგუფებს (დ1-დ5) შეადგენენ.

თავიანთ ბაღებში, რომლებიც საცხოვრებლიდან ერთი დღის სავალზე მაინც არის განლაგებული, წელიწადში ოთხ კვირას ატარებენ.

შავანტეს საზოგადოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასაკობრივ ჯგუფებს. განსაკუთრებით ეს ეხება მამაკაცებს. ბიჭები ბავშვობიდან მას შემდეგ გამოდიან, რაც მათი ინიციაცია მოხდება და ისინი საცხოვრებლად გადავლენ „ყმაწვილთა ქოხში“. ეს ცერემონია ყოველ ხუთ წელიწადში ტარდება და 7-12 წლის ბიჭები ერთდროულად გადადიან „ყმაწვილთა ქოხში“. ამ სტატუსის ხუთწლიანი პერიოდი შედარებით ნაკლებ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. ბიჭების ოჯახები მათ საკვებით ამარაგებენ და თუ თავად მოისურვეს, შეუძლიათ საკვების მოსაპოვებლად ან სანადიროდაც წავიდნენ. ამ დროის განმავლობაში ყმაწვილები სწავლობენ ნადირობას, იარაღების დამზადებას და ცერემონიათა წყობას. ხუთ წელში, საგანგებო ცერემონიების შემდეგ, ყმაწვილებს ენიჭებათ ახალი — „ახალგაზრდა კაცის“ სტატუსი. „ყმაწვილთა ქოხიდან“ გამოსვლის ბოლო დღეს მთელი ასაკობრივი ჯგუფი ერთდროულად ქორწინდება ახალგაზრდა ქალებზე, რომლებსაც მშობლები შეარჩევენ. თუმცა ქორწინება ამ დღეს არ სრულდება, რადგან, როგორც წესი, საცოლეები შედარებით მცირეწლოვნები არიან და საქმროები მათ მომწიფებას უნდა დაელოდონ. როდესაც ცერემონიები დასრულდება, ახალგაზრდა მამაკაცები საბრძოლო კომბლებს აკეთებენ და ამიერიდან ისინი ტომის მეომრებად ითვლებიან და ეძლევათ უფლება, ტომის საბჭოს დაესწრონ, თუმცა ამ ეტაპზე მათი ძალაუფლება და პასუხისმგებლობაც შედარებით ნაკლებია.

შემდეგი საფეხურია „მოზრდილი კაცების“ ჯგუფი. ამ ჯგუფში გადასვლის შემდეგ მამაკაცებს გარკვეული ძალაუფლება უჩნდებათ. მოზრდილი მამაკაცების საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ტომისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ეს ასაკობრივი ჯგუფი 5 ასაკობრივი ქვეჯგუფისგან შედგება, რადგან ახალი ასაკობრივი ჯგუფები ყოველ 5 წელიწადში ერთხელ იქმნება. ყოველი მათგანი მოქმედებას თავისი წევრების სიკვდილამდე აგრძელებს. მოზრდილ მამაკაცთა შორის ასაკით უფროსები შედარებით უმცროსებზე უფრო მაღალი სტატუსით სარგებლობენ. მოზრდილ მამაკაცთა ყველაზე ახალგაზრდა ქვეჯგუფის წევრები იშვითად გამოდიან სიტყვით საბჭოზე. მათი ძალაუფლება მატულობს ასაკის მატებასთან ერთად.

კარიმოჯონგებისგან განსხვავებით, შავანტეებს ასაკობრივი ჯგუფები ქალებისთვისაც აქვთ. ტომის ქალიშვილების ჩართვა ასაკობრივ ჯგუფში მაშინ ხდება, როდესაც მათი ტოლი ბიჭები „ყმაწვილთა ქოხში“შედიან, თუმცა მათი წევრობა მხოლოდ სახელობითია: ისინი არ გადადიან საცხოვრებლად „ყმაწვილთა ქოხში” და არც საკუთარი ცალკე საცხოვრებელი აქვთ. არც ინიციაციის ცერემონიას გადიან. მათ არ აქვთ სოფლის საბჭოში მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ მხოლოდ ზოგიერთი ცერემონიის მონაწილენი გახდნენ. ერთადერთი, რაც ქალებისთვის ასაკობრივ ჯგუფებში მონაწილეობას მოაქვს, მამაკაცებთან ერთად რიგ ცერემონიებში მონაწილეობის უფლებაა. ამრიგად, შავანტეს ტომის ქალების ასაკობრივი ჯგუფები, როგორც გაერთიანებები, არ მოქმედებენ.

უნისექსი ასოციაციები

ჩვენს საზოგადოებაში უნისექსის სახელით მოიხსენიება ისეთი რაღაცები, რაც ორივე სქესთან არის დაკავშირებული. ამჯერად კი მას სხვა მნიშვნელობით გამოვიყენებთ. უნისექს გაერთიანებებში ვგულისხმობთ გაერთიანებებს, რომლებშიც მხოლოდ ერთი სქესის წევრები მიიღებიან. როგორც წესი, ეს სქესი მამრობითია. სქესი, როგორც მახასიათებელი, პირდაპირ არის დაკავშირებული უნისექსი გაერთიანებების მიზნებთან. მრავალ უნისექს გაერთიანებაში ეს მიზანი მამაკაცთა პირველობის იდეის განმტკიცება და მათთვის ქალებისგან „თავშესაფრის” შეთავაზებაა. არაკომერციულ საზოგადოებებში მამაკაცთა გაერთიანებები ასაკობრივი ჯგუფების მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ამ გაერთიანებებს მხოლოდ ორი ასაკობრივი ჯგუფი ჰყავს, მოზრდილი მამაკაცები, რომლებიც გაერთიანების წევრები არიან და ყმაწვილები, რომლებიც გაერთიანებაში ჯერ არ შედიან. ასაკობრივი ჯგუფების მქონე საზოგადოებების მსგავსად, მამაკაცთა უნისექსი გაერთიანებების მქონე საზოგადოებებში სრულწლოვან მამაკაცად ინიციაციის ცერემონია ხშირად ტრავმული და საკმაოდ დრამატული ხასიათის გახლავთ. ამ ცერემონიებს ჩვენ მოგვიანებით, ფსიქოლოგიისა და კულტურისადმი მიძღვნილ თავში განვიხილავთ.

არაკომერციულ საზოგადოებათა უმეტესობაში ქალებს ნაკლებად აქვთ ხოლმე თავიანთი უნისექსი გაერთიანებები. შესაძლოა იმიტომ, რომ ამ საზოგადოებებში გაბატონებული როლი მამაკაცებს უკავიათ, როგორც სანათესაოში, ისე საკუთრებისა და პოლიტიკური ძალაუფლების მხრივ. საყურადღებოა ის აზრიც, რომ ანთროპოლოგთა უმეტესობა მამაკაცები იყვნენ და ამიტომ, შესაძლოა, ძირითადად მამაკაცთა გაერთიანებებს იკვლევდნენ, ქალთა გაერთიანებებს კი ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. ზოგ ნაწილობრივ კომერციულ საზოგადოებაში, როგორიცაა დასავლეთ აფრიკის რიგი საზოგადოებებისა, ქალთა უნისექსი გაერთიანებები შედარებით ხშირად გვხვდება. უნისექსი გაერთიანებები დამახასიათებელია, აგრეთვე, ინდუსტრიული საზოგადოებებისთვისაც. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ სკაუტები, როგორც ბიჭები, ისე გოგონები, კივანისის კლუბი და ქალ ამომრჩეველთა ლიგა. ამ საზოგადოებათა წევრობა ნებაყოფლობითია. შედარებით მარტივ, არაკომერციულ საზოგადოებებში კი უნისექსი გაერთიანების წევრობა, ძირითადად, არანებაყოფლობითია.

მაე ენგას ყმაწვილთა გაერთიანებები

მაე ენგა ახალი გვინეის მთიანეთში მცხოვრებ მებაღეთა საზოგადოებაა. მათი რაოდენობა, დაახლოებით, ოცდაათი ათასს აღწევს. ისინი მკვიდრ ცხოვრებას ეწევიან. ანთროპოლოგები ამ საზოგადოებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სქესობრივი სეგრეგაციის გამო.

აღმოსავლეთ აფრიკაში მცხოვრებ მასაებში მამაკაცს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია ცოლის მოყვანა, რაც თავისი ასაკის მამაკაცებთან ერთად საერთო ასაკობრივი ჯგუფის წევრად აკურთხებენ.

ამ კულტურას წითელ ხაზად გასდევს ქალთა მიმართ მკვეთრად გამოხატული მტრობა. მაეს ტომში მამაკაცები ერთად, ქალებისგან განცალკევებით ცხოვრობენ. ბიჭი 5 წლამდე დედასთან იზრდება, თუმცა მშობლებს შორის არსებული „მანძილი“ მისთვის ბავშვობიდანვე აშკარაა. ასაკის მატებასთან ერთად, ბიჭს მამა და სხვა უფროსი მამაკაცები უხსნიან, რომ ქალი უწმინდური არსებაა, სასურველია, მათგან თავი შორის დაიჭიროს და მამაკაცთა საზოგადოება ამჯობინოს. ეს რჩევა-დარიგებები სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს და ყმაწვილი საბოლოოდ აცნობიერებს, რომ ქალებთან ურთიერთობა ნაკლებად მისასალმებელია. იგი იგებს, რომ ქალის მენსტრუალურ სისხლთან ან მენსტრუაციის მქონე ქალთან შეხება მისთვის „წამბილწველი“ შეიძლება აღმოჩნდეს და რომ ამის შედეგად მისი კანი გაშავდება, დანაოჭდება, გონება დაუჩლუნგდება, სხეული დაუძაბუნდება და მოკვდება.

იმის გამო, რომ მაეს კულტურა ქალს, ზოგადად, უწმინდურ არსებად მიიჩნევს, მასში არსებობს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შემზღუდველი წესები და კოდექსები. ეს წესები მოწოდებულია, დაიცვან მამაკაცთა ერთიანობა, მოსავალი და სხვა ქონება. ეს წესები, თავიანთი სიმკაცრის გამო, ხშირად ახალგაზრდა მამაკაცებს საერთოდ უქრობენ ქალებთან ურთიერთობის სურვილს და ისინი ზოგჯერ ცოლის მოყვანაზეც კი უარს აცხადებენ. ასეთ შემთხვევებში უფროს თანატომელებს უწევთ მათი დარწმუნება, რომ აუცილებელია ცოლის შერთვა და ბავშვების გაჩენა, რათა საზოგადოების სიცოცხლე საფრთხის ქვეშ არ დადგეს. მამაკაცთა გაერთიანება მოწოდებულია განწმინდოს და გააძლიეროს თავისი წევრები, უზრუნველყოს მათი აღზრდა, გახადოს ისინი ქალებისთვის მიმზიდველნი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გააკონტროლოს სქესთაშორის კონტაქტები, რათა უზრუნველყოს მამაკაცთა მიერ „კარგი“ ცოლების შერთვა და „კარგი“ ბავშვების გაჩენა ტომში.

დაახლოებით 15-16 წლის ასაკში, მაეს ჭაბუკი სოფლის ყმაწვილთა გაერთიანების წევრი ხდება. იგი თანხმობას აცხადებს, რომ ყურადღებით აკონტროლოს თავისი ინტიმური ურთიერთობები ქალებთან და არ მიიღოს მათგან მიწოდებული საჭმელი. როგორც კლუბის წევრი, იგი მონაწილეობს სანგგაის რიტუალებში. უფროსთა ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ჭაბუკები შორს, ტყეში მდებარე განმარტოებულ სახლში მიდიან „განსაწმენდად“. ოთხდღიანი განწმენდისას თითოეული ახალგაზრდა დამატებით შეზღუდვებს იღებს, რათა დაიცვას თავი სექსუალობისა და უწმინდურობის ყოველგვარი გამოვლინებისგან. მაგალითად, იგი უარს ამბობს ღორის ხორცზე (ღორების მოვლა ქალების საქმეა), თავს იკავებს მინაზე ყურებისგან, რათა ქალის ან ღორის ნაფეხურები არ დაინახოს. ახალგაზრდას განბანენ, მოისმენენ მის სიზმრებს, განიხილავენ მათ და ახსნიან. ბოლოს, თავის თანამოძმეებთან ერთად, უკვე განწმენდილი და სიბინძურისგან დაცული (დროებით მაინც) ბრუნდება სოფელში და მონაწილეობს სარიტუალო ცეკვებსა და ლხინში თავის რჩეულ ქალ პარტნიორთან ერთად.

სანგგაის დღესასწაულები ტომს საშუალებას აძლევს, გამოხატოს თავისი ერთიანობა და ძლიერება მტრების თვალში. ქალთა მიმართ გამოხატული მტრობა აღარ იქნება გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მამაკაცის დედა და ცოლი მეზობელი ტომებიდან არიან (მაეს ტომების სოფლები ეგზოგამურია), რომლებთანაც მის ტომს გამუდმებული ომი აქვს. ქალისადმი მტრული დამოკიდებულება კლანთაშორისი მტრობის ამსახველი მოვლენაა. მაეს ხალხს აქვს გამონათქვამი, რომელიც ლაკონურად ხსნის არსებულ მდგომარეობას: „ჩვენ ვქორწინდებით მათზე, ვისაც ვებრძვით“.

მამაკაცთა და ქალთა გაერთიანებები მრავალ ხალხში გვხვდება, განსაკუთრებით მელანეზიაში, პოლინეზიაში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში. მამაკაცთა გაერთიანებებში, როგორც წესი, შედიან ჭაბუკები, რომელთა მასწავლებლებად უფროსი მამაკაცები გვევლინებიან. ომიანობის დროს მამაკაცთა სახლები ციხესიმაგრისა და არსენალის როლს ასრულებს, ხშირად ლტოლვილთა თავშესაფრადაც კი შეიძლება იქცეს. ისინი მამაკაცთა ძლიერებისა და სოლიდარობის სიმბოლოებია. ასაკობრივი ჯგუფების მსგავსად, მამაკაცთა გაერთიანებები ხშირად ნათესაურ კავშირებთან არის გადახლართული. ამრიგად, ისინი საშუალებას აძლევენ საზოგადოების მამაკაცებს, შეთანხმებულად იმოქმედონ იმ საერთო მიზნებისთვის, რომლებსაც ნათესაურ ურთიერთობებთან ნაკლები კავშირი აქვს.

პორო და სანდე გაერთიანებებში, ისევე, როგორც ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხშირად გარკვეული იდუმალებაც აღინიშნება. ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებში მამაკაცთა ინიციაციის დეტალები, როგორც წესი, საიდუმლოდ ინახება. მაგრამ კიდევ უფრო მეტად არის გასაიდუმლოებული დასავლეთაფრიკული პოროს და სანდეს გაერთიანებები. ეს გაერთიანებები გავრცელებულია დღევანდელი ლიბერიის, სიერა ლეონეს, სპილოს ძვლის სანაპიროსა და გვინეის ტერიტორიებზე. გვინეაში პორო და სანდე კანონით არის აკრძალული, მაგრამ დან-

არჩენ ქვეყნებში ისინი არათუ ლეგალურია, არამედ ადგილობრივი პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილიცაა. მათი წევრობა საზოგადოებრივი და არანებაყოფლობითია. საზოგადოების ყველა მამაკაცი უნდა ეკუთვნოდეს პოროს, ხოლო ქალები — სანდეს.

იქ, სადაც პორო და სანდე ლეგალური გაერთიანებებია, საზოგადოებას ორი პოლიტიკური სტრუქტურა აქვს, — „საერო“ და „სასულიერო“. საერო სტრუქტურა მოიცავს ქალაქების ბელადებს, სამეზობლოებისა და გვარების უფროსებს და უხუცესებს. სასულიერო სტრუქტურა, ანუ ზო, პოროსა და სანდეს ქურუმთა იერარქიულ სისტემას მოიცავს. მაგალითად, ლიბერიაში, კპელეს ტომში, პოროს და სანდეს ზო პასუხისმგებელია ქალაქში მომხდარი შეტაკებების, მკვლელობების, გაუპატიურებების, ინცესტისა და მიწებზე დავის მოგვარების საკითხებზე.

რაში მდგომარეობს პოროსა და სანდეს საიდუმლოება? თუკი საზოგადოების ყველა წევრი ამ გაერთიანებებშია, მაშინ ისინი ნაკლებად შეიძლება „საიდუმლოდ“ ჩაითვალონ. ანთროპოლოგებმა არა მხოლოდ აღწერეს ეს ორი გაერთიანება, არამედ თავადაც გახდნენ მათი წევრები. ბერილ ბელმანი, რომელიც კპელეს პოროს წევრი გახდა, ამბობს, რომ ამ საზოგადოებათა „საიდუმლოება“ მათი წევრების მიერ საიდუმლოს შენახვის უნარში გამოიხატება. ეს განსაკუთრებით გაერთიანების წევრად გახდომ ინიციაციის გავლის პროცესს ეხება. მხოლოდ ის ხალხი მიიჩნევა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ღირსად, ვისაც საიდუმლოს შენახვა შეუძლია.

პოროს ხელმძღვანელობა აწესებს ადგილს, სადაც წევრობის კანდიდატები სკარიფიკაციას (სხეულზე სარიტუალო იარების მიყენებას) განიცდიან და დაახლოებით ერთი წლის მანძილზე (ადრე ეს ვადა 3-4 წელი იყო) განდეგილობაში ცხოვრობენ, ბიჭები გაჰყავთ ქალაქგარეთ, სადაც ვაჟები დადგმულ ბრძოლაში ებმებიან ნგამუს (ტყის დემონის სამასკარადო კოსტუმში ჩაცმული პოროს წევრი) წინააღმდეგ, რომელიც ბიჭებს მკერდზე, ზურგსა და კისერზე ჭრილობებს უკეთებს. ეს ნაჭდევები დემონის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპვისა და მის მიერ შეჭმის სიმბოლოებია, მაგრამ ბიჭები „ხელახლა იბადებიან“. ინიციაციის „სოფელში“ ბიჭები ხელოსნობას, ნადირობას და მედიცინის საფუძვლებს სწავლობენ. ზოს ბავშვს სპეციალური დარიგებები ეძლევათ, რათა მათ მამებისგან რიტუალების ჩატარების უფლება და შესაძლებლობა მიიღონ. ზოგი მათგანი ტყის დემონის როლის შემსრულებლად იწვრთნება. წლის ბოლოს ბიჭებს პოროს სახელები ეძლევათ და ამიერიდან ისინი სწორედ ამ სახელით იქნებიან ცნობილნი. იდუმალება ინიციაციის პროცესის თანმხლები მოვლენაა. ყველამ იცის, რომ ბიჭები ცოცხლები არიან და არავითარ დემონს არ შეუჭამია ისინი, მაგრამ ამის თქმა მხოლოდ ზოგიერთს შეუძლია. ქალებმა, მაგალითად, უნდა თქვან, რომ ბიჭები დემონის მუცელში არიან. თუკი ისინი სხვა რამეს იტყვიან, შეიძლება სიკვდილით დაისაჯონ.

ქალთა სანდეში ინიციაციაც ასევე ერთწლიან განდეგილობას მოითხოვს (ადრე ეს ვადა სამ წელიწადს უდრიდა). გოგონები გადიან არა მხოლოდ სკარიფიკაციას, არამედ კლიტორიდექტომიასაც, რაც კლიტორის მოცილებას გულისხმობს. ბიჭების მსგავსად, გოგონებსაც მოზრდილთა საქმიანობას ასწავლიან. სანდეში ინიციაციისა და მის წინა წლებში, საზოგადოების მორალურ ქცევაზე პასუხისმგებელნი ქალები არიან. დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები, პირველ რიგში, ქალებს წარედგინებიან. თუკი ეჭვმიტანილი მამაკაცია, იგი პოროს ზოს მიერ განისჯება, მაგრამ საბოლოო ვერდიქტი ქალებს გამოაქვთ.

პოროს და სანდეს ზოები დიდი, ძალზე პატივცემული გაერთიანებებია. ამ საზოგადოებებში ძლიერია დემონთა შიში და თაყვანისცემა. ზოგი მეცნიერი ამბობს, რომ პოროსა და სანდესადმი შიში საერო პოლიტიკურ ხელისუფლებას აძლიერებს, რადგანაც ბელადებსა და მიწათმფლობელებს ამ გაერთიანებებში ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობები უკავიათ.

საიდუმლო გაერთიანებები მსოფლიოს მრავალ მხარეშია გავრცელებული — წყნარი ოკეანის კუნძულებზე, ორივე ამერიკასა და აფრიკაში. ზოგან ისინი ნებაყოფლობითი გაერთიანებებიც შეიძლება იყოს. აფრიკაში, კროს-კულტურული კვლევების შედეგების თანახმად, საიდუმლო გაერთიანებები, როგორც წესი, პოლიტიკაში არიან ჩართულნი. ასეთები არიან პორო და სანდე. ისინი სჯიან მათ, ვინც მიღებული წესებისა და კანონების თანახმად, დანაშაულს ჩადის. ის ფაქტი, რომ დასჯილთა შორის თითქმის არასოდეს არ არიან ადგილობრივი ელიტისა და უცხოელი მმართველების წარმომადგენლები, ადასტურებს, რომ პორო და სანდე არსებული პოლიტიკური ხელისუფლების გაძლიერებას ემსახურება.

იჯავის ქალთა გაერთიანებები სამხრეთ ნიგერიაში მცხოვრები იჯავის ტომში მხოლოდ ქალებს აქვთ გაერთიანებები. საზოგადოების ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთ სოფელში ქალთა შვიდი გაერთიანება არსებობს. მას შემდეგ, რაც გათხოვილი ქალი დაამტკიცებს (სავაჭრო საქმიანობით), რომ საოჯახო მეურნეობის გაძღოლა დედამთილის გარეშეც შეუძლია, იგი ვალდებულია, გაერთიანდეს თავისი ქმრის პატრიგვარის ქალებთან. გაწევრიანება სავალდებულოა და წევრები გაერთიანების შეხვედრაზე დაგვიანების ან არმისვლის შემთხვევაში ისჯებიან.

ქალთა გაერთიანებები სადავო საკითხების მედიატორთა როლში გამოდიან და სასჯელის დაწესება სასამართლოში გასარჩევ საკითხებზეც კი შეუძლიათ. მაგალითად, ასეთ გაერთიანებას შეუძლია განაჩენი გამოიტანოს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქალის შეურაცხყოფა ან ცოლქმრული ღალატი. თუკი დასჯილი წევრი არ ცნობს განაჩენს, სხვა წევრები მას დასცინიან ან შეიძლება სულაც რამე მნიშვნელოვანი ნივთი წაიღონ მისი სახლიდან და მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტონ.

ზოგი მსხვილი გაერთიანება საკრედიტო ორგანიზაციის ფუნქციასაც ასრულებს და შეუძლია თავისი დანაზოგიდან სესხი გასცეს 50%-ის ან მეტი სარგებლის განაკვეთით. გაერთიანებას შეუძლია სახლში გამოკეტოს თვით მამრობითი სქესის მოვალე და არ გაუშვას, სანამ ვალს არ გადაიხდის. გაერთიანების განაჩენს არავინ ეწინააღმდეგება. მიუხედავად იმისა, რომ იჯავის ქალთა გაერთიანებების გავრცელების მიზეზები დასავლეთ აფრიკაში ბოლომდე ნათელი არ არის, შეიძლება მივუთითოთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე — სავაჭრო საქმიანობაში მონაწილეობაზე, რაც ქალებს ფინანსურ დამოუკიდებლობას ანიჭებს. შემდეგ ქვეთავში ვნახავთ, რომ ქალები სულ უფრო მეტად ქმნიან ნებაყოფლობით გაერთიანებებს, რათა თავად დაეხმარონ საკუთარ თავს და გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა.

ნებაყოფლობითი გაერთიანებები

ნებაყოფლობითი გაერთიანებები, შესაძლოა, ზოგ შედარებით მარტივ საზოგადოებაშიც არსებობდა (მაგალითად, ჩრდილოამერიკელი ჩეიენების ნებაყოფლობითი სამხედრო გაერთიანებების მსგავსი ჯგუფები), მაგრამ ძირითადად მაინც რთულ საზოგადოებებში გვხვდება. სავარაუდოდ იმიტომ, რომ ეს საზოგადოებები მრავალი განსხვავებული მიზნის მქონე და ხშირად მეტოქე ადამიანისგან შედგება. აქ განვიხილავთ რამდენიმე ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს.

სამხედრო გაერთიანებები

არაკომერციულ საზოგადოებათა სამხედრო გაერთიანებები, შეიძლება შევადაროთ ჩვენთან არსებულ ამერიკულ ლეგიონს. მათ წევრებს მეომრული გამოცდილება აერთიანებთ. ისინი განადიდებენ სამხედრო

ინიციაციის ცერემონია ნჯემბეს ტომის ქალთა გაერთიანებაში. გაბონი

საქმიანობას და საზოგადოებას გარკვეულ სამსახურს უწევენ. ამგვარ გაერთიანებაში გაწევრიანება ნებაყოფლობითია და მეომრული უნარების საფუძველზე ხდება. ჩრდილოამერიკელ ველის ინდიელებს შორის სამხედრო გაერთიანებები ფართოდ იყო გავრცელებული. მაგალითად, ჩეიენთა სამხედრო გაერთიანებები არ იყო ასაკის მიხედვით დაყოფილი. იქ შესვლა შეეძლო ნებისმიერ მამაკაცს, რომელიც მზად იყო ომში წასასვლელად.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩეიენებს ხუთი ამგვარი გაერთიანება ჰქონდათ: „მელა“, „ძაღლი“, „ფარი“, „ცხენ-ირემი“ (ან „ფლოქვების თქარუნი“) და „მშვილდის ლარი“ (ან „წინააღმდეგობა“). ეს უკანასკნელი მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში პაუნებმა გაანადგურეს, თუმცა მოგვიანებით წარმოიშვა კიდევ ორი გაერთიანება, „მგელი“ და „ჩრდილოელი ცოფიანი ძაღლები“. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა გაერთიანებას განსხვავებული კოსტუმები, სიმღერები და ცეკვები ჰქონდა, მათი შიდა ორგანიზაცია მსგავსი იყო. თითოეულ მათგანს ოთხი წინამძღოლი ჰყავდა — უმაღლესი მეომარი ბელადები.

როდესაც ველის ინდიელთა ტომები რეზერვაციებში შეასახლეს, სამხედრო გაერთიანებებმა თავიანთი მნიშვნელობა დაკარგეს, მაგრამ მთლიანად არ გამქრალან. მაგალითად, ლაკოტას ინდიელებში მეომართა გაერთიანებები კვლავაც რჩება საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ელემენტად, რადგან ამ ტომის მრავალი ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში აშშ-ს მხარეს, ორივე მსოფლიო ომში, კორეაში, ვიეტნამსა და ერაყში. ტომის შინდაბრუნებულ მეომრებს ძველებურად ხვდებიან და პატივს მიაგებენ საბრძოლო სიმღერებითა და გამარჯვების ცეკვებით.

რეგიონული გაერთიანებები

რეგიონული გაერთიანებები აერთიანებენ ერთი გეოგრაფიული წარმომავლობის მქონე ადამიანებს. ისინი ხშირად გვხვდება დიდ ქალაქებში, სადაც მრავალი სოფლიდან წასული ადამიანი ცხოვრობს. მაგალითად, აპალაჩების სასოფლო მხარეებიდან წასული ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი დეტროიტისა და ჩიკაგოს რეგიონული გაერთიანებების წევრი ხდება. ეს ორგანიზაციები ხშირად საკმაო პოლიტიკურ წონასაც ფლობენ ადგილობრივ ხელისუფლებაში. რეგიონული გაერთიანებები ხშირად საკმაოდ შორიდან მოსულთა მიერაც იქმნება. ამის მაგალითია აშშ-სა და კანადაში არსებული ე.წ. ჩაინათაუნები, რომლებიც ჩინელი ემიგრანტებისგან დასახლებულ უბნებს მოიცავს. ჩაინათაუნებში ხშირად აღინიშნება როგორც რეგიონული, ისე გვაროვნული ნიშნით გაერთიანებული ორგანიზაციები. რეგიონული და საოჯახო ორგანიზაციები, თავის მხრივ, უფრო მსხვილ, ეთნიკურ გაერთიანებებს ქმნიან. ამ საკითხს დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

უილიამ მანგინმა აღწერა რეგიონული გაერთიანებების როლი პერუელი გლეხების საქალაქო ცხოვრებასთან შეგუებაში. 1950-იანი წლების განმავლობაში, მანგინმა შეისწავლა მთიანი რეგიონებიდან გადმოსახლებული ხალხის, ანკაშელი სერანოების ცხოვრება. მათი რიცხვი, დაახლოებით, 120 000-ს აღწევს. ისინი ქალაქის ჯურღმულების მსგავს ბარაკულ დასახლებაში ცხოვრობენ, რომელსაც „ბარიადა“ ეწოდება. „ბარიადა“ არ არის ოფიციალურად აღიარებული არც ქვეყნის მთავრობისა და არც ქალაქის ხელისუფლების მიერ. შედეგად, იქ არ არსებობს ჩვეულებრივი საქალაქო სამსახურები, როგორიცაა წყალმომარაგება, დასუფთავება და პოლიცია. მისი მცხოვრებლების მთიანი რეგიონებიდან ქალაქში გადმოსვლას ტიპური მიზეზები აქვს — მიწის უკმარისობა, მოსახლეობის სიმჭიდროვე და სხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. თუმცა თავის როლს ასრულებს დიდ ქალაქში ცხოვრების სხვა მიმზიდველი მომენტებიც — უკეთესი განათლება, სოციალური მობილურობა, ანაზღაურებადი სამუშაო.

ანკაშელმა სერანოებმა თავიანთი რეგიონული ორგანიზაცია შექმნეს. კლუბი ღია იყო ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის. მამაკაცები, როგორც წესი, აღმასრულებელ თანამდებობებზე იყვნენ და ხშირად პოლიტიკურ ძალაუფლებასაც აღწევდნენ. მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქალებიც, მიუხედავად მამაკაცებთან შედარებით ნაკლები სოციალური და ეკონომიკური თავისუფლებისა.

სერანოების გაერთიანება თავის წევრებს სამ მთავარ სამსახურს უწევდა: უპირველეს ყოვლისა, იგი ცენტრალურ მთავრობაში დასახლების საჭიროებებს ლობირებდა და მოითხოვდა კანალიზაციის, საავადმყოფოებისა და სხვა მსგავსი საზოგადოებრივი სამსახურების შექმნასა და მოწესრიგებას. მეორე სამსახური ახალჩამოსულთათვის ლიმას საქალაქო ცხოვრებისადმი ადაპტაციისას დახმარების გაწევაში მდგომარეობდა. პირველ რიგში, სერანოები თავს ანებებდნენ ყველაზე თვალშისაცემ სოფლურ ჩვევებს, კოკას ღეჭვას, განსხვავებული

მიმდინარე კვლევები და საკითხები

რატომ წარმოიქმნება ქუჩის ბანდები და რა არის მათი აგრესიულობის მიზეზები

ახალგაზრდების ბანდები, რომლებიც დიდი ქალაქების ქუჩებში არსებობს, ნებაყოფლობითი გაერთიანებებია. ისინი გარკვეულწილად ასაკობრივ ჯგუფებს ჰგვანან იმით, რომ წევრები დაახლოებით ერთი ასაკის არიან, მაგრამ განსხვავდებიან იმით, რომ მათი წევრობა ნებაყოფლობითია და ასაკთან ერთად სოციალური სტატუსის ცვლილება არ ხდება. წევრობის ვალდებულება არავის აკისრია, რაც უნდა ძლიერი იყოს სოციალური წნეხი, რომელიც უბიძგებს ადამიანს უბნის ბანდაში გაწევრიანებისკენ. ბანდებს ღირებულებების, მიზნების, როლების, ჯგუფური ფუნქციების, სიმბოლოებისა და ინიციაციების მკვეთრად ჩამოყალიბებული სისტემა აქვთ. მათი აგრესიულობა ბანდის ინტერესების დაცვისას ბანდებს ხშირად სამხედრო გაერთიანებებს ამსგავსებს.

მოძალადე ბანდები აშშ-ს მრავალ ქალაქში არსებობს, განსაკუთრებით ღარიბ უბნებში, მაგრამ მათი არსებობა მხოლოდ სიღარიბით ვერ იხსნება. მექსიკაში, მაგალითად, არანაკლები სიღარიბე შეიძლება იყოს, მაგრამ ქუჩის ბანდები არ წარმოიქმნება. მათ ნაცვლად, იქ არსებობს ე.წ. პალომილების, ანუ ასაკობრივი კოჰორტების ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, ახალგაზრდები ერთად იკრიბებიან, მეგობრდებიან და მათი ეს მეგობრობა ხშირად მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. სამაგიეროდ, ქუჩის ბანდები წარმოიქმნება მექსიკელი ამერიკელების უბნებში ლოს ანჯელესში. მათ ბარიოსები ჰქვიათ. ფაქტია, რომ ღარიბი უბნების ახალგაზრდების უმეტესობა არ წევრიანდება ქუჩის ბანდებში, ამიტომ ამ მოვლენის სიღარიბით ახსნა შეუძლებელია. გამოთვლილია, რომ მექსიკელი ამერიკელი ახალგაზრდების მხოლოდ 3-10% მონაწილეობს ქუჩის ბანდებში.

მაშ, რა მიზეზებით უერთდებიან ახალგაზრდები ამგვარ ბანდებს? თუკი გადავხედავთ ბანდების წევრთა წარსულს, აღმოვაჩენთ, რომ ისინი, ვინც თავის დროზე ძლიერ ოჯახურ სტრესს განიცდიდა, ხშირად არიან ბანდების წევრები. ისინი, როგორც წესი, ღარიბი და მრავალშვილიანი ოჯახებიდან არიან, არ ჰყავთ მამა, პრობლემები აქვთ სკოლაში და ადრეული ასაკიდანვე უწევთ უსიამოვნებებთან შეჯახება. რა უბიძგებს მათ ბანდებში გაწევრიანებისკენ? ამ ქვეყანაში მოზარდთა უმეტესობას უწევს რთული პერიოდის გადატანა, როდესაც იგი წყვეტს, თუ ვინ უნდა გახდეს ცხოვრებაში და რა გზა აირჩიოს. თუმცა, ბანდების წევრებს უფრო მეტად თვითიდენტიფიკაციის პრობლემები აქვთ. ერთ-ერთი თვრამეტი წლის ახალგაზრდას თქმით, მისი, ბანდაში გაწევრიანების მიზეზი, თვითშეფასების ამაღლება გახლდათ. ვინც უმამაკაცო ოჯახში გაიზარდა, ცდილობს დაამტკიცოს, რომ მამაკაცურია. ის უყურებს ბანდის წევრ უხუშ მამაკაცებს და მათ მსგავსად იქცევა. ბანდაში შესვლა ინიციაციას საჭიროებს. ბანდების უმეტესობას საკუთარი სტილიზებული ცერემონია აქვს. მაგალითად, მექსიკელი ამერიკელების ბანდები ახალი წევრის მიღებისას მას სცემენ, ხოლო ინიციანტმა ეს განსაცდელი მამაცურად და ღირსეულად უნდა გადაიტანოს. როგორც ყველა საინიციაციო ცერემონიის შემთხვევაში, ბანდის წევრად კურთხევა კიდევ უფრო აძლიერებს ჯგუფური იდენტიფიკაციის შეგრძნებას. ახალგაზრდებს უჩნდებათ გრძნობა, რომ ისინი რაღაც მნიშვნელოვანის მონაწილეები არიან. ეს ფსიქოლოგიური შეგუების ერთ-ერთი სახეა, მაგრამ რეალურად რამდენად ადაპტაციურია ბანდის წევრობა? ეხმარება თუ არა იგი თავის წევრებს გადარჩენაში იქ, სადაც სხვა ახალგაზრდა მამაკაცები ხშირად ხდებიან მკვლელობის მსხვერპლნი? ან, იქნებ, პირიქით, ბანდის წევრების გადარჩენის ალბათობა სხვებზე მცირეა? ჩვენ ამ კითხვებზე პასუხი ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება.

რატომ წარმოიქმნება ბანდები აშშ-ში და არ წარმოიქმნება მექსიკაში? რა განსხვავებებია მექსიკელი ამერიკელის ცხოვრებაში, რა განაპირობებს ამ ცვლილებას? შტატებში ცხოვრება უფრო რთულია რამდენიმე ასპექტში. ჯერ ერთი, მრავალი მექსიკელი ემიგრანტი იძულებულია, იმუშაოს მეტად დაბალ ხელფასზე და იცხოვროს ქალაქის მიყრუებულ უბნებში. მეორე, ისინი ხშირად არიან სხვადასხვა სამსახურებრივი თუ სოციალური დისკრიმინაციის მსხვერპლნი. მესამე, ისინი შედიან ახალ კულტურაში, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი საკუთარისგან. ახალგაზრდები, რომლებიც შედარებით ნაკლებად ახერხებენ ამ სტრესებისადმი გამკლავებას, როგორც წესი, ქუჩის ბანდების წევრები ხდებიან. რაც შეეხება ბანდების აგრესიულობას, ზოგი მეცნიერი თვლის, რომ გადაჭარბებული „მამაკაცურობის“ გამოვლენა ოჯახში მამაკაცის არარსებობით არის გამოწვეული. გაერთიანების აგრესიულობა და მოძალადეობა შეიძლება მასში მრავალი ისეთი ახალგაზრდას ყოფნით აიხსნას, რომლებიც უმამაკაცო ოჯახებში გაიზარდნენ. თუკი აგრესიულობა მამაკაცურობის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა (მაგალითად, უკანასკნელ დრომდე მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ ბრძოლაში), მაშინ ახალგაზრდა, რომელსაც სურს, ხაზი გაუსვას თავის მამაკაცურობას, განსაკუთრებულად აგრესიული იქნება.

იმის დასადგენად, რატომ არიან ბანდები აგრესიულები და რატომ გვხვდებიან ზოგ საზოგადოებაში უფრო ხშირად, ვიდრე სხვაგან, მრავალი კვლევის ჩატარებაა საჭირო. არსებობს კი ისეთი ადგილები, სადაც აგრესიულობა არ არის მამაკაცურობის შემადგენელი ნაწილი და სადაც ნაკლებად არსებობენ მოძალადე ბანდები?

ვარცხნილობის ტარებასა და მთიელთა ტანისამოსს. მამაკაცები უფრო სწრაფად ახერხებდნენ შეგუებას, ვიდრე ქალები. გაერთიანება წევრებს საშუალებას აძლევდა, უფრო სრულად შეეცნოთ ეროვნული კულტურა. ამასთან, სერანოების გაერთიანება ორგანიზაციას უწევდა ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ფიესტა, ასრულებდა საინფორმაციო ბიუროს ფუნქციებს და ახორციელებდა მრავალ სხვა სამსახურს, რომელთა დანიშნულებაცაა მიგრანტების დახმარება მათ ახალ საცხოვრებელ ადგილზე.

რეგიონული გაერთიანებების ფუნქციები შეიძლება დროთა განმავლობაში, სოციალური პირობების ცვლასთან ერთად შეიცვალოს. მაგალითად, ფილიპინელი ემიგრანტები ჰავაიზე, პლანტაციების პერიოდში, წევრიანდებოდნენ საქალაქო გაერთიანებებში, რომლებიც ორმხრივი დახმარების საზოგადოების ფუნქციას ასრულებდნენ. რაც მეტი ფილიპინელი ჩადიოდა ჰავაიზე, მით მეტ ადა-

მიანს ჰყავდა ნათესავი, ვისთვისაც შეეძლოთ მათ მიემართათ გაჭირვების შემთხვევაში. საქალაქო გაერთიანებები გარკვეულ ეკონომიკურ ფუნქციებსაც ფლობდნენ, რიგ შემთხვევებში, მაგალითად, სასწრაფო დახმარებისა და სერიოზული ავადმყოფობების ხარჯების, აგრეთვე სიკვდილის ან სწავლაში ხელშეწყობის შემთხვევაში. მაგრამ შეხვედრები იშვიათი იყო და წევრები მატ-ნაკლებად ესწრებოდნენ. აქტიური წევრები ის ადამიანები იყვნენ, რომელთაც გარკვეული მდგომარეობის მოპოვება სურდათ ხელმძღვანელი პოზიციების დაკავებით.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული კლუბები თავიანთ წევრებს კომპლექსურ საქალაქო ცხოვრებაში ინტეგრაციას უადვილებენ, მრავალი ასეთი ჯგუფის არსებობა ხშირად მათ შორის კონკურენციასა და გათიშულობას იწვევს. ზოგან მცირე ჯგუფები ერთიანდებიან და საკმაოდ მძლავრ გაერთიანებებსაც ქმნიან. მაგალითად გამოდგება აშშ-სა და კანადის დიდი ქალაქების ჩაინათაუნები, სადაც სხვადასხვა რეგიონული და საოჯახო გაერთიანება ჩინურ საქველმოქმედო ორგანიზაციებში ერთიანდება. ამ მსხვილ გაერთიანებებს, როგორც წესი, უმდიდრეს ვაჭართა ოჯახები აკონტროლებენ. ისინი ზედამხედველობას უწევენ ბიზნესს, აგვარებენ დავებს და წინამძღოლობენ გარე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას. ამრიგად, რეგიონული და საოჯახო გაერთიანებების ერთად შეკრების შედეგად ეთნიკური გაერთიანებები იქმნება.

ეთნიკური ასოციაციები

მსოფლიოში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ტიპის ეთნიკური გაერთიანებები. მათი წევრობა ძირითადად სწორედ ეთნიკურ კუთვნილებაზეა დამოკიდებული. ამგვარი გაერთიანებები განსაკუთრებით გავრცელებულია დასავლეთ აფრიკის ურბანულ ცენტრებში. აქ, დაჩქარებული კულტურული ცვლილებების ფონზე, რაც შეცვლილ ეკონომიკაში, ახალი ტექნოლოგიების გამოჩენასა და ახალ საცხოვრებელ პირობებში აისახა, სუსტდება ნათესაური კავშირები და ერთიანობის სხვა ტრადიციული საყრდენები. ხშირად საკმაოდ რთულია იმის თქმა, თუ რა ხასიათისაა რომელიმე კონკრეტული გაერთიანება: ეთნიკური თუ რეგიონული. ხშირად იგი ორივე ხასიათისა შეიძლება იყოს.

ტომობრივი კავშირები ხშირად გვხვდება ნიგერიისა და განას ტერიტორიაზე. მათი საერთო ნიშანი ექსტრატერიულობა გახლავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი წევრები ხდებიან ის ადამიანები, ვინც თავისი ტომის საცხოვრებელი ადგილი დატოვა. ამ გაერთიანებებს თავიანთი ფორმალური კონსტიტუციაც აქვთ. ისინი საქალაქო ცხოვრებასთან დაკავშირებულმა ახალმა საჭიროებებმა წარმოშვა. ერთ-ერთი ასეთი საჭიროება ადამიანებისთვის ეროვნული კულტურის შენარჩუნებაში მდგომარეობს. იბოს შტატის გაერთიანება თავისი წევრებისა და მათი ოჯახებისთვის ახორციელებს ფინანსურ დახმარებას უმუშევრობის, ავადმყოფობის ან სიკვდილის შემთხვევებში. ამასთან, მას აქვს „ტომთა ენების, ისტორიის, სიმღერებისა და სულიერებისადმი ინტერესის შენარჩუნებისა და ამ გზით ადამიანებში სამშობლოს სიყვარულის გაღვივების“ სამსახურიც. ზოგი ამგვარი კავშირი თავიანთ ძირძველ საცხოვრებელ ადგილებში პირობების გასაუმჯობესებლად ფულსაც აგროვებს. განსაკუთრებული ყურადღების საგანია განათლება. ზოგი კავშირი თავისი

ანთროპოლოგიური უჩვეულობანი

ჩრდილოამერიკული ჩაინათაუნები

ხშირად გაერთიანებები იქმნება იმ ადამიანების დაცვის მიზნით, რომლებიც ერთმანეთის ნათესავები არ არიან. აშშ-ს და კანადის ჩაინათაუნების მცხოვრებლები ერთმანეთსა და საკუთარ თავს იცავდნენ (ხშირად მთავრობისგანაც) იმით, რომ ერთიანდებოდნენ საერთო გვარისა და ჩინეთში თავიანთი მშობლიური ოლქების მიხედვით. ხშირად ამ ერთი გვარის მატარებელ ადამიანებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რანაირად იყვნენ ისინი ნათესავები და საერთოდ, იყვნენ თუ არა.

„ჩრდილოეთ ამერიკაში დასახლებული მრავალი ჩინელი სან-ფრანცისკოსა და ვანკუვერის ჩაინათაუნებში დასახლდა. სხვებმა აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლეს და ნიუ-იორკში, ბოსტონში, ფილადელფიაში, მონრეალსა და ტორონტოში დაფუძნდნენ. აქ მათი საქმიანობა დაკავშირებული იყო სამრეცხაოების, რესტორნებისა და მაღაზიების ბიზნესთან, სადაც თეთრების კონკურენციასთან შეჯახება არ უწევდათ. ამგვარი ბიზნესის დაწყება შედარებით იაფი იყო. თუმცა, მდგომარეობის გასამყარებლად ჩინელები ერთიანდებოდნენ სხვადასხვა ასოციაციაში, რათა დაეცვათ საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები როგორც კანადაში, ისე შეერთებულ შტატებში.

ამ ასოციაციებს გაბატონებული მდგომარეობა ეჭირათ ჩაინათაუნების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების საკითხებში. ისინი თავიდან საოჯახო ან საოლქო ორგანიზაციები იყო, რადგან მათი წევრობა ეფუძნებოდა გვარს ან ჩინეთის იმ ოლქებს, საიდანაც იყვნენ წარმოშობით წევრები. თუკი პიროვნების გვარი იყო ლი ან ვინგი, მაშინ იგი ლის ან ვინგის გვარის საოჯახო ასოციაციის წევრი ხდებოდა. თუკი პიროვნება წარმოშობით ტოისანის ოლქიდან იყო, მაშინ იგი ტოისანის საოლქო ასოციაციის წევრი ხდებოდა. ამგვარი ორგანიზაციები მთელ ქალაქში მცხოვრებ ჩინელებს აერთიანებდა. ისინი შემდგომში შეიკრა კიდევ უფრო მსხვილ გაერთიანებებად, რომლებიც ქალაქების უმეტესობაში ჩინური საქველმოქმედო ასოციაციების სახელით გახდა ცნობილი. ეს ასოციაციები საოლქო და საოჯახო გაერთიანებების მეთაურთაგან შედგებოდა. იგი მოქმედებდა როგორც ჩინელთა ინტერესების დამცველი მთავრობა. მხარს უჭერდა საგანგებო სარეგულაციო ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობდა ჩინელ ბიზნესმენთა შორის პირდაპირი კონკურენციის წარმოქმნას. ყველა ბიზნესი ვალდებული იყო, დარეგისტრირებულიყო ასოციაციაში და თვიური გადასახადები შეეტანა მის სალაროში, ბიზნესის მოცულობიდან გამომდინარე. ჩინური საქველმოქმედო ასოციაციები უფრო მეტი იყო, ვიდრე ბიზნესის რეგულატორი, რადგანაც იგი ხელს უწყობდა სოციალური კეთილდღეობის ამაღლებას და ებრძოდა ჩინელთა დისკრიმინაციას უფრო მოზრდილი საზოგადოებების მხრიდან. ვიქტორიისა და ბრიტანეთის კოლუმბიის საქველმოქმედო ასოციაციების წესდებაში, რომელიც ტიპურად შეიძლება მივიჩნიოთ, ნათქვამია: „ეს ასოციაცია დაარსდა, რათა შეგვეძლოს ჩვენი ერთიანობის გრძნობის გამოხატვა, რათა უზრუნველვყოთ კეთილდღეობა, გადავჭრათ სადავო საკითხები და დავეხმაროთ ავადმყოფებსა და ღარიბებს, რათა მოვსპოთ ბოროტება საზოგადოებაში და დავიცვათ იგი გარეშე საფრთხისგან“.

2001 წლის 24 ივნისი. მალაიზიის ჩინური ასოციაციის წევრები აპროტესტებენ მალაიზიის პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას ორი ჩინურენოვანი გაზეთის დახურვის შესახებ

წევრების საქმიანობის ამსახველ გაზეთებს გამოსცემს. კავშირების უმეტესობაში ახალგაზრდა ადამიანების რაოდენობა საკმაოდ დიდია, რაც ტომთა საბჭოებზე საგრძნობ დემოკრატიულ გავლენას ახდენს და მათ ახალი პოლიტიკური მოღვაწეების ასაფრენ ტრამპლინად აქცევს.

ეთნიკურთა კატეგორიაში ხვდებიან აგრეთვე დასავლეთაფრიკული საქმიანი კავშირებიც. სავაჭრო გაერთიანებათა აფრიკული ვარიანტები აგებულია როგორც ტომობრივი, ისე საქმიანობის მიხედვით და მათი წევრების, როგორც ხელოსნების, სტატუსის ამაღლებას ემსახურებიან. მაგალითად შეიძლება ავიღოთ კეტას ავტომობილების მძღოლთა გაერთიანება განაში. იგი დაარსდა, რათა დახმარებოდა თავის წევრებს ისეთ საკითხებში, როგორიცაა დაზღვევის, ჯანდაცვის, სასამართლოსა და დაკრძალვის ხარჯები.

მეგობრული საზოგადოებები ტომობრივი კავშირებისაგან იმით განსხვავდება, რომ მათი ძირითადი მიზანი ურთიერთდახმარებაა. ამგვარი კლუბი დაარსდა სიერა ლეონეს დედაქალაქ ფრაიითაუნში კრუს ტომის მიგრანტთა ცოლების მიერ. კრუს მამაკაცები უმეტესად მეზღვაურობით არიან დაკავებულნი, რაც ჯერაც სახიფათო საქმეა. კლუბის წევრები სამ წოდებად იყოფიან. საწევრო შენატანი უზრუნველყოფს ყველაზე დაბალი წოდების წევრობას. შემდგომი აღმასვლა დამოკიდებულია წევრის მიერ განხორციელებული შენატანების სიდიდეზე. კლუბის წევრის ან მისი ქმრის სიკვდილის შემთხვევაში ოჯახი იღებს კლუბში გარდაცვლილის წოდების შესაბამის ფულად კომპენსაციას.

როტაციული საკრედიტო გაერთიანებები

ურთიერთდახმარების საზოგადოებათა გავრცელებული ტიპია როტაციული საკრედიტო გაერთიანებები. მათი ძირითადი პრინციპი არის ის, რომ მონაწილეებს საერთო სალაროში რეგულარული ფულადი ან სხვა სახის ფასეული შენატანები შეაქვთ, რომელიც როტაციის წესით გადაეცემა მის წევრებს. რეგულარული შენატანები უზრუნველყოფს წევრთა სახსრების დაზოგვას, ხოლო ერთიანი თანხის მიღება მას საშუალებას მისცემს, რაიმე მნიშვნელოვანი შეიძინოს. ასეთი გაერთიანებები მსოფლიოს მრავალ მხარეში გვხვდება, კერძოდ კი — აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკაში (განსაკუთრებით კონტინენტის დასავლეთ ნაწილში) და ვესტ-ინდოეთის კუნძულებზე. ეს გაერთიანებები, როგორც წესი, 10-30 წევრს მოიცავს, ასე რომ, როტაციული წრე დიდი ხნით არ იწელება. ისინი არაფორმალური წარმონაქმნებია და შეიძლება პირველივე როტაციის შემდეგ დაიშალოს.

როგორ მუშაობს ეს სისტემა? რა უშლის ხელს რომელიმე წევრს, რომ ფულის აღების შემდეგ დატოვოს გაერთიანება? ეთნოგრაფიული მონაცემების ცნობით, ამგვარი მოვლენები იმდენად იშვიათია, რომ გაერთიანებათა მონაწილეებს მსგავსი რამ არც კი წარმოუდგენიათ. მას შემდეგ, რაც პიროვნება შეუერთდება ამგვარ გაერთიანებას, საზოგადოებრივი აზრის ძლიერი ზეგავლენით, მას რეგულარულად შეაქვს საწევრო გაერთიანებაში. თუკი პიროვნებას სასწრაფოდ დასჭირდა თანხა, როტაციის რიგი შეიძლება შეიცვალოს. გაწევრიანებისთვის არ არის საჭირო არავითარი ფორმალობა და საბუთების შევსება. ერთადერთი, რაც საჭიროა, არის სანდო და მართალი ადამიანის რეპუტაცია აქვს. გაერთიანებებს ხშირად სოციალური მხარეც გააჩნია, წევრები იკრიბებიან და გარკვეულ დროს ერთმანეთთან ურთიერთობასა და გართობაში ატ-

არებენ.

ამგაერთიანებებისფესვებიტრადიციულ განაწილების სისტემებში მიდის. მაგალითად, კიკუიუს ტომში ქალებმა, შეიძლება, მოილაპარაკონ და რიგრიგობით დაეხმარონ ერთმანეთს მუშაობაში. როდესაც პიროვნებას საგანგებო ხარჯები აქვს, მაგალითად, დაკრძალვასთან დაკავშირებით, სხვები თანამონაწილეობენ. ნენსი ნელსონმა აღწერა ერთი მეტად წარმატებული როტაციული საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც ნაირობის ღარიბ რაიონში წარმოიქმნა. მისმა დამაარსებელმა ქალმა შეკრიბა მსგავსი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქალების ჯგუფი, რომლებიც კიამბუს ოლქიდან იყვნენ ჩასული ნაირობიში. 1971 წლის დასაწყისში ამ ჯგუფში ოცამდე წევრი შედიოდა, შემდეგ კი მათი რიცხვი 30-მდე გაიზარდა. რამდენიმე წელიწადში დამაარსებელმა მიწის შემსყიდველი კოოპერატივიც დააარსა. როტაციულმა საკრედიტო გაერთიანებამ რამდენიმე ხანი ამ კოოპერატივთან ერთად იარსება, თუმცა საბოლოოდ დაკარგა თავისი ფუნქცია, რადგან მისი წევრების ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ მათი გაერთიანება უკვე აღარ სჭირდებოდათ. თითოეულ მათგანს საკუთარი ანგარიშები გაუჩნდა ბანკებში. ეს გაერთიანება საბოლოოდ 1990-იან წლებში დაიშალა. ერთი პირობა — მამაკაცებიც ცდილობდნენ მასში გაწევრიანებულიყვნენ, მაგრამ ქალებმა მათ ამის უფლება არ მისცეს. ერთ-ერთმა ქალმა ამ ფაქტს ასეთი განმარტება მისცა: „ისინი ყველაფერს თავიანთ ხელში აიღებდნენ და ჩვენს საკუთარ კოოპერატივში ლაპარაკის ნებას არ მოგვცემდნენო“.

განაში, მიუხედავად ეროვნული საბანკო სისტემის ოცდაათწლიანი ისტორიისა, ეროვნული დანაზოგი ძირითადად კვლავაც არაფორმალურია. 1991 წელს ჩატარებული გამოთვლების თანახმად, ეს ნაწილი დაახლოებით 55%-ს შეადგენს. ქვეყანაში ყვავის როტაციული საკრედიტო საზოგადოებები. ქალები უფრო ხშირად წევრიანდებიან მათში და ეს გაერთიანებები ხშირად სქესობრივი სეგრეგაციით ხასიათდება. კლუბების სახელები ხშირად ასახავს მათ ურთიერთდახმარებით ხასიათს. აკრას ერთ-ერთი კლუბის სახელი ითარგმნება როგორც „ჩვენი კეთილდღეობა სხვებზეა დამოკიდებული“. დანაზოგების უმეტესობა სავაჭრო კაპიტალის უზრუნველსაყოფად გამოიყენება.

როდესაც ადამიანები თავიანთი სამშობლოდან შორეულ მხარეებში მიემგზავრებიან, ამგვარი გაერთიანებები კიდევ უფრო საინტერესო ხდება. კორეაში, მაგალითად, როტაციული საკრედიტო გაერთიანებები 1633 წლიდან იღებს სათავეს. დღეს ლოს ანჯელესში მცხოვრები კორეელები კიდევ უფრო ხშირად იყენებენ როტაციულ საკრედიტო გაერთიანებებებს, ძირითადად, ბიზნესისთვის საჭირო თანხების აკუმულაციის მიზნით.

მულტიეთნიკური გაერთიანებები

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონულ და ეთნიკურ საფუძველზე ჩამოყალიბებული მრავალი ნებაყოფლობითი გაერთიანება არსებობს, თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ხშირად ჩნდება ჯგუფები, რომელთა წევრები მრავალი სხვადასხვა ეროვნებისა თუ გაერთიანების წარმომადგენლები არიან. ამის მაგალითია კაფაიანას ან ვოკ მერის (ქალთა შრომის) გაერთიანებები პაპუა-ახალ გვინეაში. ეს არის სხვადასხვა ტომის ათასობით ქალის გამაერთიანებელი ქალთა დანაზოგებისა და სასესხო ორგანიზაციები. თავიდან შეიქმნა პატარა ჯგუფები, რომლებიც მცირე სივრცეზე მოქმედებდნენ, მაგრამ შემდეგ, ქალების სხვა სოფლებში გათხოვებასთან ერთად, ამ უკანასკნელთ დაიწყეს ახალი ნათესავების დარწმუნება, რომ შეერთებოდნენ ორგანიზაციას და „ქალიშვილი“ საზოგადოება დაეარსებინათ. „ქალიშვილების და დედების“ ვიზიტები ერთმანეთთან სამი დღის მანძილზე გრძელდება და ჯგუფები ერთმანეთში ფულის გაცვლას

ახალ გვინეაში მცხოვრები კაფაინას ტომის ქალთა დანაზოგების და სასესხო გაერთიანებები ხშირად უბიძგებს მათ „შვილობილი“ ორგანიზაციის შექმნისკენ. ახალი ორგანიზაციის შექმნისას რიტუალში წარმოდგენილია „ქალიშვილის“ ამსახველი თოჯინა.

ახდენდნენ. სხვა ჯგუფებიდან შემოსული მთელი ფული ჩანთაში იკვრება და ინახება, რის შედეგადაც, დროთა განმავლობაში, დანაზოგი იზრდება. როდესაც ჯგუფი გარკვეულ თანხას შეაგროვებს, შენდება მამაკაცთა სახლის მსგავსი დიდი შენობა, რომელიც ორგანიზაციას ეკუთვნის და ტარდება ძალზე დიდი ცერემონია.

ნიშნავს თუ არა მსგავსი ქალთა გაერთიანებების წარმოშობა იმას, რომ ტრადიციულად მამაკაცთა მიერ დომინირებად საზოგადოებაში ქალის როლი და სტატუსიც იცვლება? ეს ჯერ კიდევ არ მომხდარა (იხილეთ ჩანართი „აუმჯობესებენ თუ არა ქალთა გაერთიანებები მათ მდგომარეობას სტატუსისა და ძალაუფლების მხრივ?“). აშკარაა, რომ პოლიტიკური ცხოვრებიდან გამორიცხვით განაწყენებული ქალები სულ უფრო ინტენსიურად მონაწილეობენ კაფაინას მოძრაობაში. ისინი ჯგუფთაშორის ურთიერთობებს აბამენ და უკვე საზოგადოებრივ საქმეებშიც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, თუმცა მათი და მამაკაცთა საქმეები კვლავაც განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამრიგად, კაფაინა შეიძლება განხილულ იქნას როგორც ქალთა პასუხი მამაკაცთა მხრიდან მათ ჩაგვრაზე. ამის მსგავსად, მრავალეროვნული და რეგიონული გაერთიანებები ხშირად წარმოიქმნება იმ მხარეებში, სადაც კოლონიალიზმი ან სხვა პოლიტიკური ბატონობა საერთო პრობლემად აღიქმება. მაგალითად, 1960-იან წლებში ალიასკის მკვიდრებმა ჩათვალეს, რომ ეკონომიკური განვითარების პროგრამები მათ საარსებო რესურსებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ამ კრიზისის დროს მრავალი რეგიონული და ეთნიკური ასოციაცია ჩამოყალიბდა. მათგან უმნიშვნელოვანესი გახდა საერთო ალიასკური გაერთიანება სახელად „ალიასკის მკვიდრთა ფედერაცია“. რამ განაპირობა ამგვარი გაერთიანება? სხვა მრავალი მრავალეროვნული მოძრაობის ლიდერების მსგავსად, ამ მოძრაობის წინამძღოლებსაც მრავალი საერთო ჰქონდათ. ისინი განათლებული, ქალაქში მცხოვრები და პრო-

ახალი გენდერული პერსპექტივები

აუმჯობესებს თუ არა ქალთა გაერთიანებები მათ მდგომარეობას სტატუსისა და ძალაუფლების თვალსაზრისით?

ცნობილია, რომ ქალთა ზოგი გაერთიანება, მაგალითად, იჯავის ტომის, საგრძნობ ძალაუფლებას ფლობს. ფლობენ თუ არა ზოგადად,მეტ ძალაუფლებასა და უფრო მაღალ სტატუსს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ის ქალები, რომლებიც თავიანთ საკუთარ გაერთიანებებში იმყოფებიან? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარი გაერთიანების წევრობა მართლაც ამაღლებს ქალის სტატუსს ან მამაკაცთან მის უთანაბრობას ამცირებს მაინც. მაგრამ შეგვიძლია საწინააღმდეგო მოსაზრებაც გამოვთქვათ — რომ განცალკევება თანასწორობას არ ნიშნავს და არაა აუცილებელი, მისკენ წაგვიყვანოს. განცალკევება მხოლოდ განცალკევებას აღრმავებს. ჯერ-ჯერობით ანთროპოლოგებს არ ჩაუტარებიათ ინტენსიური კროსკულტურული კვლევები იმის გასარკვევად, თუ რა გავლენას ახდენს ქალთა გაერთიანებები მათ მდგომარეობაზე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. თუმცა, იყო ერთი მცდელობა, კროსკულტურული კვლევით გაერკვიათ, რამდენად განაპირობებდა ქალთა საზოგადოებები მათი პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის სხვადასხვა ასპექტს.

მარკ ჰოვარდ როსი პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ოთხ მიმართულებას იკვლევდა: 1. ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობა პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში; 2. ქალთა მონაწილეობის ხარისხი პოლიტიკაში; 3. რამდენად აქვს ქალს საშუალება, გახდეს ხელისუფლების წევრი; 4. რამდენად აქვთ ქალებს განცალკევებული გაერთიანებები, რომლებიც მთლიანად მათ კონტროლქვეშ არის. ჩვენი მსჯელობა სწორედ ამ უკანასკნელს ეხება. განაპირობებს თუ არა ქალთა გაერთიანებების არსებობა საზოგადოებრივ გადაწყვეტილებათა მიღებაში მათი მონაწილეობის ხარისხის ზრდას და ხელისუფლებაში მონაწილეობის მეტ შესაძლებლობას? როსის კროსკულტურული კვლევა გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ გახლავთ. ქალთა განცალკევებული გაერთიანებები, ზოგადად, არ ცვლის ქალთა სტატუსსა და მდგომარეობას. ვერ ვიტყვით, რომ გაერთიანების წევრ ქალებს საერთოდ არ გააჩნიათ გავლენა. უბრალოდ, ეს გავლენა მხოლოდ ამ გაერთიანებაში ვრცელდება და სხვა პოლიტიკურ არენებს არ ეხება.

სამომავლო კვლევებისთვის შეიძლება სხვა ფაქტორების გავლენის გათვალისწინებაც დაგვჭირდეს. სავარაუდოა, რომ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობაზე მეტი გავლენა ეკონომიკური რესურსების ფლობამ იქონიოს. ამგვარი რესურსების არსებობამ, შესაძლოა, ქალებს მეტი შესაძლებლობები და პრივილეგიები მიანიჭოს. ქალთა ზოგი გაერთიანება, მოსალოდნელია, სხვებზე მეტ გავლენას ფლობდეს. მაგალითად, მხოლოდ ქალთა გაერთიანება უფრო გავლენიანი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე ისეთი, რომელიც მამაკაცთა ორგანიზაციებთან არის დაკავშირებული. თუმცა, შესაძლებელია ისიც, რომ ამ დამატებითმა პირობებმა არ შეცვალოს ჩვენი დასკვნა: ქალთა განცალკევებული ორგანიზაციები, შესაძლოა სწორედ იმიტომ, რომ ისინი განცალკევებულნი არიან, არ ახდენენ გავლენას პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობაზე.

მცირე ხნის წინ აშშ-ში დაიწყო კვლევა იმ შესაძლო გავლენის შესახებ, რაც ქალთა წარმატებაზე შეიძლება მოახდინოს სქესთა „განცალკევებამ“. მაგალითად, საინტერესოა, რა შედეგები ექნება ფიზიკა-მათემატიკის კლასებში გოგონებისა და ვაჟების განცალკევებას. ცნობილია, რომ აღნიშნულ დარგებში ქალები მეტად უმნიშვნელოდ არიან წარმოდგენილნი. ფიზიკის დოქტორთა მხოლოდ 11% და კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორების მხოლოდ 16% არის მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. სამაგიეროდ, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ქალები და მამაკაცები დაახლოებით თანაბრად გვხვდებიან.

ამგვარი განსხვავების მიზეზი, შესაძლოა, სოციალური პირობები იყოს, რომლებიც ნაკლებად ახალისებს გოგონების მიერ გარკვეული მეცნიერებებისა და პროფესიების სწავლას. მკვლევრებმა დაადგინეს, რომ მათემატიკის მასწავლებლები ბიჭებს მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე გოგონებს. თუკი ბიჭი არასწორ პასუხს გასცემს დასმულ კითხვას, მასწავლებელი მას კამათს უწყებს, ხოლო გოგონას არასწორი პასუხის შემთხვევაში, მხოლოდ კეთილად უღიმის. ბიჭები უფრო მეტს მუშაობენ სამეცნიერო მოწყობილობებთან, გოგონები კი მეტ შენიშვნას აკეთებენ. მეშვიდე კლასში გოგონებს მათემატიკასა და ტექნიკურ მეცნიერებებში ბიჭების მსგავსი მოსწრება აქვთ, მაგრამ ნაკლებად თავდაჯერებულნი არიან საკუთარ შესაძლებლობებში. უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას ქალები ნაკლებად ირჩევენ ტექნიკურ მიმართულებებს, შესაბამისად, მათ ამ მიმართულებით წარმატების მიღწევის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ.

თუკი ქალთათვის ხელის შემშლელი მიზეზები სოციალურია (ძირითადად მაინც), რისი გაკეთება შეიძლება მდგომარეობის გამოსასწორებლად? იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ გოგონები ბიჭებისაგან განცალკევებით უკეთესად სწავლობენ ტექნიკურ მეცნიერებებს, ზოგი ანთროპოლოგი თვლის, რომ საჭიროა ტექნიკური კლასების დაყოფა. ქვეყნის 240 სკოლაში გაიხსნა გოგონების ნებაყოფლობითი კლუბები (სახელით „ოპერაცია ზღთ“), რათა გაზრდილიყო გოგონების ინტერესი ტექნიკური მეცნიერებებისადმი. ამ სკოლების მოსწავლე გოგონების უმეტესობამ მოისურვა კლუბში ჩარიცხულიყო; უფრო მეტიც, მრავალმა მათგანმა შემდგომში ტექნიკური მეცნიერებების შესწავლის სურვილი გამოთქვა. დარჩებიან თუ არა ისინი მეცნიერებაში, ან რამდენად წარმატებული მეცნიერები გახდებიან, ჯერ-ჯერობით უცნობია, მაგრამ თუკი ამ პროგრამებმა იმუშავა, შეგვეძლება ვთქვათ, რომ „განცალკევება“ უფრო ათანასწორებს, ვიდრე „ერთად ყოფნა”.

ჩვენ მიერ აღწერილი ორი სიტუაცია საკმაოდ განსხვავებული ჩანს. ქალთა განცალკევებულ გაერთიანებებს არ შეუძლია ქალისა და მამაკაცის პოლიტიკური უთანასწორობის შემცირება, ხოლო გოგონების ბიჭებისგან განცალკევებით სწავლებამ, შესაძლოა, ტექნიკური მეცნიერებების შესწავლაში თანასწორობა მოგვი-

ტანოს. საკითხავია, რა განსხვავებაა ამ ორ სიტუაციას შორის? არსებობს მინიმუმ ერთი თვალშისაცემი განსხვავება: ქალთა განცალკევებული გაერთიანებები, როგორც წესი, არანებაყოფლობითია. საზოგადოების ყველა წევრი მეტნაკლებად იძულებულია, შეუერთდეს ამ ორგანიზაციას, რადგან საზოგადოებრივი წყობა უბიძგებს ამისკენ. ქალთა განცალკევებით სწავლების ჯგუფები ტექნიკურ მეცნიერებებში კი ნებაყოფლობითია. გოგონებს შეუძლიათ, აირჩიონ განცალკევება, რათა გაუმჯობესონ სწავლის ხარისხი და გახდნენ უფრო თავდაჯერებულნი, რაც მათ აუცილებლად დასჭირდებათ წარმატების მისაღწევად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენს წარმატებას განსაზღვრავს არა სქესი, არამედ პირადი მიღწევები. ქალთა დროებითმა განცალკევებამ, შესაძლოა, შეამციროს სქესთაშორისი უთანასწორობის ხარისხი იმ სფეროებში, სადაც ამჟამად მამაკაცები ბატონობენ.

ფესიონალი მუშაკები იყვნენ. და რაც შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანია, მრავალი მათგანი უბრალოდ თანასკოლელი იყო.

მულტიეთნიკური და მულტირეგიონული ასოციაციები ხშირად არის ჩართული განმათავისუფლებელ მოძრაობაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ხშირად მათ რევოლუციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიები ქმნიან და მათი მეშვეობით იწყებენ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას. თუ რატომ იწყება განმათავისუფლებელი მოძრაობები მსოფლიოს ზოგ ნაწილში, ზოგში კი — არა, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველი.

სხვა ინტერესთა ჯგუფები

აშშ-ს მსგავსი საზოგადოებები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებისაგან შედგება. ასეთ საზოგადოებებში ხშირია ეთნიკური ან რეგიონული გაერთიანებები. ამ ნებაყოფლობითი საზოგადოებების უმრავლესობის წევრები, როგორც ჩვენს, ისე სხვა რთულ საზოგადოებებში, საერთო, მიღწევადი ინტერესების საფუძველზე ერთიანდებიან. ეს საერთო ინტერესები, შეიძლება, მოიცავდეს საქმიანობის სფეროს (სავაჭრო კავშირები და პროფკავშირები), პოლიტიკურ შეხედულებებს (პოლიტიკური პარტიები), რეკრეაციას (სპორტული და სხვა გასართობი კლუბები, ფან-კლუბები, მუსიკა და თეატრი), ქველმოქმედებას და სოციალურ კლუბებს. რაც უფრო დიდი და დივერსიფიცირებულია საზოგადოება, მით მეტი ინტერესთა ჯგუფია მასში. ისინი აერთიანებენ მრავალ ადამიანს, რომელთაც საერთო ინტერესები აქვთ და საშუალებას აძლევენ მათ იმუშაონ სოციალურ საკითხებზე, თვითგანვითარებაზე ან დაიკმაყოფილონ ახალი და სტიმულის მიმცემი გამოცდილების მიღების მოთხოვნილება. ჩვენ ვუერთდებით კლუბებს და სხვა ინტერესთა ჯგუფებს, რადგან გარკვეული მიზნების მიღწევა გვსურს. არცთუ უკანასკნელ ადგილზე დგას ამ მხრივ რომელიმე „კორპორატიული" ჯგუფისადმი კუთვნილებისა და ამის მეშვეობით სტატუსისა და გავლენის მოპოვების სურვილი.

კლუბებში გაერთიანებას სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. რთული საზოგადოებრივი ცხოვრების მაგალითად შეიძლება ნორვეგია დავასახელოთ. მეჩხერად დასახლებულ რაიონებშიც კი მრავალი განსხვავებული კლუბი არსებობს. დუგლას ქოლკისმა, ვოლდას მუნიციპალიტეტში, ქალაქში, რომლის მოსახლეობა დაახლოებით შვიდი ათას კაცს შეადგენს, ას ოთხმოცდაჩვიდმეტი ორგანიზაცია დათვალა. მოქალაქეები რამდენიმე ორგანიზაციის წევრები მაინც უნდა ყოფილიყვნენ და ეს ჯგუფები რეგულარულად აწყობდნენ შეხვედრებს, რომლებიც იმდენად ხშირი და ინტენსიური იყო, რომ ორგანიზაციებს კალენდრებიც კი შეთანხმებული ჰქონდათ, რათა ღონისძიებები ერთმანეთს არ დამთხვეოდა და ერთმანეთისთვის ხელი არ შეეშალათ. რატომ ჰყავს ნორვეგიის მსგავს საზოგადოებებს ამდენი ნებაყოფლობითი გაერთიანება, ჯერ კიდევ დაუდგენელია. არც ის არის ნათელი, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამგვარ აქტივობას. ნორვეგიაში კრიმინალური აქტივობის დაბალი მაჩვენებელია, სამაგიეროდ, მაღალია სოციალური და ეკონომიკური მაჩვენებლები. არის თუ არა ეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა აქტიური თანამონაწილეობის შედეგი? ჩვენთვის ეს ჯერ უცნობია, რადგან შესაბამისი კროსკულტურული კვლევები ჯერ არ ჩატარებულა.

გაერთიანებათა შორის არსებული სხვაობების ახსნა

ანთროპოლოგთა შორის არ არის თანხმობა ადამიანთა საზოგადოებების მოქმედებისა და სტრუქტურის ახსნასთან დაკავშირებით. მაგალითად, რა მიზეზით შეიძლება წარმოიქმნებოდეს ასაკობრივი სისტემები? ს.ნ. აიზენშტადტმა თავისი შედარებითი კვლევის საფუძველზე, რომელშიც განხილულია აფრიკული ასაკობრივი სისტემები, ჩამოაყალიბა ჰიპოთეზა, რომ ამგვარი სისტემები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ნათესაური ჯგუფები ვერ ახერხებენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას. ასეთ შემთხვევაში, თვლის აიზენშტადტი, წარმოიქმნება ასაკობრივი სისტემა, რათა შეავსოს სიცარიელე. ასაკობრივ სისტემას შეუძლია საკითხების გადაწყვეტა, რადგან ასაკი ისეთი მოთხოვნაა, რომელსაც შეიძლება აკმაყოფილებდეს საზოგადოების ყველა წევრი და შესაბამისად, შესაძლებელია ყველა საჭირო როლისა და ფუნქციის გადანაწილება. მაგრამ გაურკვეველია, რატომ წარმოიქმნება ასაკობრივი ჯგუფები მაინცდამაინც ნათესაური კავშირების მიერ დატოვებული სიცარიელის შესავსებად. მრავალ საზოგადოებაში არსებობენ ნათესაური ჯგუფები, რომლებიც საკმაოდ შეზღუდულნი არიან, მაგრამ ამ საზოგადოებებში ასაკობრივი ჯგუფების სისტემა არ წარმოქმნილა.

ასაკობრივი სისტემები, ბ. ბერნარდის აზრითაც, სოციალური ორგანიზაციის უკმარისობის პირობებში წარმოიქმნება. მან ეს დასკვნა ნილო-ჰამიტური ტომების შესწავლის შედეგად გააკეთა. აიზენშტადტისაგან განსხვავებით, ბერნარდი უფრო დაწვრილებით აღწერს, თუ რატომ არის აუცილებელი მეტი სოციალური ორგანიზება და მისი რომელი ასპექტების უკმარისობის შემთხვევაში წარმოიქმნება ასაკობრივი ჯგუფები. მისი აზრით, ასაკობრივი ჯგუფები წარმოიქმნებიან ისეთ საზოგადოებებში, სადაც ისტორიულად არსებობდა ტერიტორიული მეტოქეობა, ცენტრალური ხელისუფლების ნაკლებობა და არამყარი ნათესაური ჯგუფები. ის ასკვნის, რომ როდესაც სახეზეა სამივე ეს ფაქტორი, ტერიტორიული ინტეგრაციის აუცილებლობა ასაკობრივ სისტემას აყალიბებს.

არსებობს კროსკულტურული კვლევა, რომელიც ადასტურებს, რომ ტერიტორიებისთვის წარმოქმნილი მეტოქეობა, რომელიც ომებს იწვევს, ხელს უწყობს ასაკობრივი სისტემის წარმოქმნას, მაგრამ ამ კვლევამ არ დაადასტურა ბერნარდის ჰიპოთეზის ის ნაწილი, რომელიც აცხადებს, რომ საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს ცენტრალი-

ზებული ხელისუფლება და მჭიდრო ნათესაური კავშირები. ამრიგად, ასაკობრივი სისტემების არსებობა არ არის განპირობებული ცენტრალიზებული ხელისუფლების ანდა მყარი და ძლიერი ნათესაური ჯგუფების არარსებობით. არსებობს ალტერნატიული ახსნაც, რომელიც კროსკულტურული მონაცემებითაც დასტურდება. მის თანახმად, ასაკობრივი ჯგუფების სისტემა წარმოიქმნება ისეთ საზოგადოებებში, სადაც ხშირად აღინიშნება ომები და რომლის ლოკალური ჯგუფები წლის განმავლობაში იცვლება მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის მიხედვით. ამგვარ ვითარებაში მამაკაცებს ყოველთვის არ შეუძლიათ იქონიონ ნათესავთა იმედი მტრის თავდასხმის დროს, რადგან იმ წუთში ნათესავები შეიძლება უბრალოდ შორს იყვნენ მისგან, ასაკობრივი ჯგუფები კი მას თანამებრძოლებით მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს. ამ ინტერპრეტაციის მიხედვით, ასაკობრივი სისტემები წარმოიქმნება უფრო როგორც დამატება ინტეგრაციის არსებული ნათესაური და პოლიტიკური სისტემებისადმი და არა როგორც მათი ალტერნატივა.

რაც შეეხება ნებაყოფლობით გაერთიანებებს, რომელთა წევრობის მიღწევა ცვალებადია, ანუ წევრობის უფლება ენიჭება ყველას დაბადებით, მაგრამ მოცემული სქესისა და ასაკის კატეგორიის ყველა წარმომადგენელი არ იყენებს ამ უფლებას — საკმაოდ რთულია იმის თქმა, რა მიზეზები განაპირობებს მათ წარმოშობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც, საზოგადოებაში მით მეტია სხვადასხვა სახის ნებაყოფლობითი გაერთიანებები, რაც მეტად განვითარებულია საზოგადოება ტექნოლოგიურად, რაც უფრო კომპლექსური და დიდია. ამ ახსნის დამადასტურებელი მონაცემები ჯერ-ჯერობით ანთროპოლოგებს არ გააჩნიათ, მაგრამ არსებობს დამტკიცებული ტენდენციები, რომლებიც აშკარად იმსახურებს ყურადღებას.

პირველი მათგანი არის ურბანიზაცია. განვითარებადი საზოგადოებები ურბანისტული ხდება, მათი ქალაქები იზრდება და შესაბამისად, იზრდება ადამიანთა რიცხვიც, რომლებიც მოწყვეტილნი არიან ტრადიციულ ნათესაურ ჯგუფებსა და ადათ-წესებს. არ არის გასაკვირი, რომ პირველი ნებაყოფლობითი გაერთიანებები ურთიერთდახმარებითი ხასიათისა იქნება. ისინი იქმნებიან, რათა ჩაანაცვლონ ნათესაური ჯგუფების დანაკლისი. ამ მხრივ, მცირე ხნის წინანდელი დასავლეთაფრიკული განვითარებადი საზოგადოებების გაერთიანებები საკმაოდ მოგვაგონებს ინგლისის მუშათა კლასის პირველ გაერთიანებებს. ეს კლუბები ქალაქის მცხოვრებლებში მათი ძველი ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნებასაც ემსახურება. ლათინური ამერიკის რეგიონული ასოციაციები კი აშშ-ში ემიგრირებულ ევროპელთა რეგიონულ ასოციაციებს მოგვაგონებს. ამგვარი გაერთიანებები მიგრანტების ახალ ადგილზე დასახლების შედეგად წარმოქმნილ საჭიროებათა წყალობით ჩნდება.

მეორე არის ეკონომიკური ფაქტორი. მიგრანტები ცდილობენ, შეეგუონ ახალ ეკონომიკურ პირობებს და ხდება ჯგუფური ინტერესების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაცვა.

ასეთ შემთხვევაში, რატომ არსებობს მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში გაერთიანებათა კლუბებით ჩანაცვლების ტენდენცია? შესაძლოა, ამას საქმიანობით სპეციალიზაციაზე ამგვარ საზოგადოებებში არსებული მძლავრი აქცენტი განაპირობებდეს, რომლის შედეგადაც სპეციალიზებული ჯგუფები იქმნება. შესაძლოა, თავისი წვლილი მიუძღვის ინდუსტრიულ საზოგადოებებში არსებულ მოთხოვნას პირად მიღწევებზე. ისიც შესაძლებელია, რომ მასმედიისა და საყოველთაო მარკეტინგით გამოწვეული ერთგვაროვნების ტენდენცია ასუსტებს რეგიონული და ეთნიკური განსხვავებების მნიშვნელობას. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ უფრო ფართო პროფილის გაერთიანებები ადგილს უთმობს შედარებით ვიწრო პროფილის გაერთიანებებს, რომლებიც უკეთ პასუხობენ მასობრივი საზოგადოების მიერ წამოყენებულ კონკრეტულ საჭიროებებს.

შეჯამება

1. გაერთიანებებსა და ინტერესთა ჯგუფებს შემდეგი საერთო ნიშნები ახასიათებთ: 1. გარკვეული ტიპის ფორმალური ინსტიტუციური სტრუქტურის არსებობსა; 2. ზოგიერთი პიროვნების წევრობიდან გარიცხვა; 3. წევრობა ემყარება საერთო ინტერესებსა და მიზნებს; 4. წევრთა შესამჩნევი სიამაყე და გაერთიანებისადმი კუთვნილების გრძნობა. წევრობა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი და არანებაყოფლობითი. წევრობა იმის მიხედვით იცვლება, ნებაყოფლობითია ის, თუ მისი თვისებები უნივერსალურია, განსხვავებული ან მიღწეული. ასაკობრივი ჯგუფები არანებაყოფლობითი გაერთიანებებია. წევრები მას ეკუთვნიან უნივერსალური მახასიათებლების — ასაკისა და სქესის — საფუძველზე. ერთი სქესის და ასაკის პირები ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს ერთად გადიან. სისტემაში შესასვლელად, როგორც წესი, საჭიროა ინიციაციის გავლა. ახალ საფეხურზე გადასვლა საგანგებო ცერემონიებით აღინიშნება. უნისექსი გაერთიანებები მხოლოდ ერთი სქესის ადამიანებს მოიცავს. არაკომერციულ საზოგადოებებში ამგვარი გაერთიანებების (როგორც წესი, მამაკაცთა) წევრობა, ზოგადად, არანებაყოფლობითია.
2. რეგიონული და ეთნიკური ორგანიზაციები ნებაყოფლობითი გაერთიანებებია, რომელთა წევრობა ცვლადი მახასიათებლებით მიიღწევა. ორივე მათგანი წარმოიქმნება ისეთ საზოგადოებაში, სადაც დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ტექნოლოგიური განვითარება, რასაც საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური კომპლექსურობის ზრდა მოსდევს. მიუხედავად განსხვავებებისა, ეს გაერთიანებები ხასიათდებიან საერთო ნიშნებით: 1. ეხმარებიან წევრებს ახალ პირობებთან შეგუებაში; 2. უნარჩუნებენ წევრებს თავიანთ კულტურასა და ტრადიციებს: 3. ხელს უწყობენ იმ წევრების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, რომლებიც მცირე ხნის წინ დასახლდნენ ქალაქში.
3. მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში იმ გაერთიანებებს, რომელთა წევრობაც ცვლადი მიწერილი მახასიათებლებით, შესაძლებელია, ანაცვლებენ გაერთიანებები, რომელთა წევრობაც პიროვნების მიერ მიღწეულ მახასიათებლებს ეფუძნება.

საკონტროლო კითხვები

1. რა გზით შეიძლება პოტენციურად ქუჩის ბანდების წევრ ახალგაზრდებში იმ აზრის გაღვივება, რომ უმჯობესია არ შეუერთდნენ ამ ბანდებს?
2. რომელ გაერთიანებას ეკუთვნით თქვენ და რატომ?
3. მრავალმა, ერთ დროს უნისექსმა, გაერთიანებამ გახსნა თავისი კარი საპირისპირო სქესის წარმომადგენელთათვის. რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი?

23

პოლიტიკური ცხოვრება: საზოგადოებრივი წესრიგი და უწესრიგობა



- პოლიტიკური ორგანიზაციის ტიპების ვარიაციები
- სახელმწიფოებრივი საზოგადოებების გავრცელება
- ცვლილება პოლიტიკურ პროცესში
- კონფლიქტის გადაწყვეტა

ამერიკელი ხალხისთვის ფრაზას ,,პოლიტიკური ცხოვრება“ მრავალი მნიშვნელობა აქვს. მასთან ასოცირდება სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა შტო. აღმასრულებელი შტო: პრეზიდენტით დაწყებული (ქვეყნის დონეზე), გუბერნატორებით (შტატების დონეზე) და მერებით დამთავრებული (ადგილობრივ დონეზე). საკანონმდებლო ორგანო: კონგრესით დაწყებული, შტატების საკანონმდებლო ორგანოებითა და ქალაქის საბჭოებით დამთავრებული. ადმინისტრაციული ბიუროები: ფედერალური სამთავრობო დეპარტამენტებით დაწყებული და ადგილობრივი სააგენტოებით დამთავრებული.

ფრაზამ „პოლიტიკური ცხოვრება“ ასევე შეიძლება გაგვახსენოს პოლიტიკური პარტიები, ინტერესთა ჯგუფები, ლობი, პოლიტიკური კამპანიების გატარება და ხმის მიცემის პროცესი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აშშ-ში მცხოვრებ ხალხს პოლიტიკურ ცხოვრებაზე ფიქრისას პირველად ახსენდება ისეთი საქმიანობა (ხანდახან უხილავიც კი), რომელიც გავლენას ახდენს ხელისუფლებაში ახალი კადრების მოსვლის პროცესზე, იმაზე, თუ რა საჯარო პოლიტიკა ტარდება ქვეყანაში, როგორ ტარდება და ვინ იღებს ამისგან სარგებელს.

მაგრამ აშშ-ში, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, პოლიტიკური ცხოვრება მოიცავს გაცილებით მეტს, ვიდრე მთავრობა და პოლიტიკა. პოლიტიკური ცხოვრება გულისხმობს პრობლემებისა და უთანხმოებების გადაჭრის ან შეჩერების გზებს, როგორც საზოგადოების შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. შინაგანად, ისეთი რთული საზოგადოებრივი სისტემა, როგორიც ჩვენია, მოითხოვს შუამავლობასა და ზედამხედველობას (არბიტრაჟს) ინდუსტრიული დავის გადასაწყვეტად, პოლიციის ძალას დანაშაულის შესაჩერებლად, აღსაკვეთად ან დამნაშავეების დასაჭერად, სასამართლოებსა და სადამსჯელო სისტემას კანონდამრღვევებთან ურთიერთობისას და ზოგადად საჯარო კონფლიქტების გადასაწყვეტად. ასეთ საზოგადოებას შეუძლია, გახსნას საელჩოები სხვა ქვეყნებში, განავითაროს და გამოიყენოს შეიარაღებული ძალები როგორც უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, ისე თავისი საშინაო თუ საგარეო ინტერესების დასაცავად.

ყველა ამ ფორმალური თუ არაფორმალური პოლიტიკური მექანიზმის საშუალებით, კომპლექსური საზოგადოებები ამყარებენ საზოგადოებრივ წესრიგს და ცდილობენ, გაუმკლავდნენ სოციალურ უწესრიგობას, ან მინიმუმამდე დაიყვანონ ის.

ბოლო ასი წლის განმავლობაში ფორმალური მთავრობები სულ უფრო გავრცელებული და საყოველთაო გახდა. ეს ნაწილობრივ იმიტომ მოხდა, რომ ძლიერმა კოლონიზატორულმა სამყარომ ძალით გაავრცელა თავისი პოლიტიკური სისტემა დანარჩენებზე. ზოგ შემთხვევაში ფორმალურად ნაკლებად ორგანიზებული ხალხი თავად მიხვდა, რომ სჭირდებოდა სამთავრობო მექანიზმები დიდ და ძლიერ სამყაროსთან გასამკლავებლად. მაგრამ ანთროპოლოგიისთვის ცნობილ ბევრ საზოგადოებას არ გააჩნია პოლიტიკური პარტიები, სასამართლოები, თუნდაც ჯარი. მეტიც, პირველი აღწერისას ანთროპოლოგიური ჩანაწერების 50%-ში ყველაზე დიდი ავტონომიური პოლიტიკური ერთეული სოფელი ან ჯგუფი იყო. ეს ერთეულები მხოლოდ არაფორმალურად იყო ორგანიზებული. ეს კი ნიშნავს, რომ მათ არ ჰყოლიათ ინდივიდები ან ინდივიდთა ჯგუფები, რომლებიც უფლებამოსილი იქნებოდნენ, გაეტარებინათ ნებისმიერი სახის პოლიტიკა, გადაეწყვიტათ დავები. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მათ არ გააჩნდათ პოლიტიკური ცხოვრება? თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რასაც ჩვენს საზოგადოებაში ვხვდებით, მაშინ პასუხი უარყოფითი იქნება. მაგრამ შესაძლებელია ამ საკითხის განხილვისას გავცდეთ ფორმალური ინსტიტუტებისა და მექანიზმების ფარგლებს. თუ ვიკითხავთ, რა ფუნქციებს ასრულებენ ეს მექანიზმები თუ ინსტიტუტები, ვნახავთ, რომ ყოველ საზოგადოებას აქვს საკუთარი პოლიტიკური საქმიანობა, საზოგადოებრივი წერიგის დამყარებისა თუ შენარჩუნებისა და უწესრიგობასთან ბრძოლის ნება და მეთოდები.

წინა თავებში განხილულ ბევრ სოციალურ ჯგუფს, ოჯახს, ასოციაციას აქვს პოლიტიკური ფუნქციები. მაგრამ როდესაც ანთროპოლოგები საუბრობენ პოლიტიკური ცხოვრებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ, ისინი ,,ტერიტორიული ჯგუფებისადმი” მიკუთვნებულობაზე ამახვილებენ ყურადღებას. ტერიტორიული ჯგუფები, რომელთა გულისთვისაც შეიძლება იყოს ორგანიზებული პოლიტიკური საქმიანობა, ხარისხდებიან მცირე ერთობებად, როგორიცაა სოფლები და ჯგუფები, დიდ ერთობებად, როგორიცაა ქალაქები, მულტილოკალურ ჯგუფებად, როგორიცაა რეგიონები და ოლქები, მთლიან ერებად და ერთა დაჯგუფებებადაც კი.

როგორც ჩვენ შემდეგ ვნახავთ, პოლიტიკური ორგანიზაციის ტიპები მჭიდროდ არის დაკავშირებული საკვების მოპოვების, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი სტრატიფიკაციის ცვლილებებთან. ისევეა ის გზებიც, რომელთა საშუალებითაც ხალხი ცდილობს მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკაში.

პოლიტიკური ორგანიზაციის ტიპების ვარიაციები

ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში საზოგადოებები იცვლებიან პოლიტიკური ინტეგრაციის დონის მიხედვით. პოლიტიკური ინტეგრაცია არის უმსხვილესი ტერიტორიული დაჯგუფება, რომელსაც აქვს ორგანიზებული პოლიტიკური სტრუქტურა. საზოგადოებები აგრეთვე განსხვავდებიან იმის მიხედვით, რამდენად ცენტრალიზებულია პოლიტიკური ძალაუფლება და კონცენტრირებულია ინტეგრირებული ჯგუფის ხელში. როდესაც ჩვენ რომელიმე კერძო პოლიტიკური საზოგადოების პოლიტიკურ ინტეგრაციას აღვწერთ, საჭიროა, ყურადღება მის ტრადიციულ პოლიტიკურ სისტემებზე გავამახვილოთ. ანთროპოლოგიისთვის ცნობილ ბევრ საზოგადოებაში მცირე ერთობა ტრადიციულად უმსხვილეს ტერიტორიულ დაჯგუფებად ითვლებოდა, მას თავისი ხელისუფლება ჰყავდა. შესაბამისად, ასეთ საზოგადოებაში ხელისუფლების სტრუქტურა არ იყო ცენტრალიზებული. არ არსებობდა ისეთი პოლიტიკური ძალა, რომლის იურისდიქციაშიც ერთზე მეტი დაჯგუფება შედიოდა. სხვა საზოგადოებებში პოლიტიკური საქმიანობა ორგანიზებული იყო ტრადიციულად მულტილოკალური ჯგუფებისთვის, მაგრამ მას სათავეში არ ედგა მუდმივი ხელისუფლება. არსებობდნენ ისეთი ერთეულებიც, სადაც პოლიტიკური საქმიანობა მულტილოკალური ტერიტორიული ჯგუფისათვის ხორციელდებოდა და მას სათავეში ცენტრალიზებული ან უზენაესი პოლიტიკური ძალა ედგა. თანამედროვე სამყაროში ყველა საზოგადოება გაერთიანდა უფრო მსხვილ, ცენტრალიზებულ პოლიტიკურ სისტემად.

ელმან სერვისი თვლის, რომ საზოგადოებების უმრავლესობა შეიძლება დაიყოს პოლიტიკური ორგანიზაციის ოთხ ძირითად ტიპად: ჯგუფები, ტომები, სამთავროები და სახელმწიფოები.[1] ცხადია, ეს კლასიფიკაცია ვერ შეესაბამება ყველა საზოგადოებას. ამის მიუხედავად, ეს მაინც სასარგებლო გზაა იმის დასადგენად, თუ როგორ იცვლებიან საზოგადოებები საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა და შენარჩუნებისთვის ბრძოლაში. ჩვენი საუბრისას აწმყო დროს ვხმარობთ იმიტომ, რომ ეს არის ეთნოგრაფიული წერის პირობა, თუმცა მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ტომობრივი, ჯგუფობრივი და სამთავროებრივი საზოგადოებების უმრავლესობა ახლა გაერთიანდა უფრო მსხვილ პოლიტიკურ ერთეულებად. მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, მსოფლიოში თითქმის აღარ არსებობს ასეთი ტიპის საზოგადოებები.

ჯგუფობრიული ორგანიზაცია

ზოგი საზოგადოება შედგებოდა ძალიან მცირე, ძირითადად მომთაბარე ხალხის ჯგუფებისგან. ისინი **ჯგუფებად** იწოდებოდნენ და პოლიტიკური ავტონომიაც ჰქონდათ. ამრიგად, **ჯგუფობრივ ორგანიზაციებში** ადგილობრივი ჯგუფი ან თემი მოქმედებდა პოლიტიკური ერთეულის სახით. უკანასკნელი ჯგუფობრივი ორგანიზაცია შემგროვებლებს ჰქონდათ, ამიტომ ზოგი ანთროპოლოგი თვლის, რომ ასეთი სახის პოლიტიკური ორგანიზაცია ახასიათებდა თითქმის ყველა საზოგადოებას სოფლის მეურნეობის გაჩენამდე, ან არსებობდა დაახლოებით 10000 წლის წინ. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ თითქმის ყველა აღწერილი შემგროვებლური საზოგადოება მდებარეობდა სასაზღვრო ტერიტორიებზე, თითქმის ყველაში იგრძნობოდა მეზობელი დომინანტი საზოგადოებების გავლენა.[2] ამიტომაც სავსებით შესაძლებელია, რომ ის, რასაც ჩვენ ,,ჯგუფობრივ ორგანიზაციებს" ვუწოდებთ, სულაც არ ყოფილიყო დამახასიათებელი შემგროვებელი საზოგადოებისთვის.

ჯგუფი ძირითადად ძალიან მცირეა, არაუმეტეს 100 კაცისგან შემდგარი, ხშირად გაცილებით ნაკლებიც კი. თითოეულ ჯგუფს უკავია დიდი ტერიტორია, ამიტომ მოსახლეობა მჭიდროდ არ ცხოვრობს. ჯგუფის სიდიდე ხშირად სეზონურად იცვლება. ჯგუფი ან იშლება, ან კვლავ ერთიანდება, იმის მიხედვით, რა რაოდენობის საკვები მოიპოვება მოცემულ დროსა და ადგილას. ინუიტების ჯგუფები (ინუიტები არიან ალიასკაში, გრენლანდიასა და კანადაში მოსახლე ესკიმოსები. ამ სახელით ისინი გაირჩევიან აზიელი და ალეუტელი ხალხისგან, რომლებსაც ასევე ესკიმოსებად მიიჩნევენ), მაგალითად, მცირდებიან ზამთრობით, როცა საკვები ძნელად იშოვება და იზრდებიან ზაფხულობით, როცა დიდი ჯგუფის გამოკვება შესაძლებელია.

ჯგუფის შიგნით პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ძირითადად არაფორმალურია. რადგან მუდმივი ფორმალური ლიდერის ინსტიტუტი არ არსებობს, ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა რაზმის გადაადგილების დროის დადგენა, იღებს მთლიანი ჯგუფი ან ჯგუფის საუკეთესოდ მიჩნეული წევრები. ლიდერობა, როდესაც ის ინდივიდის მიერ ხორციელდება, არ არის უფროსობის მექანიზმი. ეს არც სხვისთვის საკუთარი ნების თავს მოხვევას გულისხმობს. თითოეულ რაზმს შეიძლება ჰყავდეს საკუთარი არაოფიციალური **მეთაური**. ის არის ან ყველაზე საუკეთესო მონადირე, ან რიტუალებში ყველაზე დახელოვნებული ადამიანი. ასეთი თვისებების მატარებელი შეიძლება მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პიროვნება იყოს. ასეთი ადამიანი ან ადამიანები ამ სტატუსს თემის აღიარებით მოიპოვებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიდერები ხდებიან ისინი, ვისაც ჯგუფში გავლენა აქვს.

ინუიტების ჯგუფებში თითოეულ დასახლებას შეიძლება ჰყავდეს თავისი მეთაური, რომელიც იღებს ძალაუფლებას, რადგან საზოგადოების სხვა წევრები აღიარებენ მის აღმატებულებას. მართალია მეთაურის რაზმის გადაადგილებასთან დაკავშირებულ რჩევების, ისევე, როგორც ზოგადად ჯგუფთან დაკავშირებულ ყველა მის მოსაზრებას, ყველა ითვალისწინებს, ის არ ფლობს მუდმივ ძალაუფლებას და არ აქვს სანქციების დაწესების უფლებას. ძირითადად ლიდერები კაცები არიან, თუმცა ხშირად რჩევას ქალებს ეკითხებიან. მონადირე ქალებს, მდედრობითი სქესის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით, მეტი გავლენა აქვთ.[4] ნებისმიერ შემთხვევაში ლიდერობა არსებობს მხოლოდ ძალიან შეზღუდული ფორმებით, მაგალითად:

დასახლებაში . . . წესივითაა, რომ უფროსი მამაკაცი წყვეტს, როდის უნდა გადავიდეს ჯგუფი სხვა სანადირო ზონაში, როდის უნდა დაიწყოს ნადირობა, როგორ უნდა განაწილდეს ნადავლი, როდის უნდა აჭამონ ძაღლებს . . . მას ეწოდება ,,ისუმაიტოქი" — ის ვინც ფიქრობს. არ არის აუცილებელი, ის ჯგუფში ყველაზე უფროსი იყოს. ასაკოვანი კაცი, რომელიც კარგი მონადირე და დიდი ოჯახის უფროსია, ფლობს განსაკუთრებულ ძალაუფლებას, მაგრამ მას ვერ ვუწოდებთ მთავარს. არც მისი რჩევის შესრულებაა სავალდებულო, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს ასეც ხდება, რადგან ჯგუფის დანარჩენი წევრები ენდობიან მის გამოცდილებას და ამასთან, ამ ადამიანთან კარგი ურთიერთობა მომგებიანია.[5]

ჯგუფობრივი ორგანიზაციის ძირითადი მახასიათებელი ნიშნების შეჯამება იხილეთ 23-1 ცხრილში. თუმცა გახსოვდეთ, რომ გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, ყველა შემგროვებელი ორგანიზაცია ჯგუფობროვი როდია, ან მის ყველა მახასიათებელ ნიშანს როდი შეიცავს. კლასიკურ გამონაკლისს ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ წყნარი ოკეანის სანაპიროსთან მოსახლე ინდიელები წარმოადგენენ. მათ ორაგულისა და სხვა სახის თევზის უზარმაზარი მარაგი ჰქონდათ. ისინი ცხოვრობდნენ დიდ სოფლებში და მათი პოლიტიკური ორგანიზაციის დონეც ტიპური ჯგუფის დონეზე მაღლა იდგა.

ტომობრივი ორგანიზაცია

როდესაც ადგილობრივი ერთეულები დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ აქვთ ნათესაური ჯგუფები (როგორიცაა კლანები და საგვარეულო) და ისეთი გაერთიანებები (მაგალითად, ასაკობრივი დაყოფა), რომლებსაც პოტენციურად შეუძლიათ რამდენიმე ადგილობრივი ჯგუფი უფრო მსხვილ ერთეულად გააერთიანოს (**ტომი**), მაშინ ამ საზოგადოებას **ტომობრივი ორგანიზაცია** აქვს. სამწუხაროდ, ტერმინი ,,ტომი" ზოგჯერ მთელი საზოგადოების აღსაწერად გამოიყენება. ასე მაგალითად, შეიძლება მთლიან ენობრივ ჯგუფს ეწოდოს ტომი. მაგრამ პოლიტიკური სისტემის ტომობრიბი ტიპი ძირითადად არ იძელვა საშუალებას, რომ მთლიანი საზოგადოება ერთი მთელივით მოქმედებდეს. ტომობრივი საზოგადოების ყველა ერთეული მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, პოლიტიკური (ძირითადად სამხედრო) მიზნით შეიძლება გაერთიანდეს. ტომობრივი ორგანიზაციის ჯგუფობრივი პოლიტიკური ორგანიზაციისგან განმასხვავებელი ამ უკანასკნელში მულტილოკალური, მაგრამ არა მთლიანად საზოგადოებრივი გაერთიანებაა. თუმცა, მულტილოკალური ინტეგრაცია არ არის მუდმივი და არაფორმალური, რადგან იგი არ იმართება პოლიტიკური მოხელეების მიერ. ინტეგრაცია იმ იშვიათ შემთხვევებში იჩენს თავს, როდესაც გარეშე საფრთხე გამოჩნდება ხოლმე. როდესაც საფრთხე ჩაივლის, ადგილობრივი ჯგუფები დამოუკიდებლობას უბრუნდებიან.[6] ტრაიბალური ორგანიზაცია ერთი შეხდევით შეიძლება სუსტი მოგვეჩვენოს, ძირითადად ეს ასეც არის ხოლმე, მაგრამ ის ფაქტი, რომ არსებობს ადგილობრივი დაჯგუფებების უფრო დიდ პოლიტიკურ ერთეულებად გაერთიანების სოციალური გზები, სამხედრო თვალსაზრისით ის უფრო საშიშია, ვიდრე ჯგუფობრივი საზოგადოებები.

ტომობრივი პოლიტიკური ორგანიზაციები წააგავს რაზმობრივს თანაბრობის, ეგალიტარიანიზმის ტენდენციებით. (იხ. ცხრილი 23-1) ლოკალურ დონეზე არაფორმალური ლიდერობა ასევე დამახასიათებელი შტრიხია. ისეთ ტომობრივ საზოგადოებებში, სადაც ნათესაობა წარმოადგენს სოციალური ორგანიზაციის ძირითად ჩარჩოს, ადგილობრივი საგვარეულო ჯგუფების უფროსი წევრები გაცილებით დიდ ძალაუფლებას ფლობენ. იქ, სადაც ასაკობრივი დანაწევრებაა მნიშვნელოვანი, ძალა გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის წევრების ხელშია. მაგრამ რაზმობრივი ორგანიზაციისგან განსხვავებით, ტომობრივი საზოგადოებები საკვების მწარმოებლები არიან და ვინაიდან მიწის დამუშავება და სოფლის მეურნეობა ნადირობასა და შემგროვებლობაზე გაცილებით მომგებიანია, ტომობრივი საზოგადოების მოსახლეობაც გაცილებით დიდია. შესაბამისად, დიდია ადგილობრივი

პოლიტიკური ორგანიზაციებისა და სხვა სოციალური მახასიათებლების ტენდენციები

ორგანიზაციის ტიპი	პოლიტიკური ინტეგრაციის უმაღლესი დონე	პოლიტიკური მოხელეების სპეციალიზაცია	არსებობის დომინირებადი საშუალებანი	თემის სიდიდე და მოსახლეობის სიმჭიდროვე	სოციალური დიფერენციაცია
ჯგუფი	ადგილობრივი ჯგუფი	მცირე ან არავითარი ფორმალური ლიდერობა	საკვების შემგროვებლობა	ძალიან მცირე თემები და მცირე სიმჭირდროვე	ეგალიტარიანული
ტომი	ზოგჯერ მულტილოკალ-ური ჯგუფი	მცირე ან არავითარი ფორმალური ლიდერობა	გაფართოებული მეურნეობა და/ან მწყემსაობა	მცირე თემები და დაბალი სიმჭიდროვე	ეგალიტარიანული
სამთავრო	მულტილოკალური ჯგუფი	რაღაც სახის	გაფართოებული ან ინტენ-სიური მეურნეობა და/ან მწყემსობა	მსხვილი თემები, საშუალო დონის სიმჭიდროვე	რანგირებული
სახელმწიფო	მულტილოკალური ჯგუფი, ხშირად მთლიანი ენობრივი ჯგუფი	საკმაოდ განვითარბული	ინტენსიური სოფლის მეურ-ნეობა და მწყემსობა	ქალაქები, მაღალი სიმჭიდროვე	კლასები და კასტები

მრავალ ეგალიტარულ საზოგადოებაში, ერთი მეთაური ჩვეულებრივ მეორით იცვლება. ახალი გვინეის მოსახლეობის უმრავლესობაში მიმდინარეობს დიდი შეჯიბრი „დიდის" სტატუსის მიღწევისთვის. ვანატინში ქალი ისეთივე წარმატებით მონაწილეობს შეჯიბრში „დიდი ქალის" სტატუსის მოსაპოვებლად, როგორს მამაკაცი „დიდი კაცის" სტატუსისთვის. აქ ნაჩვენებია „დიდი ქალის" კუზენის ქვრივის სახის მოხატულობა მკვდარი მამაკაცის საპატივცემულოდ.

დაჯგუფებების წევრების რიცხვიც. აქ ცხოვრების წესიც უფრო „მჯდომარეა", მონადირე-შემგროვებელ ხალხებთან შედარებით.

ნათესაური კავშირები ხშირად თემები ერთი გვარისადმი კუთვნილების ნიშნით ერთიანდებიან. ძირითადად კლანებისა და წარმომავლობის მიხედვით. **სეგმენტური წარმომავლობის სისტემა** არის ნათესაობაზე დამყარებული ტომობრივი ინტეგრაციის ერთი ტიპი. ასეთ სისტემაზე დამყარებული საზოგადოება შედგემა სეგმენტებისგან ან ნაწილებისგან, რომლებიც სტრუქტურითა და ფუნქციებით დანარჩენების მსგავსია. თითოეულ ადგილობრივ სეგმენტს საკუთარი ადგილი უკავია მამიდან შვილზე გარდამავალ იერარქიაში. წარმომავლობის იერარქია აერთიანებს სეგმენტებს უფრო და უფრო დიდ გენეალოგიურ ჯუფებად. რაც უფრო ახლოს არის ორი ჯგუფი ერთმანეთთან გენეალოგიურად, მით უფრო დიდია მათი სიახლოვე ზოგადად. სხვადასხვა სეგმენტის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, ხალხი იმ სეგმენტის მხარს იჭერს, ვინც ნათესაურად მასთან უფრო ახლოსაა.

ჩრდილოეთ ნიგერიის ტაივთა ტომი სეგმენტური წარმომავლობის სისტემის კლასიკური მაგალითია. ტაივები დიდ საზოგადოებას შეადგენენ, მოითვლიან 800000-ზე მეტ წევრს. ნახ. 23-1 ასახავს ტაივთა წარმომავლობის სტრუქტურას, რაც პოლ ბოჰანანმა შექმნა. ნახატში იკვეთება წარმომავლობის 4 დონე. უმცირესნი, a-დან h-მდე, მოთავსებული არიან უფრო მსხვილ ნათესაური ჯგუფებში. ასე რომ, მინიმალურად განსხვავებული a და b ერთ წარმომავლობით ჯგუფში არიან. 1 და 2 წარმომავლობითი ჯგუფები უფრო დიდ ჯგუფშია მოთავსებული. ტერიტორიული ორგანიზაციები წარმომავლობით ხაზს იერარქიულად მიჰყვებიან. როგორც ცხრილის ბოლოშია ნაჩვენები, ერთმანეთთან უფრო მჭიდრო ნათესაური კავშირების მქონე ჯგუფები გვერდიგვერდ არიან განლაგებული. a და b ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მდებარეობენ, მათი გაერთიანებული ტერიტორია წარმოადგენს უფრო მსხვილი წარმომავლობითი ჯგუფის 1-ის ტერიტორიას. A, თავის მხრივ, B–სგან განცალკევებულ ტერიტორიაზე მდებარეობს. მიჩნეულია, რომ მთლიანად ტაივთა ტომი ერთი წინაპრის – I-ის შათამომავლები არიან.[7]

ტაივების წარმომავლობითი ორგანიზაცია პოლიტიკური ორგანიზაციის საძირკველია. a და b ჯგუფებს შორის უთანხმოება ძალიან მცირე და უმნიშვნელოა, რადგან მასში მხოლოდ „ძმური" სეგმენტებია ჩართული. მაგრამ დაპირისპირება a-სა და c-ს შორის მოიცავს უფრო მსხვილ 1 და 2 ჯგუფებს, რადგან ასეთ შემთხვევაში a-ს b უწევს თანადგომას და c-ს, ბუნებრივია, d უჭერს მხარს. ეს ორმხირვი დახმარების პროცესი ცნობილია **დამატებითი ოპოზიციის** სახელით, რაც ნიშნავს, რომ სეგმენტები ერთიანდებიან მხოლოდ სხვა დაჯგუფებასთან დაპირისპირების დროს. წარმომავლობის მინიმალურ საფეხურზე არსებული გადამტერებული ჯგუფები, შეიძლება გაერთიანდენენ სხვა უფრო მსხვილი ჯგუფის წინააღმდეგ.

სეგმენტური წარმომავლობის სისტემა ძალიან ეფექტურია, რადგან ტაივებს საშუალებას აძლევს, შეიჭრან ახალ ტერიტორიაზე და წაართვან მიწა სხვა, შედარებით მცირე, შთამომავლობით ტომობრივ საზოგადოებებს. ტაივების წარმომავლობით ინდივიდუალურ სეგმენტებს შეუძლიათ, ახლო ნათესაური დაგჯუფებების იმედი ჰქონდეთ საზღვრებთან დაკავშირებული პრობლემების დროს. საზოგადოების შიგნით წამოშობილი დავები (დავები სეგმენტებს შორის), განსაკუთრებით სასაზღვრო ადგილებში, ხშირად გარე დაპირისპირებაზე გადააქვთ „საზოგადოების შიგნით დაგროვილი ენერგიის უცხო ხალხების წინაღმდეგ მიმართვით".[8]



სურათი 23-1 ტაივების წარმომავლობითი სეგმენტები და მათი ტერიტორია

სეგმენტური წარმომავლობის სიტემას მაშინაც კი მოაქვს სამხედრო სარგებელი, როცა ისინი არ ერთიანდებიან საერთო მტრის წინააღმდეგ. ამის კლასიკური მაგალიათია ნილოსის ზედა რეგიონში მდებარე ნუერის ტომი. წარმომავლობის სეგმენტურად დაყოფის გამო, მათ ჰქონდათ ტომობრივი, მაგრამ არა მთლიანი საზოგადოების მომცველი ორგანიზაცია. 1800-იან წლებში ნუერების ტერიტორია 8700 კვადრატულ მილს შეადგენდა. მის მეზობელ დინკას ტომს ათჯერ უფრო დიდი ტერიტორია ჰქონდა. მაგრამ 1890 წელს ნუერმა წაართვა 100 მილის სიგრძის ზოლი დინკას, რითაც საკუთარი 35000 კვ. მილით გაზარდა. იმის მიუხედავად, რომ ნუერი და დინკა კულტურულად საკმაოდ ჰგავდნენ, სეგმენტური წარმომავლობის ორგანიზაციამ ნუერებს მნიშვნელოვანი სამხედრო უპირატესობა მიანიჭა.[9]

სეგმენტური წარმომავლობის სისტემამ, შესაძლოა, საკმაოდ დიდი და ანგარიშგასაწევი სამხედრო ძალა წარმოშვას. მაგრამ ეს ძალა დროებითია, იქმნება და იშლება სიტუაციის მიხედვით.[10] ტომობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია არ არის ისეთი პოლიტიკურ სისტემა, რომელიც თავის წევრებს პერმანენტულად აკავშირებს ერთმანეთთან.

ასაკობრივი დაჯგუფების სისტემა წინა თავში ჩვენ ზოგადად აღვწერეთ ასაკობრივი დაჯგუფების სისტემა. აქ აღვწერთ, როგორ ფუნქციონირებს ასაკობრივი დაჯგუფება, როგორც ტომობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის საფუძველი, კირიმოჯონგის ტომის მაგალითზე (ჩრდილო-აღმოსავლეთ უგანდა).[11]

კირიმოჯონგის ასაკობრივი დაჯგუფების სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტომის ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც მწყემსები, კირიმოჯონგის უფროსი მოსახლეობაც ხშირად შორდება თავის დასახლებას. მწყემსები ხვდებიან ერთმანეთს, ცოტა ხნით ერთად ცხოვრობენ და შემდეგ თავთავიანთ გზას განაგრძობენ. თითოეულს შეუძლია ჰქონდეს თავისი ასაკობრივი ჯგუფის წევრების იმედი, სადაც არ უნდა მიდიოდეს. კირიმოჯონგის ტომში ასაკობრივ დაჯგუფებას იმიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ ის მყისვე მიაკუთვნებს ინდივიდს თავის შესაბამის ადგილს სისტემაში და უდგენს მას მოქცევის შესაბამის წესებს. უთანხმოებები ტომში წყდება უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლების მიერ.

კირიმოჯონგელთა შორის პოლიტიკურ ლიდერებს არ ირჩევენ, არც ნიშნავენ. ისინი თავიანთ პოზიციას არაფორმალურად ეუფლებიან. ძირითადად ადამიანის წარსული, მისი მიერ საჯარო შეკრებებზე დემონსტრირებული შესაძლებლობები განსაზღვრავს, აირჩევა თუ არა იგი თავისი სამეზობლოს წარმომადგენლად. მისი ფუნქციაა, გამოაცხადოს სამოქმედო გეგმა, რომელიც იმ სიტუაციისთვის შესაფერისად მიაჩნია, განახორციელოს იგი და უწევდეს მას კოორდინირებას.

პოლიტიკური ლიდერების უმრავლესობა, კირიმოჯონგის ტომის პასტორალური ბუნების გამო, ძალაუფლებას ახორციელებს ლოკალურ დონეზე, რადგან მისი გაფანტული ჯგუფები და ერთი საკვები ზონიდან მეორეზე გადაადგილება სხვა ალტერნატივას არ იძლევა. დროდადრო უზენაესმა წარმომადგენელმა შეიძლება წინასწარმეტყველის სტატუსი შეიძინოს და ტომის პატივისცემა და მორჩილება დაიმსახუროს. ამის მერე, ის ვალდებული იქნება, ღმერთს მსხვერპლი შესწიროს (უიღბლობის თავიდან ასაცილებლად), გამოიწვიოს წვიმა (აყვავების უზრუნველსაყოფად) და ა.შ. და მაინც, წინასწარმეტყველის ავტორიტეტიც კი არ ანიჭებს მას სიუზერენისა და მეთაურის პოზიციას.

სამთავრო ორგანიზაცია

მაშინ, როცა ტომს აქვს ერთზე მეტი თემის ინტეგრაციის არაფორმალური მექანიზმი, **სამთავრო** ორგანიზაცია ფლობს ფორმალურ სტრუქტურას, რომელიც ერთზე მეტ დაჯგუფებას პოლიტიკურ ერთეულად აერთიანებს. ფორმალური სტრუქტურა შეიძლება შედგებოდეს მეთაურისგან ან მეთაურთა საბჭოსგან, მაგრამ უფრო ხშირად მაინც არსებობს **წინამძღოლი**, რომელიც თავისი რანგითა და ძალაუფლებით სხვებზე მაღლა დგას. სამთავრო ორგანიზაციის დონეზე მყოფი ბევრი საზოგადოება მოიცავს ერთზე მეტ პოლიტიკურ ერთეულს ან სამთავროს. თითოეული იმართება მეთურის ან საბჭოს მიერ. შესაძლოა, არსებობდეს მეთაურობის ერთზე მეტი დონე, როგორიცაა ოლქის მეთაური (ბელადი) ან უმაღლესი დონის მეთაური. ტომობრივ საზოგადოებებთან შედარებით, სამთავრო საზოგადოებები უფრო მჭიდროდაა დასახლებული და მათი თემებიც უფრო მუდმივია, რაც ნაწილობრივ მათი უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის შედეგია (იხ. 23-1 ცხრილი).

მეთაურის პოზიცია, რომელიც ზოგჯერ მემკვიდრეობითია და ძირითადად მუდმივი, მის მფლობელს მაღალ სტატუსს ანიჭებს. სამთავროების უმრავლესობა სოციალურად იერარქიულია და მეთაურსა და მის ოჯახს ამ იერარქიაში უმაღლესი ადგილი უკავიათ. მეთაურს შეუძლია, გადაანაწილოს საქონელი, დაგეგმოს და უხელმძღვანელოს საზოგადო შრომას, იყოს რელიგიური ცერემონიების ზედამხედველი და მართოს სამხედრო საქმიანობები სამთავროს სახელით. წყნარი ოკეანის სამხრეთის სამთავროებში მეთურები ძირითადად ყველა ამ მოვალეობას ასრულებდნენ. ფიჯის სამთავროებში, მაგალითად, მეთაური პასუხისმგებელი იყო საქონლის გადანაწილებაზე და შრომის კოორდინირებაზე:

მეთაურს შეუძლია, განკარგოს საზოგადოების შრომა საკუთარი სურვილის მიხდევით, ან სხვა ადამიანის სახელით, ან ზოგადი მიზნებისთვის.... გარდა ამისა, მას აქვს უფლება, ისარგებლოს უპირატესობით და დაისაკუთროს საკვები, სოფლის მეურნეობის სხვა შენაძენი.... მეთაურს აქვს უფლება, შეაგროვოს ჭარბი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მოსახლეობისგან და თავიდან გადაანაწილოს იგი საყოველთაო კეთლდღეობისთვის.[13]

ტომობრივი საზოგადოების ლიდერებისგან განსხვავებით, რომლებიც პრივილეგიებს პიროვნული ღირსებებით მოიპოვებენ, მემკვიდრეობით მეთაურებს ასეთი თვისებები ,,სისხლში აქვთ". პოლინეზიის, იმ უზარმაზარი კუნძულების უმაღლესი რანგის მთავრებს შთამომავლობით გადმოეცათ განსაკუთრებული რელიგიური ძალა — ,,მანა". მანამ განწმინდა მათი მმართველობა და იცავდა მათ.14 პოლინეზიის მეთაურები იმხელა რელიგიურ ძალაუფლებას ფლობდნენ, რომ მისიონერებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ ხალხის მოქცევა, თუ მთავრები შეიცვლიდნენ აღმსარებლობას.[15]

უმეტეს სამთავროში მთავრებს არ აქვთ იმდენი ძალაუფლება, რომ ხალხი დაიმორჩილონ. ხალხი მეთაურის სურვილისამებრ იქცევა იმიტომ, რომ მას დიდ პატივს სცემს, მეთაური ხალხისთვის რელიგიური ავტორიტეტია. რთულ სამთავროებში, როგორიცაა ჰავაი და ტაიტი, მთავრებს გაცილებით დიდი ძალაუფლება ჰქოდათ, ვიდრე პატივისცემა ან „მანაა".[16] უნდა ითქვას, რომ პოლიტკური სისტემა სახლმწიფოდ ქცევის გზაზეა, როდესაც დისტრიბუცია ყველას არ გადაეცემა, როცა მეთაურებს აქვთ უფლება, საკუთარი მიზნებისთვის შეინახონ ესა თუ ის საგანი და როცა მეთაური იწყებს შეიარაღებული ძალების გამოყენებას.

სახელმწიფო ორგანიზაცია

სახელმწიფო, სტანდარტული განმარტების მიხედვით, არის ,,ავტონომიური პოლიტიკური ერთეული, რომელიც თავისი ტერიტორიის ფარგლებში ბევრ სოციალურ ჯგუფს აერთიანებს და აქვს ცენტრალიზებული მთავრობა, რომელსაც შეუძლია, აკრიფოს გადასახადები, გაიწვიოს ადამიანები ომში, გამოსცეს კანონები და იზრუნოს მათ აღსრულებაზე."[17] აქედან გამომდინარე, სახ-

სპეციალური სასმელის, კავას წარდგენა ფიჯის ხელმძღვანელისთვის.

ელმწიფოებს აქვთ საკმაოდ რთული, ცენტრალიზებული სტრუქტურა. ეს სტრუქტურა მოიცავს მუდმივი ინსტიტუციების ნაირსახეობებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციებით და ასევე ფართო ბიუროკრატიულ ქსელს. ამ განსაზღვრებაში მთავარია ის, რომ ძალა გამოიყენება ლეგიტიმურად, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის გასატარებლად. სახელმწიფოებში მთავრობა მონოპოლიის შენარჩუნებას ფიზიკური ძალის გამოყენებით ახერხებს.[18] ეს მონოპოლია კარგად ჩანს საზოგადოებრივი კონტროლის ისეთი ფორმალური და სპეციალიზებული ინსტიტუტების არსებობაში, როგორიცაა პოლიცია, მილიცია და ჯარი.

როგორც რომელიმე კონკრეტული საზოგადოება შეიძლება შედგებოდეს ერთზე მეტი ჯგუფის, ტომისა თუ სამთვაროსგან, ასევე შეიძლება ერთი სახელმწიფო შედგებოდეს რამდენიმე სახელმწიფოსგან. გვერდიგვერდ მცხოვრები, ერთ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა შეიძლება იყოს ერთი მთლიანი სახელმწიფოს ნაწილი, შეიძლება არა. ანტიკური საბერძნეთი შედგებოდა მრავალი ქალაქ-სახელმწიფოსგან, როგორც იტალია 1870-იან წლებში. გერმანულენოვანი ქვეყნებიც არ არის პოლიტიკურად ერთიანი. გერმანია და ავსტრია სხვადასხვა სახელმწიფოა. თავის მხრივ, არც გერმანია ყოფილა პოლიტიკურად ერთიანი 1870-იან წლებამდე. ჩვენი ვგულისხმობთ, რომ საზოგადოებას აქვს რთული **სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია**, თუ იგი შედგება ერთი ან რამდენიმე პოლიტიკური ერთეულისგან — სახელმწიფოსგან.

სახელმწიფო შეიძლება შეიცავდეს ერთზე მეტ საზოგადოებას. ასეთი სახელმწიფოები ხშირად დაპყრობის ან კოლონიური მმართველობის შედეგია. დომინანტი პოლიტიკური ერთეული კონტროლს ამყარებს მრავალი კულტურისა და საზოგადოებისგან შემდგარ ტერიტორიაზე, როგორც მოიქცა ბრიტანეთი ნიგერიასა და კენიაში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი თითქმის ყველა მრავალსაზოგადოებიანი სახელწიფო წარმოიშვა კოლონიური ძალების წინააღმდეგ წამოწყებული წარმატებული განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად.[19] მათმა უმრავლესობამ პოლიტიკური ერთობა მოიპოვა იმის მიუხედავად, რომ ბევრ განსხვავებულ საზოგადოებას შეიცავდა. ასე მაგალითად, ნიგერია რჩება ერთიანად სამოქალაქო ომის მიუხედავად. მისი აღმოსავლეთ ნაწილის, ბიაფრას (მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იბოს კულტურის წარმომადგენლები არიან) მცდელობა, გამოყოფოდა ქვეყანას 35 წლის წინ, წარუმატებლად დასრულდა. საბოლოოდ ამან სერიოზული კონფლიქტი გამოიწვია სხვადასხვა შემადგენელ კულტურას შორის. მრავალსაზოგადოებრივი ან მრავალეთნიკური სახელმწიფოები შეიძლება ნებაყოფლობითაც შეიქმნა, გარეშე საფრთხის არსებობისას. შვეიცარია შედგება ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და რომანულენოვანი კანტონებისგან. სხვადასხვა კანტონი ერთიანდებოდა წმინდა რომაული იმპერიის კონტროლისგან თავის დასაღწევად. ზოგმა სახელმწიფომ კი თავისი ერთობა ახლახან დაკარგა, მათ შორისაა საბჭოთა კავშირი და იუგოსლავიის ძირითადი ნაწილი.

მკაცრი პოლიტიკური მახასიათებლების გარდა, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს აქვთ ინტენსიური სოფლის მეურნეობა, რაც საშუალებას იძლევა, გაჩნდეს ახალი ქალაქები, მაღალი ხარისხის ეკონომიკური და სხვა სახის სპეციალიზაცია, საბაზრო და კომერციული გაცვლა. ამასთან ერთად, სახელმწიფოებრივ საზოგადოებას ახასიათებს კლასობრივი დაყოფა/სტრატიფიკაცია (იხ. ცხრილი 23-1).

როდესაც სახელწიფო იქმნება, ხალხის ცხოვრების წესიც მკაცრად განსაზღვრული ხდება: ისინი ვერ იტყვიან უარს გადასახადების გადახდაზე, კანონისადმი მორჩილებაზე. თუმცა მმართველები საზოგადოებრივ წესრიგს მხოლოდ ძალის საშუალებით არ ინარჩუნებენ. ხალხს უნდა სჯეროდეს, ყოველ შემთვხვევაში რაღაც გარკვეულ დონემდე მაინც, რომ ხელისუფლებაში მყოფებს მართვის კანონიერი უფლება აქვთ. თუ ხალხი სხვაგვარად ფიქრობს, ისტორიული გამოცდილების თანახმად, მმართველები საბოლოო ჯამში კარგავენ ძალაუფლებას. ამის თვალსაჩინო მაგალიათია კომუნისტური პარტიების დაცემა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში.

ყველა მთავრობა, სახელმწიფო საზოგადოებებიც კი დამოკიდებული არიან ხალხის ლეგიტიმურობაზე. ლენინის ეს დაცემული ქანდაკება ასახავს საბჭოთა კავშირის დაშლას და კომუნისტური პარტიის დასასრულს.

ამრიგად ძალა და ძალის მუქარა არ არის საკმარისი, რათა აიხსნას ძალაუფლების კანონიერება და ის უთანასწორობა, რომელიც სახელწიფოებრივ საზოგადოებაში ჩნდება. მაგრამ მაშინ, როგორ აიხსნება ეს? არსებობს რამდენიმე თეორია. ადრეული სახელმწიფოების მმართველები ხშირად თავიანთ წმინდა წარმომავლობას მოიხმობდნენ ლეგიტიმურობის ასახსნელად, მაგრამ დღეს ეს ახსნა ძალიან იშვიათია. მეორე თეორია ისაა, რომ თუ მშობლები ასწავლიან შვილებს, აღიარონ ყველა სახის ავტორიტეტი, ეს გაკვეთილები შეიძლება განზოგადდეს პოლიტიკური ავტორიტეტის აღიარების სახით. ზოგი ანალიტიკოსი თვლის, რომ ხალხი ავტორიტეტს რაიმე მისაღები მიზეზის გამო კი არ აღიარებს, არამედ სახელმწიფო მათ გასულელებას ახერხებს. ბოლო მოსაზრების თანახმად, მმართველებმა ხალხს თავიანთი უპირატესობის რეალური და რაციონალური მიზეზი უნდა დაანახონ. ასეთ შემთხვევაში, ხალხი ჩათვლის, რომ ისინი იმსახურებენ მმართველობის უფლებას. ლეგიტიმურობა არ არის ისეთი ფენომენი, რომელიც ან არის, ან საერთოდ არ არის. ის სხვადასხვა ხარისხით შეიძლება არსებობდეს. რატომ იცვლებოდა ის სხვადასხვა დროსა და ადგილას სოციალური მეცნიერებების, მათ შორის — ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიისა და სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების, მუდმივ შეკითხვად რჩება.[20]

სახელმწიფოს შეუძლია, თავისი ლეგიტიმურობა, ან ყოველ შემთხვევაში ძალაუფლება, დიდი ხნით შეინარჩუნოს. მაგალითად, რომის იმპერია იყო რთული/კომპლექსური სახელმწიფოებრივი საზოგადოება, რომელიც დომინანტური იყო ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთში ასწლეულების მანძილზე. მან არსებობა ქალაქი-სახელმწიფოს სახით დაიწყო, რომელიც ომობდა სხვა ტერიტორიებს მოსაპოვებლად. განვითარების ზენიტში რომის იმპერიაში 55 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა.[21] დედაქალაქი რომი მილიონზე მეტ მაცხოვრებელს ითვლიდა.[22] იმპერია მოიცავდა დღევანდელი დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, გერმანიის, რუმინეთის, თურქეთის, საბერძნეთის, სომხეთის, ეგვიპტის, ისრაელისა და სირიის თითქმის მთელ ტერიტორიას.

სახელმწიფოებრივი საზოგადოების კიდევ ერთი ნიმუშია დასავლეთ აფრიკაში მდებარე ნუპის სამეფო, დღეს ის ნაციონალური სახელმწიფოს ნიგერიის ნაწილია. როგორც ყველა სახელმწიფოებრივ საზოგადოებას ახასიათებს, ნუპთა საზოგადოებაც ხისტად სტრატიფიცირებული იყო. საზოგადოებრივი სისტემის სათავეში იდგა მეფე ან ესტუ. მას მოსდევდნენ სამეფო ოჯახის წევრები, რომლებიც უმაღლეს არისტოკრატიულ კლასს შეადგენდნენ. შემდეგ იყვნენ სხვა კლასები: ადგილობრივი მმართველები და სამხედრო წინამძღოლები. იერარქიის ბოლოს იდგნენ მდაბიოები, რომლებსაც არც ძალაუფლება გააჩნდათ და არც პოლიტიკური ავტორიტეტი.

ნუპთა მეფე უზენაესი მოსამართლის ძალაუფლებას ფლობდა. მცირე უთანხმოებები და სამოქალაქო გარჩევები ადგილობრივი სოფლის საბჭოების გადასაჭრელი იყო, მაგრამ სერიოზული კრიმინალური საქმეების გადაწყვეტა მეფის პრეროგატივად რჩებოდა. ამგვარი საქმეები, რომლებსაც ,,დანაშაული მეფისთვის" ეწოდებოდა, ადგილობრივი წარმომადგენლებისგან სამეფო სასამართლოს გადაეცემოდა. მეფე და მისი მრჩევლები განსჯიდნენ ამ საქმეებს და შესაფერის სასჯელს გამოიტანდნენ.

ნუპთა საზოგადოებაში საგადასახადო სისტემა ძალიან მკაცრი იყო. მეფე უფლებამოსილი იყო, დაეწესებინა და აეკრიფა გადასახადები ყველა საოჯახო მეურნეობისგან. გადახდა ხდებოდა ფულით (თავდაპირველად კაურის ნიჟარით და შემდგომ ბრიტანული ვალუტით) ან ნატურით, მაგალითად, ტანისამოსით, ჭილოფებით და მონებით. წლიური შემოსავლის დიდ ნაწილს მეფე იტოვებდა და დანარჩენი კი ნაწილდებოდა ადგილობრივ წარმომადგენლებსა და ლორდებს შორის. გადასახადების სანაცვლოდ ხალხი უსაფრთხოდ იყო, დაცული შემოსევებისა და შინაარეულობებისგან.[23]

პოლიტიკური ორგანიზაციის ვარიაციებთან ასოცირებული ფაქტორები

პოლიტიკური ორგანიზაციის სახეებია: ჯგუფი, ტომი, სამთავრო და სახელმწიფო. არსებობს პოლიტიკური ხელისუფლების ვარიაციებიც. მცირე, დროებითი და არაფორმალური პოლიტიკური ლიდერებით დაწყებული, მუდმივი და სპეციალიზებული პოლიტიკური მოხელეებით დამთავრებული. მაიძულებელი პოლიტიკური ძალის არარსებობით დაწყებული, საზოგადოებრივი ძალის ცენტრალური ხელისუფლების ხელში კონცენტრირებით დასრულებული. პოლიტიკური ორგანიზაციის ვარიაციების ეს ასპექტები ზოგადად ასოცირდება რამდენიმე ფაქტთან: საკვების შემგროვებლობიდან საკვების წარმოებაზე გადასვლასთან, მცირე ერთობებიდან უფრო მსხვილი ერთობების ფორმირებასთან, დაბალი მოსახლეობის სიმჭიდროვის მაღლით შეცვლასთან, საბაზრო ვაჭრობაზე

გადასვლასთან, ეგალიტარულიდან რანგობრივ და შემდეგ მთლიანად სტრატიფიცირებულ კლასობრივ საზოგადოებად გარდაქმნასთან.

აღნიშნული ასოციაციები, რომელთა მართებულობაც დამტკიცებულია არსებული კულტურათაშორისი (ორი ან რამდენიმე კულტურის შედარება) სამხილებით, თავმოყრილია 23-1 ცხრილში. საარსებო ტექნოლოგიებისა და პოლიტიკურ კომპლექსურობას შორის არსებული დამოკიდებულების გათვალისწინებით, ერთმა კროს-კულტურულმა კვლევამ საზოგადოებების მცირე, შემთხვევით ნიმუშზე დაყრდნობით დაადგინა, რომ რაც უფრო დიდია საზოგადოებაში სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა, მით მეტია მისი პოლიტიკურად ერთიანი მოსახლეობის რაოდენობა და პოლიტიკური მოხელეების რიცხვი და ტიპები.[24] მასშტაბურმა კულტურათაშორისმა კვლევამაც მსგავსი ტენდენცია გამოავლინა: რაც უფრო ინტენსიურია სოფლის მეურნეობა, მით უფრო დიდია სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის არსებობის ალბათობა. ამის საპირისპიროდ, ისეთი სახელმწიფოები, რომლებსაც ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტების გარდა, სხვა არ გააჩნიათ, ძირითადად დამოკიდებულები არიან შემგროვებლობაზე, ნადირობასა და თევზაობაზე.[25]

თემის ზომის გათვალისწინებით, ამ კვლევათაგან პირველმა დაადგინა, რომ რაც უფრო დიდია წამყვანი ერთობა, მით უფრო მრავალფეროვანია საზოგადოებაში პოლიტიკური მოხელეების საქმიანობა.[26] რობერტ ტექსტორმაც მსგავსი აღმოჩენა გააკეთა: სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მქონე საზოგადოებებს აქვთ ქალაქები და დაბები. მაშინ, როცა მხოლოდ ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის მქონე საზოგადოებებს აქვთ 200 კაციანზე ნაკლები რაოდენობის დასახლებები.[27] ასეთი სახის კროს-კულტურული კვლევები ხშირად ადასტურებენ ხოლმე, რომ პოლიტიკურად ინტეგრირებულ საზოგადოებებს მეტად ახასიათებთ სოციალური დიფერენციაცია.[28]

ხსნის თუ არა ეს მონაცემები, თუ რატომ იცვლება პოლიტიკური ორგანიზაციები? ცხადია, მონაცემებმა ცხადყვეს, რომ რამდენიმე ფაქტორი დამოკიდებულია პოლიტიკურ განვითარებაზე, მაგრამ ის, თუ საერთოდ რატომ ხდება ცვლილებები პოლიტიკურ ორგანიზაციებში, ჯერ კიდევ გაურკვეველია. იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკური განვითარება პოლიტიკური განვითარებისთვის ბიძგის მიმცემია,[29] ეს ურთიერთდამოკიდებულება სრულყოფილად მაინც ვერ ხსნის, თუ რატომ ხდება პოლიტიკური ორგანიზაცია უფრო რთული მხოლოდ იმიტომ, რომ ეკონომიკას ამის დაფინანსება შეუძლია. ზოგი თეორეტიკოსის აზრით, სოციალურ ჯგუფებს შორის შეჯიბრი შეიძლება პოლიტიკური კონსოლიდაციის მიზეზი იყოს. მაგალითად, ელმან სერვისმა დაადგინა, რომ შეჯიბრი შეიძლება გამხდარიყო ჯგუფური საზოგადოებრივი ორგანიზაციის ტომად გარდაქმნის მიზეზი. ჯგუფური საზოგადოებები ძირითადად მონადირე-შემგროვებლები არიან. სოფლის მეურნეობაზე გადასვლით მოსახლეობის სიხშირე და ჯგუფებს შორის კონკურენცია შეიძლება გაიზარდოს. სერვისს სჯეროდა, რომ ამგვარ შეჯიბრს შეეძლო, თავდასხმისა და თავდაცვისათვის განევითარებინა თემს გარეშე არაფორმალური ორგანიზაციები, კერძოდ, ტომობრივი ორგანიზაციები.[30] მართლაც, როგორც სამთავრების მაგალითზე დავინახეთ, ორივე, მემკვიდრული მეთაურობის ჯგუფებიც და ასაკობრვი დაყოფის ჯგუფებიც, ასოცირდებოდნენ ომის წარმოებისა და საომარი დაპირისპირების პროცესებთან.

სოფლის მეურნეებს შორისაც არაფორმალური მრავალსოფლიანი პოლიტიკური ორგანიზაციის სამთავროდ გადაქცევა შეიძლება თავდაცვის საჭიროებამ გამოიწვიოს. ფორმალურად ორგანიზებულ ოლქებს უფრო მეტი შანსი აქვთ, დაამარცხონ ავტონომიური სოფლები და სეგმენტური წარმომავლობის სიტემებიც კი.[31] ამასთან შეიძლება არსებობდეს პოლიტიკური განვითარების ეკონომიკური მიზეზებიც. სამთავროებთან დაკავშირებით სერვისი თვლის, რომ ისინი წარმოიშობა, როცა თემებს შორის საქონლის გადანაწილების პროცესი უფრო მნიშვნელოვანი ხდება და უფრო მსხვილმასშტაბიანი ჯგუფების საჭიროება ჩნდება. რაც უფრო საჭიროა ეს მომსახურება, მით უფრო საჭიროა ორგანიზატორი.[32] თუმცა საქონლის გადანაწილების პროცესი შორსაა მეთაურების უნივერსალური საქმიანობისგან.[33]

პოლიტიკური განვითარების ანთროპოლოგიური თეორია და კვლევები კონცენტრირებას ძირითადად პოლიტიკური სირთულის დონეებზე, კერძოდ, პირველი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის წყაროებზე აკეთებენ. ამ ადრეულმა სახელწიფოებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მოღვაწეობა დაახლოებით ძვ. წ. 3500 წელს დაიწყეს. ეს ხდებოდა დღევანდელი სამხრეთ ერაყის, ეგვიპტის, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის, ჩრდილოეთ ჩინეთისა და მექსიკის ტერიტორიაზე. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, სადაც ქალაქების წარმოშობაზე ვმსჯელობდით, არსებობს რამდენიმე თეორია პირველადი სახელმწიფოების წარმოშობის შესახებ. მაგრამ ეს თეორიები ვერ ესადაგება ყველა არქეოლოგიურ აღმოჩენას. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ სხვადასხვა ადგილას ცენტრალური მთავრობის წარმოშობა სხვადასხვა მიზეზმა გამოიწვია. განსაზღვრების თანახმად, სახელმწიფო ახდენს საზოგადოების ორგანიზებას სხვადასხვა მიზნისთვის. ზოგ შემთხვევაში, ალბათ, საჭირო გახდა ადგილობრივი, ან დიდ მანძილზე ვაჭრობის ორგანიზება. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო შეიძლება დამარცხებული მოსახლეობის ისეთი ნაწილის გასაკონტროლებლად წარმოშობილიყო, რომელმაც გაქცევა ვერ შეძლო. ხოლო მთელ რიგ დანარჩენ შემთხვევაში, განსხვავებულ ფაქტორებს ან მათ კომბინაციებს შეიძლებოდა გამოეწვია სახელმწიფოების განვითარება. თუმცა ჯერ კიდევ უცნობია, თუ რა კონკრეტულმა მიზეზებმა აქცია ადრეული საზოგადოებრივი ფორმაციები სახელწიფოებად.[34]

სახელმწიფოებრივი საზოგადოებებგავრცელება

რა მიზეზებითაც უნდა განვითარებულიყვნენ ადრეული სახელმწიფოები, ფაქტია, რომ მათი პოლიტიკური განვითარების დონე მსოფლიოში დომინირებს. სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს, ჯგუფებთან, ტომებთან და სამთავროებთან შედარებით, უფრო ბევრი თემი ჰყავთ და მოსახლეობის სიხშირეც აქ გაცილებით დიდია. მათ ასევე ჰყავთ ჯარი, რომელიც ნებისმიერ დროს მზად არის საბრძოლველად. სახელწიფოები, რომლებიც ომობდნენ სამთავროსა და ტომების წინააღმდეგ, თითქმის ყოველთვის იმარჯვებდნენ. ასეთი ომები ძირითადად ტერიტორიების შემოსამატებლად იმართებოდა. მაგალითად, ბრიტანელებისა და შემდეგ უკვე ამერიკელების კოლონიზაციამ გამოიწვია ადგილობრივი ინდიელების ტომების დამარცხება და შემოერთება.

ადგილობრივი ინდიელების ასეთი ხვედრი ნაწილობრივ იმ ეპიდემიური ავადმყოფობების მიერ გამოწვეული მოსახლეობის კატასტროფული განადგურების შედეგი იყო, რომელიც ევროპელებმა ჩამოიტანეს. მაგალითად, ყვავილი და წითელა. ეს დაავადებები ევრო-ამერიკელებისა და ადგილობრივების პირველი კონტაქტის შემდეგ გავრცელდა. ხალხს აქამდე არ ჰქონია შეხება და შესაბამისად, არც იმუნიტეტი ჰქონდა გამომუშავებული იმ დაავადებების მიმართ, რომლებიც ევროპელებმა ჩამოიტანეს. კოლონიზაციის დაწყებამდე ახალი სამყაროსა და წყნარი ოკეანის ხალხი სრულიად იზოლირებული იყო იმ ვრცელი ტერიტორიისგან, რომელსაც ჩვენ პირობითად ევროპად, აზიად და აფრიკად ვყოფთ. ხოლო ყვავილი და წითელა ისეთი დაავადებები იყო, რომლებიც ევროპის მოდგმის უმრავლესობას ბავშვობიდან მოხდილი ჰქონდა.[35]

იქნებოდა ეს მოსახლეობის განადგურების, დაპყ-

რობისა თუ დაშინების გზით მიღწეული, ფაქტია, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების რიცხვმა ბოლო 3000 წლის მანძილზე საგრძნობლად იკლო. განსაკუთრებით ბოლო 200 წლის განმავლობაში. რობერტ კარნერიომ დაადგინა, რომ ძვ. წ. აღ. 1000 წელს მსოფლიოში სავარაუდოდ არსებობდა 100000-დან მილიონამდე ცალკეული პოლიტიკური ერთეული.[36] ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ბოლო 150 წლის მანძილზე გამოკვლეული 2000-მდე საზოგადოების 50% ადგილობრივ დონეზე იყო პოლიტიკურად ინტეგრირებული. რაც იმას ნიშნავს, რომ ორიდან ერთ, შედარებით ახლად შობილ საზოგადოებაში პოლიტიკური ინტეგრაციის უმაღლეს საფეხურს ადგილობრივი ერთობა, თემი წარმოადგენდა.[37] ამგვარად, დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების რიცხვის შემცირება შედარებით ახალი ფენომენია.

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლამ და სხვა სეპარატისტულმა მოძრაობებმა შეიძლება სულ უფრო დიდი და ინტეგრირებული პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის ტენდენცია სხვა მხრივ შეცვალოს. მრავალეროვნული საზოგადოების დომინანტობის ქვეშ მყოფმა ეთნიკურმა ჯგუფებმა, შესაძლოა, დამოუკიდებლობისთვის დაიწყონ ბრძოლა, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები დღითიდღე უფრო ერთიანი ხდებიან როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. ასე რომ, სულ უფრო მსხვილი და ინტეგრირებული პოლიტიკური ერთეულების წარმოშობის ტენდენცია შეიძლება კიდეც გაგრძელდეს.

წარსული გამოცდილების გამომძიებელმა ჯგუფმა დაადგინა, რომ საბოლოო ჯამში მთელი მსოფლიო პოლიტიკურად ინტეგრირებული იქნება ალბათ XXIII საუკუნეში, ან არა უგვიანეს 4850 წლისა.[38] მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს, რამდენად მართებულია ეს მოსაზრება და იმასაც მოჰფენს ნათელს, ეს პროცესი მშვიდობიანად განხორციელდება, თუ არა. მხარეები ნებაყოფლობით დათანხმდებიან ამ პროცესს, თუ ძალის მეშვეობით განახორციელებენ მას, როგორც ეს ხდებოდა წარსულში.

ცვლილება პოლიტიკურ პროცესში

ანთროპოლოგები დაინტერესებულები არიან იმ საზოგადოებებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით, რომლებსაც შეისწავლიან. მათ აინტერესებთ, ვის ხელშია გავლენა ან ძალაუფლება, როგორ მოიპოვება იგი და როგორ მიიღწევა პოლიტიკური გადაწყვეტილებები. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაქვს ბევრი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების აღწერილობითი მონაცემი, მაინც ძალიან ცოტა შედარებითი და კროსკულტურული გამოკვლევაა ჩატარებული პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების ასახსნელად.[39]

მზადება ლიდერობისთვის

ისეთ საზოგადოებებში, სადაც ლიდერობა მემკვიდრეობითია, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა რანგირებულ საზოგადოებებში და მონარქიებში, ლიდერები ხდებიან წინასწარ განსაზღვრული წესების მიხედვით. ამგვარი ლიდერების ამოცნობა ძალიან ადვილია. მაგალითად, ლიდერებს შეიძლება ტატუ ჰქონდეთ, ან ატარებდნენ რაიმე ნიშანს, როგორც პოლინეზიის სამთავროებშია. ისინი შეიძლება ატარებდნენ საგულდაგულოდ დამუშავებულ, განმასხვავებელ ტანისამოსს ან ორდენებს, როგორც კლასობრივად სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში ხდება

ევროპული გაერთიანება მოიცავს 15 სხვადასხვა ქვეყანას 2000 წლის ბოლოს. მაგალითისთვის, ევრო გართიანებას აქვს საერთო ვალუტა — ევრო და მისი ბრუნვა.

ხოლმე (იხ. სხეულის მორთულობის განხილვა თავში ხელოვნების შესახებ). მაგრამ ისეთი საზოგადოებებისთვის, რომლების ლიდერებიც ირჩევიან, განსაკუთრებული სახის გამოკვლევები უნდა ჩატარდეს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა, გაირკვეს, რა კრიტერიუმებით აირჩიეს რომელიმე ერთი კონკრეტული პიროვნება სხვებმა.

რამდენიმე გამოკვლევამ შეისწავლა ტომობრივი საზოგადოების ლიდერების პიროვნული თვისებები. ერთი მათგანი ცენტრალური ბრაზილიის მეკრანოტი-კაიაპოს ტომს შეისწავლიდა. დადგინდა, რომ ხალხი ლიდერს მისი ინტელექტის, დიდსულოვნების, კეთილშობილების, ცოდნის, ამბიციურობისა და აგრესიულობის მიხედვით ირჩევდა. ასევე ლიდერი სხვებზე უფროსი და მაღალი უნდა ყოფილიყო. მეკრანოტის საზოგადოების ეგალიტარიანიზმის მიუხედავად (ყოველ შემთხვევაში, რესურსების თანაბრად განაწილების გათვალისწინებით), არსებობს იმის უფრო მეტი შესაძლებლობა, რომ მომდევნო ხელმძღვანელად წინა ლიდერის ვაჟი აირჩეს, ვიდრე სხვა რომელიმე წევრის.[40]

ბრაზილიის სხვა საზოგადოებაში, ამაზონის რეგიონში მდებარე კაგვაჰივში, ჩატარებული გამოკვლევა ლიდერის სხვა თვისებას უსვამს ხაზს. მათ ახასიათებთ მშობლების მიმართ პოზიტიური ემოციები.[41] ცდებმა ცხადყო, რომ ბევრ ასპექტში ბრაზილიელი და ამერიკელი ლიდერები ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდნენ. მაგრამ არსებობს ერთი ძირითადი განსხვავება: მეკრანოტისა და კაგვაჰივის ლიდერები საზოგადოების დანარჩენ წევრებზე შეძლებულები არ არიან, პირიქით, ისინი გასცემენ თავიანთ ქონებას. აშშ-ს ლიდერები ძირითადად სხვებზე მდიდრები არიან.[42]

„დიდი კაცები“ ზოგ ეგალიტარიანულ, ტომობრივ საზოგადოებაში ლიდერის ადგილის დასაკავებლად დიდი შეჯიბრია გასავლელი. ახალი გვინეისა და სამხრეთ ამერიკის ნაწილებში „დიდი კაცები” ეჯიბრებიან სხვა ამბიციურ კაცებს მიმდევრების მოზიდვაში. შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას ჯადოსნური შესაძლებლობები აქვს, არის წარმატებული მიწათმოქმედი და მამაცი მეომარი. რაც ყველაზე მთავარია, უნდა შეაგროვოს იმდენი საქონელი, რომ გამართოს დიდი დღესასწაული, სადაც შემდგომ ამ ყველაფერს გასცემს. „დიდმა კაცმა” ბევრი უნდა იმუშაოს, რათა მიიმხროს და შეინარჩუნოს მიმდევრები, თორემ იმედგაცრუებულ მიმდევარს ყოველთვის შეუძლია, სხვას შეუერთდეს.[43] კაგვაჰივთა შორის, მაგალითად, ბელადის ცოლი ძირითადად ტომის ქალების ლიდერია. ის პასუხისმგებელია ზეიმების უმრავლესობის ორგანიზებაზე და ხშირად ანაწილებს ხორცს დღესასწაულისას.[44]

იმის მიუხედვად, რომ „დიდი კაცი“ ლიდერების ფენომენი ახალ გვინეაში საკმაოდ გავრცელებულია, მკვლევარები ახლა იწყებენ „დიდკაცობის“ ვარიაციების დადგენას ახალი გვინეის სხვადასხვა ნაწილის ლიდერებს შორის. მაგალითად, სამხრეთ ზეგანის მიწებზე კაცების (და არა მხოლოდ „დიდი კაცები“) ჯგუფები შეიძლება ჩაერთონ დიდი გაცემის დღესასწაულების მოწყობაში. ასე რომ, „დიდი კაცები“ ჩვეულებრივებისგან ძალიან არ განსხვავდებიან. ჩრდილო-დასავლეთ ზეგანის მიწებზე კი „დიდი კაცი” დანარჩენებისგან მკვეთრად გაირჩევა. ის ადგენს ქცევის წესებს, აწყობს კოლექტიურ საღამოებს. მას შეუძლია, ნებისმერ დროს გამოიყენოს რესურსები და ძვირფასი ნივთები, აკონტროლოს მუშახელი (ჰყავს ერთზე მეტი ცოლი).[45]

ჩვენ ვიცით, რომ ზოგი „დიდი კაცი“ სხვებზე „დიდია“, მაგრამ როგორ იქცევა ადამიანი „დიდ კაცად“? ცენტრალურ ზეგანზე მცხოვრებ კუმდი-ენგამოის ჯგუფში ადამიანს, რომელსაც სურს, იყოს ვუა ნიუმი (რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „დიდი-მნიშვნელოვანი-შეძლებული კაცი“), უნდა ჰყავდეს ბევრი ცოლი და ქალიშვილი. იმიტომ, რომ კაცის მიერ კონტროლირებადი მიწის მოცულობა და ამ მიწაზე მოყვანილი პროდუქტების რაოდენობა დამოკიდებულია ოჯახში ქალის რაოდენობაზე. რაც უფრო მეტი ცოლი ჰყავს კაცს, მით მეტი მიწა ეძლევა დასამუშავებლად. ბელადი ასევე კარგი ორატორი უნდა იყოს. ყველას აქვს სიტყვით გამოსვლის უფლება. მაგრამ იმისათვის, რომ „დიდი კაცი” გერქვას საჭიროა, ლაპარაკობდე კარგად და შთამბეჭდავად, იცოდე, როდის შეაჯამო კონსენსუსი. როცა ადამიანი მიაღწევს ვუა ნიუმის წოდებას, მისი შენარჩუნება მხოლოდ კარგად მოქცევის შემთხვევაში შეუძლია, რაც ნიშნავს, რომ მან უნდა გააგრძელოს საქონლის სამართლიანი გადანაწილება, ბრძნული გადაწყვეტილებების მიღება, კარგად ლაპარაკი და ვაჭრობის ორგანიზება.[46]

„დიდი ქალები“ ახალი გვინეის ტერიტორიის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებით, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებულ კუნძულებზე მატრიარქალური წყობაა. მაგრამ ახალი გვინეის დანარჩენი ნაწილების მსგავსად, კუნძულებზეც არსებობს „ლიდერობის“ სისტემა, რომელშიც ხალხი ერთმანეთს „დიდის” სტატუსის მოსაპოვებლად ეჯიბრება. თუმცა აქ კონკურენტები ქალები არიან და შესაბამისად, არსებობენ „დიდი ქალები“. ვანატინაის კუნძულზე ქალები და კაცები ერთმანეთს ძვირფასი ნივთების გაცვლაში ეჯიბრებიან. ქალები აწყობენ ექსპედიციებს კანოეებით, რა დროსაც ისინი სტუმრობენ ახალ კუნძულებს სავაჭრო პარტნიორი კაცებისა და ქალების მოსაძებნად. ქალები აწყობენ ზეიმებს ნათესავებისა და პარტნიორი ვაჭრების დახმარებით; ასევე, ქალებს უფლება აქვთ, შეინახონ საცერემონიო ძვირფასეულობა, ცოტა ხნით მაინც.[47]

ვანაიტის კუნძულებზე ქალების წამყვანი როლი შეიძლება დკავშირებული იყოს ომის არარსებობასთანაც. კოლონიურმა ძალებმა ამ ტერიტორიაზე მშვიდობა დაამყარეს. ჩვენ ამას „დაწყნარებას“ ვუწოდებთ. შიდაკუნძულოვანი გაცვლა-გამოცვლა გახშირდა, როცა XX საუკუნეში ომი იშვიათი გახდა. ამან ქალებსა და კაცებს მოგზაურობის თავისუფლება მისცა. კაცებისთვის, და არა ქალებისთვის, ომი ლიდერობად მოსვლის საშუალებას წარმოადგენდა. საუკეთესო მეომრები სახელსა და გავლენას იხვეჭდნენ ხოლმე. მართალია, ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას ომში, რაც კულტურათაშორისად უჩვეულო მოვლენაა, მაგრამ ქალი ომში ლიდერი ვერ გახდებოდა. ახლა, ომის არარსებობის პირობებში, ქალს გაუჩნდა შესაძლებლობა, გამხდარიყო ლიდერი ან „დიდი ქალი“ ვაჭრობის გზით.

თუმცა ქალებს ახლა გავლენის მოპოვების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ. დღეს ადგილობრივი სამთავრობო საბჭოები არსებობს, მაგრამ ისინი მამაკაცებისგან შედგება. რატომ? მართალია ზოგ პოსტზე ქალებიც იყვნენ წარდგენილები, მაგრამ მათ უარი თქვეს, რადგან ინგლისურის არცოდნა ეთაკილებოდათ. „დიდ კაცებსა“ და „დიდ ქალებს“ ავტომატურად არ ეხსნებათ გზა ამ თანამდებობისაკენ. ძირითადად ახალგაზრდა, ინგლისურის მცოდნე მამაკაცები იკავებენ ამ ადგილებს. მაგრამ შესაძლოა, სიტუაცია შეიცვალოს. 1984 წელს სამთავრობო დაწყებითი სკოლის გახსნის შემდეგ ბიჭებიცა და გოგონებიც სწავლობენ ინგლისურს. ასე რომ, მომავალში ქალებს მეტად ექნებათ ლიდერობის მიღწევისა და საბჭოს წევრობის შესაძლებლობა.

პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობა

პოლიტიკურმა მეცნიერმა მარკ როსმა გააკეთა კროსკულტურული ცდა პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის შესახებ. როსმა კვლევის კითხვა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „რატომ ხდება ისე, რომ ზოგან პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი ადამიანია ჩართული, სხვაგან კი პოლიტიკური საქმიანობით ცოტაა დაკავებული?”[48]

პრეინდუსტრიულ საზოგადოებებში პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხი იცვლება. გამოკვლეული საზოგადოებებიდან თექვსმეტში პოლიტიკაში მონაწილეობის

მაღალი მაჩვენებელი შეინიშნება, რაც იმას ნიშნავს რომ, ტარდება ფორუმები, სადაც გადაწყვეტილების მიღება სრულწლოვანთათვის ღიაა. ფორუმები შეიძლება იყოს ფორმალური ან არაფორმალური. არიან საზოგადოებები, რომელთა წევრები პოლიტიკაში აქტიურად მონაწილეობენ, თუმცა ფორუმებში მხოლოდ გარკვეული ნიშნით გამორჩეული ადამიანები იღებენ მონაწილეობას. მაგალითად, მამაკაცები და არა ქალები ან კონკრეტული სოციალური ჯგუფები, ასეთი 37%-ია. 29%-ს აქვს პოლიტიკაში არასრული მონაწილეობის კოეფიციენტი. და ბოლოს, 18%-ს აქვს პოლიტიკაში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითად გადაწყვეტილებებს იღებს ლიდერი და ამ პროცესში რიგითი ადამიანის ჩართვა შეზღუდულია.

პოლიტიკური ჩაბმულობის ხარისხი უფრო მაღალია ხოლმე მცირემასშტაბიან საზოგადოებებში, როგორც თანამედროვე ნაციონალურ-სახელმწიფოებში, მაგრამ არა ფეოდალურ სახელმწიფოებსა და პრეინდუსტრიულ იმპერიებში. რატომ? მცირე მასშტაბიან საზოგადოებებში ლიდერებს არ აქვთ იმდენი ძალა, რომ რამის გაკეთება აიძულონ ხალხს და მათი პოლიტიკურ პროცესში ჩართვა ერთადერთი გზაა მიღებულ გადაწყვეტილებებზე მათი თანხმობის მისაღწევად. თანამედროვე დემოკრატიებში, რომლებსაც საზოგადოების ფარგლებს გარეთ ბევრი ძალაუფლებიანი ჯგუფი ჰყავთ (კორპორაციები, გაერთიანებები და სხვა სახის ასოციაციები), ცენტრალურ ხელისუფლებას ხალხის მორჩილების მიღწევის მხოლოდ თეორიული საშუალება აქვს. რეალურად ისინი ნებაყოფლობით მორჩილებას ემხრობიან. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ვერ შეძლო, ძალდატანებით შეეჩერებინა ალკოჰოლური სასმელის წარმოება, ტრანსპორტირება და გაყიდვა (1920-33 წლების აკრძალვა).

ახლახან ზოგმა მეცნიერმა დაადგინა, რომ პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხის გაზომვა შეიძლება იმის გარკვევით, თუ რა ტიპის ოჯახში იზრდებოდა ადამიანი. დიდი ოჯახები რამდენიმე თაობით უფრო იერარქიული ტიპისაა, სადაც უფროს თაობას მეტი გავლენა აქვს. ასეთ ოჯახებში ბავშვმა შეიძლება ისწავლოს უფროსისადმი მორჩილება. პოლიგამიურ (მრავალცოლიან) საზოგადოებებშიც პოლიტიკური მონაწილეობის ნაკლები ტენდენციები შეიმჩნევა. ოჯახური ურთიერთქმედების გზები შეიძლება განზოგადდეს პოლიტიკურ სფეროზეც.[49]

პოლიტიკური მონაწილეობის მაღალ ხარისხს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი თანმიმდევრობა. თანამედროვე სამყაროში დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთს იშვიათად ეომებიან.[50] ასე მაგალითად, აშშ შეიჭრა სამ ქვეყანაში: გრენადაში, პანამასა და ერაყში, 1980-2003 წლამდე, მაგრამ არ შეჭრილა არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში. ჩანს, რომ უფრო თანამშრომლური, უფრო დემოკრატიული პოლიტიკური ერთეულები, ეთნოგრაფიული ჩანაწერების თანახმად, ერთმანეთს გაცილებით ნაკლებად ეომებიან, ვიდრე ნაკლებად დემოკრატიული პოლიტიკური ერთეულები.[51] ნიშნავს თუ არა ეს, რომ დემოკრატიები ზოგადად უფრო მშვიდობიანები არიან? აქ უფრო მეტი დავა და აზრთა სხვადასხვაობა იჩენს თავს. ომის სიხშირით თუ ვიმსჯელებთ, თანამედროვე დემოკრატიები ძალიან არ განსხვავდებიან ავტოკრატიული სახლემწიფოებისგან. მეორე მხრივ, თუ ვიმსჯელებთ ომის სისატიკის (დაღუპულთა რაოდენობით) კუთხით, დემოკრატიული ქვეყნები ომისადმი ნაკლებად მიდრეკილები არიან.[52] ზუსტად რატომ არის მეტი თანამშრომლობა და დემოკრატია მშვიდობის მომასწავებელი, ჯერ კიდევ გაურკვეველია. არსებობს ამ დამოკიდებულების პოლიტიკური ქვეტექსტიც, რასაც შემდგომ გლობალური სოციალური პრობლემებისადმი მიძღვნილ თავში განვიხილავთ.

კონფლიქტის გადაწყვეტა

როგორც თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, ფრაზა პოლიტიკური ცხოვრება „პოლიტიკის კეთებაზე“, მის ადმინისტრირებასა და განხორციელებაზე მეტს ნიშნავს. პოლიტიკური ცხოვრება ასევე კონფლიქტის გადაჭრასაც გულისხმობს. ეს შეიძლება განხორციელდეს მშვიდობიანად, დაპირისპირებისგან თავის არიდების, შუამავლობის, მოლაპარაკებების, კომპრომისის, ბოდიშის მოხდის, ზებუნებრივი ძალების გამოყენების ან მესამე მხარის ჩარევის გზით. როგორც ჩვენ შემდგომში ვნახავთ, გამოყენებული პროცედურები შეიძლება შეიცვალოს სოციალური სირთულის ხარისხის ცვლილებასთან ერთად. მესამე მხარის ჩარევის პროცედურა ძირითადად იერარქიულ საზოგადოებებში გვხვდება.[53] მაგრამ მშვიდობიანი გამოსავალი არ არის ყოველთვის მიღწევადი და უთანხმოებამ შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვიოს. როცა ისეთი პოლიტიკური ერთეულის შიგნით ხდება ძალადობა, სადაც უთანხმოებები მშვიდობიანად წყდება, ასეთ აქტს დანაშაული ეწოდება — კერძოდ, როცა მას ინდივიდი ჩადის. როცა ძალადობას განსხვავებული პოლიტიკური ერთეულების წარმომადგენელი ჯგუფები ჩადიან, ჯგუფები, რომელთა შორის უთანხმოებების მოგვარების არანაირი პროცედურა არაა შემუშავებული, ასეთ ძალადობას ომს ვუწოდებთ. როცა ძალადობა მოსახლეობის სუბერთეულებს შორის იჩენს თავს, რომლებიც პოლიტიკურად ერთიანი იყო, ამას სამოქალაქო ომი ეწოდება.

კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა

თანამედროვე ინდუსტრიული სახელმწიფოების უმრავლესობას აქვს საკუთარი ფორმალური ინსტიტუტები და დაწესებულებები, როგორიცაა პოლიცია, საოლქო ადვოკატები, სასამართლოები და სადამსჯელო სისტემები, რათა მოაგვაროს საზოგადოებაში წარმოშობილი მცირე უთანხმოებები და სერიოზული კონფლიქტები. ყველა ეს ინსტიტუტი მოქმედებს **კოდიფიცირებული კანონების** მიხედვით. კოდიფიცირებული კანონები, ესაა მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ძირითადად დაწერილი წესებისა და კანონების ნაკრები, რაც განსაზღვრავს, რა სახის საქმიანობა არის ნებადართული და რა სახის არა. ინდივიდის მიერ კანონის დარღვევა აძლევს სახელმწიფოს უფლებას, იმოქმედოს ამ ინდივიდის წინააღმდეგ. სახლემწიფოს აქვს მონოპოლია საზოგადოებაში ძალის ლეგიტიმურად გამოყენებაზე, რადგან მხოლოდ მას შეუძლია, ესა თუ ის თემა მოლაპარაკებად გარდაქმნას. ბევრი საზოგადოება ასეთი სპეციალიზებული დაწესებულებებისა და ინსტიტუტების ნაკლებობას განიცდის. და მაინც, რადგანაც ყველა საზოგადოებაში არის კონფლიქტები, არსებობს მათი დარეგულირების გზებიც, რაღაც დოზით მაინც. ზოგი ანთროპოლოგი ალაპარაკდა კანონის უნივერსალობის შესახებ. ე. ადამსონ ჰოებელმა, მაგალითად, ეს პრინციპი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

„თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი სოციალური კონტროლის სისტემა. მათგან, უღარიბესი უმცირესობის გარდა, ყველას ამ სისტემის ნაწილად არჩეული აქვს ქცევის ნიმუშებისა და ინსტიტუციონალური მექანიზმების ნაკრები, რასაც ჩვენ კანონებს ვუწოდებთ. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, კანონი არის ჩვენი კულტურის ასპექტი. ასპექტი, რომელიც აღნიშნავს ორგანიზებული საზოგადოების ძალას, მიმართულს ინდივიდისა და ჯგუფური ქცევის სამართავად, რათა დასაჯოს აღიარებული ქცევის ნორმებისგან გადახრა.“[54]

ამრიგად, კანონი წარმოადგენს ნებისმიერი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საშუალებას. სულ ერთია, იქნება ის არაფორმალური, როგორც მარტივ საზოგადოებებშია, თუ ფორმალური, როგორც კომპლექსურ ერთობებში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ კონფლიქტები ყოველთვის მშვიდობიანად წყდება. ის ფაქტი, რომ არსე-

მიმდინარე კვლევა და საკითხები

დემოკრატია და ეკონომიკური განვითარება: რატომ და როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული?

ანთროპოლოგების მიერ შესწავლილი საარსებო ეკონომიკა უფრო და უფრო მომგებიანი ხდება, რადგან ხალხის მიერ წარმოებული საქონლის რიცხვი და ბაზრის მომსახურების ხარისხიც იზრდება. ეკონომიკური განვითარებაც უფრო თვალსაჩინო ხდება. განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც დღემდე ვაჭრობის ნაკლებობა შეიმჩნეოდა. ახლა მათი ეკონომიკა უფრო მეტად არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან. რა სახის გავლენა, თუ საერთოდ არსებობს ასეთი რამ, შეიძლება იქონიოს ეკონომიკურმა განვითარებამ პოლიტიკურ მონაწილეობაზე? შეგვიძლია კი შედარებითი კვლევის საფუძველზე მომავლის პროგნოზირებით სპეკულირება?

ეკონომიკურ განვითარებასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის კავშირის დასადგენად ჩატარებული კვლევები ძირითადად კროსკულტურული იყო. ადარებდა სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებს. ზოგი ქვეყანა სხვებზე დემოკრატიულია ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა კონკურენციული არჩევნები, არჩეული მეთაური, არჩეული საკანონმდებლო ორგანო და სამოქალაქო უფლებების დამცავი ფორმაციები. კაპიტალისტურ ქვეყნებში დემოკრატია ძირითადად ასოცირდება ეკონომიკური განვითარების მაღალ დონესთან, რაც ერთ სულ მოსახლეზე გაცემული პროდუქციითა და მსგავსი საზომებით განისაზღვრება. ნაკლებად ინდუსტრიულ ქვეყნებში ნაკლები დემოკრატიაა ეროვნულ დონეზე. რატომ უნდა ასოცირდებოდეს დემოკრატია ძლიერ ეკონომიკურ განვითარებასთან? ყველაზე გავრცელებული აღიარებული აზრია, რომ ეკონომიკური განვითარება ქვეყანაში კლასობრივ თანასწორობას უწყობს ხელს. ხოლო რაც უფრო მაღალია სოციალური თანასწორობის ხარისხი, მაღალია თანასწორობა ინტერესთა ჯგუფებს შორის, მით მეტად საჭირო ხდება პოლიტიკურ პროცესში მასობრივი მონაწილეობა და მით უფრო იზრდება დემოკრატიის ხარისხიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ე.წ. მუშა და საშუალო კლასი უფრო მეტ ჯილდოსა და ძალაუფლებას იგდებს ხელთ და მით მეტად მცირდება ელიტის ძალაუფლება.

რაც შეეხება ანთროპოლოგების მიერ შესწავლილ საზოგადოებებს, რას ვუწოდებთ ჩვენ კულტურათაშორისს ან ეთნოგრაფიულ ჩანაწერს? ჩვენ ვიცით, რომ პოლიტიკაში მონაწილეობის მაღალი დონე შეიძლება ყველაზე მარტივ საზოგადოებებში შეგვხვდეს, მაგალითად, მომპოვებლურ საზოგადოებაში. ასეთ საზოგადოებებში სრულწლოვანები იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და ლიდერობაც არაფორმალურა. ლიდერი ინარჩუნებს თავის ფუნქციას ვიდრე ხალხი აღიარებს მის გავლენას. ერთი ადამიანის ან ჯგუფის ხელში კონცენტრირებული ძალაუფლება და ნაკლები პოლიტიკური მონაწილეობა ძირითადად უფრო სამთავროებსა და სახელმწიფოებს ახასიათებთ, ვიდრე ჯგუფებსა და ტომებს. უფრო იერარქიული სამთავროები და სახელმწიფოები სოფლის მეურნეობაზე არიან დამოკიდებულები, კერძოდ, ინტენსიურ სოფლის მეურნეობაზე. ასე რომ, ურთიერთდამოკიდებულება ეკონომიკურ განვითარებასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის იმის საწინააღმდეგოა, რასაც ჩვენ კროსკულტურული კვლევისას აღმოვაჩენთ. ეს კი ნიშნავდა, ანთროპოლოგების მიერ შესწავლილი საზოგადოებების მონაცემების მიხედვით, რომ რაც უფრო მაღალია ეკონომიკური განვითარება, მით ნაკლებია პოლიტიკური აქტივობა. რატომ ხდება ასე? ჩანს, რომ ეთნოგრაფიულ კვლევებში ეკონომიკურ გავითარებასთან ერთად სოციალური თანასწორობა მცირდება (არაა შესწავლილი ინდუსტრიული საზოგადოებების უმრავლესობა). ამ კვლევის თანახმად, ეკონომიკურად განვითარებული საზოგადოებები ისეთ მახასიათებლებს შეიცავდა, როგორიცაა მიწის გუთნით დამუშავება, სასუქებით გამდიდრება და საირიგაციო სისტემა. ეს შესაძლებელს ხდის მინდვრების დამუშავებასა და მუდმივი დასახლებების არსებობას. ამგვარი ინტენსიური ეკონომიკური საქმიანობა მეტად უწყობს ხელს ქონების დაგროვებას, ვიდრე მონადირე-შემგროვებლობა და მომთაბარეობა. ამგვარად, ეთნოგრაფიული კვლევის თანახმად, ეკონომიკურად უფრო განვითარებულ საზოგადოებებს მეტი სოციალური უთანასწორობა და ნაკლები დემოკრატია ახასიათებს.

აღმოჩენათა ორი ნაირსახეობა – კულტურათა და ეროვნებათაშორისი – არც ისე რთულად შეთავსებადია. სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა, როგორც წესი, დემოკრატიისა და აქტიური პოლიტიკური მონაწილეობის წინააღმდეგ მუშაობს. სოციალური უთანასწორობა იზრდება შემგროვებლური საზოგადოებიდან სასოფლო-სამეურნეოზე გადასვლასთან ერთად და მცირდება პრეინდუსტრიული სასოფლო სამეურნეო საზოგადოებიდან ეკონომიკური განვითარების მაღალ (ინდუსტრიულ) დონეზე გადასვლისას. პოლიტიკური აქტივობა მცირდება პირველ შემთხვევაში და იზრდება მეორეში, რადგან პირველად სოციალური უთანასწორობა იზრდება და შემდეგ მცირდება.

რა შედეგი ექნება მომავალში შედარებით კვლევას? თუ საშუალო და მუშათა კლასი გრძნობს, რომ სამუშაოს შესაბამის ანაზღაურებას არ იღებს, მისი მოთხოვნები გაიზრდება. ელიტას შეიძლება სურდეს ამ მოთხოვნების ასრულება. თუ ასე იქნება, მათი ძალაუფლების შენარჩუნება შესაძლებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ელიტა ყველა გზით არ ეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას, მომავალში მაინც წარმოიშობა უფრო მეტი პოლიტიკური აქტივობა და მეტი დემოკრატია.

ბობენ საზოგადოებები, სადაც ძალადობა ან ძალიან მცირეა ან საერთოდ არ არის, ნიშნავს, რომ შესაძლებელია მათგან კარგი გაკვეთილის სწავლა. ერთი მხრივ, როგორ შეძლო სამხრეთ აფრიკამ, მშვიდობიანი გზით შეეცვალა ევროპელების დომინანტობა? მეორე მხრივ, არსებობდა ბოსნიის ეთნიკურ ჯგუფებს შორის სასტიკი დაპირისპირება და იგი ნეიტრალური მხარის ჩარევას საჭიროებდა.

კონფლიქტის თავიდან აცილება ძალადობის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ მოქიშპე მხარეები ნებაყოფლობით გაერიდებიან ერთმანეთს, ვიდრე ემოციები ჩაცხრება. ანთროპოლოგების დაკვირვების თანახმად, ასეთი ტექნიკის გამოყენების ტენდენცია ყველაზე ხშირად შემგროვებლებს შორის შეიმჩნევა. ხალხი ან სხვა ჯგუფებს უერთდებოდა, ან თავიანთი საცხოვრებლები ბანაკის მეორე ბოლოში გადაჰქონდათ ხოლმე. მომთაბარე ხალხები დიდი კონფლიქტების დროს ხშირად საერთოდ იყოფოდნენ. აშკარაა, რომ თავის აცილების ტექნიკა ისეთ საზოგადოებებში უფრო ადვილი განსახორციელებელია, როგორიცაა ჯგუფობრივი ორგანიზაციები. ასეთი ორგანიზაციები მომთაბარე, ან ნახევრად მომთაბარეა და ადამიანებს დროებითი საცხოვრებელი სახლები აქვთ. თავის არიდების ტექნიკა უფრო მოსახერხებელი და ხელმისაწვდომია, როცა ხალხი დამოუკიდებლად ცხოვრობს (მაგალითად, გარეუბნებში).[56] მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ასეთ საზოგადოებაში შექმნილი პირობები თავის არიდებას უფრო ადვილს ხდის, მაინც საჭიროა, გავარკვიოთ კონფლიქტის გადაწყვეტისას ხალხი თავის არიდების ტექნიკას რატომ ამჯობინებსს კონფრონტაციას (დაპირისპირებას).

თემის ერთობლივი ქმედება საზოგადოებებმა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის განსხვავებული გზები აღმოაჩინეს. ერთ-ერთი ასეთი გზა გულისხმობს პროცესში ჯგუფების ან მთლიანად თემის ჩარევას. კოლექტიური მოქმედება ხშირია საზოგადოებში, სადაც არ არსებობს ავტორიტეტული ლიდერი.[57] ბევრი ინუიტური საზოგადოება უთანხმოებებს ხშირად წყვეტს ერთობლივი ქმედებით. ადგილობრივ ჯგუფებში ნათესაური კავშირები განსაკუთრებით ხაზგასმული არაა და ხშირ შემთხვევებში ოჯახი ავტონომიურ ერთეულად მიიჩნევა. მათ სჯერათ, რომ სულებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა რაიმეთი უკმაყოფილოები არიან, შეუძლიათ ადამიანის ბედი გადაწყვიტონ. საბოლოოდ, ადამიანები ასრულებენ თავიანთ ყოველდღიურ დავალებებს ტაბუების რთული სისტემის ფარგლებში. ეს სისტემა იმდენად ფართოა, რომ ინუიტები, ყოველ შემთხვევაში წარსულში მაინც, არ საჭიროებდნენ ფორმალურად ჩამოყალიბებულ კანონებს.

ამის მიუხედავად, კონფლიქტები მაინც წარმოიშობა და ისინი გადაჭრას მაინც საჭიროებენ. ამრიგად, პრინციპები უთანხმოების გადაწყვეტისას თემის გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს. თუ ინდივიდი არ მისდევს თემის წეს-ჩვეულებებს და არ იცავს ქცევის ნორმებს, ის დაუყოვნებლივ მოკვეთილია თემიდან, რათა გამოირიცხოს მიმბაძველობის საშიშროება. ადამიანს, რომელიც ნებაყოფლობით არ უნაწილებს საქონელს სხვებს, ის ძალით ჩამოერთმევა და გადანაწილდება მოსახლეობაში. ამ პროცესში ურჩი წევრი შეიძლება განიდევნოს კიდეც. ერთჯერადი მკვლელობა, შურისძიების მოტივით ჩადენილი (ცოლის გატაცება ან მოსისხლე მტრობა), თემს დიდად არ აწუხებს, მაგრამ განმეორებადი მკვლელობები უკვე განგაშის მიზეზია. ფრანც ბოსმა ტიპური მაგალითი მოიყვანა:

,,ერთ-ერთ ადგილობრივ სოფელში, პადლიში ცხოვრობდა კაცი, სახელად პადლუ. მან დაარწმუნა კუმბერლანდ სოუნდის მკვიდრი ქალი, მიეტოვებინა ქმარი და მას გაჰყოლოდა. მიტოვებულმა ქმარმა შურისძიება განიზრახა. ის ესტუმრა ნათესავებს პადლიში, მაგრამ ვიდრე საწადელს აისრულებდა, პადლუმ თავად მოკლა იგი. შემდეგ პადლიში მოკლულის ძმა ჩავიდა სისხლის ასაღებად, მაგრამ პადლიმ ისიც გამოასალმა სიცოცხლეს. მესამე კამბერლენდ საუნდის მცხოვრებიც, რომელიც შურის საძიებლად ჩავიდა, მოკლა პადლუმ.

ამ მკვლელობების გამო, ადგილობრივებს უნდოდათ პადლუს თავიდან მოშორება, მაგრამ ვერავინ ბედავდა მასზე თავდასხმას. როცა აკუდმურმუიტის პიმიანმა (წინამძღვარმა) ამის შესახებ გაიგო, ის სამხრეთით დაიძრა და ყველა პადლის მცხოვრებს ეკითხებოდა, უნდა მოეკლათ თუ არა პადლუ. ყველა თანახმა იყო. ამიტომ ის პადლუსთან ერთად ირემზე სანადიროდ წავიდა და ზურგში ესროლა მას.“[58]

ადამიანის მოკვლა ყველაზე უკიდურესია, რა ზომაც შეიძლება თემმა მიიღოს ინდივიდის წინააღმდეგ, ჩვენ ამას უზენაეს სასჯელს ვუწოდებთ. მთლიანად თემი მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, რომელიმე პოლიტიკური მოხელე, თუ სასმართლო, ფაქტი ერთია, რომ უზენაესი სასჯელი არსებობს ყველა სახის საზოგადოებაში, ყველაზე უმარტივესით დაწყებული, ყველაზე კომპლექსურით დამთავრებული.[59] მიჩნეულია, რომ უზენაესი სასჯელი აკავებს დანაშაულს. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ამგვარი სასჯელის გაუქმება გამოიწვევდა მკვლელობების მატებას. მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება. კროს-კულტურულმა კვლევამ დაადგინა, რომ პირიქით, უზენაესი სასჯელის გაუქმებას მკვლელობების რიცხვის შემცირება მოსდევს.[60]

მოლაპარაკება და შუამავლობა კონფლიქტის დროს მხარეები ხშირად **მოლაპარაკებების** შედეგად თანხმდებიან. არ არის აუცილებელი, არსებობდეს ამის გაკეთების სპეციალური წესები, ნებისმიერი ,,კარგია“, თუ ის მშვიდობას აღადგენს.[61] ხანდხან გარეშე ან მესამე მხარე არის ჩართული უთანხმოების გადაწყვეტაში. როცა გარეშე მხარე ცდილობს, მოქიშპეებს შორის შეთანხმება მიიღწეს, ჩვენ ამას **შუამავლობას** ვუწოდებთ. როგორც მოლაპარაკება, ისე შუამავლობა ძირითადად ეგალიტარულ საზოგადოებებში გვხვდება. იქ, სადაც აუცილებელია ხალხი ერთმანეთს უგებდეს.[62]

აღმოსავლეთ აფრიკის ნუერთა, მწყემს და მიწათმოქმედ ხალხებს შორის უთანხმოებები წყდება არაფორმალური შუამავლის ,,ლეოპარდისტყაოსანი მეთაურის“ დახმარებით. ეს ადამიანი არ არის პოლიტიკური მეთაური, არამედ შუამავალია. მისი წოდება მემკვიდრეობითია, რელიგიური მოტივები აქვს და ოლქის სოციალური კეთილდღეობა აკისრია. ისეთი დანაშაულებები, როგორიცაა საქონლის მოპარვა, იშვიათად აღწევს „ლეოპარდისტყაოსანი მეთაურის“ ყურამდე. მხარეები ამ საქმის მოგვარებას პირადად არჩევენ ხოლმე. მაგრამ მკვლელობის შემთხვევაში, დამნაშავე პირდაპირ „ლეოპარდისტყავიანი მეთაურის“ სახლში წარიგზავნება. წამსვე ლეოპარდისტყაოსანი მას მკლავს აჭრის. მოკვეთის შესრულებამდე, დამნაშავეს არც სასმელის და არც საკვების მიღების უფლება არ აქვს. თუ დამნაშავეს მოკლულის ოჯახის წევრების შურისძიების ეშინია, მას შეუძლია დარჩეს „ლეოპარდისტყაოსანი მეთაურის“ სახლში, რომელიც მისთვის თავშესაფრის ფუნქციას შეასრულებს. მომდევნო კვირების განმავლობაში „ლეოპარდისტყავიანი მეთაური“ ცდილობს, იშუამდგომლოს დანაშაულის მხარეებს შორის.

მკვლელის ნათესავებიდან მეთაური იღებს თანხმობას, რომ ისინი გადაიხდიან კომპენსაციას მომავალი შუღლის თავიდან ასაცილებლად. ხოლო მოკლულის ოჯახი უნდა დაითანხმონ, მიიღონ ეს კომპენსაცია, ძირითადად საქონლის სახით. ამ პერიოდის განმავლობაში არც ერთი მხარის წარმომადგენელს არ აქვს უფლება, დალიოს ან შეჭამოს მეორე მხარის ჭურჭლიდან ან მის სახლში მივიდეს. მეთაური შემდეგ აგროვებს საქონელს, ძირითადად 40-50-მდე ცხოველს და მიჰყავს ისინი მოკლულის სახლში, სადაც ის ასრულებს განწმენდისა და მსხვერპლშეწირვის რიტუალებს.[63]

ამ პერიოდის განმავლობაში მეთაური შუამავლის

ანთროპოლოგიური ორიგინალები

ჩრდილოეთ ამერიკის ეროკეზები

პოლიტიკური გაერთიანება შეიძლება ომის შემცირების წინაპირობა გახდეს. თუ ეროკეზების კონფედერაციის მაგალითით ვიმსჯელებთ, შეიძლება ხალხმა ფორმალურად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების კონფედერაცია განიზრახოს, თუ ომის გაუქმება უნდა.

ეროკეზების კონფედერაციის გამოცხადების ზუსტი თარიღი, ალბათ, ყოველთვის საეჭვო იქნება. ჩანს, ის ევროპელებთან მათ პირველ კონტაქტს დაახლოებით საუკუნე-ნახევრით უსწრებდა. კონფედერაციის დაარსების საგულდაგულოდ შემუშავებული ზეპირი ტრადიცია მთელ რიგ სხვადასხვა ვარიაციას მოიცავს. აქ წარმოდგენილია მხოლოდ არსებული ისტორიის შიშველი ძვლები.

დეგანავიდა დაიბადა ონტარიოს ტბის კანადურ ნაწილში, კინტეს სანაპიროზე. ის ამ ამ ტბის სამხრეთით მოსახლე ხალხების გაუთავებელ სისხლისმღვრელ ომებზე ისმენდა ამბებს და გადაწყვიტა, მათთვის მშვიდობა მოეტანა. მოჰავკთა ქვეყანაში მან მძვინვარე კანიბალი, ჰაიავათა, მშვიდობის მიზეზად მოაქცია. (ვინც იცნობს ლონგფელოს ეპოსს, შეიძლება დაინტერესოს იმ ფაქტმა, რომ ინგლისელმა პოეტმა ეროკეზი ჰაიავათას სახელი ისესხა და იგი თავის ნაწარმოების გმირის, ოჯიბვას, ტომელი ნანაბუშის სახელად გამოიყენა. თუმცა ამ ორს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს.) ამ ისტორიის ზოგი ნაირსახეობის თანახმად, დეგენავიდას მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, რის გამოც, ჰაიავათა საბჭოებზე მისი სახელით გამოდიოდა სიტყვით. მოჰავკელები, ონეიდელები, კაიუგელები და სენეკელი, ყველა დათანხმდა, შეერთებოდა ,,დიდი მშვიდობის" მოძრაობას, ყველა, ონონგადას ტომის გარდა. მათი ბელადი საშინელი ჯადოქარი თადოდაჰო იყო. მას სხეულზე შვიდი კაუჭი ჰქონდა და თმაში გველები ეხლართებოდა. ონონგადელები დაითანხმეს, შეერთებოდნენ კონფედერაციას იმ პირობით, რომ თადოდაჰო აღიარებული იქნებოდა კონფედერაციის პირველ მეთაურად (თუმცა ის მაინც სხვების თანასწორი იყო), რომ ონონგადას საბჭოებზე ექნებოდა სხვა ერებთან შედარებით მეტი უფლება, რომ ონონგადელები იქნებოდნენ ,,ცეცხლის შემნახველები", საბჭოები ყოველთვის ონონგადას ტერიტორიაზე გაიმართებოდა და ვამპუმის შემნახველიც ონონგადელი მეთაური იქნებოდა (ვამპუმი არის წმინდა ქამარი).

,,დიდი მშვიდობა" გამოცხადდა დეგენავადას მიერ პირველ საბჭოზე, რომელსაც ორმოცდაათი მეთაური ესწრებოდა. საბჭოზე ორმოცდაათი ადგილია და პრეტენდენტი ,,ირმის რქის" (მეთაურის ტიტულის აღსანიშნავი მეტაფორა) ტიტულზე მისი წინამორბედის ადგილს იკავებს. ამგვარად, ორმოცდაათი პირველდამაარსებლის სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა. კონფედერაციის ეს მეთურები მკაცრ სამოქალაქო პოზიციას იჭერდნენ: მათ არ ჰქონდათ ომში მონაწილეობის უფლება.

როლს ასრულებს. მას არ აქვს უფლება, აიძულოს რომელიმე მხარე, მოლაპარაკებას დათანხმდეს. მაგრამ მას შეუძლია ისარგებლოს იმით, რომ ორივე მხარე ერთი თემის წევრია და ორივე მოწადინებულია, მოსისხლე მტრობა აიცილოს თავიდან.

რიტუალური შერიგება – მობოდიშება რიტუალური მობოდიშების ფაქტს ჰარმონიული ურთიერთობის აღდგენის სურვილიც ხსნის. დამნაშავე მხარე სინანულს გამოხატავს და ითხოვს პატიებას. ასეთი ცერემონიები ძირითადად ახალ სამთავროებში გვხდება ხოლმე.[64] სამხრეთ წყნარი ოკეანის კუნძულებზე, ფიჯიელებს შორის სრული ეთნიკური ჰარმონია და ორმხრივი თანამშრომლობა სუფევს. როცა ვინმე უფრო მაღალი სტატუსის პიროვნებას მიაყენებს შეურაცხყოფას, შეურაცხყოფილი ადამიანი და დანარჩენი სოფლელები თავს არიდებენ დამნაშავეს და მასზე ჭორაობას. თუ დამნაშავისთვის სოფლის აზრს აქვს რაიმე მნიშვნელობა, ის ბოდიშის მოხდის ცერემონიას შეასრულებს, რასაც ი სორო ეწოდება. სოროს ერთ-ერთი მნიშვნელობა ,,მორჩილებაა". ცერემონიის დროს შეურაცხმყოფელი თავდახრილია და ხმას არ იღებს, სანამ შუამავალი საუბრობს. შემდეგ ის საჩუქარს უძღვნის და პატიებას სთხოვს შეურაცხყოფილს. ამ თხოვნაზე უარს იშვიათად ამბობენ ხოლმე.65

ფიცი და მკაცრი გამოცდები მშვიდობიანი მოლაპარაკების მიღწევის კიდევ ერთი გზაა ფიცი და მკაცრი გამოცდები. ორივე მათგანი მოითხოვს ზებუნებრივი ძალების ჩარევას. **ფიცი** არის ღვთაების მოწმედ მოხმობის აქტი, იმის დასამტკიცებლად, რომ ნათქვამი სიმართლეა. **გამოცდა** არის დანაშაულისა და უდანაშაულობის განსაზღვრის საშუალება. ამ დროს ბრალდებულს მტკივნეული და სახიფათო გამოცდა უტარდება. მიჩნეულია, რომ ასეთ შემთხვევებში, მას ზებუნებრივი ძალები აკონტროლებენ.[66]

ფიცი სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია. რვალას ბედუინები, მაგალითად, შემდეგნაირად იქცევიან:

სერიოზული უთანხმოების დროს მოსამართლე ითხოვს მსაბას ფიცს. ფიცის დროს მიწაზე ხმლით შვიდი ხაზი ივლება. ჯერ მოსამართლე ხმლით ხატავს წრეს და ავლებს მასში დიამეტრს, შემდეგ ის იკვეთება ხუთი ვერტიკალური ხაზით და მოსამართლე იწვევს მოწმეს შიგნით შესაბიჯებლად. მოწმე პირით სამხრეთისკენ დგას და წარმოთქვამს შემდეგნაირ ფიცს: ,,ყალბი ფიცი შთამომავლობის გამანადგურებელია. ხოლო ის, ვინც ტყუილზე იფიცებს, საკუთარ მოგებაზე ფიქრობს და არ ეშინია ღმერთის."[67]

ფიცი დამთავრებული არაა, რომ მოწმე ხტება წრიდან და გამძვინვარებული მირბის მოწინააღმდეგისკენ, რომელმაც მას დაფიცება აიძულა. ხალხმა გამძვინვარებული მოწმე უნდა დააკავოს, ვიდრე ის არ დამშვიდდება.

გამოცდის ყველაზე გავრცელებული სახეობა, რომელიც თითქმის ყველა საზოგადოებაში გვხვდება, არის დაწვა. მადაგასკარის ტამალას ტომში დადანაშაულებულმა პიროვნებამ, რომელსაც ჯერ კარგად უსინჯავენ ხელს, დამცავი საშუალებები თუ აქვს ნასმული, ხელი უნდა ჩაუშვას მდულარე წყლით სავსე ქვაბში და იქ ჩაგდებული ქვა ამოიღოს. შემდეგ ის ხელს ცივ წყალს უშვერს, იხვევს და ღამეს მცველების მეთვალყურეობის ქვეშ ატარებს. მეორე დღეს მის ხელს სახვევებს ხსნიან და თუ მასზე ბებერები და დამწვრობა არის, მაშინ ის დამნაშავე.

ფიცი და გამოცდა დასავლეთის საზოგადოებებშიც გამოიყენებოდა ხოლმე. ორივე მათგანს შევხვდებოდით შუა საუკუნეების ევროპაში. დღესაც შესაძლებელია ფიცის შემორჩენილი ნიშნების აღმოჩენა. ბავშვები ახლაც ამბობენ, — ,,ხვალინდელი დღე არ გამითენდეს თუ....." ხოლო სასამართლოებში მოწმეები ვალდებულები არიან, ფიცი წარმოთქვან.

რატომ იყენებენ საზოგადოებები ფიცსა და გამოცდას? ჯონ რობერტის აზრით, ასეთი ტენდენციები გვხვდება საკმაოდ რთულ საზოგადოებებში, სადაც პოლიტიკურ მოხელეებს არ ძალუძთ, მიიღონ სასამართლო გადაწყვეტილებები. ასეთ შემთხვევებში მოხელეები იყენებენ ფიცსა და გამოცდებს, რათა დანაშაულისა და უდანაშაულობის გადაწყვეტა ღმერთებს მიანდონ. როცა პოლიტიკური მოხელეები მეტ ძალაუფლებასა და გავლენას აღწევენ, ფიცი და გამოცდაც თანდათან ქრება.[68] ამისგან განსხვავებით, მცირე და მარტივი საზოგადოებები არ საჭიროებენ საგულდაგულოდ შემუშავებულ მექანიზმებს, როგორიცაა სასამართლო, ფიცი ან გამოცდა. ასეთ საზოგადოებებში ყველამ იცის, რა დანაშაული მოხდა და ვინ ჩაიდინა ის.

გასამართლება, სასამართლო და კოდიფიცირებული კანონი ჩვენ **გასამართლებას** ვუწოდებთ პროცესს, როდესაც მესამე მხარე — მოსამართლე — იღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც მოქიშპე მხარეები უნდა დაეთანხმონ. გასამათლება შეიძლება მოახდინოს ერთმა მოსამართლემ, ნაფიცმა მსაჯულებმა ან პოლიტიკურმა პირმა, ან პირებმა (მეთაურმა, საბჭომ და ა.შ). სასამართლოები ხშირად ღიაა დამსწრეთათვის, მაგრამ არაა აუცილებელი, ასე იყოს. სასამართლო და მოსამართლეები შეიძლება კოდიფიცირებული კანონის თანახმად მოქმედებდნენ სასჯელის გამოცხადებისას, მაგრამ არ არის საჭირო გადაწყვეტილების მიღებისას კოდიფიცირებული კანონებით ხელმძღვანელობდე. ჩვენი საზოგადოება ეყრდნობა კოდიფიცირებულ კანონებს და სასამართლოებიც ასე იქცევიან საქმის მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად. მაგრამ ხშირად, თუ ყოველთვის არა, სასამართლოები იყენებენ პრეცედენტს. პრეცედენტი, ესაა მსგავსი წინამორბედი საქმისას მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. დასავლეთის საზოგადოებებში კოდიფიცირებული კანონები არაა შეზღუდული. XVII-XX საუკუნემდე დასავლეთ აფრიკის აშანტის ხალხებს ჰქონდათ შემუშავებული რთული პოლიტიკური სისტემა კანონიერი მოლაპარაკებებით. აშანტის სახელმწიფო იყო სამხედრო იმპერია თავისი საკანონმდებლო კოდექსით.[69]

აშანტის კანონებისთვის ძირის გამომთხრელი აღმოჩნდა წინაპრებისა და უფროსების სურვილებისადმი ღრმა, ლამის რელიგიური პატივისცემა. აშანტის კანონები ეფუძნებოდა ე.წ. ბუნებრივი კანონის პრინციპებს. ამ კანონის თანახმად, არსებობს უნივერსალური წესრიგი, რომლის პრინციპებსაც უნდა მიჰყვებოდნენ კანონმდებლები კანონების შექმნისას. კრიმინალური და რელიგიური კანონები აშანტელების ტრადიციებს ვერ შეუთავსდა. დანაშაულებები, განსკუთრებით მკვლელობები, მეთაურის დაწყევლა, სიმხდალე და ჯადოქრობა წინაპრების სულების წინაშე ჩადენილ ცოდვად ითვლებოდა. აშანტის სასამართლოებზე უფროსი თაობის წარმომადგენლები სინჯავდნენ როგორც მოწმეებს, ისე ორივე მხარის წარმომადგენლებს. ადვოკატების მსგავსი პირებიც არსებობდნენ და განაჩენის გასაჩივრებაც პირდაპირ მეთაურთან შეიძლებოდა. არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა შემამსუბუქებელი იყო ყველა დანაშაულისთვის, გარდა მკვლელობისა და მეთაურის დაწყევლისა. თუ დადგინდებოდა, რომ დამნაშავე შეურაცხადი იყო, მას ყველა დანაშაული ეხსნებოდა.

აშანტელებს ზოგჯერ სასტიკად სჯიდნენ. ფიზიკური დასახიჩრება, როგორიცაა ცხვირის ან ყურის მოჭრა, სექსუალური დანაშაულის ჩადენისას კასტრაციაც კი, ხშირი იყო. არსებობდა ჯარიმებიც. სასიკვდილო განაჩენი ხშირად იცვლებოდა გაძევებით ან საქონლის ჩამორთმევით.

რატომ აქვს ზოგ საზოგადოებას კოდიფიცირებული სისტემა, ზოგს კი არა? ამის ერთი ახსნა ე. ადამსონ ჰოებელმა, ა. რ. რედკლიფ-ბრაუნმა და სხვებმა წარმოადგინეს. რომლის მიხედვით, მცირე, მჭიდროდ გადაჯაჭვულ საზოგადოებებში არ არსებობს ფორმალური კანონიერი წყობის საჭიროება, რადგან დაპირისპირებული ინტერესები მინიმალურია. აქედან გამომდინარე, მცირე საზოგადოებებს ნაკლები კოდიფიცირება სჭირდებათ. იქ საგრძნობლად ცოტა დაპირისპირების მიზეზი არსებობს და ჯგუფის ზოგადი ნება უმრავლესობისთვის ცნობილი და მისაღებია.

ამავე თვალსაზრისს ემხრობა რიჩარდ შვარცის კვლევა, რომელიც ორი ებრაული დასახლების მაგალითზე განზოგადდა. ერთ მათგანში ახალგაზრდა კაცმა მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია, როცა საჩუქრად ელექტრონული ჩაიდანი მიიღო. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ახალგაზრდამ დაარღვია წესი, რომლის თანახმადაც, ადამიანებს პირადი კუთვნილების ნივთების ქონა ეკრძალებოდათ. ამიტომ, ახალგაზრდამ ჩაიდანი კომუნალურ ღაზარეთს გადასცა. შვარცის დაკვირვებით, ახლაგაზრდას არავითარი სასჯელი არ ემუქრებოდა, მაგრამ თუ ის კომუნის სურვილს არ გაითვალიწინებდა, მის ცხოვრებას აუტანელს გახდიდნენ საზოგადოებრივი აზრის ანტაგონიზმის მეშვეობით.[70]

ამ კომუნაში, სადაც ხალხი ერთად ჭამდა და ერთად მუშაობდა, წესების დამრღვევი ვერ გაექცეოდა საზოგადოებრივ გაკიცხვას. საზოგადოებრივი აზრი ამრიგად კარგი სანქციაა აღმოჩნდა.

მეორე ებრაულ კომუნაში, სადაც ინდივიდები ერთმანეთისაგან მოშორებით ცხოვრობდნენ, ინდივიდუალურად ჭამდნენ და შრომობდნენ, საზოგადოებრივი აზრი ასე ეფექტურად არ მუშაობდა. კომუნის წევრები არათუ გვიან იგებდნენ პრობლემების შესახებ, არამედ მათ ამასთან დაკავშირებით აზრიც გვიან უყალიბდებოდათ. მათ ჰყავდათ კანონდამცავები, რომლებიც ამგვარ საკითხებს აგვარებდნენ.

დიდ, სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში უფრო ხშირია უთანხმოებები, რაც საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი. ინდივიდების კეთილდღეობა სტრატიფიცირებულ საზოგადოებაში ნაკლებადაა დამოკიდებული სხვა წევრებზე და შესაბამისად ადამიანებს ნაკლებად ადარდებთ სხვების აზრი. ასეთ საზოგადოებებში ყალიბდება კოდიფიცირებული კანონები და იქმნება უთანხმოების მომგავარებელი ინსტიტუტები. ალბათ იმ მიზნით, რომ დაპირისპირება მიუკერძოებლად გადაიჭრას და საზოგადოებრივი წერიგიც აღდგეს.

იმის კარგი მაგალითი, როგორ განვითარდა ფორმალური კანონები, არის ამერიკის შეერთებული შტატები „ოქროს ციებ-ცხელების“ დროს. ამერიკის ეს ტერიტორია ბოლომდე უცხოელებს ეკავათ. ადგილობრივი მოქალაქეები არ ფლობდნენ კონტროლის არანაირ საშუალებას მათ ტერიტორიაზე შეჭრილ ხალხზე, ისინი ეძებდნენ მათთან გამკლავების გზებს. პირველი გამოსავალი იყო უცხოელი პროფესიონალი მკვლელების დაქირავება, რომლებიც მშვიდობის ოფიცრების ან შერიფების როლს ასრულებდნენ. თუმცა ეს სტრატეგია ძირითადად არ ამართლებდა. საბოლოოდ, მოქალაქეებმა წარმატებას მიაღწიეს, როდესაც ფედერალურმა მთავრობამ იქ მარშლები გაგზავნა ფედერალური ძალაუფლებით.

არსებობს თუ არა იმის დამამტკიცებელი სამხილი, რომ კოდიფიცირებული კანონები მხოლოდ დიდ, კომპლექსურ საზოგადოებებში გვხვდება? მსოფლიო საზოგადოებების მაგალითების მონაცემები ცხადყოფს, რომ კოდიფიცირებული კანონები ასოცირდება პოლიტიკურ ინტეგრაციასთან. მაგალითად, მკვლელობის საკითხები არაფორმალურად მხოლოდ იმ საზოგადოებებში განიხილება, სადაც პოლიტიკური ორგანიზაციის დონე დაბალია. მულტილოკალური პოლიტიკური ერთეულების მქონე საზოგადოებებში მკვლელობის საკითხებს სასამართლოები განიხილავენ წინასწარგანსაზღვრული კანონების საფუძველზე.[71] არსებობს იმის კროსკულტურული სამხილიც, რომ ისეთი ფორმალური ავტორიტეტების (მეთაურების, სასამართლოების) არსებობის პირობებში, რომლებსაც მკვლელების დასჯა შეუძლიათ, ძალადობა მცირდება.[72] ზოგადად, გასამართლება და გარეშე ავტორიტეტების

სქესის ახალი პერსპექტივები

პაპუა ახალ გვინეაში ახალი სასამართლოები ქალებს პროტესტის გამოთქმის უფლებას აძლევენ

ახალი გვინეის საზოგადოებების უმრავლესობაში, ქალებს უთანხმოებების მოგვარების პროცესში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ. ისინი ვერც კაცების წინააღმდეგ გამოვიდოდნენ, მაგრამ როდესაც სოფელში სასამართლოები გაჩნდა, ქალებმა იქ სიარული დაიწყეს, რათა ბოლო მოეღოთ დამცირებისთვის.

კოლონიალიზმის პერიოში შემოღებული დასავლური სტილის სასამართლოები დასავლურ კანონებს მიჰყვებოდა, თავდაპირველად ავსტრალიურ და ბრიტანულ ჩვეულებით სასამართლოს და არა ადგილობრივ კანონებს. პაპუა ახალი გვინეას დამოუკიდებლობის შემდეგაც ეს სასამართლოები ხელუხლებელი დარჩა. ამათგან ყველაზე დაბალი, ადგილობრივი სასამართლოები, ქალაქების ცენტრში მდებარეობდა, ხშირად სოფლებიდან შორს. ასე რომ, სოფლელების საქმეები აქ იშვიათად გაირჩეოდა. 1973 წელს კი შეიქმნა ახალი სახის სოფლის სასამართლოები. ისინი შექმნილი იყო სოფლის მცხოვრებლების უთანხმოებების მოსაგვარებლად და იყენებდნენ ადგილობრივი ჩვეულებებისა და დასავლური კანონების ნაზავს. ადგილობრივი სასამართლოებისგან განსხვავებით, სოფლის სასამართლოების მოსამართლეები არ იყვნენ უცხოები, არამედ შეირჩეოდნენ ტრადიციული ადგილობრივი ლიდერებისგან, რომლებიც სოფელს კარგად იცნობდნენ.

როდესაც რიჩარდ სკალგონი შეისწავლიდა ცვლილებებს სასამართლოებში 1977-1987 წლების განმავლობაში აბელამის ტომში, მან აღმოაჩინა, რომ ქალები ასეთ სასამართლოებს გაცილებით უფრო ხშირად მიმართავდნენ. 1977 წელს მომჩივანთა უმრავლესობა მამაკაცი იყო, ხოლო 1987 წელს – ქალი. პაპუა ახალი გვინეის რეგიონების სასმართლო საქმეების უფრო ფართო შესწავლისას სკალგონმა და როუზ უაითინგემმა აღმოაჩინეს, რომ საქმეების ურავლესობაში, სადაც მომჩივნები ქალები იყვნენ, სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული ბრალდებები იყო (ეჭვიანობა, გაუპატიურება, სისხლის აღრევა). ახალი გვინეის სოფლებში წარმოშობილი უთანხმოებები ძირითადად ადგილზე წყდება, ან „დიდი კაცის“ ჩარევით. სასამართლოებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ ხოლმე. სერიოზული სექსუალური ძალადობა უფრო სასამართლოს მეშვეობით ისჯება, ვიდრე არაფორმალურად. როგორც ჩანს, ქალებს არ სჯერათ, რომ დამაკმაყოფილებელ შედეგს მიაღწევენ არაფორმალური გზებით. ამიტომ ისინი მიდიან სოფლის სასამართლოებში, სადაც საქმეებში 60% ბრალდებულების დასჯის განაჩენს აღწევენ.

გარედან შემოსული კულტურული ცვლილებები ხშირად ადგილობრივი კულტურაზე მოქმედებს. მაგრამ პაპუა ახალი გვინეას ქალებმა, პირიქით, სარგებელი ნახეს სოფლის სასამართლო სისტემიდან, კერძოდ, მამაკაცების წინააღმდეგ პროტესტის თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობით. უთანხმოებათა გადაწყვეტის ტრადიციულ სისტემაში მამაკაცები დომინირებდნენ (ქალს არ შეეძლო მომჩივანი ყოფილიყო) და საქმის ახალ სასამართლოში მიტანის უფლებამ ქალებს მისცა მამაკაცებთან გათანაბრების გარკვეული შესაძლებლობა.

მრავალ საზოგადოებაში მიღებულია გასამართლება დებატების გადასაჭრელად, ისევე, როგორც აქ, პაპუა ახალ გვინეაში.

მიერ დადგენილი კანონები იერარქიულ საზოგადოებებში გვხვდება, სადაც არის სოციალური კლასები და ცენტრალიზებული ხელისუფლება.[73]

კონფლიქტის ძალადობრივი გადაჭრა

ხალხი მიმართავს ძალადობას, როცა კონფლიქტის გადაჭრის ეფექტური ალტერნატიული ხერხები არ არსებობს. ზოგი მეცნიერი ინდივიდებს შორის ძალადობას გარკვეულ სიტუაციებში მისაღებად მიიჩნევს, ხოლო ზოგი ასე არ თვლის და ამას **დანაშაულს** ვუწოდებთ. როცა ძალადობა ჩნდება პოლიტიკურ ერთეულებს შორის, როგორიცაა ერთობები, ოლქები ან ერები, ჩვენ ამას **ომს** ვეძახით. ომის ტიპები იცვლება დროთა განმავლობაში, საზოგადოების განვითარებასთან ერთად. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ საგვარეულო მტრობა, თავდასხმა და ფართომასშტაბიანი კონფრონტაცია.

ზოგი მკვლევარი ძალადობის მახასიათებლებზე მსჯელობს. მაგრამ არის თუ არა ზოგი საზოგადოება სხვებზე მეტად მოძალადეს? პასუხი დადებითი ჩანს. ხშირად საზოგადოებებში, სადაც მრავალი სახის ძალადობა არსებობს. იქ, სადაც უფრო ხშირია ომები, არსებობს უფრო ,,ომისეული“ სპორტის სახეობები, სასტიკი მაგია, საგვარეულო მტრობა და ოჯახური ძალადობა. რით შეიძლება აიხსნას ამგვარი ტენდენცია? ერთი მოსაზრების თანახმად, თუ ომი ხშირია, საზოგადოებაში ბიჭების აგრესიულობას აღვივებენ, რათა ისინი ძლიერ და ეფექტურ მეომრებად გაიზარდონ. მაგრამ აგრესიის ეს სოციალიზაცია შეიძლება ცხოვრების სხვა ასპექტებშიც გავრცელდეს. დანაშაულებების მაღალი მაჩვენებელი და სხვა სახის ძალადობა შეიძლება იყოს აგრესიის წახალისების შედეგი.[74]

ინდივიდუალური ძალადობა ერთი შეხედვით შეიძლება პარადოქსად მოგვეჩვენოს, თუმცა ძალადობა ხშირად საზოგადოების კონტროლირებისათვის გამოიყენება. მიჩნეულია, რომ ხანდახან საჭიროა, მშობლებმა სცემონ ურჩი შვილები. ეს არ ითვლება დანაშაულებრივ ქმედებად ან შეურაცხყოფად, ეს დასჯაა (იხ. თავში გლობალური სოციალური პრობლემები, განხილვა ოჯახურ ძალადობაზე). მსგავსი შეხედულება შეიძლება გაჩნდეს უფროსების ურთიერთობაზეც. თუ პიროვნება არღვევს შენი საკუთრების ფარგლებს, ან ზიანს მიაყენებს შენი ოჯახის წევრს, ზოგ საზოგადოებაში დამრღვევის მოკვლა ან დამახინჯება სამართლიანად ითვლება. არის ეს საგოზადოებრივი წესრიგი, თუ მისი არარსებობა? საზოგადოებების უმრავლესობას აქვს შემუშავებული სპეციალური ნორმები, თუ როდის არის ასეთი სასჯელი მისაღები და როდის არა. ასე რომ, საზოგადოებაში მიღებული კანონები ახდენენ გავლენას როგორც დამნაშავაზე, ისე ბრალმდებელზე. მაგალითად, თვითდახმარების სისტემა ეგალიტარული საზოგადოებებისთვის არის დამახასითებელი.[75] რით განსხვავდება ეს ,,ერთიანი მოქმედებისგან“, რომელიც ზევით კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის გზად დავასახელეთ? პასუხი ასეთია: ერთობლივი ქმედება ეფუძნება კონსენსუსის მიღწევას, იგი იწვევს კონკრეტული კონფლიქტის ამოწურვას. ინდივიდუალური ქმედება ან თვითდახმარება, განსაკუთრებით თუ ის ძალადობას გულისხმობს, კი — არა.

საგვარეულო მტრობა საგვარეულო მტრობა არის იმის მაგალითი, თუ როგორ არ გაამართლა კონფლიქტის მოგვარებისას თვითდახმარებამ. **საგვარეულო მრტობა** არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ოჯახები ან ნათესაური ჯგუფები ერთმანეთს უპირისპირდებიან. ხშირად ეს მოტივირებულია შურისძიების სურვილით, იქნება ეს შეურაცხყოფა, ფიზიკური ზიანი, წართმევა თუ სიკვდილი. საგვარეულო მტრობის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ შურისძიების პასუხისმგებლობა ნათესაური კავშირის ყველა წარმომადგენელს ეკისრება. შურისძიებისას შეურაცხმყოფელის ჯგუფის ნებისმიერი წევრის მოკვლა დასაშვებია. ნიკოლას გუბსერი აღწერდა ნუნამიუტების ინუიტების თემში არსებულ საგვარეულო მტრობას, რაც ქმრის მიერ ცოლის საყვარლის მოკვლამ გამოიწვია და ათწლეულების მანძილზე გრძელდებოდა. ნუნამიუტები საგვარეულო მტრობას სერიოზულად უდგებიან, ისევე, როგორც სხვა ბევრი საზოგადოება. განსაკუთებით მაშინ, როცა საქმე მკვლელობას ეხებ. გუბსერი აღწერს, თუ რა ხდება ადამინის მკვლელობის შემთხვევაში:

,,მისი სანათესაოს ახლობელი წევრები ვერ მოისვენებენ, სანამ სათანადოდ არ იძიებენ შურს. განსვენებულის უახლოესი ნათესავები ერთმანეთს ეხმარებიან. მათი პირველი ქმედება, თუ შესაძლებელია, არის მკვლელის ან მისი ოჯახის წევრის მოკვლა. მაშინ, რა თქმა უნდა, საგვარეულო მტრობაში ერთვებიან მკვლელის ნათესავებიც. ასე მხარეები წლების განმავლობაში აგრძელებენ ერთმანეთზე ნადირობას.“[76]

საგავრეულო მტრობა იშვიათია მცირემასშტაბიან საზოგადოებებში. ისინი გაცილებით ხშირია მაღალი პოლიტიკური ორგანიზაციის მქონე საზოგადოებებში.[77]

თავდასხმა თავდასხმა შემოკლებული ცნებაა, რომელიც აღნიშნავს მიზნის მისაღწევად დაგეგმილ და ორგანიზებულ ძალადობას. ეს მიზანი არის სხვისი, ხშირად მეზობელი ერთობის, ქონების დატაცება.

თავდასხმა განსაკუთრებით გავრცელებულია პასტორალურ საზოგადოებებში, სადაც საქონელი, ცხენები, აქლემები ან სხვა ცხოველები ფასეულია და ქურდობით ადამიანს საკუთარი ჯოგის გაზრდა შეუძლია. თავდასხმები ხშირად ორგანიზებულია დროებითი ლიდერების ან კოორდინატორების მიერ, რომლების ძალაუფლებაც შემოიფარგლება ამ სახიფათო წამოწყების დაგეგმვითა და განხორციელებით. თავდასხმები შეიძლება ადამიანების

ადრე ნანახია მრავალი საერთაშორისი მცდელობა ეთნიკური ძალადობის შესაჩერებალად და მშვიდობის აღსადგენად როგორც NATO-ს ჩარევა ყოფილ იუგოსლავიაში. აქ ვხედავთ დავალებას კოსოვოში, რომელიც გვიჩვენებს, რომ NATO-ს ქვეყნების მებრძოლეებს სწრაფად შეუძლიათ საჭიროებისამებრ საქმეში გარკვევა.

დაჭერის მიზნითაც მოხდეს. ხშირია ქალების მოტაცება ცოლად მოსაყვანად, ხარჭად დასასმელად ან მონებად გასაყიდად.[78] მონობა გავრცელებულია მსოფლიოს ცნობილი ქვეყნების 33%-ში. ხოლო ომი მონების მოპოვების ერთ-ერთი საშუალებაა.[79]

ფართომასშტაბიანი კონფრონტაცია საგვარეულო მტრობისა და თავდასხმის ცალკეულ ეპიზოდებში ადამიანების მცირე ჯგუფები მონაწილეობენ. თავდასხმას ყოველთვის მოულოდნელობის ეფექტი აქვს. რადგანაც გაუფრთხილებლად ხდება, მსხვერპლი თავის დაცვას ვერც ასწრებს. ფართომასშტაბიან კონფრონტაციებში კი უამრავი ადამიანია ჩართული. ორივე მხარე წინასწარ გეგმავს შეტევისა და თავდაცვის სტრატეგიას. ფართომასშტაბიანი ომი ხშირია ინტენსიური სოფლის მეურნეობის მქონე და ინდუსტრიულ საზოგადოებებში. მხოლოდ ამ საზოგადოებებს აქვთ სპეციალიზებული ჯარის, სამხედრო ლიდერების, სტრატეგიისა და ა.შ. უზრუნველსაყოფად საკმარისი ტექნოლოგია. მაგრამ ასეთი კონფრონტაციები მხოლოდ სახელმწიფოებრივ საზოგადოებებში როდი ხდება. ისინი თავს იჩენენ, მაგალითად, ცენტრალური ახალი გვინეის დუგუმ დანის ტომშიც.

დანის სამხედრო ისტორია ევროპის სახელწიფოებს მოგვაგონებს. თუმცა, დანის შემთხვევაში, კონფლიქტში ცოტა ხალხია ჩართული და შეიარაღებაც დაბალი დონისაა. დანის ხალხებს შორის ფორმალური ბრძოლის დაწყებისას ერთი მოქიშპე მხარე მეორეს გამოწვევას უგზავნის. ასეთი ბრძოლებისას ხშირია რიტუალური ომის გრძელი პერიოდები. თუ გამოწვევა მიღებულია, მოწინააღმდეგეები ხვდებიან დათქმულ ადგილას, რათა დაადგინონ თავიანთი საბრძოლო გეგმა. შუბებით, ჯოხებით, მშვილდითა და ისრებით ბრძოლა დილით იწყება და გრძელდება დაბინდებამდე, ან ვიდრე წვიმა არ გაყრის მოქიშპეებს. შუადღისას შეიძლება იყოს დასვენების პერიოდიც, რომლის განმავლობაშიც ხშირად მხარეები ერთმანეთს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავენ.

ბრძოლის წინა ხაზები შედგება თორმეტიოდე მოწინავე მებრძოლისა და რამდენიმე ლიდერისგან. მათ უკან არის მეორე ხაზი, რომლის წევრებიც პირველ ხაზში მდგომებს ენაცვლებიან. შემდეგ მესამე ხაზია, აქ უკვე ისრის მოხვედრის საშიშროება აღარ არის, ამ ხაზზე ბრძოლისუუნაროები დგანან, ძირითადად მოხუცები და დაჭრილები. ისინი თვალს ადევნებენ ბრძოლას და მაგიურ რიტუალებს ატარებენ, რათა სულები მებრძოლებს დაეხმარონ.[80]

ომს, როგორიც უნდა იყოს ის, საკუთარი წესები აქვს. დანის ხალხები, მაგალითად, ღამით არ იბრძვიან და იარაღის გამოყენებაც შეზღუდულია. ამის მსგავსად, სახელმწიფოებრივ საზოგადოებებშიც მთავრობები ხელს აწერენ „self-denying" (პირად სიკეთეზე უარის თქმა) პაქტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ომის მსვლელობას — მაგალითად, კრძალავენ მომწამვლელი გაზის გამოყენებას და ა. შ.

ომის ახსნა

ანთროპოლოგიისთვის ცნობილ ბევრ საზოგადოებას ჰქონდა ომი ერთობებსა და უფრო მსხვილ ტერიტორიულ ჯგუფებს შორის. ახლანდელი კროსკულტურული კვლევისას შესწავლილი საზოგადოებების უმრავლესობას მცირემასშტაბიანი ომები მაინც წარუმართავს თავისი არსებობის საწყის ეტაპზე. ამის მიუხედავად, ძალიან ცოტა კვლევაა ჩატარებული იმის გასარკვევად, თუ საერთოდ რატომ იწყება ომები. საინტერესოა, რატომ უბრძოლია საზოგადოებების ნაწილს სხვებზე გაცილებით მეტი, დანარჩენებს კი — შედარებით ცოტა? რატომ ხდება შინაომები?

ზოგ ამ კითხვაზე ჩვენი პასუხები კულტურათაშორის კვლევებს ეფუძნება. არსებობს იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ პრეინდუსტრიულ საზოგადოებებში ხალხი ომში შიშის გამო მიდიოდა. მათ ეშინოდათ გარდაუვალი, მაგრამ წინასწარ განუჭვრეტელი ბუნებრივი კატასტროფების (გვალვის, წყალდიდობის, კალიების შემოსევის), რაც მათ საკვების მარაგს გაანადგურებდა. ხალხი ფიქრობდა, რომ შეძლებდა ამ კატასტროფებისგან თავის დაცვას, თუ დამარცხებულ მტერს წაართმევდა მიწას, საკვებსა და ა.შ. ამ სავარაუდო დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ გამარჯვებულები ყოველთვის ეპატრონებოდნენ დამარცხებულების მიწასა და ქონებას. ასე იქცეოდნენ როგორც პრიმიტიული, ასევე კომპლექსური პრეინდუსტრიული საზოგადოებები. არის თუ არა შესაძლებელი, რომ თანამედროვე მსოფლიოშიც ომის დაწყებაზე ერთნაირმა მოტივებმა მოახდინონ გავლენა?

ჩვენ ვიცით, რომ კომპლექსურ ან პოლიტიკურად ცენტრალიზებულ საზოგადოებებს აქვთ პროფესიონალური ჯარი, სამხედრო ავტორიტეტების იერარქია და რთული იარაღი.[83] თუმცა ასეთ საზოგადოებებში ომის სიხშირე ჯგუფურ და ტრაიბალურ საზოგადოებებთან შედარებით ნაკლები როდია.[84] ჩვენი დაკვირვებით, ომი ფაქტობრივად არ ხდება საზოგადოების შიგნით, თუ მას მცირერიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს (არა უმეტეს 21000 კაცი) და პატარა ტერიტორია აქვს. დიდ საზოგადოებებში ომის მეტი ალბათობა. აქ ერთმანეთს თემები და უფრო მსხვილი ტერიტორიული დანაყოფები უპირისპირდებიან.[85] ასევე ხშირია გარეშე ომებიც.[86]

არსებობს ისეთი მოსაზრებაც, თითქოს ჯგუფურ და ტომობრივ საზოგადოებებში ქალები კაცებზე ხშირად დადიან ომში.[87] ეს რომ ასე იყოს, მაშინ მეომარ საზოგადოებებში ქალების სერიოზული ნაკლებობა იქნებოდა. ხოლო იქ, სადაც ომები იშვიათია, ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა თანაბარი იქნებოდა. მაგრამ კროსკულტურული მასალები ამ მოსაზრებას მკვეთრად უპირისპირდება. ხშირად მებრძოლი ჯგუფური და ტომობრივი საზოგადოებები ქალების ნაკლებობას არ განიცდიან.[88]

რა ვიცით ჩვენ ომებზე, რომლებიც ნაციონალურ-სახელმწიფოებს შორის ახლა ხდება? იმის მიუხედავად, რომ ბევრს ჰგონია, თითქოს სამხედრო ალიანსები ამცირებენ ომის დაწყების ალბათობას, აღმოჩნდა, რომ ეს ასე სულაც არ არის. ალიანსში გაწევრიანებული ქვეყნები სხვებზე ნაკლებად როდი მონაწილეობენ ომებში. მართალია, მოკავშირე ქვეყნები ერთმანეთს, როგორც წესი, არ ეომებიან, მაგრამ ქვეყნები შეიძლება ერთ-ერთი მოკავშირის პირად ომში ჩაერთონ.[89] ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებული ქვეყნებიც ნაკლებად ეომებიან ერთმანეთს. ისეთი ქვეყნები, რომლებიც ერთმანეთს სასიცოცხლო რესურსებით ამარაგებენ, ერთმანეთთან ომს თავს არიდებენ.[90] და ბოლოს, ქვეყნების სამხედრო თანასწორობა უფრო ზრდის, ვიდრე ამცირებს, ქვეყნებს შორის ომის შესაძლებლობას.[91]

ცხადია, ეს აღმოჩენები ეწინააღმდეგება ომის შეჩერების ზოგ ტრადიციულ თეორიას. ომის თავიდან აცილება სამხედრო განვითარების ფაქტორით არ არის შესაძლებელი, სამაგიეროდ ეს შესაძლებელია ეკონომიკური ფაქტორით. გარდა ამისა, „დემოკრატიული" პოლიტიკური სისტემები ერთმანეთს უფრო ნაკლებად ეომებიან, ვიდრე ავტორიტარული სისტემები. მოგვიანებით, გლობალური სოციალური პრობლემების თავში ვიმსჯელებთ, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა კროსკულტურული კვლევის განზოგადება მსოფლიოში ომის რისკის შემცირების თეორიებზე.

შეჯამება

1. ყველა საზოგადოებას აქვს საკუთარი ჩვეულებები. მათ საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს და აგვარებენ უთანხმოებებს. საზოგადოებრივი წესრიგის შექმნისა და შენარჩუნების, ასევე უწესრიგობასთან ბრძოლის გზები სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვაა.
2. ჯგუფური ორგანიზაციის ტიპის სოციალური ერ-

თეულები მცირერიცხოვანია, ისინი ძირითადათ მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან. თითოეული ჯგუფი პოლიტიკურად დამოუკიდებელია. სწორედ ჯგუფია უმსხვილესი ერთეული, რომელიც პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით მოქმედებს. ჯგუფში ავტორიტეტის მოპოვება ძირითადად არაფორმალური გზით ხდება. ჯგუფური ორგანიზაციის მქონე საზოგადოებები ეგალიტარულია და მონადირე-შემგროვებლებისგან შედგება.

3. ტომობრივი საზოგადოებები, ჯგუფურის მსგავსად, ეგალიტარულია. მაგრამ მათგან განსხვავებით, ისინი საკვების მწარმოებლები არიან, მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავთ და ნაკლებად მომთაბარეობენ. ტომბრივ ორგანიზაციებში არსებობენ ისეთი დაჯგუფებები, როგორიცაა კლანები და ასაკობრივი ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთში უფრო ინტეგრირებულები არიან.
4. ტომობრივი ორგანიზაციების ლიდერების პიროვნული ღირსებები აშშ-ს ლიდერებისას წააგავს, მაგრამ არის განსხვავებაც: აშშ-ს ლიდერები საზოგადოების დანარჩენ წევრებზე მდიდრები არიან.
5. სამთავრო ორგანიზაციები ტომობრივისგან იმით განსხვავდება, რომ მათ აქვთ ფორმალური სახელისუფლებო ჯგუფები. ტომობრივთან შედარებით, სამთავრო ორგანიზაციები მრავალრიცხოვანი მოსახლეობით გამოირჩერვიან და უფრო მუდმივი სამყოფელი აქვთ. „დიდი კაცებისგან“ განსხვავებით, რომლებსაც ეს პრივილეგია პიროვნული თვისებებით უნდა მოიპივონ, სამთავროებში ეს თანამდებობა სამუდამოა. სამთავროთა უმრავლესობა სოციალურად იერარქიულია.
6. განსაზღვრების თანახმად, სახელმწიფო არის ბევრი ერთობისგან შემდგარი პოლიტიკური ერთეული, რომელსაც აქვს ცენტრალური მთავრობა. სახელმწიფო უფლებამოსილია შექმნას და აღასრულოს კანონები, აკრიფოს გადასახადები და გაიწვიოს ადამიანები სამხედრო სამსახურში. სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებში მთავრობა ხალხზე მონოპოლიის შენარჩუნებას ძალის გამოყენებით ცდილობს. ამასთან, სახელმწიფოებს ახასიათებთ კლასობრივი სტრატიფიკაცია, ინტენსიური სოფლის მეურნეობა, კომერციული გაცვლა, განვითარებული ეკონომიკა და ფართო ვაჭრობა უცხოეთთან. სახელმწიფო მმართველები ავტორიტეტის შენარჩუნებისას მხოლოდ ძალის იმედად ვერ იქნებიან, ხალხს უნდა სჯეროდეს, რომ მმართველები ქვეყნის სათავეში კანონიერად მოექცნენ და მათ მართვის უფლება აქვთ.
7. პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხი ანთროპოლოგების მიერ შესწავლილ საზოგადოებებშიც ისევე იცვლება, როგორც თანამედროვე ნაციონალურ-სახელმწიფოებში. პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხი მაღალია მცირემასშტაბიან საზოგადოებებში, ისევე, როგორც თანამედროვე დემოკრატიებში. მაგრამ ფეოდალურ სახელმწიფოებში და პრეინდუსტრიულ იმპერიებში ასე არ არის.
8. ბევრ საზოგადოებაში არ არსებობს კონფლიქტთან გამკლავების საგანგებო ინსტიტუტები. მაგრამ ყოველ საზოგადოებას აქვს უთანხმოების მშვიდობიანი გზით დარეგულირების საშუალებები. მაგალითად: ერთიანი მოქმედება, მოლაპარაკება, შუამავლობა და ა. შ. კონფლიქტების მოგვარების საშუალებებია აგრეთვე რიტუალური მობოდიშება და ფიცი. რიტუალური მობოდიშება ხშირად სამთავროებში ხდება. ფიცი და გამოცდა თავს იჩენს კომპლექსურ საზოგადოებებში, სადაც პოლიტიკურ მოხეელებს არ შესწევთ იმდენი ძალა, რომ სამართლებრივი გადაწყვეტილებები მიიღონ. გასამართლება უფრო ხშირად სტრატიფიცირებულ, კომპლექსურ საზოგადოებებში გვხვდება. უზენაესი სასჯელი თითქმის ყველა საზოგადოებაში არსებობს.
9. ხალხი ძალადობას მიმართავს მაშინ, როდესაც კონფლიქტის ამოწურვის ალტერნატიული საშუალებები არ არსებობს. ძალადობა შეიძლება წარმოიშვას როგორც ერთობის წევრ ინდივიდებს, ისე თავად ერთობებს შორისაც. პილიტიკურ ობიექტებს, თემებს, ოლქებს ან ერებს შორის წარმოშობილ ძალადობას ომი ეწოდება. ომის ტიპები სხვადსხვაა მასშტაბისა და სირთულის მიხედვით.

საკონტროლო კითხვები:

1. თქვენი აზრით, გახდება თუ არა მსოფლიო ოდესმე პოლიტიკურად ერთიანი? რატომ ფიქრობთ ასე?
2. რატომ არ მოქმედებს ჩვენს საზოგადოებაში არაფორმალური სოციალური კონტროლის მეთოდები? რატომ მოქმედებენ მათზე უკეთ ფორმალური მეთოდები?
3. რას მიიჩნევენ ომების შემცირების საშუალებად?

ფსიქოლოგია და კულტურა

24



თავების შინაარსი

- ფსიქოლოგიური განვითარების უნივერსალობა
- კროსკულტურული ვარიაციები ფსიქოლოგიურ მახასიათებლებში?
- კულტურული ვარიაციების ფსიქოლოგიური ახსნა

სხვა საზოგადოებებში სტუმრობისას ხშირად ჩნდება იმის შეგრძნება, რომ იქაური ხალხი სხვანაირად ფიქრობს, გრძნობს და იქცევა. სტერეოტიპებიც ამ უბრალო დაკვირვებებისგან წარმოიშვება. ზოგი ხალხი გულჩათხრობილად მიიჩნევა, ზოგი — ავტორიტარულად, ზოგიც — ფიცხად. ანთროპოლოგები არ აღიარებენ ამგვარ სტერეოტიპებს, რადგან თვლიან, რომ ისინი ნაჩქარევ, ეთნოცენტრულ მოსაზრებებს ეფუძნება. ამის მიუხედავად, ისინი არ უარყოფენ საზოგადოებებს შორის განსხვავებებს მათი ფიქრის, შეგრძნებისა და ქცევის ასპექტების მიხედვით.

მაგალითად, ავიღოთ განსხვავება ცენტრალური მალაიკის სემაისა და ბრაზილია-ვენესუელას საზღვარზე მდებარე იანომამოს ტომებს შორის. როგორც რობერტ დენტანი აღწერს, სემაელები მალაიკაში ცნობილი არიან თავიანთი მოკრძალებულობით. მათ არასდროს ახასიათებენ როგორც აგრესიულ და მტრულ ხალხს. როცა მათ სიბრაზეზე ეკითხები, ისინი გპასუხობენ: ,,ჩვენ არ ვბრაზდებით."[1] ამათგან განსხვავებით, იანომამოელები, ნაპოლეონ ჩანგონის აღწერის მიხედვით, თავიანთი აგრესიულობით არიან ცნობილები. ისინი ხშირად ომობენ არა მარტო საზღვრებს გარეთ, არამედ ერთმანეთშიც. ხშირია ასევე ყვირილი და ბრძანება, ცოლების ცემა და კლუბებში სისხლისმღვერელი ჩხუბების მოწყობა. მამაკაცები ამაყობენ თავიანთი ნაიარევებით, ხანდახან თავსაც იპარსავენ მათი უკეთესად დემონსტრირებისთვის.[2]

მიუხედავდ იმისა, რომ საზოგადოებებს შორის ფსიქოლოგიური განსხვავებები არსებობს, ხშირია ასევე ფსიქოლოგიური მსგავსებებიც. ბოლოსდაბოლოს ჩვენ ხომ ადამიანები ვართ. მსოფლიოში ყველა ადამიანი ტირის და მოთქვამს საყვარელი ადამიანის დაკარგვისას, იღიმის ან იცინის, როცა კარგი რამ ხდება, სწავლობს შეცდომებზე და აქვს ბევრი მოთხოვნილება, სხვების მსგავსად. მსოფლიოს სხვადასხვა საზოგადოების ფსქოლოგიური განსხვავებებითა და მსგავსებებით დაინტერესებული ანთროპოლოგები საკუთარ თავს ფსიქოლოგ ანთროპოლოგებს უწოდებენ. ხოლო ის ფსიქოლოგები, რომლებიც ორი ან მეტი საზოგადოების ხალხს შეისწავლიან, თავიანთ თავს კროსკულტურულ ფსიქოლოგებს უწოდებენ. ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიას აინტერესებს პასუხი ოთხ ძირითად კითხვაზე: რა დონემდე ვითარდებიან ადამიანები ფსიქოლოგიურად ერთნაირად? თუ არსებობს განსხვავებები, როგორია ისინი და რა არის მათი გაჩენის მიზეზი? სხვადასხვა საზოგადოების ხალხი როგორ აღიქვამს ფსიქოლოგიურ და პიროვნულ განსხვავებებს? რა სახის კულტურული ვარიაციების ახსნაა შესაძლებელი ფსიქოლოგიური ფაქტორების მეშვეობით? ამ თავში განხილულია მკვლევარების მიერ გაცემული პასუხები ზოგიერთ ამ კითხვაზე.

ფსიქოლოგიური განვითარების უნივერსალობა

ანთროპოლოგები მეოცე საუკუნის დასაწყისში ფსიქოლოგიით დაინტერესდნენ, რომ ფსიქოლოგების მსგავსად, არ მიაჩნდათ, რადგან ამ დროისთვის ადამინის ბუნება მთლიანად გამოვლენილი იყო. მხოლოდ ახლახან შეუერთდნენ ფსიქოლოგები ანთროპოლოგებს და კითხვის ქვეშ აყენებენ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ყველა საზოგადოების ადამიანები ფსიქოლოგიურად მგავსები არიან. ფსიქოლოგმა ოტო კლინებერგმა, მაგალითად, გაკიცხა კოლეგები 1974 წელს: ,,ანთროპოლოგიასთან კონტაქტმა ჩემზე დაახლოებით რელიგიური მოქცევისმაგვარი გავლენა მოახდინა. როგორ შეუძლიათ ფსიქოლოგებს ისაუბრონ ადამიანის ატრიბუტებსა და ქცევაზე, როცა მხოლოდ ერთი სახის ადამინი ჰყავთ ნანახი?"[3]

საიდან შეგვიძლია ვიცოდეთ, რა არის უნივერსალური ადამიანის ქცევაში და რა იცვლება, ვიდრე ყველა სახის ადამანს არ შევისწავლით? რადგან ადამიანები ერთი სახეობის წარმომადგენლები არიან და გენების დიდი უმრავლესობაც საერთო აქვთ, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სხვადასხვა საზოგადოებაში დაბადებული, გაზრდილი და ჩამოყალიბებული ადამინები ერთნაირები იქნებიან. ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ უნივერსალურ საკითხებზე: კულტურა, ენა, ქორწინება, სისხლის აღრევის ტაბუ, მაგრამ აქ ჩვენ განვიხილავთ უფრო ფსიქოლოგიასთან დაკავშირებულ თემებს. დონალდ ბრაუნმა შეადგინა ადამიანის სავარაუდო უნივერსალიები (რაც საერთოა ყველა ადამიანისთვის) ფსიქოლოგიის განხრით.[4] მათ შორისაა ტაქსონომიების შექმნის შესაძლებლობა, ორმაგი კონტრასტების გაკეთება, ლოგიკური ოპერაციების გამოყენება (მაგალითად და არა უდრის), მომავლის დაგეგმვა და მსოფლიოს აღქმის შესაძლებლობა.

ადამიანის შესახებ არსებული მოსაზრებიდან გამომდინარე, უნივერსალური უნდა იყოს პიროვნებაზე საკუთარი კონცეფციის ჩამოყალიბება, ინდივიდების სახეებით გარჩევა, მცდელობა, გაარკვიო მათი განზრახვები გამომეტყველებით, ქცევით, ჟესტებით და წარმოიდგინო, რაზე ფიქრობენ ისინი. ემოციებიდან გამომდინარე, უნივერსალურია ადამიანების თანაგრძნობის უნარი, ჟესტები, ემოციების დამალვა ან მიმიკებით გამოხატვა. (იხ. გამოყოფილი სტატია ,,გამოხატავენ ნიღბები ემოციებს უნივერსალურად?" ხელოვნების თავში). ადამიანები იღიმებიან, როცა ბედნიერები არიან, ტირიან, როცა სტკივათ ან სწყინთ, გამოხატავენ და გრძნობენ სიყვარულს სხვების მიმართ, განიცდიან სექსუალურ მიზიდულობას, შურს, ეჭვიანობას და აქვთ ერთნაირი ბავშვობისდროინდელი შიშები. სხვადასხვა კულტურის ხალხებს ერთნაირად შეუძლიათ სიყვარული, იმის მიუხედავად, თუ რა რეპუტაციისაა სიყვარული მათ საზოგადოებაში, ატარებს რაიმე მისტიკურის იარლიყს, თუ კულტურულად ცვალებადია.[5]

რაც შეეხება ფსოქოლგიურ განვითარებას, ჩვენ ვნახეთ კომუნიკაციებისა და ენების თავში, რომ ენობრივი შენაძენის გარკვეული ასპექტები შეიძლება უნივერსალური იყოს კროსკულტურული. რა ნიშნით არის ერთნაირი ფსიქოლოგიური განვითარება მსოფლიოში და რითაა განსხვავებული?

ემოციური განვითარების ადრეული კვლევები

როდესაც მარგარეტ მიდი ამერიკის სამოაში ჩავიდა 1920-იანი წლების შუა რიცხვებში, ფსიქოლოგებს სჯეროდათ, რომ ყმაწვილობის პერიოდი უნივერსალურად იყო ,,შტორმისა და სტრესის" პერიოდი. ასე იმ ფსიქოლოგიური ცვლილებების გამო ითვლებოდა, რომლებიც სქესობრივი მომწიფების დროს იჩენდნენ თავს. დაკვირვებებმა და სამოელ გოგონებთან გასაუბრებამ დააეჭვა იგი იმაში, რომ სიმწიფის პერიოდი აუცილებლად ალიაქოთის დაწყების მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. სამოელ გოგონებს ემოციური აღტყინებისა და ამბოხებულობის მცირე ნიშნები ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, საეჭვოა, არის თუ არა ფსიქოლოგიური განვითარება ერთნაირი ყველა საზოგადოებაში.[6]

ბრონისლავ მალინოვსკი, კიდევ ერთი ადრეული ფსიქოლოგი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა თვალსაზრისს ემოციური განვითარების შესახებ. კერძოდ კი ფროიდის თეორიას, თითქოს ბიჭები უნივერსალურად აღიქვამენ საკუთარ თავს მამების სექსუალურ მოწინააღმდეგეებად დედების მოსაპოვებლად, ოღონდ ქვეცნობიერად. ფროიდმა ამგვარ გრძნობებს ოიდიპოსის კომპლექსი უწოდა, ბერძნული მითოლოგიის გმირის მიხედვით, რომელმაც საკუთარი მამა მოკლა და დედა მოიყვანა ცოლად ისე, რომ არ იცოდა, თუ მისი მშობლები იყვნენ. ფროიდი ფიქრობდა, რომ 7 წლამდე ყველა ბიჭი მამის მიმართ აგრესიას ავლენს. ამ თეორიას მალინოვსკი დაუპირისპირდა თავის საველე

მრავალ საზოგადოებაში ახლგაზრდობა სამუშაო ხელოვნების განვითარების დროა. ახალ გვინეაში ინდონეზიელი ბიჭი ასმათი სწავლობს თლას, ზრდასრული კი აკვირდება.

სამუშაოს საფუძველზე, რომელსაც ის მატრილინეალურ (დედის ხაზით გარდამავალი ნათესაობა) ტრობრიანდის კუნძულებზე ატარებდა.[7]

მალინოვსკი მიიჩნევდა, რომ არამატრილინეალურ საზოგადოებაში ბიჭები მამების მიმართ აგრესიას გამოხატავენ არა როგორც სექსუალური მოწინააღმდეგის, არამედ როგორც დისციპლინატორის მიმართ. მალინოვსკიმ ეს თეორია შემოგვთავაზა, რადგან ფიქრობდა, რომ ოიდიპოსის კომლექსი მატრილინეალურ საზოგადოებებში სხვაგვარად მოქმედებდა. ასეთ საზოგადოებებში ბიჭები მტრობას დედის ძმების მიმართ იჩენენ, როგორც მატრილინეალური ნათესაური გვარის ყველაზე ავტორიტეტული ფიგურების მიმართ.

დრეკ ფრიმანი აკრიტიკებდა სამოას შესახებ მიღებულ მიდის დასკვნებს.[8] ხოლო მელფორდ სპირომ ეჭვქვეშ დააყენა მალანოსვკის დასკვნები ტრობრიანდის კუძულზე მცხოვრებთა შესახებ.[9] მიდი და მილანოვსკი შეიძლება შემცდარიყვნენ, მაგრამ მათ მიერ წამოჭრილი საკითხები დღემდე გადამწყვეტია იმის ძიების პროცესში, არის თუ არა ყველა საზოგადოება ფსიქოლოგიურად ერთნაირად განვითარებული. ამის გასარკვევად საჭიროა კვლევის ბევრ საზოგადოებაში ჩატარება. მხოლოდ ფართო კროსკულტურული კვლევის საფუძველზე შეგვეძლება დავადგინოთ, შესაძლებელია თუ არა კულტურულმა განსხვავებებმა გავლენა მოახდინონ ემოციური განვითარების დონეებზე.

მაგალითად, ყმაწვილობის პერიოდის კროსკულტურულად შესწავლა მხოლოდ ახლახან დაიწყო. ელის შლეგელი და ჰერბერტ ბერი აცხადებდნენ, რომ ზოგადად ყმაწვილობა არ არის ღია ამბოხის პერიოდი. ამის მიზეზი ისაა, რომ საზოგადოებების უმრავლესობაში ადამიანიები ცხოვრობენ უახლოეს ნათესავებთან ერთად ან მათ სიახლოვეს სრულწლოვანებამდე და შემდეგაც. ამბოხებულობა მხოლოდ ისეთ საზოგადოებებში იჩენს თავს ხოლმე, სადაც ბავშვები გაზრდასთან ერთად სახლს ტოვებენ. ამ დროს მოზარდები ემოციურად ემზადებიან დამოუკიდებლად არსებობისთვის.[10] (იხ. სტატია ,,ნეოლოკალურობა და ყმაწვილობის პერიოდი: არიან თუ არა ისინი დაკავშირებულნი?“ ცოლქმრული რეზიდენციისა და ნათესაობის თავში).

კვლევა კოგნიტური განვითარების შესახებ

ერთ დღეს ემბერების ოჯახი პიცის საჭმელად წავიდა. პიცის გამყიდველი სიცილით კვდებოდა. როცა ჰკითხეს, რა აცინებდა, მან უპასუხა: ,,თქვენამდე მოსულ მყიდველს ვკითხე რამდენ ნაჭრად დამეჭრა მისთვის პიცა: ექვსად თუ რვად. მან კი მიპასუხა, რომ ექვსად ერჩივნა, რადგან არც ისე ძალიან შიოდა.” ჟან პიაჟეს, ცნობილი შვეიცარიელი ფსიქოლოგის, კოგნიტური (ინტელექტუალური) თეორიის თანახმად, ,,არც ისე მშიერი” კაცი კარგად არ ფლობდა შენახვის კონცეფციას. წესით, აზროვნების ამ დონეს დასავლეთის საზოგადოებებში ითვისებენ ბავშვობაში 7-11 წლამდე.[11] ზემოხსენებული ადამიანი, ბევრი ბავშვის მსგავსად, ალბათ ვერ ხვდებოდა, რომ საგნის სიდიდე, წონა და მოცულობა რჩება მუდმივი, მაშინაც კი, თუ ის რამდენიმე ნაწილად არის გაყოფილი. ასეთი ადამიანები არ ფლობენ შექცევადობის მენტალურ უნარს. იმის წარმოდგენა უჭირთ, რომ პიცის ნაჭრების შეერთებისას ის იმავე ზომის იქნება, იმის მიუხედავად, რამდენ ნაჭრად არის დაყოფილი. ბავშვისთვის, ან ისეთი ადამიანისთვის, რომელსაც არ აქვს მოქმედების მენტალურად შებრუნების უნარი, რვა ნაჭრად დაჭრილი პიცა შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე ექვსად დაყოფილი, რადგან რვა ექვსზე მეტია.

პიაჟეს თეორიის თანახმად, ადამიანში აზროვნების განვითარება შედგება განვითარების რამდენიმე დონისგან, თითოეულ დონეზე მენტალური შესაძლებლობები განსხვავებულია. აზროვნების უფრო მაღალი დონის მისაღწევად საჭიროა დაბალი დონეების გავლა. ასე რომ, ამ თეორიის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ პიცის მყიდველი ვერ შეძლებდა ჰიპოთეზურ სიტუაციაში მოსალოდნელ შედეგებზე გამუდმებით ეფიქრა. ეს პროცესი კი პიაჟეს თეორიაში ფორმალურ-ოპერაციული დონის განმსაზღვრელი ნიშანია. პიცის მყიდველი ამას ვერ შეძლებდა, რადგან თავის დროზე მას არ აღმოაჩნდა შენახვის უნარი.

რა მოსაზრებას აყალიბებენ ფაქტები პიაჟეს სავარაუდო დონეების უნივერსალობის შესახებ? აღწევენ თუ არა მსოფლიოს ხალხები განვითარების დონეებს ერთდროულად? პირველი დონე — შეგრძნება და რეაქცია არ არის გამოკვლეული ბევრ საზოგადოებაში. მაგრამ აქამდე ჩატარებული კვლევების შედეგები საკმაოდ შეთავსებადია. კვლევები ამტკიცებენ პიაჟეს თეორიის სიმართლეს, რომ არსებობს წინასწარ განჭვრეტადი წყობა დონეთა თანმიმდევრობაში.[12] კვლევებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა საზოგადოებაში ბავშვები ერთნაირად აზროვნებენ. მაგალითად, ფრანგი და სპილოს ძვლის სანაპიროს ბავშვების შედარებისას, ამ უკანასკნელებმა, რომელთაც ჯერ არასდროს ენახათ წითელი პლასტმასის მილები და ფურცლის სამაგრები, მაინც ჩააგდეს სამაგრები მილებში, როგორც ფრანგმა ბავშვებმა. ზოგიერთმა ბავშვმა ერთნაირი შეცდომაც კი დაუშვა.[13] მიუხედავად იმისა, რომ სპილოს ძვლის სანაპიროს ბავშვებს ცოტა სათამაშო აქვთ, ზოგიერთმა მათგანმა ფრანგ ბავშვსაც კი აჯობა მიხვედრილობით, მაგალითად, შორს განლაგებული ნივთების მოპოვების ხერხებში. მაგრამ სპილოს ძვლის სანაპიროს

ანთროპოლოგიური ორიგინალები

ჩრდილოეთ აფრიკის მაროკოელები

რატომ გვაქვს ცხოვრების ისეთი ეტაპი, როგორიცაა ყმაწვილობა? ყმაწვილობა ბევრ სხვა კულტურაში არ გამოიყოფა ცხოვრების სხვა დონეებისგან. თუ რატომ არის ასე? ჩვენ ადრე აღვნიშნეთ, რომ სიყმაწვილის დროს ამბოხებულობა დაკავშირებულია ახალდაქორწინებულების მოთხოვნილებასთან, იცხოვრონ ნათესავებისგან განცალკევებით. ამრიგად, სიყმაწვილეს ვერ მივიჩნევთ ცხოვრების ეტაპად, თუ ადამიანი ახალგაზრდობაში დაქორწინდა და ცხოვრება ნათესავებთან ერთად განაგრძო, როგორც ეს მაროკოში ხდება.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო დაგვედგინა, სიყმაწვილე მართლა უნივერსალური მოვლენაა, თუ უბრალოდ ზოგიერთი ფსიქოლოგის გამონაგონი. ვიკითხეთ, არსებობდა თუ არა აღმოსავლეთის საზოგადოებებში ისეთი ტერმინი, როგორიც „თინეიჯერია". განათლებულ ხალხს ნასწავლი ჰქონდა სიყმაწვილის (ასინ ალ-მურაჰაქა) შესახებ სკოლაში, მაგრამ ადგილობრივ არაბულ დიალექტში არ არსებობდა სპეციალური ტერმინი მის აღსანიშნავად; მეტიც, როდესაც მე დავდიოდი კარდაკარ ჩვენი კვლევის მიზნის ასახსნელად, ვამბობდი, რომ ვეძებ „ბაშვებს, არც ძალიან პატარებს და არც ძალიან დიდებს". ამის მიუხედავად, მაინც არსებობდა რამდენიმე ტერმინი – რშედ და ბლეგხი – სექსუალური ცვლილებების აღსანიშნავად და ტაიშ და ქხფიფი პასუხისმგებლობის გამომხატველი ქცევის აღსაწერად. საბოლოო ჯამში გაირკვა, რომ ისეთი ფართოდ გამოყენებული ტერმინი, როგორც ყმაწვილობაა, მაროკოში არ მოიპოვება. ეს ცხადჰყოფს, რომ სიყმაწვილე, როგორც ცხოვრების ცალკეული ეტაპი, ყველა კულტურაში არ არსებობს. ეს ხსნის იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდები მალევე ქორწინდებიან ფსიქოლოგიური სიმწიფის მიღწევის შემდეგ. რაც უფრო მეტი მაროკოელი გადადებს ქორწინებას, ჩვენი წინასწარმეტყველებით, მით უფრო ფართოდ აღიარებული გახდება სიყმაწვილის ეტაპი. ეს პროცესი აშკარად დაწყებულია ურბანული ოჯახების მაღალ კლასებში.

ბავშვებს უფლებას აძლევენ, ხელი მოკიდონ ნებისმიერი სახის ნივთს, ისეთებსაც, რომლებიც ევროპაში სახიფათოდ მიიჩნევა.[14]

პიაჟეს დონეების კროსკულტურული კვლევების უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს მეორე პრეოპერაციონალურიდან მესამე ფორმალურ-ოპერაციულ დონეზე გადასვლის მომენტზე. ეს ფაზა პრაქტიკულად შენახვის პროცესის მიღწევას გულისხმობს. ამგვარი კვლევების შედეგები გარკვეულწილად საგონებელში აგდებს მკვლევარს. იმის მიუხედავად, რომ უფროსი ბავშვები უფრო ავლენენ შენახვის უნარს, ვიდრე უმცროსები, გაურკვეველია, რატომ არის ეს პროცესი დაგვიანებული ბევრ არადასავლურ ქვეყანაში; მეტიც, ბევრ ადგილას გამოკვლეული სრულწლოვანებიც კი არ ამჟღავნებდნენ შენახვის ზოგი კომპონენტის ცოდნას.

შეიძლება კი, რომ ეს მართლაც ასე იყოს? მართლა ასე ძალიან განსხვავდება სხვადასხვა კულტურის ინტელექტუალური შესაძლებლობები, თუ შენახვის დონის გაზომვის პროცესშია პრობლემები? შესაძლებელია კი, რომ ადამიანმა, რომელმაც მდინარიდან დიდი დოქით მოიტანა წყალი და შემდეგ ხუთ პატარა კონტეინერში გადაანაწილა, არ იცოდეს, რომ წყლის რაოდენობა იგივეა? ჩვენ შესაძლოა, სკეპტიციზმით შევხედოთ ფორმალურ-ოპერაციული დონის კვლევებსაც. ასეთი კვლევების უმრავლესობამ ფორმალურ-ოპერაციული აზროვნების არსებობის მცირე რაოდენობის სამხილი მოაგროვა არადასავლურ საზოგადოებებში. მაგრამ ხალხს არაწიგნიერ საზოგადოებებშიც აქვს ფორმალურ-ოპერაციული აზროვნების უნარი, თუ შეუძლია ნაოსნობა ვარსკვლავების მიხედვით, ახსოვს გზა ბანაკიდან 15 მილის დაშორებით წასვლის შემდეგაც და ა.შ.

შენახვისა და ფორმალურ-ოპერაციული აზროვნების დაგვიანების ფაქტებს სკეპტიკურად უყურებენ ხშირად იმის გამო, რომ კროსკულტურული გამოკვლევების უმრავლესობა დასავლურ ქვეყნებში შექმნილი და აპრობირებული ტესტების მეშვეობით ტარდება ყველგან. ეს არადასავლურ ხალხს არამომგებიან სიტუაციაში აყენებს, რადგან ისინი არ იცნობენ ტესტის მასალების უმრავლესობას და მთლიანად ტესტირების სიტუაციას. შენახვის უნარის გამოსაკვლევ ტესტებში, მაგალითად, მკვლევარები ხშირად იყენებენ უცნაურ შუშის ცილინდრებსა და მენზურებს (ლაბორატორული ჭიქა). იმ მკვლევარებმა კი, რომლებმაც ადგილობრივებისთვის ნაცნობი მასალები გამოიყენეს, სხვანაირი შედეგები მიიღეს. დუგლას პრინსუილიამმა ვერავითარი განსხვავება ვერ ნახა დასავლეთ აფრიკელ ტაივებსა და ევროპელ ბავშვებს შორის მინის, თხილისა და რიცხვების შენახვაში.[16] ზოგმა მკვლევარმა ბავშვებს ტესტები ხელახლა გააკეთებინა, მას შემდეგ, რაც მოკლე მოსამზადებელი სესიები ჩაუტარა. ამის შემდეგ ბავშვების შედეგები საგრძნობლად გაუმჯობესდა. ჩანს, ბავშვები ყველგან ერთნაირად ეუფლებიან შენახვის უნარს, თუ შემამზადებელ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და შესაბამის ტრენინგს გაივლიან.[17]

ფორმალურ-ოპერაციული აზროვნების ტესტებიც საეჭვო შედეგებს იძლევა. ასეთ ტესტებში არის კითხვები მეცნიერებისა და მათემატიკის გაკვეთილებზე ნასწავლი მასალიდან. არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ფორმალურ-ოპერციული აზროვნების ტესტებში სკოლაში მოსიარულე ინდივიდები უფრო უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე უსწავლელები. იქ, სადაც არ არსებობს სავალდებულო სასკოლო სისტემა, ამგვარ ტესტებში წარმატებული შედეგების გამოვლენას არც უნდა ველოდეთ.[18]

იმის გარკვევისას, თუ რა შეიძლება იყოს უნივერსალური ემოციურ და კოგნიტურ განვითარებაში, მეცნიერებმა აღმოაჩინეს საზოგადოებებს შორის ხილული განსხვავებები. ეს განსხვავებები ახსნას საჭიროებენ.

კროსკულტურული ვარიაციები ფსიქოლოგიურ მახასიათებლებში

ჩრდილოეთ ამერიკელებს ადვილად წარმოუდგენიათ განსხავებები პიროვნულ თვისებებს შორის. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ნაცნობების ფსიქოლოგიაზე საუბარი. ჩვენ ვფიქრობთ იმის თაობაზე, თუ რატომ არის ერთი ჩვენი მეგობარი ემოციური, მეორე რატომაა ფიცხი, მესამე კი — მორცხვი. შეიძლება ასევე დაგვაინტერესოს, თუ რატომ იმახსოვრებს ჩვენი ერთი მეგობარი კარგად სახეებს და რატომ არის მეორე „სპეცი" კომპიუტერებში. ჩვენ გვაინტერესებს პიროვნული თვისებები, როგორც ინდივიდის დამახასიათებელი ნიშნები. ამრიგად, ჩვენ ხაზს ვუსვამთ თითოეული ინდივიდის უნიკალურობას. მართლაც,

რადგან თითოეულ ადამიანს აქვს უნიკალური გენეტიკური შტრიხები და ცხოვრებისეული გამოცდილება, ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ არც ერთი ადამიანი არ ჰგავს მეორეს. სამაგიეროდ, ანთროპოლოგია პიროვნულ თვისებებს მეორე მხრიდან უდგება. ინდივიდის უნიკალურობაზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად, ფსიქოლოგი ანთროპოლოგები დაინტერესებულები არიან პიროვნული თვისებების იმ ასპექტებით, რომელიც შეიძლება საერთო იყოს მოსახლეობისთვის.

რატომ უნდა მოველოდეთ ჩვენ სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლების პიროვნულ განსხვავებას? ზოგადად მიჩნეულია, რომ ჩვენი პიროვნული თვისებები არის ჩვენ გენეტიკურ მემკვიდრეობასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას შორის ურთიერთქმედების შედეგი. მაგრამ ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილების, ისევე როგორც მისი გენების, დიდი ნაწილი სხვებთან არის დაკავშირებული. ცხადია, მშობლები უდიდეს გავლენას ახდენენ ჩვენი პიროვნებებად ჩამოყალიბების პროცესზე. ვინაიდან ოჯახის წევრებს მეტ-ნაკლებად ერთნაირი ცხოვრებისეული გამოცდილება და გენები აქვთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი პიროვნულადაც ჰგვანან ერთმანეთს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მშობლების მიერ ბავშვების აღზრდის გზები ძირითადად იმ კულტურაზეა დამოკიდებული, სადაც ეს ოჯახი ცხოვრობს.

ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენი საერთო აქვთ საზოგადოებებს ბავშვის აღზრდის მხრივ. ჩვენი საზოგადოების მაგალითზე ვხედავთ, რომ არსებობს განსხვავებები აღზრდაში. არ არსებობს ერთი აზრი იმის შესახებ, რა არის ბავშვის აღზრდის ,,სწორი" გზა. ზოგი მშობელი შვილის აღზრდისას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, უჩვეულო ხერხებსაც იყენებს. თუმცა კალიფორნიის რაღაც ნიშნით გამორჩეული (მაგალითად, მარტოხელა დედების) ოჯახების შესწავლისას, მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ე.წ. უჩვეულო მშობლები სხვებისგან დიდად არ განსხვავდებოდნენ.[19] აქაური დედები ძუძუთი ერთ წლამდე ზრდიდნენ შვილებს, რაც მსოფლიო მაჩვენებელზე გაცილებით დაბალია. მსოფლიო საზოგადოებების 70%-ში დედები შვილებს ორ წლამდე კვებავდნენ ძუძუთი, ნაბოლარებს კი გაცილებით დიდხანს. ზოგ საზოგადოებაში, როგორიც ინდოეთის ჩენჩუა, ბავშვებს ასეთ კვებას 5-6 წლამდე არ გადააჩვევდნენ ხოლმე.[20] კალიფორნიელი დედები სხვა საზოგადოებებისგან კიდევ ბევრი რამით განსხვავდებოდნენ. კალიფორნიაში არც ერთი მშობელი ბავშვს დიდხანს ხელით არ ატარებდა, ბევრ პრეინდუსტრიულ ქვეყანაში კი მიღებულია თითქმის ნახევარი დღის მანძილზე ხელით ბავშვის ტარება.[21]

ჩვენი კულტურული კონცეფციები მხოლოდ მაშინ ხდება ხილული, როცა სხვა საზოგადოებას ვიკვლევთ და ბავშვების აღზრდის მათ წესებს განვიხილავთ. საინტერესოა, რამდენად სწრაფად რეაგირებენ მშობლები თავიანთი ნაშიერის მოთხოვნებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საინტერესოა, ვიკვლიოთ ,,შემწყნარებლობის" ხარისხი. შემწყნარებლობის ბევრი ასპექტია: დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხელში აგვყავს ბავშვები, მოთხოვნის შესაბამისად კვება და რეაგირება ტირილზე. ისეთი ქვეყნებში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ბავშვები ნაკლებად ,,ეცოდებათ", ვიდრე პრეინდუსტრიულ საზოგადოებებში. იმ პრეინდუსტრიული საზოგადოებებისგან განსხვავებით, სადაც ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს, ხანდახან მთელ დღესაც კი, ხელში ატარებენ, აშშ-ში, ინგლისსა და ჰოლანდიაში ამის ნაცვლად დროის უმეტეს ნაწილს ჭოჭინებში, საქანელებსა და საბავშვო მინდვრებზე ატარებენ. პრეინდუსტრიული საზოგადოებების უმრავლესობაში ბავშვები მიჩვეულები არიან მუდმივად ვიღაცასთან ყოფნას, ღამით მათ დედებთან სძინავთ, თუ ერთ საწოლში არა, ერთ ოთახში მაინც. დღის განმავლობაში ბავშვები ძუძუთი იკვებებიან თითქმის ყველა პრეინდუსტრიულ საზოგადოებაში. ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებებში კი ბოთლით კვება უფრო მიღებულია და ბავშვი საკვებს წინასწარ გათვლილ საათებში იღებს. ზოგ პრეინდუსტრიულ საზოგადოებაში ბავშვებს დღეში 20-40-ჯერ კვებავენ. ამავე ქვეყნებში მშობლები ბავშვის ტირილზე ძალიან სწრაფად რეაგირებენ. მაგალითად, ცენტრალური აფრიკის ეფეს ტომში სამი თვის ბავშვის ტირილზე რეაგირება 10 წამში ხდება შემთხვევათა 75%-ში. ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმზრდელი საერთოდ არ რეაგირებს ბავშვის ტირილზე შემთხვევათა 45%-ში.[22]

ზემოთ აღწერილი კროსკულტურული სხვაობა გვიჩვენებს განსხვავებულ მიდგომებს ბავშვის აღზრდისადმი. ამერიკელი მშობლები ამბობენ, რომ არ სურთ ბავშვები იყვნენ ვინმეზე დამოკიდებული. მათ სურთ, აღზარდონ დამოუკიდებელი და საკუთარ თავში დარწმუნებული ბავშვები. რამდენად საკუთარ თავში დარწმუნებულები იზრდებიან ბავშვები ამგვარი აღზრდის წესით, საკამათოა,[23] მაგრამ ბავშვის აღზრდის მიმართ ჩამოყალიბებული ნებისმიერი დამოკიდებულება გამოცდილების შედეგია.

მოდით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იანომამო და სემაის საზოგადოებები. ამ ორ საზოგადოებას ბავშვის აღზრდისადმი განსხვავებული დამოკიდებულება აქვს. იანომამოს ბიჭებს აქეზებენ აგრესიისკენ და არ სჯიან, როცა ურტყამენ მშობლებს ან სოფლის გოგონებს. მაგალითად, ერთი მამა უფლებას აძლევს თავის ვაჟ არივარის,

დაარტყას მას სახესა და თავში სიბრაზის გამოსახატავად. ამ დროს მამა იცინის და კომენტარს უკეთებს შვილის აგრესიას. მართალია, ვაჟი ჯერ კიდევ ოთხი წლისაა, მაგრამ უკვე იცის, რომ სიბრაზის გამოსახატავად საჭიროა, დაარტყას ვინმეს ხელი ან რაიმე საგანი. მისთვის უჩვეულო არაა, გაარტყას მამას სახეში, როცა რაიმე არ ესიამოვნება.

სემაიელებში კი პირიქით, ურთიერთობის ფორმა ფაქიზი და არაძალადობრივია. თუმცა ამბობენ, რომ ისინი ამას ბავშვებს არ ასწავლიან. სემაიელები თვლიან, რომ ბავშვი მშვიდი და არააგრესიული უნდა იყოს და განიცდიან, როცა ეს ასე არ არის. როცა ბავშვი სიფიცხეს გამოავლენს, უფროსს ის სახლში მიჰყავს. სემაიელები ბავშვის აგრესიის გამოვლენისთვის ფიზიკურად არ სჯიან და ეს მიდგომა ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია და მისაბაძია. ამგვარი სწავლებით ბავშვი ვერ ხედავს აგრესიის მაგალითს და ამრიგად არ ჰყავს აგრესიის ნიმუში, რომ მისი იმიტაცია გააკეთოს.[25] იანომამოსა და სემაიელ მშობლებთან შედარებით, ჩრდილო ამერიკელი მშობლები სადღაც შუაში, გარდამავალ ეტაპზე არიან. იშვიათად, რომ ჩრდილო ამერიკელმა მშობელმა ბავშვს სახეში გარტყმის უფლება მისცეს, ან სხვა ბავშვის საცემად წაახალისოს. თუმცა ბევრი მათგანი იყენებს ფიზიკური დასჯის ხერხებს. ასევე ითვლება, რომ ბიჭს უნდა შესწევდეს იმის უნარი, დაიცვას საკუთარი თავი, თუ სხვა ბავშვი მასთან ჩხუბს წამოიწყებს.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ საზოგადოებები განსხვავდებიან ბავშვის აღზრდის პრინციპების მიხედვით. ჩვენი თვალსაზრისით, ის, თუ როგორ არიან აღზრდილები ბავშვები, ნაწილობრივ განაპირობებს ზრდასრულობაში მათ პიროვნულ თვისებებს. სხვა სიტყვებით, აღზრდის პრინციპებით განსხვავებული სხვადასხვა საზოგადოება, უხეშად რომ ვთქვათ, წარმოშობს განსხვავებულ პიროვნებებს. როგორც ჩვენ შემდგომში ვნახავთ, დიდ ოჯახში გაზრდა და სკოლაში სიარული განსაკუთრებულ გავლენას ახდენს პიროვნულ განვითარებაზე. ჩვენ არ ვგულისხმობთ იმას, რომ პიროვნება ყველა საზოგადოებაში ერთნაირია. ინდივიდის უნიკალურობა გამომუშავდება მისი გენეტიკური მემკვიდრეობითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით. აქედან გამომდინარე კი, ერთი კულტურის წარმომადგენლები ერთმანეთისგან რაიმე უმცირესი ნიშნით მაინც განსხვავდებიან.

ანთროპოლოგები დაინტერესებულები არიან ქცევის, მრწამსის, შეგრძნებისა და აზროვნების ერთგვარო-

მთავარი განსხვავება ბავშვების მოვლაში დასავლეთსა და სხვა ადგილებს შორის მდგომარეობს თუ რა ასაკის ბავშვი უნდა ატარონ დღის განმავლობაში. შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში ბავშვი უმეტეს დროს ატარებს ბაგაში, ჭოჭინასა და ეტლში. ბაიელი ბავშვი იუნას პროვინციიდან ჩინეთში (მარჯვნივ) ატარებს დიდ დროს დედამისსა და სხვა მტარებლებთან ერთად ახლო კონტაქტში.

ბის ნიმუშებით. ფსიქოლოგი ანთროპოლოგები იკვლევენ პიროვნული თვისებების იმ ასპექტებს, რომლებიც საერთოა ერთი ან სხვადასხვა საზოგადოების წევრებს შორის. პიროვნული თვისებების ატრიბუტები არ არის ნაკლებად მსგავსი ან საერთოდ განსხვავებული ერთმანეთისგან, ისევე, როგორც აბსოლუტურად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მათი გასინჯვა და გაზომვა ძირითადად შედარებით, ხარისხების მეშვეობით ხდება ხოლმე. მაგალითად, აგრესიულობა შეიძლება ერთ ადამიანში უფრო ნაკლები ან მეტი იყოს მეორე ადამიანთან შედარებით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეს ადამიანი საერთოდ არ გრძნობს აგრესიას, ან მუდამ აგრესიულია. ამრიგად, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ფიზიკური ან ვერბალური აგრესია ახასიათებს ამა თუ იმ საზოგადოებას, ჩვენ ამ დასკვნას სხვა საზოგადოებასთან შედარებით ვაკეთებთ. როცა ჩვენ ვადარებთ იონომამოსა და სემაის ეთნოგრაფიულ აღწერას, ჩვენ შეგვიძლია სამართლიანად ვამტკიცოდ, რომ იანომამო, სემაისთან შედარებით, უფრო აგრესიული საზოგადოებაა. საველე სამუშაოების დროს ადამიანების ქცევებს უწყვეტად რომ აკვირდებოდნენ, შევძლებდით, დაგვედგინა, რა სიხშირით გამოიხატება კულტურაში აგრესია. ასევე შევძლებდით გვეანგარიშა აგრესიის გამოვლენის სიხშირე გარკვეულ პერიოდში.

კულტურა არასდროს იქნება მყარი და სტატიკური, შესაბამისად, პიროვნული ნიშნებიც ვერასდროს იქნება სტატიკური. ინდივიდი ხშირად ცვლის ქცევას შეცვლილ ვითარებასთან შესაგუებლად. როცა ბევრი ინდივიდი ცვლის ქცევას ან ბავშვების აღზრდის წესებს, როგორც წესი, იცვლება პიროვნული თვისებებიც.

ბავშვების აღზრდის ახსნა

ბევრმა მკვლევარმა სცადა, გაერკვია, აქვს თუ არა ბავშვების აღზრდის პროცესს გავლენა ფსიქოლოგიურ განსხვავებებზე. ტერმინს **სოციალიზაცია** იყენებენ როგორც ანთროპოლოგები, ისე ფსიქოლოგები. ეს აღწერს მშობლების ან სხვა ადამიანების გავლენას ბავშვის განვითარებაზე, მის ქცევაზე, დამოკიდებულებაზე გარემოსადმი და მის ფასეულობებზე. ითვლება, რომ ბავშვში ეს ყველაფერი მისი კულტურიდან გამომდინარე უნდა ჩამოყალიბდეს. მშობლები და უფროსები ცდილობენ, მოახდინონ ბავშვის სოციალიზაცია კონკრეტული ქმედებების შექებით ან დასჯითა და იგნორირებით. სოციალიზაცია შეიძლება იყოს არაპირდაპირი და პირდაპირი. ბავშვებისთვის დავალების მიცემით მშობლები არა მარტო განუვითარებენ მათ სრულწლოვანებისთვის საჭირო უნარებს, არამედ ამავდროულად ფაქიზად აჩვენებენ, თუ როგორი პიროვნების აღზრდა უნდათ მათში. ყოველდღიურად სკოლაში სიარულმაც შეიძლება მოახდინოს გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიურ, კერძოდ კი კოგნიტურ, განვითარებაზე. და ბოლოს, მშობლებს შეუძლიათ ბავშვების ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ მიმართ.

მშობლების თანხმობა და უარი (აკრძალვა) პიროვნული თვისებების სიღრმისეული კვლევისას კორა დიუ ბუამ თითქმის 18 თვე გაატარა აღმოსავლეთ ინდონეზიის კუნძულ ალორზე, სადაც ის ალორელებს აკვირდებოდა. მათი პიროვნული თვისებების დასადგენად, მან ,,პირველად ისტორიაში“ სთხოვა სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს, დამოუკიდებლად შეეფასებინათ მისი საველე შრომა და გაეკეთებინათ ინტერპრეტაცია. მათ არ ჰქონიათ საშუალება, ნინასწარ გასცნობოდნენ ალორელების კულტურასა და დამოკიდებულებებს. არც დიუ ბუას ზოგადი ეთნოგრაფიული ჩანაწერებისა და ინტერპრეტაციების წაკითხვის შესაძლებლობა გააჩნდათ. ამის მიუხედავად, მათი აღმოჩენები გასაოცარი ხარისხით დაემთხვა მისას.[26]

ამრიგად, მრავალმხრივი განხილვების საფუძველზე გაჩნდა ტიპური ალორელის პიროვნული თვისებების მიუკერძოებელი სურათი. ორივე სქესის ალორელები ხასიათდებოდნენ ანტაგონისტ, ძალადობისადმი მიდრეკილ, ემოციურ, ხშირად ეჭვიან ადამინებად. მათ არ აინტერესებდათ მათ გარშემო არსებული მსოფლიო, საქმეში

მრავალ საზოგადოებაში ბავშვები კარგად სწავლობენ მრავალ მიბაძვას მითითების მიხედვით.

უწესრიგოები იყვნენ და მიზნებისადმი გულგრილობას ამჟღავნებდნენ. დიუ ბუა და მისი კოლეგები ყურადღებას ყოველდღიურ ცხოვრებაზე ამახვილებდნენ, კონკრეტულად კი ბავშვების ძუძუთი კვებაზე. ალორელების პიროვნული განვითარების შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ დედებს დღის განმავლობაში ბავშვებთან ნაკლები კონტაქტი ჰქონდათ. ქალი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ბავშვის გაჩენიდან ათ დღეში, ზოგჯერ ორ კვირაში უბრუნდება. ქალები საზოგადოების საკვებით პირველი მომმარაგებლები არიან. ისინი მუშაობდნენ ბაღებში. მამაკაცები კომერციული საქმეებით იყვნენ დაკავებული. ძირითადად ღორებით, გონგებითა და ლიტავრებით ვაჭრობდნენ. ჩვილი ბავშვი მამის, უფროსი დედმამიშვილის ან ბაბუა-ბებიის მოსავლელი იყო. ჩვილებს ძუძუს შემცვლელ საკვებსაც აძლევენ, მაგრამ ისინი მას ხშირად არ ჭამდნენ. ფროიდის ტერმინებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვილი განიცდიდა ორალურ აშლილობას, სასოწარკვეთასა და მღელვარებას. ამავდროულად ბავშვები განიცდიდნენ იმასაც, რომ მათ ხან ალერსიანად ეპყრობოდნენ, ხან კი მკაცრად.

იმაში დასარწმუნებლად, რომ ბავშვის აღზრდის ალორული წესები გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესზე, საჭიროა, შევადაროთ ალორელი ხალხი სხვა საზოგადოებებს. მსგავსი აღმზრდელობითი მახასიათებლების მქონე სხვა საზოგადოებებიც ამისთანა პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს? თუ ეს ასეა, მაშინ ზემოხსენებული მოსაზრება მართალია. თუ არა, მაშინ ეს ინტერპრეტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

ბევრი მეცნიერი არ მიჰყვა ძუძუთი კვების შესაძლო ეფექტების კვლევის მოდელს. რუთმა და რობერტ მანროებმა ლოგონელი ჩვილების მაგალითზე შეისწავლეს ის ეფექტები, რაც დედის მიერ ჩვილის ხელით ტარებას აქვს.[28] მანროები აკვირდებოდნენ ბავშვების ხელით ტარების ინტენსივობას და ბევრ ამ ინდივიდს ხუთი წლის შემდეგ ინტერვიუც კი ჩამოართვეს. რა თქმა უნდა, ისინი მაშინ ბავშვები იქნებოდნენ. მკვლევარებს აინტერესებდათ, იყვნენ თუ არა ხშირად ხელით ნატარები ბავშვები მეტად მიმნდობები, ოპტიმისტები და მშვიდები. ამრიგად, მათ შეადგინეს ბავშვებისთვის შესაფერისი ტესტები, რომლებითაც პიროვნულ თვისებებს გაზომავდნენ. ოპტიმიზმის გასაზომად ისინი ბავშვებს მომღიმარ და მოწყენილ სახეებს აჩვენებდნენ და ეკითხებოდნენ, რომელი ერჩივნათ. სურვილის გასაზომად, ისინი აკვირდებოდნენ, რამდენ ხანს რჩებოდა ბავშვი უცხო ადამიანთან ოთახში და თამაშობდა ახალი სათამაშოებით.

შედეგად, გაირკვა, რომ 5 წლისთვის ბავშვები, რომლებიც მეტ დროს ატარებდნენ დედის ხელში, უფრო მიმნდობნი და ოპტიმისტები იყვნენ. გასაოცარი იყო, რომ ბავშვების ოპტომიზმსა და მიმნდობლობაზე გავლენას არა მარტო დედის, არამედ სხვა ადამიანის ხელში ყოფნაც ახდენდა. დედის მიერ ბავშვის ხელით ტარება, მართალია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ნდობა უფრო დიდი იყო, თუ ბავშვს ჩვილობისას უცხო ადამიანი ატარებდა ხელით. ეს გარკვეულწილად დედის მიმნდობი ბუნებით შეიძლება აიხსნას. ამგვარი ქცევით ის ბავშვსაც უნერგავს მიმნდობ ხასიათს.

რისი გარკვევა შეიძლება „მშობლობის“ ხარისხის დადგენის მეშვეობით? მშობლების სიყვარული, ზრუნვა და სითბო პიროვნულ თვისებებზე დადებითად მოქმედებს თუ არა? ხოლო ინდიფერენტულობა და აგრესია — ნეგატიურად? ამის კროსკულტურულად კვლევა საკმაოდ ძნელია, რადგან სხვადასხვა საზოგადოებაში სიყვარულს განსხვავებულად გამოხატავენ. თუ სიყვარული ერთნაირად არ გამოიხატება, მაშინ უცხო დამკვირვებელმა შეიძლება სხვანაირად აღიქვას და გაიგოს მშობლის დამოკიდებულება შვილის მიმართ. ამის მიუხედავად, რონალდ რონერმა და მისმა კოლეგებმა მაინც ჩაატარეს ფართო კვლევა იმ გავლენის დასადგენად, რასაც მშობლის მიერ შვილის მიღება და უარყოფა ახდენს ბავშვზე ჩვილობის შემდეგ. 101 საზოგადოების კროსკულტურულად შედარების შემდეგ, ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე შექმნილი საზომებით, რონერმა აღმოაჩინა, რომ ბავშვები უფრო აგრესიულები არიან, როცა მშობლები მათ უარყოფენ და არ გამოხატავენ მათ მიმართ სითბოს.[29] ბავშვობაში უარყოფილი ადამიანები ზრდასრულობის პერიოდში ყველას საეჭვოდ, მტრულად და არაკეთილგანწყობილად მიიჩნევენ. ამგვარი ცდები ჩატარდა ბევრ სხვა საზოგადოებაში, რათა დამტკიცებულიყო ამ ჰიპოთეზის უნივერსალურობა. ამასთან, ბავშვობაში უარყოფილი ადამიანები, რომლებიც მსოფლიოს არაკეთილგანწყობილად აღიქვამენ, თავად არიან აგრესიულები და არაკეთილგანწყობილები სხვების მიმართ. ასეთი ადამიანები ემოციურად არასტაბილურები არიან და საკუთარ თავს უარყოფითად აფასებენ.[30]

რა შემთხვევაში შეიძლება მშობელმა მიატოვოს შვილი? რონერის კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ბავშვებს ტოვებენ მაშინ, როდესაც დედები შვილის მოვლით სიამოვნებას არ გრძნობენ. ხოლო როცა ბავშვის აღზრდაში როლს მამა და ბებია-ბაბუაც ასრულებენ, მიტოვების ფაქტები ნაკლებია. შემგროვებელ საზოგადოებებში მშობლები შვილების მიმართ დიდ სითბოსა და სიყვარულს ავლენენ. უფრო კომპლექსურ საზოგადოებებში ეს მაჩვენებელი თანდათან მცირდება.[31] არ არის ცნობილი, რატომ ხდება ასე. ალბათ ნაწილობრივ იმიტომ, რომ რაც უფრო ნაკლებ დროს ატარებს მშობელი ბავშვთან, მით უფრო მიტოვებულად გრძნობს ეს უკანასკნელი თავს. როგორც ეკონომიკური სისტემებზე დაწერილ თავში აღვნიშნეთ, თავისუფალი დრო მცირდება, როცა ეკონომიკური კომპლექსურობა იზრდება. კომპლექსური საზოგადოებები, რომლებიც ინტენსიურ სოფლის მეურნეობას ეწევიან, მეტ ეკონომიკურ გაურკვევლობაში არიან. ამ დროს არსებობს არა მარტო შიმშილით სიკვდილისა და საკვების ნაკლებობის საფრთხე, არამედ თავს იჩენს სოციალური უთანასწორობაც. სოციალურად სტარტიფიცირებულ საზოგადოებებში ხშირად ოჯახებს არ აქვთ იმდენი ფული, რომ დაიკმაყოფილონ ეკონომიკური მოთხოვნილებები, ეს კი მშობლებში უფრო მეტ სასოწარკვეთას იწვევს. რა მიზეზიც უნდა ჰქონდეს მშობლის მიერ შვილის დატოვებას, ამას ნებიესმიერ შემთხვევაში აქვს უკუჩვენება: არის იმის მაღალი ალბათობა, რომ ბავშვობისას მიტოვებულმა ადამიანებმა მიატოვონ საკუთარი შვილები.

დავალების მიცემა ჩვენ საზოგადოებაში პატარა ბავშვები, როგორც წესი, არ მონაწილეობენ ხოლმე ყოველდღიურ მძიმე სამუშაოებში. მაგრამ თუ ისინი ისეთ დავალებებს ასრულებენ, როგორიც ოთახის დალაგებაა, მათი

მრავალ საზოგადოებაში ქალები არ ტოვებენ საკუთარ ბავშვებს მუშაობისას. მაგალითისთვის, დედას შეუძლია, ბავშვები წაიყვანოს მინდორში, როგორც ეს მიაოელი დედა ვიეტნამში.

შრომა ოჯახის კეთილდღეობაზე არანაირად არ აისახება. ამისგან განსხვავებით, ანთროპოლოგიისთვის ცნობილ ბევრ საზოგადოებაში ბავშვები, 3-4 წლისებიც კი, ეხმარებიან უფროსებს საკვების მომზადებაში, ცხოველების მოვლაში, წყლისა და შეშის მოტანაში, დალაგებასა და ა.შ. 5-8 წლამდე ბავშვებს ზოგჯერ ჩვილების მოვლასაც კი ავალებენ, სანამ დედა მინდორში მუშაობს.[32] რა გავლენას ახდენს ასეთი დავალებები ადამიანის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე?

ჩვენ გვაქვს დასტური 10-ზე მეტი კულტურის მაგალითიდან გამომდინარე, რომ ისეთი ბავშვები, რომლებიც რეგულარულად უვლიან თავისზე უმცროსებს, უფრო მზრუნველები არიან. ასეთი ადამიანები ხშირად სთავაზობენ სხვებს დახმარებასა და თანადგომას. ,,ექვსი კულტურის“ სახელით ცნობილი კვლევის დროს მკვლევარების სხვადასხვა ჯგუფი აკვირდებოდა ბავშვების ქცევას მექსიკაში, ინდოეთში, ფილიპინებში, ოკინავასა და აშშ-ში.[33] რუთ და რობერტ მანროები აგროვებდნენ მონაცემებს ბავშვების ქცევის შესახებ ოთხ სხვა კულტურაში, ცდილობდნენ, დაედგინათ კავშირი ბავშვების მოვლასა და შემდეგ მათში მზრუნველობითი თვისებების გამომუშავებას შორის. მარნოების მონაცემები ჰქონდათ კენიიდან, ნეპალიდან, ბელიზიდან და ამერიკის სამოადან. ცხადია, ბავშვები რომლებიც იშვიათად უვლიან უმცროსებს, ნაკლები გულისხმიერებით ეკიდებიან სხვების საჭიროებებს, მოვლის გამოცდილების მქონე ბავშვებისგან განსხვავებით.[34]

რატომ ახდენს დავალების მიცემის პროცესი გავლენას ბავშვის ქცევაზე? ერთ-ერთი ახსნის მიხედვით, ბავშვები დავალების შესრულებისას გარკვეული ქცევის წესებს ეუფლებიან. ეს წესები შემდგომ ჩვევაში გადაიზრდება. მაგალითად, პასუხისმგებელი ძიძა მოსალოდნელია, რომ სხვებს დახმარებას შესთავაზებს. დედამ შეიძლება პირდაპირი ინსტრუქციაც მისცეს მას ამის თაობაზე. საქმის კარგად შესრულებისას ჩნდება ასევე შინაგანი კმაყოფილების გრძნობა. მაგალითად, ძალიან სასიამოვნოა ჩვილის სიცილისა და ღიმილის ყურება, მაგრამ საშინლად უსიამოვნოა მისი ტირილის მოსმენა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ: ძიძად ,,დანიშნული“ ბავშვი თავად ხვდება, რომ ჩვილის მოვლას თავისი ჯილდო მოაქვს.[35]

ბავშვების გარემოცვა ბავშვები, რომლებსაც განსხვავებულ დავალებებს აძლევენ, დღეს სხვადასხვა გარემოცვაში ატარებენ. ამ გარემოცვამ მათზე შეიძლება პირდაპირი გავლენა მოახდინოს. მაგალითად, ბავშვები, რომლებსაც სახლის სამუშაოს გაკეთება ევალებათ, თავიანთ დღეს ატარებენ უფროსებისა და პატარების გარემოცვაში. ბავშვებს, რომლებსაც ცოტას, ან საერთოდ არავითარ სამუშაოს არ ავალებენ, უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვთ და ძირითადად თანატოლების გარემოცვაში იმყოფებიან. ბეატრის უაითინგი მიიჩნევს, რომ ბავშვების სოციალიზაციაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა იმ გარემოცვას აქვს, რომელშიც ისინი იზრდებიან.[36] როგორ ზემოქმედებს ბავშვის ქცევაზე გარემოცვა? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ უმცროსი ბავშვების გარემოცვაში ყოფნა უფროსებს უფრო მზრუნველებს ხდის. აგრესიულ ბუნებასაც ის განაპირობებს, თუ ვის გარემოცვაში არის ბავშვი. ექვსი კულტურის პროექტის მონაცემებმა აჩვენა, რომ ბავშვები უფრო აგრესიულები თანატოლების გარემოცვაში არიან, ხოლო მცირდება აგრესია უფროსების სიახლოვეს.[37] სქესის შესახებ თავში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გოგონებისგან განსხვავებით, ბიჭები უფრო მეტ აგრესიას ამჟღავნებენ. ნაწილობრივ ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ გოგონებს უფრო მეტ დავალებას აძლევენ როგორც სახლში, ისე გარეთ (იქ, სადაც უმეტესად უფროსები არიან). ბიჭები კი ძირითადად თავისუფლები არიან და თანატოლებთან თამაშობენ. შეიძლება მშობლები განგებ არ ცდილობენ ბავშვებს კონკრეტული ჩვევები ჩაუნერგონ, მაგრამ ამას ხელს უწყობენ ბავშვებისთვის გარემოცვის შერჩევის გზით.

სკოლა ზოგ საზოგადოებაში ბავშვების უმნიშვნელოვანესი გარემო არის სკოლა. ბევრი მკვლევარი ყურადღებას მშობლების აღზრდის სტილზე ამახვილებს. მაგრამ ბევრ საზოგადოებაში ბავშვები თავიანთი დროის არსებით ნაწილს სკოლაში ატარებენ დაახლოებით სამი წლის ასაკიდან. რა გავლენას ახდენს სკოლა ბავშვების სოციალური ქცევისა და მათი აზროვნების ჩამოყალიბებაში? სკოლის გავლენის გასაზომად მკვლევარებმა შეადარეს ბავშვები და უფროსები ისეთ ბავშვებს და უფროსებს, რომლებსაც სკოლაში არ უვლიათ. ყველა ეს გამოკვლევა ისეთ საზოგადოებაში ჩატარდა, სადაც არ არსებობს სავალდებულო დაწყებითი სკოლები. სხვა შემთხვევაში, ვერ შევადარებდით სკოლაში ნასიარულებ და უსწავლელ ადამიანებს. სოციალურ ქცევაზე სკოლის გავლენის შესახებ ჩვენ არსებითად ცოტა რამ ვიცით. ამისგან განსხვავებით, საკმაოდ ბევრია ცნობილი სკოლის გავლენის შესახებ კოგნიტურ მოსწრებაზე.

სკოლაში სიარული უკვე მიანიშნებს კოგნიტურ ტესტებში წარმატებულ შედეგზე. მაგალითად, არადასავლურ საზოგადოებაში ადამიანები, რომლებსაც სკოლაში არ უვლიათ, ნასწავლებთან შედარებით, ცუდად აღიქვამენ სიღრმეს ორგანზომილებიან სურათზე. ისინი წარმატებულები არც მეხსიერების სავარჯიშოების ამოხსნაში არიან და არც ფორმალურ-ოპერაციული აზროვნების უნარს ამჟღავნებენ.[38] მაგრამ სკოლაში სიარული ყოველთვის არ განაპირობებს უპირატესობას ლოგიკური აზროვნების ტესტების ამოხსნაში.[39]

რატომ აქვს სკოლაში სიარულს ასეთი ეფექტი? მართალია სკოლაში სიარულის გარკვეული ასპექტები ამაღლებენ კოგნიტურ აზროვნებას რაღაც დონემდე, მაგრამ არსებობს ამის კიდევ სხვა ახსნაც. სკოლაში მოსიარულე ბავშვების უპირატესობა შეიძლება აიხსნას იმ გამოცდილებით, რასაც ისინი სკოლაში იღებენ, ამ უპირატესობას შეიძლება საერთო არ ჰქონდეს კოგნიტურ შესაძლებლობებთან. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ მკვლევარი სთავაზობს ხალხს, დააჯგუფონ გეომეტრიული ფიგურები. ვთქვათ, ადამიანს აჩვენეს სამი ნახაზი: წითელი წრე, წითელი სამკუთხედი და თეთრი წრე. ჰკითხეს, რომელი ორი მიაჩნდა მსგავსად. ადამაინს შეუძლია ფიგურები ფერის ან ფორმის მიხედვით დააჯგუფოს. აშშ-ში ბავშვები ძირითადად ფერის მიხედვით აჯგუფე-



სკოლაში დასწრება ჩვეულებრივი გახდა მსოფლიოს მრავალ ნაწილში, როგორც ბალიში აივორის სანაპიროზე. სკოლა ხელს უწყობს გონებრივ განვითარებას, მაგრამ ზუსტად არ ვიცით, რატომ ან როგორ.

ბენ ხოლმე, ხოლო როცა იზრდებიან, უკვე — ფორმის მიხედვით. ფსიქოლოგების აზრით, ფერის მიხედვით დაჯგუფება უფრო ,,კონკრეტულია", ხოლო ფორმის ან ფუნქციის მიხედვით კლასიფიკაცია – უფრო ,,აბსტრაქტული". ბევრი აფრიკელი ზრდასრული ადამიანი, რომელსაც სკოლაში არ უვლია, ფიგურებს უფრო ფერის მიხედვით ალაგებს და არა ფორმის. შეგვიძლია კი აქედან დავასკვნათ, რომ მათ აბსტრაქტულად დაჯგუფების უნარი არ აქვთ? არ არის აუცილებელი, ასე იყოს. ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ აფრიკელებისთვის უცხოა ტესტის მასალები (ნახატები ფურცელზე, გეომეტრიული ფიგურები...).

როგორ დააჯგუფებენ ადამიანები აბსტრაქტულად (მაგალითად, ფორმის მიხედვით), თუ არასდროს უნახავთ და არ ჰქონიათ არანაირი შეხება იმასთან, რასაც ნახატზე ხედავენ? შესაძლებელია კი ერთად დააჯგუფონ სამკუთხედები, როცა არასდროს უნახავთ სამკუთხიანი სწორგვერდა ფიგურები? ამისგან განსხვავებით, გავიხსენოთ, რამდენ დროს უთმობენ მასწავლებლები აშშ-ში ბავშვებისთვის გეომეტრიული ფიგურებს ახსნას. მხოლოდ ამ მიზეზით შეიძლება ადამიანმა კოგნიტურ ტესტზე უფრო მაღალი შედეგი აჩვენოს.[40]

დასავლეთ აფრიკაში ლიბერიელი ბრინჯის ფერმერებისა და ამერიკელი ბოლო კურსის სტუდენტების შედარებითმა კვლევამაც აჩვენა, რომ მასალის შერჩევა გავლენას ახდენს კვლევის შედეგებზე. ამჯერად ტესტი შეიცავდა ფერმერებისთვისაც და სტუდენტებისთვისაც ნაცნობ მასალებს. როდესაც მათ ბრინჯის მასალებიდან მოუწიათ კითხვებზე პასუხი, ფერმერები უფრო ,,აბსტრაქტულები" აღმოჩნდენენ სტუდენტებზე. სტუდენტებმა უფრო ,,აბსტარქტული" შედეგი გეომეტირიული მასალების დაჯგუფებისას გამოავლინეს.[41]

ინდივიდებმა, რომლებსაც სკოლაში უვლიათ, მხოლოდ იმიტომ შეიძლება აჩვენონ უკეთესი შედეგი კოგნიტურ ტესტებზე, რომ ისინი იცნობენ ტესტების მასალებს. მაგალითად, წარმოიდგინეთ სკოლაში არც ერთხელ ნამყოფი აზიელი ადამინის რეაქცია, როდესაც მას რუსმა ფსიქოლოგმა შემდეგი კითხვა დაუსვა: ,,უკიდურეს ჩრდილოეთში, სადაც სულ თოვლია, ყველა დათვი არის თეთრი, ნოვაია ზემლიაც უკიდურეს ჩრდილოეთშია და იქაც სულ თოვლია. მაშ რა ფერისანი არიან იქ დათვები?" პასუხი შემდეგი იყო: ,,ჩვენ არ ვსაუბრობთ იმაზე, რაც არასდროს გვინახავს." ამგვარი პასუხი დამახასიათებელია უსწავლელი ადამინებისთვის. ისინი არც ცდილობენ, გასცენ პასუხი ისეთ კითხვებს, რაც მათი გამოცდილების ნაწილი არ ყოფილა.[42] ცხადია, ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ რამდენად ლოგიკურად აზროვნებს ადამიანი, თუ ის უარს ამბობს, აგვყვეს კოგნიტურ თამაშში.

კვლევები ძირითადად იმის გასარკვევად უნდა ტარდებოდეს, თუ კონკრეტულად რა გავლენას ახდენს სკოლა კოგნიტურ აზროვნებაზე და რატომ. მნიშვნელოვანია თუ არა, რა სპეციფიკური საგნები ისწავლება სკოლაში? არის თუ არა აუცილებელი, უპასუხო ისეთ კითხვებს, რომლებიც კონტექსტში არ ჯდება? არის კი წიგნიერება გადამწყვეტი ფაქტორი? ბოლო კითხვა გარჩევის საგნად იქცა ლიბერიის ვაის ხალხების მაგალითზე, რომლებსაც სკოლებში უცნაური სიტუაცია ჰქონდათ. ვაიელების ადგილობრივი დამწერლობა სკოლის გარეთ ისწავლებოდა. ამრიგად, სილვია სკრიბნერსა და მაიკლ ქოულს მიეცათ საშუალება, შეედარებინათ სკოლის გარეთ განათლებამიღებული ინდივიდები განათლებულ (სკოლაში ნამყოფ) ადამიანებთან და საერთოდ უსწავლელ (გაუნათლებელ) ხალხთან. მათ აღმოაჩინეს განათლების გარკვეული ეფექტები, თუმცა ძალიან მცირე. კოგნიტური ტესტების შედეგებზე ყველაზე კარგად აისახა სკოლაში ნასიარულები ხალხის პასუხები. მსგავსი შედეგი აჩვენეს ონტარიოს ჩრდილოეთით მოსახელე კრის ხალხებმა, რომლებსაც საკუთარი დამწერლობა აქვთ, რომელსაც სკოლის გარეთ

ასწავლიან.[43] ამ კვლევებიდან ცხადი გახდა, რომ სკოლაში სიარულის სხვა ასპექტები, გარდა განათლებულობისა, უფრო მეტად ახდენენ გავლენას კოგნიტური ტესტების შედეგებზე.

იმ საზოგადოებების შესწავლით, სადაც სკოლაში სიარული უნივერსალური არ არის, ჩვენ შევძლებთ, გავარკვიოთ, კერძოდ რა როლს თამაშობს სკოლაში სიარული კოგნიტურ და სხვა სახის განვითარებაზე. ის, თუ რამხელა განსხვავებას ახდენს კოგნიტური ტესტების შედეგებზე სკოლაში სიარულის ფაქტორი, დღის წესრიგში აყენებს მეორე საკითს. საინტერესოა, რა დონეზე განსაზღვრავს სკოლაში სიარული იმას, რასაც ჩვენ ვიკვლევთ. ბავშვები არა მარტო იზრდებიან, ისინი ყოველ წელს ახალ კლასში გადადიან. სკოლები არა მარტო კონკრეტული სასწავლო გეგმის შემსრულებელი დაწესებულებებია. აქ ბავშვები ერთმანეთთან და არა ოჯახის წევრ უფროსებთან ურთიერთობას სწავლობენ. ამრიგად, მოსალოდნელია, რომ სკოლები არა მარტო კოგნიტურობაზე ახდენენ გავლენას, არამედ აყალიბებენ ბავშვების კულტურულ დამოკიდებულებასა და ფასეულობებს, სხვებთან მოქცევის შესაძლო გზებს (იხ. სტატია ,,ასწავლიან თუ არა სკოლაში ფასეულობებს?“).

ზოგადი კულტურული თემები, როგორც ახსნა

ჩვენს მიერ განხილული სოციალიზაციის ბევრი ასპექტი საკმაოდ სპეციფიკურია — ჩვეულებები, თუ რამდენი ხანი უნდა იყოს ბავშვი ხელში აყვანილი, არის თუ არა ბავშვის აგრესია მოწონებული, რა სახის დავალება უნდა მისცე ბავშვს, დადიან თუ არა ისინი სკოლებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ასპექტები დიდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორი ფსიქოლოგიის იზრდება ბავშვი. მაგრამ ბავშვებზე გავლენას ახდენენ კულტურაში მოჭარბებულ უფრო ზოგადი იდეებიცაა და თემებიც. უფრო ადრე ჩვენ ვიმსჯელეთ ჩვილების მოვლის საკითხებზე. აშშ-ში არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ბავშვი არ უნდა გაიზარდოს გათამამებული, არც სხვაზე დამოკიდებული. შესაძლოა, არსებობდეს ზოგადი თემები და იდეები კულტურის სოციალიზაციის სპეციფიკური ნიმუშების მიღმა. ეს გზები განსხვავებულად შეიძლება გამოიხატოს.

,,მეობის“ კონცეფციები ანთროპოლოგებმა დაიწყეს სხვადასხვა კულტურის შეხედულებების შესწავლა პიროვნულობის ან მეობის შესახებ. ბევრი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მეობის კონცეფცია არადასავლურ ქვეყნებში საკმაოდ განსხვავდება დასავლურისგან. კლიფორდ გირცმა დასავლური მეობის კონცეფცია აღწერა, როგორც ,,სიფრთხილის, ემოციის, განსჯისა და ქმედების შეზღუდული, უნიკალური... დინამიკური ცენტრი, ორგანიზებული ერთ მთელში.“[44] ჯავაში, ბალისა და მაროკოში ჩატარებული საველე სამუშაოების საფუძველზე მან დაასკვნა, რომ ამ საზოგადოებებს პიროვნების საკმაოდ განსხვავებული კონცეფციები ჰქონდათ. განსხვავებული არა მარტო ერთმანეთისგან, არამედ დასავლური საზოგადოებებისგანაც. მაგალითად, ბალიში პიროვნებას ბევრი როლი აქვს, როგორც მსახიობს. ადამიანის პიროვნების უნიკალური მახასიათებლები აქ ხაზგასმული არაა. მნიშვნელოვანია ის ,,ნიღბები“, რომლებსაც ადამიანები ატარებენ და ის ,,როლები“, რომლებსაც ასრულებენ.

გირცმა ყურადღება გაამახვილა სხვადასხვა კულტურაში მეობის კონცეფციის ვარიაციებსა და უნიკალურობაზე. მაგრამ სხვა მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ამ ვარიაციებში შესაცნობი და წინასწარ განსაჭვრეტი ნიმუშებიცაა მოქცეული. ამათგან ყველაზე ხშირად საუბრობენ დასავლურ და არადასავლურ დამოკიდებულებაზე მეობის მიმართ. დასავლურ საზოგადოებებში ,,მე“-ზე, როგორც ავტონომიურ ინდივიდზე, ამახვილებენ ყურადღებას. ხოლო არადასავლურში პიროვნება სხვებთან ურთიერთკავშირში განიხილება.[45] ამ დასავლურ/არადასავლური კულტურული განსხვავებების აღსაწერად იყენებენ შემდეგ იარლიყებს: ,,ინდივიდუალიზმი“ ,,ჰოლიზმის“ ან ,,კოლექტივიზმის“ წინააღმდეგ. ,,ეგოცენტრიზმი“ ,,სოციოცენტრიზმის“ წინააღმდეგ და მისთანა.[46] მაგალითად, იაპონური ,,მეობის” კონცეფციას ხშირად აღწერენ, როგორც ,,რაციონალურსა” და ,,სიტუაციურს”. ხალხი არსებობს ურთიერთობების ქსელში და იდეალურ ადამიანს შეუძლია ადვილად გადავიდეს ერთი სოციალური სიტუაციიდან მეორეში.[47]

დასავლური მეობის აღქმის არადასავლურად დაპირისპირების იდეას ორი ძირითადი აზრი ეწინააღმდეგება. კულტურების სხვა კვლევებმა გაითვალისწინეს ვარიაციების სხვა განზომილებებიც, გარდა ,,კოლექტივიზმისა“ და ,,ინდივდუალიზმისა“. მაგალითად, ინუიტების ტრადიციული კონცეფცია ინუმმარიკი (,,ნამდვილი პიროვნება“) მოიცავს მუდმივ ეკოლოგიურ ჩარევას: ურთიერთობას როგორც გარემოსა და ცხოველებთან, ისე ადამიანებთან.[48] ამრიგად, კულტურის მეობის კონცეფცია შეიძლება შეიცავდეს სხვა განზომილებებსაც, არა მარტო ინდივიდისა და კოლექტივის ურთიერთობას. დასავლური და არადასავლური განსხვავების წინააღმდეგ გამოთქმული მეორე მოსაზრება ეჭვქვეშ აყენებს კვლევების დასკვნებს. როგორც მელფორდ სპირომ აღნიშნა, საჭირო, გავარკვიოთ, როგორ ხედავს საკუთარ თავს საზოგადოებაში ინდივიდთა გუნდი. კულტურის იდეალი შეიძლება სინამდვილეში განსხვავდებოდეს რეალობისგან.[49] მაგალითად, ინდივიდები ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი საკუთარ თავს მხოლოდ ავტონომიურ ერთეულად არ აღწერენ. ჯეინ უელენკემპმა და დაგლას ჰოლანმა ჩაატერეს გამოკითხვა ამერიკელებს შორის. როცა მათ ჰკითხეს, რას იგრძნობდნენ ახლობელი ადამიანის სიკვდილისას, ასეთი პასუხი მიიღეს: ,,მე მარტოც გავძლებ“, მაგრამ რესპოდენტების პასუხებში ასევე ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველი განცხადებებიც იყო: ,,შენ აცნობიერებ, რომ ისინი აღარ არიან და ხვდები, რომ შენი სულის ნაწილიც მათთან ერთად გაქრა”.[50] ეს არ ნიშნავს, რომ აშშ-ში ინდივიდის ავტონომიას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, პირიქით. მაგრამ ამავდროულად ინდივიდები აცნობიერებენ, რომ ისინი ურთიერთდამოკიდებულები არიან. ის, თუ სინამდვილეში რას ვფიქრობთ საკუთარი თავის შესახებ, შეიძლება არც ისე ძალიან განსხვავდებოდეს იმისგან, თუ რას ფიქრობენ სხვა საზოგადოებაში ადამიანები თავიანთ თავზე.

ინდივიდუალიზმის თემა საზოგადოებებში სხვადასხვაგვარად წარმოჩნდება. ზოგ საზოგადოებაში პიროვნების ინდივიდუალობას დაბადებიდანვე უსვამენ ხაზს. მაგალითად, ბავშვს დაძინებისას ,,საკუთარ“ თოჯინას აძლევენ. სკოლასა ან ბაღში არჩევანის გაკეთების უფლება აქვთ. (იხ. სტატია ,,ასწავლიან თუ არა სკოლაში ფასეულობებს?“). ზოგ სკოლაში მოითხოვენ ინდივიდუალურ და არა ჯგუფურ მიღწევებს. ხაზგასმული უნდა იყოს თუ არა სკოლებში ინდივიდუალურობა? ალბათ, არა, რადგან მისი სწავლება ბევრი სხვა ხერხითაც შეიძლება.

მშობლების წარმოდგენების სისტემა მშობელმა შეიძლება არც იცის, რომ შვილისთვის სითბოს დამალვა შედეგად გამოიღებს ბავშვის აგრესიულობასა და საკუთარ თავზე დაბალ შეხედულებას. მშობელი შეიძლება ვერც იმას აცნობიერებდეს, რომ შვილის თანატოლებთან მარტო დატოვება მასში აგრესიულობას ზრდის. მაგრამ ყველა საზოგადოებაში მშობლებმა იციან, როგორი შვილის აღზრდა უნდათ და როგორ უნდა მოექცნენ მათ. ამ იდეათაგან ბევრი კულტურულად განპირობებულია და მათ ,,ეთნოთეორიები“ ეწოდებათ.[51] მაგალითად, სარა ჰარკინსმა და ჩარლზ სუპერმა, როცა ისინი ჰოლანდიელ მშობლებსა და ჩვილებს იკვლევდნენ, აღმოაჩინეს, რომ ჰოლანდიელ მშობლებს სჯერათ ე.წ. ,,სამი რ“-სი: rust (დასვენება), regelmaat (რეგულარობა) და reinheid (სიფაქიზე). მშობლებს ჩვილებისთვის მშვიდი და რეგულარული

მიმდინარე კვლევა და საკითხები

ასწავლიან თუ არა სკოლაში ფასეულობებს?

აშშ-ში აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, უნდა ასწავლიდნენ თუ არა სკოლაში ფასეულობებს. ბევრი ფიქრობს, რომ სკოლაში უნდა ასწავლიდნენ ფასეულობებს. სხვები კი მიიჩნევენ, რომ ეს მხოლოდ მშობლებისა და ოჯახის პრეროგატივაა. თუმცა ასწავლიან თუ არა სკოლაში ფასეულობებს, ფაქტია, რომ უნებურად ეს მაინც ხდება.

ჯოზეფ ტობინმა, დევიდ ვუმ და დანა დევისდსონმა კამერაზე აღბეჭდეს იაპონიის, ჩინეთისა და აშშ-ს დაწყებითი სკოლის საკლასო სცენები. თითოეულ ქვეყანაში ისინი სთხოვდნენ ბავშვებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და სკოლის ადმინისტრაციას, კომენტარი გაეკეთებინათ ფირზე აღბეჭდილ სამივე ქვეყნის სცენებზე. ჩვენ შეგვიძლია ამ კომენტარების მიხედვით გავარკვიოთ, რა განსხვავებული ფასეულობები ისწავლება ამ სკოლებში.

როცა ამერიკელმა უფროსებმა ნახეს იაპონელების კასეტა, ისინი ძირითადად ორმა რამემ აოცა. პირველი ის იყო, რომ იაპონელი ბავშვები ერთდროულად აკეთებდნენ ერთნაირ რამეებს, როგორც ჯგუფი. მაგალითად, მასწავლებელი აჩვენებდა მათ, როგორ დაეკეცათ ფურცელი და გაეკეთებინათ ჩიტის ფიგურა. ბავშვები კი მის ქმედებებს იმეორებდნენ. ამერიკელი მასწავლებლებისა და მშობლების აზრით, ბავშვს უფრო მეტი თავისუფლება უნდა ჰქონდეს, მას უნდა ჰქონდეს საშუალება, თავად გადაწყვიტოს, რა და როგორ გააკეთოს. მეორე, რამაც აოცა ამერიკელები და ჩინელები, იყო ის, რომ იაპონელი მასწავლებლები ყურადღებას არ აქცევდნენ ე.წ. „ურჩ“ ქცევას ბავშვების მხრიდან. მაგალითად, როდესაც ბავშვს მოსწყინდებოდა წიგნზე მუშაობა, მას თავისუფლად შეეძლო დაეტოვებინა ადგილი, მეგობრებთან ესაუბრა ან საერთოდ გასულიყო საკლასო ოთახიდან. ფირზე ერთ-ერთი ცელქი ბიჭი ხმამაღლა ლაპარაკობდა, სხვა ბავშვებს განგებ სტკენდა და საგნებს ესროდა, მაგრამ მასწავლებელი მის საქციელს სრულ იგნორირებას უწევდა. ამერიკელები და ჩინელები თვლიდნენ, რომ მასწავლებელს ამ საქციელის წინააღმდეგ რამე უნდა მოემოქმედებინა. იაპონიაში კი მასწავლებლებს ურჩევნიათ, ყურადღების ცენტრში არ მოაქციონ პრობლემური ბავშვები. მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ასეთი ბავშვი თავისით დაწყნარდება. ასეთი საქციელით მასწავლებელები სხვა ბავშვებს მაგალითს აძლევდნენ.

ჩინური დაწყებითი სკოლის საქმიანობა მაღალ დონეზე იყო სტრუქტურირებული. მაგალითად, პირველი დავალება იყო „კუბიკებით“ რაღაცის აშენება. იაპონელებისგან განსხვავებით,ჩინელიბავშვებიამასდამოუკიდებლად, ჩუმად ასრულებდნენ. თუ იხმაურებდნენ, მასწავლებელი უსაყვედურებდათ. შენებისას ბავშვები სურათით ხელმძღვანელებდნენ. როცა დაასრულებდნენ, მასწავლებელი მათ ნაშრომს ამოწმებდა. თუ სწორად ჰქონდათ გაკეთებული, შლიდნენ და ხელახლა აშენებდნენ. თუ შეცდომით იყო გაკეთებული, მაშინ უნდა გადაეკეთებინათ. „მშენებლობას“ არითმეტიკის გაკვეთილი მოსდევდა. ბავშვები საკლასო ოთახში ჭამდნენ. მასწავლებლები აკვირდებოდნენ ამ პროცესს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ბავშვებმა ყველაფერი შეჭამეს. ბავშვები პატრიოტულ მოთხრობას ისმენდნენ. შემდეგ მცირე შეჯიბრი ეწყობოდა და მერე 15 წუთით თავისუფლად თამაშობდნენ. სადილი 5 საათზე იყო, ხოლო 6 საათზე ბავშვებს მშობლები აკითხავდნენ. ფირის ყურებისას ამერიკელები და იაპონელები შეაწუხა ზედმეტმა კონტროლმა და სიმკაცრემ, ასევე — არაკომფორტულად მოწყობილმა სააბაზანომ, სადაც განმარტოვება შეუძლებელი იყო.

აშშ-ს დაწყებით სკოლაში, როგორც იაპონიაში, მშობლებს ბავშვები სკოლაში სხვადასხვა დროს მოჰყავდათ, ზოგი მშობელი ბავშვთან ნახევარი საათით რჩებოდა. სხვა სკოლებთან შედარებით, ამერიკულ სკოლაში ინდივიდუალურ აქტივობაზე უფრო მეტი ყურადღება იყო გამახვილებული. მაგალითად, ბევრი დავალების შესრულება ნებაყოფლობითი იყო. ხანდახან დაფასთან რამდენიმე ბავშვი გადიოდა, ზოგჯერ კი ერთი. დღის დიდ ნაწილს ბავშვები „სასწავლო ცენტრებში“ ატარებდნენ. სასურველი ცენტრების ამორჩევაში მოსწავლეებს მასწავლებელი ეხმარებოდა. ბავშვს შეეძლო დაეწყო სწავლა და შემდეგ შეეწყვიტა, თუ სურვილი აღარ ექნებოდა. ლანჩიც კი ინდივიდუალური იყო. თითოეულ ბავშვს წამოღებული ჰქონდა ლანჩის ჩანთა, საიდანაც იღებდა საკვებს და მიჰქონდა დიდ მაგიდასთან. აქ ყველა ერთად ჭამდა და საუბრობდა. ბევრი ბავშვი ლანჩის შემდეგ მიდიოდა სახლში. მათ, ვინც რჩებოდა, ჯერ ძილის საათი ჰქოდათ, შემდეგ კი თავისუფლად შეეძლოთ თამაში. იაპონელისგან განსხვავეით, ამერიკელი მასწავლებელი ბავშვს ცუდად მოქცევას უკრძალავდა. მაგალითად, როცა ერთმა ბიჭმა მეორეს სათამაშო წაართვა, მასწავლებელმა წყნარად სთხოვა ბავშვებს, ესაუბრათ ამ უთანხმოების შესახებ. ის „ტაიმ-აუტს“ მიმართავდა (იზოლაციის პერიოდი), თუ უთანხმოება საუბრით არ გადაწყდებოდა.

იმის მიუხედავდ, რომ აქ ფასეულობებს საგანგებოდ არ ასწავლიან, დაწყებითი სკოლები აშკარად ახდენენ მათ დემონსტრაციას ბავშვებთან მოპყრობის მაგალითზე. პირველი არის ჯგუფისა და ინდივიდის დამოკიდებულების მნიშვნელობა. აშშ-ს დაწყებით სკოლაში ბავშვებს ეძლეოდათ არჩევანის თავისუფლება. ჩინეთსა და იაპონიაში ჯგუფურ საქმინობას ენიჭებოდა უპირატესობა. ამასთან იაპონურ სკოლაში მეტი თავისუფლება იყო, ვიდრე ჩინურში. მშობლებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ სკოლაში მოსვლა, ბავშვებს თამაშისა და საუბრისთვის მეტი დრო ჰქონდათ. მეორე არის კონტროლის მეთოდი. იაპონელი მასწავლებლები ქცევის კონტროლირებას თავად ჯგუფს ანდობდნენ. ჩინელი მასწავლებლები კი ბავშვების ქცევას მკაცრად აკონტროლებდნენ, ამერიკელი მასწავლებლები მხოლოდ ურჩობაზე რეაგირებდნენ.

კულტურული ფასეულობები არ არის უცვლელი. იაპონიის საგანმანათლებლო სისტემის ბევრმა ადმინისტრატორმა მიიჩნია, რომ იაპონიის დაწყებითი სკოლა საკმაოდ „იაპონური სტილისა“ იყო, შესაბამისად, მათ ის დადებითად შეაფასეს. ამის მიუხედავად, მშობლებისა და მასწავლებლების დიდმა ნაწილმა სკოლა გააკრიტიკა და დასძინა, რომ არსებობენ იაპონიაში „უკეთესი“, აშშ-ს სტილის სკოლებიც. ზოგმა იაპონელმა ჩათვალა, რომ პრობლემურ ბავშვებს მეტი ინდივიდულური ყურადღება ესაჭიროებოდა. ფირის ნახვისას ბევრმა ჩინელმა დაიჩივლა, რომ ეს ჩინური სკოლა ძალიან „ძველმოდური“ იყო. თუმცა ისიც თქვეს, რომ ამერიკისა და იაპონიის სკოლებში დემონსტირებული თავისუფლება მაინც ზედმეტი იყო. ჩინელემა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ სკოლა ბავშვს არ უნდა „აფუჭებდეს“, არ უნდა ათამამებდეს. განსაკუთრებით ახლა, როცა მშობლებს ერთზე მეტი შვილის ყოლის უფლება არ აქვთ.

გაცნობიერებულად აქვთ ეს განზრახული თუ არა, დაწყებითი სკოლები მაინც იმ კუთხით ახდენენ ბავშვების სოციალიზაციას, რა ფასეულობებიც აქვს საზოგადოებას.

რუტინა აქვთ შედგენილი. ისინი ცდილობენ, მათი ზედმეტად სტიმულირება არ მოახდინონ ბევრი ახალი საგნის ჩვენებით და, ამერიკელების გასაკვირად, უფრო დიდი ხნით აძინებენ. (ექვსი თვის ასაკში ჰოლანდიელ ბავშვებს დღეში საშუალოდ თხუთმეტი საათი სძინავთ, განსხვავებით ამერიკელი ბავშვებისგან, რომლებსაც ცამეტი საათი სძინავთ). როცა ამერიკელი დედა ფიქრობს, რომ ბავშვმა მოიწყინა და მას ახალ სათამაშოს აძლევს, ამ დროს ჰოლანდიელი დედა ფიქრობს, რომ ბავშვი დაიღალა და აძინებს მას.[52] როგორც მნიშვნელოვანია, გავიგოთ მშობლების ეთნოთეორიები, ასევე მნიშვნელოვანია შევაფასოთ, ასრულებენ თუ არა მშობლები ამ ეთნოთეორიებს. ასევე საჭიროა, გავარკვიოთ, მშობლების ეს ქმედებები იწვევენ თუ არა სასურველ ეფექტს. მკვლევარები უნდა დააკვირდნენ მშობლისა და შვილის ქცევას. მათ არა მხოლოდ უნდა გაიგონ მშობლის განზრახვები (რისი გაკეთება სურთ), არამედ გაარკვიონ, რეალურად აღწევენ ისინი შედეგებს, თუ ეს უბრალოდ სიტყვები და სურვილებია. მშობლებისა და მზრუნველების ზოგი ქმედება არ იძლევა სასურველ შედეგს. მაგალითად, კვლევამ დაადგინა, რომ ბავშვების ფიზიკურად დასჯა აგრესიის გამოვლენისთვის მათ უფრო მეტ აგრესიას გამოუმუშავებს, იმისგან განსხვავებით, ვისაც არ სჯიან ფიზიკურად. ბავშვებმა, რომლებსაც სცემენ, შეიძლება მშობლებსა და სხვა მზრუნველებს არ დაარტყან, მაგრამ უფროსის მხრიდან აგრესიის დემონსტრირება ბავშვისთვის ნიმუშის როლს ასრულებს. თუ ბავშვი ხედავს მშობლის ან მზრუნველის მხრიდან აგრესიის გამოვლინებას, მან შეიძლება დაასკვნას, რომ ასეთი ქცევა მისთვისაც ნორმალურია.[53]

ადაპტაციური ახსნები

კულტურის ანთროპოლოგი ცდილობს არა მხოლოდ ბავშვის აღზრდასა და პიროვნულ შტრიხებს შორის კავშირების დადგენას, არამედ სურს, გაარკვიოს, თუ რატომ განსხვავდება ეს შტრიხები ერთმანეთისგან. ზოგი ანთროპოლოგი თვლის, რომ ბავშვის აღზრდის პრაქტიკა საოცრად ადაპტირებადია, რომ საზოგადოება ,,წარმოშობს" ისეთი ჩვევების მქონე პიროვნებებს, რომლებიც მოცემულ საზოგადოებას უკეთესად შეეგუებიან. ჯონ უაითინგმა და ირვინ ჩაილდმა ეს შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს: ,,საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტკური და სოციალური ორგანოები, ანუ ის ძირითადი ნეს-ჩვეულებები, რომელთა მიხედვითაც ხდება მისი წევრების კვება, თავშესაფრის უზრუნველყოფა და დაცვა ჩანს, ბავშვის აღზრდის პრაქტიკაზე დიდ გავლენას ახდენენ."[54] ის აზრი, რომ ბავშვის აღზრდის პრაქტიკა ადაპტირებადია, არ ნიშნავს, რომ საზოგადოებები ყოველთვის ისეთ პიროვნებას ზრდიან, როგორიც სურთ. როგორც ბიოლოგიის სფეროში, სადაც ადგილი აქვს სუსტი და ადაპტაციის უნარის არმქონე სახეობების გადაშენებას, ასევე საზოგადოებებშიც ხანდახან ზრდიან ადამიანს ისეთი პიროვნული შტრიხებით, რომლებიც ამ საზოგადოების ცხოვრების მოთხოვნებთან ნაკლებად ადაპტირებადია. ამრიგად, მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს რაღაც შტრიხი, ჩვენ ვერ დავიწყებთ მის ადაპტირების უნარზე საუბარს. ჩვენ ვერ მივალთ ამ დასკვნამდე, სანამ ზედმიწევნით არ გავარკვევთ, ეს შტრიხი მომგებიანია, თუ ზიანის მომტანი.[55] მაგრამ ჩვენ მივიჩნევთ, რომ საზოგადოებების უმრავლესობა ძირითადად ადაპტირებად პიროვნულ შტრიხებს განავითარებს თავის წევრებში.

რობეტ ლევაინმა შეიმუშავა ადაპტაციური ახსნის თეორია პრეინდუსტრიული საზოგადოებებისთვის, სადაც ბავშვებს ხშირად კვებავენ, ხშირად აჭყავთ ხელში და სწარაფად რეაგირებენ ჩვილის მოთხოვნებზე.[66] ინდუსტრიულ საზოგადოებებში ჩვილების მხოლოდ 1% კვდება ერთი წლის ასაკში. ხოლო პრეინდუსტრიულ საზოგადოებებში — 20%. რისი გაკეთება შეუძლიათ მშობლებს? მათ ხშირად არ მიუწვდებათ ხელი თანამედროვე სამედიცინო დახმარებაზე. მაგრამ მათ შეუძლიათ მყისვე მიაქციონ ყურადღება ბავშვის ქმედებებს, თუ ის ახლოს იქნება. ბავშვების ხელში აყვანა კიდევ იმით აიხსნება, რომ მიწიდან შორს ისინი უფრო უსაფრთხოდ იქნებიან, რადგან მიწაზე ხშირად ანთებენ ცეცხლს, იქ სახიფათო მწერები და შხამიანი გველები არიან. როდესაც ფიზიკური გადარჩენა არც ისეთი არსებითი მნიშვნელობისაა, მშობლები უფრო თავისუფლად ტოვებენ ბავშვებს მარტო.

ჰერბერტ ბარიმ, ირვინ ჩაილდმა და მარგარეტ ბეიქონმა კროსკულტურულად გამოიკვლიეს, თუ რამდენად ადაპტირებადია ბავშვის აღზრდის პრაქტიკა საზოგადოების ეკონომიკურ მოთხოვნილებებთან. მათი თეორიის თანახმად, ამ მოთხოვნილებებს შეეძლოთ აეხსნათ, რატომ ცდილობდა ზოგი საზოგადოება აღეზარდა ,,დამთმობი" ბავშვები, მაშინ, როცა სხვები მიზნად პიროვნებაში მეტი ,,თავდაჯერებულობის" (დამოუკიდებლობა, საკუთარი თავის რწმენა) გამომუშავებას ისახავდნენ.[57] კროსკულტურულმა კვლევამ დაადგინა, რომ მიწათმოქმედი და მესაქონლე საზოგადოებები უფრო პასუხისმგებლობისა და მორჩილების ჩანერგვისკენ ისწრაფიან. მონადირე-შემგროვებლური საზოგადოებები ცდილობენ უფრო დამოუკიდებელი და ავტონომიური შთამომავლობის აღზრდას. კვლევის მიხედვით, მიწათმოქმედი და მესაქონლე საზოგადოებები ვერ დაუშვებენ დადგენილი რუტინის დარღვევას, ვინაიდან გადახვევებმა შეიძლება საფრთხეში ჩაგდოს საკვების მარაგი დიდი ხნის განმავლობაში. ამრიგად ასეთი საზოგადოებები მორჩილებას ტრადიციულად დიდ ყურადღებას აქცევენ. მონადირე საზოგადოებების რუტინიდან გადახვევა არანაირ ზიანს არ მიაყენებს საკვების მარაგს, რომელიც ყოველდღე ახლდება. ამრიგად მონადირე-შემგროვებლებს შეუძლიათ,

მრავალ საზოგადოებაში მშობლებს სჭირდებათ მიუთითონ ბავშვებს, მუშაობა ჩვეულებრივი რამ გახდეს ცხოვრებასი. ეს 7 წლის ბიჭი ბაღდადიდან, ერაყში, ეხმარება მამამისს რკონის ნაწილის გასწორებაში.

თავს ინდივიდუალურობის გამოვლენის საშუალება მისცენ.

იმის მიუხედავად, რომ ჩვენი საზოგადოებაც დიდადაა დამოკიდებული საკვების მარაგზე და ჩვენ თავად გვაქვს საკვების დიდი რაოდენობით შემნახველი კონტეინერები, მონადირე შემგროვებლებივით ჩვენც ინდივიდუალურ ინიციატივაზე ვამახვილებთ ყურადრებას. მაშ, ჩვენ ბარის, ჩაილდისა და ბეიქონის თეორიის გამონაკლისს წარმოვადგენთ? არც მთლად ასეა. ჩვენში ძნელად თუ მოიძებნება ფერმერი (აშშ-ში მთლიანი მოსახლეობის მხოლო 2% ცხოვრობს დღეს ფერმაში). ხოლო საკვებს სუპერმარკეტში ვყიდულობთ. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი კომერციული ეკონომიკა, მოსახლეობის უმრავლესობის ქალაქში ან მის მახლობლად კონცენტრირებით, ჩვენგან შეჯიბრსა და კონკურენციას მოითხოვს სამუშაოს მოსაპოვებლად. ამრიგად, ჩვენ საზოგადოებაში ინდივიდუალური ინიციატივაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. წარმოვიდგინოთ რვა ქვეყნის კროს-ნაციონალური შედარება, სადაც მშობლებს ეკითხებიან, რა თვისება სურთ, რომ მათ სკოლის ასაკის შვილს ჰქონდეს. დამოუკიდებლობა და საკუთარი თავის რწმენა იშვიათად იყო ნახსენები აგრიკულტურულ ქვეყნებში (ინდონეზია, ფილიპინები და ტაილანდი). თუმცა მათ ხშირად ახსენებდნენ უფრო ურბანულ ქვეყნებში (კორეა, სინგაპური, აშშ).[58]

ბავშვის აღზრდის პრაქტიკაზე გავლენის მოხდენა ოჯახის წევრების რაოდენობასაც შეუძლია. ლეი მინტურნამ და ლამბერტმა ,,ექვსი კულტურის" კვლევის მონაცემების შესწავლის საფუძველზე დაადგინეს, რაც უფრო ბევრი ადამიანი ცხოვრობს ოჯახში, მით ნაკლებად ითმენენ მშობლები შვილების ურჩობას.[59] ამ დაკვირვებას ჯონ უიათინგის კროსკულტურული კვლევაც ამყარებს, რომლის თანახმადაც, მრავლი წევრისგან შემდგარი ოჯახები უფრო სასტიკად სჯიან ბავშვებს აგრესიისთვის, ვიდრე ნუკლეალური (პატარა) ოჯახები.[60]

ზრდასრულები აგრესიას თავისუფლად გამოხატავენ თუ არა, დამოკიდებულია საზოგადოების ეკონომიკასა და სოციალურ გარემოზე. აღმოსავლეთ აფრიკის ოთხი საზოგადოების ფერმერებისა და მესაქონლეთა თემების თვისებების შედარებით კვლევაში რობერტ ედგერტონმა აღმოაჩინა, რომ მწყემსები უფრო მეტად ისწრაფვოდნენ აგრესიის ღიად გამოხატვისკენ, ვიდრე ფერმერები. სინამდვილეში მწყემსები უფრო თავისუფლად გამოხატავდნენ მრავალ ემოციას, მათ შორის სევდასა და დეპრესიას. იმის მიუხედავდ, რომ ფერმერები თავად საკმაოდ იშვიათად გამოხატავენ აგრესიას, სიამოვნებით საუბრობენ სხვების ჯადოქრობასა და ჯადოებზე. როგორ აიხსნება ეს პიროვნული განსხვავებები? ედგერტონი თვლიდა, რომ ფერმერების ცხოვრების სტილი, რომლებიც მთელ დროს მეზობლების გარემოცვაში ატარებენ, მათგან ემოციების, განსაკუთრებით კი მტრული ემოციების მოთოკვას მოითხოვდა (ეს გრძნობები შეიძლება მოითოკოს, მაგრამ ისინი არ ქრება. ამიტომ ფერმერებს ,,მათი დანახვა" სხვებში შეუძლიათ). მწყემსებს კი, ამათგან განსხავებით, შეუძლიათ უფრო შეუბოჭავად შეხვდნენ კონფლიქტურ სიტუაციებს. მათ არა მარტო აგრესიის უფრო ღიად გამოხატვა, არამედ მისი ადაპტირებაც შეუძლიათ. ედგარტონის მიერ შესწავლილი მესაქონლეთა საზოგადოებები საქონლის მოსატაცებლად ხშირად სხვებს ესხმოდნენ თავს. ყველაზე აგრესიულ ინდივებს კი ბრძოლაში გადარჩენის უკეთესი შანსი ჰქონდათ.[61]

შეუძლია კი გარემოცვას გავლენა მოახდინოს სხვადასხვა საზოგადოების ადამიანების აზროვნებასა და აღქმაზე (სენსორული ინფორმაციის ინტერპრეტაცია)? ჯონ ბერის აზრით, შესაძლებელია სხვადასხვა საზოგადოებაში აღქმითი და კოგნიტური პროცესები შეირჩეს და განვითარდეს, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანის განვითარება ,,აძლევს ხელს" მოცემულ საზოგადოებას.[62] ბერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რასაც ფსიქოლოგები უწოდებენ საველე დამოუკიდებლობას და საველე დამოკიდებულებას.[63] საველე დამოკიდებულება ნიშნავს ერთი მთლიანი მოვლენიდან სიტუაციის ნაწილის იზოლირების უნარს. ამის საწინააღმდეგო აღქმითი სტილი, საველე დამოკიდებულება გულისხმობს, რომ მოვლენის ნაწილები ცალ-ცალკე კი არა, ერთად აღიქმება, ყურადღება გამახვილებულია მთლიან სიტუაციაზე.

განსხვავება საველე დამოუკიდებლობასა და საველე დამოკიდებულებას შორის უფრო ნათელი გახდება, თუ ჩვენ განვიხილავთ მათი გაზომვის გზებს. ,,ჯოხი და ჩარჩოს" ტესტში, ბნელ ოთახში მოთავსებულ ადამიანს სთხოვენ დახრილი ჯოხი ვერტიკალურად მოარგოს განათებულ ჩარჩოს. ინდივიდები საველე დამოკიდებულ პიროვნებებად მიიჩნევიან, თუ ჯოხს ვერტიკალურად დახრილი ჩარჩოს გასწვრივ დააყენებენ. ხოლო ისინი, ვინც ჯოხს რეალურად ვერტიკალურ პოზიციაში მოათავსებენ, იმის მიუხედავად, ჩარჩო დახრილია თუ არა, საველე დამოუკიდებელ ადამიანებად ითვლებიან. საველე დამოუკიდებლობა ასევე განისაზღვრება უნარით, გაარჩიო დიდ და კომპლექსურ სურათში ჩახატული მარტივი ფიგურა, რომელიც რაღაც ხერხებითაა დამალულია.

რატომ უნდა „წარმოშობდნენ" ზოგი საზოგადოებები უფრო მეტად საველე დამოკიდებულ ან დამოუკიდებელ ადამიანებს? ბევრის აზრით, ადამიანები, რომლებიც უფრო მეტად ნადირობაზე არიან დამოკიდებულები, წარმატების მისაღწევად საველე დამოუკიდებლები უნდა იყვნენ. იმიტომ, რომ ნადირობა გარემოდან ცხოველების ვიზუალურ გამოცალკევებას მოითხოვს. მონადირეები ასევე კარგად უნდა აღიქვამდნენ და ხედავდნენ საკუთარ თავს ბუნებაში, რათა დაიჭირონ ცხოველები და შინ დასაბრუნებელი გზა გაიკვლიონ. ოთხი საზოგადოების შედარებით კვლევაში ბერიმ გამოთვალა, რამდენად განსაზღვრავდა ნადირობისადმი მიდრეკილება საველე დამოუკიდებლობის ხარისხს. რაც უფრო მონადირე ტიპის იყო თემი, მით მაღალი საველე დამოუკიდებლობის დონეს ავლენდნენ მისი წევრები ტესტზე. უფრო სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული თემები, ტესტების შედეგებიდან გამომდინარე, უფრო საველე დამოკიდებულები იყვნენ. როგორ შეძლეს მონადირეებმა სავალე დამოუკიდებლობის, როგორც კოგნიტური სტილის განვითარება? აქ შეიძლება ბავშვის გაზრდის სხვადსხვა პროცესი იყოს ჩართული.[64] აშშ-სა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში აღმოჩნდა, რომ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც ძალიან მკაცრები იყვნენ, ნაკლებად უვითარდებოდათ საველე დამოუკიდებლობა, ვიდრე ლმობიერი მშობლების შვილებს. ჩანს, მშობლებისგან ემოციური დამოუკიდებლობა ყოფილა საჭირო საველე დამოუკიდებლობის აღქმითი სტილის დაუფლებისათვის. რაც უნდა იყოს ამის გამომუშავების მექანიზმი, ჩვენ უკვე ვიცით ბარის, უაითისა და ბეიქონის კვლევიდან, რომ მონადირე-შემგროვებლები ბავშვებს უფრო დამოუკიდებლებს ზრდიან. ხოლო სოფლის მეურნეები და მებაღეები ცდილობენ, მათი შვილები უფრო დამჯერები და მორჩილები იყვნენ. ამრიგად, მონადირე-შემგროვებლები ქვეცნობიერად განუვითარებენ შვილებს საველე დამოუკიდებლობას, ემოციური თავისუფლებას ბავშვობიდანვე ხაზგასმით.

კვლევებმა დაადგინა, რომ აშშ-სა და სხვა (არა ყველა) საზოგადოებაში საველე დამოკიდებულებისა და დამოუკიდებლობის მხრივ არის სქესობრივი განსხვავებაც.[65] ალბათ, ეს განსხვავება იმითაა განპირობებული, რომ გოგონებს უფრო მორჩილებად და პასუხისმგებლებად ზრდიან, ხოლო ბიჭებს — დამოუკიდებლებად. ამის კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ გოგონები უფრო სახლის ახლოს, სხვების გარემოცვაში მუშაობენ ხოლმე. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საველე დამოკიდებულ გოგონებს ისეთი მორალური ფასეულობები ექნებათ, რომ ყურადღებას უფრო მეტად პიროვნებებს შორის კავშირს მიაქცევენ (იხ. სტატია ,,აქვთ თუ არა ქალებს განსხვავებული მორალი?").

შესაძლო გენეტიკური და ფსიქოლოგიური გავლენები

ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მოსახლეობას შორის არსებული გენეტიკური და ფსიქოლოგიური განსხვავებები განაპირობებს მათ განხვავებას პიროვნული თვისებების მხრივ. დენიელ ფრიდმანმა სახვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ჩვილებს შორის ,,ტემპერამენტული განსხვავებები" აღმოაჩინა. რადგან ის ახალდაბადებულებს აკვირდებოდა, ეს განსხვავებები გენეტიკურად მიიჩნიეს. ერთნაირი შემოსავლის მქონე ჩინელი, ევროპელი და ამერიკელი მშობლების ჩვილების შედარებისას ფრიდმანმა აღმოაჩინა, რომ ევროპელი და ამერიკელი ბავშვები უფრო ადვილად ტიროდნენ, ძნელად დასაწყნარებლები იყვნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ ექსპერიმენტულ პროცედურებს. მათგან განსხვავებით, ჩინელი ბავშვები უფრო მშვიდები და ადაპტირებადები იყვნენ. ნავახოელი (ჩრ. ამერიკის ინდოელთა ტომი) ბავშვები ჩინელებს ჰგავდნენ, იმიტომ რომ ამჟღავნებდნენ კიდევ უფრო მეტ სიმშვიდეს.[66] ფრიდმანმა ასევე დაასკვნა, რომ ჩვილების ქცევაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ეპყრობიან მათ მშობლები. მშვიდი ბავშვი მშობლის მშვიდ მოპყრობას იწვევს. უფრო აქტიურმა ბავშვმა კი შეიძლება მშობლისგან მკაცრი მოპყრობა დაიმსახუროს.[67] ამრიგად, ფრიდმანი ფიქრობდა, რომ ბავშვების გენეტიკურად განსაზღვრულმა ქცევამ შეიძლება განაპირობოს ზრდასრულობაში მისი ეთნიკური განსხვავება.

ჩვენ არ შეგვიძლია არ გავითვალისწინოთ ბავშვის ქცევის არაგენეტიკური ახსნა. მაგალითად, დედის დიეტამ ან წნევამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვის ქცევაზე. ისიც შესაძლებელია, რომ ბავშვმა მუცელშიც კი ისწავლოს. ბოლოსდაბოლოს, ბავშვებს დაბადებამდე ესმით ხმები, ხშირად რეაგირებენ სხვადასხვა სტიმულატორზე. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ საზოგადოებებში, სადაც ფეხმძიმე ქალები მშვიდები არიან, მათმა შვილებმა სიმშვიდე დაბადებამდეც კი ისწავლონ. და ბოლოს, ჩვენ ზუსტად არ ვიცით, ჩვილობისას გამოვლენილი განსხვავებები უფროსობაში პიროვნულ განსხვავებებად გარდაიქმნება თუ არა. როგორც დიეტა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღებაც ახდენს გალენას ნაყოფის განვითარებაზე. ჩვილისა და ბავშვის დიეტამ შეიძეა მის ინტელექტუალურ განვითარებასა და ქცევაზეც კი იმოქმედოს. კვლევებმა აჩვენეს, რომ არასაკმარისი კვება იწვევს აქტიურობის დაბალ დონეს, ყურადღების ნაკლებობას, ინიციატივის უკმარისობას, დაბალ შემწყნარებლობასა და სასოწარკვეთას. ბავშვის ქცევა შეიძლება შეიცვალოს მცირედი საკვების დამატებითი პორციის მიწოდებითაც კი. მაგალითად, გვატემალელ ბავშვებს, რომლებსაც დამატებით საკვებს აძლევდნენ, აღენიშნებოდათ ნაკლები მღელვარება, მეტი გონიერება და თამაშის სურვილი, ვიდრე ბავშვებს, რომლებსაც საკვების დამატებით პორციებს არ აძლევდნენ.[68] კვების უკმარისობა მარტო შიმშილის პრობლემა არ არის. ამით შეიძლება ზრუნვის სხვა სახეებიც შემცირდეს. მაგალითად, მომვლელებმა შეიძლება ასეთ ბავშვთან ნაკლები დრო გაატარონ, ვიდრე ჯანმრთელთან. ვინაიდან გამოუკვებავი ბავშვი დაბალი აქტივობით გამოირჩევა, მზრუნველები ბავშვის მოთხოვნებზე ნაკლები სიხშირითა და ენთუზიაზმით რეაგირებენ. შემდეგ ბავშვი უარს ამბობს ურთიერთობაზე, ამით კი სახიფათო და უარყოფითი ციკლი იქმნება.[69]

ზრდასრულობაში გაჩენილ განსხვავებებზე პასუხისმგებელი ასევე შეიძლება ფსიქოლოგიურ (და არა გენეტიკური) განსხვავებებიც იყოს. რალფ ბოლტონის კვლევის თანახმად, პერუელი კოლას ტომის აგრესიულობის მიზეზი ჰიპოგლიკემია შეიძლებოდა ყოფილიყო.[70] (ჰიპოგლიკემიის მქონე ადამიანი ჭამის შემდეგ სისხლში შაქრის მკვეთრ შემცირებას განიცდის). ბოლტონმა დაადგინა, რომ გასინჯული მამაკაცების 55%-ს ჰიპოგლიკემია სჭირდა. მეტიც, ეს ადამიანები ჰიპოგლიკემიით დაავადებულებს შორის ყველაზე მაღალი აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. ჰიპოგლიკემია გენეტიკურადაა გადაცემული, მოგვიანებით შეძენილი თუ ორივე სახის, მდგომარეობა შეიძლება შემსუბუქდეს კვების რაციონში ცვლილებით.

არანორმალური ქცევა ნორმალურის წინააღმდეგ

აქამდე ამ თავში ჩვენ განვიხილეთ კროსკულტურული უნივერსალიები (ის, რაც უნივერსალურია) და სოციალური განსხვავებები ,,ნორმალურ" ქცევებში, მაგრამ ანთროპოლოგები ასევე დაინტერესებულნი არიან ,,არანორმალური" ქცევის მსგავსებებითა და განსხვავებებით. „არანორმალური" ქცევის შესწავლისას მთავარი საკითხი ამ ტერმინის განსაზღვრაა. არის თუ არა „არანორმალურობა" შედარებითი? ანუ, შეიძლება თუ არა, რომ ის, რაც ერთ საზოგადოებაში ნორმალურად ითვლება, მეორეში არანორმალური იყოს? არსებობს თუ არა კროსკულტურულად უნივერსალური „არანორმალურობანი"?

საკმაოდ ცნობილ წიგნში, რუთ ბენედიქტმა დაასკვნა, რომ არანორმალურობა შედარებითია. მისი აზრით, ერთი საზოგადოებისთვის მისაღები და ნორმალური ქცევა, მეორეში შეიძლება არანარმალურად მიიჩნიონ.[71] ნაციზმის პერიოდში მეზობლები და კოლეგები ბევრ გერმანელ ოფიცერს ნორმალურად თვლიდნენ, თუმცა ისინი იმდენად არაჰუმანურ და სასტიკ ძალდობას ჩადიოდნენ, რომ ბევრისთვის ეს კრიმინალური სიგიჟის ტოლფასი იყო. ინდოეთის საორას ხალხი ამის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ზოგ მათ თანასოფლელ ქალს ზესამყაროდან მოსული საყვარლები ეარშიყებოდნენ, ცოლადაც მოჰყავდათ. მათ უჩნდებოდათ შვილები, რომლებსაც ვერავინ ხედავდა. მტკიცების თანახმად, ქალები ბავშვებს ღამით აწოვებდნენ ძუძუს.[72]

მკვლევარებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, უნდა შეედაროს თუ არა ერთმანეთს სხვადასხვა საზოგადოების მენტალური დაავადებები. ამის მიუხედავად, უმრავლესობა აცნობიერებს, რომ ეფექტური მკურნალობისთვის საჭიროა, გავიგოთ კულტურაში არსებული წარმოდგენები მენტალური ავადმყოფობების შესახებ: რატომ იჩენენ ისინი თავს, რა სახის მკურნალობა ითვლება ეფექტურად და როგორ ეპყრობიან ოჯახის წევრები და ახლობლები დაავადებულებს.[73] მენტალური დაავადებების თემას განვიხილავთ თავში სამედიცინო ანთროპოლოგიის შესახებ.

კულტურული ვარიაციების ფსიქოლოგიური ახსნა

ჩვენ ჯერ-ჯერობით განხილული გვაქვს ფსიქოლოგიური მახასიათებლების ვარიაციები და მათი შესაძლო მიზეზები. მაგრამ ფსიქოლოგი ანთროპოლოგები, ისევე, როგორც სხვა დარგის მეცნიერები, შეისწავლიან ფსიქოლოგიური განსხვავებების შესაძლო შედეგებს, კერძოდ, როგორ შეიძლება ფსიქოლოგიური მახასიათებლები დაგვეხმაროს კულტურის გარკვეული ასპექტების გაგებაში. მაგალითად, დევიდ მაკკლელანდის კვლევის მიხედვით, საზოგადოებები, სადაც ინდივიდში მაღალ დონეზეა განვითარებული წარმატების მიღწევის მოტივაცია (პიროვნული შტრიხი), უფრო სწრაფ ეკონომიკურ ზრდას განიცდიან. ეკონომიკურ დაცემას, მაკკლელანდის აზრით, შედეგად წარმატების მიღწევის მოტივაციის შესუსტება მოჰყვებოდა.[74] წარმატების მიღწევის მოტივაციებში განსხვავებებს შეიძლება ასევე პოლიტიკური შედეგები

სქესის პერსპექტივები

აქვთ კი ქალებს განსხვავებული მორალი?

არსებობს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ როცა ბავშვები მწიფდებიან, მათ უვითარდებათ მეობის შეგრძნება, რომელიც განასხვავებს მათ სხვებისგან. მაგრამ მაინც რა სახის მეობის შეგრძნება უვითარდებათ მათ? ზოგი მკვლევარი თვლის, რომ სხვადასხვა საზოგადოებას მეობის განსხვავებული კონცეფციები აქვს. კერძოდ, დასავლეთი ყურადღებას ამახვილებს თითოეული ადამიანის განცალკევებულობაზე. ხოლო სხვა კულტურები პიროვნების სხვებთან კავშირს უსვამენ ხაზს.

ზოგიერთმა ფსიქოლოგმა, მათ შორის კაროლ ჯილიანმა, შემოგვთავაზა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, კაცებთან შედარებით, ქალებს უფრო აქვთ განვითარებული მეობის ისეთი შეგრძნება, რომელიც მოიცავს სოციალურ ურთიერთქმედებასა და კავშირს გარემოსთან. ჯილიანის აზრით, ქალებს ასევე მორალურობის განსხვავებული შეგრძნება აქვთ. მათ უკეთესად შეუძლიათ სხვისი შეგრძნებების გათვალისწინება და ურთიერთობის შენარჩუნება. კაცები, თვლიდა იგი, უფრო ისეთ წესებსა და პრინციპებზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც თანაბარია ყველა ინდივიდისთვის. არსებობს კი ჯილიანის მოსაზრებაში არსებითი მტკიცებულებები?

ზოგი კვლევისას გამოკითხეს როგორც ქალები, ისე მამაკაცები. ასეთ კვლევებში ერთმანეთს ადარებდნენ სხვადასხვა სქესის წამომადგენლის განცხადებებს საკუთარ თავზე. ამავდროულად მათ უნდა მოეძებნათ გამოსავალი მკვლევარების მიერ დახატული მორალური დილემებიდან. პასუხები დახარისხებულია ,,ავტონომიურ“ და ,,დაკავშირებულ“ ჯგუფებად. ხოლო მორალური დილემის კითხვებში ისინი მოთავსებულია ორიდან ერთ კატეგორიაში: ,,სამართლიანი“ და ,,მზრუნველობითი“. ,,შენ ყოველთვის უნდა იფიქრო, ეს სწორია, თუ არა“, – ეს იყო ,,სამართლიანის“ ბლოკში მოთავსებული პასუხი. ,, მე მინდოდა, მათ ერთმანეთისთვის გაეგოთ, არ მინდოდა, ვინმეს ეჩხუბა, ან უთანხმოება ჰქონოდა...” – ეს კი არის ,,ზრუნვის” ბლოკში შესული ერთ-ერთი განცხადების ნიმუში.

ჯერ-ჯერობით ეს კვლევა, რომელიც ძირითადად აშშ-შია ჩატარებული, ცხადყოფს, რომ სქესთა შორის დიდი განსხვავება არაა, იმის მიუხედავად, რომ ქალები უფრო ,,მზრუნველებად” ითვლებოდნენ. თუ არსებობს განსხვავება სქესთა შორის, ეს არ არის ტენდენცია და ეს არ აისახება მორალურობისადმი რადიკალურად განსხვავებულ დამოკიდებულებაში.

იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა კულტურებში ბავშვობის ასაკის მორალურობის განვითარებას ბევრი კვლევა დაეთმო, ძალიან ცოტა მათგანი უკავშირდება პირდაპირ ჯილიანის მიერ წამოჭრილ საკითხს. უფრო კონკრეტულად, დევიდ სტიმფსონმა და მისმა კოლეგებმა შეადარეს ერთმანეთს განათლებული ამერიკელი, ჩინელი, კორეელი და ტაილანდელი სტუდენტები. კვლევამ აჩვენა, რომ მამაკაცებთან შედარებით, ქალები სხვათა განცდების მიმართ უფრო თანაგრძნობით, გაგებითა და მგრძობიარებით იყვნენ განწყობილნი. მაგრამ კვლევაში არ იყო დასმული სპეციფიკურად მორალური დილემების ამოსახსნელი კითხვები. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ არსებული სურათი გაცილებით რთულია, ვინაიდან მორალის კონცეფციები სცდება ჯილიანის მიერ აღწერილი ორი კონცეფციის ზღვარს. მაგალითად, ჯოან მილერმა აღმოაჩინა, რომ საშუალო კლასის ინდუსებს, აშშ-ს მოქალაქეებთან შედარებით, უფრო მეტად ჰქონდათ განვითარებული პიროვნებათაშორისი მორალურობის შეგრძნება. მაგრამ ინდუსების მორალურობა სულაც არ ეფუძნებოდა ინდივიდის კავშირს სხვებთან, არამედ მათი პასუხები მორალური დილემის კითხვებზე უფრო სოციალური მოვალეობის მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. ამასთან, მილერმა ვერ ნახა ვერანაირი სქესობრივი განსხვავება.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმ დასკვნის გაკეთება შეგვიძლია, რომ სქესთა შორის მორალურობის თვალსაზრისით განსხვავება არსებობს ზოგიერთ კულტურაში. საჭიროა ჩატარდეს ისეთი კვლევა, რომელიც შეეცდება დაადგინოს, როგორ იცვლება მორალურობა როგორც სქესის, ისე კულტურის მიხედვით.

ჰქონდეთ. მაგალითად შეგვიძლია რობერტ ლევაინის კვლევა მოვიყვანოთ. ის შეისწავლიდა წარმატების მიღწევის მოტივაციას სამ ნიგერიულ ერთნიკურ ჯგუფში. კვლევისას აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მათგანის, იბოს ტომის უფრო მაღალ დონეზე გადასვლამ და იქ ბევრი თანამედროვე პროფესიის გაჩენამ სხვა უფრო გავლენიან ჯგუფებში გაღიზიანება გამოიწვია.[75] ლევაინის წიგნის გამოცემიდან ცოტა ხანში დაპირისპირება ჯგუფებს შორის იბოელების აბმოხებაში გადაიზარდა და იბოში არსებული სეპარატისტული სახელმწიფოს, ბიაფრას დამარცხებით დასრულდა.

ფსიქოლოგიური ფაქტორები შეიძლება დაგვეხმაროს კულტურის ზოგი ასპექტის ახსნაში. აბრამ კარდინერის თვალსაზრისით, კულტურული ფაქტორები გავლენას ახდენენ ბავშვის აღზრდის საშუალებებზე, ამის შედეგად ჩამოყალიბებული პიროვნული თვისებები კი გავლენას ახდენენ კულტურაზე. მისი აზრით, **დაწყებითი ინსტიტუტები**, როგორიცაა ოჯახური ორგანიზაცია და საყოფაცხოვრებო არსებობის ხერხები, წარმოშობენ გარკვეულ პიროვნულ დამახასიათებელ ნიშნებს. პიროვნული თვისებები გავლენას ახდენენ კულტურაზე. კარდინერი თვლიდა, რომ საზოგადოების **მეორადი ინსტიტუტები**, როგორიცაა რელიგია და ხელოვნება, ფორმირდება საერთო, ე.წ. ძირითადი, პიროვნული მახასიათებლების გავლენით. სავარაუდოდ, ამ მეორად ინსტიტუტებს ცოტა საერთო აქვთ საზოგადოების ადაპტირებად მოთხოვნებთან. თუმცა მათ შეუძლიათ, ასახონ და გამოხატონ საზოგადოების ტიპური ნევრის მოტივაცია, კონფლიქტები და მისწრაფება.[76] ამრიგად, თუ ჩვენ შევძლებთ გავიგოთ, რატომ ვითარდება კონკრეტული პიროვნული მახასიათებლები, ჩვენ შევძლებთ, გავარკვიოთ, რატომ ასოცირდებიან ხელოვნების გარკვეული ტიპები სოციალური სისტემების კონკრეტულ სახეებთან.

უაითინგი და ჩაილდი იყენებდნენ გამოთქმას: **კულტურის პიროვნული ინტეგრაცია**. ეს ტერმინი გულისხმობს იმ შესაძლებლობას, რომლის საშუალებითაც პიროვნული

თვისებების გაგება შეიძლება დაგვეხმაროს პირველად და მეორად ინსტიტუტებს შორის კავშირის ახსნასა და დადგენაში.[77] პიროვნების კულტურაში ინტეგრაციის თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ. ეს შეიძლება იყოს კულტურაში დომინირებადი თამაშები (ის თამაშები, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ანიჭებს უპირატესობას) და მამაკაცად კურთხევის ცერემონიები.

ჯონ რობერტისა და ბრაიან სეთონ-სმიტის კროსკულტურულ კვლევაში აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი თამაშის კულტურული უპირატესობა დაკავშირებულია ბავშვის აღზრდის ასპექტებთან. მკვლევარების აზრით, ეს ასოციაციები ბევრ ადამიანში დაგროვილი კონფლიქტის შედეგია, კერძოდ — ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული სტრესის. სტრატეგიული თამაშები ასოცირებულია ბავშვის აღზრდის ისეთ საშუალებებთან, რომლებიც ყურადღებას მორჩილებაზე ამახვილებენ. რობერტი და სეთონ-სმითი თვლიდნენ, რომ მკაცრი მორჩილებითი წვრთნა იწვევს კონფლიქტს მორჩილების საჭიროებასა და ურჩობის სურვილს შორის. ეს კონფლიქტი მღელვარებას აჩენს. კონფლიქტისა და თავად აგრესიისგან დაცლა შეიძლება პატარა სტრატეგიული თამაშების ბრძოლის ველზე. ისეთების, როგორიცაა ჭადრაკი და იაპონური თამაში გო.[78] პოლიტიკურად კომპლექსურ და სოციალურად სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში მორჩილებას ნაკლებად ავითარებენ, ამიტომ გასაკვირია, რომ ასეთ საზოგადოებებში ყველაზე ხშირია სტრატეგიული თამაშები.[79] ამის მსგავსად, ,,შანსის" თამაშები გამოხატავენ ურჩობას სოციალური მოლოდინისადმი. რობერტისა და სეთონ-სმითის თეორიის თანახმად, ადამიანი და საზოგადოება თავდაპირველად ინტერესდება თამაშით, შეისწავლის მას და ავტომატურად ჩათრეული ხდება მასში გარკვეული სახის ფსიქოლოგიური კონფლიქტების გამო, რომლებსაც უმკლავდება ან გამოხატავს თამაშის მეშვეობით.

კულტურის სხვადასხვა ასპექტში ფსიქოლოგიური პროცესების როლი გარკვეულწილად ასახულია



სტრატეგიული თამაშები, როგორც მალიში, მიმართულია იმისკენ, თუ სად ხდება საზოგადოებაში იერარქია და დაქვემდებარების მოშლა.

ერთ კროსკულტურულ კვლევაში, კერძოდ — ბიჭების ყმაწვილებად კურთხევის ცერემონიების კვლევაში. ამ ცერემონიების დროს ბიჭები მტკივნეულ გამოცდებს გადიან მამაკაცობის დასამტკიცებლად. ძირითადად ეს ცერემონიები გენეტალიურ ოპერაციებს გულისხმობს, რაც ბიჭის ზრდასრულობაში გადასვლის ნიშანია. როჯერმა და უაითინგმა აღმოაჩინეს, რომ ეს ცერემონიები ძირითადად ტარდება პატრილოკალურ (ქორწინების ისეთი ტიპი, როდესაც წყვილი ქმრის მშობლებთან ცხოვრობს) საზოგადოებებში, სადაც ჩვილობისას ბიჭებს დედებთან სძინავთ. მიჩნეულია, რომ კურთხევის ეს რიტუალები გამიზნულია სქესთან მიკუთვნებულობის კონფლიქტის გადასაჭრელად. ეს კონფლიქტი იმიტომ არსებობს, რომ თავდაპირველად ბიჭები დედებზე ძალიან არიან დამოკიდებულები, რადგან ჩვილობისას დედები გამუდმებით აკონტროლებენ მათ. მოგვიანებით, როცა ბიჭები აღმოაჩენენ, რომ საზოგადოებაში მამაკაცები დომინირებენ, მაშინ ისინი თავს უკვე მამებთან აიგივებენ. ეს კონფლიქტი წყდება კურთხევის ცერემონიით, რაც ბიჭის მამაკაცობის დემონსტრირებას ახდენს და ამით მის მეორად იდენტიფიკაციას აძლიერებს.[80]

მომდევნო ორ თავში განვიხილავთ კულტურულ ვარიაციებს რელიგიასა და ხელოვნებაში. ამ პროცესში მივმართავთ რამდენიმე ფსიქოლოგიურ ახსნას. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ ამგვარი ახსნები დაგვეხმარება გავიგოთ, რატომ წარმოუდგენიათ ზოგ საზოგადოებაში თავიანთი ღმერთები სასტიკად. რატომ ურჩევნიათ ზოგიერთ საზოგადოებაში მხატვრებს განმეორებადი დიზაინების შექმნა. რატომ არიან ზოგი საზოგადოების ზღაპრებში უცნობები ბოროტ პერსონაჟებად გამოყვანილები. ფსიქოლოგი ანთროპოლოგები თვლიან, რომ ღმერთები და ხელოვნების ნიმუშები რაიმე ობიექტური რეალობისგან არ არიან წარმოშობილნი, ადამიანები თავიანთი სურვილებისამებრ ქმნიან მათ. სხვა სიტყვებით, ადამიანები მიდრეკილები არიან, გამოსახონ თავიანთი თავი: პირადი გრძნობები, კონფლიქტები, საზრუნავი. არსებობს **პროექციული ტესტები**, რომლებიც ააშკარავებენ პიროვნულ შტრიხებს. სუბიექტებს გამიზნულად ეძლევათ ორაზროვანი სტიმული. ასე მაგალითად, თემატური აღქმის ტესტში სუბიექტებს აჩვენებენ გაურკვეველ სურათებს და ეკითხებიან, მათი აზრით, რა ხდება იქ, შემდეგ რა მოხდებოდა და რით დამთავრდებოდა ყველაფერი. ტესტის მასალები იძლევა მცირე ინსტრუქციას იმის თაობაზე, თუ რა უნდა ითქვას. აქედან გამომდინარე, ითვლება, რომ სუბიექტები მასალების ინტერპრეტაციას საკუთარი პიროვნების პროექტირებით შეეცდებიან.

შეჯამება

1. ფსიქოლოგიის ანთროპოლოგები დაინტერესებულები არიან საზოგადოებების ფსიქოლოგიური მსგავსებებითა და განსხვავებებით. მათი კვლევები ძირითადად ოთხ კითხვაზე ამახვილებს ყურადღებას: ვითარდება თუ არა ყველა ადამიანი ფსიქოლოგიურად ერთნაირად? რას შეუძლია ახსნას პიროვნული შტრიხების მკვეთრი განსხვავებები? როგორ აღიქვამენ სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლები ფსიქოლოგიურ და პიროვნულ განვითარებას? რა სახის კულტურული ვარიაციები შეიძლება აიხსნას ფსიქოლოგიური ფაქტორებით?
2. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ადრეული კვლევები ყურადღებას ძირითადად იმ ფაქტზე ამახვილებს, თუ როგორ მოქმედებენ კულტურული განსხვავებები ემოციური განვითარების, სავარაუდოდ, უნივერსალურ დონეებზე. არსებობს ეჭვები, რომ ე.წ. ,,შტორმისა და სტრესის" (ყმაწვილობის) პერიოდი და ოიდიპოსის კომპლექსი, როგორც ფროიდი უწოდებდა მას, უნივერსალური მოვლენებია.
3. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის თანამედროვე

კვლევები ძირითადად კოგნიტურ, ანუ ინტელექტუალურ განვითარებაზე ამახვილებს ყურადღებას. უნივერსალიების ძიებაში ბევრმა მკვლევარმა აღმოაჩინა ბევრი მკვეთრი განსხვავება. ჩატარებული კვლევების უმრავლესობა დასავლური კულტურებისა და სასკოლო სისტემისადმი არის კეთილგანწყობილი.

4. ბევრი მეცნიერი ფსიქოლოგიური მახასიათებლების ძიებისას კულტურათაშორის კვლევებს ატარებდა. ამ კვლევებში ისინი ცდილობდნენ, გაერკვიათ, მოქმედებდა თუ არა ბავშვის აღზრდის ჩვეულებები აღმოჩენილ ფსიქოლოგიურ განსხვავებებზე.
5. სოციალიზაცია არის ტერმინი, რომელიც იხმარება ანთროპოლოგებისა და ფსიქოლოგების მიერ მშობლებისა და სხვების დახმარებით გამომუშავებული ქცევის წესების აღსაწერად.
6. სოციალიზაცია შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. არაპირდაპირად ბავშვების ფსიქოლოგიურ განვითარებაზე შეიძლება იმოქმედოს მშობლების მოპყრობამ, სამუშაომ, რომლის შესრულებასაც ავალებენ ბავშვს და სკოლამ.
7. ანთროპოლოგები ისწრაფვიან არა მარტო ბავშვის აღზრდასა და მის პიროვნულ თვისებებს შორის კავშირის დადგენისკენ, არამედ ამის გამომწვევი მიზეზების დადგენისკენაც. ზოგ ანთროპოლოგს სჯერა, რომ საზოგადოება „წარმოშობს“ იმ საზოგადოებისთვის შესაფერის პიროვნებებს.
8. როგორც არსებობენ კროსკულტურული უნივერსალიები და საზოგადოებრივი განსხვავებები ,,ნორმალურ“ ქცევაში, ასევე არსებობს მსგავსება და განსხვავება ,,არანორმალურ“ ქცევებშიც.
9. ფსიქოლოგ ანთროპოლოგებს აინტერესებთ არა მარტო საზოგადოებებს შორის ფსიქოლოგიური განსხვავებები, არამედ ამ ვარიაციების შესაძლო შედეგები.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორ ფიქრობთ, ბავშვების გათამამება ხდის თუ არა მათ უფრო დამოუკიდებლებს? რატომ ფიქრობთ ასე?
2. რით შეიძლება აიხსნას გარდატეხის ასაკის ამბოხებულობა?
3. მიწათმოქმედებსა და შემგროვებლებს განსხვავებული პიროვნული თვისებები აქვთ, ამრიგად საკვების მოპოვების მეთოდები შეიძლება დაკავშირებული იყოს

25

თავების შინაარსი

- რელიგიის უნივერსალურობა
- ვარიაციები რელიგიურ აღმსარებლობაში
- პრაქტიკული რელიგიის ვარიაციები
- რელიგია და ადაპტაცია

რამდენადაც ვიცით, ყველა საზოგადოებას აქვს რწმენები, რომლებიც ტერმინ რელიგიაში შეგვიძლია გავაერთიანოთ. ეს რწმენები დროთა განმავლობაში იცვლება. მისი მრავალფეროვნების მიუხედავად, **რელიგია** შეიძლება განისაზღვროს როგორც დამოკიდებულების, რწმენისა და პრაქტიკის წყება მიმართული ზებუნებრივი ძალებისადმი და მნიშვნელობა არ აქვს იქნება ეს ძალები წარმოდგენილი ღმერთების, სულების, მოჩვენებების თუ დემონების სახით.

ჩვენს საზოგადოებაში მოვლენებს ბუნებრივად და ზებუნებრივად ვყოფთ, მაგრამ ყველა ენაში როდი არსებობს ასეთი ზუსტი განსხვავება. მეტიც, **ზებუნებრივად** სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა რამ ითვლება. ამ განსხვავებებს ნაწილობრივ ისიც განაპირობებს, თუ რას მიიჩნევს კონკრეტული საზოგადოება ბუნებრივად. მაგალითად, ჩვენს საზოგადოებაში არსებული ბევრი დაავადება ბუნებრივად არის გამოწვეული რაიმე ბაქტერიის ან ვირუსით. სხვა საზოგადოებაში და ჩვენი საზოგადოების ზოგიერთ წევრს შორისაც კი, ითვლება, რომ ავადმყოფობა ზებუნებრივი ძალებითაა გამოწვეული და ამრიგად, ის რელიგიური რწმენის ნაწილია.

მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა არის და რა არ არის ზებუნებრივი, დროდადრო შეიძლება ერთი საზოგადოების შიგნითაც შეიცვალოს. იუდეველი ქრისტიანების ტრადიციებში წყალდიდობები, მიწისძვრები, ვულკანის ამოფრქვევები, კომეტები და ეპიდემიები ერთ დროს ზებუნებრივი ძალების ადამიანების საქმეებში ჩარევად აღიქმებოდა. რაღაც დროის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ესენი უბრალოდ ბუნებრივი მოვლენებია. თუმცა ბევრს დღესაც სჯერა, რომ ამაში ზებუნებრივი ძალების ხელი შეიძლება ერიოს. ამრიგად, გამყოფი ხაზი ბუნებრივსა და ზებუნებრივ ძალებს შორის სხვადასხვა საზოგადოებაში იმის მიხედვით იცვლება, თუ რა იწვევს ხალხის აზრით მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს.

ბევრ კულტურაში რელიგია ფესვგადგმულია ყოველდღიურ ცხოვრებაში. ხშირად ძნელია, განაცალკევო კულტურის რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები. ამგვარ კულტურებს მცირე ან საერთოდ არავითარი ეკონომიკური სოციალიზაცია არ აქვთ. ამრიგად, კულტურის სხვადასხვა ასპექტი, რომლებსაც ჩვენ განვასხვავებთ, ბევრ საზოგადოებაში არ არის განცალკევებული და ადვილად გამოსარჩევი. ზოგჯერ ძნელია იმის გარკვევა, რომელიმე ჩვეულება რელიგიური შინაარსისა თუ არა. ბოლო-ბოლო რწმენებისა და მოსაზრებების პოლიტიკურად და რელიგიურად დაყოფა შედარებით ახალი ჩვეულებაა. მაგალითად, ანტიკურ ბერძნებს არ ჰქონიათ სიტყვა რელიგია. სამაგიეროდ ჰქონდათ ბევრი კონცეფცია ღმერთებისა და მათი ვალდებულებების შესახებ.

როდესაც ადამიანების მოვალეობა ღმერთების წინაშე უკავშირდება მათ ვალდებულებებს მმართველების წინაშე, რთულია რელიგიურის პოლიტიკურისგან განცალკევება. ზოგჯერ დღესაც ძნელია რელიგიური და სოციალური რწმენების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ავიღოთ თუნდაც ჩაცმის მაგალითი. არის თუ არა ჩვენი რწმენა ტანისამოსის ტარების აუცილებლობის შესახებ რელიგიური პრინციპი, თუ რაიმე სხვაა? გავიხსენოთ, ადამიანის შექმნის ისტორიაში ტანისამოსის ან ლეღვის ფოთლების ტარება ასოცირებულია უბიწოების დაკარგვასთან. ადამმა და ევამ ვაშლის ჭამის შემდეგ აღმოაჩინეს თავიანთი სიშიშვლე. აქედან გამომდინარე, როცა ქრისტიანი მისიონერები პირველად ჩავიდნენ წყნარი ოკეანის კუნძულებზე მეცხრამეტე საუკუნეში, მათ აიძულეს ადგილობრივი ქალები, მეტი ტანისამოსი ეტარებინათ, კერძოდ კი, სხეულის პიკანტური ნაწილები დაეფარათ. მისიონერების ეს იდეები რელიგიური იყო, სოციალური, თუ იქნებ, ორივე?

რელიგიის უნივერსალურობა

რელიგიური რწმენა და პრაქტიკა ყველა ცნობილ თანამედროვე საზოგადოებაში გვხვდება. არქეოლოგები კი იმასაც ფიქრობენ, რომ აღმოაჩინეს რელიგიური რწმენის ნიშნები ჰომოსაპიენსის არსებობის პერიოდში, ანუ დაახლოებით 60000 წლის წინ. იმ დროს ხალხი მარხავდა გარდაცვლილებს. ბევრ ასეთ საფლავში აღმოჩენილია საკვების ნარჩენები, იარაღი და ისეთი ნივთები, რომლებიც ალბათ წარმოდგენის მიხედვით იმქვეყნად გამოადგებოდათ. 30000 წლის შემდეგ აღმოჩენილი ხელოვნების ნიმუშები შეიძლება იმ დროისათვის რელიგიურ ცერემონიებში გამოიყენებოდა. მაგალითად, ქალების ქანდაკებები, რომელსაც მეორეული სქესობრივი ნიშნები აღენიშნებათ, შეიძლება ნაყოფიერების ცერემონიებში გამოიყენებოდა. ნახატები გამოქვაბულის კედლებზე, რომლებზეც ძირითადად ნადირობის სეცენები იყო აღბეჭდილი, შეიძლება წარმატებული ნადირობისთვის აუცილებელი პირობა იყო. შორეული წარსულის რელიგიური პრაქტიკის დეტალების აღდგენა ჯერ ვერ ხერხდება. თუმცა გარდაცვლილების რიტუალური დაკრძალვის ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ადრეულ ადამიანებს სჯეროდათ ზებუნებრივი სულების არსებობის და ცდილობდნენ მათთან კავშირის დამყარებას.

ჩვენ შეგვიძლია დავასაბუთოთ პრეისტორიულ პერიოდში რელიგიის არსებობა და ასევე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ისტორიულ პერიოდებში რელიგიის უნივერსალობაზე. ამრიგად, გასაგებია, თუ რატომ გახდა რელიგიის თემა კვლევების საგანი. ძვ. წ. V საუკუნეში ჰეროდოტემ 50-მდე საზოგადოების რელიგიური აღმსარებლობის საკმაოდ ობიექტური შედარება გააკეთა. ჰეროდოტედან დაწყებული, 2500 წლის განმავლობაში, მეცნიერები, თეოლოგები, ისტორიკოსები და ფილოსოფოსები ფიქრობდნენ რელიგიის თემაზე. ზოგი თავისი რელიგიური აღმსარებლობის უპირატესობას ქადაგებდა. ზოგი დასცინოდა სხვა რელიგიების გულუბრყვილო სიმარტივეს; სხვები კი სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი ყველა რელიგიის მიმართ.

იმ საკითხით სპეკულირება, რომელი რელიგიაა უპირატესი, ანთროპოლოგიის კვლევის საგანს არ წარმოადგენს. ანთროპოლოგებს უფრო ის აინტერესებთ, რატომ გვხვდება რელიგია უკლებლივ ყველა საზოგადოებაში; როგორ და რატომ იცვლება ის საზოგადოებებში. ბევრი მეცნიერი, კერძოდ კი ანთროპოლოგები, სოციოლოგები და ფსიქოლოგები გვთავაზობენ თეორიებს რელიგიის უნივერსალობის შესახებ. უმრავლესობა თვლის, რომ რელიგიები იქმნება ადამიანების უნივერსალური საჭიროებებისა და მდგომარეობის თანახმად. ჩვენ აქ ოთხ ასეთ საჭიროებასა და მდგომარეობას განვიხილავთ: ინტელექტუალური გაგების საჭიროება, ბავშვური გრძნობების დაბრუნება, მღელვარება და გაურკვევლობა და თემის არსებობის საჭიროება.

გაგების საჭიროება

ერთ-ერთი ყველაზე ადრეული თეორია რელიგიური მრწამსის წარმოშობის შესახებ ედუარდ ტაილორმა ჩამოაყალიბა. ტაილორის აზრით, რელიგია უბრალოდ ადამიანების სიზმრებით, ტრანსითა და სიკვდილით სპეკულირება იყო. მკვდრები, შორეული მოვლენები და გვერდით სახლში არსებული საგნები, ცხოველები, — ყველაფერი რეალურია სიზმრებსა და ტრანსში. ტაილორი თვლიდა, რომ ეს გამოგონილი ადამიანები თუ ცხოველები, რომლებიც სიზმარში რეალურად და ნამდვილად გამოიყურებიან, უქმნიან ხალხს იმის შთაბეჭდილებას, რომ ყველაფერი ორმაგია: ფიზიკურად ხილული სხეული და ფიზიკურად უხილავი სული. ძილში სულს შეუძლია, დატოვოს სხეული და გაჩნდეს სხვა ადამიანებთან. სიკვდილისას სული სამუდამოდ ტოვებს სხეულს, რადგან გარდაცვლილები სიზმარში გვევლინებიან, ხალხს სჯერა, რომ მათი სულები ჩვენს გარშემო ტრიალებენ.

ტაილორის აზრით, სულების არსებობის რწმენა ყველაზე ადრეული რელიგია იყო. ამ რწმენის აღსანიშნა-

ვად მან ტერმინი ანიმიზმი გამოიყენა.[1] ბევრი მეცნიერი აკრიტიკებდა ტაილორის თეორიას. მათი აზრით, ტაილორის თეორია უმეტესად ინტელექტზე აკეთებდა კონცენტრირებას და უყურადღებოდ ტოვებდა რელიგიის ემოციურ კომპონენტს. ტაილორის ერთ-ერთი სტუდენტი, რ. რ. მარეტი ფიქრობდა, რომ ანიმიზმი რელიგიის წარმოშობის ახსნისთვის ზედმეტად ჩახლართული და რთული იყო. მარეტს მიაჩნდა, რომ სულების გაღმერთებას წინ **ანიმატიზმი** — უსულო საგნების ზებუნებრივი ძალების რწმენა — უსწრებდა.[2] არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადამიანებს სჯერათ ღმერთების. ეს ნიშნავს ღმერთისთვის (ანუ ზებუნებრივი ძალისთვის) ადამიანური შტრიხების მიწერას.[3] ანთროპომორფირება არის მცდელობა, გაირკვეს ის, რაც სხვანაირად გაუგებარი და სიმშვიდის დამრღვევია.

ბავშური გრძნობების დაბრუნება

ზიგმუნდ ფროიდს სჯეროდა, რომ ადრეული ადამიანები ცხოვრობდნენ ჯგუფებად, მათში ერთი ტირანი კაცი ბატონობდა. მას ჯგუფის ყველა ქალი თავისთვის მიჰყავდა.[4] ფროიდი ამტკიცებდა, რომ მომწიფებისას ვაჟები განიდევნებოდნენ ჯგუფიდან. მოგვიანებით ისინი ერთიანდებოდნენ საძულველი მამის მოსაკლავად და შესაჭმელად. მაგრამ შემდეგ ისინი საოცარ სირცხვილსა და სინანულს განიცდიდნენ. ამის გამოსახატავად ისინი კრძალავდნენ ტოტემი ცხოველის (მამის ,,შემცველი" ცხოველის) მოკვლას. საბოლოო ჯამში, სარიტუალო სიტუაციებში ტოტემის ჭამის სახით მამის მოკვლის ეს კანიბალური სცენები მეორდებოდა. ფროიდი თვლიდა, რომ ეს ადრეული წესები მალე მამის მოდელზე შექმნილი ღმერთების თაყვანისცემად ტრანსფორმირდა.

თანამედროვე მეცნიერების უმრავლესობა ფროიდის ამ თეორიას არ ეთანხმება. მაგრამ ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ ჩვილობისას მომხდარი მოვლენები გავლენას ახდენენ ზრდასრულ ცხოვრებაში ადმიანის რწმენასა და საქმიაობაზე. უმწეო და წლობით მშობლებზე დამოკიდებული ბავშვები ქვეცნობიერად მშობლებს ყველაფრისმცოდნე და ყველაზე ძლევამოსილ ადამიანებად აღიქვამენ. როცა ადამიანები ხვდებიან, რომ დახმარება სჭირდებათ, მათში შეიძლება გაიღვიძოს ბავშობისდროინდელმა შეგრძნებებმა. მათ შემდეგ შეიძლება მიმართონ ღმერთებს ან მაგიას, რათა მათი დახმარებით გააკეთონ ის, რასაც თავად ვერ ახერხებენ. ისევე, როგორც მშობლებისგან ელოდნენ პრობლემების გადაჭრას. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, არსებობს იმის სამხილებიც, რომ გრძნობები ზებუნებრივი ძალების მიმართ ყოველდღიური ცხოვრების გრძნობების პარალელურია.

მღელვარება და დაურწმუნებლობა

ფროიდი ფიქრობდა, რომ ადამიანები მიმართავდნენ რელიგიას დაურწმუნებლობის პერიოდში. მაგრამ ის რელიგიას პოზიტიურად არ უყურებდა. სხვები უფრო პოზიტიურად აღიქვამდნენ. ბრონისლავ მალინოვსკი შენიშნავდა, რომ ყველა საზოგადოებაში ადამიანები განიცდიან მღელვარებასა და დაურწმუნებლობას. მათ შეიძლება ჰქონდეთ იმის უნარი და ცოდნა, რომ მიხედონ საკუთარ თავს, მაგრამ ცოდნა ვერ შეაჩერებს ავადმყოფობას, უბედურ შემთხვევას და ბუნებრივ კატასტროფას. ყველაზე შიშის მომგვრელი პერსპექტივა თავად სიკვდილია. ამიტომ ჩნდება უკვდავების ძლიერი სურვილი. როგორც მალკოვიჩი ხსნიდა, რელიგია ჩნდება გარდაუვალი სტრესის დროს ნუგეშის ძიების უნივერსალური სურვილისგან. რელიგიური რწმენით ადამიანები არწმუნებენ თავს იმაში, რომ სიკვდილი არც ნამდვილი და არც საბოლოოა. მათ სჯერათ, რომ მათი რაღაც ნაწილი სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს არსებობას. რელიგიური ცერემონიების საშუალებით ადამიანები უკვდავყოფენ გარდაცვლილებს და ურთიერთობენ მათთან. ამ გზით მათ ნუგეში ეძლევათ.[5]

თეორეტიკოსები, როგორებიც არიან უილიამ ჯეიმსი, კარლ იუნგი, ერიხ ფრომი და აბრაამ მასლოვი, რელიგიას კიდევ უფრო პოზიტიურად აღიქვამდნენ. რელიგია არა მხოლოდ მღელვარებას ხსნის, არამედ მას თერაპიული თვისებებიც აქვს, — თვლიდნენ ისინი. ჯეიმსის აზრით, რელიგია იწვევს რაღაც უფრო დიდთან ერთიანობის შეგრძნებას.[6] იუნგი კი ფიქრობდა, რომ რელიგია ეხმარება ადამიანს, მოაგვაროს შინაგანი კონფლიქტი და მომწიფდეს პიროვნულად.[7] ფრომმა განაცხადა, რომ რელიგია ფასეულობების ჩარჩოს უდგენს ადამიანებს.[8] მასლოვი კი თვლიდა, რომ იგი მსოფლიოს ტრანსცენდენტურად გაგებაში ეხმარება ხალხს.[9]

თემის არსებობის საჭიროება

ზემოხსენებული ყველა მოსაზრება რელიგიის შესახებ თანხმდება ერთ რამეზე: რა რიტუალებსა და რწმენა-წარმოდგენებსაც უნდა მოიცავდეს რელიგია, მას შეუძლია, დააკმაყოფილოს ყველა ადამიანისთვის საერთო საჭიროებები. მაგრამ ზოგი თეორეტიკოსი ირწმუნება, რომ რელიგია სცდება საზოგადოებას და აკმაყოფილებს უფრო სოციალურ, ვიდრე ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს. ემილ დურკჰეიმი, ფრანგი სოციოლოგი აღნიშნავდა, რომ საზოგადოებაში ცხოვრება ადამიანში იწვევდა ისეთ შეგრძნებებს, თითქოს მათ ძლიერი ძალები ამოძრავებდნენ და მართავდნენ. ეს ძალები მართავენ მათ ქცევას, აიძულებენ, უარი თქვან ,,ცუდსა" და ,,არასწორზე" და ჩაიდინონ ,,სწორი" საქციელი. რადგანაც ეს ძალები უხილავი და აუხსნელია, ხალხი მათ მისტიკურ ძალებად აღიქვამს და მიდის ღმერთისა და სულების არსებობის დასკვნამდე. დურკჰეიმი თვლიდა, რომ რელიგია წარმოიშობა სოციალურ ჯგუფში ცხოვრების გამოცდილებიდან. რელიგიური მრწამსი და პრაქტიკა გამოკვეთს საზოგადოებაში ადამიანის ადგილს, აძლიერებს ერთობის შეგრძნებას და ადამიანებს თავდაჯერებულობის გრძნობას უჩენს. მისი თეორიის თანახმად, რელიგიაში თაყვანისცემის საგანი საზოგადოებაა.

საინტერესოა, როგორ ხსნის დურკჰეიმი ტოტემიზმის ფენომენს. მისი აზრით, ხვლიკისთვის, ვირთხისა და ბაყაყისთვის (ზოგი ავსტრალიელი აბორიგენის ცხოველური ტოტემები) დამახასიათებელ არც ერთ ნიშანს არ შეეძლო, ისინი წმინდად ექცია. ცხოველური ტოტემი სიმბოლური ნიშნის მატარებელი უნდა იყოს. მაგრამ რა არის სიმბოლო? დურკჰეიმმა შენიშნა, რომ ხალხი კლანებადაა ორგანიზებული და თითოეულ კლანს თავისი ტოტემის ცხოველი ჰყავს. ტოტემი განასხვავებს ერთ კლანს მეორისგან. ამრიგად, ტოტემი ყურადღებას ამახვილებს კლანის რელიგიურ რიტუალებზე და წარმოადგენს როგორც კლანის, ისე მისი სულების სიმბოლოს. სწორედ კლანთან აიგივებს თავს ადამიანი და სწორედ ამას ამტკიცებენ რიტუალების საშუალებით.[10]

გაი სვონსონი ეთანხმებოდა დურკჰეიმს იმაში, რომ რელიგია შექმნილია საზოგადოების მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტის საპასუხოდ. მაგრამ ამავდროულად თვლიდა, რომ დურკჰეიმი ძალიან გაურკვევლად ხსნიდა იმ ფაქტორებს, რა საზოგადოებაში ღმერთებისა და სულებისადმი რწმენა გამოიწვია. მაშ, რას შეეძლო ამის გაკეთება? სვონსონის აზრით, სულების რწმენა გამოწვეულია საზოგადოებაში სუვერენული ჯგუფების არსებობით. ეს ის ჯგუფებია, რომლებსაც დამოუკიდებელი იურისდიქცია აქვთ ცხოვრების გარკვეულ სფეროებში: ოჯახში, კლანში, სოფელში, სახელმწიფოში. ამგვარი ჯგუფები არ არიან მოკვდავები. სვონსონის მოსაზრების თანახმად, შემდეგ ეს ძლევამოსილი ჯგუფები ადამიანების მიერ შექმნილ ღმერთებსა და სულებს განასახიერებენ. ხოლო თუ პირადად არ განასახიერებენ, მაშინ მისი წარმომადგენლის როლს ასრულებენ. სუვერენული ჯგუფების მს-

მიმდინარე კვლევა და საკითხები

რელიგიის სარგებელი: ტაბუები ნიუ-ინგლენდის მეთევზეებს შორის

ადამიანები, რომლებიც სახიფათო საქმიანობაში არიან ჩართულები, თავიანთი უსაფრთხოების გასამტკიცებლად თილისმებს ატარებენ. მათ სჯერათ, რომ თილისმა იცავთ, თუკი მოუხმობს ზებუნებრივ ძალებს დასახმარებლად. ჩვენ შეიძლება იმისიც გვჯეროდეს, რომ თუ კონკრეტულ რაიმეს არ გავაკეთებთ, ამით თავს დავიცავთ. მაგალითად, სპორტსმენმა შეიძლება იმ ფეხსაცმლითა და მაისურით ითამაშოს მომდევნო თამაში, რომლითაც წინაში მოიპოვა გამარჯვება. ჩვენ ასევე შეიძლება დავემორჩილოთ აკრძალვას, რადგან ამით ზებუნებრივი ძალების დასჯას ავიცილებთ თავიდან. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია ვიმარხულოთ, ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში უარი ვთქვათ რაღაც სახის საკვებზე. რატომ? ღმერთმა იცის!

შეუძლიათ თუ არა რელიგიურ ძალებსა და პრაქტიკას ჩვენი წარუმატებლობის შემცირება და წარმატების გაზრდა, ნებისმიერ შემთხვევაში, მათ სასარგებლოდ მივიჩნევთ, თუ ისინი ჩვენი მღელვარების დაცხრომას შეუწყობენ ხელს. ხოლო მღელვარების დაცხომამ კი შეიძლება პირდაპირ იმოქმედოს ჩვენი წარმატების ზრდაზე. ამ მხრივ, ყველაზე ადაპტირებადი აკრძალვები და ტაბუებია. განვიხილოთ ნიუ ინგლენდელ მეთევზეებზე ჩატარებული კვლევა, რომელიც გვიდასტურებს, თუ როგორ შეუძლიათ მათ ტაბუებს, ან ,,თავის არიდების რიტუალებს“ მღელვარების შემცირება.

ჯონ პიგიმ და რიჩარდ პოლნაკმა გამოჰკითხეს 108 კომერციული მეთევზე ინგლისის ახალი პორტებიდან. მკვლევარები ცდილობდნენ, აეხსნათ მათ შორის არსებული რამდენიმე ტაბუ. ისინი სთხოვდნენ მეთევზეებს, ჩამოეთვალათ თევზაობასთან დაკავშირებული ყველა ცრურწმენა, რის გახსენებასაც შეძლებდნენ. მეთევზეებს ხშირად რცხვენოდათ, როდესაც თავიანთ ცრურწმენებზე საუბრობდნენ. ისინი აღიარებდნენ, რომ არ სჯეროდათ ამ ტაბუების, მაგრამ თევზაობის დროს მათ დარღვევას მაინც ვერ ბედავდნენ. ტაბუები კრძალავდნენ კონკრეტული რაღაცის თქმას ან გაკეთებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება საშინელი რამ მომხდარიყო. ყველაზე ხშირად მეთევზეები ამბობდნენ: ,,ნუ უსტვენ“ და ,,ნუ ახსენებ ღორს ბორტზე“. როცა მეთევზეებს ჰკითხეს, რას ნიშნავდა ეს ტაბუები, მათ უპასუხეს, რომ ისინი საჭიროა უსაფრთხოებისთვის და უიღბლობის თავიდან ასაცილებლად.

კვლევის შედეგების თანახმად, თევზაობის დროს პირად უსაფრთხოებაზე ღელვა განაპირობებს მეთევზეებს შორის ტაბუების წარმოშობას. მაგალითად, გაცილებით მეტი ტაბუ ჩნდება, როდესაც მეთევზეებს სახიფათო სიტუაციაში ყოფნა დიდი ხნით უწევდათ. ერთი დღით სათევზაოდ წასული ადამიანი უფრო ნაკლებ ტაბუს იხსენებს, ვიდრე რამდენიმე დღით ზღვაში გასული მეთევზე. არსებობს იმის კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ტაბუები მეთევზეების მღელვარების შესამცირებლად გამოიყენება. კერძოდ კი, მეთევზეებს, რომლებიც ნაპირთან ახლოს, მოლუსკებზე თევზაობენ, უფრო ნაკლები ტაბუები აქვთ.

ხმელეთზე მეთევზეები ტაბუების მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილები და მათი ეფექტურობის არ სწამთ (ეს ხომ უბრალო ,,ცრურწმენაა“!). მაგრამ ზღვაში, როგორც ჩანს, საფრთხე ზრდის მღელვარების დონეს და მეთევზეებს თავიანთ ,,ცრურწმენებთან“ ბრძოლის მხნეობას უკარგავს. ტაბუს ზღვაში შესრულებას არანაირი ზიანი არ მოაქვს, — ამბობენ მეთევზეები, — მაგრამ შეუსრულებლობამ შეიძლება მოიტანოს!

გავსად, სულები და ღმერთებიც უკვდავები არიან და თავიანთი მიზნები აქვთ, რომლებიც იკავებენ ინდივიდის მიზნების ადგილს.[11]

ვარიაციები რელიგიურ აღმსარებლობაში

მეცნიერები დღემდე ვერ შეთანხმებულან, თუ ზოგადად რამ გააჩინა ხალხში რელიგიის საჭიროება. არც იმის თაობაზე არსებობს საერთო აზრი, როგორ გაჩნდნენ ღმერთები, სულები და სხვა ზებუნებრივი ძალები. (ჩვენ მიერ განხილულმა ყველა ფსიქოლოგიურმა თუ სოციალურმა საჭიროებამ შეიძლება ბიძგი მისცეს რელიგიური აღმსარებლობასა და პრაქტიკას.) თუმცა საყოველთაოდაა აღიარებული რელიგიური მრწამსისა და პრაქტიკის დეტალების განუსაზღვრელი ვარიაციები. საზოგადოებები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ზებუნებრივი ძალებისა და არსებების სწამთ. როგორია იმ არსებების სტრუქტურა, რა დანიშნულება აქვთ მათ. განსხვავებების პოვნა იმაშიც შეიძლება, თუ რა ხდება სიკვდილის შემდეგ ამა თუ იმ რელიგიის მიხედვით. განსხვავებულია ზებუნებრივი ძალებისა და ადამიანების ურთიერთმიმართებებიც.

ზებუნებრივი ძალებისა და არსებების სახეები:

ზოგიერთ ზბუნებრივ ძალას არ აქვს ადამიანის მსგავსი ხასიათი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარეტი აღწერდა ისეთ რელიგიურ მრწამსს, როგორიცაა ანიმატიზმი. მაგალითად, ითვლება, რომ ზებუნებრივი ძალა, სახელად **მანა**, (მალაიზიურ-პოლინეზიური სახელი) ცხოვრობს მხოლოდ ზოგ საგანსა და ზოგიერთ ადამიანში. პოლინეზიელი გლეხი მდელოს გარშემო ქვებს აწყობს, მოსავალი შესანიშნავია, ეს ნიშნავს, რომ ქვებს მანა აქვთ. მომდევნო წლების განმავლობში ქვებმა შეიძლება დაკარგონ მანა და მოსავალიც ცუდი იქნება. ადამიანებსაც შეუძლიათ მანას ფლობა. ითვლებოდა, რომ პოლინეზიის მთავრებს ჰქონდათ მანა. არ არის აუცილებელი, ამგვარი ძალა მუდმივი იყოს. თუ მეთაურები წარუმატებლები იყვნენ ბრძოლებსა და სხვა საქმიანობებში, მიიჩნეოდა, რომ მათ მანა დაკარგეს.

სიტყვა მანა შეიძლება მალაიზიურ-პოლინეზიური წარმოშობის იყოს, მაგრამ მსგავსი კონცეფციები ჩვენ საზოგადოებაშიც მოიპოვება. მანას შედარება შეიძლება ზოგ გოლფ-კლუბთან, რომელსაც განსაკუთერული წარმატება მოაქვს მოთამაშეებისთვის. სპორტსმენს შეიძლება ეგონოს, რომ კონკრეტულ მაისურს ან წინდებს ზებუნებრივი ძალა აქვს და მათ ტარებას წარმატება მოაქვს.

ასე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოთხფოთლიან სამყურას აქვს მანა, სამფოთლიანს კი — არა.

საგნები, ადგილები და ადამიანები შეიძლება **ტაბუდ** იყოს მიჩნეული. ენტონი უალასმა ერთმანეთისგან განასხვავა ტაბუ და მანა. მაგალითად, მანად მიჩნეულ საგნებთან შეხება შეიძლება, ტაბუსთან — არა, რადგან მან შეიძლება ზიანი მოგიტანოს.[12] მეტიც, ვინც მას ეხება, შეიძლება თავად იქცეს ტაბუდ. ტაბუები გარშემო ერტყმიან საკვებს, რომლის მიღებაც აკრძალულია, ადგილებს, რომელთა მონახულებაც არ შეიძლება, ცხოველებს, რომელთა მოკვლაც დაუშვებელია, ადამიანებს, რომლებთანაც სექსუალური კავშირია აკრძალული, ისეთებსაც, რომლებთან მიკარებაც საერთოდ არ შეიძლება და ა.შ. ავსტრალიელ აბორიგენებს არ შეეძლოთ, მოეკლათ და შეეჭამათ ცხოველი, რომელიც მათ ტოტემად ითვლებოდა. ებრაელ კაცებს ეკრძალებოდათ ქალთან მიახლოვება მენსტრუაციის დროს ან მისი დასრულების შემდეგ 7დღის განმავლობაში.

ზებუნებრივი არსებები ზებუნებრივი არსებები ორ კატეგორიად ხარისხდებიან: არაადამიანური წარმოშობის, როგორებიცაა ღმერთები და სულები, და ადამიანური წარმოშობის, როგორიცაა მოჩვენებები და წინაპრების აჩრდილები. არაადამიანური წამრმოშობის არსებებს შორის პირველები — **ღმერთები** — სახელის მქონე პიროვნებები არიან. ისინი ხშირად ანთროპომორფულები (ადამიანის შესახედაობა აქვთ, ადამინივით არაინ განსხეულებულები) არიან. თუმცა ხანდახან ცხოველის ან ციური სხეულის სახითაც (მზე, მთვარე) გვევლინებიან. ფიქრობენ, რომ თავდაპირველად ღმერთმა თავად შექმნა საკუთარი თავი. ზოგიერთმა მათგანმა შემდეგ შექმნა სხვა ღმერთები. იმის მიუხედავად, რომ ბევრი თავს ღვთის ქმნილებად მიიჩნევს, ყველა არ ეთანხმება იმ აზრს, რომ სამყაროც ღმერთის შექმნილია.

სამყაროს შექმნის შემდეგ ბევრი ღმერთი ტოვებს სამსახურს. მსოფლიოს ამოქმედების შენდეგ, მათ აღარ აინტერესებთ მისი ყოველდღიური მოვლენები. ღმერთის სხვა ქმნილებები კი კვლად დაინტერესებულები რჩებიან ადამიანის ყოველდღიური საქმიანობით. იმის მიუხედავად, შექმნეს თუ არა საზოგადოება ღმერთებმა, მათი ქმნილების მართვა ნებისმიერ შემთხვევაში „ნაკლებად ღმერთების“ პრეროგატივაა. ახალი ზელანდიის მაორები, მაგალითად, აღიარებენ სამ მნიშვნელოვან ღმერთს:

აქ მსოფლიოში არის სივრცე ყველა რელიგიისთვის — ზოგს სწამს კლდის, ზოგს ხის, ზოგს ღრუბლის...

ზღვის ღმერთს, ტყის ღმერთსა და აგროკულტურულ ღმერთს. ისინი თითოეულს დახმარებას სთხოვენ, სამივეს ერთად კი მაშინ მიმართავენ, როცა სამყაროს მოწყობის შესახებ ცოდნის მიღება სურთ. რომაელებს უფრო ბევრი ღმერთი ჰყავდათ. არსებობდა გუთნის ღმერთები, ერთი თესვაში დასახმარებლად, ერთი ფარცხვისთვის, ერთი მოსავლის აღების, ერთი მარცვლის შესანახად და ა.შ.[13]

ღმერთების შემდეგ მეორე, ხშირად ადამიანებთან ახლოს მყოფი ზებუნებრივი არსებები არიან **სულები**. ზოგი შეიძლება ადამიანის მცველი იყოს. ზოგი, ვინც ცნობილი გახდა თავისი გამორჩეული საქმიანობით, შეიძლება დაწინაურდეს და ღმერთის რანგი მიიღოს. ზოგი სული, რომელიც ცნობილია ადამიანებისთვის, მაგრამ რომელსაც არასდროს მოიხმობენ, გობლინის (ბოროტი და უბედურების მომტანი სული) მისიას კისრულობს. გობლინები აღტაცებაში მოჰყავთ უბედურებებს, ამიტომ ნებისმიერ მცირე უბედურებაში შეიძლება დაადანაშაულონ. არსებობენ ისეთი ანგელოზებიც, რომლებიც სხვა ადამიანების სახელით ბოროტებას სჩადიან.

ამერიკაში ადგილობრივი ინდიელების ჯგუფებს სჯეროდათ მფარველი სულის არსებობის, რომელიც ბავშობაში უნდა გეპოვა. მაგალითად, ჩრდილო-აღმოსავლეთ ვაშინგტონის სანპოიელ ბიჭებსა და ხანდახან გოგონებს ღამით აგზავნიდნენ მფარველი სულების საძებნელად. ძირითადად ეს სულები მათ ცხოველების სახით ხვდებოდნენ. თუმცა შეიძლება უნიკალური ფორმის ქვის, ტბის, მთის, ქარიშხლის ან ღრუბლის სახე მიეღოთ. ძიება ყოველთვის წარმატებით არ სრულდებოდა. როცა წარმატებული იყო, მცველი სული მფლობელს სიზმარში დაესიზმრებოდა ან გამოეცხადებოდა, თავდაპირველად ყოველთვის ადამიანის ფორმით. სულთან საუბარი ადამიანის ნამდვილ ბუნებას გამოამჟღავნებდა.[14]

მოჩვენებები და წინაპართა აჩრდილები ისეთ ზებუნებრივ არსებებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთ დროს ადამიანები იყვნენ. არსებობს თითქმის უნივერსალური რწმენა, რომ ადამიანებს შეუძლიათ მოჩვენებებისა და მათი საქციელის დანახვა, გაგება, შეგრძნება და ა.შ.[15] ამ ფენომენის ახსნა ძნელი არ არის. ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრი მინიშნებაა ასოცირებული ჩვენ საყვარელ ადამიანებთან. მათი სიკვდილის შემდეგ ამგვარმა მინიშნებებმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ისინი კვლავ ჩვენთან არიან. კარის გაღებამ, ოთახში თამბაქოს ან სუნამოს სუნმა შეიძლება შთაგვაგონოს, რომ ჩვენი ახლობლები კვლავ აქ არიან. ამრიგად, არაა გასაკვირი, რომ საზოგადოებების უმრავლესობაში სჯერათ მოჩვენების არსებობის. ჩვენი ვარაუდით, თუ მოჩვენებების არსებობის იდეა ნაცნობმა ასოციაციებმა გამოიწვია, მაშინ თავად ამ მოჩვენებების უმრავლესობაც საზოგადოების წევრების ნათესავები, მეგობრები ან ახლობლები უნდა იყვნენ. და ეს მართლაც ასეა.[16]

იმის მიუხედავად, რომ მოჩვენებების არსებობის სჯერათ, გარდაცვლილების აჩრდილები მთავარ როლს არ თამაშობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. სვანსონმა 50 საზოგადოების კროსკულტურული კვლევა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ ადამიანებს იმ შემთხვევაში სჯერათ წინაპრების აჩრდილების, თუ ეს უკანასკნელნი ცხოვრებაში საკმაოდ აქტიურები იყვნენ და მათი შთამომავლები მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში იღებენ მონაწილეობას. საგვარეულო ჯგუფი კი ისეთი ერთეულია, რომელიც ხანგრძლივად არსებობს, არსებობდა წარსულში და მისი ინდენტიფიცირება მომავალშიც შეიძლება. ასეთი ჯგუფის წევრებს სჯერათ, რომ გარდაცვლილები ზრუნავენ მათ ქონებაზე, პრესტიჟსა და ძალაუფლებაზე. ლუგბერას (ჩრ. უგანდა, აფრიკა) უხუცესმა თაქვა: „არიან თუ არა წინაპრები ჩვენი ნათესავები? ისინი ჩვენი მამები არიან და ჩვენ მათი შვილები ვართ. გარდაცვლილები ჩვენ გარშემო ტრიალებენ, ჩვენს სახლებში ცხოვრობენ და ჩვენ უნდა გამოვკვებოთ და პატივი ვცეთ მათ. ადამიანი ხომ ეხმარება თავის მოხუც მამას?“[18]

ზებუნებრივი არსებების ხასიათი

ყოველი მოცემული კულტურის ღმერთებსა და სულებს საკუთარი ხასიათი და პიროვნული შტრიხები აქვთ. შეიძლება შეცნობადნი ან შეუცნობელნი იყვნენ. შეიძლება განერიდონ ადამიანებს, ან პირიქით, დაიანტერესდნენ მათი ყოველღიური ცხოვრებით, შეიძლება ეხმარებოდნენ მათ, ან სჯიდნენ. რატომ ამჟღავნებენ ღმერთები და სულები რომელიმე ერთ საზოგადოებაში ხასიათის რაიმე კონკრეტულ შტრიხს და არა სხვას?

კროსკულტურული კვლევის შედეგად ჩვენ დავადგინეთ კავშირი ბავშვის აღზრდასა და ზებუნებრივი არსებების ხასიათს შორის. მელფორდ სპიროდ არიდ'ანდრადე მიიჩნევდნენ, რომ ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობა არის მშობლისა და შვილის ურთიერთობის განზოგადებული მოდელი.[19] მაგალითად, თუ ბავშვის ტირილზე და მოთხოვნებზე მშობლები მყისვე რეაგირებდნენ, ზრდასრულობისას ის იმავეს მოელის ღმერთისგან, როცა მისი ყურადღების მისაპყრობად რელიგიურ რიტუალებს ატარებს. მეორე მხრივ, თუ მშობლები ბავშვს ხშირად სჯიდნენ, ზრდასრულობისას ის ჩათვლის, რომ ურჩობის შემთხვევაში ღმერთი მას დასჯის. უილიამ კამბერტიმ, ლეი მინტურნ ტრაინდისმა და მარგარეტ ვულფმა კიდევ ერთ კროსკულტურულ კვლევაში აღმოაჩინეს, რომ ისეთ საზოგადოებებში, სადაც ბავშვებს მკაცრად სჯიან, ღმერთები აგრესიულებად და ღვარძლიანებად წარმოუდგენიათ.[20] ისეთ საზოგადოებებში, სადაც ბავშვის აღზრდის უფრო ღმობიერი წესებია გავრცელებული, ღმერთებს

მიჩოაკანის სიკვდილის დღეს, მექსიკაში, სჯერათ, რომ გარდაცვლილთა სულები დაბრუნდებიან.

კეთილმოსურნეებად თვლიან. ეს შედეგები ეხმიანება ფროიდის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ზებუნებრივი სამყარო ბუნებრივის პარალელური უნდა იყოს. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ზოგი ღმერთს მამად აღიქვამს, თავს კი — მის შვილად.

ზებუნებრივი არსებების სტრუქტურა ანუ იერარქია

მთელ რიგ საზოგადოებრივ სტრუქტურებს ეგალიტარულიდან უაღრესად სტრატიფიცირებულამდე აქვს თავისი ასლი ზებუნებრივ სამყაროში. ზოგ საზოგადოებაში ღმერთები და სულები არ არიან დაყოფილი, ერთ ღმერთს ისეთივე ძალაუფლება აქვს, როგორიც მეორეს. სხვებში კი ღმერთები და სულები ძალაუფლებით განსხვავდებიან. მაგალითად, წყნარი ოკეანის კუნძულ პალაუზე, სადაც იერარქიული საზოგადოება იყო, ღმერთებიც ადამიანების მსგავსად იყოფდნენ წოდებებს. თითოეულ კლანს ჰყავდა თავისი ღმერთი, რომელსაც კლანის წოდება და სახელი ჰქონდა. კლანის ღმერთი ძირითადად კალნისთვის იყო მნიშვნელოვანი. მაგრამ ამის მიუხედავად, ითვლებოდა, რომ ღმერთები თავისი კლანის მსგავსად ინაწილებდნენ რანგებსა და წოდებებს. ამრიგად, ყველაზე პატივსაცემი კლანის ღმერთს სოფლის ყველა კლანი სცემდა თაყვანს. მისი რელიკვიების შესანახი კონტეინერი სოფლის ცენტრში იყო მოთავსებული და სხვებზე დიდი და მორთული გახლდათ.[21]

იმის მიუხედავად, რომ პალაულელებს არ სწამდათ მაღალი ღმერთის ან უზენაესი არსების, რომელიც ყველა ღმერთზე მაღლა იდგა, ზოგ საზოგადოებას ამის სჯერა. ავიღოთ თუნდაც იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი, რომლებსაც ჩვენ **მონოთეისტურ** რელიგიებს ვუწოდებთ. იმის მიუხედავად, რომ მონოთეიზმი „ერთ ღმერთს" გულისხმობს, ზოგ მონოთეისტურ რელიგიაში ერთზე მეტი ზებუნებრივი არსება გვხვდება (დემონები, ანგელოზები, ეშმაკი). მაგრამ უზენაესი არსება, როგორც სამყაროს შემქმნელი და მოვლენების მაკონტროლებელი, ყველაფერზე პასუხისმგებლად ითვლება.[22] **პოლითეისტური** რელიგია აღიარებს ბევრ მნიშვნელოვან ღმერთს, რომელთაგან არც ერთი არაა უზენაესი.

რატომ სჯერათ ზოგ საზოგადოებაში მაღალი ღმერთის, ხოლო ზოგიერთებში — არა? გავიხსენოთ სვონსონის თვალსაზრისი, რომ ადამიანები იგონებენ ღმერთებს, რომლებიც განასახიერებენ ამ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფებს. აქედან გამომდინარე, მან შეიმუშავა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც მაღალი ღმერთის არსებობის იერარქიული პოლიტიკური სისტემის მქონე საზოგადოებებში უფრო სჯერათ. 35 საზოაგდოების კროსკულტურულ კვლევაში (არც ერთ მათგანში ხალხი არ იყო წამყვანი რელიგიების მიმდევარი) მან აღმოაჩინა, რომ მაღალი ღმერთის რწმენა ასოცირებულია „სუვერენული" (გადაწყვეტილების მიმღები) ჯგუფების სამ ან მეტ დონესთან. 20 გამოკვლეული ჯგუფიდან, სადაც არსებობდა სამი ან მეტი სუვერენული ჯგუფი (ოჯახი, კლანი და სამთავრო), 17-ში სჯეროდათ მაღალი ღმერთის. 19 საზოგადოებიდან, სადაც სამზე ნაკლები სუვერენული ჯგუფი არსებობდა, მხოლოდ ორს სჯეროდა მაღალი ღმერთის.[23] სვონსონის აღმოჩენებიდან გამომდინარეობს ისიც, რომ საკვების წარმოებაზე დამოკიდებულ საზოგადოებებს უფრო სჯერათ მაღალი ღმერთის, ვიდრე შემგროვებელ საზოგადოებებს.[24] ამ შედეგების თანახმად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღმერთების სფერო პარალელურია და ხშირად აირეკლავს კიდევაც სამყაროს სოციალურ და პოლიტიკურ ყოველდღიურობას.

ღმერთების ჩარევა ადამიანების საქმეებში

კლიფორდ გირცის თანახმად, ადამიანები ხშირად ღმერთის ჩარევით ცხოვრებისეულ უსამართლობას, ტკივილსა და უგუნურებას ხსნიან.[25] ბერძნული რელიგიის თანახმად, ზღვის მეფის, პოსეიდონის ჩარევით, ოდისევსი ათი წელი სახლში ვერ ბრუნდებოდა. ძველ აღთქმაში უფლის ჩარევამ გამოიწვია წყალდიდობა და დაღუპა ხალხი ნოესა და მისი ოჯახის გარდა. სხვა საზოგადოებებში, მაგალითს თუ მოვიყვანთ, ხალხს შეუძლია გაიხსენოს მათ მიერ დარღვეული ტაბუ, რომლისთვისაც ღმერთმა ისინი დასაჯა.

არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხალხი ღმერთს თავად სთხოვს ხოლმე ჩარევას, ევედრება ახლობლების სიკეთესა და მტრის დამარცხებას, კარგ მოსავალს, გამართლებას ნადირობასა და თევზაობაში, ადამყოფების განკურნებას, ომის შეჩერებას და ა. შ.

ზოგ საზოგადოებაში ღმერთები ნაკლებ მნიშვნელოვანია. ეს საკითხი ბოლომდე გამოკვლეული არ არის. მცირეა მასალა იმის თაობაზე, რატომაა ზოგი ხალხის ცხოვრებაში ღმერთი ძალიან მნიშნელოვანი. სამაგიეროდ ვიცით, როგორი დამოკიდებულება და წარმოდგენები არსებობს ღვთის მიმართ. სვონსონის კვლევის თანახმად, ღმერთები მაშინ სჯიან ხალხს ამორალური ქცევისთვის, როცა საზოგადოებაში კეთილდღეობის თვალსაზრისით დიდი განსხვავებაა.[26] მისი ინტერპრეტაციის მიხედვით, ზებუნებრივი ძალების მიერ მორალურობის მხარდაჭერა განსაკუთრებით მაშინაა სასარგებლო, როდესაც სოციალური უთანასწორობა ხელს უშლის პოლიტიკურ ძალებს, შეინარჩუნონ საზოგადოებრივი წესრიგი. ძალაუფლების სურვილმა შეიძლება ადამიანს ამორალურობისკენ უბიძგოს. რწმენას კი, რომ ღმერთი ასეთ საქციელს დასჯის, ამის შეჩერება შეუძლია.

სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

ბევრ საზოგადოებაში იდეები საიქიოს შესახებ არაა აქტუალური, მაგრამ ბევრსაც საგულდაგულოდ შემუშავებული და განსაზღვრული წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, თუ რა ხდება სიკვდილის შემდეგ. ლუგბარები სიკვდილს ცოცხლების წინაპრებთან შეერთებად აღიქვამენ. ფიქრობენ, რომ ასე ოჯახები და ახლობლები ხელახლა ერთად იყრიან თავს. გარდაცვლილები ცოცხლების ქცევითა და საქმეებით კვლავაც ინტერესდებიან, სჯიან და აჯილდოვნებ მათ. სამხრეთ-დასავლეთ აშშ-ს ზუნელები თვლიან, რომ მკვდრები წარსულში გარდაცვლილებს (კატქინებს) უერთდებიან და მათ სოფელში იწყებენ ცხოვრებას, რომელიც უახლოესი ტბის ფსკერზე მდებარეობს. იქ ისინი ცეკვავენ და მღერიან და ზუნის ხალხს წვიმას უგზავნიან. ისინი სჯიან მღვდლებს, რომლებიც ვალდებულებას ვერ ასრულებენ. ისინი სჯიდნენ ასევე ნიღბიან ადამიანებს, რომლებიც ცერემონიებზე კატქინებს ცუდად განასახიერებდნენ.[27]

ჩამულებმა ერთმანეთს შეუთანხმეს მაიას ტომის მზისა და მთვარის გაღმერთება და ესპანელი დამპყრობლების იესო და მარიამი. სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელების მათი ხედვა ორი კულტურის აღრევას გულისხმობს. ყველას სული მიდის საიქიოში, სადაც ადამიანური ცხოვრებით ცხოვრობენ, უბრალოდ სექსუალური ურთიერთობა არ აქვთ. მას შემდეგ, რაც მზე დედამიწას შემოივლის, ის მიწისქვეშა სამყაროში ჩადის. ასე რომ, გარდაცვლილებსაც აქვთ მზე და დღის სინათლე იქაც აღწევს. მხოლოდ მკვლელები და თვითმკვლელები ისჯებიან და მზე მათ წვავს.[28]

ბევრ ქრისტიანს სჯერა, რომ გარდაცვლილები ორ ჯგუფად იყოფიან: სულწაწყმედილები სამუდამო სასჯელს იხდიან, ხოლო ცხონებულები სასუფეველში განისვენებენ. აზრები განსხვავდება, მაგრამ ძირითადად ჯოჯოხეთი ცეცხლით წამებასთან ასოცირდება, სამოთხე კი — დიდ სასახლესთან. ზოგ საზოგადოებაში სჯერათ, რომ გარდაცვლილები ხელახლა იბადებიან და დედამიწაზე ბრუნდებიან. ინდუსები იყენებენ რეინკარნაციის იდეას, რათა ამ გზით გაამართლონ კასტების არსებობა. ისინი ჰპირდებიან დაბალი კასტის წარმომადგენლებს ცხოვრებისეული ტკივილებისგან გათავისუფლებას ნირვანას საშუალებით. ბევრ რელიგიაში საიქიო სააქაოს წააგავს. მაგრამ ჩვენ მაინც ცოტა გვაქვს შედარებითი კვლევები იმის დასადგენად, თუ კონკრეტულად რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს.

პრაქტიკული რელიგიის ვარიაციები

რწმენა არ არის რელიგიის ერთადერთი ელემენტი, რომელიც იცვლება დროთა განმავლობაში ან საზოგადოებების მიხედვით. იცვლება ადამიანების ზებუნებრივ ძალებთან ურთიერთობის გზებიც, ზებუნებრივ ძალებთან მიახლოების მანერა: ლოცვა, თხოვნა და ა.შ. ყველა საზოგადოება განსხვავდება რელიგიური პრაქტიკოსების ტიპების მიხედვით.

ზებუნებრივ ძალებთან ურთიერთობის გზები

ზებუნებრივ ძალებთან დაკავშირება, როგორც ჩანს, უნივერსალურ პრობლემას წარმოადგენს. ვოლისმა გამოყო ზებუნებრივთან ურთიერთობის რამდენიმე საშუალება. მათ შორისაა ლოცვა (ზებუნებრივი ძალებისთვის დახმარების თხოვნა), ფსიქოლოგიური გამოცდილება (სხეულსა და გონებაზე მანიპულაციების ჩატარება), სიმულაცია, ზეიმი და მსხვერპლი.[29] ლოცვა შეიძლება სპონტანური ან დაზეპირებული იყოს, საჯარო ან პირადი, ჩუმი ან ხმამაღალი. ლუგბარები ჩუმად ლოცულობენ, რადგან ხმამაღლა ლოცვა ძალიან დიდი ძალის მატარებელია. ისინი უბრალოდ სთხოვენ ღმერთებს დახმარებას. ღმერთებმა ყველა ენა იციან.

სხეულსა და გონებაზე მანიპულაციების ჩატარება შეიძლება მოიცავდეს ნარკოტიკისა (ჰალუცინოგენებს, როგორიცაა ოპიატი და მესკალინი) და ალკოჰოლის მიღებას, საზოგადოებისგან იზოლაციას ან სენსორულ დეპრივაციას (დაკარგვა, ჩამორთმევა), ცეკვას ან სირბილს სრულ გადაღლამდე, საკვებზე, წყალსა და ძილზე უარის თქმასა და მონოტონური ხმების მოსმენას, მაგალითად, დოლის ცემა და ა.შ. ასეთმა ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს ტრანსი, ან შეცვალოს ცნობიერების მდგომარეობა.[30] ერიკა ბურგინიონმა აღმოაჩინა, რომ ტრანსი მსოფლიო საზოგადოებების 90%-ის რელიგიური პრაქტიკის ნაწილია.[31] ითვლება, რომ ტრანსის დროს სული ან ზებუნებრივი ძალა სახლდება ადამიანში და ცვლის ან ავიწროვებს მის სულს. ამგვარ მოვლენებს ჩასახლების ტრანსები ეწოდება. სხვა სახის ტრანსები გულისხმობს ადამიანის სულის მოგზაურობას, ხილვების ქონას, ან ზებუნებრივი არსებებისთვის გზავნილების გადაცემას. ჩასახლების ტრანსები ხშირია მიწათმოქმედებაზე დამოკიდებულ და სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში, სადაც მონობაა და კომპლექსური პოლიტიკური სისტემა არსებობს. სხვა სახის ტრანსები უფრო შემგროვებელ საზოგადოებაში იჩენს თავს. ზომიერი სოციალური კომპლექსურობის მქონე საზოგადოებებში ორივე სახის ტრანსი არსებობს.[32]

დღემდე გამოცანად რჩება ჩასახლების ტრანსებში ქალების უპირატესობა. ელის კიჰოუ და დოდი ჯილეტი ფიქრობდნენ, რომ კაცებთან შედარებით ქალები უფრო მეტად განიცდიან საკვების ნაკლებობას ფეხმძიმობისა და ლაქტაციის (რძის გამოყოფა) გამო. კალციუმის ნაკლებობას კი შეუძლია გამოიწვიოს მუსკულარული სპაზმები,

კონვულსია და დიზორიენტაცია. ყოველივე ამან შეიძლება შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ადამიანში ვიღაც ჩასახლდა.[33] დაგლას რეიბეკი და მისი კოლეგები თვლიდნენ, რომ ქალების ფსიქოლოგია უფრო მგრძნობიარეებს ხდის მათ კალციუმის ნაკლებობის მიმართ. ამასთან, ქალები მეტ სტრესს განიცდიან, რადგან ძირითადად მათ არ აქვთ შესაძლებლობა, აკონტროლონ საკუთარი ცხოვრება. რაც უფრო დიდია სტრესი, მით ნაკლებია კალციუმის რაოდენობა სხეულში.[34] თუმცა ეს მოსაზრებები ჯერ კვლევას საჭიროებს.

ვუდუ სიმულაციას ან საგნების იმიტაციას ეყრდნობა. იქმნება მტრის მსგავსი თოჯინები, რომლებსაც შემდეგ აფუჭებენ, ცუდად ეპყრობიან იმ იმედით, რომ ორიგინალი დიდ ტკივილს განიცდის, ან მოკვდება. სიმულაციას მიმართავენ ხშირად **მკითხაობისას**, ან ზებუნებრივი არსების მოხმობისას. ბევრი ადამინი ცდილობს ბროლის ბურთებიდან, ჩაის ფოთლებიდან, ან ბანქოთი გაიგოს მომავალი. ხალხი გადაწყვეტილებას ხშირად მონეტის აგდებითა და კამათლის გაგორებითაც იღებს. ეს საშუალებები სხადასხვა საზოგადოებაში გამოიყენება.

ომარ მური ფიქრობდა, რომ ლაბრადორის ნასკაპთა მონადირეებს შორის მკითხაობა წარმატებული ნადირობის სტრატეგია იყო. ნასკაპები მკითხავისგან იღებდნენ რჩევებს. მკითხავი ცეცხლზე ირმის ძვალს გადაატარებდა, თითქოს ძვალი რუკა იყო, მასზე გაჩენილი დამწვრობები მიუთითებდნენ, ჯგუფს სად უნდა ენადირა.[35]

წმინდა საკვები ყველა საზოგადოებაში გვხვდება. მაგალითად, ზიარება „საიდუმლო სერობის“ სიმულაციას წარმოადგენს. ავსტრალიელ აბორიგენებს, რომლებიც ჩვეულებრივ არ ჭამენ თავიანთი ტოტემის ცხოველს, წელიწადში ერთხელ აქვთ დღესასწაული, რომლის დროსაც ისინი ტოტემს შეექცევიან. ლხინი ხშირად ქორწინების ან დაკრძალვის ცერემონიების ნაწილია ხოლმე.

ზოგ საზოგადოებაში ხალხი მსხვერპლს სწირავს იმ იმედით, რომ ღმერთი მას სამაგიეროს გადაუხდის. მას შეიძლება უნდოდეს ბოროტების თავიდან აცილება ან სიკეთის მოზიდვა თავისკენ. ყოველი მსხვერპლის დამახასიათებელი ნიშანია ღმერთისადმი რაღაც ფასეულის დათმობა, იქნება ეს საკვები, სასმელი, სექსი, მოსავალი, ცხოველი, ადამიანის სიცოცხლე და ა.შ. ზოგ საზოგადოებას სჯერა, რომ შესაბამისი მსხვერპლშეწირვის შემდეგ ღმერთი უბრალოდ ვალდებულია, მათი სურვილისამებრ მოიქცეს.

ყველა სახის მსხვერპლშეწირვას შორის უკიდურესი საშუალებაა ადამიანის სიცოცხლის გაწირვა. ამის მიუხედავად, ადამიანის მსხვერპლად შეწირვა არ არის იშვიათი ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ჩანაწერებში. რატომ იყენებდნენ ადამიანები ამგვარ პრაქტიკას? კროსკულტურული კვლევის მიხედვით, ადამიანების მსხვერპლშეწირვა ძირითადად ხორციელდება პრეინდუსტრიულ

მორწმუნე თაყვანს სცემს ქანდაკების ტერფს ინდოეთის ტაძარში.

საზოგადოებებში, სადაც მონები არსებობენ. ამრიგად, მსხვერპლშეწირვა ასახავს სოციალურად მნიშვნელოვან მოვლენებს: საზოგადოებები, რომლებიც დამოკიდებულები არიან ადამიანურ შრომაზე (ვიდრე ცხოველებსა ან ტექნიკაზე), ადამიანის სიცოცხლეს ღმერთს რაიმე მნიშვნელოვან სურვილში უცვლიან.[36]

მაგია

ზებუნებრივ ძალებთან კავშირის დამყარების ყველა მეთოდი შეიძლება სხვადასხვა სახით დახარისხდეს. ვარიაციის ერთი განზომილებაა ის, თუ რამდენი ადამიანი შესთხოვს და ეხვეწება ღმერთს სურვილების ასრულებას და რამდენს სჯერა, რომ მას ღმერთის იძულება შეუძლია. მაგალითად, ლოცვა თხოვნაა, ხოლო ვუდუს შესრულება სავარუდოდ — იძულებითი. როცა ადამიანებს სჯერათ, რომ შეუძლიათ, აიძულონ ზებუნებრივი ძალა, ანთროპოლოგები ამას **მაგიას** უწოდებენ.

მაგია ან ჯადოქრობა გულისხმობს ზებუნებრივით მანიპულირებას სასიკეთოდ ან საზიანოდ. ბევრ საზოგადოებაში გვხვდება ჯადოქრური რიტუალები კარგი მოსავლის მოსაყვანად, ნადავლის რაოდენობის გასაზრდელად, შინაური ცხოველების გასამრავლებლად და ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად, განსაკურნად. ჩვენ ძირითადად ჯადოქრობის რწმენას პრიმიტიულ საზოგადოებებს მივაწერთ. მაგრამ აშშ-ში 80000-მდე ადამიანი მაგიას სერიოზულად უდგება.[37] ბევრი ირწმუნება, რომ ჯადოქარია. იმის ახსნა, რატომ ერკვევიან ჯადოქრობაში ზოგიერთები, მაშინ, როცა სხვები ამას ვერ ახერხებენ, დაგვეხმარება გავიგოთ, რატომ უკავია მაგიას ბევრი საზოგადოების რელიგიაში მნიშვნელოვანი ადგილი.

როგორც ვნახავთ, მკურნალი ჯადოქარი მაგიას ხშირად ადამიანების განკურნებისთვის იყენებს. მაგრამ უფრო მეტ ინტერესს იწვევს მაგიის ზიანის მისაყენებლად გამოყენების შემთხვევები.

ჯადოქრობა და შავი მაგია (კუდიანობა) ჯადოქრობა და შავი მაგია ნიშნავს სულების მოხმობას, რათა მათ ზიანი მიაყენენონ სხვებს. იმის მიუხედავად, რომ ჯადოქრობა და შავი მაგია ხშირად ერთი მნიშვნელობით იხმარება, მათ შორის მაინც არსებობს განსხვავება. **ჯადოქრობა** მოიცავს რაღაც მასალების, საგნებისა და წამლების გამოყენებას ზებუნებრივი ძალების მოსახმობად. **შავი მაგია** კი იმავე მიზანს უბრალოდ აზრითა და ემოციით აღწევს. შავი მაგიის სამხილების პოვნა შეუძლებელია. ამრიგად ხილული დამამტკიცებელი საბუთის არარსებობა ართულებს შავი მაგიის დამტკიცებასაც და გამტყუნებასაც.

ზაირის აზანდეს ტომში (ცენტრალური აფრიკა) შავი მაგია ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყო. ის არ გამოიყენებოდა ისეთი მოვლენების ასახსნელად, რომელთა გამომწვევი მიზეზი ისედაც ცნობილი იყო, მაგალითად, დაუდევრობა ან ტაბუს დარღვევა. მას მიმართავდნენ აუხსნელი, გაურკვეველი მოვლენების განმარტებისთვის. კაცს სპილომ ეშვით ურქინა, მას ალბათ ჯადო გაუკეთეს, რადგან სხვა დროს სპილოს მისთვის არასდროს ურქენია. კაცი თავის ლუდის საცავში მიდის და ჩალის ღერს ანთებს ლუდის მოსაძებნად. ქოხს ცეცხლი ეკიდება და მთლიანად იწვის. მას ალბათ ჯადო გაუკეთეს, რადგან ქოხები არ იწვოდა წინათ, როცა ის და მისი ამხანაგები იმავეს აკეთებდნენ ხოლმე. დაოსტატებული მეთუნის ქოთნები როცა ტყდება, საუკეთესო მტვიფრავის ტვიფრები როცა იბზარება, ყველაფერში ჯადოა დამნაშავე. სხვა ქოთნები და ტვიფრები ხომ არ დამტყდარა და დაბზარულა.[38]

შავი მაგიის მანია ევროპაში მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში მეფობდა, ხოლო სალემში (მასაჩუსეტსის შტატი) 1602 წელს შავი მაგიის სასამართლო პროცესები ეწყობოდა. ეს მიუთეთებს იმაზე, თუ რა სწარფად შეიძლება შეიცვალოს დამოკიდებულება შავი მაგიის მიმართ მოკლე პერიოდში. ბევრი მკვლევარი ცდილობდა, აეხსნა ჯადოქრების დევნის მიზეზები. პირველი ფაქტორი იყო



1692 წელს იყო ჯადოქრობის ეპიდემია სალემში, მასაჩუსეტსი. ბევრმა მკვლევარმა დაადასტურა, რომ ერგოტით მოწამვლას შეეძლო ადამიანების მართვა, თუ ისინი მოჯადოებულები იყვნენ.

პოლიტიკური ალიაქოთი, რასაც შეეძლო, გაემძაფრებინა უნდობლობა და განტევების ვაცების ძიება. მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების ევროპის შემთხვევაში, მცირე პოლიტიკური ერთეულები ერთიანდებოდნენ ნაციონალურ-სახელმწიფოებად. როგორც სვონსონმა აღნიშნა, კომერციულმა რევოლუციამ და მასთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა ახალი სოციალური ფენა — საშუალო კლასი წარმოშვა ეს ცვლილებები ასევე ,,ხელს უწყობდნენ პროტესტანტობისა და რომაული კათოლიციზმის სხვა ერებში გავრცელებას.“[39] სელამის შემთხვევაში, მასაჩუსეტსი კოლონიის მთავრობა არასტაბილური იყო. 1693 წელს, შავი მაგიის ისტერიის წელს, მასაჩუსეტსი ინგლისელი გუბერნატორის გარეშე დარჩა და სასამართლო პრაქტიკაც მოიშალა. ამ უჩვეულო მდგომარეობასა და ჯადოსნობაში ერთი ადამიანი დაადანაშაულეს, რასაც ჯადოქრობისთვის ასობით ადამიანის დადანაშაულება და 20-ის სიკვდილით დასჯა მოჰყვა. სვონსონის აზრით, ლეგიტიმური პოლიტიკური პროცედურების მოშლას, შეეძლო, წარმოეშვა საყოველთაო შიში ჯადოქრების მიმართ.[40]

დღეს შეიძლება იმ მოვლენების ახსნა, რასაც ადრე შავ მაგიასა და ჯადოქრობას მიაწერდნენ. ცნობილია, რომ სალემსა და სხვა ტერიტორიებზე გავრცელებულ სოკოვან დაავადებებს ჭვავის მცენარე იწვევდა, რომელიც ერგოტით იყო დაავადებული. ვინც ასეთი ჭვავის ფქვილს შეჭამდა, ჰალუცინაციები, კანზე უცნაური შეგრძნებები და სხვა სიმპტომები დაეწყებოდა. ყოველივე ეს კი მაშინ შავ მაგიად იყო აღქმული.

ჯადოქრობის სავარაუდო მსხვერპლებს სალემში და სხვა ადგილებში მათრობელით მოწამვლის მსგავსი სიმპტომები აღენიშნებოდათ. ისინი იტანჯებოდნენ კონვულსიებისგან და ისეთი შეგრძნებებისგან, თითქოს ვიღაც კბენდათ, ჩხვლეტდათ ან ბნკენდათ. დაავადებულებს ეჩვენებოდათ, თითქოს ჰაერში დაფრინავდნენ. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, ერგოტისმათრობელას (ჭვავის რქის) დაავადებები შავი მაგიის აყვავების ხანაში გაჩნდა თუ არა. არ არსებობს ამის დამამტკიცებელი საბუთი, რადგან ,,ჯადოს ქვეშ მყოფთ“ სამედიცინო დახმარება არ მიუღიათ. მაგრამ ჩვენს ხელთაა რამდენიმე სამხილი, რომლებიც ჭვავის რქის თეორიას ამტკიცებს. ცნობილია, რომ ჭვავის მცენარეზე ჭვავის რქა მხოლოდ გარკვეულ სიტუაციებში მრავლდება. კერძოდ კი, როცა ძალიან ცივ ზამთარს მოჰყვება გრილი და ნესტიანი გაზაფხულ-ზაფხული. ხეების რგოლების ანალიზმა დაადგინა, რომ 1690-იან წლებში ინგლისში ზამთარი საკამოად ცივი იყო ხოლმე. ევროპაში ჯადოქრების დევნის პიკი სწორედ ცივი ზამთრების ამ პერიოდს ემთხვევა.[41] საინტერესოა, რომ ევროპაში შავი მაგიის ისტერია მაშინ გაძლიერდა, როცა, ჩვენი მონაცემებით, ევროპელებმა ერთი ნელსაცხებლის გამოყენება დაიწყეს. ეს საცხი კანის ქსოვილში აღწევდა და ინვევდა ჰალუცინაციებსა და ფრენის ცხად შეგრძნებებს.[42] ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ შავი მაგიის (კუდიანობის) ყველაზე გავრცელებული სურათია ცხენზე შემომჯდარი და ჰაერში მფრინავი ქალი.

იმის მიუხედავად, კუდიანობის ისტერია გამოწვეული იყო თუ არა ჭვავის რქის ეპიდემიით ან პოლიტიკური აურზაურით, მაინც გვჭირდება გავიგოთ, თუ რატომ სჯერათ ამდენ საზოგადოებაში ჯადოქრობისა და კუდიანობის. რატომ სჯერა ამდენ ადამიანს, რომ შესაძლებელია, აიძულო სული, ზიანი მიაყენოს სხვას? ერთ-ერთი შესაძლო ახსნა ბეატრის უიათინგმა შეიმუშავა. მისი აზრით, ჯადოქრობა და კუდიანობა ისეთ საზოგადოებებში გვხვდება, სადაც არ არსებობს სასამართლო პროცედურები და სასამართლო პირები, რომლებიც დანაშაულსა და სხვა სახის ძალადობას უნდა უმკლავდებოდნენ. მისი თეორიის თანახმად, ყველა საზოგადოებას სჭირდება სოციალური კონტროლის ფორმები: პოტენციური დამნაშავეების შეჩერების ხერხები და ნამდვილ დამნაშავეებთან გამკლავების საშუალებები. იურიდიული პირების არარსე-

ბობის შემთხვევაში, ჯადოქრობა საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საუკეთესო მექანიზმია. თუ ვინმეს ცუდად მოექეცი, ამ ადამიანს შეუძლია, ავად გაგხადოს ან მოგკლას კიდეც. კროს-კულტურული კვლევის მასალებიც ამ თეორიის სასარგებლოდ მეტყველებს. კუდიანობა იმ საზოგადოებებშია უფრო მნიშვნელოვანი, სადაც არ არსებობენ სამართალდამცავი პირები.[43]

პრაქტიკოსთა ტიპები

ინდივიდებს შეიძლება სჯეროდეთ, რომ შეუძლიათ პირდაპირი კონტაქტი დაამყარონ ზებუნებრივ ძალებთან. მაგრამ ამის მიუხედავად, ყველა საზოგადოებაში არსებობენ შამანები, ჯადოქრები, მედიუმები და ღვთისმსახურები. მათ რელიგიის ან ჯადოს პრაქტიკოსები შეიძლება ვუწოდოთ. როგორც შემდეგ ვნახავთ, პრაქტიკოსთა ტიპების რაოდენობა საზოგადოებაში შეიცვლება კულტურის კომპლექსურობის ხარისხთან ერთად.[44]

შამანები სიტყვა **შამანი**, შესაძლოა აღმოსავლეთ ციმბირში არსებული ენიდან წარმოშვა. შამანი არის მამაკაცი, რომელსაც თავის თემში მაღალი სტატუსი აქვს და რომელიც ადამიანებს კურნავს.[45] ჩვენ ამას სამედიცინო ანთროპოლოგიის თავში უკეთესად განვიხილავთ. აქ კი ყურადრებას იმ მეთოდებზე გავამახვილებთ, რომელთა მეშვეობითაც შამანი სხვებს ეხმარება.

შანამანი გადადის ტრანსში, ან გონების განსაკუთრებულ მდგომარეობას აღწევს და მოგზაურობს სხვა სამყაროში იმ მიზნით, რომ მფარველი ან სხვა სულის დახმარება მიიღოს. შამანები ზებუნებრივ ძალებს სიზმრების საშუალებით უკავშირდებიან. ადამიანები დახმარებას შეიძლება ისეთი რამისთვისაც ითხოვდნენ, როგორიცაა საკვების მოპოვება. მაგრამ ავადმყოფობის განკურნება შამანის პირდაპირი მოვალეობაა.[46] შამანებმა ასევე შეიძლება სულების შეტყობინებები გაავრცელონ, მაგალითად, მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ გააფრთხილონ ხალხი.[47]

ზოგი სიზმრის ან გამოცხადების შემდეგ იღებს მისიას გახდეს შამანი და განკურნოს ადამიანები. შამანობის სრულყოფის პერიოდში ადამიანმა ხილვის ხარისხის გაზრდის მიზნით შეიძლება მიმართოს ჰალუცინოგენებს ან ძლიერ ფიზიკურ დატვირთვას, როგორიცაა ცეკვა, თქვას უარი ძილსა და საჭმელზე. შამანის შესაძლებლობების მნიშვნელოვანი ნაწილია ხილვებისა და სულების ძალის კონტროლის უნარის გამომუშავება.[48]

ჯადოქრები და კუდიანები შამანებისგან განსხვავებით, ჯადოქრები და კუდიანები, ორივე სქესის წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ. მათ საზოგადოებაში ძალიან დაბალი ეკონომიკური და სოციალური სტატუსი უკავიათ.[49] კუდიანობასა და ჯადოქრობაში ეჭვმიტანილებს ხშირად გაურბიან და უფრთხიან, რადგან ისინი ავადმყოფობის, ზიანისა და სიკვდილის გამომწვევებად მიაჩნიათ. რადგანაც ჯადოქრები თავიანთი საქმიანობისთვის სხვადსხვა ნივთიერებას იყენებენ, მათი ჯადოქრობის აღმოჩენა უფრო იოლია. ჯადოქრობაში ეჭვმიტანილებს ხშირად ხოცავდნენ. იმის გამო, რომ ჯადოსნობა ძირითადად გონებრივი ძალების საშუალებით ხორციელდება, ძნელია ვინმეს ჯადოსნობის დამტკიცება. თუმცა სამხილების პოვნის სიძნელეს არ შეუჩერებია ხალხი, აღმოეჩინათ და დაესაჯათ ჯადოსნებად მიჩნეული ადამიანები.

მედიუმები მედიუმები ძირითადად ქალები არიან. მათ ძირითადად განკურნებისა და მკითხაობის თხოვნით მიმართავენ ხოლმე. ამ პროცესის დროს ითვლება, რომ მედიუმში სული სახლდება და ის კარნახობს მას ქცევის წესებს. მედიუმებს ახასიათებთ კონვულსიები, დროებითი ამნეზია და კანკალი.

ღვთისმსახურები ღვთისმსახურები ძირითადად მამაკაცები არიან. მათ ძალიან მაღალი სტატუსი აქვთ. ითვლება, რომ ღვთისმსახურები დაკავშირებულები არიან მაღალ ღმერთთან. მღვდლები თავიანთ წოდებას ძირითადად ან მემკვიდრეობით იღებენ ან პოლიტიკური დანიშვნის შედეგად.[50] ისინი დანარჩენი მოსახლეობისგან ტანისამოსით ან ვარცხნილობით განსხვავდებიან. მღვდლობა რთული და გრძელი პროცესია. ეს მოიცავს მარხულობას, ლოცვას, ფიზიკურ მუშაობას, ასევე დოგმებისა და რელიგიური რიტუალების შესწავლა-შესრულებას. მომავალი მღვდლები აშშ-ში ამთავრებენ ოთხწლიან თეოლოგიურ სკოლას და ხანდახან შეგირდად მიებარებიან გამოცდილ მღვდლებს. ეს უკანასკნელნი არ იღებენ გასამრჯელოს, მაგრამ მათ ეკუთვნით შემოწირულობა მიმდევრებისა და მრევლისგან. ზოგჯერ მღვდლებს პოლიტიკური ძალაუფლებაც აქვთ, მთავარი ღვთისმსახური ხშირად სახელმწიფოს მეთაურის ან მისი მრჩევლის ფუნქციას ასრულებს. ისინი სამღვდელო იერარქიის თავში დგანან, რაც მათ მატერიალურ კეთილდღეობაზეც აისახება.

სწორედ დამახსოვრებულ რიტუალებზე დამოკიდებულება განასხვავებს და იცავს ღვთისმსახურს. თუ შამანმა დაკარგა განკურნების უნარი, ის კარგავს თავის მიმდევრებსაც, რადგან ითვლება, რომ სულებმა მიატოვეს იგი. ხოლო თუ ღვთისმსახური რიტუალს იდეალურად ჩაატარებს, მგრამ ღმერთები არანაირ რეაგირებას არ მოახდენენ, ის თავის ადგილს მაინც შეინარჩუნებს, ისევე, როგორც რიტუალი შეინარჩუნებს თავის ღირებულებას. როცა ღმერთები არ რეაგირებენ, ადამიანები მიიჩნევენ, რომ ის ზებუნებრივი ძალის კეთილგანწყობის ღირსი არ არის.

პრაქტიკოსები და სოციალური კომპლექსურობა უფრო რთულ საზოგადოებებში რელიგიური და მაგიური პრაქტიკოსების უფრო მეტი ტიპი არსებობს. თუ საზოგადოებაში მხოლოდ ერთი სახის პრაქტიკოსი არსებობს, ის ძირითადად ყოველთვის შამანია. ამგვარი საზოგადოებები, როგორც წესი, მომთაბარე ან ნახევრად მომთაბარე საკვების შემგროვებლები არიან. ორი სახის პრაქტიკოსები (შამანები და ღვთისმსახურები) როგორც წესი მიწათმოქმედებას მისდევენ. სამი სახის პრაქტიკოსების არსებობა ახასიათებთ მიწათმოქმედებს ან მესაქონლეებს, რომელნიც პოლიტიკურად ინტეგრირებულნი არიან საზოგადოების გარეთ (მესამე სახის პრაქტიკოსი ჯადოქარი ან კუდიანია). საზოგადოებებს, სადაც არის სოფლის მეურნეობა, მაღალი პოლიტიკური დონე და სოციალური კლასები, ჰყავთ შამანებიც, მღვდლებიც, მედიუმებიც, ჯადოქრებიცა და ჯადოსნებიც.

რელიგია და ადაპტაცია

მალინოვსკის მსგავსად, ბევრ ანთროპოლოგს სჯერა, რომ რელიგია ადაპტირებადია, რადგან მას შეუძლია შეამციროს ადამიანებისთვის ესოდენ დამახასიათებელი მღელვარება და ეჭვები. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, არის თუ არა რელიგია მღელვარებისა და ეჭვების შემცირების ერთადერთი საშუალება. არც ის ვიცით, საჭიროა თუ არა ამ მღელვარებისა და ეჭვების შემცირება. და მაინც, როგორც ჩანს, ზოგ რელიგიურ მრწამსსა და პრაქტიკას პირადაპირ ადაპტირებადი შედეგები მოჰყვება. მაგალითად, ინდუსების რწმენა-წარმოდგენები წმინდა ძროხის შესახებ ბევრისთვის სასარგებლო და ადაპტირებადი ჩვეულების საპირისპიროა. ინდოელებს რელიგია უკრძალავს ძროხის მოკვლას. რატომ ინარჩუნებენ ინდუსები ამ რწმენას? რატომ აძლევენ ამდენ ძროხას თავისუფლად ძოვისა და გადაადგილების საშუალებას? რატომ არ ხოცავენ მათ?

მარვინ ჰარისის აზრით, ინდუსების ამ წესს მათთვის ბევრი მოგება მოაქვს. ჰარისი ფიქრობდა, რომ ინდოეთში ძროხების შენარჩუნებას ეკონომიკური მიზეზებიც უნდა ჰქონოდა. ძროხები და ხბოები ისეთ პროდუქტს იძლევიან, რომლებსაც სხვა გზით ვერ მოიპოვებენ. ამავდროულად, მათი გამოკვება რთული არ არის.

ინდოელები თავიანთ პატარა ფერმებში, განსაკუთრებული ფინანსური დანახარჯების გარეშე, დიდ მოგებას

ანთროპოლოგიური ორიგინალები

მექსიკელი სიერა ოტომის ხალხი

შამანებს ხალხის განკურნება ზებუნებრივ ძალებთან კონტაქტის შედეგად შეუძლიათ, როცა ავადმყოფობა ჯადოქრობით არის გამოწვეული, მისი განკურნება ზებუნებრივი ძალის ჩარევით უნდა მოხდეს. ღმერთები შეიძლება დაარწმუნო იმაში, რომ სამყაროსთვის საფრთხის მომტანი სხვა ბოროტი ძალები შეაჩეროს. მაგრამ ამისათვის საჭიროა სპეციალური პიროვნება, რომელიც ზებუნებრივ ძალებს ამგვარი ქცევისკენ მოუწოდებს. ეს ადამიანი შამანია.

შამანები ადგილობრივი მკურნალები არიან. ისინი აგვარებენ საშინაო კონფლიქტებს, კურნავენ დაავადებებს და ეხმარებიან გლეხებს მიწაზე (გაკაფული ტყის ადგილი) სიცოცხლის დაბრუნებაში. ისინი ასევე სარიტუალო მრჩევლების სახით მოქმედებენ costumbres of the antiguas-ზე (წინაპრების წესჩვეულებები). იმის მიუხედავად, რომ შამანები ერთდროულად გლეხებიც არიან, მათმა შამანურმა საქმიანობამ შეიძლება ისინი მიწაზე მუშაობისგან კვირაობით მოაცდინოს. მათ შეუძლიათ ადამიანი დაიქირავონ ან ნათესავს სთხოვონ ამ სამუშაოს შესრულება. შამანი არის ქალიც და კაციც. შამანები უპირველესად მცენარეების, ცხოველების, ადამიანებისა და ზებუნებრივი არსებების სულთან მუშაობენ. თითოეულ შამანს თავისი სტილი და სპეციალობა აქვს. რიტუალებში შამანები სულს ქაღალდისგან გამოჭრილი ფიგურების სახით წარმოადგენენ.

შამანის დახმარებას მიმართავენ, როცა ოჯახის წევრები რაიმე ავადმყოფობისგან ან ფიზიკური აშლილობისგან იტანჯებიან. შამანები დასავლელ ექიმზე მეტ „გამოძახებას“ იღებენ. პაციენტები პირველად მას სახლის სამლოცველოში აკითხავენ. აქ შამანები კონსულტაციებს იძლევიან, რომლის დროსაც შამანი, პაციენტი და ზებუნებრივი ძალა თერაპიულ კავშირს ამყარებენ. შამანები სხვის სახლებშიც მიდიან მათი ბოროტი სულებისგან გასაწმენდად. მათ შეუძლიათ დაუპირისპირდნენ ჯადოს რიტუალების მეშვეობით და გამოიტანონ ის ადამიანის სხეულიდან. რაც ყველაზე მთავარია, შამანები პაციენტის მხარეზე მყოფი მეომრები არიან, რომლებიც გზას უღობავენ ბოროტებას, იქნება ეს ავადმყოფობა თუ შურიანი მეზობელი.

ნახულობენ. რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა პროდუქტზე, ისინი ძროხის ნაკელისგან საწვავსა და სასუქს იღებენ. მონაცემების თანახმად, ყოველწლიურად 45 მილიონი ტონა ნახშირის ეკვივალენტი ნაკელი იწვება. უფრო მეტიც, მას არიგებენ ყოველდღე უფასოდ საწვავის ალტერნატიული წყაროები, მაგალითად ხე, დეფიციტური და ძვირია. სასუქად 340 ტონა ნაკელი გამოიყენება, რაც არსებითია ქვეყნისთვის, რომელიც წელიწადში სამ მოსავალს იღებს. მესამე, მიუხედავად იმისა, რომ ინდუსები არ ჭამენ ძროხის ხორცს, ბუნებრივი სიკვდილით მკვდარ ან არა ინდუსების მიერ დახოცილ ძროხებს საჭმელად დაბალ კასტებს აძლევენ. მეოთხე, დახოცილი საქონლის ტყავის ნედლეული და რქები გამოიყენება ტყავის ინდუსტრიაში. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ტაბუ ძროხების დაკვლის წინააღმდეგ შეიძლება ადაპტირებადიც იყოს.[52]

რელიგიური ცვლილებები, როგორც განახლება

რელიგიის ისტორიის გრძელი პერიოდი მოიცავს როგორც ცვლილებისადმი წინააღმდეგობის, ისე რადიკალური ცვლილების ეპოქებს. ანთროპოლოგები განსაკუთრებით დაინტერესებულები არიან ახალი რელიგიების ან სექტების წარმოშობით. ახალი რელიგია შეიძლება გაჩნდეს, როდესაც კულტურებს დომინანტ საზოგადოებებთან კონტაქტის გამო ძირი ეთხრებათ. ამგვარი რელიგიური მოძრაობებისთვის განსხვავებული ტერმინები იხმარება: კარგოს კულტები, ნეიტივური მოძრაობა, მესიის (მესიური) მოძრაობები, ათასწლეულის კულტები და ა.შ. ვოლისი ფიქრობდა, რომ ესენი **განახლების მოძრაობის** მაგალითები იყო, მცდელობა, გადაარჩინო კულტურა თავსმოხვეული მიზნებისა და ცხოვრებისგან.53 ჩვენ განვიხილავთ ამგვარ მოძრაობებს ჩრდილო ამერიკისა და მალაიზიის მაგალითებზე.

სენეკას ხალხი და ლამაზი ტბის რელიგია იროკეზელთა ლიგის სენეკას ხალხის რეზერვაცია ნიუ-იორკის შტატის მდინარე ელოგენისთან 1799 წლისთვის იყო „სიღარიბისა და დამცირების ადგილი“.[54] აქ თავი მოიყარა სენეკას გაჭირვებულმა, გაუნათლებელმა ხალხმა. ამ დროს მათი მეთაურის 50 წლის ძმას დაეწყო ხილვები. ხილვებში სამყაროს შემქმნელის ემისრები მას სამოთხესა და ჯოჯოხეთს აჩვენებდნენ და მისიად სენეკას რელიგიისა და საზოგადოების განახლებას აკისრებდნენ. ეს მომდევნო ათწლეულში უნდა მომხდარიყო. თავის სახელმძღვანელოდ ლამაზი ტბა გაივიიოს (კარგი სიტყვა) იყენებდა. ეს იყო სახარება, რომელიც შეიცავდა განცხადებებს რელიგიის ბუნების, უსასრულობისა და კარგი ქცევის წესების შესახებ. გაივიიო იმით იყო საინტერესო, რომ მასში არა მარტო კვაკერული ქრისტიანობის დიდი გავლენა იგრძნობოდა თვალნათლივ,[55] არამედ იმითაც, თუ როგორ ერწყმოდა ახალი მასალა ტრადიციულ იროკეზულ კონცეფციებს.

„კარგი სიტყვის“ პირველი ნაწილი სამ მთავარ თემას შეიცავს, რომელთაგან ერთი აპოკალიფსია. ლამაზი ტბა მრავალ ნიშანს გზავნიდა, რომლითაც მორწმუნეს შეეძლო, მოახლოებული კომისიური სამსჯავრო შეეცნო. ციდან ცეცხლის დიდი წვეთები წამოვიდოდა წვიმის მაგივრად და დედამიწას საფარი დაედებოდა. გამოჩნდებოდნენ თვითმარქვია წინასწარმეტყველები, კუდიანი ქალები ღიად გაუკეთებდნენ ხალხს ჯადოს, მიწისქვეშეთიდან შხამიანი არსებები ამოვიდოდნენ და დახოცავდნენ მათ, ვინც გაივიიოს არ აღიარებდა. გაივიიო განსაკუთრებულ ყურადღებას ცოდვაზე ამახვილებდა. ყველაზე დიდი ცოდვები იყო „კარგი სიტყვის“ უარყოფა, ლოთობა, კუდიანობა და აბორტი. ხალხს ცოდვები უნდა ეღიარებინა და მოენანიებინა. და ბოლოს, გაივიიო ადამიანებს ხსნას სთავაზობდა. ამის მიღწევა სპეციალური ქცევის წესების შესრულებით შეიძლებოდა. ხალხი უნდა დასწრებოდა გარკვეულ ტრადიციულ რიტუალებს და საჯაროდ ეღიარებინა ცოდვები.

„სახარების“ მეორე ნაწილში ჩამოყალიბებულია ქცევის წესები. ეს წესები სენეკას ხალხს ევრო-ამერიკული აღმსარებლობისკენ მიმართავს და ამავდროულად არ აშორებს თავის ტრადიციულ კულტურას. ქცევის წესებში ხუთი ძირითადი პოსტულატია ჩამოთვლილი:

1. თავშეკავებულობა. სენეკას ყველა ლიდერი აცნობიერებდა, როგორ საზოგადოებრივ უწესრიგობას იწვევდა ალკოჰოლური სასმელის მოხმარება. ლამაზმა ტბამ დიდი ადგილი დაუთმო ალკოჰოლის დამღუპველი შედეგების ჩვენებას და ახსნას.

მიმდინარე კვლევა და საკითხები

რელიგიის მიმდევრობის ერთი მიზეზი შეიძლება უკეთეს სამყაროში ცხოვრების სურვილი იყოს

დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი რელიგია არსებობს. რეგულარულად იქმნება ახალი სექტები და კულტები. ალბათ ცოტა ჩვენგანმა თუ იცის, რომ დღევანდელი უმსხვილესი ეკლესიები და რელიგიები თავდაპირველად მცირე სექტებისა და კულტების სახით იწყებდნენ არსებობას. მართლაც, ყველაზე მსხვილი და პრესტიჟული პროტესტანტული ეკლესიები თავის დროზე რადიკალურ მოძრაობებად ითვლებოდა. ასე მაგალითად, რასაც ჩვენ ქრისტეს გაერთიანებული ეკლესიის სახელით ვიცნობთ, რომელიც მოიცავს სამრევლო ეკლესიასაც, რადიკალების დაარსებული იყო ინგლსში. მათ სურდათ, რომ ეკლესიის მმართველობა ადგილობრივი დაჯგუფების ხელში ყოფილიყო. ბევრი ამ რადიკალთაგანი პილიგრიმი გახდა. მათ მოუწიათ გაქცევა ,,ახალი სამყაროს" შესაქმნელად. მაგრამ თავიანთ რწმენაში ისინი ფუნდამენტალისტები იყვნენ. მაგალითად, 1820-იან წლებში კონექტიკუტში კონგრეგაციონალისტებით დომინირებულ ქალაქებში აიკრძალა შობის დღესასწაულის ეკლესიის გარეთ აღნიშვნა. რადგან მათი აზრით, ასეთი დღესასწაული ბიბლიაში ნახსენები არ იყო. დღეს კონგრეგაციონალისტები ყველაზე ლიბერალ პროტესტანტთა შორის მოიხსენიებიან.

არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ბევრი თანამედროვე პროტესტანტული ეკლესია, მათ შორის ყველაზე კონსერვატიულებიც კი, იწყებდნენ მტრულად განწობილი აგრესიული სექტებით. ისინი უკეთესი მსოფლიოს შექმნისათვის იღვწოდნენ. ბოლოსდაბოლოს, სწორედ ამიტომ ვეძახით მათ ,,პროტესტანტელებს". თავდაპირველად ამბოხი რომის პაპისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ დაიწყო. შემდეგ სექტები ეკლესიისა და მთავრობის იერარქიულობას დაუპირისპირდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თავის დროზე ქრისტიანობაც რადიკალური მოძრაობის სახით ჩაისახა რომის იმპერიის შემოგარენში. ამრიგად, ახალი სექტები და კულტები ალბათ ყოველთვის პოლიტიკური და სოციალური, ასევე რელიგიური ხასიათის იყო. გავიხსენოთ სიტყვა მილენიუმი (ათასწლეული), მას ხშირად იყენებდნენ რელიგიური მოძრაობების შესახებ დისკუსიებში. ამ სიტყვით აღნიშნავდნენ სასურველ ან მოსალოდნელ მომავალს, სადაც ადამიანების ცხოვრება და საზოგადოება სრულყოფილი და პრობლემებისგან თავისუფალი იქნება. მაშინ მსოფლიო ბედნიერი, მშვიდობიანი და აყვავებული გახდება. დღეს უკეთესი მსოფლიოს სურვილი შეიძლება ან არ შეიძლება იყოს რელიგიით შთაგონებული. ზოგი ფიქრობს, რომ ამ მდგომარეობის მიღწევა მხოლოდ ადამიანების ამოცანაა.

რომელ კატეგორიას მივაკუთვნოთ უკეთეს სამყაროში ცხოვრების სურვილი? იქნებ მას ,,კონსერვატიული" ვუწოდოთ, რადგან ეს სურვილი წარსულში ჩაისახა? თუ უკეთესი სამყარო ჯერ არ არსებობს, არის თუ არა მისკენ სწრაფვა ,,რადიკალური"? იქნებ უკეთესი მსოფლიოს კონცეფცია არც კონსერვატიულია და არც რადიკალური? შეიძლება ხალხი, რომელიც არ არის კმაყოფილი დღევანდელი ცხოვრებით, ფიქრობს, რომ უკეთესის მიღწევა შესაძლებელია წმინდა ძალების დახმარებით ან მათ გარეშე. როგორც არ უნდა მოხდეს ეს, ,,მილენიუმი" ახლანდელისგან განსხვავებული და მასზე უკეთესი იქნება.

აზრები მილენიუმის შესახებ და ახალი სექტებისა და კულტების ჩამოყალიბება უკეთესად აიხსნება ადამიანური იმედების გაგებით: რისი იმედი აქვთ ადამიანებს? რატომ იცვლება მათი იმედები კულტურებთან ერთად? არსებობს თუ არა უნივერსალური იმედები? როგორ შეიძლება მათი გამართლება?

2. სიმშვიდე და საზოგადოებრივი ერთიანობა. სენეკას ლიდერებს უნდა შეეწყვიტათ ამაო კინკლაობა და გაერთიანებულიყვნენ უფრო დიდი საზოგადოების შესაქმნელად.
3. ტომის მიწების დაცვა. ლამაზი ტბა, რომელიც უფრთხოდა სენეკას მიწების თანდათანობით გასხვისებას, მოითხოვდა, შეეჩერებინათ მიწების არასენეკელებისთვის მიყიდვა.
4. პროაკულტურიზაცია (კეთილგანწყობა უცხო კულტურების მიმართ). იმის მიუხედავად, რომ კერძო საკუთრება და ვაჭრობა აკრძალული იყო, ინგლისური განათლების მიღებას მოუწოდებდნენ. ამრიგად, ხალხი შეძლებდა კითხვასა და გაგებას და აღარ მოტყუვდებოდა.
5. შინაური მორალურობა. ვაჟები მამებს უნდა დამორჩილებოდნენ. დედები არ უნდა ჩარეულიყვნენ ქალიშვილების ქორწინებაში. ხოლო ცოლ-ქმარს პატივი უნდა ეცა საქორწინო ფიცის სიწმინდისთვის.

ჩანს, ლამაზი ტბის სწავლებამ სენეკას ხალხში რენესანსი გამოიწვია. თავშეკავებულობის პრინციპს საყოველთაო აღიარება მოჰყვა, ასევე სწავლებისა და ფერმერობის ახალ მეთოდებს. 1801 წლისთვის მარცვლეულის მოსავალი ათჯერ გაიზარდა, გამოიყვანეს მოსავლის ახალი ჯიშები (შვრია, კარტოფილი, სელი). საგრძნობლად გაუმჯობესდა ჰიგიენისა და ჯანმრთელობის პირობები. თავად ლამაზი ტბა მოსახლეობაში დიდი ზეგავლით სარგებლობდა. დარჩენილი ცხოვრება მან ადმინისტრაციული მოვალეობის, ვაშინგტონში ირიკეზელი ხალხის წარმომადგენლის ფუნქციის შესრულებასა და თავისი სახარების მეზობელ ტომებში გავრცელებას მიუძღვნა. მოგვიანებით, იმავე საუკუნეში ლამაზი ტბის მოსწავლეებმა მისი სახელობის ეკლესია დააარსეს, რომელიც, მცირე პოლიტიკური უთანხმოებებისა და რეგრესის მიუხედავად, დღემდე მოქმედებს.

თუმცა ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ამგვარ რელიგიურ მოძრაობებს მუხტს კულტურული სტრესი აძლევს, მნიშვნელოვანია გავიგოთ, კერძოდ რაში მდგომარებს ეს სტრესი და რა დონეზე უნდა გაძლიერდეს ის, რომ რელიგიური მოძრაობის სახე მიიღოს. შეიძლება თუ არა, სხვადასხვა სახის სტრესმა განსხვავებული რელიგიური მოძრაობა წარმოშვას? დამოკიდებულია თუ არა ამ მოძრაობის ბუნება კულტურულ ელემენტებზე? განვიხილოთ კარგოს კულტები. თავდაპირველად ეს მოძრაობა 1885 წელს მელანეზიაში დაიწყო.

კარგოს კულტები სატვირთო კულტები რელიგიური მოძრაობებია, რომლის დროსაც ,,ზებუნებრივი ნეტარების პერიოდს ელიან და მისი დადგომისთვის ემზადებიან."[56] სატვირთო კულტებისთვის დამახასიათებელი იყო იმის რწმენა, რომ რაღაც განმათავისუფლებელი

ამბოხებულთა მოძრაობა, რომელიც ცნობილია როგორც მოჩვენებათა ცეკვა, გავრცელდა აღმასავლეთიდან დასავლეთით 1870-1890-იანებში. ეს იყო ზოგადი რწმენა, რომ ხალხი სწორად ცეკვავდა, მოჩვენებები შეიძლება მოსულიყვნენ ცხოვრებაში საკმარისი რესურსით, რომ ადამიანებს ძველ გზაზე დაბრუნების ნება დაერთოთ და ზოგიერთი კატაკლიზმის შედეგად თეთრებში შეიძლება გაექროთ.

ძალა მოიტანდა ნებისმიერ **დასავლურ საქონელს**. მაგალითად, 1932 წლისთვის სოლომონის კუნძულების ბუკას ხალხებს შორის კულტის ლიდერები წინასწარმეტყველებდნენ, რომ უზარმაზარი ტალღა წალეკავდა სოფლებს და მოიტანდა გემს, დატვირთულს რკინით, ნაჯახებით, საკვებით, თამბაქოთი, მანქანებითა და იარაღით. ბაღებში მუშაობა შეწყდა და მოსალოდნელი კარგოსთვის ნავსადგომების მშენებლობა დაიწყო.[57]

რით შეიძლება აიხსნას ამგვარი კულტების გაჩენა? პიტერ ვურსლი ფიქრობდა, რომ კარგოს კულტის წარმოშობისა და მილენარიული მოძრაობების დაწყების მნიშვნელოვან ფაქტორს ჩაგვრა და შევიწროვება წარმოადგენდა. მელანეზიის კუნძულების შემთხვევაში, ეს კოლონიური ჩაგვრით იყო გამოწვეული. მისი აზრით, მელანეზიელების რეაქციები უფრო რელიგური ხასიათის იყო, ვიდრე პოლიტიკური; იმიტომ, რომ ამ დროს გაერთიანდნენ ისეთი იზოლირებული სოციალური ჯგუფებიც, რომლებსაც პოლიტიკური ერთობა არ აკავშირებდათ.[58] სხვა მეცნიერები, მათ შორის დევიდ აბერლე, მიიჩნევენ, რომ კულტების გაჩენა შედარებითი დანაკარგების გამო ხდება. როდესაც ადამიანები ფიქრობენ, რომ შეეძლოთ, უფრო მეტი ჰქონოდათ და მათ იმაზე ცოტა აქვთ, ვიდრე ადრე ჰქონდათ, ისინი კულტების შემოღებისაკენ ისწრაფვიან.[59] აბერლეს ზოგადი ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, ბრუს კაუფმანმა ჩაატარა კარგოს კულტების შედარებითი კვლევა. აღმოჩნდა, რომ კარგოს კულტები ძირითადად მელანეზიის კუნძულებისთვისაა დამახასიათებელი. მათი გაჩენის უმნიშვნელოვანეს პერიოდში, პირველ წელს მელანეზიელებმა შეწყვიტეს ურთიერთობა დასავლეთთან და შესაბამისად დაკარგეს კავშირი ფასეულ ღირებულებებთან.[60]

თუ თანამდროვე ან თუნდაც შორეული წარსულის გამოცდილებით ვიმსჯელებთ, რელიგური რწმენისა და პრაქტიკის გამოცოცხლებას კიდევ უნდა ველოდოთ, კერძოდ, დიდი სტრესის პერიოდებში. ამრიგად, მსოფლიოში რელიგიური ვარიაციების გაგრძელება კვლავ მოსალოდნელია.

შეჯამება

1. რელიგია არის ზებუნებრივ ძალებთან დაკავშირებული რწმენის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის ერთობლიობა. ამგვარი რწმენა შეიძლება იცვლებოდეს კულტურის შიგნით, საზოგადოებებს შორის, ან დროის ცვლილებასთან ერთად.
2. რელიგიური მრწამსი ყველა საზოგადოებაში არსებობს. ის ჯერ კიდევ 60000 წლის წინათ არსებობდა.
3. რელიგიის უნივერსალობის თეორიებიდან გამომდინარე, ადამიანები ქმნიან რელიგიებს გარკვეული მოთხოვნილებებისა და მდგომარეობის საპასუხოდ. მათ შორისაა გაგების საჭიროება, ბავშვობის დაბრუნების სურვილი, მღელვარების ან გაურკვევლობის მდგომარეობა და ა.შ.
4. არსებობს რელიგური მრწამსის ფართო ვარიაციები. საზოგადოებები განსხვავდებიან იმით, რა სახის და რა რაოდენობის ზებუნებრივი ძალების თუ არსებების სჯერათ. ესენი შეიძლება იყვნენ ზებუნებრივი ძალები (მანა, ტაბუ), ზებუნებრივი არსებები (ღმერთები, სულები), ადამიანური წარმოშობის ზებუნებრივი არსებები (მოჩვენებები და წინაპრების

აჩრდილები). საზოგადოების რელიგიური მრწამსი შეიძლება მოიცავდეს ზოგ ან ყველა მათგანს.

5. ღმერთები და სულები შეიძლება იდუმალებით მოცულები იყვნენ ან პირიქით, ადვილად აღსაქმელები. მათ შეიძლება აინტერესებდეთ ადამიანური საქმეები, მათი ყოფა, ან არა. ზოგ საზოგადოებაში ღმერთების იერარქია არ არსებობს, ზოგში კი პირიქით, ღმერთებსა და სულებს შორის ძალაუფლება ისევეა გადანაწილებული, როგორც ეს ადამიანებში ხდება.
6. მონოთეისტური რელიგია გულისხმობს ერთი მაღალი ღმერთის არსებობას. ითვლება, რომ მან შექმნა სამყარო და ის მართავს მოვლენებს. სხვა დანარჩენი ზებუნებრივი არსებები ან მას ემორჩილებიან, ან მის ალტერნატივად იგულისხმებიან. მაღალი ღმერთი ძირითადად პოლიტიკურად მაღალგანვითარებულ საზოგადოებებში გვხვდება.
7. ტკივილის, უსამართლობისა და უცოდინრობის პირობებში ადამიანები მოვლენებს ღმერთის ჩარევით ხსნიან. ამგვარი ჩარევისკენ ისწრაფვიან ადამიანები, როცა ღმერთისგან დახმარების მიღება სურთ. ითვლება, რომ ღმერთები სჯიან ამორალურ საქციელს საზოგადოებებში, სადაც მოსახლეობას შორის საგრძნობი განსხვავებაა ქონებისა და კეთილდღეობის თვალსაზრისით.
8. ზებუნებრივ ძალებთან კავშირის დასამყარებლად უამრავ საშუალებას მიმართავენ. მათ შორისაა ლოცვა, ნარკოტიკების მიღება ან სხეულსა და გონებაზე ზემოქმედების სხვაგვარი საშუალებები, — სიმულაცია, ლხინი და მსხვერპლშეწირვა.
9. როცა ადამიანებს სჯერათ, რომ შეუძლიათ ზებუნებრივ არსებებს მოუწოდონ, იმოქმედონ მათი სურვილისამებრ, ანთროპოლოგები ამას მაგიას უწოდებენ. ჯადოქრობა და კუდიანობა ადამიანებისათვის ზიანის მოტანის საშუალებებია.
10. თითქმის ყველა საზოგადოებაში მოიძებნებიან რელიგიის პრაქტიკოსები. ახლანდელმა კროსკულტურულმა კვლევამ რელიგიური პრაქტიკოსების ოთხი ძირითადი ტიპი გამოავლინა: შამანები, კუდიანები ან ჯადოქრები, მედიუმები და ღვთის მსახურები. რელიგიურ პრაქტიკოსების რიცხვი იცვლება საზოგადოების კომპლექსურობასთან ერთად. რაც უფრო კომპლექსურია საზოგადოება, იქ მით მეტი სახის პრაქტიკოსი არსებობს.
11. რელიგიის ისტორიაში ვხვდებით როგორც ცვლილებისადმი დიდი წინააღმდეგობის, ისე რადიკალური ცვლილებების პერიოდებს. ამ ციკლის ერთი ახსნა არის ის, რომ დიდი სტრესის პერიოდში რელიგიური პრაქტიკა ყოველთვის განახლებას იწყებს. რელიგიურ მოძრაობას რელიგიურ განახლებას უწოდებენ, როცა ის ცდილობს, გადაარჩინოს კულტურა მასში ახალი მიზნისა და ახალი სიცოცხლის შთაბერვით.

საკონტროლო კითხვები:

1. რით ჰგავს თქვენი ღმერთის კონცეფცია სხვა რელიგიური სისტემების ზებუნებრივ ძალებს?
2. თქვენი აზრით, რა მომავალი აქვს რელიგიას?
3. თქვენთვის ცნობილი რომელიმე რელიგიური პრაქტიკა შეიძლება იწოდოს მაგიად? არიან თუ არა ისინი დაკავშირებული მღელვარების მომგვრელ სიტუაციებთან?

ხელოვნება

26

თავების შინაარსი

- სხეულის დეკორაციები და მორთულობა
- ხელოვნების ვარიაციების ახსნა
- სხვა კულტურების ხელოვნების მიმოხილვა
- ხელოვნების ცვლილება და კულტურების ურთიერთობა

ბევრ საზოგადოებას არ აქვს ხელოვნების აღსანიშნავი სპეციალური სიტყვა.[1] ალბათ იმიტომ, რომ ხელოვნება ხშირად რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ინტეგრირებული ნაწილია. და მართლაც, ჩვენ მიერ განხილული კულტურის ასპექტები — ეკონომიკა, პოლიტიკა, რელიგია — არც ისე მკაფიოდ არის გამოყოფილი სოციალური ცხოვრების სფეროდან.[2]

ხელოვნების ნიშნები ჯერ კიდევ 28000 წლის წინანდელ პერიოდში გვხვდება. ჩვენ ქვაზე უძველეს ამოტვიფრულებს, მძივებსა და პიქტოგრამებსაც ხელოვნებას ვუწოდებთ. მაგრამ რას ვგულისხმობთ ჩვენ ამ სიტყვაში? ქვისთვის წვეტის წათლასა და ფხისგან კაუჭის გაკეთებას ნამდვილად სჭირდება ოსტატობა და ფანტაზიის უნარი. მაგრამ ჩვენ ამას ხელოვნებას არ ვუწოდებთ. რატომ ვფიქრობთ, რომ ზოგი რამ ხელოვნებაა, ზოგი კი — არა?

ხელოვნების ზოგი განსაზღვრება ხაზს უსვამს მის ემოციურ მახასიათებლებს. ხელოვნება გადმოსცემს შემქმნელის ემოციებსა და იდეებს. მნახველში კი ის აღძრავს, გამოიწვევს გრძნობებსა და იდეებს. ემოციები და იდეები შეიძლება მრავალი გზით გამოიხატოს: ხატვით, ფერწერით, ჩუქურთმებით, ქსოვით, სხეულის დეკორაციით, მუსიკით, ცეკვით, მწერლობით. ხელოვნების ნიმუში გამიზნულია ემოციების მოსაზღვავებლად. მან შეიძლება გააღვიძოს სიამოვნება, რიდი, ზიზღი ან შიში, ყველაფერი გულგრილობის გარდა.[3]

მაგრამ ხელოვნების ემოციურ მახასიათებლებზე ყურადღების გამახვილება შეიძლება საკმარისი არ იყოს. იმიტომ, რომ ის, რაც ერთ საზოგადოებაში ემოციებს აღვიძებს, მეორეში შეიძლება არანაირ გრძნობებს არ იწვევდეს. მაგალითად, ერთი საზოგადოების ანეკდოტი შეიძლება სხვა საზოგადოების წევრისათვის სულაც არ იყოს სასაცილო. ამრიგად, ანთროპოლოგები თანხმდებიან იმ აზრზე, რომ ხელოვნება მეტია, ვიდრე ინდივიდის მცდელობა, გადმოსცეს ემოციები და იდეები. მასში კიდევ კულტურული შტრიხი და აზრი უნდა იდოს. საზოგადოებები განსხვავდებიან მახასიათებლებითა და ხელოვნების სტილით.[4]

ხელოვნება გარკვეულწილად ყოველთვის კულტურული ხასიათის მატარებელია და თავისთავად მოიცავს ქცევის წესებს, რწმენებსა და გრძნობებს. რა მოსაზრებები არსებობს ხელოვნების თაობაზე ჩვენს საზოგადოებაში? ჩვენ ყველაფერს ხელოვნებად არ ვთვლით. თუ მაგალითად კალათას თავისი ფუნქციისთვის შეუსაბამო დიზაინი აქვს, ის შეიძლება ხელოვნების ნიმუშად მივიჩნიოთ, განსაკუთერბით თუ მას თაროზე შემოვდებთ. მაგრამ როცა კალათა შიგ ჩაწყობილი პურით მაგიდაზე დევს, მას ალბათ ხელოვნების ნიმუშად არავინ მიიჩნევს. ის, რომ ასეთი განსხვავება სხვა საზოგადოებას არ აქვს, გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი მოსაზრება კულტურული კლიშეა. ადგილობრივი ინდიელები წყნარი ოკეანის სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთში საგულდაგულოდ აჩუქურთმებდნენ ტოტემის სახელზე აღმართულ ბოძებს. ხელოვნებას ნაწილობრივ კულტურული მახასიათებლები აძლევს სტიმულს, არადა ვხედავთ, როგორ ეპყრობიან ბევრ საზოგადოებაში სახლების გარეგან იერს. ჩრდილოეთ ამერიკელების უმრავლესობა სახლებს სურათებით რთავს. მაგრამ მათ არ სჩვევიათ სახლების გარედან გაფორმება, როგორც ამას ინდიელები აკეთებდნენ წყნარი ოკეანის სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთში.

ჩვენ საზოგადოებაში დაჟინებით მოითხოვენ, რომ ხელოვნების ნიმუში უნიკალური იყოს. ცხადია, ამით ხაზგასმულია ინდივიდუალიზმი. იმის მიუხედავად, რომ ხელოვანისგან ჩვენ უნიკალურობას მოვითხოვთ, მათი ნამუშევარი მისაღები ვარიაციების ჩარჩოებში უნდა ჯდებოდეს. ხელოვანებმა გასაგები გზებით უნდა მოგვაწოდონ სათქმელი. თუ თავისი ნამუშევრით საზოგადოებრივი აღიარების მოპოვება უნდა, ხშირად ხელოვანი იძულებულია, მიჰყვეს გარკვეულ სტილს, რომელიც კრიტიკოსებმა და მისმა წინამორბედებმა დაადგინეს. მოსაზრება, რომ ხელოვანი ორიგინალური უნდა იყოს, კულტურულ კლიშედ შეიძლება მივიჩნიოთ. ზოგ საზოგადოებაში ტრადიციული სტილის გაგრძელება და განმეორება უფრო მეტად ფასდება, ვიდრე ორიგინალურობა.

ამრიგად, ხელოვნებას აქვს ოთხი მახასიათებელი: ის მისაღებია მაშინ, თუ ესმის საზოგადოებას. ახდენს გრძნობების სტიმულირებას, ზემოქმედებს ემოციებზე და აღვიძებს იდეებს. ის კულტურული სტილისა და მახასიათებლების მიხედვით იქმნება. მას უნდა ჰქოდეს აზრი; მეტიც, ზოგი ადამიანი მასში სხვებთან შედარებით უფრო დახელოვნებულია.[6] იმისთვის, რომ გაიგო ხელოვნების ნიმუში, არ არის საჭირო, ხელოვანი იყო. ანთროპოლოგიური ჩანაწერების თანახმად, ბევრ საზოგადოებაში საერთოდ არ არსებობენ პროფესიონალი ხელოვანები. ყველას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ხელოვნების რომელიღაც ტიპის შექმნაში (ცეკვა, სიმღერა, სხეულის დეკორაცია), თუმცა ყველა თანაბრად წარმატებული ვერ იქნება.

იმისათვის, რომ ვნახოთ ხელოვნების გამოხატვის რა კროს-კულტუტურული ვარიაციები არსებობს, პირველ რიგში განვიხილოთ სხეულის დეკორაცია და მორთულობები.

სხეულის დეკორაციები და მორთულობა

ყველა საზოგადოებაში ადამიანები სხეულზე მორთულობებს იკეთებენ. სხეულის დეკორაცია შეიძლება იყოს მუდმივი: ნაიარევი (შრამი), ტატუ, სხეულის რომელიღაც ნაწილის შეცვლა, ან დროებითი: საღებავის, სამკაულების, ბუმბულებისა და ტანისამოსის სახითაც კი. დეკორაციების უმრავლესობას ესთეტიკური შინაარსი აქვს, ის ყველა კულტურაში სხვადსხვაგვარია. დეკორაციების ფორმა დამოკიდებულია კულტურულ ტრადიციებზე. სხეულის მორთულობა შეიძლება ინდოელი ქალის გახვრეტილი ცხვირი იყოს, ან ცენტრალური აფრიკის მანგებეტუს ტომის წაგრძელებული კისრები, ან კიდევ ჩრდილოეთ ამერიკის ქალებისა და მამაკაცების ტატუები.

ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა, სხეულის დეკორაცია და მორთულობა შეიძლება სხვა მიზნებსაც ემსახურობოდეს. მათ შეიძლება განსაზღვრონ საზოგადოების შიგნით ადამიანების სოციალური ფენა, სქესი, რანგი, საქმიანობა, ადგილობრივი და ეთნიკური იდენტურობა, ან რელიგიური აღმსარებლობა. სოციალური სტრატიფიკაციის თვალსაჩინოების გარდა, სხეულის დეკორაციებსა და მორთულობებს შეიძლება სტატუსის ხასგასმის ფუნქციაც ჰქონდეს. სიმბოლური ორეოლი (გვირგვინი) მეფის თავზე, ინგლისელი ჯენტლმენის ალისფერი სანადირო ქურთუკი, არწივის ბუმბულები ინდიელთა ბელადის თავსაბურავში, ინდოელი რაჯას ოქროთი ამოქარგული ტანისამოსი, — ყველა ეს ნიშანი მაღალი სტატუსის მაჩვენებელია. ჯვრის ან ვარსკვლავის ფორმის სამკაულები მიუთითებს ქრისტიანულ ან იუდაისტურ აღმსარებლობაზე. ტანისამოსით შეიძლება ერთმანეთისგან გავარჩიოთ მღვდელი, მონაზონი ან რომელიმე სექტის წევრი.

არსებობს სხეულის ეროტიკული მნიშვნელობით დეკორაციაც. ქალები თავიანთი სხეულის ეროგენულ ზონებზე ყურადღების მიპყრობას ტუჩების შეღებვით ცდილობენ, ამავე დანიშნულებით იყენებენ სამკაულებსაც. მამაკაცებიც ცდილობენ ყურადღების მიპრყრობას წვერით, ტატუირებით, პენისის ქარქაშებით. საკმარისია მხოლოდ თვალი გადავავლოთ ევროპელი და ჩრდილო ამერიკელი ქალების მოდის ტენდენციებს ბოლო 300 წლის მანძილზე (დავიწროვებული წელით, დამრგვალებული თეძოებით, გადიდებული ან მოტიტვლებული მკერდით და დახატული სახეებით), რომ დავრწმუნდეთ, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს სხეულის მორთულობას სექსუალური პროვოკაციისთვის. თუმცა ჯერ კიდევ გაურკვეველია, რატომ კეთდება ზოგ საზოგადოებაში აქცენტი ქალის,

ზოგში კი მამაკაცის ეროტიკულ მორთულობაზე.

ბევრ საზოგადოებაში სტატუსის ცვლილების თვალსაჩინოებისთვის სხეულზე სამუდამო ნიშანს ისვამენ. მაგალითად, ლიბერიის კპელეს ტომში მამაკაცად კურთხევის ცერემონიების დროს ახლად წინადაცვეთილი ბიჭები უფროს მამაკაცებთან ერთად ტყეში განმარტოვდებიან ხოლმე. იქიდან ბიჭები ზურგზე ნაიარევებით ბრუნდებიან. ეს სიმბოლური ნაკბენები ნიშნავს, რომ მათ თავი დააღწიეს ნგამუს (უდიდესი ნიღბიანი არსება), რომელმაც მათში შეჭამა ბავშვი და გააღვიძა ზრდასრული.[7]

ჩანს, სხეულის მორთვის მოთხოვნილება უნივერსალურია. ჩვენ სხვადასხვა საზოგადოებაში სხეულის მორთვის განხვავებულ საშუალებებს ვაკვირდებოდით. სხეულის დეკორაციის ისეთ ჩვეულებებსაც ვიცნობთ, რომლის შესახებ არსებულ კითხვებზე ჯერ პასუხი არ მოგვეპოვება. რით შეიძლება აიხსნას სხეულის ისეთი დეკორაციები, როგორიცაა მსხვერპლი, შეკრული ფეხები, დაგრძელებული კისრები და ბიბილოები, გახვრეტილი ყურები და ა.შ? (იხ. სტატია ,,პოლიტიკა და ხელოვნება“). რატომ ირთავენ და იხატავენ ადამიანები სხეულის სხვადასხვა ნაწილს სექსუალური თუ სხვა მიზეზით? და რატომ უჩნდება ზოგს სურვილი, სხეულის დეკორაციები თავის ცხოველსაც გაუკეთოს? რა საჭიროა პუდელების ვარცხნილობა, ცხენების დაწნული ფაფრები. ბრილიანტის საყელოები, შეღებილი ბრჭყალები, ქურთუკები, ქუდები და ჩექმებიც კი ცხოველებისთვის?

ხელოვნებაში ვარიაციების ახსნა

ჩვენს საზოგადოებაში ხაზს უსვამენ შემოქმედის თავისუფლებას, ამიტომ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ხელოვნება სრულიად თავისუფალი და ცვლილებებისთვის ღიაა. მაგრამ ჩვენი საზოგადოებისთვის უცნობია, რომ ზოგი კულტურა არა მარტო განსხვავებულ მასალებზე



სხეულის ტატუირება ზოგჯერ გამოიყენება სტატუსის აღსანიშნავად, როგორც ხელმძღვანელი პოლინეზიაში. მაგრამ მრავალ ადგილას, როგორც ბორნეოს დაიაკაში, ტატუირება მეტად პირადულია; ხალხი თავისი სურვილისამებრ იხატავს სხეულს.

ამახვილებს ყურადღებას და სილამაზეს სხვაგვარად აღიქვამს, არამედ ზოგ მათგანს დამახასიათებელი სტილი და თემატიკაც კი აღენიშნება. უცხო ხელოვნების ნიმუშების ყურებისას ადვილია სტილის დანახვა. მაგალითად, 40-იანი წლების ცეკვის სტილის დღევანდელისგან გარჩევა ძალიან იოლია, მაგრამ უცხოელმა შეიძლება შეამჩნიოს, რომ დღესაც ჩვენ წყვილებად უფრო ვცეკვავთ, ვიდრე ჯგუფებად ან წრეში (ფერხულში), როგორც ეს ე.წ. ,,ფოლკლორულ ცეკვებში“ იყო. თუმცა თანამედროვე მუსიკაში ისეთი რიტმი და რიტმთა კომბინაციებია, რომელთა მსგავსი წარსულშიც იყო.

საიდან ჩნდება ეს მსგავსებები ფორმასა და სტილში? ხელოვნებაში ცვლილებების შესახებ ჩატარებული კვლევების უმრავლესობამ გვიჩვენა, რომ სახვითი ხელოვნების, მუსიკის, ცეკვისა და ფოლკლორის სტილი და შინაარსი კულტურული ასპექტებითაა ნაკარნახევი. ზოგი ფსიქოლოგი ანთროპოლოგი, როგორც წინა თავებში განვიხილეთ, უფრო შორს წავიდოდა და დაიწყებდა იმის მტიკეცებას, რომ ხელოვნება, ისევე როგორც რელიგია, გამოხატავს კონკრეტული საზოგადოების წევრებისთვის დამახასითებელ ტიპურ მღელვარებას, გრძნობებს, მიდრეკილებებს. ხოლო ეს ტიპური მღელვარება და გრძნობები ჩამოყალიბებულია ბავშვის აღზრდის მეთოდების, ეკონომიკის, სოციალური ორგანიზაციისა და პოლიტიკის გავლენით.

წარმოიდგინეთ, საზოგადოებაში მათი ცხოვრების წესი განაპირობებს იმას, ხელოვნების რომელი დარგი იქნება უპირატესი. მაგალითად, რიჩარდ ანდერსონმა აღნიშნა, რომ მომთაბარე ტომებში, როგორიცაა კუნგი, ინუიტები და ავსტრალიის აბორიგენები, განვითარებულია სიმღერა, ცეკვა, ზეპირსიტყვიერება, რადგან ადგილის შეცვლა ხელოვნების ამ დარგებზე არ მოქმედებს.[8] ამ საზოგადოებაში აკეთებენ ისეთ ნივთებს, რომლებიც შემდეგ თან დააქვთ: სასროლი ბარჯი ინუიტებისთვის, ბუმერანგები ავსტრალიელი აბორიგენებისთვის, სირაქლემას კვერცხი კუნგელებისთვის. მათ არ აქვთ მასიური ნივთები, მაგალითად, სკულპტურები და ა.შ. მცირერიცხოვანი საზოგადოებები უფრო არტისტულია (შემოქმედებითია), ვიდრე სხვა საზოგადოებები; სპეციალიზირებული ხელოვანები, ისევე როგორც კრიტიკოსები ან ხელოვნების თეორიტიკოსები უფრო იმ საზოგადოებებში არსებობენ, სადაც სამუშაო სპეციალიზირებულად დაყოფილია.

ვიზუალური ხელოვნება

ხელოვნების საშუალებით ჩვენ ცხოვრებას ავსახავთ. ხელოვნება იქმნება იმ მასალებით, რაც მოიპოვება ამა თუ იმ კულტურაში. ქვა, ხე, ხის ქერქი, ძვლები, თიხა, ქვიშა, ხის ნახშირი, კენკრა შეფერვისთვის და მინერალების შემცველი მცირე ჟანგმიწა ხელმისაწვდომი მასალებია. ადგილმდებარეობის მიხედვით შეიძლება სხვა სახის მასალებიც გამოიყენებოდეს: ნიჟარები, რქა, ეშვები, ოქრო, სპილენძი და ვერცხლი. ანთროპოლოგები უაღრესად დაინტერესებულები არიან იმით, თუ რა განსხვავებული მიზნებისთვის იყენებენ ამ მასალებს საზოგადოებები. მათ აინტერესებთ, მაგალითად, რატომ ირჩევს ხალხი თიხას და არა სპილენძს, როცა ორივე მასალა მოეპოვება. ასევე შესაძლებელია გარკვეული მასალები გადაინახონ განსაკუთრებული მნიშვნელობის ცერემონიებისთვის. შეიძლება ქვის ან ხის ზებუნებრივი ძალის გამო სკულპტორი მგრძნობიარე იყოს კონკრეტული მასალის მიმართ.[9]

ანთროპოლოგებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ფაქტი. იმის მიუხედავად, რომ საზოგადოების ხელთ არსებულმა მასალამ შეიძლება დიდწილად შეზღუდოს ან გავლენა იქონიოს ხელოვნების ნიმუშზე, მასალა მაინც განსაზღვრავს იმას, თუ რა იქმნება. რატომ იყენებს იაპონელი შემოქმედი ქვიშას მიწაზე დეკორაციების გასაკეთებლად, მაშინ, როცა ნავახოელი შემოქმედი ქვიშით ხატავს, ხოლო რომაელი შემოქმედი ქვიშას მინის მის-

მიმდინარე კვლევა და დასკვნები

პოლიტიკა და ხელოვნება

ხელოვნება კროსკულტურული თვალსაზრისით ცვალებადია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი ცვლილებები აუხსნელი და ადამიანის არსებობის სხვა ასპექტებთან დაუკავშირებელია. ამ თავში აღნიშნულმა რამდენიმე აღმოჩენამ დაგვანახა, რომ ხელოვნების უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია კულტურის სხვადასხვა ასპექტთან. ჩვენ აქ განვიხილავთ იმის შესაძლებლობას, რომ პოლიტიკასაც კი, ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ბინძურ და ხანდახან ძალადობრივ მხარეს, შეუძლია ასახვა ჰპოვოს ხელოვნებაში. მაგალითად, კრისტოფერ შტაინერის სტატია ,,პირადი სხეული და პოლიტიკური სხეული“ ყურადღებას ამახვილებს სხეულის დეკორირების ოთხ ფორმაზე – სხეულის მოხატვა, ტატუირება, შენიღბვა და ,,კორონაცია” (ნიღაბი მალავს მფლობელის სახესა და თავს, გვირგვინი და სხვა თავსაბურავი კი ყურადღებას იპყრობს ან განსაზღვრავს მფლობელის სტატუსს). შტაინერმა პირველად განიხილა, როგორ ასახავს ხელოვნება პილიტიკას მელანეზიისა და პოლინეზიის კუნძულების მაგალითზე (წყნარი ოკეანე).

მელანეზიაში პოლიტიკური ლიდერობა ,,დიდი კაცის“ ტიპისაა. აქ არ არსებობს ოფიციალური ავტორიტეტი. „დიდი კაცები“ გავლენას მიმდევარების მოგროვებით მოიპოვებენ, ასეთმა მიმდევრებმა მათ შეიძლება მხარი დიდხანს არ დაუჭირონ. აქ არ არსებობენ პოლიტიკური მოხელეები ან ხელისუფლების მუდმივი პოსტები. არ არის ცენტრალიზებული სამთავროები, გავლენიანი და ძაუფლებიანი ადამიანების იერარქია. მთელი ეს სისტემა სუსტი და ცვალებადია. პოლინეზიაში კი არსებობს პერმანენტული სახელისუფლებო სისტემა, რომელიც მოსახლეობის დიდ ჯგუფს აერთიანებს. ჯგუფის სათავეში მეფე ან მეთაური დგას, რომელიც თავის სტატუსს მემკვიდრეობით იღებს. ლიდერები თანამდებობას გენეალოგიური უფლებით იკავებენ. ეს სისტემა მუდმივი და მყარია, ისევე როგორც იერარქიული.

ახლა წარმოიდგინეთ რანაირად ასახავდა სხეულის გაფორმება პოლიტიკას ორივე საზოგადოებაში. მელანეზიელები იხატავენ სხეულს და ეს მოხატულობა ეფემერულია. ისინი ქრება მცირე დროში, პირველივე დაბანისას, ისევე, როგორც „დიდი კაცის“ სტატუსი შეიძლება შეიცვალოს. პოლინეზიელები სხეულზე ტატუს იკეთებენ, რაც სამუდამოა, ისევე, როგორც მათი ლიდერობის სისტემა. როგორც მეთაური ინარჩუნებს თავის სტატუსს, ტატუ სამუდამოდ არის აღბეჭდილი სხეულზე. სამოაში, მაგალითად, მეთაურების კლასი მდაბიოებისგან ტატუირებით განსხვავდება. მაღალი სტატუსის ადამიანები ზოლებიან ტატუს არ ატარებდნენ, მდაბიოებს შეეძლოთ მხოლოდ შავი ფერის ტატუს გაკეთება და ისიც მხოლოდ წელიდან მუხლებამდე. მმართველ კლასში ფეხზე გაკეთებული ამოტრიალებული სამკუთხედების რაოდენობა განსაზღვრავდა ადამიანის რანგს. ასეთი ტატუ სამუდამოა.

აფრიკის ტრადიციული პოლიტიკური სისტემები იცვლებოდა ცენტრალიზებული სამეფოებიდან თემობრივ ან სეგმენტურ წარმომავლობით სისტემამდე, სადაც ლიდერობა ეფემერული ან საიდუმლო (დაკავშირებული საიდუმლო საზოგადოებებთან) იყო. ნიღბები, რომლებიც მალავენ ადამიანის პიროვნებას, ხშირად გამოიყენება არაცენტრალიზებულ სისტემებში. გვირგვინი და სხვა თავსაბურავი, რომლებიც ადამიანის მაღალ სტატუსს უსვამენ ხაზს, ხშირია სამეფოებში. აღმოსავლეთ ნიგერიის ცენტრალიზებულ იბოს ტომში ახალგაზრდა მამაკაცები ხშირად ატარებენ ნიღბებს, როცა ისინი სოფლის უხუცესების ქცევას აკრიტიკებენ. ნგოიოს სამეფოში, დასავლეთ ზაირში, მეფის მაღალი სტატუსი გამოიხატება მისი სპეციალური თავსაბურავითა და სამფეხა სკამით.

თუ ხელოვნებას შეუძლია კულტურის დონეზე პოლიტიკის ასახვა, მას ამის გაკეთება ფსიქოლოგიურ დონეზეც შეუძლია. ლუის ოსტინმა აღმოაჩინა, რომ სახვით ხელოვნებაში ადამიანის საყვარელი სიმბოლოები ხშირად შეიძლება წინასწარ გამოვიცნოთ მისი პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვით. ექსპერიმენტის დროს სუბიექტებს იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სთხოვდნენ დაეხასიათებინათ თავიანთი პოლიტიკური კუთვნილება სკალაზე ყველაზერადიკალურიდან უაღრესად კონსერვატიულამდე. ამასთან უნდა განესაზღვრათ წყვილებად მოცემული ვიზუალური სიმბოლოებიდან მათთვის უფრო მისაღები: დაუბალანსებელი დაბალანსებულის წინააღმდეგ; უსწორმასწორო თანაბარის წინააღმდეგ, დაუსრულებელი დასრულებულის წინააღმდეგ, ცვალებადი ერთგვაროვანის წინააღმდეგ. მათ აჩვენებდნენ სვეტებს, თუნდაც გრაფიკის სვეტებს. მათ შორის ზოგი სიმაღლის მიხედვით იყო დაწყობილი, ზოგი არა. თუ ამათგან ადამიანი ამ უკანასკნელს აირჩევდა, მაშინ ის უსწორმასწორო ვიზუალურ სიმბოლოებს ანიჭებს უპირატესობას. წინააღმდეგ შემთხვევაში — თანაბარს. როგორც წესი, კონსერვატორები უფრო დაბალანსებულ სიმბოლოებს ირჩევდნენ ხოლმე. (სიმაღლის მიხედვით დალაგებულ სვეტებს და არა უსწორმასწოროდ დალაგებულს). იაპონელები, ამერიკელებთან შედარებით, უფრო კონსერვატიულები აღმოჩნდნენ. თითოეული ქვეყნის პოლიტიკური იდეოლოგიის პარალელურად, იცვლებოდა ხელოვნების ის დარგიც, რომელსაც უპირატესად მიიჩნევდნენ. საზოგადოებაში დამკვიდრებული ჩაცმის, ავეჯის, არქიტექტურის და ა.შ. სტილიც ასევე იდეოლოგიის ანარეკლია.

აღებად ადნობდა? ერთი მასალა შეიძლება ერთი და იმავე მიზნისთვისაც გამოიყენებოდეს, მაგრამ სხვადასხვა საზოგადოებაში მათი გამოყენების ფორმა და სტილი ერთმანეთისგან უზომოდ განსხვავებულია.

შუა საუკუნეების ხელოვნება გვიჩვენებს იმდროინდელი საზოგადოების დაინტერესებას თეოლოგიური დოქტრინით. საზოგადოებრივი ხელოვნების არსი მისი სტრატიფიცირებულობის გამოხატვაში მდგომარეობს. ნახატზე ავტორიტეტული ფიგურები ყველასთვის კარგად აღსაქმელია. უძველესი შუმერული საზოგადოების ხელოვნებაში სუვერენს თავის მიმდევრებთან შედარებით გაცილებით დიდად ხატავდნენ. ხოლო ყველაზე პრესტიჟულ ღმერთებს დიდი ზომის თვალებს უკეთებდნენ. სოციალურ სტრატიფიკაციას ხშირად განსხვავებული ტანისამოსითა და სამკაულებითაც უსვამენ ხაზს.

ისტორიკოსებმა უკვე აღიარეს ხელოვნებასა და

საზოგადოებას (საზოგადოების კულტურის ასპექტებს) შორის არსებული კავშირი. უმეტესად ყურადღება ხელოვნების არსზე მახვილდება. თუმცა ხელოვნების სტილმა შეიძლება კულტურის სხვა ასპექტებიც აირეკლოს. ჯონ ფიშერმა, მაგალითად, შეამოწმა ხელოვნების სტილისტური შტრიხები იმ მიზნით, რომ აღმოეჩინა ,,რაიმე სახის რეგულარული კავშირი ხელოვნების შტრიხებსა და ზოგ სოციალურ სიტუაციას შორის."[10] ის ფიქრობდა, რომ მხატვრები გადმოსცემენ სოციალური ფანტაზიის ფორმებს. სხვა სიტყვებით, სტაბილურ საზოგადოებაში მხატვრები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებებზე, რომლებსაც მათთვის და საზოგადოებისთვის უსაფრთხოება და სიამოვნება მოაქვთ.

ფიშერი ფიქრობდა, რომ ,,ფსიქოლოგიურ დონეზე ნახატში არსებული ფერწერული ელემენტები საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანების აბსტრაქტული, ძირითადად ქვეცნობიერი გამოსახულებები არიან".[11] ამრიგად, მისი აზრით, ეგალიტარულ საზოგადოებებს, სტრატიფიცირებულებთან შედარებით, ხელოვნებაში განსხვავებული სტილისტური ელემენტები აქვთ. ეგალიტარული საზოგადოებები შედგება მცირე და დამოუკიდებელი ერთობებისგან, რომლებიც სტრუქტურულად ერთმანეთს ჰგვანან. სტრატიფიცირებულ საზოგადოებებს კი ძირითადად უფრო მსხვილი და ურთიერთდამოკიდებული, არაერთგვაროვანი ერთობები ახასიათებს. აქ დიდია განსხვავება ადამიანებს შორის. ფიშერმა ჩაატარა კროსკულტურული კველვა და აღმოაჩინა, რომ დიზაინის გარკვეული ელემენტები დამოკიდებული იყო საზოგადოებაში იერარქიის არსებობაზე. ეს აღმოჩენები თავმოყრილია ცხრილში 26-1.

მარტივი ელემენტის განმეორება, მაგალითად, უფრო ეგალიტარულ საზოგადოებებში გვხვდება, სადაც მცირე პოლიტიკური ორგანიზაცია და ცოტა ავტორიტეტული თანამდებობა არსებობს. თითოეული ელემენტი ქვეცნობიერად გამოხატავს საზოგადოების წევრებს. ადამიანების შედარებითი ერთგვაროვნება აისახება დიზაინერული ელემენტების მსგავსებაში. ამის საპირისპიროდ მხატვრობაში განსხვავებული და რთული ელემენტების გამოყენება ასახავს საზოგადოების საგრძნობ არაერთგვაროვნებას და ძირითადად სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში გვხვდება.

ფიშერის მოსაზრების თანახმად, ნახატებში არსებული ცარიელი სივრცე გამოხატავს ეგალიტარული საზოგადოებების შეფარდებით იზოლაციას. რადგან ეგალიტარული სზოგადოებები ჩვეულებრივ პატარა და დამოუკიდებლები არიან, უცხოელებისგან თავს შორს იჭერენ და უსაფრთხოებას საკუთარ ჯგუფში ეძებენ. იერარქიულ საზოგადოებაში ინდივიდები ერთმანეთს არ გაურბიან და არც მცირე ჯგუფთან ურთიერთობას ამჯობინებენ, რადგან აქ ყველა ურთიერთდამოკიდებულია. ამგვარ საზოგადოებაში უსაფრთხოება უცხოებისგან თავის არიდებით კი არ მოიპოვება, არამედ ,,უსაფრთხოებას აქ უცხოების იერარქიაში გადასვლით ცდილობდნენ."[12]

სიმეტრია, მესამე სტილისტური მახასიათებელი, რომელიც საზოგადოების ტიპს უკავშირდება პირველის მსგავსია. სიმეტრია შეიძლება გულისხმობდეს ერთგვაროვნებას ან ეგალიტარულ საზოგადოებას. ასიმეტრია ხაზს უსვამს განსხვავებულობასა და სტრატიფიკაციასაც. მეოთხე შტრიხი, გარემოცვის ან საზღვრების არსებობა — ჩვენ საზოგადოებაში ,,ჩარჩო" — შეიძლება ასახავდეს იერარქიულად დაწესებული ქცევის წესების არსებობას ან არარსებობას. შემოუსაზღვრელი დიზაინი შეიძლება აღნიშნავდეს საკუთრების შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას. ეგალიტარულ საზოგადოებებში არ არის საკუთრების მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ მითვისების სურვილი. სტრატიფიცირებული საზოგადოებების მხატვრობაში საზღვრები ან გარემოცვა შეიძლება გადმოსცემდეს კერძო საკუთრების იდეას.

ფიშერის მიერ ჩატარებული კვლევა ანთროპოლოგებისათვის უძველესი საზოგადოების შემოწმების საშუალებებს აჩენს, ამ საზოგადოებებიდან მხოლოდ ქოთნების ნაწილები და მხატვრების ხელსაწყოებია შემორჩენილი. მაგალითად, ჩვენ შეგვეძლო ათენის დეკორატიული ვაზების ნახატებზე მომხდარი ცვლებების მიხედვით გვეფიქრა, რომ ძვ. წ. აღ. 1000 წლიდან ახ. წ. აღ. 450 წლამდე ათენი უფრო სტრატიფიცირებული ხდებოდა. ფიშერის კულტურათაშორისი კვლევიდან ჩანს, რომ, როცა ათენი უფრო სტრატიფიცირებული გახდა, ვაზებზე გაკეთებული ნახატებიც უფრო გართულდა.[13]

მუსიკა

ერთი და იგივე მასალა შეიძლება ოსტატურად იყოს გამოყენებული სხვადასხვა საზოგადოების მიერ. იაპონიაში, ქვიშა ფხვიერდება ტრადიციული ხერხით. სამხრეთ-დასავლეთ შეერთებულ შტატებში, ნავაჯო ქმნის ქვიშის მხატვრობას.

როცა სხვა კულტურის მუსიკა გვესმის, ხშირად ვერ ვხვდებით, რა ვიფიქროთ. შეიძლება ვთქვათ, რომ მას ჩვენთვის არანაირი ,,მნიშვნელობა“ არ აქვს, იმის გაუცნობიერებლად, რომ მუსიკის ,,მნიშვნელობა“ საკუთარი კულტურისგან არის ჩვენში ,,ჩადებული”. მუსიკის, როგორც მხატვრობის აღქმაში ჩვენი ტრადიციული ხელოვნება გვეხმარება. პროფესიონალი მუსიკოსიც კი უცხო საზოგადოების მუსიკის პირველი მოსმენისას ვერ შეძლებს რიტმისა და ტონალობის იმ სიფაქიზის გაგებას, რაც ესოდენ აღაფრთოვანებს ამ საზოგდოების წარმომადგენლებს. მსგავსი რამ ლინგვისტებსაც ახასიათებთ, რომლებსაც უცხო ენის მოსმენისას თავდაპირველად უჭირთ ფონემების, მორფემების, და ენის სხვა მახასიათებლების გარჩევა.

არა მხოლოდ მუსიკალური ინსტრუმენტები, სხვადასხვა საზოგადოებაში მუსიკის სტილიც იცვლება. მაგალითად, ზოგ საზოგადოებაში ხალხს ურჩევნია მუსიკა რეგულარულად განმეორებადი რიტმით. სხვაგან რიტმში ცვლილებებს ანიჭებენ უპირატესობას. სხვადსხვაა სიმღერის სტილიც.

დაკავშირებულია თუ არა მუსიკის ვარიაციები, როგორც ხელოვნების სხვა დარგების ვარიაციები, კულტურის ასპექტებთან? 35000 ფოკლორული სიმღერის კროს-კულტურული კვლევის საფუძველზე ალან ლომაქსმა და მისმა თანაშემწეებმა აღმოაჩინეს, რომ სიმღერის სტილი იცვლება საზოგადოების კომპლექსურობასთან ერთად. როგორც ვნახავთ, ეს აღმოჩენები ფიშერის მიერ მხატვრობის შესახებ გაკეთებული დასკვნების მსგავსია.

ლომაქსმა და მისმა თანაშემწეებმა შენიშნეს კორელაცია სიმღერის სტილისა და კულტურის კომპლექსურობას შორის. (კომპლექსურ საზოგადოებებს აღენიშნებათ საკვების წარმოების ტექნოლოგიის მაღალი დონე, სოციალური სტრატიფიკაცია და ძლიერი პოლიტიკური ინტეგრაცია). სიმღერისა და მუსიკის ხასიათი ცხოვრების წესიდან გამომდინარეობს. რაც უფრო მეტადაა საზოგადოება დამოკიდებული ვერბალურ ინფორმაციაზე, მით უფრო ექცევა ყურადღება აზრის ვერბალურ გამოხატვას. მაგალითად, მონადირე-შემგროვებელი ჯგუფები, რომლებმაც საქმე იციან და მითითება საჭირო აღარ არის, უფრო ხშირად ქმნიან უსიტყვო მელოდიებს, დაახლოებით ჩვენი ცნობილი რეფრენის ,,ტრა-ლა-ლა-ლა”-ს მაგვარს. მათი სიმღერებით არ გადმოიცემა ინფორმაცია. სიმღერებს ასეთ საზოგადოებაში ახასიათებთ განმეორებადობა, სიამოვნების მომგვრელი რიტმი და გადმოცემის გაურკვეველი ფორმა.[14]

არტისტული განსხვავებები ეგალიტარულ და სტრატიფიცირებულ საზოგადოებს შორის

ეგალიტარიანული საზოგადოებები	სტრატიფიცირებული საზოგადოებები
მარტივი ელემენტების განმეორებადობა დიდი რაოდენობით ცარიელი და გამოუსადეგარი სივრცე სიმეტრიული დიზაინი და დაშორებული ფიგურები	არაერთგვაროვანი ფიგურების ერთობლიობა ცოტა ცარიელი სივრცე ასიმეტრიული დიზაინი და ერთმანეთის გარშემო მოთავსებული ფიგურები

უსიტყვო და განმეორებადი სიმღერის მაგალითების პოვნა ჩვენ საზოგადოებაშიც შეიძლება. ამის ყველაზე კარგი ნიმუშია დედების იავნანა. აქ ერთ რიტმში, მონოტონურად მეორდება ჩვილის დასაწყნარებელი სიტყვები. მაგალითად: ,,იავ ნანა, ვარდოვ ნანა, იავ ნანინაო...” და ა.შ. მართალია, ხანდახან ჩვენი სიმღერები შეიცავენ არასიტყვიერ ხაზებს (დელიავ რანუნი, დილდილა ოდელა, რერო რერო და ა.შ.), მაგრამ ეს მხოლოდ მისამღერია. საერთოდ კი ასეთი სიმღერები ჩვენს საზოგადოებას არ ახასიათებს.[15]

მუსიკის ვარიაციების კულტურულ კომპლექსურობასთან კავშირის კვლევისას ლომაქსმა აღმოაჩინა, რომ საზოგადოებები, სადაც არაფორმალური და დროებითი ლიდერი არსებობს, თავიანი თანასწორობას სიმბოლურად სიმღერის გადაჯაჭვული სტილით აღნიშნავენ. თითოეული ადამიანი მღერის დამოუკიდებლად, მაგრამ ჯგუფში და არც ერთი მომღერალი არ განსხვავდება დანარჩენისგან. რანგობრივ საზოგადოებებში, სადაც ლიდერს აქვს პრესტიჟი, მაგრამ არ აქვთ რეალური ძალაუფლება, სიმღერას გუნდში ერთი ლიდერი იწყებს, მაგრამ მალე მას დანარჩენებიც უერთდებიან. სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში, სადაც ლიდერს უზენაესი ძალაუფლება უპყრია, გუნდური სიმღერისას კარგად არის გამოკვეთილი წამყვანი მომღერალი და დანარჩენები სიმღერისას მეორად როლს ასრულებენ. უაღრესად სტრატიფიცირებულ საზოგადოებაში გუნდური სიმღერისას სხვადასხვა ადამიანი განსხვავებულ ნაწილს ასრულებს, ხოლო სოლისტი სხვა მომღერლებისგან განსხვავდება.

ლომაქსმა აგრეთვე აღმოაჩინა კავშირი პოლიფონიასა, სადაც ორი ან რამდენიმე მელოდია ერთდროულად ისმის, და საკვების მოპოვებაში ქალების მონაწილეობას შორის. საზოგადოებებში, სადაც საკვების ნახევარს მაინც ქალები მოიპოვებენ, სიმღერებში ერთდროულად ერთზე მეტი მელოდია ჟღერს, მაღალ ტონალობაში ძირითადად ქალები მღერიან. მეტიც:

ერთ დროს აღიარებული იყო, რომ კონტრაპუნქტი (შეთანხმებული სიმღერა) ევროპაში გამოიგონეს. ჩვენს ნიმუშში კი აღმოჩნდა, რომ ამგვარი სიმღერა ხშირია მარტივ მწარმოებლებს, შემგროვებლებს შორის, სადაც ქალები საკვების რაოდენობას განსაზღვრავენ. კონტრაპუნქტი და შეიძლება მრავალხმიანობაც კი ძალიან ადრე ქალებმა შექმნეს. შეთანხმებული ცხოვრება არსებობისათვის აუცილებელი პირობა იყო შემგროვებლებს, ადრეულ შემგროვებლებსა და მიწათმოქმედებს შორის. სწორედ ასეთ საზოგადოებებში ვხვდებით მრავალხმიანი მუსიკის უმაღლეს გამოვლინებას.[16]

საზოგადოებებში, სადაც ქალები საკვების წარმოებაში ნაკლებად მონაწილეობდნენ, სიმღერებს ძირითადად ერთი მელოდია აქვთ და მათ მამაკაცები ასრულებენ.[17]

ზოგ საზოგადოებაში გადარჩენა და კეთილდღეობა ჯგუფის ერთობლივ საქმიანობაზეა დამოკიდებული. აქ შეთანხმებული მხარეები, გუნდები და საგვარეულო ნებაყოფლობით მუშაობენ ოჯახის ან ერთობის კეთილდღეობისთვის. ამ ურთიერთკავშირს ისინი სიმღერით გამოხატავენ რიტმისა და ტონალობის არევით. ამგვარ საზოგადოებებში სიმღერა შეთანხმებულობაზეა დამოკიდებული.

მუსიკის ვარიაციები შეიძლება აიხსნას, როგორც ბავშვის აღზრდის ვარიაციების შედეგი. მეცნიერები ბავშვის აღზრდის მეთოდებს იმის ასახსნელად იყენებენ, თუ რატომ ანიჭებს ზოგი საზოგადოება უპირატესობას რეგულარულ რიტმს მუსიკაში, ზოგი კი არა. ერთ-ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, მუსიკის დარეგულირებული რიტმი გულის რიტმული მუშაობის სიმულაცია. საშვილოსნოში ცხრა თვის მანძილზე ჩანასახი გრძნობს დედის გულისცემას, 80 დარტყმა წუთში; მეტიც, მტირალი ჩვილების დასაწყნარებლად დედები ხშირად რიტმულ ტაქტიკას იყენებენ: ზურგზე რიტმულად ურტყამენ ხელს ან არწევენ

ჯავანესის სარონგს მარჯვნივ აქვს მეტად განსხვავებული დიზაინერული ელემენტები, ვიდრე მარცხნივ ტინგიტის ჩანთას, რაც ხაზს უსვამს დიდ სოციალურ სტრატიფიკაციას იავაში.

მათ. მაგრამ ის ფაქტი, რომ ბავშვები პოზიტიურად რეაგირებენ თანაბარ რიტმებზე, არ ნიშნავს, რომ მხოლოდ დარეგულირებული გულისცემა აყალიბებს მუსიკისადმი მათ დამოკიდებულებას. თუ ეს ასე იქნებოდა, მაშინ ყველა ბავშვს ერთნაირად ჩამოუყალიბდებოდა რიტმისადმი მგრძნობელობა და მუსიკაშიც ყველა საზოგადოებას ერთნაირი რიტმი ექნებოდა.

ბარბარა აირესი თვლიდა, რომ მუსიკაში რეგულარული რიტმის მნიშვნელობა დაკავშირებულია უსაფრთხოებისა და განტვირთვის გრძნობებთან. კროსკულტურული კვლევაში აირესმა აღმოაჩინა მაღალი კორელაცია ჩვილების ტარების ჩვეულებასა და ამ საზოგადოებაში შექმნილ მუსიკას შორის. ზოგ საზოგადოებაში დედა ან უფროსი და ჩვილებს თავშალით, ან რაიმე ქსოვილით ატარებს ხანდახან ორი ან სამი წლის განმავლობაში ისე, რომ ბავშვი ძალიან დიდი ხნის მანძილზე ეხება მას და გრძნობს მისი სიარულის რიტმს. აირესმა დაადგინა, რომ ამგვარ საზოგადოებებში არსებობს რეგულარულად განმეორებადი რიტმი სიმღერებში. საზოგადოებებში, სადაც ბავშვები აკვნებსა და საბავშო ეტლებში ატარებენ დროს, როგორც წესი, არარეგულარული რიტმი და თავისუფალი ტონალობაა გავრცელებული.[18]

აირესი ასევე სწავლობდა იმ საკითხს, რატომ არსებობს ზოგ საზოგადოებაში დიდი ტონალური განსხვავები, ზოგში კი არა. მეცნიერის აზრით, ეს განსხვავებაც ბავშვის აღზრდის პროცედურებით აიხსნება. ბავშვების ხელოვნურ კვებაზე გადაყვანის მტკივნეული პროცესი მნიშვნელოვნად განაპირობებს მის თავისუფალ ქცევას ზრდასრულობაში, რაც მუსიკაზეც აისახება. ეს ჰიპოთეზა მეცნიერმა ცხოველებზე ლაბორატორიული ექსპერიმენტების საშუალებით გამოიმუშავა. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ცხოველები, რომლებსაც ელექტროშოკს უკეთებდნენ და ცუდად ექცეოდნენ ბუნებრივი კვების მიტოვებამდე ფიზიკურად უფრო ძლიერები გახდნენ და განუვითარდათ აღმომჩენლობითი უნარი. აირესმა მუსიკალური ნოტები გააიგივა ცხოველების ამ უნართან.

აირესი ეთნოგრაფიულ მონაცემებში იმ სახის სტრესს ეძებდა, რომელსაც გაივლიდა ყველა ბავშვი, ან ყველა სქესი. მაგალითად, ნაიარევების გამიზნულად გაკეთება: ცხვირის, ტუჩის ან ყურის გახვრეტა; ფეხების, ყურების, ან ნებისმიერი კიდურის დაგრძელება, ფორმის შეცვლა ან შეკვრა; აცრა; წინადაცვეთა ან მოწვა. შედეგებმა აჩვენეს, რომ საზგადოებაში, სადაც ბავშვები ამგვარ სტრესს იღებენ, მუსიკა უფრო მრავალფეროვანი ტონალური ცვლილებით ხასიათდება. ამის საპირისპირო შედეგია საზოგადოებებში, სადაც ბავშვები სტრესის ქვეშ არ ექცევიან, ან უფროს ასაკში ექცევიან. მკვეთრი რიტმი მუსიკაში ახასიათებთ საზოგადოებებს, სადაც ბავშვები ხშირად ხდებიან სტრესის საგანი.[19]

ბავშვებში დამოუკიდებლობის ან მორჩილების აღზრდა კიდევ ერთი ფაქტორია, რომელსაც შეუძლია ახსნას მუსიკალური შესრულების ასპექტები. საზოგადოებაში, სადაც ძირითადად ბავშვებს მორჩილებას ასწავლიან, დომინირებს ერთობლივი სიმღერა. იქ, სადაც ბავშვებს თავისუფლებისკენ უბიძგებენ, სიმღერაც ხშირად ინდივიდუალურად სრულდება, თანაც მამაკაცის მიერ, უხეში და გაბზარული ხმით. საინტერესოა, რომ საზოგადოებებში, სადაც ქალების შრომა მნიშვნელოვანია, უხეში ხმებით სწორედ ისინი მღერიან. ხმის სხვა მახასიათებლებიც ასევე ასოცირდება კულტურის ელემენტებთან. მაგალითად, საზოგადოებაში სექსუალური შეზღუდვები ასოცირდება ხმის შეზღუდვებთან. ასეთ საზოგადოებაში წვრილი ხმით მღერიან. ხმის ეს თვისება გაიგივებულია მღელვარებასთან და განსაკუთრებით შეინიშნება ტკივილის, სევდისა და დაჩაგრულობის გადმოცემისას.[20]

მუსიკის შესახებ ჩატარებული კულტურათაშორისი კვლევის შედეგებით აიხსნება მისი ცვლილება დროის მს-

ვლელობასთან ერთად ისევე, როგორც მისი ცვლილება საზოგადოების შიგნით. სხვადასხვა საზოგადოებაში ჩატარებული მომავალი კვლევები დაგვეხმარება, შევამოწმოთ ლომაქსისა და აირესის თეორიები.[21]

ფოლკლორი

ფოლკლორი არის ფართო კატეგორია, რომელიც შედგება კულტურული ჯგუფის მითებისგან, ლეგენდებისგან, ბალადებისგან, ანდაზებისა და ცრურწმენებისგან.[22] ფოლკლორი თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემა, მაგრამ არსებობს მისი წერილობითი ფორმებიც. ხშირად ფოლკლორად თამაშებიც ითვლება, იმის მიუხედავად, რომ მათი სწავლა, ზეპირი გადაცემის გარდა, იმიტაციითაც შეიძლება. ფოლკლორის მაგალითები მოიცავენ ზღაპრებსა და ლეგენდებს, რომლებსაც ჩვენ სახალხო გმირებზე ვყვებით. ფოლკლორი ხშირად არ გამოიყოფა ხელოვნების სხვა სახეობებისგან, კერძოდ მუსიკისა და ცეკვისგან.

იმის მიუხედავად, რომ ფოლკლორის შემსწავლელი ზოგი მეცნიერი ხაზს უსვამს ფოლკლორის ტრადიციულ ასპექტებს და უწყვეტობას წარსულსა და აწმყოს შორის, დღეს ყურადღება ფოკლორის ინოვაციურ ასპექტებზე მახვილდება. ამ თვალსაზრისით ფოლკლორი გამუდმებით იქმნება ნებისმიერი სოციალური ჯგუფის მიერ, სადაც საერთო გამოცდილება არსებობს. ასე მაგალითად, კომპიუტერის პროგრამისტებს თავიანთი საკუთარი ხუმრობები და ანდაზები აქვთ.[23] ჯენ ბრუნვანდმა შეადგინა ახლად წარმოშობილი ურბანული ლეგენდების ნაკრები. ერთ-ერთი ამ ლეგენდათაგანია ,,კაუჭი". ეს ისტორია, რომელსაც ბევრი ვერსია აქვს, ძირითადად ერთ ახალგაზრდა წყვილზეა. ისინი მანქანით გაჩერებული იყვნენ ლოვერს-ლეინის ქუჩაზე და ჩართული ჰქონდათ რადიო. რადიოში გამოაცხადეს, რომ ხელის პროტეზიანი მკვლელი თავისუფალია. გოგონას შეეშინდა და გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იქნებოდა, დაეტოვებინათ ეს ადგილი. ბიჭმა ის სახლამდე მიაცილა. როცა გამომშვიდობების შემდეგ ის მანქანას მიუახლოვდა, დაინახა, რომ კარის სახელურზე სისხლიანი კაუჭი იყო მიმაგრებული.[24] ლეგენდები კოლეჯების საერთო საცხოვრებლებშიც არსებობს. კითხვაზე, რამდენ ხანს უნდა ელოდო დაგვიანებულ პროფესორს, სტუდენტი წამსვე პასუხობს: 10 ან 20 წუთი. წესია ასეთი, თუ ეს ლეგენდაა? ბრუნვანდი ირწმუნება, რომ საერთო საცხოვრებლებში, სადაც ეს პასუხები მოისმინა, ვერ იპოვა განაწესი, რამდენ ხანს უნდა ელოდო ლექტორს.[25]

ფოლკლორის შემსწავლელი ზოგი მეცნიერი დაინტერესებულია უნივერსალური ან პერიოდულად განმეორებადი თემებით. ქლაიდ კლაქჰონი ფიქრობდა, რომ ყველა საზოგადოების ფოლკლორულ ისტორიებში ხუთი თემა მეორდება: კატასტროფა, ძირითადად წყალდიდობა, მონსტრების დახოცვა, სისხლის აღრევა, მტრობა დედმამიშვილებს შორის და კასტრაცია, ხანდახან ნამდვილი, მაგრამ უფრო ხშირად სიმბოლური.[26] ედუარდ ტაილორი თვლიდა, რომ რელიგია წარმოიშვა ადამიანის მოთხოვნილებიდან, აეხსნა სიზმრები და სიკვდილი. მისი აზრით, მთელ მსოფლიოში მითები ამ მაგალითს მიჰყვებიან: ცენტრალური პერსონაჟი ბავშობისას დაუცველი რჩება და მას გადაარჩენენ ან უცნობები, ან ცხოველები და მოგვიანებით ის ხდება გმირი.[27] ჯოზეფ კემპელი კი ამტკიცებდა, რომ მითები ,,ინიციაციის" ცერემონიებს ჰგავდნენ: გმირი ჩამოშორებულია ჩვეულებრივ სამყაროს, იგი გამოივლის დიდ განსაცდელს სხვა ახალ სამყაროში (ამ შემთხვევაში ზებუნებრივ სამყაროში) და ძლევამოსილ ძალებზე გამარჯვებას მოიპოვებს. შემდეგ ის ბრუნდება თავის სამყაროში განსაკუთრებული ძალით დაჯილდოებული, რათა დაეხმაროს სხვებს.[28]

მითებს შეიძლება მართლაც ჰქონდეთ უნივერსალური თემები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ დასამტკიცებელია. ფოლკლორის მკვლევარების უმრავლესობა იმდენად უნივერსალიების ძიებით არაა დაკავებული, რამდენადაც სპეციფიკური საზოგადოებების ან რეგიონების ფოლკლორის შესწავლით. მაგალითად, ზოგი მეცნიერი განსაკუთრებით ,,ვარსკვლავი ქმრის ზღაპარს" აქცევს ყურადღებას, ეს ზღაპარი ამერიკის ადგილობრივ ინდიელებშია გავრცელებული. სთით ტომპსონმა ამ ზღაპრის 84 ვერსია შემოგვთავაზა. მან მიზნად დაისახა მისი ორიგინალური ვერსიის ხელახლა შექმნა და მოქმედების ზუსტი ადგილის დადგენა. საერთო ელემენტების შეჯერებით ტომფსონის მიერ შედგენილი ეს ზღაპარი შემდეგნაირად ჟღერს:

ღია ცის ქვეშ მძინარე ორი გოგონა ინატრებს, რომ ვარკვლავები იყვნენ მათი ქმრები. ძილში გოგონები ცაში ადიან, სადაც მათ ვარსკვლავებზე დააქორწინებენ. ერთ-ერთი მათგანი ახალგაზრდა კაცია, მეორე კი — ხანშიშესული. გოგონებს გააფრთხილებენ, არ ამოთხარონ ორმო, მაგრამ ისინი გაფრთხილებას ყურად არ იღებენ და შემთხვევით ცაში ღრმულს გააკეთებენ. ისინი დახმარების გარეშე თოკით ჩამოცოცდებიან და შინ მშვიდობით დაბრუნდებიან.[29]

ტომფსონის აზრით, ეს ზღაპარი თავდაპირველად დაბლობში გაჩნდებოდა და შემდეგ გავრცელდებოდა ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონებში.

ალან დანდესი ძირითადად ფოლკლორული ზღაპრების სტრუქტურით იყო დაინტერესებული. მისი აზრით, ამერიკელ ინდიელთა ფოლკლორულ ზღაპრებს და მათ შორის ,,ვარსკვლავი ქმრის ზღაპარსაც" მსგასი სტურქტურები აქვთ. ერთ-ერთი მახასიათებელია არამდგრადობიდან თავის დაღწევა, წონასწორობა სასურველი მდგომარეობა. მდგომარეობა, სადაც რაღაც ზედმეტად ბევრი ან ზედმეტად ცოტაა, შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გამოსწორდეს. არამდგრადობა, რასაც დანდესი ნაკლებობას უწოდებს, ,,ვარსკვლავი ქმრის ზღაპარში" შეინიშნება გაუთხოვარი გოგონების სახით. შემდეგ წონასწორობა აღდგება, როცა გოგონები ვარსკვლავებზე გათხოვდებიან. ამ ზღაპარში ინდოელთათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი სტრუქტურაა: აკრძალვის, დარღვევისა და შედეგის თანმიმდევრობა. ქალებს აუკრძალეს თხრა, მაგრამ ისინი ამას აკეთებენ და შედეგად სახლში ბრუნდებიან.[30] აღსანიშნავია, რომ შედეგები ფოლკლორულ ზღაპრებში ყოველთვის კარგი არაა. გავიხსენოთ ედემის ბაღის ისტორია. წყვილი გააფრთხილეს, არ ეჭამათ ერთი ხის ხილი, მათ ის შეჭამეს და ისინი გამოაგდეს სამოთხიდან. ამის მსგავსად, ბერძნულ მითოლოგიაში იკაროსს აფრთხილებდნენ, არ ეფრინა ძალიან მაღლა ან ძალიან დაბლა. ის ძალიან მაღლა აფრინდება და მზე დაადნობს ცვილს, რომელზედაც მისი ფრთებია მიმაგრებული, ის ვარდება და იხრჩობა.

რთულია იმის გარკვევა, თუ საიდან მომდინარეობს ზღაპრები და რა საერთო მახასიათებლები აქვთ მათ, არსებობს უამრავი შეკითხვა: რას გულისხმობენ ზღაპრები? რატომ არის ამერიკელი ინდოელების ზღაპრები ერთგვაროვანი სტრუქტურის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ ძნელია. როგორ შეიძლება მიხვდე, რას გულისხმობს ზღაპარი?

ერთსა და იმავე მითში ადამიანები სხვადასხვა მნიშვნელობას ამოიკითხავენ ხოლმე. მაგალითად, გავიხსენოთ ებრაელების მითი სამოთხის შესახებ. იქ მხოლოდ მამაკაცი არსებობდა, სანამ არ გამოჩნდა ევა, რომელმაც აკრძალული ვაშლი შეჭამა. ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ამ საზოგადოებაში მამკაცებს ქალების მიმართ გარკვეულ წყენა აქვთ. ამ აზრის მომხრე ფსიქოლოგი რომ ყოფილიყო, მით უმეტეს ქალი, მისი დასკვნით, მითი იქნებოდა ქალის სექსუალურობის მიმართ მამაკაცის დაფარული შიშის გამოხატულება. ისტორიკოსი რომ ყოფილიყო, დაასკვნიდა, რომ ეს მითი ასახავდა ისტორიულ სინამდვილეს, რომ მამაკაცები ცხოვრობდნენ ნეტარ უვიცობაში, სანამ ქალებმა მიწათმოქმედება არ გამოიგონეს.

ცხადია, ეს არ არის დამაკმაყოფილებელი ახსნა. რატომ უნდა ვირწმუნოთ იგი? მხოლოდ მაშინ გვექნება ამის დაჯერების უფლება, თუ ამ თეორიას ტესტებიც დაადას-

მიმდინარე კვლევა და საკითხები

გამოხატავენ თუ არა ნიღბები ემოციებს უნივერსალური გზებით?

ანთროპოლოგებმა ჩაინიშნეს, როგორ იცვლება ხელოვნების ფორმები და სტილი სხვადასხვა კულტურაში. მაგრამ ამ განსხვავებებთან ერთად, ხელოვნების გარკვეულმა სახეობებმა შეიძლება ემოცია მსგავსი გზებით გადმოსცენ. მაგალითად, სხვადასხვა კულტურის ნიღბებზე ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყვეს, რომ ნიღბები, როგორც სახეები, ემოციას მსგავსად გამოხატავენ. სახის ნიღბები ძირითადად რიტუალებსა და წარმოდგენებზე იხმარება. ისინი არა მარტო ფარავენ ნიღბის მატარებლის ნამდვილ სახეს, არამედ წარმოშობენ ძლიერ ემოციებს აუდიტორიაში: სიბრაზეს, შიშს, სევდას, სიხარულს. ჩვენ შეიძლება გვეფიქრა, რომ რადგან ამდენი რამ კროსკულტურულად ცვალებადია, ემოციის გამოხატვისა და აღქმის გზებიც განსხვავდება. სინამდვილეში ეს ასე არაა. ჩვენ ახლა გვაქვს იმის სამხილი, რომ ნიღბებში გამოყენებული სიმბოლიკა თითქმის უნივერსალურია.

ამ ,,ეშმაკის ცეკვაში" ვეერში, ვენესუელა, მამაკაცები ატარებენ ნიღბებს, რომ სცადონ გამოსახონ ,,ეშმაკი". მსოფლიოს გარშემო მრავალი ნიღბის მსგავსად, ისინი სავარაუდოდ საშიშია, ამ ნიღბებს აქვს ბასრი კუთხოვანი ხაზები დიდ ყურებზე.

ნიღბების შესახებ გაკეთებული კვლევა ეფუძნება პოლ ეკმანისა და ქეროლ იზარდის ნამუშევრებს, რომლებიც იყენებდნენ სხვადასვა სურათს, რომლებზედაც ნაჩვენები იყო ინდივიდების, ან პროფესიონალი მსახიობების მიერ გათამაშებული სხვადასხვა ემოცია. ეკმანი და იზარდი ამ სურათებს სხვადასხვა კულტურული ჯგუფის წევრებს აჩვენებდნენ და სთხოვდნენ გამოეცნოთ მათზე ასახული ადამიანების ემოცია. კონკრეტული ემოცია სწორად იქნა ინტერპრეტირებული უმრავლესობის მიერ, მათი კულტურული წარმომავლობის მიუხედავად. შეიქმნა სპეციალური კოდირებული სქემები იმისთვის, რომ მეცნიერებისთვის სახის ცალკეულ ნაწილებზე დეტალურად დაკვირვება გაადვილებულიყო. (წარბები, პირი და სხვა). მაინც რას ვაკეთებთ კონკრეტულად, როცა ვიღუშებით? — წარბებს ვკრავთ და ტუჩების კიდეებს ვავიწროვებთ. გეომეტრიულად თუ გამოვხატავთ, ჩვენ ვქმნით კუთხეს და დიაგონალს სახეზე. როცა ვიღიმით, ვწელავთ ტუჩების კიდეებს და რკალად ვხრით მათ.

ფსიქოლოგმა ჯოელ არონოფმა და მისმა კოლეგებმა შეადარეს ორნაირი ხის ნიღაბი, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებაში იყო გაკეთებული. ნიღბები მუქარის გამომეტყველებით (ბოროტი სულების დასაფრთხობი ნიღბები), დადებითი ემოციის გამომხატველი ნიღბები (ცეკვის დროს გამოყენებული ნიღბები). როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ნიღბებზე სახის ცალკეული ნაწილები საგრძნობლად განსხვავებული იყო. მუქარის ნიღბებს შეკრული და დახრილი წარბები და პირი, წაწვეტებული თავის ფორმა, წვერი, ყურები, რქები და ა.შ. ჰქონდა. გეომეტრიულ ტერმინს თუ ვიხმართ, მუქარის ნიღბები უფრო დიაგონალური და კუთხოვანია ხოლმე. ხოლო დადებითი ემოციის გამომხატველი ნიღბები მომრგვალებული და მოღუნულია. თავდაპირველად ევოლუციონისტ ჩარლზ დარვინის მიერ შემუშავებული თეორიის მიხედვით, ადამიანები ემოციებს ერთნაირად გამოხატავენ, რადგან მათი სახის ძვლები ერთნაირი აგებულებისაა და კუნთების განლაგებაც მსგავსია. შესაბამისად, მსგავსია ემოციების აღქმაც.

მაგრამ შიშს სახის ნაკვთები გვგვრიან, თუ მათი დიაგონალურ-კუთხოვანი ფორმები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ამერიკელ სტუდენტებს სთხოვეს, დაეხასიათებინათ ზედსართავი სახელებით სურათზე წყვილებად გამოსახული აბსტრაქტული ფორმები (მაგაითად V-ის ფორმის და U-ს ფორმის ფიგურები). ამ შემთხვევაშიც კი წაწვეტებული ნახატები უფრო ცუდად დაახასიათეს, ვიდრე მომრგვალებულები.

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ადამიანები ემოციის გამოხატვისას ერთნაირ ხერხებს მიმართავენ. ჩვენ ხომ ყველანი ერთი სახეობის წევრები ვართ. შეიძლება განვსხვავდებოდეთ კანის ფერით, თმითა და ა. შ. მაგრამ ეს ხილული მახასიათებლებია. ჩვენ ვერ ვამჩნევთ ბევრ რამეს ჩვენში, რაც არ იცვლებ. თუნდაც იმას, რომ ემოციებს გამოვხატავთ ერთნაირად. ამიტომაცაა, რომ ჰოლივუდში თუ პეკინში გადაღებული ფილმი ყოველთვის მსგავს გრძნობებს აღძრავს. ადამიანების ემოციების უნივერსალობა მაშინ ხდება ცხადი, როცა ჩვენ ვხედავთ სახეებს (და ნიღბებს) სხვადასხვა საზოგადოებიდან.

ამრიგად, ჩვენ ვეცნობით როგორც უნივერსალიებს (ნიღბები და სხვა კულტურული საგნები), ისე ვარიაციებს, ცვლილებებსა და მსგასებას ჩვენ წიგნებიდან ან პირადი გამოცდილებით ვიგებთ.

როგორც ხელოვნებასა და სიმღერაში, ცეკვის სტილი ასახავს საზოგადოებრივ სირთულეს. ნაკლებად რთულ საზოგადოებაში, ცეკვაში ყველა მონაწილებს, როგორც ჰალიში, ახალ გვინეაში. მეტად რთულ საზოგადოებაში, ისინი მიმართულნი არიან წამყვანი და მინორული როლების შესრულებისთვის, როგორც იაპონური გეიშას შოუზე.

ანთროპოლოგიური ორიგინალები

ჩრდილოეთ ამერანთიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს ნიმპკიშთა ტომი

ცეკვა ფოლკლორისა და მუსიკის ნაზავია. ადამიანები ცეკვავენ — ამოძრავებენ სხეულს და მის ნაწილებს ძირითადად მუსიკის თანხლებით — ყველა თუ არა, საზოგადოებების უმრავლესობაში მაინც. ხელოვნების სხვა სახეების მსგავსად, ცეკვაც ექსპრესიულია. ის აერთიანებს გრძნობებსა და იდეებს. არსებობს ინდივიდუალური ექსპრესიულობა, მაგრამ აგრეთვე არსებობს კულტურული მოდელებიც.

ცეკვის დადგმას საგულდაგულოდ შემუშავება სჭირდება. საცეკვაო კოსტუმები შექმნილია იმისთვის, რომ დახატოს შემსრულებლის მფარველი ცხოველის სულის არსი. თავად ცეკვის მოძრაობებიც ცხოველის მოძრაობის იმიტაციას წააგავს. ცეკვისთვის აუცილებელია სცენა, დეკორაციებით გაფორმებული. მაგალითად, მაყურებელი შეიძლება ხედავდეს ტუკვიდის მოცეკვავეს (ძირითადად ქალი შემსრულებელი), მოთავსებულს ხის დასაკრძალავ ყუთში (კუბოთი), რომლის თავსახურსაც ადგილზევე მჭიდროდ კრავენ. ყუთიდან, რომელიც ცეცხლშია მოთავსებული, ისმის ტუკვიდის მოცეკვავის სიმღერა. ცოტა ხანში ის წყდება და თანმხლები პირები იღებენ მის დანახშირებულ ნაწილებს ცეცხლიდან. შემდეგ მათ ყუთში დებენ და მცირე დროში იქიდან ცოცხალი და უვნებელი შემსრულებელი დგება. მთელი ეს წარმოდგენა ოსტატურად არის დადგმული: საიდუმლო გვირაბი და მისი საიდუმლო გზები, ლამინარიით გაკეთებული სალაპარაკო მილი და თავისი სასაფლაო ადგილიდან მოპარული ნამდვილი გვამი. ამგვარადვე აღდგებოდნენ ხოლმე ხანჯლით განგმირული ან თავმოჭრილი ტუკვიდის მოცეკვავეები. სხვები ადამიანების, ცხოველების ან საგანების ფრენას განასახიერებდნენ.

ტურებდა. მაიკლ ქეროლს თავისი მოსაზრება ჰქონდა „ვარსკვლავი ქმრის ზღაპრის“ ფროიდისეულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით: ზღაპარი საზოგადოების ჩახშობილი შეგრძნებების გახმოვანება. კერძოდ, მისი აზრით, მითის საფუძველში სისხლის აღრევა იდო, ანუ ქალიშვილს სურვილი, ჰქონოდა ურთიერთობა მამასთან. მისი აზრით, ვარსკვლავები მამების სიმბოლოებია. მამები მაღლა დგანან ბავშვების თვალში, როგორც ვარსკვლავები. 84 ზღაპრის ვერსიის გაანალიზებით, ქეროლმა აღმოაჩინა, რომ დაბლობის ინდიელების ვერსიებში ჭარბობდა ურთიერთობის ამსახველი სიმბოლიკა. მაგალითად, თოკის კიბის — პენისის სიმბოლო — ჩაშვება ცაში გაკეთებულ ღრმულში — საშოს სიმბოლო.[31]

კვლევებით დასტურდება მითებისა და ზღაპრების კავშირი კულტურულ ასპექტებთან. კერძოდ, მათში გამოხატული აგრესია ბავშვების აღზრდის წესთანაა დაკავშირებული. იქ, სადაც ბავშვებს სასტიკად სჯიან აგრესიისთვის, უფრო ინტენსიური აგრესია იჩენს თავს ფოლკლორულ ზღაპრებში. ამგვარი საზოგადოებების ზღაპრებში პოტენციური აგრესორები უფრო უცხოები არიან, ვიდრე გმირები ან მისი მეგობრები. ჩანს, რომ საზოგადოებებში, სადაც სასჯელის შიშით ბავშვები მშობლების ან ახლობლების მიმართ აგრესიის გამოვლენას ერიდებიან, ზღაპრების გმირებიც და მათი მეგობრებიც არ არიან აგრესიულები.[32]

ზღაპრებში ასახულია ხოლმე სხვა სახის შიშებიც. ალექს კოენის მიერ ჩატარებულმა კულტურათაშორისმა კვლევამ აჩვენა, რომ არაპროვოცირებული აგრესია ისეთი საზოგადოებების ზღაპრებში იჩენს თავს, რომლებიც ხშირად განიცდიან საკვების ნაკლებობას, რაც თავს მოულოდნელად ატყდებათ. რატომ? ზღაპრები სინამდვილეს ასახავს. სერიოზული გვალვები კი შეიძლება მოულოდნელი იყოს. საინტერესოა, რომ ამ საზოგადოებების ზღაპრებში არ არის ნახსენები ბუნებრივი კატასტროფები. ალბათ იმიტომ, რომ ისინი შიშს გვრიდნენ ადამიანებს. ხშირი ბუნებრივი კატასტროფები შეიძლება ზღაპრების პერსონაჟების აგრესიად გარდაიქმნას.[33]

ფოლკლორი, როგორც ხელოვნების სხვა ასპექტები, ასახავს ადამიანის გრძნობებს, საჭიროებებს, კონფლიქტებს.

სხვა კულტურების ხელოვნების მიმოხილვა

სალი პრაისმა წამოაყენა რამდენიმე კრიტიკული საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ აღიქვამენ დასავლური ხალოვნების კრიტიკოსები ნაკლებად კომპლექსური საზოგადოებების ხელოვნებას. რატომ ატარებენ დასავლური ან აღმოსავლური ცივილიზაციების ხელოვნების ნიმუშები მხატვრის სახელს, როცა მუზეუმში არიან გამოფენილი? ამისგან განსხვავებით, ნაკლებად კომპლექსური საზოგადოებების ნამუშევრები, ხშირად „პრიმიტიულ ხელოვნებად“ წოდებულნი, მუზეუმებში შემქმნელის სახელის გარეშე გამოიფინება. ამგვარ სურათებს ხშირად ახლავს იმის განმარტება, საიდან არის ეს სურათი, როგორ იქმნებოდა და რისთვის შეიძლება გამოიყენებოდეს. უფრო მეტი განმარტებითი სიტყვები მოჰყება უჩვეულო ხელოვნების ნიმუშების გამოფენას. პრაისი თვლიდა, რომ ნაწარმოებები, რომლებსაც ჩვენ ყველაზე ღირებულად ვთვლით, იარლიყის მიკვრას ყველაზე ნაკლებად საჭიროებენ, რაც იმის ნიშანია, რომ მნახველს არ სჭირდება დახმარება ხელოვნების ნამდვილი ნიმუშის განსჯისას.[34] ამასთან, ნაკლებ კომპლექსური ქვეყნების მხატვრობა მეტ ახსნასა და იარლიყის მიკვრას საჭიროებს, თან მას იმ დასავლელის იარლიყს აკრავენ, რომელმაც შეიძინა ან გამოფინა ის. თითქოს ამგვარ ნიმუშს არა ხელოვანის, არამედ შემგროვებლის სახელი ანიჭებს ფასეულობას.[35]

ნაკლებად კომპლექსური საზოგადოების მხატვრობას თითქოს ასაკსაც უკარგავენ. ჩვენ ვაღიარებთ, რომ დასავლური და კლასიკური ცივილიზაციების ხელოვნება იცვლება დროთა განმავლობაში.[36] ჩვენ ვიცით, რომ მარტივი ტექნოლოგიების არსებობის დროს ხელოვნება ნელა იცვლება. მაგრამ იქნებ ეს მოსაზრება ეთნოცენტრისტულია? პრაისმა შეისწავლა სურინამელი სარამაკას ხელოვნება. მისი აზრით, იმის მიუხედავად, რომ ევროპელები თვლიან, თითქოს სარამაკას ხელოვნება მათი აფრიკელი წინაპრების ხელოვნებისგან დიდად არ განსხვავდება, სარამაკელები თავად აღნიშნავენ ცვილებებს მათი ხელოვნების ნიმუშების სტილში. მაგალითად, ისინი ხსნიდნენ, როგორ ირთვებოდა ჩიბუხი გარედან, ახლა ეს შეიცვალა და ის შიგნიდანაც არის გაფორმებული. ისინი



ავსტრალიელი აბორიგენები შეჩვეულნი არიან, შექმნან კლდის ნახატები. ახლა ისინი სხვა მასალაზე ხატავენ თავიანთი ხელოვნების მაღაზიისთვის.

ასევე იხსენებდნენ ადამიანებს, რომლებმაც პირველად გააკეთეს მომრგვალებული ჩიბუხი და მათაც, ვინც მისი გაკეთების ტექნიკასა და სტილში სიახლეები შეიტანეს.[37]

შევადაროთ ერთმანეთს სამხრეთ-დასავლეთის ინდიელების სოფლები და დიდი ვაკეების მაცხოვრებელი ინდიელები. სამხრეთ-დასავლეთელი ქალები ქოთნებს არ ხატავდნენ და მათი გაკეთებისას სოფლის ტრადიციებს მიჰყვებოდნენ. ამისგან განსხვავებით, თითოეული ვაკის მცხოვრებლები ორიგინალურ გამოსახულებებს აკეთებდნენ ცხოველის ტყავზე და ამით ხაზს უსვამდნენ თავის მიღწევებსა და დამოუკიდებლობას. ამ ტყავს მფლობელი ატარებდა, ან ყველას დასანახავად გამოფენდა.[38]

თუ ნაკლებად კომპლექსური საზოგადოებების ხელოვნებაში ევროპელები ცვლილებას ამჩნევენ, მხოლოდ იმიტომ, რომ აინტერესებთ, ეს ტრადიციული ხელოვნების სტილია თუ „ტურისტული ხელოვნება“. ტურისტული ხელოვნება ხშირად ნეგატიურად ფასდება, ალბათ იმიტომ, რომ ფულთანაა ასოცირებული. თუმცა ბევრი გამოჩენილი ევროპელი შემოქმედიც ხშირად მუშაობდა გასამრჯელოსათვის, ან ფინანსდებოდა ელიტური მფარველებისგან, მაგრამ ის ფაქტი, რომ მათ ფულს უხდიდნენ, არანაირად არ მოქმედებს ჩვენს შეფასებაზე.[39]

ხელოვნების ცვლილება და კულტურების ურთიერთობა

უპირობო სიმართლეა, რომ დასავლეთთან კონტაქტმა მართლაც შეცვალა სხვა კულტურების ხელოვნების ასპექტები. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათი ხელოვნება წინათ უცვლელი რჩებოდა. რა სახის ცვლილებები მოხდა ამ კონტაქტის დროს? ზოგან მხატვრებმა თავად ევროპული კონტაქტის გამოხატვა დაიწყეს. მაგალითად, ავსტრალიელი აბორიგენები ქვებზე ხატავენ გემებს, ცხენზე ამხედრებულ პისტოლეტიან მამაკაცებსაც კი. ევროპელების წახალისებით ადგილობრივმა მხატვრებმა დაიწყეს ხატვა ხის ქერქზე, ტილოებზე, რათა შემდეგ ისინი ევროპელებისთვის მიეყიდათ. საინტერესოა, რომ გასაყიდად გამოტანილი ნახატები ასახავს კონტაქტამდე არსებულ ხელოვნებას და მათზე არაა გამოსახული პისოტოლეტიანი მამაკაცი ან გემი.[40] აბორიგენი მოსახლეობა ევროპელებმა გაჟლიტეს, რის შედეგადაც მათი ხელოვნების ბევრი ფორმა დაიკარგა. აქ ერთ დროს ლეგენდები და ნახატები ქვაზე ასოცირებული იყო თითოეული კლანის წმინდა ადგილთან. ლეგენდები აღწერდნენ ამ ადგილების შექმნის ისტორიას.[41]

ჩრდილოეთ ამერიკაში ცვლილებები ევროპელების მოსვლამდე ადგილობრივებს შორის კონტაქტით დაიწყო. სპილენძი, ზვიგენის კბილები, ნიჟარები ისეთ ადგილებშიც გამოიყენებოდა ხელოვნებაში, როლებსაც ამ მასალებამდე ხელი არ მიუწვდებოდათ. ცერემონიებს ერთმანეთისგან სესხულობდნენ, ახალ ცერემონიებთან ერთად იცვლებოდა ტრადიციები. სხვა ადგილობრივი ჯგუფებისგან ცერემონიებისა და არა მარტო მათი გადმოღება ევროპელების გამოჩენამდე გრძელდებოდა. ნავახოლები, რომლებიც ცნობილები არაინ ნოხის ქსოვით, ამით არ გამოირჩეოდნენ მეჩვიდმეტე საუკუნეში. მათ, ალბათ, ქსოვის ტექნოლოგია ჰოპის ტომისგან ისესხეს და შემდეგ დაიწყეს ცხვრის მწყემსვა და მატყლის ქსოვა. ეროპელებთან კონტაქტმაც გამოიწვია ხელოვნებაში მასალების ცვლილება. გამოჩნდა ისეთი მასალები, როგორიცაა ვერცხლი, მძივები, შალი. მეტალის მასალები: ნემსი და მაკრატელი, იძლეოდნენ უფრო დეკორატიული და უკეთესად შეკერილი ტყავის სამოსის შექნის საშუალებას. ჩრდილო-დასავლეთში მეტალის ხელსაწყოების ხელმისაწვდომობამ შესაძლო გახადა უფრო დიდი ტოტემების ბოძებისა და სახლების აშენება.[44]

შევიწროვების შემდეგ ადგილობრივ ინდიელებს უნდა შეეცვალათ სარჩოს მოპოვების გზები. ხელობისა და ხელოვნების გაყიდვამ ზოგიერთ მათგანს დამატებითი შემოსავალი გაუჩინა. მათ ხელობაში ტრადიციული მასალები და ტექნიკა გამოიყენებოდა, მაგრამ ისინი მაინც იცვლებოდა ევროპელების მოლოდინისა და გემოვნების მიხედვით. აუტსაიდერები დიდ როლს თამაშობდნენ ხელოვნებასა და ხელობაში ცვლილებების შეტანაში. ზოგი მაღაზიის მეპატრონე კონკრეტული მხატვრის მფარველი ხდებოდა და ამრიგად მხატვრებს შეეძლოთ მთელი დრო თავიანთი ხელობისთვის დაეთმოთ. ვაჭრები ხშირად მოუწოდებდნენ მხატვრებს ცვლილებისკენ, ხელობაში ახალი ობიექტების შემოტანისკენ; კერძოდ, თიხისგან საფერფლეებისა და ფინჯნების გაკეთებას. თავისი როლი ამ ცვილებაში მეცნიერებმაც ითამაშეს. ზოგმა მათგანმა ძველი, დაკარგული სტილები ასწავლა ხელოსნებს. მაგალითად, ანთროპოლოგებისა და სხვათა დახმარებით სანტა-ფეს ტერიტორიაზე სან იდოლფოს ინდიელების სოფლის მაცხოვრებლებმა, მარია ხულიან მარტინესებმა, აღადგინეს თიხის ნაწარმის სტილი, რომელსაც ამ ადგილების ძველი მოსახლეობა აწარმოებდა.[43]

დასავლეთთან კონტაქტის შემდეგ გაჩენილი ცვლილებები ნაწილობრივ წინასწარ განსაზღვრა კროს-კულ-

ტურულმა კვლევებმა. გაიხსენეთ ფიშერის აღმოჩენა, რომ ეგალიტარულ საზოგადოებებში ნაკლებად კომპლექსური და მეტად სიმეტრიული ნახატები იქმნება სტრატიფიცირებულ საზოგადოებებთან შედარებით. სარჩოს მოპოვების ტრადიციული გზების დაკარგვით, ვაჭრობისა და კომერციული საწარმოების ზრდით ბევრი ადგილობრივი ინდიელი სოციალურად სტრატიფიცირებული გახდა. ფიშერის შედეგების ექსტრაპოლიტირებით ვივარაუდებდით, რომ სახვითი ხელოვნების ნიმუშები სოციალური სტრატიფიკაციის ზრდასთან ერთად უფრო ასიმეტრიული და კომპლექსური გახდებოდა. მართლაც, თუ შევადარებთ სამხრეთ-აღმოსავლეთ აიდაჰოს შოშონ-ბანოქის ტომის 1870-1901 წლების ხელოვნებასა და ახლანდელ 1973-1983 წლების ნახატებს, ნათელი გახდება, რომ სურათებმა მეტი კომპლექსურობა შეიშინა სოციალური სტრატიფიკაციის ზრდასთან ერთად.[44] ეს ცვილელბა კიდევ ერთ ფაქტორს შეეძლო გამოეწვია: ინდიელები შეიძლება მიმხვდარიყვნენ, რომ ასიმეტრიული და კომპლექსური ნახატები უკეთესად იყიდება.

შეჯამება

1. ყველა საზოგადოებაში არ არსებობს ხელოვნების აღმნიშვნელი სიტყვები, მაგრამ ხელოვნებას რამდენიმე უნივერსალური თვისება აქვს. ის ახდენს გრძნობების სტიმულირებას, აღვიძებს ემოციებსა და იდეებს. ის იქმნება კულტურულად დამახასიათებელი სტილის მიხედვით და საშუალებებით. ის კულტურული მნიშვნელობის მატარებელია. ზოგს ხელოვნების ნიმუშების შექმნა სხვებზე უკეთესად შეუძლია.
2. ყველა საზოგადოებაში ადამიანები ირთავენ სხეულს, დროებითად ან სამუდამოდ. თუმცა სხვადსხვა კულტურაში სხეულის სხვადასხვა ნაწილს ირთავენ ადამიანები, თანაც სხვადსხვაგვარად. სხეულის მორთულობა შეიძლება განკუთვნილი იყოს სოციალური სტატუსის, სქესის, ან საქმიანობის განსასაზღვრად. მას შეიძლება ასევე ეროტიკული მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგალითად, სხეულის ეროგენულ ზონებზე ყურადღების მიპყრობის მიზნით.
3. სახვით ხელოვნებაში გამოყენებული მასალები, მათი გამოყენების გზები და ის საგნები, რომელთა გამოსახვასაც არჩევენ მხატვრები, ყველა საზოგადოებაში თავისებურია. აქედან ჩანს საზოგადოების დამოკიდებულება გარემოსთან. ზოგი მეცნიერი ხაზს უსვამს სამხატვრო დიზაინსა და სოციალურ სტრატიფიკაციას შორის არსებულ კორელაციას.
4. სახვითი ხელოვნების მსგავსად, საზოგადოებებში მნიშვნელოვნად იცვლება მუსიკაც. ზოგი კვლევის მიხედვით, არსებობს კორელაცია მუსიკის სტილსა და საზოგადოებრივ კომპლექსურობას შორის. სხვა კვლევებმა აღმოაჩინეს კავშირი ბავშვის აღზრდის მეთოდებსა და საზოგადოებაში უპირატესად მიჩნეულ მელოდიებს, ასევე ხმის ხარისხს შორის.
5. ფოლკლორი ფართო კატეგორიაა და მოიცავს კულტურული ჯგუფის მითებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, ბალადებს, ანდაზებსა და ცრურწმენებს. ძირითადად ფოკლორი თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემა, მაგრამ ის შეიძლება წერილობითი სახისაც იყოს. ზოგმა ანთროპოლოგმა დაადგინა მითების ძირითადი თემები: კატასტროფები, მონსტრების განადგურება, სისხლის აღრევა, მტრობა დედმამიშვილებს შორის და კასტრაცია. მითები შეიძლება ასახავდნენ საზოგადოების უღრმეს წუხილს.
6. ხელოვნება მუდმივად ცვალებადია, მაგრამ გარკვეულმა კულტურულმა კონტაქტმა შეიძლება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილის ხელოვნებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს. ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის განადგურებასთან ერთად ბევრ ადგილას დაიკარგა ტრადიციები. ასევე ხელოვნება მაშინაც შეიცვალა, როცა ინდივიდებმა თავიანთი ხელობისა და ნამუშევრების გაყიდვა დაიწყეს.

საკონტროლო კითხვები:

1. რამდენად ინოვაციური და ორიგინალური შეიძლება იყოს წარმატებული მხატვარი?
2. რა სახის ხელოვნება გირჩევნიათ და რატომ?
3. ფიქრობთ თუ არა, რომ ტურისტებისთვის შექმნილი ხელოვნება ნაკლები ღირებულებისაა? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

კულტურის ცვლილება და გლობალიზაცია

27

თავების შინაარსი

- როგორ და რატომ იცვლება კულტურები
- კულტურის ცვილილება და ადაპტაცია
- კულტურის ცვლილების ტიპები თანამედროვე მსოფლიოში

ბევრი ჩვენგანი ხვდება, რომ დროება შეიცვალა, განსაკუთრებით, როცა ჩვენს ცხოვრებას მშობლებისას ვადარებთ. მაგალითისთვის ავიღოთ თუნდაც ახლანდელი ცვლილებები საზოგადოებაში ქალთა როლსა თუ სექსისა და ქორწინების მიმართ დამოკიდებულებაში. მაგრამ კულტურის ამგვარი ცვლილება არ არის უჩვეულო. მთელი ისტორიის განმავლობაში ადამიანები ცვლიდნენ ქცევის წესებსა და დამოკიდებულებას მათ მიმართ. როგორც არ არსებობს უკვდავი ადამიანი, ასევე, ვერც ერთი კულტურული მახასიათებელი ვერ აღუდგება ცვლილებას. ამიტომაც ანთროპოლოგებს აინტერესებთ, როგორ და რატომ ჩნდება ეს ცვლილებები.

კულტურის ცვლილებასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას სამი ძირითადი კითხვა: 1. რა წარმოადგენს ახალი კულტურული შტრიხის წარმოშობის წყაროს? 2. რატომ არის ხალხი მოტივირებული, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად, მის მისაღებად? 3. არის თუ არა ახალი შტრიხი ადაპტირებადი? ცვლილების წყარო შეიძლება იყოს საზოგადოების შიგნით ან გარეთ არსებული ფაქტორები. ანუ ახალი იდეა ან ქცევის წესი შეიძლება წარმოიშვას საზოგადოებაში ან შემოვიდეს სხვა საზოგადოებიდან. რაც შეეხება მოტივაციას, ადამიანებმა ახალი იდეა შეიძლება ნებაყოფლობით მიიღონ, თუნდაც ქვეცნობიერად ან ისინი შეიძლება აიძულონ. დაბოლოს, კულტურული ცვლილების შედეგი შეიძლება იყოს უკეთესობის მომტანი, შეიძლება — არა. ამ თავში თავდაპირველად ჩვენ კულტურის ცვლილების სხვადასხვა პროცესს განვიხილავთ სამ განზომილებაში: წყარო, მოტივაცია, შედეგი. შემდეგ მსოფლიოს უმსხვილესი კულტურების ცვლილებათა ტიპებს მოვკიდებთ ხელს. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ეს ცვლილებები მოიცავს დასავლური საზოგადოებების გაფართოება-გავრცელებას ბოლო 500 წლის მანძილზე; კერძოდ, ჩვენ განვიხილავთ გლობალიზაციას — მსოფლიოს გარშემო კულტურული მახასიათებლების გავრცელების მიმდინარეობას, და იმას, რას უქადის იგი კულტურულ განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებას მომავალში.

როგორ და რატომ იცვლება კულტურები

აღმოჩენები და გამოგონებანი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას საზოგადოების შიგნით ან მის გარეთ, ყველა კულტურის ცვლილების ძირითად წყაროს წარმოადგენს, მაგრამ აუცილებელი არაა, რომ მათ მიგვიყვანონ ცვლილებამდე. თუ გამოგონება ან აღმოჩენა იგნორირებულია, კულტურათაშორის არანაირი ცვლილება არ ხდება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება ღებულობს გამოგონებას ან აღმოჩენას და მას რეგულარულად იყენებს, შეგვიძლია კულტურის ცვლილებაზე საუბრის დაწყება.

აღმოჩენა და გამოგონება

ახალი აღმოჩენა, გამოგონება, ნოვაცია შეიძლება იყოს საგანი (ბორბალი, ფოცხი, კომპიუტერი) ან შეიძლება იდეას, ქცევის წესს გულისხმობდეს (ყიდვა-გაყიდვა, დემოკრატია, მონოგამია). რალფ ლინტონის აზრით, აღმოჩენა ცოდნის დამატებაა, ხოლო გამოგონება — ცოდნის გამოყენება.[1] ამრიგად, ადამიანმა აღმოაჩინა, რომ შესაძლებელია ბავშვებს საკვების მიღება დაეაძალო, თუ საკვების მიღებას გამოგონილ პერსონაჟს დავუკავშირებთ, რომელიც მათ ჭამისკენ მოუწოდებს. ვიღაცამ შეიძლება გამოიყენოს ეს აღმოჩენა და შექმნას მულტიპლიკაციური ფილმის პერსონაჟი პოპაი, რომელიც საოცარ ძალას იღებს, როცა ისპანახს ჭამს.

ქვეცნობიერი გამოგონება. გამოგონების პროცესების განხილვისას, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ გამოგონებათა სხვადასხვა ტიპი. პირველი ტიპი: საზოგადოება თავად ისახავს რაღაც შედეგის მიღწევას, მაგალითად, ტუბერკულიოზის მოშორებას ან ადამიანის მთვარეზე გაშვებას. მეორე ტიპი ნაკლებ განზრახულად ჩნდება. მეორე ტიპის პროცესს ეწოდება შემთხვევითი გვერდიგვერდ დალაგება ან ქვეცნობიერი გამოგონება. ლინტონის აზრით, ზოგი გამოგონება, განსაკუთრებით პრეისტორიული პერიოდისა, ალბათ „ქვეცნობიერი" გამომგონებლების ათასობით ინიციატივის შედეგი იყო. ამ გამომგონებლებმა შეიტანეს მცირე წვლილი ალბათ ათასობით წლის წინ, იმის გაუცნობიერებლად, რა როლს თამაშობდნენ ერთი გამოგონების შექმნაში, თუნდაც ბორბლის ან ცულის.[2] განვიხილოთ ერთი მაგალითი: წარმოიდგინეთ, რომ ბავშვები თამაშობენ მიწაზე დაცემულ მორზე, რომელიც მიგორავს, ბავშვები კი მასზე დგანან და წონასწორობას იჭერენ. ამავდროულად, მათ უნდათ გრანიტის ფილა წამოიღონ გამოქვაბულის შესასვლელიდან. ბავშვებს შეიძლებოდა მორი გადასაზიდად გამოეყენებინათ და ამრიგად აემოქმედებინათ განვითარების მთელი სერია, რომელიც საბოლოო ჯამში ბორბლის სახეს მიიღებდა.

პრეისტორიულ პერიოდში გაკეთებული გამოგონებების რეკონსტრუქციისას ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ქედმაღლურად არ შევხედოთ წინაპრებს მაღალგანვითარებული ტექნოლოგიის გამო. ჟურნალ-გაზეთების სამეცნიერო სექციის გადაშლისას, ჩვენ შევეჩვიეთ ახალი აღმოჩენებისა და გამოგონებების კითხვას. დღევანდელი გადასახედიდან ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ისეთ მარტივ გამოგონებას, როგორც ბორბალია, საუკუნეები დასჭირდა. ჩვენ გვიზიდავს აზრი, თითქოს ადრეული ადამიანები ჩვენთან შედარებით ნაკლებად ინტელიგენტურები იყვნენ, მაგრამ ადამიანის ტვინის შესაძლებლობა არ შეცვლილა დაახლოებით ასი ათასი წლის განმავლობაში, არ არსებობს იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ბორბლის გამომგონებელნი ჩვენზე ნაკლებ ჭკვიანები იყვნენ.

განზრახული ნოვაცია. ზოგი აღმოჩენა ან გამოგონება წინასწარაა გამიზნული რაიმე კონკრეტული იდეის განსახორციელებლად ან საგნის შესაქმნელად. შეიძლება ნოვაციები არსებული მოთხოვნილებების ბუნებრივი გამოძახილი იყოს. მაგალითად, ინდუსტრიული რევოლუციის დროს არსებობდა უზარმაზარი მოთხოვნილება პროდუქტულობის ზრდის უზრუნველსაყოფად გამიზნულ გამოგონებებზე. მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისელი გამომგონებელი ჯეიმს ჰარგრივსი იყო ერთ-ერთი, რომელმაც საზოგადოების მოთხოვნას უპასუხა. ქსოვილის მრეწველები ისეთი რაოდენობის ნაქსოვ ნართს ითხოვდნენ, რომ მუშებს, რომლებიც ფეხით სატრიალებელ დაზგებზე მუშაობდნენ, ფიზიკურად ვერ ახერხებდნენ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ჯეიმს ჰარგრივსმა მიზნად დაისახა გამოეგონებინა დიდი რაოდენობის ნართის მცირე დროში დატრიალების მეთოდი. მან გამოიგონა მბრუნავი ჯალამბრები.

თუმცა მხოლოდ გაჩენილი მოთხოვნილებები და შემქმნელის ფინანსური დაინტერესება ვერ ხსნის, თუ რატომ ხელეწიფებათ ნოვაციები მხოლოდ გარკვეულ ადამიანებს. ჩვენ შედარებით ცოტა ვიცით იმის შესახებ თუ რატომ არის ზოგი ადამიანი სხვებზე უფრო ინოვატორი. ამის შესაძლებლობა შეიძლება დამოკიდებული იყოს პიროვნულ თვისებებზე — ფანტაზიის უნარსა და მაღალ ინტელექტზე. ხოლო ფანტაზიის უნარზე, შეიძლება, თავის მხრივ, გავლენა იქონიოს სოციალურმა მდგომარეობამ.

განაში აშანტის ტომის მხატვარ-მეჩუქურთმეთა შორის ნოვაციის კოეფიციენტის შესწავლამ აჩვენა, რომ ფანტაზიის უნარი გარკვეული სოციალ-ეკონომიკური ჯგუფებისთვის უფრო არის დამახასიათებელი, ვიდრე სხვებისთვის.[3] ზოგი მეჩუქურთმე ტრადიციულ სტილს მისდევდა, ზოგმა გადაუხვია ტრადიციულს და ახალი სტილი შემოგვთავაზა. აღმოჩნდა, რომ ორ ჯგუფს შეუძლია ჩუქურთმების ძალიან კარგად გაკეთება — უმდიდრესებს

და უღარიბესებს. ეს ჯგუფები უფრო მეტად არიან რისკზე წამსვლელები, ვიდრე საშუალო კლასი. ახლებურ ხერხებს მეტი რისკი სდევს, რადგან მას შეიძლება ბევრი დრო დასჭირდეს და ბოლოს, შეიძლება, არც გაიყიდოს. შეძლებულ მეჩუქურთმეებს შეუძლიათ, თავს რისკის უფლება მისცენ, წარმატების შემთხვევაში კი, მეტ პრესტიჟსა და გასამრჯელოს მოიპოვებენ. ღარიბებს საქმე ისედაც არ მისდით კარგად, ისინი არაფერს დაკარგავენ, თუ რაიმე ახალს მოსინჯავენ.

ზოგ საზოგადოებაში უფრო მოუწოდებენ ნოვაციებისკენ, ვიდრე დანარჩენებში. დროთა განმავლობაში ეს მოვლენა შეიძლება არსებითად შეიცვალოს. პატრისია გრინფილდი და მისი კოლეგები შეისწავლიდნენ მექსიკაში ჩიაპას ზინაკატანის რეგიონის მაიას თემის მქსოველებს.[4] 1969-70 წლებში ნოვაციას არ აფასებდნენ. მასზე მეტად ტრადიცია ფასდებოდა. მცხოვრებთა აზრით, არსებობდა ძველი, ტრდადიციული და ერთადერთი სწორი გზა, რომლის მიხედვითაც უნდა გაკეთებულიყო ყველაფერი. ჩაცმის სტილიც ამ ტრადიციული ხაზის მატარებელი უნდა ყოფილიყო. არსებობდა ქსოვის ოთხი ძირითადი მეთოდი და ყველა მამაკაცს ერთნაირი სტილის პანჩო ეცვა. 1991 წლისთვის, ფაქტობრივად, არც ერთი პანჩო არ ჰგავდა მეორეს, ხოლო სოფლის მოსახლეობას შეემუშავებინა ფარჩის საკმაოდ რთული და მოქარგული დიზაინი. 20 წელიწადში ნოვაციამ გაცილებით იმატა. შეიცვალა კიდევ ორი რამ: ეკონომიკა უფრო კომერციული გახდა, შესაძლებელი შეიქნა ქსოვილისა და სხვა საქონლის ყიდვა-გაყიდვა. შეიცვალა სწავლების მეთოდიკაც. ადრე დედები ქალიშვილებს მკაცრ ინსტრუქციებს აძლევდნენ, ხშირად თავადაც კი ერეოდნენ ქსოვის პროცესში. მოგვიანებით გოგონებს უფლება მიეცათ, მეტი ესწავლათ დამოუკიდებლად და ისინი უფრო აბსტრაქტულ და განსხვავებულ დიზაინს ქმნიდნენ.

ვინ ღებულობს სიახლეს? როცა ვინმე აღმოაჩენს ან გამოიგონებს რამეს, ჩნდება კითხვა: მიიღებენ თუ არა ამ ნოვაციას სხვები? ბევრი მკვლევარი შეისწავლიდა ,,ადრეული მიმღებების" მახასიათებლებს. ამგვარი ინდივიდები, როგორც წესი, განათლებულები, მაღალი სტატუსის მქონენი არიან და თუ ისინი კერძო საკუთრებას ფლობენ, აქვთ დიდი ფერმა ან ბიზნესი. ინდივიდები, რომლებსაც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ ტექნოლოგიური პროგრესი, ანუ ისინი, ვინც არც ისე კარგ სოციალურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან, ძირითადად, ნოვაციებს ყველაზე ნაკლებად ღებულობენ. თეორიის თანახმად, მხოლოდ შეძლებულებს შეუძლიათ თავს რისკის უფლება მისცენ და ნოვაციებს შეეგუონ. სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესის პერიოდში უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფრო ფართოვდება, რადგან მდიდრები ადვილად და უფრო ადრე ეგუებიან ნოვაციას და სწავლობენ მისგან მოგების ნახვის ხერხებს, ხოლო ღარიბები ამას ნაკლებად ახერხებენ.[5]

ნიშნავს კი ეს, რომ ადამიანის უნარი, მიიღოს სიახლეები დამოკიდებულია მის ქონებაზე? არ არის საჭირო, რომ ეს ყოველთვის ასე იყოს. ფრანკ კანსიანმა გადახედა რამდენიმე კვლევას და აღმოაჩინა, რომ მაღალი-საშუალო კლასი უფრო იყო მიდრეკილი კონსერვატიზმისკენ, ვიდრე დაბალი-საშუალო კლასი. კანსიანის აზრით, რისკზე დაბალი-საშუალო კლასი უფროა წამსვლელი, რადგან ნაკლებს კარგავს. მოგვიანებით, როცა უკვე ყველაფერი გაცხადდება, ანუ უფრო მეტი ხალხი მიიღებს სიახლეს, მაღალი-საშუალი კლასი წამოეწევა ხოლმე დაბალს და ისიც ნოვაციის მომხრე ხდება.[6] ამრიგად, სიახლის მიღებისთვის მზადყოფნა, ისევე როგორც ფანტაზიის უნარი აშანტის ტომში, შეიძლება არ იყოს ცალმხრივად დამოკიდებული სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ნოვაციების მიწოდების სისწრაფე ნაწილობრივ შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოებისთვის ახალი ქცევის წესებისა და იდეების მიწოდების თავისებურებაზე. კერძოდ, შეუძლია თუ არა ადამიანს ინფორმაცია ბევრი და გამოცდილი ,,მასწავლებლისგან" მიიღოს. თუ ბავშვები ცოდნის უმეტეს ნაწილს იღებენ მშობლებისგან ან უფროსთაგან, სიახლეები საზოგადოებაში ნელა გავრცელდება და კულტურული ცვლილებაც ნელი იქნება. ნოვაციები უფრო სწრაფად მოიკიდებს ფეხს, თუ ინდივიდებს თავისუფლად და შეუზღუდავად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა მასწავლებლისა და ,,ლიდერისგან", რომელთაც შეუძლიათ ბევრზე მოახდინონ გავლენა დროის შედარებით მცირე პერიოდში. რაც უფრო მეტი თანატოლი გვეყოლება, მით მეტის სწავლას შევძლებთ მათგან.[7] ალბათ, ამიტომაცაა, რომ ცვლილებანი ასე სწრაფია დღეს. ჩენის მსგავს საზოგდოებებში და ინდუსტრიულ სამყაროში ადამიანები განსაკუთრებით მზარდად სწავლობენ და იღებენ ინფორმაციას სკოლაში მასწავლებელთაგან, თავიანთი სპეციალობის ლიდერებისგან და თანატოლებისგან.

დანახარჯი და მოგება. ტექნოლოგიურ სიახლეს ყოველთვის არ იღებს საზოგადოება. არსებობს როგორც მოგება, ისე დანახარჯი ინდივიდებისა და მსხვილმასშტაბიანი ინდუსტრიებისთვის. მაგალითისთვის ავიღოთ თუნდაც კომპიუტერის კლავიატურა. დღეისთვის ყველაზე ხშირად კომპიუტერებზე გამოყენებადი კლავიატურა არის QWERTY-ის კლავიატურა (ასე ეწოდა კლავიატურის მარცხენა მხარეს განლაგებული, ციფრების ქვეშ მოთავსებული ასოების გამო). ამ ტიპის კლავიატურა სინამდვილეში გამოგონილი იყო ბეჭდვის სიჩქარის გასაზრდელად. ადრე მბეჭდავებს მექანიკური კლავიატურა ჰქონდათ, რომელიც იჭედებოდა, თუ მბეჭდავი ძალიან ჩქარა დაიწყებდა ბეჭდვას.[8] კომპიუტერის კლავიატურას ამგვარი პრობლემა არ აქვს. ამრიგად, ასოების განლაგება, ბეჭდვის პროცესის დაჩქარების მიზნით, თითქოს უკეთესი უნდა ყოფილიყო. გამოიგონეს კლავიატურის სხვადასხვა კონფიგურაცია, მაგრამ პრაქტიკაში ვერ დაინერგა. ადამიანთა უმრავლესობას ახალი სტილის ბეჭდვის სწავლა ძალიან ძნელად ან დროის ზედმეტ ხარჯვად ეჩვენებოდა. შესაბამისად, ხმარებაში დღესაც ძველი სტილის კლავიატურა რჩება.

მსხვილმასშტაბიანი ინდუსტრიებისთვის ტექნოლოგიური ნოვაციების დანერგვა შეიძლება ძალიან ხარჯიანი აღმოჩნდეს. ახალი პროდუქტი ან პროცესი ზოგჯერ წარმოების განახლებას და პერსონალის გადამზადებას მოითხოვს. გადაწყვეტილების მიღებამდე კეთდება წინასწარი გათვლები: შესაძლო დანახარჯები ედარება საავარაუდო მოგებას. თუ ითვლება, რომ ბაზარი საკმარისად ვრცელია ახალი პროდუქტის მისაღებად, ამ პროდუქტს მართლაც აწარმოებენ. თუ ბაზარი, პირიქით, მცირედ ითვლება, მაშინ შესაძლო მოგება შეიძლება არ იყოს საკმარისი ცვლილების განსახორციელებლად. ნოვაციების ხარისხს კომპანიები იმის მიხედვითაც აფასებენ, შეძლებენ თუ არა კონკურენტები მისი ასლის დამზადებას. თუ ნოვაცია ადვილად შეიძლება იქნას გადაღებული, ინვესტორმა კომპანიამ ის შეიძლება არ ჩათვალოს ფულის დაბანდებისთვის ღირებულად. გარდა ამისა, ბაზარი შეიძლება ვრცელი იყოს, მაგრამ ინვესტორი კომპანია მაინც ვერ შეძლებს ბაზარზე დიდხანს დარჩენას, თუ სხვა კომპანიები მის პროდუქტს დანახარჯების გარეშე, გამოკვლევებსა და განვითარებაში ფულის ჩაუდებლად, აწარმოებს.[9]

დიფუზია

საზოგადოებაში ახალი ელემენტების გამოჩენის წყარო, შეიძლება, სხვა სახელმწიფო გახდეს. პროცესს, რომლის დროსაც ერთი საზოგადოება მეორისგან კულტურულ ელემენტებს სესხულობს და თავის კულტურაში ნერგავს, **დიფუზია** ეწოდება. სესხება ხშირად საშუალებას აძლევს ჯგუფს, გვერდი აუაროს რაიმე პროცესის დანერგვისას არსებულ სიძნელეებსა და შეცდომებს. ასე, მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნეში გერმანიამ შეძლო ინდუსტრიალიზაციის პროცესის დაჩქარება ინგლისელი და ბელგიელი კონკურენტების შეცდომების თავიდან აცილებით

ამერიკელებს არ აქვთ მიღებული იმდენი წესი, რამდენიც იაპონურ კულტურაშია, მაგრამ ინტერესი სუშის მიმართ დიდია.

და ტექნოლოგიური სესხის უპირატესობის გამოყენებით. მოგვიანებით იგივე გააკეთა იაპონიამაც. მეტიც, ზოგი ყველაზე ადრეული ინდუსტრიალიზებული სახელმწიფო ახლა თავის იმიტატორებს ჩამორჩა პროდუქციის ზოგ ასპექტში, როგორიცაა ავტომობილები, კომპიუტერები, ვიდეოკამერები და ტელევიზორები.

თავის ცნობილ სტატიაში ლინტონმა ჩამოაყალიბა დიფუზიის მრავლისმომცველი ეფექტი 1930-იანი წლების ამერიკელი მამაკაცის დღის პირველი ნახევრის აღწერით. ეს კაცი....იღვიძებს ლოგინში, რომელიც ახლო აღმოსავლეთში დამზადდა თავდაპირველად და შემდგომ, ამერიკაში შემოსვლამდე, ევროპაში იქნა მოდიფიცირებული. ის გადაიხდის ინდური ბამბის, ჩინური აბრეშუმის ან აღმოსავლური ტილოს საბანს. ყველა ეს მასალა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ტექნოლოგიებით იქსოვება და მზადდება... ის იხდის პიჟამოს, ინდოეთში შექმნილ სამოსს, და ტანს იბანს ანტიკური გალების მიერ გამოგონილი საპნით. შემდეგ იპარსავს. ეს მაზოხისტური წესი მომდინარეობს შუმერების ან ეგვიპტელების ჩვეულებიდან.

სასაუზმოდ წასვლამდე იხედება ფანჯრიდან, რომელიც ეგვიპტეში გამოგონილი მინისგანაა დამზადებული. თუ წვიმს, იცვამს ამერიკელი ინდიელების აღმოჩენილი რეზინისგან დამზადებულ კალოშებს და თან მიაქვს ცენტრალურ აზიაში გამოგონილი ქოლგა...

სასაუზმოდ მიმავალი ყიდულობს გაზეთს, რომელშიც იხდის ანტიკურ ლიდიაში შექმნილ მონეტებს... მისი თეფში გაკეთებულია ჩინეთში აღმოჩენილი კერამიკისგან. დანა, რომლის პირველი სინჯი სამხრეთ ინდოეთში გააკეთეს, რკინისაა. ჩანგალი შუა საუკუნეების იტალიის ქმნილებაა, ხოლო კოვზი რომანული ფესვებისაა. ხილის (აფრიკული საზამთროს) და ყავის (აბისინიური მცენარის) შემდეგ, მიირთმევს ინდო-ჩინეთში მოშინაურებული ფრინველის კვერცხს ან აღმოსავლეთ აზიაში მოშინაურებული ცხოველის ხორცს, რომელიც დამარილებული და შებოლილია ჩრდილოევროპული ტექნოლოგიის მიხედვით...

მოწევისას (ამერიკელ ინდიელთა ჩვეულება) ეცნობა ანტიკური სემიტების სტილში ჩინურ ფურცელზე გერმანული ტექნოლოგიით დაბეჭდილ „დღის სიახლეებს“ და ამ დროს, თუკი ის ნამდვილი კონსერვატორი მოქალაქეა, აუცილებლად მადლობას შესწირავს ებრაელთა ღვთაებას იმ ინდოევროპულ ენაზე, რომელიც უკვე 100%-ით ამერიკულია.[10]

დიფუზიის ნიმუშები. არსებობს დიფუზიის სამი ძირითადი ნიმუში: პირდაპირი კონტაქტი, შუალედური კონტაქტი და მასტიმულირებელი დიფუზია.

1. პირდაპირი კონტაქტი. საზოგადოების კულტურული ელემენტები პირველად შეიძლება მისმა მეზობლებმა გადაიღონ და შემდეგ თანდათანობით გავრცელდეს სულ უფრო შორს. ქაღალდის (დაწნული ბოჭკოებისგან დამზადებული ფურცელი) მოხმარების გავრცელება პირდაპირი კონტაქტის შედეგად დაწყებული ფართო დიფუზიის კარგი მაგალითია. ქაღალდის გამოგონება უკავშირდება ჩინელი ცაი ლუნის სახელს ახ. წ. 105 წელს. ორმოცდაათ წელიწადში ქაღალდი უკვე ცენტრალური ჩინეთის ბევრ ადგილას გამოიყენებოდა. ქაღალდის შექმნის ტექნოლგია საიდუმლოდ რჩებოდა დაახლოებით 500 წლის მანძილზე, ქაღალდი კი ვრცელდებოდა როგორც ფუფუნების საგანი არაბულ სამყაროში, სამარყანდის ბაზრის მეშვეობით. მაგრამ როდესაც სამარყანდს თავს დაესხნენ ჩინელები, 751 წელს, ჩინელი პატიმარი იძულებული გახდა, გაეხსნა ქაღალდის საწარმო. ქაღალდის წარმოება მას შემდეგ გავრცელდა დანარჩენ არაბულ სამყაროში. ის პირველად დამზადდა ბაღდადში, 793 წელს, ეგვიპტეში — 900 წელს, მოროკოში — 1100 წელს. ქაღალდი ევროპაში გავრცელდა არაბების მიერ იტალიურ სავაჭრო პორტებში მეთორმეტე საუკუნეში. მაროკოელებმა პირველი ევროპული ქაღალდის საწარმო ააგეს ესპანეთში დაახლოებით 1150 წელს. მისი წარმოების ტექნოლოგია შემდეგ გავრცელდა მთელ ევროპაში. ქაღალდის საწარმოები აიგო იტალიაში 1276 წელს, საფრანგეთში — 1348 წელს, გერმანიაში — 1390 წელს და ინგლისში — 1494 წელს.[11] ნასესხები გამოგონების მიღების პროცესი ზოგადად ყველა ქვეყანაში ერთნაირი იყო: პირველად ქაღალდის იმპორტი ხდებოდა, როგორც ფუფუნების საგნის, შემდეგ სულ უფრო მეტად შეიძინა საჭირო პროდუქტის ფუნქცია. დაბოლოს, როგორც წესი, სამი საუკუნის შემდეგ, დაიწყო მისი ადგილობრივი წარმოება.
2. შუალედური კონტაქტი. დიფუზია შუალედური კონტაქტის სახით (მესამე მხარის ჩარევით) ხორციელდება. ხშირად ვაჭრებს კულტურული შტრიხი ისეთი ქვეყნიდან გააქვთ სხვაგან, რომელმაც ეს შტრიხი თავად ისესხა. შუამდგომლობითი დიფუზიის მაგალითი შეიძლება იყოს ფინიკიელთა მიერ საბერძნეთში ანბანის გავრცელება, რომელიც, შესაძლოა, სხვა სემიტური ჯგუფის გამონაგონი იყოს. ხანდახან შუამდგომლების როლში ჯარისკაცები გამოდიან. ევროპელი ჯვაროსნები, როგორებიც იყვნენ ტაძრის რაინდები და წმინდა იოანეს რაინდები, შუამდგომლების როლში ორი სახით გამოდიოდნენ: მათ ჩაიტანეს ქრისტიანული კულტურა ჩრდილოეთ აფრიკის მუსულმანურ სამყაროში და დააბრუნეს არაბული კულტურა ევროპაში. მეცხრამეტე საუკუნეში ევროპელი მისიონერები მსოფლიოს ყველა ნაწილში მოუწოდებდნენ ადგილობრივებს, დასავლური ტანისამოსის ტარებისკენ. შედეგად, აფრიკაში, წყნარი ოკეანის კუნძულებზე და სხვაგანაც ადგილობრივები ატარებენ შორტებს, კოსტუმებს, ქურთუკებს, მაისურებს, ჰალსტუხებს და დასავლელი მოქალაქეებისათვის დამახასიათებელ სხვა სამოსს.
3. სტიმულის მიმცემი დიფუზია. მასტიმულირებელი დიფუზიის შემთხვევაში, ერთი კულტურის კუთვნილი კულტურული შტიხი ან გამონაგონი სტიმულს აძლევს სხვა კულტურას, განავითაროს ან გამოიგონოს საკუთარი აღჭურვილობა. ამის კლასიკური მაგალითია

ჩეროკთა სიმბოლური დამწერლობის სისტემა, რომელიც ადგილობრივმა ინდიელმა სეკოტამ შექმნა, რათა ხალხს საკუთარ ენაზე წერა შეძლებოდა. სეკოტამ ეს იდეა ევროპელებთან კონტაქტისას მიიღო, მაგრამ არ გამოუყენებია ინგლისური დამწერლობის სისტემა — მას ინგლისურად წერაც კი არ უსწავლია. უბრალოდ, გამოიყენა ზოგი ინგლისური ანბანური სიმბოლო, ზოგი შეცვალა და ზოგიც თავად შექმნა. მისი შექმნილი ყველა სიმბოლო ემთხვეოდა ჩეროკთა მარცვლებს და არანაირად არ წააგავდა ინგლისურ ანბანს. სხვა სიტყვებით, სეკოტამ აიღო ინგლისური ანბანური იდეები და მისცა მათ ჩეროკული ფორმა. სტიმულმა სათავე აიღო ევროპელთაგან, შედეგს კი განსაკუთრებულად ჩეროკული სახე მიენიჭა.

დიფუზიის სელექციური ბუნება. არსებობს იმის ცდუნება, რომ დავიჯეროთ, თითქოს დიფუზიის პროცესის დინამიკა, წყალზე ქვით გაჩენილი წრეების მსგავსად, თანაბრად ვრცელდება. მაგრამ ეს დიფუზიის ნამდვილი მოქმედების ზედმეტად გაიოლება იქნებოდა. ყველა კულტურული შტრიხი ისევე ადვილად როდი ვრცელდება, როგორც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ. დიფუზია უფრო სელექციური პროცესია. მაგალითად, იაპონელებმა ჩინელთა კულტურისგან ბევრი ისესხეს, მაგრამ ბევრიც უარყვეს. რითმიანი ტონალური პოეზია, სამოქალაქო მომსახურების შემოწმება და ფეხების შეკვრა, რაც ჩინეთში დიდ მოწონებას იმსახურებდა, იაპონიაში არასდროს გადაუღიათ. პოეზიის ეს ფორმა იაპონური ენისთვის შეუფერებელი იყო. არც მომსახურების შემოწმების საჭიროება არსებობდა იაპონიის არისტოკრატიის თვალსაზრისით. ფეხების შეკვრა კი მოეძულებინა სხეულის დასახიჩრების წინააღმდეგ მებრძოლ ხალხს.

საზოგადოებები უარყოფენ სხვა საზოგადოებათა მათთვის საძულველ შტრიხებს. ისინი არც ისეთ ტექნოლოგიებს სესხულობენ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს მათ ფსიქოლოგიურ, სოციალურ თუ კულტურულ მოთხოვნილებებს. ადამიანი ხომ ღრუბელი არაა, ავტომატურად რომ შეიწოვოს თავის გარშემო მომხდარი მოვლენები. ეს რომ ასე იყოს, მსოფლიოში კულტურული ცვლილებების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდებოდა, რაც, ცხადია, დღეისთვის არ შეინიშნება. მატერიალური კულტურის ელემენტები, როგორიცაა მექანიკური პროცესი და ტექნოლოგიები და სხვა შტრიხები, მაგალითად, სპორტი და მისთანანი, უფრო ადვილი შესამჩნევი და საჩვენებელია. შედეგად, მათ ან მიიღებენ ან უარყოფენ, დამსახურებისდა მიხედვით. მაგრამ მატერიალური კონტექსტის მიღმა ნამდვილ სირთულეებს ვანყდებით. ლინტონმა ეს პრობლემა შემდეგი სიტყვებით ახსნა:

მართალია, შესაძლებელია ამ კულტურული ელემენტის აღწერა, როგორც ქორწინების იდეალური ნიმუშის... მაგრამ ეს აღწერა იქნებოდა ისევე სრული, როგორც კალათის დაწვნის აღწერა. ყველაზე დაწვრილებითი აღწერითაც კი ძნელია გადმოსცე ასოციაციათა ის სერიები და განპირობებული ემოციური იმპულსები, რომლებიც თან ახლავს ამ ნიმუშს [ქორწინებას] და რომელიც ანიჭებს მას აზრსა და სიცოცხლისუნარიანობას ჩვენს საზოგადოებაში... ეს კიდევ უფრო ეხმიანება იმ კონცეფციებს, რომლებსაც არ აქვთ სხვა გამოხატულება, გარდა ვერბალურისა. ეს არის ერთი იაპონელის ისტორია, რომელმაც ტირანიის ბუნებაზე ევროპელთან დიდი ხნის საუბრის შემდეგ წამოიძახა: ,,...ახლა გასაგებია, ეს კომიტეტია!"[12]

დაბოლოს, დიფუზია სელექციურია, რადგან მისი მიღება-არმიღების საკითხს ხშირად განსაზღვრავს შტრიხის ღია ფორმა და არა მისი ფუნქცია ან აზრი. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკელ ქალთა შორის გავრცელებული მოკლე ვარცხნილობა 1920-იან წლებში, ასეთივე ენთუ-

ანთროპოლოგიური ორიგინალები

ჩრდილოეთ ალიასკის ესკიმოსები

კულტურული ცვლილება, როგორც წესი, სელექციური ხასიათისაა: ახლანდელ დროში ბევრი კულტურა შეიცვალა, ზოგი მნიშვნელოვნადაც კი, მაგრამ ყოველთვის ნარჩუნდება ძველი კულტურის გარკვეული შტრიხები, გარე სამყაროსთან კონტაქტის მიუხედავად. რატომ ხდება ეს? ძველი საშუალებები, შეიძლება, საქმის კეთების უკეთესი ან უკეთესად მიჩნეული ხერხი იყოს. (მაგალითად, ესკიმოსები კიდევ ამზადებენ ტრადიციულად საკვებს და მის მოსამზადებლად კვლავ თევზაობა და ნადირობა უწევთ).

იმ დღეს, როცა ჩავედი [ჩრდილოეთ ალიასკაში ესკიმოსთა სოფელ კივალინაში] სამ სხვა კაცთან ერთად, დამპატიჟეს კანადურ ირემზე სანადაროდ. რასაკვირველია, დავთანხმდი. ვიქტორ სვონმა მის მარხილზე ასვლა შემომთავაზა. ახალგაზრდა ვიყავი და საკმაოდ კარგ ფორმაშიც, ამიტომ ვუპასუხე, რომ ფეხით სიარული მერჩივნა. ბევრი მსმენოდა იმის შესახებ, თუ როგორ გადაადგილდებოდნენ ესკიმოსები მძიმედ დატვირთულ მახრილებში შებმული ორი-სამი ძაღლით. ვიქტორს ცარიელ მარხილში თხუთმეტი ძაღლი შეება. ძაღლები იმდენად აღტაცებულნი იყვნენ მომავალი მგზავრობით, რომ ერთ-ნახევარი მეტრის სიმაღლეზე ხტებოდნენ ჰაერში და აღტაცებულ ხმებს გამოსცემდნენ. მარხილზე ავედი. როგორც კი მოვთავსდი, ვიქტორმა მოხსნა კაუჭი, რომელიც მარხილს იჭერდა და ძაღლები ისეთი სისწრაფით დაიძრნენ, რომ მარხილის ზურგს ავეკარი.

ნადირობა წარუმატებელი გამოდგა, რადგან დენისმა, ჩემმა პარტნიორმა, რამდენიმე ტაქტიკური შეცდომა დაუშვა. მოგვიანებით, როდესაც ყავას ვსვამდით, ვიქტორმა და ლეონარდმა მისი ქმედებების თაობაზე უკმაყოფილება გამოხატეს. ისინი ესკიმოსთა ენაზე ლაპარაკობდნენ, თუმცა ინგლისურად იგინებოდნენ. ლეონარდმა გამოამჟღავნა სალანძღავი სიტყვების განსაცვიფრებელი ცოდნა. კითხვაზე, სად ისწავლა ასეთი გინება, მან მიპასუხა, რომ მრავალი წელი მსახურობდა უფროს სერჟანტად ამერიკის ჯარში, მათ შორის — იაპონიის ტერიტორიაზე. შესაბამისად, თავისუფლად საუბრობდა იაპონურად, ინგლისურად და ესკიმოსურად.

...რაში იყო აქ საქმე? ეს ადამიანები ტრადიციული ესკიმოსები იყვნენ თუ თანამედროვე ამერიკელები? ერთი მხრივ, ისინი ერთმანეთში ესკიმოსურად საუბრობდნენ. მეორე მხრივ, მათ უმრავლესობას ინგლისურად საუბარიც შეეძლო. ისინი, ტრადიციულად, ნადირობითა და თევზაობით ცხოვრობდნენ და თითქმის ექსკლუზიურად შეეცეოდნენ ტრადიციულ კერძებს. თუმცა, ამავე დროს მამაკაცთა უმრავლესობა სეზონურად მუშაობდა ხუროებად, მაღაროელებად, ნავსადგურის მუშებად და კომერციულ მეთევზეებად შტატის სხვა მხარეებში... კითხვაზე, ,,ეს ადამიანები ტრადიციული ესკიმოსები არიან თუ თანამედროვე ამერიკელები?" პასუხი ასეთია: ორივე ან ალბათ — არც ერთი.

ზიაზმით არ გავრცელებულა კალიფორნიის ადგილობრივ ინდიელ ქალებს შორის. ინდიელი ქალებისთვის, რომლებიც, ტრადიცულად, თმას გლოვის დროს იჭრიდნენ, ამგვარი ვარცხნილობა სიკვდილთან ასოცირდებოდა.[13]

დიფუზიის პროცესში შეიძლება გავარჩიოთ რამდენიმე განსხვავებული მაგალითი. ვიცით, რომ კულტურული სესხება სელექციურია და არა ავტომატური. ასევე, შეგვიძლია აღვწეროთ, როგორ განაახლა და მოირგო საზოგადოებამ ნასესხები შტრიხი. მაგრამ ეს ცოდნა არ გვაძლევს საშუალებას დავაკონკრეტოთ, როდის მივიღებთ ზემოთ ხსენებულ შედეგებს, რა შემთხვევაში იწყება დიფუზია და რატომ ჩნდება ის მაინცდამაინც მოცემული კონკრეტული ფორმით.

აკულტურაცია

ზედაპირულად, კულტურის ცვლილების პროცესი — **აკულტურაცია** — მოიცავს ბევრ იმ ნიშანს, რაც ჩვენ დიფუზიის აღწერისას ჩამოვთვალეთ. აკულტურაცია გულისხმობს სხვადასხვა კულტურული ჯგუფის ინტენსიური კონტაქტის შედეგად გაჩენილ ცვლილებებს. როგორც დიფუზიის დროს, აქაც ახალი კულტურული ნიშნების გაჩენის წყარო სხვა საზოგადოებები არიან. მაგრამ უფრო ხშირად ანთროპოლოგები ტერმინ „აკულტურაციას“ ხმარობენ ისეთი სიტუაციის აღსაწერად, როდესაც კონტაქტში მყოფი ორი სახელწიფოდან ერთი გაცილებით ძლიერია მეორეზე. ამრიგად, აკულტურაცია შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ინტენსიური კულტურული სესხებისა და გადაღების პროცესი საზოგადოებებს შორის, სადაც ერთი დომინანტია და მეორე — დაქვემდებარებული.[14] სესხება, შეიძლება, ხანდახან ორმხრივი პროცესი იყოს, მაგრამ ძირითადად დაქვემდებარებული, ქვემდგომი სახელმწიფო იღებს დომინანტის კულტურულ შტრიხებს. ამრიგად, დიფუზიის კონცეფცია, შესაძლოა, მიჩნეულ იქნას კულტურული ელემენტების ნებაყოფლობით სესხებად, განსხვავებით აკულტურაციისგან, რომლის დროსაც სესხება გარეგანი ზეწოლის შედეგად ხდება.

კულტურული ცვლილების გარეგანი პროვოცირება შეიძლება სხვადასხვა ფორმის იყოს. თავის ყველაზე პირდაპირ ფორმაში, დაპყრობა ან კოლონიზაცია, დომინანტი ჯგუფი იყენებს ძალას ან მუქარას კულტურულ ჯგუფში ცვლილების განსახორციელებლად. მაგალითად, ესპანელების მიერ მექსიკის დაპყრობა. დამპყრობლებმა აიძულეს ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა მიეღოთ კათოლიკობა. იმის მიუხედავად, რომ დაპყრობისას ყოველთვის არ ხორციელდება პირდაპირი იძულება, დომინირებულ ხალხს მაინც სხვა არაფერი დარჩენია, შეცვლის გარდა. ამგვარი არაპირდაპირი იძულების მაგალითები მრავლადაა ამერიკის ადგილობრივი ინდიელების შემთხვევებში. მართალია, ფედერალურმა მთავრობამ გადადგა რამდენიმე პირდაპირი ნაბიჯი ინდიელთა იძულებისთვის, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ის ადგილობრივებს საცხოვრებელ ადგილს ართმევდა, რითაც იძულებულს ხდიდა, უარი ეთქვათ თავიანთი ცხოვრების სტილის ბევრ ტრადიციულ ასპექტზე. გადარჩენის მიზნით, მათ სხვა გზა აღარ დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ შეჰგუებოდნენ და მიეღოთ დომინანტი კულტურის შტრიხები. პროცესი დაჩქარდა, როცა ინდიელთა ბავშვები სკოლებში წავიდნენ, სადაც დომინანტი სახელმწიფოს ფასეულობებს ასწავლიდნენ.

დაქვემდებარებულ საზოგადოებაში შეიძლება მოხდეს დომინანტთან აკულტურაცია პირდაპირი და არაპირდაპირი იძულების გარეშეც. დომინირებულმა ჯგუფებმა, შესაძლოა, ზემდგომი საზოგადოების კულტურული შტრიხების მიღება არჩიონ ცვალებად სამყაროში არსებობის გასაგრძელებლად, ან შეიძლება, ვინაიდან დომინანტი სახელმწიფოს წევრები უფრო უსაფრთხოდ ცხოვრობენ, ქვემდგომმა, მოსალოდნელია, მიჰბაძოს მას. მაგალითად, არქტიკულ ზონებში ბევრი ინუიტი და ლაპი ისწრაფვოდა ძაღლთა მარხილები თოვლში მოსიარულე მანქანებზე გაეცვალა, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე.[15]

ევროპელებთან კონტაქტის შემდეგ, მრავალმა მილიონმა ადამიანმა ვერ შეძლო აკულტურაცია. ისინი, უბრალოდ განადგურდნენ დამპყრობთა ხელით, უფრო ხშირად კი იმ დაავადებების გამო, რომლებიც ევროპელებმა თავიანთი დაუდევრობით გაავრცელეს მათში. წითელას, ყვავილისა და ტუბერკულოზის გავრცელების შედეგად გამოწვეული მოსახლეობის მასობრივი ხოცვა საკმაოდ ხშირი იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებზე და წყნარი ოკეანის კუნძულებზე. ეს ტერიტორიები წინათ იზოლირებული იყო ევროპელთაგან და ძველ სამყაროდ წოდებული (ევროპა, აზია, აფრიკა) უზარმაზარი მინის დაავადებებისგან.[16]

იშის, კალიფორნიაში მდებარე იაჰის ტომის ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი წევრის ამბავი ნათელი და ცოცხალი მტკიცებულებაა იმისა, თუ რა სავალალო შედეგები მოჰქონდა ზოგჯერ ევროპელებთან კონტაქტს. 22 წლის განმავლობაში იაჰის მოსახლეობა რამდენიმე ათასიდან, ფაქტობრივად, ნულამდე შემცირდა. ისტორიული მონაცემები მოწმობენ, რომ თითოეული მოკლული თანამოქალაქისთვის ევრო-ამერიკელები კლავდნენ დაახლოებით 30-50 იაჰს. მაგრამ დაახლოებით 60%-მდე იაჰი მოკვდა ევროპელთა დაავადებების გავრცელებიდან ათ წელიწადში.[17]

დღეისთვის ბევრი ძლიერი ერი, არა მარტო დასავლური, მოქმედებს ჰუმანიტარული პრინციპებით, რათა გააუმჯობესოს უწინ მის მიერ დამონებული ან უბრალოდ ,,განვითარებადი" ქვეყნების მდგომარეობა. სამტროდ თუ სასიკეთოდ, ეს პროგრამები მაინც გარეგანი ზეწოლის ფორმებია. გამოყენებული ტაქტიკა შეიძლება უფრო დარწმუნების სახეს ატარებდეს, ვიდრე დაძლევისა. რაც უნდა იყოს, ეს ტაქტიკა ისეა შემუშავებული, რომ მოახდინოს განვითარებადი ქვეყნების აკულტურაცია დომინანტი კულტურის მიმართულების მიხედვით. ფორმალური სკოლების დანერგვა სხვას არაფერს მოიტანს, თუ არა დომინანტი საზოგადოების ფასეულობების გავრცელებას, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კულტურის ტრადიციულ ღირებულებებს. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებიც კი აკულტურაციის ფუნქციას შეიძლება ატარებდეს ნაწილობრივ. ამ გზით ხდება შამანების და სხვა ლიდერების ავტორიტეტის დაცემა. სამაგიეროდ, მოსახლეობის რაოდენობა იმდენად იზრდება, რომ მისი ტრადიციული ხერხების მეშვეობით შენახვა უკვე შეუძლებელი ხდება. ,,დანაზოგის" ჩამორთმევა ან პირდაპირი ზეწოლის სხვა საშუალებები არ წარმოადგენს აკულტურაციის ერთადერთ გზას.

აკულტურაციის პროცესი იმიგრანტებსაც გულისხმობს. ამათგან უმრავლესობა, განსაკუთრებით დღეს ცხოვრებას მეორე სახელმწიფოში ამჯობინებს. იმიგრანტები ყოველთვის უმცირესობას წარმოადგენენ და ამრიგად, დაქვემდებარებულების პოზიციაში არიან. თუ იცვლება იმიგრანტის კულტურა, მხოლოდ დომინანტი კულტურის მიმართულებით. იმიგრანტთა ჯგუფები განსხვავდებიან იმ დონითა და სისწრაფით, რითაც ეგუებიან ახალ კულტურას და აქ არსებულ სოციალურ როლს. საინტერესო სფეროა აკულტურაციასა და ასიმილაციას შორის განსხვავების ახსნა (ასიმილაცია არის აკულტურაციის მსგავსი კონცეფცია, მაგრამ ტერმინი ასიმილაცია უფრო ხშირად სოციოლოგების მიერ გამოიყენება იმ პროცესის აღსანერად, რომლის დროსაც ინდივიდები ეუფლებიან დომინანტი ჯგუფის სოციალურ როლებსა და კულტურას). რატომ შეუძლია ზოგ კულტურულ ჯგუფს უფრო სწრაფად აკულტურაცია ან ასიმილაცია? რობერტ შრაუფი ცდილობდა დაედგინა, რა დონეზე ინარჩუნებდნენ ამერიკაში ჩასული იმიგრანტები მშობლიურ ენას დროთა განმავლობაში. ის აკვირდებოდა, ცხოვრობდნენ თუ არა ისინი მცირე შეკრულ კომუნებში, ინარჩუნებდნენ თუ არა რელიგიურ რიტუალებს, ჰქონდათ თუ არა განცალკევებული სკოლები და სპეციალური ფესტივალები,

ესპანელი მისიონერები მე-16 საუკუნეში ხშირად აძალებდნენ ადგილოვრივებს მექსიკაში, მიეღოთ კათოლიციზმი.

რა სიხშირით ჩადიოდნენ სამშობლოში, ქორწინდებოდნენ თუ არა ამერიკელებზე, მუშაობდნენ თავიანთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან ერთად. ყველა ეს ფაქტორი უნარჩუნებს ეთნიკურ უმცირესობას ენას (და სხვა კულტურულ ნიშნებსაც). მაგრამ მხოლოდ გამოყოფილ, მჭიდრო კომუნებში ცხოვრება და რელიგიური რიტუალების ძველებურად აღსრულება უნარჩუნებს ჯგუფს მშობლიურ ენას დიდი ხნით.[18]

რევოლუცია

ცხადია, კულტურის ყველაზე სწარფი და ძირეული ცვლილების საშუალება **რევოლუციაა** — ძალადობრივი გზით ქვეყნის ხელისუფლების შეცვლა. ისტორიულ მონაცემებშიც და დღევანდელ გაზეთებშიც აღნიშნულია, რამდენად ხშირად აწყობენ ადამიანები ამბოხებას ხელისუფლების წინააღმდეგ. ამბოხი ყოველთვის ისეთ სახელმწიფოებში იჩენს თავს, იქ, სადაც ოფიციალური მმართველი ელიტა არსებობს. ის იღებს მმართვლებსა და მართულებს, დამპყრობლებსა და დაპყრობილებს, ან კოლონიური მთავრობის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ჯგუფებს შორის ბრძოლის ფორმას. ამბოხი ყოველთვის წარმატებული არაა, შესაბამისად, ყოველთვის არ გადაიზრდება რევოლუციაში. ხოლო წარმატებული ამბოხება ყოველთვის არ გულისხმობს კულტურის ცვლილებას, რადგან შეიძლება შეიცვალოს მარტო ინდივიდუალური მმართველი და არა ჩვეულებები და ინსტიტუტები. რევოლუციების მიზეზები ძირითადად საზოგადოების შიგნით აკუმულირდება ხოლმე, როგორც საფრანგეთის რევოლუციის დროს. მაგრამ შეიძლება რევოლუციები გარედანაც იყოს პროვოცირებული, როგორც რუსეთის მიერ მხარდაჭერილი 1948 წლის რევოლუცია ჩეხოსლოვაკიაში და 1973 წელს აშშ-ს მიერ წამოწყებული რევოლუცია ჩილეს პრეზიდენტის ალიენდეს წინააღმდეგ.

ამერიკის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, საუკეთესო მაგალითია კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ ამბოხისა, რომლის წარმატება, ნაწილობრივ, გარეშე ძალების მხარდაჭერამაც განაპირობა. ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა იყო მეზობელი კოლონიების ამბოხი იმ დროის ყველაზე ძლიერი კოლონიური ძალის — დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. მეცხრამეტე საუკუნეში და შემდეგ, მეოცეშიც ბევრი სხვა განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო ლათინურ ამერიკაში, აფრიკაში, ევროპასა და აზიაში. ხშირად გვავიწყდება, რომ ამერიკის რევოლუცია იყო პირველი ამ ანტიიმპერიალისტურ მოძრაობათა შორის თანამედროვე ეპოქაში და ბევრი მომდევნო ამბოხისთვის ნიმუშს წარმოადგენდა. ისევე, როგორც ბევრი თანამედროვე განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამერიკის ამბოხებაც უფრო მასობრივი მსოფლიო დონის ომის ნაწილი იყო, რომელშიც მონაწილეობდა ბევრი დაპირისპირებული მხარე: ოცდაათი ათასი გერმანულენოვანი ჯარისკაცი, საფასურის სანაცვლოდ, ბრიტანელთა მხარეს იბრძოდა; საფრანგეთის საზღვაო ფლოტი და ჯარი ამერიკელებს ეხმარებოდა; ომში მოხალისეებად მიდიოდნენ ბევრი ევროპული ქვეყნიდანაც (დანია, ჰოლანდია, პოლონეთი და რუსეთი).

ერთ-ერთი ამ მოხალისეთაგანი იყო, კაცი სახელად კოსტიუშკო პოლონეთიდან, რომელიც იმ დროს განაწილებული იყო რუსეთსა და პრუსიას შორის. კოსტიუშკო ამერიკელებს უდიდესი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. ასე დაიწყო მან ფორტიფიკაციის ხელმძღვანელობა, რომელიც საბოლოოდ ამერიკის არმიის ოფიცერთა საწვრთნელ სკოლად გადაკეთდა. ომის შემდეგ ის პოლონეთში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა ამბოხს რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ მცირე ხნით იყო წარმატებული. 1808 წელს მან გამოაქვეყნა საცხენოსნო არტილერიით მანევრირების სახელმძღვანელო, რასაც წლების განმავლობაში იყენებდნენ ამერიკის ჯარში. სიკვდილის შემდეგ მან დატოვა ფული ამერიკელი მონების გათავისუფლებისა და განათლებისთვის. კოსტიუშკოს ანდერძის აღმასრულებელი ტომას ჯეფერსონი იყო.

მათ, ვინც რევოლუციისკენ ილტვოდა, ,,რადიკალებს" უწოდებდნენ. 1755 წელს ვირჯინიის შტატში გამართულ ცნობილ დებატებზე თითოეული კოლონიის დელეგატები ერთმანეთს კონტინენტურ კონგრესზე შეხვდნენ. პატრიკ ჰენრიმ წარმოადგინა ბრიტანეთის შეიარაღებული ძალებისგან თავდაცვის მომზადების რეზოლუცია. რეზოლუცია ძლივს გავიდა 65 ხმით 60-ის წინააღმდეგ. ჰენრის მაშინდელი სიტყვა დღეს ამერიკული ფოლკლორის ნაწილი. მისი აზრით, სიგიჟე იქნებოდა ბრიტანელებისთვის წინააღმდეგობის გაუწევლობა და ამბობდა, რომ არ ეშინოდა კოლონიის ძალების გამოცდისა ბრიტანეთის წინააღმდეგ. სხვები შეიძლება ყოყმანობდნენ, თვლიდა ის, მაგრამ მას გადაწყვეტილი ჰქონდა ,,თავისუფლება ან სიკვდილი". ჰენრის მხარდამჭერ ,,რადიკალებს" შორის იყო ბევრი მიწის მფლობელი არისტოკრატი. ამათგან ორნი, ჯორჯ ვაშინგტონი და ტომას ჯეფერსონი, გახდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები (ვაშინგტონი იყო პირველი პრეზიდენტი, ხოლო ჯეფერსონი — მესამე).

ყველა დაპყრობილი, შევიწროებული ან კოლონიზებული ხალხი არ ჯანყდება ხოლმე ხელისუფლების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშაა, რატომ ხდება ასე და რატომ არ არის ყველა ამბოხი წარმატებული. ამის მიუხედავად, რამდენიმე შესაძლო პასუხი ამ კითხვაზე მაინც არსებობს. ერთმა ისტორიკოსმა, რომელმაც განიხილა წარსულის კლასიკური რევოლუციები, მათ შორის ამერიკული, ფრანგული და რუსული, შემოგვთავაზა ამბოხებებისა და რევოლუციების წამოწყების რამდენიმე მიზეზი:

რევოლუციის ლიდერები ხშირად იყვნენ მაღალი სტატუსის ფენებიდან. აქ ვხედავთ პატრიკ ჰენრის გამოსახულებას, რომელიც სიტყვით მიმართავს მიწათმფლობელ არისტიკრატიას ვირჯინიაში 23 მარტის სხდომაზე, 1775 წელს. იგი აიძულებს ვირჯინიელებს, იბრძოლონ ბრიტანეთთან, ჰენრიმ თქვა, რომ არჩევანი იყო ,,სიკვდილის თავისუფლება".

1. ოფიციალური ხელისუფლების მიერ პრესტიჟის დაკარგვა ხშირად გამოწვეულია წარუმატებელი საგარეო პოლიტიკით, ფინანსური სირთულეებით, პოპულარული მინისტრების გადაყენებით ან პოპულარული პოლიტიკური კურსის შეცვლით. მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთმა წარუმატებლობა იწვნია უმსხვილეს საერთაშორისო კონფლიქტში, რამაც სავალალო შედეგები გამოიღო ქვეყნის დიპლომატიისა და ფინანსური მდგომარეობისთვის. რუსეთი ახლო იყო სამხედრო და ეკონომიკურ ნგრევასთან 1917 წელს, პირველ მსოფლიო ომში სამი წლის მონაწილეობის შემდეგ.
2. საფრთხე ახალი ეკონომიკური წარმატებებისთვის. საფრანგეთში, ისევე როგორც რუსეთში, მოსახლეობის ნაწილისთვის (პროფესიული კლასები და მუშები) ეკონომიკური ზრდის მიღწევიდან მოკლე დროში მოულოდნელი უკუსვლა დაიწყო (უმუშევრობა და ფასების ზრდა). რამაც მათში ,,რადიკალური" გრძნობები და იდეები გააღვიძა. იგივეს თქმა შეიძლება ამერიკულ კოლონიებზეც.
3. მთავრობის მერყეობა ანუ გარკვეული შეთანხმებული და ლოგიკური პოლიტიკური კურსის არარსებობა უფრო ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ გაკონტროლებენ, ვიდრე იმას, რომ მოვლენები კონტროლდება. ლუი XVI-ის ქარაფშუტული რეჟიმი და ამერიკული კოლონიების პრობლემების მოუგვარებლობა ჯორჯ მესამის პრემიერის, ლორდ ნორსის მიერ ამის საუკეთესო მაგალითებია.
4. ინტელექტუალური კლასის მხარდაჭერის დაკარგვა. ამგვარმა დანაკარგმა ჩამოართვა საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციამდელ მთავრობებს ნებისმიერი სახის ფილოსოფიური მხარდაჭერა და განათლებულ საზოგადოებაში მათი პოპულარულობის დაკნინება გამოიწვია.[20]

კლასიკური რევოლუციები ისეთ ქვეყნებში იჩენდნენ თავს, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში, ინდუსტრიალიზებული მხოლოდ საწყის ეტაპზე იყვნენ. დღეისთვის ამბოხებები მხოლოდ ე.წ. განვითარებად ქვეყნებში ხდება. მსოფლიო მასშტაბით განვითარებადი ქვეყნების კვლევათა მონაცემების მიხედვით, ამბოხებები ძირითადად ისეთ ქვეყნებში ხდება, სადაც მმართველი ელიტა დამოკიდებულია მიწის დამუშავებასა და სოფლის მეურნეობაზე. ამიტომაც მმართველები უარს ამბობენ მიწაზე რეფორმების გატარებაზე. ამგვარ, სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულ ეკონომიკაში მმართველები არ თმობენ ძალაუფლებას და მუშებსაც არ უხდიან ეკონიმიკური შემოსავლის დიდ ნაწილს, რადგან ასეთ შემთხვევაში მათი კეთილდღეობისა და ძალაუფლების საფუძველს (მიწისმფლობელობას) დაკარგავდნენ.[21]

განსაკუთრებით საინტერესო შეკითხვაა: რატომ ხდება, რომ ხანდახან, თუ ყოველთვის არა, რევოლუციები ვერ ამართლებენ მათ წამომწყებთა იმედებს. როცა რევოლუციის დროს იცვლება მმართველი ელიტა, მის მაგივრად კიდევ უფრო რეპრესიული და დიქტატორული რეჟიმი მყარდება ხოლმე. ახალი ხელისუფლებისთვის უფრო ადვილია ძველი რეპრესიული რეჟიმის ახლით შეცვლა, ვიდრე რეალური რეფორმების გატარება სახელმწიფოში. მეორე მხრივ, ზოგი რევოლუციის შედეგად საზოგადოებაში მართლაც ძირეული ცვლილებები მოხდა.

რევოლუციის იდეა წარსულისა და აწმყოს ბევრი სოციალური ჯგუფის ერთ-ერთი ცენტრალური მითი და შთაგონება იყო და არის. კოლონიურმა იმპერიებმა ინგლისმა და საფრანგეთმა ისეთი ვითარება შექმნეს მსოფლიოში, რომ რევოლუცია გარდაუვალ მოვლენად იქცა. ბევრ ტექნოლოგიურად განუვითარებელ ქვეყანაში, რომლებიც ექსპლუატაციას განიცდიდნენ ძლიერი ქვეყნების მხრიდან თავიანთი ბუნებრივი რესურსების და იაფი მუშახელის გამო, გაჩნდა საოცარი აღშფოთება და პროტესტის გრძნობა უცხოელი მმართველი კლასების და ადგილობრივი მსხვილი კლიენტების წინააღმდეგ. იქ, სადაც მმართველი კლასები, ადგილობრივი თუ უცხოური, უარს ამბობენ გულისხმიერებით მოეკიდონ ამ გრძნობებს, ამბოხი ერთადერთი ალტერნატივა. ბევრ ადგილას ამბოხებები უკვე ცხოვრების სტილად იქცა.

კულტურის ცვლილება და ადაპტაცია

თავში კულტურის კონცეფციის შესახებ განიხილებოდა ზოგადი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კულტურის მახასიათებელთა უმრავლესობა ადაპტირება-

დია თავის გარემოცვაში. რაიმე ჩვეულება ადაპტირებადია, თუ ის ზრდის მის მიმდევარ ადამიანთა რეპროდუქციისა და გადარჩენის შანსს. იმის მიუხედავადაც კი, რომ ჩვეულებები შეძენილი და ნასწავლია და არა გენეტიკური, კულტურული ადაპტაცია ბიოლოგიური ადაპტაციის ან ევოლუციის მსგავსია სხვა ასპექტში. გარკვეული გენეტიკური ალტერნატივების სიხშირე შეიძლება გაიზარდოს დროთა განმავლობაში, თუ ეს გენეტიკური შტრიხები ზრდიან მისი მფლობელის გადარჩენის და რეპროდუქციის ალბათობას. ამგვარად, ახლად ნასწავლი ქცევის განმეორების სიხშირეც გაიზრდება და დროთა განმავლობაში ჩვეულებად იქცევა, თუ ამგვარი ქცევის წესის მიმდევრები უფრო უკეთესად ახერხებენ გამრავლებასა და გადარჩენას. ხოლო თუ კულტურა ადაპტირებადია გარემოსთან, კულტურის ცვლილებაც აგრეთვე ძირითადად ადაპტირებადია.

კულტურულ ევოლუციასა და გენეტიკურ ევოლუციას შორის არსებული ერთ-ერთი ყველაზე არსებითი განსხვავება არის ის, რომ ინდივიდებს ხშირად თავად შეუძლიათ გადაწყვიტონ, მიიღონ და გაყვნენ თავიანთი მშობლების აზროვნებისა და ქცევის სტილს თუ არა. თუმცა მათ არ შეუძლიათ გადაწყვიტონ, მიიღონ თუ არა გარკვეული გენები შთამომავლობით. როცა ბევრი ადამიანი შეიცვლის ქცევას და აზროვნებას, ჩვენ ვამბობთ, რომ კულტურა შეიცვალა. ამრიგად, კულტურის ცვლილება გენეტიკურზე გაცილებით სწრაფად ხორციელდება.

განზრახული კულტურის ცვლილების დრამატული მაგალითია რენდილთა ტომის საპაადეს ჩვეულების ჯერ მიღება, შემდეგ უარყოფა. რენდილები მწყემსავდნენ აქლემებს, თხებს და ცხვრებს ჩრდილოეთ კენიის უდაბნოებში. საპაადეს ტრადიციის მიხედვით, ქალები უნდა გათხოვილიყვნენ, ვიდრე მათი ძმები არ მოიყვანდნენ ცოლებს. ქალები შეიძლება 40 წელს გადასცილდებოდნენ, სანამ გათხოვების უფლება მიეცემოდათ. რენდილები ამბობდნენ, რომ ეს ტრადიცია იყო მათსა და ბორანას ტომს შორის გამუდმებული ქიშპობის შედეგი მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში. ბორანების თავდასხმისას, მწყემსები იძულებულნი იყვნენ, მიეტოვებინათ აქლემები, რომლებიც შეშინებულები იფანტებოდნენ. ამიტომ ქალიშვილებს ავალებდნენ აქლემების მოვლას და ამრიგად, განვითარდა საპაადეს ტრადიცია. 1998 წელს, ბორანასთან უთანხმოების დასრულებიდან დიდი ხნის შემდეგ, უხუცესებმა გადაწყვიტეს, რომ მოეშალათ ეს ტრადიცია. 1990-იან წლებში რენდილელებთან ინტერვიუებმა გამოააშკარავა, რომ მათ თავიდანვე იცოდნენ ამ ტრადიციის წარმოშობის ისტორია. ახლა კი, მათი აზრით, რახან ორ ტომს შორის მშვიდობა დამყარდა, აღარ არსებობდა მისი გაგრძელების მიზეზი.[22] საპაადეს ტრადიციის მიღება იყო კულტურის ცვლილების მაგალითი გარემოებების ცვლილებისას. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა გარემოცვა სტაბილურია? შესაძლებელია ამ დროს კულტურის ცვლილება? რობერტ ბოიდმა და პიტერ რიჩარდსონმა დაადგინეს, რომ როდესაც გარემო შედარებით სტაბილურია, ხოლო ინდივიდუალური შეცდომები ძვირად უჯდებათ, ჩვეული ქცევის წესების შენარჩუნება (ძირითადად მშოლებისგან გადმოცემული) უფრო ადაპტირებადია, ვიდრე ცვალებადი.[23] მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც გარემო, განსაკუთრებით კი სოციალური გარემო იცვლება? თანამედროვე მსოფლიოში ამის მრავალი მაგალითი არსებობს: ადამიანები იძულებულნი ხდებიან, სამუშაოდ სხვა ქვეყნებში წავიდნენ, სამედიცინო დახმარებამ მოსახლეობის ზრდა გამოიწვია და შედეგად ადამიანები იძულებულნი გახდნენ უფრო ნაკლები მიწით დაკმაყოფილებულიყვნენ და ა.შ.

მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება მოვლენები, ინდივიდები მიდრეკილნი ხდებიან, მათი მშობლებისთვის უჩვეულო და ახალი ქცევის წესები და იდეები მოსინჯონ. ადამიანთა უმრავლესობას სურს მათი იმჟამინდელი მდგომარეობის შესაფერისად მოიქცეს, მაგრამ საიდან იციან, რა შეესაბამება მათ მდგომარეობას? არსებობს ამის გაგების რამდენიმე საშუალება. ერთ-ერთია ექსპერიმენტების ჩატარება, სხვადასხვა ქცევის წესის მოსინჯვა. მეორე გზაა, სხვათა ექსპერიმენტების შედარება. თუ ახალი ტექნიკის გამოცდისას ადამიანი წარმატებას აღწევს, მოსალოდნელია, რომ სხვები მის იმიტაციას დაიწყებენ. ასევე, მოსალოდნელია, რომ წარმატებული პირადი ექსპერიმენტის შემდეგ ადამიანი მასზე შეჩერდება. დაბოლოს, ადამიანს შეუძლია მიბაძოს უმრავლესობის მაგალითს და მოიქცეს ისე, როგორც დანარჩენები იქცევიან.[24]

რატომ აკეთებს ადამიანი ერთი კონკრეტული გადაწყვეტილების სასარგებლოდ არჩევანს და არა სხვა რომელიმესი? ნაწილობრივ, არჩევანი შეიძლება იყოს ნოვაციის ფასზე ან რისკზე დამოკიდებული. შედარებით ადვილია, მაგალითად, გავიგოთ, რამდენი ხანი დასჭირდება ხის რკინის ნაჯახით მოჭრას, ვიდრე იმის გამოცნობას, თუ რა დროს წაიღებს მისი ქვის ნაჯახით გადაჭრა. გასაკვირი არაა, რომ რკინის ნაჯახის მსგავსი ნოვაციები საკმაოდ სწრაფად ვრცელდება, რადგან შედარება ადვილია და შედეგებიც — ყველასთვის ნათელი. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა რისკი საკმაოდ დიდია? ვთქვათ, ნოვაცია გულისხმობს მიწათმოქმედების სრულიად ახალი გზების დანერგვას. შესაძლებელია, მოსინჯო ეს გზა, მაგრამ წარუმატებლობის შემთხვევაში, საკვების გარეშე დარჩები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარისკო ნოვაციების განხორციელებას მხოლოდ ისინი ბედავენ, ვისაც ამის საშუალება აქვს. სხვა ადამიანები კი ნოვაციას მათი გამოცდილებიდან და საკუთარი გათვლების მიხედვით იღებენ. ვთქვათ, ახალ ტერიტორიაზე გადავბარგდით, მაღალტენიანი ადგილიდან — უფრო მშრალზე. საკმარისია, გარშემო მიმოვიხედოთ და დავაკვირდეთ გარშემო მყოფი ხალხის საქმიანობას. მშრალ ადგილას მცხოვრებ მოსახლეობას ექნება ამ გარემოსთან ადაპტირებადი ჩვეულებები.

ამრგად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ინდივიდების გაკეთებული არჩევანიც ხშირად ადაპტირებადია. უფრო მნიშვნელოვანი იმის ხაზგასმაა, რომ სხვისგან ნოვაციის სესხება ან სხვა საზოგადოებისგან მისი გადმოღება ყოველთვის მოგების მომტანი არ არის. უპირველეს ყოვლისა, ადამიანები მცდარ დასკვნებს აკეთებენ ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა რაიმე ახალი ქცევის წესი აკმაყოფილებს ფიზიკურ მოთხოვნილებებს. ასე მაგალითად, რატომ გავრცელდა ასე მასობრივად მოწევა და ნარკოტიკები, იმის მიუხედავად, რომ ყველასთვის ცნობილია მათი დამღუპველი ზემოქმედება? მეორე, ადამიანები სწორადაც რომ აფასებდნენ მოკლევადიან ნოვაციას, ისინი შეიძლება ცდებოდნენ გრძელვადიანის შესახებ. ახალი მოსავალი, შეიძლება, ძველზე უკეთესად და მრავლად მოვიდეს შემდგომი ხუთი წლის მანძილზე, მაგრამ მეექვსე წელს საერთოდ არ მოვიდეს, ჩვეულებრივზე ნაკლები წვიმების გამო ან ახალი სასუქის გამოლევის შედეგად. მესამე, ხალხს შეიძლება მათზე უფრო ძლევამოსილმა მხარემ აიძულოს ცვლილება, მათთვის ყველანაირი მოგების გარეშე.

რა მოტივითაც არ უნდა შეცვალოს ადამიანმა თავისი ქცევა, ბუნებრივი გადარჩევის თეორიის მიხედვით, გამრავლებისთვის საზიანო ქცევის წესი ვერ გახდება კულტურის ნაწილი და არ გადაეცემა თაობიდან თაობას. ისევე, როგორც ზიანის მომტანი გენეტიკური მუტაცია არ გახშირდება და არ გავრცელდება მოსახლეობაში.[25] ყველაფრის მიუხედავად, მაინც არსებობს უარყოფითად ადაპტირებადი კულტურის ცვლილების მაგალითები: ჩვილების ბუნებრივი კვების ბოთლიდან კვებით შეცვლა, რომელსაც შეუძლია ინფექციის გადატანა დაბინძურებული წყლის გამო ან ალკოჰოლური სასმელების გავრცელება, რომლებსაც ალკოჰოლიზმის ან ადრეული სიკვდილის გამოწვევა შეუძლიათ. ბოლო ასი წლის მანძილზე კულტურის ცვლილების ყველაზე დიდი სტიმული არის დასავლელი მოსახლეობის მიერ გავრცელებული ახალი სოციალური გარემო და გლობალური ეკონომიკის გაფართოება.

კულტურის ცვლილების ტიპები თანამედროვე მსოფლიოში

ახ. წ. 1500 წლიდან დღემდე განხორციელებული კულტურის ცვლილებები გამოწვეულია, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზებით, დასავლური საზოგადოებების დომინანტობითა და ექსპანსიით.[26] ასე რომ, თანამედროვე მსოფლიოში მომხდარი კულტურის ცვლილება გარეგანი ძალების მიერაა მოწოდებული, დაძალებული თუ არა. მართალია, არასწორი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ კულტურული ცვლილება მხოლოდ გარეგანი ზეწოლის შედეგად ხდება. მაგრამ ამგვარი შემთხვევები ყველაზე ხშირად შეისწავლება ანთროპოლოგებისა და სხვა სოციალური მეცნიერებების მიერ. გარედან ზეწოლათა უმრავლესობა დასავლური საზოგადოებებისგან მომდინარეობს. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები, როგორიცაა იაპონია და ჩინეთი, ასევე იყვნენ კულტურული ცვლილების მასტიმულირებელნი. ხოლო მერვე საუკუნეში ისლამური საზოგადოებების ექსპანსიამ მოახდინა უზარმაზარი მასშტაბის კულტურული ცვლილება ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში, ევროპასა და აზიაში.

კომერციალიზაცია

დასავლური საზოგადოებების ექსპანსიით გამოწვეული ყველაზე დიდი კულტურული ცვლილება არის მსოფლიოს მზარდი დამოკიდებულება კომერციულ გაცვლაზე. ყიდვა-გაყიდვის ნასესხები ჩვეულებანი თავდაპირველად შეიძლება იყოს საზოგადოებაში საქონლის გადანაწილების ახალი საშუალება. მაგრამ მოგვიანებით, როცა ახალი კომერციული ჩვეულებები იკიდებს ფეხს, იცვლება საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი. ამ პროცესს გარდაუვლად მოჰყვება სხვა ცვლილებები, რომლებსაც თან ახლავთ ფართო სოციალური, პოლიტიკური და ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური ცვლილებებიც კი.

თანამედროვე ცვლილების მახასიათებლების განხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ კომერციალიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ანტიკურ წარსულში იჩენდა თავს. ჩინელები, სპარსელები, ბერძნები, რომაელები, არაბები, ფინიკიელები და ინდოელები სხვადასხვა კუთხეში ავრცელებდნენ კომერციულ წარმოებას. შეგვიძლია ცოტა ნათელი მოვფინოთ იმას, როგორ და რატომ იცვლებოდნენ ადრეული კულტურები, რამდენიმე კითხვის გათვალისწინებით: რატომ იცვლება თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკა კომერციულ ეკონომიკად? რა შედეგები მოაქვს კულტურის ცვლილებას? როგორ იჩენენ ისინი თავს?

ზოგადად, ჩვენს ხელთ არსებული შეზღუდული მონაცემების თანახმად, არაკომერციული საზოგადოება, გადარჩენის მიზნით, შეიძლება გადავიდეს ყიდვა-გაყიდვის პროცესზე, იმიტომ, რომ კომერციული გაცვლით ისეთ საქონელს დაეუფლება, რასაც სხვა შემთხვევაში ვერ მიიღებდა. თუ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი რესურსები შემცირდა ერთ სულ მოსახლეზე — იმიტომ, რომ ჯგუფი აიძულეს მცირედით დაკმაყოფილებულიყო ან მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა — ეს ჯგუფი ისარგებლებს ნებისმიერი კომერციული გაცვლის შესაძლებლობით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს შესაძლებლობა გაცილებით მეტ მუშაობას მოითხოვს.[27]

მიგრაციული სამუშაო კომერციალიზაციის წარმოშობის ერთ-ერთი გზაა, როცა საზოგადოების რამდენიმე წევრი გადადის სხვა ადგილას, სადაც შრომაში გასამრჯელოს იძლევიან. ეს მოხდა ტიკოპიაში, სოლომონის კუნძულების მახლობლად მდებარე კუნძულზე. 1929 წელს, როდესაც რაიმონდმა პირველად შეისწავლა ეს კუნძული, მისი ეკონომიკა ჯერ კიდევ არაკომერციული, ძირითადად საარსებო საშუალებების მოპოვებაზე იყო ორენტირებული.[28] თუმცა აქ იყო დასავლური საქონელი, მაგრამ რკინისა და სპილენძის მცირე რაოდენობის გარდა, სხვა რამეზე დიდი მოთხოვნილება არ ყოფილა. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის დროს. ომის პერიოდში შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს მეზობელი კუნძულები და ტიკოპიელებიც გადავიდნენ ამ კუნძულებზე სამუშაოს საძებრად. ომის შემდგომ რამდენიმე კომერციულმა ორგანიზაციამ გააფართოვა თავისი საქმიანობა სოლომონის კუნძულებზე, რითაც მოთხოვნა მუშახელზე კიდევ უფრო გაიზარდა. შედეგად, როდესაც ფირტი ხელმეორედ ეწვია ტიკოპიას, 1952 წელს ეკონომიკური სიტუაცია აქ საგრძნობლად შეცვლილი დახვდ.

სხვადასხვა პერიოდში ასზე მეტმა ტიკოპიელმა დატოვა კუნძული სამუშაოს ძიებაში. მიგრანტებს სურდათ ფულის შოვნა, რადგან ისინი იმ ცხოვრების წესისკენ იღწოდნენ, რომელიც ადრე მხოლოდ ევროპელთა პრეროგატივად ითვლებოდა. 1929 წლის მონაცემებთან შედარებით, 1952 წელს მიწის დამუშავება უფრო ინტენსიური გახდ. ტრადიციულ მოსავალს მანიოკი და ტკბილი კარტოფილი ჩაენაცვლ. ცხოვრების გაუმჯობესებულმა სტანდარტებმა და მოსახლეობის ზრდამ შეასუსტა ფართო ნათესაური კავშირები მოსახლეობას შორის. მაგალითად, ნუკლეალური ოჯახებისგან შემდგარი გაფართოებული ოჯახები 1952 წელს უკვე ისე აღარ თანამშრომლობდნენ. ბევრ შემთხვევაში მიწას მართლაც იყოფდნენ ერთმანეთში. მიწის დამუშავება ახლა უფრო ინდივიდუალიზებული საქმიანობა გახდა. ადამიანები ახლა სულაც აღარ ესწრაფვოდნენ ისეთ ხალისით გაფართოებული ოჯახის წევრებთან მუშაობით მოპოვებულ საქონელსა და ფულის განაწილებას.

არასასოფლო მეურნეობის კომერციული პროდუქცია კომერციალიზაცია თავს იჩენს ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც თვითკმარი, მონადირეთა ან მიწათმოქმედთა, საზოგადოება სულ უფრო ხდება დამოკიდებული ვაჭრობაზე. ამგვარი შემთხვევის მაგალითია ამაზონის დაბლობის მუნდურუკუს ხალხი, რომლებმაც მიატოვეს მებაღეობა რეზინის კომერციული წარმოების წამოსაწყებად. მსგავსი ცვლილება მოხდა კანადის მონტაგნიეს ტომშიც, რომელიც უფრო ბეწვის გაყიდვით იყო დაკავებული, ვიდრე არსებობისთვის ნადირობით. რობერტ მერფიმ და ჯულიან სტიუარტმა აღმოაჩინეს, რომ როდესაც ინდუსტრიული ქვეყნების თანამედროვე საქონელი ხელმისაწვდომი გახდა ვაჭრობის გზით, ორივე მუნდურუკუმ და მონტანიელებმა მთელი ენერგია მიმართეს სპეციალიზებული ვაჭრობის კომპონენტების შექმნისკენ. მათ ეს იმიტომ გააკეთეს, რომ შეეძინათ სხვა ინდუსტრიული გზით შექმნილი ნივთები.[29] ამრიგად, მუნდურუკუსა და მონტანილებში გაჩენილი პირველი სოციალ-ეკონომიკური ცვლილება იყო კოოპერატიული შრომიდან და კომუნალური ავტონომიიდან ინდივიდუალიზებულ ეკონომიკურ აქტივობაზე გადასვლა და საგარეო ბაზარზე დამოკიდებულება.

მაგალითად, მუნდურუკუს, სანამ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები დამყარდებოდა, ევროპელებთან 80 წლის კონტაქტი აკავშირებდა. ისე, რომ ამ კონტაქტით საზოგადოებაში არავითარი შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. მართალია, მამაკაცებმა თავი დაანებეს დამოუკიდებელ სამხედრო მოქმედებებს (ბრაზილიელთათვის დაქირავებულ ჯარისკაცებად აღარ მსახურობდნენ), მაგრამ ისინი ინარჩუნებდნენ სოფლის მეურნეობაზე დამყარებულ ეკონომიკას. ადგილი ჰქონდა ვაჭრობას ბრაზილიელებთან, სადაც მეთაური სოფლის სავაჭრო აგენტის სახელით გამოდიოდა. ვაჭრობა ბარტერული (საქონელგაცვლითი) იყო. ვაჭრები ჯერ დაარიგებდნენ ხოლმე თავიანთ ნაწარმს, იაფფასიანი ბამბით დაწყებული, რკინის ნაჯახებითა და სამშვენისებით დასრულებული. ისინი ბრუნდებოდნენ დაახლოებით სამი თვის თავზე და აგროვებდნენ მანიოკს, ინდიელთა რეზინს და ლობიოს მუნდურუკუელთაგან. ამ დროს (1860) რეზინი ჯერ კიდევ მეორეხ-

გამოყენებითი ეკონომიკა

სიმსუქნე, გადატვირთვა, დიაბეტი: მოდერნიზაციის ჯანმრთელობაზე ასახვა

ევროპელებთან კონტაქტმა ბევრ ადამიანს ჯანმრთელობის პრობლემები გაუჩინა, რადგან ადრე არ ჰქონიათ შეხება ევროპელთა ავადმყოფობებთან. მაგრამ დასავლური სამედიცინო დახმარების გავრცელებით შობადობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა საკმაოდ გაიზარდა. ეს მიღწევები ძირითადად განაპირობა ეპიდემიების (წითელა, ქოლერა, ყვითელა, სიფილისი და ტუბერკულოზი) კონტროლისთვის დაქვემდებარებამ. შიდსის ეპიდემია, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ სამედიცინო ანთროპოლოგიის თავში, ვრცელდება მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში. მთელი რიგი დაავადებები შეიძლება წარსულს ჩაბარდა, მაგრამ თავი იჩინა ახალმა ეპიდემიებმა. ასაკში შესვლასთან ერთად ჩნდება გადატვირთვის, გულის დაავადებების, კიბოს და დიაბეტის პრობლემები. ამ ქრონიკული დაავადებების გავრცელების ერთ-ერთი მიზეზია მოსახლეობის ასაკის ზრდა. მაგრამ ძირითადად ისინი მოდერნიზაციით გამოწვეული ცხოვრების სტილის შეცვლის შედეგია.

მთელი რიგი კვლევებისა კონცენტრაციას ახდენდა სამხრეთ ოკეანეთის სამოას ხალხზე. როგორც საკვების მოპოვების შესახებ საუბრისას აღვნიშნეთ, სამოელები ტრადიციულად დამოკიდებულნი არიან მებაღეობაზე. თანამედროვე მოსახლეობის მსგავსად, სამოელთა უმრავლესობაც ურბანულ ზონებში გადადის საცხოვრებლად, მუშაობენ გასამრჯელოსთვის და დაიწყეს საკვების დიდი ნაწილის ყიდვა. მკვლევრებმა დაადგინეს მოსახლეობის ასაკობრივ ჯგუფებში, საკმაოდ მცირე დროში, გადატვირთვის, დიაბეტისა და სიმსუქნის კოეფიციენტის ზრდა. მაგალითად, 1990 წლისთვის ამერიკელი სამოელების ორი მესამედი ჭარბწონიანი იყო, 1970 წლის შედეგებთან შედარებით — საგრძნობლად მომატებულნი. სოფლის გარეგანში მცხოვრები სამოელები ნაკლებად გადატვირთულნი არიან და სტრესის ნიშნებიც ნაკლებად აღენიშნებათ. დაავადებები თავს იჩენს ცხოვრების სტილის შეცვლის შედეგად, კერძოდ კი ნაკლები ფიზიკური აქტივობისას და კვების რაციონში ცვლილების შეტანისას ნაკლებად ნოყიერიდან მაღალკალორიულ საჭმელზე გადასვლით. სტრესი იზრდება მაშინაც, როდესაც ადამიანი, უსახსრობის მიუხედავად, მაინც ყიდულობს ფუფუნების საგნებს სტატუსის ხაზგასასმელად.

როცა საკვები არაა ბევრი, „მოყვავილე გენი" ეხმარება ხალხს, გადარჩნენ. მაგრამ როცა საკვები ბერია, ხალხი შეიძლება გასუქდეს, როგორც მარკეზელი.

რისი თქმა შეიძლება გენეტიკურ ფაქტორზე? შეიძლება კი გენეტიკურმა მიდრეკილებამ დაიწყოს ურთიერთქმედება მოდერნიზაციის პროცესთან და ამით გააჩინოს სიმსუქნე სამოას ხალხში? ერთ-ერთი შესაძლებლობა უკავშირდება ეკონომიური გენის სახელს. გენეტიკოსი ჯეიმს ნილი ფიქრობდა, რომ ინდივიდებს ეფექტური, ქმედითი ეტაბოლიზმით, რომლებსაც შეუძლიათ შეინახონ კალორიები ცხიმოვან ქსოვილში, უფრო შეუძლიათ გადარჩნენ და გამრავლდნენ ხშირი შიმშილისა და საკვების ნაკლებობის პირობებში. დროთა განმავლობაში ამგვარ პირობებში მცხოვრებ ინდივიდებში გავრცელდება ეკონომიური გენები. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა მოსახლეობას უკვე აღარ სჭირდება ბევრი ენერგიის დახარჯვა ან როცა უჩნდება მუდმივი კვების წყარო? ნილის აზრით, ასაკთან ერთად გაჩენილი დიაბეტი შეიძლება იყოს ამის შედეგი. ეს ახსნა სრულად ემთხვევა სამოაში და პოლინეზიის კუნძულების სხვა ნაწილებში განვითარებულ სცენარს. ამ ადგილების მოსახლეობას ახასიათებს ასევე ჭარბი წონა და გადატვირთვაც.

ეკონომიური გენის თეორია მხოლოდ სამოელ და პოლინეზიელ მოსახლეობას არ შეეფერება. როგორც ჩანს, წარსულში ადამიანთა მოდგმასაც უწევდა შიმშილთან ბრძოლა. თუ საკვების მარაგი იზრდება მოდერნიზაციასთან ერთად, მაგრამ მას თან ახლავს ფიზიკური აქტივობის დაქვეითება და კალორიულ კვებაზე გადასვლა, მაშინ ჭარბი წონა, გადატვირთვა და დიაბეტი მოდის მოდერნიზაციასთან ერთად. ორივე ფაქტორის — ბიოლოგიურის და კულტურულის, გაანალიზება გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსახლეობის ურბანული ცხოვრების სტილთან შეგუების პროცესში.

არისხოვანი სავაჭრო ნივთი იყო.

1860-იანი წლების შემდეგ რეზინზე მოთხოვნილება სწრაფად გაიზარდა, ამრიგად, მეტად მნიშვნელოვანი გახდა სავაჭრო ურთიერთობები მუნდურუკუებთან. ვაჭრები ახლა უკვე პირდაპირ ნიშნავდნენ სავაჭრო აგენტებს, სახელად კაპიტოებს. მათი საქმე იყო კაუჩუკის პროდუქციის მომრავლება. კაპიტოები ეკონომიკურ პრივილეგიებს და ძალაუფლებას ფლობდნენ, რამაც ტრადიციული მეთაურის პოზიცია დააკნინა. ამასთან, რეზინის მოპოვების პროცესმა შეცვალა მუნდურუკუს სოციალური მახასიათებლებიც, ხალხი ტოვებდა ჯუნგლებში განლაგებულ თავიანთ საცხოვრებლებს.

ველური კაუჩუკის ხეები მხოლოდ მდინარის პირას იზრდება, საკმაოდ მოშორებულია მუნდურუკუს ჯუნგლების მცხოვრებლის სახლიდან და მისი მოპოვება შეიძლება მხოლოდ მშრალ სეზონზე (გვიანი მაისიდან დეკემბრამდე). ამრიგად, კაუჩუკის შესაგროვებლად წასული მუნდურუკუ ოჯახს ნახევარი წლით უნდა დაშორებოდა. ამასთან, კაუჩუკზე მუშაობა ერთი ადამიანის სამუშაოა. თითოეული მუშა საკუთარ ტერიტორიას შემოსაზღვრავს ხოლმე და დღეში 150 ხეზე მუშაობს. ამრიგად, უწევს ხესთან ახლოს ცხოვრება, რადგან სამუშაო მთელ დღეს

გრძელდება. მუშა მთელი ამ დროის მანძილზე, წვიმის სეზონის დაწყებამდე, მარტოა ან ძალიან მცირე ჯგუფთან ერთად, სანამ ის სახლში დაბრუნდება.

კომერციალიზაციის ამ ეტაპზე მუნდურუკუელები ძალიან დამოკიდებულნი გახდნენ ვაჭრის მოტანილ საქონელზე. ცეცხლსასროლი იარაღი უვარგისი იყო შავი დენთისა და ტყვიის რეგულარული მარაგის გარეშე. ტანისამოსის შესაკერად და შესაკეთებლად აუცილებელი იყო ნემსები და ძაფი. მაგრამ ამ ნივთების ყიდვა მხოლოდ კაუჩუკის მზარდი წარმოებით შეიძლებოდა, რაც, თავის მხრივ, მუნდურუკუელებს სულ უფრო დამოკიდებულს ხდიდა გარე სამყაროზე. ცხადია, ტრადიციული ხელობის შენარჩუნების სურვილი გაქრა. თიხის ჭურჭელს მეტალისა ჩაენაცვლა, სახლის პირობებში დამზადებულ ჰამაკებს კი — ქარხნული წარმოების. თანდათან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა შეწყდა, რათა ამით რეზინის წარმოება არ დაზიანებულიყო. ტრადიციული მთავრების ავტორიტეტი შესუსტდა და მათი ადგილი კაპიტოებმა დაიკავეს.

უკან დასახევი გზა საბოლოოდ მაშინ მოიჭრა, როდესაც სოფლის მოსახლეობამ საცხოვრებელი ადგილების დატოვება დაიწყო. ამ ახალ დასახლებებში აღარ იყო ძველისთვის ესოდენ დამახასიათებელი ერთობა, თემის შეგრძნება. საკუთრება ნუკლეარული ოჯახების მფლობელობაში გადავიდა და ის პროდუქციულობის სასიკეთოდ ყურადღებით ინახებოდა.

ოქროს აღმოჩენისას ბევრი მუნდურუკუელი ახალგაზრდა ოქროს მოპოვებას მიუბრუნდა. ამისთვის საჭირო აღჭურვილობა მარტივია, თანაც ოქრო უფრო ადვილი გადასაზიდი და უკეთესი ვაჭრობის საშუალებაა კაუჩუკთან შედარებით. რადგანაც ოქრო შეიძლება ფულზე გაიცვალოს, რომელიც ყიდვისას გამოიყენება, სავაჭრო ურთიერთობები ახლა ისეთი მნიშვნელოვანი აღარ იყო. ფულით ახლა შესაძლებელი გახდა გადამცემების, რადიოების, მაგნიტოფონების, საათების, ველოსიპედების და ახალი ტანისამოსის ყიდვა ცეცხლსასროლ იარაღთან, მეტალის ჭურჭელთან და ხელსაწყოებთან ერთად. ფულის, როგორც გაცვლის საშუალების გამოჩენით, ტრადიციული ნაცვალგების პროცესი გაუქმდა. ახლა მუნდურუკუელები ერთმანეთში კვების პროდუქტებითაც კი ვაჭრობენ, ეს წარმოუდგენელი იყო 1950-იან წლებში.[50]

დამატებითი საქონელი კომერციალიზაციის გაჩენის მესამე გზა არის — ადამიანები ნიადაგის დამუშავებისას თავიანთი ასრებობისთვის საკმარისზე მეტ მოსავალს იღებენ, და შემდეგ ყიდიან. ხშირ შემთხვევაში, ეს ფული გადასახადების ან ქირის დაფარვისთვისაა გამოყენებული. ასეთ სიტუაციაში შეიძლება ითქვას, რომ კომერციალიზაცია ასოცირდება გლეხობასთან. **გლეხები** სოფლის მოსახლეები არიან, რომლებიც აწარმოებენ მოსავალს საკუთარი არსებობისთვის, მაგრამ ნამატს მათ მიჰყიდიან, ვინც არ აწარმოებს საკვებს საკუთარი არსებობისთვის ანუ ქალაქის მოსახლეობას.

გლეხები პირველად სახელმწიფოსა და ურბანული ცივილიზაციის წარმოშობისას გაჩნდნენ, დაახლოებით 5000-6000 წლის წინ. მას შემდეგ ისინი მუდმივად არიან ასოცირებულნი ცივილიზაციასთან.[31] მაგრამ იმის მტკიცებას, რომ გლეხობა ყოველთვის თან ახლავს ურბანულ საზოგადოებებს, მცირე განმარტება სჭირდება. თანამედროვე, მაღალინდუსტრიულ, ურბანულ საზოგადოებებში გლეხობის ძალიან მცირე საჭიროება არსებობს. მათი წარმოების მასშტაბი უმნიშვნელოა, მიწის გამოყენება — არაეკონომიური. მაღალინდუსტრიული საზოგადოება, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა თავად არ აწარმოებს საკვებს, იყენებს მექანიზებულ სოფლის მეურნეობას. შედეგად, გლეხობა თანდათან გადადის, თუ უკვე არ გადასულა, ყველაზე პერიფერიულ არსებობაზე ინდუსტრიულ ქვეყნებში. ამრიგად, ის ასოცირებულია არა ურბანულ, არამედ პრეინდუსტრიულ საზოგადოებასთან. სწორედ ასეთ ქვეყნებში არის გლეხობა ჯერ კიდევ შენარჩუნებულნი. აქ ისინი ამუშავებენ მიწას, მოჰყავთ საჭირო რა-

ჩაი გახდა ძირითადი საშემოსავლო კულტურა მსოფლიო ბაზარზე. ქალი ატარებს დიდ ქუდს, რომ თავი დაიცვას მზისგან, როცა ჩაის კრეფს დასავლეთ იავაში, ინდონეზია.

ოდენობის მოსავალი, რაზეც დამოკიდებულია დანარჩენი საზოგადოება, კერძოდ, ქალაქის მოსახლეობა.

რა ცვლილებები მოაქვს გლეხობის განვითარებას? ერთი მხრივ, გლეხის ძველ საქმიანობაში ამით დიდი სიახლეები არ შედის. გლეხი კვლავაც მოვალეა, აწარმოოს იმდენი საკვები, რომ შეინახოს ოჯახი, შეავსოს დანახარჯი და გაწვდეს ცერემონიული მოვალეობების შესრულებას (მაგ. შვილის ქორწილი, სოფლის ზეიმები და დაკრძალვები). მაგრამ მეორე მხრივ, გლეხების მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, რადგანაც მათ უწევთ ზედმეტი მოსავლის მოყვანა გარეშე ჯგუფის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, იქნებიან ესენი მიწის მფლობელები თუ სახელმწიფო მოხელეები. გარეშე ჯგუფები ელიან გადასახადების ან ქირის გადახდას ნატურით ან ვალუტით. მათ შეუძლიათ იძულება, რადგან განკარგავენ სამხედრო ძალებსა და პოლიციას.

კომერციული და ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის გავრცელება. კომერციალიზაცია კომერციული სოფლის მეურნეობის, მოსავლის მოყვანა, გაყიდვისთვის და არა მოხმარებისთვის, დაწყებასთან ერთად გაჩნდა. სოფლის მეურნეობის სისტემა შეიძლება ინდუსტრიალიზებული გახდეს. სხვა სიტყვებით, წარმოების ზოგიერთი პროცესი, როგორიცაა მოფოცხვა, ფარცხვა, მორწყვა და მოსავლის აღება, შეიძლება მანქანით გაკეთდეს. კომერციული სოფლის მეურნეობა ძირითადად ისევე მექანიზებულია, როგორც ნებისმიერი ინდუსტრიული მეურნეობა. მიწა მუშავდება მისგან მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, ხოლო მუშებს ისევე ადვილად ქირაობენ და ითხოვენ, როგორც სხვა ინდუსტრიებში.

ი.ჯ. ჰობსბოუნმა აღნიშნა განვითარების ის ცვლილე-

ბები, რაც მოჰყვა მეთვრამეტე საუკუნის ინგლისსა და მოგვიანებით ევროპაში კომერციული სოფლის მეურნეობის გავრცელებას.[32] ახლო, თითქმის ნათესაური ურთიერთობა ფერმერსა და მუშას შორის გაქრა, ისევე როგორც ერთ დროს ეს მიწის მფლობელსა და დამქირავებელს შორის მოხდა. მიწას ახლა მოგების მიღების წყაროდ უფრო თვლიდნენ, ვიდრე ცხოვრების საშუალებად. მიწები ერთმანეთისგან გამოყოფილი და შემოსაზღვრული გახდა. მუშებს ქირაობდნენ შესაბამისი გასამრჯელოს ფასად. საბოლოოდ, როდესაც საერთო ბაზრისთვის მსხვილმასშტაბიანი წარმოება გახდა პრიორიტეტი, მუშების შეცვლა ტექნიკით დაიწყო.

კომერციული სოფლის მეურნეობის გავრცელებას თან ახლავს რამდენიმე სერიოზული შედეგი. თანდათან ვითარდება კლასთა პოლარიზაცია. ფერმერები და მიწათმფლობელები დიდად განსხვავდებიან დაქირავებულებისგან. ისევე, როგორც ქალაქში, მოხელე ხდება მეპატრონისგან განცალკევებული, თანდათან სოფლის ზონებში ვრცელდება წარმოების თითქმის ყველა ტიპი. მუშები გადადიან ურბანულ ცენტრებში სამსახურის ძიებაზე. ხშირად მათ აქ უარესი პირობები ხვდებათ, ვიდრე სოფელში.

კომერციულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლა შეიძლება გამოიხატოს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით. მაგრამ ხანდახან ამ ცვლილებას თან სდევს ცხოვრების დონის გაუარესება, თუ კომერციული მოსავლის ფასი ეცემა. მაგალითად, ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთის მშრალი ტერიტორიის მიწათმოქმედი და მწყემსი მოსახლეობა 1940 წლის შემდეგ სიზალის (მცენარე, რომლის ბოჭკოებიდანაც ტექსტილს ამზადებენ) წარმოებაზე გადაერთო. ეს სვლა, ერთი შეხედვით, მათი მშრალ გარემოში გადარჩენის უფრო უსაფრთხო საშუალება უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როდესაც მსოფლიოში სიზალის ფასი დაეცა, ბევრი მუშა იძულებული გახდა, შეემცირებინა კალორიული საკვების რაოდენობა შვილების რაციონში.[33]

კომერციალიზაცია შეიძლება სხვადასხვა გზით დაიწყოს: ადამიანებმა ყიდვა-გაყიდვა დაიწყონ, რადგან ხელს კიდებენ სახლთან ახლოს ან მოშორებით მუშაობას, იმიტომ, რომ ჰყიდიან არასასოფლო-სამეურნეო ნაწარმს, ჭარბ საკვებს ან ზედმეტ მოსავალს. კომერციალიზაციის ერთი ტიპი მეორეს არ გამორიცხავს. ნებისმიერ საზოგადოებაში ყველა სახის კომერციალიზაცია შეიძლება გაჩნდეს. მაგრამ, როგორც ჩანს, კომერციალიზაცია ნებისმიერ ტრადიციულ ეკონომიკაზე ერთნაირად მოქმედებს. ნაცვალგებისა და ნატურით ვაჭრობის ეთიკა კლებულობს ფულის მოხმარებასთან ერთად (ალბათ იმიტომ, რომ ფული სხვა საქონელზე უკეთესი შესანახია). კერძო საკუთრების უფლებები კოლექტიურიდან ინდივიდუალიზებული ხდება. ისეთ საზოგადოებებშიც კი, რომლებიც ადრე ეგალიტარულები იყვნენ, იცვლება რესურსების ხელმისაწვდომობა და საზოგადოება უფრო სტრატიფიცირებული ხდება.

რელიგიური ცვლილება

რასაკვირველია, კულტურის ცვლილების ტიპს მხოლოდ კომერციალიზაცია არ წარმოადგენს. დასავლური საზოგადოებების მზარდმა გავლენამ სხვადასხვა ადგილებში რელიგიურ ცვლილებასაც შეუწყო ხელი. ხშირად ეს ცვლილება წინასწარ გამიზნული ხერხებით ხორციელდებოდა, მისიონერების საშუალებით. მისიონერები თანაბარი წარმატებით ვერ ასრულებდნენ მოვალეობას. ზოგან მოსახლეობის უმრავლესობა ახალი რელიგიის მიმდევარი გახდა დიდი გულმოდგინებით. სხვაგან მისონერებს ყურადღებას არ აქცევდნენ, გაქცევას აიძულებდნენ და ხანდახან კლავდნენ კიდეც. ჩვენ სრულყოფილად მაინც არ გვესმის, რატომ იყვნენ მისიონერები ზოგან უფრო წარმატებულნი, ზოგან კი — ნაკლებად. და მაინც, მსოფლიოს ბევრ ნაწილში მისიონერთა საქმიანობა მთელი რიგი კულტურული ცვლილებების წამომწყები ძალაა. ერთი დასაშვები ვარაუდი შეიძლება იყოს: ისინი ისეთ საშუალებებსა და რესურსებს სთავაზობენ ადგილობრივებს, რაც ამცირებს ეკონომიკურ და ნებისმიერი სახის რისკს ახალ, ვესტერნიზებულ გარემოში.[34]

მაგრამ მისიონერული საქმიანობის პირდაპირი ეფექტების გარდა, დასავლეთთან კონტაქტი რელიგიურ ცვლილებებს უფრო ირიბი გზებითაც იწვევდა. ზოგ საზოგადოებაში დასავლეთთან კონტაქტმა უწესობისა და სულიერი დემორალიზაციის შეგრძნებები გააჩინა. რელიგიისა და მაგიის თავში ვისაუბრეთ, როგორ წარმოიშობოდა გამოცოცხლების მოძრაობანი ამგვარ საზოგადოებაში ძველი თავდაჯერებულობისა და კეთილდღეობის აღსადგენად. ახლა განვიხილავთ ტიკოპიის კუნძულელთა მოქცევის პროცესს, როგორც მისიონერების პირდაპირი კონტაქტით გამოწვეულ რელიგიურ ცვლილებას.

ქრისტიანობა ტიკოპიაში. ტიკოპია ერთ-ერთი პოლინეზიურ საზოგადოებათაგანია, რომელმაც მეოცე საუკუნემდე შეინარჩუნა ტრადიციული რელიგიური სისტემა. ანგლიკანური მისიით კუნძულზე პირველად 1911 წელს ჩავიდნენ. ჩასულთა შორის იყო მღვდელიც. დაარსდა ორი სკოლა დაახლოებით 200 მოსწავლისთვის. 1929 წლისთვის მოსახლეობის თითქმის ნახევარი უკვე მოქცეული იყო. 1960-იანი წლების ბოლოსთვის, ფაქტობრივად, მთელი ტიკოპია გაქრისტიანებული იყო.[35]

ტიკოპიის ტრადიციული რწმენა ბევრ ღმერთსა და სხვადასხვა სულს მოიცავდა, რომლებიც ცაში, წყალსა და მიწაზე ცხოვრობდნენ. ღმერთს, რომელიც მათი კულტურის შემოქმედად ითვლებოდა, განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მაგრამ ის ვერც კი შეედრებოდა ქრისტიანობის უძლეველ ღმერთს. ქრისტიანობისგან განსხვავებით, ტიკოპიური რელიგია უნივერსალურობას არ აღიარებდა. ტიკოპიის ღმერთები ყველა ცოცხალ და უსულო ქმნილებაზე კი არ ვრცელდებოდნენ, არამედ მხოლოდ ტიკოპიაზე. ითვლებოდა, რომ ვინც ტიკოპიას ტოვებდა, ის ღმერთებსაც ტოვებდა.

ტიკოპიელი ხალხი ღმერთებთან და სულებთან რელიგიური მეთაურების საშუალებით ურთიერთობდა, რომლებიც აგრეთვე სანათესაო ჯგუფების ლიდერებიც იყვნენ. კლანის მეთაურები ხელმძღვანელობდნენ ყოველდღიურ რიტუალებს, როგორებიცაა სახლის მშენებლობა, თევზაობა, მებაღეობა და მიწათმოქმედება. მეთაური ხალხის სახელით უნდა დაკავშირებოდა ღმერთებს და დაერწმუნებინა ის, მათთვის ბედნიერება და აყვავება მოეტანა. მართლაც, როდესაც ჯგუფში კარგი მდგომარეობა იყო, ითვლებოდა, რომ მეთაური თავის მოვალეობას კარგად ასრულებდა. ცუდის შემთხვევაში, მეთაურის პრესტიჟს ეჭვის თვალით უყურებდნენ. რატომ მოექცა ტიკოპია ქრისტიანულად? ფირტი ამის რამდენიმე მიზეზს განიხილავს:

პირველი, მისია სთავაზობდა მოსახლეობას ახალ ხელსაწყოებსა და სამომხმარებლო საქონელს. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მოქცევამ არ მოუტანა ხალხს ეს უპირატესობანი, მისიასთან ახლო კონტაქტმა ისინი უფრო ხელმისაწვდომი გახადა. მოგვიანებით ცხადი გახდა, რომ განათლებამ, კერძოდ კი ინგლისურად წერა-კითხვის სწავლამ, გარეშე სამყაროსთან ურთიერთობის უკეთესი საშუალება მისცა. მისიის სწავლება დიდად დაფასებული გახდა, რამაც მომავალ გაქრისტიანებას შეუწყო ხელი.

მეორე, ქრიტიანობის მხარდაჭერას რელიგიური მეთაურების მხარდაჭერამაც შეუწყო ხელი, რომლებსაც შეეძლოთ ერთბაშად მთელი მემკვიდრული ჯგუფი მოექციათ. როგორც კი მეთაური ქრისტიანობის მიღებას გადაწყვეტდა, მთელი მისი სანათესაოც მას ჰბაძავდა. 1923 წელს, როდესაც ტიკოპიის ფაეას რეგიონის მეთაურმა ტაფუამ ახალი რელიგია მიიღო, მან თან გამოიყოლა მთელი ჯგუფი — კუნძულის თითქმის მთელი მოსახლეობა. თუმცა, მეთაურების გავლენა თავის სანათესაო ჯგუფზე მისიონერთათვის დახმარებაც იყო და დაბრკოლებაც,

ხალხი ნებაყოფლობით ექცეოდა ქრისტიანობის გავლენის ქვეშ მე-19 საუკუნეში სამოაში. ბავშვები ხაზზე დადგნენ ეკლესიასთან თეთრი კვირის დღეს, რომელიც წელიწადში ერთხელ დგება.

რადგან ზოგი მეთაური მედგრად უწევდა წინააღმდეგობას ამ პროცესს.

ტიკოპიის ტრადიციული რელიგიის საბოლოო აღსასრული 1955 წელს დადგა, როდესაც რამდენიმე სერიოზულმა ეპიდემიამ 1700-იანი მოსახლეობის 200 წევრი იმსხვერპლა. ფირტის აზრით, ეს ეპიდემიები მოსახლეობამ ღვთის რისხვად აღიქვა, რადგან მათ რამდენიმე გამორჩეული არაქრისტიანი ლიდერი ემსხვერპლა.[36] თანდათანობით, დარჩენილი მოუქცეველი მეთაურებიც ნებაყოფლობით გაქრისტიანდნენ, ასევე მოიქცნენ მათი მიმდევრები. 1966 წლისთვის მთელი ტიკოპია, ერთი მოხუცებული ქალის გარდა, მთლიანად ახალი რელიგიის მიმდევარი გახდა.

იმის მიუხედავად, რომ ბევრს მიაჩნია, თითქოს ქრისტიანულად მოქცევამ გააერთიანა საზოგადოება და შთაბერა მას ახალი სასიცოცხლო ძალა, ერთი მრწამსიდან მეორეზე გადასვლის პროცესს პრობლემების გარეშე არ ჩაუვლია. ტიკოპიაზე მყოფებმა შეძლეს ტრადიციული მოსახლეობის რაოდენობის კონტროლის სისტემის მოშლა, როგორიც იყო აბორტი, ჩვილების მკვლელობა და მამაკაცთა დაუქორწინებლობა. მოსახლეობის რაოდენობაზე კონტროლის ამ საშუალებების მოშლამ კუნძულზე, რომელსაც სიცოცხლის უზრუნველყოფისთვის შეზღუდული ტერიტორია მოეპოვება, შესაძლოა, საბოლოოდ ცუდი შედეგები გამოიღოს. ფირტმა შეაჯამა ის სიტუაცია, რაც ტიკოპიელებს მოელოდათ:

ისტორიაში ტიკოპიის ქრისტიანულად სრული მოქცევა მიჩნეულია მათი პრობლემების გადაჭრის გზად. თუმცა ახლა აღმოჩნდა, რომ ქრისტიანობის მიღება და ღვთისმსახურება ამ კუნძულისთვის თავად წარმოადგენს ახალ პრობლემას.[37]

საუბედუროდ, ქრისტიანობაზე გადასვლის პროცესი ტიკოპიის ყველა მცხოვრებისთვის უმტკივნეულო არ ყოფილა. მართლაც, ამ პროცესის შემთხვევათა უმრავლესობა დამთრგუნველია. სულ უფრო ხშირად მისიონერთა საქმიანობა ძირს უთხრის ადგილობრივ ტრადიციულ კულტურას და საკუთარი თავის პატივისცემას. ფილიპ მასონმა, აფრიკაში ევროპელი ევანგელისტების კრიტიკოსმა, ჩამოთვალა მისიონერთა საქმიანობის შედეგად მიყენებული ზიანის მაგალითები.[38] მისიონერები გამუდმებით ხაზს უსვამდნენ ცოდვასა და დანაშაულს. ისინი იყენებდნენ შავ ფერს ბოროტების გამოსახატავად და თეთრს — სიკეთის. ისინი მტრულად იყვნენ განწყობილნი წარმართული კულტურის მიმართ. ყველაზე გამანადგურებელი შედეგის მატარებელი იყო დაპირება აფრიკელებისადმი, რომ თუ ისინი შეეგუებოდნენ ევროპული ცხოვრების სტილსა და დოგმებს, მათ კარი ღია ექნებოდათ ევროპელთა სამოთხესა და საზოგადოებაში. მაგრამ მიუხედავად აფრიკელების იმ მონდომებისა, მიჰყოლოდნენ მისიონერთა ქადაგებას და ასულიყვნენ სოციალ-ეკონომიკურ კიბეზე, მათ მალე მაინც ეკეტებოდათ გზა ევროპულ სახლებში, კლუბებსა და ეკლესიებშიც კი.

პოლიტიკური და სოციალური ცვლილება

კომერციალიზაციასა და რელიგიურ ცვლილებასთან ერთად დასავლურმა ექსპანსიამ პოლიტიკური ცვილებებიც მოიტანა, როცა ქვეყნებში მთავრობის უცხო სისტემები გამოცხადდა. მაგრამ, როგორც საბჭოთა კავშირსა და აფრიკაში მომხდარმა ახლანდელმა მოვლენებმა ცხადყო, რადიკალური პოლიტიკური ცვლილებები შეიძლება ნებაყოფლობითაც მოხდეს. ალბათ პოლიტიკური ცვლილების ყველაზე გასაოცარი ტიპია დემოკრატია.

პოლიტიკური მეცნიერებისათვის დემოკრატია ნიშ-

ნავს მოსახლეობის დაშვებას ხმის მიცემის პროცესზე, მთავრობის პერიოდულად ჩატარებული არჩევნებით დანიშვნას, უმრავლესობის მიერ დანიშნულ მთავარ აღმასრულებელს ან პასუხისმგებელს, არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს, სამოქალაქო თავისუფლებების არსებობას, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება. ამ კრიტერიუმების მიხედვით, მეოცე საუკუნის დასაწყისში მხოლოდ 12-15 დემოკრატია არსებობდა. ამ რიცხვმა იკლო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რადგან რუსეთში, იტალიაში, გერმანიაში, ცენტრალურ ევროპაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებშიც დიქტატურები დამყარდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაერო-ს დაარსებასთან დაკავშირებული მთელი რიტორიკის მიუხედავად, სურათი დიდად არ შეცვლილა. ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ზოგი წევრი დემოკრატიული არ იყო. არც უფრო დიდი დასავლური მოკავშირეები იყვნენ დემოკრატიულნი ლათინურ ამერიკაში, შუა აღმოსავლეთსა და აზიაში.

მხოლოდ 1970-80-იანი წლებში დაიწყო ხალხმა (და არა მარტო მეცნიერებმა) იმის შემჩნევა, რომ დემოკრატია მსოფლიოში სულ უფრო ვრცელდებოდა. ადრეული 1990-იანი წლებისთვის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და მაშინდელი კანდიდატი ბილ კლინტონი უკვე საუბრობდნენ „დემოკრატიული მშვიდობის“ გავრცელებაზე. 1992 წლისთვის ქვეყანათა თითქმის ნახევარში მეტ-ნაკლებად დემოკრატიული წყობა იყო, ზოგიც — გარდამავალ ეტაპზე იმყოფებოდა.[39] სოციალურ მეცნიერებს დღესაც ვერ აუხსნიათ, რატომ ხდება ეს ცვლილება. მაგრამ შესაძლოა, იდეათა გლობალურ კავშირს ამასთან რაღაც საერთო ჰქონდეს. ავტორიტარულ მთავრობებს შეუძლიათ, აკონტროლონ საკუთარი გაზეთები და ხელი შეუშალონ ჯგუფთა შეხვედრებს, მაგრამ ისინი ვერ შეაჩერებენ იდეათა ტელეფონითა და ინტერნეტით გაცვლა-გამოცვლის პროცესს. იდეათა მოძრაობა, რასაკვირველია, ვერ ხსნიდა ამ იდეათა საყოველთაო აღიარებას. რატომ გავრცელდა დემოკრატია უფრო მეტ ქვეყანაში, ვიდრე აქამდე, საჭიროებს ახსნას.

თანამდროვე მსოფლიოში კიდევ ერთი, კულტურის ხშირი ცვლილების ტიპია მზარდი სოციალური სტრატიფიკაცია. ეკონომიკური ცვლილების გამო, ზოგი ჯგუფი უფრო პრივილეგირებული და ძალაუფლებიანი გახდა. მაგალითად, ზოგადად მიიჩნეოდა, რომ ახალი ტექნოლოგიის შემოღებასთან ერთად გაიზრდებოდა სოციალური სტრატიფიკაციის ხარისხიც.[40] როცა თოვლმავალი მანქანების გამოყენება დაიწყეს ლაპარებმა (ფინო-უნგრული წარმოშობის ხალხები) სამწყემსოდ, მათ, ვინც გარკვეული მიზეზების გამო „თოვლმავალთა რევოლუციაში” მონაწილეობის მიღება შეძლეს, უფრო მეტი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვეს. ხოლო მათ, ვინც ვერ შეიძინა ახალი მანქანები, შეადგინეს ეკონომიკურად გაჭირვებული კლასი — მანქანებისა და ჩრდილოეთის ირმების გარეშე.[41]

გლობალიზაცია: პრობლემები და შესაძლებლობები

საინვესტიციო კაპიტალი, ადამიანები და იდეები მსოფლიოს გარშემო მოძრაობენ ძალიან მაღალი სიჩქარით.[42] ტრანსფორმაციები ახლა საშუალებას აძლევს ადამიანებსა და საქონელს, იბრუნონ მსოფლიოს გარშემო, ტელეკომუნიკაციები და ინტერნეტი შესაძლებელს ხდის შეტყობინების წამებში გაგზავნას მსოფლიოს ერთი ბოლოდან მეორეში. ეკონომიკური გაცვლა-გამოცვლა, ძირითადად, უფრო გლობალური და ტრანსნაციონალურია. სიტყვა **გლობალიზაცია** დღეს ხშირად იხმარება „საქონლის, ადამიანების, ინფორმაციისა და კაპიტალის დედამიწის უზარმაზარ ზედაპირზე, უზარმაზარ ტერიტორიებზე გადააგილების”[43] აღსანიშნავად. გლობალიზაციის პროცესის შედეგია მსოფლიოს გარშემო მსგავსი კულტურული შტრიხების გავრცელება, კერძოდ კი ეკონომიკისა და საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში. ჩვენ ვყიდულობთ იმავე კომპანიებისგან (რომლებსაც აქვთ ქარხნები მთელი მსოფლიოს გარშემო), ვიყიდით პროდუქტებსა და მომსახურებას მსოფლიო ბაზრის მიერ დადგენილ ფასებში. ჩვენ შეგვიძლია მივირთვათ პიცა, ჰამბურგერი, კერი (ინდური ნამცხვარი) ან სუში ურბანული ცენტრების უმრავლესობაში. კულტურები ერთგვარად იცვლება რაღაც ასპექტებით. ისინი უფრო კომერციულნი გახდნენ, უფრო ურბანულები და უფრო საერთაშორისო. სამსახური უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ნათესაობა — ნაკლებად, რადგან ადამიანები გადადიან სხვა ქვეყნებში საცხოვრებლად ან სამუშაოდ და სამშობლოში მხოლოდ პერიოდულად ჩადიან. იდეები დემოკრატიის შესახებ ინდივიდთა უფლებები, ატერნატიული სამედიცინო დახმარება ან პრაქტიკა და რელიგიები სულ უფრო გავრცელებული ხდება. მსოფლიოს გარშემო ადამიანები ერთ სატელევიზიო გადაცემებს უყურებენ, აქვთ ჩაცმის ერთნაირი სტილი, უსმენენ ერთნაირ ან მსგავს მუსიკას. მოკლედ, სხვადასხვა კულტურის

დემოკრატია — არჩევნების ფართოდ გაშლილი ხმის მიცემის პროცესი, რომელიც მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. სამხრეთ აფრიკის სოფლის მოსახლეობა არჩევანის გასაკეთებლად ხაზზე დგას.

ხალხი სულ უფრო ემსგავსება ერთმანეთს საქციელით, რწმენებითა და მოსაზრებებით. როგორც პოლ დურენ-ბერგერმა აღნიშნა, კულტურები მსოფლიოს გარშემო სულ უფრო ნაკლებად ,,შემოსაზღვრულები" ხდებიან.[44]

გლობალიზაცია ახალი მოვლენა არაა. მსოფლიო გლობალური და ურთიერთდამოკიდებულია XVI საუკუნი-დან.[45] რასაც ჩვენ დღეს გლობალიზაციას ვეძახით, წინათ განხილული მოვლენების — დიფუზია, აკულტურიზაცია, კოლონიალიზმი, იმპერიალიზმი, კომერციონალიზმი — უფრო ფართო და მრავლისმომცველი ვერსია. თუმცა, გლობალიზაცია უფრო მასშტაბური დონისაა. მსოფლიო საბაზრო ადგილებში მომხდარმა ცვლილებამ ახლა უფრო გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ერთეული ქვეყნის კეთილდღეობაზე. მაგალითად, პაკისტანის ინდუსტრიუ-ლი მუშახელის 60% დაკავებულია ქსოვილისა და სამოსის წარმოების სფეროში. მაგრამ სერიოზული უმუშევრობა დაიწყო, როდესაც წარმოებას პრობლემები გაუჩნდა, როდესაც ამერიკამ იმპორტზე შეზღუდვები დააწესა და როცა გაჩნდა ავღანეთსა და ინდოეთს შორის ომის დაწ-ყების საშიშროება.[46]

როგორც ამ თავში ვნახეთ, კოლონიალიზმს, იმპერი-ალიზმსა და გლობალიზაციას ბევრი უარყოფითი შედეგი სდევს თან. ბევრ ადგილას ადგილობრივმა მოსახლეობამ დაკარგა თავისი მიწა და იძულებული გახდა, ემუშავა არაადეკვატური გასამრჯელოს სანაცვლოდ კაპიტალი-სტების მაღაროებში, პლანტაციებსა და ქარხნებში. ხში-რია არასაკმარისი კვება, შიმშილი თუ არა. მოაქვს კი რაიმე დადებითი შედეგი ამ მოვლენებს? როგორც ჩვენ სოციალური სტარტიფიკაციის თავში აღვნიშნეთ, გაერ-თიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შეგროვებული ,,ადამიანის განვითარების ინდიკატორები" ბევრ შემ-თხვევაში გაუმჯობესებას მოწმობს. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა და წიგნიერების დონე. სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა უდავოდ დაკავშირებულია სამედიცინო დარგის განვი-თარებასთან. ძირითადად, ნაკლები ომები ხდება, რადგან კოლონიური ძალები კოლონიებში მშვიდობას ავრცელე-ბენ, ხოლო დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ეს ქვეყ-ნებიც ნაკლებ მიდრეკილნი არიან ომისკენ. ყველაზე მნიშ-ვნელოვანი ალბათ არის მსოფლიოს მასშტაბით საშუალო კლასის გავრცელება, რომლის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია კომერციის გლობალიზაციაზე.

მსოფლიო ვაჭრობა ეკონომიკური განვითარების უმ-ნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალაა. იზრდება შემო-სავალი ერთ სულ მოსახლეზე. ორმოცი წლის წინ აფრიკის ქვეყნები უღარიბეს სახელწიფოთა რიცხვს შეადგენდნენ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით. მსოფლიო ვაჭრობაში სიტუაციის ცვლილების გამო, მათი შემოსავალი საგრძნო-ბლად გაიზარდა. 1960 წელს სამხრეთ კორეა, ინდოეთის მსგავსად, ღარიბი იყო. ახლა მისი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ინდოეთისაზე 20-ჯერ მეტია. გვიან 1960-იან წლებში სინგაპურის ეკონომიკა კატასტროფულ მდგო-მარეობაში იყო. დღეს მისი შემოსავალი ერთ სულ მო-სახლეზე ბრიტანეთისაზე მაღალია.[47] მექსიკა ის ადგილი იყო, სადაც ჩრდილოამერიკელები აშენებდნენ ქარხნებს მათთვისვე ტანისამოსის საწარმოებლად. ახლა მისი მუშახელი ისეთი იაფი აღარაა, რადგან უკვე ადვილად მიუწვდებოდათ ხელი ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე და რადგან მისი მრავალრიცხოვანი მუშახელი დაეუფლა საჭირო ხელობას, მექსიკაში ახლა ვითარდება მაღალტე-ქნოლოგიური წარმოება შესაფერისი გასამრჯელოთი.[48]

მსოფლიო ვაჭრობაში საქონელთან ერთად ადამიან-ებიც მონაწილეობენ. ბევრი ქვეყნიდან ადამიანები საზ-ღვარგარეთ მიდიან. მექსიკაც ამ ქვეყნების რიგში იყო აქამდე. ფაქტობრივად, ბანგლადეშის ყოველი ოჯახი დამოკიდებულია საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულ ნათე-სავზე, რომელიც ფულს უგზავნის მათ. ამ გზავნილების გარეშე ბევრი შიმშილით დაიხოცებოდა. მთავრობები ხალხის უცხოეთში წასვლის მომხრენი არიან. მილინო-ბით ადამიანი ბანგლადეშიდან ახლა საზღვარგარეთ არის მთავრობის დაფინანსებით, სამსახურებრივი ხელშეკ-რულებით.[49]

ნიშნავს კი ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი, ზოგა-დად, ქვეყანაში ცხოვრების გაუმჯობესებას? ყოველთვის არა. როგორც სოციალური სტრატიფიკაციის თავში ვნახ-ეთ, ტექნოლოგიური გაუმჯობესება ქვეყანაში უთანას-წორობის ზრდის მიზეზია, რადგან მდიდრები ნოვაციები-სგან მეტ სარგებელს ნახულობენ. თანაც, ეკონომიკური კეთილდღეობა ხშირად ცოტა რაოდენობის ქვეყნების ხელშია თავმოყრილი. ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ყველ-გან არ არის უკეთესობა, იმის მიუხედავად, რომ ზოგადად ქვეყანათა უმრავლესობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. გახშირდა სიღარიბე, მას შემდეგ, რაც ქვეყნები უფრო უთანასწორონი გახდნენ.

ალბათ, შეუძლებელია იმ დროის დაბრუნება, როცა ქვეყ-ნები ერთმანეთზე ამრიგად დამოკიდებულნი არ იყვნენ, არც მსოფლიო ვაჭრობით ურთიერთდაკავშირებულნი და კომერციული გაცვლაც ასეთი მნიშვნელობის არ იყო მათთვის. მათაც კი, ვინც გლობალიზაციის პროცესით ყველაზე უკმაყოფილო იყო, ვერ წარმოუდგენიათ, რომ შესაძლებელია ნაკლებად ურთიერთდაკავშირებული მსოფლიოს არსებობა. რაც უნდა იყოს, მსოფლიო ურთ-იერთდამოკიდებულია და ასეთად დარჩება. ახლა საქმე ისაა, ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური განვითარება გა-დაიზრდება თუ არა ინდივიდთა უმრავლესობის ეკონომი-კური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ეთნოგენეზისი: ახალ კულტურათა წარმოშობა

ჩვენს მიერ განხილულმა პროცესებმა — დასავლე-თისა და სხვა ძლევამოსილი ქვეყნების ექსპანსიამ და დომინირებამ, ადამიანთა ტრადიციული სარჩოს მოპ-ოვების საშუალებების გაუქმებამ, სკოლების დანერგვამ და აკულტურაციის გამომწვევმა სხვა მეთოდებმა, ადა-მიანის გარკვეულ რელიგიურ მრწამსზე მოქცევის მცდ-ელობებმა და გლობალიზაციამ — გამოიწვიეს ძირეული კულტურული ცვლილებები. მაგრამ, თუ თანამედროვე მსოფლიოში კულტურულმა ცვლილებებმა ქვეყნები ერთ-მანეთს მეტად დაამსგავსა, მას არ აღმოუფხვრია ყველა კულტურული განსხვავება. მართლაც, დღესაც კი ადა-მიანები ძალიან განსხვავდებიან ერთმაენთისგან კულ-ტურულად. ხშირად, ძალადობრივი მოვლენების შემდეგ, როგორიცაა მოსახლეობის მასობრივი ხოცვა, გაძევება, დამონება და გენოციდი, დაჩაგრული ხალხები ქმნიდნენ ახალ კულტურებს. ამ პროცესს **ეთნოგენეზი** ეწოდება.[50]

ეთნოგენეზისის ყველაზე დრამატული მაგალითები განვითარდა იმ ადგილებში, სადაც გაქცეული მონები (მარუნებად — ყავისფერებად წოდებულები) ახალ კულ-ტურებს ქმნიდნენ. მარუნთა საზოგადოებები ახალი მსოფლიოს ტერიტორიებზე ბოლო ასი წლის მანძილზე იქმნებოდა. ახალი კულტურათაგან ერთ-ერთი, ახლა ალუსკუს სახელით ცნობილი, წარმოიშვა, როცა მონები სურინამის სანაპირო პლანტაციებიდან გამოიქცნენ და დასახლდნენ მდინარე ცოტიკას ჭაობიან ნაპირებზე. ჰოლანდიელ კოლონისტებთან ომის შემდეგ ეს ჯგუფი საფრანგეთის გაიანაში გადავიდა. გამოქცეული მონე-ბი, ძირითადად აფრიკის სხვადასხვა კულტურებისგან იყვნენ წარმოშობილნი ან სურინამის პლანტაციებზე იყვნენ დაბადებულნი. ეს ჯგუფები ავტონომიურ ერ-თეულებად ყალიბდებოდნენ, სამხედრო მეთაურით სა-თავეში.[51] ისინი მისდევდნენ ჩეხვა-დაწვით მეთოდს (ეს არის მოკლევადიანი მინათმოქმედების მეთოდი, რომლის დროსაც მიწა სუფთავდება მასზე არსებული ყველა ხისა და მცენარის დაწვისა და განადგურების საშუალებით. ეს მიწა დროებით სოფლის მეურნეობისთვის გამოიყენება) და ძირითად სამუშაოს ქალები ასრულებდნენ. მართა-

მიმდინარე კვლევა და საკითხები

კულტურის ცვლილება და შეუპოვრობა კომუნისტურ ჩინეთში

1949 წლის, ჩინეთში კომუნისტური გადატრიალების შემდეგ წლებში ცენტრალურმა მთავრობამ მრავალი ცვლილება წამოიწყო ოჯახურ ცხოვრებაში. ბევრი ამ ცვლილებათაგანი, ფაქტობრივად, ძალით ხორციელდებოდა. ადამიანებს, ვინც მათ ეწინააღმდეგებოდა, ხშირად ციხეში სვამდნენ ან ასახლებდნენ. წინაპართა გაღმერთება და ნათესაური ორგანიზაციები იდევნებოდა და არალეგალურად ითვლებოდა. კერძო საკუთრება გაუქმდა, რამაც ოჯახურ ერთგულებას მოუღო ბოლო. რატომ მივიღო ოჯახურ საქმიანობაში მონაწილეობა, თუ ამით ვერანაირ ეკონომიკურ ჯილდოს ვერ მოვიპოვებ? მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ცენტრალურმა მთავრობამ მთლიანად ვერ შეცვალა ოჯახური ცხოვრება. ძალით შეკავებასაც აქვს თავისი საზღვრები.

მთავრობას, შეიძლება, სურდა ოჯახისა და ნათესაობის შეზღუდვა, მაგრამ მისმა ინვესტიციებმა სამედიცინო მომსახურებასა და შიმშილის აღმოფხვრის პროგრამებში შეამცირა სიკვდილიანობა და ამრიგად, გააძლიერა ოჯახური კავშირები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ადამიანთა შორის ისეთი ნათესაური კაშირების დამყარებას, რომელიც 1949 წლამდეც კი არ არსებობდა. მთავრობას სურდა, გაეუქმებინა დიდი ოჯახების პატრიარქების ძალაუფლება და ავტორიტეტი. მაგრამ ახლმა ჯანსაღმა გარემოებებმა წარმოშვა კიდევ უფრო მსხვილი, მრავალთაობიანი ოჯახები, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური კავშირებით სხვა ნათესაურ ჯგუფებთან.

როცა ჩინეთი ანთროპოლოგებისთვის და სხვა უცხოელი მკვლევრებისთვის უფრო ღია გახდა, ბევრი მეცნიერი ჩავიდა აქ ჩინური ოჯახების განსხვავებულობისა და მსგავსების შესასწავლად. მათი უმრავლესობა ყურადღებას ჩინელ ჰანებზე ამახვილებდა (ისინი მოსახლეობის 95%-ს შეადგენდნენ). მკვლევრებმა შეისწავლეს ასევე 55 ცნობადი კულტურული უმცირესობა. ბარტონ პასტერნაკმა, ამერიკელმა ანთროპოლოგმა, ჟანეტ სალაფმა, კანადელმა ანთროპოლოგმა და ჩინელმა სოციოლოგებმა ჰანის ოთხი თემი შეისწავლეს, რომლებიც გადავიდნენ დიდი კედლის მიღმა და დასახლდნენ მონღოლეთის საზღვართან (შიდა მონღოლეთი ჩინეთის ნაწილია). მათი კვლევის შედეგების მიხედვით, მთავრობის ზეწოლის მიუხედავად, ის, რაც იცვლება და ინახება საზოგადოებაში, ასახავდა ეკონომიკურად და ეკოლოგიურად შესაძლებელ მოვლენებს. ინტენსიური სოფლის მეურნეობის ტრადიცია ვერ მოიკიდებს ფეხს უწყლო მიდამოში. მთავრობის მოთხოვნა ერთი შვილის ყოლის შესახებ ვერ აღმოფხვრის უფრო მეტი შვილის ყოლის სურვილს.

ჰანის ფერმერები, რომლებმაც გადაკვეთეს დიდი კედელი, უკეთეს ცხოვრებას ეძებდნენ. ისინი აქ ნიადაგისა და კლიმატის სირთულეებს წააწყდნენ, რამაც ბევრი აიძულა, უკან დაბრუნებულიყო. მაგრამ ბევრი შეეგუა სათიბ საძოვარ მიწებს და დარჩა. ზოგი კვლავ ფერმერობით ირჩენდა თავს. ზოგი სათიბი მიწების იქით დასახლდა და მწყემსობას მიჰყო ხელი. მწყემსი ჰანები ახლა ბევრ ასპექტში ჰგვანან მონღოლ მწყემსებს. სამუშაოს სქესობრივი დაყოფა ჰანელ მწყემსებს შორის უფრო გამძაფრდა, ვიდრე ჰანელ ფერმერებს შორის, რადგან მწყემსობისას მამაკაცები უფრო დიდი ხნით შორდებიან ხოლმე ოჯახებს. მწყემსთა ბავშვები, რომელთაც სამუშაოს ნაკლებად ანდობენ, რადგან შეცდომები შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეთ, უფრო მეტ დროს სკოლებში ატარებენ. ალბათ იმიტომ, რომ ბავშვები ფერმაში საკმაოდ საჭირონი არიან, ფერმერ ჰანებს უფრო მეტი შვილები ჰყავთ, ვიდრე მწყემსებს. მაგრამ ორივე ჯგუფში ოჯახში ერთზე მეტი ბავშვი ჰყავთ ხოლმე. მწყემსებს ფერმერებზე ნაკლებად სჭირდებათ თანამშრომლობითი შრომა. ამიტომაც ჰანელი მწყემსები უფრო ნეოლოკალური დამოუკიდებელ ოჯახებად ცხოვრობენ, ვიდრე პატრილოკალურ დიდ ოჯახებად (რაც ერთ დროს ტრადიცია იყო). მოკლედ რომ ვთქვათ, სათიბ მიწებთან ჰანელების შეგუება შეიძლება უფრო ეკოლოგიური მოთხოვნებით აიხსნას, ვიდრე ეთნიკური ტრადიციით.

მართალია, ჰანელთა დიდი უმრავლესობა მონღოლებს დაემსგავსა გარემოსთან ადაპტაციისას, ბევრი მონღოლი ურბანულ ცხოვრებას მიეჩვია და ჩამოშორდა მწყემსურ სამუშაოს. ჩინეთის მთავრობა თავდაპირველად მომხრე იყო არამონღოლური წარმოშობის ადამიანების შიდა მონღოლეთში გადასახლებისა, კერძოდ, მის ახალ დედაქალაქ ჰუჰოტში. ამავდროულად, აქ ბევრი მონღოლიც გადადიოდა საცხოვრებლად სათიბი მიწებიდან. ჩინეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა ყოველი არაჰანური წარმოშობის ეთნიკური ჯგუფი უმცირესობად გამოეცხადებინა მათ ტრადიციულ მიწაზე. პარადოქსულად, მთავრობა ამავე დროს ცდილობდა, გამოეცოცხლებინა უმცირესობათა ეთნიკური სიამაყე მათ ტრადიციულ კულტურაში. ამრიგად, ქალაქი ჰუჰოტი სავსეა ტრადიციული სამწყემსო კულტურის სურათებით შენობებსა და მონუმენტებზე.

როგორცაღწერდაანთროპლოგი უილიამ ჯანკოვიაკი, რომელიც შეისწავლიდა ჰუჰოტელ მონღოლებს, მისი კვლევის პასუხები არ ემთხვეოდა ჩინეთის მთავრობის მოლოდინსა და განზრახვას. მონღოლებს ბევრ შემთხვევაში ზურგი ექციათ ტრადიციული კულტურისთვის და ასიმილირებულიყვნენ დომინანტი ჰანის კულტურასთან. მაგრამ ამ შედეგში ჩვენ უფრო ეკოლოგიის გავლენას ვხედავთ, ვიდრე ტრადიციის. ქალაქელ მონღოლთა უმრავლესობა აღარ საუბრობს მონღოლურ ენაზე. მშობლებს უჭირთ შვილები აიძულონ, მონღოლურად ილაპარაკონ, როდესაც ისინი ჰანელთა შორის ცხოვრობენ. საცხოვრებელი ადგილის სიმცირის გამო, მონღოლებს უჭირთ ეთნიკური ანკლავის შექმნა და ნათესავებთან ახლოს ცხოვრება, როგორც ეს წარსულში ხდებოდა. სოფლად ცხოვრებისგან განსხვავებით, რომელიც ნათესაური კლანის გარშემო არის ხოლმე განლაგებული, ქალაქის ცხოვრება მოიცავს როგორც ნათესავებთან, ისე უცხოებთან ურთიერთობას. მართლაც, ხშირად არანათესავები უფრო მნიშვნელოვანნი ხდებიან ჩვენთვის, ვიდრე ნათესავები. როგორც ერთმა პიროვნებამ უთხრა ჯანკოვიაკს: „ჩვენ ვემალებით ბიძაშვილებს, მაგრამ არა — მეგობრებს.”

ლია, ეს დასახლებები იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს მტრისგან თავის დასაღწევად, მაგრამ მუდმივი რეზიდენცია თემში და მიწის კოლექტიური ფლობა ახლად წარმოშობილ ერთეულებში, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. თემები სპეციფიკურ სახელებს ატარებდნენ, ხშირად იმ პლანტაციის სახელწოდებებს, საიდანაც გამოიქცნენ მათი ლიდერები. დაიწყო განვითარება მემკვიდრეობითობის დედის ხაზით გადასვლამ, სრულად განვითარებული მატრიარქატული კლანები თითოეული სოფლის ბირთვად იქცნენ. თითოეულ სოფელს თავისი სალოცავი ადგილი ჰქონდა, ფააკი ტიკი, სადაც დაივანებდნენ კლანის წინაპრები. ასევე არსებობდა სპეციალური სახლები, სადაც მოასვენებდნენ გარდაცვლილებს, რათა პატივი მიეგოთ და გამომშვიდობებოდნენ მათ, სანამ ტყეში დაკრძალავდნენ. კლანებს ასევე მუდამ თან დაჰყვებოდნენ შურისმაძიებელი სულები, რომლებთან კონტაქტსაც ისინი მედიუმების საშუალებით ამყარებდნენ.

ალუკუს შემთხვევა ეთნოგენეზისის ნათელი მაგალითია, იმიტომ, რომ ეს კულტურა არ არსებობდა 350 წლის წინ. ის წარმოიშვა ისეთი ადამიანების მიერ, რომლებიც ცდილობდნენ, შეჰგუებოდნენ მათგან დამოუკიდებლად წარმოქმნილ გარემოებებს. ეთნიკური თვიდმყოფადობის წარმოშობის სხვა შემთხვევების მსგავსად, ალუკულებს შორის არამარტო ქცევის ერთნაირი წესები განვითარდა, არამედ მათ დაიწყეს იმის დაჯერება, თითქოს ერთი ძირისანი იყვნენ (ჰყავდათ საერთო წინაპრები), ჰქონდათ საერთო ისტორია და რელიგია.[52]

ფლორიდაში სემინოლეს წარმოშობა ეთნოგენეზისის სხვა შემთხვევაა. ადრეული მოსახლეები, რომლებიც დღევანდელი ფლორიდის ტერიტორიაზე დასახლდნენ და სემინოლეს სახელით გახდნენ ცნობილი ძირითადად ლოვერ კრიკის კავიტას სამთავროდან იყვნენ წარმოშობით. კავიტას სამთავრო, როგორც ყველა დანარჩენი მუსკოგეანური (ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ენის ოჯახი, რომელზეც სამხრეთ შტატებში საუბრობენ) სამთავროები, მსხვილი, კომპლექსური, მრავალეთნიკური დასახლება იყო. მისი მმართველი — კავიტა გარშემო რეგიონებში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. დასახლებაზე მმართველს რიტუალური და ლინგვისტური ჰეგემონია ჰქონდა დამყარებული.[53]

ქვედა ვიწრო საზღვაო ყურეზე (Lower Creek) არსებულმა შინაგანმა განსხვავებებმა და დანაყოფებმა ჩრდილოეთ ფლორიდაში ცარიელი ადგილის არსებობამ და ჩრდილოეთ ფლორიდაზე ესპანელების სუსტმა კონტროლმა ალბათ დისიდენტებს უბიძგა გადასულიყვნენ და ფლორიდის სამ სხვადასხვა ადგილას დასახლებულიყვნენ. დაარსდა სამი ახალი სამთავრო, რომლებიც ჰგავდა იმათ, საიდანაც წამოვიდა ხალხი. ისინი კვლავ კავიტას კონტროლის ქვეში იმყოფებოდნენ.[54] მაგრამ სამმა სამთავრომ ერთობლივი მოქმედება დაიწყო ტალასაჰის მთავრის — ტოპანის — მეთაურობით. 1780 წელს, დაახლოებით 40 წლის შემდეგ, სამმა სემინოლეს სამთავრომ ფორმალურად გაწყვიტა ურთიერთობა კავიტასთან. არა მხოლოდ გეოგრაფიული დაშორება გახდა ამის მიზეზი, არამედ კრიკის კონფედერაციისა და სემინოლეს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიც განცალკევდა. მაგალითად, ამერიკის რევოლუციაში კრიკი ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ სემინალემ ბრიტანეთის მხარე დაიჭირა. სწორედ ამ დროს მოუწოდებედნენ ბრიტანელები მონებს გაქცევისკენ და ფლორიდაში თავისუფლებას აღუთქვამდნენ. ეს მარუნელი თემები ერთიანდებოდნენ წარმოქმნის პროცესში მყოფ სემინოლებთან. სემინოლეს მოსახლეობის შემადგენლობა ხელახლა შეიცვალა 1812 წლის ომის შემდეგ და 1814 წლის საზღვაო ყურის (კრიკის) ომის შემდეგ.[55] ჯერ კრიკელ ლტოლვილთა დიდი რაოდენობა ძირითადად ზედა კრიკის ტალაპუსას ტომიდან (ისინი განსხვავებულ მუსკოგენურ ენაზე საუბრობდნენ), გახდა სემინოელი. შემდეგ სემინოელთა რიცხვი კვლავ გაიზარდა გამოქცეული მონებისა და მარუნების მიერ, როდესაც ამერიკელებმა დაამარცხეს ბრიტანელთა ფლოტი 1816 წელს. მსხვილმასშტაბიანი პოლიტიკური მოვლენები კვლავ ახდენდნენ სემინოლეს ისტორიაზე გავლენას. ფლორიდის დაპყრობის შემდეგ ამერიკელებმა სემინოლები ჯერ ფლორიდაში, სემინოლთა მეორე ომის შემდეგ კი ოკლაჰომაში გადაიყვანეს.[56]

ამ და სხვა შემთხვევებიდან ჩანს, რომ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს შეუძლიათ შექმნან და დაშალონ კულტურული ერთობები.

კულტურათა მრავალფეროვნება მომავალში

თუ ერთი ადგილიდან მეორეზე გამგზავრების დროით გავზომავთ, მსოფლიო ასე პატარა არასდროს ყოფილა. ახლა დედამიწის ზედაპირის ნახევრის გადაფრენას იმდენივე დრო მიაქვს, რაც საუკუნის წინ – ერთი შტატიდან მეორეში გადასვლას. კომუნიკაციების სფეროთი თუ ვიმსჯელებთ, სამყარო კიდევ უფრო პატარაა. მსოფლიოს მეორე ბოლოში ადამიანს შეიძლება წამის მეასედში დავუკავშირდეთ. ხოლო ტელევიზორში პირდაპირ ეთერში შეგვიძლია ვნახოთ, რა ხდება სხვა ქვეყნებში. სულ უფრო მეტი ადამიანი ერთვება მსოფლიო საბაზრო ეკონომიკაში. ისინი ყიდიან და ყიდულობენ ერთნაირ ნივთებს და შედეგად, მათი ცხოვრების მახასიათებლებიც ხანდახან ერთნაირად იცვლება. თანამედროვე ტრანსპორტი და კომუნიკაციები ძალიან აიოლებს ზოგ კულტურულ მახასიათებელთა გავრცელებას მთელს მსოფლიოში. ამის მიუხედავად, მაინც წარმოუდგენელია, რომ მსოფლიო კულტურულად ერთფეროვანი გახდება. კულტურები მაინც შეინარჩუნებენ საკუთარ მახასიათებლებს და გამოიმუშავენენ თავისებურ განსხვავებულ ადაპტაციის წესებს. მართალია, ტელევიზია გავრცელდა მსოფლიოს გარშემო, ადგილობრივებს მაინც ადგილობრივი არხები ურჩევნიათ, თუ ისინი ხელმისაწვდომია. და იმის მიუხედავად, რომ ადამიანები მსოფლიოს გარშემო შეიძლება ერთ გადაცემას უყურებდნენ, ისინი მას სხვადასხვანაირად აღიქვამენ. ადამიანები არა მხოლოდ იგებენ მათ გარშემო მომხდარ მოვლენებს, ისინი ხანდახან უარს ამბობენ მათ შეჯერებაზე.[57]

აქამდე კულტურის ცვლილების შემსწავლელ მეცნიერებს ეგონათ, რომ განსხვავებები საზოგადოებებს შორის მინიმალური გახდებოდა. მაგრამ ბოლო 30 წლის მანძილზე ცნობილი გახდა, რომ მართალია, ბევრი განსხვავება ქრება, მრავალი ადამიანი აღწევს ეთნიკურ თვითმყოფადობას პროცესში, სადაც კუტურულ განსხვავებებს განგებ ეცნობიან.[58] იუჯინ რუსენსი აღწერდა კვებეკის ჰურონის სიტუაციას, რომელიც 1960-იან წლებში თითქოს გაქრა, როგორც ცალკე კულტურა. ჰურონის ენაც გაქრა და ჰურონელების ცხოვრება ფრანგი კანადელების ცხოვრებისგან არაფრით განსხვავდებოდა. შემდეგ ჰურონელებმა გამოიმუშავეს ახალი თვითმყოფადობა, როცა აქტიურად ცდილობდნენ მათნაირი ადგილობრივი ხალხების უფლებების დაცვას. ის, რომ მათი ახალი კულტურის განმსაზღვრელი სიმბოლოები არანაირი მსგავსებით არ ხასიათდებიან წარსულის ჰურონის კულტურასთან, უკვე სხვა საკითხია.

ერთი განსაცვიფრებელი ახსნა შეიძლება იყოს ის, რომ ეთნიკური მრავალფეროვნება და ეთნოგენეზისი უფრო ფართო პროცესების შედეგია. ელიზაბეტ კეშდანმა აღმოაჩინა, რომ ეთნიკური მრავალფეროვნება გარემოს მოულოდნელობებისა და განუსაზღვრელობის შედეგია. ეს კი დაკავშირებულია ეკვატორიდან დაშორების მანძილთან.[59] აღმოჩნდა, რომ ეკვატორთან უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე უკიდურეს სამხრეთსა და ჩრდილოეთში. კეშდანის აზრით, ბუნებისა და გარემოს ეს მოულოდნელობებით აღსავსე ხასიათი აუცილებელს ხდის სოციალურ ჯგუფს შორის კავშირების გაჩენას,

რათა ადგილობრივი რესურსების წარუმატებლობის შემთხვევაში, თანამშრომლობით იპოვონ გამოსავალი. ამან შეიძლება შეამციროს კულტურული განსხვავებულობანი, ანუ ეთნოგენეზისი. ამრიგად, ეკვატორიდან მოშორებით შეიძლება უფრო ერთფეროვანი კულტურები იყვნენ.

კულტურული ცვლილების მომავალი კვლევები შეიძლება დაგვეხმაროს იმის გაგებაში, თუ როგორ და რატომ ჩნდება ესა თუ ის ცვლილება. თუ გვსურს უკეთ განვმარტოთ თანამედროვე კულტურის ცვლილების პროცესი, მაშინ უკეთესად უნდა გვესმოდეს წარსულში მომხდარი მსაგავსი მოვლენების არსი. კულტურული ცვლილების ახსნის პროცესში შეგვიძლია ვიხელმძღვნელოთ იმ უამრავი კროსკულტურული კორელაციით, რომლებიც ერთ კონკრეტულ კულტურულ ვარიაციასა და მის შესაძლო მიზეზს შორის არსებობს.[60] ყველა კულტურა იცვლება დროის მსვლელობასთან ერთად. ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული ვარიაციები წარმოადგენენ ცვლილების პროცესის პროდუქტს და ამ ვარიაციების აღმოჩენილ წინასწარმეტყველებებით შესაძლოა აიხსნას, როგორ და რატომ ჩნდება ეს ცვლილებები.

შეჯამება

1. კულტურა ყოველთვის იცვლება. რადგანაც იგი შედგება ნასწავლი და შეძენილი ქცევის წესებისა და ფასეულობებისგან, შესაძლებელი ხდება, ადამიანის მოთხოვნილებათა ცვლილებასთან ერთად მათი დავიწყება და ახლის სწავლა.
2. აღმოჩენები და გამოგონებანი, მართალია, არის კულტურული ცვლილების წყაროები, მაგრამ არ არის აუცილებელი, ისინი იწვევდნენ ცვლილებას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება აღიარებს აღმოჩენას ან გამოგონებას და მას რეგულარულად იყენებს, მაშინ იჩენს თავს კულტურის ცვლილება. ზოგი გამოგონება შეიძლება იყოს წარსულის ათობით მცირე, შესაძლოა, შემთხვევითი, ინიციატივის შედეგი. სხვები კი გაცნობიერებულად არის შექმნილი. ის, თუ რატომ არის ზოგი ადამიანი სხვებზე უფრო ინოვატორი, ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის ახსნილი. არსებობს მოსაზრება, რომ ფანტაზიის და ნოვაციების მიღების უნარი ადამიანის სოციალ-კონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული.
3. პროცესს, რომლის დროსაც ერთი კულტურის ელემენტები ნასესხები და გამოყენებულია სხვა კულტურის მიერ, დიფუზია ეწოდება. გამოყოფენ დიფუზიის სამ ტიპს: პირდაპირი კონტაქტით დიფუზიას (ამ დროს კულტურის ელემენტები მეზობელი კულტურიდანაა გადაღებული და შემდეგ თანდათან ვრცელდება სხვა კულტურებზეც), დიფუზიას შუამავლის საშუალებით (ამ დროს მესამე მხარე, ძირითადად ვაჭრები, ავრცელებენ ერთი საზოგადოების კულტურულ ელემენტებს სხვაგან) და მასტიმულირებელი დიფუზია (ამ დროს სხვა კულტურის ელემენტი აძლევს დანარჩენებს სტიმულს, შექმნან საკუთარი, ადგილობრივი ნოვაცია).
4. ნებისმიერი კულტურული შტრიხი არ ექვემდებარება დიფუზიას. ეს ნიშნავს, რომ დიფუზია უფრო სელექციური მოვლენაა, ვიდრე ავტომატური. გადმოღებულ კულტურულ შტრიხს საზოგადოებები არგებენ და უსადაგებენ საკუთარ კულტურას.
5. როცა ჯგუფი ან საზოგადოება მასზე ძლიერ საზოგადოებასთანაა კონტაქტში, სუსტი ჯგუფი იძულებულია, დაეუფლოს დომინანტის კულტურულ ელემენტებს. დომინანტი-დაქვემდებარებულის კონტექსტში კულტურული შტრიხის გადაღების პროცესს აკულტურაცია ეწოდება. დიფუზიისგან განსხვავებით, აკულტურაციისას ადგილი აქვს გარეგან ზეწოლას.
6. ალბათ კულტურის ცვლილების ყველაზე დრამატული და სწრაფი გზა რევოლუციაა — ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის პროცესი. ამბოხებები, როგორც წესი, სახელმწიფოებში ხდება, სადაც გამოკვეთილი მმართველი ელიტა არსებობს. მაგრამ ყველა დაჩაგრული, დაპყრობილი და კოლონიზებული ქვეყანა როდი ჯანყდება ან ყოველთვის წარმატებით როდი ასრულებს ამბოხს.
7. იმის მიუხედავად, რომ ჩვეულებები გენეტიკურად არ გადმოგვეცემა მემკვიდრეობით, კულტურული ადაპტაცია გარკვეულწილად ბიოლოგიურ ადაპტაციას ჰგავს. განმეორებადი შტრიხები (კულტურული თუ გენეტიკური) საზოგადოებაში უფრო ხშირი ხდება დროთა განმავლობაში და თუ კულტურა ზოგადად ადვილად ადაპტირებულია გარემოსთან, მაშინ კულტურული ცვლილება ადაპტირებადია.
8. თანამედროვე კულტურის ცვლილებთაგან უმრავლესობა, ჩვენი დაკვირვებით, გამოიწვია, პირდაპირ ან არაპირდაპირ დასავლური საზოგადოებების ექსპანსიამ. ამ მოვლენის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო შედეგია მსოფლიოს საზოგადოებათა უმეტესობის მზარდი დამოკიდებულება კომერციულ გაცვლაზე. ეს არის ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის პროლიფერაცია, ხშირად გაცვლის საშუალებად აქ ფული გამოიყენება. ყიდვა-გაყიდვის ნასესხები ჩვეულება შეიძლება თავდაპრველად ტრადიცული საქონლის დისტრიბუციის საშუალებების დამატებით პროცესად გამოიყენებოდეს. მაგრამ, როცა ახალი კომერციული ჩვეულებები ფეხს მოიკიდებენ მსესხებელი საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი იცვლება. ამ ცვლილებას გარდუვალად მოსდევს სხვა ცვლილებებიც, რომლე-



მსოფლიოს გარშემო ახალი ტექნოლოგიის განვითარებით, ყველა კულტურული სახე არ გაქრა.

ბიც ატარებენ ფართო სოციალურ, პოლიტიკურ, ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ხასიათს.

9. კომერციალიზაციის წარმოშობის ერთი გზაა საზოგადოების წევრების მიგრანტ მუშებად ქცევა, როცა ისინი მეზობელ ქვეყნებში მიდიან სამუშაოს საძებნელად. კომერციალიზაცია მაშინაც ჩნდება, როდესაც თვითკმარი მონადირე ან სოფლის მეურნე საზოგადოება სულ უფრო დამოკიდებული ხდება ვაჭრობაზე. კომერციალიზაციის გაჩენის მესამე გზაა, როდესაც მიწის მუშებს იმაზე მეტი მოსავალი მოჰყავთ, ვიდრე საკმარისია მათი და მათი ოჯახის არსებობისათვის. ნამატი ხშირად ფულზე იყიდება. ხშირ შემთხვევაში ეს ფული ქირისა და გადასახადების გადასახდელად გამოიყენება. ამ შემთხვევაში შეგვიძლია, ვთქვათ, რომ კომერციალიზაცია დაკავშირებულია გლეხობის გაჩენასთან. კომერციალიზაცია შეიძლება კომერციული სოფლის მეურნეობის წარმოშობასთან ერთად გაჩნდეს, სადაც მთელი მოყვანილი მოსავალი გასაყიდად გააქვთ და არა პირადი მოხმარებისთვის. ამ ცვლილების ფეხდაფეხ სოფლის მეურნეობის სისტემაც შეიძლება იყოს ინდუსტრიალიზებული, სადაც წარმოების პროცესის ნახევარს მანქანები ასრულებენ.
10. სულ უფრო მზარდმა დასავლურმა ზეგავლენამ მსოფლიოს ბევრ ნაწილში რელიგიური ცვლილებანიც გამოიწვია. ხშირად ეს პროცესი გამიზნულად ხორციელდება მისიონერების მიერ.
11. თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე აღსანიშნავი კულტურის ცვლილების ტიპია დემოკრატიის გავრცელება. ამგვარი პოლიტიკური ინსტიტუტები ახლა მსოფლიოს ქვეყანათა უმრავლესობაშია შექმნილი.
12. გლობალიზაცია – მსოფლიოში მსგავსი კულტურული მახასაიათებლების გავრცლება – ამცირებს კულტრულ მრავალფეროვნებას, მაგრამ არ აღმოფხვრის მას.
13. ეთნოგენეზისი არის პროცესი, რომლის დროსაც წარმოიშობა ახალი კულტურები.

საკონტროლო კითხვები

1. კულტურის რა შტრიხები შეიძლება იყოს ყველზე ადვილი გადასაღები? რატომ ფიქრობთ ასე?
2. დასავლეთის ექსპანსიამ ბევრი ადამიანისთვის საშინელი შედეგი მოიტანა. მოჰყვა თუ არა ამ პროცესს რაიმე მომგებიანი შედეგი?
3. რატომ შეუძლია კულტურის ვარიაციების განმარტე-

გამოყენებითი და პრაქტიკული ანთროპოლოგია

28

თავების შინაარსი

- ანთროპოლოგიის გამოყენებისა და პრაქტიკის მოტივები
- გამოყენების ისტორია და ტიპები
- გამოყენებითი ანთროპოლოგიის ეთიკა
- დაგეგმილი ცვლილების ეფექტთა შეფასება
- სირთულეები დაგეგმილი ცვლილების დანერგვაში
- კულტურის რესურსების მენეჯმენტი
- სასამართლო ანთროპოლოგია

გამოყენებითი ანთროპოლოგია

ანთროპოლოგია და ბიზნესი

გამოყენებითი ანთროპოლოგები ჯილ კლეინბერგი და კლიენტები.

მხოლოდ ახლახან დაიწყეს ბიზნესმენებმა იმის გაცნობიერება, რომ ანთროპოლოგები სასარგებლო ცოდნას ფლობენ. მათ შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ განსაკუთრებით ვაჭრობის გლობალიზაციის გათვალისწინებით, საერთაშორისო ინვესტიციებისა და საერთო ბიზნესის გაზრდასა და მულტინაციონალური კორპორაციების გაფართოებაში. რისი შემოთავაზება შეუძლია ანთროპოლოგიას? ანთროპოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი შენატანი ამ სფეროში არის იმის გაგება, თუ რამდენად შეუძლია კულტურას, გავლენა მოახდინოს სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლების ურთიერთობაზე. მაგალითად, ანთროპოლოგებმა იციან, რომ კომუნიკაციები გაცილებით მეტია სხვისი ენის ფორმალურ გაგებაზე. ზოგ ქვეყანაში, ისეთში, როგორიცაა, მაგალითად აშშ, ხალხი მიჩვეულია და სხვისგანაც მოელის მკაფიო, უშუალო ვერბალურ შეტყობინებებს. მაგრამ სხვა ქვეყნებში ადამიანები საუბრისას უფრო არაპირდაპირები არიან. იაპონიასა და ჩინეთში, მაგალითად, ნეგატიური შინაარსის მატარებელი შეტყობინებები უფრო ნაკლებია, ვიდრე ზრდილობისა და თავაზიანობის გამომხატველი. ბევრ აღმოსავლურ ქვეყანაში უარის თქმა ხმის ამოუღებლად შეიძლება.

აუცილებელია იმის გაგებაც, რომ სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული ფასეულობები აქვს. ამერიკაში ადამიანები დიდად აფასებენ ინდივიდსა და მის უფლებებს. მაგრამ, როგორც ფსიქოლოგიის თავში განვიხილეთ, სხვებთან ურთიერთობა შეიძლება სხვა ქვეყნებში ინდივიდზე უპირატესი იყოს. ამერიკელი ხალხი ხაზს უსვამს მომავალს, ახალგაზრდობას, არაფორმალურობას და კონკურენციას, მაგრამ სხვა საზოგადოებებში ხშირად ამის საპირისპიროა მთავარი. ბიზნეს მოლაპარაკებისას არ არსებობს უფრო თვალსაჩინო განსხვავება, ვიდრე ის ფასი, რასაც სხვადასხვა კულტურა დროის აპექტს ანიჭებს. ჩვენ ვამბობთ – ,,დრო ფულია". თუ შეხვედრაზე ადამიანი აგვიანებს, ვთქვათ, 45 წუთით, აშშ-ში ეს უზრდელობად ითვლება. მაგრამ ასეთი ქცევა სამხრეთ ამერიკის ბევრ ქვეყანაში მისაღები საქციელის ფარგლებში ჯდება.

ანთროპოლოგები დაეხმარნენ ბიზნესს, გაეცნობიერებინათ საკუთარი კულტურა (ხანდახან ორგანიზაციულ კულტურად წოდებული). ბიზნესის ორგანიზაციული კულტურა შეიძლება გამოიყენებოდეს ახალი მუშების დაქირავებისას, ან ბიზნესის ცვალებად საჭიროებებთან დაკავშირებით. თუ საჭიროა ამ კულტურის რაიმე ნაწილის შეცვლა, თავდაპირველად აუცილებელია, გავიგოთ, რას მოიცავს ეს კულტურა. საჭიროა, ასევე, გავიგოთ როგორ და რატომ განვითარდა იგი კონკრეტულად ამ კუთხით, რა მხრივაც განვითარდა. ანთროპოლოგებმა იციან კულტურული მახასიათებლების დადგენა სისტემატური დაკვირვების საფუძველზე და ინდივიდთა გამოკითხვის საშუალებით.

ანთროპოლოგმა ჯილ კლაინბერგმა შეისწავლა ექვსი იაპონური ფირმა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მას სურდა, გაეგო როგორც მსხვილი, ისე ორგანიზაციული კულტურის გავლენა სამუშაო ადგილზე. ექვსივე ფირმაში მუშაობდნენ იაპონელებიცა და ამერიკელებიც, თუმცა იაპონელები მენეჯერულ პოსტებზე დომინირებდნენ. კვლევის მიზანი იყო ექვსივე ფირმაში არსებული დაძაბულობის მიზეზის აღმოჩენა. კლაიდენბერგის პირველი ნაბიჯი იყო მომსახურე პერსონალის ინტერვიუირება მათი სამუშაო ადგილებისადამოვალეობებისშესახებ. მან აღმოაჩინა აშკარა განსხვავება ამერიკელ და იაპონელ პერსონალს შორის, რაც გამოიხატებოდა მათ შორის დიდ კულტურულ განსხვავებაში. ამერიკელებს სურდათ თავიანთი მოვალეობებისა და მათთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულებების ზუსტი დეფინიცია. მათ ასევე სურდათ, რომ მათი სამუშაოს სახელწოდებები, უფლებები და გასამრჯელო ერთმანეთის შესაფერისი ყოფილიყო. იაპონელები, პირიქით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოვალეობებსა და დავალებებს შორის ლავირების შესაძლებლობას; ასევე, მიაჩნდათ, რომ მათ მოვალეობაში თანამშრომელთა დახმარებაც შედიოდა (იხ. სტატია ,,ასწავლიან თუ არა სკოლებში ფასეულობებს?" კულტურისა და ფსიქოლოგიის თავში, სადაც ჩვენ განვიხილეთ იაპონური დაწყებითი სკოლები და მათი კონცენტრირება ჯგუფურ მუშაობაზე). ამერიკელები უკმაყოფილონი იყვნენ იმიტომ, რომ იაპონელი მენეჯერები ზუსტად არ უსაზღვრავდნენ მათ ვალდებულებებს. მაშინაც კი, როცა არსებობდა სამუშაოს აღწერა, მენეჯერი მას ყურადღებას არ აქცევდა. ამერიკელებს მცირე ინფორმაციას აძლევდნენ, არ რთავდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათ ასევე თრგუნავდა დაწინაურების მინიმალური შანსი. ფიქრობდნენ, რომ ამერიკელები საკმაოდ რთული სამართავები იყვნენ, ძალიან ბევრს ფიქრობდნენ ფულსა და ავტორიტეტზე, ზედმეტად აღელვებდათ პირადი ინტერესები.

უკმაყოფილება ნებისმიერი ბიზნესის პრობლემას წარმოადგენს. თავყრილობების გაცდენა, პერსონალის ხშირი გათავისუფლება და მუშაობის ინიციატივის ნაკლებობა — ყველაფერი ეს ამცირებს სამუშაოს შესრულების ხარისხსა და ბიზნესის ქმედითუნარიანობას. კლაინბერგმა ურჩია დამქირავებლებს, მომსახურე პერსონალისთვის კომპანიის შესახებ მეტი ინფორმაცია მიეწოდებინათ და ჩაეტარებინათ სატრეინინგო სესიები ბიზნესის კულტურაში კულტურათაშორისი განსხვავებების შესახებ. მან ასევე შესთავაზა მათ, იაპონური მენეჯმენტის ფილოსოფია უფრო ნათელი გაეხადათ პერსონალის სამუშაოზე აყვანის პროცესში. ამრიგად, დამქირავებლები შეძლებდნენ ისეთი ამერიკელების პოვნას, რომლებსაც ამ ფილოსოფიასთან შეგუება არ გაუჭირდებოდათ. მაგრამ კლაიდენბერგის თვალსაზრისით, მაინც საჭირო იყო მენეჯერული სტრუქტურის მცირედ ,,ამერიკანიზაცია", რათა ამერიკელ თანამშრომლებს თავი უკეთ ეგრძნოთ. დაბოლოს, მან ურჩია იაპონელებს, მეტი სამენეჯერო პოსტი დაეთმოთ ამერიკელთათვის და მიეცათ მათთვის საშუალება, ჰქონოდათ კონტაქტი თავიანთ კოლეგებთან ოკეანის გადაღმა. ანთროპოლოგის რჩევები ყველა პრობლემას ვერ აღმოფხვრიდა, მაგრამ ისინი გაზრდიდა ორმხრივ გაგებასა და ნდობას.

ამრიგად, როგორც ენდრიუ მირაქლმა აღნიშნა, პრაქტიკოსი ანთროპოლოგი წააგავს შამანს. ადამიანებს, ვინც შამანებს დახმარებისთვის მიმართავენ, სჯერათ მათი დახმარების უნარის. ხოლო თავის მხრივ შამანი ცდილობს, კლიენტს დადებითი აზროვნებისკენ უბიძგოს. რასაკვირველია, არსებობს ღრმა განსხვავება შამანსა და პრაქტიკოს ანთროპოლოგს შორის. ალბათ, ყველაზე დიდი განსხვავება ისაა, რომ ანთროპოლოგი იყენებს კვლევას და არა ტრანსს ან მაგიას მიზნის მისაღწევად. სამაგიეროდ, შამანის მსგავსად, ანთროპოლოგმა უნდა დასვას გასაგები დიაგნოზი და უჩვენოს კლიენტს გზა ჯანმრთელობისა და ძალაუფლებისკენ.

ანთროპოლოგია უკვე აღარ არის უბრალოდ აკადემიური საგანი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ორიდან ერთი ანთროპოლოგი დაკავებულია კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ფარგლებს გარეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ანთროპოლოგია, მის მიერ უკვე აღმოჩენილი მოვლენები და ის, რასაც კიდევ აღმოაჩენს ეს მეცნიერება — სასარგებლოა. ანთროპოლოგები, რომლებიც თავს გამოყენებით ან პრაქტიკოს ანთროპოლოგებს უწოდებენ, ძირითადად არააკადემიური განხრით არიან დაკავებულნი: მუშაობენ სამთავრობო და განვითარების საერთაშორისო სააგენტოებში, კერძო საკონსულტაციო ფირმებში, ჯანდაცვის ორგანიზაციებში, სამედიცინო სკოლებში, საჯარო ინტერესის საკანონმდებლო ფირმებში, საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და მოგებაზე ორიენტირებულ სააგენტოებშიც კი (იხ. სტატია ,,ანთროპოლოგია და ბიზნესი"). რატომ ქირაობენ ამდენ ანთროპოლოგს პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად? ამ და მომდევნო ორ თავში ჩვენ განვიხილავთ, როგორ გამოიყენება, ან შეიძლება გამოიყენებოდეს ანთროპოლოგია პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად.

მათი სამუშაოს განხილვისას, ვინც საკუთარ თავს გამოყენებით ან პრაქტიკოს ანთროპოლოგს უწოდებს, ეს თავი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს იმ მოტივებზე, რამაც გამოყენებითი ანთროპოლოგიის ჩამოყალიბება გამოიწვია. ჩვენ შემდეგ განვიხილავთ გამოყენების ისტორიასა და ტიპებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ადამიანთა ცხოვრების გამოსწორების მცდელობების ეთიკის საკითხებს, პროგრამის მომგებიანობის განსჯისას არსებულ სიძნელეებს და დაგეგმილი ცვლილების დანერგვის სირთულეებს. ამ თავის ბოლო ორი ნაწილი ეხება კულტურული რესურსების მენეჯმენტსა (ძირითადად, არქეოლოგთა სამუშაოს) და სასამართლო ანთროპოლოგიას — როგორ გამოიყენება ანთროპოლოგია (კერძოდ, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია) სასამართლო საკითხებსა და დანაშაულის გამოძიების პროცესში. შემდეგ თავში განხილულია სამედიცინო ანთროპოლიგია, ანუ ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის ანთროპოლოგია. უკანასკნელ თავში საუბარია ანთროპოლოგიისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევების პოლიტიკურ მიდრეკილებებზე ისეთი გლობალური პრობლემების განხილვისას, როგორებიცაა კატასტროფები, უსახლკარობა, კრიმინალი, ოჯახური ძალადობა, ეთნიკური კონფლიქტი და ომი.

მხოლოდ გამოყენებითი და პრაქტიკოსი ანთროპოლოგები არ არიან პრობლემათა გადაჭრით დაინტერესებულნი. ანთროპოლოგიისა და დანარჩენი სოციალური მეცნიერებების მკვლევრები ატარებენ ბაზისურ კვლევებს სოციალურ პრობლემებზე. ამგვარ კვლევებს შეიძლება დასჭირდეს საველე სამუშაოები ჯანმრთელობის, ავადმყოფობისა და ძალადობის შესახებ კულტურაში გავრცელებული იდეებისა და პრაქტიკის უკეთ გაგებისთვის. ბაზისური კვლევები შეიძლება უბრალოდ ცდიდეს თეორიებს სპეციფიკური პრობლემების გამომწვევ მიზეზთა შესახებ. ამგვარი ტესტების პასუხებს შეუძლია დაგვეხმაროს პრობლემის გადაჭრასა და აღმოფხვრაში, თუ რა თქმა უნდა, ისინი აღმოაჩენენ ამ პრობლემის თავდაპირველ მიზეზს. ხშირად ბაზისურ კვლევებს დაუგეგმავი და არაგამიზნული საპასუხო შედეგები ახლავს თან. მაშინაც კი, თუ კვლევა არაა მიმართული რაიმე კონკრეტული პრობლემის ამოსახსნელად, მისინი მეშვეობით შესაძლებელია გამოსავალის მოძებნა და პრობლემის გადაწყვეტა.

გამოყენებით ანუ **პრაქტიკული ანთროპოლოგია**, როგორც პროფესია, მოწოდებულია, საზოგადოებისთვის რეალური სარგებლობის მისაცემად. ბევრი პრაქტიკოსი ანთროპოლოგი მონაწილეობს ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პროგრამებში. გამოყენებითი ანთროპოლოგები, შეიძლება, პროგრამის რამდენიმე ფაზაში ჩაერთონ ერთდროულად: პროგრამასთან დაკავშირებული მასალების მოგროვებაში, გეგმის განვითარება-ჩამოყალიბებაში, პროგრამის გეგმებზე სოციალური და გარემოს შესაძლო გავლენის დადგენაში, პროგრამის დანერგვაში და პროგრამისა და მისი ეფექტების მონიტორინგში.[1] და კიდევ, არსებობს ანთროპოლოგიის გამოყენებისა და მოხმარების სხვა გზებიც. ერთ-ერთი მათგანი, საზოგადოებისთვის მეტად ცნობილი, თავის ბოლო ნაწილშია განხილული. ეს არის **სასამართლო ანთროპოლოგია**. ის გულისხმობს დანაშაულის გადაჭრისთვის ანთროპოლოგიის გამოყენებას. გამოყენებითი სამუშაოს კიდევ ერთი ხშირად გამოყენებადი სახეა ,,სოციალიური გავლენის დონის" შესწავლა. იგი გამოიყენება სახელმწიფოს ან კერძო ფირმების მიერ დაფინანსებულ პროგრამებთან დაკავშირებით. მაგალითად, ხშირად ქირაობენ არქეოლოგებს იმ ,,კულტურული რესურების" შესასწავლად, ჩასაწერად და დასაცავად, რომლებსაც საფრთხე ემუქრება კონსტრუქციული პროექტების მხრიდან.

ცხადია, ორივე, ბაზისური და გამოყენებითი კვლევა, შეიძლება მოტივირებული იყოს ადამიანთა ცხოვრების ხარისხის გამოსწორების სურვილით. მაგრამ ხშირად

რთულია იმის განსაზღვრა, კონკრეტული პროექტი ბაზისურია თუ გამოყენებითი. მაგალითად, წარმოვიდგინოთ კვლევა ომის შესაძლო მიზეზების შესახებ. მისმა შედეგებმა შეიძლება აღმოაჩინოს ომის რისკის შემცირების საშუალებანი. ამგვარი კვლევა ბაზისურია თუ გამოყენებითი? ალბათ ორივე. იგივე შეიძლება ითქვას შენობის ადგილმდებარეობის არქეოლოგიურ კვლევაზეც, რომლის დროსაც შეიძლება კანონით იყოს საჭირო ადგილმდებარეობის შემცველობის შენახვა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, რეგისტრაცია. ტერიტორიის შესაწავლისას აღმოჩენილი მონაცემები შეიძლება არ შეესაბამებოდეს არქეოლოგიის ან ზოგადად ანთროპოლოგიის ჩვეულებრივ ან სხვა თეორიულ საკითხებს.

ანთროპოლოგიის გამოყენებისა და პრაქტიკის მოტივები

ანთროპოლოგები ყოველთვის ღელავდნენ და ზრუნავდნენ იმ ადამიანებზე, ვისაც შეისწავლიდნენ, ისევე, როგორც თავიანთ მეგობრებსა და ოჯახის წევრებზე. ძალიან სამწუხაროა, როცა საველე სამუშაოს ადგილზე ბევრი ჩვილი კვდება იმ დაავადებებით, რომელთა აღმოფხვრაც შესაძლებელია შესაბამისი ჯანდაცვის პროგრამების დანერგვით. ასევე ძალიან საწყენია, როცა შენს საველე სამუშაოზე შეძენილ მეგობრებს გარეშე პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ართმევენ რესურსებსა და სიამაყეს. ანთროპოლოგები ძირითადად არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს შეისწავლიან — იმპერიალიზმის, კაპიტალიზმისა და ექსპლუატაციის სხვა ფორმებით დაჩაგრულებს. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ისინი თანაუგრძნობენ და განიცდიან იმ ადამიანთა პრობლემებს, რომლებთან ერთადაც ცხოვრობდნენ და იზიარებდნენ ყოველივეს საველე სამუშაოების დროს.

მაგრამ მხოლოდ განცდა და ღელვა ვერ გამოასწორებს სხვათა ცხოვრების ხარისხს. ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს ბაზისური კვლევა იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება. კონკრეტული შემოთავაზებული „გაუმჯობესება", შეიძლება სულაც არ გულისხმობდეს ამას. სიკეთის მოტანისთვის გამიზნულ მცდელობებს, მოსალოდნელია, საზიანო შედეგი ჰქონდეს. მაშინაც კი, როცა ვიცით, რომ ცვლილება უკეთესობის მომტანია, მაინც არსებობს პრობლემა, თუ როგორ განვახორციელოთ ეს ცვლილება. ხალხი შეიძლება არც იყოს ამ ცვლილების მომხრე. იქნება თუ არა ეთიკური მათი დარწმუნების მცდელობა? ან პირიქით, ეთიკურია, თუ არ ვეცდებით მათ დარწმუნებას? გამოყენებითმა ანთროპოლოგებმა ყველა ეს საკითხი უნდა გაითვალისწინონ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტონ, იმოქმედონ თუ არა არსებული საჭიროების საპასუხოდ და თუ უნდა იმოქმედონ — როგორ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოყენებითი ანთროპოლოგია განვითარდა არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებთან ანთროპოლოგთა პირადი ურთიერთობის შედეგად.[2] დღეს ანთროპოლოგები დაინტერესებულნი არიან ჩვენი საკუთარი პრობლემების შესწავლითა და გადაჭრით. მართლაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არააკადემიურ სფეროში იმდენივე ანთროპოლოგია დაკავებული, რამდენიც აკადემიურში.[3] ეს პრაქტიკოსი ანთროპოლოგები ხანდახან სპეციფიკურ პროექტებზე მუშაობენ, რომლებიც მიზნად ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ისახავენ. ამ დროს ძირითადად ცდილობენ, შეცვალონ ადამიანთა ქცევა ან გარემოცვა. ან ანთროპოლოგები აკვირდებიან და აფასებენ სხვათა მცდელობას მოახდინონ ცვლილება.[4] ძირითადად, პროექტებსა და პრობლემებს დამქირავებლები და კლიენტები განსაზღვრავენ (ხანდახან კლიენტი თავად „სამიზნე" მოსახლეობაა) და არა ანთროპოლოგები.[5] მაგრამ ანთროპოლოგებს სულ უფრო ხშირად მიმართავენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში წვლილის შეტანის თხოვნით; კერძოდ, მათ სთხოვენ გაარკვიონ, ზუსტად რა უნდა გაუმჯობესდეს და როგორ უნდა მოხდეს ეს.

გამოყენების ისტორია და ტიპები

1943 წელს ჯონ კოლიერმა, ინდიელთა საქმეების ფედერალური ბიუროს მეთაურმა, გამოსცა ადგილობრივი ინდიელების დამცავი კანონმდებლობა: აღარ შეიძლებოდა მათთვის მიწის ჩამორთმევა, დაკარგული მიწა უნდა აღდგენილიყო, შეიქმნებოდა ტომობრივი მთავრობები და შესაძლებელი გახდებდა სესხების აღება. ამან გზა გაუხსნა ანთროპოლოგთა სასარგებლო მოღვაწეობას აკადემიური დაწესებულელების ფარგლებს გარეთ. კოლიერმა დაიქირავა რამდენიმე ანთროპოლოგი, რათა ისინი დახმარებოდნენ მას ახალი პოლიტიკის გატარებაში. დაახლოებით ამავე დროს ნიადაგის შენახვის სამსახურმა (შოილ ჩონსერვატიონ შერვიცე) ასევე დაიქირავა ანთროპოლოგები ინდიელთა მიერ მიწის მოხმარების პროექტებზე სამუშაოდ.[6] მაგრამ მეორე მსოფლიო ომამდე აშშ-ს ანთროპ-

არგენტინელი სასამართლო ანთროპოლოგები პატრისია ბერნარდი მარცხნივ ბოლივიელ ასისტენტთან თხრიან ჩონჩხს, რომელიც სავარაუდოდ ეკუთვნის ადგილობრივ ჯარისკაცს, რომელიც მოკლული იქნა ბოლივიის ჯარის მიერ.

ოლოგთა დიდი უმრავლესობა კვლავ კოლეჯებში, უნივერსიტეტებსა და მუზეუმებში მოღვაწეობდა. გამოყენებითი ანთროპოლოგია, ფაქტობრივად, არც არსებობდა.

1940-იანი წლების მოვლენებმა ბიძგი მისცა გამოყენებითი ანთროპოლოგიის წარმოშობას. 1941 წელს ანთროპოლოგებმა დააარსეს გამოყენებითი ანთროპოლოგიის საზოგადოება და გამოსცეს მისი ჟურნალი, რომელსაც დღეს „ჰიუმან ორგანიზეიშენ“ (Human Organization)[7] ეწოდება. მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში აშშ-ს მთავრობამ უპრეცედენტო რაოდენობის ანთროპოლოგი დაიქირავა ომის საქმეებში დახმარებისთვის. მარგარეტ მიდმა დაადგინა, რომ იმ დროის 303 ანთროპოლოგიდან 295 რაღაც სახით პირდაპირი მონაწილე იყო საომარი მოქმედებების.[8] მთავრობა ქირაობდა ანთროპოლოგებს მორალის გაუმჯობესების მიზნით, მოკავშირეთა და მტრების უკეთესად გაშიფვრისთვის და მიკრონეზიის კუნძულებზე სამხედრო კამპანიებისა და ოკუპაციების ორგანიზებისთვის, ასევე წყნარი ოკეანის სხვა და გარშემო ტერიტორიებზე.[9] მაგალითად, გამოყენებით ანთროპოლოგებს დახმარებისთვის მიმართეს, როდესაც შეცბუნებულ აშშ-ს სამხედროებს სურდათ, გაეგოთ, რატომ ამბობდნენ მათი იაპონელი მტრები უარს ,,ნორმალური" ადამიანებივით მოქცევაზე. ყველაზე მეტად აშშ-ს ჯარის მეთაურებს საგონებელში აგდებდა იაპონელი ჯარისკაცების ქცევა: თავი მოეკლათ, ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყვნენ. საბოლოოდ, იაპონური ღირსების კოდექსის შესასწავლად სამხედროებმა კონსულტანტებად ანთროპოლოგები დაიქირავეს ომის საოფიცრე ინფორმაციული ცენტრის უცხოური მორალის ანალიზის სექტორში.

ანთროპოლოგებთან მუშაობის შემდეგ ამერიკელი სამხედროები მიხვდნენ, რომ იაპონელთათვის საოცარი სირცხვილი იყო ტყვედ ჩავარდნა, მაშინაც კი, თუ მას ტყვედ დაჭრილს ან უგონოდ მყოფს აიყვანდნენ. საშინელი სირცხვილი იყო ასევე დანებებაც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოწინააღმდეგე ბევრად აღმატებული და ძლიერი იყო. თან იაპონელებს ეგონათ, რომ ამერიკელები ისედაც კლავდნენ ყველა ტყვეს. ამრიგად, არცაა გასაკვირი, რომ ტყვედ ჩავარდნილ იაპონელებს საკუთარი ხელით ღირსეული სიკვდილი ერჩივნათ. როცა აშშ-ს სამხედროებმა ეს შეიტყვეს, ისინი ბევრს ეცადნენ, აეხსნათ იაპონელთათვის, რომ დანებების შემთხვევაში, მათ არავინ დასჯიდა სიკვდილით. შედეგად, გაცილებით მეტი იაპონელი დანებებას ამჯობინებდა. ზოგი იაპონელი სამხედრო ინფორმაციასაც იძლეოდა. ისინი ქვეყნის საწინააღმდეგოდ კი არ იქცეოდნენ ასე, არამედ სიცოცხლის გადასარჩენად, რადგან უწინ ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი ერჩივნათ.[10]

ანთროპოლოგები დიდი ენთუზიაზმით ჩაერთვნენ მთავრობის დახმარების პროცესში მეორე მსოფლიო ომის დროს, რადგან მათ ძალიან სურდათ, ომი წარმატებით დასრულებულიყო. თავის მხრივ, მთავრობა მოწადინებული იყო, მათგან რჩევები მიეღო. მაგრამ ომის შემდგომ პერიოდში საოცრად გაიზარდა უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა რიცხვი, როცა ომის ვეტერანები და, მოგვიანებით, „ბეიბი-ბუმერები“ (აშშ-ში შობადობის მკვეთრი ზრდის პერიოდში, 1946-1960 წლებში დაბადებულები) წავიდნენ კოლეჯებში. ამ დროის აშშ-ს ანთროპოლოგთა უმრავლესობა სამუშაოს უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში შოულობდა. ანთროპოლოგია ნაკლებად ინტერესდებოდა პრაქტიკით და ძირითადად თეორიასა და ბაზისურ კვლევაზე ახდენდა კონცენტრირებას.

სიტუაცია 1970-იანი წლებიდან შეიცვალა, როდესაც გამოყენებითი ანთროპოლოგია კვლავ პოპულარული გახდა. ზოგი პრაქტიკული ანთროპოლოგიისადმი ამ გაზრდილ ინტერესს უკავშირებდა ვიეტნამის ომის შემდგომ პრიორიტეტების გადახედვას. სხვები ამ ფაქტს უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში სამუშაო ადგილების ნაკლებობით ხსნიდა. გამოყენებით სფეროში დაკავებული ანთროპოლოგები ამ მეცნიერების ყველა სფეროდან არიან, მაგრამ ძირითადად მაინც ეთნოლოგიიდან. ისინი მუშაობენ საჯარო და კერძო პროგრამებზე, უცხოეთსა და სამშობლოში. მათი მოვალეობები მოიცავს გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობაში, კვებაში, მენტალურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაში, დასახლებაში, ტრანსპორტირებაში, განათლებაში, ქალებისა და უმცირესობათა ცხოვრებაში და ა.შ. ისინი ბიზნესშიც მოღვაწეობენ. ფიზიკურ ანთროპოლოგიაში გაწვრთნილი ანთროპოლოგები დაკავებულნი არიან სამედიცინო და სასამართლო სფეროებში, ხოლო განათლებისა და კომუნიკაციების სფეროში მოღვაწე ანთროპოლოგები ხშირად ლინგვისტურ ცოდნასაც იყენებენ.[11]

გამოყენებითი ანთროპოლოგიის ეთიკა

საველე სამუშაოების დროს ყოველთვის წამოიჭრება ხოლმე ეთიკური საკითხები. და ანთროპოლოგიამ, როგორც პროფესიამ, მიიღო პასუხისმგებლობის გარკვეული პრინციპები. უპირველეს ყოვლისა, ანთროპოლოგი პასუხისმგებელია მათზე, ვისაც შეისწავლის. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი კეთილდღეობა და ღირსება არ დაზარალდეს. ანთროპოლოგები მათზეც არიან პასუხისმგებლები, ვინც მათ ნაშრომს წაიკითხავს, კვლევის აღმოჩენები ღიად და მართლად უნდა იქნას ჩამოყალიბებული.[12] მაგრამ რადგანაც გამოყენებითი ანთროპოლოგია ხშირად გეგმავს და ნერგავს სამიზნე მოსახლეობაში გარკვეულ ცვლილებებს, ეთიკური პასუხისმგებლობა ხშირად რთული და ჩახლართული ხდება. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ეთიკური შეკითხვაა: ნამდვილად სიკეთის მომტანია თუ არა ცვლილება სამიზნე მოსახლეობისთვის?

1946 წელს გამოყენებითი ანთროპოლოგიის საზოგადოებამ შექმნა კომიტეტი, პროფესიონალი გამოყენებითი ანთროპოლოგებისთვის ეთიკური კოდის შესადგენად. ბევრი შეხვედრისა და რევიზიის შემდეგ ეთიკური პასუხისმგებლობის განცხადება საბოლოოდ მიიღეს 1948 წელს, ხოლო 1983 წელს ეს განცხადება შემოწმდა და განახლდა.[13] ამ განცხადების თანახმად, სამიზნე საზოგადოება, რამდენადაც დასაშვებია, უნდა გაეცნოს პოლიტიკის არსს, ისე, რომ წინასწარ იცოდეს, რა ეფექტს მოახდენს მასზე ეს პროგრამა. ალბათ კოდექსის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია პირობა, რომლის თანახმადაც, თემის საზიანო არც ერთ ქმედებას არ ჩაიდენენ და არც რეკომენდაციას გაუწევენ. პრაქტიკოს ანთროპოლოგთა ეროვნული ასოციაცია კიდევ უფრო შორს მიდის: თუ უფროსი თანამშრომლისგან ისეთ სამსახურს მოითხოვს, რომელიც პროფესიის ეთიკური პრინციპების დარღვევას გულისხმობს, პრაქტიკოსი ანთროპოლოგის მოვალეობაა, შეცვალოს ამგვარი პრაქტიკა. ხოლო თუ ცვლილება შეუძლებელია, უნდა დატოვოს სამუშაო.[14]

ეთიკური საკითხები ხშირად რთული და ჩახლართულია. ტაიერ სკუდერმა აღწერა ტონგელი გვემბეს სოფლელების სიტუაცია, რომლებიც სხვა ადგილას გადავიდნენ საცხოვრებლად, როცა ცენტრალური აფრიკის ზამბეზის ველზე უზარმაზარი დამბა ააშენეს. ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა 1960-იან და ადრეულ 70-იან წლებში, როცა მოსახლეობამ დაიწყო გასაყიდი საქონლის აქტიური წარმოება. მაგრამ 1980-იან წლებში მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაში იყო. იმატა სიკვდილიანობის, ალკოჰოლის მიღების, ქურდობის, შეურაცხყოფისა და მკვლელობების რიცხვმა. რატომ? ერთი მიზეზი იყო ის, რომ ხალხმა გაზარდა მსოფლიო ბაზრისთვის საკვების წარმოება საკუთარის შეწყვეტის ხარჯზე. ასეთი სტრატეგია ამართლებს, როცა ფასები მსოფლიო ბაზარზე მაღალია. მაგრამ როცა ფასები ეცემა, იგივე ემართება ცხოვრების სტანდარტებსაც.[15] სკუდერის მიერ აღწერილი სიტუაცია ასახავს ბევრი პრაქტიკოსი ანთროპოლოგისთვის ეთიკურ დილემას. როგორც

მან თქვა: „როგორ მოხდა, რომ მე ჯერ კიდევ ვმუშაობ იმ ფირმისთვის, ვინც აფინანსებს ამგვარ პროექტებს?" ამით ის გულისხმობდა, რომ მსხვილმასშტაბიანი პროექტების შეჩერება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ანთროპოლოგებმა შეიძლება არჩიონ განზე დგომა და იწუწუნონ, ან ეცადონ პროექტზე ისეთი გავლენა მოახდინონ, რომ სამიზნე მოსახლეობისთვის სიკეთის მომტანი იყოს.[16]

სკუდერის მიერ აღწერილი პრობლემა ნანილობრივ იმიტომ იჩენს თავს, რომ ანთროპოლოგებს მანამდე არ რთავენ მუშაობაში, ვიდრე არ მიიღებენ გადაწყვეტილებას, გააგრძელონ ცვლილების დანერგვის პროცესი. ამ სიტუაციამ შეცვლა დაიწყო, როცა ანთროპოლოგები პროექტებს დაგეგმვის პროცესში — დასაწყისშივე უერთდებოდნენ. ახლა სულ უფრო მეტად სთხოვენ ანთროპოლოგებს დახმარებას თავად კვლევის ობიექტები. კვლევის ეს ობიეტები შეიძლება იყვნენ როგორც კორპორაციული ორგანიზაციები, ისე ამერიკელი ინდიელები. რადგანაც ეს პროექტები ძირითადად სამიზნე მოსალეობისათვის წარმატების მოტანას ისახავს მიზნად, ანთროპოლოგები იშვიათად დგებიან ეთიკური დილემების წინაშე.

დაგეგმილი ცვლილების ეფექტთა შეფასება

გადაწყვეტილების მიღება, არგებს თუ არა ესა თუ ის ცვლილება სამიზნე მოსახლეობას, ყოველთვის იოლი მისაღები არ არის. გარკვეულ შემთხვევებში, როგორიცაა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, შემოთავაზებული სარგებელი, ეჭვსგარეშეა — ჩვენ ყველა დარწმუნებულები ვართ, რომ ჯანმრთელობა ავადმყოფობას სჯობს. მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება ხოლმე. განვიხილოთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ნოვაცია, როგორიცაა აცრა. მართალია, ეს მოსახლეობის რაოდენობის გაზრდაზე იმოქმედებდა და სიკვდილიანობას შეამცირებდა, მაგრამ სიკვდილიანობის კოეფიციენტის შემცირებამ შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს, რაც შეიძლება, თავის მხრივ, პრობლემად იქცეს. იმუნიზაციის პროცესის დაწყებასთან ერთად, გადარჩენილ ჩვილთა რაოდენობაც იმატებს. მაგრამ ხანდახან არ არის ხოლმე შესაძლებელი საკვების წარმოების კოეფიციენტის ზრდა სამიზნე მოსახლეობის ტექნოლოგიის, კაპიტალისა და მიწის რესურსების გათვალისწინებით. ამრიგად, გაიზრდება სიკვდილიანობა შიმშილის გამო, მას შეუძლია გადააჭარბოს კიდევაც წინა მაჩვენებლებს. აცრათა პროგრამა არანაირ გავლენას არ მოახდენდა სიკვდილიანობის მაჩვენებელზე. ის უბრალოდ შეცვლიდა სიკვდილიანობის მიზეზს. ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ მაშინაც კი, თუ პროგრამა ან დაგეგმილი ცვლილება მოკლევადიანი სარგებლის მომტანია, დიდ მსჯელობასა და მცდელობას მაინც მის გრძელვადიან ეფექტებს უთმობენ.

ხალხი აჯანყების ადგილიდან აპროტესტებს დამბის პროექტს ინდოეთში.

დებრა პიჩიმ წამოჭრა საკითხი ბაკაირის ინდიელებზე ჩატარებული პროგრამის გრძელვადიანი ეფექტების შესახებ. ამ პროგრამის მიხედვით, რომელსაც ბრაზილიელ ინდიელთა ეროვნული დაწესებულება (FUNAI) ახორციელებდა, ბაკაირელ ინდიელებს ბრინჯი მანქანების საშუალებით უნდა ეწარმოებინათ.[17] მატო გროსოს რეგიონში მცხოვრები ბაკაირები ფართოდ იყენებენ ჩეხვა-დაწვით მოწათმოქმედებას მდინარეების გარშემო არსებულ გარეულ ტყეებში. ისინი ასევე მისდევდნენ მესაქონლეობას, ნადირობასა და თევზაობას. მეოცე საუკუნის ადრეულ წლებში ამ ტომთა მოსახლეობა 150 კაცამდე შემცირდა და მათ შედარებით მცირე საცხოვრებელი ადგილი გამოყვეს. ტერიტორიის ნაწილს გარეული ტყეები წარმოადგენდა, მაგრამ უფრო დიდი ნაწილი სახნავ-სათესად გამოსადეგი იყო. როცა ბაკაირთა მოსახლეობამ თანდათან მატება დაიწყო, FUNAI-მ შემოიღო სქემა, რომლის მიხედვითაც, წარსულში ამ მიწაზე დაითესებოდა ბრინჯი მანქანების, სასუქისა და შემწამვლელი საშუალებების მეშვეობით. პირველი წლის ხარჯები FUNAI-მ გაისტუმრა. მისი მოლოდინით მესამე წლისთვის ეს სქემა თვითაღმჭურველი და დამოუკიდებლად მოქმედი გახდებოდა. პროექტი ასე წარმატებით ვერ განვითარდა, რადგან I-მ ვერ აღჭურვა იგი სათანადო ტექნიკით და ვერც ადეკვატური რჩევებით. ამრიგად, მოსავლის მოსალოდნელი რაოდენობის მხოლოდ ნახევარი მიიღეს საბოლოოდ. თუმცა, ეს მაინც იმაზე მეტი საკვები იყო, ვიდრე ბაკაირები უწინ აწარმოებდნენ. წესით, ეს პროგრამა მათთვის მომგებიანი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ამ პროგრამის ეფექტებს მოულოდნელი ნეგატიური მხარეც ჰქონდა: თუ საკვების წარმოების კუთხით შევხედავთ, ბაკაირებს უფრო მეტი სახამებლის შემცველი საკვები აქვთ, მაგრამ სოფლის მეურნეობაში ნაყოფიერი მიწის გამოყენება ამცირებს საქონლის საძოვრების არეალს. საქონელი კი, თავის მხრივ, მაღალი ხარისხის ცილების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ასე რომ, ახლად მექანიზებულმა სოფლის მეურნეობამ შეამცირა ცხოველური ცილის ხელმისაწვდომობა. მექანიზაცია ბაკაირებს დამოკიდებულებს ხდის ფულზე, რომლითაც საწვავი, შესაწამლი და სასუქი უნდა შეიძინონ. სამუშაოსთვის მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ინდივიდებს ქირაობდნენ — ძირითადად მამაკაცებს, უცხო ქვეყანაში ყოფნისა და ტექნიკასთან მუშაობის გამოცდილებით. ამრიგად მექანიზებული სოფლის მეურნეობისას მოგებული ფული ადამიანთა მცირე რიცხვს გადაეცემოდა. საეჭვოა, წარმოადგენს თუ არა უთანასწორობა შემოსავალში ბაკაირებისათვის მომგებიან გრძელვადიან ეფექტებს.

ეს შეცდომები ანთროპოლოგთა ბრალი არ ყოფილა. მართლაც, მთავრობისა და სხვა სააგენტოების მიერ დაფინანსებული დაგეგმილი ცვლილების ინსტანციები ზოგჯერ საერთოდ ანთროპოლოგის ჩაურევლად ხორციელდება

ხოლმე. გამოყენებითი ანთროპოლოგები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ იმ პროგრამათა პრობლემების აღმოჩენაში, რომლებიც ვერ ახერხებენ გრძელვადიანი შედეგების გათვლას. ამგვარი გათვლები მნიშვნელოვანია მთავრობებისა და სხვა სააგენტოების დასარწმუნებლად, რომ პროგრამის განხორციელებამდე ანთროპოლოგთა დახმარებაა საჭირო. ირონიულად, ადამიანები შეცდომებზე სწავლობენ: წინა დაგეგმილი ცვლილების შეცდომათა შესწავლისას პრაქტიკოს ანთროპოლოგებს ბევრი დასკვნა გამოაქვთ გრძელვადიანი მოგებისა და წაგების შესახებ.

პროგრამების მიერ შესაძლო მომგებიანი შედეგები, შესაძლოა, აშკარა და თვალსაჩინო იყოს. მაგალითად, ჰაიტიმ განიცადა სერიოზული ტყის ჩეხვა. პროცესი კოლონიურ პერიოდში დაიწყო, როდესაც ესპანელები ხის ექსპორტს ახორციელებდნენ, ხოლო ფრანგები ტყეს შაქრის ღერწმის, ყავისა და ინდიგოს მოსაყვანად ჩეხავდნენ. ჰაიტის მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგაც აგრძელებდნენ უცხოური კომპანიები ხის გაყიდვასა და ჩეხვას. ხეს ადგილობრივი მოსახლეობაც იყენებდა საწვავად და მშენებლობისთვის. მოსახლეობის უეცარმა მატებამ გაზარდა ხის მოხმარებაც და ამრიგად, ბევრი ხე-ტყე განადგურდა. ტყის საფარის განადგურება იწვევს ნიადაგის ეროზიას. მეტყევეობის ექსპერტები, ბუნების დამცავნი და ანთროპოლოგები — ყველანი თანხმდებიან იმაზე, რომ ეს ტენდენცია უნდა შეწყდეს. მაგრამ შესაბამისი ცვლილების მოხდენა არც ისე ადვილია. რაც უფრო ღარიბდებიან ადამიანები, მით მეტად ჭრიან ისინი ხეებს გასაყიდად.[18] მას შემდეგ, რაც რამდენიმე ტყეთა აღმდგენი პროექტი წარუმატებლად დასრულდა, დახმარების თხოვნით ანთროპოლოგს მიმართეს. მისმა მცდელობამ გაამართლა (იხ. სტატია „ჰაიტიში ხეების დაბრუნება“).

სირთულეები დაგეგმილი ცვლილების დანერგვაში

დაგეგმილი ცვლილების წარმატებით განხორციელება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, სამიზნე მოსახლეობას უნდა ეს ცვლილება, მოსწონს ის თუ არა. სანამ დაიწყება კულტურული ნოვაციის დანერგვა, უნდა გაირკვეს, იცის თუ არა სამიზნე საზოგადოებამ რა მოგების მომტანია ესა თუ ის პროგრამა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცვლილების განხორციელებასშეიძლებასერიოზულიბარიერებიშეექმნას. მაგალითად, სამედიცინო მუშაკებს ხშირად უჭირდათ ხალხის იმაში დარწმუნება, რომ ისინი ავად დაბინძურებული წყლის გამო ხდებოდნენ. სხვა შემთხვევებში, სამიზნე მოსახლეობა საკმაოდ კარგად აცნობიერებს პრობლემას და ხშირად მის წყაროსაც. ნიმუშად შეგვიძლია ტაივანელი ქალები მოვიხმოთ, რომელთაც 1960-იანი წლების დასაწყისში ოჯახის დაგეგმვის მეთოდები გააცნეს. ტაივანელმა ქალებმა იცოდნენ, რომ იმაზე ბევრი შვილი ჰყავდათ, ვიდრე უნდოდათ და ვიდრე გასწვდებოდნენ ეკონომიკურად. სწორედ ამიტომ მათ თავად სურდათ თავიანთი შობადობის კონტროლი. ისინი პროგრამის მსვლელობას წინააღმდეგობას არ უწევდნენ — მათთვის უბრალოდ საჭირო ხელსაწყოები და კონსულტაციები უნდა მიეცათ. შედეგად, შობადობა სწრაფად ჩამოვიდა უფრო სასურველ და ხელმისაწვდომ ზღვარზე.[19]

სამიზნე მოსახლეობის წინააღმდეგობა

ყველა შეთავაზებული ცვლილების პროგრამა სამიზნე მოსახლეობისთვის მომგებიანი როდია. ხანდახან წინააღმდეგობის გაწევა რაციონალური საქციელია. ანთროპოლოგები აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ სამიზნე მოსახლეობის მოსაზრება ცვლილების აგენტების არგუმენტებზე მყარია ხოლმე. ერთი ამგვარი მაგალითია ვენესუელის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამა ჩვილების რძის ფხვნილით კვებისთვის. დედები უარს ამბობდნენ ამ რძეზე, იმის მიუხედავად, რომ ის უფასო იყო, რადგან ეს პროგრამა გულისხმობდა, თითქოს დედის რძე არ იყო სასარგებლო.[20] ვერავინ იტყვის, რომ ეს წინააღმდეგობა არ იყო ინტუიციურად სწორი. დედები მიხვდნენ, რომ იგი არ მოუტანდა ბავშვებს სარგებლობას. სამედიცინო გამოკვლევა ახლა ადასტურებს, რომ დედის რძე ფხვნილზე გაცილებით სასარგებლოა. უპირველეს ყოვლისა, ადამიანის რძე უფრო მეტად შეიცავს ადამინის განვითარებისთვის სასარგებლო მკვებავ ნივთიერებებს. მეორეც, ახლა ცნობილი გახდა, რომ დედა თავისი რძის საშუალებით ჩვილს ანტისხეულებს გადასცემს. და მესამე, ხელოვნური კვება აფერხებს ევოლუციას და, როგორც წესი, ზრდის ფეხმძიმობებს შორის პერიოდს.[21]

ხელოვნურ, ფხვნილის რძით კვებაზე გადასვლამ ბევრ განუვითარებელ საზოგადოებაში კვების ნაკლებობა და უბედურება, სიღარიბე გამოიწვია. ფხვნილს, როგორც წესი, წყალში ხსნიან, ხოლო თუ წყალი და ბოთლი სტერილური არაა, ამას ჩვილებისთვის უამრავი დაავადება და უბედურება მოაქვს; მეტიც, ასეთ რძეს ყიდვა უნდა. ამიტომ უფულო დედებს ხშირად რძის გაზავება უწევთ ისე, რომ უფრო დიდხანს იმყოფინონ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ხელოვნურ კვებაზე მცირე ხნით გადასვლითაც კი დედებს რძე უშრებათ და რომც უნდოდეთ უკვე აღარ შეუძლიათ ბავშვის ბუნებრივ კვებაზე დაბრუნება.

როგორც ვენესუელის მაგალითმა გვიჩვენა, ინდივიდებს შეუძლიათ შეეწინააღმდეგონ რომელიმე სამედიცინო ან ჯანმრთელობის ცვლილებას, რადგან ეს პირადი საკითხია. მთავრობის ან კერძო სააგენტოების მიერ დაგეგმილი ფართომასშტაბიანი ცვლილებების შეჩერება იშვიათად შეიძლება, მაგრამ შესაძლებელია მათთვის ძლიერი წინააღმდეგობის გაწევა. ბრაზილიაში ქსინგუს მდინარის რაიონში მცხოვრებიმა კაიაპოებმა შეძლეს, შეეჩერებინათ ბრაზილიის მთავრობის გეგმა, რომელსაც სურდა მდინარეზე დამბების აშენება ჰიდროელექტროენერგიის გამოსამუშავებლად. კაიაპოელებმა საერთაშორისო ყურადღება მიიპყრეს, როდესაც რამდენიმე მათი ლიდერი ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტელეარხებზე გამოჩნდა. შემდეგ 1989 წელს მათ წარმატებული საპროტესტო აქციები მოაწყვეს. წარმატება ნაწილობრივ იმის შედეგი იყო, რომ მათ საერთაშორისო საზოგადოებას თავი წვიმის ტყეთა მცველებად წარუდგინეს და ამით მათ საერთაშორისო ბუნების დამცავი ორგანიზაცია მხარდაჭერა მოიპოვეს. მართალია, კაიაპოელებს სურთ, მათი ცხოვრების წესი ძველებურად დარჩეს, მაგრამ ისინი ყოველ ცვლილებას არ ეწინააღმდეგებიან. მეტიც, მათ სურთ, ჰქონდეთ ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, სხვა სამთავრობო სერვისები და საზღვარგარეთული ნაწარმი.

მაგრამ მაშინაც კი, თუ პროექტი საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანია, მას მაინც შეიძლება შეხვდეს წინააღმდეგობა. პროექტთა მიღების ხელისშემშლელი ფაქტორები შეიძლება დახარისხდეს სამ, ხშირად ურთიერთმკვეთ კატეგორიად: კულტურული, სოციალური და ფსიქოლოგიური ბარიერები.

კულტურული ბარიერები არის საზიარო ქცევის წესების, დამოკიდებულებებისა და რწმენების ერთობლიობა, რომლებიც ზოგჯერ ნოვაციის დანერგვას აფერხებს. მაგალითად, სხვადასხვა საზოგადოების წევრებმა საჩუქარი შეიძლება სხვადასხვანაირად აღიქვან. კერძოდ, კომერციალიზებულ საზოგადოებებში არაფრის გულისთვის ნაჩუქარ ნივთებს უფასურად მიიჩნევენ. კოლუმბიის მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა, რომლის თანახმადაც, ფერმერებს გადაეცემოდათ ხეხილის თესლი, რათა ქვეყანაში გაზრდილიყო ხილის წარმოება. მაგრამ ფერმერებმა თესლის მიმართ არანაირი ინტერესი არ გამოიჩინეს და ბევრი თესლი დაიღუპა კიდეც მოუვლელობის გამო. როდესაც მთარობამ დაინახა, რომ მათმა პროგრამამ არ გაამართლა, მან დაიწყო თითოეული ფერმერის დაჯა-

რიმება ნომინალური თანხით თითოეულ თესლზე. მალე ეს პროგრამა უზომოდ პოპულარული გახდა და ხილის პროდუქციამაც იმატა.[23] ფერმერებმა თესლების დაფასება, ალბათ, ჯარიმის გამო დაიწყეს. ამრიგად, გაიზარდა საბაზრო მოთხოვნაც ხილზე. კულტურული წინააღმდეგობის სხვა მაგალითები, რომელთაც ჩვენ მომდევნო თავში ვრცლად განვიხილავთ, არის წარმოდგენები სექსის შესახებ. ხანდახან ეს წარმოდგენები ხელს უშლის ადამიანებს, მიჰყვნენ უსაფრთხო სექსის სამედიცინო დირექტივებს.

ცვლილების აგენტთათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, გაიგონ საზოგადოების საზიარო დამოკიდებულებათა და რწმენათა არსი. უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია ადგილობრივთა კულტურული კონცეფციებისა და ცოდნის გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად დანერგვისთვის. ასე, მაგალითად, ჰაიტიში ჩვილების დიარეისგან სიკვდილიანობის შესამცირებლად ცვლილების აგენტებმა ადგილობრივი ტერმინოლოგია გამოიყენეს. მათ ტრადიციული მცენარეული ნაყენი საშუალებების აღმნიშვნელი სიტყვებით დაახასიათეს ახალი დეჰიდრატაციის პერორალური (პირის ღრუდან დასალევი) თერაპია, რაც ძალიან წარმატებული მეთოდია მედიცინაში. ადგილობრივი რწმენის მიხედვით, დიარეა ,,ცხელი" დაავადებაა და მის მოსარჩენად გამოყენებულ საშუალებებს გამაგრილებელი თვისებები უნდა ჰქონდეს.[24] მეორე, მაშინაც კი, თუ ადგილობრივი რწმენები არაა კამპანიისათვის ხელსაყრელი, მათმა უგულებელყოფამ შეიძლება მთელ პროგრამას გამოუთხაროს ძირი. საწინააღმდეგო, საპირისპირო რწმენათა აღმოჩენა საკმაოდ რთულია, რადგან მათ ვერ გამოარჩევ ჩეულებრივი საუბრებიდან. სამედიცინო ანთროპოლოგიის თავში ჩვენ უფრო დეტალურად განვიხილავთ დაავადებათა შესახებ არსებულ კულტურულ თეორიებს.

დაგეგმილი ცვლილების მიღება-არმიღების საკითხი შეიძლება ასევე სოციალურ ფაქტორებზეც იყოს დამოკიდებული. კვლევებით დადგინდა, რომ ცვლილების მიღება მაშინაა უფრო მოსალოდნელი, როცა ცვლილების აგენტი და სამიზნე ან პოტენციური მოსახლეობა ერთი საზოგადოების წევრები არიან. მაგრამ ცვლილების აგენტებს შეიძლება იმ ადამიანებზე მაღალი სოციალური სტატუსი და განათლება ჰქონდეთ, ვისზე გავლენის მოხდენაც სურთ. ამრიგად, ცვლილების აგენტები, შესაძლოა, უფრო მაღალი სტატუსის მქონე ინდივიდებთან მუშაობდნენ, რადგან ისინი უფრო მიდრეკილნი არიან ახალი იდეების მისაღებად. მაშინ, როცა საჭიროა დაბალი სტატუსის ხალხთა ცვლილება, საქმეში დაბალი სტატუსის ცვლილების აგენტებს რთავენ ხოლმე.[25]

დაბოლოს, მიღება-არმიღების საკითხები დამოკიდებულია ასევე ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე – როგორ აღიქვამენ ინდივიდები როგორც თავად ცვლილებას, ისე ცვლილების აგენტებს. მკვლევრები ცდილობდნენ, ამერიკის სამხრეთ შტატებში ქალები ჩვილთა ხელოვნური კვებიდან ბუნებრივზე გადასვლაში დაერწმუნებინათ. იმის მიუხედავად, რომ დედებმა იცოდნენ ბუნებრივი კვების სარგებლიანობის შესახებ, ისინი მაინც უარს ამბობდნენ მასზე. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მათ ამის მიზეზები ჰქონდათ. ბევრი ქალი არ იყო დარწმუნებული, რომ შეძლებდა საკმარისი რძის გამოყოფას. ამასთან, მათ რცხვენოდათ საჯაროდ ბავშვების ძუძუთი კვება. ზოგის ოჯახს და მეგობრებს კი ამ პროცესისადმი ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ.[26] საგანმანათლებლო პროგრამის შედგენისას ცვლილების აგენტებმა შეიძლება ამგვარ ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას პირდაპირ უნდა მიმართონ.

ადგილობრივი გავლენის გავრცელების წყაროების აღმოჩენა-გამოყენება

კულტურული ცვლილების პროექტის დაგეგმვისას პროექტის ადმინისტრატორმა უნდა გაარკვიოს, რა გავლენის საშუალებები არსებობს საზოგადოებაში. ბევრ ერთობაში არსებობს არაფორმალური საკომუნიკაციო ქსელები, ან მაღალი პრესტიჟისა და გავლენის მქონე ადამიანების, რომელთაც ხშირად მიმართავენ რჩევისა და წინამძღოლობის თხოვნებით. ამგვარი გავლენის საშუალებების აღმოჩენა უაღრესად სასარგებლოა მაშინ, როცა საზოგადოებისთვის ცვლილების წარდგენას და გაცნობას გეგმავს. ამასთან, საჭიროა იმის ცოდნაც, რა დროს და რა შემთხვევებშია ეფექტური გავლენის ერთი საშუალება მეორეზე ინფორმაციის გავრცელებისას.

ადგილობრივი გავლენის წყაროების ეფექტურობა გამოჩნდა მაშინ, როდესაც ინდოეთის ორისას შტატის კალაჰანდის ოლქში ყვავილის დაავადება გავრცელდა. სამედიცინო მუშაკების მცდელობა, მოეხდინათ მოსახლეობის ვაქცინაცია, სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ადამიანებს, რომლებიც თავიდანვე ეჭვითა და შიშით უყურებდნენ ამ უცხო ხალხს და მათ უცნაურ მედიკამენტებს, არ სურდათ, გამხდარიყვნენ მათი ექპერიმეტების მსხვერპლნი და მით უმეტეს, ბავშვები მიეშვათ მათთან. ეპიდემიისგან დატანჯულმა მოსახლეობამ ადგილობრივ მღვდელს მიმართა დახმარებისთვის, რომლის აზრსაც ისინი ენდობოდნენ. ტრანსში ყოფნისას მღვდელმა შეიტყო, რომ თურმე ეპიდემია ქალღმერთ ტალერანის რისხვამ გამოიწვია. მისი თქმით ქალღმერთის დაწყნარება მხოლოდ მასობრივ ზეიმებს, შესაწირს შეეძლო. ყველაფერს, რაც ხალხის მისდამი თაყვანისცემას დაამტკიცებდა. სასოწარკვეთილმა სამედიცინო მუშაკებმა რომ გააცნობიერეს, რომ მღვდელი სოფელზე გავლენის მომხდენი უზენაესი პირი იყო, ყოველ შემთხვევაში სამედიცინო საკითხებში, შეეცადნენ დაერწმუნებინათ იგი. ვაქცინაციის სარგებლიანობაში. თავდაპირველად მღვდელმა უარი თქვა უცხოებთან თანამშრომლობაზე. მაგრამ, როდესაც მისი საყვარელი ძმისშვილი გახდა ავად, ის მზად იყო, ნებისმიერ შემოთავაზებას დათანხმებოდა ბიჭის მოსარჩენად. ამის შემდეგ ის კვლავ შევიდა ტრანსში და აუწყა სოფლის მოსახლეობას, რომ ქალღმერთს სურდა, მათ ვაქცინაცია მიეღოთ. საბედნიეროდ, ხალხი დათანხმდა და შესაძლებელი გახდა ეპიდემიის კონტროლი.[27]

თუ გავლენის წყაროები არასტაბილურია, პროგრამის კამპანიაში მათი გამოყენება შეიძლება პირიქით, დამღუპველი აღმოჩნდეს. ჰაიტიში საგანმანათლებლო კამპანიის გატარებისას, რომელიც ემსახურებოდა ბავშვების დიარეისგან განსაკურნებლად ახალი თერაპიის დანერგვას, ჰაიტის პირველმა ლედიმ შესთავაზა მკვლევრებს, პროექტი მისი სახელითაც წარემართათ. რადგანაც ამ პროექტს არ შეხვედრია დიდი სოციალურ-კულტურული ბარიერები და დედებიც ამბობდნენ, რომ ბავშვები მალე ითვისებდნენ წამალს, პროექტისგან წარმატებას მოელოდნენ. მაგრამ კამპანიის განხორციელების შუაში ჰაიტი გაეხვა პოლიტიკურ გადატრიალებაში და პირველი ლედის ქმარიც ჩამოაგდეს თანამდებობიდან. საზოგადოების ნაწილმა იფიქრა, რომ პერორალური დეჰიდრატიცია იყო დუვალიერების (პირველი ლედის და მისი ქმრის გვარი) გეგმა, მოეხდინათ ბავშვების სტერილიზება. საზოგადოება ეჭვებმა შეიპყრო.[28] როგორც სტატია ,,ჰაიტიში ხეების დაბრუნება" გვიჩვენებს, დუვალიერების რეჟიმის შემდეგაც კი, ჰაიტის მოსახლეობა ეჭვის თვალით უყურებდა მთავრობის მიერ დაფინანსებულ ნებისმიერ პროგრამას.

გამოყენებითი ანთროპოლოგები არიან სამედიცინო პროგრამის გატარებაში ადგილობრივი მკურნალების ჩართვის მომხრენი არიან. ამგვარი პროგრამები შეიძლება წინააღმდეგობას წააწყდეს მედიცინის სფეროსა და მთავრობის მხრიდან, რომლებიც ამგვარ მკურნალებს ნეგატიურად უყურებენ. მაგრამ ამგვარი სტრატეგია შეიძლება საოცრად ეფექტური იყოს იზოლირებულ ადგილებში, სადაც ჯანდაცვის ერთადერთ წყაროს ადგილობრივი მკურნალები წარმოადგენენ. როდესაც მათ რთავენ სამედი-

გამოყენებითი ანთროპოლოგია

ჰაიტიში ხეების დაბრუნება

არავინ ურყოფს, რომ აუცილებელია ჰაიტიში იმ ხეების ახლით ჩანაცვლება, რომლებიც ესოდენ სწრაფად ნადგურდება. ხეები საჭიროა არამარტო ნიადაგის ეროზიის თავიდან ასაცილებლად, არამედ საწვავ და საშენ მასალად. მოსახლეობის სიჭარბე გამოიხატა ღარიბი ფერმერებისთვის მიწის ნაკლებობაში. რადგან ქალაქებში ადამიანთა რიცხვი სულ უფრო მატულობს, იზრდება ასევე მოთხოვნილება ხის ნახშირზე. ამიტომ ღარიბი მოსახლეები დარჩენილ მცირე ხეებსაც ჭრიან, რათა გაყიდონ ნახშირი ქალაქში. პროგრამის ადმინისტრატორებმა იციან, რომ აუცილებელია ხელახალი გამწვანება, მაგრამ ტრადიციული გამწვანების პროგრამებმა არ გაამართლა. რატომ?

ახალი პროგრამის შედგენაში გერალ მიურეის იმის გაგება დაეხმარა, თუ რატომ ვერ გაამართლა წინა პროექტებმა. ეს პროექტის შექმნის პირველი ნაბიჯი იყო. პირველ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ წინა პროექტები სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ხორციელდებოდა. სათესლე ხეები, რომლებიც დაურიგდათ ფერმერებს, „მთავრობის ხეებად" მიიჩნიეს. ამრიგად, როდესაც პროექტის თანახმად, ფერმერებს უბრძანეს, არ მოეჭრათ ახალი ხეები, მათ ჩათვალეს, რომ ის მიწა, რაზეც ხეები იყო დარგული, მთავრობას ეკუთვნოდა. ამგვარ მიწაზე კი ყველაზე ნაკლებად ზრუნავდნენ და ღელავდნენ ფერმერები. ამის საწინააღმდეგოდ, მიურეის შემოთავაზებულ პროექტში ხეებიის დისტრიბუციისთვის გამოიყენეს არა მთავრობა, არამედ კერძო ნებაყოფლობითი ორგანიზაციები. ფერმერებს უთხრეს, რომ ისინი იყვნენ ხის მფლობელები. მფლობელობა ხეების მოჭრას და გაყიდვასაც გულისხმობდა, ისევე როგორც მოსავლის გასხვისებას. წინა პროექტებში ფერმერებს დიდ და ძნელად გადასაზიდ ნერგებს აძლევდნენ, რომელთა მოვლაც საკმაოდ რთული იყო. ხეები ფართო კომუნალურ ტყის ნაკვეთებზე უნდა დაერგოთ, რაც შეუფერებელი იყო ჰაიტელთა ინდივიდუალური მიწის მფლობელებისთვის. ახალი გეგმის მიხედვით, ნერგები სწრაფად მზარდი სახეობის იყო, რომლებიც ოთხ წელიწადში უკვე მწიფდებოდნენ. ამასთან, ნერგები მცირე ზომის გამო ადვილად ირგვებოდა. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ შეიძლებოდა ხეების საზღვარზე ან სხვა ნერგებთან ერთად დარგვა.

ტყის განახლება ჰაიტიში.

მურეის გასაკვირად, ორი წლის თავზე 2 500-მა ჰაიტელმა ფერმერმა 3 მილიონამდე ნერგი დარგო, ოთხი წლის თავზე კი 75 000 ოჯახს 20 მილიონი ხე ჰქონდა დარგული. ფერმერები არც ხეების მოჭრას ჩქარობდნენ, რადგან მზარდი ხეები არ ფუჭდება. ფერმერები იმ დრომდე გადასწევდნენ ხოლმე ხის მოჭრის თარიღს, სანამ ფული არ დასჭირდებოდათ. და იმის მიუხედავად, რომ ფერმერებს ჰქოდათ ხეების მოჭრის უფლება, რაც განსხვავდებოდა წინა პროექტების განცხადებებისგან, მიწის ზედაპირი სულ უფრო მეტად იფარებოდა ხეებით.

მიურეის ხანგრძლივი გამოკვლევები და ინტერვიუები დაეხმარა, გამოეცნო, რა პროექტი შეესაბამებოდა ჰაიტელ ფერმერთა მოთხოვნილებებს. ფერმერთათვის ხე საკმაოდ მნიშვნელოვანი გასაყიდი საქონელი იყო — მათ უკვე გაეყიდათ ის, როცა დასჭირდათ. განსხვავება ახლანდელ და მაშინდელ სიტუაციებს შორის იყო ის, რომ ბუნებრივად გაზრდილი ხის მოჭრის ნაცვლად, ისინი ისევე ზრდიდნენ ხეს, როგორც სხვა მოსავალს.

რაც უფრო ცნობილი ხდება, რომ პროგრამების დანერგვისას ანთროპოლოგები კარგი დამხმარე ძალაა, მით უფრო ხშირად მიმართავენ მათ მთავრობები და კერძო დანესებულებები რჩევისთვის.

ცინო ცვლილების პროგრამებში, მკურნალები ხშირად აგზავნიან ხოლმე პაციენტებს საავადმყოფოებში, თუ ავადმყოფობას თავად ვერ უმკლავდებიან. ხანდახან კი პირიქით ხდება და საავადმყოფოები აგზავნიან პაციენტებს მკურნალებთან.[29]

ცვლილების პროგრამის განხორციელებაში თავის როლს სხვა სოციალური ჯგუფები და მათი დამოკიდებულებაც თამაშობს. უფრო ხშირად ის ადამიანები, ვისაც ეხმარებიან, მცირე პრივილეგიებს ფლობენ, აქვთ მცირე პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება და დაბალი პრესტიჟი.[30] ცვლილება ან განვითარება შედარებით უფრო პრივილეგირებულთათვის ხშირად საფრთხეს ნიშნავს. თუ მათ აქვთ ახალ პროგრამასთან შეწინააღმდეგების ძალა, ისინი ეფექტური საბოტაჟის მოწყობას შეძლებენ. ამრიგად, განვითარების აგენტი არამარტო ადგილობრივ თემს უნდა დაეკითხოს, არამედ სცადოს საზოგადოებაში ძალაუფლებიანი ჯგუფების დარწმუნება პროგრამის სარგებლიანობაში.

უფრო თანამშრომლური გამოყენებითი ანთროპოლოგიის საჭიროება

მსხვილმასშტაბიანი პროგრამების უმრავლესობა ხორციელდება მთავრობის, საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციების ან სხვა სააგენტოების მიერ. მაშინაც კი, თუ პროგრამები კეთილგანზრახვიანია და კვლევებითაა დადგენილი, რომ სამიზნე მოსახლეობა არანაირად იზარალებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ მაინც არ რთავენ ხოლმე. ზოგი ანთროპოლოგი, მათ შორის უეინ უორი ფიქრობს, რომ გამოყენებითი ანთროპოლოგია უფრო მეტად თანამშრომლური უნდა იყოს. ვარის ერთხელ კანადელმა უხუცესმა ჰკითხა, თავად თუ მიიღებდა მის მიერ შემოთავაზებულ ცვლილებას, თემის წევრი რომ ყოფილიყო.[31] ამ კითხვამ შთააგონა მას პროექტში ადგილობრივ კანადელ თანამშრომლებთან

ანთროპოლოგიური ორიგინალები

ახალი მექსიკის ტაოები

ტურიზმი ყველგან მისასალმებელი არ არის: ხალხი შეიძლება ტურიზმს ეწინააღმდეგებოდეს, მაშინაც, თუ ის შემოსავლის ძირითადი წყაროა. ისინი ასე იქცევიან, რათა შეინარჩუნონ ინდივიდუალობა და ხელი შეუშალონ უცხოებს მათი ცხოვრების შესახებ ზედმეტის გაგებაში — კერძოდ, მათ რელიგიურ აღმსარებლობასა და პრაქტიკაზე. ტურისტებისათვის რაღაც პერიოდის განმავლობაში სოფლის ჩაკეტვას თავისი ეკონომიკური მიზეზებიც აქვს. ასე იქცევა ტაოს პუებლოს (ინდიელთა სოფელი) მოსახლეობაც.

ტურისტების პუებლოებში ჩამოსვლის აკრძალვაზე დიდი გავლენა მოახდინა წარსულის დავიწყებამ, ეს პროცესი მხოლოდ 1989 წლიდან დაიწყო. პუებლო სრულიად დაკეტილია უცხოთათვის თებერვალსა და მარტში. მაშინ, როცა ზოგი იფიქრებდა, რომ ეს ტურისტებისგან დასვენების სულის მოთქმის პერიოდია, სინამდვილეში ეს ჩვეულება სულ სხვა მიზანს ემსახურება. „სულის მოთქმის" პერიოდი სათხილამურო სეზონის დროს იწყება. თხილამურები ახლა უმსხვილესი ინდუსტრიაა ტაოს ჩრდილოეთით მდებარე მთებში. მართალია, ბევრი მოთხილამურე იქ სპორტის გამო ჩადის და არა ინდიელების სანახავად, მაგრამ ბევრი პუებლოშიც ჩავიდოდა ის რომ ღია დახვედროდა. პუებლოს დახურვის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ ამ დროს ახალგაზრდა ბიჭებს კივაში [ოთახები ან შენობები, რომლებსაც იყენებენ რელიგიური მიზნებისთვის] შესვლის პერიოდი უდგებათ. აქ ისინი იწყებენ წვრთნას, რათა გახდნენ ნამდვილი ტაოელი მამაკაცები. ამ პერიოდში ახალგაზრდებს სრული განმარტოება სჭირდებათ. ისინი არ ურთიერთობენ საკუთარი ოჯახის წევრებთანაც კი. წარსულში, როდესაც აქ ცოტა ადამიანი ჩადიოდა, ბიჭებს შეეძლოთ ვიზუალური ან სხვა სახის კონტაქტის თავიდან აცილება. მაგრამ დღეს ეს შეუძლებელი იქნებოდა. ამრიგად, ტაოელებმა გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ ტურისტულ შემოსავალზე თავიანთი რელიგიის მთავარი ასპექტების შესანარჩუნებლად.

ერთად ჩართულიყო, რომლის სათავეშიც ტომის საბჭოს თავმჯდომარე — მამა ვესვენი იდგა. პროექტი აფასებდა სამედიცინო მომსახურების საჭიროებას და ავითარებდა ადგილობრივი ჯანდაცვის გაუმჯობესების გეგმას. პროგრამას კანადის მთავრობა აფინანსებდა. ადგილობრივ მკვლევრებს მოსახლეები პროგრამის საქმის კურსში უნდა ჰყოლოდათ. ტრაიბალური საბჭოც მიმოიხილავდა ნებისმიერ პუბლიკაციას და მათგან შემოსული მოგების ნაწილს იღებდა.

გამოყენებით ანთროპოლოგებს სულ უფრო მეტად სთხოვენ, იმუშაონ ადგილობრივი უბრალო ხალხის ორგანიზაციების სახელით. როგორც წინათ აღვნიშნეთ, განვითარებად სამყაროში ამგვარი ჯგუფების პროლიფერაცია (სწრაფი ზრდა) შეინიშნება. რიგ შემთხვევებში ამგვარი ჯგუფები და მათი ქსელები ქირაობენ საკუთარ ტექნიკურ მოსამსახურე პერონალს.[32] როდესაც ამგვარი ორგანიზაციები განკარგავენ პერსონალის დაქირავებას, ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც მონაწილეობენ. არსებობს იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ უბრალო ხალხის ორგანიზაციები ეფექტური განვითარების მთავარ დეტალს შეადგენენ; მაგალითად, კენიელი ფერმერები, რომლებიც ამგვარი ორგანიზაციის წევრები არიან, იღებენ მეტ მოსავალს, ვიდრე არაწევრები. მაშინაც კი, თუ ეს უკანასკნელნი (არაწევრები) სოფლის მეურნეობის მეტი დამქირავებლისთვის არიან ხელმისაწვდომი.[33] უბრალო ხალხთა ორგანიზაციები წარმატებას მოიპოვებენ იქ, სადაც არ უმართლებთ სამთავრობო და უცხოურ პროექტებს. ჩვენ საკმაოდ ბევრი მაგალითი მოგვეპოვება, როდესაც ხალხი პროექტის განხორციელებას ეფექტურ წინააღმდეგობას უწევს. ცვლილების პროექტის წარმატებით განხორციელებაში გადამწყვეტი როლი შეიძლება შეასრულოს მათმა მზადყოფნამ ცვლილებისთვის და მათმა მონაწილეობამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კულტურული რესურსების მენეჯმენტი

მსხვილმასშტაბიანი დაგეგმილი ცვლილებანი, როგორც ჩვენ მიერ ამ თავში მაღლა განხილილი, გავლენას არა მხოლოდ ცოცხალ ადამიანებზე ახდენენ. ისინი გავლენას ახდენს ასევე ცოცხალი ადამიანების წინაპართა მიერ დატოვებულ არქეოლოგიურ ნარჩენებზეც. არქეოლოგიური ნარჩენების აღდგენას და შენახვას, ვიდრე მათ დაგეგმილი ცვლილების პროგრამები გაანადგურებენ ან დააზიანებენ, ეწოდება **კულტურული რესურსების მენეჯმენტი (CRM)**. CRM სამუშაოს, როგორც წესი არქეოლოგები ასრულებენ. მათ ხშირად „კონტრაქტის არქეოლოგებს უწოდებენ", რადგან ისინი ჩვეულებრივ სახელმწიფო სააგენტოებისთვის მუშაობენ კონტრაქტით.

რა სახის გავლენა შეიძლება იქონიოს დაგეგმილმა ცვლილებამ არქეოლოგიურ ფაქტებზე? 1960-იან წლებში დაიწყო მსხვილმასშტაბიანი ჰიდროელექტრო დამბების მშენებლობის პროექტები, რათა განვითარებად ქვეყნებში წყალდიდობების კონტროლირება გამხდარიყო შესაძლებელი და გაჩენილიყო ელექტროენერგიის სტაბილური წყარო. ეგვიპტეში დამბა აშენდა ნილოსის იმ მხარეს, რომელსაც ასუანს უწოდებდნენ. არქეოლოგები მიხვდნენ, რომ როგორც კი დამბის მშენებლობა დასრულდებოდა, მის უკან უზარმაზარი ტბა წარმოიშობოდა. ის გადაფარავდა უამრავ არქეოლოგიურ ტერიტორიას, მათ შორის რამზეს II-ის მასიურ ტაძარს. საჭირო იყო რაიმეს გაკეთება ამის თავიდან ასაცილებლად, არქეოლოგიური ადგილის გადასარჩენად ან დასაცავად. CRM–ის ენაზე, საჭირო იყო შერბილების გეგმის (მიტიგატიონ პლან) ამოქმედება დამბის მშენებლობის პარალელურად, არქეოლოგებმა დაიწყეს ასუანის ტერიტორიაზე გათხრები, რაც უნდა დატბორილიყო. არქეოლოგებმა და ინჟინრებმა ერთობლივად შეიმუშავეს რამზეს II-ის ტაძრის დაშლისა და ხელახლა აგების გზები. ისინი მის ნაწილ-ნაწილ აგებას უფრო ამაღლებულ ნაწილზე აპირებდნენ, სადაც ის არ დაიტბორებოდა. დამბის მშენებლობის დასრულებისას, 1965 წელს, არქეოლოგებს უკვე შეესწავლათ ასამდე ტერიტორია და ორი მთლიანი სატაძრო კომპლექსი სხვა ადგილას გადაეტანათ.

მსხვილმასშტაბიანი განვითარების პროექტები მხოლოდ CRM–ის არქეოლოგებს არ მოიცავს. ბევრ ერში, მათ შორის აშშ-სა და კანადაში, არსებობს ისტორიული განძის შენახვის სპეციალური კანონები. ამ კანონთა თანახმად, ნებისმიერი პროექტი, რომელიც ფინანსდება მთავრობის მიერ, უნდა უზრუნველყოფდეს არქეოლოგიური რესურსების დაცვას ან მათთვის ზიანის მაქსიმალურად შემცირებას. ავტომაგისტრალების კონსტრუქციის პროექტები აშშ-ში ისეთი ადგილებია, სადაც აუცილებლად შეხვდებით CRM–ის არქეოლოგებს. ფაქტობრივად ყველა ასეთი პროექტი ფედერალური მთავრობის მიერაა დაფინანსებული, და სანამ მშენებლობა დაიწყება, ჯერ ამ

ტერიტორიას არქეოლოგები შეისწავლიან. თუ აღმოჩენილია არქეოლოგიური ღირებულების ნარჩენები, მაშინ მისი პოტენციური დაზიანება მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. CRM–ის არქეოლოგი შემდეგ მუშაობს სამშენებლო კომპანიასთან, სახელმწიფო და ალბათ ფედერალურ არქეოლოგებთან ერთად, რათა ყველა ერთად საუკეთესო გადაწყვეტილებამდე მივიდეს. ზოგ შემთხვევაში, არქეოლოგიურ მასალას ამოთხრიან. სხვა დროს შეიძლება სხვა ადგილასაც გადაიტანონ. ზოგჯერ არქეოლოგიურ მასალას ანადგურებენ, რადგან მისი ექსკავაცია ზედმეტად ძვირი ჯდება. გადაწყვეტილების მიუხედავად, CRM–ის არქეოლოგი გადამწყვეტ როლს ასრულებს არქეოლოგიური მასალის დაცვასა და შეფასებაში.

CRM–ის არქეოლოგები მხოლოდ სახელმწიფო და ფედერალური მთავრობისათვის არ მუშაობენ. დღეს ბევრი ასეთი არქეოლოგი ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მუშაობს, რათა დაიცვას, შეინარჩუნოს და გაუმკლავდეს არქეოლოგიურ მასალებს. მართლაც, არქეოლოგმა ჯონ რავესლუტმა ახლახან განაცხადა, რომ ,,ამერიკის არქეოლოგიის მომავალი ინდურ თემებთან ერთადაა, რომლებიც აქტიური მონაწილეები არიან თავანთი მდიდარი მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის, მენეჯმენტისა და შენარჩუნებისა.“[34] ამგვარი ურთიერთობის მოქმედი მაგალითია ისტორიული განძების შენარჩუნების ოფისისა (ისტორიც რესერვატიონ ფფიცე) და ზუნის მემკვიდრეობის (ძუნი ერიტაგე) ურთიერთობა. 1970-იან წლებში ზუნის პუებლომ გადაწყვიტა, რომ ტომის წევრები არქეოლოგიაში გაეწვრთნა, რათა ზუნის კულტურული რესურსების და საკუთრების დაცულობაში დაწრმუნებულიყო. მან დაიქირავა სამი პროფესიონალი არქეოლოგი და ეროვნული პარკის სერვისისა (Natonal Park Service) და არიზონას შტატის მუზეუმის (Arizona State Museum) დამატებითი დახმარებით, წამოიწყო ტომის წევრთა ტრენინგისა და მათი დასაქმების პროგრამა კულტურული რესურსების მენეჯმენტში. ამ უცხოელ არქეოლოგებთან მუშაობისას ზუნის პუებლოს წევრებმა შეძლეს შეექმნათ თავიანთი საკუთარი ისტორიული განძის დაცვის ოფისი. ეს ოფისი დღესაც განკარგავს და აკვირდება ზუნის რეზერვებში არსებულ ყველა ისტორიულ საგანძურს. ამას 1992 წლამდე ფედერალური მთავრობა ასრულებდა. პუებლომ ასევე დააარსა ზუნის კულტურული რესურსების საწარმო (Zuni Cultural Resourse Enterprise). ეს იყო ზუნის საკუთრებაში არსებული CRM ბიზნესი, რომელშიც მოღვაწეობენ როგორც ზუნელი, ისე უცხოელი არქეოლოგები. ის ახორციელებს კონტრაქტულ პროექტებს როგორც ზუნის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც.[35]

კულტურული რესურსების მენეჯმენტი განვითარებადი სფეროა. მართლაც, 1994 წელს ამერიკის არქეოლოგიური საზოგადოების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ამერიკაში არქეოლოგთა 25% დაკავებულია კერძო CRM ფირმებში, რომლებიც ფედერალური მთავრობის მიერ დაფინანსებული კონტრაქტებით მუშაობენ. დანარჩენი 25% პირდაპირ სახელმწიფოსა და ფედერალურ მთავრობაზე მუშაობდა. 50% კი – პირდაპირ CRM-ში.[36] რადგან განვითარებისა და კონსტრუქციის პროექტები განაგრძობენ არქეოლოგიურ მასალებზე ზემოქმედებას, არ არის სავარაუდო, რომ CRM–ის არქეოლოგების საჭიროება კიდევ კარგა ხანს არ შემცირდება.

სასამართლო ანთროპოლოგია

ბევრი ჩვენგანი აღფრთოვანებაში მოჰყავს დეტექტიური ჟანრის წიგნებს. ჩვენ გვაინტერესებს დანაშაულები და მათი მიზეზები. ვკითხულობთ მათ შესახებ, იქნება ეს რეალობა თუ ფიქცია. სასამართლო ანთროპოლოგია არის ანთროპოლოგიის ისეთი სპეციალობა, რომელსაც დანაშაულთა ამოხსნა აკისრია. ის სულ უფრო დიდ საზოგადო ინტერესს იწვევს. ერთი სასამართლო ანთროპოლოგი ამბობდა, რომ მას სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ,,ძვლის ქალბატონს” (the bone lady) ეძახდნენ.[37] მისი კოლეგების მსგავსად, მასაც ხშირად ავალებენ ადამიანის ძვლების ამოთხრას დანაშაულის ამოსახსნელად. ხშირად დავალება მარტივია: ეს ძვლები მამაკაცისაა თუ ქალის? რამდენი წლისაა ადამიანი? სასამართლო ანთროპოლოგებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლად შეუძლიათ, განსაკუთრებით მარტივად მაშინ, როცა ადამიანის ჩონჩხი ძვლების უმრავლესობას შეიცავს. სხვა შემთხვევებში ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შეიძლება რთული იყოს. მაგალითად, შეუძლია კი სასამართლო ანთროპოლოგს დაადგინოს, რომ ადამიანის თავის ქალა აზიელ მამაკაცს ეკუთვნოდა? (პოლიციელები ეჭვობენ, რომ აღმოჩენილი ძვლოვანი ნარჩენები ხუთი წლის წინ იდუმალად გამქრალ აზიელ მამაკაცს ეკუთვნის.) მაგრამ ,,რასობრივი” წარმომავლობის ზუსტად დადგენა ცოცხალი ადამიანის შემთხვევაშიც კი ჭირს ხოლმე. მხოლოდ ძვლების მიხედვით ადამიანის რასის დადგენა საკმაოდ არაზუსტი იქნება, რადგან ჩონჩხის განსხვავებული ნაწილები კორელაციურად ერთნაირად არ იცვლება (როგორც აღვნიშნეთ რასებზე საუბრისას, სოციალური სტრატიფიკაციის თავში), მაგრამ ამის მიუხედავად, სასამართლო ანთროპოლოგს შეუძლია მიახლოებით დაადგინოს ჩონჩხის შემადგენელი ნაწილები მსოფლიოს რომელი რეგიონის მცხოვრებთათვისაა უფრო დამახასიათებელი. ხანდახან სასამართლო

კონსტრუქციული მხარეები ასევე შეიძლება იყოს არქეოლოგიური მხარეები. არქეოლოგები ხშირად დაკავებულები არიან, ჩაიწერონ და ისწავლონ კულტურული ნიშნები წარსულიდან, რაც შეიძლება დაინგრეს კონსტრუქციაში.

ანთროპოლოგს სიკვდილის მიზეზის დადგენაც შეუძლია, როცა სასჯელაღსრულების წარმომადგენლები საგონებელში არიან ჩავარდნილები.

სასამართლო სამუშაო ზოგ კულტურულ ანთროპოლოგსაც ჩაუტარებია, ხშირად ადგილობრივ ამერიკელ ინდიელებთან დაკავშირებულ სასამართლო შემთხვევებში. მაგალითად, 1978 წელს ბარბარა ჯოანსს დაავალეს, ეთანამშრომლა დაცვის მხარესთან ექვსი bannok-SaSonel ქალთა საქმეში, რომლებსაც ბრალად თაღლითობა ედებოდათ. მათ მიიღეს ,,დამატებითი სოციალური შემოსავალი" (supplementary security income, SSI), რისი მიღების უფლებაც, სერვისის სააგენტოს მტკიცებით, მათ არ ჰქონდათ. რადგანაც მათ არ განუცხადებიათ, რომ იღებდნენ ქირას მათი საკუთრებაში არსებულ მიწაში. ჯოანსმა წარმოადგინა იმის მტკიცებულება, რომ ქალებს, მართალია, ისინი საუბრობდნენ ინგლისურად, მაინც არ ესმოდათ დეტალურად, რას ეუბნებოდნენ მათ SSI-ის წარმომადგენლები. მოსამართლემ დაცვის მხარე დაიჭირა და დაადგინა, რომ ამიერიდან პროგრამის მოთხოვნილებების ახსნისას SSI-ის წარმომადგენლებს თან ბანნოკ-შაშონის ენაზე მოლაპარაკე თარჯიმანი უნდა ჰყოლოდათ.[38]

კლაიდ სნოუსა და სხვა სასამართლო ანთროპოლოგებს ხშირად მიმართავენ ადამიანის უფლებათა შემაძრწუნებელი დარღვევების დასადგენად. მთავრობები პასუხს აგებენ თავიანთი მოქალაქეების სისტემატურ მკვლელობებზე და სასამართლო ანთროპოლოგები ეხმარებიან მათ, დაიჭირონ და დასაჯონ დამნაშავენი. მაგალითად, სნოუმ და სხვა ანთროპოლოგებმა შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ სამხედრო დიქტატურა არგენტინაში 1980 წელს ბევრი ,,გაუჩინარებული" მოქალაქის მკვლელობაზე იყო პასუხისმგებელი. სასამართლო ანთროპოლოგებმა გვატემალაში მასობრივი საფლავების აღმოჩენაც შეძლეს და დაადგინეს მთავრობის მიერ ორგანიზებული მკვლელობების მსხვერპლთა ვინაობაც. დამნაშავეთა დასჯის გარდა, ხოცვა-ჟლეტვის დადგენა და მსხვერპლთა ამოცნობა მათ ოჯახებს გლოვსს უმსუბუქებს. სპეციალურმა სესიამ (სახელად ,,გაუჩინარებულთა აღმოჩენა: კლაიდ სნოუ და სასამართლო ანთროპოლოგები სამართლის სამსახურში"[39]) ამერიკელ ანთროპოლოგთა ასოციაციის ყოველწლიურ შეხვედრაზე, 2000 წელს პატივი მიაგეს სნოუს და სხვა სასამართლო ანთროპოლოგებს.

შეჯამება

1. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოყენებითი ანთროპოლოგია განვითარდა ანთროპოლოგთა პირადი გამოცდილებიდან, ჩაგრულ ხალხებთან ურთიერთობისას. გამოყენებითი,ან პრაქტიკოსი ანთროპოლოგები შეიძლება მოღვაწეობდნენ ადამიანის ცხოვრების შეცვლისთვის გამიზნული პროგრამების სხვადასხვა ფაზაში: შესაბამისი მასალებისა და ცოდნის მოგროვება, ალტერნატიული გეგმების შედგენა, გარკვეულ გეგმებზე სოციალური და გარემოს გავლენის გაზომვა, პროგრამისა და მისი ეფექტების დანერგვა.
2. დღეს ბევრი ანთროპოლოგი საქმდება ანთროპოლოგიური განყოფილებების გარეთ —ს სამედიცინო სკოლებში, ჯანმრთელობის ცენტრებში, განვითარების სააგენტოებში, ურბანული დაგეგმვის სააგენტოებში და სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებში.
3. გამოყენებით ანთროპოლოგიაში პროფესიონალურად მომუშავეთა ეთიკური კოდექსი განსაზღვრავს, რომ პროგრამის ფორმულირებისას სამიზნე საზოგადოება სამუშაოში მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული. ისე, რომ ხალხმა წინასწარ იცოდეს, რა ცვლილებები ელოდება. მაგრამ კოდექსის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ ანთროპოლოგები არ ჩაერთონ არც ერთ გეგმაში, რაც სამიზნე მოსახლეობისთვის ზიანის მომტანი იქნება. ხშირად ძნელია დაგეგმილი ცვლილების შედეგების განსაზღვრა. მაშინაც კი თუ ცვლილებები მოკლე ვადებში წარმატების მომტანია, რამდენიმე ხნის შემდეგ შეიძლება ზიანის მომტანი გახდეს.
4. მაშინაც კი, თუ დაგეგმილი ცვლილება სამიზნე მოსახლეობისთვის აშკარა მოგების მომტანია, ხალხმა შეიძლება არ მიიღოს ის. და თუ შეთავაზებული ნოვაცია საჭირო სამიზნეს მიერ არ გამოიყენება, პროექტი წარმატებულად ვერ ჩაითვლება. სამიზნე მოსახლეობა ნოვაციას შეიძლება რამდენიმე მიზეზით ეწინააღმდეგებოდეს: მათ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ცვლილება საჭიროა; შეიძლება არასწორად გაიგონ ცვლილების ახსნისას გამოყენებული სიმბოლოები ან მისი ჭეშმარიტი მიზნის გაგება გაუჭირდეთ; ხანდახან მათი ჩვეულებები და ტრადიციები ცვლილებასთან წინააღმდეგობაში მოდის; ან შეიძლება მათ უბრალოდ ეშინოდეთ ცვლილების. სამიზნე საზოგადოება ნოვაციას კიდევ იმ მიზეზით შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს, რომ ქვეცნობიერად თუ გაცნობიერებულად ხვდება, ცვლილება მათთვის მომგებიანი არ იქნება.
5. ეფექტურობისთვის ცვლილების აგენტებმა უნდა აღმოაჩინონ და გამოიყენონ ტრადიციული გავლენის წყაროები, როდესაც სამიზნე საზოგადოებას ახალ პროექტებს აცნობენ.
6. კულტურული რესურსების მენეჯმენტი ხშირად ,,კონტრაქტული არქეოლოგიის" სახეს იღებს, რათა ჩაინიშნოს და/ან დაიცვას არქეოლოგია მშენებლობისგან.
7. სასამართლო ანთროპოლოგია არის ანთროპოლოგიის გამოყენება დანაშაულთა გახსნის მიზნით.

საკონტროლო კითხვები

1. რა კონკრეტულ უპირატესობას ფლობენ ანთროპოლოგები პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისას?
2. ეთიკურია თუ არა ადამიანის ცხოვრებაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა, როცა მათ ეს არ უთხოვიათ?
3. თქვენ რომ პრაქტიკული პრობლემის გადაჭრით იყოთ დაინტერესებული, პრობლემის ძირითად თუ გამოყ-

გამოყენებითი და პრაქტიკული ანთროპოლოგია

29

თავების შინაარსი

- ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის კულტურული გაგება
- დაავადებათა მკურნალობა
- ჯანმრთელობაზე პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა
- ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაავადებანი

ავადმყოფობა და სიკვდილი ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანი მოვლენებია. მათ ვერავინ გაექცევა. ამიტომაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ის, თუ როგორ აღიქვამენ მათ ადამიანები, როგორ იქცევიან ამ დროს და რა რესურსებით ცდილობენ მათთან ბრძოლას, კულტურის ერთ-ერთი მთავარი მხარეა. ზოგი იმასაც კი თვლის, რომ ადამიანები ვერასდროს ისწავლიან სრულყოფილად ავადმყოფობათა განკურნების ეფექტურ საშუალებებს, სანამ არ გაიგებენ იმ კულტურულ ქცევებს, დამოკიდებულებებს, ფასეულობებსა და უფრო მსხვილ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს, სადაც ვცხოვრობთ. სხვები კი, პირიქით, ფიქრობენ, რომ საზოგადოებასა და კულტურას ავადმყოფობასთან ცოტა აქვთ საერთო. ადამიანების უდროო სიკვდილი იმის შედეგია, რომ ისინი შესაფერის სამედიცინო მომსახურებას ვერ ღებულობენ.

მაგრამ ანთროპოლოგები, კერძოდ კი სამედიცინო ანთროპოლოგები, სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ ადამიანთა ტანჯვის შესამცირებლად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები. მაგალითად, ზოგ საზოგადოებაში აღინიშნება ჩვილების დიარეით სიკვდილის შემაძრწუნებელი სიხშირე. ამის მიზეზები ძირითადად ბიოლოგიურია, რადგან სიკვდილს არსებითად ბაქტერიული ინფექცია იწვევს. მაგრამ რატომ ემართება ამდენ ბავშვს ეს ინფექცია? ამის მიზეზები, როგორც წესი, სოციალურია. დაავადებული ჩვილები ძირითადად ღარიბი ოჯახის შვილები არიან და ჩვეულებრივ ინფიცირებული წყლის სიახლოვეს ცხოვრობენ. ასევე, ცუდი კვება შეიძლება იყოს ცილის ნაკლებობის ბიოლოგიური შედეგი. თუმცა ამგვარი კვება ხანდახან სოციალური ფენომენიცაა. ამ დროს განსხვავებულ ადამიანებს განსხვავებულ ცხოვრებისეულ რესურსებზე მიუწვდებათ ხელი. ამრიგად, სამედიცინო ანთროპოლოგია, ისევე როგორც ანთროპოლოგია ზოგადად, ავითარებს ,,ბიოკულტურული სინთეზის"[1] მიმართულებას.

სამედიცინო ანთროპოლოგია ამ განვითარებადი სინთეზის ნაწილია. მართლაც, სამედიცინო ანთროპოლოგიაში სამუშაო ადგილების ზრდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამედროვე ანთროპოლოგიაში. სამედიცინო ანთროპოლოგია ძალიან საინტერესო სპეციალობაში გადაიზარდა, ხოლო სამედიცინო ანთროპოლოგიის საზოგადოება ამერიკის ანთროპოლოგთა ასოციაციის მეორე ყველაზე მსხვილი მიმართულება.[2]

მედიცინას შეუძლია ეფექტურად განკურნოს ავადმყოფობანი. მაგრამ მხოლოდ მას არ შეუძლია დაადგინოს, რატომ ავადდებიან ერთნი სხვა ჯგუფებზე უფრო მეტად, ან რატომ იცვლება მკურნალობის ეფექტურობა ერთი ჯგუფიდან მეორემდე. ამ თავში განხილულია კულტურული ვარიაციები ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის კონტექსტში. ასევე — კულტურული უნივერსალიები და ცვლადები დაავადების მკურნალობისას და სამედიცინო ანთროპოლოგიის შენატანი გარკვეული დაავადებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობათა შესწავლასა და მკურნალობაში.

ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის კულტურული გაგება

სამედიცინო მკვლევრები და პრაქტიკოსები აშშ-სა და სხვა დასავლურ საზოგადოებებში არ არიან სოციალურ ვაკუუმში. ძალიან ბევრი სხვა იდეა და ქმედება ექცევა იმ კულტურის გავლენის ქვეშ, სადაც ისინი ცხოვრობენ. ჩვენ შეიძლება მედიცინა აბსოლუტურად ,,ფაქტებზე" დამყარებული წარმოვიდგინოთ. მაგრამ თუ დავაკვირდებით, ცხადი ხდება, რომ ბევრი იდეა იმ კულტურიდან წარმოიშობა, სადაც მკვლევრები მოღვაწეობენ. ავიღოთ ახლანდელი შობადობის მიმართ დამოკიდებულების ცვლილება. რამდენიმე წლის წინ მამებს არ შეეძლოთ მშობიარობაზე დასწრება, მშობიარობის შემდეგ დედას შვილს იშვიათად ანახებდნენ, ნებისმიერ მნახველს (ექთნებისა და ექიმების გარდა) ბავშვის ნახვისას და ხელში აყვანისას ნიღაბი უნდა ჰკეთებოდა. ამგვარ პრაქტიკას მაშინ თავისი გამართლება ჰქონდა, მაგრამ როდესაც ახლა ამას ვიხსენებთ, ეს სულაც არ გვესახება მეცნიერულად გამართლებულად. დღეს ბევრი სამედიცინო ანთროპოლოგი თვლის, რომ ბიოსამედიცინო პარადიგმა (სისტემა, რომლითაც ექიმები იწვრთნებიან) კულტურის ნაწილად უნდა აღიქმებოდეს.

სამედიცინო ანთროპოლოგიის ერთ-ერთი მიზანია კულტურული ჯგუფის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკის — **ეთნომედიცინის** გარკვევა. როგორ ხედავენ კულტურები ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას? რა თეორიები აქვთ მათ ავადმყოფობის მიზეზების თაობაზე? ახდენს თუ არა ეს თეორიები გავლენას დაავადებების მკურნალობის გზებზე? რა სახისაა თერაპიული პროცესი? არსებობენ თუ არა მოცემულ კულტურაში პროფესიონალი მედიკოსები და მკურნალობის რა მეთოდებს იყენებენ ისინი? არსებობს თუ არა სპეციალური წამლები და როგორ განკარგავენ მათ? ეს კითხვები მხოლოდ რამდენიმეა იმათგან, რაც სამედიცინო ანთროპოლოგებს აინტერესებთ ეთნომედიცინის შესწავლისას.

ბალანსის ან წონასწორობის კონცეფციები

ბევრ კულტურაში არსებობს შეხედულება, რომ სხეული წონასწორობასა ან ბალანსში უნდა იყოს. ბალანსი შეიძლება იყოს ცხელსა და ცივს, სველსა და მშრალს შორის, როგორც ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის სახელმწიფოებში.[3] ბალანსის ცნება არ ზღუდავს საპირისპიროს. მაგალითად, ანტიკური საბერძნეთის სამედიცინო სისტემაში, ჰიპოკრატედან მოყოლებული, ფიქრობდნენ, რომ ოთხი ,,ჰუმორი" ან ელემენტი (სხეულის სითხე) — სისხლი, ნახველი, ყვითელი ნაღველი და შავი ნაღველი – უნდა ყოფილიყო დაბალანსებული. ამ სითხეს ჰქონდა ცხელი და ცივი, სველი და მშრალი თვისებები. ბერძნული მედიცინა ფართოდ იყო გავრცელებული ევროპაში და ისლამურ სამყაროშიც გაიდგა ფეხი. ევროპაში ჰუმორული სამედიცინო სისტემა დომინირებდა 1900-იან წლებამდე, როცა მიკრობთა თეორია აღმოაჩინეს.[4] აიურვედურ სისტემაში (მკურნალობის უძველესი სისტემა, რომელსაც მეხუთე ვედასაც უწოდებდნენ), რომლის პრაქტიკაც 4000 წლის განმავლობაში ხორციელდება ჩრდილოეთ ინდოეთში, პაკისტანში, ბანგლადეშში, შრი-ლანკასა და არაბულ სამყაროში, არსებობს სამი სითხე (ნახველი, ნაღველი და აირით გაჯერება). ამ სისტემისთვისაც მნიშვნელოვანია წონასწორობა ცხელსა და ცივს, სველსა და მშრალს შორის.[5] ჩინური სამედიცინო სისტემა, რომელიც 3 500 წელს მოითვლის, თავდაპირველად ხაზს უსვამდა ორ საპირისპირო მხარეს, ინსა და იანგს შორის ბალანსს. მოგვიანებით ამას დაემატა სითხის კონცეფციაც, რომელთა რაოდენობა ჩინურ მედიცინაში ექვსს შეადგენდა.[6]

ცხელისა და ცივის, ინისა და იანგის კონცეფციები ასახულია ემილი აჰერნის ეთნოგრაფიულ ნაშრომში ტაივანელი ჰოკიანების სამედიცინო სისტემის თაობაზე.[7] სხეულს ესაჭიროება როგორც ცხელი, ისე ცივი ნივთიერებანი. როცა ეს ბალანსი დარღვეულია სხეული აღიდგენს დაკლებულ ნივთიერებას შესაბამისი საკვების ან სასმელის მიღებით. ასე, მაგალითად, როცა აჰერნს სიცხისგან გული მისდიოდა, მას ურჩევდნენ, დაელია ცივი სასმელი. ზამთარში ჩვენ ბევრ ცხელ ნივთიერებას ვიღებთ, ზაფხულში კი ეს ნაკლებად გვინდება. ზოგ ადამიანს უფრო მეტად შეუძლია, აიტანოს დარღვეული ბალანსი ვიდრე სხვებს. მაგალითად, ხანში შესულები ახალგაზრდებზე ნაკლებად იტანენ ბალანსის რღვევას. სისხლის დანაკარგი სითბოს კარგვას ნიშნავს. ასე რომ, ბავშვის გაჩენიდან ერთი თვის განმავლობაში ქალები ძირითადად ქათმის სუ-

ჩინეთში და სხვაგან ტაი ჩის ვარჯიშები ჰარმონიისა და ბალანსის მომტანია.

პებს, ღვინოსა და ქუნჯუტის ზეთს მიირთმევენ — ,,ცხელი“ ინგრედიენტებისგან დამზადებულ საკვებს. ,,ცხელი“ საკვები ძირითადად ცხიმიანი, წებოვანი და ცხოველისგან დამზადებულია ხოლმე. ცივი საკვები კი წყლიანი და მცენარეულია.

სხეული ასევე ინისა და იანგის ნაწილებისგანაც შედგება. იანგის ნაწილი ხილულია. ინის ნაწილები სხვა სამყაროში არსებობს ხის ან სახლის სახით. სახლის სახურავი ადამიანის თავს მიესადაგება, კედლები — ტანს. ქალის რეპროდუქციული თვისებები ქალ-ხეზე ყვავილებს მიესადაგება. ფესვები — ფეხებს და ა.შ. შამანს შეუძლია ტრანსის საშუალებით ადამიანს მისცეს იმის შესაძლებლობა, რომ მან მოინახულოს საიქიო, სადაც გარდაცვლილები ცხოვრობენ. თუ ადამიანს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, მას აგზავნიან სხვა სამყაროში, რათა ნახოს, რა ჭირს მის ინის ხეს, ან სახლს. ინის ხის ან სახლის შეკეთებას შეუძლია აღადგინოს ჯანმრთელობა ადამიანის

ბლუბასვორში აიურვედას ექიმი ინდოეთში იყენებს გაცხელებულ სველ ქსოვილს, სამკურნალო ბალახს პაციენტის ართრიტიანი ფეხის სამკურნალოდ.

იანგის ნაწილში. ინის სამყაროში კიდევ მოჩვენებები ბუდობენ. ხანდახან ავადმყოფობას სწორედ ისინი იწვევენ. ამ შემთხვევაში ადამიანებმა შეიძლება დახმარების თხოვნით ძლიერ ღმერთებს მიმართონ, რომლებიც იანგის სამყაროში არიან.

ზებუნებრივი ძალები

ტაივანელ ჰოკიანებს სჯერათ, რომ ყველა ავადმყოფობას ბუნებრივი ან ფსიქოლოგიური მიზეზები აქვს. თუმცა, ისევე, როგორც ბევრგან, აქაც ხშირია იმის რწმენა, რომ დაავადებებს ხანდახან ზებუნებრივი ძალები იწვევენ. მართლაც, 139 საზოგადოების კროსკულტურულ კვლევაში ჯორჯ პ. მერდოკმა აღმოაჩინა, რომ მხოლოდ ორ საზოგადოებას არ სჯეროდა, თითქოს ავადმყოფობას ღმერთები ან სულები იწვევენ. ეს თავისთავად ამგვარ რწმენას თითქმის უნივერსალურს ხდის. ხოლო გამოკითხული ქვეყნების 56%-ს მიაჩნდა, რომ ღმერთები და სულები ავადმყოფობის უპირველესი მიზეზნი იყვნენ.[8] როგორც ჩვენ რელიგიის თავში განვიხილეთ, ჯადოქრობა და ჯადოსნობა გავრცელებულია მსოფლიოს საზოგადოებებში. მართალია, ორივე — ჯადოქრობაცა და ჯადოსნობაც, ადამიანების მიერ ხორციელდება კეთილი ან ბოროტი მიზნებისთვის, მათ მაინც ავადმყოფობის გამომწვევ უმთავრეს საშუალებებად მიიჩნევენ. ფიქრობენ, რომ ავადმყოფობას ასევე სულის, იღბლის დაკარგვა იწვევს. ეს შეიძლება იყოს ნაცვალგება ტაბუს დარღვევისთვის. ან დაბინძურებულ და ტაბუირებულ ნივთიერებასა ან საგანთან კონტაქტის შედეგად დაწყებული. მსოფლიოს საზოგადოებათა უმრავლესობაში ჯადოქრობას ავადმყოფობის გაჩენის ძირითად მიზეზად თვლიან. ტაბუს დარღვევის გამო, სამაგიეროს მიგების თეორიაც დედამიწის ყველა რეგიონშია პოპულარული, ერთის გარდა. სულის დაკარგვით გამოწვეული ავადმყოფობის ვერსია არ არსებობს ხმელთაშუაზღვისპირეთში, არ არის ძალიან გავრცელებული აფრიკაში, იშვიათია ახალ სამყაროში (ამერიკის კონტინენტი) და ოკეანიის ქვეყნებში. განსაკუთრები ხშირია ის ევრაზიის ქვეყნებში.[9]

კუნძულ ჩუუკზე ითვლება, რომ სერიოზული დაავადებებისა და სიკვდილის მიზეზი ძირითადად სულები არიან. ხანდახან ნათესავთა სულებსაც კი ადანაშაულებენ, თუმცა ისინი სერიოზულ ზიანს იშვიათად აყენებენ ადამიანს. უფრო ხშირად ავადმყოფობას აბრალებენ კონკრეტული ადგილის სულებს ან ღამე სიარულისას გზაზე შემოფეთებულ მოჩვენებას.[10] დღეისთვის ერთ-ორ თერაპიულ გამოსავალს ან მათ კომბინაციას ანიჭებენ უპირატესობას

— საავადმყოფოს მედიცინას ან ჩუუკურ მედიცინას. ჩუუკური სამედიცინო მომსახურება მოითხოვს სიმპტომების ფრთხილ შეფასებას პაციენტის ან მისი ნათესავების მიერ, რადგან სხვადასხვა სული განსხვავებულ სიმპტომებს ავლენს. თუ სიმპტომები დაემთხვევა, ცხადია, პაციენტმა უნდა ამოირჩიოს შესაფერისი სამედიცინო ფორმულა დაავადების განსაკურნად. პაციენტმა ისიც უნდა გაიხსენოს, რაიმე ცუდი საქციელი ხომ არ აქვს ჩადენილი. თუ აქვს, მაშინ უნდა მიაგნოს გაბრაზებული სულის დაწყნარებისა და შემორიგების გზებს და სცადოს, გაიგოს განსაკურნებელი ფორმულა. მაგალითად, არსებობს ტაბუ, რომელიც კრძალავს ზღვაში გასვლის წინ სექსუალურ ურთიერთობას. თუ ამის დამრღვევი ადამიანი ავად გახდება, მაშინ ეჭვს რიფების სულებზე მიიტანენ. ჩუუკთა სამედიცინო ფორმულამ სწრაფად და ეფექტურად უნდა შეძლოს ადამიანის განკურნება. ამიტომ პაციენტები ხშირად ეწერებიან საავადმყოფოებიდან, თუ მათი მდგომარეობა უცბად არ უმჯობესდება. თუ ტრადიციულმა მკურნალობამ არ გაამართლა, ჩუუკელები თვლიან, რომ დიაგნოზი გადახედვას საჭიროებს. ამისთვის ისინი ხშირად წინასწარმეტყველებს მიმართვენ ხოლმე.[11] თავიანთი ავადმყოფობის თეორიების ამერიკულ მიკრობთა თეორიასთან შედარებისას ჩუუკელები ირწმუნებიან, რომ მათ უნახავთ მოჩვენებები, ამერიკელთა მიკრობებისგან განსხვავებით. ორივე მეთოდის გამოყენებისას ზოგი ადამიანი განიკურნება, ზოგი კი — არა. ამრიგად, საბოლოო მიზეზი მაინც რწმენის ფაქტორია.[12]

ოჯიბვას ხალხებს შორის ყველაზე სერიოზული ავადმყოფობის, მხოლოდ ჩვეულებრივ მკურნალობას დაქვემდებარებულების მიზეზად მიიჩნევენ ცუდი საქციელის გამო სამაგიეროს მიზღვას. ცუდ საქციელში შეიძლება შედიოდეს ადამიანისთვის, ცხოველის ან სულისთვის ზიანის მიყენება. ამგვარი ავადმყოფობის განსაკურნად, რომელიც შეიძლება შენ ან შენს შვილებს შეგეყაროთ, უნდა დააკვირდე შენს საქციელს და მიხვდე, ცუდი რა ჩაიდინე. ცუდი საქციელის განკურნება არც ექიმს და არც ოჯიბვას ხალხს არ შეუძლია. მეტიც, თუ არ აღიარებ ან არ მოინანიებ დანაშაულს, წამლები ვერ გიშველის.[13] ჰოპიზიც აგრეთვე ფიქრობენ, რომ ადამიანი თავად იყო პასუხისმგებელი საკუთარ ავადმყოფობაზე. მაგრამ ამ შემთხვევაში ავადმყოფობის მიზეზი არა მხოლოდ ცუდი ქცევა, არამედ ცუდი ფიქრები და გაღიზიანებაც შეიძლება იყოს. ჯადოსნებსაც შეუძლიათ ავადმყოფობის მოვლენა. ჯადოსნების ქმედება კი ყველაზე ეფექტურად დეპრესიაში მყოფ, აღელვებულ ადამიანებზე მოქმედებს. ამრიგად, კარგი ფიქრები აფრთხობს ავადმყოფობას.[14]

ბიოსამედიცინო პარადიგმა

საზოგადოებათა უმრავლესობაში ხალხი ფიქრობს, რომ მათი შეხედულებები ავადმყოფობასა და ჯანმრთელობაზე მართალი და რეალურია. ხშირად, სანამ პირდაპირ კონტაქტს არ დაამყარებენ სხვა სახის სამედიცინო სისტემასთან, ვერ აცნობიერებენ, რომ შეიძლება არსებობდეს მოვლენების სხვაგვარად ახსნისა და აღქმის გზები. დასავლური სამედიცინო პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული. სხვა სამედიცინო სისტემის მქონე ადამიანებმა გაიგეს, რომ მათი აზრები ჯანმრთელობასა და ავადმყოფობაზე დასავლელებს შეიძლება არაადეკვატურად მოსჩვენებოდათ. ამიტომ საჭიროა გადაწყდეს, მკურნალობისას რომელ კურსს (დასავლურს თუ არადასავლურს) მივყვეთ. თუმცა, ცვლილება მხოლოდ ერთი მიმართულებით არ ვითარდებოდა. მაგალითად, დიდი დროის მანძილზე დასავლური მედიცინა უგულებელყოფდა ჩინურ აკუპუნქტურას. მაგრამ დღეს ბევრი მედიკოსი აღიარებს, რომ აკუპუნქტურა ბევრ შემთხვევაში საკმაოდ ეფექტური საშუალებაა.

სამედიცინო ანთროპოლოგთა უმრავლესობა იყენებს ტერმინ **ბიომედიცინას** დასავლურ კულტურაში დომინანტი პარადიგმის აღსანიშნავად. სიტყვის ნაწილით — ბიო, ხაზს უსვამენ სამედიცინო სისტემაში ბიოლოგიის მნიშვნელობას. როგორც რობერტ ჰანმა აღნიშნა, ბიომედიცინა ყურადღებას ამახვილებს სპეციფიკურ დაავადებებზე და მათი განკურნების საშუალებებზე. ჯანმრთელობა არ ექცევა ყურადღების ცენტრში, რადგან ის დაავადების არარსებობას გულისხმობს. დაავადებებს სრულიად ბუნებრივ მოვლენებად მიიჩნევენ და ნაკლებად ინტერესდებიან პიროვნებით, მსხვილი სოციალური თუ კულტურული სისტემებით. როგორც წესი, ექიმები არ განკურნავენ მთლიან სხეულს. ისინი დახელოვნებულნი არიან სხეულის სხვადასხვა ორგანოს განკურნებაში. სიკვდილი წარუმატებლობად ითვლება, ამიტომ ბიომედიცინის პრაქტიკოსები ყველაფერს აკეთებენ ადამიანთა ცხოვრების შეძლებისდაგვარად გახანგრძლივებისთვის, იმის მიუხედავად, თუ რა მდგომარეობაში გააგრძელებდა პაციენტი სიცოცხლეს.[15]

ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა დასავლური მედიცინის კურსი, არის ლუი პასტერის მიერ ინფექციური დაავადებების მატარებელი ორგანიზმების იზოლირება. პასტერის აღმოჩენამ სტიმული მისცა სხვა დაავადებების მატარებელი მიკრობების ძებნას მეცნიერული მეთოდების გამოყენებით. მიკრობების თეორია, მართალია, ძალიან ძლიერი იყო, მაგრამ გამოიწვია ის, რომ მედიკოსები უკვე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ პაციენტს და მის სოციალურ-კულტურულ გარემოცვას.[16] იმის გასარკვევად, თუ როგორ ცდილობენ ანთროპოლოგები ბალანსის აღდგენას, იხ. სტატია „აღმოვაჩინოთ გამოყენებითი პროექტის წარუმატებლობის შედეგები“.

დაავადებათა მკურნალობა

ანთროპოლოგები, რომლებიც შეისწავლიან დაავადებებს ამ და სხვა კულტურებში, შეიძლება, არაფორმალურად დავახარისხოთ ორ ბანაკად. პირველები ფიქრობენ, რომ კულტურა იმდენად ზემოქმედებს ავადმყოფობათა სიმპტომებზე, მოქმედებასა და განკურნების მეთოდებზე, რომ ნებისმიერი დაავადების ძალიან მცირე (თუ საერთოდ არსებობს) კულტურული უნივერსალიები არსებობს. თუ თითოეული კულტურა უნიკალურია, დაავადებათა მისეული კონცეფციები და მკურნალობაც უნიკალური უნდა იყოს. მეორენი ხედავენ კულტურათაშორის მსგავსებას დაავადებების სიმპტომებსა და მკურნალობის გზებს შორის, თითოეულ კულტურაში მათი უნიკალური თვისებების (კერძოდ, რწმენის სისტემა) მიუხედავად. მაგალითად, ადგილობრივი სამკურნალო საშუალებები შეიძლება შეიცავდეს ისეთ ქიმიკატებს, ან ფლობდეს ისეთ ეფექტებს, რომლებიც ძალიან ჰგავს დასავლელი ბიომედიკოსების სამკურნალო საშუალებების ქიმიკატებს.[17] მკითხველმა უნდა დაიხსომოს, რომ აქ მოყვანილი მედიკოსთა ჩვენი კლასიფიკაცია უხეში მაგალითია. სამედიცინო ანთროპოლოგები არ მიაკუთვნებენ ხოლმე თავს კონკრეტულად ერთ რომელიმე ბანაკს. თანაც რეალურად ზოგი კულტურა შეიძლება ერთმანეთს ძალიან ჰგავდეს რაღაც ასპექტით, მაგრამ სხვა მხრივ თითოეული უნიკალური იყოს.

მაიას ტომის ეთნომედიცინის ღრმა შესწავლით ელოის ანა ბერლინმა და ბრენტ ბერლინმა აღმოაჩინეს მეტად საინტერესო რამ. მართალია, კვლევებში ხაზგასმულია ღმერთების მიერ გამოწვეული დაავადებების რწმენა, მაიას ტომის ეთნომედიცინის უდიდესი ნაწილი არის ბუნებრივი მდგომარეობის, მისი ნიშნებისა და სიმპტომების და ამ მდგომარეობის გამოსასწორებელი სამკურნალო საშუალებების შესახებ. კუჭნაწლავურ დაავადებებთან დაკავშირებით ბერლინმა აღმოაჩინა, რომ მაიას ხალხი ანატომიაში, ფიზიოლოგიასა და სიმპტომებში ფართომასშტაბიანად და აკურატულად ერკვევა. მეტიც, მათ მიერ გამოყენებული სამკურნალო საშუალებები არც ისე

გამოყენებითი ანთროპოლოგია

აღმოვაჩინოთ გამოყენებითი პროექტის წარუმატებლობის შედეგები

როცა გამოყენებითი პროექტები შედეგს ვერ აღწევს, მკვლევრებისთვის მნიშვნელოვანია ამის მიზეზის გარკვევა. პრობლემა ნაწილობრივ შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ ცვლილების დამკვეთის აზრები და მკვლევართა მოსაზრება ერთმანთისგან განსხვავდება. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

გვატემალაში სოფლის ჯანდაცვის მოხელეები არ სინჯავდნენ ადამიანებს მალარიაზე, მაგრამ მაინც სთავაზობდნენ მალარიის საწინააღმდეგო უფასო წამლებს. და მაინც, გაირკვა, რომ მალარიის სიმპტომების მატარებელი ადამიანების 20% მეტად სარგებლობდა უფასო მედიკამენტებით. უფრო მეტად გასაკვირი იყო ის, რომ დაავადების სიმპტომიანი ადამიანები ხარჯავდნენ დაახლოებით ერთი დღის ხელფასს იმ ინექციის საყიდლად, რომელიც ნაკლებეფექტური იყო. რატომ? რაში იყო საქმე?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ ყოფილა იოლი. უპირველეს ყოვლისა, მკვლევრებმა შეადგინეს კითხვარები ავადმყოფობის ადგილობრივი კონცეფციების გამოსავლენად. რა სახის დაავადებებია ესენი? რა იწვევს მათ? რა სიმპტომები აქვთ მათ და როგორ უნდა ვუმკურნალოთ სხვადასხვა დაავადებას? მათ ინტერვიუები შემთხვევითი რესპოდენტებისგან აიღეს, რათა გაერკვიათ, რა დაავადებები ჰქონდა ხალხს და რას აკეთებდა მათ მოსარჩენად. შემდეგ ისინი სთხოვდნენ რესპოდენტებს, წარმოედგინათ ჰიპოთეტური სიტუაციები. ამ სცენარებში სხვადასხვა სახის დაავადებებს უხატავდნენ და დაავადების სხვადასხვა სიმწვავეს, რათა გაეგოთ, რა სახის მკურნალობას არჩევდნენ ისინი. ყველა ეს მეთოდი საგულდაგულოდ იყო შემუშავებული. თუმცა, პასუხებმა მაინც ვერ მისცა მეცნიერებს საშუალება, გაერკვიათ რეალურად რას გააკეთებდა ადამიანი, მალარია რომ ჰქონოდა. დაბოლოს, მკვლევრებმა ერთმანეთს შეადარეს ჯანდაცვის მუშაკთა წამლების აბები აფთიაქებში გასაყიდ ამპულებსა და აბებს. მათ ერთმანეთს სხვადასხვა დოზები და სახეობები შეადარეს. ხალხი ფიქრობდა, რომ ბევრი აბი უფრო სასარგებლო იქნებდა, რაც სინამდვილეში მართალი აღმოჩნდა. მაგრამ ისინი ასევე ფიქრობდნენ, რომ ფერადი, შეფუთული აფთიაქში ნაყიდი წამლები უფრო ეფექტური იქნებოდა, ვიდრე უფერული, შეუფუთავი და უფასო წამლები. რაც სინამდვილეში ტყუილი იყო. მათ ასევე სჯეროდათ, რომ დღიური გასამრჯელოს საფასურად, აფთიაქში ნაყიდი ერთი ამპულის ინექცია უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე ნებისმიერი სახის ოთხი ამპულა.

გამოყენებითი ანთროპოლოგები ხშირად იყენებენ კვალის აღებისა და დევნის მეთოდს საჭირო ინფორმაციის მისაღებად. მეთოდები, რომლებიც გამოსადეგია ერთ საველე სამუშაოში, შეიძლება უსარგებლო იყოს მეორეში. ინფორმაციის მიღებისთვის ხანდახან მკვლევრებმა კვლევის ობიექტებს უნდა მისცენ საშუალება, თავისი საკუთარი პასუხის ვერსიები გამოიყენონ ინტერვიუს კითხვებზე. სხვა შემთხვევებში, მეცნიერებმა უნდა გააკეთონ ძალიან სპეციფიკური შედარებები, რათა მიიღონ სავარაუდო პასუხები. გვატემალას შემთხვევაში ადამიანები არ ყიდულობდნენ უფასო წამლებს, რადგან არ იყვნენ დარწმუნებული მის ეფექტურობაში. იმის გამოაშკარავებას, თუ რატომ მიაჩნდა ხალხს უფასო აბები უფრო სუსტი მოქმედების, კიდევ უფრო ბევრი კვლევა დასჭირდა. იმიტომ ხომ არა, რომ ისინი უფასო იყო? ან იქნებ არსებობდა მოსაზრება, რომ ინექცია აბებზე უკეთესი საშუალებაა? ასეთ სახეს ატარებს კვლევის პროცესი. მას ყოველთვის ახალ კითხვებამდე მივყავართ. კერძოდ, უფრო ზოგად კითხვებამდე, რომლებიც მოითხოვენ უფრო ფართო და უფრო შედარებით კვლევას.

მაგალითად, გვატემალას პროექტმა გამოავლინა, რატომ იყო გარკვეული პროგრამა წარუმატებელი კონკრეტულ მხარეში. მაგრამ რამდენად ფართოდაა გავრცელებული ეს რწმენები? შეიძლება თუ არა მათი მთელ გვატემალაში პოვნა? მოქმედებენ თუ არა ისინი ახალი წამლის შემოსვლასა და გავრცელებაზე? გვაქვს თუ არა საქმე ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ზოგადად გავრცელებულ პრობლემებთან? იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ჯერ არ გვაქვს პასუხი ამ კითხვათა უმრავლესობაზე, ანთროპოლოგებმა განავითარეს მეთოდები კულტურებს შორის ვარიაციების უფრო ეფექტურად შეფასებისთვის.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ერთი-ორი ადამიანის გამოკითხვით შეუძლებელია დავადგინოთ, პასუხი კულტურული ხასიათისაა თუ არა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასობით ადამიანი უნდა გამოვკითხოთ. თუ რწმენა კულტურულია და ამრიგად, საზოგადოებაში გარცელებული, 10-20 ადამიანის გამოკითხვა საკმარისია მკვლევრისთვის, რომ პასუხის სისწორეში დარწმუნდეს (რესპოდენტებს შორის შეთანხმების არსებობას კულტურული კონსენსუსი ეწოდება). ასე მაგალითად, გვატემალელი რესპოდენტები ძირითადად თანხმდებოდნენ იმაზე, თუ რომელი დაავადება იყო ინფექციური. მაგრამ მათი მოსაზრებები განსხვავდებოდა იმის თაობაზე, კონკრეტულ დაავადებას „ცხელი" სამკურნალო საშუალება უფრო უხდებოდა, თუ — „ცივი". კულტურული კონსენსუსის მეთოდის გამოყენებით მკვლევრებს შეუძლიათ, შეადარონ სოფლისა და ურბანული რესპოდენტები. მათ ასევე შეუძლიათ შეადარონ სხვადასხვა კულტურა. რაც უფრო მეტი ამგვარი სისტემური შედარება მოგვეპოვება, მით უფრო უკეთესად შეუძლიათ სამედიცინო ანთროპოლოგებსა და სხვა მედიკოსებს გაარკვიონ სამედიცინო მომსახურების დანერგვის გზები.

ძალიან განსხვავდებიან ბიოსამედიცინო წამლებისგან.[18] ამ საშუალებათა რიგშია საკვების, სასმელისა და მცენარეული წამლების რეკომენდაცია.

კაროლ ბრაუნერიც თვლის, რომ „ცხელი-ცივის" თეორიას ლათინურ ამერიკაში გადამეტებული ყურადღება და მნიშვნელობა ენიჭება, რის გამოც უგულებელყოფილია ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ზოგადად ჯანმრთელობის პრობლემებზე მოქმედი ფაქტორები.

მაღალმთიანი რაიონის ოაქსაკანის თემის სამედიცინო სისტემის შესწავლისას ბრაუნერმა იპოვა რამდენიმე მცენარე, რომლებსაც იყენებდნენ საშვილოსნოდან ნივთიერებათა გამოსადენად, რათა შეემსუბუქებინათ დიდი ხნის შრომა, გაეკეთებინათ აბორტი ან გამოეწვიათ მენსტრუალური სისხლდენა. სხვა მცენარეებს საშვილოსნოში ნივთიერებათა შესანარჩუნებლად იყენებდნენ — მენზესის დროს დიდი სისხლდენის შესაჩერებლად, მშობიარობის მერე ძალების უცებ აღსადგენად, მუცლის მოშლის თავიდან ასაცილებლად. ამ მცენარეულ საშუალებათა უმრავლესობა რეალურად მოქმედებს.[19]

ბიომედიცინის საფუძველი სულ უფრო მეტად აცნობიერებს, რამდენად ფასეულია მსოფლიოს ხალხების გამოგონილი ან აღმოჩენილი მკურნალობის ,,ტრადიციული" საშუალებების კვლევა. ნიგერიელი ჰაუსების ადგილობრივი მედიცინის შესწავლისას ნინა ეტკინი და პოლ როსი სთხოვდნენ ინდივიდებს, აღეწერათ 600-ზე მეტი მცენარისა და მათი შესაძლო გამოყენების თვისებები. მათ ასევე გამოკითხეს რესპოდენტების 800-მდე დაავადებისა და სიმპტომის, 5000-მდე დამზადებული წამლის მახასიათებლების შესახებ. იმ დროს, როცა წამლების ერთი ნაწილი იყო ჯადოს და განაწყენებული სულის წყევლის მოხსნის საშუალება, წამალთა უმრავლესობას ჰაუსები ბუნებრივი დაავადებების მოსარჩენად იყენებდნენ. მალარია ჰაუსას რეგიონში სერიოზულ ენდემურ პრობლემას წარმოადგენს, ისევე, როგორც აფრიკის ბევრ ადგილას. ჰაუსაში დაახლოებით 72 მცენარე გამოიყენება მალარიასთან დაკავშირებული სიმპტომების სამკურნალოდ — ანემია, ციებ-ცხელება და სიყვითლე. ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ცხადყო ჰაუსას ბევრი სამკურნალო საშუალების სარგებლიანობა. მაგრამ ეტკინისა და როსის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა ალბათ მაინც ჰაუსას ტომში დიეტის როლი იყო. მედიკოსთა უმრავლესობა არ აღიარებს საკვების სამედიცინო ეფექტურობას დაავადებასთან ბრძოლისას. თუმცა არაა გასაკვირი, რომ ადამიანები საკვებს დიდი რაოდენობით იღებენ და ხშირად წამლებზე მეტადაც კი. ამრიგად, აღსანიშნავია, რომ ჰაუსას ხალხი საკვებში ბევრ ანტიმალარიულ მცენარეს ურევს. მეტიც, ამგვარი საკვების მიღების სიხშირე მატულობს წელიწადის იმ დროს, როდესაც მალარიის ინფექციის გავრცელების რისკი ყველაზე მაღალია. ახლანდელი კვლევა კიდევ აღმოჩნდა, რომ ისეთი საკვებს და სანელებლებს, როგორიცაა ნიორი, ხახვი, დარიჩინი, ჯანჯაფილი და წიწაკა ანტივირუსული და ანტიბაქტერიული თვისებები აქვთ.[20]

სამედიცინო პრაქტიკოსები

ჩვენს საზოგადოებაში შეიძლება იმდენად მიჩვეული ვიყოთ სრულგანაკვეთიან სამედიცინო სპეციალისტთან კონსულტაციებს (თუ თავს მცირე დროში უკეთ არ ვიგრძნობთ), რომ ბიოსამედიცინო მომსახურება ერთადერთ ეფექტურ საშუალებად მიგვაჩნდეს. წამლის მიღებისას ჩვენ მოველით მისგან სათანადო სამედიცინო შედეგს, მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამიტომ ბევრი ბიომედიცინაში, პრაქტიკოსები და პაციენტებიც, შეცბუნებულნი არიან სიმბოლური და რიტუალური მკურნალობის მოჩვენებითი ეფექტურობით. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ბევრი ადგილობრივი მცენარე სამედიცინო თვისებების მატარებელი აღმოჩნდა, მაგრამ მათ გამოყენებას ხშირად თან ახლავს სიმღერა, ცეკვა, ხმაური ან რიტუალები. ამგვარი სამკურნალო პრაქტიკის გაგება ალბათ იმიტომ გვიჭირს, რომ ბიომედიცინაში გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც გონება ფუნდამენტურად განსხვავდება სხეულისგან. თუმცა სულ უფრო იზრდება იმის სამხილები, რომ მკურნალობის ფორმა მის შინაარსზე ნაკლებმნიშვნელოვანი სულაც არ არის.[21]

ისეთ პრაქტიკოსებს, რომლებიც არამხოლოდ სხეულზე მუშაობენ, პერსონალისტურ პრაქტიკოსებს უწოდებენ. პერსონალისტური შეხედულებით ავადმყოფობა ნიშნავს, რომ ადამიანის სოციალურ ცხოვრებაში რაღაც არ არის წესრიგში. ეს მდგომარეობა შეიძლება იყოს მისი ცუდი საქციელისა ან ფიქრებისთვის მოწეული საზღაური ან მასზე განაწყენებული ადამიანის ჯადო. შეიძლება ცუდი სოციალური სიტუაციითა და ურთიერთობის გაფუჭებით გამოწვეულმა სტრესმა და მღელვარებამ ფიზიკური სიმპტომები გამოიწვიოს. საზოგადოებებში, სადაც პროფესიული სპეციალიზაცია არსებობს, სრულგანაკვეთიან მღვდლებს შეიძლება მიმართონ უზენაესი ძალების კეთილგანწყობის გამოწვევის თხოვნით.[22] ისეთ საზოგადოებებში, სადაც სჯერათ ჯადოთი და ჯადოსნობით გამოწვეული ავადმყოფობის, პრაქტიკოსთა განკურნებითი ძალისაც სჯერათ — ხალხის რწმენით, მათ შეუძლიათ ჯადოსნებისა და ჯადოქრების მიერ მიყენებული ზიანის უკუგდება. ხანდახან ჯადოქრებსა და ჯადოსნებსაც მიმართავენ ხოლმე სხვის მიერ მოვლენილი ავადმყოფობის განსაკურნავად. მაგრამ ეს ნაკლებ ხდება, რადგან, როგორც წესი, მათი ეშინიათ. თან ჯადოქრებს და ჯადოსნებს დაბალი სტატუსი აქვთ.[23] ყველაზე მნიშვნელოვანი სამედიცინო პრაქტიკოსები, ალბათ ისევ შამანები არიან ისეთ საზოგადოებებში, სადაც არ არსებობს სრულგანაკვეთიანი პროფესიული სპეციალიზაცია.

შამანი შამანი, ძირითადად, ნახევარგანაკვეთიანი მამაკაცი-პრაქტიკოსი, ხშირად მონაწილეობს განკურნებაში.[24] დასავლელები შამანებს ,,გრძნეულ ექიმებს" ეძახიან, რადგან მათ არ სჯერათ შამანთა მკურნალობის ეფექტურობისა. შეუძლიათ კი შამანებს ადამიანების რეალურად განკურნება? სხვათა შორის, ამას სკეპტიკურად მხოლოდ დასავლელები როდი უყურებენ. კვაკიუტელ (ჩრდილო-დასავლეთ წყნარი ოკეანის კუნძულები) ამერიკელ ინდიელს — კუესალიდსაც არ სჯეროდა შამანთა ძალის. ამრიგად, მან გადაწყვიტა, შეერთებოდა შამანებს, გამხდარიყო მათი გუნდის წევრი, რათა შემდეგ ემხილებინა. თავის პირველ გაკვეთილზე მან აითვისა პანტომიმა და სხვადასხვა ხრიკი, მათ შორის გულის წასვლის სიმულირება და ნერვული ნიშნები... მას ასევე ასწავლეს წმინდა სიმღერა, რხევის გამომწვევი ტექნიკა, აუსკულტაცია და სხეულის შიგნით ხმების გარჩევა. შეასწავლეს ,,მეოცნებეთა" (dreamer) გამოყენების ტექნიკაც. ესენი არიან ჯაშუშები, რომლებიც ისმენენ პირად საუბრებს და საიდუმლოდ ატყობინებენ შამანებს ხალხის დაავადებათა სიმპტომებისა და წარმომავლობის შესახებ. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, მან ისწავლა არს მაგნ... შამანი მალავს პატარა ბუმბულებს პირში და შესაბამის მომენტში გადმოაგდებს მას სისხლით დასვრილს, მას შემდეგ, რაც ენაზე იკბენს ან სისხლდენას გამოიწვევს. შემდეგ ის საზეიმოდ წარუდგენს ამ გორგალს პაციენტსა და მაყურებელს, როგორც მისი მანიპულაციებისა და გამოწოვის შედეგად გარეთ გამოტანილ უცხო სხეულს.[25]

> მისი ეჭვები გამართლდა ისევე, როგორც განკურნების მისი პირველი მცდელობა. პაციენტს გაეგო, რომ კუესალიდი შეუერთდა შამანებს და სჯეროდა, რომ მხოლოდ ის შეძლებდა მის განკურნებას. კუესალიდი შამანებთან ოთხი წლის განმავლობაში სწავლობდა. ამ ხნის მანძილზე მას არ შეეძლო გასამრჯელოს აღება და სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ მისი მეთოდები ამართლებდა. სხვა სოფლებიც მოინახულა, შეეჯიბრა სხვა შამანებს უიმედო პაციენტების განკურნებაში და გაიმარჯვა. საბოლოოდ მან ირწმუნა, რომ განკურნების მისეული სისტემა სხვა შამანებისაზე ქმედითი იყო. შამანების თაღლითობის გამოაშკარავების მაგივრად, განაგრძო ეს მოღვაწეობა, როგორც ცნობილმა შამანმა.[26]

აფრიკაში შამანებთან მუშაობის შემდეგ, ე. ფულერ ტორეიმ, ფსიქოლოგმა და ანთროპოლოგმა, დაასკვნა, რომ ისინი იყენებენ ფსიქოლოგების მსგავს ტექნიკასა

ნეპალში შამანს უჭირავს კვერცხი, რომ დაიჭიროს ავადმყოფ ადამიანზე მოქმედი ბოროტი სული.

და მექანიზმებს ავადმყოფთა განსაკურნად და იღებენ ფსიქოლოგების მსგავს შედეგებს. ტორეიმ მთელი მსოფლიოს მკურნალების მიერ გამოყენებული ოთხი კატეგორია გამოყო:

1. დასახელების პროცესი. თუ დაავადებას აქვს სახელი — ,,ნევრასთენია" ან ,,ფობია" ან ,,წინაპრის სულის ჩასახლება" — მაშინ ის განკურნებადია. პაციენტი აცნობიერებს, რომ ექიმმა იცის მისი შემთხვევის შესახებ.
2. ექიმის პიროვნება. ის, ვინც გამოხატავს თანაგრძნობას, სითბოსა და ნამდვილ დაინტერესებას, როგორც წესი, სასურველ შედეგებს ღებულობს.
3. პაციენტის მოლოდინი. პაციენტის გამოჯანმრთელების იმედის გაზრდის ერთი გზაა ექიმთან ვიზიტი. რაც უფრო შორსაა ექიმი და რაც უფრო გრძელი გზაა მასთან მისასვლელი — მაიოს კლინიკა, მენინგერის კლინიკა, დელფი ან ლურდესი — მით უფრო იოლია განკურნება. შთამბეჭდავი ადგილი (სამედიცინო ცენტრი) და შთამბეჭდავი აღჭურვილობა (სტეტოსკოპი, სავარძელი, მოსამსახურე პერსონალის უნიფორმა), ასევე ზრდის პაციენტის იმედს. მკურნალის გამოცდილება და ცოდნაც ასევე მნიშვნელოვანია: იუტელების (ჩრდილო-ამერიკელი ინდიელები) სიზმრებს აანალიზებენ, შავფეხიანთა ტომის ინდიელი შვიდწლიან წვრთნას გადის, ამერიკელი ფსიქოლოგი ოთხ წელს სამედიცინო სკოლაში სწავლობს და სამი წელი საავადმყოფოშია პრაქტიკაზე და კედლებზე დიპლომები აქვს გაკრული. მაღალი გადასახადებიც ასევე ზრდის პაციენტის იმედს (პაიუტელი ექიმები ყოველთვის მკურნალობის დაწყებამდე იღებენ გასამრჯელოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ითვლება, რომ ისინი თავად გახდებიან ავად).
4. სამკურნალო ტექნიკა. ნარკოტიკი, შოკის მომგვრელი მკურნალობა, გარდაქმნის ტექნიკა და ა.შ. დიდი ხანია გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას.[27]

ბიომედიცინა არ უარყოფს მკურნალობაზე გონების გავლენას; მეტიც, საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხილები მოეპოვებათ, რომელიც ცხადყოფს ფსიქოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებას ავადმყოფობაზე. პაციენტები, რომლებსაც სჯერათ წამლის მოქმედების, ხშირად უფრო სწრაფად განიკურნებიან, მაშინაც კი, თუ ეს წამალი უბრალოდ შაქრის აბებია. ამგვარ ეფექტებს პლაცებო-ეფექტები ეწოდება.[28] პლაცებოებს არა მხოლოდ ფსიქოლოგიური ეფექტები აქვთ. მართალია, მათი მოქმედების მექანიზმი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გაანალიზებული, მაგრამ მათ ასევე შეუძლიათ შეცვალონ სხეულში მიმდინარე ქიმიური რეაქციები და გააძლიერონ იმუნური სისტემა.[29]

შამანები და მედიკოსები შეიძლება თანაარსებობდნენ. დონ ანტონიოს, პატივცემულ ოტომელ ინდიელ შამანს ცენტრალურ მექსიკაში ბევრი პაციენტი ჰყავს, თუმცა შეიძლება უკვე იმდენი აღარ, რამდენიც თანამედროვე მედიცინის განვითარებამდე ჰყავდა, მისი აზრით, როცა დაიბადა, ღმერთმა მას განკურნების უნარი მიანიჭა. თუმცა მისი ეს ნიჭი მხოლოდ ,,ბოროტი" დაავადებების მოსარჩენად გამოიყენება (ჯადოქრების მიერ მოვლენილის). ,,კეთილი" დაავადებების მორჩენა შესაძლებელია მცენარეებითა და წამლებით. ამგვარი ავადმყოფობის მქონე პაციენტებს იგი ექიმებთან აგზავნის. ის თვლის, რომ ამგვარ საკითხებში ექიმები მასზე ეფექტურად კურნავენ. სამაგიეროდ, ექიმები არ აგზავნიან პაციენტებს დონ ანტონიოსთან ან სხვა რომელიმე შამანთან![30]

ექიმები. ბიომედიცინაში ყველაზე მნიშვნელოვანი სრულგანაკვეთიანი სამედიცინო პრაქტიკოსები ლიცენზირებული ექიმები არიან. აქ უმთავრესია, ასევე, პაციენტისა და ექიმის ურთიერთობა. ამ პროცესის იდეალურ სქემაში ექიმი წარმოდგენილია, როგორც ავადმყოფობათა განკურნების უნარის (რა თქმა უნდა, გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეული) მქონე პიროვნება. მას ასევე ხელეწიფება ტანჯვის შემსუბუქება და პაციენტის სიცოცხლის გახანგრძლივება. ამასთან, მან უნდა მისცეს პაციენტს კონფიდენციალურობისა და საიდუმლოს შენახვის პირობა. ბიომედიცინური პარადიგმიდან გამომდინარე, ექიმები პაციენტებს არასრულყოფილ პიროვნებებად აღიქვამენ. ექიმები მეცნიერებას ეყრდნობიან, როგორც ავტორიტეტული ცოდნის წყაროს, მაგრამ ისინი არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთარ კლინიკურ გამოცდილებას. ხანდახან ექიმებს პაციენტის პირადი გასინჯვის შედეგები უფრო ფასეულად მიაჩნიათ, ვიდრე პაციენტის განცხადებანი. პაციენტები ექიმებთან რაღაც მდგომარეობის გამოსასწორებლად ან დაავადების მოსარჩენად მიდიან. ექიმები ცდილობენ, გადაუჭრან მათ ეს პრობლემა, მაშინაც კი, თუ რამეში ეჭვი ეპარებათ. ექიმები დიდად ენდობიან დიაგნოზის დასმის ტექნიკას და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პაციენტთან საუბარს; მეტიც, ექიმები, როგორც წესი, პაციენტებს ნაკლებ ინფორმაციას აძლევენ და არც დიდი ყურადღებით უსმენენ მათ.[32]

ჯანმრთელობაზე პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა

საზოგადოებაში მეტი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკურ ძალაუფლების მქონე ადამიანები უფრო

ჯანმრთელები არიან ხოლმე.[33] უთანასწორობა ჯანმრთელობაში სოციალურად სტრატიფიცირებულ საზოგადოებაში არცაა გასაკვირი. ღარიბები უფრო მეტად არიან ,,ღია" დაავადებებისთვის, რადგან ისინი უფრო გავსებულ, ჭარბად დასახლებულ ადგილებში ცხოვრობენ. ამასთან, ღარიბებს არ აქვთ სამედიცინო მომსახურების მიღების საშუალება. ბევრი დაავადების, ჯანმრთელობის პრობლემის, სიკვდილიანობის მაჩვენებლის გავრცელების არეალი და შედარებითი სიხშირე იცვლება სოციალურ კლასთან ერთად. გაერთიანებულ სამეფოში, მაგალითად, მაღალი კლასის წარმომადგენლებს ნაკლებად აწუხებთ თავის ტკივილი, ბრონქიტი, პნევმონია, გულის დაავადებანი, ართრიტი და მენტალური აშლილობა. ეს მხოლოდ მცირედია ამ განსხვავებათაგან. სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის დროს მოსახლეობის 14%-იანი უმცრესობა, რომლებსაც ,,თეთრებს" ეძახდნენ, აკონტროლებდა ქვეყნის შემოსავლის ძირითად ნაწილს და მაღალი ხარისხის მიწების უმრავლესობას. ,,შავებს" დარჩათ მხოლოდ მცირე და არაადეკვატური სახლის მეურნეობის ტერიტორია და მცირე სამუშაო ადგილები. სამუშაოს საშოვნელად ოჯახები ხშირად იშლებოდა. ქმრები ძირითადად უცხოეთში მიდიოდნენ სარჩოს საძებნელად. საშუალოდ, ,,შავები" თეთრებზე ცხრა წლით ნაკლებს ცხოვრობდნენ 1985 წელს. ხოლო ,,შავების" ჩვილების სიკვდილიანობის მაჩვენებელი ,,თეთრებისაზე" შვიდჯერ მაღალი იყო. დღეისთვის აშშ-ში განსხვავება ჯანმრთელობის მხრივ აფროამერიკელებსა და ევროამერიკელებს შორის არც ისე დიდია, სამხრეთ აფრიკაში. თუმცა ევროამერიკელები მაინც არსებით უპირატესობას ფლობენ. როგორც 1987 წლის მონაცემების მიხედვით, სიცოცხლის ხანგრძლივობა შვიდი წელი იყო, ხოლო აფროამერიკელ ჩვილთა სიკვდილიანობა — ორჯერ მეტი ევროამერიკელებისაზე. რობერტ ჰანმა განსაზღვრა, რომ სიღარიბე მხოლოდ მთელი აშშ მოსახლეობის 19%-ის სიკვდილიანობას ხსნიდა.[35]

უსამართლობანი კლასისა და ეთნიკურობის გამო არ არის შეზღუდული საზოგადოების შიგნით არსებული განსხვავებებისთვის. ძალისა და ეკონომიკის განსხვავებები საზოგადოებებს შორის ასევე მნიშვნელოვანი ჯანმრთელობის შედეგების მატარებელია. დასავლელების ექსპანსიისა და აღმოჩენების კვალდაკვალ მრავალი ადგილობრივი დაიხოცა ევროპელების ჩამოტანილი დაავადებებით ან ომებსა და დაპყრობებში. მათ ჩამოართვეს მიწები ან შეამცირეს მათი ზომა და ხარისხი. როცა ადგილობრივებს კოლონიებად ან დომინანატ ქვეყნებად აერთიანებდნენ, ისინი უმცირესობები ხდებოდნენ და თითქმის ყოველთვის დაბალ ღარიბ ფენას შეადგენდნენ. ცხოვრების ეს პირობები არამხოლოდ მოქმედებს დაავადებების გავრცელების სფეროზე, არამედ ისინი ასევე იწვევენ ნივთიერებათა ცვლის მოშლას, ძალადობას, დეპრესიას და სხვა მენტალურ პათოლოგიებს.[36]

ჯამრთელობის მდგომარეობა და დაავადებები

სამედიცინო ანთროპოლოგებმა ჯანმრთელობის მდგომარეობის უამრავი ვარიაცია შეისწავლეს. ქვემოთ მოყვანილი ნიმუშები მხოლოდ მცირეა ამათაგან.

შიდსი

ინფექციური დაავადებების ეპიდემიებს უამრავი ადამიანი ემსხვერპლა მოკლე დროში მთელი ისტორიის მანძილზე. შავმა სიკვდილმა — ბუბონის ჭირი, გაანადგურა ევროპის მოსახლეობის 25-50%, დაახლოებით 75 მილიონი ადამიანი მეთოთხმეტე საუკუნეში. მეექვსე საუკუნეში გავრცელებულმა ეპიდემიამ იმსხვერპლა 100 მილიონი ადამიანი შუა აღმოსავლეთში, აზიასა და ევროპაში. ჩვენს ისტორიის წიგნებში ნაკლებად ხაზგასმული, მაგრამ არანაკლებ გამანადგურებელი იყო მოსახლეობის მასობრივი განადგურება ახალ სამყაროში, რაც ევროპელების ექსპანსიას სდევდა თან. ადამიანები არა მარტო ევროპელთა ხელით კვდებოდნენ, მილიონობით ადამიანი გარდაიცვალა ევროპელების მიერ ჩატანილი ეპიდემიებით, როგორიცაა ყვავილი და წითელა.

თანამდროვე მედიცინისა და ტექნოლოგიის განვითარებამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ეპიდემიები წარსულს ჩაბარდა. მაგრამ იმ დაავადების ახლანდელი და მოულოდნელი გავრცელება, რომელსაც ჩვენ **შიდსს** (**შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი**) ვუწოდებთ, გვახსენებს, რომ ახალი ეპიდემიები ან ძველთა სახეცვლილებები, შეიძლება, ნებისმიერ დროს გამოჩნდეს. სხვა დანარჩენი ორგანიზმების მსგავსად, დაავადების გამავრცელებელი ორგანიზმებიც ვითარდებიან (განიცდიან ევოლუციას). ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (HIV), რომელიც შიდსს იწვევს მხოლოდ ახლახან გაჩნდა. ვირუსები და ბაქტერიები მუდმივად განიცდიან მუტაციას. ამის შედეგად თავს იჩენს ახალი დაავადებები, რომლებიც საზიანოა ჩვენი გენეტიკური გამძლეობისთვის და მათი შეკავების სამედიცინო მცდელობანიც ხშირად წარუმატებლობით მთავრდება.

მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანს უკვე აქვს შიდსი, კიდევ უფრო მეტი HIV-ვირუს მატარებელია და არ იცის ამის შესახებ. რამდენიმე წლის წინ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ შეაჯამა და დააგინა, რომ 40 მილიონი ზრდასრული და ბავშვი იქნებოდა ინფიცირებული და 15 მილიონ ადამიანს ექნებოდა შიდსი 2000 წლისთვის.[37] მათი წინასწარმეტყველება გამართლდა.[38] სიკვდილიანობა მაღალია და კიდევ იზრდება. დღეს შიდ-

ბიომედიცინა ხშირად იყენებს მაღალტექნოლოგიურ აღჭურვილობას, როგორიცაა CAT სკანერი დიაგნოზის დასასმელად.

სი აშშ-სა და ევროპის 25-დან 44 წლამდე მოსახლეობის სიკვდილის ძირითადი მიზეზია. ასევე ზრდასრულთა სიკვდილის უპირველესი მიზეზი სხვა ქვეყნებშიც.[39] შიდსი საშიში ეპიდემიაა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის სიკვდილს იწვევს. ის კიდევ უფრო შემაძრწუნებელია, რადგან რამდენიმე წელია საჭირო (საშუალოდ, 4 წელი) სიმპტომების გამოსავლენად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბევრი HIV-ით ინფიციებული ადამიანი, რომელმაც არ იცის ეს, გაუცნობიერებლად აგრძელებს ვირუსის სხვებზე გავრცელებას.[40]

ვირუსი,როგორცწესი,სექსუალურიურთიერთობისას, სპერმითა და სისხლით გადადის. ნარკოტიკის მომხმარებლებსაც შეუძლიათ HIV–ის გავრცელება დაბინძურებული შპრიცების საშუალებით. სისხლის გადასხმით შიდსის გავრცელება ფაქტობრივად უკვე აღკვეთილია, სისხლის სამედიცინო შემოწმების გზით. თუმცა ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს გადასასხმელი სისხლის შემოწმების პროცედურები. HIV შეიძლება ფეხმძიმე ქალიდან მის შვილზეც გადავიდეს პლაცენტიდან და დაბადების შემდეგ ბუნებრივი კვებით. დედიდან შვილზე გარდამავალი ვირუსის პროცენტული მაჩვენებელია 20-40 პროცენტი. ბავშვებიც დიდი რისკის ქვეშ არიან, რადგან მშობლის შიდსით სიკვდილის შემდეგ ისინი ობლდებიან. 1995 წელს უგანდაში ათიდან ერთი ბავშვის მშობლები გარდაცვლილნი იყვნენ.[41]

ბევრ ადამიანს შიდსი მხოლოდ სამედიცინო პრობლემა ჰგონია, რომელის გადაჭრასაც მხოლოდ მედიცინა შეძლებს. ისინი ვერ ხვდებიან, რომ საჭიროა საქმეში ჩართული იყოს აგრეთვე კულტურული, პოლიტიკური და ქცევის ასპექტებიც. მართალია, რომ შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინის ან წამლის შექმნა და დაავადებულთა განკურნების საშუალების პოვნა საბოლოოდ გადაჭრის ამ პრობლემას. მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვფიქრობთ, რომ მხოლოდ სამედიცინო გადაწყვეტა არ იქნება საკმარისი, ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნით მაინც. უპირველეს ყოვლისა, იმისთვის, რომ ეფექტური იყოს მთელ მსოფლიოში, ან ყოველ შემთხვევაში, ერთ ქვეყანაში მაინც, ვაქცინა არ უნდა იყოს ძვირი და ადვილად უნდა შეიძლებოდეს მისი დიდი რაოდენობით წარმოება. მეორე, მთელი მსოფლიოს მთავრობები უნდა ისწრაფვოდნენ დახარჯონ ფული და დაიქირავონ საჭირო პერსონალი ეფექტური პროგრამის სამართავად.[42] მესამე, მომავალი ვაქცინაციისა და მკურნალობისთვის საჭიროა დაავადებული ადამიანები მოდიოდნენ ვაქცინაციისა და მკურნალობის კურსის გასავლელად, რაც ყოველთვის არ ხდება ხოლმე. გაითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ აშშ-ში ფართოდაა გავრცელებული წითელა, რადგან მშობლებს არ მიჰყავთ შვილები ვაქცინაციაზე.

დღეს არსებობს საკმაოდ ძვირი წამლები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ HIV-ინფექციის დონეს. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, მალე გამოვა თუ არა ეფექტური და შედარებით იაფი წამალი. ამ დროს კი HIV-ინფექციის რისკის შემცირება მხოლოდ სოციალურ, კერძოდ სექსუალურ ქცევაში ცვლილებას შეუძლია. მაგრამ იმისთვის, რომ ადამიანები სექსუალური ქცევის შეცვლაში დავარწმუნოთ, საჭიროა გავიგოთ, კონკრეტულად რას აკეთებენ ისინი და რატომ.

აქამდე ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში HIV-ის გავრცელებაზე განსხვავებული სექსუალური ჩვევებია პასუხისმგებელი. აშშ-ში, ინგლისში, ჩრდილოეთ ევროპაში, ავსტრალიასა და ლათინურ ამერიკაში ვიჩ-ის ინფექციას ძირითადად ანალური ურთიერთობის დამყარებისას იძენენ, უფრო ხშირად მამაკაცები. ვაგინალურ ურთიერთობასაც შეუძლია ინფექციის გადატანა, როგორც წესი, მამაკაციდან ქალზე. შპრიცის გაზიარებასაც შეუძლია ინფექცია გაავრცელოს. აფრიკაში ინფექციის გავრცელების ყველაზე ხშირი გზაა ვაგინალური ურთიერთობა, ამრიგად, ადამიანები ყველაზე მეტად აფრიკაში ინფიცირდებიან.[43] მართლაც, აფრიკაში HIV ქალებში უფრო ხშირია, ვიდრე კაცებში.[44]

ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ მხოლოდ პირდაპირი სექსუალური ურთიერთობა როდი იწვევს შიდსის გავრცელებას. მათი აზრით, უფრო მსხვილი პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები, კერძოდ, სიღარიბე და სქესობრივი უთანასწორობა, უფრო ზრდის ამ ინფექციის გავრცელების სიხშირეს. ასე, მაგალითად, სექსით გავრცელებული დაავადებები ზრდის HIV-ინფექციის რისკს ოთხ-ხუთჯერ, მაგრამ ღარიბებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სამედიცინო მომსახურებაზე. განვითარებად სამყაროში კი უფრო ხშირად სოფლებსა და ღარიბ დასახლებებში, ხშირია დასნეულებული სისხლით გავრცელებული დაავადებანი. სქესობრივი უთანასწორობა უფრო ზრდის იმის ალბათობას, რომ ქალები თანხმდებიან სახიფათო სექსს და კაცებზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი მკურნალობაზე.[45]

დღეს არსებობს მხოლოდ ორი ცნობილი გზა სექსუალური ურთიერთობის გზით HIV-ინფექციის შესამცირებლად. პირველი არის სექსუალური ურთიერთობისგან თავის შეკავება, მეორე კი — პრეზერვატივის გამოყენება. საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც ასწავლიან შიდსის გავრცელების გზებს, შეუძლიათ გავრცელებას რამდენადმე შეუშალოს ხელი. მაგრამ ამგვარმა პროგრამებმა შეიძლება არ გაამართლოს იმ ადგილებში, სადაც ხალხს აქვს არასწორი სექსუალური ცოდნა. მაგალითად, ცენტრალური აფრიკის ზოგ ქვეყანაში ფიქრობენ, რომ ნაყოფის ჩასახვის შემდეგაც აუცილებელია სქესობრივი ურთიერთობის გაგრძელება, რაც აუმჯობესებს ქალის ჯანმრთელობასა და რეპროდუქციულ ფუნქციას. ამრიგად, სავარაუდოა, რომ ამგვარი რწმენის ხალხი არ ხმარობს პრეზერვატივს. ბოლოსდაბოლოს, მათი აზრით, პრეზერვატივები საფრთხეს უქმნიან ჯანმრთელობას.[46] ხანდახან საგანმანათლებლო პროგრამებიც მცდარ ინფორმაციას უსვამენ ხოლმე ხაზს და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ. განუკითხავი სექსუალური ურთიერთობაც ზრდის HIV-ინფექციის გავრცელების რისკს. ამიტომ ძალიან ცოტა დააყენებდა კითხვის ნიშნის ქვეშ განცხადებებს გარკვეული სექსუალური ჩვევების შემცირების თაობაზე. ყოველ შემთხვევაში, აშშ-ში ჰომოსექსუალურ წრეებში ინდივიდები, წარსულთან შედარებით, ნაკლებ სექსუალურ ჩვევებს იყენებენ. სამაგიეროდ, მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომ მონოგამური ურთიერთობების დროს, რაც წესით,ს უსაფრთხო უნდა იყოს, ადამიანები არ ხმარობენ პრეზერვატივებს და ყველაზე სარისკო სექსუალურ აქტებზეც მიდიან. არ არის საჭირო იმის თქმა, რომ რეგულარული სექსი დაინფიცირებულ პარტნიორთან არ არის უსაფრთხო![47] გაეროს დაკვირვებებმა ერთი მეტად საინტერესო პარადოქსი გამოავლინა: დღეისთვის მსოფლიოში ქალების უმრავლესობისთვის HIV-ინფექციით დაავადების ყველაზე დიდი რისკის ფაქტორი ქორწინებაა.[48] ქორწინება, როგორც ასეთი, არ იწვევს ამ ინფექციის გავრცელებას. ეს უბრალოდ იმის შედეგეია, რომ ამ დროს მეუღლეები ნაკლებად ხმარობენ პრეზერვატივს.

შიდსთან ასოცირებული სირცხვილის გრძნობა ასევე ხელს უშლის მისი გავრცელების შეჩერების მცდელობებს. ზოგ საზოგადოებაში ფიქრობენ, თითქოს ძირითადად ჰომოსექსუალი მამაკაცები არიან ინფიცერებულნი.[49] სხვაგან შიდსი სექსუალურ მრავალფეროვნებასთან, განუკითხაობასთანაა ასოცირებული. თუ ქალები მამაკაცს პრეზერვატივის გამოყენებას სთხოვენ, ისინი შეიძლება მეძავებად ჩათვალონ. ამასთან, ადამიანები ერიდებიან შიდსით დაავადებულებთან უბრალო სიახლოვესაც კი, თითქოს ეს დაავადება ნებისმიერი სახის კონტაქტით ვრცელდებოდეს.

შიდსის პრობლემის გადასაჭრელად ვიმედოვნებთ, რომ მედიცინა მალე აღმოაჩენს ეფექტურ და იაფ ვაქცინას ან წამალს, რომლის შეძენასაც ყველა შეძლებს. არსებობს ვაქცინა, რომელიც მაიმუნებში HIV-ინფექციას მინიმუმამდე ამცირებს.[50] ალბათ მალე ასეთივე ვაქცინა

ადამიანებისთვისაც შეიქმნება. ამ დროს კი ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ, რატომ ეხვევიან ადამიანები გარკვეულ სარისკო სექსუალურ ურთიერთობებში. ეს შეიძლება დაგვეხმაროს საგანმანათლებლო ან სხვა სახის პროგრამების შექმნაში, რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ შიდსის გავრცელების შეჩერებაში.

მენტალური და ემოციური აშლილობა

როდესაც დასავლელმა ანთროპოლოგებმა პირველად დაიწყეს არადასავლურ სამყაროში მენტალურ აშლილობებზე დაკვირვება, სხვადასხვა კულტურებში უნიკალური დაავადებები აღმოაჩინეს. მათ კულტურისგან განუყოფელ სინდრომებს (culture-bound syndrome) უწოდებენ. მაგალითად, მენტალური აშლილობის ფორმა სახელად პიბლოკთოქი გრენლანდიის ესკიმოსებს შორის გაჩნდა. ძირითადად დაავადებულები სრულწლოვანი ქალები იყვნენ. მათ, როგორც წესი, ავიწყდებოდათ გარშემო მომხდარი ამბები და იქცეოდნენ ექსცენტრულად, აჟიტირებულად. მათ შეეძლოთ გაეხადათ ტანსაცმელი და ასე შიშვლებს ებორიალათ თოვლიან გორებსა და ყინულზე, სანამ გადაღლისგან არ წაიქცეოდნენ. აშლილობების კიდევ ერთი სახე — ამოკი, მალაიკაში, ინდონეზიაში გაჩნდა და ახალ გვინეაში. ძირითადად დაავადებულები მამაკაცები იყვნენ. ჯონ ჰონიმანმა ეს დაავადება ასე დაახასიათა: ,,გამანადგურებელი, გიჟური აგზნებულობა... იწყებოდა დეპრესიით, მას თან მოსდევდა მდუმარებისა და განმარტოების პერიოდი. ყოველივე ეს კულმინაციას აღწევდა და გადაიზრდებოდა უზარმაზარი ენერგიის მობილიზებაში. ამ დროს გაველურებული მამაკაცი ჭკუიდან შეშლილივით დარბის."[51] ნევროზული ანორექსია, რომლის დროსაც ჩნდება ზიზღი სისხლისადმი, დამახასიათებელია შედარებით მცირე რაოდენობის საზოგადოებებისთვის. აქ ძირითადად გაიდეალებულია ტანადობა[52] (იხ. სტატია ,,კვების აშლილობა, ბიოლოგია და სილამაზის კულტურული კონსტრუქციები").

მეცნიერები თვლიან, რომ თითოეული საზოგადოების შეხედულება პიროვნულობისა და მენტალური დაავადებების კონცეფციების თაობაზე უნდა იქნას დამოუკიდებლად და ცალ-ცალკე განხილული. დასავლური ახსნები და კონცეფციები სხვა კულტურებს ვერ მიესადაგება. მაგალითად, კატრინა ლუცი ფიქრობდა, რომ წყნარი ოკეანის კუნძულ იფალუკზე დასავლური კონცეფციები დეპრესიის შესახებ ვერ გამოდგებოდა. ადამიანებს ამ კუნძულზე ბევრი სიტყვა ჰქონდათ ,,დანაკარგისა და უმწეობის" აღსანიშნავად. მაგრამ ყველა ეს სიტყვა დაკავშირებული იყო ვიღაცის სპეციფიკურ საჭიროებასთან. მაგალითად, როდესაც ვინმე კვდებოდა ან კუნძულს ტოვებდა. დანაკარგის ამგვარი შეგრძნება და აღქმა სრულიად ნორმალურია და მათ ენაში არ არსებობს ზოგადი სასოწარკვეთისა და დეპრესიის აღმნიშვნელი სიტყვა.[53] აქედან გამომდინარე, ლუცმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დეპრესიის დასავლური კონცეფციების ვარგისიანობა, ისევე როგორც სხვა დასავლური ფსიქიატრიული კატეგორიები.

სხვა მკვლევრები ასე სწრაფად არ გამორიცხავენ ფსიქიატრიული კატეგორიების უნივერსალობას. ზოგი ირწმუნება, რომ აღმოაჩინა კულტურათაშორისი მსგავსების მნიშვნელოვანი დონე მენტალური დაავადებების კონცეფციებში. ჯეინ მერფიმ შეისწავლა სერიოზული მენტალური აშლილობის მქონე ადამიანების ინუიტური და ნიგერიელ იორუბასეული აღწერა. მან აღმოაჩინა, რომ მათი აღწერა არამხოლოდ ემთხვეოდა ერთმანეთს, არამედ ასევე ჰგავდა შიზოფრენიის ჩრდ. ამერიკულ აღწერებს. ინუიტების სიტყვა ნუთკავიკა გიჟს აღნიშნავს. ისინი ამ სიტყვას მაშინ ხმარობენ, როდესაც ,,ადამიანის შიგნით" რაღაც რიგზე ვერ არის. ნუთკავიკა ხალხი თავის თავს ელაპარაკება, ჰგონია, რომ ცხოველია, იღებს სახის უცნაურ გამომეტყველებას, ხდება აგრესიული და ა.შ. იორუბაში ხმარობენ სიტყვას — უერე. უერე ადამიანებს ხშირად ესმით ხმები, უმიზეზოდ ეცინებათ, შეუძლიათ მოულოდნელად აიღონ ხელში იარაღი და დაარტყან სხვებს.[54]

რობერტ ედგარტონმა აღმოაჩინა მენტალური დაავადებების მსგავსებანი ოთხ აფრიკულ საზოგადოებაში. ეს ოთხი ჯგუფი არა მარტო ფსიქოზის სიმპტომებზე თანხმდებოდა, არამედ მათი აღწერილი სიმპტომები ჩვენეულს ემთხვეოდა.[55] ედგარტონი თვლიდა, რომ ზუსტი თარგმნის სიძნელეები, რომლებზეც ლუცს ჰქონდა საუბარი, სულაც არ ხდის შედარებას შეუძლებელს. თუ მკვლევრები შეძლებენ გაიგონ სხვა კულტურთა შეხედულებები პიროვნების თაობაზე და მოახერხებენ ამ შეხედულებების სხვებთან დაკავშირებას, ჩვენ შევძლებთ აღწერილი შემთხვევების შედარებას. ხოლო შემდეგ ვეცდებით, აღმოვაჩინოთ, რა არის მათში უნივერსალური და რა – მხოლოდ ზოგი კულტურისთვის დამახასიათებელი.[56]

ზოგი მენტალური დაავადება, როგორებიცაა შიზოფრენია და დეპრესია, იმდენად ფართოდაა გავრცელებული, რომ ბევრი მეცნიერი მათ უნივერსალურობაზე საუბრობს. ამ აზრს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა კულტურაში შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებს ახასიათებთ თვალის ერთნაირი მოძრაობები[57] და მაინც კულტურულ ფაქტორებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ ამ დაავადებების გავრცელებაზე, მათ სპეციფიკურ სიმპტომებზე და სხვდასხვა სახის მკურნალობის ეფექტურობაზე.[58] არსებობს ჭეშმარიტად კულტურისგან განუყოფელი (თითქმის უნიკალური) სინდრომები. მაგრამ ისეთებიც არსებობს, რომლებიც ფართოდ გავრცელებული დაავადებების კულტურულად ცვალებადი გამოხატულებები არიან. პიბლოკთოქი, მაგალითად, შეიძლება ნაირსახეობა იყოს.[59]

ბიოლოგიური, მაგრამ არა აუცილებლად გენეტიკური ფაქტორები შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს ისეთი ფართოდ გავრცელებული დაავადებების ეტიოლოგიისთვის, როგორიცაა შიზოფრენია.[60] რაც შეეხება ისტერიას: ენტონი უოლესმა ჩამოაყალიბა, რომ კვების ფაქტორებს, როგორიცაა ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობა, შუძლიათ ისტერიის გამოწვევა. ამრიგად, მისი აზრით, მეცხრამეტე საუკუნიდან დასავლურ სამყაროში ამ დაავადების კლება სწორედ კვების გამოსწორების შედეგი შეიძლება იყოს.[61] მეოცე საუკუნის დასაწყისიდან შეიცვალა ადამიანთა სოციალური მდგომარეობა, ამ დროიდან ხალხმა უკვე გააცნობიერა ჯანსაღი კვების სარგებლიანობა. ამიტომ სულ უფრო მეტი ადამიანი სვამდა რძეს, მიირთმევდა ვიტამინებით სავსე საკვებს და მეტ დროს ატარებდა მზეზე (თუმცა ახლა უკვე აღარ არის რეკომენდებული მზეზე დიდი ხნით ყოფნა, კანის კიბოს რისკის გამო). ცვლილებებმა დიეტასა და საქმიანობაში გაზარდა ვიტამინის მიღების სიხშირე და ეხმარებოდნენ ადამიანებს ორგანიზმში კალციუმის საჭირო დონეზე შენარჩუნებაში. თანდათანობით ისტერიის შემთხვევათა რიცხვმა იკლო.

რაც შეეხება პიბლოკთოქს, ვალასი თვლიდა, რომ დაავადების გამოწვევა შეეძლო დაკავშირებული ცვლადების კომპლექსურ ნაკრებს. ინუიტები ისეთ გარემოში ცხოვრობენ, სადაც კალციუმის მხოლოდ მინიმალური დოზა მოიპოვება. კალციუმით გაუმდიდრებელი საკვების მიღებამ კი ორი სახის შედეგი შეიძლება გამოიღოს. პირველი მდგომარეობა, რაქიტი გამოიწვევდა ისეთ ფსიქოლოგიურ დეფორმაციას, რაც ფატალური იქნებოდა ინუიტთა სანადირო ეკონომიკაზე. ადამიანები, რომელთა გენეტიკური აგებულებაც ვერ იცავს მათ რაქიტისგან, საზოგადოებისგან მოწყვეტილი იქნებოდნენ ბუნებრივი გადარჩენის საშუალებით. სისხლში კალციუმის ნაკლებობა კიდევ მუსკულარულ სპაზმებსაც იწვევს, რომელიც ტეტანიის სახელითაა ცნობილი. ტეტანია, თავის მხრივ, იწვევს ისეთ მენტალურ და ემოციურ აშლილობას, რომელიც საოცრად წააგავს პიბლოკთოქის სიმპტომებს. ამგვარი შემოტევები მცირე დროის მანძილზე გრძელდება და არაა ფატალური. ამრიგად, პიბლოკთოქით დაავადებულ ადამიანებს უფრო მეტი შანსი აქვთ არქტიკულ გარემოში გადარჩენისა, ვი-

გამოყენებითი ანთროპოლოგია

კვების აშლილობა, ბიოლოგია და სილამაზის კულტურული კონსტრუქციები

კულტურები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რა მიაჩნიათ ლამაზად, მათ შორის ადამიანები. ბევრგან მსუქანი ადამიანები უფრო ლამაზად ითვლებიან, ვიდრე გამხდრები. ამ წიგნის მეორე ავტორმა წლების წინ საველე სამუშაო ჩაატარა ამერიკის სამოას კუნძულებზე. შორეულ კუნძულზე ყოფნის სამი თვის შემდეგ, როცა მთავარ კუნძულზე დაბრუნდა, ის სამოელ ნაცნობს, ცნობილ მეთაურს შეხვდა. მეთაურმა უთხრა: „კარგად გამოიყურები, წონაში მოგიმატია.“ სინამდვილეში მკვლევარს 30 ფუნტი დაეკლო! მეთაურს შეიძლება არ ახსოვდა, რამსისქე იყო ანთროპოლოგი, მაგრამ მან გარკვევით იცოდა, რომ სიმსუქნე სიგამხდრეს სჯობდა.

რატომ ფიქრობდა იგი ასე? ერთ-ერთი შესაძლო ახსნა შეიძლება იყოს ის, რომ სიმსუქნე ლამაზად მიიჩნევა საზოგადოებებში, სადაც (ქარიშხლებისა თუ დაავადებების გამო) ხშირია საკვების ნაკლებობა. როდესაც კულტურაში უპირატესობა სიმსუქნეს ენიჭება, ეს შეიძლება ბიოლოგიური ადაპტირების შედეგიც იყოს — მსუქან ადამიანებს ადვილად შეუძლიათ შიმშილის ატანა. სიმსუქნე შეიძლება აჩვენებდეს, რომ შენ ხელი მიგიწვდება ბევრ რესურსზე, კერძოდ, საკვებზე. ამგვარ საზოგადოებაში ისაა უფრო შეძლებული, ვინც უფრო მსუქანია. სხვა სიტყვებით, სიმსუქნე ლამაზია იქ, სადაც მხოლოდ მსუქნები არიან კარგად (სოციალურად, ეკონომიკურად ა.შ.). შევადაროთ ეს სიტუაცია ჩვენს კულტურას. ცხადია, ჩვენთან სიგამხდრე უფრო ფასობს. სიგამხდრე შეიძლება ამ შემთხვევაში ნიშნავდეს, რომ შენ არ ღელავ მომდევნო საკვებზე, შენ არ გჭირდება ცხიმის დაგროვება „შავი დღისთვის”. მართლაც, საზოგადოებებში, სადაც საკვები იყიდება მაღაზიებსა და ბაზრებში, შეძლებულ ადამიანს ყოველთვის შეუძლია საჭმლის ყიდვა. ამრიგად, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მდიდარი ხალხი სიგამხდრისკენ ისწრაფვის და სიგამხდრე უფრო ლამაზია. მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ თავს პირადი მწვრთნელისა და უახლესი დიეტის საშუალება მისცენ საკუთარ თავს. ღარიბებისთვის, ან არასტაბილურ სამუშაოზე მომსახურე ადამიანებისთვის მხოლოდ ცხიმს შეუძლია, გახდეს მათი დაცვა მომავალი წარუმატებლობისგან.

ჩვენი კულტურული რწმენები იმის თაობაზე, თუ რა ითვლება ლამაზად, უზარმაზარ ზეწოლას ახდენს ქალებზე, რომ გახდნენ. გახდომის მცდელობებმა შეიძლება უკიდურესობამდე მიიყვანოს ისინი და შედეგად ანორექსია და ბულემია გამოიღოს. თუ თქვენ ამ ხშირად ფატალური დაავადებისგან იტანჯებით, თქვენ შეიძლება რეგულარულად მიიღოთ მცირე რაოდენობის საკვები და შემდეგ რეგულარულად ამოირეცხოთ კუჭი. ამრიგად, თქვენ ართმევთ სხეულს მკვებავ ნივთიერებებს სულ უფრო მეტად გახდომის მიზნით. ასეთი მდგომარეობა, როგორც წესი, არ იჩენს თავს ძალიან ღარიბ ადამიანებს ან ღარიბ საზოგადოებებს შორის. ანორექსია დაავადებაა, რომელიც მხოლოდ შეძლებულ კულტურებში გვხვდება.

დრე რაქიტიან ინდივიდებს.

მკვლევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა სხვადასხვა კულტურის დაავადებათა შედარება. ამის მიხუედავად, ისინი თანხმდებიან, რომ ეფექტური მკურნალობისთვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა, გავიგოთ, როგორ აღიქვამს საზოგადოება მენტალურ აშლილობას — ხალხის აზრით, რატომ იჩენს ეს დაავადებები თავს, მკურნალობის რა საშუალებები ითვლება ეფექტურად და როგორ ეპყრობიან ოჯახის წევრები და სხვები დაავადებულებს.[62]

სუსტო. სუსტოს (ესპანურად — შეშინებული) ხშირად „ხალხურ დაავადებას” ან კულტურისგან განუყოფელ სინდრომს უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ ბიომედიცინის ტერმინოლოგიაში არ არსებობს ამ სიტყვის პირდაპირი ასლი. ბევრგან ლათინურ ამერიკაში ითვლება, რომ ადამიანი იტანჯება სუსტოთი ან ხდება ასუსტადო, როდესაც მის სხეულს განეშორება არამატერიალური არსი ძილის დროს, ან ძალიან დიდი შიშის გადატანის შემდეგ. მის არამატერიალურ არსს ან ზებუნებრივი ძალები ჩაიგდებენ ტყვედ ან ის თავისუფლად დათარეშობს სხეულიდან გამოთავისუფლებული.[63] სუსტო პაციენტები ძილის დროს მოუსვენრები ხდებიან, არიან გულგრილნი, დეპრესიულნი, დასუსტებულები და ინდიფერენტულები საკვებისა და ჰიგიენის მიმართ დღის განმავლობაში. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ სუსტოს იარლიყის ქვეშ მოქცეული ადამიანები შეიძლება უბრალოდ ფსიქიკურ აშლილობას განიცდიდნენ. არტურ რუბელი, კარლ ო’ნილი და როლანდო კოლადო-არდონი თვლიდნენ, რომ ამგვარი დასკვნები არასრული და ნაადრევი იყო. სწორედ ამიტომ მათ შეადგინეს სამი კულტურის შედარებითი კვლევა, რათა განესაზღვრათ განიცდიდნენ თუ არა სუსტოს მსხვერპლნი რაიმე სოციალურ, ფსიქოლოგიურ ან ორგანულ პრობლემებს. მათ შეადარეს სუსტოები სხვა ინდივიდებს, მსგავსს სქესით, ასაკითა და კულტურით, რომლებმაც მიმართეს კლინიკებს დახმარებისთვის (თუმცა ისინი ირწმუნებოდნენ, რომ მათ არ სჭირდათ სუსტო). ეს სამი კულტურა იყო ჩიჩიმეკი, ზაპოტეკი და ესპანურ-ენოვანი მეტისური თემი.[64]

სუსტოს მსხვერპლთა წინა კვლევიდან რუბელმა და მისმა კოლეგებმა შეადგინეს ჰიპოთეზა. მის თანახმად, სუსტო ძირითადად ემართებოდათ ადამიანებს, რომლებიც სოციალურად სტრესულ სიტიუაციაში იმყოფებოდნენ და ფიქრობდნენ, რომ მათ არაადკევატური ცხოვრებისეული როლი აქვთ. მაგალითად, ორ შემთხვევაში სუსტო დაემართათ ქალებს, რომლებსაც საშინლად უნდოდთა მეტი შვილის ყოლა, მაგრამ თითოეულს რამდენჯერმე მოშლოდა მუცელი (ერთს შვიდჯერ, მეორეს — ორჯერ). სოციალური სტრესის გაზომვასთან ერთად, მეცნიერები თანამშრომლობდნენ ექიმებთან. ეს უკანასკნელნი არკვევდნენ, ხომ არ ჰქონდათ დაავადებულებს ორგანული პრობლემები. მუშაობა ხორციელდებოდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის დაავადებათა საერთაშორის კლასიფიკაციის (World Health Organization’s International Classifikacion if Diseases) წესთა დაცვით. ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესების დონე რუბელმა და მისმა კოლეგებმა შეაფასეს ინტერვიუთი, რომ-

ანთროპოლოგიური ორიგინალები

ეკვადორელი სარაგუროელები

ჯანმრთელობა და ავადმყოფობა შეიძლება ბიოლოგიური და კულტურული იყოს: სამედიცინო ანთროპოლოგები ხშირად უბიძგებენ ადამიანებს, გააცნობიერონ, რომ ჩვენი აზრები ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის შესახებ, ის, თუ როგორ ვმკურნალობთ მათ, არის ჩვენი კულტურისა და მისი მოლოდინის გამოხატულება. ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავებთ ფიზიკურ და მენტალურ დაავადებებს, მაგრამ რატომ? ჩვენ შეიძლება თავი ჯანმრთელი გვეგონოს, მაგრამ ავად ვიყოთ. ბევრ საზოგადოებაში, მათ შორის სარაგუროში, სჯერათ, რომ ფიზიკური და მენტალური მდგომარეობა, უბრალოდ, ერთი რეალობის სხვადასხვა მხარეებია.

გონება-სხეულის დუალიზმი, ან დაავადებათა ფიზიკურ და მენტალურ აშლილობებად დაყოფა არის თანამედროვე ბიომედიცინის განმასხვავებელი ნიშანი. ფიზიკური წუხილი, როგორიცაა ტკივილი ან დისფუნქცია, თითქმის ყოველთვის ორგანულ მიზეზებთანაა ასოცირებული – ტრავმა, ინფექცია და ა.შ. ფსიქოლოგიური სასხლეტები, სტრესი ან დეპრესია, როგორც წესი, შემცირებული ან მინიმუმამდე დაყვანილია, როგორც ემოციური კეთილდღეობისთვის ფსიქოლოგიური დაავადება.

სარაგუროები არ განასხვავებენ ფიზიკურ და მენტალურ დაავადებებს. ყველა სახის მდგომარეობა განუყოფლად და ინტერაქტიულად მიაჩნიათ. აქ გამოცდილება და ემოცია თანაბარი საყრდენია ინფექციისთვის, როგორც რისკის ფაქტორის. დარდი, სიბრაზე და შიში ისევე საშიშია, როგორიც ბაქტერიები, უბედური შემთხვევები და ვირუსები; მეტიც, სარაგუროები ირწმუნებიან, რომ საზიანო ემოციური მდგომარეობანი იწვევს ფსიქიკურ აშლილობას, მაგალითად, როცა სიბრაზე იწვევს ჭვალს. ამის მსგავსად, ორგანული დისფუნქცია ასუსტებს მენტალურ და ემოციურ ფუნქციონირებას. აი, მაგალითად, როდესაც ტკივილი დეპრესიას იწვევს. ამრიგად, დიაგნოზის დასასმელად აუცილებელია შეფასდეს ინდივიდის ემოციური ცხოვრება და მისი ფსიქიკური მდგომარეობა. მკურნალობა კი დამოკიდებულია სრულ მენტალურ და ფიზიკურ გამოსწორებაზე.

ლის კითხვებიც წინათ სხვა მეცნიერებს შეედგინათ. ამ კვლევიდან შვიდი წლის შემდეგ მათ აღმოაჩინეს ადრე შესწავლილ ინდივიდთაგან რომელი გარდაცვლილიყო, თუ საერთოდ არსებობდა ასეთი შემთხვევა.

თანამედროვე კვლევის შედეგებმა დაადასტურა სოციალური სტრესის ჰიპოთეზა: სუსტოს მსხვერპლი, როგორც წესი, თავიანთი სოციალური როლებისთვის არაადეკვატურად მიიჩნევდნენ თავს. მკვლევრები არ მოელოდნენ, რომ სუსტო ადამიანებს კიდევ აღმოაჩნდებოდათ ფსიქიატრიული გაუარესება და მეტი ორგანული დაავადება. მაგრამ მათდა გასაკვირად, სუსტო ადამიანებს არაერთი სერიოზული ფსიქიკური პრობლემა გადაეტანათ. მეტიც, სუსტოს მსხვერპლთა უმრავლესობა კვლევიდან შვიდი წლის მერე გარდაცვლილიყო. ძნელი სათქმელია სუსტო ხალხს კიდევ მეტი დაავადება იმიტომ დაემართა, რომ ისინი სუსტოთი იყვნენ დასუსტებულნი, თუ პირიქით — ფსიქიკურად დაავადებულნი რომ იყვნენ, იმიტომ დაემართათ სუსტო. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ რადგანაც სოციალური როლის გაუარესება ხანგრძლივი პროცესია (მაგალითად მუცლის მოშლა), თავად სუსტოს უნდა დაეყენებინა თავისი მსხვერპლნი ბიოლოგიური დაავადებების რისკის პირისპირ.[65]

დეპრესია. ისევე, როგორც ერთი სახის სტრესს შეუძლია გამოიწვიოს სახალხო დაავადება სუსტო, მეცნიერთა აზრით, სხვა სახის სტრესიც აგრეთვე ასრულებს თავის როლს განსხვავებული მენტალური პრობლემების გაჩენაში. სტრესის გამომწვევი უმთავრესი მიზეზია ეკონომიკური მგომარეობის გაუარესება. ბევრმა კვლევამ დაადგინა, რომ სოციალურად სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში დაბალ კლასებში უფრო ხშირია ყველა სახის მენტალური პრობლემა. ყველაზე მწარე სტრესის გამომწვევი, როგორიცაა საყვარელი ადამიანის დაკარგვა, გაყრა, სამსახურის დაკარგვა, ან ბუნებრივი კატასტროფები, ყველა სოციალურ კლასში მაღლა წევს მენტალური აშლილობის ალბათობას. მაგრამ მათ განსაკუთრებით მწვავედ დაბალ კლასებში განიცდიან.[66]

დეპრესიის უკეთ გასაგებად უილიამ დრესლერმა შეაერთა საველე სამუშაოს მეთოდები და ჰიპოთეტური ტესტირება. ეს მეთოდი მან გამოიყენა სამხრეთის აფრიკელ ამერიკელთა შორის. მას აინტერესებდა, რა გავლენას ახდენს ამ ადამიანებში დეპრესიის გავრცელებაზე ზემოთ აღწერილი და სტრესის გამომწვევი სხვა ფაქტორები.[67] იმ დროს როცა ბევრი ასეთი კვლევა ეყრდობა მკურნალობისა და ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლებს, დესლერმა გადაწყვიტა, ეს მაჩვენებლები სათანადოდ ვერ აფასებენ დეპრესიის მოქმედების სფეროს. იმდენად, რამდენადაც ბევრი ადამიანი ამ დროს არ მიმართავს მკურნალობას. მან გადაწყვიტა გამოეყენებინა სიმპტომთა კატალოგი. აქ დასმული იყო ისეთი კითხვები, როგორიცაა: ბოლოს როდის გინდოდათ ტირილი, როდის გრძნობდით თავს მარტოსულად, ან მომავალს უიმედოდ უყურებდით. ამგვარი კითხვარები ზუსტად ვერ გამოყოფს დეპრესიის საშუალო და უკიდურეს დონეებს. მაგრამ სამაგიეროდ ისინი აძლევს მკვლევრებს საშუალებას, შეადარონ რესპოდენტები.

დრესლერმა გაზომა სხვადასხვა სახის სტრესის გამომწვევი ფაქტორები, როგორიცაა ცხოვრებისეული კრიზისი, ეკონომიკური პრობლემები, რასისტული უთანასწორობა და სოციალური როლის/დანიშნულების პრობლემები. მან აღმოაჩინა, რომ ზოგი ფაქტორი (ცხოვრებისეული კრიზისი, უმუშევრობა) დეპრესიის ნაწინასწარმეტყველების ფორმას მხოლოდ დაბალ კლასებში იღებს. ანუ უმუშევრობა და სხვა ცხოვრებისეული პრობლემები დეპრესიას მხოლოდ დაბალი კლასის აფრო-ამერიკელებში იწვევს, რაც არ ეხება საშუალო და მაღალი კლასის ინდივიდებს. ეს შედეგები ემთხვევა წინა აღმოჩენას, რომ სტრესი უფრო მეტად გამოხატულებას დაბალ კლასებში ჰპოვებს. მეორე მხრივ, უფრო სუბიექტურია სტრესის გამომწვევი ფაქტორები, მაგალითად, როდესაც გგონია, რომ არასაკმარის ფულს აკეთებ, დეპრესიას ყველა სოციალურ კლასში იწვევს. სტრესის მომგვრელია ასევე ,,სოციალური როლიც". ანუ როდესაც ფიქრობ, არ გაწინაურებენ სამსახურში, რადგან აფრო-ამერიკელი ხარ ან გგონია, რომ შენი მეუღლე შენგან ზედმეტს ელოდება.[68]

კვების ნაკლებობა

ის, თუ რას ჭამენ ადამიანები, პირდაპირ კავშირშია

მექსიკური აგავა ბაჰიაში, ბრაზილია. მექსიკური აგავის პროდუქციაზე გადართვას მივყავართ საკვების უკმარისობამდე ბავშვებში.

მათ გადარჩენასა და მოსახლეობის რეპროდუქციის უნართან. ამრიგად, ჩვენ მოველით, რომ საკვების მოპოვების, განაწილებისა და მოხმარების გზები ადაპტირებადია.[69] მაგალითად, ადამიანის სხეული ვერ ახდენს რვა ამინომჟავის სინთეზირებას. ხორცი შეიცავს რვავე ამინომჟავას. სიმინდისა და ლობიოს კომბინაციაც ტრადიციულ ადგილობრივ ინდიელთა კერძებში, ან მექსიკური ტორტილიები და ფრიხოლები შეიცავს ყველა აუცილებელ ამინომჟავას. იმ ადგილებში, სადაც ხორბალი (ხშირად პურის სახით) ძირითად საკვებს წარმოადგენს, დღიური პროდუქტები ხორბალთან ერთად პროტეინის სრულ პორციას შეადგენენ.[70] ის გზებიც კი, რომლითაც ადამიანები საკვების დეფიციტისათვის ემზადებოდნენ, (როგორიცაა მობილურ ჯგუფებად დაყოფა, გვალვაგამძლე მოსავლის დათესვა და საკვების შენახვა) მოულოდნელობებით სავსე გარემოში ალბათ ადაპტირებადია. როგორც ვნახეთ, სტატიაში სიმსუქნის, გადაღლისა და დიაბეტის შესახებ, კულტურული ცვლილებისა და გლობალიზაციის თავში, ადამიანს, შესაძლებელია, განუვითარდეს ეკონომიური გენი. ეს გენები მიღებულ ჭარბ ცხიმს ცხიმოვან ქსოვილში ინახავენ მომავალი შიმშილის გასაძლებად. ჩვეული დიეტები და გენეტიკური ცვლილებები შეიძლება დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა. მაგრამ დღეს არსებული ბევრი სერიოზული კვების პრობლემა სწრაფი კულტურული ცვლილების შედეგია.

ხანდახან კომერციულ მეურნეობაზე გადასვლამ შეიძლება კვებაზე საზიანო გავლენა იქონიოს. როგორც აღვნიშნეთ კულტურული ცვლილებისა და გლობალიზაციის თავში, როდესაც ჩრდილო-აღმოსავლეთ ბრაზილიის მშრალ მიწებზე მოსახლე ხალხმა დაიწყო სიზალის (გვალვაგამძლე მცენარე, რომლისგანაც თოკებს აკეთებენ) მოყვანა, ბევრმა მათგამა მიატოვა სოფლის მეურნეობა. მცირე მიწის მეპატრონეებმა თავიანთი მიწის უდიდესი ნაწილი სიზალის გაზრდას დაუთმეს. ხოლო როცა მსოფლიო ბაზარზე სიზალის ფასი დაეცა, მათ მოუწიათ მუშებად მუშაობა, რათა რამენაირად გაეტანათ თავი. იმ დროს საკვების უმრავლესობა უნდა გეყიდათ. მაგრამ თუ მუშა ან სიზალის მომყვანი საჭირო თანხას ვერ გამოიმუშავებდა, ოჯახში საკმარისი საკვები არ ექნებოდა.

დანიელ გროსისა და ბარბარა ანდერვუდის მიერ შესწავლილ ოჯახებში ცოლ-ქმარი ადეკვატურ საკვებს ღებულობდა. მაგრამ ბავშვები ვერ ღებულობდნენ ცილის საჭირო დოზას. ადეკვატური საკვების ნაკლებობა ხშირად გამოიხატება ბავშვებში წონისა და სიმაღლის შენელებული მატებით. სოციალურად არათანასწორ საზოგადოებებში, როგორც წესი, ნაკლებშემოსავლიანი ოჯახების შვილები იწონიან არსებითად ნაკლებს მაღალშემოსავლიანი ოჯახების შვილებზე. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ სიზალის წარმოებამდეც არსებობდა სოციალური უთანასწორობა, მაშინ კვების გავლენა უმნიშვნელო და შეუმჩნეველი იყო. ამ დროს მაღალი და დაბალი სოციალური კლასის წარმომადგენლებს შორის დიდი განსხვავება არ იყო წონაში. ეს მდგომარეობა სიზალის წარმოების წამოწყებამ შეცვალა. უფრო მოგვიანებით დაბალი ეკონომიკური ჯგუფების ბავშვთა 45% გამოუკვებავი იყო, მაღალი ეკონომიკური ჯგუფების ბავშვთა 23%-თან შედარებით.[71]

ეს არ ნიშნავს იმას, რომ კომერციალიზაცია ყოველთვის ზიანის მომტანია ადეკვატური კვებისთვის. მაგალითად, არსებობს ცნობები, რომ ახალი გვინეის მაღლობებში ბავშვთა კვება გამოსწორდა, როცა ოჯახებმა დაიწყეს გასაყიდად ყავის მოყვანა. მაგრამ ამ შემთხვევაში, ოჯახებს დატოვებული ჰქონდათ მიწა პირადი მოხმარების მოსავლის მოსაყვანად. ყავის გაყიდვით შემოსულ ნამატ ფულს ისინი დაკონსერვებული ბრინჯისა და თევზის საყიდლად ხარჯავდნენ. ეს საკვები ბავშვებს იმაზე მეტი ცილით ამარაგებდა, ვიდრე ჩვეული ტკბილი კარტოფილის ულუფები.[72]

ქალებში კვების ბალანსის რღვევა დიდ გავლენას ახდენს რეპროდუქციასა და ნაყოფის ჯანმრთელობაზე. ზოგ კულტურაში ქალთა დაბალი სტატუსი პირდაპირ კავშირშია მათ კვებასთან. მამაკაცები ნაკლებად აცნობიერებენ, რომ ქალებს ვერ ხვდებათ ნოყიერი საკვებია. მაგალითად — ხორცი. საკვების ნაკლებობა ხანდახან ჩვილობიდან იღებს ხოლმე სათავეს. აი, მაგალითად, ინდოეთში ჩვილ გოგონებს უფრო სწრაფად უწყვეტენ ბუნებრივ კვებას, ვიდრე ჩვილ ბიჭებს.[73] მშობლები შეიძლება ვერ ხვდებოდნენ, რომ განსხვავებული კვება გოგონებში ცილის შემცველი საკვების მიღებას ამცირებს. ლორის მაკკიმ აღმოაჩინა, რომ ეკვადორში მშობლებს ეგონათ, თითქოს ბუნებრივი კვების სწრაფი შეწყვეტა გოგონებისთვის სასარგებლო იყო. მათ სჯეროდათ, რომ დედის რძით ბავშვებს სექსუალურობა და აგრესია გადაეცემათ, ორივე მამაკაცის ხასიათის შტრიხია. ამრიგად, მნიშვნელოვანი იყო გოგონებისთვის ძუძუთი კვების ადრე გადაჩვევა. დედები გოგონებს ბუნებრივ კვებას 11 თვის ასაკში უწყვეტდნენ, ბიჭებს — 20 თვის ასაკში. მაკკიმ აღმოაჩინა, რომ ჩვილი გოგონების სიკვდილიანობა საკმაოდ აღემატებოდა ბიჭებისას. ძირითადად ისინი დაბადებიდან მეორე წელს იღუპებოდნენ. სავარაუდოა, რომ ამის უმთავრესი მიზეზი გოგონების გამოუკვებლობაა.[74]

კვების ნაკლებობა და შიდსი ბიოლოგიური და სოციალური პრობლემებია. შემდეგ თავში შევეხებით უფრო გლობალურ სოციალურ პრობლემებს. ამ თავში განვიხილეთ, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია ანთროპოლოგიასა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებს მათ გადასაჭრელად.

შეჯამება

1. სამედიცინო ანთროპოლოგები თვლიან, რომ საჭიროა ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინება დაავადებათა ეფექტური განკურნებისა და ადამიანთა ტანჯვის შემცირებისთვის.
2. სამედიცინო პრაქტიკოსთა ბევრი იდეა და ქმედება

კულტურის გავლენის ქვეშაა. ეთნომედიცინის გაგება — საზოგადოების ან სოციალური ჯგუფის სამედიცინო რწმენები და პრაქტიკა — სამედიცინო ანთროპოლოგიის მთავარი მიზანია.

3. ბევრ საზოგადოებაში არსებობს შეხედულება რომ ადამიანის სხეული წონასწორობას, ბალანსს უნდა ინარჩუნებდეს. ბალანსი შეიძლება იყოს ცხელსა და ცივს, სველსა და მშრალს შორის. არსებობს კიდევ სხვა სახის წონასწორობაც.
4. რწმენა, თითქოს დაავადებებს ღმერთები და სულები იწვევენ, თითქმის უნივერსალურია. ფართოდაა გავრცელებული ასევე ჯადოსნობითა და ჯადოქრობით ავადმყოფობის მოვლენის რწმენაც.
5. ზოგი ანთროპოლოგი თვლის, რომ არსებობს ავადმყოფობათა კონცეფციების ან მათი მკურნალობის რამდენიმე უნივერსალია. მაგრამ სხვებს მოეპოვებათ იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ადგილობრივი ხალხის მიერ გამოყენებული სამკურნალო საშუალებები შეიცავენ ისეთ ქიმიურ ნაერთებს, რომლებიც დასავლელი ბიომედიკოსების საშუალებების მსგავსია — ფუნქციით ან შემცველობით.
6. ბიომედიცინაში მედიკოსები ყურადღებას ამახვილებენ დაავადებასა და განკურნების საშუალებებზე. განსაკუთრებულ ფოკუსირებას ისინი პაციენტის სხეულზე ახდენენ და არა მის გონებასა და სოციალურ მდგომარეობაზე. ზოგ საზოგადოებაში მკურნალები უფრო მეტად უღრმავდებიან პაციანტის პირადულს. აქ ავადმყოფობა შეიძლება იმის მიზეზი იყოს, რომ ადამიანის ცხოვრებაში რაღაც რიგზე ვერაა. საზოგადოებებში, სადაც არ არსებობს სრულგანაკვეთიანი სპეციალიზაცია, შამანები ყველაზე მნიშვნელოვანი სამედიცინო პრაქტიკოსები არიან. ბიომედიკოსები სულ უფრო მეტად აფასებენ განკურნებაში ფსიქოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობას.
7. ადამიანები, რომლებიც საზოგადოებაში უფრო მეტ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობენ, უფრო ჯანმრთელებიც არიან. სოციალურად სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში ღარიბები უფრო ადვილად ავადდებიან. ალბათ იმიტომ, რომ ისინი უფრო სახიფათო და ბინძურ ადგილებში ცხოვრობენ და ხშირად ხელი არ მიუწვდებათ სამედიცინო მომსახურებისთვის. საზოგადოებებს შორის ძალაუფლებასა და ეკონომიკურ შეძლებას შორის განსხვავებები ჯანმრთელობის შედეგებზე აიხსნება.
8. თანამედროვე მსოფლიოში სრულწლოვანთა გარდაცვალების უმთავრესი მიზეზი შიდსი. მისგან სიკვდილიანობის შემცირება შესაძლებელი გახდება, თუ ექიმები გამოიგობენენ ეფექტურ და ხელმისაწვდომ საშუალებას HIV-ისა და შიდსის მსხვერპლთა სამკურნალოდ. საჭიროა ასევე არსებობდეს ამ ინფექციის გავრცელების შემაფერხებელი ვაქცინაც, მომავალი დაინფიცირების თავიდან ასაცილებლად. ამ დროს კი, თუ შიდსისგან სიკვდილიანობა უნდა შემცირდეს, უნდა შეიცვალოს აგრეთვე სექსუალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული შეხედულებები და პრაქტიკა.
9. ანთროპოლოგებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა მენტალური და ემოციური აშლილობების კროსკულტურულად შედარება. ზოგი დაავადება, როგორებიცაა შიზოფრენია და დეპრესია, იმდენადაა გავრცელებული, რომ მის უნივერსალურობაზეც კი საუბრობენ. დანარჩენები მაგალითად სუსტო და ნერვიული ანორექსია, კულტურასთან განუყრელი სინდრომებია.
10. საკვების მოპოვების, დისტრიბუციისა და მოხმარების გზები, როგორც წესი, ადაპტირებადია. გენეტიკოსები თვლიან, რომ შიმშილისთვის ,,ღია" ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს განუვითარდათ ,,ეკონომიური გენები". დღეს არსებული სერიოზული კვების პრობლემები გამოწვეულია სწრაფი კულტურული ცვლილებებით; კერძოდ, ისეთებით, რომლებიც ზრდის სო-

გლობალური სოციალური პრობლემები თავის შინაარსი

30

თავების შინაარსი

- ბუნებრივი კატასტროფები და შიმშილი
- არაადეკვატური საცხოვრებელი და უსახლკარობა
- ოჯახური ძალადობა და დამცირება
- დანაშაული
- ომი
- ტერორიზმი
- მსოფლიოს გაუმჯობესების გზაზე



ტელევიზორსა და გაზეთებში აღწერილი ახალი ამბები ყოველდღე გვატყობინებენ იმ სოციალური პრობლემების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანებს მთელ მსოფლიოში. ომი, კრიმინალი, ოჯახური ძალადობა, ბუნებრივი კატასტროფები, სიღარიბე, შიმშილი — ყველაფერი ეს მსოფლიოს მილიონობით ადამიანს ტანჯავს და აწუხებს. ამას ზედ ერთვის ტერორიზმის მზარდი პრობლემა. შეუძლია კი ანთროპოლოგიურ ან სხვა კვლევას დაგვეხმაროს ამ გლობალური პრობლემის გადაჭრაში? ბევრი ანთროპოლოგი და სხვა სოციალური მეცნიერი ფიქრობს, რომ შეუძლია.

მაღალგანვითარებული კომუნიკაციების მეშვეობით ჩვენ უფრო ადვილად ვიგებთ მსოფლიოში მომხდარი სიახლეების შესახებ. კიდევ უფრო მეტად გათვითცნობიერებულნი და გაბეზრებულებიც კი ვართ, ჩვენი საკუთარი საზოგადოების პრობლემებით. ამ მიზეზთა გამო, და ალბათ იმიტომაც, რომ ადამიანის ქცევის შესახებ დღეს გაცილებით მეტია ცნობილი, უფრო მოტივირებულები ვართ ამ პრობლემების გადასაჭრელად. ჩვენ მათ „სოციალურ პრობლემებს" ვეძახით არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრ ხალხს ეხება, არამედ იმიტომაც, რომ მათ სოციალური მიზეზები და შედეგები აქვთ. ამ პრობლემების გადაჭრა მოითხოვს ცვლილებას სოციალურ ქცევაში. შიდსიც კი, რომელიც წინა თავში განვიხილეთ, ნაწილობრივ სოციალური პრობლემა. ის შეიძლება ვირუსმა გამოიწვიოს, მაგრამ სოციალური (სექსუალური) ურთიერთობის გზით ხდება. ხოლო მისი თავიდან აცილების საშუალებები — უსაფრთხო სექსი და თავის შეკავება — მოითხოვს ცვლილებებს სოციალურ ქცევაში.

იდეა, რომ შესაძლებელია ისეთი სოციალური პრობლემების გადაჭრა, უზარმაზარისაც კი, როგორიცაა ომი და ოჯახური ძალადობა, ორ მოსაზრებას ემყარება: პირველი, ჩვენ უნდა ვთვლიდეთ, რომ შესაძლებელია მათი გაჩენის მიზეზების დადგენა. და მეორე, ჩვენ უნდა ვთვლიდეთ, რომ შეგვიძლია მოვიმოქმედოთ რაიმე ამ მიზეზებთან დაკავშირებით და შედეგად აღმოვფხვრათ ან შევამციროთ თავად პრობლემა. ამ მოსაზრებებს ყველა არ ეთანხმება. ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ სოციალური პრობლემების შესახებ ჩვენი ცოდნა არასდროს იქნება საკმარისი გარანტირებული გამოსავლის პოვნისთვის. ცხადია, მეცნიერების არც ერთი აღქმა და გაგება არ არის ჭეშმარიტი და სრულყოფილი. ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ კარგად არგუმენტირებული ახსნაც კი მცდარი ან არასრულია. მაგრამ ცოდნის არასრულყოფილება არ გამორიცხავს მისი გამოყენების საშუალებას. რაც შეეხება სოციალურ პრობლემებს, არასრული აღქმის შესაძლო შედეგიც კი შეიძლება უკეთესი და უფრო უსაფრთხო სამყარო გახდეს. სწორედ ეს შესაძლებლობა წარმოადგენს ბევრი მკვლევრის მოტივაციას, რომლებიც იკვლევენ სოციალურ პრობლემებს. განსხვავებულ მეცნიერებათა ისტორია ძლიერ უჭერს მხარს იმ მოსაზრებას, რომ სამეცნიერო აღქმა/გაგება აძლევს ადამიანებს ბუნების კონტროლის შესაძლებლობას, არა მხოლოდ ახსნისა და წინასწარ განჭვრეტის. რატომ უნდა იყოს ადამიანის ქცევა რაიმეთი ბუნებისგან განსხვავებული?

რა ვიცით ზოგიერთი გლობალური პრობლემის შესახებ და რა გამოსავლისა და პოლიტიკის გატარების საშუალებას გვაძლევს ჩვენი ცოდნა?

ბუნებრივი კატასტროფები და შიმშილი

ბუნებრივი მოვლენები, როგორებიცაა წყალდიდობები, გვალვა, მიწისძვრა და მწერების შემოსევა, ჩვეულებრივ, მაგრამ არა ყოველთვის, არ ექვემდებარებიან ადამიანის კონტროლს. თუმცა მათი ეფექტები — უკვე მართვადია.[1] ამგვარ მოვლენებს უბედურ შემთხვევებს ან საგანგაშო სიტუაციებს ვუწოდებთ, როცა მხოლოდ რამდენიმე ადამიანს შეეხება ეს. მაგრამ როდესაც ადამიანთა დიდი რაოდენობა ან დიდი ტერიტორიები ექცევიან მათი ზემოქმედების ქვეშ, ჩვენ ამას უკვე კატასტროფას ვეძახით. მიყენებული ზიანი არ არის მხოლოდ ბუნებრივი მოვლენის მასშტაბის ფუნქცია. 1960-1980-იან წლებში იაპონიაში 43 კატასტროფიდან თითოეულმა, საშუალოდ, 63 ადამიანი იმსხვერპლა. ამავე პერიოდში 17-მა ბუნებრივმა კატასტროფამ ნიკარაგუაში შეიწირა საშუალოდ 6 235 კაცის სიცოცხლე. აშშ-ში 1960-1976 წლებში მომხდარი წყალდიდობისა და სხვა ბუნებრივ მოვლენების შედეგად მხოლოდ ერთი ადამიანი დაიღუპა, დაშავდა თორმეტი და განადგურა ხუთზე ნაკლები შენობა. ეს შედარებითი ცნობები გვიჩვენებს, რომ ფიზიკურ გარემოში მომხდარი კლიმატური და სხვა სახის მოვლენები კატასტროფებად იქცევა სოციალური გარემოს მდგომარეობის ან მოვლენების გამო.

თუ ხალხი მიწისძვრის გამძლე სახლებში ცხოვრობს — სამთავრობო ორგანოებს ესაჭიროებათ ამგვარი კონსტრუქციები და ეკონომიკაც იმდენადაა განვითარებული, რომ ადამიანებსაც შეუძლიათ თავის თავს ამგვარი კონსტრუქციების უფლება მისცენ — მიწისძვრის ეფექტები მინიმუმამდე დაიყვანება. თუ ღარიბი ხალხი იძულებულია — იცხოვროს ტყეგაჩეხილ დაჭაობებულ ადგილას, რათა ჰქონდეს დასამუშავებელი მიწა (როგორც ბანგლადეშის სანაპირო ტერიტორიაზე), თუ ღარიბები იძულებულნი არიან იცხოვრონ ქოხებში საშიში კლდეების ძირში (როგორც რიო დე ჟანეიროში), წყალდიდობებს და მეწყერებს, რომლებიც თან სდევს ქარიშხლებსა და შტორმებს, შეუძლიათ მოკლან ათასობით და ასიათასობით ადამიანი.

ამრიგად, ბუნებრივ კატასტროფებს შეუძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს გარკვეული გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე. ეს დამოკიდებულია სოციალურ მდ-

წყალდიდობები შეერთებულ შტატებში, მაგალითისთვის, ლებანონში, კენტაქიში, შეიძლება კატასტროფული იყოს, მაგრამ არა ბევრი მსხვერპლის მიზეზი, როგორც წყალდიდობები მსოფლის სხვა ნაწილში. რატომ?

გომარეობაზე. აქედან გამომდინარე, კატასტროფებიც აგრეთვე სოციალური პრობლემებია. სოციალური პრობლემები, რომლებსაც სოციალური მიზეზები აქვს და სოციალურ გამოსავალს საჭიროებს. 1976 წლის მიწისძვრამ ტანგშამში (ჩინეთი) იმსხვერპლა 250 000 ადამიანი. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ დაღუპულთა უმრავლესობა ცხოვრობდა დაუბალანსებელ გამოუწვავი აგურის სახლებში, რომლებიც ვერ უძლებდა ძლიერ რყევას განიცდის. ამ დროს კი 1989 წლის მიწისძვრამ ლომა პიეტაში (კალიფორნიის შტატი), რომელიც სიძლიერით ჩინეთისას ჰგავდა, შეიწირა მხოლო 65 ადამიანის სიცოცხლე.

ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ბუნებრივი კატასტროფებიდან წყალდიდობა ყველაზე ნაკლებადაა სოციალური ფაქტორების გავლენაა. ბოლობოლო, ძლიერი წვიმების ან დიდი რაოდენობით თოვლის დნობის გარეშე წყალდიდობები არ ხდება. მაშინ რატომ დაიღუპა ამდენი ადამიანი ჩინეთის ჰვანგის მდინარის წყალდიდობებისას (ერთ-ერთმა ამ წყალდიდობათაგან 1931 წელს თითქმის 4 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა, რის შემდეგაც იგი ისტორიაში ყველაზე მსხვერპლიანი კატასტროფის სახელით შევიდა). ჰვაგის მდინარის ბასეინის წყალდიდობებიძირითადად იმის შედეგი იყო, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე ნავთობისა და სათესი მიწისთვის ტყეები გაჩეხეს. ამას მოჰყვა მდინარის კალაპოტის დაბზარვა, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა წყალდიდობის საშიშროება. მის შესაკავებლად აშენებული დამბები კი დანიშნულებას ვეღარ ასრულებდნენ. კატასტროფული წყალდიდობების რისკი საგრძნობლად შემცირდებოდა, განსხვავებულ სოციალურ მდგომარეობას რომ მინიჭებოდა უპირატესობა — ხალხი რომ არ ყოფილიყო ამდენად დამოკიდებული ხესა და ნახშირზე, ან მდინარის ახლოს რომ არ ჰქონოდათ ფერმები, ან დამბები რომ უფრო მაღალი და ბევრი ყოფილიყო.

შიმშილი, სიკვდილი ხშირად გამოწვეულია ბუნებრივი მოვლენებით, მათ შორის — გვალვებით ან ქარიშხლებით, რომლებიც ადანდგურებენ ნათესებსა და ხეებს. მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ შიმშილი გარდუვალად მოსდევდეს ამ მოვლენებს. სოციალურ მდგომარეობას შეუძლია შეაფერხოს შიმშილი ან პირიქით, გაზარდოს მისი ალბათობა. წარმოვიდგინოთ, რა ხდება ხოლმე სამოაში ქარიშხლის შემდეგ[2]: სოფელი, რომელმაც დაკარგა ქოქოსისა და პურის ხეების მთელი მოსავალი, ასევე ტაროები, აიყრება და გარკვეული ხნით სხვა სოფელში გადადის საცხოვრებლად, სადაც ნათესავები ან მეგობრები ჰყავთ. ისინი სტუმრად მანამდე რჩებიან, ვიდრე მათი დარგული ხეები და მცენარეები კვლავ არ მოისხავენ ნაყოფს. მერე კი ისინი სახლში ბრუნდებიან. სოფელთა შორისი ამგვარი ნაცვალგება მხოლოდ ისეთ საზოგადოებებში გვხვდება, სადაც ადამიანებს შორის საკმაოდ მცირე განსხვავებაა კეთილდღეობაში. დღეს ცენტრალური მთავრობა ან საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება დაეხმარონ ასეთ ადამიანებს და მოამარაგონ ისინი საკვებით და სხვა საჭირო საქონლით.

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ შიმშილობა მხოლოდ ერთი უიღბლო წარმოების სეზონიდან როდი წარმოიშობა. ერთი უიღბლო სეზონის განმავლობაში ადამიანებს შეუძლიათ თავის გატანა ნათესავების, მეგობრების და მეზობლების დახმარებით. მათ ასევე შეუძლიათ გადავიდნენ ნაკლებსასურველი, მაგრამ ხელსაყრელი საკვების მიღებაზე. 1974 წელს აფრიკის საჰელში (საჰელი — არაბულად საჰარის უდაბნოს საზღვრები, ნაპირები ან კიდეები — ეს არის სასაზღვრო ზონა აფრიკაში ჩრდილოეთით საჰარისა და სამხრეთით ნაყოფიერ რეგიონს — სუდანს [არ აგერიოთ ამავე დასახელების ქვეყანაში] შორის) შიმშილობა დაიწყო რვაწლიანი უამინდობის შემდეგ. ამ პერიოდში ერთმანეთს ცვლიდა გვალვები, წყალდიდობები და ა.შ. 1983-84 წლების სამოქალაქო ომმაც თავისი წვლილი შეიტანა საჰელში, ეთიოპიასა და სუდანში მომდევნო შიმშილობის დაწყებაში.[3] შიმშილობას თითქმის ყოველთვის აქვს გამომწვევი მიზეზები. ვის აქვს უფლება არსებულ საკვებზე, უნაწილებენ თუ არა მეტი საკვების მქონენი მას დანარჩენებს? კროსკულტურული კვლევებით დადგინდა, რომ საზოგადოებებში ინდივიდუალური საკუთრების უფლებით უფრო ხშირია შიმშილობა, ვიდრე იმ საზოგადოებებში, სადაც საერთო უფლებები არსებობს.[4] ამის მიუხედავად, ინდივიდუალური საკუთრების მქონე ქვეყნებში შიმშილობა შეიძლება სახელმწიფომ შეამციროს.

სახელწიფოს დახმარება ყოველთვის ვერ აღწევს ხოლმე იმ ადამიანებამდე, ვისაც ის ყველაზე მეტად სჭირდება. მაგალითად, ინდოეთში, გვალვის დროს, შიმშილობის რისკის შესამცირებლად სახელმწიფო მოსახლეობას ეხმარება ხოლმე. მაგრამ სოფლისთვის გამოყოფილი საკვები და სხვა ნივთები შეიძლება არათანაბრად განაწილდეს, საზოგადოებაში გავრცელებული სოციალური და გენდერული სტრატიფიცირების წესების თანახმად. ადგილობრივი ელიტა დახმარების დისტრიბუტორთა როლში გამოდის. ისინი ხშირად მანიპულირებენ ამ სუბსიდიებით თავიანთ სასარგებლოდ. დაბალი კლასის და დაბალი კასტის ოჯახები კვლავ ყველაზე მეტად იჩაგრებიან. ოჯახების შიგნით კი ქალების ჩაგვრა, კერძოდ, გოგონების და ხანში შესული ქალების, ართმევს მათ საშუალებას, მიიღონ სათანადო რაოდენობისა და ხარისხის საკვები. არაა გასაკვირი, რომ შიმშილობის პერიოდებში ღარიბები და სხვა სოციალურად დაჩაგრული ადამიანები უფრო ხშირად იღუპებიან.[5]

ამრიგად, კატასტროფის დროს საზოგადოების ყველა წევრი თანაბარი რისკის ქვეშ როდია. სოციალურად სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში ღარიბები განსაკუთრებით იტანჯებიან. სწორედ ეს ადამიანები არიან იძულებულნი, დათესონ მაქსიმალურად ზედმეტი და გაჩეხონ ხეები თავიანთ მიწაზე, რის შედეგადაც მას უფრო უნაყოფოდ აქცევენ. საზოგადოება ყველაზე მეტად მათ ეხმარება, ვისაც ყველაზე მეტად აფასებს.

წარსულში, ზოგან დღესაც კი, ადამიანები კატასტროფებს ამორალურობის გამო მოვლენილ ღვთის რისხვად აღიქვამდნენ. მაგალითად, ძველ აღთქმაში აღწერილი დიდი წყალდიდობა ღვთის მიერ იყო მოვლენილი. თუმცა სამეცნიერო კველევა სულ უფრო მეტად გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ ბუნებრივი კატასტროფების მიზეზები; კერძოდ — გავარკვიოთ ის სოციალური წინაპირობები. რომლებიც ზრდის ან ამცირებს მათ ეფექტებს. კატასტროფის გავლენის შესამცირებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა შემცირდეს ის სოციალური განსხვავება, რაც ზრდის კატასტროფის შედეგებს. თუ ადამიანები არიან პასუხისმგებელნი ამ სოციალურ მდგომარეობაზე, მათვე შეუძლიათ მისი შეცვლა. თუ მიწისძვრა სახლებს ანგრევს, ჩვენ შეგვიძლია უფრო მყარი სახლები ავაგოთ. თუ ზედმეტი დათესვით გამოწვეული წყალდიდობები ადამიანებს კლავს, მაშინ შეგვიძლია ტყის ახალი საფარი გავაშენოთ და შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები დაჭაობებულ ტერიტორიებზე მოსახლე ფერმერებისთვის. თუ გახანგრძლივებული ბუნებრივი კატასტროფები და ომი ქმნის შიმშილობის დაწყების საფრთხეს, სოციალური დისტრიბუციის სისტემას ამ რისკის შემცირება შეუძლია. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ ბევრი არაფრის გაკეთება შეგვიძლია ამინდისა და კატასტროფათა ფიზიკური მიზეზების წინააღმდეგ, მაგრამ საკმაოდ ბევრის გაკეთება შეგვიძლია — თუ მოვინდომეთ — იმ სოციალური ფაქტორების გამოსასწორებლად, რომლებიც კატასტროფებს კიდევ უფრო ამწვავებს.

არაადეკვატური საცხოვრებელი და უსახლკარობა

ბევრ ქვეყანაში ღარიბები, როგორც წესი, არაადეკვატურ საცხოვრებლებში სახლობენ. ამ ადგილებს ჩვენ ჯურღმულებს (slums) ვუწოდებთ. ბევრ განვითარებად

მიმდინარე კვლევა და საკითხები

გლობალური დათბობა, ჰაერის დაბინძურება და ჩვენი დამოკიდებულება ნავთობზე

მეცნიერები სულ უფრო რწმუნდებიან, რომ მსოფლიო ცხელდება და მათ ძალიან აღელვებთ ამის შედეგები. რაც უფრო მაღლა იწევს ტემპერატურა, მით მეტად დნება გრენლანდიისა და არქტიკის ყინული. შედეგად, გაზრდილი ზღვის დონე დაფარავს ბევრ დაბალ სანაპირო ტერიტორიებს, მათ შორის — ბევრ მსოფიო ქალაქს. ალბათ ბევრ ადგილას ამინდიც შეიცვლება და ყოველთვის უკეთესობისკენ არა. მაგალითად, ადგილები, სადაც ახლა საკმარისი წვიმებია მოსავლის მოსაყვანად, შეიძლება მომავალში უდაბნოებად იქცეს.

მსოფლიოში დათბობა ალბათ რამდენიმე მიზეზით დაიწყო. ერთ-ერთი მიზეზთაგანია ჩვენ მიერ წიაღისეული საწვავის, განსაკუთრებით ნავთობის, მზარდი მოხმარება. ჩვენ ამ საწვავს ვიყენებთ ელექტროენერგიისთვის, მანქანების ძრავისთვის (ნავთობისგან გაკეთებული ბენზინის მეშვეობით), სახლების გასათბობად და საკვების მოსამზადებლად. მთელი ამ წვის პროცესის შედეგად გამოყოფილი გამონაბოლქვი იწვევს ე.წ. ,,სათბურის ეფექტს": ატმოსფერო ირეკლავს დედამიწაზე გამოყოფილი სითბოს და ტემპერატურაც იზრდება. ჰაერი ბინძურდება, რასაც შემდგომ საზიანო შედეგები მოაქვს.

შეუძლია ხალხს რამე მოიმოქმედოს გლობალური დათბობისა და ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ? ცხადია, პასუხი დადებითია. თუ, უკიდურეს შემთხვევაში, პრობლემის ნახევარი ადამიანის მიერაა გამოწვეული, ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ჩვენი ქცევა და ყოველ შემთხვევაში, სანახევროდ მაინც გადავწყვიტოთ ეს პრობლემა. ერთი საშუალება იქნებოდა, თუ შევამცირებდით ნავთობის საწვავის მოხმარებას. მაგრამ როგორ გავაკეთოთ ეს?

2000 წელს აშშ-ში პირველი ჰიბრიდული ავტომობილები გაიყიდა. ეს მანქანები ელექტრო და ბენზინის ძრავებით მუშაობს. ეს კომბინაცია ამცირებს ნავთობის გამოყენებას, რადგან მანქანა ძირითადად ელექტროძრავის საშუალებით გადაადგილდება. ელექტროძრავის ბატარეა იმუხტება დამუხრუჭებისას ან როცა ბენზინის ძრავია ჩართული, რასაც დიდი დრო არ მიაქვს. (მაგალითად, წითელზე ბენზინის ძრავი გამოირთვება ხოლმე). ამრიგად, ჰიბრიდული მანქანა საშუალებას გვაძლევს, ერთი გალონი ბენზინით საკმაოდ შორს წავიდეთ.

დადგენილია, რომ ჰიბრიდულ მანქანებს სათბური ეფექტის თითქმის განახევრება შეუძლიათ. მათ შეუძლიათ შეამსუბუქონ ან საერთოდ ნულამდე დაიყვანონ გლობალური დათბობა და ჰაერის დაბინძურება. მაგრამ ამ ვარდისფერი სცენარის მიუხედავად, რა უშლის მსოფლიოს ჰიბრიდულ ავტომობილებზე გადასვლაში ხელს?

პასუხი — ეკონომიკა და პოლიტიკა. ნავთობის ბიზნესით დიდი ფული კეთდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მარაგი ცოტაა. რაც უფრო მცირეა ნავთობის მარაგი, მით მეტ ფასს სთხოვენ მომხმარებელს უცხოელი ნავთობმწარმოებლები და ადგილობრივი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მფლობელები. რაც მეტი ნავთობი შემოდის უცხოეთიდან, მით მეტად ცდილობენ აშშ და სხვა მთავრობები, უცხოელი მწარმოებლები მუდამ დააკმაყოფილონ. თუმცა, ეს მოვალეობა ეწინააღმდეგება მსოფლიოში დემოკრატიის წახალისების/ხელშეწყობის პოლიტიკას. ნავთობის მწარმოებელ ბევრ ქვეყანაში დიქტატურაა დამყარებული. ამრიგად, ნავთობკომპანიები დამოკიდებულნი არიან ამ რეჟიმებზე, რათა არ შეჩერდეს მათი წარმოება. ისინი ლობირებენ მთავრობებს (მათ შორის აშშ-ს მთავრობასაც), რათა შეინარჩუნონ მეგობრული ურთიერთობები მათთან. შესაძლებელია კი, მოველოდეთ ნავთობკომპანიებისგან უარი თქვან უცხოურ ნავთობმომმარაგებლებზე, თუ ისინი ბევრ ფულს ეკეთებენ ამ პროცესში? ნაკლებად.

ჩვენი საბაზრო ეკონომიკა არ გვაძლევს ამ დილემიდან თავის დაღწევის საშუალებას. თუ ჰიბრიდული ავტომობილები და სხვა გზები წიაღისეული საწვავის საჭიროებას შეამცირებს, ბაზარი შეიცვლის მიმართულებას. ირონიულად, კაპიტალისტური კანონების მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ შეძლებს შეამრიცოს ნავთობკომპანიების გავლენა პოლიტიკაზე და დაგვეხმარება გლობალური დათბობის პრობლემის გადაწყვეტაში. ავტომობილის მწარმოებლებს კიდევაც რომ უნდოდეთ ჩვეული ბიზნესის გაგრძელება, ისინი დიდხანს ვერ გაძლებდნენ ეკონომიური მანქანების დამზადების გარეშე. მყიდველს ასეთი მანქანის შეძენა ენდომებიდა საწვავის ხარჯების შესამცირებლად. ვერც ერთი საავტომობილო კომპანია ვერ შეძლებდა ბაზარზე ამგვარი ზეწოლის იგნორირებას.

ქვეყანაში, სადაც ქალაქები სწრაფად იზრდება, ჩნდება სქვოტერული დასახლებები (ხშირად ხელნაკეთი). ეს ნაგებობები, როგორც წესი, არაკანონიერად ითვლება. ან იმიტომ, რომ მიწა არის არაკანონიერად დაკავებული ან ეს ნაგებობები არღვევს მშენებლობის კოდექსს. სქვოტერული დასახლებები ძირითადად ისეთ ტერიტორიაზეა გაშენებული, სადაც დიდია წყალდიდობისა და მეწყერის საშიშროება და ხშირად დაბინძურებული წყალი მოდის. ამ პრობლემის სიდიდე აშკარა ხდება სტატისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით. ასე, მაგალითად, 1980-იან წლებში ნაირობის (კენია) მოსახლეობის 40% ცხოვრობდა უნებართვო საცხოვრებლებში. ხოლო ელ სალვადორის ხუთ უმსხვილეს ქალაქში მოსახლეობის 65% ცხოვრობდა არაკანონიერ საცხოვრებლებში.[6]

მაგრამ ადამიანების შეხედულების საწინააღმდეგოდ, არალეგალურ დასახლებებში მცხოვრები ყველა ადამიანი ღარიბი როდია. ამგვარ დასახლებებში შეგვიძლია შევხვდეთ ყველას, მაღალშემოსავლიანი ელიტის გარდა.[7] მეტიც, მიუხედავდ იმისა, რომ სქვოტერული დასახლებებში ბევრი პრობლემა არსებობს, ესენი არაა დანაშაულებებით სავსე ქაოტური და არაორგანიზებული ადგილები. მოსახლეთა უმრავლესობა დასაქმებულია, ილტვის მეტისა და უკეთესისკენ, ცხოვრობს ნუკლეალურ ოჯახებში და ეხმარება ერთმანეთს.[8] ადამიანები ამგვარ ადგილებში ცხოვრობენ იმიტომ, რომ არ აქვთ შესაფერისი საცხოვრებლის საშუალება და თავად იწყობენ მას, რამდენადაც შეუძლიათ. ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ამგვარი თვითდახმარების ტენდენციები საცხოვრებლის გამოსწორებას შეუწყობს ხელს. ეს იმიტომ, რომ განვითარებადი ქვეყნების მთავრობებს იშვიათად შეუძლიათ დააფინან-

სონ ძვირადღირებული საჯარო დასახლების პროექტები. მაგრამ მათ შეუძლიათ მცირე ინვესტიციები გააკეთონ ინფრასტრუქტურაში — კანალიზაციის გაყვანილობაში, წყალმომარაგებაში, გზების დაგებაში — და აღჭურვონ სამშენებლო მასალით ისინი, ვინც თავის თავზე იღებს თავიანთი საცხოვრებლის გამოსწორების სამუშაოს.[9]

საცხოვრებლები ,,ჯურღმულებსა" და სტიქიურად წარმოქმნილ დასახლებებში (shanty town), მართალია, მინიმალურს, მაგრამ მაინც თავშესაფარს წარმოადგენს. მაგრამ ბევრ ადამიანს, მსოფლიოს ბევრ ნაწილში, საერთოდ არ აქვს სახლი. ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ბევრ ადამიანს არ აქვს საცხოვრებელი. მათ სძინავთ პარკებში, მილებზე, შენობის შესასვლელებში, მეტროსა და მუყაოს ყუთებზე. 1987 წელს დაადგინეს, რომ აშშ-ში 1 მილიონამდე უსახლკარო ცხოვრობდა.[10] 1996 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, მათი რაოდენობა გაიზარდა. 2 მილიონზე მეტი ადამიანი — ამათგან ორი მესამედი ბავშვი — 1996 წელს უსახლკარო იყო.[11]

ვინ არიან უსახლკაროები და როგორ გახდნენ ისინი უსახლკაროები? ამ კითხვებთან დაკავშირებით ჩვენ შედარებით მცირე კვლევები გვაქვს ჩატარებული. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რაც გვაქვს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში უსახლკარობას განსხვავებული მიზეზები აქვს. ამერიკაში უმუშევრობა და წესიერი დაბალფასიანი საცხოვრებლების ნაკლებობა უსახლკარობაზე, სულ მცირე, ნაწილობრივაა პასუხისმგებელი.[12] არსებობს კიდევ ერთი ფაქტორიც: საგანგებო პოლიტიკა მენტალურად დაავადებული და სხვამხრივ უუნარო ადამიანთათვის ჰოსპიტალიზაციის ადგილების შემცირების შესახებ. მაგალითად, 1960-იანი წლების შუა პერიოდიდან 1990-იანი წლების შუამდე ნიუ-იორკის შტატში მხოლოდ ფსიქიატრიული კლინიკებიდან ათასობით პაციენტი გამოწერეს. ამ ექს-პაციენტების უმრავლესობას იაფფასიან სასტუმროებსა და ცუდად აღჭურვილ დაწესებულებებში უწევდათ ცხოვრება. რადგან ძალიან მცირე შემოსავალი ჰქონდათ, მათ ძალიან უჭირდათ. ელექს ბაქსტერმა და კიმ ჰოპერმა, რომლებიც შეისწავლიდნენ ნიუ-იორკის უსახლკაროებს, დაადგინეს, რომ ერთი მოვლენა იშვიათადაა საკმარისი ადამიანის უსახლკაროდ ცნობისთვის, ხოლო არამედ, სიღარიბესა და უუნარობას (მენტალურს თუ ფიზიკურს) მოსდევს რამდენიმე უბედურება და ბოლოს — უსახლკარობა.[13]

ბევრს არ ესმის, რატომ არ უნდა უსახლკაროთა უმეტესობას, იცხოვროს მუნიციპალურ თავშესაფრებში. უსახლკაროების დაკვირვებებმა და ინტერვიუირებამ ცხადყო, რომ მუნიციპალურ თავშესაფრებში ხშირია ძალადობა. ბევრი თავს ქუჩაში უფრო უსაფრთხოდ გრძნობს. ზოგი კერძო საქველმოქმედო ორგანიზაცია აძლევს უსახლკაროებს უსაფრთხო თავშესაფარსა და მზრუნველ გარემოს. ეს თავშესაფრები სავსეა, თუმცა ადგილებია ცოტა.[14] ერთოთახიანი სასტუმროები დიდად არ განსხვავდებიან მუნიციპალური თავშესაფრებისგან. ბევრი მათგანი სავსეა პარაზიტებით, საერთო ტუალეტები საშინლად ბინძურია და ისინიც ხშირად სახიფათოა.[15]

რამდენიმე ღარიბი ადამიანი შეიძლება სოციალურად იზოლირებული იყოს; ჰყავდეს ცოტა ან სულ არ ჰყავდეს მეგობრები და ნათესავები, არ ჰქონდეს სოციალური კონტაქტი. მაგრამ საზოგადოებაში, სადაც მრავლადაა ასეთი ინდივიდები, არაა აუცილებელი, ბევრი უსახლკარო არსებობდეს. სოციალურად იზოლირებულ ინდივიდებს, გონებრივად ავადმყოფებსაც კი, შეიძლება ჰქონდეთ სახლი. მელბურნში (ავსტრალია) არსებობს ასეთი მაგალითი. იქ ჯანმრთელობის უნივერსალური დაზღვევა თავის თავზე იღებს იზოლირებული და ავადმყოფი ადამიანების სამედიცინო მომსახურებისა და ექიმთან ვიზიტის ხარჯებს, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი. უნარშეზღუდული ინდივიდები იქ ღებულობენ პენსიას და აქვთ შეღავათები, რაც საშუალებას აძლევს მათ, იცხოვრონ ბინებში ან ოთახებში ქირით. მელბურნში კიდევ მრავლად მოიპოვება იაფი საცხოვრებელი. კვლევებმა დაადგინა, რომ გონებრივი აშლილობა წინ უსწრებს მარგინალურ საცხოვრებლებში ცხოვრებას — ქალაქის თავშესაფრებში, კომერციულ თავშესაფრებში და იაფფასიან ერთოთახიან ბინებში. ამგვარ ადგილას მცხოვრები ხალხის 50%-ს წინათ რაიმე სახის გონებრივი ავადმყოფობა ჰქონდა. ეს პროცენტული მაჩვენებელი მსგავსია აშშ-ში უსახლკაროების ან მარგინალურ თავშესაფრებში მცხოვრები ხალხის შემთხვევებისა.

განსხვავებები აშშ-სა და ავსტრალიას შორის ცხადყოფს, რომ უსახლკარობას ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური კურსი იწვევს. აშშ-სა და ავსტრალიაში ერთნაირი დამახასიათებელი ნიშნის მქონე ადამიანები ცხოვრობენ — განსხვავება ისაა, რომ ამერიკაში მათი უმრავლესობა უსახლკაროა.[16]

უსახლკარობის პრობლემა არ იარსებებდა იქ, სადაც ყველას მიუწვდება ხელი საცხოვრებელზე. აქედან გამომდინარე, ბევრი ფიქრობს, რომ უსახლკარობა გაჩნდება ისეთ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს დიდი შემოსავლიანობა. აშშ-ში შემოსავლის განაწილების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 1970-იანი წლებიდან მდიდრები უფრო გამდიდრდნენ და ღარიბები უფრო გაღარიბდნენ. აშშ-ში ახლა, სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებთან (იაპონია და ნიდერლანდები) შედარებით, მეტი უთანასწორობაა შემოსავალში; მეტიც, აშშ-ში უთანასწორობის მოკლე ცნობა ისეთი განვითარებადი ქვეყნების სიტუაციას წააგავს, როგორიცაა ინდოეთი და მექსიკა.[17]

აშშ-სა და ბევრ სხვა ქვეყანაში უსახლკაროთა უმრავლესობა ზრდასრულია. მაშინ, როცა უფროსებს ,,აქვთ უფლება", იყვნენ უსახლკაროები, საზოგადოება აღშფოთებულია ქუჩებში უსახლკარო ბავშვების რაოდენობით. როცა სახელმიფო უსახლკარო ბავშვს პოულობს, ის ცდილობს, უშოვოს მას თავშესაფარი ან ოჯახი, რომელიც იშვილებდა მას. თუმცა ბევრ ქვეყანში მაინც არსებობენ ,,ქუჩის ბავშვები". დადგებილია, რომ მსოფლიოში 80 მილიონი უსახლკარო ბავშვია. აქედან 40 მილიონი ლათინურ ამერიკაში, 20 მილიონი აზიაში, 10 მილიონი აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში, 10 მილიონი კი დანარჩენ ტერიტორიაზე.[18]

ლიუისაპტეკარმა,რომელიცშეისწავლიდაუსახლკარო ბავშვებს კალიში (კოლუმბია) რამდენიმე გასაოცარი ფაქტი აღმოაჩინა.[19] იმ დროს, როცა აშშ-სა და ავსტრალიაში უსახლკარო ბავშვთა უმრავლესობა გონებრივად უუნაროა, კალიში ბავშვებს არანაირი მენტალური პრობლემა არ აწუხებთ (როგორც წესი, მათი ასაკი 7-დან 16 წლამდე მერყეობს). საერთო ჯამში, მათ ინტელექტის ტესტებზეც ნორმალური შედეგი აჩვენეს; მეტიც, იმის მიუხედავად, რომ ქუჩის ბავშვთა უმრავლესობას მოძალადე ოჯახები ჰყავდათ ან საერთოდ არ ჰყოლიათ ოჯახი, ისინი თითქმის სულ ბედნიერად გამოიყურებიან. ეს ბავშვები ერთმანეთთან მეგობრობენ. მათ ფულის მოპოვების ჭკვიანური და მრავალფეროვანი მეთოდები აქვთ შემუშავებული. ხშირად ისინი ფულს გამვლელების გართობით შოულობენ.

იმის მიუხედავად, რომ ზოგს შეიძლება ეგონოს, თითქოს ქუჩის ბავშვები ოჯახებმა მიატოვეს, სინამდვილეში მათ უმრავლესობას ერთი მშობელი მაინც ჰყავს, რომელთან კონტაქტსაც ინარჩუნებს. ქუჩური ცხოვრება ნელა, მაგრამ მოულოდნელად იწყება. ბავშვები, როგორც წესი, მთელ დროს არ ატარებენ ქუჩაში, ვიდრე 13 წლის არ გახდებიან. მართალია, ქუჩის ბავშვები კალიში უკეთეს ფიზიკურ და გონებრივ ფორმაში არიან, მათი და-ძმები სახლში ხშირად ,,ჭირიანებად" ითვლებიან. ქუჩის ბავშვები ღარიბი ოჯახებიდან არიან და მთელი ძალით იბრძვიან თავის გასატანად. მაშ, რატომ არ ეპყრობიან მათ სიბრალულითა და თანაგრძნობით? აპტეკარი თვლის, რომ შეძლებული ოჯახები ამგვარ ბავშვებს საფრთხედ აღიქვამენ. მათი აზრით, ოჯახიდან დამოუკიდებელი ცხოვრება მიდრეკილს ხდის ბავშვებს, აღარ ემორჩილებოდნენ

მშობელთა შეზღუდვებსა და ავტორიტეტს.

ის, რომ ადამიანები უსახლკარონი არიან ან ცხოვრობენ ქოხებში, დამოკიდებულია საზოგადოების მზადყოფნაზე, გაუზიაროს კეთილდღეობა და დახმარება მათ, ვისაც სჭირდება. კალიში ქუჩის ბავშვები გვახსენებენ, რომ ბავშვები და უფროსები მთელი მსოფლიოს გარშემო საჭიროებენ თანადგომასა და მზრუნველობას. ფიზიკური მოთხოვნილებების შესრულებით და ემოციური მოთხოვნილებების უგულებელყოფით შესაძლებელი იქნება ადამიანების ქუჩიდან გამოყვანა, მაგრამ ეს მათ ვერ დააბრუნებს ,,სახლში".

ოჯახური ძალადობა და დამცირება

აშშ-ს საზოგადოებაში ხშირად ისმის მეუღლეებისა და შვილების დამცირების შესახებ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი ტენდენცია მატულობს. მაგრამ ასეა კი ეს? ეს მარტივი კითხვა ჩანს, თუმცა მასზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია. პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ, რას ვგულისხმობთ სიტყვაში „დამცირება".

არის თუ არა ბავშვის ფიზიკური დასჯა, თუ მან რამე დააშავა, დამცირება? არც ისე დიდი ხნის წინ მასწავლებლებს აშშ-ს სკოლაში ჰქონდათ უფლება, ბავშვებისთვის სახაზავები და ჯოხი დაერტყათ. ბევრი მშობელი შვილის დასასჯელად ქამრებსა და მათრახებს იყენებდა. ბევრი ამგვარ პრაქტიკას ბავშვის დამცირებად ჩათვლიდა. მაგრამ ითვლებოდა კი ეს დამცირებად იმ დროს, როცა ამას აკეთებდნენ? ზოგი იმასაც კი ფიქრობს, რომ ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ითვლება საზოგადოებაში მისაღებ ქცევად. სხვები არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას და ყურადღებას მშობელთა და მასწავლებელთა სისასტიკეზე ამახვილებენ და არა კულტურაში გავრცელებულ შეხებდულებებზე, მისაღებ ქცევასთან დაკავშირებით. დამცირება ყოველთვის ძალადობას არ გულისხმობს. საკამათოა, რომ ვერბალური აგრესია და უარყოფა ფიზიკურ შეურაცხყოფაზე მტკივნეულია. უარყოფის განსაზღვრაც ცალკე პრობლემას წარმოადგენს. სხვა კულტურების წარმომადგენლებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ არასწორად ვიქცევით, როცა ჩვილს მარტოს ვტოვებთ ოთახში ძილის დროს.[20] მაგრამ სხვა დისციპლინური ქცევების განსჯა უფრო ძნელია.

დამცირების განსაზღვრებასთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობის თავიდან აცილების მიზნით, ბევრი მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს სპეციფიკურ ქმედებათა სიხშირის ცვალებადობაზე. მაგალითად, შეიძლება ვიკვლიოთ, რომელ საზოგადოებებში სჯიან ბავშვებს ფიზიკურად, იმის გარეშე, რომ ამას დამცირება ვუწოდოთ.

1975, 1985 და 1992 წლებში აშშ-ში ჩატარდა ოჯახური და თანამცხოვრები წყვილების ეროვნული გამოკითხვა. ამ კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ ბავშვების ფიზიკურად დასჯის ტენდენციებმა, ისევე როგორც ქმრების მიერ ცოლების შეურაცხყოფის სიხშირემ, საგრძნობლად იკლო. მაგრამ ცოლების მიერ ქმრების შეურაცხყოფას არ მოუკლია.[21] დამცირების კლებადი ტენდენციები შეიძლება ცნობებს შორის განსხვავებებზეც იყოს დამოკიდებული: დღეს ცოლებისა და ბავშვების ცემა ნაკლებად მისაღებია. მაგალითად, კაცები ძალიან ცოტას ჩივიან ცოლების შესახებ, ცოლები კი უმნიშვნელო მორალურ შეურაცხყოფასაც კი არ ტოვებენ უპასუხოდ.[22] ამის მიუხედავად, ამერიკის შეერთებულ მტატებში კვლავ არსებობს ოჯახებში დიდი ფსიქოლოგიური ძალადობა. მხოლოდ 1992 გამოკითხული წყვილებიდან ათიდან ერთ ოჯახს ჰქონია ძალადობრივი შეურაცხყოფის ეპიზოდი და ათიდან ერთი ბავშვი რამდენჯერმე დაემცირებინა მშობელს.[23] 1990-იანი წლების შუა პერიოდში ჩატარებულმა კვლევამ აღმოაჩინა, რომ ქალების მიმართ ძალადობის 75% ინტიმური მამაკაცი პარტნიორისგან მომდინარეობს, ისეთისგან, როგორიც, მაგალითად, ქმარია. ამისგან განსხვავებით, მამაკაცების მიმართ განხორციელებული ძალადობა, შეიძლება, მომდინარეობდეს უცხოებისგან და ნაცნობებისგანაც. ისევე, როგორც ქალები ახლობლების მხრიდან უფრო დიდი რისკის ქვეშ, ასევე არიან ბავშვებიც. როდესაც ბავშვი ძალადობის სამიზნეა, ეს ძირითადად მშობელი დედისგან მომდინარეობს.[24]

კროსკულტურულად თუ თავს იჩენს ოჯახური ძალადობის ერთი ფორმა, შესაძლებელია სხვებიც გაჩნდეს. ასე, მაგალითად, ცოლის ცემა, ქმრის ცემა, ბავშვის დასჯა და ჩხუბი დედმამიშვილებს შორის — ყველაფერი მნიშვნელოვანწილად ასოცირებულია ერთმანეთთან. მაგრამ ამ სახის ოჯახური ძალადობის ფორმებს შორის ურთიერთობა არც ისე ძლიერია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არ ითვლებიან ერთი მთლიანი ფენომენის სხვადასხვა ნაირსახეობებად. მართლაც, გარკვეულწილად განსხვავებული ფაქტორები ხსნიან ოჯახური ძალადობის განსხვავებულ ფორმებს.[25] ჩვენ აქ ყურადღებას ძალადობის ორ ფორმაზე ვამახვილებთ, რომლებიც კროს-კულტურულად ყველაზე ჭარბია: ძალადობა ბავშვებისა და ცოლების მიმართ.

ძალადობა ბავშვების მიმართ

უსახლკარო ბიჭი კალკუტაში, ინდოეთი, თავის საკუთრებასთან ერთად.

კროსკულტულტურული კვლევების მიხედვით, ბევრ საზოგადოებაში ხდება და დაშვებულია ბავშვების მკვლელობა. ამის ხშირი მიზეზი არალეგალურობა, ჩვილის სიმახინჯე, ტყუპები, ძალიან ბევრი ბავშვის ყოლა ან არყოლის სურვილია. ბავშვის მკვლელობა, როგორც წესი, დედის ხელით ხდება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის უგრძნობია. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ მას არ შეუძლია ადეკვატურად გამოკვებოს ან მოუაროს ჩვილს, ან მას გადარჩენის ისედაც მცირე შანსი აქვს. ბავშვების მკვლელობის მიზეზები ემთხვევა აბორტის მიზეზებს. ამრიგად, სავარაუდოა, რომ ბავშვთა მკვლელობას მიმართავენ მაშინ, როდესაც აბორტი დაგვიანებულია; ან როდესაც ჩვილის მოულოდნელი მახასიათებლები (მაგალითად, სიმახინჯე) აიძულებს დედას, ხელახლა შეაფასოს თავისი შესაძლებლობები ბავშვის აღზრდის შესახებ.[26]

ბავშვის ფიზიკური დასჯის ტენდენციები მსოფლიოს საზოგადოებების 70%-ში გვხვდება. მაგრამ ის ფაქტი, რომ ბავშვებს ზოგან ფიზიკურად სჯიან, არ ნიშნავს, რომ ამგვარი პრაქტიკა რეგულარული ხასიათისაა.[27] რატომ გამოიყენება ფიზიკური დასჯა ზოგ საზოგადოებაში, სხვაგან კი — არა? ზოგი კვლევის მიხედვით, ბავშვის ფიზიკურად დასჯა უფრო ხშირია ისეთ ოჯახებში, სადაც დედა ერთადერთი მშობელია. ფიზიკური დასჯა ნაკლებ სავარაუდოა რამდენიმე მზრუნველის არსებობისას, რომლებიც ბავშვის გაზრდასთან ასოცირებულ სტრესს დედასთან ერთად ნაწილობრივ იზიარებენ.[28] ამასთან, უფრო ეკონომიკურად და პოლიტიკურად კომპლექსური საზოგადოებები მარტივ საზოგადოებებზე მეტად ემყარებიან ფიზიკურ დასჯას. რატომ ხდება ასე, ჯერ გაურკვეველია. ერთი ვარაუდის მიხედვით, კომპლექსური საზოგადოებები უფრო იერარქიულია და მოითხოვს ბრძანებების უსიტყვოდ შესრულებას. მათ შეიძლება მიმართონ ბავშვების ფიზიკურად დასჯის პრაქტიკას, მათში მორჩილების განსავითარებლად.[29]

ბავშვების მოვლა დამოუკიდებლად სტრესულ სიტუაციაში.

ძალადობა ცოლების მიმართ

ოჯახური ძალადობის ყველაზე კროსკულტურულად გავრცელებული ფორმაა ცოლების ცემა. ის თავს იჩენს, ყოველ შემთხვევაში, დროდადრო მაინც, მსოფლიო საზოგადოებების 85%-ში. ამ საზოგადოებების ნახევარში ცოლის ცემის ჩვეულება ისეთ სერიოზულ ფორმებს იძენს, როგორიცაა მუდმივი დაზიანება და სიკვდილი.[30] მიჩნეულია, რომ ცოლების ცემა ხშირია ისეთ საზოგადოებებში, სადაც ეკონომიკურ და პოლიტიკურ რესურსებს მამაკაცები აკონტროლებენ. ამ მოსაზრების შესამოწმებელ კროსკულტურულ ტესტში დავიდ ლევინსონმა აღმოაჩინა, რომ მამაკაცთა დომინანტობის ყველა ფაქტორი არ გულისხმობს ცოლის ცემას. თუმცა მათგან ბევრი სწორედ ამის მომასწავებელია. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით მაშინაა ხშირი, როდესაც მამაკაცები აკონტროლებენ საშინაო შრომის პროდუქტს, ან მათ ეკუთვნით უკანასკნელი სიტყვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როდესაც განქორწინება სიძნელეს წარმოადგენს ქალებისთვის, როდესაც ქვრივის გათხოვებას გარდაცვლილი ქმრის სანათესაო აკონტროლებს და როდესაც ქალებს არ აქვთ არავითარი ქალთა სამუშაო ჯგუფები.[31] ამის მსგავსად, აშშ-ში რაც მეტად იღებს ერთი მეუღლე გადაწყვეტილებებს და რაც უფრო მეტი ძალაუფლება აქვს მას, მით მეტი ფიზიკური ძალადობა იჩენს ოჯახში თავს. ცოლების ცემა განსაკუთრებით მაშინაა უფრო ხშირი, როდესაც ქმარი არ მუშაობს და სახლის საქმეებს აკონტროლებს.[32]

ცოლთა ცემა, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ძალადობის უფრო ფართო სახეებთან. საზოგადოებებში, სადაც არსებობს დავის გადაწყვეტის ძალადობრივი საშუალებები, დამნაშავეებს ფიზიკურად უსწორდებიან და მტრების მიმართ სისასტიკეს იჩენენ, ხშირია ცოლების ცემა.[33] ბავშვების ცემაც დაკავშირებულია ცოლებთან ფიზიკურად გასწორებასთან. აშშ-ს ბევრ ოჯახში ფიქრობენ, რომ ფიზიკური დასჯა აუცილებელია, რათა ბავშვმა ისწავლოს, რა არის კარგი და რა — ცუდი. ამგვარმა ქცევამ შეიძლება ისიც გვასწავლოს, რომ შესაძლებელია ადამიანის ცემა, თუ ის ცუდად მოიქცევა. როგორც 1995 წლის კვლევა იტყობინება, ოთხიდან ერთ შემთხვევაში მშობლები შვილებს საგნებს ურტყამენ.[34] აშშ-ში ჩატარებული კვლევა ადასტურებს იმ აზრს, რომ ინდივიდები (მამაკაცები ან ქალები), რომლებსაც მოზარდობის პერიოდში ფიზიკურად უსწორდებოდნენ, ზრდასრულობისას ოჯახური ძალადობის მომხრენი არიან და თავადაც სჩადიან მას.[35]

რისკის შემცირება

რისი გაკეთება შეიძლება ოჯახური ძალადობის შესამცირებლად? პირველ რიგში, უნდა გავაცნობიეროთ ის ფაქტი, რომ ვერაფერს გავხდებით, სანამ საზოგადოება არ აღიარებს პრობლემის არსებობას. თუ საზოგადოების უმრავლესობისთვის მისაღებია ბავშვებისა და ცოლების სასტიკად ცემა, მაშინ ამას არავინ მიიჩნევს სოციალურ პრობლემად. არც ამის გადაჭრის აუცილებლობა იარსებებს საზოგადოებაში. ჩვენს საზოგადოებაში შექმნილია მრავალი პროგრამა, რათა გამოიყვანოს დაჩაგრული ბავშვები ან ცოლი ამგვარი ოჯახიდან, ან დასაჯოს შეურაცხმყოფელი (რასაკვირველია, როცა ძალადობა უკვე ჩადენილია და სერიოზული ხასიათი აქვს). კროსკულტურულად, ყოველ შემთხვევაში, ცოლის ცემასთან დაკავშირებით, ამგვარ სიტუაციაში ჩარევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყოს წარმატებული, თუ ის მანამ განხორციელდება, ვიდრე სერიოზული დანაშაული მოხდება. როგორც მოსალოდნელია, ისეთ ქვეყნებში, სადაც ცოლების ცემა გავრცელებულ და საკმაოდ სე-

რიოზულ ხასიათს ატარებს, უცხოთა ჩარევა ყველაზე ნაკლებად ხდება. ამ სიტუაციაში უფრო სასარგებლო, მაგრამ უფრო რთულად შესასრულებელი, არის საზოგადოებაში ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესება, რაც ოჯახური ძალადობის დონეს საგრძნობლად შეამცირებდა. კვლევების მიხედვით გაირკვა, რომ ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის და ბავშვთა აღზრდის პასუხისმგებლობის თანაბრად განანილების პრომოუშენი ოჯახური ძალადობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნებოდა.[36] ბავშვების ფიზიკური შეურაცხყოფის რისკის შემცირება კი ამცირებს იმის შესაძლობლობას, რომ ზრდასრულობისას ისინი საკუთარ ოჯახებში ამავე პრაქტიკას არ მიმართავენ.

დანაშაული

ის, რაც ერთ საზოგადოებაში დანაშაულად ითვლება, მეორეში სულაც არ არის დანაშაული. ისევე, როგორც რთულია დამცირების ცნების ზუსტი განსაზღვრა, დანაშაულის ცნებასაც არ აქვს ზუსი განსაზღვრება. ერთ საზოგადოებაში სხვის მიწაზე გავლა შეიძლება დანაშაული იყოს, მეორეში კი შეიძლება საერთოდ არ არსებობდეს საკუთრების კონცეფცია. შესაბამისად, არც საკუთრების უფლებების კონცეფციები იარსებებს ამგვარ საზოგადოებაში. დანაშაულის ვარიაციების გარკვევისას მეცნიერები ძირითადად ისეთ დანაშაულებებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლებიც ასე თუ ისე უნივერსალურია. როდესაც დეინ არჩერი და როზმარი გარტნერი შეისწავლიდნენ 110 ქვეყნის დანაშაულებებს ბოლო 70 წლის მანძილზე, ისინი ძირითადად მკვლელობებს განიხილავდნენ. მათი აზრით, მკვლელობის დამალვა უფრო ძნელია საზოგადოებისთვის და თანამდებობის პირებისთვის მათი იგნორირებაა ძნელი, სხვა დანაშაულებებთან შედარებით. როდესაც დანაშაულთა შესახებ ჩატარებული ინტერვიუები პოლიციის ჩანაწერებს შეადარეს, აღმოჩნდა, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში მკვლელობის შეტყობინებები ყველაზე რეგულარულად მოიხსენიებოდა.[37]

ქვეყნები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ მოცემულ მომენტში დანაშაულებათა რა სიხშირე აღინიშნება. თუმცა დანაშაულებათა სიხშირე ერთ ერში დროის მსვლელობასთან ერთადაც იცვლება. ბოლო 600 წლის განმავლობაში დასავლეთ ქვეყნებში მკვლელობათა რიცხვმა იკლო. ინგლისში, სადაც მკვლელობის მონაცემები ადრეული პერიოდიდან სულ დოკუმენტებშია აღნუსხული, XIII-XIV საუკუნეებში მკვლელობის ალბათობა, დღევანდელთან შედარებით, 10-ჯერ უფრო მაღალი იყო. მაგრამ 1960-იანი წლების დასაწყისიდან ბევრ დასავლეთ ქვეყანაში მკვლელობის და სხვა დანაშაულებათა რიცხვმა საგრძნობლად იმატა.[38] 1970-იანი წლებისთვის (ეს არის უკანასკნელი თარიღი, რომლისთვისაც ზოგი ქვეყნის რაღაც მონაცემები მოგვეპოვება), ყველაზე დაბალი მკვლელობის სიხშირე მოიპოვებოდა ირანში, დაჰომეაში (ბენინის ყოფილი სახელი), პუერტო რიკოში, ახალ ზელანდიაში, ნორვეგიაში, ინგლისსა და საფრანგეთში. მკვლელობათა მაღალი მაჩვენებელი კი იყო ერაყში, კოლუმბიაში, ბირმაში, ტაილანდში, სვაზილენდსა და უგანდაში. სხვა ქვეყნებთან შედარებით, აშკარად მაღალი მკვლელობათა მაჩვენებელი იყო. გამოკვლეული ქვეყნებიდან თითქმის სამ მეოთხედში აშშ-ზე დაბალი მაჩვენებლები მოიპოვებოდა.[39]

შედარებითი კვლევებისას ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო აღმოჩენაა ის, რომ ომი ყოველთვის მკვლელობათა მაღალ მაჩვენებლებთანაა ასოცირებული. არჩერმა და გართნერმა შეადარეს ქვეყნებში მკვლელობათა სიხშირე ომებამდე და მათ შემდეგ. იმის მიუხედავად, ქვეყანა დამარცხებულია თუ გამარჯვებული, ომის შემდეგ მკვლელობათა რიცხვი ნებისმიერ შემთხვევაში იზრდება. ეს იმის გამო ხდება, რომ ომის დროს გამართლებულია მტრის მკვლელობა. ხოლო ომის შემდგომ მკვლელობების რიცხვმა კი შეიძლება იმიტომ იმატოს, რომ ქვეყანაში მკვლელობის აღმკვეთი ორგანოები ცოტათი მოეშვნენ.[40] ტედ გარი თვლიდა, რომ დასავლურ ქვეყნებში მკვლელობის ტენდენციის დაცემა გამოწვეულია ამ საზოგადოებებში ჰუმანისტური ფასეულობების და დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის გზების გავრცელებით. თუმცა ამგვარი საშუალებები და გზები ომის პერიოდში დროებით უგულებელყოფილი ხდება ხოლმე. აშშ-ში, მაგალითად, დანაშაულებები გახშირდა 1860-იანი 70-იანი წლებში (სამოქალაქო ომის პერიოდში), I მსოფლიო ომის შემდეგ, II მსოფლიო ომის შემდეგ და ვიეტნამის ომის პერიოდში.[41]

იმ საზოგადოებებშიც, რომლებსაც შეისწავლიან ანთროპოლოგები, მკვლელობათა სტატისტიკა ყოველთვის არ მოიპოვება. ამრიგად, კროსკულტურულად მკვლელობათა შედარებისას, ძირითადად ეყრდნობიან ანთროპოლოგთა მონაცემებს. მაგალითად, როდესაც ანთროპოლოგები აცხადებენ, რომ საზოგადოებაში მკვლელობის შესახებ ,,პრაქტიკულად არ სმენიათ", ეს ნიშნავს, რომ მკვლელობის რიცხვი დაბალია. ხოლო როდესაც ,,მკვლელობა არ არის უცნობი", ეს ნიშნავს რომ მისი ალბათობა შედარებით მაღალია. იმის მიუხედავად, რომ მკვლელობათა სიხშირე არ არის თვლადი მოვლენა, კროსკულტურული შედეგები შეთავსებადია კროსეროვნულ შედეგებთან. ომი, როგორც წესი, ქვეყანაში იწვევს მეტ მკვლელობას, ძალადობას. საზოგადოებაში ამ დროს გამართლებულია აგრესიული ქცევა (მაგალითად, აგრესიული თამაშები) და სასტიკი ფიზიკური დასჯა ცუდი საქციელისთვის.[42] ემბერების კროსკულტურული კვლევის მიხედვით, რაც უფრო ხშირია ომი საზოგადოებაში, მით მეტად უვითარებენ იქ ბიჭებს აგრესიას. სოციალიზაციის ამ კუთხით წარმართვა კი უფრო მეტად მოასწავებს მკვლელობასა და შეურაცხყოფას.[43]

უზენაესი სასჯელი — სასიკვდილო განაჩენი — ცუდი საქციელისათვის ადამიანის დასჯის ყველაზე სასტიკი ფორმაა. ფიქრობენ, რომ ამგვარად პოტენციური მკვლელების შეჩერება იქნება შესაძლებელი. თუმცა კროსკულტურული კვლევა საპირისპიროს ამტკიცებს. უზენაესი სასჯელის გაუქმებისას მკვლელეობათა რიცხვი, პირიქით, კლებულობს ხოლმე.[44] ამრიგად, უზენაესი სასჯელი უფრო აკანონებს ძალადობას, ვიდრე აჩერებს მას.

აშშ-ში ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანი კანონდამრღვევები (უპირატესად, ბიჭები), როგორც წესი, არასრულყოფილი ოჯახებიდან არიან: ამგვარ ოჯახებში ხშირად არ არიან მამები ბიჭების ზრდის პროცესში. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ უმამოდ გაზრდა აძლიერებს კანონდარღვევისკენ ბავშვთა მიდრეკილებას და უვითარებს მათ ძალადობის კიდევ უფრო მძაფრ სურვილს. თუმცა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები მხოლოდ დაშლილ ოჯახთან არ ასოცირდება. არასრულწლოვანთა ამგვარ საქციელს შეიძლება იწვევდეს მათი სირცხვილი, რომ არ ჰყავთ ,,ნორმალური ოჯახები" და ძირითადად ამ ოჯახთა ცხოვრების დაბალი დონე. მნიშვნელოვანია გამოვიკვლიოთ ისეთი ოჯახებიც, სადაც მამების არყოფნა და სხვა ფაქტორები არ განაპირობებს მოზარდებში მიდრეკილებას დანაშაულებებისკენ. ამის მიხედვით შეიძლება გავარკვიოთ, არის თუ არა მამის არარსებობა დაკავშირებული ფიზიკურ ძალადობასთან.

მაგალითად, ბევრ პოლიგენურ საზოგადოებაში ბავშვები დედებთან ერთად იზრდებიან, მამა განცალკევებით ცხოვრობს და შვილებთან იშვიათად ურთიერთობს. საინტერესოა, ჩვენ მიერ განხილული თეორია მამების არყოლის თაობაზე ერგება თუ არა ამ სიტუაციას. პასუხი აშკარად დადებითია: საზოგადოებებში, სადაც ბავშვები დედების გარემოცვაში იზრდებიან, ან სადაც მამები შვილებთან ნაკლებ დროს ატარებენ, მამაკაცების მხრიდან მეტი ფიზიკური ძალადობა ხორციელდება, ვიდრე საზოგადოებებში, სადაც მამები ბავშვებთან მეტ დროს ატარებენ.[45] ძალადობრივი დანაშაულის სიხშირე ასევე



საზოგადოებამ შეიძლება გააქეზოს ბიჭები, ითამაშონ ჯარისკაცი, რომ მოამზადოს უშიშარ მებრძოლად. კროსკულტურულად, სოციალიზაცია აგრესიისთვის მკაცრად წინასწარმეტყველებს მვლელობასა და თავდასხმას.

დიდია საზოგადოებებში, სადაც მამაკაცებზე მეტი ქალები არიან. ეს თავისთავად ეთანხმება იმ თეორიას, რომ მამის არარსებობა ზრდის ძალადობას.[46]

საჭიროა უფრო მეტი კვლევის ჩატარება იმის გასარკვევად, თუ კერძოდ რით აიხსნება ამგვარი ურთიერთობა. შესაძლებელია, რომ უმამოდ გაზრდილი ბიჭები ,,ზედმეტად მამაკაცურად" იქცევიან. ამით ისინი ცდილობენ იმის დამტკიცებას, რამდენად მამაკაცურები არიან. მაგრამ არსებობს კიდევ იმის შესაძლებლობაც, რომ მარტოხელა დედები შვილებს ფიზიკურად სჯიან. ამრიგად, ისინი ბავშვებისათვის აგრესიის ნიმუშს წარმოადგენენ. ამასთან ომის დროს მამაკაცთა მაღალი სიკვდილიანობა ზრდის პოლიგენიის ალბათობას, როგორც ჩვენ ოჯახისა და ქორწინების თავში განვიხილეთ. ამრიგად, პოლიგენურ საზოგადოებაში ბიჭები მებრძოლის ტრადიციის მიხედვით იზრდებიან.[47]

ყველაფრის მიუხედავად, მამაკაცური ქცევა ძალადობას მხოლოდ იმ შემთხვევაში გულისხმობს, თუ აგრესია საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თუ საზოგადოებაში მოელიან მამაკაცისგან მგრძნობიარობას, მზრუნველობასა და არაძალადობრიობას, უმამოდ გაზრდილი ბიჭები ზედმეტად მგრძნობიარენი და მზრუნველნი არიან. ამრიგად, მამაკაცის შესახებ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული შეხედულებები, თავის მხრივ, აყალიბებს დედის გარემოცვაში გაზრდილი ბიჭების ხასიათსა და ქცევას.[48]

კიდევ ერთი ფართოდ გავრცელებული იდეის მიხედვით, ეკონომიკური მდგომარეობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია დანაშაულის სიხშირესთან. თუმცა ამგვარი დამოკიდებულება არც ისე ძლიერია. თანაც, სხვადასხვა სახის დანაშაულებებზე კვლევებმა განსხვავებული შედეგები აჩვენა. მაგალითად, აშშ და სხვა საზოგადოებებში ჩატარებულმა ასობით კვლევამ ვერ დაადგინა ძლიერი დამოკიდებულება ეკონომიკურ კეთილდღეობასა (უმუშევრობის მაჩვენებლებით გაზომილი) და დანაშაულებებს (მკვლელობათა რიცხვით გაზომილი) შორის. მკვლელობათა რიცხვი არ იზრდება ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისას. სამაგიეროდ, საკუთრების დანაშუალებები იზრდება უმუშევრობის ზრდასთან ერთად. ძალადობრივი დანაშაულებანი ერთ ეკონომიკურ მახასიათებელთან მაინც ასოცირდება: მკვლელობები განსაკუთრებით ხშირია საზოგადოებებში, სადაც მაღალი შემოსავლიანობის უთანასწორობა არსებობს. რატომ ზრდის შემოსავლიანობის უთანასწორობა მკვლელობებს, ხოლო ეკონომიკური უკუსვლა — არა, გამოცანად რჩება.[49]

ის ფაქტი, რომ ქონებრივი დანაშაული დაკავშირებულია უმუშევრობასთან, ეთანხმება ერთ კროსკულტურულ აღმოჩენას. თურმე ეგალიტარულ საზოგადოებებში ქურდობა იმაზე ნაკლებად ხდება, ვიდრე სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში. საზოგადოებებში, სადაც რესურსების თანასწორად მოპოვება შესაძლებელია, როგორც წესი, არსებობს სპეციალური დისტრიბუციის მექანიზმები, რომლებიც ანაზღაურებს გასხვავებებს ქონებაში. აქედან გამომდინარე, ეგალიტარულ საზოგადოებაში ქურდობისთვის ნაკლები ცდუნება არსებობს. ქურდობის რიცხვი გაცილებით მაღალია სოციალურად სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში. იმის მიუხედავადაც კი, რომ ამგვარ საზოგადოებებში უფრო არსებობს პოლიცია და სადამსჯელო ორგანოები. როდესაც ქონებისა და სხვა სახის დანაშაულებანი საგრძნობლად იმატებს, საზოგადოება ცდილობს, გაატაროს რაღაც ღონისძიებები მათ შესაჩერებლად. თუმცა, არაა ცნობილი რამდენად ეფექტურია ეს ღონისძიებები და აღწევენ თუ არა ისინი რეალურ შედეგს.

მაშ, რა სახის შესაძლებლობებს გვთავაზობენ ჩატარებული კვლევები დანაშაულის შესამცირებლად? დღემდე ჩატარებული კვლევების მიხედვით, მკვლელობის მაჩვენებლები მაღალ ნიშნულს აღწევს საზოგადოებებში, სადაც ბიჭებს აგრესიულად ზრდიან. ამგვარი სოციალიზაცია კავშირშია ომთან და სოციალურად გამართლებული ძალადობის სხვა ფორმებთან — უზენაესი სასჯელი, ტელევიზია, კინოფილმთა გმირების ძალადობა, ძალადობა სპორტში. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ომი ახორციელებს სოციალიზაციას აგრესიის სასარგებლოდ, რაც, თავის მხრივ, გამოიხატება გაუცნობიერებლად დანაშაულების მაღალ მაჩვენებლებში. ამგვარი შედეგებიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: თუ ჩვენ შევძლებთ აგრესიის სოციალიზაციის შემცირებას, ომის რისკის და შესაბამისად, ეფექტური მეომრების აღზრდის შემცირებით, და თუ შევძლებთ საზოგადოებაში გამართლებული ძალადობის სხვა ფორმების აღმოფხვრასაც, შეგვეძლება მინიმუმადე დავიყვანოთ ძალადობრივი დანაშაულის სიხშირე. კეთილდღეობაში უთანასწორობის გაუქმებით შესაძლებელი გახდება დანაშაულის, კერძოდ, ქურდობის კლება. მართალია, ჯერ კიდევ არ არის ცხადი — რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ ბიჭების გაზრდა ცოცხალი და მის გვერდით არსებული მამაკაცობის ნიმუშის მიხედვით, თავისთავად მოქმედებს ზრდასრულობაში ძალადობისადმი მათი მიდრეკილების კლებაში.

ომი

ანთროპოლოგიისთვის ცნობილი საზოგადოების უმ-

რავლესობისთვის ომი საუბედურო ფაქტია, იმ კროს-კულტურული კვლევიდან გამომდინარე, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების თავში განვიხილეთ. თითქმის ყველა საზოგადოებას ჰქონია შემთხვევითი ომები მაინც, როდესაც ისინი პირველად აღწერეს. ყოველ შემთხვევაში, სანამ არ დააშოშმინეს (როგორც წესი, კოლონიალურმა ძალებმა).[50] სამოქალაქო ომის შემდეგ აშშ-ს არ ჰქონია ომი თავის ტერიტორიაზე. დაშოშმინების შემდეგ საზოგადოებათა უმრავლესობას არაერთხელ ჰქონია ომი მის ენაზე მოლაპარაკე ერთობებთან და უფრო მსხვილ ერთეულებთან. ანუ ომები ძირითადად შინაური იყო, ხორციელდებოდა საზოგადოების ან ერთი ენობრივი ჯგუფის შიგნით. თანამედროვე ომების ზოგ შემთხვევაშიც კი დაპირისპირებული მხარეები ერთ ენაზე საუბრობდნენ. ავიღოთ თუნდაც იტალიურ სამთავროებს შორის ომი მის გაერთიანებამდე და უკანასკნელი ორი საუკუნის მრავალი ,,სამოქალაქო" ომი. მართალია, ერთი საზოგადოების წევრები შეიძლება ეომებოდნენ სხვა საზოგადოების ხალხებს, ამგვარი ,,საგარეო" ომები არ ხორციელდება ხოლმე მთლიანი საზოგადოების ინტერესების გულისთვის, არც მისი უმრავლესობისთვის.[51] ამრიგად, ომები ეთნოგრაფიული მონაცემებით ყოველთვის არ მოიცავდა პოლიტიკურად გაერთიანებულ საზოგადოებებს. დაბოლოს, ომში მოკლული ადამიანების აბსოლუტური რიცხვი შეიძლება მცირე იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არაინდუსტრიულ საზოგადოებებში განხორციელებული ომები ტრივიალური მოვლენები იყო. მართლაც, როგორც აღმოჩნდა, არაინდუსტრიული ქვეყნების ომი პროპორციულად, შეიძლება, თანამედროვე ომებზე „უფრო სასიკვდილო" ყოფილიყო, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგ არაინდუსტრიულ ქვეყანაში ომებში მამაკაცთა 25-30% იღუპებოდა.[52]

პოლიტიკური ცხოვრების თავში ჩვენ განვიხილეთ მოსაზრება, რომლის თანახმადაც არაინდუსტრიულ საზოგადოებებში ადამიანები ომში ძირითადად შიშის გამო მიდიოდნენ. კერძოდ, მოსალოდნელი, მაგრამ წინასწარ განუჭვრეტელი ბუნებრივი კატასტროფების (გვალვები, წყალდიდობები, ქარიშხლები და სხვა) მიმართ შიშის გამო, რომლებიც ანადგურებდნენ საკვების მარაგს.[53] ამგვარი კატასტროფების დიდი გამოცდილების მქონე საზოგადოებებში ომებიც უფრო მეტად ხდება. ჩანს, ადამიანები ომს კატასტროფებისგან წინასწარ თავის დასაზღვევად იწყებენ, იმდენად, რამდენადაც გამარჯვებული ყოველთვის ღებულობს ჯილდოდ რესურსებს (მიწას, ცხოველებს, სხვა რამეებს) დამარცხებულისგან, მაშინაც კი, თუ გამარჯვებულს იმ მომენტში არ სჭირდება ისინი. ომების კიდევ ერთი მიზეზია ბავშვებში უცხოთა მიმართ უნდობლობის შთანერგვა. ადამიანები, რომლებიც უნდონი იზრდებიან, უფრო მეტად ომისკენ არიან მიდრეკილნი, ვიდრე მტრებთან მოლაპარაკების წარმოებისაკენ. სხვების მიმართ უნდობლობა ან შიში, ნაწილობრივ, კატასტროფათა შიშით არის განპირობებული.[54]

შეიძლება თუ არა თანამედროვე სახელმწიფოებრივ საზოგადოებებში და მათ შორის მომხდარი ომების იმავე მიზეზებით ახსნა, რითაც პრეინდუსტრიული საზოგადოებების ომები იხსნება? თუ ამ კითხვის პასუხი დადებითი აღმოჩნდება, ეს აშკარად სახეცვლილი მოვლენა იქნება, რადგანც ინდუსტრიული სამყაროს რეალობა კატასტროფათა განსხვავებულ კონცეფციებს მოითხოვს. თანამედროვე მსოფლიოში, კომპლექსური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებით ერებს შორის, ჩვენი სადარდებელი მხოლოდ ამინდი და პარაზიტთა შემოსევები როდია. ისეთი რესურსების შესაძლო ამოწურვამ, როგორიცაა ნავთობი ასევე შეიძლება ომში ჩაგვითრიოს. ზოგი იმასაც ფიქრობდა, 1991 წელს ერაყის წინააღმდეგ ომის წარმართვა, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ქუვეითს დაესხა თავს, ომის სწორედ ამ თეორიას ეთანხმებოდა.

მაგრამ ,,რესურსების ამოწურვის საფრთხის" თეორია მართალიც რომ იყოს, საჭიროა გვახსოვდეს (ცივი ომის დასრულების შემდეგ): ომი მხოლოდ რესურსების მოპოვების საშუალება არ არის. თანამედროვე მსოფლიოში ამის გაკეთების უკეთესი გზებიც არსებობს, ისეთები, რომლებიც ადამიანის ცხოვრებას საფრთხეს არ უქმნის. თუ სიმართლეა, თითქოს ომს კატასტროფათა შიში იწვევს, მაშინ ხალხი იმასაც უნდა ხვდებოდეს, რომ კატასტროფათა საზიანო შედეგების შემცირება შესაძლებელია საერთაშორისო თანამშრომლობით. ეს კი, თავის მხრივ ომს შეამცრებდა. ისევე, როგორც საკუთარ ქვეყანაში გვაქვს კატასტროფის შესამსუბუქებელი დაზღვევა, ამგვარი რამის გაკეთება მსოფლიოს მასშტაბითაც შეგვიძლია. ამრიგად, მოულოდნელი კატასტროფებისა და უცხოების შიში, შესაბამისად კი ომის რისკი, შემცირდებოდა, თუ ადამიანები დარწმუნებულნი იქნებოდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ დახმარებას მთელი მსოფლიო აღმოუჩენდა. ომში შიშის გამო წასვლის ნაცვლად, ჩვენ შეგვიძლია მშვიდობა დავამყაროთ სხვებთან რესურსებისა და დახმარების გაზიარების მეშვეობით. საერთაშორისო თანამშრომლობის უეჭველობა აანაზღაურებდა რესურსების არამდგრადობას.

გავიხსენოთ, რამხელა პროგრესი განიცადეს გერმანიამ და იაპონიამ II მსოფლიო ომში უპირობო კაპიტულაციის შემდეგ. მათ აუკრძალეს საერთაშორისო შეიარაღების შეჯიბრში მონაწილება და სხვების იმედი უნდა ჰქონოდათ; კერძოდ, აშშ-ში, თავდაცვისთვის. შეიარაღების მძიმე ტვირთის გარეშე გერმანია და იაპონია აყვავდნენ. ხოლო ქვეყნებმა, რომლებიც ერთმანეთს შეიარაღებაში ეჯიბრებოდნენ, კერძოდ აშშ და სსრკ, ცივი ომის მწვერვალზე, ეკონომიკური სიძნელეები იწვნიეს. ნუთუ ეს მაგალითი არ უსვამს ხაზს საერთაშორისო თანამშრომლობის სიბრძნეს, კერძოდ კი საერთაშორისო მოლაპარაკებების საჭიროებას კატასტროფათა შიშის შესამცირებლად? ომსა და მის უზარმაზარ ხარჯებთან შედარებით, მშვიდობის ორგანიზება უბრალო ვაჭრობა იქნებოდა!

პოლიტიკურ მეცნიერებასა და ანთროპოლოგიაში ჩატარებული თანამედროვე კვლევები ომის შემცირების კიდევ ერთ გზას გვთავაზობს. დადგინდა: ანთროპოლოგიისათვის ცნობილი საზოგადოებებიდან უფრო ,,დემოკრატიული" ქვეყნები ერთმანეთს იშვიათად ეომებიან.[55] ამრიგად, თუ აღარ იარსებებდნენ ავტორიტარული მთავრობები, მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ძლიერი ქვეყნები მათ სამხედრო და სხვა სახის მხარდაჭერას შეუწყვეტდნენ, მსოფლიოს ამ მიზეზითაც შეეძლებოდა უფრო მშვიდობიანი გამხდარიყო.

იმის მიუხედავად, რომ დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთთან იშვიათად ომობენ, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ზოგადად უფრო მშვიდობიანნი არიან. ისინი სხვა სახელმწიფოების მსგავსად წარმართავენ ომებს, თუმცა შედარებით იშვიათად — ერთმანეთთან. მაგალითად, აშშ-ს ჰქონდა ომი გრენადასთან, პანამასთან და ერაყთან — ყველა ავტორიტარული ქვეყანა. თუმცა არ უომია კანადასთან, რომელთანაც ასევე ჰქოდა უთანხმოებები. მაგრამ ახლა პოლიტიკური მეცნიერები იმაზეც თანხმდებიან, რომ დემოკრატიები არამარტო ერთმანეთს არ ეომებიან, არამედ ისინი ზოგადად ნაკლებად წარმართავენ ომებს.[56] თეორიის მიხედვით, კროსკულტურული და კროსეროვნული კვლევიდან გამომდინარე, პოლიტიკური სისტემის შიგნით კონფლიქტის დემოკრატიულად გადაწყვეტა განზოგადება პოლიტიკურ სისტემებს შორის უთანხმოებათა მშვიდობიან მოგვარებაზე განსაკუთრებით, თუ მონაწილე მხარეები დემოკრატიულნი არიან. თუ საერთო ინსტიტუციები და დამოკიდებულება გვაძლევს საშუალებას, საშინაო და საგარეო კონფლიქტები მშვიდობიანად გადავჭრათ, მაშინ ჩვენ იმის მტკიცების უფლებაც გვექნება, რომ მართული ხალხიც კეთილგანწყობილია დავის მშვიდობიანი მოგვარებისადმი. ამრიგად, დემოკრატიულ ქვეყნებს შორის უთანხმოება, როგორც წესი, ომში ნაკ-

მიმდინარე კვლევა და საკითხები

ეთნიკური კონფლიქტები: არის ეს ძველი დროიდან მოყოლებული სიძულვილი თუ არა?

როგორც ჩანს, ეთნიკური კონფლიქტები სულ უფრო მრავლდება. უკანასკნელ წლებში ძალადობრივმა კონფლიქტებმა იჩინა თავი ყოფილი იუგოსლავიის, რუსეთისა და ესპანეთის (ევროპა) ჯგუფებს შორის. ლუანდასა და სიერა ლეონეში (აფრიკა), შრი-ლანკასა და ინდონეზიაში (აზია). ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია მრავალ შემთხვევათაგან. ამგვარ კონფლიქტებს ხშირად გარდუვალად და დაუმორჩილებლად მიიჩნევენ, რადგან ისინი ძველი დროიდან მოყოლებულ სიძულვილს ემყარება. ნამდვილად ამაშია კი საქმე?

სოციალურმა მეცნიერებმა დიდი გზა განვლეს ეთნიკური კონფლიქტების მდგომარეობათა გაგებასა და განჭვრეტაში. მაგრამ მათ არ იციან, ეთნიკური კონფლიქტები აუცილებლად ძველი და გარდაუვალი თუ. მაგალითად, ანთროპოლოგებმა 1980-იან წლებში ყოფილ იუგოსლავიაში საველე სამუშაოები ჩაატარეს. მათ აღმოაჩინეს, რომ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ სერიოზული უთანხმოების გარეშე. მათ შორის განსხვავებები ძლივს აღმოსაჩენი იყო. მარი ქეი გილილენდი მუშაობდა საშუალო სიდიდის ქალაქში (Slavonski Brod) სლავონიის რეგიონში, ხორვატიაში. ამ დროს ის იუგოსლავიის ნაწილი იყო. ამ ქალაქში ხალხი თავს უფრო სლავინელებად აღიქვამდა, ვიდრე ხორვატებად, სერბებად, უნგრელებად, ჩეხებად, მუსულმანებად (ბოსნიიდან ან ალბანეთიდან) ან ბოშებად. აქ ხშირი იყო შერეული ქორწინებები და ხალხი წარმომავლობით განსხვავებებზე სიბრაზის გარეშე საუბრობდ. მაგრამ 1991 წელს, როდესაც გილილენდი დაბრუნდა ხორვატიაში, ხალხი ალაპარაკდა იუგოსლავიის მთავრობაში სერბთა დომინანტობასა და ხორვატიის გამოყოფის შესახებ. გაჩნდა ხორვატიული ნაციონალიზმის სიმბოლოები — ადგილების ახალი სახელები, ახალი დროშა. ხორვატები ახლა ცდილობდნენ, ხორვატულად ესაუბრათ და არა სერბებთან საერთო ენაზე (სერბოხორვატიულად ან ხორვატოსერბულად). მოგვიანებით, 1991 წელს სერბებსა და ხორვატებს შორის ძალადობამ იჩინა თავი. ორივე მხარე საშინელებას სჩადიოდა. ეთნიკურობა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად იქცა და ხორვატია იუგოსლავიას გამოეყო. ამავე დროს, ნორვეგიელი ანთროპოლოგი ტოუნ ბრინფა, რომელიც ბოსნიაში მუშაობდა (იმ დროს ის კვლავ იუგოსლავიის ნაწილად რჩებოდა), იტყობინებოდა, რომ იქ ადამიანები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეთნიკურობას. თუმცაღა რამდენიმე წლის შემდეგ ეთნიკური ძალადობა დაიწყო ბოსნიელ სერბებს, მუსულმანებსა და ხორვატებს შორის. მხოლოდ გაეროს ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი არამყარი მშვიდობის დამყარება.

ეთნიკური კონფლიქტი ხშირად ასოცირდება გამოყოფით მოძრაობებთან. გამოყოფის სურვილი, როგორც წესი, ჩნდება ეთნიკური კონფლიქტის დაწყების შემდეგ. გახსოვთ ამერიკის რევოლუცია? რეგიონი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებად გარდაიქმნა, გამოეყო დიდ ბრიტანეთს და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამერიკელებს და ბრიტანელებს შორის არც ისე დიდი ეთნიკური განსხვავება არსებობდა. ბოლო-ბოლო, არც ისე დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც ბრიტანელი კოლონიზატორები ამერიკაში ჩავიდნენ. ამის მიუხედავად, იქ მაინც იჩინა თავი გამოყოფითმა მოძრაობამ და ძალადობამ. ეთნიკურ განსხვავებებს ყოველთვის ძალადობამდე როდი მივყავართ. ზოგჯერ, ალბათ, უფრო ხშირადაც კი, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად ცხოვრობენ. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: რატომ გადაიზრდება ზოგ ადგილას ეთნიკური განსხვავება ძალადობაში, ზოგან კი — არა? რატომ ეწყობა ზოგი ეთნიკური ჯგუფი ერთმანეთს კარგად?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა კვლევების ჩატარება. მსოფლიოში განხორციელებული მთელი ამ იძულებითი თუ ნებაყოფლობითი იმიგრაციის გამო ბევრი ქვეყანა მრავალეროვნული და მრავალკულტურული ხდება. ეთნიკური კონფლიქტის ალბათობა გლობალურ პრობლემად იქცა. გილილენდის აზრით, სხვა მიზეზების გარდა, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების გადანაწილებით უკმაყოფილებამ (რესურსებისა და შესაძლებლობათა არასამართლიანი გადანაწილება) უბიძგა ხორვატებს ძალადობისა და გამოყოფისკენ. სხვა მეცნიერებმა სხვა პასუხები აღმოაჩინეს კითხვებზე, თუ რატომ არ გადაიზრდება ერთნიკური განსხვავებები ყოველთვის ეთნიკურ კონფლიქტსა და დაპირისპირებაში. ძალადობა შეიძლება წარმოშვას ძლიერი გამაერთიანებელი, შემაკავშირებელი ინტერესების (ურთიერთმკვეთი კავშირების) არარსებობამ მხარეებს შორის. ახლა რაც ჩვენ გვესაჭიროება, ესაა კროსკულტურული, კროსეროვნული და კროს-ისტორიული კვლევები, რათა გავზომოთ თითოეული შესაძლო პასუხი. ამით ჩვენ შევძლებთ იმის გაგებას, თუ რამდენად კარგად შეუძლიათ მათ განჭვრიტონ კონფლიქტები მსოფლიოს მასშტაბით. რომ გვცოდნოდა, ძირითადად, რა ფაქტორები იწვევს ეთნიკურ ძალადობას, შევძლებდით ასეთი შემთხვევების შემცირებას ან საერთოდ აღმოფხვრას.

ლებად გადაიზრდება ხოლმე.

იმის გაგება და ახსნა, თუ რატომ ეომებიან დემოკრატიები ერთმანეთს ნაკლებად, მნიშვნელოვან შედეგებს გამოიღებდა თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკისთვის. ამ ყოველივემ შეიძლება იმოქმედოს სამხედრო მომზადებასა და იმაზე, თუ რამდენად მზად იქნებიან ადამიანები ამისათვის შესაბამისი ხარჯები გაიღონ. ერთის მხრივ, დემოკრატიებსა და მშვიდობას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების დადგენით, შეიძლება წარმოიქმნეს მუხტი ავტორიტარული რეჟიმების დასამხობად, რაც უზარმაზარ ადამიანურ და სხვა სახის დანაკარგს გულისხმობს.

მეორეს მხრივ, დემოკრატიის შედეგების გაანალიზებით შეიძლება ხელი შევუწყოთ აღმოსავლეთ ქვეყნებში, ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებსა და სხვაგან უფრო თანამშრომლური მთავრობების განვითარებასა და კონსოლიდაციას. ნებისმიერ შემთხვევაში, ურთიერთობა მშვიდობასა და დემოკრატიას შორის გულისხმობს, რომ

რუსეთმა მიაღწია პარლამენტურ დემოკრატიას. კვლევის მიხედვით, დემოკრატიული ქვეყნები ნაკლებად ომობენ ერთმანეთთან.

არადემოკრატიული რეჟიმების ხელშეწყობა შემაფერხებელი და არაეფექტური. ჩვენ ასე იმ შემთხვევაშიც უნდა მოვიქცეთ, თუ ასეთი ქვეყნები ჩვენი მტრების მტრები არიან, თუ გვინდა მსოფლიოში ომის რისკი მინიმუმამდე დავიყვანოთ. უახლესმა კროსეროვნულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მსოფლიოში დემოკრატიების გავრცელებით ომის რისკი საგრძნობლად შემცირდება. ქვეყნების ხელშეწყობით, რათა ისინი ეკონომიკურად უფრო დამოუკიდებელნი გახდნენ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების გავრცელებით (მაგ. პროფესიული საზოგადოებები და სავაჭრო ასოციაციები), რაც კონფლიქტის მოგვარების არაფორმალურ გზას წარმოადგენს, ჩვენ ასევე შევძლებთ ომის შემცირებას. ამას მოწმობს პოლიტიკურ მეცნიერთა ბოლო კვლევები.[57]

ტერორიზმი

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, როცა ტერორისტებმა ნიუ-იორკის ორ სავაჭრო ცენტრს თვითმფრინავები შეაჯახეს, მთელ მსოფლიოში ხალხმა გააცნობიერა, რამხელა პრობლემას წარმოადგენს ტერორიზმი გლობალურად. ახლა უკვე ყველასთვის ცნობილი გახდა, რომ ტერორისტთა ორგანიზებულ ჯგუფებს საკუთარი თავის და ათასობით უდანაშაულო ადამიანის დახოცვა მარტო თვითმფრინავების გატაცებით და მათი შენობებზე შეჯახებით კი არ შეუძლიათ, არამედ ადვილად გადასატანი ასაფეთქებლებისა და ბიოლოგიური იარაღის გამოყენებითაც. სოციალური მეცნიერები ახლა აქტიურად ცდილობენ ტერორიზმის გაგებას და გაანალიზებას, იმ იმედით, რომ ამ სახის კვლევები დაგვეხმარება მომავალი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანაში. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი პასუხგასაცემი კითხვა არსებობს. რა არის ტერორიზმი და როგორ შეიძლება მისი განსაზღვრა? რამდენი ხანია არსებობს ტერორისტული საქმიანობა? რა არის ტერორიზმის მიზეზები? რა სახის ადამიანები ხდებიან ტერორისტები? და რა შედეგები მოაქვს ტერორიზმს?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ არის მარტივი. ადამიანთა უმრავლესობა ისეთ ინსტანციებზე მიუთითებს, რომლებსაც იშვიათად, რომ ვინმემ ტერორიზმი არ უწოდოს — იაპონიის მეტროში ნეიროპარალიზური აირის გაშვება, პალესტინელი თვითმკვლელი ამფეთქებლები ისრაელის მოქალაქეებით სამიზნეში, კუ კლუქს კლანის წევრები, რომლებიც ლინჩის წესით ასამართლებენ აფრიკელ ამერიკელებს.[58] უფრო რთულია, დაადგინო საზღვრები ტერორიზმს, დანაშაულს, პოლიტიკურ რეპრესიებსა და ომს შორის[59] მკვლევართა უმრავლესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ ტერორიზმი მოიცავს საფრთხეს ან ძალადობის გამოყენებას მოქალაქეთა წინააღმდეგ. ტერორიზმი ასევე ხშირად პოლიტიკურად და სოციალურად ორგანიზებულია, დანაშაულისგან განსხვავებით, რომლებსაც, როგორც წესი, დამოუკიდებად მოქმედი ინდივიდები ახორციელებენ (უფრო სწორად კი, დანაშაულიც შეიძლება იყოს სოციალურად ორგანიზებული. მაგალითად ე.წ. ორგანიზებული დანაშაული). ერთი განსხვავება ტერორიზმსა და დანაშაულს შორის არის ის, რომ დამნაშავენი იშვიათად იყენებენ საზოგადოებრივ ნდობას თავინთ საქმიანობაში, რადგან მათ არ უნდათ, ვინმემ დაიჭიროს. ტერორისტული აქტის შემთხვევაში დამნაშავე, როგორც წესი, საქვეყნოდ იღებს ხოლმე ჩადენილზე პასუხისმგებლობას. ტერორიზმში ძალადობა მიმართულია, ძირითადად, უიარაღო ხალხზე, მათ შორის ქალებსა და ბავშვებზე. ეს გამიზნულია ,,მტრის" შესაშინებლად, დასატერორებლად, რათა მან ის გააკეთოს, რაც ტერორისტებს სურთ. ამრიგად, **ტერორიზმი** ზოგადად შეიძლება

ტყუპი ცათამბჯენების ნარჩენები მსოფლიოს სავაჭრო ცენტრში ნიუ-იორკში ტერორისტების შეტევიდან ორი კვირის შემდეგ სექტემბერში 11, 2001.

ასე აიხსნას: ძალადობის გამოყენება ან მუქარა სხვებში ტერორის გასაჩენად, როგორც წესი, პოლიტიკური მიზნებისთვის.[60] ზოგიერთისთვის ტერორიზმს ჩადიან ჯგუფები, რომლებიც არ წარმოადგენენ პოლიტიკურ ერთეულებს. თუმცა ეს კრიტერიუმი გარკვეულ სირთულეებს აწყდება. რა ეწოდება იმას, როცა მთავრობა თავად წარმართავს სიკვდილის ესკადრონებსა და გენოციდს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ? ზოგი მეცნიერი ამას ,,სახელმწიფო ტერორს" ეძახის.[61] რა ეწოდება ზოგი მთავრობის ქმედებებს, როდესაც ისინი წარმართავენ საიდუმლო ოპერაციებს სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ (ხშირად ეძახიან ,,სახელმწიფოს დაფინანსებულ ტერორიზმს")? დაბოლოს, ომში მყოფი ზოგი ერი მაქსიმალურად ცდილობს თავიდან აიცილოს ადამიანური დანაკარგები და ყურადღებას, პირველ რიგში, მეომრებზე (შეიარაღებული ჯარისკაცები), იარაღზე, რესურსებზე ან ,,ქონებაზე" (ქარხნები, საჰაერო ხაზები და საწვავის საწყობები) ამახვილებს, იმ დროს, როცა ისტორიის მანძილზე ბევრი მიზანში განგებ მტრის მოსახლეობას იღებდა ხოლმე (მაგალითად, აშშ-მ ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე ატომური ბომბები იმიტომ ჩამოაგდო, რომ იაპონიისთვის II მსოფლიო ომის დასრულება აეძულებინა).

ტერორიზმს რაც შეეხება, ერთი რამ ცხადია: ეს არ არის ახალგანვითარებული მოვლენა. ზოგი სიტყვა, რომლებსაც ჩვენ ტერორისტთა დასახასიათებლად ვიყენებთ — ,,ზილოტები" (ფანატიკოსი) და ,,ასასინები" (მკვლელები) — მოდის წარსულის ტერორისტული მოძრაობებიდან. ზილოტები იყვნენ ებრაელი ნაციონალისტები, რომლებიც იბრძოდნენ იუდეის დამპყრობელი რომაელების წინააღმდეგ პირველ საუკუნეში. ისინი იმალებოდნენ ბრბოში და ოფიციალური თანამდებობის პირებს, მღვდლებსა და ჯარისკაცებსაც ზურგში ხანჯალს სცემდნენ. მე-11-12 საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, ფედაიინელებმა (შიიტ მუსულმანთა ჯგუფი) გადაწყვიტეს მოეკლათ სუნიტი მმართველები, იმის მიუხედავად, რომ მათ უდავოდ დაიჭერდნენ. მმართველები ამბობდნენ, რომ ფედაიინელები ჰაშიშის (ნებისმიერი ჰალუციოგენური საშუალება, დამზადებული ფისისგან) გავლენის ქვეშ იყვნენ და მათ ,,ჰაშიშინებს" ეძახდნენ, რაც მოგვიანებით წარმოქმნილი ,,ასასინის" ფუძე.[62] გვიან, XVIII-XIX სს-ში, გაჩნდა ,,ტერორის მეფობის" პერიოდი საფრანგეთის რევოლუციამდე და მის შემდეგ. ადრეულ და შუა მეოცე საუკუნეში კომუნისტმა დიქტატორმა იოსებ სტალინმა მილიონობით ადამიანი დასაჯა სიკვდილით, რადგან ისინი საბჭოთა კავშირის მტრებად ითვლებოდნენ. ექვსი მილიონი ებრაელი და მილიონობით სხვა უდანაშაულო ადამიანი იქნა განდგურებული გერმანიის მესამე რაიხის დროს 1930-იან 40-იან წლებში.[63] ბევრ ლათინურ-ამერიკულ რეჟიმში, როგორიც იყო არგენტინაში, ატერორებდნენ და კლავდნენ დისიდენტებს 1970-იან — 80-იან წლებში.[64] ახლა კი ძალიან დიდი შიში არსებობს იმ ტერორისტების მიმართ, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ მასობრივი განადგურების იარაღზე. მსოფლიოში, რომელიც შეამცირა გლობალურმა ტრანსპორტაციებმა, მობილურმა ტელეფონებმა და ინტერნეტმა, ტერორიზმი ყველაზე დიდ საფრთხედ ითვლება.

ჩვენ კიდევ გვაკლია სისტემატური კვლევები, რომლებიც ახსნიდა, თუ რატომ ჩნდება ტერორიზმი და რა აიძულებს ადამიანებს გახდნენ ტერორისტები. სამაგიეროდ, საკმაოდ ბევრი კვლევაა ჩატარებული სახელმწიფოებრივი ტერორის შესახებ. პოლიტიკური მეცნიერი რ.ჯ. რამელი განსაზღვრავს, რომ დაახლოებით 170 მილიონი ადამიანია მოკლული მთავრობების მიერ მეოცე საუკუნეში. სახელწიფო ტერორიზმი პასუხისმგებელია ოთხჯერ მეტ სიკვდილზე, ვიდრე ყველა ომი ერთად, სამოქალაქო და საერთაშორისო, რომელიც მეოცე საუკუნეში წარმოებულ. საბჭოთა რეჟიმი (1917-დამ 1987-მდე), ჩინეთი (1923-1987) და გერმანია (1933-1945) პასუხისმგებელნი იყვნენ 100 მილიონზე მეტი მოქალაქის სიკვდილზე. პროპორციულად კამბოჯაში წითელი კხმერების რეჟიმმა ამათ ყველას გადაასწრო: 1975-79 წლებში აქ მოსახლეობის 30% გაჟლიტეს.[65] რა განაწყობს სახელწიფო ტერორიზმს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ? რამელმა არმოაჩინა ერთი აშკარა განმსაზღვრელი — ტოტალიტარული მთავრობები. დღემდე ისინი რჩებიან საშინაო სახელმწიფოებრივი ტერორის ყველაზე მაღალი სიხშირის მაჩვენებლებად. ისინი აკონტროლებდნენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ეკონომიკური კეთილდღეობა, რელიგიური აღმსარებლობა და მოსახლეობის რაოდენობა. როგორც რამელმა ჩამოაყალიბა: ,,ძალაუფლება კლავს/მომაკვდინებელია, აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად კლავს/მომაკვდინებელი."[66] დემოკრატიულ ქვეყნებში ნაკლებადაა მოსალოდნელი სახელმწიფო ტერორის განხორციელება. მაგრამ თუკი ასეთი მოვლენა მაინც იჩენს თავს, ეს, როგორც წესი, ომის ან ამბოხის შემდეგ ხდება ხოლმე.[67]

ანთროპოლოგიური ორიგინალები

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელი აფხაზები

ომი საფრთხეში არა მხოლოდ ადამიანთა ცხოვრებას, არამედ კულტურასაც აგდებს: ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელ აფხაზებს გადაშენება ემუქრებათ, რადგან ისინი რუსეთსა და საქართველოს შორის მდებარეობენ. ამათგან ორივეს აქვს აფხაზეთის ტერიტორიის საკუთარი დიზაინი. პატარა ქვეყნები ხშირად ხვდებოდნენ საფრთხის ქვეშ, რადგან მათ მეზობლებს გაფართოება სურდათ.

ადამიანები, რომელთა უძველეს და თანამედროვე ისტორიასაც მე მოგითხრობთ ამ თავში, (ჩემი წერის დროს 1993 წლის აპრილი), კვდებიან ომში. ისინი ებრძვიან სიცივეს, შიმშილს და შიშს თავიანთი ქართველი მტრების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ომიდან დევნილები, რომლებიც ცხოვრობენ არაოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიასა და რუსეთში, იზიარებენ მცირე კვადრატულ მეტრებსა და მღელვარებას ოჯახის წევრებისა და მეგობრების შესახებ, რომლებთან კონტაქტიც დაკარგეს. ამიტომ არცაა მოსალოდნელი, რომ ამ ადამიანთაგან რომელიმე მისდევდეს მშვიდი ცხოვრების წესს, რომლის აღწერასაც მე ვაპირებ.

როდესაც გადავწყვიტე ანთროპოლოგიის სტუდენტებისთვის გამეცნო მსოფლიოს ეს პატარა კუთხე, სადაც მე პირველი საველე სამუშაო ჩავატარე, არ მინდოდა შევჩერებულიყავი მის მშვიდობისდროინდელ ცხოვრებაზე, რადგან ვიცოდი თუ რა საშინელი ომი მიმდინარეობდა იმ დროს იქ. თორმეტწლიანი ხშირი ვიზიტებისას გაჩენილ მეგობრებსა და კოლეგებს ცხოვრება დაემსხვრათ, საყვარელი ადამიანები უწამეს და დაუხოცეს. ხოლო აფხაზური კულტურისა და ისტორიის ყველა უპირველესი წყარო განადგურდა ცეცხლსა და ძარცვაში. ცხადია, ფიზიკური და კულტურული გენოციდი სახეზეა და პროგრესირებს. იმ დროს, როცა მხოლოდ მცირე რაოდენობის ლინგვისტები, ანთროპოლოგები და ისტორიკოსები უყურებენ ამ ყველაფერს უმწეოდ და შეძრწუნებით.

ჩვენ შედარებით ცოტა ვიცით იმის თაობაზე, თუ რა განსაზღვრავს ადამიანის ტერორისტად ქცევას. ვიცით, რომ ტერორისტები ხშირად მაღალი სოციალური სტატუსის არიან და ძირითადად რიგით ადამიანზე უფრო განათლებულები არიან.[68] თუ სახელმწიფო ტერორიზმი, როგორც წესი, ტოტალიტარულ რეჟიმებში ჩნდება, ტერორიზმი და ტერორისტებიც უფრო ამგვარ საზოგადოებებში იჩენენ თავს. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ დემოკრატიების გავრცელება ჩვენი საუკეთესო იმედი იქნებოდა მსოფლიოში ტერორიზმის შემცირების. ისევე როგორც დემოკრატიას, ჩანს მინიმუმადე დაჰყავს ქვეყნებს შორის ომის ალბათობა.

მსოფლიოს გაუმჯობესების გზაზე

მსოფლიოს ბევრი სოციალური პრობლემა აქვს, არა მხოლოდ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული. ჩვენ არ გვაქვს საშუალება, რომ განვიხილოთ ნარკოტიკებით საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემა და ის, თუ როგორ გადაიზრდება ის ძალადობაში, სიკვდილსა და კორუფციაში. არ გვილაპარაკია გარემოს დეგრადაციის ნეგატიურ გავლენაზე, როგორიცაა წყლის დაბინძურება, ოზონის გამოფიტვა და ხისა და ნესტიანი ადგილების განადგურება. ჩვენ ბევრი არაფერი გვითქვამს, თუ საერთოდ გვიხსენებია, მოსახლეობის მატების, ენერგო კრიზისის შესახებ. არც ბევრი სხვა პრობლემა გვიხსენებია, რომლის გამოსწორებაზეც უნდა ვზრუნავდეთ, თუ გვინდა უფრო უსაფრთხო მსოფლიოში ცხოვრება. მაგრამ ამ თავში ჩვენ შევეცადეთ წაგვეხალისებინა პოზიტიური აზროვნება გლობალური სოციალური პრობლემების შესახებ. ჩვენ შემოგთავაზეთ თუ როგორ შეიძლება წარსულისა და მომავალი სამეცნიერო კვლევების პასუხთა გამოყენება ზოგი პრობლემის გადასაჭრელად.

ჩვენ ვიცით საკმარისად ბევრი ახლა, რომ დავიწყოთ მოქმედება. მომავალში კი უფრო მეტს აღმოვაჩენთ. სოციალური პრობლემები, ძირითადად, ადამიანების შექმნილია და მათვე შეუძლიათ მათი გარდაქმნა. შეიძლება გამოსავლისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებები არსებობდეს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მათი დაძლვეა, თუ მოვინდომებთ. მაშ, ვცადოთ!

შეჯამება

1. ჩვენ ახლა შეიძლება მოტივირებულნი ვიყოთ სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, რადგან კომუნიკაციების გავრცელების მეშვეობით მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების კურსში ვართ, რადგან ამავდროულად საკმაოდ გვაწუხებს საკუთარ საზოგადოებაში არსებული პრობლემები და რადგანაც მსოფლიო პრობლემების შესახებ ახლა უფრო მეტი ვიცით.
2. აზრი, რომ გლობალური სოციალური პრობლემები მოგვარებადია, ორ წარმოდგენას ეფუძნება: უნდა წარმოვიდგინოთ, რომ პრობლემის გამომწვევი მიზეზების აღმოჩენა შესაძლებელია და ასევე, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ შეგვიძლია ამ მიზეზის აღმოფხვრა ან გამოსწორება, რის შედეგადად შესაძლებელი გახდება თავად პრობლემის შემცირება ან თავიდან მოცილება.
3. კატასტროფები, როგორებიცაა მიწისძვრები, წყალდიდობები და გვალვა, ადამიანის ცხოვრებაზე მეტ-ნაკლებად მოქმედებენ. ეს დამოკიდებულია სოციალურ მდგომარეობაზე. ამრიგად, კატასტროფები ნაწილობრივ სოციალური პრობლემებია, ნახევრად სოციალური მიზეზებითა და გამოსავლით.
4. ის ფაქტი, ადამიანები უსახლკარონი არიან, თუ გარეუბნებში ქოხებში ცხოვრობენ, დამოკიდებულია საზოგადოების მზადყოფნასა და სურვილზე გაუნაწილონ ქონება და დახმარება მათ, ვინც ამას საჭიროებს.
5. ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის იდეების გავრცელებითა და ბავშვის აღზრდის მოვალეობის თანაბრად განაწილებით, შესაძლებელია ოჯახური ძალადობის შემცირება.
6. ჩვენ შევძლებთ ძალადობრივი დანაშაულის შემცირებას, თუ შევამცირებთ საზოგადოებაში აგრესიის აღზრდასა და სოციალიზაციას. ამის გასაკეთებლად საჭიროა იკლოს ომმა, რადგან სწორედ ომი ახდენს საზოგადოებაში აგრესიისა და მისი სხვა გამართლებული ფორმების სოციალიზაციას. ქონებრივი უთანასწორობის მინიმუმამდე დაყვანასაც შეუძლია დანაშაულის შემცირება, კერძოდ, ქურდობისას. აგრეთვე, სასარგებლოა ბიჭების აღზრდა გვერდით მამაკაცობის ნიმუშის თანხლებით. ეს გამორიცხავს ზრდასრულობაში მათ აგრესიისკენ მიდრეკილებას.
7. როგორც ჩანს, ადამიანები ომში ყველაზე ხშირად კატასტროფების შიშის გამო მიდიან. მათ ესმით, რომ მოულოდნელად თავს დამტყდარმა ბუნებრივმა მოვლენამ შეიძლება მთელი მათი საკვების მარაგი გაანადგუროს. უფრო ,,დემოკრატიული" ქვეყნების უთანხმოებანი იშვიათად გადაიზრდება ომში. ამრიგად, რაც უფრო ფართოდ იქნება გავრცელებული დემოკრატია მსოფლიოში, მით უფრო მეტად იქნება მოსალოდნელი მშვიდობის დამყარებ.
8. ტერორიზმი კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა. სახელმწიფო ტერორიზმს ემსხვერპლა იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე მეოცე საუკუნის ყველა ომს ერთად. ტერორზმის ეს ფორმა, ძირითადად, ტოტალიტარულ სახელმწიფოებში ხორცელდება.

საკონტროლო კითხვები

1. რა კონკრეტულ უპირატესობას ფლობენ ანთროპოლოგები გარკვეული პრობლემების გადაჭრისას?
2. აირჩიეთ თავში განხილული რომელიმე სოციალური პრობლემა და მოიფიქრეთ, რის გაკეთება შეიძლება მათ შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად.
3. საჭიროებს თუ არა გლობალური პრობლემები გადაწყვეტას გლობალური სააგენტოების მიერ? თუ კი, რომლების?